



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
GORI STATE TEACHING UNIVERSITY



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ILIA STATE UNIVERSITY



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
IAKOB GOGEBASHVILI TELAVI STATE UNIVERSITY



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY



სევილიის უნივერსიტეტი, ესპანეთი  
UNIVERSIDAD DE SEVILLA, SPAIN



ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებების უნივერსიტეტი, ნიდერლანდები  
INHOLLAND UNIVERSITY OF APPLIED SCIENCES, NETHERLANDS



ტაჯიკეთის კომერციის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
TAJIK STATE UNIVERSITY OF COMMERCE



ბელარუსის მომხმარებელთა კოოპერატივების სავაჭრო-ეკონომიკური  
უნივერსიტეტი  
THE BELARUSIAN TRADE AND ECONOMICS UNIVERSITY OF CONSUMER  
COOPERATIVES

## მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება XXI საუკუნეში“


გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 13 - 14 ნოემბერი, 2015, გორი, საქართველო  
კონფერენციის სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, რუსული

### THE EIGHTH INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE “EDUCATION IN THE XXI CENTURY”

GORI STATE TEACHING UNIVERSITY, November 13-14, 2015, Gori, Georgia  
CONFERENCE LANGUAGES: GEORGIAN, ENGLISH, RUSSIAN



მეცნიერებისა და ინოვაციების  
საერთაშორისო კვირეული • საქართველო 2015  
INTERNATIONAL SCIENCE  
AND INNOVATION WEEK • GEORGIA 2015



## **საორგანიზაციო კოლეგია:**

თავმჯდომარე: **გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

### **წევრები:**

**მერაბ ხალვაში**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ღავთაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**ილიას ჩილოღლი**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**ვლადიმერ პაპავა**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

**ჯონი აფაქიძე**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**სერგო ვარდოსანიძე**, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**თეონა ხუფენია**, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**ირმა შიოშვილი**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი

**მერაბ ბერიძე**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**ტოდორ რადევი**, ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტის რექტორი

**იან მალიცკი**, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრის დირექტორი

## **საორგანიზაციო კომიტეტი:**

თავმჯდომარე: **გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

### **წევრები:**

**ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი

**ანა იმნაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ფილოლოგიის დოქტორი

**გივი გაგნიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეურნეო და დაცვის სამსახურის უფროსი

**აფრია აფრიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი

**ბექან რომელაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

## **პროგრამული კომიტეტი:**

თავმჯდომარე: **ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი

### **წევრები:**

**ელდარ მამისთვალიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ვიანორ ახალაია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ნელი ჭამპურიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიკისა და მეთოდის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ჯემალ ქირია**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**თეა ხორგუაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ივანე ბალახაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კლინიკისა და სოციალურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, უფროსი მასწავლებელი

**ზურაბ ჩხიკვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**ნელი გოგინაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**გიორგი მძინარაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
**მარინე გურგენიძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი  
**ვლადიმერ ადეიშვილი**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

**გოდერძი ბუჩაშვილი**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი  
**ნუნუ გელდიაშვილი**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ნინო მოდებაძე**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ნანა მამულაძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

**ნინო კახაშვილი**, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

## **სარედაქციო კომისია:**

### **წევრები:**

**თამარ გოგოლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**ელენე ხოჯეევანიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**მარიამ კობერიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**მარიამ შერაზადიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**მარინე ცერცვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**ზურაბ ჩხიკვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

### **ტექნიკური რედაქტორი:**

**გიორგი ყაზიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამეცნიერო მიმართულების მთავარი სპეციალისტი

შპს „ჯეოპრინტი“

თბილისი 2016 წელი

**ISBN 978-9941-0-9413-2**

## **ORGANIZATION BOARD:**

Head: **Giorgi Sosiashvili**, Rector of Gori State Teaching University, Professor

### **Members:**

**Berab Khalvashi**, Acting Rector of Batumi Shota Rustaveli State University, Associate Professor

**Giorgi Ghvartadze**, Rector of Akaki Tsereteli State University, Professor

**Ilyas Ciloglu**, Rector of International Black Sea University, Professor

**Vladimer Papava**, Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Academician

**Joni Apakidze**, Rector of Sokhumi State University, Professor

**Sergo Vardosanidze**, Rector of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Professor

**Teona Khupenia**, Rector of Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi, Professor

**Irma Shioshvili**, Rector of Iakob Gogebashvili Telavi State University, Associate Professor

**Merab Beridze**, Rector of Samtskhe-Javakheti State University, Professor

**Todor Radev**, Rector of Varna University of Management

**Jan Malicki**, Director of the Centre for East European Studies of the University of Warsaw

## **ORGANIZATIONAL COMMITTEE:**

Head: **Giorgi Khorbaladze**, Gori State Teaching University, Head of Administration, Associate Professor

### **Members:**

**Levan Midodashvili**, Gori State Teaching University, Head of Quality Assurance Service, Professor

**Ana Imnadze**, Gori State Teaching University, Head of Strategic Development, International and Public Relations Service, Doctor of Philology

**Givi Gagnidze**, Gori State Teaching University, Head of Economic and Security Service

**Apria Apriamashvili**, Gori State Teaching University, Head of Budgeting and Purchasing Service

**Bezhan Romelashvili**, Gori State Teaching University, Head of Service of Information Technologies Assurance

## **PROGRAMME COMMITTEE:**

Head: **Aleksandre Mghebrishvili**, Deputy Rector of Gori State Teaching University, Professor

### **Members:**

**Eldar Mamisvalishvili**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of History and Archaeology, Professor

**Vianor Akhalaia**, Gori State Teaching University, Head of the Educational Scientific Centre of Georgian Language and Literature, Professor

**Neli Champuridze**, Gori State Teaching University, Head of Faculty of Pedagogics and Methodology, Professor

**Jemal Kiria**, Gori State Teaching University, Head of Faculty of Information Technologies and Mathematics, Professor

**Tea Khorguashvili**, Gori State Teaching University, Head of Business Administration Faculty, Professor

**Ivane Balakhashvili**, Gori State Teaching University, Head of Practical Law Clinic and Faculty of Social Sciences, Senior Teacher

**Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University, Professor

**Neli Goginashvili**, Gori State Teaching University, Professor

**Giorgi Mdzinarashvili**, Gori State Teaching University, Associate Professor

**Marine Gurgenidze**, Batumi Shota Rustaveli State University, Assistant Professor

**Vladimer Adeishvili**, Akaki Tsereteli State University, Dean of Faculty of Pedagogics, Associate Professor

**Goderdzi Buchashvili**, International Black Sea University, Assistant Professor

**Nunu Geldiashvili**, Iakob Gogebashvili Telavi State University, Professor

**Nino Modebadze**, Iakob Gogebashvili Telavi State University, Professor

**Nana Mamuladze**, Batumi Shota Rustaveli State University, Assistant Professor

**Nino Kakhashvili**, Iakob Gogebashvili Telavi State University, Head of Public Relations Service, Associate Professor

## **EDITORIAL BOARD:**

### **Members:**

**Tamar Gogoladze**, Gori State Teaching University, Professor

**Elene Khojevanishvili**, Gori State Teaching University, Professor

**Mariam Koberidze**, Gori State Teaching University, Professor

**Mariam Sherazadishvili**, Gori State Teaching University, Professor

**Marine Tsertsvadze**, Gori State Teaching University, Professor

**Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University, Professor

### **Technical Editor:**

**Giorgi Kazishvili**, Gori State Teaching University, Chief Specialist of Scientific Direction of Quality Assurance Service

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## განათლება

- რომან აბაშიძე – მოტივაციის ამაღლებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი ასპექტი დაწყებით კლასებში – 16
- ვლადიმერ ადვიშვილი – ზოგიერთი მოსაზრება მათემატიკური ამოცანების ამოხსნის პროცესის შესახებ – 19
- ლალი აზმაიფარაშვილი – მოზარდობის ხანის ასაკობრივი თავისებურებები – 22
- იაგორ ბალანჩივაძე, დალი ფუტყარაძე – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ინტეგრაცია და სოციალური ადაპტაცია სკოლამდელ დაწესებულებებში – 23
- მელანი ბეიკერი, ზურაბ ჩხიკვაძე – უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგიები და მიდგომები: ისტორიულ კრილი, ძირითადი მახასიათებლები, უცხო ენის სწავლების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა (ინგლისურ ენაზე) – 27
- გიორგი ბერძულიშვილი – განტოლებათა და უტოლობათა ამოხსნის ერთი არასტანდარტული ხერხის შესახებ – 32
- მამული ბუჭუხიშვილი, მზია მამასახლისი – მოდულის შემცველი განტოლებების სწავლება – 38
- თინა გელაშვილი, გულნარა ჯანოვა – სპეციალური საჭიროების მქონე პირების განათლების პრობლემა XXI საუკუნის გამოწვევების ფონზე (ინგლისურ ენაზე) – 41
- დარეჯან გელაძე – სწავლა/სწავლების პერსონალური სივრცე – 44
- ეკატერინე გიგაშვილი – პედაგოგიურ კვლევებზე დაფუძნებული მასწავლებელთა განათლება – 47
- მზია გოგიაშვილი – თამაში, როგორც სკოლამდელთა საქმიანობის ძირითადი სახე – 51
- ირინე გოგიბერიძე, თამარ დოგრაშვილი – იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ დიდაქტიკურ-შემეცნებითი მნიშვნელობა – 55
- რუსუდან გოგოხია – სტრატეგიების კავშირი სწავლის წარმატებასთან – 58
- ნინო დავითაშვილი, მაია აკოლაშვილი – კოგნიტური, მეტაკოგნიტური და სოციალურ/ეფექტური სტრატეგიების გამოყენება უცხო ენის (მოსმენის) სწავლებისას – 65
- თამარ დოგრაშვილი, ირინე გოგიბერიძე – იაკობ გოგებაშვილის გამოუქვეყნებელი არითმეტიკის სახელმძღვანელოს შესახებ – 68
- ლელა ებგვერაძე – ასპექტის, როგორც ზმნის კატეგორიის, სწავლების შესახებ – 72
- ლია მენტეშაშვილი, თამარ ჯანგულაშვილი – კლასის ხელმძღვანელის მშობლებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები სკოლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე (ინგლისურ ენაზე) – 76
- ლევან მიდოდაშვილი, ნიკოლოზ მიდოდაშვილი – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები – 79
- ნოდარ მირაზანაშვილი – დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების შინაარსი, მიზნები და ამოცანები – 84
- გიორგი მძინარაშვილი – სასწავლო-საწვრთნო მეცადინეობების ორგანიზაციის სპეციფიკური თავისებურებები – 88
- ნანა ნადირაძე – გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები დაწყებით კლასებში – 90
- მარეხ ნათენაძე – ნეთბუქების გამოყენება სკოლის დაწყებით საფეხურზე სწავლების ეფექტურობის ამაღლების მიზნით – 96
- ეკატერინე ნინუა – სამეცნიერო საქმიანობა, როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგის ინდივიდუალური სტილის ნაყოფიერების განვითარების აუცილებელი პირობა – 100
- ნინო ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი – პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის როლი სკოლაში მოსწავლეთა სოციალურ-ზნეობრივი ორიენტაციის ჩამოყალიბებაში – 104
- ალექსანდრე სიჩოვი, ნატალია პარხომენკო – დისტანციური ელექტრონული სწავლების განხორციელების გამოცდილება, პრობლემები და პერსპექტივები (ინგლისურ ენაზე) – 108
- მარიამ უბირია – თანამედროვე სკოლის პედაგოგების და მოსწავლეების ვალეოლოგიური მომზადების საკითხები (სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემების მიხედვით) (რუსულ ენაზე) – 111
- ლილი ქორიძე – მოსწავლეთა სასკოლო საქმიანობაში ჩართულობის თანამედროვე პრობლემები – 114
- ირმა ქურდაძე – სსსმ პირების უფლებების სწავლება მომავალი მასწავლებლის მომზადების პროცესში – 120
- ლიანა ჩარკვიანი – დისტანციური სწავლება, როგორც უცხოური ენის სწავლების ალტერნატიული გზა – 122

- ზურაბ ჩხიკვძე, ლელა ხუბულური** – უცხოური ენის სპეციალური მიზნებით სწავლებასთან დაკავშირებული მიდგომები (წინაპირობები და განვითარება) – 126
- ეფემია ხარაძე** – ეკოლოგიური ცნობიერების მნიშვნელობისათვის განათლების სფეროს სპეციალისტების მომზადებისას – 128
- ხათუნა ხარხელი** – არაფორმალური წერის სტრატეგიის როლი ინგლისურ ენის სწავლებისას – 132
- გულნარა ჯანოვა, მაკა მურვანიძე** – მულტიკულტურალიზმი როლური თამაშების გამოყენებით (ინგლისურ ენაზე) – 135

## **მათემატიკა და ინფორმატიკა**

- დავით ზარნაძე, სოსო ცოტნიაშვილი, ტრისტან ტურაშვილი** – ქართულ ენაში „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ – 137
- ზურაბ ზერაკიძე, მალხაზ მუმლაძე** – ძლიერად განცალკევებული სტატისტიკური სტრუქტურის მაგალითი, რომელიც არ უშვებს ჰიპოთეზათა ძალდებულ შეფასებას (ინგლისურ ენაზე) – 143
- ლევან მიდოდაშვილი, პავლე მიდოდაშვილი, ზიბინა მიდოდაშვილი** – მოდიფიცირებული გენეტიკური ალგორითმის გამოყენება ფინანსური პორტფოლიოს ოპტიმიზაციის ამოცანაში – 146
- თინათინ მშვიდლობაძე** – MVC ნიმუშები ვებ აპლიკაციებისათვის – 149
- ვალენტინ მძინარიშვილი** – დინამიკური მოდელი „მოთხოვნა-მიწოდება“ (რუსულ ენაზე) – 151
- კახაბერ ჟამურაშვილი** – ელექტრონული გადახდის სისტემებში ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგია – 154
- კარლო ცერცვაძე** – შემთხვევითი მიმდევრობის გაუსურობის ჰიპოთეზის შემოწმების შესახებ – 158

## **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

- ინგა აბულაძე, ნანა მაღლაკელიძე** – კიბოს დიაგნოსტიკა ადრეულ ეტაპზე და მისი მკურნალობის მეთოდი ნანოტექნოლოგიის გამოყენებით – 161
- ნელი გოგინაშვილი** – Gramineae-ს ოჯახის მცენარეთა მინერალური კვება ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით – 165
- ლაშჩირა გორგილაძე, ნატო ჯაბნიძე, დარეჯან ჯაში, გიორგი ჯაბნიძე** – ტყის როლი ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საქმეში – 170
- რუსლან დავითაძე, გიორგი ჯაბნიძე, სულიკო ბერიძე, ნანა ჯაბნიძე** – აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობა (მრავალფეროვნება, ტიპოლოგია, ეკოლოგია) – 173
- ალექსანდრე იაშვილი, მამია ტულუში, ნელი პაპუკაშვილი** – მწრთვანელის ადგილი და როლი სასკოლო ფიზიკური აღზრდის სისტემაში (ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე) – 177
- ნიკოლოზ კიკნაველიძე, მირანდა წეროძე, ნათია კვიციანიძე, ნანა გორგასლიძე** – მეფუტკრეობის დარგის განვითარება საქართველოში და მისი ევროპული მომავალი – 180
- რობერტ მაღლაკელიძე, გიორგი მაღლაკელიძე** – სამცხე-ჯავახეთის მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს გეოეკოლოგიური თავისებურებები და მათთან დაკავშირებული კონფლიქტები – 184
- ნელი პაპუკაშვილი** – აკრობატიკის ესთეტიკური ასპექტების ისტორიიდან – 187
- მამია ტულუში, ალექსანდრე იაშვილი** – თავშეკავება და ემოციური მდგომარეობის რეგულირების ფსიქო-სოციალური ფაქტორები სპორტსმენის ქცევაში – 192
- ნინო ფოჩხიძე, მზია ჟვანია, მანანა დაშნიანი, ნანა ჯაფარიძე, ლია გელაზონია** – ტოლუოლის ქრონიკული ეფექტები კვლევით ქცევასა და ამოცნობის მეხსიერებაზე ახალგაზრდა და ზრდასრულ ვირთაგვებში (ინგლისურ ენაზე) – 197
- მირანდა წეროძე, ნიკოლოზ მესხი, ოთარ სხვიტარიძე** – აღმოსავლეთ საქართველოში ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელების შესწავლის შედეგები – 203
- ემა ჭურღულია, მაკა მაკარიძე** – შავი ზღვა, მისი ეკო-ქიმიური დახასიათება – 206
- რეზო ჯაბნიძე** – ევკალიპტის (*Eucalyptus*) კულტურის მნიშვნელობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში – 208

## ბიზნესი და ეკონომიკა

- მაია აზმაიფარაშვილი – მწვანე ტურიზმი - აქტიური გლობალური ტენდენცია – 213
- ზვიად ზემუნაძე – ვალუტის გაუფასურების თეორიული და ზოგიერთი პრაქტიკული ასპექტები – 216
- ლია ზიბილაშვილი – შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში – 221
- დავით ზიბინაშვილი, როინ თათეშვილი – საქართველოს საფინანსო სექტორის გაჯანსაღების გზები და პერსპექტივები – 224
- იზოლდა გაბადაძე, ვახტანგ გოგისვანიძე, ინეზა წერეთელი, ანა მუშკუდიანი – გლობალიზაციის ვარიანტები და მისი კრიტიკოსები – 229
- გიული გიგუაშვილი – სამეწარმეო განათლების სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები – 231
- მაია გელაშვილი – კომერციული ბანკების როლი ეკონომიკაში – 236
- მანია გოგიძე, აკაკი ცერცვაძე – მმართველობითი გუნდის სუსტი რგოლის გამოვლენის ტექნოლოგიები – 239
- ციური დურული, ნინო ლიპარტელიანი – ფულის შენახვა გაცილებით რთულია, ვიდრე მისი გამომუშავება - საინვესტიციო საქმიანობის ფილოსოფია – 243
- მერაბ ვანიშვილი, დათა ფარულავა, ნინო ვანიშვილი – ფინანსები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში – 246
- მერაბ ვანიშვილი, დავით ხაჭაპურიძე, ნინო ვანიშვილი – საქართველოს სახელმწიფო ვალი და მისი მომსახურების ორგანიზაცია – 252
- ნინო მაზიაშვილი – ტურიზმი, როგორც მცირე ბიზნესის ხელშემწყობი – 257
- ირინე მამალაძე, ალექსანდრე ხვედელიანი – ვენჩურული ფონდების ინვესტირების თავისებურებანი – 262
- ლეილა მამულაშვილი, გიორგი ყაზიშვილი – „ბრენდი“ - დეფინიცია, შინაარსი და კლასიფიკაცია – 264
- ლეილა მამულაშვილი, იზოლდა გაბადაძე, ვახტანგ გოგისვანიძე, ინეზა წერეთელი, ნინო მუშკუდიანი – საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი გლობალიზაციის პირობებში – 270
- ნათელა მარტინენკო – ინტეგრირებული დივერსიფიცირებული ინოვაციური კომპანიის საქმიანი პორტფელის სტრატეგიული ანალიზი და რეინჟინირინგი – 272
- რუიზან მექვაბიძე, იურგიტა რაუდელიუნიენე – ბიზნეს მოდელირების სწავლება ბიზნეს პროცესის მენეჯმენტისათვის (ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროგრამის -BACKIS, აქტივობა 2, ხელშეკრულება №2012-2741/001-001EMA2 - ჩარჩოებში (ინგლისურ ენაზე) – 274
- რუიზან მექვაბიძე, თეა ხორგუაშვილი, დავით ჭიოტაშვილი, ნანა ახალაია, ნინო ლიპარტელიანი, ლეილა მამულაშვილი, ციური დურული, მაია აზმაიფარაშვილი – სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისათვის საქართველოში: დასაქმების ბაზრის მოთხოვნა და მიწოდება (ტემპუსის პროექტის -544191-Tempus-1-2013-1PT-JPCR - ჩარჩოებში) – 280
- ნანა ნადირაძე, თეა ანესაშვილი – დასაქმების და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში – 285
- მანანა ნანიტაშვილი – სასაქონლო მიმოქცევის ეკონომიკური ბუნება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში – 289
- ეთერ ნარიმანიშვილი – თავისუფალი დრო და ტურისტული დანიშნულების ადგილის ეკოლოგიური მდგომარეობა – 293
- ციური ნოზაძე – თანამედროვე ინტელექტუალური ტექნოლოგიები და მართვის ინფორმაციული სისტემები ბიზნეს-გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად – 298
- ლალი ოსაძე, მაკა სოსანიძე, სოფიო ცეცხლაძე – აგრობიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში – 301
- კახაბერ ჟღენტი – კორპორაციული მართვის არსი, პრინციპები და ეროვნული მოდელები – 305
- ვალიდა სესაძე, ნელი სესაძე, გელა ჭიკაძე – ფაზური გადასვლები ეკონომიკური პროცესების დინამიკის კვლევისათვის – 312
- მაკა სოსანიძე, ლალი ოსაძე, ლალი ვარდიშვილი – ღვინის ტურიზმი - საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პერსპექტიული მიმართულება – 316
- ლალი სრესელი – შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები – 319
- თამაზ ქობულაშვილი, გია ედიშერაშვილი – უფლისციხის ქვაში ნაკვეთი ქალაქის ტურისტული მარშრუტების ოპტიმიზაციისათვის – 323
- პაატა ქურდაძე – საგადასახადო მოსაკრებლის ოდენობა ბიზნესის მიხედვით – 325

ლილია შჩუკინა – სოფლის მეურნეობის საინვესტიციო განვითარების მიმართულებები ბელარუსში (ინგლისურ ენაზე) – 329  
 ხალიანა ჩიტაძე, გიორგი თენაძე – ბულალტრული ანგარიშების დახურვა და დაბალანსება – 331  
 გიორგი ხანთაძე, არჩილ ცერცვაძე – აღრიცხვა-ანგარიშგების ძირითადი ასპექტები სადაზღვევო კომპანიაში – 334  
 სალომე ხიზანიშვილი – პიროვნული ინტელექტი - ორგანიზაციის განვითარების უმთავრესი რესურსი (ადამიანური რესურსების მართვის საკითხის ზოგიერთი ასპექტი) – 338  
 თეა ხორგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი, ნათია ხორგუაშვილი – საქართველო ამერიკის ეკონომიკური ურთიერთობები – 340

## სოციალური მეცნიერებები და სამართალი

ნუგზარ აბრამიშვილი – პავლე მოციქული თავისუფლების შესახებ – 343  
 ივანე ბალახაშვილი – საკუთრების უფლების არსი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად – 346  
 მიხეილ ზიჭია – შეილად აყვანის საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა (თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი) – 350  
 იოსებ გაბარაევი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში – პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები – 356  
 მიხეილ გაბუნია, დავით ხობელია – დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ასპექტები (მიხეილ გერნეტის „დანაშაულობის სოციალური ფაქტორების“ მიხედვით) – 362  
 დავით გეფერიძე, მიხეილ დაუშვილი – პარიტეტის (ნაცვალგების) პრინციპის დაცვის აქტუალური პრობლემები ავიაგადაყვანა-გადაზიდვების განხორციელებისას საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის – 365  
 გიორგი გიორგაძე – საქართველოს პარლამენტის როლი და მნიშვნელობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში – 370  
 თეიმურაზ დარსანია – თეორიები დანაშაულის მცდელობის ობიექტური შემადგენლობისათვის – 374  
 დავით დოლიძე – სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობა ქართულ და გერმანულ საკორპორაციო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა) – 380  
 კლარა ელჩიბეგაშვილი – XIX-XX საუკუნეების პოსტკლასიკური ფილოსოფიური შეხედულებები – 385  
 ნინო ზედგინიძე – რელიგიის თავისუფლება - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და საქართველო – 388  
 თეა თოფჩიშვილი – იდეოლოგიის როლი სოციალურ კომუნიკაციებში – 392  
 ქეთევან კვინიკაძე – უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შეძენისას ყოფილი და ახალი მესაკუთრის ინტერესთა კონფლიქტი – 396  
 მალხაზ ლომსაძე – ძარცვის ცნება და შემადგენლობა – 401  
 ქეთევან ლომსაძე, ბექა ტოლიაშვილი – სტრესის დამლევის ბუნებრივი ფაქტორები – 406  
 ალექსანდრე მღებრიშვილი – ოსთა შეიარაღებული გამოსვლები შიდა ქართლში XX საუკუნის დამდეგის ქართული პრესის მასალების მიხედვით – 409  
 მაკა სალხინაშვილი – სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ინსტიტუტის შემოღება ადმინისტრაციულ პროცესში – 414  
 ბექა ტოლიაშვილი, ქეთევან ლომსაძე – ბრბოს ფსიქოლოგიური თავისებურებები – 417  
 მარიკა შერაზადიშვილი – კომუნიკაცია, როგორც ენობრივი პრობლემა – 420  
 მერი ცუცქერიძე – მედია ტექსტი და საჯარო დისკურსი – 423  
 ელგუჯა ჭანტურია – ჩვეულება, როგორც ინგლისური სამართლის წყარო – 425  
 ია ხარაზი – ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი საგადასახადო წესების დარღვევებისათვის – 430

## ფილოლოგია

ნანა არახამია – შექსპირისეული ტრადიციები რომანტიკოსთა თვალთახედვით – 436  
 ნანა არახამია, მირანდა თოდუა – ქართული ლიტერატურული ტექსტი და თვითიდენტიფიკაცია – 438  
 ვიანორ ახალაია – „ერგასი“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის – 443



ქეთევან ზარბაქაძე – სპარსულ-ქართული ხალხური (ჯადოსნური) ზღაპრების ტიპოლოგიური შესწავლისათვის – 445

მერაბ ბერიძე, მკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე – გრამატიკის თანამედროვე გააზრება – 448

მაია ბოლაშვილი – დავიდ ჰერბერტ ლორენსის ნოველა „ცთომილი წუთისოფელი“ და მისი მხატვრული თავისებურებანი დედანსა და ქართულ თარგმანში – 451

თამარ გითოლენდია – პოლისემიის საკითხისათვის – 455

თამარ გოგოლაძე – ოსკარ უაილდის „სალომეს“ ორი ქართული თარგმანის ისტორიისათვის – 458

მაია დარასელია – პრადის სკოლა თემის შესახებ ნარატივში – 462

ლუკა დვალისძე – 1877-78 რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ილია ჭყონიას პუბლიცისტიკაში – 465

ლელა ზაქარაძე – შოთა ნიშნიანიძის პოეზია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში – 468

თამილა ზვიადაძე – სიტყვის სემანტიკური კომპონენტების ცვლილების კულტურულ-ისტორიული ფაქტორები – 471

მირანდა თოდუა, ნონა ქეცბაია – ვენახის (ვაზის) ქრისტიანულ-მითოლოგიური სახისმეტყველება – 474

ანა იმნაძე – ნერსე ერისთავის სახე ჰავიოგრაფიულ ტექსტებში – 479

ვახტანგ ინაური – ივანე ათაბაგის ისტორიული და ლიტერატურული სახე – 482

მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა – განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართველურში I. მიმართვა, ჩართული – 486

მარიამ კობერიძე – წყალთან დაკავშირებული ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართლურში – 491

ნანა კუცია, მარინე ტურავა – დავით კლდიაშვილის პროზის რეფლექსია ქართულ კრიტიკაში – 496

ქეთევან მარგიანი – „სვანეთის ისტორიის ფურცლები“ ენათმეცნიერული კუთხით – 501

ლელა მახვილაძე – სემანტიკური გაუმჭვირვალობის საკითხი სინქრონიულ დონეზე არასემანტიკურად გაბუნდოვნებულ რთულ სიტყვებში – 505

მაია მელანაშვილი – პიკარესკული რომანის აღმოცენებისა და მისი გავლენის ზოგიერთი საკითხი – 510

ციალა მესხია – საკურთხეველთან გაშლილი წიგნით (გენო კალანდიას „საგალობლები უფლისთვის“) – 516

მურად მთვარელიძე – ქართული რომატიზმის სათავეებთან - მარიამ ბატონიშვილი – 525

ნინო მინდიაშვილი, ნანა არახამია – ქალის პარადიგმის დეფინიციისთვის – 530

მარიამ მირესაშვილი – ევროპა და ევროპელები პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში – 533

მერაბ ნაჭყებია, მანანა ტაბიძე – გენდერული თავისებურებანი ქართული ენის მეხსიერებაში – 539

ნიკოლოზ ოთინაშვილი – მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერ დოკუმენტთა ზოგიერთი ენობრივი თავისებურება – 545

ზეინაზ სარია – გრანელი ბრალდებათა ქარბორბალაში – 548

ნათია სიხარულიძე – ჰვადელი ემმას კვალდაკვალ (გალაკტიონ ტაბიძის „პირველი ვარდი“) – 551

ლუარა სორდია – გრიგოლ რობაქიძე ხელოვნების რელიგიურობის შესახებ – 555

ოლღა ქავთარია – ისტორიის შეცდომები და ტრაგედიები (ფრანც ვერფელის „მუსა დაღის 40 დღის“ მიხედვით) (რუსულ ენაზე) – 560

თამარ ყალიჩავა – მოთხრობა როგორც ნაციონალურ-კულტურული მოდელი (დენიელ ალარკონის „კლოუნთა ქალაქი“) – 562

მარინე ცერცვაძე – „ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორიის“ შესწავლის ზოგიერთი თანამედროვე პერიპეტია – 565

ჯულეტა ძაძუა – სტილისტიკური ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები – 569

ნელი ჭამპურიძე – ღვთიური მადლის მამიებელ გმირთა ხვედრი ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში (განდევილი და მინდია) – 573

ლუიზა ხაჭაპურიძე – მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ზოგი ფრაზეოლოგიზმი დღეს – 578

ელენე ხირსელი – სიკვდილის კონცეფციის სარკის ანარეკლის „თეორია“ სერგეი ესენინის პოეზიაში (რუსულ ენაზე) – 580

გიორგი ხორბალაძე – ადამიანური განცდები ომისა და ოკუპაციის პირობებში, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთიან კონტექსტში გააზრებით – 583

ელენე ხოჯევანიშვილი – ესმა ონიანის მხატვრული ენის ზოგიერთი თავისებურება – 588

მამუკა ჯოღბორდი – აკ. წერეთლის პოეზიის პოლიტიკური ასპექტები (ლექსის „ეხლანდელი პოლიტიკა“ მაგალითზე) – 591

## ისტორია

- იოსებ ალიმბარაშვილი – კავკასიელ ხალხთა დეპორტაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური და რელიგიური ასპექტები XIX ს-ის 60-იან - XX ს-ის 40-იანი წლებში – 594
- დავით ახლოური – სოფელ ახლოურთკარის ეკონომიკური ყოფის ისტორიიდან (მეცხოველეობა) – 605
- ნოდარ ბერულავა – გვიანელი ისტორიული ხანის კოლხი მეომრების გამოსახულება – 610
- ანა გელაშვილი – სინდისგომის უცნობი ეკლესია არტანუში (ტაო-კლარჯეთი) (წინასწარი მონაცემები) – 614
- რომან გოგოლაური – გურკლელთა ვინაობის საკითხისათვის – 619
- ნოდარ დარსანია – ბისმარკი, რუსეთი და ალვენსლებენის კონვენცია – 623
- ოთარ დოლიძე – საქართველოს „ისტორია“ ინსტიტუტი XII საუკუნეში (დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახური) – 630
- ლელა თოგოშვილი – საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისა და რუს გადმოსახლებულთა მიწათსარგებლობის წესის შედარებითი ანალიზისათვის (რუსული კოლონიზაციის პერიოდი) – 636
- გურამ კუტალია – დიდი ჰუმანისტი და მსოფლიო მოქალაქე – 640
- ელდარ მამისთვალისშვილი – საქართველო-რომის ურთიერთობის ზოგადი დახასიათება (IV-XVIII სს.) – 648
- მანანა მიჩიტაშვილი – საციციანოს მართვა-გამგეობის საკითხისათვის (XV- XVIII სს.) – 652
- ზადრი რაზმაძე – როსტომ რაზმაძე – 660
- გიორგი სოსიაშვილი – რუსეთის პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის I მეოთხედში ინგლისელი მოგზაურის რობერტ კერ პორტერის ცნობების მიხედვით – 664
- დავით შავიანიძე – თანამედროვე სოფლის ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები (ტრადიციული სამეურნეო ცოდნის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) – 676
- ვაჟა ჩოჩია – იტალია პირველი მსოფლიო ომის წინ (1911-1912) – 680
- დავით ჩოჩიშვილი – ებრაული თემა „ქართლის ცხოვრებაში“ – 683
- ვლადიმერ წვერავა, ელდარ თავბერიძე – ანტიოსმალური კოალიცია და სიმონ პირველი – 689

# CONTENTS

## Education

- Roman Abashidze** – *SOME ASPECTS OF RAISING MOTIVATION AND CRITICAL THINKING DEVELOPMENT IN PRIMARY CLASSES* – 16
- Vladimer Adeishvili** – *SOME THOUGHTS ABOUT THE PROCESS OF SOLVING MATHEMATICAL PROBLEMS* – 19
- Lali Azmaiparashvili** – *TEENAGER'S SPECIAL FEATURES* – 22
- Iagor Balanchivadze, Dali Putkaradze** – *INTEGRATION AND SOCIAL ADAPTATION OF DISABLED CHILDREN IN PRE-SCHOOL INSTITUTIONS* – 23
- Melanie J. Baker, Zurab Chkhikvadze** – *METHODOLOGIES AND APPROACHES TO FOREIGN LANGUAGE TEACHING: HISTORICAL CONTEXTS, KEY FEATURES, AND SUITABILITY IN TODAY'S L2 CLASSROOM* (in English) – 27
- Giorgi Berdzulishvili** – *THE NONSTANDARD METHODS OF SOLVING EQUATIONS AND INEQUALITIES* – 32
- Mamuli Buchukhishvili, Mzia Mamasakhlisi** – *TEACHING OF MODULAR EQUATIONS* – 38
- Tina Gelashvili, Gulnara Janova** – *EDUCATION PROBLEMS OF PEOPLE WITH SPECIAL NEEDS ON THE BACKGROUND OF XXI C. CHALLENGES* (in English) – 41
- Darejan Geladze** – *STUDYING/TEACHING PERSONAL AREA* – 44
- Ekaterine Gigashvili** – *TEACHERS' EDUCATION BASED OF PEDAGOGICAL RESEARCH* – 47
- Mzia Gogiashvili** – *PLAYING AS A MAIN ACTIVITY FOR CHILDREN UNDER SCHOOL AGE* – 51
- Irine Gogiberidze, Tamar Dograshvili** – *DIDACTIC AND COGNITIVE IMPORTANCE OF 'BUNEBIS KARI' BY IAKOB GOGEBASHVILI* – 55
- Rusudan Gogokhia** – *RELATIONSHIP OF LEARNING STRATEGIES WITH SUCCESS* – 58
- Nino Davitashvili, Maia Akolashvili** – *USING COGNITIVE, METACOGNITIVE AND SOCIAL/AFFECTIVE STRATEGIES IN TEACHING THE FOREIGN LANGUAGE (LISTENING)* – 65
- Tamar Dograshvili, Irine Gogiberidze** – *ON UNPUBLISHED BOOK OF ARITHMETICS BY IAKOB GOGEBASHVILI* – 68
- Lela Edzgeradze** – *ABOUT TEACHING 'ASPECT' AS A CATEGORY OF A VERB* – 72
- Lia Menteshashvili, Tamar Jangulashvili** – *FORMS AND METHODS OF WORKS OF CLASS MENTOR WITH PARENTS ON THE MODERN TYPE OF SCHOOL DEVELOPMENT* (in English) – 76
- Levan Midodashvili, Nikoloz Midodashvili** – *ASSESSMENT INDICATORS OF ACADEMIC ACTIVITIES IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS* – 79
- Nodar Mirazanashvili** – *THE CONTENT, AIM AND OBJECTIVES OF FINE AND APPLIED ARTS AT THE ELEMENTARY LEVEL OF EDUCATION* – 84
- Giorgi Mdzinarashvili** – *ASSISTING THE TRAINING SESSIONS OF TRAINING-SPECIFIC FEATURES* – 88
- Nana Nadiradze** – *GENERAL PRINCIPLES OF PLANNING LESSONS IN PRIMARY CLASSES* – 90
- Marekh Natenadze** – *USING THE NETBOOKS IN THE PRIMARY CLASSES FOR EFFECTIVE LEARNING PROCESS* – 96
- Ekaterine Ninua** – *SCIENTIFIC ACTIVITIES AS A PREREQUISITE FOR THE DEVELOPMENT OF THE PRODUCTIVITY OF AN INDIVIDUAL STYLE OF A HIGH SCHOOL TEACHER* – 100
- Nino Orjonikidze, Maia Akhvediani** – *THE ROLE OF PEDAGOGY AND PSYCHOLOGY IN FORMING SOCIAL AND MORAL ORIENTATION OF SCHOOL PUPILS* – 104
- Alexander Syhov, Natallia Parkhomenko** – *EXPERIENCE, PROBLEMS AND PROSPECTS OF IMPLEMENTATION OF DISTANCE E-LEARNING* (in English) – 108
- Mariam Ubiria** – *VALEOLOGICAL PREPAREDNESS OF TEACHERS AND PUPILS OF MODERN SCHOOL (ACCORDING TO SOCIOLOGICAL INTERROGATION)* (in Russian) – 111
- Lili Koridze** – *MODERNS PROBLEMS OF STUDENTS' INCLUSION IN SCHOOL ACTIVITIES* – 114
- Irma Kurdadze** – *SOME OF THE ASPECTS OF SPECIAL NEEDS RIGHT IN TEACHING FUTURE TEACHERS* – 120
- Liana Charkviani** – *DISTANCE LEARNING AS AN ALTERNATIVE METHOD TO TEACH FOREIGN LANGUAGES* – 122
- Zurab Chkhikvadze, Lela Khubuluri** – *APPROACHES (PRECONDITIONS AND DEVELOPMENT) RELATED TO TEACHING FOREIGN LANGUAGE FOR SPECIAL PURPOSES* – 126
- Ephemia Kharadze** – *FOR THE IMPORTANCE OF ECOLOGICAL CONSCIOUSNESS IN PREPARATION OF SPECIALISTS OF EDUCATIONAL SPHERE* – 128
- Khatuna Kharkheli** – *ROLE OF THE INFORMAL WRITING STRATEGY IN ENGLISH LANGUAGE TEACHING* – 132
- Gulnara Janova, Maka Murvanidze** – *MULTICULTURALISM THROUGH ROLE PLAYS* (in English) – 135

## Mathematics and Informatics

- Davit Zarnadze, Soso Tsojniashvili, Tristan Turashvili** – *ABOUT USING THE "OR" AND "OR ONLY" LOGICAL CONJUNCTIONS IN THE GEORGIAN LANGUAGE MULTIPLE TIMES AND ON ALTERNATELY WAYS* – 137
- Zurab Zerakidze, Malkhaz Mumladze** – *THE EXAMPLE OF STRONGLY SEPARABLE STATISTICAL STRUCTURE WITHOUT OF ANY CONSISTENT CRITERIA FOR CHECKING HYPOTHESES* (in English) – 143
- Levan Midodashvili, Pavle Midodashvili, Bidzina Midodashvili** – *APPLYING MODIFIED GENETICAL ALGORITHM IS OPTIMISING FINANCIAL PORTFOLIO* – 146
- Tinatin Mshvidobadze** – *MVC PATTERN WITH WEB APPLICATIONS* – 149
- Valentin Mdzinarishvili** – *DYNAMIC MODEL "DEMAND-SUPPLY"* (in Russian) – 151
- Kakhaber Zhamurashvili** – *STRATEGY OF INFORMATION SECURITY IN ELECTRONIC PAYMENT SYSTEMS* – 154
- Karlo Tsertsvadze** – *ON VERIFYING GAUSSIAN RANDOM SEQUENCE HYPOTHESIS* – 158

## Natural Sciences

- Inga Abuladze, Nana Maghlakelidze** – *CANCER DIAGNOSIS AT AN EARLY STAGE AND TREATMENT METHOD USING NANOTECHNOLOGIES* – 161
- Neli Goginashvili** – *MINERAL NUTRITION OF THE PLANTS OF THE GRAMINEAE FAMILY IN CONNECTION WITH ECOLOGICAL FACTORS* – 165
- Lamzira Gorgiladze, Nato Jabnidze, Darejan Jashi, Giorgi Jabnidze** – *FOREST ECOLOGICAL ROLE AND ECONOMIC PROBLEMS SOLVING* – 170
- Ruslan Davitadze, Giorgi Jabnidze, Suliko Beridze, Nana Jabnidze** – *PROTECTED AREAS OF FOREST VEGETATION IN ADJARA (DIVERSITY, TYPOLOGY, ECOLOGY)* – 173
- Aleksandre Iashvili, Mamia Tughushi, Neli Papukashvili** – *THE COACHE'S PLACE AND ROLE IN THE SCHOOL PHYSICAL EDUCATION SYSTEM (AT THE EXAMPLE OF THE UNITED STATES)* – 177
- Nikoloz Kiknavelidze, Miranda Tserodze, Natia Kvizhinadze, Nana Gorgaslidze** – *DEVELOPMENT OF BEEKEEPING SECTOR IN GEORGIA AND ITS EUROPEAN FUTURE* – 180
- Robert Maghlakelidze, Giorgi Maghlakelidze** – *SAMTSKHE-JAVAKHETI VEGETATION AND WILDLIFE GEO-ECOLOGICAL PECULIARITIES AND RELATED CONFLICTS* – 184
- Neli Papukashvili** – *SHORT HISTORIC REVIEW OF AESTHETIC ASPECTS OF GYMNASTIC TYPES* – 187
- Mamia Tughushi, Aleksandre Iashvili** – *SELF-CONTROL AND PSYCHO-SOCIAL FACTORS OF EMOTIONAL REGULATION IN THE ATHLETE'S BEHAVIOR* – 192
- Nino Pochkhidze, Mzia Zhvania, Manana Dashniani, Nana Japaridze, Lia Gelazonia** – *EFFECT OF TOLUENE CHRONIC EXPOSURE ON RECOGNITION MEMORY IN ADOLESCENT AND ADULT RATS* (in English) – 197
- Miranda Tserodze, Nikoloz Meskhi, Otar Skhvitaridze** – *THE RESEARCH RESULTS OF SPREADING OF AMERICAN WHITE MOTH IN EAST GEORGIA* – 203
- Ema Churghulia, Maka Makaridze** – *BLACK SEA AND ITS ECOLOGICAL-CHEMICAL PROPERTIES* – 206
- Rezo Jabnidze** – *EUCALYPTUS (EUCALYPTUS) CULTURE IMPORTANCE AND THE DEVELOPMENT IN GEORGIA* – 208

## Business and Economics

- Maia Azmaiparashvili** – *GREEN TOURISM - ACTIVE GLOBAL TREND* – 213
- Zviad Beshkenadze** – *THEORETICAL AND SOME PRACTICAL ASPECTS OF CURRENCY DEVALUATION* – 216
- Lia Bibilashvili** – *TRENDS OF LABOUR MARKET DEVELOPMENT IN GEORGIA* – 221
- Davit Bidzinashvili, Roin Tateshvili** – *RECOVERY MEANS AND PROSPECTS OF FINANCE SECTOR OF GEORGIA* – 224
- Izolda Gabadadze, Vakhtang Gogisvanidze, Ineza Tsereteli, Ana Mushkudiani** – *OPTIONS OF GLOBALIZATION AND ITS CRITICS* – 229
- Giuli Giguashvili** – *THE MAIN DIRECTIONS OF THE STATE POLICY TO STIMULATE ENTREPRENEURIAL EDUCATION* – 231
- Maia Gelashvili** – *THE ROLE OF COMMERCIAL BANKS IN THE ECONOMY* – 236
- Mania Gogidze, Akaki Tsertsvadze** – *DETECTION TECHNOLOGY FOR THE WEAK PART OF MANAGEMENT TEAM* – 239
- Tsiuri Duruli, Nino Liparteliani** – *SAVING MONEY IS MORE COMPLICATED THAN IT'S EARNING - INVESTMENT ACTIVITY PHILOSOPHY* – 243
- Merab Vanishvili, Data Parulava, Nino Vanishvili** – *FINANCE IN THE SYSTEM OF INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS* – 246
- Merab Vanishvili, Davit Khachapuridze, Nino Vanishvili** – *THE NATIONAL DEBT OF GEORGIA AND ITS SERVICE ORGANIZATION* – 252

**Nino Maziashvili** – *TOURISM AS A PROMOTING FACTOR OF A SMALL BUSINESS* – 257  
**Irine Mamaladze, Aleksandre Khvedeliani** – *SPECIFICATIONS OF VENTURE FUND INVESTMENTS* – 262  
**Leila Mamulashvili, Giorgi Kazishvili** – *“BRAND” - THE DEFINITION, CONTENT AND CLASSIFICATION* – 264  
**Leila Mamulashvili, Izolda Gabadadze, Vakhtang Gogisvanidze, Ineza Tsereteli, Nino Mushkudiani** – *THE ROLE OF PUBLIC RELATIONS IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION* – 270  
**Natela Martinenko** – *STRATEGIC ANALYSIS AND REENGINEERING OF THE BUSINESS PORTFOLIO OF INTEGRATED DIVERSIFIED INNOVATIVE COMPANY* – 272  
**Ruizan Mekvabidze, Jurgita Raudeliūnienė** – *TEACHING OF BUSINESS MODELING FOR BUSINESS PROCESS MANAGEMENT (IN THE FRAME THE ERASMUS MUNDUS EXCHANGE PROGRAM - BACKIS, ACTION 2, AGREEMENT NUMBER 2012-2741/001-001EMA2) (in English)* – 274  
**Ruizan Mekvabidze, Tea Khorguashvili, Davit Tchiotashvili, Nana Akhalaia, Nino Liparteliani, Leila Mamulashvili, Tsiuri Duruli, Maia Azmaiparashvili** – *FOR HOTEL INDUSTRY DEVELOPMENT IN GEORGIA: DEMAND AND SUPPLY OF THE EMPLOYMENT MARKET (IN THE FRAME OF THE TEMPUS PROJECT - 544191-TEMPUS-1-2013-1PT-JPCR)* – 280  
**Nana Nadiradze, Tea Anesashvili** – *PROBLEMS OF EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT IN GEORGIA* – 285  
**Manana Nanitashvili** – *ECONOMIC NATURE OF GOODS CIRCULATION IN THE CONDITIONS OF MARKET RELATIONS* – 289  
**Eter Narimanishvili** – *A LEISURE TIME AND ECOLOGICAL CONDITION OF TOURIST DESTINATION PLACES* – 293  
**Tsiuri Nozadze** – *MODERN INTELLIGENT TECHNOLOGY AND INFORMATION SYSTEMS TO SUPPORT BUSINESS DECISIONS* – 298  
**Lali Osadze, Maka Sosanidze, Sophio Tsetskhladze** – *THE TENDENCIES OF AGRIBUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA* – 301  
**Kakhaber Zhghenti** – *THE ESSENCE, PRINCIPLES AND NATIONAL MODELS OF CORPORATE GOVERNANCE* – 305  
**Valida Sesadze, Neli Sesadze, Gela Chikadze** – *PHASE TRANSITIONS FOR THE RESEARCH OF THE DYNAMICS OF ECONOMIC SYSTEMS* – 312  
**Maka Sosanidze, Lali Osadze, Lali Vardishvili** – *WINE TOURISM – LONG TERM DIRECTION IN INTERNATIONAL TOURISM DEVELOPMENT* – 316  
**Lali Sreseli** – *ORGANISATIONAL, ECONOMIC AND LEGAL FUNDAMENTALS OF STATE REGULATION OF A LABOUR MARKET* – 319  
**Tamaz Kobulashvili, Gia Edisherashvili** – *FOR OPTIMISATION TOURIST ROUTS TO ANCIENT ROCK-HEWN TOWN UPLISTSIKHE* – 323  
**Paata Kurdadze** – *TAX FEE ACCORDING TO THE BIBLE* – 325  
**Lilia Shchukina** – *DIRECTIONS FOR INVESTMENT-DRIVEN DEVELOPMENT OF AGRICULTURE IN BELARUS (in English)* – 329  
**Khaliana Chitadze, Giorgi Tenadze** – *BOOKKEEPER ACCOUNTS CLOSURE AND BALANCE* – 331  
**Giorgi Khantadze, Archil Tsertsvadze** – *MAJOR ACCOUNTING ASPECTS FOR INSURANCE COMPANY* – 334  
**Salome Khizanishvili** – *HUMAN RESOURCES – THE BASIC RESOURCE FOR DEVELOPMENT OF ORGANISATIONS (SOME ASPECTS OF MANAGING HUMAN RESOURCES)* – 338  
**Tea Khorguashvili, Tamar Makasarashvili, Natia Khorguashvili** – *GEORGIA-AMERICAN ECONOMIC RELATIONS* – 340

## **Social Sciences and Law**

**Nugzar Abramishvili** – *PAUL THE APOSTLE ON LIBERTY* – 343  
**Ivane Balakhashvili** – *THE ESSENCE OF THE RIGHT TO PROPERTY UNDER THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS* – 346  
**Mikheil Bichia** – *CIVIL LEGAL PROTECTION OF CONFIDENTIALITY OF ADOPTION (THE ANALYSIS OF THE THEORY AND LAW PRACTICE)* – 350  
**Ioseb Gabaraevi** – *JUVENILE JUSTICE IN GEORGIA - PROBLEMS AND FUTURE PERSPECTIVES* – 356  
**Mikheil Gabunia, Davit Khobelia** – *CRIMINOLOGICAL ASPECTS CAUSING DELINQUENCY (AFTER ‘SOCIAL FACTORS OF DELIQUENCY’ BY MICHAEL GERNET)* – 362  
**Davit Geperidze, Mikheil Daushvili** – *CURRENT PROBLEMS OF THE PARITY (RECIPROCITY) PRINCIPLE IN GEORGIAN- RUSSIAN AIR TRANSPORTATION* – 365  
**Giorgi Giorgadze** – *THE ROLE AND IMPORTANCE OF PARLIAMENT OF GEORGIA IN RESOLVING ABKHAZIAN CONFLICT* – 370  
**Teimuraz Darsania** – *THE THEORIES OF THE OBJECTIVE COMPOSITION OF ATTEMPTED CRIME* – 374  
**Davit Dolidze** – *THE INDEPENDENCE OF THE SUPERVISORY BODY MEMBERS OF THE JOINT STOCK COMPANY IN THE GEORGIAN AND GERMAN CORPORATE LAW (COMPARATIVE LEGAL RESEARCH)* – 380  
**Klara Elchibegashvili** – *POSTCLASSIC PHILOSOPHICAL VIEWS XIX-XX CENTURIES* – 385

- Nino Zedginidze** – *FREEDOM OF RELIGION - THE CONVENTION FOR THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS AND FUNDAMENTAL FREEDOMS AND GEORGIA* – 388
- Tea Topchishvili** – *THE ROLE OF IDEOLOGY IN SOCIAL COMMUNICATIONS* – 392
- Ketevan Kvinikadze** – *CONFLICT OF INTERESTS BETWEEN THE FORMER AND THE NEW OWNER WHILE THE PURCHASING OF REAL ESTATE PROPERTY IN GOOD FAITH* – 396
- Malkhaz Lomsadze** – *CONCEPT OF ROBBERY AND CORPUS DELICTI* – 401
- Ketevan Lomsadze, Beka Toliashvili** – *NATURAL FACTORS TO OVERCOME STRESS* – 406
- Aleksandre Mgebrishvili** – *ARMED DEMONSTRATIONS OF OSSETIANS IN SHIDA KARTLI (BASED ON GEORGIAN PRESS OF EARLY XX)* – 409
- Maka Salkhinashvili** – *ESTABLISHMENT OF AMICUS CURIAE INSTITUTE IN ADMINISTRATIVE PROCEEDINGS* – 414
- Beka Toliashvili, Ketevan Lomsadze** – *PSYCHOLOGICAL PECULIARITY OF CROWD* – 417
- Marika Sherazadishvili** – *COMMUNICATION AS A LINGUAL PROBLEM* – 420
- Meri Tsutskiridze** – *MEDIA TEXT AND PUBLIC DISCOURSE* – 423
- Elguja Chanturia** – *THE CUSTOM AS THE SOURCE OF ENGLISH LAW* – 425
- Ia Kharazi** – *SOME LEGAL ASPECTS OF ADMINISTRATIVE LIABILITY IN THE EVENT OF INFRINGING TAX REGULATIONS* – 430

### Philology

- Nana Arakhamia** – *SHAKESPEARE'S VARIATION FROM THE STANDPOINT OF ROMANTICISTS* – 436
- Nana Arakhamia, Miranda Todua** – *GEORGIAN LITERARY TEXT AND SELF-IDENTIFICATION* – 438
- Vianor Akhalaia** – *FOR THE ETYMOLOGY OF THE WORD 'ERGASI'* – 443
- Ketevan Barbakadze** – *F FOR THE TYPOLOGICAL STUDY OF THE PERSIAN-GEORGIAN FOLK (FAIRY) TALES* – 445
- Merab Beridze, Maka Kachkachishvili-Beridze** – *MODERN CONSIDERATION OF GRAMMAR* – 448
- Maia Bolashvili** – *D.H. LAWRENCE'S SHORT STORY "THE PRIMROSE PATH" AND ITS FICTIONAL PECULIARITIES IN THE ORIGINAL TEXT AND THE GEORGIAN TRANSLATION* – 451
- Tamar Gitolendia** – *AN ABOUT POLYSEMY* – 455
- Tamar Gogoladze** – *FOR THE HISTORY OF TWO TRANSLATIONS OF "SALOME" BY OSCAR WILD* – 458
- Maya Daraselia** – *THE PRAGUE SCHOOL ON TOPIC IN NARRATIVE* – 462
- Luka Dvalishvili** – *RUSSO-TURKISH WAR 1877-78 AND THE ISSUE OF POLITICAL ORIENTATION OF GEORGIA IN ILIA TCHKONIA'S PUBLICISM* – 465
- Lela Zakradze** – *SHOTA NISHNIANIDZE'S POETRY IN THE GEORGIAN LITERARY CRITICISM* – 468
- Tamila Zviadadze** – *CULTURAL- HISTORICAL FACTORS OF WORD'S SEMANTIC-COMPOSITION CHANGE* – 471
- Miranda Todua, Nona Ketsbaia** – *CHRISTIAN-MYTHOLOGICAL TOPOLOGY OF THE "VINEYARD" AND THE "VINE"* – 474
- Ana Imnadze** – *IMAGE OF NERSE ERISTAVI IN HAGIOGRAPHIC TEXTS* – 479
- Vakhtang Inauri** – *HISTORICAL AND LITERARY IMAGE OF IVANE ATABAGI* – 482
- Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgharkava** – *ISOLATED WORDS AND EXPRESSIONS IN KARTVELIAN LANGUAGES I. ADDRESSING WORDS; INTRODUCTORY WORDS* – 486
- Mariam Koberidze** – *TOPONYMS RELATED TO WATER IN KARTLIAN OF PRONE GORGE* – 491
- Nana Kutsia, Marine Turava** – *REFLECTION OF DAVIT KLDIASHVILI PROSE IN GEORGIAN LITERARY CRITICISM* – 496
- Ketevan Margiani** – *'HISTORICAL PAGES OF SVANETI' IN RESPECT OF LINGUISTICS* – 501
- Lela Makhviladze** – *A QUESTION OF SEMANTIC OPACITY IN SYNCHRONICALLY NON-SEGMENTED OPAQUE COMPLEX WORDS* – 505
- Maia Melanashvili** – *SEVERAL ISSUES OF ORIGIN AND INFLUENCE OF THE PICAESQUE NOVEL* – 510
- Tsiala Meskhia** – *BOOK AT ALTAR (GENO KALANDIA'S "PSALMS FOR THE LORD GOD")* – 516
- Murad Mtvarelidze** – *AT THE ORIGIN OF GEORGIAN ROMANTISM – MARIAM BATONISHVILI* – 525
- Nino Mindiashvili, Nana Arakhamia** – *FOR THE DEFINITION OF WOMAN PARADIGM* – 530
- Mariam Miresashvili** – *EUROPE AND EUROPEANS IN THE POSTCOLONIAL GEORGIAN LITERATURE* – 533
- Merab Nachkebia, Manana Tabidze** – *GENDER PECULIARITIES IN THE GEORGIAN LANGUAGE* – 539
- Nikoloz Otinashvili** – *SOME LANGUAGE PECULIARITIES OF DOCUMENTS OF 18<sup>TH</sup> CENTURY GEORGIA* – 545
- Zeinab Saria** – *GRANELI IN THE STORM OF ACCUSATIONS* – 548
- Natia Sikharulidze** – *FOLLOWING HAWAIIAN EMMA STEP BY STEP (GALAKTION TABIDZE'S VERSE „THE FIRST ROSE")* – 551
- Luara Sordia** – *GRIGOL ROBAKIDZE ABOUT OF RELIGIOUS ART* – 555
- Olgha Kavtaria** – *ERRORS AND TRAGEDY OF HISTORY (NOVEL BY FRANZ WERFEL "40 DAYS OF MUSA-DAGH") (in Russian)* – 560

- Tamar Kalichava** – *A SHORT STORY AS A NATIONAL-CULTURAL MODEL (CITY OF CLOWNS BY DANIEL ALARCÓN)* – 562
- Marine Tsertsvadze** – *SOME MODERN PERIPETIES OF STUDYING ‘HISTORY OF STUDYING ANCIENT GEORGIAN LITERATURE’* – 565
- Juleta Dzadzua** – *STYLISTIC DEFECTS AND THE WAYS OF CORRECTING THEM* – 569
- Neli Champuridze** – *FATE OF HEROES SEEKING DIVINE GRACE IN GEORGIAN CLASSIC WORKS (‘HERMIT’ AND ‘MINDIA’)* – 573
- Luiza Khachapuridze** – *SOME PHRASEOLOGICAL EXPRESSIONS RELATED TO ORTHODOX CUSTOMS* – 578
- Elene Khirseli** – *MIRROR REFLECTION ‘THEORY’ OF DEATH CONCEPT IN SERGEY YESENIN’S POETRY (in Russian)* – 580
- Giorgi Khorbaladze** – *HUMAN EXPERIENCES IN THE TERMS OF WAR AND OCCUPATION, ANALYZING GEORGIAN AND WORLD LITERATURE IN THE SAME CONTEXT* – 583
- Elene Khojevanishvili** – *SOME PECULIARITIES OF ESMA ONIANI ARTISTIC LANGUAGE* – 588
- Mamuka Jolbordi** – *POLITICAL ASPECTS OF AKAKI TSERETELI POETRY (ON THE EXAMPLE OF A POEM ‘CURRENT POLITICS’)* – 591

## History

- Ioseb Alimbarashvili** – *POLITICAL, ECONOMIC AND RELIGIOUS ASPECTS OF DEPORTATION OF CAUCASIAN PEOPLES IN 60-IES OF 19<sup>TH</sup> AND 40-IES OF 20<sup>TH</sup> CENTURIES* – 594
- Davit Akhlouri** – *FROM THE HISTORY (ANIMAL BREEDING) OF ECONOMIC LIFE OF THE VILLAGE AKHLOURTKARI* – 605
- Nodar Berulava** – *IMAGES OF KOLKHETIAN WARRIORS IN THE LATE HELLENISTIC AGE* – 610
- Ana Gelashvili** – *SINDISGOMI UNKNOWN TEMPLE IN ARDAHAN (TAO-KLARJETI) (PRELIMINARY DATA)* – 614
- Roman Gogolauri** – *GURKLER QUESTION OF IDENTIFY* – 619
- Nodar Darsania** – *BISMARCK, RUSSIA AND ALVENSLEBEN CONVENTION* – 623
- Otar Dolidze** – *„THE INSTITUTE OF MSTOVARI“ OF GEORGIA IN THE XII CENTURY (DAVID THE BUILDER’S INTELLIGENCE AGENCY)* – 630
- Lela Togoshvili** – *FOR THE COMPARATIVE LAND-TENURE RULES ANALYSES OF RUSSIAN IMMIGRANTS AND INDIGENOUS POPULATION OF GEORGIA (PERIOD OF RUSSIAN COLONIZATION)* – 636
- Guram Kutalia** – *THE GREAT HUMANIST AND THE WORLD CITIZEN* – 640
- Eldar Mamistvalishvili** – *GENERAL DESCRIPTION OF GEORGIAN – ROMAN RELATIONS (4<sup>TH</sup>–18<sup>TH</sup> CENTURIES)* – 648
- Manana Michitashvili** – *THE ISSUES ON GOVERNANCE OF SATSITSIANO (THE 15<sup>TH</sup> -18<sup>TH</sup> CENTURIES)* – 652
- Badri Razmadze** – *ROSTOM RAZMADZE* – 660
- Giorgi Sosiashvili** – *RUSSIA’S POLICY IN GEORGIA IN THE 1<sup>ST</sup> QUARTER OF THE 19<sup>TH</sup> CENTURY AFTER REFERENCES OF ROBERT KER PORTER, AN ENGLISH TRAVELLER* – 664
- Davit Shavianidze** – *MODERN VILLAGE ECONOMIC, LEGAL AND SOCIAL PROBLEMS (ACCORDING TO THE ETHNOGRAPHIC MATERIALS REFLECTING TRADITIONAL AGRICULTURAL KNOWLEDGE)* – 676
- Vazha Chochia** – *ITALY BEFORE THE FIRST WORLD WAR (1911-1912)* – 680
- Davit Chochishvili** – *JEWISH THEME IN “KARTLY CHRONICLES”* – 683
- Vladimer Tsverava, Eldar Tavberidze** – *ANTI-OTTOMANS COALITION AND KING SIMON I* – 689

# გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

## Education

### მოტივაციის ამაღლებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი ასპექტი დაწყებით კლასებში

რომან აბაშიძე, ხიჭაურის წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

გაკვეთილზე სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გარეშე. სწავლისა და აღზრდილობის დონე მჭიდროდ უკავშირდება მოსწავლეთა მოტივაციის სახეებსა და მათი გამოვლენის ხარისხს.

მოტივაცია მნიშვნელოვანი ცნებაა განათლების ფსიქოლოგიაში. ის მოიცავს მოსწავლის ქმედების, ქცევის ისეთ განმსაზღვრელ ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც შიდა (ემოციებთან, გრძნობებთან, განცდებთან), ასევე ადამიანის საპასუხო რეაქციის გამომწვევ გარემო სტიმულებთან. პიროვნების აქტიურობა საკუთარი თავის რეალიზაციაზე და მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული და მას სხვადასხვა მოტივი უდევს საფუძვლად.

გამოყოფენ შინაგან და გარეგან მოტივაციას, რომელთა შორის „არსებითი განსხვავება მოტივაციის ამ ორ სახეს შორის ადამიანის ქცევის წარმმართველი მიზეზებია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზეზობრიობის ლოკუსი (ლათ. lokus - ადგილი) გარეგანი (ექსტერნალური), თუ შინაგანი (ინტერნალური). მაგალითად, მოსწავლე შეიძლება იმიტომ სწავლობდეს, რომ მას აქვს შინაგანი მოტივაცია (მიზეზობრიობის ინტერნალური ლოკუსი), ან იმიტომ, რომ მას მშობელი აიძულებს სწავლას (მიზეზობრიობის ექსტერნალური ლოკუსი, გარეგანი მოტივაცია). (მელიქიშვილი, 2013: 8)

პიროვნების მოტივაცია-ერთგვარი კომბინაცია, აერთიანებს როგორც პიროვნულ ნიშნებს, ასევე გარემოს ობიექტურ ფაქტორებს. ამიტომაც, ხანდახან, კონკრეტული სიტუაცია გვეკარნახობს შინაგანად ვიქნებით მოტივირებული თუ გარეგანად. მაგალითად, თუ მოსწავლე იმისთვის სწავლობს რომ მაღალი შეფასება მიიღოს, სხვა ღირებულება აქვს, ვიდრე ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებასა და ცოდნის შეძენის სურვილს; ასევე, თუ პედაგოგს პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის შესწავლა საგამოცდო ბარიერის გადასალახავად სჭირდება და არა ამ თეორიის ძირითადი პოსტულატების საკლასო პრაქტიკაში გამოსაყენებლად, გარეგან მოტივაციასთან გვაქვს საქმე. ასე რომ, ადამიანებს გვიწევს არჩევანის გაკეთება რეალურად ორ მოტივს შორის. სასურველია, ადამიანის ქცევას განსაზღვრავდეს შინაგანი ფაქტორები, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ცოდნის სიღრმისეულად შეძენის საშუალებას იძლევა, თუმცა წარმოდგენილია მოსწავლის ქცევას ყოველთვის შინაგანი სტიმულები განსაზღვრავდეს. ამიტომაც აუცილებელია ვიცოდეთ მოტივაციის გამომწვევი სტრატეგიები, რომლებიც განაპირობებენ მოსწავლის არა მხოლოდ აქტიურობის მაღალ ხარისხს, არამედ სტიმულს კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად. დავასახელოთ ისინი: საკლასო აქტივობების კავშირი მოსწავლეთა ინტერესებთან, სიმულაციებთან, სახალისო აქტივობებთან, შეჯიბრებასთან, არჩევანის უფლების მინიჭებასთან, საწინააღმდეგო აზრის გამოხატვისათვის ოპტიმალურ გარემოს შექმნასთან, ჯგუფურ და ინდივიდუალურ პროექტებთან, წახალისებასთან და ა.შ.

მოტივაცია და, განსაკუთრებით შინაგანი მოტივაცია, განსაზღვრავს მოსწავლის სასწავლო მზაობას სწავლისადმი და კრიტიკული აზროვნების აქტივაციას. მოკლედ მიმოვიხილოთ მოტივაცია, ახლა კი ყურადღება გავამახვილოთ კრიტიკულ აზროვნებასა და მისი განვითარების სტრატეგიებზე.

კრიტიკული აზროვნება აზროვნების მაღალი დონეა. მცდარია აზრი, რომ ის თანდაყოლილი უნარია, რაც მეცნიერთა არაერთმა გამოკვლევამ ცხადყო. მართალია, აზროვნების სწავლება, შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება რთული პროცესია, მაგრამ მისი სწავლა ეტაპობრივად შესაძლებელია; თუმცა მანამდე გავარკვიოთ, რა არის კრიტიკული აზროვნება. ცნობილი მკვლევარი დ. კლუსტერი წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების 5 ძირითად პრინციპს: „1. კრიტიკული აზროვნება არის დამოუკიდებელი აზროვნება. ამგვარად, აზროვნება შეიძლება კრიტიკული იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ინდივიდუალურია; 2) ინფორმაცია წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების საწყის და არა საბოლოო პუნქტს. ცოდნა აჩენს მოტივაციას, რომლის გარეშეც ადამიანს არ შეუძლია იაზროვნოს



კრიტიკულად; 3) კრიტიკული აზროვნება იწყება საკითხის წამოჭრითა და გადასაჭრელი პრობლემის გააზრებით; 4) კრიტიკული აზროვნება მიისწრაფის სარწმუნო არგუმენტაციისკენ. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი პოულობს პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას და ამყარებს საკუთარ გადაწყვეტილებებს გონივრული არგუმენტებით... 5) კრიტიკული აზროვნება სოციალური მოვლენაა, რამდენადაც ყოველი მოსაზრების გამოცდა და დახვეწა ხდება მაშინ, როდესაც მას ვუზიარებთ სხვებს“... (ტალიაშვილი, 2013: 33-34)

ოცდამეერთე, ტექნიკურ საუკუნეში განათლების სპეციალისტები, განათლების ექსპერტები გვარწმუნებენ კრიტიკული აზროვნების სასიცოცხლო მნიშვნელობაში. ტექნიკური ეპოქა ყოველდღიური ცხოვრების ისეთ რიტმში აყენებს ადამიანს, როცა პერმანენტულად უნდა მიიღოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილება. როცა პიროვნება ფლობს რაღაც ინფორმაციულ ცოდნას, რომელიც უბრალოდ მეხსიერების გზით და არა აზროვნების, გონების დამაბვით არის შეძენილი, მისი გამოყენების ალბათობა პრაქტიკაში ძალიან მცირეა. ინფორმაციის უსწრაფეს ნაკადში საჭიროა მასალის მოძიება, სწრაფი ორიენტირება, შეძენილი ცოდნის მოდერნიზაცია და ცოდნის ტრანსფერი, რომლის განხორციელება პირდაპირ კავშირშია ცოდნის აზროვნების გზით შეძენასთან. იქიდან გამომდინარე, რომ განათლება ყოველთვის უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების მოთხოვნებს და გარკვეულწილად წინ უნდა უსწრებდეს ცხოვრების ტემპს, ამკარად უსვამს ხაზს სკოლებში მასალის არა ინფორმაციულ, არამედ კრიტიკული აზროვნების გზით აქტიური ცოდნის შეძენის აქტუალობას.

მოტივაციის ამაღლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ, ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე შევძლებით დაწყებით კლასებში აღნიშნული თემის რამდენიმე ასპექტს.

კრიტიკული აზროვნება ორგანულ კავშირში იმყოფება მოსწავლეთა შინაგან მოტივაციასთან. ეს უკანასკნელი კი წარმოუდგენელია საკლასო ოთახში ისეთი ფსიქოლოგიური გარემოს გარეშე, რომელიც თითოეულ მოსწავლეს საშუალებას მისცემს თამამად, შეუზღუდავად გამოხატოს საკუთარი მოსაზრება. ნებისმიერ მოსწავლეს თვითრეალიზაციის, საკუთარი ინდივიდუალური „მე“-ს გამოხატვის უნარი უზიარებს წარმოაჩინოს ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტის მისეული ვერსია. ამიტომაც უმჯობესი იქნება თემატიკის მიხედვით საკითხი ისე დავსვათ, რომ მოსწავლეს შეეძლოს შესწავლილი ინფორმაციული მასალის საფუძველზე, პიროვნული გამოცდილებიდან გამომდინარე შეგვთავაზოს პრობლემის გადაჭრის საკუთარი სტრატეგია. თავდაპირველად, მხედველობაში მისაღებია არგუმენტაციის არა მაღალი ხარისხი, არამედ სურვილი და მოთხოვნილება საკუთარი აზრის დაფიქსირებისა და ამას ხელს უნდა უწყობდეს მასწავლებელი და მოსწავლეებიც.

„გონებრივი იერიშის“ გამოყენების სფერო მრავალნაირია. ეს მეთოდი შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ მოსწავლეთა ინტერესების პროვოცირებისათვის მაშინაც, როცა ვიწყებთ ახალი თემის შესწავლას და ჩვენ გვჭირდება მოსწავლეებს შევუქმნათ მოლოდინი, რამდენად გამართლდება მათი ვერსია. ამ მიმართულებით შეიძლება გამოვიყენოთ საგაკვეთილო თემასთან დაკავშირებული სურათები, ბრძნული გამონათქვამები და ვთხოვთ მოსწავლეებს სრულიად შეუზღუდავად მოახდინონ მისი ინტერპრეტაცია. მოსწავლის მიერ გამოთქმული ვარაუდი იწვევს ცნობისმოყვარეობის პროვოცირებას, კონკრეტულ შემთხვევაში მოლოდინს - რამდენად გამართლდა მისი ვარაუდი.

მოსწავლეებს გაკვეთილის პროცესში ხშირად ვთხოვთ არსებული თემა დაუკავშირონ შესწავლილ თემას, მოახდინონ: საგნების, მოვლენების, სიუჟეტური ქარგის შედარება-შეპირისპირება. ამ პროცესში შეიძლება გამოვიყენოთ „ვენის დიაგრამა“, „გადაჯახვული სქემები“, „თანამედროვეობასთან შედარება“, საორგანიზაციო სქემა „წრეწირი“ და სხვა. აქცენტი გადავიტანოთ მოსწავლეებში იმ დეტალების შემჩნევაზე, რომლებიც ნაწარმოებში ნაკლებად ჩანს. თავდაპირველად, დაწყებითი კლასების დაბალ საფეხურზე აღნიშნული მუშაობა შეიძლება შემოიფარგლოს „მსგავსი სურათების“ ანალიზით, რომელიც შეიცავს მცირეოდენ განსხვავებულ დეტალებს. ეტაპობრივად, მასალებს ეცლება თვალსაჩინო სახე და იგი უფრო მეტად აბსტრაქტულ სახეს ღებულობს. ასე რომ, მუშაობა იწყება საგნების ზუსტი აღქმიდან და მთავრდება საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინებით კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების ავტომატიზაციით: „იმისათვის, რომ მოსწავლე თავისუფლად მოქმედებდეს აზროვნების ზედა (იგულისხმება ანალიზი, სინთეზი და შეფასება - რ.ა), საჭიროა შესაბამისად იყოს გავარჯიშებული. ეს კი გულისხმობს უნარ-ჩვევების ეტაპობრივ განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, მოსწავლემ უნარ-ჩვევების ათვისების ფაზები (წვდომა, ათვისება-გავარჯიშება და ავტომატიზაცია) გაიაროს.“ (როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, 2008: 78)

გაკვეთილის პროცესში შევქმნათ ისეთი სიტუაცია, როცა მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ დასახელებული ნივთების კლასიფიკაცია მოახდინონ გარკვეული ნიშნის მიხედვით; ასევე, შესწავლილი პერსონაჟებიდან გამოვყოთ მსგავსი და განსხვავებული ნიშნები, რომელიც მათ აკავშირებთ. თავდაპირველად, მხედველობაში ვღებულობთ მოსწავლეთა აქტივობის ხარისხს, რომელიც

ეტაპობრივად მოსწავლეთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით გადადის არგუმენტირებული მსჯელობის უნარში.

საკლასო აქტივობები დავუკავშიროთ მოსწავლეთა ინტერესთა სფეროს და ის მივმართოთ ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტების შედგენაზე, გამოვკვეთოთ მათი კრეატიული მიდგომები; სწავლების პროცესში ჩავრთოთ აფორიზმები, სურათები, ამონარიდები ლექსებიდან და მოთხრობებიდან და მათი მოტორიკის, შესაძლებლობების გათვალისწინებით ვთხოვოთ მიღებული შთაბეჭდილებები გადმოსცენ მათთვის სასურველი ფორმით. ვხელმძღვანელობთ შინაგანი მოტივაციის ამაღლების ცნობილი სტრატეგიით, მოსწავლეებისთვის „გარკვეულ შემთხვევებში არჩევანის უფლების მინიჭება“ (სწავლება და შეფასება, 2008: 5) ეს უკანასკნელი კი მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობაში წარმოშობს პატივისცემის გრძნობას, ამაღლებს პასუხისმგებლობის ხარისხს და იწვევს შინაგანი მოტივაციის სტიმულირებას.

სასწავლო მასალის თემატიკა დავაკავშიროთ რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციას. ვთხოვოთ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მათ მიერ შესწავლილი პერსონაჟები დაუკავშირონ მათ ცხოვრებაში არსებულ, გვერდით მცხოვრებ ადამიანებს, გაავლონ პარალელები მათ შორის. დაწყებითი კლასების მაღალ საფეხურზე ვთხოვოთ მოთხრობის სიუჟეტური ქარგის საპირისპირო ფორმით წარმოჩენა, პერსონაჟების როლების შეცვლა. ლიტერატურაში ნასწავლი მასალა დაუკავშირონ ბუნებისმეტყველებაში, ხელოვნებაში ნასწავლ მასალას. მათემატიკაში მოსწავლეებს შევუქმნათ ისეთი სიტუაცია, როცა უხდებათ ნივთების დანაწილება (მაგალითად, ნაშთიანი გაყოფის უკეთ შესასწავლად) მოსწავლეებზე, შეიძლება დავაკავშიროთ ჩიტის ხელოვნური ბუდეების, სახლის მშენებლობასთან დაკავშირებულ სამშენებლო მასალების კალკულაციასთან. შესაძლებლობის შემთხვევაში, ვთხოვოთ წერილობით ჩამოაყალიბონ, გამოიანგარიშონ, დახატონ და ა.შ. რამდენადაც მეტი გრძნობის ორგანო იქნება ჩართული ამ პროცესში, მით უფრო მეტად მოხდება მიღებული ცოდნის კონსერვაცია ხანგრძლივ მეხსიერებაში, მით უფრო ადვილად განხორციელდება მისი ტრანსფერი.

დავსვათ პრობლემა და თავდაპირველად შევთავაზოთ პრობლემის დაძლევის რამდენიმე ვარიანტი, რომელშიც ერთი გზაა ყველაზე უფრო მორგებული პრობლემის გადაჭრაზე. თანდათან გავზარდოთ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტების რაოდენობა და ვთხოვოთ დაასაბუთონ: რატომ ემხრობიან ამ ვარიანტს. მსგავსი მუშაობის პირობებში, მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების დინამიკით იზრდება არგუმენტაციის, მტკიცებულებების არა მარტო რაოდენობა, არამედ ხარისხიც. თუ ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მოსწავლის არგუმენტაციის უნარი ჯერ კიდევ დაბალია, ნუ მივუთითებთ შეცდომებზე; შევეცადოთ კონკრეტული თემის გარშემო მიიღოს დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან; როგორც ბრუნერი აღნიშნავდა, ნუ ვიქნებით ინფორმაციის ერთადერთი წყარო. მოსწავლეს თვითონვე უნდა მივცეთ შანსი შეცდომის გასწორებისა, თვითსრულქმნისა; ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების გაცნობა უკეთესად გაარკვევს მოსწავლეს, დაარწმუნებს საკუთარ ძალებში, რომელიმე წყაროს სანდოობაში.

დაწყებით კლასებში საძირკველი ეყრება პიროვნების სხვადასხვა მიმართულებით ფორმირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესს. ამ კონტექსტში მხედველობაშია მისაღები ერთი საყურადღებო გარემოება: ამ ასაკობრივ საფეხურზე ბავშვური ლოგიკა განსხვავებულია, შედარებით ღარიბია მისი კოდირების სისტემა, რომელიც თავისთავად გულისხმობს მასში სხვათა შეხედულებების სიმწირეს; თუმცა კარგია ეს იმ თვალსაზრისით, რომ ერთის მხრივ, მოსწავლე არ არის შეზღუდული, დეტერმინებული, სხვისი გავლენის ქვეშ მოქცეული, რის გამოც მოსწავლეები უფრო უშუალონი არიან, მათი გახსნილობის ხარისხიც მაღალია, მეორეს მხრივ, ეს უფრო მეტად უყალიბებს მოსწავლეებს დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევებს, რაც არა მარტო კრიტიკული აზროვნების ფორმირების კუთხით, არამედ პიროვნული ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანია.

### **ლიტერატურა:**

- 1) მელიქიშვილი მანანა - „მოტივაცია“, თბილისი, 2013.
- 2) ტალიაშვილი თამარი - რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება, ჟურნ. „მასწავლებელი“, 2013, №5.
- 3) როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, თბილისი, 2008.
- 4) სწავლება და შეფასება, თბილისი, 2008.

# SOME ASPECTS OF RAISING MOTIVATION AND CRITICAL THINKING DEVELOPMENT IN PRIMARY CLASSES

**Roman Abashidze**, Khitchauri st. Tbel Abuseridze Teaching University, Associate Professor  
**RESUME**

The student's psychological readiness to learn is determined by the intrinsic motivation. Critical thinking is directly related to motivation. Right of choice, selecting of teaching materials according to the interests of children, using of fun activities, making the optimal environment to express a repugnance are not only the strategies of raising motivation, but also a prerequisite for the development of critical thinking. These strategies can be used even in Primary classes not only to challenge the interests of pupils, but also to automate, to form of critical thinking skills.

## ზოგიერთი მოსაზრება მათემატიკური ამოცანების ამოხსნის პროცესის შესახებ

**ვლადიმერ ადეიშვილი**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

მათემატიკა არის მეცნიერება, რომელიც შესანიშნავად ავითარებს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს. თანამედროვე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია მათემატიკური აზროვნების სტილის ჩამოყალიბება, რომელიც გარკვეული სააზროვნო უნარ-ჩვევებით გამოიხატება. მათემატიკური ამოცანების ამოხსნა მოითხოვს ადამიანისაგან რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების გამოყენებას და ასევე ხელს უწყობს მათ განვითარებას. ყველაზე უფრო გავრცელებულ სააზროვნო საქმიანობის ფორმას მათემატიკაში, ამოცანების ამოხსნა წარმოადგენს.

მოსწავლეთათვის ამოცანების ამოხსნის სწავლება ერთ-ერთ რთულ პედაგოგიურ პრობლემას წარმოადგენს. ეს გამოწვეულია იმ ზოგადი ხერხებისა და მეთოდების არსებობით, რომლებიც ნებისმიერი ამოცანის ამოხსნის ძიების საშუალებას მოგვცემდა. ამოხსნის ძიებაში ვგულისხმობთ პრინციპის ანუ ამოხსნის ლოგიკის პოვნას, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის მოქმედება სრულდება

ამოცანათა ამოხსნის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნების ისეთი ხერხების ფორმირებასთან როგორცაა: ანალიზი, სინთეზი, განზოგადება, აბსტრაქცია და სხვ. დადგენილია, რომ აზროვნების პროცესი უპირველეს ყოვლისა ეს არის ანალიზირება, სინთეზირება და განზოგადება [1].

მიუხედავად იმისა, რომ აზროვნება და ამოცანების ამოხსნა ურთიერთდაკავშირებულია, მათი ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება. მართალია, ამოცანათა ამოხსნა მხოლოდ აზროვნების საშუალებით ხორციელდება, მაგრამ აზროვნება არამარტო ამოცანების ამოხსნისათვისაა საჭირო. მას ადგილი აქვს ამოცანის ჩამოყალიბების, სხვადასხვა პრობლემის დასმისა და, საერთოდ, ცოდნის ათვისების ნებისმიერ პროცესში. ე.ი. აზროვნება მხოლოდ ამოცანების ამოხსნაზე არ დაიყვანება, მისი განვითარება უმჯობესია ამოცანების ამოხსნის მსვლელობით მოვახდინოთ. ამოცანის ამოხსნის მსვლელობა, უპირველეს ყოვლისა, თვით ამოცანით განისაზღვრება, რომელიც რაღაც გზებით ქმნის აზროვნების საწყის დეტერმინაციას (მიზეზობრივ განპირობებულობას), რაც, თავის მხრივ, უცნობის ძიების ზოგადი „მიმართულების“ მიმანიშნებელია [2]. აზროვნების დეტერმინაცია ხორციელდება როგორც პროცესი და მისი ფორმირება უწყვეტად მიმდინარეობს ამოცანის ამოხსნის მსვლელობის პროცესის ყოველ ეტაპზე. მასასადამე, აზროვნების პროცესი გულისხმობს მისი ამოცანით (ობიექტით) არამარტო საწყის დეტერმინაციას, არამედ თვით ამ პროცესის მსვლელობისას დეტერმინაციის უწყვეტ რეპროდუქციას.

დ. უზნაძე აღნიშნავს: „ამოცანა თავისთავად, მექანიკურად როდი ახდენს განმსაზღვრელ გავლენას ცნობიერების მუშაობაზე. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სუბიექტი მიწოდებული ამოცანის გადაჭრას მართლა სერიოზულად იღებს თავის თავზე. ამის შემდეგ ცნობიერება ისე ეწყობა, რომ მასში ჩვეულებრივი ასოციაციური ტენდეცია ძალას კარგავს და თავის ადგილს ახალ ტენდეციას, ე.წ. „დეტერმინაციის ტენდეციას“ უთმობს“ [3, გვ. 443].

დეტერმინიზმის პრინციპი განიხილავს გარეგან და შინაგან მიზეზებს (პირობებს) მათ დიალექტიკურ ურთიერთკავშირში. შინაგანი პირობები (შექმნილი გარეგანი პირობების ზემოქმედებით) განსაზღვრავენ აქტიურობას, ცვლიან რა ამით გარეგან პირობებს, ზემოქმედებენ მათზე.

შინაგანი და გარეგანი პირობების თანაფარდობა იცვლება მათი ურთიერთქმედების მსვლელობის პროცესში.

შინაგანი პირობები, ახდენენ რა ზემოქმედებას გარეგანზე, ჩვენს შემთხვევაში, ამოცანის (როგორც ობიექტის) პირობებსა და მოთხოვნაზე, საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ ამოცანის ტექსტში მისი ამოხსნის თვალსაზრისით, რისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ ამოცანის მოთხოვნის ახლადფორმულირების ანუ სხვანაირად ჩამოყალიბების ხერხი (პარადიგმის პრინციპი). აქ განმსაზღვრელია გარეგანი და შინაგანი პირობების ურთიერთკავშირების განხილვა და ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება შემეცნების შედეგზე.

თავის მხრივ აზროვნების პროცესის შინაგანი სვლა განისაზღვრება ამოცანის შინაგანი სტრუქტურით, რომელიც ვლინდება ანალიზის, სინთეზის, ბაზისის განზოგადებისა და მისი ამოხსნის ხერხების ძიების შედეგად. შინაგანი სტრუქტურა, განსაზღვრავს რა ამოცანის ამოხსნის სტრატეგიას, ზემოქმედებს გარეგან პირობებზე და შინაგანი პირობების მეშვეობით ახორციელებს მოსწავლის აზროვნების დეტერმინაციას. ამოცანის ამოხსნის შინაგანი და გარეგანი სვლების ასეთი ურთიერთქმედების საფუძველზე მოსწავლეებში თანდათანობით ხდება მათთვის შეთავაზებული ტიპის ამოცანების ამომხსნელი ხერხების ფორმირება.

ამოცანების ამოხსნისას აზროვნების პროცესის სვლის შედეგად წარმოშობილი დეტერმინაცია დაკავშირებულია აზროვნების პროცესების - ანალიზის, სინთეზისა და განზოგადების როლთან. ამიტომ აზროვნების განვითარება (კერძოდ მათემატიკური აზროვნებისა) უშუალოდაა დაკავშირებული მოსწავლეებში აზროვნების ხერხების (ანალიზის, სინთეზისა და განზოგადების) ფორმირებასთან [3].

ამოცანის ამოხსნა არის ადამიანის გონებრივი საქმიანობის რთული პროცესი. მისი შეგნებულად ათვისებისათვის საჭიროა: ნათელი წარმოდგენა გვექმნება ამოცანის შინაგან და გარეგან სტრუქტურაზე; წინასწარ დავუფლოთ იმ ელემენტარულ მოქმედებებსა და ოპერაციებს, რომლებიც საქმიანობის პროცესს მართავს; და ბოლოს, განვსაზღვროთ მისი შესრულების ძირითადი მეთოდები და შეგვეძლოს ამ მეთოდებით ოპერირება.

სამწუხაროდ, ამოცანათა ამოხსნის სწავლების თანამედროვე მეთოდიკა აღნიშნული საკითხებიდან არცერთის შესახებ არაფერს არ გვეუბნება. ამიტომაა იგი ტრადიციული და არაეფექტური.

ამოცანის შინაგანი სტრუქტურის გამოვლენის ეფექტურ მექანიზმს მისი ამოხსნის ანალიზურ-სინთეზური ძიება წარმოადგენს. ამოხსნის პროცესის, როგორც შემოქმედებითი აქტის გაგებიდან გამომდინარე, აუცილებელია ამოცანის შესწავლა მისი ამოხსნის სტრუქტურის თვალსაზრისით.

საზოგადოდ, ამოცანის ამოხსნის პროცესში გულისხმობენ ამოცანასთან სუბიექტის ურთიერთკავშირის პროცესს [4], ამომხსნელის მიერ განხორციელებულ მიზანმიმართულ სააზროვნო ან პრაქტიკულ საქმიანობას [5].

მათემატიკის სწავლების თეორიასა და მეთოდიკაში საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ ამოცანის ამოხსნის პროცესი ოთხი ეტაპისაგან შედგება:

პირველი ეტაპი - ამოცანის ანალიზი - მდგომარეობს ამოცანის შესახებ ინფორმაციის მიღებაში, ამოცანის პირობისა (პირობებისა) და მიზნის გააზრებაში.

მეორე ეტაპი - ამოცანის ამოხსნის ძიება - მოიცავს ამოხსნის გეგმის შედგენას, რომელიც დამოკიდებულია ამოცანის ამოხსნის ანალიზურ-სინთეზური ხერხების შერჩევაზე. წამყვანი როლი ამოცანის ამოხსნის გეგმის შედგენისათვის გაწეულ მუშაობაში ეკუთვნის მოცემულობებსა და მოთხოვნას შორის არსებულ თანაფარდობების დადგენასა და მოსწავლეთა ცოდნის მართვას. ხშირად, განსაკუთრებით ალგებრული ამოცანების ამოხსნის დროს, ეს პროცესი ამოცანის „ტიპი“-ს დადგენით, ქვეამოცანების მიღების ცნობილი ხერხის აქტუალიზაციით მთავრდება. არაიშვიათად ამოხსნის ძიება ამოცანის ამოხსნის თითქმის მთელ პროცესს გასდევს თან და შემდეგი სახის ციკლებს შეიცავს:

- ✓ სიტუაციის ანალიზი;
- ✓ ამოხსნის გეგმის წარმოშობა;
- ✓ გეგმის რეალიზების მცდელობები;
- ✓ წარუმატებლობის კონსტატაცია (დადასტურება).

ამოხსნის ძიება დამთავრებულად ითვლება, როცა ამოხსნა სრულადაა განხორციელებული ან მის დასამთავრებლად დარჩენილია ისეთი ცხადი მოქმედებების რიგი, რომელთა შედეგები ამომხსნელში არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამგვარად, ამოცანის ამოხსნის ძიება მთავრდება არა უბრალოდ რაიმე გეგმის შედგენით, არამედ იმ გეგმით, რომელიც მიზანთან გარანტირებულად მიგვიყვანს. აღნიშნული ეტაპი ნებისმიერ ამოცანაზე მუშაობის პროცესის შემადგენელი ნაწილია, თუმცა რიგ შემთხვევებში მისი მონაწილეობა იმდენად შემჭიდროვებულ ხასიათს ატარებს, რომ თითქმის ვერ ცნობიერდება ამომხსნელის მიერ [6]. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მოქმედების (ამოხსნის ძიების)

სიმჭიდროვე მოსწავლეებში სხვადასხვა ანალიზურ-სინთეზური ძიების ხერხის ფორმირების პროცესით მიიღწევა.

მესამე ეტაპი - ამოხსნის გაფორმება (გეგმის რეალიზება) - მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეები (მათი აზრით) ასრულებენ მოქმედებათა ყველაზე უფრო „ეკონომიურ“ თანმიმდევრობას, რომლებსაც (ამოცანის პირობებიდან გამომდინარე) საბოლოო მიზნისკენ მივყავართ. ამასთან, მათ მიერ ჩვეულებრივ უკუიგდება ყველა აშკარა ჩიხური სვლა, რომლებსაც შესაძლოა ადგილი გასულ ეტაპზე ჰქონდა. საზღვარი პირველ და მეორე, მეორე და მესამე ეტაპებს შორის ძალიან მიახლოებითია, თუმცა არასტანდარტული ამოცანების ამოხსნისას ეს განსხვავება ეგრეთწოდებული გონების „განათებით“ გამოიხატება. აღნიშნული ეტაპი ზოგჯერ შემცირებულია; ეს მაშინ ხდება, როცა ყველა ან თითქმის ყველა მოქმედება, რომლებსაც საბოლოო შედეგებამდე მივყავართ, გასულ ეტაპებზეა შესრულებული. მათემატიკის სწავლების პრაქტიკაში მესამე ეტაპი გარეგნულად ამოხსნის პროცესის „ხმამაღლა“ გამოთქმასა და მის წერილობით გაფორმებაში გამოიხატება.

მეოთხე ეტაპი - ამოცანაზე მუშაობის დასკვნითი ეტაპი - გულისხმობს მიღებული შედეგების აწონ-დაწონასა და შემოწმებას, თუკი შემოწმება არ წარმოადგენს ამოხსნის განუყოფელ ნაწილს; ამოხსნის სხვა ხერხების რეალიზების შესაძლებლობას, თუ მათი გამოვლენა ამოხსნის ძიების ან განსახილველ დასკვნით ეტაპზე მოხდა. საბოლოო მეოთხე ეტაპზე ხდება ამოხსნის გამოყენებული ხერხების ღირსებებისა და ნაკლოვანებების აღნიშვნა, მოსწავლეთა მეხსიერებაში იმ მეთოდებისა და ხერხების გამოყოფა და დაფიქსირება, რომლებიც გამოყენებული იყო ამოხსნის პროცესში და კვლავაც შეიძლება გამოვიყენოთ მომავალში [1,7,8].

ამოცანის ამოხსნის პროცესის განხილული ეტაპებიდან თითოეულის ფუნქციისა და შინაარსის შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ამოცანის ამოხსნის ძიება არის ამ პროცესის ბაზისი და საორიენტაციო საფუძველი. ამოხსნის ძიების ასეთნაირი გაგებიდან გამომდინარე შესაძლებელია იმის კონსტატაცია, რომ ამოცანის „ამოხსნის პროცესი“ და მისი „ამოხსნის ძიება“ ადეკვატურად შეიძლება ჩაითვალოს.

#### ლიტერატურა:

1. Рубинштейн С.Л. О мышлении и путях его исследования.-М.: Изд-во АН СССР, 1985.-146с.
2. Брушлинский А. В. Психология мышления и кибернетика.-М.: Мысль, 1970.-202 с.
3. უზნაძე დ., შრომები. ზოგადი ფსიქოლოგია. ტ. III-IV. გამომც. „აღმშენებელი“, თბილისი, 1998. - 637 გვ.
4. Фридман Л.М., Логико-психологический анализ школьных учебных задач.-М.: Педагогика, 1977. - 208 с.
5. Колягин Ю.М., Задачи в обучении математике. ч.1.-М.: просвещение: 1977. - 110 с.
6. Фридман Л.М., Турецкий Е.Н., Как научиться решать задачи: Книга для учащихся. 2-е изд. перераб. и доп.-М.: Просвещение, 1984. - 175 с.
7. Колягин Ю.М., Задачи в обучении математике. ч.II.-М.: Просвещение: 1977. - 144 с.
8. Пойа Д., Математическое открытие. Решение задач: Основные понятия, изучение и преподавание.-М.: Наука, 1976. - 448 с.

## SOME THOUGHTS ABOUT THE PROCESS OF SOLVING MATHEMATICAL PROBLEMS Vladimer Adeishvili, Akaki Tsereteli State University, Associate Professor RESUME

Task solving is a difficult human mental process. For its mastering it is essential: to have a clear notion about the inner and outer structure of the task; to master in advance those elementary actions and operations which rules the process of this activity; and finally, to define the main methods of its implementation and to be able to operate with this methods.

In the task solving process we mean the process of the subject's relationship with the task, the purposeful and mental activity accomplished by the task solver.

In mathematics teaching theory and practice, it is generally acknowledged, that the task solving process consists of four stages: the analysis of the task's condition; the task solving search, which means to draw up a solution plan; to realize the solution plan; to think over and to check the received results.

From the above discussed stages we may conclude that, the task solving searching is the basis and the reference foundation of this process. From such approach to the task solving, we may conclude, that the task "solving process" and the "solving searching" process are adequate.

## მოზარდობის ხანის ასაკობრივი თავისებურებები

**ლალი აზმაიფარაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

სპორტი, ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილი ფიზიკური აღზრდის მეთოდი და საშუალებაა, სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშებით ხდება ფიზიკური და ბუნებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება, განვითარება, სპორტი წარმოადგენს მოსახლეობის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების ეფექტურ საშუალებას. სპორტი ემყარება ჯანსაღი ცხოვრების წესს და ხელს უწყობს მოზარდობის ხანაში ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას, ასევე მოზარდობის ხანა ერთგვარი ხიდია ბავშვობასა და მოწიფულობას შორის. მოზარდობის ფიზიკური განვითარებისათვის დამახასიათებელია ე. წ. ზრდის ნახტომი რაც სხეულის სიგრძის ინტენსიურ ზრდაში გამოიხატება 13-14 წლის ასაკში (8-10 სმ.) ზრდა. ხოლო შემდეგ ეს ტემპი ნელდება, გარდამავალ ასაკში ხდება მოზარდობის სხეულის, ყველა ორგანოსა და ქსოვილის ინტენსიური ზრდა, ძალის მომატება, გამძლეობა, თუმცა უმეტესი ცვლილება მაინც სპეციფიკურია სხვადასხვა სქესისთვის.

ჩვენს მიერ 12-16 წლის მოზარდებში ჩატარებული დაკვირვების შედეგად, კერძოდ კალათბურთის სახეობაში, რომლებიც იყვნენ დაკავებული სპორტული ვარჯიშებით სპორტულ სექციაში, აღმოჩნდა, რომ მათი ფიზიკური მომზადება ბევრად განსხვავებულია იმ მოზარდებისაგან, რომლებიც არ იყვნენ დაკავებული სპორტულ სექციაში, მაგრამ თამაშობდნენ კალათბურთს. განსხვავება აშკარაა, რადგან სპორტსმენი მოზარდების კუნთის გარემომოწერილობა, კუნთური ძალა, გამძლეობა, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, მოქნილობა, ხელის ძალა ბევრად განსხვავდებოდა არასპორტსმენი მოზარდებისგან, რომელიც მოცემული გვაქვს ცხრილში.

12, 14, 16 წლის ვაჟთა ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების ზრდის ტემპები უკანასკნელი 6-10 წლის მანძილზე

მაჩვენებლები	12 წლის ასაკში			14 წლის ასაკში			16 წლის ასაკში		
	აბსოლუტური მაჩვენებლები	% საწყისთან	მატების საშუალო ტემპები	აბსოლუტური მაჩვენებლები	% საწყისთან	მატების საშუალო ტემპები	აბსოლუტური მაჩვენებლები	% საწყისთან	მატების საშუალო ტემპები
სხეულის სიგრძე	2,9	2,1	0,4	7,1	4,9	1,1	4,2	2,5	0,7
სხეულის მასა	1,8	5,8	1,3	2,7	6,9	1,6	1,5	2,5	0,9
გულმკერდის გარემომოწერილობა	0,7	1,1	0,2	3,1	4,3	1,2	1,7	2,1	0,5

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ცხრილში მოყვანილი მონაცემები მოწმობენ იმაზე, რომ მოზარდობის პერიოდში მიმდინარეობს ვაჟების სხეულის ზომების ტოტალური ზრდა დაწყებული 12 წლის ასაკიდან, 15-16 წლის ასაკში კი აღწევს მაქსიმუმს, ასევე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 12,14,16 წლის მოზარდებში უდიდესი ნამატი მიიღო სხეულის წონამ და სიგრძემ, მკერდის გარემომოწერილობა, სხეულის ზომების მატებაში უდიდესი ძვრები აღინიშნება 14 წლის ასაკში თუმცა 16 წლის ასაკში როცა ამ ზომების მატების ტემპი მცირდება შენარჩუნებულია გავლილი პერიოდის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ნამატი.

ამრიგად მივედით დასკვნამდე, რომ ფიზიკური დატვირთვები მოზარდებისათვის, რომლებიც განაწილებულნი არიან სპორტულ დანაყოფებში, სექციებში, მიზანშეწონილია იყოს რეგლამენტირებული მოძრაობის ქმედების პირობებში, რომლებიც სრულდება ინტენსიურად და ხანგრძლივად. სპორტსმენები, რომლებიც ვარჯიშობენ ზომიერი დატვირთვით (კვირაში 6-10 საათი) არასპორტსმენებთან შედარებით ავლენენ, ასაკის მატებასთან ერთად, ზრდად უპირატესობას წონაში, სხეულის აქტიურ მასაში, კუნთოვანი და ძალოვანი ქსოვილის აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ფიზიკური შრომისუნარიანობის აბსოლუტურ სიდიდეში, ფიზიკურ ძალაში, ასევე ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში, ღერძზე მიზიდვაში, ორძელზე ბჯენიდან აზიდვებში სატანვარჯიშო კედელზე ფეხების მართ კუთხემდე აზიდვაში. ვაჟების სპორტულ სკოლებში ორიენტირებისას რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას მაჩვენებლები,

რომელთა პროგნოსტიკული მნიშვნელობა მოზარდობის პერიოდის განმავლობაში იმყოფება მაღალ დონეზე.

**ლიტერატურა:**

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები, დამხმარე სახელმძღვანელო, III, თბილისი, 2007.
2. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, I, თბილისი, 2008.
3. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი გზამკვლევის კრებული, სპორტის სახეობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, VII-XII კლასები, თბილისი, 2010.
4. Верцкий Г. И., Важность учета биологического возраста при построении занятия физическими упражнениями Вки, Тезисы симпозиума „Развитие двигательных способностей у детей“, 1976.
5. Волков В. М. Возрастная физиология физических упражнений. Смоленск, 1978.
6. Волков В. М. и др. Индивидуальные различия в развитии двигательных качеств подростков, Теория и практика физ. культуры, №10, 1972.

**TEENAGER'S SPECIAL FEATURES**

**Lali Azmaipharashvili**, Gori State Teaching University, Specialist by contract;  
**Iakob Gogebashvili** Telavi State University, PhD student

**RESUME**

At transitional age in teenager's organism occur cardinal changes, a new level of physical development starts, which is expressed in body length and weight intensive growth. There also starts hormone producing and sexual maturity which is expressed in the first and second sexual signs.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ინტეგრაცია და სოციალური ადაპტაცია სკოლამდელ დაწესებულებებში**

**იაგორ ბალანჩივაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

**დალი ფუტყარაძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბრძანებს: „ყოველი დალოცვა კურთხევაა. კურთხევის დროს უფალი ქმნის სასწაულს. ჩვენთვის ეს სასწაულია, როცა სასულიერო პირი ლოცავს ადამიანს, უხილავად გადმოდის მაღლი სულისა წმიდისა. ეს მაღლი არის უძღურთა მკურნალი და ნაკლოვნებათა აღმავსებელი. მაღლობა ღმერთს, რომ დღეს ქართველი ადამიანი უფრო ხედავს და გრძნობს ამ მაღლის არსებობას და ამიტომ, ადამიანებს შორის უნდა იყოს ურთიერთგაგება, ერთსულოვნება“ (ეპისტოლენი: 79).

ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ილია მეორე მოგვიწოდებს მეტი ყურადღება და მზრუნველობა გამოვიჩინოთ ნაკლოვნების, ანუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთადმი, რადგან საქართველოში დღესდღეობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ნაკლებად ინტეგრირებული არიან საზოგადოებაში. ყოველი ადამიანი იბადება ღვთის ნებით თანასწორი, მაგრამ განსხვავებული შესაძლებლობებით. შშპ მართლაც განსხვავებულები არიან ადამიანებისადმი თბილი დამოკიდებულებით, მათი თვალეები გვაგრძნობინებენ, რომ სურთ ჩვენთან ურთიერთობა და არ უნდათ გარიყულად ყოფნა. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვფიქრობთ მათზე და ხშირად განვიხილავთ, როგორც უუნაროებს. მაშინ, როცა მათ უმეტესობას კარგად გამოსდის სხვადასხვა სახის ხელსაქმე, მათემატიკური ანგარიში, სიმღერა და სხვა.

2009 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს – გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების კონვენციას, რომელიც ნერგავს სრულიად ახალ, თანამედროვე მიდგომებს, რომელთა თანახმად სახელმწიფომ უნდა მიმართოს სათანადო ძალისხმევა და რესურსი დოკუმენტით გათვალისწინებული უფლებების პრაქტიკაში განსახორციელებლად (გაეროს შმ პირთა უფლებების კონვენცია).

სახელმწიფომ ამ დოკუმენტის თანახმად უნდა გამოიყენოს ყველა რესურსი – ადმინისტრაციული, ადამიანური, ფინანსური თუ ტექნიკური, რათა უზრუნველყოს შმ პირთა უფლებების რეალიზება და, ამ მიმართებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ეს კი, პირველ ყოვლისა უნდა დაიწყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და სკოლებში, სადაც სხვა ბავშვებთან ინტეგრირებით შმ ბავშვები ადვილად გაივლიან ადაპტაციას საზოგადოებასთან. თუკი დღემდე შმ ბავშვებს მხოლოდ პაციენტებად აღიქვამდნენ, გაეროს კონვენციით დამკვიდრდა სრულიად ახალი მიდგომა – ის ამკვიდრებს შმ პირების, როგორც სრულფასოვანი მოქალაქეების აღქმას. ასეთი მიდგომით კი სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი გარემო, რომელიც შმ პირთა საჭიროებებს გაითვალისწინებს (გაზ. „მომავლის ხედვა“: 7).

სიტყვა „ინკლუზია“ ჩართვას ნიშნავს და ეს ცნება მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა შმ ბავშვთა უფლებების დაცვის კონტექსტში. ინკლუზიური განათლება საზოგადოების გაკეთილშობილების გამოხატულებაა. თუ ადრე შმ პირებს გარიყულად თვლიდნენ, მშობლებს კი რცხვენოდათ ასეთი ბავშვების გამოჩენა, ახლა საზოგადოების მიდგომა სრულიად შეიცვალა. საბავშვო ბაღებსა თუ სკოლებში შმ ბავშვებს მზრუნველობით ექცევიან დანარჩენი ბავშვები და ცხადია, პედაგოგები. ახალი მიდგომების თანახმად ხდება საგანმანათლებლო სამოქალაქო აქტივობების ორგანიზება შმ ბავშვების ჩართულობით.

მიუხედავად ბოლო წლებში შმ პირთა უფლებების რეალიზაციის კუთხით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ არადაამკმაყოფილებელი მდგომარეობაა შმ პირთა სოციალური ინტეგრაციისა შესაძლებლობების თვითრეალიზაციის მხრივ, რაც განპირობებულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოების არა ადეკვატური დამოკიდებულებით შმ პირთა მდგომარეობის მიმართ. და, ხშირ შემთხვევაში, დაფუძნებულია არასწორ წარმოდგენებსა და სტერეოტიპებზე. ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლისა და არსებობის უფლება, ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ არ მოხდება შმ პირთა ინტეგრირება. არადა, როგორ უხარიათ ამ ადამიანებს, განსაკუთრებით ბავშვებს, სხვებთან ურთიერთობა, რამდენი სიტუაცია მათში დაგროვილი.

ბოლო ათწლეულის მანძილზე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების აღზრდისა და განათლების სფერომ განიცადა მრავალი ცვლილება. ესაა: ბავშვების განვითარების, მათი პრობლემებისა და სწავლების მეთოდოლოგიის გაცნობიერების დონე, თანასწორუფლებიანობის აღიარება და დაფასება განათლებისა და აქტიურობის თვალსაზრისით, სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება ბავშვების განვითარებისა და მათი პრობლემების ერთობლივი გაცნობიერების საფუძველზე, მშობლებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობა და ინტერაქცია (ჯონსენ ბ., სკორტენ მ. 39).

შმ ადამიანებს, სხვების მსგავსად, აქვთ უფლებები და მოვალეობები საზოგადოების წინაშე და მნიშვნელოვანია, რომ მათ ეს ბავშვობიდანვე გააცნობიერონ. ამაში კი მათ დახმარება უნდა გაუწიონ საბავშვო ბაღის პედაგოგებმა, რომლებმაც უნდა ასწავლონ შმ ბავშვებს, რომ მათ აქვთ პასუხისმგებლობა სხვების წინაშე და ამიტომ უნდა განახორციელონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი, იმავდროულად, უნდა დაიკმაყოფილონ საკუთარი საჭიროებები. სწორედ ასეთი მიდგომით შეიძლება მოხდეს ინტეგრაციისა და ინკლუზიის პროცესების დაწყება.

განათლება ცხოვრების ყველა დონეზე და ყველა ასაკში უზრუნველყოფს შმ ადამიანებისადმი პატივისცემას. შმ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სხვა ბავშვებთან ერთად თამაშის, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ერთი შმ ბავშვი არ უნდა გამოირიცხოს საერთო საგანმანათლებლო – სააღმზრდელო სისტემიდან შეზღუდული შესაძლებლობის გამო. პირიქით, მათ უნდა მიიღონ მხარდაჭერა როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაში, რაც გულისხმობს ეფექტურ ინდივიდუალურ სასწავლო-აღმზრდელობით მიდგომას მათი გონებრივი, აკადემიური და სოციალური განვითარების მიზნით.

საზოგადოების შეგნებისა და შეხედულებებში თანამედროვე ეტაპზე ხდება ცვლილებები უკეთესობისაკენ. ადრე თუ კანის ფერის გამო ხდებოდა დისკრიმინაცია, თაობებმა ეს პრობლემა უკვე გადალახეს. ასევე, ეტაპობრივად ხდება დამოკიდებულებისა და მიდგომების შეცვლა შმ პირების მიმართ. ამ მხრივ, ჩვენი ინტერესი მიმართულია შმ ბავშვებისაკენ, რომლებსაც განსაკუთრებით ფაქიზი მიდგომა სჭირდებათ, რათა მოახერხონ იმ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა, რისი უნარიც გააჩნიათ. ამასთან დაკავშირებით საბავშვო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგთათვის მასობრივად უნდა ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგების ჩატარება, მნიშვნელოვანია მასმედიის მიერ საჭირო ინფორმაციის გავრცელება.



სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უნდა გააქტიურდეს მუშაობა შშმ ბავშვების მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპების დასამსხვრევად. როგორც ნელსონ მანდელა იტყოდა: „მთავარი საქმე უნდა იყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანთა მიმართ ფილანტროპიის წახალისება. მათ არ სჭირდებათ „უნარიანი“ ხალხის მფარველობა. ჩვენ გვმართებს კაცობრიობის უნივერსალური ღირებულებების გაცნობიერება, გააზრება თუ რამდენად სხვანაირია ადამიანური ცხოვრება; აღიარება, რომ ჩვენ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა არსებობა ჩვენი მრავალფეროვნების კიდევ ერთი სიმდიდრეა“.

დღესდღეობით საქართველოში 140 000-ზე მეტი შშმ პირია, მათგან დიდი ნაწილი ბავშვია. მათთვის არსებობს სხვადასხვა სახის მომსახურებები, მათ შორის, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, დღის ცენტრები, ინკლუზიური სკოლები თუ ბაგა-ბაღები, ასევე შემუშავებულია შშმ პირების უფლებათა დაცვის სამართალწარმოება ქვეყნის შიგნითაც და საერთაშორისო ორგანოებში, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი და ჯერ კიდევ უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი, რომელთაგან უმთავრესი ამ პირთა სოციალიზაციაა. ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი ადამიანები, ვინაც ქუჩაში თუ საბავშვო ბაღში ინკლუზიური ბავშვის დანახვაზე გამოხატავს სიბრალულს, ეს კი დამთრგუნველად მოქმედებს შშმ ბავშვზე, ამიტომ ვთვლი, რომ ჩვენი საზოგადოება ამ მიმართებით ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ინფორმირებული და ამაზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო საბავშვო ბაღის აღმზრდელებთან თუ სკოლის პედაგოგებთან, არამედ მშობლებთანაც, რათა დამლეული იქნას ქართულ რეალობაში დამკვიდრებული სტიგმა შშმ ბავშვების მიმართ, თითქოსდა ისინი უუნარონი არიან, არაფრის კეთება არ შეუძლიათ და მხოლოდ სიბრალულს იწვევენ გარშემომყოფებში.

ეს პრობლემა მხოლოდ შშმ პირებს და მათზე მზრუნავ ადამიანებს არ უნდა აწუხებდეთ, ამით მთელი ერი უნდა იყოს დაინტერესებული. უნდა მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის სწორად მიწოდება. ყველას უნდა ესმოდეს, რომ შშმ პირები არ არიან საზოგადოებისათვის საშიში. ისინი ისეთივე ბავშვები არიან, როგორც დანარჩენები, განსხვავება ისაა, რომ მათ ზოგიერთი აქტივობის შესრულება/განხორციელება ან სრულიად არ შეუძლიათ, ან ისე ზედმიწევნით ვერ ასრულებენ, როგორც ეს ჩვენ შეგვიძლია.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები იმითაც უნდა დაეხმარონ შშმ ბავშვებს, რომ აღმოაჩინონ მათი შესაძლებლობები და ყოველმხრივ დაეხმარონ მათ ამ შესაძლებლობების წარმოჩენაში.

შშმ ბავშვების სოციალიზაციისათვის უმნიშვნელოვანესია კარგი აღზრდისა და განათლების მიღება. მათ ისევე უნდა იცხოვრონ, როგორც ჩვეულებრივმა ბავშვებმა და არ უნდა გამოირჩეოდნენ საზოგადოების დანარჩენი წევრებისაგან. აუცილებელია შშმ პირების ოჯახის წევრებმა გაიაზრონ, რომ ასეთი ბავშვის სახლში ჩაკეტვა და საზოგადოებისაგან იზოლირება დაუშვებელია.

ძალიან კარგია, რომ დღევანდელი ბავშვები, ახალი თაობები სხვაგვარად არიან განწყობილი შშმ პირებისადმი. მათზე, უპირველესად, უდიდეს გავლენას ახდენს ის, რომ საბავშვო ბაღებში შექმნილია შშმ ბავშვთა ჯგუფები და ისინი დანარჩენ ბავშვებთან ერთად ერთ გარემოში იზრდებიან, მაგრამ პრობლემები, რომლებიც დღეს შშმ პირებს და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მათი აღზრდის საკითხებს ეხება, ჯერ კიდევ მწვავეა და ეს ჩვენი საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ესმოდეს. სამისოდ ყველა ადამიანმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. აუცილებელია ტექნიკური და მატერიალური დახმარება შშმ ბავშვებისათვის, რათა მათ გაეწიონ დახმარება სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხანობისათვის.

ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტების განსახორციელებლად სკოლამდელ დაწესებულებებში მნიშვნელოვანი იქნება შემდეგი ნაბიჯები:

იმ ბარიერების უკეთ გაცნობიერება, რომელიც შშმ ბავშვებს ხელს უშლის სკოლამდელი განათლების ჩართულობაში. მიზანშეწონილად მიმაჩნია, აღნიშნულ საკითხზე მოხდეს ეროვნული პოლიტიკისა და ადგილობრივი ინიციატივების შემუშავება და ამ გზით უთანასწორობის აღმოფხვრა.

საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების მთელი პროცესი აგებულია აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. დღის წესრიგი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ბავშვებისათვის იყოს მოხერხებული და არ შეიზღუდოს მისი თავისუფლება. საბავშვო ბაღში მეცადინეობათა ორგანიზებული ფორმა სხვადასხვაგვარია: ტრადიციული, თემატური, კომპლექსური, ინტეგრირებული და ამ ფორმებში შშმ ბავშვები ისევე უნდა ჩაერთონ, როგორც სხვა დანარჩენი ბავშვები. მათაც ისევე უნდა ძერწონ, ხატონ, იმღერონ, მონაწილეობა მიიღონ დიდაქტიკურ თამაშებში ისევე თავისუფლად უნდა იგრძნონ თავი, როგორც სხვა ბავშვები.

აღზრდის გონივრულად მოწყობილი მაღალხეობრივი და ესთეტიკურად დახვეწილი გარემო ხელს შეუწყობს შშმ ბავშვების ცნობიერების ფორმირებას, აზროვნებას, მისი ნიჭისა და უნარის განვითარებას და ამაში უდიდესია აღმზრდელ-პედაგოგის როლი.

ასევე, მნიშვნელოვანია თანატოლებთან კომუნიკაციის, უფროსებთან ურთიერთობის, თანატოლთა პატივისცემის უნარ-ჩვევების გამომუშავება. სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს ისე, რომ შშმ ბავშვებს ჩამოუყალიბდეს არა მარტო აღქმა და განუვითარდეს მეხსიერება, არამედ ყურადღება მიექცეს უმარტივესი ინტელექტუალური პროცესის ფორმირებას.

შშმ ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ინტერესზე ორიენტირებულ სოციალურ გარემოს, მის ჩართულობას სააღმზრდელო დაწესებულებაში, რაც თითოეული აღსაზრდელის ჰარმონიულ განვითარებასა და პიროვნებაზე ორიენტირებული ღირებულებების დამკვიდრებას უწყობს ხელს.

ინკლუზიური სწავლების სკოლებში მშობლებისა და პედაგოგების ჩართულობით შექმნილია შშმ ბავშვთა ერთიან მონაცემთა ბაზა, სადაც არიან სხვადასხვა დარღვევის მქონე მოსწავლეები: აუტიზმის, გონებრივად ჩამორჩენილობის, ცერებრალური დამბლის, ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის მქონე ბავშვები. აღნიშნული ბავშვებისთვის შედგენილია როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი სამუშაო გეგმა, რომლის თანახმად ტარდება მუშაობა, ხორციელდება მონიტორინგი. ასეთ სკოლებში შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. შეიქმნა ნდობისა და კეთილგანწყობის გარემო, მოხდა მოსწავლეთა ქცევის დარეგულირება, ამაღლდა სწავლის ხარისხი. ბავშვების ჩართულობით ტარდება კულტურული ღონისძიებები, საქველმოქმედო კონცერტები. ჩვენი აზრით, ამ გამოცდილებების გაზიარება და დამკვიდრება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ძალიან კარგ შედეგს გამოიღებს.

ასეთი ბალებიც გვაქვს საქართველოში, მაგრამ ცოტა. ამ საბავშვო ბალებში დამკვიდრებულია თითოეული შშმ ბავშვისათვის პორტფოლიოს შექმნა, სადაც აღმზრდელი ბავშვის შესახებ ნებისმიერ მნიშვნელოვან ინფორმაციას აფიქსირებს. აქვე ინახება ბავშვის საინფორმაციო ბარათი, რომელსაც ავსებს მშობელი და მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეხმარება აღმზრდელს გაეცნოს შშმ ბავშვის ფსიქოლოგიას, მიდრეკილებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ცხადია, ეს ურთულესი სამუშაოა, მაგრამ მიმაჩნია, რომ შშმ ბავშვების აღზრდა-განვითარებისა და სოციალიზაციისათვის ამ მეთოდის გავრცობა კარგ შედეგს გამოიღებს, რადგან პორტფოლიო არის ერთგვარი საყრდენი და ინფორმაციის წყარო აღმზრდელისათვის, რადგან ამ მონაცემებით იგი კარგად გაერკვევა თითოეული შშმ ბავშვის შესაძლებლობებში, თავისებურებებსა და მიდრეკილებებში და თავის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობასაც ამ მონაცემებზე დაყრდნობით წარმართავს.

როგორც ზემოთ აღინიშნა საქართველოს მასშტაბით შშმ პირთა ლომის წილი მიუძღვის სამოქალაქო საზოგადოებას. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად საზოგადოების სურვილისა, – დაეხმარონ მათ, ეს ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ხერხდება შშმ პირების გარიყულობისა და მათთან მყარი კონტაქტის არარსებობის გამო.

ამ პრობლემის გადაჭრისათვის დღეს აქტიურად მუშაობენ, როგორც არასამთავრობო, ასევე საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები. მიზანშეწონილია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა თანამშრომლობა ამ ორგანიზაციებთან და მათი რეკომენდაციების გათვალისწინება, რადგან კეთილი განზრახვით ძალების გაერთიანება მეტ შანსს მოგვცემს იმ ადამიანთა დასახმარებლად, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II გვმოდვრავს, „ადამიანებმა უნდა ისწავლონ სიკეთის კეთება“ და განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მიუდგეს შშმ პირებს. მათ არ სჭირდებათ ჩვენთან ინტეგრაცია. ჩვენ გვჭირდება მათთან ინტეგრაცია, რადგან ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან – ასეთი უნდა იყოს საზოგადოების მიდგომა შშმ პირებისადმი.

ქვეყნის იმიჯი განისაზღვრება იმით, თუ როგორ უვლის და პატრონობს იგი სოციალურად დაუცველებსა და შშმ ადამიანებს. ამ მიმართებით სწორედ სკოლამდელი დაწესებულებებიდან უნდა დაიწყოს ზრუნვა ქვეყნის იმიჯზე და ყველამ ერთიანად უნდა გავიაზროთ, რომ შეუძლებელი არაფერია და ერთად ვიზრუნოთ. შშმ ბავშვებს შევთავაზოთ იდეალური სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება შშმ-ს მქონე თითოეულ ბავშვზე.

#### **ლიტერატურა:**

1. ეპისტოლენი: 79 – სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, თბ., 2008.
2. გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“, 2006.
3. გაზ. „მომავლის ხედვა“, თებერვალი, 2014.
4. ჯონსენ ბერიტ ჰ., სკორტენ მირიამ დ., ინკლუზიური განათლება, თბ., 2001.

## **INTEGRATION AND SOCIAL ADAPTATION OF DISABLED CHILDREN IN PRE-SCHOOL INSTITUTIONS**

**Igor Balanchivadze**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor  
**Dali Putkaradze**, Batumi Shota Rustaveli State University, PhD student

### **RESUME**

The paper "integration and social adaptation of disabled children in pre-school institutions" is very actual and in line of international modern needs with disabled people integration in to society. Today, when in the whole world is activated the UN International Convention on the Rights of Disabled Persons, the image of the country depends on to how it takes care of disabled people, are these people involved or not in socially active life, educational processes.

Therefore, the greatest importance has preschool institutions in the process of adaptation of disable children. First of all, these institutions should be responsible to break established stereotypes toward disable children, discover disable children capabilities and assistance for promoting.

The paper emphasizes that for disable children socialize is essential the good upbringing and education. They just have to live like regular kids, and do not distinguish from the rest community members. Family members of disable person should realize that to lock in house or isolate form society such kind of children is inadmissible. On the contrary, the integration of disabled children with other children will support to easily adapt to the public.

## **METHODOLOGIES AND APPROACHES TO FOREIGN LANGUAGE TEACHING: HISTORICAL CONTEXTS, KEY FEATURES, AND SUITABILITY IN TODAY'S L2 CLASSROOM**

**Melanie J. Baker**, Maryland English Institute at the University of Maryland, M.A., Lecturer, TESOL  
E-mail: [mjbaker@umd.edu](mailto:mjbaker@umd.edu)

**Zurab Chkhikvadze**, Gori State Teaching University, Professor  
E-mail: [zura\\_gsu@yahoo.com](mailto:zura_gsu@yahoo.com)

### **ABSTRACT**

How can language teachers most effectively lead students to successful acquisition of a new language? This article explores this question by tracing the development of five historically or linguistically significant methodologies and approaches of foreign language teaching of the past 150 years. These include (1) the Grammar-Translation Method, (2) the Direct Method, (3) the Audio-lingual Method, (4) Communicative Language Teaching, and (5) Task-Based Language Teaching. Key features of each methodology or approach as well as brief historical context is given for each methodology or approach. The article concludes with a discussion of how the changes, developments, and in sight sin second language acquisition and language teaching research should affect the decisions foreign language teachers, program directors, and other stakeholders make concerning the roles of these methodologies and approaches in their language learning classrooms and programs today.

### **Introduction**

Why should students study foreign languages? How are new languages learned? How should languages be taught? How can language teachers most effectively lead students to successful acquisition of a new language?

The basic beliefs that foreign language teachers, program directors, curriculum designers, materials writers, and other stakeholders have about these questions and how they choose to answer these questions has a significant effect on how foreign language programs are designed and how foreign languages are taught. The answers to these questions affect course content and design, learning outcomes, course syllabi, daily lesson plans, in-class activities, at-home assignments, assessments, materials, and the methods and teaching techniques that teachers choose to use in their classrooms. For these reasons, it is critical that the answers to these questions are informed by the best knowledge available, current research in the field of applied linguistics and second language acquisition.

Historically, there has been an ever-changing parade and evolution of second language (L2) teaching methodologies and approaches based on the current beliefs and knowledge of the L2 acquisition process of the time. As the research and available knowledge has increased and transformed with time, so also have the research-based answers to these questions, and, with that, the preferred methodology or approach of the time. This article traces five of the more historically or linguistically significant methodologies and approaches of foreign language teaching of the past 150

years: (1) the Grammar-Translation Method, (2) the Direct Method, (3) the Audio-lingual Method, (4) Communicative Language Teaching, and (5) Task-Based Language Teaching. A brief discussion of the historical context, key features, and legacy of each methodology or approach is included. The article concludes with a brief discussion of how the changes, developments, and insights in second language acquisition and language teaching research should affect the decisions foreign language teachers, program directors, curriculum designers, materials writers, and other stakeholders make concerning the roles of these methodologies and approaches in their language learning classrooms and programs.

## **Methodologies and Approaches of Foreign Language Teaching**

### *Grammar-Translation Method*

The Grammar-Translation Method is one of the oldest language teaching methodologies still used today. It was the dominant language teaching method throughout Europe and the United States from the mid-nineteenth century to the mid-twentieth century, and although it has been greatly criticized by linguists and second language acquisition researchers, variations of this method are still used worldwide today (Richards & Rodgers, 2001).

The Grammar-Translation Method was developed at a time when the primary goal of language study was, “to learn a language in order to read its literature or in order to benefit from the mental discipline and intellectual development that result from foreign language study” (Richards & Rodgers, 2001, Kindle Locations 122-123). It is important to emphasize that this method was not developed in order to enable students to use the language to communicate with other speakers of that language, as is a common goal of foreign language study today, but to enable students to gain access to literature written in the L2. For this reason, language classes taught using the Grammar-Translation method emphasize reading, writing, and rote memorization of complex grammar rules and lists of new vocabulary words.

The key features of the Grammar-Translation Method include:

- An emphasis on the ability to read literature written in the L2.
- An emphasis on grammatical competency and rote memorization of verb conjugations and other grammatical features.
- Frequent use of the L1 and frequent comparisons between the L1 and L2.
- An emphasis on translation from L2 to L1 and from L1 to L2.
- A notable lack of emphasis on listening or speaking in the L2.
- An emphasis on the teacher’s role as linguistic authority.
- An emphasis on accuracy and correctness.
- Frequent and direct correction of student errors (Larsen-Freeman & Anderson, 2011).

Despite the fact that the Grammar-Translation Method is primarily useful for translating texts from one language to another, the method is still common today, even in contexts where the ability to communicate in the L2 is desired. This, of course, creates a problem. Though teachers expect and students hope to gain oral and aural proficiency in a foreign language and to be able to communicate with other speakers of that language, students are taught with a method that emphasizes only the ability to read and write in the L2. In this case, oral proficiency and communicative competence often are not achieved.

It is also important to note that, as explained by Richards and Rodgers in their 2001 book *Approaches and Methods in Language Teaching*, although, “the Grammar-Translation Method is still widely practiced, it has no advocates. It is a method for which there is no theory. There is no literature that offers a rationale or justification for it or that attempts to relate it to issues in linguistics, psychology, or educational theory” (Richards & Rodgers, 2001, Kindle Locations 144-146).

If the Grammar-Translation Method is so limited in its effectiveness to enable students to gain the ability to use the L2 being studied, why is the Grammar-Translation Method still so commonly used today? Reasons for its continued popularity include (A) the relative ease for teachers, including the fact that teachers do not need an advanced level of L2 proficiency in order to teach with the Grammar-Translation Method, (B) the pervasiveness of textbooks that were designed from this method, and (C) its usefulness in contexts where reading comprehension or translating literature are the main goals of language study (Richards & Rodgers, 2001).

Though variations of the Grammar-Translation Method persist today, it began to be criticized and lose popularity during the second half of the nineteenth century. At this time, there was greater demand for the ability to use a language to communicate with other speakers of that language, and the Grammar-Translation Method was not effective for accomplishing this task (Richards & Rodgers, 2001). Interest in new methods increased, which contributed to the development of the next method that will be discussed, the Direct Method.

### *Direct Method*

As the Grammar-Translation method began to be called into question and opposed, and then as alternatives began to be sought, new methods based on “naturalistic principles” of language learning were developed. From this perspective, there is an attempt to make the second language learning process more like the first language acquisition process. Several language teaching methods were developed based on these principles; these methods are referred to as

the “natural methods.” The most well-known of these natural methods is the Direct Method (Richards & Rodgers, 2001).

Many of the major characteristics of the Direct Method stand in direct contrast to those of the Grammar-Translation Method. For example, whereas the Grammar-Translation Method emphasizes L2 use, the Direct Method avoids it at all costs; while the Grammar-Translation Method emphasizes rote memorization of grammar rules and new vocabulary, the Direct Method promotes inductive grammar learning and discourages rote memorization of word lists.

The key features of the Direct Method include:

- Exclusive use of the L2.
- An emphasis on speaking.
- Use of objects in the classroom or learning environment to teach the L2.
- A belief that the teacher’s role is to demonstrate more than to explain or translate.
- Promotion of vocabulary learning in context, not rote memorization of word lists.
- An emphasis on pronunciation and communication.
- Encouraging students to self-correct errors.
- An emphasis on activities that require students to use conversation in real contexts.
- Avoidance of explicit or direct grammar instruction.
- Organization of classes around situations or topics, not linguistic structures (Larsen-Freeman & Anderson,

2011).

Though a clear alternative to the Grammar-Translation Method, the popularity of the Direct Method was short lived, as linguists and educators began to discover its many limitations. A key shortcoming of this method, like other Natural Methods, was its foundational belief that the second language acquisition process is very similar to the first language acquisition process. According to Richards and Rodgers (2001), the Direct Method “overemphasized and distorted the similarities between naturalistic first language learning and classroom foreign language learning and failed to consider the practical realities of the classroom” (Kindle Location 222). As language acquisition researchers developed a better understanding of the differences between the L1 and L2 acquisition processes, the Natural Methods, including the Direct Method, lost popularity. By the 1920s, interest in the Direct Method was replaced by new methods that were being developed at the time (Richards & Rodgers, 2001).

#### *Audio-lingual Method*

As the Direct Method lost popularity in the 1920s, a variety of new approaches were developed in the United States and Britain. These various approaches had different emphases and ranged from reading-based approaches to oral approaches, structural approaches, and aural-oral approaches. By the early 1950s, a new method, coming out of the aural-oral approach, had gained popularity in the United States: the Audio-lingual Method (Richards & Rodgers, 2001).

The Audio-lingual Method was developed in the United States at a time when the government and military were realizing the importance of having citizens who could speak and understand languages other than English. This new interest in language learning was the result of the successful launching of Russian satellite Sputnik I. With the launch of Sputnik, the US developed a new interest in having citizens who could communicate with others globally, as well as to have the ability to keep abreast of scientific developments in other languages (Richards & Rodgers, 2001).

The Audio-lingual Method is primarily characterized by repetition and imitation. The role of the language teacher is to model appropriate language, which students listen to and repeat (Larsen-Freeman & Anderson, 2011).

Other key features of the Audio-lingual Method include:

- An emphasis on using the L2 only; L1 is avoided.
- A belief that the teacher’s role is to model language for students to imitate.
- An emphasis on repetition.
- An emphasis on avoiding errors and immediately correcting errors.
- A belief that the primary purpose of language learning is to communicate.
- An emphasis on listening and speaking.
- Avoidance of direct and explicit teaching of grammar rules.
- An emphasis on listening to and repeating dialogues (Larsen-Freeman & Anderson, 2011).

Like the Direct Method, the Audio-lingual Method did not remain popular for long, losing popularity by the 1960s (Richards & Rodgers, 2001). However, many basic features of the Audio-lingual Method inspired future methods and approaches and are still recognizable in popular language teaching methods and approaches today, including what has come to be the most pervasive language teaching approach, Communicative Language Teaching.

#### *Communicative Language Teaching*

Today, the most advocated for approach to second language learning is the Communicative Approach. The Communicative Approach, or Communicative Language Teaching (CLT) first began to develop in Britain in the late 1960s and early 1970s and is referred to as an *approach* rather than a *method* because, “It refers to a diverse set of principles that reflect a communicative view of language and language learning and that can be used to support a wide variety of classroom procedures” (Richards & Rodgers, 2001, Kindle Locations 2220-2221).

It is important to note that there is no set or universally agreed upon definition and description of CLT. Instead, it is interpreted differently in different contexts, and may include any combination of a large array of features.

However, despite this variety and range in features and interpretation, most linguists agree that the core goals of CLT are to “(a) make communicative competence the goal of language teaching and (b) develop procedures for the teaching of the four language skills that acknowledge the interdependence of language and communication” (Richards & Rodgers, 2001, Kindle Locations 1996-1997).

Additionally, according to Richards and Rodgers (2001), the “diverse set of principles that reflect a communicative view of language and language learning” includes the beliefs that:

- Learners learn a language through using it to communicate.
- Authentic and meaningful communication should be the goal of classroom activities.
- Fluency is an important dimension of communication.
- Communication involves the integration of different language skills.
- Learning is a process of creative construction and involves trial and error (Richards & Rodgers, 2001, Kindle Locations 2220-2223).

Other key features of CLT include:

- A belief that the goal of language learning is to communicate in the L2.
- An emphasis on using authentic language when possible.
- An emphasis on using the L2 as much as possible; L1 is avoided.
- An emphasis on small group activities to provide many opportunities for L2 use.
- An emphasis on games because they give a clear purpose to language use.
- An emphasis on giving students opportunities to express ideas and opinions.
- Allowing for errors and an emphasis on not correcting all errors immediately, but addressing them at the end of an activity instead.

• A belief that the teacher’s role is to create situations that promote communication.

• An emphasis on teaching grammar and vocabulary that are related to specific situations and contexts (Larsen-Freeman & Anderson, 2011).

A strength of CLT is that its comprehensiveness and the flexibility of how its principles can be applied to a particular teaching context allow teachers to adapt and apply its general principles to their own specific and unique teaching contexts, taking into account their particular learners and courses. Over the past four decades, CLT has become increasingly more pervasive. It has evolved as new research has led to greater insight into how languages are learned and, therefore, how they should be taught. Today, CLT exists around the world in a variety of forms. Additionally, “it has influenced many other language teaching approaches and methods that subscribe to a similar philosophy of language teaching” (Richards & Rodgers, 2001, Kindle Locations 2250-2251).

#### *Task-Based Language Teaching*

As mentioned above, several approaches and methods of language teaching have evolved out of Communicative Language Teaching. Some of these include Content-Based Instruction, Project-Based Language Teaching, and Task-Based Language Teaching, which will be discussed here. Task-Based Language Teaching (TBLT) developed out of Communicative Language Teaching in the 1970s and 1980s (Skehan, 2003).

TBLT expands upon CLT by adding a significant focus on tasks. TBLT considers a “task” to be “a central unit of planning and teaching” (Richards and Rodgers, 2001, Kindle Locations 2900-2903). Though definitions of “task” abound and vary, most experts agree on a general understanding of task as, “an activity or goal that is carried out using language, such as finding a solution to a puzzle, reading a map and giving directions, making a telephone call, writing a letter, or reading a set of instructions and assembling a toy” (Richards and Rodgers, 2001, Kindle Locations 2900-2903).

The key features of the TBLT approach include:

- Engaging students in activities with a clear purpose and desired outcome.
- A belief that the teacher should provide good models of the target language.
- An emphasis on activities that require collaboration and interaction to successfully complete.
- Requiring students to communicate to successfully complete activities.
- An emphasis on activities that are connected to “real world” activities and experiences that students may encounter outside the classroom.
- A belief that students should receive feedback on their level of success in completing the activity (not solely on language use or accuracy).
- A belief that the purpose of language is to communicate and to do.
- A greater emphasis on meaning than form.
- Allowing for error correction (Larsen-Freeman & Anderson, 2011).

The influence of CLT on the development of TBLT is evident. Shared foundational beliefs and features of these two approaches include the emphasis on developing communicative competence in the L2, the importance of collaboration through pair or small group work, and the belief that classroom activities should have a clear purpose and objective, just to name a few. Like CLT, TBLT remains popular today.

## Conclusion

This article began with a series of four questions and an assertion of the importance of having research-based answers to these questions to inform the decisions that are made about the teaching and learning of second languages. These questions were:

1. Why should students study foreign languages?
2. How are new languages learned?
3. How should languages be taught?
4. How can language teachers most effectively lead students to successful acquisition of a new language?

Answers to these questions and their relationships to the aforementioned methodologies and approaches are considered below.

When discussing appropriate language teaching methodologies and approaches for a particular learning context, it is important to consider the goal and purpose of language learning in that context. In many academic contexts today, excluding those that focus on the study of ancient languages, students study foreign languages for a variety of reasons, but most importantly, to gain communicative competence (the ability to use a language to communicate) in the L2. Communicative competence will enable students to work in positions that require foreign language use and will empower students to travel confidently throughout countries that use the L2. Additionally, communicative competence in the L2 enables students to participate in academic exchange programs in countries where the L2 is spoken, as well as to participate in reading, conducting, publishing, and discussing new research in a variety of fields of study. For these reasons, the first method discussed, the Grammar-Translation Method, with its narrow focus on reading, writing, and translating, will not be the most effective method for language teaching in many contexts.

The questions concerning how languages are learned, how languages should be taught, and how language teachers can effectively lead students to successful acquisition of an L2 are tightly linked. Research in the field of applied linguistics and second language acquisition has repeatedly found major differences in the first language acquisition process and the academic and adult learner L2 acquisition process (Chenu&Jisa, 2009; Saville-Troike, 2006). With this in mind, the second method discussed, the Direct Method, is also eliminated as an effective method for language teaching. In addition to applied linguistics and second language acquisition research, educational research has pointed to several principles for effective language teaching and learning. Boyd and Numrich (2008), Levine and McCloskey (2012), and Richards (2006), as well as others, have found that students learn best when they are actively engaged in their learning. Similarly, other research has found that collaboration facilitates language learning (Brandl, 2008; Ellis, 2008; Levine & McCloskey, 2012). Finally, current research has demonstrated the importance of having opportunities to communicate in an L2 in order to increase L2 fluency and proficiency (Brandl, 2008; Ellis, 2008; Richards, 2006). For these reasons, among others, the passive "listen and repeat" activities emphasized in the Audio-lingual Method will always be deemed less effective than the creative, communicative, and collaborative activities of CLT and TBLT.

As briefly illustrated above, today's preferred approaches to foreign language teaching (Communicative Language Teaching and Task-Based Language Teaching) are thoroughly grounded in and supported by the current knowledge available to us through applied linguistics, second language acquisition, and educational research. As foreign language teachers, program directors, curriculum designers, materials writers, and other stakeholders begin or continue to make decisions based on the key features of these approaches, students will be best set up for success in achieving L2 proficiency.

## REFERENCES:

- Boyd, F., & Numrich, C. (2008, October). *Five Principles of Language Learning and Teaching*. Retrieved from Pearson Longman's English Language Teaching Newsletter, October 2008:  
<http://www.pearsonlongman.com/ae/emacs/newsletters/october-2008-skills.html>
- Brandl, K. (2008). Principles of Communicative Language Teaching and Task-Based Instruction. In *Communicative Language Teaching in Action: Putting Principles to Work*. Prentice Hall.
- Chenu, F., & Jisa, H. (2009). Reviewing Some Similarities and Differences in L1 and L2 Lexical Development. *Acquisition et Interaction en Langue Étrangère*, 17-38.
- Ellis, R. (2008, December). Principles of Instructed Second Language Acquisition. *CAL Digest*.
- Larsen-Freeman, D., & Anderson, M. (2011). *Techniques and Principles in Language Teaching* (Kindle ed.). Oxford University Press.
- Levine, N. L., & McCloskey, M. L. (2012). *Teaching English Content in Mainstream Classes: One Class, Many Paths* (2<sup>nd</sup> ed.). Pearson.
- Richards, J. C. (2006). *Communicative Language Teaching Today*. New York: Cambridge University Press.
- Richards, J. C., & Rodgers, T. S. (2001). *Approaches and Methods in Language Teaching* (Kindle ed.). New York: Cambridge University Press.
- Saville-Troike, M. (2006). *Introducing Second Language Acquisition* (Kindle ed.). New York: Cambridge University Press.
- Skehan, P. (2003). Task-based instruction. *Language Teaching*, 36, 1-14.

## განტოლებათა და უტოლობათა ამოხსნის ერთი არასტანდარტული ხერხის შესახებ

გიორგი ბერძულიშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

ამაღლებული სირთულის მქონე განტოლებებისა და უტოლობის ამოხსნა, რომელიც შეიცავს მოდულურს, ირაციონალობებს, ლოგარითმებს, მაჩვენებლიან ფუნქციებს და მათ კომბინაციებს, სტანდარტული სასკოლო მეთოდებით ხშირად ძალზედ რთულია ან მათი ამოხსნა დიდი მოცულობისაა, რაც გარკვეულ სირთულეებს უქმნის მოსწავლეებს. ასეთი განტოლებების, უტოლობების, მათი სისტემების და ერთობლიობების ამოხსნის ერთ-ერთი ეფექტური და მოსწავლეთათვის შედარებით მარტივად ასათვისებელი მეთოდია თანამამრავლის შეცვლის მეთოდი, რომელიც ეყრდნობა მათემატიკური გამონათქვამების ტოლფასობას ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ირაციონალური და ტრანსცენდენტული განტოლებები (უტოლობები) შეცვლილია მისი ტოლფასი რაციონალური და ალგებრული განტოლებებით (უტოლობებით). უტოლობათა შემთხვევაში უკანასკნელთა ამოხსნა კი მარტივად ხდება რაციონალური ფუნქციებისათვის ინტერვალთა მეთოდის გამოყენებით.

თანამამრავლის შეცვლის მეთოდი გვეხმარება განტოლებათა ამოხსნისას, მაგრამ მისი გამოყენება გაცილებით ეფექტურია უტოლობათა ამოხსნის დროს.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თანამამრავლის შეცვლის მეთოდის გამოყენებით ხორციელდება მოცემული

$$\frac{f_1(x) \cdot f_2(x) \cdots f_n(x)}{g_1(x) \cdot g_2(x) \cdots g_k(x)} \vee 0 \quad (1)$$

განტოლების ან უტოლობის დაყვანა კანონიკურ სახემდე, სადაც  $f_i(x), g_j(x) (i = \overline{1, n}, j = \overline{1, k})$  წარმოადგენენ რაციონალურ, ირაციონალურ, მაჩვენებლიან, ლოგარითმულ ფუნქციებს, მოდულის შემცველ ფუნქციებს და სხვ. ხოლო ნიშანი  $\vee$  აღნიშნავს ერთ-ერთს  $=, >, <, \leq, \geq$  ნიშნებიდან. ცხადია, რომ თუ (1) წარმოადგენს უტოლობას, მაშინ მისი ამოხსნა დამოკიდებულია მხოლოდ თითოეული თანამამრავლის ნიშანზე. თანამამრავლის შეცვლის მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ტოლფასი გარდაქმნების საშუალებით თავისი განსაზღვრის არეში შევცვალოთ თითოეული თანამამრავლი უფრო მარტივ ისეთ რაციონალურ თანამამრავლად, რომელსაც ნიშანმუდმივობის იგივე შუალედი აქვს. შევნიშნოთ, რომ თანამამრავლის შეცვლის მეთოდის გამოყენება უტოლობათა სხვადასხვა კლასისათვის ეფუძნება უტოლობაში შემავალი ფუნქციების ძირითად თვისებებს.

**მოდულის შემცველი განტოლებები.** თანამამრავლის შეცვლის მეთოდის გამოყენებით განვიხილოთ მოდულის შემცველი განტოლებების ამოხსნა.

1. ვთქვათ, მოცემული გვაქვს განტოლება  $|f(x)| = 0$ . ცხადია, რომ ამ განტოლების ამონახსნი იქნება  $x$  ცვლადის ყველა ის დასაშვები მნიშვნელობა  $f(x)$  ფუნქციის განსაზღვრის არედან, რომლისთვისაც

$$f^2(x) = 0.$$

2. განვიხილოთ განტოლება  $|f(x)| = |g(x)|$ . რადგან განტოლებაში მარჯვენა და მარცხენა მხარეებში მოთავსებული გამოსახულებები არაუარყოფითია, ამიტომ

$$f^2(x) = g^2(x) \Rightarrow (f(x) - g(x))(f(x) + g(x)) = 0.$$

**შედეგი.**  $|f(x)| = |g(x)| = 0 \Leftrightarrow (f(x) - g(x))(f(x) + g(x)) = 0$ .

თანამამრავლის შეცვლის მეთოდის გამოყენებით განვიხილოთ მოდულის შემცველი ზოგიერთი განტოლების ამოხსნა:

**ამოცანა 1.** ამოხსენით განტოლება  $|x^2 + 5x - 6| + 12 = 3|x - 6| + 4|x + 1|$ .

**ამოხსნა.** დავიყვანოთ მოცემული განტოლება კანონიკურ სახეზე:

$$|x - 6||x + 1| - 3|x - 6| + 12 - 4|x + 1| = 0 \Leftrightarrow |x - 6|(|x + 1| - 3) - 4(|x + 1| - 3) = 0 \Leftrightarrow (|x - 6| - 4)(|x + 1| - 3) = 0$$

თანამამრავლის შეცვლის მეთოდის გამოყენებით მივიღებთ:

$$(x - 6 - 4)(x - 6 + 4)(x + 1 - 3)(x + 1 + 3) = 0 \Leftrightarrow (x - 10)(x - 2)(x - 2)(x + 4) = 0 \Leftrightarrow (x - 10)(x - 2)^2(x + 4) = 0 \Rightarrow$$

$$x = \{-4; 2; 10\}.$$

**ამოცანა 2.** ამოხსენით განტოლება  $|x^2 - 4|x| + 13| = 3|x^2 - |x| - 5|$ .

**ამოხსნა.** განტოლება გარდავქმნათ შემდეგნაირად:

$$|x^2 - 4|x| + 13| = 3|x^2 - |x| - 5| \Leftrightarrow (x^2 - 4|x| + 13 - 3x^2 + 3|x| + 15)(x^2 - 4|x| + 13 + 3x^2 - 3|x| - 15) = 0 \Leftrightarrow$$



$$\Leftrightarrow (-2x^2 - |x| + 28)(4x^2 - 7|x| - 2) = 0 \Leftrightarrow -(2x^2 + |x| - 28)(4x^2 - 7|x| - 2) = 0 \Leftrightarrow (2|x|^2 + |x| - 28)(4|x|^2 - 7|x| - 2) = 0 \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow (2|x| - 7)(|x| + 4)(|x| - 2)(4|x| + 1) = 0 \Leftrightarrow (2|x| - 7)(|x| - 2) = 0 \Leftrightarrow x = \left\{ -\frac{7}{2}; -2; \frac{7}{2}; 2 \right\}.$$

**ამოცანა 3.** ამოხსენით განტოლება

$$\frac{|x-5| - |x+4|}{|x-2| - |x+1|} = \frac{|x-2| + |x+1|}{|x+4|}$$

**ამოხსნა.** თუ განტოლების ორთავე მხარეს გავამრავლებთ  $g(x) = \frac{|x-5| + |x+4|}{|x-2| + |x+1|}$ ,  $g(x) > 0, \forall x \in R$ .

ფუნქციაზე და ჩავატარებთ ელემენტარულ გარდაქმნებს, მივიღებთ:

$$\frac{(x-5)^2 - (x+4)^2}{(x-2)^2 - (x+1)^2} = \frac{|x-5| + |x+4|}{|x+4|} \Leftrightarrow \frac{(x-5-x-4)(x-5+x+4)}{(x-2-x-1)(x-2+x+1)} = \frac{|x-5| + |x+4|}{|x+4|} \Leftrightarrow \frac{-9(2x-1)}{-3(2x-1)} = \frac{|x-5| + |x+4|}{|x+4|} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} x \neq \frac{1}{2} \\ x \neq -4 \\ 3|x+4| = |x-5| + |x+4| \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \neq \frac{1}{2} \\ x \neq -4 \\ 2|x+4| - |x-5| = 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \neq \frac{1}{2} \\ x \neq -4 \\ (2x+8-x+5)(2x+8+x-5) = 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \neq \frac{1}{2} \\ x \neq -4 \\ (x+13)(3x+3) = 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x = -13, \\ x = -1. \end{cases}$$

**ამოცანა 4.** ამოხსენით განტოლება  $(x^2 + x + 1)^2 - 2|x^3 + x^2 + x| - 3x^2 = 0$

**ამოხსნა.** რადგან  $(x^2 + x + 1)^2 = |x^2 + x + 1|^2$ ,  $x^2 = |x|^2$ , ამიტომ განტოლება გადავწეროთ სახით:

$$|x^2 + x + 1|^2 - 2|x||x^2 + x + 1| - 3|x|^2 = 0$$

ადვილი შესამჩნევია, რომ  $x = 0$  მოცემული განტოლების ფესვი არ არის. გავყოთ განტოლების ორივე მხარე  $x^2$ -ზე, ჩავატაროთ მარტივი გარდაქმნები და მივიღებთ:

$$|x^2 + x + 1| - 3|x| = 0$$

თანამამრავლის შეცვლის მეთოდის გამოყენებით გვექნება:

$$(x^2 + x + 1 - 3x)(x^2 + x + 1 + 3x) = 0 \Leftrightarrow (x^2 - 2x + 1)(x^2 + 4x + 1) = 0 \Leftrightarrow x = \{-2 \pm \sqrt{3}; 1\}.$$

**ირაციონალური განტოლებები.** ირაციონალური განტოლებების ამოხსნისას გვაქვს:

1.  $\forall n \in N, \sqrt[n]{f(x)} - \sqrt[n]{g(x)} = 0 \Leftrightarrow \begin{cases} f(x) - g(x) = 0, \\ f(x) \geq 0, \\ g(x) \geq 0. \end{cases}$
2.  $\forall n \in N, \sqrt[n+1]{f(x)} - \sqrt[n+1]{g(x)} = 0 \Leftrightarrow f(x) - g(x) = 0.$
3.  $\forall n \in N, \sqrt[n]{f(x)} - g(x) = 0 \Leftrightarrow \begin{cases} g(x) \geq 0 \\ f(x) - g^{2n}(x) = 0 \end{cases}$
4.  $\forall n \in N, \sqrt[n+1]{f(x)} - g(x) = 0 \Leftrightarrow f(x) - g^{2n+1}(x) = 0.$
5.  $\forall n \in N, \sqrt[n]{f(x)} - |g(x)| = 0 \Leftrightarrow \begin{cases} f(x) - g^{2n}(x) = 0 \\ f(x) \geq 0. \end{cases}$

**ამოცანა 5.** ამოხსენით განტოლება

$$\frac{\sqrt{x^2 - 6} - 3}{|x-1| - 4} = 1$$

**ამოხსნა.** დავადგინოთ ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლე, გვაქვს:

$$\begin{cases} x^2 - 6 \geq 0 \\ |x-1| - 4 \neq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} (x-\sqrt{6})(x+\sqrt{6}) \geq 0 \\ (x-1-4)(x-1+4) \neq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} (x-\sqrt{6})(x+\sqrt{6}) \geq 0 \\ (x-5)(x+3) \neq 0 \end{cases}$$

საიდანაც  $x \in (-\infty; -3) \cup (-3; -\sqrt{6}] \cup [\sqrt{6}; 5) \cup (5; +\infty)$ .

მოცემული განტოლება გარდავექმნათ ასე:

$$\frac{\sqrt{x^2 - 6} - 3}{|x-1| - 4} = 1 \Leftrightarrow \frac{\sqrt{x^2 - 6} - (|x-1| - 1)}{|x-1| - 4} = 0.$$

ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლის ნებისმიერი წერტილისათვის

$$|x-1| - 1 > 0.$$

გამოვიყენოთ თანამართავლის შეცვლის მეთოდი. გვექნება:

$$\begin{cases} (x^2 - 6) - (|x-1| - 1)^2 = 0 \\ x \in (-\infty; -3) \cup (-3; -\sqrt{6}] \cup [\sqrt{6}; 5) \cup (5; +\infty) \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x^2 - 6 - (x^2 - 2x + 1 - 2|x-1| + 1) = 0 \\ x \in (-\infty; -3) \cup (-3; -\sqrt{6}] \cup [\sqrt{6}; 5) \cup (5; +\infty) \end{cases} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} 2|x-1| + 2x - 8 = 0 \\ x \in (-\infty; -3) \cup (-3; -\sqrt{6}] \cup [\sqrt{6}; 5) \cup (5; +\infty) \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} |x-1| - (4-x) = 0 \\ x \in (-\infty; -3) \cup (-3; -\sqrt{6}] \cup [\sqrt{6}; 5) \cup (5; +\infty) \end{cases}$$

განვიხილოთ შემთხვევები:

1.  $x \in (-\infty; -3) \cup (-3; -\sqrt{6}]$ , მაშინ  $|x-1| = 1-x$ , გვაქვს:

$$\begin{cases} |x-1| - (4-x) = 0 \\ x \in (-\infty; -3) \cup (-3; -\sqrt{6}] \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 1-x-4+x = 0 \\ x \in (-\infty; -3) \cup (-3; -\sqrt{6}] \end{cases}$$

სისტემის პირველი განტოლება წინააღმდეგობრივია, ამიტომ განსახილველ შუალედში განტოლებას ამონახსნი არა აქვს.

2.  $x \in [\sqrt{6}; 5) \cup (5; +\infty)$ , მაშინ  $|x-1| = x-1$ , გვაქვს:

$$\begin{cases} |x-1| - (4-x) = 0 \\ x \in [\sqrt{6}; 5) \cup (5; +\infty) \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x-1-4+x = 0 \\ x \in [\sqrt{6}; 5) \cup (5; +\infty) \end{cases} \Leftrightarrow x = \frac{5}{2}.$$

**ამოცანა 6.** ამოხსენით განტოლება:

$$3\sqrt{x+2} = 6 - |x-2|.$$

**ამოხსნა.** დავადგინოთ ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლე. გვაქვს:

$$\begin{cases} x+2 \geq 0 \\ 6 - |x-2| \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \geq -2 \\ (6-x+2)(6+x-2) \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \geq -2 \\ (6-x+2)(6+x-2) \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \geq -2 \\ (8-x)(x+4) \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} x \geq -2 \\ (x-8)(x+4) \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow x \in [-2; 8]$$

განტოლება გადავწეროთ ასე:

$$3\sqrt{x+2} + |x-2| - 6 = 0.$$

განვიხილოთ შემთხვევები:

1.  $x \in [-2; 2)$ , მაშინ  $|x-2| = 2-x$ , გვაქვს:

$$\begin{cases} 3\sqrt{x+2} + |x-2| - 6 = 0 \\ x \in [-2; 2) \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 3\sqrt{x+2} + (x+4) = 0 \\ x \in [-2; 2) \end{cases}$$

გამოვიყენოთ თანამართავლის შეცვლის მეთოდი, გვექნება:

$$\begin{cases} 9(x+2) - (x+4)^2 = 0 \\ x \in [-2; 2) \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x^2 - x - 2 = 0 \\ x \in [-2; 2) \end{cases} \Leftrightarrow x = -1.$$

2.  $x \in [2; 8]$ , მაშინ  $|x-2| = x-2$ , გვაქვს:

$$\begin{cases} 3\sqrt{x+2} + |x-2| - 6 = 0 \\ x \in [2; 8] \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 3\sqrt{x+2} - (8-x) = 0 \\ x \in [2; 8] \end{cases}$$

გამოვიყენოთ თანამართავლის შეცვლის მეთოდი. გვექნება:

$$\begin{cases} 9(x+2) - (8-x)^2 = 0 \\ x \in [2; 8] \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x^2 - 25x + 46 = 0 \\ x \in [2; 8] \end{cases} \Leftrightarrow x = 2.$$

**ამოცანა 7.** ამოხსენით განტოლება

$$\sqrt{10x - x^2 - 24} = \sqrt{x^2 - 13x + 42} - \sqrt{x^2 - 11x + 30}.$$

**ამოხსნა.** დავადგინოთ ცვლადის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლე. გვაქვს:

$$\begin{cases} 10x - x^2 - 24 \geq 0 \\ x^2 - 13x + 42 \geq 0 \\ x^2 - 11x + 30 \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} (x-6)(x-4) \leq 0 \\ (x-7)(x-6) \geq 0 \\ (x-6)(x-5) \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow x \in [4; 5] \cup \{6\}.$$

მოცემული განტოლება გადავწეროთ სახით:

$$\begin{cases} \sqrt{(6-x)(x-4)} - \sqrt{(x-7)(x-6)} + \sqrt{(x-6)(x-5)} = 0 \\ x \in [4;5] \cup \{6\} \end{cases}$$

ცხადია, რომ

1.  $x = 6$  მოცემული განტოლების ამონახსნია.

2. განტოლების მარტივი გარდაქმნით მივიღებთ:

$$\begin{cases} \sqrt{x-4} + \sqrt{5-x} - \sqrt{7-x} = 0 \\ x \in [4;5] \end{cases}$$

გამოვიყენოთ თანამამრავლის შეცვლის მეთოდი. გვაქვს:

$$\begin{cases} (\sqrt{x-4} + \sqrt{5-x})^2 - (\sqrt{7-x})^2 = 0 \\ x \in [4;5] \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x-4 + 2\sqrt{x-4}\sqrt{5-x} + 5-x-7+x = 0 \\ x \in [4;5] \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 2\sqrt{x-4}\sqrt{5-x} - (6-x) = 0 \\ x \in [4;5] \end{cases} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} 2(x-4)(5-x) - (6-x)^2 = 0 \\ x \in [4;5] \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} -4x^2 + 36x - 80 - 36 + 12x - x^2 = 0 \\ x \in [4;5] \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 5x^2 - 48x + 116 = 0 \\ x \in [4;5] \end{cases} \Leftrightarrow x \in \emptyset$$

**მოდულის შემცველი უტოლობები.** 1. ვთქვათ, მოცემული გვაქვს გამოსახულება

$$|f(x)| \vee 0 \quad (2)$$

ცხადია, რომ (2) უტოლობის ამონახსნი იქნება  $x$  ცვლადის ყველა ის დასაშვები მნიშვნელობა  $f(x)$  ფუნქციის განსაზღვრის არეიდან, რომლისთვისაც

$$f^2(x) \vee 0.$$

2. განვიხილოთ უტოლობა

$$|f(x)| \vee |g(x)| \quad (3)$$

რადგან (3) უტოლობაში მარჯვენა და მარცხენა მხარეებში მოთავსებული გამოსახულებები არაუარყოფითია, ამიტომ

$$f^2(x) \vee g^2(x) \Rightarrow (f(x) - g(x))(f(x) + g(x)) \vee 0.$$

**შედეგი.**  $|f(x)| - |g(x)| \vee 0 \Leftrightarrow (f(x) - g(x))(f(x) + g(x)) \vee 0.$

3. განვიხილოთ უტოლობა

$$|f(x) - g(x)| \cdot \varphi(x) \vee 0 \quad (4)$$

(3) უტოლობის ამოხსნის მსგავსად მივიღებთ:

$$(f(x) - g(x))(f(x) - g(x)) \cdot \varphi(x) \vee 0.$$

4. ამოხსენი თუ ტოლობა  $|f(x)| \leq g(x)$  (5)

(5) გამოსახულება გარდავქმნათ ასე:

$$|f(x)| \leq g(x) \Leftrightarrow |f(x)| - g(x) \leq 0 \Leftrightarrow \begin{cases} g(x) \geq 0 \\ (f(x) - g(x))(f(x) + g(x)) \leq 0 \end{cases}$$

5. ამოხსენით უტოლობა  $|f(x)| \geq g(x)$  (6)

(6) გამოსახულება გარდავქმნათ ასე:

$$|f(x)| \geq g(x) \Leftrightarrow |f(x)| - g(x) \geq 0 \Leftrightarrow \begin{cases} g(x) \geq 0 \\ (f(x) - g(x))(f(x) + g(x)) \geq 0 \\ g(x) < 0 \\ |f(x)| - g(x) > 0, \quad \forall x \in D(f) \cap D(g) \end{cases}$$

განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითები:

**ამოცანა 8.** ამოხსენით უტოლობა  $|x^2 - 7x + 2| \leq |x^2 + 5x - 2|$

**ამოხსნა.** უტოლობა გადავწეროთ ასე:

$$|x^2 - 7x + 2| - |x^2 + 5x - 2| \leq 0 \quad (7)$$

$$(7) \Leftrightarrow (x^2 - 7x + 2 - x^2 - 5x + 2)(x^2 - 7x + 2 + x^2 + 5x - 2) \leq 0 \Leftrightarrow (3x - 1)(x - 1) \cdot x \geq 0 \Leftrightarrow x \in \left[0; \frac{1}{3}\right] \cup [1; +\infty).$$

**ამოცანა 6.** ამოხსენით უტოლობა

$$\left| \frac{x^2 - 5x + 4}{x^2 - 4} \right| \leq 1.$$

**ამოხსნა.** უტოლობა გადავწეროთ ასე:

$$\left| \frac{x^2 - 5x + 4}{x^2 - 4} \right| - 1 \leq 0 \quad (8)$$

საიდანაც მარტივად შეგვიძლია დავწეროთ:

$$(8) \Leftrightarrow \begin{cases} |x^2 - 5x + 4| - |x^2 - 4| \leq 0 \\ x^2 - 4 \neq 0 \end{cases}$$

საიდანაც, თანამართავლის შეცვლის მეთოდის გამოყენებით და მარტივი გარდაქმნებით მივიღებთ:

$$\begin{cases} (5x - 8)(2x - 5)x \geq 0 \\ x \neq -2, x \neq 2 \end{cases}$$

საიდანაც  $x \in [0; 1, 6] \cup [2, 5; +\infty)$ .

**ამოცანა 9.** ამოხსენით უტოლობა

$$|x^2 - 5x - 14| + 20 \geq 5|x + 2| - 4|x - 7|.$$

**ამოხსნა.** დავიყვანოთ მოცემული უტოლობა კანონიკურ სახეზე:

$$|x^2 - 5x - 14| + 20 - 5|x + 2| - 4|x - 7| \geq 0 \Leftrightarrow (|x - 7||x + 2| - 5|x + 2|) - (4|x - 7| - 20) \geq 0 \Leftrightarrow (|x - 7| - 5)(|x + 2| - 4) \geq 0 \quad (9)$$

თანამართავლის შეცვლის მეთოდის გამოყენებით მივიღებთ:

$$(9) \Leftrightarrow (x - 7 - 5)(x - 7 + 5)(x + 2 - 4)(x + 2 + 4) \geq 0 \Leftrightarrow (x - 12)(x - 2)^2(x + 6) \geq 0. \text{ საიდანაც } x \in (-\infty; -6) \cup \{2\} \cup [12; +\infty).$$

**ამოცანა 10.** ამოხსენით უტოლობა

$$\frac{5|3 - x|}{8 - |x - 1|} - |x - 3| \geq 0.$$

**ამოხსნა.** უტოლობა გარდავქმნათ და გავითვალისწინოთ, რომ  $|3 - x| = |x - 3|$ . მივიღებთ:

$$\frac{5|3 - x|}{8 - |x - 1|} - |x - 3| \geq 0 \Leftrightarrow |x - 3| \left( \frac{5}{8 - |x - 1|} - 1 \right) \geq 0 \Leftrightarrow \frac{|x - 3|(5 - 8 + |x - 1|)}{8 - |x - 1|} - 1 \geq 0 \Leftrightarrow \begin{cases} \frac{|x - 1| - 3}{|x - 1| - 8} \leq 0 \\ x = 3 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} \frac{(x - 1 - 3)(x - 1 + 3)}{(x - 1 + 8)(x - 1 - 8)} \leq 0 \\ x = 3 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} \frac{(x - 4)(x + 2)}{(x + 7)(x - 9)} \leq 0 \\ x = 3 \end{cases}$$

საიდანაც  $x \in [-7; -2] \cup \{3\} \cup [4; 9)$ .

**ამოცანა 11.** ამოხსენით უტოლობა

$$\frac{|2x + 1| - |x - 4|}{|3x - 1| - |x + 1|} \geq 0.$$

**ამოხსნა.** გამოვიყენოთ თანამართავლის შეცვლის მეთოდი. გვექნება:

$$\frac{|2x + 1| - |x - 4|}{|3x - 1| - |x + 1|} \geq 0 \Leftrightarrow \frac{(2x + 1 - x + 4)(2x + 1 + x - 4)}{(3x - 1 - x - 1)(3x - 1 + x + 1)} \geq 0 \Leftrightarrow \frac{(x + 5)(x - 1)}{(x - 1)x} \geq 0 \Leftrightarrow \begin{cases} \frac{x + 5}{x} \geq 0 \\ x \neq 1 \end{cases}$$

საიდანაც  $x \in (-\infty; -5] \cup [0; 1) \cup (1; +\infty)$ .

**ამოცანა 12.** ამოხსენით უტოლობა

$$\frac{|5x - 2| - |3x - 1|}{|x^2 - 3x - 3| - |x^2 + 7x - 13|} \leq 0.$$

**ამოხსნა.** გამოვიყენოთ თანამართავლის შეცვლის მეთოდი. გვექნება:

$$\frac{|5x - 2| - |3x - 1|}{|x^2 - 3x - 3| - |x^2 + 7x - 13|} \leq 0 \Leftrightarrow \frac{(5x - 2 - 3x + 1)(5x - 2 + 3x - 1)}{(x^2 - 3x - 3 - x^2 - 7x + 13)(x^2 - 3x - 3 + x^2 + 7x - 13)} \leq 0 \Leftrightarrow \frac{(2x - 1)(8x - 3)}{(x - 1)(x + 4)(x - 2)} \geq 0$$

საიდანაც  $x \in (-4; 0, 375] \cup [0, 5; 1) \cup (2; +\infty)$ .

**ამოცანა 13.** ამოხსენით უტოლობა

$$\frac{|x - 7| - |x + 5|}{|x - 3| - |x + 1|} < \frac{|x - 3| + |x + 1|}{|x + 5|}$$

**ამოხსნა.** უტოლობის ორთავე მხარე გავამრავლოთ ფუნქციას  $g(x) = \frac{|x - 7| + |x + 5|}{|x - 3| + |x + 1|}$ ,  $g(x) > 0, \forall x \in R$ .

მივიღებთ:

$$\frac{(x - 7)^2 - (x + 5)^2}{(x - 3)^2 - (x + 1)^2} < \frac{|x - 7| + |x + 5|}{|x + 5|} \Leftrightarrow \frac{(x - 7 - x - 5)(x - 7 + x + 5)}{(x - 3 - x - 1)(x - 3 + x + 1)} < \frac{|x - 7| + |x + 5|}{|x + 5|} \Leftrightarrow \frac{-12(2x - 2)}{-4(2x - 4)} < \frac{|x - 7| + |x + 5|}{|x + 5|} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} x \neq 1 \\ x \neq 5 \\ 3|x+5| < |x-7| + |x+5| \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \neq 1 \\ x \neq 5 \\ 2|x+5| - |x-7| < 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \neq 1 \\ x \neq 5 \\ (2x+10-x+7)(2x+10+x-7) < 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \neq 1 \\ x \neq 5 \\ (x+17)(x+1) < 0 \end{cases}$$

საიდანაც  $x \in (-17; -5) \cup (-5; -1)$ .

**ირაციონალური უტოლობები.** ირაციონალური უტოლობების ამოხსნის დროს გვაქვს:

$$1. \forall n \in N, \sqrt[2n]{f(x)} - \sqrt[2n]{g(x)} \vee 0 \Leftrightarrow \begin{cases} f(x) - g(x) \vee 0, \\ f(x) \geq 0, \\ g(x) \geq 0. \end{cases}$$

$$2. \forall n \in N, \sqrt[2n+1]{f(x)} - \sqrt[2n+1]{g(x)} \vee 0 \Leftrightarrow f(x) - g(x) \vee 0.$$

$$3. \forall n \in N, \sqrt[2n]{f(x)} - g(x) \geq 0 \Leftrightarrow \begin{cases} g(x) \geq 0 \\ f(x) - g^{2n}(x) \geq 0 \\ g(x) < 0 \\ f(x) \geq 0 \\ \sqrt[2n]{f(x)} - g(x) > 0 \\ x \in D(f) \cap D(g) \end{cases}$$

$$4. \forall n \in N, \sqrt[2n]{f(x)} - g(x) \leq 0 \Leftrightarrow \begin{cases} g(x) \geq 0 \\ f(x) \geq 0 \\ f(x) - g^{2n}(x) \leq 0 \end{cases}$$

$$5. \forall n \in N, \sqrt[2n+1]{f(x)} - g(x) \vee 0 \Leftrightarrow f(x) - g^{2n+1}(x) \vee 0.$$

$$6. \forall n \in N, \sqrt[2n]{f(x)} - |g(x)| \vee 0 \Leftrightarrow \begin{cases} f(x) - g^{2n}(x) \vee 0 \\ f(x) \geq 0. \end{cases}$$

$$7. \forall n \in N, \sqrt[2n+1]{f(x)} - |g(x)| \vee 0 \Leftrightarrow f(x) - |g(x)|^{2n+1} \vee 0.$$

**ამოცანა 14.** ამოხსენით უტოლობა:

$$\frac{\sqrt{x^2-1} - \sqrt{3(5-2x)}}{\sqrt{x+5}-3} \geq 0.$$

**ამოხსნა.**

$$\frac{\sqrt{x^2-1} - \sqrt{3(5-2x)}}{\sqrt{x+5}-3} \geq 0 \Leftrightarrow \begin{cases} \frac{(x^2-1) - (15-6x)}{x+5-9} \geq 0 \\ x^2-1 \geq 0 \\ 5-2x \geq 0 \\ x+5 \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} \frac{x^2+6x-16}{x-4} \geq 0 \\ (x-1)(x+1) \geq 0 \\ x \leq 2,5 \\ x \geq -5 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} \frac{(x+8)(x-2)}{x-4} \geq 0 \\ (x-1)(x+1) \geq 0 \\ x \in [-5; 2,5] \end{cases} \Leftrightarrow x \in [-5; -1] \cup [1; 2]$$

**ამოცანა 15.** ამოხსენით უტოლობა:

$$\frac{\sqrt{x^2-x-20} - |x-3|}{\sqrt[3]{x^3-4x^2+23x-14} - x + 2} \geq 0$$

**ამოხსნა.** უტოლობა გარდავქმნათ და ჩავწეროთ სახით:  $\frac{\sqrt{x^2-x-20} - \sqrt{(x-3)^2}}{\sqrt[3]{x^3-4x^2+23x-14} - \sqrt[3]{(x+2)^3}} \geq 0$

გამოვიყენოთ თანამამრავლის შეცვლის მეთოდი. გვექნება:

$$\begin{cases} \frac{x^2-x-20 - (x-3)^2}{x^3-4x^2+23x-14 - (x-2)^3} \geq 0 \\ x^2-x-20 \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} \frac{x^2-x-20-x^2+6x-9}{x^3-4x^2+23x-14-x^3+6x^2-12x+8} \geq 0 \\ (x-5)(x-4) \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} \frac{5x-29}{2x^2-11x-6} \geq 0 \\ (x-5)(x-4) \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} \frac{5x-29}{(2x-1)(x+6)} \geq 0 \\ (x-5)(x-4) \geq 0 \end{cases} \Leftrightarrow x \in (-6; -4] \cup [5; 8; +\infty).$$

**THE NONSTANDARD METHODS OF SOLVING EQUATIONS AND INEQUALITIES**  
**Giorgi Berdzulishvili, Akaki Tsereteli State University, Professor**  
**RESUME**

The increased complexity of the module containing the solution of equations and inequalities, are often very hard or the solution is a large volume in standard schooling methods that creates certain difficulties for the students. Such equations, inequalities and their systems and the combination of solution one of the effective and relatively easy to do for the students is the method of multiplication change, which is based on mathematical expressions equivalent in other words, equations (inequalities) and algebraic equations modified equivalent rational (inequality). In the case of inequalities, the latter solution is easily done by rational functions interval method.

The methods of multiplication change help when solving equations, but its use is much more effective at solving inequalities. The methods of multiplication change lies in the fact that equal to the transformation means in its defining area change each multiplication by more simple a rational multiplier, which has a sign of the continuity of the same interval. Note that the using of the methods of multiplication change inequalities based on class inequality in a variety of functions to the basic features. The article deals with practical examples.

The methods of multiplication change help when solving equations, but its use is much more effective at solving inequalities. The methods of multiplication change lies in the fact that equal to the transformation means in its defining area change each multiplication by more simple a rational multiplier, which has a sign of the continuity of the same interval. The article deals with practical examples.

**მოდულის შემცველი განტოლებების სწავლება**

**მამული ბუჭუხიშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**

**მზია მამასახლისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი**

ტერმინი მოდული არის ლათინური წარმოშობის, რომელსაც გააჩნია მრავალმხრივი ომონიმები და ისინი გამოყენებას პოულობენ არამართო მათემატიკაში, არამედ არქიტექტურაში, ტექნიკაში, ფიზიკაში, პროგრამირებასა და სხვა ზუსტ მეცნიერებებში.

მათემატიკა გვამღებს შესაძლებლობას ღრმად შევისწავლოთ მოდულის ცნება, ამისათვის საკმარისია განვიხილოთ ისეთი განტოლებები, სადაც ცვლადი გვხვდება მოდულის ნიშნის ქვეშ. მათემატიკურად მოდულს გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა, მაგრამ ამოცანებში მას განვიხილავთ, როგორც რიცხვის აბსოლუტური მნიშვნელობა, რომელიც ტოლია რიცხვით ღერძზე ათვლის სათავიდან მოცემულ წერტილამდე (რიცხვამდე) მანძილს.

მოდულის შემცველი განტოლების ამოხსნის სხვადასხვა ხერხი არსებობს, ჩვენ რიცხვის აბსოლუტური მნიშვნელობის თვისებების გათვალისწინებით ამოვხსნით რამდენიმე ამოცანას, დავაკვირდებით ამოხსნის რომელი მეთოდი არის მარტივი და ადვილად გასაგები მოსწავლეებისათვის.

ამოცანების ამოხსნისას გამოვიყენებთ ორ ხერხს: ანალიზურს და გრაფიკულს. სწავლების პროცესში ვაკვირდებით, რომ სწორი მეთოდური მიდგომის შემთხვევაში ორივე ხერხი ადვილად გასაგებია, მაგრამ გრაფიკულში მეტი თვალსაჩინოების გამო შედარებით ადვილად წარმოსადგენია ამოცანის ამოხსნა.

პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან (მომავალ მასწავლებლებთან) მუშაობის დროს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამოცანის ამოხსნის მეთოდიკაზე, ამიტომ მეთოდური თვალსაზრისით შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ხერხებიც, მაგრამ სტანდარტული და კლასიკური ხერხებით ამოხსნისას მიღებული ცოდნა მეტად მყარი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა შემთხვევაში მიღებული შედეგები. მომავალ მასწავლებლებს მოდულის სწავლების პროცესში, ასევე აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ დამოუკიდებლად მოძებნონ და გამოიყენონ შედარებით არასტანდარტული ხერხები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მათი შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. გამომუშავებული უნარები მათ ადვილად შეუძლიათ გადაიტანონ სასკოლო სწავლებაში.

განვიხილოთ მოდულის შემცველი განტოლების ამოხსნის რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

ამოცანა 1. ამოვხსნათ ანალიზურად და გრაფიკულად განტოლება  $x - 2 = 3$ . მოცემული ამოცანის ამოხსნა შეიძლება მოვახდინოთ ორი გზით: პირველ შემთხვევაში გამოვიყენოთ მოდულის განმარტებიდან, რომ მოდულის ნიშნის ქვეშ გამოსახულება შეიძლება განვიხილოთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი, ე.ი.  $x - 2 \geq 0$ , მაშინ ჩვენი განტოლება მიიღებს სახეს,  $x - 2 = 3$ . ხოლო მეორე შემთხვევაში მოდულის ნიშნის ქვეშ გვაქვს უარყოფითი სიდიდე ე.ი.  $-(x - 2) = 3$ . აქედან გამომდინარე, მოცემული განტოლების ამონახსენია  $x_1 = 5$ ;  $x_2 = -1$

პრაქტიკულ მაგალითზე დაკვირვებით, მომავალი მასწავლებლები მივიყვანეთ მოდულის განმარტებამდე, რომ: თუ რომელიმე გამოსახულების მოდული ტოლია ნამდვილი დადებითი რიცხვის  $a$ , მაშინ მოდულის ქვეშ მყოფი გამოსახულება ტოლია  $a$  ან  $-a$ .


განვიხილოთ მოდულის შემცველი განტოლების ამოხსნის მეორე, გრაფიკული ხერხი. ამოხსნისათვის მთავარია ავაგოთ შესაბამისი ფუნქციების გრაფიკები, რომელთა გადაკვეთის წერტილების აბსცისები იქნება განტოლების ამონახსენი. იმ შემთხვევაში, თუ გრაფიკები არ გადაიკვეთებიან, თვალნათლად ჩანს, რომ განტოლებას ამონახსენი არ აქვს.

გრაფიკული მეთოდით განტოლების ამოხსნა იშვიათად გამოიყენება, რადგან ის მოითხოვს მეტ დროს და, ხშირად, არ არის რაციონალური. შესაძლებელია გრაფიკების გადაკვეთის წერტილები იყოს შორს და გაძნელდეს მისი წარმოსახვა, ასევე მოსალოდნელია გრაფიკების აგებისას ნაკლები სიზუსტე.

მოცემული ამოცანა შეიძლება დავსვათ სხვაგვარადაც და მისი ამოხსნისათვის გამოვიყენოთ სხვა მეთოდი.

ამოცანა - დავამტკიცოთ  $x - 2$  რა მნიშვნელობისათვის იქნება მოდული ნულის ტოლი.

მოცემული განტოლებისათვის შეგვიძლია დავწეროთ  $x - 2 = 0$ .  $x = 2$ . მოცემულ შემთხვევაში რიცხვით ღერძზე მივიღეთ ორი შუალედი. (ნახ. 1)



ნახ. 1


შევადგენთ ორ სისტემას:  $\begin{cases} x \leq 2 \\ -(x - 2) = 3 \end{cases}$  და  $\begin{cases} x > 2 \\ x - 2 = 3 \end{cases}$  მათი ამოხსნით მივიღებთ

$$\begin{cases} x \leq 2 \\ -(x - 2) = 3 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \leq 2 \\ x - 2 = -3 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x \leq 2 \\ x = -1 \end{cases} \Leftrightarrow x = -1$$

$$\begin{cases} x > 2 \\ x - 2 = 3 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x > 2 \\ x = 5 \end{cases} \Leftrightarrow x = 5$$

მიღებული შედეგები აკმაყოფილებს მოცემულ შუალედს.

გრაფიკული გზის განხილვისას უნდა ავაგოთ შემდეგი ფუნქციების გრაფიკები:  $y = |x - 2|$  და  $y = 3$ ;  $y = |x - 2|$  გრაფიკის ასაგებად ჯერ ავაგებთ  $y = x - 2$  გრაფიკს (ნახ. 2) რომელიც  $ox$  ღერძს კვეთს წერტილში (2; 0), ხოლო  $oy$ -ს კი (0; -2)




$ax$  ღერძის ქვემოთ მდებარე წრფის ნაწილი იქნება მოცემული გრაფიკის გაგრძელება, რომელიც სარკისებურად აისახება  $ax$  - ის მიმართ.  $y = 3$  ფუნქციის გრაფიკი არის  $ax$  -ის პარალელური წრფე, რომელიც მას კვეთს  $(0;3)$  წერტილში. გრაფიკების გადაკვეთის წერტილების აბსცისები მოგვეძიებინ განტოლების ამონახსნს.

ამოცანა 2. ამოვხსნათ ანალიზურად და გრაფიკულად განტოლება.  $1+|x|=0,5$ .

აქ გვაქვს შემთხვევა, როდესაც მხოლოდ ცვლადია მოდულის ნიშნის ქვეშ. მომავალ მასწავლებლებს მივუთითებთ, რომ მოძებნონ განსხვავება პირველ და მეორე ამოცანაში. ამის შემდეგ ვახდენთ მის ამოხსნას იგივე გზებით. განტოლების ანალიზურად ამოხსნისას გვაქვს შემდეგი:  $1+|x|=0,5$ ;  $|x|=0,5-1$ ;  $|x|=-0,5$ ; ამ დროს განტოლებას ამონახსენი არ აქვს, რადგან მოდულის განმარტების თანახმად ის ყოველთვის უნდა იყოს დადებითი.

მოცემული განტოლებისთვის იგივე შეიძლება დავამტკიცოთ გრაფიკული გზით ამოხსნისას. გარდაქმნებით მივიღებთ, რომ  $|x|=-0,5$  და  $y=|x|$  ფუნქციების გრაფიკები არიან სხივები, რომლებიც იმავე დროს წარმოადგენენ პირველი და მეორე საკოორდინატო მეოთხედების ბისექტრისებს, ხოლო  $y=-0,5$  არის წრფე, რომელიც გადის  $ax$  ღერძის ქვემოთ (ნახ.3). ამიტომ მოცემულ განტოლებას ამონახსენი არ ექნება.



ნახ. 3

რამდენადაც მოდულის სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო მათემატიკის კურსში, ამდენად მიზანშეწონილია მისი შესწავლისადმი სწორი მეთოდური მიდგომა უნივერსიტეტის პედაგოგიური პროფილის სტუდენტებისათვის, რათა მათ შემდგომში სწორად წარმართონ სასწავლო პროცესი სკოლაში.

#### ლიტერატურა:

1. მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელოები.
2. Васильев Н.Б., Егоров А.А., Задачи всесоюзных математических олимпиад, 2007.

### TEACHING OF MODULAR EQUATIONS

**Mamuli Buchukhishvili**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor  
**Mzia Mamasakhlisi**, Akaki Tsereteli State University, Academic Doctor  
**RESUME**

The notion of module finds an application not only in mathematics, but in physics, technologies, architecture and other scientific fields.

Mathematics allows us for in-depth studying the notion of module by solving such equations, in which variable enters under the sign of module.

When working with students, let's consider methodologically several problems, which we solved both analytically and graphically. We have constructed the relevant graphs and demonstrated the solutions of the equations. We have also developed the methodological approaches of teaching of module, which are mandatory for students of pedagogical profile in order for them to carry out properly training process in school.



# EDUCATION PROBLEMS OF PEOPLE WITH SPECIAL NEEDS ON THE BACKGROUND OF XXI C. CHALLENGES

**Tina Gelashvili**, Samtskhe-Javakheti State University, Professor  
**Gulnara Janova**, Samtskhe-Javakheti State University, Associate Professor

## **Introduction**

The attitude of the modern world towards the people with special needs has not changed much compared to the past centuries. Only in the 60<sup>th</sup> strengthening of the movements of handicapped people in the USA laid the foundations to the philosophy of independent life. At the end of 60<sup>th</sup> and beginning of 70<sup>th</sup> handicapped people reached considerable success in terms of equal rights in different developed countries as a result of political and social activism. This enabled them to improve their living and to live a decent life (**Marekhashvili, 2008**).

The movement of disable people for independent life has spread in other countries as well. This movement gained more and more new adhesions in accordance to the traditions of the society in which it was established. However, the core provisions of the ideology of independent life – the right of free choice, self-help, self-awareness and reestablishment of own rights – remained the same in all countries. According to the world statistics people with special needs compose nearly one-tenth of the population of the Earth. Nevertheless, such an important group of people are in a minority in most of countries – their rights and interests are ignored by the majority (**Ionatamishvili, 2007**).

## **Background Information**

Georgia is a small country which has gone through a very difficult historical way of life. People in the country are aware of the price of freedom, independence, tolerance and respect very well, however the perennial domination of Communist-Bolshevik regime has left its impact on the national consciousness of the Georgian society. It inherited the nihilistic attitude and approach towards its role in civic activities and the discrimination of rights of individual citizens and social groups. The attitude also included the distorted approach towards medically diagnosed disable individuals. Those handicapped were automatically categorized as “disability of work”. People who did not fit the standards of physical and mental skills, in reality lose the opportunity to self-establish in the society and their existence became dependent on others. Being disable in Georgia means inability to live independently, to make decisions independently, to get education in a regular educational institutions with others and to get employed at any organization.

Yet some of the current stereotypes in Georgia in relationship to special needs individuals embrace being dependent on constant care and assistance, other people’s will, philanthropy and support. The Georgian society lack of understanding of the social conditions of the special needs people. They base their opinion on false-imagination and provide support for more family dependency, government solutions, isolation from the rest of society, or placement in special institutions.

## **Legal Protection in Georgia**

The Law on Social Protection of Special Needs People in Georgia was issued on 14th of June, 1995. It lays its foundation on the United Nations Declaration of December 9th, 1975 on the Rights of People with Special Needs. Later, in December 20th 1993, the United Nations issued Standard Rules for ensuring the equal possibilities for people with special needs.

Despite the fact that the UN Standard Rules has the legal right for enactment in the country, Georgia has no created a system of social security and development which would restore the civil rights and opportunities for disable in terms of their basic needs such as being able to use proper transportation, architectural and construction regulations, adequate communication infrastructure, inclusive educational system and equal employment conditions for people with special needs (**Report-Save the children, 2007**). The consequences of these limitations have forced people with special needs not to be incorporated in the labor market creating poverty networks. The government has established a symbolic pension of 30 to 40 Euros monthly complying with one of the rights that has not been denied. Unfortunately, the lack of social policies strengthens the degree of marginalization of this particular social group.

After the declaration of independency in 1977, the country has made efforts through NGOs, donor organizations and foreign partners to face the issues of access to education for children with special needs, for example. In 2009 under the initiative of the Ministry of Education and Science and several international organizations, the Department of Inclusive Education was created which aims to improve the level of education of children with special needs in both public and special schools ([www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge))

## **Preparation of Special Education Teacher**

The Department of Inclusive Education, in 2012, was responsible for creating the framework for the professional standards of the special education teachers. Twenty four teachers were selected from specialized profile schools to be prepared and trained as consultants to deliver professional developments in 36 public schools on issues concerning special and inclusive education. As part of the content, inclusive education teaching method asked for the educational system to include children with special needs in the teaching-learning process happening in the classroom that includes all children without distinction. All-inclusive education. The inclusive education framework calls for attention to be paid especially to those children who are in danger of rejection from the teaching process. However, it is still challenging to obtain information on children with special needs due to the lack of legal data. In the educational laws of the country including higher education law, special needs individuals are rarely mentioned (**Law on Higher Education of Georgia, 2004**).

For example, the 3<sup>rd</sup> article of the higher education law states that “higher educational institution must take provisions to create the learning conditions for the students with special needs”, and the article 43 mentions that “educational institution provides the privileges for creating valuable educational conditions which is determined by the legislation of Georgia and regulation of higher educational institution.” As a consequence of the law, the higher education institutions are obliged to have adapted environment for students with special needs if they want to be authorized and accredited (Standard of Authorization of Higher Educational Institutions, 2013). However, it is important to clarify that these legal provisions and adaptations have been translated into the design and construction of ramps that are very primitively and obsoletely designed.

In Georgia, most universities are still lacking of the proper learning environment for special needs individuals. Unfortunately, there is no social assistance for them in the forms of scholarships, tuition waivers, and fees. Those services to students are still regulated based according to academic excellence (from 91 points) and social status of the family (families living below poverty line). The special needs students only get the meager disability pension ranged between \$30 and \$50.

### **Exploratory Investigation**

Based on the previous information, the researchers were interested in the educational and learning condition of students with special needs in higher education institutions of Georgia. A qualitative study was designed and carried out to determine the status of special education students entering institutes of higher learning in Georgia.

#### **Institutional Data**

According to the information provided by the National Examination Center, 591 people with special needs have entered Georgian higher educational institutions the last four years. That number represents only those who have entered the universities. It is unknown how many of them have pursued their studies. It would be possible that due to the lack of proper physical conditions, some of them have changed their minds and dropped out. It is fair to notice that between 2008 and 2011, the number of students with special needs increased.

It is also important to note that in 2012, the number of students who passed the national examinations decreased. For the current year 2014, only 23 people with special needs have passed the national examination (**Statistics Of National Examination Center, 2014**). It should be mentioned that during the entrance examinations people with physical disabilities, hearing and visually impaired are provided partially with an acceptable environment. On the other hand, once they pass the national entrance exams they confront the dilemma of selecting a higher education institution that would provide the adapted and friendly environment they need. For example, classrooms and teachers are both neither prepared nor equipped to work with special education adults. As a result, they quit studying and drop out of the system. It is also relevant to indicate that recently some universities initiated a study which aimed to identify sources of discrimination and access to higher educational institutions of people with special needs. The target group for the study was people with special needs.

#### **The University Study Data**

Eight accredited universities were selected across Georgia with the purpose of surveying 200 students with pre-prepared questionnaires. The sample criteria was based on the student availability, first time, first serve type of approach. The administration of the survey was limited by the absence of information about the general and special needs population in the universities. However, the main purpose was achieved. The lack of qualitative data from the general population persisted as the problem. Inexistent databases made it difficult to find respondents. At the end, a total of 27 students were surveyed.

#### **The Data Sources**

The data sources involved qualitative and quantitative measures. It was carried out using structured interviews. The interview questionnaires included closed, semi-open and open-ended questions. The questionnaire was structured so as to avoid the embarrassment caused by the subtlety of the topic and to obtain high level of informative results. The first version of the questionnaires was developed and piloted by a group of professional sociologists. Based on the pilot results, some adjustments were considered in order to align and adjust them to the objectives and characteristics of the study. The questionnaire contained three sections. Section I explored purposes and problems of entering the universities that included the study of literature, infrastructure and the satisfaction of student with the work of the various departments. The next section identified types of discrimination from different groups of the society. The final section found out how active students with special needs in the universities are.

#### **Survey and Interview Results**

The interviewers asked the respondents to name the reasons why they have enrolled specific universities. The answers were diverse, including relatively large share of the high quality of study at the desired specialty. In specific, 55% of the respondents claimed that reason. Notably 16% of the respondents said that they enrolled a particular university due to the scores obtained at the entrance examination. Only 6 % of the respondents cited that they enrolled a particular university because of appropriate infrastructure. Ten percent cited the prestigious of an institution and the access to learning. Finally, 3% indicated that they chose the university according to their parents' desire.

One of the main problems affecting the students' selection of certain university is the access to learning. Specifically, the students were asked to identify problems regarding to study literature. Thirty nine percent identified the high prices of textbooks as a major problem to study literature. But, the opposite was also true in which 32 % cited not having any type of issue in regard to study literature. Eleven percent named the lack of materials written in Georgian language and library location across campuses. Only 7% identified the lack of special materials such as textbooks printed with

Braille, audio, video and other versions affecting the learning process. Four percent (4%) outlined lack of electronic versions of materials. One of the respondents claimed that the programs for visually impaired students such as NVD and JAOS, existing in some universities, do not read Georgian characters creating great obstacles for them.

When the respondents were asked if they get any type of assistance from the state, 31 % responded receiving assistance in cash, 13 % having public transportation benefits, 8% being fully paid by state funds and having free medical consultations. It is also interesting to note that only 2% of respondents receive benefits on medicines. One respondent confirmed receiving all type of assistance and benefits. Twenty two percent 22% did not mention any benefits. The rest of the respondents are receiving 100 GEL pension as assistance.

When asked any problems with university infrastructure, 41% chose "other" or "I do not have any problem". Some respondents reported poor room acoustic preventing them from getting good education. Twenty two percent (22%) of the interviewees have problems with lack of ramps in the educational institutions while 28% cited lack of special toilets. The respondents expressed complete dissatisfaction with special inventories particularly, canteen inventories. In terms of working quality of the library and administration, a small number of respondents indicated dissatisfaction. Also, very small number cited not using the library, and not having any connection with the Resource Centers and professional offices. As for the sport gyms, 72% said that universities do not have specific sport materials for special needs people and cannot use sport facilities.

In regard to discrimination factors special needs students are facing in higher education institutions in Georgia, only a small portion of respondents (10%) reported facing discrimination from other students. They are confronting exclusion from the group, cynicism, excessive expression of compassion and human rights violation. One of the respondents pointed out that the service sector used offensive epithets that caused feelings of irritation. One of the visually impaired mentioned that he was given a test written with small characters in spite of the fact that the proctor knew his problems (Education is your right, 2013).

### **Discussion**

If the majority of Tbilisi universities are not equipped with the special infrastructure needed to ensure safe and free movement of the students with special needs, then the law is neglected and the process of learning is interrupted. The conditions in the regional universities are much poorer and require immediate response from the state or other universities. An attempt to partially solve the problem is the implementation of an international project financed by the European Union: TEMPUS\_ASPIRE- Access to Society for People with Individual Requirements, administered by Iliia State University with other Georgian and European partner universities. The aim of this project is to grow civic empowerment and speed up democratic reforms in higher educational institutions by sharing the experience of European universities and experts. The project contemplates the development of learning modules and courses that have been already created to be piloted with future teachers.

June 14<sup>th</sup>, 2014 was marked as the day of Defending Rights of People with Special Needs in Georgia. Five Georgian university presidents signed a joint declaration sending a strong message to the society: "**Concept the possibility**"- "**Create the environment**"-, "**Support education**". By signing this declaration universities assumed the responsibility to ensure a quality life for students with special needs by transforming the educational institutions into inclusive environments, encouraging the raise of academic engagement of students with special needs and teacher/professors, and creating diverse and flexible environment for them.

Some studies suggest that the most common attitude toward people with special needs from society are: evasion, empathy, isolation, excessive protection and aggression. Society stigmatizes those individuals in such a way that affect their mental and spiritual health extremely negative. People think that special needs people have a lot in common with each other. For that reason they avoid them either for compassion or evasion. This, of course, is not true. What they have in common is the disability and therefore may be regarded as valuable members of the society.

We believe that society has the power to change the wrong and negative perception on people with special needs and should return faith in their future. People with special needs should be restored their rights. It is everyone responsibility along with the governments to create and implement policies and activities to enable people with mental or physical disabilities to do the appropriate work. Any organization, public, private, non-for-profit, educational institutions, government among others should create and improve all conditions to solve any problem related to special needs people. It is our responsibility to help these people to become full and active members of the society. Lifting restrictions and creating changes by providing adequate facilities, infrastructure, curriculum accommodations among others would increase the quality of life of disable people. Ramps, voice lifts, sign language translation, and Braille are some of those changes. The integration of people with special needs in the society means overcoming negative policy toward them which is seen quite often.

It should be mentioned that despite the fact that universities assumed responsibility to support people with special needs, creating a comprehensive environment is over the head of any university. The state should be responsibly involved in this important issue and should make relevant legal norms more specific to this group. The allocation of funds in the state budget and the partnership with international donor organizations would be utilized to create massive and continuous campaign to change the mental image and perception that society members still possess. Georgia must demolish the stereotypes created in the Soviet Union that still permeate the culture.

Any of us can find themselves in a similar situation. Students with special needs do not differ from other students; moreover, they are honest, kind and pure soul human beings. I want to send them the message from our hall:

We are with you, Fight together for better future.

## REFERENCES:

1. Marekhashvili N.(2008), Learn the Inclusive Education Together, Tbilisi, p. 47;
2. Ionatamishvili R.(2007), History of Special Needs, Tbilisi, p. 35;
3. Report - Save the children,(2007),Social Integration of People with Special Needs in Georgia, USA;
4. Law on Higher Education of Georgia, 2004;
5. Standard of Authorization of Higher Educational Institutions (2009), ministry of education of Georgia; www.eqe.ge
6. National examination center (2009-2014) Official statistics; www.naec.ge
7. Research report (2013), „Education is your right” ,Tbilisi, ISU,SJSU
8. Declaration (2014), “Concept the possibility”- “Create the environment”-„Support education”. HEI –ISU, SJSU. GIPA, BSU, KSU, Tbilisi, p.1;
9. Ministry of Education and Science of Georgia, www.mes.gov.ge

## RESUME

To protect the rights of people with special needs became more actual after signing the associated agreement with the EU. 10-15 years ago the issue of education for people with special needs was less actual. Although the Ministry of Education and Science of Georgia implemented inclusive education in schools, trained a lot of school teachers, developed a special methodology, the problem remained unsolved.

We got interested in the issue and conducted a research in several universities of Georgia in order to identify the problems of people with special needs.

The research was conducted by using qualitative and quantitative methods and a pre-prepared questionnaire. It revealed mainly infrastructural problems and those which violate the rights of people with special needs.

The article offers proposals which provide solving the problems outlined at higher educational institutions during the research to provide people with special needs with uninterrupted, perfect and desired education, which is the main issue in the building of a democratic society and for their full integration in the learning process.

## სწავლა/სწავლების პერსონალური სივრცე

დარეჯან გელაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასისტენტ პროფესორი

**საკვანძო სიტყვები** - ინტეგრაცია, მულტიმედია, ტექნოლოგია, ინფორმატიზაცია, დისტანციური სწავლება

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სწავლის და სწავლების პროცესში მოითხოვს აზროვნების გარკვეული სტილის ჩამოყალიბებას, სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც ფართო ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობას იძენს სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეების/სტუდენტების ინტელექტისა და შესაძლებლობების ფორმირებისას, რაც თავის მხრივ უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სწავლისა და სწავლების პროცესს. თუ ადრე სწავლების პროცესში სახელმძღვანელოს ერთ-ერთი წამყვანი როლი ჰქონდა, დღეს მოსწავლეს დავალების შესასრულებლად ალტერნატიული წყაროები აქვს. მას თავად შეუძლია უმოკლეს დროში უფასოდ მოიძიოს ინტერნეტში ინფორმაცია მრავალფეროვანი დავალების შესასრულებლად მისთვის საინტერესო საკითხზე, შექმნას სასწავლო რესურსები და თვალსაჩინოება. ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ საგანმანათლებლო სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, ამიტომ მასწავლებლების ერთმა ნაწილმა ის კარგადაც მოარგო სასწავლო პროცესს, მეორე ნაწილის აზრით კი - გასართობი და ზედმეტია. ჩემი აზრით, სარგებელი დიდია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. იგი ხელს უწყობს სასკოლო განათლების ეფექტიანობას, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, როგორცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ჯგუფური დავალებები. თვით არსებული საშუალებების ნუსხა კი იმდენად დიდია, რომ ყველაფრის ერთდროულად გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელიც კია. მთავარია, ვიპოვოთ ის ოპტიმალური შეხამება, რომელიც საშუალებას

მოგვეცემს მოსწავლეებს/სტუდენტებს ინფორმაცია მივაწოდოთ მაქსიმალურად ეფექტურად, ასევე მოვახდინოთ მათი შეფასება და გავზარდოთ მთლიანად სასწავლო პროცესის პროდუქტიულობა. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ უნდა გამოიწვიოს არა სწავლების ტრადიციული მეთოდების უგულვებელყოფა, არამედ დიდაქტიკური ეფექტის მიღწევა უკვე ათვისებული და ახალი შესაძლებლობების ერთობლივი გამოყენებით, ისეთი პირობების შექმნით, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეს, მასწავლებელს და კომპიუტერს შორის წარმოიქმნას და განვითარდეს ინფორმაციულ-სასწავლო ურთიერთმოქმედების პროცესები. ამასთან მოხდეს შემეცნებითი აქტიურობის ფორმირება იმ პირობით, რომ გარემოს კომპონენტები შეესაბამებინან გარკვეული სასწავლო კურსის საგნობრივ შინაარსს.

სწავლა/სწავლების პერსონალური სივრცე ქმნის წინაპირობას პრაქტიკაში პედაგოგიკური ხასიათის შრომების ფართოდ დანერგვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ფაქტობრივი ცოდნის მექანიკური ათვისებიდან ახალი მასალის დამოუკიდებელ ათვისებაზე გადასვლას; ექსპერიმენტების მეცნიერული დონის ამალვებას მათი ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების შესასწავლი მეცნიერების კვლევით-ექსპერიმენტალურ მეთოდებთან მიახლოების მეშვეობით; უზრუნველყოფენ ინფორმაციასთან მუშაობის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, სასწავლო საქმიანობის ინტელექტუალიზაციას. ინფორმატიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განათლების სისტემაში განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს სამეცნიერო მიმართულება, რაც დაკავშირებულია პედაგოგიურ ტექნოლოგიის სრულყოფასთან -ზოგად საგანმანათლებლო საგნების სწავლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან. თანამედროვე თეორიულ და ექსპერიმენტულ გამოკვლევებში ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ (გ. ჩაჩანიძე, ნ. სხირტლაძე და სხვა) ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე აღმოჩენილია და რეალიზებული განათლების სისტემაში სწავლების ეფექტურობის ამალვების, სწავლების საშუალებების დიდაქტიკური შესაძლებლობები.

საქართველოში უკვე განხორციელდა სკოლების, უმაღლეს სასწავლებლების კომპიუტერიზაცია, ინტერნეტიზაცია და ელექტრონული რესურსებიც ხელმისაწვდომია ლექტორ /მასწავლებლებისა და სტუდენტ/მოსწავლეებისთვის. ეს რესურსები ხელს შეუწყობს სტუდენტის/მოსწავლის მიერ საგნის ათვისებას. ინტერნეტ-რესურსები თავისი ვიზუალური მასალებით, ვირტუალური ლაბორატორიებით ზრდის მოსწავლის/ სტუდენტის ინტერესს და ეხმარება მას მასალის დამახსოვრებასა და შემდეგ მის ცოდნად გარდაქმნაში. რადგან ყველა სკოლას არ აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საგნობრივი ლაბორატორია, ახალი კომპიუტერული პროგრამები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ვირტუალურად ჩაატარონ დაკვირვებები და ცდები. ასევე დიდია ელექტრონული ბიბლიოთეკების როლი. მოსწავლეებს/სტუდენტებს შესაძლებლობა ექმნებათ ისარგებლონ მათთვის საჭირო სახელმძღვანელოებით, რაც თავის მხრივ ხსნის საჭირო წიგნების შეძენის პრობლემას (იგულისხმება უმთავრესად კლასგარეშე ლიტერატურა). ჩემი აზრით, ისტ-ის სასწავლო პროცესში ინტეგრაციის კიდევ ერთი დადებითი თვისება არის დროის დაზოგვა, შეუძლიათ ერთობლივად იმუშაონ გარკვეულ საკითხზე, გაიზიარონ ერთმანეთის მოსაზრებები თანაც ხმაურიანი დისკუსიის გარეშე. სწავლის მოდელის შეცვლას განაპირობებს ქსელური ურთიერთობების და სოციალური ქსელების განვითარება. ადრე განათლება ასოცირდებოდა ინდივიდუალურ ან ჯგუფურ სწავლასთან სხვადასხვა მოდიფიკაციებით. დღეს დაემატა ქსელური სწავლა, რომელიც გაცილებით მეტ თავისუფლებას ანიჭებს ინდივიდს. ქსელური სწავლა, ქსელური დისკუსიები არ არის სტრუქტურირებული, ის უფრო მეტად განისაზღვრება მონაწილეების ინტერესებითა და საჭიროებებით. აქ არ არის გამოკვეთილი ლიდერები. აქ არ არის საზღვრები, ნებისმიერს შეუძლია გამოვიდეს ერთი დისკუსიიდან და შეუერთდეს სხვას. ქსელები მუდამ ღიაა ახალი მონაწილეებისათვის.

ინფორმაციულ ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესი ხდება სახალისო, საშუალება ეძლევათ მოიპოვონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, გამოიმუშაონ ის უნარ-ჩვევები და აზროვნების ტიპების განვითარება როგორცაა: გაგების და კომუნიკაციის, ანალიტიკური, სინთეზური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარი. მასწავლებლები შეძლებენ რთული და კომპლექსური ცნებები მოსწავლეთათვის ადვილად გასაგები გახადონ, გაზარდონ მათი სწავლის მოტივაცია და ინტერესი, ერთი და იგივე ინფორმაცია სხვადასხვაგვარად წარმოაჩინონ და მიაწოდონ მოსწავლეებს მათი ინტერესის გათვალისწინებით.

დღესდღეობით თანამედროვე საკლასო ოთახებში პასიური ცოდნის მიღებიდან გადავდივართ აქტიურ სწავლებაზე, ცოდნის შექმნასა და „აგებაზე“ გადატანილი აქცენტი. კონსტრუქტივისტული მიდგომის განხორციელებაში მასწავლებლებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს.

ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა საფუძველია შემდგომში ელექტრონული

წიგნიერების განვითარებისა. დღეს ინტერნეტი მკვეთრად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. თანამედროვე განათლება წარმოუდგენელი გახდა კომპიუტერის და ინტერნეტის გარეშე. მოსწავლეების, სტუდენტების და სხვა მოქალაქეების უმრავლესობა აქტიურად იყენებს კომპიუტერის და ინტერნეტის შესაძლებლობებს სხვადასხვა სფეროში და მათ შორის, განათლების მისაღებად ჩვენ ვფლობთ დიდ ცოდნას და ტრადიციული სწავლების დიდ გამოცდილებას, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ICT-ით სწავლების მეთოდების გამოყენებაში. ინტერნეტ ტექნოლოგიების ათვისება და ყველა სფეროში დანერგვა სწავლის პროცესისა და ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრების კანონზომიერი პროცესია. ამიტომაც ამის მიღწევისათვის ერთადერთ რეალურ გზად გვესახება სასწავლო-აღმზრდელი პროცესში ინტერნეტ ტექნოლოგიების ფართო დანერგვა.

ამჟამად ინტერნეტი ვითარდება იმგვარად, რომ მოხდეს ისეთი მომსახურებების მხარდაჭერა, როგორცაა მაგალითად, აუდიო და ვიდეო ფართოზოლოვანი ნაკადების გადაცემა. საერთო სარგებლობის ქსელის არსებობა (როგორცაა ინტერნეტი) და მძლავრი, ხელმისაწვდომი პორტატიული კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა (როგორცაა პორტატიული კომპიუტერები, ორმხრივი პეიჯერები, პერსონალური ციფრული თანამშემწეები, ფიჭური ტელეფონები) წარმოშობს მობილური კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ახალ პარადიგმას.

კვლევები ადასტურებს, რომ ამ მიმართულებით საქართველოში კიდევ ბევრი რამ არის აღმოსაჩენი და ბევრი შესაძლებლობაა გამოუყენებელი, ზოგიერთი რაიონის სკოლებს არ გააჩნია კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტ სივრცე. თავის მხრივ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წარმატებით ახორციელებს მრავალ რეფორმას, ორგანიზაციული თვალსაზრისით ინტერაქტიული სწავლების რეჟიმი სწავლის პროცესს ბევრად უფრო ხელმისაწვდომს და მარტივს ხდის, ვიდრე განათლების კლასიკური მეთოდები.

ამრიგად, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისას საჭიროა მასალის ათვისების მეთოდის შერჩევა, მოსწავლის/სტუდენტის საგნობრივი უნარ-ჩვევების დონის შერჩევა, მოტივაციის სფეროს განვითარების დონის შერჩევა, თითოეული მოსწავლის/სტუდენტის ინდივიდუალურ-პირადული, ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება. აღნიშნული პრინციპების დაცვით სასწავლო პროცესის ორგანიზაცია მოითხოვს პედაგოგების, ფსიქოლოგების, პროგრამისტებისა და დიზაინერების შეთანხმებულ მუშაობას. საკომუნიკაციო ტექნოლოგიები აღძრავს სწავლების სურვილს, ხელს უწყობს გამოცდილების საფუძველზე პრაქტიკულ სწავლებას, სწავლის პროცესი საინტერესოა, მაღლდება შეთვისების, დამახსოვრების ხარისხი, ხდება ურთიერთობის, თანამშრომლობის, მიზნის მიღწევის, დაწყებული საქმიანობის ბოლომდე მიყვანის, დაკვირვების, ახლის ძიების უნარების განვითარება.

სწორედ „სწავლის პერსონალური სივრცე“ წარმოადგენს მომავალი სწავლის მოსალოდნელ მოდელს. ეს სივრცე არ არის კონკრეტული ადგილი. სწავლის სივრცე განისაზღვრება იმ ადგილით, სადაც ადამიანი იმყოფება მოცემულ მომენტში: კონკრეტული პროდუქტიული ინსტრუმენტი, ვებ-გვერდი ან ონლაინ თამაში. ამ სივრცეში მისაწვდომია ინტერნეტის ყველა ის რესურსი, რომელიც სჭირდება ადამიანს და რომლებიც განისაზღვრება მისი ინტერესებით და მოთხოვნილებებით. ეს რესურსები შეიძლება იყოს გაფილტრული ინტერნეტ თემის მიერ და შექმნილი სხვადასხვა პროვაიდერების (ავტორების, მასწავლებლების, სხვა მოსწავლეების ან თვით ამ პიროვნების მიერ).

დღევანდელ მასწავლებელს/ლექტორს მოეთხოვება როგორც **საგნის ცოდნა**, ასევე **პედაგოგიური და ტექნოლოგიური ცოდნა**. ანუ იმის ცოდნა, თუ როგორ აძლიერებს ტექნოლოგია კონკრეტულ პედაგოგიურ მეთოდებსა და სტრატეგიებს. რაც საწინდარია ტექნოლოგიების წარმატებული ინტეგრაციისა კონკრეტული საგნის სწავლაში. კომპიუტერის ეფექტურად გამოყენება მოითხოვს აზროვნების გარკვეული სტილის ჩამოყალიბებას, სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც ფართო ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობას იძენს სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე/სტუდენტის ინტელექტისა და შესაძლებლობების ფორმირებისას.

#### **ლიტერატურა:**

1. ჩაჩანიძე გ. ინტერნეტში მუშაობის პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბ., 2004.
2. საგნობრივი სტანდარტი ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016.
3. ჩაჩანიძე გ. სართანია ვ. - „ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები“ თბ. 2004.
4. Красильникова, В.А. Информационные и коммуникационные технологии в образовании: учебное пособие/ В.А. Красильникова. - М.: Дом педагогики, 2011.
5. Новые педагогические и информационные технологии в системе образования: учебное пособие /Под ред.

Е.С. Полат. – М.: Академия, 2011

6. Информационные и коммуникационные технологии в образовании /И.В. Роберт [и др.]. – М.: Дрофа, 2008.

7. Angrist, J. and Lavy, V. (2002), "New Evidence on Classroom Computers and Pupil Learning", Economic Journal, 112, 735-765.

8. Kron, Friedrich/Sofos, Alivisos, Mediendidaktik, München, Ernst Reinhardt Verlag, 2003, 33.

9. Mandl, Heinz, Winkler, Katrin, Auf dem Weg zu einer neuen Lehr-Lernkultur, Der Beitrag der neuen Medien, Berlin, Springer, 2003, 77-78.

10. Mandl, Heinz, Gruber, Hans, Renkl, Alexander, Situiertes Lernen in multimedialen Lernumgebungen, Weinheim, 2. Auflage, 1995, 171.

## STUDYING/TEACHING PERSONAL AREA

**Darejan Geladze**, Batumi Shota Rustaveli State University, Assistant Professor

### RESUME

The national objectives of general education requirements for the implementation of special importance include the use of information technologies in studying and teaching. Information technology offers new opportunities for the educational system. Using computers and the Internet make the learning process more interesting and diverse and lead to increase in cognitive activity. Many different kinds of internet resources enrich the teacher and student's activities. They should only use those materials which correspond directly to the lesson topic, know about possible troubles and where to make comments and notes. Select the location that is acceptable for the class area of vision so that activities can be planned that it will evoke possible discussions about the obtained information that is specific to the task. Students can express their opinions freely, ask questions and make assessments of their work and others, too. Determining the need of information guidelines for filling in these materials needed to write the story; to draw up a thesis, etc. „The personal area of studying” represents the possible model of future learning. This area is not the specific place but it is determined by the place, where a person is in a particular moment: the specific productive instrument; website or online game. In this space all the internet resources that are needed by users according to their interests and demands are available. These resources could be filtered by the internet topic and created by providers (authors, teachers, other students or a person himself). Observation has showed that the use of information technology changes the attitude to learning. The process is considered more interesting and successful.

## პედაგოგიურ კვლევებზე დაფუძნებული მასწავლებელთა განათლება

ეკატერინე გიგაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

მასწავლებლის მომზადება, პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა ეფექტური სკოლის საწინდარია. მასწავლებელთა განათლება საქართველოში რეგულირდება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითა და მასწავლებელთა განათლების საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლით. სტანდარტი არის მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის საფუძველი, ხოლო მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების დარგობრივი მახასიათებელი არის დოკუმენტი, რომელიც დამატებით აზუსტებს მასწავლებლის პროგრამის განმახორციელებელთათვის პროგრამის ფარგლებში გამოსამუშავებელი კომპეტენციების ჩამონათვალს და ერთნაირად სავალდებულოა მასწავლებლის მომზადების პროგრამის განმახორციელებელი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება ხდება ბაკალავრიატში, ხოლო საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მომზადება შესაძლებელია როგორც უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის საბაკალავრო პროგრამასთან ინტეგრირებით, ასევე დამოუკიდებლად. ორივე შემთხვევაში პედაგოგიური პრაქტიკა, რომელიც რეალურად სასწავლო კომპონენტში თეორიული ცოდნის პრაქტიკულად დემონსტრირების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს მასწავლებლის პროგრამაში ჩართული მხარეებისთვის, ესენი არიან: სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და სკოლის საზოგადოება, სადაც ხდება დაგეგმილი პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება. როდესაც

საუბარია მასწავლებლისადმი წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე, ცალსახად იგულისხმება იმ უნარ-ჩვევების ფლობა, რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დემონსტრირებასთანაა დაკავშირებული. მასწავლებლის მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს სწავლის შედეგების დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით: ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის/საგნობრივი ჯგუფის ცოდნაზე დამყარებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შერჩევა, სწავლებისა და განვითარების თეორიების კრიტიკულად გააზრება, პედაგოგიური სიტუაციის შესაბამისად, ინკლუზიური განათლების პრონციპების განხორციელება და მოსწავლეებზე, მათ შორის სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება, ეროვნული სასწავლო მიზნების გათვალისწინება და ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით და სხვა. სწავლის შედეგების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია და ამავდროულად მწიკად მიღწევადი. შესაბამისად, კვლევის ამოცანა იყო მასწავლებელთა მომზადების პროგრამის სტუდენტთა, მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებების შესწავლა შემდეგ საკითხებზე:

1. რამდენად ამზადებს საუნივერსიტეტო პროგრამები სტუდენტს პედაგოგიური პრაქტიკისთვის;
  2. რამდენად განვითარებული აქვს სტუდენტს პრაქტიკის განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები;
  3. რამდენად ხელმისაწვდომია სასკოლო რესურსები პრაქტიკაზე მყოფთათვის;
- კვლევის დიზაინის მიხედვით, პირველ ეტაპზე დაიგეგმა პრაქტიკანტ სტუდენტთა შესწავლა პრაქტიკამდელ და პრაქტიკის პერიოდში, ასევე რესურსებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ხოლო შემდგომ ეტაპზე დაიგეგმა მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და ლექტორთა გამოკითხვა. პრობლემის ანალიზისთვის გამოყენებული იყო თვისობრივი კვლევა, ჩაღრმავებული კითხვარი სტუდენტთათვის, ხოლო ფოკუსჯგუფი სკოლის მასწავლებელთა და ლექტორთათვის. გამოკითხულთა წრეში იყვნენ როგორც მასწავლებელთა საუნივერსიტეტო პროგრამის მოქმედი სტუდენტები, ასევე მოქმედი ლექტორები და სკოლის მასწავლებლები. წინამდებარე სტატიაში შემოგთავაზებთ მხოლოდ ჩაღრმავებული კითხვარის პირველად ანალიზს.

### პრაქტიკის შეფასება სტუდენტის მიერ კითხვარი

*გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში. გამოკითხვა ანონიმურია და მიზნად ისახავს პრაქტიკის პროცესის შეფასებას პრობლემების იდენტიფიცირების და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.*  
გთხოვთ X-ით აღნიშნოთ თქვენთვის მისაღები პასუხი. საჭიროების შემთხვევაში გააკეთეთ კომენტარი/რეკომენდაცია.

№	კითხვები	დიახ	ნაწილ ობრივ	არა
<b>1. პრაქტიკისთვის მომზადება</b>				
1	უნივერსიტეტმა მომაწოდა ინფორმაცია პრაქტიკის შესახებ			
კომენტარი:				
2	გავეცანი პრაქტიკით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს			
კომენტარი:				
3	გავეცანი პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმებს			
კომენტარი:				
4	გავეცანი, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება პრაქტიკის ფარგლებში			
კომენტარი:				
5	ვფიქრობ, რომ პრაქტიკის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში			
კომენტარი:				



<b>2. პრაქტიკის პროცესი</b>				
1	მასწავლებელი/მასწავლებლები პრაქტიკის პროცესში ჩართულ სტუდენტებს უზიარებენ თავის გამოცდილებას. ჩემი აზრით, პრაქტიკის პროცესი უზრუნველყოფილია პროფესიონალების მიერ			
კომენტარი:				
2	პრაქტიკის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას პრაქტიკის ხელმძღვანელისგან და სკოლის მენტორი მასწავლებლისგან. საჭიროების შემთხვევაში დამატებით ვიხილავთ საინტერესო საკითხებს კათედრის სხდომებზე			
კომენტარი:				
3	მასწავლებელი სისტემატურად ახორციელებს შეფასებას უკუკავშირის სახით, იძლევა კონკრეტულ რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით, ახდენს ჩემი „პედაგოგიური ქცევის“ კორექციას და მამძღვეს საშუალებას პედაგოგიური სიტუაციების მრავალმხრივი განხილვებისთვის			
კომენტარი:				
4	სასწავლო პროცესი კარგადაა ორგანიზებული, მათ შორის სსსმ მოსწავლეთათვის და საინტერესოდ მიმდინარეობს. თითქმის ყველა საკითხი განხილვას ექვემდებარება, არის თანამშრომლობითი განწყობა			
კომენტარი:				
5	შეაფასეთ, რამდენად გასაგებად გაწვდით მენტორი მასწავლებელი პრაქტიკით განსაზღვრულ მასალას გეხმარებათ პრაქტიკული უნარების განვითარებაში?			
კომენტარი:				
6.	რამდენად საკმარისია პრაქტიკით განსაზღვრული საათები შესაბამისი პრაქტიკული უნარების განსახორციელებლად?			
კომენტარი:				
7	მეცადინეობის დღეები და დრო ჩემთვის მოსახერხებელია			
კომენტარი:				
<b>3. რესურსები და სასწავლო გარემო</b>				
1	შემოთავაზებული საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები აკმაყოფილებს ჩემ საჭიროებებს.			
კომენტარი:				
2	შემოთავაზებული საგანმანათლებლო რესურსები - ინტერნეტ-რესურსები, ჰენდაუტები და სხვ. აკმაყოფილებს სასწავლო პრაქტიკის საჭიროებას.			
კომენტარი:				
3	სასწავლო რესურსები ჩემთვის ხელმისაწვდომია			
კომენტარი:				
4	სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები და სხვა სასკოლო რესურსები ხელმისაწვდომია პრაქტიკაზე მყოფთათვის			
კომენტარი:				
4	სასწავლო კლასები/აუდიტორიები პრაქტიკის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი			
კომენტარი:				

გთხოვთ გახაზოთ ქვემოთ მოცემულ პასუხებიდან ერთ-ერთი:

ა) ყველა მეცადინეობას დავესწარი


ბ) მაქვს უმნიშვნელო გაცდენები

გ) თითქმის ნახევარს ვაცდენ

დ) უმეტეს შემთხვევაში ვერ ვახერხებ დასწრებას, მაგრამ რაც ჩასატარებელი მაქვს ჩავატარებ შეფასების მისაღებად.

სტუდენტების კითხვარი სამი მიმართულებით არსებულ მდგომარეობას აზუსტებს, ესენია პრაქტიკისთვის მზადება, პრაქტიკის პროცესი და რესურსებით უზრუნველყოფა:

ცხრილი 1.



პრაქტიკისთვის მზადება - გამოკითხულთა 60% მიიჩნევს რომ არასაკმარისია, ხოლო 25% თვლის რომ ნაწილობრივ საკმარისია და 15% თვლის რომ საკმარისია.

პრაქტიკის პროცესი - გამოკითხულთა 80 % თვლის რომ არასაკმარისია, 15 % თვლის რომ ნაწილობრივ საკმარისია, ხოლო 5 % თვლის რომ საკმარისია

რესურსებით უზრუნველყოფა - გამოკითხულთა 35 % თვლის რომ არასაკმარისია, 40 % თვლის რომ ნაწილობრივ საკმარისია და 25 % თვლის რომ არაა საკმარისი

სტუდენტთა გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დღეისათვის არსებულ, მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებში შემავალი სასწავლო კურსები თეორიული ცოდნის მიღების შესაძლებლობას უფრო იძლევა ვიდრე პრაქტიკულ გარემოში სამუშაოდ ამზადებს კურსდამთავრებულს, თუმცა მაინც არასაკმარისია. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული პედაგოგიური პრაქტიკის ფორმატი და მოცულობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას მომავალმა მასწავლებელმა პრაქტიკულად მოახერხოს იმის დემონსტრირება, რაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითაა განსაზღვრული და მოქმედ მასწავლებელს მოეთხოვება მოსწავლის აკადემიური წარმატების მიღწევის თვალსაზრისით. კვლევის ფარგლებში გადამოწმდა მასწავლებლის მომზადებისა და მასწავლებელთა განათლების პროგრამები, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა უნივერსიტეტებში საქართველოს მასშტაბით და გამოიკვეთა გარკვეული მსგავსებები და განსხვავებები მათ შორის. მსგავსებები ძირითადად რეგულაციებთან არის დაკავშირებული და ასახავს პროგრამის მოცულობას, კვალიფიკაციას, პრაქტიკის ადგილს სასწავლო პროგრამაში, რაც შეეხება სასწავლო საგნების ჩამონათვალს, მათ შინაარსსა თუ კომპეტენციებს ისინი განსხვავებულია და ეს განსხვავებულობა უნივერსიტეტების აკადემიური თავისუფლებითაა განპირობებული. არსებული განსხვავებულობის გათვალისწინებით რამდენად რეალისტურია უნივერსიტეტების მიერ მასწავლებლის/მასწავლებელთა მომზადების პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ჩვენი კვლევის საგნად რჩება. იმის გათვალისწინებით, რომ არსებული პროგრამებში მხოლოდ 4% არის პრაქტიკისთვის დათმობილი, შეუძლებელია მომავალმა მასწავლებელმა შეძლოს სწავლის იმ შედეგების გამომუშავება, რაც მომავალი მასწავლებლისთვისაა განსაზღვრული. მასწავლებელთა განათლების ფორმატის ცვლილება იმითაცაა განპირობებული, რომ 240 კრედიტის ნაცვლად შემოთავაზებულია 300 კრედიტი. განსხვავება არსებული და სამომავლო პროგრამების მოცულობაში არის 60 კრედიტი, ერთი წელი, რომელიც პრაქტიკაზეა ორიენტირებული. სტუდენტების მხრიდან არის მზაობა შეთავაზებული ერთი წელი დაყონ სკოლაში და შესაბამისად პრაქტიკა განახორციელონ პედაგოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, ანუ, გახდნენ მკვლევარი მასწავლებლები, რომლებსაც პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა, ახალი იდეების, ინოვაციების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვის კომპეტენცია ექნებათ. პრაქტიკის დროს წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენა, კოლეგებთან ურთიერთობა სკოლაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სტუდენტს დაეხმარება დაადგინოს მიზეზი პრობლემის წამოჭრის, თავად მოძებნოს მისი გადაჭრის გზები, რა მეთოდები და საშუალებები გამოიყენოს ამისთვის. აღნიშნული აქტივობების განხორციელება პრაქტიკის პერიოდში დროის სიმცირის გამო ვერ ხერხდება, ამიტომ დასკვნის სახით:

1. უნდა მოხდეს საუნივერსიტეტო პროგრამების როგორც სასწავლო ასევე პრაქტიკის კომპონენტის მოდიფიცირება. სასურველია პრაქტიკის მოცულობა გაიზარდოს მნიშვნელოვნად და მისი

განხორციელება სკოლაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უნდა იყოს შესაძლებელი სტუდენტისათვის, გარდა ამისა, მის შეფასებაში ჩართული უნდა იყოს სკოლა, მასწავლებლები და მისი წარმომადგენლები.

2. მასწავლებლის სტანდარტის უპირველესი დანიშნულება მასწავლებელთა საქმიანობის პროცესის მართვა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა, რაც ყველაზე მეტად ნაყოფიერი მაშინ არის, როდესაც იგი საკლასო ოთახსა და კოლეგების გარემოცვაში ხდება და მასწავლებლებს საშუალება აქვთ გააანალიზონ სწავლების პრაქტიკა და მყისიერი რეაგირება მოახდინონ გამოვლენილ პრობლემებზე.

#### **ლიტერატურა:**

1. ს. ლობჯანიძე - „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“ ინტერნეტ ჟურნალი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვის გზამკვლევი.
2. ნ. ჯავახიშვილი – ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, თბილისი, 2004.
3. EDUCATIONAL RESEARCHER, an official journal of the American Educational Research Association, Printed version 2009. <http://er/aera.net>

## **TEACHERS' EDUCATION BASED OF PEDAGOGICAL RESEARCH** **Ekaterine Gigashvili, Gori State Teaching University, Professor** **RESUME**

The survey revealed that in the university teacher-training program included training courses only gives theoretical knowledge and cannot prepare graduate for working in practical environment, neither within the framework of the program offered pedagogical practices gives the possibility that future teacher could demonstrate that is identified by teacher's professional standards and the acting teacher will be required to achieve academic success of the student. Teacher's academic direction consists of three aspects, namely the effective work on the curriculum, teaching and assessment. All three aspects imply direct involvement at school and the teacher's practical teaching observations or possibilities to carry out surveys. Therefore, the academic program theoretical and current formats of practical components do not give the opportunities to pedagogical research. Among the interviewed respondents, students and working graduates have different opinions and this difference is manifested by skills obtained in in practice.

#### **Conclusion:**

1. University programs should be modified in training components and as for practical components, it is desirable to increase significantly its capacity and, most importantly, the implementation of this component should be possible for student and in its assessment should be involved the school and its representatives.
2. The primary purpose is teacher's business process management and continuous professional development, It is the most prolific when it takes place near the classrooms and colleagues and teachers have the opportunity to analyze the teaching practice and can make an immediate response to the identified problems.

## **თამაში, როგორც სკოლამდელი საქმიანობის ძირითადი სახე**

**მზია გოგიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი**

ადამიანის აქტივობის ისეთი ფორმებიდან, როგორცაა თამაში, შრომა და სწავლა, ბავშვობის პერიოდისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია თამაში. თამაში მოქმედების ის სახეა, რომელსაც დაბადებიდან სკოლამდელი ასაკის ბოლომდე ცენტრალური ადგილი უჭირავს ბავშვის ცხოვრებაში.

თამაშის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ის გარემო ცხოვრებას, ადამიანის საქმიანობას, მოქმედებას, ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს. თამაში თავისი ხასიათით განსხვავდება სხვა საქმიანობისაგან, ამით ის ემსგავსება ხელოვნებას სინამდვილის სახეობრივ გამოსახვაში, მაგრამ მჭიდრო კავშირშია შრომასა და სწავლასთან. რეალური მოქმედების განმეორება თამაშობაში არ არის ზუსტი ანასახი სინამდვილისა. ბავშვები არ არიან დაკავშირებულნი რეალური ვითარების ყველა კონკრეტულ

პირობასთან დროით, მოქმედების ზუსტი თანმიმდევრობით. როცა ბავშვები თამაშობენ, სწამთ, რომ ოთახში ყოფნისას „ცურავენ“ ადელვებულ ზღვაში, განიცდიან შიშის გრძნობას, მისი გადალახვით გამოწვეულ სიხარულს. თამაშის საქმიანობის კიდევ ერთი თავისებურებაა მისი შემოქმედებითი ხასიათი. ბავშვები არიან თამაშობის შემქმნელები და მისი შემოქმედნი. ისინი თამაშობაში გამოსახავენ თავიანთ ცოდნას, მათთვის ცნობილ ცხოვრებისეულ მოვლენებსა და ამბებზე. /1. 366/

კომენსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თამაშს ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარებისათვის. განსაკუთრებით ხაზს უსვამდა თამაშის ასაკობრივ შერჩევას. იგი აღნიშნავდა: „ბავშვები ყოველთვის რაიმეთი არიან გართულნი, ვინაიდან მათ მჩქეფარე სისხლს მშვიდად ყოფნა არ შეუძლია, ეს მეტად სასარგებლოა. ამიტომ არათუ ხელი არ უნდა შევეშალოთ თამაშს, არამედ უნდა მივიღოთ ზომები, რომ მათ ყოველთვის ჰქონდეთ რაიმე გასაკეთებელი. დაე ბავშვები იყვნენ ის ჭიანჭველები, რომლებიც გამუდმებით ფუსფუსებენ, რაიმეს მიაგორებენ, მიაქვთ, მიათრევენ, აწყობენ, აქეთ-იქით ალაგებენ. მხოლოდ საჭიროა დავეხმაროთ ბავშვებს, რომ ყოველივე, რაც ხდება, ხდებოდეს გონივრულად და, როდესაც მათთან ვთამაშობთ, ვაჩვენოთ კიდევ, თითოეული თამაშის ფორმა.“

უზნაძემ თამაში განიხილა ქცევის ისეთ ფორმად, რომელიც განაპირობებს ადამიანის ფსიქიკის განვითარებას. უზნაძე თამაშს აკუთვნებს ქცევის ინტროგენურ ფორმას, ე.ი. ქცევის ისეთ ფორმას, რომელიც შინაგანი იმპულსით, კერძოდ ფუნქციონალური ტენდენციით არის შეპირობებული. უზნაძის მიხედვით, „თამაშის ძირითად არსს, მის შინაგან ბუნებას ბავშვის ბიოლოგიურად არააქტუალურ შესაძლებლობათა ფუნქციონალური ტენდენციის იმპულსით გამოწვეული აქტივობა შეადგენს“. ის ბრძანებს, რომ „თამაში ზედმეტი ენერჯის ხარჯვა კი არ არის, არამედ ამ პერიოდის ბავშვის ასაკობრივ გარემოსთან შესატყვისი ძალების ამოქმედებაა. თამაშის აზრი თვით მოქმედებაშია, ე.ი. პროცესუალურია, თამაშს მოქმედების „ფუნქციონის ტენდენცია“ ამოძრავებს ე.ი. მოქმედების მოთხოვნილებაა.

თამაში არ ემორჩილება რეგლამენტაციას, როგორც სწავლა და შრომა. შრომაში იქმნება სოციალური ღირებულება, თამაში კი ამ მიზანს არ ისახავს, მაგრამ ავითარებს იმ თვისებებს, რომელიც შემდეგ გამოადგება შრომაში. ასევე თამაში ენათესავება ხელოვნებას სინამდვილის გამოსახვაში. თამაშის საქმიანობის კიდევ ერთი თავისებურებაა მისი შემოქმედებითი ხასიათი. ბავშვები არიან თამაშობის შემქმნელები და შემოქმედნიც. ბავშვები თამაშში წარმოსახულ მონაწილესთან აწარმოებენ დიალოგს, ესაუბრებიან სათამაშოს, ანუ ისინი ჩუმად არ თამაშობენ მაშინაც, როცა მარტონი არიან. ხოლო ურთიერთობის დროს ისინი ერთმანეთს უზიარებენ აზრებს, თანხმდებიან სიტყვიერად. თამაშის მთავარ სახეს სათამაშო მოქმედება და სიტყვიერი ურთიერთკავშირი წარმოადგენს. თამაშის პროცესში ბავშვები ადგენენ წესებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის ფორმაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის უცვლელი და სტერეოტიპული სახით ხორციელდება. თამაში ასაკობრივ გარემოებასთან ერთად იცვლება, იცვლება როგორც მისი შინაარსი, აგრეთვე ფორმაც. თამაშია არა მხოლოდ სკოლამდელთა სასიამოვნო საქმიანობა, არამედ თამაშია აღზრდისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი საშუალება. ამიტომ აღმზრდელი თამაშის დროს ზემოქმედებას ახდენს ბავშვის პიროვნებაზე, მის ნებისყოფაზე, გრძნობებზე, საქციელზე და ამ ყოველივეს იყენებს გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდისათვის. რადგან სწორედ თამაშის დროს ღრმავდება და ზუსტდება ის ცოდნა და წარმოდგენები, რაც ბავშვებს აქვთ. თამაშია ის აქტივობა, როდესაც ბავშვი ითვისებს ქცევის წესებს, დამოკიდებულებას შრომისადმი. მნიშვნელოვნად ყალიბდება თვითონ ბავშვის ქცევა, ურთიერთდამოკიდებულება. აღმზრდელი თამაშს იყენებს როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალებას, რადგან თამაშის უმრავლესობა მოითხოვს აქტიურ მოძრაობებს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, ტანადობას, მოძრაობის კოორდინაციის განვითარებას. ასევე თამაში გამოიყენება როგორც ესთეტიკური აღზრდის საშუალება, რადგან ისინი სამყაროს აღიქვამენ როლისა და სახის საშუალებით.

როგორც უკვე ვთქვით, თამაში ურთიერთკავშირშია საბავშვო საქმიანობის ისეთ სახეობებთან როგორცაა, შრომა და სწავლა. შრომისა და თამაშის ურთიერთკავშირი იმით განსხვავდება, რომ მუშაობა ადამიანის მონაწილეობაა საზოგადოებრივ წარმოებაში, მატერიალურ, კულტურულ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალურ ღირებულებათა შექმნაში. თამაში არ ისახავს ასეთ მიზნებს, საზოგადოებრივ მიზნებთან მას პირდაპირი დამოკიდებულება არ აქვს, მაგრამ არაპირდაპირი დამოკიდებულება კი აქვს. იგი ადამიანს აჩვენებს იმ ფიზიკური და ფსიქიკური ძალების გამომუშავებას, რაც აუცილებელია მუშაობისათვის. /2. 375/

თამაში ასევე გავლენას ახდენს ბავშვის შემეცნებით განვითარებაზე, ცოდნის გაფართოებაზე. თამაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია შინაარსით, თავისებურებებით, იმით, თუ რა ადგილი უჭირავს თამაშს ბავშვის ცხოვრებაში მის აღზრდასა და სწავლაში.

საბავშვო ბაღში ადგილი აქვს შემდეგი სახის თამაშობებს: დიდაქტიკური თამაში, შემოქმედებითი თამაში, მოძრავი თამაში, თამაში დრამატიზაცია, სამშენებლო თამაში, მუსიკალური და სხვა. ეს თამაშები ერთმანეთისგან განსხვავდება შინაარსით, ორგანიზაციის ფორმით, იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს ბავშვის ცხოვრებაში, აღზრდასა და სწავლებაში. განსხვავებენ თამაშის ორ სახეს: წესებიანს და შემოქმედებითს. წესებიანი თამაშის დროს ბავშვს არ შეუძლია თამაშის წესის დარღვევა, თუმცა თვითმოქმედება გამორიცხული არ არის, იგი აღმზრდელის ხელმძღვანელობასთანაა შეხამებული. წესებიან თამაშებს განეკუთვნება: დიდაქტიკური, მოძრავი და მუსიკალური თამაშები. შემოქმედებით თამაშს განეკუთვნება თამაში დრამატიზაცია და სამშენებლო თამაში, სადაც თამაშის ცენტრს როლი წარმოადგენს, რომელსაც ბავშვი ასრულებს. ამიტომ ასეთი თამაში როლიანი ანუ სიუჟეტურ -როლიანია. სადაც როლი ყოველთვის შეფარდებულია ადამიანთან ან ცხოველთან. როდესაც ბავშვი როლში შედის ის გადაიქცევა იმით, რასაც ან ვისაც წარმოსახავს. თამაშის ორგანიზატორია აღმზრდელი, ის წარმართავს თამაშის მსვლელობას ისე, რომ მათი თვითშემოქმედება არ შეავიწროოს. (ამიტომაც არის შემოქმედებითი).

ბავშვები თამაშს იწყებენ დაბადების პირველი თვეებიდან. ძირითადად თამაში ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს ან თამაშობენ ერთიმეორის გვერდით. ერთად თამაში ხდება მხოლოდ უფროსის მონაწილეობით.

უფროს ჯგუფში იცვლება თამაშის თემატიკა და შინაარსი. გარდა საყოფაცხოვრებო ხასიათისა, ჩნდება შრომითი და საზოგადოებრივი ხასიათის ამსახველი თამაშები. თამაშის თემატიკა იცვლება შთაბეჭდილებების დაგროვების საფუძველზე, იცვლება თამაშის სტრუქტურა და ფორმა. თანდათან უჩნდებათ თამაშის ბოლომდე მიყვანის სურვილი. ბავშვები დამოუკიდებლად უნდა ახერხებდნენ თამაშის თემის შერჩევას, როლების განაწილებას და თამაშის ორგანიზაციას.

დიდაქტიკური თამაშის შინაარსი და წესი მოზრდილების მიერ წინასწარ არის დადგენილი და თამაშისათვის საჭირო მასალასთან ერთად ბავშვებს მზა სახით ეძლევათ. თამაშის წესის დაცვა აუცილებელია თითოეული მოთამაშისათვის დიდაქტიკური თამაშის თავისებურებას შეადგენს თამაშის სასწავლო ხასიათი. დიდაქტიკური თამაში ერთდროულად სწავლების ფორმაცაა. ის სწავლების ფორმას აადვილებს, ვინაიდან ესა თუ ის გონებრივი ამოცანა ყოველთვის ხორციელდება თამაშის პროცესში. დიდაქტიკური თამაში ავითარებს დამოუკიდებლობას, ბავშვის აზროვნების აქტიურობასა და მეტყველებას. თამაშის წესი შეიცავს სასწავლო, მორგანიზებელ და დისციპლინირებულ ხასიათს. თამაშის ამოცანა მოითხოვს გულმოდგინებას, ყურადღებას, გონებრივ დამაბვას, წესების მოსაზრებას, უნარს, მოქმედების თანმიმდევრობას, სიძნელის გადალახვას. შეგრძნებისა და აღქმის განვითარებას, წარმოდგენათა ფორმირებას, ცოდნის შექმნას. ეს თამაშები საშუალებას იძლევა ბავშვებს შევასწავლოთ სხვადასხვაგვარი ეკონომიკური და რაციონალური ხერხებით გადაწყვეტა ამა თუ იმ გონებრივი და პრაქტიკული ამოცანებისა. ამაშია მათი განმავითარებელი როლი.

ა. ვ. ზაპოროჟეცი დიდაქტიკური თამაშის როლის შეფასებისას წერდა: „ჩვენთვის აუცილებელია მივალწიოთ იმას, რომ დიდაქტიკური თამაში იყოს არა მარტო ფორმა ან თუ იმ ცოდნისა და უნარი შეთვისებისა, არამედ იგი ხელს უწყობდეს აგრეთვე ბავშვების განვითარებას, ემსახურებოდეს მისი ნიჭიერების ფორმირებას“.

პროფესორი რ. ნათაძე წერს: „წესის მიხედვით მოქმედება ხელს უწყობს ბავშვის მიერ თავისი ქცევის რეგულაციას, იმპულსების შეკავებას და საზოგადოდ მარტივი დისციპლინირების განვითარებას და შემდეგში მოვალეობის განცდის ჩამოყალიბებას“.

მოძრავი თამაშები აკმაყოფილებენ ბავშვის მზარდი მოძრაობის მოთხოვნილებას. ამავე დროს ამ თამაშებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის პიროვნული თვისებების ფორმირებისათვის. მოძრავი თამაშები, მოძრაობების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობენ საკუთარი მოძრაობების ფლობისა და მართვის უნარის აღზრდას ბავშვებში. ასეთი თამაშები ბავშვებისაგან მოითხოვს ფსიქიკურ აქტივობას, შექმნილ ვითარებაში სწრაფად ორიენტირებას მიზანშეწონილი მოქმედების შერჩევას. გარკვეულ სმენით თუ მხედველობით გამღიზიანებლებს, სწრაფად აღქმას და ამის მიხედვით თამაშის წესით გათვალისწინებული მოქმედების შესრულებას, სივრცეში ორიენტირებას და ა.შ.

საბავშვო ბაღში მოძრავი თამაში ძირითადად დაკავშირებულია ბავშვის ფიზიკურ აღზრდასთან და საფუძვლად უდევს სხვადასხვა მოძრაობები: სიარული, სირბილი, ხტომა, ცოცვა, ტყორცნა და სხვა. ეს კი საშუალებას აძლევს ბავშვს ივარჯიშოს ძირითადი მოძრაობების დაუფლებაში. თამაშის დროს შესრულებული მოძრაობა იწვევს ბავშვის წვრილი და მსხვილი კუნთების განვითარებას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და მთელი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებას. ის გავლენას ახდენს ნერვული სისტემის განვითარებაზე, კერძოდ შემაკავებელი უნარის. ასევე ბავშვს თამაშის შესრულებისას უხდება გარკვეულ ნიშანზე, გარკვეული მოძრაობებით რეაგირება, ხოლო სხვა ნიშანზე ამ მოძრაობის შეკავება. ეს კი ხელს უწყობს შემაკავებელი პროცესის განვითარებას.

წარმატებით რომ შესრულდეს თამაში, საჭიროა არა მარტო სისწრაფე და მოქნილობა, არამედ მოსაზრებულობა, თავშეკავებულობა, თავისთავის ფლობა. მოძრავი თამაში თხოულობს ყველა მოთამაშისაგან მოქმედების შეთანხმებას და წესის ზუსტად შესრულებას.

ხალისიანად თამაშობენ ბავშვები მუსიკალურ თამაშებსაც, რომელიც მოითხოვს მუსიკის მელოდის ყურადღებით მოსმენას, მის ხასიათში სწრაფად გარკვევას და მის შესაბამისად მოძრაობის, ტემპის, რიტმის შეცვლას.

თამაშ დრამატიზაციაში ბავშვები ზღაპრის ან მოთხრობის სიუჟეტის მიხედვით ასრულებენ გარკვეულ როლს. თამაში დრამატიზაცია აიგება ლიტერატურულ მასალაზე. ამ თამაშის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვები იგებენ ღრმა შინაარსს, მეტყველებენ ნაწარმოების გმირის ენით და სწავლობენ გამომსახველობით მეტყველებას. ეჩვევიან შეთანხმებულ მოქმედებას და უვითარდებათ ნაწარმოების განცდისა და აღქმის უნარი.

თამაში დრამატიზაციის ხელმძღვანელობა მოითხოვს დიდ ოსტატობას და პედაგოგიურ ტაქტს. აღმზრდელმა თამაში ისე უნდა წარმართოს, რომ არ დაარღვიოს იგი. შეინარჩუნოს თამაშის თვითმოქმედი და შემოქმედებითი ხასიათი, განცდის უშუალოება, თამაშის სინამდვილის რწმენა.

ასევე დიდი ადგილი უკავია საბავშვო ბაღში სამშენებლო (შენები) თამაშს. აღმზრდელისათვის მნიშვნელოვანია გაითვალისწინოს სიუჟეტურ-როლებიანი და სამშენებლო თამაშის ურთიერთკავშირი და ურთიერთგავლენა. თამაში აერთიანებს ბავშვებს საერთო ამოცანის გარშემო, აჩვენებს შეთანხმებულ მოქმედებას, ურთიერთისადმი დახმარებას, ხელს უწყობს ბავშვის აქტივობის და ინიციატივის განვითარებას, აგრეთვე ავითარებს დაკვირვებულობას. პატარებისათვის დამახასიათებელია თამაშის პროცესუალური ხასიათი (აშენება, დაშლა, ისევ აშენება, ისევ დაშლა და ა.შ.). სამუალო და უფროს ჯგუფებში დამახასიათებელია თემატიკის თანდათანობით გაფართოება. თანდათან რთულდება კონსტრუქცია. აღმზრდელი სისტემატურად უნდა ხელმძღვანელობდეს ბავშვთა თამაშს და ხელს უწყობდეს მისი შინაარსის გამდიდრებას.

თუ შევეცდები თამაშის მნიშვნელობის ზოგად ფორმულირებას, შეიძლება გვეთქვას, რომ ის არის ბავშვის ყოველმხრივი ფსიქიკური განვითარების ძირითადი და შეუცვლელი წყარო. ამიტომაც ის სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმა. საზოგადოდ, ადამიანის არსებობის ბუნებრივი მდგომარეობა აქტივობაა. იგივე ითქმის ბავშვზე, როგორც ადამიანის შვილზე. ბავშვის აქტივობა იმდენად მისი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას არ ხმარდება (ამაზე დიდები ზრუნავენ), რამდენადაც ფსიქიკური ფუნქციებისა და პიროვნული თვისებების განვითარებას. სკოლამდელ ასაკში სწავლისა და შრომის ელემენტები მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ. დღის განმავლობაში ბავშვის სიფხიზლის დროის უდიდესი ნაწილი თამაშითაა დაკავებული. ამ ასაკში კი ბავშვის განვითარება უდიდეს ნახტომს აკეთებს (სრული უსუსურობიდან სწავლისათვის გამოსადეგი პიროვნების ჩამოყალიბებამდე) და ეს უდიდესი საქმე თამაშის პროცესში რეალიზდება. /3. 337/

ყოველივე ამის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ რომ თამაში სკოლამდელთა აღზრდისა და სწავლების განვითარების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ბავშვის ასაკობრივი თავისებურება, ინტერესი და აღზრდის კონკრეტული ამოცანები უნდა განსაზღვრავდეს აღმზრდელის მიერ ასაკობრივ ჯგუფებში თამაშის ორგანიზაცია-ხელმძღვანელობას. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო დიდი ადგილი უჭირავს თამაშს მის ცხოვრებაში. ამიტომ საკმაოდ ხშირად უნდა იყოს გამოყენებული იგი ბავშვის აღზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

#### **ლიტერატურა:**

1. სკოლამდელი პედაგოგიკა. ვ. ი. იადეშკოსა და ფ. ა. სოხინის რედაქციით, თბ., 1987.
2. მაკარენკო ა. ს., თხზ. ტ. 7, თბ., 1973.
3. ყოლბაია მ., ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1998.

## **PLAYING AS A MAIN ACTIVITY FOR CHILDREN UNDER SCHOOL AGE**

**Mzia Gogiashvili, Gori State Teaching University, Academic Doctor**

### **RESUME**

Playing is a main activity for children under school age. It is not limited in time like learning and labor. Playing is the most important mean for developing and improving learning in children under school age. Interest and peculiarities related to child's age determines tutor's choice of game, that's why a game mostly should be used for child's development.

## იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ დიდაქტიკურ-შემეცნებითი მნიშვნელობა

ორინე გოგებერიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი  
თამარ დოგრაშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ხშირად ვამბობთ და სავსებით სამართლიანადაც, „დედა ენის“ მეტი რომ არაფერი დაეწერა იაკობ გოგებაშვილს, მის სახელსა და ხსოვნას არც დიდება მოაკლდებოდა და არც ბრწყინვალეობა. მაგრამ ეს როდი ჩრდილავს მისი ავტორის მრავალმხრივსა და მრავალფეროვან ტიტანურ მოღვაწეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და პედაგოგიურ-მწიგნობრულ ასპარეზზე.

იაკობ გოგებაშვილის მხატვრული ნაწარმოებების უმრავლესობა საბუნებისმეტყველო თემებზეა აგებული. ეს იმიტომ, რომ ბუნების შესწავლა სასკოლო ასაკის ბავშვთა მიერ მას მიაჩნდა ყველაზე უფრო სასარგებლოდ მათი რეალისტური მსოფლმხედველობის შემუშავებისათვის. ამასთან, ითვალისწინებდა იმ გარემოებასაც, რომ ბუნების „დაპყრობისა“ და მასზე „გაბატონებისათვის“ აუცილებელია მისი ღრმა ცოდნა.

საგანთაშორისი კავშირების იდეა ცალკე, გამოკვეთილად, იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში არ ჩანს, რადგან, მას საგანთაშორისი კავშირებისათვის ცალკე შრომა არ მიუძღვნია, მაგრამ იგი თავისი გენიალური სახელმძღვანელოების „დედა ენისა“ და „ბუნების კარით“ (პირველად 1868 წელს გამოიცა), ნათლად დაადასტურა, რომ ამ საკითხების საკმაოდ მაღალ დონეზე მცოდნეა და პროპაგანდისტია. ეს სახელმძღვანელოები იმთავითვე ქართველი ხალხის სამაგიდო წიგნად იქცა. „ბუნების კარს“ ხალხისთ სწავლობდნენ არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეები, არამედ მის მდიდარ მასალას დიდი ინტერესით კითხულობდა ყველა, ვინც კი წერა-კითხვა იცოდა, ისინი ვინც სკოლაში დადიოდა და უფრო ასაკოვანნიც.

„ბუნების კარი“ დიდი მოცულობის სახელმძღვანელო იყო. მისი პირველი გამოცემა 335 გვერდს შეიცავდა, 22-ე გამოცემაში ეს რაოდენობა 632 გვერდამდე გაიზარდა. მოცულობის ზრდასა და ცვლილებას ძირითადად სახელმძღვანელოში მასალის განახლება იწვევდა.

„ბუნების კარი“ ბუნებასა და საზოგადოებაზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე უხვ ინფორმაციას შეიცავს და ამიტომ, სახელმძღვანელოს ფუნქციასთან ერთად, იგი თავის დროზე პატარებისათვის ენციკლოპედიის როლსაც ასრულებდა. ასე რომ, „ბუნების კარმა“ ქართველ ხალხში მეცნიერული ცოდნა შეიტანა და აქტიურად შეუწყო ხელი ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის ხალხში დამკვიდრებას, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველთა დაახლოება-დაკავშირებას, ერის კონსოლიდაციას.

„ბუნების კარის“ სხვადასხვა გამოცემებს წინ უძღვის განსხვავებული შინაარსისა და მოცულობის ავტორისეული წინასიტყვაობანი, რომლებიც სხვადასხვა კუთხით ღრმად აანალიზებენ სახელმძღვანელოს აგების დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიურ პრინციპებს, შინაარსის აქტუალობას, მასალათა დალაგების სისტემას, სწავლების იდეურ მიზანდასახულობასა და აღმზრდელობით ფუნქციას. ეს წინასიტყვაობები წარმოადგენენ „ბუნების კარის“ სწავლების მეცნიერულ მეთოდოლოგიას, რასაც თავის დროზე მარჯვედ იყენებდნენ ქართული ენის მასწავლებლები მომავალი განათლებული და ღირსეული მამულიშვილების აღსაზრდელად.

როცა ი. გოგებაშვილმა „ბუნების კარი“ შეადგინა, მას უკვე ჰქონდა გამოცდილება ისეთი რთული სახელმძღვანელოს შედგენისა, როგორც „ქართული ანბანი“, რომელიც პირველად 1865 წელს გამოიცა. უკვდავი „დედა ენა“ კი „ბუნების კარის“ გამოცემიდან 8 წლის შემდეგ გამოიცა. ასე რომ, „დედა ენას“ წინ „ბუნების კარი“ უძღოდა, როგორც სწავლების III და IV წლების სახელმძღვანელო და იგი ეყრდნობოდა „ქართულ ანბანსა და პირველ საკითხავ წიგნს მოსწავლეთათვის“, რომელიც საინტერესო საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიულ საკითხავ მასალას შეიცავდა, ხოლო 1876 წლიდან მტკიცე საფუძველად მას „დედა ენა“ დაედო.

„ბუნების კარი“ ორიგინალური და სრულიად თავისებური წიგნია. მასში მოთავსებული მრავალი მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, აგრეთვე თარგმანები, რომლებიც მის მიერ არის შესრულებული და სახალხო მოთხრობები, იგავ-არაკები და ლექსები, რომლებიც იაკობის მიერვეა გადმოკეთებული - ისეთ მხატვრულ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც თავისი ესთეტიკური ღირსებითა და ემოციური სიძლიერით ღრმად სწვდებიან ჭაბუკის სულს, რაღაც საოცარი სითბო შეაქვთ მის განცდებში და აკეთილშობილებენ მის გრძნობებს.

იაკობი სრულიად სამართლიანად ფიქრობს, რომ ქართველი ხალხის სიღარიბის ერთ-ერთი მიზეზი ბუნებრივი სიმდიდრეთა გამოუყენებლობაა, რაც მეტნაკლებად ბუნების არცოდნის შედეგია. (ამ საკითხს, ჩვენდა სავალალოდ უნდა ითქვას, თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს).

იაკობ გოგებაშვილი მოწადინებულია საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური თემები, შეძლებისამებრ, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებას დაუკავშიროს და ამით უფრო მეტი ინტერესი გამოიწვიოს მისდამი. მოთხრობა „დევნული მეგობარი, ანუ ზღარბი“ სწორედ ამგვარად არის დაწერილი. ამ მოთხრობის ძირითადი მიზანია ზღარბის თვისებების გაცნობა. იმისათვის, რომ მოთხრობა მშრალ ბიოლოგიურ აღწერას არ დაემსგავსოს, იაკობი იყენებს მასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ფაბულას და გარკვეული სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების ფონზე შლის მას.

მკითხველის ინტერესი სათაურიდან იწყება: ზღარბი-მეგობარი, ზღარბი-დევნული მეგობარი! რატომ ითვლება ზღარბი ადამიანის მეგობრად და თუ მეგობარია, რატომ არის ის დევნილი? იაკობი ნამდვილი ხელოვანის ოსტატობით ავითარებს შინაარსს და მარტივი თხრობით აცნობს პატარა მკითხველს ზღარბის, როგორც ბიოლოგიურ აგებულებასა და საოცარ თვისებებს, ისე მის როლს სოფლის მეურნეობაში. მკითხველისათვის ნათელი ხდება, რატომ არის ზღარბი ჩვენი მეგობარი, როგორ დევნის მას ზოგიერთი ადამიანი თავისი უცოდინარობით და როგორ უნდა მოვუაროთ ამიერიდან ასეთ სასარგებლო ძუძუმწოვარს.

საბუნებისმეტყველო თემების მხატვრული გადმოცემის მთავარ ხერხად იაკობი, უფრო ხშირად საუბარს მიმართავს. საუბარი ისეა აგებული, რომ მოუბართავან ერთ-ერთს იგივე სურვილი აქვს, რაც მკითხველს. ამგვარად, მკითხველი არ არის პასიური აღმქმელი მოთხრობის სიუჟეტის და მისი გმირების მოქმედებისა. ის თვითონაა საუბრის ერთ-ერთი ინიციატორი და გრძნობს თავის აქტიურობას.

იაკობ გოგებაშვილი მართებულად ამტკიცებს, რომ უმცროსი ასაკის ყმაწვილებს კონკრეტული საგანი უფრო იზიდავს და აინტერესებს, მაგრამ არა ყოველი კონკრეტული საგანი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელსაც „პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ცხოვრებასთან“. ამ თითქოს უბრალო დებულებაში მოჩანს იაკობის დიდი ნიჭი და იშვიათი დაკვირვების უნარი. მართლაც, ტრადიციული მტკიცება იმისა, რომ ზავშვს იზიდავს ყოველი კონკრეტული საგანი ან მოვლენა, მიუხედავად იმისა, თუ რა კავშირი აქვს ამ საგნებსა და მოვლენებს ზავშვის ყოფასთან, უქველად მცდარი, მიუღებელი აზრია. „ბუნების კარის“ მასალას სწორედ ამ პრინციპით არჩევდა იაკობი: „ჩვენ ვცდილობდით, – წერს იგი, – ყოველი განყოფილება ისეთი შინაარსით გაგვევსო, რომელიც პასუხს უგებს ყმაწვილს მისთვის საინტერესო საკითხებზე და რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანის, ქართველის ცხოვრებასთან“.

იაკობის ეს ცდა, როგორც ვიცით, დიდი წარმატებით დამთავრდა. როგორც საკუთარი, ისე ნათარგმნი მოთხრობები იაკობ გოგებაშვილისა მეტად აქტუალურ საგანმანათლებლო ამოცანებს ემსახურებიან და ხელს უწყობენ მკითხველთა საბუნებისმეტყველო ინტერესის განვითარებას.

ბუნების კანონების, მისი საიდუმლოების იშვიათი გულთამხილავი იაკობ გოგებაშვილი კარგად გრძნობდა, რომ „ბუნება მრავალგვარი სიცოცხლით დუღს და დაუსრულებელი ცოდნის წყაროა“, რომ „ბუნება და ადამიანი ერთმანეთზე განუწყვეტლად მოქმედებენ. ადამიანს ბევრგვარი ცვლილება შეაქვს ბუნებაში, ვიდრე არ დაამყარებს შესაძლო ჰარმონიას მისსა და თავის მოთხოვნებს შორის“ [1].

ამიტომ იაკობ გოგებაშვილი, როგორც დიდი ჰუმანისტი, მოითხოვდა ბუნებასთან ადამიანთა სათუთ დამოკიდებულებას, ახალგაზრდობაში მისი სიყვარულის გრძნობის აღზრდას და დაცვის ინტერესის გაღვივება-განვითარებას, მოსწავლეებსა და მოსახლეობაში ეკოლოგიური განათლების ფართოდ დანერგვას, რაც დიდი პედაგოგის წინასწარმეტყველების იშვიათ ალღოს მიეწერება.

იაკობ გოგებაშვილი თავისი „ბუნების კარს“ ფართო ამოცანების გადაწყვეტას უსახავდა მიზნად: „ჩვენ მოწადინებული ვიყავით მოგვეცა ჩვენი სკოლისა და ოჯახისათვის იმისთანა სახელმძღვანელო, რომელიც ეხმარება ერთსა და იმავე დროს გონების განვითარებასაც, გულის გაკეთილშობილებასაც, ნებისა და მისწრაფების განმტკიცებასაც. ერთი სიტყვით, ხელს შეუწყობს სულის ჰარმონიულად განვითარებას, რაც შეადგენს იდეალს სწავლისა და აღზრდისას და რომელზედაც არის დამოკიდებული ყოველი ერის წარმატება, ბედნიერება“ [2].

როგორც ვიცით, იაკობ გოგებაშვილი ინტელექტუალურ აღზრდაზე წინ მოქალაქეობრივი, ადამიანური თვისებების აღზრდას აყენებდა. ამიტომ „ბუნების კარის“ მე-10 გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერს: „ჩვენი წიგნი რომ მარტო გონების გამდიდრებასა და განვითარებას მისდევდეს, ეს დიდი ნაკლოვანება იქნებოდა, რადგანაც პატოსანის კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდის თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა...“

იაკობ გოგებაშვილი არამარტო დიდი პედაგოგი იყო, არამედ მაღალი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული დიდი საზავშვო მწერალიც, რომელსაც კარგად ემარჯვებოდა მეცნიერული ცოდნის მიმზიდველი ენობრივ ფორმაში მიწოდება. ის წერს: „რათა უფრო მიმზიდველი გაგვეხადა ყმაწვილებისათვის „ბუნების კარი“, მის შედგენის დროს გვერდი ავუქციეთ იმისთანა მშრალს მხარეებს



საგნებისას, როგორც არის კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველების და მათი ანატომიური აგებულება, რაც შეადგენს პირდაპირ საგანს ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოსას. სამაგიეროდ დიდი ყურადღება მივაქცევთ მას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მცენარეთა და ადამიანთა შორის, როგორ ცხოვრობს ცხოველი, როგორ იბრძვის არსებობისათვის, რა ადგილი უჭირავს ბუნებაში, რა დამოკიდებულება აქვს სხვა ცხოველებთან და მეტადრე ადამიანთან და თვით თავის სამშობლოსთან (ფრინველების მგზავრობა, ორაგულის ცხოვრება“. [3].

„ბუნების კარის“ გამძლეობის, ფართოდ გავრცელებისა და სიყვარულის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მისი შემოქმედების მხატვრული აზროვნებისა და მეტყველების სტილის თავისებურება, რის შესახებაც იგი შემდეგს გვაუწყებს: „რათა გაგვეადვილებინა ამოდენა წიგნის გათავება ორის წლის განმავლობაში, ჩვენს, წერილებს მივეცი თუმეტს წილად მოთხრობითი ფორმა, რომელიც ერთიორად და სამად უადვილებს მოსწავლეთა საგნის შეთვისებას“.

იაკობ გოგებაშვილის თხრობის ენა მდიდარია ლექსიკით, კეთილზმოვანებით, სიმარტივით. მისი მეტყველება ბუნების საგნებისა და მოვლენების გადმოცემის დროს ხალხურ მეტყველებას უახლოვდება და წარმოადგენს მისი ენის მთავარ ნაკადს. იაკობის მიერ „ბუნების კარში“ გამოყენებული ბუნების მოვლენების დამახასიათებელი ფრაზები ემოციურია, გამოირჩევა თავისი წყობით და იაკობისათვის დამახასიათებელი ფაქიზი მელოდიური ბგერით. მისი ენობრივი სტილი ჭარბად შეიცავს ბუნების მოვლენებისა და ფაქტების გამოსახვის უამრავ საშუალებას, იდეის ყოველი ნიუანსი პოულობს აქ თავისი გამოვლინების შესაფერ და მახვილ ფორმას. გოგებაშვილის სიტყვა გულწრფელი, დამაჯერებელი და მიმზიდველია. იაკობი წერს მთელი გულით, მოგვითხრობს დიდი გრძნობით, გატაცებულია თავისი მართალი საქმით და გჯერათ მისი. ძალიან უყვარს მას თავისი ქვეყნის განუმეორებლად ლამაზი ბუნება და ასეთივე სიყვარულით წერს მის შესახებ. ეს კი იაკობს, როგორც საბავშვო მწერალს საუკეთესოდ გამოსდის და ამ თვალსაზრისით ის ქართულ პედაგოგიკაში პიონერია, რომლის სიმალლესაც ვერც შემდგომმა თაობებმა და ვერც თანამედროვეებმა სამწუხაროდ ვერ მიაღწიეს.

ცხადია, რომ ბუნების მოვლენის და ბუნებაში არსებული სახეობების შესახებ მეცნიერული ცოდნა ყოველდღიურად მდიდრდება და იხვეწება, მაგრამ მოცემულ მომენტში როგორია იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება ბუნების აღწერის მის ხელთ არსებული მასალებისადმი? პირველ ყოვლისა, იაკობმა მშვენივრად იცოდა, რომ თემის გადმოსაცემად საჭირო მასალას დამუშავება და მისი გამოყენება გარკვეული პედაგოგიური მიზნისათვის სრულებითაც არ ნიშნავს ამ მასალის არსებითად შეცვლას, გადაკეთებას. განსაკუთრებული სიზუსტით იცავდა ამ პრინციპს იგი მცენარეთა და ცხოველთა სახეობებზე და მათ კონკრეტული წარმომადგენლებზე სასწავლო თემების დამუშავებისას.

„ბუნების კარი“ თავისი მაღალი პედაგოგიკური მიმართულებით, მაღალმხატვრული თხზულებებითა და შემეცნებითი ხასიათის მეცნიერული ნარკვევებით (სტატიებით) წარმოადგენს დიდაქტიკურ-მეთოდოკურ პრინციპებზე აგებულ „დედა ენის“ მონუმენტურ სახელმძღვანელოს, რომლის ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნის მიწოდებასთან ერთად უხვად იძლეოდა ქართული ახალგაზრდობის სულიერი, მორალური და პატრიოტული აღზრდის მდიდარ მასალას, ნერგავდა ახალგაზრდობასა და ხალხში ბუნების სიყვარულსა და ჭეშმარიტ ეკოლოგიურ განათლებას, ხელს უწყობდა ახალგაზრდობის მხატვრული და ლოგიკური აზროვნების უნარის, ესთეტიკური გრძნობების აღზრდას, ახალი სალიტერატურო ქართულის - დიდი ილიასა და სახელოვან სამოციანელთა დასის - მეტყველების ფორმების დანერგვას მოსწავლე ახალგაზრდობასა და მოსახლეობაში.

#### **ლიტერატურა:**

1. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 3, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1954.
2. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 6, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1958.
3. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 9, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1962.

## **DIDACTIC AND COGNITIVE IMPORTANCE OF 'BUNEBIS KARI' BY IAKOB GOGEBASHVILI**

**Irine Gogiberidze, Akaki Tsereteli State University, Assistant Professor**

**Tamar Dograshvili, Akaki Tsereteli State University, Associate Professor**

### **RESUME**

For I. Gogebashvili the study of nature by school-age children was the most important for their outlook of their development. "The Bunebis kari" is the first class reading book in Georgian language which is compiled by I. Gogebashvili. It is a continuation of his "Georgian Alphabet" (hereinafter referred to as "The Deda ena") which was

released in November 1868. “The Bunebis kari” is an elementary-encyclopedic book, which gets the useful knowledge to the students about nature and society. Materials are sorted by pedagogical and methodical sequence and is written in clear language and consists of several chapters.

Iakob Gogebashvili as a great humanist, requiring the delicate attitudes from human to nature, in his youth to bring a sense of love and foster interest in the protection and development, encouraging environmental education widespread. To implement all of these National Guidelines “The Bunebis karis” has the greatest merit. It has the largest role in the Georgian language and cultural protection and development.

## სტრატეგიების კავშირი სწავლის წარმატებასთან

**რუსუდან გოგობია**, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული მასწავლებელი, განათლების დოქტორი

ბოლო წლების მეთოდურ ლიტერატურაში ძალიან პოპულარული გახდა ახალი ტერმინი – სტრატეგია, რომელიც ნიშნავს მოქმედების სტილს ენის ათვისების პროცესში.

რებეკა ლ. ოქსფორდის მიხედვით, სწავლის სტრატეგიებია „ოპერაციები“, რომლებიც გამოიყენება მოსწავლის მიერ, რომელიც ეხმარება ენის ათვისებაში, აგროვებს, ადადგენს და იყენებს ინფორმაციას, სპეციალური მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება მოსწავლის მიერ, ისწავლოს უფრო ადვილად, სწრაფად, ხალისით, ეფექტურად, სწორი მიმართულებით.

სტრატეგიებისა და სწავლაში მოპოვებული შედეგების კავშირის კვლევა დაიწყო „ძლიერი მოსწავლეების“ სტრატეგიებით რუბინის (1975) და სტერნის (1975) მიერ. ამ კვლევის შემდეგ უამრავი მკვლევარი შეეცადა შეესწავლა ენის შესწავლის სტრატეგიის მნიშვნელობა წარმატებულ მოსწავლეებში (ჩემოტი და კუპერი, 1989; ნაიმანი, ფროლიხი, სტერნი და ტოდესკო, 1978 და ა. შ.). მათ აღნიშნეს, რომ წარმატებული მოსწავლეები უფრო ხშირად იყენებენ ენის შესწავლის სტრატეგიებს, ვიდრე ნაკლებად წარმატებული მოსწავლეები. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ენის შესწავლის სტრატეგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხოური ენის შესწავლისას.

ნაიმანი, ფროლიხი, სტერნი და ტოდესკო (1978) შეეცადნენ შეესწავლათ ძლიერი მოსწავლეები. მათ აღმოაჩინეს 6 სტრატეგია:

**სტრატეგია 1:** მოსწავლისთვის შესაფერისი სწავლის სტილის პოვნა. ზოგიერთი იყენებს აუდიო მასალას, ზოგიერთი კი ცდილობს ურთიერთობის დამყარებას.

**სტრატეგია 2:** მოსწავლე ენის შესწავლის პროცესში. ისინი კლასში არიან აქტიურები. უსმენენ რადიოს, დადიან კინოში.

**სტრატეგია 3:** ენის ცოდნის განვითარება, როგორც სისტემა და როგორც კომუნიკაცია. მათ ესმით, რომ ენა არის არა მარტო წესების რთული სისტემა, არამედ რომ ის გამოიყენება მიზნის მისაღწევად.

**სტრატეგია 4:** ყურადღების მიქცევა ენის ცოდნის განვითარებაზე. ისინი კმაყოფილები არიან ენის ცოდნის დონით, მაგრამ მაინც ცდილობენ მის გაუმჯობესებას. ითხოვენ შეცდომები შეუსწორონ.

**სტრატეგია 5:** უცხო ენის განვითარება როგორც ცალკე სისტემა. მოსწავლეები ცდილობენ განავითარონ საკუთარი ცოდნა, შესასწავლ ენას არ უკავშირებენ მშობლიურ ენას.

**სტრატეგია 6:** ანგარიშის გაწევა იმ მოთხოვნებისთვის, რომლებსაც უცხო ენა წამოაყენებს. მოსწავლეს უჭირს თავისი თავის გამოვლენა, ის უშვებს ბევრ შეცდომას.

ზოგიერთ მოსწავლეს შეუძლია უფრო ზუსტად, დეტალურად და ორგანიზებულად ფიქრი, რადგან ისინი არიან უნარიანები, შეუძლიათ ანალიტიკური აზროვნება ზეპირ მასალაზე და დამახსოვრება. ეს უნარები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი წარმატებისთვის. ნაკლებად წარმატებულ მოსწავლეებს შეიძლება არ ჰქონდეთ წარმატება იგივე მიზეზების არ ქონის გამო, მათ არ შეუძლიათ სტრატეგიების წარმოჩენა უუნარობის გამო.

წარმატებული მოსწავლეები არკვევენ თუ რომელი სტრატეგიები არის გამოსადეგი. ასევე ეფექტურია, როდესაც სტრატეგიებს აერთიანებენ.

რუბინი (1975) ჩამოთვლის კარგი მოსწავლის შემდეგ თვისებებს:

- არის გულმოდგინე და მოაზროვნე;

- უყვარს ურთიერთობა;
- ნელია, იმიტომ რომ ნაკლები შეცდომა დაუშვას;
- ყურადღებანიანია დავალების მიმართ, იყენებს ანალიზს;
- იყენებს ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას;
- ყურადღებას აქცევს საკუთარ მეტყველებას;
- ყურადღებას აქცევს სიტყვის მნიშვნელობას.

ვენდენმა (1991) კვლევა ჩაატარა 60 სტუდენტზე. სტუდენტები დაყვეს ძლიერ და სუსტ ჯგუფად. მონაცემები შეაგროვეს ანკეტების და ინტერვიუების სახით. ანკეტების შედეგად მიღებული მონაცემები ემყარებოდა ფორმალურ პრაქტიკას, ფუნქციონალურ პრაქტიკას და მონიტორინგს.

ფუნქციონალური სტრატეგიების კატეგორია შედგებოდა რამდენიმე სტრატეგიის კომპონენტისგან: ა) ურთიერთობა; ბ) აზროვნება უცხო ენაზე; გ) ჯგუფური მუშაობა. ფუნქციონალურ პრაქტიკულ სტრატეგიაში შედის ლექციები, ტელევიზორის და ფილმების ყურება.

რუბინის (1975) მიხედვით კარგი მოსწავლეები არიან გულმოდგინეები, აქვთ მიხვედრილობის უნარი. არიან კომუნიკაბელურები, მოჰყავთ მაგალითები და აანალიზებენ, ხშირად მიმართავენ პრაქტიკას, ყურადღებას აქცევენ საკუთარ მეტყველებას, ასევე სიტყვის მნიშვნელობას.

წარმატებული მოსწავლეები ირჩევენ სტრატეგიებს, რომ იმუშაონ ერთად, კარგად ერგებიან მოცემულ დავალებას (ჩემოტი, კუპერი, 1989). სტუდენტებს შეუძლიათ ადვილად ახსნან სტრატეგიები, რომლებსაც ისინი იყენებენ და ასევე თუ რატომ იყენებენ მათ (ო'შელი, ჩემოტი, 1990).

კვლევებიდან ჩანს, რომ წარმატებული მოსწავლეები იყენებენ სტრატეგიების ფართო არჩევანს. მაგ.: მათ შეიძლება გაიმეორონ ჩუმად თავისთვის ბგერები, რომლებიც ესმით მასწავლებლისგან, ან სხვა სტუდენტებისგან. როდესაც მასწავლებელი კითხვას უსვამს სხვა სტუდენტს, ისინი ხშირად ფიქრობენ საკუთარ პასუხზე და ადარებენ მას სხვა პასუხებს. როდესაც სწავლობენ დიალოგს, ისინი ცდილობენ გააიგივონ უცხო ენის როლებთან და დიდი ყურადღება მიაქციონ იმ ენის მნიშვნელობას, რომელსაც იყენებენ. მათ შეუძლიათ განიხილონ გაკვეთილის მასალა სხვა სტუდენტებთან. კლასის გარეთ ისინი იყენებენ ყველა შესაძლებლობას გამოიყენონ ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება. მაგ.: ადამიანებთან ურთიერთობა, რადიოს მოსმენა, გაზეთების კითხვა.

კარგი მოსწავლეები არიან აგრეთვე ძალიან აქტიურები, მონდომებულები სწავლის პროცესით და მათი პიროვნული სწავლის სტილით, ისინი იყენებენ სტრატეგიებს სწავლის გასაუმჯობესებლად. ცდილობენ აღმოაჩინონ თუ რომელი სტრატეგიები არის მნიშვნელოვანი ენის განვითარებისთვის. ასეთმა კვლევებმა აჩვენეს, რომ წარმატებული მოსწავლეები იყენებენ უფრო მეტ სტრატეგიებს, ვიდრე არაწარმატებული მოსწავლეები. მათ ასევე აჩვენეს, რომ სხვადასხვა სტრატეგიები დაკავშირებულია მეორე ენის სწავლის სხვადასხვა ასპექტებთან. სტრატეგიები, სადაც შედის ფორმალური პრაქტიკა (მაგ.: ახალი სიტყვის გამეორება) ხელს უწყობს ლინგვისტური უნარის განვითარებას, მაშინ, როდესაც სტრატეგიები, სადაც შედის ფუნქციური პრაქტიკა (მაგ.: იპოვო თანამოსაუბრე) ეხმარება მეტყველების განვითარებას. წარმატებულმა მოსწავლეებმა შეიძლება აგრეთვე გამოიყენონ სხვადასხვა სტრატეგიები სხვადასხვა საფეხურზე მეტი განვითარებისთვის.

სუსტები არიან ის მოსწავლეები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მასწავლებელზე. სტუდენტებს უნდა ასწავლონ დამოუკიდებლად მუშაობა.

ო'შელიმ და ჩემოტმა (1990) ჩაატარეს ასევე კვლევა. ერთი ჯგუფი მოამზადეს კოგნიტურ და სოციალურ სტრატეგიებში, მეორე ჯგუფი მოამზადეს მეტაკოგნიტურ სტრატეგიებში. მესამე ჯგუფი არ მოამზადეს არც ერთ სტრატეგიაში. იმ ჯგუფმა, რომელიც მოამზადეს მეტაკოგნიტურ სტრატეგიებში კარგი შედეგი აჩვენა მეტყველებაში, მაგრამ არა მოსასმენ დავალებებში. ჯგუფმა, რომელიც მოამზადეს კოგნიტურ სტრატეგიებში უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე საკონტროლო ჯგუფმა. აქედან გამომდინარე ო'შელი და ჩემოტი ამტკიცებენ, რომ სტუდენტები, რომლებიც გამოიყენებენ სწავლის სტრატეგიებს, გაუმჯობესებენ ენის ცოდნის დონეს. ო'შელი აცხადებს, რომ სტრატეგიის სწავლის ეფექტურობა დამოკიდებულია კულტურულ თავისებურებასთან. თუმცა ეს დებულება არ არის დაფუძნებული შედარებით ანალიზზე.

ამგვარად, სტრატეგიები გავლენას ახდენენ ენის შესწავლის წარმატებაზე, არსებობს სტრატეგიების ურთიერთკავშირი: ა) ენის შესწავლის პროცესთან; ბ) ენის სწავლების და ურთიერთობის დაუცველობის გაზრდასთან და გ) სწავლების მართვასთან.

სტრატეგიები, სადაც შედის მარტივი ოპერაციები ლინგვისტურ მასალაზე, როგორცაა გამეორება, დაზეპირება, ხშირად გამოიყენება საშუალო სკოლებში. სხვა სტრატეგიები, როგორცაა მონიტორინგი ან დაჯგუფება და ა. შ. მოგვიანებით წარმოჩინდა და ნაკლებად გამოიყენება. ადვილი

სტრატეგიები უფრო ხელსაყრელია ყველასთვის და ვარჯიშმა შეიძლება მოახდინოს გავლენა მათ ხშირ გამოყენებაზე, ხოლო რთული სტრატეგიები შეიძლება ყველასთვის არ იყოს მისაღები.

ასევე სტრატეგიები ფართოდ არის დაკავშირებული სწავლის გამოცდილებასთან.

ოშელის კვლევაში შედის ისეთი საკითხები, როგორცაა ყურადღების გამახვილება და მონიტორინგი. ვენდენი (1983) მიმართავს მოსწავლის უნარს მისი საჭიროების ანალიზისთვის, დაგეგმისთვის და პრიორიტეტების შესაქმნელად. თითოეულ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს წარმოდგენა მოსწავლის აზროვნებაზე, მის სწავლაზე და არჩევანის გაკეთებაზე, თუ რომელი არის მისთვის ოპტიმალური.

მოტივაციის თვისობრივი ანალიზები დაკავშირებულია სტრატეგიების მართვასთან. შეიძლება მოტივაციური ორიენტაციების დაკავშირება სტრატეგიებთან.

შმიდტმა ეგვიპტეში კვლევის შედეგად დაადგინა, რომ ინსტრუმენტულად მოტივირებული სტუდენტები უფრო ხშირად იყენებდნენ კოგნიტურ და მაორგანიზებელ სტრატეგიებს.

უცხო ენის სწავლის სტრატეგიები არის სპეციფიკური მოქმედება, ქცევა, საფეხურები, ან ტექნიკა, რომლებსაც სტუდენტები იყენებენ წარმატების დასამტკიცებლად მეორე ენის გამოყენებისას (ოქსფორდი, 1990). სტრატეგიები არის მოქმედების იარაღი, რომელიც საჭიროა მეორე ენის კომუნიკაციური ნიჭის განვითარებისთვის (ოშელი, ჩემოტი, 1990).

კოგნიტური (მაგ.: თარგმნა, ანალიზი) და მეტაკოგნიტური (მაგ.: დაგეგმვა, ორგანიზება) სტრატეგიები ხშირად გამოიყენება ერთად, ისინი ერთმანეთს აძლიერებენ (ოშელი, ჩემოტი, 1990). სტრატეგიების კომბინაციას ხშირად აქვს მეტი გავლენა, ვიდრე თითოეულ სტრატეგიას.

უცხო ენაზე საუბარი მოითხოვს ისეთ სტრატეგიებს, როგორც არის რისკი, პერიფრაზირება, სიტყვაუხვობა, თვით-მონიტორინგი და თვით შეფასება.

სოციალური და ემოციური სტრატეგიები ნაკლებად არის მოცემული უცხო ენის კვლევებში. ეს ალბათ იმიტომ, რომ ეს ქცევები არ არის შესწავლილი მკვლევარების მიერ იმიტომ, რომ მოსწავლეები არ აქცევენ ყურადღებას საკუთარ გრძნობებს და სოციალურ ურთიერთობას როგორც უცხო ენის სწავლის პროცესის ნაწილს (ოქსფორდი, 1994).

როგორც აღვნიშნეთ, რებეკა ოქსფორდის კვლევები სტრატეგიების შესახებ და მის მიერ შექმნილი კითხვარი ყველაზე პოპულარულია ენის შესწავლის თანამედროვე მიდგომებში.

ოქსფორდი (1990) გამოყოფს შემდეგ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სტრატეგიების არჩევანში.

**მოტივაცია.** მოტივირებული მოსწავლეები იყენებენ მეტ სტრატეგიებს, ვიდრე ნაკლებად მოტივირებული მოსწავლეები. დორნიისა და ოტოს აზრით (1998), სწავლის სტრატეგიები, როგორც მიზანმიმართული ქცევები დამახასიათებლად მიუთითებს მოტივაციის არსებობაზე.

**სქესი.** მდებრობითი სქესის მოსწავლეები უფრო იყენებენ სტრატეგიებს, ვიდრე მამრობითი სქესის მოსწავლეები.

**კულტურული ბექგრაუნდი.** ზეპირი დამახსოვრება და დამახსოვრების სხვა ფორმები უფრო იყო გავრცელებული აზიელ სტუდენტებში, ვიდრე სხვა კულტურული ბექგრაუნდის მქონე სტუდენტებთან.

**დამოკიდებულება და შეხედულებები.** ამას აქვს დიდი ეფექტი სტრატეგიების არჩევანში, უარყოფითი დამოკიდებულებები და შეხედულებები ხშირად იწვევს სუსტ სტრატეგიებს.

**დავალბის ტიპი.** დავალბის არსი ეხმარება განსაზღვროს სტრატეგიები.

**ასაკი.** სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა სახის სტრატეგიებს.

**სტილი.** სწავლის სტილი ხშირად განსაზღვრავს უცხო ენის სწავლის სტრატეგიების არჩევანს. მაგ.: ანალიტიკური ტიპის სტუდენტები უპირატესობას ანიჭებდნენ ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა ანალიზების დაპირისპირება, წესების შესწავლა და სიტყვების და ფრაზების ანალიზი, სხვა სტუდენტები იყენებენ სტრატეგიებს მნიშვნელობის გასაგებად (გამოცნობა, დამარცვლით კითხვა, წინასწარ თქმა) და საუბრობენ მიუხედავად იმისა, რომ არ იციან ყველა სიტყვა (პერიფრაზირება, შესტიკულაცია).

**ენის სასწავლო გარემო** ახდენს ასევე გავლენას სტრატეგიების გამოყენებაზე.

**კარიერაზე ორიენტაცია** ახდენს ასევე გავლენას სტრატეგიის გამოყენებაზე.

**ენის დავალბის სირთულე** გავლენას ახდენს სტრატეგიულ არჩევანზე ბევრ კვლევაში (ბილისტოვი, 1990; ოშელი და ჩემოტი, 1990).

**პრაქტიკული, რეალისტური მაჩვენებლები** - როგორცაა ანკეტები, ინტერვიუები, მოსწავლის დღიურები და საკლასო ოთახებზე დაკვირვება. ესენი არის ასევე სტრატეგიის მთავარი პირობა.

**გამოცდილება.** მოსწავლემ სტრატეგიის გამოყენებით შეიძლება ვერ მიიღოს მაღალი შედეგი, მაგრამ მიიღებს დიდ გამოცდილებას.

**შეწყობა** მოსწავლის სწავლების საჭიროების მიხედვით: მასწავლებლების უმრავლესობამ იცის მათი მოსწავლეების მიმდინარე სწავლის სტრატეგიები, მათ უფრო ეფექტურად შეუძლიათ სწავლების შეწყობა მოსწავლეების საჭიროებებთან. მაგ.: ზოგ სტუდენტს შეუძლია მეტი გამოცდილება მიიღოს ვიზუალურად ნაწილობრივ მასალიდან, ვიდრე აუდიო მასალიდან. ასეთი ცოდნა ეხმარება მასწავლებელს სისტემატურად შეუდგეს სტრატეგიის სწავლებას და გააუმჯობესოს ენის სწავლება.

მიუხედავად ნაშრომების სიმრავლისა, ჩვენი აზრით კვლევები მოსწავლის სტრატეგიების შესახებ საკმაოდ ამორფულ მდგომარეობაშია. არსებობს სისტემატური საწყისები სტრატეგიების სქემების კატეგორიზაციაში. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, მეტაკოგნიტური, კოგნიტური, თანამშრომლობითი სტრატეგიები ხელსაყრელია სკოლაში სწავლისთვის. მაგრამ ისევ ღიად რჩება კონკრეტული ტიპის სტრატეგიის როლი სასწავლო პროცესის ეფექტიანობისათვის

ოქსფორდის მიერ დამუშავებული კითხვარი („ენის შესწავლის სტრატეგიების გაზომვა“) საკმაოდ ხშირად გამოიყენება განსხვავებული კულტურის და განათლების სისტემების პირობებში. ერთ-ერთი ასეთი კვლევა ეკუთვნის ტაივანის მკვლევარებს. ჩვენ კვლევით ნაწილში ამ შედეგებს შევადარებთ ჩვენს მიერ მიღებულ მასალას.

ყველა ენის შესწავლის სტრატეგიები დაკავშირებულია კონტროლის თავისებურებაზე, მიზანმიმართულებაზე, ავტონომიაზე და თვითეფექტურობაზე.

მიზანი ითვალისწინებს მიმართულებას მოქმედებისკენ. მიზნის მიღწევა შეიძლება ინგლისურენოვანი ჟურნალების კითხვით. სწავლის სტრატეგიები შეიცავს ასევე დროის დაგეგმვას, სტატიების კითხვას, სიტყვის მიხედვით შინაარსის გაგებას, ყველაფერს, რასაც შეიძლება ეწოდოს სტრატეგიული ჯაჭვი: გადაბმის სისტემა, კავშირი და სტრატეგიების მხარდაჭერა.

სწავლის სტრატეგიები არის განსაკუთრებული მიდგომა ან ტექნიკა, რომელსაც მოსწავლეები ცდილობენ გამოიყენონ უცხოური ენის შესასწავლად. ისინი პრობლემაზე ორიენტირებულნი არიან. მოსწავლეები იყენებენ სწავლის სტრატეგიებს, როდესაც ისინი აწყდებიან პრობლემებს, როგორცაა ახალი სიტყვის გახსენება. მოსწავლეებმა ჩვეულებრივ იციან ის სტრატეგიები, რომლებსაც ისინი იყენებენ.

მოსწავლეებს, რომლებსაც ხშირად აქვთ პრობლემები, ამბობენ თუ რა სურთ მათ თქვან, მაგრამ, ვერ გამოთქვამენ არასაკმარისი ცოდნის გამო. იმისთვის, რომ დაძლიონ ეს პრობლემები ისინი მიმართავენ სხვადასხვა სახის კომუნიკაციურ სტრატეგიებს. მაგ: მათ შეუძლიათ თავი აარიდონ პრობლემურ საკითხს. თუ მოსწავლემ არ იცის სიტყვა შესასწავლ ენაში, მას შეუძლია მშობლიური ენიდან გამოიყენოს, ან კიდევ მეორე შესასწავლი ენიდან, რომელიც მნიშვნელობით ახლოსაა ან შეეცადოს პერიფრაზირება გაუკეთოს სიტყვის მნიშვნელობას ან ააგოს ახალი სიტყვა (მაგ: „სურათის ადგილი“ „სამხატვრო გალერეიდან“). ეს სტრატეგიები აშკარა გამონაკლისია იმ სტრატეგიების, რომლებიც გამოიყენება მშობლიურ ენაში.

• არსებობს ბევრი მცდელობა იმისა, რომ აეგოთ ფსიქოლინგვისტური მოდელები **კომუნიკაციური სტრატეგიების** გამოსაყენებლად. მაგალითისთვის, კლაუს ფერჩმა და გაბრიელე კასპერმა (1980) შემოგვთავაზეს სამეტყველო პროდუქციის მოდელი, სადაც შედის დაგეგმვა და შესასრულებელი ფაზა. კომუნიკაციური სტრატეგიები განიხილება, როგორც დაგეგმვის ფაზის ნაწილი. მათ იყენებენ მაშინ, როდესაც მოსწავლეები ეცნობიან გეგმის რამდენიმე სახის პრობლემას, რომელიც ხელს უშლის მათ შესრულებას. მათ ასევე შეუძლიათ მიატოვონ გეგმა და განავითარონ სუსტი სტრატეგია (როგორცაა განსხვავებული ტოპიკის გამოყენება), ან შეეცადონ შეინარჩუნონ ორიგინალური კომუნიკაციური მიზანი რამდენიმე სახის მიღწევითი სტრატეგიის ადაპტირებისთვის (როგორცაა მშობლიური ენიდან გადმოტანა). საინტერესო იქნება იმის გარკვევა ახდენს თუ არა გავლენას კომუნიკაციური სტრატეგიების გამოყენება უცხოური ენის ათვისებაზე. მაგ: ამჩნევენ თუ არა მოსწავლეები ხარვეზებს კომუნიკაციური სტრატეგიების გამოყენების შედეგად? ან კომუნიკაციური სტრატეგიების წარმატებული გამოყენება თავს არიდებს მოსწავლეებისთვის იმის საჭიროებას, რომ ისწავლონ სწორად შესასწავლი ენის ფორმები.

#### **კომუნიკაციური სტრატეგიები:**

**უხესიტყვაობა,** სადაც მოსაუბრე აღწერს შესასწავლი საგნების ან მოქმედებების თვისებებს. (ფერი, ზომა, ფორმა, ფუნქცია და ა.შ.)

**სიტყვასიტყვითი თარგმანი:** ამ სტრატეგიის წარმატება დამოკიდებული უნდა იყოს მოსაუბრის თავდაჯერებულობაზე, რომ მსმენელმა იცის მისი მშობლიური ენა, ან ის რომ, მოსაუბრის მშობლიურ ენასა და ინგლისურ ენას შორის არის მსგავსება სტრუქტურაში.

**მიმიკურად გამოსახვა**, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა ამ ურთიერთობაში მოსწავლის მიერ.

სტუდენტებს, რომლებიც ავითარებენ სტრატეგიულ ნიჭს ინგლისურ ენაში, სჭირდებათ განავითარონ ისეთი ლინგვისტური წყაროები, სადაც კომუნიკაციური სტრატეგიები იყო გამოყენებული. მშობლიურ ენაზე მოსაუბრეები უფრო მეტად იყენებენ უხვსიტყვაობას და მიახლოებით მნიშვნელობას, ვიდრე არამშობლიურ ენაზე მოსაუბრეები. არსებობს მკაფიო განსხვავებები მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ჯგუფსა და არამშობლიურ ენაზე მოსაუბრე ჯგუფს შორის დონის მოხედვით, ინფორმაციის გადაცემაში. არამშობლიურ ენაზე მოსაუბრე ჯგუფმა გაითვალისწინა მეტი დეტალი, ვიდრე მშობლიურ ენაზე მოსაუბრეებმა.

ფერჩმა და კასპერმა (1983) კომუნიკაციური სტრატეგიები დაყვეს ორ მთავარ ჯგუფად:

### **1. შესასრულებელი სტრატეგიები.**

ესენი იყოფა გამაერთიანებელ სტრატეგიებად, როგორცაა დახმარების თხოვნა და არაგამაერთიანებელ სტრატეგიებად, სადაც მოსწავლე ცდილობს პრობლემების გადაჭრას სხვისგან დაუხმარებლად.

ფერჩმა და კასპერმა სტრატეგიებს შორის გამოყვეს:

– **შენაცვლება.** მოსაუბრეები ანაცვლებენ სიტყვებს ერთი-მეორეს, მაგ.: "if" for "weather".

– **განზოგადება.** უცხო ენაზე მოსაუბრეები იყენებენ ზოგად სიტყვებს უფრო მეტად, ვიდრე კონკრეტულს, როგორცაა "animal" for "rabbit".

– **აღწერა.** მოსაუბრეები ვერ იხსენებენ სიტყვას "kettle" და აღწერენ მას, როგორც "the thing to cook water in".

– **მაგალითი.** მოსაუბრეებს მოჰყავთ მაგალითი უფრო მეტად, ვიდრე ზოგადი ტერმინი "cars" for "transport".

– **ახალი სიტყვის შექმნა.** სიტყვის შექმნა, როდესაც არ იცი კონკრეტული საგნის სახელწოდება.

### **2. თავის არიდების სტრატეგიები.**

ეს სტრატეგიები ფერჩმა და კასპერმა დაყვეს შემდეგ სახეებად

– ფორმალურად თავის არიდება. მოსაუბრე თავს არიდებს დეტალიზაციას.

– ფუნქციონალური თავის არიდება. მოსაუბრე თავს არიდებს სხვადასხვა სახის ფუნქციებს.

ტარონეს სოციალურ კომუნიკაციური სტრატეგიები და ფერჩის და კასპერის ფსიქოლოგიური სტრატეგიები არის დამატებითი გზები თავი გაართვან პრობლემებს უცხო ენაზე ურთიერთობისას. კელერმანმა, ბონგარტმა და პოლისემ (1987) აღნიშნეს, რომ ეს მიდგომები შეიძლება გამარტივდეს. საერთო ფაქტორი ყველა კომუნიკაციური სტრატეგიის არის ის, რომ მოსწავლეს უწევს თავი გაართვას სიტუაციას, სადაც არ იცის სიტყვა, სტრატეგიები მოითხოვს გულმოდგინე მუშაობას ლექსიკურ ხარვეზებზე.

\*კომუნიკაციური სტრატეგიები გამოიყენება თვით კომუნიკაციური მიზნის მისაღწევად (ფერჩი და კასპერი, 1983).

\*კომუნიკაციურ სტრატეგიებს მოსაუბრე იყენებს იმისთვის, რომ დაძლიოს პრობლემები, რომლებიც ჩნდება დაგეგმილი ფაზის დროს, და როდესაც არსებობს ლინგვისტური ნაკლი (პოლისე, ბონგარტი, კელერმანი, 1984).

მასწავლებლის ერთ-ერთი მიზანი არის მოამარაგოს სტუდენტები ლინგვისტური წყაროებით, რომლებიც მათ სჭირდებათ მეტი შედეგის მისაღებად ურთიერთობის დასამყარებლად. სტუდენტებს უნდა ვასწავლოთ არა მარტო ის ადვილი გამოთქმები, რომლებიც მათ სჭირდებათ ურთიერთობისთვის, მათი ცოდნის გამოსავლენად, არამედ უზრუნველყოს ისინი ლინგვისტური წყაროებით, რომლებიც მათ სჭირდებათ კომუნიკაციური სტრატეგიების გამოსაყენებლად.

კომუნიკაციური სტრატეგიების განვითარებისთვის დაწვრილებითი დიდაქტიკური მიდგომა არის შესაძლებელი.

არსებობს რამდენიმე მასალა, რომელიც ასწავლის მოსწავლეს, თუ როგორ გამოიყენოს კომუნიკაციური სტრატეგიები, როდესაც იქმნება პრობლემები ინფორმაციის გადაცემისას. მასწავლებელს შეუძლია გაითვალისწინოს: 1) აქტუალური სწავლება ასეთი სტრატეგიების და 2) შესაძლებლობები სტრატეგიის გამოყენების პრაქტიკისთვის.

სტრატეგიების ცოდნა წახალისებს სტუდენტებს ილაპარაკონ, მიუხედავად მათი ლექსიკური მარაგისა.

სახელმძღვანელოში Keep Talking (ბილისტოკი, 1981) მოცემულია მაგალითი, სადაც სტუდენტები აღწერენ მათ ყოველდღიურ პრობლემებს, როგორცაა მაგ.: გასაღების დაკარგვა, ისინი ვერ იხსენებენ სახელს. თუ სტუდენტებმა არ იციან სიტყვა "key", მათ შეიძლება ჰკითხოთ

მასწავლებელს, ან ჩაიხედონ ლექსიკონში, ან შეეცდებიან ანალიტიკური აზროვნების გამოყენებას – “the thing you open doors with”.

**ცხრილი 1**

<b>განსხვავებული მიდგომები კომუნიკაციური სტრატეგიების მიმართ</b>		
სოციალურად მოტივირებული სტრატეგიები პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც გაგებაში ჩნდება (ტარონე)	ფსიქოლოგიურად მოტივირებული სტრატეგიები იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც გამოთქმაში ჩნდება (ფერჩი, კასპერი)	ლექსიკის ნაკლოვანების აღსადგენად (კელერმანი)
პარაფრაზირება (მიახლოებითი მნიშვნელობა, ახალი სიტყვების შექმნა, უხვსიტყვაობა). დაბრუნება მშობლიური ენის თარგმნაზე, მიმიკურად გამოსახვა. თავის არიდება.	მიღწევის სტრატეგიები ერთობლივი სტრატეგიები. არაერთობლივი სტრატეგიები. (შენაცვლება, განზოგადება, აღწერა, მაგალითის მოყვანა, ახალი სიტყვების შექმნა). თავის არიდების სტრატეგიები: ფორმალური (მორფოლოგიური, გრამატიკული). ფუნქციონალური (მოქმედებითი).	მიახლოებითი მნიშვნელობა (ერთი სიტყვის შენაცვლება მეორეთი). ანალიტიკური. ლინგვისტური.

(კუკი, 1991)

სწავლის სტილი და სწავლის სტრატეგიები ხშირად დაკავშირებულია ერთმანეთთან. სტილი იქმნება სწავლის სტრატეგიებისგან.

სტრატეგია სასარგებლოა შემდეგი პირობების დაცვით: **ა)** სტრატეგია დაკავშირებულია დავალებასთან; **ბ)** სტრატეგია მოარგებს მოსწავლის სწავლის სტილის გარკვეულ ხარისხს; **გ)** სტუდენტი იყენებს სტრატეგიას ეფექტურად და აკავშირებს მას სხვა სტრატეგიებთან სტრატეგიები, რომლებიც ასრულებენ ამ პირობებს „სწავლას უფრო ადვილს ხდიან, უფრო სწრაფს, უფრო მხიარულს, უფრო ეფექტურს და ადვილად გადაჰყავს ახალ სიტუაციებში” (ოქსფორდი, 2001), ასევე ხდის უფრო დამოუკიდებელს, ავტონომიურს.

ენის სასწავლო სტრატეგიების ყველა განსაზღვრება გულისხმობს შეგნებულ მოძრაობას ენის დაუფლების მიზნისკენ. სტრატეგიების მრავალსახეობას ასევე უწოდებენ სტრატეგიულ ჯაჭვს.

არ არის გასაკვირი, რომ სტუდენტს, რომელიც ხშირად იყენებს სწავლის სტრატეგიებს, ჰქონდეს თვითაქტიურობის მაღალი დონე და სურვილი იყოს წარმატებული, ხოლო სუსტი მოსწავლეები სტრატეგიებს იშვიათად იყენებენ.

სტრატეგია იმდენი არსებობს, რომ მათთვის შეიქმნა უამრავი სქემა. მათ შორის არის ვაინშტაინის სქემა, მისი მოდელი წარმოდგენილია LASSI კითხვარით შემდეგ ილუსტრაციაში.

**ილუსტრაცია 1.**

<b>LASSI სტრატეგიების კატეგორიები</b>	
<b>დროის მართვა.</b>	ტექნიკის გამოყენება.
<b>კონცენტრაცია და ყურადღება დავალების მიმართ.</b>	თვითტესტირება, მიმოხილვა, კლასის მომზადება.
<b>ინფორმაციის გადამუშავება.</b>	ტესტისთვის მზადება და ტესტირება.
<b>მთავარი იდეების გამოყოფა, მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა.</b>	

კასპერმა და კელერმანმა (1997) თავის მუშაობას საფუძვლად დაუდეს სხვადასხვაგვარი სტრატეგიების კატეგორიზაცია. ალტერნატიული ტექსტონომია შემოგვთავაზეს ომელიმ და ჩემოტმა (1990), რომლებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მასწავლებლის მიერ სწავლებას, ასევე მოსწავლის და მეტაკოგნიტური სტრატეგიების განვითარებას რუბრიკაში CALLA (კოგნიტური აკადემიური ენის შესწავლის მიდგომა).

#### **ლიტერატურა:**

1. Bialystok, E. (1981). The role of conscious strategies in second language proficiency. *Modern Language Journal*, 65, 24-35.
2. Chamot, A. U., & Kupper, L. (1989). Learning strategies in foreign language instruction. *Foreign Language Annals*, 22, 13-24.
3. Cohen, A. D. (2009). *Styles and Strategies Based Instruction (SSBI)*. Regents of the University of Minnesota.
4. Cook, V. (1991). *Second Language Learning and Language Teaching*. Edward Arnold. A division of Hodder & Stoughton. London, New York, Melbourne, Auckland.
5. Dornyei, Z. (1998). On the teach ability of communication strategies. *TESOL quarterly* 29, 55-85.
6. Ehrman, M. E. (1996). *Understanding second language learning difficulties*. Sage, Thousand Oaks, Ca.
7. Faerch, C., Kasper, G. (1983). *Strategies in interlanguage communication*. London. Longman.
8. Kasper, G., & Kellerman, E. (1997). *Communication Strategies: Psycholinguistic and Sociolinguistic Perspectives*. Longman. London and New York.
9. O'Malley, J. M., Chamot, A. U. (1990). *Learning strategies in second language acquisition*. Cambridge: Cambridge University Press.
10. Oxford, R. L. (2001). *Language learning strategies around the world: cross-cultural perspectives*. Second language teaching and curriculum center. University of Hawai'i at Manoe.
11. Rubin, J. (1975). What the "good language learner" can teach us. *TESOL Quarterly*, 9, 41-51.
12. Stern, H. H. (1975). What can we learn from the good language learner? *Canadian Modern Language. Review*, 31, 304-18.
13. Wenden, A. (1991). *Learner strategies for learner autonomy: planning and implementing learner training for language learners*. Prentice Hall, Englewood Cliffs, NJ.

### **RELATIONSHIP OF LEARNING STRATEGIES WITH SUCCESS**

**Rusudan Gogokhia**, Ekvtime Takaishvili Teaching University, Invited Teacher, Doctor of Education  
**RESUME**

One of the important variables which are particularly linked to efficiency of learning is learning strategies. Based on this existing optimal strategies in language learning condition with uniform method were studied. We may say that usage of variety of strategies in learning process is much more productive and effective, than using only one strategy.

The strategies research tool by Rebecca Oxford is currently the most popular in the international space. That is the critical question of the role of foreign language teaching strategies for pedagogy. Famous metaphor, "cultural iceberg" about shows that many aspects of culture: values, perceptions, beliefs exist beyond the surface of consciousness, other aspects operate in the operating area. Culture often plays an important role in learning styles and strategies that are adopted by many cultures.

Learning a foreign language is within a given cultural context. In this respect, it is not only the transmission process of learning, but always transformation.



## კოგნიტური, მეტაკოგნიტური და სოციალურ/ეფექტური სტრატეგიების გამოყენება უცხო ენის (მოსმენის) სწავლებისას

ნინო დავითაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი  
E-mail: miss.davitashvili@gmail.com

მაია აკოლაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი  
E-mail: akolashvili.maia@gmail.com

**საკვანძო სიტყვები:** კოგნიტური სტრატეგიები, მეტაკოგნიტური სტრატეგიები, სოციალურ/ეფექტური სტრატეგიები, სწავლის სტილი.

### შესავალი

მოსმენა ერთ-ერთი ყველაზე რთული უნარია უცხო ენის სწავლების პროცესში. ხშირად ის პასიური პროცესი ჰგონიათ, სინამდვილეში კი აქტიური პროცესია, რადგან მსმენელს უწევთ აღიქვან განსხვავება სხვადასხვა ბგერას შორის, ამოიცნონ ლექსიკა და გრამატიკული სტრუქტურები.

მოსმენა სხვადასხვა უნარს აერთიანებს და ყველა ეს უნარი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსმენის შესწავლის პროცესში.

მოსმენის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსმენის პროცესის წარმატებით განხორციელებას და, შესაბამისად, სტუდენტებისათვის აუცილებელია შეისწავლონ და გამოიყენონ მოსმენის სტრატეგიები.

### კოგნიტური, მეტაკოგნიტური და სოციალურ/ეფექტური სტრატეგიები

ომალი და ჩემოთი (O'Malley and Chamot's, 1990, 1985) განასხვავებენ მეტაკოგნიტურ (metcognitive strategies), კოგნიტურ (cognitive strategies) და სოციალურ/ეფექტურ (social/affective strategies) სტრატეგიებს.

ლოუსონის (Lawson, 1984, გვ. 92-92) აზრით, მეტაკოგნიტური სტრატეგიები იძლევა საშუალებას სტუდენტებმა დაგეგმონ, მართონ, შეაფასონ რას აკეთებენ ინგლისური ენის შესასწავლად.

ვენდენი (Wenden, 1991, გვ. 25) მიიჩნევს, რომ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს აქვს კავშირი თვით-მართვის სტრატეგიებთან (self-management strategies), რომლებსაც სტუდენტები იყენებენ, რომ დაგეგმონ და გადახედონ საკუთარ სწავლის პროცესს.

მალი და ჩამოთი (O' Malley and Chamiot, 1990) გვთავაზობენ გამოვიყენოთ მეტაკოგნიტური სტრატეგიები, რადგან ისინი საშუალებას აძლევენ სტუდენტებს ყურადღება გაამახვილონ შესასწავლი საკითხის მათთვის მნიშვნელოვან ასპექტებზე. ასევე ოქსფორდი (Oxford, 1990) განმარტავს, რომ მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება საშუალებას იძლევა შეასებულ იქნას სტუდენტის პროგრესი, ყურადღება გაამახვილდეს მათ შეცდომებზე.

პროკოპის (Prokop, 1989, გვ. 17) აზრით, განსხვავებით მეტაკოგნიტური სტრატეგიებისაგან კოგნიტური სტრატეგიები პირდაპირ კავშირშია ლინგვისტიკასთან.

ენტვისთლი (Entwistle, 1987, p. 58), ნიუბლი და ქლარქი (Newble and Clarke, 1986, p. 65) კოგნიტურ სტრატეგიებს ყოფენ:

- ღრმა კოგნიტურ სტრატეგიებად;
- ზედაპირულ კოგნიტურ სტრატეგიებად.

ღრმა კოგნიტური სტრატეგიების დახმარებით სტუდენტები სწავლობენ ახალ მასალას წინარე ცოდნასთან კავშირში. ღრმა კოგნიტური სტრატეგიები დაკავშირებულები არიან ბლუმის ტაქსონომიასთან, კერძოდ ბლუმის ტაქსონომიის მაღალ სააზროვნო უნართან – სინთეზთან.

ბოუდენის (Bowden, 1986, გვ. 65-66) და ენვისთლის (Entwistle, 1987, გვ. 58) მიხედვით, ზედაპირული კოგნიტური სტრატეგიები დაკავშირებულები არიან ბლუმის ტაქსონომიის დაბალ სააზროვნო უნართან – ცოდნასთან.

ოქსფორდს (Oxford, 1990, გვ. 168) მიაჩნია, რომ სოციალური/ეფექტური სტრატეგიები აძლევს სტუდენტს საშუალებას გამოიყენონ არსებული ცოდნა და ისაუბრონ შესასწავლ ენაზე. ეს ხდება, მაგალითად, მაშინ, როდესაც სტუდენტები უსმენენ შესასწავლ ენაზე მოსაუბრე ადამიანს, რომლისთვისაც ეს ენა მშობლიურ ენად ითვლება; ასევე უყურებენ ტელევიზორს ან ფილმს შესასწავლ ენაზე და ა.შ. იგი ენას სოციალურ ფენომენად მიიჩნევს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალური/ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას უცხო ენის სწავლების პროცესში.

ლიუს (Liu, 2008) აზრით, კოგნიტურ, მეტაკოგნიტური და სოციალურ /ეფექტური სტრატეგიები ემყარებიან კოგნიტურ თეორიას.

აზუმი (Azumi, 2008) და მარლინეზი (Marlinez, 1996) თვლიან, რომ სტრატეგიების არჩევა დამოკიდებულია ენის შემსწავლელთა ინდივიდუალურ თავისებურებებზე. სხვადასხვა ტიპის შემსწავლელი სხვადასხვა სტრატეგიას ირჩევს.

ჰოლდენის (Holden, 2004) მიხედვით მეტაკოგნიტური სტრატეგიები (metacognitive strategies) დაკავშირებულია სწავლის პროცესთან, რადგან მათი გამოყენებისას სტუდენტები სწავლობენ, თუ როგორ უნდა ისწავლონ მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით. მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებისას შემსწავლელები არიან ჩართულები სასწავლო პროცესში, ისინი გეგმავენ, აკვირდებიან, აფასებენ საკუთარ სწავლის პროცესს. სტუდენტები აფასებენ, თუ როგორ გაიგეს მოსასმენი მასალა მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით. მეორე მხრივ, კოგნიტური სტრატეგიები (cognitive strategies) იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს, რომელთა გამოყენებით სტუდენტი აღწევს წარმატებას მოსმენის პროცესში. მაგალითად, როდესაც იგი ხვდება უცხო სიტყვას მოსმენისას, ცდილობს ამოიცნოს მისი მნიშვნელობა კონტექსტის დახმარებით და ამ დროს იყენებს კოგნიტურ სტრატეგიას.

ჰოლდენის (Holden, 2004), მინგის (Meang, 2006), გრიფისის (Griffith, 2004), აზუმის (Azumi, 2008) და მარტინეზის (Martinez, 1996) განმარტებებით კოგნიტური სტრატეგიები გულისხმობენ განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად გარკვეული უნარების გამოყენებას. მათი აზრით, ეს სტრატეგიები საჭიროებენ „გონებრივ მანიპულაციებს“ (“mental manipulations”), მაგალითად, ვარჯიშს და ანალიზს. ხოლო სტრატეგიები, რომლებსაც სტუდენტები იყენებენ, რომ ისწავლონ თანაჯგუფელებთან ინტერაქციის ან პედაგოგის მიერ სწავლის პროცესისათვის თანმდევი შფოთვის შემცირების (ან გაქრობის) მიზნით დასმული შეკითხვების საშუალებით, ითვლებიან სოციალურ/ეფექტურ სტრატეგიებად (social/affective strategies). ამ მკვლევარების აზრით, წარმატებულ შემსწავლელს შეუძლია გაამახვილოს ყურადღება მოსასმენ მასალაზე, განსაზღვროს რა არის მნიშვნელოვანი მოსასმენი მასალის გასაგებად, გამოიყენოს ტექსტური მინიშნებები, წინარე ცოდნა და გამოცდილება. ხოლო წარუმატებელი სტუდენტები ისმენენ სიტყვასიტყვით, გაუაზრებლად იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს. გოჰის (Goh, 2002) აზრით, გამოცდილი მსმენელები არჩევენ გამოიყენონ კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიები, რათა განსაზღვრონ რას მოუსმინონ. მათ ასევე შესწევთ უნარი გამოიყენონ არსებული ენობრივი ცოდნა (უკვე შესწავლილი გრამატიკა, ლექსიკა) და კონტექსტური ინფორმაცია.

ამრიგად, კოგნიტურ, მეტაკოგნიტური და სოციალურ/ეფექტური სტრატეგიები ემყარებიან კოგნიტურ თეორიას და სტრატეგიების არჩევა დამოკიდებულია ენის შემსწავლელთა ინდივიდუალურ თავისებურებებზე. სხვადასხვა ტიპის შემსწავლელი სხვადასხვა სტრატეგიას ირჩევს.

### მოსმენის პროცესი და სწავლის სტილი

არსებობენ მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსმენის პროცესზე. რობინი (Robin, 1994) ასახელებს ამ ფაქტორებს. ისინი არიან:

➤ ტექსტის თავისებურებები, როგორებიც არიან: თხრობის ხარისხი, შეყოვნება, მახვილი, რიტმი, განსხვავებები პირველ და მეორე/უცხო ენას შორის, მორფემის სირთულე, სიტყვების წყობა, ვიზუალური მხარდაჭერა და სინტაქსის მოდიფიკაცია;

➤ მოსაუბრის სქესი და ენის ფლობის დონე;

➤ მოსასმენი ტექსტის ტიპი;

➤ მსმენელთა ასაკი, მეხსიერება, სქესი, ყურადღება, ენის ფლობის დონე. (p. 197-198).

მოსმენის პროცესის წარმატებით განხორციელებაზე იაოს (Yao, 1995) აზრით ასევე გავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები:

➤ მოსაუბრის აქცენტი;

➤ საუბრის სიჩქარე;

➤ გამოყენებული ლექსიკა;

➤ მსმენელების ინტერესი;

➤ წინარე (უკვე არსებული) ცოდნა.

ამ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან იაო (Yao, 1995) ყველაზე მნიშვნელოვნად მოსაუბრის აქცენტს და საუბრის სიჩქარეს მიიჩნევს.

ელისი (Ellis, 1994) ყურადღებას ამახვილებს სტუდენტების ინდივიდუალურ თავისებურებებზე და მიიჩნევს, რომ მიუხედავად მათი ინდივიდუალური თავისებურებისა, მოსმენის სტრატეგიების გამოყენება იწვევს სტუდენტების მოტივაციის ზრდას და მოსმენის პროცესში არსებული შფოთვის დონის შემცირებას.

ლიო (Lio, 2008) იკვლევს კოგნიტიური, მეტაკოგნიტიური და სოციალურ/ეფექტური სტრატეგიების გამოყენების კავშირს სწავლის სტილთან და იმ დასკვნამდე მიდის, რომ კომუნიკაციური შემსწავლელები (communicative learners) იყენებენ მეტაკოგნიტიურ, კოგნიტიურ და სოციალურ/ეფექტურ სტრატეგიებს, მაშინ როდესაც ანალიტიკური შემსწავლელები (analytic learners) უპირატესობას კოგნიტიური სტრატეგიების გამოყენებას ანიჭებენ.

ამრიგად, არსებობენ მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსმენის პროცესზე.

### დასკვნა

ამრიგად, განხილული ლიტერატურის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- მოსმენა ერთერთი ყველაზე რთული უნარია უცხო ენის სწავლებისას;
- მოსმენის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსმენის პროცესის წარმატებით განხორციელებას;
- სტუდენტებისათვის აუცილებელია შეისწავლონ და გამოიყენონ მოსმენის სტრატეგიები;
- განასხვავებენ მეტაკოგნიტიურ (metacognitive strategies), კოგნიტიურ (cognitive strategies) და სოციალურ/ეფექტურ (social/affective strategies) სტრატეგიებს;
- მეტაკოგნიტიური სტრატეგიები იძლევიან საშუალებას სტუდენტებმა დაგეგმონ, მართონ, შეაფასონ რას აკეთებენ ინგლისური ენის შესასწავლად;
- კოგნიტიურ სტრატეგიებს ყოფენ: ღრმა კოგნიტიურ სტრატეგიებად და ზედაპირულ კოგნიტიურ სტრატეგიებად;
- ღრმა კოგნიტიური სტრატეგიები დაკავშირებულია არიან ბლუმის ტაქსონომიასთან, კერძოდ ბლუმის ტაქსონომიის მაღალ სააზროვნო უნართან – სინთეზთან;
- ზედაპირული კოგნიტიური სტრატეგიები დაკავშირებულია არიან ბლუმის ტაქსონომიის დაბალ სააზროვნო უნართან - ცოდნასთან;
- სოციალური/ეფექტური სტრატეგიები აძლევს სტუდენტს საშუალებას გამოიყენონ არსებული ცოდნა და ისაუბრონ შესასწავლ ენაზე;
- სტრატეგიების არჩევა დამოკიდებულია ენის შემსწავლელთა ინდივიდუალურ თავისებურებებზე. სხვადასხვა ტიპის შემსწავლელი სხვადასხვა სტრატეგიას ირჩევს.
- არსებობენ მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსმენის პროცესზე. ეს ფაქტორებია: ტექსტის თავისებურებები, მოსაუბრის თავისებურებები, მოსასმენი ტექსტის ტიპი, მსმენელთა თავისებურებები;
- მოსმენის პროცესის წარმატებით განხორციელებაზე გავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები: მოსაუბრის აქცენტი, საუბრის სიჩქარე, გამოყენებული ლექსიკა, მსმენელების ინტერესი, წინარე (უკვე არსებული) ცოდნა;
- კოგნიტიურ, მეტაკოგნიტიურ და სოციალურ/ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას კავშირი აქვს სწავლის სტილთან.

### ლიტერატურა:

1. Azumi, K. (2008). An Experimental Study of Language Learning Strategies: Particular Focus on the Patterns of Strategy use by Japanese university Learners of English 7(17), 149-169.
2. Bowden, John A. (1986). Educational Development and Phenomenography in John A Bowden (Ed) Student Learning: Research into Practice. Parkville, Australia. Centre for the Study of Higher Education.
3. Ellis, R. 1994. *The study of second language acquisition*. Oxford: Oxford University Press.
4. Entwistle, Noel. (1987). *Understanding Classroom Learning*. Hodder and Stoughton. London.
5. Goh, C.C. (2002), Learners' Self Report on Comprehension and Learning Strategies for Listening. *Asian Journal of English Language Teaching*, 12, 45-68.
6. Griffiths, C. (2004), Language Learning Strategies: Theory and research, New Zealand. *Occasional Paper*, 1, 1-25.
7. Holden, W.R. (2004). Facilitating Listening Comprehension: Acquiring Successful Strategies. *Bulletin of Hokuriku University*, 28, 257-266.
8. Liu, H. (2008). A Study of the Interrelationship between Listening Strategy Use, Listening proficiency, And Learning Style. *ARECLS*, 8, 84-104.
9. Lawson, Michael J. (1984). Being Executive about Metacognition. In John R. Kirby (Ed). *Cognitive Strategies and Educational Performance*. Orlando-Florida. Academic Press, Inc.
10. Martinez, I.M (1996). The Importance of Language Learning Strategies in Foreign Language Teaching. *Cuadernos of English Philology* 5(1), 103-120.

11. Meang, U.K (2006). Comparison of L2 Listening and Reading Comprehension Strategies: A Case Study of Three Middle School Students. *The Journal of Curriculum & Evaluation* 9(2), 471-500.
12. O'Malley, J.M., Chamot, A.U., Stewner-Manzanares, G., Küpper, L. & Russo, R.P., (1985). Learning Strategy Applications with Students of English as a Second Language. *TESOL QUARTERLY*, 19(3), 557-584.
13. O'Malley, J.M. and Chamot, A.U., (1990). Learning strategies in second language acquisition. London: Cambridge University Press.
14. Newble, David I and Clarke, Rufus M (1986). Learning Styles and Approaches: Some empirical implications for medical education in John A Bowden (Ed) Student Learning: Research into Practice. Parkville, Australia. Centre for the Study of Higher Education.
15. Oxford, Rebecaa L. (1990b). Language Learning Strategies: What Every Teacher Should Know. Boston: Heinle & Heinle Publishers.
16. Prokop, Manfred. (1989). Learning Strategies for Second Language Users. Wales, United Kingdom: The Edwin Mellen Press.
17. Rubin, J. (1994). A Review of Second Language Listening Comprehension Research, *The Modern Language Journal*, 78(2), 199-221.
18. Yao, C.K. (1995), Needs Analysis of Freshman English Listening Curriculum. Papers from the Twelfth Conference on English Teaching and Learning in the public of China, 80-96.
19. Wenden, Anita. (1985). Learner Strategies. *TESOL Newsletter*. Vol.XIX No.5.

## **USING COGNITIVE, METACOGNITIVE AND SOCIAL/AFFECTIVE STRATEGIES IN TEACHING THE FOREIGN LANGUAGE (LISTENING)**

**Nino Davitashvili**, Gori State Teaching University, Specialist by contract

**Maia Akolashvili**, Gori State Teaching University, Specialist by contract

### **RESUME**

The work deals with cognitive, metcognitive, social/affective strategies, and the usage of these strategies in teaching the foreign language. Individual differences are also taken into consideration and it is noticed that the usage of the listening strategies causes increasing students' motivation and decreasing students' anxiety.

The literature connected to this question is analyzed in this work and it proves that success in listening is connected to accent of a speaker, speed of speech, used lexis, interest of a listener and his/her previous knowledge.

**Key words:** cognitive strategies, metcognitive strategies, social/affective strategies, learning style.

## **იაკობ გოგებაშვილის გამოუქვეყნებელი არითმეტიკის სახელმძღვანელოს შესახებ**

**თამარ დოგრაშვილი**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ირინე გოგიბერიძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

იაკობ გოგებაშვილის მთელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შეგნებული ცხოვრება იყო ბრძოლა ქართველი ერის სასიცოცხლო უფლებათა დასაცავად. „რაც კი ოცდაათი წლის განმავლობაში დაგვიწერია ქართულად თუ რუსულად, - წერდა იაკობი 1894 წელს, - ყველა არის გამოსარჩლება ჩვენის დათრგუნვილი კანონიერის უფლებისა, ქადაგება მისი აღდგენისა, გამლიერებისა ... ჩვენის კალმის ყველა ნაწარმოების ცოცხალი ინტერესების დაცვა და განმტკიცება ჰქონია მიზნად, დიდი საერთო ვარმების დაკმაყოფილება“ [4, გვ. 64]. იაკობ გოგებაშვილი კარგად ხედავდა, რომ ქართველი ერის ყველაზე უფრო დიდ სასიცოცხლო ინტერესს დედა ენის შენახვა წარმოადგენდა, ხოლო ყველაზე უფრო დიდ ეროვნულ ვარამს დედა ენის სავალალო მდგომარეობა. ამიტომ იყო, რომ იაკობი მთელი მონდომებით იცავდა ერის საუნჯეს-ქართულ ენას. მისი აზრით „დედა ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი

სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა.“ [3, გვ. 39].

1865 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის.“ ეს წიგნი გაუმჯობესებული და შეცვლილი სახელწოდებით – „დედა ენა“ გამოიცა 1876 წელს. „დედა ენის“ გარდა იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა სახელმძღვანელოები „ბუნების კარი“ და „რუსსკოე სლოვო“. ესმოდა რა იაკობს სახელმძღვანელოების დიდი მნიშვნელობა, შემდეგ აღნიშნავდა: „სახელმძღვანელო წიგნებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლების მსვლელობაში. ყოველი მიმართულება ამ საქმეში ცოტად, თუ ბევრად უძლურია, უფესვო და წარმავალი, ვიდრე იგი არსებობს მხოლოდ პროგრამებში, პლანებში და არ არის განხორციელებული სახელმძღვანელოებში“. [1, გვ. 397]. იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის ამახვილებდა ყურადღებას მოზარდი თაობის სწორ აღზრდაზე, კერძოდ, იგი აღნიშნავდა: „არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ მომავლის ბალავერი ახალგაზრდობაა, ბავშვებია, რომელთაც თან შობილი მიდრეკილებათა და თვისებათა გარდა, აღზრდის პირობებიც ასვამს თავის ბეჭედს“. [6, გვ. 89].

„დედა ენის“, „ბუნების კარისა“ და „რუსსკოე სლოვოს“ გარდა იაკობ გოგებაშვილს განზრახული ჰქონია გამოეცა არითმეტიკის სახელმძღვანელოც, დაწყებულიც ჰქონდა „ამოცანანი“, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ამ დიდებულ განზრახვაზე მან ხელი აიღო. კერძოდ იგი წერდა: „როცა არითმეტიკა ბატონი ჯაჯანაშვილისა და ბატონი ნატროშვილისა შესდგა, ჩვენ დაწყებული გვქონდა ელემენტარული არითმეტიკა სახალხო სკოლებისათვის. მაგრამ მისი დამთავრება აღარ მოვიწოდეთ, რათა ამ პირებისათვის ხელი არ შეგვეშალა.“ [2, გვ. 71].

იაკობ გოგებაშვილის პირად არქივში ინახება (უნახავს მეთოდისტ ტ. ტყემალაძეს) 24 ფურცლიანი რვეული, რომლის 12 ფურცელზე მოთავსებული ყოფილა 164 ამოცანა პირველი და მეორე ათეულის ფარგლებიდან. არითმეტიკის სახელმძღვანელო განკუთვნილი იქნებოდა ქართული სკოლებისათვის. ეს რვეული ასეა დასათაურებული:

„განყოფილება პირველი“  
ამოცანანი

1. ამოცანანი პირველი ასეული რიცხვებიდან. წელიწადი პირველი.

ა) ამოცანანი პირველი ათეულითგან

პირველ განყოფილებაში მოთავსებულია 86 ამოცანა, შემდეგ მოცემულია:

ბ) ამოცანანი მეორე ათეულიდან (11-20)

მეორე განყოფილებაში 77 ამოცანაა.

შემდეგ დასათაურებულია:

გ) ამოცანანი მესამე ათეულიდან (21-30)

და აქ შეწყვეტილია იაკობ გოგებაშვილის ხელნაწერი.

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილს გათვალისწინებული ჰქონდა დაეწერა არითმეტიკის სახელმძღვანელო ორი ან, სავარაუდოა, უფრო მეტი სასწავლო წლის პროგრამით. „ამოცანანის“ შემდეგ იაკობ გოგებაშვილი ალბათ ვარაუდობდა შესაბამისი სავარჯიშო მაგალითების მიცემასაც.

ი. გოგებაშვილის „ამოცანანი“ დაბეჭდილია მის თხზულებათა მე-9 ტომში [8]. როგორც ვთქვით, პირველ ათეულს მან 86 ამოცანა მიუძღვნა. ეს ამოცანები ისეთნაირადაა შედგენილი, რომ ბავშვები დაწყებით კლასებში თანმიმდევრობით გაეცნობოდნენ პირველ ათეულ რიცხვებს და მათზე მოქმედებებს. ასევე გონივრულადაა შედგენილი მეორე ათეულის ამოცანებიც. ხელნაწერის პირველი ამოცანა ასეთია: „ძმა ორი წლისაა. და უფროსია მასზედ ერთი წლითა. რამდენი წლისაა და?“. მეორე ამოცანაც ორისა და ერთის შეკრებას ეხება, ხოლო მესამე ამოცანა ითვალისწინებს სამიდან ერთის გამოკლებას: „გოგოს სამი კაპეიკი ჰქონდა. ერთი მეწვრილმანეს კევში მისცა. დანარჩენი ფულით ორი ქინძისთავი იყიდა. რამდენ კაპეიკად უყიდია თითო ქინძისთავი?“. ოთხიდან ერთის გამოკლებაზე იაკობს ასეთი ამოცანა შეუტანია: „დაჭედილ ცხენს ერთი ფეხიდან ნალი ავარდა. რამდენ ფეხზედღა შერჩა ნალი?“. იქვე ი. გოგებაშვილი იძლევა 4-ის ორზე გაყოფის ამოცანებს: „მეურმემ ყვეარი ხარი ორ ურემში შეაბა. თითო ურემში რამდენი ხარი შეუბავს?“, „გოგომ ვაშლის ხის ქვეშ იპოვა ოთხი ვაშლი. ნახევარი რიცხვისა შეჭამა, ნახევარი კი გადაყარა, რადგან დამპლები გამოდგა. რამდენი ვაშლი ყოფილა დამპალი?“. იქვეა მოყვანილი ამოცანები ორი მოქმედების შესრულებაზე, მაგალითად, ამოცანა №21: „ორმა ბავშვმა ერთად იყიდა ორი ერთფასიანი ბულკი. ერთმა მისცა ხუთი კაპეიკი, მეორემ ერთი. თითო ბულკში მეზულკეს რამდენი კაპეიკი აუღია?“. აქ მოსწავლე შესრულებს ხუთისა და ერთის შეკრებასა და შემდეგ ექვსის გაყოფას ორზე. ის პირველი ათეულის ფარგალშივე იძლევა მოქმედება გაყოფის ორთავე სახეს: ტოლ ნაწილებად გაყოფას და შემცველობით გაყოფას. მაგალითად ამოცანა №49: „ხუთმა ძმამ გაიყო ერთი

ქვევრი ღვინო, რომელშიც ათი კოკა იდგა. რამდენი კოკა ერგო თითო ძმას?“, ეხება ათის ხუთ ტოლ ნაწილად გაყოფას, ხოლო ამოცანა №64 ეხება შემცველობით გაყოფას. აი ეს ამოცანაც: „ბავშვს ჰქონდა 10 კაპეიკი. მან იყიდა რამდენიმე კარანდაში და მისცა თითოეულ კარანდაში ორ-ორი კაპეიკი. დანარჩენი ორი კაპეიკი დახარჯა გრიფელბუხედ. რამდენი კარანდაში უყიდნია ბავშვსა?“. აქ მოსწავლემ 10-დან უნდა გამოაკლოს 2. დანარჩენი 8 კაპეიკით უნდა იყიდოს იმდენი რვეული, რამდენჯერაც 8 კაპეიკი შეიცავს 2 კაპეიკს, ე.ი. მან უნდა შეასრულოს 8-ის 2-ზე შემცველობით გაყოფა. ანალოგიური ამოცანები ბლომად გვხვდება ხელნაწერში. საინტერესოა, რომ იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ბევრი ამოცანა მოითხოვს რამდენიმე ამონახსნის მიღებას. მაგალითად, ამოცანა №68: „რამდენ ყმაწვილს შეიძლება დავურიგოთ 6 კაკალი და რამდენი კაკალი ერგება თითოსა?“ აქ მოსწავლემ უნდა იფიქროს, რომ 6 კაკალი თანაბრად შეიძლება დაურიგდეს 6, 3, 2 ან 1 ყმაწვილს და მოქმედება გაყოფით გაიგოს თითოეულ შემთხვევაში რამდენი კაკალი შეხვდება თითოეულ ყმაწვილს. პირველივე ათეულის ფარგალში იაკობი მოსწავლეთაგან მოითხოვს ამოხსნან ამოცანა რიცხვის ნაწილების მოძებნაზე. მაგალითად, განვიხილოთ ამოცანა №86: „მამამ დაურიგა თავის შვილებს ათი თაბახი ქალაღი. უფროს შვილს მისცა მეხუთედი, შუათანას დანარჩენის მეოთხედი, უმცროსს მესამედი მისი, რაც ორ უფროს ძმას გადაურჩათ და დანარჩენი ქალაღი გაუყო ორ თავის ქალსა. რამდენი თაბახი ქალაღი ერგო თითო ვაჟსა და თითო ქალსა?“

მეორე ათეულის შესწავლა იაკობ გოგებაშვილის ხელნაწერის მიხედვით იწყება ასეთი ამოცანით: „მეხილეს ჰქონდა 2 კალანჩხა ფორთოხალი, ერთში ეწყო ათი, მეორეში ერთით მომეტებული. პირველი კალანჩხიდან გაჰყიდა 6 ფორთოხალი, მეორედან - 4. რამდენილა ფორთოხალი დარჩენია მეხილეს ორივე კალანჩხაში?“ ამ ამოცანით იაკობ გოგებაშვილი ბავშვისაგან მოითხოვს შეასრულოს 10-სა და 1-ის შეკრება, ე.ი. გაიცნოს ახალი რიცხვი-11. შემდეგ ბავშვმა უნდა შეკრიბოს 4 და 7 ფორთოხალი და მიიღოს 11 ფორთოხალი. მომდევნო №88 ამოცანით ბავშვი გაეცნობა 9-ისა და 2-ის შეკრებას. აი ეს ამოცანაც: „ბავშვმა დედისგან მიიღო 4 წვრილი ფული: 3 სამკაპეიკიანი და ერთი 2 კაპეიკიანი. სულ ეს ფულები დაახურდავა თითო კაპეიკიანებზედ და აჩუქა გლახებს თითო თითო კაპეიკი. რამდენი გლახისთვის უჩუქებია ბავშვს ფული?“ ამ ამოცანაში ბავშვმა ჯერ უნდა გაიაზროს, რომ სამჯერ სამი არის 9, შემდეგ უნდა შეკრიბოს 9 და 2 და ამის შემდეგ მიხვდეს რამდენ გლახას შეხვდება 11 კაპეიკი თუ თითოს შეხვდება თითო კაპეიკი. როგორც ვხედავთ იაკობ გოგებაშვილის „ამოცანანი“ შედგენილია რიცხვთა შესწავლის მეთოდზე. ამიტომ ეს ამოცანები ისეთი მიმდევრობითაა აგებული, რომ ბავშვმა რიცხვი ყოველნაირად შეისწავლოს.

მეორე ათეულის ფარგალშივე იაკობ გოგებაშვილი იძლევა ამოცანებს ორი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამითა და ჯერადი შეფარდებით. მაგალითად, ამოცანა №133: „ორივე ჯიბეში 18 კაკალი მიყრია, მაგრამ მარჯვენა ჯიბეში ორჯერ მეტია, ვიდრე მარცხენაში. რამდენი კაკალი მდებია თითო ჯიბეში?“ აქვე იძლევა იაკობ გოგებაშვილი ამოცანებს ორი რიცხვის მოძებნაზე მათი ჯამითა და სხვაობით. მაგალითად, ამოცანა №108: „ორ ფანჯარაში 14 მინა ზის, მაგრამ ერთ მათგანში ორი მინით მეტია, ვიდრე მეორეში. რამდენი მინა ზის თითოეულ ფანჯარაში?“ ასეთი ტიპის ამოცანები შეისწავლება ჩვენი სკოლების დაწყებითი კლასების მესამე და მეოთხე კლასებში. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეებს ყოველთვის როდი უაღვიღდებათ მათი ამოხსნა, რადგან მათ ამოხსნას ითხოვენ უცნობის შემოტანით და არა წმინდა არითმეტიკულად, როგორც იაკობი ითვალისწინებდა პირველი ოცეულის ფარგალშივე. აქედან ნათლად ჩანს, რომ იაკობ გოგებაშვილი ძალზე დიდ მოთხოვნებს უყენებდა პირველივე კლასის მოსწავლეებს. ხელნაწერში მოთავსებული ბევრი ამოცანის სწორი პასუხის მიღებისათვის მოითხოვს მოსწავლეთა გონების დაძაბვას და კარგ ლოგიკურ აზროვნებას. მაგალითად, ამოცანა: „19 კაპეიკი როგორ გაუნაწილდება 5 გლახასა?“ აქაც რამდენიმე პასუხის მიღება შეუძლია ბავშვს.

იაკობ გოგებაშვილის ბევრი ამოცანა ეხება ბავშვის შრომით საქმიანობას. ჩვენი აზრით, ზოგ შემთხვევაში არის პოლიტიკური განათლების ელემენტებიც, ამიტომ იყო, რომ პროფესორი გიორგი თავზიშვილი აღნიშნავდა: „უკეთუ ჩერნიშევსკი პოლიტიკური განათლების წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთში, უეჭველია ასეთი მისია საქართველოში იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის.“ [9, გვ. 32].

იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის მოითხოვდა სწავლების ცხოვრებასთან მტკიცე კავშირს და მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას: „ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას და ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილს, ჭეშმარიტის ცოდნისას.“ [2, გვ. 293].

იაკობ გოგებაშვილი, როგორც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი, ხშირად იგზავნებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სკოლების მუშაობის შესწავლის და განზოგადების მიზნით. იგი სწავლობდა მშობლიური ენის, ბუნებისმეტყველების, რუსული ენისა და არითმეტიკის სწავლების მდგომარეობას. საყურადღებოა

და საინტერესო იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებანი მათემატიკის, კერძოდ კი არითმეტიკის სწავლების საკითხებზე. საარქივო მასალებიდან და მისი თხზულებათა ტომებიდან ჩანს, რომ იაკობ გოგებაშვილს მონაწილეობა მიუღია ქუთაისის ქართული გიმნაზიის, ბათუმის, გორის, ძველი სენაკის, კავთისხევის, ხელთუბნის და სხვა სკოლების მუშაობის შემოწმებაში. იაკობ გოგებაშვილი დიდ ინტერესს იჩენდა არითმეტიკის სწავლების მიმართ. აი რას წერდა იგი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორს:

„თქვენგან წარმოდგენილი პროგრამები საზოგადოდ შედგენილნი არიან ცოდნით და გვარიანად, მაგრამ შიგადაშიგ ეჭირვებათ დამატება, შეცვლა და განვითარება... არითმეტიკის პროგრამა ძლიერ მოკლედ არის შედგენილი და განვითარება ძლიერ ეჭირვება. სასარგებლოა სხვათა შორის ჩაემატოს იმგვარივე მეთოდური შენიშვნები, რომლებიც ზოგიერთი სხვა საგნების პროგრამებში მოიპოვებინან. შინაარსის განაწილებაც, ჩვენი აზრით უნდა შეიცვალოს: პირველი ათეული პირველი წლისათვის ცოტაა, ორი ათეულის შეთვისება ადვილად შეუძლიანთ შვიდი-რვა წლის ბავშვებს წლის განმავლობაში. აქ საჭიროა, რომ მეორე ათეულის სწავლების დროს მასწავლებელმა უმთავრესი ყურადღება მიაქციოს რიცხვის წარმოდგენას ათეულითგან და ცალკეულითგან. მეორე წელიწადს სწავლობენ პირველ ასეულს სრულიად და უმთავრეს ყურადღებას აქცევენ გამოანგარიშების ხერხებს. სწრაფად გაივლიან იმისთანა მარტივ რიცხვებს, რომლების შემადგენლობა და თვისება არაფრით არ განირჩევა რაოდენობის გარდა წინა რიცხვებისგან და შეჩერდებიან იმისთანა რთულს და მრავალ-მხროვან რიცხვებზედ, როგორც არიან 48, 49 და სხვანი. დანარჩენს მასალას არითმეტიკისას უნდა მიემატოს გაცნობა უბრალო ნაწილოვანთა და დახსნა მარტივთა ამოცანათა აღრიცხვის სამკეც კანონიდგან, ამხანაგობის და შერეულის კანონიდგან და სარგებლობის ანგარიშითაგან. და ეს შევსებული მასალა განაწილებული იქნას მესამე და მეორე განყოფილების შუა“. [8, გვ. 194].

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილი კარგად აანალიზებს არითმეტიკის პროგრამას და სწორ მეთოდურ მითითებებს აძლევს აღნიშნული სკოლის ინსპექტორს. პროგრამების შედგენა ამ პერიოდში მინდობილი ჰქონდათ სკოლის მასწავლებლებს, არ იყო ერთიანი სტაბილური პროგრამები, რაც გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა განსაკუთრებით ახალგაზრდა და დამწყებ მასწავლებლებს. ასეთ შემთხვევაში იაკობ გოგებაშვილის მეთოდური გამონათქვამები, რასაკვირველია, დროული იყო და დიდ გავლენას ახდენდა მათზე.

იაკობ გოგებაშვილს 1888 წელს შეუმოწმებია გორის მაზრის სოფელ ხელთუბნის სკოლა, სადაც მასწავლებლად მუშაობდა ვაჟა-ფშაველას ძმა თედო რაზიკაშვილი. არითმეტიკის შემოწმების შესახებ იაკობ გოგებაშვილი შემოწმების ნარკვევში შემდეგს აღნიშნავს:

„არითმეტიკა ყველა განყოფილებას საშუალოდ შეუსწავლიათ, მარტივ ამოცანებს ადვილად და ჩქარა ხსნიან, მაგრამ რთულ ამოცანებზედ ბევრსა წვალობენ თვით საუკეთესო მოწაფენი. ამ საგანშიც მართებს მომეტებული ცდა და წარმატება“. [8, გვ. 223].

იაკობ გოგებაშვილის ამ ანგარიშიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა ამოცანების სწორად და რაციონალური გზით ამოხსნას.

1900 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მიერ გამოყოფილ კომისიას იაკობ გოგებაშვილის ხელმძღვანელობით შეუმოწმებია ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლა. იაკობ გოგებაშვილს, როგორც კომისიის ხელმძღვანელს გამგეობისათვის წარუდგენია შემოწმების ანალიზი. ამავე ბარათში იაკობ გოგებაშვილს დაუსახავს ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

არითმეტიკის შესახებ პირველი განყოფილების ანალიზში ნათქვამია შემდეგი:

„ოთხს არითმეტიკულ მოქმედებას ოცის საზღვრებში შეგირდები სწრაფად ანგარიშობდნენ, აგრეთვე სწრაფად ხსნიდნენ არართულ ამოცანებს. სწრაფადვე ანგარიშობდნენ რიცხვების ნაწილებს დასახელებულ საზღვრებში. საზოგადოდ, არითმეტიკის სწავლება ამ განყოფილებაში ძლიერ კარგად დაუყენებია ბ-ნს ჯანაშიას.“ [7, გვ. 248].

III განყოფილების ანალიზში კი ნათქვამია:

„მოსწავლეები ნუმერაციაში კარგად არიან გავარჯიშებული. კარგად იციან აგრეთვე ზომები სიმძიმისა, სიგრძისა და სხვა. მაგრამ ამოცანების ამოხსნასა და დასკვნაში, აგრეთვე ოთხ მოქმედებაში, ხშირად სცდებიან, საზოგადოდ, არითმეტიკის ცოდნა მოსწავლეთა მხრივ სრულად არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებასა.“ ამ განყოფილებაში მასწავლებლად უმუშავია არსენ წითლიძეს. კარგ დახასიათებას აძლევს იაკობ გოგებაშვილი ძველი სენაკის სკოლის მასწავლებელს ნიკო ჯანაშიას, რომელიც ასწავლიდა I და IV განყოფილებებს. მისი აზრით: „IV განყოფილების ყველა მოსწავლე კარგად ასრულებდა ოთხივე მოქმედებას სახელდებულ და განყენებულ რიცხვებზე, ხოლო ზეპირ ანგარიშში, ცოტას მოიკოჭლებენ.“ [7, გვ. 251].

იაკობ გოგებაშვილი მასწავლებლისაგან მოითხოვდა შეერჩია ისეთი ამოცანები, რომ მოსწავლეს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოდგომოდა. გარდა ამისა „მასწავლებელმა ანგარიშის სწავლებისას უნდა აამეტყველოს და გააცხოველყოფლოს, ცხოვრების სინამდვილეს შეუფარდოს, და ამ რიგად ეს საგანი მოსწავლეების საყვარელ საგნად გახადოს. ანგარიშის გაკვეთილებზე შექმნილ ცოდნას მოსწავლე ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა იყენებდეს.“ [9].

იაკობ გოგებაშვილი მასწავლებლებს სთხოვდა პრაქტიკული ხასიათის ამოცანების წინასწარ შედგენას და მოსწავლეების გავარჯიშებას ასეთი სახის ამოცანების შედგენასა და ამოხსნაზე.

მისი აზრით „სკოლამ მის ახალგაზრდობას უნდა ასწავლოს გვარიანად წიგნი. გაუხსნას გონება. შეასწავლოს საგნები პედაგოგიური გზით. მიაწილოს ცოდნა და მისცეს გონებითი ძალა კეთილდღეობის აღსადგენად და დასაცველად. ერთი სიტყვით მოამზადოს ცხოვრებისათვის.“ [1, გვ. 217].

მეთოდური მითითებების გარდა იაკობ გოგებაშვილი საინტერესო რეცენზიებს აქვეყნებდა იმ პერიოდში არსებული სახელმძღვანელოების ირგვლივ, რომელთაც კარგად იცნობდა და რომლებიც იხმარებოდა მაშინდელ სკოლებში. [5].

#### **ლიტერატურა:**

1. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. I, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1952.
2. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 3, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1954.
3. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 4, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1956.
4. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 5, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1957.
5. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 6, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1958.
6. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 7, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1960.
7. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 8, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1961.
8. გოგებაშვილი იაკობ, თხზულებათა ტ. 9, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1962.
9. „გოგებაშვილი იაკობ“, საიუბილეო კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1940.

### **ON UNPUBLISHED BOOK OF ARITHMETICS BY IAKOB GOGEBASHVILI**

**Tamar Dograshvili**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

**Irine Gogiberidze**, Akaki Tsereteli State University, Assistant Professor

#### **RESUME**

Iakob Gogebashvili's immortal books: "The Deda ena", "The Bunebis kari" and "The Russkoe Slovo" than had been intended to publish an arithmetic textbook, starting as a "Amocanani", but for some reason he did not do it. He wrote: "When Mr. Jajanashvili and Mr. Natroshvili were creating the textbook in arithmetic, we had just begun elementary arithmetic for public schools. But it will no longer be willing to make these people have not interfered". His personal archive is stored a 24-page notebook, with 12 pages full of 164 tasks from the scope of the first and second ten. Arithmetic would guide for Georgian schools. This notebook is entitled "First Section". I. Gogebashvili's "Amocanani" is published in his volume 9. In this work there is the methodical analysis of these tasks by I. Gogebashvili. And there are made the appropriate conclusions.

### **ასპექტის, როგორც ზმნის კატეგორიის, სწავლების შესახებ**

**ლელა ებგვერაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ასპექტი ქართული ზმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა. შესაბამისად, სწავლების პროცესში მას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ. ასპექტის კატეგორიის გაგება-გააზრებას ახლავს გარკვეული სირთულეები, რაც ხშირად ვლინდება ზმნის ფორმათა ანალიზის დროს. მოსწავლეები, უმეტეს შემთხვევაში, საანალიზო ზმნის ასპექტს განსაზღვრავენ მექანიკურად, მხოლოდ ზმნისწინის დართვა-დაურთველობის მიხედვით, რასაც შედეგად მოსდევს უასპექტო და ასპექტის



კატეგორიის წარმოების ისტორიული ვითარების ამსახველ ზმნათა ფორმების არასწორი კვალიფიკაცია. ეს ფაქტი ნათელს ხდის, რომ მოსწავლეებს არა აქვთ გააზრებული ასპექტის, როგორც ზმნის კატეგორიის, რაობა.

მოცემული პრობლემა განპირობებულია, ერთი მხრივ, ასპექტის გრამატიკული კატეგორიის შინაარსობრივი მახასიათებლის სირთულით, მეორე მხრივ, სწავლების ხარვეზებით.

ასპექტი რთული გრამატიკული კატეგორიაა. ასპექტის სემანტიკურ მახასიათებლად მოიაზრება შედეგობითობა-არაშედეგობითობა, სისრულე-უსრულობა, განგრძობითობა-წყვეტილობა, ასპექტს უკავშირებენ მრავალგზისობის სემანტიკის გამოხატვასაც. ქართული ზმნა თავდაპირველად განარჩევდა დიურატიულ (განგრძობით) და მომენტობრივ (წყვეტილ) ასპექტს. ენის ისტორიული განვითარების პროცესში თანდათანობით ჩამოყალიბდა სრული და უსრული ასპექტის სემანტიკა.

აკაკი შანიძის დეფინიციით, თანამედროვე ქართულ ენაში „ასპექტი ანუ სახე არის ზმნის ფორმა, რომელიც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს ან ისე, რომ მას ბოლო უჩანს, ან ისე, რომ მას ბოლო არ უჩანს“ (ა. შანიძე, გვ. 262). ლ. კვაჭაძე ასპექტს განმარტავს, როგორც „ზმნის ფორმას, რომელიც მიგვითითებს, რომ ზმნის მიერ გამოხატული მოქმედება დასრულებულია (დაუმთავრებელია) ან დაუსრულებელი (დაუმთავრებელია)“ (ლ. კვაჭაძე, გვ. 246).

სასკოლო და, შესაბამისად, განათლების მიმართულების საბაკალავრო სასწავლო კურსი ეყრდნობა შანიძე-კვაჭაძისეულ დეფინიციას. სწავლების პროცესის ერთ-ერთი მთავარი სირთულე სწორედ დეფინიციის დონეზე იჩენს თავს. მოსწავლეები ხშირად ვერ იაზრებენ, რას ნიშნავს დეფინიციათა კონტექსტში ცნებები - დასრულებული და დაუსრულებელი - ან განსაზღვრა - მოქმედებას ბოლო უჩანს და ბოლო არ უჩანს. მათთვის არსებითად გაუგებარი რჩება, როგორ შეიძლება წარსულში მომხდარი მოქმედება დაუსრულებელი იყოს, ხოლო ის მოქმედება, რომელიც არც კი დაწყებულია - დასრულებული. მასწავლებლის ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ სწავლება ისე წარმართოს, რომ ამგვარი ბუნდოვანება თავიდან აიცილოს.

ჩვენი აზრით, ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოშობს სწავლების პროცესში ასპექტური ოპოზიციის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე გაცნობის დამკვიდრებული პრაქტიკაც. შესაბამისად, არის ორგანიზებული სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მასალაც, მეთოდურ მითითებებში მასწავლებლებს ურჩევენ ერთი და იმავე ზმნის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შედარების გზით წამოაჩინონ ასპექტის, როგორც გრამატიკული კატეგორიის არსი. როგორც წესი, ხდება აწმყოსა და წყვეტილის მწკრივთა ფორმების შეპირისპირება, ან ერთმანეთს ადარებენ წყვეტილის მწკრივის სრული და უსრული ასპექტის ფორმებს.

ამ პრაქტიკას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი უპირატესობა. ზმნის ასეთ ფორმებში განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ასპექტური ოპოზიცია. მაგრამ, აქ იმალება საფრთხეებიც. ორივე გზას აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი. პირველ შემთხვევაში (აწმყო-წყვეტილის ოპოზიცია) მოსწავლეები რეალურად ვერც კი აღიქვამენ ასპექტის რაობას, დაუსრულებლობას მიიჩნევენ ახლანდელ დროში მიმდინარე პროცესის თვისებად, ხოლო დასრულებულობას - წარსულში მომხდარი, უკვე შეწყვეტილი მოქმედების მახასიათებლად. თავისი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს წყვეტილის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შეპირისპირების ხერხსაც. ასპექტიან ზმნათა დიდი ნაწილი წყვეტილში მხოლოდ სრული ასპექტის ფორმას გვიჩვენებს. სწავლებისას შეიძლება თავიდან ვერ ავიცილოთ კითხვა, რომლის პასუხიც არსებითად გაცდება შესასწავლ საკითხს, ხოლო იგნორირების შემთხვევაში გაურკვეველობას წარმოშობს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, ხშირად მოსწავლეები მარტივ გზას ირჩევენ. ისინი არ იაზრებენ ასპექტის სემანტიკურ მხარეს და მხოლოდ ის ამახსოვრდებათ, რომ ზმნისწინიანი ფორმა სრული ასპექტისაა, ხოლო უზმნისწინო - უსრული ასპექტის.

ჩვენი შეხედულებით, ასპექტის რაობის გაცნობის პირველ ეტაპზე არ არის გამართლებული სრული ასპექტის წარმოებაში ზმნისწინის როლის ხაზგასმა. მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, მოსწავლეებმა სწორად გაიაზრონ ასპექტის სემანტიკა. „ასპექტის რაობის შესწავლისას მთავარია მოსწავლეთათვის ნათელი გავხადოთ, რომ სრული ასპექტის ზმნები უმთავრესად მოქმედების შედეგს აღნიშნავენ და არა ხანგრძლიობას, ხოლო უსრული სახის ზმნები მოქმედების მიმდინარეობას“ (მ. თალაკვაძე, გვ. 69) ამ მიზნის მისაღწევად უნდა ვაჩვენოთ როგორც ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა ოპოზიცია, ისე ზმნები, რომლებიც სრულ ასპექტს უზმნისწინოდ გამოხატავენ და ზმნები, რომელთა ზმნისწინიან ფორმებს ახლანდელი დროის გაგებით უსრული ასპექტის შინაარსი აქვთ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასპექტის რაობის გასაცნობად ერთმანეთს შევუპირისპიროთ ერთი და იმავე ზმნის აწმყოსა და მყოფადის მწკრივის ფორმები. აქ შეიძლება თავი იჩინოს სირთულემ, რომელიც მომავლის ფორმათა დასრულებულობის აღქმის სიმძნელეში მდგომარეობს, მაგრამ ამ გზას აქვს უდავო უპირატესობა. ასპექტური ოპოზიცია ყველა ასპექტიან ზმნაშია გამოხატული და არის შესაძლებლობა თანამედროვე ქართულ ენაში სრული და უსრული ასპექტის გამოხატვის ყველა ფორმა ვაჩვენოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადემონსტრაციო მასალაში შეძლებისდაგვარად სრულად უნდა მოვიცვათ თანამედროვე ქართულში გამოყენებული სრული და უსრული ასპექტის ფორმები. ამასთან, თავდაპირველად, უნდა ავიღოთ ფორმები, რომელთა ასპექტური შინაარსი კონტექსტზე არ არის დამოკიდებული. თუმცა უმჯობესია საანალიზო ზმნები იმთავითვე წინადადებებში წარმოვადგინოთ. ჩვენი აზრით, უმჯობესია გამოვიყენოთ სპეციალურად შექმნილი მარტივი კონსტრუქციები და არა ნაწყვეტები მხატვრული ტექსტებიდან, რომლებშიც, ჩვენი მიზნის შესაბამისი ფორმების გარდა, გვხვდება სხვა ზმნებიც. ასევე სასურველია, ზმნისწინიან ფორმებში გამოვიყენოთ ნეიტრალური ზმნისწინები, რომლებიც არ ასრულებენ მნიშვნელობის ცვლის ან გეზისა და ორიენტაციის გამოხატვის ფუნქციას.

ნინო წერილს წერს	ნინო წერილს დაწერს
კატა მზეზე თბება	კატა მზეზე გათბება
ბავშვი გაკვეთილს სწავლობს	ბავშვი გაკვეთილს ისწავლის
გოგონა ყვავილებს ყიდულობს	გოგონა ყვავილებს იყიდის
დათო ლექსს ამბობს	დათო ლექსს იტყვის
სათქმელს ყურში ჩასმახის	სათქმელს ყურში ჩასმახებს

მოცემული მაგალითების განხილვის საფუძველზე მოსწავლეებს უნდა გავააზრებინოთ, რომ პირველ სვეტში მოცემულ ფორმებში მოქმედება წარმოდგენილია როგორც პროცესი და არ არის ნაჩვენები ეს მოქმედება შედეგით დასრულდება თუ არა, ხოლო მეორე სვეტის ფორმებში ჩანს, რომ მოქმედება შედეგით დასრულდება.

სრული და უსრული ასპექტის სემანტიკის გააზრების კვალობაზე უნდა შემოვიტანოთ ასპექტის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, დეფინიცია. განვმარტოთ სრული და უსრული ასპექტის ცნება.

ამის შემდეგ შესაძლებელია მოსწავლეებს გავაცნოთ ფორმები, რომლებიც ახლანდელი დროის გაგებით უსრული ასპექტისანი არიან, ხოლო მომავლის გაგებით - სრული ასპექტისანი.

გიორგი დათოს წიგნს სთხოვს (ახლა). (რას შვრება?)	გიორგი დათოს წიგნს ხვალ სთხოვს. (რას იზამს?)
ნიკო სურათს აღწერს (ახლა). (რას შვრება?)	სახლში მისვლის შემდეგ ნიკო სურათს აღწერს. (რას იზამს?)
მომხსენებელი საინტერესო საკითხს განიხილავს (ახლა). (რას შვრება?)	ამ საკითხს მომხსენებელი ხვალ განიხილავს. (რას იზამს?)

ყველა ზემოთ მოცემულ ფორმაზე დაკვირვების შედეგად გაკეთდება დასკვნა, რომ ქართულ ენაში არსებობს ასპექტის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება:

1. სრული და უსრული ასპექტის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება ზმნისწინის დართვა-დაურთველობით (წერს -დაწერს, კერავს - შეკერავს, რეცხავს - გარეცხავს, თბება - გათბება, იყინება - გაიყინება...)
2. სრული და უსრული ასპექტის ფორმები სხვადასხვა ფუძით არიან წარმოდგენილნი. (ამბობს - იტყვის, ეუბნება - უთხრა, შვრება - იზამს...)
3. სრული და უსრული ასპექტის ფორმები ერთმანეთისაგან თემის ნიშნებითა და ხმოვან პრეფიქსებით განსხვავდება (ეკითხება - ჰკითხავს, ყიდულობს - იყიდის, შოულობს - იშოვის, ნახულობს - ნახავს, სწავლობს - ისწავლის...)
4. ზმნა სრულ და უსრულ ასპექტს კონტექსტთან მიმართებაში ერთი და იმავე ფორმით გამოხატავს (სთხოვს, სცემს, აღრიცხავს, აღნიშნავს, განიხილავს, განმარტავს)

ამის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართულში სრული ასპექტის წარმოება ძირითადად ზმნისწინის ეკისრება, მაგრამ საკმაოდ დიდია ხვედრითი წილი ზმნებისა, რომლებიც ასპექტურ ოპოზიციას სხვა საშუალებებით გამოხატავენ.

ასპექტის სემანტიკისა და წარმოების ფორმების დაზუსტების შემდეგ მოსწავლეებს უნდა ვაჩვენოთ, რომ ასპექტური ოპოზიცია ერთი მწკრივის ფარგლებშიც არის შესაძლებელი (წერა -დაწერა / უწერია - დაუწერია, კერა - შეკერა / უკერია - შეუკერია, რეცხა - გარეცხა / ურეცხია - გაურეცხია...). აქვე უნდა განვუმარტოთ, რომ ამ უნარს ფაქტობრივად ავლენენ მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნები, რომლებიც სრულ ასპექტს ზმნისწინის მეშვეობით აწარმოებენ.

ზმნისწინის როლის აქცენტირება გამართლებულად არ მიგვაჩნია უასპექტო ზმნების გაცნობის დროსაც. ამ შემთხვევაშიც, პირველ რიგში, საკითხის შინაარსობრივ მხარეზე უნდა გავამახვილოთ

ყურადღება. მოსწავლეებს უნდა ვაჩვენოთ, რომ ქართულ ენაში არის ზმნები, რომელთა ფორმები გამოხატავს ან მხოლოდ უსრული ასპექტის შინაარსს ან მხოლოდ სრული ასპექტის შინაარსს.

ამ მიზნით ჯერ მივაწვდით მაგალითებს, როცა ზმნები ყველა ფორმაში მოქმედებას წარმოგვიდგენენ როგორც პროცესს, რომელსაც შედეგი არ უჩანს (მოქმედებას დაუსრულებელი სახით წარმოგვიდგენენ), ხოლო შემდეგ ზმნებს, რომლებიც ყოველთვის მოქმედების შედეგს უჩვენებენ.

1.

წყალი დუღს	წყალი იდუღებს	წყალმა იდუღა	წყალს უდუღია
ერეკლე ფეხბურთს თამაშობს	ერეკლე ფეხბურთს ითამაშებს	ერეკლემ ფეხბურთი ითამაშა	ერეკლეს ფეხბურთი უთამაშია
დავითი ტბაში ცურავს	დავითი ტბაში იცურებს	დავითმა ტბაში იცურა	დავითს ტბაში უცურია
ბიჭი ეზოს დარაჯობს	ბიჭი ეზოს უდარაჯებს	ბიჭმა ეზოს უდარაჯა	ბიჭს ეზოსთვის უდარაჯია
ბავშვს ძინავს	ბავშვს ეძინება (ძილის მდგომარეობაში იქნება)	ბავშვს ეძინა	ბავშვს ძინებია

2.

ეზოში ხილი ყრია (არის დაყრილი)	ეზოში ხილი ეყრება (დაყრილი იქნება)	ეზოში ხილი ეყარა (იყო დაყრილი)	*ნაყრელა (ყოფილა დაყრილი)
ოთახში ხალიჩა აფენია (არის დაფენილი)	ოთახში ხალიჩა ეფენება (იქნება დაფენილი)	ოთახში ხალიჩა ეფინა (იყო დაფენილი)	
ხეს ნაყოფი ასხია (აქვს მოსხმული)	ხეს ნაყოფი ესხმება (ექნება მოსხმული)	ხეს ნაყოფი ესხა (ჰქონდა მოსხმული)	ხეს ნაყოფი სხმია (ჰქონია მოსხმული)
ქვაბს სახურავი ახურავს (დახურული აქვს)	ქვაბს სახურავი ეხურება (დახურული ექნება)	ქვაბს სახურავი ეხურა (დახურული ჰქონდა)	ქვაბს სახურავი ხურებია (დახურული ჰქონია)
სანთელი ანთია (არის დანთებული)	სანთელი ენთება (იქნება დანთებული)	სანთელი ენთო (იყო დანთებული)	*ნთებულა

მოცემული მაგალითების განხილვის შემდეგ აღვნიშნავთ, რომ ოპოზიციური ცალის არმქონე ზმნებს, ვუწოდებთ უასპექტო ზმნებს. სასურველია მოსწავლეებს გავაცნოთ ამ ტიპის ზმნების აღსანიშნად გამოყენებული ტერმინი - ასპექტნაკლი ზმნები. აქვე დავაზუსტებთ, რომ ასეთი ზმნები ხშირად ვერ აწარმოებენ ყველა ფორმას.

მხოლოდ ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ვისაუბროთ უასპექტო ზმნებში ზმნისწინის როლის შესახებ. ფრინავს/მიფრინავს/ მოფრინავს/დაფრინავს, მიდის/მოდის/დადის, ქრის/მიქრის/მოქრის/დაქრის, მირბის/მორბის/დარბის/გარბის... ფორმების მეშვეობით ვაჩვენებთ, რომ უასპექტო ზმნებს ზმნისწინი არ ანიჭებს სრული ასპექტის გაგებას. აქვე უნდა გავაცნოთ შემთხვევები, როცა ზოგი ზმნისწინი ზმნაში მხოლოდ მიმართულებას გვიჩვენებს (მიცურავს/მოცურავს/დაცურავს, დაათრევს/მიათრევს/მოათრევს...), ხოლო სხვა ზმნისწინებით ეს ზმნები სრული ასპექტის გაგებას იძენენ (გაცურავს, წაათრევს).

ნიმუშებზე დაკვირვების შედეგად გაკეთდება დასკვნა, რომ უასპექტო ზმნები ზმნისწინს საერთოდ არ დაირთავენ ან ამ ზმნისწინებს ეკისრება არა სრული ასპექტის, არამედ სხვა სემანტიკური ნიუანსის (უმეტესწილად მიმართულების) გამოხატვა.

მხოლოდ ამ ეტაპზე მიგვაჩნია მიზანშეწონილად მოსწავლეებს მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ უასპექტო ზმნები, როგორც წესი, სტატიკურ ვნებითა და საშუალო გვარს განეკუთვნებიან.

ბოლოს უნდა დავძინოთ, რომ ასპექტის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, სწავლების შემოთავაზებული მოდელი, რა თქმა უნდა, არ არის უნივერსალური, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქ გამოკვეთილი მომენტების გათვალისწინება დაეხმარება დაინტერესებულ პირებს მოცემული საკითხის სწავლება-სწავლასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში.

### ლიტერატურა:

1. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.
2. ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992.

3. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი პირველი, თბილისი, 1981.
4. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი, 2001.
5. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბილისი, 2011.
6. მ. თალაკვაძე, ზმნის სწავლება სკოლაში, თბილისი, 1955.
7. გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 1974.

**ABOUT TEACHING ‘ASPECT’ AS A CATEGORY OF A VERB**  
**Lela Edzgeradze, Akaki Tsereteli State University, Associate Professor**  
**RESUME**

Aspect is a difficult grammar category. Mistakes caused by misunderstanding the idea of aspect as a verbs' category are frequent in the process of analyzing verb forms. It is often difficult for learners to realize semantic of aspectual distinction between perfective and imperfective aspect. So they are tend to determine the aspect of concrete verb by formal characteristics. They consider all verbs with preverbs as perfective aspect forms and verbs without preverbs – as imperfective aspect forms.

The article deals with practical questions of teaching grammar category of aspect and suggests the possible ways of understanding and overcoming these issues. To prevent the above mentioned difficulties it is of great significance, to form clear and sequential idea of aspect semantic characteristics. We consider it is necessary to show there is no direct correspondence between the using preverbal particles and aspect category. In particular, we must show that, in many cases, perfective aspect is conveyed without preverb and verbs with preverbs often express imperfective aspect.

**FORMS AND METHODS OF WORKS OF CLASS MENTOR WITH PARENTS ON THE  
 MODERN TYPE OF SCHOOL DEVELOPMENT**

**Lia Menteshashvili, Tbilisi Teaching University, Professor**  
**Tamar Jangulashvili, Tbilisi Teaching University, Professor**  
 E-mail: t.jangulashvili@gmail.com

Family has a special place in children's upbringing. School should properly assist parents to handle their duties faithfully.

On the modern type of school development it is expedient if class mentor uses massive and individual work forms and methods while communicating with parents.

Massive forms of work with parents are the following: Pedagogical lecture-conversations, parents' conferences for exchanging experiences about family upbringing, Q&A evenings, parents' clubs, open days to arrange parents' days, thematic evenings.

Pedagogical lecture-conversations should be conducted on various issues of upbringing. Taking into consideration of the age of pupils, class mentor should plan in advance the lecture-conversations with parents and topics for the semester or the whole academic year. Pedagogical lecture-conversations are an effective way for parents' pedagogical education. Class mentor also considers the parents' interests.

Topics of lecture-conversations should be complied with modern conditions of life, present requirements. The following topics are recommended to be discussed during the lecture-conversations with pupils' parents:

1. Family and its role in upbringing of children;
2. Parents' own example and authority;
3. Consideration of teenagers' age and individual features in family upbringing;
4. Upbringing of feelings of responsibilities and duties in family;
5. Upbringing of humanism in family;
6. Development of aesthetic feelings in family;
7. Upbringing of friendship in family;
8. Upbringing of habits of willpower and cultural behavior;
9. Mental upbringing of pupils in family etc.

It is obvious that none of the parents can bring up a child with only listening to the lecture-conversations, he/she should have innate features of mentor. For proper upbringing of the child, you should be familiar with him/her very well, identify ins and outs of his/her behavior which highlights his/her features of character, you should guess minor changes of unsteadiness of ideas. If parents do not have an ability to observe children's behavior it will be hard to realize the motives of behavior and accordingly, do not have relevant reactions.

Holding conferences of parents on the purpose for exchanging experiences about family upbringing are one of the effective forms to work with parents. During conversations parent should talk about what they do for upbringing of the child with high moral features, share their own experiences of family upbringing. Class mentor should effectively organize and hold conferences. It is desirable if she plans before the beginning of academic year when the parents' conferences concerning exchanging experiences of family upbringing are held, who presents the topics and what issues will be discussed. Such conferences should be thematic. At the end of the conferences useful advices should be given to parents about proper upbringing of the child in family.

Organizing Q&A evenings aims at enhancing pedagogical culture of parents. Parents can raise questions concerning their interests and wills. Organizing Q&A evenings is a basic duty of class mentor but it is desirable if other subject teachers and school principals participate in it.

To hold interesting Q&A evenings it is necessary to invite high qualified specialists from the relevant fields who have experiences in upbringing of teenagers. In such evenings parents can meet various subject teachers as well as specialists of pedagogy, psychologists, lawyers, doctors etc.

One of the important forms of working with parents is meeting of class parents. Meeting can be held 3-4 times during the academic year.

Results of semester or academic year are summed up during the meeting of class parents. They will be well familiarized with achievements and drawbacks of their children in education. Each parent gets the references of his/her child by class mentor. Class mentor plans the ways of improvement of teaching-educational works with parents etc.

It is necessary to consider the age of pupils to hold the parents' meeting. Class mentor and subject teachers should discuss various issues with parents of different aged pupils.

Parents' class meetings should vary with its context and nature. In the beginning of academic year, in September, it is necessary to organize e.g. meeting of organizational nature. Committee of class parents should be elected in this meeting.

Meeting of class parents can be dedicated to the issues of enhancement of pedagogical culture of parents. The so-called "own methods of upbringing" elaborated individually by parents only is not enough for child's upbringing. Upbringing and teaching have its regularity and it is necessary to gain proper knowledge to understand it profoundly. One part of parents with low pedagogical education solves a number of issues concerning child's upbringing in a wrong way. Some of them do not even realize that it is important to look through a pedagogical literature and with his/her own viewpoints he/she thinks to decide very complex and reasonable issue concerning child's upbringing.

Naturally raises the question: how parents can gain necessary, elementary pedagogical knowledge which will help them to bring up the child with high moral features, to whom to apply for help?

Class mentor is responsible for enhancement of parents' pedagogical culture. She should pay a proper attention to the organization of pedagogical propaganda among parents.

It is necessary to introduce parents' meeting-disputes in schools. Questions for disputes should be prepared in advance. Class mentor can introduce questions to parents before meeting-disputes or raise them immediately during the meeting for the participation in discussion.

Meeting-disputes can be held to discuss each moral principle or general issue of upbringing. Disputes should be held on separate, specific issues of family upbringing which excites parents more and require right and detailed answers. Participation in disputes develops common pedagogical thinking of parents, promotes enhancement of their pedagogical culture.

The following questions can be chosen for organizing the meeting-disputes on general issues of upbringing (a teacher can add some creative changes to it):

1) What useful advices are given to children? 2) What are those features which need to be developed? 3) How your child's immoral behavior affects you? 4) How children react on your remarks? 5) What individual features have your child? 6) How your child's individual features change in parallel to age increase? 7) How your child treats elders, what features he/she reveals while communicating with them? 8) How your child treats younger children? 9) How your children treat family members (except parents)? 10) Do you consider it as right when parents help children in studying or doing written homework? 11) Do you observe changes in teenager's behavior after giving advices or after talks?

If class mentor observes some mistakes made by parents during discussions at meeting-disputes and they highlight issues in a wrong way, she gives proper explanations to make the controversial issue clear. Class mentor with pedagogical tactic and in an organized way should lead the meeting-disputes. In the end it is necessary to sum up the disputes, make correct pedagogical conclusions.

At the end of the semester or academic year it is necessary to organize parents' meeting concerning results of educational works. At such meetings class mentor will talk about pupils' academic achievements, disciplines, she will report to parents, teachers attending the meeting or about the works done in the class during the academic year.

Beside the class mentor, it is necessary if subject teachers talk about pupils' achievements or drawbacks because they are more aware of the level of knowledge, discipline on lessons, interests detected in extracurricular activities, talent and ability of each pupil according to subjects.

It would be reasonable if beside the class meetings the general school meetings of parents are held. Such meetings can be held once or twice an academic year. Attendance in general school meeting of parents is equally mandatory for the parents of pupils. Here they will get the information about achievements and drawbacks of common works, listen to the interesting issues about family upbringing.

It is desirable if "Parents' Days" and "Open Days" are paid much attention.

Few years ago lectures for parents was widely recognized form. It will be useful if such proven and introduced forms of working with parents are resumed. We are presenting some recommendations concerning the above-mentioned issues. Holding the lectures for parents, elaboration of its working program should be provided by the class mentor. For each academic year it is necessary to elaborate a new program for lectures. Lectures should be diverse and current issues of upbringing should be discussed. Lectures widely contribute to the enhancement of parents' pedagogical culture.

The following topics can be included in the thematic plans for lectures of parents. a) the purpose of moral upbringing; b) the essence of upbringing, education and teaching; c) importance of parents' own examples and authority; d) utilization of methods for upbringing in family; e) consideration of age and individual features; f) role of family while selecting a profession of teenagers.

Class mentor should pay a special attention to the individual work with pupils' parents. individual work makes class mentor closer to pupils' parents, promotes the improvement of family upbringing.

Before the individual work with parents class mentor should be familiar with each pupil of her class and plan the individual work with parents considering this.

To know pupils well class mentor observes each pupil from the first day of school, studies individual features of each pupil, observes their behavior during lessons, breaks, how they behave with classmates etc.

As a result of the observation of pupils, on the basis of her viewpoints, at the end of academic year, class mentor should write references of each pupil. References of pupils are necessary to be kept in their personal documents.

At the end of each academic year class mentor should write a new reference (references of previous years are kept in pupils' personal documents) because teenagers personal features, attitudes toward studying, interests to subjects, relations with teachers, classmates etc. are changing in parallel to age changes.

Class mentor is obliged to introduce the references of pupils in written by her to parents. Basically class mentor rates pupils according to school environment, parent are rated according to family environment.

In schools we interviewed class mentors, parents of pupils. The purpose was to identify: a) how each pupil was characterized by class mentor; b) how pupils are characterized by parents according to family environment; c) were the differences between the references written by class mentor or parents (or were or not differences in general).

From the interviews with class mentors and parents we concluded that the references of some parents and teachers were totally coincided, some references were sharply different and sometimes there were some slight differences between the references written by parents and class mentor.

Individual work should be systematically held with all parents. It is wrong when class mentor meets only those parents whose children breach the order or have low academic performance but those parents whose children study well, stand out with exemplary behavior, they hardly work individually or seldom communicate with them.

Working with children and teenagers with behavioral problems is of vital importance. As for children various forms of misbehavior are noticed from the early stages, more often episodically, but there are some cases when a child's undisciplined behavior becomes a habit and is expressed in his/her systematic negative activities. Such categories of children are nervous, spoiled, stubborn, lazy children, also weak, backward second-year pupils.

Working with children with behavioral problems is hard and it takes a long time for class mentor, subject teachers, school administration.

Class mentor should carefully work with families with disorders. Working with such family is a problem for class mentor as well as the whole school teachers and is hard to solve. Children from such families are more misbehaved and have low academic achievements etc.

Class mentor should often visit families with disorder, have systematic talks with parents, study the living conditions of pupils carefully, control activities of pupils after leaving school for home etc. schools and class mentor should assist those children who lack of warm of parents, careless abandoned children, who are victims of mistakes made in family upbringing on the purpose for not losing a belief of future.

Class mentor should also pay much attention to the families with only one child or adopted one. In many cases an only child or adopted one is overindulged by parents and some negative features are developed.

Class mentor should constantly supervise such families living in poor conditions or a child brought up by only mother or father. Class mentor should often visit such families and pay more attention to parents.

Class mentor should also work with and pay attention to large families. Parents may not pay proper attention to all children because of their numerosity. Parents' negligence, mistakes made by them can greatly harm children, negative features can be developed.

One of the widespread, effective forms of individual work with parents is individual pedagogical conversations.

Pupils with low academic achievements who behave unsatisfactory with teachers, classmates, society, in this cases it is necessary if class mentor meets parents of such pupils more often, also pedagogical conversations should be conducted systematically.

Plans for parents' pedagogical conversations should be elaborated for semester or whole academic year in advance by class mentor. Conversations should be dedicated to the important problems concerning family upbringing.

One of the effective methods of individual work with parents is correspondence. When we interviewed the parents we were assured that they support having such correspondence with class mentor.

Individual pedagogical consultations are one of the effective methods of individual work with parents. Group or individual pedagogical consultations about the interesting issues can be organized with parents.

After pedagogical consultations class mentor should definitely talk with parents to be informed how the present situation changed in the family, if there are some results after advices given by class mentor about unsolved issues. It is desirable if class mentor registers the pedagogical consultations with parents, records those parents were assisted and about what issues are discussed, also about what the parents are given consultations and what are the results after the activities done.

As we see class mentor has lots of possibilities to work with parents and these possibilities should be widely utilized.

#### LITERATURE:

1. Gobronidze A., Pedagogics, Batumi, 1996.
2. Kuchukhidze Sh., Caregiver of a good child (talks with parents about the upbringing of a child), Tbilisi, 1984.
3. Menteshashvili L., Mentor's work with parents, Tbilisi, 1987.
4. Nargizishvili A., Family Pedagogics, Tbilisi, 2008.

#### RESUME

School should properly assist parents to cope with the duties imposed by them.

On the modern type of school development, it is expedient if class mentor uses forms and methods of massive and individual work.

Massive forms of working with parents are: Pedagogical lecture-conversations; Parents' conferences on the purpose for exchanging family upbringing; Q&A evenings; Meetings with parents; Open Days or Parents' Days; Thematic evenings.

Individual forms (individual pedagogical conversations, correspondence etc.) of working with parents should be used effectively as well.

### უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები

ლევან მიდოდაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ნიკოლოზ მიდოდაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
მოწვეული სპეციალისტი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის გაზრდამ, საზოგადოებრივი განვითარების კონტექსტში უმაღლესი განათლების როლის მნიშვნელოვანმა ამაღლებამ და საზოგადოების მოლოდინების გაფართოებამ გამოიწვია საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი მონიტორინგის მიზნით ისეთი ინსტრუმენტებისა და პროცედურების შემუშავება და ამოქმედება, როგორცაა ხარისხის გარე თუ შიდა კონტროლი, ავტორიზაცია, აკრედიტაცია, აუდიტი და სხვა. საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხი რეგულირდება სახელმწიფო კანონმდებლობით (1,2), რომლის შესაბამისადაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. ამასთან, გარე მექანიზმებს წარმოადგენს ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელთა განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო შიდა მექანიზმები ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ (2). განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებიდან თითოეული მათგანი გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსების, საგანმანათლებლო პროგრამების, არსებული პროცესების, ან მათი განვითარების ტენდენციების

გარკვეულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას და შეფასებას, რაც ამ სტანდარტებთან დაკავშირებული სპეციალური ინსტრუმენტების - ინდიკატორების სისტემის საშუალებით ხორციელდება. შესაბამისად, ინდიკატორები წარმოადგენს დაწესებულების წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი რესურსებისა და პროცესების გარკვეული ასპექტების გაზომვის საშუალებათა ერთობლიობას (3), რაც დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგის, არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა-აღმოფხვის და, ზოგადად, საქმიანობის ხარისხის განვითარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა (4-7).

ინდიკატორების გამოყენება გულისხმობს გარკვეული შემოწმების წყაროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე სათანადო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების რაოდენობრივ ან თვისობრივ შეფასებას წინასწარ განსაზღვრული სკალის მიხედვით. მათი გამოყენებით შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული რეალობის გარკვეული ასპექტების უკეთ გაგება მათი სიღრმისეული შესწავლის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, თავისი მისიიდან და მიზნებიდან გამომდინარე, საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით, შეიმუშაოს და გამოიყენოს სასწავლო პროცესის შეფასების საკუთარი სტანდარტები და სათანადო ინდიკატორები. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის მიზნით მოსალოდნელი ცვლილებებისა (8) და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაზე საქართველოს ორიენტაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სასწავლო პროცესის შიდა შეფასების სტანდარტები დაეფუძნოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარების თაობაზე არსებულ საერთო ევროპულ ხედვას, რაც ნათლად ჩამოყალიბებული ევროკომისიის 2013 წლის ანგარიშში უმაღლესი განათლების მოდერნიზაციასთან დაკავშირებით (9). შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებისა და სწავლის ხარისხის განვითარების თაობაზე ევროკომისიის 11 რეკომენდაციისათვის, როგორც სასწავლო პროცესის შიდა შეფასების სტანდარტებისათვის, ჩვენს მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ინდიკატორების სისტემა.

**რეკომენდაცია 1:** ყოველმა ინსტიტუციამ უნდა შეიმუშაოს და გამოიყენოს ადამიანური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი სწავლებისა და სწავლის მხარდაჭერისა და განვითარების სტრატეგია, რომელიც უნდა აისახოს მის მისიაში და მიეცეს არანაკლები პრიორიტეტი, ვიდრე სამეცნიერო კვლევას.

**ინდიკატორები:**

- სწავლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა ასახულია ინსტიტუციის მისიაში;
- ინსტიტუციას შემუშავებული აქვს სწავლებისა და სწავლის სტრატეგია;
- ინსტიტუციის სტრატეგია სწავლებას განიხილავს როგორც ერთერთ მირითად პრიორიტეტს, რომელიც თავის მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება სამეცნიერო კვლევით საქმიანობას;
- სწავლებისა და სწავლის სტრატეგია უზრუნველყოფილია ადეკვატური მატერიალური და ადამიანური რესურსებით;
- ინსტიტუციაში არსებობს სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განხორციელებაზე, სწავლების ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარებასა და სახვა სახის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე;

**რეკომენდაცია 2:** უმაღლესი განათლების ინსტიტუცია ხელს უწყობდეს სასწავლო პროცესში სტუდენტებთან უკუკავშირის გაძლიერებას და ითვალისწინებდეს სტუდენტთა მოსაზრებებს, რითაც შესაძლებელია სწავლებისა და სწავლის პროცესებში არსებული პრობლემების დროული გამოვლენა და მათი აღმოფხვრა.

**ინდიკატორები:**

- არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტთან უკუკავშირს;
- ინსტიტუციური რეგულაციებით გათვალისწინებულია სტუდენტთან უკუკავშირით მიღებული ინფორმაციის განხილვის, ანალიზისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები;

**რეკომენდაცია 3:** სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალი 2020 წლისათვის უნდა ფლობდეს პედაგოგიური ტრენინგების სერტიფიკატს. მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განათლება უნდა გახდეს აუცილებელი მოთხოვნა უმაღლესი განათლების სფეროში დასაქმებული პედაგოგებისათვის.

**ინდიკატორები:**

- ინსტიტუციის სწავლებისა და სწავლის სტრატეგიით გათვალისწინებულია მასწავლებელთა მიერ პედაგოგიური სრულყოფის მიზნით რეგულარული ტრენინგების გავლა;



- ინსტიტუციაში არსებობს სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისათვის პედაგოგიური ტრენინგების ჩატარებას;

**რეკომენდაცია 4:** აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების, სამსახურებრივი დაწინაურებისა და წახალისების შესახებ გადაწყვეტილება სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს მისი აკადემიური საქმიანობის შეფასებას.

**ინდიკატორები:**

- სასწავლო პერსონალის სამსახურში მიღების წესით გათვალისწინებულია კანდიდატის მიერ პედაგოგიური კომპეტენციების ფლობის აუცილებლობა;

- ინსტიტუციის სწავლებისა და სწავლის სტრატეგიაში მკაფიოდ არის მითითებული, რომ სასწავლო პერსონალის სამსახურებრივი დაწინაურებისა და წახალისების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კანდიდატის პედაგოგიური კომპეტენციებისა და მიღწევების გათვალისწინებით;

- სასწავლო პერსონალის სამსახურში მიღების წესით გათვალისწინებულია კანდიდატის მიერ სწავლებისა და სწავლის კონცეფციის წარმოდგენა;

- ინსტიტუციური რეგულაციებით უზრუნველყოფილია ახლად მიღებული მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის მეთვალყურეობა და შეფასება გამოცდილი სასწავლო პერსონალის მიერ;

**რეკომენდაცია 5:** ინსტიტუციის ხელმძღვანელობამ უნდა გამოავლინოს და წახალისოს (მაგ., სტიპენდიებით, ჯილდოებით, პრემიებით და სხვ.) მასწავლებლები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში თავისი პრაქტიკული საქმიანობით ან სწავლებისა და სწავლის დარგში განხორციელებული კვლევებით.

**ინდიკატორები:**

- ინსტიტუციის სწავლებისა და სწავლის სტრატეგიით გათვალისწინებულია იმ მასწავლებელთა გამოვლენისა და წახალისების პროცედურები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებაში;

- ინსტიტუციაში არსებობს იმ მასწავლებლების გამოვლენისა და წახალისების პროცედურები, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს სწავლებაში თანამედროვე კვლევების შედეგების ინტეგრირება;

**რეკომენდაცია 6:** საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის შემუშავება და მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს სასწავლო პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლების მონაწილეობით, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ რელევანტური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მათი დასაქმების შესაძლებლობის ამაღლებას.

**ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცედურებით გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარეს (სასწავლო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) აქტიური მონაწილეობა;

- ინსტიტუცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესში სწავლებისა და სწავლის თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების დანერგვას;

**რეკომენდაცია 7:** სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასება უნდა ხორციელდებოდეს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ ერთობლივად შემუშავებული და ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების საფუძველზე.

**ინდიკატორები:**

- ინსტიტუციური რეგულაციებით გათვალისწინებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განსაზღვრა ხორციელდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით;

- ინსტიტუციური რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო კურსებით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გადამოწმების მექანიზმი;

- ინსტიტუციური რეგულაციებით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მსაღწევად საჭირო სტუდენტის სასწავლო დატვირთვის მოცულობის განსაზღვრის მექანიზმი;

- საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგი ასოცირებულია შესაბამის სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან;

- საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით განსაზღვრულია ადეკვატური მოცულობის სტუდენტის სასწავლო დატვირთვა;

- სწავლის შედეგები წარმოდგენილია ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სახით;

- ინსტიტუციური რეგულაციებით გათვალისწინებულია სწავლის შედეგების და მათი შეფასების ადეკვატურობის გადამოწმების მექანიზმი.

**რეკომენდაცია 8:** უმაღლესი განათლების ინსტიტუციამ სტუდენტებთან ერთად უნდა დააარსოს კონსულტირების, ხელმძღვანელობისა და მონიტორინგის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერას როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციაში, ისე მისი ფარგლების გარეთ.

**ინდიკატორები:**

- ინსტიტუციის სტრატეგიაში მკაფიოდ არის მითითებული კონსულტირების, ხელმძღვანელობისა და მონიტორინგის სისტემების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მხარდაჭერას როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციაში, ისე მისი ფარგლების გარეთ;

- ინსტიტუციური რეგულაციებით თითოეული სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია მისთვის საჭირო კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისაგან;

- ინსტიტუციური რეგულაციებით გათვალისწინებულია სტუდენტის მოთხოვნაზე ან საჩივარზე რეაგირების პროცედურები;

- ინსტიტუციური რეგულაციებით გათვალისწინებულია კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის მექანიზმები.

**რეკომენდაცია 9:** უმაღლესი განათლების ინსტიტუციამ უნდა ჩამოაყალიბოს და განავითაროს სწავლების, სწავლისა და შეფასებისადმი კროსდისციპლინური, ტრანსდისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომები სტუდენტთა ცოდნის გაფართოების, აგრეთვე შემოქმედებითად და ინოვაციურად აზროვნების უნარის განვითარების მიზნით.

**ინდიკატორები:**

- ინსტიტუციის სტრატეგიით გათვალისწინებულია სწავლების, სწავლისა და შეფასებისადმი კროსდისციპლინური, ტრანსდისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომები, აგრეთვე შემოქმედებითი და ინოვაციური უნარების განვითარება;

- ინსტიტუციური რეგულაციებით გათვალისწინებულია აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი დარგის/სპეციალობის სასწავლო კურსებთან ერთად სხვა დარგის/სპეციალობის სასწავლო კურსების ჩართვა;

- ინსტიტუციური რეგულაციებით უზრუნველყოფილია სტუდენტის სწავლებასა და სწავლაში სხვადასხვა დარგის სასწავლო პერსონალის მონაწილეობა;

**რეკომენდაცია 10:** უმაღლესი განათლების ინსტიტუცია უნდა ახორციელებდეს მასწავლებლების მხარდაჭერას მათ მიერ სწავლებისა და სწავლის თანამედროვე, ციფრული ტექნოლოგიების მიღწევებზე დაფუძნებული მეთოდებისა და ფორმების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარების განვითარების მიზნით.

**ინდიკატორები:**

- ინსტიტუციის სტრატეგიაში მკაფიოდ არის ასახული სწავლებისა და სწავლის პროცესებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა;

- ინსტიტუციაში ხორციელდება ელექტრონული სწავლების განვითარების მხარდაჭერა შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით;

- ინსტიტუციაში არსებობს სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პერსონალისათვის ელექტრონული სასწავლო კურსების განხორციელების მხარდაჭერას.

- ინსტიტუციაში არსებობს სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ელექტრონულ სწავლებაში ჩართვის მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებასა და სხვა სახის მხარდაჭერას.

**რეკომენდაცია 11:** უმაღლესი განათლების ინსტიტუციამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ინტერნაციონალიზაციის ერთიანი სტრატეგია, როგორც მისი მისიის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი. სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ზრდა, კურიკულუმის ინტერნაციონალური განზომილება, ფაკულტეტის ინტერნაციონალური გამოცდილება, ინგლისური ენის საკმარის დონეზე ცოდნა და მეორე უცხო ენის და ინტერკულტურული კომპეტენციების ფლობა, სასწავლო კურსების განხორციელება და კვალიფიკაციების მინიჭება ტრანსნაციონალურ დონეზე, საერთაშორისო ალიანსების შექმნა უნდა გახდეს უმაღლესი განათლების განუყოფელი კომპონენტები ევროპაში და მისი ფარგლების გარეთ.

**ინდიკატორები:**

- ინსტიტუციის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებულია კურიკულუმის, პერსონალისა და სტუდენტობის ინტერნაციონალიზაციის განვითარება;

- ინტიტუციური რეგულაციებით უზრუნველყოფილია, რომ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში ჩართულია ინგლისურის და სხვა უცხო ენებისა და კულტურის შემსწავლელი სასწავლო კურსები;

- ინსტიტუცია მხარს უჭერს და აქტიურად მონაწილეობს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლასთან დაკავშირებულ ევროპულ ინიციატივებსა და პროგრამებში;

- ინსტიტუცია მხარს უჭერს ერთობლივი/ორმაგი ხარისხების მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და სტრატეგიულ კოოპერაციას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტებისა და პერსონალის ურთიერთგაცვლის მიზნით;

- ინსტიტუციური რეგულაციებით სასწავლო პერსონალისათვის გათვალისწინებულია აკადემიური შვებულება ან სხვა მსგავსი მხარდაჭერა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში;

- ინსტიტუციური რეგულაციები მხარს უჭერს სტუდენტის მიერ სხვა ქვეყნის ინსტიტუციაში პროგრამის ნაწილის გავლას.

ზემოთ წარმოდგენილი ინდიკატორების სისტემა, ბუნებრივია, შესაძლებელია შეივსოს სხვა ინდიკატორებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აგრეთვე დაწესებულების საქმიანობის შეფასების მიზნებიდან გამომდინარე. გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული პროცესის, ან მისი რაიმე ასპექტის გაზომვა გართულებულია, შესაძლებელია ირიბი ინდიკატორების გამოყენება (10). მაგალითად, სტრატეგიული და ოპერატიული მართვის შესაძლებლობების გაზომვა საკმაოდ რთულია. ამიტომ, ამ მიზნით, ხშირად გამოიყენება ირიბი ინდიკატორები, როგორცაა აუთვისებელი ფულადი რესურსები დაწესებულების ბიუჯეტში, ან განუხორციელებელი პროგრამების რაოდენობა და სხვ.

საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასების საფუძველზე სასწავლო პროცესის განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურად რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ შეფასების ინდიკატორების სისტემა ეფუძნებოდეს აკადემიურ კონსენსუსს დაწესებულების ფარგლებში, ანუ ამ სისტემით გათვალისწინებული ინდიკატორების სანდოობას, სიზუსტეს, ობიექტურობას, რელევანტურობას და ა.შ. აღიარებდეს როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართული აკადემიური პერსონალი, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლები (11, 12).

აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია კლიენტ-სერვერულ არქიტექტურაზე დაფუძნებული კომპიუტერული პროგრამის შემუშავება, რომელიც ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტანდარტებისა და ინდიკატორების, ან მათი გარკვეული კონფიგურაციის საშუალებით განახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შეფასების ავტომატიზაციას. ამგვარი კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყოველწლიური პროგრესის მონიტორინგი (ანუ, არსებული მდგომარეობის შედარება წინა წლების მდგომარეობებთან), აგრეთვე საკუთარი შედეგების შედარება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიურ შედეგებთან.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი სტანდარტებისა და ინდიკატორების საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკვანძო პროცესების - სწავლებისა და სწავლის მონიტორინგი და შეფასება უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში ჩამოყალიბებული მიდგომების საფუძველზე.

### **ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.
2. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ.
3. Parmenter D. 2010. Key performance indicators (KPI): Developing, implementing, and using winning KPI's. Hoboken, NJ: John Wiley & Sons Inc.
4. Finch J. 1994. Quality and its measurement: A business perspective. In: Diana Green (Ed.): What is Quality in Higher Education? Buckingham: Society for Research into Higher Education and Open University Press, pp. 63-80.
5. Ketteridge S., Marshall S., Fry H. 2002. The Effective Academic: A Handbook for Enhanced Academic Practice. London: Kogan Page.
6. Lomas L. 2002. Does the development of mass education necessarily mean the end of quality? Quality in Higher Education, 8(1): 71-79.
7. უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელო. მ. ნარინდოშვილი, ქ. ჩაჩხიანი, ნ. ჯანაშია, დ. ცაგარეიშვილი. თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2006, ISBN 99940-885-3-X.
8. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. 2014 წლის ანგარიში. თბილისი 2014. ISBN: 978-9941-0-7393-9

9. McAleese, M., Bladh, A., Berger, V., Bode, C., Muehlfeit, J., Petrin, T., Schiesaro, A. and Tsoukalis, L. 2013. Improving the quality of teaching and learning in Europe's higher education institutions, EC. [http://ec.europa.eu/education/higher-education/doc/modernisation\\_en.pdf](http://ec.europa.eu/education/higher-education/doc/modernisation_en.pdf)
10. Ayodele Ogunleye. 2013. Quality Assurance and Quality Indicators in Open and Distance Education: Context, Concerns and Challenges. International Journal of Educational Research and Technology, Vol 4 [2] : 49- 62.
11. Rajkaran S. and Mammen K. J. 2012. Establishing Performance Indicators for University Academics through a Consensus-based Approach: A South African Case Study. Journal of Social Sciences, 30(2) 127-135
12. Rajkaran S. and Mammen K. J. 2014. Identifying Key Performance Indicators for Academic Departments in a Comprehensive University through a Consensus-based Approach: A South African Case Study. Journal of Sociology and Social Anthropology, 5(3): 283-294

## **ASSESSMENT INDICATORS OF ACADEMIC ACTIVITIES IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS**

**Levan Midodashvili**, Gori State Teaching University, Professor  
**Nikoloz Midodashvili**, Gori State Teaching University, Specialist by contract  
**RESUME**

Based on the recommendations given in the Report of the European Commission on Modernization of Higher Education as teaching process assessment standards, performance indicators are developed.

### **დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების შინაარსი, მიზნები და ამოცანები**

**ნოდარ მირაზანაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
 E-mail: nmirazanashvili@gmail.com

სახვითი ხელოვნება „ესთეტიკური ციკლის“ ერთ-ერთი წამყვანი დისციპლინაა სკოლაში და მის სწავლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდი თაობის მხატვრულ-ესთეტიკური განვითარებისათვის. მისი მიზანია: მოსწავლეთა ჩაბმა შემოქმედებით და საინტერპრეტაციო საქმიანობაში, კომუნიკაციასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

იშვიათია ბავშვი, რომელსაც ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია ან სურათების დათვალიერება არ იტაცებდეს. ინტერესის ამგვარი ხასიათი სკოლის დაწყებითი საფეხურიდანვე სახვითი ხელოვნების, როგორც სასწავლო დისციპლინისადმი, მოსწავლის დადებით ემოციურ-ესთეტიკური დამოკიდებულებების ფორმირების საფუძველი ხდება.

ყველა ბავშვი ხატავს, ყველა ბავშვი ბუნებით მხატვარია და, რაც მთავარია, თავისებურად ნიჭიერია. სახვითი ხელოვნებით დაინტერესება განსაკუთრებით თვალსაცემი და აშკარაა დაწყებით სასკოლო ასაკში. მოზარდებში ეს ინტერესი თანდათან კლებულობს და ზოგჯერ ნეგატიურ შინაარსსაც კი იძენს. სხვა ფაქტორებთან ერთად ყველაფერი არსებითად იმაზეცაა დამოკიდებული, თუ როგორ იყო აგებული საგნის სწავლების პროცესი. რა თვისებების განმტკიცება - გამყარება შეეძელით ან ვერ შეეძელით სახვითი ხელოვნების გაკვეთილებსა თუ კლასგარეშე მუშაობისას.

სკოლაში სახვითი ხელოვნების სწავლებას ორი ძირითადი მიმართულება აქვს - საკუთრივ პრაქტიკული მუშაობა (ხატვა, ძერწვა, დეკორატიულ-გამოყენებითი საქმიანობა) და ამ პროცესისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფორმირება და ხელოვნების მშვენიერების ესთეტიკური უნარის აღქმის განვითარება. საქმე იმაშია, რომ ამ პროცესის წარმოდგენა ასე დამოუკიდებლად, განმხოლოებული სახით ჭეშმარიტ პედაგოგიურ მუშაობას ხშირად ფორმალისტურ ჩარჩოებში აქცევს. სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე ხშირად იქმნება სიტუაცია, როდესაც წინა პლანზე ესთეტიკურის მაგივრად შრომითი აღზრდის ელემენტები დგება, ხოლო აღქმის განვითარებაზე მუშაობა მტკიცედ გადაეწვნება ხოლმე ბუნებისმცოდნეობასა და გეოგრაფიულ გარემოზე ცოდნა-წარმოდგენების ფორმირების პროცესს. აქ

უჩვეულო არაფერია. აღზრდა ხომ თავისი არსით განუყოფელია, მთლიანი პროცესია და და იგი სწორედ მაშინ მიმდინარეობს მიზანმიმართულად, როცა სასწავლო დისციპლინები ხელს კი არ უშლიან, არამედ ავსებენ, ამდიდრებენ და ეხმარებიან ერთმანეთს.

სახვითი ხელოვნება სკოლის კედლებში ერთ-ერთი დისციპლინაა, რომლის უშუალო მოვალეობაა მოზარდში მშვენიერების აღქმისა და „სილამაზის კანონების მიხედვით“ საკუთარი ადამიანური საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფორმირება. ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება შეუძლებელია ხელოვნებასთან მისი ზიარების გარეშე. პიროვნების აღზრდა და ჰარმონიული განვითარება, რაც სასკოლო განათლების ძირითად მიზანს წარმოადგენს, შეუძლებელია ხელოვნებასთან მისი ზიარების გარეშე. ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესწავლა აღქმისა და გრძნობას აფაქიზებს, წარმოსახვის უნარს, შემოქმედებით მიდგომას და კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს, რის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა. [1: 1320]

ისტორიულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ადამიანში ბუნებრივად მოცემული შესაძლებლობა ესთეტიკური განვითარებისათვის, მაგრამ თუ იგი არ ამოქმედდა, განვითარებაც არა გვაქვს.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მიზანია: მოსწავლის ჩაბმა შემოქმედებით და საინტერპრეტაციო საქმიანობაში და ამ გზით მისთვის ფანტაზიის და წარმოსახვის უნარების განვითარება; შემოქმედებით საქმიანობის ტექნიკურ საშუალებათა დაუფლება და შრომის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება, ხელოვნების ნიმუშების აღქმის უნარის ჩამოყალიბება, ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლა და მისი საშუალებით ეროვნული და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარება. [2: 1]

ესთეტიკური და პედაგოგიური აზროვნების ისტორიაზე დაკვირვება ნათლად წარმოაჩენს, რომ მკვლევარებს საუკუნეების მანძილზე სხვადასხვანაირად ესმოდათ ” ესთეტიკური აღზრდის” მიზანი, მისი არსი და შინაარსი. აღნიშნული თვალსაზრისების გათვალისწინებით მათი შეჯერება-განზოგადება და თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით დაზუსტება საშუალებას მოგვცემს ესთეტიკური აღზრდა გავიგოთ, როგორც სრულყოფილი ესთეტიკური პიროვნების, ესთეტიკური სუბიექტის აღზრდა, რომელსაც გამომუშავებული აქვს მშვენიერების აღქმა-შეფასების უნარზე დაფუძნებული, ემოციური ღირებულებითი ორიენტაციით განპირობებული ესთეტიკური მიმართება, გააჩნია მაღალგანვითარებული გემოვნება, ინტერესები, შეფასების კრიტერიუმები, აგრეთვე „სილამაზის კანონების მიხედვით“ გარემოს ორგანიზების შინაგანი მოთხოვნილება და მისი შესატყვისი უნარ-ჩვევები.

სასკოლო ესთეტიკური აღზრდის მიზანია სრულყოფილი, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების პროცესის ორგანიზება, მისი მართვა, ამ მიზნის განხორციელებისათვის ხელის შეწყობა. კვლევის მიზანს შეადგენს ახლებურად დავადგინოთ ესთეტიკური აღზრდის შინაარსი და ფორმები. აღნიშნული კვლევა ახალი შინაარსით დატვირთავს განვითარების პროცესს და გამოავლენს იმ რეზერვებს, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს მოზარდობის ასაკის პიროვნულ-ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და სახვითი ხელოვნების, როგორც სასწავლო დისციპლინის, შინაგანი შესაძლებლობების ურთიერთმიმართებას. ამგვარი მიდგომა საშუალებას მოგვცემს მოიძებნოს მოსწავლეთა ჰარმონიულად განვითარებისათვის პედაგოგიური ხელმძღვანელობის მეთოდურად გამართული გზა-საშუალებები

ადამიანს, როგორც წესი, აქვს გარკვეული ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემა. ამასთან ეს უკანასკნელი ზოგ შემთხვევაში მხოლოდ გრძნობად-ემოციურ გამოცდილებას ეყრდნობა, ზოგჯერ კი გარკვეული ცოდნა-წარმოდგენების ბაზაზეა ჩამოყალიბებული. გაუნათლებელი ადამიანის ესთეტიკური შეფასება, როგორც წესი, მარტივია და მხოლოდ გრძნობისმიერ რეაქციებს ემყარება, მაშინ, როდესაც სათანადო მხატვრულ-ესთეტიკური განათლების პირობებში შეფასებას უფრო მყარი ხასიათი აქვს, სანდოობის მაღალი დონით გამოირჩევა.

გრძნობა, როგორც ესთეტიკური დამოკიდებულების გამოვლენის გარკვეული პირობა, შეიძლება ვერ ავიდეს ჭეშმარიტ ესთეტიკურ გრძნობამდე, თუ მან შესატყვისი პრაქტიკა არ გაიარა, მრავალგზის არ განმეორდა და განმტკიცდა. მართალია, ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება გარკვეული შესაძლებლობები ამ მიმართულებით, მაგრამ ეს საკმარისი არაა. საჭიროა სათანადო პრაქტიკული გამოცდილება, შესატყვისი გარემოსთან სისტემატური შეხვედრა, გრძნობისა და გონების შესაძლებლობათა გავარჯიშება. „ადამიანი არ იბადება მზამზარეული ესთეტიკური გრძნობებითა და გემოვნებით, მას მხოლოდ ამგვარ უნართა განვითარების შესაძლებლობა დაჰყვება თან ...იმისათვის, რომ აღნიშნული შესაძლებლობა რეალურად იქცეს, საჭიროა ესთეტიკურად ღირებულ საგნებთან და მოვლენებთან სისტემატური უშუალო კონტაქტი“. ციტირებული დებულება, თუ მას გავიზიარებთ,

უშუალო მიმართებაშია სწავლებისა და აღზრდის პროცესთან, რადგან სწორედ ამ დროსაა შესაძლებელი მოზარდს სისტემატური ურთიერთობა ჰქონდეს ესთეტიკურ პრაქტიკასთან, მისი გამოვლენის სხვადასხვა ფორმაში. ამ პროცესის სწორად და თანმიმდევრულად წარმართვა კი ბევრ სირთულეს აგვარიდებს და, რაც მთავარია, მყარ ნიადაგს მოუზღადავებს პიროვნების ჰარმონიულად განვითარების საქმეს, რადგან თავიდანვე გამოუმუშავებს მას სწორ ესთეტიკურ ორიენტაციებს, მსჯელობისა და შეფასების სისტემებს.

განვლილი ისტორიული გამოცდილების ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად ხელოვნების და საერთოდ მხატვრულ-ესთეტიკური მეთოდების გამოყენებით ადამიანის აღზრდის აუცილებლობის აღიარებისა, კაცობრიობამ ჯერჯერობით ვერ მონახა ჰარმონიული პიროვნების ფორმირების უნივერსალური გზა-საშუალებები. ამდენად ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე იგი თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის რეალიზებისაკენ სწრაფვით კმაყოფილდება. ამასთან ცდილობს შეინარჩუნოს ის მუდმივი ორიენტირები, რომლებიც ყოველი ეპოქისათვის იყო და სამომავლოდაც დარჩება მისწრაფების საგნად. სწორედ ასეთთა რიგშია ისეთი პიროვნული მახასიათებელი, როგორცაა მხატვრული გემოვნება, რომლის ფორმირებაშიც ხელოვნებას წამყვანი როლი ეკუთვნის. სკოლის პირობებში მოზარდის ესთეტიკური განათლება-განვითარების პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ხელოვნებასთან. სწორედ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებისა და გააზრების პროცესში გაჩნდა ტერმინები - „მხატვრული აღზრდა“, „მხატვრული განვითარება“, „მხატვრული განათლება“. აღნიშნულ ცნებათაგან ძირითადია „მხატვრული აღზრდა“. ამ ცნების შინაარსი გაგებულ უნდა იქნას როგორც თანმიმდევრული და მიზანმიმართული პროცესი, რომლის დროსაც მოსწავლე ეუფლება ხელოვნების ესთეტიკურ ღირებულებებს, მისი აღქმა-შეფასების და შექმნისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, გამოიმუშავებს მხატვრულ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს

მოზარდი თაობის ესთეტიკურ-მხატვრული აღზრდისა და განათლების მნიშვნელოვანი წყაროა სახვითი ხელოვნება. ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. ხატვა-ძერწვისა თუ აპლიკაციის შესრულების პროცესი მოზარდის ესთეტიკურ ცნობიერებაზე, მისი აღქმისა და სენსორული აქტივობის შესაძლებლობებზე წარუშლელ კვალს ტოვებს.

ჩვენი სკოლის პრაქტიკაზე დაკვირვება ადასტურებს, რომ, სამწუხაროდ, სახვითი ხელოვნების ეს შესაძლებლობები სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ბოლომდე გამოყენებული ჯერ კიდევ არაა. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის რომ, სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე პედაგოგები მუდამ ხატვის პრაქტიკული პროცესით არიან დაკავებული და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ხელოვნებაზე საუბარს, მისი აღქმის ორგანიზაციულ ამოცანებს, ესთეტიკურ შედარებას, მსჯელობასა და სხვა მსგავს საკითხებს. თუ დაწყებით საფეხურზე ეს მოსათმენია, მოზარდობის ხანის დადგომიდან სრულიად აუცილებელია ხელოვნების აღქმაზე მიმართული სავარჯიშოების გაფართოება. ცხადია, ეს უნდა ხდებოდეს უშუალო შემოქმედებითი საქმიანობის პარალელურად.

სახვითი ხელოვნების ნიმუშების აღქმა და მათი მეტ-ნაკლებად სწორი შეფასება მოზარდისაგან მოითხოვს გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებას. ხელოვნების ცალკეულ სახეებთან თუ ნიმუშებთან მანამდე არსებული შეხვედრების საფუძველზე მოზარდს უნდა ჰქონდეს ცოდნის რაღაც გარკვეული დონე, შეფასებითი მსჯელობების გარკვეული მარაგი, რომელთა გამოყენებით იგი გამოხატავდა გამოკვეთილ პოზიციას-მოსწონს თუ არა ეს კონკრეტული ნაწარმოები. ქვევა-საქმიანობასა და მათ მსჯელობებზე პრაქტიკული დაკვირვება ადასტურებს, რომ რაღაც გარკვეული გამოცდილება ამ მიმართებით მათ მართლაც გააჩნიათ, მაგრამ იმდენად ღარიბია, ცოდნა კი მწირი და უსისტემო, რომ მათ მიერ გაკეთებული შეფასებები მაინც მხოლოდ და მხოლოდ უშუალო შთაბეჭდილებებს გამოხატავს და ნაუცბათევე რეაქციებს იქით არ მიდის. ეს გარემოება კი ნათლად წარმოაჩენს პედაგოგიური ხელმძღვანელობის კონკრეტული მიმართულების განსაზღვრის ორიენტირსაც. კერძოდ, საჭიროა სახვითი ხელოვნების ცალკეული ნიმუშების აღქმა-შეფასების მეთოდიკური ასპექტების იმგვარი სახის შემუშავება, რომელიც მოზარდებს საშუალებას მისცემდა, რაც შეიძლება სწრაფი ტემპით დაძლიონ ის ჩამორჩენა კლასებში რომ ჰქონდათ. პედაგოგიკის თეორიისათვის ეს საკითხი ახალი არაა და ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებთან მიმართებაში ამგვარი პრობლემების დამუშავება კარგა ხანია მიმდინარეობს. არსებული გამოცდილების ანალიზი კი ადასტურებს, რომ ამგვარი მეთოდიკის დამუშავება უნდა დაეყრდნოს მოსწავლეთა მიერ გარკვეული ცოდნა-ჩვევების დაგროვება-განვითარებას, შეფასებითი მსჯელობების მარაგის ათვისებას, ხელოვნების ნაწარმოებთა ფორმა-შინაარსის მთლიანობაში აღქმის ჩვევის განვითარებასა და სტილური ელემენტების გაცნობიერების ტენდენციას. ეს თავისებურებები, რომელნიც შემდგომში პიროვნულ ჩვევებად და მახასიათებლად უნდა ჩამოყალიბდეს, გამოიმუშავდება მხოლოდ თანმიმდევრული მუშაობისა და მიზანმიმართული პედაგოგიური ხელმძღვანელობის პირობებში.

სახვითი ხელოვნების სააღმზრდელო შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის საჭიროა მოზარდებთან ჩატარდეს, მოკლე, მაგრამ ამასთან ემოციურად მიმზიდველი და ინფორმაციულად დატვირთული საუბრები ისეთი თემების ირგვლივ, როგორცაა: „რა არის სახვითი ხელოვნება“, „გამოსახვის საშუალებები სახვით ხელოვნებაში“, „კომპოზიცია“, „ფერი და კოლორიტი“, „არქიტექტურა, როგორც ხელოვნება“, „პლასტიკა ქანდაკებაში“, „ეპოქა და სტილი“ და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, იძლევა იმის საფუძველს, რომ ითქვას:

ხელოვნების სხვადასხვა დარგის საშუალებით მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური ზემოქმედების გზით. საგანთა და კურსთაშორის კავშირების უზრუნველყოფის გარეშე ხელოვნების სააღმზრდელო ეფექტი მცირდება, ესთეტიკური მახასიათებლების განვითარების პროცესი ნელდება და ამით ხელი ეშლება ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების - ესთეტიკური სუბიექტის მიზანმიმართულ აღზრდა-ჩამოყალიბებას.

მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების პრობლემა უნდა წარმოდგენილი იქნეს ესთეტიკური აღზრდის მთლიან სისტემასთან მიმართებაში, რაც პრობლემისადმი კომპლექსურ მიდგომას და მისი ყველა არსებითი პარამეტრის გათვალისწინებას საჭიროებს;

ხელოვნების საშუალებით მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების ძირითად საშუალებას წარმოადგენს ხელოვნებაზე თეორიული მუშაობის სწორი ორგანიზაცია, გარკვეული მნიშვნელობა ამ პროცესისათვის აქვს პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ წამყვანი და ძირითადი მაინც ხელოვნების ნიმუშებთან თეორიული ურთიერთობაა, რომლის დროსაც ხდება მოზარდის ესთეტიკური თვალსაწიერის გაფართოება, ცოდნის დაგროვება, ნაწარმოებთა ანალიზისა და შეფასების უნარის განვითარება, ემოციურ ესთეტიკური სამყაროს გამდიდრება;

მოზარდის მხატვრული გემოვნების განვითარების აუცილებელი პირობაა ხელოვნების ნიმუშებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების გაცნობიერება, ფიქსირებული განწყობის სახით, ჩამოყალიბებული შეხედულებათა სისტემების თანდათანობით შეცვლა, ცნობიერების ველში მათი შემოტანისა და მათზე სხვა ღირებულებათა გაბატონების გზით.

მხატვრული გემოვნების განვითარებისათვის მოზარდობის ასაკში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ის გონებრივ-სააზროვნო ოპერაციები, რომელიც საფუძველად უდევს შეფასებითი მსჯელობების აღმოცენებასა და ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრით, მოზარდობის ასაკი, კერძოდ მეოთხე-მეექვსე კლასები, ამ თვალსაზრისით ოპტიმალურია და ეს გარემოება მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკვე 12 წლისათვის მოზარდის გონებრივი შესაძლებლობები განვითარების ახალ ფაზას აღწევს. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ 10 წლიდან მოზარდის ინტერესები ცვალებადობას განიცდის და მოვლენათა შინაარსისკენ სწრაფვის მომენტი ადგილს უთმობს ინტელექტუალურ ინტერესებს, რასაც 12 წლის ასაკში საკმაოდ გამოკვეთილი ხასიათი აქვს. [3: 505] ეს გარემოება კი პედაგოგს საშუალებას აძლევს სახე შეუცვალოს ხელოვნების ნიმუშებზე მოსწავლეებთან. ეს უკანასკნელი უნდა იყოს არა ტრადიციული „...საუბარი ხელოვნებაზე“, არამედ ხელოვნებათმცოდნეობითი ტიპისა და შინაარსის მეცადინეობა“ [4: 26]

როდესაც დაწყებით საფეხურის ასაკის მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების შესახებ ვსაუბრობთ და პიროვნების ესთეტიკური მხარეების განვითარების პროცესს ვაგებთ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გემოვნების კრიტერიუმები განვითარებად საზოგადოებაში განიცდის ცვალებადობას და მასზე საკმაო ზეგავლენას ახდენს ე.წ. „ მოდური“ შეხედულებები, მაგრამ პედაგოგიური პროცესისათვის უმთავრესი მაინც ისაა, რომ მოზარდის პიროვნებაში საფუძველი ჩაეყაროს გემოვნების საბაზისო კომპონენტებს, შეფასებითი მიდგომის აუცილებლობის რწმენას, მსჯელობა-კამათის ჩვევებს, ცოდნის შეძენისაკენ სწრაფვას და ა. შ., რაც შემდგომში, თანდათანობით განვითარების კვალობაზე, პიროვნების ჰარმონიული ჩამოყალიბება-წინსვლის საფუძველი გახდება.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვამოვლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ დაწყებით კლასებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების შინაარსი, მიზნები და ამოცანები უნდა ემსახურებოდეს ხელოვნებაზე თეორიული მუშაობის სწორ ორგანიზაციას, გარკვეული მნიშვნელობა ამ პროცესისათვის აქვს პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ წამყვანი და ძირითადი მაინც სახვითი ხელოვნების ნიმუშებთან თეორიული ურთიერთობაა, რომლის დროსაც ხდება მოზარდის ესთეტიკური თვალსაწიერის გაფართოება, ცოდნის დაგროვება, ნაწარმოებთა ანალიზისა და შეფასების უნარის განვითარება, ემოციურ ესთეტიკური სამყაროს გამდიდრება.

#### **ლიტერატურა:**

1. საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წ.წ.
2. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის სტანდარტი.

3. დ. უზნაძე, შრ. ტ. V, 1967.

4. ბ. იუსოვი, სახვითი ხელოვნება წიგნში: ხელოვნება სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდაში. მ. 1978. (რუსულ ენაზე).

## THE CONTENT, AIM AND OBJECTIVES OF FINE AND APPLIED ARTS AT THE ELEMENTARY LEVEL OF EDUCATION

**Nodar Mirazanashvili**, Gori State Teaching University, Professor  
**RESUME**

According to the requirements of standards for the teachers of Fine and Applied Arts at elementary, basic and secondary levels, the aim of teaching fine and applied arts is as follow: development of fantasy and imagination skills through involvement of a student in creative and interpretation activities; introduction and application of the technical tools for creative work and development of work skills, as well as the skills of perception of art specimen; learning of universal language of art and introduction to national and international cultural values with the application of this knowledge.

Observation on the school practices proves that the possibilities of the fine arts are not, unfortunately, thoroughly used in the process of teaching-upbringing since the teachers are mostly busy with the practical exercise like drawing or painting, paying less attention to the conversations about art, its objectives, or aesthetic comparisons of different pieces of art or other relevant discussions.

The problem of development of the aesthetic perception among the students should be considered within the entire system of the aesthetic upbringing. This requires complex approach and consideration of the key parameters.

The content, aim and objectives of fine and applied arts at the elementary level of education should be considered as more or less firm characteristics for aesthetics upbringing of elementary level students which develops through the correct educational influence.

### სასწავლო-საწვრთნო მეცადინეობების ორგანიზაციის სპეციფიკური თავისებურებები

**გიორგი მძინარაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული  
პროფესორი

ახალბედა სპორტსმენების მომზადება ეს არის შემოქმედებითი პროცესი. ამ პროცესის შედეგი ბევრად დამოკიდებულია იმაზე - შეძლებენ თუ არა მოსწავლეები გაითავისონ მწვრთნელის მიერ მოწოდებული და გათვალისწინებული პედაგოგიური ჩანაფიქრები და შეხედულებები. ამისათვის მწვრთნელი ქმნის და ამუშავებს თავის სისტემას „მწვრთნელი-მოსწავლე“, რომელსაც ახასიათებს შემდეგი თავისებურებები: 1) მწვრთნელისა და მოსწავლის მიერ დასახული მიზნის სრული ერთობლიობა; 2) შედეგის დამოკიდებულება არამარტო მწვრთნელისა და სპორტსმენის პირადულ თვისებებზე, არამედ პირველ რიგში შემოქმედებით კონტაქტზე და მათი ურთიერთგაგების ხარისხზე. ეს სისტემა ფუნქციონირებადი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც მწვრთნელი დაინახავს თავის მოსწავლეში არა ბრმა შემსრულებელს, არამედ თანასწორ თანაბარუფლებიან პარტნიორს.

მწვრთნელის მუშაობის სისტემა უნდა იყოს მიზანმიმართული მოსწავლეების დამოუკიდებლობის თანამიმდევრულ ზრდაზე, სწავლების შინაარსის გართულების გზით და აგრეთვე დიდაქტიკური ილეთებისა და პრინციპების სისტემის გამოყენებით, რომელიც ახდენს მათი სპორტული მოღვაწეობის აქტივიზირებას.

სასწავლო-საწვრთნო მეცადინეობების ორგანიზაციის დროს მწვრთნელმა უნდა გაითვალისწინოს თავისი მოღვაწეობის სპეციფიკური თავისებურებები:

1) მეცადინეობების ნებაყოფლობითი ხასიათი. ეს მოითხოვს იმ განსაკუთრებული ხერხებისა და გზების ძიებას, რომელიც მოახდენს მოსწავლეებთან (სპორტსმენებთან) ურთიერთობის დალაგებასა და დარეგულირებას. მწვრთნელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ნებაყოფლობითი ფაქტორი, თავისთავს მწვრთნელმა უნდა წარუდგინოს დიდი მოთხოვნები მეცადინეობისათვის მომზადების წინ



იმისათვის, რომ დაარეგულიროს მოსწავლეებთან ურთიერთდამოკიდებულება. მან უნდა შეძლოს დაიმსახუროს სიმპათია და როდესაც მოსწავლეები ერთხელ მოვლენ დარბაზში, შემდგომშიც გააგრძელებენ სიარულს ვარჯიშზე.

2) უდავოა კვალიფიკაციის პრიორიტეტული მნიშვნელობა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის, რომ პედაგოგ-მწვრთნელს, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სპორტული და პედაგოგიური მომზადება, ძლიერი და ნიჭიერი სპორტსმენები ეჭვის თვალით უყურებენ. მწვრთნელი უნდა იყოს კარგი სპორტული პრაქტიკით და უნდა ჰქონდეს შესაბამისი უმაღლესი განათლება და ამ ორ თანაბარ მიმართულებას შორის უნდა იყოს ჰარმონიული კავშირი. სამწუხაროდ, ჩვენს პრაქტიკაში არის ბევრი მაგალითი, როდესაც საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში სპორტის მასწავლებლები ახლო წარსულში იყვნენ და არიან არაკვალიფიციური სპეციალისტები. ანალოგიური სიტუაციაა სპორტსკოლებშიც, უხეშად რომ ვთქვათ, ბევრი მწვრთნელი ავარჯიშებს თავის აღსაზრდელებს ძველი, დავიწყებული არაეფექტური, სინამდვილეს მოკლებული, პრიმიტიული მეთოდებით, არაფერი შეაქვთ სიახლე და განვითარება სასწავლო - საწვრთნო პროცესში თუ ამას სასწავლო-საწვრთნო პროცესი ჰქვია.

3) მწვრთნელმა მუდმივად უნდა შეძლოს თავისი ფიზიკური შესაძლებლობებისა და ტექნიკური სრულყოფის შენარჩუნება მაღალ დონეზე. მწვრთნელის ფიზიკური შესაძლებლობებში იგულისხმება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეს შესაძლებელია, როდესაც მწვრთნელი ასრულებს ვარჯიშებს მოსწავლეებთან ერთად, რაც შეეხება ტექნიკურ სრულყოფას, აქ იგულისხმება ის, ტექნიკურად რამდენად სწორად და სრულყოფილად ასრულებს მწვრთნელი ტექნიკურ მოქმედებას. მწვრთნელის ფიზიკური შესაძლებლობები და ტექნიკური მონაცემები აძლევს მას უნარს ხარისხიანად შეასრულოს ვარჯიშები, იღეთები და ამით მწვრთნელი ამაღლებს თავის ავტორიტეტს.

სასწავლო-საწვრთნო პროცესში მწვრთნელმა უნდა შეძლოს წარმართოს მუშაობა, როგორც მთელ გუნდთან, ასევე უნდა ჰქონდეს ყველა სპორტსმენთან ინდივიდუალური მიდგომა და, ბოლოს, მწვრთნელის ფუნქციები, რომელიც მუშაობს დიდებთან, დიდად განსხვავდება მწვრთნელისგან, რომელიც მუშაობს მოზარდ თაობასთან. მოზარდის ორგანიზმი იზრდება, მოზარდის ფსიქიკა იცვლება და ვითარდება. ეს ვითარება ავალდებულებს მწვრთნელს მუდმივად აკონტროლოს მომზადების ფიზიკური და სულიერი განვითარების პროცესები.

იმისათვის, რომ სასწავლო-საწვრთნო პროცესი იყოს მეტად ეფექტური, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ სასწავლო ამოცანები, რომლებიც უნდა განვიხილოთ და გადავწყვიტოთ კომპლექსურად:

1. როგორც ვიცით, ფიზიკური მომზადების ამოცანაა ფიზიკური თვისებების განვითარება და ამით ხდება ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების ამაღლება. ფიზიკური თვისებების (ძალა, გამძლეობა, სისწრაფე, სიმარჯვე, გამძლეობა) განვითარება სხვადასხვა სპორტის სახეობაში ხდება სხვადასხვაგვარად სპორტის სახეობების სპეციფიკიდან გამომდინარე. ფიზიკური მომზადების ძირითადი ამოცანაა სპორტსმენების საერთო ფიზიკური შრომისუნარიანობის ამაღლება და ნორჩ მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცება.

სპორტსმენთა ფიზიკური მომზადების მაღალი დონე მიღწეული იქნება, როდესაც სასწავლო-საწვრთნო პროცესში კონკრეტული სპორტის სახეობიდან აღებული და შესრულებული ვარჯიშების გარდა გამოყენებული იქნება ზოგადგანმავითარებელი და სპეციალურ-მოსამზადებელი ვარჯიშები.

სპორტულ-ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების პროცესში ნორჩი სპორტსმენი შეისწავლის არჩეული სპორტის სახეობის ტექნიკასა და ტაქტიკას და აყალიბებს მას შეჯიბრის სპეციფიკურ პირობებში. სპორტსმენის ფიზიკური პოტენციალის ზრდასთან ერთად ბუნებრივია ტექნიკურ მომზადებასთან კავშირში იზრდება ოსტატობის დონე.

ინტელექტუალური მომზადება მიზანმიმართული სპორტსმენების გონებრივი პოტენციალის ამაღლებაზე. ზრდის მის აზროვნების უნარს და მის დამოუკიდებლობას ვარჯიშზე და შეჯიბრის წარმართვის პროცესში.

### ლიტერატურა:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები (მესამე ნაწილი), სპორტის თეორია, თბილისი, 2007.
2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2002.
3. А.А. Деркач, А.А. Исаев, Педагогическое мастерство тренера, М., ФиС, 1981.
4. А.П. Купцов, Спортивная борьба, М., ФиС, 1978.
5. А.Н. Ленц, Спортивная борьба, М., ФиС, 1964.

## ASSISTING THE TRAINING SESSIONS OF TRAINING-SPECIFIC FEATURES

Giorgi Mdzinarashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

### RESUME

In the training-teaching process the role of a trainer-teacher is very important and has a great priority. Trainer-trainee relationship should be focused on the Common goal that means to arrange organized training-teaching process. A trainer must be in a good physical and technical shape, should be always at his best. And all the factors above condition to achieve excellent result.

## გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები დაწყებით კლასებში

ნანა ნადირაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,

სტუდენტთა საქმის მწარმოებელი

E-mail: nadiradzenana@gmail.com

გლობალიზაციამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი. ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე საინტეგრაციო პროცესების მიზანია, მიაღწიონ სწავლების ხარისხის ერთიან დონეს. ბოლონის პროცესში გაერთიანებულმა ევროპულმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომაც, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა მთავარ პრიორიტეტად აღიარეს, რადგან: „განათლების ხარისხი ის ქვაკუთხეა, რომელსაც ეყრდნობა უმაღლესი განათლების სისტემა“ [პრადის კომუნიკე, 2001]. შეიძლება ითქვას, რომ სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა და შენარჩუნება საქართველოს განათლების სისტემაში ამჟამად მიმდინარე ძირეული რეფორმების მთავარი თემა და სტრატეგიული მიზანია. სწავლების მუდმივი სრულყოფისა და განვითარებისათვის შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო გეგმებზე გადასვლა ახალი სტრატეგიებისა და აქტივობების ფართოდ დანერგვასაც გულისხმობს.

„ზოგადი განათლების სისტემის რეფორმა საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. სისტემის გამჭვირვალობის, დემოკრატიზაციის და განათლების ხელმისაწვდომობის გარდა, ერთ-ერთი მთავარი ვექტორი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა. საქართველოს სახელმწიფომ მრავალი დადებითი ნაბიჯი გადადგა განათლების სისტემის გასაჯანსაღებლად, რაც, საბოლოო ჯამში, განათლების უკეთეს ხარისხამდე მიგვიყვანს“ [ჯანაშია, 2009].

სწავლების შინაარსისა და მიდგომების შეცვლის პარალელურად, მიმდინარეობს, ერთი მხრივ, სასწავლო მასალების შეცვლა, მეორე მხრივ, შეიცვალა სახელმძღვანელოების შემუშავების სისტემა; შეიცვალა სახელმძღვანელოებიც ყველა ახალი შინაარსისა და მიდგომების შესაბამისად. შემუშავდა მასწავლებლების მიმართ ახალი მოთხოვნები. შეიქმნა დაწყებითი საფეხურის პროფესიული სტანდარტი, რომელიც მოიცავს პედაგოგიური მიდგომების ცოდნას, საგნობრივი შინაარსისა და საგნის სწავლების მიმართ მოთხოვნებს.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა რთული და მნიშვნელოვანი საქმეა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სკოლა მოსწავლეთა აქტიურ სწავლაზე, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას იმის გამო, რომ აქტიური სასწავლო პროცესის დაგეგმვა და საგანმანათლებლო სტანდარტებზე მორგება არც ისე ადვილია. გარდა ამისა, დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს მოსწავლეთა ნამუშევრებზე რეაგირება განმავითარებელი კომენტარების მიწოდება, მშობლებთან თანამშრომლობა და ა.შ. ამიტომ მასწავლებელს დაგეგმვისათვის საჭირო დრო და რესურსი აღარ რჩება. გაკვეთილის დაგეგმვა მასწავლებლის საქმიანობის აუცილებელი ელემენტია, ხოლო დაგეგმვის ხარისხი - პროფესიული კომპეტენციის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი. გაკვეთილს აქვს სამიზნე ჯგუფი (მოსწავლეები), სასწავლო მიზანი, მისაღწევი შედეგები (ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები), შინაარსობრივი და ტექნიკური რესურსები, განსაზღვრული დრო. დაგეგმვა გაკვეთილის ყველა ამ ელემენტს შორის რაციონალური კავშირის დამყარებას და მათს სტრუქტურაში მოქცევას გულისხმობს, მაშასადამე, გაკვეთილის ჩატარებამდე მასწავლებელი ადგენს გეგმას, რომელიც განსაზღვრავს გაკვეთილის მიზნებს, შინაარსსა და სტრუქტურას.

სწავლა ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შეხედულებების შექმნა და განვითარება. ადამიანი როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში სწავლობს. ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში განსხვავება ისაა, რომ არაფორმალურ გარემოში სწავლის პროცესი დაუგეგმავად და სპონტანურად მიმდინარეობს, ფორმალურ გარემოში კი – ყოველთვის კონკრეტული სტრატეგიისა და გეგმის მიხედვით.

გაკვეთილის გეგმა სამოგზაურო გზამკვლევეს ჰგავს, რომელიც მასწავლებელს ეხმარება, ორგანიზებულად უხელმძღვანელოს საგაკვეთილო პროცესს. გაკვეთილის დაგეგმვის დროს წარმატებული მასწავლებელი ფიქრობს, რა უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა. მის სამაგიდო წიგნს სასწავლო გეგმა წარმოადგენს, სასწავლო გეგმის მოცემული შედეგების გათვალისწინებით მასწავლებელი აძლევს სასწავლო პროცესს მიმართულებას და მართავს მას. გაკვეთილის მიზანს რაც შეეხება, გამომდინარეობს სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგებიდან. გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებლის პირველად ამოცანას წარმოადგენს რეალისტური მიზნების დასახვა.

გაკვეთილის გეგმა რომ კარგი იყოს, საჭიროა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება: გაკვეთილის მიზანი უნდა აკონკრეტებდეს, თუ რა ცოდნასა და უნარ-ჩვევას მიიღებს მოსწავლე, რა ინფორმაციას ფლობენ მოსწავლეები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით და რას შეისწავლიან ახალს, ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული მოსწავლეების ინტერესი. სასწავლო მასალები გაკვეთილის გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს უნდა უკავშირდებოდეს. სწავლება უნდა იყოს ეფექტური. გაკვეთილის დაგეგმვის დროს ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული თუ მასწავლებელი როგორ დაიწყებს გაკვეთილს, რომ მოსწავლეებს შეექმნათ სათანადო განწყობა. სასწავლო პროცესის დაგეგმვის ცხრა კატეგორიის გამოყენება აუცილებელია გაკვეთილის წარმატებით ჩასატარებლად:

1. მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა;
2. შეჯამება და ჩანაწერების გაკეთება;
3. მოსწავლის ძალისხმევის გაძლიერება და მისი წარმატების აღიარება;
4. საშინაო დავალება და პრაქტიკა;
5. ინფორმაციის მიწოდების არალინგვისტური ხერხები;
6. თანამშრომლობითი ხერხები;
7. მიზნების დასახვა და კომენტარების გაკეთება;
8. ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და გამოცდა;
9. მინიშნებები, შეკითხვები და წინმსწრები აქტივობები.

გაკვეთილის წარმატებული, ეფექტური დაგეგმვის დროს აუცილებელია გაკვეთილის ფორმატის გათვალისწინება, რაც შემდეგში მდგომარეობს: სასწავლო მიზნები, წინაპირობები, გაკვეთილის მიმდინარეობა, მოსწავლეების ორგანიზება, დროის განაწილება, რესურსები, დამატებითი აქტივობები, შეფასება და თვითშეფასება.

იდეალურ შემთხვევაში, გაკვეთილი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეები დაინტერესდნენ, ამდენად, გაკვეთილის აქტივობები უნდა იყოს თანმიმდევრული, სირთულის მიხედვით მარტივიდან რთულისკენ.

გაკვეთილი უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ სტანდარტებს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში დადგენილ საგნობრივ სტანდარტებთან გაკვეთილის მიზნების თანხვედრა ეფექტური სწავლების აუცილებელი პირობაა. მასწავლებელმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს ეროვნული სასწავლო გეგმა, რათა სასწავლო პროცესი ლოგიკურად და მიზანმიმართულად დაგეგმოს. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს დაგეგმვის დროს, რომ ყველა მოსწავლეს გაკვეთილში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს. მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო პროცესი სახალისო და საინტერესო უნდა იყოს. ასევე გარკვეულწილად სირთულეებსაც უნდა შეიცავდეს, რათა მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების განვითარებაში დაეხმაროს. გაკვეთილის შინაარსობრივი მხარე და ფორმატი მრავალფეროვანი უნდა იყოს. განსხვავებული რესურსები უნდა გამოიყენოს მხოლოდ სახელმძღვანელოზე მუშაობა მოსწავლეებისათვის მოსაწყენი ხდება, ამიტომ საგაკვეთილო პროცესში ჩართული უნდა იყოს ისეთი საშუალებები, როგორცაა ინტერდისციპლინარული ასოციაციების გამოყენება, თამაშები და ინტერაქტიული აქტივობები, ტექნოლოგიები, ვიზუალური დამხმარე მასალები და ა.შ. გაკვეთილის დაგეგმვისას აუცილებელია აგრეთვე, რომ განისაზღვროს ტესტირებისა და შეფასების ფორმა და შინაარსი. გაკვეთილის შედეგები, შეფასება უნდა განხორციელდეს ზუსტ, გაზომვად, რეალისტურ მიზნებთან მიმართებაში. ბოლოს გაკვეთილს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული გამოყენება. გაკვეთილზე მიღებული ინფორმაცია გამოსადეგი უნდა იყოს პირადი, სოციალური, კულტურული ან გლობალური თვალსაზრისით.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვისას მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესი მოქნილად და თანმიმდევრულად უნდა წარმართოს. მოქნილობა იმაში მდგომარეობს, მასწავლებელი ერთი და

იმავე სასწავლო მეთოდების ჩარჩოებში არ უნდა მოექცეს და სხვადასხვა სასწავლო ტექნიკას უნდა იყენებდეს.

საკვებითილო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- გაკვეთილის მთავარი თემა;
- სწავლების საფეხური;
- მოსწავლეთა პროფილი;
- გაკვეთილის მნიშვნელობა /აქტუალობა;
- გაკვეთილის მიზნები და შედეგები;
- წინასწარი ცოდნა;
- შეფასების საგანი და პროცედურები;
- სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები;
- გაკვეთილის მსვლელობა /საკლასო მენეჯმენტი;
- სათაური /გაკვეთილის თემა;
- მიზნები და ამოცანები;
- მასალები /რესურსები;
- შეფასება.

1. გაკვეთილის თემა ისე უნდა განისაზღვროს სათაურის სახით, რომ გაკვეთილის შინაარსის შესახებ ზოგადი წარმოდგენა შეგვიქმნას. სათაური იმაზეც უნდა მიგვანიშნებდეს, თუ რა მასალებს გამოვიყენებთ გაკვეთილზე.

2. მიზნები და ამოცანები იმ შედეგებს აღწერს, რომლებიც გაკვეთილის ბოლოს მიიღწევა. ზუსტად უნდა განისაზღვროს, რა კონკრეტულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენენ მოსწავლეები გაკვეთილზე. ამოცანის ჩამოყალიბებისას, პირველ რიგში, ვაზუსტებთ წინაპირობას. განვსაზღვრავთ, ბოლოს უშუალოდ რა პროდუქტი, პროცესი ან შედეგი უნდა მივიღოთ გაკვეთილის დასრულების შემდეგ.

3. გაკვეთილის გეგმაში უნდა იყოს მითითებული რესურსები, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს, მაგალითად: სახელმძღვანელოები, დაფა, ცარცი, ვიზუალური დამხმარე მასალები, აუდიო-ვიდეოჩანაწერები, გრაფიკული ნახაზები და ა.შ.

4. გაკვეთილის გეგმის შემდეგი ნაწილი – პროცედურა და აქტივობები – გეგმის ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი ნაწილია. მასში დეტალურად უნდა ჩაიწეროს, რა მასალას ახსნის მასწავლებელი და როგორ მეთოდს გამოიყენებს, აუდიო მასალას გამოიყენებს თუ თვალსაჩინოებებს ან სახელმძღვანელოებს. გაკვეთილის პროცედურის დაგეგმვისას პედაგოგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ აქტივობა შეესაბამება და მეტიც, ყველაზე ეფექტურია მოცემული მიზნების მისაღწევად, ასევე უნდა განისაზღვროს, თუ რა დრო დასჭირდება თითოეული აქტივობის განსახორციელებლად და რომელი აქტივობა რა ფორმატით განხორციელდება შემდეგში. სასურველია, აქტივობები მრავალფეროვანი ფორმატით მიმდინარეობდეს. გამოიყენებოდეს ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფში და კლასთან ერთობლივი მუშაობების ტექნიკა, შეჯიბრება და ა.შ.

5. გაკვეთილის ბოლო შეფასების ნაწილის მეშვეობით პედაგოგი აჯამებს იმას, თუ როგორ მიეწოდა მასალა მოსწავლეებს, როგორ აითვისეს და გაიაზრეს მათ ის, რისი შეცვლა და გაუმჯობესებაც სასურველი სამომავლოდ. შეფასების ფორმები მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს, რადგან არასწორი შეფასებით შესაძლებელია არარეალისტური მონაცემები მიიღოს. შეფასების ფორმების განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია სასწავლო შედეგების სამი სახე:

- ✓ შემეცნებითი შედეგები
- ✓ ფსიქომოტორული შედეგები
- ✓ ემოციური შედეგები

შეფასება მაქსიმალურად ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი უნდა იყოს. ასევე მასწავლებელმა სიტყვიერი რჩევები უნდა მისცეს მოსწავლეებს, წახალისოს ისინი და ოპტიმისტური განწყობა შეუქმნას მათ.

გაკვეთილის გეგმა მასწავლებლისათვის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს, რომელიც საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას მას თავისუფლებას უფრო მეტად ანიჭებს, ვიდრე შეზღუდვებს უწყებს.

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მუდმივად საინტერესო იყოს და მოსწავლეებს ყურადღება არ მოუდუნდეთ, მასწავლებელმა შემოქმედებით მიდგომას უნდა მიმართოს და სწავლების ინოვაციური ფორმები ეძებოს, რადგან მოსწავლეებს სიახლეები და ექსპერიმენტები ყოველთვის იზიდავთ და მათ განვითარებასაც უწყობს ხელს.

წარმატებული სწავლების წინაპირობაა დროის ეფექტურად მართვა. გაკვეთილის დროულად დაწყებისა და დასრულების გარდა, სასწავლო ღონისძიებები ისე უნდა დაიგეგმოს, საკმარისი დრო

ჰქონდეს სამუშაოს შესასრულებლად. მაგრამ ყურადღების გასაფანტად თავისუფალი დრო არ უნდა დარჩეს. ამისათვის საჭიროა, სასწავლო გეგმა მეტ აქტივობას მოიცავდეს და მოსწავლე დაკავდეს. მასწავლებელს გეგმის მომზადების შემდეგ მეტი შესაძლებლობა აქვს, გააკონტროლოს საგაკვეთილო პროცესის ყველა დეტალი. დაგეგმვის დროს შეუძლია მასწავლებელს წინასწარ შეაფასოს, რამდენად შეესაბამება გაკვეთილის თემა და აქტივობები მოსწავლეების დონეს და საჭიროებებს, განსაზღვროს სირთულეები და მათი დაძლევის გზები. გაკვეთილის მიმდინარეობისას ყურადღება დაუთმოს მოსწავლეებს, ხოლო გაკვეთილის დასრულების შემდეგ ზუსტი პასუხები გასცეს მათ შეკითხვებს. მასწავლებელი უფრო თავდაჯერებულად გამოიყურება და მოსწავლეს მეტი პატივისცემა უჩნდება მის მიმართ. გაკვეთილის დაგეგმვა, ზოგადად, პროფესიონალიზმის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.

გაკვეთილის დაგეგმვის დროს აუცილებელია ასევე გავითვალისწინოთ გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი, გაკვეთილის სტრატეგიები და გაკვეთილის აქტივობები.

გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი გაკვეთილის მსვლელობის ერთგვარი უნივერსალური ჩარჩოა. სამფაზიანი მოდელის საფეხურებია:

- ✓ მოლოდინის განსაზღვრა (გამოწვევა)
- ✓ ცოდნის კონსტრუირება (შინაარსის რეალიზება)
- ✓ გამთლიანება (რეფლექსია).



აქტიურ სწავლასა და სიღრმისეულ აზროვნებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ სასწავლო პროცესში მასწავლებელიც და მოსწავლეებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გამოწვევისა და რეფლექსიის საფეხურების გავლას. განვიხილოთ თითოეული საფეხური ცალ-ცალკე.

1) მოლოდინის განსაზღვრა /გამოწვევა.

სამფაზიანი მოდელის პირველი ეტაპი მოცემულ საგანზე, მოვლენაზე ადრე მიღებული ცოდნის გამოწვევის ფაზაა. ამ ეტაპზე რამდენიმე შემეცნებითი ქმედება ხორციელდება. მოსწავლეები აქტიურად იხსენებენ იმას, რაც იციან ამა თუ იმ საკითხის შესახებ. სწავლის პროცესი ახლისა და უკვე ცნობილის ერთმანეთთან დაკავშირების პროცესია. მოსწავლეები ახალ ცნებებს გამოიმუშავენ მიღებული ცოდნისა და საკუთარი შეხედულებების საფუძველზე. ასე რომ, გამოწვევის ანუ გონებაში აღდგენის ფაზის მეორე მიზანია მოზარდის გააქტიურება, ინტერესის გაზრდა. ხშირად მოსწავლეები პასიურად სხედან საკლასო ოთახებში და მასწავლებელს უსმენენ, ძილმორეული ბავშვები უაზროდ სხედან და უღიმამოდ ინიშნავენ გაგონილს. გააზრებული, შეგნებული, კრიტიკული აღქმის უნარის განვითარებისათვის მოსწავლე აქტიურად უნდა ჩაებას სასწავლო პროცესში.

გადამწყვეტია გონებაში გამოწვევის სტადიის მესამე კომპონენტი. რომელიც საკითხის კვლევის მიზნისა და მოლოდინის განსაზღვრას გულისხმობს. მიზნისა და მოლოდინის დასახვა არსებითია მოსწავლეების ქმედითობის განსამტკიცებლად. მიზანდასახული სწავლა უმიზნოზე შედეგიანია. გამოიყოფა ორგვარი მიზანდასახულობა:

1) მასწავლებლის მიერ წარმართული, ან ტექსტით ნაკარნახევი;

2) პიროვნული, რომელიც უფრო მძლავრია.

ტექსტის წაკითხვამდე გაჩნდა ინტერესი, რაც ჩამოყალიბებული მოსაზრებებიდან მომდინარეობდა. ამ ყველაფერს დაერთო დისკუსიის დროს გამოთქმული აზრები. არის ასევე ურთიერთსაპირისპიროც, მაგ.: მთავარია გაკვეთილზე ბოლომდე გაიხსნა, რადგან განსხვავებული თვალსაზრისი შეკითხვებს ბადებს. შეკითხვები, თავის მხრივ, მძლავრი ბიძგია კითხვისა და შემეცნებისათვის.

2) ცოდნის კონსტრუირება - შინაარსის რეალიზება.

მეორე ფაზის უპირველესი ამოცანა დაწყებული საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და გონებაში გამოწვევის ფაზაში გაღვივებული ინტერესისა და იმპულსის შენარჩუნებაა. მეორე უმთავრესი ამოცანაა, რომ მხარი აუბათ მოსწავლეთა მცდელობას, გააკონტროლონ საკუთარი აღქმის უნარი. როდესაც მოსწავლე საკუთარი აღქმის უნარს აკონტროლებს, იგი, ჩვეულებრივ, უკვე შემუშავებული სქემების მიხედვით ალაგებს ინფორმაციას. მოსწავლე მიზანდასახულად აკავშირებს ახალსა და უკვე ცნობილ ინფორმაციას.

მისაღწევი მიზნის ფარგლებში, ამ ეტაპზე, ყოველმხრივ ეწყობა ხელი ასათვისებელი შინაარსის შესახებ დისკუსიის წარმართვას, კრიტიკულ ანალიზს, თვალსაზრისთა შეპირისპირებასა და შეჯერებას.

3) გამთლიანება - რეფლექსია.

რეფლექსია ნიშნავს საკუთარ ქმედებებზე (ქცევაზე, აზროვნებაზე, გრძნობებზე) კონცენტრირებას და მათ გააზრებას. კარგია, როცა მოსწავლეები სვამენ რეფლექსურ შეკითხვებს: რა ვისწავლე (რას ვსწავლობ? როგორ ვისწავლე, როგორ ვსწავლობ?) შეიძლება გამოიკვეთოს რეფლექსიის სტადიის რამდენიმე დადებითი მომენტი. უმთავრესია, მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით გამოხატვა, რომელიც მათ გზადაგზა ხვდებათ. მოსწავლეს ყველაზე უკეთ ის ამახსოვრდება, რასაც საკუთარი სიტყვებით გაიაზრებს. აღქმა მაშინაა საფუძვლიანი, როდესაც ინფორმაცია კონტექსტურ სქემაში თავსდება.

მეორე ამოცანაა მოსწავლეებს შორის აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა და ამის საფუძველზე მათი თვალსაზრისის გამოხატველი ლექსიკის გამდიდრება. რეფლექსიის ფაზაში, დისკუსიაში ჩაბმის წყალობით, ისინი ნაირ-ნაირ კონსტრუქციას ეზიარებიან აზროვნების გასაღრმავებლად. ამ სტადიაზე ახალ-ახალი ინფორმაციის მრავალგვარ საშუალებათა გაცნობა მათ უფრო მოქნილ კონსტრუქციებს სთავაზობს, რომლებსაც მომავალში უფრო პრაქტიკულად და მიზანდასახულად გამოიყენებენ.

სწავლების სამფაზიანი მოდელის ძირითადი ამოცანები საფეხურების მიხედვით

#### **გამოწვევა**

- ✓ სასწავლო მიზნისა და შესაბამისი მოლოდინის განსაზღვრა;
- ✓ შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება;
- ✓ წინარე ცოდნის არაფორმალური შეფასება, არასწორი წარმოდგენების გამოკვეთა;
- ✓ პოზიტიური განწყობის შექმნა, ყურადღების კონცენტრირება, ინტერესისა და სწავლის მოტივაციის გაღვივება;

#### **შინაარსის რეალიზება**

- ✓ სასწავლო მასალის გაცნობა;
- ✓ ინფორმაციის მიღება - დამუშავება;
- ✓ ახალი ცოდნის კონსტრუირება;
- ✓ ძირითადი საკითხების და ქვესაკითხების გამოკვეთა;
- ✓ გაკვეთილისადმი პიროვნული კავშირების გამოკვეთა;
- ✓ შეკითხვების დასმა შინაარსთან დაკავშირებით;
- ✓ მოლოდინების გადახედვა და რეალურ პროცესთან შედარება.

#### **რეფლექსია**

- ✓ ძირითადი იდეების შეჯამება;
- ✓ ჩამოყალიბებული შეხედულებების გაზიარება;
- ✓ პიროვნული გამოხმაურება;
- ✓ მიღებული ცოდნის მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა;
- ✓ ცოდნის გაღრმავებასთან საჭირო ახალი შეკითხვების ჩამოყალიბება;
- ✓ სასწავლო პროცესში საკუთარი მონაწილეობის შეფასება;

გაკვეთილი რომ სახალისო, საინტერესო პროცესად და ნამდვილ ინტელექტუალურ გამოწვევად იქცეს, პედაგოგმა თავისი სწავლება სხვადასხვაგვარი სტრატეგიის გამოყენებით უნდა დაგეგმოს. თუ მასწავლებლის მიზანია, რომ მაქსიმალურად მიიპყროს მოსწავლეების ყურადღება და დააფიქსიროს ისინი ამა თუ იმ საკითხზე, მას საამისოდ გარკვეული სტრატეგიები დასჭირდება, რომლებიც:

- ხელს უწყობს მოსწავლეს ყურადღების მობილიზებაში;
- ააქტიურებს მის წინა ცოდნას;

- ეხმარება მასალის მთლიანობის გააზრებაში;
- უვითარებს მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებას, კითხვის დასმის უნარ -ჩვევებს;
- უჩვენებს, რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ მასალაში;
- მიუთითებს, რა ისწავლა მან ამ მასალის დამუშავებით;
- უმაღლებს მოტივაციას;
- უვითარებს წერით უნარ-ჩვევებს.

იმისათვის, რომ კლასის ეფექტურად მართვა შეეძლოს, ამა თუ იმ სტრატეგიის გამოყენებამდე საჭიროა ვითარების და მასთან კონკრეტული სტრატეგიის შესაბამისი გაანალიზება და შესაბამისობის გაანალიზება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა იმის მიხედვით, თუ რომელ კლასთან, რა გარემო პირობებში, რა გამოცდილების მქონე მოსწავლეებთან, რა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან მუშაობს პედაგოგი. კლასის მართვის პროსოციალური მოდელი მასწავლებლებს 9 ძირითად სტრატეგიას სთავაზობს:

1. მასწავლებლის მომზადება და პროფესიონალიზმი;
2. ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა;
3. საკლასო წესების და პროცედურების შემუშავება;
4. დააფასეთ ყოველი წამი;
5. მოსწავლეების თანაბარი ჩართულობა;
6. სასიცოცხლო უნარ-ჩვევების, მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობა;
7. შემოქმედებითი შეფასება;
8. მოსწავლეების შეფასება;
9. კომუნიკაცია.

იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი სტრატეგიის მეშვეობით მასწავლებელი მოსწავლეებს სტრუქტურას და საფეხურებრივ მიდგომას სთავაზობს, ისინი ყურადღების კონცენტრირებასაც უწყობენ ხელს.

#### ლიტერატურა:

1. mastsavlebeli.ge
2. www.lemill.net.
3. ბ. ლორთქიფანიძე, მ. მირიანაშვილი, გ. ჩხენკელი, ნ.ჯაში, მ. ბლიაძე, ნ. მახარობლიძე, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010;
4. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016 ს/წ.
5. რ. ტყემალაძე, ქ. თოფაძე, თ. ბუწაშვილი, სწავლება და შეფასება (I ტომი), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2008;
6. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინი ფ. ოლოქი, ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2009;
7. სეხნიაშვილი მ., გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები, თბ., 2011.
8. ჯანაშია ს., ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში, თბ., 2009;
9. ჟურნალი მასწავლებელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010.

## GENERAL PRINCIPLES OF PLANNING LESSONS IN PRIMARY CLASSES

Nana Nadiradze, Gori State Teaching University, Students secretary

### RESUME

The given work is related to one of the most important topic in Georgian educational space: "General principles of planning lessons".

In order to reach their aims successfully, for schools it is not enough organizational, technical, resource issues and to attract qualified personal. For more effective lessons it's very important for teachers to know how to plan lessons according to learning aims and which important aspects must be taken into consideration while planning lessons.

Based on modern materials we should show that while changing content of teaching and approaches being, on the one hand changing teaching materials, on the other hand the system of elaboration of textbooks, set up the professional standards of primary level which includes the knowledge of pedagogical approaches, that planning of learning process is difficult and important job, especially when the school is oriented in formation of students active learning, critical thinking, creativity and civil responsibility.

## ნეთბუქების გამოყენება სკოლის დაწყებით საფეხურზე სწავლების ეფექტურობის ამაღლების მიზნით

მარეხ ნათენაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი მოსწავლეთა სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებაა. შესაბამისად, სწავლა-სწავლების პროცესში აუცილებელია მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების (აღქმა, წარმოსახვა, შეგრძნება, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება) განვითარება.

სწავლა, როგორც მოსწავლის მოქმედიანობა, მიზანდასახული ქცევის ფორმაა, რომლის პირველ საფეხურს აღქმა წარმოადგენს; მისი მომდევნო საფეხურებია გააზრება და დასწავლა. აღქმა კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესია, რომლის დროსაც ფსიქიკაში ხდება რეალური სინამდვილის ასახვა, საგნის (ან მისი ცალკეული თვისების) უშუალო განცდა. ამავე დროს, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქცია, როგორცაა: აღქმა, მეტყველება, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მოტორიკა, რთულად ორგანიზებული ფუნქციური სისტემაა, რომელიც, თავისი წარმოშობით, სოციალურია. ადამიანი გარემოს გამღიზიანებლებს კი არ შეიგრძნობს, არამედ ობიექტურად, მისგან დამოუკიდებლად, მოცემულ საგანთა სახით აღიქვამს. შესაბამისი გამღიზიანებლის მოქმედებით ადამიანის შეგრძნებების წარმოქმნაზე პასუხისმგებელია სენსორული სისტემა. შეგრძნებებში ერთიანდებიან ვიზუალური, სმენითი და ტაქტილური აღქმის უნარები. სენსორულ სისტემებს შორის ძირითადი ადგილი მხედველობის სისტემას უკავია. მკვლევართა აზრით (ვ. გლაზერი და სხვ.), ინფორმაციის დაახლოებით 80% სწორედ, მხედველობის საშუალებით შემოდის ადამიანის ტვინში (2). თუმცა, მეტად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში მულტისენსორული (მულტიმოდალური) მიდგომა, ანუ სწავლება სხვადასხვა სენსორულ არხზე დაყრდნობით (ვიზუალური ანუ მხედველობითი, აკუსტიკური ანუ სმენითი, ტაქტილური ანუ შეხებითი, ყნოსვა, გემო).

ამგვარი მიდგომა მით უფრო აქტუალურია დღეს, როდესაც განათლების სისტემაში მიმდინარეობს ძირეული ცვლილებები, შემუშავებულია სწავლისა და სწავლების სტანდარტები, შეცვლილია (უფრო მეტიც, გადანაცვლებულია) მოსწავლისა და მასწავლებლის როლები.

გაკვეთილზე მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიწოდება მრავალფეროვანი გზებით ხდება, რათა ჩართული იყოს ყველა სენსორული არხი, რაც მნიშვნელოვნად უადვილებს ნებისმიერ მოსწავლეს ინფორმაციის აღქმასა და გაგებას. როდესაც მოსწავლის ერთი სენსორული მოდალობა უფრო სუსტად არის განვითარებული, ვიდრე დანარჩენი, ამ შემთხვევაში უფრო ძლიერი მოდალობის გამოყენება ხდება უფრო სუსტის საკომპენსაციოდ (მაგალითად, როდესაც მოსწავლე ცუდად ხედავს, აუცილებელია მან ინფორმაცია მოისმინოს ან პირიქით). ამგვარად, მულტისენსორული მიდგომა უზრუნველყოფს სხვადასხვა უნარის მქონე მოსწავლეთა ეფექტურ სწავლას, რადგან მათ აქვთ ინფორმაციის მიღების, დამახსოვრებისა და გააზრების საკუთარი ინდივიდუალური სტილი.

მულტიმოდალური მიდგომით სწავლება მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლისთვის. ჯერ ერთი, ასეთი გზით გაკვეთილის მსვლელობა სახალისოა, მოსწავლეებისთვის შესაძლებელი ხდება მასალის უკეთ აღქმა-გაგება, იზრდება მათი ინტერესი და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და მეორე, ეს გზა ეხმარება პედაგოგს დასახული მიზნის სწრაფად და ეფექტურად მიღწევაში.

ამგვარი მიდგომა მოითხოვს მრავალფეროვანი სასწავლო მასალის (სურათები, ნახატები, ბარათები, აუდიო-ვიდეო აპარატურა, კომპიუტერი (ბუკები/ნეთბუქები) და სხვ.) გამოყენებას.

სწორედ, XXI საუკუნის რეალობაა სწავლებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის (ასევე, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის...) თანამშრომლობითი კავშირების დამყარება და ორივე მხარის მიერ საჭირო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია XXI საუკუნის მასწავლებლისთვის თანამედროვე სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის (სტანდარტების, სასწავლო გეგმის, შეფასების და სხვ.) შესახებ საკითხების ცოდნა, შესაბამისი კრიტერიუმების ფლობა და მათი პრაქტიკაში გამოყენება (1).

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუ გასულ საუკუნეში, ასე ვთქვათ, ტრადიციული სწავლების პირობებში, სასწავლო პროცესი ძირითადად ორიენტირებული იყო დროზე, სახელმძღვანელოზე, არსებულ ბეჭდურ მასალაზე, მოსწავლის ინდივიდუალურ მუშაობაზე, სტანდარტიზებულ მოთხოვნებზე, უგულებელყოფილი იყო მოსწავლეთა მრავალფეროვნება, სასწავლო გეგმა არ შეესაბამებოდა მოსწავლეთა ინტერესებს, აღნიშნული საკითხი XXI საუკუნეში პირიქითაა - სასწავლო პროცესი შედგება ორიენტირებული, კვლევაზე დაფუძნებული, მოსწავლეები



თანამშრომლობენ თანაკლასელებთან და უფრო მეტიც, სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან, რის კარგ საშუალებასაც იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიები, სწავლისა და შეფასების პროცესში გამოიყენება თანამშრომლობითი სასწავლო პროექტები, მედიასაშუალებები, სტანდარტიზებულ ტესტებთან ერთად გამოიყენება შეფასების სხვა ფორმებიც, სასწავლო პროგრამა და სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას, სასწავლო გეგმა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, მათ გამოცდილებას, ნიჭს, რეალურ გარემო პირობებს. შესაბამისად, თანამედროვე მასწავლებლის კომპეტენციაა დიფერენცირებული სწავლების განხორციელება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმების გამოყენება, ეფექტური მულტიმედია რესურსების შერჩევა-შექმნა-გამოყენება და სხვ.

XXI საუკუნეში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო გარემოსა და თანამედროვე სასწავლო პროცესის მდგომარეობის შესწავლის მიზნით 2011-2015 წლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ვაწარმოეთ ემპირიული ხასიათის კვლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სკოლების დაწყებით კლასებში სკოლის სხვა (მაღალი) კლასებისაგან განსხვავებით სასწავლო გარემო ყოველწლიურად უმჯობესდება, რაც განპირობებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „1:1 ელექტრონული სწავლების დანერგვა“ განხორციელებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხდება საჯარო სკოლების პირველი კლასის დამრიგებლებისთვის და ყველა პირველკლასელი მოსწავლისთვის ნეთბუქის (იგივე, ბუკის) გადაცემა, დაწყებითი კლასების დამრიგებლების ჩართვა სატრენინგო კურსში, რომელიც ითვალისწინებს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა: სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო ამოცანის შესაბამისად, პროფესიული განვითარება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, გაკვეთილის მართვის ელექტრონული პროგრამის (Classroom Management/e-Learning) შესწავლა და სხვ; ასევე, დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის მოქმედებს ვიდეოგაკვეთილებისა და ელექტრონული წიგნების მომზადების, პროექტებით სწავლების ტრენინგ-კურსები (3).

სიტუაციის ანალიზის შემდეგ შევაფასეთ დაწყებითი კლასის მოსწავლეთა აკადემიური უნარები (წერა, კითხვა, თხრობა, ანგარიში). აღნიშნული შეფასების შედეგად გამოვავლინეთ მოსწავლეთა აკადემიური უნარების განვითარების დონე და სირთულეები სწავლების პროცესში. გამოიკვეთა ნეთბუქებით სწავლების პირობებში მოსწავლეთა სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება, მათი შემეცნებითი და აკადემიური უნარების განვითარება, დიფერენცირებული სწავლების განხორციელება. აღსანიშნავია კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ნეთბუქებით სწავლების ეფექტურობა. მოსწავლეთა აკადემიური უნარების გასავითარებლად დავალებები განვსაზღვრეთ მულტიმოდალური მიდგომის გამოყენებით. სწავლება ხდებოდა როგორც მხედველობით, ასევე სმენით და კინესთეტიკურ-ტაქტილური არხების დაკავშირებით. სწავლების პროცესი ეფუძნებოდა მოსწავლეთა სხვადასხვა სენსორული არხის გამოყენებას.

ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა საჯარო სკოლების დაწყებით კლასებში ნეთბუქების გამოყენების ეფექტურობა მოსწავლეებში XXI საუკუნის უნარების განვითარებისთვის. ამასვე ცხადყოფს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (Minor) პროგრამების სტუდენტთა მიერ სასწავლო პრაქტიკის პერიოდში შესრულებული აქტივობები. სტუდენტი-პრაქტიკანტები ქმნიდნენ მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებს, რომლებსაც წარმატებით იყენებდნენ სასწავლო პროცესში.

თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სწავლის ეფექტურობა და ნაყოფიერება დამოკიდებულია სასწავლო პროცესის სწორ ორგანიზებაზე, მოსწავლის სასწავლო აქტივობაზე და იმ უკუკავშირების განხორციელებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სწორი ინფორმაციის მიღებას. მოსწავლეთათვის XXI საუკუნის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება აქტუალური საკითხია, რომელიც შესაბამისად ცვლის თანამედროვე მასწავლებლის მიმართ მოლოდინებს.

დღეს, როდესაც სასკოლო სახელმძღვანელო მოსწავლისათვის არ არის ინფორმაციის მიღების ერთადერთი სასწავლო რესურსი, საგნობრივი პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით სრულიად თავისუფლად შეიძლება მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის მომზადდეს ტექსტები - ცოდნის მისაწოდებლად, სავარჯიშოები - სააზროვნო უნარ-ჩვევების გასავითარებლად, ილუსტრაციები - ტექსტის გააზრებასა და სავარჯიშოების შესრულებაში დასახმარებლად. ამდენად, თანამედროვე ეტაპზე აქტუალური და ეფექტურია სწავლება მულტისენსორული მიდგომით მრავალფეროვანი რესურსებისა და სასწავლო ვებპლატფორმების გამოყენებით ვირტუალურ სივრცეში.

მაგალითისთვის წარმოგიდგინებ პრაქტიკის პერიოდში შემუშავებული და გამოყენებული სასწავლო აქტივობების ნიმუშებს, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების ეფექტურობის ამაღლების კუთხით.

გთავაზობთ შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერას:

მაგალითად:

- საგანი - ქართული ენა და ლიტერატურა;
- სწავლების საფეხური - დაწყებითი საფეხური, II კლასი;
- გაკვეთილის მიზნები და შედეგები - ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებით გაკვეთილის თემის შესაბამისად (გაკვეთილის თემა შეიძლება განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიმართულებებისა და რეკომენდებული შინაარსის მიხედვით, სახელმძღვანელოს ან სხვა სასწავლო მასალის მიხედვით, სასწავლო პროცესში გამოხატული ინტერესების მიხედვით).

გაკვეთილის თემა პირობითად იყოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტი.

*გაკვეთილის მიზნები:*

მოსწავლე შეძლებს:

- ვარაუდების გამოთქმას, კონტექსტური გასაღებების ამოცნობასა და გამოყენებას ტექსტის შინაარსის გაგებისათვის;
- დაახასიათოს პერსონაჟები;
- გამოიტანოს სათანადო დასკვნები;
- მისწეროს წერილი წარმოსახვით პერსონაჟს.

მოსწავლეებს განუვითარდებათ გაგება-გააზრების, ლოგიკური, შემოქმედებითი აზროვნების უნარ-ჩვევები.

*ეროვნული სასწავლო გეგმით საგნობრივი სტანდარტი:*

**ქართ. II. 2.** მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის სხვადასხვა სახის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.

**ქართ. II. 9.** მოსწავლეს შეუძლია კითხვის მარტივი სტრატეგიების გამოყენება.

**ქართ. II. 11.** მოსწავლეს შეუძლია მცირე მოცულობის ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით.

- *წინასწარი ცოდნა:*

o მოსწავლე ამოიცნობს ნაცნობ სიტყვებს, ხმამაღლა გაბმულად კითხულობს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს, შეუძლია შეადგინოს და დაწეროს მარტივი წინადადებები;

o შეუძლია კომპიუტერის (ნეტბუქის) ჩართვა-გამორთვა, touch-pad-ის და კლავიატურის გამოყენება; Microsoft Office Word-ის და საპრეზენტაციო ფორმატის - Microsoft PowerPoint Presentation-ის ფაილში მარტივად მუშაობა (სლაიდშოუს რეჟიმის მართვა).

- *შეფასების საგანი და პროცედურები:*

მასწავლებელი დაკვირვების საფუძველზე ახდენს მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებას, მაგალითად:

• როგორ შეავსეს მოსწავლეებმა სქემა - რამდენად მრავალფეროვანი სიტყვები წარმოადგინეს და ემთხვევა თუ არა მათ მიერ წარმოდგენილი სიტყვები ტექსტის კონტექსტს;

• რამდენად გაართვეს თავი კითხვის შერჩეულ სტრატეგიას „დაკარგულ სიტყვებს“ (შეავსეს ცხრილები, შეადარეს სწორი და არასწორი ვარიანტები, გამოიტანეს დასკვნები, როგორ იპოვეს დაკარგული სიტყვები);

• როგორ იმუშავეს „ცნების რუკებზე“ (წარმოადგენენ პერსონაჟების მახასიათებელ სიტყვებს);

• როგორ ასრულებენ წერით დავალებას (მაგალითად, „წერილი ტექსტის საყვარელ პერსონაჟს“ (რამდენად აფასებენ პერსონაჟს, რამდენად შემოქმედებითად გადმოსცემენ საკუთარ აზრს). შეიძლება დავალების შესრულება ნეტბუქებში.

კრიტერიუმების მიხედვით მომზადდება შეფასების რუბრიკა (ან რუბრიკები).

- *სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები:*

• დასარიგებელი მასალა თითოეული მოსწავლისთვის - დაბეჭდილი ტექსტები დაკარგული სიტყვებით, ცხრილებით;

• ელექტრონული წიგნი Microsoft PowerPoint Presentation-ის პროგრამაში შესრულებული (ხმოვანი);

• ელექტრონული სავარჯიშო „აწყე ტექსტი“ Microsoft Office Word-ის პროგრამაში შესრულებული;

• ნეტბუქები, როუტერი (უკაბელო ლოკალური ქსელისთვის), ყურსასმენები, კომპიუტერული პროგრამა „კლასის მართვა“ (Classroom Management/e-Learning).

- *აქტივობები:*

• ტექსტის სათაურის მიხედვით მოსწავლეების მიერ ვარაუდების გამოთქმა;

• კლასის მართვის პროგრამის საშუალებით (ფაილის გადაგზავნის რეჟიმით) მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ნეტბუქებით დამხმარე ელექტრონულ წიგნის მიწოდება, დაბეჭდილი ფურცლების

დარიგება (დაბეჭდილ ფურცლებზე მოცემულია ტექსტი დაკარგული სიტყვებით, ასევე წარმოდგენილია სიტყვები და ცხრილები).

მითითება: ყურადღებით გაეცნონ გადაგზავნილ ფაილს, მითითებული ინსტრუქციების შესაბამისად ამოიკონ დაკარგული სიტყვები და შეავსონ ცხრილები.

მუშაობა მიმდინარეობს ჯგუფებში.

მასწავლებელი წინასწარ ადგენს ელექტრონულ დამხმარე წიგნს, სადაც მოცემულია ილუსტრაციები და მასწავლებლის ხმოვანი კომენტარები, რაც მოსწავლეს ტექსტის გაგებაში დაეხმარება;

- ტექსტზე მუშაობა - მასწავლებლის მითითების შესაბამისად მოსწავლეების მიერ ტექსტში გამოტოვებულ ადგილზე დაკარგული სიტყვების ჩასმა;

- ელექტრონული წიგნის საშუალებით მოსწავლეთა მიერ დაკარგული სიტყვების სწორი ვერსიების გაცნობა და ცხრილში დაფიქსირება;

- მოსწავლეთათვის კლასის მართვის პროგრამით (Classroom Management/e-Learning) სავარჯიშოს მიწოდება (გაგზავნა), სადაც მთელი ტექსტი დანაწევრებულია. მოსწავლეები ინდივიდუალურად ააწყობენ ტექსტს, შემდეგ გაუზიარებენ მეწყვილეს და შეიტანენ შესწორებებს. შემოწმების მიზნით ხდება ტექსტის წაკითხვა და შესრულებული სამუშაოს შემოწმება;

- მოსწავლეთა მიერ ნეთბუქებში ელექტრონული სახით ბარათების/წერილების მომზადება - მოსწავლეები ტექსტის მიხედვით რომელიმე პერსონაჟს წერენ წერილს. კლასის მართვის პროგრამის საშუალებით შეიძლება დასრულებული წერილების ჩვენება.

- მოსწავლეები ასრულებენ ტესტურ დავალებებს (Classroom Management/e-Learning) -პროგრამაში) და სხვ.

სწავლების ეფექტურობის ამაღლების მიზნით საჯარო სკოლების დაწყებითი კლასებში ნებისმიერ სასწავლო დისციპლინაში შეიძლება ნეთბუქების წარმატებით გამოყენება.

#### ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016.
2. Глезер В.Д., Зрение и мышление., Наука, Ленинград, 1985.
3. <http://ict.tpdg.ge/>

## USING THE NETBOOKS IN THE PRIMARY CLASSES FOR EFFECTIVE LEARNING PROCESS

Marekh Natenadze, Samtskhe-Javakheti State University, Associate Professor

### RESUME

One of the important goals of the National Curriculum is to develop cognitive skills in students.

The empirical research was conducted in Samtskhe-Javakheti Region in 2011-2015 in order to study the learning environment and the situation of modern teaching process of XXI century in the general educational institutions.

According to the results, unlike the upper classes the learning environment in the primary classes has been improving each year due to the project “1:1 introduction of E-learning” implemented by the Ministry of Education and Science of Georgia.

After analyzing the situation we have evaluated the academic skills (writing, reading, storytelling, counting) of the students of primary classes and revealed the level of development of the academic skills and difficulties in the learning process. Teaching with netbooks has developed the positive attitude towards learning, cognitive and academic skills of the students and implementation of differential teaching. It should be mentioned that teaching with netbooks is effective if there is a student with special educational needs in the classroom.

However, it should be noted that the effectiveness of the learning depends on the organization of teaching process, the involvement of a student in it and on the feedback. The formation of XXI century skills is the actual issue which changes the expectations towards a modern teacher.

Today, when textbooks are not the only learning resource for transferring the information, a teacher can freely create the texts, exercises and illustrations envisaging the content of the programme.

The article presents the samples of activities created and used in the process of the practice which have the great importance for improvement of teaching process.

## სამეცნიერო საქმიანობა, როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგის ინდივიდუალური სტილის ნაყოფიერების განვითარების აუცილებელი პირობა

ეკატერინე ნინუა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს განათლებას და სწავლებას. ეს ორივე ერთობლივი მოვლენაა. განათლება - სწავლების შედეგია, სწავლება - განათლების ძირითადი მიმართულებაა, რომლის მიზანი ცოდნის, უნარების და ჩვევების ჩამოყალიბებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა ვინ უნდა ჩამოყალიბოს პიროვნება, ვინ უნდა გადასცეს მას შესაბამისი ცოდნა?, იმისათვის, რომ იგი ჩამოყალიბდეს განათლებული, განვითარებული საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. რა თქმა უნდა პედაგოგმა, ვინაიდან სწავლება ყოველთვის ორმხრივი პროცესი - მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთქმედებაა.

დღეს უმაღლესი პედაგოგიური სკოლის სახეს განსაზღვრავს: პედაგოგის გონებრივი პოტენციალი, მეცნიერული გამოკვლევის დონე, სპეციალისტების მომზადების ხარისხი, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ინტეგრაციული კავშირი. იქმნება სასწავლო-სამეცნიერო-პედაგოგიური კომპლექსი, რომლის გარეშეც შეუძლებელია პედაგოგიური განათლების ჰუმანიზაციის და ჰუმანიტარიზაციის პრობლემების გადაჭრა, ფუნდამენტალური მომზადება, დისციპლინათაშორის კავშირები, პრაქტიკული მიმართულების პრობლემები და სხვ. პედაგოგიური შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაში ვგულისხმობთ დასაბუთებული ღონისძიებების სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს პედაგოგიური მოღვაწეობის ყველა კომპონენტის სრულყოფას.

პედაგოგის მომზადების სრულყოფის პრობლემა უმაღლესი პედაგოგიური განათლების სისტემაში, პირდაპირ კავშირშია ცოდნის უნარისა და ჩვევების კომპლექსთან, რათა მოხდეს პროფესიონალური მოღვაწეობის წარმატებით შესრულება. ამ კომპლექსის გამოვლენის შესაძლებელი გზა არის პედაგოგის მოღვაწეობის სტრუქტურის შესწავლა.

ყველა განვითარებული ქვეყნის უმაღლესი სკოლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის თანაფარდობა. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში პედაგოგის პროფესიული საქმიანობის შეფასების დროს ძირითადი ყურადღება ენიჭება მის კვლევით საქმიანობას. უნივერსიტეტის პედაგოგის კარიერა და რეპუტაცია არ არის დამოკიდებული პედაგოგიური საქმიანობის შედეგებზე, მიუხედავად მათი წარმატებისა, არამედ დამოკიდებულია პირადი პუბლიკაციების რაოდენობაზე.

აღნიშნულ ტენდენციას ადგილი აქვს არა მხოლოდ დასავლეთ, არამედ რუსულ და ქართულ უნივერსიტეტებშიც, სადაც მოქმედებს პედაგოგის შეფასების რეიტინგული სისტემა: შემაჯამებელი შედეგების დადგენის დროს ძირითადი ყურადღება ექცევა სამეცნიერო საქმიანობის რაოდენობრივ შედეგებს. ამ მიდგომების შემთხვევაში პედაგოგის საგანმანათლებლო ფუნქციები გადადის მეორე ადგილზე და უმაღლესი სკოლა არ ახდენს თავისი ძირითადი დანიშნულების რეალიზებას - მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის თანაფარდობის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. ერთის მხრივ, სამეცნიერო საქმიანობის როლის გაზრდა იწვევს იმას, რომ პროფესორები და ასოცირებული პროფესორები ნაკლებად არიან ჩართული პედაგოგიურ საქმიანობაში. მეორეს მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი „პედაგოგები ჩაფლულნი არიან სწავლების პროცესში და შესაბამისად მათ არ შეუძლიათ აწარმოონ ფართომასშტაბიანი სამეცნიერო კვლევითი პროცესები“. <sup>1</sup> ურთიერთგამომრიცხავი ერთიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოვიყვანოთ ვ. ოსტვალდის მოსაზრება, რომელმაც პრაქტიკაში განხორციელებული პედაგოგიური სწავლებისა და კვლევის საქმიანობის შესახებ კვლევების მიხედვით, აჩვენა ის თავისებურებები და პირდაპირი კავშირის არარსებობა კონკრეტულ მეცნიერულ აზროვნებასა და პედაგოგის მიერ დარგის სწავლების უნარებს შორის. კერძოდ, მან გამოყო კომბინაციის შემდეგი სახეები:

- ცნობილი მეცნიერები, მაგრამ უუნარო პედაგოგები;
- შესანიშნავი პედაგოგები, მაგრამ წარუმატებელი მკვლევარები;
- ცნობილი მეცნიერები და გამოჩენილი პედაგოგები;
- მკვლევარები, რომლებსაც არაფერი საერთო არ აქვთ პედაგოგიურ საქმიანობასთან.

<sup>1</sup> Вульфсон Б.Л. Стратегия развития образования на Западе на пороге XXI века. С. 126. М., 1999.

აღნიშნული საქმეების სირთულეების უარყოფის გარეშე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აღიარებულია როგორც სამეცნიერო, ისე საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელობა, მათი ურთიერთკავშირი.

ჯერ კიდევ ნ. ი. პიროგოვი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ურთიერთდახმარების შესახებ წერდა: „სად უნდა დაადგინო ფაქტობრივად ზღვარი ერთსა და მეორეს შორის? ის ვინც ამოდრავებს მეცნიერებას ნამდვილად, მას თანდაყოლილი მიდრეკილება აქვს და სურს სხვებიც გახადოს ამ მოძრაობის წევრები. ის ვინც წარმოადგენს მეცნიერებას, მას ბუნებრივია სურვილი აქვს იყოს მისი მამოდრავებელი“. <sup>1</sup> ვ. ბ. ვერნადსკის თქმით, მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობის თანდათან გაცნობიერება სწორად დაგეგმილ სწავლებასთან ერთად ქმნის წამყვან სასწავლო გარემოს უმაღლეს სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ გამოთქმულ იდეას შორის საკმაოდ დიდი დროებითი კავშირის არარსებობაა, მასში მაინც შეიმჩნევა სხვადასხვა საქმიანობების იზოლაცია, რომლის ხარვეზიც აშკარად შესამჩნევია.

ვ. ო. კლიუჩევსკი განასხვავებს საკუთრივ სამეცნიერო კვლევას და მისი შედეგების გამოყენებას პედაგოგიური საქმიანობის - სწავლების პროცესში. მისი აზრით, პედაგოგებმა უნდა განასხვაონ სამეცნიერო კვლევისა და სწავლების მეთოდები, რადგან ორივე ისინი არ არის ერთმანეთის იდენტური და ეს უკანასკნელი უფრო რთულია პირველზე. თითოეულმა მეცნიერმა, რომელმაც გადაწყვიტა პედაგოგიური საქმიანობა აუცილებლად უნდა ეძებოს საკუთარი სტილი, ლექციის წაკითხვის თავისებური მანერა.

ნებისმიერმა პედაგოგმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ როგორ კითხულობს ლექციას და გამოიმუშავოს სწავლების საკუთარი პრეზენტაციის ფორმა, რომელიც უფრო შეესაბამება მის გონებრივ შესაძლებლობებს.

ამდენად, მნიშვნელოვანია სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ურთიერთშეფარდების ანალიზის გაკეთება უმაღლესი სკოლის პედაგოგის პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის განვითარების მიზნით. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვიყენოთ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, კერძოდ, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა 73,4 % თვლის, რომ პედაგოგის უმაღლესი სტატუსი იქნება მყარი, თუ ის ერთდროულად არის მეცნიერ-მკვლევარი. ეს შედეგები შეესაბამება დ. ტ. აშეპკოვის მიერ განხორციელებულ კვლევებს, რომელიც ეფუძნება სტუდენტების 76.5 % ანალოგიურ მოსაზრებას.<sup>2</sup> ვ. ი. მარეევი იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ სწავლების წარმატებაზე ყურადღებას ამახვილებს პედაგოგის პიროვნებაზე, როგორც მეცნიერზე და პედაგოგიური საქმიანობის მეცნიერულ ინტენსივობაზე. <sup>3</sup> მაგრამ, მისივე მონაცემებით, თუ პირველი ფაქტორის მნიშვნელობაზე მიუთითებს პედაგოგების 87,3 %, მაშინ სტუდენტები აცხადებენ, რომ ასეთი შემთხვევები შეადგენს 67,7 %, ხოლო მეორე ფაქტორის მნიშვნელობა მხოლოდ პედაგოგების გამოკითხვის 17,8% დააფიქსირა.

ჩვენი აზრით, სტუდენტები უპირატესობას ანიჭებენ მეცნიერ პედაგოგს, ამავე დროს ისინი ვერ ხედავენ პირდაპირ დამოკიდებულებას წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისა სამეცნიერო საქმიანობასაგან. პირიქით, მათი სასწავლო პროცესის მაღალეფექტურად წარმართვის მიზნით, როდესაც საკითხი დგება კარგი პედაგოგისა და მკვლევარის არჩევანზე, გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სტუდენტების 75,2 % მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია პირველი მათგანი, ანუ კარგი პედაგოგის ჩართვა სასწავლო პროცესში.

პედაგოგიკისა და მეთოდის სპეციალისტები მასწავლებლის შრომას ასე განმარტავენ: „სკოლაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ნიშნავს დასაბუთებულ პედაგოგიურ, ორგანიზაციულ სამეურნეო-ეკონომიკური ღონისძიებების სისტემას, რომელიც მიმართულია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უმაღლესი ეფექტურობის მიღწევისაკენ, ეს გულისხმობს კადრების, დროისა და საშუალებების რაციონალურ გამოყენებას, პედაგოგიური მუშაობისათვის ოპტიმალური პირობების შექმნას“. <sup>4</sup>

მნიშვნელოვანია ვ. ა. ჟამინის მიერ მოცემული შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განსაზღვრება. ის წერს, რომ „სასწავლო დაწესებულებებში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ პედაგოგიური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ზომების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია დროისა და ენერჯის რაციონალური გამოყენების გზით

<sup>1</sup> Пирогов Н. И. Избранные педагогические сочинения. С. 188. М., 1985.

<sup>2</sup> Ащепков В.Т. Профессиональная адаптация преподавателей высшей школы: проблемы и перспективы. Ростов н/д, 1997.

<sup>3</sup> Мареев В.И. Исследовательская деятельность в педагогическом вузе: теория и практика. Ростов н/д, 1999.

<sup>4</sup> Артаманова Л.М., Научная организация труда как условие эффективности повышения учебно-воспитательного процесса. С.4. Днепропетровск, 1968.

სასწავლო-აღმზრდელობითი ზომების განხორციელებით უმაღლესი ეფექტურობისაკენ. აქ მხედველობაშია, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის შრომა“.<sup>1</sup>

ი.პ. რაჩენკოს აზრით „მასწავლებლის შრომის მეცნიერული ორგანიზაცია არის მეცნიერულად დასაბუთებული იმ ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ინერგება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად მასწავლებლისა და მოსწავლის უმცირესი დროისა და ენერჯის ხარჯვის პირობებში“.<sup>2</sup>

ეს სამივე განსაზღვრა თითქმის ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, მაგრამ მასში სრულად არ ჩანს მასწავლებლისა და მოსწავლეთა თანამშრომლობა, მათი ურთიერთხელშეწყობა, ერთნაირი მიზნისაკენ სწრაფვა. ჩვენი შეხედულებით, პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა განხორციელების სისტემაა, რომელიც მიმართულია პედაგოგიური შრომისა და მისი პრობლემების სისტემატური სრულყოფისაკენ. მან უნდა უზრუნველყოს სწავლებისა და აღზრდის მაქსიმალური ეფექტი მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ დროისა და ენერჯის ოპტიმალური ხარჯვის პირობებში. ჩვენი აზრით, ასეთი განსაზღვრა ზუსტად შეესაბამება პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მიზანს, ამოცანებსა და შინაარსს.

უმაღლეს სკოლაში პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაცია დიდად არის განპირობებული პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციით, მათ მიერ ჩატარებული ლექციებისა და პრაქტიკულ-სემინარული მუშაობის ხარისხით. ისევე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ფიგურაა მასწავლებელი, ასევე უმაღლეს სკოლაში - უნივერსიტეტებში ამავე როლს პროფესორ-მასწავლებლები ასრულებენ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უმაღლეს სკოლაში უნდა გამოვეყოთ პროფესორ-მასწავლებელთა შემდეგი ფუნქციები:

- ხელი შეუწყონ სტუდენტთა გონებრივ-აღზრდას: ა) მაღალ დონეზე ჩაატარონ ლექციები, პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, ბ) დააინტერესონ სტუდენტები თავიანთი საგნების შესწავლით; გ) სტუდენტები დააინტერესონ თავიანთი მომავალი პროფესიით; დ) განახორციელონ კვლევა პროფესიის მიხედვით და შეიმუშაონ რეკომენდაციები მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად; ე) სტუდენტებს გამოუმუშავონ მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები.

- მიიღონ აქტიური მონაწილეობა სტუდენტთა აღმზრდელობით მუშაობაში: ა) როგორც კურატორმა, აგიტატორმა (ეთიკური საუბრების ჩატარებით), ასევე დეკანებმა, დეკანის მოადგილეებმა და სხვ. ბ) აქტიურად ჩაებან საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, საკურსო, აღმზრდელობითი გეგმების შედგენასა და კონტროლის გაწევის საქმეში; გ) მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა ექსკურსიებსა და საერთოდ, ყველა ღონისძიებაში, რომელიც უნივერსიტეტში, ფაკულტეტზე, კურსებზე ტარდება.

- ხელი შეუწყონ სტუდენტთა შრომით-პოლიტიკური მომზადებას: ა) სტუდენტებს შრომა შეაყვარონ ფსიქოლოგიურად, საუბრებით, პირადი მაგალითით, ბ) გამოუმუშავონ სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები.

პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მოითხოვს უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა მაღალ ინტელექტუალურ, პროფესიულ და ზნეობრივ თვისებებს. აგრეთვე ტაქტს, სტუდენტებთან ურთიერთობის სწორად განსაზღვრის უნარს, პედაგოგიური საქმის სიყვარულს. აუდიტორიასთან ურთიერთობა უნდა მოხდეს ყველა ამ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მომავალი პროფესიის დაუფლებისათვის.

პროფესორ-მასწავლებელი პირველ რიგში უნდა იყოს თავისი საქმის უზადო მცოდნე. ის უნდა ფლობდეს სპეციალობას საფუძვლიანად, სიღრმისეულად უკანასკნელი გამოკვლევების საფუძველზე, რომელსაც მიეკუთვნება მისი კვლევის სფერო. პროფესორ-მასწავლებლის სიყვარული აძლევს სტუდენტს სტიმულს შეისწავლოს მისთვის თუნდაც უინტერესო საგანიც. ამიტომ, აუდიტორიასთან ურთიერთობა მოითხოვს არა მარტო კონკრეტული მომართულების, დარგის ცოდნას, არამედ თითოეული სტუდენტის ფსიქოლოგიური მომენტების გათვალისწინებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ლექტორის საორატორო ხელოვნებას. სამწუხაროდ, ყველა მეცნიერი არ შეიძლება იყოს კარგი ლექტორი. ცოცხალი სიტყვა შთამაგონებელ შთაბეჭდილებას ახდენს ახალგაზრდობაზე - აუდიტორიაზე, მაღალი რიტორიკული ხელოვნება ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში საყოველთაოდ იყო აღიარებული. გამოჩენილ ორატორებს ირჩევდნენ მხედართმთავრებად, კონსულებად, პრეფექტებად, სწორედ, ასეთი ოსტატობით გახდნენ გამოჩენილი პოლიტიკური

<sup>1</sup> Жамин В.А., Экономика образования. С. 237. М., 1969г.

<sup>2</sup> Раченко И.П., Развитие творческого потенциала учителя. С. 15. М., 1989 г.

მოღვაწეები დემოსთენე, ციცერონი, კატონ უფროსი, კვინტილიანე და სხვები განმანათლებლად, ახალგაზრდობის აღმზრდელებად.

აღსანიშნავია, პროფესორ-მასწავლებელთა მეთოდიკური დაოსტატებაც, მეცნიერული ცოდნის სტუდენტის ცნობიერებამდე გასაგებად, ნათლად მიტანის ხელოვნების უმნიშვნელოვანესი როლი. ხშირად ხდება, რომ გამოჩენილ მკვლევარებს, საქვეყნოდ აღიარებულ სწავლულებს, ზოგჯერ არ ყოფნით ორატორული და მეთოდიკური ოსტატობა. მათი მეცნიერული გამოკვლევების დონეს ხშირად არ შეესაბამება სპეციალური საგნის სწავლების მეთოდიკური პრობლემების ცოდნის დონე. ჩვენში, ხშირად გაისმის აზრი, რომ თუ საგანს კარგად ფლობ, მისი სწავლება ძნელი არ არის, რაც რა თქმა უნდა, მცდარია. მეთოდიკა არის ცოდნის სპეციალური სფერო, სპეციალური მეცნიერება, რომელიც იკვლევს ამა თუ იმ მეცნიერების ცალკეული საკითხების სწავლების არსს, კანონზომიერებას, მეთოდ-ხერხებსა და საშუალებებს.

ამ პრობლემების შესწავლას დიდი პრაქტიკული და თეორიული ღირებულება აქვს სწავლების პროცესის ნაყოფიერებისათვის. ამიტომ, ისევე როგორც სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლები ვალდებული არიან სპეციალური საგნის ცოდნასთან ერთად საფუძვლიანად ფლობდნენ მათი სწავლების ოსტატობასაც. ერთი სიტყვით, უნდა იცოდეს საგანიც და სტუდენტამდე მისი მიტანის მეთოდიკური საკითხებიც.

უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობის მთლიანი სისტემა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ სტუდენტმა შეძლოს დიდაქტიკური სიძნელების გადალახვა, სწავლების ყველა ფორმას და მეთოდს მიეცეს პრობლემურ-გამოკვლევითი ხასიათი. ამასთან გადასაწყვეტი პრობლემების შინაარსი, გამოსაკვლევი ამოცანების ხასიათი უნდა იყოს კონცენტრირებული იმ საკითხების გარშემო, რომლებიც იწვევენ უფრო დიდ სიძნელებს პედაგოგსა და კურსდამთავრებულებში.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას გააჩნიათ უამრავი საერთო ურთიერთდამოკიდებული თვისებები - შემოქმედება, ენთუზიაზმი, მოთმინება, კულტურული დონე, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა, ცოდნა. პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებაში ისინი ერთობლივად მოქმედებენ, ამიტომ უმაღლესი სკოლის სასწავლო პროცესში ჩართული პირი უნდა ფლობდეს როგორც მეცნიერის, ისე პედაგოგის უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური განათლების მისაღებად.

#### ლიტერატურა:

1. ავთანდილ ასათიანი, „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2014.
2. ვლადიმერ გაგუა, „პედაგოგიკა“, თბ., 1996.
3. Артаманова Л.М., Научная организация труда как условие эффективности повышения учебно-воспитательного процесса. Днепропетровск, 1968.
4. Жамин В.А., Экономика образования. М., 1969.
5. И.П.Раченко. Развитие творческого потенциала учителя. М., 1989.
6. Вульфсон Б.Л., Стратегия развития образования на Западе на пороге XXI века.М., 1999.
7. Пирогов Н. И., Избранные педагогические сочинения. М., 1985.
8. Ащепков В.Т., Профессиональная адаптация преподавателей высшей школы: проблемы и перспективы, Ростов, н/д, 1997.
9. Мареев В.И., Исследовательская деятельность в педагогическом вузе: теория и практика. Ростов н/д, 1999.

## SCIENTIFIC ACTIVITIES AS A PREREQUISITE FOR THE DEVELOPMENT OF THE PRODUCTIVITY OF AN INDIVIDUAL STYLE OF A HIGH SCHOOL TEACHER

Ekaterine Ninua, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

### RESUME

The conference work is prepared on the topic: “Scientific activities as a prerequisite for the development of the productivity of an individual style of a high school teacher”.

The reform recently made in Georgian education system completely newly established both academic and staff and educational process systems in higher education institutions. The scientific activity is associated with the pedagogical activity which in turn they are associated with each other. The work refers to the role of the scientific and pedagogical activity as the most important guarantee for mastering of the high qualified profession in the higher education school-university.

As well it refers to the correlation of the scientific and pedagogical activity. In this regard various scientists' opinions were provided relating to the persons with pedagogical activity involved in the scientific research and

educational process, including their positive and negative aspects of the educational process. The author expressed her opinion relating to the studied issue.

As is known an important role in the building of a strong state plays the operating higher education institutions only on the basis of the modern scientists' achievements where the professors and teachers of the higher education institutions, the methods of conducting of lectures by them, the scientific and research activities performed by them and other factors have an important role.

## **პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის როლი სკოლაში მოსწავლეთა სოციალურ-ზნეობრივი ორიენტაციის ჩამოყალიბებაში**

**ნინო ორჯონიკიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
მაია ახვლედიანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**

პედაგოგიური პროცესის, მისი სოციალური და აკადემიური ეფექტიანობის დონეს მოსწავლეებში, განსაკუთრებით უფროსკლასელებში განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ცხოვრებისეული მიზნებისა და სოციალურ-ზნეობრივი ორიენტაციების ჩამოყალიბება. ეს ყოველთვის იყო პედაგოგიკისა და სასკოლო პრაქტიკის უმთავრესი მიზანიცა და ამოცანაც.

როგორც ცნობილია, მოზარდი თაობის (და არა მარტო მისი) ცხოვრებისეული მიზნები და სოციალურ-ზნეობრივი ორიენტაციები განპირობებულია კონკრეტული ისტორიული პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური პირობებით, რომლებიც, აგრეთვე, გარკვეულ შესაბამისობაშია ამა თუ იმ სოციუმის (ან ეთნიკური ერთეულის) განვითარების დონესა და ტრადიციებთან.

ამდენად, სოციალურ-ზნეობრივი ორიენტაციები და ცხოვრებისეული მიზნები მუდმივად მდგრადი ფენომენი არ არის და იგი გარკვეულ პირობებში შეიძლება რადიკალურადაც კი შეიცვალოს.

ამჟამად, საქართველოში სწორედ ამ რადიკალურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე, სადაც უკანასკნელ ათწლეულში ძირფესვიანად შეიცვალა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, რამაც თავის მხრივ, სოციალურ-კულტურული, ზნეობრივი და სხვა ღირებულებების გადაფასება გამოიწვია. ყოველივე ამან, ცხადია, გავლენა მოახდინა მოზარდების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესზე, იმ ორიენტაციებზე, რაც ცხოვრებისეულ მიზნებს ედება საფუძვლად.

სწორედ ამიტომ, მოზარდის სოციალურ-ზნეობრივი ორიენტაციების კვლევა და შესაბამისი პედაგოგიური დასკვნების ჩამოყალიბება, სადღეისოდ აქტუალურ პრობლემად გვეჩვენება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ პრობლემის კვლევა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის როდია აქტუალური, სადაც რადიკალური სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნები განხორციელდა. ჩვენს ახლო თუ შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა ამ პრობლემისა, რომლის გათვალისწინების გარეშე ჩვენთვის საჭირო დასკვნების გაკეთებას ვერ მოვახერხებთ.

პედაგოგიურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ცხოვრებისეული მიზნის ჩამოყალიბება, როგორც პედაგოგიური პროცესის გააზრება, მოგვცეს კურტ ლევინის სკოლის წარმომადგენლებმა, ადამიანის მოტივაციური სფეროს ფსიქოლოგიური კვლევის კონტექსტში. კერძოდ, მათი აზრით, მხოლოდ სუბიექტურ მიზნებთან ობიექტური მიღწევების შესაბამისობა ანიჭებს მიღწეულ შედეგებს წარმატებისა თუ წარუმატებლობის ხარისხს. ამასთან, ეს დამოკიდებულია არა მარტო მიღწევის სუბიექტურ სიძნელეზე, არამედ შედეგის დამოუკიდებლად მიღწევის შესაძლებლობაზეც /„მე თვითონ“/.

კურტ ლევინის სკოლის ერთ-ერთ წარმომადგენელს - ფ. ჰაიპერს შემოაქვს „იდეალური მიზანი“, როგორც ქვეყნის გლობალური მიზნის ცნება, ანუ მიზნისა, რომელიც მართალია, ყოველწლიურად აქტუალური არ არის, მაგრამ შესაბამისი კონკრეტული მიზნის უკან დგას და მართავს სუბიექტის ქცევას, და რეალური მიზნის ცნება, როგორც მიზნისა, რომელიც პასუხობს მოთხოვნათა დონეს ცალკეული შესაბამისი მიღწევისათვის. პირველ ცნებაშიც, სადაც იგულისხმება სუბიექტის მიერ იდეალის მაქსიმალურად შესაძლებელი მიღწევის გაცნობიერება და მეორეშიც, სადაც იგულისხმება წარმოდგენა უახლოესი შესაძლო შედეგის შესახებ, მხოლოდ შეგნებული, დადგენილი მიზნები ივარაუდება. მიზნის ასეთი ცნება საჭიროა, შეივსოს „სუბიექტური მიზნის“ ტერმინის შემოღებით, რომელიც ცნობიერებაში



ვერ პოულობს საკმაოდ სრულ და მკაფიო ასახვას. ეს უკანასკნელი სუბიექტური მიზნის, მრავალმხრივობით არის განპირობებული, რაც შეესაბამება მოღვაწეობის პოლიმოტივირებულობის პრინციპს. სუბიექტური მიზანი მოღვაწეობის ობიექტის პირადულ არსს ასახავს, და მისი პრეზენტაცია ხდება შესაბამისი ემოციური პროცესებით, უშუალოდ, ან არა უშუალოდ წარმოებული /შუალედური/ მიზნების სახით; ამასთან, იგი გაცნობიერებულ, მაგრამ არა აუცილებრივ სრულ ასახვას ჰპოვებს იდეალურ მიზანში.

ფსიქოლოგიაში მიზნის პრობლემისადმი ინტერესი გამოწვეულია ქცევის „გამიფვრის“, ანუ საქციელის არსის ახსნის მოთხოვნილებით, მისი შინაგანი გამოძვევი მიზეზების გარკვეული გზით, „იმით, თუ როგორ შედის იგი ზოგად „ჩანაფიქრში“, „ადამიანის ცხოვრების გეგმაში“.

თავის მხრივ, „ადამიანის ქცევის აზრობრივი ანალიზი წარმოდგება, როგორც მისი სულიერი ცხოვრების გახსნის გზა, იმის გასარკვევად, თუ რა არის ადამიანისათვის მნიშვნელოვანი, როგორ ხდება აქცენტების გადანაცვლება, ფასეულობათა გადაფასება „ყველაფერ იმისა, რაც ადამიანის სულიერი ცხოვრების ისტორიას ქმნის“, რადგანაც ადამიანის ჩამოყალიბებისა და არსებობის გზა - მოღვაწეობაა, ამიტომ მიზნები უნდა იქნას განხილული, როგორც მოღვაწეობის შედეგი და შემადგენელი ნაწილი, უფრო ზუსტად კი, როგორც მისი მოტივაციური სტრუქტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი.

ფსიქოლოგიური კვლევის თეორიასა და პრაქტიკაში მიზანთა პრობლემის სხვადასხვა ასპექტების შესწავლის გარკვეული გამოცდილება არსებობს. ყველაზე სრულად მიზნების საკითხი განხილულია ა. ნ. ლეონტიევის თეორიული კონცეფციის ფარგლებში. მეცნიერი „მიზნის“ ცნებას აკავშირებს „მოტივის“ ცნებასთან. მისი აზრით, საერთო მოღვაწეობაში, რომელიც ადამიანის ცხოვრებას შეადგენს, უნდა გამოიყოს: ჯერ ერთი, ცალკეული, განსაკუთრებული მოღვაწეობანი მათი წარმომქმნელი მოტივების კრიტერიუმების მიხედვით; მეორეც, მოქმედებები ანუ პროცესები, რომლებიც უშუალოდ არიან დამოკიდებული კონკრეტული მიზნების მიღწევის პირობებზე. სწორედ ეს ერთეულები შეადგენენ მოღვაწეობის გარე და შიდა სტრუქტურებს. მიზანი აქ წარმოდგენილია, როგორც შუალედური რგოლი - მოტივაციური სფეროს სამნაწილიანი სტრუქტურის შემაკავშირებელი ელემენტი. ერთი მხრივ, იგი დამოკიდებულია მოღვაწეობის მოტივზე, აკონკრეტებს მას, მეორე მხრივ კი, ხდება თვით მისი დაკონკრეტება ცალკეული ოპერაციების განხორციელების პირობებში. ამავდროულად, მიზანს გააჩნია განხორციელების გარეგნული პრაქტიკული მხარე - მიზანმიმართული მოქმედება.

ა. ნ. ლეონტიევი, რომელიც დაწვრილებით აანალიზებს მოტივისა და მიზნის ურთიერთკავშირს, აღნიშნავს, რომ მათ შორის არსებობს გენეტიკური და ფუნქციონალური განსხვავებანი. გენეტიკურად მიზანი და მოტივი არ ემთხვევა ერთმანეთს, იმდენად, რამდენადაც მოტივი, როგორც მოღვაწეობის საგნის ხატი, თავიდანვე დამახასიათებელია ადამიანის ნებისმიერი სახის მოღვაწეობისათვის, ხოლო მიზანი - ცხოვრების საზოგადოებრივ წესზე და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე გადასვლის შემდეგ წარმოიშობა. მიზნის წარმოქმნისას ხდება მოტივში ერთმანეთთან შერწყმული ორი ფუნქციის - მოღვაწეობის აღმძვრელი და მიმართულების მიმცემი ფუნქციის გაყოფა. „აღმძვრელ ფუნქციას, რა თქმა უნდა, მოტივი ინარჩუნებს, სხვა საქმა - მიმართულების მიმცემი ფუნქცია: მოქმედებები, რომლებიც განახორციელებენ მოღვაწეობას, აღმძვრებიან მისი მოტივებით, მაგრამ მიმართულნი არიან მიზნისაკენ.“

ამავე დროს, გარკვეულ პირობებში შესაძლებელი ხდება მიზანსა და მოტივებს შორის არსებული განსხვავების დაძლევა. პიროვნების განვითარების მაღალ დონეზე მოტივი და მიზანი შეიძლება გაერთიანდეს მოტივის გაძლიერების ხარჯზე.

ა. ნ. ლეონტიევის კონცეფციას ამ საკითხთან დაკავშირებით ავსებს ვ. ს. მერლინის ნაშრომები, რომლებიც მიზანსა და მოტივთან დაკავშირებით შემდეგ კანონზომიერებებს აყალიბებს:

- რაც უფრო ნათლად არის გაცნობიერებული მიზანი, მით უფრო აქტიურია მოტივი;
- რაც უფრო ძლიერია მოტივი, მით უფრო მაღალია მიზნის სუბიექტური ალბათობა;
- მიზანთან მიახლოებისას მოტივის აქტიურობა იზრდება /ე.წ. „მიზნის გრადიენტი“/;
- რაც უფრო ძლიერია თავდაპირველი მოტივი, მით უფრო მაღალია მიზნის გრადიენტი;
- ერთი და იმავე მიზნისაკენ მიმართულ, სხვადასხვა შინაარსის მქონე მოტივებს განსხვავებული გრადიენტი გააჩნია;
- ზნეობრივ მოტივებს ყველაზე მაღალი „გრადიენტი“ აქვთ.

თავისებურად განიხილავს პიროვნების ცხოვრებისეული მიზნის პრობლემას ბ. ლომოვი. მისი აზრით, მოთხოვნილებითი მოტივაციური სფერო განსაზღვრავს პიროვნების მიმართულებას, წარმოადგენს მის ერთგვარ საწყის რგოლს, საფუძველს. ამ საფუძველზე ყალიბდება პიროვნების ცხოვრებისეული მიზნები, რომლებიც ყველა ცალკეულ საქმიანობასთან დაკავშირებული, კერძოდ, მიზნების ინტეგრატორის როლში გამოდიან მთლიანობაში ბ. ლომოვი ცხოვრებისეულ მიზნებს ანალიზებს პიროვნების მიერ მიღწევათა დასახული დონისა და კოლექტივში პიროვნების სტატუსის იმ ცვლილებათა ასპექტში, რომლებიც ამ დონესთან არიან დაკავშირებული.

ცხოვრებისეული მიზნები განიხილება პიროვნების „ცხოვრებისეული პროგრამის“ კატეგორიასთან დაკავშირებით, რომელიც მკვლევართა აზრით, წარმოადგენს „პიროვნების მიერ დასახული ცხოვრების გზის მთლიან სურათს, მიზნებისა და მოღვაწეობის შედეგების იდეალურ ხატს, ცხოვრების მაგისტრალური მიზნების ასახვას“. მიზნები და მოღვაწეობა მათი განხორციელების მიზნით ამ კონცეფციის ფარგლებში წარმოადგენენ ინდივიდუალური ცხოვრების გონიერი თვითორგანიზების საშუალებას, შემოქმედების განსაკუთრებულ ფორმას, რომლის ობიექტად თვით პიროვნება გამოდის. ცხოვრებისეული მიზნები ურთიერთმოქმედებენ ცხოვრებისეულ გეგმებთან. ცხოვრებისეული მიზნების რეალიზება იშვიათად არის ხოლმე სწრაფწარმავალი. ამიტომ ცხოვრებისეული გეგმა ასახავს მისი მიმდინარეობის, მსვლელობის სურათს. ცხოვრებისეული გეგმებისა და ცხოვრებისეული მიზნების ურთიერთმოქმედება თავისებურია. წამყვან როლს მიზანი ასრულებს, რადგანაც გეგმა მხოლოდ მიზნის მიღწევის მოთხოვნილებასთან დაკავშირებით წარმოიქმნება.

მიუხედავად ამისა, ვერ დავეთანხმებით ა. ვ. ზორზენკოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „როდესაც ადამიანს სწორედ აქვს განსაზღვრული ცხოვრებისეული მიზანი, როდესაც იგი შინაგან თავშესაფრად არის ქცეული, მაშინ თავისთავად წარმოიშობა და სწორედ წყდება საკითხი ცხოვრების გეგმის, დასახული მიზნისაკენ გეგმაზომიერი მოძრაობის შესახებ“. მართალია, ცხოვრებისეული გეგმები დამოკიდებულია ცხოვრებისეულ მიზანზე, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათ გარკვეულ დამოკიდებულებას.

ა. მ. გენდინის აზრით, ეს უპირველეს ყოვლისა, ვლინდება გეგმის აქტიურობაში, მის უკუხემოქმედებაში. ნ. ი. სობოლევს მიაჩნია, რომ ცხოვრებისეულ გეგმებში გამოიხატება: ცხოვრებისეული არჩევანი, პიროვნების განვითარების ერთ-ერთი ხაზის არჩევის თვალსაზრისით იქნება ეს, თუ ცხოვრების გზის საერთო მიმართულების განსაზღვრა წარმოადგენს პროცესს, რომელიც პრაქტიკულად პიროვნების ყველა ქვესტრუქტურას ეხება. აუცილებელი კომპონენტების სახით იგი შეიცავს:

- შინაგანი პიროვნული დამოკიდებულების გამომუშავებას იმ ობიექტური პირობების მიმართ, რომლებიც ქმნიან არჩევის სიტუაციას;

- არჩევის სავარაუდო დადებითი და ნეგატიური შედეგების შედარებას, მისი /ამ შედარების/ შედეგების წინასწარ განჭვრეტას სოციალურ და ინდივიდუალურ ასპექტში;

- პიროვნების ცხოვრებისეული პერსპექტივის განსაზღვრას და ცხოვრებისეული გეგმების შედგენას;

- ქცევის პრაქტიკული წესის განსაზღვრას და ქცევითი განწყობებისა და სტერეოტიპების სისტემის გარდაქმნას მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

„ცხოვრებისეული გეგმები - სოციალური მოწიფულობის მაჩვენებელია“, - აღნიშნავს ლ. ნ. კოგანი.

მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ მიზნის შინაგან თვითდინამიკას, რომელიც თანდათანობით გაივლის თავდაპირველი გაცნობიერების, ფორმულირების, გეგმის სახით დაკონკრეტებისა და რეალიზაციის ეტაპებს.

პიროვნება, თავისი არსებით, მოქმედი, მოღვაწეა, რაც მისი მოთხოვნების, ცხოვრებისეული მიზნების, ინტერესების დინამიკაში გამოიხატება. იგი არასოდეს არ დგას ერთ ადგილზე, არამედ მუდამ მიილტვის ახალ-ახალი მიზნებისაკენ და, შესაბამისად, მუდმივად, ყოველმხრივ ავითარებს საკუთარ თავს.

ა. მ. გენდინი განასხვავებს „კერძო“ და „საბოლოო“ მიზნების ცნებებს: ... „საბოლოო მიზანი - ეს არის მყარი, ზოგადი, არსებითი მიზანი, რომელიც ძირეულ ინტერესებს გამოხატავს; იგი წარმოადგენს იმ მოქმედებათა ვრცელ თანმიმდევრული რიგის შედეგს, დაბოლოებას, რომლებიც დაკავშირებულია შუალედური /უახლესი და თანმიმდევრული/ მიზნების განხორციელებასთან“, ეს შუალედური მიზნები წარმოდგებიან, როგორც „ეტაპები საბოლოო მიზნის მიღწევისაკენ მიმავალ გზაზე“.

მრავალი უცხოელი სპეციალისტი შემოქმედების ფსიქოლოგიის დარგში /ა. მასლოუ, ვ. როჯერსი, ვ. ბაუერსი/ აღნიშნავენ, რომ კრიტიკულობა შეიძლება ხელს უშლიდეს ისეთი მიზნების დასახვას, რომელთა შესრულება სუბიექტს ძალუძს, და ამ ფაქტორზე შემოქმედებით შესაძლებელია ინდივიდის ინტელექტუალური მოღვაწეობის მართვა. ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების აქტივაციის ცნობილ მეთოდს - ე. წ. „გონებრივი შტურმის“ შემქმნელს, ა. ოსბორნს მიაჩნია, რომ უმრავლესობის შემოქმედებითი ეფექტიანობა განისაზღვრება არა იმდენად მათი შემოქმედებითი ნიჭით, არამედ მათი პოტენციების რეალიზების შესაძლებლობებით, ამ გზაზე მუხრუჭად გვევლინება სუბიექტის კრიტიკულობა საკუთარი იდეების მიმართ.

ხშირად ჰიპოთეზის უარყოფა ხდება მანამ, ვიდრე იგი ცნობიერებას მიაღწევს, ხოლო თვით სუბიექტი პრობლემის გადაწყვეტის ამგვარი ვარიანტის შესაძლებლობაზეც კი ვერ იქმნის სუბიექტურ წარმოდგენას.

ამ პრობლემას არაორდინალურად განიხილავს პროფესორი ნ. ე. შჩურკოვა. მის მიერ შემუშავებულია მოსწავლეთა აღზრდის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს, განავითაროს მოსწავლეში საკუთარი ცხოვრების სუბიექტად ყოფნის უნარი, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ადამიანისათვის ღირსეული არჩევანის გაკეთება და ისეთი გაცნობიერებული ცხოვრებისეული პოზიცია დაიკავონ, რომ დააფასონ საკუთარი „მეს“ ღირსებები. გარესამყაროსთან, ადამიანებთან, საკუთარ თავთან დამოკიდებულების ფორმირების ერთ-ერთ შესაძლო გზად იგი თვლის მოტივის მიზანზე გადანაცვლების მექანიზმს. ავტორი მიზნების ვარიანტებს განასხვავებს მათი განსაზღვრის წყაროების მიხედვით: მიზნები, რომლებიც სუბიექტს მზა სახით ეძლევა და მიზნები, რომელთა პროვოცირება მათ მიერ დამოუკიდებლად ხდება. ნ. შჩურკოვა დარწმუნებულია, რომ პედაგოგები უნდა ცდილობდნენ, უფროსკლასელთა მიზნები გადაიყვანონ ღირებულ, მნიშვნელოვან მიზნებზე და განავითარონ მათში ლტოლვა ჭეშმარიტებისაკენ, სიკეთისა და სილამაზისაკენ.

წარმოდგენილი პოზიციების, თეორიული შეხედულებების მრავალფეროვნება და ურთიერთდაპირისპირებულობა, ჩვენი აზრით, კარგ პერსპექტივას ქმნის სხვადასხვა პირობებში უფროსკლასელთა ცხოვრებისეული მიზნების ჩამოსაყალიბებლად პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური სისტემის, მოდელების, ვარიანტების ძიებისა და დასაბუთებისათვის.

#### ლიტერატურა:

1. ნ. ი. სობოლევა, „პიროვნების მსოფლმხედველობა და ცხოვრებისეული არჩევანი“, კიევი, ნაუკ დუმკა, 1989, /რუსულ ენაზე/.
2. ა. მ. გენდინი, „წინასწარ განჭვრეტა და მიზანი საზოგადოებრივ განვითარებაში“, კრასნოიარსკი, 1985, /რუსულ ენაზე/.
3. ვ. ს. მერლინი, „ლექციები ადამიანის მოტივების ფსიქოლოგიაში“, პერმი, 1971, /რუსულ ენაზე/.
4. ა. ვ. ბორზენკო, „მიზნის პრობლემები საზოგადოებრივ განვითარებაში“, მ. გამ უპს 1993, /რუსულ ენაზე/.
5. რედ. ო. კ. ტიხომიროვა, „მიზნის წარმოშობის ფსიქოლოგიური მექანიზმები“, მ. ნაუკა, 1977, /რუსულ ენაზე/.

## THE ROLE OF PEDAGOGY AND PSYCHOLOGY IN FORMING SOCIAL AND MORAL ORIENTATION OF SCHOOL PUPILS

Nino Orjonikidze, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Maia Akhvediani, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

### RESUME

Formation of life goals and social-moral orientations had always been both the most important goal and problem of pedagogy and psychology from the outset. It was the degree of resolving this problem that had always conditioned the level of academic and social efficiency of educational process. These criteria do not represent a constantly stable phenomenon, and under certain conditions, they can be even transformed radically, especially in our country, where over the last decade, when social-political state of the country changed fundamentally. Thus, study of social and moral orientation of adolescent and formulation of the relevant conclusions strike us as a topical problem.

The paper dwells on various views existing in the related pedagogical and psychological literature. We tried to establish a relationship between the goal and motive, as well as genetic and functional differences between them. We believe that at a high level of personal enhancement, the goal and motive can be unified due to the enforcement of the motive.

Diversity and inconsistency of the presented positions, theoretical views, in our opinion, create a good prospect for forming life goals of senior pupils in various conditions.

## EXPERIENCE, PROBLEMS AND PROSPECTS OF IMPLEMENTATION OF DISTANCE E-LEARNING

**Alexander Sychoy**, Gomel State Technical University named by P.O. Sukhoi, Vice Rector for Education and Instruction

**Natallia Parkhomenko**, Gomel State Technical University named by P.O. Sukhoi, Associate Professor

### Resume

A study «The increase of the ICT use in high education» was performed in Gomel State Technical University by P.O. Sukhoi (hereafter GSTU by P.O. Sukhoi) as a part of the project La MANCHE Tempus-4. The article presents preliminary results, which were discussed on the platform Virtual Think Tank La MANCHE «The problem of IT development of distance learning processes, managerial control and quality management at the university» featuring representatives of the University partner organizations, HEIs outside the Project Consortium, the representatives of political circles in the sphere of education, and also the representatives of business, civil society, groups dealing with gender issues in the sphere of management and the representatives of students' organizations. The university experience in ICT introduction is presented.

The Ministry of Education built up the Concept of Education System Informatization of the Republic of Belarus for the period until 2020 [1], which defines the main goals and objectives of education informatization and scheme of unified educational space at the domestic level, shows the main ways to improve the quality of educational services.

Establish national information environment of the education system will make possible information interaction between all subjects of educational system and form a national system of electronic educational resources.

The principal result of information and communication technology (ICT) introduction in teaching and learning activities is a move towards (whole or partial) the distance e-learning.

Technically, the distance learning can be understood as everything, connected with the education correspond transfer to the distance, remote fulfilment of individual tasks and sending to teachers. In the current environment the DL is, first of all, an electronic technology, which makes possible to solve the problem of teacher and student distance during the learning process. Distance causes difficulties with communication, interferes the quality educational material presentation and students' understanding of many issues; that is a bad influence on learning and, consequently, the quality of education. For this reason, today it is important to realize that modern ICT should give not only the ability for information transfer from one point to another in the form of digitized notes, but also an opportunity for teachers and students to communicate remotely, to make media content and to have feedback with one another.

It should be noted among the main advantages of DL:

- economy: the opportunity to study anywhere in the world, there is no need to spend time and money for travelling to a study and living place, as well as to incur expenses related to the separation from work;
- «open-leave» schedule: the opportunity to mix work and study, to regulate the intensity of the work and learning activity;
- constant teacher communication: a student has the ability to communicate with the teacher remotely (via the Internet);
- individual learning path for each student taking into account his basic education;
- there is no need to search necessary literature and manuals to fulfil the tests and final papers as all requires for training posted on the website and are available at any time;
- the development of self-tuition skills: the main part of the student's learning activity is related to planning of self-learning process and the assignments fulfilment provided by the curriculum documents.

Possibility for distance learning is regularized in the Lawbook of the Republic of Belarus on education. Distance form of education – is the form of off-campus education, when education is carried out mainly using modern communication and information technologies [3]. Today many universities used distance education technologies. For example, 19 out of 59 higher education establishments of the Republic of Belarus offer distance education.

Based on gathered experience, we can say that the electronic distance learning introduction requires three components:

- 1). Technical - the necessary infrastructure and software (software platform).
- 2). Educational and methodological – the educational content (lectures, guidelines, etc.).
- 3). Organizational and methodological – the curriculum, methods of work with students in the distance format, etc.

### The technical component

Today, every university in the Republic of Belarus has updated stock of PC is usually connected to the corporative LAN with access to the Internet. At that the question of choosing a platform or online e-learning technologies arises.

An analysis of the platforms used for e-learning was carried out in 2013. There are 10 systems, leading the e-learning field: Twitter, Google Drive / Docs, YouTube, Google Search, PowerPoint, Evernote, Dropbox, Wordpress, Facebook, Google + / Hangouts.

However, there is no a platform specially developed for e-learning among them. Social networks are used more extensively in learning than the back end systems due to the simplicity and ease of free communication between teacher and students. As it is known, the learning process includes not only communication, but also the organization educational activity of students with monitorable time schedule, independent work, the results of which are evaluated and taken into account when allocation of final grade. In this regard, the platform leaders are not suitable for the educational process organization at university.

The university system of e-learning should include:

1. Design tools for e-learning courses - is a software platform or part of it, allowing to create e-learning courses conforming to the standards, for example, SCORM.

2. Administration tools for learning courses - can adequately show student the e-course.

3. Administration tools for educational process - allow the teacher to interact with students and receive feedback: control educational activities, performance, evaluate the accomplishment of task.

All listed tools are integrated into the learning content management system, implemented in the form of software and hardware distance learning systems platforms (DLS).

There are various DLS platforms. When choosing the platform should be ruled by the following requirements [4]:

- compliance with the requirements and capabilities of the hardware and software users;
- technological effectiveness and ease of IT nonexperts use;
- opportunities for the learning materials creation and the educational activity control;
- built-in means of communication;
- the user-friendly interface.

#### **Educational-methodical component**

The following types of electronic publications are used in e-learning (classification):

**Software (general service)** - to monitor and measure the knowledge and skills level; electronic trainer; for mathematical modeling and simulation; for remote access to laboratory equipment or virtual laboratories.

**Educational system (automated)** - expert learning systems; intelligent tutoring systems; information and help systems.

**Automation facilities of professional activity** - industrial software and their educational counterparts.

**Electronic editions** - textbooks, teaching materials, etc.

Separately, two tools that are used in the practice of universities can be mentioned – are electronic textbooks (manual) and automated learning systems in the form of e-learning courses.

It should be noted that the e-learning course as opposed to «static» electronic textbook has feedback mechanisms, are constantly changing and evolving with the constant support and updates. Otherwise, without interaction with the students, check the assignments, responding to students' questions, etc., e-course turns into an electronic textbook and after 2-3 years will fade in importance.

Currently, all universities of Belarus form the electronic repository of educational materials on the disciplines studied, designed in the form of electronic teaching materials (EEMCD), the structure and content of which are regulated [5]. Without the EEMCD distance e-learning is impossible in principle.

#### **Preparation of educational and program documentation**

Main documents, which define the order of development and approval of curriculum and programs, are «The order of development and approval of curriculum for implementation the educational programs of the higher education stage I» and «The order of development and approval of curriculum and action-oriented programs to implement the educational programs of higher education» approved by the Minister of education of the Republic of Belarus 04.06.2015. They regulate the educational and policy documents preparation for the full-time and off-campus education (including distance education). Thus, curriculum for distance learning is established in accordance with the requirements to similar documents for off-campus education.

In accordance with the GSTU strategic plan for 2011-2015, conditions, needed for the electronic distance learning introduction, have been created over the last 5 years:

- there is a university educational portal edu.gstu.by with authorized access to information resources for the students and staff;
- registered users have e-mail address and the Internet traffic;
- there is an electronic library of university educational publications;
- electronic educational and methodological complexes (EEMCD), covering 70% disciplines studied at the university, were developed;
- channel bandwidth was significantly increased (120/120 Mbit/sec);

- methodical work on transforming EEMCD into **interactive online courses** is in progress; the courses are posted on the university educational portal.

They are a system of learning management and content created based on the software platform Moodle, its interactive elements and resources.

Moodle - is a course management system (Course Management System - CMS) with open source code, also known as learning management system (Learning Management System - LMS) or a Virtual Learning Environment (Virtual Learning Environments - VLE). It has become very popular among teachers around the world (in the previously mentioned rating e-learning systems takes place 11) as a means to create dynamic Web sites for students and designed to present the educational content to students. Advantages of Moodle system are:

- worldwide recognition - the system is widespread in the world, is used in 223 countries and has 95 interface languages;

- simplicity - simple and intuitive display format of e-learning courses, content and all settings are edited directly in the interface of the system without third-party software;

- scalability - the system is mobile, has low system requirements, no licensing restrictions, the performance is limited only by hardware resources;

- heterogeneity - complies with W3C (World Wide Web Consortium), works with any modern browser, does not demand to the channel width, the ability to access through PC, tablets PC and smartphones.

E-learning course should have a modular structure and contain the following required structural elements:

- Common materials (curriculum document, discipline goals and objectives, study guide);

- Feedback, asynchronous and synchronous communication means for interaction between teacher and students and counseling (forum, chat, videoconferencing);

- Educational materials (grouped in theoretical and practical topics, structured in modules and appropriate topics), which includes interactive elements: lectures, means for on-line lessons (videoconferencing);

- Materials for self-tuition and self-check (a further reading list, questions and tasks for self-check, tests);

- Materials for midterm exams and summative assessment (exam questions and tasks, examination test).

In September 2014 the Council of the University took the decision of providing correspondence distance e-learning for the students.

In accordance with this decision the Plan of Activities for starting distance learning was prepared and the work team for its implementation was formed. Within the framework of this Plan the following work was done:

- The experience of the universities of the Republic of Belarus and leading universities of the Russian Federation in organization and implementation of distance learning was studied;

- The Regulation on Distance Learning at GSTU was worked out;

- Academic curriculum for instructing students in the speciality «Marketing» for distance learning was worked out;

- Standard time for calculating teaching load for distance learning classes was set up.

- Training courses for the instructors were provided for the purpose of improving their qualification and skills for working with the systems of e-learning.

Thus, almost all the universities of the Republic of Belarus actively implements the Concept of education system informatization of the Republic of Belarus for the period until 2020, develop their information infrastructure, creating electronic repositories and introducing e-learning technologies. But it is necessary to highlight some problems associated with mainstreaming and move towards electronic distance learning:

1. Non-availability of normative basis at the national level - there are not any documents regulating the organization of educational process, development of academic curricula and programs or standard time setting up for the system of distance learning. Normative documents regulating standard correspondence education are used in this situation.

2. Non-availability of unified requirements for educational process for distance learning – it is not known whether all the subjects of the curriculum should be studied according to a distance learning format, if not, what is their proportion. There is no information about hardware and methodic support requirements for distance learning and other.

3. Non-availability of methodic and educationally worked through recommendations on the organization of educational process for distance learning – the universities provide adaptation of a correspondence education format to the available electronic technologies depending on their ideas of how it should be done.

#### **BIBLIOGRAPHY:**

1 Concept of Informatization of Education System of the Republic of Belarus for the period up to 2020 [Electronic resource]: approved by the Minister of Education of the Republic of Belarus 06.24.2013 - Access: [edu.gov.by/sm.aspx?guid=437693](http://edu.gov.by/sm.aspx?guid=437693). - Date of access: 05.11.2015.

2. The program of activities of the Government of the Republic of Belarus for 2011-2015. [Electronic resource]: approved post. Council of Ministers of the Republic of Belarus 18.02.2011 - Access: [http://www.government.by/upload/docs/pdp2011\\_2015.pdf](http://www.government.by/upload/docs/pdp2011_2015.pdf). - Date of access: 05.11.2015.

3. Code of the Republic of Belarus on education [Electronic resource]: January 23, 2011, № 243-W: adopted by the House of Representatives December 2, 2010: approved. Council Rep. December 22, 2010: as amended. Law Rep.

Belarus 01.04.2014 // Etalon. Legislation of the Republic of Belarus / Nat. Center for Legal Inf. Rep. Belarus. - Minsk, 2014.

4. Brezgunova, I.V. The software platform LMS Moodle: teaching aid / I.V. Brezgunova, S.I. Maksimov, V.M. Shulganova; ed. S.I. Maximov. - Minsk: RIHE, 2010. – 52 p.

5. The position of the educational complex at the level of higher education: approved. Resolution of the Ministry of Education. Rep. Belarus 26.07.2011 №167 // Nat. Register of Legal Acts Rep. Belarus. - 2011. - № 133. - 8/24424.

## **ВАЛЕОЛОГИЧЕСКАЯ ПОДГОТОВЛЕННОСТЬ УЧИТЕЛЕЙ И УЧАЩИХСЯ СОВРЕМЕННОЙ ШКОЛЫ (ПО ДАННЫМ СОЦИОЛОГИЧЕСКОГО ОПРОСА)**

**Мариам Убиря**, Горийский государственный учебный университет, приглашенный специалист,  
доктор медицинских наук

Рост информационной, эмоциональной и психической нагрузки на современного школьника, чрезмерная интенсификация учебной деятельности из-за внедрения в практику обучения инновационных педагогических программ и методов, значительное увеличение продолжительности аудиторных занятий и объема домашних заданий, недостаточная двигательная активность (ДА) способствуют снижению качества здоровья школьников.

Вышесказанное определяет актуальность поиска эффективных способов решения такой важной социально-педагогической проблемы, как сохранение психического и физического здоровья школьников в процессе обучения.

Многие педагоги, физиологи и специалисты по школьной гигиене предлагают различные варианты разрешения ситуации: пересмотр содержания образования, учебных программ, учебников [ 8, 9 ], построение обучения на ценностно-антропологической основе, персонализированное образование [ 2, 3, 10, 11 ], создание психолого-педагогического комфорта в школе [ 5 ], оптимизация двигательной активности и модернизация системы физического воспитания школьников [ 1, 4, 7 ]. За последние годы появилось большое количество работ [ 4, 6, 12 ], в которых проблему сохранения психосоматического здоровья школьников предлагается решать через валеологизацию образования.

Таким образом, анализ научно-методической литературы показал, что в ней содержатся разрозненные и нередко противоречивые утверждения авторов о способах и путях предупреждения переутомления, сохранения высокой работоспособности и здоровья учащихся современной школы. В ходе такого анализа нами выявлено противоречие между возрастающими требованиями современного общества к уровню образованности учащихся, качеству образования и тенденцией к снижению психосоматического здоровья современных школьников в последние 10 – 15 лет.

Целью нашего исследования является изучение мнения педагогов и учащихся современной школы о факторах, обуславливающих особенности показателей психического и физического здоровья школьников, а также путях их устранения. Для этого нами был проведен опрос учителей, педагогический стаж которых составил в среднем 18 лет.

Анализ ответов на вопрос: «Как Вы оцениваете состояние здоровья современных школьников?» показал, что более половины опрошенных педагогов (62,3%) оценивает здоровье учащихся как удовлетворительное; 30,7% - как плохое и только 7% - как хорошее. Оценивая отрицательное воздействие различных факторов на параметры здоровья учащихся, респонденты особо выделяют экологическое неблагополучие региона, недостаточность физической нагрузки и стрессовые ситуации (табл. 1).

**Таблица 1.**

№	Какие факторы оказывают отрицательное влияние на здоровье современных школьников?	Стаж до 10 лет	Стаж от 11 до 24 лет	Стаж от 25 лет и выше	Всего
1	Употребление алкоголя	9	5	7	6
2	Плохие материально-бытовые условия	5	4	7	4
3	Ухудшение экологической обстановки	1	1	1	1
4	Неосведомленность в вопросах полового воспитания	15	14	14	15
5	Курение	10	11	12	12

6	Предрасположенность к наследственным заболеваниям	8	7	4	7
7	Недостаточность физической нагрузки	3	2	2	2
8	Неэффективность профилактических мероприятий	14	13	9	13
9	Стрессовые ситуации	6	3	12	3
10	Низкое качество медицинской помощи	12	12	10	11
11	Непрочность семьи, одиночество	13	8	15	14
12	Перегруженность школьной программы	4	4	6	5
13	Отсутствие навыков здорового образа жизни	7	9	8	8
14	Потребление наркотиков, токсикомания	11	6	5	9
15	Ограничение двигательной активности	2	10	11	10

По мнению 20,7% педагогов, участвовавших в опросе, обучение в школах не влияет отрицательно на состояние здоровья учащихся. Что «это зависит от организации учебно-воспитательного процесса», ответили 67,8% респондентов, и только 11,5% считают, что обучение обязательно сопровождается снижением качества здоровья.

В средствах массовой информации, в научных публикациях зачастую можно встретить точку зрения педиатров, гигиенистов, физиологов, педагогов, что при любых инновациях приносится в жертву здоровье школьников, т.е. снижение качества здоровья – обязательная издержка инновационного обучения. Однако подавляющее большинство участвовавших в анкетировании учителей считают, что при умелой организации учебно-воспитательного процесса можно избежать переутомления школьников и сохранить их физическое и психическое здоровье.

Анализ ответов на вопрос: «Какие особенности инновационного обучения негативно влияют на состояние здоровья учащихся?» показал, что первое место занимает высокая требовательность родителей и учителей к учащимся, их учебным успехам обуславливают отрицательные показатели психического и физического здоровья школьников.

Второе место в списке факторов, снижающих здоровье учащихся, респонденты отводят большому объему домашних заданий.

По мнению педагогов, для укрепления здоровья детей и подростков необходимы прежде всего оптимизация режима учебы и отдыха, нормализация двигательной активности. Использование в учебном процессе здоровьесберегающих педагогических технологий и создание психологического комфорта в школе, по утверждению респондентов, также позволит сохранить здоровье современных школьников.

Значительно меньшее место в поддержании здоровья школьников педагоги отводят школьной валеологической службе и созданию специальных школьных программ. По мнению большинства педагогов, основную роль в оздоровительной работе с учащимися должны играть родители и сами школьники. При этом 100% опрошенных педагогов подчеркивают, что формирование здорового образа жизни необходимо начинать с момента поступления ученика в школу. По утверждению большинства педагогов, формирование здорового образа жизни должно осуществляться прежде всего на уроках основ безопасности жизнедеятельности (ОБЖ), физкультуры и биологии.

Анализ валеологической подготовленности респондентов показал, что около половины педагогов (46,5%) не удовлетворены своей информированностью в области здорового образа жизни и навыками в его ведении. При этом систематическими физическими упражнениями занимаются лишь 16,8% опрошенных учителей. Среди причин, обуславливающих пассивное отношение к занятиям физической культурой, педагоги называют в первую очередь такие, как отсутствие свободного времени и терпения, усталость, которую они испытывают к концу рабочего дня (табл.2).

**Таблица 2.**

№	Какие причины мешают Вам заниматься физкультурой и спортом?	%
1	Нет свободного времени	40
2	Отсутствие настойчивости и терпения	34,7
3	Загруженность по работе, в семье	31,6
4	Я и так очень устаю	31,6
5	Просто лень	31,6
6	Высокие цены на пользование спортивно-оздоровительными услугами	24,2
7	Отсутствие спортивных сооружений вблизи дома	13,7
8	Нет компании, в которой можно было бы заниматься	11,6
9	Меня устраивает мое здоровье и физическое состояние	7,4
10	Отсутствие собственного спортивного инвентаря	6,3
11	Есть более важные и интересные дела	4,2
12	Нет никаких причин	4,0
13	Отсутствие соответствующих знаний и умений	3,2



Наряду с анкетным опросом педагогов, проведено анкетирование учащихся старших классов. Большинство опрошенных школьников считают, что заниматься физическими упражнениями необходимо, чтобы: 1) быть здоровыми (86%), 2) иметь красивую фигуру (81%) и быть сильным (48,9%).

Таким образом, в ходе нашего исследования мы выявили пробелы и противоречия в валеологической подготовленности учителей и учащихся современной школы. Полученные результаты позволяют сделать следующие выводы:

1) учителя инновационных школ оценивают состояние здоровья современных школьников как удовлетворительное (62,3%) или неудовлетворительное (33,3%). Основными факторами, ухудшающими здоровье учащихся, по утверждению респондентов, являются экологическое неблагополучие, недостаток физической нагрузки и воздействие стрессовых ситуаций;

2) по мнению учителей современной школы, для сохранения и укрепления здоровья школьников необходимо оптимизировать режим их труда и отдыха, нормализовать двигательную активность. Эффективность оздоровительной работы зависит от родителей, самих школьников и учителей-предметников, в частности учителей ОБЖ, физкультуры и биологии;

3) анкетный опрос учителей позволил выявить пассивное отношение респондентов к занятиям физическими упражнениями;

4) анализ уровня знаний и деятельности школьников в сфере сохранения и укрепления здоровья, использование средств физической культуры высветил основные пробелы низкой валеологической подготовленности современных школьников. Полученные результаты указывают на необходимость создания у них мотивации к сохранению и укреплению здоровья, формированию навыков здорового образа жизни.

#### **ЛИТЕРАТУРА:**

1. Балсьевич В.К., Лубышева Л.И. и др. Новые векторы модернизации систем массового физического воспитания детей и подростков в общеобразовательной школе // Теория и практика физ.культуры. 2003, №4, с. 56-59.
2. Беспалько В.П. Психологические парадоксы образования // Педагогика. 2000. №5, с.13-20.
3. Бондаревская Е.В. Гуманистическая парадигма личностно ориентированного образования // Педагогика. 1997, №4, с. 11-17.
4. Пляскина И.В. Здоровье детей, обучающихся в школах нового вида // Гигиена и санитария. 2000, №1, с. 62-64.
5. Воробьева О.А. Психолого-педагогический комфорт как условие воспитания гармонично развитой личности в образовательных учреждениях нового типа: Автореф. канд. дис. Коломна, 2000. – 22 с.
6. Зайцев Г.К. Валеолого-педагогические основы обеспечения здоровья человека в системе образования: Автореф. докт. дис. СПб., 1998. – 48 с.
7. Кофман Л.Б. Педагогические принципы и модели организации физкультурно-спортивной деятельности детей и молодежи. М., 1998. – 72 с.
8. Краевский Г.Г. Содержание образования – бег на месте // Педагогика. 2000, №7, с.3-12.
9. Лушников И.Д. Традиционное и новаторское в современном образовании //Педагогика. 2000, №10, с. 21-26.
10. Никандров Н.Д. На пути к гуманной педагогике //Педагогика. 1990, №9, с. 41.
11. Орехова И.Л. Валеологическое сопровождение вариативного обучения в общеобразовательной школе: Автореф. канд. дис. Уфа, 2000.- 22 с.
12. Пегов В.А. Теоретическое и практическое обоснование возможных путей решения проблемы экологии детства: от «нормального» к здоровому //Теория и практика физ. Культуры. 2000, №9, с. 49-52.

### **VALEOLOGICAL PREPAREDNESS OF TEACHERS AND PUPILS OF MODERN SCHOOL (ACCORDING TO SOCIOLOGICAL INTERROGATION)**

**Mariam Ubiria**, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor of Medical Science  
**RESUME**

The purpose of the research was to examine the opinion of teachers and pupils of a modern school on the factors causing the peculiarities of the parameters of mental and physical health of pupils, and also the ways of their elimination. During the research the author has revealed blanks and contradictions in the valeological preparedness of teachers and pupils of the modern school. The analysis of the level of knowledge and activity of pupils in the sphere of preservation and strengthening of health, the use of means of physical culture has highlighted the basic problems of the low valeological preparedness of modern pupils.

## მოსწავლეთა სასკოლო საქმიანობაში ჩართულობის თანამედროვე პრობლემები

ლილი ქორიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

თანამედროვე სასკოლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ჩვენი პედაგოგებისა და მოსწავლეების უმრავლესობა არ ფლობს ერთობლივი მუშაობის უნარ-ჩვევებს. მიმდინარე პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირად ვხდებით გაკვეთილის წარმართვის ისეთ სტილს, სადაც არა მხოლოდ უმცროსკლასელები, არამედ უფროსკლასელებიც უბრალოდ ასრულებენ მასწავლებლის მითითებებს. არ ხდება მოსწავლეთა მიერ თვითმმართველობის უნარების განვითარება, რაც ჩვეულებრივ აყალიბებს სამომავლო ცხოვრებაში მორჩილ საზოგადოებას. თანამედროვე სამყარო, სადაც მნიშვნელოვანია ისეთი გლობალური პრობლემების გადაწყვეტა, როგორცაა სიღარიბის შემცირება, უთანასწორობა, კლიმატური დათბობა და ა.შ. საჭიროა შემოქმედებითი და ინიციატივით სავსე მოქალაქეების აღზრდა. ახალი მიდგომა, რომელიც მასობრივად გავრცელდა მოსწავლეთა მოტივაციას, უნდა იყოს დაფუძნებული ისეთ სასკოლო და საგაკვეთილო პროცესის ორგანიზებაზე, სადაც პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი და ხელი შეეწყობა მათ თვითრეალიზაციას/თვითგამორკვევას, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას. სწავლა უნდა გახდეს სასიამოვნო დიალოგი. მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსური თანამშრომლობა ხელს უწყობს მათ შორის კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და პიროვნულ განვითარებას.

მოსწავლეთა სკოლის მმართველობასა და სწავლების დაგეგმვაში ჩართვა ხელს უწყობს არა მარტო შემეცნებითი უნარების განვითარებას, არამედ თვითმმართველობისა და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. სკოლისა და სასწავლო პროცესის მმართველობის ეფექტურობის ზრდისათვის უნდა გამოვიყენოთ რეფლექსური მმართველობისა და სწავლება/სწავლის ფორმა, რომელიც ააქტიურებს ინდივიდუალური და კოლექტიური მმართველობისა და სწავლების საქმიანობას და რომლის მეშვეობითაც ხდება აღმზრდელისა და აღსზრდელის ყოველი ფსიქოლოგიური პოტენციალის განვითარება/ზრდა.

2009 წლის PISA-ს ანგარიშმა ცხადყო, რომ წიგნიერებაში საქართველოს მოსწავლეების საშუალო ქულა 374-ია, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალია OECD საშუალო ქულაზე (493).

ტერმინი „წიგნიერება“ გულისხმობდა ისეთ ფართო ასპექტებს როგორცაა „პოლიტიკური წიგნიერება“ და „დემოკრატიული წიგნიერება“, რაც ნიშნავს მოსწავლეთა კვალიფიკაციას მომავალში აქტიური მოქალაქეობისათვის. ამ კონტექსტში, სკოლის როლია გაზარდოს პასუხისმგებლიანი და აქტიური მომავალი მოქალაქეები დემოკრატიული საზოგადოებისათვის. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნება არის საზოგადოების დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის წინაპირობა.

ბრაზილიელი ფილოსოფოსი და პედაგოგი პაულო ფრეირი ამტკიცებდა, რომ სწავლა უნდა გამომდინარეობდეს მოსწავლეთა გამოცდილებებისაგან. სკოლა არის იმ გამოცდილების მაგალითი, რომელთანაც მოსწავლეებს ბევრი აქვთ საერთო.

ჯონ დიუი ამერიკელი ფილოსოფოსი და განმანათლებელი, რომლის იდეებაც უმნიშვნელოვანესია თანამედროვე ეთიკის, განათლების, ლიდერობა-ხელმძღვანელობის, ლოგიკის, პედაგოგიკის, პოლიტიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებისათვის, ქმნის იდეალური დემოკრატიული საზოგადოების მოდელს. მისი შორსმჭვრეტელობა იმის შესახებ, რომ დემოკრატია „უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მმართველობის ფორმა. იგი უმთავრესად ერთმანეთთან დაკავშირებული ცხოვრების, ურთიერთდაკავშირებული გამოცდილებისა და ცოდნის მდგომარეობაა“ (ჯ. დიუი 1916: 90) ნიშნავს დემოკრატიის სოციალური კონცეფციის შემოღებას და იმის გაცნობიერებას, რომ ეს არ არის მხოლოდ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკაში. დიუისთვის დემოკრატია გაგებული იყო, როგორც სოციალურ საქმიანობაში ინკლუზიური თანამონაწილეობა. ეს იყო სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების კონსტრუქცია, შენარჩუნება და ტრანსფორმაცია სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, დემოკრატიის სოციალური კონცეფცია გულისხმობს, რომ დემოკრატია ეს არის სოციალური და პოლიტიკური საქმიანობის ინკლუზიური ხერხი (გზა). დიუის აზრით, ბავშვებს სკოლაში რეალური გარემო უნდა შევუქმნათ, ვუხელმძღვანელოთ მათ გამოცდილებას და წავახალისოთ საზოგადოებაში ჩართულობის მათეული უნარი.

უდიდესი ქართველი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე წერს: „სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი. დაე, მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს. იგი

განავითარებს ბავშვებში მთლიანის ინტერესების მნიშვნელობასა და საერთო საქმისათვის პიროვნების შეზღუდვის აუცილებლობის შეგნებას“ (დ. უზნაძე 1995)

ადამ ფლეტჩერი (2005) განიხილავს მოსწავლეთა აზრიან ჩართულობას, როგორც მოსწავლეთა და განმანათლებელთა მიერ იმის გააზრებას, რომ ახალგაზრდას შეუძლია ითამაშოს გადაწყვეტი როლი სკოლის გაუმჯობესებასა და წარმატებაში.

თანამედროვე პედაგოგიური კონცეფცია ამტკიცებს, რომ სასკოლო მმართველობაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი თვით მოსწავლეს აკისრია. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ძალიან რთულია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის დანერგვა სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლა, ოჯახთან ერთად უდიდეს როლს თამაშობს ინფორმირებული, პასუხისმგებლიანი და აქტიური მოქალაქეების აღზრდაში.

ამ კონტექსტში სკოლას აქვს შემდეგი ოთხი ამოცანა:

- მოსწავლეთა მომზადება მომავალი მოქალაქეობისათვის;
- დემოკრატიული სწავლების უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა სასკოლო საქმიანობაში აქტიური ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გაზიარების ხელშეწყობა;

- მოსწავლეთა სოციალურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისა და საკუთარი უფლებების დაცვის წახალისება;

მოსწავლეთა სკოლაში ჩართულობა პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სურთ ამ მოთხოვნის განხორციელება მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, სკოლის ზედამხედველებსა და განათლების ექსპერტებს. მეორე მხრივ, ეს დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედი განათლების სისტემის ცვლილებების გასატარებლად მზაობაზე. გარდა ამისა, დიდ როლს თამაშობს ისტორიული გამოცდილება, კულტურა, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, ტრადიციები და საზოგადოების ზეგავლენა.

მოსწავლეთა მომზადება ინფორმირებული, პასუხისმგებლიანი და აქტიური მოქალაქეობისათვის არის საგანმანათლებლო პროცესის გლობალური მიზანი. სამოქალაქო განათლება, პოლიტიკური განათლება და სოციალური მეცნიერებები უნდა ისწავლებოდეს ყველა ტიპის სკოლაში, ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებთან და ნებისმიერ საგანში. ჩვენი აზრით, სკოლებში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ფილოსოფია და ფსიქოლოგია. ამ თემაზე არაერთგზის საუბრობს საქართველოს პატრიარქი ილია მეორე. ეს ისეთი საკითხებია, რომელიც მხოლოდ სამოქალაქო განათლების პედაგოგს არ ეხება, ყველა მასწავლებლის მოვალეობაა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას.

სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც გააჩნია საკუთარი სტრუქტურა და წესები. ეს არის ადგილი, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. სკოლის ცენტრალური დანიშნულებაა უზრუნველყოს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გადაცემა, რომელსაც ეყრდნობა საზოგადოების კულტურული სისტემა.

მოსწავლეთა მრავალმხრივი ჩართულობა არის პროცესი, როდესაც მოსწავლეები, როგორც სკოლის პარტნიორები მონაწილეობას ღებულობენ სკოლის ცვლილების ყოველ ასპექტში განათლების, საზოგადოებისა და დემოკრატიის გასამდიერებლად.

სამწუხაროდ, ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში ცალმხრივი ხასიათი აქვს მოსწავლეთა ჩართვას სკოლის მმართველობაში, რაც გამოიხატება ერთი მოსწავლის შეხვედრაზე (საბჭოზე) მიწვევაში „მოსწავლეთა ხმის“ სიმბოლური გათვალისწინების მიზნით, სინამდვილეში კი დემოკრატიული სკოლა გულისხმობს მოსწავლეთა მრავალმხრივ მოწვევას, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, იდეები, ცოდნა და გამოცდილებები განათლებაში, სკოლის განვითარების მიზნით.

მოსწავლეთა ჩართულობა ნაყოფიერია იმ შემთხვევაში:

- როდესაც მოსწავლეები არიან ზრდასრულთა პარტნიორები სკოლაში;
- როდესაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა და უფლებამოსილება მიიღონ ნამდვილი გადაწყვეტილება იმ გამოწვევებში, რაც სკოლაში გვხვდება სწავლებაში, სწავლასა და ლიდერობაში;
- როდესაც სკოლა, თავისი განმანათლებლებითა და ადმინისტრაციით ანგარიშვალდებულია პირდაპირ მათ მომხმარებლებთან - მოსწავლეებთან;
- როდესაც მოსწავლე-ზრდასრულთა პარტნიორობა არის წამყვანი კომპონენტი სკოლის ტრანსფორმაციის ყოველი უწყვეტი, სისტემატური მიდგომის დროს.

მოსწავლეთა ჩართულობის სფეროები შვიდი საფეხურით ხასიათდება:

1. მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში, მოქმედების ინიციატივაში (დაწყებაში), შედეგების შეფასების იმპლემენტაციაში და მიზნების დასახვაში;
2. პრობლემის დეფინიციაში კონსულტაცია და გადაწყვეტილების მისაღებად მზადება;

3. პროგრამების განსახორციელებლად თანამშრომლობა სხვებთან;
4. ჩართულობა პროგრამის სტრატეგიებისა და გეგმების შედგენაში;
5. მონაწილეობა კრებებზე დასწრებითა და მუშაობით;
6. რესურსებისა და მასალების მოგროვება;
7. ძირითადი ინფორმაციის პასიური მიმღებლობა.

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის სკოლაში გულისხმობს თითოეული ინდივიდის მონაწილეობის, ინფორმირებულობის და თავისუფალი გამოხატვის უფლებას. სასკოლო კონტექსტში ეს უფლებები შეიძლება გავიგოთ, როგორც ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები.

არსებობს მოსწავლეთა ჩართულობის 8 ძირითადი სფერო:

❖ პირადი საქმიანობა - ინდივიდუალური საკითხები და კონფლიქტები, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური მოსწავლეების ინტერესებსა და პრობლემებს;

❖ წყვილებში მუშაობა - საკითხები და კონფლიქტები, რომელიც ეხება ინდივიდუალური მოსწავლეების ან მოსწავლეთა ჯგუფების ურთიერთობებს;

❖ საკლასო საქმიანობა - საკითხები და კონფლიქტები, რომელიც ეხება კლასს და მის მასწავლებელს, ასევე აქტივობებს, პროექტებს და წყვილებში წარმოქმნილ კონფლიქტის რეზოლუციას;

❖ სასკოლო საქმიანობა - საკითხები და კონფლიქტები მოსწავლეთა საზოგადოებასა და სკოლის დირექციას შორის; სკოლის პროექტები; ადგილობრივ საზოგადოებასთან კომუნიკაცია; ფესტივალები; სასკოლო გარემო;

❖ ორგანიზაციული და სამტატო საქმიანობა - საკითხები და კონფლიქტები, რომელიც ეხება სასკოლო ცხოვრების რეგულაციას, თანამშრომლებთან ურთიერთობას, სკოლის შენობას, ადმინისტრაციასა და სატრანსპორტო პრობლემებს;

❖ შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური საკითხები - საკითხები და კონფლიქტები, რომელიც ეხება გაკვეთილის შინაარსის არჩევას, სწავლების მეთოდებსა და აქტუალურ პროექტებს;

❖ კურიკულუმისა და განათლების პოლიტიკის საკითხები - საკითხები და კონფლიქტები კურიკულუმის რეგულაციის შესახებ, მათი ინტერპრეტაციის, თემების არჩევისა და მოსწავლეთა შეფასების შესახებ;

❖ კავშირები და სკოლის გარე აქტივობები (კლასგარეშე?) - საკითხები და პრობლემები, რომელიც ეხება სკოლის ურთიერთობას გარე საზოგადოებასთან, სკოლის გარე აქტივობებს, თანამშრომლობას სკოლის გარეთ არსებულ სააგენტოებთან და ორგანიზაციებთან.

დემოკრატიულ სკოლაში მიმდინარე დემოკრატიული სწავლება გულისხმობს სოციალურ, პოლიტიკურ, გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაფუძნებულ სწავლებას. წარმატებულ საგანმანათლებლო სივრცეში გამოიყოფა მოსწავლეთა ჩართულობის შემდეგი ფორმები:

❖ საპარლამენტო ჩართულობა: ეს არის ფართოდ გავრცელებული ფორმალური და იერარქიული სტრუქტურა საკლასო, სასკოლო, რეგიონული და ნაციონალური წარმომადგენლებით, რომელიც ეფუძნება სპიკერების არჩევას, დელეგაციას და წარმომადგენლებს;

❖ ღია ჩართულობა (მონაწილეობა): ეს არის არაფორმალური ჩართულობის ფორმა, რომელიც შესაძლებელია გადაუდებელი შემთხვევების დროს იმისათვის რომ მოხდეს არსებული პრობლემის დეფინიცია და დიაგნოზი, ინფორმაციის შეგროვება, პრიორიტეტების განსაზღვრა და გადაწყვეტილებების მიღება;

❖ პროექტზე დაფუძნებული ჩართულობა: ერთი საკითხი, რომელიც გულისხმობს ერთ კონკრეტულ პროექტში მონაწილეობის მიღებას, ხშირად ეს ეხება აქტუალურ საკითხებსა და სასწავლო პროცესს;

❖ სიმულაციური თამაშებით ჩართულობა/მონაწილეობა: ჩართულობა და დემოკრატიული მონაწილეობა ხდება თამაშით, მაგალითად, სიმულირება „სკოლის სახელმწიფო“ პრეზიდენტით, მთავრობით, პარლამენტით, მედიით და ა.შ.;

❖ პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჩართულობა: მაგალითად, სასკოლო ან საკლასო კონფლიქტის მოგვარება ხდება თვითონ მოსწავლეების ორგანიზებით, მედიაციით, მოსმენით, გადაწყვეტილებების მიღებითა და პროცედურების დანერგვით.

მოსწავლეთა ჩართულობა თითოეული ინდივიდის სხვადასხვა სტრუქტურაში მონაწილეობით, მონაწილეობითი სწავლით, სკოლის სოციალურ ცხოვრებაში ჩართვით და სკოლის გარეთ სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობით განისაზღვრება. თუ ამ თემას სქემატურად დავაღაგებთ ასეთ სურათს მივიღებთ:

1. მონაწილე სტრუქტურები:
  - კლასის ინფორმაციის მიმწოდებელი;
  - კლასის საბჭო/თვითმმართველობა;

- მოსწავლეთა წარმომადგენლები;
- სკოლის პარლამენტი;
- „სამართლიანი საზოგადოება“;
- რეგიონული და ნაციონალური მოსწავლეთა წარმომადგენლობა.

## 2. მონაწილეობითი სწავლა

- პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე;
- თანამშრომლობით სწავლაზე პასუხისმგებლობა;
- ინდივიდუალურ საგნებში მონაწილეობითი სწავლება;
- კურიკულუმის შერჩევაში ჩართულობა;
- საკლასო პროექტები.

## 3. სკოლის სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობა

- სოციალური სწავლა;
- ინტეგრაცია;
- კონფლიქტის მართვა;
- ძალადობის აღმოფხვრა;
- ფესტივალები და დღესასწაულები;
- სასკოლო პროექტები.

## 4. ჩართულობა სკოლის გარეთ

- ურთიერთობები:
  - სხვა სკოლებთან;
  - სხვა სასკოლო დაწესებულებებთან (საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები);
  - საწარმოებთან და ფირმებთან ურთიერთობა;
  - ადგილობრივ მთავრობასთან ურთიერთობა;
  - სხვა გარე პარტნიორები;
  - საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, ინტეგრაცია.


ჩავატარეთ გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო გაგვეჩვენა, ღებულობენ თუ არა სკოლის მმართველობაში მონაწილეობას მოსწავლეები და რა დამოკიდებულება აქვთ მათ სკოლის დემოკრატიული მმართველობის დანერგვასთან დაკავშირებით. საქართველოს მასშტაბით კვლევაში მონაწილეობდა ოთხი სკოლის VI-XII კლასების, 157 მოსწავლე და 40 მასწავლებელი (ბათუმის II და XVIII საჯარო სკოლები, შპს განათლება, კერძო სკოლა “იმედი” და ქუთაისის კერძო სკოლა “პროგრესი”).

გამოკითხული მოსწავლეების 34% აცხადებს, რომ მათ სკოლაში არ არის მოსწავლეთა თვითმმართველობა, 25%-მა არ იცის, არის თუ არა მათ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა, 20% აცხადებს, რომ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა არის, ხოლო 16% აღიარებს, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში არის, მაგრამ ისინი არასოდეს ყოფილან იქ (იხ. ცხრილი 1).


კითხვაზე - ღებულობთ თუ არა მონაწილეობას სკოლის მმართველობაში? მოსწავლეთა 89%-საგან უარყოფითი პასუხი მივიღეთ, ხოლო ამის საპირისპიროდ შეკითხვაზე - არის თუ არა თქვენს სკოლაში დემოკრატიული მმართველობა? მოსწავლეთა 66% აცხადებს, რომ მათ სკოლაში არის დემოკრატიული მმართველობა (იხ. ცხრილი 2 და 4).

სწორედ ამ ურთიერთგამომრიცხავი პასუხებიდან ჩანს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მოსწავლეთა ჩართულობა წახალისებული, მოსწავლეებმა არც კი იციან, როგორ შეიძლება ჩაერთონ სკოლის მმართველობაში, ზოგიერთმა მათგანმა არც კი იცის, არის თუ არა სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა და რას საქმიანობს ის.


ცხრილი 1.




ცხრილი 2.



ცხრილი 3.



ცხრილი 4.



კვლევამ ცხადყო, რომ სკოლის მმართველობაში მოსწავლეთა ჩართვის ინოვაციური სისტემის შემოღება ჯერ კიდევ ფურცელზე რჩება. შიდა სასკოლო მმართველობაში ნაკლებად მიმზიდველია მოსწავლეთა თვითმმართველობები. არცერთ ჩვენს მიერ გამოკვლეულ სკოლაში არ აღმოჩნდა მოსწავლეთა თვითმმართველობის რეალური გამოვლინებები, რომელიც ვერ გამოვლინდებოდა ავტორიტარული მმართველობის სტილის დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში არა აქვთ კარგად გაცნობიერებული, თუ რა არის სკოლის დემოკრატიული მმართველობა, აქტიური მოქალაქეობა. მასწავლებლები ნაკლებად ენდობიან მოსწავლეებს და მიიჩნევენ, რომ მოსწავლეები ვერ შეძლებენ საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობის მიღებას, რაც, ჩვენი აზრით, არ გვადლევს საშუალებას ხელი შევეწყოთ მოსწავლეებში შემოქმედებისა და პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას, მეტაკოგნიციას. მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების დათვლის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სკოლის დემოკრატიული მმართველობა არის მიუწვდომელი ქართული საზოგადოებისათვის, მაგრამ როდესაც მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებს ვაჯამებთ, აშკარაა, რომ ჩვენ

ვცდებით. მომავალი თაობა სულ სხვანაირად უყურებს სკოლის დემოკრატიული მმართველობის საკითხს. მოსწავლეთა უმრავლესობა თვლის, რომ ისინი შეძლებენ სკოლის მმართველობაში აქტიური მონაწილეობის მიღებას, ისინი შეძლებენ დაეხმარონ მასწავლებლებს სილაბუსების შედგენაშიც კი, ისინი შეძლებენ თვითონვე შეიმუშაონ და ჩამოაყალიბონ ქცევის წესები და დაემორჩილონ მათ მიერვე შექმნილ წესებსა და კანონებს (იხ. ცხრილი 3). ისინი ითხოვენ, რომ მივცეთ შანსი აიღონ პასუხისმგებლობა სკოლის მმართველობასა და საკუთარი სწავლის დაგეგმვაზე, მათ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების, მაგრამ აცხადებენ, რომ არა აქვთ შესაბამისი გარემო, რომ გამოიყენონ ეს შესაძლებლობები. საინტერესოა ისიც, რომ მოსწავლეები აცხადებენ, ისინი იმიტომ არიან დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, რომ მასწავლებლებზე უკეთ იცნობენ მოსწავლეებს და საკუთარ თავს. ეს არ იყო ერთი ან ორი მოსწავლის აზრი. ამ აზრზეა, მოსწავლეთა უმრავლესობა, რაც ჩვენ გვახალდეზურებს, რომ შევცვალოთ ჩვენი სასკოლო მმართველობის სისტემა, მოვარგოთ ის მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს. თუ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მაშინ ჩვენ პირველ რიგში მოსწავლეთა შეხედულებები უნდა გავითვალისწინოთ.

#### ლიტერატურა:

1. უზნაძე დ., სკოლის რეფორმების შესახებ, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, N5; საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა, 1995.
2. დიუ ჯ., განათლება და დემოკრატია, 1916.
3. Fletcher, A., “Meaningful student involvement” (guide to students as partners in school change). Second edition. 2005.
4. Freire, P. 1998. Teachers as Cultural Workers. Boulder, CO: Westview Press. See “Fifth Letter.”
5. Karlheinz Dürr Landeszentrale für politische Bildung, *The school – democratic learning community*, Baden - Württemberg, Germany, © Council of Europe, November 2005

## MODERNS PROBLEMS OF STUDENTS’ INCLUSION IN SCHOOL ACTIVITIES

Lili Koridze, Batumi Shota Rustaveli State University, PhD student

### RESUME

In today’s increasingly complex and diverse world, it has become necessary to redefine the meaning of participatory democracy and to reassess the status of the citizen. Democracy needs to be learnt. The school is a place where such learning can go on. Article proposes types, areas, forms and fields of pupil participation in a participative democratic school.

## სსსმ პირების უფლებების სწავლება მომავალი მასწავლებლის მომზადების პროცესში

ირმა ქურდაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

მომავალ მასწავლებელთა მომზადებისას ინკლუზიური განათლების პრინციპების სწავლება და გააზრება უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ამ პროცესში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მომავალი მასწავლებლისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანთა უფლებების დაცვის, განათლების საყოველთაობის აღიარების სწავლება, რაც შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების შესახებ სხვადასხვა მონაწილე მხარეთა ცნობიერების ამაღლებას მოიცავს.

ამ პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა იყოს ოჯახებთან თანამშრომლობის სტრატეგიები, რათა თითოეული ბავშვისთვის უზრუნველყოფილი იყოს ძალადობისგან თავისუფალი და მზრუნველი გარემო. ასევე, გასათვალისწინებელია სხვა გარემო ფაქტორებიც, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება ძალადობას, თუმცა შესაძლოა ხელს უწყობდეს ძალადობრივი გარემოს ჩამოყალიბებას. მაგალითად, არასაკმარისი სასწავლო-სააღმზრდელო რესურსი და ა.შ.

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა მიმართ ძალადობის, არასათანადო მოპყრობისა და არატოლერანტული



დამოკიდებულებების წინააღმდეგ სპეციალური ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბება მომავალ მასწავლებლებში.

სამწუხაროდ, იკვეთება მოქმედ პედაგოგთა არასაკმარისი ინფორმირებულობა, რაც გულისხმობს მომავალი მასწავლებლების აღჭურვას ბავშვების უფლებების დაცვის აუცილებელი ნორმებითა და კანონებით.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს სწავლების პროცესში უნდა მიეწოდოთ ამ მიმართულებით არსებული უახლესი საკანონმდებლო ნორმები. მაგალითად, ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“, რომელიც 2010 წლის 31 მაისიდან მოქმედებს. სისტემა გულისხმობს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას, მისი მდგომარეობის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში ბავშვის უსაფრთხოებისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობას; ასევე, შემთხვევაზე ზედამხედველობას.

სასკოლო გარემოში სწავლა კი, განსაზღვრული თვალსაჩინო სასწავლო მასალის არსებობასთან ერთად, სპეციალური უნარებით აღჭურვილ და მომზადებულ მასწავლებელსაც გულისხმობს,

კერძოდ, მის მონაწილეობას სწავლის პროცესში, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სსსმ საჭიროებები. მასწავლებლის ფუნქცია მასალის უბრალოდ მიწოდება და გამოკითხვა კი არ არის, არამედ სწავლების ყველა მიდგომისა და ასპექტების გააზრება - ამ მიმართულებით,

მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს, რისთვისაც სასწავლო მასალას მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით გარდაქმნის და ისე აწვდის მას. მასალა, ერთი მხრივ, მოსწავლის ცოდნისა და უნარების („ძალთა“) აქტუალური დონის შესატყვისი უნდა იყოს, მეორე მხრივ კი - მისგან გარკვეულწილად დაშორებული, რათა ხელი შეუწყოს განვითარებას.

მასწავლებლის ფუნქცია სწორედ ამ პირობების რეალიზაციაა: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, ახალი მასალის მისაწვდომად გადაცემა, „ახსნა“. „ახსნა კი უცნობის ნაცნობზე, ახლის ძველზე დაყვანასა და სწორედ ამით ნაცნობისა და ძველის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას ნიშნავს“, - აღნიშნავს დ. უზნაძე.

ამრიგად, მოსწავლის განვითარების პროცესში, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მასწავლებელი შუამავალია მასალასა და მოსწავლეს (მის „ძალებს“) შორის.

ახსნის შედეგად, მანამდე პრაქტიკულად მოცემული გარკვეული ფაქტი ბავშვისთვის დაკვირვების ობიექტად იქცევა, მისი ცნობიერებისთვის ხდება მისაწვდომი. რაიმე ფაქტი, მოვლენა თუ საგანი სწავლის შედეგად ბავშვისთვის არა მხოლოდ პრაქტიკულად მოცემულად არსებობს, არამედ ცნობიერებაშიც ინახება - ცნებათა სახით.

ბუნებრივია, ასეთი ინტერაქტიური და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესში ინდივიდუალური შესაძლებლობების ეფექტური ფოკუსირებისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულებებში, საკლასო ოთახებში ფიზიკური გარემოს ადაპტაცია. შესაბამისად, ბუნებრივია, მომავალ მასწავლებლის მომზადებისას სწავლების სხვა უმნიშვნელოვანეს კომპონენტებთან ერთად სტუდენტს სწორად უნდა მიეწოდოს სწავლების პროცესში სასწავლო ფიზიკური გარემოს არსი და მნიშვნელობა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტემპუსის საგრანტო პროექტის: „*Access to Inclusive Education and Social Integration (ASPIRE)*“, (2013-2015) განხორციელებისას და პრობლემების ანალიზისას გამოიკვეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ოთხი ძირითადი ასპექტი: კომუნიკაცია და ინტერაქცია (რომელშიც შედის აუტიზმი), შემეცნება და სწავლა (სწავლასთან დაკავშირებული ზომიერად და მწვავედ გამოვლენილი სირთულეებისა და დისლექსიის ანუ კითხვის უუნარობის ჩათვლით), სოციალურ უნარებთან, ემოციურ გამოხატვასთან და ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები - ფიზიკურ მოძრაობებთან და მგრძობელობებთან დაკავშირებული პრობლემები.

ამ პრობლემების დარეგულირებისას კი მნიშვნელოვანია, ფიზიკური სასწავლო გარემოს ადაპტირება და დაწესებულების მზადყოფნა შშმ პირების მისაღებად.

შესაბამისად, რეკომენდაციის დონეზე, მიგვაჩნია, რომ უნდა ამაღლდეს საზოგადოების, სხვადასხვა უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად - სასწავლო დაწესებულების ფიზიკური გარემოს ადაპტირებისათვის - სსსმ აღსაზრდელების მისაღებად.

#### ლიტერატურა:

1. ტემპუსის საგრანტო პროექტის: „*Access to Inclusive Education and Social Integration (ASPIRE)*“, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია, პროექტის მასალები, 2013-2015

2. KNOWLEDGE AND PRACTICAL EXPERIENCES OFFERED BY HIGHER EDUCATION PROGRAMS WITH RESPECT TO SPECIAL NEEDS EDUCATION A study of university students' opinions in Georgia TSIRA BARKAIA , Master of Philosophy in Special Needs Education Department of Special Needs Education, Faculty of Education UNIVERSITY OF OSLO, NORWAY, 2010

## **SOME OF THE ASPECTS OF SPECIAL NEEDS RIGHT IN TEACHING FUTURE TEACHERS**

**Irma Kurdadze, Samtskhe-Javakheti State University, Professor**

### **RESUME**

Trainings of the future teachers is an important direction in the high school. This process is a special importance for the teachers working in the mentioned direction to consider human rights, education, training, recognition of universality, which is the most important aspect of human rights.

The teachers choose the material according to the skills and abilities of their students and then deliver the knowledge to their students. Material, on the one hand should be chosen according to the student's knowledge and skills, so called ("power"), relevant to their actual level of knowledge, on the other hand - it should be somewhat remote from students, to facilitate their development.

The function of the teacher is exactly in the realization of the mentioned conditions: to explain the new materials considering student's individual characteristics "explanation". "Explaining the unknown like known , the old one like the new one means upgrading" said D. Uznadze.

Thus, considering the students individual capabilities the teacher is an intermediary between the material and the students "power" .

Before explanation certain fact becomes an object of observation for the child, it becomes available for his awareness. Any facts, event or subject learned as a result of teaching is memorized not only like a fact but is also saved in a concept form

Therefore, along with the other important components of the teaching process it is important to teach the students the main components like the essence of the physical environment in the learning process. During implementation and the analyses of the Tempus project „Access to Inclusive Education and Social Integration (ASPIRE)“, (2013-2015) by Samtskhe-Javakheti State University: were identified four basic aspects like: communication and interaction (including autism), knowledge and studies (moderate and severe learning difficulties and dyslexia or reading disability), social skills, emotional expression and behavior-related problems - physical movements and sensitivity problems.

Regulating these problems it is important to adapt to the physical learning environment of the institution and the readiness of people to accept the people with the special needs.

Accordingly, on the recommendation level, we believe that the need to raise the inrollment of various public agencies, non-governmental organizations to address the problem of the educational institution for physical environment adaptation in order to accept the students with special needs.

## **დისტანციური სწავლება, როგორც უცხოური ენის სწავლების ალტერნატიული გზა**

**ლიანა ჩარკვიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი**

XXI საუკუნე ხასიათდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გლობალური ინფორმატიზაციით. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების დონეზე და ტემპზე დამოკიდებული ეკონომიკის, ადამიანების ცხოვრების ხარისხის, ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს როლი მსოფლიოში. შესაბამისად, ყველა განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში მიმდინარეობს განათლების ინფორმატიზაციის ინტენსიური პროცესები. მიდის მუშაობა ზოგადი განათლების შედეგიანობის ამაღლებაზე, იდება დიდი ფული ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვაში.

თანამედროვე საზოგადოებაში, ინფორმაციის მკვეთრი ზრდის ფონზე, სპეციალისტს სწავლა პრაქტიკულად მთელი ცხოვრების განმავლობაში ესაჭიროება. ინტერნეტ-ტექნოლოგიების და დისტანციური სწავლების გამოყენება სრულიად ახალ შესაძლებლობებს აძლევს სპეციალისტებს როგორც

უწყვეტი განათლების მისაღებად, ასევე სპეციალისტების გადასამზადებლად, მეორადი განათლების მისაღებად და რაც მთავარია, სწავლის პროცესს ხელმისაწვდომს ხდის.

რა არის დისტანციური სწავლება? ეს გახლავთ სწავლების ფორმა, რომელიც შექმნილია სპეციალურად სტუდენტისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც ტრადიციულ აუდიტორიაში ან კაბინეტში ფიზიკურად არ იმყოფებიან. ეს არის პროცესი, რომელიც ქმნის და ხელმისაწვდომს ხდის სწავლას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისგან დროით, სივრცით ან ორივენიარად არიან დაშორებულნი, ანუ ცოდნის მიღების პროცესი შორი მანძილიდან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სადაც მთავარ როლს ინტერნეტი ასრულებს.

სწორედ მსოფლიო ქსელის განვითარებას უკავშირებენ დისტანციური განათლების გავრცელებას მთელ მსოფლიოში, როგორც ტრადიციული ფორმების სერიოზულ ალტერნატივას და ეს სრულიად კანონზომიერია იმის გათვალისწინებით, თუ რა შესაძლებლობებს აწვდის ის მოსწავლეს.

სწავლების ამ სისტემას ბევრი დადებითი მხარე აქვს:

- 1) დიდი პერსპექტივები - დისტანციური სწავლებით შესაძლებლობა გაქვს გამოიყენო ინტერნეტის ქსელში დაგროვილი მსოფლიოს კულტურული და საგანმანათლებლო ფასეულობები;
- 2) მოხერხებულობა და ხელმისაწვდომობა - ონლაინ სწავლა შესაძლებელია სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად, ფაქტობრივად ნებისმიერი ადგილიდან, სადაც კომპიუტერთან და ინტერნეტთან ხელი მიგიწვდებათ. ეს შესაძლებელს ხდის, რომ თანამედროვე სპეციალისტმა ცოდნა მიიღოს სპეციალური მივლინებების, შვებულებების და მგზავრობის გარეშე, ისე რომ არ მოწყდეს თავის ძირითად საქმიანობას;
- 3) მოქნილობა და შესწავლის სისწრაფე - არ არსებობს განსაზღვრული დრო ლექციებისთვის, სწავლა შესაძლებელია დღის და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და დასვენების დღეებშიც. მომხმარებელი თავად ირჩევს სწავლების ინტენსიურობას, რიტმს, ტემპს. მას შეუძლია რამდენიმეჯერ დაუბრუნდეს ერთსა და იმავე დავალებას, შეუძლია გამოტოვოს ან აირჩიოს მასალის გარკვეული თავები. ორგანიზაციული თვალსაზრისით ეს სწავლის პროცესს ბევრად უფრო ხელმისაწვდომს და მარტივს ხდის;
- 4) სწავლების დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია - ყველა ადამიანს თავისი ფსიქოფიზიკური თავისებურებების გამო მასალის ათვისების სხვადასხვა შესაძლებლობა გააჩნია. ამიტომ სხვადასხვა მოსწავლეს სხვადასხვა დრო და განსხვავებული სირთულის სავარჯიშო სჭირდება, რათა დაამუშაოს და განამტკიცოს ესა თუ ის მასალა. დისტანციური სწავლების დროს მომხმარებელს თავად შეუძლია ინდივიდუალური, თავის თავზე მორგებული კომფორტული პროგრამის არჩევა;
- 5) ფართო არჩევანი - ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე დისტანციური სწავლების პროგრამების შედგენა და შემოთავაზება დაიწყო ძალიან ბევრმა აკრედიტებულმა და კარგი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტმა. არის შესაძლებლობა ისწავლო საუკეთესო პედაგოგების ხელმძღვანელობით;
- 6) როგორც წესი, დისტანციური სწავლება უფრო იაფია ტრადიციულთან შედარებით, რაც განპირობებულია ბევრი ისეთი ფაქტორების არარსებობით, როგორცაა: მგზავრობის, ცხოვრების და თვით სწავლის პროცესის ორგანიზაციული ხარჯები. (არ არის სასწავლო შენობის ხარჯები გასაწევი, უფრო მცირერიცხოვანი პერსონალია, მასწავლებელთა რაოდენობაც უფრო მცირეა);
- 7) ონლაინ სწავლება სრულიად უნიკალურ შანსს აძლევს უნარშეზღუდულ ადამიანებსაც, როგორც ახალი პროფესიების დაუფლების შემთხვევაში, ასევე მათი საზოგადოებაში ინტეგრირების საკითხში. სრულიად რეალური ხდება მათთვის პროფესიის შექმნაც და შესაბამისად დასაქმებაც.

ვიდეოკავშირის გამოყენებით უცხოური ენის დისტანციურად სწავლებაც სწავლების ყველაზე თანამედროვე და ეფექტურ მეთოდებად არის აღიარებული, რადგან ქსელების დიდაქტიკური პოტენციალი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მოსწავლის აქტიურ კომუნიკატიური საქმიანობის შესაძლებლობასთან, რაც უცხოური ენის სწავლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ პოპულარობის რეიტინგში უცხოურ ენის სწავლების კომუნიკატიურ მიდგომას აქტიურად I ადგილი უჭირავს. ინტერნეტი ეს არის მრავალფეროვანი კომუნიკაცია: ელექტრონული ფოსტა, ყველანაირი კონფერენციები, ფორუმები, ჩატი, აუდიო-ჩატი და სხვ. კომუნიკაციის ამ ფორმების გამოყენებით შესაძლებელია მიზნობრივი ენის მატარებლებთან ურთიერთობა, რაც ენის სწავლების განსაკუთრებული დადებითი მხარეა, ინტერნეტი კი აიოლებს კონკრეტული ენის გამოყენებას ტრადიციულ ატმოსფეროში.

ცნობილია, რომ ენა და კულტურა ერთი მთლიანობაა და ურთიერთდამოკიდებული მოვლენაა. შესაბამისად, კულტურის გაცნობა აუბოძებს ენის გაგებას. ამიტომ ენის სწავლების არსებით დიდაქტიკურ პრინციპს წარმოადგენს მისი შესწავლა კულტურულ კონტექსტში. ინტერნეტი ამისთვისაც წარმოადგენს ფასეულ რესურსს როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლისათვის. ინტერნეტით შესაძლებელია გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალური/კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვება იმ ქვეყნებიდან, რომლის ენაც შესწავლის მიზანს წარმოადგენს.

შესაძლებელია ამ ქვეყნების ყოველდღიური გაზეთების ვებ-ვერსიების წაკითხვაც. ეს მასალები ბევრად განსხვავდება სახელმძღვანელოს მოძველებული ტექსტებისაგან. ასევე შესაძლებელია ავთენტური ინფორმაციის უსაზღვრო რაოდენობის მოძიება. ინტერნეტში არსებობს მდიდარი ასეთი მასალა ტექსტების, სურათების, რადიო და ტელეგადაცემების, youtube-ზე ატვირთული ინდივიდუალურად შექმნილი ფილმებისა თუ პროფესიონალური ფილმების მონაკვეთების და ა. შ. სახით და მათი სასწავლო მიზნებისათვის გამოყენება სასურველია. ინტერნეტს შეუძლია მოსწავლის უზრუნველყოფა დამატებითი პრაქტიკით ენის სწავლების კონკრეტულ სფეროებში. ამისთვის აქ მოიპოვება გამზადებული დიდაქტიკური მასალა, ისეთი, როგორც კითხვები და ტესტები საკითხის გაგებაზე, გრამატიკული სავარჯიშოები, სავარჯიშოები გამოთქმის დასახვეწად, ლექსიკური მარაგის შესავსებად და სხვ.

იმ ელექტრონულ სასწავლო პლატფორმებს, რომელთა მეშვეობითაც უცხოური ენის შესწავლა მიმდინარეობს, მრავალფეროვანი ფუნქცია აქვს. ე. შავერდაშვილის მიხედვით (2014) ესენია:

- ✓ დავალებების მომზადება სხვადასხვა ტიპის მოსწავლეთათვის;
- ✓ ცოდნის სისტემებთან დაკავშირება;
- ✓ ელექტრონული სამუშაო და საძიებელი ინსტრუმენტების (ლექსიკონები, საძიებო სისტემის) ჩართვა;
- ✓ ანიმირებული შინაარსების მომზადება, როგორცაა გრამატიკული ანიმაციები;
- ✓ ტექსტის, სურათისა და მოსასმენი ტექსტებისათვის გულმოდგინედ შერჩეული დავალებების შეტანა;
- ✓ სწავლის ინდივიდუალური გზების ურთიერთშეჯერების შესაძლებლობების გამოყენება;
- ✓ საშინაო დავალებების მართვა და შეცდომების შესწორების შესაძლებლობების გამოყენება, ისევე როგორც დაარქივება;
- ✓ შეცდომების შესწორება ავტომატურად ან ნახევრავტომატურად (გრამატიკა, მართლწერა);
- ✓ დაფის ინტერაქტიული ფუნქციების ჩართვა სასწავლო პროცესში.

დისტანციური სწავლების გამოყენებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მასწავლებელსაც და მოსწავლესაც გარკვეული კომპეტენციები ესაჭიროება, რაც, უპირველეს ყოვლისა, დავალების მიზანსა და მიღწეულ შედეგზეა დამოკიდებული.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. დისტანციური სწავლების ფორმა იძლევა დამოუკიდებლად სწავლის და სწავლის უწყვეტი პროცესის შესაძლებლობას.
2. უცხოურ ენის დისტანციური სწავლება არის სწავლების ახალი ფორმა, რომლის დროსაც მასწავლებლისა და მოსწავლის, აგრეთვე, მოსწავლეთა ერთმანეთთან ურთიერთობის მეშვეობით ხდება მოსწავლის კომუნიკატიური კომპეტენციის განვითარება ენობრივი გარემოს მიღმა.
3. მულტიმედიური სასწავლო მასალა, რომელიც განთავსებულია სხვადასხვა ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე ინტერნეტში, ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოსწავლეთა კულტურათაშორისი კომპეტენციის სრულყოფისა, მეტყველების სხვადასხვა სახის, უპირველესად კითხვის და აუდირების, დაუფლებისათვის.
4. ახალი საგანმანათლებლო სივრცის კომუნიკაციური საშუალებები (ფორუმი და ბლოგი) ეხმარება მოსწავლეებს იმ სამეტყველო უნარების ფორმირებაში, რომელიც აუცილებელია წერილობითი ურთიერთობისათვის.
5. ახალი სასწავლო გარემოს განვითარებასთან ერთად თამამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ მასწავლებლის კომპეტენციის შეცვლაზე. ლინგვისტიკურ და კომუნიკაციურ კომპეტენციასთან ერთად იზრდება ინფორმაციულ-ტექნოლოგიური კომპეტენციის როლიც. ჯერ ერთი მასწავლებელმა უნდა გაიუმჯობესოს თავისი კომპეტენცია ახალი ტექნოლოგიების სწავლების მეთოდისა და დისტანციური სწავლების სფეროში; მეორეც, მას უნდა გააჩნდეს საკმარისი ცოდნა მულტიმედიური ინსტრუმენტების გამოყენებაში. გარდა ამისა, მას კიდევ უნდა შეეძლოს შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა და დამუშავება ახალი კომპიუტერული საშუალებებისა და პროგრამების დახმარებით.
6. სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი მახასიათებელია დასწავლის დონის სისტემატური მონიტორინგი, რაც დაეხმარება მასწავლებელს როგორც მოსწავლის ძალისხმევისა და მის მიერ მიღწეული შედეგის შეფასებაში, ასევე დაანახებს იმ სირთულეებს, რომელიც შეექმნება მოსწავლეს ენობრივი მასალის ათვისებისა და სამეტყველო უნარების დაუფლების დროს. ამგვარად, მასწავლებელს, ერთის მხრივ, ყოველთვის შეუძლია გადაამუშაოს სასწავლო მასალა და გააუმჯობესოს კურსის შინაარსი, სადაც ეს საჭირო იქნება, და მეორეს მხრივ, თვითონ ყოველთვის იქნება შემოქმედებითი ძიებისა და პოზიტიური თვითკრიტიკის მდგომარეობაში.
7. დისტანციური სწავლების საშუალებების შესაძლებლობები უცხოურ ენის სწავლებაში მოითხოვს შემოწმებასა და ექსპერიმენტირებას მეთოდის შესაბამისად და ვირტუალური სასწავლო გარემოს შიგნით ურთიერთმოქმედი ახალი ფორმების გათვალისწინებით.

### ლიტერატურა:

1. ალხაზიშვილი, ა. უცხოური ენების სწავლება – თეორია და პრაქტიკა. უნივერსალი თბილისი, 2009.
2. გეგეჭკორი, ლ. ენების ინტენსიური სწავლების თანამედროვე მეთოდები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1981.
3. გიორგობიანი, ლ. და სხვ. უცხოური ენების სწავლების თეორია და მეთოდოლოგია. გამომცემლობა „ენა და კულტურა“. თბილისი, 2004.
4. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016. საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენებში. <http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo>
5. შავერდაშვილი, ე. და სხვ. უცხოური ენების სწავლების საფუძვლები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.
6. ჯანაშია, ს. და სხვ. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი, 2008.
7. Bates, T. Technology: Open learning and distance education. New York: Routledge. 1995.
8. Brumfit, C. Computers in English language teaching. Oxford: Pergamon and the British Council Press. 1985.
9. Meena Singhal. The Internet and Foreign Language Education: Benefits and Challenges. The University of Arizona, USA. <http://www.gse.uci.edu/ed168/resume.html>
10. Андрианова Г.А. Организация творческой деятельности учащихся в дистанционном обучении: Дис. . канд. пед. наук. М., 2000.
11. Андреев А.А. Дидактические основы дистанционного обучения: Монография. М., 1999.
12. Гальскова Н.Д. Современная методика обучения иностранному языку. Пособие для учителя. М.: АРКТИ, 2000.
13. Дмитриева Е.И. Дидактические возможности компьютерных телекоммуникационных сетей для обучения иностранным языкам // ИЯШ. 1997. №4. С. 22-26.
13. Дмитриева Е.И. О перспективах и возможностях дистанционного обучения иностранным языкам с использованием компьютерных телекоммуникационных сетей // ИЯШ. 1997. №2. С. 11-14. Дмитриева Е.И. Основная методическая проблема дистанционного обучения иностранным языкам через компьютерные телекоммуникационные сети Internet // ИЯШ. 1998. №1. С. 6-11
15. Евдокимова М.Г. Компьютерные технологии обучения иностранным языкам: методологические и педагогические аспекты // Телекоммуникации и информатизация образования. 2001. №4. С.47-57.
16. Вишневская Г.В. Внедрение дистанционных технологий в процесс обучения иностранному языку студентов-заочников неязыковых вузов // Известия ПГПУ им. В.Г.Белинского. 2011. №24. С. 589-592.
17. Тихомиров В.М. Современное состояние и актуальные проблемы дистанционного образования // Тезисы докладов V Международной конференции по дистанционному образованию. М., 1998 С. 3-4.
18. Угольков В.В. Дистанционное обучение с помощью компьютерных технологий // Современные проблемы воспитания и образования: психолого-педагогический сб. научных трудов, 2002, Вып.4. М.: Альфа, С. 62-64.

## **DISTANCE LEARNING AS AN ALTERNATIVE METHOD TO TEACH FOREIGN LANGUAGES**

**Liana Charkviani**, Georgian Technical University, PhD student

### **RESUME**

The article provides an overview of the theoretical aspects of the introduction of distance technologies into the process of learning/teaching of foreign language and advantages of distance study.

At the same time the possibility of distance learning of foreign languages require examination and experiment respectively methodology and new forms of interacting within the virtual learning environment.

## უცხოური ენის სპეციალური მიზნებით სწავლებასთან დაკავშირებული მიდგომები (წინაპირობები და განვითარება)

ზურაბ ჩხიკვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-mail: zura\_gsu@yahoo.com

ლელა ხუბულური, დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია,  
მასწავლებელი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
დოქტორანტი  
E-mail: lela.khubuluri@gmail.com

XX საუკუნეში მეცნიერების, ტექნიკისა და სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფმა ზრდამ ბიძგი მისცა უცხოური ენების სპეციალური მიზნებით სწავლების განვითარებას, რაც ძირითადად პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო ტერმინოლოგიის აქტიურ გამოყენებას გულისხმობდა. ტერმინთმცოდნეობაზე პირველი სტატიები გამოქვეყნდა 30-იანი წლების დასასრულს. სწორედ ამ ფონზე შეიქმნა ლინგვისტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ტერმინებს, ტერმინოლოგიასა და ტერმინოსისტემებს. იგი ჩამოყალიბდა დ. ს. ლოტეს, ე. კ. დრეზენისა და ე. ვიუსტერის ნაშრომებში. მისი მომიჯნავე დარგებია ლოგიკა, ონტოლოგია, ინფორმატიკა, ხელოვნური ინტელექტი.

როგორც მიუთითებს ტ. ხატჩისონი, მეორე მსოფლიო ომის დასასრული ხასიათდებოდა ტექნიკის, მეცნიერებისა და ეკონომიკის საკმაოდ სწრაფი განვითარებით. ტექნიკისა და კომერციის პროგრესმა ახალი სტიმული მისცა უცხოური ენების შესწავლას სპეციალიზებულ დარგებში გამოყენების მიზნით. გაიზარდა დაინტერესებულ პირთა ახალი თაობა, ვინც უცხო ენას, ამ შემთხვევაში ინგლისურს, გარკვეული, შედარებით ვიწრო მიზნისათვის სწავლობდა: ბიზნესმენებს უნდოდათ გაეყიდათ თავიანთი ნაწარმი, მეცნიერებს სჭირდებოდათ პროფესიული დონის ამალგება უახლესი სამეცნიერო ჟურნალების კითხვის გზით და ა.შ. - ეს ყველაფერი კი, პირველ რიგში, სპეციალური ლექსიკის ცოდნას მოითხოვდა მათგან. 70-იანი წლების ნავთობის კრიზისმა მხოლოდ გააძლიერა ეს ტენდენცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლინგვისტიკის (მათ შორის გამოყენებითი ლინგვისტიკის) ტრადიციულ მიზნად ითვლებოდა ენის წესებისა და მათი გამოყენების ახსნა ე.ი. თეორიული და პრაქტიკული გრამატიკის სწავლება (გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი). ენის შესწავლისადმი ახალი დამოკიდებულება კი გულისხმობდა სწავლების ტრადიციული მეთოდების შეცვლას და ისეთი ახალი მეთოდის შემუშავებას, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა პროფესიული ურთიერთობა ამ ენაზე. უკვე აქცენტი გადადის იმ ფაქტზე, რომ გამოიკვეთა რეალური განსხვავება, ერთი მხრივ, ზოგად (ჩვეულებრივ საკომუნიკაციო) და პროფესიულ ენას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, კომერციულ და ტექნიკურ ენებს შორის და ა.შ., რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია დადგინდეს ის თავისებურებები, რომელიც განასხვავებს სპეციალიზებულ, პროფესიულ „ენას“ სალაპარაკო ზოგადსაკომუნიკაციო ენისაგან და ერთი დარგის ენას სხვებისაგან. ამ პერიოდში გამოქვეყნდა სუალის, სელინკერის, ტრიმბლის და სხვათა ნაშრომები, რომლებიც აღწერდნენ ტექნიკურ და მეცნიერულ ინგლისურს (EST – English for Science and Technology).

მოგვიანებით, ინგლისური სპეციალური მიზნებისათვის განიხილებოდა როგორც სამი ფაქტორის ერთობლიობა: სპეციალური (დარგობრივი) ინგლისურის საჭიროება (მასზე მოთხოვნა); ლინგვისტიკის სპეციალური დარგის განვითარება და ახალი ტექნოლოგიების (კომპიუტერი) გამოყენება. სამივე ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული.

თანამედროვე ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ენის თეორიის დამუშავება სპეციალური მიზნებისათვის (LSP: Language for Specific/Special Purposes). განსაკუთრებული მიღწევები ამ მიმართებით შეინიშნება ინგლისურ ენაში (ESP: English for Specific/ Special Purposes). ამ თეორიის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს უცხოური ენის სწავლებისადმი კომუნიკაციურ-პრაგმატული მიდგომა, რის შესაბამისადაც ხდება სასწავლო მასალის ტექსტების მოდელირებული დამუშავება. ამჟამად ლინგვისტური კვლევის განსაკუთრებით პოპულარული სფეროებია სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური „ენები“.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სპეციალური ინგლისურის სწავლების მეთოდოლოგიამ (Teaching Methodology of English for Specific/ Special Purposes)სამი სტადია გაიარა, ამჟამად კი მეოთხე სტადიაზეა. პირველი სტადიის დასაწყისი პიტერ სტრივენსის, ჯეკ ევერისა და ჯონ ლატორეს ნაშრომებთანაა დაკავშირებული. მათში განხორციელებულია დარგობრივი (ელექტრული ინჟინერიისა და ბიოლოგიის) სპეციფიკური ენების ანალიზი, რომლის მიზანიც ამ „ენების“ ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებების დადგენა იყო. შესაბამისად, შეიქმნა სახელმძღვანელო-პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ზემოთ აღნიშნულ თავისებურებებს. აღსანიშნავია ჯ. ევერისა და ჯ. ლატორეს

ერთობლივი წიგნი „ზოგადმეცნიერული ინგლისურის კურსი“ (A Course in Basic Scientific English By Ever and Latorre, 1969). ამგვარი პროგრამის (Syllabus) მიზანი იყო სამეცნიერო „ენის“ ფორმების გაცნობა-სწავლება-შესწავლა. მაგალითად, წიგნის ავტორები სტუდენტებს შესაძარებლად სთავაზობდნენ სამეცნიერო ტექსტებსა და იმ ტექსტებს, რომლებსაც ისინი გადიოდნენ ინგლისური ენის ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებში. სტუდენტებს შეეძლოთ შეენიშნათ, რომ სკოლის სახელმძღვანელოებში არანაირ აქცენტი არ კეთდებოდა (იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მკითხველს სამეცნიერო-პოპულარულ ტექსტს სთავაზობდნენ) სამეცნიერო ენის გრამატიკულ თავისებურებებზე (ვნებითი გვარის ხშირი გამოყენება მოქმედი პირის მოხსენიების გარეშე, მოდალური ზმნების დიდი როლი და ა.შ.).

თუ უცხოური ენის პროფესიული მიზნებით სწავლების მეთოდოლოგია პირველ ეტაპზე ენის თავისებურებებს წინადადების დონეზე შეისწავლის, მეორე საფეხურზე უკვე საკომუნიკაციო სიტუაციების რიტორიკულ ანალიზს აქვს ადგილი. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, ინგლისელი მეცნიერის, ენრი უიდოუსონის და ე.წ. ვაშინგტონის სკოლის წარმომადგენლების (ლარი სელინკერის, ლუი ტრემპლის, ჯონ ლაქსტრემისა და მერი ტუკ-ტრიმპლის) ნაშრომები. ამ მიდგომის საფუძვლები აღწერილია ალენისა და უიდოუსონის მიერ. მათი აზრით, სპეციალურ ენასთან შეხებისას სტუდენტისათვის მთავარი დარკოლება ინგლისური ენის სისტემის ცუდ ცოდნაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმის არ ცოდნაში, თუ როგორ გამოიყენება ეს სისტემა სხვადასხვა კომუნიკაციურ აქტებში. ზეპირი და წერიტი გამონათქვამი სპეციალურ ენაში სხვანაირად აიგება მისი ფუნქციური (აღწერის, განსაზღვრების, კლასიფიკაციის, ლოგიკური მსჯელობის, დასაბუთების, დაზუსტების, კამათის და ა.შ.) თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციებში რეალიზდება. ამასთან დაკავშირებით ტომ ხატჩისონი და ალან უოტერსი იყენებენ ტერმინს „მიზნობრივი სიტუაცია“ (target situation analysis). ჯონ მანბის ნაშრომში „კომუნიკაციური პროგრამის შექმნა“ მოცემულია იმ სიტუაციების საკმაოდ ამომწურავი ჩამონათვალი, რომელსაც ეყრდნობა სპეციალური ენის სწავლების არსებული კურსებისა და პროგრამების უმეტესობა.

სპეციალური ენის სწავლების მეთოდოლოგიის განვითარების მესამე ეტაპი წარმოადგენს ცდას გაირკვეს არა ენის, არამედ აზროვნების პროცესის თავისებურებები, რომლებიც ამ ენას უდევს საფუძვლად. სამეტყველო უნარ-ჩვევებთან და სტრატეგიასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე აღსანიშნავია ჩარლზ ანდერსენისა და სენდი ურხარტის ნაშრომები. მათში ყურადღება ექცევა არა აზრის ენობრივ გაფორმებას (ფორმას), არამედ ტექსტის ინტერპრეტაციის სტრატეგიის შემუშავებას (როგორ გამოიყენონ სიტყვებისა და სინტაგმების მნიშვნელობა კონტექსტზე დაყრდნობით, მოახდინონ საერთაშორისო და ნაწარმოები სიტყვების გამოცნობა, სემანტიზაცია და ა.შ.).

ინგლისური სპეციალური მიზნებისათვის (ESP) ორ დიდ შტოდ იყოფა: ინგლისური აკადემიური მიზნებისათვის (უმადლესი განათლებისათვის - EAP- English for Academic Purposes) და ინგლისური პროფესიული/დასაქმების მიზნებისათვის (EVP/ VESL/ EOP... English for Vocational Purposes/ Vocational English as a Second Language / English for Occupational Purposes....). ეს დაყოფა საკმაოდ პირობითია, რადგან სწავლა შეიძლება მიმდინარეობდეს დასაქმების პარალელურად. თუმცა ტერმინოლოგია და ტექსტები, რომელთაც მომავალი სპეციალისტი სწავლის დროს ეუფლება, გარკვეულწილად განსხვავდება იმ მასალისაგან, რომელიც მას პრაქტიკული მოღვაწეობისას სჭირდება. კერძოდ, სტუდენტებსა და მეცნიერებს სასწავლო პროცესში დასამუშავებელი ტექსტების სპეციფიკიდან გამომდინარე (თეორიული ტექსტები) უფრო მეტ და რთულ ტერმინებთან უხდებათ მუშაობა, ვიდრე პრაქტიკოს მუშაკებს.

დღეს, როდესაც ენის სპეციალური მიზნებით სწავლების მეთოდოლოგია განვითარების მეოთხე საფეხურზეა, საჭიროა მკვეთრად განისაზღვროს, თუ რა განსხვავებაა ენის შესწავლასა და მის გამოყენებას შორის, რაც თანამედროვე თეორიული და გამოყენებითი ლინგვისტიკის უაღრესად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

### ლიტერატურა:

1. ფოცხვერაშვილი ნ., უცხოურ ენაზე სპეციალური ლიტერატურის კითხვის დამხმარე სახელმძღვანელოს შედგენის პრინციპები (არაენობრივ უმაღლეს სასწავლებელში). თბილისი 2002.
2. Dogonadze, N. & Chkhikvadze, Z. English for Specific Purposes (business, Banking & Engineering). Gori state university publishers. Gori, 2001.
3. Hutchison, T. & Waters, A. English for Technical Communication. Longman 1996.
4. Hutchison, T. & Waters, A. English for Specific Purposes. Cambridge University Press 1989.
5. Trimble, T. Trimble, L & Drobic, K. English for Specific Purposes. Science and Technology. Carvalas, USA, Oregon State University Press, 1978.

# APPROACHES (PRECONDITIONS AND DEVELOPMENT) RELATED TO TEACHING FOREIGN LANGUAGE FOR SPECIAL PURPOSES

Zurab Chkhikvadze, Gori State Teaching University, Professor

Lela Khubuluri, Davit Aghmashenebeli National Defence Academy, English Teacher;

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ph.D student

## RESUME

The processing of language theory for special purposes (LSP: Language for Specific/Special Purposes) is significant achievement of modern linguistics. Exclusive progress is achieved in the English language (ESP: English for Specific/ Special Purposes). The communicative-pragmatic approaches to the process of language teaching represent the main point of this theory, that is followed by processing educational materials in the shape of modeled texts. Now, scientific, technical and economic "languages" are the most popular fields of linguistic study.

The article "Teaching of English for Specific Purposes" introduces social and historical preconditions, development and various approaches to this rather interesting linguistic branch, which started developing from the beginning of the twentieth century.

## ეკოლოგიური ცნობიერების მნიშვნელობისათვის განათლების სფეროს სპეციალისტების მომზადებისას

ეფემია ხარამე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საქმეში ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობა საყოველთაოდაა აღიარებული. საქართველოს საგანმანათლებლო დოკუმენტებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსწავლეებში ეკოლოგიური კომპეტენციის ჩამოყალიბება-განვითარებას, მიუხედავად ამისა, საქართველოში ეკოლოგიური სიტუაციის ამსახველი კვლევების მიხედვით, მწვავედ დგას ეკოლოგიური პრობლემები. ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია მომავალი თაობების მომზადება და აღჭურვა შესაბამისი გარემოსდაცვითი ცოდნით, უნარ-ჩვევითა და დამოკიდებულებებით. აქვე ხაზგასასმელია პრობლემის მორალურ-პოლიტიკური ასპექტი - ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სისტემაში ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია გარემოს დაცვას, კონსერვაციას და მდგრად განვითარებას. მდგრადი ეკოლოგიური განვითარება მხოლოდ გარემოს დაცვაზე არ არის ორიენტირებული. იგი გულისხმობს ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროს, მათ შორის სოციალურს, ეკონომიკურს, კულტურულს, პოლიტიკურს, დემოგრაფიულს. შესაბამისად, საქართველო, როგორც ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი, ვალდებულია ზრდიდეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გამზიარებელ თაობებს, რომლებიც თავიანთი ქმედებებით დამატებით საფრთხეს არ უქმნიან გარემოს.

საქართველოში გარემოსდაცვითი განათლება იწყება 1977 წლიდან. ამ წელს თბილისში გაიმართა მთავრობათაშორისი კონფერენცია. ეს კონფერენცია მიემდგვნა გარემოსდაცვითი განათლების საკითხებს.

საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის 2002 წლის 18 დეკემბრის №538 ბრძანებულებაში „მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის“ შესახებ, ხაზგასმულია ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობა, დასახელებულია საქართველოში გარემოს დაცვითი პრობლემების გადაწყვეტასთან უშუალოდ დაკავშირებული უწყებები, აღწერილია პროგრამის საფუძვლები; დასახელებულ მიზნობრივ ჯგუფებს შორის საგულისხმოა რამოდენიმე, კერძოდ:

- მასწავლებლები, მასწავლებელთა ტრენინგები, ლექტორები, კურიკულუმის ავტორები და სხვ;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვები, მოსწავლეები და სტუდენტები;

აღნიშნულ ბრძანებულებაში დაფიქსირებულია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია: „გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მომავალი თაობების მომზადება და აღჭურვა შესაბამისი გარემოსდაცვითი ცოდნით, უნარ-ჩვევებითა და მდგრადი გარემოსდაცვითი განწყობა-დამოკიდებულებებით.“ [1, გვ. 5].

„საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმის“ მიზანია „გარემოსდაცვითი განათლების ისე ორგანიზება, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე გარემოსადმი პასუხისმგებლობით



იყოს გამსჭვალული, ყოველი ქმედება საზოგადოებაში ცვლილებების გონივრული დანერგვისთვის აუცილებელ ცოდნას, უნარებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა ეფუძნებოდეს” [2]. ეს მიზანი, ამ დოკუმენტის თანახმად, მიიღწევა შემდეგი საკითხების გადაწყვეტით:

1. ხელისუფლების მმართველობითი როლის გაძლიერება გარემოსდაცვითი განათლების ხელშესაწყობად პოლიტიკის, საკანონმდებლო ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმების მოწესრიგებით.
2. გარემოსდაცვითი განათლების პროფილის გაზრდა განათლების სისტემის ფარგლებში და მის გარეთ.
3. ქსელური კავშირების, ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის ხელშეწყობა გარემოსდაცვით განათლებაში დაინტერესებულ მხარეებს შორის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე [2].

ადამიანის ეკოლოგიური კულტურა ორგანულად დაკავშირებულია მთლიანად პიროვნებასთან, მის სხვადასხვა მხარეებთან და თვისებებთან: საბუნებისმეტყველო განსწავლულობა უზრუნველყოფს ბუნების კანონზომიერებების, მასსა და ადამიანს შორის კავშირების შემეცნებას; ფილოსოფიური - იძლევა ადამიანის დანიშნულების გააზრების შესაძლებლობას; ესთეტიკური - ქმნის შესაძლებლობას აღტაცებისა და ტკბობის განცდისათვის.

ბავშვის მთელი ზნეობრივი მიმართულება ორიენტირებული უნდა იყოს ისეთი გრძნობებისა და მდგომარეობების განვითარებაზე, როგორცაა სიყვარული, სინდისის ღელვა, ბუნებასთან და ადამიანებთან ურთიერთობის განცდა როგორც უმაღლესი ბედნიერებისა. ამგვარი მიდგომის ორგანიზება შეუძლია მხოლოდ უფროსს, ამიტომ პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მზად უნდა იყვნენ ამგვარი განმავითარებელი საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზებისათვის.

სტუდენტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ პიროვნების ეკოლოგიური კულტურა წარმოუდგენელია სინამდვილისადმი პრაქტიკული დამოკიდებულების გარეშე, რომელიც ყალიბდება აღმზრდელთა და აღსაზრდელთა ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე.

ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებისა და შესაბამისად, ეკოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას განათლების სფეროში დაკავებული კადრების მომზადებისას.

ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ხორციელდება ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში. პიროვნების ეკოლოგიური მიმართულების ჩამოყალიბების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს სკოლამდელი ბავშვობა, ვინაიდან ამ პერიოდში საფუძველი ეყრება გარემო სინამდვილისადმი გაცნობიერებულ დამოკიდებულებას, გროვდება მკვეთრი შთაბეჭდილებები, რომლებიც დიდი ხნით (ზოგჯერ მთელი სიცოცხლე) რჩება ადამიანის მეხსიერებაში. დაწყებითი კლასების პედაგოგს უნდა ახსოვდეს, რომ სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში გარემოსთან ურთიერთობა ხორციელდება არაცნობიერ საფუძველზე. ბავშვები ანგარიშშიუცემლად არ ემიჯნებიან გარემოს, თავს გრძნობენ ბუნების სისხლხორცულ ნაწილად. ბავშვებს, ცხოველებსა და მცენარეებს შორის ყალიბდება ინტუიციური ურთიერთშეგრძნება და ურთიერთგაგებაც კი. ბავშვი გახსნილია იმისათვის, რომ აღიქვას და შეითვისოს ამ ურთიერთობათა ეკოლოგიური წესები, ისინი აქციოს თავის ჩვევებად [3, გვ. 100–105].

სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ეკოლოგიური აღზრდის საკითხების შესწავლისას რუსი მკვლევარები ტიუმასევი და კვაშა ბავშვების ეკოლოგიურ კულტურას განიხილავენ არა როგორც განსაკუთრებულ მოვლენას [4, გვ. 225–226], არამედ როგორც ბუნებასთან ადამიანის ერთიანობის კულტურას, როგორც ადამიანთა სოციალური საჭიროებებისა და მოთხოვნილებების ჰარმონიულ შერწყმას თავად ბუნების ნორმალურ არსებობასთან და განვითარებასთან. ბავშვებში ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბების დაწყების მნიშვნელოვანი მომენტი ხდება შესაბამისი სპეციალისტის პროფესიული მომზადების სისტემა. ამისათვის დაწყებითი საფეხურის მომავალი პედაგოგები უნდა ფლობდნენ ეკოლოგიური ცოდნის გარკვეულ სისტემას; პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას ბუნებრივი გარემოსადმი, საკუთარი ორგანიზმისა და სხვა ადამიანებისადმი; სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზების უნარს არა მარტო ბუნებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებისა და მოფრთხილების კუთხით, არამედ ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე ყურადღების გამახვილების თვალსაზრისითაც.

თემაზე მუშაობის დაწყებისას გადაწყვეტილად ჩაგვეტარებინა ძიებითი კვლევა, რადგან ჩავთვალეთ, რომ ამ გზით დავადგენდით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეკოლოგიური კომპეტენციის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების ზუსტად იდენტიფიცირებას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის 8 საჯარო სკოლამ (21–ე, 47–ე, 55–ე, 72–ე, 82–ე, 161–ე, 165–ე, 171–ე). გამოიკითხა 382 მოსწავლე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) და 27 მასწავლებელი. 4 დირექტორთან ჩატარდა ინტერვიუ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს, საკანონმდებლო და საგანმანათლებლო დოკუმენტებში ასახულია გარემოსდაცვითი განათლებისა და ეკოლოგიური ცნობიერების განვითარების

მნიშვნელობა, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით საზღვარგარეთის ქვეყნებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებათა მოწყობით და მასში მოსწავლეთა ჩართულობით. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლები და დირექტორები ერთხმად აღიარებენ სკოლის შიგნით და სკოლის გარეთ განხორციელებული აქტივობების მნიშვნელობას ეკოლოგიური კომპეტენციის განსავითარებლად, თუმცა კვლევის შედეგად ირკვევა, თუ როდენ დაბალია მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარების და მათში მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებლები. მაშინ, როდესაც საზღვარგარეთის ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველაწარმოადგინა პირობაა მოსწავლეებისთვის შექმნილი, რათა მათ ეფექტურად შეძლონ სახელმძღვანელოებიდან ნასწავლი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და ამ ყოველივეს შეგნების დონემდე დაყვანა, საქართველოში ამის ხელშეწყობა არ არის. სკოლათა დიდ უმრავლესობაში არ არსებობს ეკო-კლუბები, შესაბამისი ორგანიზაციები არ ახორციელებენ პროექტებს.

გამოიკვეთა სასკოლო სახელმძღვანელოების პრობლემა. ამ მხრივ შედარებით კარგი მდგომარეობაა დაწყებით საფეხურზე, სადაც სასწავლო პროგრამაში საკმაოდ ფართოდაა გაშლილი ეკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო სახელმძღვანელოებს, აქცენტები ნაკლებადაა აღნიშნულ საკითხებზე. ყველაზე კარგი მდგომარეობაა ბიოლოგიის სახელმძღვანელოში, ასევე აღსანიშნავია გეოგრაფიის სახელმძღვანელო, მაგრამ მასწავლებლების განცხადებით, თემები მაინც მწირია და სრულად ვერ მოიცავს საჭირო ინფორმაციას.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მხოლოდ პიროვნებას შეუძლია პიროვნების აღზრდა, ხოლო მოზარდებში ეკოლოგიური კულტურის განვითარება შეუძლია მხოლოდ შესაბამისი ცოდნითა და თვალთახედვით აღჭურვილ პიროვნებას – პედაგოგს. ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა გულისხმობს ესთეტიკურ აღზრდასაც, რომელშიც მოიაზრება ბუნების შემეცნებაც მთელ მის ბუნებრივ და ესთეტიკურ მთლიანობაში [3, გვ. 168–169].

ყოველივე აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ეკოლოგიური კომპეტენციისა და ეკოლოგიური აზროვნების განვითარების აუცილებლობა მოზარდ თაობაში. მეორეს მხრივ, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის პერსპექტივები დამოკიდებულია მოსახლეობის საყოველთაო ეკოლოგიურ წიგნიერებაზე, კრიზისული სიტუაციის სათავეების, არსისა და გადაჭრის გზების გაგებაზე. მაშასადამე, ეკოლოგიური განათლება და აღზრდა უნდა განვიხილოთ როგორც სოციალური დაკვეთა პედაგოგიური პრაქტიკისადმი. სამაშულო განათლების მოდერნიზაცია წამოჭრის ახალ მოთხოვნებს პედაგოგის პროფესიული მომზადებისადმი, რომელიც თავისი შედეგებით უნდა პასუხობდეს პიროვნების მოთხოვნილებას პროფესიული ჩამოყალიბებისადმი, ხოლო სახელმწიფოსი - პედაგოგიური კადრებისადმი. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საბაკალავრო პროგრამა „დაწყებითი განათლება“ და სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“. ეს უკანასკნელი მოიცავს მოდულს „განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა“, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის ხელმძღვანელი კადრებისა და ზოგადად, განათლების სფეროს სხვადასხვა სტრუქტურებში მომუშავე სპეციალისტების მომზადებას. ეკოლოგიური ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით, „დაწყებითი განათლების“ საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილია რამდენიმე სასწავლო კურსი, რომლებშიც, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლები დოზით აქცენტი სწორედ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში არის გამახვილებული: პედაგოგიკა, სასკოლო გარემო და მოზარდის ჯანმრთელობა, ბუნებისმცოდნეობა. რაც შეეხება „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამის მოდულს „განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა“, ეს უკანასკნელი შემოიფარგლება ორი დისციპლინით – პედაგოგიკითა და სასწავლო პროცესის ჰიგიენით. იქიდან გამომდინარე, რომ აქ მოყვანილი დისციპლინების უმეტეს ნაწილს ვასწავლი, შემძლია თავს უფლება მივცე, გამოვთქვა მოსაზრებები სტუდენტებში ეკოლოგიური ცნობიერების განმტკიცებისა და ეკოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებასთან მიმართებაში. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო საგანთა ჩამონათვალი საკმაოდ თვალსაჩინოდ მეტყველებს, რომ ყველა დისციპლინათა გავლის შედეგად, კუმულაციურად, ღირებული ცოდნა უგროვდებათ დაწყებითი საფეხურის მომავალ პედაგოგებს ეკოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ასე მაგალითად, „ბუნებისმცოდნეობა“ (სასწავლო კურსი 10 კრედიტი, საკონატაქტო 90 სთ, დამოუკიდებელი 160 სთ) და „სასკოლო გარემო და მოზარდის ჯანმრთელობა“ (სასწავლო კურსი 5 კრედიტი, საკონატაქტო 45 სთ, დამოუკიდებელი 80 სთ) მოიცავს, ძირითადად, საგნობრივ ცოდნის გაღრმავებისათვის საჭირო თემებს: გარემოზე ადამიანის დადებითი და უარყოფითი ზემოქმედების თანამედროვე წარმოდგენები, ცნება ბუნებრივი და ხელოვნური გარემოს შესახებ, ეკოსისტემის კომპონენტები: ბიოტური და აბიოტური, საქართველოს ბიომრავალფეროვნება, კვებითი ჯაჭვები, ადამიანის ცხოვრების წირი სხვადასხვა საარსებო გარემოში, პირადი ჰიგიენის ელემენტარული წესები, გადამდები დაავადებებისაგან თავის დაცვის ელემენტარული წესები, ადამიანის მიერ მცენარეებისა და ცხოველების გამოყენება,

მცენარეებისა და ცხოველების მოვლა, ცხოველებთან და მცენარეებთან უსაფრთხო ურთიერთობის წესები, გარემოსთვის ადამიანის საზიანო და სასარგებლო ქმედებები, საზოგადოებრივ ადგილებში ორიენტირების მარეგულირებელი ნიშნები, ჯანმრთელობა და დასასვენებელი ადგილები, გარემოში ქცევის წესები. „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო პროგრამის მოდულის „განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა“ ფარგლებში დისციპლინა „სასწავლო პროცესის ჰიგიენა“ (სასწავლო კურსი 5 კრედიტი, საკონტაქტო 60 სთ, დამოუკიდებელი 65 სთ) მოიცავს ეკოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით მრავალ მნიშვნელოვან და საგულისხმო თემასა და პრობლემურ საკითხს (მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაციული საკითხები; ექსკურსიების, ლაშქრობებისა და ტურიზმის ჰიგიენა, დანიშნულება და მნიშვნელობა მოზარდებისათვის; „ჯანმრთელი კვების“ პრობლემები მოზარდებში; ცნება „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, მისი არსი და მნიშვნელობა და სხვ.), რომელთა უფრო დაწვრილებითი, ღრმა ანალიზი თავის ასახვას პოულობს სემინარული დისკუსიების დროს, პრეზენტაციული ნაშრომების წარმოდგენისას, სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას და იმედს გვიტოვებს, რომ მიღებული ეკოლოგიური ცოდნა პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოვებს სამომავლოდ მათი პროფესიული საქმიანობის პერიოდში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში მეტი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიური ცნობიერებისა და აზროვნების ჩამოყალიბებას როგორც შესაბამისი პრაქტიკული ცოდნის დაუფლების თვალსაზრისით, ასევე უფრო მიზანმიმართული სასწავლო დისციპლინების მეშვეობით, როგორცაა ეკოლოგიური ფსიქოლოგია და პედაგოგიკა, ეკოლოგიური ფსიქოფიზიოჰიგიენა და სხვ.

ამდენად, როგორც ვნახეთ, საქართველოს, საკანონმდებლო და საგანმანათლებლო დოკუმენტებში ასახულია გარემოსდაცვითი განათლებისა და ეკოლოგიური ცნობიერების განვითარების მნიშვნელობა, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით საზღვარგარეთის ქვეყნებს, ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებათა მოწყობით და მასში მოსწავლეთა ჩართულობით, რასაც საფუძვლად უდევს მათში პრაქტიკული ცოდნის სიმწირე. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ეკოლოგიური ცოდნისა და ეკოლოგიური აზროვნების განვითარებისათვის ზრუნვის აუცილებლობა განათლების სფეროს მომავალი სპეციალისტების მომზადებისას.

#### ლიტერატურა:

1. პრეზიდენტის ბრძანებულება „მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის“ შესახებ, 2002;
2. „საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ (2012-2014), 2012;
3. ჭკუასელი ქ., ჭკუასელი ი., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბილისი, 2012;
4. Тюмасева З.И., Кваша Б.Ф., Культура любви к природе, экология и здоровье человека, Челябинск, 2003.

## FOR THE IMPORTANCE OF ECOLOGICAL CONSCIOUSNESS IN PREPARATION OF SPECIALISTS OF EDUCATIONAL SPHERE

**Ephemia Kharadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor**  
**RESUME**

Environmental protection and sustainable development of environmental education is recognized. One important part of the educational documents of the students is through development of environmental competence. In this context it is essential to train and equip the next generation of environmental knowledge, skills and relations. Only a person can bring up the person, youth culture of the ecological point of view can only be equipped with the knowledge and personality - the teacher. Aesthetic education means upbringing of harmoniously developed personality, which includes the nature of knowledge in all its natural and aesthetic integrity.

Thus, the present work aims at the development of ecological awareness and compliance with, environmental problems related to the review of the education sector busy thinking training.

The study found that the legislative and educational documents are reflected in environmental education and environmental awareness of the importance of development, however, is significantly behind foreign countries, educational institutions in this regard the measures and construction of student involvement, based on practical knowledge of the lack of resources and environmental awareness disconnect ecological logic of the education sector in the preparation of future specialists.

## არაფორმალური წერის სტრატეგიის როლი ინგლისური ენის სწავლებისას

ხათუნა ხარხელი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

XX საუკუნის დასაწყისი ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დონის მზარდი აღმავლობით ხასიათდებოდა. შესაბამისად, იზრდებოდა მოთხოვნა უცხოური ენების მცოდნე ადამიანებზე. უცხოური ენა სავალდებულო საგანი ხდება, როგორც ევროპის, ისე ამერიკის სკოლებში, რამაც ენების სწავლების მეთოდების ინტენსიურ დამუშავებას შეუწყო ხელი.

XXI საუკუნე გლობალური ცივილიზაციისა და ტექნიკური აღმავლობის ერაა და აქ ადამიანთა კონტაქტი უცხო ენების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. საერთაშორისო პროექტები, სიმპოზიუმები და სოციალური ქსელები ადამიანთა ურთიერთობის ყოველდღიურ ფორმად იქცა. დღის წესრიგში დგება საკითხი ენის შესასწავლად სწრაფი და დახვეწილი მეთოდების მოძიება. ინგლისური ენის დომინანტობა ამკარაა, ამიტომ დაინტერესებასთან ერთად ისმის კითხვა როგორ ვისწავლოთ და როგორ ვასწავლოთ.

გამოჩენილი ინგლისელი მეთოდისტი ჰ. პილმერი მოსწავლეთა აქტიურ საქმიანობად თვლის საუბარს და წერას, პასიურად კი კითხვას და მოსმენას, მაგრამ ერთი პირობით აქტიურ საქმიანობას მასალის პასიური აღქმა უნდა უძღვოდეს წინ, ე.ი. მოსწავლეებს ჯერ უნდა განუვითარდეთ მოსმენილის გაგების, შემდეგ კი საუბრის, ჯერ კითხვის, ხოლო შემდეგ კი წერის უნარი. ამიტომაც, პილმერი სწავლებას პირველ საფეხურზე 1<sup>1/2</sup>-2 თავის ხანგრძლივობის „ინკუბაციურ“ პერიოდს გვთავაზობს. ამ დროის განმავლობაში მოსწავლეები ეჩვევიან გამონათქვამის საერთო აზრის სმენით გაგებას და უცხოური ენის გარემოცვაში იმყოფებიან ისე, როგორც ეს მშობლიური ენის შესწავლისას ხდება. მოსწავლეები მშობლიური ენის გაგებას ინტუიციურად იწყებენ, პილმერი ფიქრობს, რომ ასევე უნდა მიეჩვიონ უცხოური ენის გაგებასაც, რადგან შეგნებული სწავლება უფრო დიდი დროის დახარჯვას მოითხოვს, ამიტომაც იგი მომხრეა ენობრივი ერთეულების ზეპირად დასწავლის ყოველგვარი ანალიზისა და კომენტარის გარეშე.

უცხოური ენების შესწავლის პროცესს ბლუმფილდი იხილავს, როგორც ასოციაციათა შექმნის პროცესს. მისთვის ენის სწავლების ძირითადი პრინციპია ინფორმანტის (ენის მატარებლის) მოსმენა და მიბაძვა. ამის გარდა, იგი საჭიროდ მიიჩნევს ვარჯიშს და ზეპირად დასწავლას. ბლუმფილდი, ისევე როგორც პილმერი, ნაკლებ ეფექტურად შეგნებულ სწავლებას თვლის და მას ენის ინტუიციურობის პრინციპზე აგებულ იმანენტურ სწავლებას უპირისპირდება.

ენის სწავლების უკეთესი ორგანიზაციისათვის დ. ბლუმფილდი მოითხოვს, რომ მთელი მუშაობა ინფორმანტსა და მასწავლებელ-ლინგვისტს შორის განაწილდეს. პირველის მოვალეობად თვლის მოსწავლეებთან სხვადასხვა თემებზე საუბარს, მიაჩნია, რომ უმჯობესია ინფორმანტი სრულყოფილად ფლობდეს ენას პრაქტიკულად და არ იცოდეს თეორია, რადგან მისი მოვალეობაა მოსწავლისათვის შესასწავლ ენას ზეპირად დაუფლება, მას შეუძლია გაეცნოს ანბანს და დაიწყოს კითხვა. კითხვას ყოველთვის მასალის ზეპირად დასწავლა უნდა უძღვოდეს წინ. რადგანაც როგორც ბლუმფილდი ფიქრობს, კითხვის უნარ-ჩვევის გამომუშავებაში, დიდ როლს ენაზე ზეპირი მუშაობა თამაშობს.

ენის რეცეპტულად დაუფლებისათვის უცხოური ენების კითხვის მეშვეობით სწავლების მეთოდიკამ ფართო გავრცელება ჰპოვა XX საუკუნის 20-30 იან წლებში. იგი განსაკუთრებით პოპულარული იყო აშშ-ში, ინდოეთისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. იმ მეთოდისტებს შორის, რომლებიც კითხვის სწავლების მეთოდებზე მუშაობენ, ყველაზე პოპულარულია ინგლისელი მეთოდისტი მ. უესტი. მან დაამუშავა ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა და დაწერა დაახლოებით 100 შრომა, როგორც კითხვის და ზეპირი მეტყველების სწავლების, ასევე სასწავლო ლექსიკონების შერჩევა-შედგენის შესახებ. მისი ყველა დებულება მის მიერ შედგენილ ინგლისური ენის სახელმძღვანელოებშია რეალიზებული.

უცხოური ენების სწავლების მიზნების განსაზღვრისას ინგლისელი მ. უესტისათვის ამოსავალია არა მარტო პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებიც. თავისი მეთოდური სისტემა, უესტმა პირველ რიგში ბენგალის სკოლებისათვის დაამუშავა. ამ ფაქტმა დიდი გავლენა იქონია მის შეხედულებებზე. სკოლის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანა ყველა მოსწავლისათვის ინგლისური ენაზე კითხვის სწავლება იყო (მხოლოდ ზოგიერთისთვის საუბრის და წერისაც). უესტის აზრით, ეს შესაძლებლობას მისცემდა მოსწავლეს ზიარებოდა, როგორც ბრიტანეთის ასევე, მსოფლიო კულტურასაც. გარდა პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებისა, უესტი კითხვას ფსიქოლოგიური და მეთოდური თვალსაზრისითაც ანიჭებს უპირატესობას, მისი აზრით, ენის დაუფლების პირველადი ფორმები რეცეპტული ხასიათისაა და გაცილებით იოლია, ვიდრე რეპროდუქტული, რადგან მოსწავლისაგან ნაკლებ გონებრივ დამაბულობას მოითხოვენ. ენის რეცეპტულად ათვისების ორი სახიდან კი ის კითხვას

უფრო ადვილად მიიჩნევს ვიდრე აუდირებას. ამიტომაც მის პედაგოგიურ პროცესში კითხვა წინ უსწრებს სმენით აღქმას.

ამ თეორეტიკოსების ნააზრევის შესწავლის შემდეგ ჩავთვალე საჭიროდ ჩამეტარებინა მცირე კვლევა პირველკურსელებთან, რომლებსთვისაც არ იყო ინგლისური პირველადი ენა და გამეგო სწავლებისას რომელი ფორმა უფრო საინტერესო და შედეგის მომცემი იქნებოდა ჩემთვის. ძირითადი აქცენტი გადავიტანე წერაზე, რადგან დღევანდელი ახალგაზრდები მესიჯებისა თუ ფეისბუქის საშუალებით აქტიურად იყენებენ ამ ფორმას. შევადგინე ანკეტა, რომელშიც ვთხოვდი სტუდენტებს მოკლე ტექსტური შეტყობინებისათვის ჩამოეწერათ რა სიტყვებს იყენებდნენ, რამდენი სიტყვისაგან ადგენდნენ ამ ტექსტს და რა სიხშირით წერდნენ. ამავდროულად, უნდა დაეწერათ ერთი მოკლე ტექსტი მეგობართან, მესიჯის სახით, ჯერ ინგლისურად, შემდეგ ქართულად. ამ გამოკითხვის შედეგების გაცნობის შემდეგ ე.წ. ტ- დიაგრამის ფორმატზე გადავიტანე სწორი და არასწორი სიტყვები და თვალსაჩინო გავხადე რაოდენობა მათ მიერ დაწერილი სიტყვების სისწორე. შედეგი სავალალო იყო, რადგან მათ მიერ დაწერილი შეტყობინებიდან ამოვიკითხავდი აზრს მეტნაკლებად და არა სწორად. აღმოჩნდა, რომ არაფორმალური წერა, რომელიც სისტემატური გახდა ახალგაზრდებისათვის, საფუძველი ხდება ენის დამახინჯებისა და ინგლისური ანბანის, ამავდროულად, ბოროტად გამოყენებისა ქართულად წერის დროს. ასოთა გამოყენებამ ქართულად ტექსტის აკრეფისას პრობლემები შეუქმნა ასოების ქართულად შ, ყ, ჩ, ჭ, წ წერას, ინგლისურად დიფთონგების წერას და აზრის ლოგიკურობას. საინტერესო იყო იმის გარკვევაც, რომ სტუდენტები მოკლე ტექსტური შეტყობინებების დროს უპირატესობას ანიჭებდნენ ინგლისურ ანბანს, ვიდრე ქართულს, საკითხზე შეკითხვას კი იმით ხსნიდნენ, რომ ტექნიკური საშუალებებთან მუშაობისას ეს უფრო ხელეწიფებოდათ.

ისმის კითხვა – დღეს, ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესების მიმართულებით, არაფორმალური მიმოწერა უკეთესი იქნება თუ არა გამოვიყენოთ ენის შესწავლის ერთ-ერთ გზად, ამავდროულად, შევთავაზოთ ფორმა არაფორმალური ტესტების ნიმუშების სახით, რაც ვფიქრობ, არა მარტო ინგლისურად ტესტების წერას შეუწყობს ხელს, არამედ ქართული ანბანის პატივისცემას, სწორად წერის კულტურას აამაღლებს.

წერა, ზეპირმეტყველებასთან ერთად, არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკომუნიკაციო საშუალება. წერის გზით ადამიანი გადასცემს თავის აზრებს სხვებს, რომლებიც მისგან დაშორებული არიან დროით და მანძილით. წერის გზით ადამიანი ახდენს თავისი აზრების ფიქსირებას და მათ დავიწყებისგან ინახავს. ყველაფერი ეს აფართოებს ადამიანის ურთიერთობის შესაძლებლობას სხვა ადამიანებთან, ამდიდრებს მის ცოდნას, ავითარებს მის აზროვნებას და ხელს უწყობს თვით ენის განვითარებასაც. მაშასადამე, ამ დებულებიდან ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ წერა, ისე როგორც ზეპირი მეტყველება, საკომუნიკაციო საშუალებაა, ამასთანავე, მას ის უპირატესობა აქვს, რომ დაწერილი და დაბეჭდილი შეიძლება შეინახოს შეუცვლელი სახით განუსაზღვრელი დროით და გაიგზავნოს ნებისმიერ მანძილზე.

წერის მიმართულებაში გამოვყავით ხუთი ძირითადი სასწავლო მიზანი:

1. წერის ტექნიკის დახვეწა;
2. სხვადასხვა სახის წერილობითი ტექსტების შექმნა;
3. თვითგამოხატვა და შემოქმედებითობა;
4. ენობრივი გამართულობა;
5. წერის სტრატეგიების დაუფლება.

#### წერის ტექნიკის დახვეწა

1. მოსწავლეს შეუძლია წინადადების გადაწერა და კარნახით წერა.	<ul style="list-style-type: none"> <li>- ნაბეჭდი ფურცლიდან/დაფიდან გადაწერს სიტყვებს, წინადადებებს.</li> <li>- აქვს მკაფიო და ადვილად აღსაქმელი ხელწერა;</li> <li>- იცავს მანძილს ასოებს, სიტყვებს შორის;</li> <li>- სათანადოდ ანაწილებს ტექსტის სტრუქტურულ ერთეულებს საწერ სივრცეში;</li> <li>- კარნახით წერს სიტყვებსა და წინადადებებს;</li> <li>- დამოუკიდებლად იყენებს ძირითად სასვენიშნებს (წერტილს, მძიმეს, კითხვის ნიშანს.)</li> </ul>
სხვადასხვა სახის წერილობითი ტექსტების შექმნა	

<p>2. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ზომის ტექსტების მოდელირება და შექმნა.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- წერილობით პასუხობს მარტივ კითხვებს;</li> <li>- მოდელის მიხედვით ქმნის და აფორმებს სხვადასხვა სახის ყოფით ტექსტებს;</li> <li>- წერს მარტივ ინსტრუქციებს;</li> <li>- მოდელის მიხედვით აგებს და სათანადოდ აფორმებს მარტივ დიალოგებს;</li> <li>- სწერს წერილს მეგობარსა და წარმოსახვით პერსონალს;</li> <li>- სხვადასხვა საგანში შექმნილ ცოდნის საფუძველზე ქმნის მცირე ზომის თხზულებას (მაგ: შემოდგომა, „შინაური ცხოველები“ და სხვა.)</li> <li>- ტექსტის შედგენის დროს იყენებს ახლად შესწავლილ სიტყვებსა და ფრაზებს.</li> </ul>
--	---

უცხოური ენის სწავლებაში კომპიუტერის გამოყენებამ სრულიად შეცვლა, საინტერესო და მრავალფეროვანი გახადა სასკოლო ცხოვრების სინამდვილე.

ინტერნეტს კოლოსალურ ინფორმაციულ შესაძლებლობებთან ერთად, შთამბეჭდავი მომსახურების სფერო გააჩნია. მისი მეშვეობით ხდება სწავლების მიზნებითა და დიდაქტიკური ამოცანებით განპირობებული შემეცნებითი მოქმედებების რეალიზაცია, ცოდნის გაფართოება, ადამიანისა და სამყაროს შეცნობა, მისი რესურსების გამოყენების მეთოდურ ასპექტზე ყურადღების გამახვილება. ინტერნეტით გამოყენების მეთოდური ასპექტი კომუნიკაციური კომპეტენციის ფორმირებაა, შინაარსით კი სამეცნიერო აქტივობის სახეების დაუფლება.

კომპიუტერის დახმარებით ენის შესწავლა შემოქმედებითი პროცედურაა, სადაც ხორციელდება ახალი მეთოდური ხერხების გამოვლენა, ტექსტებზე მუშაობის ტექნოლოგიების სრულყოფა, მასალის თანმიმდევრული ათვისება, ურთიერთობის ფორმების დადგენა, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის კონტაქტების დამყარება, ამიტომ ეს თანამედროვე საშუალებაა, რომელსაც დღევანდელი მოსწავლეები პირველი კლასიდან ეზიარებიან, ის მოთხოვნები, რომელიც განათლების სამინისტროს აქვს ენობრივი გამოცდების მთლიანად 2016-2017 სასწავლო წელს კომპიუტერით ჩაბარების თვალსაზრისით, აუცილებელს ხდის უფრო მეტი გზა მოძებნოთ, რომ ეს სახალისო ურთიერთობა ახალგაზრდებში სწავლისა და სწავლების თანამედროვე ფორმად ვაქციოთ.

**ლიტერატურა:**

1. ლ. გიორგობიანი (2004). უცხოური ენების სწავლების თეორია და მეთოდოლოგია. გვ. 191-200
2. ი. ს. გვარჯალაძე (1957). ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის საფუძვლები. გვ. 239-250.
3. მ. კრავიცივილი (2002). უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია. გვ. 175-181.
4. J. Harmer ( 2007) How to teach English. P. 121-145.
5. Source: <http://ole.spsd.sk.ca/DE/PD/instr/starts/jigsaw/index.html>

**ROLE OF THE INFORMAL WRITING STRATEGY IN ENGLISH LANGUAGE TEACHING**

**Khatuna Kharkheli, Gori State Teaching University, Specialist by contract**

**RESUME**

The paper “Role of the informal writing strategy in English Language Teaching” represents the overview of English language teaching strategies and peculiarities. The importance of these methods are discussed by the outstanding Methodists and the choice to raise the theoretical guidance of learning English in a short time thoroughly is given to us. Simultaneously, a brief study considers the pros and cons of informal correspondence and demonstrates a problem of contemporary students.

The paper also deals with modeling and creating of the texts of different size. It focuses on the development of practical skills for the citizens of 21<sup>st</sup> century in order to master English language in a better way.

The aim of the paper is to make focus and emphasize the priority indicators of reading, writing, video and audio means in the process of language teaching by the individual approach and strong practical skills.

## MULTICULTURALISM THROUGH ROLE PLAYS

**Gulnara Janova**, Samtskhe-Javakheti State University, Associate Professor  
**Maka Murvanidze**, Samtskhe-Javakheti State University, Assistant Professor

As language and culture are interrelated, language cannot be taught without culture, but there are many ways of co-teaching language and culture. One of them is role play. The main question is: what culture is rising and unfolding in your classroom today? In the present multicultural world, this sense of belonging is what makes the difference between a united or fractured society. We decided to express our understanding of teaching culture with role plays. We present situation in Georgian classroom, with Samtskhe-Javakheti State University students, as far as there are many students of different nationalities (Russians, Ukrainians, Azeri, Armenians, Turkish) and the role play is one of the technique we use to integrate these students in our multicultural classroom.

Multicultural play through the aid of well chosen multicultural play materials can prepare students for meaningful experiences. It widens students' mind and expands their capacity to accept people and things that are different from them. Moreover, multicultural play exposes children to a variety of cultures all within the comforts and safety of their classroom. This exposure further helps them explore their identity in the context of another culture. Also, when teachers provide multicultural play in the classroom they are essentially providing a practical, cognitive and behavioral cross-cultural social skills training package that gives children the tools needed for succeeding in unfamiliar societies.

Culture is the shared values, beliefs, views, traditions, norms, customs, arts, folklore and history of a group of people. It includes: race of ethnicity, country of origin, roles of women and men, age, religion of spiritual practice, language of dialect, food, common beliefs, sexual orientation, family structure, residence, education, socioeconomic statuses, profession and health statuses. Culture greatly affects our health decisions, it can affect our behaviors about: diet and nutrition, pregnancy, breastfeeding, alcohol and drug use, family planning and health care (Internet 1).

There are different ways of teaching second/foreign language culture (L2) and as we mentioned above one of them is role play. Though the concept of role play is not new, scholars did not find agreement on the definition on the terms. Such words as *role play*, *stimulation*, *drama* and *game* sometimes are used interchangeably, but in fact, they illustrate different notions. *Stimulation* is the situation in which the students play a natural role and in a *role play* students play a part they do not play in their real life (Kodotchigova 2002).

We agree with these opinions and add our imagination about role play. We suppose, that role play is a speaking activity, when a student put themselves into a somebody else's shoes. The joy of role play is that students can "become" anyone they like for a short time. It is fun and motivating. Role play enables students to explore their values and appreciate other culture values based on deferent actions.

If you are considering introducing multicultural play in the classroom for the first time, here are some tips to help you cruise through! Multicultural play should be accurate: The resources you choose should be an accurate representation of the culture. Blend contemporary and traditional: In order to give students an accurate sense of a culture, you need to incorporate the past and the present. Celebrate traditions and festivals: Use multicultural play to celebrate important days in other cultures ( Internet 2)

Scholars suggest different steps and various successions in applying role play in teaching. We represent those widely known approaches , which are best fitted with our students.

**Step 1.** A situation for a role play: Choose a situation for a role play, keeping in mind students' needs and interests. Teachers should select role plays that will give the students an opportunity to practice what they have learned. To find a situation for a role play, write down situations you encounter in your own life, or read a book or watch a movie, because their scenes can provide many different role play situations.

**Step 2.** Role play design: Students' level of language proficiency should be taken into consideration.

**Step 3.** Linguistic preparation: After selecting the suitable role play, predict the language needed for it (Livingstone, 1983).

**Step 4.** Factual preparation: This step implies providing the students with concrete information and clear role descriptions, so that they could play their roles with confidence (Byrne, 1983).

**Step 5.** Assigning the roles: Asking volunteers to act out a role play in front of the class (Livingstone, 1983).

**Step 6.** Follow-up: Asking every students' opinion about the role play and welcoming their comments. The aim is to discuss what has happened in the role play and what they have learned ( Milory, 1982).

According to above mentioned approaches, we want to present some activates, which we usually use in language teaching process, in Samtskhe-Javakheti State University mainly with multicultural society. English is the second language not only for Georgian students, but for other nationalities as well. So, there are some problems while learning language. They have difficulties with pronunciation, lack of confidence and mostly they do not have appropriate vocabulary. To make them more active and free in their speech, we try to plan lectures according to their needs and interests and at the same time choose such role play activaties, where students are asked to identify with a given familiar or non-familiar roles and to interact with the other role character within the given socio cultural situation. Below are some mostly students' favorite and actively used multicultural / cross-cultural activities.

**1. Reported speech: The marriage between different nationalities** – (nationalities are chosen according to present day situation, e.g. husband – Armenian, wife – Georgian). First in groups of three, students brainstorm problems, that a newly married couple, might have that could cause them to stop speaking to each other. Secondly, students are each assigned the role: husband, wife, mother-in-law, father-in-law, neighbours, friends and colleagues of different nationalities, beliefs and religions. Their role is to save newly married couple's marriage. But because the newly weds are not on speaking terms, everything the husband or wife says, must go through them using reported speech. They should find a solution and help newly married couple. In this activity students practice reported speech as well.

**2. Imaginary countries** – In role plays four students of different nationalities are travelling through imaginary countries. Each role play set represents one of the following lands: Crony, Ord, Fondi and Lindi. The four students go out on their own to explore, what given land is like. After some time, they want to go back to their hotel, but they have walked far from it and, unfortunately, lost their money. They need enough money for bus fare back to their hotel. They decided to ask two natives for help. The two students, who take on the roles of native citizens, should behave as they think real citizens would behave. In these imaginary lands there are certain ways of doing things, for example, when Fondis agree with something, they frown and look down. When they disagree, they smile and nod their heads. Dandis stand a little bit far or too closer to people talking with them. Cornies would not listen to a male if he asks for a favor, because in their society everything important is decided by females, males talk only of unimportant things. The students who play different nationalities have to figure out a proper way to ask money from the natives. If they fail to understand how the things are done in these lands, the natives will not loan them the money. This role play is adopted one from Smith and Otero (1977). (Kodotchigova 2002).

**3. When cultures clash: Multiculturalism and clothing** – First students brainstorm those problems which people might have according to their nationality clothes in different countries. Then they are sitting in a group and discussing the problems of clothing in their society. Students have different nationality roles and at the same time they should represent different members of society, for example one could be a neighbor, others principle of school / university, teacher, parent, student, policeman, actor, painter and so on. Topic could be chosen according to students interest for instance, should Turkish girls be allowed to wear their scarves at university? Or do they believe the majority has the right to make certain rules about customs even though it violates someone's religious beliefs? (Folse 2005).

**4. Culture and humor** – students prepare a joke in their native language and bring translated ones in class. They share this joke with the rest of the class. This activity runs in a fun way. Mostly students do not understand other nationality jokes or "punch lines" are not translated correctly. They begin to discuss and sometimes even debate. This activity is entertaining and at the same time make students to understand the humor and some features of their friends' culture better (Folse 2005).

In conclusion, role play can improve learners' speaking skills in any situation and helps them to interact and express hidden feelings and emotions, gain self-confidence, gives practice in various types of behavior. If we accurately match the multicultural problem situation to the needs of the group, the solving of the realistic life problems can be expected.

#### REFERENCES:

1. Byrne, D. (1983). Cuecards. In S. Holden (ED), *Second Selections from modern English Teacher*. Harlow. Longman.
2. Folse, S.Keith. (2005). *Discussion Starters (Speaking Fluency Activities for Advanced ESI/EFL Students)*. The University of Michigan Press.
3. Kodotchigova, M.A. (2002). *Role Play in Teaching Culture: Six Quick Steps for Classroom Implementation*. The Internet TESL Journal, Vol. VIII, No.7 July. <http://iteslj.org/>
4. Livingstone, C. (1983). *Role Play in Language Learning*. Harlow: Longman
5. Milory, E. (1982). *Role-Play: a practical guide*. Aberdeen. Aberdeen university Press.

#### INTERNET RESOURCES:

1. Multicultural Awareness: working with Diverse participants. Washington State Department of Health, 2012. [www.doh.wa.gov/portals/1/documents/pubs/961-959-workingwithdivercepaticipants.pfd](http://www.doh.wa.gov/portals/1/documents/pubs/961-959-workingwithdivercepaticipants.pfd)
2. [globalkidsoz.com.au/multicultural\\_play.php](http://globalkidsoz.com.au/multicultural_play.php)

#### RESUME

This article addresses the issue of role play in teaching foreign language and a foreign culture. It introduces a step-by-step guide to making up a successful role play and examines role play in preparing learners for intercultural communication. We suggested different approaches guide to applying role play in L2 teaching and using role play in preparing learners for intercultural communication. Above mentioned methods and given activities show the effectiveness of experiencing cultural principles and cultural awareness. It gives an opportunity to be emotionally involved in cross-cultural learning and reflect upon cultural differences. Students learn to examine their perceptions and treat representatives of other cultures with empathy.



**მათემატიკა და ინფორმატიკა**  
**Mathematics and Informatics**


**ქართულ ენაში „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ**

**დავით ზარნაძე**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნ. მუსხელიშვილის  
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი  
**სოსო ცოტნიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ტრისტან ტურაშვილი**, აკადემიური დოქტორი

არაგამომრიცხავი და გამომრიცხავი დისიუნქცია (Disjunction) და „ან“, „ან ..., ან ...“ და „ან მხოლოდ ..., ან მხოლოდ ...“ კავშირები ჩვენ განვიხილეთ [1] ნაშრომში. აკადემიკოს ავ. შანიძისა და ლ. კვაჭაძის წიგნში ([2], გვ. 58) მაცალკეებელი კავშირი „ან..., ან...“ განმარტებულია ზუსტად ასეთი გამომრიცხავი მნიშვნელობით: „ან..., ან...“ მაცალკეებელი კავშირის გამოყენებით აღინიშნება, რომ დასახელებულ ერთნაირ წევრთაგან ამორჩეული იქნეს ერთ-ერთი (სხვების გამორიცხვით)“. „ან მხოლოდ ..., ან მხოლოდ ...“ კავშირი განხილულია ზუსტად იმ აზრით, როგორცაა [3]-[4]-ში და ის ორჯერადი გამოყენებისას ემთხვევა „ან..., ან...“ კავშირს. წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სამჯერადი გამოყენებისას ეს კავშირები უკვე აღარ ემთხვევიან ერთმანეთს. ასევე ანალოგიურად განიმარტება არაგამომრიცხავი დისიუნქცია სამი წინადადებისათვის (გამონათქვამისათვის): „P, Q ან R“ ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ერთი დისიუნქტი მაინც ჭეშმარიტია. სქემატურად  $P \vee Q \vee R = (P \vee Q) \vee R = P \vee (Q \vee R)$ . ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილს ექნება სახე:

P	Q	R	$P \vee Q$	$(P \vee Q) \vee R$	$Q \vee R$	$P \vee (Q \vee R)$	$(P \vee Q) \vee R = P \vee (Q \vee R)$
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ
მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	ჭ

$P \vee Q \vee R$  სიმრავლურად ასე წარმოდგინდება:  $P \cup Q \cup R$ , ხოლო გრაფიკულად ასე:




ნახატი 1

გრამატიკულად: იწერება დამატებითი მძიმის გარეშე „P, Q ან R“.

გამომრიცხავი დისიუნქცია „ან P, ან Q, ან R“ სამი და მეტი წინადადებისათვის. ლოგიკაში მიღებული წესის თანახმად გამომრიცხავი დისიუნქცია სამი წინადადებისათვის.  $P+Q+R$  განიმარტება ტოლობით  $P+Q+R=(P+Q)+R=P+(Q+R)$ , სადაც მეორე ტოლობის მტკიცება მოცემულია ცხრილში:

P	Q	R	P+Q	(P+Q)+R	Q+R	P+(Q+R)	(P+Q)+R=P+(Q+R)
ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	ჭ	ჭ
ჭ	ჭ	მ	მ	მ	ჭ	მ	ჭ
ჭ	მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	ჭ
ჭ	მ	მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ
მ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	ჭ
მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	ჭ

$P+Q+R$  სიმრავლურად ასე წარმოდგინდება:  $((P \cup Q \cup R) \setminus ((P \cap Q) \cup (Q \cap R) \cup (R \cap P))) \cup (P \cap Q \cap R)$ , ხოლო გრაფიკულად ეილერ-ვენის დიაგრამით ასე:



ნახატი 2

გრამატიკულად: იწერება ორი მძიმით „ან P, ან Q, ან R“.


შევნიშნოთ, რომ  $P_1, P_2 \dots P_n$  გამონათქვამებისათვის გამომრიცხავი დისიუნქციური წინადადება  $P_1+P_2+ \dots +P_n$  ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კენტი რაოდენობის წინადადებები ჭეშმარიტია და მცდარია, როდესაც ლუწი რაოდენობის წინადადებები ჭეშმარიტია.

**შენიშვნა:** ლოგიკაში განიხილება აგრეთვე „სამობითი (სამმაგი) გამომრიცხავი ან“ („Ternary exclusive or“) [5]. ის არის ჭეშმარიტების ორ მნიშვნელობიანი ფუნქცია, რომელიც ჭეშმარიტია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამიდან მხოლოდ ერთი არგუმენტია ჭეშმარიტი. სხვა სიტყვებით, სამობითი გამომრიცხავი ან უნდა გამოითქვას შემდეგნაირად: „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q, ან მხოლოდ R“. ის შეიძლება აგრეთვე ასე გამოითქვას: „ან P, ან Q ან R, მაგრამ არა ორივე ან სამივე ერთად“. ჩვენ მხოლოდ ამ სტატიამ ალენიშნავთ „სამობით (სამმაგ) გამომრიცხავი ან“-ს („Ternary exclusive or“) ასე:  $P \oplus Q \oplus R$ .

განმარტების თანახმად ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილს „სამობითი გამომრიცხავი ან“-ისათვის ექნება სახე:

P	Q	R	$P \oplus Q \oplus R$ „სამობითი გამომრიცხავი ან“
ჭ	ჭ	ჭ	მ
ჭ	ჭ	მ	მ
ჭ	მ	ჭ	მ
ჭ	მ	მ	ჭ
მ	ჭ	ჭ	მ
მ	ჭ	მ	ჭ
მ	მ	ჭ	ჭ
მ	მ	მ	მ

$P \oplus Q \oplus R$  სიმრავლურად ასე წარმოდგინდება:  $(P \cup Q \cup R) \setminus ((P \cap Q) \cup (Q \cap R) \cup (R \cap P))$ , ხოლო გრაფიკულად ასე:



ნახატი 3

ქართულად იკითხება: „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q, ან მხოლოდ R“. გრამატიკულად: იწერება ორი მძიმით მეორე და მესამე „ან“-ის წინ: „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q, ან მხოლოდ R“.

ზემოთ მოყვანილი ცხრილები გვიჩვენებენ, რომ სამი P, Q და R წინადადებისათვის გამომრიცხავ დისიუნქციურ წინადადებებს „ან P, ან Q, ან R“ და „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q, ან მხოლოდ R“ უკვე აღარ აქვთ ერთნაირი ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილი („ან P, ან Q“-სა და „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q“-საგან განსხვავებით) [1]. კერძოდ, „სამობითი გამომრიცხავი ან“-ის „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q, ან მხოლოდ R“ ჭეშმარიტობიდან გამომდინარეობს „ორობითი გამომრიცხავი ან“-ის

ჭეშმარიტობა, რომელიც ასე ჩაიწერება:  $(P \oplus Q \oplus R) \Rightarrow (P+Q+R)$ . მაგრამ შებრუნებული უკვე აღარ არის სამართლიანი.

საილუსტრაციო მაგალითი ([6]. გვ. 221, სავ. 125): დავუშვათ ექიმა პაციენტის ოჯახის წევრებს უთხრა: ავადმყოფმა უნდა მიიღოს ან ამპიცილინი, ან ლევომიცეტინი, ან გენტამიცინი.

**რომელ შემთხვევაში შესრულდა ექიმის მითითება?**

ა) ოჯახის წევრებმა იყიდეს და ავადმყოფს დააღვინეს ლევომიცეტინი და ამპიცილინი

ბ) ოჯახის წევრებმა იყიდეს და ავადმყოფს დააღვინეს ლევომიცეტინი

გ) ოჯახის წევრებმა იყიდეს და ავადმყოფს გაუკეთეს გენტამიცინის ინექცია, ხოლო ტაბლეტების სახით დააღვინეს ამპიცილინიც და ლევომიცეტინიც

დ) ოჯახის წევრებმა იყიდეს და ავადმყოფს დააღვინეს ტემპალგინი

მითითება. აღვნიშნოთ: P - ავადმყოფმა უნდა მიიღოს ამპიცილინი, Q- ავადმყოფმა უნდა მიიღოს ლევომიცეტინი, R - ავადმყოფმა უნდა მიიღოს გენტამიცინი. მაშინ სავარჯიშოს პირობა ღებულობს სახეს:  $P+Q+R=(P+Q)+R=P+(Q+R)$ . ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ვღებულობთ, რომ თუ ავადმყოფმა მიიღო მხოლოდ ამპიცილინი (V სტრიქონი), ან მხოლოდ ლევომიცეტინი (VI სტრიქონი), ან მხოლოდ გენტამიცინი (VII სტრიქონი), მაშინ ექიმის მითითება შესრულდება – (იხილე V და VII სვეტები). მაგრამ I სტრიქონი გვიჩვენებს, რომ ექიმის მითითება შესრულდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ავადმყოფი მიიღებს სამივე წამალს (გ) შემთხვევა.

ამიტომ ექიმის მითითება სრულდება ბ) და გ) შემთხვევებში. პასუხია ბ) და გ).

**შენიშვნა.** ერთი პასუხის მისაღებად სავარჯიშოს პირობა ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „ავადმყოფმა უნდა მიიღოს ან მხოლოდ ამპიცილინი, ან მხოლოდ ლევომიცეტინი, ან მხოლოდ გენტამიცინი...“ ამ შემთხვევაში პასუხი იქნება ბ) და პასუხი არ იქნება გ).

შევნიშნოთ აგრეთვე, რომ ორი P და Q წინადადებისათვის გამომრიცხავ დისიუნქციურ წინადადებებს „ან P, ან Q“ და „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q“ აქვთ ერთნაირი ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილი. „ან P, ან Q“ აგრეთვე უწოდებენ შეწყვილებელ კავშირს [7]: ამის მაჩვენებელია „ან... ან...“, სადაც მძიმე იწერება მეორე „ან“-ის წინ. მაგალითად, „ან P, ან Q“. შეწყვილებული კავშირი არ არის „P ან Q“. დღეს ვის გააკვირვებ ან ფულით, ან მანქანით - არის შეწყვილებული კავშირი, ხოლო - დღეს ვის გააკვირვებ ფულით ან მანქანით - არ არის შეწყვილებული კავშირი. აქედან გამომდინარე სამი P, Q და R წინადადებისათვის, ანუ n=3-სათვის გვექნება ტოლობები  $P \oplus Q + R = P + Q \oplus R = P + Q + R$ . მათი სამართლიანობა გამომდინარეობს ცხრილიდან


P	Q	R	$P \oplus Q$	$(P \oplus Q) + R$	$Q \oplus R$	$P + (Q \oplus R)$	$(P \oplus Q) + R = P + (Q \oplus R)$
ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	ჭ	ჭ
ჭ	ჭ	მ	მ	მ	ჭ	მ	ჭ
ჭ	მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	ჭ
ჭ	მ	მ	ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ
მ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	ჭ
მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	ჭ

განხილული მაგალითების ანალიზი გვამღვეს სამი წინადადებისათვის შემდეგი კონსტრუქციების განმარტების შესაძლებლობას: სამი და მეტი „ან“ კავშირის შემთხვევაში მძიმეების საშუალებით უნდა დავადგინოთ რომელია შეწყვილებული კავშირი და რომელი - არა, ანუ რომელ წინადადებებს შორის არის არაგამომრიცხავი და რომელ წინადადებებს შორის არის გამომრიცხავი დისიუნქციები. ისინი იწარმოება „ან“ კავშირების, მძიმეებისა და ფრჩხილების დახმარებით და ჩვენი მიზანია დავადგინოთ ნიშან-თვისება, რომ გამოვიცნოთ რომელი „ან-ან“ არის შეწყვილებული კავშირი და რომელი - არა, ანუ რომელი გვიჩვენებს გამომრიცხავ დისიუნქციას.

**პირველი არაგამომრიცხავი-გამომრიცხავი ან (First inclusive-exclusive or) - „ან P ან Q ან R“.** სქემატურად  $(P \vee Q) + R = (P \vee Q) \oplus R$ . იგივე შეიძლება შემდეგნაირადაც გამოვთქვათ: „ან მხოლოდ P ან Q ან მხოლოდ R“. ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილს აქვს სახე:

P	Q	R	$P \vee Q$	$(P \vee Q) + R$
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ
ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ
ჭ	მ	ჭ	ჭ	მ
ჭ	მ	მ	ჭ	ჭ
მ	ჭ	ჭ	ჭ	მ
მ	ჭ	მ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	მ	ჭ
მ	მ	მ	მ	მ

$(P \vee Q) + R$  სიმრავლურად ასე წარმოდგინდება:  $((P \cup Q) \setminus R) \cup (R \setminus (P \cup Q))$ , ხოლო გრაფიკულად ასე:




ნახატი 4

ჩანაწერში „ან P ან Q ან R“ P-ს შემდეგ არ არის მძიმე, რაც ნიშნავს არაგამომრიცხავ დისიუნქციას P-სა და Q-ს შორის, მაგრამ რადგან P ან Q-ს შემდეგ, R-ის წინ არის მძიმე, ეს ნიშნავს P ან Q-სა და R-ის გამომრიცხავ დისიუნქციას. ამასთანავე, პირველი „ან“ აღნიშნავს „ან ..., ან ...“, კავშირის პირველ „ან“-ს.

**მეორე არაგამომრიცხავი-გამომრიცხავი ან (Second inclusive-exclusive or).** „P ან ან Q ან R“, სქემატურად  $P \vee (Q + R)$ . იგივე შეიძლება ასეც გამოითქვას: „P ან ან მხოლოდ Q ან მხოლოდ R“. ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილს ექნება სახე:

P	Q	R	$Q + R$	$P \vee (Q + R)$
ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ
ჭ	ჭ	მ	ჭ	ჭ
ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ	მ	ჭ
მ	ჭ	ჭ	მ	მ
მ	ჭ	მ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	ჭ	მ
მ	მ	მ	მ	მ

$P \vee (Q + R)$  სიმრავლურად ასე წარმოდგინდება:  $P \cup ((Q \setminus R) \cup (R \setminus Q))$ . გრაფიკულად ასე:



ნახატი 5


გრამატიკულად: ჩანაწერში „P ან ან Q ან R“ მესამე ან-ის წინ არის მძიმე, რაც ნიშნავს Q-სა და R-ის შეწყვეილებულ კავშირს, ანუ გამომრიცხავ დისიუნქციას. მაგრამ მეორე ან-ის წინ არ არის მძიმე, რაც ნიშნავს არაგამომრიცხავ დისიუნქციას P-სა და Q-სა და R-ის გამომრიცხავ დისიუნქციას შორის.

**პირველი გამომრიცხავი-არაგამომრიცხავი ან (First exclusive-inclusive or) - „ან P, ან Q ან R“.** იგივე შეიძლება ასეც გამოითქვას: „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q ან R“. სქემატურად  $(P + Q) \vee R$ .

ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილს ექნება სახე:

P	Q	R	P+Q	(P+Q)∨R
ჭ	ჭ	ჭ	მ	ჭ
ჭ	ჭ	მ	მ	მ
ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ
ჭ	მ	მ	ჭ	ჭ
მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	ჭ	მ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	მ	ჭ
მ	მ	მ	მ	მ

$(P+Q)∨R$  სიმრავლურად ასე წარმოდგინდება:  $((P\setminus Q)∪(Q\setminus P))∪R$ . გრაფიკულად ასე:



ნახატი 6

გრამატიკულად: ჩანაწერში „ან P, ან Q ან R“ მეორე ან-ის წინ არის მძიმე, რაც ნიშნავს P-სა და Q-ს შეწყვილებულ კავშირს, ანუ გამომრიცხავ დისიუნქციას P-სა და Q-ს შორის. მაგრამ მესამე ან-ის წინ არ არის მძიმე, რაც ნიშნავს P-სა და Q-ს გამომრიცხავ  $(P+Q)$  დისიუნქციასა და R-ის არაგამომრიცხავ დისიუნქციას.


**მეორე გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი ან (Second exclusive-inclusive or) - „ან P, ან Q ან R“.** იგივე შეიძლება ასეც გამოითქვას: „ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q ან R“. სქემატურად  $P+(Q∨R)$ .

„პირველი გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი ან“ და „მეორე გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი ან“ ჩანაწერები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, როდესაც ისინი ჩაწერილი არიან „ან“ კავშირის სამჯერადად გამოყენებით და ამიტომ აუცილებელი ხდება „ან მხოლოდ“ კავშირის გამოყენება. შესაძლებელია აგრეთვე მათი განსხვავება ფრჩხილების გამოყენებით, ანუ პირველი გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი ან ასე შეიძლება ჩაიწეროს: ან  $(P+Q)$  ან R, ხოლო მეორე გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი ან ასე: „ან P, ან  $(Q∨R)$ “

ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილს ექნება სახე: „ან P, ან  $(Q$  ან R)“,

P	Q	R	$Q∨R$	$P+(Q∨R)$
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ
ჭ	ჭ	მ	ჭ	მ
ჭ	მ	ჭ	ჭ	მ
ჭ	მ	მ	მ	ჭ
მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	ჭ	მ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	ჭ	ჭ
მ	მ	მ	მ	მ

$P+(Q∨R)$  სიმრავლურად ასე წარმოდგინდება:  $(P\setminus(Q∨R))∪((Q∨R)\setminus P)$ . გრაფიკულად ასე:



ნახატი 7

გრამატიკულად: ჩანაწერში „ან P, ან Q ან R“ მესამე ან-ის წინ არ არის მძიმე, რაც ნიშნავს Q-სა და R-ის არაგამომრიცხავ დისიუნქციას. მაგრამ მეორე ან-ის წინ არის მძიმე, რაც ნიშნავს შეწყვილებულ კავშირს, ანუ გამომრიცხავ დისიუნქციას P-სა და Q-სა და R-ის არაგამომრიცხავ დისიუნქციას შორის.

მოყვანილი 7 განმარტების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შესაბამისი 7 მაგალითი:

ჩატარებული მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებულია შემდეგი წინადადებები: დედამ შვილს თხოვა სადილისათვის შეეძინა:

1. კატლეტი, ძეხვი ან ხაჭოს ნამცხვარი - გულისხმობს არაგამომრიცხავ დისიუნქციას, რომელიც ჭეშმარიტია თუ შვილმა შეიძინა კატლეტი, ძეხვი, ხაჭოს ნამცხვარი - ან ყოველი ორეული ან სამივე ეს საჭმელი. სქემატურად -  $P \vee (Q \vee R)$ , გრაფიკულად - იხილე ნახატი 1.
2. ან კატლეტი, ან ძეხვი, ან ხაჭოს ნამცხვარი - გულისხმობს ბინარულ (Binary) გამომრიცხავ დისიუნქციას, რომელიც ჭეშმარიტია თუ შვილმა შეიძინა ერთ-ერთი ამ სამიდან კატლეტი, ძეხვი, ხაჭოს ნამცხვარი - ან სამივე ეს საჭმელი. სქემატურად -  $P+Q+R=P+(Q+R)$ , გრაფიკულად - იხილე ნახატი 2.
3. ან მხოლოდ კატლეტი, ან მხოლოდ ძეხვი, ან მხოლოდ ხაჭოს ნამცხვარი - გულისხმობს სამმაგ (Ternary) გამომრიცხავ დისიუნქციას, რომელიც ჭეშმარიტია თუ შვილმა შეიძინა მხოლოდ ერთ-ერთი ამ სამეულიდან: კატლეტი, ძეხვი, ხაჭოს ნამცხვარი. სქემატურად - აღვნიშნოთ ასე:  $P \oplus Q \oplus R$ , გრაფიკულად - იხილე ნახატი 3.
4. „პირველი არაგამომრიცხავ-გამომრიცხავი ან“ - „ან P ან Q ან R“, სქემატურად  $(P \vee Q) + R$  - ან კატლეტი ან ძეხვი, ან ხაჭოს ნამცხვარი - გულისხმობს, რომ შვილმა შეიძინა კატლეტი ან ძეხვიდან და ხაჭოს ნამცხვრიდან ერთ-ერთი. სიმრავლურად ასე:  $((P \cup Q) \cup R) \cup (R \cup (P \cup Q))$ . გრაფიკულად - იხილე ნახატი 4.
5. „მეორე არაგამომრიცხავ-გამომრიცხავი ან“ - „P ან ან Q ან R“, სქემატურად  $P \vee (Q+R)$  - კატლეტი ან ან ძეხვი, ან ხაჭოს ნამცხვარი - გულისხმობს, რომ შვილმა შეიძინა კატლეტი ან ძეხვი და ხაჭოს ნამცხვრიდან ერთ-ერთი. მძიმე მესამე „ან“-ის წინ ნიშნავს, რომ „ან Q ან R“ არის გამომრიცხავი. გრაფიკულად - იხილე ნახატი 5.
6. „პირველი გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი ან“ - „ან P, ან Q ან R“, სქემატურად  $(P+Q) \vee R$  - ან კატლეტი, ან ძეხვი ან ხაჭოს ნამცხვარი - გულისხმობს, რომ შვილმა შეიძინა კატლეტი და ძეხვიდან ერთ-ერთი ან ხაჭოს ნამცხვარი. გრაფიკულად - იხილე ნახატი 6.
7. „მეორე გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი ან“ - „ან P, ან (Q ან R)“, სქემატურად  $P+(Q \vee R)$  - ან კატლეტი, ან ძეხვი ან ხაჭოს ნამცხვარი - გულისხმობს, რომ შვილმა შეიძინა ერთ-ერთი კატლეტიდან ან ძეხვი ან ხაჭოს ნამცხვრიდან. მძიმე მეორე „ან“-ის წინ ნიშნავს, რომ „ან P, ან  $Q \vee R$ “ არის გამომრიცხავი - იხილე ნახატი 7.

მიღებული შედეგები შევაჯამოთ ცხრილით:

P	Q	R	$P \vee (Q \vee R)$	$(P+Q)+R$	$P \oplus Q \oplus R$	$(P \vee Q)+R$	$P \vee (Q+R)$	$(P+Q) \vee R$	$P+(Q \vee R)$
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	ჭ	ჭ	მ
ჭ	ჭ	მ	ჭ	მ	მ	ჭ	მ	მ	მ
ჭ	მ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	მ	ჭ	მ
ჭ	მ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	ჭ	ჭ	ჭ	მ	მ	მ	ჭ	ჭ	ჭ
მ	ჭ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	მ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ
მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ

ჭეშმარიტების მნიშვნელობათა ცხრილიდან ვღებულობთ, რომ სამართლიანია შემდეგი გამომდინარეობები, ანუ მარცხენა მხარის ჭეშმარიტი მნიშვნელობისათვის ჭეშმარიტია მარჯვენა მხარეც:

$$1. P \oplus Q \oplus R \Rightarrow (P+Q)+R \Rightarrow P \vee (Q \vee R)$$

$$2. P+(Q \vee R) \Rightarrow P \vee (Q+R) \Rightarrow P \vee (Q \vee R)$$

$n=3$ -სათვის განსხვავებული იყო  $P \oplus Q \oplus R$  და  $P+Q+R$ .  $n=4$ -სათვის ასევე განსხვავებული იქნებიან  $P \oplus Q \oplus R+S$ ,  $P+Q \oplus R \oplus S$ ,  $P \oplus Q+R \oplus S$ . წავიკითხოთ სქემატური გამოსახულებები:

მაგალითად:  $P \oplus Q \oplus R+S$  წავიკითხება ასე: ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q, ან მხოლოდ R, ან S.  $P+Q \oplus R \oplus S$  წავიკითხება ასე: ან P, ან მხოლოდ Q ან მხოლოდ R, ან მხოლოდ S.  $P \oplus Q+R \oplus S$  წავიკითხება ასე: ან მხოლოდ P, ან მხოლოდ Q ან ან მხოლოდ R, ან მხოლოდ S. ეს უკანასკნელი რეალურად დაემთხვევა  $P+Q+R+S$ -ს ზემოთ მოყვანილი მიზეზის გამო.

დასკვნა. 4-7 პუნქტებში არაგამომრიცხავი-გამომრიცხავი და გამომრიცხავ-არაგამომრიცხავი გამონათქვამების წარმოთქმასთან დაკავშირებული სიმწელებები დამახასიათებელია ქართული ენისათვის, რადგან ქართულ ენაში არაგამომრიცხავი დისიუნქცია „ან“ კავშირით არის გამოსახული, ხოლო გამომრიცხავი დისიუნქცია „ან... ან...“ კავშირით, ანუ ორჯერ „ან“ გამოყენებული კავშირით. იგივე სიმწელებები არ წარმოიშობა გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებში, რადგან ამ ენებში არაგამომრიცხავი და გამომრიცხავი დისიუნქციები წარმოითქმება განსხვავებული სიტყვებით და ქართულის მსგავსად ერთნაირი სიტყვების მრავალჯერადი კომბინაციით არ არის გამოსახული.

### ლიტერატურა:

- [1]. დ. ზარნაძე, ს. ცოტნიაშვილი, ტ. ტურაშვილი, ზოგიერთი ლოგიკური ტერმინის დამკვიდრების პრობლემები, გორის VII საერთაშორისო კონფერენციის შრომები, 28-29 ნოემბერი, 2014, გვ. 49-52.
- [2]. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, 1978.
- [3]. დ. ზარნაძე, ზოგადი უნარების ლოგიკის თვითმასწავლებელი, 2013.
- [4]. მ. თომაშვილი, ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება, 2014.
- [5]. F. J. Pellenter and A.Hartline. Ternary Exclusive or. Logic Journal of the IGPL, 16 (2008), 78-83.
- [6]. ე. ზაგაშვილი, თ. შოშიაშვილი, ზოგადი უნარები, ვერბალური ნაწილი, აიმც, 2012.
- [7]. [www.slideshare/maiametreveli/ss-29169413/]

## ABOUT USING THE "OR" AND "OR ONLY" LOGICAL CONJUNCTIONS IN THE GEORGIAN LANGUAGE MULTIPLE TIMES AND ON ALTERNATELY WAYS

**David Zarnadze**, Georgian Technical University, Niko Muskhelishvili ICM, Chief Scientist

**Soso Tsozniashvili**, Gori State Teaching University, Professor

**Tristan Turashvili**, Ph.D.

### RESUME

This paper explores the inclusive and exclusive disjunctions for three or more propositions - issues of using "or" and "or only" logical conjunctions in the Georgian language multiple times and on alternately ways. It is found that in case of ternary use of logical conjunctions "or" and "or only", they no longer coincide with each other.

## THE EXAMPLE OF STRONGLY SEPARABLE STATISTICAL STRUCTURE WITHOUT OF ANY CONSISTENT CRITERIA FOR CHECKING HYPOTHESES

**Zurab Zerakidze**, Gori State Teaching University, Professor

**Malkhaz Mumladze**, Gori State Teaching University, Professor

Let  $\{\mu_i : i \in I\}$  be a family of probability measures defined on a measurable space  $(E, S)$ .

The following definitions come from works [1]-[2].

**Definition 1.** We call an object  $\{(E, S, \mu_i) : i \in I\}$  the statistical structure.

**Definition 2.** A statistical structure  $\{(E, S, \mu_i) : i \in I\}$  of probability measures is called separable if there exists a family of  $S$ -measurable sets  $\{X_i : i \in I\}$  such that the relations

$$1. \forall i \in I \quad \forall j \in I \quad \mu_i(X_j) = \begin{cases} 1 & \text{if } i = j \\ 0 & \text{if } i \neq j \end{cases}$$

$$2. \forall i \in I \quad \forall j \in I \quad \text{card}(X_i \cap X_j) < c \quad \text{if } i \neq j,$$

are fulfilled, where  $c$  denotes the cardinality of the continuum.

**Definition 3.** A statistical structure  $\{(E, S, \mu_i) : i \in I\}$  is called strongly separable if there exists a family of disjoint  $S$ -measurable subsets  $\{X_i : i \in I\}$  of  $E$  such that  $\mu_i(X_i) = 1$  for all  $i \in I$ .

**Definition 4.** Any assumption defining the form of the unknown distribution function is called hypotheses.

Let  $H$  be a set of Hypotheses and  $B(H)$  the  $\sigma$ -algebra of subsets of  $H$  containing all finite subsets of  $H$ .

**Definition 5.** A statistical structure  $\{(E, S, \mu_h) : h \in H\}$  is said to admit a consistent criteria of hypotheses testing if there exists at least one measurable map  $\delta : (E, S) \rightarrow (H, B(H))$  such that

$\mu_h(x | \delta(x) = h) = 1$  for all  $h \in H$  (see, for example [1] or [2]).

**Remark 1.** If a statistical structure  $\{(E, S, \mu_h) : h \in H\}$  admits a consistent criteria for checking hypotheses then this statistical structure is strongly separable but not vice versa ( see [1]).

In the present article we prove that there does not exist a consistent criteria for checking hypotheses for such strongly separable statistical structure. It is noteworthy that this statistical structure will be constructed effectively , that is without using the axiom of choice.

As usual, symbol  $\omega_1$  denotes the first uncountable ordinal number. The set of all ordinal numbers  $\alpha$  , for which the inequality  $\alpha \leq \omega_1$  holds, is denoted by  $[0, \omega_1]$ . The set  $[0, \omega_1]$  is uncountable, is completely ordered in a natural way and has a maximal element  $\omega_1$  , In the  $[0, \omega_1]$  there is order topology where the base consists of all subsets of the form  $\{x < \alpha\}$  ,  $\{\alpha < x < \beta\}$  and  $\{x > \alpha\}$  , where  $\alpha, \beta < \omega_1$  . It is well known that the space  $[0, \omega_1]$  is compact and the space  $[0, \omega_1)$  with induced topology is locally compact. This space has not a countable base (in this context, see [3,v.2, p.20,p.95],[4,pp.87-89],[5,pp.11-15].

**Definition 6.** A closed subset  $Z$  in the topological space  $[0, \omega_1)$  will be called unbounded if it is co final in  $[0, \omega_1)$  , that is that for any  $\xi < \omega_1$  there exist  $\zeta \in Z$  such that  $\xi \leq \zeta$  .

For example the sets

$[0, \omega_1), \dots, [n, \omega_1), \dots, [\omega_0, \omega_1), \dots, [\omega_0 + n, \omega_1), \dots, [\omega_0 + \omega_0, \omega_1), \dots, [\omega_0 + \omega_0 + n, \omega_1), \dots$  stand example of unbounded, closed, uncountable sets in the topological space  $[0, \omega_1)$  .

Is clear that the set  $\{x | x \leq \alpha\}$  is countable for each  $\alpha < \omega_1$  .

**Lemma 1.** Let  $(Y_k)_{k \in N}$  be an arbitrary family of unbounded closed subsets of  $[0, \omega_1)$  . Then the intersection  $\bigcap_{k=1}^{\infty} Y_k$  is an unbounded closed subset of  $[0, \omega_1)$  too.

**Prof.** We set  $Y = \bigcap_{k=1}^{\infty} Y_k$  . It is obvious that  $Y$  is closed in  $[0, \omega_1)$  . We have just to prove that  $Y$  is unbounded in  $[0, \omega_1)$  . Further, let  $\xi < \omega_1$  . By the method of mathematical induction, we have to construct a strictly increasing sequence of ordinal numbers  $(\zeta_k)_{k \in N}$  . This sequence contains infinitely many element from each  $(Y_k)_{k \in N}$  (so how  $(Y_k)$  uncountable and  $(\zeta_k)$  countable). Thus we construct such sequence ordinal numbers  $(\zeta_k)_{k \in N}$  that

$$\xi \leq \zeta_1 \zeta_2 \dots \zeta_k \dots$$

This sequence is non decreasing and bounded above, therefore there exist the limit  $\lim_{k \rightarrow \infty} \zeta_k = \zeta$  . It follows that  $\zeta \in Y$  and  $\xi \leq \zeta$  , so  $Y$  is closed unbounded .

Lemma1 is proved.

Let  $B([0, \omega_1))$  be Borel  $\sigma$  -algebra of subsets of the topological space  $[0, \omega_1)$  . According to Lemma 1 for all sets  $Z \in B([0, \omega_1))$  we have two alternative relations:

- (a) The set  $Z \in B([0, \omega_1))$  contains some closed unbounded subset of interval  $[0, \omega_1)$  ;
- (b) The set  $([0, \omega_1) \setminus Z) \in B([0, \omega_1))$  contains some closed unbounded subset of interval  $[0, \omega_1)$

Let define the probability measure on  $B([0, \omega_1))$  as follows:

$$\lambda(Z) = \begin{cases} 1, & \text{if } Z \text{ contains some unboudend closed set,} \\ 0 & \text{if } [0, \omega_1) \setminus Z \text{ contains some unboudend closed set.} \end{cases}$$

It is clear, that  $\mu$  is probability measure in space  $[0, \omega_1)$  vanished on singletons . Measure  $\mu$  is usually called Dieudone mass (see, [3, pp. 94-96]).

We put  $E = [0, \omega_1) \times [0, \omega_1)$  . Denote by  $S = B([0, \omega_1) \times [0, \omega_1))$   $\sigma$  -algebra generated by set  $\{A \times C | A, C \in B([0, \omega_1))\}$  . Note that  $E$  is a locally compact topological space regarding product topology

**Remark 2.** Following [3,v.2 pp. 27-28], the  $\sigma$  -algebra  $S = B([0, \omega_1) \times [0, \omega_1))$  is strictly contained in the Borel  $\sigma$  -algebra  $B([0, \omega_1) \times [0, \omega_1))$ , indeed diagonal  $\Delta = \{(x, x) | x \in [0, \omega_1)\}$  of the space  $[0, \omega_1) \times [0, \omega_1)$  wich is closed in  $E$  is not included in  $S = B([0, \omega_1) \times [0, \omega_1))$  .



Now consider the measurable space  $(E, S)$  and take under a set of hypotheses a set  $H$  defined as follows :  $H = (\{0\} \times [0, \omega_1) \cup ([0, \omega_1) \times \{0\})$ . Let equip the set  $H$  with a  $\sigma$ -algebra  $B(H)$  induced by the  $\sigma$ -algebra  $S$ . For any element  $h = (0, \xi) \in H$  we can define probability measure  $\mu_h$  by formula:

$$\mu_h(Z) = \lambda(\text{pr}_1(Z \cap ([0, \omega_1) \times \{\xi\})))\mu,$$

where  $Z$  is an element of the  $\sigma$ -algebra  $S$  and  $\mu$  is separable not an atomic probability measure. For  $h = (\xi, 0) \in H$  and  $0 < \xi < \omega_1$ , we define probability measure  $\mu_h$  as follows:

$$\mu_h(Z) = \lambda(\text{pr}_2(Z \cap (\{\xi\} \times [0, \omega_1)))\mu$$

where  $Z$  again is an element of the  $\sigma$ -algebra  $S$  and  $\mu$  is separable not an atomic probability measure. So we have constructed the statistical structure  $\{(E, S, \mu_h) : h \in H\}$ .

**Lemma.2** The statistical structure  $\{(E, S, \mu_h) : h \in H\}$  is strongly separable.

**Proof.** It is obvious that measure of the segment  $I_\xi = [0, \omega_1) \times \{\xi\}$  is one by the measure  $\mu_h$  for  $h = (0, \xi)$  as well measure of set  $\{\xi\} \times [0, \omega_1)$  is one by the measure  $\mu_h$  for  $h = (\xi, 0)$ .

Thus, value of measures  $\{\mu_h : h \in H\}$  on horizontal and vertical segments in the square  $E$  is one. The intersection of each pair segments either it is empty or they meet at one point. Consequently, the statistical structure  $\{(E, S, \mu_h) : h \in H\}$  is separable.

Taking into consideration the fact that there is certain effective univocal correspondence

$$g : [0, \omega_1) \times [0, \omega_1) \rightarrow [0, \omega_1),$$

we can effectively enumerate all of the segments as disjunctive transfinite sequence

$(Z_\xi)_{\xi < \omega_1}$ , and obtain the family of pair wise disjoint subsets  $(X_\xi)_{\xi < \omega_1}$  by the following procedure:

$$X_0 = Z_0 \text{ and } X_\xi = Z_\xi \setminus \bigcup_{\zeta < \xi} Z_\zeta \text{ for } 0 < \xi < \omega_1.$$

It is obvious that the obtained transfinite sequence of sets  $(X_\xi)_{\xi < \omega_1}$  satisfies all conditions participated in Definition 3 which implies that the statistical structure  $\{(E, S, \mu_h) : h \in H\}$  is strongly separable. This ends the proof of Lemma 2.

**Theorem.** For constructed strongly separable statistical structure  $\{(E, S, \mu_h) : h \in H\}$

there does not exist a consistent criteria for checking hypotheses.

**Proof.** Assume the contrary and let

$$\delta : (E, S) \rightarrow (H, B(H)).$$

be a consistent criteria for the statistical structure  $\{(E, S, \mu_h) : h \in H\}$ .

We put

$$H_1 = \{0\} \times [0, \omega_1), H_2 = (0, \omega_1) \times \{0\}.$$

It is obvious that  $H_1$  and  $H_2$  are  $B(H)$ -measurable subsets in  $H$  for which  $H_1 \cap H_2 = \tilde{A}$  and

$H_1 \cup H_2 = H$ . The latter relation means that that inverse images

$Y_1 = \delta^{-1}(H_1)$  and  $Y_2 = \delta^{-1}(H_2)$  are pair wise disjoint  $S$ -measurable subsets of the basic  $E$ . Taking into account the validity of the fact that the equalities

$$\mu_h(x | \delta(x) = h) = 1$$

hold true for each  $h \in H$ , by Fubini theorem we get the validity of the following:

$$(\lambda \times \lambda)(Y_1) = 1,$$

$$(\lambda \times \lambda)(Y_2) = 1,$$

$$(\lambda \times \lambda)(E) = 2.$$

The latter does not agree the equality  $(\lambda \times \lambda)(E) = 1$ . The received violation shows that statistical structure  $\{(E, S, \mu_h, h \in H\}$  has no a consistent criteria for checking hypotheses.

This ends the proof of Theorem.

**REFERENCES:**

[ 1]. Aleksidze L., Mumladze M., Zerakidze Z. The consistent criteria of hypotheses. Modern Stochastics. *Theory and Application*, 1 (2014). 3-11.

[ 2]. Ibramkhalilov Sh., Skhorokhod A.V., Consistent estimates of parameters of random processes, “Naukova Dumka”, Kiev 1980.

[ 3]. Bogachiov B.I. Foundations of the measure’s theory . vol.1,2. Moscow 2006, 2007. (in Russian).

[4]. Kharazishvili A.B. On the existence of consistent estimators for strongly separable family probability measures , The probability theory and mathematical statistic “Mecniereba”, Tbilisi 1989. 100-105 (in Russian) .

[5]. Jech T. The sets theory and forcing method. "Mir", Moscow 1973 (in Russian).

**RESUME**

It is a novelty that the construction of an example of strongly separated, not an atomic, separable, continual statistical statistical without of any consistent criteria for checking hypotheses does not use an uncountable form of the Axiom of the Choice.

**მოდულირებული გენეტიკური ალგორითმის გამოყენება ფინანსური პორტფოლიოს ოპტიმიზაციის ამოცანაში**

**ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**პავლე მიდოდაშვილი**, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ბიძინა მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

თანამედროვე ბიზნესში ფართოდაა გავრცელებული ფინანსურ მოგებაზე ორიენტირებული საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის პრაქტიკა, როდესაც წინასწარ არის მოცემული როგორც პროექტის მოსალოდნელი მოგების, ისე არსებული რისკის სიდიდეები. ფინანსური პორტფოლიოს თანამედროვე თეორიაში ცნობილია, რომ ორგანიზაციის მიერ არსებული ფულადი რესურსების განაწილებით არა ერთ, არამედ რამდენიმე საინვესტიციო პროექტზე შესაძლებელია საინვესტიციო რისკის შემცირება [1]. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხდება ფინანსური პორტფოლიოს ოპტიმიზაცია, ანუ თითოეულ პროექტზე განხორციელებული ინვესტიციების ოპტიმალური განაწილება ინვესტორის მიერ დასახული მიზნების გათვალისწინებით ისე, რომ კონკრეტული სავარაუდო საერთო მოგების მისაღებად გაწეული რისკი იყოს მინიმალური ან გარკვეული რისკის პირობებში მიღებული საერთო მოგება იყოს მაქსიმალური. სიმარტივისათვის ჩავთვალოთ, რომ თითოეული პროექტის რეალიზაციის დრო ერთნაირია. თუ საინვესტიციო პროექტების რაოდენობა არის **N**, ხოლო **i** პროექტის სავარაუდო მოგება არის  $p_i$ , მაშინ პორტფოლიოს სავარაუდო მოგება **p** (ანუ ყველა პროექტის რეალიზაციით მოგებულ თანხის ფარდობა სრულ საინვესტიციო თანხასთან) განისაზღვრება თანაფარდობით [2]

$$p = \sum_{i=1}^N w_i p_i$$

სადაც  $w_i$  წარმოადგენს ყველა პროექტისათვის გათვალისწინებული საერთო საინვესტიციო თანხიდან **i** პროექტში განხორციელებული ინვესტიციის წილს. ცხადია, რომ  $w_i$  სიდიდეები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

$$\sum_{i=1}^N w_i = 1, \\ w_i \geq 0.$$

ფინანსური პორტფოლიოს რისკი **r** განისაზღვრება თანაფარდობით [3]:

$$r = \sum_{i=1}^N \sum_{j=1}^N w_i w_j r_{ij}$$

სადაც  $r_{ij}$  **i** პროექტთან დაკავშირებული სპეციფიური რისკია, ხოლო  $r_{ij}$  (როდესაც  $i \neq j$ ) **i** და **j** კომპონენტების კოვარიაციაა.

ამრიგად, ფინანსური პორტფოლიოს რისკის მინიმიზაციის ამოცანა დაიყვანება ისეთი  $w_i$  პარამეტრების მოძებნაზე, რომელთათვისაც უნდა სრულდებოდეს შემდეგი სამიზნე პირობები:

$$r = \sum_i^N \sum_j^N w_i w_j r_{ij} \rightarrow \text{Min}$$

$$p = \sum_i^N w_i p_i \geq D$$

$$\sum_i^N w_i = 1$$

$$w_i \geq 0$$

სადაც  $D$  პორტფოლიოს მოგების სასურველი მნიშვნელობაა.

იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური პორტფოლიოს ოპტიმიზაცია გულისხმობს მოგების მაქსიმიზაციას გარკვეული  $R$  რისკის შემთხვევაში, ამოცანა დაიყვანება ისეთი  $w_i$  პარამეტრების მოძებნაზე, რომელთათვისაც უნდა სრულდებოდეს შემდეგი სამიზნე პირობები:

$$r = \sum_i^N \sum_j^N w_i w_j r_{ij} \leq R$$

$$p = \sum_i^N w_i p_i \rightarrow \text{Max}$$

$$\sum_i^N w_i = 1$$

$$w_i \geq 0.$$

ცნობილია, რომ ვინაიდან ამგვარი პრობლემების გადაწყვეტა მათემატიკური პროგრამირების მეთოდებით საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს და სირთულის ხარისხი მნიშვნელოვნად იზრდება საინვესტიციო პროექტების რაოდენობის მატებასთან ერთად, მათი გადაჭრის საუკეთესო გზას წარმოადგენს გენეტიკური ალგორითმის გამოყენებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება [4-6].

წარმოდგენილ ნაშრომში ზემოაღნიშნული ამოცანის გადაჭრა ასევე ხორციელდება გენეტიკურ ალგორითმზე დაფუძნებული მიდგომით, მაგრამ გამოყენებულია მოდიფიცირებული გენეტიკური ალგორითმი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო მანქანური დრო.

ინდივიდუალური ქრომოსომა წარმოდგენილ გენეტიკურ ალგორითმში რეალიზებულია **Dictionary<int, double>** განზოგადებული კოლექციის სახით, სადაც გასაღებს წარმოადგენს საინვესტიციო პროექტის ნომერი  $i$ , ხოლო მნიშვნელობას - შესაბამისი ინვესტიციის წილი  $w_i$ . ახალი თაობის ქრომოსომის მისაღებად წინაპარი თაობის ქრომოსომებით გამოიყენება გენეტიკური ალგორითმის კლასიკურ თეორიაში კარგად ცნობილი მეთოდები - კროსოვერი და მუტაცია. აღსანიშნავია, რომ ნაშრომში გამოყენებულია ორწერტილიანი კროსოვერი, რაც ხელს უწყობს ახალ ქრომოსომათა აღნაგობის დივერსიფიცირებას. ამასთან, კროსოვერის ოპერაციით ახალი თაობის ქრომოსომების 20%-ის ფორმირება ხორციელდება შემთხვევითი წესით შერჩეული წინაპარი ინდივიდების გამოყენებით და კიდევ 20%-ის ფორმირება - ელიტური წინაპარი ინდივიდების (ანუ წინაპარ თაობაში არსებული იმ ინდივიდების, რომლებსათვისაც საუკეთესოდ სრულდება სამიზნე პირობები) გამოყენებით. ვინაიდან არ არის გამორიცხული ახალი თაობის ქრომოსომების მიერ სამიზნე პირობების შესრულების გაუარესება, გენეტიკურ ალგორითმში გამოყენებულია ე.წ. ელიტიზმი, ანუ ახალ თაობაში 20%-ის ოდენობით შენარჩუნებულია წინა თაობის ელიტური ქრომოსომები. ვინაიდან  $\sum_i^N w_i = 1$  სამიზნე პირობის შესრულება მნიშვნელოვნად აფერხებს გენეტიკური ალგორითმის სიჩქარეს, წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული პირობის შესრულება ხორციელდება ქრომოსომის ფორმირებისთანავე მისი ნორმირებით, ანუ **Dictionary<int, double>** კოლექციის თითოეული **<int, double>** წყვილის მნიშვნელობის გაყოფით ამ ქრომოსომის ყველა ანალოგიური წყვილების მნიშვნელობათა ჯამზე. ამ ეტაპზევე ხორციელდება  $w_i \geq 0$  პირობის რეალიზაცია მათი შემთხვევითი შერჩევით (0, 1) ინტერვალიდან. ამგვარად მოდიფიცირებული გენეტიკური ალგორითმის სიმპლავრე მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო მანქანური დროის შემცირებაში გამოიხატება.

ალგორითმის ტესტირება  $p_i$  და  $r_{ij}$  პარამეტრების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის განხორციელდა **C#** დაპროგრამების ენაზე რეალიზებული აპლიკაციით, რომელშიც ერთი თაობის ინდივიდების რაოდენობა განისაზღვრა 6000-ით. ქვემოთ მოტანილ ცხრილში გენერირებული თაობების

მიხედვით წარმოდგენილია ოპტიმიზაციის პროცესის შუალედური შედეგები ფინანსური პორტფოლიოსათვის, რომელიც შედგება 5 საინვესტიციო პროექტისაგან, რომელთა მოგებებია - {0.3, 0.4, 0.27, 0.18, 0.13}, შესაბამისი რისკებია - {0.2, 0.28, 0.16, 0.04, 0.02} (ამოცანის გამარტივების მიზნით ჩავთვალოთ, რომ  $r_{ij} = 0$ , როდესაც  $i \neq j$ ), ხოლო პორტფოლიოს მინიმალური სავარაუდო მოგებაა 0.21.

N	r	p	W <sub>1</sub>	W <sub>2</sub>	W <sub>3</sub>	W <sub>4</sub>	W <sub>5</sub>
1	0.014797974230196066	0.21130828656660094	0.127683318 902951	0.09302907131 27003	0.1236451368 41327	0.34347907 8817688	0.31216339 4125333
2	0.014531482247223084	0.210632159952319	0.117372449 195819	0.11584800592 3148	0.0962498788 188939	0.31849797 9102694	0.35203168 6959445
3	0.01437199872203177	0.21042034731020487	0.113670302 625816	0.11170759778 397	0.1254988024 34663	0.26731024 2425827	0.38181305 4729723
4	0.014296447035982778	0.21009411535467482	0.104980441 242712	0.11366526704 3163	0.1242574973 51315	0.28323537 225151	0.37386142 21113
5	0.014271964367043536	0.21000381171161611	0.110451466 999155	0.11014176733 9081	0.1243344400 78433	0.28163927 0584547	0.37343305 4998784
6	0.014267363020653363	0.21000311226615997	0.111354249 498341	0.10943153512 5265	0.1228093641 92333	0.28666128 7613879	0.36974356 3570183
7	0.014266685106683727	0.21000010284025272	0.110977683 313815	0.10963093872 0628	0.1228372861 99535	0.28672646 3087997	0.36982762 8678025
8	0.014266629089796409	0.21000008215102975	0.111267598 957438	0.11018212278 0708	0.1190582618 59642	0.29334521 0342484	0.36614680 6059728
9	0.014266628267737594	0.21000007751936089	0.111267553 220572	0.11018212845 1014	0.1190582679 86742	0.29334522 5438918	0.36614682 4902754
10	0.014266627850812407	0.21000007477059457	0.111267568 17789	0.11018213700 0428	0.1190582078 89332	0.29334524 1714628	0.36614684 5217723
11	0.014266627226310617	0.21000007121240091	0.111267558 274331	0.11018212710 6302	0.1190582109 16852	0.29334524 9174077	0.36614685 4528438
12	0.014265423794773312	0.21	0.109639331 368942	0.11007699067 4194	0.1213218345 9769	0.29310938 6831418	0.36585245 6527756

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებით დასტურდება, რომ მოდიფიცირებული გენეტიკური ალგორითმით რეალიზებული პირველი ათი გენერაცია, რისთვისაც უმნიშვნელო სამანქანო დროა საჭირო, სავსებით საკმარისია ამოცანის გადასაწყვეტად საკმაოდ მაღალი სიზუსტით.

**ლიტერატურა:**

1. Markowitz H. M. Mean-Variance Analysis in Portfolio Choice and Capital Markets. Oxford, UK: Basil Blackwell, 1987.
2. Markowitz H.M. Portfolio Selection. Journal of Finance, 1952, 7, 77-91.
3. Terry J. Watsham and Keith Parramore. Quantitative Methods In finance. International Thomson Business Press. 1999.
4. P. Dvalishvili, B. Midodashvili. Genetic algorithm approach in the minimization of the risk of financial portfolio. Proceedings of 2012 6th International Conference on Application of Information and Communication Technologies (AICT), 17-19 October 2012, Tbilisi, Georgia.
5. Slimane Sefiane and Mohamed Benbouziane. Portfolio Selection Using Genetic Algorithm. Journal of Applied Finance & Banking, vol.2, no.4, 2012, 143-154.
6. Tun-Jen Chang, Sang-Chin Yang, Kuang-Jung Chang. Portfolio optimization problems in different risk measures using genetic algorithm. Expert Systems with Applications. Volume 36, Issue 7, September 2009, Pages 10529-10537.

# APPLYING MODIFIED GENETICAL ALGORITHM IS OPTIMISING FINANCIAL PORTFOLIO

**Levan Midodashvili**, Gori State Teaching University, Professor  
**Pavle Midodashvili**, Iliia State University, Associate Professor  
**Bidzina Midodashvili**, Gori State Teaching University, Professor  
**RESUME**

In this work we consider the problem of optimization of financial portfolio. We offer a solution to this problem using modified genetic algorithm. The program compiled in C# successfully solves the above mentioned problem for the given input data.

## MVC ნიმუშები ვებ აპლიკაციებისათვის

თინათინ მშვიდლობაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

MVC (Model View Controller) არის ობიექტ-ორიენტირებული დიზაინის ნიმუში. იგი არის საშუალება აპლიკაციისა და მომხმარებლის ინტერფეისის გამოსაყოფად. ბოლო წლებში MVC გახდა პოპულარული სტრატეგია ვებ-საიტების შესაქმნელად.


განვიხილავთ MVC ნიმუშებს და მათ გამოყენებას ვებ-ის განვითარებისათვის. MVC ნიმუში ხასიათდება 3 ელემენტით: მოდელი, წარმოდგენა და კონტროლერი.

მოდელი - უჩვენებს პასუხისმგებლობას აპლიკაციის დომენის მონაცემებზე.

წარმოდგენა - უჩვენებს მომხმარებლის ინტერფეისის მოდელს.

კონტროლერი - არის მაკავშირებელი მოდელის და წარმოდგენის, იგი იღებს შემავალ მონაცემებს მომხმარებლისაგან და გარკვეული გარდაქმნის შემდეგ მათ გადასცემს მოდელს.

განვიხილოთ მაგალითი HTTP მოთხოვნის.



სურ. 1.

ნიმუშიდან ჩანს, რომ კონტროლერი არ ერევა წარმოდგენას და მოდელს შორის ურთიერთობებში: წარმოდგენა მოთხოვნას აკეთებს პირდაპირ მოდელთან.

რამდენადაც კონტროლერი არის პასუხისმგებელი მოთხოვნაზე და შერჩევაზე შესაბამისი ვებ გვერდის, არ არსებობს უშუალო კავშირი მომხმარებლის მოთხოვნასა და ვებ გვერდის შედეგს შორის.

კონტროლერი არის კარგი საშუალება, რომ გაუმკლავდეს საერთო ქმედებას - აუდიენტიფიკაციას და კურსის მართვას.

არსებობს web-MVC მრავალი დაპროგრამების ენაზე, როგორცაა Java, Maypole, Perl, Ruby on Rails.

**Java-ს** გააჩნია ჩადგმული მონაცემთა ბაზა Java DB, გრაფიკული ინტერფეისის გაფართოებული შესაძლებლობები, სკრიპტული ენების მხარდაჭერა და კომპილატორთან პროგრამულად მუშაობის შესაძლებლობა. მასში პროგრამების შესრულების პროცესში მეთოდების დინამური გამოძახების უზრუნველყოფისათვის დამუშავებულია სხვადასხვა ინტერფეისები.

**Perl-ის სტრუქტურა:** CGI- აპლიკაცია არის მარტივი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს კარგ საბაზო კლასს კონტროლერისათვის. იგი არის მარტივად აღქმადი და აქვს რამოდენიმე მოსახერხებელი მხარდაჭერა HTML. ეს არის ყველაზე კონკრეტული მოდელი აპლიკაციის, ზედმეტი შეზღუდვების გარეშე.

**Maypole** - არის სრული ბაზა MVC ფარგლებში, რომელიც იყენებს უამრავ სხვა მოდელს : CGI::Untaint, Class::DBI and extensions, Template::Toolkit და სხვა. მისი მიზანია იყოს ზოგადი და ფართო MVC ვებ აპლიკაციების ფარგლებში, იგი შედის შაბლონების სიაში CRUD აპლიკაციების განვითარებისათვის. Maypole საუკეთესოდ მუშაობს სისტემასთან mod\_perl.

**Ruby or Rails** დაწერილია Ruby-ზე და ეფუძნება MVC არქიტექტურას. Rails წარმოადგენს ღია გარემოს, რაც მისი მუდმივი სრულყოფისა და სწრაფი გავრცელების საწინდარი გახდა. მას საფუძვლად უდევს 2 კომპონენტი, რომელიც მის წარმატებას განსაზღვრავს - ობიექტზე ორიენტირებული ენა Ruby და MVC არქიტექტურა. **Rails** ორი ლოგიკური კომპონენტისაგან შედგება -Active Record და Action Pack. Active Record ახორციელებს მონაცემთა წარმოდგენის დონის -მოდელის რეალიზებას, Action Pack კი თავის თავში აერთიანებს 2 სხვა დონეს კონტროლერსა და წარმოდგენას.

განვიხილოთ მონაცემთა ბაზის მაგალითი Ruby or Rails-ში. მოცემულია ცხრილი სხვადასხვა ველებით. Ruby - სკრიპტის - ruby script/generate model User გაშვებით მიიღება კლასი User სამი აღნიშნული ველით და იმ მეთოდებით, რომლებიც მონაცემთა ბაზების ჩანაწერებთან ოპერირების საშუალებას იძლევა. კლასი გამოცხადდება შესაბამის ფაილში სახელწოდებით Rails. rb. Rails კლასს ავტომატურად ანიჭებს სახელს, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ ცხრილის სახელწოდება მრავლობით რიცხვში უნდა იყოს მოცემული. შექმნილ ფაილში კლასი ცხადდება შემდეგნაირად:

```
Class User < ActiveRecord::Base
```

ამის შემდეგ შესაძლებელია კლასის ობიექტების გამოცხადება:

```
class User < ActiveRecord::Base def self.login(name, password) find(:first, :conditions => ["name = ? and hashed_password = ?", name,password]) end def try_to_login User.login(self.name, self.password) end end
```

კლასების მეთოდები რეალიზებულია მარტივად და საკმაოდ ბევრია, რაც მონაცემთა ბაზების სრულად მართვის საშუალებას იძლევა.

წარმოდგენის მექანიზმი მარტივია. წარმოდგენა - გვერდების შაბლონებია, რომლებიც იყენებენ RHTML-ს (HTML ჩაშენებული Ruby-ით) ან RXML-ს( Ruby-ის მეშვეობით გენერირებული XML).

წარმოდგენამ თავიდან უნდა გაიაროს რენდერინგის (rendering) პროცესი, როდესაც ყველა Ruby-გამოსახულება შაბლონის გვერდზე შეიცვლება შესაბამისი მნიშვნელობებით - მონაცემებით მონაცემთა ბაზიდან. შედეგად მიიღება HTML ან XML დოკუმენტი, რომლის ასახვაც უკვე ბრაუზერში შეიძლება.

ვინაიდან Ruby or Rails აერთიანებს წარმოდგენას და კონტროლერს, ნაჩვენები მონაცემთა ბაზისათვის წარმოდგენის უმარტივესი მაგალითი (დავარქვათ მას list.rhtml) შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

```
class LoginController < ApplicationController
def login @user = User.new(params[:user])
logged_in_user = @user.try_to_login
  if logged_in_user session[:user_id]=logged_in_user.id
#creating the session #and putting user's id in
#it redirect_to(:action => "index") else flash[:notice] = "Invalid user/password
combination"
  end
end
end
end
```

მოდელისა და წარმოდგენის არსებობას ცალ-ცალკე არანაირი აზრი არა აქვს მოდელს შეუძლია უზრუნველყოს მონაცემებთან წვდომა და მათი დამუშავება, ხოლო წარმოდგენა განსაზღვრავს

მონაცემების ეკრანზე გამოსახვის ხერხებს. ერთადერთი რამაც შეიძლება გააერთიანოს ეს არის კონტროლერი, სწორედ ეს ელემენტი განსაზღვრავს, როგორ ხდება თითოეული კონკრეტული წარმოდგენის დამუშავება და როგორ არის ის დაკავშირებული მოდელთან.

ამგვარად, MVC არქიტექტურაზე დაფუძნებულია სხვადასხვა ობიექტ-ორიენტირებული გარემო ვებ-აპლიკაციების შესაქმნელად, რის გამოც MVC ნიმუშების გამოყენება საკმაოდ ეფექტურია ვებ-ის განვითარებისათვის.

#### ლიტერატურა:

1. Steven Holzner. Beginning Ruby on Rails. Wiley Publishing, 2010.
2. The Model-View-Controller (MVC) Pattern with C#/WinForms-Volynsky Alex, 2013 .
3. ინტერნეტ-რესურსი: [http://www.perlmonks.org/?node\\_id=402070](http://www.perlmonks.org/?node_id=402070)

### **MVC PATTERN WITH WEB APPLICATIONS** **Tinatini Mshvidobadze**, Gori State Teaching University, Associate Professor **RESUME**

The paper deals with a variety of MVC patterns and their use in Web development. There is web-MVC in many programming languages, such as Java, Maypole, Perl, Ruby or Rails. It is described each of them.

The article discusses an example of the database example in Ruby or Rails. Ruby or Rails is written on Ruby based on the MVC architecture. Rails is an open environment, which was a precondition for its continuous improvement and rapid spreading. It is based on 2 components, which is its success-object-oriented language Ruby and MVC architecture. Rails consists two logical components -Active Record and Action Pack. Production of the model is carried out by the Active Record implementation, Action Pack combines 2 other levels- controller and the performance.

Thus, various object-oriented environment for creating Web-based applications is based on the MVC. MVC has become popular strategy for creating Web sites during recent years.

### **ДИНАМИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ „СПРОС-ПРЕДЛОЖЕНИЕ“**

**Валентин Мдзинаришвили**, Грузинский Технический Университет, Доктор-консультант

В настоящее время хорошо известны разностные паутинообразные модели, „спрос-предложение“. В данной работе предлагается моделирование системы „спрос-предложение“ осуществить путем использования системы антагонистических дифференциальных уравнений [1].

Введем следующие обозначения:

$x(p) \equiv S(p)$  - предложение,

$y(p) \equiv D(p)$  - спрос,

$p$  - цена товара.

Для введенных обозначений запишем следующую систему нелинейных дифференциальных уравнений

$$\begin{cases} \frac{dx}{dp} = ax - \frac{b}{y}, & x(p_0) = x_0, \\ \frac{dy}{dp} = cy - \frac{b}{x}, & y(p_0) = y_0, \quad p_0 > 0, \quad y_0 > x_0. \end{cases} \quad (1)$$

Постоянные параметры  $a$ ,  $b$ ,  $c$ ,  $d$  - положительны, а начальные условия  $x_0$  и  $y_0$  заданы. Эти параметры определяются следующим образом.

$a$  - относительное количество единиц предлагаемого товара (продукции) находится путём использования производственной функции Кобба-Дугласа (ПДКФ) как отношение общего количества продукции  $Y$  к числу занятых на производстве рабочих  $L$ :

$$a = Y/L = A \left( \frac{K}{L} \right)^\alpha, \quad \alpha + \beta = 1; \quad A, \quad \alpha \quad \text{и} \quad \beta - \text{параметры ПДКФ, а } L \text{ и } K - \text{максимальные}$$

постоянные значения соответственного рабочих и капитала. Коэффициент  $A$  учитывает технический прогресс.

$b$  - коэффициент учитывает следующие факторы: давление потребителя товара на производителя путём приобретения покупателем аналогических товаров у других производителей с соответствующей рекламой  $\Lambda$ , имеющих высокое качество  $Q$ , высокую надёжность  $R$ , хорошие дизайнерские показатели  $\Xi$ , более низкую цену  $F$ . Таким образом, коэффициент  $b$  представляет собой относительную совокупность перечисленных факторов, взятых с соответствующими весами  $\gamma_i$ , присваиваемыми экспертами:

$$b = \frac{\gamma_1 \Lambda + \gamma_2 Q + \gamma_3 R + \gamma_4 \Xi + \gamma_5 F}{\Lambda + Q + R + \Xi + F},$$

где  $\gamma_1 + \gamma_2 + \gamma_3 + \gamma_4 + \gamma_5 = 1$ .

Из сказанного следует, что коэффициент  $b$  находится в следующих пределах  $0 < b < 1$ .

$c$  - коэффициент учитывает относительный спрос на товар, определяется путем отношения потребности  $N$  в данном товаре (путем проведения маркетингового опроса) ко всему опрошенному населению  $H$ , т.е.

$$c = \frac{N}{H}.$$

$d$  - коэффициент учитывает следующие факторы: давление производителя товара на его потребителя путем создания эффективной рекламы  $\Lambda^*$ , улучшением качества  $Q^*$  и надежности  $R^*$ , улучшением дизайнерских показателей  $\Xi^*$ , снижением цены товара  $F^*$ . Следовательно, коэффициент  $d$  представляет собой относительную совокупность перечисленных факторов, взятых с соответствующими весами  $\eta_i$ , присваиваемыми экспертами:

$$d = \frac{\eta_1 \Lambda^* + \eta_2 Q^* + \eta_3 R^* + \eta_4 \Xi^* + \eta_5 F^*}{\Lambda^* + Q^* + R^* + \Xi^* + F^*},$$

где  $\eta_1 + \eta_2 + \eta_3 + \eta_4 + \eta_5 = 1$ .

Следовательно, коэффициент  $d$  находится в пределах  $0 < d < 1$ .

В дальнейшем нас будет интересовать следующее решение [1] уравнения (1):

$$\frac{y^a}{x^c} = W^{a+c} \left| 1 + \frac{M}{xy} \right|^{\frac{1}{M} \frac{ad-bc}{a+c}}, \quad (2)$$

где  $M = \frac{b+d}{a+c}$ , а коэффициент  $W$  зависит от параметров  $a$ ,  $b$ ,  $c$ ,  $d$  и начальных состояний  $x_0$

и  $y_0$ .

Для дальнейшего изложения представляет интерес предельное решение системы (1), т.е. такое, при котором

$$\lim y(p) \rightarrow 0, \quad (3)$$

где  $y(p) = y_0 e^{-\frac{p}{T}}$ .

В пределе, когда выполняется условие (3), соотношение (2) должно превратиться в нулевое тождество, а для этого необходимо, чтобы имело место равенство

$$1 + \frac{M}{xy} = 0 \Rightarrow \frac{d}{x} = \frac{rd(a+c)}{b+d}. \quad (4)$$

Если во втором уравнении системы (1) принять во внимание соотношение (4), то получим

$$\frac{dy}{dp} = -T^{-1} y, \quad (5)$$



$$\text{где } T^{-1} = \frac{bc - ad}{b + d}.$$

Если из соотношения  $1 + \frac{M}{xy} = 0$ , т.е. из (4) определить  $\frac{b}{y}$  и подставить в первое уравнение системы

(1), то будем иметь

$$\frac{dx}{dp} = T^{-1}x. \quad (6)$$

Решение уравнения (5) даёт убывающую функцию

$$\lim_{p \rightarrow \infty} y(p) = y_0 \lim_{p \rightarrow \infty} e^{-\frac{p}{T}} \rightarrow 0, \quad (7)$$

а решение уравнения (6) даёт возрастающую функцию

$$\lim_{p \rightarrow \infty} x(p) = x_0 \lim_{p \rightarrow \infty} e^{\frac{p}{T}} \rightarrow \infty. \quad (8)$$

Для того, чтобы функция (7) убывала, а функция (8) возрастала необходимо, чтобы постоянный параметр  $T$  имел бы положительный знак, т.е.  $bc - ad > 0$ . Таким образом, для рассмотренного решения системы (1) мы получили совокупность двух линейных уравнений первой степени (6) и (7), связанных между собой параметром  $T$ .

Приемлемая для покупателя и реализатора продукции цена  $p$  товара находится из условия равновесия

$$y_0 e^{-\frac{p}{T}} = x_0 e^{\frac{p}{T}}.$$

Из последнего выражения находим приемлемую цену (Рис. 1)

$$p = \frac{T}{2} \ln \left( \frac{y_0}{x_0} \right).$$




Рис. 1

Выручка, полученная от реализации продукции, расходуется на: прирост овновых производственных фондов, нероизводственной потребление, амортизационные отчисления, содержание управляющего аппарата и т.д.

#### ЛИТЕРАТУРА:

1. Мдзинаришвили В.В. Новые функциональные методы и объекты в теории аппроксимации, моделировании и оптимальном управлении. Тбилиси: „Мецниереба“, 2001.

### DYNAMIC MODEL „DEMAND-SUPPLY“

Valentin Mdzinarishvili, Georgian Technical University, Doctor-consultant

#### RESUME

Dynamic model demand-supply is treated. The system of differential equation is offered, and the solving of it gives opportunity to receive demand-supply mathematical model. The parameters of this model are Economical characteristics. Two differential equations, which describe the model are not depended by variables. These equations are depended only by means of parameters.

## ელექტრონული გადახდის სისტემებში ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგია

კახაბერ ჟამურაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

### შესავალი

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება XX საუკუნის მე-8 საოცრებად არის მიჩნეული. სწორედ ამიტომ, აქტუალურია საკითხი თუ რამ განაპირობა ყოველივე ეს: ხალხის ინტერესმა, ეკონომიკური მიჯაჭვულობამ თუ მიმდინარე საუკუნის რევოლუციურმა გამოგონებებმა, რომლებმაც შეცვალეს კაცობრიობის ცნობიერება.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისა და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ერების ბაზრის ინტერესი, განავითარონ და გაამრავლონ საინფორმაციო ტექნოლოგიებში გამოყენებული სიახლეები, ყურადსაღები და გასათვალისწინებელია, რაც საჭიროებს სამეცნიერო კვლევების გააქტიურებას აღნიშნული კუთხით. ინტერნეტ-მაღაზიები, ვებ საიტები, გამარტივებული ელექტრონული საინფორმაციო ბაზები, საშუალებას იძლევა დროის მცირე მონაკვეთში მოვიძიოთ სასურველი ინფორმაცია, სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გავაკეთოთ შესაბამისი ანალიზი და მოვახდინოთ მისი საჭიროებისამებრ გამოყენება.

თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთ პრობლემად დროის სიმწირეა მიჩნეული. სწორედ ამან გახადა აქტუალური ელექტრონული ინტერნეტ მაღაზიების ჩამოყალიბება. ტექნოლოგიურ განვითარებას თუ დავაკვირდებით ცვლილებები აშკარაა. ტექნოლოგიის განვითარებასა და საბარათე სისტემის გამოყენებასთან ერთად, აქტუალური გახდა უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფა. თუმცა, აქაც არის რიგი საკითხები, როდესაც მომხმარებელი არ არის დაცული და მისი ინფორმაცია შესაძლოა ჩავარდეს არაკეთილსინდისიერი პიროვნების ხელში, რაც მფლობელს მატერიალურად დაზარალებს.

ელექტრონული ანგარიშსწორების, რამოდენიმე მეთოდი არსებობს: ა. ვირტუალური დაგროვებადი ანგარიში; ბ. ელექტრონული ანგარიში, მიბმული საბანკო ანგარიშთან; გ. საბანკო საბარათე სისტემა; დ. სხვადასხვა დაგროვებითი საბარათე გადახდის სისტემები.

მათი რაოდენობიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე აქტუალური გახდა უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტების დაწესება. თუმცა, აღმოჩენილი ხარვეზები საშუალებას იძლევა, არაკეთილსინდისიერი მომხმარებლების მხრიდან დაირღვეს ინფორმაციული უსაფრთხოების და ელექტრონული ანგარიშსწორებით მოსარგებლე კლიენტების მატერიალური ფასეულობათა უსაფრთხოება. აღმოჩენილი ხარვეზები დაუყონებლივ საჭიროებს განხილვასა და გამოსწორებას, რათა შენარჩუნდეს განვითარებისა და სიახლეებისაკენ სწრაფვის ტემპი, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტური გავხადოთ თითოეული ჩვენთაგანის საქმიანობა და დავზოგოთ დრო რიგი მატერიალური საკითხების მოსაგვარებლად.

კონტროლის მექანიზმების გარკვეული ერთობლიობა ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვის საწყის წერტილად მოიაზრება. ისინი ეფუძნება ან საკანონმდებლო მოთხოვნებს ან განისაზღვრება, როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგადი წესები.

ორგანიზაციისთვის საკანონმდებლო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კონტროლის მექანიზმები მოიცავენ: 1. პირადი ინფორმაციის და მონაცემების დაცვას 2. ორგანიზაციული ჩანაწერების დაცვას.

ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის ზოგად წესებად მიჩნეული კონტროლის მექანიზმები მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა. 2. ინფორმაციული უსაფრთხოების პასუხისმგებლობების განაწილება. 3. ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლება, სწავლება და ტრენინგი. 4. პროგრამულ უზრუნველყოფაში დამუშავების სწორი პროცესები. 5. ტექნიკური სისუსტეების მართვა და მონიტორინგი, ლოგირების სისტემის არსებობა და ზედამხედველობა. 6. ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მართვა და გაუმჯობესება.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ სტანდარტში წარმოდგენილი კონტროლის ყველა მექანიზმი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია, მაინც უნდა მოხდეს თითოეული კონტროლის მექანიზმის საჭიროებისა და შესაბამისობის დადგენა კონკრეტული გადახდის სისტემებში მისი მექანიზმის დატვირთვასა და რისკებთან მიმართებაში. ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის დაგეგმვის სტრუქტურა, კონტროლის მექანიზმი, ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის გეგმების მარტივი სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ყველა გეგმა თავსებადი და თანმიმდევრული იყოს, პასუხობდეს ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნებს და აიდენტიფიცირებდეს ტესტირებისა და გამოყენების პრიორიტეტებს. დანერგვის სახელმძღვანელო მითითებები და ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის

თითოეული გეგმა უნდა აღწერდეს უწყვეტობისადმი მიდგომას, მაგალითად მიდგომას, რომლის მიხედვითაც გარანტირებულია ინფორმაციის, ან ინფორმაციული სისტემის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. თითოეული გეგმა ასევე უზუსტად უნდა განსაზღვრავდეს ესკალაციის გეგმას და მისი აქტივაციის პირობებს, იმ პირობებსაც, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გეგმის თითოეული კომპონენტის აღსრულებაზე. ახალი მოთხოვნების შესაბამისად ნებისმიერი არსებული საგანგებო პროცედურები, მაგალითად ევაკუაციის გეგმები (ფორსმაჟორულ სიტუაციის დადგომის დროს ინფორმაციის შენახვა და საიმედო ადგილას გადატანა) ან აღდგენის ღონისძიებები წესისამებრ უნდა შესწორდეს. პროცედურები უნდა შევიდეს ორგანიზაციის ცვლილებების მართვის პროგრამაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის საკითხებზე შესაბამისი რეაგირება და ინფორმაციული წვდომის უწყვეტობის შედეგის მიღწევა. თითოეული გეგმისთვის უნდა განისაზღვროს კონკრეტული მფლობელი. საგანგებო სიტუაციების პროცედურები, აღდგენის გეგმების ინსტრუქციები უნდა იყოს შესაბამისი ბიზნეს-რესურსების, ან პროცესების მფლობელების პასუხისმგებლობის ქვეშ. ალტერნატიული ტექნიკური სერვისების გაუმართაობის აღდგენის ღონისძიებები, როგორებიცაა ინფორმაციის დამუშავების და კომუნიკაციის მოწყობილობა, როგორც წესი, უნდა იყოს სერვისის პროვაიდერების პასუხისმგებლობის ქვეშ.

ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის დაგეგმვის სტრუქტურა უნდა პასუხობდეს ინფორმაციული უსაფრთხოების იდენტიფიცირებულ მოთხოვნებს და გაითვალისწინოს შემდეგი: 1. იმ გეგმების აქტივაციის პირობები, რომლებიც აღწერს შესასრულებელ პროცესებს (მაგალითად, როგორ შევაფასოთ სიტუაცია, ვინ უნდა იყოს ჩართული) მანამ, სანამ მოხდება გეგმის აქტივაცია; 2. საგანგებო პროცედურები, რომლებიც აღწერს აქტივობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ინციდენტის შემთხვევაში, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს ბიზნეს-ოპერაციებს; 3. გაუმართაობის აღდგენის პროცედურები, რომელიც აღწერს იმ ქმედებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს არსებითი ბიზნეს-აქტივობების, ან მხარდამჭერი სერვისების ალტერნატიულ დროებით ადგილზე გადასატანად და იმისათვის, რომ ბიზნეს-პროცესები აღადგინონ ფუნქციონირება დროის საჭირო პერიოდში; 4. დროებითი ოპერაციული პროცედურები, რომლებიც უნდა განხორციელდეს აღდგენისა და დაფარვის დასრულების შემდეგ; 5. აღდგენის პროცედურები, რომლებიც აღწერენ ჩვეულ ბიზნეს-რეჟიმში დასაბრუნებელ ქმედებებს; 6. გრაფიკი, რომელიც განსაზღვრავს როგორ და როდის უნდა მოხდეს გეგმის ტესტირება, ასევე გეგმის გამოყენების პროცესი; 7. ინფორმირებულობა, სწავლება და ტრენინგები, რომლის მიზანია გაგებული და გაცნობიერებული იქნას ბიზნესის უწყვეტობის პროცესები და გარანტირებული იქნას პროცესების ეფექტიანობა; 8. პირობის პასუხისმგებლობები, რაც აღწერს თუ ვინ არის პასუხისმგებელი გეგმის კონკრეტული კომპონენტის აღსრულებაზე. საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასახელებული ალტერნატივები; 9. კრიტიკულ აქტივებს და რესურსებს მოეთხოვებათ საგანგებო სიტუაციების, გაუმართაობის აღდგენის პროცედურების შესრულება.

კანონის, ვალდებულებების, რეგულაციების, ან სახელმეკრულებო ვალდებულებების, ასევე უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის თავიდან არიდება, ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების დაგეგმვა, ოპერაცია, გამოყენება და მართვა შესაძლოა იყოს კანონით დადგენილი ვალდებულებების, რეგულაციებისა და საკონტრაქტო უსაფრთხოების მოთხოვნების საგანი. სპეციფიკური იურიდიული მოთხოვნების შესახებ კონსულტაციისთვის ელექტრონული გადახდის სისტემის ოპერატორმა კომპანიამ უნდა მიმართოს საკუთარ იურიდიულ მრჩეველებს, ან შესაბამის კვალიფიციურ იურისტებს, რათა ინციდენტის დადგომის შემთხვევაში, ოპერირებასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა კომპანიამ მოახდინოს პასუხისმგებლობის გადანაწილება, რაც გარკვეულწილად პრევენციულ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს რისკების შემცირების კუთხით.

კონტროლის მექანიზმები უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ რაოდენობრივად განისაზღვროს ინციდენტების ტიპები, მოცულობა და ღირებულება მათზე მონიტორინგის განსახორციელებლად.

ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების შეფასებიდან მიღებული ინფორმაცია გამოყენებული უნდა იქნას მაღალი დონის გავლენის მქონე ინციდენტების, ან გამეორებითი ინციდენტების გამოსავლენად. ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების შეფასება შესაძლოა მიუთითებდეს კონტროლის დამატებითი ან გაფართოებული მექანიზმების აუცილებლობაზე. იმისათვის, რომ შეიზღუდოს მათი სიხშირე, შემცირდეს ზარალი და შემდგომი ხარჯები, ეს საკითხები გათვალისწინებული უნდა იყოს უსაფრთხოების პოლიტიკის გადახედვის პროცესში. აღნიშნული სისტემით ლოგების მონიტორინგი საშუალებას მოგვცემს შევზღუდოთ არა სასურველი ტრაფიკები და პაკეტები, რომელიც რისკის ქვეშ დააყენებს არსებულ ანგარიშსწორების მეთოდს და პრევენციას მოახდენს განმეორებითი შეფერხების დადგომას. მართვის ეს მეთოდი ასევე უზრუნველყოფს არასასურველი პაკეტების და ტრაფიკების მყისიერ დაფიქსირებას და არ მისცემს დავირუსებულ პაკეტს მოახდინოს სისტემაში ექსპლუატაცია და კრიპტოგრაფიული ალგორითმის გაშიფრვა.

ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემის ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისთვისაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაცემთა დაცვა და პირადი პაროლების ხელშეუხებლობა რათა მოხდეს პრევენცია დავირუსებული ფაილების საშუალებით მათი გავრცელების, ისე როგორც ამას მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობა, რეგულაციები და სახელშეკრულებო მოთხოვნები. უნდა შემუშავდეს და დაინერგოს პირადი მონაცემების ხელშეუხებლობის დაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა. ეს პოლიტიკა უნდა მიეწოდოს ყველა იმ მომხმარებელს რომელიც ჩართულია პირადი ინფორმაციის დამუშავების პროცესებში. პოლიტიკასა და მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობა მოითხოვს შესაბამისი მენეჯერულ სტრუქტურასა და კონტროლს. ხშირად ამის მისაღწევად ინიშნება პასუხისმგებელი პირი, როგორცაა მაგალითად მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც მენეჯერებს, მომხმარებლებს და მომსახურების მომწოდებლებს აძლევს მითითებებსა და რეკომენდაციებს იმ პასუხისმგებლობებისა და სპეციფიკური პროცედურების შესახებ, რომელთა დაცვა აუცილებელია. პირადი ინფორმაციის დაცვისა და მონაცემთა დაცვის პრინციპების შესახებ ცოდნა ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს. პირადი ინფორმაციის დასაცავად მიღებული უნდა იქნას შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.

ევროპის წამყვან ქვეყნებში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც პირადი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის კონტროლის მექანიზმებს იძლევა (როგორც წესი, ეს არის ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით). შესაბამის სახელმწიფო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, კონტროლის ამგვარი მექანიზმები შესაძლოა წარმოშობდეს ვალდებულებებს პირადი ინფორმაციის შეგროვებაზე, დამუშავებასა და გავრცელებაზე, და ასევე შესაძლოა აკრძალოს, ან შეზღუდოს სხვა სისტემური სერვისებისათვის ამ ინფორმაციის გადაცემა.

უმოქმედობის განსაზღვრული დროის შემდეგ უნდა დაიხუროს არააქტიური სესიები.

უმოქმედობის განსაზღვრული დროის შემდეგ ვადის ამოწურვის მოწობილობამ უნდა გაასუფთავოს სესიის ამსახველი ინფორმაცია და ასევე, შესაძლოა მოგვიანებით, დახუროს როგორც პროგრამის, ასევე ქსელური სესიები. ვადის ამოწურვის შეფერხებამ უნდა ასახოს ადგილმდებარეობის/არეალის უსაფრთხოების რისკები, ინფორმაციის კლასიფიკაცია და გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფები, ასევე ტექნიკისა და აპარატურის მომხმარებლებთან დაკავშირებული რისკები. ვადის ამოწურვის მოწობილობის შეზღუდული ფორმა შესაძლოა ემსახუროდეს ზოგიერთ სისტემას, რომლებიც ასუფთავებენ ეკრანს და უზრუნველყოფენ არაავტორიზებული წვდომის თავიდან არიდებას, მაგრამ არ ხურავენ პროგრამის, ან ქსელურ სეანსს. კონტროლის ეს მექანიზმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი რისკების შემთხვევაში, რაც ასევე მოიცავს სისტემის უსაფრთხოების მართვის მიღმა საჯარო, ან გარე არეებს. სესიების დახურვა უნდა მოხდეს, რათა თავიდან იქნას არიდებული არაავტორიზებული პირების მიერ წვდომა და მომსახურებების შეფერხების მიზნით განხორციელებული შეტევები.

უზრუნველყოფა იმისა, რომ უსაფრთხოება ელექტრონული გადახდის სისტემების შემადგენელი ნაწილი იყოს მოიცავს საოპერაციო სისტემებს, ინფრასტრუქტურას, ბიზნეს აპლიკაციებს, სტანდარტულ პროდუქტებს, მომსახურებებს და მომხმარებლისთვის შექმნილ აპლიკაციებს. ბიზნეს-პროცესების მხარდამჭერი ინფორმაციული სისტემის შემუშავება და დანერგვა შესაძლოა კრიტიკული იყოს უსაფრთხოებისთვის. უსაფრთხოების მოთხოვნები უნდა გამოვლინდეს და შეთანხმდეს ელექტრონული გადახდის სისტემების შემუშავებამდე და/ან დანერგვამდე. უსაფრთხოების ყველა მოთხოვნა უნდა გამოვლინდეს საპროექტო მოთხოვნების შემუშავების ეტაპზე ისინი უნდა იყვნენ არგუმენტირებული, შეთანხმებული და დოკუმენტირებული, როგორც პროექტის ეკონომიური დასაბუთების შემადგენელი ნაწილი.

პაროლების მართვის სისტემა უნდა იყოს ინტერაქტიული და უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი პაროლები. პაროლების მართვის სისტემამ უნდა: 1. სავალდებულო გახადოს ინდივიდუალური მომხმარებლების ID-ების და პაროლების გამოყენება, რათა მოხდეს ანგარიშგების მხარდაჭერა; 2. მომხმარებლებს მისცეს საკუთარი პაროლების შერჩევისა და შეცვლის შესაძლებლობა და მოიცავდეს დადასტურების პროცედურას, რათა დაფიქსირდეს მცდარი მონაცემების შეტანა.; 3. სავალდებულო გახადოს ხარისხიანი პაროლების არჩევა; 4. სავალდებულო გახადოს პაროლის პერიოდული შეცვლა; 5. მომხმარებელს დროებითი პაროლი შეაცვლევინოს პირველივე შესვლაზე; 6. ინახავდეს მომხმარებლის წინა პაროლების შესახებ ჩანაწერებს და თავიდან აირიდოს ხელახალი გამოყენება; 7. შეტანისას არ უნდა აჩვენოს ეკრანზე პაროლები; 8. შეინახოს პაროლების ფაილები სისტემური მონაცემებისგან იზოლირებულად; 9. დაცულად გადასცეს და შეინახოს პაროლები (მაგალითად, დაშიფრულად ან ჰეშირებულად).

პაროლები წარმოადგენენ ელექტრონულ მომსახურებებზე წვდომაზე მომხმარებლის უფლებამოსილების გადამოწმების ერთ-ერთ პრინციპულად მნიშვნელოვან საშუალებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მათი სწორი და ეფექტური მართვა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ელექტრონულ ანგარიშების სისტემებზე წვდომა უნდა კონტროლდებოდეს უსაფრთხო შესვლის პროცედურის მიერ. ელექტრონულ ანგარიშსწორების სისტემაში შესვლის პროცედურის მიზანი უნდა იყოს არაავტორიზებული წვდომის შესაძლებლობების შემცირება. ამდენად, შესვლის პროცედურა უნდა იძლეოდეს მინიმალურ ინფორმაციას სისტემის შესახებ, რათა თავიდან იქნას არიდებული არაავტორიზებული მომხმარებლისთვის ნებისმიერი დახმარების გაწევა. შესვლის კარგი პროცედურა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკითხებს: 1. არ გამოვიდეს ეკრანზე სისტემის, ან პროგრამის მაიდენტიფიცირებლები მანამ, სანამ შესვლის პროცედურა წარმატებით არ დასრულდება; 2. ეკრანზე გამოვიდეს შეტყობინება, რომ სისტემაზე წვდომა შეუძლია მხოლოდ ავტორიზებულ მომხმარებლებს; 3. შესვლის პროცედურის დროს არ გამოვიდეს დამხმარე შეტყობინებები, რაც დაეხმარება არაავტორიზებულ მომხმარებელს; 4. შესვლის ინფორმაცია დამოწმდეს მხოლოდ ყველა მონაცემის შეტანის დასრულებისას. როდესაც მცდარი მონაცემების შეტანა მოხდება, სისტემამ არ უნდა მიუთითოს, თუ რომელი მონაცემი იყო მცდარი, ან სწორი; 5. შეზღუდული უნდა იყოს წარუმატებელი შესვლის მცდელობების დაშვებული რაოდენობა, მაგალითად, სამი მცდელობა. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი: წარმატებული და წარუმატებელი მცდელობების ამსახველი ჩანაწერების განხორციელება; დროის შეფერხების ფორსირება მანამ, სანამ შემდგომი შესვლის მცდელობები დაიშვება, ან ნებისმიერი შემდგომი მცდელობების უარყოფა სპეციფიკური ავტორიზაციის გარეშე; მონაცემთა კავშირის გათიშვა; განგაშის შეტყობინებების გაგზავნა სისტემის კონსოლთან, თუ შესვლის მცდელობებმა მაქსიმალურ რაოდენობას მიაღწია; პაროლის შეტანის რაოდენობის განსაზღვრა პაროლის მინიმალური სიგრძის და დასაცავი სისტემის ღირებულების გათვალისწინებით; შეიზღუდოს შესვლის პროცედურის მაქსიმალური და მინიმალური დასაშვები დრო. თუ მომხმარებელი ამ დროს გადააჭარბებს, მაშინ სისტემამ უნდა შეწყვიტოს შესვლის პროცედურა; წარმატებულად დასრულებული შესვლის შემთხვევაში ეკრანზე უნდა გამოვიდეს შემდეგი ინფორმაცია: წინა წარმატებული შესვლის თარიღი და მოახდინოს აიპი მისამართის ლოგირება; ბოლო წარმატებული შესვლიდან მოყოლებული ნებისმიერი წარუმატებელი შესვლის მცდელობების შესახებ დეტალები ეკრანზე არ ჩანდეს შეტანილი პაროლი, ან გათვალისწინებული იყოს პაროლის მახასიათებლების დაფარვა სიმბოლოებით; პაროლები სუფთა ტექსტის სახით ქსელში არ გადაიცეს.

თუ შესვლის დროს პაროლები ქსელში სუფთა ტექსტის სახით გადაიცემა, მაშინ შესაძლებელია ქსელური მომხმენი პროგრამის მიერ განხორციელდეს მათზე „მოსმენა“ აქედან გამომდინარე სავალდებულოა მათი შიფრაციის მოდელის შემუშავება და გამოყენება SSL სერტიფიკატების გამოყენებით.

ინფორმაცია, რომელსაც მოიცავს ონლაინ ტრანზაქციები, დაცული უნდა იყოს იმისათვის, რომ გამოირიცხოს არასრული გადაცემა, არასწორი მარშრუტიზაცია, ინფორმაციის არასანქცირებული ცვლილება, არასანქცირებული გამჟღავნება და დუბლირება.

ონლაინ ტრანზაქციების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებები უნდა მოიცავდეს შემდეგს: ა) გარიგებაში ჩართული თითოეული მხარის მიერ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება; ბ) შემდეგი პუნქტების უზრუნველყოფა: 1) მომხმარებელთა რწმუნებულება (Credential) ყველა მხარის მომხმარებლისთვის შემოწმებული და დადასტურებულია; 2) ტრანზაქცია კონფიდენციალურია 3) კონფიდენციალურობა შენარჩუნებულია ყველა ჩართული მხარისათვის. გ) ყველა ჩართული მხარის კავშირის არხი დაშიფრულია; დ) ყველა ჩართული მხარის მიერ გამოყენებული ოქმები დაცულია; ე) იმის უზრუნველყოფა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის შენახვა მოხდეს ისეთ გარემოში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, მაგალითად ორგანიზაციის შიდა ქსელში არსებულ შემნახველ პლატფორმაში და არა ისეთ მატარებელზე, რომელიც არ არის დაცული და ინტერნეტის საშუალებითაა ხელმისაწვდომი; მოხდეს ეგრეთ წოდებული VPN ვირტუალური ქსელური კავშირი, რომელიც დაშიფრული იქნება. ეს არის შიფრაციის ორმაგი მეთოდი, რომელიც ხელმეორედ შიფრავს უკვე დაშიფრულ ინფორმაციას კრიპტოგრაფიის ალტერნატიული მეთოდით, რაც გაზრდის დემიფრაციისათვის განკუთვნილ დროს და შეამცირებს არასანქცირებული წვდომის ალბათობის რისკებს; ვ) ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება დიდი სანდოობის მქონე ორგანიზაცია (მაგალითად, ციფრული ხელმოწერის და ციფრული სერტიფიკატის პროვაიდერი) დაცვა ინტეგრირებული უნდა იყოს მენეჯმენტის მთელ პროცესზე. დამატებითი ინფორმაცია და კონტროლის მიღებული მექანიზმების მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს რისკის დონეს, რომელიც დაკავშირებულია ყოველი ონლაინ ტრანზაქციის თითოეულ ფორმასთან.

**ლიტერატურა:**

1. Rolf Oppliger, Secure Messaging on the Internet Second Edition, 978-1-60807-718-2, 2015.
2. Stefan Rass and Daniel Cryptography for Security and Privacy, 978-1-60807-717-5, 2013.
3. Warren Axelrod Engineering Safe and Secure Software Systems, 978-1-60807-473, 2012.

**STRATEGY OF INFORMATION SECURITY IN ELECTRONIC PAYMENT SYSTEMS**

**Kakhaber Zhamurashvili**, Georgian Technical University, PhD student

**RESUME**

Proposed is an electronic payment systems, information security strategy. Identified electronic payment methods, the control over the combination, which is considered a starting point for implementing information security and data protection and privacy control mechanism. Based on the legal requirements for the establishment, in the form of general rules that are applied in information security. The paper also focuses on the management of the system and the system of secure passwords to change procedures.

**შემთხვევითი მიმდევრობის გაუსურობის ჰიპოთეზის შემოწმების შესახებ**

**კარლო ცერცვაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ვთქვამთ მოცემულია დაკვირვება (რეალიზაცია) დროით მწკრივზე:

$$X(n) = (x^1(n), x^2(n), \dots, x^m(n)), n = 0, \pm 1, \pm 2, \dots \quad (1)$$

ტრადიციულად ითვლება, რომ რეალიზაციის საშუალებით შეფასებების პოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია მაქსიმალური დასაჯერობის მეთოდი, შემუშავებული ცნობილი სტატისტიკოსის, ფიშერის, მიერ. როდესაც (1) მიმდევრობა წარმოადგენს გაუსის მიმდევრობას, მაშინ დასაჯერობის ფუნქციის ლოგარითმს აქვს შემდეგი სახე:

$$L_n = -\frac{1}{2} [n \cdot n \cdot \ln 2\pi + \ln \det M_n(\theta) + Y'(n) \cdot [M_n(\theta)]^{-1} \cdot Y(n)] \quad (2)$$

უცნობი  $\theta = (\theta_1, \theta_2, \dots, \theta_k)$  პარამეტრის შეფასებად მივიღებთ იმ მნიშვნელობას  $\hat{\theta}$ , რომელიც (2) გამოსახულებას მიანიჭებს მაქსიმუმს

$$\max_{\theta} L_{n,\theta} = L_{n,\hat{\theta}}$$

მაქსიმალური დასაჯერობის მეთოდით მიღებულ  $\hat{\theta}$  შეფასებას გააჩნია ყველა „კარგი“ თვისება, ის არის  $\theta = (\theta_1, \theta_2, \dots, \theta_k)$  ვექტორული პარამეტრის ძალდებული, ასიმპტოტურად ნორმალური და ასიმპტოტურად ეფექტური შეფასება.

ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ თითქმის ყველა ნაშრომში [1]; [2]; [3]; [4], რომლებსაც ქემოთ შევხებით, აპრიორად მიღებულია, რომ დაკვირვებები გვაქვს გაუსის სტაციონარულ ვექტორული მიმდევრობაზე, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ შემთხვევაში შედარებით ადვილად მოიძებნება პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ამ მიმდევრობის სპექტრალური სიმკვრივე, რომელთა შესრულების დროსაც გადავწყვეტთ ამა თუ იმ პრობლემას. ყოველივე ამის გამო, მნიშვნელოვანი (1) დაკვირვების (რეალიზაციის) დახმარებით შევაფასოთ ამ რეალიზაციის გაუსურობის ჰიპოთეზა.

ქვემოთ მოვიყვანთ ძირითად ცნებებს, რომლებიც ცნობილია და ძირითადად გამოიყენება ჰიპოთეზათა შემოწმების და სტატისტიკური შეფასების აგებისას [5].

ერთგვაროვან ობიექტთა გენერალური ერთობლიობა X იყოს შემთხვევითი სიდიდე, რომელიც გამოხატავს გენერალური ერთობლიობის ობიექტთა რაიმე ნიშან-თვისებას. გვაინტერესებს ამ შემთხვევითი სიდიდის უცნობი F(x) განაწილების ფუნქციის სახის დადგენა. გენერალური ერთობლიობის ბუნებიდან, შეიძლება, გვკონდეს წინასწარი ვარაუდი (ჰიპოთეზა), რომ განაწილების ფუნქციას აქვს რაღაც F(x) სახე. ანალოგიურად, თუ განაწილების ფუნქცია შეიცავს უცნობ  $\theta$  პარამეტრს, გარკვეული მოსაზრებით შეიძლება გამოვთქვათ ჰიპოთეზა  $\theta = \theta_0$ , სადაც  $\theta_0$  ცნობილი სიდიდეა.

ჰიპოთეზას ვუწოდოთ სტატისტიკური, თუ ის ეხება უცნობი განაწილების ფუნქციის სახეს, ან უცნობ პარამეტრს.

ბუნებრივია, დაშვებულ ჰიპოთეზასთან ერთად განვიხილოთ მისი საწინააღმდეგო ჰიპოთეზაც. თუ შემოწმების შედეგად დაშვებული ჰიპოთეზა არ გამართლდა, მაშინ ადგილი ექნება მის საწინააღმდეგოს.

დაშვებულ (ძირითად) ჰიპოთეზას ეწოდება ნულოვანი და აღინიშნება  $H_0$  სიმბოლოთი. მისგან განსხვავებულ ნებისმიერ ჰიპოთეზას ეწოდება ალტერნატიული და აღინიშნება  $H_1$  სიმბოლოთი.

მაგალითად, თუ ნულოვანი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინი  $a=0$ , მაშინ მისი ერთ-ერთი ალტერნატიული ჰიპოთეზა იქნება  $a \neq 0$ . ეს ფაქტი მოკლედ ასე ჩაიწერება:  $H_0: a=0$ ;  $H_1: a \neq 0$ .

წესს, რომელიც განსაზღვრავს პირობებს, რომლის დროსაც შესამოწმებელ ჰიპოთეზას მივიღებთ ან უარყოფთ, ეწოდება სტატისტიკური კრიტერიუმი. ცხადია, ჰიპოთეზის შემოწმება ხდება იმ მონაცემების საფუძველზე, რომელსაც ვღებულობთ შერჩევიდან. ე.ი. სტატისტიკური კრიტერიუმი ადგენს წესს, თუ შემთხვევითი შერჩევის რა მონაცემების დროს მიიღება მოცემული ჰიპოთეზა და რა მონაცემების დროს არა.

სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმების დროს შეიძლება დაშვებული იქნას ორი ტიპის შეცდომა, ანუ როგორც მათ უწოდებენ, პირველი, ან მეორე გვარის შეცდომა.

შეცდომა პირველი გვარისაა, როდესაც ჭეშმარიტი  $H_0$  ჰიპოთეზა მიიღება მცდარად, ხოლო მეორე გვარისაა, როდესაც მცდარი  $H_0$  ჰიპოთეზა ჩაითვლება ჭეშმარიტად.

$H_0$  ჰიპოთეზის შესამოწმებლად ავაგოთ სტატისტიკური კრიტერიუმი შემდეგნაირად:

1. შემოვიღოთ სპეციალურად შერჩეული შემთხვევითი სიდიდე, რომლის ზუსტი ან ზღვრული განაწილება ცნობილია. ცხადია ეს სიდიდე შერჩევის მონაცემების ფუნქციაა. აღვნიშნოთ იგი  $K$  სიმბოლოთი (მას ჩვენ შემდგომში გავაიგივებთ სტატისტიკურ კრიტერიუმთან). მისი საშუალებით უნდა განვსაზღვროთ, მივიღებთ  $H_0$  ჰიპოთეზას უკუვაგდებთ მას.

2. დავაფიქსიროთ პირველი გვარის შეცდომის ალბათობა  $\alpha$ , რომელსაც მნიშვნელობის დონე ეწოდება. მნიშვნელობის დონე ეს ის საზღვარია, რომლის გადალახვის შემდეგ განსხვავება შერჩევის მონაცემებსა და ნულოვან ჰიპოთეზას შორის არსებითია, ე.ი, მონაცემები ნულოვანი ჰიპოთეზის წინააღმდეგია.

3. შემოვიღოთ  $H_0$ -ს მიმართ ალტერნატიული ჰიპოთეზა  $H_1$ .

4. დავადგინოთ  $W$  კრიტიკული არე, ანუ სტატისტიკური კრიტერიუმის იმ ნამდვილ მნიშვნელობათა სიმრავლე, რომელთა მიღებისას  $H_0$  ჰიპოთეზა უკუივდება. კრიტერიუმის იმ მნიშვნელობათა სიმრავლე, რომელზეც  $H_0$  ჰიპოთეზას მივიღებთ, ვუწოდოთ დასაშვებ მნიშვნელობათა არე.  $K$  წერტილს, რომელიც ყოფს ამ სიმრავლეს კრიტიკულ და დასაშვებ მნიშვნელობათა არეებად, კრიტიკული წერტილი ეწოდება.

ზემოთ მოყვანილი ოთხი პუნქტი საშუალებას გვაძლევს ავაგოთ სტატისტიკური კრიტერიუმი. პრაქტიკულად, შეიძლება თავიდანვე დავაფიქსიროთ პირველი გვარის შეცდომის ალბათობა  $\alpha$ . (ჩვეულებრივად  $\alpha=0,1$ ;  $0,05$ ;  $0,02$ ;  $0,01$ ), ყველა რაქტიკულად მნიშვნელოვანი კრიტერიუმისათვის შედგენილია ცხრილები და  $P(K \in W) = 1$  ტოლობიდან შეიძლება  $K_0$  კრიტიკული წერტილის დადგენა. ჩვენ ვაგებთ კრიტიკულ არეს იმ მოსაზრებიდან, რომ ნულოვანი ჰიპოთეზის დროს კრიტერიუმის კრიტიკულ არეში. მოხვედრის ალბათობაა  $\alpha$ . სასურველია ვიცოდეთ, რას უდრის ალბათობა იმისა, რომ კრიტერიუმი მოხვდება კრიტიკულ არეში, როცა სამართლიანია ალტერნატიული ჰიპოთეზა, ვუწოდოთ ამ ალბათობას კრიტერიუმის სიმძლავრე, სხვა სიტყვებით, კრიტერიუმის სიმძლავრე არის ალბათობა იმისა, რომ ნულოვან ჰიპოთეზას უკუვაგდებთ, თუ სამართლიანია ალტერნატიული ჰიპოთეზა.

ვთქვათ, მეორე გვარის შეცდომის ალბათობაა  $\beta$ , მაშინ კრიტერიუმის სიმძლავრე იქნება  $1-\beta$ , აქედან ჩანს, რომ რაც უფრო მეტია კრიტერიუმის სიმძლავრე, მით უფრო მცირდება მეორე გვარის ალბათობა  $\beta$ .

ამრიგად, ალბათობა იმისა, რომ კრიტერიუმი ჩავარდება კრიტიკულ არეში, როცა სამართლიანია  $H_0$  ჰიპოთეზა, უდრის  $\alpha$ -ს და ამავე დროს ალბათობა იმისა, რომ კრიტერიუმი ჩავარდება კრიტიკულ არეში, როცა სამართლიანია  $H_1$  ჰიპოთეზა, უნდა იყოს მაქსიმალური. ამ ორ პირობას ეწოდება კრიტერიუმის სიმძლავრის მაქსიმიზაციის პოსტულატი, რაც ანალიზურად ასე ჩაიწერება:

$$P(K \in W | H_0) = \alpha; \quad P(K \in W | H_1) = \max \quad (1)$$

სტატისტიკური კრიტერიუმს, რომელიც აკმაყოფილებს ამ პოსტულატს, ეწოდება უმძლავრესი კრიტერიუმი.

როგორც ვნახეთ, რაც უფრო მცირეა  $\alpha$  და  $\beta$ , მით უფრო კარგი კრიტიკული არე გვაქვს, მაგრამ თუ შერჩევის  $n$  მოცულობა ფიქსირებულია,  $\alpha$  და  $\beta$ -ს ერთდროული შემცირება შეუძლებელია, რადგან თუ  $\alpha$ -ს შევამცირებთ, მაშინ  $\beta$  გაიზრდება.

$\alpha$  და  $\beta$ -ს ერთდროული შემცირების ერთადერთი გზა შერჩევის მოცულობის გაზრდაა, რომელიც, თავის მხრივ, სიმწიფეებთან არის დაკავშირებული.

უმძლავრესი კრიტერიუმის აგება სტატისტიკურ ჰიპოთეზათა შემოწმების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. უმძლავრესი კრიტერიუმების აგების არართული მეთოდები დადგენილია მხოლოდ მარტივი ჰიპოთეზებისათვის. ჰიპოთეზას ეწოდება მარტივი, თუ იგი ცალსახად განსაზღვრავს განაწილების ფუნქციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰიპოთეზას ეწოდება რთული. მაგალითად, ჰიპოთეზა, რომ ნორმალური განაწილებული შემთხვევითი  $X$  სიდიდის მათემატიკური ლოდინი უდრის  $\theta$ -ს, ხოლო დისპერსია ერთს – მარტივი ჰიპოთეზაა, რადგან იგი ცალსახად განსაზღვრავს  $X$  შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქციას, ხოლო ჰიპოთეზა, ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი  $X$  სიდიდის მათემატიკური ლოდინი უდრის  $\theta$ -ს, ხოლო დისპერსია  $\sigma^2$ -ს მიერ დადებითი რიცხვია, რთული ჰიპოთეზაა.

იმ შემთხვევაში, როცა  $H_0$  და  $H_1$  ჰიპოთეზები მარტივია, ადგილი აქვს ნეიმან-პირსონის თეორემას.

**თეორემა.** თუ ძირითადი ჰიპოთეზა  $H_0$  და ალტერნატიული  $H_1$  ჰიპოთეზა მარტივებია, შესაბამისად  $H_0: \theta = \theta_0$ ;  $H_1: \theta = \theta_1$  და თუ  $L(x_1, x_2, \dots, x_n; \theta_0)$ ,  $L(x_1, x_2, \dots, x_n; \theta_1)$ , წარმოადგენენ დასაჯერობის ფუნქციებს, გამოთვლილს  $H_0$  და  $H_1$  ჰიპოთეზებისათვის, ხოლო  $X$  შემთხვევითი სიდიდე, რომლიდანაც აღებულია შერჩევა, უწყვეტია, მაშინ არსებობს კრიტერიუმი, რომელიც არის უმძლავრესი  $H_0$  ჰიპოთეზისათვის  $H_1$  ჰიპოთეზის მიმართ. კრიტიკული არე და თვითონ კრიტერიუმი განისაზღვრება უტოლობით

$$L(x_1, x_2, \dots, x_n; \theta_0) \geq C L(x_1, x_2, \dots, x_n; \theta_1), \quad (1)$$

სადაც  $C$  დადებითი რიცხვია, რომლის მნიშვნელობა დამოკიდებულია მნიშვნელოვნების  $\alpha$  დონეზე.

**მაგალითი.** ვიპოვოთ უმძლავრესი კრიტერიუმი  $H_0$  ჰიპოთეზისათვის, რომელიც გულისხმობს, რომ ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი  $X$  სიდიდე მათემატიკური ლოდინი არის  $a_0$ .  $H_1$  ალტერნატივა გვეუბნება, რომ  $a_1 \neq a_0$ , ხოლო დისპერსია ცნობილია და უდრის  $\sigma^2$ , ხოლო ამოკრეფის მოცულობაა  $n$ .

**ამოხსნა.** შევადგინოთ დასაჯერობის ფუნქციები, როცა მათემატიკური ლოდინი არის შესაბამისად  $a_1$  და  $a_0$ .

$$L(x_1, x_2, \dots, x_n, a_1) = \frac{1}{(\sqrt{2\pi}\sigma)^n} \exp \left[ -\frac{1}{2\sigma^2} \sum_{i=1}^n (x_i - a_1)^2 \right]$$

$$L(x_1, x_2, \dots, x_n, a_0) = \frac{1}{(\sqrt{2\pi}\sigma)^n} \exp \left[ -\frac{1}{2\sigma^2} \sum_{i=1}^n (x_i - a_0)^2 \right]$$

ჩავსვათ ეს გამოსახულებები (1)-ში, მივიღებთ:

$$\frac{1}{(\sqrt{2\pi}\sigma)^n} \exp \left[ -\frac{1}{2\sigma^2} \sum_{i=1}^n (x_i - a_1)^2 \right] \geq C \frac{1}{(\sqrt{2\pi}\sigma)^n} \exp \left[ -\frac{1}{2\sigma^2} \sum_{i=1}^n (x_i - a_0)^2 \right] \quad (2)$$

მე-2 უტოლობის ორივე მხარის გალოგარითმებით და გარკვეული გარდაქმნებით მივიღებთ:

$$(a_1 - a_0) \sum_{i=1}^n x_i - n(a_1^2 - a_0^2) \geq \sigma^2 \ln C$$

როგორც ცნობილია, გაუსურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებისათვის ასიმეტრია და ექცესი ნულის ტოლია, ამის გამო, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ: ძირითად ნულოვან  $H_0$  ჰიპოთეზად მივიღოთ: ასიმეტრიის კოეფიციენტი  $a=0$ ; ალტერნატიული ჰიპოთეზად  $H_1$ :  $a \neq 0$ . ან ძირითად ნულოვან  $H_0$  ჰიპოთეზად მივიღოთ: ექცესი  $e=0$ ; ალტერნატიული ჰიპოთეზად  $H_1$ :  $e \neq 0$ . ან შემოწმდეს ორთავე ერთად. თუ ორივე ძირითადი ჰიპოთეზა მისაღებია, პრაქტიკულად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დაკვირვება ხდება გაუსურად განაწილებულ დროით მწკრივზე. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვამტკიცებთ იმას, რომ მხოლოდ გაუსური შემთხვევითი მიმდევრობის ასიმეტრია და ექცესი უდრის ნულს, მაგრამ იმ მეთოდების და შედეგების პრაქტიკულად გამოყენებისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაუსურობის ასეთი სახით შემოწმება.

#### ლიტერატურა:

1. Солев В.Н., Церцвадзе К.А., Условие базисности для стационарной векторной последовательности. Записки научных семинаров ЛОМИ, т. 166, 1980.



2. Церцвадзе К.А., Информационный оператор и асимптотическое поведение теплицева определителя. Записки научных семинаров ЛОМИ, т. 98, 1980.
3. Tsertsvadze K. A., On the approximation of the likelihood Function by vector analogous of the whittle statistics. New tends in probability statistics Volume 1. Proceeding of the Bakuriani Colloquium in Honor of Yu. Prokhorov, Bakuriani, Georgia USSR 24 February – 4 March. 1990 p. 644-651.
4. ცერცვაძე კ. ა., პროგნოზირების მეთოდისა და პროგნოზის ცდომილების დადგენის შესახებ, გ.ს.უ. სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 2, 2002.

## ON VERIFYING GAUSSIAN RANDOM SEQUENCE HYPOTHESIS

**Karlo Tsertsvadze**, Gori State Teaching University, Professor  
**RESUME**

The present study deals with the practical method of checking hypothesis of time sequence property.

### ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

#### Natural Sciences

#### კიბოს დიაგნოსტიკა ადრეულ ეტაპზე და მისი მკურნალობის მეთოდი ნანოტექნოლოგიის გამოყენებით

**ინგა აბულაძე**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
E-mail: i\_abuladze@gtu.ge

**ნანა მაღლაკელიძე**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

კაცობრიობა დღეისათვის უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას, რადგან - უკურნებელი სენის სახელით ცნობილი - კიბო ისეთ ფართო მასშტაბებს იძენს ყოველდღიურად, რომ მეცნიერები შემოფოთებულები არიან მისი ასეთი გახშირებით ადამიანებში და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერები ფართომასშტაბიან ექსპერიმენტებს ატარებენ, რათა დაადგინონ ადამიანის ორგანიზმში ამ სენის ძირითადი გამომწვევი მიზეზი და შესაბამისად შეიმუშაონ მისი განკურნების გზები.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს კიბოს გამომწვევი მიზეზები და მისი განკურნების გზები. ასევე, ზოგადად მოსახლეობას მისცეს ამ სენისაგან თავის არიდების რეკომენდაციები.

ამჟამად მსოფლიოში როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე აშშ-ში არის საგანგაშო სიტუაცია, რადგან ყოველ მერვე ქალის ან მამაკაცის ორგანიზმში შეიძლება აღმოჩნდეს ძუძუს ან პროსტატის კიბო. ამისათვის ექიმები ურჩევენ ყოველ ქალს და მამაკაცს აწარმოონ კონტროლი წელიწადში ერთხელ მაინც (ნაცვლად 6 თვისა), პრევენციის მიზნით.

კიბოს დასადგენად ამ დარგის მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მისი ნაადრევი და სწორი აღმოჩენა წარმოადგენს *კიბოს თერაპიის წარმატების საიდუმლოს*. იმისათვის, რომ კლინიკურად დადგინდეს პაციენტი დაავადებულია თუ არა ამ სენით, თავდაპირველად მას უტარდება ბიოფსიის ანალიზი და პასუხის მორფოლოგიური შემოწმების მიხედვით (რომელსაც ესაჭიროება დაახლოებით 2 კვირა), დგინდება მისი ფორმები.




ნახ. 1. სპექტრომეტრი

ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტის NanoScience Technology Center-ის ასოცირებული პროფესორის Qun "Treen" Huo-ს ხელმძღვანელობით NanoDLSay ტექნიკის - სპექტრომეტრის (ნახ. 1) გამოყენებით ლაბორატორიაში შეიმუშავეს უკვე აპრობირებული სისხლის სკრინინგ ტესტი, რომლის თანახმად სისხლში ნანონაწილაკების (ოქროს ნანონაწილაკების) საშუალებით შესაძლებელია პროსტატის კიბოს აღმოჩენა ადრეულ სტადიაზე [1, 2, 3].

როგორც ცნობილია, ბიოფსისის მორფოლოგიის საფუძველზე მედიკოსები ადგენენ კიბოს სტადიას და მის სხვადასხვა ეტაპებს. აღნიშნული ტესტის საშუალებით კი პაციენტი თავს აარიდებს ბიოფსისის არასასურველ გამოყენებას.


ზემოთ ხსენებულ მეცნიერთა ჯგუფმა ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შეიმუშავა ოქროს ნანონაწილაკების ტესტი, რომლის საშუალებით (გამოყენებით) შესაძლებელია მამაკაცებში პროსტატის სიმსივნის ადრეული სკრინინგი. თუმცა ისინი ფიქრობენ, რომ ამ ტესტის საშუალებით ნებისმიერი სახის კიბოს სკრინინგია შესაძლებელი; ეს ტესტი კლინიკურად გამოცდილია მრავალ პაციენტზე. მის შესამოწმებლად საჭიროა რამდენიმე წვეთი სისხლი და ეს ტესტი პასუხს იძლევა რამდენიმე წუთში (ნახ. 2). მისი ღირებულება არ აღემატება 1 დოლარს, ფაქიზია და იძლევა უტყუარ შედეგს [1].



ნახ. 2. Qun Huo ამოწმებს სკრინინგ ტესტს

Qun Huo-ს კვლევებით პოტენციურად შესაძლებელია იმუნური სისტემის მიხედვით კიბოს ადრეულ სტადიაზე აღმოჩენა და დიაგნოსტიკა. ამისათვის მან და მისმა ჯგუფმა გამოიყენეს ოქროს ნაწილაკები, რომლებიც ჩართეს სისხლში კიბოს აღმოჩენის ადრეულ სტადიაზე და რისკის შეფასებისას აღმოჩნდა, რომ ოქროს ნანონაწილაკებმა თავისი შედეგი გამოიღო [4,5]. ამ ცენტრში მომუშავე

მეცნიერებმა ტესტი ჩაატარეს პროსტატის კიბოს შემთხვევაში თუმცა კვლევების საფუძველზე QunHuo-მ აღნიშნა რომ, ნებისმიერი სახის კიბოს აღმოჩენა შესაძლებელია ამ ტესტის საფუძველზე. მეცნიერთა ამ ჯგუფმა კვლევების საფუძველზე დაადგინა, კიბოს ჩამოყალიბებამდე ადამიანის იმუნურ სისტემაში შეინიშნება ცილების ნაერთი სისხლში. მე-3 ნახაზზე გამოსახულია Nano Science Technology Center-ის მეცნიერი, რომელიც ადამიანის იმუნურ სისტემას იკვლევს უახლესი აპარატის გამოყენებით. მეცნიერთა ჯგუფმა Qun Huo-ს ხელმძღვანელობით პირველი სტატია გამოაქვეყნეს 2012 წელს, ხოლო უახლოესი სტატია გამოქვეყნებულია 2015 წლის მარტში [2].




ნახ. 3. ადამიანის იმუნური სისტემის გამოსაკვლევი აპარატი


მეცნიერთა ამ ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებში (რომელიც გამოაქვეყნეს 2015 წელს) აღნიშნულია, რომ მათ შეიმუშავეს ოქროს ნანონაწილაკების სისხლის ტესტი და დაადგინეს -

სპეციფიკური სიმსივნის ანტიგენის - *tumor-specific antigens* იდენტიფიცირება და იმ ანტისხეულების (*tumor-specific autoantibodies*) აღმოჩენა *სისხლის ტესტში*, არის ამა თუ იმ სპეციფიკური სიმსივნის საწყისის სიგნალი. ადამიანის ორგანიზმში კიბოს უჯრედების განვითარება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ადამიანის იმუნური სისტემა ძალზე სუსტია [5,6].

პირველ ბიჯზე, როდესაც ოქროს ნანონაწილაკები შეურიეს სისხლს, სისხლის შრატის ზედაპირზე ჩამოყალიბდა (დაფიქსირდა) ცილების (ანტისხეულების) და სხვა ბიომოლეკულების ჯაჭვი (ნახ. 4). მეორე ბიჯზე, ნანონაწილაკებით ჩატარებული ანალიზის თანახმად დინამიკაში აღმოაჩინეს, რომ ადამიანის იმუნოგლობულინი (*immunoglobulin G – IgG*), ანუ ადამიანის იმუნური სისტემის დაქვეითების შედეგად რამდენად იზრდება ცილების ჯაჭვი (ნახ. 4). როგორც ნახაზიდან ჩანს, პროსტატის კიბოთი დაავადებულ პაციენტებში, როდესაც დაქვეითებულია იმუნური სისტემა, ნანონაწილაკებში გაიზარდა ცილების ჯაჭვი (ნახ. 4 და ნახ. 5). ამრიგად, *ოქროს ნანონაწილაკებს აქვთ უნარი მიიზიდონ კიბოს ბიოუჯრედები*.



ნახ. 4. ოქროს ნანონაწილაკების მოთავსებით სისხლში ჩამოყალიბებული სამიზნე ცილების და ანტისხეულების ჯაჭვი



ნახ. 5. სისხლში ცილების ჯაჭვის და ბიომოლეკულების (ანტისხეულების) ჯაჭვის ანალიზი გრაფიკულად

მეცნიერთა ამ ჯგუფის მიერ ფლორიდას ერთ-ერთ საავადმყოფოში ჩატარებული კლინიკური კვლევის შედეგების საფუძველზე, მედიკოსებს შესაძლებლობა მიეცათ 90-95%-იანი სიზუსტით აღმოაჩინონ კიბო და შეაფასონ მისი რისკი რამდენად საშიშია სიცოცხლისათვის, რათა დროულად ჩატარდეს მკურნალობა. ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც ადამიანის **იმუნური სისტემა ძალიან სუსტდება, სწორედ მაშინ იწყებს კიბოს უჯრედები ამოქმედებას**. მკვლევართა ეს ჯგუფი განაგრძობს აქტიურ მუშაობას ამ მიმართულებით.

ფლორიდას უნივერსიტეტის ნანომეცნიერების ტექნოლოგიების ცენტრი დღემდე ეწევა კოლაბორაციულ საქმიანობას (თანამშრომლობას) ფლორიდას რამდენიმე კლინიკასთან და საავადმყოფოსთან; ასევე ორლანდოს (**Orlando**) სამედიცინო ცენტრთან და პროსტატის კიბოს ცენტრთან.

სამწუხაროდ, მიუხედავად ბოლო დროის მოლეკულური დიაგნოსტიკის მიღწევებისა, აღნიშნული სკრინინგ ტესტი ყველა სახის კიბოს ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტიკის საშუალებას არ იძლევა.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს მედიკოს-მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომ შეიმუშაონ მისი განკურნების გზები და შესაბამისად მედიკამენტები, რომლებიც დაეხმარება ამ სენით დაავადებულ ადამიანებს განკურნებაში.

ცნობილი, რომ ქართველი მეცნიერი და ფიზიკოსი გია დვალი გვთავაზობს **კიბოს განკურნების მეთოდს დაფუძნებულს ადრონულ თერაპიაზე**. გთავაზობთ დვალის ერთ-ერთი ინტერვიუდან ამონარიდს:

„**სიმსივნის ადრონული თერაპია**, ეს არის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უახლეს მიმართულებაზე დაფუძნებული თერაპიის მეთოდი, რომელიც მაქსიმალურად ეფექტურად ანადგურებს კიბოს უჯრედებს ჯანსაღი უჯრედების დაუზიანებლად. ეს დარგი ეფუძნება ნაწილაკების ამაჩქარებელ ზეწარმოებულ მაღალი ენერგიების ფიზიკის კვლევებს, მაგრამ მას ასევე გააჩნია უმნიშვნელოვანესი სამედიცინო

გამოყენება. პროექტის იდეაა, რომ საქართველოში შეიქმნას ადრონული თერაპიის კვლევებისთვის აუცილებელი ამაჩქარებელი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. და კვლევის ამ მიმართულების გარშემო აეწყოს საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი ტექნოლოგიური ინსტიტუტის სახით, რომელიც ერთგვარი ლოკომოტივის როლს შეასრულებს ზოგადი მეცნიერული და სასწავლო დონის ამაღლებისთვის ქვეყანაში. პროექტი ასევე უნიკალურია თავისი მრავალმხრივი მნიშვნელობის გამო, როგორცაა 1) სამეცნიერო-კვლევითი, 2) საგანმანათლებლო, 3) ინტერდისციპლინარული, 4) სამედიცინო, 5) სოციალური, 6) ჰუმანური, 7) რეგიონალური. პროექტი ბუნებრივად შეასრულებდა ერთ-ერთ წამყვან როლს საქართველოს CERN-თან თანამშრომლობაში და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან ინტეგრაციაში“.

მედიკოსები მოსახლეობას ურჩევენ, რომ თუ ისინი თავიანთ ყოველდღიურ რაციონში ჩართავენ ხმელთაშუა ზღვის პროდუქტებს, მათ ნაკლები რისკი აქვთ დაემართათ ძუძუს კიბო.

ესპანეთის მეცნიერთა ჯგუფმა გამოიკვლია კლიმაქსის შემდგომ პერიოდში მყოფი 4152 ქალი და აღმოაჩინეს, რომ იმ ადამიანებში, რომელთაც თავიანთ ყოველდღიურ რაციონში ჩართული ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის პროდუქტების დიეტა, 68%-ით ნაკლები იყო ძუძუს კიბოს შემთხვევები, ვიდრე იმ ადამიანებში ვინც ყოველდღიურად მიირთმევდა ცხიმოვან საკვებს. აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა შეიმუშავეს 3 სახის დიეტა, რომელთა დაცვა შეამცირებს კიბოს რისკს ადამიანებში: პირველი არის ხმელთაშუა ზღვის პროდუქტების დიეტა მდიდარი უმაღლესი ხარისხის ზეთუნის ზეთით (ყოველდღიური რაციონის 15 პროცენტს (კალორიას) უნდა შეადგენდეს ზეთუნის ზეთი); მეორე არის ხმელთაშუა ზღვის დიეტა მდიდარი კაკლით, და მესამე - ცხიმოვანი პროდუქტების შეზღუდვა ყოველდღიურ რაციონში [7].

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მკერდის კიბოს გაჩენა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის გენეტიკაზე, ცხოვრების სტილზე და სხვ. ამ დარგის მკვლევარები აქცენტს მანც ადამიანის გენეტიკაზე, მისი ოჯახის ისტორიაზე, ცხოვრების წესზე და იმ რისკ-ფაქტორებზე აკეთებენ, რომლებმაც შესაძლოა კიბოს პროვოცირება გამოიწვიონ. ადამიანები, რომლებიც ამ უკურნებელი სენით არიან დაავადებულნი, მეცნიერები განკურნებას ჰპირდებიან. მათ აღმოაჩინეს **Blushwood**-ის სახელწოდებით ცნობილი ხილი (ნახ. 6), რომელიც ავსტრალიაში მოდის. მისი თესლი შეიცავს **EVS-46** ნივთიერებას, რომელიც უსწრაფესად ანადგურებს კიბოს უჯრედებს [7].



ნახ. 6. **Blushwood** ხილი

კვლევის შედეგები ძალიან იმედის მომცემი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ექსპერიმენტი განხორციელდა ცხოველებზე, მეცნიერები დარწმუნებულნი არიან ამ დაავადების დამარცხების შესაძლებლობაში.

ამრიგად, ნაშრომში ჩვენს მიერ შეთავაზებულია კიბოს დადგენისა და მისი პრევენციის უახლესი მეთოდი, დაფუძნებული ნანონაწილაკების მოთავსებით სისხლში. ასევე, ადამიანებს ვთავაზობთ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება თავიდან აარიდებს უკურნებელი სენით დაავადებას. რეგულარული ვარჯიში და სხეულის ფორმაზე გამუდმებული ზრუნვა, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესი და სიგარეტისგან თავის არიდება ესენი გახლავთ ის ფაქტორები, რომლებიც ამცირებენ კიბოს გაჩენის რისკს ადამიანებში.

#### ლიტერატურა:

1. [http://www.sciencedaily.com/releases/2015/04/150403130826.htm?utm\\_source=feedburner](http://www.sciencedaily.com/releases/2015/04/150403130826.htm?utm_source=feedburner).
2. Tianyu Zheng, Nickisha Pierre-Pierre, Xin Yan, Qun Huo, Alvin J.O. Almodovar, Felipe Valerio, Inoel Rivera-Ramirez, Elizabeth Griffith, David D. Decker, Sixue Chen, Ning Zhu. Gold Nanoparticle-Enabled Blood Test for Early Stage Cancer Detection and Risk Assessment. *ACS Applied Materials & Interfaces*, 2015; 7 (12),pp 6819–6827.
3. Huo, Q.; Litherland, S.A.; Sullivan, S.; Hallquist, H.; Decker, D.A.; Rivera-Ramirez, I. Developing a nanoparticle test for prostate cancer scoring. *J. Translational Medicine*, 10:44 (2012).
4. Huo, Q.; Cordero, A.; Bogdanovic, J.; Colon, J.; Baker, C.H.; Goodison, S.; Pensky, M. A facile nanoparticle immunoassay for cancer biomarker discovery. *J. Nanobiotechnology*, 9:20 (2011).
5. Zhang, S.; Moustafa, Y.; Huo, Q. Different interaction modes of biomolecules with citrate-capped gold nanoparticles. *ACS Appl. Mater. Interfaces* 6, 21184–21192 (2014). (featured on the cover)
6. Zheng, T.; Pierre-Pierre, N.; Yan, X.; Huo, Q.; Valerio, F.; Rivera-Ramirez, I.; Griffith, E.; Decker, D.D.; Chen, S.; Zhu, N. A Gold nanoparticle-enabled blood test for early stage cancer detection and risk assessment. *ACS Appl. Mater. Interfaces*, submitted in January 2015, under review (2015).
7. <http://www.livescience.com/52155-mediterranean-diet-breast-cancer.html>

# CANCER DIAGNOSIS AT AN EARLY STAGE AND TREATMENT METHOD USING NANOTECHNOLOGIES

Inga Abuladze, Georgian Technical University, Associate Professor  
Nana Maghlakelidze, Georgian Technical University, Associate Professor  
**RESUME**

Early and accurate detection of cancer is critical for successful cancer therapies. In most cases, a tissue biopsy is the initial means of making a diagnosis after some form of cancer screening has come up with a positive result.

In the paper shown of a protein corona formed on a gold nanoparticle (AuNP) surface upon adsorption of blood serum proteins and other biomolecules.

## Gramineae ოჯახის მცენარეთა მინერალური კვება ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით

ნელი გოგინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

კაცობრიობის მიერ მოხმარებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი, მცენარეულია. ამასთან დაკავშირებით, საკვების წარმოებისა და მომარაგების საკითხის გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის პროდუქტიულობაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლას.

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ყოველმხრივ გავლენას ახდენენ მცენარის სიცოცხლეზე, მათ პროდუქტიულობასა და ხარისხზე ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია მინერალური კვება. ისე, როგორც ყველა სახეობის მცენარისთვის, მარცვლეული კულტურებისთვისაც აუცილებელია ჟანგბადი, წყალბადი, ნახშირბადი, რომლებსაც მცენარე იღებს წყლისა და ნახშირორჟანგისაგან. გარდა ამისა, აუცილებელია მაკროელემენტები: აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, გოგირდი, კალციუმი, მაგნიუმი; მიკროელემენტები: მარგანეცი, ბორი, სპილენძი, ცინკი, მოლიბდენი, კობალტი და სხვ. ნიადაგში საკვები ელემენტები იმყოფება სხვადასხვა ფორმით, კერძოდ:

- ხსნად მდგომარეობაში;
- ნიადაგის ორგანული და არაორგანული კოლოიდების მიერ ადსორბირებული;
- არაორგანული შენაერთების უხსნადი ფორმით;
- მცენარეთა და ცხოველთა ნარჩენების, ორგანულ ნაერთთა შემადგენელი ნაწილის ფორმით, ან ცოცხალი ორგანიზმების შემადგენლობაში (1).

აღნიშნული ელემენტების მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაო რაოდენობითაა ნიადაგში, მაგრამ ზოგიერთი მათგანი აუცილებელია მიეწოდოს მცენარეს მინერალური და ორგანული შენაერთების ფორმით.

მცენარეები, მათ შორის მარცვლეულთა (Gramineae) ოჯახის მცენარეები, უმეტეს შემთხვევაში ძლიერ რეაგირებენ აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველ მინერალურ მარილებზე, რადგან ხსენებულ ელემენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მცენარეთა ზრდა-განვითარებისა და ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური თუ ბიოქიმიური პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის.

მცენარის კვებისათვის საჭირო ელემენტებიდან, რომელიმე ნებისმიერი ელემენტის არარსებობა გამოიწვევს მათი ნორმალური ზრდის შესაძლებლობას, რადგან თითოეული ამ ელემენტთაგანი მცენარის სიცოცხლეში ასრულებს სპეციფიკურ როლს. კერძოდ, აზოტი შედის ცილების, ამინომჟავების, ნუკლეინმჟავების, მრავალი ვიტამინის, ფერმენტების, ალკალოიდების და სიცოცხლისათვის საჭირო სხვა ნივთიერებათა შემადგენლობით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ქლოროფილი. როგორც აკადემიკოსი კ.ა. ტიმირიაზევი (ციტირებულია გ. ჩხაიძის მიერ (2)) აღნიშნავს „მწვანე ფოთოლი, უფრო სწორად ქლოროფილის მიკროსკოპილი მწვანე მარცვალი არის ფოკუსი, წერტილი სამყაროში, რომელშიც ერთი მხრიდან მიედინება მზის ენერჯია, ხოლო მეორედან - იღებს საწყისს დედამიწაზე სიცოცხლის ყოველგვარი გამოვლინება. მცენარე - ციდან ცეცხლის მომტაცებელი ნამდვილი პრომეთეა. მინდვრის, მდელოს თუ ტყის მწვანე ზედაპირის მიერ შეუთვისებელი, შთაუნთქავი სხივი - ეს სამუდამოდ დაკარგული სიმდიდრეა“.

ფოსფორი მცენარეში აღწევს მხოლოდ უმაღლესი ჟანგეული მარილებიდან ორთოფოსფორმჟავას ანიონის - PO<sub>4</sub>-ის სახით. ფოსფორი შედის უჯრედის ბირთვის, ცილის, ლიპოიდების შემადგენლობაში. ამ უკანასკნელის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია პლაზმის შემადგენელი ნაწილი - ლეციტინი. მცენარეებში ფართოდაა გავრცელებული ინოზიტისა და ფოსფორმჟავას რთული ეთერი - ფიტინი, რომელიც უმთავრესი სათადარიგო შენაერთია და გამოიყენება მცენარის მიერ ფოსფორული შიმშილის დროს. ფოსფორმჟავა რიგი მნიშვნელოვანი დამჟანგველი ფერმენტების აუცილებელი კომპონენტია. ფოსფორმჟავასა და მისი ნარჩენებისაგან წარმოიქმნებიან ადფ და ატფ. მათ ცენტრალური ადგილი უკავიათ სუნთქვის პროცესებში. ფოსფორი მონაწილეობს უჯრედის უმნიშვნელოვანესი ნაერთების ბიოსინთეზში. ეს ელემენტი ძველი მომაკვდავი ნაწილებიდან ახალგაზრდა განვითარებად ორგანოებისაკენ ინაცვლებს და ხელახლა ერთვება ნივთიერებათა ცვლაში, ე.ი. ხდება რეუტილიზაცია (2). ფოსფორით ნორმალური კვება აჩქარებს მცენარეთა განვითარებას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ხელს უწყობს აზოტისა და სხვა ელემენტების შეთვისებას. თუმცა, ფოსფორის ჭარბი რაოდენობა ამცირებს სავეგეტაციო პერიოდს, რაც ამცირებს სტანდარტული პროდუქციის გამოსავალს (3).

კალიუმი მჭიდროდ არის დაკავშირებული პროტოპლაზმის ცხოველქმედებასთან, რითაც განპირობებულია მისი უპირატესი დაგროვება ფოთლებსა და მერისტემულ ქსოვილებში. კალიუმს არა აქვს მტკიცე კავშირი უჯრედის კონსტიტუციურ ნივთიერებებთან, ამიტომ ადვილად გადაადგილდება მომაკვდავი ნაწილებიდან განვითარებადი ორგანოებისაკენ. კალიუმი იმყოფება პლასტიდებსა და ბირთვებში და აკუმულირდება მხოლოდ მათ ზედაპირზე. კალიუმის მარილები აღმოჩენილია ვაკუოლშიც. მცენარეში ეს ელემენტი იონების სახით იმყოფება და უმეტესად ამ ფორმით ამჟღავნებს თავის აქტიურობას. კალიუმი ხელს უწყობს ცილების სინთზს, მონაწილეობს ფოტოსინთეზის პროცესში როგორც უშუალოდ, ისე არაპირდაპირ - ხელს უწყობს ნახშირწყლებისა და მათ წინამორბედ ნივთიერებათა გარდაქმნასა და გადაადგილებას. მცენარეში წყლის მოძრაობას, ამცირებს ტრანსპირაციას, რის გამოც წყლის შემცველობა ფოთლებში იზრდება, დადებითად მოქმედებს აგრეთვე ვეგეტატიური ნაწილების ზრდაზე (2). კალიუმის ნაკლებობის დროს შეზღუდულია ქლოროპლასტების ფოტოსინთეზური აქტივობა. ის ხელს უწყობს პროტოპლაზმის წყალდამჭერი თვისების გაძლიერებას, რაც თავის მხრივ ამაღლებს მცენარის გვალვამძლეობას (3).

მცენარეთა მინერალური კვება უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ნიადაგის ხსნარიდან საკვები ელემენტების შთანთქმასთან, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათგან უმთავრესია ნიადაგისა და ჰაერის ტემპერატურა, ნიადაგის ტენიანობა, ატმოსფერული ნალექები, ნიადაგის არეს რეაქცია, იონთა ურთიერთმოქმედება, გამოყენებული სასუქების შემადგენლობა, ფორმა, დოზა და სხვ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ისეთი მნიშვნელოვანი სასურსათო კულტურების, როგორცაა მარცვლოვანთა (Gramineae) ოჯახის მცენარეების მინერალური კვების საკითხის შესწავლა, ფრიად აქტუალურია.

ექსპერიმენტი ტარდებოდა ი. ლომოურის საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გორის საცდელ სადგურში, გეოგრაფიული ქსელის მრავალწლიან სტაციონალურ ცდებში, თესლბრუნვაში ისწავლებოდა ძირითადი ბიოელემენტების (N, P, K), მათი თანაფარდობისა და დოზების გავლენა მცენარეთა მიერ მათ შეთვისებაზე. ორგანოების მიხედვით დაგროვებაზე და მცენარეთა პროდუქტიულობაზე შემდეგი სქემის მიხედვით: 1. 0 - საკონტროლო, 2. N<sub>90</sub>K<sub>60</sub>, 3. N<sub>90</sub>P<sub>90</sub>, 4. P<sub>60</sub>K<sub>30</sub>, 5. N<sub>60</sub>P<sub>60</sub>K<sub>30</sub>, 6. N<sub>90</sub>P<sub>60</sub>K<sub>30</sub>, 7. N<sub>120</sub>P<sub>60</sub>K<sub>30</sub>, 8. P<sub>90</sub>K<sub>60</sub>, 9. N<sub>60</sub>P<sub>90</sub>K<sub>60</sub>, 10. N<sub>90</sub>P<sub>90</sub>K<sub>60</sub>, 11. N<sub>120</sub>P<sub>90</sub>K<sub>60</sub>.

კვლევის ობიექტი: საშემოდგომო ხორბალი (*Triticium vulgare*) ჯიში მუხრანი და სამარცვლე სიმინდი (*Zea mays L.*) ჯიში აჯამეთის თეთრი. ცდებში გამოყენებული იყო შემდეგი ფორმის აზოტისა და ფოსფორისა და კალიუმის მარილები: NH<sub>4</sub>NO<sub>3</sub>, Ca(H<sub>2</sub>PO<sub>4</sub>)<sub>2</sub>, KCl.

საკვლევი ნიადაგების ქიმიური დახასიათებისათვის ნიადაგის საშუალო სინჯები აღებული იქნა 0-20 და 20-40 სმ სიღრმის ჰორიზონტიდან, ცდების დაყენების წინ. სინჯებში განისაზღვრა: ჰუმუსი, საერთო აზოტი და საერთო ფოსფორი, ჰიდროლიზური აზოტი, მოძრავი ფოსფორი, გაცვლითი კალიუმი, შთანთქმული კათიონების ჯამი, კარბონატობა. P<sup>H</sup> წყლის სუსპენზიაში, ნიადაგის ტენიანობა. ცალკეული საკვები ელემენტის (NPK) შემცველობა ორივე სახეობის მცენარეში განისაზღვრა ძირითად (მარცვალი) და თანმდევ (ღერო-ფოთლები) პროდუქციაში მარცვლის სრული სიმწიფის ფაზაში. ამავე ფაზაში განისაზღვრა ნიადაგის ტენიანობა. ანალიზური სამუშაოები ჩატარდა ხსენებული ინსტიტუტის და საცდელი სადგურის აგროქიმიურ და ბიოქიმიურ ლაბორატორიებში საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით. მცენარეში საკვები ელემენტის შემცველობის საფუძველზე დადგენილი იქნა შესასწავლი ბიოელემენტების მინერალური სასუქებიდან გამოყენების კოეფიციენტი მ.კ. კაიუმოვის (4) მეთოდით. ციფრობრივი მონაცემები დამუშავდა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით ბ.ა. დოსპეხოვის (5) მიხედვით.

მინერალური მარილების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნიადაგის ქიმიურ შედგენილობაზე, მათ შორის საკვები ელემენტების მცენარისათვის შესათვისებელი ფორმის შემცველობაზე. აკად. დ.ნ. პრინციპის (6) მიერ დადგენილი იქნა, რომ მცენარის კვებისათვის მნიშვნელოვან აქვს საკვები ელემენტების არა აბსოლუტურ მარაგს, არამედ მცენარეთა მოთხოვნილების მიხედვით მათ შესათვისებელ ფორმაში გადასვლის უნარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიადაგის ქიმიური დახასიათებისათვის სხვა მაჩვენებლებთან ერთად განვსაზღვრეთ საკვები ელემენტების, როგორც საერთო, ისე მცენარისათვის ადვილად შესათვისებელი ფორმები.

საკვლევი ნიადაგების ქიმიური დახასიათებით გამოირკვა, რომ ჰუმუსი მასში საშუალო რაოდენობითაა და 0-20 სმ ფენაში შეადგენს 3,12%, 20-40 სმ ფენაში კი - 2,73%, საერთო აზოტი, ფენების შესაბამისად 0,20 და 0,19%, საერთო ფოსფორი - 0,18 და 0,15%. მიუხედავად საერთო აზოტის და ფოსფორის მაღალი შემცველობისა, საკვლევი ნიადაგი საშუალოდაა უზრუნველყოფილი ჰიდროლიზური აზოტით და ღარიბია მოძრავი ფოსფორით. ჰიდროლიზური აზოტის რაოდენობა ნიადაგის 0-20 და 20-40 სმ ფენაში შეადგენს, შესაბამისად 5,13 და 4,20 მგ/100 გ ნიადაგში, ხოლო მოძრავი ფოსფორის - 1,22 და 0,77 მგ/100გ ნიადაგში. რაც შეეხება გაცვლით კალიუმს, მისი შემცველობა მაღალია და შეადგენს შესაბამისად 45,0 და 37,5 მგ/100 გ ნიადაგში. შთანთქმული ფუძეების ჯამი ( $Ca^{++}+Mg^{++}$ ) ფენების მიხედვით 34,3 და 29,7 მგ/ექვ/100 გ ნიადაგზე. შთანთქმული ფუძეების ჯამში უპირატესობს  $Ca^{++}$  და მისი ოდენობა აღწევს შესაბამისად 85,7 და 90,2% მთელი ჯამიდან. ნიადაგი კარბონატულია, მათი რაოდენობა 0-20 და 20-40 სმ შეადგენს, შესაბამისად 15,1 და 15,9%-ს. ნიადაგის არეს რეაქცია - ტუტეა,  $P_{(H_2O)}^H$  - 7,9 და 8,2.

მაშასადამე, ნიადაგის ქიმიური ანალიზების საფუძველზე გამოირკვა, რომ საკვლევი ნიადაგი ხასიათდება საშუალო ნაყოფიერებით და მასზე მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისა და მაღალი პროდუქტიულობისათვის აუცილებელია მინერალური სასუქების, პირველ რიგში აზოტ-ფოსფორიანი სასუქების გამოყენება.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით (ერთი როტაციის საშუალო მონაცემები) გამოირკვა, რომ როგორც ხორბლის, ისე სიმინდის მცენარეების მიერ საკვები ელემენტების მოხმარება მიმდინარეობს მთელი ვეგეტაციის პერიოდში - მარცვლის სრულ მომწიფებამდე (საკვები ნივთიერებების ძირითადი ნაწილი შეითვისება მცენარეთა გენერაციული ორგანოების ჩამოყალიბების პერიოდში). ამასთან, საკვლევი მცენარეთა ვეგეტაციის განმავლობაში საკვებ ელემენტთა შორის თანაფარდობა განსხვავებულია. რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მცენარის კვებისათვის მინერალური მარილების დოზების დამუშავებისას.

საკვლევი მცენარეებში უმნიშვნელოვანესი საკვები ელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) შემცველობა მოტანილია პირველ ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ მათი დაგროვება მცენარეთა ორგანოების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კერძოდ, აზოტ-ფოსფორის რაოდენობა საგრძნობლად მაღალია მარცვალში, კალიუმის კონცენტრაცია კი - ღერო ფოთლებში. ასე მაგალითად, აზოტის და ფოსფორის შემცველობა მთელი ცდის საშუალო მონაცემებით სიმინდის მარცვალში შეადგენს, შესაბამისად 1,75 და 0,87%-ს, ღერო-ფოთლებში კი - 0,89 და 0,36%, კალიუმის შემცველობა კი პირიქით, ღერო-ფოთლებში მაღალია - 1,63%, ნაცვლად მარცვალში მისი რაოდენობისა - 0,70% (თითქმის 2,5-ჯერ მეტი). ანალოგიური მდგომარეობაა ხორბლის ცდაში.

გამოვლინდა პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება შეტანილ მინერალური ნივთიერებების დოზებსა და მცენარეში მათ დაგროვებას შორის. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს აზოტზე. კერძოდ,  $P_{60}K_{30}$ -ის ფონზე  $N_{60}$ -ის შეტანისას სიმინდის მარცვალში მისი შემცველობა 1,64%-ია,  $N_{90}$  და  $N_{120}$ -ის დროს შესაბამისად 1,71 და 1,76%. მსგავსი შედეგებია ხორბლის ცდაშიც (ცხრილი 1).

ცხრილი 1

**საკვები ელემენტების შემცველობა საკვლევი მცენარეებში, %**

№	ვარიანტები	მარცვალში			ღერო-ფოთლებში		
		N	P	K	N	P	K
<b>ხორბალი - Triticum vulgare</b>							
1	0	1,88	1,01	0,46	0,28	0,10	1,40
2	$N_{90}K_{60}$	1,96	1,05	0,49	0,31	0,12	1,48
3	$N_{90}P_{90}$	1,97	1,09	0,47	0,36	0,13	1,47
4	$P_{60}K_{30}$	1,91	1,05	0,48	0,30	0,12	1,52
5	$N_{60}P_{60}K_{30}$	2,02	1,10	0,50	0,37	0,14	1,64

6	N <sub>90</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	2,15	1,12	0,51	0,42	0,16	1,65
7	N <sub>120</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	2,26	1,15	0,55	0,44	0,18	1,74
8	P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	2,03	1,09	0,50	0,39	0,16	1,64
9	N <sub>60</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	2,32	1,16	0,53	0,48	0,20	1,66
10	N <sub>90</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	2,48	1,21	0,56	0,49	0,23	1,76
11	N <sub>120</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	2,51	1,23	0,58	0,54	0,24	1,78
	M±m	2,14 ± 0,068	1,12 ± 0,205	0,51 ± 0,033	0,39 ± 0,045	0,16 ± 0,045	1,61 ± 0,39
<b>სიმინდი - Zea mays L.</b>							
1	0	1,46	0,72	0,60	0,75	0,33	1,36
2	N <sub>90</sub> K <sub>60</sub>	1,52	0,83	0,62	0,82	0,34	1,48
3	N <sub>90</sub> P <sub>90</sub>	1,62	0,84	0,69	0,86	0,37	1,72
4	P <sub>60</sub> K <sub>30</sub> - ფონი I	1,62	0,84	0,63	0,78	0,34	1,43
5	N <sub>60</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	1,64	0,87	0,69	0,90	0,36	1,49
6	N <sub>90</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	1,71	0,89	0,73	0,99	0,34	1,37
7	N <sub>120</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	1,76	0,92	0,73	0,94	0,37	1,58
8	P <sub>90</sub> K <sub>60</sub> - ფონი II	1,66	0,89	0,69	0,86	0,36	1,75
9	N <sub>60</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	1,72	0,89	0,79	0,94	0,35	1,81
10	N <sub>90</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	1,72	0,92	0,75	0,96	0,37	1,97
11	N <sub>120</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	1,80	0,95	0,76	0,99	0,40	1,98
	M±m	1,75 ± 0,042	0,87 ± 0,057	0,70 ± 0,063	0,89 ± 0,080	0,36 ± 0,006	1,63 ± 0,069

მცენარეთა მიერ საკვებ ნივთიერებათა შეთვისება და დაგროვება თავის გავლენას ახდენს როგორც მარცვლის ისე ღერო-ფოთლების პროდუქტიულობაზე. მინერალური სასუქების გამოყენებით ხორბლის მარცვლის მოსავლიანობა საშუალოდ 39,4 ც/ჰა-ს, ხოლო ღერო-ფოთლების - 58,3 ც/ჰა-ს შეადგენს, რაც შესაბამისად 96,0 და 64,7%-ით მეტია საკონტროლო (უსასუქო) ვარიანტთან შედარებით. მსგავსი შედეგებია მიღებული სიმინდის მარცვლის და ღერო-ფოთლების მოსავლიანობის მონაცემებზეც (ცხრილი 2).

რაც შეეხება ცალკეული ელემენტის გავლენას მცენარეთა პროდუქტიულობაზე, სრულიად განსხვავებულია, კერძოდ, აზოტის, ფოსფორის და კალიუმის ეფექტი ხორბლისათვის შეადგენს შესაბამისად 27,6; 44,2 და 4,5%, სიმინდისათვის - 50,7; 33,8 და 6,9%-ს. კალიუმის ასეთი მცირე ეფექტი ჩვენი აზრით დაკავშირებული უნდა იყოს ნიადაგში შესათვისებელი ფორმის (გაცვლითი კალიუმი) საკმაო რაოდენობით (45,0 – 37,5 მგ/100გ) არსებობასთან.

ცხრილი 2

**მინერალური კვების ელემენტების გავლენა  
მარცვლოვან მცენარეთა პროდუქტიულობაზე**

№	ვარიანტები	პროდუქტიულობა, ც/ჰა		პროდუქტიულობის მატება, %		ცალკეული ელემენტის ეფექტი, %		
		მარცვლი ს	ღერო- ფოთლების	მარცვლი ს	ღერო- ფოთლების	N	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	K <sub>2</sub> O
<b>ხორბალი - Triticum vulgare</b>								
1	0	20,1	35,4	–	–			
2	N <sub>90</sub> K <sub>60</sub>	30,8	39,6	53,2	11,9		34,4	
3	N <sub>90</sub> P <sub>90</sub>	42,5	56,9	111,4	60,7			60,3
4	P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	33,1	53,3	64,7	50,6			
5	N <sub>60</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	40,0	60,9	99,0	72,0			
6	N <sub>90</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	42,0	64,6	108,9	82,5			
7	N <sub>120</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	40,4	66,3	101,0	87,3			
8	P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	34,8	47,0	73,1	32,8			
9	N <sub>60</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	41,1	62,8	104,5	77,4			
10	N <sub>90</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	44,4	65,3	120,9	84,5	59,1		
11	N <sub>120</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	44,8	66,5	122,9	87,8			
	HCP <sub>05</sub> , ც/ჰა	0,61	0,82					



	P, %	1,74	3,05				
<b>სიმინდი - Zea mays L.</b>							
1	0	25,1	42,5	–	–		
2	N <sub>90</sub> K <sub>60</sub>	30,2	44,0	20,3	3,5	24,6	
3	N <sub>90</sub> P <sub>90</sub>	37,8	49,8	50,6	17,2		86,2
4	P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	27,5	51,8	9,6	21,9		
5	N <sub>60</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	35,6	56,2	41,8	32,2		
6	N <sub>90</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	36,6	56,4	45,8	32,7		
7	N <sub>120</sub> P <sub>60</sub> K <sub>30</sub>	37,9	63,9	51,0	50,0		
8	P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	26,8	47,9	6,8	12,7		
9	N <sub>60</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	35,1	50,3	39,8	18,4		
10	N <sub>90</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	40,4	67,6	61,0	59,1	54,1	
11	N <sub>120</sub> P <sub>90</sub> K <sub>60</sub>	44,7	69,2	78,1	62,8		
	HCP <sub>05</sub> , ც/ჰა	1,27	1,32				
	P, %	2,53	2,87				

საერთოდ, მცენარეთა პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად მაღალია იმ ვარიანტებზე, სადაც სამივე საკვები ელემენტი (NPK) ერთადაა შეტანილი, მათ შეწყვილებულად (NP, NK, PK) გამოყენებასთან შედარებით (ცხრილი 2). ე.ი. საკვებ ხსნარში უნდა იყოს მცენარისათვის საჭირო ყველა ელემენტი, რადგან თითოეული მათგანი განსხვავებულ გავლენას ახდენს მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ თუ ბიოქიმიურ პროცესებზე და ბუნებრივია ერთი ელემენტის მეორით შეცვლა შეუძლებელია.

ფოსფორ-კალიუმის სხვადასხვა ფონზე (P<sub>60</sub>K<sub>30</sub>, P<sub>90</sub>K<sub>60</sub>) აზოტის მზარდი დოზების (N<sub>60</sub>, N<sub>90</sub> და N<sub>120</sub>) გამოცდისას გამოვლინდა, რომ დოზების ზრდასთან ერთად როგორც ძირითადი, ისე თანმდევი პროდუქციის რაოდენობაც მატულობს, თუმცა მისი მაღალი დოზის (N<sub>120</sub>) გამოყენებისას მოსავლის მატება ფოსფორ-კალიუმის დაბალ ფონზე (P<sub>60</sub>K<sub>30</sub>), ცდომილების ფარგლებშია (HCP<sub>05</sub> : ხორბლისათვის - 0,61, სიმინდისთვის - 1,27).

ცხრილი 2-ის მონაცემებით ხორბლის მარცვლის მაღალი პროდუქტიულობა - 44,4 ც/ჰა, მიღებულია მინერალური მარილების N<sub>90</sub>P<sub>90</sub>K<sub>60</sub> (ვარიანტი 10) დოზით გამოყენებისას. ნამატი პროდუქციის ოდენობა საკონტროლოსთან (ვარიანტი 1) შედარებით შეადგენს 120,9%-ს. აზოტის დოზის შემდგომი გადიდება (N<sub>120</sub>-მდე) არაეფექტურია, რადგან N<sub>90</sub>-ის გამოყენებასთან შედარებით მატება მხოლოდ 0,4 ც/ჰა შეადგენს, რაც ცდომილების ფარგლებს არ სცილდება (HCP<sub>05</sub> = 0,61 ც/ჰა). სიმინდის ცდაში კი მაქსიმალურ პროდუქტიულობას - 44,7 ც/ჰა, აპირობებს მინერალური მარილების N<sub>120</sub>P<sub>90</sub>K<sub>60</sub> დოზა. ნამატი პროდუქცია შეადგენს 78,1%-ს, საკონტროლოსთან (ვარიანტი 1) შედარებით, ხოლო აზოტის წინა დოზასთან (N<sub>90</sub>) მიმართებაში მატება 4,3 ც/ჰა ანუ 10,6%-ია, რაც სრულად სარწმუნოა (HCP<sub>05</sub> = 1,27). რეკომენდებულ ვარიანტებზე ყველაზე მაღალია აგრეთვე მინერალური მარილებიდან საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტები, სახელდობრ: ხორბლისათვის - აზოტი 59,1%, ფოსფორი - 34,4%, კალიუმი - 60,3%. სიმინდისათვის შესაბამისად - 54,1; 24,6; 86,2%.

როგორც აღვნიშნეთ, მინერალური მარილების გამოყენებით მცენარის ორგანოებში საკვები ელემენტების შემცველობა იზრდება, რაც შესაბამისად უზრუნველყოფს მცენარეთა პროდუქტიულობის ამაღლებას. ამასთან, თითოეული ელემენტის ეფექტი, გარდა მათი დოზებისა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვეგეტაციის პერიოდში მოსული ნალექების რაოდენობასა და შესაბამისად, ნიადაგის ტენიანობაზე. კერძოდ, მშრალ პერიოდში აზოტისა და მისი მზარდი დოზების გამოყენებით საკვლევ მცენარეთა პროდუქტიულობა უმნიშვნელოდ იზრდება, ნალექიან პერიოდში კი - მათი გავლენა მკვეთრად მყვანდება. ეს ალბათ დაკავშირებულია ტენიანი ამინდის პირობებში ნიადაგში ნიტრიფიკაციის პროცესის შენელებასთან, რაც იწვევს აზოტოვან სასუქებზე მცენარის მოთხოვნილების გაზრდას. ასევე, ფოსფორის შემცველობა მცენარეში ნალექიან პერიოდში უფრო მაღალია მშრალ პერიოდთან შედარებით. როგორც ჩანს, ფესვთა სისტემის გავრცელების სიღრმეზე საკმარისი ტენიანობა ხელს უწყობს ნიადაგისა და შეტანილი სასუქების ფოსფორის ხსნადობას, რის შედეგადაც იზრდება მისი შემცველობა მცენარეში. მცენარეთა ორგანოებში კალიუმის რამდენადმე მაღალი შემცველობა აღინიშნება აგრეთვე ნალექიან პირობებში. ანალოგიური შედეგებია მიღებული კახეთში ლ. მეგრელიძის და სხვათა (7) მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებით, სახელდობრ, უხვნალექიანობის ან სწორი ირიგაციის პირობებში საშემოდგომო ხორბლის საშუალო მოსავლიანობა თითქმის 1,5-2,5-ჯერ იზრდება.

მამასადამე, საკვლევ მცენარეებში უმთავრესი საკვები ელემენტების (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) შემცველობა ორგანოების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია: აზოტ-ფოსფორის რაოდენობა

საგრძნობლად მაღალია მარცვალში, ხოლო კალიუმის - ღერო-ფოთლებში. მცენარეებში საკვები ელემენტების შემცველობის, მათზე მოთხოვნილების, ნიადაგში ამ ელემენტთა შესათვისებელი ფორმების რაოდენობის და სხვა ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, ხორბლის და სიმინდის მცენარეთა პოტენციური შესაძლებლობების რეალურად გამოვლენის მიხედვით მინერალური ელემენტების ოპტიმალური დოზებია: ხორბლისათვის -  $N_{90}P_{90}K_{60}$ , ხოლო სიმინდისთვის -  $N_{120}P_{90}K_{60}$ . აღნიშნული დოზების გამოყენებისას მაღალია აგრეთვე მინერალური მარილებიდან საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტები, რის გამოც რეკომენდებული დოზების გამოყენება ეკოლოგიური თვალსაზრისითაც გამართლებულია.

#### ლიტერატურა:

1. Физиология сельскохозяйственной растений. т. 5. Ответственный редактор Б.А. Рубин. МГУ, 1969.
2. ჩხაიძე გ. მცენარეთა ფიზიოლოგია. თბილისი, 2003.
3. Петербургский А.В. Агрохимия и физиология питания растений. М., Россельхозиздат, 1971.
4. Каюмов М.К. Справочник по программированию урожая. М., Роскльхозиздат, 1977.
5. Доспехов Б.А. Методика полевого опыта. 2-е изд. перераб. и доп. М., Колос, 1968.
6. Прянишников Д.Н. Избранные труды. М., Наука, 1976.
7. მეგრელიძე ლ., შვანგირაძე მ., მელაძე მ. კლიმატის ცვლილებების ზეგავლენის შეფასება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე და წყლის დეფიციტზე კახეთში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კლიმატის ცვლილებების და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე“. 2-3-4 ოქტომბერი, 2014, თბილისი, საქართველო, 2014.

## MINERAL NUTRITION OF THE PLANTS OF THE GRAMINEAE FAMILY IN CONNECTION WITH ECOLOGICAL FACTORS

Neli Goginashvili, Gori State Teaching University, Professor  
RESUME

The amount of main nutrient elements (Nitrogen, Phosphorus, Potassium) according to the organs in the studied plants (wheat – *Triticum Vulgare*, maize – *Zea Myas L.*) sharply varies: the amount of Nitrogen and Phosphorus is significantly high in the grain, and the amount of Potassium is high in the stem and leaves. According to the detection of potentiality of the plants of wheat and maize and taking into consideration the contents of nutrient elements in the plants, the need, the contents of absorption forms of these elements in the soil and ecological factors, the optimal doses of mineral elements are the following: for wheat -  $N_{90}P_{90}K_{60}$ , for maize -  $N_{120}P_{90}K_{60}$ . While using the mentioned doses, the coefficient of the usage of nutrient elements from mineral salts is also high, and from the viewpoint of ecology the usage of recommended doses is justified.

### ტყის როლი ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საქმეში

ლამზირა გორგილაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასისტენტ პროფესორი

ნატო ჯაბნიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
დარეჯან ჯაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჯაბნიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

საქართველოს ერთ-ერთ სიმდიდრესა და სიკეთეს ქართული ტყე წარმოადგენს. გეოგრაფიული და ნიადაგობრივ კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, იგი თავისი ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნებით უნიკალური ფენომენია.

ტყე დედამიწის ერთ მესამედს მოიცავს; ის ფარავს საქართველოს ტერიტორიის 40%-ს;

საქართველოს ტყეების 97% მთის ტყეებს წარმოადგენს, განლაგებულია მაღალი დაქანების ვერდობებზე და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი და სხვა).

საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელუხლებელი ტყეები. აქ გავრცელებული 400-მდე მერქნიანი სახეობიდან 61 საქართველოს, ხოლო 43 კავკასიის ენდემია. საქართველოს ტყეები ბუნებრივი უნიკალურობისა და ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით შედის ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ოცდათორმეტ „ცხელ წერტილში“.

საქართველოს ტყე ყოველწლიურად დაახლოებით 180-190 მილიონ ტონამდე ჰაერის მტვერს ვილტრავს, შთანთქავს წლიურად 41,5 მილიონ ტონა ნახშირორჟანგს და გამოყოფს 36 მილიონ ტონა ჟანგბადს. ხეები პლანეტის ყველაზე ხანდაზმული ორგანიზმებია და უდიდეს ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს; 1 ჰექტარი ტყის მიერ ჟანგბადის გამოყოფა ანაზღაურებს 19 ადამიანის მიერ მოხმარებულ ჟანგბადს; ორი მრავალწლოვანი ხე ყოველწლიურად ოთხსულიანი ოჯახისათვის საკმარის ჟანგბადს გამოიმუშავებს. ტყე აუმჯობესებს წყლის ხარისხს და ცირკულაციას, ხელს უწყობს წყლის ნაკადის წარმართვას, ნალექის რაოდენობის შემცირებას და ამცირებს ნიადაგიდან წყლის აორთქლებას; ტყეში არსებული წყაროები სასმელი წყლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს; ხის ფესვები აკავებენ ნიადაგს, ამცირებენ ეროზიების რისკს და ხელს უწყობენ ნიადაგის საფარის აღდგენა-შენარჩუნებას.

ეკოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდია მთიანი ტყის მასივების მნიშვნელობა ისეთი მცირემიწიანი და მთაგორიანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რადგან ტყის კორომების გამეჩხერება ქვეყნის მიწა-წყლის მოსპობის ტოლფასია. ამისათვის ზრუნავდნენ უძველესი დროიდან ქართველი ერისკაცები ჩვენს ტყეებზე, ამიტომ გვმოდღვრავდა თავის დროზე წმიდა ილია მართალი, რომ „ტყის მოვლა-გაშენება და დაცვა – ეს არ არის რომელიმე კერძო პირის საქმე, ეს მთელი ერის საქმეა. ვისაც მამულისთვის გული არ შესტკივა, ის, რასაკვირველია, ხეებს უღმერთოდ გააჩანავებს, გაკაფავს და ცეცხლსაც კი წაუკიდებს.“

რა ხდება საქართველოს ტყეებში დღეს, ჩვენს ცივილიზებულ ეპოქაში?

პოსტსაბჭოთა ხანაში ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა ურთულესმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ საშინელი დადი დასვა ადგილობრივ ბიოლოგიურ რესურსებს, განსაკუთრებით ტყეებს. საბჭოთა ხანაში რუსეთიდან საქართველოში ყოველწლიურად მილიონობით კუბური მეტრი ხე-ტყე შემოდოდა, იყო ალტერნატიული საწვავი: ქვანახშირი, გაზი, ელექტროენერჯია, დიზელის საწვავი, რითაც ჩვენი დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციის ტყეები დაუზიანებლად ინახებოდა. 25 წლის წინ ყოველწლიურად საქართველოში 8-10 ათას ჰექტარზე აშენდნენ ხელოვნურ ტყეებს. ის დრო წარსულს ჩაბარდა, სათბობ-ენერგეტიკული კრიზისიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნილება შემაზე, ასევე, სამშენებლო ხე-ტყეზე. დღეს ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის ბუმი და ხე-ტყის დეფიციტი ძირითადად ჩვენი ტყეების ხარჯზე ივსება.

„ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია, სარგოდა, მოსახმარადა! და დღესაც არავინ ჰზოგავს ვერხვ-წიფელს მოსაკლავადა,“ – ვკითხულობთ ვაჟას გენიალურ „გველისმჭამელში“, მაგრამ ტყის შემდგომი არსებობა მის გონივრულ გამოყენებაზეა დამყარებული. დაცული უნდა იყოს ტყეთსარგებლობის მეცნიერულად დადგენილი წესები, რათა უზრუნველყოთ ტყის ბუნებრივი განახლება და მისი აღდგენადი რესურსებით უწყვეტი სარგებლობა. ტყის რესურსების წესიერი, გეგმაზომიერი გამოყენება არის ბუნების დაცვის აქტიური ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მცენარეული რესურსების კვლავწარმოებასა და უწყვეტი სარგებლობის ხანგრძლივობას.

საქართველოს ტყეების 97% მთის ტყეებია და ატარებს ნიადაგდაცვით, წყალდაცვით და წყალმარეგულირებელ ფუნქციას. მთის ვერდობებზე ტყის მოსპობა იწვევს ნიადაგის ეროზიას, მის ჩამორეცხვას, მთის ქანების დაშლას, ღვარცოფებს, მეწყერებსა და ეკოლოგიურ კატასტროფებს.

უსისტემო, მტაცებლური და ინტენსიური ჭრები მთიან ტყეებში ჩვენი მცირემიწიანი და მთაგორიანი ქვეყნის მიწა-წყლის მოსპობის ტოლფასია. ტყის მოსპობით ჩვენს შთამომავლობას გაუდაზნობებულ ქვეყანაში ცხოვრების პერსპექტივას ვუქმნით. ჩვენი მთა-ბარი უბედურებების ზონად იქცა. აჭარაში 7 სოფელი მოწყდა გარესამყაროს – მოისპო გზები, ხიდები, დაიტბორა და დაინგრა საცხოვრებელი სახლები, ზვავმა და მეწყერმა ქობულეთსა და ხელვაჩაურში 11 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ბოლო წლებში მარტო აჭარიდან სტიქიით დაზარალებული ასობით ეკომიგრანტი ოჯახი დასახლდა კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში.

ეკოლოგიური კატასტროფა თავს დაატყდა ქართლ-კახეთსაც, ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებს. მდინარე ილტოს ხეობიდან აუცილებელი გახდა შვიდი სოფლის მოსახლეობის სასწრაფო ევაკუაცია, რადგან ამ სოფლებსა და მიცვალებულთა საფლავებს, წყალდიდობებისა და მეწყერების გამო, სტიქია მდინარეში ჩარეცხვით დაემუქრა. ეკოლოგიური კატასტროფები გრძელდება. ამიტომაც, საჭიროა დროულად აღირიცხოს ტყის დარჩენილი რესურსები, ყურადღება მიექცეს ტყეების გეგმაზომიერი

ექსპლუატაციის, აღდგენისა და დაცვის საქმეს, რათა რაც დაგვრჩა, ის მაინც შევინარჩუნოთ.

საჭიროა დროულად შევუდგეთ ქართული ტყის დარგვა-აღდგენა-მოვლა-გაშენების საშვილიშვილო საქმეს, რადგან „ხეს დიდი ძალა აქვს, ამასთან, იგი არის სიჯანსაღისა და სიცოცხლის სიმბოლო. ბიბლიაში არაერთხელ არის საუბარი ურთხელის, კედარის, ნაძვის, ფიჭვის, მუხისა და სხვა მცენარეთა შესახებ, რომელთაც სხვა ღრმა დატვირთვაც აქვთ.... გავაშენოთ ტყეები, რადგანაც გახარებული ხეები ლოცვით, სიყვარულითა და იმედით სავსე გულით იქნება დარგული და ამასთან, იქნება სიმბოლო ჩვენი უფაქიზესი და უძვირფასესი გრძნობებისა,“ – გვმოდვრავს ერის სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე.

ამრიგად, დღეისათვის დიდ ყურადღებასა და გულისხმიერებას მოითხოვს ქართული ტყის დაცვა. დროა, სანამ ქვეყანა მეწყერსა და ზვავებს მთლიანად არ დაუქცევია და წყალს არ წაუღია, შემოვკრათ განგაშის ზარები, გადავარჩინოთ საქართველოს ბუნება, ბუნების უმშვენიერესი გვირგვინი – ქართული ტყე, ჩვენი მიწა-წყალი და მომავალი.

ტყეები თანამდროვე მსოფლიოს პრობლემად იქცა. უკვე დიდი ხანია ტყის რესურსების (განსაკუთრებით მერქნის) მოხმარებამ გადააჭარბა ბუნების მწარმოებლურ ძალას. გარემოს დაზიანებებისა და კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ტყის დაცვა და მისი მდგრადი მართვა მთელი მსოფლიოს, ყველა ქვეყნის მნიშვნელოვანი საზრუნავი გახდა.

ამის დადასტურებაა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1971 წლიდან 21 მარტის ტყის (ტყის დაცვის) საერთაშორისო დღედ გამოცხადება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პან გი მუნის აზრით, ყველა სახის ტყის ეკოსისტემების მდგრადი განვითარებისათვის ძლიერ მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ტყის მნიშვნელობის შესახებ.

შესაბამისად, სტუდენტებსა და მოზარდებში ტყის მნიშვნელობის, მისი ეკოსისტემების როლისა და მდგრადი განვითარების შესახებ ცოდნის გაღრმავება, ცნობიერების ამაღლება, მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზნით, ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 23 მარტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტის სატყეო საქმის სპეციალობის სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობდნენ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და სსიპ სატყეო სააგენტოს მიერ ორგანიზებულ გამწვანების აქციაში. აქ, სტუდენტებთან ერთად, ასევე ჩართული იყვნენ ქ. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები და მე-14 საჯარო სკოლის მოსწავლეები. მათი მონაწილეობით ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ხერთვისისა და აგარის სატყეოს ფართობზე, გამეჩხრებული ტყის ტერიტორიის შესავსებ-აღსადგენად დაირგო 500-მდე კაკლის ხე.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ კათალიკოს-პატრიარქის დამომდვრის შესაბამისად, ხეები მართლაც დიდი ლოცვით, სიყვარულითა და იმედებით სავსე გულით დავრგეთ და ამასთან, ამ პროცესმა სტუდენტებსა თუ მოსწავლეებს უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა, უფაქიზესი და უძვირფასესი გრძნობები აღძრა თითოეულ ჩვენგანში.

დავრგოთ თუნდაც ერთი ძირი ხე და გადავარჩინოთ გარემო. ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ყველა სამიზნე რეგიონში ტყეების მდგომარეობის ცვლილების დინამიკა თანდათანობით უარესდება: ტყეების ადგილს ბუჩქნარი და ბარდი იკავებს, ტყეებიდან ქრება ადრე გავრცელებული ცხოველები, ინტენსიურად მიმდინარეობს სატყეო გზების დახრამვა, ფერდობების ჩამორეცხვა და დამეწყვრა, იზრდება ღვარცოფებისა და წყალმოვარდნების რისკი, სოფლებს ექმნებათ სასმელი წყლის პრობლემები. ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ტყეების მდგომარეობის გაუარესებამ შემდეგი პრობლემები წარმოშვა:

- აჭარის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები – სოფლის სიახლოვეს არსებული ისტორიული, კულტურული ან საკულტო დანიშნულების ტყეების დაზიანება;
- აჭარის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები – ბუნების ძეგლების დაზიანება;
- კახეთის რეგიონი – რეკრეაციული/დასასვენებელი ადგილების დაზიანება;
- კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები – სოფლის სიახლოვეს არსებული სუბალპური ტყეების დაზიანება;
- რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები – ტყეებში და მიმდებარე ტერიტორიებზე ბუნებრივი კატასტროფების კერების წარმოქმნა.

**ლიტერატურა:**

1. გ. გიგაური, საქართველოს ტყეები, თბილისი, 2004.
2. შ. ხიდაშელი, ვ. პაპუნძიძე, აჭარის ტყეები, თბილისი, 1976.
3. გიგაური გ., საქართველოს ტყეების მრავალფეროვნება, თბილისი, 2000.
4. ინტერნეტის მასალები.

**FOREST ECOLOGICAL ROLE AND ECONOMIC PROBLEMS SOLVING**

**Lamzira Gorgiladze**, Batumi Shota Rustaveli State, Assistant Professor

**Nato Jabnidze**, Batumi Shota Rustaveli State, Professor

**Darejan Jashi**, Batumi Shota Rustaveli State, Associate Professor

**Giorgi Jabnidze**, Georgian Technical University, PhD student

**RESUME**

The problems of forest management are considered in the article. Many facts of wrong forest management from different periods of our history are given. It is underlined, that our government's decision to grant on long-term lease substantial part of our forests to foreign businessmen is a great mistake which will not be possible to correct in future.

Woods of Georgia possess multi-purpose social and economic and ecological functions (water regulation, soil-protective, recreational, etc.), correct regulation, preservation and reproduction of which has huge state value. In clause is marked what huge social and economic and ecological value have wood resources in formation of recreational potential. According to the Code of a wood, each citizen has a right to have a rest in a wood, therefore he is obliged to observe the ecological requirements stipulated by the wood legislation.

**აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობა  
(მრავალფეროვნება, ტიპოლოგია, ეკოლოგია)**

**რუსლან დავითაძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

**გიორგი ჯაბნიძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

**სულიკო ბერიძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი

**ნანა ჯაბნიძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

ისტორიული წყაროების თანახმად უძველესი დროიდან საქართველოში მრავლად მოიპოვებოდა სხვადასხვა დანიშნულების ე.წ. დაცული ტერიტორიები, იქნებოდა ეს სამეფო, საუფლისწულო თუ სათავადო-სანადირო სავარგულები, სტრატეგიული მნიშვნელობის გეოგრაფიული ადგილები (ტყეები, ბუნების ძეგლები, იშვიათობები და საოცრებანი, ციხე-კოშკების მიმდებარე ტერიტორიები და ა.შ.), სანაკრძალო რეჟიმს დაქვემდებარებული ტერიტორიები, ეკლესია-მონასტრების და სხვა რელიგიური ადგილების (სალოცავები და სხვ.) ირგვლივ არსებული ტერიტორიები, ეგრეთ წოდებული ხატის ტყეები და წმინდად გამოცხადებული ნაკვეთები, სოფლის საფარი ტყეები დიდი დაქანების (30<sup>0</sup> და მეტი) ციცაბო და ძლიერ ციცაბო მთის ფერდობებზე, რომლებიც შეიძლება ბუნების მავნე ზემოქმედების სტიქიური მოვლენების (წყალდიდობები, ზვავები, ღვარცოფები, ეროზია და ა.შ.) კერებად ქვეულიყვნენ (აჭარაში მათ „იასადს“ ანუ აკრძალულს ეძახიან და სოფლის მოსახლეობა მკაცრად იცავს) (ბატონიშვილი ვახუშტი, 1944; სახოკია 1985).

ისტორიული წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში თამარ მეფემ ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად გამოსცა სამეფო ბრძანება. ხუთასი წლის შემდეგ კი ვახტანგ

IV-ს „კანონთა კრებული“ მოიხსენიებს „ყორულის“ ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს. იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ.

საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების თვისობრივად ახალი ეტაპი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ტექნიკური დახმარებით, დამოუკიდებლობის აღდგენის დროიდან – 1991 წლიდან დაიწყო. თანდათან გადაიღვა შესაბამისი ნაბიჯები. ამ დროისათვის, დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება დაფუძნებულ იყო აღიარებული და აპრობირებული საერთაშორისო კატეგორიების- კონსერვაციის მსოფლიო კავშირის (IUCN – The World Conservation Union) რეკომენდაციების შესაბამისად.

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებამ განსაკუთრებული დინამიზმი უკანასკნელი ათწლეულის პერიოდში შეიძინა და ყოველივე ამის შედეგად საქართველოში ამჟამად საქართველოში წარმოდგენილია დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 497315,76 ჰექტარს შეადგენს, რაც ჩვენი ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია.

აჭარაში პირველი დაცული ტერიტორიები – კინტრიშისა და ცისკარას სახელმწიფო ნაკრძალები – 1959 წელს შეიქმნა, თუმცა, ხანმოკლე პერიოდის შემდეგ – 1961 წელს, დაუდგენელი მიზეზების გამო – ცისკარას სახელმწიფო ნაკრძალი გაუქმდა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დღეს დაარსებულია 4 კატეგორიის დაცული ტერიტორია: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი (საერთო ფართობით 10703,00 ჰა), კინტრიშის დაცული ლანდშაფტი (საერთო ფართობით 3190,00 ჰა), მტირალას ეროვნული პარკი (15806,00 ჰა), მაჭახელას ეროვნული პარკი (8733,00 ჰა) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი (331,25 ჰა) და ქობულეთის ალკვეთილი: (438,75 ჰა), სულ 39202,00 ჰა, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (არ.) მთლიანი ფართობის (2900 კვ.კმ) 13,51%-ს და აჭარის ა. რ. ტყით დაფარული ფართობის (201305,6 ჰა, რაც შეადგენს აჭარის ა.რ. მთლიანი ტერიტორიის 69,4%-ს) 13,51%-ს შეადგენს.

ცნობილია, რომ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ კავკასია შეყვანილია იმ 200 ეკორეგიონის ნუსხაში, რომლებიც გამორჩეულია სახეობათა სიუხვის, ენდემიზმის მაჩვენებლის, ტაქსონომიური უნიკალურობის, წარმოშობის თავისებურებების და ჰაბიტატების იშვიათობის მაჩვენებლებით. კავკასია ერთ-ერთია დედამიწაზე იდენტიფიცირებული ბიომრავალფეროვნების 34 „ცხელ წერტილთაგან“ (“Hotspots”), რომლებიც ხასიათდებიან ყველაზე დიდი ბიოლოგიური მრავალფეროვნებითა და საფრთხეში მყოფი ხმელეთის ეკოსისტემების სიუხვით.


კინტრიშის დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს მსოფლიოში აღიარებული კავკასიის „ცხელი წერტილის“ დასავლეთ კავკასიონის კორიდორის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც გამოირჩევა რელიქტური კოლხური ფლორის და, მათ შორის, კოლხეთის მთისა და მთისწინეთის ტენიანი ტყეების უნიკალური მრავალფეროვნებით. ამის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ინიციატივაში „ევროპის ტყეების 100 ცხელი წერტილის შესახებ“, ანუ დაუცავ ტყეთა 100 მონაკვეთის შესახებ, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ დაცვას, ერთ-ერთი უპირველესი პრიორიტეტი მიენიჭა კოლხეთის უნიკალურ ტყის ეკოსისტემებს (The map-“100 European Forests We Should Protect Now”, 1997).

ამას გარემოებას ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ კოლხეთის სწორედ ეს მონაკვეთები წარმოადგენდნენ გამყინვარებათა პერიოდში სითბოს მოყვარული სახეობების ყველაზე საუკეთესო თავშესაფარს. აქ ზომიერი სარტყლის ტყეები უწყვეტად ხარობს მესამეული პერიოდიდან: აღმოსავლეთ ევრაზიაში ეს არის (ჰირკანის ბიოგეოგრაფიულ რეგიონთან ერთად) ბიომრავალფეროვნებით სრულიად გამორჩეული, უნიკალური მონაკვეთი. ამასთან, თვით კოლხეთის ფარგლებში, სამხრეთ კოლხეთი (აჭარა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორია) გამოირჩევა უძველესი ენდემური სახეობების განსაკუთრებული სიუხვით. ნიშანდობლივია ასევე, რომ კინტრიშის დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი კომპლექსური მნიშვნელობისაა, ანუ აქ ხდება როგორც ფლორისა და ფაუნის, ისე არაორგანული ბუნების იშვიათი ობიექტების მოვლა-დაცვა და მეცნიერული შესწავლა.


მტირალას ეროვნული პარკის, კინტრიშის და აჭარის სხვა დაცული ტერიტორიების განუმეორებელი მცენარეული მრავალფეროვნება ყოველთვის განსაზღვრავდა და განსაზღვრავს მეცნიერ-მკვლევართა, ნატურალისტთა და მრავალრიცხოვან ბუნების მოყვარულთა დიდ ინტერესს.

**მტირალას ეროვნული პარკი** - ნაშრომში შესწავლილია კინტრიშის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის ტყის ძირითადი ფორმაციების ფიტოცენოლოგიური და სახეობრივი მრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობა, სადაც ველურ ფლორაში გამოიყოფა ტყის მცენარეულობის 5 ფორმაცია, 25 ასოციაციების ჯგუფი, ტყის ფიტოცენოზის 35 ძირითადი ტიპი (ასოციაცია).

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორის ანალიზიდან წარმოდგენილია 894 სახეობით, რომლებიც 116 ოჯახის 396 გვარში ერთიანდებიან, მათ შორის გვიმრანაირია 29 სახეობა - 3,2%, რომლებიც ერთიანდებიან 13 ოჯახსა და 18 გვარში. შიშველთესლოვანია - 5 სახეობა - 0,6%, რომლებიც აქ წარმოდგენილი არიან 3 ოჯახით და 2 გვარით და ფარულთესლოვანი 100 ოჯახისა და 572 გვარით წარმოდგენილი 861 სახეობა - 96,3%. მცენარეთა სასიცოცხლო ფორმების მრავალფეროვნება, რაოდენობა და ურთიერთთანაფარდობის ბიოლოგიური სპექტრი შემდეგნაირადაა წარმოჩენილი:




მტირალას ეროვნული პარკის ფლორის ანალიზიდან დაფიქსირებული 521 სახეობიდან გვიმრანაირია 25 სახეობა (4,8%), რომლებიც ერთიანდებიან 13 ოჯახსა და 16 გვარში. შიშველთესლოვანია 1 სახეობა (0,2%), და ფარულთესლოვანი 495 სახეობა (95%), რომლებიც 92 ოჯახსა და 288 გვარში ერთიანდებიან. მცენარეთა სასიცოცხლო ფორმების მრავალფეროვნება, რაოდენობა და ურთიერთთანაფარდობის ბიოლოგიური სპექტრი შემდეგნაირადაა წარმოჩენილი:



კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ფლორაში განსაკუთრებული ადგილი ენიჭება უჩირავს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონალური ფლოროგენეზური პროცესების დადგენისათვის, რაც გზას გვიხსნის ფლორისა და მცენარეულობის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების შეცნობისაკენ.

ორივე ტერიტორიაზე ენდემური სახეობები შემდეგნაირად ნაწილდებიან:



ეკოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე აჭარის დაცულ ტერიტორიებზე შესწავლილია იშვიათი და ქრობადი სახეობების დაავადებები, რომელიც ბოლო წლებში აჭარის დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილ დაავადებებს შორის განსაკუთრებით საგანგაშოა ბზის კორომების მასობრივი ხმობა, რომლის დროსაც გამოვლინდა სნეულების შემდეგი სიმპტომები: ბზის ფოთლებზე გაჩნდა მუქი ყავისფერი ლაქები და მოშავო ზოლები, რის შედეგადაც დაიწყო ფოთლების ცვენა. ასეთი სიმპტომები აღენიშნებოდა მტირალას ეროვნულ პარკში გავრცელებული კოლხური ბზის (*Buxus colchica*), 70%-ს. ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დაავადებას იწვევს სოკო *cylindrocladum buxicola*. ბზის აღნიშნული დაავადება ცოტა მოგვიანებით, 2011 წლის შემოდგომაზე, კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზეც გავრცელდა.

**ბზის სიღამწვრე (*Cylindrocladium buxicola*)** - ასევე დღემდე საგანგაშოა დაცული ტერიტორიების წაბლნარების ფიტოსანიტარული მდგომარეობა. საკვლევი ტერიტორიის წაბლნარებში, ხეების დაახლოებით 75-80% გამხმარია. მთავარი მიზეზია ქერქის კიბო (*Cryphonectria parasitica*).

ქერქის კიბოს გარდა დაცულ ტერიტორიებზე შემჩნეულია ასევე წაბლის ნაღმისებრი ჩრჩილი (*Cameraria ohridella deschka*). მწერის მატლი იკვებება წაბლის ფოთლებით. შემჩნეულია აგრეთვე ცაცხვისა და თელის ფოთლებზეც.



კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წარმოდგენილი მერქნიან მცენარეთა სახეობებიდან ჩრდილის ამტანია 10 სახეობა, სინათლის მოყვარულია 69, სითბოს მომთხოვნია 58, ყინვაგამძლეა 36, მეზოფიტი, ანუ ნიადაგის ტენიანობისადმი საშუალო მოთხოვნილებისაა 23, ჰიგროფიტი, ანუ ნიადაგის ტენიანობისადმი მომთხოვნია 2 სახეობა.

**ლიტერატურა:**

1. გიგაური გ. - საქართველოს ხელუხლებელი ტყეები. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შექმნის ზოგიერთი საკითხები. გაუფრთხილდეთ ტყეს ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს თბილისი, 2005.
2. დავითაძე რ. - აჭარის დაცული ტერიტორიების ფოთლოვანი სახეობების დაავადებები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მომამბე“, №30, თბილისი, 2012.
3. მემიაძე ნ. - აჭარის ენდემური ფლორის მრავალფეროვნება ქ. თბილისი, 2004.



4. მანველიძე ზ., მემიაძე ნ., გორგილაძე ლ. - ფორმაცია წიფლნარები (Fageta) ზღვისპირა აჭარაში. აგრარული მეცნიერების პრობლემები (სამეცნიერო შრომათა კრებული). ტ. XXVII. 2004. გვ. 33-37.
5. Williams, L, Zazanashvili, N., Sanadiradze, G., Kandaurov, A. (Eds.). An Ecoregional Conservation Plan for the Caucasus. Printed by "Contour Ltd.", Tbilisi, 2006

## **PROTECTED AREAS OF FOREST VEGETATION IN ADJARA (DIVERSITY, TYPOLOGY, ECOLOGY)**

**Ruslan Davitadze**, Batumi Shota Rustaveli State University, Academic doctor of Agriculture  
**Giorgi Jabnidze**, Batumi Shota Rustaveli State University, Academic doctor of Agriculture  
**Suliko Beridze**, Batumi Shota Rustaveli State University, Academic doctor of Agriculture  
**Nana Jabnidze**, Batumi Shota Rustaveli State University, Academic doctor of Agriculture

### **RESUME**

In the article the some questions connected with stable development of the Georgian national-recreational resources are presented. Their state today is considered and their rational use perspectives are presented. The tourism and recreation in the social-economical rebirth of the country is underlined. The research aim is the recreational resources describing and estimate; this allows to determine ecologic-economical damage and to project the problem decision ways.

### **მწვრთნელის ადგილი და როლი სასკოლო ფიზიკური აღზრდის სისტემაში (ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე)**

**ალექსანდრე იაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი,  
E-mail: iashvili43@gmail.com

**მამია ტულუში**, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-mail: mamuli.42@mail.ru

**ნელი პაპუკაშვილი**, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი  
E-mail: papukashvili24@gmail.com

მეტად დიდია მწვრთნელის პასუხისმგებლობა სპორტში. მის მიერ აღზრდილი სპორტსმენის ან მომზადებული გუნდის წარუმატებლობას საზოგადოება და თვით სპორტსმენებიც აღიქვამენ, როგორც მწვრთნელის დამარცხებას. ამიტომ მწვრთნელსა და სპორტსმენებს (გუნდის წევრებს) შორის დამოკიდებულება განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. თუ ახალგაზრდას სპორტისათვის საჭირო მონაცემები არ აქვს, მისგან მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენს ვერც ერთი მწვრთნელი ვერ გამოიყვანს. მაგრამ ისმება კითხვა: ახერხებს კი ყველა მწვრთნელი კარგი პოტენციალის მქონე ახალგაზრდასგან მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენის აღზრდას?

მწვრთნელი ორი ასპექტით ახდენს ახალგაზრდაზე ზემოქმედებას: ა) მწვრთნელი, პირველ რიგში, პედაგოგია, აღმზრდელია. ის სასწავლის ახალგაზრდას სპორტულ მოძრაობით მოქმედებებს, უვითარებს საჭირო უნარ - ჩვევებს, მოვარჯიშე კი ხედავს აღმზრდელის ცოდნას, გამოცდილებას და აფასებს მას (დადებითად ან უარყოფითად); ბ) მწვრთნელი აღსაზრდელზე ზემოქმედებს როგორც პიროვნება, ყველა მისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. მის ქცევაში ვლინდება პიროვნული თვისებები. აკადემიკოს მამია ყოლბაიას ხელმძღვანელობით ჩატარებული ერთ-ერთი გამოკვლევის მონაცემებით აღმოჩნდა, რომ მოვარჯიშეებს ძალიან მოსწონთ, როცა მწვრთნელი სასიამოვნო მოსაუბრეა და არ ერიდება აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს. კიდევ უკეთესი, თუ მას მოაქვს საინტერესო მაგალითები სპორტის მოსაზღვრე სახეობებიდან ან აცნობს მათ საყურადღებო ეპიზოდებს ცნობილ სპორტსმენთა ცხოვრების შესახებ და სხვ.

საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მწვრთნელის პრობლემა არ განხილულა. მართალია, გერმანულ წყაროებში მოიპოვება მასალა, რომელიც ეხება ამერიკულ სპორტს (კეტტი, 1955 წ.; კრიუგერი, 1972 წ.), მაგრამ მწვრთნელის როლსა და მის ადგილზე ფიზიკური აღზრდის სისტემაში არც იქაა რაიმე ნათქვამი. ამ მიმართებით პირველი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჩაატარა მეტოზიმ (ა.შ.შ., 1965 წ.). მან შეისწავლა 1000 მწვრთნელ-სპეციალისტის საქმიანობა და მათი მუშაობის ანალიზზე მოგვცა გარკვეული დასკვნები. მისი მონაცემებით აღმოჩნდა, რომ ამერიკული სპორტი უპირატესად ორიენტირებს სასკოლო განათლების სისტემით. მხოლოდ მოგვიანებით შეიმჩნა საკლებო მოყვარულთა სპორტის რამდენადმე გამოცოცხლება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სპორტული საქმიანობა დღემდე, როგორც წესი, იფარგლება სპორტის რამდენიმე სახეობით, რომელთა შორის ნიჭიერ და პერსპექტიულ ბავშვებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ამერიკული ფეხბურთი, ბეისბოლი და კალათბურთი. სწორედ ეს სახეობები ქმნიან პროფესიონალურ სპორტში კარიერის პერსპექტივას. ამერიკელი მეცნიერები, კირში და ანდერსონი (1976 წ.) მწვრთნელს განსაზღვრავენ, როგორც „სპეციალისტს, წვრთნაზე ხელმძღვანელსა და შეჯიბრების დროს სპორტსმენის დამხმარეს“.

მწვრთნელის უპირველესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეარჩიოს და დააკომპლექტოს ჯგუფი, გაითვალისწინოს რაოდენობა, ასაკი, სქესი, პირობები და ა. შ. მან მეტნაკლებად წინასწარ იცის, თუ როგორია იმ სპორტსმენის მონაცემები ან იმ გუნდის პოტენციალი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა. მას შეუძლია უარი თქვას ამა თუ იმ მოვარჯიშის მწვრთნელობაზე ან გარკვეული ცვლილებები შეიტანოს გუნდის შემადგენლობაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საშეჯიბრო სპორტს სკოლის პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სპორტის სხვადასხვა სახეობებში საშეჯიბრო პერიოდი სხვადასხვა დროზე მოდის, ამასთან ისინი არახანგრძლივია. იმდენად, რამდენადაც შეჯიბრება უფრო საინტერესოა, ვიდრე ვარჯიში, მწვრთნელები სპორტული მონაცემების მქონე აღსაზრდელებს მოკლევადიანი მომზადების შემდეგ შეურჩევენ სპორტის სახეობას, რომელშიც მათ მომავალ სეზონში უნდა იასპარეზონ. შერჩევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას ისეთი სინთეზი, როგორიცაა: კალათბურთი და სიმაღლეზე ხტომა, ბეისბოლი და მოკლე მანძილებზე რბენა, ამერიკული ფეხბურთი და ჭიდაობა და ა. შ. აქედან გამომდინარე, პერსპექტიული მოსწავლე იღებს მრავალმხრივ ზოგად ფიზიკურ მომზადებას, რაც უმეტეს შემთხვევაში შეიძლება ადრეულ სპეციალიზაციადაც ჩაითვალოს.

შედარებით ნაკლებად დაკმაყოფილებული სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან სასკოლო საშეჯიბრო სპორტის ყველაზე აქტიური მონაწილენი. ისინი უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან, ერთის მხრივ, სოციალური პრესტიჟით, ხოლო მეორეს მხრივ - სწავლის პერიოდში გარკვეული სპორტული კარიერით, რაც მათ მომავალში კოლეჯში ან უმაღლეს სასწავლებელში უზრუნველყოფს სტიპენდიით. მატერიალური დახმარების (სტიპენდიის) გარეშე მაღალი კლასის სპორტსმენის ხელში ჩაგდება მეტად გამწვანებულია. იმის გამო, რომ სტიპენდიის ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტების გაერთიანება, უნდა ვივარაუდოთ, რომ კიდევ არსებობს წახალისებისა და დახმარების რაღაც სხვა საშუალება, რაც სპორტის მოყვარულთა მკაცრ კანონებს არ ეწინააღმდეგება.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ ესაუბრება მწვრთნელი აღსაზრდელებს თავისი მუშაობის შესახებ და როგორ ახერხებს კავშირის დამყარებას საზოგადოებრიობასთან (ამ შემთხვევაში „საზოგადოებრიობა“ იგულისხმება ფართე გაგებით). მას მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც არ შედიან გუნდების შემადგენლობაში, მაგრამ, რომლებსაც სურთ, ან ასე თუ ისე ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ გუნდის საერთო საქმიანობაში. მწვრთნელი ახდენს რა მათზე ორიენტირებას, ეძებს გუნდის წარმატებების აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებებსა და ფორმებს.

განასხვავებენ საზოგადოებრიობასთან კავშირის შვიდ ფორმას:

- პირადი საუბრები (მოხსენებები);
- პასუხები და მოკლე საინფორმაციო ცნობები;
- გამოფენები და „ღია კარის“ დღე;
- რადიო და ტელეგადაცემები;
- საგაზეთო სტატიები და ინტერვიუ;
- სპეციალურ (სპორტულ) ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები;
- ფოტოსურათები, ცხრილები, სპორტული ჯილდოების საგამოფენო სივრცე და სხვ.

კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, უპირატესობა ეძლევა ხან ერთ, ხან მეორე მეთოდს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მიღწეული სპორტული შედეგითა და მწვრთნელის დამსახურების წარმოჩენით გამოიკვეთება სპეციალისტის, როგორც პიროვნების ნამდვილი სახე, რომელსაც შეუძლია „მომგებიანად გაყიდოს საკუთარი თავი“.

აკადემიური მოუსწრებლობის, დისციპლინის დარღვევის და დაბალი სპორტული შედეგის ჩვენებისათვის სპორტსმენი ისჯება, რაც მწვრთნელს უკარგავს ავტორიტეტს. მეცნიერმა ზიგხოდცმა (1971 წ.) ამერიკული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 3000 სკოლადამთავრებულის მაგალითზე დაამტკიცა, რომ სპორტსმენები საშუალოდ სწავლობენ უკეთ, ვიდრე ჩვეულებრივი მოსწავლეები (არასპორტსმენები). ამ შემთხვევაში შეიძლება ვისარგებლოთ სნაიდერის გამოკვლევით, რომელმაც შემდეგი დასკვნა გააკეთა: „მწვრთნელები, რომლებიც მუშაობენ საშუალო სკოლებში, პირველყოფლისა ზრუნავენ მაღალ სპორტულ შედეგებზე, ამასთან, ისინი მოვარჯიშებებზე ახდენენ გადამჭრელ აღმზრდელიობით ზემოქმედებას.“

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მწვრთნელის სამოღვაწეო ასპარეზი კიდევ უფრო მეტად ფართოვდება. იქ მწვრთნელს საშუალება ეძლევა ორგანიზაცია გაუკეთოს დამატებით მეცადინეობებს (რაშიც სტუდენტი-სპორტსმენი არ იხდის თანხას). ხოლო მწვრთნელის თანაშემწე ვალდებულია მოვარჯიშეს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და დამატებითი მეცადინეობების ჩატარების შესახებ.

ყოველივე ეს ამერიკულ განათლების სისტემაში შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად. ასეთი მიდგომით სტუდენტი-სპორტსმენი თავისი სპორტული კარიერის დასასრულს ან ღებულობს ბაკალავრის ხარისხს ან აქვს გარკვეული მომზადება, რომ ეს წოდება მიიღოს უახლოეს მომავალში.

ამერიკის ერთ შტატში მომუშავე 959 გამოკითხული მწვრთნელის შედეგების საფუძველზე დამტკიცდა ის, რომ მწვრთნელი რომელსაც მეტი წარმატება აქვს, ერთ და იმავე ადგილზე მუშაობს ხანგრძლივად, ხოლო ვისაც ამ მხრივ „არ უმართლებთ“, უხდებათ არა თუ სამუშაო ადგილის დატოვება, არამედ პროფესიის შეცვლაც კი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, მიღწეული მაღალი სპორტული შედეგებით და მწვრთნელის დამსახურების წარმოჩენით გამოიკვეთება სპეციალისტის, როგორც პიროვნების ნამდვილი სახე, რომელსაც შეუძლია „მომგებიანად გაყიდოს საკუთარი თავი“. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული მუშაობის უნარ-ჩვევებს. ყოველწლიურად გამართულ სპორტულ ღონისძიებებსა და გუნდურ შეჯიბრებებს, რომელთა ჩატარების განრიგის დარღვევა თითქმის არ ხდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ; ასევე, დიდი პოპულარობით სარგებლობს შეჯიბრებები ადგილობრივ მოწინააღმდეგესთან (ახლომდებარე სკოლასთან). ასეთი რანგის შეჯიბრებები, როგორც წესი, ტარდება ორივე გუნდის მოედანზე მონაცვლეობით - ჯერ ერთთან, შემდეგ მეორესთან.

მუშაობის ასეთი პრაქტიკა საშუალებას იძლევა სპორტული ღონისძიებები დაიგეგმოს ყოველ კვირა დღეს და იგი ჩართული იქნას სასწავლო - საწვრთნელ პროცესში.

მწვრთნელი სპორტული ტექნიკის სფეროში დიდი მოცულობის ცოდნასთან ერთად უნდა ფლობდეს ორგანიზატორულ ჩვევებს, ფსიქოლოგიის გამოყენების შესაძლებლობას, საკუთარი აღსაზრდელის (გუნდის) წარმატებისათვის საჭირო ორიენტირების უნარს. მწვრთნელმა, როგორც სხვა საგნის მასწავლებელმა, უნდა დაამთავროს უმაღლესი სასწავლებელი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მომავალი პედაგოგი იღებს ფართე პროფილის პედაგოგიურ ცოდნას და გაღრმავებულ სპეციალიზაციას სპორტის რამდენიმე სახეობაში. მიუხედავად ამისა, სკოლის ხელმძღვანელობა სამუშაოზე აყვანისას უპირატესობას აძლევს იმას, ვინც წინათ წარმატებული სპორტსმენი იყო. იმისათვის, რომ იმუშაო მწვრთნელად, საკმარისია გქონდეს პედაგოგიური განათლება, აქტიური სპორტსმენის გამოცდილება და შეგეძლოს როგორც ერთის, ისე მეორის პრაქტიკაში წარმატებით გამოყენება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მწვრთნელის წინაშე მდგარი პერსპექტივები ითვალისწინებს იმას, რომ მას შეუძლია შრომითი კარიერა დაიწყოს შტატგარეშე თანაშემწით, შემდეგ გადავიდეს სამშაოზე და ბოლოს შეიძლება ჩარიცხული იქნეს მწვრთნელად ან მიიღოს თანამდებობა სკოლის ადმინისტრაციაში. რაც უფრო ქვედა საფეხურზე იმყოფება პიროვნება, მით უფრო დაბალია მისი ხელფასი.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

- ამერიკული სპორტი უპირატესად ორიენტირებს სასკოლო განათლების სისტემით;
- მწვრთნელთან ერთად მუშაობს მწვრთნელის თანაშემწე (ასისტენტი). მისი ძირითადი საქმიანობა განისაზღვრება სასელექციო საკითხებით, კერძოდ, პერსპექტიული და კარგი მონაცემების მქონე პირთა პოვნა და საწვრთნელ საქმიანობაში ჩაბმა;
- განათლების სისტემაში სპორტის ჩართვა სპორტსმენ-მოსწავლეს აძლევს სრულფასოვანი განათლების მიღების გარანტიას;
- დაწყებთათვის ხდება საშეჯიბრო სახეობების შერჩევა-სინთეზი. მაგალითად: კალათბურთი - სიმადლეზე ხტომა, ბეისბოლი - მოკლე მანძილზე რბენა და ა. შ.;
- შედარებით ნაკლებად დაკმაყოფილებული სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან სასკოლო საშეჯიბრო სპორტის ყველაზე აქტიური მონაწილენი;

- სკოლაში (კოლეჯში) სწავლისას სპორტსმენთა უმეტესობა კეთილსინდისიერად უთავსებს ერთმანეთს სწავლასა და ვარჯიშობას;
- მწვრთნელი მოვარჯიშებზე (გუნდის წევრებზე) ახდენს გადამჭრელ აღმზრდელობით ზემოქმედებას;
- რაც უფრო წარმატებულია მწვრთნელი, მით უფრო მეტხანს მუშაობს იგი ერთი და იმავე ადგილზე. ხოლო, იმას, ვისაც ამ მხრივ „არ უმართლებთ“, უხდებათ არა მარტო სამუშაო ადგილის დატოვება, არამედ პროფესიის შეცვლაც კი;
- მწვრთნელი სპორტული ტექნიკის სფეროში დიდი მოცულობის ცოდნასთან ერთად უნდა ფლობდეს ორგანიზატორულ ჩვევებს, ფსიქოლოგის თვისებებს და უნდა ჰქონდეს საკუთარი აღსაზრდელის (გუნდის) წარმატებისათვის საჭირო ორიენტირების უნარი.

**ლიტერატურა:**

1. ნორაკიძე ვლ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1989.
2. ყოლბაია მ., სპორტის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003.
3. Медведев А. С., Психология победы, Москва, 1981.
4. Параносич В., Лазаревич Л, Психодинамика спортивной группы, Москва, 1977.
5. Горбунов Г. Д., Психопедагогика спорта, Москва, 1988.
6. Платонов В. Н., Подготовка квалифицированных спортсменов, Москва, 1986.

**THE COACHE’S PLACE AND ROLE IN THE SCHOOL PHYSICAL EDUCATION SYSTEM  
(AT THE EXAMPLE OF THE UNITED STATES)**

**Aleksandre Iashvili**, Gori State Teaching University, Professor

**Mamia Tughushi**, Georgian State Teaching University of Physical Education and Sport, Professor

**Neli Papukashvili**, Georgian State Teaching University of Physical Education and Sport, Assistant Professor

**RESUME**

The coache’s various activities bear a strong responsibility to the modern sport. Maetoz made the first research about the coache’s role and importance in the United States in 1965. He analyzed the activities of thousands of coaches and came to the conclusion that American sport is mainly based on school sport. The following studies about the coache’s activities were made by well-known scientists Anderson and Kirsh in the United States in 1976. According to them, the inclusion of sport in the educational system guarantees the proper education of the athlete-students. In addition, coaches with their various activities have made versatile educational impact on athletes over the years.

**მეფუტკრეობის დარგის განვითარება საქართველოში და მისი ევროპული მომავალი**

**ნიკოლოზ კიკნაველიძე**, საქართველოს უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი

**მირანდა წეროძე**, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

**ნათია კვიციანიძე**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,

ასოცირებული პროფესორი

**ნანა გორგასლიძე**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,

ასოცირებული პროფესორი

მეფუტკრეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. 2015-2020 წლის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში ტრადიციული დარგების განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. 2013-2014 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, მეფუტკრეთა გილდიისა და ამ დარგის მოწვეული სპეციალისტების მიერ შემუშავებულია მეფუტკრეობის დარგის განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმა. შესწავლილია ამ დარგში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ჩვენი მიზანია, დავენერგოთ ამ დარგში თანამედროვე ტექნოლოგიები და ქვეყანაში შევქმნათ მძლავრი

კოოპერირებული წარმოება. ინდივიდუალური მეფუტკრეების გაერთიანებით ვაწარმოთ ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხობრივი პროდუქტები, რითაც შევძლებთ ევროკავშირის ბაზარზე შესვლას. სწორედ ამიტომ ვქმნით ინდუსტრიულ წარმოებას სამოყვარულო წარმოების ნაცვლად. ამ მხრივ საქართველოს მთავრობის მიერ გარკვეული სამუშაო უკვე ჩატარებულია და მიმდინარე წელს იგეგმება მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიის გახსნა, სადაც შესაძლებელი იქნება ორგანოლეპტიური თვისებები განსაზღვრასთან ერთად ჩავატაროთ მისი ქიმიური ანალიზი, რაც ერთობ მნიშვნელოვანია საექსპორტო კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელად.

ქართველი კაცისათვის, ოდითგანვე, ფუტკარი ისეთივე სათაყვანებელი კულტურა იყო, როგორც ვაზი. ქართულმა ფუტკარმა (APIS MELLIFERA L.) მსოფლიოში აღიარება მოიპოვა თავისი უნიკალური თვისებებით და იგი არაფრით არ ჩამოვარდება მსოფლიოში ცნობილ ბრენდს – იტალიურ ფუტკარს. ქართული ფუტკრის დამახასიათებელი ნიშანთვისებებია: გამძლეობა, დალიანობა (მოსავლიანობის პერიოდი) და არააგრესიულობა (თვინიერება). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ფუტკრის პროდუქტი გამოირჩევა განსაკუთრებული გემური თვისებებით. ყველასათვის ცნობილია, რომ ზოგადად ფუტკრის სამშობლო აზიაა, ასევე შესაძლებელია შინაური ფუტკრის სამშობლოდაც აზია მივიჩნიოთ, რადგან ფუტკრების ყველა სახის წარმომადგენლებს აქ ვხედავთ და, სავარაუდოდ, მთელ მსოფლიოში სწორედ აქედან გავრცელდა. სხვადასხვა ბუნებრივ-ეკოლოგიურ პირობებში ჩამოყალიბდა ფუტკრის სხვადასხვა ჯიშები: იტალიური, შუა რუსული, კარპატის, უკრაინული, კავკასიური და სხვა. კავკასიის ფუტკრებში გაერთიანებულია დაბლობის ყვითელი და ქართული ფუტკარი. დღემდე, ქართული ფუტკარი ძველ და ახლანდელ ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროებში მოხსენიებულია კავკასიური ფუტკრის სახელწოდებით, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ქართული ფუტკრის შესწავლა დაიწყო მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ ადმინისტრაციულად კავკასიაში შედიოდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კავკასიის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში ჩამოყალიბებულია რუხი და ყვითელი ფუტკრების ჯგუფი, რომელსაც მოიხსენიებენ კავკასიური ფუტკრის სახელწოდებით, რომელშიც შედის დაბლობის, ჩრდილოეთ კავკასიური, ანუ ყუბანის, სომხეთის ყვითელი, კაზახტაბისა და ქართული ფუტკარი. ხშირად, მსოფლიოს სხვადასხვა ლიტერატურაში მოხსენიებულ კავკასიურ ფუტკარში უმეტეს შემთხვევაში იგულისხმება ქართული ფუტკარი, რადგან დაბლობის ყვითელი ფუტკარი თითქმის ყველა კომპონენტში ჩამორჩება მას.

სასურველია, საბოლოოდ დამკვიდრდეს ქართული ფუტკრის სახელი მსოფლიოს ყველა ლიტერატურულ წყაროებში და დაერქვას თავისი კუთვნილი სახელი. სწორედ ამიტომ, ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია ქართული ფუტკრის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რითაც ის უნდა განვასხვავოთ სხვა ფუტკრებისაგან.

ცხრილი №1

ქართული ფუტკრის დამახასიათებელი საშუალო მაჩვენებლები	
მაჩვენებლები	მახასიათებლები
შეფერილობა	რუხი
ხორთუმის სიგრძე	7.2 მმ.
პროდუქტიულობა	17.31 კგ.
საშ. დღიური კვერცხმდებლობა	1160 ც.
ფრთის სიგრძე	9.45 მმ.
ფრთის სიგანე	3.22 მმ.
ზამთარგამძლეობა	კარგი
თვინიერება	თვინიერი
უღელდადგმული მწერი	თვინიერი

საქვეყნოდ ცნობილია მსოფლიოში გავრცელებულ ფუტკრებს შორის ყველაზე თვინიერი და მაღალპროდუქტიული იტალიური ფუტკარი, რომლის დედა ფუტკრების შეყვანა ევროპაში 75 წლით ადრე დაიწყო, ვიდრე ქართული ფუტკრისა. 1886 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ქართული ფუტკრის დედების გამოსაყვანი საჯიშეების ჩამოყალიბებას. იმ პერიოდში საჯიშეები ჩამოყალიბდა ახალციხეში, ბორჯომში, გორში, ქუთაისში, ბათუმში და მცხეთაში. ქართული ფუტკრის დედების გამოსაყვანი საჯიშეები ჩამოყალიბდა იმ პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე: ახალ

ათონში, გაგრასა და სოხუმში. 1893 წელს საჯიშე ჩამოყალიბდა დედაქალაქ თბილისშიც. 1928 წელს საფუძვლიანად იქნა შესწავლილი საქართველოში გავრცელებული ფუტკარი. საექსპერიმენტო მასალების მიხედვით ქართული ფუტკრის აფხაზური პოპულაციის ხორთუმის სიგრძე 7,01 მმ-ს შეადგენდა, მეგრულის 7,1 მმ-ს, სვანურისა და იმერულის 6,9 მმ-ს აღემატებოდა.

მეფუტკრეობა საქართველოში თითქმის ყველა რეგიონშია გავრცელებული, მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა რეგიონის თავლი ერთმანეთისაგან განსხვავებულია სუნით, გემოთი და ფერით. განსხვავებულია, აგრეთვე, აღმოსავლეთის და დასავლეთ საქართველოს თავლოვანი მცენარეულობა.

საქართველოში ვხვდებით როგორც მონო, ასევე პოლიფლორულ თავლს. მონო თავლიდან დასავლეთ საქართველოში გვხვდება აკაციის, ცაცხვის და წაბლის თავლი, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთის რეგიონში, შესაძლებელია შევხვდეთ მზესუმზირის თავლს, ხოლო ტყის თავლოვან ნექტრისაგან მიღებულ თავლს ვხვდებით თითქმის ყველა რეგიონში, მდელის მრავალნაირი ყვავილებისაგან მიღებულ პოლიფლორულ თავლს ვხვდებით, ძირითადად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და ოკუპირებულ ახალგორის ტერიტორიაზე, კერძოდ ქარჩოხის ხეობაში.

მოგეხსენებათ, თავლის ხარისხს აუარესებს ნარგავების ქიმიური დამუშავება, თავლში პესტიციდების ან სხვა ქიმიკატების მოხვედრა, გარემოს რადიაციული დაბინძურებისას რადიონუკლიდების მოხვედრა და სხვა. აქედან გამომდინარე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ეკოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე სუფთა პოლიფლორული თავლია, რადგან მთიანეთის, დუშეთის მაღალმთიან სოფლებში და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ პესტიციდები საერთოდ არ შეუტანიათ (საბჭოთა კავშირი დაიშალა 1990 წელს).

ნატურალურ თავლს, მასში გლუკოზის ან ფრუქტოზის მაღალი კონცენტრაციის გამო, ახასიათებს კრისტალიზაცია. ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობს 13-14°C ტემპერატურაზე. ფუტკრის თავლი შეიძლება იყოს ფიჭიანი, ან გამოწურული. როგორც ერთი, ისე მეორე მაღალი კვებითი ღირებულებითა და სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

ქართული თავლის სუნი (არომატი) ყვავილების სურნელზეა დამოკიდებული და შესაძლოა ოდნავ შესამჩნევი, ნაზიდან საკმაოდ მკვეთრ სურნელამდე იყოს. ხელოვნურ თავლს ახასიათებს მძაფრი არომატი, რაც, ხშირ შემთხვევებში, არომატიზატორების დამატებითაა გამოწვეული, რითაც ის უნდა განვასხვაოთ ბუნებრივი თავლისაგან.

ქართული თავლის ფერი, ისევე როგორც სხვა ნატურალური თავლის ფერი დამოკიდებულია ყვავილების ნექტარში არსებულ საღებავ ნივთიერებებზე და შესაძლოა იყოს ბაცი მოთეთრო-მოყვითალოდან მუქ ოქროსფერ ან ყავისფრამდე. დროთა განმავლობაში, თავლის დაკრისტალების გამო, მისი ფერიც იცვლება და უფრო ბაცი ხდება.

თავლის ქიმიური შემადგენლობა რთულია და დამოკიდებულია სათაფლე მცენარეებზე, ნიადაგზე და კლიმატურ პირობებზე, ფუტკრის ჯიშზე და ა.შ. თავლში დაახლოვებით 400 ორგანული და მინერალური ნივთიერებაა.

თავლის შემადგენლობის 13-20% უკავია წყალს, ხოლო 75-80%-ს შეადგენს ნახშირწყლები - გლუკოზა (31%), ფრუქტოზა (38%) და სახაროზა (1%). მათი დაშლისას გამოიყოფა ენერგია, რომელიც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებისათვის. გლუკოზა და ფრუქტოზა ხელს უწყობენ ნერვული პროცესების დარეგულირებას, სისხლძარღვების გაფართოვებას, გულის კუნთის კვებას, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას.

ნახშირწყლების გარდა, თავლის შემადგენლობაშია ფერმენტები: ინვერტაზა, დიასტაზა, კატალაზა და სხვ. ამ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ძალზედ მცირე რაოდენობა მნიშვნელოვნად აჩქარებს ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებს.

თავლის ფერმენტები აუმჯობესებენ საჭმლის მონელებას, კუჭის წვენის სეკრეციას, საკვები ნივთიერებების ათვისებას. მინერალური ნივთიერებები, რომლებიც თავლში მარილების სახითაა წარმოდგენილი, ძალზედ დიდ ბიოლოგიურ როლს თამაშობენ, რადგან მათი ფერმენტებთან, ვიტამინებთან და ჰორმონებთან ურთიერთობით მიმდინარეობს ნერვული სისტემის ფუნქციონირების, ქსოვილოვანი სუნთქვისა და სისხლის წარმოქმნის პროცესები. თავლში არის კალციუმის, მაგნიუმის, რკინისა და ფოსფორის მარილები. აღსანიშნავია, რომ თავლში გვხვდება ყველა ის ელემენტი, რომელიც შედის ადამიანის სისხლის შემადგენლობაში.

თავლის შემადგენლობაში აგრეთვე არის ორგანული მჟავები (ვამლის, ლიმონის, რემეჟავა, ღვინის მჟავა), რომლებიც სასიკეთოდ მოქმედებენ საჭმლის მონელებაზე, ნივთიერებათა ათვისებაზე, მადის გაუმჯობესებაზე, კუჭის ლორწოვანი გარსის სეკრეტორულ ფუნქციაზე.

თავლის საკვებ ღირებულებას ამაღლებს მასში შემავალი ვიტამინები: B1 (თიამინი, ანევრინი), B2 (რიბოფლავინი), B6 (პირიდოქსინი), H (ბიოტინი), K (ფილოქინონი), C (ასკორბინმჟავა) და სხვ. თავლი

ხანგრძლივი დროის განმავლობაში იხმარებოდა როგორც ჩვეულებრივი ტკბილი საკვები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავრცელდა უფრო იაფი შაქარი, თავლი გახდა სამკურნალო პროდუქტი.

საქართველოში თავლს დღესაც ფართოდ იყენებენ ხალხურ მედიცინაში, როგორც ძლიერ ანთების საწინააღმდეგო საშუალებას, მისი ობის საწინააღმდეგო და ბაქტერიოციდური თვისებები ანადგურებს დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს და აფერხებს მათ გამრავლებას. მას მთიან სოფლებში დღესაც გამოიყენებენ როგორც გარეგან საშუალებას ჭრილობების შესახორცებლად, კანის ჩირქოვანი დაავადებების და ფურუნკულების სამკურნალოდ.

ბოლო წლებში საქართველოში დიდი ყურადღება ეთმობა აპითერაპიის (Apis - ფუტკარი, terapia - მკურნალობა) განვითარებას – მკურნალობა ფუტკრის პროდუქტებით. გამოიყენება თავლი, ფუტკრის შხამი, დინდგელი, ცვილი, ჭეო, ყვავილის მტვერი, ფუტკრის რძე, მკვდარი ფუტკრები (პოდმორ). აპითერაპია არსებობს უძველესი დროიდან და მის მიმართ ინტერესი არ შემცირებულა, რაც აიხსნება მისი ეფექტურობით, ბუნებრივობით და ხელმისაწვდომობით.

საქართველოში, თითქმის ყველა რეგიონში გხვდება მოწინავე მეფუტკრეები რომლებსაც 150-დან 400-მირიმდე ფუტკარი ყავთ, მათ შეუძლიათ აწარმოონ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი, რომელიც გამოიყენება ოფიციალურ მედიცინაში მაგრამ მათ ამ პროდუქტების რეალიზება უჭირთ, რაც იმით აიხსნება, რომ მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიის არ არსებობის გამო, შეუძლებელი იყო განგვესაზღვრა ზუსტად ამ პროდუქტების ბიოქიმიური შემადგენლობა და მასში შემავალი ნივთიერებების პროცენტული შემადგენლობა.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ მაღალტექნოლოგიური სრულფასოვანი ლაბორატორიის ამუშავება, რომელიც მიმდინარე წელს იგეგმება, ხელს შეუწყობს ამ დარგის დინამიურ განვითარებას და მეფუტკრე ფერმერებს მოეხსნებათ პროდუქციის რეალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.

#### ლიტერატურა:

1. ვ. კოტეტიშვილი, „იადიგარ დაუდი“ – XVI საუკუნის ქართული სამედიცინო ენციკლოპედია, თბილისი, 1938.
2. ა. ხიდაშელი, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 5, თბილისი, 1980, გვ. 312.
3. [http://www.government.gov.ge/files/382\\_39874\\_651663\\_19030114.pdf](http://www.government.gov.ge/files/382_39874_651663_19030114.pdf)
4. <https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/meputkreoba/meputkreobis-ganvitarebis-perspektivebi-sakartvelshi>
5. <http://club-monadire.ge/index.php?showtopic=243>
6. [http://psnews.ge/index.php?m=68&news\\_id=57412](http://psnews.ge/index.php?m=68&news_id=57412)
7. [http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98\\_%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98](http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98)
8. <http://agrokavkaz.ge/dargebi/mefutkreoba/sasargeblo-inphormatsia-thaphlis-shesakheb-erth-statiashi.html>
9. [http://bee.ge/portal/alias\\_\\_Bee/tabid\\_\\_2922/default.aspx](http://bee.ge/portal/alias__Bee/tabid__2922/default.aspx)

## DEVELOPMENT OF BEEKEEPING SECTOR IN GEORGIA AND ITS EUROPEAN FUTURE

**Nikoloz Kiknavelidze**, Georgian University, Doctor of Agricultural Science

**Miranda Tserodze**, Batumi Shota Rustaveli state University, PhD

**Natia Kvizhinadze**, Tbilisi State Medical University, Associate Professor

**Nana Gorgaslidze**, Tbilisi State Medical University, Associate Professor

**Abstract:** In Georgia traditional sectors of agriculture occupies an important place. Beekeeping is one of the leading fields of agriculture.

Our goal is to introduce Caucasian (Georgian) bee, modern technologies and create powerful industrial cooperative production, with combining individual beekeepers and produce clean and high quality products, which will be able to enter the EU market.

Data analysis was conducted by using standard statistical and economic processes. Criteria for a recommended for the proposed beekeeping model were incomes and profit per hive. For effective beekeeping and production of bee products, especially honey, beekeeper must have adequate equipment and a good bee hives. Beekeeper must have transportation and additional equipment because their movement depends season on the season and distance to pasture.

In this regard, some work has already been carried out by the Government, and in this year is planned to open a high-tech laboratory, where it will be possible to carry out the chemical analysis with the definition of the organoleptic characteristics, which are very important for export competitive products.

**Key words:** beekeeping, Farm models, Caucasian bee.

## სამცხე-ჯავახეთის მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს გეოეკოლოგიური თავისებურებები და მათთან დაკავშირებული კონფლიქტები

რობერტ მალლაკელიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

გიორგი მალლაკელიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
მოწვეული სპეციალისტი

სამცხე-ჯავახეთის მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო დიდი გეოეკოლოგიური თავისებურებებით გამოირჩევა. ქვემოთ განვიხილავთ ამ რეგიონის ზოგიერთ მნიშვნელოვან მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს გეოეკოლოგიურ თავისებურებებსა და მათთან დაკავშირებულ კონფლიქტებს.

სამცხე-ჯავახეთში ცნობილია აღმოსავლეთის ნაძვის კორომების ქერქიჭამიათი დაზიანება ბორჯომის ტყეებში. ძირითადი გამანადგურებელია ნაძვის დიდი ლაფანჭამია, აგრეთვე სოჭნარებში გავრცელებულია მერქანჭამიები და სოჭის კიბოს გამომწვევი სოკოები. დადგენილია, რომ ქსილოფაგების ფართო გავრცელება მუქწიწვიანებში გამოწვეულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობით და მათ მიერ ხეთა დაზიანებით. მერქანჭამიების პირველადი კერები ჩნდება სწორედ დაზიანებულ მერქანზე, ამიტომ მუქწიწვიანების ბუნებრივ ეკოლოგიური ვითარების შენარჩუნება უპირველესად მისი დაცვის საშუალებაა.

სამცხეში, მდინარე ძინძეს ხეობაში (გოდერძის უღელტეხილის აღმოსავლეთი ფერდობი), არის მესამეულის განამარხებული ფლორა - „გოდერძის ფლორა“. წარსულში აქ ტროპიკული ტყე ყოფილა გავრცელებული - წარმოდგენილი როგორც მარადმწვანე, ისე ფოთოლმცვენი სახეობებით, ასევე ბუჩქნარებით, ლიანებით და გვიმრისნაირებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს უნიკალური განამარხებული ფლორა დაცვის ობიექტს წარმოადგენს, იგი უმოწყალოდ იძარცვება, როგორც ადამიანის მიერ, ასევე დიდ ზიანს აყენებს მას ბუნებრივი ექსტრემალური პროცესები. ეს უნიკალური ობიექტი დაცვის ქმედითი ღონისძიების გატარებას საჭიროებს.

ასევე, მეტად საინტერესოა მდინარე ოთის ზემო წელი (ასპინძის მიდამოები), სადაც ხეობის სამხრეთ ფერდობზე ფრიგანა გავრცელებული, ხოლო ჩრდილოეთ ფერდობზე - წიწვიანი ტყეები. ასეთი მკვეთრი ექსპოზიციური სხვაობა დატენიანების მეტად განსხვავებულ პირობებს უნდა უკავშირდებოდეს.

სამცხე-ჯავახეთში მუქწიწვიანების თვითაღდგენით პროცესს გარკვეულწილად აფერხებს მათში წიფლნარების არსებობა, ვინაიდან წიფლის მკვდარი საფარი გარკვეულწილად აფერხებს ახალგაზრდა ნაძვისა და სოჭის აღმოცენებას. შედეგად, მიმდინარეობს მუქწიწვიანების ჯერ წიფლნარ-მუქწიწვიანებით, ხოლო შემდეგ წიფლნარებით შეცვლა.

საკვლევ რეგიონში მთის ქსეროფიტები ბუნებრივი სახით უმთავრესად შემორჩა კლდოვან ფერდობებზე, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით არახელსაყრელია. ფართოდ გამოიყენება სამოვრებისა და სათიბებისათვის. ჭარბად გამოვილ ტერიტორიებზე ბუნებრივი ბალახოვანი საფარი გამქრალია, ნიადაგები ზოგან დამლაშებული და მცენარეული პროდუქტიულობა შემცირებული.

სამცხე-ჯავახეთში მრავალსაუკუნოვანი უსისტემო ჭრისა და სუბალპების სამოვრებად ინტენსიური გამოყენების გამო იგი განიცდის გამეჩხერებას, ფართობების შემცირებას, ტყის ზედა საზღვრის დაწევას.

სამცხე-ჯავახეთში სუბალპური მდელოების მნიშვნელოვანი ნაწილი სახეშეცვლილია, სუსტად აქვს შენარჩუნებული პირვანდელი სახე (უმთავრესად საქონლის ძოვების გამო). დღეს უკვე იშვიათია მაღალბალახეულობა. ტყის ადგილი ხშირად უკავია მეორად მაღალბალახეულს.



საკვლევ რეგიონში ალპური მდელოების გავრცელების არეალში არ არის მუდმივი დასახლებები, მიუხედავად ამისა ისინი მაინც მნიშვნელოვნადაა შეცვლილი - სათიბებად და სამოვრებად მათი ინტენსიური გამოყენების გამო. შედეგად სუსტადაა აქვს შენარჩუნებული ბუნებრივი სახე. ბევრგან წარმოქმნილია მეორადი მდელოები, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს: თივაქასრა, ჩალანდარი, მატრიკარია, მრავალძარღვა და სხვ.

სამოვრების დეგრადაციის ინდიკატორია სარეველა მცენარე შხამა, გავრცელებული სამოვრების თითქმის მთელ ტერიტორიაზე, ამ მცენარეს შინაური ცხოველები არ მოვენ და ფართოდ არის გავრცელებული სუბალპურ და ალპურ მდელოებზე.

მთის სტეპები წარმოდგენილი ჯავახეთის ვულკანურ მთიანეთის სამხრეთ ნაწილში დღესდღეობით მთლიანად მეორადი სახითაა წარმოდგენილი, სხვადასხვა სახის ანთროპოგენული ზემოქმედების გამო.

ჯავახეთის ზეგანზე საკმაოდ მასშტაბურად გავრცელებული მაღალი მთის მდელოები რელიეფის დახრილობასა და ექსპოზიციის ცვალებადობასთან ერთად განსხვავებულ ცენოზებს ქმნიან. სამხრეთი ექსპოზიციის ფერდობები აქ ქსეროფილური ცენოზებითაა წარმოდგენილი, მთების ჩრდილო და დასავლეთ ფერდობებზე კი ზ.დ. 1800-2200 მეტრზე ვხვდებით ტენიან და მეზოფილურ მდელოებს. გადაჭარბებული მოვების გამო ამ ტერიტორიებზე მცენარეულმა საფარმა დეგრადაცია განიცადა და აქ ხშირად დიგვიანებია (*Nardeta strictae pura*) გაბატონებული.

ჯავახეთის პლატო საქართველოში ტბებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიები სიმრავლით გამოირჩევა. ჭარბტენიანი ტერიტორიების სიდიდის მხრივ ჯავახეთის პლატო მეორე ადგილზეა კოლხეთის დაბლობის შემდეგ. ჯავახეთში ჭარბტენიანი ტერიტორიების ბიომები ახალგაზრდაა, ამიტომ აქ ნაკლებადაა ენდემური და რელიქტური მცენარეების სახეობები. გამოწვევისაა ისლის ერთი რელიქტური სახეობა (*Carex wiluica*), იგი მიჩნეულია კავკასიის იშვიათ სახეობად რომელსაც ზოგიერთ ავტორი, ამ ტერიტორიის ენდემად წარმოგვიდგენს.

კარწახის ტბის მიკროკლიმატის გავლენით და თურქეთის სასაზღვრო ზოლთან ახლო მდებარეობით, ჩილდირის ქედის ფერდობზე, ტბის აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 1800-2100 მეტრზე განვითარებულია რელიქტური, ბუნებრივი სუბალპური ტყე. იგი ადრე არსებული ტყის მასელების ნაშთს წარმოადგენს. ტყეს ქმნის თეთრი არყი (*Betula litwinowii*) და ვერხვი (*Populus tremula*), აქედან უფრო დიდი ფართობი ვერხვს უკავია. მთავარ ცენოტიპთან ერთად ტყეში წარმოდგენილია კავკასიური ცირცელიც (*Sorbus aucuparia*), რომელიც სხვა სახეობებთან ერთად ქვეტყესაც ქმნის. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ კარწახის ფოთლოვანი ტყეები და ფიჭვის პოპულაცია, რომლის ასაკი 30-40 წელი უნდა იყოს, აქ ერთადაა წარმოდგენილი. იგი თავის ნიშან-თვისებებით კავკასიის სამხრეთული ტყის ტიპს მიეკუთვნება. ტყის განახლება აქტიურად მიმდინარეობს. ამგვარი ტყე ჯავახეთის ზეგანზე სხვაგან არსად არ გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ გორაკიანი რელიეფის მშრალ, ხირხატთან პირობებში, კარწახის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ხშირ რაყებს ქმნის მთის ეკალგლერმიანი ფორმაციები *Astragalus microcephalus* - ის დომინანტობით. ისინი ხანგრძლივი გვალვების შემდეგ ხანძრის განვითარების მძლავრ კერას წარმოადგენენ.

ჯავახეთის ტერიტორიის ფარგლებში ჭარბტენიანი უმნიშვნელოვანესი ბიომები წარმოდგენილი ტბების ფარანის, სადამოს, მადათაფას, ხანჩალისა და კარწახის მიდამოებში ძირითადად სათიბი სავარგულებია და ამიტომ მათი გამოვება არ ხდება.

ჯავახეთის ტბების მიმდებარე სოფლებში გორაკების ფერდობები დაბეკნილია - მეტ-ნაკლებად დასერილია ცხოველების სამიმოსვლო გზებით და ბილიკებით. მიუხედავად ამისა ანთროპოგენული ზემოქმედების კვალი მცენარეული ასოციაციების მნიშვნელოვანი რღვევის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. აღნიშნული ბიომების ფარგლებში იშვიათი და გასაფრთხილებელი სახეობები მცირედაა წარმოდგენილი. აქ ასეთ სახეობას წარმოადგენს მხოლოდ, ტბების ირგვლივ გარკვეულ მონაკვეთებზე ფრაგმენტულად გავრცელებული ჯავახეთის ხმალა (*Gladiolus dzavakheticus*).

ჯავახეთის ქედის ქვედა ნაწილი მდელოსა და მდელო-სტეპის მცენარეულობით, მარცვლოვნებისა და ნაირბალახოვანთა თანასაზოგადოებებით არის წარმოდგენილი. ჩრდილო ფერდობები კი უკავია არყის (*Betula litwinowii*), მდგნალის (*Salix caprea*), ჭნავის (*Sorbus caucasigena*) თანასაზოგადოებებს, ქვეტყეს ქმნის კავკასიური დეკა (*Rhododendron*). ტყეები ხასიათდება შეზღუდული გავრცელებით, მნიშვნელოვანი ანთროპოგენულ სტრესით, საშუალო ხარისხის ტრანსფორმაციით დამზარდი დეგრადაციით.

მაღალი მთის საზაფხულო სამოვრები სხვადასხვა ხარისხის ზემოქმედების ქვეშაა, მაგრამ ეს ეკოსისტემები სტრესს ზაფხულის თვეებში განიცდის, თანაც თვითრეგულირების მაღალი დონე აქვთ, ამიტომ მათ მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ალპური სარტყელი, როგორც დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში, ისევე

მცირე კავკასიონზე დაახლოებით 150-200 მეტრითაა ზემოთ გადანაცვლებული. სარტყლის ზედა საზღვრამდე შეკრული ცენოზის ხალიჩა ძირითადად ჭრელი წივანას (*Festuca woronowii*) დომინანტობით იქმნება.

შესანარჩუნებელია ჯავახეთის პლატოზე მდებარე ხელოვნური ფიჭვის კორომები. ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა სიდიდის ძუძუმწოვრებისათვის თავშესაფარს და მნიშვნელოვანი გადაადგილების გზებს

საკვლევ ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ათეული სახეობის ძუძუმწოვარიდან, წავი (*Lutra lutra*) და ჭრელტყავა (*Vormela peregusna*) იშვიათ და საფრთხის წინაშე არსებულ სახეობებს მიეკუთვნება. ეს ცხოველები ჯავახეთის ტბებზე, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კარწახის ტბასთან ბინადრობენ. კარწახის ტბასთან მათი შედარებით დიდი რაოდენობა განპირობებულია ტბის სიღრმის გამო. იგი ფსკერამდე არ იყინება, ასევე სანაპირო ნაწილობრივ ტყითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია და შესანარჩუნებელი ღონისძიებებია გასატარებელი ასევე ინვაზიური სახეობა ონდატრას (*Ondatra zibethicus*) დაცვისა და რაციონალური გამოყენებისათვის. იგი ტბებისა და მდინარეების ბინადარია.

მოსახლეობისათვის ნაწილობრივ პრობლემების შემქმნელია მტაცებლები: მგელი, დათვი, ფოცხვერი, კვერნა, მელა და ტურა.

ჯავახეთის პლატო საქართველოში გადამფრენ ფრინველთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავშესაფარია. აქ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მიგრანტი ფრინველების 1/5 გადის. საჭიროა ეს ტერიტორია დაფიქსირდეს როგორც ფრინველების, განსაკუთრებით წყლის ფრინველების სეზონზე გადაფრენის და გამრავლების მნიშვნელოვანი ადგილი.

საკვლევ ტერიტორიის გეოეკოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა მცენარეული საფარის და საერთოდ ცოცხალი სამყაროს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ბუნებრივი, ანთროპოგენული და სამართლებრივი ხასიათის კონფლიქტები. აღნიშნულის შედეგად ცოცხალ სამყაროზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება და ფიზიკური დეგრადაცია შეინიშნება.

ქსილოფაგებით - ქერქიჭამიებით და მავნე სოკოებით მუქწიწვიანების დაავადება მნიშვნელოვანი პრობლემაა ბორჯომის მუნციპალიტეტში.

ბუნებრივი კონფლიქტებიდან აღსანიშნავია შემდეგი, კარწახის ტბის გავლენამ და თურქეთის სასაზღვრო ზოლში მდებარეობამ გადაარჩინა სუბალპური რელიქტური ტყის ფრაგმენტები, თუმცა, ისინი ექსტრემალურ გარემოში ვითარდება. ამ სუბალპური რელიქტური ტყის ფრაგმენტებს ჯავახეთის რეგიონისათვის უდიდესი კონსერვაციული დანიშნულება გააჩნია.

ჯავახეთში ბინადარი ბევრი ძუძუმწოვარი ზოგიერთ წლებში განიცდის ექსტრემალური კლიმატური პირობების გავლენას.

ჯავახეთის ტბების თითქმის მთლიანად გაყინვა ზამთარში საფრთხის შემცველია ადგილობრივი იქტიოფაუნის არსებობისათვის.

ჯავახეთის ტბების ევტროფიკაციული პროცესები საფრთხეს უქმნის ტბების ბინადართა სახეობრივ მრავალფეროვნებას და სამეურნეოდ საჭირო სახეობების ტბებში ინტროდუქციას.

ზამთარში ექსტრემალური კლიმატური პირობები, ჭარბტენიან ტერიტორიებზე ხშირად ხელს უშლის ფრინველთა მიგრაციისას საკვების მოპოვებას.

ანთროპოგენული კონფლიქტებიდან აღსანიშნავია კარწახის ტბის მიდამოებში არსებული რელიქტური ტყის კორომზე გარკვეული ზემოქმედება.

მაღალ მთებში ინტენსიური მოვება და გადამეტმოვებისაგან მთის მდელოების დეგრადაცია. მთის სტეპებზე ინტენსიური ზემოქმედებაც მათი დეგრადაციის წინაპირობას წარმოადგენს. ინტენსიური ანთროპოგენული სტრესის შედეგია ასევე სუბინვალური სარტყლის ქვედა საზღვრის დეგრადაცია, რაც მრავალი იშვიათი მცენარისათვის საფრთხის შემქმნელია.

ჯავახეთის, განსაკუთრებით ჭარბტენიანი გარემოს ძუძუმწოვრები დიდ ანთროპოგენულ სტრესს განიცდიან. ჯავახეთის ტბების იქტიოფაუნა ბრაკონიერული ზემოქმედების შედეგად ინტენსიური ზემოქმედების ქვეშაა. ასევე, განადგურების წინაშეა ბევრი გადამფრენი და ენდემური ფრინველი ბრაკონიერული და ინტენსიური ნადირობის შედეგად.

სამართლებრივი კონფლიქტები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უკავშირდება გარემოსდაცვითი კანონმდებლობების და კონვენციების, სრულ ან ნაწილობრივ იგნორირებას, რომელიც არეგულირებს არაცოცხალი ორგანიზმების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება-დაცვას.

### ლიტერატურა:

1. კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.
2. საქართველოს წითელი წიგნი, 1982.

3. წითელი ნუსხა, 2004.
4. Долуханов А., Растительность Грузии, т. 1. Мецниереба, 1989.
5. Мукбаниანი М., Флористический состав лесов Месхети: Автореф. Тбилиси, 1976.
6. Нахуцришвили Ш., Основные черты растительного покрова южного нагорья Грузии. В книге «Растительный покров высокогорий и его хозяйственное использование. Т. 2. 1966.
7. Сосновский Д., К вопросу о флористическом характере Джавахетии, 1933.
8. Троицкий Н., Остатки лесов в Ахалкалакском уезде, Тифлис, 1927.
9. Хинтибидзе Л., Ксерофильные флористические комплексы Южной Грузии // Автореф. дис.д-ра биол. наук. Тбилиси, 1990.
10. Kikodze D., Environmental baseline BTC/SCP Pipeline Project ESIA. Dzelkva Ltd., 2002.
11. Landscape planning of the Javakheti protected areas, Tbilisi, 2010.
12. Nakhutsrishvili G., The vegetation of Georgia (Caucasus). Braun-Blanquetia 15:1-74, Camerino, Italy, 1999.
13. Takhtajan A., Floristic regions of the world, Univ. Calif. Pres. Berkley, 1986.

**SAMTSKHE-JAVAKHETI VEGETATION AND WILDLIFE  
GEO-ECOLOGICAL PECULIARITIES AND RELATED CONFLICTS**  
**Robert Maghlakelidze, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor**  
**Giorgi Maghlakelidze, Gori State Teaching University, Specialist by contract**  
**RESUME**

Saamtskhe-Javakheti vegetation and wildlife of great geo-ecological features stand out. The article presents Saamtskhe-Javakheti vegetation and wildlife geo-ecological features, as well as the related conflicts.

**აკრობატიკის ესთეტიკური ასპექტების ისტორიიდან**

**ნელი პაპუკაშვილი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი**  
E-mail: papukashvili24@mail.ru

ფიზიკური ვარჯიშების წარმოშობა შორეულ წარსულში გვაბრუნებს. ეს ის პერიოდია, როდესაც ადამიანის გონება მომართული იყო საარსებო საშუალებების მოპოვებისკენ. ველური, მკაცრი ბუნებრივი პირობები აიძულებდა პრეისტორიულ ადამიანს ებრძოლა არსებობისათვის და ამიტომ, პირველ რიგში, ის იყენებდა ფიზიკურ ძალას, რომელიც იხვეწებოდა დროთა განმავლობაში. სხვადასხვა საარსებო საშუალებების მოპოვება ადამიანისგან მოითხოვდა ისეთი ფიზიკური თვისებების განვითარებას, როგორცაა სისწრაფე, სიმარჯვე, ძალა, გამძლეობა, მოქნილობა და სისხარტე. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა არსებობის პირობები და მათთან ერთად იცვლებოდა ადამიანების ფიზიკური მომზადება.

საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებიდან გამომდინარე ფიზიკური ვარჯიშების და ფიზიკური აღზრდის ამოცანა გახდა ისეთი ტიპის ადამიანის მომზადება, რომელიც მოიპოვებდა და შეინარჩუნებდა ძალაუფლებას. ამდენად, ფიზიკურმა აღზრდამ დაკარგა საზოგადოებრივი ხასიათი და გაბატონებული წოდების ბატონობის განმტკიცების იარაღად იქცა.

უძველესი სამყაროს ფიზიკური აღზრდის არსი ხასიათდებოდა მაგიურ-მისტიური მოქმედებებით. იმ ეპოქის ფიზიკური აღზრდის კვალი აღმოაჩინეს წინა აზიის, ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე, კონკრეტულად უძველეს მესოპოტამიაში ჩვ.წ.აღ-მდე IV ათასწლეულში.

ცნობილი ისტორიკოსების მიერ მესოპოტამიის შესახებ მოპოვებულ მასალებში ვხვდებით ცნობებს აკრობატიკის შესახებ (დასახელება აკრობატიკა წარმოდგება ბერძნულიდან „Akrobares“ და ნიშნავს მაღლა, მწვერვალზე, კენწეროში ამსვლელს). მას ქართულად მუშაითობას ვუწოდებთ. აკრობატიკა - ეს არის ვარჯიშები, რომელთა შესრულებას სჭირდება მოხერხებულობა, მოქნილობა და სიმამაცე. ცნობილი მეცნიერი ლ. კუნი აღნიშნავს, რომ მესოპოტამიაში სპორტულ ასპარეზობებში და სარიტუალო ცეკვებში

მონაწილეობა შემსრულებლებისგან მოითხოვდა კარგ ფიზიკურ მომზადებას მრავალრიცხოვანი აკრობატული ელემენტებით (რამდენადაც ისინი ემსახურებოდნენ სამხედრო და საკულტო მიზნებს) თანდათანობით ხდებოდა გაბატონებული წოდების მცირე ჯგუფის პრივილეგიად [15, გვ. 38; 39].

აკრობატიკის შესახებ ცნობებს გვაწვდიან მემკვიდრეები, რომლებიც აღწერენ ეგვიპტეში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიას. მათი მონაცემებით ეგვიპტელები იყენებდნენ აკრობატიკას სპეციალური ფიზიკური მომზადებისთვის.

მონათმფლობელობის გავრცელებასთან ერთად, სოციალურ სფეროში და მათ შორის ფიზიკური კულტურის სტრუქტურაშიც, ხდებოდა გარდაქმნის მნიშვნელოვანი პროცესები. მაგიური წეს-ჩვეულებები გადადიოდნენ უკანა პლანზე და სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა საჯარო სანახაობებზე ესთეტიკური მხარეები. მამასადამე, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან შეინიშნება, როგორც აკრობატიკის არსებობა, ასევე ვარჯიშების ესთეტიკური მახასიათებლების აღიარება. მაგალითად, ეგვიპტეში ფიზიკური ვარჯიშების პოპულარობაზე და აკრობატიკის სანახაობრივ მხარეზე მიუთითებს შემდეგი გარემოება: პრივილეგიებული წრეებისათვის განკუთვნილ სტუმრების მიღების წესების წიგნში სპეციალური თავი ეძღვნებოდა მითითებებს სტუმრების გართობაზე აკრობატული ვარჯიშებით და საცეკვაო მოძრაობებით [15, გვ. 42].

ძველი ეგვიპტის სხვადასხვა ბარელიეფებზე გამოხატულია ქალის სამოსში წყვილთა ბურთით თამაშები. სურათის ხასიათიდან გამომდინარე ჩანს, რომ ქალები არ ეჯიბრებიან ერთმანეთს და არ ასპარეზობენ ბურთისთვის. ძველ ეგვიპტეში ფიზიკურ კულტურაში არ იყო ცნობილი გუნდური თამაშები. მეორე მხრივ კი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ბურთით თამაშები, რომლებიც გაბატონებული ფენის ქალების გართობის საშუალება იყო, ატარებდა ესთეტიკური აღზრდის ფუნქციას. ამდენად, ჩვენ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ვარჯიშთა ესთეტიკური ასპექტები იკვეთება უძველესი პერიოდიდან. ცნობილი მეცნიერის და ისტორიკოსის [15, გვ. 43] ა. ვიდემანის არგუმენტით თუ ვისარგებლებთ იმ დროს ტანვარჯიში, როგორც ასეთი, უკვე ფიქსირდება. ის ამბობს: „ბურთით მოთამაშებად და ტანმომზადებად შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ მონები, რამდენადაც აღმოსავლეთელ ადამიანს არასდროს უყვარდა მოძრაობა, უპირატესობას ანიჭებდა მოძრაობის მხერას და გულშემატკივრობას“.

კუნი წერს, რომ სპარსეთის მეფე კამბიზ II-ის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგაც კი არაფერი შეცვლილა ეგვიპტელების ფიზიკური კულტურის თეატრალიზებულ კანონების წყობაში. მამასადამე, ეგვიპტელების ფიზიკურ ვარჯიშებს ჰქონდათ ესთეტიკური დატვირთვა და მყარად იყო შეთვისებული მათ ყოფიერებაში.

ანტიკური ქვეყნებიდან ფიზიკური აღზრდა ზენიტს აღწევს ძველ საბერძნეთში. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი ბერძნულმა ტომებმა ძველი წელთაღრიცხვით II-ე ათასწლეულში ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი დაიპყრეს. იმ პერიოდისთვის ქალაქ კნოსში, კუნძულ კრეტაზე ფიზიკური აღზრდა ყვაოდა და ძირითადად მასში მონაწილეობდნენ არისტოკრატიული ფენები [15, გვ. 55]. ტურნირებზე არისტოკრატების გამოსვლებს თავიდანვე ესთეტიკური ხასიათი ჰქონდა. მნიშვნელოვანია, რომ შეჯიბრი -ტურნირები იყო არა მხოლოდ სახალხო გამოსვლები, არამედ ძალის, მოხერხებულობის, სიმამაცის დემონსტრირება და ამ საშუალებებით გამოხატავდნენ უბრალო ხალხზე თავის აღმატებულობას. იმ ტურნირებზე იკვეთებოდა საკუთრივ აკრობატული ვარჯიშები. მათგან დიდ ინტერესს იწვევდა თამაშები ხარებთან. თამაში სრულდებოდა აკრობატული ხტომებით, რაც გამოსახულია გათხრების შედეგად ნაპოვნ ჭურჭელზე, კერამიკულ ნაკეთობებზე, ფრესკებზე, კედლებზე და ა.შ.

სწორედ კნოსოს (კრეტა 1580-1400 წწ. ჩვ. წ-ად-მდე) სასახლის კედელზე აღმოაჩინეს ორი ვაჟისა და ერთი გოგონას მიერ შესრულებული აკრობატული ვარჯიშის რელიეფური კომპოზიცია მორბენალ ხართან. გათხრების შედეგად სპარტაში აღმოჩენილი იქნა თალიანი სამარხი, სადაც ნაპოვნ ნივთებს შორის იყო ორი ოქროს თასი ხართან მოვარჯიშე აკრობატების (წინმალაყი მორბენალი ხარის რქებზე ხელების ტაციით) ტანის გამოსახულებით [7, გვ. 10].

საბერძნეთში ფიზიკური აღზრდა ჰომეროსის ილიადას და ოდისეას შინაარსიდან გამომდინარე სამხედრო ხასიათს ატარებდა. თუმცა ჩვ. წ. აღ-მდე IX-XIII საუკუნეებში ახალმა მოთხოვნებმა ობიექტურად გამოიწვიეს ფიზიკური აღზრდის გარდაქმნა-ცვლილებები. ჩვ. წ. აღ-მდე XIII საუკუნეში უკვე ჩამოყალიბდა ფიზიკური აღზრდის ანუ ტანვარჯიშის ელინური სისტემა.

ცნობილია, რომ ბერძნები ტანგახდელი ვარჯიშობდნენ. პირველი მიზეზი იყო ის, რომ იმ დროის ვარჯიშების შესრულებაში ტანსაცმელი ხელს უშლიდა; მეორე მიზეზი კი იყო ის, რომ ბერძნებს სჯეროდათ რა მაგიისა თვლიდნენ, რომ ტანსაცმელი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ამცირებს [15, გვ. 5]. ამიტომ ბერძნული სიტყვა „გიმნოს“, რაც შიშველს ნიშნავს, საფუძვლად დაედო ფიზიკური

ვარჯიშის სახელწოდებას. ამ სიტყვიდან წარმოიშვა სავარჯიშო ადგილის დასახელებაც „გიმნასი“ და ტერმინი „გიმნასტიკა“, ფიზიკური აღზრდის სასწავლო საგანს გამოხატავდა.

ტანვარჯიში აყვავდა ყველაზე გამორჩეულად ანტიკურ ელადში, განსაკუთრებით სპარტასა და ათენში [14].

ამ ორ ქალაქ-სახელმწიფოში ტანვარჯიშს იყენებდნენ, როგორც ახალგაზრდის ფიზიკური განვითარების მძლავრ საშუალებას. სპარტაში იგი სამხედრო პირის მომზადებას ემსახურებოდა, ხოლო ათენში - ზედა ფენის წარმომადგენელთა ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას. რაც შეეხება ესთეტიკურ და ეთიკურ აღზრდას ათენელები მათ ფიზიკურ აღზრდას ორგანულად უკავშირებდნენ [15, გვ. 67].

საბერძნეთი ანტიკური საზოგადოების აღმასვლის პერიოდში, როგორც ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი აღწერს, ტანვარჯიში იყოფოდა პალესტრიკად და ორქესტრიკად. *პირველ განყოფილებაში გაერთიანებული იყო რბენა, ბადროს და შუბის ტყორცნა, სივრძეზე ხტომა (ამჟამად მძლეოსნობაში გაერთიანებული სახეები) და ჭიდაობის, ცურვის, ფარიკაობის, ნოჩბოსნობის ელემენტები. ორქესტრიკა შეიცავდა ვარჯიშებს და თამაშებს ბურთით და ეწოდებოდა სფერისტრიკა. ორქესტრიკა აერთიანებდა სამხედრო, სადღესასწაულო, სასცენო მასიურ ცეკვებს. ასევე გამოყოფდნენ კუბისტკას, რომელიც შეიცავდა აკრობატულ ვარჯიშებს. ორქესტრიკა შემდგომში საფუძვლად დაედო პლასტიკური, რიტმული ცეკვის, მრავალფეროვანი მხატვრულად გამოხატველი მოძრაობის და დამოუკიდებელი სპორტული სახის მხატვრულ ტანვარჯიშსაც. კუბისტკა კი, რომელიც აკრობატიკის მრავალფეროვანი ილეთისაგან შედგება, შემდგომ განვითარდა აკრობატიკასა და სპორტულ ტანვარჯიშში [14, გვ. 128].*

ძველი ბერძნები თვლიდნენ, რომ ორქესტრიკის ხელოვნება მოხერხებულობის, სიმარჯვის, მოქნილობის განსავითარებლად სავალდებულო იყო. ორქესტრიკაში შემავალი აკრობატული ვარჯიშები სწორედ ამ ფიზიკურ თვისებებს სრულყოფდნენ. შედეგად მათ უყალიბდებოდათ უზადო სხეულები, ნატიფი და ჰაეროვანი მოძრაობები და ყოველივე ამას ჰქონდა სახალხო ხასიათი. ბერძნებს ბუნებაში ჰქონდათ ესთეტიკურობა და მისით ტკობა. პალესტრიკა და ორქესტრიკა ემსახურებოდა ბერძნების ფიზიკურ იდეალის (კალოგაკათიის) შექმნას, რომელიც გამოხატებოდა სილამაზის კანონებში [15].

გიმნაზიების და ტანვარჯიშის როლზე და მის აკადემიურობაზე ყურადღებას ამახვილებს არისტოფანე, როდესაც იგი თავის შვილს მოძღვრავს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა გიმნაზიაში შესვლა. იგი მას ასწავლის, რომ რაც გიმნაზიაში დაიწყებს სიარულს მკერდი ექნება ძლიერი, ლოყები ყაყაჩოსფერი, სამი არშინის სიფართის მხრები... [16, c. 167-168].

ანტიკური ავტორებიდან ქსენოფონტე თვლიდა, რომ ეს ვარჯიშები ბერძნებს აღბული ჰქონდათ კრეტადან, ხოლო ჰეროდოტეს აზრით ისრით თამაშები გადმოღებული იყო ეთიოპიიდან [15, გვ. 58].

ამდენად, ფიზიკურ ვარჯიშებს ძველი ბერძნების ცხოვრებაში დიდ ადგილი ეკავათ. აღნიშნულის შესახებ მტკიცებას წარმოადგენს იმ დროს ჩატარებული ხშირი სპორტული ასპარეზოები. ყველაზე დიდი მასშტაბის შეჯიბრება იყო ოლიმპიური თამაშები, სადაც ბერძნები სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას, სპორტულ წრთობას, როგორც ხელოვნებას, უჩვენებდნენ მრავალათასიან მაყურებელს. წერილობითი წყაროებით დადასტურებულია, რომ ოლიმპიური თამაშები 776 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოეწყო ოლიმპოში.

ჩვენ მოვიძიეთ, როგორც ლიტერატურული და მეცნიერული, ასევე ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და საარქივო წყაროები, მათზე დაყრდნობით გავეცანით ანტიკური საქართველოს ისტორიას.

ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ნაწერები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საქართველოში გავრცელებულ სპორტის სახეობებზე და იმ ძირძველ წყაროებზე დაყრდნობით მტკიცდება რომ ჩვენს მიწაწყალზე მუდამ პოპულარული იყო ჭიდაობა და ფარიკაობა... აგრეთვე მუშაითობა (იგივე თოკზე სიარული ანუ აკრობატიკა) [4, გვ. 13].

აკრობატიკა, ანუ „მუშაითობა“ საქართველოში გავრცელებული იყო, როგორც ხალხური ფიზიკური ხელოვნება და ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სისტემის ერთ-ერთი მიმართულება. ხელოვნების ამ სახეობის დაუფლებას დიდი დრო და შრომა სჭირდებოდა. სულხან-საბა ორბელიანი მუშაითოს უწოდებდა „საბელზე მავალს“, ხოლო დ. ჩუბინაშვილის განმარტებით მუშაითობა ნიშნავს - „ძნელად საქმნელს ვარჯიშებს, არა გრძნობითა, არამედ ხელოვნებითა“.

ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე (ძვ. წ-ად-ის 444-354 წ.წ.) ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და სანახაობითი კულტურის აღწერისას აღნიშნავდა, რომ ქართველებს მხედრული სცენების მიმიკური განსახიერებისას ჩართული ჰქონდათ მუშაითობის ელემენტები, მაგალითად, ცეკვა „ხანჯლური“. მოცეკვავე, ცეკვასთან ერთად, გვიჩვენებს მხედრული მამაცობისა და, ასევე, იარაღის ხმარების ვირტუოზულ ოსტატობას. მოცეკვავე ერთი ან რამდენიმე ხანჯლით ცეკვავს, ხელის ერთი გაქნევით თანმიმდევრულად ისვრის ხანჯლებს და არჭობს საცეკვაო მოედანზე, შემდეგ ხანჯლებს შორის მოექცევა და გარს უვლის ფეხის გასმითა და საოცარი სისწრაფით ისე, რომ ხანჯლებს არ ეხება [12].

ასევე სამუშაოთო ხასიათის მხედრული ცეკვები სრულდებოდა ორ და სამსართულიანი ფერხულის ზემყრელოს (აჭარული სამაია) თანხლებით.

საქართველოში მუშაობის განსაკუთრებული აღმავლობა დაფიქსირებულია XI-XII საუკუნეებში. მუშაობის, როგორც ფიზიკური მომზადებისა და სანახაობით გასართობის შესახებ უტყუარ ცნობებს გვაწვდის შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, სადაც მუშაობა მოხსენიებულია როგორც აღზრდის სისტემის შემადგენელი ნაწილი და როგორც პროფესია.

„ვეფხისტყაოსანში“ ქაჯეთის ციხის აღების შესახებ მსჯელობისას ფრიდონმა მეგობრებს შესთავაზა ქონგურზე საბელის დამაგრებით და მასზე გავლით ციხეში შესვლა და კარის გაღება. ფრიდონი ამბობს:

*„ჩემსა სამცროსა გამზრდნელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,  
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნდებიან, მწვრთნიდიან;  
ასრე გავიდა საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,  
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.“*

„ვეფხისტყაოსანში“ მუშაობას ვხვდებით არა მხოლოდ როგორც ფიზიკური მომზადების საშუალებას, არამედ, როგორც სანახაობით გასართობ ხელოვნებას:

*„ესა თქვა და სიხარულით თამაშობა ადიდა,  
მგოსანი და მუშაითნი უხმეს, ჰპოვეს რაცა, სადა.“*

უმადლესი კლასის მუშაობის „აჯაბთა მქმნელად“ („აჯაბთა მქმნელნი“ საბას განმარტებით „საკვირველებათა მქმნელს“ ნიშნავს) იხსენიებს შოთა რუსთაველი: „აჯამთა მქმნენი მჭვრეტელთა გულსა მუნ დაამიდიან“.

თეიმურაზ მეორე მუშაობის წარმოდგენებს შემდეგი სახის განმარტებას უკეთებს:

*„რა შეიქმნება ლხინი და ღვინოსა მომეტებანი,  
მუშითთავან კვრანი და სხვა ტკბილი ამღერებანი,  
თქვან მუნასიბი ლექსები, ყრმისა და ქალის ქებანი.“*

თამარის მეფობის ხანაში ახოვნობას და ფიზიკურ მომზადებულობას საქებარ და მოსაწონ ეპითეტებს უძღვნიდნენ. ესთეტიკურობა და მშვენიერებით ტკბობის ელემენტები გამოსჭვივის მემატიაანის სიტყვებში, რომელიც დავით სოსლანს ახასიათებს და განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს სხეულის სილამაზეზე, ათლეთურობასა და ფიზიკურ მომზადებულობაზე: „ფრიად მშვენიერი, ვითარცა შვენის მეფეთა შვილსა, რამეთუ მოყმე იყო ნაკვთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ზრდილობით კეთილად ზრდილი და წვრთნილი, მხნე და ძლიერი, რაინდობითა და შვილდოსნობითა უსწორო შემმართებელი, ტანითა ახოვანი და, ყოვლითურთ სრული სიკეთით-ო“ [6, გვ. 17].

იმ ეპოქაში მუშაობა (აკრობატიკა) საკმაოდ განვითარებული, მაღალ დონეზე მყოფი, მიღებული იყო როგორც სანახაობა მეფეთა და ხალხთა ზეიმებისა და დღესასწაულების დროს. ასე მაგალითად, თამარისა და დავით სოსლანის ქორწილის აღწერისას მემატიაანე წერს: „მუნ-ქმნეს საქორწილო შესატყვის და შემსგავსებული ხელმწიფობისა და შარავანდედობისა მათისა... იყო ხმა მგოსანთა და მუშაითთა და სახიობათა მჭვრეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე“ [6, გვ. 17].

თამარის მეფობის დროს მუშაობები ძირითადად მეფისა და სხვა დიდებულების კარს სტუმრობდნენ. როდესაც შირვანის შაჰი აღსართანი და მისი სიძე ამირ-მირანი 1192 წელს ეწვივნენ თამარს დახმარების სათხოვნელად, თამარმა სტუმრები დიდი ზეიმით მიიღო. „მოიკითხეს და დასვეს პატივითა. შემდგომად პურობისა დაიდვეს ნადიმი. იყო სიხარული და ხმა მგოსანთა და მოშაითთა“ - წერს მემატიაანე [6, გვ. 23].

რაც დრო გადიოდა, მუშაობის ხელოვნება სულ უფრო რთულდებოდა, იხვეწებოდა და გართობა-სანახაობათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებდა.

ძველ ქართულ სანახაობათა აღმნიშვნელ ტერმინად „სახიობა“ იხმარებოდა. ძველ ქართულ წყაროებში, სადაც „სახიობა“ ანუ სანახაობითი გასართობი წარმოდგენებია მოხსენიებული, იქვე მგოსნები, მუტრიბები და მუშაობები უნდა ვიგულისხმოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ სახიობის შემსრულებლები სწორედ ესენი უნდა ყოფილიყვნენ.

„სახიობის“ ცნების გასარკვევად მხედველობაში ისიც უნდა იქნეს მიღებული, რომ კახეთში ბერიკაობის მონაწილე ნიღაბს სახიონი ეწოდება. ბერიკაობაში სახიობის შემსრულებლები იყვნენ სხვადასხვა ტანსაცმელში და ნიღბებში გამოწყობილი მგოსნები, მუტრიბები და მუშაობები (12, 220 გვ. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე სპორტისადმი ინტერესის ზრდის მკაფიო მაგალითი გახლავთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, უმთავრესად კი თბილისში, ამოქმედებული რამდენიმე სტაციონალური სპორტული ბაზა, ვაკის რაიონის სივრცეები -ტანმოვარჯიშეთა და მოზურთალთა შეკრების საყვარელი ადგილები.

დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორია ტანმოვარჯიშეებს ჰქონდათ „დაპრობილი“. აქ ეწყობოდა მასობრივი სპორტული სანახაობანი, გიმნასტიკური გამოსვლები.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ღრმად განსწავლული მწერალი და საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე ჯერ კიდევ 1915 წელს წერდა: „არა მარტო კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ხანაში, არამედ შემდეგაც, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველები ფიზიკურ ვარჯიშობასა და თამაშობებს...“

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ერთ-ერთი ასეთი სიახლე საქართველოში გიმნასტიკა იყო (ასე ეწოდებოდა მაშინ ყველაფერს, ტანვარჯიშთან დაკავშირებულს), რომელსაც პოპულარიზაციას უწევდნენ გიმნაზიებში მოღვაწე ჩეხი ენთუზიასტები ანტონ ლუკემისა და იულეს გრუმლეკის მეთაურობით. ეს იყო სოკოლისტური ტანვარჯიშის აღზევების პერიოდი [4].

1917 წელს გაიოზ ბერელაშვილი და დათა ჯავრიშვილი თბილისში ტანვარჯიშულ საზოგადოება „ამირანს“ აფუძნებენ. ერთი წლის შემდეგ უკრაინიდან სამშობლოში ბრუნდება გიორგი ნიკოლაძე, რომელიც გაიოზ ბერელაშვილსა და დათა ჯავრიშვილს საინტერესო წინადადებით მიმართავს: „ამირანისა“ და თბილისში არსებული „სოკოლის“ (ვარჯიშთავი გიორგი ეგნატაშვილი) გაერთიანების საფუძველზე შექმნან ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალი, აპოლიტიკური, მთავრობისგან დამოუკიდებელი ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი“. ამ იდეას უმრავლესობამ მხარი დაუჭირა და 1918 წლის 25 აგვისტოს შეიქმნა ქართული „შევარდენი“, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ერის ერთიანობის (ფიზიკური და სულიერი) განმტკიცებაში [4].

თანამედროვე აკრობატიკა დღევანდელი სახით განვითარებას იწყებს გასული საუკუნის დასაწყისიდან და 21-ე საუკუნეში განსაკუთრებით მაღალ დონეს აღწევს.

#### ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე ვ., უშიში ვითარცა უხორცო, გამომც. საბჭოთა საქართველო, ქუთაისი, 1986.
2. ახვლედიანი შ. ნ., ბაგრატიონი ჯ. ი., გუგუშვილი ნ. ე., სპორტი საქართველოში (ცნობარი), გამომც. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1981.
3. ბერიშვილი ე., ქართული სპორტის ოქროს წიგნი, თბილისი, 2013.
4. გუგუშვილი ნ.ე., ოლიმპიური ენციკლოპედია, თბილისი, 1977.
5. გორგაძე მ., ფიზიკური კულტურის ისტორია, გამომც. განათლება, თბილისი, 1965.
6. მაკალათია ს., თამარ მეფე, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, კოპერაც. გამომც. „ივერთ მხარე“, თბილისი, 1990.
7. მუმლაძე მ., ქართველი აკრობატები საერთაშორისო სარბიელზე, გამომც. ფავორიტი, თბილისი, 2005.
8. ქართული პედაგოგიკის ისტორია, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1974.
9. შერაზადიშვილი ზ., საკითხები ფიზიკური აღზრდის ისტორიიდან, გამომც. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1965.
10. ციბაძე ა., მხედრობათა შინა კადნიერნი (ქართული სპორტის ქრონიკები), გამომც. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1980.
11. მაგანია გ., ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2004.
12. ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, წიგნი პირველი, სახელგამი, თბილისი, 1948.
13. ჯაში ნ., ძირითადი ესთეტიკური კატეგორიები. გამომც. „ხელოვნება“ თბილისი 1982.
14. სანებლიძე თ., ტანვარჯიში, I ნაწილი, თბილისი, 1992.
15. Кунь. История физической культуры и спорта. История мирового спорта. М., „Радуга“, 1982.
16. Аристофан. Избранные комедии. М., «Художественная литература», 1974.

## SHORT HISTORIC REVIEW OF AESTHETIC ASPECTS OF GYMNASTIC TYPES

**Neli Papukashvili**, Georgian State Teaching University of Physical Education and Sport, Assistant Professor  
**RESUME**

We have facts from the history of developing of gymnastics. But history of acrobatics in Georgia, as an aesthetic side, is not estimated properly.

Acrobatics is referred in the sources of antique civilization. Writings of Greek and roman historians give us interesting notifications about wide-spread variety of sport in Georgia and according to these ancient sources, it is affirmed that in our country wrestling, fencing and so called “Mushaitoba” (the same as walking on the rope or acrobatics) was always popular.

Acrobatics reached its peak especially in XI-XII centuries. In the magnificent scientific works of the century “The Knight in the panther’s skin” and “Tamariani”, there are descriptions of acrobatic exercises as the means of physical training and as far the show, the athletes, who did acrobatic exercises, their build and beauty are worshiped.

In the reign of Tamari build, physical training is devoted with praiseworthy spithets. There are many elements of awareness of aesthetics and beauty in the words of the chronicler, who describes David Soslan and he pays great attention to the beauty of his body, his athletic and physical strength.

## **თავშეკავება და ემოციური მდგომარეობის რეგულირების ფსიქო-სოციალური ფაქტორები სპორტსმენის ქცევაში**

**მამია ტულუში**, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-mail: mamuli.42@mail.ru

**ალექსანდრე იაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-mail: iashvili43@gmail.com

თანამედროვე საზოგადოებაში სპორტი მეტად პოპულარული გახდა. ჩატარებული ფართო მასშტაბის სპორტული ღონისძიებები (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო და ევროპის პირველობები და ჩემპიონატები, ტურნირები, სამატჩო შეხვედრები და ა. შ.) სულ უფრო და უფრო ზრდის სპორტისადმი ინტერესს. გარდა ამისა, სპორტი ხომ ახალგაზრდობის სიჯანსაღისა და სიმხნევის საუკეთესო საშუალებაა. ყოველივე ამან გამოიწვია განსაკუთრებული ზრუნვა მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადებაზე. გარკვეული ხნის მანძილზე მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების ძირითად საშუალებად ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება იყო მიჩნეული. ამ ბოლო პერიოდში გარკვეულ ინტერესს იჩენენ სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადებისადმი.

სპორტსმენის დაოსტატებისა და სპორტულ ასპარეზოებში გარკვეული წარმატების მიღწევისათვის საჭიროა იმ სპეციფიკური უნარების გამოვლენა (ფსიქოდიანოზტიკა) და გავარჯიშება, რომლებიც სპორტის ამა თუ იმ სახეობას სჭირდება. დღის წესრიგში დადგა ამ უნარების შესწავლა და მათი განვითარებისათვის საჭირო მეთოდების შემუშავება.

სპორტსმენმა შეიძლება სტაბილურად შეინარჩუნოს მუშაობისუნარიანობა და წარმატებასაც მიაღწიოს, თუ მას რაიმე გაუთვალისწინებელი ხელშემშლელი ფაქტორი არ გადაეღობა, მაგრამ ეს ასე არ ხდება ყოველთვის; არის შემთხვევები, როცა შეჯიბრების დროს რამდენიმე დაბრკოლება იჩენს თავს. ხელშემშლელი მიზეზი შეიძლება იყოს ობიექტური (შეჯიბრების ადგილის უჩვეულობა, კლიმატური პირობები, მსაჯობა და სხვ.). ასევე ხშირადაა სუბიექტური ფაქტორიც (ძლიერი სტრესი, ადამიანებთან ურთიერთობით გამოწვეული უსიამოვნო ემოცია). თითოეულ მათგანს შეუძლია ხელი შეუშალოს სპორტსმენს თავის შესაძლებლობათა სრული გამოვლენის საქმეში. ამიტომ, საჭიროა სუბიექტური თუ ობიექტური შემაფერხებელი პირობების თავიდან აცილების მიზნით დაბრკოლებათა ძლევის უნარის გამომუშავება.

დაბრკოლებათა ძლევის უნართან კავშირშია სპორტსმენის ემოციური სტაბილურობა. ძლიერ ემოციას ძალუძს ორგანიზმის მთელი ენერგია ჩართოს ქცევით აქტივობაში. ზომიერი ინტენსივობის შემთხვევაში მას შეუძლია ხელი შეუწყოს წარმატების მიღწევაში, მაგრამ გაძლიერების შემთხვევაში კი - მოახდინოს მისი ქცევის დეზორგანიზაცია და მარცხი გამოიწვიოს. ამასთან, ემოცია ადამიანის ენერგიის დიდი მფლანგველია. სათანადო წვრთნით, მაღალი მოტივაციით რაც ნებისყოფის საფუძველია, სპორტსმენს შეუძლია სძლიოს საკუთარ ემოციებს და აღკვეთოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს მათი უარყოფითი მოქმედება. ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ადამიანმა „საკუთარ თავს სძლია“. ძლიერი ემოციის მოქმედება ჰგავს აზვირთებულ მდინარის დინებას, რომელიც ყველაფერს ანგრევს, რაც წინ გადაეღობება. ეს რომ არ მოხდეს საჭიროა მისი ზომიერების ფარგლებში მოქცევა. ამ ფუნქციას სპორტსმენის ქცევაში **თავშეკავება და თვითკონტროლი** ასრულებს. მათი საშუალებით შესაძლებელია ძლიერი ემოციური განცდის-სტრესის მიერ გამოხმობილი დიდძალი ენერგიის ზომიერების ფარგლებში მოქცევა და მისი ხარჯვა მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია.



**ემოციური სტაბილურობა, თავშეკავება და თვითკონტროლი** . ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, სადაც საქმე ფსიქოფიზიკურ ძალთა დიდი დამაბვიტ კეთდება, სადაც ხშირად წარმოიშობა ექსტრემალური სიტუაციები, უდიდეს მნიშვნელობას იძენს მოქმედი პირის თავდაჭერილობა, ემოციური მდგრადობა, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების უნარი.

ექსტრემალური სიტუაციები ძალიან ხშირად წარმოიშობიან სპორტული ქცევის დროს (დიდი, მომქანცველი და ერთფეროვანი დატვირთვები, შეჯიბრებებში მონაწილეობა). შეჯიბრებაში მონაწილეობა თავისთავად წარმოადგენს რთულ სიტუაციას, რადგან სპორტსმენს სჭირდება მთელი თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, რასაც ფსიქიკური დამაბულობა უმაღლეს დონეზე აწყავს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სპორტული პაექრობები სულ უფრო და უფრო ღებულობენ პიროვნებათა შეჯიბრების ფორმას, სადაც ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს თავშეკავებისა და თვითკონტროლის უნარი.

ეს თვისებები, ისე როგორც პიროვნების ხასიათის განმსაზღვრელი სხვა მხარეები, ვითარდება ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პროცესში. ამ თვისებების აღზრდა მოითხოვს რიგი ფსიქოლოგიური თავისებურებების, კერძოდ თვითკონტროლისა და თვითრეგულაციის კანონზომიერებათა სწორად გაგებას. საკუთარი ქცევისა და საკუთარი მოქმედებების შეგნებული მართვა ხასიათდება მრავალი ფსიქოლოგიური თავისებურებებით.

მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანს შეუძლია:

- წინასწარგანზრახულად, საკუთარი ნებით, სიტყვიერი (მეორე სასიგნალო) ან გამაღიზიანებლის გამოყენებით გამოიწვიოს ესა თუ ის მოქმედება, თავისუფლად შეასრულოს მოძრაობა, დაიწყოს მოქმედება. ასევე, შეგვიძლია გამოვიწვიოთ გარკვეული წარმოდგენები ან დავიწყოთ ფიქრი ნაცნობ ობიექტზე, ასევე შეგვიძლია ყურადღება მივაპყროთ ან გადავერთოდ სხვაზე, თავისუფლად დავიმახსოვროთ ან აღვადგინოთ გონებაში ის, რაც ადრე იყო ათვისებული;
- საკუთარი სურვილით ან ჩვეულებრივად შევაკაოთ ან შევწყვიტოთ დაწყებული მოძრაობითი მოქმედება, ფსიქიკური პროცესები, მეხსიერება, წარმოსახვა, აზროვნება;
- შეგნებულად მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ ამა თუ იმ მოქმედებების, ან ამა თუ იმ ამოცანის აქტიურად გადაწყვეტაში (მაგალითად: დამაბული ყურადღების შენარჩუნება, საჭიროების შემთხვევაში; რაიმე მოვლენაზე დაკვირვება გარკვეული დროის განმავლობაში; მოძრაობითი მოქმედებების შესრულება, დადლილობის დროსაც კი);
- შეგნებულად რიგი საკუთარი მოქმედებების ინტენსივობის რეგულირება, შეგნებულად გამლიერება, და, პირიქით, მოტორული აქტიურობის შენელება, ყურადღების ამაღლება ან შენელება, წარმოდგენის, აზრის, მეხსიერების გააქტიურება და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნულისა, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ის, რომ ადამიანის ფსიქიკური პროცესები, ასევე ტანის მოძრაობები ერთი და იმავე ხარისხით არ ექვემდებარებიან შეგნებულ მართვას და თავისუფალ რეგულირებას. რიგ შემთხვევაში გარკვეული სირთულეები წარმოიშობა საკუთარ ემოციურ პროცესებზე კონტროლის გაწევის დროს. ემოციური მდგომარეობა და რეაქცია ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი სრული შეგნებული კონტროლისა და მართვისათვის. ხშირად, მდგომარეობის შეცნობის მიუხედავად, მაინც ვერ ვახერხებთ დავუმორჩილოთ იგი ჩვენს ნებას.

თვალს ადევნებს რა თავის მოქმედებებს, ადამიანს შეუძლია შეამჩნიოს, რომ მას გაუჩნდა ესა თუ ის გრძნობა ან ემოციური მდგომარეობა. მაგრამ მას არ შეუძლია საკუთარი სურვილით აღძრას ან შეინახოს იგი. ძალიან ძნელია ჩაახშო ან შეაჩერო აღმოცენებული ემოცია. მხოლოდ გარკვეული ოდენობით შეიძლება ემოციის შეკავება ან გარეგანი გამოვლენა (მაგალითად - შეიკავო სიხარული, დამალო წუხილი და სხვ.). იმისათვის, რომ ჩაახშო ემოცია, საჭიროა ხანგრძლივი დროით ნებისყოფის დამაბვა ან ემოციის გამომწვევი ობიექტური პირობების და გარკვეული მოვლენებისადმი პირადი დამოკიდებულების შეცვლა.

როგორც თავის სპეციალურ კვლევებში პ. მ. იაკობსონი აღნიშნავს, ადამიანი ვერ ფლობს საკუთარი გრძნობების ინტენსივობას. თუ გრძნობები შენელდა ან გაქრა, შეიძლება მათი განმტკიცება მრავალჯერადი გამეორებით ისე, როგორც ვიქცევით ცოდნის დავიწყების თავიდან აცილების მიზნით. მტკიცე სურვილსაც კი ვერ მივყავართ გარკვეული გრძნობებისა და მისი ზედმეტობის გაგებისაგან გათავისუფლებისაკენ.

არიან სპორტსმენები, რომელთაც ძალუძთ ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის ხელშემშლელ დაბრკოლებათა დაძლევა, იმდენად მაინც, რომ ისინი საგრძნობ გავლენას ვერ ახდენდნენ მათ სპორტულ მიღწევებზე. სწორედ მათ აქვთ გამომუშავებული დაბრკოლებათა ძლევის უნარი.

სათანადო წვრთნით, მაღალი მოტივაციით, რაც ნებისყოფის საფუძველია, სპორტსმენს შეუძლია სძლიოს საკუთარ ემოციებს და აღკვეთოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს მათი უარყოფითი მოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ემოციები განსხვავდებიან შემეცნებითი პროცესებისაგან (წარმოდგენები,

აზროვნება...) თავისი აღმოცენების უშუალო ხასიათით. ისინი ჩნდებიან თავისთავად წინასწარი განზრახვის გარეშე შინაგანი ან გარეგანი გაღიზიანებების ზემოქმედების შედეგად, როგორც პირველადი განცდის აქტი. ამ მიმართებით ემოციები მსგავსია შეგრძნებისა და აღქმისა. მიუხედავად ამისა ეს თვისებები განსხვავებული პროცესებია.

სხვადასხვაგვარი ემოციური გამოვლინებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ემოციების საერთო სტრუქტურაში გაერთიანებულია: ემოციური რეაქციები, ემოციური მდგომარეობა, ემოციური ურთიერთობები. ემოციების ყველა ეს კომპონენტი ურთიერთკავშირშია, აღმოცენდებიან და მიმდინარეობენ ადამიანის პიროვნულ რთულ მდგომარეობასა და ურთიერთობების ერთიან კომპლექსში.

ურთიერთობაში ჩაბმულ მხარეებს შორის გაგებინების სიძნელე ხშირად იჩენს თავს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში დაპირისპირებაში არ გადადის. მაგრამ არის შემთხვევები, როცა გართულება დაპირისპირებაში გადაიზრდება. მაშინ საქმე გვაქვს კონფრონტაციასთან (კონფრონტაცია არის დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთობის გარკვევა). არც ისე იშვიათად, კონფრონტაციაში მყოფი მხარეები არკვევენ იმას, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. შემდეგ მშვიდდებიან და ურთიერთობას არ წყვეტენ. ამიტომ, რიგ შემთხვევაში კონფრონტაციის გამოყენება საჭიროცაა. იგი ხელს უწყობს აზრთა შორის სხვადასხვაობის მიზეზის და საქმისადმი დამოკიდებულების გარკვევას. გაბრაზების თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მისი მართვა; ამისთვის კი საჭიროა: კონფრონტაციაში მყოფი ადამიანის პიროვნების შეურაცხყოფისა და შეფასებითი გამოთქმებისაგან თავის შეკავება. კონკრეტულ პირობებში ურთიერთობის გართულებისას, პირველ რიგში, აზროვნება უნდა გააქტიურდეს. კერძოდ, სანამ ადამიანი სხვას მიაყენებდეს შეურაცხყოფას, უნდა დაფიქრდეს მის შედეგზე, რა შეიძლება ამას მოჰყვეს? ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოსუნთქვისას რამდენიმე წამი მოდუნება, თავშეკავების გასაღებია.

**თავშეკავების განვითარების გზები და საშუალებები.** არასასურველი ემოციური მდგომარეობის დაუფლების საშუალებების ძებნაში უკანასკნელ წლებში შეინიშნება ორი მიმართულება: პირველი - ნერვულ სისტემაზე მოქმედი სხვადასხვა ბიოქიმიური ანუ ფარმაკოლოგიური საშუალებები, ასევე ის ელექტროგამღიზიანებლები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ტვინის ქერქის აგზნებადობა; მეორე - სპორტსმენებში თავდაჭერილობის აღზრდა, და ნებისყოფის ძალის, ზნეობრივი გრძნობებისა და მაღალი ემოციების განვითარება და განმტკიცება, ასევე ნორმალური ადამიანისათვის დამახასიათებელი საკუთარი ემოციური მდგომარეობებისა და მოქმედებების რეგულაციის ბუნებრივი ილეთების შეგნებული დაუფლება.

იმისათვის, რომ სპორტსმენი ფლობდეს საკუთარ თავს და დროულად განავითაროს თავშეკავების ხარისხი, პირველ ყოვლისა, მან უნდა კონტროლი გაუწიოს საკუთარ ქცევებს (ამ შემთხვევაში ეხმარება მწვრთნელი და თანაგუნდელები), დაინახოს პირადი ნაკლოვანებები და შეგნებულად ისწრაფოდეს საკუთარ თავში აღზარდოს დადებითი ემოციური თვისებები. დაეუფლა რა ემოციურ გამოვლინებებს, არ აყვეს უარყოფით ემოციებს (რისხვის გრძნობა, უხეში აზარტი, შიში, გაუბედაობა). ამისათვის კი საჭიროა გაანალიზოს, შეამოწმოს და შეაფასოს საკუთარი მოქმედებები, ამასთან, არ დაივიწყოს მთავარი მიზანი და სპორტული ბრძოლის წესები.

საკუთარი გრძნობების თავშეკავებული გამოხატვა და გამოვლენა ვითარდება ნერვული სისტემის გამაღიზიანებელი პროცესების საერთო სისუსტის ნიადაგზე. ვარჯიშები საკუთარი გრძნობებისა და სურვილების შეკავებაზე ხელს უწყობს (გვეხმარება) პიროვნების ემოციური მხარეების აღზრდაში. ხოლო შინაგანი მდგომარეობის გამოვლენაში თავშეკავების საჭირო ხარისხის უქონლობა ან უკმარისობა შეიძლება გახდეს განსაკუთრებულად შემაწუხებელი გარემომყოფთათვის და ხელის შემშლელი დასახული ამოცანის განხორციელებაში.

**სპორტსმენის ემოციური მდგომარეობის თვითრეგულაციის ხერხები.** ემოციების აღმოცენებისა და გამოვლინების კანონზომიერებათა საფუძველზე დადგენილია გარკვეული კავშირების არსებობა სხვადასხვა ემოციებსა და ორგანიზმში მიმდინარე მოძრაობით და სეკრეტორულ პროცესებთან. სპორტსმენთა ემოციური მდგომარეობის შეგნებული და აქტიური რეგულაციის სისტემის დამუშავებისას ხელმძღვანელობენ ემოციების ისეთი ნიშან-თვისებებით, როგორცაა მათი კავშირი სხვადასხვა გამომსახველობით მოძრაობებთან და მოძრაობით რეაქციებთან, ორგანიზმში მიმდინარე გაცვლით და ტროფიკულ პროცესებთან, ანალიზატორთა მოქმედებებთან, ასევე სხვადასხვა თავისუფალი მართვის დამყოლ ფსიქიკურ ემოციებთან (მეხსიერება, წარმოსახვა, ყურადღება, აღქმა და სხვ.). ემოციური მდგომარეობის რეგულირების კონკრეტული ხერხების შერჩევასა და გამოყენებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის ინდივიდუალური თავისებურებების სწორად გათვალისწინებას. აუცილებელია ვიცოდეთ სპორტსმენის მიერ შეჯიბრებებზე დაკავებული ადგილები და შედეგები, ასევე, მომზადებულობისა და გაწვრთნილობის დონე, ინდივიდუალური ნაკლოვანებები და სხვა მისთვის

დამახასიათებელი პიროვნული ნიშან-თვისებები (პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერება, გულდიაობა, თავმოყვარეობა და ა. შ.).

ყურადღების გადატანის, დამშვიდების, წახალისების კონკრეტული ხერხების შერჩევასა საჭიროა ხერხების შესაბამისობა სპორტსმენის ინტერესებთან, გემოვნებასთან, მიდრეკილებებსა და მისწრაფებებთან; განსაკუთრებით კი - ნერვული სისტემის ინდივიდუალურ-ტიპოლოგიურ თავისებურებებთან. იმისათვის, რომ დავუფლოთ ემოციური მდგომარეობის რეგულირების ხერხებს, აუცილებელია შეგვეძლოს მათი განმეორებით გამოყენება. რიგ შემთხვევაში ყურადღების სხვა მოქმედებაზე გადატანის პირველი ცდა უშედეგოა, მაგრამ მოცემული ხერხის განმეორებით გამოყენებისას შედეგი ბევრად უფრო ეფექტური და შედეგიანია, რადგანაც ამ დროს გამოიმუშავდება განსაზღვრული პირობითრეფლექტორული კავშირები.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არ არსებობს ისეთი სტანდარტული ხერხები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ყველა სპორტსმენთან და ყველა შემთხვევაში. მაგრამ თუ არ გაგვაჩნია საკუთარი ემოციების შეკავებისა და მართვის სტანდარტული ხერხები ან რეცეპტები, ეს ნიშნავს, რომ ხერხების შერჩევა და გამოყენება შემთხვევითი ან უსაფუძვლოა. ჩვენს მიერ მოცემული ხერხების სისტემით ემოციური მდგომარეობის თვითრეგულირება განსაზღვრება არსებითი თვისებებით, რაც ნიშანდობლივია ყოველგვარი ემოციისათვის. ვიცით რა ეს და ამოვდივართ ამ მოსაზრებიდან, შეგვიძლია პრაქტიკული გამოყენების მიზნით შემოგთავაზოთ რეკომენდაციები ყურადღების გადატანისა და დამშვიდების ხერხების განსაზღვრული სისტემის შესახებ:

**• გამომეტყველებითი მოძრაობების გამოვლენის ან ცვლის წინასწარგანსაზღვრული შეკავება.**

ცნობილია, რომ ემოციები ყოველთვის დაკავშირებულია გარკვეულ გამომსახველობასთან, განცდების გარეგან გამოხატვასთან (მაგალითად: შიში, სიხარული, მწუხარება და ა.შ.). სწორედ ემოციების ასეთი თვისებების გარეგან გამოხატვასთანაა დაკავშირებული ისეთი ხერხები, როგორცაა: განზრახ ჩახშობა, გარეგანი ემოციური რეაქციების შეკავება და შესაბამისი რეაქციების უგულვებლყოფა, შეკავება ან გაძლიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ ემოცია, რომელსაც ადამიანი განიცდის, ყოველთვის იღებს გარეგან გამოხატვას მიმიკების და პანტომიმების სახით. მიმიკური კუნთების ფუნქციები ღრმადაა დაკავშირებული ადამიანის ფილოგენეტიკურ განვითარებასთან, რაც ჯერ კიდევ დარვინის მიერ იყო დამტკიცებული. თავისუფლად, ყოველგვარი ზედმეტი ძალდატანების გარეშე მართო სახის მიმიკური კუნთების ტონუსი და სხეულის სხვა გამომხატველი მოძრაობები, ნიშნავს იმას, რომ ადამიანი რამდენადმე ფლობს საკუთარ თავს და ხელეწიფება საჭიროების შემთხვევაში ჩაახშოს, გამოიწვიოს ან შეცვალოს გარკვეული ემოციები.

თუ სპორტსმენი, რომელიც შეგნებულად უწევს კონტროლს საკუთარ თავს და შეამჩნევს, რომ იგი ფრთხება (კრთის), მოძრაობები შებოჭილია, ხოლო სახე დამაბული - მან წინასწარ განზრახულად უნდა მოადუნოს კუნთები, გაუღიმოს მოწინააღმდეგეს, რაც დაამშვიდებს და თავს დაადწევს გაჩენილი შიშისაგან. ამასთან, მხედველობაში არის მისაღები ისიც, რომ ემოციების გარეგანი გამოხატვა, მაგალითად სიცილი, წყენის ცრემლები, მთქნარება მოწყენილობის დროს, იწვევს შესაბამის მიმბაძველობით რეაქციებს. მაგალითად, ვუყურებთ თუ როგორ ხალისიანად იცინის ვიღაც, ჩვენც ვიწყებთ სიცილს, გადაგვედება მისი მხიარულება მიუხედავად იმისა, რომ არც კი ვიცით მისი გამომწვევი მიზეზები. გადამდები ემოციები, უნარი გამოიწვიოს განსაზღვრული მოძრაობები, სეკრეტორული ხასიათის რეაქციები - ყოველივე ეს შეიძლება გამოყენებული იქნეს საკუთარი ემოციური მდგომარეობის რეგულირებისათვის. იმისათვის რომ ჩაახშო უადგილო სიცილი, საჭიროა შეხედო შენს ახლო მდგომთა სერიოზულ სახეებს, ხოლო იმისათვის რომ შენში გამოიწვიო გამამხნეველი და ხალისიანი განწყობა, სასურველია იმყოფებოდე მხნე, მტკიცე და ხალისიან ადამიანთა შორის, მიზამო მათ, ასწიო თავი მაღლა და მხნედ მიმოიხედო ირგვლივ.

**• ვარჯიშები სპეციალური მოძრაობითი მოქმედებებით.** ასეთი ვარჯიშები გამოიყენება ემოციური მდგომარეობის რეგულაციისათვის. მოძრაობითი მოქმედებები შეიძლება იყოს შესრულებული სხვადასხვა სისწრაფით და ამპლიტუდით, შესრულების თანმიმდევრობისა და მოძრაობის მიმართულების ცვლით, კუნთების დამაბვით და სხვ. ემოციების ერთ-ერთ არსებით თავისებურებას წარმოადგენს ტანის კავშირი მოძრაობასთან, რაც ნათლად ჩანს გამომხატველობით მოქმედებებში, ჩონჩხის მუსკულატურისა და შინაგანი ორგანოების მამოძრავებელ რეაქციებში (გული, ფილტვები, კუჭი, სისხლძარღვები და სხვ.). ემოციების ფიზიოლოგიური მექანიზმი აუცილებლად ითვალისწინებს ორგანიზმის მამოძრავებელ და სეკრეტორულ რეაქციების ჩართვას. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ემოციების გაცდა იწვევს სპორტსმენის საერთო მამოძრავებელი აქტიურობისა და მუშაობისუნარიანობის ან ამაღლებას ან დაქვეითებას.

• **ინდივიდუალური მოთელვა შეჯიბრებაზე გამოსვლის წინ.** სპორტული საქმიანობის დაწყებამდე მოთელვის ხასიათზეა დამოკიდებული არა მარტო სპორტსმენის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, ასევე მისი ფსიქოლოგიური მზადყოფნა, შეასრულოს დასახული ამოცანა მაღალი ხარისხით.

მოთელვის დროს წინასწარ შერჩეული და მიზანმიმართული ვარჯიშების გამოყენება უნდა მოხდეს სპორტსმენის ინდივიდუალური თავისებურებების, ემოციური მდგომარეობის და ნერვული სისტემის მოქმედებისუნარიანობის გათვალისწინებით. იგი დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ არასასურველი წინა-სტარტული მდგომარეობა და მივალწიოთ სასურველ შედეგს.

სპორტის გუნდურ სახეობებში რეკომენდებულია მოთელვა ჩატარდეს ორგანიზებულად და მთელი გუნდით, რაც ხელს შეუწყობს მოასპარეზეთა გუნება-განწყობილების და ყველა წევრის ერთიანი მორალური გრძნობის ამაღლებას. პირველ ყოვლისა საჭიროა შეჯიბრების ადგილზე გუნდი მივიდეს ერთი საათით ადრე, რომ სპორტსმენებს არ მოუხდეთ ნერვიულობა ტანსაცმლის გამოცვლის გამო.

მოთელვის ჩატარებაზე პასუხისმგებელი (ორგანიზატორი) შეიძლება იყოს მწვრთნელი ან გუნდის ერთ-ერთი რომელიმე ავტორიტეტული წევრი. არ არის რეკომენდებული შეჯიბრების ადგილზე ბევრად ადრე მისვლა და მოწინააღმდეგეთა გამოსვლებზე ცქერა, რაც დამლელად იმოქმედებს სპორტსმენზე.

შეჯიბრებისათვის სპორტსმენტა ფსიქოლოგიური მომზადების საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ყველაზე უფრო მეტ ეფექტს იძლევა როცა ხდება მოთელვის წინ სპორტსმენტა დიფერენცირება, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მათი ინდივიდუალური განსხვავება ნერვული პროცესების დინამიკაში. ზემოქმედების საშუალებების სპეციალურ შერჩევას განსაკუთრებით საჭიროებენ ისინი, რომლებიც გამოირჩევიან ნერვული სისტემის გაუწონასწორებლობით ან ნერვული სისტემის ინერტულობით.

### **პრაქტიკული რეკომენდაციები**

**სპორტული მუშაობისუნარიანობის აღდგენისა და ფიზიკური გადაღლის მოხსნის ან დაკლების მიზნით გამოყენებული აქტიური თვითრეგულაციის მეთოდები.** ორგანიზმის ფუნქციებში დაღლა ხასიათდება მრავალგვარი ძვრებით, კუნთებში ქიმიური პროცესებით დაწყებული და დამთავრებული უმაღლეს ნერვულ მოღვაწეობაში მიმდინარე პროცესებით. ფიზიოლოგიურ მექანიზმში დაღლის არსებით რგოლს წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობა. სპორტული საქმიანობის პროცესში სპორტსმენს განსაკუთრებული ინტენსიურობით უხდება ენერჯის ხარჯვა. მის პარალელურად ხდება აღდგენა. რიგ შემთხვევაში იქმნება მდგომარეობა, როდესაც ენერჯის ხარჯვა ამკარად სჭარბობს მის აღდგენას. ამის გამო, სპორტსმენს უჭირს ან არ შეუძლია საქმიანობის ადრინდელი ინტენსივობით გაგრძელება. სწორედ ამ ფენომენს დაღლას უწოდებენ. ცხადია, რომ დაღლას მოსდევს მუშაობისუნარიანობის დაქვეითება. მისი თანმხლები ფსიქიკური განცდებია: დაღლილობა, მოთენთილობა, მძინარობა, საქმისადმი ინტერესის დაკარგვა, აპათია და სხვა.

სპორტში დაღლა ჩვეულებრივი პროცესია და მასში სახიფათო არაფერია. ის თავს იჩენს როგორც წვრთნის, ისე შეჯიბრების დროს. სპორტსმენმა დაღლის შემდეგ უნდა აღიდგინოს დახარჯული ენერჯია, მაგრამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ეს ყოველთვის ასე არ ხდება და საჭიროა აღდგენის სპეციალური საშუალებების გამოყენება. სპორტსმენის მიერ მიღწეული შედეგი ფიზიკური და ფსიქიკური ძალების ერთობლივი აქტივობითაა მოპოვებული. ანალოგიურად მიმდინარეობს აღდგენის პროცესი. შეჯიბრების პროცესში სპორტსმენს ხშირად ზედიზედ რამდენიმეჯერ უწევს ასპარეზობაში ჩაბმა, მაგალითად სპორტული ორთაბრძოლები, სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნური მრავალჭიდი და სხვ. ინტერვალი სპორტის სახეობების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია და გრძელდება რამდენიმე წუთიდან რამდენიმე ათეული წუთით. ამიტომ სპორტსმენის წარმატება ყოველი შემდგომი გამოსვლის დროს მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმით, თუ რამდენად მოახერხა დახარჯული ენერჯის აღდგენა.

ცნობილია, რომ ფსიქიკურ ძალთა აღდგენა გუნდის ყველა მონაწილესთან ერთნაირად არ ხდება. სპორტსმენის მიერ დახარჯული ფსიქიკური ენერჯის აღდგენა კავშირშია სპორტის სახეობასა და

სპორტსმენის ინდივიდუალურ პიროვნულ თავისებურებებთან. შეჯიბრების პირობებში სპორტსმენს ყოველთვის არ აქვს დასვენების საშუალება. ბუნებრივი მოდუნების ჩვევა მას აძლევს საშუალებას, მცირე კომფორტის შემთხვევაშიც კი, ყურადღება გადაიტანოს სხვაზე და მოკლე დროში აღიდგინოს ძალები სპორტულ სარბიელზე ბრძოლის გაგრძელებისათვის. ღრმა კუნთური

მოდუნებულობა და ემოციური მდგომარეობის მიზანმიმართული რეგულირება აღადგენს ორგანიზმის მუშაობისუნარიანობას.

თვითრეგულაციის ხერხების ფლობა განიხილება, როგორც სპორტსმენის შეჯიბრებისათვის ფსიქოლოგიური მომზადების პრობლემათა შემადგენელ ნაწილად. აღნიშნული ხერხები, ფსიქიკური მომზადების პროცესში, წარმოადგენს სპორტული მოღვაწეობისათვის პიროვნულ თვისებებზე ხანგრძლივი აღმზრდელობითი ზემოქმედებისა და მომავალი კონკრეტული შეჯიბრებისათვის სპორტსმენის გააქტიურების საშუალებათა სისტემას.

თვითრეგულაციის არსის ცოდნა იმის შესახებ, რომ ადამიანს თვითშთაბოძებით შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საკუთარ სხეულებრივ და ფსიქიკურ პროცესებზე, არსებობდა დიდი ხნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ფსიქიკური თვითრეგულაციის მეთოდები ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის ხალხებს: იაპონელებს, ჩინელებს, ინდოელებს. კერძოდ, ინდოეთში რამდენიმე ათასი წლის წინ შემუშავდა ადამიანის ფსიქოფიზიკურ ძალთა რეგულაციის დღესაც საკმაოდ ცნობილი სისტემა - **იოგა**. მისი მიზანია თვითჩაგონებით ისეთი ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის მიღწევა, როცა ადამიანის პიროვნება მთლიანად შეერწყმება ღვთაებრივ საწყისებს.

დახარჯული ძალების აღდგენა სპორტსმენის ვარჯიშობაში ან შეჯიბრებაში წარმატებით საქმიანობის პირობაა. ძალთა აღდგენის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. თვითრეგულაციის საშუალებით სპორტსმენი ნორმალური მუშაობისუნარიანი ხდება.

#### **ლიტერატურა:**

1. ნორაკიძე ვლ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1989.
2. ყოლბაია მ., სპორტის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003.
3. Вяткин Б. А., Диагностика и регулирование психического состояния спортсменов в соревнованиях, Перм, 1974.
4. Медведев А. С., Психология победы, Москва, 1981.
5. Платонов В. Н., Подготовка квалифицированных спортсменов, Москва, 1986.
6. Родионов А. В., Психодиагностика спортивных способностей, Москва, 1973.

## **SELF-CONTROL AND PSYCHO-SOCIAL FACTORS OF EMOTIONAL REGULATION IN THE ATHLETE'S BEHAVIOR**

**Mamia Tughushi**, Georgian State Teaching University of Physical Education and Sport, Professor  
**Aleksandre Iashvili**, Gori State Teaching University, Professor

### **RESUME**

To become a skilful master and achieve the desired results in sport participation is required systematic care of specific skills detection and development in the training process.

Considering recommendations based on outstanding scientific research and according to our long-term observation we believe that temperance and emotional regulation for the establishment of systematic care in individual sports as well as in team sports are required to become an integral part of academic and training process.

## **EFFECT OF TOLUENE CHRONIC EXPOSURE ON RECOGNITION MEMORY IN ADOLESCENT AND ADULT RATS**

**Nino Pochkhidze**, Ilia State university, I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine, PhD Student  
**Mzia Zhvania**, Ilia State university, I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine, PhD  
**Manana Dashniani**, I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine, PhD  
**Nana Japaridze**, I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine, PhD  
**Lia Gelazonia**, I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine, PhD

#### **ABSTRACT**

Toluene and toluene-containing volatile substances are the most widely abused solvents with demonstrative addictive potential in humans. Several data indicate that as a result of toluene misuse alterations in learning and memory in organisms of different age take place. But because of differences in species, length of exposure, dose or rate of

administration, it is not always possible to conclude whether adolescent experience results in changes in learning and memory are comparable to that seen in adults. The present study has been undertaken to determine whether toluene chronic exposure provokes immediate and/or persisting effect on exploratory behavior and recognition memory in open field in adolescent and adult rats. We exposed male Wistar rats at ages P 28-32 (adolescents) and P 70-75 (adults) to 2000 ppm inhaled toluene for 40 days. The immediate and persisting effects of toluene misuse (immediately after the end of toluene chronic inhalation and 90-day after the end of toluene chronic inhalation, correspondingly) were evaluated. Experimental protocol was approved by Animal Studies Committee of I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine. The major findings are: (1) toluene misuse alters exploratory activity and recognition memory in adolescent and adult rats; (2) the level of alterations depends upon the postnatal age of testing animals. In particular: in adolescent rats the most significant behavioral alterations were observed by the day following toluene chronic exposure. These alterations do not progress significantly during abstinence period: some altered parameters were almost the same as observed the day following immediately after toluene misuse and others were very close to observed in control animals. Therefore, in adolescent rats the most expressed was immediate effect of toluene misuse. Contrary to it: in adult rats most alterations significantly progress during 90 d period of abstinence. So, in these animals more substantial was persistent effect of toluene chronic exposure. On the bases of our data it is possible to suggest that adolescent rats may show partial recovery from once the toluene toxic effect no longer persists.

## INTRODUCTION

Toluene and toluene-containing volatile substances are the most widely abused solvents with demonstrative addictive potential in humans. Numerous clinical and experimental studies have demonstrated that the exposure to toluene vapor leads to diverse consequences at the level ranging from the cell to the whole organism. As the primary target of toluene chronic exposure the central nervous system has been identified and various, sometimes long-lasting neurological and neurobehavioral impairments as well as diffuse changes in brain matter in the organisms of different age were described. Most studies concerning the neurological and neurobehavioral consequences of toluene chronic exposure have used adult animals while the data obtained on younger animals are comparatively rare. However it is well-known that since specific physiology of the brain in different aging groups, adolescents and adults react differentially to substances of abuse. Based on these data it was suggested that studying a unique profile of various alterations in organisms of different age may provide valuable information regarding the mechanism of action of toluene. Another area of uncertainty in the toluene studies is related with clarification of long-term outcome in toluene abusers. The biggest part of existing clinical and experimental research concerning toluene misuse has mostly focused on its acute effect with limited work examining delayed outcome in toluene abusers who abstain from inhalant abuse. However to fully understand the nature of toluene addiction, studies need to be done where both, acute and persisting effect of toluene chronic misuse in organisms of different age will be compared. Clarification of possible difference between immediate and persisting responses of adults and adolescents could help to develop appropriate age-specific treatment for toluene abusers. The present study has been undertaken to determine whether toluene chronic exposure provokes immediate and/or persistent effect on exploratory behavior and recognition memory in the open field in adolescent and adult rats.

## METHODS

In all series of experiments male Wistar rats (Department of Animal Care, I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine) of two age groups 28-30 days (d) (weighting 100-120 g) as adolescent [22-24] and 90-100 d (weighting 200-220 g) as adult were used. Experimental protocol was approved by Animal Studies Committee of I. Beritashvili Center of Experimental Biomedicine.

Each rat was placed separately in the glass cylindrical chamber (45 cm height x 35 cm diameter) and was exposed to toluene vapor at the concentration 2000 ppm or clean air for 4 min/day, during 40 days.

After 40 d of toluene exposure rats of each age group were divided into 2 subgroups. For the purpose to clarify immediate effect of toluene misuse on exploratory activity and recognition memory in the open field, the studies have been undertaken on the next day after the end of toluene exposure (animals of first subgroup), while for to clarify persisting effect, the rats of second subgroup were studied 90 days after the end of toluene inhalation. Correspondingly, control rats were evaluated on the next day and 90 d after the clean air exposure.

Rats ( $n = 8$  for each experimental and control group) were individually given five 3-min sessions, each of which was separated by 24-hour delay, during which subjects were returned to their home cage. During Session 1 four different (by color, shape and size) objects (A, B, C, D) were simultaneously present in the open field (fig. 1). The rat was placed into the open field to familiarize it with the apparatus and to record the baseline level of locomotor activity and object exploration. All rats were given three habituation sessions. For Session 4, the spatial location of the object (B) was modified and in Session 5, one of the familiar nondisplaced object (C) was substituted with a new one (object E) at the same location. Locomotor activity was assessed by counting the number of grid crossed by each animal while moving in the open field. To measure the amount of habituation to the environment, we calculated a difference score by subtracting the number of crossings in Session 3 from the number of crossings during Session 1. The amount of time spent by each animal for the object exploration was recorded. The habituation index was calculated by comparing the time spent for exploring the objects when they were first introduced in Session 1 with the time spent in re-exploring the same objects in Session 3. To measure the amount of habituation, we calculated a difference score by subtracting the time spent for exploring four objects in Session 3 from the time spent for the same objects during Session 1. The larger the habituation index, the greater the habituation. The rats' responses to the spatial change (in Session 4) and object

novelty (in Session 5) were evaluated as discrimination indexes (DIs) that takes into account individual differences in the total amount of exploration. Response to the spatial change was assessed by comparing the time in contact with the displaced object during Session 4 and the mean time spent in contact with the remaining (three) non-displaced objects. The following equation was used for displacement discrimination index, DID:  $DID = \frac{tD}{tND} + tD$ , where  $tD$  = exploration time of the displaced objects and  $tND$  = mean exploration time of the non-displaced objects. The object novelty discrimination index, DIN was calculated as:  $DIN = \frac{tN}{tF} + tN$ , where  $tN$  = exploration time of the novel object and  $tF$  = mean exploration time of the familiar objects.




Fig. 1. A schematic illustration of the configuration of objects in the object exploration paradigm.

## RESULTS





Figure 2. Immediate and persisting effect of toluene chronic exposure on the exploratory behavior in the open field: adolescent rats. (a) Effect of toluene chronic exposure on the locomotor activity and (b) on the habituation to the environment; (c) Effect of toluene chronic exposure on the object exploration and (d) on the habituation to the objects. Data are given as mean  $\pm$  SE. \* $p \leq 0.05$ ; \*\* $p \leq 0.01$ ; \*\*\* $p \leq 0.001$ .

ANOVA revealed specific effect of experimental conditions on locomotor activity.. Specifically, significant difference was observed between control rats and the rats studied immediately after the end of toluene exposure ( $p < 0.01$ ). However locomotor activity did not differ significantly between control animals and the animals investigated after 90 d of toluene exposure ( $p = 0.01$ ). One-way ANOVA for the habituation index also showed significant effect of toluene exposure This effect was expressed only between the control rats and the rats that performed the open field test 90 d after the end of toluene exposure ( $p < 0.001$ ). The habituation index did not differ significantly between the control rats and the rats that were tested immediately after the end of toluene exposure ( $p = 0.1$ ).


The ANOVA revealed significant effect of treatment on the object exploration. The habituation index to the object significantly differs between the control rats and the rats that were tested in the open field immediately after the end of toluene exposure ( $p < 0.01$ ), also between control rats and the rats that were tested 90 d after the end of toluene exposure ( $p < 0.001$ ).



**Figure 3. Immediate and persisting effect of toluene chronic exposure on the behavioral response to the spatial change (a) and object change: adolescent rats.** The histograms represent difference between spatial change scores (a) or object change scores (b) defined by discrimination indexes (DIs). Data are given as mean  $\pm$ SE. \*\* $p \leq 0.01$ ; \*\*\* $p \leq 0.001$ .

- One-way ANOVA for the displacement discrimination index revealed significant effect of experimental conditions. Significant difference was observed between control rats and rats investigated immediately after the end of toluene exposure ( $p < 0.0001$ ). The displacement discrimination index did not differ significantly between control animals and the animals investigated 90 days after exposure ( $p = 1.000$ ).
- One-way ANOVA for the object novelty discrimination index showed significant effect of experimental conditions in adolescent rats. Significant difference was observed between control animals and the animals investigated immediately after the end of toluene exposure ( $p < 0.001$ ). The displacement discrimination index did not differ significantly between control animals and the animals investigated 90 days after exposure ( $p > 0.05$ ). Significant difference was observed between experimental groups ( $p < 0.01$ ).






**Figure 4. Immediate and persisting effect of toluene chronic exposure on the exploratory behavior in the open field: adult rats.** (a) Effect of toluene chronic exposure on the the locomotor activity and (b) on the habituation to the environment; (c) Effect of toluene chronic exposure on the object exploration and (d) on the habituation to the objects. Data are given as mean  $\pm$ SE. \* $p \leq 0.05$ ; \*\* $p \leq 0.01$ ; \*\*\* $p \leq 0.001$ .

According to one-way ANOVA in adult animals the outcome of experimental conditions on the locomotor activity is less expressed. The locomotor activity didn't differ significantly between groups. One-way ANOVA for the habituation index showed significant effect of experimental conditions. Significant difference was observed between the control rats and the rats that were tested in the open field immediately or 90 d after the end of toluene exposure ( $p < 0.001$ ). Significant difference was not observed between experimental groups ( $p > 0.05$ ).

The total time of object exploration in the rats that were tested in the open field immediately after the end of toluene exposure was lower than that in the control animals ( $p = 0.05$ ). More significant alterations in object exploration were observed 90 d after the end of toluene exposure ( $p < 0.001$ ).



**Figure 5. Immediate and persisting effect of toluene chronic exposure on the behavioral response to the spatial change (A) and object change: adult rats.** The histograms represent difference between spatial change scores (A) or object change scores (B) defined by discrimination indexes (DIs). Data are given as mean  $\pm$ SE. \* $p \leq 0.05$ ; \*\*\* $p \leq 0.001$ .

- One-way ANOVA for the displacement discrimination index showed significant effect of experimental conditions. Significant difference was observed between control animals and the animals investigated immediately after the end of toluene exposure ( $p < 0.0001$ ) or 90 days after exposure ( $p < 0.001$ ). The displacement discrimination indexes significantly differ between experimental groups ( $p < 0.05$ ).

- One-way ANOVA for the object novelty discrimination index showed significant effect of experimental conditions. Significant difference was observed between control animals and the animals investigated immediately after the end of toluene exposure ( $p < 0.001$ ) or 90 days after exposure ( $p < 0.001$ ).

## REFERENCES:

1. Ahmed S., Win-Shwe T.T., Yamamoto S., Tsukahara S., Kunugita N., Arashidani K., Fujimaki H. (2007) *Neurotoxicology*.82, 261-267.
2. Bale A.S., Tu Y., Carpenter-Hyland Y.P., Chandler L.J., Woodward J.J. (2005) *Neuroscience*. 130, 197-206.
3. Bale A.S., Jackson M.D., Qrantz Q.T., Benignus V. A., Bushnell B.J., Shafer T.J., Boyes V. K. (2007) *Toxicol. Sci.* 98, 59-166.
4. Balster R. (1998) *Drug Alc. Dep.* 51, 1-2, 207-214.
5. Benignus V.A. (1981) *Neurotoxicology*, 2, 567-588.
6. Bowen S.E., Batis J.C., Paez-Martinez N., Cruz S.L. (2006) *Neurotoxicol Teratol.* 28, 6, 636-647.
7. Chen H.H., Lin Y.R., Chan M.H. (2011) *Toxicol. Lett.* 205, 3, 336-340.
8. Choi, D.W., (1992). *J. Neurobiol.* 23, 1261e1276.
9. Crew F.T., Boettiger Ch.A. (2009) *Pharmacol. Biochem. Behav.* 93, 3, 237-247.
10. Cruz S., Balster R.L., Woodward J.J. (2000) *Br. J. Pharmacol.* 131, pp. 1303-1308.
11. Davis A., Gould T. (2008) *Current Drug abuse reviews.* 1, 9-19.
12. Funada M., Aoo N., Wada K. (2008) *Nikon Shinkei Seishin Yakungaku Zasshi.* 28, 1, 7-10.
13. Garcia-Fuster G., Clinton S.M., Watson S.J., Ajil H. (2009) *Neuropsychopharmacology.* 34, 5, 1123-1134.
14. Gelazonia L., Japaridze J., Svanidze I. (2006) *Georgian Med. New/s.* 135, 126-128.
15. Greenberg M.M. (1997) *Environ Res.* 72, 1-7.
16. Hebb D.O. (1949). *The organization of behavior. A Neurophysiological theory*, New York.
17. Hyman S.E., Malenka R.C., Nestler E.J. (2006) *Annual Rev. Neurosci.*29, 565-598.
18. Jacobsen L.K., Slotkin T.A., Westerveld M., Einar-Mencel W., Pugh K.R. (2006) *Neuropsychopharmacology.* 31, 1550-1561.
19. Johnston L.D., O'Malley P.M., Bachman J.C., Schuloenberg J.E. (2009) NIH Publication, No. 09-7402, 1
20. Ladefoged O., Hougaard K.S., Hass U., Sorensen,I.K., Lund S.P., Svendsen G.W., Lam H.R. (2004) *Basic Clin. Pharmacol. Toxicol.* 94, pp. 169-176.
21. Lee HK, Min SS, Gallagher M, Kirkwood A (2005). *Nat Neurosci* 8:1657–1659.
22. Maciver A. (2009) 34, 10, 2296-2304.
23. McDonald C.G., Dailey D.K., Bergstrom H.C., Wheeler T.L., Eppolito A.M., Smith N., Smith R.F. (2005) *Neurosci. Lett.* 385, 63-167.
24. Nawata Y., Hitranita T., Yamamoto T.A. (2010) *Neuropsychopharmacology*, 35, 2, 515-520.
25. Neves, G., Cooke, S.F., Bliss, T.V. (2008). *Nat. Rev. Neurosci.* 1, 65-75.
26. Pascual R., Bustamante C. (2010) *Brain Res.* 11355, 214-220.
27. Parsons C.G, Danysz W., Quack G. 1998. *Drug News Perspect.* 11.523–569.
28. Riegel A.C., French E.D. (2002) *Ann. N.Y. Acad. Sci.* 965, 281-291.
29. Sudar E., Croitoru O., Shaldubina A. et al. (2011) *Addiction Biology*, 16, 2, 251-260.
30. Win-Shwe T.T., Yoshida Y., Kunugita N., Tsukahara S., Fujimaki H. (2010a) *Neurotoxicology*, 31, 6, 647-653.
31. Win-Shwe T.T., Mitsushima D., Nakajima D., Ahmed S., Yamamoto S., Tsukahara S., Kakeyama M., Goto S., Fujimaki H. (2007) *Toxicol. Lett.* 168, 1, 75-82.
32. Win-Shwe T.T., Fujimaki H. (2011) *J. App. Toxicol.* (Epub ahead of print).
33. Win-Shwe TT, Kageyama S, Tsukahara S, Nakajima D, Fujimaki H *J UOEH.* (2010b) Jun 1;32(2):127-40.
34. Zarrindast M.R., Piri M., Nasehi M., Ebrahimi-Ghiri M. (2011) *Pharmacol Biochem Behav.* 2011 Nov 22. [Epub ahead of print]. PMID:22133634.
35. Zhvania M.G., Chilachava L.R., Japaridze N. J., Gelazonia L. K. Lordkipanidze T. G. (2012) *Brain Research Bulletin* 87 187– 192.

## RESUME

The behavioral results demonstrate that toluene chronic exposure provokes alterations in exploratory behavior in the open field and recognition memory in adolescent and adult rats. Like in histological studies, character of these alterations depends on the age of animal. In adolescent rats in the majority of cases the immediate effect was the most expressed; alterations did not progress during 90 d period abstinence. The exception was the habituation index (object observation), which was significantly higher after abstinence period than immediately after the end of toluene exposure. On the other hand: in adult rats the most expressed was persistent effect: in these animals alterations progress during 90 d withdrawal.

## აღმოსავლეთ საქართველოში ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელების შესწავლის შედეგები

მირანდა წეროძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ნიკოლოზ მესხი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
ოთარ სხვიტარიძე, სურსათის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

### შესავალი

ამერიკული თეთრი პეპლა (სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი), ფართოპოლიფაგი მწერია და ანადგურებს 600-მდე სახეობის მცენარეს [1].

ევროპასა და აზიაში პირველად შეინიშნა XX საუკუნის 40 - იან წლებში და იმდენად სწრაფად გავრცელდა, რომ მალევე მიიღო საკარანტინო სახეობის სტატუსი [3,4].

საქართველოში მავნებელი პირველად აღინიშნა 1976 წელს სამტრედიის რაიონში. მასიური გავრცელება კი 90 – იანი წლებიდან დაიწყო. გავრცელების არეალს 2015 წლამდე ძირითადად დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა, მკვებავი მცენარეების სიმრავლემ, მავნებლის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე მისმა პლასტიკურობამ, გარემო პირობების ცვალებადობის მიმართ ადვილი შეგუების, არეალის სწრაფი გაფართოების უნარმა, ტემპერატურულმა რეჟიმმა და სხვ. ხელი შეუწყო ამერიკული თეთრი პეპლის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებას.

ჩვენს მიერ გურჯაანის (სოფლები ვაჩნაძიანი, კალაური) და თელავის (სოფელი აკურა) მუნიციპალიტეტებში გამოვლენილი იქნა მავნებლის მეორე თაობის მატლები.

მიუხედავად მავნებლის გამოჩენისთანავე მის წინააღმდეგ ჩატარებული მცისიერი ღონისძიებებისა, თანდათანობით ფართოვდება მწერის გავრცელების არეალი, ამიტომ ამერიკული თეთრი პეპლის, როგორც საკარანტინო მავნებლის, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელების ხელშემწყობი პირობების, მავნეობის, გავრცელების ინტენსივობის და საერთო რაოდენობის ცოდნა დაგვეხმარება გავატაროთ ისეთი პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რომელიც შეამცირებს მწერის მასიურ გამრავლებას და საშუალებას მოგვცემს სწორად და დროულად დავგეგმოთ მის წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი ღონისძიებები.

### კვლევის მეთოდები

გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებში მავნებლის გამოჩენისთანავე გამოკვლევების ჩატარება დავიწყეთ კახეთის რეგიონის სხვადასხვა ბიოტიპებში, საკარმიდამო ნაკვეთებში, ხეხილის ბაღებში, პარკებში, ტყეებში, გზისპირებში არსებულ მწვანე ნარგაობებზე და სხვ.

მავნებლის გავრცელების ინტენსივობის, სიმჭიდროვის, ხარისხის და საერთო რაოდენობის განსაზღვრისათვის ვხელმძღვანელობდით იანგისა და ალექსიძის მეთოდის მეტოდიკებით [5,6], რის საფუძველზეც მოვახდინეთ საკვლევი ტერიტორიის ზონირება.

დეფოლიაციის ხარისხს ვაფასებთ 5 ბალიანი სისტემით: 0 ბალი - ხე დაუზიანებელია; 1 ბალი - დეფოლიაცია არის 10 %-მდე; 2 ბალი - დეფოლიაცია 11-25%; 3 ბალი - დეფოლიაცია 26 -50%; 4 ბალი - დეფოლიაცია 50% ზემოთ.

### კვლევის შედეგები

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა აღმოსავლეთ საქართველოში ახლადგავრცელებული ამერიკული თეთრი პეპლის მავნეობა და შეგვედგინა იმ მცენარეების ნუსხა, რომლებზედაც მავნებელი კარგად ვითარდება.

ამერიკული თეთრი პეპლა პოლიფაგი მწერია, მაგრამ მისი განვითარება ბევრადაა დამოკიდებული საკვებ მცენარეებზე. მავნეობა იწყება ივნისში და გრძელდება სექტემბრამდე, შესაბამისად, პირველი და მეორე თაობების მატლების გამოჩენის დროს. თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში მავნებლის კერები მხოლოდ მეორე თაობაში იქნა გამოვლენილი. კვლევის შედეგები მრავალწლიანი ნარგავების დაზიანების ხარისხზე და ძირითად საკვებ მცენარეებზე მოცემულია N 1 ცხრილში.

აღმოსავლეთ საქართველოში ამერიკული თეთრი პეპლის სასურველი საკვები მცენარეების სახეობები არის თუთა და კაკალი. კურკოვანი ხეხილიდან ძირითადად ქლიავი. კრონის დეფოლიაციის

მაღალი ხარისხი ამ მცენარეებზე შეინიშნებოდა კვლევის მთელ პერიოდში, თუმცა მავნებლის სწრაფი გავრცელების გამო ეს ნუსხა, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება სრულყოფილად.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მასიური დეფოლიაცია დაფიქსირდა თუთის და კაკლის ხეებზე 4 ბალი. 2-3 ბალით შეფასდა ხეხილი, მთლიანობაში კი მავნეობის შემცირება აღინიშნება ტყის, დეკორატიულ, ბალახოვან დაბუჩქოვან მცენარეებზე (დეფოლიაციის ხარისხი 1 ბალი). დაზიანებული ნარგავების ინვენტარიზაციის დროს ნათლად გამოჩნდა მავნებლის სწრაფი ადაპტაციის უნარი.

ამერიკული თეთრი პეპლის მიერ დაზიანებული კერების დროული აღმოჩენისა და განადგურების, მისი შემდგომი გავრცელების შეზღუდვის მიზნით, გამრავლების სიმჭიდროვისა და ხარისხის მიხედვით ტერიტორია დაეყავით ოთხ ზონად:

1. ფართო გავრცელების ზონა, რომელშიც შედის ადგილები, სადაც მავნებლის გავრცელების კერები 50 %-ზე მეტია (ერთ ხეზე 5 და მეტი ბუდე);
2. ნაწილობრივი გავრცელების ზონა, რომელშიც შედის ადგილები, სადაც მავნებელი ერთეულ ხეებზეა, (1 ხეზე საშუალოდ 3-5 ბუდე);
3. სუსტი გავრცელების ზონა, 1 ხეზე 1-2 ბუდე;
4. მავნებლისგან თავისუფალი ზონა, რომელშიც შედის ადგილები, სადაც მავნებელი არ არის.

როგორც ცხრილიდან (N 1) ჩანს, კახეთის რეგიონი ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელების მიხედვით დაიყო 3 ზონად. თელავის და გურჯაანის მუნიციპალიტეტები შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივი გავრცელების ზონად; ყვარლის მუნიციპალიტეტი სუსტი გავრცელების ზონად; საგარეჯოს, სიღნაღის, ახმეტის, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები მავნებლისგან თავისუფალ ზონად.

**ცხრილი №1**

**კახეთის რეგიონში სხვადასხვა სახეობის მცენარის დაზიანების ხარისხობრივი მაჩვენებლები და ზონირების შედეგები 2015 წელი**

კულტურები	გენერაცია	აღრიცხული ხეების რაოდენობა, ცალი	დაზიანებული ხეების რაოდენობა	დაზიანებული ხეები %	დეფოლიაციის ხარისხი	ბუდეების რაოდენობა			ზონა
						მთლიანი რაოდენობა, ცალი	მთლიანი რაოდენობა %	ერთ ხეზე ცალი	
								მინ-მაქს	
<b>გურჯაანის მუნიციპალიტეტი</b>									
თუთა	II	300	279	93	4	162	54	3-5	ნაწილობრივი გავრცელების ზონა
კაკალი			222	74	4	60	20	3-4	
ხეხილი			96	32	3	36	12	2-3	
სხვა			12	4	1	33	11	1-2	
<b>თელავის მუნიციპალიტეტი</b>									
თუთა	II	300	168	56	4	111	37	2-4	ნაწილობრივი გავრცელების ზონა
კაკალი			81	27	4	48	16	3-5	
ხეხილი			54	18	2	36	12	2-3	
სხვა			9	3	1	27	9	1-2	
<b>ყვარლის მუნიციპალიტეტი</b>									
თუთა	II	300	120	40	3	60	20	1-3	სუსტი გავრცელების ზონა
კაკალი			75	25	2	36	12	1-2	
ხეხილი			30	10	1	21	7	1	
სხვა			6	2	1	9	3	0-1	

## დასკვნები

მართალია ერთწლიანი კვლევები არაა საკმარისი საფუძვლიანი დასკვნების გასაკეთებლად, მაგრამ შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს შედეგი სახის დასკვნები:

ამერიკული თეთრი პეპლის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებას ხელი შეუწყო კლიმატურ, ეკოლოგიურ-ლანდშაფტურ ფაქტორებმა.

საკვები დიდ გავლენას ახდენს ათპ-ს ნაყოფიერებაზე. მისი მავნეობა განისაზღვრება მკვებავი მცენარეების დეფოლიაციის ხარისხის შეფასებით. მავნებლის ინდიკატორი მცენარეებია თუთა და კაკალი. ამერიკულ თეთრ პეპელას განსაკუთრებული ზიანი მოაქვს მეორე თაობაში და შესაბამისად ამ დროს დაზიანების ხარისხიც მეტია.

კახეთის რეგიონი ძირითადად მავნებლის ნაწილობრივი გავრცელების ზონად ჩაითვალა თუმცა, მისი გავრცელების ტემპი იმდენად სწრაფია, რომ შესაბამისი ღონისძიებების გატარების გარეშე მავნებლის ფართო გავრცელება გარდაუვალა.

### ლიტერატურა:

1. Smith I.M., Mc Namara D.G., Scott P.R., Morris K.M. Data Sheets on Quarantine Pest Utgivare: CAB International in association with EPPO 1994, p. 1425
2. Савотников Ю.Ф., Сметник А.И. Справочник по вредителям, болезням растений и сорнякам, имеющим карантинное значение для территории Российской Федерации. – Нижний Новгород 1995, с. 213
3. Надь Б., Рейхарт Г. Американская белая бабочка в Венгрии Сад и огород. – №12. 1954, с. 58
4. Arbatskaja H. Pfastevnicke americky a ochrana proti nemu. – Praha,. 1953, с. 39
5. ალექსიძე გ., მურვანიძე ა. ორჯონიკიძე ე. ამერიკული თეთრი პეპლის (*Hyphantria cunea Drury*) გამოვლენა და მისი ლიკვიდაციის გზები. მეთოდური მითითება საქ. სოფ. მეურნ. მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2009, გვ. 7-10
6. Zhong-qi Yang, Jian-rong Wei and Xiao-yi Wang Mass rearing and augmentative releases of native parasitoid *Chouioia cunea* for biological control of the introduced fall webworm *Hyphantria cunea* in China. BIOCONTROL Volume 51, Number 4 (2006 DOI: 10.1007/s10526-006-9010-z 2006 p. 401-418

## THE RESEARCH RESULTS OF SPREADING OF AMERICAN WHITE MOTH IN EAST GEORGIA

**Miranda Tserodze**, Batumi Shota Rustaveli State Sniversity, PhD  
**Nikoloz Meskhi**, Batumi Shota Rustaveli State University, PhD Student  
**Otar Skhvitaridze**, National Food Agency, PhD

### RESUME

The study results of the spreading of American white moth in East Georgia are given in this article. Researchers showed that spreading of American white moth in eastern part of Georgia depends on climatic and environmental factors also on rich diversity of nourish plants.

The region of Kakheti is the partial dissemination zone of pest, however, rates of spread of American white moth is too quick and without appropriate measures it's widespread will be inevitable.

## შავი ზღვა, მისი ეკო-ქიმიური დახასიათება

ემა ჭურღულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლაბორატორიის უფროსი  
E-mail: emmachurgulia@yahoo.com

მავა მაკარიძე, დოქტორი  
E-mail: m\_makaridze@rambler.ru

**შავი ზღვა** (ბერძნ. Μαύρη Θάλασσα; ბულგ. Черно море; თურქ. Karadeniz; რუმ. Marea Neagră; რუს. Чёрное море; უკრ. Чорне море) – ატლანტის ოკეანის ხმელთაშუა ზღვაა ევროპასა და მცირე აზიას შორის. მას ესაზღვრება თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და საქართველო. ჩრდილო-აღმოსავლეთით ქერჩის სრუტით უკავშირდება აზოვის ზღვას, სამხრეთ-დასავლეთით ბოსფორის სრუტით – მარმარილოს ზღვას, შემდეგ დარდანელის სრუტით – ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებს. შავი ზღვა ყველაზე ღრმად იჭრება ევრაზიის კონტინენტში.

შავი ზღვის მაქსიმალური სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 1150 კმ-ია, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 580 კმ, ყველაზე ვიწრო ადგილზე 265 კმ. ფართობი 420 325 კმ<sup>2</sup>. წყლის მოცულობა 547015 კმ<sup>3</sup>. მაქსიმალური სიღრმე 2245 მ, საშუალო სიღრმე 1282 მ. შავ ზღვას ერთვიან მდინარეები: დუნაი, დნესტრი, სამხრეთის ბუგი, დნეპრი, რიონი, ყიზილ-ირმაქი და სხვა.

შავ ზღვას დიდი სატრანსპორტო მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ინარჩუნებს მნიშვნელოვან სტრატეგიულ და სამხედრო მნიშვნელობას. სევასტოპოლსა და ნოვოროსიისკში არის რუსეთის შავიზღვისპირა ფლოტის ძირითადი სამხედრო ბაზები; სინოპსა და სამსუნში – ბაზირდება თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შავიზღვისპირა დაჯგუფების გემები; ვარნაში – ბულგარეთის სამხედრო-საზღვაო ძალები, ფოთსა და ბათუმში – საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები, კონსტანცაში და მანგალიაში – რუმინეთის სამხედრო-საზღვაო ძალები. შავი ზღვა თევზჭერის მნიშვნელოვანი რაიონია. შავი ზღვის ხელსაყრელი კლიმატური პირობები ხელს უწყობს კურორტებისა და ტურიზმის განვითარებას. აღსანიშნავია ყირიმის სამხრეთი ნაპირი, რომლის ცენტრია იალტა, კავკასიის სანაპიროზე – სოჭი, ბიჭვინთა, გაგრა, სოხუმი, ბათუმი, ანაპა, გელენჯიკი; ბულგარეთში – ზლატნი-პიასიცი და სლანჩევ-ბრიაგი, რუმინეთში – მამაია.

საქართველოს დასავლეთით 310 კმ სიგრძეზე ეკვრის შავი ზღვა, რომლის მნიშვნელობა საქართველოსთვის დიდია. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ წარმონაქმნს ქვეყნის ზოგადი გეოგრაფიული მდებარეობისათვის, რესურსულ პოტენციალს, რეკრეაციულ ზონას, საგარეო კავშირურთიერთობების ძირითად არტერიას. ნაპირები სუსტად არის შეჭრილ-შემოჭრილი, შესაბამისად, იგი მოხერხებული აკვატორიაა ნაოსნობისათვის. საქართველოზე მოდის შავი ზღვის სანაპირო სიგრძის 9%. გარდა ამისა, იგი დიდ გავლენას ახდენს საქართველოს ჰავის ფორმირებაზე.

**მარილიანობა** ზღვის წყლის შედგენილობის ძირითადი ჰიდროქიმიური მაჩვენებელია. შავი ზღვის ცენტრალური ნაწილის ზედაპირულ წყლებში მარილიანობა საშუალოდ 18%-ია. სანაპიროებთან ახლოს, მდინარეების წყლების გავლენით, მისი მნიშვნელობა მცირდება 16-17%-მდე; ძლიერ გამტკნარებულ უბნებში, დიდი მდინარეების შესართავებთან ახლოს, იქმნება მდინარისა და ზღვის წყლის შერევის ზონა (ესტუარული ზონა), სადაც წყალს ახასიათებს მაღალი სიმღვრივე და მცირე მარილიანობა. მაქსიმალური მარილიანობა აღინიშნება ზღვის ცენტრალური ნაწილის დიდ სიღრმეებზე (200 – 1000 მ) და შეადგენს 22.0 – 22.5 %.

შავი ზღვის წყლისათვის დამახასიათებელია სტრატეგიული შრეების ჩამოყალიბებას განაპირობებს სხვადასხვა სიმკვრივისა და ტემპერატურის წყლის ფენების არსებობა. ზღვაში შესული მდინარეების წყალი ზღვის წყალს სწრაფად არ ერევა განსხვავებული სიმკვრივის გამო. შედარებით მსუბუქი მტკნარი ნაკადი მოქცეულია შედარებით მლაშე და მაღალი სიმკვრივის ფენებზე. ორ ფენას შორის გამყოფი ზღვრის - ქემოკლინის მდებარეობა განისაზღვრება მდინარეთა ჩამონადენის მოცულობებით, რის გავლენითაც წლის განმავლობაში მისი მდებარეობა ცვალებადია (სეზონური ქემოკლინი). შავი ზღვის მდგრადი ქემოკლინი განლაგებულია ზედაპირიდან 180–200 მ სიღრმეზე, ანუ კონვერსიის ზღვრამდე. შენელებული ვერტიკალური კონვერსია განაპირობებს მდგრადი ქემოკლინისა და თერმოკლინის ჩამოყალიბებას.

**აერობული და ანაერობული შრეები:** შავი ზღვის ერთ-ერთი გამორჩეული მახასიათებელია გოგირდწყალბადის შრის არსებობა. ასე, რომ შავ ზღვაში გვაქვს ნორმალური აერაციის - აერობული შრე და უჟანგბადო - ანაერობული შრე. მათ შორის საზღვარი ზედაპირიდან სიღრმეში 150 – 200 მ ფარგლებში მერყეობს. ყველაზე მაღლა ანაერობული შრის ზედა საზღვარი გადის ზღვის ჩრდილო ნაწილში, ყველაზე ღრმად - სამხრეთ ნაწილში. ანაერობულ პროცესში სულფიდმარედუცირებელი ბაქტერიების მიერ

ადგილი აქვს სულფატის აღდგენას გოგირდწყალბადამდე. შედეგად, ამ შრეში სულფატების შემცველობა შემცირებულია, ხოლო ჰიდროკარბონატებისა - გაზრდილი. გოგირდწყალბადის შემცველობა სიღრმის მიხედვით მატულობს 0.9 მგ/ლ-დან 9.6 მგ/ლ-მდე. გოგირდწყალბადიან და ჟანგბადიან შრეებს შორის ჩამოყალიბებულია გარდამავალი შრე, სადაც ჟანგბადი და გოგირდწყალბადი ერთდროულად იმყოფება და სადაც მიმდინარეობს ინტენსიური დაჟანგვა-აღდგენის რეაქციები.

**შავი ზღვის დაბინძურება:** არაწერტილოვანი დაბინძურების რისკის შემცველია საყოფაცხოვრებო დაბინძურება; გაუმართავი და ხშირ შემთხვევაში არარსებული საკანალიზაციო სისტემა ფეკალური დაბინძურების რისკს ქმნის; ამასთანავე არანაკლებ მნიშვნელოვანია საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენებით დაბინძურების დონე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მდინარეების ნაპირებზე და პლაჟებზე.

შავი ზღვის მდინარეების აუზები საკმაოდ მდიდარია წიაღისეულით. მდ. რიონის აუზში (კავკასიონის სამხრეთი ფერდი) დაძიებული და შესწავლილია სპილენძის, რკინის, მანგანუმის, დარიშხანის მრავალი საბადო. რეგიონი მდიდარია ასევე არალითონური საბადოებითაც: თაბაშირი, კირქვა, ქვანახშირი, თიხები და სხვა. მდინარის აუზში ამ ტიპის ყველაზე მნიშვნელოვან საწარმოთა შორის აღსანიშნავია ჭიათურის მანგანუმის სამთო-მომპოვებელი საწარმოც. მდ. რიონის აუზის ეკოსისტემაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუზის მაღალმთიან ნაწილში არსებული დარიშხანის მნიშვნელოვანი საბადოები. მდ. ჭოროხის წყალშემკრებ აუზში განთავსებული რამდენიმე სპილენძ-სულფიდური და პოლიმეტალური საბადოებიდან ასევე აღსანიშნავია ოქროს მომპოვებელი საწარმოები. ყოველივე ზემოხსენებული მნიშვნელოვნად აუარესებს შავი ზღვის ეკოლოგიურ მდგომარეობას, რასაც ნავთობ-პროდუქტების დაბინძურებაც ემატება;

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სატრანზიტო დერეფნის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჟამად აქტუალურია კასპიისა და ცენტრალური აზიის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ევროპის ქვეყნებში ტრანსპორტირების პრობლემა. ამ გარემოებამ გამოიწვია საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (რკინიგზა, მილსადენები, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტი) განვითარების აუცილებლობა და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო ინტერესი. შენდება და ფუნქციონირებს ნავთობსადენებისა და ნახშირწყალბადების ენერგომატარებლების გადასატვირთი ტერმინალები, რაც, ცხადია, მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის, მაგრამ ამავდროულად, წარმოადგენს გარემოს ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურების პოტენციურ წყაროს. შავი ზღვის ეკოსისტემის ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურების რისკვაქტორი მაღალია. ზღვის გარემოში ნავთობის მოხვედრა ძირითადად ხმელეთზე განლაგებული წყაროებიდან და გემებიდან ხდება. შავი ზღვის ქვეყნების მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებით დადგინდა, რომ შავ ზღვაში გემებიდან შემთხვევით დაღვრილი ნავთობის რაოდენობა დაახლოებით 110 ტონას შეადგენს წელიწადში. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა შავი ზღვის გავლით ნავთობის ტრანსპორტირება, შესაბამისად არსებობს ნავთობის ჩაღვრის მუდმივი რისკი, ამას კი კატასტროფული გავლენა აქვს მგრძობიარე ზღვასა და სანაპირო მიდამოებზე. შავ ზღვაში ნავთობის ლაქები დაფიქსირებულია ტანკერების ინტენსიური მოძრაობის გზებიდან მოშორებითაც. განსაკუთრებით დაბინძურებულია ზღვის დასავლეთი ნაწილი, სადაც გადის ძირითადი საზღვაო ხაზები: ოდესა-დუნაის შესართავი-სტამბული და ოდესა-დუნაის შესართავი-ვარნა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა ცნობები შავ ზღვაში გოგირდწყალბადის არსებობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ შავი ზღვა გამოწვევის არ წარმოადგენს და ანალოგიური ვითარებაა კარიბის ზღვასა და სპარსეთის ყურეშიც. XX საუკუნის 70-იან წლებში გავრცელდა ინფორმაცია ზღვაში გოგირდწყალბადის გავრცელების არეალის შესახებ, პრესაში უკვე წინასწარმეტყველებდნენ შავი ზღვისპირეთში ეკოლოგიურ კატასტროფას.

იმისათვის, რომ შეფასდეს, თუ რამდენად რეალურია H<sub>2</sub>S-ის ატმოსფეროში გამოყოფის საფრთხე, უნდა განვიხილოთ, თუ საიდან ხვდება იგი ზღვაში. ამის ასახსნელად, ძირითადად, 3 ჰიპოთეზაა მოწოდებული:

1. H<sub>2</sub>S ზღვაში ტექტონიკური აირების გამოყოფის შედეგია, მაგრამ ამ აზრს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ მისი კონცენტრაცია წყლის ღრმა ფენებში იმაზე გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს რეალურად არის;
2. H<sub>2</sub>S ზღვაში სულფატ-რედუქციის (ანუ ზღვაში არსებული სულფატური ნაერთების ქიმიური და ბაქტერიოლოგიური აღდგენა) შედეგად ხვდება. ამ შემთხვევაშიც პროგნოზი საიმედოა, რადგან რედუქციის სიჩქარე არარეალურადაც რომ გაიზარდოს, გოგირდწყალბადი მაინც არ ამოვა წყლის ზედა ფენაში;

3. იმის გამო, რომ მდინარეების მტკნარი წყლის მოხმარება იზრდება, შესაბამისად, მცირდება მისი ჩადინება ზღვაში, ამის დასაკომპენსირებლად, ძლიერდება ბოსფორის ქვედა დინება, შედეგად, ხმელთაშუა ზღვის მარილიანი, მძიმე წყალი ფსკერზე ეშვება, რაც, საბოლოოდ, გოგირდწყალბადიანი ფენის ზემოთ ამოსვლას იწვევს. ამ შემთხვევაშიც, იმის გამო, რომ მდინარეების ჩამონადენის ფარდობა ზღვის საერთო მოცულობასთან საკმაოდ მცირეა (346 კმ<sup>3</sup>/547015 კმ<sup>3</sup>), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკოლოგიური კატასტროფა არ არის მოსალოდნელი.

ზოგიერთი ავტორის აზრით, გოგირდწყალბადის ძირითად ფორმას შავ ზღვაში წარმოადგენს არა გოგირდწყალბადი (H<sub>2</sub>S), არამედ ჰიდროსულფიდი [HS<sup>-</sup>] (90 %), ამრიგად, შავ ზღვაში H<sub>2</sub>S-ის ჯამური რაოდენობის მხოლოდ დაახლოებით 5–10% შეიძლება იმყოფებოდეს H<sub>2</sub>S ფორმაში. ეს უკვე თეორიულადაც გამორიცხავს გოგირდწყალბადის აფეთქებას.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ უახლოეს მომავალში შავ ზღვას ეკოლოგიური კატასტროფა არ ემუქრება და უახლოეს ათასწლეულში გოგირდწყალბადის დეგაზაცია ატმოსფეროში მოსალოდნელი არ არის, ხოლო შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ზღვაში ორგანული და ბიოგენური ნივთიერებების ჩადინება.

#### ლიტერატურა:

1. სუპატაშვილი გ., ქაჯაია გ., „გარემო და ადამიანი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005.
2. ერისთავი ვ. და სხვ. „გარემოს გაჭუჭყიანების წყაროები და მათი ლიკვიდაციის ტექნიკური ღონისძიებები“, თბილისი, განათლება, 1985.
3. Алейкин О. А., Ляхин Ю. Н. Химия океана. М. Гидрометиздат, 1985.
4. მახარაძე თ., მახარაძე გ., „გოგირდწყალბადი, შავ ზღვაში“, 2013.
5. ბენაშვილი ნ., „შავი ზღვის საქართველოს სექტორის ეკოქიმიის საკითხები“, 2013.

## BLACK SEA AND ITS ECOLOGICAL-CHEMICAL PROPERTIES

**Ema Churghulia**, Sokhumi State University, Head of the Laboratory  
**Maka Makaridze**, Doctor  
**RESUME**

The black Sea is very important water reservoir not for only Georgia, it's so considerable for next countries, such as: Russia, Bulgaria, Rumania, Turkey and Ukraine. That's why to researching its originality has the practical meaning. Black sea defines not only climatic, biological and ecological, and also geopolitical circumstance of these countries. There is considered in the study the most important particularities of the Black Sea, its chemical composition and the sources it's ecological pollution. There is also discussed hydrogen sulphide problem in the Black Sea, There is considered in the work the mechanism to formation hydrogen sulphide in black sea, the probability it's decontamination in atmosphere and the ways to avoid catastrophe.

## ევკალიპტის (Eucalyptus) კულტურის მნიშვნელობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

**რეზო ჯაბნძე**, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია,  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ევკალიპტი მიეკუთვნება ტვიასებრთა (Myrtaceae) დიდ ოჯახს, წვრილთესლოვანთა (Leptospermae) ქვეოჯახს და ევკალიპტის (Eucalyptus) გვარს. მის გვარში ითვლიან 380 სახეობას და 120 სახესხვაობას. მისი ბუნებრივი არეალი ავსტრალია, ტასმანია და მიმდებარე კუნძულებია. მცენარეთა სამყაროს ყველაზე მაღალი (150 მ) ხეებია, გვხვდება აგრეთვე ბუჩქოვანი ევკალიპტები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეს კულტურა მისი უძვირფასესი პროდუქციის გამო. ავსტრალიაში ევკალიპტს უწოდებენ „სიცოცხლის ხეს“, „ტყის ალმასს“. მართლაც, ამ მცენარის გამოყენება უკიდურესად მრავალმხრივია. მერქანი მეტად მტკიცე და მაგარია, ახასიათებს მაღალი კუთრი წონა - 0,7-



1,0; შეიცავს დიდი რაოდენობით ცელულოზას, ღებულობენ მაღალხარისხოვან ქაღალდს, მისი მწვანე მასა წარმოადგენს ძვირფას ნედლეულს წამლების, პარფიუმერიის და სხვა პრეპარატების წარმოებაში.

ევკალიპტი კომპლექსური გამოყენების მცენარეა, მაგრამ თავის სამშობლოსა და სხვა ქვეყნებში, მას პირველ რიგში იყენებენ, როგორც ძალიან სწრაფმზარდ, მაღალპროდუქტიულ სამერქნე ტყის ჯიშს, რომელიც მოშენებისა და მოვლა-მოყვანის სიადვილითაც გამოირჩევა. მისი მერქანი თავისი სიმაგრით, გამძლეობით და სხვა ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით არ ჩამოუვარდება კაკლის, მუხის, წიფლის, წაბლის, ფიჭვის და სხვა ფოთლოვან და წიწვოვან მერქნიან ჯიშებს. ევკალიპტის ვრცელი ტყის მასივები აქვთ აშშ-ში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ინდოეთში, ახალ ზერლანდიაში, ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებში.

პროფ. ვ. ხაბეიშვილმა თავისი მრავალწლიანი გამოკვლევებით დაამტკიცა, რომ ჩვენს სუბტროპიკულ რაიონებში გავრცელებული ევკალიპტის რიგი სახეობების მერქანი მაღალ ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ხასიათდება და წარმატებით შეიძლება გამოიყენონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ეთერზეთების მიღების საქმეში. ევკალიპტიდან მიღებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქტია ეთეროვანი ზეთები, რომელსაც ევკალიპტის ფოთოლი, სახეობების მიხედვით, 0.1-დან 0.5%-მდე შეიცავს. ქიმიური შედგენილობებისა და ძირითადი გამოყენების ხასიათის მიხედვით ევკალიპტის ეთერზეთები პირობით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: 1. სამედიცინო-ფარმაცოლოგიური; 2. საპარფიუმერო-კოსმეტიკური; 3. ტექნიკური. სამედიცინო ეთერზეთების ჯგუფს ჩვეულებრივ მიეკუთვნება ცინეოლითა და პინენით მდიდარი ევკალიპტის ზეთი. ასეთ ეთეროვან ზეთებს იძლევა: ლეგა ევკალიპტი, სფერული ევკალიპტი, ევკალიპტი ბოტრიოდე და ზოგიერთი სხვა სახეობა.

სამედიცინო ევკალიპტის ჯგუფს მიაკუთვნეს ჩვენ სუბტროპიკებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობები, ტირიფისებრი პერინიის, სამეფო მეიდეის ევკალიპტები, რომლის ფოთლებიდანაც მიიღეს მაღალი აქტივობის გრიპის საწინააღმდეგო ანტივირუსული პრეპარატი „ევიმინი“. საპარფიუმერო-კოსმეტიკური გამოყენების ეთერზეთების ჯგუფს მიეკუთვნება ისეთები, რომლებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავენ ციტრანელოლს, გერანიოლს, გერანილაცეტატს და სხვ. ასეთი შედგენილობის ეთერზეთებს გვამღვეს მაკარტურის, სფეროსებრი, ლონომის ლურჯი, ნუშისებრი, სტარიგელიანა, მეიდეის ევკალიპტები და სხვ.

ეთერზეთოვანი ზეთებიდან, ტექნიკური დანიშნულებისაა ისეთი ეთერზეთები, რომელთა შემადგენლობაში ჭარბობს ფელანდრენი და ჰიპერიტონი. ასეთ ზეთს იძლევა ვიმინალის, ნაცარა, პიპერიტა, სამეფო, დივისი, ნუშისებრი ევკალიპტები და სხვ. რომელთაც უმეტესად ტექნიკური მიზნებისათვის იყენებენ, მაგალითად, სამთამადნო მრეწველობაში ქანის მადნით გასამდიდრებლად, აგრეთვე ფისების, კაუჩუკის, გუტაპერჩის გამხსნელად, ლაქების, საღებავების და წებოს წარმოებაში და სხვ, ასევე მისგან მიღებულ ეთერზეთებს საავტომობილო მრეწველობაში იყენებენ საწვავ მასალად. ამ ჯგუფის ეთერზეთები სრულიად უჭვარტლოდ იწვის, მას უმატებენ ლიგროინს, რომ გამოიწვიონ სრული წვა.

ევკალიპტის ფოთლები ბიოლოგიური სამკურნალო ნივთიერებებისა და ეთერზეთებით მდიდარი ლაბორატორიაა. ევკალიპტის ფოთლების ნაყენს ყველაზე მეტად იყენებენ ჩირქოვანი, ხანგრძლივი შეუხორცებადი ჭრილობების სამკურნალოდ, პირის, ცხვირ-სახის ანთებით პროცესების, ანგინის, აგრეთვე სასუნთქი გზების სხვა ანალოგიური დარღვევების დროს. ევკალიპტის ფოთლის ნახარშს იყენებენ აგრეთვე ვეტერინარიაში მეწველი პირუტყვის სარძევე ჯირკვლების ანთებისა და სხვადასხვა ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ და სხვ.

ევკალიპტის მერქნის კანი მნიშვნელოვანი რაოდენობით (45%-მდე) შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, რომელიც ძვირფასია ტყავის მრეწველობისათვის. ევკალიპტს გარკვეული ღირებულება აქვს, აგრეთვე, როგორც ქარსაფარ და სატყეო მელიორაციაში ტენიანი ნიადაგების გამაჯანსაღებელ მცენარეს. ის ასევე ჩინებული თაფლოვანი მცენარეა, რომელთა სახეობათა შესაფერისი შერჩევას, შეუძლია მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოს ფუტკრის დალიანობა. ევკალიპტის თაფლი გამოირჩევა სპეციფიკური სურნელებით და სამკურნალო თვისებებით: როგორც დეკორატიული მცენარე თავისი ქათქათა ღეროთი, ლამაზი ვარჯითა და მარადმწვანე მოლივლივე ფოთლებით, სასიამოვნო, დამამშვიდებელ ემოციებს იწვევს. იგი ჩვენი საკურორტო ზონის ბაღ-პარკებისა და ხეივანების დამამშვიდებელი და კლიმატის გამაჯანსაღებელია. რეკომენდებულია, რომ ევკალიპტის ნარგავები უნდა გაშენდეს ყოველ დასახლებულ პუნქტში, საავადმყოფოების, სკოლების და წარმოება-დაწესებულებათა ნაკვეთებზე.

ევკალიპტის სხვადასხვა სახეობის ფოთოლი თავისი ფორმითა და სიდიდით მეტად მრავალფეროვანია: ხაზურა, ლანცეტისებრი, გულისებრი, კვერცხისებრი და სხვ. ევკალიპტის მრავალ სახეობას ახასიათებს ახალგაზრდული ანუ იუვენილური ფოთლები, რომლებიც

განსხვავდება ასაკოვანი ფოთლებისაგან და, როგორც წესი, მოპირდაპირედ განწყობილნი და მჯდომარენი არიან.

დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ევკალიპტის მრავალი სახეობა და სახესხვაობა შემოიტანეს და გამოსცადეს. ამჟამად ჩვენში გვხვდება ევკალიპტის 40-მდე სახეობა, სახესხვაობა და ჰიბრიდული ფორმა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც მორფოლოგიური, ისე ბიოლოგიური ნიშან-თვისებებით, მათ შორის ყინვაგამძლეობითაც, მაგრამ გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებიც ტიპური სახეობისგან ყინვაგამძლეობის ხარისხით განსხვავდებიან.

ტენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს ევკალიპტის ზრდა-განვითარებისა და გავრცელების ხასიათს: ამჟამად უპირატესობა ენიჭება ზომიერად ტენიან და ზომიერად გვალვამძლე ბუნების ევკალიპტის სახეობებს, რომლებიც გვარში ყველაზე მსხვილტენიან ხეებად ითვლებიან და იზრდებიან ისეთ ადგილებში, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა 1000-1500 მმ-ია.

ნახევრად გვალვამძლე ჯიშის ევკალიპტის სახეობები ისეთ ადგილებში ხარობენ, სადაც ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 650-დან 1000 მმ-მდეა და გვალვიანი პერიოდი 4-6 თვეს გრძელდება. ისინი საშუალო სიდიდის ხეებია, ქსეროფიტული ნიშნებითა და სასიცოცხლო მოვლენების მკვეთრად გამოხატული სეზონურობით. „მალისა“ და „სავანის“ ტიპის ევკალიპტები შეგუებულები არიან ისეთ ადგილებში არსებობას, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა 175-650 მმ-ს არ აღემატება, ხოლო გვალვიანი პერიოდი 6-10 თვეს გრძელდება. ისინი აშკარად გამოხატულ ქსეროფიტულ ხასიათს ატარებენ და წარმოდგენილნი არიან ჯუჯა ნარგავების სახით.

ევკალიპტებისათვის დამახასიათებელია ტრანსპირაციის მაღალი კოეფიციენტი, ე.ი. ერთეული მშრალი ნივთიერების შესაქმნელად წყლის დიდ რაოდენობის ხარჯვა, ამავე დროს მისი ფოთლების მზის სხივების მიმართ ირიბად განლაგების გამო, ნიადაგის ზედაპირამდე ადვილად აღწევს მზის სხივები, რაც ევკალიპტის ქვეშ წყლის ინტენსიური აორთქლების პირობებს ქმნის, ამიტომ მის ნარგავებს ჭარბტენიანი ნაკვეთების დაშრობის დაჩქარების უნარი აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევკალიპტები ჭაობში დავრგოთ და ამით დაშრობას ველოდოთ, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ურჩევს.

ნიადაგის მიმართ ევკალიპტები განსაკუთრებით მომთხოვნი არ არიან. ჩვენში კარგად იზრდებიან გიგანტა, ვიმინალისი, მაკარტური. უმეტესობა მჟავე ნიადაგებზე ხარობს. ევკალიპტს ეთეროვანი ზეთები, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ფოთლებსა და მცირე რაოდენობით ახალგაზრდა ყლორტებშიც აქვს. ამ ეთერზეთებზე იმდენად დიდია მოთხოვნილება, რომ ყოველწლიურად ავსტრალიიდან მსოფლიო ბაზარზე 500 ათას კგ ევკალიპტის ეთერზეთი გააქვთ. გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ევკალიპტის ეთერზეთის წარმოება წელიწადში 3000 კგ-ს უდრიდა, მოთხოვნილება კი გაცილებით მეტი იყო, ამიტომ მკვლევარებმა და დარგის მეცნიერებმა დაიწყეს ევკალიპტის ეთერზეთის მეტი რაოდენობით მიღების გზების ძიება. ამ მიზნით, საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში გაშენდა ევკალიპტები ამონაყარი კულტურის სახით. ევკალიპტის სახეობებიდან, ამონაყარ-საკაფი კულტურისათვის დადებით შედეგს იძლევა ტირიფისებრი და ლეგა ევკალიპტი.

ევკალიპტი მრავლდება გენერაციულად ე. ი. თესლით, რომლის დადებითი მხარეა: რეპროდუქციის მაღალი კოეფიციენტი, სიადვილე, გარემო პირობებისადმი შეგუების უკეთესი უნარი. მისი გამრავლება შეიძლება კალმითაც, მაგრამ ამ მეთოდს იშვიათად მიმართავენ, რადგან კალმების დაფესვიანება ძნელად ხდება და გახარების პროცენტი მეტად მცირეა. თესლი შეიძლება დაითესოს როგორც დახურულ, ისე ღია გრუნტში. უპირატესობა ენიჭება დახურულ გრუნტში ნერგების გამოყვანას, რადგან ის უზრუნველყოფს დათესილი თესლიდან ნერგების დიდ გამოსავალს და ზამთრის პერიოდში მათ უკეთ დაცვას. ევკალიპტის თესლი წინასწარშერჩეული და აპრობირებული სადედე ხეებიდან უნდა შეაგროვონ. სადედე ხე, რომლიდანაც თესლი უნდა დაამზადონ, ყოველმხრივ, განსაკუთრებით კი ყინვაგამძლეობის მხრივ, უნდა შეისწავლონ. თესლი უნდა შეაგროვონ ამა თუ იმ სახეობის ყვავილობისა და თესლმსხმოიარობის მიხედვით, შემოდგომის, ზამთრის ან გაზაფხულის პერიოდში.

სხვადასხვა დანიშნულების ევკალიპტის ნარგავების წარმატებით გასაშენებლად დიდი მნიშვნელობა აქვს; ადგილის გამოყოფას, სახეობის სწორად შერჩევას, ნიადაგის ძირითადი დამუშავების წესს და სხვ. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში, ევკალიპტის კულტურის პერსპექტიული განვითარება რამდენიმე დანიშნულებით შეიძლება წარიმართოს: 1. სწრაფმზარდი მაღალპროდუქტიული სამერქნე კორომების შექმნა; 2. ქარსაფარის ტყის ზოლების გაშენება; 3. სამკურნალწამლო და საპარფიუმერო ნედლეულის წარმოებისათვის სპეციალური ამონაყარ-საკაფი მეურნეობის შექმნა; 4. ლანჩაფტურ საპარკე-საბაღე მშენებლობაში გარემოს

კლიმატის გამაჯანსაღებელი და დამამშვენებელი ტყე-პარკების, ხეივნების და სხვა სახის ნარგაობების შექმნა.

სამერქნე ტყის კორომების გაშენება შეიძლება, როგორც დაბლობ ისე ფერდობ ადგილებში, 300 მ-ს სიმაღლემდე ზღვის დონიდან, ამასთან მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ ეკალიპტის გაშენება უფრო მიზანშეწონილია ისეთ ადგილებში, რომლებიც სხვა უფრო ნაზი და ძვირფასი სუბტროპიკული კულტურებისათვის ნაკლებ გამოსადეგი ან უვარგისია. ამ მხრივ დიდი პერსპექტივა აქვს ეკალიპტს კოლხეთის დაბლობზე, სადაც მან უნდა შეცვალოს იქაური მდარე ღირსების მერქნიანი ჯიშები (თხმელა, ჯანგარი და სხვ).

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში მეცნიერების მიერ არაერთი კაპიტალური ცდებია ჩატარებული ეკალიპტის სახეობებზე. მათგან ზოგიერთი მათგანი კარგად შეეგუა ადგილობრივ კლიმატურ-ნიდაგურ პირობებს, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება შევაჩეროთ უკვე აპრობირებულ ზოგიერთ ეკალიპტის პერსპექტიული სამრეწველო სახეობებზე.

ეკალიპტის ერთ-ერთ ძვირფას პროდუქტად მის ფოთლებში დაგროვილი ეთერზეთი ითვლება, რომელსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს მრეწველობაში. ამ პროდუქტს ავსტრალიაში მეტად დიდი რაოდენობით ბუნებრივი ტყეების ექსპლუატაციის (ხე-ტყის დამზადების) დროს იღებენ. საქართველოს დასავლეთ რაიონებში ეკალიპტის ეთერზეთის დამზადებას დღემდე შემთხვევითი ხასიათი აქვს. მას იღებენ სხვადასხვა მიზეზით დაზიანებული ეკალიპტის ხეებიდან. სპეციალურად ეკალიპტის ეთერზეთის წარმოებას ჩვენში ჯერჯერობით ადგილი არ აქვს.

ეკალიპტის ეთერზეთის მისაღებად ჩვენში მიზანშეწონილი იქნება სპეციალური პლანტაციების გაშენება და მისი ექსპლუატაცია. ამ პლანტაციებს ის უპირატესობა აქვთ ეკალიპტის სხვა სახის ნარგავებთან, რომ მათგან გაცილებით მეტი ეთერზეთის მიღება შეიძლება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეკალიპტის ამონაყარი ისე, როგორც დაფნის, ქაფურის, გუდაპერჩის ხისა და სხვა. ამ წესით შესაძლოა ყოველწლიურად, ან წელგამოშვებით ძირკვების ამონაყრიდან მივიღოთ ფოთლები, რომლებიც უფრო მეტ ეთერზეთს შეიცავს, ვიდრე ეკალიპტის ხის ფოთლები. ამ მხრივ ჩვენში საკმაოდ დამაჯერებელი ცდებიც იქნა ჩატარებული.

ცდების მიხედვით დადგენილია, რომ მწვანე მასის - ფოთლებისა და ყლორტების მოსავლიანობა პირველ წლებში თუმცა მცირეა, მაგრამ შემდეგში მეტად იზრდება. მაგალითად, სფერული ეკალიპტი დარგვიდან მეორე წელს ჰექტარზე 8 ტონა ნედლეული ფოთოლს იძლევა (თუ ჰექტარზე 2000 ძირია), მესამე წელს - 12 ტონას, მეოთხე-მეხუთე წელს კი 15 ტონას და ა. შ. ეკალიპტის ეს სახეობა მეორე წელს ჰექტარზე 112 კილოგრამ ეთერზეთს იძლევა, მესამე წელს - 168 კილოგრამს, ხოლო მეოთხე წელს - 210 კილოგრამს.

მაკარტურისა და ურნასებრი ეკალიპტები თითქმის თანაბარი რაოდენობის ფოთლის მოსავალს იძლევიან. სახელდობრ: მეორე წელს 5-6 ტონას, ხოლო მესამე წლიდან კი 10 ტონასა და უფრო მეტსაც. ეკალიპტის ჩამოთვლილ სახეობათა ეთერზეთის სხვადასხვა გამოსავლიანობის გამო მათი ეთერზეთის მოსავლიანობა ჰექტარზე სხვადასხვაა.

ეკალიპტის ტოტების აჭრას დარგვიდან მეორე წლის იანვარ-თებერვალში აწარმოებენ, რადგან, როგორც მისი ბიოლოგიიდან ჩანს, ამ პერიოდში ფოთლები დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთს. თუ პლანტაციას ყინვებისაგან დაზიანება მოეწიოს, ამ შემთხვევაში მწვანე მასის მოსავალს დეკემბრის დასაწყისში იღებენ. ეკალიპტს ჭრიან ფესვის ყელიდან ზემოთ 15-20 ამ-ის სიმაღლეზე და ყინვებმა, რომ არ დაზიანოს, დარჩენილ ძირკვს მიწას შემოაყრიან. ადრე გაზაფხულზე, სანამ ეკალიპტს ვეგეტაცია დაეწყებოდეს, ძირკვი შემოყრილი მიწისაგან უნდა განთავისუფლდეს. ეკალიპტის ფოთლები გამრობისას მცირე რაოდენობით კარგავს ეთერზეთს, ამიტომ მისი გადამუშავება (ეთერზეთის გამოხდა) შეიძლება როგორც ნედლი ფოთლებიდან, ისე გამშრალიდანაც.

ეკალიპტის მწვანე მასის გადამუშავება ორთქლის საშუალებით ხდება ჩვეულებრივ ეთერზეთის გამოსახდელ ქვაბებში. გამოხდის პროცესი ხუთ საათს გრძელდება, რადგან ეკალიპტის ფოთლებში ეთერზეთი ღრმადაა უჯრედთაშორის არეებში მოთავსებული.

ეკალიპტის ეთერზეთი თხევად ნივთიერებას წარმოადგენს, ოდნავ მოყვითალო ფერისას. მას სუფთა ჭურჭელში ათავსებენ და ჰაერზე რომ არ დაიჟანგოს, ჭურჭლებს ჰერმეტიკულად ხურავენ თავს. ეკალიპტის მრავალ სახეობათა მნიშვნელოვან პროდუქტად, როგორც აღნიშნული იყო, მთრიმლავი ნივთიერებები ითვლება, რომელიც ძირითადად ქერქშია მოთავსებული.

დიდი რაოდენობით მთრიმლავი ნივთიერებები მშრალ და ცხელ კლიმატურ პირობებში მზარდ ეკალიპტების სახეობებს უგროვდება. მთრიმლავი ნივთიერებების მისაღებად მოჭრილი ეკალიპტის ხეს აცლიან ქერქს. ეკალიპტის ზოგი სახეობა ქერქში 30-35 პროცენტს მთრიმლავ ნივთიერებებს შეიცავს. შესაძლებელია მთრიმლავი ნივთიერებების მიღება იმ ქერქიდანაც, რომელსაც ეკალიპტის ზოგი სახეობა

ყოველწლიურად იცვლის. ამ ქერქში მთრიმლავი ნივთიერებების რაოდენობა მცირეა, მაგრამ მისი წარმოება მაინც მიზანშეწონილია.

ევკალიპტის საწარმოო პლანტაციის გაშენების მიზანია უახლოეს პერიოდში მომარაგებული იქნას ევკალიპტის ნედლი მასით საქართველოს ფარმაკო-თერაპიის, პარფიუმერიის და სამედიცინო საწარმოები. საკმარისია 3-4 წლის ასაკის პლანტაციებში ჩატარდეს პირველადი გასხვლა ფესვის ყელიდან 5-10 სმ სიმაღლეზე, რადგან განვიითაროს მომდევნო წელს ძირკვიდან ამონაყარი. ამონაყარი ხასიათდება ძლიერი ტემპით და ეფექტური ზრდით. ყოველ წელს მოიმატებს ნედლი მასის წონა, ვინაიდან ფესვთა სისტემა სულ უფრო და უფრო ძლიერდება. აგროტექნიკური ღონისძიების ჩატარება ყოველწლიურად იძლევა იმის გარანტიას, რომ უზრუნველვყოთ საწარმოების უწყვეტი მომარაგება.

საჭიროება თუ კი მოითხოვს უნდა გაშენდეს სამორიგეო პლანტაციებიც, რაც შესაძლებლობას გახდის ორწლიანი მწვანე მასა მივაწოდოთ გადამამუშავებელ ორგანიზაციებს, სავარაუდოდ როგორც ნედლეულის წონა, ასევე მასში შემცველი სასარგებლო ნივთიერებათა კოეფიციენტი 1,5-2-ჯერ გაიზრდება.

შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული ევკალიპტების ნარგაობიდან ეთეროვან ზეთს იღებენ შემდეგი სახეობებიდან: ცისფერი ანუ სფერული ევკალიპტიდან, ლიმონის ევკალიპტიდან, ტირიფისებრი ევკალიპტიდან, მაკარტურის ევკალიპტიდან და ბოლოს ლევა ევკალიპტიდან.

ჩვეულებრივად, ნედლეულიდან იყენებენ დარგვიდან პირველ ან მეორე წლის მცენარის ანასხლავ მასალას, რომელიც ეთეროვანი ზეთების მაქსიმუმს შეიცავს გვიან შემოდგომაზე, ან ადრე გაზაფხულზე; ამიტომ ნედლეულის დამზადებაც ამ პერიოდს უნდა შეეფარდოს. ნედლეულის გადამამუშავება შეიძლება როგორც ნედლი, ისე გამშრალი სახით. გაშრობა მიმდინარეობს ჩრდილში გარემო ჰაერის პირობებში, რომლის დროსაც ეთეროვანი ზეთის დანაკარგს ადგილი არა აქვს.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზაზე თითოეული საწარმო-ორგანიზაციის დაკმაყოფილება სამამულო ნედლეულით მნიშვნელოვანი წვლილია ქვეყნის პოლიტიკური და მატერიალური აღმავლობის საქმეში. ჩვენში მრავალწლიანი დაკვირვების შედეგები იძლევა მყარ გარანტიას იმისა, რომ საქართველოს ფარმაკოთერაპიის და სამედიცინო საწარმოები მოვამარაგოთ უწყვეტ ნაკადად ევკალიპტის მწვანე მასის ადგილობრივი ნედლეულითა და ნაწარმით.

#### ლიტერატურა:

1. ბზიავა მ., ევკალიპტის განოყიერება, ჟ. „სუბტროპიკული კულტურები“, №3, 1969, ანასეული, გვ. 102-105.
2. კოპალიანი ლ., კაპანაძე შ., სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია, სალექციო კურსი, ქუთაისი, 2012. გვ. 3-207.
3. ჯაბნიძე რ., სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია, ბათუმი, 2012.
4. ჯაბნიძე რ., სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები, ბათუმი, 2013.
5. ჩხაიძე გ., სუბტროპიკული კულტურები, ბათუმი, 1999.
6. Багатурия Н., Эфирные масла лекарственных и пряно ароматических растений, Тбилиси, 2007, ст. 164-171, 227-235.

## EVCALYPTUS (EUCALYPTUS) CULTURE IMPORTANCE AND THE DEVELOPMENT IN GEORGIA

Rezo Jabnidze, The Georgian Academy of Agricultural Sciences,  
Doctor of Agricultural Sciences, Professor

### RESUME

*Eucalyptus* is a diverse genus of flowering trees and shrubs (including a distinct group with a multiple-stem mallee growth habit) in the myrtle family, Myrtaceae. Members of the genus dominate the tree flora of Australia. The more than 700 species of eucalyptus are mostly native to Australia, and a very small number are found in adjacent areas of New Guinea and Indonesia. One species, *Eucalyptus deglupta*, ranges as far north as the Philippines. Only 15 species occur outside Australia, with just nine of these not occurring in Australia. Species of eucalyptus are cultivated widely in the tropical and temperate world, including the Americas, Europe, Africa, the Mediterranean Basin, the Middle East, China, and the Indian subcontinent, though most species do not tolerate frost.

## ბიზნესი და ეკონომიკა Business and Economics

### მწვანე ტურიზმი - აქტიური გლობალური ტენდენცია

მაია აზმაიფარაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი  
E-mail: maiaazmaiparashvili@gmail.com

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) მიერ გაკეთებულ, ტურიზმის განვითარების პროგნოზში განსაზღვრულია XXI საუკუნის ტურიზმის ყველაზე პერსპექტიული მიმართულებები. კერძოდ, 2020 წლისათვის სავარაუდოდ მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ტურისტული სახეები გახდება: ეკოლოგიური, კულტურულ-შემეცნებითი, სათავგადასავლო, თემატური და საკრუიზო ტურები. თანამედროვე ტურიზმის ერთ-ერთ წამყვან ტენდენციას ტურიზმის ეკოლოგიზაცია წარმოადგენს.

საერთაშორისო საზოგადოების მიერ ეკოტურიზმი განმარტებულია, როგორც: „პასუხისმგებლობითი (Responsible) მოგზაურობა ბუნებაში, რომელსაც გარემოს შენარჩუნება და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესება მოყვება.“ გარემო დიდ შესაძლებლობებს აძლევს ბუნების მოყვარულებს ეზიარონ ბუნების საოცრებებს და იმავდროულად იზრუნონ მასზე.

ტერმინ „ეკოლოგიური ტურიზმის“ პარალელურად ტურისტულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინების მთელი რიგი, რომლებიც შინაარსობრივად ძალზე ახლოს დგანან მასთან: „ტურიზმი ბუნებაში“, „ტურიზმი ველურ ბუნებაში“, „მწვანე ტურიზმი“, „ალტერნატიული ტურიზმი“ და სხვა.

ტურისტული რესურსები - წარმოადგენს ბუნებრივ-კლიმატურ, სოციალურ-კულტურულ, ისტორიულ, არქიტექტურულ, არქეოლოგიურ, სამეცნიერო, სანახაობით და სხვა ობიექტებსა და მოვლენებს, რომელთაც ძალუძთ ტურიზმის პროცესში დააკმაყოფილონ ადამიანის მოთხოვნილებები. ბუნებრივი რესურსები ტურისტული პროდუქტის წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ზღვა, მდინარეები, ტბები, ლანდშაფტები, ფლორა, ფაუნა, კლიმატი - ეს და კიდევ სხვა სახის ბუნებრივი რესურსი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ტურისტული ნაკადების ოდენობასა და სიხშირეს. ბუნებრივი რესურსების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება დამოკიდებულია მათ თვისობრივ მახასიათებლებზე და მათ მისადგომობაზე.

ტურისტული რესურსები ეროვნულ ქონებას წარმოადგენს. თუმცა, რესურსების განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნაწილს მსოფლიო მნიშვნელობაც აქვთ შეძენილი. ასეთ ობიექტთა ჩამონათვალი შექმნილია იუნესკოს მიერ და მისი განხლება ყოველწლიურად ხდება. კულტურის ყველა ძეგლსა და ტურისტულ ობიექტს სახელმწიფო იცავს, ხოლო მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ობიექტების შენარჩუნებისათვის საჭირო ხარჯებს გაერო გამოყოფს.

მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტურისტული ბაზრის ყველა სეგმენტს შორის ეკოლოგიური ტურიზმი ყველაზე პერსპექტიული და დინამიურად განვითარებადი ფორმაა. ოპტიმისტური შეფასებებით საერთო ტურისტული ნაკადის თითქმის ნახევარს შეადგენს. ტურიზმის დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეკოლოგიური ტურიზმის ზრდის ტემპები როგორც შემოსავლების, ასევე ტურისტების რაოდენობის თვალსაზრისით, გაცილებით მაღალია, ვიდრე ტურიზმის სხვა სფეროებში. ეკოლოგიური ტურიზმის სფეროში ყოველწლიური მატება მდგრადია და 30%-ს აღწევს, მაშინ როდესაც ერთიანობაში აღებული საერთაშორისო ტურიზმის ზრდის ტემპმა მხოლოდ 4-6% შეადგინა (მეტრეველი, 2012).

ბოლო ათწლეულში მსოფლიო საზოგადოება წააწყდა მთელ რიგ გლობალურ და ლოკალურ ეკოლოგიურ პრობლემას. ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის წარმოქმნის განმსაზღვრელ მიზეზს წარმოადგენს ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ანთროპოგენური, დაუდევარი, მფლანგველური და არარაციონალური საქმიანობა. ბუნებრივია აქ ჩნდება ასეთი კითხვა: რომელი არის უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკა თუ ეკოლოგია? მოგება თუ სუფთა ჰაერი? აი, როგორი ალტერნატივების არჩევის წინაშე დადგა კაცობრიობა დღეს. სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაში 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულმა საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო

კონვენცია ფლორასა და ფაუნას დაცვის შესახებ, რაც გულისხმობს ეკონომიკური ზრდის შენელებას გარემო ბუნებრივი პირობების დაცვის მიზნით. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ეკონომიკური აქტივობის ყოველმა სფერომ, მატერიალური წარმოების ყველა დარგმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი თავის პროგრესი ბუნების ეკოლოგიური პირობების დაცვისა და შენარჩუნების პირობებში. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ტურისტული საქმიანობა ხდება მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული და დინამიურად განვითარებადი სექტორი. ბუნებრივია აქ ჩნდება ასეთი კითხვა: რა დამოკიდებულებაშია ტურიზმის განვითარება რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემასთან? აქ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი. როგორც ი. ენჯეიჩიკი აღნიშნავს: ტურიზმით განპირობებული ხალხთა უდიდესი კონცენტრაცია ერთ რომელიმე განსაზღვრულ რეგიონულ სივრცეში ქმნის მრავალი სახის, გრანდიოზული მასშტაბის პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ტურისტული ზონების დაბინძურებასთან, იშვიათი ჯიშის მცენარეების გაჩვენებასთან, ენდემური ჯიშის ცხოველებზე ნადირობასა და დაუდევრობით გამოწვეულ ხანძრებთან. საერთაშორისო ტურიზმში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული სხვადასხვა სახის ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესი. შედეგად ტურ-ოპერატორები და ტურისტული სააგენტოები, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ მოგზაურობის ტექნოლოგიებს, შეუძლიათ ტურისტებს შესთავაზონ მათ მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოებული ტურისტული პროდუქტი. ტურისტული კომპანიები ამ გზით მრავალი მილიონობით დოლარის ღირებულების ოპერაციებს ატარებენ. თანამედროვე საერთაშორისო ტურიზმის წარმატება დამოკიდებულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, დროის ბიუჯეტსა და მოგზაურობით ადამიანთა გატაცებაზე (ქათამაძე, 2013).

ეკოლოგიური ინფორმაცია არის დაცული ბუნებრივი ტერიტორიების რეკლამის მნიშვნელოვანი მდგენელი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჰაერისა და წყლის სისუფთავეს, კვების ადგილობრივი პროდუქტების ეკოლოგიურ სისუფთავეს და ა.შ. პირდაპირ ეკოლოგიურ ინფორმაციასთან ერთად მთელს მსოფლიოში გამოიყენება ეკოლოგიური ცნებების წარდგენის არაპირდაპირი ხერხებიც. ამგვარ ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ეკოლოგიური სავაჭრო ნიშნები და მარკები, აგრეთვე სერტიფიკატები, რომლებიც შესაძლოა მიენიჭოს სასტუმროს, ფირმას ადგილსაც კი. მაგალითად ხმელთაშუა ზღვის კურორტზე გამოიყენება „ციფერი დროშა“, რომლის ფლობა ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის ეკოლოგიური კრიტერიუმებისადმი შესაბამისობას. არსებობენ აგრეთვე სხვა პოპულარული და ავტორიტეტული საერთაშორისო და ეროვნული ნიშნები: „მწვანე ჩემოდანი“, „მწვანე ხე“, „მწვანე ვარსკვლავები“ სასტუმროებისათვის და ა. შ. (ალხანაშვილი, 2010).

„მწვანე ტურიზმის“ ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს მოგზაურობა ბუნებრივ რეზერვატებში, დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე. ამათში შედის ეროვნული პარკები, ნაკრძალები, აღკვეთილები. ეს საკმაოდ აქტიური მიმართულებაა. ასე, მაგალითად, ლათინურ ამერიკაში ჩასული ტურისტების 40%-მდე ბუნებრივ რეზერვატებში მიემართება. ევროპაში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების (დბტ) სისტემა მჭიდროდ დასახლებული და მთლიანად ათვისებული ლანდშაფტის ფონზე განვითარდა. ამის გამო, მისთვის დამახასიათებელია ტერიტორიული გაფანტულობა და მცირე ზომები. ეს სისტემა წარმოდგენილია: დაცული ლანდშაფტებით, სამეცნიერო რეზერვატებითა და მკაცრად დაცული რეზერვატებით, ეროვნული პარკებით, ბუნების ძეგლებით, ბუნებრივი მართული რეზერვატებით. ეკოლოგიური ტურიზმისთვის ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს ჩრდილოეთი ევროპის ქვეყნები. სწორედ აქ, შვეციაში შეიქმნა ევროპის კონტინენტზე პირველი ეროვნული პარკი. ლაპლანდიაში, რომელიც ნორვეგიის, შვეციის, ფინეთისა და რუსეთის ტერიტორიებს მოიცავს, შექმნილია ეროვნული პარკები, რომელთა საერთო ფართობი 4 ათას კმ<sup>2</sup>-ს მოიცავს. ესაა ევროპაში ველური ბუნების ყველაზე დიდი რეზერვატი, სადაც გადამფრენი წყლის ფრინველების საბუდეებია განლაგებული. ფინეთის ზოგიერთ პარკებში დაცულია საამების, ჩრდილო ევროპის მკვიდრი მოსახლეობის დასახლებები. ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის გამოირჩევა გერმანია, სადაც 80-მდე დაცული ბუნებრივი ტერიტორიაა შექმნილი. ბევრი ეროვნული პარკისა და ნაკრძალის ხელმძღვანელობა ეკოლოგიურ მოგზაურობას თავიანთ ტერიტორიაზე ნამდვილ სანახაობად აქცევენ. მაგალითად გამოდგება აშშ-ს იელოსთოუნის ეროვნული პარკი, სადაც ექსკურსიის ხანგრძლივობა წუთებითაა გათვლილი და დაკავშირებულია გეიზერების აქტივობის პერიოდებთან. ძალიან ხშირად ბუნებრივი ობიექტების, განსაკუთრებით მღვიმეების, ჩვენებას თან ერთვის ფერადოვანი განათება, მუსიკა, თეატრალიზებული წარმოდგენები, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების სცენებს ასახავს. ეკოტურიზმის ასეთი ფორმა განსაკუთრებით განვითარებულია ავსტრალიაში, ამიტომ ხშირად მას „ეკოტურიზმის განვითარების ავსტრალიურ მოდელსაც უწოდებენ“ (ხომერიკი, 2008).

„ველური ბუნების მსოფლიო ფონდის“ ექსპერტ მიხეაელ ზუკოვის აზრით „არცერთ ქვეყანას ევროპაში არ გააჩნია ისეთი მდიდარი ფლორა და ფაუნა, როგორც საქართველოს. ევროპის ვერცერთ


ქვეყანაში ვერ ნახავთ მცირე ტერიტორიაზე რელიეფის ისეთ მრავალფეროვნებას, როგორც საქართველოში. ამასთანავე ევროპაში არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც ისინი ბუნებრივი ლანდშაფტების ველური სახით იქნება შემონახული“.

დაცული ბუნებრივი ტერიტორიები საკვანძო როლს თამაშობენ მწვანე ტურიზმის სტრატეგიაში, მათი სპეციფიკური ბუნებრივ-კულტურული მახასიათებლების გამო.

2014 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 417,828 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა, 2013 წლის მონაცემებთან შედარებით 16%-ით არის გაზრდილი. აქედან საქართველოს მოქალაქეა 273,968 ვიზიტორი, ხოლო უცხო ქვეყნის ვიზიტორთა რაოდენობა კი - 143,860 გასულ წელთან შედარებით გაზრდილია როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პარალელურად გაზრდილია შემოსავლების რაოდენობაც. წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, შემოსავლების 33%-იანი ზრდა დაფიქსირდა 1,318,092 ლარი შეადგინა ([www.apa.ge](http://www.apa.ge)).

უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა პირველი ხუთეული გადანაწილდა შემდეგნაირად: ისრაელი, პოლონეთი, უკრაინა, რუსეთი და გერმანია. უკრაინის მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ავიაკომპანია Wizz Ai-ის შემოსვლამ საქართველოში, რომელიც ახორციელებს პირდაპირ რეისებს ქ. ქუთაისიდან უკრაინის მიმართულებით. ასევე აღსანიშნავია, რომ 2013 წლის განმავლობაში პირველ ხუთეულს წარმოადგენდნენ შემდეგი ქვეყნები: უკრაინა, რუსეთი, გერმანია, აზერბაიჯანი და ისრაელი, რაც მიუთითებს აზერბაიჯანის მოქალაქე ვიზიტორების პოლონეთის მოქალაქეებით ჩანაცვლებაზე ([www.apa.ge](http://www.apa.ge)).

საინტერესოა საქართველოს დაცულ ბუნებრივი ტერიტორიების მიხედვით 2015 წლის ვიზიტორთა სტატისტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ვიზიტორთა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე უცხო ქვეყნის ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე.



წყარო: [www.apa.ge](http://www.apa.ge)

მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) აღმასრულებელ დირექტორი დევიდ მორისონი დაინტერესდა საქართველოს დაცული ტერიტორიებით. კავკასიის ბუნების ფონდის დაფინანსებით საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროექტების განხილვის შედეგად გადაწყდა, რომ CNF-ის დაფინანსებით, საქართველოს 9 დაცულ ტერიტორიაზე (მტირალა, ბორჯომ-ხარაგაული, თუშეთი, ვასლოვანი, ლაგოდეხი, ჯავახეთი, ყაზბეგი, კინტრიში, ალგეთი) მოხდება ინფრასტრუქტურის აღდგენა, საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება და აღჭურვილობის განახლება განხორციელდება (<http://www.apa.gov.ge/>).

საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი რეგიონული ტურისტული პოტენციალი, რომლის სწორად დაგეგმარებისა და რეალიზაციის შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას შეუძლია სერიოზული პრეტენზია განაცხადოს, ევრაზიის რეგიონში ტურიზმის განვითარების მიხედვით, ლიდერობის პოზიციაზე. ამის მისაღწევად საჭიროა ტურისტული კომპანიებისა და სახელმწიფო ტურისტული პოლიტიკის სწორი მენეჯმენტი. იმავდროულად ცალკ-ცალკე უნდა იქნას შესწავლილი ჩვენი ქვეყნის თითოეული რეგიონის ბუნებრივ-ტურისტული პოტენციალი და რეკრეაციული რესურსები. საქართველოში ეკოლოგიურად ადაპტირებული დაცული ტერიტორიები, ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 7%-ს შეადგენენ და რომელთა 75% ტყეებითაა დაფარული. ტურიზმის სათანადოდ განვითარების შემთხვევაში, ტურიზმს შეუძლია სარგებელი მოუტანოს როგორც ტურისტებს, ისე მასპინძელ ქვეყანას ([www.greengeorgia.ge](http://www.greengeorgia.ge)).

ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარებისათვის და გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია: დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა, ცალკეული რეგიონების ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების ინვენტარიზაცია, მონაცემთა სრულყოფილი ბაზის შექმნა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკრეაციული დატვირთვების განსაზღვრა, ეკოტურისტული საქმიანობის საფუძვლიანი დაგეგმვა და რეგიონის განვითარების გეგმაში მისი ინტეგრირება, ბიოსფერული რეზერვატების შექმნა, ახალი ტურისტული პროდუქტის დანერგვა, ტურისტული მარშრუტების შემუშავება, დაგეგმვა, განხორციელება; მინიმალური ინფრასტრუქტურის შექმნა; დაცულ ტერიტორიებზე ჰოსტელების მოწყობა, მომსახურე პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება.

#### ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ., გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბილისი, 2012, გვ. 57-60.
2. ქათამაძე დ., ქათამაძე გ., საერთაშორისო ტურიზმი, ბათუმი, 2013, გვ. 98-100.
3. ალხანაშვილი ნ., ეკოლოგიური ტურიზმი, თბილისი, 2010, გვ. 111-113.
4. ხომერიკი გ., ტურიზმი, თბილისი, 2008 გვ. 71-72.
5. უკლება მ., ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, თბილისი, 2009.
6. <http://www.apa.gov.ge/ge/>
7. [www.greengeorgia.ge](http://www.greengeorgia.ge)

### GREEN TOURISM - ACTIVE GLOBAL TREND

Maia Azmaiparashvili, Gori State Teaching University, Associate Professor  
RESUME

Protected Natural Areas a key role in the green tourism strategy, due to their specific natural and cultural features. Georgia has a regional tourist potential, with the right planning and realization of the country may have a serious claim, according to the tourism development of the Eurasian region, leadership position. Tourist companies and the need for proper management of tourism policy. At the same time should be studied separately for each region of our country's natural resources and recreational-tourism potential. Georgia in the environmentally adapted protected areas, 7% of the country's total territory. In the case of tourism properly, tourism can benefit both the tourists and the host country.

### ვალუტის გაუფასურების თეორიული და ზოგიერთი პრაქტიკული ასპექტები

**ზვიად ბეშვენაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე მოკლევადიან და გრძელვადიან (და საშუალოვადიან) პერიოდში ზემოქმედებს, ერთი მხრივ, მთელი რიგი ენდოგენური და ეგზოგენური ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორები, ხოლო, მეორე მხრივ, გაცვლითი კურსის ცვლილება, როდესაც მისი მასშტაბები დიდია, თავის მხრივ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე მისი განვითარების მოკლევადიან და გრძელვადიან ტენდენციებზე (სამეწარმეო მოგებაზე, აქტივობაზე, ინფლაციაზე, ეკონომიკური ზრდის ტემპებზე, დასაქმებაზე და ა.შ., საბოლოოდ კი მოსახლეობის სოციალურ და ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე).

თავდაპირველად განვიხილოთ, თუ რა ფაქტორების ზემოქმედების ქვეშაა მთლიანობაში ვალუტის კურსი. ზოგადად კურსწარმოქმნელი ფაქტორები შეიძლება დაიყოს სტრუქტურულ და კონიუნქტურულ ფაქტორებად.

სტრუქტურული ფაქტორებს მიეკუთვნება ფაქტორები, რომლებიც ხანგრძლივი (და საშუალო) პერიოდის მანძილზე ზემოქმედებენ: შრომის მწარმოებლურობის შეფარდებითი ცვლილება (მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და მისი ცვლილება); ქვეყანაში ეროვნული შემოსავლის დონე და მისი შეფარდებითი ცვლილება; ქვეყნის საგადასახდელო (მათ შორის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის) ბალანსის მდგომარეობა; დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის სხვაობა;



ფულადი მასის შეფარდებითი ცვლილება, ფულადი ერთეულის მსყიდველუნარიანობა და ინფლაციის ტემპები (ფასების შეფარდებითი ცვლილება); სხვადასხვა ქვეყნებს შორის საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა (რეალური საპროცენტო განაკვეთების შეფარდებითი ცვლილება) და კაპიტალის მოძრაობა; სავალუტო კურსის სახელმწიფო რეგულირება (სავალუტო ინტერვენციები და სავალუტო პოლიტიკა); სახელმწიფოს გატარებული მაკროეკონომიკური (ფისკალური და მონეტარული) პოლიტიკა; ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი და სხვ. რამდენადაც მოცემული ფაქტორები განსაზღვრავს ვალუტის ქვეყის საშუალოვადიან და გრძელვადიან ტენდენციებს, ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ ფუნდამენტურ (ეკონომიკურ) ფაქტორებს.

კონიუქტურული და არაეკონომიკური ხასიათის ფაქტორები, ისეთი ფაქტორებია, რომლებიც იწვევენ ვალუტის კურსის მოკლევადიან მერყეობებს: სავალუტო ბაზრების საქმიანობა; სპეკულაციური სავალუტო ოპერაციები; კრიზისები, ომები, სტიქიური უბედურებები; პოლიტიკური და ეკონომიკური პროგნოზები (მათ შორის, დებატები პარლამენტში, ხელმძღვანელი პირების გაუფრთხილებელი ან მიზანმიმართული განცხადებები); მოლოდინები (ფულადი მასისა და სავალუტო ინტერვენციების, კერძო სექტორთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკის, ვალუტის კურსის ცვლილების მოლოდინები და სხვ.); ქვეყანაში და ძირითად საერთაშორისო ბაზრებზე საქმიანი აქტივობის ციკლურობა (ციკლური ხასიათის მერყეობები) და სხვ.

მოცემული ფაქტორებიდან შედარებით ყველაზე არსებითი განვიხილოთ უფრო ვრცლად.

**1. შრომის მწარმოებლობის შეფარდებითი ცვლილებები (კონკურენტუნარიანობა და მისი ცვლილება).** ვალუტის კურსის ცვლილების გრძელვადიან ფუნდამენტურ ფაქტორს წარმოადგენს პროცესები, რომელიც მიმდინარეობს ეროვნული წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში. ეს, უპირველეს ყოვლისა, **შრომის შეფარდებითი** (მსოფლიო დონესთან მიმართებაში) **მწარმოებლობაა**. შრომის მწარმოებლობის შეფარდებითი ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში მივყავართ ეროვნული ფულის შეფარდებითი მსყიდველუნარიანობის ზრდასთან საქონელთან მიმართებაში და შესაბამისად ამ ქვეყნის ვალუტის კურსის გამყარებასთან.

რაც მაღალია წარმოების დანახარჯები და ფასები ქვეყანაში (შრომის მწარმოებლობა დაბალია) მსოფლიო ფასებთან შედარებით, მით მეტად იზრდება იმპორტი ექსპორტთან შედარებით, რასაც მივყავართ ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან და პირიქით.

**2. ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა, შეფარდებითი ცვლილებები ქვეყნების ეროვნულ შემოსავალში.** ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა განაპირობებს იმპორტულ საქონელზე მოთხოვნის ზრდას, წარმოშობს მოთხოვნას იმპორტიორი ქვეყნის ვალუტაზე და ქმნის ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტენდენციებს. ხოლო სხვა ქვეყანაში ეროვნულ შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებული ექსპორტის ზრდა, ქმნის ექსპორტიორ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის კურსის ამაღლების ტენდენციებს. როცა ერთი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა უსწრებს მის გადიდებას სხვა ქვეყნებში, მაშინ, მისი ვალუტის კურსი შემცირდება.

**3. ციკლური ხასიათის მერყეობები.** თუ ქვეყანაში, ეკონომიკის სტიმულირების მიზნით ტარდება ექსპანსიონისტური ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკის ზრდის ტემპები და ერთობლივი მოთხოვნა იზრდება ყველა სახის პროდუქციასა და მომსახურებაზე, მათ შორის იმპორტზეც. იმპორტის ზრდა განაპირობებს მოთხოვნის ზრდას უცხოურ ვალუტაზე, ე.ი. ეროვნული ვალუტის მიწოდების ზრდას და, საბოლოოდ, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შემცირებას. საპირისპირო ხდება, როდესაც ქვეყანა ატარებს რესტრუქციულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

ეროვნული ვალუტის კურსზე ზემოქმედებას ახდენს ციკლური მერყეობები არა მხოლოდ სამშობლოში, არამედ უცხოეთშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკის გამოცოცხლება უცხოეთში ზრდის ექსპორტს, აქედან გამომდინარე უცხოური ვალუტის მიწოდება იზრდება და ეროვნული ვალუტა მყარდება. საპირისპირო ხდება (ეროვნული ვალუტა უფასურდება), როდესაც უცხოეთში ადგილი აქვს დაქვეითებას.

**4. ფულადი მასის მოცულობა.** მიმოქცევის სფეროში ფაქტორებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ისეთი ფაქტორი, როგორცაა მოცემული ქვეყნის ფულადი მასის შეფარდებითი რაოდენობა მსოფლიო მეურნეობის სხვა ქვეყნების ფულადი მიწოდების მთლიან რაოდენობასთან. სავალუტო კურსის ცვლილება ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს ნაციონალური ფულადი ერთეულების მოცულობებს შორის თანაფარდობის შედეგს. საერთაშორისო არენაზე, ისე როგორც საშინაო ბაზარზე, ვალუტის ღირებულება სხვა თანაბარ პირობებში მით ნაკლებია, რაც მეტია ის ბრუნვაში.

**5. ფასების შეფარდებითი ცვლილება (ინფლაციის ტემპი).** მიმოქცევის სფეროში ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ვალუტის კურსის ცვლილების გრძელვადიან ტენდენციებს, მიეკუთვნება აგრეთვე **ინფლაცია**. რაც მაღალია ინფლაციის ტემპები ქვეყანაში, მით დაბალია მისი ვალუტის კურსი, თუ ადგილი არ აქვს სხვა ფაქტორების უკუქმედებას. ნაციონალური ინფლაციის უფრო მაღალი ტემპები, სხვა

თანაბარ პირობებში, იწვევს მოცემული ქვეყნის ვალუტის კურსის შემცირებას იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთაც აქვთ ფასების ზრდის შედარებით დაბალი ტემპები.

ფულის ინფლაციური გაუფასურება ქვეყანაში იწვევს მსყიდველუნარიანობის შემცირებას და მისი კურსის შემცირების ტენდენციას იმ ქვეყნების ვალუტასთან, სადაც ინფლაციის ტემპები უფრო დაბალია. მოცემული ტენდენციას ადგილი აქვს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. ვალუტის კურსის გათანაბრება, მისი მსყიდველობითი უნარის პარიტეტთან შესაბამისობაში მოყვანა ხდება საშუალოდ ორი წლის განმავლობაში.

ინფლაციის პირობებში სავალუტო კურსის ცვლილება სუფთა ნომინალურია, ვალუტის კურსის რეალურ გაუფასურებასთან განსხვავებით შრომის მწარმოებლობის შეფარდებითი ცვლილების შემთხვევაში. თუ პირველ შემთხვევაში სავალუტო კურსზე ზემოქმედება მისი გაზრდის მიმართულებით შესაძლებელია მონეტარული პოლიტიკით (ემისიის შემცირება, სასესხო კაპიტალზე პროცენტის შემცირება და სხვ.), მეორე შემთხვევაში – საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის მწარმოებლობის იმ დონემდე გაზრდას, რაც გამოიწვევს კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

**6. რეალური საპროცენტო განაკვეთების შეფარდებითი ცვლილება (სხვადასხვა ქვეყნებს შორის საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა).** ამ ფაქტორის ზემოქმედება ვალუტის კურსზე აიხსნება ორი ძირითადი გარემოებით. ჯერ ერთი, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ქვეყანაში, სხვა თანაბარ პირობებში, ზემოქმედებს კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციაზე, უპირველესად მოკლევადიან პერიოდში. საპროცენტო განაკვეთის ზრდა მიმზიდველს ხდის ქვეყანას ფინანსური სახსრების განთავსებისთვის, შედეგად იზრდება უცხოური ვალუტის მიწოდება. დაბალი საპროცენტო განაკვეთები იწვევენ კაპიტალის გადადენას, რის შედეგადაც მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე იზრდება. შესაბამისად პირველ შემთხვევაში ეროვნული ვალუტის კურსი მყარდება, ხოლო მეორეში – უფასურდება. აღსანიშნავია, რომ კაპიტალის, განსაკუთრებით სპეკულაციური „ცხელი ფულის“, მოძრაობა აძლიერებს საგადასახდელო ბალანსის არასტაბილურობას.

**7. სავალუტო კურსის მომავალი დინამიკის მოლოდინები და სპეკულაცია.** ის, რომ ვალუტის კურსზე ზემოქმედებს მისი მომავალი დინამიკის მოლოდინი, უდავოა, მაგრამ საჭიროა გაირკვეს, რით განისაზღვრება ეს მოლოდინები. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს უპირველესად ეს არის: ფულადი მასის მოსალოდნელი ცვლილება და საინფლაციო და შემდგომი გაუფასურების ექსტრაპოლაციური მოლოდინები; კერძო სექტორთან დაკავშირებული მოსალოდნელი სამთავრობო პოლიტიკა; ვალუტის კურსის მოსალოდნელი ცვლილებიდან გამომდინარე საერთაშორისო გადახდების დაჩქარება და შეფერხება; სავალუტო ბაზარზე სამთავრობო ინტერვენციის შედეგების მოლოდინი და სპეკულაციები.

რაც შეეხება გაუფასურების ეკონომიკურ შედეგებს. აქ განვაზოგადებთ ისეთ შედეგებს, რომელიც დამახასიათებელია საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის. ვალუტის კურსის ცვლილება უპირველესად დადებითი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ეკონომიკაზე სავაჭრო და მთლიანად საგადასახდელო ბალანსის ცვლილებიდან გამომდინარე – სხვა თანაბარ პირობებში ეროვნული ვალუტის კურსის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურება აიაფებს ქვეყნის ექსპორტს და აძვირებს მის იმპორტს, ანუ ზრდის ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. ამგვარად, ვალუტის კურსის შემცირება ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებით ახდენს სამეწარმეო აქტივობისა და ექსპორტის სტიმულირებას. კურსის ასეთი ზემოქმედება ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაზე წარმოადგენს საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებისა და სავალუტო შემოსულობების მატების საფუძველს. მან შეიძლება აგრეთვე დადებითი მულტიპლიკაციური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე (ეროვნული შემოსავლის დინამიკასა და დასაქმებაზე).

თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ როგორია საშინაო და საგარეო გაუფასურებას შორის „გარღვევის“ მასშტაბები. ვალუტის გაუფასურების შედეგად ექსპორტის ზრდას იმ შემთხვევაში ექნება ადგილი თუ ვალუტის საგარეო გაუფასურება წინ უსწრებს საშინაოს, რამდენადაც ამ შემთხვევაში წარმოიშობა პირობები სავალუტო დემპინგისთვის – საქონლის საშუალომსოფლიოზე ნაკლები ფასებით მასობრივი ექსპორტისთვის, რომელიც გამოწვეულია ფულის მსყიდველუნარიანობის შემცირების ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებასთან ჩამორჩენით. ამ დროს საექსპორტო ფასების შემცირების წყაროს წარმოადგენს კურსებს შორის სხვაობა, რომელიც წარმოიშობა შედარებით მდგრადი ვალუტით მიღებული უცხოური ამონაგების გაუფასურებულ ეროვნულ ვალუტაზე გაცვლისას. თუ საშინაო გაუფასურება, ანუ ფულის ინფლაციური გაუფასურება წინ უსწრებს საგარეო გაუფასურებას ანუ ვალუტის კურსის შემცირებას, მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, სტიმულირდება საქონლის იმპორტი საშინაო ბაზარზე მისი მაღალი ფასებით გაყიდვის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ამასთანავე, ექსპორტ-იმპორტის შეფარდებითი ფასების ცვლილება აუარესებს ქვეყნის ვაჭრობის პირობებს, აუფასურებს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს და იმპორტისადმი მაღალი დამოკიდებულების პირობებში აუარესებს მათ სოციალურ მდგომარეობას. გაუფასურების დიდი

მასშტაბების პირობებში კი იქმნება ინფლაციის „იმპორტირების“ და ინფლაციური პროცესების განვითარების საშიშროება. ქვეყნის იმპორტირებულ ნედლეულსა და მასალებზე მაღალი დამოკიდებულებების შემთხვევაში იზრდება სამამულო წარმოების დანახარჯები და მცირდება მისი კონკურენტუნარიანობა (კონკურენტუნარიანობა მიკრო დონეზე). ასეთ შემთხვევაში მთლიანად გადაიფარება დევალვაციიდან მოსალოდნელი დადებითი ეფექტები.

უფრო მეტიც მაღალი დევალვაციის პირობებში იზრდება, გარდა ზემოთ თქმულისა, სხვა მაკროეკონომიკური დესტაბილიზაციური პროცესების განვითარების საშიშროება, კერძოდ – საშინაო მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსების წარმოშობა და მათი სინქრონული ვარდნა; ეროვნული დანაზოგის, საშინაო და საგარეო კაპიტალდაბანდებებისა და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება, უმუშევრობის ზრდა; საგარეო ვალის მოცულობისა და მასზე მომსახურების ზრდა ეროვნულ ვალუტაში და საბიუჯეტო-ფინანსური კრიზისის განვითარების ალბათობა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში. აგრეთვე: დოლარიზაციის მასშტაბების ზრდა; უცხოურ ვალუტაში აღებული სესხების ღირებულების მატება და შედეგად გადახდისუნარობის ზრდა, წარმოების მასობრივი გაკოტრებისა და სოციალური დეფოლტის წარმოქმნის საშიშროება (აღნიშნულიდან გამომდინარე პრობლემები შეექმნება აგრეთვე საბანკო-საკრედიტო სისტემასაც) და სხვა. ყველაფერი ეს ნიშნავს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის (ანუ მის მაკროდონეზე) შემცირებას.

რაც შეეხება გაუფასურების პრაქტიკულ ასპექტებს. აქ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ საკითხზე, როგორცაა – თუ რა ზემოქმედებას ახდენს (და შეიძლება მოახდინოს მომავალში) მიმდინარე გაუფასურებამ ქვეყნის ექსპორტ-იმპორტზე. ამისათვის თავდაპირველად გადავხედოთ ექსპორტ-იმპორტის მოცულობისა და ვალუტის კურსის ცვლილების დინამიკას.

საქსტატის მონაცემებით სასაქონლო ექსპორტი 2013 წელს 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 22,4 %-ით, ხოლო 2014 წელს კი 2013 წელთან მიმართებაში შემცირებულია 1,7 %-ით. რაც შეეხება 2015 წლის ორი კვარტლის მონაცემებს, სიტუაცია მნიშვნელოვნადაა შეცვლილი, საქსტატის მონაცემებით 2015 წელს 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საქონლის ექსპორტი 23,7 პროცენტითაა შემცირებული, ხოლო 2014 წლის ბოლო ორ კვარტალთან შედარებით 2015 წლის პირველ ორ კვარტალში ექსპორტი შემცირებულია 24,9 % - ით. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს ექსპორტმა მნიშვნელოვანი კლება ინტენსიურად დაიწყო 2015 წლის დასაწყისიდან.

ეროვნულ ექსპორტში სჭარბობს სამრეწველო ნედლეული (სპილენძის მადნები, ფეროშენადნობები და სხვა მსგავსი საქონელი), აგრარული ნედლეული (თხილი) და მზა პროდუქცია (მინერალური წყლები, ღვინო, სპირტიანი სასმელები და სხვ.), რომელზეც მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე ხასიათდება დაბალი საფასო ელასტიკურობით.

საქსტატის 2014 წლის მონაცემებით საქართველოს ექსპორტის ყველაზე დიდი მოცულობა მოდის დსთ –ის ქვეყნებზე (მთელი ექსპორტის 51,2 %), შემდეგ პოზიციასზეა ეკ –ის ქვეყნები (მთელი ექსპორტის 21,8 %). უნდა გამოიყოს თურქეთიც, რომელზეც მოდის მთელი ექსპორტის 8,3 %. თუმცა.

რაც შეეხება იმპორტს 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ფაქტობრივად არ შეცვლილა (შემცირდა 0,30 %-ით), ხოლო 2014 წელს კი 2013 წელთან მიმართებაში გაზრდილია 7,1 %-ით. რაც შეეხება 2015 წლის 6 თვის მონაცემებს, 2015 წელს 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საქონლის იმპორტი 9,4 პროცენტითაა შემცირებული, ხოლო 2014 წლის ბოლო 6 თვესთან შედარებით 2015 წლის 6 თვეში იმპორტი შემცირებულია 20 %-ით. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს იმპორტმა მნიშვნელოვანი კლება 2015 წლის დასაწყისიდან ინტენსიურად დაიწყო.

საქართველოს იმპორტის სტრუქტურაში დომინირებს საბაზისო საქონელი და ნედლეული – ენერგომატარებლები, სასურსათო საქონელი, ფარმაცევტული პროდუქცია და სხვ., რომელზეც ასევე მოთხოვნის საფასო (ასევე გარკვეულწილად შემოსავლების მიხედვით) ელასტიკურობა არის საკმაოდ დაბალი.

საქსტატის 2014 წლის მონაცემებით ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: ეკ –ის ქვეყნები (მათზე მოდის მთელი იმპორტის 27,5 %), შემდეგ პოზიციებზეა დსთ –ის ქვეყნები (მათზე მოდის მთელი იმპორტის 24,7 %), აგრეთვე უნდა გამოიყოს თურქეთი, რომელზეც მოდის მთელი იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი – 20 %.

რაც შეეხება ვალუტის კურსის ცვლილების დინამიკას. 2014 წელს აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ნომინალური კურსი გაუფასურდა 7,3 %-ით, ევროსთან მიმართებაში – გამყარდა 5,4 %-ით, რუსულ რუბლთან მიმართებაში – გამყარდა 38 %-ით, უკრაინულ გრივნასთან მიმართებაში – გამყარდა 45,6 %-ით, თურქულ ლირასთან მიმართებით კი – აგრეთვე გამყარდა 5,4 % -ით, აზერბაიჯანულ მანათთან შედარებით გაუფასურდა 7,2 % -ით, სომხურ დრამთან შედარებით ასევე გაუფასურდა 1,7 %-ით.

ბუნებრივია, რომ მიუხედავად იმისა, რომ დოლარი ლართან მიმართებაში გაუფასურდა, რამდენადაც ლარი მყარდებოდა ძირითადი პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან (ანუ მოცემული და სხვა

პარტნიორი ქვეყნების ვალუტები განიცდიდნენ დოლართან მიმართებაში უფრო მაღალ გაუფასურებას), ამავე წელს ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი არა თუ გაუფასურდა, არამედ გამყარდა (მისი ინდექსი გაიზარდა) 8,8 %-ით. რაც შეეხება რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს, ისიც გამყარდა (მისი ინდექსი გაიზარდა), ოღონდ ნაკლები – 4,9 %-ით. რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანობაში საქართველოში მეტი წლიური ინფლაცია დაფიქსირდა ვიდრე პარტნიორ ქვეყნებში.

2015 წლის 8 თვეში აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ნომინალური კურსი გაუფასურდა 26,3 %-ით, ევროსთან მიმართებაში – გაუფასურდა 16,8 %-ით, რუსულ რუბლთან მიმართებაში – გაუფასურდა 6,4 %-ით, უკრაინულ გრივნასთან მიმართებაში – გამყარდა უმნიშვნელოდ 0,35 %-ით, თურქულ ლირასთან მიმართებით კი – გაუფასურდა 16,9 %-ით, აზერბაიჯანულ მანათთან შედარებით გაუფასურდა 5,5 %-ით, სომხურ დრამთან შედარებით კი გამყარდა 28,2 %-ით.

რამდენადაც ლარი გაუფასურდა, როგორც დოლართან ასევე სხვა უმეტეს ძირითად პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში, ბუნებრივია, რომ ამავე წელს ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა (მისი ინდექსი შემცირდა) 4,7 %-ით. რაც შეეხება რეალური ეფექტური გაცვლითი კურსს, მისი გაუფასურება იყო მეტი მაღალი (მისი ინდექსი შემცირდა) – 6,5 %, რაც აჩვენებს იმას, რომ საშუალოდ პარტნიორ ქვეყნებში ინფლაციის მაჩვენებელი მეტი მაღალი იყო საქართველოსთან შედარებით.

სხვადასხვა ქვეყნებთან ეროვნული ვალუტის ნომინალური კურსის, ნომინალური ეფექტური კურსისა და რეალური ეფექტური კურსის ცვლილების დინამიკა, აგრეთვე, სავაჭრო ბალანსის სტრუქტურა და მისი ცვლილების დინამიკა გვამღებებს შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

➤ 2014 წელს ლარის დოლართან გაუფასურების ფონზე იმპორტის შემცირებას ადგილი არ ჰქონია შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: ლარის ნომინალური კურსის გაუფასურება დოლართან მიმართებაში იყო ზომიერი ვიდრე სხვა ქვეყნებში (ანუ, გაცვლითი კურსი გამყარდა უმეტეს სავაჭრო-პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში); რამდენადაც ლარის ნომინალური კურსი პარტნიორი ქვეყნების ძირითად ვალუტებთან, რომელიც კოტირდება კროს-კურსების საშუალებით, მყარდებოდა აქედან გამომდინარე გამყარდა ეფექტური ნომინალური გაცვლითი კურსიც. შედეგად არ მოხდა იმპორტულ ფასებში ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც მის შემცირებას გამოიწვევდა. უფრო მეტიც, საქართველოში ინფლაციის ტემპები იყო მეტი ნაკლები პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით, რაც აისახა ეფექტური რეალური გაცვლითი კურსის ასევე გამყარებაში (მისი ინდექსის ზრდაში);

➤ 2014 წელს ლარის დოლართან ზომიერი გაუფასურების ფონზე ექსპორტი ასევე უმნიშვნელოდ შემცირდა, რაც გარკვეულწილად დაკავშირებულია ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ზრდასთან. ამასთან ამ უკანასკნელის მეტი პროცენტით ზრდა ნიშნავს ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას (რამდენადაც უცხოეთში ინფლაცია მეტი მაღალი იყო ვიდრე საქართველოში);

➤ რამდენადაც საქართველოს იმპორტში დომინირებს პირველადი მოხმარების მზა პროდუქცია, საბაზისო ბუნებრივი რესურსები და ნედლეული, ამდენად მასზე მოთხოვნის საფასო და შემოსავლების მიხედვით ელასტიკურობა არის საკმაოდ დაბალი. ამგვარად მთლიანობაში იმპორტზე მოთხოვნა მხოლოდ ფასების მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად შეიძლება შემცირდეს. ამ იმპორტულ პროდუქციაზე ფასების ზრდა კი მხოლოდ ეროვნული ვალუტის მასშტაბური გაუფასურების შემთხვევაში იყო მოსალოდნელი. სწორედ მხოლოდ 2015 წლიდან, ეროვნული ვალუტის ნომინალური და ეფექტური ნომინალური კურსის მასშტაბური გაუფასურების შემდეგ დაიწყო იმპორტმა საგრძნობი შემცირება; კურსის ცვლილებაზე სასაქონლო ბაზრის რეაქცია იყო საკმაოდ სწრაფი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დევალვაციის იმპორტზე ზემოქმედების ეფექტები ჯერჯერობით სრულად არ ამოწურულა – მასზე ფასების გაზრდისა და, აქედან გამომდინარე, მისი მოცულობის შემცირების თვალსაზრისით. ეს შეიძლება აიხსნას იქედან გამომდინარეც, რომ საშინაო ბაზრის უმეტესი სეგმენტები ოლიგოპოლიურია, ამდენად ოლიგოპოლიებს გააჩნდათ იმის რესურსი, რომ კურსის ცვლილების შედეგად უცხოეთში გაძვირებული საქონელი, ეროვნული ბაზრისთვის მიეწოდებინათ იგივე, ან ოდნავ გაზრდილი ფასებით თავიანთი მოგების შემცირების ხარჯზე, იმის შიშით, რომ არ დაეკარგათ გასაღების ბაზრის სეგმენტები. ეს რესურსი კი მათ თანდათან ამოეწურათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სხვა თანაბარ პირობებში, დევალვაციის ზემოქმედება იმპორტზე, მისი შემცირების თვალსაზრისით ისევე გაგრძელდება.

➤ ლარის მასშტაბური გაუფასურების ფონზე 2015 წელს მცირდებოდა ექსპორტიც. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში დომინირებს სამრეწველო ნედლეული, აგრარული ნედლეული და მზა პროდუქცია, რომელზეც მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე ხასიათდება დაბალი საფასო ელასტიკურობით. ამდენად ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად საექსპორტო საქონლის ფასების შემცირება ნაკლებად ზრდის მის მოხმარებას. თუმცა მოცემული ლოგიკით, არ უნდა

მომხდარიყო აგრეთვე მასზე მოთხოვნის შემცირება. მაგრამ, როგორც სტატისტიკიდან გავარკვეით, ექსპორტი შემცირებულია მნიშვნელოვნად, განსაკუთრებით მზა პროდუქციაზე, რომლის მომხმარებლები ძირითადად ის ქვეყნებია, რომლებშიც ეკონომიკურ დაქვეითებას (თუ არა კრიზისის) აქვს ადგილი. ჩვენ ექსპორტზე მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსავლების მიხედვით აღმოჩნდა საკმაოდ მაღალი, რამაც მისი შემცირება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ამასთან, როგორც ეფექტური ვალუტის გაცვლითი კურსის შეფარდებითი ცვლილების დინამიკა გვიჩვენებს პარტნიორ ქვეყნებში ინფლაციის მასშტაბები იყო მეტი მაღალი, ვიდრე საქართველოში. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ექსპორტი შემცირდა იმ ფონზე, როდესაც ზემოქმედება არ დაუწვია გაუფასურების ისეთ უარყოფით თანამდევ ეფექტს, როგორცაა „იმპორტირებული ინფლაცია“. გაუფასურების შედეგად სავარაუდოდ ფასების ზრდა იმპორტირებულ ნედლეულსა და მასალებზე უარყოფითად აისახება ეროვნული საწარმოების კონკურენტუნარიანობასა და ქვეყნის ექსპორტზე.

#### ლიტერატურა:

1. ზ. ბეშკენაძე, შ. ლომინაშვილი, „ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში“, ჟ. ეკონომიკა, №5-6, გვ. 73-89, 2015.
2. А. Киреев, Международная экономика, II часть М.: „международные отношения“, с. 488, 2001.
3. <http://geostat.ge/>
4. <https://www.nbg.gov.ge/>

## THEORETICAL AND SOME PRACTICAL ASPECTS OF CURRENCY DEVALUATION

Zviad Beshkenadze, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

### RESUME

The work touches upon the discussion of the issues regarding influence of exchange rate changing upon trade balance. Its goal is to display correlation and cause - result relation between currency depreciation and export-import volume in Georgia. There has been analyzed proper statistic material and theoretical approaches. We made conclusion that depreciation of GEL to dollar didn't have significant influence on export and import in 2013-2014. One of the main reasons is that the nominal rate of Lari to the currency of partner countries and nominal effective and real effective exchange rate became stable instead of depreciation.

In spite of that theoretical devaluation on trade balance is comparatively long-term, in Georgia in 8<sup>th</sup> month of 2015, its influence was instant and significant due to national currency nominal rate, nominal effective and real effective exchange rate depreciation. Import volume was significantly reduced on essentials and consumer commodities. The import volume was reduced either which is the result of influence of economic factors as devaluation in other equal conditions involves export growth.

## შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში

ლია ბიბილაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს შრომის ბაზარზე დღეს რთული ვითარებაა: შრომის ბაზარი საქართველოში ხასიათდება სამუშაო ძალის შედარებით ჭარბი მიწოდებითა და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შეზღუდულობით; ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის გამო, შრომითი შემოსავლების უკმარისობის პირობებში; დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მნიშვნელოვნად შეფერხებულია გაფართოებული კვლავწარმოების პროცესი; დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში შეინიშნება დაქირავებით დასაქმებულთა წილის მკვეთრი შემცირება და დასაქმებულთა წილის პერმანენტული ზრდა. იზრდება სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროებში დასაქმებულთა რაოდენობა და ხვედრითი წონები, მაშინ როდესაც მრეწველობასა და მშენებლობის დარგებში დასაქმებულთა აბსოლუტური და შეფარდებითი რიცხოვნობა საგრძნობლად იკლებს.

დღეისათვის ქვეყანაში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რაც მოსახლეობის სიღარიბის გამომწვევი მთავარი ფაქტორია. პერმანენტულად აქვს ადგილი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულ გამოყენებას, რაც იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მნიშვნელოვან დანაკარგებს. ქვეყანაში უმუშევრობის მასშტაბების მხოლოდ ოფიციალური მონაცემების საფუძველზე, მიახლოებითი გათვლებით, საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად, სულ მცირე 0.8-0.9 მლრდ ლარი აკლდება.

საქართველოს შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციაა დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულთა სიჭარბე და მისი ხვედრითი წონის ზრდა, რომელთა დაახლოებით 82% სოფელშია თვითდასაქმებული. თვითდასაქმების ხარჯზე არაბუნებრივად მაღალია დასაქმების დონე სოფლებში, სადაც 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 69,2% დასაქმებულია, მაშინ, როდესაც იგივე ციფრი ევროკავშირის ქვეყნებში 50%-ს არ აღემატება. ამით აიხსნება ის მდგომარეობაც, რომ ქალაქად ფიქსირდება უმუშევრობის ბევრად მაღალი დონე, ვიდრე სოფლად, თუმცაღა რეალურად ქალაქში დასაქმების პოტენციალი სოფელთან შედარებით გაცილებით მაღალია.

დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდის პარალელურად, სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს მეტისმეტად არაეფექტიან დასაქმებას. მაგ., 2013 წლისათვის, 1990 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა გაზრდილია 25,2%-დან 43,1%-მდე, მაშინ, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობაში სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის წილი 29.8%-დან 8,4%-მდე შემცირებული.

მეურნეობის სხვა დარგებიდან, რომლებიც თვითდასაქმებულთა შედარებით მაღალი ხვედრითი წონით ხასიათდება, გამოირჩევა ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროები. ბოლო 15 წლის მანძილზე მომსახურების სფეროს დარგების დაწინაურება (განსაკუთრებით თვითდასაქმებულთა ხარჯზე), ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამამულო წარმოების სფეროში არსებულმა კრიზისულმა ვითარებამ, აგრეთვე იმპორტის წახალისებამ, რამაც, თავის მხრივ, ადგილობრივი წარმოების განვითარების შენელებაც კი გამოიწვია.

ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისადმი შრომის ბაზრის მორგების პროცესი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში უფრო ადვილად მიმდინარეობს, ვიდრე ქალაქად. მიუხედავად ამისა, უკიდურესად პრობლემატურია ის გარემოება, რომ რეგიონებში დასაქმების შედარებით მაღალი დონე დაბალი ხელფასის პირობებში მიიღწევა.

მიუხედავად აღნიშნულისა, მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების პრობლემა საქართველოში კვლავ გადაუჭრელი რჩება. მთლიანობაში მასობრივი დაუსაქმებლობა და დასაქმების არარაციონალური სტრუქტურა ანეიტრალებს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასის ზრდის ეფექტს. დასაქმების პრობლემის გადაუჭრელობაში იგულისხმება ის, რომ ბოლო ათწლეულებში საშუალოდ 6-7 %-იანი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, არსებითად არ გაზრდილა ქვეყანაში სამუშაო ადგილების რაოდენობა. პირიქით, გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე ქვეყანაში. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი შრომის ბაზრის განუვითარებლობა და ახალი სამუშაო ადგილების ნაკლებობაა.

საქართველოში შრომის ბაზრის განუვითარებლობა აფერხებს ქვეყნის წინსვლას და უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს უმუშევრობის, სიღარიბის, არალეგალური მიგრაციისა და მათთან დაკავშირებული პრობლემების სახით. ამიტომ ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებასთან ერთად (რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ძირითადი ბუნებრივი ფაქტორია), აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან მისი განვითარების მხარდაჭერის გზით.

საქართველოში დასაქმების პრობლემის სიმწვავეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ისეთი ფაქტორი, როგორცაა საკუთარი ბიზნესის წამოწყებისათვის რესურსების სიმწირე და საკრედიტო რესურსების სიძვირე. შედეგად, ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მცირდება მცირე და საშუალო მეწარმეების წილი. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ბიზნეს-სექტორის მთლიან გამოშვებაში მსხვილი ბიზნესის წილი დაახლოებით 80-82%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც 2-ჯერ და მეტად აღემატება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს.

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებას შორის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ სერიოზული სტრუქტურული (პროფესიების მიხედვით) და ხარისხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსია. დისბალანსი გვევლინება როგორც მზარდი უმუშევრობის განმაპირობებელ, ასევე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ხელშემშლელ ფაქტორადაც.

დღეს მასობრივად გავრცელებული „პოპულარული“ სპეციალობების გამო მოსახლეობის განათლება არ ემთხვევა შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს. უმუშევართა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი

განათლება აქვს მიღებული. ეს ნიშნავს, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მათ ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს. საქართველო ე.წ. „სტრუქტურულ უმუშევრობას“ განიცდის. სტრუქტურული უმუშევრობის მაღალი დონე განაპირობებს იმ ვითარებას საქართველოში, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის დასაქმებაზე არ მოქმედებს მაქსიმალური მასშტაბით. ამით შეიძლება, ასევე აიხსნას ისიც, რომ 2007 წელს, ქვეყანაში მშპ-ს ზრდის ყველაზე მაღალი, 12%-იანი მაჩვენებლის პირობებში, უმუშევრობის დონე მაინც საკმაოდ მაღალი იყო - 13.3%.

შრომის ბაზარი საქართველოში არ არის თვითრეგულირებადი სისტემა და მას არ შესწევს უნარი, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება და განვითარება, მოსალოდნელ სტრუქტურულ ცვლილებებთან ადამიანური რესურსების დროულად მორგება, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა და ა.შ.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით. რაც გულისხმობს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების მიზნით უმუშევართა პროფესიული სწავლებისა და დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობის მხარდაჭერას.

შრომის ბაზრის მართვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით 2014 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა - worknet.gov.ge, რომელიც წარმოადგენს სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მონაცემთა ბაზას. დღეისათვის worknet.gov.ge-ზე შესაძლებელია მხოლოდ სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია. სამწუხაროდ, აღნიშნული პორტალი, მისი მომსახურე პერსონალის არასათანადო კვალიფიკაციისა და დაბალი პროფესიონალიზმის შედეგად, ფაქტობრივად ვერ ახერხებს დამქირავებლების მოთხოვნებისა და სამუშაოს მაძიებელთა შესაძლებლობების ოპტიმალურად დაკავშირებასა და დასახული ამოცანის განხორციელებას.

ეროვნული შრომის ბაზრის რაციონალური ფუნქციონირებისათვის, მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების მხარდაჭერისა და უმუშევრობის მასშტაბების შემცირებისათვის, ასევე შრომითი მიგრაციის მართვისათვის უმნიშვნელოვანესია შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და აკადემიური სწავლების (მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება) სისტემის განვითარების აქტიური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან.

#### **ლიტერატურა:**

1. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია. საქართველოს მთავრობის 2013 წ. 2 აგვისტოს №199 დადგენილება.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, 2013.
3. ლ. ბერიძე, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის ასპექტები, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2015.
4. დასაქმება და უმუშევრობა, 2013 (პრეს-რელიზი) საქსტატი.
5. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანგარიში „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა“ - 2013 წლის ეკონომიკური მიმოხილვა.

## **TRENDS OF LABOUR MARKET DEVELOPMENT IN GEORGIA**

**Lia Bibilashvili, Gori State Teaching University, Associate Professor**

### **RESUME**

The sharp quantitative and qualitative imbalance existing between demand and supply of labour force represents the main characteristic tendency for the Georgian labour market. Unemployment is the main reason for poverty in the majority of population. The sharp reduction of the employed by hire is marked in the total number of the employed. At the same time the scales of self employment systematically are growing.

The labour market in Georgia is not a self-regulated system and has not ability to provide rational use of labour potential coming out from the requirements of the country's socio-economic development. The noted objective can be solved only through the formulation and pursuance of purposeful state policy in the sphere of labour and employment. This, above all, implies development of labour market infrastructure, perfection of professional education system that provides enhancement of human capital qualification and reduction of existing imbalance at the labour market.

## საქართველოს საფინანსო სექტორის გაჯანსაღების გზები და პერსპექტივები

**დავით ბიძინაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**როინ თათეშვილი**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

2015 წლის ეკონომიკურ ვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია წინა წელს შექმნილმა არასახარბიელო ეკონომიკურმა პროცესებმა. 2015 წლის პირველი სამი კვარტლის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ზედაპირული ანალიზიდანაც კი აშკარად ჩანს, რომ ადრე აღებული საკმაოდ მაღალი ტემპი თანდათანობით მცირდებოდა. ეს ეხება როგორც მთლიან შიგა პროდუქტს, ასევე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ექსპორტს, იმპორტს, დასაქმების დონეს და ა.შ. ეს არც იყო გასაკვირი, ვინაიდან ისეთი მცირე ზომის ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ეკონომიკურ ქვევაზე გარკვეულწილად ნეგატიურად მოქმედებს პოლიტიკური პროცესი. ბიზნესი და საზოგადოება რაღაც გაურკვეველობისა და მოლოდინის რეჟიმში გადადის.

სწორედ ბიზნესის მოლოდინის რეჟიმში გადასვლამ, მხარეთა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ და უცხოელ ინვესტორთა სიფრთხილის დონის ზრდამ იმოქმედა ნეგატიურად ეკონომიკური ზრდის ტემპების ფორმირებაზე.

აღნიშნული ფაქტორების გარდა, ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა მონეტარულ სფეროში მიმდინარე პროცესებმა. კერძოდ, საუბარია ჯერ კიდევ 2014 წლის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბებულ დეფლაციურ პროცესზე, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო ღრმავდებოდა და ამუხრუჭებდა ეკონომიკურ განვითარებას.

ფაქტობრივად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ გეგმა ვერ შესრულდა. პირველი სამი კვარტლის მონაცემებით, ეკონომიკურმა ზრდამ 1.9 პროცენტი შეადგინა, რაც დაგეგმილზე სამჯერ ნაკლებია. ყოველივე ამან უარყოფითი ასახვა ჰპოვა სხვა ეკონომიკურ პარამეტრებზე, განსაკუთრებით კი საფინანსო სექტორზე, რადგან ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური განვითარების ტემპებთან.

მიმდინარე წელს ვერ მოხერხდა ქვეყნის საფინანსო სექტორის გამოჯანსაღება. პირიქით, მდგომარეობა გაუარესდა კიდევ. მართალია, კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი იზრდებოდა, მაგრამ საკმაოდ ნელი ტემპებით, რაც ნეგატიურად აისახა კიდევ ბიზნესაქტივობაზე. ასევე, კლების ტენდენციას ჰქონდა ადგილი ბანკების მიერ დეპოზიტების მოზიდვის კუთხითაც. ამაში, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა დეფლაციურმა პროცესებმა. ასეთ ვითარებაში მოსახლეობაში ჩნდება მიდრეკილება, ფული შეინახონ ხელზე და არა ბანკში, ბიზნეს სტრუქტურებს კი უმცირდებათ საბრუნავი სახსრები.

მიმდინარე წელს თვით საბანკო სექტორის ფინანსური შედეგები ტოვებს არაერთგვაროვან შთაბეჭდილებას. მართალია, საბანკო სექტორმა, წინა წლებთან შედარებით, საბალანსო მოგების მაღალი მაჩვენებელი აჩვენა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ სექტორის მიერ გადახდილი გადასახადების მოცულობა შარშანდელ დონეზე დარჩა, საბალანსო მოგების მონაცემები ნამდვილად არ იძლევა საბანკო სექტორის ეფექტიანობის ამაღლების ვარაუდის საფუძველს.

როგორც წინა წლებში, ასევე მიმდინარე წელს, კომერციული ბანკები თავს არიდებდნენ ეკონომიკის რეალური სექტორის დაფინანსებას. სიტუაცია ვერ გამოასწორა სოფლის მეურნეობისთვის იაფი სესხის სამთავრობო პროგრამამ, რომლითაც ბანკების რისკები დაფინანსდა სახელმწიფო სახსრებით. ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული თითქმის 5-მილიარდიანი სესხიდან რეალურ სექტორზე მოდის მხოლოდ 28%, მათ შორის სოფლის მეურნეობაზე - 3%. მაღალ მოგებას გამოკიდებული საბანკო სექტორი ნაკლებად ფიქრობს ეკონომიკის აღმავლობაზე.

როგორც ჩანს, ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელებაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, ნეგატიურად იმოქმედა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებამ. როგორია ამ მხრივ საქართველოს სამომავლო პერსპექტივები?

განვითარებადი ქვეყნებისთვის უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტულობის იდეა ეკუთვნის საერთაშორისო სავალუტო ფონდს. ჩემი აზრით, ეს სავსებით სწორი და მისაღები მიდგომაა, რადგან, როდესაც ქვეყანას არ შეუძლია საკუთარი საინვესტიციო სახსრების მობილიზება და ეფექტურად განთავსება, ის უცხოურ საინვესტიციო აქტივობაზე ხდება დამოკიდებული. ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით გლობალური კრიზისის შემდგომ, თითქმის ყველგან იკლო უცხოურმა ინვესტიციებმა, მათ შორის, საქართველოშიც.



2011 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1117,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2012 წელს ის 911,6 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. 2013 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 941,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2014 წელს უკვე 1758,4 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რას საუკეთესო მაჩვენებელია 2007 წლის (2014,8 მლნ. დოლარი) შემდეგ. ეს ზრდა გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მიმდინარე წელი უკეთესი მაჩვენებლით დასრულდება წინა წელთან შედარებით (2015 წლის პირველი ორი კვარტლის მონაცემებით 530,0 მლნ. დოლარს შეადგენს), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. იმისთვის, რომ ქვეყანამ ეკონომიკური ტემპები დაგეგმილ 5 პროცენტამდე მაინც გაზარდოს, საჭიროა მინიმუმ 2-2,5 მილიარდი აშშ დოლარი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია.

ამას ემატება ისიც, რომ საქართველოს ექსპორტი 30%-ით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით, ხოლო უცხოეთში მომუშავე ქართველების მიერ განხორციელებული ფულადი გზავნილები შემცირებულია 25%-ით.

ვინაიდან უცხოური ინვესტორები არ ჩქარობენ საქართველოში შემოსვლას, ბუნებრივია, იზადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა ადგილობრივი საინვესტიციო პოტენციალის ამაღლება? რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია და აუცილებელიც. ამ მიმართულებით გარკვეული ორგანიზაციული ნაბიჯები გადაიდგა. ნელ-ნელა აქტიურდება საპარტნიორო ფონდი, შეიქმნა თანაინვესტირების ფონდი, რომლებიც გარკვეულ სტიმულს ქმნიან შიდა და გარე ინვესტორებისთვის. თუმცა ბიზნესისა და საზოგადოების მოლოდინი უფრო მეტი იყო და ეს მოლოდინი დროში არ უნდა გაიწელოს. საჭიროა სწრაფი და გაბედული მოქმედება.

ამავე დროს, ჩემი აზრით, საჭიროა, გატარდეს ისეთი სახის პოლიტიკური ღონისძიება, როგორცაა საგადასახადო ამნისტია და აქტივების ხელშეუხებლობის გარანტია იმ არალეგალური მილიონრებისთვის, რომლებსაც თავიანთი სახსრები ოფშორებში აქვთ გადამალული და რომლებიც მზად იქნებიან, საკუთარი სახელით განახორციელონ ამ სახსრების ინვესტირება საქართველოში.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი შეიძლება გადაიდგას კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საკრედიტო კავშირების ისეთი სახის რეგულირებაზე, რომელიც სტიმულს მისცემდა ბიზნესსტრუქტურებს, გადაერთონ ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტებაზე. ეს პროცესი უნდა წარმართოს ეროვნულმა ბანკმა. მისი მხრიდან საჭიროა აქტიური ძალისხმევა და გონივრული მოქმედება.

და მესამე ნაბიჯი, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს, არის საბიუჯეტო სახსრებით ბიზნესის სტიმულირება. ამ ნაბიჯის განხორციელებასაც სჭირდება ძალისხმევა და გონივრული მოქმედება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან.

გაგრძელდება თუ არა ლარის კურსის ვარდნა და რა შეაჩერებს ეროვნულ ვალუტას? - ახლა საზოგადოებას ყველაზე მეტად ეს კითხვები აწუხებს, მთავრობას კი პასუხად ის აქვს, რომ ვითარება მარტივი არ არის, მაგრამ გამოსწორებას ექვემდებარება.

ცნობილი გახდა, რომ ლარის კურსის დასტაბილურებისთვის მთავრობა სავალუტო ფონდს დამატებით თანხას სთხოვს. ჯერ არ არის ცნობილი, რა მოცულობის სესხის აღებას აპირებს აღმასრულებელი ხელისუფლება, თუმცა, გეგმავენ, რომ ეს თანხები ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩადონ (!). ამ დროს, მხოლოდ ბოლო 6 თვეში, ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ უკვე 24,8%-ით გაუფასურდა. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში, უკრაინული გრივნა გაუფასურდა 108%-ით, რუსული რუბლი - 61,6%-ით, სომხური დრამი - 17%-ით, ხოლო თურქული ლირა - 10%-ით. მეზობლად მიმდინარე პროცესები დაშვებების საფუძველს ნამდვილად არ გვაძლევს. საგარეო ფაქტორებთან ერთად, ლარის კურსის შემცირებაზე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც ზემოქმედებს.

ლარის სტაბილურობა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უცხოურ კრედიტებზე და გრანტებზე, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს იმ მოცულობის უცხოური ვალუტის მოზიდვას, რომელიც ლარის სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

საინტერესოა, როგორ ვითარდებოდა ლარის კურსი ასეთ პირობებში ბოლო 10-12 წლის მანძილზე. იმ ფონზე, როდესაც ეკონომიკა ვერ იზიდავდა უცხოურ ვალუტას და მიმდინარე ანგარიში იყო მკვეთრად დეფიციტური, ლარი დოლართან მიმართებაში მყარდებოდა.

ამ ტენდენციების შემხედვარე, ჩნდება კითხვა - როგორ ხდებოდა ლარის გამყარება და სტაბილურობის შენარჩუნება, თუ ეკონომიკა ვერ ახდენდა უცხოურ ვალუტის მოზიდვას? ამ კითხვაზე ნათელი პასუხი საგარეო ვალის სტატისტიკაშია.

საგარეო ვალის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ბოლო 15 წელიწადში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) თითქმის 6-ჯერ გაიზარდა და 2015 წლის მდგომარეობით, 13 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სამთავრობო სექტორის სახელმწიფო ვალი დროის იგივე პერიოდში 3.5-ჯერ გაიზარდა. თუმცა საინტერესოა ვალის ზრდის ტემპი წლების მიხედვით.

ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალი 2006-2012 წლებში იყო. ანუ ეკონომიკა, რომელიც განვითარებით ვერ იზიდავდა უცხოურ ვალუტას, იზიდავდა მას ვალებით, რაც იყო ლარის სტაბილურობის და უცხოური რეზერვების ზრდის წყარო.

დღეს ხშირად მიდის საუბარი იმაზე, განსაკუთრებით ოპოზიციის მხრიდან, რომ მათ უზრუნველყვეს რეზერვების ზრდა და ლარის სტაბილურობა, თუმცა იშვიათად საუბრობენ იმაზე, რის ხარჯზე მოხდა ეს „მიღწევა“. რეზერვების და ლარის სტაბილურობის წყარო მომდინარეობდა არა ეკონომიკის წინსვლიდან, არამედ საგარეო კრედიტების შემოდინებიდან. ვინაიდან, ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის 75% 2006-2012 წლებში იქნა აღებული, ანუ 15 წლის ნახევარ პერიოდში აღებული იქნა საგარეო ვალის 75%. სწორედ, ეს კრედიტები უზრუნველყოფდა რეზერვების ფორმირებას და ლარის მხარდაჭერას, მაგრამ 2013 წლიდან ქვეყანამ საგარეო ვალის დიდი მოცულობით დაბრუნება დაიწყო და საგარეო ვალმა ზრდა პრაქტიკულად შეწყვიტა. შესაბამისად, დეფიციტური საგადასახდელო ბალანსის ფონზე, ქვეყანაში უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი წყარო, საგარეო კრედიტები, „გამოგვეცალა“, რის გამოც რეზერვების ზრდა და ლარის კურსის მხარდაჭერა ვერ ხერხდება.

მართალია, ლარის მასის ტრენდი მზარდია, თუმცა მისი ზრდის ტემპი ჩამორჩება უცხოური კრედიტების შემოდინების ტემპს. თუ მთლიანი საგარეო ვალი 2006-2012 წლებში დაახლოებით 6-ჯერ გაიზარდა, იგივე პერიოდში სარეზერვო ფული 3,4-ჯერ, ხოლო მ2 აგრეგატი 3,7-ჯერ გაიზარდა. უცხოური და ადგილობრივი ფულის მასების მსგავსი დინამიკა ქმნიდა ლარის გამყარების და რეზერვების გაზრდის შესაძლებლობას. თუმცა, როდესაც საგარეო ვალის ზრდის ტემპი განულდა, ფულის მასის ზრდის ფონზე ეროვნულმა ბანკმა კრედიტებით შევსებული რეზერვების ხარჯვა არ დაიწყო და ლარის დევალვაციის გზას დაადგა. ამდენად, რამდენი ლარის კურსის ვარდნის რამდენი მიზეზიც არ უნდა ვეძებოთ, რამდენიც არ უნდა ვაბრალოთ მთავრობას რეალობა ერთია, ლარის სიმყარე დაფუძნებული იყო უცხოურ ვალებზე და როდესაც დიდი მოცულობით დავიწყეთ ვალების გადახდა, რის გამოც საგარეო ვალის ზრდის ტემპი პრაქტიკულად გაჩერდა, ლარსაც „საყრდენი“ გამოვეცალა. არსებობს პრობლემის გადაჭრის ორი გზა: პირველი, ლარის სტაბილურობის მხარდაჭერა კვლავ საგარეო კრედიტებით, რაც წლების მანძილზე ხდებოდა და მეორე, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის მიღწევა ეკონომიკური ზრდით, რომელიც წლების მანძილზე არ ხდებოდა.

ლარის დევალვაცია 2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში სპეკულაციურად დაიწყო და მაშინ ეროვნულმა ბანკმა გაუფასურების შესაჩერებლად არაფერი გააკეთა. გარე და შიდა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით ეროვნული ვალუტის დევალვაცია გარდაუვალი იყო, თუმცა არა 2,4 ნიშნულამდე. ეროვნულ ბანკში არაერთხელ აღნიშნეს, რომ ლარის გაუფასურება ექსპორტის, ინვესტიციების, ტურისტებისა და ფულადი გზავნილების შემცირებამ გამოიწვია. სინამდვილეში ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნა ისეთი მასშტაბური არ ყოფილა, რომელიც სავალუტო ბაზრის კატასტროფას გამოიწვევდა. მაგალითად, შარშან 2008 წლის შემდეგ ყველაზე მასშტაბური ინვესტიცია შემოვიდა.

რაც შეეხება ექსპორტს, 2013 წელს რუსეთის ბაზრის გახსნის შემდეგ იგი ნახტომისებურად გაიზარდა, განსაკუთრებით ეს ღვინოსა და უალკოჰოლო სასმელებს შეეხო. შარშან, ცნობილი მოვლენების გამო, ექსპორტი ყველაზე მეტად რუსეთსა და უკრაინაში შემცირდა. მთლიანობაში, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით ექსპორტის უკუსვლა აღინიშნა. თუმცა, თუ კი წინა წლებს შევადარებთ, შარშანდელი ექსპორტი არც ისე საგანგაშოა. კერძოდ, „საქსტატის“ მონაცემებით, 2009 წელს ექსპორტის მაჩვენებელმა 1,134 მილიარდი დოლარი შეადგინა, 2010 წელს - 1,677 მილიარდი დოლარი, 2011 წელს - 2,189 მილიარდი დოლარი, 2012 წელს - 2,375 მილიარდი დოლარი, 2013 წელს - 2,908 მილიარდი დოლარი, 2014 წელს - 2,861 მილიარდი დოლარი.

ლარის დევალვაციის კიდევ ერთი მიზეზი სავიზო რეჟიმის გამკაცრების მოტივით ტურისტების რაოდენობის შემცირებაა. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით კი, 2013 წელს წინა წელთან შედარებით ვიზიტორების რაოდენობა 22%-ით გაიზარდა და 5 მილიონს გადააჭარბა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2014 წლის დეკემბერში ქვეყანაში 433 ათასზე მეტი ვიზიტი განხორციელდა, ანუ 10,5%-ით მეტი 2013 წლის დეკემბერთან შედარებით. მთელი წლის განმავლობაში კი 5,5 მილიონამდე ვიზიტორი დაფიქსირდა, რაც 1,9%-ით აღემატება 2013 წელს შემოსულთა მაჩვენებელს. შემდეგი მიზეზია ფულადი გზავნილები. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, ფულადი გზავნილები 37 მილიონ დოლარამდე შემცირდა. თუმცა ზრდა შეინიშნება წინა წლებთან შედარებით. 2009 წელს ქვეყანაში 841,8 მილიონი დოლარი ჩაირიცხა, 2010 წელს - 1,052 მილიარდი დოლარი, 2011 წელს - 1,268 მილიარდი დოლარი, 2012 წელს - 1,334 მილიარდი დოლარი, 2013 წელს - 1,477 მილიარდი დოლარი, 2014 წელს კი - 1,440 მილიარდი დოლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ 2014 წელს ექსპორტი, ინვესტიციები, ტურისტები, ფულადი გზავნილები გაზრდილი იყო, მაგრამ იმ პერიოდში ლარის გაუფასურება მაინც

დაიწყო. როგორც ზემოთ გამოჩნდა, 2014 წელს რომელიმე ინდიკატორის მკვეთრი ვარდნა არ მომხდარა, რომ ეროვნული ვალუტის კატასტროფული დევალვაცია გამოეწვია. უფრო მეტიც, იმის ნაცვლად, რომ ეროვნულ ბანკს ლარის სტაბილიზაციაზე ეზრუნა, კომერციული ბანკების ლიკვიდურობის მოტივით რეგინანსირების სესხები გაზარდა და გაუფასურების სტიმულირებას შეუწყო ხელი. ეროვნულმა ბანკმა თებერვლის დასაწყისში 40 მილიონი დოლარი „გაისროლა“ და თან რეინვესტირების განაკვეთი 0,5%-ით გაზარდა. 40-მილიონიანი ინტერვენცია „აშკარად“ ვიღაცის მოთხოვნით იქნა დაკმაყოფილებული. გავიდა 5 დღე და კურსი ისევ ქვევით წავიდა.

ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის დაგვიანებულმა რეაქციამ ქვეყანა სავალუტო კოლაფსამდე მიიყვანა. ნოემბერში, როდესაც ლარმა დაცემა დაიწყო, მაშინ ვთქვით, რომ ეს სავალუტო სპეკულაციაა, დღესაც იმავე პოზიციაზე ვარ. მიმაჩნია, რომ ეკონომიკურ პროცესებს არავითარი კავშირი არა აქვს ლარის ვარდნასთან. ეს არის ცალკეული ბანკების სურვილი, რომ სავალუტო კურსის ცვლილებით ხელი კარგად მოითბონ. ქართულ ეკონომიკაში ისეთი არაფერი ხდება, რომ ლარის ასეთი მასშტაბური დევალვაცია მომხდარიყო. ეროვნული ვალუტის გაუფასურებას ხელი შეუწყო მიმოქცევაში ლარის დიდი ოდენობით გამოშვებამაც. ეროვნული ბანკის წინაშე 3 ძირითადი ამოცანა დგას. პირველი, უზრუნველყოფით ფინანსური სტაბილურობა, მეორე - ფასების სტაბილურობა, ანუ ის, რომ ლარის დევალვაცია არ გადაიზარდოს ფასების საყოველთაო ზრდაში. მიუხედავად იმისა, რომ რიგ საიმპორტო პროდუქტებზე ფასები გაიზარდა. მესამე - შევუმსუბუქოთ ტვირთი იმ ადამიანებს, ვინც ამ პროცესებისგან ყველაზე მეტად ზარალობს. რეალობა კი ასეთია, სებ-მა ვერც ეროვნული ვალუტა დაიცვა და ვერც ადამიანებს შეუმსუბუქა ლარის გაუფასურებით დამძიმებული ცხოვრება. ეკონომიკის რა გითხრათ და მოსახლეობა „შოკში“ წამდვილად არის.

სებ-მა ეკონომიკის ზრდაზე „ზრუნვით“ დროული ინტერვენციები არ განახორციელა და ლარის გაუფასურებას შეუწყო ხელი.

მომავალი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიდანაც ჩანს, რომ ის ძირითადად მიმართულია სახელმწიფო ხარჯების, საგარეო ვალისა და სოციალური დახმარებების დასაფარავად. ბუნებრივია იბადება კითხვა ასეთი სოციალური ბიუჯეტის შენარჩუნება როგორ გავლენას მოახდენს ეკონომიკურ ზრდაზე?

სოციალური ბიუჯეტი, რომელიც ჩვენ გვაქვს, არ არის სახარბიელო მოვლენა განვითარებადი ქვეყნისთვის. სოციალური ბიუჯეტის ფუფუნება შეიძლება ჰქონდეს მრეწველურად განვითარებულ ქვეყანას, სადაც საბიუჯეტო შემოსულობების დონე საკმარისია ფართო მასშტაბიანი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად.

ქვეყანაში, სადაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2 მლნ ადამიანია, ხოლო მათგან დასაქმებულია მხოლოდ 17%, რთულია სოციალური დახმარების მიმღები 857 ათასი ადამიანის რჩენა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ სტატისტიკური მონაცემების დათვლის მეთოდოლოგიისა და ხერხების ხარვეზებს, პრაქტიკულად ერთ დასაქმებულზე მოდის ერთი სოციალური დახმარების მიმღები.

ამიტომაც ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა არა სოციალური დახმარებების თანხების ზრდა, არამედ საბიუჯეტო სახსრების წარმართვა პირდაპირ ეკონომიკის რეალურ სექტორში, სახელმწიფო ინვესტიციების სახით, რაც გაზრდიდა როგორც დასაქმებულების რაოდენობას, ასევე საბიუჯეტო შემოსულობებსაც და სოციალური დახმარების ფინანსურ შესაძლებლობებსაც.

2016 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია ოპტიმისტური პროგნოზით, რომლის თანახმადაც, ინფლაციის მაჩვენებელი მიუახლოვდება მიზნობრივს, თუ ეს გადაჭარბებულად ოპტიმისტური პროგნოზები რეალური იქნება, შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტი არა თუ შესრულდება, არამედ პროფიციტულიც შეიძლება გახდეს.

ჩემი აზრით, ასეთი ოპტიმიზმის გაზიარება რთულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოყოლებული 2009 წლიდან, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად, ინფლაციის მაჩვენებელი არც ერთხელ არ დაფიქსირდა მიზნობრივი მაჩვენებლის დონეზე. ეროვნული ბანკი სრულად ვერ უზრუნველყოფს თავისი მთავარი ამოცანის \_ ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას და მას ინფლაცია ხან 25% პროცენტამდე გაურბის, ხან კი ქვეყანას დეფლაციის მორევში ჩაითრევს.

ასეთ მძიმე მაკროეკონომიკურ ფონზე კომერციული ბანკებიდან ნასესხები საბიუჯეტო სახსრების ისევ კომერციულ ბანკებში დეპოზიტების სახით განთავსება ძალიან ბევრ კითხვას წარმოშობს, რომლებზეც ჯერჯერობით ბოლომდე არგუმენტირებული და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გაცემული არაა.

ჯერჯერობით საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკაში არსებითი ცვლილებები არ შეინიშნება. მხედველობაში მაქვს სახელმწიფო სტრუქტურების შენახვის ხარჯების არა თუ შემცირება, ქამრების მოჭერა, არამედ პირიქით, მათი მნიშვნელოვანი ზრდა.

თუ დღეისთვის სახელმწიფო მართვის ორგანოების შენახვაზე საბიუჯეტო ხარჯების დაახლოებით 30% წარიმართება, სავსებით შესაძლებელია ამ თანხის შემცირება რამდენიმე პროცენტული პუნქტით და გამოთავისუფლებული ფულის ეკონომიკის რეალურ სექტორში წარმართვა.

საბანკო სექტორმა 2015 წელს უმნიშვნელოდ შეამცირა საპროცენტო განაკვეთები, თუმცა ამას არ მოჰყოლია ბიზნესის გააქტიურება. ეს განპირობებულია იმით, რომ კრედიტდება ძირითადად სავაჭრო-კომერციული სტრუქტურები. საბანკო სექტორი ნაკლებად აკრედიტებს რეალურ სექტორს, ვინაიდან თავს არიდებს გრძელვადიან და მაღალრისკიან დაკრედიტებას. მომავალ წელს ნაკლებადაა მოსალოდნელი ბანკების მხრიდან კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება იქიდან გამომდინარე, რომ რისკები კვლავ მაღალი იქნება. ბანკების მიდრეკილება, მიიღონ სწრაფი და მაღალი შემოსავალი, ძალაში დარჩება.

ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და ეკონომიკური აღმავლობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, როგორი იქნება ინფლაციის მაჩვენებელი. თუ დეფლაცია ვერ დაიძლია, ვერც მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდა გვექნება და ვერც სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდება სრულად. დეფლაციის დამღვევის ამოცანა მთლიანად აკისრია საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომელსაც ამ მიმართულებით ჯერჯერობით თავისი ინსტრუმენტები სრულყოფილად არ აუმოქმედებია.

ამ ბოლო პერიოდში შეინიშნება ლარის გაცვლითი კურსის რყევები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სავალუტო კურსის რყევის შედეგად ფასების დონის მატება არ არის ის ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლებას შეუწყობს ხელს. აუცილებელია მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირება, რისი განხორციელებაც პირდაპირ საპირისპიროა ეროვნული ბანკის მიერ ეკონომიკიდან ლარის ამოღების პოლიტიკისა.

დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ 5%-იანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ჩაიდო სახელმწიფო ბიუჯეტში, გარკვეულ ეჭვს იწვევს. აქ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ის გარემოება, როგორი იქნება პოლიტიკური ვითარება. არსებული დაპირისპირების გაღრმავება და მუდმივი „გაწევ-გამოწევა“ დაამუხრუჭებს ეკონომიკას.

მეორე, 2015 წელს დიდი მოცულობის საგარეო ვალა გადასახდელი, რისთვისაც ასევე დიდი მოცულობის სესხის აღება გათვალისწინებული. თუმცა, ისევე როგორც მიმდინარე წელს, სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი ვალდებულებების შესრულებას უთუოდ გაართმევს თავს.

რაც შეეხება დასაქმებას, ამ მხრივ დიდ პოზიტიურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. შედარებით გაუმჯობესდება დასაქმების დონე სოფლის მეურნეობასა და ტურიზმის სფეროებში, აგრეთვე, ინფრასტრუქტურულ მშენებლობებში.

მდგომარეობა მწვავეა, მაგრამ, ვფიქრობთ, არა საგანგაშო. აღნიშნული და სხვა ღონისძიებების შედეგად შესაძლებელია უახლოეს ხანში ლარის კურსის ახალ წონასწორობის ნიშნულზე სტაბილიზაცია და ფინანსური მდგრადობის მიღწევა.

ამიტომ, ვფიქრობ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის სტაბილურობაში უცხოელები დავაჯეროთ. ნორმალური ინვესტორები დავარწმუნოთ, რომ არც ეკონომიკური პოლიტიკის რყევებია მოსალოდნელი. მაშინ დავინახავთ, რომ ინვესტიციები წამოვა.

უმთავრესია, რომ მთავრობის მიერ შემუშავებულ სტრატეგიით მივიღოთ ცხადად ჩამოყალიბებული ეკონომიკური ხედვა, მკაფიო ამოცანები, რომელთა შესრულება არა მხოლოდ სასურველია, არამედ შესაძლებელიც.

#### ლიტერატურა:

1. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
2. <http://geostat.ge>
3. [www.mof.ge](http://www.mof.ge)
4. [www.found.ge](http://www.found.ge)

## RECOVERY MEANS AND PROSPECTS OF FINANCE SECTOR OF GEORGIA

**Davit Bidzinashvili**, Gori State Teaching University, Professor

**Rion Tateshvili**, Samtskhe-Javakheti State University, Associate Professor

### RESUME

2015 a significant impact on the economic situation of the previous year by the unfavorable economic processes. 2015 first three quarters of macroeconomic indicators in the analysis of the surface it seems to be taken before a high rate gradually decreased. This applies to both gross domestic product, as well as foreign direct investment, exports,

imports, employment, etc. It was not surprising, since such a small country like Georgia, economic behavior is negatively influenced by the political process. Business and society something of uncertainty and standby shifts. That business standby transition, the political confrontation and increase of foreign investors' caution impacted negatively on the formation of economic growth.

These factors, in addition to the economic situation was negatively affected by the ongoing processes in the monetary field. More precisely, it is still the second half of 2014 established a process of deflation, which over time deepening and hindered economic development.

## გლობალიზაციის ვარიანტები და მისი კრიტიკოსები

**იზოლდა გაბადაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: izogabadadze@rambler.ru

**ვახტანგ გოგისვანიძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ასოცირებული პროფესორი

E-mail: vgozisvanidze@mail.ru

**ინეზა წერეთელი**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: inezatsereteli@posta.ge

**ანა მუშკუდიანი**, ფინანსთა სამინისტრო, სახაზინო სამსახური, დოქტორი

E-mail: a.mushkudiani@mof.ge

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანებს შორის არსებული ეკონომიკური კავშირები, გახდა საფუძველი ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირებისა, რომლებმაც თანამედროვე პირობებში უაღრესად გლობალური ხასიათი შეიძინა. დღეს აღარ დაობენ გლობალიზაციის წინაპირობებისა და მისი ობიექტურობის შესახებ, არამედ კამათს იწვევს გლობალიზაციაში ჩართული თითოეული მონაწილესათვის გლობალიზაციის ვარიანტები და შედეგები ანუ სარგებლის მიღების პირობები. ამჟამად გლობალიზაციის შემდეგი ვარიანტები განიხილება: პირველი არის რეალური გლობალიზაცია, რომელიც განხორციელდა რეალურად დასავლეთის ქვეყნებში ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ტექნოლოგიური და ინფორმაციული კოდით. ასეთი გლობალიზაცია გამომდინარეობს „მდიდარი ჩრდილოეთი“ (ნატოს ქვეყნები) „ოქროს მილიარდი“ და მიმართულია მსოფლიო ბატონობის გაძლიერებისაკენ. ეს არის „ახალი კაპიტალიზმის“ ფორმა, სადაც „მდიდრები“ მართავენ „ღარიბებს“, „განვითარებული“ „განუვითარებელს“. ადამიანები და ქვეყნები ამით კარგავენ „სუვერენიტეტის“ ნაწილს, შედიან გლობალიზაციის სისტემაში, ან ხდებიან „გარიყული“ ქვეყნები „ბოროტების ღერძიდან“. ეკონომიკურად ასეთი გლობალიზაცია აყალიბებს ეკონომიკის საყოველთაო ლიბერალურ მოდელს, რადიკალურ მონეტარიზმს, „ფინანსიზმს“ (საფონდო ბაზრების განვითარება, ვენჩერული ფირმები და ა.შ.). პოლიტიკურად იგი განამტკიცებს საყოველთაო ლიბერალ-დემოკრატიულ ღირებულებებს, „ადამიანის უფლებების“, „ღია საზოგადოების“, „სამოქალაქო საზოგადოების“ სახით. სახელმწიფოებრიობიდან თანდათანობით დევნის ადმინისტრაციულ სისტემას. სტრატეგიულად კი პლანეტის მთელ სივრცეში გულისხმობს აშშ-ის შეიარაღებული ძალების და მისი სატელიტების პირდაპირ კონტროლს. ასეთ გლობალიზაციას შეიძლება ვუწოდოთ „გლობალური გლობალიზაცია“ და „ერთპოლუსიანი გლობალიზაცია“. ამ დროს ვარაუდობენ ისეთი სტრუქტურების გაქრობას, როგორცაა: ნატო; გაერო და ა.შ. სავარაუდოდ კი ისეთი სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რომლებიც შემდგომ „გლობალური ელიტის“ სრულ კონცენტრაციას მოახდენს „მსოფლიო მთავრობის“ ხელში. მსოფლიო წესრიგის ასეთ სტრატეგიით აშშ ფიქრობს „მსოფლიოს გაერთიანებული შტატების“ შექმნას.

მეორე ვარიანტი არის განვითარებული ქვეყნების ჰუმანიტარულ (ყველაზე „მარცხენა“, ეკოლოგიურ, სამეცნიერო და ა.შ.) წრეებში გავრცელებული თეორიული პროექტი. ჰუმანიტარული გლობალიზაცია წარმოდგება, როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა შორის დიალოგის განვითარება ბიპოლარული მსოფლიოს დაპირისპირების შემდეგ. ამ შემთხვევაში „გლობალიზაციის“ ქვეშ მოიაზრება არა დასავლეთის ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ინფორმაციულ ღირებულებათა მოდელებზე სხვა დანარჩენის დამოკიდებულება, არამედ სხვადასხვა სუბიექტების „გლობალური გამოცდილების გაზიარების“ ინტენსიური დიალოგი. ამგვარი გლობალიზაცია ვარაუდობს „კოლონიურ - რასისტული“

მიდგომის აღმოფხვრას და ცდილობს სხვადასხვა ხალხების ისტორიული და კულტურული განვითარების თავისუფალ არჩევანს. ჰუმანიტარული გლობალიზაცია მოიაზრებს მრავალფეროვან სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას. მას აქვს პაციფისტური ხასიათი, გულისხმობს ყველა ქვეყნების, მათ შორის აშშ-ის ბირთვულ განიარაღებას, ან (როგორც შუალედური ფაზა) ერთმანეთისაგან შეზღუდული, რამდენიმე ბირთვული პოლუსის შექმნას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ერთპოლუსიანისგან განსხვავებით მრავალპოლარული. გლობალიზაციის ეს ნაირსახეობა შეიძლება ჩაითვალოს „ნაწილობრივი“, „ლოკალური გლობალიზაცია“ ან „გლობალიზაცია“, რომელიც გულისხმობს ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, და სოციალურ დაახლოებას ერთ ცივილიზაციურ კოდში. (გლობალიზაცია არა მთელი პლანეტის ჩარჩოში, არამედ ერთიანი ცივილიზაციის ჩარჩოში). მაგალითად, თანამედროვე ევროკავშირის ან ევრაზიის ეკონომიკურ თანამეგობრობას შეიძლება ეწოდოს „რეგიონული გლობალიზაცია“.

პოტენციური გლობალიზაცია წარმოადგენს რეალური გლობალიზაციის ალტერნატივას.

გლობალიზაციას აკრიტიკებენ არა მარტო ანტიგლობალისტები და ზოგიერთი პოლიტიკოსები, არამედ მთელი რიგი მეცნიერ ეკონომისტები. ცნობილი ეკონომისტის ჯოზეფ სტიგლიცის რამდენიმე წიგნი შეიცავს გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების მკვეთრ კრიტიკას. იგი უამრავი ფაქტით და მაგალითით ასაბუთებს, რომ გლობალიზაცია ანადგურებს მრეწველობას, ზრდის უმუშევრობას, სიღარიბეს, ზღუდავს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და ამწვავებს პლანეტის ეკოლოგიურ კატასტროფას. იგი აკრიტიკებს გლობალური ინსტიტუტების პოლიტიკას. მისი აზრით, თავისუფალი ვაჭრობა, ნედლეულის თავისუფალი ხელმისაწვდომობა, საერთაშორისო საპატენტო კანონი, დოლარისა და ევროს მსოფლიო ვალუტად გამოყენება, საერთაშორისო ინსტიტუტების შიდა პოლიტიკაში ჩარევა და ა. შ. ზოგიერთი განვითარებული ქვეყნების ინტერესებიდან დააზიანებს პლანეტის ქვეყნების უმრავლესობას [1]. ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გლობალიზაცია, რომელსაც ახასიათებს კაპიტალისა და სავაჭრო ნაკადების ლიბერალიზაცია, გააძლიერებს საერთაშორისო კონკურენციას. კონკურენციულ ბრძოლაში, ბიზნესის წარმომადგენლები სახელმწიფოსაგან მოითხოვენ შრომის კანონმდებლობის გამარტივებას, აცხადებენ, რომ ძალიან ხისტი შრომითი კანონები არ პასუხობს გლობალიზაციის მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა მოქნილი შრომის ბაზარი. მას მივყავართ „ფსკერისკენ“, ანუ განვითარებულ ქვეყნებში მშრომელების უფლებები ხდება ნაკლებად დაცული.

განვითარებულ ქვეყნებში იკვეთება ადრე გარანტირებული შრომითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის არაუზრუნველყოფილი და დაუცველი ტენდენცია, რომელიც მოიცავს დასაქმების ისეთ ტიპებს, როგორცაა: სანარდო სისტემა, შრომითი ხელშეკრულები განსაზღვრული ვადით, არასრული სამუშაო დროით, დაბალი და თუნდაც არასაკმარისი სოციალური გარანტიებით, თითქოს და თვითდასაქმებით, სამუშაო გამოძახებით და ა.შ. [2].

ზოგიერთი ავტორი ვარაუდობს, რომ გლობალიზაცია ხელს უწყობს შობადობის დაცემას [3]. სხვები ამტკიცებენ, რომ აშშ გლობალიზაციას იყენებს, როგორც ინსტრუმენტს, თავისი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასუსტებისა და განადგურებისთვის [4]. ზოგიც აღნიშნავს, რომ გლობალიზაცია ხელს უწყობს, სპეკულაციური ეკონომიკის ზრდას, წარმოებისა და მომსახურების მონოპოლიზაციას, სიმდიდრის გადანაწილებას ადამიანთა მცირე ჯგუფის სასარგებლოდ და ა. შ.

გლობალიზაციის კრიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ დიდ სახელმწიფოებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ უარყოფითი გავლენა, გონივრული პროტექციონისტული პოლიტიკით, ყველა სფეროში: საგარეო ვაჭრობის სფეროში, კაპიტალის მოძრაობაში, იმიგრაციასა და გლობალური მონეტარული სისტემის რეფორმის მეშვეობით. ალტერნატიულ გლობალურ ეკონომიკაში, მათი აზრით, შეიძლება წარმოიშვეს 10-20 ეროვნული ან რეგიონული ეკონომიკა („თავისუფალი სავაჭრო ზონები“), რომლებიც დაცული უნდა იყოს გლობალური ეკონომიკის უარყოფითი გავლენისაგან პროტექციონიზმის ან „ნადლეულის“ სტანდარტის მეშვეობით, როგორც სავალუტო კურსის დადგენის საფუძველი.

მკვლევართა ნაწილი გლობალიზაციის ნეოლიბერალური ვარიანტის მომხრეა, რომელიც ორიენტირებულია მოგების მაქსიმიზაციასა და განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავების გაფართოებაზე და სთავაზობს მსოფლიოს სოციალურ ფორუმს გლობალიზაციის სხვა კონცეფციას: საერთაშორისო კაპიტალის საზღვრების შეზღუდვას და მეტი სოციალური სამართლიანობის მიღწევას მსოფლიოში [5].

ამრიგად, გლობალიზაცია არის შრომის საერთაშორისო საზოგადოებრივი დანაწილების, ტექნოლოგიური და ინდუსტრიული რევოლუციის საფუძველზე წარმოშობილი ობიექტური პროცესი და, აქედან გამომდინარე, იგი რეკომენდებულია განვითარებული ქვეყნების მიერ. მაგრამ, როგორც ყველა ეკონომიკურ მოვლენას, ასევე გლობალიზაციასაც, აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგები. ამიტომ საქართველომ უნდა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება პირველ რიგში იმ გლობალიზაციისადმი,

რომელიც რეალურად არსებობს, აწონ-დაწონოს პოზიტივები და ნეგატივები და ჩაერთოს აღნიშნულ პროცესებში.

**ლიტერატურა:**

1. Stiglitz J. Globalization and its Discontents. London, 2002; Stiglitz J. Making Globalization Work. London, 2006.
2. Global Action Against Precarious Work International Metalworkers' Federation (IMF) 2007 (ანგლ.)
3. Кузовков Ю. Глобализация и спираль истории. Москва: Аним-Пресс, 2010, часть 2.
4. Платонов О., Райзеггер Г. Почему погибнет Америка: взгляд с Востока и Запада. Москва: Родник, 2008, часть 3.
5. Brimont J. Humanitarian Imperialism. Using Human Rights to Sell the War, NY, 2006.

**OPTIONS OF GLOBALIZATION AND ITS CRITICS**

**Izolda Gabadadze**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

**Vakhtang Gogisvanidze**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

**Ineza Tsereteli**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

**Ana Mushkudiani**, Ministry of Finance, Treasury Service, PhD

**RESUME**

In article is considered options of globalization. Globalization usually is understood as two different things, from where there is a confusion of concepts. The first, the valid globalization – is the imposing process which is carrying out in reality to all countries and the states of the world of the western economic, political, cultural, technological and information code. The second, potential globalization – is purely theoretical project widespread in humanitarian numbers of the developed countries. Potential globalization is alternative of the valid globalization. Humanitarian globalization is thought as development of dialogue of cultures and civilizations after the end of opposition of the bipolar world.

Globalization is Criticized not only antiglobalists and some politicians, but also scientific economists. The anti-globalism is directed, first of all, against “the valid globalism”. The anti-globalism is a frame of reference, denying objectivity, inevitability and the positive content of processes of a globalism. They prove with the facts and examples, that globalization destroys the industry, increases unemployment and poverty, causes damage ecology and criticize policy of global institutes, and ect.

**სამეწარმეო განათლების სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები**

**გიული გიგუაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-meil: giuligil@rambler.ru

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარ ფაქტორად ცოდნას განიხილავს. განათლება წარმოადგენს ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების უმნიშვნელოვანეს ფორმას, რაზეც პირდაპირაა დამოკიდებული ქვეყნის ეროვნული მეწარმეობა და ეკონომიკური კეთილდღეობა. დღეს სამეცნიერო საზოგადოებაც და პოლიტიკოსებიც ერთხმად აღიარებენ, რომ ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უმთავრეს საფუძველს ცოდნა, ინოვაცია, ინფორმაციული, კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს. თანამედროვე ეკონომიკა დგას საგანმანათლებლო ბაზაზე, სამეცნიერო კვლევების, განვითარების და გამოგონების სისტემაზე, რომელსაც თავის მხრივ უზრუნველყოფს შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეჟიმი, ქვეყნის სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება კონკურენტუნარიანად აღიარებს მხოლოდ იმ ქვეყანასა და კომპანიას, რომელსაც ინფორმაციის ცოდნად გადაქცევა შეუძლია, სადაც ზოგადად განათლების და მათ შორის სამეწარმეო განათლების სტიმულირება ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. სამეწარმეო განათლების მთავარი მიზანი მცოდნე, კრეატიული, ეკონომიკურად მოაზროვნე, სწორი გადაწყვეტილებების მიმღები

საზოგადოების ჩამოყალიბებაა, რომლის წიაღიდან ქვეყნის სამეცნიერო და სამეწარმეო პოტენციალის ფორმირება უნდა მოხდეს. საშუალო, პროფესიული, თუ უმაღლესი განათლების სისტემამ, თითოეულმა საგანმანათლებლო საფეხურმა საჭიროა უზრუნველყოს სამეწარმეო საქმიანობისათვის, ბიზნესის განვითარებისათვის კვალიფიციური შრომითი რესურსების მომზადება. [1]

გასული საუკუნის 60-იან წლებში ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი ტერმინი - „ინფორმაციული საზოგადოება“. ინფორმაციული სერვისები წარმოადგენდა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უმთავრეს ფაქტორს. მოგვიანებით, ინტერნეტის განვითარებამ ხელი შეუწყო ინფორმაციის შეუზღუდავ გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით. ინტერნეტის ერთი და გლობალიზაციის მზარდმა პროცესმა არა მხოლოდ შეცვალა განათლების სისტემების განვითარების ტემპი, არამედ მათი სწრაფი ტრანსფორმირებაც გამოიწვია. ქვეყანათა გარკვეულმა ნაწილმა მოახერხა განათლების კონცეფციის საერთაშორისო სტანდარტების მონაწილე გამხდარიყო. განათლების სტანდარტებთან მისადაგება საქართველომაც სცადა, თუმცა, ექსპერტთა აზრით, განათლების სისტემის სრულფასოვანი რეფორმისათვის ჯერ კიდევ ბევრის შეცვლაა საჭირო. რამდენად შეესაბამება ქართული განათლების სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს, ერგება თუ არა ახალი თაობის საჭიროებებსა და ინტერესებს, რამდენად პრაქტიკულ სამეწარმეო ცოდნა-უნარებს გვაძლევს საგანმანათლებლო სისტემა და მზად არიან თუ არა ქართველი ახალგაზრდები გლობალური კონკურენციისთვის, რამდენად აქტიურია მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა - ეს კითხვები ჯერ კიდევ მწვავედ დგას ქართული საზოგადოების წინაშე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ევროკავშირში სამეწარმეო აზროვნების განვითარების მხარდაჭერა ხორციელდება ორი ძირითადი მიდგომის საფუძველზე: პირველი გულისხმობს სამეწარმეო აზროვნების განწყობისა და ამ მიმართულებებით იდეების მიწოდების სტიმულირებას, რაც საბოლოოდ სამეწარმეო აზროვნების ამაღლებაში გამოიხატება და, მეორე, ახალი ცოდნის მიღებისა და ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერას. სამეწარმეო აზროვნების მქონე ინდივიდთა მხარდაჭერა კი შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის გატარებით, რომელიც მიმართული იქნება სამეწარმეო კულტურისა და უნარ-ჩვევების განვითარებისკენ.

სამეწარმეო განათლების ევროპული მიდგომის საქართველოში დანერგვა მოითხოვს ურთიერთთანამშრომლობის სისტემატიზაციას და სამეცნიერო სფეროს განვითარებისთვის ხელშეწყობას; სამეწარმეო განათლების სფეროში ევროპული გამოცდილების გაზიარებას; მეწარმეობის კურსისთვის სასწავლო მასალების და სწავლების ახალი მეთოდების დანერგვას; პირობების შექმნას მდგრადი ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველსაყოფად; სამომავლო თანამშრომლობის სამოქმედო გეგმისათვის საფუძვლების მომზადებას; აკადემიური კავშირებისა და ტრანსეროვნული ურთიერთობების გაძლიერებას და ა.შ.

სამეწარმეო აზროვნების მიწოდების პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებად განიხილება ღონისძიებები, მიმართული:

1. სამეწარმეო განათლების ღონის ამაღლებისაკენ;
2. მეწარმეობის პოპულარიზაციისაკენ;
3. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისაკენ.

ჯერ კიდევ 2013 წელს საქართველოში „საქსტატის“ მიერ UNICEF-თან გაფორმებული საგრანტო შეთანხმების შესაბამისად და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) თანამშრომლობით ჩატარდა „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა“, რომლის შედეგები 2015 წლის მაისში გამოქვეყნდა. [2]

კვლევა რაოდენობრივია და მოიცავს 2500 შინამეურნეობას საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა. თითოეულ შინამეურნეობაში გამოკითხული იყო 15-29 ასაკის ერთი წევრი პერსონალური კითხვარის გამოყენებით. ანგარიში შემუშავდა ველზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზისა და ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის უმრავლესობას (41,5%), მათ შორის 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობას (40,0%) მიღებული აქვს მხოლოდ ზოგადი საშუალო განათლება. უმაღლესი განათლება მიღებული აქვს მთლიანად ახალგაზრდების 1/5-ზე მეტს (21,6%), ხოლო პროფესიული განათლება – ახალგაზრდების 1/10-ზე ოდნავ მეტს (11,0%). განათლების მიღწეული დონე შედარებით მაღალია ქალაქში და ქალთა სქესის წარმომადგენლებში. კვლევიდან ირკვევა, რომ 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდების 66,9% ფლობს ინფორმაციას სკოლაში ჩარიცხვის მექანიზმისა და მისი სერვისების შესახებ, ხოლო 56,8% – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მექანიზმისა და მისი სერვისების შესახებ.

საქართველოში ბევრ ახალგაზრდას სურს ისწავლოს საზღვარგარეთ მოქმედ უნივერსიტეტებში. უცხო ქვეყნებში განათლების მიღების შემდეგ სტუდენტები მნიშვნელოვან ცოდნას და უნარ-ჩვევებს



იმენ, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. ამასთან, უცხო ქვეყნებში მიღებული განათლება მათ საზღვარგარეთ დასაქმების შანსსაც აძლევს. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ ინფორმაციას ფლობს 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 33,8%. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება სცადა 15-29 წლის ახალგაზრდების 25,8%-მა. მათგან პროექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ინტერნეტის საშუალებით შეეცადა 57,7%, ნაცნობ-მეგობრებში – 21,7%, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან – 12,7%-მა, ხოლო პრესის საშუალებით – 7,3%.

საგანმანათლებლო სფეროში ჩართულ ყველა ადამიანს აინტერესებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, განათლების სამომავლო პრიორიტეტები და განვითარების სავარაუდო მიმართულებები, ტენდენციები, რომლებიც ფეხს იკიდებს მოწინავე ქვეყნებში და არც საქართველოს აუცილებს გვერდს. 2014 წელს პრემიერ მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაარსდა განათლების საერთაშორისო ცენტრი. ცენტრის მისიაა, წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და დემოკრატიულ განვითარებაში, საქართველოში განათლების ხარისხის ამაღლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების გზით. ცენტრის მიზანია სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი იძლევა შესაძლებლობას საქართველოს მოქალაქეებმა მიიღონ საუკეთესო საერთაშორისო განათლება და სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ მოახდინონ მიღებული ცოდნის რეალიზება ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ განათლების საერთაშორისო ცენტრმა 2014-15 სასწავლო წელს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის მსურველი 77 წარმატებული ახალგაზრდა დააფინანსა, 2015-16 სასწავლო წლისთვის კი 115 ახალგაზრდაზე გასცა გრანტი. სულ მალე მათი ნაწილი საქართველოში შესაბამის სფეროში მოღვაწეობას გააგრძელებენ. განათლების საერთაშორისო ცენტრი კურსდამთავრებულებს სოციალური, აკადემიური და პროფესიონალური ქსელის შექმნაშიც დაეხმარება, რაც, ერთი მხრივ, მათი ინდივიდუალური პროფესიონალური კონტაქტების გაფართოებას მოემსახურება, მეორე მხრივ კი ურთიერთთანამშრომლობასა და ერთობლივ პროექტებში მუშაობას შეუწყობს ხელს. [3]

როგორც ზემოაღნიშნული ინფორმაციიდანაც იკვეთება, საქართველოში არსებობს ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების, განათლების ხარისხის ამაღლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მიმართულებით. მაგრამ დამეთანხმებით, რომ ვიდრე ქვეყნის გარეთ სწავლის გაგრძელებამდე მივალთ, საჭიროა ჯერ კვალიფიციური საბაზისო განათლების მიღება ქვეყნის შიგნით. ექვს არ იწვევს, რომ განათლებას უკვე სკოლის ეტაპიდან შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბებაში. სამეწარმეო უნარჩვევების განვითარება დადებითად აისახება საზოგადოებაზე, რაც ახალი წარმატებული ბიზნესორგანიზაციების შექმნას განაპირობებს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მიზანია სამეწარმეო განათლების კვლევა, გავეცანით პროექტ „სამეწარმეო განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლების“ ფარგლებში საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ 2013 წელს საქართველოში აშშ-ს საელჩოს დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის შედეგებს. [4]

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საჯარო სკოლებში მოსწავლეების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ცოდნისა და დამოკიდებულებების შესწავლა / ძირითადი საკვლევი საკითხები: სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილის შესწავლა / მოსწავლეების აზრის შეფასება მეწარმის და სამეწარმეო საქმიანობასთან მიმართებაში/სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად ძირითადი დაბრკოლებების შესწავლა და ძირითადი მხარდამჭერების გამოვლენა / არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება სამეწარმეო საქმიანობის დაწყების ხელშეწყობის მიმართულებით/ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მიზეზების გამოვლენა და სასურველი სფეროების დადგენა.

კვლევითი ჯგუფის მიერ ქ. თბილისში აღებული იქნა 500 ინტერვიუ, შერჩეული იქნა 25 საჯარო სკოლა, სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდა 9-ე, 10-ე, 11-ე და 12-ე კლასები.

კვლევის შედეგები ასეთია:

- მოსწავლეების უმეტესობას (58%) გააჩნია საკუთარი საქმიანობის დაწყების ზოგადი სურვილი, ძირითადად, საკუთარი იდეების განსახორციელებლად;
- სამეწარმეო საქმიანობისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად სახელდება მეწარმეობის არასაკმარისი ცოდნა, გამოცდილება და უნარები (47,2%);
- რესპონდენტების აზრით სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად მათ პირველ რიგში სწავლება/ტრენინგი სჭირდებათ. მხოლოდ 49%-მდე თვლის რომ არსებული განათლება აძლევს მათ

ცოდნას საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად, უქმნის დაინტერესებას ამ მიმართულებით და ეხმარება ბიზნესის როლის გაგებაში;

➤ მოსწავლეების აზრით სკოლამ/განათლების სამინისტრომ უნდა ჩაატაროს სპეციალური მოსწავლეზე მორგებული კურსები და პრაქტიკულად დაანახონ, თუ როგორ მუშაობს ბიზნესი.

ასევე:

➤ ასაკის, კლასების ზრდასთან ერთად პირდაპირპროპორციულად მატულობს საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილი; იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არ სურთ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყება (მხოლოდ 13,8%) ძირითადად მიზეზად (50,8%) ასახელებს უბრალოდ სურვილის არ ქონას და მცირე ნაწილი (18,5%) რისკებთან დაკავშირებულ შიშს;

➤ სამეწარმეო საქმიანობისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად სახელდება არასაკმარისი ფინანსები საქმის დასაწყებად/განსავითარებლად (66,4%) და მეწარმეობის არასაკმარისი ცოდნა, გამოცდილება და უნარები (47,2%). შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი ინსტრუქტირება, თუ როგორ მიოპოვონ დაფინანსება და საბაზისო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა;

➤ გამოკითხული რესპონდენტების თითქმის 80% ფიქრობს, რომ საქართველოში ბიზნესის დასაწყებად მეტნაკლებად ხელსაყრელი გარემოა. გამოკითხულთა 45,2% პასუხობს, რომ აქვთ ბიზნესიდეა, და მათგან 78,3% სურს მომავალში ბიზნესის დაწყება.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, ნათელია, რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საშუალო სკოლებში მოხდეს ეკონომიკური და სამეწარმეო საკითხების სწავლება, რათა მოსწავლეებს (მიუხედავად იმისა აპირებენ თუ არა საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას) ჰქონდეთ წარმოდგენა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ; სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ცოდნა და უნარ-ჩვევები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მომავალში დაიწყონ საკუთარი კერძო ბიზნესი, ან მიღებული ცოდნა გამოიყენონ სხვადასხვა პროფესიებში.

სამეწარმეო აზროვნების განვითარების საკითხის აქტუალურობაზე მეტყველებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 23 აპრილის ინიციატივა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეწარმეობის სასწავლო კურსის სავალდებულო საგნად სწავლების შესახებ. ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მომწიფდა აზრი ქვეყნის განვითარებისათვის სამეწარმეო განათლებისა და აზროვნების ხელშეწყობის პრიორიტეტულობის შესახებ, რაც საზოგადოების და უნივერსიტეტების მხრიდან დიდ მხარდაჭერას საჭიროებს.

პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, სტრატეგიული დოკუმენტი, სახელწოდებით „შექმენი მომავალი“ მთავრობის მეთაურის დავალებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა და ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე განიხილეს. სტრატეგიის თანახმად, თავდაპირველად პროექტი საპილოტეა და საქართველოს მასშტაბით 2014-2015 სასწავლო წელს 100 სკოლაში განხორციელდა. პროექტის განხორციელებას ერთობლივად უზრუნველყოფენ განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები, ასევე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. მეწარმეობა, რომელიც სკოლებში არჩევითი საგანი იყო, სავალდებულო გახდა და მოსწავლეები XI კლასში კვირაში ორი საათის განმავლობაში სწავლობდნენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ სამეწარმეო განათლების შედეგად მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ უნარები, რათა მომავალში თავად გახდნენ მეწარმეები და დაასაქმონ ადამიანები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2014 წლის მარტში დაარსდა მეწარმეობის განვითარების სააგენტო. იგი წარმოადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მეწარმეობის განვითარების სააგენტო გახლავთ პირველი სახელმწიფო უწყება, რომელიც მთლიანად ორიენტირებულია სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოების და ექსპორტის ხელშეწყობაზე. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მთავარი მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დამწყები ბიზნესის დაფინანსება და ასევე, მეწარმეთა საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება.

სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“, რომელიც მიმართულია წარმოების წახალისებაზე და მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. [5]

სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა დამწყები მეწარმეების ტრენინგებითა და კონსულტაციებით უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით შექმნილია „ბიზნეს მენტორინგის პროგრამა“, რომლის მიზანია დამწყები და გამოცდილი მეწარმეების დაკავშირება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოცდილი მეწარმე დამწყებს აძლევს რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ განავითაროს და მართოს ბიზნესი საწყის ეტაპზე. გარდა ამისა, ამოქმედდება საბაზო ტრენინგები დამწყები მეწარმეებისა და ბიზნესის დაწყების მსურველთათვის. შესაძლებელი იქნება ტრენინგების გავლა და ძირითადი საბაზო უნარ-ჩვევების

გამომუშავება, რაც მომავალში გამოიყენება ბიზნესის დასაწყებად ან/და მის სამართავად. სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაა.

აღსანიშნავია, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინიციატივით რეგიონში მცხოვრები სკოლის ორი მოსწავლე, სკოლის მოსწავლეებისთვის სამეწარმეო განათლებაზე ხელმისაწვდომობის პროგრამის ფარგლებში, 2015 წლის 4 ივლისს სამეწარმეო პროგრამის დასაუფლებლად ერთი თვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გლობალური მეწარმეობის პენსილვანიის სკოლაში გაემგზავრნენ. აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო პროგრამები და მოდულები სტუდენტებს სთავაზობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობითაც მათ საშუალება ეძლევათ, იაზროვნონ შემოქმედებითად და პრობლემების ეფექტურად გადაჭრის ხერხები მოიძიონ, რაც მნიშვნელოვანწილად იქონიებს გავლენას სამეწარმეო ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, შემდგომ განვითარებასა და საქმიანობაზე. სკოლის მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში გაიარონ მოკლევადიანი სამეწარმეო პროგრამები, განვითარონ სამეწარმეო უნარები და ცნობიერება აიმაღლონ მეწარმეობის არსისა თუ მნიშვნელობის შესახებ. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს როგორც სამეწარმეო განათლების, ასევე მეწარმეობის პოპულარიზაციასა და საზოგადოების აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებას, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე აისახება“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ეს რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ორი სტუდენტის სამეწარმეო განათლების სრულყოფა ქვეყანაში არსებულ სამეწარმეო აზროვნების დეფიციტს ნამდვილად ვერ შეავსებს.

საქართველოში მეწარმეობის განვითარების ფაქტორების შესახებ კვალიფიციურ ინფორმაციას გვაწვდის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ყოველწლიური გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშები. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, რომლითაც ფასდება ქვეყნის ბიზნეს კლიმატი და მწარმოებლურობა კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, საქართველომ 2013-2014 წლების განმავლობაში მდგომარეობა გაიმჯობესა და თითქმის ორი ათეულით წინ, 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა. [6] 2014-2015 წლების ანგარიშის მიხედვით კი უკვე 69-ე პოზიციაზეა და მისი სარეიტინგო ქულა 4,22 შეადგენს. გაუმჯობესებულია პოზიციები ფაქტორმომხრავებელი - ძირითადი მოთხოვნების ქვეინდექსში, რომელშიც შედის ინსტიტუტები; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური სტაბილურობა; ჯანდაცვა და პირველადი განათლება. გაუარესებულია მდგომარეობა ინოვაციებისა და განვითარების ქვეინდექსში, რომელშიც შედის ბიზნესის განვითარება და ინოვაცია. შედარებით არახელსაყრელი მდგომარეობა გვაქვს ასევე, ისეთ კომპონენტებში, როგორცაა: მენეჯმენტის სკოლების ხარისხი, სამეცნიერო და სატრენინგო მომსახურების ადგილობრივი შესაძლებლობები, ადამიანური რესურსების დატრენინგება, ტვინების მოზიდვა, წარმოების პროცესის დახვეწა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, კომპანიის ხარჯი კვლევისა და განვითარებაზე და ა.შ. წარმოდგენილი პრობლემების დაჯგუფებისას თვალნათელია, რომ საქართველოში კონკურენტუნარიანი ბიზნესის და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას აფერხებს ძირითადად სამეწარმეო განათლების და აზროვნების დაბალი დონე. [7]

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული კვლევის „Doing Business 2015“-ის მიხედვით საქართველო „ბიზნესის კეთების რეიტინგში“ 189 ქვეყანას შორის მე-15, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში კი პირველ ადგილზეა, ჩვენს ქვეყანაში არ ხორციელდება კონტროლი სავალუტო გადარიცხვებზე, არ არის შეზღუდვა კაპიტალის შემოტანაზე და გატანაზე, რაც ინვესტორებისთვის ძალიან მიმზიდველია, თავს ვერ მოვიწონებთ მიღწეული ეკონომიკური შედეგებით. [8] ბიზნესის დაწყების რეიტინგში (97.3 ქულა) - მე-5 ადგილზე გადმოინაცვლეთ მე-4 ადგილიდან. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის სექტემბერში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3 859 ერთეული შეადგინა. მათ შორის 96.9% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 3.1% – არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). საჯარო რეესტრის მონაცემებით, ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციისთვის ინდექსი 0.882 დონეზე დაფიქსირდა. ა.წ. სექტემბერში დაფიქსირდა ზრდა წინა თვესთან (35.7%-ით), ხოლო კლება – წინა წლის იმავე თვესთან (8.1%-ით) შედარებით. [9]

ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ სახელმწიფო თავისი სამეწარმეო საგანმანათლებლო და მეწარმეობის ხელშეწყობი პოლიტიკით, ვერ უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, საჭიროა თვითონ საზოგადოებამ, კომპანიებმა, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნის სამეწარმეო პოტენციალის გაზრდა და ეკონომიკური განვითარება,

უზრუნველყონ თავის წევრებში სამეწარმეო უნარ-ჩვევების კულტივირება, სამეწარმეო განათლების სტიმულირება და ხელშეწყობა. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით იქნება შესაძლებელი სამეწარმეო განათლების სრულყოფა, მისი საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგება და ეკონომიკის მდგრადი განვითარება.

#### ლიტერატურა:

1. გ. გიგუაშვილი, ცოდნის ეკონომიკა და განათლების სისტემის პრიორიტეტები, მეექვსე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „განათლების თანამედროვე გამოწვევები“, 15-16 ნოემბერი, 2013 გორი, სამეცნიერო შრომების კრებული.
2. ც. შერგილაშვილი, UNICEF – ის კვლევა ახალგაზრდებზე – როგორია მათი განათლების დონე სქესის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით <http://edu.aris.ge/news/kvleva-axalgazrdebze-rogoria-mati-ganatilebis-done-sqesis-asakis-regionis-mixedvit.html>
3. განათლების საერთაშორისო ცენტრი. <http://iec.gov.ge/News/9894>
4. მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში. საქართველოს პარლამენტი:  
<http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/aparati-9/kvlebibiblioteka/sabiblioteko-eleqtronuli-fondebi/ganatileba-da-kultura.page>
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო -  
<http://www.economy.ge/ge/minister/ministris-moadgile-325/mewarmeobis-ganvitarebis-saagento>,  
<http://www.economy.ge/ge/economic-data/rankings-of-georgia>
6. Klaus Schwab, World Economic Forum, The Global Competitiveness Report, 2013-2014, p. 193;
7. ე. ლეკაშვილი, სამეწარმეო აზროვნება და მისი განვითარების პრობლემები საქართველოში. თსუ, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №6, ნოემბერი-დეკემბერი 2014. გვ. 57-74.
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო -  
<http://www.economy.ge/ge/media/news/biznesis-warmoebis-simartivis-mxriv-saqartvelos-regionsi-yvelaze-marali-adgili-ukavia>
9. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - <https://napr.gov.ge/>

## THE MAIN DIRECTIONS OF THE STATE POLICY TO STIMULATE ENTREPRENEURIAL EDUCATION

Giuli Giguashvili, Gori State Teaching University, Professor  
RESUME

Competitive modern economics recognizes only the country and the company, which is capable of turning the information into knowledge, where the general education and the stimulation of entrepreneurial education among the main priorities of state policy. Entrepreneurial education is a key goal of knowledgeable, creative, economically minded, correct decision-making of society to develop, the loss of the country's scientific and entrepreneurial potential of the formation to occur.

### კომერციული ბანკების როლი ეკონომიკაში

მაია გელაშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს საბანკო და საკრედიტო სისტემა წარმოადგენს, რომელიც, ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში, განვითარების რიგი თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, მის გამართულ მუშაობაზე მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობაა დამოკიდებული. დღევანდელ დღეს საბანკო სისტემაში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე საბანკო მომსახურების დანერგვა. საბაზრო

ურთიერთობათა დამკვიდრება და პერსპექტივაში განვითარება კი წარმოუდგენელია კომერციული საბანკო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე, რადგან იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ყველა სფეროზე, პრაქტიკულად განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს. დღეს ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის ძირითად ელემენტს ცენტრალური ბანკი წარმოადგენს. იგი ოფიციალურად გამოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებლის როლში. თავის მხრივ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბიუჯეტოსთან ერთად, ეკონომიკის ერთიანი სახელმწიფო რეგულირების საფუძველს წარმოადგენს.

საბანკო სექტორი შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მზარდი და ძლიერი სექტორია საქართველოს ეკონომიკაში. ქართული ბანკების მსოფლიო ფაქტია, რომ დღეისათვის მოქმედი ორიარუსიანი საბანკო სისტემა, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო, მეორე მხრივ კი, კომერციული ბანკების სისტემათა ერთობლიობაა. უკანასკნელ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს დამოუკიდებელი საბანკო სისტემის ჩამოსაყალიბებლად. მეტნაკლებად მოწესრიგდა საბანკო-საკანონმდებლო ბაზა, გადაიკეტა მიმოქცევაში ფულის უკონტროლოდ გამოშვების არხები, ყალიბდება საფინანსო ბაზარი, ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, საფონდო ბირჟა, ასევე, კომერციული ბანკების საქმიანობა რეგულირდება ეროვნული ბანკის ნორმატივებით, რომლის მთავარ მიზანს საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს, შესაბამისად ყალიბდება კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინტერესების მაქსიმალურად დაცვა<sup>1</sup>. ამრიგად, საბანკო სისტემის მთავარი ამოცანა კონკრეტული კრედიტების და მეანაბრეების დაცვა და საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაა, რომ არ დაუშვას სისტემური კრიზისი, როდესაც რამოდენიმე ბანკის საფინანსო პრინციპები იწვევენ საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდობის დარღვევას.

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო ერთადერთი სახელმწიფო ორგანოა ზედამხედველობა გაუწიოს კომერციულ ბანკებს, კერძოდ, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობას. იგი მოიცავს: ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას<sup>2</sup>. დღევანდელი ეკონომიკის პირობებში საბანკო ზედამხედველობის განუვითარებლობა გამოიწვევს:

- ეროვნული მეურნეობის სუბიექტების საბანკო დაწესებულებების მიმართ უნდობლობას;
- სათანადო ინფორმაციის არ არსებობის გამო კლიენტებს ფაქტიურად არა აქვთ ბანკის რაციონალური შერჩევის საშუალება;
- პანიკური განწყობის წარმოქმნის შესაძლებლობის მაღალ დონეს;
- საკრედიტო რესურსების შესაძლებელ გადადინებას უფრო მყარი საბანკო სისტემის ქვეყნის ბანკებში, რაც მთლიანობაში უარყოფითად მოქმედებს საბანკო სისტემის სტრატეგიულ პერსპექტივებზე.

კომერციული ბანკების რესურსების უზრუნველყოფის სისტემის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სეზ-ის სავალუტო პოლიტიკას, რომელსაც ის ახორციელებს შიდა სავალუტო ბაზარზე. მიმდინარე პროცესების თვალსაზრისით ბოლო წელი ქვეყნის ეკონომიკისთვის ერთგვარ გარდატეხის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. მთელი წლის განმავლობაში ბაზრის კონიუნქტურა განსხვავდებოდა გასული წლების მდგომარეობისაგან. კერძოდ, სეზ-ის სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთ ამოცანას ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასასურველი მერყეობის თავიდან აცილება წარმოადგენდა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე და გამოიწვია სავალუტო ბაზრებზე კონიუნქტურული რყევები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რამდენად მეცნიერულად იქნა შესწავლილი საფინანსო ბაზრის მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და როგორი სისრულით გამოვლინდა ბაზრის ფორმირების დაჩქარებაზე და ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური გარემოს შექმნაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდოლოგიების შესწავლა და გამოყენება ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის, ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით. კომერციული ბანკები თანამედროვე პირობებში დამატებითი ფულადი სახსრების მოსაზიდად რესურსების ბანკთაშორის ბაზარს იყენებენ, სადაც ხდება საკრედიტო დაწესებულებების მიერ მობილიზებული ფულადი საშუალებების გაყიდვა. საბანკო რესურსების ზრდის მნიშვნელოვან წყაროს ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების განხორციელების მეშვეობით მიღებული

<sup>1</sup> საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ბრძანება №8, 2008 წლის 26 სექტემბერი.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, თბილისი 2008, „ანგარიშგება და ინსპექციები“, მუხლი 29.

მოგება წარმოადგენს, რომლის მოცულობის ზრდა უშუალოდ არის დამოკიდებული საბანკო საქმის მაღალ შემოსავლიანობის ზრდაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბანკო სისტემის მრავალ პრობლემას შორის აღსანიშნავია საკრედიტო რესურსების ნაკლებობა და მათ შესავსებად წყაროების არარსებობა. მათი მოგების შემავსებელი წყაროს გაზრდისათვის, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ ინტეგრაციას საზღვარგარეთულ ბანკებთან, საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნას, სავალუტო ოპერაციების წარმოებას საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე და უცხოური ფირმების სახსრების მოზიდვას.

საქართველოს საბანკო სექტორი 19 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი გასული თვე საბანკო სექტორმა მოგებით დაამთავრა. ივლისის თვის წმინდა მოგებამ 39,0 მლნ ლარი შეადგინა. ხუთი უმსხვილესი აქტივების მქონე ბანკის წილმა საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 79,0 პროცენტი შეადგინა. მათ შორის 16 - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 2 - უცხოური ბანკის ფილიალით. მოქმედი ბანკების უმრავლესობამ მიმდინარე წელი, აგვისტოს მდგომარეობით, მოგებით დაამთავრა და, სავარაუდოა, რომ წლის ბოლოსთვის ჯამური მოგება მნიშვნელოვნად გადააჭარბებს გასული წლის მაჩვენებელს<sup>1</sup>. წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0,2 მლრდ ლარით, ანუ 1,0 პროცენტით გაიზარდა და 23,6 მლრდ ლარი შეადგინა (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე 0,2 პროცენტით გაიზარდა). საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3,6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 15,3 პროცენტია. უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განადგებულ საწესდებო კაპიტალში 78,6 პროცენტი შეადგინა. კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), 2015 წლის ივლისში, წინა თვესთან შედარებით 291,0 მლნ ლარით (2,0 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე ივლისში სესხების მოცულობა 1,1 პროცენტით გაიზარდა) და 2015 წლის პირველი აგვისტოსათვის 15,0 მლრდ ლარს გადააჭარბა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 103,1 მლნ ლარით (1,9 პროცენტით), ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 188,0 მლნ ლარით (2,0 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე ამ მაჩვენებლის ზრდამ 0,6 პროცენტი შეადგინა). რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2015 წლის ივლისის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 1,8 მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით 5,0 პროცენტით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით - 5,7 მლრდ ლარის (1,8 პროცენტით მეტი) მოცულობის სესხი. 2015 წლის ივლისის განმავლობაში 1,3 პროცენტით ანუ 91,6 მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი აგვისტოსათვის 6,9 მლრდ ლარს გადააჭარბა (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე ამ მაჩვენებლის ზრდამ ივლისში 0,7 პროცენტი შეადგინა)<sup>2</sup>. მიმდინარე წლის პირველი აგვისტოსათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტი 36,29 პროცენტი, ხოლო ფიზიკური პირების სესხების ლარიზაციამ 53,43 პროცენტი შეადგინა. პირველი ივლისის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მთლიანი სესხების ლარიზაცია 0,30 პროცენტული პუნქტით, ხოლო ფიზიკური პირების სესხების ლარიზაცია 0,17 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

ამრიგად, როგორც საბანკო საქმის მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბანკების ზედამხედველობის რეგულირების სრულყოფის პროცესში ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვას, რომლებიც, თავის მხრივ, ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობასთან ერთად გაითვალისწინებენ რისკის მენეჯმენტისა და ბანკის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას, საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი ანალიტიკური, კომპლექსური შეფასების შესაძლებლობებს, რაც, ჩვენი აზრით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროცესში. კომერციული ბანკის საიმედოობის უზრუნველყოფის მთავარი მიზანი უნდა იყოს მისი თანამედროვე პირობებში მდგრადი და მაქსიმალურად ეფექტური ფუნქციონირების და მომავალში განვითარებისა და ზრდის მაღალი პოტენციალის შექმნის გარანტია. საიმედოობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ეტაპია ფინანსური რესურსების გამოყენების ხარისხოვანი პარამეტრების განსაზღვრა და ბანკის რიცხოვრივი ორიენტირების შემადგენლობის მიმართულებათა სტრატეგიის დამუშავება. ბანკის ხელმძღვანელობამ თავისი მმართველობა უნდა წარმართოს ისე, რომ მიმდინარე პირობებში გამორიცხოს ზარალი ხოლო მომავალში გაითვალისწინოს ქვემდებარე ობიექტის განვითარების ინტერესები. მაღალ ორგანიზებული მმართველობითი სისტემის შესაქმნელად პირველ რიგში აუცილებელია ფასეულობათა ინტერესებისა და სისტემების სწორად განსაზღვრა, შემდგომში კი

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი - <https://www.nbg.gov.ge>

<sup>2</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304&lng=geo>;

გამომუშავებულ იქნას კომერციული ბანკის არსებობის პერსპექტიული მოდელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყოველმხრივი დაცვის რეჟიმი და მართვის წინაშე დასახული ამოცანების ადეკვატურად შესაბამისი მეთოდების დამუშავება.

ამრიგად, საბანკო სექტორის განვითარებისთვის აუცილებელია პროგრესული ცვლილების განხორციელება, ხოლო, უახლოეს პერსპექტივაში, მხოლოდ პროფესიულ სტრატეგიას შეუძლია სიტუაციის უკეთესობისაკენ შეცვლა და კომერციული ბანკის ეფექტური ფუნქციონირების ამაღლება.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი - <https://www.nbg.gov.ge>
2. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, თბილისი, 2008, „ანგარიშგება და ინსპექციები“, მუხლი 29;
3. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ბრძანება №8, 2008 წლის 26 სექტემბერი;
4. [www.nbg.gov.ge/index.php/m=304lng=geo](http://www.nbg.gov.ge/index.php/m=304lng=geo);
5. [www.nbg.gov.ge/uploads/sesxebiqartuiad/loans tu the ekonomy 13.5geo.xls](http://www.nbg.gov.ge/uploads/sesxebiqartuiad/loans%20tu%20the%20ekonomy%2013.5geo.xls)
6. [www.nbg.gov.ge/uploads/sesxebiqartuiad/loans structure 13.10.1geo.xls](http://www.nbg.gov.ge/uploads/sesxebiqartuiad/loans%20structure%2013.10.1geo.xls)

## **THE ROLE OF COMMERCIAL BANKS IN THE ECONOMY** **Maia Gelashvili, Samtskhe-Javakheti State University, Associate Professor** **RESUME**

We consider a number of measures that should be taken for the operation of changes of commercial banks and its effective development. In particular : a) to introduce new types of financial statements, it will significantly contribute to the decision-making process and to the usage of new products by the customers, as well as raising public awareness and increase the confidence to the banks; b) the reforms that reduces the risk for creditors and depositors will improve the commercial bank's activity transparency.

### **მმართველობითი გუნდის სუსტი რგოლის გამოვლენის ტექნოლოგიები**

**მანია გოგიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დოქტორანტი**  
E-mail: [gogidzemanana70@gmail.com](mailto:gogidzemanana70@gmail.com)

**აკაკი ცერცვაძე, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი**

მენეჯმენტი ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი მამომრავებელი ძალაა. იგი ორიენტირებულია ორგანიზაციის მიზანსა და მისიაზე, იყენებს ტექნოლოგიებს და ორგანიზაციულ სტრუქტურას მმართველობითი პროცესების ეფექტურად განხორციელებისათვის. ორგანიზაციაში მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კონცეფციების და პოსტულატების მატარებლები არიან თანამშრომლები. ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია მენეჯმენტის ტექნოლოგიების თავისებურებებზე.

გუნდური მუშაობის ცნებასთან საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ ეტაპზე გვაქვს შეხება, გუნდურ თამაშს ვაკვირდებით სპორტში და ა.შ. მაგრამ სპორტის შემდეგ ყველაზე შესამჩნევი იგი ბიზნესში გახდა და ამის მიზეზია გუნდის უდიდესი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების დროს. XXI საუკუნეში სულ უფრო რთული ხდება მმართველობითი პროცესები, რაც უფრო აქტუალურს ხდის გუნდური მუშაობის მეთოდების აუცილებლობას.

ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მენეჯმენტი, იგი ნებისმიერი ორგანიზაციის მოძრაობაში მომყვანი ძალაა. იგი ორიენტირდება ორგანიზაციის მიზანზე და მისიაზე, იკვლევს პერსონების, ჯგუფების ურთიერთობებს შიგნით, ორგანიზაციაში მეტი ეფექტის მიღების მიზნით. მენეჯმენტი ორგანიზაციის კოლექტივის საქმიანობაა, რომელიც სტრატეგიას, პოლიტიკასა და

მეთოდებზე დაყრდნობით ცდილობს მთავარი მიზნის მიღწევას. ორგანიზაციის მენეჯმენტი თავის თავში რამდენიმე ელემენტს (ფუნქციას) აერთიანებს, რომლებიც კავშირშია ერთმანეთთან. ესენია: კულტურა, ლიდერობა, მოტივაცია, სტილი, კონფლიქტები, ძალაუფლება, სოციალური პასუხისმგებლობა, კომუნიკაცია, ჯგუფური დინამიკა, საქმიანი ეთიკა, მმართველობითი გადაწყვეტილებები.

ორგანიზაციის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კონცეფციების და პოსტულატების მატარებლები არიან თანამშრომლები, საწარმოში დასაქმებული ხალხი, და ძალზე აუცილებელია გამოვყოთ მათი ურთიერთქმედების ფორმები. ერთ-ერთი მათგანია გუნდური ურთიერთობის პრინციპი. გუნდი აყალიბებს ურთიერთდამოკიდებული ქმედებების ფუნდამენტალურ საფუძველს, აძლევს მას ძალას, მოქნილობას, შემოქმედებით პოტენციალს. არსებობს განსხვავებული განმარტებები: გუნდი – ესაა ხალხის ჯგუფი, რომელიც ერთად მუშაობს საერთო მიზნის მისაღწევად. გუნდი – ესაა პროფესიონალების ავტონომიურად დამოუკიდებლად მოქმედი კოლექტივი, რომელსაც ძალუძს ოპერატიულად, ეფექტურად და ხარისხიანად გადაწყვიტოს მათ მიერ დასმული ამოცანები.

ტოპმენეჯერების გუნდი პროფესიონალებისაგან შემდგარი ავტონომიურად დამოუკიდებლად მოქმედი კოლექტივია, რომელსაც შეუძლია ოპერატიულად, ეფექტურად და ხარისხიანად მიიღოს მმართველობითი გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის საერთო მიზნის მიღწევისკენ.

გუნდი სპეციალისტების თავმოყრაა, სადაც ღირებულებები გარდაიქმნება კონკრეტულ საქმეებად. გუნდი ქმნის კონკრეტულ უპირატესობას, ქმნის თანამშრომლობისთვის მაქსიმალურად კეთილგანწყობილ გარემოს.

ჩატარებული კვლევების შედეგები გვიჩვენებენ, რომ გუნდი წარმოადგენს უფრო მეტად ოპერატიულ, შემოქმედებით და პროდუქტიულ სამუშაო ერთეულს, ვიდრე ცალკე მომუშავე თანამშრომელი. გუნდი ქმნის მეტად ჰარმონიულ ურთიერთობებს, აუმჯობესებს პროცესების, ურთიერთობების ხარისხს, სტიმულირებს უკეთეს შემოქმედებითი პოტენციალის გახსნას. გუნდის წევრების ურთიერთდამოკიდებულება მყარდება ინტუიციურად, ესაა მათი კომუნიკაციის დაფარული ხასიათი. გუნდურ გარემოში ადამიანები იწყებენ გულახდილ, ჯანსაღ ურთიერთობას, არ თავსდებიან სტანდარტებში და ავლენენ საკუთარ ინდივიდუალობას. შედეგად, გუნდში ყალიბდება ურთიერთობა, რომელიც ეყრდნობა ურთიერთპატივისცემას.

არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი ისეთი სფერო, სადაც სამუშაოს ორგანიზაციის გუნდური ფორმა ტექნოლოგიურად ყველაზე უფრო რაციონალიზებულად გვევლინება, მაგ.: როცა გვაქვს ტექნოლოგიურად ჩაკეტილი სამუშაო, სადაც გუნდის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი მოტივაცია დარჩენენ სამუშაო ადგილებზე. გუნდური მუშაობა ქმნის პირობებს კონკრეტულ საქმეებისა და ღირებულებების გარდაქმნის წარმატებისათვის. ეს არის საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. სწორედ შრომის გუნდური ორგანიზაციით მიიღწევა იერარქიული, ბიუროკრატიული, ავტორიტარული მენეჯმენტით დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

როდესაც ვსაუბრობთ ტოპ-მენეჯერების გუნდის საქმიანობის განვითარებაზე, აქცენტს ვაკეთებთ გუნდის წევრების შესაძლებლობების და უნარების განვითარებაზე, რაც დაეხმარებათ დასახული მიზნის მიღწევაში. შედეგების, ქოუჩინგი<sup>1</sup>, თანამშრომლების შეფასების და ეფექტური მუშაობისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარების დაგეგმვის სტადიები მუდმივად მეორდება და ატარებს ციკლურ ხასიათს. გუნდის წევრის პირად დახასიათებაში ვგულისხმობთ მის თავდაჯერებულობას, სტრესებისადმი სიმყარეს, პოზიტიურობას, ცხოვრებისადმი კონსტრუქციულ დამოკიდებულებას, გახსნილობას, სპონტანურობას, გულახდილობას, მას უნდა ჰქონდეს გამოხატული სურვილი თავის თავზე აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა და ითანამშრომლოს გუნდის დანარჩენ წევრებთან, თამამად დაიკავოს საკუთარი პოზიცია და მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, განახორციელოს დაგეგმილი შეხვედრები, ჰქონდეს ინტუიცია, შეეძლოს ემოციების მართვა, ჰქონდეს რეალობის შეგრძნება, იუმორის გრძნობა და ა.შ.

გუნდის წევრის განსაკუთრებულ მიღწევებში ვგულისხმობთ მის შესაძლებლობას შექმნას თავის გარშემო გახსნილობის და ნდობის ატმოსფერო, ჰქონდეს კარგად მოსმენის უნარი, ჰქონდეს ადამიანების დარწმუნების და მათში ენთუზიაზმის გაღვივების უნარი, მოახდინოს მათი მოტივირება და სამუშაოზე ორიენტირება. მან უნდა შეძლოს შეკრას გუნდი ისე, რომ მან იმუშაოს, როგორც ერთმა მთლიანმა

<sup>1</sup> აშშ-ში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან **ქოუჩინგი** აღნიშნავს პერსონალზე და განვითარებაზე ორიენტირებული მართვის სტილს, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლები პიროვნულად ვითარდებიან და შრომის უნარს იუმჯობესებენ. აღნიშნული მიმართულება გერმანიაში 80-იანი წლებიდან დამკვიდრდა ტერმინით - ხელმძღვანელი, როგორც ქოუჩი. მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი საკუთარი თანამშრომლების ქოუჩი იყოს, თავიდან გასაღების სფეროში ჩამოყალიბდა და შემდგომ სხვა სფეროებზეც გავრცელდა.



ორგანიზმმა. მას უნდა შეეძლოს კონფლიქტების მართვა, პროცესების გააზრება, ქაოსთან გამკლავების უნარი, რთულ სიტუაციებში მუშაობის უნარი. განსაკუთრებულ მიღწევებში ვგულისხმობთ ასევე სტრატეგიულ კომპეტენციებს (რთული სიტუაციების და კავშირების გააზრებას) და კულტურათაშორის კომპეტენციებს (იმუშაოს განსხვავებული ტრადიციების ადამიანებთან). მას უნდა ჰქონდეს გასაგები კომუნიკაცია (უნდა შეეძლოს მოკლედ და გასაგებად საუბარი, პრობლემის გასაგებ ენაზე ფორმულირება).

გუნდის წევრის განსაკუთრებულ გამოცდილებაში ვგულისხმობთ მის მიერ საკუთარი თავის გააზრებას, თვითკრიტიკულობას, საკუთარი ქმედებების დაკვირვებას და შეფასებას დროის გრძელ მონაკვეთში, გუნდში მუშაობის გამოცდილებას, მცირე და დიდ გუნდებთან ურთიერთობებს, პროექტების მართვის გამოცდილებას და ა.შ.

გუნდის წევრის სპეციალურ ცოდნაში ვგულისხმობთ ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნას, ბიზნესის საფუძვლების ფუნდამენტალურ ცოდნას, სისტემის და ქაოსის თეორიის ცოდნას, ორგანიზაციული ფსიქოლოგიის განვითარების პრინციპების ცოდნას და ა.შ.

როგორი იდეალურიც არ უნდა იყოს გუნდი, ყოველთვის მოიძებნება მისი სუსტი რგოლი. მმართველობითი გუნდის სუსტი რგოლის გამოვლენის სხვადასხვა ტექნოლოგიები არსებობს. ჩვენს მიერ განხილულ ტექნოლოგიას ე.წ. „პარაზიტის“ გამოვლენის ტექნოლოგია ეწოდება, რომელიც ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს. „პარაზიტი“, ესაა სპეციალისტი, რომელსაც აქვს კარგი საბაზრო თეორიული მომზადება და დიდი საწარმოო გამოცდილება. მის ძირითად მიზანს წარმოადგენს თავის გარშემო ისეთი მშვიდი სიტუაციის შექმნა, როდესაც იგი თავის თავზე არ აიღებს არანაირ ვალდებულებას, არაფერს არ გააკეთებს, მაგრამ მიიღებს კარგ შრომით ანაზღაურებას. ახდენენ „პარაზიტების“ რანჟირებას ფირმებისათვის მიყენებული ზარალიდან გამომდინარე. „პარაზიტების“ საშიშ ჯგუფს მიეკუთვნებიან მაღალ თანამდებობით რგოლზე მომუშავე პირები, რომლებსაც აქვთ ძალაუფლებაც და თავისუფლად მოქმედების ის ხარისხი, რომ უპრობლემოდ შეუძლიათ დაბლოკონ ნებისმიერი ინოვაციური იდეა. „პარაზიტის“ გამოვლენა საკმაოდ ძნელია, რადგან იგი საკმაოდ წარმატებულად თამაშობს „გუნდის აქტიური წევრის“ როლს, გარეგნულად ყოველთვის მზადაა დახმარება აღმოუჩინოს მთხოვნელს და ზოგადად დადებითად ხასიათდება. ჩამოყალიბების სტადიაზე არსებულ გუნდში ასეთი თანამშრომლის გამოჩენა ფრიად არასასურველია.

განხილული ტექნოლოგიის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს აიძულოს „პარაზიტი“ ითამაშოს სხვა წესებით და საბოლოოდ გავიდეს გუნდიდან. ტექნოლოგიის მიზანია „პარაზიტის“ პოტენციალის გააზრება და მისი პირადი შეფასება. ეს აუცილებელია ლოკალური ამოცანების დასახვისათვის. „პარაზიტმა“ უნდა განსაზღვროს თავისი პოტენციალი და განსაზღვროს გარემოცვა. შეაფასებს რა თავის შესაძლებლობებს, „პარაზიტი“ იწყებს მოქმედებას, შეარჩევს ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ადმინისტრაციაში, მოახდენს თითოეული მათგანის ფსიქოლოგიურ შესწავლას, მათი პროფესიონალიზმის შეფასებას, სწავლობს ხელმძღვანელობის გარემოცვას, განსაზღვრავს შესაძლო რისკებს და „წყალქვეშა ნაღმებს“, დიდ ძალისხმევას დებს იმაში, რომ არ მოხდეს არანაირი აფეთქება. „თბილი ადგილის“ მოძიების შემდეგ „პარაზიტი“ იწყებს კოლექტივზე ზემოქმედებას სხვადასხვა ინსტრუმენტებით და მეთოდებით, რათა დიდხანს ყავდეს ისინი დამორჩილებული. მათ შორის ერთ-ერთია არაკომპეტენტურობის ხარისხის ზრდის მოდელი. ეს ხორციელდება ახალი ინფორმაციის მიღების შეზღუდვით, როდესაც მომუშავეები ვერ იგებენ მათი მუშაობის შედეგების შესახებ, ვერ იგებენ, ხელმძღვანელობა რას ელოდება მათგან, ვერ იგებენ, როგორაა შესაძლებელი მათი შრომის გაუმჯობესება. არაკომპეტენტურობის ზრდის მოდელის მოქმედების პირობებში გამორიცხულია შრომისნაყოფიერების ზრდის სტიმულებზე საუბარი მოწინავე და სუსტი მომუშავეები იღებენ ერთნაირ გასამრჯელოს, არ ხდება მომუშავეთა შემდგომი გადამზადება, ტრენინგები, იქმნება არასასურველი სამუშაო გარემო და ა.შ.

„პარაზიტი“ გულდასმით ადევნებს თვალს მის გარშემო მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას. იგი ერთგვარ ქსელს ქსოვს, რომლის გახსნა საკმაოდ რთულია. „პარაზიტის“ წინააღმდეგ ბრძოლა ერთობ აკურატულად და დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს. უნდა ვიაზროვნოთ მისნაირად, გავთვალთ სიტუაციების განვითარების განსხვავებული ვარიანტები და მზად ვიყოთ ძლიერი დარტყმისათვის. „პარაზიტი“ არასასურველია ელემენტია ტოპ მენეჯერთა გუნდისათვის, იგი ასუსტებს გუნდის შესაძლებლობების პოტენციალს. „პარაზიტი“ გამოსავლენად უნდა შევქმნათ „ანტიპარაზიტის“ ტექნოლოგია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- თანამშრომლების სიფრთხილით შერჩევა მმართველობით თანამდებობებზე;
- უკვე არსებულ გუნდში „პარაზიტის“ გამოვლენა და მისი გარიცხვა;
- საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის მუშაობის სწორი ორგანიზაცია.

ნებისმიერი ორგანიზაცია, როგორც საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილე, წარმოადგენს ბაზრის ქვესისტემას, ამიტომ მმართველობითი გუნდიც, როგორც ორგანიზაციის მართვის ფუნქციების მატარებელი, წარმოადგენს ბაზრის შედარებით დაბალ ქვესისტემას. კარგად უნდა იქნეს გააზრებული ის ფაქტორი, რომ მმართველობითი გუნდის შექმნა წარმოადგენს აუცილებლობას და არა მოდაზე აყოლას, რომ ეს არის პასუხისმგებლობა ხანგრძლივი დროით. ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილება შეეხება ორგანიზაციის თანამშრომლებს, მომწოდებლებს, მომხმარებლებს, ანუ უამრავ ადამიანს. ამიტომ იგი სერიოზული არგუმენტაციით უნდა მივიღოთ.

#### **ლიტერატურა:**

1. თანამედროვე მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა: I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 17-18 ოქტომბერი, მასალების კრებული, 2014.
2. თორია მ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი: ლექციების კურსი, თბ., 2014.
3. ბოჭორიშვილი ქ., წიკლაური თ., ციმაკურიძე ს., თანამედროვე მენეჯმენტი, თბ., 2015.
4. დიდიშვილი ნ., ბოჭოიძე ლ., მენეჯმენტი (საერთაშორისო გარემო, კულტურა, ფინანსები), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2013.
5. ქუთათელაძე გ., ინოვაციური მენეჯმენტის ძირითადი ასპექტები, თბ., 2012.
6. მაჭავარიანი შ., მენეჯმენტის საფუძვლები. თეორიები, კონცეფციები და პრაქტიკული მიდგომები, თბ., 2014.
7. ბაჩიაშვილი თ., საბაზრო ეკონომიკა და სოციალური ფაქტორის გავლენა მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მენეჯმენტის აქტუალური პრობლემები და მათი გადაჭრის მექანიზმები, თბ., 2014
8. მიქელაძე ე., თანამედროვე მენეჯმენტის სტრატეგია და ტექნოლოგია, ბათუმი, 2013.
9. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., ფარესაშვილი ნ. და სხვ., სტრატეგიული მენეჯმენტი. თბ., 2013.

**DETECTION TECHNOLOGY FOR THE WEAK PART OF MANAGEMENT TEAM**  
**Mania Gogidze, Caucasus International University, PhD Student**  
**Akaki Tsertsvadze, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia,**  
**PhD Student**  
**RESUME**

Management is the movement operation power of the any organization. It is oriented on the objects and mission of organization, management uses technologies and organization structure for effective implementation of the management processes. Important concepts and postulates of the organization management carriers are employees, people employed at the enterprise. Human resources efficiency of the organization depends on the characteristics of the management technology.

We have to touch at the teamwork concept at a number of stages of the social life. We are watching teamwork in sport and etc. but after the sport, it became the most of noticeable in business and the reason for this is teamwork's greatest value of the decision-making process. Management processes was becoming more difficult in XXI century, which increased the urgency of the need for teamwork methods.

The management is the most important element of the organization; it is the movement operation power of the any organization. It is oriented on the objects and mission of organization, researches the relationship of persons and teams in the organization in order to obtain more effect. Management is activity of organization collective, which tries to reach the main goal, based on politics and methods. The organization management incorporates several elements (functions) in itself, which are related to each other. These are: Culture, leadership, motivation, style, conflicts, power, social responsibility, communication, group dynamics, business ethics, and managerial decisions.

Important concepts and postulates of organization management carriers are employees, people employed at the enterprise and it is necessary to separate their interaction forms. One of them is principle of teamwork relations. The team forms the fundamental basis of interdependent actions; they give him the power, flexibility and creative potential.

There are different definitions: The team is group of the people, who are working together toward a common goal. The team is the collective of professionals, working for independence autonomously, which can solve their tasks operatively, effectively and qualitatively.

## ფულის შენახვა გაცილებით რთულია, ვიდრე მისი გამომუშავება - საინვესტიციო საქმიანობის ფილოსოფია

ციური დურული, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-mail: tsitsio@gmail.com

ნინო ლიპარტელიანი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-mail: nlipartelini69@gmail.com

დამწყები ინვესტორი, კრიზისის დროს, საფონდო ბირჟაზე არასწორად ოპერირებს ფინანსური ოპერაციებით, რასაც დიდი ალბათობით შესაძლოა სერიოზული დანაკრები მოჰყვეს. ამის ყველაზე დიდი მიზეზია მოვლენების მხოლოდ ორ ფერში ხედვა - თეთრსა და შავში. როდესაც რომელიმე კომპანიის ფასიან ქაღალდებში ჩადებული სახსრებს მთელი წლის განმავლობაში მოაქვთ 30, 40 ან 50%-იანი მოგებაც კი, ინვესტორს ებადება შეკითხვა და სურვილიც მიიღოს თუ არა ამ საქმეში მონაწილეობა, რითია სხვა მასზე უკეთესი? მაგრამ როდესაც ბაზარზე იქმნება კრიზისული სიტუაცია, იგი სწრაფად იხევს უკან, მასში იღვიძებს შიშის გრძნობა და ფიქრობს, რომ აქ რაღაც ისე ვერაა და ეს საინვესტიციო აქტივი მისთვის კარგავს ინტერესს. რეალურად გაცილებით რთულადაა საქმე, საინვესტიციო პროცესი ბევრად უფრო მეტ შესაძლებლობებს იძლევა და მეტ დაფიქრებას საჭიროებს.

წარმოვიდგინოთ, რომ გვაქვს საინვესტიციო აქტივის 3 ვარიანტი. თითოეულმა მათგანმა 8 თვის განმავლობაში აჩვენა შემოსავლიანობის შემდეგი დონე: 72,4% (გერმანიის საფონდო ბაზარი); 14,1% (აშშ-ს საფონდო ბაზარი); და 53,7% (ბრაზილიის საფონდო ბაზარი). დამწყები ინვესტორების დიდი უმრავლესობა აირჩევს 72,4% (გერმანიის საფონდო ბაზარი) მაჩვენებლიან აქტივს, ეს არის ტიპური სიტუაცია, როდესაც ვფიქრობთ, რომ „თუ კარგადაა დღეს-ხვალაც კარგად იქნება“. ეს მოდელი მშვენივრად მუშაობს და მოაქვს კარგი მოგებაც სტაბილურ სიტუაციაში, მაგრამ სიტუაციები ხშირად იცვლება.

დამწყები ინვესტორებისაგან განსხვავებით, პროფესიონალები საინვესტიციო გადაწყვეტილებებს იღებენ გაცილებით რთული მოდელებით, რომლებიც მეტად რისკიანია, მაგრამ უფრო შემოსავლიანიც. მათ მოდელს შეგვიძლია ვუწოდოთ: „კარგია დღეს - ცუდია ხვალ“ ან „ცუდია დღეს - კარგი იქნება ხვალ“. პირველ შემთხვევაში ინვესტორს ესმის, რომ ხეებს არ შეუძლიათ ცამდე გაზრდა და დროულად უნდა გამოვიდნენ თამაშიდან. ამისათვის მისთვის საჭიროა მომგებიანი აქტივების სარფიანად გაყიდვა და მიღებული თანხის სხვა აქტივებში ჩადება.

კრიზისული სიტუაციების დროს ბევრი პროფესიონალი ინვესტორი ყურადღებას ამახვილებს მცირე ინოვაციურ კომპანიებზე, მაგალითად ბიოტექნოლოგიურ ფირმებზე, სადაც ხშირად ხდება მნიშვნელოვანი აღმოჩენები და შედეგში შესაძლებელია დიდი ფულის გამომუშავება. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამერიკული კომპანია **Dendreon**. ამ კომპანიაში საინვესტიციო კაპიტალის ჩადება ფრიად მომგებიანი აღმოჩნდა, რადგან მისმა თანამშრომლებმა შექმნეს პროსტატის კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელმაც ტესტირება წარმატებით გაიარა და აჩვენა საუკეთესო შედეგები. პირველივე წელს, კომპანიის ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ინვესტიციებმა მოუტანა 600%-იანი შემოსავალი.

„ცუდია დღეს - კარგი იქნება ხვალ“ - მოდელის კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება წარუმატებელი ამერიკული სადაზღვევო კომპანიის AIG საქმიანობაში ინვესტირება. კომპანიის მდგომარეობამ ვერ შეაჩერა ზოგიერთი ინვესტორი ჩაედოთ მის ფასიან ქაღალდებში საკუთარი საინვესტიციო კაპიტალი და მიიღეს მნიშვნელოვანი მოგებაც. ინვესტორთა ამ ჯგუფმა თავდაპირველად იმუშავა AIG-ის ფასიანი ქაღალდების ფასის დაწვევაზე სტრატეგიით „ძალიან ცუდია - დარჩება ძალიან ცუდად“, შემდეგ ნელ-ნელა დაიწყეს ამ ფასიანი ქაღალდების ღირებულების აღდგენა. 6 თვის განმავლობაში საინვესტიციო შემოსავლებმა 242,9% შეადგინა. ანალოგიურად მოიქცნენ ამერიკული კომპანიების Freddie Mac და Fannie May-ს ინვესტორები.

ფულის შენახვა გაცილებით რთულია, ვიდრე მისი გამომუშავება - ეს ტერმინი საინვესტიციო საქმიანობის ფილოსოფიად იქცა, რადგან კაპიტალის დაცვის და შენახვის მთავარი ინსტრუმენტია მისი სწორი დაბანდება და ეფექტური მართვა. ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს დღეს მსოფლიოში არაერთი ცნობილი საინვესტიციო ფონდი და კომპანია არეგულირებს.

მსოფლიოში საინვესტიციო ფონდების განვითარება სათავეს იწყებს XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან. პირველი საინვესტიციო ფონდები დაფუძნდა 1822 წელს ბელგიაში, 1849 წელს შვეიცარიაში და 1852 წელს საფრანგეთში. ამერიკაში პირველი საინვესტიციო ფონდი დაფუძნდა 1860 წელს, კორპორაციული საინვესტიციო ფონდის სახით. საინვესტიციო ფონდებმა ამერიკასა და ევროპაში

განვითარების მნიშვნელოვან საფეხურებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწიეს. XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკაში ისინი თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს.

აშშ-ს საინვესტიციო ფონდებს შორისაა ე.წ. მმართველობითი კომპანიები სააქციო საზოგადოებების სახით. ასევე პოპულარულია ურთიერთდახმარების ფონდები, რომელთა საქმიანობას, 1933 წელს ამოქმედებული ფასიანი ქაღალდების კანონის შესაბამისად, აკონტროლებს ფასიანი ქაღალდების და ბირჟების კომისია Securities and Exchange Commission (SEC). ურთიერთდახმარების ფონდებს უფლება აქვთ მიმოქცევაში გამოუშვან მხოლოდ ჩვეულებრივი აქციები, რომელთა ღირებულებას წინასწარ ვერ განსაზღვრავს. თანამედროვე ეტაპზე აშშ-ში მოქმედი ურთიერთდახმარების ფონდების რაოდენობა 6 ათასს აჭარბებს.

ევროპაში საინვესტიციო ფონდების სპეციფიკას განაპირობებს ამ რეგიონის თავისებურება. ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედებს კონცეფცია „UCITS“ – „Undertaking for Collective Investment in Transferable Securities“, რომლის თანახმადაც ხდება საინვესტიციო რესურსების მოზიდვა, რისკების დივერსიფიკაციის პრინციპების დაცვა, ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ა.შ.

საინვესტიციო ფონდების განსხვავებული მოდელი აქვთ დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას. დიდი ბრიტანეთის საინვესტიციო ფონდები იყოფიან ე.წ. იუნიტ-ტრასტებად და საინვესტიციო ტრასტებად. იუნიტ-ტრასტები დახურული ტიპის ფონდებია, რომელსაც გადასცემს ინვესტორი თავის საინვესტიციო კაპიტალს და ენდობა მას. ინვესტორის ფასიანი ქაღალდები განთავსდება ხდება იუნიტ-ტრასტის საინვესტიციო პორტფელში. ინვესტორს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოსყიდოს თავისი პაი. ამ ფორმისაგან განსხვავებით საინვესტიციო ტრასტს აქვს მყარი საწესდებო კაპიტალი, რომელშიც ცვლილებები ხდება აქციონერების გადაწყვეტილებით.

გერმანიის საინვესტიციო მექანიზმი უფრო მეტად სპეციფიკურია, რაც განპირობებულია ქვეყანაში საბანკო სექტორის განსაკუთრებული როლით. გერმანული კანონმდებლობით საინვესტიციო კომპანიები ბანკების საკრედიტო დაწესებულებები არიან და ემორჩილებიან შესაბამის კანონმდებლობას.

საინვესტიციო ფონდების პარალელურად წარმატებით ფუნქციონირებენ საინვესტიციო კომპანიები, მათ შორისაა:

1. **BlackRock** - მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო კომპანია. თანამედროვე ეტაპზე იგი მართავს 3,792 ტრილიონ დოლარზე მეტს. იგი გლობალური ფირმაა, იგი კლიენტების საინვესტიციო კაპიტალს ეფექტურად აბანდებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ევროპაში, აზიაში, ავსტრალიაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. ფირმაში დასაქმებულია 10 ათასზე მეტი პროფესიონალი. კომპანიას წარმომადგენლობები აქვს მსოფლიოს 30 ქვეყანაში.

2. მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო კომპანია **Fidelity Investments** - დაფუძნდა 1946 წელს ბოსტონში (აშშ). წარმომადგენლობები აქვს ლონდონში, მადრიდში, ციურხში, სიდნეიში და სხვა ქალაქებში. თანამედროვე ეტაპზე იგი მართავს 20 მლნ კლიენტის 1,8 ტრილიონ დოლარს.

3. **Franklin Templeton Investments** - მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო კომპანიაა, რომელიც თანამედროვე ეტაპზე მართავს 800 მილიარდ დოლარზე მეტს. კომპანიის შტაბბინა კალიფორნიაში მდებარეობს. კომპანია საინვესტიციო ბაზარზე ოპერირებს 65 წელია და წარმომადგენლობები აქვს მსოფლიოს 30 ქვეყანაში. კომპანია სარგებლობს უზადო ავტორიტეტით კერძო ინვესტორებს შორის.

4. **Schroders** - მსოფლიოში ცნობილი საინვესტიციო კომპანიაა, რომელიც მართავს 255 მილიარდ დოლარს და თანამშრომლობს უმსხვილეს კორპორაციებთან, სადაზღვევო კომპანიებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, საპენსიო ფონდებთან და კერძო ინვესტორებთან. კომპანიაში მუშაობს 3,4 ათასი სპეციალისტი მსოფლიოს 27 ქვეყნიდან.

5. **Generali International** - კომპანია საერთაშორისო ინვესტორებს სთავაზობს უმაღლესი დონის მომსახურებას. იგი შედის Generali Group-ის შემადგენლობაში, რომელიც 1831 წლიდან ფუნქციონირებს და აერთიანებს მსოფლიოს 60 ქვეყნის 170 კომპანიას. საინვესტიციო კომპანია მართავს 490 მილიარდი ევროს ღირებულების აქტივებს. ჟურნალ Fortune-ს მონაცემებით Generali Group შედის მსოფლიო ლიდერ კომპანიათა ორმოცდაათეულში.

თუ ამ კომპანიების საქმიანობას თვალს გადავავლებთ დავინახავთ, რომ თანამედროვე ეტაპზე პერსპექტიულ საინვესტიციო მიმართულებად ითვლება სავაჭრო სფეროში ინვესტირება, ვგულისხმობთ მსოფლიოს უმსხვილეს ქალაქებში განთავსებულ თანამედროვე სავაჭრო ცენტრებს. საქმე იმაშია, რომ ეკონომიკის რეცესიიდან გამოსვლის თავისებურ ლოკომოტივად სწორედ ვაჭრობა იქცა, მათ შორის აშშ-ში. ამ ქვეყნის ვაჭრობის ნაციონალური ასოციაციის მონაცემებით 2013 წელს გაყიდვები გაიზარდა 4,7%-ით ანუ 2,53 ტრილიონი დოლარით რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელზე 2,4%-ით მეტია. იმ კერძო ინვესტორებს, რომლებმაც ვერ შეძლეს ეყიდათ ან აეშენებინათ სავაჭრო ცენტრები პარიზში ან ნიუ-იორკში, ექსპერტები ურჩევენ ისარგებლონ უძრავი ქონების სპეციალიზირებული

საინვესტიციო შეთავაზებით (real estate investment trust, REIT), რომელიც დაეხმარება მათ შეიძინონ ცნობილ სავაჭრო ცენტრებში სავაჭრო მოედნები შედარებით მცირე საინვესტიციო კაპიტალით (5 000\$-დან 10 000\$-მდე). მაგალითად ავიღოთ ამერიკული კომპანია Simon Property Group, Inc. რომელიც 2013 წელს მართავდა 393 მნიშვნელოვან სავაჭრო ობიექტს ფლორიდაში, კალიფორნიასი, ნიუ-იორკში და აშშ-ს სხვა ქალაქებში, სადაც მსოფლიო ბრენდები იყიდება. კომპანიის აქციონერებს ნამდვილად გაუმართლათ, ფირმის აქციები განთავსებული ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე და მათი ღირებულებაა 46 მილიარდი \$-ია. უძრავი ქონების სპეციალიზირებული საინვესტიციო შეთავაზებით (real estate investment trust, REIT) შესაძლებლობას აძლევს ინვესტორებს შეიძინონ სავაჭრო ფართები ამ კომპანიის სავაჭრო სივრცეებში.

ანალოგიურად მუშაობს უძრავი ქონების სპეციალიზირებული საინვესტიციო შეთავაზება The Link Real Estate Investment Trust — პირველი REIT ჰონგ-კონგში, რომელიც უმსხვილესია თავისი კაპიტალიზაციით აზიაში (70 მილიარდი ჰონგ-კონგის \$, დაახლოებით 9 მილიარდი აშშ \$). იგი სპეციალიზირებულია არა მხოლოდ სავაჭრო ცენტრებსა და ფართებზე, ამას ემატება პარკირებაც. მას ეკუთვნის 80 000 პარკირების ადგილი სავაჭრო ცენტრების ირგვლივ. ამ ადგილების ექსპლოატაციას კომპანიისათვის მოაქვს შემოსავლის 20%-ზე მეტი. კომპანიის აქციები განთავსებულია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე. მიმდინარე საოპერაციო წელს მათი ღირებულება 27%-ით გაიზარდა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიო დონეზე საინვესტიციო ფონდები და საინვესტიციო კომპანიები წარმოადგენენ იმ სტრუქტურებს, რომლებიც სწორად ახდენენ საინვესტიციო კაპიტალის განთავსებას, შემოსავლიანობის ზრდას და მართავენ საინვესტიციო პორტფელს.

#### ლიტერატურა:

1. ალფაიძე მ., კობალავა მ., ინვესტიციების მართვა და დაგეგმვა, თბ., 2012.
2. თურმანიძე ა., ინვესტიციების საქმიანი ურთიერთობების ფორმები, თბ., 2009.
3. მაგრაქველიძე დ., ინვესტიციების მართვის სტრატეგიები, თბ., 2013.
4. მაგრაქველიძე დ., ინვესტიციები ფასიან ქალაქებში, თბ., 2011.
5. სიჭინავა ა., ინვესტიციები: თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა, თბ., 2010.
6. ქოქიაური ლ., ინვესტიციების თეორიული გენეზისი, მე-2 გამოცემა, თბ., 2013.
7. ქოქიაური ლ., ინვესტიციები, ბიბლიოგრაფიული კრებული, თბ., 2008.
8. ქოქიაური ლ., ინვესტიციების და მენეჯმენტის თანამედროვე თეორიები (ლექციების კურსი), თბ., 2009.
9. ყუფარაძე გ., პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (მონოგრაფია), რედ. რევაზ გველესიანი, თბ., 2013.
10. შაყულაშვილი ა., ინვესტიციების მართვის საფუძვლები (ლექციების კურსი), რედ. ცისკარა ზარანდია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010.
11. შენგელია რ., წიკლაური ჟ., შენგელია ნ., ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში, თბ., 2013.
12. ჯღანჯღავა ქ., უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გლობალურ ბიზნესში = Foreign direct investment in global business, თბ., 2013.

## SAVING MONEY IS MORE COMPLICATED THAN IT'S EARNING - INVESTMENT ACTIVITY PHILOSOPHY

Tsiuri Duruli, Gori State Teaching University, Professor  
Nino Liparteliani, Gori State Teaching University, Professor  
RESUME

Saving money is more complicated than it's earning-Investment activity Philosophy. The most important problems in the world today, many of the investment fund and the company adjusts.

Beginning with its founding in 1988, **BlackRock's** story over a quarter of a century is about a commitment to putting clients first, innovative thinking, passion for performance and a remarkable collaboration. What responsibilities do we have as investors? One of the most important is to use our voice to help companies focus on the long term. Financial sustainability is something all investors and companies should be focused on, but in today's demanding market environment and short-term culture, it's something that we too frequently overlook. As investors, we need to use our voice, through direct engagement and voting, to ensure that companies are being run to deliver sustainable growth and returns over the long term.

Fidelity is a privately held company founded by Edward C. Johnson II in 1946, which is owned by employees and the Johnson family. Fidelity Management & Research Company, the US investment management division of

**Fidelity Investments**, acts as the investment adviser to Fidelity's family of mutual funds. FMR Co has three fund divisions: Equity (headquartered in Boston, Massachusetts), High-Income (Boston) and Fixed-Income (Merrimack, New Hampshire).

Franklin Resources Inc. is an American holding company that, together with its subsidiaries, is referred to as **Franklin Templeton Investments**; it is a global investment firm originally founded in New York in 1947 as Franklin Distributors, Inc. It is listed on the NYSE under the ticker BEN, in honor of Benjamin Franklin, who was admired by founder Rupert Johnson, Sr. In 1973 the company's headquarters moved from New York to San Mateo, California. Today, Franklin Templeton Investments is one of the world's largest asset management groups with over US\$844.7 billion in assets under management (AUM) on behalf of over 25 million private, professional and institutional investors, as at September 30, 2013, up \$29.7 billion or 4% during the 4th quarter (FY 2013).

**Schroders** - We focus on investment performance over a three-year rolling period, consistent with our aim to create value for clients over the long term, and over the three years to 31 December 2014, 78 per cent. of assets under management outperformed their benchmark or peer group. Our highly diversified business enables us to offer our clients the investment strategies and solutions that they need in different market conditions.

**Generali International** - The best wealth management structures in the world cannot deliver the financial benefits they promise without the momentum of underlying investment fund performance. Recognising this fact, Generali International has invested time and resources to provide a wide range of institutionally discounted investment options, corresponding to underlying funds of some of the world's leading underlying fund managers, which in turn provide you with quality and choice. Generali International offers a selection of investment options for you to choose from and each investment option has a corresponding underlying fund. The types of underlying fund corresponding to investment options offered include, but are not limited to, equity funds, mutual funds, bonds, hedge funds and global funds.

## ფინანსები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში

**მერაბ ვანიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
E-mail: merabvanishvili@yahoo.com

**დათა ფარულავა**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
E-mail: dataparulava@gmail.com

**ნინო ვანიშვილი**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი,  
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი  
E-mail: ninivanishvili@yahoo.com

საერთაშორისო ფინანსები წარმოიშვა, ერთი მხრივ, მსოფლიომეურნეობრივ კავშირებზე ფინანსურ ურთიერთობათა გავრცელების შედეგად, ხოლო მეორე მხრივ, - მსოფლიო ეკონომიკის ფინანსური ქვესისტემის გაჩენისა და განვითარების გამო. წარმოადგენს რა მსოფლიო ეკონომიკის ნაწილს, იგი წარმოადგენს მსოფლიო ფინანსური რესურსების (ე.ი. მსოფლიოს 185 ქვეყნის, მათი ფინანსური ორგანიზაციების და საერთაშორისო ფინანსური ცენტრების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ლეგალური ბიზნესის 65 მლნ ფირმის და დედამიწის მთელი მოსახლეობის ფინანსური რესურსების) ერთობლიობას.

მსოფლიოს ფინანსური რესურსები უპირატესად მოძრაობაში იმყოფება, გადანაწილდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა მონაწილეთა შორის. ამ ფინანსების ნაწილი ხვდება სავალუტო რეზერვში, ნაწილი - უცხოეთის ქვეყნებში შეღავათიანი პირობებით დახმარების სახით, მაგრამ ძირითადი მასა იყიდება და შეისყიდება მსოფლიო სავალუტო ბაზარზე (კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე). მსოფლიო ფინანსური რესურსების ძირითადი მასა თავმოყრილია განვითარებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნების კერძო პირები, კომპანიები, ორგანიზაციები და მთავრობები ფლობენ მსოფლიო სავალუტო რეზერვების ძირითად ნაწილს. მათი ფინანსური საშუალებები მიმოიქცევა მსოფლიო ბაზარზე და წარმოადგენს მსოფლიოში ფინანსური დახმარების მთავარ წყაროს.

საფინანსო სისტემის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ყალიბდება არა მხოლოდ ცალკე აღებულ ერთ ქვეყანაში ანდა რეგიონში და ატარებს ეროვნულ ხასიათს, არამედ აგრეთვე იმაშიც, რომ იგი ფორმირდება საერთაშორისო მასშტაბით და, შესაბამისად, წარმოადგენს ზეეროვნულს,

ინტერნაციონალურს და, როგორც მას ხშირად უწოდებენ, - საერთაშორისო საფინანსო სისტემას (შემოკლებით, - „საერთაშორისო ფინანსები“).

**ფართო გაგებით.** *საერთაშორისო ფინანსური რესურსები* (საერთაშორისო ფინანსები) - ეს არის მსოფლიოს ყველა ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ფინანსური ცენტრების ფინანსური რესურსების ერთობლიობა.

**ვიწრო გაგებით.** *საერთაშორისო ფინანსური რესურსები* (საერთაშორისო ფინანსები) - ეს არის მხოლოდ ის ფინანსური რესურსები, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ზღვარი საერთაშორისო ფინანსური რესურსების ფართო და ვიწრო გაგებას შორის თანდათანობით იშლება მსოფლიო ფინანსების გლობალიზაციის კვალობაზე.

საერთაშორისო ფინანსები არაა ხელოვნურად შექმნილი კატეგორია. იგი გამოხატავს სპეციფიკურ ფინანსურ ურთიერთობებს, რომლებსაც გააჩნიათ ობიექტური საფუძველი. *საერთაშორისო ფინანსების მატერიალური წარმდგარი* არის ის საერთაშორისო ფინანსური ნაკადები, რომლებიც ყალიბდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის, შემდეგი სახით:

○ *ფულადი ნაკადები* - სავალუტო შემოსავლები საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან და გადახდები საქონლისა და მომსახურების იმპორტიდან. ეს ნაკადები შეიძლება ასახავდნენ სამეურნეო სუბიექტების ფინანსებს, მაგრამ რამდენადაც ისინი განეკუთვნებიან სხვადასხვა ქვეყნებს, შესაბამისად, გამოხატავენ ქვეყნებს შორის ფულადი ნაკადების მოძრაობას;

○ *საკრედიტო სახსრების ნაკადები* - რომლებიც, თავის მხრივ, ორმხრივია: ერთი მხრივ, სესხის მიწოდება, მეორე მხრივ - სესხის დაფარვა და პროცენტების გადახდა. ამრიგად, ამ ნაკადების ბაზაზე წარმოიშობა ქვეყნებს შორის ფინანსური რესურსების მოძრაობა. მათი განაწილება რეგულირდება, ერთი მხრივ, სავალუტო კურსით, ხოლო მეორე მხრივ, - საბაჟო ტარიფებითა და წესებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფინანსებს საერთაშორისო ხასიათს ანიჭებს სხვა ფაქტორებიც. როგორც ცნობილია, ფინანსური რესურსები ფორმირდება და გამოიყენება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების საქმიანობის პროცესში. ასეთი ინსტიტუტები წარმოადგენენ ზე-ეროვნულ ზედნაშენს, რომლებიც უზრუნველყოფენ გარკვეული მიზნობრივი ფუნქციების შესრულებას საერთაშორისო მასშტაბით. მათი დაფინანსება ხდება გარკვეული ფონდების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება იყოს ან განზოგადებული (მაგალითად, გაერო-ს ბიუჯეტი), ან მიზნობრივი (გათვლილი კონკრეტულ დონისძიებასა და პროგრამაზე). ამ ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ფინანსური რესურსები ფორმირდება ორი გზით: ცალკეული ქვეყნების საწევრო შენატანებით და მთავრობის მიერ კრედიტების გაცემით, მათი დაბრუნებით და პროცენტის გადახდით. ფინანსური რესურსების გარკვეული ნაწილის ცენტრალიზაცია საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფს მსოფლიო მეურნეობის მოთხოვნილებას.

სპეციალურ ფინანსურ ლიტერატურაში ფინანსების კატეგორია წარმოდგენილია ზოგადად, ისე, რომ არაა შემოსაზღვრული მისი კონკრეტული ჩარჩოები, ანუ საუბარია იმაზე, რომ სადაც არსებობს ფული და საქონელი, იქ არის აგრეთვე ფინანსებიც. უცხოელი მკვლევრების აზრით, ფინანსები წარმოიქმნება როგორც ეკონომიკური ურთიერთობების მამოძრავებელი კატეგორია, რომელიც საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ ამგვარი გაფართოებული და განზოგადებული ფორმულირება გადაიტანება „საერთაშორისო ფინანსების“ კატეგორიაზე. ასე მაგალითად, ცნობილი მკვლევარი - ფინანსისტი *მენვილა ჰერისი* საერთაშორისო ფინანსების კატეგორიას განმარტავს როგორც დროისა და განუზღვრელობის ერთობლიობას გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რომელიც შეეხება რამდენიმე სხვადასხვა ქვეყანას იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ სუვერენულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი ვალუტა, ბიზნესისა და პოლიტიკური სისტემის თავისი კანონები.

საერთაშორისო ფინანსების სფეროში, გარდა ეროვნული სუბიექტებისა (სახელმწიფო, საწარმო, მოქალაქე), გამოყოფენ აგრეთვე ზეეროვნულ სუბიექტებსაც - საერთაშორისო ორგანიზაციებს და საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებს. ასეთი პირობითი დაყოფიდან გამომდინარე, მკვლევართა ნაწილი იძლევა საერთაშორისო ფინანსების ვიწრო განმარტებას, რომლის თანახმად, იგი გაიგივებულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობასთან. სინამდვილეში, თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ფინანსები წარმოადგენს საკმაოდ განშტოებულ სტრუქტურას მრავალრიცხოვანი სახელმწიფო, კერძო და, საკუთრივ საერთაშორისო ელემენტებით.

ამა თუ იმ ქვეყნის თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო სტრუქტურებთან ხორციელდება გაერო-ს სისტემის უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით: საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, ისეთები როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკის ჯგუფი, რეგიონული ხასიათის საერთაშორისო

ორგანიზაციები - განვითარების რეგიონული ბანკები და სხვა. გარდა ამისა, საერთაშორისო ფინანსების რეგულირება აქტიურად ხორციელდება აგრეთვე „დიდი რვიანის“ ყოველწლიურ თათბირებზე მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებებით, ასევე პარიზის კლუბის (რომელიც აერთიანებს სახელმწიფო კრედიტებს) და ლონდონის კლუბის (რომელიც აერთიანებს მსხვილ კერძო კრედიტებს) მიერ.

სუბიექტების ბუნებიდან და მათი ფუნქციონირების მასშტაბიდან გამომდინარე, ფინანსები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: შიდა (ეროვნულ) ფინანსებად და გარე (საერთაშორისო) ფინანსებად, რომლებიც ერთდროულად შეადგენენ **მსოფლიო ფინანსებს**.

**შიდა (ეროვნული) ფინანსების** ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- არ გამოდიან ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებიდან;
- არ იზიდავენ უცხოელ სუბიექტებს;
- ფუნქციონირებენ ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე;
- გააჩნიათ მხოლოდ შიდაეროვნული ხასიათი, რაც გამოიხატება იმაში, რომ გამოიყენებიან შიდა ბანკთაშორის გადარიცხვებში, წარმოადგენენ ქვეყნის შიგნით ანგარიშსწორებისა და შიდასახელმწიფოებრივი დაკრედიტების საშუალებას.

**გარე (საერთაშორისო) ფინანსები** - არის საერთაშორისო ფინანსური რესურსების ერთობლიობა და მოძრაობა. გლობალიზაცია იწვევს მსოფლიო ვაჭრობის, წარმოების მასშტაბებისა და სპეციალიზაციის ზრდას, კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების განვითარებას, საქონლის, მომსახურების და ადამიანების საზღვრებშორის მოძრაობას, საერთაშორისო ფინანსების განვითარებას, საერთაშორისო ფინანსური ბაზრების წარმოშობა-განვითარებას, სახელმწიფოთაშორისი ფინანსური ურთიერთობებისა და საერთაშორისო ფინანსური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების განხორციელებას.

საერთაშორისო ფინანსები მოიცავს სახელმწიფოთაშორისო და ტრანსეროვნულ საკრედიტო-საფინანსო ურთიერთობებს და ხასიათდება მასში უცხოური ელემენტების ფართო მონაწილეობით. ამასთან, საერთაშორისო ფინანსები არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აბსტრაქტული სახელმწიფოების ურთიერთობების შედეგი. ეს თანამშრომლობა მიმართულია შიდა ძალების ოპტიმალური შეხამებისაკენ რაციონალური საგარეო-ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამგვარად, ფინანსური ურთიერთობები რეალიზდება ორი დიალექტიკური ფორმით: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო. მართალია, ობიექტურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამოდის როგორც პირველადი საერთაშორისოსთან მიმართებაში, მაგრამ, როგორც წესი, მაინც საერთაშორისო მიიჩნევა როგორც უფრო მაღალი, სრულყოფილი და სისტემურად უკეთესად ორგანიზებული ფორმა.

საერთაშორისო ფინანსები შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური კატეგორია. საერთაშორისო ფინანსების ფორმირებისა და განვითარების ობიექტურ საფუძველს შეადგენს ფუნქციონირებადი კაპიტალის საერთაშორისო ბრუნვა, რომლის ერთ პოლუსზე წარმოიქმნება დროებით თავისუფალი სახსრები, ხოლო მეორეზე - მათზე მუდმივი მოთხოვნა. ერთი მხრივ, განვითარებული ქვეყნები მუდამ ეძებენ დანაზოგის ხელსაყრელი დაბანდების სფეროებს და ცდილობენ მათ მაქსიმალურად დივერსიფიცირებას. მეორე მხრივ, ქვეყნების ნაწილი მწვავედ განიცდის გრძელვადიანი ინვესტიციების უკმარისობას. სწორედ საერთაშორისო ფინანსები აძლევს საშუალებას განვითარებულ ქვეყნებს, აგრეთვე მათ, ვინც ცდილობს განვითარებას, მათ შორის პოსტსოციალისტურ ქვეყნებს, დაიკმაყოფილონ თავიანთი ფინანსური მოთხოვნები.

საერთაშორისო ფინანსების მოძრაობა ხორციელდება შემდეგი ძირითადი არხებით:

- სავალუტო ოპერაციები;
- საქონლის ყიდვა-გაყიდვის სავალუტო-საკრედიტო და საანგარიშსწორებო მომსახურება;
- ოპერაციები ფასიან ქაღალდებთან და სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან;
- ეროვნული შემოსავლის ნაწილის გადანაწილება ბიუჯეტის მეშვეობით ღარიბი ქვეყნებისადმი დახმარებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოების შენატანების ფორმით და სხვ.

საერთაშორისო ფინანსების როგორც ეკონომიკური კატეგორიის განმარტებისას შეიძლება ითქვას, რომ **საერთაშორისო ფინანსები** არის ფინანსური რესურსების ფონდი, რომელიც წარმოიქმნება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების საფუძველზე და გამოიყენება მსოფლიო დონეზე საზოგადოებრივი კლავწარმოების უწყვეტობისა და რენტაბელობის უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო მნიშვნელობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საერთაშორისო ფინანსების ინსტიტუციური კუთხით განხილვისას შეიძლება ითქვას, რომ **საერთაშორისო ფინანსები** არის ბანკების, საფონდო და სავალუტო ბირჟების, საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების, რეგიონული საფინანსო-საკრედიტო და სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის ეკონომიკური ორგანიზაციების ერთობლიობა.



საერთაშორისო ფინანსები ისტორიული კატეგორიაა, რომელიც მუდმივად ვითარდება ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური კანონების საფუძველზე. მისი ფორმირება დაიწყო მრავალი ათასწლეულების უკან, როდესაც საზოგადოების განვითარებაში გამოიკვეთა საქონელგაცვლის ურთიერთობათა პირველი ნიშნები. იმდროინდელი ომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცალკეულ ტომებს შორის, მთავრდებოდა მოთხოვნებით (ვალდებულებებით), რაც გულისხმობდა ერთი ტომის მიერ მეორისთვის გარკვეული ხარკის გადახდას. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას თან ახლდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფენის - სავაჭრო შუამავლების - სოვდაგრის ინსტიტუტის გაჩენა, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი სახსრები და ვაჭრობდნენ არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნის ფარგლებში, არამედ სხვა ქვეყნებთანაც. შემდგომში მონეტის გამოჩენამ დააჩქარა როგორც საქონლის, ასევე სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეროვნული ფულის გაცვლის პროცესი. შუა საუკუნეებში კი საფუძველი ჩაეყარა მსხვილ ბაზრობებს, გადამცვლელი კანტორების მეშვეობით უცხოური ვალუტის ადგილობრივზე გაცვლას. ამას მოჰყვა სესხების გაცემა და დაიწყო საბანკო სექტორის ფორმირება.

ჩვენ ვეთანხმებით თვალსაზრისს, რომლის თანახმად, საერთაშორისო ფინანსები ასრულებს ორ მთავარ ფუნქციას - განმანაწილებელს და საკონტროლოს.

**განმანაწილებელი ფუნქცია** ვლინდება იმაში, რომ საერთაშორისო ფინანსების მეშვეობით ხორციელდება მსოფლიო პროდუქტის ფულადი განაწილება და გადანაწილება. მას საფუძველად უდევს სხვადასხვა მექანიზმები და გარემოებები, რომელთა შორის მთავარია:

- ობიექტური კანონზომიერებები, ანუ საზოგადოების მოთხოვნილებების არსებობა მსოფლიო პროდუქტის განაწილება - გადანაწილებაზე;
- კაპიტალი ყოველთვის მიიმართება იქითკენ, სადაც მოგების მეტი შესაძლებლობაა. ეს საბაზრო ეკონომიკის (ბიზნესის) ამოსავალი პრინციპია;
- კაპიტალის მოძრაობის მთავარი ფაქტორია რისკი, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან. რაც უფრო მეტი მოგების მიღების შესაძლებლობა არსებობს, მით მაღალია გაწეული რისკი;
- კაპიტალის მოძრაობა გამოხატავს აგრეთვე პროპორციული განვითარების კანონის მოქმედებას. იგი ვლინდება იმაში, რომ ერთ რომელიმე სფეროში (დარგში) ან ტერიტორიულ ერთეულში მოგების მიღების კრიტიკული ზღვრის მიღწევა ან შემცირება იწვევს კაპიტალის მიმართულების შეცვლას, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს პროპორციულ განვითარებას;
- მსოფლიო პროდუქტის განაწილება-გადანაწილება დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე, რომელიც შეიძლება დაფუძნებულ იყოს მათ პირად ინტერესებზე. კონფლიქტში მყოფი სუბიექტები ხშირად ეწინააღმდეგებიან პროდუქტის (განსაკუთრებით, სამხედრო დანიშნულების პროდუქტის) გადანაწილებას.

**საკონტროლო ფუნქციის** არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ეტაპზე არსებობს ფულად ფორმაში მსოფლიო პროდუქტის მოძრაობის ანალიზისა და აღრიცხვის შესაძლებლობა, რამდენადაც საერთაშორისო ფინანსები გამოხატავს პროდუქტის მოძრაობას, სახელდობრ, ფულად ფორმაში. ამ დროს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ორიენტირი საერთაშორისო ფინანსებთან მიმართებაში სწრაფი ადეკვატური გადაწყვეტილებების მისაღებად, აგრეთვე საერთაშორისო სუბიექტების მიერ მათი საქმიანობის მიმდინარე და სტრატეგიული პოლიტიკის შესამუშავებლად. ამ ფუნქციის ეფექტიან რეალიზაციაზე გავლენას ახდენს როგორც სახელმწიფოს პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარების ხასიათი და დონე, ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის პროცესის ტექნიკური აღჭურვა, ასევე საქმიანი მიდგომაც საკონტროლო ფუნქციის რეალიზაციის პრაქტიკული მნიშვნელობის შეფასებისადმი.

საერთაშორისო ფინანსები წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ქვესისტემას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკების და მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე. ამდენად, საერთაშორისო ფინანსები ფუნქციონირებს როგორც ერთიანი, კომპლექსური სისტემა, რომლის ელემენტებია: (1) *მსოფლიო სავალუტო სისტემა*, რომლის მდგენელებია ეროვნული და სარეზერვო ვალუტები, საერთაშორისო და რეგიონული ვალუტები, ურთიერთკონვერტირების პირობები, სავალუტო პარიტეტი, სავალუტო კურსი, სავალუტო კურსების რეგულირების ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები; (2) *საერთაშორისო ანგარიშსწორება*, რომელიც ემსახურება საქონლის, წარმოების ფაქტორების, ფინანსური ინსტრუმენტების მოძრაობას, აგრეთვე საგადასახდლო ბალანსი, რომელშიც აისახება საერთაშორისო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია; (3) *საერთაშორისო ფინანსური ბაზრები და კონკრეტული ფინანსური რესურსებით ვაჭრობის მექანიზმები* - ვალუტა, ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების და ა.შ.) ვაჭრობის ბაზრები; (4) *საერთაშორისო დაბეგვრა*, როგორც ფულადი სახსრების ფონდების მობი-

ლიზაციის მეთოდი; (5) *ტრანსნაციონალური კომპანიების საერთაშორისო ფინანსური მენეჯმენტი*, სადაც მთავარი ადგილი განეკუთვნება საერთაშორისო ინვესტიციების, რისკების მართვას, ტრანსნაციონალურ დაფინანსებას.

საერთაშორისო ფინანსების სტრუქტურის ყველა ელემენტი ერთიანდება მსოფლიო ფინანსურ გარემოში. **მსოფლიო ფინანსური გარემო** არის გარემო, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ფინანსური ბაზრის ზრდის პირობებს და გავლენას ახდენს ბანკების, ფინანსური კორპორაციებისა და ინვესტორების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

**საერთაშორისო ფინანსების სუბიექტებს** წარმოადგენენ: სახელმწიფო; საერთაშორისო ორგანიზაციები; იურიდიული პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები, ტრანსნაციონალური ბანკები, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები, ბირჟები; ფიზიკური პირები.

**სახელმწიფო** წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსების სფეროში მოქმედ ძირითად სუბიექტს. იგი პრაქტიკულად სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების (სტრუქტურების) სახით გამოდის, რომელთა შორის მთავარია ცენტრალური ბანკი. ეს უკანასკნელი არის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ორგანო, რომელსაც მინიჭებული აქვს ბანკოტების გამოშვების მონოპოლიური უფლება, ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და სავალუტო კრედიტის რეგულირების, სავალუტო რეზერვების მობილიზების უფლება. გარდა ამისა, სახელმწიფოს სახელით გამოდიან სახელმწიფო ორგანოები (მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და ა.შ.) და ოფიციალური თანამდებობის პირები (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ცალკეული მინისტრები), რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ საქმიანობის ისეთი სახეები, როგორცაა: მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ კონფერენციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში; დადონ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტზე, აგრეთვე კლირინგზე, საგადასახდელო და სავალუტო შეთანხმებებზე, სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები უძრავ და მოძრავ ქონებაზე, იპოთეკაზე, დაკრედიტებაზე, სესხებზე, ინვესტირებაზე, დაფინანსებაზე; განახორციელონ ოპერაციები ოქროსა და სხვა ძვირფას ლითონებზე; მოახდინონ სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების, ფასიანი ქაღალდების ემიტირება, სხვადასხვა იურიდიული და სხვა პირების ოპერაციების ფინანსური და სხვა გარანტიებით უზრუნველყოფა; აღმოუჩინონ სხვა სახელმწიფოებს არაანაზღაურებადი ფინანსური დახმარება.

**საერთაშორისო ორგანიზაციები** წარმოადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და წესდების შესაბამისად შექმნილ სტრუქტურებს, რომლებიც ახორციელებენ სუვერენულ სახელმწიფოთა გარკვეულ ფუნქციებს საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ამ ტიპის ორგანიზაციებს მიეკუთვნება საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და ფინანსური ორგანიზაციები, რომლებიც იქმნება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე საერთაშორისო-სავალუტო და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა დარეგულირებისათვის და მსოფლიო ეკონომიკის სტაბილიზებისათვის. საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს შორის წამყვანი ადგილი განეკუთვნება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკს, განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკს და მის ქვედანაყოფებს, განვითარების საერთაშორისო ასოციაციას, საინვესტიციო გარანტიებზე საერთაშორისო სააგენტოს, ევროპის საინვესტიციო ბანკს, განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს, ევროკავშირის სავალუტო-საკრედიტო და ფინანსურ ორგანიზაციებს და სხვ.

საერთაშორისო ფინანსების განვითარებაში აქტიურ როლს თამაშობენ **იურიდიული და ფიზიკური პირები**, რომელთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ისეთი სუბიექტები, როგორცაა ტრანსნაციონალური კორპორაციები, ტრანსნაციონალური ბანკები, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები და, ბირჟები.

შესაძლებელია საერთაშორისო ფინანსების სტრუქტურის წარმოდგენა ორი მდგენელის - საჯარო საერთაშორისო ფინანსების და კერძო საერთაშორისო ფინანსების - ერთობლიობის სახით.

**საჯარო საერთაშორისო ფინანსების** სუბიექტებს წარმოადგენენ: სუვერენული სახელმწიფოები (მათი ხელისუფლების ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები), მათი წარმონაქმნები, ეროვნებები და ხალხები, თავისუფალი ქალაქები. ასეთი ფინანსური ურთიერთობები წარმოიქმნება: ორ სახელმწიფოს შორის კრედიტის გაცემა-აღებასთან დაკავშირებით; სახელმწიფოსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას, უცხოურ ბანკს შორის, საერთაშორისო კრედიტის ხელშეკრულებით; სახელმწიფოებს შორის სახელმწიფოთაშორისი ერთობლივი პროგრამების, საინვესტიციო პროექტების ფარგლებში; სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკსა და უცხოურ ბანკს შორის, ოქრო-სავალუტო რეზერვების ფორმირებასთან დაკავშირებით; სახელმწიფოთა შორის გრანტების გაცემის, სხვადასხვა ფინანსური დახმარების ფორმით.

*კერძო საერთაშორისო ფინანსების* ძირითად სუბიექტებს რეზიდენტები და არარეზიდენტები, სახელმწიფო ინსტიტუტები (მაგალითად, უნიტარული საწარმოები) წარმოადგენენ. ასეთი ფინანსური ურთიერთობები წარმოიქმნება: რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის საქონლის/მომსახურების ყიდვა-გაყიდვის, საჯარიმო სანქციების გამოთხოვის, სესხებისა და გრანტების გაცემის, უცხოური ვალუტის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გზით; უცხოურ ორგანიზაციებსა და ეროვნულ საფინანსო სისტემას შორის ბიუჯეტში სავალდებულო გადასახდელების შეტანისას; ორგანიზაციებს, ფიზიკურ პირებსა და უცხოურ სადაზღვევო კომპანიას შორის, სადაზღვევო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შესრულებისას; რეზიდენტებსა და უცხოურ ბანკს შორის, საბანკო ანგარიშის (მათ შორის, ანაბრებსა და დეპოზიტებზე) გახსნასა და მომსახურებასთან დაკავშირებით; არარეზიდენტსა და დამსაქმებელს, რეზიდენტსა და დაქირავებულ მუშაკებს შორის; უცხოურ საწარმოსა და რეზიდენტს შორის პირველის საქმიანობაში მონაწილეობისათვის დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ფინანსების განვითარებაში ახალი ტენდენცია არის მისი გლობალიზაცია, რომელიც წარმოადგენს რთულ, მრავალასპექტიან პრობლემას, რომლის ირგვლივ დაწყებულია მეცნიერული დისკუსიები, თუმცა, ჯერჯერობით მკაფიოდ გამოკვეთილი, ცალსახა ფორმულირებები არ არსებობს. ფინანსური გლობალიზაციის კატეგორიის უკან დგას მრავალი რეალური მოვლენა და პროცესი, რომელიც ეხება მთელ სამყაროს და წარმოადგენს თანამედროვე გლობალური პრობლემების ერთობლიობის მნიშვნელოვან შემადგენელს.

#### **ლიტერატურა:**

1. ვანიშვილი მ., ნოზაძე მ., გოცირიძე ლ. ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით. სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 386 გვ.
2. Киреев А.П., Международная экономика: В 2 ч. Ч.1. Международная микроэкономика: движение товаров и факторов производства. Учеб. Пособие для вузов. - М.: Международные отношения, 1998.
3. Миляков Н.В., Финансы: Учебник. - 2-е изд. - М.: ИНФРА, 2004. - С. 463-536.
4. Финансы: Учебник. 2-е изд., перераб. и доп. / Под ред. В.В. Ковалева. - М.: ООО «ТК Велби», Изд-во Проспект, 2007. - С. 511-529.
5. Финансы: Учебник / А. С. Нешиной, Я. М. Воскобойников. 10-е изд. - М.: Издательско торговая корпорация «Дашков и К°», 2012. - С. 475-523.
6. Финансы: учебник для студентов вузов, обучающихся по экономическим специальностям, специальности „Финансы и кредит“ (080105) / Под ред. Г.Б. Поляка. - 3-е изд., перераб. и доп. - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2008. - С. 624-674.

## **FINANCE IN THE SYSTEM OF INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS**

**Merab Vanishvili**, Gori State Teaching University, Associate Professor

**Data Parulava**, Georgian Technical University PhD student

**Nino Vanishvili**, Georgian Technical University, Senior Teacher, Academic Doctor of Business Administration

### **RESUME**

In the article, according to the latest literary sources, is consistently considered concept and functions of finances in the systems of international economic relations.

‘International finances’ is explained as a fund of financial resources that are formed on the basis of development of international economic relations and is applied at world level to assure constant public reproduction and satisfy demands of international importance.

Possibility to present two components of international finance structures – as the unity of public international finances and private international finances – is indicated.

## საქართველოს სახელმწიფო ვალი და მისი მომსახურების ორგანიზაცია

**მერაბ ვანიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
E-mail: merabvanishvili@yahoo.com

**დავით ხაჭაპურიძე**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
E-mail: davitkhachapuridze@gmail.com

**ნინო ვანიშვილი**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი,  
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი  
E-mail: ninivanishvili@yahoo.com

ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების ქმედება სესხების აღებასთან დაკავშირებით განპირობებულია მისი ფინანსური მდგომარეობით. რაც უფრო დიდია სახელმწიფო სესხების მოცულობა, მით უფრო ცუდი მდგომარეობაა ქვეყნის ბიუჯეტში; რაც უფრო მაღალია სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ის მიმართ, მით უფრო ღრმაა ფინანსური კრიზისი.

საქართველოს ხელისუფლება თანამედროვე ეტაპზე გვევლინება როგორც მსესხებლის, ასევე კრედიტორის და გარანტის როლში. მისი საქმიანობა რეგულირდება 1998 წლის 5 მარტის *საქართველოს კანონით „სახელმწიფო ვალის შესახებ“*. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს მიერ სახელმწიფო ვალის აღებასთან, საშინაო და საგარეო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სახელმწიფო ვალის დაფარვის ძირითად პრინციპებს.

საქართველოს სახელმწიფო ვალი საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხაა.

მამასადამე, საქართველოს სახელმწიფო ვალი მოიცავს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალებს. საშინაო ვალის კრედიტორებად გვევლინება საქართველოს რეზიდენტი პირები, ხოლო საგარეო ვალის - არარეზიდენტი პირები. ხელისუფლების მიერ სასესხო ვალდებულებების განთავსებისას გაითვალისწინება კრედიტორების ინტერესები (მაგალითად, საგადასახადო შეღავათები) როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად:

- საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი არის ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებით;
- საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი არის უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი; იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული თანხებით.

ამჟამად, საქართველოს ხელისუფლების, როგორც კრედიტორის საქმიანობა შემოიფარგლება მისი მოღვაწეობით საშინაო ბაზარზე. იგი კრედიტებს გასცემს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იურიდიულ პირებზე - ორგანიზაციებსა და საწარმოებზე და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებზე.

სასესხო ვალდებულებები შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფოს მიერ აღებული კრედიტების, სახელმწიფო სესხების ან სხვა სასესხო ვალდებულებებისაგან, რომელთა გარანტიად წარმოდგება თვით სახელმწიფო. სახელმწიფო ფინანსური ვალდებულება არის საქართველოს სუვერენული და აბსოლუტური ვალდებულებები ძირითადი თანხების დაფარვისათვის და დარიცხული პროცენტების გადახდისათვის, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მთელი აქტივებით.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით, *კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები*, - ესაა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების თანხების მთლიანი ჯამი. ამასთან:

□ *საშინაო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები* კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიების ნაწილია; საგარანტიო ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებებისათვის თანხების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახელით აღებულ, ეროვნული ვალუტით გამოსახულ ყველა პირობით ვალდებულებათა ჯამს;

□ *საგარეო კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიები* კრედიტებისათვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო გარანტიების ნაწილია; საგარანტიო ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებებისათვის თანხების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახელით აღებულ, უცხოური კონვერტირებადი ვალუტით გამოსახულ ყველა პირობით ვალდებულებათა ჯამს.

ორივე შემთხვევაში საგარანტიო ვალდებულებები განისაზღვრება შესაბამისი საგარანტიო ხელშეკრულებებით. როგორც გარანტი, საქართველოს ხელისუფლება სრული პასუხისმგებელია მის მიერ ან მისი თავდებობის ქვეშ აღებული კრედიტების თავისდროულ და დათქმული პირობებით დაფარვაზე.

საქართველოს პარლამენტი ახდენს სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოების ორგანოებთან და სხვა სუბიექტებთან სახელმწიფო საგარეო კრედიტების აღებასთან ან კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას.

საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით განსაკუთრებული უფლება აქვს:

- დადოს ხელშეკრულებები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით ფულადი სახსრების ვალად აღების შესახებ;
- გამოუშვას მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- საქართველოსა და სხვა ქვეყნების საფინანსო ორგანიზაციებს მისცეს კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით, რომელიც გამოეყოფათ საქართველოს ეკონომიკურ აგენტებს საკუთრების ფორმისა და სამეურნეო საქმიანობის მიუხედავად.

სახელმწიფო, მათ შორის, საშინაო და საგარეო ვალის საერთო თანხა, აგრეთვე საშინაო და საგარეო კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტიების ჯამური თანხა ყოველწლიურად განისაზღვრება აბსოლუტურ და შეფარდებით გამოსახულებაში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით პარლამენტი ამტკიცებს სახელმწიფო საშინაო ვალის, სახელმწიფო საგარეო ვალის, საშინაო და საგარეო კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების ლიმიტებს (ზღვრულ ოდენობას) მოცემული წლისათვის.

*სახელმწიფო საშინაო ვალის ფორმები*: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; სხვა სავალო ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიჩნია სახელმწიფო საშინაო ვალად და დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა.

სახელმწიფო საშინაო ვალიდან შემოსული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, ფულადი სახსრები გამოიყენება: ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად; სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლევადიანი საკასო სხვაობის დასაფარავად.

*სახელმწიფო საგარეო ვალის ფორმები*: სხვა სახელმწიფოებისგან და სხვა სახელმწიფოების საფინანსო აგენტებისგან აღებული ვალი; უცხო ქვეყნების საფინანსო დაწესებულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ვალი; ეროვნული ვალუტისგან განსხვავებული, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით დენომინირებული, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ვალი.

სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული სახსრები გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნებისთვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოს სახელით აღებული სახელმწიფო საგარეო ვალის მართვაზე, მომსახურებასა და დაბრუნებაზე.

საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო საგარეო ვალით აღებული თანხის გაცემა წარმოებს დადგენილი წესით. სამინისტრო საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით ფარავს და ახორციელებს გადახდებს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებისათვის.

საერთაშორისო შეთანხმებებით სახელმწიფო საგარეო ვალი უნდა იქნეს გამოყენებული, მომსახურებული და დაბრუნებული იმ პირობებისა და ვადების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია შეთანხმებებით.

სახელმწიფო საგარეო ვალებიდან ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებული სავალუტო სახსრები იყიდება სავალუტო ბაზარზე და გადაირიცხება ხაზინის ანგარიშში.

ამრიგად, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ხელისუფლების საქმიანობა მსესხებლის რანგში. ამ მიმართულებით ხელისუფლების აქტიურობა განპირობებულია ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების, უპირველეს ყოვლისა, საშინაო წყაროების ნაკლებობით. ამასთან დაკავშირებით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება არა მხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო ვალიც.

სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რაც აღიარებულია ბოლო წლებში საქართველოსთან მომუშავე სარეიტინგო სააგენტოების „Standard & Poor’s“-ის, „Fitch“-ის და „Moody’s“-ის მიერ. აღნიშნული მიღწეული იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო საგარეო ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად, აგრეთვე ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენების მეშვეობით. ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ძირითადად შეღავათიანია. უცხოური წყაროებიდან მიღებული სესხები გამოიყენება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია მოიზიდოს სახელმწიფო სესხები უცხო ქვეყნების მთავრობებიდან და რეგიონული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან.

2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა გააცნო საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს და შესაბამისად წარმოადგინდა ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს.

2011 წელს საქართველომ წარმატებით გამოუშვა მეორე, ამჯერად 10-წლიანი ევროობლიგაცია, რომლის ფინანსური პარამეტრები მიმზიდველობის თვალსაზრისით გაუთანაბრდა უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე სუვერენული სახელმწიფოების ფასიან ქაღალდებს. ამ ტრანზაქციის ფარგლებში მოხდა 2008 წელს გამოშვებული 5-წლიანი ევროობლიგაციის წინსწრებით გამოსყიდვა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა 2013 წელს ერთჯერადად გადასახდელი ძირითადი თანხა და, შესაბამისად, კიდევ უფრო ხელსაყრელი გახდა სახელმწიფო ვალის დაფარვის გრაფიკი.

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. სამინისტრო აწარმოებს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ემისიას შიდა ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ფასიანი ქაღალდების ემისია აგრეთვე უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მაღალი სანდოობის მქონე კაპიტალის მოზიდვის გზით.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ვალის კოეფიციენტები მნიშვნელოვნად შემცირდა 2003 წლიდან. ამას მოჰყვა კოეფიციენტების დროებითი ზრდა 2008-2010 წლებში გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკური ზრდის ტემპებზე არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. ვალის კოეფიციენტების კლების ტენდენცია გაგრძელდა 2011 წლიდან, საქართველოში განახლებული სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში და სახელმწიფო ვალის გონივრული მართვიდან გამომდინარე, რომლის მიზანია სახელმწიფო ვალის შენარჩუნება სათანადო ლიმიტების ფარგლებში.

სხვა ქვეყნებთან შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველოში მთავრობის ვალის დონე გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ბევრ სხვა წამყვან ქვეყანაში. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მთავრობის ვალი %-ად მშპ-თან 2014 წლისათვის შეადგენდა: საქართველოში - 33.7%-ს, ჩეხეთში - 47.6%-ს, შვეიცარიაში - 48.2%-ს, პოლონეთში - 57.6%-ს, უნგრეთში - 79.8%-ს, გერმანიაში - 80.4%-ს, კანადაში - 87.1%-ს, ბრიტანეთში - 92.1%-ს, საფრანგეთში -

93.5%-ს, ესპანეთში - 93.75%-ს, აშშ-ში - 106%-ს, იტალიაში - 132.3%-ს, საბერძნეთში - 157.7%-ს, იაპონიაში - 243.5%-ს.

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი წარმოადგენს მთლიანი სახელმწიფო ვალის 75%-ს. ამ საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან და ძირითადად შედგავთიანია. სახელმწიფო საგარეო ვალის ასეთი ხელსაყრელი სტრუქტურა საშუალებას იძლევა მიღწეული იქნას ძალიან დაბალი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ წლიური 1.9%-ის ოდენობით.

მზარდი საბიუჯეტო შემოსავლები, ძალიან დაბალი საშუალო საპროცენტო განაკვეთი და ვალის დაფარვის შეღავათიანი გრაფიკი ძირითადი თანხების დაბალი და ადვილად ხელმისაწვდომი ყოველწლიური გადასახდელებით - ეს არის იმ ძირითადი ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტების სტაბილურად დაბალ დონეს და კლებად ტენდენციას. ნებისმიერი ერთი ფისკალური წლის განმავლობაში ვალის მომსახურებაზე მიმართება საბიუჯეტო შემოსავლების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ საბიუჯეტო ასიგნებები მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებზე და სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე.

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 73% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ამ ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ და ადვილად ხელმისაწვდომ დონეზე მიუხედავად გაურკვეველი გლობალური ეკონომიკური სიტუაციისა.

ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ევროზონის მემბრის მემბრის ფასი ძირითადად აღემატება ნომინალურ ფასს (par value), ხოლო შემოსავლიანობა (yield) მნიშვნელოვნად შემცირდა. ფასის/შემოსავლიანობის ეს დადებითი ტენდენცია ადასტურებს საერთაშორისო ინვესტორთა საზოგადოების ურყევ ნდობას ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკის მიმართ.

შიდა კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით და ინვესტორთა მხრიდან არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეტაპობრივად ახორციელებს სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობის ზრდას და ვადიანობის გახანგრძლივებას 6 თვიდან 10 წლამდე. 2012 წელს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების გამოშვება. ამის პარალელურად, 2011-2012 წლების განმავლობაში საპროცენტო განაკვეთები (კუპონის და დისკონტის განაკვეთები) სტაბილურად მცირდება, რაც ასახავს ინვესტორების ნდობას საქართველოს ხელისუფლების ფისკალური პოლიტიკის და არსებული სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის წამყვანი უწყება საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის და მათი მხარდაჭერის კოორდინაციის კუთხით. დონორთა კოორდინაციის ძირითადი ამოცანაა დონორთა მხარდაჭერის ეფექტიანობის გაზრდა და დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების და პროგრამების მორგება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტებზე. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან ფინანსური რესურსის მოზიდვა მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, რათა შენარჩუნებული იქნას სახელმწიფო ვალის არსებული ხელსაყრელი პარამეტრები.

2008 წლის ოქტომბერში ქ. ბრიუსელში საქართველოს მხარდასაჭერად გაიმართა დონორების საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 35-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია. საქართველომ კონფერენციაში მონაწილე დონორებისგან მიიღო შეღავათიანი ფინანსური მხარდაჭერის დაპირებები საერთო მოცულობით 4.5 მლრდ აშშ დოლარი, საქართველოს ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით. კონფერენციის ასეთმა წარმატებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საერთაშორისო საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა საქართველოს მიმართ. კონფერენციაზე მიღებული დაპირებების განხორციელება წარმატებულად მიმდინარეობს. საჯარო და კერძო სექტორებში დონორებთან უკვე გაფორმებულია შეთანხმებები დაპირებული თანხის მთლიან მოცულობაზე. დონორების ეს მხარდაჭერა ითვალისწინებს გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების და გრანტების გამოყოფას პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების და პროგრამების დასაფინანსებლად ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობის, ურბანული და მუნიციპალური განვითარების სექტორებში, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერად და იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

დონორთა ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართება კერძო სექტორის მხარდასაჭერად. კონფერენციის შედეგად გამოყოფილი ფინანსური რესურსის ნაწილი უკვე

ათვისებულია. დარჩენილი თანხების ათვისება გაგრძელდება მომავალი წლების განმავლობაში, დონორების მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დინამიკის შესაბამისად. ათვისების ეს გრაფიკი ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის და დასაქმების წახალისებას ქვეყანაში იაფი ფინანსური რესურსის შემოდინების გზით და შესაბამისად კიდევ უფრო გააძლიერებს ქვეყნის ეკონომიკის დაცულობას უარყოფითი გლობალური ეკონომიკური ფაქტორებისგან.

სახელმწიფო ვალის სტრუქტურასა და დინამიკაში უკეთ გასარკვევად მივმართოთ ბოლო წლების სტატისტიკურ მონაცემებს.

საგულისხმოა, რომ 2007-2014 წლებში საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობა მნიშვნელოვნად (3,28125-ჯერ) გაიზარდა და 2014 წლის ბოლოსათვის 10 374.6 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში 3,1-ჯერ გაიზარდა საშინაო და 3,2-ჯერ - საგარეო ვალის მოცულობა. 2014 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ვალის 24,56 პროცენტი ანუ 2 547.9 მლნ ლარი საშინაო, ხოლო დანარჩენი - 75,44 პროცენტი ანუ 7 826.7 მლნ ლარი საგარეო ვალი იყო.

2007-2014 წლებში საქართველოს სახელმწიფო ვალი პროცენტულად მშპ-თან საგრძნობლად გაიზარდა და მან 2014 წელს 34,7 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 2007 წლის 25,5 პროცენტისა. აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო საგარეო ვალი მშპ-თან მიმართებაში გაიზარდა 10 პროცენტული პუნქტით, ხოლო მთავრობის საგარეო ვალის მომსახურება ბიუჯეტის შემოსავლებთან მიმართებაში გაიზარდა 4.5 პროცენტული პუნქტით.

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობის ცვლილებასთან ერთად, იცვლებოდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალების სტრუქტურა. თუმცა, ეს ცვლილებები არსებით ხასიათს არ ატარებდა.

თავისი მოცულობით, საშინაო ვალის დაუფარავი მოცულობის უდიდესი ნაწილი (72,88%) სახაზინო ფასიანი ქაღალდებია (1 526,306 ათასი ლარი). აქედან, 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები წარმოდგენილია 425,000 ათასი ლარით, 2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები - 496,284 ათასი ლარით, 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები - 480,022 ათასი ლარით, 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები კი - 125,000 ათასი ლარით. ასევე დიდი მოცულობითაა წარმოდგენილი სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (567,846 ათასი ლარი), საიდანაც განსაკუთრებით მაღალი ხვედრიწილი უკავია სახელმწიფო ობლიგაციებს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის.

საქართველოს საგარეო ვალების სტრუქტურაში განსაკუთრებით გამოირჩევა მთავრობის საგარეო ვალი (8 811,206 ათასი ლარი ანუ მთელი საგარეო ვალის 99,18%). აქედან, განსაკუთრებით მაღალი ხვედრიწილითაა წარმოდგენილი მრავალმხრივი კრედიტორები (6 125,555 ათასი ლარი), ორმხრივი კრედიტორები (1 566,859 ათასი ლარი) და ფასიანი ქაღალდები (1 113,750 ათასი ლარი).

საქართველოს სახელმწიფო ვალების მართვა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომლის დროსაც გამოიყენება მათი როგორც კონსოლიდაცია, ისე კონვერსია. საშინაო ვალებთან შედარებით, გაცილებით ინტენსიურად მიმდინარეობს საქმიანობა საგარეო ვალების მართვასთან დაკავშირებით, რომელშიც წამყვან როლს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ასრულებს.

საქართველოს სამთავრობო დოკუმენტის - „საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია, 2014-2017“ - გათვალისწინებით, შემუშავდება სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი პოლიტიკა სახელმწიფო ვალთან მიმართებაში. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პარალელურად, დაიხვეწება სახელმწიფო ვალის შესახებ კანონმდებლობა და გაძლიერდება სახელმწიფო ვალის მართვაში ანალიტიკური ნაწილი, რაც მნიშვნელოვანია ეფექტიანი საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის ერთიანი მონაცემთა ბაზის სრულყოფა, რაც ვალის შესახებ ერთიანი ანალიზის და ანგარიშების მომზადების საშუალებას მოგვცემს. დაგეგმილი რეფორმების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სახელმწიფო ვალის მართვა და, პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე ფისკალური რისკების შეფასება.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“, თბილისი, 1998 წლის 5 მარტი, №1285-III.
2. სახელმწიფო საგარეო ვალის სტატისტიკა: <http://mof.gov.ge/4826>.
3. სახელმწიფო საშინაო ვალის სტატისტიკა: <http://mof.gov.ge/4824>.
4. საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი, N 1. - თბილისი, დეკემბერი, 2013 წელი: [http://mof.gov.ge/images/File/debt-bul-letin/Public-Sector-Debt-Statistical-Bulletin-N1\\_GEO-Final.pdf](http://mof.gov.ge/images/File/debt-bul-letin/Public-Sector-Debt-Statistical-Bulletin-N1_GEO-Final.pdf).
5. საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი, N3, თბილისი, დეკემბერი, 2014 წელი: [http://mof.gov.ge/images/File/debt-bulletin/Public\\_Sector\\_Debt\\_Statistical\\_Bul-letin\\_N3\(31.03.2015\).pdf](http://mof.gov.ge/images/File/debt-bulletin/Public_Sector_Debt_Statistical_Bul-letin_N3(31.03.2015).pdf).



6. საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია, 2014-2017: [http:// www.mof.ge/images/File/strategia/2014-2017\\_strategiis\\_document.pdf](http://www.mof.ge/images/File/strategia/2014-2017_strategiis_document.pdf).
7. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2012/საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2013.
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2013/საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2013.
9. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2014/საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2014.
10. სახელმწიფო ვალი: <http://mof.gov.ge/4408>.
11. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2015-2018 წლებისათვის: [www.parliament.ge/ge/law/6881](http://www.parliament.ge/ge/law/6881).

## THE NATIONAL DEBT OF GEORGIA AND ITS SERVICE ORGANIZATION

**Merab Vanishvili**, Gori State Teaching University, Associate Professor

**Davit Khachapuridze**, Georgian Technical University, PhD

**Nino Vanishvili**, Georgian Technical University, Senior Teacher, Academic Doctor of Business

Administration

RESUME

In the article, according to the latest literary sources, is consistently considered such important issue as public debt of Georgia and organisation of its service.

The public debt of Georgia is explained as a total sum of public domestic and foreign debts in national currency taken under international agreements between different bodies/institutions and the Ministry of Finances and under its guarantee on behalf of Georgia, as well as received from placing state securities denominated in national or foreign convertible currency by the Ministry of Finance on behalf of Georgia, and debts received from financial funds approved by International Currency Fund for Georgia.

Its domestic and foreign components are presented and characterised. Creditors of domestic debt are residents of Georgia, and the creditors of foreign debt are non-resident persons of Georgia.

## ტურიზმი, როგორც მცირე ბიზნესის ხელშემწყობი

**ნინო მაზიაშვილი**, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ქვეყნის ეკონომიკაში მთავარ სასიცოცხლო ფაქტორს წარმოადგენს მცირე ბიზნესი. შრომითი რესურსის თითქმის ნახევარი აქ არის დაკავებული. როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, მცირე ბიზნესის ინვესტორი, ყოველ დახარჯულ ერთ დოლარზე იღებს მეტ ამონაგებს, ვიდრე მსხვილი ბიზნესის ინვესტორი. შეიძლება ორი ჰიპოთეზის შემოთავაზება თუ რატომაა წარმატებული მცირე ბიზნესი, მსხვილ ბიზნესთან შედარებით.

1. მცირე საწარმოებს შეუძლიათ მცირე დანახარჯებით სწრაფად რეაგირება იმ ცვლილებებზე რომლებიც ხორციელდება ტექნოლოგიურ პროცესებში, ბაზარზე, საქონელსა და მომსახურეობაზე.

2. მცირე ბიზნესი უფრო მიმზიდველი გახდა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსამჟღავნებლად.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ძირითადი გამოგონებები ერთნაირი სიხშირით რეგისტრირდება, როგორც მცირე საწარმოებიდან ასევე მსხვილ სამრეწველო საწარმოდან და კერძო პირებიდან.

მცირე ბიზნესს სუსტი მხარეებიც აქვს. ბევრი მცირე საწარმო მოღვაწეობის დაწყებიდან მალე უქმდება. მაგალითად: 600 ათასი ახალი საწარმოდან აშშ-ში მხოლოდ ნახევარი აგრძელებს მოღვაწეობას 1.5 წლის შემდეგ, ხოლო 5 საწარმოდან ერთი მოღვაწეობს 10 წლამდე. კრახის ასეთი მაღალი მაჩვენებლის ძირითადი მიზეზია მცირე საწარმოს შექმნის გაიოლებული ფორმა, მართვის გამოცდილების არქონა, დარგის არცოდნა, თანხების არათანაბარი განაწილება. ასევე ხშირად მცირე საწარმოები განიცდიან კრახს,

რადგან ვერ უძღვებიან მართვის გაზრდილ მოთხოვნილებებს. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ტრადიციულად განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სიძლიერეს და წარმოადგენენ სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროს. მცირე ბიზნესის ფორმირების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო გარემო.

მცირე ზომის საწარმოებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმ პოტენციალის გათვალისწინებით, რომელიც ამ საწარმოებს გააჩნიათ ქვეყნის წინაშე მდგომი ორი ძირითადი პრობლემის, უმუშევრობისა და სიღარიბის, გადაჭრის თვალსაზრისით.

1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვანი ძალისხმევა იქნა გაწეული მსს-ის ინსტიტუციონალური საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის. უკანასკნელი წლების რადიკალური რეფორმების შედეგად სწრაფად იზრდება ქვეყანაში დარეგისტრირებულ ახალ საწარმოთა რიცხვი. ასევე მუდმივად იზრდება მსს-ის ხვედრითი წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე რეფორმების მიუხედავად, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია იმ ხელშემშლელ ფაქტორთა რიცხვი, რაც აფერხებს მცირე ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში. აღნიშნული შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრა ძალზედ მნიშვნელოვანი ამოცანაა. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო სისტემის განვითარება დაიწყო 1990-იანი წლების ბოლოს. 1999 წელს მიღებული კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ განსაზღვრავდა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ძირითად პრინციპებს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად ჩამოყალიბდა აგრეთვე „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“. აღნიშნული ორგანიზაციების კომპეტენციაში შედიოდა მცირე საწარმოთა ხელშეწყობის ღონისძიებებისა და სპეციალური დახმარების პროგრამების განხორციელება. 2000- იანი წლების დასაწყისში მრავალი დაბრკოლება არსებობდა, რომლებიც ხელს უშლიდნენ მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას: ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტი, სისტემური კორუფცია, მოუქნელი ბიუროკრატია, უადრესად არაეფექტური და კორუმპირებული საგადასახადო და საბაჟო სისტემები. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის N 309 ბრძანებულების საფუძველზე დამტკიცებული იქნა „2002-2004 წლებში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო დახმარების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამა გულისხმობდა საწარმოთათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენას ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით:

1. საფინანსო დახმარების აღმოჩენა.
2. საინფორმაციო, საკონსულტაციო, განათლებისა და ტრენინგის სფეროები.

პროგრამა მიზნად ისახავდა მცირე და საშუალო საწარმოთა მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას საინფორმაციო-საკონსულტაციო სფეროში.

გამოკითხულმა მეწარმეებმა ხელისშემშლელ ფაქტორად დაასახელეს მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა, უმუშევრობა, სიღარიბე, ფინანსების ნაკლებობა, საგადასახადო სისტემა, არაჯანსაღი კონკურენცია; მონოპოლისტები, მაღალი კომუნალური გადასახადები მაღალი კონკურენცია, მოძველებული ტექნიკა, ტექნოლოგიები, მაღალი ქირა ფართზე, არასრულყოფილი საკანონმდებლო სისტემა, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, არასტაბილური ფასები პროდუქციაზე, ცუდი ადგილმდებარეობა, ინფლაცია.

მაღე განხორციელდება დიდი პროექტი საქართველოს ორ რეგიონში, რათა დაეხმარონ ღარიბ მოსახლეობას და მიკრო ბიზნესს ტურიზმის სექტორში. მსოფლიო ბანკმა, როგორც საგრანტო ფონდების ადმინისტრატორმა, ხელი მოაწერა თანხმობას 2,5 მილიონ დოლარზე ამ პროექტის დაფინანსებისთვის. ამ შეთანხმებას ხელი მოაწერა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში - იოსებ მელითაურმა და ელკანას დირექტორმა მარიამ ჯორჯაძემ. ეს არის 3 წლიანი პროექტი იგი განხორციელებული იქნება მჭიდრო თანამშრომლობით რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდთან. საერთო მიზანი ამ პროექტის არის ის, რომ გაზარდოს სამუშაო ადგილები, შემოსავლები, კახეთის და იმერეთის რეგიონებში, სადაც დღესაც მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონული განვითარების პროექტები, რომლებიც ეხმარებიან ტურიზმის განვითარებას. კახეთში ეს პროექტი განხორციელებული იქნება კონკრეტულად: თელავში, ყვარელში.. იმერეთში კი განხორციელდება: წყალტუბოსა და ვანში.

მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის დამატებითი შესაძლებლობებით უზრუნველყოფა, რათა გაიზარდოს მათი ეკონომიკური სარგებელი. დაახლოებით 80 სახლის პატრონმა კახეთში გადააკეთა უკვე თავისი საკუთრება ბიზნესად. როგორცაა სუვენირების მაღაზიები, კაფეები, რესტორნები, სასტუმროები და ა.შ რაც მათ საშუალებას აძლევს ჰქონდეთ უფრო დიდი შემოსავალი და გაიუმჯობესონ თავისი ეკონომიკური მდგომარეობა.

ეს შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერა დაეხმარება 500-ზე მეტ ოჯახს კახეთსა და იმერეთში, დაახლოებით 2700 ღარიბი ადამიანი წყალტუბოში და მის გარშემო ტერიტორიაზე პირდაპირ სარგებელს ნახავს ამ პროექტიდან. ეს პროექტი უზრუნველყოფს არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს ყველაზე ღარიბი სეგმენტისთვის ადგილობრივი საზოგადოებისა, რადგან მათ მიეცემა შესაძლებლობა ჩაერთონ ბიზნესში.

საქმიანობები, რომლებიც ხორციელდება კახეთისა და იმერეთის რეგიონული განვითარების პროექტების მიერ, აქვთ პირდაპირი გავლენა განვითარებაზე და მოაქვთ სარგებელი ამ რეგიონების მაცხოვრებლებისთვის. ის ტურისტები, რომლებიც ამ ორ რეგიონს ესტუმრებიან მოიხიდავენ საკმაოდ ბევრ კერძო სექტორის ინვესტორს ტურიზმის სფეროში”. ეს განცხადება გააკეთა მსოფლიო ბანკის პროგრამის ლიდერმა ახმედ ეივედმა.

ტურიზმს მოაქვს 6,3 მილიარდი პირდაპირი ეკონომიკური შემოსავალი და ამასთან არაპირდაპირი ეკონომიკური შემოსავალი 1,8 მილიარდი ამათი ჯამი უფრო დიდია, ვიდრე შიდა პროდუქტი უამრავი სახელმწიფოსი. ტურიზმი გავლენას ახდენს საზოგადოებებზე მრავალმხრივ, მისი დამსახურებაა ნახევარზე მეტი სამუშაო ადგილებისა გრანდ სტრანდში (აღმოსავლეთ სანაპირო, აშშ). ფული, რომელიც ჩადებულია ადგილობრივ ეკონომიკაში ტურისტების მიერ ძალიან დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, რაც ტურიზმის გარეშე საერთოდ არ იქნებოდა შესაძლებელი. უამრავი ბიზნესს აღმოსავლეთ სანაპიროზე ყავს კლიენტები ადგილობრივი მაცხოვრებლები და ასევე ტურისტები. ეს დაწესებულებებია: ტანსაცმლის მაღაზიები, სუპერმარკეტები, გასართობი ადგილები, ტრანსპორტის უზრუნველყოფა. უმეტესობა მათგანი არის მხოლოდ ტურიზმზე დამოკიდებული. იმის გარდა, რომ არსებობს ტურიზმზე დამოკიდებული ბიზნესები, უამრავ მცირე ბიზნესისთვის, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ტურისტების მოხმარების ობიექტად, ტურიზმის მეშვეობით იღებენ ძალიან დიდ შემოსავალს და სარგებელს. გრანდ სტრანდზე ტურიზმი გავლენას ახდენს თითქმის ყველა ბიზნესზე. აქ ტურისტების რაოდენობა თითქმის ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის ტოლია. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ტურიზმის ინდუსტრიას სჭირდება სათანადო ინვესტიციები და გრანდ სტრანდის ინფრასტრუქტურის შენარჩუნება-გაუმჯობესება.

ტურიზმი პოზიტიურ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურაზე, არამედ მას სარგებელი მოაქვს მაცხოვრებლებისთვის და ბიზნესისთვისაც. ტურიზმის გარეშე არ იქნებოდა შესაძლებელი ახალი პროექტებისთვის დაფინანსების მიღება, მაგალითად, საგზაო პროექტების. ასევე პოლიციის, მეხანძრეებისა და სამედიცინო დახმარება ვერ იქნებოდა ისეთი ხარისხიანი, რომ არა ტურიზმისგან მიღებული შემოსავალი.

ადამიანების უმეტესობა ტურიზმს აიგივებს საათობრივ სამუშაოებთან მომსახურების სექტორში და, რა თქმა უნდა, ტურიზმი პასუხისმგებელია ათასობით სამუშაოზე. ტურიზმი აძლევს ადამიანებს საშუალებას დასაქმდნენ საათობრივ სამუშაოებზე, თუმცა ის ასევე ხელს უწყობს მენეჯერებისა და სხვა პროფესიონალების სამსახურების შენარჩუნებას. იმ პერსონალების გარდა, რომლებიც პირდაპირ ემსახურებიან ტურისტებს, ტურიზმის გავლენა უფრო მეტ ადამიანზე ვრცელდება. უამრავი ინდუსტრია არსებობს იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ბიზნესებს ტურიზმის ინდუსტრიაში, როგორებიცაა: სარეკლამო სააგენტოები, საბუღალტრო ფირმები, დისტრიბუტორები და ასე შემდეგ.

ტურიზმს ძალიან დიდი გავლენა აქვს ეკონომიკაზე, თუმცა ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება მხარს უჭერდეს ტურიზმს, რადგან ტურიზმი მთელ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას. საჭიროა სხვადასხვა რეგიონში საზოგადოებამ განავითაროს მცირე ბიზნესი. ტურიზმი და ბიზნესი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი. ეკონომიკური სარგებელი, რომელიც ამა თუ იმ რეგიონს, ქალაქს აქვს ტურიზმისგან ეხება და გავლენას ახდენს ყველა იქ მცხოვრებ ადამიანზე, მთელ მოსახლეობაზე. რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტურიზმს ასევე მოჰყვება ხარჯები. ხარჯები, მაგალითად, იმისა, რომ გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა ტურისტებისთვის, ასევე გაიხსნას ახალი მაღაზიები, გარემონტდეს სხვადასხვა ადგილები და ასე შემდეგ. თუმცა ეს ყველაფერი დადებით გავლენას ახდენს რეგიონზე და იქ მცხოვრებ ხალხზე, რადგან ის ხარჯები, რომელიც ტურისტების მოზიდვისთვის არის გაღებული, უმეტეს შემთხვევაში იმ რეგიონში თუ ქალაქში მცხოვრებ ხალხს ადგება და ის ცვლილებები მათთვისაც სასარგებლოა.

ტურიზმის ეკონომიკური გავლენა მნიშვნელოვანი ფაქტორია გაყიდვებისა და მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მიღებისთვის. საზოგადოებამ უნდა გააანალიზოს ტურიზმის მნიშვნელობა თავიანთი რეგიონისთვის და ასევე ტურიზმისგან მიღებული ეკონომიკური შემოსავალი. ბევრი მეთოდი გამოყენებული იმისთვის, რომ გამოიკვლიონ ტურიზმის ზემოქმედება ეკონომიკაზე. ეკონომიკური გავლენის ანალიზი აფასებს ტურიზმის მიერ რეგიონში შეტანილ წვლილს. ძირითადი კითხვები რომლებსაც ეს ანალიზი პასუხობს, არის: რამდენს ხარჯავენ ტურისტები კონკრეტულ რეგიონში; მცირე ბიზნესის მიერ გაყიდვების რა ნაწილი არის ტურიზმის დამსახურება; რა შემოსავალი მოაქვს ტურიზმს

საკუთრების გამჭირავებლებისა და ბიზნესისთვის რეგიონში. რამდენ სამუშაო ადგილს უზრუნველყოფს ტურიზმი იმ რეგიონში და რამდენია საგადასახადო შემოსავალი ტურიზმიდან. ტურიზმს აქვს მრავალმხრივი ეკონომიკური გავლენა, იგი ხელს უწყობს გაყიდვებს, სამუშაო ადგილებს, შემოსავლებს, საგადასახადო შემოსავლებს, მთლიანი რეგიონის შემოსავალს, ყველაზე პირდაპირი გავლენა ხდება ტურიზმის ამ ძირითად სექტორებში: რესტორნები, საცხოვრებელი ადგილები, სასტუმროები, ტრანსპორტირება, საცალო გაყიდვა, გასართობი ადგილები. მეორად გავლენას ტურიზმი ახდენს ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორზე, თუმცა ეკონომიკური გავლენის ანალიზი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ცვლილებებზე გაყიდვებში, შემოსავლებში და რეგიონში დასაქმებულ ადამიანებზე, რაც ტურიზმისგან არის გამოწვეული.

მაგალითად კონკრეტული რეგიონის ტურისტების რაოდენობა 100 ადამიანით გაიზარდა. ამ ტურისტებიდან თითოეული ხარჯავს დღეში 100 ლარს. ეს შეადგენს 10000 ლარს, რომელიც იხარჯება ტურისტების მიერ ამ რეგიონში. თუ სეზონი შენარჩუნდება 100 დღის განმავლობაში რეგიონი შემოსავალი გაყიდვებიდან იქნება 1 000 000 ლარი. ეს 1 000 000 ლარი გადანაწილებული იქნება სასტუმროებზე, რესტორნებზე, გასართობ ადგილებზე და გაყიდვების სექტორზე, იმის პროპორციულად, თუ რაზე ხარჯავენ ტურისტები თავიანთ 100 ლარს. ვთქვათ, რომ 30% ამ მილიონისა რეგიონიდან ეგრევე გავა, რათა დაფაროს იმ საქონლის ხარჯები, რომლებიც იმ ტურისტებმა შეიძინეს თუმცა შემოტანილი იყო სხვა რეგიონიდან. დარჩენილმა 700 000 შესაძლებელია აწარმოოს 350 000 ლარის ოდენობის შემოსავალი ტურიზმის ინდუსტრიაში და შექმნას უშუალოდ ტურიზმის სფეროში 20 სამუშაო ადგილი. ტურიზმის ინდუსტრია ამავედროულად ყიდულობს საქონელს და იყენებს სერვისებს იმ რეგიონში არსებული სხვა ბიზნესებისგან და 350 000 უმეტეს ნაწილს იხდის ხელფასებად და უხდის გამომუშავებაზე ამ ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებზე, რაც ქმნის არაპირდაპირ ეკონომიკურ გავლენას რეგიონზე. უფრო ნათელი რომ გავხადოთ ეს მაგალითი, ვიტყვით ასე - რეგიონში ტურისტებისგან მიღებული შემოსავალი, რომელიც კონკრეტულად ტურიზმისა და მცირე ბიზნესების შემოსავალია, შემდეგ იხარჯება იმავე რეგიონის სხვა ბიზნესებზე, რაც ახდენს არაპირდაპირ გავლენას ეკონომიკაზე. თუ ჩვენი ჩავთვლით თითოეული ლარი პირდაპირი გაყიდვებიდან აწარმოებს მეორე ლარს არაპირდაპირად რეგიონში ჩვენ მივიღებთ რომ 700 000 პირდაპირი გაყიდვებიდან გვაქვს 1,4 მილიონი მთლიანი გაყიდვები, ის გაყიდვები 600 000 შემოსავალი და 35 სამუშაო ადგილი სავარაუდო რიცხვებით.

სტანდარტული ეკონომიკური გავლენის ანალიზი გვიჩვენებს ფულის მოძრაობას ტურიზმის დანახარჯებიდან ჯერ ბიზნესამდე და მერე სახელმწიფო დაწესებულებამდე სადაც ტურისტები ხარჯავენ თავიანთ ფულს და შემდეგ სხვა ბიზნესზე, რომლებიც ამარაგებენ ტურისტულ ბიზნესს საქონლით, ასევე საოჯახო საქმეებზე, რომელთა შემოსავალიც მოდის ტურიზმის ინდუსტრიაში მუშაობიდან და ასევე რომლის შემოსავალიც მოდის ტურისტების მიერ სხვადასხვა გადასახადების გადახდით.

არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტი. პირდაპირი ეფექტი არის, მაგალითად, ტურისტების რაოდენობის ზრდა სასტუმროებში, რაც გამოიწვევს სასტუმროების სექტორში გაყიდვების გაზრდას. არაპირდაპირი არის სასტუმროებში ტურისტების მიერ დახარჯული ფულის სასტუმროების მიერ თავიდან დახარჯვა, მაგალითად, იმათზე, ვინც ამარაგებს ამ სასტუმროს პროდუქტებით. მაგალითად თუ თეთრეულით მომმარაგებლების ინდუსტრიაში შემოსავალი, სამუშაო ადგილები და გაყიდვები შეიცვლება, ეს წარმოქმნის არაპირდაპირ ეფექტს სასტუმროს გაყიდვებზე.

მსოფლიო გამოცდილება გვაჩვენებს, რომ მცირე ბიზნესი არის მნიშვნელოვანი ელემენტი საბაზრო ეკონომიკისა, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდის ტემპზე, მთლიანი ეროვნული პროდუქტის სტრუქტურასა და ხარისხზე. უამრავ ქვეყანაში არსებობს მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემა, ამ პრობლემის გამოსავალს ტურიზმში პოულობენ. ტურიზმს შეუძლია გახდეს რეალური შესაძლებლობა მცირე ბიზნესის განვითარებისა, რადგან მას აქვს დიდი პოტენციალი ბიზნეს რესურსების მოზიდვისთვის, არ სჭირდება დიდი კაპიტალის დაბანდება. ტურიზმი არის პირველი ინდუსტრია სამუშაო ადგილების შექმნისათვის. ტურიზმი ძალიან დიდ გავლენას ახდენს რეგიონების ეკონომიკაზე და განვითარებაზე. იმისთვის, რომ ტურიზმისგან მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი ყველა სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ტურისტული პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალურ ეკონომიკის ერთ-ერთ სახეობას.

რეგიონებისთვის აუცილებელია საკუთარი პოლიტიკის შემუშავება ტურიზმის სფეროში, რაც დაეხმარება იმ რეგიონებს განვითარებაში. მაგალითად გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, ხალხი დასაქმდება და რაიონების განვითარება მოხდება თანაბრად.

იმის გამო, რომ რეგიონებზე გავლენას ახდენს ბევრი სხვადასხვა ფაქტორი და პრობლემა მაგალითად ამინდი, ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. შესაბამისად რეგიონების განვითარებაც არათანაბრად ხდება. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ სოციალურად და ეკონომიკურად განვითარებული დასასვენებელ ადგილებს შეუძლიათ ჰქონდეთ დიდი დატვირთვა ტურისტების მიერ,

რაც ეხმარება იმ რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარებას. ტურიზმის განვითარებასა და ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებას შორის არის პირდაპირი დამოკიდებულება. რადგან ტურისტების მიერ დახარჯული თანხები არის იმ რეგიონის შემოსავალი. მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმს წამყვანი როლი ეკისრება მთლიანი შიდა პროდუქტისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში, მოსახლეობის დასაქმებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში. ტურიზმი უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკის ისეთ დარგებზე, როგორცაა: ტრანსპორტი, კომუნიკაციები, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და სხვ.

ტურიზმის დარგის უნიკალურობას განსაზღვრავს ის, რომ ტურისტების შემოყვანა მთლიანად მუშაობს ქვეყნის შიდა ბაზრის გაფართოებაზე. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ტურიზმის ის თვისებაც, რომ იგი ინიცირებას ეწევა სხვა დარგების განვითარებისთვის, იგი სხვადასხვა ხარისხით შეხებაშია მრავალ დარგთან. მსოფლიოს მრავალი განვითარებადი ქვეყნისთვის ტურიზმი ეკონომიკის ფუნდამენტურ დარგს წარმოადგენს, რადგან, როგორც ვიცით, ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასა და საერთო ეკონომიკურ, ტექნიკურ და სოციალურ მიღწევათა შორის პირდაპირი კავშირია.

ეროვნული ტურიზმის კარგად დაგეგმილ, დინამიკურად და პროფესიულად გატარებულ პოლიტიკას საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობამდე მივყავართ. თუ ეს პირობები დაცული არ იქნება, მაშინ ქვეყანა ტურიზმში ჩადებს იმაზე მეტს, ვიდრე ამოიღებს, იმისთვის, რომ ტურისტული ბიზნესი წარმატებულად წარიმართოს, საჭიროა პროფესიული, უმთავრესად ტურისტულ მომსახურებაში მომხმარებლის მოთხოვნილებათა მაქსიმალური გათვალისწინება, საერთაშორისო ნორმებისა და წესების, ტურისტული მენეჯმენტისა და მარკეტინგის სწორად განხორციელება.

მოგზაურობა და ტურიზმი უზრუნველყოფს საერთაშორისო ინვესტიციების 11%-ზე მეტს და სახელმწიფოების ხაზინაში საგადასახადო შემოსავლების სახით 302 მლრდ აშშ დოლარი შეაქვს.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია განაპირობებს დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილის შექმნას. ეს ნიშნავს დაახლოებით 130 მლნ ადამიანის დაკმაყოფილებას სამუშაო ადგილით.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს რომ ტურიზმის განვითარების წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია სახელმწიფოზე და იმაზე, თუ რამდენად უჭერს სახელმწიფო მას მხარს. თუმცა სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა ტურიზმის განვითარებაში ისედაც ცხადია, ამის რეალიზებას სჭირდება სპეციალური მიდგომა. ერთი მხრივ, ტურიზმის სფეროს სჭირდება კოორდინირება უფრო მეტად, ვიდრე სხვა ნებისმიერ სფეროს. ამასთან ერთად ტურიზმს გააჩნია ძალიან დიდი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა ყველა ქვეყნისთვის, რის შედეგადაც სახელმწიფო მმართველი ორგანოების ჩამოყალიბება საკმაოდ რთული პროცესი ხდება.

დღესდღეობით მცირე ბიზნესს გააჩნია მთავარი როლი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში. კრიზისიდან ყველაზე კარგი გამოსავალი არის მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და აუცილებელია შეიქმნას გარკვეული მექანიზმი, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას.

მცირე ბიზნესის როლი ტურიზმის სფეროში თანამედროვე საზოგადოებაში შეიძლება მეტნაკლებად გარკვეული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას განვიხილავთ მთლიანი ეკონომიკური სისტემის როლში. მცირე ბიზნესთან ტურიზმის სფეროში მოქმედებენ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც თავისი მთავარი ფუნქციების შესრულების პროცესში აუცილებლად უნდა გაამახვილონ ყურადღება მათი მომსახურების მოთხოვნილებებზე მცირე ტურისტული ბიზნესების მიერ. არსი, მიზნები, ამოცანები, სახელმწიფოს რეგულაციების მეთოდოლოგია და მხარდაჭერა მცირე ბიზნესისა ტურიზმის სფეროში.

ოპტიმალური ურთიერთობა ბაზრის მექანიზმებისა და მთავრობის რეგულაციებისა ძალიან ბევრ სფეროში საზღვრავს ტურიზმის სისტემის ეფექტურობას. მთლიანობაში ტურიზმის მართვა დამოკიდებულია იმაზე თუ ეს რეგულაციები რამდენად ხელს უწყობს ან უშლის ტურისტული მომსახურების ბაზრის შიდა მექანიზმების განვითარებას.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იდეალური ფორმულა, რომელიც სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა შეექმნა ოპტიმალური მართვის სტრუქტურა ტურისტულ სფეროში, არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ მთავრობისთვის თავისი ფუნქციის შესრულებისთვის ტურიზმის სფეროში აუცილებელია ურთიერთობის დამყარება ეკონომიკის, ფინანსთა, კულტურის, განათლების, ტრანსპორტისა და სხვა ორგანოებთან. მცირე ბიზნესის განვითარება ტურიზმის სფეროში ერთ-ერთი პრიორიტეტული დავალებაა სახელმწიფოს პოლიტიკაში. მცირე ბიზნესი ერთ-ერთი ის ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდას.

## ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ., ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, 2011.
2. მაკაროვი შ., ნაცვლიშვილი ი., მცირე ბიზნესის მართვა, თბ., 2010.
3. old.creativeeconomic.ru
4. www.agenda.ge

## TOURISM AS A PROMOTING FACTOR OF A SMALL BUSINESS

Nino Maziashvili, Georgian National University, Associate Professor

### RESUME

Tourism, has a significant impact on the economy and is in fact one of the fastest growing industries. Promotes the development of small businesses in region, the population is given the opportunity to be employed and to improve its economic situation. Tourism sector has a special importance for Georgia, which, like other developing countries, has lack of natural capital and technical expertise, but is gifted with historical places, original traditions, pristine landscapes and hospitable culture. Although tourism can not be main driving force country's long-term economic growth, but it can bring important benefits for the country like Georgia.

## ვენჩურული ფონდების ინვესტირების თავისებურებანი

ორინე მამალაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
ალექსანდრე ხვედელიანი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

**საკვანძო სიტყვები:** ვენჩურული ინვესტირება, ვენჩურული ფონდი, მოგების რეინვესტირება, სახსრების დაბანდება.

დღეს ვენჩურული ინვესტირება სამეცნიერო კვლევების, გამოყენებითი დამუშავებებისა და საინფორმაციო საქმიანობის არსაბიუჯეტო დაფინანსების უმნიშვნელოვანესი წყაროა. ვენჩურული ინვესტირების სახსრების დაბანდება უმეტესწილად იმ ახალი და მცირე საშუალო საწარმოების საწესდებო კაპიტალში ხდება ხოლმე, რომლებიც ახალი ტექნოლოგიები ან მეცნიერებატევადი პროდუქტების შექმნაზე არიან ორიენტირებული. მას შემდეგ, რაც ტექნოლოგიური საწარმო ვითარდება და ბაზარზე მკვიდრდება, ვენჩურული ფონდი ყიდის ან საწარმოში მის აქციების პაკეტს (წილს, რომელიც მრავალჯერადაა უკვე გაზრდილი), რითაც მნიშვნელოვან მოგებას იღებს დაბანდებული კაპიტალისგან.

ვენჩურული ინვესტირება კაპიტალის დაბანდებაა და ბუნებრივად გულისხმობს იმას, რომ ინვესტორისა და მეწარმის ურთიერთობებში ავანტურის ელემენტია. მართლაც, ვენჩურული ინვესტირება კერძო ან პრივატიზებულ მცირე და საშუალო საწარმოებში ხორციელდება და საბანკო დაკრედიტებისგან განსხვავებით არ მოითხოვს რაიმე სახის გირაოს ან საწინდარს. ვენჩურული ფონდები თუ კომპანიები ამჯობინებენ იმ ფირმებში დაბანდონ თავიანთი კაპიტალი, რომელთა აქციები თავისუფლად კი არ იყიდება საფონდო ბაზარზე, არამედ მთლიანად ნაწილდება აქციონერებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) შორის. ინვესტიციების განთავსდება ხდება ან სააქციო კაპიტალში და მათ ფირმის აქციების პაკეტზე (ან წილზე) ცვლიან, ან საინვესტიციო კრედიტის ფორმით და მათ 3-დან 7 წლამდე ვადით გასცემენ. ასეთ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი ან არ დგინდება, ან იგი შეიძლება LIBOR+2-4% -ს აღწევდეს.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ყველაზე ხშირია კომბინირებული ფორმის ვენჩურული ინვესტირება, რომლის დროსაც სახსრების ნაწილი სააქციო კაპიტალში შეაქვთ, ნაწილს კი საინვესტიციო სახით გასცემენ. ამასთან, ვენჩურული ინვესტორი (განსაკუთრებით – პირველადი ინვესტირებისას) არ ესწრაფვის კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტის დაუფლებას, რითაც იგი ძირეულად განსხვავდება სტრატეგიული ინვესტორისაგან. ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი თავიდანვე

<sup>1</sup> А.А. Вишняков Венчурное инвестирование инновационных преков. ელ. რესურსი: Koet.syktsu.ru/ vestnik/2006-2/6.htm

ცდილობს იმ კომპანიაზე კონტროლის მოპოვებას, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით აინტერესებს მას.

რაც შეეხება ვენჩურული ინვესტორს, მას იმედი აქვს, რომ კომპანია მის ფულს ფინანსურ ბერკეტად გამოიყენებს და ამით უფრო სწრაფად განავითარებს თავის ბიზნესს. ამიტომ, არც ინვესტორი და არც მისი წარმომადგენლები ფინანსურის გარდა არავითარ სხვა რისკს არ იღებენ თავიანთ თავზე, ანუ ტექნიკურ, საბაზრო, მმართველობით თუ სხვა რისკებს კომპანია და მისი მენეჯმენტი კისრულობენ. ის, რომ საკონტროლო პაკეტი კომპანიის მენეჯერთა ხელშია, ხელსაყრელი მომენტი ვენჩურული ინვესტორისათვის, რადგან ეს გარემოება დიდი სტიმულს აძლევს მენეჯმენტს ბიზნესის განვითარებაში აქტიურობის მხრივ. თუ 5-7 წლის მანძილზე კომპანიის ღირებულება რამდენჯერმე იზრდება, მაშინ ორივე მონაწილე მხარის რისკები გამართლებულია და ყველა იღებს თავის წილ ჯილდოს; თუ კომპანიამ ვერ გაამართლა ინვესტორის მოლოდინი, მან შეიძლება ან მოგება ვერ ნახოს, ან მთელი ფულიც კი დაკარგოს.

ვენჩურული კაპიტალი მოგებას მაშინ იღებს, როცა ინვესტირებიდან 5-7 წლის შემდეგ აქციების პაკეტი თავდაპირველ დაბანდებაზე გაცილებით ძვირად იყიდება. ამიტომ ვენჩურული ფონდები დაინტერესებული არიან არა მოგების განაწილებით დივიდენდების ფორმით, არამედ ბიზნესში მისი რეინვესტირებით. საინვესტიციო ფონდებსა და მეწარმეებს შორის რისკების განაწილება და ორივე მხარის მიერ მათი მიზნების ღიად დეკლარირება ვენჩურული ინვესტირების ის თავისებურებებია, რომლებიც საბანკო დაკრედიტებისგან და სტრატეგიული პარტნიორობისაგან გამოარჩევს მას.

ფონდის ან კომპანიის სათავეში მდგომი ვენჩურული კაპიტალისტი საკუთარ სახსრებს პირდაპირ არ ათავსებს იმ კომპანიაში, რომლის აქციებსაც იგი იძენს. იგი შუამავლის როლს თამაშობს სინდიცირებულ (კოლექტიურ) ინვესტორებსა და მეწარმეებს შორის. ეს ვენჩურული ინვესტირების კიდევ ერთი მთავარი პრინციპული თავისებურებაა. ერთის მხრივ, ვენჩურული კაპიტალისტი დამოუკიდებლად ირჩევს ინვესტირების ობიექტს, მონაწილეობს დირექტორთა საბჭოს მუშაობაში და ყოველმხრივ უწყობს ხელს ამ კომპანიის ბიზნესის განვითარებას; მეორე მხრივ, ინვესტირების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საინვესტიციო კომიტეტი, რომელიც ინვესტორთა ინტერესების გამომხატველია. საბოლოო ჯამში, ვენჩურული ინვესტორის მიერ მიღებული მოგება მხოლოდ ინვესტორებს ეკუთვნის და არა პირადად მას, - მას მხოლოდ ამ მოგების ნაწილის მიღების უფლების იმედი უნდა ჰქონდეს.

ვენჩურული ფონდის ფორმირების პროცესს „სახსრების თავმოყრას“ უწოდებენ. მისი ტრადიციული წყაროებია კერძო ინვესტორთა სახსრები, საინვესტიციო ინსტიტუტები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, სხვადასხვა სამთავრობო სააგენტოები და საერთაშორისო ორგანიზაციები. სახსრების თავმოყრის შემდეგ ფონდი იწყებს „ვენჩურობის“ პროცესს (venturing). ესაა პრაქტიკული მუშაობა, რომელშიც შედის საინვესტიციო ობიექტის (ფირმის, კომპანიის) ძიება, პოვნა, შერჩევა, შეფასება და მასში შესვლა. ამ დროს რისკისა და მისი შესაბამისი ჯილდოს თანაფარდობის შეფასება პროფესიაზე მეტია და ხშირად ხელოვნებას ემსგავსება.

ვენჩურული ინვესტორების საქმიანობა ასეთნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

მეწარმე ურთიერთობას ამყარებს არა რომელიმე აბსტრაქტულ ვენჩურულ კაპიტალისტთან, არამედ იმასთან, რომელიც ვენჩურულ ფონდის მმართველია. ამ ბიზნესს (ისე, როგორც არც ერთ სხვას) საფუძვლად უდევს ადამიანური ურთიერთობები და მათ შორის დადებულ გარიგებებს „მოგება-მოგების“ პრინციპზე აგებენ. ამ დროს მეტ როლს ხშირად პირადი სიმპათიები და ბიზნესის განვითარების თაობაზე მსგავსი შეხედულებები უფრო თამაშობს, ვიდრე ფინანსური და საბაზრო ანალიზი პროცესში გამოტანილი დასკვნები.<sup>1</sup>

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდის აქტივების 20%-ზე მეტი არ შეიძლება განთავსდეს საჯარო ფასიან ქაღალდებში. მას ეკრძალება აგრეთვე სესხის აღება საკუთარი აქტივების 20%-ზე მეტი ოდენობით. ფონდის ერთადერთი საქმიანობაა ფინანსური აქტივების ინვესტირება დამწყებ (2 წლამდე) კომპანიებში ან ბიზნეს-იდევებში.<sup>2</sup>

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საქმიანობას, ვენჩურული ფონდების საინვესტიციო ბიზნესსაც ჰქონდა აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდები, მაგრამ მისი განვითარების საერთო დადებითი

<sup>1</sup> Хапртфорд Д. Как работать с венчурным капиталистами / Англо-русский словарь венчурного инвестирования. СПб: РАВИ, 2001

<sup>2</sup> საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ. ქუთაისი, 24 ივლისი 2013, №843-რს, მუხლი 2,7.

ტენდენცია იმას ადასტურებს, რომ ესაა ფინანსური და მმართველური ენერჯისა და მაღალი ტექნოლოგიების პოტენციალის მუდმივი ზრდის წყარო.<sup>1</sup>

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ, ქუთაისი, 24 ივლისი 2013, №843-რს, მუხლი 2,7.
2. А.А. Вишняков Венчурное инвестирование инновационных преков. ელ.რესურსი: Koet.syktsu.ru/vestnik/2006-2/6.htm
3. Медовников Д. По венчурным волнам // Эксперт. 2002. №41
4. Хапртфорд Д. Как работать с венчурным капиталистами / Англо-русский словарь венчурного инвестирования. СПб: РАВИ, 2001

## SPECIFICATIONS OF VENTURE FUND INVESTMENTS

**Irine Mamaladze**, Georgian Technical University/ Caucasus International University, Associate Professor  
**Aleksandre Khvedeliani**, Caucasus International University, PhD Student

### RESUME

Today venture investment presents the most important source of extra budget financing of scientific investigation, applied development and innovation activities. Means of venture investors are put into mainly capital of new small and average enterprise, which are orientated on creation of new technologies and producing of knowledge-intensive products.

In contrast to bank crediting venture investment doesn't need any pawn or mortgaging. In practice we often meet with combined form of venture investment during which part of sources are put in actioner capital and other is presented in form of investment credit. With others, a venture investor does not try to get control package of actions and with this he/she differ from strategic investor.

The venture funds are interested with not in apportion of gain as dividends, but in reinvestment in business. Division of risks among entrepreneurs and venture funds and opened declaration from both sides of aims such particularities of venture investment are which is separated from strategic partner and bank crediting.

## „ბრენდი“ - დეფინიცია, შინაარსი და კლასიფიკაცია

**ლეილა მამულაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**გიორგი ყაზიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამეცნიერო მიმართულების მთავარი სპეციალისტი

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები და მძაფრი კონკურენტული გარემო მწარმოებლებს აიძულებს გააუმჯობესონ საქონლის (მომსახურების) ხარისხი, დანერგონ და გამოიყენონ გასაღების სტიმულირების თანამედროვე საშუალებები, სრულყოფილი შეფუთვა და სხვა, რათა მომხმარებლებმა უკეთ აღიქვან მოცემული ფირმის პროდუქცია, ადვილად განასხვავონ იგი კონკურენტი ფირმების ანალოგიური პროდუქციისაგან. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ძლიერი ბრენდის შექმნასა და განვითარებას. ტერმინი „ბრენდი“ დიდი ხანია გასცდა მარკეტოლოგებისა და მწარმოებლების ლექსიკას და დამკვიდრდა ჩვეულებრივ მომხმარებელთა სასაუბრო ლექსიკონში. თუმცა ბევრი ვერ წვდება აღნიშნული ცნების რეალურ შინაარსს.

ზოგადად, ბრენდისა და ბრენდინგის საკითხებისადმი ყურადღების გამახვილება ქართულენოვან სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში XXI საუკუნის დასაწყისიდან შეიმჩნევა. ამ მხრივ, მაგალითისთვის, შეგვიძლია გამოვიყიოთ რამდენიმე მათგანი: 1) პროფ. გ. შუბლაძის რედაქციით გამოცემული სახელმძღვანელო „მარკეტინგის საფუძვლები“, სადაც ბრენდინგის საკითხებს ერთი

<sup>1</sup> Медовников Д. По венчурным волнам // Эксперт. 2002. №41



ქვეთავი ეთმობა. სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „ბრენდს ანუ სავაჭრო მარკას კომპანიები პროდუქციას ანიჭებენ კონკურენტი კომპანიების პროდუქციისგან განსხვავების მიზნით.“ [9: 191] 2) პროფ. ნ. თოდუასა და ბ. მღებრიშვილის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო „მარკეტინგის საფუძვლები“, სადაც ბრენდინგს შესახებ წარმოდგენილია ერთი ქვეთავი მიძღვნილი. ავტორები ბრენდის შესახებ აღნიშნავენ: „სასაქონლო მარკა ან უბრალოდ მარკა (ბრენდი) არსებობს სახელის, ტერმინის, ნიშნის, სიმბოლოს, ნახატის, ასოების, რიცხვების ან მათი სხვადასხვა კომბინაციის სახით.“ [3: 237] 3) პროფ. დევი შონიას სახელმძღვანელო „მარკეტინგი“, რომელშიც ბრენდინგს ერთი თავი ეძღვნება. ავტორი აღნიშნავს: „ბრენდი წარმოადგენს იმ ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან საერთო წარმოდგენას პროდუქტებზე. თვითონ პროდუქტი (მომსახურება), შეფუთვის დიზაინი და გარეგანი სახე, პროდუქტის სახელი, მისი სარგებლიანობის გამოვლენის ხერხი, რეკლამა. გარდა ამისა ბრენდი მოიცავს რიგ ფიზიკურ მახასიათებლებს (გემო და სუნი). ასევე ესთეტიკურ (რამდენად სასიამოვნოა მასზე შეხედვა), რაციონალურ (სარგებლიანობა, ღირებულება) და ემოციურ (პროდუქტის შესაძლებლობა იმისა, რომ მყიდველმა თავისი თავი იგრძნოს ამალეზებულად) ელემენტებს. ყველა ზემოაღნიშნული ელემენტების ერთობლიობა წარმოადგენს ბრენდს“ [8: 192] 4). გ. იაშვილისა და ლ. ქოქიაურის სახელმძღვანელო „ბრენდ-მენეჯმენტი“, სადაც ჩამოყალიბებულია ბრენდის შემდეგი განმარტება: „ბრენდი - ერთი გამყიდველის ან გამყიდველთა ჯგუფის საქონლის ან მომსახურების კონკურენტის საქონლისა ან მომსახურების განმასხვავებელი დასახელება, ტერმინი, ნიშანი, სიმბოლო ან დიზაინი, ასევე მათი კომბინაცია, რომელიც ერთი გამყიდველის ან გამყიდველთა ჯგუფის საქონელს ან მომსახურებას განასხვავებს კონკურენტის საქონლის ან მომსახურებისგან“. [4: 325]

ბრენდისა და ბრენდინგის შესახებ ავტორთა (მაგალითად, მ. აკოფიანი, ნ. მარკოზაშვილი, ქ. ბაბუნაშვილი, თ. რაზმაძე, ე. პირმისაშვილი და სხვ.) ცალკეული სტატიები გვხვდება ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებშიც. მაგალითად, ე. პირმისაშვილი გვთავაზობს ბრენდის რამდენიმე განმარტებას: „ბრენდი არის სახელის, სიტყვის, სიმბოლოს და დიზაინის ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს გარკვეულ პროდუქტს და მას სხვა პროდუქტებისგან გამოარჩევს. ბრენდი ეს არის სავაჭრო ნიშანს დამატებული ღირებულებები... ბრენდი არის ინდივიდუალური ღირებულება, რომელიც ახასიათებს პროდუქტს.“ [5: 30]

რაც შეეხება ლექსიკონებში ბრენდის ცნების განმარტების საკითხს, 2001 წელს გამოცემულ ქართულენოვან ეკონომიკურ ლექსიკონში, რომელიც მანამდე გამოსულ ეკონომიკურ ლექსიკონებს შორის ყველაზე ტევადი და სრულყოფილია, ტერმინები „ბრენდი“ და „ბრენდინგი“ საერთოდ არაა განმარტებული.

ცნობილია, რომ უახლოეს წარსულში ცნებაში „ბრენდი“ იგულისხმებოდა მხოლოდ ალკოჰოლური სასმელი. სწორედ ამ პოზიციიდანაა მოცემული ტერმინის „ბრენდი“ განმარტება მიხეილ ჭაბაშვილის მიერ შედგენილ, 1989 წელს გამოცემულ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“: „ბრენდი – [ინგლ. brandy] – თეთრი ღვინისაგან გამოხდილი და მუხის კასრებში დავარგებული ალკოჰოლიანი სასმელი (დაბალი ხარისხის კონიაკი); ამზადებენ ხილისაგანაც (ვაშლისაგან, ალუბლისაგან).“ [4: 90] აღნიშნული ტერმინის განმარტება თითქმის იგივე შინაარსითაა წარმოდგენილი 2007 წელს გამოცემულ სოლომონ თეზელიშვილის მიერ შედგენილ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ [2: 173-174]

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოცემულ ლექსიკონებში ბრენდის არც ერთი განმარტება არ ასახავს მის რეალურ შინაარსს მარკეტინგული თვალსაზრისით.

„ბრენდის“ ცნების ბევრად სრულყოფილი განმარტებაა მოცემული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ ლექსიკონში „Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი“: „ბრენდი – Brand 1. მარკეტინგში განისაზღვრება, როგორც მომხმარებლის ცნობიერებაში პროდუქტის აღქმა. ბრენდი არ არის ლოგო, სარეკლამო განცხადება და არც თავად პროდუქტი. ბრენდი მომხმარებლის შთაბეჭდილებების კრებულია მოცემულ პროდუქტზე. ბრენდის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ *Coca-Cola, Mercedes, Nike, Harley Davidson, MTV, CNN, BBC* და სხვა... 2. სახელის, სიტყვის, სიმბოლოს და დიზაინის ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს გარკვეულ პროდუქტს და მას სხვა პროდუქტებისგან გამოარჩევს. ბრენდი ეს არის სავაჭრო ნიშანს დამატებული ღირებულებები. ბრენდი არის ინდივიდუალური ღირებულება, რომელიც ახასიათებს პროდუქტს... 3. მომხმარებლებთან ნდობისა და სიყვარულის (ლოიალურობის) ურთიერთობა. ბრენდი ვერ მისცემს თავს უფლებას, რომ იყოს არათანმიმდევრული.“ [27]

ბრენდისა და ბრენდინგის შესახებ ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა უცხოურენოვანთან შედარებით გაცილებით მწირია. ბრენდისა და ბრენდინგის შესახებ მრავალრიცხოვანი კვლევები გვხვდება უცხოურ სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში.

მეცნიერი ჟან-ჟაკ ლამბენი აღნიშნავს: „ბრენდი – ესაა პროდუქციის განსაზღვრული მახასიათებლების დამახსოვრების მარტივი და პრაქტიკული ხერხი“. [13: 259]

მეცნიერი მკვლევრის ჟან-ნოელ კაპფერერის მოსაზრებით, „ბრენდი – კომპანიის არამატერიალური აქტივი, რომელიც ბიზნესს დამატებით სარგებელს აძლევს“ [11: 20]

ბრენდის ცნობილი მკვლევრები - ლორა და ელ რაისები მიუთითებენ, რომ „ბრენდის ძალა მდგომარეობს მის შესაძლებლობაში გავლენა მოახდინოს მყიდველის ფსიქოლოგიასა და ქცევაზე.“ [17: 3]

ბრენდების ცნობილი მკვლევარი მალკოლმ მაკდონალდი გვთავაზობს ბრენდის შემდეგ განსაზღვრებას: „ბრენდი – ეს არის სახელი ან სიტყვა, რომელიც ახდენს პროდუქტის იდენტიფიცირებას. წარმატებული ბრენდი ახდენს იმ პროდუქტის იდენტიფიცირებას, რომელსაც გააჩნია უდავო კონკურენტული უპირატესობა“. [24: 162]

მკვლევარ პაულ ფელდვიკის განმარტებით, „ბრენდი – ესაა მომხმარებელთა თვალში აღქმათა ნაკრები“. [23: 137]

პ. დოილის აზრით, წარმატებული ბრენდი, არის ხარისხიანი საქონლის, განმასხვავებელი თავისებურებებისა და დამატებული ფასეულობების ერთიანობა (დარწმუნებულობა იმაში, რომ მოცემული ბრენდი კონკურენტების ანალოგიურ ნაკეთობებზე უფრო ხარისხიანი და უკეთესია). [12: 14]

მეცნიერები ა. გოდინი, ა. დიმიტრიევი და ი. ბაბლენკოვი აღნიშნავენ: „ბრენდის ცნება გაცილებით ფართოა – იგი მოიცავს ყველაფერს, რასაც ფიქრობენ და გრძნობენ მომხმარებლები საქონლის (მომსახურების) შესახებ. ბრენდს წარმოადგენს ის, რასაც მომხმარებლების ცნობიერებაში ურთიერთობა აქვს საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებულ სულ მცირე ერთ ასპექტთაგან (საკუთარი სამომხმარებლო გამოცდილება, გარშემომყოფთა რჩევები, რეკლამა, არჩევანი, შენაძენი, შენახვა, ტრანსპორტირება, გამოყენება, მომსახურება, რემონტი, შეფუთვის მეორადი გამოყენება და ა.შ.).“ [10: 39]

ბრენდის შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობენ მეცნიერები ი. როჟოვი და ვ. კისმერეშკინი: „ბრენდი – ესაა ცნობილი მარკა, რომელიც ახდენს ამა თუ იმ ობიექტის იდენტიფიცირებას და გარე გარემოში დადებითად წარმოიჩინას, რომელიც მისი კეთილსასურველი აღქმის სტიმულირების წყალობით ხდება ავტორიტეტული და პოპულარული.“ [18: 16]

ბრენდინგისა და რეკლამის საკითხების მკვლევარი დრაგოსლავ ორაევი წიგნში „ბრენდი განსაზღვრება 4 სიტყვაში“ განმარტავს: „ბრენდი – ესაა დაპირება უზრუნველყო სასურველი განცდები“. [16: 6]

ბრენდინგის ერთ-ერთი წამყვანი მსოფლიო ექსპერტი პ. ტემპორალი, რომელიც წარმოადგენს ბრენდინგის განხილვისადმი ფრიად ფართო მიდგომის მომხრეს, ამტკიცებს, რომ ბრენდი შეიძლება გახდეს ფირმის უმნიშვნელოვანესი ფილოსოფია და „ერთიანი ცენტრის“ უფლებით მართოს მთელი მისი საქმიანობა. [12: 6]

რუსი მეცნიერი ს. კარპოვა თავის მონოგრაფიაში „თანამედროვე ბრენდინგი“ აღნიშნავს: „ბრენდი – საქონლის (მომსახურების) ინტელექტუალური ნაწილი, რომელიც ფლობს მჭიდრო დადებით კომუნიკაციას მომხმარებლებთან და მათ თვალში საქონელს (მომსახურებას) ანიჭებს დამატებით ფასეულობას (ღირებულებას).“ [12: 5]

ბრენდის ცნების განმარტება გვხვდება უცხოურენოვან სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებშიც. მარკეტინგული ტერმინების ლექსიკონებში მითითებულია, რომ „ბრენდი (Brand) არის „ნიშანი, სიმბოლო, სიტყვა ან მათი შერწყმა, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს განასხვავონ ერთი კომპანიის საქონელი ან მომსახურება მეორისგან. ბრენდი აღიქმება, როგორც ფართოდ ცნობილი სავაჭრო მარკა ან კომპანია, რომელიც სამომხმარებლო სეგმენტის ცნობიერებასა და ფსიქოლოგიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს თავისივე მსგავსების მასისაგან“ [19], „საქონლის მარკა“ [20], რაღაც საიდენტიფიკაციო ნიშანი, სიმბოლო, სიტყვა ან მათი შეხამება, რომელიც ერთი კომპანიის საქონელს განასხვავებს მეორისგან. ეს ტერმინი თავის თავში აერთიანებს საფირმო დასახელებასაც (trade name) და სავაჭრო ნიშანსაც (trade mark). სავაჭრო ნიშანთან (trade mark) დაკავშირებით მოყვანილია შემდეგი კომენტარი: „სავაჭრო მარკა, სასაქონლო ნიშანი, რომელიც ემსახურება საქონლის იდენტიფიკაციასა და მის გამოყოფას დანარჩენი კონკურენტი საქონლისაგან.“

ამერიკის მარკეტინგის ასოციაციის (The American Marketing Association - AMA) ვებ-გვერდზე წარმოდგენილ ლექსიკონში მოცემულია „ბრენდის“ შემდეგი განსაზღვრება: „ბრენდი არის სახელწოდება, ტერმინი, დიზაინი, სიმბოლო ან ნებისმიერი სხვა გამოსახვა, რომელიც ახდენს ერთი გამყიდველის საქონლის ან მომსახურების იდენტიფიცირებას, რათა ისინი გამოირჩეოდნენ სხვა გამყიდველების საქონლისა ან მომსახურებისაგან“ [28]

მეცნიერები სტილი და ამბელი ბრენდის განსაზღვრებისადმი ორი ფართო ფილოსოფიური მიდგომის შესახებ მიაჩნებენ. პირველი მიდგომა – „პროდუქტს-პლუს“ – ბრენდს განიხილავს როგორც რაღაც „დანამატს“ ნაკეთობაზე. მეორე – გამოირჩევა მთლიანი პერსპექტივით, რომელიც ფოკუსირებულია თავად ბრენდზე. ასეთი მიდგომის დროს მარკეტინგის ყველა ელემენტი ერთიანდება კომპანიის ერთიან მთლიან სავაჭრო მარკაში. პირველ მიდგომას იზიარებენ მეცნიერები დე შერნატონი

და მაკდონალდი (De Chernatony და McDonald), როდესაც ამბობენ იმის შესახებ, რომ განსხვავება საქონელსა და ბრენდს შორის შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც „დამატებული ფასეულობა“. ისინი ასევე აყენებენ თეზისს, რომ ბრენდი და დამატებითი ფასეულობა – ცნებები-სინონიმებია. დამატებითი ღირებულების ცნება მარკეტინგში ეკონომიკური თეორიიდან დამკვიდრდა. იმისთვის, რომ არ მომხდარიყო არევა ტერმინოლოგიაში, ინგლისურენოვანი ავტორები გვთავაზობენ დამატებითი ღირებულებას მარკეტინგში ეწოდოს დამატებითი ღირებულების აგენტი (added value agent), რომელიც ყურადღების აქცენტირებას მოახდენს სწორედ ფასეულობებზე, როგორც სუბიექტურ ფაქტორზე. [12: 6-7]

დევიდ ააკერი ბრენდს განმარტავს როგორც განსაკუთრებულ დასახელებას ან/და სიმბოლოს (როგორცაა ლოგოტიპი, სავაჭრო მარკა ან შეფუთვის დიზაინი), რომლებიც განკუთვნილია ერთი გამყიდველის ან გამყიდველთა ჯგუფის საქონლის ან მომსახურების იდენტიფიკაციისათვის, აგრეთვე ამ საქონლის/მომსახურების დიფერენცირებისათვის სხვა მსგავსი პროდუქტ-კონკურენტებისაგან. დ. ააკერის შეფასებით, ბრენდი სიგნალს აძლევს მომხმარებელს პროდუქტის წყაროების შესახებ და, როგორც მომხმარებელს, ისე მწარმოებელს იცავს კონკურენტებისგან, რომლებიც ცდილობენ წარმოადგინონ გარეგნულად იდენტურად მსგავსი საქონელი. [12: 7]

სკოტ დევისი აღნიშნავს, რომ მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბრენდი ეს არის სიმბოლო ან ფორმა, ანდა საქონელი, უდიდესი შეცდომაა. ამრიგად, იგი პრაქტიკულად სრულად უარყოფს დ. ააკერის განსაზღვრებას. [12: 7]

დ. კნაპის განსაზღვრებით, ბრენდი მომხმარებლებისა და მოსარგებლების მიერ მიღებული ყველა იმ შთაბეჭდილების ჯამია, რომლებიც იკავებენ განსაკუთრებულ ადგილს მათ გონებაში აღქმული ემოციებისა და ფუნქციონალური სარგებლის საფუძველზე. შეიძლება გამოვყოთ რეფლექსის ნიშანთვისებები, ბრენდი კი – მუდმივი გამაღიზიანებელი. ამრიგად, ბრენდი შეიძლება განვიხილოთ ფიზიოლოგიის თვალსაზრისითაც. ბრიტანელი ავტორები თვლიან, რომ „ბრენდი სავაჭრო მარკის სახეა მყიდველის ცნობიერებაში, რომელიც ცალსახად ახდენს საქონლის (მომსახურების) იდენტიფიცირებასა და მყიდველობითი არჩევანის განსაზღვრას კონკრეტული რიგით (განსაზღვრულ სასაქონლო ჯგუფებსა და ფასისმიერ კატეგორიაში)“. [21: 10]

მეცნიერები ფ. ჯ. ლეპლა და ლ. მ. პარკერი ვარაუდობენ, რომ ბრენდი – ესაა თქვენი საქონლის უნიკალური სავაჭრო შეთავაზება ან საფირმო სტილი. [14: 16]

ბრენდინგის თეორიის შემქმნელი, აღიარებული სპეციალისტი მარკეტინგისა და რეკლამის სფეროში დ. ოგივლი წერდა: „ბრენდი – ესაა პროდუქტის თვისებების უხილავი ჯამი: მისი სახელის, შეფუთვისა და ფასის, მისი ისტორიის, რეპუტაციისა და რეკლამირების საშუალების“. [15: 24]

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ბრენდი წარმოადგენს კომპანიის ყველაზე ფასეულ არამატერიალურ აქტივს, რომელიც ახდენს მომხმარებელთა ცნობიერებაში საქონლის (მომსახურების) ან კომპანიის დადებითი იმიჯის ფორმირებას და აღძრავს კონკრეტული მარკირების მქონე საქონლის შეძენის სურვილს. ბრენდი საქონლის ორიგინალური სიმბოლოა, რომელიც მომხმარებლებს მისი იდენტიფიცირების, ხოლო მწარმოებლებს სხვა ანალოგიურ საქონელს შორის მისი გამორჩევის საშუალებას აძლევს.

ბრენდის შესახებ ჩვენს მიერ მოყვანილი მრავალგვარი განმარტებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მათი კლასიფიკაცია შემდეგი აქცენტების მიხედვით მოვახდინოთ:

1. აქცენტი საქონლის იდენტიფიკაციასა და მის განსხვავებაზე კონკურენტებისაგან (ფ. კოტლერი, გ. არმსტრონგი, დ. ააკერი და სხვ.);
2. აქცენტი მწარმოებლის მიერ მომხმარებლის დაპირებაზე (დ. ორაევი);
3. აქცენტი დამატებულ ფასეულობებზე (ღირებულებაზე) (პ. დოილი, დე შერნატონი, მაკდონალდი, ს. კარპოვა და სხვ.);
4. აქცენტი მომხმარებლის მიერ საქონლის აღქმაზე (პ. ფელდვიკი, Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი და სხვ.).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ბრენდის ცნება რიგ შემთხვევებში გაიგივებულია სასაქონლო ნიშნის, სავაჭრო მარკის ანდა სავაჭრო ნიშნის ცნებებთან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, იზადება კითხვა: არის რაიმე განსხვავება ბრენდსა და სავაჭრო მარკას, სავაჭრო ნიშანს ან სასაქონლო ნიშანს შორის, თუ ეს ცნებები მართლაც იდენტურია და მათ შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს?

ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო მარკის კანონმდებლობის თანახმად (15 U.S.C. §1127, United States Code trade mark), „ტერმინი „სავაჭრო მარკა“ (trademark) მოიცავს ნებისმიერ სიტყვას, სახელს, სიმბოლოს ან გამოგონებას, ან რაიმე კომბინაციას, მათ შორის (1) პირის მიერ გამოყენებულ ან (2) კუთილსინდისიერ განზრახვას, რომელიც პირს აქვს კომერციაში გამოსაყენებლად და უკავშირდება ამ თავის მიხედვით დადგენილ ძირითად რეესტრში რეგისტრაციას, რათა მწარმოებლებმა ან ამ პროდუქტის სხვა გამყიდველებმა წარმოაჩინონ თავისი საქონელი და მოახდინონ მათი იდენტიფიკაცია,

უნიკალური პროდუქციის ჩათვლით, ამ პროდუქტის წარმომავლობის მითითებით, მაშინაც კი, თუ ეს წყარო ცნობილი არ არის“. [26: 224-225] Section 1(1) The Trade a\Marks Act -ის შესაბამისად (დიდი ბრიტანეთი) „სავაჭრო მარკა - trade mark - ნებისმიერი სიმბოლო, რომელსაც შეუძლია განასხვავოს ერთი მეწარმის საქონელი და მომსახურება სხვა მეწარმეების მსგავსი საქონლისა და მომსახურებისაგან“. [25]

ო. ა. ტრეტიაკის აზრით, „სავაჭრო მარკა – უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სასაქონლო ნიშანი, რამდენადაც ახდენს თავის თავში ყველა იმ გრძნობისა და ემოციის აკუმულირებას, რომლებიც გამოწვეულია მომხმარებლებში მოცემული სიმბოლოთი – სასაქონლო ნიშნით“. [22: 302]

ბრენდი – ეს სავაჭრო ნიშანიცაა (მომსახურების ნიშანი), საფირმო დასახელებაც, კომპანიის საქმიანი რეპუტაციაც, მისი საფირმო სტილიც. სწორედ ბრენდი არწმუნებს მყიდველებს იმაში, რომ საქონელი წარმოადგენს საუკეთესოს ანალოგებთან შედარებით განსაზღვრული დანიშნულებისათვის, მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფებისათვის, მოხმარების ტიპური სიტუაციისათვის; ამ მიზნით საქონლის ბრენდში შეიტანება დამატებითი განსხვავებანი (შეფუთვა, დასახელება, სარეკლამო სახეები და სხვ.).

დღეისათვის, საუბრობენ რა ბედენდებზე, როგორც წესი, გულისხმობენ სავაჭრო ნიშანს. სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს საფუძველს ბრენდის შექმნისა და განვითარებისათვის. საქართველოს კანონის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ შესაბამისად: „სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან (შემდგომ – საქონელი). სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით“. [6]

სავაჭრო მარკისა და ბრენდის ლეგალური განმარტება ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს. სასაქონლო ნიშნის განსაზღვრება მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა კანონმდებლობაში დაყვანილია სწორედ წარმოებულ და გაყიდული საქონლის ინდივიდუალიზაციაზე, ტერმინის სტრუქტურული შევსების მკაფიო აღნიშვნის გარეშე. გარკვეულწილად უფრო ფართოდაა აღნიშნული სასაქონლო ნიშანი აშშ კანონმდებლობაში, რომლის შესაბამისად სასაქონლო ნიშანი არის ნებისმიერი სიტყვა, სახელი, სიმბოლო, ნიშანი ან მათი ნებისმიერი კომბინაცია, რომლებიც აღიარებული და გამოყენებულია მწარმოებლების ან გამყიდველების მიერ თავიანთი საქონლის აღნიშვნისა და მათი განსხვავებისათვის სხვა პირების მიერ წარმოებული და გასაყიდი ასეთივე საქონლისაგან.

მამასადამე, ცნებები „ბრენდი“ და „სასაქონლო ნიშანი“ არ არის იდენტური – პირველი ცნება ბევრად ფართოა და თავის თავში მეორესაც მოიცავს. ბრენდი, უპირველეს ყოვლისა, ფასისა და ხარისხის, საქონლის (მომსახურების) სამომხმარებლო და, განსაკუთრებით, სიმბოლური თვისებების შესაბამისობის დაპირებაა პოტენციური მომხმარებლების მოლოდინებთან. სავაჭრო მარკად მიღებულია ჩავთვალოთ სიმბოლოები ან სახელწოდებები, რომლებიც გამოიყენება საკუთარი საქონლის ბაზარზე შეთავაზებული სხვა საქონლისაგან აღნიშვნისა და დიფერენციაციისათვის. ბრენდი კი აქცენტს მიზნობრივ აუდიტორიასთან ემოციურ კავშირზე, მიცემული დაპირებების შესრულებასა და პოტენციური მომხმარებლების მოლოდინებთან შესაბამისობაზე აკეთებს. სწორედ მომხმარებლების მოლოდინებთან შესაბამისობა გარდაქმნის სავაჭრო მარკას ბრენდად. როდესაც სავაჭრო მარკა მომხმარებლის ცნობიერებაში იძენს მდგრად მოხაზულობას და ასოცირდება საქონლის განსაზღვრულ მახასიათებლებთან, წარმოდგენების ამ ერთობლიობას შეიძლება ეწოდოს ბრენდი. სავაჭრო მარკა ბრენდად გადაიქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქონელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობა შეიძენს ძლიერ, მჭიდრო სოციალურ-კულტურულ და ფსიქოლოგიურ კავშირებს. შეიძლება ვთქვათ, რომ ნებისმიერი ბრენდი სავაჭრო მარკაა, მაგრამ ყველა სავაჭრო მარკა ვერ იქცევა ბრენდად.

დღეისათვის ბრენდი საერთაშორისო ეკონომიკური ტერმინია და საზოგადოებაში (მომხმარებლებში) კომპანიისა თუ ცალკეული საქონლის (მომსახურების) ცნობადობას გულისხმობს. ზოგჯერ საქონლის, მომსახურების ან კომპანიის დასახელება იმდენადაა „გამჯდარი“ მომხმარებელთა ცნობიერებაში, რომ ხშირად ამავე დასახელებით თვით საქონელს ან მომსახურებას მოიხსენიებენ. ამის კარგი მაგალითია ტექნიკის მწარმოებელი ამერიკული კომპანია „ქსეროქსი“, რომელიც ასლის გადამღებ მანქანებს ამზადებს. მსოფლიოში ასლის გადამღებ მანქანებს სხვა ცნობილი კომპანიებიც აწარმოებენ, თუმცა კომპანია „ქსეროქსი“ იმდენად ცნობადია, რომ საქართველოში ასლის გადამღებას „ქსეროქსს“ ან „გადაქსეროქსებას“ უწოდებენ. იგივე შეიძლება ვთქვათ მსოფლიოში საკმაოდ ცნობილ კომპანიაზე „Google“. ინფორმაციის მოძიებას ინტერნეტის საშუალებით საქართველოში ხშირად „დაგუგლვას“ უწოდებენ. ბრენდმა შეიძლება კომპანიას მოუტანოს საგრძნობი ეკონომიკური სარგებელი. ამიტომ კომპანიების სწრაფვა, მიმართონ თავიანთი სავაჭრო მარკები ბრენდად, წარმოადგენს სრულიად დასაბუთებულს. ცნობილი ბრენდების წყალობით საქონელი ხდება ცხოვრების წესის ელემენტი და

სწორედ ბრენდების დამსახურებით, რომლებიც განასახიერებენ თავის თავში რაღაც ფასეულობებს, ხალხი არ ამბობს უარს ჯანმრთელობისათვის საზიანო ისეთ საქონელზეც კი, როგორცაა მაგალითად თამბაქო და ალკოჰოლი. ამდენად ბრენდი თანამედროვე ეკონომიკაში გლობალური კომუნიკატორია, რომელიც აერთიანებს გამყიდველს, საქონელს და მომხმარებელს. ეს არის საქონლის (მომსახურების) ან კომპანიის ემოციური ინდივიდუალური სახე, რომელიც ასახავს მის უნიკალურ თვისებებსა და მახასიათებლებს.

ამრიგად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ შევეცადეთ მეტი სიცხადე შეგვეტანა ბრენდისა და ბრენდინგის ცნებებში, მათ შინაარსსა და გენეზისში.

### ლიტერატურა:

1. ეკონომიკური ლექსიკონი, პროფ. ა. სილაგადის ხელმძღვანელობით, თბ., 2001.
2. თეზელიშვილი ს., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., „მერიდიანი“, 2007.
3. თოდუა ნ., მღებრიშვილი ბ., მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2009.
4. იაშვილი გ., ქოქიაური ლ., ბრენდ-მენეჯმენტი, თბ., 2012.
5. პირმისაშვილი ე., საზოგადოებრივი ურთიერთობები (PR) და ბრენდინგი, „ინტელექტუალი“, 2008, №7.
6. საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, 05.02.1999, №1795-III
7. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, თბ., 1989.
8. შონია დ., მარკეტინგი, თბ., 2006.
9. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., ნანიტაშვილი მ., ხუბუა ი., მარკეტინგის საფუძვლები, სახელმძღვანელო, პროფ. გ. შუბლაძის რედაქციით, თბ., 2009.
10. Годин А. М., Дмитриев А. А., Бабленков И. Б., Брендинг, Учебное пособие, М., 2004.
11. Капферер Ж., Бренд навсегда: создание, развитие, поддержка ценности бренда, М., 2007.
12. Карпова С.В., Современный брендинг : монография, М., 2011.
13. Ламбен Ж., Менеджмент, ориентированный на рынок, СПб., 2007.
14. ЛеПла Ф. Дж., Паркер Л. М., Интегрированный брендинг, М., 2003.
15. Огилви Д., Откровения рекламного агента, СПб., Сирин, 2001.
16. Ораев Д., Бренд - определение в 4х словах, ელექტრონული ვერსია ვებ-გვერდზე:  
[http://st.free-lance.ru/users/di/dilemma/upload/f\\_4acacf68a41e0.pdf](http://st.free-lance.ru/users/di/dilemma/upload/f_4acacf68a41e0.pdf)
17. Райс Лора и Эл, 22 закона создания бренда, М., 2004.
18. Рожков И. Я., Кисмерешкин В. Т., Бренды и имиджи, М., 2006.
19. Словарь маркетинговых терминов, Данный словарь составлен с использованием свободных источников отечественных и иностранных интернет-ресурсов.  
[http://infosystems.ru/library/slovar\\_ais\\_1218/slovar\\_marketin\\_1221.html](http://infosystems.ru/library/slovar_ais_1218/slovar_marketin_1221.html)
20. Словарь маркетинговых терминов, М., Инфра-М, 2000.
21. Создание торговой марки: опыт десяти наиболее успешных британских практиков: Пер. с англ. /Под ред. Дона Коули, М., 2002.
22. Третьяк О.А. Маркетинг: новые ориентиры модели управления: Учебник. М., 2005.
23. Feldwick P., What is Brand Equity Anyway? Henley-on-Thames: World Advertising Research Centre, 1999.
24. McDonald M., Marketing Plans: How to Prepare Them, How to Use Them, Butterworth-Heinemann, Oxford, 1999.
25. Michaels A., A Practical Guide to Trade Marc Law. – London, Sweet&Maxwell, 1996.
26. <http://www.uspto.gov/trademarks/law/tmlaw.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.10.2015
27. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=11669>  
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.10.2015
28. [http://www.marketingpower.com/\\_layouts/Dictionary.aspx?dLetter=B](http://www.marketingpower.com/_layouts/Dictionary.aspx?dLetter=B)  
უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.10.2015

## “BRAND” - THE DEFINITION, CONTENT AND CLASSIFICATION

Leila Mamulashvili, Gori State Teaching University, Professor

Giorgi Kazishvili, Gori State Teaching University, Chief Specialist of Scientific Direction of Quality Assurance Service

### RESUME

Recently the brand is an international term and implies recognition of company and individual services. Sometimes goods, services or the company is name has become so “deep that customer often concentrates the name of the goods or services, to which it referred to.

The brand in this work is presented in both local and foreign authors number of definitions, more clarity on the concept of brand, content and classification. The article presents the main features in order to differentiate the brand trademark, trade mark from the trade sign.

## **საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი გლობალიზაციის პირობებში**

**ლეილა მამულაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**იზოლდა გაბადაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
E-mail: izogabadadze@rambler.ru

**ვახტანგ გოგისვანიძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი  
E-mail: vgoxisvanidze@mail.ru

**ინეზა წერეთელი**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
E-mail: inezatsereteli@mail.ru

**ნინო მუშკუდიანი**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორი  
E-mail: ninka7787@mail.ru

დღევანდელ მსოფლიოში საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელობისა და როლის ნათელი დასტურია ბილ გეიტსის სიტყვები: „ბოლო დოლარიანი რომ მქონდეს, დარჩენილს PR-ზე დავხარჯავდი“ [5]. PR ისეთივე ძველია, როგორც ცივილიზაცია და ისეთივე ახალი, როგორც ახალი ტექნოლოგიები. თავისი განვითარების გზაზე საზოგადოებასთან ურთიერთობამ ტრანსფორმაცია განიცადა და თანამედროვე სახე მიიღო. მას დიდი გავლენა აქვს, როგორც ორგანიზაციის განვითარებაზე, ასევე მასობრივი აუდიტორიის მართვაზე. მისი სამუშაო არეალი და სფერო განუსაზღვრელია. იგი არის ყველგან: საბანკო, ტურისტულ, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, სპორტის, კინოხელოვნების, სამოდელო თუ სამთავრობო სექტორში. ემსახურება სხვადასხვა სფეროს ორგანიზაციებს მისი ცნობადობის გაფართოებისთვის, ახდენს ქვეყნების, კომპანიის ან პერსონების იმიჯის ფორმირებას, ზრუნავს მათ რეპუტაციაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, PR-ის მხარდაჭერის საჭიროება თითქმის ყველა სექტორშია და მის გარეშე წარმატების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. თუ გავითვალისწინებთ მიმდინარე ტრენდებს და გლობალიზაციას, ინდუსტრია გარდატეხის პროცესშია და დგას XXI საუკუნის პოლიტიკური და გლობალური გამოწვევების წინაშე. მისი განვითარებისა და ზრდის პერსპექტივა კი ჯერ კიდევ წინ არის.

უსაზღვროდ გლობალიზებულ მსოფლიოში, საზოგადოებასთან ურთიერთობების ინდუსტრიამ უნდა გააფართოვოს ჰორიზონტი, ანუ იფიქროს გლობალურად და არ ჩაიკეტოს ქვეყნის ლოკალურ ჩარჩოებში. გლობალური კავშირების გასამყარებლად, ინდუსტრიამ უნდა დაძლიოს ქვეყანათა შორის არსებული კულტურული, ენობრივი და დროითი ბარიერები. თუკი ეს მიღწევადი იქნება იგი შესაძლოა გახდეს XXI საუკუნის მრავალმხრივი მოთამაშე, რომელიც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს გლობალიზაციის პროცესს ხელს და, ზოგადად, გახდის ინდუსტრიას უფრო ეფექტურს და მომგებიანს. თანამედროვე ტექნოლოგიური გარემო კი ამის საშუალებას იძლევა. დღესდღეობით ერთეული კონსულტანტები უწევენ ერთი ქვეყნიდან მეორეში მყოფ კლიენტებს საკონსულტაციო მომსახურებას. ეს კი მოსალოდნელია, რომ ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს და თითოეული ქვეყნისათვის ბაზარი საგრძნობლად გაფართოვდეს.

PR-ის სპეციალისტებმა უნდა დაარწმუნონ კლიენტები მათი სერვისის აუცილებლობაში. ბიზნესმა კი უნდა ირწმუნოს, რომ მიუხედავად კონსულტანტების თუნდაც ფრაგმენტული და მოკლევადიანი ჩარევისა, საკონსულტაციო სერვისს აქვს შესაძლებლობა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ორგანიზაციის განვითარებაში. დამოკიდებულებების შეცვლა ერთ-ორ დღეში შეუძლებელია, ეს გრძელვადიანი პროცესია. ინდუსტრია ვითარდება მოვლენების შესაბამისად, თუმცა აუცილებელია თითოეულმა სპეციალისტმა თავად მიიღოს განვითარების ყველა ეტაპზე მონაწილეობა და გამოიყენოს გლობალიზაციის პროცესი PR ინდუსტრიის განვითარებისთვის. ინფორმაცია ამ საუკუნის ძალაუფლება და იგი მართვადია თანამედროვე ტექნოლოგიებით.

გლობალიზაციის იდეა საზოგადოების ჩამოყალიბების დღიდან იწყებს დასაბამს და, ამიტომ, ამ იდეის სწორად წარმართვაში აქტიურობა საზოგადოებას ეკუთვნის. ერთეული პიროვნებების მიერ წარმოდგენილი გლობალიზაციის არსი არ იქნება სრულყოფილი, თუ მასში არ იქნება გათვალისწინებული საზოგადოების ინტერესები. გლობალიზაცია და საზოგადოება ურთიერთგანვითარებადი პროცესია, სადაც ინიციატორად უნდა წარმოჩინდეს საზოგადოება. გლობალიზაციის შემეცნების საშუალებების საზოგადოებამდე მიტანა და საზოგადოებაში დამკვიდრება მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობას შეუძლია.

გლობალიზაცია არის თანამედროვე მსოფლიო წესრიგით განპირობებული მსხვილმასშტაბიან, სტრატეგიულ ღონისძიებათა ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბების, სრულყოფის და მართვის დინამიკური პროცესი, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო არეალი და სახელმწიფოთაშორისი, შიდასახელმწიფოებრივი კავშირები. იგი მოიცავს ადამიანთა საქმიანობის და ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს. მისი მიზანია პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების სტაბილიზაცია.

გლობალიზაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის გარეშე წარმოდგენილია. გლობალიზაციის პროცესებისათვის აუცილებელია კომუნიკაციის ხელოვნების, ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, იმიჯოლოგიის, ეკონომიკის, მარკეტინგის, მენეჯმენტის და ეთიკის საფუძვლების ცოდნა. PR წარმოადგენს იმ ძირითად საშუალებას, რომელიც ეხმარება საზოგადოებას გლობალიზაციის სწორად გაგებაში, განათლების, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, რელიგიის, და სხვა სფეროში. მუშაობის წარმატებისათვის საჭიროა PR-ის პროფესიონალური სისტემის გლობალიზაცია.

გლობალიზაცია საყოველთაო, გარდაუვალი, შინაგანად ორგანიზებული პროცესია, რომელიც აერთიანებს პრობლემებს, რომლებიც ვრცელდებიან მთელს ჩვენ პლანეტაზე ერთდროულად და გავლენას ახდენენ თითოეული ქვეყნის განვითარებაზე და მისი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. გლობალიზაცია ადამიანთა ნებისმიერი სახის საქმიანობის გაერთიანება და მართვაა.

საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლასა და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ PR-ის სპეციალისტები. მისი დომინირების პირობებში იქმნება ვირტუალური რეალობა, რომელიც ხშირად არსებულისაგან განსხვავდება. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის პროცესი, თუ მას გეოსიბრტყეში გადავიტანთ, არის ერთიანი ვირტუალური სივრცის ჩამოყალიბება, რომელშიც ჩართულია მსოფლიოს ქვეყნები.

გლობალიზაციის პროცესში უდიდესი როლი ენიჭება მედიასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. საინფორმაციო ნაკადების ოპტიმალური მართვა დღეს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნის, არამედ მთელი თანამეგობრობის ზრუნვის საგანი ხდება. ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესი თვისობრივად ახალი ფასეულობების დამკვიდრებას იწვევს, იქმნება ახალი სამკუთხედი – ადამიანი-ინფორმაცია-საზოგადოება, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირება ხელისუფალთა წარმატების უმთავრესი საზომი ხდება.

ინფორმაციის როლის ზრდა ბუნებრივად იწვევს საინფორმაციო ტექნოლოგიების დახვეწას. დღევანდელ ცივილიზებულ საზოგადოებაში ნებისმიერი მცირე მნიშვნელობის ღონისძიებაც კი წარმოდგენილია PR-ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ამ დარგის სპეციალისტებზე მსოფლიოში მოთხოვნა დღითიდღე იზრდება და ისინი გლობალიზაციის პროცესში მოწინავე პოზიციებს იკავებენ. თუმცა, PR-ტექნოლოგიების როლის ზრდა მსოფლიოში დადებით ტენდენციებთან ერთად ახალ (“ტვინის გამორეცხვის”) საფრთხეებს წარმოშობს.

გლობალური პროცესები, ასევე, ასუსტებს ცალკეული ქვეყნების უსაფრთხოებას, რაც, უმთავრესად, საინფორმაციო სივრცის საზღვრების გახსნით და ხელისუფლებათა მხრიდან ეკონომიკურ პროცესებზე გავლენის დაკარგვით არის გამოწვეული, ამიტომ გლობალური საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება კიდევ უფრო ზრდის მეგატექნოლოგიების როლს. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მაქსიმალურად ზრდის ძალაუფლების კონცენტრაციას. ისინი გავლენას ახდენენ არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, არამედ მთავარ როლს თამაშობენ ადამიანის ცნობიერების ტრანსფორმაციის პროცესში.

გლობალური პროცესების ფონზე საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის, საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესში, განსაკუთრებული როლი ეკისრება ხელისუფლებას. მიმდინარე პროცესების კომპლექსური გააზრებით, PR-ის სწორი ნაბიჯების გადადგმით ხელისუფლებამ მნიშვნელოვან ბერკეტს უნდა მიაკვლიოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, საქონლითა და მომსახურების თავისუფალი ვაჭრობისათვის, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნაზე ორიენტირებული საზოგადოების ფორმირებისათვის და ა.შ. რამეთუ აღნიშნული პროცესების განვითარება განაპირობებს ინტეგრირებულობას და ურთიერთდამოკიდებულებას დღევანდელ მსოფლიოში.

### ლიტერატურა:

1. ხახუტაშვილი ე., კაპანაძე ლ., საზოგადოებასთან ურთიერთობა. თბილისი: ეკონომიკისა და მენეჯმენტის კონსულტანტთა ასოციაცია, 2007.
2. Алёшина И.В. Паблик рилейшнз для менеджеров. Москва: Экмос, 2003.
3. Джи Ю. Имидж фирмы. Москва: СПб, 2000.
4. Китчен Ф. Паблик рилейшнз. Москва: Принципы и практика, 2004.
5. [http://www.pwkpr.com/public\\_relations\\_quotations/Public\\_Relations.htm](http://www.pwkpr.com/public_relations_quotations/Public_Relations.htm)

## THE ROLE OF PUBLIC RELATIONS IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

**Leila Mamulashvili**, Gori State Teaching University, Professor

**Izolda Gabadadze**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

**Vakhtang Gogisvanidze**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

**Ineza Tsereteli**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

**Nino Mushkudiani**, Akaki Tsereteli State University, PhD

### RESUME

In modern conditions globalization is objective and irreversible process. In global space the greatest role is played by society as inseparable part of the state. In the correct management of globalization the important role is carried out by society. Therefore its establishment in society depends on public relations. In article globalization and public relations are considered in several aspects.

### ინტეგრირებული დივერსიფიცირებული ინოვაციური კომპანიის საქმიანი პორტფელის სტრატეგიული ანალიზი და რეინჟინირინგი

**ნათელა მარტინენკო**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი,  
დოქტორანტი

კომპანიის საქმიანი აქტივობის პორტფელის ყოველი შემადგენელის მიმზიდველობის და კონკურენტული ძალის გაუმჯობესების გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციის ამოცანა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრესს კორპორაციის დონეზე სტრატეგიული მართვის მთელ კონცეფციაში.

დივერსიფიცირებული კომპანიის სტრატეგიის შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა უნდა ახდენდეს ანალიტიკური პროცედურის რეალიზაციას, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

1. განსაზღვროს კორპორაციის მიმდინარე სტრატეგია.
2. შეადგინოს კომპანიის საქმიანი პორტფელის ერთი ან რამოდენიმე მატრიცა მისი მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით.
3. შეადაროს ყოველი იმ დარგის გრძელვადიანი მიმზიდველობა, რომლებშიც კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას.
4. შეადაროს კომპანიის სამეურნეო ქვედანაყოფების კონკურენტული ძალები შესაბამის დარგებში ყველაზე სიცოცხლისუნარიანების განსაზღვრის მიზნით.
5. მოახდინოს სამეურნეო ერთეულების რანჟირება მათი განვითარების ისტორიისა და მომავალი პერსპექტივების გათვალისწინებით.
6. შეაფასოს ყოველი სამეურნეო ქვედანაყოფის თავსებადობა კორპორაციის სტრატეგიასთან და განსაზღვროს არსებულ ქვედანაყოფებს შორის სტრატეგიული კავშირების ფასეულობები.
7. მოახდინოს სამეურნეო სუბიექტების კლასიფიცირება ინვესტირების პრიორიტეტების პრინციპის მიხედვით და გადაწყვეტილების მიღების ხასიათის მიხედვით: უნდა იყოს თუ არა ეს აგრესიული ექსპანსია, დაჩქარება და დაცვა, მდგომარეობის გადახედვა ან შეცვლა, თუ „მოსავლის აღება“/ლიკვიდაცია.



8. მოახდინოს ახალი სტრატეგიული ზომების ინიცირება, რომლებიც მიმართული იქნება კორპორაციის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, პორტფელის სტრუქტურის ცვლილებაზე შემენისა და გაყიდვების გზით, მოახდინოს ურთიერთდაკავშირებული სამეურნეო ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია, რომლის შედეგადაც მიღწეული იქნება დანახარჯების შემცირება, ასევე სასარგებლო უნარების გადაცემა და კორპორაციის რესურსების მიმართვა იმ სფეროებში, სადაც გაშლილი იქნება უფრო ფართო შესაძლებლობები.

დივერსიფიცირებული კომპანიის სტრატეგიის შეფასებისას პრინციპულ საკითხს წარმოადგენს იმ დარგის მიმზიდველობის საკითხი, რომელში შედგება მას სურს. რაც უფრო მიმზიდველია დარგი, მოგების მიღების მით უფრო კარგი გრძელვადიანი პერსპექტივები იმლება ფირმის წინაშე.

იმისათვის, რომ გახდეს უფრო ძლიერი, დივერსიფიცირებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს თავისი შემოსავლებისა და მოგების არსებითი ნაწილის მიღება იმ სამეურნეო ქვედარგებიდან, რომლებიც ფუნქციონირებენ მიმზიდველ დარგებში. ის სამეურნეო ქვედარგები, რომლებიც მოღვაწეობენ ნაკლებად მიმზიდველ დარგებში, შეიძლება განხილული იქნენ, როგორ შემცირების კანდიდატები, რა თქმა უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი პოზიციები არ არის იმდენად ძლიერი, რომ მათ შეძლონ გადალახონ დარგში არასაკეთილდღეო სიტუაცია, ან თუ ისინი არ წარმოადგენენ სამეურნეო პორტფელის სტრატეგიულად მნიშვნელოვან კომპონენტს.

დარგები, რომლებიც წარმოადგენილია დივერსიფიცირებული კომპანიის სამეურნეო პორტფელში, უნდა იქნენ შეფასებულები მიმზიდველობის შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- *ბაზრის მოცულობა და ზრდის საპროგნოზო ტემპი* - იმ დარგებს, რომლებიც სწრაფად იზრდებიან გააჩნიათ მეტი მიმზიდველობა, ვიდრე წარმოების ნელი ტემპით განვითარებად დარგებს სხვა თანაბარი პირობების არსებობისას.
- *კონკურენციის ინტენსიურობა* - დარგები, სადაც კონკურენტული ზეწოლა შედარებით სუსტია, უფრო მიმზიდველია, ვიდრე დარგები ძლიერი კონკურენტული ზეწოლით.
- *საჭირო ტექნოლოგიური და საწარმოო უნარები* - დარგები, სადაც უნარების მიმართ მოთხოვნები ემთხვევა კომპანიის შესაძლებლობებს, უფრო მიმზიდველია, ვიდრე ის დარგები, სადაც კომპანიის ტექნიკური ან/და საწარმოო ნოუ-ჰაუ შეზღუდულია.
- *მოთხოვნილება კაპიტალზე* - დარგები კაპიტალზე დაბალი მოთხოვნილებებით შედარებით უფრო მიმზიდველია, ვიდრე დარგები, რომელთა საინვესტიციო მოთხოვნები საკმაოდ დამაბულია კორპორაციის რესურსებისთვის.
- *სეზონური ან ციკლური ფაქტორები* - დარგები, სადაც მოთხოვნა შედარებით მდგრადია, უფრო მიმზიდველია, ვიდრე დარგები, სადაც შეინიშნება მნიშვნელოვანი რყევები სამომხმარებლო მოთხოვნაში.
- *დარგის შემოსავლიანობა* - დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოგებისა და დივიდენდების მაღალ დონეს, როგორც წესი, უფრო მიმზიდველია, ვიდრე დარგები, სადაც მოგება თავიდანვე დაბალია ან სადაც მაღალი რისკებია.
- *სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი ფაქტორები და ბუნებრივი გარემოს ფაქტორები* - დარგები ამ სფეროებში არსებული პრობლემებით ნაკლებად მიმზიდველია, ვიდრე დარგები, სადაც ამ სფეროში პრობლემები კომპანიებს არ ექმნებათ.
- *დარგში შესვლისა და დარგიდან გამოსვლის ბარიერები* - კომპანიისთვის მიმზიდველია ის დარგები, სადაც ბარიერები მაღალი არაა.

დარგის მიმზიდველობის შედარებითი ხარისხის განსაზღვრა შეიძლება განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღების მრავალკრიტერიული მეთოდებიდან ერთ-ერთის მეშვეობით, კერძოდ, იერარქიების ანალიზის მეთოდით.

შეაფასებს რა ყოველი სამეურნეო სუბიექტის ქვედანაყოფის ძალას და მის კონკურენტულ პოზიციას დარგში, კორპორაციის ხელმძღვანელობა იღებს შესაძლებლობას იმსჯელოს ამ ქვედანაყოფის წარმატების შანსებზე.

დივერსიფიცირებული კომპანიის ქვედანაყოფების კონკურენტული ძალის შედარებითი შეფასება უნდა ეფუძნებოდეს რიგი ფაქტორების ანალიზს, რომელთაგან ძირითადებია:

- *ბაზრის შეფარდებითი წილი* - სამეურნეო ქვედანაყოფები, რომლებსაც გააჩნიათ ბაზრის შედარებით მაღალი წილი, უფრო კონკურენტუნარიანები არიან, ვიდრე ისინი, რომლებსაც შეფარდებითი წილი დაბალი აქვთ.
- *ფასის ან/და ხარისხის მიხედვით კონკურენციის უნარი* - დარგში უფრო ძლიერ პოზიციებს ფლობენ ის სამეურნეო ქვედანაყოფები, რომლებიც კონკურენტუნარიანები არიან დანახარჯების მიხედვით და აქვთ მაღალი ხარისხის პროდუქციის მწარმოებლების რეპუტაცია.

- *ახალი პროდუქციის შემუშავების შესაძლებლობები და ტექნოლოგია* - სამეურნეო ქვედანაყოფები, რომელთა ტექნოლოგიური ლიდერობა და მიღწევები ინოვაციების სფეროში აღიარებულია, წარმოადგენენ, როგორც წესი, ძლიერ კონკურენტებს თავის დარგში.
- *გამოცდილებისა და ოსტატობის შესაბამისობა* - მოცემული ქვედანაყოფის რაც უფრო მეტი ძლიერი მხარე შეესაბამება დარგის წარმატების საკვანძო ფაქტორებს, მით მყარია მისი კონკურენტული პოზიცია.
- *მომგებიანობა კონკურენტების მომგებიანობასთან შედარებით* - მომგებიანობა, რომელიც აღემატება საშუალო დონეს, მეტყველებს კონკურენტულ უპირატესობაზე.

კონკურენტული ძალის სხვა მაჩვენებლებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნენ ანალიზისთვის, წარმოადგენენ: მომხმარებლების და ბაზრების ცოდნა, საწარმოო შესაძლებლობები, გამოცდილება და უნარები მარკეტინგულ საქმიანობაში, სავაჭრო მარკის ცნობადობა და რეპუტაცია, მენეჯმენტის დონე.

ყოველი სამეურნეო ქვედანაყოფის მიხედვით კონკურენტული ძალის რაოდენობრივი შეფასების გაანგარიშება იძლევა საინფორმაციო ბაზას იმის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, თუ რომელ მათგანს გააჩნია სუსტი პოზიციები დარგში და რომელს - ძლიერი. კორპორაციის საქმიანობის ამგვარად რანჟირებული სახეობები წარმოადგენენ მის ქვედანაყოფებს შორის რესურსების ეფექტიანი დანაწილების საფუძველს. დივერსიფიცირებული კომპანიები, როგორც წესი, ახდენენ თავისი რესურსების კონცენტრირებას იმ დარგებში, სადაც შეუძლიათ გახდნენ ძლიერი კონკურენტები.

#### **ლიტერატურა:**

1. А. В. Андрейчиков, О.Н.Андрейчикова. Системный анализ и синтез стратегических решений в инноватике. Концептуальное проектирование инновационных систем.М.: ЛЕНАНД, 2014.
2. <http://cyberleninka.ru>

## **STRATEGIC ANALYSIS AND REENGINEERING OF THE BUSINESS PORTFOLIO OF INTEGRATED DIVERSIFIED INNOVATIVE COMPANY**

**Natela Martinenko**, Georgian Technical University, Senior Teacher, PhD student  
**RESUME**

The company business activity's portfolio of each component attractiveness and competitive force plans development and task of implementation and realization is one of the main on corporation level in a whole competency of strategic management. In the article is presented and discussed by author steps of diversified of innovative company strategic analysis of analytical procedures.

## **TEACHING OF BUSINESS MODELING FOR BUSINESS PROCESS MANAGEMENT**

(in the frame the Erasmus Mundus Exchange Program - BACKIS, Action 2, Agreement number 2012-2741/001-001EMA2)

**Ruizan Mekvabidze**, Gori State Teaching University, Professor  
E-mail: [gsu@grt.ge](mailto:gsu@grt.ge)

**Jurgita Raudeliūnienė**, Vilnius Gediminas Technical University,  
E-mail: [jurgita.raudeliuniene@vgtu.lt](mailto:jurgita.raudeliuniene@vgtu.lt)

#### **ABSTRACT**

The article considers a teaching business modeling that is completed with three syllabuses in the frame of finding problems and create basic conditions which force students to make concrete decisions for successful business process management, experience concerning to the different directions as are: understanding business models and business process, business process modeling, approaches to modeling and simulation, quantitative methods for management and decision making that will provide students knowledge about business process modeling with management, what implicates more effective using to application this knowledge in practical life according to research, research design and results interpretation that are of utmost importance in data processing via research methods for business and

economics. Business Modeling educational program consists three syllabuses as are: business process modeling, applying statistics and unified modelling language. On the basis of this program manager can to make more real managerial decision for the successful business management.

**Key words:** Models, business, decision, business modelling, educational programs, research, research design, simulation, quantitative methods, management, DSS

## 1 INTRODUCTION

Every day, the most business specialists use programs to build models for decision making, business process, business process management and they face regularly in their work activities. As a result, employers look for the need specialists with experience and ability in they recruit. The experience and ability have to become for undergraduate and graduate students in business and economics as a work tool with the concepts and technique that cover the introductory operation research, management science and decision making technologies in practice. We pay attention to the aspects of the business modeling process that takes a central place to the business problem solving and assuming, that the student already followed introductory courses in operations research and probability. At the same time, we hope to give student a sound idea of the possibilities of operations research for solving business problems and business process modeling. As a business process is a set of activities whose objective is to produce a desired result within an enterprise, business process modeling enables a common understanding and analysis of a business process and a process model.

Model building skills are a scarce resource for many organizations. New software tools have made model building a far more common occurrence. Problem identification is the most overlooked aspect of model building with its risk analysis that is absolutely essential to the practice of management. No matter what the problem is, someone is always going to care about costs.

The general idea of the material is to show that business process modeling is a useful and powerful management tool for business makers and however, it is a central task of a managerial economics. No one can be sure of the answers to the questions below:

- How do you organize for success when your primary resources are intangible?
- How do you unleash the potential of knowledge workers to transform ideas into value?

But one thing is certain. Whatever the structures and forms of the organizations of the future, people will come together as stakeholders to apply their minds and efforts to the transformation of assets. It means, that they will take part in business processes. As a result, to date, business process modeling has achieved its great potential.

Business process modeling goes under many different names as are following [ 1-5]:

- Business process modeling: any process modeling exercise that is performed in order to enhance the overall operation of a business;
- Business process management: the coordination and management of a business process which will, invariably, involve some sort of business process modeling;
- Business process re-engineering: used specifically when business process modeling is applied to existing processes as part of a process improvement exercise;
- Operations management: often used in the context of business and management courses
- Process mapping: refers to relating different processes to one another and forms an integral part of any audit or assessment exercise.
- Process re-alignment: often applied to existing processes that have, over a period of time, gone out of date for some reason – usually because the requirements for the process have changed and the process is no longer fit for its original purpose.

Conceptual modeling is a way to represent real-world objects, data, processes, systems and their inter-relationships.

A business process consists two parts: (1) a data model, which presents the data dependencies between all data objects, and (2) a set of process models, which describe the real world process from different perspectives.

**A data model DM** is represented as subset of an UML class diagram [6] utilizing the concepts of classes, data relations, and generalization sets. Classes represent data object classes DC.

**A data object in a business process** is associated with a data object class in the data model. Each set of data objects is associated to a business process and therefore, each data object is mapped to exactly one data object class of the appropriate data model. Generally, a data object is any piece of information utilized in the business process. It may represent, but is not limited to, documents, forms, database fields, database tables, variables, and products. But a data object does not represent full IT systems or databases [7-8].

If business model construction is performed in a bottom-up manner, indicators and their data sources will be derived or elicited from the business. In this case, reasoning techniques must support reasoning over indicators, using current values to calculate *composite* indicators, indicators whose values are obtained from those of their *components*. These components themselves may also be composite, leading to an aggregation hierarchy of indicators [9]. **What approach**

**to choose?** Based on the discussions, that there is no universal approach that would be equally suitable for all types of business processes, all types of objectives, and all levels of process maturity. An organization might need to choose several different methods to apply at different stages of the process modeling work, and for different objectives. Many factors should be taken into consideration when choosing suitable methods. But in the frame of the discussion, some general methods can be chosen [10].

**We use models** in an attempt to gain understanding and insights about some aspect of the real world. A first step towards success in modeling is to narrow the focus to a reasonable scope. There is a much greater chance of success for both building a model and finding consensus about the model's utility when we focus our attention locally in time and space. With so many opportunities to use **S&M [11]**, its four major benefits; cost savings, accelerated schedule, improved product quality and cost avoidance can be achieved in any system development when appropriately applied. There are three forms of applied thinking that we all need: decision making, problem solving and creative thinking. Decision making is about deciding what action to take; it usually involves choice between options. The objects of problem solving are usually a solution, answer or conclusion. The outcome of creative thinking, by contrast, is new idea. Decision sciences refer to broad interdisciplinary field interested in all aspects of human decision making. The emerging field of decision sciences is concerned with understanding and improving decision making of individuals, groups and organizations. In general decision making sciences examines a process of decision making at multiple levels, starting with individual choice, then moving to the group, organization and societal levels [12].

### **1.1 THE PROBLEMS ACCORDING TO BUSINESS MANAGEMENT STUDYING**

Business managers discovered that one of the effective way to analyze and evaluate decision alternatives involves model-building, modeling& simulation of the decision problems they face. It means to use a set of mathematical relationship and logical assumptions implemented in a computer as a representation of some real-world object or decision problem. The problems faced by decision makers in today's competitive, fast-paced business environment are often extremely complex and can be addressed by numerous possible courses of action. Evaluating these alternatives and choosing the best course of action represents the essence business process modeling, decision analysis which are provided business process management. The incomplete list of the knowledge areas might include within business process modeling:

1. Strategic planning
2. Business design
3. Change management
4. Configuration management
5. Value management
6. Profit management
7. Project management
8. Architecture alignment
9. Performance measurement

The functions above within business process may vary depending on the organization style, strategy and other factors and have to be managed as a conceptual thing of significance in the design of enterprises and organizations.

## **2 MAIN GOALS OF STUDYING**

a/ Theoretical and practical knowledge creation about essential of problems solving within business process management and decision making;

b/ To help students to acquire certain knowledge and skills within business process modeling concepts as well as the principles of main research designs by optimization methods including: finding of data sources, data processing and interpretation, using software, making presentations, evaluation of business process regulation on the simulation and modeling basis.

c/ The students should acquire certain knowledge and skills using software for business modeling.

## **3 OBJECTIVES**

Teaching of Business modeling for business management is a structured way to think about business models to train student in the science of business model analysis and to help him/her practice the art of business model construction and business process modeling for business management. The research objectives are focused:

- On most important direction that is to gain insight and understanding about decision problem of using models to improve decision making. The process of building model can shed important light and understanding on a problem;
- On the concepts and interoperating tools in the categories that are emerging to provide comprehensive support for managing the entire business process life cycle which consists of asset of steps and phases in which each step and phase uses the result of the previous one;
- On choosing the right building models for the creation of new business process or relating to strategy and linking to organizational context;

- On business process design by which an organization understands and defines the business activities that enable it to function;
- On business process modeling notation models that provides graphical notation for specifies business process in a business process diagram;
- On a value driven process design which creates and builds process that generates and delivers previously unacquired value to the company and its customers;
- On using some of the most commonly used modeling approaches and principles for process modeling and using validation techniques;
- On understanding and explaining the modeling process and to apply it in a variety of different situations;
- On Implement model-based Decision Support Systems (DSS) using software packages.

#### 4 REQUIREMENTS

A process model is a finite set of activities. A process model can be arbitrarily structured, but needs to be Data Support in Process Model Abstraction i.e., it contains a single source node and a single sink node and each node is on a path from the source to the sink node.

Requirements on software systems that support operational business processes are typically captured in business process models. The Unified Modeling Language (UML) [13] has a notation, activity diagrams, that can be used to model business processes. Business process models expressed in UML activity diagrams can specify both the ordering of business activities as well as the flow of business objects among these activities. State changes of these business objects are due to business activities. A business process model gives a global view of a business process, addressing different objects, while an object life cycle offers a local view, linked to one aspect of the global process view [14].

#### 5 BUSINESS PROCESS MODELING EDUCATIONAL PROGRAM

A business modeling is a framework for studying economic, social, and/or other forms of value. The term 'business modeling' is thus used for a broad range of informal and formal descriptions to represent core aspects of a business, including purpose, offerings, strategies, infrastructure, organizational structures, trading practices, and operational processes and policies.

Business modeling is used to describe and classify businesses, especially in an entrepreneurial setting, but they are also used by managers inside companies to explore possibilities for future development. The business modeling educational program consists three syllabyses:

- Business process modeling,
- Applying Statistics
- Appling Unified Modeling Language (UML) for Business Process modeling

**The Objectives of the Course of Applying Statistics** is to help students understand how the process of posing a question, collecting data relevant to that question, analyzing data, and interpreting data can help them find answers to real problems from the real world. To increase the student's mastery of the deductive nature of reasoning; to understand the nature of critical thinking and increase the student's ability in problem solving.

**The Objectives of the Course of Appling Unified Modeling Language (UML)** is to help students understand that: process and object-orientation are basic concepts of modeling, implementing and customizing information systems; case model describes the behavior and relationships between services and participants outside the focused information system, e.g. customers and suppliers; the object model focuses on the internal business processes and consists of object systems, containing organization units, work units, workers and entities. To be successful, business analyst or manager must process the necessary modeling skills and business knowledge to performance tasks through using UML diagrams for communication and documentation purposes [13].

The second goal of the course is to help students understand how the process of posing a question, collecting data relevant to that question, analyzing data, and interpreting data can help them find answers to real problems from the real world. To increase the student's mastery of the deductive nature of reasoning; to understand the nature of critical thinking and increase the student's ability in problem solving [14].

We represent the themes of the syllabus of „Business process modeling“ more generally with the main topics included in the syllabus:

**Theme 1. Business Models** . Introduction; types of business models: Value Model; Revenue Model; Cost Model; Service Model; Operating model; Performance Model. What's a business process; components areas of business process and Process Innovation; Business processes as transformations; business processes as coordination; business process types [15], [16].

**Theme 2. Business Process Modeling** : Business process modeling and its essence for business process management; Benefits of Business Process Modeling Goals and Compliance. Strategic business modeling, Benefits from Process Modeling [17],[18].

**Theme 3. Conceptual modeling**. The Role of Conceptual Modeling in Managing and Changing the Business Process Modeling Standards; trends in conceptual modeling; Graphical Notation [19],[20].

**Theme 4. Business Modeling Approach.** understanding of business modeling approach; activity flow-oriented approaches; The data flow diagramming approach; communication flow-oriented approach; object - oriented approach; holistic system approach; quantitative approaches; Business process diagramming tools: business process diagrams using power point [21].

**Theme 5. Business process modeling and simulation (M&S):** Introduction; modeling guideline; elements of business process models conventions; classification of simulation; functions of (M&S) [22].

**Theme 6. Simulation Modeling.** Fundamentals of simulation modeling: terminology, modeling process, types of simulation; modeling concepts, discrete-Event systems, Elements of Discrete-Event Simulation; Generation of Random Numbers and random variables, discrete Simulation; simulation modeling methodology, Methods for Gathering Statistical Observations; Subinterval Method; Replication Method; Regenerative (Cycle) Method; Monte Carlo method [23],[24].

**Theme 7. Decision Modeling and Decision Analysis:** Decision as a Basis of Interdisciplinary Exchange, problems decision models, model assumptions, optimization models, characteristics and benefits of modeling, problem solving process, breakeven point, Decision-making technology as a basis of business management; the modeling approach to decision making; characteristics and benefits of modeling; problem solving process; Decision analysis; good decisions and good outcomes [25],[26].

**Theme 8. Quantitative methods for Business Modeling and management:** Introduction, Regression analysis, Linear programming, Integer linear programming, Network Models, Nonlinear Programming, Project Scheduling, Inventory Models, Waiting Lines or Queuing Models, Simulation, Decision Modeling & Analysis [27],[28].

**Theme 9. Regression analysis.** The Basic Regression Model. Regression analysis; The Simple Regression Model; Simple Examples of Regression Analysis; The Ordinary Least Squares Estimates; Residual Sums of Squares The Coefficient of Determination; Classical Model; The Gauss-Markov Theorem; The Classical Assumptions in Standard Notation; Multiple Regression Analysis. The Model with  $k$  Independent Variables; Specifications; Choosing a Functional Form; Hypothesis Testing; Forecasting.

**Theme 10. Linear programming is a mathematical modeling technique** and one of the important method of operation research/management science and as a problem-solving approach developed for situations involving maximizing or minimizing a linear function subject to linear constraints, can be used to determine optimal strategies in situations involving decision alternatives and an uncertain of events [29].

**Theme 11.** Network Modeling: introduction; Scope and Definition of Network Models; Transportation Models; The Transportation Algorithm; Determination of the Starting Solution; Iterative Computations of the transportation; Algorithm; Examples of the Shortest-Route Applications; Shortest-Route Algorithms; Linear Programming Formulation of the Shortest-Route Problem; Maximal-Flow Algorithm and model; Linear Programming Formulation of critical path model (CPM) [30],[31].

**Theme 12. Modeling with Integer Linear Programming (MILP):** introduction Difficulties with Integer Programs. Integer Quantities Binary Decisions Logical Constraints. Avoid symmetry Solver Integer programming. Integer Programming Algorithms; Computational Considerations [32],[33].

**Theme 13. Queuing Systems.** introduction; queuing models; Elements of a Queuing Model; Purpose of queuing models; characteristics of queuing systems; probabilistic distributions of arrivals and services for single channel waiting line model and multiple channel waiting line models and a role of these distribution for model building [34].

**Theme 14. Decision support systems:** introduction; a schematic view of a decision support system; key characteristics and capabilities of DSS; evolution of DSS; DSS and decision making process; DSS applications; Social Decision Support Systems; DSS For a risk management; the Capabilities offered by DSS: Support for various decision-making levels: Operational level: Daily decisions; Tactical level: Planning and control; Strategic level: Long-term decisions [35],[36].

## 6 RECOMMENDATIONS

The recommendations are based on the following principles:

1. There is no universal method of business process modeling suitable for all possible projects in this field;
2. There are far too many approaches and tools to consider all of them one by one to see which one suits best the needs of a particular project. Some classification of methods and tools is needed so that first a particular class can be chosen, and after that a method/tool that belong to the class.
3. To be able to match the needs of a modeling project against methods/tools we need to identify characteristic features of a particular project. We believe that analysis of modeling projects can be done in three “dimensions”:
  - Properties of business processes to be modeled
  - Characteristics of the modeling environment
  - Intended use of the model

## 7 REFERENCES

1. Marta Grybś. Creating new trends in international marketing communication. Journal “Economics & Management. Volume 15, 2014
2. Mendling, J., & Strembeck, M. (2008). Influence Factors of Understanding Business Process Models. Paper presented at the 11th International Conference on Business Information Systems, 5-7 May 2008, Innsbruck, Austria.

3. Alexander Osterwalder, Yves Pigneur (2010). *Business Model Generation: A Handbook for Visionaries, Game Changers, and Challengers*. ISBN-10: 0470876417 ISBN-13: 978-0470876411. Publisher: John Wiley and Sons, 1st edition.
4. Oliver Gassmann, Karolin Frankenberger, Michaela Csik(2015). *The Business Model Navigator: 55 Models That Will Revolutionise Your Business*. ISBN-10: 1292065818 ISBN-13: 978-1292065816. Publisher: FT
5. James R. Evans (2007). *Statistics, Data Analysis & Decision Modeling*. ISBN:0-13-188609-6. Third Edition. PEARSON Prentice Hall.
6. Stewart Robinson (Editor), Roger Brooks (Editor), Kathy Kotiadis (Editor), Durk-Jouke Van Der Zee (Editor) *Conceptual Modeling for Discrete-Event Simulation*. ISBN-13: 978-1439810378 ISBN-10: 1439810370 Publisher: CRC Press, Edition: 1<sup>st</sup>
7. Silvana Castano Panos Vassiliadis Laks V. S. Lakshmanan Mong Li Lee (Eds.) (2012). *Advances in Conceptual Modeling. ER2012Workshops:CMS,ECDM-NoCoDA,MoDIC, MORE-BI, RIGiM, SeCoGIS, WISM*. Florence, Italy, October 15-18, 2012. Proceedings. Springer
8. H. A. Eiselt and Carl-Louis Sandblom (2012). *Operations Research: A Model-Based Approach (Springer Texts in Business and Economics)*.ISBN-13:978-3642310539.ISBN-10:364-231053-2. Edition: 2nd ed. 2013 Springer texts in business and economics A model-based Approach, 2<sup>nd</sup> ed
9. Bernard P. Zeigler, Herbert Praehofer, and Tag Gon Kim. *Theory of Modelling and Simulation: Integrating Discrete Event and Continuous Complex Dynamic Systems*. Academic Press, second edition, 2000
10. Louis G. Birta, Gilbert Arbez (2013). *Modelling and Simulation: Exploring Dynamic System Behaviour (Simulation Foundations, Methods and Applications)*. ISBN-13: 978-1447127826 ISBN-10: 144712782X. Pblisher: Springer; 2<sup>nd</sup> ed.
11. Averill Law (2014). *Simulation Modeling and Analysis (Mcgraw-Hill Series in Industrial Engineering and Management)*. ISBN-13: 978-0073401324 ISBN-10: 0073401323. Publisher: McGraw-Hill Science/ Engineering/ Math; 5 edition. 12.
- Mekvabidze R. (2009). *Following Educational Reforms in Georgia: The Role of Decision Making for Economic Educatin*. Second International conference of Gori University, 2-3 October, pp. 142-147
13. Tim Weilkens, Bernd Oestereich (2007). *UML2. Certification Guide. Fundamentals&Intermediate Exams*. ISBN 13: 978-0-12-373585-0. ISBN 10: 0-12-373585-8. Publisher: ELSEVIER. www.elsevier.com
14. Averill Law (2014). *Simulation Modeling and Analysis (Mcgraw-Hill Series in Industrial Engineering and Management)*. ISBN-13: 978-0073401324 ISBN-10: 0073401323
15. Alexander Osterwalder, Yves Pigneur (2010). *Business Model Generation: A Handbook for Visionaries, Game Changers, and Challengers*. ISBN-10: 0470876417 ISBN-13: 978-0470876411. Publisher: John Wiley and Sons, 1st edition.
16. Mark von Rosing, August-Wilhelm Scheer (2015) . *The complete business handbook*.ISBN: 978-0-12-799959-3.ELSEVIER. Pp.: 2-73
17. Becker, J., Rosemann, M. and Uthmann, C. (2000), "Guidelines of business process modeling", *Business Process Management, LNCS, Vol. 1806*, pp. 30-49.
18. Brambilla, M., Fraternali, P. and Vaca, C. (2011), "A model-driven approach to social BPM applications", in Mille, A., Gandon, F.L., Misselis, J., Rabinovich, M. and Staab, S. (Eds), *Social BPM: Work, Planning, and Collaboration Under the Impact of Social Technology*, ACM, New York, NY, pp. 95-112.
19. Moody, D.L.: *Cognitive Load Effects on End User Understanding of Conceptual Models: An Experimental Analysis*. In: Benczúr, A.A., Demetrovics, J., Gottlob, G. (eds.) *ADBIS 2004*. LNCS, vol. 3255, pp. 129–143. Springer, Heidelberg (2004).
20. Patig, S.: *A practical guide to testing the understandability of notations*. In: *Proceedings of the Fifth Asia-Pacific Conference on Conceptual Modeling (APCCM 2008)*, Wollongong, Australia (2008)
21. H. A. Eiselt and Carl-Louis Sandblom(2012). *Operations Research: A Model-Based Approach (Springer Texts in Business and Economics)*.ISBN-13:978-3642310539.ISBN-10:364-231053-2. Edition: 2nd ed. 2013 Springer texts in business and economics A model-based Approach, 2<sup>nd</sup> ed.
22. Averill Law (2014). *Simulation Modeling and Analysis (Mcgraw-Hill Series in Industrial Engineering and Management)*. ISBN-13: 978-0073401324 ISBN-10: 0073401323
23. Christian Albright, Christophor J. zappe, Wayne L. Winston (2011). *Dat Analysis, Optimization and Simulation Modeling*. ISBN;13: 978-0-538-47676-8. . ISBN;10: 0-538-47676-1. South Western, Cengage Learning Pages: 917-987
24. S´anchez, P. J. (2006). *As simple as possible, but no simpler: A gentle introduction to simulation modeling*. In *Proceedings of the 2006 Winter Simulation Conference*, ed. L. F. Perrone, F. P. Wieland, J. Liu, B. G. Lawson.
25. James Levin, James F. Nolan (2009) *Principles of Classroom Management: A Professional Decision-Making Model (6th Edition)*, ISBN-13: 978-0205625024 ISBN-10: 0-20562-502-9 Edition: 6<sup>th</sup> Pearson
26. Paul Goodwin, George Wright (2014). *Decision Analysis for Management Judgment*. ISBN-13: 978-111874073-6 ISBN-10: 111874073-4 Edition: 5<sup>th</sup>. Copyright 2014, John Wiley& Sons Ltd.
27. Bary Render, Ralph M. Stair, JR., Michael E. Hanna (2012). *Quantitative Analysis for Management*. ISBN 13: 978-0-273-75286-8. Elevanth edition. Pearson Education Limited.
28. Donald Waters (2011). *Quantitative Methods for Business (5th Edition)*. ISBN-13: 978-0273739470 ISBN-10: 0273739476. Pearson Education Limited.

29. Paul R. Thie, Gerard E. Keough (2008). An Introduction to Linear Programming and Game Theory. Wiley-Interscience, Edition: 3<sup>rd</sup>. SBN-13: 978-0470232866 ISBN-10: 0470232862
30. Bary Render, Ralph M. Stair, JR., Michael E. Hanna (2012). Quantitative Analysis for Management. ISBN 13: 978-0-273-75286-8. Eleventh edition. Pearson Education Limited.
31. David R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas A. Williams, Jeffery D. Camm, James J. Cochran (2015). Quantitative Methods for Business. ISBN-13: 978-1285866314. ISBN-10: 1285866312. Publisher: Cengage Learning; 13 edition.
32. David R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas A. Williams & Kipp Martin (2011). An Introduction to management Science. Quantitative Approaches to Decision Making. ISBN 13: 978-0-538-47565-5. ISBN 10:0-538-47565-x. South-Western Engage Learning. Edition 13<sup>th</sup>.
33. Lester Kipsky (2010). Queueing Theory: A Linear Algebraic Approach. ISBN-10: 1441923861. ISBN-13: 978-1441923868. Publisher: Springer; Soft cover reprint of hardcover 2nd ed.
34. Lester Kipsky (2010). Queueing Theory: A Linear Algebraic Approach. ISBN-10: 1441923861. ISBN-13: 978-1441923868. Publisher: Springer; Soft cover reprint of hardcover 2nd ed.
35. Abhijit A. Pol, Ravindra K. Ahuja (2007). Developing Web-Enabled Decision Support Systems. ISBN-10: 0975914642. ISBN-13: 978-0975914649. Publisher: Dynamic Ideas (2007)
- 36. Decision Support Systems V - Big Data Analytics for Decision Making: First International Conference, ICDSST 2015, Belgrade, Serbia, May 27-29, 2015, Notes in Business Information Processing. Boris Delibasic (editor), Jorge E. Hernandez (editor), Jason Parathanasion (editor), Fatima Argam (editor), Pascale Zarate (editor), Rita Ribeiro (editor), Shaofeng Liu (editor), Isabela Linden (editor)**

**სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებისათვის საქართველოში:  
დასაქმების ბაზრის მოთხოვნა და მიწოდება  
(ტემპუსის პროექტის -544191-Tempus-1-2013-1PT-JPCR - ჩარჩოებში)**

**რეზან მექვაბიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
თეა ხორგუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
დავით ჭიოტაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ნანა ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ნინო ლიპარტელიანი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ლელია მამულაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ციური დურული, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
მაია აზმაიფარაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი**

**შესავალი**

ახალი, საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამის შემოტანა დაკავშირებულია ისეთ მთავარ საკითხებთან, როგორებიცაა ცოდნის ინტეგრაცია, კომპეტენციები ცოდნასა და ზოგად განათლებასთან, ერთი მხრივ, და ცოდნის ინტეგრაცია, მასწავლებელთა განათლებასა და პრაქტიკასთან მიმართებაში, მეორე მხრივ.

რადგან საზოგადოება ხდება ცოდნისათვის უფრო ინტენსიური და ეკონომიკა მეტად დამოკიდებული ცოდნაზე, შედეგად, ოფციების არჩევა სპეციალობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ხდება, რაც ნიშნავს, რომ მიღებული უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილება.

წარმოდგენილი მთავარი ასპექტები „სასტუმროს მენეჯმენტთან“ დაკავშირებული სპეციალობების გასათვალისწინებლად შეიძლება იყოს: სწავლა, სწავლება, კვლევა და პროფესიული ლიდერობა, რისთვისაც აუცილებელია, მთავარი ტრენდების გამოვლენა სწავლებასა და სწავლაში მათი ინტეგრირებისათვის საქართველოს ეკონომიკური გარემოსა და კონკურენტუნარიანი ბაზრისათვის, როგორც არსებული, ისე სამომავლო მდგომარეობის გათვალისწინებით.



## კვლევის ობიექტი

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენს. ამ მიზნით, პროექტის ჩარჩოებში, დამუშავებული კითხვარის მიხედვით, რომლის მომზადებაშიც საფრანგეთის მხარე აქტიურად დაგვეხმარა, შესწავლილია შიდა ქართლის რეგიონის, ბაკურიანისა და ბორჯომის სასტუმრო ინდუსტრიის ფუნქციონირება.

## კვლევის მიზანი

„სასტუმროს მენეჯმენტის“ პროგრამის (საბაკალავრო და სამაგისტრო დინეებზე) ჩართვა საქართველოს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სივრცეში მოთხოვნადი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებით, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ხელშესაწყობად.

## კვლევის პროცესი და პარამეტრების შერჩევა

კითხვარებისა და ინტერვიუების მიხედვით ამ რეგიონის სასტუმროებში გამოიკვეთა 4 ჯგუფი:

- სასტუმროები 4-დან 25-მდე ადგილით;
- სასტუმროები 25-დან 50-მდე ადგილით;
- სასტუმროები 50-დან 100-მდე ადგილით;
- სასტუმროები 100 და მეტი ადგილით.

თითოეული ჯგუფისათვის შეირჩა სამი ძირითადი პარამეტრი:

- მოთხოვნილი სპეციალიზაციები
- კომპეტენციების ფლობა
- განათლების მოთხოვნა

## შედეგები

კვლევის შედეგების მიხედვით დადგენილია: სასტუმროების, მოთხოვნილი სპეციალიზაციები, მონაცემთა ბაზა. ინფორმაციის დასამუშავებლად გამოყენებულია პროგრამული უზრუნველყოფა STATA.


### 1. სასტუმროების ჯგუფები და მათი რიცხოვნობა:

- 4-25 ადგილიანი სასტუმროები - 33
- 25-50 ადგილიანი სასტუმროები - 14
- 50-100 ადგილიანი სასტუმროები - 7
- 100 და მეტი ადგილიანი სასტუმროები - 5


### 2. ინფორმაციის დასამუშავებლად შემოტანილია აღნიშვნები, ცალკეული სპეციალიზაციის მიმართ, რომლებიც შეესაბამებიან მათთვის მინიჭებულ ცვლადებს:

1. var1 – სასტუმროს მეურნეობა
2. var2 - განთავსება
3. var3 - მიმღები
4. var4 - მარკეტინგი
5. var5 - სასტუმროს მომარაგება
6. var6 - გაყიდვები
7. var7 - ნომრების დაჯავშნა
8. var8 - დიზაინი
9. var9 - ფინანსები (ზოგადი, ბუღალტერია)
10. var10 – HR (ადამიანური რესურსები)
11. var11- PR
12. var12 - ღონისძიებების ხელმძღვანელი
13. var13 - F&B სასმელების სპეციალისტი
14. var14 - უსაფრთხოების დაცვა
15. var15 -საინფორმაციო ტექნოლოგიები
16. var16 - 4-25 ადგილიანი სასტუმროების მოთხოვნები მენეჯმენტი
17. var17 - ხარისხის კონტროლი


4-25 ადგილიანი სასტუმროების მოთხოვნები სპეციალიზაციის მიხედვით




25-50 ადგილიანი სასტუმროების მოთხოვნები სპეციალიზაციის მიხედვით



50-100 ადგილიანი სასტუმროების მოთხოვნები სპეციალიზაციის მიხედვით



100 და მეტი ადგილიანი სასტუმროების მოთხოვნები სპეციალიზაციის მიხედვით



**წინადადებები, პრობლემები და შენიშვნები, სასტუმროების წარმომადგენლებისაგან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კითხვარების შევსებასა ან ინტერვიუში**

1. სეზონურობის გამო პერსონალის შენარჩუნება (პრობლემა);
2. ზოგადი ბუღალტერია + დარგობრივი (მოთხოვნა, პრობლემა);
3. კონსულტაციების აუცილებლობა (წინადადება);
4. კვალიფიკაციის აუცილებლობა (მოთხოვნა, პრობლემა);
5. კანონონმდებლობასთან არათავსებადობა (პრობლემა);
6. სარეკლამო კომპანიების სამსახურის გამოყენება (სარეკლამო თანხების უქონლობის გამო);
7. ბარის სპეციალისტი (მოთხოვნა);
8. 3D დარბაზი (წინადადება);
9. ადგილობრივი კადრის მომზადება (წინადადება);
10. ბაკურიანში PR კამპანიის ჩატარება მოზიდვისათვის (წინადადება);
11. ქართული მენტალობა (უკადრისობა დაბალ პოზიციებზე მუშაობა) მომსახურების სფეროში (პრობლემა);
12. ადგილობრივი კადრის დეფიციტი (პრობლემა);
13. ენის უცოდინარობა ადგილობრივი კადრის შემთხვევაში (პრობლემა);
14. ზოგადი განათლების დაბალი დონე (პრობლემა);
15. მენეჯერი სამაგისტრო განათლების დონეზე (მოთხოვნა);
16. დაჯავშნის პრობლემა პროგრამული უზრუნველყოფის სიძვირის გამო (პრობლემა);
17. კვებისა და სასმელების მენეჯერი (პრობლემა);
18. Event-ების შემთხვევაში მენეჯერის ცალკე აყვანის ძვირადღირებულება (პრობლემა);
19. საინფ. ტექნოლოგიები (პრობლემა);
20. ტრენინგების ციკლის ჩატარება (წინადადება);
21. სტუდენტების პრაქტიკა (შემოთავაზება);
22. ენების ცოდნა (რუსული, ინგლისური) (პრობლემა);
23. ადმინისტრირება უფლებების დაცვით (პრობლემა);
24. დაჯავშნის სპეციალისტი (მოთხოვნა);
25. სპეციალისტების არარსებობა (პრობლემა);
26. მზარეული (მოთხოვნა);
27. სერვისი უცხოელებისათვის (პრობლემა);
28. ბაკურიანის სკოლის ცოდნის დაბალი დონე (პრობლემა).

**კვლევის შედეგად მიღებულია:**

გამოკვეთილია მოთხოვნები, პრობლემები და წინადადებები, უშუალოდ სასტუმროს პერსონალის ხედვიდან გამომდინარე ამ ინდუსტრიის განვითარებისათვის, გაანალიზებულია მიღებული ინფორმაციული ბაზა და შემოთავაზებულია „სასტუმროს მენეჯმენტის“ პროგრამებისათვის გასათვალისწინებელი მაჩვენებლები სრულფასოვანი კონტიგენტის მოსამზადებლად, რომელიც მომზადების შემდეგ, აქტიურად ჩაერთვება საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად.

**პროგრამების ფორმირებისათვის გათვალისწინებულია:**

1. სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო სასწავლო პროგრამების შედგენისას გასათვალისწინებელია მოდულური სწავლების ფორმა, რაც საშუალებას მისცემს ბაკალავრს დასაქმების თვალსაზრისით და ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის ათვისებას;
2. სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო სასწავლო პროგრამების შედგენისას, ასევე, გასათვალისწინებელია მოდულური სწავლების ფორმა მენეჯერის პროფესიით, სამიზნე სპეციალიზაციის გათვალისწინებით;
3. სასტუმრო მეურნეობის მართვის თვალსაზრისით ბაკურიანი განიცდის ადგილობრივი კადრის დეფიციტს ყველა სახის მომსახურებაში, რაც მიუთითებს შრომის ბაზრის ათვისებლობაზე.

**FOR HOTEL INDUSTRY DEVELOPMENT IN GEORGIA: DEMAND AND SUPPLY OF THE  
EMPLOYMENT MARKET  
(IN THE FRAME OF THE TEMPUS PROJECT 544191-TEMPUS-1-2013-1PT-JPCR)**

**Ruizan Mekvabidze**, Gori State Teaching University, Professor  
**Tea Khorguashvili**, Gori State Teaching University, Professor  
**Davit Tchiotashvili**, Gori State Teaching University, Professor  
**Nana Akhalaia**, Gori State Teaching University, Professor  
**Nino Liparteliani**, Gori State Teaching University, Professor  
**Leila Mamulashvili**, Gori State Teaching University, Professor  
**Tsiuri Duruli**, Gori State Teaching University, Professor  
**Maia Azmaiparashvili**, Gori State Teaching University, Associate Professor

**RESUME**

In the article are identified demand, supply, problems and tasks that are concerned with the hotel personnel's and managers vision directly. There is analyzed the data base that is formed by the research of the Gori region, Bakuriani and Borjomi functioning hotels and on the basis of the research results is developed educational programmes of "Hotel management" on the BA and MA levels for preparing specialists for Georgia tourism and Hotel Industry development.

For the formation of the study programs are considered:

1. Modular studying form for BA level
2. Modular studying form for MA level with a manager's specialization
3. Fulfillment of employment market by specialists, as this market according to this direction experiencing a shortage of all kinds of hotel services in the local level.

**დასაქმების და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში**

**ნანა ნადირაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
სტუდენტთა საქმის მწარმოებელი  
E-mail: nadiradzenana@gmail.com

**თეა ანესაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი;  
სამხცე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
E-mail: teonaanesashvili@gmail.com

საქართველოში დასაქმების პრობლემა, შეიძლება ითქვას, ისეთივე აქტუალურია, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის ადრეულ ეტაპზე იყო. უმუშევრობა რომ საქართველოს უმთავრესი სოციალურ პრობლემაა, ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოში ჩატარებული უკანასკნელი წინასაარჩევნო კამპანია. არჩევნების წინ ყველა პოლიტიკური ძალისა თუ საარჩევნო კანდიდატის პროგრამაში პრიორიტეტული სწორედ დასაქმება იყო. დასაქმება ის ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს ქვეყნის ეკონომიკის სიმდიერესა თუ სისუსტეს. საქართველოში არსებული უმუშევრობის დონე კი სწორედ ამ უკანასკნელზე მიანიშნებს. უმუშევრობა პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ არის, საქართველოს პრობლემა ის არის, რომ უმუშევრობის მასშტაბებით ჩვენი ქვეყანა ბევრი ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება. უმუშევრობის დონე საქართველოში დაახლოებით 17%-ია, ევროკავშირში კი უმუშევრობის საშუალო დონე 10%-მდეა. ჰოლანდიაში ეს მაჩვენებელი 4,4%-ით განისაზღვრება. ევროკავშირის 27 ქვეყნიდან საქართველოზე მაღალი უმუშევრობის დონე არის ესპანეთში - 20% და ბალტიისპირეთის ქვეყნებში - 17.8%.

დასაქმების ბაზარზე დიდ გავლენას ახდენს ფასეულობათა გადაფასება. საქართველოში ბევრი პროფესია სწორედ ფასეულობათა გადაფასების მსხვერპლი გახდა. საქართველო საბჭოთა პერიოდში იყო დიდი სახელმწიფოს ნაწილი და მისი მოქალაქე 22,4 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე გადაადგილდებოდა საკუთარი პასპორტით. საქართველოში ძლიერი მათემატიკური სკოლა, გენეტიკური ნიჭის გარდა, განპირობებული იყო იმიტაც, რომ ეს ნიჭი იყო მოთხოვნადი ამ სივრცეში. დღეს საქართველო მოსახლეობის ერთ სულზე ეკონომისტებისა და იურისტების განაწილების მხრივ,

მსოფლიოში მოწინავე ადგილზეა. პრაქტიკული მწარმოებლური სპეციალობები კი ნაკლებად მოთხოვნილია. რამდენად დიდია დასაქმების ბაზარზე ფასეულობათა გადაფასების მსხვერპლთა რიცხვი და რომელი პროფესიებია დღეს ლიკვიდური? ამ კითხვებზე პასუხი იმ მარტივი მიზეზის გამო არ არსებობს, რომ შესაბამისი კვლევა საქართველოში არავის ჩაუტარებია. განათლების ლიკვიდურობის დეტალური შესწავლა შრომის ბაზრის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა. ამ გზით შეიძლება გაარკვიო, რომელი პროფესიები გჭირდება, რა არის მოთხოვნილი და რა შეიძლება დასჭირდეს შენს ეკონომიკას მომავალში. ეს მონაცემები კი გათვალისწინებული უნდა იყოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. მეექვსეა, ასეთი კვლევა ვინმემ დააფინანსოს. არადა, ეს ფასდაუდებელი განძი იქნება დასაქმების პროგნოზირებისთვის. ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის, განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიისთვის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმების მიხედვით, დასაქმებულად მიიჩნევა ყველა, ვინც გამოკვლევის წინა 7 დღის განმავლობაში თუნდაც 1 საათით იყო დაკავებული ფულადი ან ნატურალური ანაზღაურების მისაღებად. ამავე ორგანიზაციის კრიტერიუმებით, უმუშევრად მიიჩნევიან ისინი, ვინც გამოკითხვის წინა 7 დღის პერიოდში 1 საათითაც არ მუშაობდა, თუმცა აქტიურად ეძებდა სამუშაოს. ვინც არ მუშაობს და არც ეძებს სამუშაოს, უმუშევრად არ მიიჩნევა. ცალკე კატეგორიაა ფრიკვილი, ანუ ფარული უმუშევრობა - როდესაც ადამიანი არასრული სამუშაო დროით არის დასაქმებული ან დასაქმებულია და აქტიურად ეძებს სამუშაოს.

საქართველოში დღეს არსებობს როგორც სამუშაოს დაკარგვის დიდი ალბათობა, ისე ახალი სამუშაო ადგილის შოვნის დაბალი პერსპექტივა, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ქართულ შრომის ბაზარზე. გრძელვადიანი უმუშევრობა კი ყველაზე სახიფათო მოვლენაა ქვეყნისათვის, ხანგრძლივი უმუშევრობის შედეგად ადამიანები კარგავენ კვალიფიკაციას და მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ. როგორ შეიძლება გაიზარდოს საქართველოში დასაქმება? საქართველოში დასაქმების პრობლემის მოგვარება იმ დარგების ხელშეწყობით უნდა დაიწყოს, სადაც პროცენტულად ყველაზე მეტი დასაქმებულია. ასეთი დარგი კი საქართველოში სოფლის მეურნეობაა. მეტი დახმარება სჭირდება სოფლის მეურნეობას - სუბსიდიებით, შეღავათიანი კრედიტებით, გადასახადებისგან გათავისუფლების გზით... სოფლის მეურნეობაში უნდა არსებობდეს სადაზღვევო სისტემა, ფონდები, რომლებიც უამინდობის ან რიგი გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო ნაკლებად დაზარალებულნი იქნებიან.

უმუშევრობა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა არ არის. გლობალური კრიზისის პირობებში ის მთელ მსოფლიოში უდიდესი პრობლემაა. კორპორაციები ხარჯების შემცირების და რესტრუქტურისაციის მიზნით შტატების შემცირებას ხშირად მიმართავენ. მაგრამ არსებობს კომპანიები, რომლებიც კრიზისის პირობებშიც ახერხებენ, არა მარტო შეინარჩუნონ თანამშრომლები, არამედ მათ შესანიშნავი პირობები შეუქმნან. მათი კორპორაციული კულტურა უმრავლესობის კორპორაციული კულტურისაგან ძალიან განსხვავდება. ის ისეთ პრინციპებს ემყარება, როგორცაა გუნდის ერთიანობა, სოლიდარობა და თანამშრომლობა. კორპორაციული საქმიანობის ასეთ პრინციპებზე აგება დამახასიათებელია იაპონური კულტურისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი კორპორაციები ამერიკის შეერთებულ შტატებშიც მრავლად არიან.

ქვეყნის შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სამსახურში მიღებისას ადამიანი არ არის ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ, მას არ აფასებენ ობიექტურად და არ სცემენ პატივს მის კვალიფიკაციას. დამსაქმებელს შეუძლია ყოველგვარი ახსნისა და კომპენსაციის გარეშე გაათავისუფლოს დაქირავებული სამსახურიდან. უმუშევრებს არ აფინანსებს სახელმწიფო, ასევე ადამიანები არ არიან დაცულნი დისკრიმინაციისაგან. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს უმუშევრობის დაძლევა და მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა წარმოადგენს. ჯერ კიდევ 3 წლის წინ, დაიწყო დასაქმების ხელშეწყობი პროგრამები, იაფი კრედიტების გაცემა, პროფესიული გადამზადება, მოსახლეობის ჩართვა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მიმდინარე სამუშაოებში, აღდგა რამდენიმე საწარმო, მაგალითად, მარნეულის სასურსათო ქარხანა, სადაც სეზონზე დაახლოებით 300 ადამიანია დასაქმებული, ბევრი ადამიანი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. აგვისტოს მოვლენებმა ქვეყანაში მიმდინარე დასაქმების პროგრამების განვითარებასაც შეუშალა ხელი, ამიტომ უმუშევრობა კვლავ პრობლემატური საკითხია. ქართული კანონმდებლობის მიხედვით დევნილებს აქვთ ყველა ის უფლება, რაც საქართველოს სხვა მოქალაქეს, მათ შორის - უფლება აქვთ აირჩიონ საცხოვრებლად საქართველოს ნებისმიერი ადგილი. თანაბრად ისარგებლონ სოციალური დაცვის, ჯანდაცვისა და განათლების სახელმწიფო და სხვა პროგრამებით აქვთ უფლება გამოიჩინონ ეკონომიკური აქტიურობა და ისევე მიუწვდებოდეთ ხელი ეკონომიკურ რესურსებზე, როგორც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს. აქვთ უფლება, თანაბარი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საკითხთა საჯარო განხილვასა და

გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში, თანაბრად ისარგებლონ აქტიური და პასიური ხმის დემოკრატიული უფლებებით. დაზარალებულები დღეს შემდეგი პრობლემების წინაშე დგანან:

- არ აქვთ სახსრები დაიწყონ მცირე ბიზნესის წარმოება, მათ გამოთქვეს სურვილი საკონდიტროს, სადალაქოების ან ჯიხურების მოწყობის.

- გაუჩნდათ დახმარებაზე დამოკიდებულების სინდრომი. ისინი მუდმივად ელოდებიან ვინ დაეხმარებათ, რამაც გამოიწვია მათი უინიციატივობა.

- მიწები დაურიგეს, მაგრამ ვერ რწყავენ და მოსავალი ვერ მოჰყავთ. არ ფლობენ საჭირო უნარ-ჩვევებს, რომ დასაქმდნენ, არ იციან კომპიუტერული პროგრამები. ეკონომიკურ საკითხებში განიცდიან ინფორმაციის ნაკლებობას და ვერ იღებენ არასამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებულ გრანტებში მონაწილეობას. არ აქვთ კავშირები დამსაქმებელ ორგანიზაციებთან.

- არ იციან რა საწარმოები მუშაობს, სად შეიძლება დასაქმებისთვის მიაკითხონ. არ აქვთ სახსრები შინაური ცხოველების თავშესაფრების მოსაწყობად. საჭიროა დევნილი ქალების დასაქმება, ინფორმირება აქტუალურ ეკონომიკურ საკითხებზე და მიეცეთ შესაძლებლობა გაზარდონ შემოსავლები.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები უმუშევრობის რეალურ მაჩვენებელს სრულად ვერ ასახავს, ამ პრობლემის სიმწვავე ცხადად იკვეთება მისთვის დათმობილი ყურადღებით, განსაკუთრებით, პოლიტიკური დამაბულობის ზრდის პირობებში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2013 წლის დასაქმების მაჩვენებლები გამოაქვეყნა. სტატისტიკა გვეუბნება, რომ 2013 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე, 2012 წელთან შედარებით, 0.4 პროცენტით შემცირდა და 14.6% შეადგინა. სხვაგვარად ეს ნიშნავს, რომ სტატისტიკის თანახმად, საქართველოში მოსახლეობის 85% დასაქმებულად ითვლება. ეს მაშინ, როცა ნებისმიერი კვლევის, მაგალითად, თუნდაც NDI-ის მიერ გასულ თვეს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 67% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. ქვეყანაში ნომერ პირველ პრობლემად სწორედ უმუშევრობის პრობლემა სახელდება.

ოფიციალური მაჩვენებლები, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა სექტორში დასაქმებულთა მონაცემებს და მათ შრომის ანაზღაურებას შეეხება, ცხადყოფს, რომ გენდერული თანასწორობის მისაღწევად საქართველოს კვლავ ხანგრძლივი გზა რჩება გასავლელი. ექსპერტთა აზრით, ძლიერი სქესისთვის ხელფასების მოცულობის 1.6-ჯერ მეტობას (ქალბატონების ხელფასებთან შედარებით) სრულიად ბუნებრივად და მისაღებად მიიჩნევენ. ქვეყნის საჯარო და კერძო, ასევე სხვა სექტორებში დასაქმებულთა ზუსტი მაჩვენებელი სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს 2008 წლიდან დღემდე ოფიციალურად არ გამოუქვეყნებია.

არსებობს ერთი უნივერსალური მეთოდი, რომლის თანახმადაც, ნორმალურ სახელმწიფოში სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო ხარჯების წილი არ უნდა იყოს იმ პროცენტის ნახევარზე ნაკლები, რამდენსაც ეს დარგი ქმნის ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტში. ანუ თუ საქართველოში სოფლის მეურნეობა ქმნის მთლიანი შიგა პროდუქტის 10%-ს, მაშინ სოფლის მეურნეობაზე უნდა იხარჯებოდეს ბიუჯეტის 5 % მაინც. ჩვენთან ეს მაჩვენებელი მხოლოდ ერთ-ნახევარი პროცენტის ფარგლებშია.

დასაქმების მაჩვენებელზე დადებით გავლენას იქონიებს კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვის ზრდა, რასაც, თავის მხრივ, საშუალო და მცირე საწარმოების განვითარება უწყობს ხელს. დღეს კი საქართველოში სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებულების რიცხვი თითქმის თანაბარია. კერძო საწარმოების განვითარება კი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე. უმუშევრობა უფრო მეტად მცირდება, ვიდრე დასაქმება იზრდება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ შრომითი მიგრაცია მატულობს, ანუ უმუშევართა დიდმა ნაწილმა, ეკონომიკურად აქტიურმა ადამიანებმა, საქართველო დატოვეს.

#### დასაქმება და უმუშევრობა

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1	2003.9	1991.1
დასაქმებული, ათასი კაცი	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1	1745.2
უმუშევარი, ათასი კაცი	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8	246.0
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	13.8	13.6	13.3							

ფორმალური დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა სერიოზული შეზღუდვაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. აქცენტები უნდა გაკეთდეს როგორც სამუშაო ადგილების წყაროზე, ასევე უმუშევრობის ნეგატიური ზემოქმედების შემცირებაზე ქვეყანაში. მეწარმეობა, როგორც დასაქმების წყარო, ეკონომიკის მამოძრავებელი ერთ-ერთი ძალაა, ამიტომ ბიზნესის კეთებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა ეფექტიანი გზაა დასაქმების დონის ასამაღლებლად. მსოფლიო კონკურენტულობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია: ფინანსების ხელმისაწვდომობა, ინფლაცია და არაადეკვატური განათლების მქონე მუშახელი. ამიტომ საქართველოს მთავრობამ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უნდა სცადონ ამ შეზღუდვების აღმოფხვრა, რათა მეწარმეობა სწრაფად განვითარდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს განათლების სფეროზე. საჭიროა ისეთი შემდგომი რეფორმების გატარება განათლების სექტორში, როგორებიცაა განათლების სტანდარტების მოდერნიზაცია, დაწყებითი და საშუალო განათლების საყოველთაო უზრუნველყოფა, უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევა მათი თანამშრომლების გადამზადებაში, რათა ისინი ახლანდელი ბაზრის მოთხოვნებს უკეთ შეესაბამებოდნენ და სხვ.

#### ლიტერატურა:

1. ჩიქავა ლ., დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, თბ., 2012.
2. ტუხაშვილი მ., ანანიაშვილი ი., ცარციძე მ., შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თბ., 2012.
3. დასაქმება და უმუშევრობა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში. თბ., 2014.
4. ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ანგარიში, თბ., 2013.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური ანგარიშები - [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/press/dasaqmeba%20da%20umuSevroba%202011%20pres-relizi.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/press/dasaqmeba%20da%20umuSevroba%202011%20pres-relizi.pdf)
6. [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/labour/dasaqmeba%20da%20umuSevroba%202013%20pres-relizi.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba%20da%20umuSevroba%202013%20pres-relizi.pdf)
7. [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/labour/dasaqmeba%20da%20umuSevroba%202014%20pres-relizi.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba%20da%20umuSevroba%202014%20pres-relizi.pdf)
8. [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/press/dasaqmeba%20da%20umuSevroba%202010%20pres-relizi.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/press/dasaqmeba%20da%20umuSevroba%202010%20pres-relizi.pdf)

## PROBLEMS OF EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT IN GEORGIA

**Nana Nadiradze**, Gori State Teaching University, Students Secretary

**Tea Anesashvili**, Gori State Teaching University, Specialist by contract;

Samtskhe-Javakheti State University, PhD Student

### RESUME

Employment problem is as actual as it was early stage of the country's independence in Georgia. Unemployment is the main social problem, which is clearly evidenced the pre-election campaign in Georgia. Before the elections in the program of all political party and candidates priority was employment. Employment is an economic category which clearly reflects economic strength and weakness of the country. Georgia's unemployment rate indicates exactly on the latter. Employment problem is not only in Georgia, problem of our country is that the scale of unemployment is higher than other countries. unemployment rate is approximately 17 % in Georgia, the average employment rate in the European Union is 10 %, In holland this figure is determined for 4.4%. From 27 country in European Union higher unemployment rate in Spain – 20% and in the Baltic States – 17,8 %.

Nowadays there is as a high probability of losing a job, as low perspective to find a new job, which ultimately will be reflected negatively in Georgian labor market. Long-term unemployment is the most dangerous phenomenon for country, as a result of long-term unemployment humans lose their qualification and for them information about job opportunities becomes less available. How to increase employment in Georgia? solving the problem should start promoting the field, where are the highest percentage of employed, for example, agriculture. Agriculture needs more help - on subsidies, preferential credit, by way of tax exemptions... There should be system of insurance in agriculture, funds, which are less affected due to bad weather or a number of unforeseen problems.



## სასაქონლო მიმოქცევის ეკონომიკური ბუნება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში

მანანა ნანიტაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

სასაქონლო მიმოქცევის მნიშვნელობის გარკვევისათვის საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მიზანშეწონილია მისი წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა დახასიათება.

სასაქონლო მიმოქცევა სასაქონლო გაცვლის განვითარებული ფორმაა. გაცვლის მეშვეობით შრომის პროდუქტები დაიყვანება წარმოებიდან მომხმარებელამდე. ამგვარად, გაცვლის პროცესში წარმოების ახალი პროდუქტები არ იქმნება, მაგრამ მისი მეშვეობით გადაიქცევა პირად ან საწარმოო მოხმარების საგნად, ე. ი. ხდება ადამიანის ან საწარმოო მოთხოვნილებათა განსაზღვრულ სახეობათა დაკმაყოფილება. პროდუქტების გაცვლა ეკვივალენტობის საწყისებზე კვლავწარმოების პროცესის საერთო კანონია.

სასაქონლო გაცვლის კონკრეტული ფორმების წარმოშობა და განვითარება ემყარება მეურნეობის სამ ცნობილ პრინციპს: ადამიანის მოთხოვნილებათა უსაზღვროებას, მატერიალური რესურსების შეზღუდულობას და შრომის დანაწილებას.

განასხვავებენ სასაქონლო გაცვლის სამ ფორმას, რომლებიც წარმოებისა და გაცვლის განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგია:

1. უშუალო სასაქონლო გაცვლა (ს-ს);
2. სასაქონლო გაცვლა ფულის მეშვეობით (ს-ფ-ს);
3. სასაქონლო მიმოქცევა (ფ-ს-ფ).

უშუალო სასაქონლო გაცვლა ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით - სასაქონლო ბარტერი - გაცვლა, როდესაც ერთი კონკრეტული საქონელი იცვლება სხვა კონკრეტულ საქონელზე ფულისა და შუამავლის მონაწილეობის გარეშე (ს-ს). იგი დამახასიათებელია მეურნეობის განვითარების დაბალი საფეხურებისათვის (ნატურალური მეურნეობისათვის), როცა შრომის საზოგადოებრივი განაწილება სუსტადაა განვითარებული. ასეთი გაცვლა ჩვეულებრივ გამწვანებულია და შეიძლება შედგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე საქონელმფლობელი - გაცვლის მონაწილე ფლობს ისეთ საქონელს, რომელიც დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. ამიტომ საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომის დანაწილების განვითარების პროცესში უშუალო სასაქონლო გაცვლა თანდათანობით ტრანსფორმირდება სასაქონლო გაცვლაში ფულის დახმარებით (ფ-ს-ფ). ასეთი გაცვლის დროს პროცესი იყოფა ურთიერთსაწინააღმდეგო აქტებად: საქონლის გაყიდვა (ს-ფ) და ყიდვა (ფ-ს).

სასაქონლო გაცვლისას საქონლის ურთიერთგასხვისება ემთხვევა დროში ერთმანეთს, საქონლის ფულზე გაყიდვისას კი მისი შესყიდვის ვადა გადაიწევს ხოლმე. ფული შეიძლება შეინახოს უფრო ხანგრძლივად, ვიდრე საქონელი, მყიდველი ღებულობს უპირატესობას გამყიდველთან შედარებით, გაყიდვა ხდება უფრო მნიშვნელოვანი და უფრო ძნელი ყიდვაზე. ამ საფუძველზე წარმოიშობა და თანდათანობით მწვავედება საქონლის გასაღების პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვის გამოიყენება მარკეტინგის მეთოდები.

გაცვლის პროცესში ფულის მონაწილეობა არსებითად აფართოებს საქონლის გაცვლის შესაძლებლობებს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ერთჯერადი საქონლის ერთჯერადი ყიდვა-გაყიდვებია, რეგულარული სასაქონლო მიმოქცევა კიდევ არ არის. საქონლის გაცვლის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია მის გამოცალკევებასთან საქმიანობის დამოუკიდებელ დარგად, რომელშიც საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ფულისა და შუამავლის დახმარებით (ფ-ს-ფ).

სასაქონლო კაპიტალის სავაჭრო კაპიტალად გადაქცევამ ხელი შეუწყო არა მარტო გაცვლის ურთიერთობათა განვითარებას, არამედ გართულებასაც, რამდენადაც ამ ურთიერთობებში ჩაერთო სპეციალური შუამავალი - ვაჭარი. მწარმოებლის დანამატი ოპერაციის ნაცვლად გაცვლის ფუნქცია ხდება ვაჭარ-მეწარმეების განსაკუთრებული სახის ოპერაცია, რომელიც ფუნქციონირებს კაპიტალის დაბანდების განსაკუთრებულ სფეროში. თუ მწარმოებლისათვის საქონლის გაყიდვა (ს-ფ) სამრეწველო კაპიტალის მარტივი ფუნქციაა მისი სასაქონლო ფორმით, ვაჭრისათვის ფ-ს-ფ მის მიერ ავანსირებული კაპიტალის ღირებულების გადიდების განსაკუთრებული პროცესია.

სავაჭრო კაპიტალი არსებობდა დამოუკიდებლად მანამ, სანამ, კაპიტალი დაიმორჩილებდა წარმოებას, მაგრამ სავაჭრო კაპიტალის ზრდა, ვაჭრობის განვითარება იწვევს ფულადი ქონების კონცენტრაციას, ხელს უწყობს რა სასაქონლო წარმოების გაფართოებას, რომელიც მუშაობს რეგულარულად და განსაკუთრებით ბაზრისათვის. ამ საფუძველზე სასაქონლო გაცვლა ხდება რეგულარული და მასობრივი, გადაიქცევა რა სასაქონლო მიმოქცევად.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში საქართველოში არსებობს საქონლის გაცვლის ყველა განხილული ფორმა, უშუალო სასაქონლო გაცვლის ჩათვლით ფულის მონაწილეობის ყველა

ფორმა ერთობლიობაში ქმნის საქონლისა და მომსახურების მიმოქცევის მთლიან სისტემას, მასში ვაჭრობის - სასაქონლო გაცვლის ყველაზე განვითარებული ფორმის გაბატონებით. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა უაღრესად არახელსაყრელი სიტუაცია საქონელგაცვლის ოპერაციებთან დაკავშირებით როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. ბარტერული გაცვლის ფართო გავრცელება განპირობებული იყო ინფლაციური პროცესების განვითარებით (განსაკუთრებით ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღებამდე), აგრეთვე სამეურნეო კავშირების მოშლით, ეკონომიკის რეგულირებაში დაშვებული შეცდომებით და სხვ.


საქონლის მიმოქცევის მისი წარმოებიდან განცალკევების ეკონომიკური ეფექტიანობა მდგომარეობს იმაში, რომ სავაჭრო კაპიტალი ყოველთვის ნაკლებია იმ კაპიტალზე, რომლის ავანსირებას გასწევდნენ მწარმოებლები, თუ თითოეული მათგანი დამოუკიდებლად მოახდენდა თავისი საქონლის რეალიზაციას.

ეს აიხსნება რიგი მიზეზებით:

1. სავაჭრო კაპიტალი ემსახურება არა ერთ, არამედ ბევრ მწარმოებელს, რომლებიც ფუნქციონირებენ სხვადასხვა დარგში;
2. სავაჭრო კაპიტალი აძლევს შესაძლებლობას მწარმოებლებს იმუშაონ უფრო მასშტაბურად, ხელს უწყობს მათ დიფერენციაციას (სპეციალიზაციას, კოოპერაციას, კომბინირებას და ა. შ.), და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლებას;
3. სავაჭრო კაპიტალი სპეციალიზებულია განსაზღვრული საქონლის გაყიდვაზე და ამცირებს სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის დროს, აჩქარებს მის ბრუნვას;
4. სავაჭრო კაპიტალი, სავაჭრო-სასაწყობო ქსელის და ბაზრის საქონლით გაჯერების კვალობაზე, იწვევს მომხმარებელთა სახსრების ბრუნვის დაჩქარებას, ბაზრის ტევადობის გაფართოებას, ხელს უწყობს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომ განვითარებას.

საშინაო ბაზარზე სპეციალიზებულ სავაჭრო შუამავალთა გაჩენა მათი თანამედროვე წარმოდგენით (ვაჭრობის სტაციონარული საწარმოების სახით) განეკუთვნება XIX საუკუნის დასაწყისს. სასაქონლო მიმოქცევის სფეროში შრომის დანაწილების შემდეგი ეტაპი გახდა ვაჭრობის საბითუმო და საცალო რგოლების გამოყოფა. ვაჭრობის ორგოლიანი სტრუქტურა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 60-იან წლებში. XX საუკუნის განმავლობაში ვაჭრობა განვითარებულ ქვეყნებში გადაიქცა ინდუსტრიულ-ორგანიზებულ დარგად, რომელიც მოიცავს მსხვილ, საშუალო და წვრილ საწარმოებს მექანიზებული ან ავტომატიზებული სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესებითა და მმართველობითი ოპერაციებით.

ამგვარად, თანამედროვე მეურნეობაში ობიექტურად არსებობს და ურთიერთქმედებს მატერიალური რესურსების მოძრაობის სამი ძირითადი სფერო:



განვითარების კვალობაზე, წარმოება ხდება სულ უფრო რთული და დიფერენციული, ხოლო მოხმარება - სულ უფრო მრავალფეროვანი და დახვეწილი (გემოვნების თვალსაზრისით).

ამ მუდმივად ცვალებად პირობებში წარმოიშობა წარმოებასა და მოხმარებას შორის შუამავალი საწარმოებისა და დარგების დიდი რაოდენობის აუცილებლობა, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან სასაქონლო მიმოქცევის მოქნილ მრავალდარგიან სისტემას.

სასაქონლო მიმოქცევის თანამედროვე სისტემა იწყება სამრეწველო ფირმების (საწარმოების) მიერ საქონლის რეალიზაციის მომენტიდან და მოიცავს:

- სამრეწველო ფირმების კომერციულ სამსახურებს;
- საქონლის შენახვისა და გადამუშავების საწარმოებს;
- სავაჭრო შუამავლებსა და სავაჭრო საწარმოებს;
- სპეციალიზებულ საწარმოებს, რომლებიც ემსახურებიან საქონლის მიმოქცევის პროცესს.

თითოეულ ამ ქვესისტემას გააჩნია საქმიანობის მრავალფეროვანი სახეები: სავაჭრო, საწარმოო, საინფორმაციო, სარეკლამო, სამეცნიერო და სხვა. მათ, ყველას, აერთიანებს ერთ სისტემად სასაქონლო მიმოქცევა, ვინაიდან მათი საქმიანობა თვისებრივად განსხვავდება წარმოებისაგან იმით, რომ მოიცავს ფუნქციებს, რომლებსაც ასრულებენ სასაქონლო მიმოქცევის დარგები საბაზრო ეკონომიკაში.

სასაქონლო მიმოქცევის სტრუქტურისა და დინამიკის დახასიათებისათვის ყველაზე მეტად გავრცელებულია კლასიფიკაცია მისი შემადგენელი ელემენტების ორი ნიშნის - ორგანიზაციულ-ეკონომიკური და დარგობრივი მიდგომების მიხედვით.

სასაქონლო მიმოქცევაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებამდე საქართველოში დომინირებდა სახელმწიფო, კოოპერაციული სექტორები. სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის

შედეგად, ვაჭრობასა და სასაქონლო მიმოქცევის სხვა დარგებში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა კერძო სექტორმა, რომლის ხვედრითმა წილამ საცალო საქონელბრუნვის მოცულობაში ბოლო მონაცემებით შეადგინა დაახლოებით 89%.

ამასთან დაკავშირებით, ინტერესს იწვევს სასაქონლო მიმოქცევის ორგანიზაციულ-ეკონომიკური დახასიათება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. აშშ-ს ეკონომიკაში საქონლის (მომსახურების) მიმოქცევის სფეროში გამოყოფენ შემდეგ სექტორებს: წვრილსასაქონლოს, ინდივიდუალურს, ჯგუფურსა და სახელმწიფოს.

წვრილსასაქონლო სექტორი ემყარება მუშაკის პირად შრომას დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე. წვრილსასაქონლო სამეწარმეო საქმიანობის შეფასებით უკანასკნელ პერიოდში აშშ-ში დასაქმებული იყო საცალო ვაჭრობის საწარმოთა დაახლოებით 20%. მაგრამ მათი წილი სავაჭრო საწარმოთა მთლიან ნავაჭრში რამდენჯერმე ნაკლებია და მუდმივად მცირდება. ინდივიდუალური მესაკუთრეები შეადგენენ მეწარმეთა ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს. საცალო ვაჭრობის საწარმოებს შორის მათი წილი შეადგენს დაახლოებით 75%-ს, ხოლო საცალო გაყიდვების საერთო მოცულობაში მხოლოდ, დაახლოებით - 25%-ს [7].

პირველი ორი სექტორის საწარმოთა მაღალი წილი სასაქონლო მიმოქცევის სისტემაში ქმნის შესაძლებლობას სამეწარმეო რისკის წვრილ ბიზნესზე გადატანისათვის, რომელსაც გააჩნია განვითარების შეზღუდული პირობები წვრილ საწარმოთა დაბალი ტექნიკურ-ეკონომიკური პოტენციალის გამო. ამიტომ, გაკოტრების წილი სასაქონლო მიმოქცევის სისტემაში მნიშვნელოვნად აღემატება მის წილს საერთო დასაქმებასა და მთლიან ნავაჭრში.

ჯგუფური საკუთრება დომინირებს განვითარებული ქვეყნების სასაქონლო მიმოქცევის სისტემის გაყიდვებისა და შემოსავლების მოცულობებში. ამასთან, ვაჭრობის საწარმოთა შედგენილობაში, რომლებიც ემყარება ჯგუფურ საკუთრებას, ჭარბობენ მსხვილი კორპორაციები. აშშ-ში მათი წილი შემოსავლებში შეადგენს დაახლოებით 65%-ს საცალო ვაჭრობაში და 70%-ზე მეტს - საბითუმო ვაჭრობაში.

სახელმწიფო სექტორი მოიცავს საწარმოებს, რომლებიც დასაქმებულია საქონლის შესყიდვებით სახელმწიფო ორგანოებისათვის, სამხედრო უწყებებისათვის და ა. შ.

სასაქონლო მიმოქცევის დარგობრივი სტრუქტურის დახასიათებისას განვითარებულ ქვეყნებში მიღებულია საწარმოებისა და დარგების შემდეგი ჯგუფების გამოყოფა:

- საცალო ვაჭრობა და მასობრივი კვება;
- საბითუმო ვაჭრობა;
- სატვირთო ტრანსპორტის საწარმოები;
- საქონლის დაწყობის საწარმოები;
- სასაქონლო მიმოქცევისათვის მომსახურების გაწევის საწარმოები.

ამ ჯგუფების საწარმოებისა და დარგების სამეურნეო საქმიანობა ხასიათდება მათი საერთო მიმართულებით საქონლის მიმოქცევის ყველა სტადიაზე, მათთვის ისეთი სპეციფიკური ელემენტების შესრულებასა და მომსახურებაზე, როგორცაა სპეციალურად მომზადებული კადრები, შრომის სპეციალური საშუალებებისა და საგნების გამოყენება.

საცალო ვაჭრობა სარეალიზაციო საქონლის გაყიდვისა და ნომენკლატურის ფორმების მიხედვით იყოფა შემდეგ სახეებად: საცალო მაღაზიები; მასობრივი კვების საწარმოები; აფთიაქები; ვაჭრობა ავტომატების მეშვეობით; საქონლის შეკვეთები ფოსტით, ინტერნეტით; საქონლის პირდაპირი გაყიდვა შინ (ბინაზე) და სხვა.

აშშ-ში საცალო მაღაზიების წილად მოდის 70% საწარმოებისა, მათში დასაქმებულთა დაახლოებით 70%-ით და გაყიდვების მოცულობაში დაახლოებით 65%-ით. მასობრივი კვების საწარმოთა წილად - დაახლოებით საწარმოთა 20%, მათში დასაქმებულთა - 20% და გაყიდვების მოცულობის დაახლოებით - 8%.

ბოლო მონაცემებით საქართველოში (2015 წლის იანვარი-ოქტომბერი) საერთო საცალო ბრუნვის 85% მოდის საცალო ვაჭრობაზე, ხოლო დაახლოებით 15% - მასობრივ კვებაზე; საცალო ვაჭრობის საერთო მოცულობაში აგრარულ ბაზრებსა და ბაზრობებს 59% უჭირავთ.

საბითუმო ვაჭრობის საწარმოების კლასიფიკაციით ვხვდებით შემდეგ სახეებს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საწარმოები; საწარმოები, რომლებიც ამარაგებენ საქონლით საცალო ვაჭრობას.

ორგანიზაციულ-ეკონომიკური ნიშნით საბითუმო საწარმოები იყოფა სახეებად, რომელთა შორის წამყვანი ადგილი უკავიათ დამოუკიდებელ ფირმებს, რომლებიც იძენენ საკუთრების უფლებას საქონელზე.

სასაქონლო მიმოქცევის დარგობრივი სტრუქტურა ვაჭრობის საბითუმო და საცალო რგოლების თანაფარდობის ნაწილში ბევრად დამოკიდებულია საქონლის ტრანსპორტირების პირობებზე. XX საუკუნის დასაწყისამდე, როცა ჭარბობდა წყლის ტრანსპორტი, მეზობლები ასრულებდნენ წამყვან როლს სამეურნეო კავშირებში. რკინიგზის, ავტოტრანსპორტისა და ავტომაგისტრალების განვითარების კვალობაზე მწარმოებლებს მიეცათ შესაძლებლობა დაემყარებინათ უშუალო კავშირები საცალო და სხვა საწარმოებთან, მოეწყოთ საამანათო ვაჭრობა.

საქონლის საავტომობილო გადაზიდვების ორგანიზაცია გადაიქცა სასაქონლო მიმოქცევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ში საბითუმო და საცალო ვაჭრობაში თავმოყრილია ქვეყნის ყველა სატვირთო ავტომობილის დაახლოებით 12%.

სასაქონლო მიმოქცევის დარგობრივ სტრუქტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასაწყობო მეურნეობას, რომელიც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში წარმოდგენილია სპეციალიზებულ საწარმოთა კომპლექსით. ეს კომპლექსები უზრუნველყოფენ საქონლის შენახვის ადგილსა და საშუალებებს, რომელთა საკუთრების უფლებას ისინი არ იძენენ. ბევრი მათ შორის ასრულებს შესანახი საქონლის დამუშავების დამატებით ოპერაციებს (ხორცის გაჭრა-დამუშავება და გაწმენდა, კვერცხების შეფუთვა და ა. შ.).

მუდმივი ცვალებადი თანაფარდობა (არდამთხვევა) ცალკეული საქონლის წარმოებასა და მოხმარებას შორის დროსა და სივრცეში განაპირობებს საქონლის შენახვისა და ტრანსპორტირების სამეურნეო ოპერაციათა კომბინირების აუცილებლობას. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ უკუდამოკიდებულება, ერთი მხრივ, საქონელზე შეკვეთების შესრულების და მიწოდების დანახარჯებსა და, მეორე მხრივ, მისი შენახვის ხარჯებს შორის.

ცნობილია, რომ საქონლის შეკვეთის მოცულობისა და გადასაზიდი პარტიის გადიდებით მცირდება მისი მიწოდების რიცხვი და, მაშასადამე, მცირდება მისი შესრულების დანახარჯების თანხა საქონლის ერთეულზე გაანგარიშებით. მაგრამ, საქონლის მიწოდების სიდიდის გაზრდის კვალობაზე ნელდება მისი ბრუნვა და იზრდება სასაქონლო მარაგის შენახვის ხარჯები.

ამგვარად, საქონლის შესყიდვებისა და ტრანსპორტირების ორგანიზაცია უშუალო გავლენას ახდენს მის მოცულობასა და შენახვაზე. ე. ი. საქონლის შესყიდვის, ტრანსპორტირების და შენახვის ორგანიზაციის საკითხები შეიძლება გადაწყდეს რაციონალურად მხოლოდ მათ ურთიერთკავშირში.

საქონელმომძრაობის ტექნოლოგიის ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტის მეთოდოლოგიური საფუძველი შეიძლება იყოს უილსონის ფორმულა [6]:

$$Q = \sqrt{\frac{2C_0S}{C_u I}}$$

სადაც:

$Q$  - საქონლის შეკვეთის ყველაზე ეკონომიური სიდიდეა;

$C_0$  - ერთი შეკვეთის შესრულების დანახარჯები;

$S$  - საქონლის რეალიზაციის წლიური ბრუნვა;

$C_u I$  - საქონლის ერთეულის შენახვის წლიური ხარჯები;

$C_u$  - საქონლის ერთეულის შესყიდვის ფასი;

$I$  - შენახვის ხარჯების წილი საქონლის შესყიდვის ფასში.

ამ შემთხვევაში  $Q$  საქონლის მისაწოდებელი პარტიის ისეთი სიდიდეა, რომელიც განაპირობებს შეკვეთის შესრულებისა და სასაქონლო მარაგის შენახვის დანახარჯების მინიმიზირებას.

განვითარებული ქვეყნების სასაქონლო მიმოქცევის დარგობრივ სტრუქტურაში იზრდება საწარმოთა წილი, რომლებიც მრავალფეროვან მომსახურებას უწევენ ამ სისტემას (სარეკლამო, საინფორმაციო, მეცნიერული და სხვ.). სასაქონლო მიმოქცევის მომსახურებაში აშკარად დომინირებს რეკლამა. რეკლამის დაჩქარებული განვითარება დაიწყო 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ: მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში დანახარჯები რეკლამაზე აშშ-ში იზრდებოდა 13%-ით წელიწადში, ე. ი. უფრო სწრაფად, ვიდრე იზრდებოდა ეროვნული პროდუქტი. რეკლამის ყველა დანახარჯის დაახლოებით 1/3 მოდის სასაქონლო მიმოქცევის სფეროზე.

ამგვარად, სასაქონლო მიმოქცევა საბაზრო ეკონომიკის რთული ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემაა, ეს არის დარგი, რომელიც იმყოფება დინამიკურ განვითარებაში, ქმნის რა ერთიან, მთლიან სისტემას, ორიენტირებულს საქონლის მწარმოებლებიდან მომხმარებლამდე მოძრაობის მთელი ჯაჭვის ეფექტიან მომსახურებაზე.

### ლიტერატურა:

1. ნანიტაშვილი მ., სასაქონლო მიმოქცევის როლი და მისი რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, თსუ, 2000.
2. პაპავა ვ., საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე, თბ., 1995.
3. ჭითანავა ნ., საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები დ პერსპექტივები. თბ., 2012.
4. საქსტატის მონაცემები, 2014.
5. Заглядина С. М., США: обращение товаров и услуг в экономике, М., 2007.
6. Хаиман Д., Современная микроэкономика, Т. 2, М., 2012.
7. Statistical Yearbook, 2012\13, New York, 2014.

## ECONOMIC NATURE OF GOODS CIRCULATION IN THE CONDITIONS OF MARKET RELATIONS

**Manana Nanitashvili**, Gori State Teaching University, Professor  
**RESUME**

In terms of the market economy there is a great need for relevant reporting of all aspects of the continuous development of public. In the scientific and technological revolutionary era profound changes are being experienced in the structure and dynamics of the continuous development. Under the influence of the scientific and technological progress the time for manufacturing of products (goods) is decreasing significantly, while the mentioned influence on the flow of time is irrelevant. In order to understand the meaning of commodity flow in the conditions of market relationship it is recommended to describe its regularities of origin and development, economical nature and structure.

Commodity flow is the advanced form of the exchange of commodity of which the origin and the development of the specific forms is based on the three well-known principles of farming: Infinite needs of human, constraints of tangible resources and the division of labor.

The transformation of commodity capital into trading one has contributed not only to the development of the exchange relationships, but also to a complication, as far as a special mediator got involved into these relationships.

Trading capital had existed independently until the capital began to dominate production, but the growth of the trading capital, the development of trade leads to the concentration of financial assets, while promoting the expansion of commodity production, which operates on a regular basis and especially for market. Based on this, the commodity exchange becomes regular and mass, as soon as it turns into commodity flow.

The modern system of commodity flow begins from the moment of the sale of goods by the industrial firms (enterprises) and it covers: industrial firms' commercial services, the enterprises for the storage of commodity and recycling, trading mediators and trading enterprises, specialized enterprises that serve the flow of goods.

Each of these sub-systems includes various types of activities: trading, manufacturing, informational, advertising, scientific etc. Commodity flow unites all of them in one system.

Thus, commodity flow is a complicated organizational and economical system of the market economy. This is the field that is in a dynamic development, by creating a unified, whole system, which is oriented on effective services of the whole chain of the movement of goods from a manufacturer to a consumer.

## თავისუფალი დრო და ტურისტული დანიშნულების ადგილის ეკოლოგიური მდგომარეობა

**ეთერ ნარიმანიშვილი**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

ყოველი ადამიანისთვის, ვინც მონაწილეობს სამეწარმეო, საზოგადოებრივ ან სხვა სახის საქმიანობის მოსამზადებელ აქტიურ ან პასიურ პერიოდში, თავისუფალი დროის გაგებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში სამუშაოსაგან განსხვავებით. თავისუფალი დრო არ არის რეგლამენტირებული საზოგადოების მიერ. მისი გამოყენება დამოკიდებულია ადამიანის სურვილზე.

თავისუფალი დრო – ეს არის მოცემული საზოგადოების სოციალურ-კულტურული

ღირებულებებით განსაზღვრული იმ დროის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ადამიანის ინტელექტუალური, სოციალური და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

თავისუფალი დრო - ეს არის სივრცე ადამიანის შესაძლებლობების გამოსავლენად. თუ სამუშაო დრო არის შემოქმედებითი სიმდიდრის არსი, მაშინ თავისუფალი დრო თვითონ არის სიმდიდრე, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას ვისარგებლოთ შრომის პროდუქტებით და დავკავდეთ თავისუფალი საქმიანობით. ის გათვალისწინებულია განათლებისათვის, ინტელექტუალური განვითარებისათვის, სოციალური ფუნქციების შესასრულებლად, ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების თავისუფალი თამაშისათვის, მეგობრებთან ურთიერთობისათვის და სხვა.

თავისუფალი დროის რეალიზება ხდება შემდეგი ფორმებით:

- დასვენების ფორმა - სხვადასხვა რეგიონში გამოიყენება სწავლისა და თვითშემეცნებისათვის, საზოგადოებრივი სამუშაოების შესასრულებლად, შემოქმედებითი სწავლისათვის, კვებისათვის, სპორტისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის და ბავშვების აღზრდისათვის;
- სადღესასწაულო დროის ფორმა - სხვადასხვა სახის საზეიმო ღონისძიებების და საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება. აქვე შედის დროის გამოყენების ისეთი ფორმა, როგორცაა „არაფრის კეთება“. ბოლო დროს თავისუფალი დროის ეს ფორმა შეიძლება დავუკავშიროთ ისეთ ფორმას, როგორცაა დასვენება ეგზოტიკურ პირობებში მსოფლიოს სხვადასხვა ტურისტულ ზონაში;
- უმუშევრობის ფორმა - იძულებითი უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია სხვა ჭარბად დასახლებულ რეგიონში „გადასახლებით ან სამუშაო ძალის გათავისუფლებით ადრე დაკავებული თანამდებობებიდან. ეს არის სამუშაო დროის გამოყენების ყველაზე „არასასიამოვნო“ ფორმა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა სამეურნეო სტრუქტურების კონკრეტული საბაზრო პირობებით;
- პასიური დროის ფორმა - თავისუფალი დროის გატარება გარკვეული მიზნისკენ მისწრაფების გარეშე, გარკვეული საშუალებების არქონის გამო, პასიური მსოფლმხედველობის ან ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების მიმდინარე პროცესებისას და გარემოს სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის სხვა ფაქტორებისადმი პასიური დამოკიდებულების მიზეზით აქტიური დროის ფორმა - მან თავისი გამოხატულება ჰპოვა ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაში, როგორცაა ტურიზმი. თავისუფალი დროის ეს ნაწილი განპირობებულია თავისუფალი დროის ისეთი ფორმით, როგორცაა შვებულება. სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობისათვის ამ ფორმას აქვს შესაბამისი ღირებულებითი, რაოდენობრივი (დღეებში) და ხარისხობრივი შემადგენლობა, ამასთანავე მისთვის დამახასიათებელია ცხოვრების ციკლის აუცილებელი ნაწილის ეკონომიკურ საქმიანობასთან რაციონალური შეთანაწყობა და შრომის პროცესის პერიოდული შეწყვეტა. შვებულების თავისუფალი დრო, სხვა კომპონენტების შენარჩუნებით, იძენს სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის მქონე სპეციფიკურ მნიშვნელობას პიროვნების მიზნობრივ ორიენტაციას, მოტივირებულად გამოიყენოს თავისუფალი დრო პირადი ინტერესების მიღწევის მიზნით. პირადი ინტერესების მისაღწევად სუბიექტი, მოგზაურობაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (ის უკვე შეიძლება ჩაითვალოს ტურისტად) ელოდება არა მარტო ამ მიზნით გამოყოფილ პერიოდს, არამედ ახორციელებს განსაზღვრული სახის მომზადებას: აგროვებს ფულად რესურსებს, სწავლობს მოსაზრებულ რეგიონს, ეცნობა მის რეკრეაციულ ღირსშესანიშნაობებს, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს და (ქვეყნის) სხვა თავისებურებებს. აქედან გამომდინარე თავისუფალი დრო ასრულებს მისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს, ესენია:
- ეკონომიკური - რესურსული პოტენციალის განვითარების ფუნქცია, ძირითადი კომპონენტის - სამუშაო ძალის „გაჯანსაღებაზე“ დაყრდნობით;
- სოციალური - უკავშირდება ადამიანის პირველად მოთხოვნილებას, დასვენების სურვილის რეალობად გადაქცევას და პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას;
- კულტურულ-აღმზრდელობითი - (მორალურ-ეთიკური) - ანუ კულტურის საერთო დონის ამაღლება, თვალთახედვის და მეგობრული ურთიერთობების გაფართოება.

თავისუფალი დრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დასვენებისა და გართობის ორგანიზებისათვის. დასვენების კომპლექსში შედის, ისეთი მოქმედებები, როგორებიცაა: სიტუაციის შეცვლა, სტრესის მოხსნა, გამაჯანსაღებელი და ემოციური ღონისძიებების ჩატარება. დასვენების უფლება უზრუნველყოფილია სამართლებრივი ნორმებით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ეს პოსტულატი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ყველა ადამიანს აქვს დასვენების, სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებადი პერიოდული შვებულების უფლება“. საქართველოს შრომის კოდექსში ეს უფლება განმტკიცებულია შემდეგი სახით: შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ადამიანებისათვის გარანტირებულია კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დღის ხანგრძლივობა, გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები, ყოველწლიური ფასიანი და უფასო შვებულება. (საქართველოს 2010-1-20)

ამრიგად, უფლება შრომის შესახებ, როგორც სასიცოცხლო აუცილებლობა შეთავსებულია დასვენების უფლებასთან, ისინი კი თავის მხრივ განაპირობებენ ანაზღაურებადი შვებულების უფლებას. თავისუფალი დრო, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია - არის დასვენების ორგანიზებისა და შვებულების გატარების განმსაზღვრელი ფაქტორი. ჩვენ მიერ განხილული პოზიციებიდან გამომდინარე თავისუფალი დრო წარმოადგენს პირის ფინანსური შესაძლებლობების განმსაზღვრელ ფაქტორს და უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კვალიფიცირებული სამუშაო ძალის გაფართოებულ კვლავწარმოებას, ხოლო, მეორე მხრივ, დასვენების უზრუნველყოფასა და მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. თავისუფალი დრო გავლენას ახდენს შიდა საწარმოო ურთიერთობებზეც. მისი სწორი მენეჯმენტი აგვარებს ბევრ შიდა სოციალურ პრობლემას, რომელთა გადასაწყვეტად ორგანიზაციებს მოეთხოვებათ შემდეგი პირობების შესრულება:

- ყოველდღიური დასვენება სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების ხარჯზე - დასვენების, ძილის და სოციალურ-ყოფითი პრობლემების გადაწყვეტა ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფით (პირობითად);
- მოკლევადიანი დასვენება - გამომდინარე ერთკვირიანი ან ერთთვიანი დასვენების რეჟიმისაგან, სამუშაო კვირის შემცირებით ან დასვენებისა და სადღესასწაულო დღეების ხარჯზე;
- გრძელვადიანი დასვენება - შვებულებისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შესაძლებლობები სხვა რესურსების ხარჯზე. გრძელვადიანი დასვენების მონაწილეების კონტინგენტი შეიძლება გაიზარდოს ბავშვების და ასაკოვანი მოსახლეობის ჯგუფების ხარჯზე. თავისუფალი დროის ეფექტური გამოყენების დონე შეიძლება შეფასდეს შემდეგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით:

1. თავისუფალი დროის სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს დასვენების დროის შესაძლო სამოქმედო დიაპაზონს;
2. დასვენების სხვადასხვა ფორმების პოპულარობა, რომლებიც შეიძლება განისაზღვროს გამოკითხვების (ან სხვა საინფორმაციო წყაროების) საფუძველზე და გაიზომოს კონკრეტული სახის რეკრეაციით დაკავებული ადამიანების რაოდენობის, გამოკითხულთა საერთო რაოდენობასთან ფარდობით;
3. ბიუჯეტში საკვირაო დროის ხარჯვის მასშტაბებით (ყოველი ცალკეული სახის აქტივობის მიხედვით დანახარჯების მოცულობის დამოკიდებულება დროის შესაბამის საკვირაო ფონდთან);
4. ინტელექტუალურ მოღვაწეობასა და მომსახურების სფეროში დახარჯული დროის მიხედვით;
5. დასვენების აქტიური და პასიური ფორმების შეთანხმების სპეციფიკის მიხედვით.
6. კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საზოგადოებრივ ფორმებზე თავისუფალი დროის ხარჯვის წილით და სხვა. ზემოთ განხორციელებული ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, ტექნოლოგიური პროგრესი, მსოფლიო მასშტაბით შრომითი უფლებების დაცულობის ხარისხის გადიდება, ბევრ ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე მოსული ეროვნული პროდუქტის მაღალი დონის მიღწევა, ხელს უწყობს ტურისტების წარმომშობ ქვეყნებში თავისუფალი დროის მასშტაბების გადიდებას, ასევე დროის ეფექტიანად გამოყენებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების ოდენობის ზრდას. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტ ადამიანს უჩნდება დრო და შესაძლებლობა იმოგზაუროს მსოფლიოს ირგვლივ და მიიღოს შთაბეჭდილებების სხვადასხვა ტურისტული დანიშნულების ადგილებში. რაც ასახავს ჰპოვებს ტურისტული აქტიურობის სტატისტიკურ მონაცემებში. თავისთავად ცხადია, რომ თავისუფალი დროის და შესაბამისი ფინანსური რესურსების მოცულობის გადიდება პირდაპირ კავშირშია ადამიანების სურვილთან და შესაძლებლობასთან. ამ სურვილისა და შესაძლებლობების პასუხად მსოფლიოში ჩნდება სულ უფრო მეტი ტურისტული დანიშნულების ადგილი და ტურისტული პროდუქტი, რაც პოზიტიურ მოვლენას წარმოადგენს, რადგან ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტ „ჩამორჩენილ“ რეგიონს ეძლევა საშუალება ტურიზმის განვითარების საფუძველზე შექმნას საკუთარი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მყარი ბაზისი, აამაღლოს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები, გაზარდოს დასაქმება, ხელი შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის ტურიზმთან დაკავშირებული დარგების განვითარებას და ა.შ. ე.ი. მეტი თავისუფალი დრო და მეტი ფინანსური რესურსები მოქალაქეების ხელში მეტ მოგზაურობას ნიშნავს, ხოლო მეტი მოგზაურობა კი ტურისტული დანიშნულების ადგილების ეკონომიკური განვითარების ტემპების გადიდებას იწვევს. ამავე დროს, მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ მეტი მოგზაურობა ეკოლოგიაზე მზარდ ზეწოლას ნიშნავს. ეს ზეწოლა პირდაპირ აისახება ტურისტული დანიშნულების ისეთ ადგილებზე, რომლებიც ადგილობრივი ლანდშაფტების, ფლორისა და ფაუნის პრეზერვაციას ახდენენ. ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ბალანსი ირღვევა ტურისტული ნაკადის გაზრდასთან ერთად. როგორც ცნობილია, ტურისტული ნაკადის გარკვეულ დონემდე ზრდა უსაფრთხოა ეროვნული პარკისათვის, რადგან მას გააჩნია კვლავწარმოებისა და ეკოლოგიური ბალანსის თვითრეგულირების უნარი. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ

ტურისტულმა ნაკადმა შეიძლება გადააჭარბოს ამ დონეს და მოცემულ ტერიტორიაზე ეკოლოგიური ბალანსის თვითაღდგენა უკვე შეუძლებელი გახდეს. აღნიშნული სიტუაციის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ, რაც უფრო მეტად პოპულარულია ესა თუ ის ეროვნული პარკი, მით უფრო დიდი ტურისტული ნაკადი ფიქსირდება ამ ტერიტორიაზე და მით უფრო უახლოვდება მოცემული ნაკადის სიდიდე მოცემული ტერიტორიის ეკოლოგიური ბალანსისათვის სახიფათო ნიშნულს. ამავე დროს, რაც უფრო დიდია ტურისტული ნაკადი მოცემულ ტერიტორიაზე, მით უფრო მეტია ადგილობრივი მოსახლეობის და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, მით უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული ტურისტულ ინდუსტრიაში და მით მეტია მოქალაქეთა კმაყოფილება ტურიზმის განვითარების შედეგებით. ამ პირობებში ადგილობრივი საზოგადოების წევრებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა შეიძლება არ მიაქციონ ყურადღება ეკოლოგიურ საფრთხეებს იმ იმედით, რომ კრიტიკული წერტილი, რომლის შემდეგაც ეკოლოგიური ბალანსის შეუქცევადი დარღვევა დაიწყება, ჯერ კიდევ შორსაა. მაღალი შემოსავლების შემყურე საზოგადოება სწორედ იმ მომენტში ადუნებს ყურადღებას ეკოლოგიური პრობლემების მიმართ, როდესაც ამ პრობლემებს ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ეკოლოგიური პრობლემა დგას ბუნებრივი ლანდშაფტების მქონე ტურისტულ დანიშნულების ადგილებში. ტერიტორიები, რომლებიც იზიდავენ ტურისტებს არა იმდენად ბუნებრივი, არამედ კულტურული ატრაქციონების საშუალებით, ასევე დგანან ეკოლოგიური ბალანსის დარღვევის საფრთხის წინაშე. ურბანულ ტერიტორიებზე ტურისტების დიდი ნაკადი ნიშნავს ზეწოლას ტრანსპორტირების, წყალკანალიზაციის და სანდასუფთავების სისტემებზე. სანამ ადგილობრივი ინფრასტრუქტურა ახერხებს მზარდი ტურისტული ნაკადის მავნე ზემოქმედების უტილიზაციას, ტურიზმის განვითარებას მხოლოდ სარგებელი მოაქვს მოცემული ტერიტორიისათვის, თუმცა თუ ნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მოცემული ტერიტორია მიიღებს პრობლემებს დაჭუჭყიანებული ჰაერის, გადატვირთული გზების, წყლის მიწოდების შეზღუდვების და სანიტარული მდგომარეობის გაუარესების სახით. გამოდის, რომ თავისუფალ დროსა და მეტ შემოსავლებს, ტურიზმზე დადებითი გავლენის გარდა უარყოფითი ეფექტიც ახლავს: ეკოლოგიური პრობლემების გაძლიერება. რა თქმა უნდა, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა შეიძლება ადამიანის მავნე ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტებზე შეიძლება აღმოიფხვრას, ხოლო ურბანულ რეგიონებში შეიძლება არასაკმარისი ინფრასტრუქტურა განვითარდეს. თუმცა აქ მთელი რიგი სპეციფიკური თანამდევნი პრობლემები ჩნდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა ადვილია, მის აღდგენას კი შეიძლება ათწლეულები და დიდი მოცულობის ფინანსური რესურსები დასჭირდეს. მეორე, ეკოლოგიური ბალანსი თუ ერთხელ დაირღვა, შესაძლოა თავდაპირველი სახით არც არასდროს აღდგეს, ან საერთოდ არ აღდგეს. ეს ნიშნავს, რომ მაღალი შემოსავლების ადგილობრივი საზოგადოება და თვითმმართველობა ეკოლოგიის მიმართ უყურადღებობის შემთხვევაში ანადგურებს იმ ფაქტორს, რომელმაც ამგვარი მაღალი შემოსავლები გამოიწვია, რითაც ნულამდე დაჰყავს მოცემული ტურისტული ტერიტორიის სამომავლო განვითარების პერსპექტივები. თავისუფალი დრო და ფინანსური რესურსების დიდი ოდენობა ეკოლოგიაზე სხვაგვარადაც მოქმედებს - იგი ზრდის ტურისტული ტერიტორიის საგადასახადო შემოსავლებს, რომლებიც შემდეგ შეიძლება ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად იქნეს გამოყენებული. მაგრამ აქ ისმის სხვა კითხვა საკმარისია თუ არა ტურიზმის განვითარების შედეგად მიღებული ფინანსური ნაკადი ეკოლოგიური ბალანსის აღდგენის სამუშაოების ჩასატარებლად? ურბანული ტერიტორია დროთა განმავლობაში ვითარდება: ადგილობრივი თვითმმართველობა ზრუნავს ახალი გზების, კომუნალური სისტემების, სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე. მზარდი ტურისტული ნაკადის შედეგად მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, რაც ურბანული ტერიტორიის ეკოსისტემაზე მზარდ ზეწოლას ახშობს, თუმცა აქაც იგივე კითხვა ისმის, რამდენად მოახერხებს ადგილობრივი ურბანული განვითარების პროგრამა ტურისტული ნაკადის გადიდებაზე პასუხის გაცემას? ტურისტული ნაკადის ზრდით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები ხომ არ დაიხარჯება უპირატესად პრომოუშენის ტიპის ღონისძიებებზე, რომელთა მიზანიც ტურისტული ნაკადის შემდგომი ზრდა იქნება. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია რამდენიმე დასკვნის ჩამოყალიბება.

1. ადამიანს შეუძლია აირჩიოს თავისუფალი დროის გამოყენების სხვადასხვა ფორმა, გამომდინარე მისი შემოსავლებიდან, სოციალურ-კულტურული მდგომარეობიდან, გემოვნებიდან და სხვა პიროვნული ფაქტორებიდან. მოგზაურობა კი ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს;
2. მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები უზრუნველყოფენ პიროვნების თავისუფალი დროისა და მის ხელთ არსებული ფინანსური რესურსების მოცულობის გადიდებას, რაც პირდაპირ კავშირშია მოგზაურობათა ინტენსივობის ზრდასთან;
3. ვიზიტორთა ოდენობის გადიდება, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს ტურისტული დანიშნულების ადგილების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ადგილობრივი მოსახლეობისა და



საბიუჯეტო შემოსავლების, დასაქმების და ადგილობრივი დარგების განვითარების ტემპების გადიდების თვალსაზრისით, თუმცა ამ ზემოქმედებას გააჩნია ასევე უარყოფითი მხარე ეკოლოგიური ბალანსის დარღვევის მხრივ;

4. მზარდი ტურისტული ნაკადების უარყოფითი ზემოქმედება ეკოლოგიურ ბალანსზე შეიძლება დაფიქსირდეს არა მარტო ტიპურ ბუნებრივ ტურისტულ კომპლექსებში, არამედ ურბანულ ტერიტორიებზე.

5. ადგილობრივი ეკოსისტემა გარკვეულ დონემდე ახორციელებს ტურისტული ნაკადის მავნე ზემოქმედების უტილიზაციას, მაგრამ ამ დონის მიღწევის შემდეგ ეკოლოგიური ბალანსი შეუქცევად რღვევას იწყებს და მისი აღდგენა შემდგომში ძალიან რთული ან შეუძლებელი ხდება;

6. ტურისტული შემოსავლების მაღალი დონის გამო, ადგილობრივმა საზოგადოებამ და თვითმმართველობამ შესაძლოა სწორედ იმ მომენტში მოადუნონ ყურადღება ეკოლოგიური პრობლემების მიმართ, როდესაც ამ პრობლემებს ყველაზე მეტი ყურადღება ესაჭიროებათ;

7. ტურისტული დანახარჯებიდან ბიუჯეტში შესული თანხები შეიძლება მოხმარდეს ეკოლოგიური ბალანსის აღდგენას, თუმცა წარმოიშობა კითხვა იმის თაობაზე, საკმარისი იქნება თუ არა ეს თანხები დარღვეული ეკოლოგიური ბალანსის აღდგენისათვის, რომელიც, როგორც წესი გრძელვადიან და დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული პრობლემაა.

#### **ლიტერატურა:**

1. მეტრეველი მ., „ტურიზმი“, თბ., 2003.
2. შუბლაძე ვ., „საქართველო და ტურიზმი“, 2004.
3. შუბლაძე ვ., „ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში“ ჟურნალი „ფინანსები“, 2004.
4. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე ლ., „ტურიზმი - ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტი“, სამეც. შრომათა კრებული, ტ. 2, №1 (46), 2009, გვ. 108-111.
5. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე ლ., „აგროტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკაში“, სამეც. შრომათა კრებული ტ. XXX, 2005, გვ. 197-200.
6. ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ლ., „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები“, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2009, გვ. 78-91.
7. მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა, ეკოტურიზმის საფუძვლები, თბ., 2004.
8. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2009 წლის საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2009.
9. საქართველოს საკანონმდებლო აქტი, ტურიზმი და კურორტები, №2, 1999.

## **A LEISURE TIME AND ECOLOGICAL CONDITION OF TOURIST DESTINATION PLACES**

**Eter Narimanishvili, Samtskhe-Javakheti State University, Associate Professor**

### **RESUME**

The above analysis , we can conclude an international legal norms, technological progress , protection of labor rights, high GDP for each person in country, helps and encourages to increase a scale of their leisure time and for this effectively increase the amount of financial resources. This means that more and more people get the time and opportunity to travel around the world and get impressions of different tourist destinations. It reflected tourist activity statistics. Obviously, the larger the amount of free time and the financial resources directly linked to the people's desire and ability.

## თანამედროვე ინტელექტუალური ტექნოლოგიები და მართვის ინფორმაციული სისტემები ბიზნეს-გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად

ციური ნოზაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
E-mail: tsiurinozadze@gmail.com

ანალიტიკოსები მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტად საუბრობენ ინფორმაციის როგორც თანამედროვე სამყაროს მთავარი განმსხვავებელი ნიშნის შესახებ. ექსპერტების უმეტესობის აზრით უკვე ვცხოვრობთ „გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის“ პირობებში, რომლის მამოძრავებელი ძალა ინფორმაციაა. ინფორმაცია გახდა ერთ-ერთი ძირითადად რესურსი, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს ქვეყნის წესებს, იქნება ეს წარმოების თუ ქვეყნის მართვა.

მოზღვავებული ინფორმაციის ნაკადი, რომლისთვისაც დამახასიათებელია არასისრულე, უნიკალურობა და უჩვეულო დინამიკურობა, არ ექვემდებარება ფორმალურ სტრუქტურირებას და, ამიტომაც, „სტანდარტული“ მონაცემთა ბაზები, როგორც მონაცემთა შენახვისა და დამუშავების საშუალებები უკვე უძლურია.

ინფორმაციის ნაკადის ზრდის ასეთი ტემპები განაპირობებს ინფორმაციის დამუშავების მეთოდების მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც მოითხოვს არა მარტო მონაცემთა შენახვის, დამუშავების და ანალიზის პროცესების ავტომატიზაციას, არამედ ინფორმაციული და ორგანიზაციული პროცესების ინტელექტუალიზაციას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მხარდამჭერი ეფექტური მეთოდების, ინტელექტუალური ტექნოლოგიების დამუშავებასა და დანერგვას.

ამასთან, ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლის პირობები, როდესაც ყურადღების ცენტრი ნედლეულის მოპოვების და დამუშავების ინდუსტრიიდან ინაცვლებს მაღალ ტექნოლოგიებსა და ინოვაციებისაკენ, მოითხოვს ყველა სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურების (სახელმწიფოებრივი მართვა, ბიზნესი, სოციალური კომუნიკაციები) ფუნქციონირების აუცილებლობას სწრაფი, იაფი, მობილური და ინტელექტუალური წარმოების პრინციპებით.

ასეთი პრინციპი უფრო მეტად ემყარება კრიტიკული რესურსის - ინფორმაციის მართვის ინტელექტუალურ მეთოდებს. წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებში ბიზნეს-ციკლის დრო იდეიდან მოგების მიღებამდე რამოდენიმე წლიდან რამოდენიმე თვემდე შემცირდა. სამმა ფაქტორმა არსებითად შეცვალა მართვის სიტუაცია - ტემპების ზრდა: სიახლეები, ინფორმაციის მოცულობა და ინფორმაციის მრავალგვარობა. ამ მიზეზებით წარმოიქმნა ხელმძღვანელის პრობლემა. ხელმძღვანელი ხდება ყველაზე სუსტი რგოლი ბიზნეს-ურთიერთობების სქემაში, რადგანაც ადამიანი ვერ უძლებს ამგვარ დატვირთვას. შედეგად მართვის ყველა დონეზე მნიშვნელოვნად იზრდება გაურკვეველ და არასტანდარტულ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღების (Decision-Making - DM) წილი. ეს ეხება ტექნოლოგიებს, წარმოებას, დაგეგმვას, კონკურენციას, კომპანიის ორგანიზაციას და მართვას. სულ უფრო იზრდება მოთხოვნა ახალ იდეებზე, ანუ ახალი იდეების გამოგონება თანამედროვე ბიზნესის მამოძრავებელი ძალა ხდება. თუმცა არსებობს სიახლის ზღვარი (ახალი ფაქტორები და იდეები), რომელიც ადამიანმა შეიძლება აითვისოს დროის მოკლე პერიოდში. ეს ადამიანის აღქმის ადაპტირების დონეა. ამიტომ, ინფორმაციული და ორგანიზაციული პროცესების ინტელექტუალიზაციასთან, მართვის დონის სპეციალისტების ინტელექტუალური საქმიანობის ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა გვესახება, ერთი მხრივ მენეჯმენტში, ინფორმაციული (business intelligence - BI) და ცოდნის მართვის (knowledge management - KM) ტექნოლოგიების განვითარებასა და დანერგვაში, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული მართვის ინფორმაციული სისტემების და მართვითი საქმიანობის მხარდამჭერი სისტემების ინტელექტუალობის დონის გაზრდაში [1-3].

თანამედროვე B1- ტექნოლოგიები მოიცავენ შემდეგ ინსტრუმენტებს: რელიაციური მონაცემთა ბაზების სერვერები; OLAP სერვერები (online analytical processing); მონაცემების სავაჭები; მონაცემთა გარდაქმნისა და ანგარიშგების ინსტრუმენტები; მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზისა და კვლევის ინსტრუმენტები; მონაცემთა მოპოვების საშუალებები (data mining), მოდელირებისა და პროგნოზირების საშუალებები; პორტალები და ინსტრუმენტალური პანელები; ელექტრონული ცხრილები; ანალიზის დანართები და სხვა. ინსტრუმენტების უმეტესობა ერთმანეთთან მუშაობენ, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა როლს თამაშობენ.


KM-ტექნოლოგიების მხარდამჭერი ძირითადი ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) რიგებში შედიან: *მონაცემებისა და ტექსტების შეროვება* - სახეების ამოცნობა, შენახული მონაცემებიდან ან

შემაჯავლი ნაკადიდან მნიშვნელოვანი კანონზომიერების გამოვლენა. ეს ტექნოლოგიები ემყარება სტატისტიკურ მოდელირებას, ნეირონულ ქსელებს, გენეტიკურ ალგორითმებს და სხვა [3, 4]; დოკუმენტბრუნვის მართვის სისტემები - დოკუმენტების შენახვა, არქივაცია, ინდექსირება, მონიშვნა და პუბლიკაცია; ერთობლივი მუშაობის ორგანიზაციის საშუალებები (Collaboration) - intranet ქსელი, ჯგუფური მუშაობის ტექნოლოგიები, სინქრონული და ასინქრონული კონფერენციები [4-6]; ცოდნის კორპორატიული პორტალები; გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი საშუალებები (Decision support) - ექსპერტული სისტემები და სხვა.


ბოლო ხანს გამოიკვეთა BI და KM ტექნოლოგიების დაახლოების ტენდენციები. IBM და Microsoft კორპორაციების გეგმები მოიცავენ BI ტექნოლოგიების პროგრამული საშუალებების და KM ტექნოლოგიების ინსტრუმენტების ინტეგრაციას და ახალი თაობის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, რომლებიც იმუშავებენ როგორც სტრუქტურირებულ, ისე არასტრუქტურირებულ მონაცემებთან. სულ ახლახან შეიქმნა კონგლომერანტი - KM-Enabled BI - ბიზნეს ინტელექტი, რომელიც იყენებს ცოდნის ბაზას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ კატეგორიას განეკუთვნება Microsoft Dynamics AX, რომელიც წარმოადგენს ERP (Enterprises Resources Planing) - პროგრამულ გადაწყვეტას საერთაშორისო წარმოებების და ორგანიზაციებისთვის რომლებსაც აქვთ 50 მილიონი დოლარიდან 1 მილიარდ დოლარამდე შემოსავალი. მას გააჩნია ფართო შესაძლებლობები ფინანსური და ადამიანური რესურსების, ოპერაციების მართვის, საცალო ვაჭრობის შესაძლებლობების მართვის, სახელმწიფო სექტორის სერვისული დარგების განვითარების და სხვა. წარმოებებისათვის იგი უზრუნველყოფს საქმიანი ურთიერთობების მოქნილობას და მრავალი შესაძლებლობების გაზრდას.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ორგანიზაციების თუ კომპანიების ხელმძღვანელების მეტ ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მართვის სისტემის კომპიუტერიზაციის მიდგომებზე. რის გამოც ჩნდება ილუზია, რომ თვითონ კომპიუტერული ტექნიკა, ლიცენზირებული პროგრამები, ინტერნეტი და კვალიფიციური IT სპეციალისტები უფრო ეფექტურს გახდის მენეჯმენტს, რაც ეფექტურ მართვაზე მეტად მცდარი შეხედულებაა. ამიტომ ასეთი აზროვნებიდან გამომდინარე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენ ქვეყანაში გაცილებით ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

თუ აღვწერთ საქართველოს მასშტაბით უმეტეს ორგანიზაცია დაწესებულებებში მართვის გასაუმჯობესებლად რესურსების განაწილების არსებულ სცენარს, იგი ასე გამოიყურება (სურათი 1):



სურ. 1. რესურსების განაწილების არსებული სცენარი



სურ. 2. რესურსების სწორი განაწილების სცენარი

როგორც სურათიდანაც ჩანს, ინვესტიციების უდიდესი ნაწილი მიდის კომპიუტერებზე - მატერიალური ნაწილი ის, რაც ტექნოლოგიების განვითარების ტემპების გათვალისწინებით უკვე ხვალ მორალურად მოძველდება. კომპიუტერები შეიძლება ჩავართოთ ქსელში - რაც ტექნიკურად არაა რთული, თუმცა მართვის ეფექტი შეუმჩნეველი იქნება.

შედარებით მეტი ინვესტიციები იდება კომპიუტერულ პროგრამებზე - არამატერიალური აქტივები, მათზე თითქმის 2-3 ჯერ ნაკლები თანხა გამოიყოფა ვიდრე კომპიუტერულ ტექნიკაზე, მაგრამ ყველაფერ ამას პროფესიონალურ მენეჯმენტთან ძალზე მცირე შეხება აქვს. თანხა გამოყოფილი „კომპიუტერიზაციაზე“ დახარჯულია, მაგრამ არასწორი მიმართულებით ჩადებული ინვესტიციების ეფექტი თითქმის ნულის ტოლია. კომპიუტერები, თუმცა ისინი განეკუთვნებიან ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს, მაგრამ მათი ეფექტურად გამოყენება მოითხოვს ცოდნის სრულიად სხვა დონეს და სხვანაირ ცოდნას.

უფრო „მეტად“ გათვითცნობიერებული ხელმძღვანელებისა და IT სპეციალისტების ილუზია მდგომარეობს იმაში, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების დაბალი უკუგება მათი „დანერგვის“ პროცესის მართვისადმი არასაკმარისი ყურადღების შედეგია. საქმე არა კომპიუტერების დანერგვის პროცესის მართვაშია, არამედ მენეჯმენტის სისტემის შეცვლაში, რაც არა IT სპეციალისტების, არამედ ხელმძღვანელის ფუნქციაა. ანუ რესურსების განაწილების სწორი სცენარი ზუსტად შებრუნებული უნდა იყოს, როგორც მიმდევრობის ისე შესაბამისი ინვესტიციების მხრივ (სურათი 2).

თანამედროვე ბიზნესი თანდათან გამოდის წმინდა ეკონომიური (სააღრიცხვო) აზროვნებიდან. მართვაში ცვლილებების ძირითადი მიზანი ხდება არა „ეკონომია დანახარჯებზე“ ან „რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებაზე“, არამედ ბიზნესის მასშტაბების გაფართოებაზე. ბიზნესის მიზანი უფრო მეტად ორიენტირებული უნდა იყოს კომპანიის გარეთ, ვიდრე მის შიგნით. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სამომხმარებლო ღირებულებას, რომელსაც ბაზარი განსაზღვრავს, ვიდრე ეკონომიკურ ღირებულებას, რომელსაც კომპანიის შესაძლებლობები განსაზღვრავს. შესაძლებელია იმიტომ, რომ არ შეუძლიათ მარკეტინგსა და მართვის სისტემაში რაიმე ახლის მოგონება მრავალი საწარმოები ჩაიცვიკლნენ თვითღირებულების და დანახარჯების შემცირების კონკურენციაზე.

შესაბამისად აზრი, რომელზეც შეიძლება შევჩერდეთ კომპანიის „კომპიუტერიზაციასა და“ პროგრამულ უზრუნველყოფაზე ჩადებული ინვესტიციებიდან დაბალი უკუგების მიზეზებზე არის ინვესტიციების არასწორი გამოყენება. საჭიროა პრიორიტეტებზე სწორი აქცენტების დასმა და ინვესტირება სწორი მიმართულებით.

მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით საქართველოშიც მსხვილი კომპანიების მხრიდან უკვე იდგება ნაბიჯები. ასე მაგალითად, აღსანიშნავია, რომ მაიკროსოფტის პარტნიორი ორგანიზაცია შპს „პროქსიმა სისტემსი“-მა კომპანიაში - „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP), რომელიც წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე 2014-2015 წლებში დანერგა Microsoft-ის კორპორაციული ინფორმაციული სისტემა ERP (Enterprises Resources Planing). აღნიშნული პროგრამული სისტემა მენეჯერებს საშუალებას აძლევს ისარგებლოს საწარმოს ყველა სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციით და განახორციელოს ეფექტური მართვა წარმოების ყველა რგოლში.

გარდა Microsoft ERP სისტემისა მსოფლიო ბაზარზე წარმოდგენილია სხვადასხვა წამყვანი კომპანიების ERP პროგრამული სისტემები, რომლებიც ახორციელებენ წარმოებაში მართვის სხვადასხვა ფუნქციების ავტომატიზაციას, რომელთა სადემონსტრაციო ვერსიები და პრაისები წარმოდგენილია საიტზე: [www.softwareadvice.com/erp/](http://www.softwareadvice.com/erp/); (Top ERP Software Systems - 2015 Reviews & Pricing).

კორპორაციული საინფორმაციო სისტემის პროგრამულ კომპონენტებში შეიძლება შედიოდეს სხვადასხვა მოდულები. მაგალითად:

- ... მარაგების მართვის სისტემა (Inventory Management Systems IMS);
- ... შეკვეთების მართვის სისტემა (Order Management System OMS);
- ... საწარმოს რესურსების მართვის სისტემა (ERP);
- ... განაწილებული ლოგისტიკის მართვის სისტემა (SCM - სისტემა)
- ... ავტომატიზირებული პროექტირებისა და პროგრამირების სისტემები (CAD/CAM/CAE)
- ... მონაცემების მართვის სისტემა (PDM)
- ... საბუთბრუნვის სისტემა (docflow)
- ... სამუშაო ადგილის ორგანიზების სისტემა (workflow)
- ... ელექტრონული კომერციის სისტემა (e-commerce)
- ... ინფორმაციის საცავი სისტემა (data warehouse)
- ... მონაცემების ამოღების სისტემა (data mining)
- ... მონაცემების ანალიზის სისტემა (OLAP)
- ... ხელმძღვანელებისათვის ანალიზისათვის მონაცემების წარდგენის სისტემა (MIS)
- ... ბიზნეს პროცესის მოდელირების სისტემა და სხვა.

თუმცა ბიზნეს-ობიექტის საინფორმაციო სისტემაში აუცილებელი არ არის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტის არსებობა და სისტემის კონფიგურაცია შეიძლება განსაზღვრონ მენეჯერებმა ყოველ კერძო შემთხვევაში პრიორიტეტებისა და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. თუმცა ბუნებრივია მასშტაბები და ფუნქციონალური გადაწყვეტილებები სრულად ვერ იქნება თავსებადი, მაგრამ მიუხედავად ამისა სტრუქტურულიზატორები მიყვებიან ამ სტრატეგიას და უკიდურეს ვარიანტში - ინფორმაციული სისტემის კომპონენტების შემადგენლობაში შეაქვთ „მაორგანიზებელი“ კომპონენტი, რომელიც ასრულებს გამაერთიანებელი ზედნაშენის როლს მონაცემთა ბაზებზე და რამდენადაც ეს შესაძლებელია, აახლოებს მართვის გადაწყვეტილებებს მსოფლიოში მიღებულ მენეჯმენტის პრაქტიკასთან.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ხანს მძლავრი ERP-სისტემები აღარ მიისწრაფიან, რომ თავიანთ შემადგენლობაში ჰქონდეთ მათ მიერვე დამუშავებული ზემოთ ჩამოთვლილი ან სხვადასხვა მოთხოვნების შესრულების ყველა მოდული და ამისათვის ხშირად იყენებენ მზა პროგრამულ პროდუქტებს. ასეთი მიდგომა, ორიენტირებული სხვადასხვა ფირმების მიერ თავის კლასში საუკეთესო გადაწყვეტილებების ინტეგრაციაზე და არა მცდელობაზე ყველაფერი თვითონ შექმნან, დეკლარირებულია ERP-სისტემების პრაქტიკულად ყველა წამყვანი მწარმოებლების მიერ და გაცხადებულია როგორც „კომპონენტური სტრატეგია“ ან „კომპიუტერული არქიტექტურა“.

#### ლიტერატურა:

1. В. П. Карелин, Интеллектуальные технологии и системы искусственного интеллекта для поддержки принятия решений. <http://cyberleninka.ru/article/n/intellektualnye-tehnologii-i-sistemy-iskusstvennogo-intellekta-dlya-podderzhki-prinyatiya-resheniy>;
2. Теория и практика нечетких гибридных систем/ ИЗ. Батыршин, А А Недосекин, А А Стецко и др. М.: Физматлит, 2007. Научная библиотека Кибер Ленинка: <http://cyberleninka.ru/article/n/intellektualnye-tehnologii-i-sistemy-iskusstvennogo-intellekta-dlya-podderzhki-prinyatiya-resheniy#ixzz3outU07nF>
3. Интеллектуальные Технологии и системы. [http://abc.vvsu.ru/Books/up\\_inform\\_tehmol\\_v\\_ekon/page0017.asp](http://abc.vvsu.ru/Books/up_inform_tehmol_v_ekon/page0017.asp)
4. Валькман Ю.Р., Валькман Р.Ю., Исмагилова Л.Р. Бизнес-интеллект и управление знаниями: понятия, технологии, интеллектуальность // Труды Международных НТК IEEE АК-09, СА0-2009. М.: Физматлит, 2009. <http://www.microsoft.com/en-us/dynamics/erp-ax-overview.aspx>

## MODERN INTELLIGENT TECHNOLOGY AND INFORMATION SYSTEMS TO SUPPORT BUSINESS DECISIONS

Tsiuri Nozadze, Gori, Gori State University, Associate Professor

### RESUME

Justified in socio-economic systems a necessity to develop and introduce the intelligent technologies, methods and computer systems to support informational and organizational processes for ensuring the decision-making.

The article deals components of the powerful corporate ERP system. Suggested that for a particular business unit is not necessary to have in own information system all the components. The necessary components may determine enterprise managers accordingly of its priorities and financial possibility but it will have to develop a linking program between modules.

Is shown the existing destinations in process of investment for the computerization of management in Georgia and is proposed correct approaches of investment process.

## აგრობიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში

**ლალი ოსაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**მაკა სოსანიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**სოფიო ცეცხლაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი  
E-mail: l.osadze@gmail.com

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში თვლიან, რომ წარმოების კომპლექსური ხასიათი და სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოება წარმოადგენს აგრობიზნესის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის საფუძველს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგრარულ სექტორში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო მხარდაჭერა და რეგულირება სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელი კომპონენტია. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის და რეგულირების დონე აშშ-ში შეადგენდა 38%, იაპონიაში 35%, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში და ნორვეგიაში 65%-ზე მეტი იყო.

საქართველოს სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რაც ქვეყნის ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ამ ერთობლიობამ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და

განვითარებაში. საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43.4 % (ანუ 3 მილიონ ჰექტარზე ოდნავ მეტი) ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად, რომლებიც ასევე მოიცავს საძოვრებს და მდელოებს. დანარჩენი ფართობის 43% დაფარულია ტყის საფარით. ქვეყანაში ეკოლოგიური და კლიმატური ზონების დიდი ნაირსახეობაა, რაც ზომიერი და სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტესობის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა. ეს კულტურები მოიცავს: მარცვლეულს, საადრეო და საგვიანო ბოსტნეულს, ბაღჩეულს, კარტოფილს, ტექნიკურ კულტურებს, ყურძენს, სუბტროპიკულ კულტურებს, ხილის ნაირსახეობას და სხვ.

საქართველოში, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობის მიუხედავად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპებს. ამჟამად, საქართველოში მოხმარებული სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებულია, მაშინ, როდესაც ქვეყანას შესაძლებლობა აქვს, გარკვეული სახის პროდუქციით დააკმაყოფილოს არა მხოლოდ შიდა ბაზრის მოთხოვნა, არამედ გახდეს აგრარული პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორი.

უკანასკნელ პერიოდში, ქვეყანაში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა (მისმა ღირებულებამ ერთ მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა). იმპორტის ზრდის პარალელურად ჩამოყალიბდა ადგილობრივი წარმოების შემცირების ნეგატიური ტენდენცია. შემცირდა თითქმის ყველა სახის პროდუქციის საკუთარი წარმოებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები, რამაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით დამაფიქრებელია გაეროსა და მსოფლიო ბანკის პროგნოზის ფონზე, რომლის მიხედვითაც მიმდინარე საუკუნის 40-50-იან წლებში მსოფლიოში მწვავე სასურსათო კრიზისია მოსალოდნელი.

ამჟამად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად ითვლება ქვეყნის დასაქმებული სამუშაო ძალის 52%, საიდანაც 98% თვითდასაქმებულია. აქედან გამომდინარე, უახლოეს წლებში მნიშვნელოვანია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო პროფილის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, საოჯახო ფერმერული მეურნეობების განვითარებისა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის, მათ შორის, აგროტურიზმის ხელშეწყობა.

სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი ვითარება მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელზე. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2014 წელს სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა საშუალო ხელფასმა დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მხოლოდ 64% შეადგინა. ამავე დროს, ქალაქად და სოფლად მცხოვრებთა შემოსავლებს შორის სხვაობა საგრძნობლად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები დაბალია. ბოლო წლების განმავლობაში მთლიან შემოსავალში იზრდება დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლის წილი, თუმცა მისი აბსოლუტური მნიშვნელობა მცირეა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის წილი 2014 წლისათვის მხოლოდ 11.6%-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომერციული მეურნეობები სუსტადაა განვითარებული. არსებულ მწარმოებელთა უდიდესი ნაწილი, ეგრეთ წოდებული, ნატურალური მეურნეობის ტიპისაა და პროდუქტს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს.

აღსანიშნავია, რომ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში იზრდება ხანდაზმულთა პროცენტული წილი, რაც ართულებს დემოგრაფიულ ვითარებას სოფლად. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობი გრძელვადიანი პოლიტიკის გარეშე (რაშიც ახალგაზრდობის დასაქმების სტიმულირებაც მოიაზრება), წარმოების არსებული დონის შენარჩუნება, შემდგომი ზრდა და კონკურენტულობის ამაღლება გართულდება.

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სტიქიური მოვლენების მიმართ ერთ-ერთ სენსიტიურ დარგს და მისი განვითარება სტიქიური პროცესების შედეგებზე დამოკიდებულია. საქართველოში გავრცელებული ძირითადი სტიქიური მოვლენები (მიწისძვრები, წყალდიდობა-წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი, ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავები, სეტყვა, თავსხმა წვიმები, ძლიერი ქარები, გვალვა და სხვ.) აზარალებს სასოფლო სამეურნეო-სავარგულებს და შესაბამისად, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას. ამიტომ, არსებული რისკებიდან გამომდინარე, აუცილებელია დროსა და სივრცეში დეტალიზირებული სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და მრავალწლიური სპეციფიკური მონაცემების მომზადება და მიწოდება.

2012 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორი არ განიხილებოდა პრიორიტეტულად (თუმცა დეკლარირება ხდებოდა) და, შესაბამისად, ამ სექტორისთვის გაწეული საბიუჯეტო ხარჯები ცვალებადი იყო. 2010 წელს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების აბსოლუტური მინიმუმი დაფიქსირდა. მათი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში მხოლოდ 0,44%-ს შეადგენდა.

2000-2007 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში თანამშრომლების რაოდენობა 87%-ით შემცირდა, რითაც შეიზღუდა ამ უწყების უფლებამოსილება განხორციელებინა კანონით დადგენილი ძირითადი მოვალეობები.

2012 წლის შემდეგ, სოფლის მეურნეობა გამოცხადდა პრიორიტეტულ დარგად, რამდენიმეჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამელიორაციო სამუშაოებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნასა და მის გამოყენებას, მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელებას, პირუტყვის დაავადებებთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას, თანხების გამოყოფას ისეთი ლაბორატორიების შესაძენად, რომელთა ტექნიკური აღჭურვილობაც საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის საშუალებას იძლევა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციას.

2013-2015 წლების განმავლობაში, მთავრობის ძალისხმევით და კერძო სექტორის, ასევე, დონორი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შედეგად, შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ტენდენციები წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მიმდინარეობს მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში, პოზიტიურ გავლენას მოახდენენ სექტორის მდგრად განვითარებაზე.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, რომლის თანახმადაც, შეიქმნა სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას, მათ მფლობელობაში არსებული მიწების დამუშავებასა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას. სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა ა(ა)იპ „პროექტების მართვის სააგენტო“, მისი საქმიანობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება საბანკო სექტორის მიერ. ჩამოყალიბდა სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების, მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, მცენარეთა ჯიშების გამოცდისა და სასელექციო სადგურების აღდგენა, ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერებისა და სანაშენე საქმიანობის ხელშეწყობა, თესლისა და სარგავი მასალის სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის შემუშავება, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასების უზრუნველყოფა, ბიომეთოდების შემუშავება და ბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ექსტენცია და სხვა.

2013-2015 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის დამუშავებული ფართობები, რაც შესაბამისი მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელებით იყო განპირობებული, მაგრამ, თუ ასეთ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს ხანგრძლივ პერიოდში კერძო სექტორის ინიციატივა არ ჩაანაცვლებს, მიღწეული შედეგების შენარჩუნება გართულდება.

2014 წლიდან დაიწყო ვენახების კადასტრის მასშტაბური პროექტის განხორციელება, რომელიც ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს მოწესრიგებას ისახავს მიზნად.

2013 წელს დაწყებული სისტემური ღონისძიებების შედეგად, რაც არსებული საგარეო ბაზრების დივერსიფიკაციას და ახალი ბაზრების მოძიების ღონისძიებებს გულისხმობს, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნიდან ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა და ასორტიმენტი. კერძოდ, 2000 წელს ექსპორტის ღირებულებამ 184 მლნ ლარი (93 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა, ხოლო 2013 წელს - 1317.5 მლნ ლარი (775 მლნ აშშ დოლარი). მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის, სპირტიანი სასმელების, ღვინის, მინერალური წყლების, ციტრუსისა და ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამჟამად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 2014 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 21%-ით არის შემცირებული. შესაბამისი ღონისძიებების თანმიმდევრულად გატარების შემთხვევაში, ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალი უნდა გაიზარდოს.

საქართველო არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრი და წევრ ქვეყნებთან სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით. ასევე, სარგებლობს პრეფერენციათა განზოგადებული (GSP) სისტემით აშშ-სთან, კანადასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასა და იაპონიასთან. საქართველოს თურქეთსა და უკრაინასთან თავისუფალი, ხოლო დსთ-ს თითქმის ყველა ქვეყანასთან შეღავათიანი, ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული. ევროკავშირთან მოქმედებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პირობებით გათვალისწინებული რეჟიმი (DCFTA), რაც გულისხმობს საქართველოდან ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თავისუფალ შეღწევას ევროკავშირის ბაზარზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია. მისი განხორციელება უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდასა და კომერციალიზაციას.

სტრატეგია ითვალისწინებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას (დაახლოების შეთანხმებული ვადების შესაბამისად), რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და ნორმებთან მაქსიმალურ მიახლოებას და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

მთელი რიგი დადებითი ტენდენციების მიუხედავად, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შემაფერხებელი საკითხები გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეიმუშავებს არა მხოლოდ სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდის შემაფერხებელი პრობლემების გადაუდებელი დამლევის მოკლევადიან ღონისძიებათა გეგმას, არამედ გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიასაც, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, ასევე, სიღარიბის შემცირების ტენდენციას. აგრობიზნესმა უფრო მეტი როლი უნდა ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის თვალსაზრისით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარებისათვის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის რაციონალური მართვა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კადასტრის არსებობა, მიწათსარგებლობის თანამედროვე გეოინფორმაციული სისტემის დანერგვა და საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება. მიწის სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს მიწის კონსოლიდაცია წარმოადგენს. ამ მიმართულებით არსებობს მთელი რიგი ხელის შემშლელი ფაქტორები, როგორებიცაა: რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სიმცირე, შეუსაბამობები ნაკვეთების რეგისტრაციის დროს, ნიადაგის ხარისხობრივი შეფასების მონაცემების, მიწის კონსოლიდაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოსა და შესაბამისი ინსტიტუციური ერთეულის არარსებობა. ამ საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვანია:

- საკრედიტო და სალიზინგო პირობების უზრუნველყოფა: სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესის სფეროში არსებული რისკების გათვალისწინებით, აგროსესხებზე საპროცენტო განაკვეთები ჯერ კიდევ მაღალია. სათანადოდ განვითარებული არ არის სალიზინგო მომსახურება, რაც სხვა ქვეყნებში კერძო სექტორის დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საკრედიტო და სალიზინგო სისტემების განვითარებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით;

- სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარება: აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად აგრო-დაზღვევის განვითარება მიიჩნევა. გამომდინარე იქიდან, რომ აგრორისკების დაზღვევა დაზღვევის ერთ-ერთი რთული სახეობაა და აგრონომიული სფეროს ღრმა ცოდნას მოითხოვს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა, თუმცა, საჭიროა მისი უფრო მეტად დახვეწა;

- სასოფლო სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა: სასოფლო-სამეურნეო დარგის კოოპერაციის საწყისებზე დაფუძნებული ინსტიტუციური მოწყობა მიმდინარე პერიოდში ყველაზე ეფექტიან სისტემას წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის ზრდას და ფერმერებისთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის წარმოების საშუალებებს, მომსახურებასა და რეალიზაციას.

აგრეთვე, საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ფერმერთა და სოფლად მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა. ამისათვის აუცილებელია კერძო სექტორთან, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, სპეციალიზირებულ ფონდებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და დონორ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა, ისეთი ინოვაციური, მდგრადი და ქმედითი მოდელების შემუშავება, რომლებიც სტიმულს მისცემენ სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვას.

საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მჭიდროდ ითანამშრომლოს კერძო სექტორთან, რათა ხელი შეუწყოს ქართული კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოების გაფართოებასა და მის რეკლამირებას პოტენციურ მყიდველებთან და მომხმარებლებთან, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზრებზე. უნდა განხორციელდეს საქართველოსთვის პოტენციური ბაზრების შესწავლა, მიზნობრივ საექსპორტო ბაზარზე არსებული მოთხოვნის კვლევა, ბაზარზე შეღწევის სპეციფიკის ანალიზი, კონკურენტების დახასიათება, ტრანსპორტირების ხარჯების დადგენა, საბაჟო პროცედურების მიმოხილვა და სხვა. მეღვინეობის სფეროში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია.



### ლიტერატურა:

1. ნაცვლაძე მ., სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი, თბ., 2009.
2. ხარაზიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბ., 2011.

### ინტერნეტ-რესურსები:

<http://www.enpard.ge>  
[www.moa.gov.ge](http://www.moa.gov.ge)  
[www.cse.ge](http://www.cse.ge);  
[www.mof.ge](http://www.mof.ge);[www.parliament.ge](http://www.parliament.ge);  
[www.statistics.ge](http://www.statistics.ge);  
[www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);  
[www.pbo.ge](http://www.pbo.ge);

## THE TENDENCIES OF AGROBUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

**Lali Osadze**, Gori State Teaching University, Associate Professor

**Maka Sosanidze**, Gori State Teaching University, Associate Professor

**Sophio Tsetskhladze**, Gori State Teaching University, Specialist by contract

### RESUME

In spite of Georgia's natural-climate conditions, useful for the development of agrobusiness, during the several last decades, the development speed in this field has slowed down much more than in the other branches of economics.

The greatest part of used provisions for now is imported, whereas the country is able to provide with food not only its own population but the other countries, too. It can become an exporter country of agronomical market.

The Ministry of Agriculture of Georgia has worked out a development strategy for 2015-2020 years. Its implementation will ensure the growth of agricultural production and commercialization, according to the sustainable development principles.

The Ministry of Agriculture must collaborate with the private sector to promote manufacturing Georgian competitive products and its advertising in the local market as well as in the international one.

## კორპორაციული მართვის არსი, პრინციპები და ეროვნული მოდელები

**კახაბერ ჟღენტი**, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
E-mail: [kakhajgenti@yahoo.com](mailto:kakhajgenti@yahoo.com)

21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო თანამეგობრობის განვითარებას თან ახლავს ეკონომიკის გლობალიზაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი დონე, ინვესტიციური, ინფორმაციული და მომსახურების ნაკადების ურთიერთ გადაჯაჭვის ფონზე. სახეზე გვაქვს საწარმოო ძალების განვითარება ინდუსტრიულიდან ინოვაციურისაკენ. საგარეო ვაჭრობის და კაპიტალის ექსპორტის სწორხაზოვანი განვითარების ნაცვლად, მივიღეთ მისი ფართო განშტოებები პარტნიორული ურთიერთობების ქსელში. აღნიშნულის ერთ-ერთ გამოვლინებად იქცა ინვესტიციური პროცესების გლობალიზაცია. სახეზე გვაქვს ინვესტორების მიერ ნაციონალური საზღვრების მასიური გადაკვეთა, საკუთარი კაპიტალის დაბანდებისათვის შედარებით მომგებიანი სფეროებისა და ობიექტების ძიების პროცესში.

გასული საუკუნის ათწლეულებთან შედარებით, დღეისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტირებული კაპიტალის მასშტაბები, გაფართოვდა კაპიტალის დაბანდების გეოგრაფიული სივრცე, წარმოიშვა კაპიტალის მოზიდვისა და გამოყენების ახალი ფორმები და მეთოდები. კაპიტალის მფლობელებს გაუჩნდათ შესაძლებლობა არა მარტო ახალ ქვეყნებში შეღწევისა, არამედ საკუთარი ქვეყნიდან წასვლისა ეროვნული საქმიანი გარემოს მნიშვნელოვნად გაუარესების შემთხვევაში. ეს

პროცესი დაემთხვა კერძო სექტორის როლის ზრდას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, უმრავლესი ქვეყნების მთავრობათა მიერ კერძო მეწარმეობის აღიარებას ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალად.

ფირმის ტრადიციული ნეოკლასიკური თეორია არ განიხილავს განსხვავებას კომპანიის მმართველობას, კრედიტორებსა და მფლობელებს შორის [1, გვ. 30]. ფირმა განიხილება, როგორც ჰომოგენური ორგანიზაციის ფორმა, რომლის მთავარ მიზანსაც შეადგენს ერთობლივი ღირებულების გადიდება, მოსალოდნელი ფულადი შემოსავლების მაქსიმიზების გზით. ნეოკლასიკოსები წარმოგვიდგენენ ისე, თითქოს საგარეო დაფინანსება და კორპორაციული ურთიერთობები არ ახდენენ ამ პროცესზე არსებით ზეგავლენას. კორპორაციის გარე დაფინანსება როგორც ბანკების მხრიდან, ისე აქციების ან ობლიგაციების გამოშვების კუთხით განიხილება, როგორც მხოლოდ საწარმოო პროცესის ხარჯების ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც არ მოქმედებს კომპანიის მიზანმიმართულ ფუნქციაზე.

ფირმის თანამედროვე თეორიამ, გვიჩვენა რა ნეოკლასიკური თეორიის სისუსტეები, გააფართოვა ცოდნა საზოგადოების ინსტიტუციონალური მოწყობის შესახებ სხვა მიმართულებით [2, გვ. 426]. ეს მოხდა ნეოკლასიკურ თეორიაში, კერძოდ, მის ცენტრალურ მოდელში გამოყენებული სრულყოფილი კონკურენციის წინადადებაზე უარის თქმის გამო:

- ❑ ბაზრები ფუნქციონირებენ ხარჯების გარეშე;
- ❑ ფასები და ტექნოლოგიები ცნობილია ყველა დანტერესებული მხარისათვის;
- ❑ მესაკუთრეები ეფექტურად აკონტროლებენ საკუთარი კაპიტალის გამოყენებას.

სანაცვლოდ, თანამედროვე თეორიამ შემოგვთავაზა *დადებითი ინფორმაციული ხარჯების ჰიპოთეზა*. ამან მართვა აქცია მწარმოებლურად, რასაც ადგილი არ ჰქონდა ნეოკლასიკურ თეორიაში. ფირმა, ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, პასუხობს საფასო მექანიზმის და არა მართვის სურვილებს; თუ ფასების სისტემა წარმატებით მუშაობს, მაშინ ასევე წარმატებით გადაანაწილდება რესურსებიც. პირიქით, ინფორმაციის არასრულყოფილება აქცევს მენეჯერთა და მესაკუთრეთა გადაწყვეტილებებს მწარმოებლურობის ზრდის წყაროდ.

მართვის ეფექტურობის ძირითად წყაროს თანამედროვე თეორია ხედავს თვით მის უნარში - გადაჭრას პრობლემები *აგენტურული ურთიერთობით* და მასთან დაკავშირებული ხარჯებით *პრინციპალებსა* (მესაკუთრეებსა) და *აგენტებს* (მენეჯერებს) შორის [3, გვ. 46].

აგენტის პრობლემა ყველაზე ხშირად თავს იჩენს კორპორაციებში იმ შემთხვევაში, როდესაც სააქციო კაპიტალის გაფანტვის შედეგად აქციების მცირე პაკეტების მრავალრიცხოვანი მფლობელები აღმოჩნდებიან სიტუაციაში, როცა მათ არ შესწევთ უნარი ერთობლივად მართონ კუთვნილი ფირმა და იძულებულნი არიან გადასცენ კონტროლის უფლება მართვის განსაკუთრებულ სუბიექტს, ან ე. წ. მენეჯერთა გუნდს.

*აგენტურული თეორიის* ენაზე, მართვისაგან საკუთრების გამოყოფას მივყავართ აგენტურული ხარჯების წარმოშობასთან, რომლებიც ხშირად იწვევს ფირმის საქმიანობის მაჩვენებლების არსებით გაუარესებას.

*აგენტურულ ხარჯებს*, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნება დანაკარგები, რომელსაც ეწევიან მესაკუთრეები, პირველ რიგში, მათი ინტერესების აგენტის ინტერესებთან არასრული თანხვედრის გამო (აგენტს გააჩნია საკუთარი ინტერესი) და, მეორე, ინფორმაციის ასიმეტრიულობის გამო, რომელსაც ფლობენ მესაკუთრეები და აგენტები. აგენტმა გაცილებით მეტი იცის საკუთარი შესაძლებლობებისა და საკუთარი ქვეყნის სპეციფიკის შესახებ, ვიდრე მესაკუთრემ, რადგან ამ უკანასკნელს, დაიქირავა რა აგენტი, არ შესწევს უნარი სისტემატურად თვალყურის ადევნოს მის საქმიანობას. ამრიგად, ობიექტურად იქმნება ასიმეტრიული ინფორმაციის სიტუაცია. ეს საშუალებას აძლევს აგენტს, იმ სიტუაციაში, სადაც მესაკუთრე ვერ გააკონტროლებს მას, განახორციელოს საკუთარი და არა მესაკუთრის ინტერესები.

აგენტურული ხარჯები მიეკუთვნება *ტრანზაქციური ხარჯების* ერთ-ერთ სახეს, რომლის წარმოშობის წყაროა ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც განპირობებულია თითოეული ეკონომიკური აგენტის მისწრაფებით, - მაქსიმიზება გაუკეთოს საკუთარ (პირად) სარგებელს და მყარდება ეკონომიკური აგენტების შეზღუდული უნარით, რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისათვის სრული ინფორმაციის ფლობის და საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების შეუძლებლობით [4].

კორპორაციათა მართვაში შესაძლებელია შემდეგი ეკონომიკური აგენტების გამოყოფა, რომელთა ინტერესთა კონფლიქტი მნიშვნელოვანია მათი გავლენის პოზიციიდან აქციონერთა და კრედიტორთა - ობლიგაციის მფლობელთა (ინვესტორთა) ტრანზაქციურ ხარჯებზე. ასეთ აგენტებს მიეკუთვნებიან: თვით ინვესტორები (როგორც მსხვილი, ისე წვრილი აქციონერები, კრედიტორები - ობლიგაციების მფლობელები), ასევე საწარმოს მენეჯერი (გენერალური დირექტორი) ან ტოპ-მენეჯერთა ჯგუფი.

*მენეჯერი* (გენერალური დირექტორი) - მართვის ორგანოს ერთპიროვნული შემსრულებელი, შეიმუშავებს და რეალიზაციას უკეთებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოიწონეს მესაკუთრეებმა -

აქციონერებმა. მენეჯერის ინტერესი განისაზღვრება მისი, როგორც დაქირავებული მუშაკისა, რომლის ამოცანებშიც შედის საწარმოს ქონების განკარგვა, აქციონერთა ინტერესებიდან გამომდინარე. გენერალურ დირექტორს საწარმოში ასევე გააჩნია საკუთარი პირადი ინტერესი და მოქმედებს საკუთარი პირადი სარგებლიანობის მაქსიმიზებისათვის. პირადი ინტერესების ჯგუფში შედის: ლტოლვა ჯილდოს ზრდისკენ, საკუთარი სამუშაოსათვის მაღალი კომ-პენსაციის მიღება, თვით საწარმოს დაუფლების სურვილი (იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმძღვანელი არ არის საკონტროლო პაკეტის მფლობელი).

იმ შემთხვევაში, როდესაც გენერალური დირექტორი არ ფლობს გარკვეულ წილს საწარმოს სააქციო კაპიტალში, მაშინ მის მიერ პირადი სარგებლის მიღება არ არის ან სუსტად არის დაკავშირებული აქციონერთა ინტერესებთან, რასაც მიყვავართ კონფლიქტამდე მის პირად ინტერესებსა და იმ ინტერესებს შორის, რომელსაც იგი უნდა გამოხატავდეს, როგორც მომავალი დაქირავებული მუშაკი - მესაკუთრის აგენტი. მოცემულ კონფლიქტებს მიყვავართ აქციონერთა ტრანზაქციური ხარჯების წარმოშობასთან - აგენტის ხარჯებთან.

*მსხვილ აქციონერებს* - რომლებიც ფლობენ აქციათა მსხვილ პაკეტს, შესწევთ უნარი გავლენა მოახდინონ საწარმოს მართვაზე ანუ განსაზღვრონ გადაწყვეტილების მიღება. მსხვილი აქციონერების ინტერესები, როგორც წესი, მიმართულია საწარმოს მართვისკენ, საკუთარი ინტერესების რეალიზების მიზნით.

დივიდენდის მიღებაზე უფლების მოპოვება მსხვილი აქციონერებისათვის არ წარმოადგენს პრიორიტეტს, რადგან ამ შემთხვევაში მათ მოუწევთ დივიდენდების გაყოფა სხვა აქციონერებთან. მსხვილი აქციონერები, შემოსავლების გადიდების მიზნით, უპირატესობას ანიჭებენ მიღებული მოგების რეინვესტირებას და სხვა მსგავს მეთოდებს, რომელთა გამოყენება მათ შეუძლიათ საწარმოს მართვის პროცესში მონაწილეობის მეშვეობით (ფასების ტრანსფორმაციის მექანიზმი, საწარმოში თავისი წარმომადგენლებისათვის ანაზღაურების მაღალი განაკვეთების დანიშვნა).

*წვრილი აქციონერების* ჯგუფში შედიან ჩვეულებრივი და პრივილეგირებული ცალობრივი აქციის მფლობელები. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს განცალკევებულად არ შესწევთ ძალა ზეგავლენა მოახდინონ საწარმოში გადაწყვეტილების მიღებაზე, ამიტომ, როგორც წესი, ისინი გვევლინებიან აქციების პასიურ მფლობელებად და არ ღებულობენ მონაწილეობას კორპორაციულ ქმედებებში. წვრილი აქციონერები, ძირითადად, დაინტერესებულნი არიან ინვესტირებიდან შემოსავლის მიღებით დივიდენდის ფორმით ან ფასიანი ქაღალდების საკურსო განაკვეთის ზრდით.

*კრედიტორები* - ობლიგაციების მფლობელები - მფლობელ საწარმოსათვის ფიქსირებული თანხის მოთხოვნის უფლებას ანუ მათ აქვთ უფლება გარკვეული დროის შემდეგ მიიღონ წინასწარ განსაზღვრული თანხები, რაც განმტკიცებულია საწარმოს შესაბამისი ვალდებულებით განახორციელოს მითითებული გადახდები.

კრედიტორების - ობლიგაციების მფლობელების - ინტერესები, მდგომარეობს იმაში რომ მათი უფლებები საწარმოში იქნას რეალიზებული, ანუ მათ აქვთ უფლება დროულად და სრული მოცულობით მიიღონ გადახდები მოცემული უფლების რეალიზებაზე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

ფირმის, როგორც სააქციო საზოგადოების ფუნქციონირების პროცესში სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობები და მათი აღმოფხვრის მეთოდები წარმოადგენს კორპორაციული მართვის სისტემის საგანს და შემადგენელ ნაწილს.

დღეისათვის კორპორაციული მართვის სისტემის ერთიანი გაგება მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს. დღემდე, ამ ტერმინის ზუსტი განმარტება და შინაარსი დადგენილი არ არის.

ტერმინი „კორპორაციული მართვა“ (Corporate Governance) პირველად 1984 წელს გამოიყენა პროფესორმა რობერტ იან (ბობ) ტრიკერმა თავისი ნაშრომის სათაურად და იგი დღემდე სამართლიანად ითვლება ამ ტერმინის ფუძემდებლად. მანვე გამიჯნა ერთმანეთისაგან კორპორაციული მართვა და ბიზნესის მენეჯმენტი.

მსოფლიო ბანკის ყოფილი პრეზიდენტის - ჯეიმს ვულფენსონის განმარტებით, „კორპორაციული მართვა ეხება კომპანიების კეთილსინდისიერებას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას; ეფექტური კორპორაციული მართვა ისეთივე საკვანძოა ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორც ეფექტური საჯარო მმართველობა“ [5, გვ. 1]. Financial Times -ის 1997 წლის განმარტების თანახმად: „კორპორაციული მართვა“, ვიწრო გაგებით, შეიძლება განიმარტოს, როგორც კომპანიის ურთიერთობა თავის აქციონერებთან, უფრო ფართო გაგებით კი - როგორც მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან“. სხვა განმარტებით, „კორპორაციული მართვა“ არის ეკონომიკის დარგი, რომელიც იკვლევს, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი კორპორაციების ეფექტური მენეჯმენტი ისეთი მასტიმულირებელი მექანიზმებით, როგორიცაა კონტრაქტები, კანონმდებლობა“ [6, გვ. 4].

კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს ავტორები რობერტ ა. ჯ. მონსკი და ნელ მინოუ ფართო აზრს ღებენ ზემოთ აღნიშნულ ცნებაში და კორპორაციულ მართვას განიხილავენ, როგორც

ურთიერთობებს სხვადასხვა მხარეებს შორის, კორპორაციის ეფექტური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის [7, გვ. 1].

კორპორაციული მართვის სისტემის შედარებით უფრო ვიწრო ფორმულირება ეკუთვნის ა. შლაიფერს და რ. ვიშნის [8, გვ. 52]. ისინი მას განიხილავენ როგორც ხერხს, რომლის საშუალებითაც სამეურნეო პროცესის მონაწილენი, კორპორაციისათვის ფინანსური რესურსების მიცემით, უზრუნველყოფენ შემოსავლების მიღებას მათ კუთვნილ დაბანდებებზე. აღნიშნული განმარტების თანახმად, კორპორაციული მართვის სისტემა ეხება მხოლოდ ფინანსური რესურსების მესაკუთრეთა და კომპანიას შორის ურთიერთობებს, რომელიც მიმართულია შემოსავლის მისაღებად, სხვა დაინტერესებული ჯგუფების ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

თავის მხრივ, საკითხის ირგვლივ საკუთარი მოსაზრებები გააჩნიათ რუს ეკონომისტებს, კერძოდ, ა. რადიგინი, ვ. გუტნიკი, გ. მალგინოვი კორპორაციული მართვის სისტემას განიხილავენ, როგორც სააქციო საზოგადოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც განპირობებულია საკუთრებითი ურთიერთობებით მესაკუთრე სუბიექტებს შორის, და ასევე ურთიერთობებით ამ სუბიექტებსა და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს შორის [9, გვ. 60].

ამავე დროს რუსი ეკონომისტები: ა. შახვერდიევი, ნ. გუსიატნიკოვი, ი. ბელიკოვი განიხილავენ კორპორაციული მართვის სისტემას ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით, კორპორაციული მართვის სისტემა თავის თავში მოიცავს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ, სამართლებრივ და მმართველობით ურთიერთობებს ეკონომიკურ ურთიერთობაში მყოფი სუბიექტებისა, რომელთა ინტერესი დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობასთან. ვიწრო გაგებით, კორპორაციული მართვის სისტემა არის წესებისა და სტიმულების სისტემა, რომელიც კომპანიის მმართველებს უღვიძებს ინტერესს იმოქმედონ აქციონერების ინტერესებიდან გამომდინარე [10, გვ. 29].

ჩვენი აზრით, კორპორაციული მართვის სისტემის განმარტების შედარებით ყველაზე მისაღები ვარიანტია ა. რადიგინის, ვ. გუტნიკოვის და გ. მალგინოვის მიერ ჩამოყალიბებული განმარტება, რომელიც ასახავს მოცემული პროცესის ყველა მხარეს. ვიღებთ რა მას საფუძვლად, ვამატებთ და ვაზუსტებთ შემდეგნაირად: კორპორაციული მართვის სისტემა - ეს არის ურთიერთობათა და ურთიერთმოქმედების სისტემა კომპანიის მენეჯერებს, მფლობელებს და ინვესტორებს შორის, კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფისა და მფლობელებისა და ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების (კრედიტორები, პარტნიორები, კლიენტები, კომპანიის პერსონალი, რეგიონული ხელისუფლება და ა. შ.) ინტერესების დაცვის საკითხებზე.

კორპორაციული მართვის სისტემის საფუძველს წარმოადგენს აზრის გამოთქმის და კომპანიის მენეჯერთა საქმიანობაზე ეფექტური შიდა კონტროლის განხორციელება მათი მფლობელების (ინვესტორების) სახით, რამდენადაც სწორედ ამ უკანასკნელთა მიერ მოწოდებული სახსრებით, კომპანიამ შეძლო დაეწყო საკუთარი საქმიანობა და შეექმნა ნაყოფიერი ნიადაგი სხვა დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობისათვის [11].

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Standard & Poors კორპორაციული მართვის შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: „კორპორაციული მართვა - ეს არის გზა, რომელიც კომპანიას აძლევს საშუალებას დანერგოს ორგანიზებისა და მართვის ისეთი მექანიზმები, რის მიხედვითაც კომპანიის ყველა ფინანსურად დაინტერესებული მხარე შეძლებს მიიღოს კომპანიის შემოსავლებისა და აქტივების სამართლიანი ფასი“ [12, გვ. 237]. ინსტიტუციურ ინვესტორთა საბჭოს ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი *სარა ტესლიკი* კი კორპორაციულ მართვად მიიჩნევს იმას „...რასაც საკუთარი შენაძენისათვის აკეთებ. ეს მარტივია - თითოეული ჩვენგანი თავის საკუთრებაზე ზრუნავს. მით უმეტეს, თუ საქმე აქციებს ეხება. სასაცილოა ვარაუდი, რომ კორპორაციული მართვა რაიმე ახალი, საშიში ან რთულია, ადამიანები, ჩვეულებრივ ზრუნავენ საკუთრებაზე და კორპორაციული მართვაც სწორედ ესაა, მხოლოდ ბინჯეს-გარემოსა და ბიჯნეს-ჭრილში“.

საერთო წესების ერთობლიობა, პოტენციურ ინვესტორებს საშუალებას აძლევს მიიღონ ნათელი სურათი იმის შესახებ, თუ რომელი მმართველობითი პრინციპების საფუძველზე მოქმედებს ესა თუ ის კომპანია, ვინ არის მისი მფლობელი, როგორია მისი საქმიანობის ეფექტიანობის ხარისხი. ყოველივე ეს კი ერთობლიობაში ქმნის *კორპორაციული მართვის სისტემის არსს*.

უცხოელ ინვესტორთა მიერ მათი გაგებული და აღიარებული წესების არსებობა, და ეროვნული კომპანიების მიერ მათი დაცვა წარმოადგენს კაპიტალის მოზიდვის პროცესში მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას. ქართული ბიჯნესის ცნობიერებაში თანდათან იზრდება იმის გაცნობიერება, რომ კორპორაციული მართვის ეფექტური პრინციპების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ინვესტორთა ნდობის მოპოვებას და ამის შედეგად შესაძლებელი გახდება დაფინანსების შედარებით იაფი და სტაბილური წყაროების მოძიება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კორპორაციული მართვა შეიძლება განვმარტოთ, როგორც წესების, რეგულირებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის მიმართულებას და მის წარმატებას.

სწორია ამიტომ მოსაზრება, რომლის თანახმად, „კორპორაციული მართვა არის სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიები იმართება და კონტროლდება, რეგულირდება ურთიერთობები კომპანიის მენეჯმენტს, დირექტორთა საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის“ [13, გვ. 11], მართებულად არის საყოველთაოდ აღიარებული.

ეთგო-ს სპეციალისტების მიერ 2004 შემუშავებულ *კორპორაციული მართვის პრინციპებში* წარმოდგენილია კორპორაციული მართვის განხორციელების ერთიანი ინდიკატორები, სხვადასხვა ნაციონალური სამართლებრივი სისტემებისათვის. მათ მიეკუთვნება:

1. *აქციონერთა უფლებები*: კორპორაციული მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს აქციონერთა უფლებების დაცვა. ძირითადს განეკუთვნება უფლება: საკუთრების უფლების რეგისტრაციის საიმედო მეთოდებზე; აქციების გასხვისებაზე ან გადაცემაზე; კორპორაციის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის დროულ და რეგულარულ საფუძველზე მიღებაზე; აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობასა და ხმის მიცემაზე; კორპორაციის მმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე; კორპორაციის მოგებაში წილის მიღებაზე [13, გვ. 109].

2. *აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა*: კორპორაციული მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობა, წვრილი აქციონერებისა და უცხოელი ინვესტორების ჩათვლით.

3. *დაინტერესებულ პირთა როლი*: კორპორაციული მართვის სტრუქტურა უნდა აღიარებდეს დაინტერესებული მხარეების უფლებებს, რომელიც მათ კანონით ან ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე აქვთ მინიჭებული და ხელს უნდა უწყობდეს თანამშრომლობას კორპორაციებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის სამუშაო ადგილების შექმნაში, კეთილდღეობის ამაღლებასა და საწარმოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

4. *ინფორმაციის გახსნა და გამჭვირვალობა*: კორპორაციული მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დროულად და ზუსტად გახსნა კორპორაციის შესახებ ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო, მათ შორის, ინფორმაციისა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, მუშაობის ხარისხის, საკუთრებისა და მართვის შესახებ.

5. *სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები*: კორპორაციული მართვის სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს კომპანიის სტრატეგიულ მართვას, კომპანიის ადმინისტრაციაზე სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელებასა და თვით სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულებას კომპანიისა და მისი აქციონერების წინაშე.

*კორპორაციული მართვის ეროვნულ სისტემის შეფასება შესაძლებელია მისი მოდელით.* მსოფლიოში არსებული *კორპორაციული მართვის მოდელების* მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა მათგანი შესაძლოა დავეყოს სამ ძირითად ჯგუფად: ანგლო-ამერიკული, გერმანულ-ლი და იაპონური.

*კორპორაციული მართვის ამერიკული მოდელის* თავისებურებანი უშუალოდ დაკავშირებულია აშშ-ში აქციონერული საკუთრების თავისებურებებთან, კერძოდ, ამერიკულ კორპორაციებში არ არსებობს მსხვილი, სხვა დანარჩენზე დომინირებული კაპიტალი [14]. აქციონერული კაპიტალი ამერიკულ კორპორაციებში მნიშვნელოვანი ხარისხით გაფანტულია, ამასთან, აშშ-ის კორპორაციათა უამრავ რაოდენობას საკუთარ რეესტრებში არ მოემბენებათ ისეთი ინდივიდიალური ან ინსტიტუციონალური აქციონერი, რომლის წილიც შეადგენდა კომპანიის მთლიანი კაპიტალის ერთ პროცენტზე მეტს. შედეგად, აქციონერთა არცერთ ჯგუფს არ შეუძლია წარადგინოს პრეტენზია დირექტორთა საბჭოში განსაკუთრებულ წარმომადგენლობაზე.

ამ მოდელის მეორე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ აქციათა უმრავლესობა არ ეკუთვნის ინდივიდიალურ ინვესტორებს და კონცენტრირებულია ინსტიტუციონალური ინვესტორების - საპენსიო და საპაიო ფონდების - ხელში. ამ ინვესტორებს, კონცენტრირებული აქვთ რა საკუთარ ხელში აქციონერული კაპიტალის 50%-ზე მეტი, აქვთ ლტოლვა უმოკლეს დროში მოგვევლინონ კომპანიებში ფინანსური მენეჯერების როლში: ისინი არ ცდილობენ საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდეთ დირექტორთა საბჭოებში და, როგორც წესი, გაურბიან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას, საკუთრების უფლებებიდან გამომდინარე, იმ კომპანიებში, რომლებშიც ისინი ფლობენ აქციების მსხვილ პაკეტებს. აქციონერული კაპიტალის გაფანტულობა აადვილებს აქციების გადასვლას ერთი მესაკუთრის ხელიდან მეორის ხელში: წვრილ აქციონერს უფრო იოლად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მისი კუთვნილი აქციების გაყიდვის შესახებ, ვიდრე მსხვილ აქციონერს, რადგან აქციების პაკეტის გაყიდვა მისთვის ხშირად სტრატეგიული გეგმების შეცვლის მომასწავებელია და შეიძლება მას მოჰყვეს დანაკარგები გასაყიდ აქციებზე საკურსო ღირებულების დაცემის გამო.

კორპორაციული მართვის გერმანული მოდელის თავისებურებანი დაკავშირებულია იმასთან, რომ ამერიკულსგან განსხვავებით, გერმანული აქციონერული კაპიტალის დიდი ნაწილი იმყოფება სხვა კომპანიების მფლობელობაში: კომპანიათა ურთიერთ მონაწილეობის სისტემა, აქციათა ფლობის თვალსაზრისით, გერმანიაში მოიცავს ერთობლივი აქციონერული კაპიტალის ნახევარზე მეტს [15, გვ. 45]. თუმცა, ინდივიდუალური ინვესტორები არიან გერმანიაში აქციონერების მეორე მსხვილი ჯგუფი (მათ ხელშია გერმანულ კომპანიათა აქციების დაახლოებით 16%), მათი აქციების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია სერტიფიკატებით წარმოდგენზე, რომელსაც მათი მფლობელების მითითებით მართავენ ბანკები, სადაც კონცენტრირებულია ინდივიდიალურ აქციონერთა აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი.

აქციების გამოშვების გზით დაფინანსების მნიშვნელობის რამდენადმე გაზრდის მიუხედავად, გერმანული კომპანიებისათვის აქციონერული კაპიტალი არ წარმოადგენს ფინანსურ საშუალებათა ძირითად წყაროს. ტრადიციულად, ისინი იყენებენ ბანკების მომსახურებას, როგორც საგარეო დაფინანსების ძირითად წყაროს. შედეგად, გერმანელი აქციონერები შედარებით ნაკლებად ინტერესდებიან საფონდო ბაზრის საქმიანობით და გააჩნიათ შეუდარებლად ნაკლები შესაძლებლობები, მათ ამერიკულ კოლეგებთან შედარებით, გამოხატონ საკუთარი უკმაყოფილება ამა თუ იმ კომპანიის მენეჯმენტის მიმართ, მათი აქციების მასობრივი გაყიდვისას. გერმანიაში პრაქტიკულად არ არსებობს „კორპორაციული კონტროლის“ ბაზარი - კომპანიათა მტრული შერწყმები და შთანთქმები ხორციელდება შთანთქმულ კომპანიათა მენეჯმენტის სურვილით, თავისუფალ ბაზარზე მათი აქციების შესყიდვის გზით. ასეთი ოპერაციების უმრავლესობა ხორციელდება ე.წ. „მეგობრული“ შერწყმის და შექმნის გზით.

გერმანული ეკონომიკის მრავალწლოვან ტრადიციას წარმოადგენს მისი სოციალური მიმართულება, ორიენტაცია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების აქტიურ თანამშრომლობაზე ერის კეთილდღეობის ამაღლების სახელით მთლიანობაში [16, გვ. 34]. ამან მიიღო პრინციპში „ურთიერთგანპირობებულობის“ გამოთქმა, რომელიც ცალკეულ ჯგუფებს, რომლებიც არ არიან მოცემული კომპანიის აქციონერები, მაგრამ დამოკიდებულნი არიან მისი ამა თუ იმ გადაწყვეტილებისაგან, შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ მათს გადაწყვეტილებებში. საზოგადოებრივი ვალდებულებები კერძო საკუთრებაზე გერმანიაში უფრო გამოკვეთილი და მასშტაბურია, ვიდრე აშშ-ში.

იაპონური კორპორაციული მართვის თანამედროვე მოდელი თავის თავში მოიცავს იაპონიის განვითარების ორი ფაქტორის სიმბიოზს - ღრმა ტრადიციებსა და კულტურას და ომისშემდგომი პერიოდის გარე ძალების ზეგავლენას [17, გვ. 35]. ომისწინა პერიოდში იაპონიის ეკონომიკა ეფუძნებოდა არც თუ ისე დიდი რაოდენობის საფინანსო-სამრეწველო კონგლომერატების - „ზაიბატსუ“-ს - საქმიანობას, რომელთა საკუთრებაც თავმოყრილი იყო რამოდენიმე საოჯახო კლანის ხელში. მარშალის გეგმის რეალიზაციამ (აშშ-ის სამართლებრივი რეგულირების კოპირებამ), რომელიც ითვალისწინებდა ომისშემდგომი ეკონომიკის აღდგენას, მოითხოვა ეკონომიკის დემილიტარიზაცია და დემონოპოლიზაცია და ასევე „ზაიბატსუ“-ს დეზინტეგრაცია. ამ ამოცანების გადაჭრა დავალა მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს. როგორც თვლიან, სამინისტრომ ამ ამოცანების რეალიზაცია მოახერხა იაპონელებისათვის დამახასიათებელი წარმატებულობით. ერთი მხრივ, იგი, ასრულებდა „ზაიბატსუ“-ს აქციონირების მოთხოვნებს, ხოლო მეორე მხრივ, შენარჩუნებული იქნა კომპანიაში ურთიერთკავშირის მაღალი დონე, აქციების ჯვარედინი ფლობის გამოყენებით. ამ ეტაპზე იაპონური კომპანიები ერთმანეთში ცვლიდნენ აქციების პაკეტებს და არაფორმალურად თანხმდებოდნენ არ გაეყიდათ ეს პაკეტები. ამდენად, შენარჩუნდა კონცენტრირებული კონტროლი კომპანიებზე, იმ დროს, როდესაც ფორმალურად საკუთრება იყო მნიშვნელოვნად დაქსაქსული. ეს იყო ერთ-ერთი იმ პროცესებიდან, რომელმაც იაპონია მიიყვანა თანამედროვე საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების - ე.წ. „კეირეტსუ“-ს - ფორმირებამდე.

გამსხვილების პროცესი ხორციელდებოდა მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროებში, საბანკო სექტორის მოცვის გარეშე. შემდგომ იაპონიის მთავრობამ შეიმუშავა განვითარების საკუთარი პროგრამა, ჩამოაყალიბა რა მისი პერსპექტიული მიმართულებები. მიზნების რეალიზაციისათვის განხორციელდა არსებული ფინანსური რესურსების კონცენტრაცია და იგი განაწილდა ექვს მსხვილ ბანკს შორის. ბანკები ვალდებული იყვნენ დამოუკიდებლად განეხორციელებინათ ინვესტიციური პროცესები, ყველა რისკის საკუთარ თავზე აღებთ. ამ ბანკების გარშემო კონცენტრირებული იქნა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა ჯგუფები.

ამრიგად, კორპორაციული მართვის სისტემა მოიცავს აქციონერების, მენეჯერების, დასაქმებულების, მომწოდებლების, ინვესტორებისა და სახელმწიფოს სამართლებრივ, ინსტიტუციონალურ და ეთიკურ გარემოებათა ერთობლიობას. კორპორაციული მართვის ძირითადი მოდელებს შორის არსებობს იურიდიული და ინსტიტუციონალური ხასიათის განსხვავება და მასთან დაკავშირებული კორპორაციული საკუთრების თავისებურებანი.

## ლიტერატურა:

1. Кондратиев В. Корпоративное управление: особенности и тенденции развития // Проблемы теории и практики управления. - 2002. №1. С. 27-33.
2. Demsetz H. The Firm in Economic Theory: A Quiet Revolution // American Economic Review. - 1997. V. 2. - P. 542.
3. Коуз Р. Фирма, рынок и право. - М., 1993. - 587 с.
4. Лосев С. В. Учет конфликтов интересов при эмиссии ценных бумаг // [http:// www. Mirkin. Ru](http://www.Mirkin.Ru).
5. CACG Guidelines – Principles of Corporate Governance in the Commonwealth towards global competitiveness and economic accountability. - November, 1999.
6. ა. სვანიძე, რა არის კორპორაციული მართვა?// ჟურნ. „კორპორაციული მართვა“. - თბილისი, 2003, № 1. გვ. 3-8.
7. Robert A. G. Monks and Nell Minow. Corporate Governance. Blackwell Publishers. Cambridge MA. 1995.
8. Shleifer A., Vishny R. A Survey of Corporate Governance // Journal of Finance. 1997. V. 52.
9. Алексеев А. Лебедев И. В поисках эффективного корпоративного управления//Управление компаний. - 2002. № 2. - С. 57-63.
10. Шахвердиев А. П., Гусятников Н. В., Беликов И. В. Корпоративное управление. - М.: ИЦ Акционер, 2001.
11. Беликов И. Совладельцы и менеджеры // [http://www. rid. Ru](http://www.rid.Ru).
12. Bradley, Nick, “Corporate Governance: A risk worth measuring?”; Collection “Corporate Governance and Practice”; D. Geeta Rani, R.K. Mishra. - New Delhi, 2008.
13. ეთგო-ს კორპორაციული მართვის პრინციპები. - თბილისი, 2004.
14. Беликов И. Основные модели корпоративного управления в странах с развитой рыночной экономикой // [http://www. CorpGovuz. Org](http://www.CorpGovuz.Org).
15. Пособие по корпоративного правлению: В 6 т. – М.: Альпина Бизнес Букс. 2004.
16. Радыгин А. Собственность, корпоративные конфликты и эффективность // Вопросы экономики. - 2000. №11. - С. 32-36.
17. Райханова Р. Для „маленькой“ такой компании – огромный такой секрет // Технология управления. - 2001. №9. - С. 34-37.

## **THE ESSENCE, PRINCIPLES AND NATIONAL MODELS OF CORPORATE GOVERNANCE**

**Kakhaber Zhghenti**, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia,

PhD Student

### **RESUME**

Corporate governance can be defined as rules, regulations and processes that determine the direction of the company and its success.

OECD's corporate governance principles developed in 2004 by specialists in the corporate governance of the common indicators, the different national legal systems. These include: 1. Shareholders' Rights; 2. The fair treatment of shareholders; 3. The role of stakeholders; 4. Disclosure of information and transparency; 5. The obligations of the Supervisory Board: corporate governance structure to ensure the company's strategic management of the company's administration of the Board of Supervisors to the effective monitoring and accountability of the supervisory board of the company and its shareholders.

Corporate management system includes the shareholders, managers, employees, suppliers, investors and the legal, institutional and ethical totality of the circumstances. The basic models of corporate governance there are legal and institutional differences, and related corporate proprietary features.

## ფაზური გადასვლები ეკონომიკური პროცესების დინამიკის კვლევისათვის

ვალადა სესაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი  
ნელი სესაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
გელა ჭიკაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:** ფაზური გადასვლები, ეკონომიკური სისტემა, საწარმოთა შერწყმა, შთანთქმა, მდგრადი განვითარება, ბიფურკაცია

კლასიკური მათემატიკური მეთოდები გვამძლევენ საშუალებას გამოვიკვლიოთ და აღვწეროთ მხოლოდ ხანგრძლივად მოქმედი კრიზისული მოვლენები. ხოლო ფაზური გადასვლების თეორია წარმოადგენს მკვეთრი, ნახტომისებური და უეცარი თვისობრივი ცვლილებების შესწავლის მეთოდს.

ფიზიკაში ტერმინი, ფაზური გადასვლები განმარტებულია, როგორც ნივთიერების თვისების დამახასიათებელი პარამეტრების ნახტომისებური ცვლილება.

თანამედროვე ეკონომიკა წარმოადგენს რთულ სისტემას, რომლის მდგრადად განვითარება მოითხოვს შესაბამის ინსტრუმენტებს სტრუქტურის ცვლილებების პროგნოზირებისათვის, ერთი სახის ეკონომიკური სტრუქტურის ახალ სტრუქტურად გარდაქმნისათვის. ეს აუცილებელია ოპტიმალური მმართველი ზემოქმედების ფორმირებისათვის და მიღებული შედეგების კონტროლისათვის [3, 4].

სისტემაზე, რომელიმე ეგზოგენური ფაქტორის მოქმედების შედეგად საჭირო ხდება ახალი თვისების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს სისტემის შეგუებას შეცვლილი პირობებისადმი. სისტემა აღმოჩნდება თავისებური ნახტომის, ევოლუციის წინაშე, რაც სინერგეტიკის ენაზე წარმოადგენს ბიფურკაციის წერტილს, რომლის დადგომის შემდეგ შესაძლებელია სისტემაში ქაოსისა და ენტროპიის წარმოქმნა. [1, 2].

ეკონომიკური ბიფურკაციის პროცესები ეკონომიკური სტრუქტურების სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრული ეტაპებია, რომლებიც შეესაბამებიან მათ გარდაქმნას, შერწყმას, დაყოფას დაშლას, და წარმოადგენენ ფიზიკური ფაზური გადასვლების ანალოგებს.

ფიზიკაში ტერმინი, ფაზური გადასვლები განმარტებულია, როგორც ნივთიერების თვისების დამახასიათებელი პარამეტრების ნახტომისებური ცვლილება.

ფაზური გადასვლების წარმოდგენილი განმარტება შესაძლებელია წარმატებით გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური პროცესებისათვის. ეკონომიკაში ფიზიკური ფაზური გადასვლების ანალოგიებს წარმოადგენს ეკონომიკური სისტემების სასიცოცხლო ციკლის ეტაპების განსაზღვრა, რომელთა დროსაც მიმდინარეობს სტატუსის ცვლილება, შერწყმა, ეკონომიკური სტრუქტურების დაყოფა და ა.შ. შემდეგ კი ახალი სტრუქტურების ადაპტაციის პროცესში გადასვლისას მისი ფუნქციონირების მექანიზმების შეცვლა [3]. განვიხილოთ ფაზური გადასვლების მაგალითი საწარმოთა შერწყმის და შთანთქმის მაგალითზე.

უნდა აღინიშნოს, რომ შთანთქმა და შერწყმა თანამედროვე პერიოდში წარმოადგენს პრაქტიკულ ყოველდღიურობას, რომელთაც იყენებს დღეს წარმატებულ კომპანიათა უმეტესობა. ვიდრე გადავიდოდეთ იმ საკითხების გარკვევაზე, შევხვით ტერმინოლოგიას. არსებობს განსხვავება. შერწყმის ცნების განმარტებაში საზღვარგარეთულ თეორიასა და პრაქტიკაში და საქართველოს კანონმდებლობაში.

საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, შერწყმაში იგულისხმება იურიდიული პირის რეორგანიზაცია, რომლის დროსაც თითოეული მათგანის უფლებები და მოვალეობები გადასაცემი აქტის შესაბამისად გადადიან ახლად შექმნილ იურიდიულ პირზე. მაგალითად, თუ  $A$  კომპანია უერთდება  $B$  და  $C$  კომპანიებს, შედეგად ბაზარზე იქმნება ახალი  $D = A + B + C$  კომპანია, დანარჩენი კომპანიები კი ლიკვიდირდება. საზღვარგარეთულ პრაქტიკაში კი შერწყმაში იგულისხმება რამდენიმე ფირმის გაერთიანება, რომლის შედეგად ერთი მათგანი ცოცხლობს, ხოლო დანარჩენი კი კარგავს დამოუკიდებლობას, წყვეტს არსებობას.

საზღვარგარეთულ პრაქტიკაში შერწყმა და შთანთქმა არ არის მკაფიოდ გამიჯნული, როგორც ეს ჩვენს კანონმდებლობაშია. კომპანიის შთანთქმა მასზე კონტროლის, საკუთრების აბსოლუტური ან ნაწილობრივი უფლების მოპოვებაა. სინერგეტიკული მოდელის ძირითადი დაშვება:

1. ორი ჯგუფის კომპანიათა არსებობა. ერთ ნაწილს ვუწოდებთ „კომპანია მსხვერპლს“, ხოლო მეორე ნაწილს „კომპანია მტაცებელს“. მათ განსხვავებს ის, რომ „კომპანია მსხვერპლი“ ფლობს ძირითადი კაპიტალის მცირე ნაწილს.



2. „კომპანია-მტაცებლის“ არარსებობის შემთხვევაში კაპიტალის დაგროვების სიჩქარე „კომპანია მსხვერპლში“ აღიწერება ლოჯისტიკური ფუნქციით.

3. „კომპანია მტაცებელი“ შეიძლება იმყოფებოდეს ან „კომპანია მსხვერპლის“ მიერთების ან განვითარების (ზრდის) მდგომარეობაში „კომპლექს-კომპანიის“ სახით, რომლებიც იქმნება ამ უკანასკნელთა მიერთებით პირველთან. გარკვეული დროის შემდეგ ეს უკანასკნელიც აღმოჩნდება „კომპანია მსხვერპლის“ მიერთების მდგომარეობაში.

4. კაპიტალის დაგროვება „კომპლექს-კომპანიებში“ მიმდინარეობს სოლოუს ერთსექტორიანი მოდელის შესაბამისად შრომითი რესურსების გამოყენებაში სინერგეტიკული ეფექტის გათვალისწინებით.

საკვლევი მოდელი აღწერს კომპანიათა როგორც მეგობრულ, ისე არამეგობრულ შერწყმას ან შთანთქმას ინტეგრაციის ნებისმიერი ფორმის დროს (ჰორიზონტალური, ვერტიკალური და ა.შ.). ჰორიზონტალური შერწყმა - ერთი დარგის კომპანიათა გაერთიანებაა, რომლებიც ერთსა და იმავე ნაკეთობას აწარმოებენ და ახორციელებენ წარმოების ერთსა და იმავე სტადიას; ვერტიკალური შერწყმა - სხვადასხვა დარგის კომპანიათა გაერთიანებაა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მზა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესით, კომპანია-მყიდველის საქმიანობის გაფართოება ნედლეულის მოპოვებიდან საბოლოო პროდუქციის დამზადებამდე.

საკვლევი მოდელი ითვალისწინებს კომპანიების როგორც მეგობრულ, ისე არამეგობრულ შერწყმა-შთანთქმას, მათი ინტეგრაციის ნებისმიერი (ჰორიზონტალური, ვერტიკალური) ფორმის დროს და წარმოადგენენ ვოლტერის სისტემის ნაირსახეობას. შერწყმისა და შთანთქმის შედეგად მიმდინარეობს კაპიტალის სრული ან ნაწილობრივი გადასვლა ერთი ფორმიდან მეორეში და გამოიყენება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ქმნიან კლასტერებს, ჰოლდინგებს და სხვ. [2];

შესასწავლი მოდელის განტოლებათა საწყისი სისტემა ჩაიწერება სახით:

$$\dot{x} = A + \lambda x(1 - x/N) - \theta xy \quad (1)$$

$$\dot{y} = -\theta xy + s/\tau_r F(K, z \times L)/L - \lambda y \quad (2)$$


$$\dot{k} = sf(k, z) - (\delta + n)k \quad (3)$$

სადაც:  $\dot{x}$ ,  $\dot{y}$ ,  $\dot{k}$  - წარმოებულება დროის მიხედვით და ახასიათებს შესაერთებელი კომპანიებში ძირითადი კაპიტალის დაგროვებას —  $X$  „კომპანია მსხვერპლში“, -  $y$  „კომპანია მტაცებელში“, -  $k$  „კომპანია კომპლექსში“, რომელიც მიიღება პირველის მიერთებით მეორესთან. (1) ÷ (3) განტოლებებში  $x$ ,  $y$ ,  $k$  ცვლადები წარმოადგენენ შესაბამისი კომპანიების კაპიტალის დაგროვების ენდოგენურ ზღვრულ მაჩვენებლებს. ამასთან:  $x = X/L_1$ ,  $y = Y/L_2$ ,  $k = K/L$ .  $X, Y, K$  - შესაბამისი კომპანიების ძირითადი კაპიტალის აბსოლუტური მაჩვენებლებია,  $L_1, L_2, L = L_1 + L_2$  - ამ კომპანიებში დასაქმებულთა რიცხვია  $L = L_0 \times \exp(nt)$ , სადაც  $n$  - დასაქმებულთა რიცხვის წლიური მატების ტემპია. (1) განტოლება აღწერს ობიექტის ევოლუციას შეზღუდული რესურსებისა და კონკურენციის პირობებში, რაც ზღუდავს ეკონომიკურ ზრდას.  $A$  მუდმივა - წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების აბსოლუტურ სიჩქარეს „კომპანია-მსხვერპლში“, რომელიც დამოკიდებულია ბაზარზე ახალი კომპანიების გამოჩენასთან.  $\lambda$  - ამ კომპანიათა კაპიტალის მატების სიჩქარეა,  $N$  - კაპიტალის ბაზრის მოცულობაა. განტოლების უკანასკნელი წევრი აღწერს „კომპანია“ მსხვერპლის მიერთების პროცესს „კომპანია მტაცებელთან“. (1) განტოლება აღწერს „კომპანია მსხვერპლის“ მიერთებას „კომპანია მტაცებელთან“,  $\theta$  - კომპანიათა მიერთების ზღვრული სიჩქარეა.

(1)-(3) განტოლებათა სისტემის ბიფურკაციული ანალიზი ჩატარდა **Maple** პროგრამულ პროდუქტში.

„კომპანია მსხვერპლში“ კაპიტალის მატების ტემპის აბსოლუტური სიჩქარის  $b$  ზრდასთან ერთად მუდმივად მცირდება შთანთქმისა და შერწყმის ხვედრითი წილი  $\bar{y}$  შრომითი რესურსების ერთეულზე ცვლილებების მთელ ველში  $C < C_C$  მნიშვნელობისას („კომპანია მსხვერპლების“ ეფექტური ზრდისას ისინი გაურბიან მეგობრულ შეერთებებს). როცა  $C < C_C$  კომპანია-მსხვერპლთა ეფექტური განვითარების დროს ისინი გვერდს უვლიან მეგობრულ შეერთებასაც კი. როცა სრულდება პირობა

$C > C_C$ , მაშინ  $\bar{y}$ -ის შემცირება მიმდინარეობს უწყვეტად მხოლოდ  $b$  მნიშვნელობამდე, რაც შეესაბამება მოზრუნების წერტილს (წერტილი  $LP1$ ) გზის ჰისტერეზისულ ნაწილში.



ნახ. 1. (1)- (3) განტოლებათა სისტემაში  $\bar{y}$  სტაციონარული მნიშვნელობის დამოკიდებულება  $b$  პარამეტრზე  
 $A_1 = 0,3; \gamma = 11; \alpha = 0,8; \beta = 0,5;$

მნიშვნელობის შემდეგი შემცირების დროს სრულდება ნახტომი,  $\bar{y}$  მნიშვნელობა ეცემა სტაციონარული მნიშვნელობის ქვედა ტოტამდე. უკუმიმართულებით ჰისტერეზისული მრუდზე მოძრაობისას ნახტომი სრულდება  $LP2$  წერტილში.


ჰისტერეზისულ მრუდზე ამ წერტილებს შორის არე წარმოადგენს არამდგრადი მდგომარეობების არეს, ხოლო არე, რომელიც მდებარეობს  $LP1$  წერტილს ზემოთ და  $LP2$  წერტილს ქვემოთ წარმოადგენს მდგრადი მდგომარეობათა არეს.

ექსპერიმენტალური მონაცემების დამუშავება განხორციელდა უმცირეს კვადრატთა მეთოდით, რომელიც გამოყენებული იქნა კატასტროფების თეორიაში.

პოტენციალურ ფუნქციის სახით გამოყენებული იქნა მატერიალური დანახარჯების  $M$  ფარდობა ხელფასთან  $B$ . ეს პოტენციალური ფუნქცია დამუშავებული იქნა შემდეგი სახის მეოთხე ხარისხის პოლინომით [1]:

$$M/B = d_0 + d_1 + d_2 u^2 + d_3 u^3 + d_4 u^4 \quad (4)$$

სადაც  $d_0 \div d_4$  განისაზღვრება სტატისტიკური მონაცემებიდან. კატასტროფების თეორიის მიხედვით ამ სახის პოლინომი გვაძლევს წონასწორობის სამ წერტილს, რომელთაგან ორი არის მდგრადი.



ნახ.2. პოტენციალური ფუნქციის დამოკიდებულება  $u=B/L$ -ზე, სადაც  $B$  ჯამური ხელფასია აღნიშნულ პერიოდში, ხოლო  $L$  შრომის ანაზღაურების ფონდია,  $M$  - მატერიალური დანახარჯები.

$M/B$  სამინიმიზირებელ ფუნქციას გააჩნია ორი მდგრადი მინიმუმი, რომლებიც დაახლოებით ერთმანეთის ტოლია. მარჯვენა მინიმუმი შეესაბამება სისტემის წონასწორობის პირობას, როდესაც შრომის ანაზღაურების ფონდი მცირეა. შევნიშნოთ, რომ მინიმუმის მდებარეობა შეესაბამება ბიფურკაციის წერტილების მდებარეობას  $LP1$  და  $LP2$  (ნახ.1). მინიმალური მნიშვნელობებიდან გადახრა შეესაბამება წონასწორობის მდგომარეობას.

ეკონომიკური ზრდის მოდელი სინერგეტიკული მოდერნიზებული მიდგომის, შეერთება შთანთქმის გათვალისწინებით, გავაკეთეთ დასკვნა, რომ ამ პროცესში ადგილი აქვს ბისტაბილურობას და ნახტომისებური გადასვლას ერთი წონასწორობიდან მეორეში (ბიფურკაციული პროცესი).

კომპანიის განვითარების ტრანექტორიის ნახტომისებური ცვლილება - კომპანიის ხელმეორედ დაბადება, ახალი თვისების წარმოშობა წარმოადგენს პირველი გვარის ფაზურ გადასვლას. ამასთან ახალი სტრუქტურა შესაძლებლობას აძლევს სისტემას გადავიდეს განვითარების ახალ ტრანექტორიაზე, რომელიც განსხვავებული იქნება ენტროპიის წარმოქმნის დაბალი სიჩქარით. ეს კი შესაძლებელი იქნება კომპანიის მიერ საკმარისად დიდი რესურსების შექმნის ხარჯზე, ინვესტიციების მიზიდვის, კრედიტების, თავისი საქონლის გაყიდვების შემოსავლების, მომსახურების, ახალ ბაზარზე ტექნოლოგიების და ა.შ. ან პირიქით ამ რესურსების დაკარგვით. ამასთან კომპანია იღებს ახალ სტატუსს (მდგომარეობას): მაღალი ბრუნვადი კომპანია ზრდადი ბრუნვით ან სხვა დაბალშემოსავლიანი კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობა კლებად ბრუნვით.

#### ლიტერატურა:

1. ა. გუგუშვილი, მართვის თეორია, სინერგეტიკა, მესამე ნაწილი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2000, 869 გვ.
2. ვ. სესაძე, ნ. სესაძე, სინერგეტიკა ეკონომიკური სისტემების კვლევაში, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008, 240 გვ.
3. Колемаев, В. А., Математическая экономика / В. А. Колемаев. М., ЮНИТИ, 2002.
4. Садченко К.В., Экономические фазовые переходы и пирамидальный жизненный цикл компаний <http://Ephes.ru/articl/content/article.php?art=3asadchenko.htm>.

## PHASE TRANSITIONS FOR THE RESEARCH OF THE DYNAMICS OF ECONOMIC SYSTEMS

**Valida Sesadze**, Georgian Technical University, Professor

**Neli Sesadze**, Georgian Technical University, Associate Professor

**Gela Chikadze**, Georgian Technical University, Associate Professor

### RESUME

The problems in the world economy, permanent economic crisis, recession, falling, growth, recovery, depression is a proof of the fact that in spite of the remarkable progress of the twentieth century, the economic theory suffers from a systemic crisis. Economists recognize the inadequacy of the underlying models of axioms, that result in a substantial number of unanswered questions in the economic sphere. Experts are often weak macroeconomic theory based on the model of not only economic problems to solve, but simply predict it. Using a variety of disciplines that ground the analysis of economic problems, the article analyzes the possibility of using the phase transition in the economy.

**Keywords:** phase transitions, the economic system, Mergers, acquisitions and sustainable development, bifurcation

## ღვინის ტურიზმი - საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პერსპექტიული მიმართულება

**მაკა სოსანიძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
E-mail: m.sosanidze@mail.ru

**ლალი ოსაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
E-mail: l.osadze@gmail.com

**ლალი ვარდიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი  
E-mail: l.vardishvili@mail.ru

ღვინის ტურიზმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებულ ბიზნესად და საკუთარი კულტურის დემონსტრირების ეფექტურ საშუალებად ითვლება. ღვინის ადგილი ტურიზმში ქვეყანაში არსებული რესურსებისა და შესაძლებლობებით განისაზღვრება. იგი კულტურის ნაწილი და სარფიანი შემოსავალია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისათვის.

დაახლოებით ოთხი წელია, რაც მთელ მსოფლიოში ღვინის ტურიზმის ბუმი დაიწყო. ღვინის მწარმოებელი ქვეყნები ცდილობენ, რომ საკუთარ ღვინის ქარხნებსა თუ პატარა მარნებში მოაწყონ ისეთი ინფრასტრუქტურა, სადაც ტურისტებს ღვინის გარდა სხვა მნიშვნელოვან მომსახურებასაც შესთავაზებენ (გართობა, ღვინოსთან დაკავშირებულ პროცესებში ჩაბმა, რთველში მონაწილეობა, ღვინის დაწურვა, კერძების დეგუსტაცია და სხვ.). ამ კუთხით საქართველოს უპირატესობა, უცხოელი ღვინის ექსპერტების აზრით, ისაა, რომ საქართველოში შემორჩენილია ტრადიციული მეღვინეობა, არსებობს ქვეყრის კულტურა და ის, რომ ღვინის კულტურა საქართველოში მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებასთანაა შერწყმული.

ტურიზმის წილი საქართველოს ეკონომიკაში 7 პროცენტზე მეტია. 2014 წელს წმინდა შემოსავლები ტურიზმიდან 4,4%-ით გაიზარდა და 1 მილიარდ 489 მილიონი დოლარი შეადგინა. 2013-14 წლებში, საერთაშორისო ტურიზმიდან 32%-ით უფრო მეტი წმინდა შემოსავალი მივიღეთ, ვიდრე ეს მთელი 9 წლის განმავლობაში შევძელით, 2003-2011 წლებში მთლიანად. ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლს თამაშობს ღვინის ტურიზმი, რომელსაც განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს საქართველოს ღვინოების სიმრავლის, რელიეფის თავისებურების, კერძებისა და ფოლკლორული მრავალფეროვნების გამო. საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და ღვინის უნიკალური ჯიშების არსებობა ქვეყანაში ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის შესანიშნავ საფუძველს ქმნის, თუმცა საქართველოში ტურიზმის ეს მიმართულება ფეხს მხოლოდ ახლა იდგამს.

საქართველოში ღვინოს დიდი ტრადიციაზე არქეოლოგიური გათხრებიც მოწმობს: ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია დაახლოებით 7000 წლის წინანდელი ყურძნის ჯიშები. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ენეოლითის დროინდელი ძველისძველი მარანი, სადაც ღვინის შესანახად გამოიყენებოდა უზარმაზარი, მიწით დაფარული თიხის ქვევრები. თერმოსის ტიპის ქვევრებით ქართული ღვინო საბერძნეთში, სპარსეთში, იერუსალიმში გაჰქონდათ ექსპორტზე.

დღეს ქართულმა ღვინომ საერთაშორისო ბაზარზე გასვლა მოახერხა. ამაში, გარკვეულწილად, რუსულმა ემბარგომაც შეუწყო ხელი. საერთაშორისო ბაზარზე ჩვენი ღვინის შეტანამ თვითონ პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება გამოიწვია. დღევანდელი მდგომარეობით სტატისტიკა ასეთია: 2014 წლის პირველ კვარტალში ქართული ღვინის ექსპორტის 70 პროცენტი რუსეთის ბაზარზე გავიდა. 2015 წლის იანვრის თვეში გაყიდვების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა რუსეთის ფედერაციაში (87 %-ით, 2 354 334 ერთეულით), აზერბაიჯანში (70 %-ით, 31 716 ერთეულით), უკრაინაში (52 %-ით, 346 454 ერთეულით), ესტონეთში (49 %-ით, 27 300 ერთეულით), ყაზახეთში (17 %-ით, 39 138 ერთეულით). უმნიშვნელო, თუმცა, კლების ტენდენცია გამოიკვეთა პოლონეთსა და ლატვიაში, თუმცა, ეს ბაზრები, შეძლებისდაგვარად, ინარჩუნებს სტაბილურობას უზბეკეთთან და ლიტვასთან ერთად, სადაც იანვარში ექსპორტი მინიმალურად გაიზარდა. საპირისპიროდ, გაყიდვებმა საგრძნობლად იმატა აღმოსავლეთ აზიის რეგიონში - ჩინეთსა და იაპონიაში, სადაც სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური ზომები ტარდება ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციისთვის. აქვე უნდა მოვიხსენიოთ კანადა, რომლის გაყიდვების უკანასკნელი სტატისტიკა ავლენს 183 %-იან მატებას, ასევე ნიდერლანდები და ისრაელი. საბოლოო ჯამში, 2015 წლის იანვრის თვის მონაცემებით, ქართული ღვინის ექსპორტი 67 %-ითა და შესაბამისი 2 694 084 ერთეულით შემცირდა,

ღვინის ტურიზმი ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც იძლევა რეკლამისა და ღვინის პირდაპირი გაყიდვის საშუალებას. მოსულ ტურისტს თუ მოეწონა გასინჯული ღვინო, თვითონაც იყიდის და სხვასაც მოიყვანს. მსოფლიო გამოცდილებაც დადებითია. იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში იგი შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროა.

საქართველოში ღვინის ტურიზმი სწრაფად ვითარდება. გვაქვს 21 მარანი, რომელთა უმეტესობას ირგვლივ სასტუმროები გააჩნია. საკმაოდ მაღალი აქტივობაა, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში, სადაც შატოები და მეურნეობაა. შესაძლებელია, ტურისტებმა არა მარტო დაათვალიერონ, არამედ თავად მიიღონ მონაწილეობა საღვინე პროცესებში. რაც შეეხება ღვინის ტურებს ტრადიციული მევენახეობის რეგიონებში, ტურისტებს საშუალება ეძლევათ ეწვიონ ღვინის მსხვილსა და მცირე კომპანიებს, გლეხურ მეურნეობებს, მარნებს, ვენახებს და მონაწილეობა მიიღონ რთველში, გაეცნონ ფოლკლორსა და ადგილობრივ ტრადიციებს.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს შეფასებით, ბოლო დროს საქართველო არა მხოლოდ ღვინის კულტურის, არამედ ღვინის ტურიზმის სექტორის განვითარებითაც დაინტერესდა: გაიხსნა რამდენიმე ახალი მარანი და რეკონსტრუქცია ჩატარდა ისტორიულ მარნებს. ღვინის ტურიზმით ინვესტორებიც უფრო ხშირად ინტერესდებიან – ამის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოსთვის შედარებით ახალი მიდგომა – შატოს კულტურა, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ტურისტებში. აქ სტუმარს შეუძლია გაჩერდეს, ადგილზე დააგემოვნოს ღვინო, მონაწილეობა მიიღოს რთველში.

საქართველოში უკვე არსებობს მსხვილი ქარხნები და კომპანიები, რომლებიც საკმაოდ კარგ ღვინოსაც აწარმოებს და ღვინის ტურსაც სთავაზობს ტურისტს. არსებობენ ასევე კერძო და მცირე მარნები, რომლებიც ზოგადად ბაზარზე ძალიანაც არ ჩანს. მათ, ხშირ შემთხვევაში, დახვედრაც უკეთესი აქვთ, რადგან ეს საოჯახო ბიზნესია და მეტი გულისხმიერებით ხვდებიან სტუმარს. ეს გაცილებით საინტერესო პროცესია, ვიდრე სტუმრობა და დეგუსტაცია დიდ ქარხანაში.

მომსახურების სფეროში უამრავი დეტალი არსებობს მთელი პროცესის განმავლობაში: სატელეფონო ზარიდან დაწყებული სტუმრის გასტუმრებამდე. ღვინისა და დეგუსტაციის გარდა ბევრი რამ არის დამოკიდებული დამხმარზე და სერვისზე. ღვინის დეგუსტაციაზე პირველ რიგში უნდა მოხდეს ღვინის წარდგენა, დახასიათება და მხოლოდ შემდეგ დაგემოვნება. დეგუსტაცია მნიშვნელოვანი მომენტი ღვინის ტურიზმისა. საქართველოში ჩამოსული ტურისტების 100% თუ არა, 80% მაინც ითხოვს ღვინოების გასინჯვას.

ტურისტების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქვევრი და ქვევრის ღვინო. ეს პოპულარობა იმითაც არის განპირობებული, რომ ცოტა ხნის წინ, ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი იუნესკომ არამატერიალურ კულტურულ ძეგლად გამოაცხადა.

სულ მალე ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ ღვინის სპეციალურ რუკაზე დატანილი მარშრუტებით ისარგებლონ. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო მუშაობს ღვინის მარშრუტების შემუშავების პროექტზე, რომელიც რამდენიმე ფაზისგან შედგება: მარნებისა და ღვინის მწარმოებელი კომპანიების აღწერა, მათი ანალიზის საფუძველზე ღვინის ადგილების მარკირება და ტურისტული მარშრუტების შემუშავება. სერვისის გაუმჯობესების მიზნით, უკვე მომზადებულია სომელიეს და სპეციალიზებული გიდის სასწავლო მეგზურებიც.

საქართველოს მთავრობის გარდა, ღვინის ტურიზმის განვითარებით საერთაშორისო ორგანიზაციებიც დაინტერესდნენ. მათ შორის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის (EPI) პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში, ღვინის ტურიზმის სექტორის ხელშესაწყობად საქართველოში ჩამოვა EPI-ს საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულ ადამიანებთან იმუშავებს, მათ ტრენინგებს ჩაუტარებს.

საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარებას ორი ძირითადი ფაქტორი უშლის ხელს – არასწორი მარკეტინგი და ძველი, საბჭოთა კავშირის დროინდელი დანადგარები. მიუხედავად იმისა, რომ ღვინის ხარისხზე ეს მოძველებული ტექნიკა გავლენას ვერ ახდენს, ღვინის ტურიზმისთვის მაინც ნაკლია, რადგან დასავლელი ტურისტები განათებულ-გაკრიალებულ ქარხნებს არიან მიჩვეული. მათთვის ქარხანაც ტურიზმის ნაწილი და ინტერესის სფეროა. ამიტომ, თუ ქართულ ღვინოს უცხოელი ტურისტების მოზიდვა და ამ მხრივ კონკურენტუნარიანობის მოპოვება უნდა, მაშინ ქარხნების უკეთ აღჭურვა და შემდეგ მათი მარკეტინგულად სწორად შეფუთვა ძალიან მნიშვნელოვანია. ხშირად მწარმოებელი ფიქრობს, რომ მას არ უღირს ღვინის ტურისა და დეგუსტაციის ჩატარება, რადგან მას დიდი შემოსავალი არ მოაქვს, თუმცა კარგად ჩატარებული ტური შეიძლება ღვინის ყველაზე საუკეთესო რეკლამა იყოს.

ღვინის ტურიზმის განვითარების სფეროში არსებობს სხვა პრობლემებიც. ერთ-ერთი პრობლემა ფინანსებშია, თუმცა არა მხოლოდ ამაში. დიდ საწარმოებს აქვთ ბევრი ფული და არ აინტერესებთ

ტურიზმიდან შემოსავალი. მცირე მეწარმეებსა და გლეხურ მეურნეობებს კი აქვთ მცირე შემოსავალი და ცოტა ფული და ვერ ახერხებენ მარნების კეთილმოწყობას, შესაბამისად აღჭურვას. ასევე საჭიროა ხელსაზანი, ტულეტი, მარანთან მისასვლელი გზა, რათა ტალახში არ მოუწიოთ ტურისტებს სიარული.

უსახსრობა არ არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ღვინის ტურიზმი საქართველოში ჯეროვნად ვერ ვითარდება. მნიშვნელოვანი პრობლემაა გიდების დაბალი კვალიფიკაცია: თვალმისაცემია გიდების განათლებისა და სერტიფიცირების პრობლემა. ყველას შეუძლია იყოს გიდი, არანაირი დამადასტურებელი მოწმობა მას არ სჭირდება. ზოგი გადამზადებულია, ზოგი - არა. ეს პრობლემა მძაფრად დგას ღვინის ტურიზმში, რომელიც ახლა იკიდებს ფეხს და ცოდნა ამ მიმართულებით არის ძალიან დაბალი. არადა, სხვა გიდებთან შედარებით, ღვინის ტურიზმში მეტი ცოდნაა საჭირო. გიდი კარგად უნდა ფლობდეს სპეციალურ ტერმინოლოგიას. ღვინის ტურზე როდესაც მოდის ადამიანი, მან ძალიან კარგად იცის, რა უნდა. ღვინის ტური პროფესიასთან დაახლოებული ტურია, ამიტომ მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია უნდა მიიღოს. თუ კომპანიაში დამხვედრი მოყვება იმას, რაც ბუკლეტში წერია, ეს უკვე აღარ არის ტურისტისთვის საინტერესო. ამიტომ ხდება ხშირად, ერთხელ მოვა ტურისტი, მეორედ კი არასდროს ბრუნდება უკან. მართალია, ნაბიჯები იდგმება, მკვიდრდება გარკვეული სტანდარტები, მაგრამ არაფერი გამოვა, თუ ღვინის კომპანიებმა თავად არ იზრუნეს საკუთარ გიდებსა და მათ მომზადებაზე.

მოუწყობელი ინფრასტრუქტურისა და დაბალი ხარისხის სერვისის გამო, მიწოდება ყოველთვის ვერ აუდის მოთხოვნას, რაც, თავის მხრივ, ჩრდილს აყენებს ღვინის სამშობლოს სტატუსის მატარებელი ქვეყნის რეპუტაციას და საეჭვოს ხდის ქართველი მეღვინეების მტკიცებას, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც უკანასკნელი 8 ათასი წლის განმავლობაში უწყვეტად ტარდება რთველი.

საქართველომ საკუთარი ნიშა უნდა იპოვოს. ევროპული ტექნოლოგიებით დაყენებული ღვინით ევროპული ბაზარი ისედაც გაჯერებულია. ამიტომ საქართველოს შეუძლია ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდები დახვეწოს და მსოფლიო ბაზრისკენ გზა უფრო ადვილად გაიკვლოს. ასე ქვეყანა საკუთარი ღვინის იდენტურობის შენარჩუნებასაც მოახერხებს და მის პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს. ღვინის ეროვნული სააგენტო, ღვინის ასოციაცია კარგადაც ფუთავს და გააქვს საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის და მეღვინეობის ისტორია, ჩამოდის სტუმარიც, მაგრამ ადგილზე ცუდი სერვისის გამო ისევ უკმაყოფილო რჩება. აუცილებელია იმის გააზრება, თუ რა არის სინამდვილეში ღვინის ტურიზმი და რისთვის ჩამოდის ქვეყანაში ღვინით დაინტერესებული ტურისტი. ღვინის ტურში მონაწილე ადამიანებს ყველაზე მეტად ადგილობრივი ღვინო, მისი ისტორია და კულტურა ხიბლავთ. ეს საქართველოს არ აკლია. უბრალოდ, ამის სწორად გამოყენება უნდა ვისწავლოთ.

ამრიგად, ღვინის ტურიზმი წარმოადგენს ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პერსპექტიულ მიმართულებას. ამიტომ მისი განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- უნდა გააქტიურდეს მარკეტინგული ქმედებები როგორც ტრადიციულ ბაზრებზე, ასევე იმ ბაზრებზე სადაც ქართულ ღვინოს ნაკლები ცნობადობა აქვს.

- მეტი ყურადღება ყურადღება უნდა მიექცეს მედიისა და განსაკუთრებით სოციალური მედიის როლს ღვინის მარკეტინგის კუთხით.

- ინტერნეტის საშუალებით დღეს ძალიან ადვილია ღვინით დაინტერესებული ჯგუფების მოძებნა და თითქმის უფასოდ შეიძლება მოხერხდეს ამ ჯგუფებთან კონტაქტი.

- როგორც ადგილობრივი დამსვენებლების, ასევე უცხოელი სტუმრების მიღების კუთხით, ტუროპერატორებს უნდა ჰქონდეთ (და ზოგს უკვე აქვს კიდევ) ღვინის ტურიზმი, როგორც პაკეტად ჩადებული პროდუქტი. ჩვენ მსოფლიო კონკურენციაში გარკვეული უპირატესობები უკვე გაგვაჩნია. თან აღარ არის საკამათო, რომ ღვინის ტრადიციული კულტურა საქართველოდან დაიწყო და ქვეყრის მისტიკაც თავის როლს თამაშობს.

#### ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ., „ტურიზმის ბიზნესი“, თბ., 2011.
2. Соколова М.В. История туризма. – М., 2002.
3. [commerzant.ge/?m=5&news\\_id=20522&cat...](http://commerzant.ge/?m=5&news_id=20522&cat...)
4. [vinoge.com/qarTuli-Rvinis-eqSPORTI-statistika-](http://vinoge.com/qarTuli-Rvinis-eqSPORTI-statistika-)
5. [www.ibusiness.ge/tag/ghvinis-turizmi/](http://www.ibusiness.ge/tag/ghvinis-turizmi/)
6. [georgianwine.gov.ge/geo/text](http://georgianwine.gov.ge/geo/text)
7. [www.vinoge.com/Rvinis-turizmi](http://www.vinoge.com/Rvinis-turizmi)
8. [www.wineclub.ge/](http://www.wineclub.ge/)
9. [http://www.svvr.ru/vinny\\_turizm](http://www.svvr.ru/vinny_turizm).

## WINE TOURISM – LONG TERM DIRECTION IN INTERNATIONAL TOURISM DEVELOPMENT

**Maka Sosanidze**, Gori State Teaching University, Associate Professor

**Lali Osadze**, Gori State Teaching University, Associate Professor

**Lali Vardishvili**, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor

### RESUME

Wine tourism is successful business and means of demonstrating one's culture in many countries all over the world. It is part of culture and significant income source for many countries.

It is already four years the boom of wine tourism has risen in the world. The wine producing countries try to offer tourists other services also than just wine (entertainment, involving in various activities regarding wine, participating in grape picking process, getting the juice from grapes etc.). In this regard Georgia has more advantages as it still has preserved old wine making customs.

The unique geographical situation of Georgia and availability of rare grape varieties make best conditions for wine tourism development in Georgia. Though this type of business is just starting in Georgia and despite many problems it has big perspectives for further development.

### შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები

ლალი სრესელი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი  
E-mail: lalisreseli@yahoo.com

შრომის ბაზარი (სამუშაო ძალის ბაზარი) საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი სფეროა. შრომის ბაზარზე ყალიბდება სამუშაო ძალის ღირებულება, განისაზღვრება მისი დაქირავების პირობები. მათ შორის ხელფასის სიდიდე, შრომის პირობები, განათლების მიღების შესაძლებლობა, პროფესიონალური ზრდის შესაძლებლობები, დასაქმების გარანტიები. შრომის ბაზარი ასახავს დასაქმების დინამიკის ტენდენციებს, სამუშაო ძალის მობილობას, უმუშევრების მასშტაბებსა და დინამიკას.

ქვეყნის განვითარების გარკვეულ პერიოდში დასაქმების მდგომარეობა განისაზღვრება სამუშაო ძალის მიწოდების ფაქტორების (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საწყისი რაოდენობა, დასაქმების მოტივაცია, საარსებო მინიმუმის დ პენსიის ოდენობა და სხვა) მასზე მოთხოვნის ფაქტორების (სამუშაო ადგილების ერთობლიობა, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, წარმოების მოცულობის დინამიკა და სამუშაო ძალის ფასი და სხვა) თანაფარდობით, რომელთა რეგულირება წარმოადგენს სახელმწიფოს პრეროგატივას.

შრომის ბაზრის რეგულირება წარმოადგენს იმ ზომების და ღონისძიებების რთულ სისტემას, რომელიც მოიცავს არა მარტო დასაქმების სფეროს, არამედ საზოგადოების ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტს.

შრომის ბაზრის ეფექტურად ფუნქციონირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი გვთავაზობს საერთოეკონომიკური კანონების, მეთოდების და ინსტრუმენტების რეალიზებას, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ როგორც დასაქმების დონეზე, ასევე განსაზღვრონ სხვადასხვა დონეზე დასაქმების სტაბილიზაციისაკენ მიმართული გადაწყვეტილებები. შრომის ბაზრის რეგულირება უნდა განვიხილოთ როგორც მართვის ფუნქციათა ერთობლიობა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების მიზნით.

შრომის ბაზრის რეგულირების მექანიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მთლიანად ეკონომიკური სისტემის რეგულირების მექანიზმის ქვესისტემა, თავის მხრივ, ეს არის „წონასწორობის მექანიზმი“.

სახელმწიფო ინიციატივიანად ზემოქმედებს როგორც შრომის ბაზარზე, ასევე ყველა ბაზრის ფუნქციონირებაზე და ზოგადად მთლიანად ეკონომიკურ სისტემაზე. სახელმწიფო როგორც შრომის ბაზრის ცენტრალური სუბიექტ-რეგულატორი, განსაზღვრავს დაქირავებულებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთობების რეგულირების წესებს.

შრომითი ურთიერთობების სფეროში სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი უნდა იყოს გამჭვირვალე და გახსნილი სისტემა, შრომის ბაზრის სუბიექტებსა და ობიექტებს შორის ურთიერთობის ხასიათით განპირობებული.

დღეს შრომის ბაზრის რეგულირებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი სადისკუსიოა. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს რომ რეგიონული შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია საბაზრო მექანიზმების მოქმედების არაეფექტურობით.

არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით რეგიონული შრომის ბაზრის რეგულირებაში სახელმწიფოს მუდმივი ჩარევა ყოველთვის დადებით შედეგს არ იძლევა.

უფრო არგუმენტირებულია იმ ეკონომისტ-მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც ადასტურებენ შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების შეთავსების აუცილებლობას.

დასაქმების რეგულირების სახელმწიფო მექანიზმში ჩართული უნდა იქნას მთელი სპექტრი იმ მეთოდების და ინსტრუმენტებისა, რომლებსაც იყენებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სხვადასხვა დონეზე ეფექტური დასაქმების მისაღწევად და შრომის ბაზრის შედეგიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

გამოცდილება, რომელიც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში იქნა დაგროვილი, აჩვენებს თვითრეგულირების მექანიზმებისა და შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების შეთანხმებული მოქმედების არა მარტო გარდაუვალობას, არამედ მის ეფექტურობასაც. იმ მრავალრიცხოვან პრობლემებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებასთან და შრომის ბაზრის ფუნქციონირებასთან, სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტულ მიმართულებებად ითვლება მისი სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა, სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის რეგულირება, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია განათლების განვითარების, პროფესიული მომზადებისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის მოგვარება ხდება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის საერთო დასაქმებისა და შრომის ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოკვლევის საფუძველზე, რომლებიც მოიცავს შემდეგს:

1. ეკონომიკური მეთოდები (შეღავათიანი საკრედიტო და საგადასახადო სისტემა, საბიუჯეტო პოლიტიკა მიმართული მეწარმეობის სტიმულირებისაკენ, ძველი სამუშაო ადგილების შენარჩუნება და ახლის შექმნა, კადრების მომზადება და ა.შ.
2. ორგანიზაციული მეთოდები (დასაქმებისა და სამუშაოზე მოწყობის სახელმწიფო სამსახურის შექმნა, საინფორმაციო სისტემა, პროფორიენტაციის კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა.
3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდები (შრომითი ურთიერთობების რეგლამენტაცია. დასაქმების უზრუნველყოფის ფონდებში საწარმოო სავალდებულო გადარიცხვების წარმოება. სამუშაოზე მოწყობის კვოტების განსაზღვრა. შრომითი ცხოვრების რეგულირება შრომის მინიმალური საათობრივი ანაზღაურების თანხის დადგენით.
4. გარდა ამისა სამუშაო ძალის კვლავწარმოების რეგულირების სფეროში აქტიურად გამოიყენება ირიბი ზემოქმედების მეთოდები.. ისინი აყალიბებენ იმის წინაპირობებს, რომ დამოუკიდებელი სამეურნეო მიმართულებების არჩევანის გაკეთებისას ორიენტირებულნი იყვნენ იმ რეკომენდაციებით, რომლებიც უფრო მეტად გამოხატავენ ეკონომიკური სტრატეგიების მიზნებს.

**ეკონომიკური მეთოდების** გამოყენებამ უნდა შექმნას ეკონომიკური სტიმულები შრომის ბაზრის მონაწილეთათვის, რათა მათი ქცევა მიმართული იყოს ეფექტური დასაქმების მისაღწევად.

სახელმწიფო, რომელიც იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა სახელფასო ფონდის დაბეგვრა, საგადასახადო შეღავათის მიცემა საწარმოებისათვის, რომლებიც ქმნიან და ინარჩუნებენ სამუშაო ადგილებს, სახელმწიფო ხარჯები, სახელმწიფო ხარჯები დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსებაზე, სახელმწიფო ინვესტიციები, სახელმწიფო დაკვეთები საწარმოებს, დასაქმების სუბსიდირება, თვითდასაქმების წახალისება, დოტაციები, სუბვენციები და სუბსიდიები და ა.შ. პირდაპირ გავლენას ახდენს შრომის ბაზრის განვითარების ვექტორზე. ეს ინსტრუმენტები ატარებენ როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ ხასიათს. შრომის ბაზარზე ზემოქმედებით, ისინი ასევე მოქმედებენ სხვა ბაზრებზე (სასაქონლო, ფინანსურ, უძრავი ქონების და სხვა.)

სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების დახმარებით შეუძლია ქვეყანაში გაზარდოს შრომითი რესურსების დასაქმება.

შრომის ბაზარზე სახელმწიფო პოლიტიკის ფინანსური სისტემა წარმადგენს მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც წარმოებს დასაქმების სახელმწიფო სამსახურების მიერ პროგრამირებისა და მომსახურების რეალიზაცია. დასაქმების პოლიტიკის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია არა მარტო სახელმწიფოს მიერ შემუშავებული თვით ამ პროგრამებისა და მომსახურების ეფექტიანობაზე, არამედ იმ ფინანსური



სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობაზე, რომელიც დასაქმების პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს.

როდესაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ძლიერდება შრომის ბაზარზე დაძაბულობა, ხშირად უმუშევრობაზე პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრება, რომელიც „უმუშევრობის აღმოფხვრის“ მოთხოვნებთან უნდა იყოს შეწყობილი. ამასთან დაკავშირებით განხილული უნდა იქნას როგორც დასაქმების ფინანსური უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების წყაროები და საშუალებები, ისე ამ სახსრების ხარჯვის მიმართულებები.

დღეისათვის ქვეყნების უმრავლესობაში მოქმედებს სახსრების ფორმირების ორი ალტერნატიული პრინციპი, რომელიც შემდგომში დაიხარჯება სოციალური მიზნებისათვის: სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა. ბევრ ქვეყანაში მაინც პირველ ვარიანტს აძლევენ უპირატესობას.

სავალდებულო დაზღვევის უპირატესობას წარმოადგენს კრიტიკულ სიტუაციაში ზოგიერთი სახის გარანტიები. ამასთან, დაზღვევის ამ სახეობის რეალიზაცია წარმოებს შრომის ანაზღაურების ფონდიდან სავალდებულო ანარიცხების სახით.

ხელფასიდან ანარიცხები ადვილად ამოიღება, თუმცა მას ნაკლოვანებაც გააჩნია. ამ ანარიცხების სიდიდე მცირდება უმუშევრობის გადიდების კვალობაზე, ე.ი. სწორედ იმ მომენტში, როდესაც დასაქმების ზრდა მხარდაჭერას საჭიროებს.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (დანია, ფინეთი, შვეცია, ნიდერლანდები) ფართო გავრცელება ჰპოვა ნებაყოფლობითი დაზღვევა. დაზღვევის ეს ვარიანტი ხორციელდება პროფკავშირების მეშვეობით.

სოციალური დაზღვევის დაფინანსების სისტემა ისეთ მნიშვნელოვან პრინციპზეა აგებული, როგორცაა შრომის ანაზღაურების ფონდისა და ხელფასის ანარიცხების შესაბამისობა. ამ ორი წყაროს გამოყენებით შემოსული თანხები საშუალებას იძლევა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ასიგნებები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

რუსეთში უმუშევრობასთან დაკავშირებული სოციალური დაცვის დაფინანსების სისტემა ფუნქციონირებს სპეციალიზებული საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების - მოსახლეობის დასაქმების ფონდის სახით. ამ ფონდის სახსრები იქმნება რამდენიმე წყაროს მეშვეობით.

ესენია: ნებაყოფლობითი სადაზღვევო შენატანები, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ასიგნებები, იურიდიული და ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი შენატანები.

საქართველოში დასაქმების პოლიტიკის დაფინანსების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს დაფინანსების ერთიანი ფონდი და მისი ხარჯვის უნიფიცირებული წესები.

**ორგანიზაციული მეთოდები** გამოიყენება სახელმწიფოს მიერ სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით შრომის ბაზრის ყველა მონაწილისათვის. ამ ჯგუფის მეთოდებს შორის ძირითად ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

- განვითარების ტერიტორიული სქემის შედგენა,
- შრომის ბაზრის პროგნოზირება,
- დასაქმების სამსახურების მუშაობის ორგანიზაცია,
- პროფორიენტაციის მიმართულებით მუშაობა და სხვა

შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმში მნიშვნელოვან როლს ასრულებს **საკანონმდებლო მეთოდები**. სახელმწიფო პოლიტიკა ტრადიციულად ემყარება კანონმდებლობას. სამართლებრივი ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო აქტები, ნორმები, წესები, რომლებიც დაარეგულირებენ ურთიერთობებს შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის, მკაფიოდ განსაზღვრავენ მათ უფლებებს.

დასავლეთის ქვეყნებში შრომითი კანონმდებლობა ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციად იქცა სოციალური წონასწორობის შენარჩუნება. სახელმწიფო ინსტიტუტებმა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემის სახით, თავის თავზე აიღეს შრომის ბაზრის მთავარი მონაწილეებისათვის „თამაშის წესების“ დამდგენი ორგანოს როლი და თვალყურს ადევნებდნენ მათ შესრულებას. ამასთან, სახელმწიფო თავად გამოდიოდა მესამე მხარის სახით კოლექტიური შეთანხმების დადების პროცესში, ნაციონალურ თუ დარგობრივ დონეზე, ასევე სახელმწიფო ასრულებდა დამსაქმებლის ფუნქციას სახელმწიფო სექტორის მუშაკებისა და მოსამსახურეთა მიმართ.

დასაქმების შესახებ კანონმდებლობის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ იმით, რომ ის არეგულირებს ყველა იმ პირთა მდგომარეობას, რომლებიც დაქირავებულად მუშაობენ, არამედ იმითაც, რომ ის ახდენს უშუალო გავლენას შრომის ბაზრის ფუნქციონირების ეფექტურობაზე. დასაქმების დინამიკასა და უმუშევრობაზე, სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილების განაწილებაზე, სამუშაო ძალის ცალკეული ჯგუფების კეთილდღეობაზე (კერძოდ, სოციალურად ყველაზე მეტად დაუცველებზე) და, საბოლოოდ, შრომის ბაზრის ადაპტაციის მექანიზმზე სხვადასხვა სახის შოკისებური მოვლენისადმი.

დასაქმების შესახებ კანონმდებლობის რეგულირების უშუალო ობიექტს წარმოადგენს სტანდარტების კრებული შრომის სფეროში, რომლებიც შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად:

1. დაქირავებისა და განთავისუფლების პროცედურები, დროული შეტყობინება მუშაკების მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, საპენსიო თანხის ოდენობა, პროფკავშირების ორგანოების, როგორც სპეციალური სახელმწიფო ინსტიტუტის საქმის კურსში ჩაყენების აუცილებლობა, მოსალოდნელი სამუშაო ძალის გამოთავისუფლების შესახებ;
2. მასობრივი განთავისუფლების ჩატარების განსაკუთრებული პროცედურები;
3. მუშაკის უსამართლო განთავისუფლებისაგან დაცვის იურიდიული საშუალებები;
4. შრომითი ხელშეკრულებების ფორმები.

ამავე დროს ბოლო პერიოდში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ადგილი აქვს შრომითი ურთიერთობების მკაცრი რეგულირების თანდათანობით უარყოფას. პრიორიტეტების სახით წარმოდგენილია შრომის ბაზრის მოქნილობის ზრდის ამოცანა, რაც გულისხმობს შემდეგს: დასაქმების სფეროში სახელმწიფო ინსტიტუტების პირდაპირი ჩარევის შესუსტება; შრომითი ურთიერთობების მთავარი კონტრაგენტების მოქმედების მკაცრი რეგლამენტაციის უარყოფა, დამსაქმებელსა და მუშაკებს შორის შრომითი ურთიერთობების როლის გაძლიერება, დასაქმების ფორმების, სამუშაო დროის მიმართ არსებული სხვადასხვა სახის შეზღუდვების მოხსნა და ა.შ. ასეთი პტიორიტეტული ამოცანების დაყენებამ მიგვიყვანა სახელმწიფო პოლიტიკის მრავალი, სხვადასხვა შემადგენელი საკითხების გადახედვამდე, როგორცაა უმუშევრობის სადაზღვევო სისტემა, შრომის ბაზარზე აქტიური პროგრამების განხორციელება და ა.შ.

**ინფორმაციული მეთოდი** არის სახელმწიფო მექანიზმის დამოუკიდებელი ელემენტი, ვინაიდან შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციული ცნობები აუცილებელი ინსტრუმენტია ნებისმიერი ინსტიტუტის (სუბიექტის) მუშაობის ორგანიზაციის პროცესში.

შრომის ბაზრის რეგულირების სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით ამ მეთოდის მიზანია - შრომის ბაზრის სუბიექტებია ქვევაზე ზეგავლენა მოახდინოს მათი ინფორმირებით ბაზრის კონიუნქტურის, მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობის, საწარმოთა საქმიანი აქტიურობის, შრომის ფასის შესახებ, აუცილებელი ინფორმაციის ფლობა ვაკანსიების და სარეზერვო სამუშაო ძალის, შრომის ბაზართან დაკავშირებით მიღებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და სხვაა სიახლეები, რომლებიც შრომის ბაზარს ეხება.

ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა ყველა ინსტიტუციონალური ერთეულის ინფორმირებისა შრომის ბაზრის მდგომარეობის და მისი სუბიექტების შესახებ, დასაქმების სფეროში მოსახლეობის უფლებების და გარანტიების შესახებ, ინფორმაციის გაცვლის შრომის ბაზრის მონაწილეებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის.

ამრიგად, შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე მექანიზმი წარმოადგენს ადმინისტრაციული, ეკონომიკური, საკანონმდებლო, ინფორმაციული, ორგანიზაციული მეთოდების კომპლექსს. ყველა ეს მეთოდი ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთმხარდამჭერია, მთავარია, პრაქტიკაში განხორციელებისას ამ მეთოდების შინაარსი არ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს.

#### **ლიტერატურა:**

1. Алонкина Л.И., Государственное регулирование занятости населения // Вестник Московского университета МВД РФ, 2007.
2. Гончаров П.Л., Социальное государство. сущность и принципы. Вестник Российского университета дружбы народов. 2000. №2;
3. Гранберг А.Г., Основы региональной экономики: учебник для вузов, 4-е изд., М., ГУ ВШЭ, 2004.
4. Ильина Л.О., Рынок труда и управление человеческими ресурсами: учебник для вузов, Ростов н/Д.: Феникс, 2008
5. Кульман А., Экономические механизмы: учебник для вузов, М., 1993.
6. Мазин А.Л., Экономика труда: учеб. пособие, 2-е изд., перераб. и доп., М., ЮНИТИ, 2007.
7. ლიპარტია ზ., კაკულია რ., ფინანსური ეკონომიკა, თბ., 2009.  
[www.parliament.ge/ge/.../aparati.../ekonomika-biznesi-finansebi.page](http://www.parliament.ge/ge/.../aparati.../ekonomika-biznesi-finansebi.page)

# ORGANISATIONAL, ECONOMIC AND LEGAL FUNDAMENTALS OF STATE REGULATION OF A LABOUR MARKET

Lali Sreseli, Gori State Teaching University, Specialist by contract  
RESUME

The labor market is the non regulated field in modern market economy countries. Labor market regulatory institutions play an important role in the effective functioning of the labor market.

Labor market regulation itself includes not only the complicated system of measures that are directly related to the unemployment rate but also the little elements of economic system of the society.

The effective functioning of the mechanism of state regulation of the labor market suggests realization of common economic laws, methods and tools, which can have significant impact on the employment levels, as well as to determine the different levels of employment stabilization solutions.

In the research above labor market state regulation system is discussed with its economic, organizational, administrative, law and informational methods.

## უფლისციხის ქვაში ნაკვეთი ქალაქის ტურისტული მარშრუტების ოპტიმიზაციისათვის

თამაზ ქობულაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მასწავლებელი

E-mail: tqobulashvili@gmail.com

გია ედიშერაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: edisherashvilig@mail.ru

უფლისციხის ქვაში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლის ერთ-ერთ ძირითად ტურისტულ ბრენდს წარმოადგენს, რომელსაც ყოველწლიურად მრავალი ტურისტი სტუმრობს. ობიექტის საერთო ფართობი 60 ჰექტარს შეადგენს, საიდანაც უშუალოდ გამოქვაბულების კომპლექსზე მხოლოდ 4,5 ჰექტარი მოდის. ძეგლის ტურისტული მიზნებისთვის აღორძინება გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში იწყება, რასაც საფუძველი 1957 წლის ფართომასშტაბიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ჩაუყარა. 1979 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ძეგლის ტერიტორიაზე უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი შეიქმნა.

ბოლო წლებში საქართველოში ტურიზმის აღორძინებამ და დამთვალიერებელთა რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ ბუნებრივ ძეგლებზე უარყოფითი გავლენა მკვეთრად გაზარდა.

აღსანიშნავია, რომ ანთროპოგენური გავლენა მხოლოდ ტურისტების რაოდენობის ზრდით არ არის გამოწვეული, რადგან არანაკლებ ზიანს ძეგლს თანამედროვე ატმოსფერული მოვლენებიც აყენებენ. სათანადოდ, ძეგლზე ანთროპოგენული გავლენის ორი მიმართულება პირდაპირი და არაპირდაპირი შეიძლება გამოვყოთ: 1. პირდაპირი ანუ მექანიკური მოქმედების დროს ტურისტები ძეგლთან უშუალო კონტაქტში იმყოფებიან, ზედაპირზე დადიან და ამით მის ცვეთას იწვევენ, რომლის ნათელ მაგალითს ეკლესიასთან მისასვლელი კიბეები, მარშრუტის დასაწყისიდან თამარის დარბაზის მიდამობამდე არსებული ბილიკი, თეატრონის შესასვლელი, თამარის დარბაზის ფსკერი და მრავალი სხვა ადგილი წარმოადგენს. ანთროპოგენული გავლენის არაპირდაპირ მიმართულებას CO<sub>2</sub>-ით გაჯერებული ატმოსფერული წყლების მოქმედება წარმოადგენს. უფლისციხის პლატო, გეოლოგიურად დანალექი ქანებით, კერძოდ, არკოზული ქვიშაქვებით არის აგებული, რაშიც ქვიშის (Si) ცალკეული ნაწილაკების შემცვენებელ ნივთიერებას კარბონატი-თაბაშირი (CaSO<sub>4</sub>·2H<sub>2</sub>O) წარმოადგენს. კვლევებით დადასტურდა რომ კარბონატის შემცველობა ამგებ ქანებში 40% აღწევს. თანამედროვე ეტაპზე ძეგლის ზედაპირზე მოსული CO<sub>2</sub>-ით გაჯერებული წყლები ქვიშის ნაწილაკების შემცვენებელი თაბაშირის მიმართ მაღალი კოროზიული ანუ გამხსნელი მოქმედებით გამოირჩევიან, რითიც ძეგლის ამგები ქანების დაშლას უწყობენ ხელს. აღნიშნულ პროცესს განსაკუთრებით ამაფრებს ქანის სხეულში არსებული ორი და სამკალენტისანი რკინის კონკრეციების ბუდობებიდან ამოვარდნა, რის შედეგადაც განვითარებულ ღრმულში ჩაგროვებული ატმოსფერული წყლების სუფოზიური მოქმედება განსაკუთრებით ინტენსიური ხდება (თ. ქობულაშვილი, 1985.). აღსანიშნავია, რომ ძეგლის მექანიკური დაზიანების პიკი ტურისტულ სეზონს პიკს (მაისი-ნოემბერი) ემთხვევა.

მრავალწლიანმა კვლევებმა ცხადყო, რომ ძეგლის დაზიანების ინტენსივობა ბოლო 25-30 წელზე მოდის და ტურისტების რაოდენობის ზრდასთან ერთად უფრო ინტენსიური ხდება. აღნიშნულიდან

გამომდინარე, ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტუალური ხდება ტურისტული მარშრუტის შეცვლა. დღეს უფლისციხის მარშრუტი ასეთია: მარშრუტი ვიზიტორთა ცენტრიდან იწყება, გაივლის 170 მეტრს და პლატოზე რკინის კიბეებით ადის. პლატოზე მოხვედრისას ტურისტები 7<sup>0</sup>-8<sup>0</sup> დახრილობის ზედაპირზე ხვდებიან, რომელიც თამარის დარბაზის მიდამოებამდე გრძელდება. დამრეცი მონაკვეთის გავლის დროს ქანებზე ადამიანების მექანიკური მოქმედება 1,5-2 ჯერ იზრდება, რაც მარშრუტის ამ მონაკვეთზე მკაფიოდ არის ასახული, ანუ აქ დღეს 15-20 სმ. სიღრმის ღარია გაჩენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე ძველის გადარჩენის რეალურ გზად მარშრუტის შეცვლა გვესახება.

ძველის დაზიანების შემცირების თვალსაზრისით და ტურისტების კომფორტული გადაადგილებისთვის, პლატოზე ასავლელად ღია ტიპის საბაგირო გზის მოწყობაც არის შესაძლებელი.

ახალი მარშრუტი ვიზიტორთა ცენტრამდე დაახლოებით 100 მ. დაშორებით დაიწყება და ჩრდილო-დასავლეთით 350-400 მ. გავლის შემდეგ ქვაში ნაკვეთი ქალაქის პლატოს ჩრდილოეთით შეუერთდება. სიმაღლითი სხვაობა ვიზიტორთა ცენტრსა და ახალი მარშრუტის ყველაზე მაღალ წერტილს შორის 45-50 მ. არ აღემატება. ახალი სამარშრუტო ტრასის მოწყობა მცირე ფინანსური დანახარჯებით იქნება შესაძლებელი. ჩვენი აზრით, აღნიშნული მარშრუტის ამოქმედების შემდეგ ძველის დაზიანების ინტენსიობა დაახლოებით 50%-ით შემცირდება, რადგან მარშრუტი არა წრიული (ერთი და იმავე გზის ორჯერ გავლა), არამედ გამჭოლი გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურისტები ძველის დასათვალიერებლად მარშრუტს, ძველის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ, დაშვებისას, გაივლიან.

არანაკლებად აქტუალურია ძველთან მისასვლელი გზის საკითხიც. დღეს ძველთან მისვლა სხვადასხვა ქალაქებიდან მოძრავი ტრანსპორტით, ქ. გორის გავლით, ხდება. ავტომარშრუტი (გორი-უფლისციხე) 18-20 კმ სიგრძისაა და გორის ცენტრზე, რკინიგზის სადგურზე ს. ხიდისთავის, ს. აზნეთის, ს. ახალი უფლისციხისა და ს. ქვახვრელის ტერიტორიებზე გადის. აღნიშნული მარშრუტიდან ყველაზე პრობლემურს სოფლების ახალი უფლისციხისა და ქვახვრელის მონაკვეთი წარმოადგენს, რადგან აქ საავტომობილო გზა მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გაუყვება, რომლის სიგანე ზოგ მონაკვეთებზე 4-5 მ. არ აღემატება და შემხვედრ დიდი ზომის ავტობუსებს აქცევის პრობლემებს უქმნის. ამ ვითარებას ისიც ემატება, რომ გზის გასწვრივ მოხინაძრე მჭიდროდ დასახლებულ მოსახლეობას ქვეითად მოსიარულეების ბილიკი არ გააჩნია და ეზოებიდან პირდაპირ ავტოტრანსპორტის სავალ ნაწილზე უწევს გამოსვლა, რაც ავროსატრანსპორტო შემთხვევების რისკს ზრდის.

აღნიშნული ვითარებიდან გამოსასვლელად ალტერნატიული გზის - ზედაველა-ქვახვრელის მონაკვეთის რეაბილიტაცია მიგვაჩნია. ახალი მარშრუტი ავტომაგისტრალის გასწვრივ, აზნეთის ხიდიდან 1200 მ. გავლის შემდეგ ს. ქვახვრელის მიმართულებით ძველ გზაზე დაემუშავება, გაივლის VII საუკუნის, ქვაში გამოკვეთილ კვირაცხოველის ორსართულიანი ეკლესიის მიდამოებს, ს. ქვახვრელს და მდ. მტკვრის ხიდის გავლით კომპლექსამდე მივა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გზა წარსულში მოასფალტებული იყო, რაც სოფლის მოსახლეობისთვის ძალზედ მოსახერხებელი იყო, ისე რომ ზედაველა-ქვახვრელის საავტომობილო გზის 3100 მეტრიანი მონაკვეთი მხოლოდ მოასფალტებას საჭიროებს. გარდა მოსახლეობის უსაფრთხოებისა, ახალ მარშრუტს სხვა უპირატესობებიც გააჩნია, კერძოდ, ძველი მარშრუტის გასწვრივ თავისუფალი ტერიტორიის არარსებობის გამო მოსახლეობას ტურისტებისთვის რაიმე ობიექტების მოწყობა და სათანადო სერვისების (სხვადასხვა მიმართულების სავაჭრო ობიექტები და სხვა.) შეთავაზება არ შეუძლია. ახალი მარშრუტი აღნიშნული სერვისების განვითარების ფართო შესაძლებლობას იძლევა, რადგან ავტოტრანსპორტო გზის მიმდებარე ტერიტორია ფაქტიურად აუთვისებელია, სადაც ტურისტული სერვისების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობებია, რაც, ჩვენი აზრით, მოსახლეობის დამატებითი შემოსავლების წყარო გახდება.



უფლისციხის კომპლექსთან მისასვლელი ძველი და ახალი გზების სქემა. სარეაბილიტაციო მონაკვეთი 3100 მ.

უფლისციხის ქალაქ-მუზეუმის კომპლექსის მიდამოები ბერდვოჩინგის განვითარების კარგ შესაძლებლობას იძლევა. კვერნაქების ქედზე დღემდე დაახლოებით 138 სახეობის ფრინველია დაფიქსირებული რომელთაგან 87 ბუდობაა დადასტურებული. 41 სახეობას მიგრაციების დროს ვხვდებით ხოლო 75 კი ზამთრის სახეობებით არის წარმოდგენილი, რომელთაგან 7 ტიპიურად მოზამთრეა ხოლო 3 კი შემთხვევით შემომფრენი სახეობაა. (ედიშერაშვილი გ. 2009.)

#### ლიტერატურა:

1. ედიშერაშვილი გ., კვერნაქის ქედის ორნიტოფაუნა და ბერდვოჩინგის განვითარების პერსპექტივა, გორი, 2009.
2. ქობულაშვილი თ., ფსევდოკარსტული მოვლენები კვერნაქებზე, „მეცნიერება“, თბილისი, 1985.

## FOR OPTIMISATION TOURIST ROUTS TO ANCIENT ROCK-HEWN TOWN UPLISTSIKHE

**Tamaz Kobulashvili**, Gori State Teaching University, Teacher  
**Gia Edisherashvili**, Gori State Teaching University, Associate Professor  
**RESUME**

Uflistsikhe cave city-museum is of one of the main tourist brand of Shida Kartli, where the number of tourists is increasing every year. We can distinguish two directions for causing the damage of the monument: direct and indirect. Non-direct influence is caused by everyday Atmospheric occurrences. To be more exact, the building rocks of the cave-town plateau are represented by arkosic sands which are cemented by alabaster. Atmospheric sediments filled with CO<sub>2</sub> causes intense stratifying of the rocks. The direct reasons are caused by tourists' usage of the monument. During the last 25-30 years, the intense increase of tourist amount influenced dramatically badly on the monument. The stairs towards the church are almost destructed; also the path has deepened between plateau starting point and the Hall of Queen Tamar. The only way out from this situation is to develop alternative routes, which will start from the visitors' centre and will join the cave-town to the North-east after 350-400 metres. After this Uflistikhe route will be remade into circular motion and tourists will not walk the same itinerary twice.

No less remarkable the driveways to Uflistsikhe. Nowadays route passes between Uflistsikhe and Kvakhvrel, but the alternative one will pass through Zedavela-Kvakhvrel. Rehabilitation of new route needs only to be repaired 3100 meter length road. The reconstructed infrastructure means offering tourists proper services which definitely will be reflected in extra profits.

It should be noted that the area of complex gives a good opportunity for development of bird watching.

## საგადასახადო მოსაკრებლის ოდენობა ბიბლიის მიხედვით

პაატა ქურდაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, გადასახადების აკრეფა არის ერთ-ერთი აუცილებელი და უძველესი ფუნქცია სახელმწიფოს არსებობისა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საზოგადოების ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარება. ასევე ცნობილია, რომ გადასახადები გაჩნდა მას შემდეგ, რაც მოხდა საზოგადოების კლასებად დაყოფა და სახელმწიფოს ჩასახვა, ეს იყო მოქალაქეთა შენატანი ხელისუფლებისა და მთავრობის არსებობა-ფუნქციონირებისათვის. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში არცერთ ეტაპზე, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შესძლებდა გადასახადების გვერდის ავლით არსებობას, რამდენადაც თავისი ფუნქციის შესასრულებლად საზოგადოების მოთხოვნილებების მიხედვით სახელმწიფოს სჭირდება გარკვეული ოდენობის ფინანსური, ფულადი საშუალებანი, რომლებიც შეიძლება მოპოვებულ იქნას მხოლოდ გადასახადების მეშვეობით. ყოველივე აქედან გამომდინარე, საგადასახადო მოსაკრებლის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ გასაღები ხარჯებით თავისი ფუნქციის შესასრულებლად. რაც მეტი ფუნქცია აქვს სახელმწიფოს, მით მეტია ეს ხარჯი და ამის შესაბამისად იზრდება საგადასახადო მოსაკრებლის ოდენობაც. ამ ზრდას აქვს თავისი კრიტიკული, „პიკური“ მაჩვენებელი, რომლის იქითაც სახელმწიფოში იწყება როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კრიზისი. ამიტომ, საგადასახადო მოსაკრებლის ოდენობის

განსაზღვრას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალური მდგომარეობის სტაბილურობისა და განვითარებისათვის. უდავოა, რომ საგადასახადო მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრაში სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას. ამ მიმართებით საინტერესოა ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა. ჩვენი აზრით, ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ბიბლიის ტექსტის ანალიზი.

ბიბლიაში საგადასახადო მოსაკრებლის არაოპტიმალური განსაზღვრის ფაქტი, რომელსაც მოჰყვა სახელმწიფოებრივი კრიზისი, ნათლად არის წარმოდგენილი ისრაელის მეფეების სოლომონისა და მისი მემკვიდრის, რობოამის პერიოდის მეფობის პერიოდის ტექსტებში (3 მეფეთა, თავი 12). ბიბლიის ამ ნაწილში მოთხრობილია, იმის შესახებ, რომ მეფე სოლომონმა დააწესა ძალიან მაღალი გადასახადები, ხოლო მის შემდეგ მისმა შვილმა, მეფე რობოამმა არ გაითვალისწინა ხალხის მოთხოვნა, შეემცირებინა მამამისის მიერ დადგენილი საგადასახადო მოსაკრებლის ოდენობა. პირიქით, ამ მოთხოვნის შემდეგ მან კიდევ უფრო გაზარდა არსებული გადასახადები, რასაც მოჰყვა სახელმწიფოს გაყოფა ორ ნაწილად. სახელმწიფოს 80% -ს, რომელიც რობოამს გამოეყო, დარჩა სახელწოდება ისრაელი, ხოლო 20%-ს, ვინც მასთან დარჩა, ეწოდა იუდეა. ასეთ ვითარებაში, „როცა დაინახა მთელმა ისრაელმა, რომ არ უსმინა მათ მეფემ, მაშინ სიტყვა შეუბრუნა ხალხმა მეფეს და უთხრა: რა წილი გვიდევს დავითში? რა მემკვიდრეობა გაქვს იესეს მისაგან? შენ შენი კარვებისკენ, ისრაელო! ახლა შენ მიხედე შენს სახლს, დავით! და თავ-თავის კარვებში წავიდ-წამოვიდა ისრაელი. მხოლოდ იუდეას ქალაქებში მცხოვრებ ისრაელიანებზე შერჩა მეფობა რობოამს“ (3 მეფეთა, თავი 12. 16-17).

ეს ბიბლიური მაგალითი გვასწავლის, რომ საგადასახადო მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრაში მთავარია არა მარტო სახელმწიფოს ფუნქციების გათვალისწინება, არამედ მოსახლეობის შემოსავლის უნარიანობა და მათი ცხოვრების დონე. გადასახადების ოდენობა ისე უნდა იქნეს განსაზღვრული, რომ გადამხდელს შეეძლოს მისი გადახდა, ამასთანავე, ის ვერ იქნება გარკვეულ ზღვარზე ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო უბრალოდ ვერ დაარეგულირებს ქვეყნის ეკონომიკას. ეკონომიკური ტერმინებით, რომ ვისაუბროთ, საგადასახადო მოსაკრებელი ისეთნაირად უნდა იქნეს დადგენილი, რომ მან შეასრულოს შემდეგი სამი მთავარი ფუნქცია: 1. სახელმწიფოს ხარჯების ფინანსირება (ფისკალური ფუნქცია); 2. სოციალური წონასწორობის შენარჩუნება (სოციალური ფუნქცია); 3. ეკონომიკის რეგულირება სახელმწიფოს მიერ (მარეგულირებელი ფუნქცია).

ვფიქრობთ, ყოველივე ეს გათვალისწინებული იყო ბიბლიურ საგადასახადო სისტემაში. ამ მხრივ ბიბლიაში მოიხსენიება, მხოლოდ ერთი გადასახადი – წმინდა მოგების 10% -ი, ანუ მეათედი. გადასახადის ეს რაოდენობა უნდა გადაუხადონ მოძღვარს, მღვდელმსახურს ღვთის სიტყვისათვის. თუ ღმერთი მოითხოვს ადამიანთაგან გადაუხადონ მოძღვარს ღვთის სიტყვისათვის მეათედი წმინდა მოგებიდან, მაშინ სახელმწიფო საგადასახადო ტარიფები ყოფითი ცხოვრებისათვის რატომ უნდა აღემატებოდეს საგადასახადო მოსაკრებლის ამ ნორმას?

პირველად მეათედი გვხვდება ბიბლიაში პატრიარქებთან, კერძოდ აბრაამთან: „კურთხეულ იყოს უზენაესი ღმერთი, რომელმაც ხელში ჩამაგდებინა შენი მტერი! მაშინ მისცა აბრაამმა ნადავლის მეათედი“ (დაბ. 14:20). შემდეგ იაკობი აწესებს მეათედს უფლისათვის: „მაშინ ეს ლოდი, სვეტად რომ დავდგი ღვთის სახლი იყოს და ყველაფრისაგან, რასაც მომცემ, მეათედს შენ მოგიძღვნი“ (დაბ. 28: 22). მეათედის შესახებ ინფორმაცია ბიბლიის სხვა ტექსტებშიც მრავლადაა, ზოგიერთ მათგანს ქვემოთ განვიხილავთ. ახლა კი გვინდა ჯერ ზემოაღნიშნული გავაანალიზოთ. ე. ი. მეათედი დაუწესებიათ პატრიარქებს აბრაამსა და მის შვილიშვილს იაკობს, როგორც შესაწირი ღვთისათვის მადლიერების გამოსახატად. აბრაამს იმის აღსანიშნავად, რაშიც უკვე დაეხმარა ღმერთი, ხოლო იაკობი აწესებს მეათედს უფლისადმი ძღვნად იმისათვის, რასაც უფალი შემდგომში გაუკეთებს და დაეხმარება. ამდენად იაკობთან მეათედი გვევლინება აუცილებელ გასაცემად, რასაც შემდგომში ღვთის წყალობა უნდა მოჰყვეს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია ეზოთერიკაში, სადაც ღვთიური წყალობისათვის აუცილებელია ჯერ ჩვენ გავცეთ, ხოლო შემდეგ უფალი ამას ათმაგად და ასმაგად დაგვიბრუნებს. შემდგომში ამ აზრის დაკონკრეტებას ვხდებით ახალ აღთქმაში ლუკას სახარებაში: „მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი საწყაო დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე, მოგეცემათ თქვენსავე კალათაში. რადგან, რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმითივე მოგეწყვებათ თქვენ“ (ლუკა 6:38). ჩვენი აზრით, ეს უდევს საფუძვლად შოთა რუსთაველის ცნობილ აფორიზმს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

მეათედის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ბიბლიის სხვა ნაწილშიც, სადაც უფალი ეუბნება აარონს: „ლევიალებს კი, აჰა, მიეცი საკვდროდ ყველაფრის მეათედი, რაც ისრაელშია, მათი სამსახურის სანაცვლოდ, რასაც სადღესასწაულო კარავთან ასრულებენ“ (რიცხვნი. 18:21). მეათედზეა საუბარი ნეემია ხაქალის ძესთანაც: „ჩვენს პირველ ცომს, ჩვენს შესაწირავს, ყველა ხის ნაყოფს, მაჭარს და ზეთუნის

ზეთს, მღვდლებს მივართმევთ, ჩვენი ღმრთის სახლის ოთახში, ჩვენი მიწიდან მეათედს ლევანებს მოუტანთ, ლევანები მეათედს აიღებენ ყველა ჩვენი სამიწათმოქმედო ქალაქებიდან“ (ნემია. 10:37).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მეათედს, რასაც უფალს შევწირავთ, უფალი ათმაგად და ასმაგად გვიწყალობებს, ეს აზრი ასევე წარმოდგენილია მალაქიასთან, სადაც ყოველივე ამის შესახებ უკვე თვით უფალი გვამცნობს: „მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში და იყოს საზრდო ჩემს სახლში, აბა გამოცადეთ ამით, ამბობს ცაბაოთ უფალი, თუ არ გაგიხსნათ ცათა საქანელი და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აუწყევლად“ (მალაქია 3: 10).

ბიბლიაში მოხსენიებული მეათედი ეს არის ყოველივე შრომით მიღებული დოვლათის ოდენობა ნატურით და არა ფულადი სახით. ნატურით გადახდილი მეათედის სანაცვლო ფულადი ოდენობა შეადგენდა დანამატს, მისი საფასურის მეათედის მეხუთედს, ანუ 20% -ს: „ყოველი მეათედი მიწისა, მიწის ნათესისა, ხის ნაყოფისა უფლისაა, უფალი წმინდაა“, „თუ ვინმე მეათედის გამოსყიდვას დააპირებს, მისი მეხუთედი დაემატოს“ (მგელი აღთქ. ლევ. 27: 30- 33). ეს შეიძლება რამოდენიმე მნიშვნელობით იქნას გაგებული. ჩვენ ვეთანხმებით მკვლევრებს (ნიკოლოზ ჩიხლაძე და სხვ.) იმის შესახებ, რომ ნატურალური პროდუქციის გამოსასყიდი დამატებითი 20%, რეალური ეროვნული პროდუქტის მატების წახალისებაა. ჩვენი აზრით, ამასთან ერთად ეს მომენტი მიუთითებს თვითონ ფულის, როგორც ეროვნული ვალუტის ნატურალური პროდუქციით გამაგრების ფაქტზე, რაც ყველაზე ეფექტური საშუალებაა ფულის, ვალუტის ინფლაციის წინააღმდეგ.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, თანამედროვე პირობებში მეათედი, ფაქტობრივად, აზრს კარგავს. ეს გარკვეულწილად ასეა დღევანდელ რეალობაშიც, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთი გამონაკლისი და ის ისევე ეფექტურად მუშაობს. ამის საილუსტრაციოდ საინტერესოა ერთი ინგლისური საეკლესიო ადათი. ინგლისში ეკლესია ფერმერებისა და მეწარმეებისაგან არსებული კანონმდებლობის საფუძველზე იღებს მათი მოგებიდან მეათედს. ეს თანხა შემდგომში გამოიყენება საეკლესიო ხარჯებისათვის, ობოლთა და გაჭირვებულთა დახმარებისათვის. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში შედგა რამდენიმე სასამართლო პროცესი, სადაც ინგლისელ ლორდებს სურდათ მეათედის წესის გადასინჯვა, რადგან, მათი აზრით, ეს გადასახადი უარყოფითად მოქმედებდა მათ ეკონომიკაზე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ლორდებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, საქმეში ჩაერია ეკლესია, რომელმაც მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ზოგ შემთხვევაში მეათედის გაღება მართლაც უარყოფითად მოქმედებდა მათ შემოსავალზე. საქმე ისაა, რომ ისინი ამას აკეთებდნენ იძულებითი წესით, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, ხოლო ის, ვინც ამას თავისი ნებით აკეთებდა, მათი ეკონომიკა არ დაზარალებულა, პირიქით, მათ გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს.

ასევე არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს გადასახადის მეათედით გადახდის ნორმა მხოლოდ ძველ აღთქმისეულია და ის ახალ აღთქმაში აღარ მოიხსენება. ამ აზრს ჩვენ არ ვეთანხმებით, ვინაიდან მაცხოვარი არ უარყოფს მეათედის გადახდას: „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისევლნო, თვალთმაქცნო, რომლებიც იხდით პიტნის, კამისა და კვლიავის მეათედს და მიტოვებული გაქვთ რაც უფრო მთვარია რჯულში - განკითხვა, წყალობა და სარწმუნოება. ესეც უნდა გვეკეთებინათ და არც ის უნდა მიგეტოვებინათ“ (იხ. მათე 23:23). როგორც ვხედავთ, აქ მაცხოვარი არ უარყოფს მეათედის წესს, მაგრამ მიუთითებს იმაზე, რომ, ამასთან ერთად განკითხვა, წყალობა და სარწმუნოება უნდა გვექონდეს.

ახლა დაუბრუნდეთ ბიბლიაში მოხსენიებულ საგადასახადო მოსაკრებლის მეორე ვარიანტს, მეხუთედს ანუ წმინდა შემოსავლის 20%-ს. ზემოთ ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ თუ ვინმეს სურდა ნატურალური პროდუქტის მეათედი გამოესყიდა, მაშინ მას ამის საფასურად ხსენებული პროდუქტის მეხუთედი, ანუ 20% უნდა დაემატებინა გადასახადზე. რა თქმა უნდა, ეს არ ჩაითვლება გადასახადის ძირითად მაჩვენებლად. გადასახადის ეს ოდენობა გამოიყენებოდა მხოლოდ ერთ კონკრეტული შემთხვევისათვის. ძირითად საგადასახადო ნორმად ბიბლიაში მიღებულია მეათედი, მაგრამ ზოგიერთ ექსტრემალური სიტუაციების შემთხვევაში ბიბლიაში არის აღწერილი ქვეყანაში გადასახადის ოდენობის დაწესება მეხუთედი, ანუ 20% ოდენობით. გავიხსენოთ ბიბლიიდან ეგვიპტის ფარაონის უცნაური სიზმარი, ნილოსიდან ამოსული შვიდი მსუქანი და შვიდი გამხდარი ძროხის შესახებ. ეს სიზმარი, როგორც ბიბლიის ტექსტი გვამცნობს, ახსნა ახალგაზრდა იოსებმა, რომელიც ამ სიზმრის ახსნის შემდეგ ფარაონმა ეგვიპტის გამგებლად დანიშნა. სწორედ იოსებმა დააწესა ამ პერიოდში ეგვიპტეში გადასახადის ოდენობად მეხუთედი (იხ. დაბ. 41:34). „ასე ქნას ფარაონმა: ზედამხედველები განაწესოს ქვეყანაში, რათა მეხუთედი ახდევინოს ეგვიპტის ქვეყანას შვიდი მოსავლიანი წლის მანძილზე.“ იგულისხმება, ფარაონი ეთანხმება იოსებს და ამრიგად აწესებს გადასახადის ოდენობად 20%, მეხუთედს. საინტერესოა მოვლენების შემდგომი განვითარება. პირველ მოსავლიან შვიდ წელიწადს იოსები, როგორც ეგვიპტის გამგებელი, ქვეყანაში მოწეული ხორბლის მეხუთედიდან აგროვებს სათანადო მარაგს. რასაც ურიგებს მოსახლეობას შემდგომი შვიდი მოუსავლიანი წლის განმავლობაში. შემდეგში, როდესაც ხალხს გაუჭირდება, ხალხისვე წინადადებით, მათ მიწებს მეპატრონეებიანად შეასყიდინებს ფარაონს. ამ აქციის

შემდეგ ხსენებული მოსახლეობა გადაიქცევა ყმად, რომელნიც იმისათვის, რომ იარსებონ, იძულებულნი არიან ყმის რანგში იმუშაონ ადრე თავიანთ საკუთრებაში არსებულ მიწებზე (იხ. დაბ. 47:20): „შეუსყიდა იოსებმა მთელი მიწა ფარაონს, რადგან გაყიდეს ეგვიპტელებმა თავიანთი ყანები გაუსაძლისი შიმშილის გამო. ასე დაეუფლა მიწას ფარაონი.“ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველ სამყაროში, ანუ იგივე ბიბლიის პერიოდის სამყაროში და შემდგომაც სასულიერო პირები, ეკლესია გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან. ანალოგიური მდგომარეობა იყო ხსენებული პერიოდის ეგვიპტეშიც. იოსებმა, როგორც გამოწკლისი, არ შეისყიდა ქურუმთა მიწები (იხ. დაბ. 47:22): „მხოლოდ ქურუმთა მიწა არ უყიდა, რადგან ფარაონისაგან ჰქონდათ ნაკვეთები და თავს ირჩენდნენ ამ ნაკვეთებით, ფარაონმა მისცა, ამიტომაც არ გაუყიდათ თავიანთი მიწა“. ამის შემდეგ ხდება სოციალურად ძალიან საინტერესო აქტი. ხალხს, რომლებმაც მიწა მიჰყიდა ფარაონს, აღარც მიწა აქვს და აღარც სათესლე ხორბალი. ამ მომენტიდან მათზე ზრუნვას გარკვეული ფორმით იწყებს ფარაონი იოსების რჩევით. მათ ეძლევათ დასათესი ხორბალი, გაყიდულ ნაკვეთზე მუშაობის უფლება, ოღონდაც სათანადო პირობებით. აი ეს პირობებიც: „უთხრა იოსებმა ხალხს: აჰა, ნაყიდი მყევხართ ახლა ფარაონისათვის თქვენცა და თქვენი მიწებიც, აჰა, თესლი და დათესეთ პური. მოსავლის აღებისას მეხუთედი ფარაონს მიეცით ოთხი წილი ყანის დასათესად და საკვებად დაიტოვეთ თქვენთვის, თქვენს სახლში მყოფთათვის და თქვენი წვრილშვილისათვის“ (დაბ. 47:23-24). მოყვანილი ტექსტიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ხსენებულ ექსტრემალურ სიტუაციაში, მართალია, ადრე საყოველთაოდ დადგენილი გადასახადის ოდენობა გაორმაგდა და გახდა მეხუთედი, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეხუთედი ეს არის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად საგადასახადო მოსაკრებლის მაქსიმალური ზღვარი, რომლის იქითაც უკვე დაირღვევა ეს უკანასკნელი. ეს რომ არ მოხდეს, მოსახლეობას, რომელსაც აღარაფერი არ გააჩნია და ფაქტიურად ყმებად იქცნენ, მათთვის მოიძებნა სოციალური დაცვის ისეთი მექანიზმი, რომ ქვეყანაში უმძიმეს პირობებში შენარჩუნებულიყო სტაბილურობა.

გვინდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება: ცხადია, ბიბლიაში მითითებული საგადასახადო მოსაკრებლის ოპტიმალური ოდენობაა მეათედი, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, ექსტრემალურ სიტუაციებში, ის ორმაგდება და ხდება მეხუთედი, ანუ 20%-ი, რომელიც ჩვენი აზრით, არის ის მაქსიმალური ზღვარი, რომლის იქითაც ირღვევა ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა. სწორედ ასე იყო მეფე სოლომონთან და მის ძესთან. სოლომონმა, მართალია, გაზარდა გადასახადები, მაგრამ მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ამას არ მოჰყოლია პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში. (ბიბლიაში არსად არის კონკრეტულად მითითებული, თუ რამდენჯერ გაზარდა სოლომონმა გადასახადი) ჩვენი ვარაუდით, სოლომონმა მოსახლეობას გაუორმაგა გადასახადის ნორმა და ის არ აღემატებოდა კრიტიკულ ზღვარს, ანუ მეხუთედს 20%-ს, ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ სოლომონმა ასეთ მძიმე სიტუაციაში შესძლო შენარჩუნებინა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა, იოსებისა და ფარაონის მსგავსად ეგვიპტის შემთხვევაში. როაზომთან, იოსების ძესთან კი ეს საგადასახადო ნორმა კიდევ გაიზარდა, და გადასცდა კრიტიკულ ზღვრულ ნორმას 20%-ს, რამაც გამოიწვია კიდევაც კრიზისი ქვეყანაში, რასაც ქვეყნის ორად გაყოფა მოჰყვა შედეგად.

სტატიაში განხილული ბიბლიური გამოცდილება საგადასახადო მოსაკრებელთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, საინტერესოა როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით თანამედროვე საზარო ეკონომიკის მშენებლობის რთულ პროცესში. საგადასახადო მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას ოპტიმალური ზღვრის განსაზღვრისათვის.

#### ლიტერატურა:

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 2009.
2. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
3. გველესიანი მ., რა არის ეკონომიკური პოლიტიკა?, „კომენტარი“, თბ., 2008.

### **TAX FEE ACCORDING TO THE BIBLE** **Paata Kurdadze, Gori State Teaching University, Professor** **RESUME**

The paper deals with the general functioning of the tax and its importance to the state. The turn of the Biblical texts about the taxes, which is analyzed according modern market economics. Unlike other publications, the paper is talking about the optimality of Bible taxes. According to the author of the Bible (historical), tax fee setting experience and its analysis greatly help us to build a modern tax policy.



# DIRECTIONS FOR INVESTMENT-DRIVEN DEVELOPMENT OF AGRICULTURE IN BELARUS

**Lilia Shchukina**, Gomel State Technical University named by P.O. Sukhoi, Assistant

## **Resume**

The article is devoted to the analysis of structure, volume and source of fixed capital expenditures in development of agriculture of Belarus. The comparative assessment of efficiency of investment resources use in agriculture was carried out.

Under current conditions modernization of technological base of agrarian sphere supposes development of considerable financial resources that, from one side, are limited in volume, from the other side, have to promote improvement of quantitative and qualitative parameters of branch development. Thus, activation of investment activity creates conditions for increasing the level of technological infrastructure, the economic efficiency of agricultural production by improving the composition and structure of fixed assets, the raising of rural population living standards, the development of transport communications, as well as the complex municipal improvement of rural settlements.

The order of attracting investments and using the territory of the Republic of Belarus is determined in a number of legislative, regulatory and policy documents, the most important of which are the Law "On investments" (from July 12, 2013 № 53-B), the Presidential Decree "On creation additional conditions for investment activity in the Republic of Belarus (August 6, 2009 № 10, as revised on January 31, 2013), the State investment program for 2015, the Strategy for attracting foreign direct investments in the Republic of Belarus for the period till 2015 [3].

However, in the field of state regulation of investment activity the questions of present interest are: first of all, the rational distribution of investment resources throughout main sectors of the national economy and lines of sustainable development; in the second place, optimization of financial and economic leverages on the investment processes; in the third place, efficient use of capital investments.

Investing to the sustainable development of agriculture must fit with a number of key pillars for responsible investment developed by the Food and Agriculture Organization (FAO), United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), the International Fund for Agricultural Development (IFAD) and the World Bank. They are voluntary by nature and define the basic conceptual approaches to investment in rural sector. In particular, the investment should contribute to food security of the country, to the most sustainable and efficient use of natural resources on the basis of current knowledge, technologies and potential. Attainment the desired socio-economic and distributing effects should be the result of their use. Investing in agriculture should be accompanied by mechanisms for regular review and improvement of the regulatory framework and correspond to internationally recognized norms of the labor law [4].

Permanent consumer product demand, special public image of branch out of necessity food security provision of the state, work creation in rural regions, conservation of agricultural landscapes and environmental improvement of rural territories are the key advantages of investment in agriculture.

Traditionally, agriculture is the sphere of risky capital investment (see table 1). This is due to the fact that, from one side, the branch is seasonal by character and depends of objective natural and climatic conditions and events (duration of the agricultural period, bioclimatic area potential, cultural state of land, soil heterogeneity, etc.), from the other side – underdevelopment of the market and rural production infrastructure, the price disparity between agriculture and industry products and the high interest rates on credit.

An additional point is that the results of investment in the rural sector is largely depend on the delivery of raw agricultural materials, the tax system, the level of information and analytical support, the investment projects services, the stability of the political and legal systems at large.

Table 1 - Structure of fixed capital expenditures by spheres of national economy of Republic of Belarus during 2010-2014, in % to a result

Sphere of national economy	Structure of fixed capital expenditures by years				
	2010	2011	2012	2013	2014
Sphere of production, including:	51,4	55,5	52,7	52,5	48,3
agriculture	16,5	11,8	14,8	13,0	9,1
industry	29,5	40,4	34,4	36,1	36,4
Service industries	48,6	44,5	47,3	47,5	51,7

Note. It is made by the author according to a source [2]

The analysis showed that there is a positive trend to successive increase of fixed capital expenditures so as to technical and technological re-equipment of agrarian sphere in the Republic of Belarus during 2010-2013. However, financial backing of branch was considerably reduced in 2014 due to curtailment of republican and local expenses and agricultural organizations opportunities (see table 2).

Table 2 - Total fixed capital expenditures, aimed to develop agriculture of the Republic of Belarus (per 1 hectare of agricultural land) during 2010-2014

Criterion	Figures by years				
	2010	2011	2012	2013	2014
Fixed capital expenditures, thousand rubles	1193,46	1519,64	2997,22	3604,06	2727,72
Including by region					
Brest	1909,73	2150,59	3587,73	3314,14	2586,93
Vitebsk	967,93	1091,40	1834,76	2419,13	1808,16
Gomel	836,55	1167,19	2126,07	3128,86	2670,53
Grodno	975,15	1624,68	3420,81	4079,55	2744,04
Minsk	1188,02	1465,05	4073,84	5126,38	3900,59
Mogilev	1186,40	1542,82	2449,52	2759,37	2098,51

Note. It is made by the author according to a source [1]

Separately for each territorial administrative unit, assimilation of fixed capital expenditures is provided to the fullest extent in the Brest region in 2010-2011 and the Minsk region in 2012-2014. It is connected with taking into use facilities for the cattle and pigs (101,6 thousand places), storages for potatoes, vegetables and fruit (76,1 thousand tons of single storage), dairy and commodity farms (33 units) in the Brest region, greenhouses (206,2 thousand sq. m) and dairy farms (347 units) in the Minsk region.

As for the investment level in rural sector, it is important to note the criterions "part of fixed capital expenditures in the cost of agricultural commodities" and "increment rate of value of agricultural production to 1% of a gain of fixed capital expenditures" presented in table 3.

Table 3 - Trend data of level and returns of the fixed capital expenditures aimed to develop agriculture of the Republic of Belarus during 2010-2014.

Regions	Ratio of fixed capital expenditures and cost of agricultural commodities, %					An increase in value of agricultural commodities to 1% of a gain of fixed capital expenditures, %				
	2010	2011	2012	2013	2014	2010	2011	2012	2013	2014
Brest	59,9	37,4	33,8	28,5	17,6	0,27	6,33	1,27	-1,18	-1,16
Vitebsk	37,1	24,1	21,7	27,2	16,8	2,93	5,86	1,28	0,10	-0,42
Gomel	34,6	28,4	26,9	33,9	22,1	-10,53	1,78	1,13	0,35	-1,98
Grodno	29,4	27,7	33,3	33,3	17,7	-0,70	1,15	0,68	0,99	-0,79
Minsk	34,1	25,7	39,0	43,6	26,9	1,58	2,73	0,47	0,48	-0,95
Mogilev	48,5	35,8	30,8	30,6	18,2	1,04	2,52	1,44	1,05	-0,87
The Republic of Belarus	40,0	29,5	31,6	33,7	20,5	1,19	2,66	0,87	0,61	-0,95
For reference only	Ratio of the total fixed capital expenditures and industrial output, %					A gain of industrial output for 1% of a gain of fixed capital expenditures, %				
	9,8	11,5	8,6	12,5	12,2	0,75	0,75	2,31	-0,04	1,32
	Share of fixed capital expenditures in GDP, %					GDP gain for 1% of a gain of fixed capital expenditures, %				
	33,7	33,2	29,3	31,8	29,0	0,71	1,03	1,39	0,63	2,60

Note. It is made by the author according to a source [2]

In agriculture at the highest level of accumulation of fixed capital expenditures in comparison with industry and national economy level in general, return from their use in 2012-2014 in the form of an increase in value of agricultural production is the lowest. In 2010-2011 return from fixed capital expenditures is much higher than republican and branch values; it is connected with fulfilment of a complex of the legal and program documents providing activation of investment activity in rural areas, improvement of investment environment, construction (reconstruction) of production floors measures and rural development by objects of social and production infrastructure.

It should be noted that separately for each territorial administrative unit in 2011 in all regions of the Republic of Belarus the greatest increase in value of agricultural production is provided at the lowest level of investments use; it is strongly associated with natural and climatic conditions and their influence on the eventual outcome of economic activity of the organizations. In 2014 return from investments use in the form of an increase in value of agricultural production is the lowest.

The main source of financing fixed capital expenditures is the agricultural organizations capital base, including the credits and loans of banks. Share of foreign investments in rural sector of economy is insignificant because the attraction of foreign financial resources in agriculture has local character.

Low branch investment attractiveness for the foreign capital is caused by high extent of state intervention in economic activity of the organizations, first of all, concerning price regulation and insufficient financial stability of business facilities (see figure 1).




Figure 1 - Sources of financing fixed capital expenditures aimed to develop agriculture of the Republic of Belarus during 2011-2014 (It is made by the author according to a source [1])

For the period 2011-2014 the share of private means of the organizations considerably grew that is connected with total budgetary branch financing reduction and with decrease availability of credit resources to participants of the agrarian market because of high interest rates on the credit and degradation of their financial and economic situation.

Thus, considering limited investment opportunities of the agricultural organizations, further streamlining of investment regulation in agriculture is necessary, particularly, by effectivization of investments use, activation of business facilities participation in investment process, increase the share of agricultural organizations private means in branch financing, ensuring scientifically based price formation, adopting a flexible monetary, tax and depreciation policy, broaden options for leasing, development and protection of the domestic investment market.

#### BIBLIOGRAPHY:

1. Agriculture of Republic of Belarus: statistical collection / National statistical committee of Republic of Belarus. – Minsk, 2015. – 318 p.
2. Investments and construction in Republic of Belarus: statistical collection / National statistical committee of Republic of Belarus. – Minsk, 2015. – 168 p.
3. Ministry of Economics of Republic of Belarus [Electronic resource]. – Access mode: <http://www.economy.gov.by/ru/invpolicy/pravovie-usloviya-invest-deyatelnocyt>. – Date of access: 20.10.2015.
4. Principles of responsible investment into agrofood systems / Committee on the world food security [Electronic resource]. - Access mode: <http://www.fao.org/cfs/kvpb/ru/>. – Date of access: 20.10.2015.

### ბუღალტრული ანგარიშების დახურვა და დაბალანსება

**ხალიანა ჩიტაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
chitadze.xaliana@gmail.com

**გიორგი თენაძე**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
E-mail: Tenage89@yahoo.com

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ აუცილებელი გახადა აღრიცხვა-ანგარიშების სისტემის გარდაქმნა ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბუღალტრული აღრიცხვა ასრულებს პრინციპულად სხვა როლს. იგი კარგავს უბრალო ანგარიშწარმოების ფუნქციას და იძენს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის ახალ ფუნქციებს.

აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ისეთი სისტემით, რომ იგი აკმაყოფილებდეს ბიზნესის გაფართოებულ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მოთხოვნებს. ამიტომ ფინანსური ინფორმაცია უნდა მომზადდეს ერთიანი სტანდარტული მეთოდოლოგიით. ასეთმა მოთხოვნებმა ასახვა ჰპოვა აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში.

სააღრიცხვო პროცესის თანმიმდევრობას ბუღალტრული ანგარიშების გახსნიდან წლიური ანგარიშების შედგენამდე სააღრიცხვო ციკლი ეწოდება და იგი მოიცავს სხვადასხვა ეტაპებს:

- 1) ბუღალტრული ანგარიშების გახსნა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის;
- 2) სამეურნეო ოპერაციების ანალიზი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე და მოკორესპონდენტო ანგარიშების განსაზღვრა;
- 3) სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია \_ ბუღალტრული კოტირება;
- 4) სამეურნეო ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშებში;
- 5) ინვენტარიზაციის ჩატარება და შეფასება;
- 6) ბუღალტრულ ანგარიშებში ნაშთების განსაზღვრა, ანგარიშების დახურვა და დაბალანსება;
- 7) ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ბუღალტრული აღრიცხვა იყენებს ე.წ. ანგარიშებს, რომლებშიც აღრიცხება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფინანსური ოპერაციებით გამოწვეული ყოველგვარი ცვლილება. ფინანსური ოპერაციებით გამოწვეული ცვლილება ერთი და იმავე თანხით აისახება როგორც აქტივების, ასევე პასივის ამსახველ ანგარიშებში.

ანგარიში წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ ხერხს, რომელიც იძლევა ერთგვაროვან სამეურნეო საშუალებებში, მათ წყაროებსა და პროცესებში სამეურნეო ოპერაციით გამოწვეული ცვლილებების ასახვის საშუალებას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანუ ბუღალტრული ანგარიში არის სააღრიცხვო ინფორმაციის ჩაწერის, დაგროვებისა და შენახვის სისტემა. ანგარიშები ეხსენება აქტივის, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებს ცალ-ცალკე.

ანგარიშები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: საბალანსო ანუ ძირითად ანგარიშებად და დროებით ანუ მოგება-ზარალის ანგარიშებად. ზოგიერთი ბუღალტრული ანგარიში მათი დანიშნულებიდან გამომდინარე, როგორც წესი, იხსნება საანგარიშგებო წლის დასაწყისში და გამოიყენება მხოლოდ მის ბოლომდე. ასეთი ტიპის ანგარიშები ბალანსში არ ფიგურირებენ, ვინაიდან მათ ნულოვანი საწყისი და საბოლოო ნაშთები გააჩნიათ. ისინი დროებითი ანგარიშებია და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დახურვას ექვემდებარებიან. ასეთებია, ყველა შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშები. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი, რომელიც მოგების შემთხვევაში ყველა გადასახადების გასტუმრების შემდეგ იხურება და კრედიტის ნაშთი გადაიტანება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე შებრუნებული გატარებით და ანგარიში დაიხურება. ბალანსში ჩაიწერება გაუნაწილებელი მოგება საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში.

მამასადამე, ანგარიშების დახურვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ანგარიშის დებეტისა და კრედიტის ბრუნვებს შორის სხვაობის ერთ-ერთ მხარეს დამატებითი ჩაწერით სადებეტო და საკრედიტო ბრუნვები თანაბრდება და რადგანაც მოცემულ ანგარიშს საწყისი ნაშთი არ გააჩნია, საბოლოო ნაშთიც ნულოვანი ხდება და ბალანსში ცხადია არ აისახება. ასევე ცნობილია, რომ ბუღალტრულ ანგარიშებში ასახვა ორადი ჩაწერის პრინციპს ექვემდებარება. ანგარიშის დახურვა თავისთავად სამეურნეო ოპერაციასაც წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია დასახური ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშის განსაზღვრა.

ანგარიშების დახურვა და დაბალანსება ერთიმეორისაგან განსხვავდება. ამ მიზნით მიზანშეწონილია ხაზი გაესვას რამდენიმე გარემოებას:

- ანგარიშების როგორც დახურვის ისე დაბალანსების დროს კეთდება საბოლოო (დასკვნითი) ჩანაწერი, მაგრამ მათი ეკონომიკური შინაარსი განსხვავებულია. კერძოს ანგარიშების დახურვის დროს საბოლოო ჩანაწერით ანგარიშის დებეტის და კრედიტის ბრუნვების გატოლება ხდება, ხოლო ანგარიშების დაბალანსებისას ერთმანეთს უტოლდება ანგარიშის დებეტსა და კრედიტში ჩანაწერების ჯამი. პირველ შემთხვევაში ანგარიშებზე ნაშთი არ რჩება. ანგარიშების დაბალანსებისას კი დასკვნითი ნაშთის არსებობა აუცილებელია და იგი ბალანსში აისახება.
- საბოლოო ჩანაწერი ანგარიშების დახურვის დროს ორადი ჩაწერის სისტემას ექვემდებარება. ანგარიშების დაბალანსების დროს კი ანგარიშებში ჩანაწერი ბუღალტრული მუხლის გარეშე კეთდება.
- ანგარიშების დახურვისას საბოლოო ჩანაწერებზე დგება ბუღალტრული დოკუმენტი, რომელიც ბუღალტრული გატარების საფუძველია. ანგარიშების დაბალანსების მიზნით დასკვნითი ჩანაწერის გასაკეთებლად ბუღალტრული დოკუმენტები არ ფორმდება და აქედან გამომდინარე ბუღალტრული გატარებაც არ კეთდება.

ანგარიშების დასახურად ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოიყენება ანგარიში 5330 „საანგარიში პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიში“, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე აქტიურ-პასიური ანგარიშია და დროებით ანგარიშად ითვლება. თუ ამ ანგარიშის დებეტის მხარეს ბრუნვის თანხების ჯამმა გადააჭარბა კრედიტის მხარეს ბრუნვის თანხების ჯამს ნიშნავს, რომ საწარმო საქმიანობას ამთავრებს

ზარალით, ხოლო თუ პირიქით თუ ამ ანგარიშის დებეტის მხარეს ბრუნვის თანხების ჯამი ნაკლებია კრედიტის მხარეს ბრუნვის თანხების ჯამის, ნიშნავს, რომ საწარმო საქმიანობას ამთავრებს მოგებით.

მაგალითად: საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოსავლებმა რეალიზაციიდან შეადგინა 6000 ლარი: ე.ი. კ – 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ – 6000 ლარს. ხარჯებმა შეადგინა 5000 ლარი, ე.ი. დ – 7200 „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება“ – 5000 ლარს. სქემატურად შეიძლება ანგარიშებში ასე გამოვსახოთ:

წლის ბოლო ორივე ანგარიში იხურება:

შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების დახურვა:

დ. – 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ – 6000 5330 (მოგება/ზარალი)

კ. – 5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიში“ – 6000

დ. – 5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიში“ – 5000

კ. – 7200 „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება“ – 5000

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოგებამ შეადგინა (6000-5000) 1000 ლარი მოგება.

ყველა კანონით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის შემდეგ ანგ. 5330 (საანგარიშგებო პერიოდის მოგება. ზარალი) იხურება და გადაიტანება გაუნაწილებელი მოგების ანგ. 5310-ზე ასეთი ბუღალტრული გატარებით:

დ. – 5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიში“.

კ. – 5310 „გაუნაწილებელი მოგება“.

ანგარიშების დახურვისა და დაბალანსების შემდეგ დგება ფინანსური ანგარიშგების ფორმები: ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი, კაპიტალის ცვლილებების უწყისი და სხვადასხვა ახსნა-განმარტებები.

ჩვენს ქვეყანაში დაინერგა საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული აღრიცხვის ახალი სისტემა, რომელთა ფუნქციონირება და გამოყენება შესაძლებელია ინფორმაციული პროგრამების საშუალებით. ბოლო დროს შედარებით შეძლებული კომპანიები, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები საკუთარ სისტემაში წერგავენ მძლავრ პროგრამულ გადაწყვეტილებებს. ისინი რეალურად გათვლილნი არიან საშუალო და მსხვილ ბიზნესზე. კომპიუტერული სისტემა მუშაობს იმავე პრინციპით, როგორც ხელით აღრიცხვის სისტემა, იმ განსხვავებით, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული ანგარიშების დახურვისა და დაბალანსების გატარებები პროგრამაში არ ფიქსირდება. ეს იწვევს სწრაფად მცირე დროში დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებას და საჭირო შედეგის მიღებას, სიზუსტეს და საიმედოობას.

ჩვენი აზრით, საკმაოდ დროული და შეიძლება ითქვას, აუცილებელიცაა მომხმარებლისათვის შეთავაზებული იქნეს მძლავრი ბუღალტრული სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება უახლოეს ტექნოლოგიებსა და წამყვანი ინფორმაციული სისტემების გამოცდილებაზე, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს პრაქტიკაში ბუღალტრების შრომას და დაზოგავს მეტ დროს და ენერგიას.

#### **ლიტერატურა:**

1. ჩიტაძე ხ., თენაძე გ., ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები, გორი, 2009.
2. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ბუღალტრული აღრიცხვა-თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, თბილისი, 2004.

#### **ინტერნეტ-მასალები:**

1. <http://www.nbg.gov.ge/>
2. <http://www.mof.ge/>
3. <http://www.statistiks.ge/>
4. <http://www.parliament.ge>
5. [www.pbo.ge](http://www.pbo.ge)
6. [www.economists.ge](http://www.economists.ge)

**BOOKKEEPER ACCOUNTS CLOSURE AND BALANCE**  
**Khaliana Chitadze, Gori State Teaching University, Associate Professor**  
**Giorgi Tenadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD student**  
**RESUME**

In the work “Bookkeeper Accounts Closure and Balance” regarded with the international modern standards of bookkeeper accounts closure procedures and methods are discussed.

For closing bookkeeper calculation 5330 “profit-loss account”, which is exactly is passive-active account and it is considered as a temporal account. To close the account is important, because of its standpoints, that after closing and balancing financial account forms are made Balance, changes of financial capital and others.

Nowadays it is possible to improve and use accountancy by the helping of modern informational technological system in Georgia. All this help to establish a strong accountant system. Accountancy is getting better to accountant programs and becoming usable. The result is that the number of employees is increasing every day.

**აღრიცხვა-ანგარიშების ძირითადი ასპექტები სადაზღვევო კომპანიაში**

**გიორგი ხანთაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**  
**არჩილ ცერცვაძე, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი**

შიდასაფირმო აღრიცხვის მიზანია ფულადი და მომსახურების ნაკადების სისტემატური მოცვა, კონტროლი და ანალიზი, რომლებიც სადაზღვევო კომპანიის სამეურნეო საქმიანობის პროცესში წარმოიშობიან. ამიტომ შიდასაფირმო აღრიცხვა ასრულებს როგორც შიგა, ასევე საგარეო ამოცანებს.

შიდასაფირმო აღრიცხვის შიგა ამოცანებს მიეკუთვნება კომპანიის ხელმძღვანელობისათვის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ამას გარდა, ფაქტიური შედეგების გეგმურთან შედარების მიზანია საწარმოო გეგმების შესრულებაზე მიმდინარე კონტროლი. საანგარიშო მაჩვენებლებიდან გადახრების მიზეზების ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი საწარმოო გადაწყვეტილებების მიღებისას და დაგეგმვისას.

შიდასაფირმო აღრიცხვის საგარეო ამოცანებს მიეკუთვნება ანგარიშების წარდგენა და სადაზღვევო კომპანიის მიერ განსაზღვრული საინფორმაციო პოლიტიკის გატარება. სადაზღვევო კომპანიები მათ რეალიზაციას ახდენენ საკუთარ თანამშრომლებთან, დაზღვევის ზედამხედველობის ორგანოებთან, ბანკებთან, აქციონერებთან, საგადასახადო-საფინანსო უწყებებთან.

შიდასაფირმო აღრიცხვის ძირითადი ფორმებია:

- ა) საბუღალტრო აღრიცხვა;
- ბ) დანახარჯებისა და შედეგების აღრიცხვა;
- გ) სტატისტიკური ანალიზი;
- დ) დაგეგმვა.

საბუღალტრო აღრიცხვა არის საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფაქტების გეგმაზომიერი, სისტემატური და სრული ასახვა ფინანსური ანგარიშების დოკუმენტებში დროის გარკვეულ პერიოდში. იგი საშუალებას იძლევა დროის ნებისმიერ მომენტში გამოვავლინოთ საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების მოძრაობისა და ცვლილების მდგომარეობა, ასევე მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები.

საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება რეგლამენტირებულია კანონმდებლობით, ასევე სამეურნეო ბრუნვის დამკვიდრებული წესებით.

დანახარჯებისა და შედეგების აღრიცხვის მიზანია საწარმოო საქმიანობის ეკონომიურობის კონტროლი. დაზღვევაში ხდება სადაზღვევო პროდუქტის შექმნის დანახარჯების ყოველმხრივი აღრიცხვა, მათ შორის, მათი სახეების, ადგილისა და წარმოშობის ობიექტების მიხედვით. სხვებთან ერთად ეს მონაცემები გამოიყენება სადაზღვევო პროდუქტის ფასის კალკულაციის დროს და შესაბამისად განსაზღვრავენ სადაზღვევო პრემიის სიდიდეს.

**სტატისტიკური ანალიზი**

ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიის მუშაობა ემყარება სხვადასხვა სახის ინფორმაციის შეკრებას და ანალიზს, რომელსაც აწვდის შიდასაფირმო ბუღალტრული აღრიცხვა, სადაზღვევო ასოციაცია და სხვა

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ასევე ხდება საერთო ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეკრება.

ამ ინფორმაციას სადაზღვევო კომპანიას აწვდის სტატისტიკა, რომელიც არის ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და ანალიზის ხერხების, მეთოდების ერთობლიობა. ინფორმაციის მიღება დაკვირვების საშუალებით ხდება მოვლენაზე, რომელსაც მასიური ხასიათი აქვს. მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში მზღვეველს სჭირდება ინფორმაცია ზარალის სიხშირესა და საშუალო ოდენობაზე სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით.

განასხვავებენ დესკრიპციულ და ინდუქციურ სტატისტიკას: დესკრიპციული სტატისტიკა არის აღწერითი სტატისტიკა, როცა მონაცემები მიიღება მთლიანი სტატისტიკური გამოკვლევის გზით, ხოლო ინდუქციურ სტატისტიკაში მონაცემები მიიღება შერჩევითი დაკვირვების შედეგად.

დაგეგმვა არის მომავალში საწარმოს განვითარების პროგნოზის შედგენა, რომელიც ემყარება წინა სამი ფორმის მიერ წარმოდგენილი შიდასაფირმო აღრიცხვის ინფორმაციის გამოყენებას. სამეურნეო საქმიანობის საერთო გეგმის ფარგლებში სადაზღვევო კომპანია შეადგენს საფინანსო, სარეკლამო საქმიანობის ჩატარებისა და რეალიზაციის გეგმებს. კომპანიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჯერ ფორმირდება გეგმური მიზანი, ხოლო შემდეგ იგი უნდა შედარდეს ფაქტიურ შედეგებს. კონტროლის მიზანია კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის მიწოდება, რაც საჭიროა მართვის პროცესის მომავალზე ორიენტაციისათვის, ასევე კომპანიის ფარგლებში ცალკეული ამოცანების შესრულების კოორდინაცია. რევიზიის ამოცანა არის სამეურნეო საქმიანობის ყველა ფაქტის ეკონომიკურობის, საწარმოო პროცესებისა და სტრუქტურების დამოუკიდებელი შემოწმება, რომელიც სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ არის კონტროლირებადი.

#### **შემოსავლებისა და გასაღების აღრიცხვა**

საქმის წარმოებისათვის საჭირო ხარჯების აღრიცხვა არის შიდასაფირმო აღრიცხვის ფორმა, რომლის მიზანია ფინანსური ანგარიშების დოკუმენტებში აისახოს ღირებულებათა პერიოდული მოხმარება სადაზღვევო ოპერაციების განხორციელებისას. ამიტომ ამ ხარჯებს მიეკუთვნება სადაზღვევო კომპანიის მიერ გაწეული ყველა ფაქტიური საწარმოო დანახარჯები.

ინფორმაციის შეკრება და სადაზღვევო ოპერაციების შეფასება საწარმოო დანახარჯების აღრიცხვის საფუძველზე ხორციელდება შემდეგი სამი მიმართულებით:

- მუხლობრივი აღრიცხვა და დანახარჯების სისტემატიზაცია განსაზღვრულ პერიოდში: შრომის ანაზღაურების ხარჯები, მატერიალური დანახარჯები, ბანკის კრედიტზე პროცენტის გადახდა, ძირითადი საშუალებების ცვეთა;

- წარმოშობის ადგილის ან მიკუთვნების ცენტრის მიხედვით ხარჯების აღრიცხვის დროს ხარჯების ცალკეული ელემენტები ნაწილდება კომპანიის ცალკეულ განყოფილებებში, სადაც იგი იქნა გაწეული, როგორცაა სადაზღვევო, მომარაგების, გაყიდვის განყოფილებები;

- ობიექტების მიხედვით ხარჯების აღრიცხვის საშუალებით დგინდება სადაზღვევო მომსახურების თვითღირებულება.

სადაზღვევო კომპანიები აწარმოებენ მუხლობრივ აღრიცხვას შემდეგი მუხლების მიხედვით:

- ა) ხარჯები პერსონალზე;
- ბ) ხარჯები სადაზღვევო შუამავლების შრომის ანაზღაურებაზე;
- გ) მატერიალური დანახარჯები და გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ხარჯები;
- დ) მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ხარჯები;
- ე) გადაზღვევის ხარჯები;
- ვ) კალკულაციური ამორტიზაცია;
- ზ) კალკულაციური პროცენტები;
- თ) საანგარიშო საარენდო გადასახადი;
- ი) კალკულაციური რისკების დაფარვის ხარჯები.

წარმოშობის ადგილის მიხედვით ხარჯების აღრიცხვა გვიჩვენებს, თუ სად წარმოიშვა ეს ხარჯები. ხარჯების მიკუთვნების ცენტრებად შეიძლება განვიხილოთ:

- სადაზღვევო კომპანიის საორგანიზაციო განყოფილებები ან სტრუქტურული ქვეგანყოფილებები;
- საწარმოო-სამეურნეო ფუნქციები;
- პასუხისმგებლობის ცენტრები.

ასევე გამოყოფენ ხარჯების მიკუთვნების შუალედურ და საბოლოო ცენტრებს. პრაქტიკაში ხარჯების მიკუთვნების ცენტრები იმეორებენ სადაზღვევო კომპანიის სტრუქტურას, ამიტომ ხარჯების

მიკუთვნების ცენტრები იყოფიან ხარჯების წარმოშობის დეცენტრალიზებულ და ცენტრალიზებულ ადგილებად.

საქმის წარმოებაზე ხარჯების აღრიცხვის პროცესი დასრულდება წარმოშობის ადგილის მიხედვით ხარჯების გადანაწილებით მათი მიკუთვნების ობიექტების მიხედვით.

მიკუთვნების ობიექტის მიხედვით ხარჯების აღრიცხვისას განასხვავებენ ხარჯების მიკუთვნების შუალედურ და საბოლოო ობიექტებს. ხარჯების მიკუთვნების შუალედური ობიექტი ანუ ხარჯების მატარებელი არის სადაზღვევო კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება, რომელიც შემდგომში განმეორებით გამოიყენება კომპანიის შიგნით. ამიტომ მისი ღირებულება შეიტანება შიდა ბალანსის აქტივში და გამოყენების ვადის დასრულებისთანავე ჩამოიწერება. მაგალითად, ხელშეკრულებების დადება, ფილიალებისა და სააგენტოების ქსელის შექმნა. ხარჯების მიკუთვნების საბოლოო ობიექტი არის სადაზღვევო კომპანიის მომსახურება, რომელიც ბაზარზე გასაყიდად არის მიმართული.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს საქმის წარმოებაზე დანახარჯების აღრიცხვა, ობიექტის მიხედვით ხარჯების მიკუთვნების სისტემა უნდა აიგოს დაზღვევის ხელშეკრულების სახეების მიხედვით, ხოლო იმისათვის, რომ განისაზღვროს ხარჯები ზარალის ანაზღაურებაზე, გადაზღვევისა და კალკულაციური პროცენტები, ხარჯების განაწილება ხარჯების მატარებლების მიხედვით უნდა მოხდეს დაზღვეული რისკების სახეობების შესაბამისად.

### **ანგარიშგება**

ანგარიშგება არის შიდასაფირმო აღრიცხვის შემადგენელი ნაწილი და სადაზღვევო კომპანიების მიერ ხორციელდება შემდეგი ფორმებით:

საგარეო ანგარიშგება არის სამეურნეო საქმიანობის ანგარიში, რომელიც სავალდებულო გამოქვეყნებას ექვემდებარება და მოიცავს ბუღალტრულ ბალანსს, მის დანართსა და მდგომარეობის შესახებ ანგარიშს. მისი მომხმარებლები არიან აქციონერები, კრედიტორები, საზოგადოება.

საშინაო ანგარიშგება არის ანგარიშის ფორმა, რომელიც წარედგინება დაზღვევის ზედამხედველობის ორგანოს. იგი მოიცავს ბუღალტრულ ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშს, ბუღალტრული ანგარიშგების სხვა დოკუმენტებს. მისი მომხმარებელი არის დაზღვევის ზედამხედველობის ორგანო, რომელიც ყოველმხრივ ინფორმაციას უნდა ფლობდეს სადაზღვევო კომპანიის სამეურნეო საქმიანობაზე მუდმივი ზედამხედველობის განსახორციელებლად.

სადაზღვევო კომპანიებში საგარეო ბუღალტრული ანგარიშგების შედგენა და გადაცემა რეგლამენტირდება კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით.

### **სადაზღვევო კომპანიის ბუღალტრული ბალანსი**

ბუღალტრული ბალანსი ყველა დარგის საწარმოებისათვის დგება განსაზღვრული ფორმით, თუმცა ცალკეული ნაწილების სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული საწარმოსა და დარგის სპეციფიკას. ამიტომ სადაზღვევო კომპანიის ბალანსის სტრუქტურას აქვს რიგი არსებითი განსხვავება, განსაკუთრებით ბალანსის აქტიურ ნაწილში. არასადაზღვევო სფეროს კომპანიებისათვის არსებობს ქვეგანყოფილება ძირითადი და საბრუნავი საშუალებების აქტივები, რომლის საფუძველია საწარმოს ქონების გარკვეული ნაწილის ლიკვიდურობის მაჩვენებელი. სადაზღვევო კომპანიებისათვის ასეთი პრინციპი მიუღებელია, რადგან ისინი მატერიალურ ღირებულებებს არ აწარმოებენ და ამიტომ არა აქვთ დიდი ძირითადი საშუალებები: შენობები, მოწყობილობები, მანქანები. ასევე არა აქვთ საბრუნავი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი: ნედლეული, ნახევარფაბრიკატები.

ბალანსის აქტიური ნაწილის ძირითადი მუხლები:

A. აუნაზღაურებელი საწესდებო კაპიტალი;

B. არამატერიალური აქტივები;

C. კაპიტალური დაზანდებები:

1. მიწის ნაკვეთები, მიწის ნაკვეთების ფლობასთან გათანაბრებული უფლებები, და შენობები;

2. დაკავშირებული საწარმოების კაპიტალში მონაწილეობა;

3. საწარმოთა კაპიტალში მონაწილეობა, რომლებიც მონაწილეობის სისტემით არიან დაკავშირებული;

4. ფასიანი ქაღალდები, რომელთაც არ მოაქვთ ფიქსირებული პროცენტი;

5. ფასიანი ქაღალდები, რომელთაც მოაქვთ ფიქსირებული პროცენტი;

6. იპოთეკა მიმღებთან, უძრავი ქონების ჩადებით უზრუნველყოფილი და რენტული ვალდებულებები.

ბალანსის პასიური ნაწილის ძირითადი მუხლები:

A. კაპიტალი და რეზერვები:

I. საწესდებო კაპიტალი;

II. დამატებული კაპიტალი;



- III. სარეზერვო კაპიტალი;
- IV. გაუნაწილებელი მოგება.
- B. სადაზღვევო რეზერვები:
  - I. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი;
  - II. ზარალის რეზერვები;
  - III. შენატანების უკან დაბრუნების რეზერვი;
  - IV. ზარალიანობის მერყეობის რეზერვი;
  - V. სადაზღვევო რეზერვები სიცოცხლის დაზღვევის პრინციპების მიხედვით;
  - VI. სხვა ტექნიკური რეზერვები.

**მოგების-ზარალის ანგარიში**

სადაზღვევო კომპანიის ანგარიშგების შესახებ დებულება მოიცავს ანგარიშის სპეციალურ ფორმას მოგებისა და ზარალის შესახებ.

მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიში უნდა მოიცავდეს პირდაპირი დაზღვევის, გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და მთლიანი სადაზღვევო საქმიანობის შესახებ შემდეგ მონაცემებს საანგარიშო და საანგარიშოს წინა წლების მიხედვით:

1. დარიცხული სადაზღვევო ბრუტო-პრემია;
2. გამომუშავებული სადაზღვევო ბრუტო-პრემია;
3. გამომუშავებული სადაზღვევო ნეტო-პრემია;
4. ზარალის დარეგულირების მიხედვით ბრუტო-დანახარჯები;
5. საოპერაციო ბრუტო-დანახარჯები;
6. გადამზღვეველის მიერ გამომუშავებული სადაზღვევო შენატანების თანხასა და ზარალის დარეგულირების ბრუტო-დანახარჯებში, ასევე საოპერაციო დანახარჯებში გადამზღვეველის წილებს შორის სხვაობა;
7. სადაზღვევო ოპერაციების შედეგები მიღებული საკუთარ დაკავებაზე;
8. სადაზღვევო რეზერვების საერთო თანხა;
9. სადაზღვევო ხელშეკრულებების რაოდენობა ერთ წელზე მეტი მოქმედების ვადით.

**კონტროლინგი**

სიტყვა „კონტროლინგი“ არის თარგმანი ინგლისურიდან „to control“ (კონტროლირება) და თვლიან, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ცნების არსი. თუმცა ფაქტიურად კონტროლინგი ნიშნავს არა კონტროლს, არამედ მართვას, დაგეგმვასა და მონიტორინგს.

კონტროლინგი ორიენტირებულია არა წარსულზე, როგორც მაგალითად, საბუღალტრო აღრიცხვა, არამედ მომავალზე. მისი ამოცანა მდგომარეობს კომპანიის საქმიანობის უზრუნველყოფაში გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლით.

სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში საწარმოს ხელმძღვანელობა განსაზღვრავს გრძელვადიან მიზნებს. ამისათვის გაიანგარიშება საქმიანობის საერთო მაჩვენებლები არანაკლებ ოთხი წლის ვადით. ოპერატიული კონტროლინგი წყვეტს მოკლე და საშუალოვადიან ამოცანებს, რომელთა რეალიზაცია იგეგმება ერთი წლის განმავლობაში.

სტრატეგიული კონტროლინგის ფარგლებში მიიღება გადაწყვეტილება:

- ახალი პროდუქციის დანერგვაზე;
- ახალი ბაზრების ათვისებაზე;
- გაყიდვის ახალი არხების შექმნაზე.

ოპერატიული კონტროლინგის ამოცანაა ღონისძიებების შემუშავება:

- მოგების გადიდებისათვის;
- დანახარჯების შემცირებისათვის.

**ლიტერატურა:**

1. Monkiewicz J., Malecki M., Macropudential Supervision in Insurance: Theoretical and Practical Aspects, 2014.
2. Koch P., Holthausen H., Cristofolini W., Gebhardt M., Insurance Business, Chapter II, 2000.
3. Щербakov В.А., Страхование: учебное пособие, КНОРУС, М., 2007.
4. [http://insurance.gov.ge/getattachment/Legislation/Normative-Acts/dazgvevis\\_kanoni.pdf.aspx](http://insurance.gov.ge/getattachment/Legislation/Normative-Acts/dazgvevis_kanoni.pdf.aspx)

**MAJOR ACCOUNTING ASPECTS FOR INSURANCE COMPANY**  
**Giorgi Khantadze, Georgian Technical University, Associate Professor**  
**Archil Tsertsvadze, Tbilisi Teaching University, Professor**  
**RESUME**

Balance sheet for each sector enterprise is formed based on a defined rule, however, structure of certain parts must be in accordance with a specific of enterprise or industry. Therefore, the insurance company's balance sheet structure has a number of significant differences, especially in an active part of the balance.

A word “kontrolingi” is a translation of an English word “to control” (kontrolireba) and it is considered that it is an essence of this concept. But actually controlling means not just control, but also the management, planning and monitoring.

Controlling is focused not on the past, like an accounting, but also on the future. Its aims to ensure the company's activities in the long term perspective.

**პიროვნული ინტელექტი – ორგანიზაციის განვითარების უმთავრესი რესურსი  
(ადამიანური რესურსების მართვის საკითხის ზოგიერთი ასპექტი)**

**სალომე ხიზანიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი**

ცოდნის განვითარების ევოლუციურმა პროცესებმა გავლენა მოახდინა არა მარტო ცოდნის სტილზე, ფუნქციაზე და მიზანზე, არამედ ცნების ცვლილებაზეც, ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სააზროვნო ცნებითი აპარატიც ერთგვარად, „გათანამედროვდა“. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია „კადრების მართვის“ ჩანაცვლება „ადამიანური რესურსების მართვით“. თუმცა, როგორც ყველა მოვლენას, ამგვარ ცვლილებებსაც თავისი „რკინის ლოგიკა“ აქვს.

საგულისხმოა, რომ დარგის ექსპერტები მათ შორის არსებითი განსხვავებაზე მკვეთრ ხაზს არ ავლებენ, თუმცა თანხმდებიან იმაში, რომ ადამიანური რესურსების მართვა „კადრების მართვის საუკეთესო კონცეფციაა“. და აი, რატომ: „ადამიანური რესურსების მართვა“ სხვაგვარად უდგება დასაქმების მართვას. იგი ითვალისწინებს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად სწრაფვას მოვალეობის გრძნობის მქონე და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის სტრატეგიული გამოყენებით, სხვადასხვა კულტურული, სტრუქტურული მეთოდითა და კადრების სწორი დაკომპლექტებით“, შენიშნავს ჯ. სტორი (1995) [1. გვ. 11] ავტორის გამონათქვამში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი მინიშნება: ადამიანური რესურსების მართვა (ადამიანური რესურსების მართვა-ს გამოვიყენებთ შემოკლებული ფორმით: არმ) ითვალისწინებს ადამიანის საშუალებით ორგანიზაციის სწრაფვას „კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად“-ო, რასაკვირველია, იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე მწარმოებლურ სამყაროში საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა სწორედ, კონკურენტია. და კიდევ, დავიდ გესტის შეკითხვაზე: „შეგიძლიათ განასხვაოთ არმ და კადრების მართვა?“. ტორინგტონი და ჰოლი (1991) ასეთ განმასხვავებელ ნიუანსზე მიუთითებენ: კადრების მართვა არის „სამუშაო ძალის თავმოყრა“ და ამდენად მიმართულია დაქირავებულებისადმი, მაშინ, როცა არმ „რესურსების თავმოყრა“ და დაინტერესებულია ორგანიზაციის ადამიანური რესურსის ყველა მოთხოვნით“-ო. [1. გვ. 16]. მართლაც, მკაფიო ხდება, რომ თანამედროვე ორგანიზაციების წარმატების საიდუმლო, გარკვეულ დროსა და სივრცეში, ინტელექტუალური რესურსის თავმოყრაა.

მედალს მეორე მხარეც აქვს: გარდა იმისა, რომ ინტელექტუალური რესურსი უზრუნველყოფს ორგანიზაციის წარმატებას, ქმნის რეალურ და სანდო პირობებს შრომის მაღალი ნაყოფიერების მისაღწევად, ამზადებს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ბერკეტებს ეპოქალური ცვლილებებისათვის, იძლევა გარანტიებს სიახლეების შემოსატანად, ავითარებს საორგანიზაციო კვლევებს და ა.შ. არმ, თავის მხრივ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხელს უწყობს ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენას, მისი წვლილის მაღალ დონეზე აყვანას, სამუშაო ძალის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების სრულყოფა-შენარჩუნებას, კოლექტიური და ინდივიდუალური ურთიერთობების განვითარებას, კონფლიქტების მოგვარებასა და პიროვნული განვითარებისათვის მზაობას, მისთვის კულტურული გარემოს შექმნას.

გამოდის, რომ ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტი სისტემურია: ინტელექტუალური კაპიტალი - სოციალური კაპიტალი - ორგანიზაციული კაპიტალი. ლოგიკა ასეთია: ადამიანები იძენენ, ინარჩუნებენ და იყენებენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (ადამიანური კაპიტალი) და ქმნიან ინტელექტუალურ კაპიტალს. მათი ცოდნა ღრმავდება ერთმანეთთან ურთიერთობით (სოციალური კაპიტალი), რაც ქმნის ინსტიტუციურ ცოდნას, რომელიც ხდება ორგანიზაციის საკუთრება (ორგანიზაციული კაპიტალი). ადამიანური კაპიტალს განსაზღვრავს შემდეგი მახასიათებლები: ინტელექტი, უნარ-ჩვევები და გამოცდილება, რაც თავის მხრივ, ორგანიზაციას აძლევს გამორჩეულ ხასიათს. სწორედ ადამიანური ელემენტები განაპირობებს ორგანიზაციის შესაძლებლობას შეისწავლოს ახალი რეალობა, განაახლოს საკუთარი შესაძლებლობები, სიცოცხლისუნარიანი გახადოს საკუთარი აქტივები, შემოქმედებითად მიუდგეს ცვლილებებს და სწორი მოტივაციის შემთხვევაში დიდი ხნით უზრუნველყოს თავისი არსებობა.

ზემოაღნიშნულის გარდა, არსებითია კიდევ ერთი მომენტიც: ადამიანები საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, შემოქმედებით პოტენციალს, უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას, როგორც „ხელშეუხებელ კაპიტალს“ თავად წყვეტენ როდის, როგორ და სად გამოიყენებენ, ანუ ისინი ფლობენ არჩევანის უფლებას. ასეთია ადამიანური რესურსების ხარჯვის თანამედროვე, ცივილური სტანდარტი. თანამედროვე შრომით ორგანიზაციებში შესაძლებლობებისა და ფასეულობების ორმხრივი გაცვლა ხდება და არა დამპირავების მხრიდან ადამიანური რესურსის ცალმხრივი ექსპლუატაცია. მაგრამ, სინამდვილეში, რამდენად ამართლებს დასაქმების თანამედროვე სისტემა ასეთი სტანდარტებით ინტელექტუალური აქტივების საიმედო მოხმარებას, ან რა გამოსავალი არსებობს პრობლემის გადასაჭრელად? (ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა პუბლიკაციებშიც მაქვს ხაზგასმა)

„არსებობს პოტენციური დამაბულობა ძლიერი კორპორაციული კულტურის განვითარებასა და დაქირავებულთა უნარს შორის მარჯვედ და სათანადოდ ირეაგიროს ამ განვითარებაზე“, შენიშნავს ექსპერტი-მკვლევარი (ლეგი, 1989) [1. გვ. 16]. ანუ, იმპერატიული მოთხოვნა „დაქირავებულთა ინტერესების სრული თანხვედრა ბიზნესის მიზნებთან და ღირებულებებთან“, რეალობაში ეჭვქვეშ დგება, კრიტიკას ვერ უძლებს აზრი „ინდივიდუალიზმის სიკეთეებზე“. მით უმეტეს, „ადამიანური რესურსის მართვის სისტემაში, ძალაუფლება დამპირავებელთა ხელში რჩება. შესაძლებელია თუ არა პრეტენზია გქონდეს ორმხრივ ინტერესებზე, მაშინ, როცა დღის ბოლოს დამპირავებელი ერთპიროვნულად წყვეტს კომპანიის დახურვისა ან განსხვავების საქმეს“, კვლავაც კითხულობს ექსპერტი-მკვლევარი (ფოილერი, 1987) [1. გვ. 16].

მაშ, რაშია გამოსავალი?

ქვეყნის სწორ პოლიტიკაში – აქტივები ჩადონ მოქალაქეთა ცოდნა-განათლებაში, რომელიც ორიენტირებული იქნება გლობალური პროცესების მრავალმხრივ გაანალიზებაზე, მათ სიღრმისეულ შესწავლაზე, მომავალზე გათვლილი სამოქმედო ორიენტირების მოძიებასა დამართვაზე, ნეოტექნოლოგიურ და პროფესიულ სწავლებაზე.

„ინდივიდუალიზაციის ერაში ახალგაზრდობას უკვე აღარ აკმაყოფილებს მარტო „მოცემული ნორმების ეფექტური ათვისება“ (კოლბერგი), ყველაფერი გაცილებით ღრმავ; როგორც მაიკლ ბრატერი წერს, საჭიროა, საკუთარი მეს, როგორც ქმედითი, ასევე საორიენტაციო უნარის ფორმირება. ყოველ ახალგაზრდას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, უნდა ისწავლოს, თუ როგორ მართოს საკუთარი ცხოვრება, დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში, რადგან მას აუცილებლად მოუწევს ღია პროცესის ფორმირება“ [2. გვ. 175]. აი, სად და რაშია გამოსავალი, ანუ პიროვნული ინტელექტის გამოვლენის აუცილებლობა და საჭიროება. მკაფიო ხდება, ქვეყანას, სახელისუფლებო სტრუქტურებს ეპოქა თავის მოთხოვნებს უყენებს: მან უნდა იზრუნოს ახალგაზრდა თაობა ჩართოს თანამედროვე ტექნოლოგიური და ინტელექტუალური სტანდარტების ათვისებაში, მიაწოდოს და „თავს მოახვიოს“ თანამედროვე ისტორიისათვის დამახასიათებელი ქმედითი ღირებულებები, და, რაც კიდევ უფრო მთავარია, მას განუვითაროს ახალ რეალობაში ორიენტაციის უნარ-ჩვევები, დაუსახოს გზები თვითგანვითარებისაკენ, სწორ სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე დაყრდნობით, მიაწოდოს ჯანსაღი მსოფლმხედველობრივი ორიენტირები, რათა პიროვნული მარცხის გარეშე შეძლოს ეპოქალური გამოწვევების გადალახვა, მაღალ ინტელექტზე დაყრდნობით, შემოქმედებითად მართოს საკუთარი შესაძლებლობები, რაც სახელმწიფოებრივი განვითარების ქვაკუთხედიც იქნება. აი, აქედან გამომდინარე ასე აქტუალური, მოქალაქეთა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების საკითხი. დიახ, ახალგაზრდობაა ქვეყნის განვითარების უმთავრესი რეზერვი და მისი სახელმწიფოებრივი ღირსების მატარებელიცა და დამცველიც

## ლიტერატურა:

1. არმსტრონგი მაიკლ, ადამიანური რესურსების მართვა, თბილისი, 2002.

2. ბეკი ულრიხ, რა არის გლობალიზაცია?, თბილისი, 2003.
3. დაუტოვა ოლგა, ლაპინინა ნატალია, მორალური შეგნების ჩამოყალიბება – განათლების ფილოსოფიის პრობლემა, თარიღი: 28 იანვარი 2013. ავტორი: დავით თინიკაშვილი – [mastsavlebeli.ge/index1.php?action=page&p\\_id=19&id=150](http://mastsavlebeli.ge/index1.php?action=page&p_id=19&id=150)
4. საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო, I, II, III ნაწილი, თბილისი, 2013.
5. Брукинг Э., Интеллектуальный капитал. Ключ к успеху в новом тысячелетии / Пер. с англ. СПб., Питер. 2001. Научная библиотека диссертаций и авторефератов disserCat <http://www.dissercat.com/content/strategiya-razvitiya-chelovecheskikh-resursov-v-kontekste-obshchei-strategii-organizatsii#ixzz3pPiuNRv4>

**HUMAN RESOURCES – THE BASIC RESOURCE FOR DEVELOPMENT OF ORGANISATIONS  
(SOME ASPECTS OF MANAGING HUMAN RESOURCES)**

**Salome Khizanishvili, Georgian Technical University, Professor  
RESUME**

In our country, in terms of intellectual development of the individual personality, at the state level, a number of steps forward. Georgian government is involved in the global processes, the landmark case is concluded in the palm. The choice depends upon each of us. The Georgian man never had a shortage of intelligence. Efforts appearance, more timely news we need to assimilate. The current goal of the conference, we think, this is it.

**საქართველო-ამერიკის ეკონომიკური ურთიერთობები**

**თეა ხორგუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
თამარ მაკასარაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ნათია ხორგუაშვილი, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები გულისხმობს როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ, კულტურულ და ასევე თუ პირველ რიგში არა, ეკონომიკურ ურთიერთობებსაც. ეკონომიკის გლობალიზაციისა და საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების ინტენსიფიცირების მიუხედავად, ეროვნული ეკონომიკები მაინც რჩება საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის მთავარ შემადგენელ ელემენტებად. სახელმწიფოთა ეკონომიკური შესაძლებლობები და ძლიერება პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს და თვით საერთაშორისო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური პოლიტიკაცაა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან სულ უფრო ფართოვდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები და პარტნიორი ქვეყნების საერთო რიცხვი, რომელთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავია. დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1992 წლის 23 აპრილს დამყარდა. ცხადია, ამერიკა-საქართველოს კულტურული კავშირები გაცილებით დიდი ხნისაა, ვიდრე ქვეყნებს შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობა. ორივე ქვეყანა ახორციელებს კოორდინირებულ პოლიტიკას როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში საერთო ინტერესების რეალიზაციის მიზნით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას, ქართული პროდუქციის ექსპორტს, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ისეთ სტრატეგიულ სფეროებში, როგორცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი.

საქართველოსა და ამერიკას შორის არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და არეგულირებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო გარანტორი. 2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში

ხელი მოეწერა საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას. ქარტია წარმოადგენს უსაფრთხოებისა და თავდაცვის, ეკონომიკისა და ვაჭრობის, ენერჯეტიკის, კულტურისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის გაფართოების და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის პრინციპებს, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერას, დემოკრატიისა და სტაბილურობის განმტკიცებას. [1]

არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ უდიდეს ფინანსურ დახმარებაზე, რაც საქართველომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკისაგან მიიღო. ბრიუსელში ჩატარებულ დონორთა კონფერენციაზე გადაწყდა, რომ საქართველოს ომის შედეგების სალიკვიდაციოდ 4,5 მლრდ ამერიკულ დოლარს გამოუყოფდნენ. აშშ-მა საქართველოს 1 მილიარდი დოლარის დახმარების გაწევა შესთავაზა. საქართველოს უკვე მიღებული აქვს ამ თანხების დიდი ნაწილი, რომელიც დევნილთა პრობლემების მოგვარებას, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და ენერჯეტიკის განვითარებას მოხმარდა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით მიმდინარე წლის იანვარ-მაისის პერიოდში აშშ-ს მიერ საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა 15 მილიონი დოლარია, ხოლო იმპორტის მოცულობა 100 ათასის ტოლი. აშშ-თან საქართველო გამარტივებული სავაჭრო სისტემით სარგებლობს. ეს კი აშშ-ში ათასობით დასახელების ადგილობრივი პროდუქციის დაბალი საბაჟო განაკვეთებით ან ბაჟის გარეშე ექსპორტირების საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ აშშ უკვე წლებია სამართლიანად იკავებს საპატიო ადგილს საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის. გასულ წელს საქართველოს ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის ამერიკას მეშვიდე ადგილი ეკავა თურქეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ჩინეთის, გერმანიის და რუსეთის შემდეგ. ხოლო უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებს შორის 2012 წელს მესამე ადგილი დაიკავა აზერბაიჯანის (26,4%) და სომხეთის (11%) შემდეგ. 2012 წლის მთლიან ექსპორტში ამერიკის პროცენტული წილი 2011 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 6,6%-დან 9,5%-მდე გაიზარდა.

2013 წლის იანვარში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია აზერბაიჯანი (94 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (87 მლნ. აშშ დოლარი) და ამერიკის შეერთებული შტატები (49 მლნ. აშშ დოლარი). [2]

აშშ-ში ძირითადად ექსპორტი ხორციელდება: ფეროშენადნობების, აზოტოვანი სასუქების, გადამცემი აპარატურა რადიომაუწყებლობის და ტელევიზიისათვის, მსუბუქი ავტომობილები, ხილის წვენები და სხვა. ხოლო აშშ-დან იმპორტით შემოდის მსუბუქი ავტომობილები, შინაური ფრინველის ხორცი, კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, გაყინული თევზი, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.

**სავაჭრო ბრუნვა აშშ-თან 2009-2014 წწ. (მილიონი აშშ დოლარი)**

**სავაჭრო ბრუნვა აშშ-თან 2009-2014 წწ.  
(მილიონი აშშ დოლარი)**

წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014
<b>ექსპორტი</b>	36,9	180,5	118,4	226,2	142,7	207,5
<b>იმპორტი</b>	226,7	173,4	163,2	213,2	225,6	287,2

საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულ გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ვრცელდება GSP (პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა) სავაჭრო რეჟიმი, რაც შეერთებულ შტატებში ქართული პროდუქციის შეღავათიანი საბაჟო განაკვეთით ექსპორტის საშუალებას იძლევა.

2005 წლის 12 სექტემბერს საქართველოსა და აშშ-ის მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას - „ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტს“. საქართველოს ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა 2006 წლის 7 აპრილს ამოქმედდა. 2008 წლის 20 ნოემბერს, ხელი მოეწერა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის 2005 წელს გაფორმებული კომპაქტის ცვლილებას. აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებდა მიმდინარე პროგრამის (295,3 მილიონი აშშ დოლარი) ფარგლებში, დამატებით 100 მილიონი დოლარის გამოყოფას, რის შედეგადაც ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება 395,3 მილიონამდე გაიზარდა.

ფინანსური დახმარების ძირითადი ნაწილი მოხმარდა სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციას (209 მილიონი აშშ დოლარი); ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაციას (49.5 მილიონი აშშ დოლარი) და სხვადასხვა რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებს (57.7 მილიონი აშშ დოლარი). მათ შორის კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებს. მარტო ის ფაქტი, რომ 2011 წელს გორის რაიონში სოფ. ნიქოზში უშუალოდ ამერიკის საელჩოს თანადგომით და დაფინანსებით აშენდა და ფუნქციონირებს ხელოვნების სკოლა, რომელიც უკვე ცნობილია საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალის მასპინძლობით.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დირექტორთა საბჭომ 2011 წლის 5 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველოს შესაძლებლობა მიეცა შეიმუშაოს და წარადგინოს წინადადებები ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის მისაღებად. აღნიშნული გადაწყვეტილება საბჭომ მიიღო მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, პირველი კომპაქტისას სწორი პოლიტიკის განსაზღვრითა და განხორციელებით და ისეთი პროექტების განვითარებით, რომლებმაც აშკარად შეუწყო ხელი ეკონომიკურ განვითარებას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, რამაც საბოლოო ჯამში კომპაქტის წარმატებით დასრულება განაპირობა.

ამერიკული ინვესტიციების შემოდინება საქართველოში დღესაც გრძელდება. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში ინვესტიციების ჩადებით და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობით ამერიკული კომპანია “Hi-Lite Global Corporation” დაინტერესდა. [3]

ამერიკული კომპანიები საქართველოში ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, ფარმაციის, ტურიზმისა და ღვინის სექტორებით არიან დაინტერესებულნი. საქართველო-ამერიკის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მიზნით თბილისში მიმდინარე წლის მარტის თვეში შეერთებული შტატების სავაჭრო მისია იმყოფებოდა, რომელსაც აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მეთიუ მოურეი ხელმძღვანელობდა. შეხვედრის ერთ-ერთი თემა იყო ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა და „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომლის პირველ შეხვედრას საქართველო 2015 წლის 15-16 ოქტომბერს უმასპინძლებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-თან სავაჭრო ბრუნვა 26,8%-ით გაიზარდა და 494,8 მლნ დოლარი შეადგინა, ექსპორტი 52,1 %-ით 207,5 მლნ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 26,8%-ით - 287,2 მლნ დოლარამდე გაიზარდა. საქართველო ამერიკულ კომპანიებს ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელ შესაძლებლობებს სთავაზობს. განათლებული მუშახელის, ევროპასა და აზიას შორის სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ინვესტიციებისათვის მიზიდველი ქვეყანაა.

საქართველოსა და აშშ-ს შორის ვითარდება მჭიდრო კულტურულ-ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო თანამშრომლობა. დამყარებულია პირდაპირი სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირები ორი სახელმწიფოს წამყვან უნივერსიტეტებს შორის. გაფორმებულია ურთიერთსასარგებლო ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ. საკმარისია, გავიხსენოთ 2010 წელი, როცა საქართველოს კერძო განათლების სისტემაში უპრეცედენტო ინვესტიცია განხორციელდა. საქართველოს უნივერსიტეტმა ამერიკის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციისგან 12 მილიონი დოლარის ინვესტიცია მიიღო. [5]

ამრიგად, საქართველოსა და აშშ-ს შორის არაერთი შეთანხმება არსებობს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ტრადიციული მეგობრობა და თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და გაფართოვდება.

### ინტერნეტ-რესურსები:

1. [http://www.mfa.gov.ge/index.php?sec\\_id=268&lang\\_id=GEO](http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=268&lang_id=GEO)
2. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=136&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo)
3. <http://timer.ge/3830-amerikuli-kompania-hi-lite-global-corporation-saqarthveloshi-investirebas-gegnavs.html#>
4. <http://24saati.ge/index.php/category/news/2011-10-26/21042.html>
5. [http://www.saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=2336:2010-12-03-12-46-48&catid=98:politics&Itemid=457#ixzz2M1ZlZ9J5](http://www.saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=2336:2010-12-03-12-46-48&catid=98:politics&Itemid=457#ixzz2M1ZlZ9J5)
6. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25271>

## GEORGIA-AMERICAN ECONOMIC RELATIONS

**Tea Khorguashvili**, Gori State Teaching University, Professor

**Tamar Makasarashvili**, Gori State Teaching University, Professor

**Natia Khorguashvili**, European Teaching University, Associate Professor

### RESUME

Diplomatic relations between Georgia and the United States of America were established on April 23, 1992. According to the initiative of the US Department of Agriculture, in July 2010, the American company delegation visited Georgia on the framework of trade and investment mission in Georgia. According to the preliminary data of 2015 it is 80 million \$. Direct scientific and educational ties between the two countries' leading universities have been set up. We hope, that cooperation between Georgia and the US will continue and be expanded in the future.

## სოციალური მეცნიერებები და სამართალი Social Sciences and Law

### პავლე მოციქული თავისუფლების შესახებ

**ნუგზარ აბრამიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ განვითარების ორიენტირად დასავლური, ანუ ევრო-ამერიკული ცივილიზაცია აირჩია. ბუნებრივია ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს ეს ცივილიზაცია არსებითად? რა ღირებულებებს ეფუძნება ის?

დასავლურმა ცივილიზაციამ ადამიანი ვიტალურ-ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებზე დაიყვანა და მისი ყოფიერების საზრისი მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებაში დაინახა.

თუ ბუდა, ქრისტე, სოკრატე, პლატონი, სტოელები... ადამიანის ტანჯვის და უბედურების მიზეზს ხეულებრივ მოთხოვნილებათა სიმრავლეში ხედავდნენ და ადამიანს ურჩევდნენ ამ მოთხოვნილებების შემცირებას, დასავლურ ცივილიზაციას, პირიქით, ეცოტავება ეს მოთხოვნილებები და მათ ხელოვნურ გამრავლებას ახდენს. კომფორტის საგნების წარმოებამ უნივერსალური ხასიათი შეიძინა. ამას ემსახურება წარმოების განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ბატონობს სასაქონლო ფეტიშიზმი, ყველაფერი საცვლელ ღირებულებადაა ქცეული. ადამიანური ურთიერთობები მეშხანურ, ანგარებაზე დაფუძნებულ, ფულად ურთიერთობებზეა დაყვანილი. ნამდვილი ადამიანური ურთიერთობები, სულიერი ღირებულებები კი დათრგუნულია. სულიერი ცხოვრება დავიწყებულია. ადამიანი მოწყვეტილია თავის ნამდვილ ყოფიერებას, მისი არსებობა უპირისპირდება მის არსებას.

დასავლური ცივილიზაცია ჩვენთან ნეოლიბერალური იდეოლოგიით შემოვიდა. ქვეყნის მატერიალური საფუძვლების მოშლის შემდეგ, ნეოლიბერალები მთელი რიგი პოლიტიკური პარტიებითა და უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციებით წარმოდგენილნი, ახლა ქვეყნის სულიერ საფუძვლებს მიაღწენ და, რადგან ჩვენ სულიერებას ფესვი მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ღირებულებებში აქვთ გადგმული, იქიდან იღებენ სასიცოცხლო ძალას და ენერგიას, ამიტომ ნეოლიბერალთა თავდასხმის მთავარი სამიზნე ქართული ეკლესიაა, მისკენაა მიმართული მათი დამანგრეველი ძალისხმევა. ცდილობენ ქრიატიანული ტრადიციული ღირებულებები ჩაანაცვლონ „ზოგადადამიანური ღირებულებებით“. ეწევიან „ელგპედე“ ცხოვრების წესის პროპაგანდას, იბრძვიან ტრადიციული ოჯახის წინააღმდეგ, ბავშვთა უფლებების დაცვის საბაბით ბავშვებს ამხედრებენ მშობლების წინააღმდეგ. შლიან საზღვარს ზნეობრივსა და უზნეოს შორის. ოღონდ კანონი არ დაარღვიო და ჩაიღინე რაც გინდა. და ეს კეთდება ადამიანის თავისუფლების სახელით. ადამიანებს ჰპირდებიან სრულ თავისუფლებას, სინამდვილეში კი მას აქცევენ სხეულებრივ ვნებათა მონად, და საინტერესო ისაა, რომ ამ თავაწყვეტილი „თავისუფლების“ მქადაგებლები იმოწმებენ წმინდა წერილს, როგორც თავისუფლების ნეოლიბერალური გაგების სათავეს თუ წყაროს. ეშმაკი ამჯერად თავისუფლების ნიღბით მოგვედგომია კარს.

პავლე მოციქულს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „თავისუფლების მოციქული“, ხოლო მის ეპისტოლეებს „თავისუფლების სახარება“, რადგან მთელი მისი სწავლება შთაგონებული და განმსჭვალულია თავისუფლების იდეით.

პავლე მოციქულისთვის თავისუფლება, პირველ რიგში, ცოდვისგან თავისუფლებაა. როგორც ჩვენი პირადი, ისე ისტორიული გამოცდილება აშკარად ადასტურებს ცოდვის ანუ ზნეობრივი ბოროტების რეალურობას. ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მის ბუნებაში ღრმად ფესვგადგმული ბნელი, ბოროტი ძალები და გულუბრყვილობა გჯეროდეს, რომ „ადამიანი ბუნებით კეთილია“, რომ ბოროტება არასუბსტანციურია, რომ ბოროტი ადამიანი არასწორი აღზრდის, ან გაუკუღმართებული საზოგადოებრივი წყობის შედეგია. იცვლებიან საზოგადოებრივი წყობილებანი, რეფორმირდებიან აღზრდის სისტემები, მაგრამ ამოუძირკვავი რჩება ჩვენი ბუნების ცოდვილიანობა. ცოდვის ამ რეალურობისა და მეტაფიზიკური ძალის მძაფრ განცდას წარმოადგენს პავლე მოციქულის ეპისტოლეები. მოციქული ადამიანის ცოდვილიანობას პირველი ცოდვით დაცემის მისტერიასთან არსებით კავშირში განიხილავს: „ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, და ცოდვის მიერ-სიკვდილი... ადამის შეცოდება არის მერმისის ხატი“ (1.5: 12-14)

ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად იმით, რომ მისცა გონება და თავისუფალი ნება. ჩვენს ბნელ სხეულში აკიაფდა ღვთაებრივი ნაპერწკალი. ადამიანს თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა აერჩია ისეთი ცხოვრების გზა, რომლითაც ამ ნაპერწკალს სინათლედ გადააქცევდა, გაბატონდებოდა თავის ვნებებზე, მორჩილებაში მოიყვანდა ხორციელ ლტოლვებს, გახდებოდა თავისი თავის უფალი და რაც მთავარია ღმერთის საჩუქარს, ღვთიურ პოტენციალს გაანამდვილებდა, შემოქმედებითად განავითარებდა და აირჩევდა ჭეშმარიტების გზას - გზას განმღრთობისას.

ადამიანი მაშინაა ღვთის ხატი და მსგავსი, როცა მისი გონება და ნებელობა თავისუფალია სხეულისგან და ღვთაებრივ არსთა (სულიერ ღირებულებებთან) ქმნადობისა და ჭვრეტისკენ არის მიქცეული.

მოხდა პირიქით, ადამიანის გონება ხორციელ ვნებებს დაემონა, მათ სამსახურში ჩადგა და მივიღეთ მოაზროვნე ცხოველი თავისი სისასტიკით და უსაზღვრო ეგოიზმით. თუ ჩვეულებრივი ცხოველის „ეგოიზმი“ სიცოცხლის შენარჩუნების ამოცანას არ სცილდება, ადამიანში ის ბოროტებად და ცოდვად გარდაიქმნება.

ღვთაებრივი ნაპერწკალი სხეულებრივობის ჭაობში ჩაქრა, დაიკარგა სულის უკვდავების შესაძლებლობა და ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა სიკვდილი.

სოკრატეს აზრით, არავინ სცოდავს თავისი ნებით. ჩვენ თავისუფლად ვესწრაფვით მხოლოდ სიკეთეს, რომელიც ჩვენი ღვთაებრივი ბუნებიდან გამომდინარე არის ის, რაც ჩვენ ჭეშმარიტად გვინდა, ანუ - რაც სასარგებლოა.

სოკრატე იმაში შეცდა, რომ მან ცოდვა უცოდინრობის შედეგად მიიჩნია. პავლე მოციქული ცოდვის ბუნებას უფრო ღრმად ჩაწვდა. ჩვენ შეიძლება ნათლად ვარჩევდეთ ერთმანეთისგან სიკეთეს და ბოროტებას, მაგრამ მაინც ვვარდებით ცოდვაში. ცოდვის მიზეზი აზროვნების სისუსტე კი არა, არამედ ნებელობის სისუსტეა. ჩვენ არ გვინდა ცოდვა, მაგრამ მიდრეკილნი ვართ მისკენ. ჩვენ მასში ვვარდებით. ის ჩვენ გვეუფლება. ცოდვა არის არა ჩვენი თავისუფლების, არამედ ჩვენი ნების არათავისუფლების - მონობის გამოხატულება.

„არ მესმის რას ვაკეთებ: რადგან იმას არ ვაკეთებ რაც მინდა, არამედ იმას ვაკეთებ რაც მძულს. თუ იმას ვაკეთებ რაც არ მინდა, უკვე მე კი არ ვაკეთებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია. რადგან ვიცი, რომ ჩემში ე. ი. ჩემს სხეულში არ არის კეთილი; იმიტომ, რომ სიკეთის სურვილი არის ჩემში, მაგრამ ვერ



ვნახულობ ჩემში ძალას რომ ვაკეთო კეთილი. კეთილი რომელიც მინდა, არ ვაკეთებ, ხოლო ბოროტებას, რომელიც არ მინდა ვაკეთებ. და თუ ვაკეთებ იმას რაც არ მინდა, უკვე მე კი არ ვაკეთებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია. ასე, რომ ვნახულობ კანონს, რომ როცა მინდა გავაკეთო კეთილი, გულმოდგინეობს ჩემში ბოროტი. ჩემს გონებას მოსწონს ღვთის კანონი, მაგრამ ჩემს ასოებში, ჩემს სხეულში მოქმედებს სხვა კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება გონების კანონს და მაქცევს მე ცოდვის კანონის ტყვედ“ (1. 7:15-25)

იმის გამო, რომ ადამიანი ხორციელ ვნებებს დაემონა, უარყო ღმერთი და ღმერთის დიდების ნაცვლად განადიდა ხრწნადი სხეული, ადამიანები მიჰყვნენ გულისთქმათა უწმინდურობას და შებილწეს თავისი სხეული, მიეცნენ საგინებელ ვნებებს: „ქალებმა მათი ბუნების წესი არაბუნებრივით შეცვალეს; კაცებმაც დაუტყვევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი, მამრი მამრთან სჩადის სარცხვინელს. ამიტომ აღივსო ადამიანი: სიძვით, უკეთურობით, ანგარებით, ბოროტებით, შურით, მკვლევლობით, შუღლით. ამნაირ საქმეთა ჩამდენნი სიკვდილის ღირსნი არიან, რადგან არა მარტო თვითონ სჩადიან, არამედ ჩამდენთაც თანაუგრძნობენ“. (1. 1:26,27,29,30)

უნდა განვთავისუფლდეთ ხორციელი სურვილების მონობისგან, მოგვიწოდებს მოციქული, რადგან ამ მონობას მოსდევს: „სიძვა, უწმინდურება, ბილწება, კერპთმსახურება, მწვალებლობა, მტრობა, შუღლი, შური, რისხვა, განხეთქილება, სიძულვილი, მკვლევლობა, მემთვრალეობა, ლირწება; ხორცს დამონებული მოიძვის სიკვდილს, ხოლო სულის მიხედვით მცხოვრები სულის უკვდავებას“. (2. 5:19-20)

სულით უნდა ვცოცხლობდეთ, სულს უნდა მივდიოთ, რადგან სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება.

მხოლოდ თავისი თავის ანაბარა, ღვთიური ჩარევის გარეშე, ადამიანი ვერ შესძლებს თავის თავში ცოდვის დამარცხებას, ცოდვისგან გათავისუფლებას.

ჩვენთვის, ცოდვილთათვის ჭეშმარიტი თავისუფლება მოაქვს ქრისტეს, რომელიც ჯვარს ეცვა ჩვენი ცოდვებისთვის. ქრისტემ ჯვარზე სიკვდილით თავის თავზე მიიღო ყველა ჩვენი ცოდვა. თუ ჯვარცმული ქრისტე ისე შემოვა ჩვენს გულებში, რომ ვთქვათ: „მე კი არ ვცოცხლობ, არამედ ცოცხლობს ჩემში ქრისტე“, (2. 2:20) როცა ჩვენში ცხოვრებას იწყებს ქრისტე, როცა ჩვენს ვკვდებით ჯვარცმულ ქრისტესთან ერთად, ჩვენში მოქმედებას იწყებს ახალი, სიცოცხლის კანონი, მაღლი და სიყვარულით მოქმედი რწმენა, ანუ უანგარო ქმედითი სიყვარული.

ჩვენ ვკვდებით ცოდვისთვის და ხელახლა ვიბადებით ახალი წმინდა ცხოვრებისთვის. „ისევე, როგორც მაცხოვარი, ჯვარცმული აღსდგა მკვდრებით - ასევე თქვენც ჩათვალეთ, რომ მოკვდით ცოდვისთვის და ცოცხლობთ ღმერთისთვის“. (1. 6:11)

„ძველი ადამიანი“ ჯვარს უნდა ეცვას ქრისტესთან ერთად, რომ მოკვდეს ცოდვილი სხეული, რომ აღარ ვიყოთ მონები ცოდვისა. ცოდვის მონობისგან გათავისუფლებით ვხდებით ჭეშმარიტად თავისუფალნი.

პავლე მოციქულისათვის თავისუფლება არის არა თავისუფლება რაღაცისგან, არამედ თავისუფლება რაღაცისთვის. თავისუფლება სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, თავისუფლება, რომ თავი მიუძღვნა სხვას თავისუფლად და სიყვარულით.

ქრისტეს განმათავისუფლებელი ძალა გვიხსნის ცოდვის ძალაუფლებისგან და გვაძლევს შესაძლებლობას ვიცხოვროთ სულის მიხედვით და არა ხორცის კარნახით. „სულის მიხედვით ცხოვრება კი ჩვენ გვხდის ღმერთის შვილებად“. (1. 7:14-16) ხოლო თუ ღმერთის შვილები ვხდებით, ვხდებით მისი მემკვიდრეებიც, ქრისტეს თანამემკვიდრენი მასთან ერთად თანატანჯვით და მასთან ერთად განდიდებით. ქრისტიანულ თავისუფლებას გამოვყავართ სხეულებრიობის ტვირთისაგან, რომლითაც მიწებებულნი ვართ ამქვეყნიურ ამაოებას და შევყავართ რწმენის წმინდა სულიერ განზომილებაში, სადაც ყოველმხრივ და ყველაზე მოქმედებს ქრისტეს მიერი სიყვარული და რწმენა ანუ ჭეშმარიტი თავისუფლება.

ქრისტეს მოსვლით იხსნება ახალი სამეფო მაღლისა და სიყვარულისა და „აღარ არის იუდეველი და წარმართი; მონა და თავისუფალი; მამაკაცი და დედაკაცი, რადგან ყველანი ერთნი ვართ ქრისტეში“ (2. 3:28) ამიტომ, მოგვიწოდებს მოციქული „იდექით თავისუფლებაში, რომელიც მოგვიძღვნა ქრისტემ და ნუ დაიდგამთ მონობის უღელს.

ქრისტეში ძალას კარგავს ყველა წესი და ყველა კანონი. რჩება მხოლოდ სიყვარულით მოქმედი რწმენა.

თავისუფლებისთვის ხართ მოწოდებულნი, ძმებო, ოღონდ თქვენი თავისუფლება არ გახდეს მიზეზი, რომ ისევ დაგიმონოთ თქვენმა სხეულმა; სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს, რადგან ყველა მცნება და ყველა კანონი შეიძლება დაიტოვოს ერთმა სიტყვამ: გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი. (2. 5:1, 6:13-14)

ესაა გასაოცარი ხარება სიყვარულისა, რწმენისა, რწმენის უკიდევანობისა და ჩვენს ბნელსა და ცივ, სიძულვილითა და მტრობით სავსე სამყაროში, ჩვენს გულებში, როგორც მაცოცხლებელი თბილი ნიავი ისე იჭრება თავისუფლების მოციქულის ეს მოწოდება.

**ლიტერატურა:**

1. პავლე მოციქული, ეპისტოლე რომაელთა მიმართ
2. პავლე მოციქული, ეპისტოლე გალატელთა მიმართ
3. პავლე მოციქული, ეპისტოლე კორინთელთა მიმართ

**PAUL THE APOSTLE ON LIBERTY**  
**Nugzar Abramishvili, Gori State Teaching University, Professor**  
**RESUME**

Neo liberal understanding of liberty has nothing in common with philosophic and Christian understanding of the idea of liberty. Among Christian theologians, concept of liberty in Christ understanding is best expressed in writings of Paul the Apostle.

For Paul the Apostle, liberty, first of all, is releasing a person from physical passions or sins.

For Paul the Apostle the concept of liberty is not liberty from something but liberty for something, e.g. liberty for goodness, liberty for love...

**საკუთრების უფლების არსი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად**

**ივანე ბალახაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი**

ადამიანის უფლებათა საბაზისო დოკუმენტებს შორის საკუთრების უფლება ცალსახად აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „ევროპული კონვენცია“) პირველი დამატებითი ოქმით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საკუთრების უფლებას.<sup>1</sup>

ამ დებულების მიხედვით: „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არ შეიძლება, ვინმეს ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით. თუმცა, ზემოხსენებული დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭიროდ თვლის, რათა გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველყოს გადასახადების, შენატანების ან ჯარიმების გადახდის მოკრება“.

კონვენცია არ არის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული ერთადერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც აღიარებს საკუთრების უფლებას.<sup>2</sup> ამასთანავე, ამ უფლების ევროპულ კონვენციაში ასახვის მცდელობებს გარკვეული წინააღმდეგობები ახლდა. კერძოდ, დიდმა ბრიტანეთმა და შვედეთმა დასვეს საკითხი იმის თაობაზე, საკუთრების უფლების კონვენციაში ასახვა ზედმეტად ხომ არ შეზღუდვდა სახელმწიფოს უფლებამოსილებას – განახორციელოს ნაციონალიზაციის პროგრამები პოლიტიკური და

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“, *Marx v. Belgium*, A31 (1979).

<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მაგალითად, ადგენს, რომ: „1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად. 2. არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.“ (მდრ. ადამიანის უფლებათა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, სადაც ეს უფლება არ იქნა შეტანილი).

სოციალური მიზნებისათვის.<sup>1</sup> ამ დებულების საბოლოოდ მიღებული ფორმულირება ითვალისწინებს საკუთრების შეზღუდვის უფლებას.

სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში გააჩნია შეფასების ფართო ზღვარი, რომელიც ზღუდავს საკუთრების უფლებას.<sup>2</sup> თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს ამგვარი შეზღუდვის კანონიერების შეფასებაში არავითარი როლი არ გააჩნია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ განაცხადა: „... მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ შეუძლია, ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული შეფასება ჩაანაცვლოს თავისი შეფასებით, იგი ვალდებულია, გასაჩივრებული ზომა გადასინჯოს პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად და, ამგვარად, მოახდინოს იმ ფაქტების გამოკვლევა, რომელზედაც ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთი მოქმედებების განხორციელებისას მიუთითეს“ (პუნქტი 46).

ბოლო წლების განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მის მიერ განხილულ მრავალ საქმეში დაადგინა, რომ სახელმწიფომ გადააჭარბა თავისი შეფასების ზღვარს და პირველი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება დაარღვია.

პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის განმარტებისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ საკუთრების ან „ქონების“ ცნება ძალიან ფართოდაა განმარტებული. ის მოიცავს ეკონომიკური ინტერესების ფართო წრეს. მათ შორის, 1-ლი მუხლის დაცვით სარგებლობს: მოძრავი ან უძრავი ქონება, ქონებრივი ან არაქონებრივი კაპიტალი, როგორცაა აქცია ან პატენტი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, პენსიის მიღების უფლება, მესაკუთრის უფლება ქირის მიღებაზე, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ინტერესები, გარკვეული პროფესიით მუშაობის უფლება, გარკვეული გარემოებების დადგომის კანონიერი მოლოდინი, სასარჩელო მოთხოვნა და კინოთეატრის კლიენტურა.<sup>3</sup>

ამასთან, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დაცვა არ გამოიყენება, თუ წარდგენილი არ იქნება მოთხოვნა შესაბამისი ქონების მიმართ – დაცვის ქვეშ იმყოფება მხოლოდ არსებული საკუთრება და არა საკუთრების მომავალში შექმნის უფლება. აქედან გამომდინარე, მაგალითად, ქონების მემკვიდრეობით მიღების მოლოდინი არ სარგებლობს პირველი მუხლის დაცვით.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი გამოიყენება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიმართაც.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლს განმარტავს, როგორც სამი კონკრეტული წესის მომცველს. ეს ანალიზი სასამართლოს მიერ პირველად გაკეთდა საქმეში „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ“, რომელიც პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თაობაზე სასამართლოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს.

საქმე ეხებოდა საკმაოდ ძვირად ღირებულ საკუთრებას (შენობები და მიწის ნაკვეთები) ცენტრალურ შვედეთში. შესაბამისი ოლქის ადმინისტრაციულმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ეს საკუთრება განვითარებისათვის იყო საჭირო, და, შესაბამისად, გამოიყენა ორი განსხვავებული ზომა – ექსპროპრიაციის ნებართვა (რომელიც გულისხმობდა, რომ საკუთრება შეიძლებოდა მომავალში ექსპროპრიაციას დაქვემდებარებოდა) და მშენებლობის აკრძალვა (ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობის მშენებლობა). ერთ-ერთი მესაკუთრის ქონების მიმართ ექსპროპრიაციის ნებართვა 25 წლის განმავლობაში, ხოლო მშენებლობის აკრძალვა – 23 წლის განმავლობაში მოქმედებდა. მეორე ქონების მიმართ ექსპროპრიაციის ნებართვა 8 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, მშენებლობის აკრძალვა – 12 წლის განმავლობაში. მანამ, სანამ ეს ზომები გამოიყენებოდა, ქონების გაყიდვა უდავოდ უფრო რთული იყო. ისინი შემდგომში გაუქმებულ იქნა დაგეგმარების პოლიტიკის ცვლილების გამო. ქონების მესაკუთრეებმა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე საჩივრით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს. მათ არ მიუღიათ არავითარი კომპენსაცია იმ პერიოდში, როდესაც მათი ქონების მიმართ შესაბამისი ზომები გამოიყენებოდა.

<sup>1</sup> იხ. ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიკი, *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი*, 1995, (Harris, O'Boyle and Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*), გვ. 516

<sup>2</sup> გადაწყვეტილება საქმეში „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, *James v. United Kingdom*, A98 (1986), პ. 46.

<sup>3</sup> იხ. მაგალითად, „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ“ (Sporrong and Lonnorth v. Sweden), A58, 1982; „ჰენტრიხი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Hentrich v. France), 296-A, 1994; „წმინდა მონასტრები საბერძნეთის წინააღმდეგ“ (Holy Monasteries v. Greece), A 301-A, 1994; „პრესოს კომპანია ნავიერა სა ბელგიის წინააღმდეგ“ (Pressos Compania Naviera SA v. Belgium), A332, 1995; „აკა თურქეთის წინააღმდეგ“ (Aka v. Turkey), 1998-VI, 1998;

პირველი კითხვა, რომელზეც სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა, იყო შემდეგი – პირველი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ჰქონდა თუ არა საერთოდ ადგილი საკუთრების ხელყოფას?

შვედეთის მთავრობის მტკიცებით, ექსპროპრიაციის ნებართვა და მშენებლობის აკრძალვა წარმოადგენდა ქალაქის დაგეგმარების განუყოფელ ნაწილს და, შესაბამისად, ქონებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების ხელყოფას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ დაუყოვნებლივ უარყო ეს არგუმენტი. მან აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრეების უფლება მათ ქონებაზე (ე.ი. მესაკუთრეობა) ხელუხლებელი დარჩა, პრაქტიკაში საკუთრების უფლების განხორციელების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეიზღუდა. სასამართლოს აზრით, ექსპროპრიაციის ნებართვის წყალობით, განმცხადებელთა საკუთრების უფლება „არამყარი და ადვილად გასაუქმებელი“ გახდა.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებელთა საკუთრების უფლების ხელყოფას. ამის შემდეგ მან მოახდინა პირველი მუხლის ანალიზი, რომელიც ექვემდებარება და შედგება სამი წესისგან: „ეს დებულება [პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი] მოიცავს სამ წესს. პირველი წესი, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, აცხადებს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის პრინციპს; ის გათვალისწინებულია პირველი ნაწილის პირველი წინადადებით. მეორე წესი მოიცავს ქონების ჩამორთმევას და ამ უკანასკნელს გარკვეულ პირობებს უქვემდებარებს; ის მოიპოვება იმავე ნაწილის მეორე წინადადებაში. მესამე წესი აღიარებს, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს, სხვა ზომების გარდა, გააკონტროლოს ქონების გამოყენება ზოგადი ინტერესის შესაბამისად, ისეთი კანონების მიღებით, რომელთაც ის აუცილებლად ჩათვლის ამ მიზნით; ეს წესი გათვალისწინებულია პირველი მუხლის მეორე ნაწილით“ (პ. 61).

ამის შემდეგ, სასამართლომ განიხილა მეორე წესის გამოყენების საკითხი და დაასკვნა, რომ ადგილი არ ჰქონია ექსპროპრიაციას, ანუ ქონების ჩამორთმევას. განმცხადებლებს, კანონის მიხედვით, ნებისმიერ დროს შენარჩუნებული ჰქონდათ საკუთრებით სარგებლობის, მისი გაყიდვის, გასხვისების ან სხვაგვარად განკარგვის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ქონების გაყიდვა, ხსენებული ზომების გამოყენების გამო, უფრო რთული გახდა, განმცხადებლებს მაინც რჩებოდათ ამის შესაძლებლობა. შესაბამისად, პირველი ნაწილის მეორე წინადადება (ე.ი. მეორე წესი) ამ შემთხვევაში არ გამოიყენებოდა.

რაც შეეხება პირველი მუხლის მე-2 ნაწილს (ე.ი. მესამე წესს), სასამართლომ დაადგინა, რომ ეს წესი უდავოდ გამოიყენებოდა მშენებლობის აკრძალვის მიმართ, რაც წარმოადგენდა კონტროლს ქონებით სარგებლობაზე. მეორეს მხრივ, ექსპროპრიაციის ნებართვა უნდა განიხილებოდა პირველი ნაწილის პირველი წინადადების (ე.ი. პირველი წესის) ფარგლებში, ვინაიდან ის არ წარმოადგენს არც ქონების ჩამორთმევას და არც ქონების კონტროლს ისახავს მიზნად.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლს განმარტავს, როგორც სამი ცალკეული წესის მომცველს. ეს ანალიზი პირველად გაკეთდა საქმეში „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ“ და მრავალჯერ იქნა ციტირებული სასამართლოს მომდევნო გადაწყვეტილებებში. ეს სამი წესია: 1. ქონებით მშვიდობიანად სარგებლობის პრინციპი (პირველი ნაწილის პირველი წინადადება); 2. ქონების ჩამორთმევა (პირველი ნაწილის მეორე წინადადება); 3. ქონებით სარგებლობის კონტროლი (მეორე ნაწილი). 4. პირველად განვიხილავთ მეორე და მესამე წესს, ხოლო შემდეგ – პირველს.

იმის გადასაწყვეტად, ჰქონდა თუ არა ადგილი საკუთრების ხელყოფას, მეორე წესის შინაარსით, საჭიროა არა მხოლოდ იმის გამოკვლევა, განხორციელდა თუ არა ფორმალური ექსპროპრიაცია ან საკუთრების ფორმალური გადაცემა,<sup>1</sup> არამედ, ასევე, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა – ჰქონდა თუ არა ადგილი საკუთრების დე ფაქტო ჩამორთმევას.

ეს გარკვევით აღინიშნა საქმეში „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა ექსპროპრიაციის ნებართვისა და ამკრძალავი შეტყობინებების დაწესებას სტოკჰოლმში (შვედეთი) არსებულ ქონებაზე; სასამართლომ განაცხადა:

„ფორმალური ექსპროპრიაციის არარსებობის პირობებში, რაც გამოიხატება მფლობელობის გადაცემაში, სასამართლო თვლის, რომ მან უნდა გაითვალისწინოს საქმის მეორე ხარისხოვანი გარემოებები და გამოიკვლიოს გასაჩივრებული მდგომარეობის რეალური პირობები... ვინაიდან კონვენცია გამიზნულია მასში ასახული უფლებების „პრაქტიკული და ეფექტიანი“ გარანტირებისათვის...,

<sup>1</sup> მაგალითად, საკუთრების ფორმალური გადაცემა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევით, იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში „საბერძნეთის ყოფილი მეფე და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“ (Former Kind of Greece and Other v. Greece), 2000 წლის 23 ნოემბერი.

უნდა დადგინდეს, წარმოადგენდა თუ არა შექმნილი მდგომარეობა ფაქტობრივ ექსპროპრიაციას, რაც ნავარაუდევია განმცხადებლების მიერ“ (პ. 63).<sup>1</sup>

ამგვარი მიდგომა ქონების ჩამორთმევის საკითხისადმი შეესაბამება საერთაშორისო სამართლით აღიარებულ მიდგომას, კერძოდ: „... სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შედეგად საკუთრების უფლება შეიძლება ხელყოფილ იქნეს. შესაბამისად, შეიძლება გახდეს იმდენად გამოუყენებადი, რომ ეს უფლება ექსპროპრირებულად ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო უარყოფს ქონების ექსპროპრიაციის ფაქტს და ქონების ფლობის სამართლებრივი უფლება ფორმალურად პირველად მესაკუთრეს რჩება“.

ეს პრინციპი მოგვიანებით გამოყენებულ იქნა საქმეში „ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ“, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კვლავ განაცხადა, რომ ქონების მეორე წესის შესაბამისად, ხელყოფის დასადგენად აუცილებელია საქმის მეორე ხარისხოვანი გარემოებების შემოწმება და გასაჩივრებული მდგომარეობის რეალური პირობების გამოკვლევა.

ამ საქმეში, განმცხადებლის მშობლებმა 1939 წელს ააშენეს საცხოვრებელი სახლი ბუქარესტში. 1950 წელს სახლი ნაციონალიზებული იქნა საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. 1974 წელს სახელმწიფომ სახლი მიჰყიდა ორ ძმას, რომლებიც მანამდე სახლის ერთ-ერთ ბინას ქირაობდნენ. 1993 წელს განმცხადებელმა შეიტანა სარჩელი რუმინეთის სასამართლოში და მოითხოვა ნაციონალიზაციის ბათილად ცნობა, ვინაიდან მისი მშობლები უფლებამოსილნი იყვნენ, ესარგებლათ საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული გამონაკლისით იმ მოტივით, რომ ისინი უმუშევრები იყვნენ. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და ადმინისტრაციულ ორგანოებს დაავალა სახლის გადაცემა განმცხადებლის მფლობელობაში. განმცხადებელმა დაიწყო სახლში ცხოვრება და გადაიხადა შესაბამისი მიწის გადასახადი.

ამასთან, გენერალურმა პროკურორმა, რომელიც მოქმედებდა იმ დროის სახელით, რომელთა მფლობელობაშიც სახლი მანამდე იყო, სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ განმცხადებელს არ გააჩნდა სახლის საკუთრების უფლება და, შესაბამისად, ის ძმებს უნდა დაბრუნებოდა.

როდესაც საქმე განსახილველად წარედგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მან უპირველეს ყოვლისა დაადგინა, რომ განმცხადებელს გააჩნდა ქონება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სახით, რომლის მიხედვითაც მისი ქონება არასოდეს ყოფილა კანონიერად ნაციონალიზებული. ამის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებული უფლების ხელყოფას.

მესამე წესი (პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე ნაწილი) გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ქონების ხელყოფა გამიზნულია ქონებით სარგებლობის კონტროლზე ან წარმოადგენს ამ მიზნის მქონე საკანონმდებლო სქემის ნაწილს.

ზომები, რომელთა მიზანია გადასახადების ან სხვა შენატანებისა და ჯარიმების გადახდის უზრუნველყოფა, ასევე, განიხილება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე ნაწილის ფარგლებში. მესამე წესის ამ ასპექტის გამოყენების კარგ მაგალითს წარმოადგენს საქმე „გასუს დოზია უნდ ფორდერტეჰნიკ ნიდერლანდების წინააღმდეგ“, რომელშიც გერმანულმა კომპანიამ საქონელი გაუგზავნა ჰოლანდიურ კომპანიას იმ პირობით, რომ ის ინარჩუნებდა საქონლის მფლობელობას საბოლოო ანგარიშსწორებამდე. მანამ, ვიდრე გამყიდველი მიიღებდა ანაზღაურებას, საქონელი დაყადაღებულ იქნა ნიდერლანდების საგადასახადო ორგანოების მიერ ჰოლანდიელი მყიდველის საგადასახადო დავალიანებასთან დაკავშირებით. გერმანელი გამყიდველის მტკიცებით, ნიდერლანდების საგადასახადო ორგანოების მიერ ტვირთის დაყადაღება არღვევდა მის საკუთრების უფლებას პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე უნდა განხილულიყო პირველი მუხლის მესამე წესის ფარგლებში იმ საფუძველით, რომ ქონების დაყადაღება წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ გადასახადების მოკრების სისტემის სახეს.

პირველი ოქმის პირველი წესი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „საბოლოო ბარიერი“, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არც ერთი სხვა წესი არ გამოიყენება, ხოლო შესაბამისი ზომა ხელყოფს საკუთრებით სარგებლობის უფლებას, მაგრამ არ არის საკმარისი, ჩაითვალოს ქონების ჩამორთმევად და არ არის გამიზნული საკუთრებით სარგებლობის კონტროლზე.

<sup>1</sup> იხ ასევე „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, (James v. the United Kingdom) A98 (1986), პ. 38; „ჰენტრიხი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Hentrich v. France), A296-A (1994), პ-ბი 34-35.

### ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“, *Marx v. Belgium*, A31 (1979).
2. ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიკი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი, 1995, (Harris, O'Boyle and Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*), გვ. 516.
3. გადაწყვეტილება საქმეში „ჯეიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, *James v. United Kingdom*, A98 (1986), პ. 46.

## THE ESSENCE OF THE RIGHT TO PROPERTY UNDER THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS

Ivane Balakhahsvili, Gori State Teaching University, Senior Teacher

### RESUME

In the first amendment of the Constitution defines as comprising three separate rules. The three rules are: 1. Principle of peaceful enjoyment; 2. Expropriation; 3. Control of use.

### შვილად აყვანის საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა (თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)

მიხეილ ბიჭია, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

### შესავალი

შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერძოსამართლებრივი პრობლემაა, რომელიც რამდენიმე ასპექტს უკავშირდება. ეს საკითხი, ერთი მხრივ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არ ყოფილა სპეციალური კვლევის სფერო, მეორე მხრივ, შვილად აყვანის საიდუმლოების ხელყოფას მოჰყვება კონკრეტული შედეგები, რომლებიც შეიძლება გასცდეს სამართლებრივ მსჯელობას და შეეხოს ფსიქოლოგიურ მომენტებსაც.

ამასთან, საკვლევი საკითხი ეხება პირად ცხოვრებას, ვინაიდან სწორედ პირადი სფეროს გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა შვილად აყვანის საიდუმლოება. შესაბამისად, კვლევის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, კერძო ცხოვრების ცნების მოცულობის განსაზღვრა, ხოლო შემდგომ იმ სფეროების დადგენა, რომლებსაც მოიცავს შვილად აყვანის საიდუმლოება. მართალია, განსახილველ თემას საპროცესოსამართლებრივი ასპექტებიც აქვს, მაგრამ მოცემულ კვლევაში ძირითადი აქცენტები გაკეთდება მის სამოქალაქოსამართლებრივ დაცვაზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან მჭიდრო კავშირში. ასევე, კვლევა პრობლემური ხასიათისაა, თუ მხედველობაში მიიღება პირადი საიდუმლოების კონფლიქტი სხვა ინტერესებთან.

ამდენად, შვილად აყვანის საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა აქტუალურია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. ზემოთ წარმოდგენილი პრობლემები უნდა იყოს შესწავლილი შედარებითსამართლებრივი, ნორმატიულ-დოგმატური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით, რაც საკითხის ირგვლივ არსებული მოსაზრებების მიმოხილვის საფუძველზე მოკრძალებული წინადადებების წარმოდგენის საშუალებასაც მოგვცემს.

## 1. მოკლედ კერძო ცხოვრების ცნების მოცულობის შესახებ

კერძო ცხოვრების არსის განსაზღვრა საჯარო ცხოვრების ცნების დადგენას უკავშირდება, ვინაიდან საჯარო სფეროს დეფინირების შემდეგ კერძო ცხოვრების შინაარსიც გაირკვევა.<sup>1</sup> ტერმინი „public“ გამოიყენება სახალხო, საჯარო, საზოგადოდ ცნობილი მოვლენების, თუ საჯარო პირების აღსანიშნავად. იგი განიხილება „კერძოს“ ანტონიმად.<sup>2</sup> ფართო გაგებით, საჯარო და საზოგადოებრივი სფეროები იდენტური მნიშვნელობისაა და მათ აერთიანებს გარკვეული საჯარო ფუნქცია. ვიწრო გაგებით, სავარაუდოა, რომ საჯარო ცხოვრება უნდა შეეხოს როგორც სახელისუფლო, ისე არასახელისუფლო (საზოგადოებრივი) ინტერესებისთვის საქმიანობას.

საგულისხმოა, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტერმინში „კერძო“ მოიაზრება პირის კუთვნილი, ის, რასაც არა აქვს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ხასიათი, რაც დაკავშირებულია ცალკეული პიროვნების მოქმედებასთან, საკუთრებასთან, ის, რაც თვითონ პიროვნებას ეხება, პირადი.<sup>3</sup> პირადია ის, რაც მხოლოდ ერთ პირს ეხება, არის ერთი პირის ინტერესების შესაბამისი, პიროვნული, პერსონალური, კერძოდ, ინდივიდუალური.<sup>4</sup> შესაბამისად, ოქსფორდის ლექსიკონით განისაზღვრა, რომ კერძო ცხოვრებაში მოიაზრება: (1) საჯარო ინტერესისგან განმარტობულად ცხოვრება; (2) კერძო ან ფარული ადგილი; კერძო ოთახები; (3) არასაჯარო;<sup>5</sup> (4) კერძო საკითხი, საიდუმლოება; პირადი საქმე ან ურთიერთობები. სექსუალური ორგანოები; (5) ინტიმური ურთიერთობები; (6) ადგილის თვითონ არჩევა.<sup>6</sup> ამდენად, კერძო და პირადი სფეროებს არსებობს შორის გვარისა და სახის დამოკიდებულება.<sup>7</sup> ამასთან, რამდენიმე კერძო ხასიათის ასპექტისა და პირადი სფეროს სინთეზის შედეგად იქმნება ახალი მოვლენა კერძო სფეროს სახით<sup>8</sup>, რომელიც პირადი ცხოვრების შინაარსს არ ემთხვევა. ყველა პირადი არის კერძო, მაგრამ არა პირიქით, თუმცა ამის გათვალისწინებით გარკვეულწილად კონტექსტში შეიძლება კერძო ჩაენაცვლოს პირადს.

აქვე აღსანიშნავია, რომ დღევანდელ ეპოქაში ხშირად წამოიჭრება საჯარო და კერძო სფეროთა საზღვრების პრობლემა. ის ფაქტობრივად ეხება ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთმიმართების დადგენას, რაც „მე“-სა და „ჩვენ“-ს შორის ბალანსის პოვნას გულისხმობს.<sup>9</sup>

თანამედროვე რეალობაში ხშირად ირღვევა საჯარო და კერძო სფეროებს შორის ბალანსი, ვინაიდან ჩვეულებრივ „უნებლიე“ საქციელი განიხილება იმ გაგებით, რომ პირები გარშემომყოფთ აცნობენ საკუთარ განცდებს და ამ ფორმით ემოციებს აშიშვლებენ.<sup>10</sup> ეს შეიძლება შეეხოს შვილად აყვანის საიდუმლოებასაც, თუმცა აქ დასადგენია, არსებობს თუ არა მისი გავრცელების (ლეგიტიმური) საფუძვლები.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კერძო სფერო არის ის, რაც საჯარო არაა<sup>11</sup> და გამოიხატება არასაჯარო საწყისებზე აგებული ურთიერთობის თავისუფლებაში,<sup>12</sup> სადაც პირების ან სოციალური ინსტიტუტების მხრიდან ჩარევა დაუშვებელია<sup>13</sup> და შესაძლებელია საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედება და ეკონომიკურ სფეროში პიროვნების განვითარება. ამდენად, კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა დიდია და მოიცავს საოჯახო ცხოვრებასაც, რომელიც მოწესრიგებულია საოჯახო სამართლით. ამასთან, პირად საიდუმლოებას განეკუთვნება პირის ოჯახური მდგომარეობა, მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი მდგომარეობა. ამასთან, კერძო ცხოვრების

<sup>1</sup> საჯაროობა, ძირითადად, განისაზღვრება კერძო ცხოვრების საპირისპიროდ. Lesch W., *Medienethik zwischen öffentlichem und Privatem*, Im Zoom K&M Nr. 11, Juli 1998, 40.

<sup>2</sup> Oxford, *Advanced Learner's Dictionary*, 2002, 1022-1023.

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი, 1955, 1149.

<sup>4</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბილისი, 1960, 192.

<sup>5</sup> Oxford, *Advanced learner's Dictionary*, 2002, 1006.

<sup>6</sup> Oxford English Dictionary 1989, 515. იხ. Siegetsleitner A., *Forschungsinstitut für Angewandte Ethik, Forschungsberichte und Mitteilungen* (herausgegeben von Siegetsleitner A. und Neumaier O.), Heft 29, Salzburg, 2002, 22

<sup>7</sup> იხ. კ. ბაქრაძე, *ლოგიკა*, თბილისი, 1946, 49-50.

<sup>8</sup> სინთეზის შესახებ იხ. ს. ავალიანი, *თეორიული ფილოსოფია*, თბილისი, 2007, 40-41.

<sup>9</sup> იხ. ნ. ელიასი, *ცივილიზაციის პროცესის შესახებ, სოციოგენეტიკური და ფსიქოგენეტიკური გა-მოკვლევები*, წ. I (თარგმნა ი. წერეთელმა), თბ., 2005, 14-40.

<sup>10</sup> იხ. P. Сеннет, *Падение публичного человека*, Перевод с английского /Перевод О. Исаева, Е. Рудницкая, Вл. Софронов, К. Чухрукидзе. М., 2002, 33

<sup>11</sup> კერძო შეიძლება გადაიქცეს საჯაროდ იხ. Lesch W., *Medienethik zwischen öffentlichem und Privatem*, Im Zoom K&M Nr. 11, Juli 1998, 45.

<sup>12</sup> იხ. Петрухин И., *Личная жизнь: пределы вмешательства*, М., 1989, 7-8

<sup>13</sup> იხ. Pauer-Studer H., *Privatheit: "Ein ambivalenter, aber unverzichtbarer Wert,"* 3. об.: <<http://www.oeaw.ac.at/ita/privconf/pauer-studer.pdf>> [10.09.10]

ხელშეუხებლობას საკუთრებასთან მჭიდრო კავშირშიც განიხილავენ. კერძო სამართლისთვის მნიშვნელოვანია სამართლიანობის აღდგენა და კერძო ცხოვრების ხელყოფისას მორალური ზიანის რეპარაციაც ყოველთვის კომპენსაციური ხასიათისაა. ამ გაგებით, კერძო სფერო მოიაზრებს ქონებრივ მომენტსაც, რაც კერძო ცხოვრებაზე კერძოსამართლებრივი რეგულირების გავრცელებას ადასტურებს.<sup>1</sup>

## 2. შვილად აყვანის საიდუმლოების არსი

ზოგადად, შვილად აყვანასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (შემდგომში - სსკ-ით), კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ.“ იურიდიულ მეცნიერებაში ამ პრობლემას სამართლიანად განაკუთვნიებენ საოჯახო კანონმდებლობას.

ამასთან, იმის მიხედვით, საერთოდ ხელმიუწვდომელია მონაცემები თუ მხოლოდ განსაზღვრული პროფესიის წარმომადგენლებისთვის არის ხელმისაწვდომი, განასხვავებენ პირად და პროფესიულ საიდუმლოებას. ამ კვლევისთვის უმნიშვნელოვანესია პროფესიული საიდუმლოება, რომელიც შეიძლება გაანდონ გარკვეული პროფესიის წარმომადგენლებს რაიმე უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. პროფესიულ საიდუმლოებაში შედის, გარდა სამედიცინო, სასამართლო დაცვის, აღსარების, საგამომიებო საქმიანობის, სანოტარო მოქმედებათა და სამოქალაქო მდგომარეობის ჩამწერი აქტების საიდუმლოებისა, შვილად აყვანის საიდუმლოება.<sup>2</sup>

თვით შვილად აყვანის საიდუმლოებაში მოიაზრება ცნობები, რომლებზე დაყრდნობითაც ჩანს, რომ ბავშვის აღზრდის აზრები არაა მისი ბიოლოგიური მშობლები, არამედ მხოლოდ მშვილებლები. ამ ტიპის მონაცემების გადაცემა მესამე პირებისთვის, რომელთათვის გაშვილების ფაქტის თაობაზე არაფერი ყოფილა ცნობილი, განიხილება შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებად. ჩნდება შეკითხვა: რატომაა აუცილებელი კანონით იყოს შვილად აყვანის საიდუმლოება დაცული?

უპირველეს ყოვლისა, შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება იწვევს ოჯახში დაძაბულობას, გართულებულ ურთიერთობებს, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელია მშვილებლების მიერ ბავშვის შემდგომი აღზრდა. ამასთან, ამ საიდუმლოების მოულოდნელი გამჟღავნება უმეტესწილად ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფით ზეგავლენას. თუმცა მხოლოდ ამით როდი ამოიწურება შვილად აყვანის საიდუმლოების გაცემის შედეგები; იგი საერთოდ, აყენებს ზიანს ორივე მხარეს – როგორც გაშვილებულს, ისე მშვილებელს.<sup>3</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ, სსკ-ის 1264-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მშვილებლის თხოვნით შვილად აყვანის კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად დასაშვებია ნაშვილების დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლა. თუმცა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი უშვებს, ასევე, იგივე მოტივით სახელისა და გვარის, განსაკუთრებული მიზეზების არსებობისას კი დაბადების თარიღის შეცვლის შესაძლებლობას. სსკ-ით ბუნდოვანია, თუ რა ვადით შეიძლება თარიღის შეცვლა, რასაც ასწორებს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი, რომლითაც დადგენილია, რომ დაბადების თარიღი არ შეიძლება შეიცვალოს ერთ თვეზე მეტი ვადით („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში დაბადების თარიღად შეიძლება ნებისმიერი რიცხვის ჩაწერა. ამდენად, რეგისტრაციის წიგნში ბიოლოგიური შვილისა და ნაშვილების ერთი და იმავე დაბადების ადგილისა და თარიღის დაფიქსირება ტყუპი შვილების გაჩენის პრეზუმფციას გულისხმობს. ამასთან, ნაშვილების დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლა შეიძლება გამონაკლისის სახით, თუ ესაა შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის ერთ-ერთი უძირითადესი გარანტი. ნაშვილების დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლის შესაძლებლობის თაობაზე უნდა იყოს აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებაში შვილად აყვანის შესახებ. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნაშვილების შესახებ ნამდვილი მონაცემები ისპობა. რეგისტრაციის წიგნში გაკეთებული ჩანაწერებით დასტურდება შვილად აყვანის ფაქტი, ასევე ნაშვილების ნამდვილი დაბადების ადგილი და თარიღი. აქვე არის გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს შესახებ მონაცემები.<sup>4</sup> ნაშვილების დაბადების ნამდვილი ადგილი და თარიღი უნდა ინახებოდეს და არ გამჟღავნდეს, გარდა იმ

<sup>1</sup> დაწვრილებით კერძო ცხოვრების ცნების მოცულობის თაობაზე იხ. მ. ბიჭია, კერძო ცხოვრება და საადვოკატო საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, №1, 2013, 6-7.

<sup>2</sup> И. Петрухин, Личная жизнь: пределы вмешательства, М., «Юрид. Лит-ра», 1989, 13-14.

<sup>3</sup> Л. Красавчикова, Личная жизнь граждан под охраной закона, М., «Юрид. Лит-ра», 1983, 138-139

<sup>4</sup> იხ. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., „მერიდიანი“, 2011, 324-325



შემთხვევისა, როცა ამას ითხოვს თვით მშვილელე, ვიდრე ნაშვილებს 18 წელი შეუსრულდება. ასევე ამ მონაცემების გამჟღავნება დაიშვება, თუ ამას მოითხოვს ნაშვილები, რომელმაც უკვე, კანონით დადგენილი პირობების მიხედვით, მიაღწია სრულწლოვანებას. შესაბამისად, ნაშვილების დაბადების თარიღი და ადგილი შეიძლება აღდგეს მისი მოთხოვნით, თუ მან სრულწლოვანებას მიაღწია, ან მშვილელეების მოთხოვნით, ვიდრე ნაშვილებს 18 წელი შეუსრულდება. ამასთან, დაბადების ნამდვილი ადგილისა და თარიღის აღსადგენად გათვალისწინებული უნდა იყოს 10 წლის ნაშვილების თანხმობა (სსკ-ის 1264-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები). თუ საქმე ეხება სახელისა და გვარის შეცვლას, ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები 10 წლის ნაშვილების აზრი („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი 23-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

### 3. შვილად აყვანის საიდუმლოების გაცემის დასაშვებობის საფუძვლები

ბუნებრივია, აქტუალურია შეკითხვა: შეიძლება გაცივს გაშვილების შესახებ ცნობები ან ამონაწერი? აღნიშნულზე პასუხს იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საქმე ისაა, რომ თუ შვილად აყვანილი ჯერ არაა 18 წლის, ამ შემთხვევაში შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება-გავრცელება მშვილელის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ამასთან, დაუშვებელია ამ სახის ცნობების გავრცელება შვილად აყვანილის თანხმობის გარეშე, თუ მას უკვე შეუსრულდა 18 წელი. აქვე საგულისხმოა, რომ გაშვილებულის ბიოლოგიური მშობლის თაობაზე ცნობების შეკრება-გავრცელებაც საჭიროებს ბიოლოგიური მშობლის თანხმობას (სსკ-ის 1263-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილები).

ამასთან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მართალია, „შვილად აყვანის აუცილებელი პირობაა მშვილელის თავისუფალი ნება, მაგრამ ეს ნება უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და ინტერესებს. შვილად აყვანა ხდება იმ მიზნით, რომ მშვილელესა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილს შორის.“<sup>1</sup>

ცალკე განხილვის საგანია შემთხვევა, როცა ნაშვილები ცდილობს საკუთარი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მოძიებას. აქ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. საქმე ზოგჯერ შეიძლება ხელოვნური განაყოფიერების ან ემბრიონის იმპლანტაციის გზით გაჩენილ ბავშვს შეეხოს, ეს კი კიდევ უფრო ართულებს ნაშვილების წარმომავლობის განსაზღვრას. ამიტომ უფლებამოსილმა „ორგანოებმა დაინტერესების შემთხვევაში ხელი უნდა შეუწყოს ბავშვს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებაში. აღნიშნული წესი ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციითაც არის აღიარებული.“<sup>2</sup> შესაძლებელია, ნაშვილების ინტერესი კონფლიქტში აღმოჩნდეს სხვა ინტერესთან (მაგალითად, მამის უფლება, არ ჩაიტაროს ტესტი), მაგრამ უნდა გამოიკვეთოს შედარებით რელევანტური ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, პრიორიტეტულია ბავშვის უფლება საკუთარი მამის წარმომავლობის დადგენის შესახებ. ეს კი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, რომელიც პოზიტიური ვალდებულების განხორციელებლობასაც გულისხმობს.<sup>3</sup> ეს ასპექტი მნიშვნელოვანია, ვინაიდან პირადი სფეროს ერთ-ერთი მხარე არის შვილად აყვანის საიდუმლოება, რომლის დარღვევასაც შეიძლება მოჰყვეს პირადი ცხოვრების ხელყოფა. მართალია, თვით უფლებამოსილი პირის ნებაა გადამწყვეტი, შვილად აყვანის საიდუმლოება გამჟღავნდება თუ ის კონფიდენციალურ სფეროთა წრეში ჩაეწერება, მაგრამ აქ ამოსავალი უნდა იყოს ბავშვის ინტერესის დაცვა.

შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნების უარყოფითი შედეგების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო კანონმდებელმა დააწესა მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე დანაშაულად გამოჰყო ამ ტიპის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება (საქართველ. სისხ. სამ. კოდექსის 175-ე მუხლი). ამდენად, შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებას შეიძლება მოჰყვეს პირადი სფეროს ხელყოფა, რაც საბოლოოდ გაშვილებულისა თუ მშვილელის სულიერ მდგომარეობაზე აისახება.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 მარტის განჩინება განჩინება (საქმე №ას-1349-1188-2010).

<sup>2</sup> იხ. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., „მერიდიანი“, 2011, 326.

<sup>3</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება (№ას-41-40-2010).

აღნიშნულმა შეიძლება გაშვილებულის ცხოვრებასა და პიროვნებას ზიანი მიაყენოს.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში შვილად აყვანის საიდუმლოების შელახვა უნდა იყოს განხილული დელიქტური პასუხისმგებლობის კრილში. ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ შესაძლებელია დადგეს სსკ-ის 992-1008-ე მუხლებით დადგენილი შედეგები.

საერთოდ, შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის მოვალეობა ვრცელდება მოსამართლეზე, რომელმაც შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა, ბიოლოგიურ მშობელზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელზე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომელსა და შვილად აყვანის პროცედურებში მონაწილე ნებისმიერ პირზე. ამ სახის საიდუმლოების გამჟღავნება დაუშვებელია ბიოლოგიური მშობლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლი). თანხმობის არარსებობა ნიშნავს, რომ ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო. თუ ამ ქმედებას მოჰყვა რაიმე უარყოფითი შედეგი (ზიანი), შეიძლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება დელიქტური სამართლის ნორმების საფუძველზე (სსკ-ის 992-ე მუხლი).

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შვილად აყვანასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში პირადი ცხოვრების დაცვის უფლების სუბიექტა წრე საკმაოდ ფართოა. ეს კატეგორია მოიცავს არასრულწლოვან საქართველოს მოქალაქეს, ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს.

ზიანის მიყენებას უნდა მოჰყვეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ის უკავშირდება სუბიექტთა პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას საკუთარ მოვალეობებთან, რომელთა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დროს დაზარალებულის უფლებების აღდგენისა და დამდგარი ზიანის ანაზღაურების მიზნით სამართალდამრღვევის მიმართ გამოიყენება სანქციები.<sup>2</sup> თუ შვილად აყვანის საიდუმლოების ხელყოფის მატერიალურ (ეკონომიკურ) შედეგს (ქონების შემცირება) აქვს ღირებულებითი ფორმა, წარმოიშობა ქონებრივი ზიანი,<sup>3</sup> რომელიც შეიძლება გახდეს ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველი. ქონებრივ ზიანში მოიაზრება ზარალი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს დაზიანებული ქონების ღირებულების პირდაპირ შემცირებაში ან მის დაკარგვაში, ასევე სარგებლის ხელიდან გაშვებაში.<sup>4</sup> თუმცა ქონებრივი ზიანი წარმოიშობა არა მხოლოდ ქონების შემცირების შედეგად, არამედ პიროვნებისთვის ზიანის მიყენებასაც შეიძლება ჰქონდეს ქონებრივი ხასიათი<sup>5</sup>, ან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ზიანს მხოლოდ არაქონებრივი ხასიათის ჰქონდეს და შემდეგ შეიძინოს მან ქონებრივი სახე.<sup>6</sup>

საბოლოოდ ზიანის მიყენების გამო პირისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია ზიანის, ქმედების მართლსაწინააღმდეგობის, ამ ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის, ბრალის კუმულაციურად არსებობა.<sup>7</sup>

ამასთან, ხელყოფას, გარდა ქონებრივი ზიანისა, შეიძლება მოჰყვეს არამატერიალური ზიანიც ან ორივე ერთად.<sup>8</sup> არაქონებრივი ზიანი არის არამართლზომიერი მოქმედებით გამოწვეული ფიზიკურ-სულიერი ხელყოფა, რომელიც არ მოიცავს ქონებრივ ელემენტს და არის წმინდა ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა. თუმცა არამატერიალური ზიანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ არაქონებრივი, არამედ ქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგიც.<sup>9</sup> ზიანის ბუნების დასადგენად უმნიშვნელოვანესია, თუ მოეპოვება თუ არა ზიანის შედეგს ქონებრივი, ფულადი ეკვივალენტი.<sup>10</sup>

<sup>1</sup> იხ. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., „მერიდიანი“, 2011, 325.

<sup>2</sup> იხ. Е. М. Чурюкина, Понятие гражданско-правовой ответственности, Вектор науки ТГУ, Серия: Юридические науки, № 1 (16), 2014, 120.

<sup>3</sup> შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წ. IV, ტ. II, თბ., 2001, 380.

<sup>4</sup> ქონებრივი ზიანის შესახებ იხ. კ. იაიჩკოვი, ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი (თარგმნა გ. დოლიძემ), თბ., საქ. სსრ იუსტიციის სამინისტროს გამოცემა, 1947, 8.

<sup>5</sup> იხ. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბ., 1991, 3; სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებების (განსაკუთრებით ქონებრივი პასუხისმგებლობის) შესახებ იხ. ბ. ზოიძე, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №3, 1985, 85-95.

<sup>6</sup> იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, 1978, 45.

<sup>7</sup> იხ. კ. იაიჩკოვი, ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულებანი (თარგმნა გ. დოლიძემ), თბ., 1947, 7.

<sup>8</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბ., 2003, 23.

<sup>9</sup> მორალური ზიანის შესახებ დაწვრ. იხ. С. Беляцкий, Возмещение морального (неимущественного) вреда, в Еженедельном юридическом газете «Право», воскресенье 24 июля, 1911, №29, 1620-1627; არაქონებრივი ზიანის შესახებ ასევე იხ. F. Hütte/ M. Helborn, Schuldrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Grasberg bei Bremsen, Verlag Rolf Schmidt GmbH, 2005, 342.

<sup>10</sup> იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №2, 1978, 45.

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელია, რომ არამატერიალური ზიანი მიზეზ-შედეგობრივად იყოს არამართლზომიერი და ბრალეული ქმედების შედეგი (სსკ-ის 992-ე მუხლი);<sup>1</sup> გარდა გარდა ამისა, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სხვა პრინციპებია: იგი უნდა ანაზღაურდეს ფულადი ფორმით სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით; მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად. იგი ანაზღაურდება, მიუხედავად იმისა, არამატერიალურ ზიანთან ერთად დადგა თუ არა ქონებრივი ზიანი და ეს უკანასკნელი ანაზღაურდება თუ არა.<sup>2</sup> ამასთან, სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმებს: არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. საქართველოს კანონმდებლობაში კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება სწორედ იმას გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, სიცოცხლე, ჯანმრთელობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვა) ხელყოფის და მნიშვნელოვანი (მძიმე) მორალური ზიანის არსებობის შემთხვევაში კანონმდებლობა იძლევა მისი ანაზღაურების შესაძლებლობას. ამით ფაქტობრივად კანონმდებელმა გამიჯნა არსებითი და არაარსებითი ზიანი, ხოლო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურდება, თუ ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.<sup>3</sup>

### დასკვნა

როგორც კვლევამ აჩვენა, შვილად აყვანის საიდუმლოება მოიცავს ცნობებს იმის თაობაზე, რომ ბავშვის აღმზრდელები არიან არა მისი ბიოლოგიური მშობლები, არამედ მხოლოდ მშვილებლები. აღნიშნული ეხება სუბიექტის თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც პირადი სფეროს გამოვლინებაა. შესაბამისად, შვილად აყვანის საიდუმლოების უზრუნველსაყოფად ლოგიკურია გარკვეულ შემთხვევებში პირადი ცხოვრების დამცავი ნორმების გამოყენება. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია შვილად აყვანის საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, რაც გულისხმობს დარღვევის დროს სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების მიმოხილვას. ეს, ერთი მხრივ, შეეხება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დაკმაყოფილდება ზიანის, მართლწინააღმდეგობის, მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის ერთდროულად არსებობისას (სსკ-ის 992-ე მუხლი). თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მოცემულ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც, ვინაიდან საქმე შეიძლება შეეხოს გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს. საქმე ისაა, რომ შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება იწვევს ოჯახში დაძაბულობას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მშვილებლების მიერ ბავშვის შემდგომ აღზრდას. ამასთან, ამ საიდუმლოების მოულოდნელი გამჟღავნება უმეტესწილად ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფით ზეგავლენას. ასევე, საგულისხმოა, რომ შვილად აყვანის საიდუმლოების გაცემისას ზიანი შეიძლება მიადგეს ორივე მხარეს – როგორც გამჟღავნებულს, ისე მშვილებელს. შესაბამისად, მათ, როგორც სუბიექტებს, რომლებსაც აქვთ შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის უფლება, უნდა შეეძლოთ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში - არაქონებრივი ზიანის კომპენსირების მოთხოვნაც. სწორედ შვილად აყვანის საიდუმლოებისთვის არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად უნდა ჩაერთოს პირადი ცხოვრების დამცავი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმები (მაგალითად, სსკ-ის მე-18 მუხლი), რათა შვილად აყვანის საიდუმლოება იყოს უზრუნველყოფილი სათანადო კერძოსამართლებრივი დაცვის ფორმებით. ამავე დროს, აუცილებელია ამ სიკეთის დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლითა და ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციით, რაც გამოკვეთს ბავშვის უპირატეს ინტერესს სხვა ღირებულებასთან შედარებით. აღნიშნული ხელს შეუწყობდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფუნქციების - კომპენსაციის, სატისფაქციისა და პრევენციის მიღწევას, რაც უმნიშვნელოვანესია შვილად აყვანის საიდუმლოების ეფექტური დაცვისთვის.

<sup>1</sup> იხ. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2005, 68.

<sup>2</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბ., 2003, 188.

<sup>3</sup> აღნიშნულთან დაკავშირ. იხ. ლ. დოლონაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2010, 174-175, 181.

**CIVIL LEGAL PROTECTION OF CONFIDENTIALITY OF ADOPTION  
(THE ANALYSIS OF THE THEORY AND LAW PRACTICE)  
Mikheil Bichia, David Aghmashenebeli University of Georgia, Associate Professor  
RESUME**

Protection of Confidentiality of Adoption is an important problem of private law. This issue has not been researched in Georgian legal literature. On the other hand, infringement of the confidentiality of adoption causes results which may go beyond the legal sphere and apply psychological sphere. So, the importance of the protection of the confidentiality of adoption under civil law is obvious. The study showed that the confidentiality of adoption includes the information that the child's caregivers are not his biological parents, but adoptive parents. This refers to the right of self-determination, which is a sphere of private life. Therefore, it is logical to use rules that protect private life to protect the secrecy of adoption. It is essential to protect the confidentiality of adoption under civil law from this point of view, which includes a review of the grounds of civil liability in case of violation. This includes compensation for property damage, that will follow the existence of unlawfulness, causal relation and guilt at the same time (Article 992 of GCC). But even more important is a compensation of non-material damages as well, as the case may be applied to some psychological problems. The thing is, that the disclosure of the confidentiality of adoption leads to tension in the home, which makes it practically impossible for a child's post-adoptive care. In addition, the unexpected disclosure of secrets has a negative impact on a child's psyche. Also, it is worth noting that in case of infringement of the above mentioned confidentiality the damage can be inflicted on both sides - the adopted and the adoptive parent. Consequently, they have the right to confidentiality of adoption and should be able to claim a request of compensation for material damage, and in cases determined by law - also a moral damage compensation request. There should be involved rules of civil law which defends private life (for example, Article 18 of GCC) for ensuring of defence of confidentiality of adoption under civil law. At the same time, It is necessary to protect this confidentiality under article 8 of the Human Rights European Convention and the Convention on the Rights of the Child, which defines a priority of child's interest. This would facilitate the achievement of functions of civil liability - compensation, satisfaction and prevention, which is essential for the effective protection of the confidentiality of adoption.

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში – პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები**

**იოსებ გაბარაევი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი**

საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება, რომელიც 2015 წლის 12 ივნისის მესამე მოსმენით იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ, რომელიც 2016 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდება. მთავარი, რაც მოქმედი შიდა კანონმდებლობისაგან განასხვავებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს არის ის, რომ ის ეფუძნება ჰუმანიზმის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პრინციპებს, ამკვიდრებს ნოვაციებს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის.

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების ცნება კომპლექსური, მოქნილი და ადაპტირებადია და უნდა განისაზღვროს ყოველი ცალკეული საქმის მიხედვით, იგი უნდა მოერგოს და განისაზღვროს ინდივიდუალურად, შესაბამისი ბავშვის კონკრეტული სიტუაციის საჭიროებების მიხედვით. ბავშვის საუკეთესო ინტერესები განიმარტება, როგორც მისი უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვანის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით. ყოველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა შეფასდეს და განისაზღვროს ცალკეული ბავშვის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება დაადგინონ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები და შეიმუშაონ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისი კანონები.

სწორედ აღნიშნულმა და მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებამ

განაპირობა ახალი კოდექსის მიღება. მთელ ამ პროცესს კი საფუძვლად დაედო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად საკმარისი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა, არასრულწლოვნის განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობასთან შეუსაბამო, არაეფექტური სამართლებრივი სისტემა, რომელიც შედეგზე არ იყო ორიენტირებული. არსებული კანონმდებლობა არ უთმობდა საკმარის ყურადღებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების უპირატესობას, არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაცვის სათანადო მექანიზმებს და სხვა სახელმწიფოთა (გერმანია, სერბეთი, ჰოლანდია, იტალია, და ა.შ.) პრაქტიკისგან განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც გააერთიანებდა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობის შესახებ არსებულ სპეციფიკურ წესებს და გაამარტივებდა მათ აღქმას.

არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების აუცილებლობა აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ 1924 წელს, ბავშვის უფლებების შესახებ ჟენევის დეკლარაციით, არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების საკითხს ეხება მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელთა დებულებებსაც დაეყრდნო წინამდებარე კოდექსი, მათ შორის: ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია (1959), ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989) და მისი დამატებითი ოქმი (2000), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (პეკინის წესები) (1985), არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები (2005), თავისუფლებაადკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები (ჰავანას წესები) (1990), არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები (ერ-რიადის წესები) (1990), სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. მართალია, არსებული კანონმდებლობა ნაწილობრივ უკვე ითვალისწინებს სპეციფიკურ მიდგომას არასრულწლოვნების მიმართ, თუმცა საერთაშორისო სტანდარტები გაცილებით მაღალია და მათთან შესაბამისობისთვის აუცილებელი გახდა ერთიანი სპეციალური საკანონმდებლო აქტის ჩამოყალიბება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ორი მოდელური კანონი - „მართლმსაჯულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საქმეებზე“ (არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი) და „სისხლის სამართლის მართლმსაჯულება არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით“ (არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მოდელური კანონი) - იმ მიზნით, რომ დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ადგენს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების, სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს.

კოდექსი, პროცესის მწარმოებელს ავალდებულებს გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური ეფექტურობით, უპირატესად გაითვალისწინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და ის ინდივიდუალური მიდგომები რომელიც მიმართულია არასრულწლოვანი ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომების გამოყენებასთან. კოდექსი მოსამართლეს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას გადაწყვეტილების მიღებისას. სასამართლო პროცესში მონაწილე არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილია მისი მშობლების და სხვა ახლო ნათესავების მონაწილეობა, შეთავაზებულია ასევე პატიმრობის გაუმჯობესებული პირობები. განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით კოდექსი აყალიბებს სპეციფიკურ მიდგომას არასრულწლოვანის მიმართ და ორიენტირებულია მის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამ მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი ასევე არის არასრულწლოვნის შემდგომი რესოციალიზაციის სიმარტივე მსუბუქი ზომების გამოყენებით, რამდენადაც არასრულწლოვანს არ აქვს განვითარება დასრულებული და მისი ფსიქიკა ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესშია. სწორედ ამიტომ, მისივე გამოსწორებისთვის, უმჯობესია სასამართლოში საქმის წარმოების სანაცვლოდ გამოყენებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, არასრულწლოვანი მოწმე ან/და დაზარალებული. თუმცა, მთავარი სიახლე, რასაც ახალი კოდექსი

გვთავაზობს, არის ის, რომ კოდექსი გამოიყენება მაშინაც, როცა დანაშაულის ჩადენა ხდება 18-დან 21 წლამდე პირების მიერ. არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარების თანახმად, ნეირო-მეცნიერული კვლევებითა და ადამიანის თავის ტვინის განვითარების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რეალურად ძალიან რთულია დადგინდეს განსხვავება მოზრდილი ბავშვისა ('*older child*') და ახალგაზრდა ზრდასრულის ('*young adult*') თავის ტვინებს შორის, რის გამოც ევროპული სახელმწიფოების უმეტესობა უკვე ავრცელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზე. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ გარდამავალი პერიოდი ბავშვობიდან ზრდასრულობაში საკმაოდ ხანგრძლივია, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელი უნდა იყოს 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ზრდასრულებზე იგივე წესების გავრცელება, რაც გათვალისწინებულია არასრულწლოვნებისთვის. არასრულწლოვანი ბრალდებულის, მოწმის ან დაზარალებულის მონაწილეობით წარმართული პროცესი იწარმოებს უპირველესად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად. თუმცა ასევე შესაძლებელია არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვით, გამოყენებულ იქნეს სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმებიც, თუ ისინი არ მოვლენ წინააღმდეგობაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან.

არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა, წითელ ხაზად უნდა გასდევდეს მართლმსაჯულების მთლიან პროცესს. არასრულწლოვნები სრულწლოვანებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები უდაო დასტურია მისი ბრალეულობის ნაკლები ხარისხისა და მოითხოვს სრულწლოვანებისგან განსხვავებულ მიდგომას.

პეკინის წესების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრიდან დამსჯელობითი ღონისძიებების მინიმუმამდე დაყვანას და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შემდგომი რეინტეგრაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასთან მჭიდრო კავშირშია ინდივიდუალური მიდგომა, რაც გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვანის პირადი შეხედულებები მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას. პროცესის მწარმოებელი პირი ვალდებულია, რომ მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის მიმართ გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და მხედველობაში მიიღოს არასრულწლოვნის შემდეგი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდის და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რაც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ახალი კოდექსის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირების სავალდებულო სპეციალიზაცია. აღნიშნული ასევე ასახულია, როგორც არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონში, ასევე ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი №10 კომენტარში, რომელიც რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, რომ არასრულწლოვნებისთვის შექმნან ცალკე სასამართლოები, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია, უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა საქმეების განსახილველად სპეციალიზებული მოსამართლეების დანიშვნა. არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი ცალსახად უთითებს, რომ არასრულწლოვანთან მომუშავე სპეციალისტებს (პირს, რომელსაც თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში შეხება აქვს არასრულწლოვანთან) გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სპეციალიზაციის კურსი. კანონი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა საქმეები

უნდა აწარმოონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა პროკურორებმა, პოლიციელებმა და ადვოკატებმა. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული უნდა იყოს სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების და პატიმრობის შესაბამისი დაწესებულების პერსონალი.

კანონი კრძალავს არასრულწლოვნის დისკრიმინაციას როგორც მისი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის ისეთი მახასიათებლების მიხედვით, რის გამოც დისკრიმინაცია აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

კანონი განამტკიცებს არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლებას: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება.

ამასთანავე, არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში განიხილება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, უკეთ მოემსახურება თუ არა განრიდება ან ასეთი ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებასთან შედარებით. განრიდება შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სასამართლოში საქმის წარმართვის შემდგომაც. განსხვავებით სრულწლოვნებისაგან, სასამართლო უფლებამოსილია განრიდების გამოყენების მიზნით, საკუთარი ინიციატივით, ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, არასრულწლოვანის საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდებისთვის, რისი უფლებაც სასამართლოს არ აქვს სრულწლოვების საქმეებზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი, პროცესის მწარმოებელს ავალდებულებს, რომ მის საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანა მოხდეს გაჭიანურების გარეშე კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. კოდექსის მოითხოვს, რომ სასამართლომ საქმეთა განხილვის რიგითობის განსაზღვრისას უპირატესობა მიანიჭოს კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საქმეებს და არ დაუშვას საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება.

კანონის თანახმად, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანს პირის რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია წარმოადგენს, რაც გათვლილია საზოგადოების გრძელვადიან პერსპექტივაზე, რათა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი საზოგადოებას დაუბრუნდეს საზოგადოებაში დამკვიდრებული დადებითი ღირებულებების მქონე, კანონმორჩილ პიროვნებად. სწორედ ამ მიზანს ემსახურება არასრულწლოვნის ნასამართლობის გაქარწყლების განსხვავებული პირობები. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ჩაეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობითი მსჯავრის შემთხვევაში - გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. ნასამართლობის დაუყოვნებლივ გაქარწყლება მნიშვნელოვნად ამცირებს მის მიერ დანაშაულის განმეორების რისკს და უდაოდ ხელს უწყობს პირის რეაბილიტაცია/რესოციალიზაციას. ეს შეღავათი აღარ იმოქმედებს, თუკი პირი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანის ნასამართლობის გაქარწყლებისთვის შემოთავაზებულია განსხვავებულად შემცირებული ვადები. ინფორმაცია არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ მიჩნეული უნდა იყოს როგორც კონფიდენციალური და არ უნდა მოხდეს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების რაიმე სახით გამჟღავნება ან გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხოლო 16 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემები, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შეიძლება გამჟღავნდეს ან გამოქვეყნდეს მხოლოდ მისი და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით და თუ მათი გამჟღავნება და გამოქვეყნება შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესებს.

იმისათვის, რომ არასრულწლოვანთა მონაწილეობით წარმოებული სამართალწარმოების პროცესი იყოს ბავშვზე ორიენტირებული და მარეაბილიტირებელი დანიშნულების, კანონი აყალიბებს სპეციალურ მიდგომებს და პროცესის მწარმოებელს ავალდებულებს სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, მიმართოს და მოიპოვოს ინდივიდუალური ანგარიში, შესაბამისი ორგანოს მიერ არასრულწლოვანის განვითარების დონის, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახურ ვითარების და სხვა გარემოებების, შესწავლის საფუძველზე. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში უნდა აისახოს ასევე არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის, სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და შესაბამისად, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ადგენს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თავისებურებებს, რომლის თანახმად, ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გულისხმობს სხეულის არასრულწლოვნის სხეულის შიგნით შემოწმებას ან მისი სხეულიდან ნივთის ამოღებას, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საფრთხე ემუქრება არასრულწლოვნის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (112-ე მუხლის მე-5 ნაწილით) დადგენილი წესი; ხოლო ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გულისხმობს არასრულწლოვნის სხეულის ნაწილობრივ ან მთლიანად გაშიშვლებას, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, აგრეთვე, კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო, არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში, ადვოკატის თანდასწრებითაც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა. ამასთანავე, კანონი ადგენს სპეციალურ წესებს, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ამგვარი საგამოძიებო მოქმედება. კერძოდ, ის უნდა ჩატარდეს საგამოძიებო ორგანოს საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი უნდა იყოს იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის არასრულწლოვანი. რაც შეეხება სხეულიდან ნივთის ამოღებას, ნებისმიერ შემთხვევაში ეს უნდა განხორციელდეს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის მქონე დაწესებულებაში სერტიფიცირებული, იმავე სქესის ექიმის ან ექთნის მონაწილეობით და კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო, არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში, აგრეთვე ადვოკატის თანდასწრებით. ამასთანავე, საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი უნდა იყოს იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის არასრულწლოვანი.

კანონი განსაზღვრავს, რომ თუ არასრულწლოვანთა კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, არასრულწლოვნის გამოკითხვისა და დაკითხვისას მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი და მხედველობაში არ მიიღება იმავე კოდექსით განსაზღვრული 332-ე მუხლის დებულებები. არასრულწლოვანი შეიძლება დაიკითხოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. არასრულწლოვნის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის დასწრებით. საჭიროებისამებრ უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, მისი დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო- ან ვიდეო ჩაწერა, რომლის სასამართლო სხდომაზე მოსმენაც (დემონსტრირება) შესაძლებელია. 14 წლამდე პირის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და დასწრებით. დაკითხვის დროს არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით (არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათიდან 22:00 საათამდე პერიოდში), აგრეთვე საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.

კანონი კრძალავს ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვას, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვას (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით.

არასრულწლოვანის პირველი მსჯავრდების შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილი ხდება არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში არ ყოფილა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და სახეზეა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით დავას იწვევს ისეთი შემთხვევა, როცა წარსულში მართალია გამოტანილია არასრულწლოვნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი მაგრამ გაქარწყლებულია ან მოხსნილია ნასამართლობა საერთო წესით. ასეთ შემთხვევაში საკითხი გადაწყდება ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების საერთო წესების დაცვით, ვინაიდან მოქმედი წესი მეტად შეესაბამება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს და წარსულში გამამტყუნებელი განაჩენის ზოგადად არსებობა არ იქნება დამაბრკოლებელი გარემოება ზემოაღნიშნული შეღავათი გამოყენებულ იქნეს არასრულწლოვანის მიმართ.

სასამართლოში წარდგენის, აღკვეთის ღონისძიების და სასჯელის აღსრულებისას კანონპროექტი კრძალავს არასრულწლოვნის მიმართ ძალის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა - როდესაც არასრულწლოვნის დასაკავებლად, მის მიერ თვითდაზიანების, სხვებისთვის ზიანის მიყენების ან/და გაქცევის მცდელობის თავიდან ასაცილებლად სხვა ყველა საშუალება ამოწურულია და უშედეგოა და როდესაც ლეგიტიმური მიზანი ვერ მიიღწევა სხვა, ნაკლები ზიანის გამომწვევი საშუალებით და ისიც დროის ხანმოკლე პერიოდით.



ძალისა და სპეციალური საშუალების სახით დასაშვებია მხოლოდ ფიზიკური ძალისა და ხელბორკილის და შებორკვის სხვა საშუალების გამოყენება. ამასთანავე, შესაძლებელია რეზინის ხელკეტის, შესაბოჭი ბადის, ცრემლსადენი გაზისა და წყალსატყორცის გამოყენება მხოლოდ ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განახევრებულია არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადები სრულწლოვნებისთვის დადგენილ წესთან შედარებით. გარდა ამისა, მოსამართლე უფლებამოსილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენისას იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში ზოგადად და არა ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.

თუ არასრულწლოვანი პატიმარია, მისი პატიმრობის საერთო ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს (და არა 60 დღეს, როგორც ეს სრულწლოვნების შემთხვევაშია). კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადის შემცირებას და ის არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

სრულწლოვანებისგან განსხვავებით, არასრულწლოვანის სასჯელის სახეებში დამატებულია შინაპატიმრობა, რომელიც როგორც წესი, ხორციელდება ელექტრონულად. კანონის თანახმად, არასრულწლოვნებისთვის შემცირებულია სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადები.

კანონპროექტით გაზრდილია არასრულწლოვნის ოჯახთან და გარემოსთან ურთიერთობის დრო, გათვალისწინებულია სპეციალური სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები, რეკრეაციული და ფიზიკური აღზრდის პროგრამები.

ამდენად, ზემოაღნიშნული ნათლად ადასტურებს კანონმდებლის ნებას, მართლმსაჯულების მთელი პროცესის განმავლობაში არასრულწლოვანის უპირატესი ინტერესების დაცვის პრიმატის შესახებ, რაც უდაოდ მისასაღებელი ფაქტია და გვაძლევს იმედის საფუძველს, რომ აღნიშნული წესების დაცვით უზრუნველყოფილი იქნება არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების და საზოგადოების კეთილდღეობის/უსაფრთხოების დაცვა.

#### ლიტერატურა:

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
2. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (CRC);
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მინიმალური სტანდარტული წესები ("პეკინის წესები");
4. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები („ჰავანას წესები“);
5. არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები („ერ-რიადის წესები“);
6. არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ გამოსაყენებელი სანქციების ან ზომების შესახებ ევროპული წესები (ევროპული წესები), ევროკავშირის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008);
7. მოდელური კანონი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) (2013);
8. არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები (*Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law - Model Law on Juvenile Justice and Related Commentary*) (2013).;
9. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10;
10. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 9(3);

## JUVENILE JUSTICE IN GEORGIA - PROBLEMS AND FUTURE PERSPECTIVES

Ioseb Gabaraevi, Gori State Teaching University, Specialist by Contract

### RESUME

The paper deals with the first juvenile Justice Code, proposed and provided news, Which establishes new standards and norms not only for juveniles who are in conflict with the law, but also for juvenile victim or witness to.

In this paper, the aim of discussing issues related to innovation with juvenile justice system is to raise legal awareness about juvenile procedural rights, Which Will be given in new Juvenile Code.

Details are discussed in simple language, which will facilitate the understanding of not only lawyers, but also the interested persons with rights of the juvenile.

## **დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ასპექტები (მიხეილ გერნეტის „დანაშაულობის სოციალური ფაქტორების“ მიხედვით)**

**მიხეილ გაბუნია**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**დავით ხობელია**, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი/სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

დიდი მეცნიერი, სახელმწიფო და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ გერნეტი დაიბადა 1874 წელს ქ. არდატოვში, ციმბირის გუბერნიაში. პროფესორი ავტორია 300 ზე მეტი სამეცნიერო შრომის კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალში. ამათგან ერთ-ერთი მთავარი მონოგრაფია – „დანაშაულობის სოციალური ფაქტორები“, რომელიც 1905 წელს გამოიცა და დღემდე უაღრესად დიდი სამეცნიერო ღირებულება გააჩნია.

მოდღვრება დანაშაულობის მიზეზების შესახებ ცნობილია ვან ჰამელის „დანაშაულის ეტიოლოგიით“ (Kriminal-Ätiologie) და ლისტის მიერ შემოთავაზებული „კრიმინოლოგიით“. ლისტი ასხვავებდა კრიმინალურ ანთროპოლოგიას და კრიმინალურ სოციოლოგიას. პირველს მიაკუთვნებდა დანაშაულის ინდივიდუალურ ფაქტორებს, ხოლო მეორეს – დანაშაულის კვლევას, როგორც მოვლენას, რომელიც დამახასიათებელია საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ამათგან უფრო მეტად მისაღებია ვან ჰამელის მიერ მოცემული „დანაშაულის ეტიოლოგია“, ვინაიდან სწორედ იგი შეესაბამება დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებს. ხოლო ლისტის სახელწოდება – კრიმინოლოგია – იძლევა ფართო გაგებას, ვიდრე უშუალოდ სწავლება დანაშაულობის მიზეზების შესახებ.

ამდენად, კრიმინალური ეტიოლოგია გულისხმობს მოძღვრებას დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების შესახებ. რა უნდა მივიჩნიოთ ზოგადად მიზეზად და, კერძოდ, დანაშაულის მიზეზად? პირველ რიგში, კრიმინოლოგიაში უარყოფილ უნდა იქნეს მიზეზთა მეტაფიზიკური თეორიები და დანაშაულის მიზეზთა ახსნა განხორციელდეს იმ წინმსწრებ მოვლენათა დაკვირვებისა და შესწავლის საფუძველზე, რასაც შედეგად დანაშაულის დადგომა მოჰყვება, მოჰყვებოდა და მომავალშიც მოჰყვება და დაკავშირებულია ერთი და იგივე ვითარების არსებობასთან. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ეს ფაქტები და მოვლენები – დანაშაულის მიზეზები – შეიძლება იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი. ასეთი მრავალფეროვნება კი იწვევს მათ კლასიფიკაციას.

კლასიფიკაციის პირველი შემთხვევები გვხვდება კლასიკური მიმართულების იტალიელი იურისტის რომანოზის (Romagnosi) შრომებში. იგი დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებს 4 ჯგუფად ჰყოფს: 1) საარსებო საშუალებების ნაკლებობა, 2) აღზრდის ნაკლებობა, 3) წინდახედულობის ნაკლებობა, და 4) მართლმსაჯულების ხარვეზი. აქედან ჩანს, რომ მიზეზთა პირველი ჯგუფი ეკონომიკური ხასიათისაა, მეორე ჯგუფი მორალური, მესამე და მეოთხე პოლიტიკური. მაგრამ, იმდენად რამდენადაც, დანაშაულობის მიზეზების სიღრმისეული კვლევა არ აინტერესებდათ არც რომანოზის და არც მის თანამედროვე მეცნიერებს, დანაშაულობის მიზეზების შესწავლა ვერ ვითარდებოდა.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებში, ახალი კრიმინოლოგიური სწავლების განვითარებამ, რომლის თანახმად, მთავარი ყურადღება დანაშაულიდან და სასჯელიდან გადატანილ იქნა დამნაშავის პიროვნებასა და დანაშაულობის პრევენციაზე, ასეთი კლასიფიკაცია აუცილებელი გახდა. ამდენად, კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიურმა სკოლამ არსებობის პირველივე წლებიდან, ენრიკო ფერის თაოსნობით, მოახდინა დანაშაულობის მიზეზების სამწვეროვანი დაყოფა. რომელიც დღემდე მიღებულია მეცნიერ-კრიმინოლოგებში.

ენრიკო ფერის მიერ დანაშაულობის გამომწვევ მიზეზთა სამწვეროვანი დაყოფა მოცემულია მის ერთ-ერთ პირველ მონოგრაფიაში „დანაშაულობა საფრანგეთში“, რომელიც დაიბეჭდა 1881 წელს. იგი თვლიდა, რომ დანაშაულობას, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანურ საქციელს ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონოდა, ეს მიზეზები მან დაჰყო 3 მთავარ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიაკუთვნა - ანთროპოლოგიური მიზეზები, მეორეს - ფიზიკური, ხოლო მესამეს - სოციალური. ანთროპოლოგიური ეს ის ფაქტორებია,

რომლებიც დევს თვითონ დამნაშავეს პიროვნებაში და ე. ფერის სწავლების მიხედვით, დანაშაულის პირველ პირობას წარმოადგენენ. მათ მიეკუთვნება: ასაკი, სქესი, მოქალაქეობა, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი, განათლება და აღზრდა, დამნაშავეს ორგანული და ფიზიკური თავისებურებები. ფიზიკური ფაქტორებია: რასა, კლიმატი, ნიადაგის აგებულება და მისი მოსავლიანობის ხარისხი, დღისა და ღამის დრო, წელიწადის დროები, წლის ტემპერატურა, სასოფლო სამეურნეო წარმოება. ხოლო სოციალური ფაქტორები: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და შემცირება, ემიგრაცია, საზოგადოებრივი აზრი, ჩვეულება და რელიგია, ოჯახური წყობა, პოლიტიკური, ფინანსური, კომერციული მდგომარეობა, სამრეწველო და სამიწათმოქმედო წარმოება, ადმინისტრაციული მოწყობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი განათლება და აღზრდა, საზოგადოებრივი ქველმოქმედება, სამრეწველო წარმოება, კანონმდებლობა.

ე. ფერი არ ახდენს დანაშაულობის სოციალური და ფიზიკური ფაქტორების მკაფიო გამიჯვნას. ასე მაგალითად, ფიზიკურ მიზეზებს იგი კლიმატთან, ბუნებასთან და ნიადაგთან ერთად მიაკუთვნებს სასოფლო სამეურნეო წარმოებას (la produzione agricola), ამავე დროს, სამრეწველო წარმოებას - la produzione industrial - მიაკუთვნებს სოციალური ფაქტორების ჯგუფს. მოგვიანებით აღნიშნული ორივე წარმოება – სასოფლო-სამეურნეოც და სამრეწველოც, ავტორის მიერ გაერთიანებულ იქნა სოციალურ ფაქტორებში. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ე. ფერი ხშირად ერთი და იმავე ფაქტორებს მიაკუთვნებს სხვადასხვა ჯგუფებს. მაგ., განათლება და აღზრდა ავტორის მიერ შეტანილია ანთროპოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებში. მის მიერ ანთროპოლოგიურ ფაქტორთა განსაზღვრება საკმაოდ ფართოა (les facteurs anthropologiques inherants a la personne), რაც მას შესაძლებლობას აძლევს მიაკუთვნოს ამ კატეგორიას ისეთი უქვეყელი არაანთროპოლოგიური მიზეზები, როგორც არის მაგალითად, დამნაშავეს საზოგადოებრივი კლასი, მისი პროფესია და საცხოვრებელი ადგილი.

ე. ფერის მაგალითს აღენიშნა მხოლოდ მიზეზთა კატეგორიები, მათი არსებითი განსაზღვრის გარეშე, მიჰყვნენ ბევრი სხვა მეცნიერები; დაუშვეს რა იგივე შეცდომები, რაც მან. ამ ფაქტმა შედეგად გამოიწვია ის, რომ ვერ მოხერხდა მიზეზთა კონკრეტული კლასიფიკაცია და დაჯგუფება. ასე მაგალითად, განათლება, რომელიც ფერის მიერ მიკუთვნებულ იყო მიზეზთა ორ კატეგორიას: ანთროპოლოგიურს და სოციალურს, უმეტესობის მიერ შეყვანილ იქნა სოციალური ფაქტორების ჯგუფში, ხოლო მეცნიერთა მცირე ნაწილის მიერ ჩათვლილ იქნა ანთროპოლოგიურ ფაქტორად. ასევე, ალკოჰოლიზმი, რომელიც ე. ფერის მიერ სოციალურ ფაქტორად იქნა მიჩნეული, სხვა მეცნიერთა მიერ დასახელებულ იქნა ანთროპოლოგიურ მიზეზთა ჯგუფში შემავალ კატეგორიად და ა.შ.

აუცილებლად მიგვაჩნია, ვიდრე შევხებოდეთ დანაშაულთა გამომწვევი მიზეზების დადგენის სხვა მცდელობებს, სიღრმისეულად მიმოვიხილოთ ე. ფერის მიერ მოცემული სამივე კატეგორია – ანთროპოლოგიური, ფიზიკური და სოციალური. მაშასადამე, რა ფაქტორები უნდა დასახელდეს ანთროპოლოგიურად? ანთროპოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანს. დიდი კრიმინოლოგი ტოპინარდო (ამ მეცნიერის სახელთან არის დაკავშირებული კრიმინოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების განვითარება. პირველად ტერმინი კრიმინოლოგია სწორედ ამ მეცნიერმა შემოიღო ხმარებაში) მიიჩნევს, რომ სიტყვა ანთროპოლოგია აღნიშნავს მეცნიერებას ადამიანის ან ხალხის შესახებ და აუცილებელია მასში შევიდეს ყველაფერი, რაც ადამიანს ეხება. მაგრამ ამ უსაზღვროდ ფართე განსაზღვრებასაც აქვს საზღვარი. თეორიულ და ეტიმოლოგიურ განსაზღვრებასთან ერთად, არსებობს ზუსტი განსაზღვრის პრაქტიკული აუცილებლობა. ანთროპოლოგია იმ პერიოდის მეცნიერთათვის, ნიშნავდა ადამიანის ზოოლოგიას - la Zoologie de l'homme, ვინაიდან იგი შეისწავლიდა ადამიანს ფიზიკური თვალსაზრისით, აღწერდა მის დამახასიათებელ, ბუნებრივ თავისებურებებს, რასებს. ადამიანის შესწავლის პროცესში ანთროპოლოგია ადამიანს ადარებდა სხვა ცხოველებს, განსაზღვრავდა მის ადგილს კლასიფიკაციაში და ცდილობდა დაედგინა მისი წარმომავლობა და გენეალოგია. ანთროპოლოგიის განმარტებაში, ერთადერთი სწორი გაგება დანაშაულის ანთროპოლოგიური ფაქტორებისა იქნება ის, რასაც თავად სიტყვა ანთროპოლოგია გულისხმობს (კერძოდ, ანთროპოლოგია დღეისათვის ნიშნავს... მეტად სავალალოა, რომ კრიმინალური ანთროპოლოგია ჩვენს იურიდიულ ფაკულტეტებზე არ ისწავლება). ამიტომ დანაშაულობის ანთროპოლოგიურ მიზეზებში უნდა ვიგულისხმოთ ისინი, რომლებიც დევს ადამიანის გონებაში, მის ფსიქიკურ და სომატურ თავისებურებებში. მიზეზთა ამ ჯგუფს, ასევე, მიეკუთვნება სქესი, ასაკი და რასა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ანთროპოლოგიურ ფაქტორებს მივაკუთვნოთ (როგორც ამას ფერი აკეთებს) პროფესია, სოციალური მდგომარეობა, აღზრდა და განათლება, ან სამოქალაქო სტატუსი და უკანონოდ დაბადება, როგორც ამას აკეთებს კოლიანი. ესა თუ ის პროფესია, მიკუთვნილობა ამა თუ იმ კლასისადმი, წარმომავლობა უკანონო და კანონიერი, აღზრდა და განათლება არ არის ადამიანის თვისება. ამდენად, ჩვენი განსაზღვრების თანახმად, არ შეიძლება მივაკუთვნოთ ანთროპოლოგიურ მიზეზებს.

მეორე ჯგუფს ფერიმ მიაკუთვნა დანაშაულობის ფიზიკური მიზეზები, ასეთი დასახელება მომდინარეობს ადამიანის გარემომცველი ბუნების იმ ძალებით, რომლებიც იწვევენ მის მოქმედებას. ისინი შეიძლება იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი. ფერი თავის მონოგრაფიაში „Sociologie criminelle“ ფიზიკურ მიზეზებს მიაკუთვნებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას (la production agricole) და სოციალურს მიაკუთვნებს სამრეწველო ფაქტორებს. ხოლო რის საფუძველზე არის სასოფლო-სამეურნეო წარმოება მიკუთვნებული ფიზიკურ მიზეზებს, არ ჩანს. (ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის კრიმინოლოგიის მიხედვით, კლიმატი და ფიზიკური პირობები, დიდ გავლენას ახდენს დანაშაულის ჩადენაზე, კერძოდ, მეცნიერთა მოსაზრებით, ჩრდილოეთით ცივ ქვეყნებში დიდია ისეთ დანაშაულთა ჩადენის ალბათობა რომელიც მიმართულია ქონების საწინააღმდეგოდ, ხოლო სამხრეთით და თბილ ქვეყნებში ისეთი დანაშაულები რომლებიც მიმართულია პიროვნების წინააღმდეგ), მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ რის საფუძველზე არის მიკუთვნებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება ფიზიკურ მიზეზებს უცნობია.

მესამე კატეგორიას (სოციალურს) უნდა მივაკუთვნოთ დანაშაულობაზე იმ სოციალური გარემოს გავლენა, რომელშიც ცხოვრობს დამნაშავე. სოციალურ გარემოში იგულისხმება არა მხოლოდ იმ პირთა წრე ან საზოგადოების ნაწილი, სადაც ცხოვრობს დამნაშავე, არამედ, ასევე, ის სოციალური ინსტიტუტები და მთელი სახელმწიფო-პოლიტიკური წეს-წყობილება, სადაც ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს. ამდენად, სოციალურ პირობებში იგულისხმება ოჯახური მდგომარეობის გავლენა, კლასობრივი მდგომარეობა, შრომის ორგანიზაცია, საზოგადოებრივი აზრი, ცხოვრება ქალაქად და სოფლად, განათლება, აღზრდა, რელიგია, პოლიტიკური წყობა, ომები და ა.შ. აქედან ნათლად ჩანს, რომ სოციალური ფაქტორები განსაკუთრებით მრავალფეროვანია თავისი შინაარსით.

იყო მცდელობები სოციალური ფაქტორები დაეყოთ რამდენიმე კატეგორიად. ასე მაგალითად, ვან კანი და კოლაიანი ჰყოფენ მათ სოციალურ და ვიწრო გავებით ეკონომიკურ ფაქტორებად. ეკონომიკურ ჯგუფს მიაკუთვნებენ იმ გარემოებებს, რომელნიც ირიბად გავლენას ახდენს ადამიანის მატერიალურ კეთილდღეობაზე. მიუხედავად ამგვარი დაყოფისა, მაინც რთულია გადაწყვიტო რომელია სუფთა ეკონომიკური ან სოციალური. მაგალითად, უმუშევრობა და ემიგრაცია, რომელთაც ვან კანი უწოდებს სოციალურ-ეკონომიურს და შეჰყავს მესამე ქვეჯგუფში. ზუსტად ასევე კოლაიანიც, რომელიც ასხვავებს სოციალური ფაქტორებისაგან ეკონომიკურ ჯგუფს, ჰყოფს ამ უკანასკნელს ორ ქვეჯგუფად: პირდაპირი ზემოქმედების ეკონომიკურ ფაქტორებად და ირიბი ზემოქმედების ფაქტორებად, როგორც არის მაგალითად პროსტიტუცია.

საინტერესოა პროფესორ მასენატის შეხედულება, რომელიც სოციალურ მიზეზებს ოთხ ჯგუფად ჰყოფს: 1. იტელექტუალური ხასიათის ფაქტორები: ფილოსოფია, რელიგია, შთაგონება. 2. ესთეტიკური ხასიათის ფაქტორები: ხელოვნება, ლიტერატურა. 3. სამრეწველო ხასიათის ფაქტორები (ეკონომიკური): სიღარიბე, ალკოჰოლიზმი, აღზრდა და ა.შ. 4. მორალური ფაქტორები: დასჯადობა (გაკიცხვა); თუმცა, აღნიშნული კლასიფიკაცია მთელ რიგ ნაკლოვანებებს შეიცავს, მაგალითად, აღზრდა არ შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს ეკონომიკურ ფაქტორებს, გაუგებარია, ასევე, რატომ არის გაკიცხვა მორალური ხასიათის, ხოლო რელიგია ინტელექტუალურის.

მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე ყველაზე მართებული იქნებოდა დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების სამწევროვანი დაყოფა – 1. ფიზიკური, 2. ანთროპოლოგიური და 3. სოციალური. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინოლოგიაში არის მოსაზრება, მოხდეს დანაშაულობის მიზეზების ორწევროვანი დაყოფა. მაგალითად, ლისტი მიიჩნევს, რომ ფიზიკური ფაქტორები ამოღებული იყოს აღნიშნული კლასიფიკაციიდან და დანაშაულობის გამომწვევი მიზეზები დავიდეს სოციალურ და ანთროპოლოგიურ კატეგორიებად. მაგალითად, ლისტს მოჰყავს ზაფხულის პერიოდში ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. აქ ავტორის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიურს და არა ფიზიკურს იმის გამო რომ სხვადასხვა ადამიანები აბსოლუტურად სხვადასხვანაირად რეაგირებენ სიციხეზე. ასევე, ქურდობათა მატება ზამთარში უნდა აიხსნას არა როგორც სიცივის უშუალო ზემოქმედებით, არამედ ადამიანის მიერ შესაძლებლობის არქონით თავისი სიღარიბიდან გამომდინარე თავი აარიდოს სიცივეს.

ეს დასკვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოვიცხოთ დანაშაულობის ფიზიკური მიზეზები სამწევროვანი დაყოფიდან. კერძოდ, ლისტის მიხედვით, ზამთრის პერიოდში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა ზრდა განპირობებულია ადამიანის სიღარიბით, რომელსაც არ გააჩნია შესაძლებლობა სიცივეს თავი აარიდოს, რითაც უარყოფილია სიცივისა და სითბოს დანიშნულება ადამიანის ორგანიზმისათვის და შესაბამისად ეს დასკვნა არ არის რეალური. სწორი მსჯელობა იქნება, დავუშვათ, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ზრდა არ გაგრძელდებოდა თუ არ იქნებოდა სიღარიბე, ასევე, ამ დანაშაულთა ზრდა არ მოხერხდებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენ იორგანიზმი ისე იქნებოდა მოწყობილი, რომ უგრძნობი იქნებოდა სიცივის მიმართ, ან არ იქნებოდა სიცივე. ამდენად, ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ სამი მიზეზის მოქმედება: 1. ანთროპოლოგიურის

(სიცივისადმი მგრძობელობა), 2. სოციალურის (სიღარიბე) და 3. ფიზიკურის (სიცივე) და არ გვაქვს საფუძველი, უარყოფით ფიზიკური ფაქტორები.

დანაშაულობის მიზეზებთან მიმართებით დღევანდელი კრიმინოლოგიისათვის ყველაზე მართებული იქნება გავითვალისწინოთ წარსულის დიდი გამოცდილება და ჩვენი შემდგომი კვლევები წარვმართოთ დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების სამწევროვანი კლასიფიკაციით, კერძოდ: 1. ანთროპოლოგიური, 2. ფიზიკური და 3. სოციალურ მიზეზთა შესწავლით და ამ მიზეზებზე ზემოქმედებით პრევენციის ღონისძიებათა შემუშავებით. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოღებულ იქნეს იურიდიულ ფაკულტეტებზე ისეთი სასწავლო დისციპლინის სწავლება, როგორც კრიმინალური ანთროპოლოგია არის, ამას გარდა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სრულიად ახალი, კრიმინოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და განხორციელება. გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ კრიმინოლოგიის მეცნიერება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა იკავებდეს საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის პირველ ადგილს, რომლის რეკომენდაციები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.

#### ლიტერატურა:

1. Гернет М., “Социальные факторы преступности”, 1905.

### CRIMINOLOGICAL ASPECTS CAUSING DELINQUENCY (AFTER ‘SOCIAL FACTORS OF DELINQUENCY’ BY MICHAEL GERNET)

Mikheil Gabunia, Georgian Technical University, Associate Professor

Davit Khobelia, David Aghmashenebeli University of Georgia/Samtskhe-Javakheti  
State University, Associate Professor

#### RESUME

Studying causes of crime is of high theoretical and practical significance. The most important way of prevention of crime is affecting its causes rather than investigation of an already committed one. Classification of causes of crime in three groups, research and control of causes of each group shall immensely benefit our state and society in the process of prevention of crime.

### პარიტეტის (ნაცვალგების) პრინციპის დაცვის აქტუალური პრობლემები ავიაგადაყვანა- გადაზიდვების განხორციელებისას საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის

დავით გეფერიძე, ახალი უმაღლესი სასწავლებელი, პროფესორი  
მიხეილ დაუშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
დოქტორანტი

მოწესრიგებულ სატრანსპორტო სისტემას და ინფრასტრუქტურას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის სწრაფად განვითარებისათვის, რადგან სწორედ ტრანსპორტზეა დამოკიდებული როგორც ადამიანების, ასევე ტვირთის გადაადგილება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსპორტი არის ქვეყნის ეკონომიკის ერთგვარი შემაკავშირებელი ელემენტი, რომელიც საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების მრავალ სახეობას მოიცავს<sup>1</sup>.

თუმცა, წინამდებარე ნაშრომი შეეხება არა ზოგადად სატრანსპორტო სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საჰაერო ტრანსპორტით საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებულ აქტუალურ პრობლემებზე, კერძოდ კი პარიტეტის (ნაცვალგების) პრინციპის დაცვას. „ნაცვალგების პრინციპი ნიშნავს სახელმწიფოს მიერ უცხოური ავიასაწარმოსათვის გარკვეული უფლებებისა და უპირატესობების მიანიჭებას იმ პირობით, რომ

<sup>1</sup> დ. გეფერიძე, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012, გვ. 11.

ანალოგიური უფლებები და უპირატესობები მიენიჭება საკუთარ ავიასაწარმოს იმ სახელმწიფოში, სადაც ის ახორციელებს საერთაშორისო ავია გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას“.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, 2008 წლის აგვისტოს ომმა და სხვა ფაქტორებმა განაპირობა საქართველოსა და რუსეთს შორის რეგულარული ფრენების გაუქმება. რეგულარული ფრენები გასულ წელს აღდგა, თუმცა ამ ფაქტმა სახელმწიფოსა და ერთადერთ ეროვნულ ავიაკომპანიას შორის გარკვეული დაპირისპირება წარმოშვა, რაც დაკავშირებულია ფრენის სიხშირესთან.

ამასთანავე, ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების ძირითადი დებულებები რეგულარული ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით. ასევე, განხილულია ქართული ავიაკომპანიების ინტერესების დაცვის მნიშვნელობა საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების ურთიერთობებში. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი კვლევის მეთოდი, კერძოდ, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა სახელმწიფოს შორის არსებული პრაქტიკის შესაბამისად.

საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულია საერთაშორისო ხელშეკრულება „საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ (შემდგომში „საერთაშორისო ხელშეკრულება“)<sup>2</sup>. აღნიშნული ხელშეკრულება ჯერ კიდევ 1994 წლიდან მოქმედებს და სწორედ იგი წარმოადგენს საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლის განხორციელების ერთ-ერთ საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველს. მიუხედავად, ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში ყოფნისა, პოლიტიკური ვითარების დაძაბვის გამო 2006 წლიდან რეგულარული საჰაერო მიმოსვლა საქართველოსა და რუსეთს შორის შეწყდა, რუსეთის ფედერაციის ცალმხრივი გადაწყვეტილებით. თუმცა, რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა ხელს არ უშლიდა სახელმწიფოებს შორის არარეგულარული (ჩარტერული) რეისების განხორციელებას, სწორედ ამიტომ 2010 წლიდან მხოლოდ ჩარტერული რეისები ხორციელდებოდა<sup>3</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულების დანართის შესაბამისად რუსეთსა და საქართველოს შორის რეგულარული ფრენის სიხშირე განისაზღვრებოდა 10/10 სიხშირით, რომლის მიხედვითაც ქართულ და რუსულ ავიაკომპანიებს უფლება ჰქონდათ, განეხორციელებინათ კვირაში ათ-ათი რეისი. გასული წლის მიწურულს განახლდა კონსულტაციები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საავიაციო ხელისუფლებებს შორის როგორც რეგულარული ფრენების აღდგენასთან, ასევე ფრენების სიხშირესთან დაკავშირებით.

გასული წლის მიწურულს განახლდა კონსულტაციები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საავიაციო ხელისუფლებებს შორის როგორც რეგულარული ფრენების აღდგენასთან, ასევე ფრენების სიხშირესთან დაკავშირებით. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური განცხადების შესაბამისად, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საავიაციო ხელისუფლებებს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ ფრენის სიხშირე იქნებოდა 14-14, რამაც ქართული ავიაკომპანიის – „ჯორჯიან ეარვეის“-ის პროტესტი გამოიწვია, რომლის ინტერესებშიც თავდაპირველად არსებული სიხშირით ფრენა შედიოდა<sup>4</sup>.

საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით. აღნიშნული ხელშეკრულება არეგულირებს მათ შორის ტარიფების დადგენასთან, ფრენების მოცულობასა და განრიგთან დაკავშირებულ საკითხებს.

ტარიფის განსაზღვრასთან ერთად საკმაოდ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ფრენების მოცულობა თბილისსა და მოსკოვს შორის, კერძოდ, ამ დროისათვის განსაზღვრულია 21/21 სიხშირე, თუმცა აღნიშნული მოცულობა მხოლოდ რუსეთის ავიახაზების მიერ არის სრულად ათვისებული და

<sup>1</sup> იქვე, გვ. 79.

<sup>2</sup> საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება - შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ, ხელმოწერილია 1993 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1994 წლის 31 მარტს.

<sup>3</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საავიაციო ხელისუფლებებს შორის ტექნიკური კონსულტაციები დასრულდა“, 2015 წლის 15 აპრილი, ხელმისაწვდომია: <http://economy.ge/ge/media/news/saqartvelosa-da-rusetis-federaciis-saaviacio-xelisuflebebs-soris-teqnikuri-konsultaciebi-dasrulda> (23.04.2015);

<sup>4</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „მინისტრიეს საგანგებო განცხადება ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეის“-თან დაკავშირებით“, 2014 წლის 12 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <http://www.economy.ge/ge/media/news/ministris-sagangebo-ganxadeba-aviakompania-jorjian-earveis-tan-dakavsirebit&type=print> (25.04.2015);

ქართული მხრიდან „ჯორჯიან ეარვეის“-ი მხოლოდ 14 ფრენას ახორციელებს. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რამდენად კანონიერად განხორციელდა საერთაშორისო ხელშეკრულების თავდაპირველი ვერსიით დადგენილი მოცულობის (10/10) ცვლილება.

საერთაშორისო ხელშეკრულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მხარეების მიერ დანიშნულ ავისაწარმოებს მიეცემათ შესაბამის ტერიტორიებს შორის დაწესებულ მარშრუტებზე სახელშეკრულებო ავიახაზების ექსპლუატაციისათვის სამართლიანი და თანაბარი პირობები“. ცალსახაა, რომ აღნიშნული პუნქტის შესაბამისად, ორივე მხარის ავიაკომპანიებისათვის სამართლიანი და თანაბარი პირობების მინიჭებას უპირატესი მნიშვნელობა გააჩნია.

იმისათვის, რომ დადგინდეს, რამდენად დაიცვეს ქართულმა და რუსულმა საავიაციო ხელისუფლებებმა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურა ფრენების სიხშირის განსაზღვრასთან დაკავშირებით, საჭიროა დეტალურად იქნეს განხილული ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულების რამდენიმე დებულება. მე-13 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მიხედვით, მხარეების ავიაკომპანიები ფრენების სიხშირესა და განრიგს ათანხმებენ ერთმანეთში, რომელსაც შემდგომში ამოწმებს თითოეული სახელმწიფოს საავიაციო ხელისუფლება. იმ შემთხვევაში, თუ ავისაწარმოები ვერ შეძლებენ ფრენების განრიგის შეთანხმებას, მაშინ ეს საკითხი გადაწყდება საავიაციო ხელისუფლებების მიერ. ამასთანავე, ავისაწარმოებმა შეთანხმების პროცესში მხედველობაში უნდა მიიღონ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც ავიახაზები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ დანიშნულ მარშრუტებზე გადაზიდვის საზოგადოებრივი მოთხოვნები და წარდგენილი მოცულობა უნდა განისაზღვროს დატვირთვის გონივრული კოეფიციენტის შესაბამისად.

ამკარაა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები უპირველესად სწორედ ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულებით რეგულირდება, რომელიც საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავს ფრენების მოცულობისა და განრიგის შეთანხმებისა და დადგენის პროცედურას. „ჯორჯიან ეარვეის“-ის წარმომადგენელთან შეხვედრის პროცესში, ერთ-ერთი საკითხი სწორედ ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურის დარღვევა იყო. ქართული ავიაკომპანიის წარმომადგენლის თქმით, „ჯორჯიან ეარვეის“-ს არათუ არ შეუთანხმებია ფრენების მოცულობა და განრიგი რუსულ ავიაკომპანიებთან, არამედ საერთოდ არ იყო ჩაბმული მოლაპარაკებების პროცესში<sup>1</sup>. შესაბამისად, საავიაციო ხელისუფლებების მხრიდან იკვეთება საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი, რამაც გარკვეულწილად დააზიანა ქართული ავიაკომპანიის ინტერესები და უფლებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, მეორე მხარის, კერძოდ კი რუსული ავიაკომპანიების პოზიცია, რომელთა განცხადებითაც ფრენების სიხშირე 10/10 ან 14/14 არარენტაბელურია მათთვის. შესაბამისად, რუსული მხარე მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო თანახმა რეგულარული ფრენების განახლებაზე, თუ ფრენის სიხშირე გაიზრდებოდა.

ნაცვალგების პრინციპის დაცვის პრობლემა – საერთაშორისო ხელშეკრულებით გარანტირებული სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპი, ერთი შეხედვით, ფორმალურად დაცულია, თუმცა შინაარსობრივად რამდენად არის დაცული, საკმაოდ საკამათოა. გარკვეულ შემთხვევებში, ზემოაღნიშნული პრინციპი მეტწილად მოიცავს და საკუთარ თავში გულისხმობს ნაცვალგებას ხელშეკრულ სახელმწიფოთა შორის<sup>2</sup>. შესაბამისად, საჭიროა გაირკვეს, რა ადგილი უჭირავს და რა მნიშვნელობა აქვს პროპორციულობის/ნაცვალგების პრინციპს მსგავსი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობაში. ზოგადად ნაცვალგება შეიძლება, განიმარტოს როგორც შესაბამისობა დარღვეულ ვალდებულებასა და დარღვევამდე არსებულ ურთიერთობას შორის, რომელიც მიზნად ისახავს განსხვავებულ მდგომარეობას შორის სამართლებრივი ბალანსის შენარჩუნებას<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო გადაზიდვა-გადაყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება არა მხოლოდ საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულებით, არამედ „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციით (შემდგომში „კონვენცია“)<sup>4</sup>. კონვენცია, ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მსგავსად, მიზნად ისახავს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოდ და მოწესრიგებულად განვითარებას, შესაძლებლობათა თანასწორობის საფუძველზე. აღნიშნული კონვენციის 44-ე მუხლის „ვ“

<sup>1</sup> რუსეთ-საქართველოს შორის პარიტეტის პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით დოქტორანტი მ. დაუშვილი პირადად ესაუბრა საქართველოს ავიახაზების „ჯორჯიან ეარვეის“-ის ადმინისტრაციულ დირექტორს ბ-ნ გივი დავითაშვილს (25.05.2015).

<sup>2</sup> H. Wassenbergh - Public International Air Transportation Law in a New Era, 1976, 42.

<sup>3</sup> E. Cannizzaro - The Role of Proportionality in the Law on International Countermeasures, EJIL 2001, p. 901.

<sup>4</sup> საერთაშორისო კონვენცია - კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, მიღებულია 1944 წლის 7 დეკემბერს. აღნიშნული კონვენცია რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1993 წლის 7 დეკემბერს.

პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი სწორედ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა უფლებების სრული პატივისცემა და ავიასაწარმოებისთვის ფრენის სამართლიანი შესაძლებლობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, აღნიშნული კონვენციის უმთავრესი ამოცანაა სამართლიანი და თანაბარი პირობების უზრუნველყოფა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის საჰაერო მიმოსვლის პროცესში. კონვენციის მსგავსად, ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს ორივე მხარისათვის ბაზრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თუმცა ფაქტობრივად ეს ჩანაწერი ვერ ხორციელდება სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზის გამო. ამასთანავე, ნაცვალგების პრინციპის განხორციელებით, ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია, შეუზღუდოს მეორე სახელმწიფოს ავიაკომპანიას ზედმეტი წვდომა ბაზარზე, რათა დაიცვას საკუთარი ავიაკომპანიის ინტერესები და მიანიჭოს მას ბაზარზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობა<sup>1</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოები, ნაცვალგების პრინციპზე დაყრდნობით, ნებას რთავენ სხვა სახელმწიფოს ავიაკომპანიებს ისარგებლონ მათი საჰაერო სივრცით, თუმცა თითოეული სახელმწიფო ცდილობს, დაიცვას საკუთარი ავიაკომპანიების ინტერესები სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით<sup>2</sup>. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიმოსვლის ხაზები, ისევე როგორც რეგულარული ფრენებისათვის გამოყენებული დასაფრენი პუნქტების რიცხოვნობა, თანაწარმოება, მკაცრად არ არის დაკავშირებული ნაცვალგების პრინციპთან. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპი არ მოითხოვს შეთანხმების მონაწილეების მიერ ერთმანეთისათვის მიცემული უფლებისა და უპირატესობის აბსოლუტურ იდენტურობასთან დაკავშირებით. ნაცვალგება გულისხმობს რეგულარული ფრენის ორგანიზებასთან დაკავშირებული ერთმანეთის ინტერესების, შესაძლებლობებისა და რეალური ვითარების გათვალისწინებას.

ზემოხსენებული მსჯელობიდან გარკვეულწილად იკვეთება ხელშემკვრელი სახელმწიფოების ინტერესი, დაიცვან თავიანთი ავიახაზების უფლებები და მისცენ მათ მეორე სახელმწიფოს ბაზარზე წვდომის თანაბარი და სამართლიანი შესაძლებლობა. იმისათვის, რომ თეორიულ მსჯელობას პრაქტიკული დატვირთვა მიეცეს, საჭიროა გამოიკვეთოს პროპორციულობის პრინციპის დარღვევის ფაქტობრივი შედეგი.

2014 წლის პერიოდიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება, რომ საქართველოს აეროპორტებიდან რეგულარული რეისებით რუსული ავიახაზების მიერ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა მთლიანი მოცულობის 7% აღწევს, ხოლო „ჯორჯიან ეარვეის“-ის მიერ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა კი – მხოლოდ 11%. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ რეგულარული ფრენები საქართველოსა და რუსეთს შორის მხოლოდ გასული წლის შემოდგომაზე აღდგა, რაც ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით სამი თვის განმავლობაში რუსულმა ავიახაზებმა უფრო მეტი მგზავრი გადაიყვანეს საქართველოს აეროპორტებიდან ვიდრე ქართულმა ავიაკომპანიამ, რაც მეტყველებს პარიტეტის პრინციპის დაცვის პრობლემაზე. მოცემული ცხრილი ცალსახად აჩვენებს პარიტეტის პრინციპის დარღვევის შედეგებს, რაც უპირველეს ყოვლისა უარყოფითად აისახება ქართული ავიაკომპანიის ინტერესებზე.

რუსეთი და ევროკავშირი სამოქალაქო ავიაციის დარგში საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობენ, აღნიშნულის დასტურად თუნდაც ის ფაქტია, რომ ევროკავშირი მთლიანი მოცულობის გაზისა და ნავთობის დაახლოებით ერთ მესამედს რუსეთიდან იღებს. შესაბამისად, ევროპა საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი ბაზარია რუსეთისათვის და ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მეტწილად სწორედ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობაზეა დამოკიდებული. ჯერ კიდევ 2002 წლის მონაცემებით, 5 მილიონმა მგზავრმა იმოგზაურა რუსეთიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართულებით და პირიქით<sup>3</sup>, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია.

აღსანიშნავია, რომ პროპორციულობის მიხედვით 2005 წლის მონაცემებით, ევროპის სახელმწიფოთაგან რუსეთის მიმართულებით ყველაზე დიდი მოცულობა ფრენებისა გერმანიაზე მოდიოდა (39%)<sup>4</sup>. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს, საჰაერო ფრენების მოცულობის მხრივ ესპანეთს 12%, საფრანგეთს 11%, დიდ ბრიტანეთს 8.5%, ფინეთს კი მხოლოდ 7% ჰქონდა ფრენის სიხშირისა რუსეთთან მიმართებაში<sup>5</sup>. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებზე კი არათანაბარ პირობებში იმყოფებიან რუსულ ავიაკომპანიებთან შედარებით ფრენების განხორციელების სიხშირით.

<sup>1</sup> W. Schwenk, R. Schwenk - The Principles and Practice of International Aviation Law, 2014, p. 75.

<sup>2</sup> W. Schwenk, R. Schwenk - Aspects of International Co-operation in Air Traffic Management, 1998, p. 162.

<sup>3</sup> Commission of the European Communities - Communication from the Commission to the European Parliament and the Council – A Framework for Developing Relations with the Russian Federation in the Field of Air transport, 2005, p. 5.

<sup>4</sup> M. Roth - Bilateral Disputes between EU Member States and Russia, p. 16.

<sup>5</sup> Commission of the European Communities - Communication from the Commission to the European Parliament and the Council – A Framework for Developing Relations with the Russian Federation in the Field of Air transport, 2005, p. 6.



ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ გარდა ფრენის სიხშირის არაპროპორციულობისა ევროპული ავიაკომპანიებისათვის დამატებით პრობლემას წარმოადგენს რუსული ავიახაზისთვის – „აეროფლოტი“-სთვის დამატებითი როიალტის გადახდის ვალდებულება, რაც გათვალისწინებულია რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის დადებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით საჰაერო მიმოსვლის კონტროლის შესახებ<sup>1</sup>.

საინტერესოა, რომ უარყოფითი ბალანსი რუსეთის ფედერაციასთან ფრენის სიხშირესთან დაკავშირებით არა მხოლოდ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი აქვს. უფრო კონკრეტულად კი 2013 წლის 13-14 თებერვლის მემორანდუმის თანახმად, რუსეთის ფედერაცია და ამერიკის შეერთებული შტატები შეთანხმდნენ, რომ აშშ-ის სამგზავრო ავიახაზებს კვირაში მხოლოდ 63 ორმხრივი ფრენის განხორციელების უფლება აქვს რუსეთის ფედერაციის მიმართულებით, ხოლო რაც შეეხება ტვირთის გადაზიდვას, ამ შემთხვევაში მხოლოდ 23 ორმხრივი ფრენის განხორციელება შეუძლიათ აშშ-ის ავიაკომპანიებს<sup>2</sup>.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა რუსეთის ფედერაციის ავიაკომპანიებთან დაკავშირებით, მათ უფლება აქვთ კვირაში 86 ორმხრივი ფრენა განახორციელონ აშშ-ის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება აშშ-ის ავიახაზების მიერ განსახორციელებელი ფრენების რაოდენობას. აღნიშნული ციფრები ნათლად მეტყველებს რუსეთის ფედერაციის საჰაერო სივრცის მნიშვნელობაზე როგორც ევროპული სახელმწიფოებისათვის, ასევე აშშ-თვის.

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ფრენის სიხშირის შეზღუდვის საკითხი საჰაერო ტრანსპორტის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულების ჭრილში<sup>3</sup>. ხსენებული ხელშეკრულების მე-11 მუხლი საკმაოდ მკაცრად არეგულირებს სამართლიან კონკურენციასთან დაკავშირებულ პირობებს. კერძოდ, პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ თითოეული მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს თანაბარი და სამართლიანი პირობები ორივე მხარის ავიაკომპანიებისათვის, ხოლო მეორე პუნქტი კი ადგენს, რომ თითოეული მხარე მიიღებს ყველა საჭირო ზომას საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, რათა აღმოფხვრას დისკრიმინაციის ან არასამართლიანი კონკურენციის ნებისმიერი გამოვლინება, რაც უარყოფითად მოქმედებს მეორე მხარის მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება ავალდებულებს როგორც აშშ-ის, ასევე რუსეთის ფედერაციის ავიაკომპანიებს, მხედველობაში მიიღონ მეორე მხარის ავიაკომპანიების ინტერესები რეისების განხორციელების პროცესში, რათა უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინონ მეორე მხარის ავიაკომპანიის მომსახურებაზე.

მიუხედავად სამართლიანი კონკურენციის საკითხის რეგულირებისა, ამჟამად, რომ რუსული ავიაკომპანიები უპირატესობით სარგებლობენ აშშ-ის ავიაკომპანიებთან მიმართებაში. აღნიშნული ფაქტი კი გარკვეულწილად იმაზეც მიუთითებს, რომ სიხშირეთა არათანაბარი რაოდენობა შესაძლოა, ყოველთვის არ გულისხმობდეს პარიტეტის დარღვევას ავია გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელების პროცესში.

ამჟამად, რომ საქართველო ერთადერთ გამონაკლისს არ წარმოადგენს, რომელიც არათანაბარ და არასამართლიან მდგომარეობაში იმყოფება რუსეთის მიმართულებით საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელებისას. მიუხედავად, მხარეებს შორის არსებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, რუსეთის ფედერაციის დომინანტური პოზიცია აიძულებს სხვა სახელმწიფოებს დათმობაზე წავიდნენ ფრენების სიხშირესთან და მოცულობასთან დაკავშირებით.

დასკვნა.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილულია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის პროცესთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი პრობლემები.

ზემოხსენებულ სახელმწიფოებს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ამჟამად იკვეთება საჰაერო მიმოსვლის სიხშირესთან დაკავშირებული ხარვეზები, კერძოდ კი პარიტეტის პრინციპის დარღვევის შემთხვევები. მართალია, ფორმალურად სამართლებრივი ნორმები დაცულია, თუმცა სიღრმისეულად თუ მივუდგებით აღნიშნულ საკითხს, ცალსახაა, რომ რუსეთის ფედერაციის ავიაკომპანიებს მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნიათ ქართულ ავიაკომპანიასთან

<sup>1</sup> *Commission of the European Communities - Communication from the Commission to the European Parliament and the Council – A Framework for Developing Relations with the Russian Federation in the Field of Air transport*, 2005, p. 7.

<sup>2</sup> 2013 წლის 13-14 თებერვლის მემორანდუმი რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ხელმისაწვდომია <http://www.state.gov/documents/organization/205385.pdf> (28.05.2015).

<sup>3</sup> ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება საჰაერო ტრანსპორტის შესახებ 1994 წლის 14 იანვარს. ხელმისაწვდომია: <http://www.state.gov/documents/organization/114333.pdf> (28.05.2015).

შედარებით, რომელსაც სავარაუდოდ კიდევ უფრო გაუჭირდება ღირსეული კონკურენციის გაწევა საკმაოდ ძლიერი რუსული ავიაკომპანიებისათვის. არათანაბარი კონკურენცია კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ რუსული ავიაკომპანიები გარკვეული სუბსიდიებით სარგებლობენ სახელმწიფოსაგან.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, აღსანიშნავი და საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი არათანაბარი ბალანსი აქვს რუსეთის მიმართულებით საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის კუთხით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ზემოხსენებული პარიტეტის დაცვის პრობლემები მხოლოდ ქართულ ავიაკომპანიას არ აწუხებს.

ყოველივე ზემოხსენებული საფუძველზე შეიძლება, ითქვას, რომ არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, მნიშვნელოვანი რესურსების ქონა, უზარმაზარი ტერიტორიის ფლობა და საჰაერო სივრცის მნიშვნელობა, რუსეთის ფედერაციას უპირატეს, დომინანტურ მდგომარეობაში აყენებს საქართველოსთან მიმართებაში, რომელსაც საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ალბათ საკმაოდ გაუჭირდება საკუთარი პირობების კარნახი. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზედმეტი დათმობითა და ეროვნული და უცხოური ავიაკომპანიების არათანაბარ პირობებში ჩაყენებით შესაძლოა, მნიშვნელოვნად დავაზიანოთ ქართული კომპანიის ინტერესები და საფრთხეც კი შევუქმნათ მის კონკურენტუნარიანობას ზოგადად საავიაციო ბაზარზე.

## **CURRENT PROBLEMS OF THE PARITY (RECIPROCITY) PRINCIPLE IN GEORGIAN-RUSSIAN AIR TRANSPORTATION**

**Davit Geperidze**, New Higher Education Institute, Professor

**Mikheil Daushvili**, Ivane Javakishvili Tbilisi State University, PhD student

### **RESUME**

Disciplined (Structured) transport system and infrastructure are of major importance for the country's fast economic growth, because it depends exactly on of persons and cargo transfer with transport both within the country and abroad. It can be said that transport is an integrative element of the economy, which includes many species of the social production and distribution.

However, this work is not concerned with general transportation law issues, but with actual problems of Georgian-Russian air transportation, particularly with the parity (reciprocity) Principle.

It should be noted that Russian Federation has favored, dominant position in relation with Georgia, when considering current political and economic situation, its resources, huge territory and airspace above this huge territory and latter one will probably have hard time in determining its own terms. However, we should also bear in mind that excessive concessions and putting national and foreign air companies into uneven conditions can significantly harm interests of Georgian companies and it can even danger its competitiveness in the aviation market.

## **საქართველოს პარლამენტის როლი და მნიშვნელობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში**

**გიორგი გიორგაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

E-mail: [giorgi2552@gmail.com](mailto:giorgi2552@gmail.com)

22 წელზე მეტია, რაც აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაირღვა ქართველებისა და აფხაზების ტრადიციული ძმური თანაცხოვრება და მოიშალა ისტორიული ურთიერთობები. რაც დრო გადის, ამ ურთიერთობების აღდგენა უფრო და უფრო ჩიხში შედის, რადგან მისი გადაწყვეტის გზებზე ხელშესახები პროგრესი არ ჩანს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე არ გვაქვს შემუშავებული ერთიანი სტრატეგია აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. უფრო მეტიც, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არაერთხელ გავუშვიტ შენსი, რომ სერიოზული ნაბიჯები გადაგვედგა კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით.

მიმაჩნია, რომ ამ მიმართებით საქართველოს პარლამენტის როლი ამჯერად მაინც მეტად დიდია, რადგან საქართველოს კონსტიტუციით მას ხელეწიფება განსაზღვროს ქვეყნის სამინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. თავის დროზე სწორედ საქართველოს პარლამენტმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. კერძოდ, მხედველობაში მაქვს საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ“<sup>1</sup>, რომლითაც გაუქმდა აფხაზეთის ასსრ 1991 წლის 9 ივლისის კანონი „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ (1991 წლის 27 აგვისტოს ცვლილებებით, დათხოვნილი იქნა აღნიშნული კანონის საფუძველზე არჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მიენიჭა დროებით ევაკუირებული ორგანოს სტატუსი, მასვე დაეკისრა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი არჩევნების ჩატარებამდე აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციების განხორციელება. ამავე დადგენილებით დასახული იქნა სხვა ღონისძიებების განხორციელებაც); საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ“<sup>2</sup>, რომლითაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ - უმაღლეს საბჭოდ - ცნობილი იქნა 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული ის დეპუტატები, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესებს და არ მონაწილეობდნენ გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებასთან ერთად ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში. ამავე დადგენილებით ამ ორგანოს მიენიჭა რიგი უფლებამოსილებები; საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 14 ივნისის დადგენილება „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების შეყვანის შესახებ“<sup>3</sup>; საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით კი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივ აღდგენამდე<sup>4</sup>; საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ“<sup>5</sup>, რომელშიც 30-მდე პუნქტი ეძღვნება განსახორციელებელ ღონისძიებებს; ამ მიზნით კომისიაც კი შეიქმნა საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 ივნისის დადგენილებით<sup>6</sup>; 2003 წლის 16 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“<sup>7</sup> და ამ დადგენილების შესრულების შესახებ ინფორმაციის მოსმენა გადაწყვიტა საქართველოს პარლამენტის 2003 წლის საშემოდგომო სესიის პირველივე სასესიო კვირაში, თუმცა შემდეგში არათუ ამ საკითხს, არამედ აფხაზეთის საკითხზე საქართველოს პარლამენტს აღარ უმსჯელია, თუ არ ჩავთვლით საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 17 მარტის ორ დადგენილებას „კონფლიქტებთან (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) დაკავშირებით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“<sup>8</sup> და „კონფლიქტებთან (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) დაკავშირებით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად საქმეების მომზადების მიზნით იურიდიული ფირმის შესარჩევად საერთაშორისო ტენდერის გამოცხადების შესახებ“<sup>9</sup> და 2008 წლის 23 ოქტომბრის საქართველოს კანონს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“<sup>10</sup>.

საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ილუზიები, რომ აფხაზეთის დაბრუნება შესაძლებელია ძალისმიერი გზით, უარყოფილი იქნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებით.

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ“

<sup>2</sup> საქართველოს პარლამენტის უწყებები, 23-26, 2410211995, №662

<sup>3</sup> იხ. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 14 ივნისის დადგენილება „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების შეყვანის შესახებ“

<sup>4</sup> იხ. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 25 დეკემბრის დადგენილება

<sup>5</sup> იხ. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ“

<sup>6</sup> პარლამენტის უწყებანი, 16.2610611996. №278

<sup>7</sup> იხ. საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის დადგენილება „აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“

<sup>8</sup> სსმ, 46.0510412006. №2799

<sup>9</sup> სსმ, 46.0510412006. №2800

<sup>10</sup> სსმ, 28.9011012008. №431

მიმაჩნია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გზაზე წინ უნდა წამოიწიოს ისეთმა ფაქტორებმა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართველთა და აფხაზთა შეხების წერტილებისა და საერთო ინტერესების მონახვას, ქართველებისა და აფხაზების პარტნიორებად გახდომას და მათ შორის ტრადიციული ურთიერთობების აღდგენას. და რაც მთავარია, ამ მიზნით შესამუშავებელია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ერთიანი სტრატეგია, რომელიც ეტაპობრივად განსაზღვრავს განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხას ქართველთა და აფხაზთა დაახლოების თვალსაზრისით.

მისასალმებელი და იმედის მომცემია, რომ 2012 წლის 2 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტი დაუბრუნდა იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა პრობლემატიკას და ამ მხრივ გადადგა გარკვეული ნაბიჯები. მხედველობაში მაქვს 2014 წ. 6 თებერვლის საქართველოს კანონის ახალი რედაქცია „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“<sup>1</sup>.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკვე 10 წელზე მეტია, რაც აფხაზეთის მოსახლეობა, რომელშიც ვგულისხმობ აფხაზეთის კონფლიქტამდე აფხაზეთში დაბადებულ და ამჟამად დევნილობაში, ლტოლვილობასა და აფხაზეთში ამჟამად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებსა და მათ შთამომავლებს, სრულყოფილად და სრულფასოვნად არ არის წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში. ეს კი საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 10-ზე პროცენტზე მეტია.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 176 851 მოქალაქე, რომლებიც აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის შედეგად იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ აფხაზეთი და არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

ის გარემოება, რომ დღესდღეობით აფხაზეთს არ ჰყავს წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, უარყოფითად მოქმედებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი მოსახლეობის აქტიურად ჩაბმაზე, მათი კოლექტიური ინტერესების სრულყოფილად წარმოდგენასა და დაცვაზე და, რაც მთავარია, ამით იზღუდება მათი უფლება, აირჩიონ აფხაზეთის წარმომადგენლები და არჩეულნი იყვნენ, როგორც აფხაზეთის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტში.

არსებული მდგომარეობით, ჩვენ თვითონ, ნებისთნე თუ უნებლიეთ, ექვემდებარებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპს და ფაქტობრივად მტრის წისქვილზე წყალს ვასხამთ.

ამ მნიშვნელოვანი ნაკლის აღმოფხვრა შესაძლებელი და აუცილებელია დღეს, როდესაც ქვეყანაში მზადდება კონსტიტუციური რეფორმა, შექმნილია სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც უნდა მოამზადოს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

ერთი კი ცხადია, რომ აფხაზეთის მოსახლეობა ელოდება საკონსტიტუციო ცვლილებების იმ ნაწილს, რომელიც ეხება მათი წარმომადგენლობის უზრუნველყოფას საქართველოს პარლამენტში. ვფიქრობთ, ეს შესაძლებელია და უნდა განხორციელდეს კიდევ, რამეთუ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს ამ მოსახლეობის პოლიტიკურ გააქტიურებასა და მათი ინტერესების დაცვას და ამით უნდა განხორციელდეს ის მიმზიდველი განცხადება-მოწოდება, რომ საქართველოს კარი ღიაა აფხაზებისა და ყველა იმ პირისათვის, ვინც დღეს კანონიერად ცხოვრობს კონფლიქტური რეგიონის ტერიტორიაზე, რომ მათ შესაძლებლობა ექნებათ, სათანადოდ წარმოადგინონ და დაიცვან თავიანთი კოლექტიური ინტერესები საქართველოს პარლამენტში. აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა საქართველოს პარლამენტში ხელს შეუწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა იდენტიფიცირებას აფხაზეთთან, მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებას და ეს მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა ამ მოსახლეობაში არსებული მდგომარეობისადმი შეუგუებლობის განცდისა.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ საქართველოს პარლამენტის მომავალ სტრუქტურას, უპრიანია, იგი იყოს ორპალატიანი, რადგან, სხვა დადებით ნიშნებთან ერთად, ორპალატიანი პარლამენტი საშუალებას იძლევა, იყოს უფრო მაღალი წარმომადგენლობითი ხასიათის, უფრო ფართოდ იქნეს წარმოდგენილი რეგიონები, რაც სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი წინაპირობაა.

დღევანდელ პირობებში, ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის გადაწყვეტამდე, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია პარლამენტის ზედა პალატის - სენატის - ამოქმედება. ამასთან ერთად, რეგიონების წარმომადგენლობის ამაღლებისა და აფხაზეთის მოსახლეობის საქართველოს პარლამენტში სათანადოდ წარმოდგენის მიზნით საჭიროა მოვახდინოთ საარჩევნო სისტემის შესაბამისი რეფორმირება: ერთპალატიანი პარლამენტის შემთხვევაში პარლამენტის, ხოლო

<sup>1</sup> სსმ, 24/02/201428. №1982-III

ორპალატიანის შემთხვევაში ქვედა პალატის არჩევა პროპორციული სისტემით, რეგიონალური პარტიული სიებით და არა ერთიანი სიებით. უკიდურეს შემთხვევაში, ერთპალატიან პარლამენტში ისიც შესაძლებელია, რომ არჩევნები ჩატარდეს შერეული სისტემით (100 რეგიონალური პროპორციულით, ხოლო 50 – ერთმანდატიანი მაჟორიტარულით), სადაც აფხაზეთის ამომრჩევლები აირჩევენ მხოლოდ პროპორციული სისტემით ასარჩევ კანდიდატებს, მაჟორიტარული წესით ასარჩევი ადგილები კი ცარიელი დარჩება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებამდე.

ვფიქრობ, რომ მომავალში საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის შექმნა შესაძლოა პროდუქტიული გახდეს ტერიტორიული კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხის გადაწყვეტლობა საქართველოს კონსტიტუციაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა იურისდიქციის სრულად აღდგენამდე არ არის მიზანშეწონილი<sup>1</sup> და საჭიროა, კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტმა უპასუხოს ქართული სახელმწიფოებრივი მოწყობის ამ ნაწილში არსებულ გამოწვევებს. მიზანშეწონილია, რომ საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შემოღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობისადმი მიძღვნილი თავი. ამ თავში უნდა დაფიქსირდეს როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკურ-დეკლარაციული ნორმები. მაგ., მინიშნება იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ოკუპაციას არ ურიგდება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოს სახელმწიფოს უპირობო და უმთავრესი ამოცანაა და არ შეიცვლება მიზნის მიღწევამდე. უნდა დაფიქსირდეს აგრეთვე, რეფერენდუმის შედეგებთან ერთად 1990 წლის 9 მარტის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შესახებ, რაც ნათელს მოჰყენს იმ გარემოებას, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში განახორციელა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ერთად და არა მის გარეშე.

მართალია, სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის მოდელი პირდაპირ არ უკავშირდება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ ამა თუ იმ მოდელმა შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეუშალოს პრობლემის გადაჭრას.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუკი საქართველოს კონსტიტუციაში აისახება კომპეტენციათა და გამგებლობის საკითხების მკვეთრი გამიჯვნა. საქართველოს ტერიტორიული ორგანოების განსაკუთრებული კომპეტენცია უნდა დაიწყოს იქ, სადაც მთავრდება ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური კომპეტენცია და უნდა დასრულდეს იქ, სადაც იწყება საქართველოს განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული კომპეტენცია. საქართველოს კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს არამარტო საქართველოს განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების ნუსხა, არამედ საქართველოს ტერიტორიული ერთეულების განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხებიც, რომლის დროსაც უნდა გამოირიცხოს კომპეტენციათა დუბლირება და გადაფარვა.

საქართველოს კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, რომლის ფარგლებში დაშვებული უნდა იქნეს კომპეტენციათა ასიმეტრიული გამიჯვნა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა და ტერიტორიული ერთეულების ორგანოებს შორის. ამით უზრუნველყოფილი იქნება ცალკეული ტერიტორიული ერთეულების სტატუსი, მაგ., აფხაზეთის განსაკუთრებული კომპეტენცია. აფხაზეთის კომპეტენცია უნდა იყოს განსხვავებული ანუ ასიმეტრიული. ამით შესაძლებელი იქნება მოლაპარაკების ობიექტად ვაქციოთ სუვერენულ უფლებათა პაკეტი აფხაზეთისათვის.

აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში უნდა გააჩნდეს ყველაზე მაღალი სტატუსი, გააჩნდეს უფლებამოსილებები, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მთელი რიგი საკითხები და ასევე ჰქონდეს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში - საქართველოს პარლამენტში, მთავრობასა და სასამართლო ხელისუფლებაში - განსაკუთრებული წარმომადგენლობა და უფლებამოსილებები.

საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში მიუღებელია დარჩეს ძველი ჩანაწერი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ასეთ ტერმინს – ავტონომიური რესპუბლიკა - მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა არ იცნობს, ეს საბჭოური ტერმინი და საბჭოთა გადმონაშთია. სავსებით შესაძლებელია, საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში აფხაზეთს ეწოდოს აფხაზეთის რესპუბლიკა. რაც შეეხება უშუალოდ აფხაზეთის სტატუსს, იგი ვერ იქნება

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 2, პუნქტი 3.

განმარტებული საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, რადგან ეს უნდა იყოს მომავალი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების საგანი.

დასასრულს კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ერთიანი სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს აფხაზეთისა და ქართველების დაახლოებას საერთო მიზნებისა და ამოცანების გარშემო. ამ საქმეში აუცილებელია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ და აფხაზეთის მთავრობამ, აგრეთვე აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობამ.

#### **ლიტერატურა:**

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ“;
3. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 14 ივნისის დადგენილება „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების შეყვანის შესახებ“;
4. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 23-26, 2410211995, №662;
5. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 25 დეკემბრის დადგენილება;
6. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ“;
7. პარლამენტის უწყებანი, 16.2610611996. №278;
8. საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის დადგენილება „აფხაზეთში გაეროს წესდების VII თავის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“;
9. სსმ, 46.0510412006. №2799;
10. სსმ, 46.0510412006. №2800;
11. სსმ, 28.9011012008№431;
12. სსმ, 24/02/201428. №1982-III;

## **THE ROLE AND IMPORTANCE OF PARLIAMENT OF GEORGIA IN RESOLVING ABKHAZIAN CONFLICT**

**Giorgi Giorgadze, Gori State Teaching University, Professor  
RESUME**

This work refers to a practice of the Georgian parliament towards Abkhazian conflict from the beginning to a current date, and the constitutional reform of the current state regarding the “Role and significance of the Georgian parliament towards resolving Abkhazian conflict”.

Among the suggestions this work comprises a number of suggestions, including to allow Abkhazian representatives in Georgian parliament and to include in Georgian constitution the endorsement of the exclusive authorities to all Georgian territorial entities within the Georgian state.

### **თეორიები დანაშაულის მცდელობის ობიექტური შემადგენლობისათვის**

**თეიმურაზ დარსანია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი,  
სისხლის სამართლის დოქტორი**

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მისი ძირითადი ნიშნის დადგენის საკითხი. ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული ქმედების თავისებურება. აღნიშნული საკითხისადმი არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომები, კერძოდ: ფორმალურ-ობიექტური, სუბიექტური და შერეული სუბიექტურ-ობიექტური კონცეფციები.

1.1. დანაშაულის მცდელობის საკითხი ფორმალურ-ობიექტურ კონცეფციაში. აღნიშნული კონცეფცია ცნობილია ობიექტური საშიშროების თეორიის სახელწოდებით. ამ თეორიას საფუძვლად უდევს უდავო დებულება, რომ მცდელობა არ არის შემადგენლობით აღწერილი შედეგის მიზეზი, არამედ არის საშიში მდგომარეობის მიზეზი. მაგრამ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკაში დავას იწვევს საშიში მდგომარეობის ცნების ინტერპრეტაცია.

ადეკვატურობის თეორიაზე აგებული საშიში მდგომარეობის ცნება გულისხმობს მხოლოდ ტიპური თავისებურებების მხედველობაში მიღებას. ამ თეორიის საფუძველზე ბევრი კრიმინალისტი განმარტავს მცდელობას, როგორც ქმედებას, რომელსაც ზოგადად შეუძლია გამოიწვიოს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი და საპირისპიროდ, თუ ქმედებას არა აქვს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის გამოწვევის აბსტრაქტული უნარი, უნდა გამოირიცხოს მისთვის პასუხისმგებლობა. მაგალითად, მსუბუქი დარტყმის შემდეგ გარდაიცვალა პირი, რომელმაც ადრე გადაიტანა თავის ტვინის ოპერაცია. აღნიშნული თეორიის თანახმად, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ატიპიურ სიტუაციას და ამიტომ გამოირიცხება ქმედება, როგორც შედეგის დადგომის მიზეზი და შესაბამისად მსჯელობა მცდელობის შესახებ. მოვიყვანოთ სხვა მაგალითი: ა-სა და ბ-ს შორის მწვავე დისკუსიის შემდეგ, ა გადის ოთახიდან ხელის ქნევით, რომელიც მოხვდება ბ-ს, ეს უკანასკნელი წაბორძიკდება, უგონო მდგომარეობაში ეცემა და კვდება. სასწრაფო დახმარება აფიქსირებს გარდაცვალებას. შემდგომი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, გვამის გაკვეთის შედეგად ადგენს, რომ ა-ს ბ-ზე ზემოქმედების (კამათისას) დროს ტვინში არსებული სისხლძარღვები გასკდა, რამაც გამოიწვია ბ-ს სიკვდილი.<sup>1</sup> იმისათვის, რომ უფრო სისტემურად განვიხილოთ ეს პრობლემა საჭიროა გავითვალისწინოთ რიგი საკითხი, რომელიც ეხება: 1) ქმედების შემადგენლობის პრობლემატიკას და 2) გაკიცხვის პრობლემატიკას.

ქმედების შემადგენლობის პრობლემატიკას მიეკუთვნება ინდივიდუალური პირობების გათვალისწინების აუცილებლობა. როგორც აღნიშნავდა თ. წერეთელი, „ობიექტური შესაძლებლობის“ თეორია ამ საკითხზე პასუხს არ იძლევა.<sup>2</sup> არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნება გათვალისწინებული კონკრეტული განუმეორებელი სიტუაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია ბრალის დადგენის დროს.

ამავე საკითხთა წრეს მიეკუთვნება გერმანელი მეცნიერის მ. რიუმელინის ცნობილი კითხვა: მცდელობის ინსტიტუტი ეხება შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგს, თუ მან უნდა გაითვალისწინოს შემადგენლობის გარეთ დამდგარი შედეგი? როგორც ცნობილია, მის მოსაზრებას თ. წერეთელი შეეხო აბსტრაქტული შესაძლებლობის კრიტიკის კუთხით.<sup>3</sup> ამჟამად გვინტერესებს საკითხი: დანაშაულის მცდელობის კვალიფიკაციის დროს შეგვიძლია თუ არა გავითვალისწინოთ შემადგენლობის გარეთ დამდგარი შედეგი? „ობიექტური შესაძლებლობის“ თეორია ამ კითხვაზე არ გვაძლევს პასუხს.

ქართული მეცნიერება და კანონმდებლობა მცდელობის საკითხს უკავშირებს დამთავრებული დანაშაულის ცნებას. როგორც ო. გამყრელიძე აღნიშნავს, მცდელობის საკითხის გადაწყვეტისას მთავარია ვიცოდეთ დამთავრებული დანაშაულის ცნება. „ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ აღწერს კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობას კერძო ნაწილის მუხლში.“<sup>4</sup>

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „ობიექტური შესაძლებლობის“ თეორიის კრიტიკულმა განხილვამ პრაქტიკის წინაშე დასვა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება ქმედების შემადგენლობას, როგორც მცდელობის დადგენის ერთ-ერთ კრიტერიუმს. ეს დებულება უდავოა გერმანულ დოქტრინაშიც.<sup>5</sup>

„ობიექტური შესაძლებლობის“ თეორიის დასკვნების კრიტიკით სრულებით არაა უარყოფილი საკითხის დასმა საფრთხის არსის შესახებ. მას კვლავ უბრუნდება თ. წერეთელი ობიექტური შესაძლებლობის კონცეფციის განვითარების სახით.

თ. წერეთლის აზრით, საფრთხის არსის ნამდვილ გაგებას განაპირობებს მხოლოდ შესაძლებლობა, რომელიც სინამდვილის განვითარების პროცესს წარმოადგენს. ამ მოსაზრებაზე ავტორი აფუძნებს შემდეგ დებულებებს: 1. შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, არ გადაქცეულა სინამდვილედ, მაგრამ მას გააჩნია უნარი და ტენდენცია იქცეს სინამდვილედ. შესაძლებლობა არის სინამდვილის მხარე, რამდენადაც არსებულ სინამდვილეში მოიპოვება პირობები, რომელთაც აქვთ უნარი წარმოშვან გარკვეული შედეგი; 2. რეალურად შესაძლებელია ის, რაც ობიექტური პირობებით არის განსაზღვრული. შესაძლებლობის რეალობად ქცევა გარკვეულწილად პრობლემატურია, რადგან შესაძლებლობას

<sup>1</sup> Vgl. nur Wessels/Beulke, AT, Rn 171.

<sup>2</sup> თ. წერეთელი - დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ. 1961წ. გვ. 109

<sup>3</sup> Т.В.Церетели. Причинная связь в уголовном праве.М. Юрид.лит-ра.1963, с.97

<sup>4</sup> ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება.თბ.2005, გვ.162

<sup>5</sup> Wessels J., Beulke W. Strafrecht. Allgemeiner Teil: Die Straftat und ihr Aufbau. 33, neu bearb. Auflage. Heidelberg: C.F. Müller, 2003.

საფუძველი სინამდვილეში უდევს და ყოველი საფუძველი წინააღმდეგობრივია ანუ ყოველი მოვლენა შეიძლება განვითარდეს საწინააღმდეგოდ. 3. შესაძლებლობით შეიძლება დავადასტუროთ, რომ რეალობაში არის გარკვეული პირობები, რომელთაც კანონზომიერად შეიძლება მოჰყვეს ამ მოვლენის განხორციელება, რეალობად ქცევა (აქვე უნდა ითქვას, რომ შეიძლება არსებობდნენ ისეთი ქმედითი პირობებიც, რომელთაც შეუძლიათ მოვლენათა განვითარების პროცესი და შედეგი სხვა მიმართულებით წაიყვანონ). შესაძლებლობის განვითარებას, რეალობად ქცევას ახასიათებს ის, რომ იზღუდება თვითონ შესაძლებლობათა წრე, თანდათან ქრება საწინააღმდეგო შესაძლებლობები, რასაც მივყავართ ლოგიკურ შედეგამდე; 4. უნდა გავითვალისწინოთ შესაძლებლობათა ხარისხი, რაც უფრო დიდია წინაპირობათა ძალა, მით მეტია მოვლენის განვითარების შესაძლებლობის ხარისხი. როგორც ვხედავთ, შესაძლებლობის ამგვარ გაგებას საფუძვლად უდევს დიალექტიკურ-მატერიალისტური ხედვა, რომელიც განსაზღვრავს: „ახალი იზადება ძველის წიაღში; ძველის განვითარების პროცესში: უკვე ძველშია ახლის წარმოშობის შესაძლებლობა ... მაგრამ ეს ახალი არსებობს არა როგორც ნამდვილი, არამედ როგორც შესაძლებლობა“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, თ. წერეთელმა „ობიექტური შესაძლებლობის“ აბსტრაქტული ინტერპრეტაცია შეცვალა მავნე შედეგის განხორციელების ობიექტური შესაძლებლობით. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტულ სინამდვილეში უნდა იყოს მოცემული მისი განვითარების ქმედითი პირობები, საიდანაც კანონზომიერად მოსალოდნელია მავნე შედეგის ნამდვილად განხორციელება“. მცდელობა თავისთავად გულისხმობს, რომ შედეგი არ დადგა ანუ მოვლენათა განვითარების ჯაჭვში იყო რაღაც ჩართვა, რამაც ხელი შეუშალა შედეგის განხორციელებას; მცდელობა ასევე გულისხმობს, რომ არა ეს ჩართვა ლოგიკურ მოვლენათა განვითარებაში, შედეგი დადგებოდა, ანუ ამ ჩართვამდე არსებობდა რეალური და გარდუვალი საფრთხე დანაშაულებრივი შედეგის დადგომისა. ზუსტად საფრთხის ხარისხი, მისი მიახლოება შედეგის დადგომასთან, იძლევა იმის საფუძველს, რომ ქმედება დასჯადად გამოვაცხადოთ. შესაძლებლობის განუხორციელებლობა, თავის მხრივ, აყენებს საკითხს: რომელი ფაქტორი აბრკოლებს შესაძლებლობის განხორციელებას - ობიექტური თუ სუბიექტური, ან ორივე?

როგორც ცნობილია, თ. წერეთელი ემხრობოდა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლს, სადაც ეწერა: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩადენაზე, უკეთუ ამასთანავე დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავეს ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო.“ ამიტომ, მის კონცეფციაში დამაბრკოლებელ ფაქტორად აღიარებული იყო სუბიექტური ფაქტორი. ამის შემდეგ დაახლოებით 50 წელი გავიდა. მსოფლიოს ქვეყნებმა დააგროვეს დიდძალი ემპირიული მასალა, რომელიც მოითხოვდა დამაბრკოლებელი ფაქტორებისადმი ახლებურ მიდგომას. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი აღარაფერს ამბობს, თუ ვინ, ან რამ განაპირობა შედეგის არდადგომა, მცდელობა გვექნება ნებისმიერ შემთხვევაში. მე-19 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

აღნიშნული თემატიკის პრობლემების განხილვისას ყურადსაღებია კვლავ შემდეგი კითხვა: შესაძლებელია თუ არა მცდელობა აბსტრაქტული დელიქტების დროს? გერმანულ მეცნიერებაში ზოგიერთი მეცნიერი ამ კითხვაზე გვამღევეს დადებით პასუხს.<sup>2</sup> საინტერესოა, რომ ეს პოზიცია განხორციელებულია აგრეთვე გფრ-ს სისხლის სამართლის კოდექსში. მაგალითად, §283-ში, რომლის სახელწოდებაც „გაკოტრება“ გათვალისწინებულია: საკუთარი ქონების დამალვა, ზიანის მიყენება ან გაფუჭება; წამგებიანი, სპეკულაციური და ღირებულების შეცვლაზე დამყარებული გარიგებები ფასიანი ქაღალდებით (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების კურსზე თამაში) ან საქონლით, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების გახარჯვა აზარტულ თამაშებში (მათ შორის ვალად გაცემა), სანამლეოზე ან არამიზნობრივად; წამგებიან საკრედიტო ურთიერთობებში შესვლა; ფალსიფიკაცია ან მევალის ქონებაზე პირის არარსებული უფლების აღიარება; სავაჭრო წიგნების არწარმოება ან ისეთი წარმოება, რომელიც ართულებს ქონებრივი მდგომარეობის დადგენას; სავაჭრო წიგნების შენახვის წესის დარღვევა; წლიური ბალანსის შედგენის წესის დარღვევა; სხვაგვარი ქმედება, რაც იწვევს საკუთარი ქონების ღირებულების შემცირებას, მის დამალვას, ქონებრივი მდგომარეობის დაფარვას და ა.შ.<sup>3</sup> აღნიშნულ პარაგრაფში გათვალისწინებულია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, რადგან კანონი სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის არსებობის დადგენას არ მოითხოვს. მიუხედავად ამისა გფრ-ს 283-ე პარაგრაფის მერვე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მცდელობისათვის.

<sup>1</sup> დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, თსუ გამოცემა, თბ., 1955წ. გვ. 292.

<sup>2</sup> Arntz T. Delikte bei insolvenzen in den Jahren 1977 - 1980. Mainz, 1986. S. 38

<sup>3</sup> Уголовное уложение (уголовный кодекс) ФРГ. Текст и научно-практический комментарий. М.»Проспект». 2010, с.203-204



აბსტრაქტული დელიქტის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დაწესება მეტად სახიფათოა, რადგან შემადგენლობის „გარეთ“ არის გატანილი მართლწინააღმდეგობა და მისი დადგენა უკვე ეფუძნება არა ობიექტურ კრიტერიუმს, არამედ - სუბიექტურს. ამასთან დაკავშირებით თ. წერეთელი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის მართლწინააღმდეგობა, სახელდობრ, მითითებული ნორმების დარღვევას ეფუძნება. თუ ადამიანმა დაარღვია საფრთხის ნორმა, რომელიც დადგენილი იყო იმ სახის საფრთხის აღსაკვეთად, სისხლის სამართლის კანონს რომ ჰქონდა მხედველობაში, მაშინ ამით უკვე დადგენილია მოქმედების მართლწინააღმდეგობა და საფრთხის ხარისხს შემდგომი დაზუსტება აღარ სჭირდება“.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ „საფრთხის შექმნის მომზადების დასჯადობისათვის პასუხისმგებლობის დაწესება არასასურველია. როგორც ცნობილია, მცდელობის ან მომზადების დროს ადამიანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მან დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი. საფრთხის დელიქტის დროს დამნაშავეს ეს შესაძლებლობა წაერთმეოდა, განსაკუთრებით, თუ ამ დანაშაულის შემადგენლობა კანონში ძლიერ ფართოდ არის აღწერილი. მითითებული გარემოებების გამო, საფრთხის შექმნელი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დასჯადობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, „ობიექტური შესაძლებლობის“ თეორია აიგივებს შესაძლებლობას და აუცილებლობას. ასეთი მიდგომის შედეგად ეს თეორია ვერ ხსნის აბსტრაქტული დელიქტის დროს მცდელობის საკითხს.

1.2. *დანაშაულის მცდელობის საკითხი სუბიექტურ კონცეფციაში.* განსხვავებით ობიექტური თეორიისაგან მცდელობის სუბიექტურ თეორიას საფუძვლად უდევს არა ქმედების ობიექტური ნიშნები, არამედ ბრალეული პირის სუბიექტური წარმოდგენები. ქმედება, რომელშიც გამოიხატა მცდელობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათში გამოიხატება ბოროტმოქმედის დანაშაულებრივი განზრახვა. ასეთი თეორიების მიხედვით, მცდელობას წარმოადგენს ქმედება, რომელიც არ ქმნის დასრულებულ დანაშაულს, მაგრამ ნათელყოფს დამნაშავეს ბოროტ განზრახვას ჩაიდინოს დასჯადი ქმედება. ამ თეორიის მომხრეებია: ჩეზიშევი-დმიტრიევი, კოლოკოლოვი (რუსეთი), კესტლინი, ბარი (გერმანია) და სხვები. სუბიექტური თეორია კარს უხსნის სასამართლო განუკითხაობას... დანაშაულის მცდელობის ცნებასთან მიმართებაში ეს კონცეფცია ნიშნავს მცდელობასა და მომზადებას შორის ზღვრის გაქრობას, დასჯადი მცდელობის ცნების გაფართოებას მისთვის (მცდელობისთვის) ისეთი ქცევის ფორმათა მიერთებით, რომელშიც ვლინდება პირის საზოგადოებისათვის საშიში მდგომარეობა<sup>3</sup>.

დანაშაულის მცდელობის სუბიექტური კონცეფცია გამაგრებულია ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში. მათში ყველაზე დამახასიათებელია იტალიის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლი: „ის ვინც ჩადის ქმედებას, რომელსაც შეუძლია ზიანის მიყენება ან უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩადენაზე, პასუხს აგებს მცდელობისათვის, თუ ქმედება ბოლომდე არაა მიყვანილი ან შედეგი არ დადგა.“<sup>4</sup>

დანის 1930 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ასევე გვაძლევს დანაშაულის მცდელობის ძალიან განვრცობილ განმარტებას. მისი პირველი ნაწილის 21-ე პარაგრაფი ადგენს, რომ, როგორც მცდელობა ისჯება ნებისმიერი მოქმედება, რაც ხელს უწყობს შესრულებას ან იწვევს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას, თუ ეს ქმედება არ იყო დასრულებული. დანაშაულისთვის დადგენილი სასჯელი შეიძლება იქნეს შემცირებული მცდელობისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მცდელობა ცხადყოფს დანაშაულებრივი განზრახვის მცირე ძალას და სიმყარეს<sup>5</sup>.

დანაშაულის მცდელობის ასეთი განსაზღვრისას, მხოლოდ სუბიექტურ მომენტებს გააჩნია მნიშვნელობა წინასწარი დანაშაულებრივი საქმიანობის ამ სტადიის არსებობის აღიარებისათვის.

ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის კოდექსი (მე-2 პარაგრაფი) მცდელობას მიაკუთვნებს ქმედებებს, ჩადენილს დანაშაულის განხორციელების მიზნით და მიმართულს მის ჩასადენად, რასაც შედეგი არ მოყვა.<sup>6</sup> მცდელობის გაფართოებული გაგება, რომელიც მოიცავს დანაშაულის მომზადებასაც მიღებულია ინგლისურ სისხლის სამართალშიც.

<sup>1</sup> თ.წერეთელი. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში.თბ.“კავკასიური სახლი“.2006, გვ.198

<sup>2</sup> თ.წერეთელი. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში.თბ.“კავკასიური სახლი“.2006, გვ.220

<sup>3</sup> А. Н. Круглевский. Покушение на преступление, т. II., 1918, стр. 6—64.

<sup>4</sup> The Penal Code of Italy- <http://www.altalex.com/index.php?idnot=36653>

<sup>5</sup> Уголовный кодекс Дании

<http://law.edu.ru/norm/norm.asp?normID=1241524&subID=100096345,100096365,100096415,100096559#text>

<sup>6</sup> Уголовный кодекс штата Нью-Йорк- <http://constitutions.ru/archives/8102>

როგორც ვხედავთ, სუბიექტური კონცეფცია დაფუძნებულია დებულებაზე, რომლის მიხედვით არ არის საჭირო ველოდოთ, თუ როდის დაიწყებს ბოროტმოქმედი დანაშაულის უშუალო განხორციელებას. ამას მივყავართ ორ ნეგატიურ შედეგამდე: პირველი - ძნელია ზღვრის გავლება დანაშაულის მცდელობასა და მომზადებას შორის, და მეორე - ფართოვდება სასამართლო შეხედულების საზღვრები.<sup>1</sup>

როგორც აღნიშნავს თ. წერეთელი, სუბიექტურ კონცეფციაში შესაძლებლობა, ობიექტურად, რეალურად არ არსებობს; ის არის მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში და გამოხატავს სუბიექტის მოლოდინის ხარისხს. რაც იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი გარკვეული დარწმუნებით მოელის რაიმე გარემოების განხორციელებას. გამოდის, რომ შესაძლებლობა დამოკიდებულია სუბიექტის ცოდნაზე. თუ ამას შევუფარდებთ საფრთხის ცნებას, მივიღებთ, რომ არსებობს მხოლოდ მავნე, ან უვნებელი მოქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრთხის შემქმნელი მოქმედება არ შეიძლება სინამდვილეში არსებობდეს. იმ შემთხვევაში, თუ მაინც ვილაპარაკებთ მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობაზე, სუბიექტური გაგების მიხედვით, ამით მხოლოდ ის გამოიხატება, რომ დანამდვილებით არ არის ცნობილი შემთხვევის ყველა გარემოება და მხედველობიდან გამორჩენილია რაღაც ფაქტი, რომელიც სინამდვილეში არსებობდა. აქედან გამოდის, საფრთხე ადამიანის ცოდნის შეზღუდულობის პროდუქტია და ემყარება არასრულ მონაცემებს. როგორც თინათინ წერეთელი ასკვნის: „საფრთხის ცნება, ასეთ წმინდა სუბიექტური მნიშვნელობით გაგებული, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის მცდელობის შინაარსის დადგენისათვის. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ ცნებას, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ რეალურ შინაარსს“.<sup>2</sup>

გერმანიის კანონმდებლობაში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა დაკავშირებულია მოქმედებით გამოვლენილ განზრახვასთან.<sup>3</sup> მაგალითად, თუ პირს სურს ადამიანის სიკვდილი და მას მიაყენა მარტო სხეულის მძიმე დაზიანება, მაშინ საქმე გვექნება დანაშაულის მცდელობასთან. მაგრამ ამ კონცეფციის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მან მცდელობის დასჯადობა არ დაუკავშირა მოქმედებით გამოვლენის ფორმას. როგორც აღნიშნავს თ. წერეთელი, დაუმთავრებელი დანაშაული შეიძლება იმ შემთხვევაში დაისაჯოს, როდესაც დანაშაულებრივი განზრახვა გამოვლინდა მოქმედებით, რომელიც დანაშაულის აღსრულების დასაწყისს წარმოადგენს. ამ თეორიის წარმომადგენლები უარყოფენ, როგორც ლიტონი განზრახვის, ისე მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსამზადებელი მოქმედების დასჯადობა სპეციალურად არის აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში, ან მომზადება ისჯება, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული - *sui generalis*<sup>4</sup>.

*1.3. დანაშაულის მცდელობის საკითხი სუბიექტურ - ობიექტურ კონცეფციაში.* თანამედროვე სისხლის სამართალში გაბატონებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის დგება შერეული ანუ სუბიექტურ-ობიექტური თეორიით. მიუხედავად ერთიანი შეხედულებისა, ამ მიდგომის მომხრეთა შორის არის უმნიშვნელო განსხვავებებიც. მაგალითად, კ. როქსინი თვლის, რომ მცდელობის დადგენისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: ქმედების განხორციელება, რომელიც გათვალისწინებულია დანაშაულის შემადგენლობით, სუბიექტური კომპონენტის არსებობა და ე. წ. შუალედური რგოლების არარსებობა ქმედებასა და შემადგენლობის შესრულებას შორის.<sup>5</sup> ვ. იოკსი გამოყოფს ორ წინაპირობას: მცდელობა სახეზეა, თუ სუბიექტი თავისი წარმოდგენით ქმედებაზე, იმედოვნებს, რომ ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, აუცილებელია ამ ქმედების განხორციელებისათვის (დაარტყა დანა მოკვლის მიზნით - დამთავრებული მცდელობა) და თუ შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებიდან ერთ-ერთი მაინც - ის დამთავრებული მცდელობაა.<sup>6</sup> ანალოგიური პოზიცია უკავია სხვა გერმანელ მეცნიერებსაც.<sup>7</sup>

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ქ. მჭედლიშვილ-ჰედრიხს, რომ ქართული სისხლის სამართალი ეყრდნობა ობიექტურ თეორიას, ხოლო გერმანული - სუბიექტურს<sup>8</sup>. სუბიექტურ-ობიექტური თეორია გაბატონებულია ქართულ მეცნიერებაში და სასამართლო პრაქტიკაშიც. ამ თეორიის მიხედვით წყდება სასამართლო პრაქტიკაში დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხები და გამოიჯენა, როგორც

<sup>1</sup> Т.В.Церетели. Причинная связь в уголовном праве.М. Юрид.лит-ра.1963, с. 319-321

<sup>2</sup> თ. წერეთელი . დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ. 1961წ. გვ. 102

<sup>3</sup> W. Joecks. Studienkommentar StGB. 4 Aufl. Munchen: C. H. Beck, 2003. S. 67.

<sup>4</sup> თ. წერეთელი . დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ. 1961წ. გვ. 102

<sup>5</sup> Roxin C. Strafrecht. Allgemeiner Teil. Band I. Grundlagen der Aufbau der Verbrechenslehre. 4. vollständig neu bearbeitete Auflage. München: Verlag C.H. Beck. 2006. S. 97-104

<sup>6</sup> W. Joecks. Studienkommentar StGB. 4 Aufl. Munchen: C. H. Beck, 2003. S. 92.

<sup>7</sup> Schmidt R. Strafrecht. Allgemeiner Teil. Grundlagen der Strafbarkeit, Aufbau des strafrechtlichen Gutachtens. 2. Auflage. Verlag-Grasberg bei Bremen. 2003, pp. 252-253

<sup>8</sup> ქ.მჭედლიშვილ-ჰედრიხი. ზოგადი ნაწილი. თბ. 2011, გვ. 10

დამთავრებულ დანაშაულისაგან ასევე არადასჯადი ქმედებისაგან. დღესდღეობით ეს თეორია არ იწვევს დავას ქართველ მეცნიერთა შორის. სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების კომბინაცია გახდა ყველასათვის მისაღები დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძვლის განსაზღვრისას, ასევე ამ კომბინაციური თეორიის დამსახურებაა დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნა, ამავე თეორიამ გახადა შესაძლებელი უვარგისი მცდელობის დასჯადობა და აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე უარის თქმა.

დამთავრებული დანაშაულისაგან განსხვავებით მცდელობისათვის დამახასიათებელია ობიექტური შემადგენლობის ნაკლებობა, სუბიექტურთან შედარებით, რომელიც სრული მოცულობით სახეხება. აბსოლუტურად მისაღებია მერაბ ტურავას მიერ წარმოდგენილი მცდელობის დასჯადობის წინაპირობები: 1. მცდელობის დასჯადობის სამართლებრივი შესაძლებლობა; 2. ქმედების შემადგენლობის განხორციელების გადაწყვეტილება, გამოხატული განზრახვაში; 3. ქმედების შემადგენლობის შესრულების განხორციელების უშუალო დაწყება; 4. მოსალოდნელი შედეგის არარსებობა (გარდა in dubio pro reo-ს შემთხვევისა)<sup>1</sup>.

თ. წერეთელმა განსაზღვრა სამი გარემოება, რომელიც მოსამართლის მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას: დამნაშავის მიერ ჩადენილ მოქმედებათა ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება; რა სტადიაზე შეჩერდა დანაშაულებრივი ქმედება, რამდენად ახლოს არის პირი დანაშაულის დაბოლოებასთან. 2) დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხი, ერთ-ერთი პირობაა, რომელიც მოქმედების ობიექტური სოციალური საშიშროების ხარისხს განსაზღვრავს. 3) მიზეზები, რის გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ეს მიზეზები შეიძლება მრავალგვარი იყოს და მოქმედების ან მოქმედის სოციალურ საშიშროებაზე, ამა თუ იმ ხარისხზე მიუთითებდეს. მაგალითად, მცდელობის უშედეგოდ დამთავრების მიზეზი შეიძლება იყოს დამნაშავის გამოუცდელობა, სხვადასხვა შეცდომა თუ უზუსტობა, რომელიც დაშვებული იყო სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, სხვადასხვა ბუნებრივ ძალთა ჩარევა და ა. შ. მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნისას შეუძლებელია ამ სამი კრიტერიუმის გათვალისწინებით სასჯელის დანიშვნა, რადგან, როგორც კანონი მიუთითებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ გარემოებანი, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება ერთი შეხედვით საკმაოდ ზღუდავს მოსამართლეს სასჯელის ზომის არჩევაში, წინადადება „მხედველობაში მიიღება გარემოებანი, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“, ჩვენი აზრით, შეიძლება მოიცავდეს როგორც დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათს და სოციალურ საშიშროებას, ასევე დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს.

#### ლიტერატურა:

1. თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961.
2. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005
3. მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011.
4. ქ. მჭედლიშვილ-ჰედრიხი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2011
5. Vgl. nur Wessels/Beulke, AT, Rn 171
6. Roxin C. Strafrecht. Allgemeiner Teil. Band I. Grundlagen der Aufbau der Verbrechenslehre. Vollständig neu bearbeitete Auflage. München: Verlag C.H. Beck. 2006.
7. W. Joecks. Studienkommentar StGB. 4 Aufl. Munchen: C. H. Beck, 2003.

## THE THEORIES OF THE OBJECTIVE COMPOSITION OF ATTEMPTED CRIME

Teimuraz Darsania, Georgian Technical University, Invited Specialist, Doctor of Law

### RESUME

Determining the objective composition of crime It is important to identify its major signs. In this regard, first of all, it is necessary to determine the features of the actions directed towards the commission of crime. There are different approaches above the matters, namely, formal and objective, subjective and mixed subjective-objective concepts.

Subjective-objective theory is the mainstream in Georgian science and judicial practice. According to this theory It is decided the punishment of the unfinished crime and separation as well from incomplete crime as no punishable actions. Today, this theory does not cause differences between the Georgian scientists. The combination of subjective

<sup>1</sup> მ. ტურავა. დანაშაულის მოძღვრება, თბ. 2011წ. გვ. 298

and objective criteria It is acceptable to all for determining acceptable basis for the punishment of the crime of attempt. It is acceptable as well as for separation of the crime preparation and crime attempt. The theory has made it possible to punish for worthless attempt and the abolition of punishment for absolutely worthless attempt.

## სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობა ქართულ და გერმანულ საკორპორაციო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა)

დავით დოლიძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, დოქტორანტი;  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

კორპორაციული მართვის ფარგლებში ხორციელდება კომპანიის მართვა და მმართველ ორგანოთა მონიტორინგი.<sup>1</sup> ამდენად, კორპორაციული მართვის ცნებით განსაზღვრული კონტროლის ელემენტი გულისხმობს კორპორაციათა მმართველ ორგანოთა ხელმძღვანელობითი საქმიანობის ზედამხედველობას, რომელიც სწორედამ რომ სამეთვალყურეო ორგანოთა მიერ ხორციელდება.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თითოეული დირექტორის ხელმძღვანელობით საქმიანობას კონტროლს უწევს სამეთვალყურეო საბჭო.<sup>2</sup> ქართული საკორპორაციო სამართალი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო ორგანოში სამეთვალყურეო საბჭო იგულისხმება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი მოწესრიგება აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს გამომდინარე იქიდან, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა ყოველთვის სავალდებულო არ არის.<sup>3</sup> ანუ, ასეთ დროს საკითხი თუ ვინ მოიაზრება სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო ორგანოში თავად საზოგადოების მიერ საწესდებო ავტონომიის ფარგლებში წყდება.<sup>4</sup>

გერმანულ საკორპორაციო სამართალში სააქციო საზოგადოების მმართველ რგოლზე კონტროლი ერთმნიშვნელოვნად და ყოველთვის სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება. აღნიშნულს მოწმობს „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ გერმანული კანონი, რომლის თანახმადაც სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სააქციო საზოგადოების მმართველობაზე (გამგეობაზე) ზედამხედველობას.<sup>5</sup> საბჭოს სამართლებრივი ფუნქცია პირველ რიგში გამგეობის დაკომპლექტებასა და მის კონტროლში გამოიხატება.<sup>6</sup>

საქართველოში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის საკითხი ჯერ კიდევ 2006 წელს იქნა გაკრიტიკებული. აღინიშნა რა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავდა რაიმე ნორმას, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეალურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა.<sup>7</sup> მიუხედავად ამისა, ქართულმა კორპორაციულმა სამართალმა ამ კუთხით განვითარება მაინც ვერ ჰპოვა. არადა აუცილებელია, რომ საკორპორაციო სამართალი იმპერატიულად აწესებდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის გარანტიებს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იყოს კორპორაციის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის მიუკეძობელი და კვალიფიციური კონტროლი.<sup>8</sup>

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არათუ მხოლოდ არ გვთავაზობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს, არამედ უფრო მეტიც ქართული კანონი განსხვავებით იმავე გერმანული მოდელისაგან საერთოდ არაფერს ამბობს იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ. ასევე ამ კუთხით ქართული კორპორაციული სამართლის ნაკლად შესაძლოა მივიჩნიოთ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად

<sup>1</sup> Organization for Economic Co – operation and Development, Principles of Corporate Governance, 2004, p. 11.

<sup>2</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, აქვე მე-9 მუხლის 1 პუნქტი.

<sup>3</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 55-ე მუხლის 1 პუნქტი.

<sup>4</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 55-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი.

<sup>5</sup> Aktiengesetz §111 (1).

<sup>6</sup> Hopt K.J., Leyens P.C. Board Models in Europe. Recent Developments of Internal Corporate Governance Structures in Germany, the United Kingdom, France, and Italy, Law Working Paper N° 18/2004. p. 5.

<sup>7</sup> ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 173.

<sup>8</sup> ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 175.

დირექტორთა დანიშვნის წესი.<sup>1</sup> დირექტორი, მისი პირადი კავშირების გათვალისწინებით, ვერ იქნება დამოუკიდებელი წევრი. განსხვავებით ქართული კანონმდებლობისაგან „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ გერმანიის კანონი გამორიცხავს მსგავს მოწესრიგებას.<sup>2</sup>

2009 წელს საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ მიღებულ იქნა „კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის“. დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. მისი ძირითადი მიზანი კომერციულ ბანკებში კორპორაციული მართვის სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და კორპორაციული მართვის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებაა.<sup>3</sup> კოდექსით ბანკებს გაეწევათ ყოველწლიურად ე.წ. „კორპორაციული მართვის ანგარიშის“ წარდგენის რეკომენდაცია, კოდექსის მოთხოვნათა გაზიარების ან მათთან შეუსაბამობის მიზეზების ახსნის შესახებ.<sup>4</sup> ასეთ მიდგომას ე.წ. „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპი ეწოდება.<sup>5</sup> კარგი იქნება, თუ დაინერგება პრაქტიკა და მსგავსი ანგარიშები ყოველწლიურად გამოქვეყნდება ბანკების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

კოდექსი აღნიშნავს, რომ „სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილ უნდა იქნან დამოუკიდებელი წევრები და დაცული იქნას ადეკვატური ბალანსი სამეთვალყურეო საბჭოში აქციონერთა წარმომადგენლებსა და საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შორის“...<sup>6</sup>

განსხვავებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისაგან, აღნიშნულ კოდექსში მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობის კრიტერიუმები. კერძოდ, მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ის, ან მისი პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრე:

1) ბოლო 5 წლის მანძილზე იყო ბანკის, მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციის დირექტორატის წევრი, ან ეკავა სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა; 2) იღებს ბანკისაგან ან მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციისაგან ანაზღაურებას ნებისმიერი ფორმით, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა და აქციონერების კუთვნილი დივიდენდისა; 3) გააჩნია მნიშვნელოვანი პირადი კომერციული ურთიერთობები ბანკთან; 4) არის იმ იურიდიული პირის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი კომერციული ურთიერთობები ბანკთან; 5) არის დირექტორი იმ კომპანიისა, რომელშიც ბანკის ერთ-ერთი დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია; 6) ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 % ან მეტი; 7) არის დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ან წარმომადგენელი კომპანიისა, რომელსაც ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 % ან მეტი.

როგორც ვხედავთ, კორპორაციული მართვის ქართული კოდექსი საკმაო ყურადღებას ამახვილებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობაზე და ცდილობს კომერციულ ბანკებს შესთავაზოს მოწესრიგება, რომელიც მაკონტროლებელთა დამოუკიდებლობის დანერგვისა და მისი ხარისხის ამაღლებისკენაა მიმართული. თუმცა, აღნიშნულ გზაზე მხოლოდ კოდექსის მცდელობა საკმარისი არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ ეს აქტი სარეკომენდაციო ხასიათისაა, ასევე იგი მხოლოდ სააქციო საზოგადოებათა შეზღუდული წრის (ბანკების) მიმართ მოქმედებს, კოდექსით განსაზღვრული მოწესრიგება აბსოლუტური ხასიათის მატარებელი ვერ იქნება. აგრეთვე მსგავსი კოდექსების რეალური მოქმედებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია სახეზე იყოს ერთგვარი საკანონმდებლო ბმა კორპორაციული მართვის სფეროში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის, როგორც ეს მაგალითად გერმანიაშია, სადაც „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონი შეიცავს დებულებებს გერმანული კორპორაციული მართვის კოდექსის მოწესრიგებათა პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით.<sup>7</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ე.წ. „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპის არა სარეკომენდაციო, არამედ საკანონმდებლო წესად დანერგვა. კორპორაციული მართვის ანგარიშების ყოველწლიურად წარდგენა კომპანიათა ვალდებულებად უნდა იქცეს.

<sup>1</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>2</sup> Aktiengesetz §105(1).

<sup>3</sup> საქართველოს ბანკების ასოციაცია, კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, 2009, გვ. 2.

<sup>4</sup> საქართველოს ბანკების ასოციაცია, კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, 2009, 1. შესავალი, გვ. 5.

<sup>5</sup> Hopt K.J., Leyens P.C. Board Models in Europe. Recent Developments of Internal Corporate Governance Structures in Germany, the United Kingdom, France, and Italy, Law Working Paper N° 18/2004. p. 4.

<sup>6</sup> საქართველოს ბანკების ასოციაცია, კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, 2009, მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი.

<sup>7</sup> Aktiengesetz §161.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც გერმანულ სამეთვალყურეო საბჭოს ნაკლად მისი წევრების არასაკმარისი დამოუკიდებლობა მიიჩნევა.<sup>1</sup> როგორც ქართველი, ისე გერმანელი ავტორები აღნიშნავენ, რომ გერმანიაში მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენდა და კვლავაც წარმოადგენს გამგეობის ყოფილი წევრების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად დანიშვნა.<sup>2</sup>

მოყოლებული 1990-იანი წლებიდან გერმანული სამეთვალყურეო საბჭოს როლი და ფუნქციები სულ უფრო და უფრო ხდება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კრიტიკის საგანი, რამეთუ ის მოკლებულია შესაძლებლობას, ეფექტურად აკონტროლოს მენეჯმენტი.<sup>3</sup> სამეთვალყურეო საბჭოს, მისი წევრების დამოუკიდებლობა სულ უფრო ხშირად ექცევა ყურადღების ცენტრში, რადგანაც ივარაუდება, რომ მხოლოდ საკმარისად დამოუკიდებელი სისტემა უზრუნველყოფს მმართველ რგოლზე ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას.<sup>4</sup> საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე მზარდი ზეწოლის შედეგად გერმანული სამეთვალყურეო საბჭო იცვლება, შეინიშნება განვითარება საბჭოს მეტად დამოუკიდებელი მოდელის ჩამოყალიბებისაკენ და ამ მიმართულებით ხდება ამერიკული და ბრიტანული კორპორაციული კონტროლის საკითხებში მოცემული იდეების ადაპტირება.<sup>5</sup>

დღეისათვის გერმანიაში კორპორაციული მართვის სფეროში უმთავრესი ნორმატიული აქტი „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ გერმანული კანონია.<sup>6</sup> აქ აგრეთვე მოქმედებს „გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსი“, რომელსაც მართალია სავალდებულო ძალა არ აქვს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი სააქციო კანონზეა მიბმული.<sup>7</sup> სააქციო კანონის 161-ე პარაგრაფი პირდაპირ შეეხება კომპანიათა გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსში მოცემულ მოწესრიგებათა დეკლარირების საკითხებს, ნორმა აიძულებს საზოგადოებათა ორგანოებს დაიცვან კოდექსის მიდგომები, ან წინააღმდეგ შემთხვევაში დაასაბუთონ მათი პოზიციები.

გერმანული კოდექსი ე.წ. „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპის საფუძველზე მოქმედებს, რამეთუ კორპორაციები ვალდებული არიან წარმოადგინონ დასაბუთებული წლიური ანგარიში, კოდექსის მოთხოვნათა გაზიარებასთან დაკავშირებით.<sup>8</sup> მსგავსი დეკლარაციები აუცილებელია აუცილებელია გამოქვეყნდეს კორპორაციათა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.<sup>9</sup> მაგალითად, ანგარიშების ხილვა შესაძლებელია ისეთი დიდი გერმანული კორპორაციების ვებ-გვერდებზე, როგორებიცაა: სს „დოიჩე ბანკი“,<sup>10</sup> სს „დაიმლერი“,<sup>11</sup> სს „ბაიერი“.<sup>12</sup>

გერმანიის სააქციო კანონით სამეთვალყურეო საბჭოს წევრად გამოდის მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელიც გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს.<sup>13</sup> კანონის მე-100 პარაგრაფით ჩამოთვლილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატათვის წაყენებული პერსონალური მოთხოვნები. კერძოდ, გერმანული სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შესაძლებელია იყოს მხოლოდ სრული ქმედუნარიანობის მქონე ფიზიკური პირი.<sup>14</sup> „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის 100(2) პარაგრაფის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ იქნება პირი, თუ: 1) უკვე არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 10-ზე მეტ კომერციულ საზოგადოებაში, რომელთაც კანონით მოეთხოვებათ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა; 2) არის კომპანიის მკონტროლებელი საზოგადოების კანონიერი წარმადგენელი ან 3) არის კანონიერი წარმომადგენელი კომპანიისა, რომლის სამეთვალყურეო საბჭოში შესულია ამავე საზოგადოების გამგეობის წევრი; 4) იყო ამავე საზოგადოების გამგეობის წევრი

<sup>1</sup>ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 134.

<sup>2</sup>ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 134. ასევე იხილეთ Ede C. Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany”, Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code). 2007. p. 4.

<sup>3</sup>Ede C. Handout to the presentation held on May 22, 2007 on: “Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code)”, Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany”, p.1.

<sup>4</sup>Ede C. Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany”, Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code). 2007. p. 3.

<sup>5</sup>Ede C. Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany”, Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code). 2007. p. 3.

<sup>6</sup>Proxy Paper™ GUIDELINES, 2015 Proxy Season, An Overview Of The Glass Lewis Approach To Proxy Advice, Germany, p. 1.

<sup>7</sup>Ede C. Handout to the presentation held on May 22, 2007 on: “Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code)”, Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany”, p.2.

<sup>8</sup>Proxy Paper™ GUIDELINES, 2015 Proxy Season, An Overview Of The Glass Lewis Approach To Proxy Advice, Germany, p. 1.

<sup>9</sup>Aktiengesetz §161(2).

<sup>10</sup>[https://www.db.com/ir/en/content/corporate\\_governance\\_reports.htm](https://www.db.com/ir/en/content/corporate_governance_reports.htm)

<sup>11</sup><http://www.daimler.com/company/corporate-governance/company-declarations/declaration-to-161-aktg>

<sup>12</sup><http://www.bayer.com/en/corporate-governance.aspx>

<sup>13</sup>ირაკლი ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები II ტომი, თბილისი, 2013, გვ. 463.

<sup>14</sup>Aktiengesetz §100 (1).

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულია კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციათა 25%-ზე მეტის მფლობელ აქციონერთა მიერ.

გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსის 5.4.2. სექციით სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს ადეკვატური რაოდენობის დამოუკიდებელი წევრებისაგან. ამასთანავე სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ჩაითვლება დამოუკიდებლად თუ მას აქვს პერსონალური ან ბიზნეს კავშირები თავად კომპანიასთან, მის აღმასრულებელ ორგანოებთან, მაკონტროლებელ აქციონერთან, ან სხვა დაკავშირებულ საზოგადოებასთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ დროებითი ხასიათის, არამედ მნიშვნელოვანი ინტერესთა კონფლიქტი.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ დამოუკიდებელ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ადეკვატური რაოდენობის სტანდარტის დანერგვით გერმანული კორპორაციული სამართალი იზიარებს 2015 წლის 15 თებერვლის „ევროკომისიის რეკომენდაციას (2005/162/EC) არა-აღმასრულებელ და მაკონტროლებელ დირექტორთა როლზე კომპანიებსა და მათ სამეთვალყურეო საბჭოებში“.<sup>1</sup> მართლაც, მართლაც, თუ ჩავხედავთ ევროკომისიის დოკუმენტს ვნახავთ, რომ აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოში არჩეული იქნას საკმარისი რაოდენობის დამოუკიდებელი წევრები, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი მატერიალური ხასიათის ინტერესთა კონფლიქტები.<sup>2</sup>

გერმანელი ავტორები აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში მაგ. თუ სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან ადეკვატურია, რომ მინიმუმ ერთი წევრი მაინც იყოს დამოუკიდებელი.<sup>3</sup> ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კოდექსი დამოუკიდებლობას რიცხვებში არ გამოხატავს, გამომდინარე იქიდან, რომ ძნელია დააწესო რაიმე კონკრეტული ციფრი, მაშინ როცა საზოგადოებები განსხვავდებიან მათი სიდიდის, შემადგენლობისა და საჭიროებების გათვალისწინებით.<sup>4</sup> გათვალისწინებით.<sup>4</sup> ანუ, როგორც ვხედავთ გერმანული კოდექსი თავად კომპანიის ავტონომიას მიაკუთვნებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრის საკითხს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანული სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობის გზაზე ერთ-ერთ ნაკლად გამგეობის ყოფილ წევრთა სამეთვალყურეო ორგანოში ტრანსფერი მიიჩნევა. გამგეობის ყოფილი წევრი, მისივე პირადი კავშირებიდან გამომდინარე არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც დამოუკიდებელი პირი.<sup>5</sup>

გერმანიის კორპორაციული მართვის კოდექსით, „გამგეობის მხოლოდ არაუმეტეს ორი ყოფილი წევრი შესაძლოა დასაქმდეს სამეთვალყურეო საბჭოში“.<sup>6</sup> კოდექსის 5.4.4. სექციით საზოგადოების გამგეობის წევრები მათი უფლებამოსილების ამოწურვიდან ორი წლის განმავლობაში ვერ გახდებიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, თუ არ ინიშნებიან კომპანიაში ხმის უფლების მქონე აქციათა 25% - ზე მეტის მფლობელ აქციონერთა შუამდგომლობით. ასეთი დანიშვნა გამართლებულ და ახსნილ უნდა იქნას აქციონერთა საერთო კრების მიერ. აღნიშნული ორწლიანი პერიოდი გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ე.წ. „გაგრილების პერიოდის“, (cooling-off period) სახელწოდებითაა ცნობილი, რამეთუ იმისათვის, რომ ყოფილი მმართველი დასაქმდეს სამეთვალყურეო ორგანოში აუცილებელია გარკვეული პერიოდის გასვლა.<sup>7</sup> თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ საკითხი თუ რამდენად შესაძლოა ორწლიანი პერიოდის განმავლობაში ყოფილ მმართველები განიწმინდონ ყოველგვარი პირადი კავშირებისაგან და დამოუკიდებელ პირებად ჩამოყალიბდნენ მაინც გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს.

როგორც ვხედავთ გერმანული კორპორაციული მართვის მოდელი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის გზაზე, მსგავსად ქართული ანალოგისა გარკვეულ სიძნელეებს განიცდის. თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ განსხვავებით იმავე ქართული საკორპორაციო სამართლისაგან აქ ამკარად შეინიშნება კორპორაციული სისტემის მზაობა აღნიშნულ პრობლემათა მეთოდურ და თანმიმდევრულ გადაჭრასთან დაკავშირებით. ამ კუთხით მათი გამოცდილებათა

<sup>1</sup> Lieder J. The German Supervisory Board on It's way to Professionalism, „German Law Journal“, 2010, Vol. 11, No. 02, p. 131-132.

<sup>2</sup> European Commission, Recommendation on the role of non-executive or supervisory directors of listed companies and on the committees of the (supervisory board), (2005/162/EC), Article 4.

<sup>3</sup> Lieder J. The German Supervisory Board on It's way to Professionalism, „German Law Journal“, 2010, Vol. 11, No. 02, p. 133. ასევე იხილეთ Ede C. Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany”, Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code). 2007. p. 9.

<sup>4</sup> Ede C. Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany”, Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code). 2007. p. 9.

<sup>5</sup> Ede C. Handout to the presentation held on May 22, 2007 on: “Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code)”, Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany”, p.4.

<sup>6</sup> German Corporate Governance Code 5.4.2. (as Amended on June 24, 2014).

<sup>7</sup> Ede C. Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany”, Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code). 2007. p. 27.

გეგმაზომიერი და მიზანმიმართული გაზიარება ქართული კორპორაციული მართვის დონესაც უთუოდ აამაღლებს.

#### ლიტერატურა:

1. ირაკლი ბურდული, სააქციო სამართის საფუძვლები II ტომი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013;
2. ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი: 2006;
3. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, თბილისი, 1994, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
4. საქართველოს ბანკების ასოციაცია, კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, 2009, <http://abg.org.ge/Admin1280837677.php>;
5. Ede C. Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany“, Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code). 2007. p. 1-37, [http://www.uni-hamburg.de/suche\\_e.html?q=Christine+Ede&suchen.x=16&suchen.y=8](http://www.uni-hamburg.de/suche_e.html?q=Christine+Ede&suchen.x=16&suchen.y=8);
6. Ede C. Handout to the presentation held on May 22, 2007 on: „Two-Tier System and Best Practices (German Corporate Governance Code)“, Seminar on Comparative Corporate Law: “The Two-Tier System in Italy and Germany. p. 1-4, [http://www.uni-hamburg.de/suche\\_e.html?q=Christine+Ede&suchen.x=16&suchen.y=8](http://www.uni-hamburg.de/suche_e.html?q=Christine+Ede&suchen.x=16&suchen.y=8);
7. European Commission, Recommendation on the role of non-executive or supervisory directors of listed companies and on the committees of the (supervisory board), (2005/162/EC), <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32005H0162>;
8. Hopt K.J., Leyens P.C. Board Models in Europe. Recent Developments of Internal Corporate Governance Structures in Germany, the United Kingdom, France, and Italy, ECGI - Law Working Paper N<sup>o</sup>.18/2004. p.1-24, [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=487944##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=487944##);
9. Lieder J. The German Supervisory Board on It's way to Professionalism, „German Law Journal“, 2010, Vol. 11, No. 02, p. 115 – 158, <http://www.germanlawjournal.com/index.php?pageID=11&artID=1236>;
10. Organization for Economic Co – operation and Development, Principles of Corporate Governance, 2004, <http://www.oecd.org/corporate/oecdprinciplesofcorporategovernance.htm>;
11. Proxy Paper <sup>TM</sup> GUIDELINES, 2015 Proxy Season, An Overview Of The Glass Lewis Approach To Proxy Advice, Germany, <http://www.glasslewis.com/resource/guidelines/>;
12. Aktiengesetz, (AktG), 1965, <http://www.gesetze-im-internet.de/aktg/>;
13. German Corporate Governance Code (as Amended on June 24, 2014). [http://www.ecgi.org/codes/code.php?code\\_id=425](http://www.ecgi.org/codes/code.php?code_id=425).

## THE INDEPENDENCE OF THE SUPERVISORY BODY MEMBERS OF THE JOINT STOCK COMPANY IN THE GEORGIAN AND GERMAN CORPORATE LAW (COMPARATIVE LEGAL RESEARCH)

Davit Dolidze, Georgian-American University, PhD Student; Gori State Teaching University,  
Specialist by contract

### RESUME

The article analyzes the essence of the Joint Stock Companies supervisory bodies, with particular attention paid to a such topical issue as the introduction independence standards of the members of the JSC Supervisory Bodies. With usage of comparative legal research method on the example of different corporate governance systems and the European regulations this article highlights the urgency of forming supervisory bodies with the independent members.



## XIX-XX საუკუნეების პოსტკლასიკური ფილოსოფიური შეხედულებები

კლარა ელჩიბეგაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

XIX-XX საუკუნეების დასაწყისში ხდება ფილოსოფოსების მიერ პარადიგმების<sup>1</sup> ცვლა და ღირებულებების გადაფასება. კლასიკური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელია: ადამიანის გონის სიმღიერის უსაზღვრო რწმენა, სოციალური და სამეცნიერო პროგრესის რწმენა და სოციალური სამართლიანობის საზოგადოების შექმნა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული აზროვნების ეს ტიპი - რაციონალისტური პარადიგმა, მოექცა მკაცრი კრიტიკის ქვეშ და დაიწყო არაკლასიკური ფილოსოფიის ჩამოყალიბება. XIX-XX საუკუნეების ფილოსოფია უარყოფს:

- რაციონალიზმს, რომელიც ადამიანის ქცევის და საქმიანობის შემეცნების საფუძვლად აღიარებს გონებას;
- ყველა ფილოსოფიური სკოლის მკაცრ გამიჯვნას და პრინციპს: „მატერიალიზმი ან იდეალიზმი“;

XIX-XX საუკუნეების ფილოსოფიის ძირითადი მახასიათებლებია:

- პლურალიზმი<sup>2</sup> ფილოსოფიურ აზროვნებაში, რომელსაც ახასიათებს განსხვავებული მიმართულებები და კონცეფციები. თანამედროვე ფილოსოფიას მიაჩნია, რომ სამყარო შეგვიძლია შევიმეცნოთ განსხვავებული ფორმებით;
- თანამედროვე ფილოსოფიის შესწავლის საგნად გამოდიან სინამდვილის სულ უფრო ახალი ობიექტები, რაც აყალიბებს სრულიად ახალ მიმართულებებს: კულტურის ფილოსოფიას, პოლიტიკის ფილოსოფიას, ტექნიკის ფილოსოფიას, ხელოვნების ფილოსოფიას და ა.შ.
- თანამედროვე ფილოსოფიის ტოლერანტობა. განსხვავებული სკოლები ცდილობენ მკვეთრად არ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამის საუკეთესო გამოსავალია დიალოგი, არა მხოლოდ ერთი ფილოსოფიური ტრადიციის შიგნით, არამედ დასავლურ და აღმოსავლურ შეხედულებებს შორის;
- თანამედროვე ფილოსოფიის ანთროპოცენტრიზმი<sup>3</sup>, სადაც იდეის ცენტრში დგას ადამიანი, მისი არსი, ცხოვრების მიზანი, მისი თავისუფლება. ადამიანი გაიზარება, როგორც ერთი მთლიანი მთელი თავისი წინააღმდეგობებით. განსაკუთრებით მწვავედ განიხილება საკითხი ზოგადად ადამიანის არსებობის შესახებ, ადამიანის კრიზისის შესახებ ისტორიაში.

„სიცოცხლის ფილოსოფიის“ სკოლის წარმომადგენლების ფ. ნიცშეს, ვ. დილთაის, გ. ზიმელის, ა. ბერგსონის, ა. შოპენჰაუერის აზრით ადამიანის და სამყაროს განვითარების საფუძველია არა რაციონალური, არამედ ირაციონალური რეალობა, „სიცოცხლე“, როგორც „შემოქმედებითი ევოლუცია“, სადაც განუყოფელია მატერია და შემეცნება, ლოგიკა და ინტუიცია და ეს მუდმივად ცვალებადი სიცოცხლის ნაკადი აუხსნელია რაციონალიზმის, პოზიტივიზმის და მექანიციზმის ჩარჩოებში. რაციონალიზმის ისეთ თეზისებს, როგორებიცაა: „ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ“ და „ყველაფერი რაც ნამდვილია, გონიერია“, ახალი ფილოსოფიური პარადიგმები უარყოფს. სიცოცხლე ეს არის სტიქიური და ინსტინქტური პროცესი, რომელიც არ ექვემდებარება სამეცნიერო ანალიზს, სადაც კვლევის ობიექტია სიცოცხლე, ხოლო საკვლევი სუბიექტია თვით ადამიანი. სიცოცხლეს ვერ შევიმეცნებთ თუ არ ვმონაწილეობთ სასიცოცხლო პროცესში, ის შეგვიძლია „დავიჭიროთ“ ინტუიციურად, „შევიგრძნოთ“ იგი და „განვიცადოთ“. სიცოცხლეში მთავარია არა მატერია, არამედ სული, ამიტომ პირველ ადგილზე გამოდიან მეცნიერებები სულის შესახებ და არა მეცნიერებები ბუნების შესახებ.

ა. შოპენჰაუერის<sup>4</sup> აზრით სამყარო არ ეფუძნება გონების პრინციპებს. მისი აზრით, სამყაროს საერთოდ არა აქვს გონი, იგი ნებას ემორჩილება. ნება არსებობს ბუნებასა და საზოგადოებაშიც. ცხოველთა სამყაროში ესაა ბრძოლა არსებობისათვის, ფიზიკური გადარჩენისათვის, ხოლო ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს სახელმწიფო ძალაუფლება და ხალხის ნება. ნება ბრმა და არა აქვს გონიერი მიზანი. ადამიანურ დონეზე ნება გამოიხატება მისწრაფებაში, ძალაუფლების სურვილში, შურისძიებაში

<sup>1</sup> **პარადიგმა** - იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა (უპირატესად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში), რომელიც აყალიბებს კონსენსუსურ ჩარჩოს ან მოდელს, რომლის შიგნითაც მეცნიერები ოპერირებენ. პარადიგმის საფუძველზე განისაზღვრება არსებული ცოდნის მოცულობა, საკვლევი პრობლემის ბუნება, კვლევის შესაფერისი მეთოდების არჩევა, შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზები.

<sup>2</sup> ტერმინი **პლურალიზმი** ნიშნავს განსხვავებული აზრების, მსოფლმხედველობების, ცხოვრების წესის, ინტერესების თანაარსებობას.

<sup>3</sup> **ანთროპოცენტრიზმი** ფილოსოფიური შეხედულებაა, რომლის მიხედვითაც ადამიანი წარმოადგენს სამყაროს ცენტრს, მისი ყოველი მოვლენის აზრსა და საბოლოო მიზანს.

<sup>4</sup> **არტურ შოპენჰაუერი** - გერმანელი ფილოსოფოსი, რომანტიკოსი, ფილოსოფოსი, ირაციონალისტი მოაზროვნე, აკრიტიკებდა თავის თანამედროვეებს, ჰეგელს და ფიხტეს.

და ა.შ. თუ სამყაროს საფუძველი „ნება“ გონის გარეშეა, მაშინ სამყაროც შორსაა გონიერებისაგან, ისტორიასაც ეკარგება აზრი, მეცნიერებები შედიან ჩიხში, როდესაც ცდილობენ დააფუძნონ სამყარო გონების კანონებს. ფაქტია, რომ სამყარო არ გახდა უკეთესი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით. შოპენჰაუერი თავისი ხედვით შეერწყმის ძველინდური ფილოსოფიის შეხედულებებს, რომელსაც ადამიანი გამოყავს ილუზიური სამყაროდან და მიჰყავს ნირვანაში. ფილოსოფოსი მიდის პესიმისტურ დასკვნებამდე ადამიანის უსუსურობის შესახებ, მას შეუძლებლად მიაჩნია გონიერი და ბედნიერი სახელმწიფოს შექმნა, მორალური პროგრესი.

გამოჩენილ გერმანელ ფილოსოფოს ფ. ნიცშეს თავისი თავი შოპენჰაუერის მოწაფედ მიაჩნდა და იზიარებდა მის ირაციონალიზმს. მისი აზრით, ადამიანს არ უნდა ეშინოდეს სიკვდილის, რადგან სამყარო მეორდება დროში მცირე ცვლილებებით. სამყარო ეს სიცოცხლეა. ნიცშეს აზრით, სიცოცხლის საფუძველია ძალაუფლების ნება ან თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა. მისი ფილოსოფიის მიზანია ის, რომ დავებმართო ადამიანს შეეგუოს გარესამყაროს და მოახდინოს სრული თვითრეალიზაცია, თვითდამკვიდრება. იმისათვის, რომ გადარჩეს ადამიანი უნდა იყოს ძლიერი. სწორედ ამ მიდგომის გამო აკრიტიკებს ნიცშე ქრისტიანობას და მას სუსტების იდეოლოგიას უწოდებს. იგი თვლის, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი დიდი ხანია აღარ იყენებენ ქრისტიანულ მორალურ პრინციპებს, თუმცა არიან ქრისტიანები. სინამდვილეში, თუ ვინმეს რაიმე უნდა, იგი მას მხოლოდ ნების გამოყენებით იღებს. ნიცშე მოგვიწოდებს მოვახდინოთ ღირებულებების გადაფასება, „სუსტების“ მორალი შევცვალოთ „ზეკაცის“ მორალით. ფილოსოფოსი აპირისპირებს „უბრალო ადამიანს“ და „სულის არისტოკრატს“. მისი აზრით, „ზეკაცი“ ეს უმაღლესი ბიოტიპის არსებობა, ის სრულიად თავისუფალია, მის მორალს აყალიბებს სამართლიანობა და გამბედაობა, მაგრამ იგი არც გმირია და არც დიდი ადამიანი. ეს ადამიანების სრულიად ახალი ჯიშია, ჯერ არნახულის მსოფლიოსი, ესაა მთელი კაცობრიობის და არა რომელიმე კერძო ნაციის განვითარების ნაყოფი. იგი გარდაქმნის კაცობრიობის კულტურასა და მორალს მომავალში. ნიცშე გამოდის ევროპული რაციონალიზმის წინააღმდეგ, მისი აზრით შემეცნება სხვა არაფერია თუ არა ფაქტების სუბიექტური წაკითხვა. ადამიანი იაზრებს სამყაროს იმისათვის, რომ შეიქმნას თავისი პატარა, მიკრო, ილუზიური გარემო.

ანრი ბერგსონი ინტუიციონიზმის ფუძემდებელია. მისი აზრით, სიცოცხლე დიდი აფეთქების შედეგად გაჩნდა. სიცოცხლე შეგვიძლია მხოლოდ ინტუიციურად შევიმეცნოთ, სიმპათიკურად, ამიტომ იხსნება ყველანაირი ურთიერთდაპირისპირება შემეცნებადს და შეუმეცნებადს შორის. ინტუიციურად სიცოცხლის მხოლოდ ის ნაწილი შეგვიძლია „დავიჭიროთ“, რასაც განვიცდით. ბერგსონმა პირველმა მოიყვანა ტერმინი „ღია“ და „დახურული“ საზოგადოება. პირველისათვის მორალი აღიქმება თავისუფლებისაკენ სწრაფვაში, ლტოლვაში, სიყვარულში. მეორისთვის იგი გამოიხატება ზეწოლაში, იძულებაში. ეს არის ჭიანჭველის მორალი ტერმიტების ბუდეში, იგი ავტომატურად მოქმედებს, ინსტიქტურია, დაბალია ინტელექტის დონე.

ექსისტენციალიზმი, ანუ ფილოსოფია ადამიანის არსებობის შესახებ, ესაა XX საუკუნის ფილოსოფიის ყველაზე პოპულარული მიმდინარეობა. ექსისტენციალიზმი ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, სწორედ ამიტომ მიიღო მისმა შეხედულებებმა ასეთი ტრაგიკული და პესიმისტური შეფერილობები. ექსისტენციალიზმის მიმდევრები იყვნენ: მარტინ ჰაიდეგერი, კარლ იასპერი, ჟან პოლ სატრტრი, ალბერ კამიუ და სხვ. მიმდინარეობის კვლევის ძირითადი ობიექტია ადამიანი და მისი არსებობის აზრი, ინდივიდუალური ადამიანის ყოფიერება, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ადგილს იკავებს სამყაროში, შემდეგ კი იაზრებს თავის თავს. ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა პროექტი თავის თავის შესახებ და წარმოადგენს ისეთს, როგორც თვითონ შექმნა საკუთარი თავი. ადამიანი არა მხოლოდ ქმნის საკუთარ ცხოვრებას, არამედ ყველაფერ ამაზე პასუხისმგებლობასაც ატარებს. ექსისტენციალისტების აზრით, ადამიანი ტოტალურად თავისუფალია, იგი განკუთვნილია თავისუფლებისათვის. იყო თავისუფალი, ნიშნავს იყო ის, ვინც ხარ, თავისუფლება ადამიანის ყოფიერების საფუძველია. „ადამიანი - ეს თავისუფლებაა“, ესაა ექსისტენციალიზმის უმნიშვნელოვანესი თეზისი.

ჰერმენევტიკა საწყის ეტაპზე ეს იყო ტექსტების კითხვის ხელოვნება. სიტყვა წარმოდგება ჰერმესიდან, რომელიც ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟია, იგი სწორედ ღმერთების შეტყობინებებს კითხულობდა. XIX საუკუნეში ფილოლოგიური დისციპლინიდან ჰერმენევტიკამ ფილოსოფიურ სწავლებებში გადაინაცვლა. გერმანელი ფილოსოფოსი ფ. შლეიერმახერი, ჰერმენევტიკის დახმარებით, შეეცადა დაედგინა ტექსტის ავტორის ხასიათი და შეექმნა მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი. მეორე გერმანელ მეცნიერს ვ. დილთაის მიაჩნდა, რომ ჰერმენევტიკა უნდა ყოფილიყო ნებისმიერი ჰუმანიტარული ცოდნის საფუძველი. ადამიანის, ტექსტის, ისტორიული მოვლენის გააზრებისა და გაგებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანის ფსიქოლოგიის გააზრება, არამედ ენობრივი ტრადიციის შესწავლა. ხ. გადამერს შემოაქვს განმარტება „ჰერმენევტიკური

წრე“ და ამბობს-იმისათვის, რომ გავიგოთ მთელი, უნდა ვიცოდეთ მისი ნაწილები, რომლისაგანაც ეს მთელი შედგება, ხოლო ნაწილებს ვერ შევიცნობთ, თუ არ გვესმის ერთიანის, მთელისო. გადამერს ჰერმენევტიკა მიაჩნია მომავლის საქმედ. მისი აზრით სამყარო, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი თავიდანვე „წაკითხულია“.

პოზიტივიზმის ფუძემდებლად გვევლინება ფრანგი მოაზროვნე ო.კონტი. მისი ფილოსოფიური პროგრამის საფუძველს ხსნის თეზისი: „შორს მეტაფიზიკა, გაუმარჯოს ფიზიკას!“. მისი აზრით პირველსაწყისის და სამყაროს დასასრულის ძიება სისულელეა. ეს ბუნებაში არ არსებობს. ფილოსოფის იმ სახით, რაც ადრე არსებობდა აღარაა საჭირო. ჭეშმარიტი ცოდნის წყაროა კერძო მეცნიერებები და ისინი არ საჭიროებენ არანაირ ფილოსოფიას. მეცნიერება თვითონაა ფილოსოფია. კონტი აყალიბებს გონების განვითარების სამი ეტაპის კანონს და გვიჩვენებს, როგორ მივიდა კაცობრიობა, ინტელექტის განვითარებით, პოზიტიურ ფილოსოფიამდე, კერძოდ: თეოლოგიურ სტადიაზე მან შეიმეცნა ნივთების ბუნება, მეტაფიზიკურ სტადიაზე მან შეიმეცნა გარესამყარო, ხოლო სამეცნიერო სტადიაზე ადამიანი აკვირდება მოვლენებს და ცდილობს დაადგინოს მათ შორის ურთიერთკავშირი.

#### ლიტერატურა:

1. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, ავტორთა ჯგუფი, ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი გ. თევზაძე, თბ., 1970.
2. კაკაბაძე ზ., რჩეული ფილოსოფიური შრომები, ბათუმი, 2012.
3. „ექსისტენციური კრიზისის“ პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია, თბ., 1985.
4. კაკაბაძე ზ., ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბ., 1987.
5. ბუაჩიძე თ., სიცოცხლის ფილოსოფია: ვ. დილთაი, ო. შპენგლერი, თბ., 1991.
6. სიცოცხლის ფილოსოფია. გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი, ფილოსოფიის ინსტიტუტის ქართ. და უცხოეთის ფილოს. ისტორიის განყოფილება, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ავტორთა ჯგუფი, თბ., 2009.
7. სარტრი ჟ. პ., ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმი. L'existentialisme est un humanism. ფრანგულიდან თარგმნა ნატო მთივლიშვილმა, თბ., 2006.
8. ქათამაძე თ., ჰანს გეორგ გადამერის ფილოსოფიური ჰერმენევტიკა, თბ., 2001.
9. ბეგიაშვილი ა., თანამედროვე პოზიტივიზმი, თბ., 1961.

## POSTCLASSIC PHILOSOPHICAL VIEWS XIX-XX CENTURIES

Klara Elchibegashvili, Gori State Teaching University, Professor

### RESUME

The evolution of theoretical physics in the XX century differs significantly from that in XIX-XX centuries. While continuous progress is observed for theoretical physics in XIX centuries, modern physics contains many questions that have not been resolved despite many decades of discussion. Based upon the analysis of works by the founders of the XX-century physics, the conclusion is made that the roots of the "eternal" questions by the XX-century theoretical physics lie in the philosophy used by its founders. Existentialism in the broader sense is a 20<sup>th</sup> century philosophy that is centered upon the analysis of existence and of the way humans find themselves existing in the world. The notion is that humans exist first and then each individual spends a lifetime changing their essence or nature. In simpler terms, existentialism is a philosophy concerned with finding self and the meaning of life through free will, choice, and personal responsibility. The belief is that people are searching to find out who and what they are throughout life as they make choices based on their experiences, beliefs, and outlook. And personal choices become unique without the necessity of an objective form of truth. An existentialist believes that a person should be forced to choose and be responsible without the help of laws, ethnic rules, or traditions.

Positivism is the view that the only authentic knowledge is scientific knowledge, and that such knowledge can only come from positive affirmation of theories through strict scientific method (techniques for investigating phenomena based on gathering observable, empirical and measurable evidence, subject to specific principles of reasoning). The doctrine was developed in the mid-19th Century by the French sociologist and philosopher Auguste Comte (1798 - 1857). The term "positive" in the epistemological sense indicates a "value-free" or objective approach to the study of humanity that shares much in common with methods employed in the natural sciences, as contrasted with "normative", which is indicative of how things should or ought to be. Comte saw the scientific method as replacing Metaphysics in the history of thought and Philosophy of Science. His Law of Three Stages (or Universal Rule) sees society as undergoing three progressive phases in its quest for the truth: the theological (where everything is referenced

to God, and the divine will subsumes human rights); the metaphysical (the post-Enlightenment humanist period, where the universal rights of humanity are most important); and the positive (the final scientific stage, where individual rights are more important than the rule of any one person). Comte believed that Metaphysics and theology should be replaced by a hierarchy of sciences, from mathematics at the base to sociology at the top.

## რელიგიის თავისუფლება - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და საქართველო

ნინო ზედგინიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული მასწავლებელი

საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია რელიგიის თავისუფლება. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას.<sup>1</sup> მოცემულ თავში წარმოჩენილია კანონმდებლობის ის ასპექტები, რომლებიც რელიგიური უმცირესობების სტატუსს აწესრიგებს.

კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებულია სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. კონსტიტუცია აქვე ადგენს, რომ „დაუშვებელია აღნიშნულ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლენა არ ლახავს სხვათა უფლებებს.“ მოცემული მუხლით არ ილახება კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპი – დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორი.<sup>2</sup>

მე-19 მუხლით დაცული უფლების ფარგლების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული მუხლის სხვა მუხლებთან ერთად წაკითხვა – მაგალითად, რელიგიის და გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართება.<sup>3</sup>

რელიგიის თავისუფლებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით სახელმწიფო აღიარებს „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.“

ვფიქრობ, ბევრს ნიშნავს მართლმადიდებლური ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის ქვეყნის ძირითადი კანონის დონეზე განმტკიცება, რაც ხშირ შემთხვევაში უარყოფითად აღიქმება. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და კომისიამ გადაწყვიტეს, რომ გარკვეული რელიგიის დაწესება თავისთავად არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას. საქმეში *დერბი შვედეთის წინააღმდეგ* კომისიამ განაცხადა:

*„სახელმწიფო ეკლესიის სისტემა თავისთავად არ შეიძლება განხილულ იქნეს კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევად. რეალურად ამგვარი სისტემა კონვენციის მონაწილე მრავალ სახელმწიფოში არსებობს და არსებობდა მაშინაც, როცა კონვენციის შემუშავება ხდებოდა და ეს ქვეყნები მისი მონაწილენი გახდნენ. იმისათვის, რომ სახელმწიფო ეკლესიის სისტემამ დააკმაყოფილოს მე-9 მუხლის მოთხოვნები, იგი უნდა შეიცავდეს თითოეული ინდივიდის რელიგიის თავისუფლების დაცვის სპეციალურ საშუალებებს.“<sup>4</sup>*

კონსტიტუციური შეთანხმებითაც არ არის სავალდებულო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლა, მაგრამ თუ ამის ნება გამოითქვა: სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

რელიგიური ფაქტორი დანაშაულის საფუძველია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა), 155-ე (რელიგიური წესის

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9(1)

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14

<sup>3</sup> თ. ტულუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშვენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, *ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა*, თბილისი, 2013, გვ. 161

<sup>4</sup> Ecomm HR, No. 11581/85, 1989, para 45

აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა), 156-ე (დევნა), 166-ე (პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისთვის ხელის შეშლა), 252-ე (უკანონო გაერთიანების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა), 407-ე (გენოციდი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც მოწმის მიერ ფიცის დადების ზოგადი წესიდან უშვებს გამონაკლისს რწმენის ან სხვა მოსაზრების გამო, პირმა უარი თქვა ფიცის დადებაზე.<sup>1</sup> ამავე კოდექსის 50-ე მუხლი ათავისუფლებს სასულიერო პირს ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემისგან. სასულიერო პირი არ მისცემს ჩვენებას იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად გახდა ცნობილი. ჩხრეკის, ამოღების და დაყადაღების საპროცესო მოქმედებების დროსაც კი, ამოსავალ წერტილად რჩება საქართველოს კონსტიტუციით დაცული სიტყვის, აზრის, სინდისის თავისუფლების, აღმსარებლობის, რწმენის ან გაერთიანების უფლების ხელყოფის აღკვეთა. ამ საპროცესო მოქმედებებმა მინიმალური შემზღვეველი ფორმა უნდა მიიღოს.

პატიმრობის კოდექსი ბრალდებულის/მსჯავრდებულისთვის უზრუნველყოფს რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას, რელიგიური ლიტერატურის გამოწერას.<sup>2</sup>

სამედიცინო სფეროში მოქმედი კანონმდებლობაც ითვალისწინებს სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის პირების უფლებების დაცვას. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-15 მუხლები ექიმისგან მოითხოვენ დისკრიმინაციის აკრძალვას პაციენტის აღმსარებლობის ან რწმენის გამო. პაციენტს უფლება აქვს ექიმს მისი რწმენის პატივისცემა მოსთხოვოს. მსგავსმა დარღვევებმა ასახვა ჰპოვა საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშში.<sup>3</sup>

კანონმდებლობა სამხედრო სფეროში, სოციალური დაცვის საკითხები, განათლების სისტემა – ყველაგან თანაბარ პირობებში არიან ჩაყენებულები სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები და კანონმდებლობის დონეზე დისკრიმინაცია გამორიცხულია.

ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ყველაზე ქმედითი საერთაშორისო აქტის განხილვისა და საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის შემდეგ უნდა ვისაუბროთ პრაქტიკაზე.

საქართველოში საკანონმდებლო ბაზის მეტ-ნაკლები სრულყოფის მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება სხვადასხვა რელიგიების მიერ პერიოდულად გამოთქმული მოსაზრებები, მათ მიმართ არაშემწყნარებლური გარემოს შესახებ. რეალურად არსებობს მექანიზმები, რომლითაც მათ შეუძლიათ დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართონ სასამართლოს.

ამ ნაწილში შევხებით სოფელ ჭელაში მინარეთის აღმართვის ფაქტს და სამართლებრივ ჭრილში განვიხილავ ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დარღვევის რეალურობას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სამართალში არ არსებობს მინარეთის მშენებლობის მომწესრიგებელი ნორმები. ერთადერთი პრაქტიკა, რომელსაც იცნობს საერთაშორისო სამართალი, უკავშირდება შვეიცარიაში მინარეთის აღმართვასთან დაკავშირებით გამართულ რეფერენდუმს.<sup>4</sup>

სოფელში, სადაც 60% მუსლიმი, ხოლო 40% მართლმადიდებელი ქრისტიანია, ობიექტურად რომ ვთქვათ ქრისტიანები უმცირესობას წარმოადგენენ და მათი უფლებების დაცვაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება.<sup>5</sup> ქვეყნის მასშტაბით მუსლიმები რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ, თუმცა კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში ისინი უმრავლესობაში არიან და არასწორად მიმაჩნია, როდესაც მათ უმცირესობად მოვიხსენიებთ. უფრო სწორი იქნება თუ მათი ხსენების დროს ხაზს გავუსვამთ, რომ ისინი კონკრეტულ სოფელში უმრავლესობას წარმოადგენენ. აუცილებლად უნდა დადგინდეს მინარეთის მნიშვნელობა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების ჭრილში – რამდენად აუცილებელია მინარეთის არსებობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 48

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხლი 14, მუხლი 20

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2011 წელი, გვ. 107

<sup>4</sup> 2007 წლის პირველ მაისს მემარჯვენე ნაციონალისტური იდეების მქონე პოლიტიკურ პარტიებში გაჩნდა იდეა შვეიცარიის ფედერალურ კონსტიტუციაში შეეტანათ ცვლილებები ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროში და გაჩენილიყო ჩანაწერი „მინარეთის მშენებლობა აკრძალულია.“ 2009 წლის 29 ნოემბერს მოსახლეობის 57% მეტმა მხარი დაუჭირა ინიციატივას. შვეიცარიაში არსებულ 4 მინარეთს რეფერენდუმის შედეგებით 2 ახალი მინარეთი აღარ მიემატა. აღსანიშნავია, რომ 26-დან 4 კანტონმა მხარი არ დაუჭირა ინიციატივას. ამასთან, განსხვავებული იყო სხვადასხვა ეროვნებით დასახლებულ კანტონებში მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პროცენტული წილი.

<http://www.euro-islam.info/key-issues/switzerlands-minaret-ban/>

<sup>5</sup> წყარო: [http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/3/35/Census\\_of\\_village\\_population\\_of\\_Georgia.pdf](http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/3/35/Census_of_village_population_of_Georgia.pdf)

საქმეში *X v. UK* დაადგინა, რომ მომჩივანმა უნდა დაადასტუროს, რომ მისი მოქმედება რელიგიური რიტუალის აუცილებელი ნაწილია.<sup>1</sup> თუ აღნიშნულ საქმეს განვაზოგადებთ მინარეთთან მიმართებაში, შეიძლება დაისვას საკითხი - რელიგიური რიტუალის განსახორციელებლად რამდენად აუცილებელია მინარეთის არსებობა და მის გარეშე რა საფრთხე ექმნება აღმსარებლობის თავისუფლებას. იმდენად, რამდენადაც მინარეთი გამოიყენება მხოლოდ მრევლის ლოცვისკენ მოწოდებისთვის (რაც რიტუალის შემადგენელი ნაწილი ნამდვილად არ არის), მისი არსებობის გარდუვალობას ვერ ვხედავ. არგუმენტი, რომ მინარეთიდან ლოცვისკენ მოწოდება შეიძლება გამოხატვის თავისუფლებას ლახავდეს, გაუმართლებელია. საქმეში *Murphy v. Ireland* ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რადიოთი რელიგიური მოწოდებების გაკეთება ლახავს სხვათა უფლებებს და ეს ეფუძნება რელიგიური საკითხების თავისებურებას.<sup>2</sup> თუკი რადიოთი რელიგიური მოწოდებების გაკეთება ლახავს სხვათა უფლებებს, მაშინ თავისუფლად შეგვიძლია, მინარეთიდან ლოცვისკენ მოწოდება მივიჩნიოთ ჭელაში მცხოვრები მართლმადიდებელი უმცირესობის უფლებების დარღვევად.

ძირითადი პრობლემები, რომლებიც რელიგიურ უმცირესობებს აქვთ, დაკავშირებულია ლოცვასთან.

რადგან მე-19 მუხლი არ იცავს აბსოლუტურ უფლებას და მისი შეზღუდვის საფუძველი ერთადერთია – სხვათა უფლებები, მაშინ რატომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მინარეთის აღმართვა არღვევს ქრისტიანების უფლებებს სოფელ ჭელაში და საჭიროა შევიმუშაოთ შესაბამისი რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს მინარეთის აშენების წესებს და პირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში არის მეჩეთები, რომლებიც აგებულია მე-19 და მე-20 საუკუნეში და საერთოდ არ აქვთ მინარეთები.<sup>3</sup>

მინარეთთან დაკავშირებული ყველაზე გახმაურებული ფაქტი ეხება შვეიცარიას. ეს არის ის ერთადერთი პრეცედენტი, რომელიც ხშირად მოჰყავთ მაგალითის სახით მინარეთზე საუბრისას. შვეიცარიის მაგალითზე საუბრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ რამოდენიმე გარემოება:

1. რეფერენდუმი არ ჩატარებულა მთავრობის მოთხოვნით. დღეს კი საქართველოს მოსახლეობა მთავრობისგან ითხოვს აღნიშნული საკითხის რეფერენდუმის გზით გადაწყვეტას;
2. არ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა რეფერენდუმის შედეგების რელიგიის თავისუფლების სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ;
3. მხედველობაშია მისაღები შვეიცარიის სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტებიც. შესაბამისად, შვეიცარიის მაგალითის ჩვენს ქვეყანაში გადმოტანამდე აუცილებელია ამ ორი ქვეყნის რეალობა შედარდეს.

ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროკავშირის საგანგებო მრჩევლის, თომას ჰამარბერგის, 2013 წლის სექტემბრის თვის მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია რელიგიური უმცირესობების მდგომარეობაზე საქართველოში. სოფელ ჭელაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევა შეფასდა, როგორც „არასაჭირო ძალადობა“.<sup>4</sup>

ჭელაში განვითარებული მოვლენებისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა ქვეყანა. მსგავსი შემთხვევის არქონის გამო არც სამართლებრივი ბაზა იძლევა საკითხის სწორად გადაწყვეტის საშუალებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ უპირველეს ყოვლისა მოწესრიგდეს ეს უკანასკნელი.

მოქალაქეებს სრული უფლება აქვთ არ მოსწონდეთ სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებები, მაგრამ თუ ამ დამოკიდებულებას საჯაროდ გამოხატავენ მორწმუნეების კონსტიტუციური უფლებების შელახვით, სახელმწიფო ვალდებულია ჰქონდეს რეაქცია. თუ ხდება შენობის უკანონო აგება, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მისი დემონტაჟი. მინარეთი, მართალია რელიგიური ნაგებობის შენობის შემადგენელი ნაწილია, თუმცა კანონმდებლობისთვის ის წარმოადგენს ჩვეულებრივ ნაგებობას. ამდენად, თუ საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება კონკრეტული მარეგულირებელი წესი რელიგიური ნაგებობებისთვის, აღარ იქნება საჭირო ზოგადი წესების კონკრეტულ ფაქტებზე მორგება, რაც უსაზღვრო ლავირების საშუალებას იძლევა. მინარეთის დემონტაჟი შეიძლება სამართლიანობის აღდგენის ფაქტი ყოფილიყო ჭელაში მცხოვრები მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის, მაგრამ თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ რელიგიურ შეუწყნარებლობად. გამოდის, რომ სახელმწიფო უფლებების თანაბარი დარღვევის რისკის წინაშე დგას.

<sup>1</sup> X v. UK, November 5, 1981

<sup>2</sup> Murphy v. Ireland, 03.12.2003, p. 71

<sup>3</sup> „მინარეთი და ქართული ენა“, „ლიტერატურული მესხეთი“, 2013, ოქტომბერი, გვ 12-15

<sup>4</sup> www.tolerantoba.ge

2009 წელს ბოლნისის რაიონში მცხოვრები მუსულმანები აპროტესტებდნენ 22 მასიური ჯვრის აღმართვას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მუსულმანი, ოფიციალური პირების განცხადების საფუძველზე ჯვრების აღმართვა შეფასდა პროვოკაციულ ნაბიჯად და აღიკვეთა მსგავსი ქმედებები. მუსულმანურ მხარეს ეთხოვა ლოცვისკენ მოწოდების მინიმუმამდე დაყვანა.<sup>1</sup> ამ კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეულ დათმობაზე წასვლა მოუწია როგორც მართლმადიდებელ მხარეს, ისე მუსულმანურს. ამ კონკრეტულ ფაქტს თუ მივუსადაგებთ ჭკლას მაგალითს, მარტივად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მინარეთის აგება იმ სოფლის მოსახლეობისთვის წარმოადგენს პროვოკაციულ ქმედებას და მისი აღკვეთაც არ შელახავს სხვათა უფლებებს.

რელიგიური კრიზისის დროს სახელმწიფოს როლი დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის შემწყნარებლობის უზრუნველყოფაში მდგომარეობას.<sup>2</sup> ამ როლის შესრულების დროს სახელმწიფო უნდა იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი.<sup>3</sup>

მინარეთის აშენება თურქეთში სირთულეებთან არის დაკავშირებული. მთავრობის სპეციალური ნებართვის გარეშე ვერ აშენდება ვერც მეჩეთი და ვერც მინარეთი. ამასთანავე ეს პროცედურები დროში საკმაოდ გაწელილია.<sup>4</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ უარყოფს სახელმწიფოს უფლებას, რელიგიური ღვთისმსახურების ადგილი დაექვემდებაროს სანებართვო სისტემას, თუმცადა სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული სისტემა არ უნდა იყოს სხვებისთვის ზიანის მიმყენებელი და მკაცრი.<sup>5</sup>

ვფიქრობ, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი საკულტო ნაგებობების მშენებლობის საკითხი (როგორც რელიგიური უმრავლესობისთვის, ისე უმცირესობისთვის). მნიშვნელოვანია, რომ უფლებადამცველებმა აწარმოონ შეხვედრები მოსახლეობასთან საკითხის შესწავლისა და შემდგომი ანალიზისთვის, შეისწავლონ სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა.

ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ მუდმივად უნდა აფიქსიროს აზრი, რომ რელიგიური უმცირესობების მიმართ შეურაცხყოფა, მუქარა და ძალადობა დასჯადია.

საქართველოში მინარეთების მშენებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს სანებართვო სისტემას. ზოგადად, რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შემუშავება უნდა მოხდეს. საერთაშორისო ნორმებიც არ მოიძებნება, რომელიც აღნიშნულ საკითხს დაარეგულირებს. მშენებლობასთან დაკავშირებული საერთო რეგულაციების სივრცეში აღნიშნული საკითხის მოქცევა არ მიმაჩნია გამართლებულად, რადგან რელიგიური საკულტო ნაგებობა თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულია და მისი გათანაბრება ჩვეულებრივ მშენებარე ნაგებობასთან არასწორია.

და ბოლოს, მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა და ქვეყნის სწორი პრაქტიკა იქნება გარანტი რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის და ტოლერანტული გარემოს შექმნისა. აუცილებელია, რომ საქართველოსა და არა მხოლოდ საქართველოს სინამდვილეში შესწავლილ იქნეს ისლამისა და სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების ურთიერთმიმართება, გაანალიზდეს რელიგიის ზემოქმედების დონე მოსახლეობაზე.

### ლიტერატურა:

კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004.

კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი, 2006.

რონა კ.მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები, ნიუ-იორკი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005.

კ. კორკელია, როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით, თბილისი, 2010.

კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005.

<sup>1</sup> <http://www.state.gov/documents/organization/132827.pdf>

<sup>2</sup> *Serif v. Greece*, 14 December, 1999, p. 53

<sup>3</sup> *Case of Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, 27.03.2002, p. 123

<sup>4</sup> „მინარეთი და ქართული ენა“, „ლიტერატურული მესხეთი“, ოქტომბერი, 2013, გვ. 12

<sup>5</sup> *Case of Manoussakis and Others v. Greece*, 26 September, 1996, p.48

თ. ტულუმი, გ. ბურჯანაძე, გ. მშენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.  
 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948.  
 სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966.  
 ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, 1966.  
 საქართველოს კონსტიტუცია, 1995.  
 კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.  
 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999.  
 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998, 2009.  
 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997.  
 საქართველო კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 2010.  
 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, 2000.  
 გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, ოქტომბერი, 2013.  
 Kokkinakis v Greece - European Court of Human Rights, Strasbourg 25 May, 1993.  
 X v. UK, November 5, 1981, ECHR  
 Murphy v. Ireland, 03.12.2003, ECHR  
 Case of Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, 26 September, 1996, ECHR  
 Serif v. Greece, 14 December, 1999, ECHR  
 Case of Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, 27.03.2002, ECHR

**FREEDOM OF RELIGION - THE CONVENTION FOR THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS AND FUNDAMENTAL FREEDOMS AND GEORGIA**

**Nino Zedginidze, Samtskhe-Javakheti State University, Invited Teacher  
 RESUME**

The most sensitive topic among human rights is freedom of religion. Conflict between state and religious society is ordinary. Especially, when you have religious diversity and state is just building civil society. The aim of this paper is to cover challenges which are faced by Georgia. This paper goes through local legislation, international standards, ECHR practice, cases, changes between government and religion relations.

**იდეოლოგიის როლი სოციალურ კომუნიკაციებში**

**თეა თოფჩიშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული ლექტორი

მეცნიერული თუ სხვა ტიპის თეორია სოციალური აქტორის მიერ იშვიათად აღიქმება, როგორც თეთრი ყუთი, ანუ როგორც გამჭვირვალე მოსაზრებების ერთობლიობა. მაგალითად, ფარდობითობის თეორია, ფიზიკოსების გარდა, არავისთვის არ არის გამჭვირვალე, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობას ეს ხელს არ უშლის აღნიშნული თეორია ჭეშმარიტებად აღიაროს. მოცემული შავი ყუთის ეფექტები ძირითადად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის არის დამახასიათებელი. სხვაგვარადაა საქმე სოციალურ მეცნიერებებში.

ხშირად ხდება, რომ თეორიით იმდენად ვინტერესდებით, რამდენადაც ის შეესაბამება პოზიციისა და დისპოზიციის ეფექტებს. როგორც ვილფრედო პარეტო ამბობს, თეორია შეიძლება იყოს ჭეშმარიტი და არ იყოს სასარგებლო, ან იყოს სასარგებლო, მაგრამ არ იყოს ჭეშმარიტი. ცხადია, არსებობს თეორიები, რომლებიც ერთდროულად ჭეშმარიტიცაა და სასარგებლოც. გარდა ამისა, თეორია შეიძლება მივიჩნიოთ საინტერესოდ, ისე რომ ეს ინტერესი არ უკავშირდებოდეს მის ვალიდურობას და არ დაიყვანებოდეს თეორიის სარგებლიანობაზე.

ძნელი არ არის იმ შემთხვევების ჩვენება, სადაც თეორია, მისი ბუნებიდან გამომდინარე, იწვევს ზოგიერთი ინდივიდის ყურადღებასა და ინტერესს; ხოლო როდესაც ეს ინტერესი იმ შესაბამისობიდან



გამომდინარეობს, რომელიც არსებობს ამ თეორიის თავისებურებასა და ჯგუფისთვის დამახასიათებელ სიტუაციის ეფექტებს შორის, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს იმას, რასაც ემილ დიურკემი „კოლექტიურ რწმენას“ უწოდებს.


თავდაპირველად ყველაზე ბანალური შემთხვევა განვიხილოთ. თეორია იმ შემთხვევაში იწვევს სოციალური აქტორის ინტერესს, თუ იგი მოქმედ პირს მისი სოციალური როლის შესრულებაში ეხმარება. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მუშაკი, რომელსაც სურს გვატემალას განვითარების პოლიტიკის წინ წაწევა, ბუნებრივია, დაინტერესდება განვითარების ეკონომიკური თეორიებით. მაგრამ მას, ცხადია, არც დროს აქვს და არც კონკრეტული თეორია, რათა ეს თეორიები სიღრმისეულად განიხილოს. ასეთ შემთხვევაში, ის აღნიშნულ თეორიას განიხილავს, როგორც შავ ყუთს. ამგვარად, თეორია იმიტომ არის საინტერესო სოციალური აქტორისთვის, რომ ის მოძრაობს იმ კოგნიტურ ჩარჩოში, რომელიც მოქმედ პირს საშუალებას აძლევს ადვილად შეასრულოს საკუთარი როლი. გარდა ამისა, თეორია სოციალურ აქტორს იმ ეთიკური პრობლემების გადაჭრაშიც ეხმარება, რომლებსაც ის აწყდება საკუთარი როლის შესრულების დროს. ჩვეულებრივ, თეორია სოციალურ აქტორს იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ის ინდივიდს ეხმარება უკეთ განსაზღვროს მისი როლის საზღვრები; მიზნები, რომლის მიღწევასაც ის ცდილობს მისი როლის ჩარჩოებში და ასევე ის საშუალებები, რომელიც ამ ამოცანების მისაღწევად არის საჭირო.

როდესაც რაღაც პრობლემა ჩნდება, მაგალითად, საზოგადოებამ უნდა შეიწყნაროს თუ არა ბოროტმოქმედი და დანაშაულები, სოციალური აქტორები, მათი როლის შესაბამისად, განსჯის პასუხისმგებლობას იღებენ, ემყარებიან რა ამ დროს დანაშაულთან და სამართალთან დაკავშირებულ სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ თეორიებს, რადგან ეს თეორიები კოგნიტური და ეთიკური პრინციპების შეთავაზებით, სოციალურ აქტორს საშუალებას აძლევს უკეთ გაიგოს ამ როლის „საზრისი“ და გაიმარტივოს მისი შესრულება. მიშელ ფუკო მკაფიოდ აჩვენებს მნიშვნელოვან ინტერესს კრიმინოგენური თეორიების მიმართ, რომელიც იქმნებოდა XVIII საუკუნის შუახანებიდან. თეორიამ შეიძლება დააინტერესოს და მიიზიდოს ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფი, თუ ის განამტკიცებს იმ საყოველთაო ღირებულებებს, რომელსაც ჯგუფის წევრები იზიარებენ ზოგადი სოციალური პოზიციის შესაბამისად.


შესაძლებელია ის შემთხვევებიც განვიხილოთ, სადაც სპეციფიკურ ჯგუფებს ინტელექტუალები წარმოადგენენ. ხშირად გვიკვირს ინტელექტუალების კონფორმიზმი და სიმარტივე, რითაც ისინი იზიარებენ თეორიებს მეტ-ნაკლებად სუსტი იდეების სისტემებზე. მილტონ ფრიდმანი, თავის მხრივ, მარტივ ახსნას უძებნის ამ ფენომენს. ბანკირმა, წერს იგი, სიფრთხილე უნდა გამოავლინოს იდეების მიმართ, რადგან თუ ის ყალბია, იგი მათ შედეგებს თავად იწვევს. სამაგიეროდ, ინტელექტუალს, რომელიც ყალბი იდეისთვის იბრძვის, მხოლოდ იშვიათად უხდება მისი შედეგების საკუთარ თავზე გადატანა.

იდეას ან თეორიას მაშინ შეუძლია გახდეს გავლენიანი, თუ ის სპეციფიკური ჯგუფის ყურადღებას იპყრობს. ეს კეთილგანწყობა ხშირად იმის შედეგია, რომ არსებობს შესაბამისობა თეორიასა და ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელ დისპოზიციებსა თუ როლის მონაცემებს შორის. როდესაც თეორიას იზიარებს ერთი ან რამდენიმე სპეციფიკური ჯგუფი და როდესაც ის ამ ჯგუფის მიერ განიხილება, როგორც შავი ყუთი, ხშირად ხდება, რომ მათი დასკვნები არის გამარტივებული, დეფორმირებული და რადიკალური. სწორედ ამ მიზნით ამბობდა მარქსი, ალბათ, მთელი გულწრფელობით, რომ ის არ იყო „მარქსისტი“, რადგან ის ყოველთვის მერყეობდა იმის მიმართ, რასაც შემდგომში „ვულგარული“ მარქსიზმი უწოდებს.


საბუნებისმეტყველო მეცნიერების შემთხვევაში, თეორიის გავრცელების პროცესი შემდეგში მდგომარეობს: თავდაპირველად თეორია მეცნიერული საზოგადოების წინაშე წარსდგება, ე. ი. მათ წინაშე, ვისაც უნარი შესწევს ის „სიღმისეულად“ განიხილოს, როგორც თეთრი ყუთი. თუ შეფასება არის პოზიტიური, თეორიას შანსი აქვს მიიპყროს სხვა ჯგუფების ყურადღებაც. ამგვარად, მკვლევარი ცდილობს მასში პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა დაინახოს. და თუ თეორია საკმაოდ მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი, მან შეიძლება „განათლებული ლექტორის“ ყურადღებაც მიიპყროს. სქემის სახით ის ასე წარმოგვიდგება: მწარმოებელი თავის თეორიას მეცნიერულ საზოგადოებას წარუდგენს. თეორიის მიმართ კეთილად განწყობის შემთხვევაში, ის მედიატორებს წარუდგება, რომლებიც, თავის მხრივ, მის ყურადღებას სხვადასხვა ჯგუფებისკენ წარმართავენ.



დიფუზიის პროცესი შესაძლოა განსხვავებული იყოს, როცა საუბარია სოციალურ მეცნიერებაზე. თეორია მედიატორების ყურადღებას იმიტომ იპყრობს, რომ ის თავდაპირველად ზოგიერთი სპეციფიკური ჯგუფის მიერ არის შეკვეთილი და მედიატორები მას შემდგომ სხვა ჯგუფებზე ასახავენ (მაგალითად, ჩვეულებრივ ლექტორებზე). სქემის სახით ეს ასე გამოიყურება:




ახლა ვისაუბროთ თეორიებზე, რომლებიც წარმოდგენილია როგორც მეცნიერული და რომელთაც ეს უფლება შესაბამისმა მეცნიერულმა საზოგადოებამ მიანიჭა. თუმცა მეცნიერული საზოგადოება დიფუზიის უზრუნველყოფაზე უარს ამბობს, მაგრამ თეორია თავის გზას სხვა მხრივ აგრძელებს:



რაიმონდ ბუდონისთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ შემთხვევების ჩვენება, სადაც ჩანს, თუ უტყუარი მეცნიერული თეორიები როგორ წარმოშობენ ყალბ იდეებს. მაგალითისთვის ავტორი განიხილავს მაქს ვებერის „პროტესტანტულ ეთიკას“. ბუდონი საუბრობს ამ წიგნის პოპულარობის მიზეზებზე. ის თვლის, რომ დებულება, რომელიც აღნიშნულ ნაშრომშია განვითარებული, შეიცავს ფილოსოფიურ და მეტაფიზიკურ განზომილებას; მარქსის მიერ განვითარებულ კაპიტალიზმის წარმოშობის „მატერიალისტურ“ ინტერპრეტაციას ვებერი უპირისპირებს „იდეალისტურ“ თეორიას, რომელიც აჩვენებს, რომ ღირებულებებს, რომლებიც აქამდე განსაზღვრული იყო წარმოებითი ურთიერთობებით, პირიქით, შეუძლიათ ხელი შეუწყონ მათ განსაზღვრას. დასმული საკითხის მოცულობა და მისი „უნივერსალური“ ინტერესი ფართო პუბლიკის ყურადღებას იქცევს. „პროტესტანტული ეთიკის“ ძირითადი თეზისი არის შემდეგი-პროტესტანტები აქ მიწაზე აკეთებენ თავის არჩევანს. ისინი ეძებენ წარმატებას თავიანთ საქმიანობაში და შეპყრობილნი არიან სტატუსის ამალგებით. ვებერი ასევე აღნიშნავს კალვინისტური და პურიტანული ღირებულებების შესაბამისობას „კაპიტალიზმის გონთან“. მისი თეორია კაპიტალიზმის განვითარებაში კალვინიზმის როლის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. უდაო ფაქტია, რომ კაპიტალიზმის წარმოშობამდე შექმნილი თეორიები, განსაკუთრებით მარქსისტული თეორია, არ შეიცავდა არანაირ ელემენტს, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ახსნა.

უკვე ვებერის დროიდან დაწყებული, ამ თეორიას მოწინააღმდეგეები გაუჩნდნენ. ნიკოლაუს ზომბარტი თვლიდა, რომ XVI საუკუნეში კაპიტალისტ მეწარმეთა უმრავლესობა კათოლიკე ან ებრაელი იყო. სხვები აღნიშნავდნენ, რომ კაპიტალისტი მეწარმენი გამრავლდნენ XV საუკუნიდან, პროტესტანტიზმის წარმოშობამდე. ვებერის თეორიას სუსტად თვლიდნენ იმ თვალსაზრისითაც, რომ მონაცემები, რითაც ეს თეორია არის ახსნილი, არის ბუნდოვანი. მაგრამ, ამის მიუხედავად, ეს მონაცემები ხსნიან თავსატეხს, რითაც ვებერი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს; მან უარი თქვა მატერიალისტურ პარადიგმაზე, რომელიც გამოიყენებოდა ეკონომიკური პროცესების ანალიზისას. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ „ღირებულებებმა“, „კულტურულმა ფაქტორებმა“ მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშონ ეკონომიკური ტრანსფორმაციების დროს. ვებერმა რადიკალურად შეცვალა აზროვნების ტრადიციული სტილი. მისი აზრით, კალვინიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოციალურ ტრანსფორმაციებში, რომელიც ევროპაში XVI საუკუნიდან დაიწყო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ პროტესტანტული ქვეყნების პოლიტიკური კონტექსტი უფრო მეტად იყო კეთილად განწყობილი ზოგიერთი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებებისადმი, ვიდრე კონტრ-რეფორმის ქვეყნების პოლიტიკური სპექტრი. მეორე მხრივ, პროტესტანტული ქვეყნები იმ საქმიან ადამიანებს მიიზიდავდნენ, ვისაც კონტრ-რეფორმის კლიმატი არ სწყალობდა. ეს მიგრაციული მოძრაობები ერთდროულად გვიხსნის პროტესტანტული ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას და იმ ფაქტს, რომ ეკონომიკური ელიტა უმეტესად კალვინისტური

იყო. საქმიან ადამიანებს ხშირად აცდუნებდნენ ხოლმე კალვინიზმით, იმის გამო, რომ ის ღირსებას ჰმატებდა ადამიანთა აქტიურობას ამ სამყაროში. მაგრამ, ბუდონის აზრით, აქ შეიმჩნევა ინვერსია. მისი აზრით, საქმიანი ადამიანები უფრო ახლოს იყვნენ კალვინიზმთან, ვიდრე კალვინისტები ანიჭებდნენ უპირატესობას საქმიან ადამიანებს. საბოლოო ჯამში, ბუდონი თვლის, რომ პროტესტანტიზმსა და ეკონომიკურ მოდერნულობას შორის მიმართება უფრო მეტად პოლიტიკური ფაქტორებით აიხსნება, ვიდრე კულტურულით ან ეკონომიკურით. ავტორის აზრით, ვებერის თეორია მოკლე-წრის ეფექტს იწვევს: სპეციფიკური ჯგუფების ან იდეის მწარმოებლის მიერ ადვილად აღქმადია ის, რომ „ღირებულებები“ განსაზღვრულ როლს თამაშობენ ეკონომიკურ ტრანსფორმაციებში და რომ შესაძლებელია უშუალო მიზეზობრიობის კავშირის დადგენა პროტესტანტულ კულტურასა და ეკონომიკურ დინამიზმს შორის. მეცნიერული ჰიპოთეზა მიღებულ იდეას წარმოშობს. ეს მიღებული იდეა შემდგომში არ სწორდება, მეცნიერული საზოგადოების შეფასების პროცესში ის გადის რთულ დასკვნებზე. ამ მოკლე-წრის ეფექტებს შეუძლიათ დევიანტურ თეორიებს მეცნიერული ავტორიტეტი მიანიჭონ.



თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ამგვარი ეფექტების დანახვა გარკვეულ კონდიციიაზე შესაძლებელია, ასე არ ხდება სოციალურ მეცნიერებებში. აქ ხშირად ხდება, რომ ყალბი თეორია ადვილად მიიღება. ყველა შემთხვევაში მექანიზმი იგივეა: ერთი ან რამდენიმე სპეციფიკური ჯგუფი თეორიას იმიტომ იღებს, რომ ის პასუხობს მის ლატენტურ კითხვას; პასუხობს იმას, რაც გამოწვეულია პოზიციის, დისპოზიციის ან ორივე ეფექტებით ერთდროულად. ამის გამო, ეს ჯგუფები ინტერესს იჩენენ თეორიის მიმართ. მეორე მხრივ, თუ ეს თეორია ამ ჯგუფისთვის შავ ყუთს წარმოადგენს, შესაძლებელია გაჩნდეს ავტორიტეტის ეფექტი. მედიატორებს შესაძლებლობა ეძლევათ თეორია გაავრცელონ სხვა ჯგუფებზეც. ცხადია იმიტომ, რომ ისინი ამ დასკვნების დიაპაზონს გრძნობენ და კიდევ იმიტომ, რომ ისინი მარტივად ფიქრობენ, რომ მედიატორის როლია საზოგადოების ინფორმირება იმ იდეით ან თეორიით, რომელზეც „საუბრობენ“. თუ ეს პროცესი არის საკმაოდ სწრაფი, თეორია შეიძლება გახდეს „კოლექტიური რწმენის“ ობიექტი მანამ, სანამ იმ ადამიანთა მხრიდან, ვინც ის განსაზღვრა, როგორც თეთრი ყუთი, იქნება დაფასებული.

ამრიგად, ინტელექტუალური პროდუქტი, რომელიც მეცნიერულ სტატუსს ფლობს პირველშემქმნელის დონეზე, მითის ფორმას იღებს უკვე საბოლოო მომხმარებლის დონეზე. პარადოქსია, რომ საზოგადოების ან ზოგიერთი სოციალური ჯგუფის მხრიდან თეორიით დაინტერესება ხშირად არ არის მეცნიერული ღირებულებით განპირობებული. სოციალური სუბიექტის მხრიდან თეორიის მეცნიერული სტატუსის აღრევა ამ თეორიის სარგებლიანობასთან – იდეოლოგიის წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

**ლიტერატურა:**

1. Беккер Г., Босков А., Современная социологическая теория, М., 1962.
2. Вебер М., Избранные произведения, М., 1990.
3. Фуко М., Надзирать и наказывать, Рождение тюрьмы, М., 1999.
4. Вопросы социологии, М., 1994, №5
5. Boudon R.-L' idéologie ou l' origine des idées reçues. Paris. 1992.

**THE ROLE OF IDEOLOGY IN SOCIAL COMMUNICATIONS**  
**Tea Topchishvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invated Lecturer**  
**RESUME**

A social actor is often so interested in scientific or another theory as to help an individual to determine better the bounds of his role, reasons, which he tries to achieve, as well as those means that are required for those tasks achievement. Though an individual seldom perceives those theories as a white box, that is a unity of transparent considerations. An idea or a theory may become imposing then when it gains attention of a social group. This benevolence is often the result of the fact that there exists conformity between the data of characterizing dispositions and the role of the theory and this group. When the theory is shared by one or several specific groups and when it is examined by this group as a black box, it often reveals that their conclusions are simplified, strained. The article examines the matter how the scientific theories originate false ideas and why those false ideas are easily accepted. Individual's interest towards this or that theory often is not conditioned on his scientific value. Intellectual product, which bears scientific status at the discoverer's level, acquires the form of myth already at the user's level. Person's confusion of the scientific status of the theory with the utility of this theory is one of the sources of ideology origination.

**უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემენისას ყოფილი და ახალი მესაკუთრის  
ინტერესთა კონფლიქტი**

**ქეთევან კვინიკაძე, ახალი უმაღლესი სასწავლებელი, იურისტი**

სამოქალაქო ბრუნვა უნდა ხორციელდებოდეს კეთილსინდისიერების საწყისებზე. ბრუნვაში კეთილსინდისიერად მონაწილე ნებისმიერ პირს აქვს მოლოდინი, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში მისი სახელშეკრულებო კონტრაქტის კეთილსინდისიერების პრინციპით ხელმძღვანელობს. „აღნიშნული პრინციპის სამოქალაქო სამართლის ძირითად პრინციპად აღიარებამ სახელშეკრულებო ურთიერთობებში კონსტიტუციური ღირებულებების უკეთესი დაცვის წინაპირობები შექმნა“<sup>1</sup>. თუმცა, მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები, როცა სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი მონაწილე არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდება, რის გამოც მეორე მონაწილის უფლებრივი მდგომარეობა ეჭვქვეშ დგება. რა ხდება მაშინ, თუკი პირი მოახერხებს გაყალბებული დოკუმენტებით არარსებული უფლების რეგისტრაციას და შემდგომ ნამდვილი მესაკუთრის სტატუსით ამ ნივთის მესამე პირზე გასხვისებას, რომელი მხარის ინტერესებია ამ დროს უპირატესი - თავდაპირველი მესაკუთრის თუ შემმენის? ასეთი შემთხვევები „წარმოშობს კონფლიქტს, რომლის გადაწყვეტაც, მართალია, შეუძლია მართლწესრიგს, მაგრამ, ისე, რომ ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე ყოველთვის ზიანდება“<sup>2</sup>. როცა მესაკუთრე მისი ნების საწინააღმდეგოდ კარგავს ნივთზე საკუთრების უფლებას, ამ უფლების დაბრუნების შესაძლებლობა მთლიანად არის დამოკიდებული ნივთის კატეგორიასა და შემმენის კეთილსინდისიერებაზე, რაც „პიროვნების მიერ მისგან დამოუკიდებელი ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა-არცოდნასთანაა დაკავშირებული“<sup>3</sup>.

სამოქალაქო კოდექსი ნივთების კატეგორიის მიხედვით, შემმენის ინტერესების დაცვის განსხვავებულ სტანდარტს ადგენს. მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის გზების განსხვავებული მოწესრიგება თავიდანვე განსაზღვრავს ამგვარი ნივთების შემმენის ინტერესების განსხვავებულად დაცვის აუცილებლობას. მოძრავი ნივთების შემთხვევაში სკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ასეთი კატეგორიის ნივთებზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ ეს გადაცემა ნამდვილი უფლების საფუძველზე მოხდეს. მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით არ არის დადგენილი საკუთრების უფლების რეგისტრაციის სავალდებულობა,

<sup>1</sup> Kull Irene, Principle of Good Faith and Constitutional Values in Contract Law, JURIDICIA INTERNATIONAL VII/2012, 148  
წყარო: [http://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji\\_2002\\_1\\_142.pdf](http://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji_2002_1_142.pdf)

<sup>2</sup> Prütting Hanns, Sachenrecht, 34 Auflage, Verlag C.H. Beck München, 2010, 80.

<sup>3</sup> ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი?, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №1, 2007, 48; იხ. ციტირება: Zeller, Treu und Glauben und Rechtsmissbrauchsverbot, schutthess, Zürich 1981, 252; Meyer Rudel, der GEDANKE DER BONA FIDES, EINE Rechtsvergleichende Untersuchung anhand des deutschen und italienischen Vertragsrechts, Münster, Univ. Diss., 2005, 35.

შესაბამისად, უფრო მარტივია ამ კატეგორიის ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა და შექმნა. მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით მოქმედებს ვარაუდი, რომ ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრეა. ასეთი კატეგორიის ნივთებზე „მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის არსებობას ხსნის სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების ცდა, შემძენი ნაკლებად უნდა იყოს დატვირთული გამსესხებლის ტიტულის შემოწმებით, ხოლო მესაკუთრემ უნდა გამოავლინოს მაქსიმალური ყურადღება საკუთარი ქონებისა და კონტრაქტების მიმართ“<sup>1</sup>. უძრავი ნივთების შემთხვევაში, კი სკ-ის 183-ე მუხლი საკუთრების უფლების წარმოშობისათვის გარიგების წერილობითი ფორმით დადებასთან ერთად, შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულობას ითვალისწინებს. „საჯარო რეესტრი არის რეესტრი ფუნქციით, ასახოს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე მხარეთა უფლებები. როგორც მფლობელობის ფაქტი მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით საკმარისია საკუთრების უფლების ვარაუდისათვის, ასევე საჯარო რეესტრიც უძრავ ნივთებთან მიმართებით“<sup>2</sup>, რომლის ძირითადი მნიშვნელობაც უფლებების მტკიცებაში მდგომარეობს“<sup>3</sup>.

უძრავ ნივთზე საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნისას თავდაპირველი მესაკუთრისა და შემძენის ინტერესთა კონფლიქტი გამოიხატება იმაში, რომ საკუთრების უფლებაზე პრეტენზიის მქონედ გვევლინება ორი პირი - თავდაპირველი მესაკუთრე და შემძენი. ორივე მათგანი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეა და, შესაბამისად, სამოქალაქოსამართლებრივი რისკების თანაბრად მატარებელიც. სამოქალაქო ბრუნვა არასოდესაა დაზღვეული რისკებისგან. კანონმდებლის მიზანია შექმნას მაქსიმალურად უსაფრთხო გარემო ბრუნვის მონაწილეთა მიერ უფლებების განხორციელებისათვის.

არაუფლებამოსილი პირის მიერ უძრავი ნივთის გასხვისების დროს, როცა შემძენი კეთილსინდისიერია, კანონმდებელი დგება არჩევანის წინაშე - „დაიცვას შემძენი და, ამ გზით, მთლიანად სამოქალაქო ბრუნვა“<sup>4</sup> თუ უარი თქვას მის დაცვაზე და უპირატესობა თავდაპირველ მესაკუთრეს მიანიჭოს, „რომლის ზურგსუკან დადებულმა გარიგებამაც მას საკუთრების უფლება წაართვა“<sup>5</sup>. ამ ორ გადაწყვეტას შორის თითოეულ მართლწესრიგს აქვს არჩევანი<sup>6</sup>. ქართულმა სამართალმა, მსგავსად გერმანული სამართლისა, არჩევანი კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ გააკეთა. მან ერთმანეთისაგან გამიჯნა მოძრავი და უძრავი ნივთების შექმნისა და შემძენის ინტერესების დაცვის პირობები და ამით გარკვეული სიმყარე შეიტანა უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში.

შემძენის ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება, სამოქალაქო-სამართლებრივი რისკების ფონზე, სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილე კეთილსინდისიერი მხარის ინტერესების დაცვის აუცილებლობით არის გამოწვეული. ასევე მნიშვნელოვანია, სამოქალაქო ბრუნვის სატაბილურობისა და სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, რომლის საფუძველსაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილე პირთა უფლებების ეფექტური დაცვა წარმოადგენს. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, შემძენის ინტერესების დაუცველობა ეჭვქვეშ დააყენებს საჯარო რეესტრის კანონისმიერ პრეზუმფციას, რაც, შედეგად მოგვცემს იმას, რომ უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ურთიერთობები არამყარია და მოუწესრიგებელი გახდება. „რეალურად მყარი სამოქალაქო ბრუნვის გარეშე საკუთრების უფლება ვერ განახორციელებს თავისი შინაარსის რეალიზებას, დაიკარგება რა მისი მშვიდ გარემოში გასხვისებისადა შემძენის საშუალება“<sup>7</sup>.

ნივთები იცვლიან მესაკუთრეებს და რაც უფრო ღირებულია ეს ნივთები, მით უფრო მაღალია ინტერესი იმისა, რომ დადგინდეს ამ ნივთების ნამდვილი მესაკუთრის ვინაობა<sup>8</sup>. პირი, რომელიც ბრუნვის კეთილსინდისიერი მონაწილეა, ყველანაირად უნდა იყოს დაცული იმ უარყოფითი შედეგებისაგან, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დგება. მოძრავი ნივთი შესაძლებელია ნებისმიერმა პირმა დაკარგოს ან მოჰპარონ, შესაბამისად, მესაკუთრის უფლება - დაიბრუნოს ნივთი, რომელიც მისი ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან, გარანტირებულია. უძრავი ნივთების დროს ნივთზე საკუთრების უფლების მქონე სუბიექტის ვინაობა საჯაროა ასეთი უფლების რეგისტრაციაუნარიანობის გამო. მესაკუთრეს არ სჭირდება ნივთის უშუალო

<sup>1</sup> ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013, 195; იხ. ციტირება: Смирных А. Г. Защита интересов добросовестного приобретателя, ж. “Журнал российского права”, №11, 2001, 93.

<sup>2</sup> Vieweg, Werner, Sachenrecht, 3. Auflage, Carl Heymanns Verlag, 2007, 440; იხ. ციტირება: BGHZ 80, 126 (128); Demharter, Einl. Rdnr. 1; Kollhossler, JA 1984, 558 (559).

<sup>3</sup> Vieweg, Werner, Sachenrecht, 3. Auflage, Carl Heymanns Verlag, 2007, 443; იხ. ციტირება: Shöner/Stöber, Rdnr. 336.

<sup>4</sup> PrüttingHanns, Sachenrecht, 34. Auflage, Verlag C. H. Beck München, 2010, 80.

<sup>5</sup> PrüttingHanns, Sachenrecht, 34. Auflage, Verlag C. H. Beck München, 2010, 80.

<sup>6</sup> PrüttingHanns, Sachenrecht, 34. Auflage, Verlag C. H. Beck München, 2010, 80.

<sup>7</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 100.

<sup>8</sup> PrüttingHanns, Sachenrecht, 34. Auflage, Verlag C. H. Beck München, 2010, 50.

მფლობელობის ფაქტი იმისათვის, რომ შემძენს მისი მესაკუთრეობა დააჯეროს. უფრო მეტიც, „მართლწესრიგი მიწის ნაკვეთების გასხვისების დროს მფლობელობის ფაქტს ვერ დაეყრდნობა“<sup>1</sup>. უძრავ ნივთებთან დაკავშირებით არსებობს საჯარო რეესტრი, რომლის ჩანაწერიც პირს არწმუნებს იმაში, რომ მას შეუძლია ენდოს მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული მონაცემების ნამდვილობას.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენისა და დაკარგვის პირობებს, რომლის მიხედვითაც, უფლებრივი მდგომარეობის ცვლილება, ნებისმიერ შემთხვევაში, მესაკუთრის მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე ხდება. მესაკუთრე უფლებამოსილია განკარგოს საკუთრება მისი ნების შესაბამისად. მესაკუთრე უფლებამოსილია, მოექცეს ქონებას თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, იგი ამ ქონების ბედს განაგებს მასზე მესამე პირების ზემოქმედების გამორიცხვის თვალსაზრისითაც<sup>2</sup>. სწორედ ამით განსხვავდება საკუთრების უფლება სხვა სანივთო უფლებებისაგან<sup>3</sup>. მაშინ, როცა მესაკუთრე ნივთზე უფლებას ნების გამოვლენის გარეშე კარგავს, მისი ინტერესების დაცვის ერთადერთ საშუალებას არამართლზომიერი გამსხვისებლისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მესაკუთრეს აქვს უფლება სასამართლო წესით ამტკიცოს შემძენის არაკეთილსინდისიერება, თუმცა მიიჩნევს თუ არა სასამართლო პირს ასეთად, ეს შეფასების საკითხია. არამართლზომიერი გამსხვისებლისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ყველაზე რეალურია, რომელიც შესაძლოა ბოლომდე ვერა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფდეს მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაძლოა მესაკუთრემ ვერ შეძლოს გამსხვისებლისაგან თანხის მიღება. რამდენად არის გარანტირებული მიყენებული ზიანის სრული კომპენსაცია, ეს უკვე ცალკე საკითხია. მატერიალური საკითხის გარდა გასათვალისწინებელია, აგრეთვე, სუბიექტური მომენტებიც. შესაძლებელიც რომ იყოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება, საკითხავია რამდენად სამართლიანი იქნება იგი მესაკუთრისათვის, რომელიც საკუთრების უფლებას კარგავს სახლზე, რომელსაც მისთვის შესაძლოა განსაკუთრებული ღირებულება ჰქონდეს. რამდენად სამართლიანია საკითხის ასეთი რეგულირება? „სამართლის ზოგადი ნორმები ემსახურებიან სამართლებრივ უსაფრთხოებას და სამართლიანობას. ზოგიერთ შემთხვევაში, რამდენადაც ისინი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებს საკმარისად არ ითვალისწინებენ, შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოვიდნენ ცალკეული (კონკრეტული) შემთხვევის სამართლიანობასთან“<sup>4</sup>, თუმცა „სამართლიანობის მიღწევის გარდა სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება“<sup>5</sup>.

იმ დროს, როცა უძრავი ნივთის შეძენა არამართლზომიერი გამსხვისებლისაგან ხდება, უფლების შენარჩუნების კუთხით, შემძენის კეთილსინდისიერების ფაქტი გადაწყვეტ როლს თამაშობს. კანონმდებელმა ერთმანეთისაგან გამიჯნა მოძრავ და უძრავ ნივთებთან დაკავშირებით შეძენის კეთილსინდისიერების კრიტერიუმები და მისი შედეგები. კეთილსინდისიერების ფაქტს ნივთების შეძენის დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ შეძენის კეთილსინდისიერება განსაზღვრავს იმას, თუ ვის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს კონფლიქტი. ქართულმა სამართალმა მსგავსად გერმანული სამართლისა, ნივთთა კატეგორიაში სხვაობა საფუძველად დაუდო მათზე უფლების წარმოშობის განსხვავებულად მოწესრიგებას. მოძრავი და უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენის განსხვავებული მოწესრიგების აუცილებლობასთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება გააკეთა სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც თანასწორი მოპყრობის პრინციპზე დაყრდნობით, უფლებელყო კანონმდებლის ნება მოწესრიგებინა ნივთებზე უფლების წარმოშობა ამ ნივთთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე. პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად ფაქტს - ნივთზე ნების საწინააღმდეგოდ უფლების დაკარგვას, რა დროსაც მესაკუთრის ინტერესების დაცვა ისევე უნდა მოხდეს, როგორც ეს მოძრავი ნივთების შემთხვევაში გვაქვს. სასამართლომ სკ-ის 185-ე და 187-ე მუხლი მე-2 ნაწილის სინთეზური განმარტების შედეგად, თავდაპირველი მესაკუთრის ინტერესების პრიორიტეტულობა დაადგინა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია მოქმედებს მხოლოდ ნამდვილი, კანონიერ საფუძველზე

<sup>1</sup> PrüttingHanns, Sachenrecht, 34. Auflage, Verlag C. H. Beck München, 2010, 50.

<sup>2</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 220.

<sup>3</sup> KnieperRolf, ChanturiaLado, SchrammHans-Joachim, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralazien, BWV. BERLINER WISSENSCHAFTS-VERLAG, 2010, 259; იხ. ციტირება: Soergel/Bauer, 2002, BGB, §903, Rz.5.

<sup>4</sup> ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, 2; იხ. ციტირება: Zippelius, 2003, §24.

<sup>5</sup> ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, 12.

წარმოშობილი უფლებების მიმართ ანუ მაშინ, როცა რეესტრში არსებობს ჩანაწერი ნამდვილი უფლების შესახებ<sup>1</sup>.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განმარტებით, ფაქტობრივად, ყურადღების მიღმა დატოვა კანონმდებლის ნება, რომელიც მან უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოავლინა. შექმნილი მდგომარეობა სასამართლომ „არსებითად ერთნაირის თანაბრად და არსობრივად განსხვავებულის არათანაბრად მოპყრობის პრინციპით“ შეაფასა და ნივთთა კატეგორიებს შორის სხვაობა სამართლებრივად რელევანტურად არ მიიჩნია. არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს მსჯელობა სკ-ის 312-ე მუხლთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია მხოლოდ ნამდვილი, კანონიერ საფუძველზე წარმოშობილი უფლებების მიმართ მოქმედებს. რეესტრის კანონისმიერი პრეზუმფცია სწორედ იმას გულისხმობს, რომ ჩანაწერის უსწორობის მიუხედავად, იგი ითვლება სწორად, რამეთუ პრეზუმფციაც სხვა არაფერია თუ არა ვარაუდისა იმისა, რომ რეესტრის ჩანაწერი სწორია შემძენისათვის, თუნდაც იგი დანაშაულებრივი გზით იყოს განხორციელებული, თუკი მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემძენს რეესტრის მონაცემების ნამდვილობის შემოწმების ტვირთი დაეკისრება, რაც გაუმართლებელია. მართალია, სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე მხარეები გარკვეული სამართლებრივი რისკის მატარებლები ხდებიან, მაგრამ პრობლემური საკითხისადმი განსხვავებული მიდგომის შემთხვევაში, ეს ტვირთი გაუმართლებლად მძიმე იქნება ერთი მხარისათვის, რამეთუ ყოველთვის საეჭვო იქნება გამსხვისებლის საკუთრების უფლება ნივთზე. სკ-ის 185-ე და 187-ე მუხლების სინთეზური განმარტება არ იქნება სწორი მიდგომა საკითხისადმი, რადგან, ასეთ შემთხვევაში, წაიშლება ზღვარი უძრავ და მოძრავ ნივთებზე შემძენის კეთილსინდისიერების დასადგენად. კანონმდებელმა სკ-ის 185-ე და 187-ე მუხლებით, ნივთთა კატეგორიიდან გამომდინარე, გამოიჯნა ერთმანეთისაგან შემძენის დაცვის პირობები და 185-ე და 312-ე მუხლის სინთეზით უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების პრიორიტეტულობა დაადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ შემძენს რჩება ნივთი, მესაკუთრეს კი - უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება არამართლზომიერი გამსხვისებლისაგან. კანონმდებელს სხვა მიზანი რომ ჰქონოდა, მაშინ არ გამოიჯნავდა ერთმანეთისაგან შემძენის ინტერესების დაცვის პირობებს ნივთების კატეგორიის მიხედვით, არამედ დაადგენდა ზოგად დანაწესს 187-ე მუხლის სახით, ნივთთა კატეგორიის მიუხედავად.

სააპელაციო სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებით შემძენი არაკეთილსინდისიერად მიიჩნია იმის გამო, რომ იგი ფლობდა ინფორმაციას რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის მიერ საკუთრების უფლების მოგვიანებით, მისი შეძენიდან ათი თვის შემდეგ, რეგისტრაციის შესახებ. სასამართლოს განმარტებით ასეთი მოცემულობა ეჭვებს გამოიწვევს ნებისმიერ კეთილსინდისიერ და სამართლებრივად მოაზროვნე ადამიანში, რამეთუ უფლების დაურეგისტრირებლობით პირი საფრთხის ქვეშ აგდებს თავის საკუთრებას.

რამდენად შეიძლება პირის საკუთრების უფლების დაურეგისტრირებლობა, თუნდაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შემდგომში მისი გასხვისების დროს შემძენის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის საფუძველი გახდეს? არის შემძენი ვალდებული არკვიოს თუ რატომ არ დაურეგისტრირა მესაკუთრემ ნივთზე საკუთრების უფლება დაუყოვნებლივ? საკმარისია თუ არა შემძენის მიერ ამ ფაქტის ცოდნა იმისათვის, რომ მისი ასეთი ქმედება 185-ე მუხლით დადგენილ „ცოდნის სტანდარტში“ მოვაქციოთ და ამის საფუძველზე არაკეთილსინდისიერად მივიჩნიოთ?

უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, იგი დაეყრდნო შემძენის მხრიდან გამსხვისებლის არამესაკუთრეობის არცოდნის ფაქტს და მხოლოდ საკუთრების უფლების მოგვიანებითი რეგისტრაცია შემძენის არაკეთილსინდისიერად მიჩნევისათვის საკმარის საფუძველად არ ჩათვალა<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება კონსტიტუციითაა აღიარებული და გარანტირებულია, როგორც ვხედავთ, მაინც შესაძლებელია მისი დაკარგვა მესაკუთრის მიერ ნების გამოვლენის გარეშე და ეს ხდება მაშინ როცა ამ ნივთს კეთილსინდისიერად იძენს მესამე პირი. კეთილსინდისიერება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტის შეფასების საკითხია. შემძენის მხრიდან კეთილსინდისიერების პრინციპის უგულვებლყოფა, რომელიც აღიარებულია, როგორც „სამეფო ნორმა“, „სუპერნორმა“, რომლის მიზანიც მთელი სამართლის მორალიზაციაა<sup>3</sup>, შედეგად იწვევს იმას, რომ შემძენი ვერ გახდება შეძენილი ნივთის მესაკუთრე და რომ ამ სტატუსის მატარებელი ისევ თავდაპირველი

<sup>1</sup> იხ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება №28/1232-12.

<sup>2</sup> იხ: სუსგ, №ას-189-182-2013, 2014 წ. 16 იანვარი.

<sup>3</sup> იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, 12, წყარო: [www.library.court.ge](http://www.library.court.ge)

მესაკუთრე იქნება. ქართული სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა კეთილსინდისიერების პრინციპის დეფინიციას. „კეთილსინდისიერების პრინციპი მეტწილად მორალურ სტანდარტებთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ იგი თავად არის მორალური სტანდარტი, ეთიკურ-სამართლებრივი პრინციპი“<sup>1</sup>. „კეთილსინდისიერების პრინციპი - ეს არის კარიბჭე, რომლის გავლითაც მორალური ღირებულებები სამართლად იქცევა“<sup>2</sup>. კეთილსინდისიერება ის კატეგორიაა, რომლის შეფასებაც სასამართლოს მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით ხდება. მაგალითად, „ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა პირის კეთილსინდისიერება იმის გამო, რომ როგორც კასატორი უთითებდა - ბინის შემძენი იყო ყოფილი მესაკუთრის კარის მეზობელი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოსათვის ძნელად სარწმუნო იყო გაჩემობა, რომ შემძენს არ სცოდნოდა მის მეზობლად მდებარე სახლის ნაკლის არსებობა - არარსებობის თაობაზე. უკიდურეს შემთხვევაში, მას მცდელობა მაინც უნდა ჰქონოდა, შეეტყო მეზობლისგან ყველა გაჩემობა, რაც დაკავშირებული იყო ბინის ავკარგაიანობასთან“<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილია სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლისა და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით. მოსარჩელე მხარის აზრით, საკითხის კოდექსისეული რეგულირება წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციით აღიარებულ და განმტკიცებულ საკუთრების უფლებასთან. აშკარაა, რომ საკუთრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა ნამდვილად ხდება. ერთმანეთს ორი საკუთრების უფლება უპირისპირდება და რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება მეორე მხარის უფლებრივი მდგომარეობის საუარესოდ შეცვლას იწვევს. ერთ მხარეს დგას მესაკუთრის ინტერესი, მეორე მხარეს - შემძენის და მასთან ერთად მთელი სამოქალაქო ბრუნვის. არჩევანის გაკეთება რთულია, მაგრამ აუცილებელი. „სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერი იმის მოლოდინი, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანი იქნება“<sup>4</sup>. ასეთ დროს უნდა გადაწყდეს, თუ ვისმა უფლებამ უნდა „გაიმარჯვოს“. წარმოდგენილ შემთხვევაში, კანონმდებლის ლეგიტიმური მიზანია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნება და მიზნის მისაღწევად არჩეული გზა - კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება, ამ მიზნის მიღწევის თანაზომიერ საშუალებას წარმოადგენს.

უცხო არაა შემთხვევები, როცა მესაკუთრე ნივთზე საკუთრების უფლებას მისი ნების საწინააღმდეგოდ კარგავს. მოძრავი ნივთებისაგან განსხვავებით, უძრავი ნივთების დროს საკუთრების უფლების დაბრუნების შესაძლებლობა არ არის დამოკიდებული იმაზე, ფიგურირებდა თუ არა მესაკუთრის ნება მის საკუთრებაში არსებული ნივთის გასხვისებაში. უძრავ ნივთებთან დაკავშირებით არსებობს საჯარო რეესტრი, რომლის სასარგებლოდაც მოქმედი უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია მასში დაცულ მონაცემებს ბრუნვის მონაწილეთათვის, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ნამდვილად აქცევს. სწორედ მარეგისტრირებული ორგანოს მონაცემთა კანონისმიერი პრეზუმფციის შედეგია ის, რომ ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს მინიჭა უპირატესობა და, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის საფუძვლით, უარი უთხრა მესაკუთრეს ნების გარეშე დაკარგული უფლების დაბრუნებაზე.

შემძენის ინტერესები, როცა მისი კეთილსინდისიერება სადავო არ არის, დაცვის ღირს უკეთეს სიკეთეს წარმოადგენს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრის ინტერესები ნაკლებად ღირებულია, უბრალოდ, ამ შემთხვევაში, კეთილსინდისიერი შემძენის უკან დგას მთელი სამოქალაქო ბრუნვა. სწორედ ეს განაპირობებს მისი ინტერესების უპირატესი დაცვის აუცილებლობას. ერთი შეხედვით, შესაძლოა საკითხის ასე გადაწყვეტა არ ჩანდეს სამართლიანი, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, „სამართლებრივი უსაფრთხოება რომ შეინარჩუნო, ერთეული სამართლიანობა უნდა უარყო. ეს შემთხვევა, უხეშად რომ ვთქვათ, ჰგავს სამართლიანობისათვის მსხვერპლშეწირვას. მსხვერპლისთვის ეს ვერ იქნება სამართლიანი“<sup>5</sup>. თუმცა სამართალი ამას ისევ სამართლიანობის სამსახურისათვის აკეთებს“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> იქვე, 32.

<sup>2</sup> იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმეკრულებო სამართალში, 12, წყარო: [www.library.court.ge.ub](http://www.library.court.ge.ub). ციტირება: Hesselink, Good Faith, Towards a European Civil Code, 2.ed., The Hague/London/Boston (Kluwer Law International), 1998, 288.

<sup>3</sup> ზარანდია თ., უძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შემძენი არაუფლებამოსილი გამსხვისებლისაგან ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, 65 წყარო: [www.papers.ssm.com.ub](http://www.papers.ssm.com.ub). სუსგ. №ას-1026-1219-08, 2009 წლის 3 ივლისი.

<sup>4</sup> ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 266.

<sup>5</sup> ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, თბილისი, 2013, 217-218.

<sup>6</sup> იქვე, 218.



დასკვნის სახით შესაძლოა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი, გონივრული დაბალანსების პირობებში, არჩევანს აკეთებს თავდაპირველი მესაკუთრისა და შემძენის ინტერესებს და მასთან ერთად მთელი სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებს შორის. ნებისმიერი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა მზად უნდა იყოს, დაარეგულიროს საკითხები, რომლებიც არასწორად განვითარებული სამართლებრივი ურთიერთობის შედეგია. „სამართალს ნებისმიერი შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრა უნდა შეეძლოს“<sup>1</sup>. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე უნდა იყოს კეთილსინდისიერი, თუმცა სამართალმა ბრუნვის არაკეთილსინდისიერი მონაწილის ქმედებათა შესაძლო შედეგების მარეგულირებელი ნორმებიც უნდა შემოგვთავაზოს. განსახილველ პრობლემურ შემთხვევაში, რომელიმე მხარის უფლებრივი მდგომარეობის არასასურველი ცვლილება გარდაუვალია. ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა არჩევანი შემძენის სასარგებლოდ გააკეთა და, ნივთის კეთილსინდისიერი შემძენისას, შემძენის ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭებით, სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე-სტაბილურობა დაიცვა. მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრეს არანაკლები ნდობა გააჩნია საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ, კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები, სამოქალაქო-სამართლებრივი რისკების ფონზე დაცვის ღირს უკეთეს სიკეთედ უნდა მივიჩნიოთ.

## **CONFLICT OF INTERESTS BETWEEN THE FORMER AND THE NEW OWNER WHILE THE PURCHASING OF REAL ESTATE PROPERTY IN GOOD FAITH**

**Ketevan Kvinikadze, New Higher Education Institute, Lawyer  
RESUME**

The present work deals with such Case, when the Owner of the Property lose it against his will. If a person manage to registrate a non-existent Right through the forged documents and then transfer it to a third Party with the status of Owner, then which of the interests are predominant- the interests of the former Owner or the interests of the new one? The study due to the fact is urgent because of the Constitutional suit against the article 185 and 312 of the Civil Code towards the article of 21 of Constitution. The Work presents, that the interests of the new Owner is the better interest, which is worth to be protected.

### **ძარცვის ცნება და შემადგენლობა**

**მალხაზ ლომსაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი**

#### **ძარცვის ობიექტური შემადგენლობა**

ძარცვა თავისი მნიშვნელობით მეტად საშიში დანაშაულია. იგი გამოიხატება სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებაში. ძარცვის ობიექტური მხარე წარმოდგენილია შემდეგი ელემენტებით: ა) ქმედების ობიექტი; გ) ქმედება და შედეგი; დ) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; ე) ქმედების ობიექტური შემადგენლობის სხვა ელემენტები.

ქმედების ობიექტი ეს არის ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც იცავს სისხლის სამართლის კოდექსი. ობიექტი ყოველთვის განიცდის ზიანს ან დგას ასეთი ზიანის მიყენების საფრთხის წინაშე სუბიექტის ქმედების მეშვეობით. ქმედების ცნების ქვეშ უნდა გავიგოთ მოქმედება და უმოქმედობა, ასევე მომზადება და მცდელობა.

ცოცხალი პირი არ შეიძლება იყოს ქმედების ობიექტი. იგი დაზარალებულია თუ მას ქმედების შედეგად მიადგა ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ხასიათის ზიანი. ე.ი. ფიზიკურ პირს შეიძლება მიადგეს მხოლოდ ჩვენს მიერ დასახელებული ხასიათის ზიანი. საერთოდ, ქმედების შედეგად ზიანს განიცდის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კერძო ინტერესები.

ძარცვის დროს ზიანს განიცდის დაზარალებული პირის საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე. აუცილებელია აქვე გავმიჯნოთ ერთიმეორისაგან ქმედების ობიექტი და საგანი.

<sup>1</sup> ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010, 7. იხ. ციტირება: კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 10.

საგანს უწოდებენ ისეთ ფიზიკურ საგანს, რომელზე ზემოქმედებითაც სუბიექტი ხელყოფს ობიექტს. მარცვის შემთხვევაში ასეთი საგანი არის მოძრავი ნივთი. იგი შეიძლება იყოს: ფული, ძვირფასი ნივთები, ხელჩანთა, ფიჭური ტელეფონი და სხვა.

ობიექტსა და საგანს შორის არსებობს შემდეგი განსხვავება:

1) ობიექტი ყოველი დანაშაულის აუცილებელი ელემენტია, საგანი კი არ არის ყოველთვის ქმედების (დანაშაულის) დამახასიათებელი ნიშანი;

2) ქმედების (დანაშაულის) ჩადენისას ობიექტი ყოველთვის განიცდის ვნებას, ხოლო საგანი უვნებელი რჩება ხშირად.

ამრიგად, მარცვის ობიექტს წარმოადგენს დაზარალებული პირის საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე, ხოლო საგანს – მოძრავი ნივთი, რომელსაც აშკარად ეუფლება სუბიექტი.

ტერმინი ქმედება გულისხმობს როგორც მოქმედებას, ისე უმოქმედობას. ადამიანის სოციალური ცხოვრების აქტიურ ფორმაში გამოვლენას ეწოდება მოქმედება, ხოლო პასიურობას – უმოქმედობა.

მარცვის ჩადენა შეიძლება მხოლოდ აქტიური მოქმედებით. ამაზე თვითონ კანონის შინაარსი მიუთითებს, „...სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება...“ უმოქმედობით შეუძლებელია, ვინაიდან ეს ნივთი იმყოფება სხვა პირის მართლზომიერ ან არამართლზომიერ მფლობელობაში და გადადის სუბიექტის მფლობელობაში.

ამრიგად, მარცვის ჩადენა შეიძლება მხოლოდ მოქმედებით, უმოქმედობით მისი ჩადენა გამორიცხებულია.

ყოველგვარ ქმედებას მოჰყვება გარკვეული შედეგი. შედეგი რეალურ სამყაროში მომხდარი ფაქტია. შედეგი არსებობს ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. შედეგი ფართო მნიშვნელობით ეს ქმედების შედეგად გარე სამყაროში მომხდარი ფაქტია. ვიწრო მნიშვნელობით შედეგი გვაქვს მაშინ, როდესაც ქმედება გამოიწვევს კანონში მითითებულ შედეგს. შედეგის გათვალისწინებით განასხვავებენ: ა) ე.წ. შედეგიან დანაშაულებს, ე.ი. ისეთ დანაშაულებს, რომლის შემადგენლობა ითვალისწინებს გარკვეული ობიექტის რეალურად დაზიანებას; ბ) ე.წ. კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, რომლებშიც ქმედების დამთავრების მომენტი გადატანილია უფრო ადრინდელ საფეხურზე, როდესაც შექმნილია გარკვეული ობიექტის დაზიანების რეალური შესაძლებლობა; გ) ე.წ. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს, ე.ი. როდესაც დანაშაული დამთავრებულია ქმედების ჩადენისთანავე ან – უმოქმედობის დროს, იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შეჩერებულიყო.

მარცვა არის შედეგიანი დანაშაული, ე.ი. დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც სუბიექტი დაზარალებულის მოძრავ ნივთს დაეუფლება, ე.ი. ამოიღებს მისი მფლობელობიდან გადაიტანს საკუთარ მართლსაწინააღმდეგო მფლობელობაში.

მარცვის დროს აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ჩადენილ ქმედებასა და შედეგს შორის. სუბიექტის მოქმედება არის მოძრავი ნივთის დაუფლების აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც აძვირად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა.

როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, მთელ რიგ შემთხვევებში ქმედების ობიექტური შემადგენლობის ელემენტებია ადგილი, დრო, ხერხი, საშუალება და ვითარება. ამ ელემენტებს ფაკულტატურსაც უწოდებენ, „რადგან ისინი შეაქვთ მხოლოდ ზოგიერთი ქმედების შემადგენლობაში, სხვა დანარჩენისათვის კი არ ითვლება აუცილებელ ნიშნად.“<sup>1</sup>

ქმედების ჩადენის ადგილის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვისას. მაგალითად, თუ მარცვა ჩადენილია საომარი მოქმედების ზონაში, ქმედება კვალიფიცირდება არა კოდექსის 178-ე მუხლით, არამედ კოდექსის 413-ე მუხლი „ა“ ქვეპუნქტით (მაროდიორობა.) ასევე ითქმის ქმედების ჩადენის დროზეც. თუ მარცვა ჩადენილია საომარი მოქმედების დროს – კვალიფიკაცია ხდება მაროდიორობით.

ქმედების კვალიფიკაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ჩადენის ხერხს. მაგალითად, მოძრავ ნივთს თუ რა ხერხის გამოყენებით ეუფლება ადამიანი, შესაბამისად ქმედების კვალიფიკაცია ხდება შემდეგნაირად – თუ გამოიყენება დაუფლებისას ფარული ხერხი ქურდობად, აშკარა ხერხი – მარცვად, მოტყუებით – თაღლითობად და ა.შ.

სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებულია აზრი, რომ დანაშაულის სუბიექტი არის ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან. „დანაშაულის სუბიექტია ის ფიზიკური პირი, – აღნიშნავს ბ. ფურცხვანიძე, – რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და ამისათვის პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის წესით.“<sup>2</sup> მეცნიერთა უმრავლესობა სუბიექტად მიიჩნევდა ადამიანს, რომელიც კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული და შერაცხვისუნარიანია. ა. პიონტოვსკი წერდა, „დანაშაულის სუბიექტია მხოლოდ

<sup>1</sup> ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971, გვ. 106.

<sup>2</sup> ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971, გვ. 109;

შერაცხვისუნარიანი ფიზიკური პირი, რომელმაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწია. მცირეწლოვანი არ შეიძლება იყოს დანაშაულის სუბიექტი.<sup>1</sup>

შემოთავაზებული დებულებები კრიტიკას ვერ უძლებენ. თითქმის ყველა მეცნიერი შეურაცხაობას განიხილავს, როგორც ფსიქიკურ დაავადებას. არადა, შეურაცხვისუნარიანობა შეიძლება გამოწვეული იყოს მდგომარეობით (ასაკი და ფსიქიკური დაავადება). სუბიექტის პრობლემა წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც დგება საკითხი: ვინ აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით. დანაშაულის სუბიექტის განმარტებაზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა ო. გამყრელიძე. იგი განიხილავს რა სუბიექტის პრობლემას, მიდის დასკვნამდე, რომ „...საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს დანაშაულის სუბიექტი, მთავრდება იქ, სადაც გადაწყდება, რომ ეს არის ადამიანი. ის ფაქტი, მიღწეულია თუ არა ადამიანი შესაბამის ასაკს, დაავადებულია თუ არა ფსიქიკურად და სხვა, დანაშაულის სუბიექტთან არავითარ კავშირში არ არის.“<sup>2</sup>

ვერ დავეთანხმებით ო. გამყრელიძეს მოცემულ განმარტებაში შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯერ ერთი, ქმედების სუბიექტისა და დანაშაულის სუბიექტის ცნებები იდენტური არ არის. თუ პირმა ჩაიდინა ქმედება ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. დანაშაულის ჩადენა უნდა დამტკიცდეს სასამართლოს დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენით. ქმედების ჩადენა შეუძლია შეურაცხვისუნარო და შეურაცხვისუნარიან პირსაც.

მეორეც, ქმედების სუბიექტს შეიძლება უმართლობის ჩადენა სასამართლომ საერთოდ არ შეარაცხოს ბრალად, თუ ბრალი არ გვექნება სახეზე, ფაქტობრივად დაგვრჩება უმართლობა ბრალის გარეშე, ხოლო თუ ქმედების სუბიექტს ბრალად არ შეურაცხება უმართლობის ჩადენა, იგი ბოლომდე, საქმის წარმოების დამთავრების შემდეგაც კი რჩება ქმედების სუბიექტად. ასეთი პირი დანაშაულის სუბიექტად იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო ბრალად შეარაცხავს მას ჩადენილ უმართლობას.

ამრიგად, ქმედების სუბიექტია ნებისმიერი პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში აღწერილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ხოლო დანაშაულის სუბიექტია პირი, რომელსაც სასამართლომ ბრალად შეარაცხა ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში აღწერილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება (უმართლობა).

თუ ადამიანი დანაშაულის ჩასადენად იყენებს „ცოცხალ იარაღს“, ასეთ შემთხვევაში „ცოცხალი იარაღი“ იქნება ქმედების სუბიექტი, მაგრამ არ იქნება დანაშაულის სუბიექტი. თუ მოცემულ დებულებას გავავრცელებთ მარცვაზე, მივიღებთ შემდეგი შინაარსის ცნებას: მარცვის სუბიექტია ის, ვინც სასამართლოს მიერ ბრალად შეურაცხება მისი ჩადენა.

დანაშაული სუბიექტის ცნება შეიძლება გამოვიყენოთ ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო მნიშვნელობით ამ ცნებაში მოიაზრება: ამსრულებელი, თანამსრულებელი, შუალობითი ამსრულებელი, ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით – მხოლოდ ამსრულებელი.

ქმედების სუბიექტი უფრო ფართო ცნებაა ვიდრე დანაშაულის სუბიექტი, ვინაიდან ქმედების სუბიექტში მოიაზრება, როგორც დანაშაულის სუბიექტები, ასევე შეურაცხვისუნარო და ის შეურაცხვისუნარიანი პირი, რომელსაც ბრალად არ შეურაცხებათ ჩადენილი უმართლობა.

### **მარცვის სუბიექტური შემადგენლობა**

ქმედების შემადგენლობაზე ძალზე მნიშვნელოვანი და პრობლემატური სახეა ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია: ა) განზრახვა და გაუფრთხილებლობა; ბ) მისი სხვა ნიშნები: მოტივი და მიზანი; ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები.

ქმედების უმრავლესობა შეიძლება მხოლოდ განზრახ იქნეს ჩადენილი. განზრახვა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა პირმა მიიღო ნებელობითი გადაწყვეტილება იმოქმედოს. მაგრამ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას იგი მართლმოდენ მაშინ იძენს, როცა პირი შეუდგება მის განხორციელებას. „განზრახ მოქმედებად ითვლება მხოლოდ ისეთი შეგნებული და მიზანდასახული მოქმედება, – აღნიშნავს ვ. მაყაშვილი, – რომელიც უშუალოდ თუ არა უშუალოდ მიმართულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შედეგის მიღწევისაკენ.“<sup>3</sup>

ამრიგად, განზრახვა გულისხმობს ნებელობით გადაწყვეტილებას, რომლის რეალიზაციაც იწვევს კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული ქმედების შესრულებას და დარღვევას.

<sup>1</sup> Пионтовский А. Курс Советского уголовного права, Ленинград, 1968, стр. 247.

<sup>2</sup> ო. გამყრელიძე, შეურაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002, №3-4, გვ. 16.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 47.

გადაწყვეტილების მიღება განზრახვის აუცილებელი ელემენტია. გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის წინ უსწრებს სუბიექტის მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს სამართლით დაცულ ობიექტს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს. განზრახვა მუდამ მომავლისკენაა მიმართული.

ნებელობითი პროცესები განუყოფელია ინტელექტუალური პროცესებისაგან. განზრახვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ქმედების თვისებებისა და მასთან დაკავშირებული შედეგის გათვალისწინება. ამ წარმოდგენების ხასიათისა და მოცულობის დადგენაზე დამოკიდებული არა მარტო იმ საკითხის გადაწყვეტა, აქვს თუ არა სუბიექტს დანაშაულებრივი განზრახვა, არამედ იმ საკითხისაც, თუ სახელდობრ რა დანაშაულის ჩადენისკენაა მიმართული ეს განზრახვა.

განზრახვის დროს სუბიექტი უნდა ითვალისწინებდეს ყველა იმ ნიშანს, რომელიც ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის. ერთ-ერთი მათგანის გაუთვალისწინებლობაც კი გამორიცხავს ამ ქმედების ჩადენის განზრახვას. თანაც სუბიექტი უნდა ითვალისწინებდეს ქმედების შემადგენლობის არა მარტო ისეთ ნიშნებს, რომლებიც პირდაპირ მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში, არამედ ისეთებსაც, რომელთა დადგენაც კანონის განმარტების მეშვეობით ხდება.

სუბიექტი მხოლოდ მაშინ დაისჯება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქმედების განზრახ განხორციელებისათვის, როდესაც მისი განზრახვა ამ დამამძიმებელ გარემოებებსაც მოიცავს.

თუ ქმედების შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს რაიმე გარემოებების არარსებობა წარმოადგენს, განზრახვისათვის აუცილებელია, რომ სუბიექტს შეგნებული ჰქონდეს ამ გარემოების არსებობა.

განზრახვა გამორიცხული არ არის მაშინ, როცა პირი ფიქრობს, რომ იგი ქმედების ჩადენის მომენტში ფსიქიკურად დაავადებულია, ეს კი სინამდვილეს არ შეესაბამება. მაშინაც კი, როცა სუბიექტის შეცდომას ერთგვარი საფუძველი აქვს, სუბიექტი თავს ვერ გაიმართლებს იმით, რომ მას თავისი თავი ფსიქიკურად დაავადებული ეგონა. ასეთი შეცდომა განზრახვას არ გამორიცხავს. განზრახვისათვის აუცილებელი არ არის აგრეთვე პირმა იცოდეს, რომ მან მიაღწია იმ ასაკს, საიდანაც პასუხისმგებლობა იწყება. ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში გადაწყვეტა მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი ობიექტურად იმყოფებოდა შერაცხად მდგომარეობაში, ანუ შერაცხვისუნარიანი იყო.

განზრახვას მიეკუთვნება წარმოდგენა იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს პირის მოქმედება, ე.ი. რომლებიც წარმოიშობიან განსაზღვრული ნებელობითი გადაწყვეტილების განხორციელებასთან დაკავშირებით. მრავალი ქმედების შემადგენლობისათვის აუცილებელია, სუბიექტი ითვალისწინებდეს მიზეზობრივ კავშირს თავის მოქმედებასა და შედეგს შორის. მაგალითად, ძარცვის განზრახვისათვის სუბიექტი საჭიროა ითვალისწინებდეს, რომ იგი აშკარად ეუფლება მოძრავ ნივთს ამოიღებს სხვისი მფლობელობიდან და გადააქვს თავის მფლობელობაში.

ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის არა მარტო ფაქტობრივი გარემოებანი, არამედ მოქმედების „შეფასებითი“ ნიშნებიც. ასე მაგალითად, სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებისას ქმედების საგანი არის „სხვისი ნივთი“. ნიშანი – „სხვისი“ აღიქმება მხოლოდ გონების თვალთ, ე.ი. აზროვნების გარკვეული ოპერაციის მეშვეობით.

განზრახვის შინაარსი არ ამოიწურება ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, განზრახვისათვის აუცილებელია, პირს გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ეს ნიშანი პირდაპირ მითითებულია განზრახვის ცნების განსაზღვრის დროს.

ყოველ ნორმალურ ადამიანს კარგად ესმის, რომ ძარცვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. ამიტომ არც ერთი სასამართლო ანგარიშს არ გაუწევს სუბიექტის მტკიცებულებას, რომ მას ასეთი ქმედების ჩადენისას, არ ესმოდა მისი მართლსაწინააღმდეგობა.

არსებობს განზრახვის სხვადასხვა სახეები. კოდექსის მე-9 მუხლი განასხვავებს განზრახვის ორ სახეს: პირდაპირს და არაპირდაპირს (ევენტუალურს). განზრახვის ამ ორ უმნიშვნელოვანეს სახეს კანონი განსაზღვრული ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნებით ახასიათებს.

პირდაპირი განზრახვის დროს პირის ნება მიმართულია კანონში გადმოცემული შედეგისაკენ. პირი არა მარტო ითვალისწინებს, არამედ სურს კიდევაც ამ შედეგის დადგომა. შედეგისადმი ასეთი ფსიქიკური დამოკიდებულება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ შედეგის განხორციელება პირის უშუალო მიზანს წარმოადგენს, როდესაც ქმედების ჩადენის მოტივები სწორედ შედეგთანაა დაკავშირებული.

ვინაიდან ძარცვა გამიზნული დელიქტი და სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება სუბიექტის უშუალო მიზანს წარმოადგენს, ამიტომ მისი ჩადენა პირდაპირი განზრახვით შეიძლება.

ახლა გადავხედოთ შეიძლება თუ არა ძარცვის ჩადენა არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით. ევენტუალური განზრახვის დროს შედეგი არ წარმოადგენს არც მოქმედების მიზანს და არც მიზნის განხორციელების საშუალებას. ძარცვის დროს თუ მოცემულ დებულებას გამოვიყენებთ, მივიღებთ შემდეგს: ევენტუალური განზრახვის დროს ნივთის დაუფლება არ წარმოადგენს მისი

მისაკუთრების მიზანს. ეს დებულება ალოგიკურია. ამიტომ მარცვის ჩადენა ევენტუალური განზრახვით გამორიცხულია.

ამრიგად, მარცვა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილია განზრახვის სხვა სახეებიც, და ეს მხედველობაში უნდა მიიღოს სასამართლომ ქმედების სუბიექტური მხარის გამორკვევისას.

განასხვავებენ განსაზღვრულ და განუსაზღვრელ (არაკონკრეტიზირებულ) განზრახვას. პირველ შემთხვევაში სუბიექტს სურს შედეგი, რომელსაც ნათლად და მკაფიოდ ითვალისწინებს. მაგალითად, აშკარად ეუფლება სხვის მოძრავ ნივთს და ითვალისწინებს ამ მოქმედების შედეგს – ამ ნივთის მისაკუთრებას.

ამრიგად, განსაზღვრული განზრახვის დროს შესაძლებელია მარცვის ჩადენა.

განუსაზღვრელი განზრახვის დროს შედეგი სუბიექტის შეგნებაში არ არის კონკრეტიზირებული, ე.ი. სუბიექტი ზუსტად არ ითვალისწინებს მის ხასიათს და მის სიმძიმეს. ასეთი განზრახვით მარცვის ჩადენა შეუძლებელია.

განუსაზღვრელი განზრახვა უნდა განვასხვაოთ ალტერნატიულისაგან, რომლის დროსაც სუბიექტს შეიძლება წარმოდგენილი ჰქონდეს ერთ-ერთი ზუსტად განსაზღვრული შედეგის განხორციელება. ალტერნატიული განზრახვით შესაძლებელია მარცვის ჩადენა.

განასხვავებენ აგრეთვე წინასწარ მოფიქრებულ და უეცრად წარმოშობილ განზრახვას.

წინასწარ მოფიქრებული განზრახვა არსებობს მაშინ, როცა სუბიექტი მეტი თუ ნაკლები დროის განმავლობაში ფიქრობდა დანაშაულის განხორციელების შესახებ, წინასწარ ამუშავებდა დანაშაულის ჩადენის გეგმას. ასეთი განზრახვა ხშირად აქვთ ხოლმე თანამონაწილეებს, რომლებიც ურთიერთშეთანხმებით, წინასწარ განსაზღვრავენ, თუ რა დანაშაული უნდა ჩაიდინონ, რა საშუალებით, როლების როგორი განაწილებით და ა.შ. მარცვის ჩადენა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით სავსებით შესაძლებელია.

უეცარი განზრახვა გულისხმობს, რომ პირს განზრახვის წარმოშობისთანავე მოჰყავს იგი სისრულეში. უეცრად წარმოშობილი განზრახვითაც შესაძლებელია მარცვის ჩადენა.

როგორც ზემოთ ვთქვით, მოტივი და მიზანი ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას ეკუთვნის.

მოტივი არის ის შეცნობილი შინაგანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც სუბიექტს უქმნის ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებას, ხოლო მიზანია – ქმედების სასურველი შედეგი, რომლის მიღწევისკენაც ისწრაფვის სუბიექტი.

ამრიგად, განსხვავება ქმედების მოტივსა და მიზანს შორის ის არის, რომ მოტივი პასუხობს კითხვაზე – რით ხელმძღვანელობდა სუბიექტი ქმედების ჩადენისას, ხოლო მიზანი განსაზღვრავს იმ უახლოეს შედეგს, რომლის მიღწევისკენაც პირი ისწრაფვის.

განზრახი ქმედების ჩადენას განაპირობებს მოტივი, რომელიც წინ უსწრებს განზრახვის ჩამოყალიბებას. მოტივი შეიძლება მრავალგვარი იყოს. სახელდობრ, ანგარება, შური, ეჭვიანობა, სიძულვილი, კარიერიზმი, მტრობა და ა.შ.

ასევე, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს მიზანი. მარცვისას მიზანს წარმოადგენს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება.

## **CONCEPT OF ROBBERY AND CORPUS DELICTI** **Malkhaz Lomsadze, Gori State Teaching University, Professor** **RESUME**

Robbery institution is not novelty in Criminal legislation of Georgia.

For having legal, just and well-grounded sentence amount of scientific literature, legislative basis and court practice must be settled.

This paper shows scope of robbery and problematic issues related to the elements of robbery.

We hope that recommendations we made will help to give right criminal estimate, as well as help eradication of antinomy between legal regulations, deficiency of law and will fill gaps in the law.

## სტრესის დამლევის ბუნებრივი ფაქტორები

**ქეთევან ლომსაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ბექა ტოლიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სტრესის დამლევას დიდი ყურადღება ექცევა, რადგან მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების ჯანსაღი და პროდუქტიული ცხოვრებისათვის. სტრესის დამლევის სხვადასხვა ფაქტორთაგან (სოციალური, პიროვნული და ბუნებრივი) განვიხილოთ ბუნებრივი ფაქტორები. ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოყენებულ სტრესის დამლევის ბუნებრივი ფაქტორებიდან, ყველაზე ხშირად გამოყენებული ფაქტორია - ძილი.

ცნობილია, რომ ძილი კარგი გუნება-განწყობილების საფუძველია, ტვინის მუშაობის სასიცოცხლო მნიშვნელობის მდგომარეობაა და ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ფაქტორი ჯანმრთელობისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ძილი მოუწესრიგებელია, ტვინი ვერ ისვენებს და დილით ადამიანი გრძნობს დაღლილობას, თითქოს ღამით საერთოდ არ დაესვენოს. ჩვეულებრივ, ძილს განიხილავენ როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის მოსვენებული მდგომარეობის გამოხატულებას, მაგრამ სინამდვილეში იგი ქცევის ერთ-ერთი სახეა. ჩვენი ორგანიზმი სინქრონულად ფუნქციონირებს დღისა და ღამის 24 საათიანი ციკლით ბიოლოგიური საათის მიხედვით, რომელსაც ჰქვია ცირკადული რიტმი (ლათ. Circa – „ირგვლივ“, dias - „დღე“). ბოლოდროინდელი გამოკვლევები მოწმობს, რომ აზროვნება და მეხსიერება ყველაზე კარგად მუშაობს ცირკადული ციკლის შუა პერიოდში. ჩვენს ძილს ბიოლოგიური რიტმი აქვს: ის 30-100 წუთიანი ხანგრძლივობის ციკლს გადის, რომელიც ღამის მანძილზე 5 თანმიმდევრული სტადიისგან შედგება. ძილის პირველ სტადიაზე, რომელიც დაახლოებით 2 წუთს გრძელდება, ადამიანი შეიძლება ხედავდეს ფანტასტიკურ სახეებს (ხატებს), რომლებიც გვაგონებს ჰალუცინაციებს (აქტმა სათანადო საგნის გარეშე). ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ სადღაც ვარდება (ამ დროს სხეული კრთება), ან დაფრინავს. ასეთი შეგრძნებები შეიძლება აღიბეჭდოს მეხსიერებაში. ცოტა ხნის შემდეგ ადამიანი დუნდება და გადადის ძილის მეორე სტადიაში, რომელიც დაახლოებით 20 წუთს გრძელდება. ამ სტადიაზე ადამიანის გავლილება ადვილია, თუმცა მას სძინავს. ძილში უაზრო ლაპარაკს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამ, ან ნებისმიერ სტადიაზე. რამდენიმე წუთის შედეგ ძილის მეორე სტადიიდან ადამიანი ძილის მესამე სტადიაზე - ღრმა ძილში გადადის. მესამედან მოყოლებული, მთელ მეოთხე სტადიაზე, ტვინი ასხივებს ნელ დელტა-ტალღებს. ამიტომ მე-3-ე და მე-4-ე სტადიას უწოდებენ დელტა-ძილს. ეს სტადიები დაახლოებით 30 წუთი გრძელდება და ამ დროს ძნელია ადამიანის გაღვიძება. საინტერესოა, რომ მე-4 სტადიის ბოლოს ბავშვებმა შეიძლება ჩაისველონ ან იარონ ძილში. მაშინაც კი, როცა ადამიანს ღრმა ძილით სძინავს, ტვინი განაგრძობს იმ ინფორმაციის გადამუშავებას, რასაც ზოგიერთი გამლიზიანებლისგან ღებულობს. ადამიანი წრიალებს ლოგინში, მაგრამ არ ვარდება. თუ მას ბავშვთან ერთად სძინავს, ძილში არ აწვება, არ ჰყლეთს მას. ადამიანმა შეიძლება ვერ გაიგონოს სატვირთო მანქანის ხმა, მაგრამ ბავშვის ტირილი სწრაფად აფხიზლებს მას. იგივე შეიძლება ითქვას მის სახელზე - ადამიანი ამ გამლიზიანებელზე ყოველთვის სწრაფად რეაგირებს. ჩამძინებიდან დაახლოებით 1 საათის შემდეგ ხდება საოცარი ამბები: იმის მაგივრად, რომ გაგრძელდეს ღრმა ძილი, ადამიანი ძილის საწყის მდგომარეობას უბრუნდება. შემდეგ იწყება ძილის ყველაზე საინტერესო სტადია - სწრაფი ძილი (ძილი თვალების სწრაფი მოძრაობით). დაახლოებით 10 წუთი ტალღების სიხშირე გვაგონებს პირველი სტადიის ტალღების სიხშირეს, მაგრამ პირველისგან განსხვავებით, მატულობს გულისცემის სიხშირე (იგი ხდება წყვეტილი) და დახუჭული თვალები იწყებს სწრაფად მოძრაობას. მართალია, სწრაფი ძილის დროს ქერქის მოტორული ზონა ფუნქციონირებს, მისი მხოლოდ უმნიშვნელო იმპულსები აღწევს მოდუნებულ მდგომარეობაში მყოფ კუნთებამდე. კუნთები იმდენად მოდუნებულია, რომ სახისა და თითების შემთხვევითი მოძრაობის (შეკრთომის) გარდა, ადამიანი თითქოს პარალიზებულია. ამასთანავე, ამ დროს ძნელია ადამიანის გაღვიძება. ამიტომ სწრაფ ძილს ხშირად უწოდებენ პარადოქსულს: შიგნიდან სხეული აგზნებულია, ხოლო გარეგნულად იგი ჩანს მშვიდი. კიდევ უფრო საოცარია შემდეგი რამ: თვალების სწრაფი მოძრაობა ნიშნავს, რომ ადამიანი ხედავს სიზმარს. პირველი სტადიის სიზმრებისგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად მოუხელთებელია, სწრაფი ძილის სტადიის სიზმრები, ჩვეულებრივ, ნათელია და სიუჟეტური. ღამის განმავლობაში ძილის ეს ციკლი ყოველ 90 წუთში მეორდება. საშუალოდ ღამის ძილის 20-25% - დაახლოებით 100 წუთი - მოდის სწრაფ ძილზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც ამბობს: ”მე არასოდეს არ ვხედავ სიზმარს”, ფაქტიურად წელიწადში 600 საათის განმავლობაში დაახლოებით 1500 სიზმარს ხედავს, მაგრამ ეს სიზმრები იშვიათად ახსოვს.

რისთვის გვჭირდება ძილი? -ერთი მიზეზი ისაა, რომ ძილი ემსახურება ადამიანის შეგუებას ღამის პირობებისადმი (საფრთხის აცილება). მეორე - ძილი ხელს უწყობს სხეულის ქსოვილების (განსაკუთრებით ტვინის ქსოვილის) განახლებას. ამ დროს ტვინი ახდენს თავისი ძალების აქტიურად აღდგენას, აძლიერებს მეხსიერებას. ძილის დროს სხეულის დაბალი ტემპერატურა დღისით სიფხიზლისთვის ენერჯის შენარჩუნებას უწყობს ხელს, ასევე ახდენს გავლენას ზრდაზეც. ძილის დროს ჰიპოფიზი გამოიმუშავებს ზრდის ჰორმონს - სომატოტროპინს. წლებთან ერთად მისი ფუნქცია მცირდება და ზრდასრულ ადამიანებს ნაკლები ძილი სჭირდებათ. თუ ადამიანი რეგულარულად ვერ ახერხებს გამოძინებას, იგი ხდება ნერვული, გაღიზიანებული და ძალაგამოცლილი. გარდა ამისა, მას უძნელდება გადაწყვეტილების მიღება, არის აპათიური, გაფანტული. ადამიანი გაცილებით მძიმედ იტანს უძილობას, ვიდრე შიმშილს. ექსპერიმენტების შედეგები აჩვენებენ, რომ ადამიანები უძილობას უძლებენ მხოლოდ 4 დღე-ღამის განმავლობაში, უძრავლესობა კი ასე დიდხანსაც ვერ უძლებს. ძილის დროს თირკმელზედა ჯირკვლებში გამოიმუშავდება ჰორმონები-კორტიკოსტეროიდები, რომლებსაც აქვთ ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. ინგლისელ მეცნიერთა კვლევებმა აჩვენა, რომ ზედიზედ 2 დღის გამოუძინებლობა მკვეთრად ადაბლებს იმუნური სისტემის მიერ წინააღმდეგობის გაწევს უნარს: არსებობს იმის საშიშროება, რომ ეს ადამიანები ავად გახდნენ, პირველ რიგში გრიპით. გარდა ამისა, ქრონიკული გამოუძინებლობა მკვეთრად ამაღლებს ინსულტის რისკს. მეცნიერები ასევე თვლიან, რომ არასაკმარისი ძილი ნაადრევი დაბერების მთავარი ფაქტორია. მეტისმეტი გადაღლა შეიძლება არამარტო გადატვირთული სამუშაო გრაფიკით, არამედ სტრესითაც იყოს გამოწვეული. სტრესის დროს ადამიანს უჭირს ყურადღების კონცენტრაცია, ვერ ახერხებს გადართვას, ამიტომაც ღამით ადამიანი ვერ იძინებს. სტრესის დროს ორგანიზმში გამოიყოფა ადრენალინი და სხვა ჰორმონები, რომლებიც ხელს უწყობენ სიფხიზლის მდგომარეობას, რის გამოც ადამიანი ვერ იძინებს. ვინაიდან ძილის დროს ხდება ორგანიზმის შრომისუნარიანობის აღდგენა, აქედან ნათელია, რომ სტრესის დაძლევის ერთ-ერთი ბუნებრივი ფაქტორია ნორმალური, მოწესრიგებული ძილი. ამისთვის მნიშვნელოვანია სპეციალისტების რჩევების გათვალისწინება:

1. სასურველია დაწოლა 22-23 საათზე, ვინაიდან ორგანიზმი ამ დროს მოდუნებულია, ნერვული სისტემა ისვენებს და დამინება ადვილია;
2. ამ დროისთვის ადამიანმა გონებრივი და ფიზიკური მუშაობა უნდა შეწყვიტოს;
3. ლოგინში ჩაწოლის შემდეგ ადამიანმა არ უნდა იკითხოს, არ უნდა უყუროს ტელევიზორს და ტელეფონით არ უნდა ილაპარაკოს;
4. ძილის წინ სექსი ხელს უწყობს დამაბულობის მოხსნას და შესაბამისად, ამის შემდეგ ადამიანი სწრაფად იძინებს და კარგად სძინავს;
5. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საწოლის სწორად შერჩევას. საწოლი უნდა იყოს საკმაოდ მაგარი, არ არის სასურველი ბუმბულის ლეიბი და მაღალი ბალიშები;
6. საძინებელში არ უნდა იყოს ხმაური, სასურველია, იყოს სიბნელე;
7. სასურველია ადამიანმა საკვები დაწოლამდე 2-3 საათით ადრე მიიღოს;
8. საღამოს ადამიანი უნდა მოერიდოს ალკოჰოლის და კოფეინის შემცველი სასმელების მიღებას, როგორცაა ყავა, ჩაი, კოკა-კოლა და ა.შ. სასარგებლოა, ძილის წინ დამამშვიდებელი ბალახეულის ჩაის მიღება. დადგენილია, რომ დამინებას ასევე ხელს უწყობს ერთი ჭიქა თბილი რძე, რომელშიც ერთი სუფრის კოვზი თაფლია გახსნილია;
9. დამინებას ხელს უწყობს ძილის წინ თბილი შხაპის ან აბაზანის მიღება;
10. საწოლი ოთახი უნდა იყოს კარგად განიავებული.

სტრესის დაძლევის ბუნებრივ ფაქტორებს მიეკუთვნება ასევე ბუნებასთან კონტაქტი. სტატისტიკის მიხედვით, სტრესს უფრო ხშირად განიცდიან დიდი ქალაქების ბინადარნი. ადამიანი გაჩნდა და ათასწლეულების მანძილზე ცხოვრობდა ბუნების წიაღში, ქალაქური ცხოვრების წესი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა და ჯერ ვერ მოასწრო გენეტიკურად განმტკიცება. როცა ბუნებაში აღმოვჩნდებით, განვიცდით სიმშვიდეს, გარემომცველ სამყაროსთან, საკუთარ „მეს-თან“ ერთიანობის საოცარ გრძნობას. ამიტომაცაა, რომ შვებულების დროს ადამიანი ისწრაფვის მოშორდეს თავის „ქვის ჯუნგლებს“, გავიდეს ბუნებაში, რათა დაიბრუნოს ძალები და სამუშაო ენერჯია მიიღოს. ადამიანები განსხვავდებიან გემოვნებით - ერთს მოსწონს ზღვა, სხვას - ტყე, ვიღაცას მთები, ხოლო ზოგს დაბლობის ლანდშაფტი ურჩევნია. თუმცა, შესაძლებელია სხვა ვარიანტიც - ბუნების მცირეოდენი ნაწილი შემოვიტანოთ სახლში, მხედველობაში გვაქვს ოთახის ყვავილები. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და ყველას აქვს „თავისი“ ყვავილი. ყვავილის არჩევასა ადამიანი კისრულობს ამ ცოცხალი არსების მოვლას. მართალია, ყვავილი უფრო ადვილი მოსასვლელია, ვიდრე კატა ან ძაღლი, მაგრამ ეს საქმეც საკმაოდ საპასუხისმგებლოა.. კატის ან ძაღლის სიყვარული მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის შინაგან ფსიქოტიკთან. ძაღლები სიმბოლურად განასახიერებენ ერთგულებას, კატები - თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ასე რომ,

ცხოველის არჩევას უბრალოდ ვახდენთ ჩვენი შინაგანი განწყობების პროეცირებას და არაა გასაკვირი, რომ ცხოველები ასე ხშირად ჰგვანან თავიანთ პატრონებს. სტრესის დამღევის საშუალებათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შინაური კატა, მისი გასაოცარი უნარები არაერთხელ შემოწმებულა სხვადასხვა კვლევებით. დადასტურებულ იქნა, რომ კატები მართლაც სერიოზულ დახმარებას უწევენ ფსიქიურად დაავადებულ ადამიანებს, ავადმყოფებს, რომლებსაც აწუხებთ გული, დაზიანებული აქვთ ტვინი, ხელს უწყობენ ლოთებისა და ნარკომანების სრულ განკურნებასაც კი. მათ შეუძლიათ ჰიპერტონიის სიმპტომების შემსუბუქება, ინფარქტგადატანილი ადამიანების დახმარება, ხელს უწყობენ წნევისა და პულსის ნორმალიზებას. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კატაზე ზრუნვა პაციენტებში იწვევს საკუთარი თავისადმი რწმენის აღდგენას, აქვეითებს ფიზიკურ აგზნებას იმ დონემდე, რომლის მიღწევასაც რელაქსაციაში კვირაობით ვარჯიში სჭირდება და ბოლოს, კატების უნიკალური ხასიათი, მათი დამოუკიდებლობა მკურნალობის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ძალს, როგორც ემოციურად ადამიანზე უფრო დამოკიდებულ არსებას, არ შეუძლია იყოს ისეთივე მკურნალი, როგორც კატა, ვინაიდან ის ადვილად იღებს ადამიანის სულიერ მდგომარეობას. კატასა და მის პატრონს აკავშირებთ სულ სხვა – „თავისუფალი არჩევანისა და შეთანხმების“ ძაფები – და ეს სულიერი წონასწორობისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია. სტრესის დამღევს ასევე ხელს უწყობს -ცეცხლის ყურება . თუ ადამიანს არა აქვს იმის საშუალება, რომ გავიდეს ბუნებაში, შეაგროვოს შეშა და დაანთოს კოცონი, მას შეუძლია ცეცხლის გადატანა სახლში. ამის ერთ-ერთი საშუალებაა ბუხრის დანთება, მაგრამ ასეთი ფუფუნების შესაძლებლობა ბევრს არა აქვს. მიუხედავად ამისა, ყველას შეუძლია დაანთოს სახლში პატარა ცეცხლი – ესაა სანთელი. როცა ვუყურებთ ცეცხლის ალს და თუნდაც დროებით ვიციწყებთ ყოველდღიურობას, ნაწილობრივ ვუბრუნდებით იმ დროს, როცა ადამიანი ბუნებასთან ერთიანი იყო.

სტრესის დროს ადამიანის ორგანიზმში დიდი რაოდენობით გამოიშვება ისეთი ჰორმონები, როგორცაა ადრენალინი და კორტიზოლი. ამ ჰორმონების „წარმოებისთვის“ საჭიროა A და B ჯგუფის ვიტამინები, თუთია, მაგნიუმი და სხვა მინერალური ნივთიერებები. სტრესის დროს ეს ელემენტები სწრაფად იხარჯება (მოიხმარება), რაც ორგანიზმში მათ ნაკლებობას იწვევს. ამიტომ სტრესს შეიძლება „შევეუტიოთ“ დიეტით, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ ორგანიზმი შეივსოს იმ ნივთიერებებით, რომლებიც სტრესის დროს გამლიერებულად მოიხმარება. ჩვეულებრივ, სტრესის დროს ადამიანი იწყებს სხვადასხვა საკვების დიდი რაოდენობით მიღებას, რადგანაც რაღაც დროით ეს მართლაც შველის. თუმცა, ასეთი ქცევის შედეგები არცთუ იშვიათად კიდევ უფრო დიდ სტრესს იწვევს.

სტრესის დამღევის ერთ-ერთი საშუალებაა იოგა. იოგას მეცადინეობებზე გამოიყენება სავარჯიშოები, რომლებიც მიმართულია იმ ზონებიდან კუნთური სპაზმის მოხსნისკენ, რომლებიც პირველ რიგში რეაგირებენ სტრესზე (მენჯის სარტყელი, მხრის სარტყელი, ხერხემლის გასწვრივ კუნთები და ა.შ). იოგა თითქოს ახდენს სტრესზე ნორმალური ფიზიოლოგიური რეაქციის „მოდელირებას“, იძლევა ფიზიოლოგიურ რეაქციათა ჯაჭვის დასრულების საშუალებას, ამიტომ იოგას მეცადინეობებით ხდება მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესება ისეთი პრობლემების დროს, როგორცაა ნევროზი, უძილობა, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, გასტრიტი, კუჭის წყლული, იგი ასევე ახდენს ემოციური მდგომარეობის სტაბილიზაციას და ადამიანს სტრესისადმი წინააღმდეგობის გაწევის ეფექტური საშუალებით უზრუნველყოფს. სტრესის დამღევის ეფექტური საშუალებაა ფიზიკური ვარჯიშიც, ის სტრესული „პროდუქციის“ – გამლიერებული გულისცემის, გახშირებული სუნთქვის, კუნთური დაძაბულობის გამოყენების საშუალება, რითაც ორგანიზმზე მათი უარყოფითი გავლენის ნიველირებას ახდენს. ფიზიკური ვარჯიშის ძირითადი სახეებია – აერობიკა და ანაერობიკა, ორივე მეთგანი ხელს უწყობს სხეულის ფიზიკურ აქტივაციას და ასევე ახდენს სტრესორებიდან ყურადღების გადატანას. ფსიქიკურ მდგომარეობაზე ფიზიკური ვარჯიშის სასარგებლო გავლენა იმაში მდგომარეობს, რომ ვარჯიშის დროს ორგანიზმში ხდება გარკვეული ქიმიური ნივთიერებების გამოთავისუფლება, როგორცაა ენდორფინები. ენდორფინების მოქმედება ოპიატების მოქმედების მსგავსია – ისინი ახშობენ ტკივილის შეგრძნებას და სიმშვიდის მდგომარეობას იწვევენ. მკვლევარებმა დაიწყეს მეორე ნივთიერების – სეროტონინის შესწავლა: აღსანიშნავია, რომ ახალი თაობის ანტიდეპრესანტების დადებითი ეფექტი მიიღწევა სწორედ სეროტონინის დონის ამაღლებით. გამოდის, რომ ნებისმიერ ფიზიკურ დატვირთვას თანამედროვე ანტიდეპრესანტების მსგავსი მოქმედება გააჩნია, რადგანაც ფიზიკური დატვირთვის შემდეგ სეროტონინის კონცენტრაცია მატულობს.

იუმორი სტრესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა, იგი ადამიანს სტრესული სიტუაციის ან ნეგატიური გრძნობების განმუხტვაში ეხმარება - ამ დასკვნამდე მივიდა ბევრი მკვლევარი. იუმორი ახდენს გუნებაზე სტრესული სიტუაციის უარყოფითი გავლენის ნიველირებას, იგი სტრესულ მოვლენებსა და გუნება-განწყობილების დარღვევებს შორის ბუფერის როლს თამაშობს. ცნობილია ფრიდრიჰ ნიცშეს გამონათქვამი იუმორის მნიშვნელობაზე: „მხოლოდ ცხოველს, რომელიც დედამიწაზე



ყველაზე მეტად იტანჯება, შეეძლო სიცილის გამოგონება.“ მართალია, ყველასთვის ცნობილია იუმორის დადებითი გავლენა, მაგრამ საოცარია, რომ ასაკთან ერთად ადამიანი ნაკლებს იცინის. იუმორის გავლენას სწავლობდნენ მრავალი წლის მანძილზე. ამ კვლევათა შედეგების შეჯამების შემდეგ გამოითქვა ასეთი აზრი: იუმორი თერაპიულ გავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე, ხელს უწყობს ადაპტაციას და შეგუებას, ეხმარება დამაბულობის განმუხტვასა და მისგან გათავისუფლებაში, კარგი დაცვაა დეპრესიისგან და ემოციურ სიმწიფეს მოწმობს. იუმორი ასახება ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სიცილი აძლიერებს კუნთურ და სუნთქვით აქტივობას, ჟანგბადის მიმოქცევას, გულისცემას, ხდება არტერიული წნევისა და კუნთური დამაბულობის ნორმალიზება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ხდება შემდეგი ცვლილებები: იხსნება შფოთვა, მცირდება დამაბულობა, ქრება რისხვა და აგრესია. გარდა ამისა, იუმორი – ეს კრიზისის, ტრავმის გადატანისა და ქრონიკული ავადმყოფობათა გავლენის შემცირების საუკეთესო საშუალებაა.

ამრიგად, ზემოთ განხილული სტრესის დამლევის ბუნებრივი ფაქტორები ყველაზე ხშირად გამოიყენება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მიერ. თუმცა, არსებობს უამრავი ისეთი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს კონკრეტული პიროვნების მიერ კონკრეტულ სიტუაციაში მისი სუბიექტური შეხედულების შესაბამისად.

### ლიტერატურა:

1. Д. Майерс, Психология, Минск, 2001.
2. თ. ნანეიშვილი, ქცევის ფსიქოფიზიოლოგია, თბილისი, 2003.
3. „სტრესი და იძულებით გადაადგილება: ფსიქოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, თბილისი, 2011.
4. გ. გერიგი, დ. ზიმბარდო, „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, თსუ, 2005.
5. ნ. სარჯველაძე, „ტრავმა და ფსიქოლოგიური დახმარება“, თბილისი, 2008.

## NATURAL FACTORS TO OVERCOME STRESS Ketevan Lomsadze, Gori State Teaching University, Associate Professor Beka Toliashvili, Gori State Teaching University, Associate Professor RESUME

This paper discusses the natural stress reduction factors. The Norwegian Ministry of Foreign Affairs of the results obtained by our research carried out by the highest -ranked natural stress reduction factors, which are most often used by the population of Georgia. Here is done the listing of the use of their specificity and therapeutic effects.

### ოსთა შეიარაღებული გამოსვლები შიდა ქართლში XX საუკუნის დამდეგის ქართული პრესის მასალების მიხედვით

ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ცხინვალის რეგიონში ოსური ეთნოელემენტის მომრავლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ახალმოსახლენი ყოველთვის მაჩაბლების, არაგვის, ქსნის ერისთავების და სხვათა მორჩილებაში იმყოფებოდნენ. მსგავსი თემებით არაერთხელ დაინტერესებულა ქართული პრესა. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის „ივერია“ წერდა: „ის ოსნი კი, რომელნიც მთების სამხრედ ჰსცხოვრობდნენ, საქართველოს მორჩილების ქვეშ იყვნენ. ამას ამტკიცებს ჰაკსტაუზენი, რომელიც ამბობს: რომლის ოსთანაც კი მე შემხვედრია ლაპარაკი, მიცვნია რომ მათ ძალიან ბუნდათ ახსოვთ პირად გადმოცემული ამბავი თვის შთამომავლობისა, გადმოსახლებისა და ისტორიისა. იგინი ამბობენ, რომ მათი წინაპარნი მთებს იქით, ჩრდილოეთიდან გადმოსულან; რომ წინად მათ უცხოვრიათ იმ ადგილებზედ, საცა ეხლა ჩერქეზნი არიან და იქიდან სხვა ჯიმის ხალხთა ძალდატანებით გადმოსულან აწინდელს თავის ადგილზედა“ [1].

ბუნებრივია, ხიზნობის ინსტიტუტი საქართველოში ძირითადად განსხვავდებოდა მთიდან მოსული ხიზნის ახალი ტიპისგან. ურთიერთობის მოცემული ტიპი ეფუძნებოდა ეკონომიკურ საფუძვლებს. ხიზანი თავისუფლებას კარგავდა ერთ ადგილზე ოცდაათი და მეტი წლით დარჩენის შემთხვევაში. მხოლოდ ასეთ დროს მოხვდებოდა იგი ყმად ჩაწერილი საერთო სახალხო აღწერის დავთარში. იმდროინდელი პრესის მასალებით ირკვევა, რომ სახიზნო პირობა და ხელშეკრულება სიტყვიერი იყო იგი, თუ წერილობითი, ვადიანი თუ უვადო - იყო ჩვეულებრივი საიჯარო პირობა იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ რაოდენობა, ზომა გადასახადისა არ იცვლებოდა. უდავო პირობის დარღვევა ჩვეულების ძალით შეეძლოთ ორივე კონტრაგენტს სურვილის ან კერძო ინტერესის შემთხვევაში [2].

„მაშინდელი ისტორიული ხიზანი გულში როგორ გაივლებდა იმ ფიქრსა და აზრსა, რომ ხანგრძლივი ცხოვრებით და მუშაობით სხვისა მამულიზე, რაიმე უფლებას შეიძენდა ამ მამულზე და მოზიარე გახდებოდა მემამულისა. ასეთი უნიადაგო პრეტენზია სიზმრადაც არ მოველინებოდა. არავითარი რეალური პირობა და გარემოება ხელს არ უწყობდა, რო ასეთი ფიქრი და აზრი ან ჩასახულიყო ან დაბადებულიყო“ [3].

ხიზნების ახალი ტიპის დაბადებას გარკვეული საფრთხეები სდევდა ფეხდაფეხ. საინტერესოდ საუბრობდა ამ პრობლემის შესახებ დავით კასრამე „ჩემი სამაჩაბლოს“ ფურცლებიდან.

რუსეთიდან დაბრუნებული შვილის მეგობარ ქალს, თავადი ზაალი მოუთხრობს ოსთა შესახებ: „ეს ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილი ხალხია და არა ადგილობრივი. მკვიდრი ზოგი ჩემს მამა-პაპს დაუსახლებია, ზოგი ციციანთ... ეგენი გადამთიელი მომთაბარე ხალხი იყვნენ.. მე უფლება მაქვს, როცა მოვისურვებ, ავყარო და აქედან განვდევნო“ [4].

მიუხედავად ხიზნობისა, ოსი მოსახლეობა მიიღო და დაასახლა თავადმა ზაალმა, ზოგიერთი მათგანი დაიახლოვა, დაინათესავა კიდევ. ყოველმხრივ უწყობდა ხელს, მაგრამ, მოგვიანებით, წელგამართულმა და კარგად ფეხმოკიდებულმა, ყველაზე მეტად აღზევებულმა ხიზანმა აქეთ შეუტია ზაალს... ჯერ ტყე დაისაკუთრა, ხოლო ოცნებით უსაზღვროა მისი ფანტაზია. ფიქრებში მას უკვე დიდ მემამულედ და მთელი სამაჩაბლოს ბატონ-პატრონად წარმოუდგენია თავი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ თანდათანობით არაბუნებრივი ტემპებით იზრდება ხიზნების საერთო რაოდენობა. სამწუხაროდ, ამ საკითხის ირგვლივ ზუსტი სტატისტიკური ცნობები ძალზედ მცირედ მოგვეპოვება, თუმცა არსებობენ ცალკეულ ავტორთა მოსაზრებები, რომელთა გაცნობაც გარკვეულ სურათს ქმნის XIX საუკუნის ბოლოს ხსენებული პროცესების მიმდინარეობის ტემპების წარმოსადგენად.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოდ მსჯელობს ალ. ყიფშიძე [5] იგი წერს: „არლოვსკის სიტყვით 1861 წლის ცნობებით ტფილისის გუბერნიაში სულ 5938 კომლი ხიზანი ყოფილა. არ ვენდობით ამ ციფრს, რადგან ისტორიულ ხიზანთა რაოდენობის სისწორით გამოანგარიშება მეტის-მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელი. ეხლა, რომ არა გვაქვს ქრისტიანული სტატისტიკა, აბა მაშინ რა იქნებოდა, სამოციან წლებში. რუსების დამკვიდრების დროს ხომ თითქმის არ არსებობდა რიგიანი აღრიცხვა ხალხისა წოდების მიხედვით. ბატონ-ყმობის გადავარდნამ დიდად შეუწყო ხელი ხიზნების რიცხვის გამრავლებას. რაკი დამშლელი აღარავინ ჰყავდა მცირე მამულთან მთას, განსაკუთრებით სამაჩაბლოს იხუვლა მთამ და ბარში ჩამოვიდა, აქედან მოედო საციციანოს, საჯავახოს და საფალავანდოს. 1885 წელს თავადი გიორგი ივანეს ძე ყიფიანი ამბობდა, რომ მომეტებული ნაწილი ხიზნებისა მთიდან ჩამოსული მაჩაბლიანთ ყმა-ოსები და იმერლები არიანო. სამშობლოში გრამოტით ნადელები მიიღეს და აქ ხიზნობა დაიჩემესო. ამათ ყველას უნდა უარი ეთქვას ხიზნობაზეო. ნამდვილი ისტორიული ხიზანი ძალიან ცოტაა. თუ მორიგებით ვერ მოურიგდებიან მამულის პატრონს, მაშინ სახელმწიფომ სახიზნო მიწები უნდა დაურიგოს საცხოვრებლად, ხოლო მამულის პატრონმა უნდა დააჯილდოვოს ხიზანი ჩვეულებისამებრო.

საყურადღებო ამბავი აქ, სხვათაშორის, ისიცაა, რომ თავად-აზნაურნი ხშირად ეუბნებოდნენ მთავრობას, კარგად მოგეხსენებათ, რომ მამული ჩვენც ცოტა გვაქვს და ხიზნებს რაღა მივცეთო, აიღეთ და გადაასახლეთ სახელმწიფო მიწაზეო. მთავრობა მუდამ ყურს იყრუებდა, ვითომც არც კი გამოიგონიაო და პასუხს არ აძლევდა. ასე რომ არც პირდაპირ ნათქვამს და არც ნართაულად გადაკრულს სიტყვას ანგარიშს არ უწყევდა და ერთხელაც არ მოისურვა ხიზნობის ტალღისათვის პირი ექმნა სახელმწიფო მამულებისაკენ.

1890 წელს მარტო გორის მაზრაში ირიცხებოდა მთავრობის ცნობით 7148 კომლი ხიზანი, 1882-1884 წლებში კი 6774 კომლი, მამრობითი სქესისა იყო 25 706 სული, მაშასადამე 50 000 სულზე მეტი ორივე სქესისა. 1884 წლიდან მოკიდებული გორის მაზრაში წელიწადში 500 კომლი ხიზანი ემატებოდა. აი სწორედ ამ დროს აირია მონასტერი. ხიზანთა აბოზოქრებული ზღვა სწორედ წალეკვას უქადადა ქართლსა“ [6].

ცხინვალის რეგიონში ოსური ეთნოსის რიცხოვრივ მომრავლებას ფეხდაფეხ მოჰყვა სტუმართა მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძალადობრივ ქმედებათა ფაქტების მომრავლება. ჩვენი ნათქვამის დასტურად არაერთი წერილობითი წყაროს მოხმობა შეიძლება. აღნიშნული ფაქტების ირგვლივ საგულისხმო მსჯელობაა მოცემული გ. სოსიაშვილის ნაშრომში „სამაჩაბლო ისტორია“. ქართლში დამკვიდრებული ოსების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მარცვაზე მიუთითებს ი. მეგრელიძის ნაშრომში გამოქვეყნებული აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ სოფელ ტყვიავში აღმოჩენილი საბუთი, ხოლო ადგილობრივ თავადებთან, მაჩაბელთა ფეოდალური სახლის სხვადასხვა წარმომადგენლებთან დაპირისპირების საილუსტრაციოდ მოხმობილია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიისა და საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალები [7].

ქართული პრესის ფურცლებიდან ხიზნების თემას არჩილ ჯორჯაძეც გამოეხმაურა [8].

მიუხედავად ამგვარად განვითარებული მოვლენებისა საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს ქვეყნის გასაბჭოებამდე არასოდეს ჰქონიათ რაიმე ეთნოპოლიტიკური, ან ეთნოტერიტორიული ერთეული. ცნება „სამხრეთ ოსეთი“ შიდა ქართლის მთიანეთის ოსთა კომპაქტური დასახლების ტერიტორიის აღსანიშნავად ხელოვნურად მკვიდრდებოდა მიმოქცევაში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთებისა და საქართველოს ორიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, რაც ფაქტობრივად ყოვლად გაუმართლებელი და მიუღებელი იყო, მაგრამ იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად ხელსაყრელი გახლდათ [9].

ოსური სეპარატიზმის ღია გამოვლინების ფაქტები გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნის პირველი დღეებიდანვე. მიუხედავად 1918 წელს ჯავაში გამართულ სამხრეთ ოსეთის ხალხთა მე-5 ყრილობისა, რომლის დადგენილებაშიც ვკითხულობთ: „სამხრეთ ოსეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ფართე ტერიტორიულ თვითმმართველობის საფუძველზე“ [10].

ცხინვალის რეგიონი ფეთქებად ზონად გადაიქცა. საქმე შეიარაღებულ გამოსვლებამდეც მიდიოდა ზუსტად მაშინ, როდესაც საქართველო განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. კერძოდ, ცხინვალის პირველი დარბევა მოხდა საქართველო-ოსმალეთის შიარაღებული დაპირისპირების დროს 1918 წელს. მომდევნო პოლიტიკური ხასიათის დაპირისპირების მიზანს წარმოადგენდა ცალკე სამაზრო ერთეულის წარმოქმნა და ამ ერთეულის ცენტრად ცხინვალის გამოცხადება (1919) და მომდევნო 1920 წლის ოსთა შეიარაღებული აჯანყება, რომელიც წინა ორთან შედარებით ბევრად ორგანიზებული და მასშტაბური გახლდათ.

„აქ უკვე რუსეთის ინტერესები აშკარაა: ისინი აჯანყებულებს პოლიტიკურად, ფულადი სახით და გარკვეული შეიარაღებული ნაწილების გაგზავნითაც კი ეხმარებოდნენ. ეს აჯანყება 1920 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის, შიდა ქართლის ნაწილის საქართველოსგან ჩამოშორებას და რუსეთთან მიერთებას. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მალე ჩაახშო აჯანყება, მაგრამ შედეგი ბოლომდე დადებითი ვერ იქნებოდა. მართალია, ქართული ტერიტორია განთავისუფლდა აჯანყებულთა ბანდებისაგან, მაგრამ ეს დაპირისპირება ოსებისა და ქართველების მახსოვრობაში მაინც დარჩა. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა მიეჩქმალა მისი როლი ამ აჯანყებაში, არადა სწორედ რუსეთიდან მოდიოდა აჯანყების დაწყების ბრძანება. ქართულ მხარეს მკაცრი ზომების გატარება მოუწია აჯანყებულთა წინააღმდეგ, რადგან ეს უკვე მესამე აჯანყება იყო ოსი სეპარატისტების მხრიდან და საჭიროებდა საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ეს პრობლემა. გაუთავებელი დაპირისპირება ხელს უშლიდა საქართველოს განვითარებას და შესაბამისად იქ მცხოვრები მოსახლეობის (მათ შორის ოსების) წინსვლას და მშვიდობიან ცხოვრებას“ [11].

ზემოთ ხსენებულ ოსთა აჯანყებებს 1918-1920 წლებში აქტიურად გამოეხმაურა იმ პერიოდის ქართული პრესა. ეყრდნობა რა, გორის მაზრის უფროსის თანაშემწის ინფორმაციას გაზეთი „საქართველო“ წერს: „ოსები იტყვიან: ქართველები უნდა განვდევნოთ და ჩვენები უნდა დასახლდნენ მათ ადგილასო. ცხინვალში დიდძალი ოსობა ჩამოვიდა. ამჟამად გორში მდგარი ოსების პოლკი 300 კაცისგან შედგება. ამბობენ, რომ ცხინვალიდან კვლავ ჩადიან პოლკის გასაძლიერებლად“ [12].

გაავებული სეპარატისტული ჯგუფების მიერ გადამეტებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობებზე საუბრობს მომდევნო, ჩვენთვის საყურადღებო, ნომერი [13], რომელიც იუწყება გიორგი მაჩაბლის, შაქრო მაჩაბლის, კოსტა კაზაშვილის, სანდრო კეცხოველის და სხვათა სასტიკი მკვლელობების ისტორიას.

საგულისხმოა ცნობილი მოღვაწის შალვა ამირეჯიბის მსჯელობა ამ მიმართულებით. „მთელი ტრაგედია ქართული დემოკრატიისა იმაში გამოიხატება, რომ იმ დროს, როდესაც ქართული დემოკრატია ისევ სოციალური რეფორმებისა და დემოკრატიზმის ნიადაგზედ სდგას, სხვა დანარჩენი ერები კავკასიისა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ... პოლიტიკა წაგლეჯისა. აი რა არის დღევანდელი ლოზუნგი და ოსებმაც აშკარად განაცხადეს - ცხინვალი ჩვენია, საქართველოს მალლობი - ოსეთია...“

ჩვენ არ ვიცით საქართველო უფრო ქართული, ვიდრე ის ადგილია საქართველოსი, სადაც ამჟამად ოსები ცხოვრობენ. ეს არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერხემალი... ცხინვალის ამბები საშიში მოჩვენებაა საქართველოსათვის და საჭიროა არა მარტო მისი სასწრაფო ლიკვიდაცია, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი აღარ განმეორდეს“ [14].

ოსთა საკითხის განხილვისას გაზეთი „საქართველო“ ხშირად უთმობდა ადგილს ისეთი ავტორების მოსაზრებებს, როგორებიც იყვნენ შ. ამირეჯიბი [15], გ. ქიქოძე [16] და სხვები.

ქართული პრესა აქტიურობს მომდევნო წლებშიც. 1920 წელს აჯანყებულთა მიერ ცხინვალის აღების ფაქტს გამოეხმაურა გაზეთი „ერთობა“. ისარგებლეს რა აჯანყებულებმა თავისი მრავალრიცხოვნობით 8 ივნისს იწყება სამხედრო მოქმედებები და ქართული ფლანგების ორივე მხრიდან შემოვლის გზით აიღეს ცხინვალი [17].

მომდევნო დღეებში მოვლენები არასახარბიელოდ ვითარდება. გენერალური შტაბის ინფორმაციით, 10 ივნისს ცხინვალთან კვლავ ისმის სროლის ხმა, ხოლო ქალაქში მოთარეშე სეპარატისტული ჯგუფები არბევენ და აყაჩაღებენ ადგილობრივ მოსახლეობას [18].

აჯანყებულთა უკანონო მოქმედებების აღკვეთის და ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით ხელისუფლება იძულებულია განახორციელოს სამხედრო ოპერაცია აჯანყებულთა წინააღმდეგ. სამხედრო ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ გიორგი კვინიტა და ვალიკო ჯუღელი.

გ. კვინიტაძის თქმით, ოსების ეს მესამე თუ მეოთხე აჯანყება იყო. ისინი ყოველთვის მოლაპარაკებებით მთავრდებოდა. ამჯერად აჯანყება უფრო მომზადებული იყო [19]. ვ. ჯუღელი უფრო დეტალურად უღრმავდება პროცესს - ცხინვალიდან ცუდი ამბებია, როგორც ჩანს, ის უკვე დაკავებულია ოსური ბანდების მიერ. ჩვენ იქ სწრაფად გავგზავნით ძალებს, რათა ჭკუა ვასწავლოთ უსაქმურებს. ოსი ნაციონალისტები ჩვენი ბოროტი და დაუძინებელი მტრები არიან. ისინი ყოველთვის სარგებლობენ ჩვენი სისუსტეებით და გვიწყობენ აჯანყებას. რამდენიმე წლის წინ ისინი თავიანთი აჯანყებებით თურქებს უადვილებდნენ ბათუმის აღებას. წინა წელს ისინი ეხმარებოდნენ დენიკინს, ხოლო ეხლა ბოლშევიკებთან, ერთად იბრძვიან. ჩვენ უკვე დავიდალეთ ამ დაუსრულებელი აჯანყებებით... [20].

საჯარისო შენაერთების მობილიზაცია გორში 10 ივნისისთვის დაიგეგმა. შემადგენლობა კი ორი სამთო ბატარეით, რვა ბატალიონით და ცხენოსანთა პოლკით განისაზღვრა. რაზმის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი კონიაშვილი.

გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ის მკაცრი ზომები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა იძულებული ხდება მიმართოს მესამედ აჯანყებულ ოსეთის რაიონის ასალაგმავათ, იქნება წმინდა თავდაცვითი აქტი ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ, ეს იქნება მოძალადეებთან და მტარვალებთან ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაცავად, რესპუბლიკის და დემოკრატიის დასახსნელად“ [21].

იმავე 1920 წლის ივნისის მეორე ნახევარში გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აუწყებდა მკითხველს გენერალური შტაბის მიერ (21 ივნისს) გავრცელებული ახალი ცნობის შესახებ, რომ როკის უღელტეხილის დაკავების შემდეგ ყველა სოფელი გაიწმინდა და საქართველოს ტერიტორია გათავისუფლდა აჯანყებულთა მოქმედებებისგან [22].

მ. გუნცაძის აზრით, „ფაქტობრივად, ამით დამთავრდა მთლიანი ოპერაცია, რომელიც აჯანყებულთაგან შიდა ქართლის ამ ტერიტორიის განთავსებას ითვალისწინებდა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უსისხლო ომი დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში...“ [23].

ამრგად, ზემოთ მოხმობილი მასალების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზემოთ ხსენებული შეიარაღებული გამოსვლები, რომლებიც ოსთა აჯანყებების სახელითაა ცნობილი, სინამდვილეში წარმოადგენდა რუსული ხელისუფლების მიერ წაქეზებულ, სეპარატისტულად განწყობილ ოს ბოლშევიკთა შეიარაღებულ გამოსვლებს, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ მშვიდობიანი ოსი მოსახლეობის განწყობასთან საქართველოს მიმართ. საქართველოში მცხოვრებ ოს ხალხს ამ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღია. ბოლშევიკთა მხრიდან განხორციელებული ყოველგვარი მცდელობანი კი მიმართული იყო ქართული სახელმწიფოს დასუსტებისაკენ, რაც ბუნებრივად, რუსულ ხელისუფლებას გაუმარტივებდა ამ მიმართულების საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოებას, როგორც საქართველოს სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე წერდა: „როკის უღელტეხილით შემოჭრილმა რუსეთმა „ოსეთის აჯანყების“ სპექტაკლი დადგა“ [24].

#### ლიტერატურა და შენიშვნები:

1. გაზეთი „ივერია“, 1877, №13, გვ. 8 (ვინ არიან ოსნი);
2. ჟურნალი „კლდე“, 1913, №16, გვ. 6 (ალ. ყიფშიძე, წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა);
3. ჟურნალი „კლდე“, 1913, №15, გვ.3 (ალ. ყიფშიძე, წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა);
4. დ. კასრაძე, ჩემი სამაჩაბლო, ჟურნ. „თანამედროვე რომანი“, 1992, №4,5,6, გვ. 14;

5. ალექსანდრე ყიფშიძე (1862-1916) აქტიურ მონაწილეობას იღებდა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მუშაობაში, ეხმარებოდა მათ ადგილობრივი სკოლების გახსნასა და მოვლა-პატრონობაში. იყო ამ საზოგადოების გამგეობის წევრი.

900-იანი წლების დასაწყისიდან განსაკუთრებული მზრუნველობით ხელმძღვანელობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ გახსნილ ერთადერთ ქართულ სკოლას. ამ საქმეში მას დახმარებას და თანადგომას უწევდა იაკობ გოგებაშვილი.

იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან. აქვეყნებდა გაზეთ „ივერიაში“, ჟურნალ „კლდეში“ და „ნაკადულში“. თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაზეთ „საქართველოს“ დაარსებაში და ითვლებოდა მის უახლოეს თანამშრომლად. მეტად საინტერესო და მრავალი ინფორმაციის მომცველია მისი ისტორიული მონოგრაფიები: „მთიულეთი 1804 წელს“, „ამბოხება კახეთისა“, „დიდებული მესხეთი“, „მთის არწივი შამილი“ და სხვა. ყიფშიძე ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც

(<http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00003567>).

ა. ყიფშიძის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. 1. შ. გოზალიშვილი, ყიფშიძე (ფრონელი) ალექსანდრე თევდორეს ძე (1862-1916), კრებ. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, №3, თბილისი 1968; 2. თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი 1984; 3. უ. სიღამონიძე, ქსე, ტ. 10, თბილისი 1986; 4. ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, „მამულიშვილთა სავანე“, თბილისი 1994 და სხვ.

6. ჟურნ. „კლდე“, 1913, №16, გვ.7 (ალ. ყიფშიძე, წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა);

7. გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბილისი 2005, გვ.141;

8. ჟურნ. „კლდე“, 1913, №17, გვ. 5;

9. ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები, თბილისი 1992, გვ. 3;

10. გაზ. „საქართველო“, 1918, №173, გვ. 4;

11. მ. გუნცაძე, 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI, თბილისი 2013-2014, გვ. 41;

12. გაზ. „საქართველო“, 1918, №64, გვ. 3;

13. გაზ. „საქართველო“, 1918, №70, გვ. 3-4;

14. გაზ. „საქართველო“, 1918, №64, გვ. 2;

15. გაზ. „საქართველო“, 1918, №69, გვ. 3;

16. გაზ. „საქართველო“, 1918, №124, გვ.1;

17. გაზ. „ერთობა“, 1920, №127; №128;

18. გაზ. „ერთობა“, 1920, №129;

19. გ. კვინიტაძე, მოგონებები, ტ. I, თბილისი 1998, გვ. 234;

20. В. Джугели, Тяжелый крест, Тифлис 1920, стр. 227;

21. გაზ. „ერთობა“, 1920, №130, გვ. 2;

22. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №138, გვ. 2;

23. მ. გუნცაძე, 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI, თბილისი 2013-2014, გვ. 53;

24. გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბილისი 1995, გვ. 152;

## ARMED DEMONSTRATIONS OF OSSETIANS IN SHIDA KARTLI

(Based on Georgian press of early XX)

Aleksandre Mghebrishvili, Gori State Teaching University, Professor

### RESUME

Increase of Ossetian ethno elements in Tskhinvali region is one of the important issues in the recent history. The new settlers were always under the supervision of Machabelis, Aragvi and Ksani Eristavis. Georgian press was frequently interested in similar issues.

Naturally, migration process in Georgia was absolutely different from the new type of mountainous migrants.

It should be mentioned, that rate of migration was increasing gradually. However, Ossetians migrated to Georgia never possessed any ethno political or ethno territorial unit before Sovietizing of the country. The concept “South Ossetia” was artificially inculcated indicating the area settled by Ossetians after the accession of Kartl-Kakheti

Kingdom to Russia and abolition of two thousand years of Georgia statehood. This was absolutely unacceptable, but it was advantageous for the implementation of imperial intentions.

The considerations of such authors as Sh. Amirejibi, G. Kikodze and others were frequently presented in press while discussing the issues of Ossetians.

Georgian Press was still active during next years. In 1920, newspaper "Ertoba" reports about the capture of Tskhinvali by rebels.

In order to stop illegal activities of the rebels and set up the public order, the government had to implement military operations against rebels. The military operations were held under the leadership of Giorgi Kvinitadze and Valiko Jugheli. General Koniashvili was appointed as a commander of the detachment. This was one of the bloodless wars in the history of democratic Georgia.

Armed demonstrations which are known as Ossetian revolts were in fact armed demonstrations of separatist, Bolshevik Ossetians instigated by Russian government. They had nothing to do with peaceful Ossetian population and their attitude towards Georgia. Ossetian population inhabited in Georgia did not participate in these demonstrations. The aim of all attempts implemented by Bolsheviks was to weaken Georgian State which naturally will make it easy to expand its sphere of influence in the area.

## სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ინსტიტუტის შემოღება ადმინისტრაციულ პროცესში

მკა სალხინაშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი/გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
პროფესორი  
E-mail: ketinutsa@yahoo.com

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ბოლო პერიოდში არ გამოირჩევა ნოვაციებით, თუ არ ჩავთვლით ე.წ. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ინსტიტუტის შემოღებას.

სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae) არის პირი, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს სასამართლოში სამართალწარმოებისას, თუმცა საკუთარი ინიციატივით ან სასამართლოს მოთხოვნით წარადგენს წერილობით მოსაზრებას, ვინაიდან ძლიერ დაინტერესებულია საქმის საბოლოო შედეგით.<sup>1</sup>

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილება შევიდა 2015 წლის 3 ივლისს, რომლის თანახმადაც კოდექსს დაემატა მე-16<sup>1</sup> მუხლი სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae), რომლის თანახმადაც<sup>2</sup>:

1. ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა. წერილობითი მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში უნდა დაეხმაროს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ არის შედეგნილი, ის მას არ განიხილავს.

3. სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები, თუმცა, თუ საჭიროდ მიიჩნევს, ის უფლებამოსილია გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება. ეს მოსაზრება შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აისახოს.

4. სასამართლო უფლებამოსილია, საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.

უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 15 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) ინსტიტუტის შემოღებას.

<sup>1</sup> <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4341> (გადამოწმდა 19.08.2015)

<sup>2</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492> (გადამოწმდა 19.08.2015)

საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და 2015 წლის 3 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა 16<sup>1</sup> მუხლი, რომელიც საშუალებას აძლევს არა მხოლოდ სახალხო დამცველს, არამედ ნებისმიერ პირს, საქმის არსებით განხილვამდე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება.

აღსანიშნავია რომ, „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაინერგა და კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემაში წარმატებით მოქმედებს, აქტიურად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.

„სასამართლოს მეგობარი“ წარადგენს ნორმატიული ან ფაქტობრივი ხასიათის ინფორმაციას, რომლის მიზანია, სასამართლოს დაეხმაროს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში. „სასამართლოს მეგობარი“ არ არის არც პროცესის მხარე და არც მესამე პირი. ამავდროულად, მოსაზრების წარდგენის მიზანს არ წარმოადგენს პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის მხარდაჭერა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, სადაც პროცესის მხარე არის სახელმწიფო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სახალხო დამცველსა და საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება, საკუთარი მოსაზრება წარუდგინოს სასამართლოს. „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი ხელს შეუწყობს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებას, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს დაეყრდნობა. ამასთანავე, იგი გაზრდის საზოგადოების ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ ნდობის ხარისხს.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს აღნიშნულ ცვლილებებს და მოუწოდებს სამოქალაქო საზოგადოებას, აქტიურად გამოიყენოს „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი.<sup>1</sup>

ჯერ კიდევ 2010 წელს სისხლის საპროცესო კოდექსის თანახმად შემოღებულ იქნა ე.წ. „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი. კერძოდ, სისხლის საპროცესო კოდექსში 55-ე მუხლის თანახმად:

1. დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს.

3. სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები.

4. წერილობითი მოსაზრება მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. იგი შედგენილ უნდა იქნეს 3 ასლად, რომელთაგან 2 გადაეცემა მხარეებს, ხოლო 1 რჩება მოსამართლესთან.

5. სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან/და მხარის და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.<sup>2</sup>

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი, რომელიც ცნობილია ლათინური ტერმინით „Amicus Curiae“, წარმოადგენს სიახლეს როგორც ქართული სისხლის საპროცესო, ისე ადმინისტრაციული საპროცესო სამართლისთვის. საქართველოში „სასამართლოს მეგობარი“ პირველად დაინერგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში 2009 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან აღნიშნული ინსტიტუტი ამოქმედდა ასევე სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის მიზანია, რომ პირს ან პირთა ჯგუფს, რომელთა ინტერესის სფეროში შედის სასამართლოში განსახილველი საკითხი, მაგრამ ის არ არის რომელიმე მხარე, შეეძლოს სასამართლოსთვის თავისი არგუმენტების წარდგენა და პროცესში უშუალოდ ჩართვა. შესაბამისად, სასამართლოს მეგობარი შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო პირი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, მეცნიერი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, სტუდენტი, სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი და ა.შ. სასამართლოს მეგობარი, როგორც წესი, არის კვალიფიციური პირი, რომლის მოსაზრებებმაც, შეიძლება, სასამართლოს გაუწიოს დახმარება. ამგვარად, აღნიშნულ

<sup>1</sup><http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-winadadeba-administraciul-processshi-sasamartlos-megobris-institutis-shemogebis-shesaxeb-saqartvelos-parlamentma-daamticka.page> (გადამოწმდა 19.08.2015)

<sup>2</sup> საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3616 - სსმ I, №50, 24.09.2010 წ., მუხ. 328

ინსტიტუტს შეუძლია, დადებითი გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებაზე, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს ეყრდნობა. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს საზოგადოების უფრო მეტ ჩართულობას სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ ნდობის ხარისხს და ამყარებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის კავშირს.<sup>1</sup>

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტს საუკუნოვანი ისტორია აქვს და, შესაბამისად, მისი გამოყენების დიდი ტრადიცია არსებობს. მას იყენებენ კონტინენტურ ევროპაში, პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სასამართლოს მეგობარი“ თავდაპირველად ამერიკაში ამოქმედდა და დღესაც დიდი წარმატებით მუშაობს. ცნობილია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტერესთა ჯგუფები ძალიან დიდი რაოდენობით გზავნიან თავიანთ მოსაზრებებს სასამართლოში სხვადასხვა კონკრეტული დავების განხილვისას, რომელთა გადარჩევაც შემდეგ ხდება და სასამართლო მხოლოდ გამორჩეულად მყარ არგუმენტებს იყენებს. მოგვიანებით, ეს ინსტიტუტი გერმანულ-რომაული სამართლის ქვეყნებში ამუშავდა და დღეისთვის მოქმედებს, ფაქტობრივად, მთელ ევროპაში, ინგლისის გარდა. ამ ინსტიტუტს წარმატებით იყენებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოც.

ამ ინსტიტუტს პრაქტიკაშიც იყენებენ, მაგალითად, თუ განიხილება გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით დავა, ამ თემით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავისი ანალიზი ან ერთი, ან მეორე მხარის სასარგებლოდ. სიტყვის თავისუფლების თაობაზე დავისას - ჟურნალისტებმა წარმოადგინონ არგუმენტები. თუ განიხილება დავა სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით, ადვოკატებმა, ექსპერტებმა და ა.შ. სასამართლოს თავისი მოსაზრება შეუძლია კერძო პირმაც წარუდგინოს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, იურისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასპირანტებმა, სტუდენტებმა, ადვოკატებმა, პარლამენტარებმა, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა და ა.შ. ანუ კვალიფიციურმა პირებმა, რომელთა მოსაზრებებმაც შეიძლება სასამართლოს დახმარება გაუწიოს. დასაშვებია, რომელიმე დავის განხილვისას „სასამართლოს მეგობრის“ რამდენიმე არგუმენტაცია არსებობდეს, მაგრამ რომელია უფრო მყარი და არგუმენტირებული და რომელს მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას, ეს სასამართლოს პრეროგატივაა. არსებული პრაქტიკით ცნობილია, რომ ეს ინსტიტუტი ხელს უწყობს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებას, რადგანაც სასამართლო გაცილებით მეტ კვალიფიციურ წყაროს ეყრდნობა. მხარეებმა შეიძლება ვერ წარმოადგინონ სრულყოფილი არგუმენტაცია, დავუშვათ, ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით და მისი სრულყოფა შეიძლება „სასამართლოს მეგობრის“ დახმარებით მოხდეს. ექსპერტთა განცხადებით, „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის ამოქმედებას ორი დადებითი მხარე აქვს: დადებითად იმოქმედებს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებაზე, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს ეყრდნობა და მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაში. ამით კი საზოგადოებასა და სასამართლოს შორის კავშირი მყარდება - ეს ინსტიტუტი ერთგვარად არის საზოგადოების მონაწილეობა სასამართლო პროცესში.<sup>2</sup>

სასამართლოს მეგობრის (**Amicus Curiae**) ინსტიტუტის შემოღება ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში, ვფიქრობ, დროულია და პრაქტიკაში რა შედეგებს გამოიღებს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

### ლიტერატურა:

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
2. საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსი
3. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4341>
4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492>
5. <https://geolaw.wordpress.com/2013/11/28/amicus-curiae/>
6. <http://24saati.ge/news/story/8637-amicus-curiae-sasamartlos-megobari>
7. <http://iuristebi.ge/?p=228>
8. <https://shaorshadzemari.wordpress.com/2013/11/29/სასამართლოს-მეგობარი-amicus-curiae/>
9. <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/iuridiul-sakitxta-komiteti-146/axali-ambebi-iuridiuli/sakonstitucio-sasamartlos-gadawyvetilebis-safudzvelze-sisxlis-samartlis-saproceso-kodeqssh-cvllileba-sheva.page>

<sup>1</sup> <https://geolaw.wordpress.com/2013/11/28/amicus-curiae/> (გადამოწმდა 19.08.2015)

<sup>2</sup> <http://24saati.ge/news/story/8637-amicus-curiae-sasamartlos-megobari> (გადამოწმდა 19.08.2015)



**ESTABLISHMENT OF AMICUS CURIAE INSTITUTE IN ADMINISTRATIVE PROCEEDINGS**  
**Maka Salkhinashvili, Caucasus university / Gori State Teaching University, Professor**  
**RESUME**

Institute of Court's Friend (Amicus Curiae) first time was introduced in Georgia into the Criminal Procedure Code, later into administrative procedural law. In the article discussion is about introduction of this institution, about its development and practice implementation issues.

Institute of Court's Friend has Century history and therefore, it has great tradition of use. It is used in continental Europe, in the the case-law countries. As we mentioned above, "the friend on court" was originally entered into force in the United States and is still working with great success. It is known that non-governmental organizations, interest groups are sending their opinions to the court during the discussion of the various specific disputes, which selection occurs later and court is using only outstanding sound arguments. Later, this Institute start operated in German-Roman law countries and now is operating actually in whole Europe except England. This institution is successfully used by the Strasburg Human Rights Court.

We think, that introduction of Institute of Court's Friend (Amicus Curiae) into administrative procedural law is timely and which king of result in will be see in practice future will show it.

### **ბრბოს ფსიქოლოგიური თავისებურებები**

**ბექა ტოლიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ქეთევან ლომსაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის არსებობისა და გადარჩენის შანსი, გარემოსთან შეგუების ხარისხია, ზოგიერთი ფორმები ინდივიდუალური ცხოვრების წესით გამოირჩევიან, ხოლო ზოგიც ჯგუფური, კოლექტიური ცხოვრებით.

ადამიანი სოციალური არსებაა, რომლისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანაცხოვრების, თანარსებობისათვის აუცილებელი უნარების გამოუმუშავება. აღნიშნული უნარების ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან მიმდინარეობს თითოეულ ინდივიდში იმ გარემოს ზემოქმედებით, სადაც იმყოფება. ამ პროცესს სოციალიზაციის პროცესად მიიჩნევენ. სოციალიზაციის პროცესმა სულ მცირე ორი ამოცანა უნდა შეასრულოს 1. უზრუნველყოს ადამიანის ფიზიკური გადარჩენა და მომდევნო თაობის დაბადება, ანუ ცხოვრებისა და თავის დასაცავად აუცილებელ უნარ-ჩვევათა გადაცემა. 2. უზრუნველყოს, რომ ადამიანმა ისწავლოს და გაიაზროს საზოგადოების მიერ შემუშავებული ნორმებისა და როლების სისტემა და თავის ქცევა მას შეუსაბამოს.

სოციალურ ცხოვრებას სხვადასხვა ფორმა და გამოხატულება გააჩნია, ადამიანს ახასიათებს, როგორც ქცევის ინდივიდუალური ფორმები, რომლებიც დამოკიდებულია მის ნებისყოფაზე ან პიროვნულ მოთხოვნილებებზე, ასევე ავლენს იმ აქტიობებს, რომლებშიც არ ჩანს მისი ნებისყოფა, ინდივიდუალური აზრი, ღირებულებები, მსოფლმხედველობა და ეს ყველაფერი შეზღუდულია სხვა ადამიანების და გარემოებების მიერ. აღნიშნული აქტიობები ვლინდება მაშინ, როდესაც ინდივიდი მრავალი ადამიანის გარემოცვაში, ადამიანთა მასაში აღმოჩნდება. ამ დროს სუბიექტი არ განიცდის არანაირ ფსიქოლოგიურ ზეწოლას სხვების მხრიდან, ის მისდაუნებურად იმუხტება ადამიანთა მასის ქცევით, ემორჩილება მას და აკეთებს იმას, რასაც მთლიანი მასა აკეთებს. მასაში არსებულ ადამიანთა რაოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინდივიდზე ზემოქმედების ხარისხზე, რაც უფრო დიდია ხალხის რაოდენობა, მით უფრო შთაგონებადია მასა და პიროვნებაც უფრო მეტად ექცევა მისი ზეგავლენის ქვეშ. მასაში ადამიანთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომლებიც ერთი აზრის, განწყობის და ინტერესების არიან, არაორგანიზებული შეკრება შეიძლება ბრბოდ გადაიქცეს.

**ბრბო** - წარმოადგენს ადამიანთა უსტრუქტურო ერთობას, რომელსაც აერთიანებს საერთო ემოციური განწყობა (უფრო ხშირად აგრესიული) და რომელიც მაღალი სუბესტიურობით, შთაგონებადობით ხასიათდება.

ბრბოს რამოდენიმე სახე არსებობს: სტიქიური ბრბო - წარმოიქმნება ყოველგვარი ორგანიზების გარეშე. ორგანიზებული ბრბო - თავიდანვე შექმნილია და მართულია ერთი კონკრეტული პირის მიერ, რომელიც შეიძლება ამ ბრბოს ლიდერიც იყოს. ოკაზიონალური ბრბო - ფორმირდება ცნობისმოყვარეობის

საფუძველზე, მოულოდნელი შემთხვევის დროს. კონვენციონალური ბრბო - იქმნება წინასწარ გამოცხადებული მასობრივი ღონისძიების დროს. აგრესიული ბრბო - გაერთიანებულია გარკვეული ობიექტის მიმართ უსაზღვრო ზიზღით, რაც ძალადობის მიზეზია. პანიკური ბრბო - მასობრივი შიშის გამოვლინება, რომელიც განპირობებულია რეალური ან წარმოსახვითი საფრთხით.

ბრბოს გარკვეული ფსიქოლოგიური თავისებურებები გააჩნია, ისინი აისახება შემდეგ ფსიქიკურ სფეროებში: კოგნიტური, ემოციურ-ნებელობითი და მორალური.

კოგნიტურ სფეროში ბრბო საკმაოდ მრავალფეროვან უცნაურობებს ავლენს, მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს ბრბოს ინსტიქტურობა, იმპულსურობა და არაცნობიერი გამოვლინებები. თუ ცალკეულად აღებულ ინდივიდს შეუძლია დათრგუნოს არაცნობიერი რეფლექსები, ადამიანი ხალხის აგზნებულ მასაში კარგავს ინდივიდუალურობას და მასზე არაცნობიერი იწყებს ბატონობას. ამასთანავე ბრბოს გამძაფრებული აქვს წარმოსახვის უნარი, წარმოდგენები ძალზედ ხატოვანი, დამაჯერებელი და რეალურია, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეფექტი აგზნებული ბრბოს შემთხვევაში არის დამახინჯებული აღქმა, რომელიც შეიძლება კოლექტიურ ჰალუცინაციებშიც გადაიზარდოს.

ბრბოს ახასიათებს ხატოვანი აზროვნება, იგი მხოლოდ კონკრეტულ წარმოსახვით ხატებს აღიქვამს და ერთ წარმოდგენას არანაირი ლოგიკური კავშირი არ აქვს მეორესთან, ბრბო ვერ განარჩევს ობიექტურ და სუბიექტურ სინამდვილეს, მას არ შეუძლია სიტუაციის განსჯა და ანალიზი, ის მიწოდებულ იდეებს ან აღფრთოვანებით იღებს მთლიანად ან უარყოფს აგრესიულად, ბრბოს შეუძლია მიიღოს ის იდეა, რომელიც უკიდურესად მარტივია და რამოდენიმე სიტყვით შეიძლება გადასცენ, მას არ აინტერესებს სიმართლე და სრულ იგნორირებას უკეთებს იმ რეალობას, რომელიც არ მოსწონს მას.

აღსანიშნავია ბრბოს აზროვნების მნიშვნელოვანი თავისებურებები: **კატეგორიულობა** - რადიკალიზმი, უკიდურესობებისადმი სწრაფვა, **კონსერვატიზმი** - ბრბოს საშინლად ეზიზღება ყოველგვარი სიახლე და განადიდებს ტრადიციულობას, **შთაგონებადობა** - ზ. ფროიდი ბრბოს განიხილავდა ხალხის მასად, რომელიც დაჰიპნოზებულია და მის ყველაზე უფრო საშიშ თვისებად შთაგონებისადმი მიდრეკილებას მიიჩნევდა. როგორი ნეიტრალურიც არ უნდა იყოს ბრბო, იგი მაინც მოლოდინის რეჟიმშია გარკვეული ლეგენდის, რომელიც ბირთვი გახდება ბრბოს აქტიობის და ყოველგვარი კრიტიკის უნარებს ჩაახშობს. **სოციალური ინფიცირება** - ადამიანები მიდრეკილები არიან მიმბამველობისაკენ და ნებისმიერი აზრი მასაში ვრცელდება ინფიცირების გზით.

ემოციურ-ნებელობითი სფეროდან აღსანიშნავია **ემოციურობა** - ბრბოში აღინიშნება ისეთი ფსიქო-სოციალური მოვლენა, როგორცაა ემოციური რეზონანსი. ადამიანები, რომლებიც ექსცესებში მონაწილეობენ აინფიცირებენ გარემოს და თვითონაც ინფიცირდებიან, ისინი ემოციური მუხტით იმ დონეზე ამძაფრებენ სიტუაციას, რომ ხდება ემოციური აფეთქება, რომელსაც ცნობიერება თითქმის ვერ აკონტროლებს, რაც ყოველგვარი უკონტროლობის მიზეზი ხდება. იმპულსები, რომელსაც ბრბო ემორჩილება, გააჩნია გარემოებებს და აგზნების ხარისხს, შეიძლება იყოს დიდსულოვანი ან გაბოროტებული, საგმირო ან სიმბდალის, მაგრამ ყოველთვის იმდენად ძლიერი, რომ თვითგადარჩენის ინსტიქტიც კი ვერ აფერხებს მას. მასაში ემოციების მაქსიმალურ ზღვარს განაპირობებს დაუსჯელობის განცდა და მასის სიმრავლით განპირობებული ყოვლისშემძლეობა, ეს კი უბიძგებს ადამიანებს ისეთი გრძნობები გამოავლინოს და ისეთი საქციელები ჩაიდინონ, რომელიც წარმოუდგენელი და შეუძლებელია ცალკეული ინდივიდისათვის. **ექსტრემიზმი** - ენერგია და ძალა, რომელიც ბრბოს გააჩნია მიმართულია ნგრევისაკენ. ნებისმიერ ინდივიდში აგრესიის, ნგრევის და გააფთრების ინსტინქტი გენეტიკურად განპირობებულია, ამ ინსტინქტების გამოვლენა ცალკეული ინდივიდის მიერ შიშთან არის დაკავშირებული, მაგრამ უკონტროლო მასაში, სადაც დაუსჯელობა გარანტირებული აქვს სუბიექტს, აღნიშნული ინსტინქტების გამოვლენა პრობლემა არაა და ზოგ შემთხვევებში სასიამოვნოც კი შეიძლება იყოს. ბრბოს არ გააჩნია საკუთარი თავის მიმართ კრიტიკის უნარი, „ჩვენ მართლები ვართ, ისინი დამნაშავეები“, იგი არ აღიარებს მოწინააღმდეგე მხრიდან დათმობებს და ანგარიშს უწევს მხოლოდ ფიზიკურ ძალას. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბრბომ შეიძლება დემონსტრირება მოახდინოს მაღალი ზნეობრიობის, თავგანწირვის, ერთგულების, სამართლიანობის.

ადამიანთა უმრავლესობა ბრბოში განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს ავლენს და ეს თავისებურებები ინდივიდის ქცევაზე უშუალო გავლენას ახდენენ. ერთერთი მნიშვნელოვანი განცდა სუბიექტისათვის არის ანონიმურობა, ადამიანთა დიდ მასას შერეული ინდივიდი თავს დაცულად და შეუმჩნეველად მიიჩნევს და თავს ყველაფრის უფლებას აძლევს, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის სისასტიკე რაც აგრესიულ ბრბოს გააჩნია. ბრბოში ინდივიდი ისეთი ინსტინქტების ზეგავლენის ქვეშ შეიძლება მოექცეს, რომელთაც სხვა სიტუაციებში არ გამოავლენდა, ამ დროს სრულიად ქრება პიროვნული ცნობიერება და არაცნობიერ განცდებს ეხსნებათ გზა, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს პიროვნულ ნიშნებს, ინდივიდის პროფესიას, განათლებას, ასაკს, ინტელექტის დონეს, ადამიანი მასის,

მთელის ნაწილი ხდება. მასში ყოფნის გარკვეული დროის შემდგომ სუბიექტი ერთგვარ ჰიპნოტურ მდგომარეობაში გადადის, რაღაცა დიდის, მთელის ნაწილად განცდა მას დიდ ენერჯიას და ძალას მატებს, შედეგად სრულიად ქრება პასუხისმგებლობის განცდა და შეიძლება ნორმალური, კულტურული, გაწონასწორებული ადამიანი თავისი ქცევით, სოციალურად დეგრადირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ბრბოს მოქმედების სპეციფიკა და მისი მართვა გამოცდილების მქონე ლიდერისთვის საკმაოდ იოლია, ერთერთი სახე ბრბოს მოქმედებისა არის მასობრივი ისტერია, რომელიც შეიძლება პანიკაში გადაიზარდოს. პანიკა არის უეცარი შიში, თავზარი, რომელიც შეიპყრობს ცალკე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს, იგი შეიძლება გაჩნდეს ინფორმაციის დეფიციტის მიზეზით, რაიმე საშიში მოვლენის მიმართ. პანიკის გამომწვევი ფაქტორები საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ ფაქტორების ბუნება შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქიკური და ფსიქო-სოციალური. ცნობილია პანიკის შემთხვევები, რომელთა მიზეზი კატასტროფები და სტიქიური ებედურებები ყოფილა, ამ დროს ადამიანებს ამოდრავებთ გაუაზრებელი შიში, კარგავენ თვითკონტროლს, სოლიდარობას და სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ხედავენ.

ხშირ შემთხვევებში ბრბოს მოქმედება განპირობებულია ლიდერის არსებობით ან არარსებობით, ლიდერი ბრბოში შეიძლება სტიქიურად გაჩნდეს ან შეიძლება რომელიმე ადამიანმა შემოახვიოს მასას ლიდერობა, იმ განწყობებისა და აზრების ხმამაღლა დეკლარირებით, რაც მასისთვის მისაღებია. თუ ადამიანთა მასამ აღიარა ლიდერი, მას გმირის სტატუსსაც მისცემენ და შეიძლება გააღმერთონ კიდევ. ბრბო შინაგანად არ მიისწრაფის თავისუფლებისკენ, მას უფრო მორჩილების მოთხოვნილება ამოდრავებს და უპირობოდ ასრულებს ბელადის მითითებებს, იგი ყოველთვის მზადაა სუსტი ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდეს და ქედს იხრის ძლიერის წინაშე. ბრბო ითხოვს თავისი გმირი ლიდერისგან ძალისა და ძლიერი ნებისყოფის გამოვლენას, ხშირ შემთხვევებში ბრბოს ბელადებად ხდებიან ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, ნახევრად შეშლილი ადამიანები და რაც არ უნდა სულელური იყოს ის იდეები და მიზნები, რომელსაც ისინი იცავენ, ვერანაირი ლოგიკა და მსჯელობა ვერ შეცვლის მათ. განსაკუთრებული ფაქტორი, ლიდერის ბრბოზე ზემოქმედებისა არის შინაგანი მიმზიდველობა, რომელიც კონტრასტული განცდებისაგან შეიძლება იქმნებოდეს (აღფრთოვანება და შიში), ამასთანავე ლიდერს უნდა გააჩნდეს ორგანიზატორული უნარები, იყოს თავდაჯერებული და სტრესისადმი ამტანი. განსაკუთრებული ზეგავლენა ბრბოზე აქვთ ე.წ. ქარიზმატულ ლიდერებს, რომელთაც შეუძლიათ თავის მიმდევრების აღტაცება და მოწიწება გამოიწვიონ. ქარიზმატული ლიდერის ერთ-ერთი თვისებათაგანი, არის ეფექტური მომავლის დანახვება საზოგადოებისათვის, რაც დაკავშირებული იქნება უშუალოდ მის პიროვნებასთან.

ბრბოს მოქმედება დიდი ხანი არ გრძელდება და უმეტესად ემოციური ტალღის გადავლის შემდგომ რადიკალურად მცირდება. ამ პერიოდში მის წევრებს შესაძლოა სინანულის შეგრძნებაც კი გაუჩნდეთ თავიანთი ქმედებათა გამო, თუმცაღა შემდგომ იწყება ნამოქმედარის რაციონალიზაციის მცდელობა და გამართლება.

#### ლიტერატურა:

1. მ. ბალიაშვილი, „სოციალური ფსიქოლოგია“, თბ., 2010.
2. რ. ციციშვილი, „სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები“, თბ., 2012.
3. შ. ნადირაშვილი „პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია“, თბ., 1975.
4. Г. Лебон, «Психология народов и масс» СПб, 1996 .
5. Психология господства и подчинения: хрестоматия, Минск, 1998.

### PSYCHOLOGICAL PECULIARITY OF CROWD

**Beka Toliashvili**, Gori State Teaching University, Associate Professor  
**Ketevan Lomsadze**, Gori State Teaching University, Associate Professor

#### RESUME

Crowd psychology research starts from the first half of the 20th century and many prominent psychologists are interested in the study of the phenomenon. It is interesting to review the circumstances and details according to which people can be members of the crowd regardless their individual characteristics. The paper describes the analysis of the reasons for the formation of the crowd, the specificity of action, people's activity features in the crowd and the crowd control methods by the leader.

## კომუნიკაცია, როგორც ენობრივი პრობლემა

მარიაკა შერაზადიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-mail: Marika51marika@gmail.com

კომუნიკაციას, როგორც სამეცნიერო ცოდნის სფეროს, დიდი ხნის ისტორია აქვს, რაზეც თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ტერმინს რამდენიმე განსაზღვრება აქვს. ეს ტერმინი გამოიყენება სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ენათმეცნიერებაში და ა.შ., რაც იმის დასტურია, რომ კომუნიკაციის პრობლემებს სხვადასხვა მოღვაწე ადამიანები აწყდებიან.

კომუნიკაციური პროცესების კვლევის პრობლემები კაცობრიობის აქტუალურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება. „კაცობრიობის ისტორიაში კომუნიკაციის წამყვანი მდგომარეობა დაბეჯითებით ხსნის, თუ რატომ ცდილობენ კომუნიკაციური პროცესების შესწავლას შემეცნების ისეთი განსხვავებული დარგები, როგორცაა: ანთროპოლოგია, ხელოვნება, განათლება, ეთნოლოგია, ისტორია, ჟურნალისტიკა, სამართალი, ლინგვისტიკა, ფილოსოფია, პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია და სოციოლოგია“, - წერდა მასობრივი კომუნიკაციის ცნობილი თეორეტიკოსი ერიკ ბარნოუ. ფართო გაგებით, კომუნიკაცია - ეს არის შეტყობინების გადაცემა, აზრებისა და ინფორმაციის გაცვლა, ე.ი. -ურთიერთობა. კომუნიკაციის დროს ნიშნების საშუალებით ხდება რაიმე შინაარსის გადაცემა ერთი გონებიდან (კოლექტივიდან ან ინდივიდიდან) მეორეზე.

კომუნიკაცია სოციალური პროცესია. ის საზოგადოების შემაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს. კომუნიკაცია მხოლოდ ადამიანთა სოციალურ სისტემაში არ ხდება, გარკვეული კომუნიკაცია დამახასიათებელია ცხოველებისა და ფრინველებისათვის (ჩიტების გალობა, ფუტკრების ენა და ა.შ.). ცნებას „კომუნიკაცია“ მაშინაც ვხმარობთ, როცა ადამიანის მიერ შექმნილ ტექნიკურ საშუალებებზე, მექანიზმებზე (ტრანსპორტი, სატელეგრაფო და სატელეფონო სიგნალები, კომპიუტერული სისტემები და ა. შ.) ვსაუბრობთ.

დღეს მხოლოდ ადამიანთა შორის კომუნიკაციაზე შეგჩერდებით. ადამიანთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება ვერბალური და არავერბალური საშუალებებით. არავერბალურია, მაგალითად, კომუნიკაციის ვიზუალური საშუალებები; კინო, მხატვრობა და ა.შ. ცნობილ კულტუროლოგს უმბერტო ეკოს კომუნიკაცია უფრო ფართოდ ესმის: „კულტურა მნიშვნელოვანწილად კომუნიკაციაა“. უფრო გავრცელებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად -ყველაფერი, რაც ადამიანს გარს აკრავს, კულტურის ჩათვლით - ეს საკომუნიკაციო გარემოა. სწორედ ვერბალური (ზეპირი და წერიტი) კომუნიკაციაა ადამიანისათვის ურთიერთობის, კოდირების, ინფორმაციის გადაცემის ძირითადი, უნივერსალური ფორმა. კომუნიკაციის კლასიკურ ფორმულად ითვლება ამერიკელი მკვლევრის, ჰაროლდ ლასველისეული განსაზღვრება; ვინ, ვის, რას, რა გზით, რა ეფექტით ეუბნება.

კომუნიკაციის ფუნქცია სამეტყველო აქტით რეალიზდება. ვნახოთ, რომელი ფუნქციები რეალიზდება კომუნიკაციის პროცესში, რა სახის სამეტყველო აქტები გვხვდება. კომუნიკაციის პროცესის ცალკეულ სამეტყველო აქტებად დაშლის პროცესი პირობით ხასიათს ატარებს. კომუნიკაციის ფუნქციები მხოლოდ კვლევის მიზნით შეიძლება გამოვყოთ, რადგან კომუნიკაცია, ჩვეულებრივ, გულისხმობს ადრესატია და ადრესანტის როლების ცვლას და ფუნქციათა „გადაკვეთა-გადაფარვას“. კომუნიკაცია ხომ ურთიერთობის პროცესში უწყვეტი ურთიერთქმედებაა.

მკვლევრები გამოყოფენ შეტყობინებათა და საკომუნიკაციო აქტების შემდეგ ფუნქციებს:

- გაფრთხილება,
- რჩევა,
- ინფორმაცია,
- დარწმუნება,
- აზრის გამოხატვა,
- გართობა

აქვე შეიძლება დავამატოთ სხვა ფუნქციებიც: ემოციური, პოეტური, რეფერენტული. კომუნიკაციის ცალკეულ აქტებში გვხვდება საინფორმაციო, იმპერატიული, მმართველობითი, მაგიური (ფიცის), ეთნიკური ფუნქციები. კომუნიკაციური პროცესის ანალიზისათვის იგი, უმჯობესია, წარმოვიდგინოთ მოდელის სახით. მოდელში სქემატურად შეიძლება წარმოვადგინოთ მისი შემადგენელი ელემენტები და ფუნქციური დახასიათება. ფართოდ განიხილება კ. შენონის მოდელი, მან ლინგვისტიკაში შემოიტანა „ენის სიჭარბის“ ცნება, ასევე აღსანიშნავია მარშალ მაკ-ლუენის მეთოდი, რომლითაც მიჩნეულია, რომ კომუნიკაციაში მთავარია კომუნიკაციის განმარტოცილებელი არხი. ენათმეცნიერ რომან იაკობსონს

მიაჩნია, რომ კომუნიკაციაში მონაწილე ადრესანტი ადრესატს გზავნილს (შეტყობინებას) გადასცემს კოდის საშუალებით:

კონტექსტი  
გზავნილი (შეტყობინება)  
მთქმელი - მსმენელი  
არხი  
კოდი

რა იგულისხმება კონტექსტში? ეს არის გზავნილის (შეტყობინების) შინაარსი და სიტუაცია, რომელშიც წარმოიქმნება გამონათქვამი; არხი არის კომუნიკაციის წერიტი თუ ზეპირი სახე; კოდი - ეს არის ენა, რომელზეც წარმოიქმნება გამონათქვამი.

იაკობსონის მოდელი ლინგვისტიკაში გამოიყენება როგორც მთლიანად ენის ფუნქციის, ისე მისი ცალკეული ერთეულების - ენისა და ტექსტის ფუნქციონირების ანალიზისათვის. ცალკე უნდა გამოვყოთ კომუნიკაციისათვის უმნიშვნელოვანესი ცნება - მიზანი. ის, რისთვისაც ადამიანი ურთიერთობას ამყარებს. XX საუკუნეში წარმოიქმნა მიმართულება ინტენციონალიზმი, რომლის მიმდევრები ითვალისწინებენ მთქმელის საწყის ინტენციას (განზრახვას, სუბიექტურ მნიშვნელობას) და მსმენელის ინტერპრეტაციას.

კომუნიკაციის პროცესის არსის ჩამოყალიბებაზე (გაგებაზე) დიდი გავლენა იქონია მ. ბახტინის იდეებმა. იგი ამტკიცებს, რომ ნებისმიერი გამონათქვამის აუცილებელი ნიშან-თვისებაა მისი მიმართულება: მსმენელის გარეშე არ არსებობს მთქმელი, ადრესატის გარეშე არ არის ადრესანტი. და მეორე - ნებისმიერი გამონათქვამი აზრს მხოლოდ კონტექსტში იძენს, კონკრეტულ დროსა და ადგილას. როლანდ ბარტმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ სიტყვას მხოლოდ მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობა აქვს - ის მნიშვნელობას მხოლოდ კონკრეტულ ტექსტში იძენს. ეს ჰიპოთეზა ძირს უტხრის კომუნიკაციის მოდელს, დაფუძნებულს იდეაზე - „გადაცემა - აღქმა“. იულია კრისტევა წამოაყენა და განავრცო ჰიპოთეზა ნებისმიერი ტექსტის „ციტატური მოზაიკურობის“ (ინტერტექსტუალობა) შესახებ. იგი თვლის, რომ შეტყობინების მიმღები თავად ხდება ირიბად თანაავტორი. მიმღები სუბიექტის ინტერტექსტუალური ალუზიები გავლენას ახდენს გადაცემული ინფორმაციის აღქმაზე, შეტყობინების ინტერპრეტაციაზე, სასურველი ეფექტის მიღებაზე, ანუ ენობრივი მოვლენის მიზანზე.

განასხვავებენ კომუნიკაციის პროცესს და მის შემადგენელ აქტებს. კომუნიკაციის თითოეული სახე, როგორც აუცილებელი კომპონენტი, შეიცავს მიზანს, ანუ იმას, რისკენაც მიმართულია კომუნიკაცია. კომუნიკაციური აქტების კომპლექსს, გაერთიანებულს საერთო ამოცანით და სიტუაციური პირობებით (გარემოთი) კომუნიკაციური მოვლენას უწოდებენ. ბიზნესის სფეროში ეს შეიძლება იყოს პრეზენტაცია, პოლიტიკაში - პოლიტიკური მოღვაწის ვიზიტი, განათლებაში - ლექცია და ა.შ.

საინფორმაციო საშუალებათა განვითარებამ მასობრივი კომუნიკაცია წარმოშვა, რამაც, თავის მხრივ, მენეჯმენტის სფეროსთან მიგვიყვანა. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინდუსტრიული საზოგადოების საინფორმაციო - საკომუნიკაციო საზოგადოებად გლობალური ტრანსფორმირების პროცესი ხასიათდება კომუნიკაციის შეღწევით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ახალი ტიპის კომუნიკაციური სტრუქტურებისა და პროცესების აღმოცენებით და განვითარებით, რაც სოციალური რესტრუქტურის საკომუნიკაციო ბუნების ღრმა გააზრებას მოითხოვს (ვასილიკი, 2004, გვ.4)

რადგან კომუნიკაცია შეტყობინების, ინფორმაციის გადაცემის პროცესია, მაშინ აქტუალურია გამონათქვამი: „ვინც ინფორმაციას ფლობს, ძალაუფლებასაც ის ფლობს“.

კომუნიკაციის სახეები:

ძირითადი	დამატებითი
<ul style="list-style-type: none"> <li><b>ინტერპერსონალური</b> (შინაგანი დიალოგი)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>კულტურათმორისი</b> (კომუნიკაცია სხვადასხვა კულტურის მქონეთა შორის, იგი შეიძლება იყოს პიროვნებათმორისი და ჯგუფთათმორისი)</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li><b>პიროვნებათმორისი</b> (ორი ან მეტი კომუნიკანტი; შეიძლება იყოს ვერბალური და არავერბალური)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>საერთაშორისო</b> (საერთაშორისო კონტაქტების დონეზე, დიპლომატიის ჩათვლით)</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li><b>ჯგუფური</b> (ცალკეულ ჯგუფს ან ჯგუფებს შორის, ასევე სქემით - კომუნიკანტი და ჯგუფი, მაგალითად, პოლიტიკური მოღვაწის ინტერვიუ)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>ორგანიზაციული</b> (კომუნიკაცია საქმიან და საწარმოო სფეროში) და</li> <li><b>ბიზნესკომუნიკაცია</b></li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li><b>მასობრივი</b> (გადამცემი შეიძლება იყოს ერთი კომუნიკანტი, მიმღები - მასა ან ელექტორატი წინასაარჩევნო კამპანიის დროს). სპეციფიკას განსაზღვრავს საკომუნიკაციო არხები: პრესა, რადიო, ტელევიზია.</li> <li><b>სახალხო</b> (პიროვნებათშორისი, მაგალითად, ლექტორი, საზოგადო მოღვაწე - აუდიტორია)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>პოლიტიკური</b> (ასახავს პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროს, ხორციელდება როგორც ინდივიდებს, ისე მმართველსა და სამართავ წრეს შორის)</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li><b>ვირტუალური</b> (შეიძლება იყოს პიროვნებათშორისი, ჯგუფური; შეიძლება ჰქონდეს მასობრივი ხასიათი. სპეციფიკას განსაზღვრავს კომპიუტერულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საკომუნიკაციო არხი)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>საყოფაცხოვრებო</b> (ძირითადად პიროვნებათშორისია, შეიცავს ასაკობრის და გენდერულ კომპონენტებს).</li> </ul>

საკომუნიკაციო აქტისათვის უნდა შეირჩეს ინდივიდის საკომუნიკაციო ქმედების განმსაზღვრელი კომუნიკაციური სტრატეგია, ტაქტიკა, განზრახვა. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციის პრობლემების კვლევის ცენტრში დგას ინდივიდი - ენობრივი პიროვნება. ტერმინი „ენობრივი პიროვნება“ სამეცნიერო მიმოქცევაში ი. კარაულოვმა შემოიტანა 1987 წელს. ენობრივი პიროვნება, როგორც ლინგვისტიკის შესწავლის საგანი, კულტურულ - ენობრივი და საკომუნიკაციო ფასეულობების მატარებლის განზოგადებული სახეა. დღეს უფრო ხშირად გვხვდება ტერმინი „კომუნიკაციური პიროვნება“, რაც ინდივიდის კომუნიკაციურ კომპეტენციას გულისხმობს. კომუნიკაციური კომპეტენციის შემადგენელი ელემენტებია: ინდივიდუალური კომუნიკაციური სტრატეგია და ტაქტიკა და კომუნიკაციის პროცესში ჩამოყალიბებული კოგნიტური, სემიოტიკური და სამოტივაციო უპირატესობები. გვხვდება ტერმინიც - ინდივიდის „კომუნიკაციური პასპორტი“. კომუნიკაციური პიროვნება ფლობს საკუთარ საკომუნიკაციო გამოცდილებას და უნარ-ჩვევებს.

**COMMUNICATION AS A LINGUAL PROBLEM**  
**Marika Sherazadishvili, Gori State Teaching University, Professor**  
**RESUME**

Communication as a field of scientific knowledge has a long history. Research issues of communicative processes are among the number of current humanity problems. In the broadest sense, communication is a message transfer, exchange of thoughts and information, i.e. relationship. In the course of communication, one mind transfers content to another (from a group or individual). Communication is a social process. It serves as a linking function of a society.

Addresser, a participant of a communication transfers a message to a addressee through a code:

Message  
Speaker - listener  
Channel  
Code

Context is content and a situation of a sent message, where expressions are formed; Channel is a type of writing and oral communication; Code is a language on which expressions are formed.

Types of communication

Main	Additional
<ul style="list-style-type: none"> <li><b>Interpersonal</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>Intercultural</b></li> <li><b>International</b></li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li><b>Group</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>Organisational</b></li> <li><b>Business communication</b></li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li><b>Mass</b></li> <li><b>Public</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>Political</b></li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li><b>Virtual</b></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>Colloquial</b></li> </ul>

## მედია ტექსტი და საჯარო დისკურსი

მერი ცუცქირიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

თანამედროვე მეცნიერება აღიარებს, რომ ტექსტები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მასობრივი კომუნიკაცია, მსოფლიოში (რომელსაც ასევე უწოდებენ „ინფორმაციულ სივრცეს“) ასრულებენ განსაკუთრებულ ფუნქციებს და ასევე მათ კვლევაში არსებობს თავისებური სპეციფიკა.

„ჟურნალისტის ტექსტი განსხვავდება მხატვრული ლიტერატურის ტექსტისგან და სამეცნიერო ტექსტისგან თავისი გამიზნულობით და აქტუალობით“. მასმედიისგან, პირველ რიგში, ველოდებით ცნობებს ახალი ამბების შესახებ. ეს ტიპური მოლოდინია, რომელიც განასხვავებს მასმედიის მხატვრული ლიტერატურისგან.

შეტყობინების ობიექტურობა ან არაობიექტურობა თავისთავად - ცარიელი სიტყვებია: შეტყობინების ობიექტურობა განისაზღვრება მხოლოდ ხალხის სოციალურ ურთიერთმოქმედებაში: შეტყობინების ფაქტიური ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მოთხოვნაა შესაბამის ფაქტებზე და როგორ მიეწოდება ეს ფაქტები საზოგადოებას.

ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ შეტყობინებები ინტერპრეტაციის შედეგია და თვითონ ინტერპრეტირდებიან. ტექსტის ინტერპრეტაცია ვარაუდობს „კითხვის კულტურის“ გარკვეულ დონეს, „ცოდნის მენეჯმენტის“ ჩათვლით. აღქმის ასეთი სისტემის თავისებურებების წყალობით მასმედიის ენას აქვს „ზემოქმედებითი ფუნქცია“. [მასმედიის ენა, 2004: 69].

„საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მედია ნაკადების დისკრეტული ერთეულების შესწავლა. ექვგარეშეა, ასეთი ძირითადი ერთეულია მედია ტექსტიც, რომლის ჩარჩოებში შესაძლებელია გავაერთიანოთ ისეთი მრავალფეროვანი და მრავალდონიანი ცნებები, როგორცაა საგაზეთო სტატია, რადიოგადაცემა, სატელევიზიო ახალი ამბები, ინტერნეტ-რეკლამა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროდუქციის სხვა სახეობები.

XX საუკუნის 90-იან წლებში ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩენილი ტერმინი, რომელსაც ეწოდება „მედია ტექსტი“, ძალზე სწრაფად გავრცელდა როგორც საერთაშორისო აკადემიურ წრეებში, ისევე ეროვნულ მედია დისკურსებში. სამეცნიერო ცნობიერებაში მედია ტექსტის კონცეფციის სწრაფი დამკვიდრება განპირობებული იყო მედია მეტყველების პრობლემების, მასობრივი კომუნიკაციების სფეროში ენის ფუნქციონირების თავისებურებების შესწავლისადმი მკვლევარების მზარდი ინტერესით.

მედია ტექსტის კონცეფციას, როგორც მოცულობითი მრავალდონიან მოვლენას ემატება პარამეტრების მტკიცე სისტემა:

- ტექსტის წარმოების ხერხი (საავტორო - კოლეგიალური);
- შექმნის ფორმა (ზეპირი - წერილობითი);
- აღდგენის (კვლავწარმოების) ფორმა (ზეპირი - წერილობითი);
- გავრცელების არხი (მასობრივი ინფორმაციის საშუალება - მატარებელი: პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი);

- ტექსტის ფუნქციონალურ-ჟანრობრივი ტიპი (ახალი ამბები, კომენტარი, პუბლიცისტიკა, რეკლამა);

- თემატური დომინანტა ან ამა თუ იმ მტკიცე მედია ტოპიკისადმი კუთვნილობა“. [დობროსკლონსკაია 2008: 29, 31].

ლინგვისტების ბოლო დროის ინტერესის სფეროში სამეცნიერო ობიექტთაგან ერთერთი ხდება საჯარო დისკურსი (რომელიც შეიცავს პუბლიცისტიკური სტილის ტექსტებს). როგორც ე.ს შჩელკუნოვა წერს „დღეს რეციპიენტი მიმართავს რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ახალი ამბების, მიმდინარე მოვლენათა ანალიზის საძიებოდ, და ხშირად გასართობადაც, ხვდება მედია ტექსტს, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც პუბლიცისტიკური, ასევე სარეკლამო ან PR-ტექსტით“ [შჩელკუნოვა 2004: 3].

საჯარო კომუნიკაციები ჩნდება, ყალიბდება და ფუნქციონირებს საზოგადოებებში, სადაც შესაძლებელია საჯარო სფეროს არსებობა. ძალიან ხშირად ტოტალიტარულ სისტემაში საჯარო კომუნიკაციებს თავდაპირველად ჩაანაცვლებს პოლიტიკური პროპაგანდა, რომელიც ასეთ საზოგადოებაში საზოგადოებრიობის ინტერესს იწვევს.

„მედია ტექსტი არის - ტექსტთა ტიპი, რომლებიც ვრცელდება მასობრივი კომუნიკაციის არხებით კომუნიკატორებს და მასობრივ აუდიტორიას შორის ურთიერთმოქმედების დამყარების მიზნით“ [შჩელკუნოვა 2004: 120].

ინფორმირების ერთადერთი ფორმა კი დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ საზოგადოებაში სახელმწიფო ორგანოები და ორგანიზაციები ყოველმხრივ ცდილობენ ოპტიმიზაცია გაუკეთონ თავის იმიჯს საჯარო დისკურსში აქტიური ჩართვით.

საჯარო სფეროს ფორმირება და აქტიური საჯარო კომუნიკაციები თავის ასახვას საზოგადოების სამეტყველო პრაქტიკაშიც პოულობს. შემთხვევით არ საუბრობენ ლინგვისტები ბოლო ათწლეულზე როგორც პერიოდზე, როცა „ხდება უდიდესი სამეტყველო მასივის ფორმირება და ერთდროულად სტრუქტურირება, რომელსაც მოსახერხებელი იქნება ვუწოდოთ ზეპირი საჯარო სიტყვა. ზეპირი საჯარო სიტყვის სფეროში ყალიბდება სამეტყველო სტრატეგიების ტიპები, სამეტყველო მოქმედებების საკუთარი სისტემა, საკუთარი, ხარისხობრივად ახალი ნაირსახეობის ტექსტები“. დავამატებთ: ბოლო ათწლეულს მიმდინარეობს ასევე განსაკუთრებული სახის წერილობითი ტექსტების კორპუსის ფორმირებაც, რომლებიც ფუნქციონირებენ საჯარო კომუნიკაციების სივრცეში. ვ.ი.კონკოვი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეტყველებითი მასივის გამოკვლევისას გამოყოფს მასობრივ აუდიტორიაზე გათვლილი ტექსტების ორ ჯგუფს: ზეპირი საჯარო და წერიტი საჯარო სიტყვა. მკვლევარის აზრით, წერიტი საჯარო სიტყვა „წარმოდგენილია სხვადასხვაგვარი საგაზეთო და საჟურნალო გამოცემებით, სააგიტაციო ფურცლებით, ასევე სპეციალურად მასობრივი აუდიტორიისათვის ბროშურების და სხვა მსგავსი გამოცემების სახით გამოსული ცალკეული ტექსტებით. წერიტი საჯარო სიტყვის სპეციფიკური თვისებაა მისი ღრმა და სხვადასხვაგვარი დიფერენციაცია აუდიტორიის ხასიათის მიხედვით: პოლიტიკური შეხედულებები, ასაკი, ინტერესები, კულტურის დონე, საქმიანობის ხასიათი და ა.შ. [კრივონოსოვი 2001: 14, 17].

ამგვარად, საჯარო დისკურსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიფერენციაცია, როგორც ტექსტის ავტორის დონეზე, მათ შორის ჟურნალისტის, ასევე ადრესატის დონეზეც, მათ შორის მკითხველის, რომელიც აქტიურად სარგებლობს თანამედროვე საზოგადოებაში მისთვის მინიჭებული უფლებით აირჩიოს ესა თუ ის მასმედია, ამა თუ იმ თვალსაზრისით გარე სამყაროზე. გავიხსენოთ რეცეპიენტის მიერ ტექსტის ადეკვატური აღქმის ძირითად პირობათაგან - გაგების განწყობა, ვერ გაგების განწყობის საწინააღმდეგოდ (გამოხატული, მაგალითად, გამონათქვამებში: „გაგებაც არ მინდა!“, „ასეთ რამეს არ ვკითხულობ!“ და ა.შ.). პუბლიცისტიკური ტექსტის ავტორისათვის გაგების განწყობის შექმნა, გაუჩინოს სურვილი ყური დაუგდონ, თუნდაც არ დაეთანხმონ, იკამათონ მასთან - ნიშნავს მკითხველის (მსმენელის) ნდობის მოპოვებას. აუდიტორიის ნდობის მოპოვებელი ავტორი ცდილობს გაამართლოს მისი მოლოდინები, „ილაპარაკოს მის ენაზე“. ავტორი პროგნოზირებს ადრესატის რეაქციას და ამ პროგნოზის შესაბამისად აკორექტირებს თავის ტექსტს.

მამასადამე, როგორც უკვე ითქვა საჯარო დისკურსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიფერენციაცია, როგორც ტექსტის ავტორის დონეზე, მათ შორის ჟურნალისტის, ასევე ადრესატის დონეზეც, მათ შორის მკითხველის, რომელიც აქტიურად სარგებლობს თანამედროვე საზოგადოებაში მისთვის მინიჭებული უფლებით აირჩიოს ესა თუ ის მასმედია, ამა თუ იმ თვალსაზრისით გარე სამყაროზე.

### ლიტერატურა:

1. Аргументация в публицистическом тексте (жанрово-стилевой аспект): учеб. пособие. Свердловск, 1992.
2. Добросклонская Т. Г., Язык средств массовой информации: учеб. пособие. М., 2008.
3. Кожина М. Н., Некоторые аспекты изучения речевых жанров в нехудожественных текстах// Стереотипность и творчество в тексте. Пермь, 1999.
4. Кривоносова А. Д., PR-текст в системе публичных коммуникаций. СПб., 2001.
5. Матвеева Т. В., Функциональные стили в аспекте текстовых категорий. Свердловск, 1990.
6. Платонова О.В., Виноградов С. И. Средства массовой информации и культура речи// Культура русской речи. М., 2000.
7. Прохоров Е. П., Введение в теорию журналистики, издательство „Рип – холдинг“, Москва, 2002.
9. Прохоров Е. П., Искусство публицистики, Москва, 1983.
10. Прохоров Ю. Е., В поисках концепта. М., 2008.
11. Русская речь в средствах массовой информации: Стилистический аспект/ Под. ред. В. И. Конькова. СПб., 2007.
12. Человек – текст – культура./ Под.ред. Н. А. Купиной, Т.В. Матвеевой, Екатеринбург, 1994.
13. Чернышова Т.В., Тексты СМИ в ментально-языковом пространстве современной России. М., 2007.
14. Щелкунова Е.С., Публицистический текст в системе массовой коммуникации. Специфика и функционирование. Воронеж, 2004.
15. Язык СМИ как объект междисциплинарного исследования: учеб. пособие. Ч. 2. М., 2004.



**MEDIA TEXT AND PUBLIC DISCOURSE**  
**Meri Tsutskiridze, Gori State Teaching University, Specialist by contract**  
**RESUME**

The Public discourse is particularly important to differentiate between the levels as the author of the text, including a journalist, as well as at the level of the recipient, including the reader, which is actively used in modern society to choose any media, in any sense of the outside world.

**ჩვეულება, როგორც ინგლისური სამართლის წყარო**

**ელგუჯა ჭანტურია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**

სიტყვას „ჩვეულება“ (custom) ინგლისურ სამართალში აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. ინგლისის სამართლებრივ სისტემაში „ჩვეულებაში“ იგულისხმება ადგილობრივი სამართალი (local law), უფრო სწორად - სამართლის წყარო, რომლის ნორმები მოქმედებს გარკვეულ ტერიტორიაზე, ან პირთა გარკვეულ ჯგუფთან მიმართებაში. ფაქტობრივად, ასეთი სამართალი არის სუბიექტური უფლებებისა (rights) და მოვალეობების (duties) ერთობლიობა, რომელთა არსებობა ჩვეულებიდან გამომდინარეობს. ამ თვალსაზრისით, ჩვეულებები - ადგილობრივი, ან ჩვეულებითი სამართალი, ისეთივე სამართალია, როგორც საერთო სამართალი (Common Law)<sup>1</sup>.

ჩვეულების სხვანაირი გაგება - საქმიანი (სავაჭრო) ბრუნვის (conventional trade usages) ჩვევები. ამ გაგებით ჩვეულება არ არის სამართალი (სამართლის წყარო, როგორც მისი ფორმა), არამედ ის წარმოადგენს გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში მიიღება კონტრაქტების დადების დროს და აისახება კონტრაქტული სამართლის ტერმინებში.

ჩვეულების მესამე მნიშვნელობა - ანგლების, საქსების, გვარტომეული გაერთიანებების არქაული ჩვეულებითი სამართალი, რომელიც ისტორიულად წინ უსწრებდა საერთო სამართალს, და შესაბამისად, არ განეკუთვნებოდა სამართალს სიტყვის საკუთარი გაგებით და არ ავსებდა სამართლის წყაროებს. როგორც აღნიშნავდა XIX საუკუნის სამართლის გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსი ჰენრი მეინი, ჩვეულებები არასდროს არ წარმოადგენდა ინგლისურ სამართალს, სიტყვის თანამედროვე გაგებით<sup>2</sup>. ამრიგად, შეიძლება ვაღიაროთ, რომ ჩვეულება ვიწრო, სიტყვის საკუთარი გაგებით, ინგლისის სამართლებრივი სისტემის კონტექსტში წარმოადგენს სამართლის დამატებით წყაროს, თუ ეს უკანასკნელი დაყვანილი იქნება სუბიექტურ უფლებებსა (rights) და მოვალეობებთან (duties).

ჩვეულების, როგორც იმ სამართლებრივი ნორმების წყაროს გაგება, რომლებიც განსაზღვრავენ მხარეთა სუბიექტურ უფლებებსა და მოვალეობებს, საშუალებას აძლევს მოსარჩელებსა და მოპასუხეებს სასამართლოში ისეთივე მითითება გააკეთონ ჩვეულებებზე, როგორც კანონებზე, ხოლო სასამართლოებმა - აღიარონ ჩვეულების ნორმატიული იურიდიული ძალა.

ძირითადად, როგორც ეს ზემოთ არის ნაჩვენები, მითითება ჩვეულებებზე მიღებული არის კამათის დროს ჩვევების შესახებ და ადგილობრივი წყობის საკითხებზე. ჩვეულებებზე, მაგალითად, მიუთითებენ სასამართლოებში იმ საქმეებზე, რომლებიც შეეხება მეთევზეთა ბადეების გარკვეულ ადგილებში შრობის უფლებას, თუნდაც ასეთი ადგილები პლიაჟებად გამომდგარიყო, იმ ადგილებში ვაჭრობის შესახებ, სადაც ტარდებოდა ყოველწლიური ბაზრობები და ა.შ. თუმცა, ჩვეულების ამგვარი როლი ინგლისის სამართლებრივ სისტემაში, ამით არ შემოიფარგლება. რეგლამენტირებას უწევს რა სახელმწიფოებრივი

<sup>1</sup>დაწვრილებით ჩვეულების, როგორც სამართლის წყაროს შესახებ იხ.: Кросс Р. Прецедент в английском праве. М.: «Юридическая литература», 1985 г. стр.161-164;

<sup>2</sup>*Maine Si H. Ancient Lav. L. – DenT, 1917*; ქართულ სამართალშიც ანალოგიური აზრია გატარებული, რომ „სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები სამართლის ნორმას არ წარმოადგენენ“, მაგრამ კანონის არარსებობისას ... ჩვეულების გამოყენება იზღუდება იმით, რომ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და საჯარო წესრიგს. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მ.2, ნ.4); ლადო ჭანტურია. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 339 მუხლის კომენტარები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. კომენტარი. წიგნი მესამე. თბ.: „სამართალი“, 2001, გვ. 167).

მოწყობის ფორმებს, სახელმწიფოს საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს (კონსტიტუციური ჩვეულებები), სასამართლო სისტემას და ა.შ. ჩვეულება ავსებს სამართლის წყაროებს.

ინგლისის სამართლებრივ სისტემაში ჩვეულების, როგორც ნორმატიული დადგენილების ერთ-ერთ წყაროს, იურიდიული განსაზღვრა სასამართლოს მიერ პირველად იყო ფორმულირებული ტანისტრის შესახებ გადაწყვეტილებაში (Tanistry Case (1698) 80 ER 516)<sup>1</sup>. სასამართლოს მიერ მიცემული განსაზღვრის თანახმად, ჩვეულება - ისეთი ჩვევაა, რომელიც ისეთივე ძალის არის, როგორც სამართალი (კანონი). არ არის გამორიცხული, რომ ჩვეულება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სამართლის სხვა წყაროებს (კანონს). ასეთ შემთხვევაში არ ხდება ჩვეულების აღიარება სამართლად, ვინაიდან ის არ შეესაბამება ჩვეულების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

ჩვეულება (custom), როგორც სამართლის წყარო, არ უნდა აგვერიოს სამართლებრივ ჩვევებში<sup>2</sup>, ან კონვენციებში (conventions). კონვენციები - ზოგადი და საერთაშორისო სამართლის ნაწილია, მაშინ, როდესაც ჩვეულება - სამართლის განცალკევებული და დამოუკიდებელი წყაროა, რომელიც არსებობს ზოგად და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან ერთად. სამართლებრივი ჩვევები შეადგენს საერთო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს. დასახელებულ დონეზე ცხოვრების წესის საკითხების რეგულირებასთან ერთად ჩვეულებები ინგლისის სამართლებრივ სისტემაში ასევე რეგლამენტირებას უწევენ სასამართლო და კანონშემოქმედებითი საქმიანობის მნიშვნელოვან პროცედურულ საკითხებს. მაგალითად, ჩვეულების ნორმებით არის რეგლამენტირებული მონარქის თანხმობის მიღება პარლამენტის მიერ დამტკიცებულ კანონზე, მაღალი სასამართლოების მოსამართლეების ბუნებრივი იურისდიქცია და ა.შ.

კანონის ძალა აქვთ არა ნებისმიერ ჩვეულებებს, არამედ მხოლოდ მათ, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ კრიტერიუმებს (criteria). ეს უკანასკნელები შემუშავებული არიან სასამართლო პრაქტიკით და განზოგადებულია ბლექსტონის მიერ, 1765 წელს. *ბლექსტონის კრიტერიუმებს* ჩვეულების იურიდიული ძალის განსაზღვრისთვის განეკუთვნება: სიძველე, უწყვეტობა, გონივრულობა, განსაზღვრულობა და სიცხადე, ნორმატიულობა, ლოკალურობა (მოქმედების ტერიტორიული შეზღუდულობა) და წარმომავლობის ბუნებრიობა<sup>3</sup>.

**ჩვეულების „სიძველე“.** ჩვეულება, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს სამართლის წყაროს, უნდა იყოს ძველებური. ინგლისელი სამართალმცოდნეების წარმოდგენებში რაც უფრო ძველი არის ჩვეულება, მით უფრო დიდია იმის რწმენა, რომ მისი ნორმები წარმოადგენენ სამართალს ვინაიდან მათ გაუძლეს გამოცდას დროით. ნორმის (ჩვეულების) სიძველე განიხილება არა როგორც ნაკლი, არამედ როგორც ღირსება.

ჩვეულების სიძველე (antiquity) – კრიტერიუმია, რომელიც ვარაუდობს ჩვეულების არსებობის აუცილებლობას, როგორც ინგლისელები იტყვიან „უხსოვარი დროიდან“ (since time immemorial). ეს არის პირველი მოთხოვნა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ჩვეულება, რათა მიღებულ იქნეს როგორც სამართლის წყარო (ფორმა).

ჩვეულების სიძველე, ე.ი. მისი არსებობა ინგლისურ სამართლებრივ სისტემაში „უხსოვარი დროიდან“ - სრულიად განსაზღვრული იურიდიული ცნებაა. საკანონმდებლო გაფორმება მან მიიღო პარლამენტის სტატუტით 1275 წელს. იმ წლად, რომლიდანაც უნდა დაიწყოს „უხსოვარი დროის“ ათვლა, მაშინ გამოცხადდა 1189 წ. - რიჩარდ I მმართველობის პერიოდი. ამრიგად, შეიძლება მივიჩნიოთ,

<sup>1</sup> „ტანისტრი“-ს თანამედროვენი უწოდებდნენ მიწის საკუთრების მემკვიდრეობით მიღების ირლანდიურ წესს. ტანისტრი (tanistry) ძველი ირლანდიური ჩვეულება (მე-17 საუკუნემდე), რომლის თანახმად ჯერ კიდევ მეფის სიცოცხლეში ირჩევდნენ განსაზღვრული წარჩინებული ოჯახიდან მის მემკვიდრეს - ტანისტრი. (Сов. энциклоп. словарь, М.:, «Советская энциклопедия», 1979, с. 1316. ტანისტრის შესახებ საქმეში მოსარჩელე მოითხოვდა იმის აღიარებას, რომ ასეთ ჩვეულებას აქვს სამართლის ძალა. სასამართლომ უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაში იმის საფუძველზე, რომ მოცემული ჩვეულება არ აკმაყოფილებს რიგ კრიტერიუმებს: გონივრულობას, განსაზღვრულობასა და უწყვეტობას. მოცემული სასამართლო საქმე წარმოიშვა ინგლისელების მიერ ირლანდიის საბოლოო დაპყრობის შემდეგ. ამრიგად, ტანისტრის შესახებ საქმეში საუბარი შეეხებოდა დაპყრობამდე ირლანდიის ტერიტორიაზე არსებული ჩვეულებრივი სამართლის აღიარებას ინგლისური საერთო სამართლის ნაწილად, ე.ი. ინგლისური საერთო სამართლის წყაროდ. საინტერესო მასალები ტანისტრის შესახებ საქმის მიხედვით იხ. <http://www.austlii.edu.au/au/journals/ALL.R/2001/37.html#fn3#fn3>.

<sup>2</sup> გია ლილუაშვილი. სავაჭრო ხელშეკრულებების განმარტების წესების მნიშვნელობა ქართულ და ამერიკულ სამართალში. - ჟურნალი „სამართლის აქტუალური საკითხები.“ თბ.; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 1999 წ., გვ. 22,23

<sup>3</sup> იხ.: Р.Л. Нарышкина. Источники гражданского права Англии. – В. кн.: Гражданское и торговое право капиталистических государств. Учебник: ч. I, М.:»Международные отношения.» 1983, с. 54, 55; В. Ансон. Договорное право. М.: «Юридическая литература», 1984, с. 13

რომ „სიძველეს“ ფლობენ ის ჩვეულებები, რომელთა არსებობა 1189 წლამდე დასტურდება მტკიცებულებებით სასამართლოში. პრაქტიკაში ჩვეულების არსებობის მტკიცება წარსულში 1189 წლამდე, რა თქმა უნდა, არავის არ მოეთხოვება. სასამართლოები, როგორც წესი, კმაყოფილებიან საქმის გარჩევის ადგილზე ყველაზე ხანდაზმული მაცხოვრებლების ჩვენებით (existence within living memory). იმის მტკიცების მსურველმა, რომ ჩვეულება არ აკმაყოფილებს სიძველის კრიტერიუმს, უნდა მოიყვანოს იმის დამაჯერებელი დადასტურება, რომ ჩვეულებას არ შეიძლება ეარსება 1189 წლამდე. მაგალითად, თუ ჩვეულება წარმოიშვა 1189 წელზე გვიან.

აქ მნიშვნელოვანი არის იმის გათვალისწინება, რომ ჩვეულების სიძველე სასამართლოში უნდა დაამტკიცოს იმან, ვინც ჩვეულების სიძველის შესახებ აცხადებს ან უარყოფს მას. იმ შემთხვევებში, როდესაც საუბარი მიდის იმ ჩვეულებების შესახებ, რომელთა სიძველე საყოველთაოდ არის ცნობილი და დადგენილი, ჩვეულების სიძველის მტკიცება არ არის აუცილებელი.

საქმეში „სიმპსონი უელსის წინააღმდეგ“ (Simpson v Wells) 1872 წელს მოპასუხეს ბრალი ედებოდა იმაში, რომ დააყენა რა მან ფარდული გამაგრებული სასმელებით ვაჭრობისთვის, დაარღვია ქუჩაში თავისუფალი გადაადგილების უფლება. თავის დასაცავად სიმპსონმა განაცხადა, რომ მას შეეძლო ამის გაკეთება, ვინაიდან ასეთი არის ჩვეულება და ის მოქმედებდა იქიდან გამომდინარე, რომ მას ჰქონდა ამის უფლება (right) ე.წ. „სტატუტური სესიის“ ძალით. სტატუტურ სესიებად (statute sessions) იწოდებოდა ბაზრობები მსახურების დასაქირავებლად, რომლებიც ამ ადგილებში ძველად ტარდებოდა. ასეთი ბაზრობების ჩატარების დროს ყოველთვის იდგმებოდა სავაჭრო ფარდულები. თუმცა სასამართლოში დამტკიცდა, რომ მართალია, ასეთი ჩვეულება სინამდვილეში არსებობდა, კრიტერიუმი „სიძველისადმი“ მისი შეუსაბამობის გამო ის არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სამართლის წყარო (rights). სტატუტური სესიები თავიანთ დასაწყისს იღებენ მხოლოდ XIV საუკუნეში, ეს კი ნიშნავს, რომ 1189 წლამდე ჩათვლით ასეთი ჩვეულება არ არსებობდა<sup>1</sup>, სიძველეს ის არ ამჟღავნებს და ამის საფუძველზე ის არ შეიძლება განხილვოდეს როგორც სიმპსონის სამართლის წყარო (right) გამაგრებული სასმელებით სავაჭრო ფარდულის დასადგმელად მოცემულ ადგილზე.

**ჩვეულების უწყვეტობა.** უწყვეტობის მოთხოვნა (continuity) შემდგომში მდგომარეობს: მხოლოდ ის ჩვეულება შეიძლება იქნეს მიჩნეული სამართლის წყაროდ (rights), რომელიც არ შეწყვეტილა, ამასთან ჩვეულების უწყვეტობა არ ნიშნავს მის მუდმივ დინებას.

ასე მაგალითად, საქმეში „მერსერი დენის წინააღმდეგ“ (Mercer v Denne) 1905 წელს, საქმე ეხებოდა იმას, რომ მოპასუხემ გადაწყვიტა მშენებლობის დაწყება პლიაჟის მის საკუთრებაში არსებულ ნაწილში. მოსარჩელედ გამოდიოდა იქვე მცხოვრები მეთევზე, რომელმაც განაცხადა, რომ მშენებლობა დაარღვევდა ამ ადგილზე სათევზაო ბადეების შრომის უფლებას. სარჩელში ის სთხოვდა სასამართლოს მისი იმ უფლებების (rights) დაცვას, რომლებიც წარმოიშვა მოცემულ ადგილზე ბადეების შრომის ჩვეულების საფუძველზე, რომელიც არსებობს აქ მცხოვრები თაობების მეხსიერებაში და ამის საფუძველზე აკრძალოს მოპასუხეს მშენებლობა. მოპასუხე უარყოფდა ასეთი უფლების არსებობას მოსარჩელესთან. მოპასუხემ განაცხადა: ჩვეულებით, რომელზეც მიანიშნებს მოსარჩელე, სარგებლობდნენ შემთხვევიდან შემთხვევამდე, ხოლო 1799 წელს მოქცევის ზოლის შეცვლის გამო საკამათო ადგილი საერთოდ წყლის ქვეშ აღმოჩნდა და მასზე ამ დრომდე შეუძლებელი იყო ბადეების შრომა. თუმცა, სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალია იმ უფლების არსებობა, რომლის შესახებ აცხადებდა მოსარჩელე და რომელიც შეიძლება დარღვეული ყოფილიყო მოპასუხის სამშენებლო გეგმებით.

**ჩვეულების გონივრულობა.** ჩვეულების გონივრულობაში (reasonableness) იგულისხმება, რომ ის არ ეწინააღმდეგება საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებულ წარმოდგენებს სიკეთისა და ბოროტების, სწორისა და არასწორის შესახებ. მაგალითად, გონივრული საფუძველებით არ შეიძლება იქნეს მიჩნეული ჩვეულებად დამნაშავეობა. ამიტომ დამნაშავეს არ შეუძლია სასამართლო წესით დაიცვას თავისი უფლება (right) ჩაიდინოს დანაშაული - ასეთი უფლება იურიდიულად არ არსებობს იმის ძალით, რომ მაგალითად, მგლობელის მიერ დროებით დატოვებული ნივთების დასაკუთრება შეიძლება სავსებით რეალურად არსებობდეს და საკმარისად ფართოდ გამოიყენებოდეს პრაქტიკაში. ნებისმიერი ჩვეულება სამართლის წყაროს ხარისხში მიიჩნევა არაარსებითად, თუ ის ეწინააღმდეგება საერთო სამართლის ფუნდამენტალურ საფუძველებს.

მაგალითად, საქმეში „უოლსტენტონი „კორპორაცია ნიუკასლა-ნა-ლაიმეს“ წინააღმდეგ“ (Wolstanton v New Castle-under-Lyme Corporation) 1940 წ. მიწათმოქმედი, როგორც ჩვეულებზე მიუთითებდა იმას, რომ ყოველთვის ყველა მისი წინაპარი - მიწათმოქმედი შახტური მეთოდით მოიპოვებდა მინერალურ ნედლეულს მის მიწაზე, თუმცა ეს ხშირად იწვევდა მეწყერსა და ნიადაგის ჩაწოლას, რის შედეგადაც ქონებრივი ზიანი ადგებოდა ამ ადგილის სხვა მცხოვრებლების ნაგებობებსა და

<sup>1</sup> რენე დავიდი. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თბ.: „ბონა კაუზა“, 2010, გვ. 236, 237

მიწის ნაკვეთებს. სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი ჩვეულება არ შეიძლება წარმოადგენდეს სამართლის წყაროს, რომლის არსებობის თაობაზე აცხადებდა მოპასუხე, ვინაიდან ის არ პასუხობს გონივრულობის მოთხოვნას.

**ჩვეულების განსაზღვრულობა და სიცხადე.** ჩვეულებები, რომლებსაც აკლიათ სიცხადე და განსაზღვრულობა არ მიიჩნევა სამართლის წყაროდ. ჩვეულების განსაზღვრულობა (certainty) იმაში გამოიხატება, რომ იმ ადგილის საზღვრები, რომლის ფარგლებშიც ის მოქმედებს, უნდა იყოს დადგენილი. ასევე ცნობილი უნდა იყოს, თუ კონკრეტულად რომელ უფლებებზეა საუბარი. ეს უფლებები უნდა იყოს ცხადი (სიცხადე - clarity). მაგალითად, საქმეში „ვილსონი ვილესის წინააღმდეგ“ (Wilson v Willes) ადგილ-მამულის მაცხოვრებლებმა განაცხადეს მათი იმ უფლების (right) არსებობის შესახებ, რომელიც მათ იმდენი შავმიწიანი ნიადაგის ალების საშუალებას აძლევს ადგილ-მამულის მინდვრებიდან, რამდენიც საჭირო არის მათი გაზონების კეთილმოწყობისთვის. გაცხადებული უფლება სასამართლომ შეაფასა როგორც არაგანსაზღვრელი და გაურკვეველი იმის გამო, რომ არავინ იცოდა, თუ შავი მიწის რა რაოდენობაზე ვრცელდებოდა ის.

**ჩვეულების ნორმატიულობა.** სამართლის წყარო (rights) ხდება მხოლოდ ისეთი ჩვეულება, რომელიც ხასიათდება ნორმატიულობით. ჩვეულების ნორმატიულობა იმაში ვლინდება, რომ ის ქმნის არა მარტო უფლებებს, არამედ მის მიერ კორესპონდირებად მოვალეობებს (obligatory force). აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ჩვეულება, როგორც ეს ახასიათებს სამართლის წყაროს (ფორმას), შეიძლება ფლობდეს ნორმატიულობას. ამ შემთხვევაში ის ქმნის არამარტო უფლებებს (rights), არამედ მოვალეობებსაც (duties). ამგვარი მოვალეობების დაუცველობა არღვევს უფლებას, და ამიტომ ასეთი მოვალეობები - ტვირთია და მათი შესრულება ან შეუსრულებლობა არ არის გადაცემული კერძო პირების გადასაწყვეტად. ამდენად, ჩვეულების, როგორც სამართლის წყაროს (სუბიექტური უფლებები და მოვალეობები) არსებობა არის იმ უფლებების გარანტია, რომლებიც არსებობს ჩვეულების ძალით<sup>1</sup>. ამას, ფუჭი ჩვეულება - ჩვეულებაა, მაგრამ ისეთი, რომელიც არ ქმნის უფლებებს (rights). ჩვეულება, რომელიც არავის არაფერს არ ავალდებულებს, ასევე არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. ბლექსტონი აღნიშნავდა, რომ ჩვეულება, რომლის ძალითაც ამ მხარის მაცხოვრებლები იბეგრებიან ადგილობრივი გადასახადით ხიდის საჭიროებებისთვის, არის ჩვეულება კეთილი, ხოლო თუ მაცხოვრებლები უბრალოდ გაიღებენ თანხებს ხიდის შესანახად თავისი შეხედულებისამებრ, შემთხვევიდან შემთხვევამდე, როდის და რამდენს ჩათვლიან საჭიროდ, ასეთი ჩვეულება არის ამას და უფლებებისა და მოვალეობების წყაროს არ წარმოადგენს. „არაკეთილი“ (ბლექსტონის ტერმინოლოგიაში) ჩვეულება, შესაბამისად, ჩვეულებას (სიტყვის ვიწრო გაგებით, ესე იგი როგორც უფლებებისა და მოვალეობების წყაროს) არ წარმოადგენს და არის მარტივი ჩვეულებრიობა. ჩვეულებრიობა - არ არის ჩვეულება, ამდენად ის არ განიხილება როგორც სამართლის შესაძლო წყარო.

**ჩვეულების ლოკალურობა.** ჩვეულება ითვალისწინებს წესებს, რომლებსაც იცავენ მხოლოდ გარკვეული ადგილმდებარეობის ფარგლებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვეულებისთვის დამახასიათებელი არის ლოკალურობა (locality). სხვა ადგილზე ჩვეულება არ არის ჩვეულება, იქ - საკუთარი ჩვეულებებია. თუ ჩვეულება ადასტურებს ლოვესტოფტში მცხოვრებ მეთევზეებთან ნაპირზე ბადეების შრომის უფლების (right) არსებობას, ეს არ ნიშნავს ასეთივე უფლების არსებობას გრიმსბიში მცხოვრებ მეთევზეებთან. გრიმსბიში - საკუთარი ჩვეულება და საკუთარი სამართალია. ჩვეულება არის ადგილობრივი სამართლის წყარო. მოცემულ მიმართებაში ის უფრო ახლოს არის სამართალთან, რომელსაც გამოსცემენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

**ჩვეულების წარმოშობის ბუნებრიობა.** ჩვეულება ბუნებრივად წარმოიშობა, ე.ი. არა შეთანხმებების, მიწერილობების ან ხელისუფლების განკარგულებების ძალით. ჩვეულების საფუძველზე არსებული უფლებები არ განეკუთვნება პრივილეგიებს: ასეთ ჩვეულებებს არ გამოითხოვენ, არამედ იცავენ და მოითხოვენ მათ აღიარებას. ხელისუფლებას არ შეუძლია უფლებების (rights) შექმნა, თუ ისინი არ გამომდინარეობს სამართლის ბუნებიდან (Law), მაგრამ შესწევთ უნარი შექმნან სამართლის ზოგიერთი წყარო, მაგრამ არა ჩვეულება.

უფლებები (rights), რომელთა არსებობა გამომდინარეობს ჩვეულებიდან, არ არის ნაჩუქარი. ნაჩუქარი ან განკარგულებით ან ნებართვით შემოღებული უფლებების (rights) წყაროს ჩვეულება არ

<sup>1</sup> მაგალითად, სისხლის ალების ჩვეულება წარმოადგენს წყაროს მოვალეობისა, განახორციელოს შურისძიება გვარის და არა სამართლის სახელით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს და უარიც ითქვას მის გამოყენებაზე. ამიტომ შეიძლება საუბარი სისხლის ალების მოვალეობაზე (duty), მაგრამ არა სისხლის ალების უფლებაზე (rights) - ასეთი უფლება არ არსებობს იქაც კი, სადაც არსებობს სისხლის ალების ჩვეულება; შეადარე: ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტომი VI, თბ. : „მეცნიერება“, 1982, გვ. 32,33,145, ლადო ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ.: „სამართალი“, 1997, გვ. 99

წარმოადგენს. ამიტომ, ჩვეულება არ შეიძლება იყოს ნაჩუქარი უფლებების წყარო. მხოლოდ იმ უფლებებს, რომლებსაც იყენებენ ჩვეულების საფუძველზე, ე.ი. არა ნაჩუქარ უფლებებს, თავის წყაროდ აქვთ სამართლებრივი ჩვეულება (a custom exercised as of right). ასეთ შემთხვევაში საუბრობენ უფლებების შესახებ და მხედველობაში აქვთ ჩვეულება, რომელიც გახდა მათი წყარო.

საქმეში „მილზი კორპორაცია „კოლჩესტერის“ წინააღმდეგ“ (Mills v Colchester Corporation) 1867 წელს სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მეთევზეობა არ წარმოადგენს სუბიექტურ უფლებას იქ, სადაც მისთვის საჭირო არის ლიცენზია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი ლიცენზია ყოველთვის და ნებისმიერს მიეცემა, ვინც არ უნდა მოითხოვოს ის.

**სხვა მოთხოვნები ჩვეულებასთან მიმართებაში. ჩვეულების არაწინააღმდეგობრიობა (consistency).** ჩვეულება არ უნდა ქმნიდეს ურთიერთგამომრიცხავ უფლებებს. მაგალითად, თუ ჩვეულება ტბაში თევზის ჭერის ნებას აძლევს ერთი სოფლის მცხოვრებლებს, მან არ უნდა მისცეს სხვა სოფლის მცხოვრებლებს წყალსაცავის ამოშრობის ნებართვა და პირიქით.

**ჩვეულების კანონქვემდებარეობა (conformity with the statute)** ნიშნავს იმას, რომ ჩვეულება არ წარმოადგენს სამართლის წყაროს, თუ ის ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს. ჩვეულება ავსებს ოფიციალურად აღიარებულ სამართალს ამ უკანასკნელში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში. ოფიციალურად აღიარებული უფლების არსებობის შემთხვევაში ჩვეულების ნორმები კარგავენ თავიანთ ნორმატიულ მოქმედებას. ასეთ შემთხვევებში უნდა ვიხელმძღვანელოთ სამართლით.

#### ლიტერატურა:

1. Кросс Р. Прецедент в английском праве. М. «Юридическая литература», 1985, стр. 161-164;
2. Maine Si H. Ancient Lav. L. – DenT, 1917.
3. <http://www.austlii.edu.au/au/journals/ALL.R/2001/37.html#fn3#fn3>.
4. გია ლილუაშვილი. სავაჭრო ხელშეკრულებების განმარტების წესების მნიშვნელობა ქართულ და ამერიკულ სამართალში. - ჟურნალი „სამართლის აქტუალური საკითხები.“ თბ.; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 1999 წ., გვ. 22,23
5. Р. Л. Наришкина. Источники гражданского права Англии. – В. кн.: Гражданское и торговое право капиталистических государств. Учебник: ч. I, М.: »Международные отношения.« 1983, с. 54, 55; В. Ансон. Договорное право. М.: «Юридическая литература», 1984, с. 13
6. რენე დავიდი/ თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თბ.: „ბონა კაუზა“, 2010, გვ. 236, 237
7. ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტომი VI, თბ.: „მეცნიერება“, 1982, გვ. 32, 33, 145.
8. ლადო ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ.: „სამართალი“, 1997, გვ. 99

### THE CUSTOM AS THE SOURCE OF ENGLISH LAW Elguja Chanturia, Gori State Teaching University, Associate Professor RESUME

The presented article deals with the custom as the source of English law which is still of great importance for the regulation of the private legal relations.

## ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი საგადასახადო წესების დარღვევისათვის

ია ხარაზი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

**საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევის ცნება.** ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სუბიექტები ძირითადად თანამდებობის პირები არიან. კანონის თანახმად, თანამდებობის პირებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც დაკავშირებულია მმართველობის წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, ბუნების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დადგენილი წესებისა და სხვა იმ წესების დაუცველობისათვის, რომელთა შესრულების უზრუნველყოფა მათ სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენს.

რადგან ჩვენ საგადასახადო წესების დარღვევაზე ვსაუბრობთ აღნიშნულ სტატიაში, არ შეიძლება არ შევხებოდეთ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას: სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ზოგადად, კონკრეტულად კი საჯარო მოხელეთა და ხშირ შემთხვევაში მათ სოლიდარულ პასუხისმგებლობას სახელმწიფოსთან ერთად. „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების (საჯარო მოხელეების) მიერ მიყენებული ზიანისათვის სამართლებრივი სახელმწიფოს სამართლის პრაქტიკისა და მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. საკითხის სირთულე გამომდინარეობს იქედან, რომ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს (ფინანსური) ინტერესი, მისი ქმედუნარიანობის შენარჩუნების პრინციპი და მოქალაქის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი. დასავლურმა სამართლებრივმა სახელმწიფოებმა აღიარეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების (საჯარო მოსამსახურეების) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით“<sup>1</sup>.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ვლინდება სახელმწიფო მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ვლინდება ასევე **პასუხისმგებლობის პოზიტიური** (რაც ნიშნავს, რომ სამართლის სუბიექტი აღიარებს ქვევის უმართებულო, არასწორ ხასიათს, იგი მოიქცევა ისე, როგორც ამას მოითხოვენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები) და **ნეგატიური ფორმით (რეტროსპექტიული ან ნეგატიური ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა** მოიცავს უპასუხისმგებლო ქვევის შეფასებას, ე.ი. როდესაც სამართლის სუბიექტი სჩადის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი ისჯება და განიცდის პირადი და ქონებრივი ხასიათის შეზღუდვებს).

საგადასახადო-საბაჟო<sup>2</sup> წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამახასიათებელი ნიშნებია: 1. საგადასახადო წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გამოხატულია სახელმწიფოებრივი იძულების ფორმით ადმინისტრაციულ-

<sup>1</sup> პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, გვ. 143.

<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ გააერთიანა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები და დღეს სახეზე გვაქვს ერთიანი საგადასახადო კოდექსი, მიგვაჩნია, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება ნაჩქარევად განხორციელდა, რამეთუ, ჯერ ერთი, საქართველოს აღებული აქვს საერთაშორისო ვალდებულებები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მეორეც, ევროკავშირს გააჩნია ერთიანი მთელი კავშირისათვის საერთო, უნიფიცირებული ევროკავშირის საბაჟო კოდექსი (EEC), საქართველო მონაწილეა მრავალი საერთაშორისო საბაჟო ხელშეკრულებისა და შეთანხმებისა, რომლებიც გარკვეულ ვალდებულებებს გვაკისრებს საბაჟო თანამშრომლობის სფეროში, ამიტომ მიგვაჩნია, რომ საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან; უნდა მოხდეს საგადასახადო და საბაჟო კოდექსების გამიჯვნა და ისინი უნდა არსებობდნენ ცალ-ცალკე დამოუკიდებელი რეგულირების საგნით; სააჟო კოდექსში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საბაჟო ადმინისტრაციული მექანიზმები და პროცედურები; საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ბარგითა და ხელბარგით კვეთენ საბაჟო საზღვარს, ხელი უნდა შეეწყოს ლიბერალური საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობის შემუშავებით ყველანაირი ინფორმაციის დეტალურად მიღებისა; თანამედროვე საბაჟო სისტემის და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ეს და სხვა აქტუალური პრობლემების მოწესრიგება საგადასახადო-საბაჟო საქმისა და სამართლისა კიდევ უფრო დაახლოვებს ქართულ საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობას ევროკავშირისას და ეს ამოცანა ევროპის კანონმდებლობასთან მიახლოებულმა საგადასახადო და საბაჟო კოდექსებმა უნდა იტვირთოს. იხ. ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, 2013, გვ. 12.

სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელების გამოყენებით<sup>1</sup>; 2. მას თან ახლავს სახელმწიფოებრივი გაკიცხვა და სამართალდამრღვევი პირისათვის იწვევს უარყოფით შედეგებს; 3. როცა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევისათვის დგება, იგი რეალიზაციას განიცდის პასუხისმგებლობის ურთიერთობათა ფარგლებში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: ა) გაფრთხილება; ბ) ჯარიმა; გ) იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო; დ) იმ საგნის კონფისკაცია<sup>2</sup>, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი, ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო; ე) მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება) ჩამორთმევა; ე[1] იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევა; ვ) გამასწორებელი სამუშაოები; ზ) ადმინისტრაციული პატიმრობა<sup>3</sup>.

საგადასახადო წესების დარღვევის შემთხვევისათვის საინტერესოა ასკ-ის 39-ე მუხლი („ვადა, რომლის გასვლის შემდეგ პირი ითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად“); მუხლი 128 {4} („იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა“), საგადასახადო - საბაჟო წესების დარღვევის ნორმების ანალიზისას საინტერესოა ნორმა ასკ-ის მ. 155 {2}, „მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის „აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია და გადაზიდვა“ - რომლის მიმართაც განსხვავებული მიდგომა გაგვაჩნია, კერძოდ, გამოვთქვამდით მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ნორმის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქციზური მარკის გარეშე საქონლის გადაზიდვას, მიგვაჩნია, რომ შეიძლებოდა უკეთესად დალაგებულიყო ასკ-ში და საგადასახადო კოდექსის იმ ნორმებშიც, რომლებიც მსგავსი დარღვევისათვის სანქციებს ითვალისწინებენ. საქართველოს საგადასახადო-საბაჟო ორგანოების პრაქტიკაში უამრავი მაგალითის მოძიება შეიძლება, როცა აქციზური მარკის დატანების გარეშე საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი მისი გადამტანი პირებისათვის ჩამოურთმევიათ და გაუნადგურებიათ (დაუწვიათ (მაგ.; სიგარეტი), საკანალიზაციო მილებში ჩაუღვრიათ (მაგ; ღვინო) და სხვ. ამით სახელმწიფოსაც არაფერი ემატება, ეს პროცედურა გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული სახელმწიფოს მხრიდანაც; ამიტომ უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ აქციზური მარკების გარეშე საქონლის შემომტან-გამტანი პირები დაგვეჯარიმებინა“, კანონით გვეიძულებინა აქციზური მარკები ეყიდათ ფინანსთა სამინისტროში და დაეტანებიათ იგი საქონლისათვის და აქციზის მოსაკრებელიც გადაგვეხდევინებინა, ეს უფრო ლოგიკური, სამართლებრივი გამოსავალი იქნებოდა, ბიუჯეტის შევსების მხრიდანაც და, პირი, რომელიც აღნიშნულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის, დავაკისრებდით რამდენიმე სახის სანქციას, ამასთანავე გაფრთხილდებოდა, რათა მომავალში იგივე, კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაედინა.

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ საგადასახადო და საბაჟო წესების დარღვევებს.

<sup>2</sup> როგორც ცნობილია სისხლის სამართლის კოდექსიდან ტერმინი „კონფისკაცია“ ამოღებულია არგუმენტირებული მოსაზრებების გამო და მის ნაცვლად გვხვდება ტერმინი „უსასყიდლო ჩამორთმევა“, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კი დარჩა ტერმინი „კონფისკაცია“, რაც პირდაპირი მნიშვნელობით იგივე ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევას გულისხმობს, ასევე იგივე ტერმინი გვხვდება საგადასახადო კანონმდებლობაშიც. მიგვაჩნია, რომ ტერმინთა მსგავს შინაარს, მაგრამ სხვადასხვა სახელწოდებით, - გაუგებრობაში შეჰყავს მისი გამოყენებელნი, სხვას რომ თავი დავანებოთ, შეიძლებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობაში, მსგავსად სისხლის სამართლის კოდექსისა, არსებულიყო „ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა“, ან კიდევ „სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების უსასყიდლო ჩამორთმევა“, თუმცა ჩვენ საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევით საბაჟო საზღვრის უკანონოდ პირების მიერ საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებით გადაკვეთისას (როცა პირი არ იხდის გადასახდელს, რაც დადგენილია საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობით და მისი ქონების „კონფისკაცია“-ს, უსასყიდლო ჩამორთმევას ახდენენ, - ჩვენ მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული მოსაზრება გაგვაჩნია, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

<sup>3</sup> მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული სახდელის ეს სახე საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევისათვის და საერთოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან ამოსაღებია, პატიმრობას ხომ სისხლის სამართალი ითვალისწინებს მხოლოდ, „პატიმრობის“ ტერმინის გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალში ალოგიკურად მიგვაჩნია.

ასკ-ის 164[4] მუხლთან დაკავშირებით, რომელიც „სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობა“-ს ეხება, მიგვაჩნია, რომ ამ ნორმაში აღნიშნული სანქციები, რომლებიც ეხება ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) შესრულებული (შესასრულებელი) ოპერაციებისა და არსებული ფულადი სახსრების შესამოწმებლად სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაკთა დაუშვებლობას, ასევე მონაცემების წარუდგენლობას, ფულადი სახსრების გაცემის, გადარიცხვისა და ჩამოწერის ოპერაციების შეჩერების შესახებ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მითითების შეუსრულებლობას, - ასკ-ით გათვალისწინებული დაკისრებული ჯარიმები უნდა გაიზარდოს, ვინაიდან აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და პირდაპირ აყენებს ზიანს ქვეყნის ბიუჯეტს, ხელს უშლის სწორი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას. ასკ-ში ასევე გვხვდება საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევებისათვის ჯარიმები, რომლებიც მიგვაჩნია, რომ ხელოვნურად გაზრდილია, ხოლო იქ, სადაც პირიქით გაზრდილი უნდა იყოს, - შემცირებულია. სანქციების განსაზღვრისას უნდა გამოვიდეთ სახელმწიფოს ფისკალური ინტერესებიდან, რომლებიც პირდაპირ აისახება ქვეყნის ბიუჯეტის ზრდაზე და მოსახლეობის მატერიალურ დონეზეც, რამეთუ სახელმწიფოსათვის „მოპარული“ თითოეული ლარი, მოსახლეობისთვის წართმეული კეთილდღეობაა.

საგადასახადო საქმეში ცნობილი გამოთქმაა: „მხოლოდ გადასახადები და სიკვდილია გარდუვალი“. საგადასახადო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ: „პირი ვალდებულია გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები“<sup>1</sup>, ხოლო საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის კიდევ უფრო აძლიერებს მე-5 მუხლის დანაწესს იმაზე მითითებით, რომ „გადასახადი არის საგადასახადო კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდების აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე“. აღნიშნული ნორმიდან აშკარად იკვეთება, რომ პირებმა, რომლებიც გადასახადს დაქვემდებარებულ საქონელს აწარმოებენ, გადაზიდვენ საბაჟო საზღვარზე და ა. შ. უპირობოდ უნდა გადაიხადონ გადასახადები, რომლის შეუსრულებლობას მოჰყვება არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ საგადასახადო - სამართლებრივი, სისხლის - სამართლებრივი და სამოქალაქო - სამართლებრივი სანქციები. სანქციების კი ხშირ შემთხვევაში კუმულაციურია. საგადასახადო კოდექსის აღნიშნულ ნორმებს ეხმიანება პირდაპირი მნიშვნელობით ასკ-ის 165[1], რომელიც გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინებას ეხება და გადამხდელთათვის ზარალის<sup>2</sup> მიყენებას იწვევს და გარკვეული ფულადი სანქციებიცაა დაკისრებული. აქვე განვმარტავდით, რომ გადასახდელების ცნება მოიცავს გადასახადებსაც, მაგრამ გადასახადები არ არის გადასახდელი, კერძოდ: გადასახდელებში შედის: გადასახადები, რომლებიც თავისთავად იყოფა: საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებად და საერთო დეფინიციამში „გადასახდელი“ მოიაზრება, ხოლო საბაჟო სამართლებრივი აქტების შესაბამისად, საბაჟო მოსაკრებელი საქონლის გაფორმებისა და საქონლის დათვალიერებისათვის გადაიხდევინება, რომელსაც საქონლის საბაჟო საზღვარზე გადამტანი პირები კონკრეტულად შემოსავლების სამსახურს უხდიან, ამ სამსახურში რჩება და საბაჟო-საგადასახადო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ხმარდება, ასევე თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებას (პრემიებს და სხვა). იგივე, მოსაკრებლებია ვთქვათ, სანოტარო, საკონსულო, სამშენებლო და ა. შ. მოსაკრებლები. რაც შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს იგი უშუალოდ ბიუჯეტის შევსებისაკენ მიიძღვრება, ხოლო ადგილობრივ გადასახადებს (ქონების გადასახადი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო აწესებს მის მიერვე გამოცემული ნორმატიული აქტით და ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების წყაროს წარმოადგენს მხოლოდ. აქვე გავაკეთებდით შენიშვნას, ასკ-ის მიმართ, რომ რამდენადაც მასში ფართო ადგილი აქვს დათმობილი საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობას (რაც უშუალოდ გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას, არასწორად გადახდევინებას, საგადასახადო დოკუმენტების არასწორად შევსებას და ა. შ. ეხება), საერთოდ არ საუბრობს ადგილობრივი (ქონების) გადასახადების გადახდევინებისას დარღვევებზე და შესაბამის სანქციებზე, არადა ამ კუთხითაც გვაქვს სერიოზული ადმინისტრაციული გადაცდომები. თუ იმ კუთხით შევხედავთ პრობლემას, რომ ადგილობრივ გადასახადებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ადგენს და სანქციაც მისივე განსაზღვრია, არასწორია და გაუმართლებელი, რამეთუ სანქციებს, მით უმეტეს გადასახადების დარღვევაში კანონი უნდა განსაზღვრავდეს, - ეს პირდაპირაა განსაზღვრული

<sup>1</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მ. 5, ნ. 1.

<sup>2</sup> როგორც სამართლის სხვა დარგებში, აქაც ხშირად კანონმდებელი არასწორად იყენებს ტერმინებს „ზიანი“ და „ზარალი“, ცნობილი აქსიომაა, რომ „ზიანის მიყენება ხდება, ხოლო ზარალის ანაზღაურება“.



საგადასახადო კოდექსით, რადგან თითოეული არასწორად დარიცხული და დახდევინებული კაპიკი ბიუჯეტისათვის, საბოლოოდ კი მოსახლეობისათვის წართმეული სიკეთეა. ეს ხარვეზია კანონმდებლობისა და მიგვაჩნია უნდა შეივსოს. იგივეს ვიტყვით საგადასახადო კოდექსის 39-ე თავთან მიმართებაში, რომელიც „საგადასახადო სამართალდარღვევას და პასუხისმგებლობა“-ს ეხება. ნორმის სათაურთანაც გავაკეთებდით შენიშვნას, კერძოდ: უკეთესი იქნებოდა, თუ აღნიშნული თავი შემდეგნაირად ფორმულირდებოდა: „საგადასახადო - საბაჟო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა“.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთ ძირითად მუხლს საგადასახადო - საბაჟო წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ასკ-ის 194-ე ეხება („საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საწარმოო ან სხვა საქმიანობა“). მაინც რა ტერიტორიას მოიცავს საბაჟო კონტროლის ზონა? ვინ ექვემდებარება საბაჟო კონტროლს? რა მექანიზმები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისას, კონტროლის ზონაში საქონლის გადამუშავებისას? და სხვ. ასკ-ის 194-ე მუხლის ანალიზი შეუძლებელია ამ კითხვაზე პასუხის გაუცემლად. მივყვით კითხვებს. საბაჟო კონტროლის ზონა არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და პირის მიმართ შეიძლება განხორციელდეს საბაჟო კონტროლის ყველა ღონისძიება. საბაჟო კონტროლის ზონა მოიცავს საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სასაზღვრო პუნქტებს, ტერიტორიულ წყლებს, საბაჟო ორგანოს განთავსების ადგილსა და საბაჟო საწყობებს, აგრეთვე ხმელეთის, შიდა წყლებისა და შენობა-ნაგებობის ნებისმიერ ტერიტორიას, რომელიც საბაჟო პროცედურების მუდმივი ან დროებითი განხორციელებისათვის გამოყოფილია საბაჟო ორგანომ მესაკუთრესთან ან კანონიერ მფლობელთან შეთანხმებით, თუ მესაკუთრე არ არის მფლობელი. საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო პროცედურების განხორციელების ზუსტ ადგილს განსაზღვრავს შემოსავლების სამსახური. საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დეკლარირებული მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით საბაჟო კონტროლი<sup>1</sup> ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილია. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი: საბაჟო კონტროლს ექვემდებარება: პირი საზღვრის გადაკვეთისას; საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; ტერიტორია, სადაც განთავსებულია საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალება; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული პირის საქმიანობა. საბაჟო ზონა ცხადია სახელმწიფოს ტერიტორიის გულისხმობს, შემოვლებულს სადემარკაციო ხაზით, იგი ქვეყნის საბაჟო ზონების ერთობლიობაა<sup>2</sup>. მსოფლიოში დღეს მოქმედებს საერთაშორისო კონვენცია ტვირთების საზღვარზე კონტროლის და შემოწმების შესახებ, რომელიც შეიქმნა 1982 წელს და ამ კონვენციაზე მიერთებული ქვეყნებისათვის<sup>3</sup> მთავარი პირობა არის ის, რომ ყველა ქვეყანამ ერთნაირი პირობებით უნდა განახორციელოს კონტროლი, რომელიც გულისხმობს სანიტარიულ, ფიტო-სანიტარიულ, ვეტ-სანიტარულ, ხარისხის, ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის და ა. შ. კონტროლს. ტვირთების, საქონლის (ნედლეულის) კონტროლი იმიტომაცა საჭირო, რომ საბაჟო კონტროლის ზონაში (მაგალითად თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში არ შემოადწიოს გადასამუშავებლად ისეთმა კონტროლს დაქვემდებარებულმა საქონელმა, რომელიც მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, ან კიდევ კონტროლის ზონაში არ მოხდეს ისეთი უკანონო რეწვა, როგორცაა ნარკოტიკებისა და იარაღის წარმოება და სხვა. ამის არაერთი ფაქტი არსებობს სამწუხაროდ მსოფლიო მასშტაბით და მასთან ბრძოლა არც თუ ისე ადვილია. ასკ-ის 194-ე მუხლის ანალიზი შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნული განმარტების გარეშე. მაინც რა შეიძლება აწარმოოს ისეთი მეწარმეებმა (გადამამუშავებლებმა), რომ აქ წარმოებული საქონელი საშიში იყოს მომხმარებლისათვის და უკანონო რეწვას ჰქონდეს ადგილი? მოვიყვანთ მაგალითს. ფოთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი (300 ჰექტარი) უკავია ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, რომელიც ფოთის ნავსადგურის ყოფილ ტერიტორიაზე შეიქმნა. მისი ორგანიზატორია შპს „რაკია-

<sup>1</sup> საბაჟო კონტროლის ზონებია მაგალითად, გაფორმების ეკონომიკური ზონები (ვთქვათ თბილისი გაფორმების ზონა -გეზი), ტერმინალები, თავისუფალი ეკონომიკური ზონები (ვთქვათ ფოთის, ქუთაისის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, თავისუფალი საკურორტო ზონები (ქობულეთის, ანაკლიის, გალმუხურის) და სხვ.

<sup>2</sup> დაწვრ. იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის #290 ბრძანება „საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დმტკიცების თაობაზე“; საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს #12858 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“.

<sup>3</sup> საქართველო ამ კონვენციის მონაწილე ქვეყანაა.

საქართველო“ და მასში 118 კომპანიაა დარეგისტრირებული, თუმცა მესამედიც არ მუშაობს. აქ დასაქმებული კომპანიები სარგებლობენ ექსპორტისა და იმპორტის დაბალი ფასებით, მეწარმეები იქ თავისთვის მისაღებ სასურველ ბიზნესგარემოს იქმნიან, ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ეს ტერიტორია „ეკონომიკური სახელმწიფო სახელმწიფოში“, გადასახადებისაგან თავისუფალი გარემოთი. ასეთი ტიპის ზონებში სახელმწიფოს განსაკუთრებული კონტროლი და ზედამხედველობაა საჭირო, რამეთუ თავისუფალ ზონებს თან ახლავს უარყოფითი ფაქტორებიც, ზოგადად, სამწუხაროდ აქ ხშირად ხდება ფულის გათეთრება, ნარკოტიკული საშუალებებისა და იარაღის წარმოება; სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მცირდება ასეთ ზონებში შემოღებული საგადასახადო შეღავათებით; დაბალი ტექნოლოგიებით გამოშვებული პროდუქცია ვერ უძლებს ძლიერ კონკურენციას; „ე.წ. ოფშორულ ზონებში“ ჩაურევლობის პრინციპი კი კიდევ უფრო მეტ საშიშროებას უქმნის ქვეყნების ბიუჯეტსაც და მოსახლეობის ჯანმრთელობას და ასევე მათ უსაფრთხოებას, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასკ-ის, გარდა 194-ე მუხლისა, უნდა დაემატოს მუხლები, საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო საქმიანობის სფეროში, რამეთუ ასეთი უკანონო საქმიანობის ბევრი სახეა ცნობილი ასეთ ზონებში, და მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სტატიაში მხოლოდ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, ვიტყვით, რომ დროული იქნებოდა თუ სისხლის სამართლის კოდექსსაც დაემატებოდა მუხლები საბაჟო კონტროლის ზონაში უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო უფრო მარტივ დარღვევას, რომელიც სისხლის სამართლის ნიშნებს რომ არ შეიცავს, ასე დაარეგულირებდა ადმინისტრაციული ჯარიმებით<sup>1</sup>.

საგადასახადო ორგანოების პრაქტიკაში (ადრე საბაჟო ორგანოების პრაქტიკაში და არა მარტო საქართველოში) ადგილი ჰქონდა საიდენტიფიკაციო საშუალებების გაყალბებას და არა მარტო მეწარმეთა მიერ, არამედ თანამდებობის პირების მიერაც, რომლებიც ხელს უწყობდნენ საბაჟო რეჟიმების (დღეს სასაქონლო ოპერაციების) გამომყენებელ პირებს ანგარების მიზნით, საიდენტიფიკაციო საშუალებების გაყალბებაში, რითაც სახელმწიფო ზარალდებოდა და ბიუჯეტს გადასახადების სახით შემოსავლები აკლდებოდა. აქედან გამომდინარე, ერთგვარ პრევენციულ ნორმას წარმოადგენს **ასკ-ის 195-ე მუხლი („ბეჭდის, პლომბის/ლუქის) განზრახ დაზიანება ან აგლეჯა“)**, როლის თანახმად, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დადებული ბეჭდის (პლომბის/ლუქის) განზრახ დაზიანება ან აგლეჯა, გარდა ამ კოდექსის 44[3] მუხლით, 84[1] მუხლით, 131-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 132-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიწვევს დაჯარიმებას. შედარებითი ანალიზისათვის, მსგავს დანაწესს ვხვდებით სისხლის სამართალშიც, კერძოდ, **სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლი - ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება**, რომელიც მოიაზრებს დანაშაულს მმართველობის წესის წინააღმდეგ და მისი დამამძიმებელი ფაქტორების გამო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. აღვნიშნავთ, რომ: თუ ასკ-ში საუბარია უშუალოდ საქონელზე უკვე დადებული ბეჭდის, პლომბის/ლუქის განზრახ დაზიანება-აგლეჯაზე, სისხლის სამართლის კოდექსი ყურადღებას ამახვილებს ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის და ა. შ. დამზადებაზე, გასაღებასა და გამოყენებაზე. ასკ-ის 195-ე მუხლის მიმართ ჩვენი მოსაზრება გაგვაჩნია: **მუხლის დისპოზიციით ვიგებთ, რომ საუბარია განზრახ ქმედებაზე, აქ ამ მუხლის შემთხვევაში ალბათ პირდაპირი განზრახვა უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც საგადასახადო ორგანოს თანამდებობის პირთა უშუალოდ ხელშეწყობით ხორციელდება, თუნდაც არ ხდებოდეს და ამ სასაქონლო ნიშნების გამომყენებელთა მიერ ხდებოდეს განზრახ, ეს კი საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობით უკვე ნიშნავს დიდი ოდენობით დასაბეგრი საქონლის განუზავებლად გადაადგილებას ქვეყნის საბაჟო საზღვარზე და ბიუჯეტისათვის დიდი ოდენობით თანხების დამალვასაც.** ცხადია, რომ ბევრმა ნორმამ სანქციის ლიბერალიზაციის მიზნით სისხლის სამართლის კოდექსიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაიდო ბინა, მაგრამ, როცა საქმე დოკუმენტების გაყალბებას, განზრახ დაზიანებას ეხება და საგადასახადო სამართალში ეს ბიუჯეტისათვის თანხების დამალვის პირდაპირ პროპორციულია, ხომ შეიძლება, რომ ამგვარი ქმედებით (მითუმეტეს, რომ ასკ-ის 195 -ე მუხლში ტერმინში „**განზრახ დაზიანება და აგლეჯა**“, დიდი ოდენობით სახელმწიფოსათვის თანხების დამალვაზე იყოს საუბარი. სისხლის სამართლის კოდექსშიც მოგვეპოვება მუხლი 218, სადაც გადასახადისათვის თავის არიდებაზეა საუბარი, მართებული იქნებოდა თუ ასკ-ის 195-ე მუხლში სიტყვა „**განზრახ**“, „**გაუფრთხილებლობით**“ შეგვეცვალა, ხოლო განზრახი ქმედებისათვის „**ბეჭდის, პლომბის/ლუქის) განზრახ დაზიანება ან აგლეჯა**“ - სთვის სისხლის სამართლის კოდექსში მიგვეჩინა ადგილი, თუნდაც 218-ე მუხლის ერთ-ერთი ნაწილის დამატებით.

<sup>1</sup> საბაჟო კონტროლისა და ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლის ზონების შესახებ იხ. ი. ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, გვ. 462-506.

ნაშრომის აქტუალობიდან გამომდინარე, რადგან ნაშრომი დიდი მოცულობისა იქნებოდა, ჩვენ საგადასახადო წესების დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის ზოგიერთ სამართლებრივ ასპექტს შევხებით.

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსთან მიმართებით კი აღვნიშნავდით, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი სასამართლო დავის განხილვის ვადები ადმინისტრაციული გადაწყვეტილებისათვის ძალზედ გაწეილია, რამეთუ ადმინისტრაციული დავები უფრო მობილურ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებთან შედარებით ნაკლებ დროში განიხილება და მისი განხილვის საგნის, სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეებისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება, ალბათ უფრო უპრიანი იქნებოდა თუ მოხდებოდა ვთქვათ 3 დღის განმავლობაში, ხოლო თუ საგადასახადო-საბაჟო დავებზე საქმე რთული გადასაწყვეტია, მაშინ სასურველია ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლით, კერძოდ, მოსამართლემ გონივრული ვადით გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, მაგრამ არა 1 თვით, როგორც ეს სსსკ-შია, არამედ ვთქვათ 14 დღით, აღნიშნულის თაობაზე მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას, რის შესახებაც სხდომის დამთავრებისთანავე აცნობებს მხარეებს და განსაზღვრას გადაწყვეტილების სარეზოლუციო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში კი მოსამართლე ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა მეწარმის შემოწმების დაწყების შესახებ, რომელიც მოსამართლეს წარედგინება, - საპროცესო მოქმედებას წარმოადგენს, რომელიც მეწარმის შემოწმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული შემოწმების დაწყების საფუძველია. უნდა შევნიშნოთ, რომ კანონმდებლობის მიხედვით შუამდგომლობა რომელიც სასამართლოს მეწარმის შემოწმების დაწყებამდე წარედგინება, უნდა იყოს დასაბუთებული, ანუ გამოკვეთილი იყოს ის მიზეზები, რამაც მეწარმის შემოწმების აუცილებლობა წარმოშვა, გარდა გადაუდებელი შემთხვევისა (მაგალითად, არის საშიშროება იმისა, რომ მეწარმე გადამალავს უაქციზო საქონელს, აღურიცხავ პროდუქციას და სხვ.), როცა ვთქვათ, საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეუძლებელია, ან კიდევ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, ოღონდ სათანადო, არგუმენტირებული დასაბუთებით. ეს კანონმდებლობის დემოკრატიულ მონაპოვარს წარმოადგენს, რამეთუ მეწარმის შემოწმებას რამდენიმე ორგანიზაცია ხშირად ერთდროულად ახდენდა, ყოველგვარი დასაბუთებისა და წინასწარი შეტყობინების გარეშე, ადგილი ჰქონდა უფლებამოსილების გადამეტებას შემოწმებელი პირების მიერაც და ფიქსირდებოდა ქრთამის აღების ფაქტები, საბოლოოდ კი ხელი ეშლებოდა სახელმწიფოს სწორი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებაში, ზარალდებოდა ბიუჯეტი და სხვ.

ადმინისტრაციული სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადებულ ქონების რეალიზაციას ეხება (21 [21], გამოვთქვამდით მოსაზრებას, რომ იგი პასუხს ვერ სცემს კითხვას: თუ მეწარმეს რამდენიმე ადგილას აქვს სამეწარმეო საქმიანობა, მაშინ რომელი ადგილის მიხედვით უნდა მოხდეს შუამდგომლობის წარდგენა სასამართლოში, ალბათ იმ ადგილის, სადაც მოხდა საგადასახადო სამართალდარღვევა, ხოლო თუ რამდენიმე ადგილას ჰქონდა მსგავს ფაქტს ადგილი, ანუ სამართალდაღვევის ადგილი მრავალია, ხოლო მეწარმე ერთი - მაშინ ალბათ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მისი შემოსავლის უმეტესი ნაწილი არის, ან კიდევ დარღვევის ადგილის ადგილსამყოფლის მიხედვით და სხვ.

## SOME LEGAL ASPECTS OF ADMINISTRATIVE LIABILITY IN THE EVENT OF INFRINGING TAX REGULATIONS

Ia Kharazi, Samtskhe-Javakheti State University, Professor  
RESUME

At the present stage under the conditions of the rapidly developing market economy, each obligation, be it private-legal or public-legal (tax law) needs some kind of “protection” called “securing” in jurisprudence. For this purpose (in public or private legislation) there are developed and established specific measures that are directed to protect the participant of market economy cycle - “super-entity”, creditor (legal entity of public law or private legal entity), to force a debtor to comply with the public-legal or private-legal obligations, that was imposed on him to secure a loan, or has not complied with the commitments undertaken and there was put a lien/mortgage on his property.

In the work we draw a parallel and conclude that there is sharp difference between tax lien/ mortgage and private legal lien/mortgage, in particular if property pledge / mortgage is based on a private agreement between parties (for example a loan agreement), non-fulfilled obligations by the taxpayer is considered to be the base for arisen tax

alien/mortgage, that will be followed by appropriate administrative act from the state competitive organs the registration right of which arose along with the tax debt. The difference between tax lien /mortgage and property pledge /mortgage is revealed in registration dates as well, in particular: The sequence of implementation of measures for secure paying tax debts is chosen by tax authority, if there are no some other regulations set by the Tax Code. We also touch the question of setting special entities that even more complicates the problem of registration sequence and conclude,

It is desired that all financial organizations or institutions acting in Georgia being subordinated to the common law regulations on arising a lien.

## ფილოლოგია

### Philology

#### შექსპირისეული ტრადიციები რომანტიკოსთა თვალთახედვით

ნანა არახამია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

რთულია იმ უდიდესი ღვაწლის შეფასება, რაც ულიამ შექსპირს მიუძღვის მსოფლიო ლიტერატურასა და კულტურის წინაშე, თუმცა დამოკიდებულება მისი შემოქმედების მიმართ ყველა ეპოქაში ერთნაირი როდი იყო. ვოლტერი „გენიალურ ბარბაროსად“ მოიხსენიებდა შექსპირს, მის კვალდაკვალ კლასიციზმისა და განმანათლებლობის ეპოქების კრიტიკოსები აღიარებდნენ დიდი დრამატურგის უნარს „ბუნებისადმი ბაძვისა“. თუმცა კიცხავდნენ მას „კანონებისა“ და „წესების“ უცოდინრობის გამო. შექსპირის ხელახალი „აღმოჩენა“ რომანტიკოსთა ეპოქას უკავშირდება. მისი დრამები ეტალონად იქნა აღიარებული გოეთეს, სტენდალის, ჰიუგოს, კოლრიჯის და სხვათა მიერ. შექსპირისადმი დამოკიდებულება გოეთემ გერმანელი რომანტიკოსების მიერ აღიარებულ „რომანთა რომანში“ დააფიქსირა, რომლის გმირი ვილჰელმ მაისტერი ამბობს: „მე არ მახსენდება, რომ ჩემზე რომელიმე წიგნს, ან ადამიანს, ან ცხოვრებისეულ მოვლენას მოეხდინოს ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება, როგორც იმ შესანიშნავ პიესებს..... ისინი მე ზეციური გენიოსის შექმნილი მგონია, რომელიც ადამიანებთან იმისთვის დაეშვა, რათა მათთვის გაეცნო მათივე შინაგანი სამყარო. მას პოეზიასაც ვერ ვუწოდებ. მეჩვენება, თითქოს ფართოდ გადაშლილი ბედისწერის წიგნების პირდაპირ აღმოვჩნდი, რომლებშიც მჩქეფარე ცხოვრების ქარიშხალი ტრიალებს, ამ ბედის წიგნის ფურცლებს სწრაფად რომ შლის“. [1]

კლასიციზმისმიერ დამკვიდრებული წესების ნაცვლად, რომელიც ყველგან სალი აზრის გატარებისკენ ისწრაფოდა, რომანტიკოსებში გაჩნდა განწყობების „ხშირად სავსებით განუსაზღვრელისა და ბუნდოვანის“ ასახვის მოთხოვნა. რომანტიკოსების თანახმად, პოეტმა, თავისი ირონიული ჭკრეტის სიმალლიდან ერთმანეთში უნდა „შეაზავოს“ სერიოზული და სასაცილო, გროტესკული. შექსპირი იმითაც იზიდავდა რომანტიკოსებს რომ იგი არღვევდა წესებს, რომლებიც ხელშეუხებლად იყო აღიარებული ფსევდოკლასიკოსების კატეხიზმოში. რომანტიკულმა დრამამ საკმაოდ უჩვეულო ფორმები მიიღო გერმანულ სინამდვილეში. ასე, მაგალითად: ტიკის ერთ-ერთი პიესა იწყებოდა არა სცენაზე, არამედ პარტერში. ფარდა ჩამოშვებული იყო და რამდენიმე მაყურებელი პირველი რიგებიდან იწყებდა ავტორის ლანძღვას: როგორ ბედავს იგი მათი ყურადღების მიქცევას რაღაც სულელური ზღაპრით, რომელშიც არ არის გადმოცემული არც სათნო ოჯახური ისტორია და რომლისგანაც ვერანაირ მორალს ვერ გამოიტან. ამ სიტყვების გაგონებაზე ავტორი სცენაზე გამოდიოდა და ჯერ თავის მართლებას იწყებდა, ხოლო შემდეგ მაყურებელთა დამახინჯებულ გემოვნებას იწუნებდა. საკუთრივ პიესის მიმდინარეობისას კი, სცენური მოქმედება დროდადრო ჩერდებოდა მაყურებლების შენიშვნებითა და მსახიობების შეპასუხებებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ტიკის პიესა გამოწკლისი როდია, თავიანთ პიესებსა და რომანებში რომანტიკოსები ხშირად თავს ესხმოდნენ მაყურებელთა გემოვნებასაც და „ჩვეულებრივ“ მორალსაც, რომელსაც ფილისტერულად მოიხსენიებდნენ. [2]

ბრძოლამ ფრანგი მაყურებლის დამახინჯებული გემოვნების წინააღმდეგ გამოძახილი პოვა ჰიუგოსა და სტენდალის თეორეტიკულ ნააზრევშიც. რომანტიკული დრამის მნიშვნელოვანი საკითხები

ჩამოაყალიბა ვიქტორ ჰიუგომ „კრომველის“ წინასიტყვაობაში, რომელიც რომანტიკული დრამატურგიის მანიფესტად არის მიჩნეული. სხვა საკითხებთან ერთად (მაგალითად, სამი ერთიანობის კანონის, სიუჟეტის სწორხაზოვანი განვითარების უარყოფა.....) ჰიუგომ განავითარა დრამატური გროტესკის თეორია. მისი აზრით, თეატრალურ ფიცარნაგზე ფარსის წარმოდგენამდე გროტესკის ელემენტები სხვადასხვა ლიტერატურულ ჟანრებში არსებობდა. კონტრასტულობის გზით გროტესკი ხაზს უსვამს ამაღლებულის ფასეულობას: ოფელია და მირანდა პოლონიუსისა და კალიბანის ფონზე უფრო მშვენიერები ჩანან, მესაფლავეების უხეში იუმორის ფონზე ხაზგასმულია ჰამლეტის ლირიული ბუნების სინატიფე და სხვა. ჰიუგოს აზრით, ამაღლებულისა და გროტესკის შეზავების დიდოსტატი სწორედ შექსპირია, რომელიც არანაირი ერთიანობის კანონებს არ ცნობს. შექსპირმა შექმნა არაჩვეულებრივი გალერეა დრამატული გროტესკის შესანიშნავი სახეებისა, ამიტომაც მის დრამას შეუძლია მაყურებელი სერიოზულიდან სასაცილოზე გადართოს, სახუმარო ეპიზოდებიდან - სულის შემძვრელ სცენებზე: „გროტესკის წყალობით ხვდება რომეო აფთიაქარს, მაკბეტი-სამ ავსულს, ჰამლეტი-მესაფლავეებს, და ბოლოს, მას შეუძლია ჰარმონიის დაურღვევლად, „როგორც ეს მეფე ლირისა და ხუმარა სცენაშია“, თავისი მყვირალა ხმა შეუერთოს ყველაზე ამაღლებულ, მუსიკალურ, პოეტურ სულის ხმას“. [3] აღსანიშნავია რომ ჰიუგო უარყოფდა არა მხოლოდ კლასიკური დრამის სისტემას არამედ საერთოდ, ყოველგვარ სისტემებს, თეორიებს, სწავლებებს პოეტურ ხელოვნებაზე. „დაე ჩვენი კანონები იყოს მხოლოდ ბუნების ზოგადი კანონები“ - წერდა იგი. მსგავსი განცხადებების ფონზე გასაგებია, კლასიციზმის „სიწმინდეების“ დამცველთა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰიუგოს მიმართ და რომანტიკოსების შერაცხვა „ხელოსნებად“.

ანალოგიური მოსაზრება ჰქონდა შექსპირის დრამებთან დაკავშირებით სტენდალსაც. ბროშურაში „რასინი და შექსპირი“ იგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარ სოციალური და პოლიტიკურ ცვლილებებს (იგულისხმება საფრანგეთის რევოლუცია) მოჰყვა როგორც მკითხველის ასევე მაყურებლის შეცვლა. თეატრებში მაყურებლის სიმწირე იმით აიხსნება, რომ თანამედროვე ფრანგ ბურჟუაზს არ აინტერესებს კორნელისა და რასინის პიესები, რომლებშიც მეფისადმი ერთგულებისა და თავდადების მოწოდებები ისმის. სტენდალის აზრით, იმ დრამატურგებს, რომელთაც აქვთ ამბიციაცია, რომ თავიანთი პიესებით დააინტერესონ თანამედროვე მაყურებელი, მოუწევთ უარის თქმა უპირველეს ყოვლისა სამი ერთიანობის კანონზე და შემდგომ, ალექსანდრიულ ლექსზეც, „რომლის მიღმა ათასი სისულელე იმალება“ და რომელიც შორს დგას რიგითი ფრანგი მაყურებლის მეტყველებისგან. რაც შეეხება დრამატული გმირების გრძნობათა ამპლიტუდის წარმოჩენას, სტენდალი ურჩევს დამწყებ დრამატურგებს, მაგალითი აიღონ შექსპირისგან და არ მიბადონ რასინს. სტენდალის თანახმად, კლასიციზმის მოძველებული კანონების ყველაზე ერთგული მიმდევარი რასინი იყო, რაც შეეხება ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის - რომანტიზმის მხატვრული პრინციპების გამომხატველ ნაწარმოებებს, თანამედროვე ევროპულ მწერლობაში ჯერ ასეთები არ შექმნილა. თუმცა, ყველაზე ახლოს მათთან შექსპირი იდგა. ბროშურაში გამოთქმული შეხედულებების შეჯამებისას სტენდალი აღნიშნავდა, რომ ფრანგებს, გარკვეულწილად, სწობილი ახასიათებთ, ისინი გადაჭარბებულად აფასებენ თავიანთ კულტურას და სხვისი მიღწევების იგნორირება შეუძლიათ. სავარაუდოდ, ესეც უშლის მათ ხელს, რომ აღიარონ და ჯეროვნად შეაფასონ სხვების მიღწევები, თუნდაც ელისაბედის პერიოდის ინგლისური დრამა და შექსპირი. [4]

ზოგადად, რომანტიზმმა დიდი გამოძახილი პოვა თეატრში. ინგლისური სცენა ამ პერიოდში „დაიპყრო“ გენიალურმა ედმუნდ კინმა, რომელიც ძლიერი, მემბოხე ხასიათების წარმოჩენით იყო გატაცებული. არსებობს თანამედროვეთა მოგონებები, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ მის მიერ შესრულებული შექსპირის ჰამლეტისა შილერის ფრანც მოორის როლებთან დაკავშირებით (თუნდაც ეს ფაქტი მიუთითებს კინის არტისტულ დიაპაზონზე, მას თანაბარი სიმძლიერით შეეძლო განესახიერებინა კეთილშობილი და უარყოფითი გმირები). ცნობილია, რომ „ჰამლეტის“ ერთ-ერთ წარმოდგენაზე პარტერში მყოფ ქალბატონს გული წაუვიდა, რადგან მართლა დაიჯერა, რომ მისი საყვარელი მსახიობი მოწამლული დაშნით მოკლეს.

შეიძლება ითქვას, რომ რომანტიკოსებმა მკვდრეთით აღადგინეს კლასიციზმისგან მივიწყებული შექსპირი, რომელიც ტიტანური გმირებით კვლავ აქტუალური და თანამედროვე გახდა რომანტიზმის ეპოქის მაყურებლისთვის. ინგლისური სცენის კვალდაკვალ შექსპირი წარმატებით იდგმებოდა არა მარტო ევროპულ, არამედ ამერიკულ სცენაზეც. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი „ჰამლეტი“, „ოტელო“ და რომეო და ჯულიეტა“, რომლის გმირებიც ბოროტებისა და სიკეთის მარადიულ დაპირისპირებას ეწირებიან. აღსანიშნავია, რომ „რომეო და ჯულიეტას“ თემამ გამოძახილი პოვა ხელოვნების სხვა დარგებშიც, კერძოდ, მუსიკაში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფრანგი კომპოზიტორის, ჰექტორ ბერლიოზის სიმფონია „რომეო და ჯულიეტა“.

რომანტიკოსებმა არა მარტო დაუბრუნეს შექსპირი სცენას, არამედ მისი ზეგავლენით თავად შექმნეს დრამატურგიის სკოლა, რომელმაც საბოლოოდ დაასამარა „სამი ერთიანობის კლასიციკური კანონი“. ვიქტორ ჰიუგოს მიერ პარიზში დადგმულ დრამას „ერნანი“ თანამედროვეებმა „ერნანის ბრძოლა“ უწოდეს. ჰიუგოსა და მისი თანამედროვეების თეატრი, რომელიც შექსპირისეულ ტრადიციებს მისდევდა, თავისი ესთეტიკით აბსოლუტურად მისაღები გახდა თანამედროვე ფრანგი მაყურებლისთვის. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები გერმანიაშიც, სადაც ახალგაზრდა პოეტებისა და დრამატურგების ჯგუფმა- „ახალგაზრდა გერმანია“ კარლ გუცკოვთან ერთად საფუძველი ჩაუყარა გერმანულ რომანტიკულ თეატრს, რომელიც ასევე, შექსპირისეულ ტრადიციებს მისდევდა. [5].

როგორც ვხედავთ, რომანტიკოსებმა ააღორძინეს კლასიციკტებისგან მივიწყებული შექსპირისეული თეატრის ტრადიციები და სწორედ მასზე დაყრდნობით შეუწყვეს ხელი ახალი რომანტიკული ესთეტიკის ჩამოყალიბებას სცენაზე.

#### ლიტერატურა:

1. <http://magazines.russ.ru/neva/2009/6/chu12.html>
2. [http://defencegeorgia.blogspot.com/2011/04/blog-post\\_6102.html](http://defencegeorgia.blogspot.com/2011/04/blog-post_6102.html)
3. Гюго в. Собр соч. в 15 томах, т.14 м., 1985.
4. Стендаль. Рассин и Шекспир. Собр соч. в 10 томах, т. 6. м., 1985.
5. The Penguin Dictionary of Literary Terms and Literary Theory, New York, 1991.

## SHAKESPEARE'S VARIATION FROM THE STANDPOINT OF ROMANTICISTS

Nana Arakhamia, Sokhumi State University, Asistant Professor

### RESUME

The article relates to the views of two main literary courses (classicism, romanticism) to immortal work of William Shakespeare the leading figure of world literature and culture. In order to have more clearly introduced as to how important is the work of William Shakespeare for the comprehension of literary and aesthetic views of the era of romanticism. Classicists diverged from the requirements of modern French society with their works and mentality. That is why it was essential to require moods: often reflection of quite indefinite and obscure in literature that made Shakespeare to attract romanticists. In accordance to aforesaid standpoint the article includes opinions of Goethe, Stendhal, Hugo, Colorigi and others, clearing up that romanticists resuscitated Shakespeare forgotten by classicists, who again became topical and modern for society with his titanic characters. Based on the works of Shakespeare on the scene was founded formation of new romantic aesthetics.

## ქართული ლიტერატურული ტექსტი და თვითიდენტიფიკაცია

ნანა არახამია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი  
მირანდა თოდუა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ყოველ დროში, მოყოლებული ძველი ქართული მწერლობიდან დღემდე, ერის იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორები იცვლებოდა ეპოქის სულისკვეთებისა და მისი სოციალურ-პოლიტიკური პანორამის შესაბამისად. ნაციონალური იდენტობა ესაა ნაციის მიერ საკუთარი თავის თვითაღქმა და შეფასება. ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი ნაციონალური ნარატივია, რომლის მეშვეობით ერი ახდენს საკუთარი თავის ფორმირებასა და კონსტიტუირებას. ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორები ძველსა და ახალ ქართულ მწერლობაში.

მას შემდეგ, რაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მართლმადიდებლობა არის ეროვნული იდეოლოგიის ბალავარი. როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული გვიჩვენებს, უმეტესად, ქართველობა ქრისტეს სჯულის აღმსარებლობასაც გულისხმობდა. შესაბამისად, რელიგია ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციასაც განსაზღვრავდა. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს ვხვდებით აგიოგრაფიულ თხზულებებში. რელიგიისა და ეთნიკური იდენტობის

ურთიერთგავლენის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის „აბო თბილელის მარტვილობა“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“... სასულიერო მწერლობის ეს ჟანრი, გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ-ისტორიული ღირებულებისაა, ემსახურება ერის ზნეობრივ აღზრდას, მაგალითის მიცემას, სახავს გზას სულიერი გადარჩენისა, რომელიც „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაში“ გამოიხატება. მეხუთე საუკუნის ძეგლში წმინდა შუშანიკი სწორედ მამისეული გზიდან გადახვევას საყვედურობს რჯულშეცვლილ, „სულითა მკუდარ“ პიტიახშს: „მამამან შენმან აღჰმართნა სამარტველენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განრჰყუნენ და სხუად გარდააქციენ კეტითილნი მისნი; მამამან შენმან წმინდანი შემოიხუნა სახიდ თვსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნენ, მან ღმერთი ცათად აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭკემარითი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც“.

ეპოქალურ ვითარებას შესანიშნავად გადმოგვცემს იოანე საბანისძე. „აბოს წამებაში“ ასახულია ქართლში არაბთა ბატონობა, მისი უმძიმესი შედეგები. ქრისტიანული ერი, რომელიც 500 წელზე მეტია ნათელღებულა, ეროვნული გადაგვარების გზას დამდგარა, მტრის ათასგვარი ხრიკით „გარდაგულარძნა“, ქართველები „აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესგან“ და შემდრკალნი ირხევიან „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. ჰაგიოგრაფისთვის უმთავრესი ამ განსაცდელის ჟამს სწორედ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაა“, ქრისტეს სჯულის შენარჩუნება და ქართველობა ავტორის მიერ გაიგივებულია.

როგორც რ. სირაძე აღნიშნავს, „იოანე საბანისძის რწმენით, დაცვა „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვისა“ და დამღევა დიდი საფრთხისა, რომ „აღვერიენით ერსა უცხოსა“ უნდა განხორციელდეს ეროვნული თვითშემეცნების გზით და არა, ვთქვათ, ბრძოლით ან განმანათლებლობით, ან რაიმე სხვა გზით. ამიტომაც, თვით აღმსარებლობითი სიბრძნის გვერდით ეროვნული თვითშემეცნებაა დაყენებული... ეროვნული თვითშემეცნება დაფუძნებული რწმენით თვითშემეცნებაზე იოანე საბანისძის ძირითადი იდეაა“. [1]

ეროვნული ღირსებაც და ეროვნული თვითშემეცნების მოტივები ასე წარმოუდგენია იოანე საბანისძეს: ქრისტიანობის დაცვა კულტურული მსოფლიოს განაპირას, უძველესი ქრისტიანული ქვეყნის პატივი, ბერძნებთან შეთანატოლება, ქართლი წმინდანთა სამშობლოა.

მომდევნო საუკუნეებში ქართულ ეკლესიას აშკარად გამოკვეთილი ეროვნული ხასიათი აქვს. ცნობილია, რომ სინას მთაზე მოღვაწე ქართველი ბერები ლოცულობდნენ „ყოველთა ქართველთათვის“ და ასევე „ქრისტიანობის დამტკიცებისათვის“. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეები არის პერიოდი, როცა ქრისტიანობის, როგორც ქართული იდენტობის მარკერის დეტალიზაცია მოხდა. მეათე საუკუნის მიწურულს ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანების პარალელურად საჭირო იყო პოლიტიკური და კულტურული საზღვრების დამთხვევისთვის ბრძოლა, ამ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქართული ენა და მართლმადიდებლური სარწმუნოება“. [2]

ეროვნული ცნობიერების პრობლემას ეხება გიორგი მერჩულეც, რომელსაც ერთიანი საქართველოს იდეა ერთგვარი ფორმულის სახით აქვს გადმოცემული: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამის შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“. აქვე ეხება ავტორი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს: „პირველად აღმოსავლეთის კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეგრემ ქრისტესმიერთა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევად ქართლს განაწესა“. სწორედ ეს ორი ასპექტი - მირონის კურთხევა და „ქართლად ფრიადი ქუეყანაი „ერთ მთლიანობას ქმნის ეროვნული ცნობიერების გასააზრებლად და გასაძლიერებლად. აქ ეროვნული სუვერენიტეტისადმი იდენტიფიკაციის ცნობიერების ორი მნიშვნელოვანი მომენტი აღსანიშნავი: მირონის კურთხევა სამშობლოში და ქართველი კაცის შეგნებაში დასადგურებული ერის მთლიანობის იდეა - ერთი ენის ფლობა“.

ს. მახარაშვილის მოსაზრებით, „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია „გამოხატავს ქართველთა მტკიცე კავშირს თავიანთ ენასთან. აქ ენობრივი ფაქტორი პირველ ადგილზე დგას, შემდეგ საუბარია ქართველი ერის რჩეულობაზე და შემდეგ ქართველთა სარწმუნოებაზე. ენა, როგორც ქართველების ეროვნულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაშიც“ დასტურდება. ღვთისმშობლის მიერ ყრმა ექვთიმეს სასწაულებრივი განკურნების ეპიზოდი არაერთი მკვლევრის ყურადღების საგანი გამხდარა. „სენითა ფრიადითა“ შეპყრობილი ექვთიმეს მამა დედა ღვთისას შვილის გამოჯანმრთელებას სთხოვს. ღვთისმშობელი არა მხოლოდ ხორციელ სენტაგან განკურნავს ყრმას, არამედ აზიარებს მშობლიურ ლოგოსს. „ქართულად ხსნილად უბნობდე“, მოწოდებასავით გაისმის ღვთისმშობლის სიტყვები.

თამარის ეპოქაში ქრისტიანობა და ეროვნული იდეა გადაენასკვა მესინიასტურ იდეას. ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო თავის წმინდა მისიად თვლიდა დაეცვა არა მხოლოდ ქართული, არამედ ქრისტიანული ქვეყნების სარწმუნოება. ქართველთა რჩეულობა კი განაპირობა ენამ და შეურყვევლმა მართლმადიდებლობამ.

მე-19 საუკუნეში სამოციანელთა ლიტერატურულ მოღვაწეობას მნიშვნელოვან კონსტრუქტულურ ქვეტექსტად უდევს ეროვნული, სამოქალაქო იდენტობის პრობლემა. რეალისტები ეროვნული თვითშეგნების დაკარგვის საფრთხის წინაშე მდგარი ქართული საზოგადოების გამორკვევას და მათი იდენტობის გაცნობიერებას შეუდგნენ. მათთვის ლიტერატურა იდეოლოგიური იარაღია რუსეთის წინააღმდეგ, არა მხოლოდ ზოგადი დამოკიდებულების დაფიქსირების დონეზე, არამედ კონკრეტული რეალური ფასეულობების შექმნის თვალსაზრისით.

ქართულმა საზოგადოებამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. სამოციანელებმა მოახერხეს მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში ქართული ცივილიზაცია ჩაერთოთ და ის სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო მომავალი გამოწვევის წინაშე. ამ მოძრაობის ყველა ძირითადი ძალა და მიმართულება ილია ჭავჭავაძესთან იყო დაკავშირებული. ის მოიაზრებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მიმდინარე პროცესების ცენტრალურ მაკოორდინებელ პიროვნებად. ილია ცდილობს „ჩამოაყალიბოს „სხვა საქართველოს“ ხედვა და მას ლიბერალური ნაციონალიზმის ეროვნული მოდელი დაუდოს საფუძვლად. ილია ჭავჭავაძე, მართლაც, ქართული ნაციონალიზმის მამაა [3].

ქართულ ნაციონალისტურ დისკურსთან ყველაზე ხშირად ილია ჭავჭავაძის „ენა, მამული, სარწმუნოება“ ასოცირდება, სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან. მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“. [4] ილიას ამ ტრიადას ეროვნული იდენტობის ნიშნებად მიიჩნევენ, რომლებიც წარმოადგენს მთავარ საფუძველს, მთავარ ბაზისს, რასაც ემყარება ქართული ნაციონალიზმი, ანუ ქართული ერის იდეა. თუმცა არსებობს სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი, რომ ილია ჭავჭავაძე თავისი ეროვნული ერთიანობის კონცეფციას აყალიბებს „ოსმალის საქართველოში“, საიდანაც ირკვევა, რომ დიდი კლასიკოსი უპირატესად ისტორიის ერთობას მიიჩნევს „არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამჭვალეხს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა.“ [5] თუმცა სხვა ტექსტებში ძირეული მნიშვნელობა ენიჭება ენას. მაგალითად, 1881 წლის მარტის „მინაურ მიმოხილვაში“ ილია წერს: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული, ენა... რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, საცა ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზედ არ ლაპარაკობენო“ [6]. დღეისთვის გარკვეულია, რომ ქართული ნაციონალიზმი განსხვავდება დასავლური ნაციონალიზმისაგან. ილია ჭავჭავაძე თავისი ცნობილი სლოგანით „მამული, ენა, სარწმუნოება“ შეეცადა ჩვენი განსხვავებულობის ხაზგასმას, რადგან ქართული ნაციონალიზმი ევროპული ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, ეკლესიის დაპირისპირების გზით არ ჩამოყალიბებულა. თემურ ბუაძე წერს: „როდესაც ილია მართალი ქართული ეროვნულობის ამ სამ ფუნდამენტალურ ელემენტს ასახელებდა „მამული, ენა, სარწმუნოება“, ეჭვგარეშეა სარგებლობდა ვახუშტი ბატონიშვილის ტრიადით: „სარწმუნოება, ენა, მეფე“, ადვილი შესამჩნევია ცვლილებები, რომლებიც ილიამ ვახუშტი ბატონიშვილის „ფორმულაში“ შეიტანა, „მეფე“ „მამულით“ არის შეცვლილი, „სარწმუნოება“ პირველიდან მესამე ადგილზეა გადატანილი. პირველი ცვლილების ახსნა ძნელი არ არის, მეფე ქვეყნის, მამულის სიმბოლოა. მეფის ღირებულება მამულიდან მოდის, მისი ფუნქცია მამულის დაცვაა, როცა მეფობა აღარ არსებობს, მამულის დაცვა ერმა უნდა აიღოს თავის თავზე. ალბათ, ილია მართალი იმასაც გრძნობდა, რომ ახალი დროის ევროპული ეროვნული ორგანიზმები მონარქიული ფორმით აღარ შეიმოსებოდნენ. რაც შეეხება მეორე ცვლილებას, „სარწმუნოებას“ მესამე ადგილზე გადატანა, მისი მნიშვნელობის დაკნინებას სულაც არ ნიშნავს. ილიას „ფორმულას“ პროგრამის მნიშვნელობაც ჰქონდა. ახალი ნაციონალური პროექტი, ყველა ქართული მხარის „მამულში გაერთიანებით უნდა დაწყებულიყო. ილიამ იცოდა, რომ, ახალ დროში შუა საუკუნეებისაგან განსხვავებით, სარწმუნოება აღარ შეიძლებოდა ეროვნული იდენტობის, ნაციონალური აღორძინების უპირველესი სიმბოლო გამხდარიყო. ასეთი ფაქტორი ახალ დროში საერთო ისტორიული წარსული უნდა ყოფილიყო. [7]

ნათელია, რომ ილიას შეხედულებით, ნაციონალური იდენტობა პირდაპირ უკავშირდება წარსულის ხსოვნას. კოლონიურ ვითარებაში ეროვნული ავტორიტეტის შესანარჩუნებლად ცენტრალურ ტოპოსს, ილიას აზრით, მამული წარმოადგენს და ამ კონცეპტის გამოკვეთა მხოლოდ 60-იანი წლების ლიტერატურამ შეძლო. გ. მაისურაძე თვლის, რომ: ილია ჭავჭავაძის მთელი ლიტერატურული და პრაქტიკული მოღვაწეობა, სრულიად მიზანმიმართულად ერთ თემაზე, ერთ პროექტზე მუშაობს, რომელიც მის მიერ კონცეპტუალიზირებული სიტყვა „მამულით“ გამოიხატებოდა. ესაა „ქართული ეროვნული დისკურსი, რომელიც „მამულის“ ნარატივს ეფუძნებოდა. ამ ნარატივის გატერიტორიალურებით კონკრეტული გეოგრაფია სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, სადაც ეროვნული დისკურსის გავრცელების არეალი ნარაციის სიმბოლურ გეოგრაფიასთან გაიგივებისკენა მიმართული, რაც საბოლოო ჯამში კულტურულ იდენტიფიკაციას აყალიბებს. ეს იდენტიფიკაცია კი, რომელიც ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელია „ნარატიული სტრატეგიის შედეგად ხორციელდება.



ილიასთან „მამული“ სწორედ ასეთი ნარატიული სტრატეგია“ [8] ღირებულებათა ცენტრში მამულის კონცეპტის მოქცევა. თეორიული ხასიათის ნაშრომის გარდა დეკლარირებულია ილიას მხატვრულ შემოქმედებაშიც. საყურადღებოა პოემა „ქართლის დედა“ (სცენა მომავალი ცხოვრებიდან).

ამდენად, ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით მოხერხდა მონარქის ჩანაცვლება მამულით. მამულის ერთგულებით შეიქმნა სამოქალაქო სივრცე XIX საუკუნის საზოგადოებრივ აზროვნებაში. ილიას უმთავრეს დამსახურებად თვლიან თანამედროვე სახელმწიფოს იდეის შემოტანასა და დამკვიდრებას. ილია თავისი შემოქმედებით თუ პუბლიცისტური მოღვაწეობით ცდილობდა ეროვნული იდენტობის თანამედროვე იდეა განხორციელებულიყო და დაფუძნებულიყო.

XIX საუკუნის II ნახევრის ეს უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ქართველი ერის ეროვნულ განმანათავისუფლებელი და განმანათლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი თავის მხატვრულ შემოქმედებაშიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გაერთიანებას, ეროვნული თვითშეგნების გამოცოცხლებას და ამაღლებას. განსაკუთრებული სიმძაფრით ეროვნული იდენტობის ეს პრობლემები მაინც პოემა „აჩრდილში“ და „მგზავრის წერილებში“ წამოჭრა ავტორმა. „პოემა „აჩრდილი“ წარმოადგენს ავტორის ლირიკულ აღსარებას. საგმირო წარსულის სახით პოემაში წარმოჩენილია ფარნავაზის ეპოქა, როგორც ეროვნული იდენტობისთვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის დასაწყისი, რომელიც იდეალად ესახება ავტორს. „ილიას ნარატივში საქართველო დამონებულ ქვეყნად არ იხსენება: ესაა დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის მქონე ქვეყანა, რომელიც მხოლოდ თავის სამხედრო სისუსტეს და სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გამო გახდა იძულებული რუსეთისთვის შეეფარებინა თავი“. [9] მის თანამედროვე ქართველებში კი ჩამკვდარია მამულის რწმენაც, მამულის სიყვარულიც და ეროვნული ერთიანობის განცდაც. ეროვნული ცნობიერების მოშლა ყველაზე მეტად ტკივა პოეტს. ამას ემატება სოციალური ჩაგვრაც. აჩრდილი ქართული ნაციონალური დისკურსისთვის უნიკალური მხატვრული სახე- საქართველოს თანამედროვე უკვდავი სულია პერსონიფიცირებული. მყინვარზე შემდგარი მოხუცი ცოცხლობს, მაგრამ ტანჯულია, რაკი გული გადაბანილი აქვს ქართველთა სისხლით. მოხუცის გოდება გამოხატავს 60-იანელთა ეროვნულ კრედოს და სამშობლო ქვეყნის სამსახურის შთამაგონებელ იდეას. ამიტომაც პოემაში დასმულია ეროვნული გმირის პრობლემა. ილია ეძებს გმირს, რომელიც მიძინებულ საქართველოს უწინამძღვრებს და გამოფხიზლებულ ქართველობას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში წარუძღვება. ბედნიერია ის, „ვისაც ეღირსა მამულისთვის თავის დადება“... ამგვარი პასაჟებით ილია ცდილობს ერის ცნობიერებაში მნიშვნელოვანი გარდატეხას. პოემაში ასახულია ქვეყნის კოლონიური ვითარება. ასეთი ვითარებისთვის დამახასიათებელ პირობებში გადარჩენილმა პოემამ მაინც მოახერხა ქართული ნაციონალური დისკურსის განვითარება. მიძინებული ერის გამოფხიზლება.

„შრომის სუფევის“ ღმერთის ძიების, პიროვნების თავისუფლების, ადამიანის ამაღლების თემებზე ამახვილებს ყურადღებას ილია პოემაში. აჩრდილის XV თავი მთლიანად ქრისტიანული რწმენის ქადაგებას ისახავს მიზნად. საგულისხმოა პოემის ფინალი, ქვეყნის მომავალი, ესქატოლოგიურ კონტექსტში წარღვნისა და გადარჩენის მოტივებით არის წარმოდგენილი, მთელი პოემა კი ჰიმოგრაფიული ტექსტის მოდელზეა აგებული (სრულდება ღვთისმშობლისადმი ვედრებით). მამულის ბედნიერი მომავლის რწმენის განსახიერებაა შვიდფეროვანი ცისარტყელა, რომელიც გადაეფინება პოეტის ქვეყანას, „მახარობლად ტკბილი იმედისა“.

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ ერთი კონკრეტული ნაწარმოები კი არ არის, არამედ ეროვნულ-განმანათავისუფლებელი პროგრამა, ერთგვარი სამოქმედო გეგმაა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის მიმართულება. ილია ჭავჭავაძის, როგორც ეროვნულ განმანათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის, მრწამსად აღიარებულია „ქართველთა ნაციონალური ტიპის“, ლელთ ღუნისა სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, ესაა კოლონიად ქცეული ქვეყნის შველის აბსოლუტურად განსხვავებული სახე. საინტერესოა ჩამორჩენილი რუსული სახელმწიფოს ტიპური ჩინოვნიკის ილიას მიერ შექმნილი კარიკატურული სახე. „უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრით“, მთვრალი „გამანათლებელი“, „პოდპორუჩიკი“ გვიქმნის წარმოდგენას რუსზე. ფრანსიელი, განვითარებული და მოწესრიგებული, კი ევროპის სიმბოლურ სახედ გვევლინება. აქ მკაფიოდ იხატება ილიას თვალთახედვა რუსეთის მიერ ზერელედ დანერგილი, სუროგატიული განმანათლებლობის, ცივილიზებულობის ნაცვლად საქართველო ჭეშმარიტ განმანათლებლობას და პროგრესს, ევროპეიზმს უნდა ეზიაროს.

ქართველი ერის უმოქმედობის, შურისა და ბოროტების სოციალური და ეროვნული სატკივრის გადაჭრის გზებს გვთავაზობს ილია „მგზავრის წერილებში“. ავტორი ცივი, უძრავი მყინვარისა და მოუსვენარი თერგის, ნათელი დილისა და ბოროტებით სავსე ღამის შედარებას იყენებს, რომ დაგვანახოს მოძრაობისა და მოქმედების აუცილებლობა. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონის და სიცოცხლის მიმცემი“. სწორედ ასეთი: აქტიური, ფხიზელი, ზნეობრივი პოზიციით უნდა ყოფილიყო

ქართველობა და არა ისეთი, როგორსაც ხედავდა მაშინ- ღირსებააყრილს, მოდუნებული მაჯისცემით, ჩაგრულსა და მონობას შეგუებულს. იგი შექმნილი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავალს ერის გამოღვიძლებაში ხედავს. საქართველოს ხსნა გონების სინათლეშია. ნათელ, რეალისტურ აზროვნებაში და განათლებაში, რასაც სიმბოლოურად ნაწარმოებში დღე განასახიერებს. დღე განასახიერებს ინტენსიურ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც. დინამიური და ენერგიული ბრძოლით აღსავსე საზოგადოებრივი ცხოვრება, რომლის სიმბოლო დღეს გახდა თერგიც, მოსწონს ავტორს.

ამდენად, ძველ ქართულ მწერლობაში ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი უპირველესად რელიგია იყო. ქრისტეს რჯულის შენარჩუნება და ქართველობა ამ პერიოდის მწერლობაში გაიგივებულია. ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ერის ნაციონალური შეგნებისა და მთელი საზოგადოებრივი აზროვნების გამოცოცხლება იტვირთეს ქართველმა სამოციანელებმა, ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით. ილიამ პირველმა განსაზღვრა მწერლისა და მწერლობის ფუნქცია, როგორც ერის წინამძღოლისა. აქედან გამომდინარე, მხატვრულ ლიტერატურას თუ პუბლიცისტურ შემოქმედებას, ნაციონალური მისია დააკისრა. ლიტერატურას მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა, ასევე, ერის ნორმატიული ცოდნის ფორმირებაზე და დაესახა ნაციონალური განვითარების, გადარჩენის გზა. ილიამ თავისი შემოქმედებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით შეძლო ახალი იდეოლოგიის შექმნა და მისი პრაქტიკულად განხორციელების პროგრამაც დაუსახა ერს. ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის (ეროვნული იდენტობის) სულისჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე ისწრაფოდა დაემკვიდრებინა დასავლური დემოკრატიული ფასეულობები და ცივილური ღირებულებები. გარდა ამისა, არის უამრავი თანმდევი მოდერნიზაციის საქმე, რომელიც ილია ჭავჭავაძემ თავისი ცხოვრების განმავლობაში გააკეთა. ამგვარი კონცეფციები ილიამდელ ქართულ ლიტერატურაში არ შემუშავებულა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილიას ძალისხმევით ჩამოყალიბდა „ახალი იდენტობა - ქართველი“. ილიას ნარატივში მოიაზრება მომავლის საქართველო, რომლის აღორძინებისა და განვითარების პროგრამაც (პროექტი) შემოგვთავაზა უკვდავმა კლასიკოსმა.

#### ლიტერატურა:

1. რ. სირამე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 50
2. მ. ჩხარტიშვილი, ქრისტიანობა, როგორც ქართული იდენტობის მარკერი“, ლოგოსი, საქართველოს საპატრიარქოსა და ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ჟურნალი №4, 2007 წ., გვ. 17.
3. ზ. შათირიშვილი, ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები [http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post\\_27.html](http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post_27.html)
4. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად , ტომი მე-3, თბ, 1986, გვ 9
5. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი მე-4, თბ, 1987, გვ 10
6. ი. ჭავჭავაძე თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად ტომი მე-5, თბ., 1991, გვ 207
7. თ. ბუაჩიძე, ქართველი ერი და ქრისტიანობა <http://www.orthodoxtheology.ge/ქართველი-ერი-და-ქრისტიანობა/>
8. გ. მაისურაძე „მამული და „ქართველის დედა“ საეკლესიო სიმბოლიკა ილია ჭავჭავაძის თხზულებებში. <https://burusi.wordpress.com/2011/03/24/giorgi-maisuradze-8/>
9. ც. კილანავა, ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1467.pdf>

## GEORGIAN LITERARY TEXT AND SELF-IDENTIFICATION

Nana Arakhamia, Sokhumi State University, Assistant Professor

Miranda Todua, Sokhumi State University, Associate Professor

### RESUME

The article includes review of problems on identity in old and new Georgian literature. The major defining factor of national identity in old Georgian writing was a religion. Even country's political orientation was defined by religion. Assertion of Christ's faith and the Georgians are almost equalized in the writing of this period. From this standpoint the work relates to "Abo Tbileli's Martyrdom", "Saint Nino" and "Grigol Khandzteli's Life".

In the article we speak about important conceptual questions of literary creative work of the figures of Sixties on the ground of broad literary materials for the Russian Colony political purposes: a) Expel of Georgian language; b)

Georgia's transformation into an integral part of the colony of Russia; c) About the danger of losing national identity in Georgian society as a result of Empire's Russification policy.

Figures of the sixtieth headed by Ilia Chavchavadze started elucidation of Georgian society and acknowledgement their identity. They managed to involve Georgian civilization in the process of world civilization. Ilia attempted to establish "Another Georgia" vision and to base the liberal Nationalism, national model.

The article also discusses how Ilia Chavchavadze tried to promote Western democratic and civilized values. In addition, there are a lot of related modernization works that Ilia did during his life. Such concepts have not been developed in the literature before Ilia.

## ერგასი სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

ვიანორ ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

„ქართული ენის განმარტების ლექსიკონში“ ერგას-ი (ერგასისა) ძვ. ასის ნახევარს, - ორმოცდაათს ნიშნავს, ახსნილია ისევე, როგორც საბასთან, საილუსტრაციო მაგალითიც საბადანაა მოყვანილი: „(ლეონმა) შეიპყრა ჯუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯოხი ჰკრა“ (საბა) (ქეგელ, 1953, 1394).

აკ. შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკას“ დართულ ლექსიკონში (შანიძე, 1976, 171) ერგასის ფორმა გვაქვს, ისევე როგორც ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონსა“ (აბულაძე, 1973, 148) და ზ. სარჯველადის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ (სარჯველადე, 2001, 81). ხოლო ი. იმნაიშვილის „ქართული ოთხთავის სიმფონია - ლექსიკონში“ ერგას, ერგასის არის დადასტურებული (ი. იმნაიშვილი, 1986, 160).

მამასადაძე, ერგასი, ერგას-ი-ს სიტყვის მნიშვნელობა გარკვევას არ მოითხოვს, იგი ყველგან ორმოცდაათს, ანუ ასის ნახევარს აღნიშნავს. საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს, რომ ერგასისი ფორმა უფრო გავრცელებულია, ვიდრე ერგასი.

წინამდებარე წერილი შევეცდებით საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით წარმოვადგინოთ ერგასი//ერგასისი ეტიმოლოგიური ანალიზი.

ამ სიტყვაში ასი ლექსების შემცველობა აშკარაა. რაც შეეხება მის პირველ კომპონენტ ერგ-ს, იგი, ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, ძველ ქართულში, დიალექტებსა და ქართველურ ენებში დადასტურებულ გუერდ//გვერდ-ს უკავშირდებოდეს და ეს არ უნდა იყოს ლოგიკურობას მოკლებული, რადგან მათი სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტობა აშკარად შეინიშნება.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ გვერდ-ის რამდენიმე მნიშვნელობაა მოცემული. მაგ: გვერდ-ი (გვერდისა) 1. გულმკერდის მარჯვენა და მარცხენა ნაწილი იდლიდან ქვემო ნეკნამდე... 2. გადატ. რისამე ერთ-ერთი განაპირა მხარე, - კიდე... ქალაქის ფურცლის (წიგნის, რვეულისა და სხვა) ერთ-ერთი მხარე... ძვ. „საწყავი... კოკის ნაოთხალი, - ჩაფი, დოხაკი“ (საბა) 1439.

სულხან-საბა ორბელიანთან გუერდი (გუზრდი, გვერდი) არის ჩაფი, საწყავი, ჩაფის უმცირესი საწყავი. ნ. კოკა, ლიტრა. (1991, 174)

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, ერთ შემთხვევაში, გუერდი განმარტებულია, როგორც „კოტჯლი“, ქსესტი, საწყაო: „ათი გუერდი არს გომორ“..., მეორე შემთხვევაში, გუერდი, გვერდი: მხარე: ფერდი: „უჩუენა ჳელნი და გუერდნი“... (98)

დიალექტებიდან ყურადღებას იქცევს ხევსურულსა და თუშურში გვერდ-ი სიტყვის მნიშვნელობები. ხევსურულში წონის ერთეულია, 6-7 ჩარეკი, ფქვილ-ხორბლის საწყაო (ქართ. კილო-თქმათა სიტყ. კონა, I, 152), ხოლო თუშურში მარცვლის საწყაო, კაბიწის (ნ) ნახევარი „მნას კაბიწ, ულოს გვერდი, ღალიან ბარაქიანიმც ხარი“. (ცოცანიძე, 2012. ...)

ლექსიკონებში წარმოჩენილი ამ სიტყვის მნიშვნელობებიდან საინტერესოა ადამიანის ან ცხოველის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული, მთლიანი სხეულის ერთი მხარის, ფერდის სახელდება.

გვერდი, როგორც სხეულის ნაწილი, ორია, გრამატიკულად გამობატული მრავლობითი რიცხვით - გვერდები, გვერდნი, გვერდთა. გვერდი კი მთლიანი სხეულის ნახევარი ნაწილია, ასევეა ქალაქის ფურცლის, წიგნის, რვეულის... შემთხვევაში. თითოეული ფურცელი ხომ ორ გვერდს შეიცავს, ერთი კი ფურცლის ნახევარია.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ძველ ქართულსა და დიალექტებში გვერდი ლექსების რაოდენობის, ზომა-წონის მნიშვნელობით წარმოჩენა, განსაკუთრებით კი თუშურში, სადაც იგი ნახევარს აღნიშნავს - „კაბიწის ნახევარი“.

გამომდინარე იქიდან, რომ რიცხვით სახელებად თავდაპირველად ადამიანის სხეულის ნაწილებს იყენებდნენ, ვფიქრობთ, ასეთი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთგვარობა და თანხვედრა მოულოდნელი არ უნდა იყოს. მაგალითად: მიჩნეულია ქართული „ერთ“-ის კვალი უნდა ვეძებოთ სვანურ ლერთენ//მურთუენ//მირთენ (ზს), ლერთენ//ლერთან (ბქ), ლერთან (ლნტ), „მარცხენა ხელი“ ფორმებში (საღლიანი, 2011, 39).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „ნახევარს“ აღნიშნავს გვერდი მეგრულსა და ლაზურში.

მეგრულში: გვერდი, გუერდი, გვერდედი ← გვერდ-გვერდი (ნახევარ-ნახევარი). გვერდი სი დო გვერდი მავა - „ნახევარი შენ და ნახევარი მეო (ქაჯაია, 2001, 320).

ლაზურში: გვერდი, გვერდალა, გვერდა-გვერდა (ნახევარ-ნახევარი), გვერდახა, გვერდანი (საქსოვი დაზვის ნაწილი) - ნახევარი (ა. თანდილავა, თბ, 2013).

ჰანც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონში“ აღნიშნავენ, რომ გუარდ-ისაგან უმლაუტის გზით მიღებული გუარდ - ძირის კანონზომიერი ფონემური შესატყვისი შემონახულია მეგრულ გორდ-ა ფუძეში. რაც შეეხება გვერდ-ს, რომელიც მეგრულსა და ლაზურში გვხვდება „ნახევარის“ აღმნიშვნელად, იგი ნასესხები ჩანს ქართულიდან... (ნ. მარზე დაყრდნობით) (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, 79).

რადგან გვერდი ძველ ქართულსა და დიალექტებში რაოდენობას, ზომა-წონის (თუშურში კაბიწის ნახევარს), ხოლო მეგრულ-ლაზურში ნახევარს აღნიშნავს და დავაკავშირებთ მას ასს, მაშინ მივიღებთ გვერდი ასი//გვერდი ასის სიტყვათ შეხამებას, მსაზღვრელ-საზღვრულს, რაც სტრუქტურულ-სემანტიკურად ასის ნახევარს, ორმოცდაათს აღნიშნავს.

ვფიქრობთ, გვერდი-ს ფონეტიკურმა სახეცვლილებამ ერგ-ამდე ასეთი ფონეტიკური გზა გაიარა: თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რდ კომპლექსის გამარტივება, დ-ს დაკარგვა. ქართულში სიტყვის ბოლოში მისი დაყრუება დაკარგვის ფაქტები ჭარბადაა როგორც პოეზიის, ისე პროზისა და ისტორიული საბუთების ენაში (ქავთარაძე, 1964, 112), დ-ს გაუჩინარება დასაშვები ხდება. საყურადღებოა, რომ ს. ჟღენტი დ-ს დაკარგვას ჭანურშიც ადასტურებს. მაგ: არ წანა დოგვერი „ერთ წელიწადნახევარი“, არ დო გვერიწანა „ერთ-ნახევარი წელი“ (ს. ჟღენტი, 1965, 55).

გუერდში უ უმარცვლოა, ხოლო მას ძველ ქართულშივე გარკვეული ფონეტიკური კანონზომიერებით ხშირად ენაცვლება ვ. იგი უამრავ თავისებურებას გვიჩვენებს ქართულში. ამ ბგერის დაკარგვა თუ განვითარება, მეტათეზისი და შენაცვლება ყველა ეპოქისა და ყველა კუთხის ქართულ და ქართველურ მეტყველებაში ხშირადაა ხოლმე.

ვფიქრობთ, სწორია საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ ვ-ს სუსტი არტიკულაცია და ნაკლები მჟღერობა შეიძლება იყოს მისი დაკარგვის ერთი მთავარი მიზეზთაგანი ანლაუტში (ქავთარაძე, 1964, 114). უნდა ვივარაუდოთ ვ-ს გაუჩინარების შემდეგ დარჩენილ გერ-ში ბგერათა გადასმით მივიღეთ ერგ ბგერათკომპლექსი (აქცესიურმა მოგვცა დეცესიური, ჰარმონიული ანუ უფრო ბუნებრივი კომპლექსი). შდრ.: მეგრელი - მარგალი, სამეგრელო - სამარგალო.

ასე რომ, ერგასი//ერგასის-მა საბოლოო სახის მიღებამდე ასეთი გზა გაიარა: გვერდ ასი → გვერასი → გერასი → ერგასი. ერგას-ის კი მისი ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა.

#### ლიტერატურა:

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013.
3. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია - ლექსიკონი, თბ., 1986.
4. სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.
5. ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965.
6. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.
7. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
8. ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს., თბ., 1964.
9. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1983.
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1951.
11. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001.
12. აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
13. გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2012.

**FOR THE ETYMOLOGY OF THE WORD ‘ERGASI’**  
**Vianor Akhalaia, Gori State Teaching University, Professor**  
**RESUME**

In this paper we presented the Etymology of the Word ‘Ergasi’ on the basis of linguistic literature and on our own interpretation, which, in our opinion passed through the following track: gverdasi → gverasi → gerasi → ergasi. Ergas-is the possessive case of the world.

**სპარსულ-ქართული ხალხური (ჯადოსნური) ზღაპრების  
ტიპოლოგიური შესწავლისათვის**

**ქეთევან ბარბაქაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**

სხვადასხვა ქვეყნების ფოლკლორი უმეტესად ორიგინალურია და, ხშირ შემთხვევაში, დამოუკიდებლად აღმოცენდება, თუმცა გავლენა, „სესხება“ არაიშვიათად იჩენს თავს, განსაკუთრებით მეზობელი სახელმწიფოების ხალხურ შემოქმედებაში. ასეთ ქვეყნებად ამჯერად შევარჩიეთ საქართველოსა და ირანის ფოლკლორი, კერძოდ, ქართული და სპარსული ზღაპრები. ირანი არაბული კულტურის დიდ გავლენას განიცდიდა. როგორც ცნობილი ფოლკლორისტი, მიხეილ ჩიქოვანი აღნიშნავს, თუ კი მოხდა სესხება, უნდა მომხდარიყო X-XII საუკუნეებში არაბთა შემოსევის პერიოდში, ან იქნებ გვიანაც, რამდენადაც საქართველო გამუდმებით განიცდიდა ხშირ თავდასხმებს ირანიდან (ჩიქოვანი, 1975: 173).

ჩვენი შესწავლის საგანი ამ შემთხვევაში ჯადოსნური ზღაპარია, როგორც ე.მ. მელეტინსკი წერს ზღაპრის მორფოლოგიის ავტორი, ვ. ი. პროპი „ჯადოსნური ზღაპრის სპეციფიკის შესწავლისას იმ დებულებას ეყრდნობოდა, რომ ზღაპრის დიაქრონულ (ისტორიულ-გენეტიკურ) განხილვას წინ მისი ზუსტი სინქრონული აღწერა უნდა უძღოდეს. ასეთი აღწერის პრინციპთა შემუშავებისას ვ.ი. პროპმა მიზნად დაისახა იმ მუდმივ ელემენტთა (ინვარიანტთა) გამომჟღავნება, რომელნიც ჯადოსნურ ზღაპარში არსებობენ და მკვლევრის მხედველობის არედან არ ქრებიან სიუჟეტიდან სიუჟეტზე გადასვლისას“ (პროპი, 1984: 202). ჩვენც ძირითადად მსგავსი სიუჟეტების მოძიებაზე ვამახვილებთ ყურადღებას წინამდებარე სტატიაში.

შემკვრებლობითი საქმიანობა საქართველოში დაკავშირებულია მე-19 საუკუნის დასაწყისთან, ხოლო „სპარსული ზღაპრების შეკრებისა და გამოცემის საქმეში პირველობა ევროპელებს ეკუთვნით... ირანში ეროვნული ფოლკლორით მეცნიერული დაინტერესება XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო და ეს პროცესი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილი ირანელი მწერლის სადევ ჰედაიათის (1902-1951) სახელთან არის დაკავშირებული. ევროპიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან აქტიურად დაიწყო ირანული ფოლკლორის ნიმუშების, მათ შორის, ზღაპრების შეკრება, გამოქვეყნება და პოპულარიზაცია (სპ. ზღაპრები, 2006, გვ. 8-9).

სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს არაერთი ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნეს ისეთმა ცნობილმა მკვლევარებმა, როგორებიცაა დავით კობიძე („ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“ - 1969 წ., „მაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“ - 1959 წ.), მაგალი თოდუა („ქართულ-სპარსული ეტიუდები“ - 1971 წ.), ალექსანდრე გვახარია („სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან: დასთანები“ -1973 წ.), „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“ (I ტომი - 1995 წ.), II ტომი - 2001 წ.) და სხვ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დავარ ომიადის ღვაწლი ქართულ-სპარსულ ზღაპართა პარალელების დაძებნის საქმეში. მან ამ საკითხს უძღვნა მონოგრაფიები - „ქალთა სახეები სპარსულ ხალხურ ზღაპრებში“ (1984 წ.) და „ხალხური ჯადოსნური ზღაპრის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი“ (2014 წ.). მიუხედავად იმისა, რომ დ. ომიადის ნაშრომის („ქალთა სახეები სპარსულ ხალხურ ზღაპრებში“) მიზანს პარალელების დაძებნა არ წარმოადგენდა, ავტორი წინასიტყვაობაში შენიშნავს: „სპარსულ ხალხურ ზღაპრებში ქალის სახის შესწავლის დროს შეგვხვდა საგულისხმო დამთხვევები წინა აზიისა და კავკასიის ხალხთა შემოქმედების ნიმუშებთან. როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების ერთნაირ საფეხურზე სხვადასხვა ხალხის შემოქმედებაში თავს იჩენს მოტივთა ერთგვარობა, ამას ემატება „მთარული სიუჟეტები“.

რომლებიც თითქმის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული“ (ომიამე დ. 1984: 9) მეორე მონოგრაფია კი ავტორს ხალხური ჯადოსნური ზღაპრის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზისათვის მიუძღვნია. ნაშრომის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ დ. ომიამე ყურადღებას ამახვილებს ქართული და სპარსული ზღაპრების უმრავლესობის თანხვედრაზე ზღაპართა საერთაშორისო სიუჟეტებთან „სპარსული ხალხური ჯადოსნური ზღაპრების სიუჟეტების უმრავლესობა თანხვედრა ზღაპართა საერთაშორისო სიუჟეტებს“ (ომიამე, დ. 2014: 19). საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ქართული ხალხური ზღაპარი „კიტრის ქალი“ და სპარსული „ნარინჯი და თურინჯი“. თუმცა ჩვენ ამით არ შემოვიფარგლეთ და ვცადეთ სხვა პარალელების დაძებნაც. ჩვენს მიერ სპარსული ზღაპრების გაცნობისას დადგინდა, რომ არსებობს კიდევ რამდენიმე ქართული ხალხური ზღაპარი, რომელსაც ეძებნება მსგავსება სპარსული ხალხური ზღაპრების სიუჟეტებთან.

ჩვენს თემის მიზანიც სწორედ ისაა, რომ რამდენიმე ქართული და სპარსული ჯადოსნური ზღაპრის მაგალითზე გავაკეთოთ აქცენტი ძირითად თანხვედრა-განსხვავებაზე სპარსულ და ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში.

სანამ უშუალოდ ზღაპართა პარალელებზე გადავიდოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსების მოსაძიებლად ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა სპარსული ზღაპრების ორი სხვადასხვა გამოცემა („სპარსული ზღაპრები“, თბ., 2003 წ., რომელიც შედის მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების მეორე ტომში და „სპარსული ზღაპრები“, თბ., 2006 წ. (გამოცემული ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ)).

ამ თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა სპარსული „ცეროდენა“ და ქართული ხალხური ზღაპარი „ცეროდენა“, რომლებიც საკმაოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან.

სპარსული ზღაპრის „ცეროდენას“ სიუჟეტი ასეთია: ერთ ღარიბ მხერხავს დიდი ხანია არ ყავს შვილი, ის მეუღლესთან ერთად შესთხოვს ალაჰს შვილის, თუნდაც ერთი ცეროდენა არსების ყოლას. მათ მართლაც შეეძინათ შვილი და ისიც - ცეროდენა, დასაწყისში კი გაიხარეს მშობლებმა, თუმცა შემდეგ დაღონდნენ, რადგან დრო გადიოდა, ცეროდენა კი არა და არ იზრდებოდა, ისევ ისეთი იყო, როგორც დაბადებისას, ახლა უკვე გული სწყდებოდა მამას, ისეთი შვილი არ ჰყავდა, ტყიდან შეშის მოტანისას ურემს გაძლოდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ცეროდენა მშვენივრად უძღვებოდა შეკაზმულ ურემს. მეტიც, ის იმდენად კარგი თვისებების აღმოჩნდა, რომ მისი „ყიდვის“ მსურველებიც აღმოჩნდნენ. აქ იწყება ცეროდენას საოცარი თავგადასავალიც. ის ჯერ თავვის სოროში აღმოჩნდა, შემდეგ შეხვდა ორ ქურდს, რომელთაც გაჰყვა მდიდარი ახუნდის ოქროს ამრაფების მოსაპარად, შემდეგ თავი ამოყო ძროხის ფაშვში „ძროხამ ერთი მოქნევით თივა და მასთან ერთად ცეროდენაც ყბებში მოიქცია... ხახაში ჩასრიალდა და ძროხის ფაშვში ამოყო თავი“ (სპარსული ზღაპრები, 2003: 199), მგლის ხახაში („ძროხის ფაშვიდან თავის დაღწევის ცდაში რომ იყო... ნაგვის ორმოს მშვიერმა მგელმა ჩაუბძნძულა, ფაშვს ეძგერა და თვალის დახამხამებაში გადასანსლა“ (სპარსული ზღაპრები, 2003: 200).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სპარსულ ჯადოსნურ ზღაპართან სიახლოვეს ავლენს იმავე სახელწოდების ქართული ხალხური ზღაპარი. ორივე ზღაპარში ცეროდენა გამჭირაობითა და სიმამაცით გამოირჩევა. ის არ უშინდება არც ქურდებს და არც მშვიერ მგელსა თუ ძროხას. ქართულში ზღაპრის სიუჟეტი განიცდის მცირედ ცვლილებას. ის სპარსულთან შედარებით მოქმედი გმირების სიმცირით გამოირჩევა. სამაგიეროდ, ქართულისაგან განსხვავებით სპარსულში ცეროდენა უფრო ღონიერი ჩანს. როცა დედამ ურემში შებმული ცხენის კისერზე შემოსვა, ის ისე იჯდა, „თითქოს სამოცდაათი წელი ურემს ეკიდაო“ (სპარსული ზღაპრები, 2003: 194). ქართული ზღაპრის მიხედვით კი გუთანს შემომჯდარი ცეროდენა „გადმოვარდა და კამეჩის პატივში ჩავარდა“ („რჩეული ქართული ზღაპრები“ 2012:175). ამავეს გვამცნობს ქართული ხალხური ზღაპრის „ცეროდენას“ სხვა ვერსიაც, „ჯერ ერთი კვალიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ ცეროდენა უღლიდან გადმოვარდა და კამეჩის ნეხვში ჩავარდა“ (ქართული ხალხური ზღაპრები, 2015:198). ორივე ზღაპარში მუდმივია ოთხი პერსონაჟი: ცეროდენა, მისი მშობლები და მგელი.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებს შორის პოპულარულ ზღაპარს „წიქარა“ აღმოაჩნდა ფოლკლორში მსგავსსიუჟეტისანი ზღაპარი „ნიშა“. სპარსული ხალხური ზღაპრის სიუჟეტი ასეთია: პატარა გიორგის (სახელი, სავარაუდოდ, თარგმნისას უნდა იყოს შეცვლილი. შენიშვნა ჩვენია ქ.ბ.), რომელსაც დედა ადრე გარდაეცვალა, დედინაცვალი ცუდ დღეში აგდებს: „ყოველ ცისმარე დღეს ბავშვი ცხვრის ფარასა და ძროხების ნახირს მიერეკვებოდა საძოვარზე. საღამოს, შინ რომ დაბრუნდებოდა, სახლში შესვლასაც კი ვერ ბედავდა და ბოსელში, საქონელთან ათევდა ღამეს“ („სპარსული ზღაპრები“ 2003: 219). მის საკვებ ულუფას შეადგენდა მხოლოდ ერთი დაობებული ხმიადი. გაჭირვებაში მას მხსნელად ევლინება ნიშა ხარი (ეს სპარსული სახელიც მთარგმნელის მიერ უნდა იყოს ქართველი მკითხველისთვის ადვილად შესაცნობად. ქ.ბ.), რომელიც საკუთარი რქებით კვებავს პატარა მწყემსს. თუმცა ბედნიერება დიდხანს არ გასტანს, დედინაცვალი ხვდება მისი პატრონის ვინაობას და გადაწყვეტს დააკვლევინოს ნიშა. ნიშა წინასწარ არიგებს გიორგის და ისინი ახერხებენ გაქცევას. ტყეს შეფარებულებს ხარი არიგებს „ერთი კარგი ლერწამი აარჩიე და სალამური გამოთაღე. სალამური მუდამ თან იქონიე. შენ წაგიყვან და ტყის პირას

დაგტოვებ, მე კი ჩემი გზით წავალ. როცა რაიმე გაგიჭირდება, ან შიმშილი შეგაწუხებს, სალამურს ჩაბერე და მყისვე შენთან გავჩნდებიო“ (სპარსული ზღაპრები, 2003: 224). ტყე, რომელსაც გიორგი თავს აფარებდა ეკუთვნოდა ხელმწიფის ასულს (როუმანაქს). ერთხელ ქალმა სეირნობისას შემთხვევით თვალი მოჰკრა გიორგის და მაშინვე გამიჯნურდა. ხელმწიფის ფარემებმა მძინარე გიორგი შეიპყრეს და მიჰგვარეს ხელმწიფეს, რომელსაც ძალიან მოეწონა სასიძოდ. თავის ასულს ღირსეული საბედოს პოვნა მიულოცა და ქორწილისთვის სამზადისის დაწყებაც ბრძანა. გიორგიმ განაცხადა თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის სალამურს დაუბრუნებდნენ, რომელიც გიორგისთვის ძილის დროს ფარემებს მოეპარათ. თხოვნის შესრულების შემდეგ ხელმწიფემ გიორგი საკუთარ შვილად გამოაცხადა და ტახტის მემკვიდრეობაც დაულოცა. ქართული ხალხური ზღაპრის „წიქარას“ სიუჟეტში, განსხვავებით სპარსულისაგან, არ გვხვდება დედინაცვლის შვილი, ასევე არ ჩანს მოქმედ პირთა სახელებიც. მწყემს ბიჭს აქ წითელი ხარი, სახელად „წიქარა“ ეხმარება, რომელიც „რქიდან ღალას იღებდა და ბიჭს იმით ასაზრდოებდა“ (ქართული ხალხური ზღაპრები, 2015: 24). მსგავსად სპარსული ზღაპრისა, აქაც დედინაცვალი გადაწყვეტს, თავი მოივადმყოფოს და ისე მოიშოროს წიქარა. წიქარა მეგობარ ბიჭს სთხოვს გაქცევისას თან იქონიოს გარკვეული საგნები (ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი ც მათარა წყალი). სპარსულისაგან განსხვავებით ქართულ ვერსიაში გაქცეულებს დედინაცვალი ტახს დაადევნებს, რომელიც კლდიდან გადაიჩეხება. სამშვიდობოდ გასული ბიჭი წიქარამ შესვა ხეზე და მისცა ორი სალამური - სალხინო და სამწუხარო. ბიჭს მოტყუებით ჩამოიყვანენ ალვის ხიდან და მიჰგვრიან ხელმწიფეს, რომელიც მას ცხრაკლიტულში გამოამწყვდევს. მისი გათავისუფლება ხდება ისევ წიქარას დახმარებით. ქართულ ხალხურ ზღაპარში არ გვხვდება ხელმწიფის ასული, თუმცა გვხვდება დედაბერი, მერცხალი, დედოფალა და ა.შ., რომლებიც არაა სპარსულ ზღაპარში. ქართულ ვარიანტში ჩანს, რომ ბიჭი ფრინველებისადმი (ყვავი, ბელურა, მერცხალი) ღმობიერი მოპყრობით არ გამოირჩევა, თუმცა ის ამას გულწრფელად ინანიებს. სპარსულისაგან განსხვავებით ქართულში ჩართულია ლექსები. ნაწილობრივ მსგავსი სიუჟეტით გამოირჩევა ქართული „დედინაცვალი და გერი“, სადაც ასევე უარყოფითადაა გამოყვანილი დედინაცვალი, რომელიც, მსგავსად ზემოხსენებული ზღაპრებისა, ვითომ ავად ხდება და ამის საბაბით ითხოვს გერის საყვარელი ძროხის დაკვლას. ზღაპარში ძროხას მართლაც კლავენ (მისი ძვლები გერმა ორმოში დამარხა), თუმცა ძროხა ამის შემდეგაც განაგრძობს მის დახმარებას. მთავარი მოქმედი გმირი აქ გოგოა, განსხვავებულია ფინალიც, რომელიც, თავის მხრივ, სიუჟეტურად ზღაპარ „კონკიას“ უახლოვდება.

სპარსული ზღაპარი „მეწვრილმანე“ ასევე ავლენს ტიპოლოგიურ მსგავსებას ქართულ ხალხურ ზღაპართან „ნატვრისთვალი“. ორივე ზღაპრის დასაწყისი და ძირითადი ნაწილი მსგავსია გმირი, რომელსაც მცირედი თანხა წამოუღია ოჯახიდან, რათა საქმეს მოკიდოს ხელი, ეხმარება გაჭირვებაში ჩავარდნილ ცხოველებს (ძაღლს, კატას, გველს). გაწეული დახმარების საზღაურად იგი საჩუქრდება, სპარსული ზღაპრის ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, სოლომონის ბეჭდით, მეორე ვერსიით - სულეიმანის ბეჭდით, ქართული ზღაპრის მიხედვით კი -ნატვრისთვლით.

ნაწილობრივ მსგავსებას ვხვდებით სპარსულ ზღაპარში „შვიდი ძმა“ და ქართული ხალხურ ზღაპარში „ცხრა ძმა და ერთი და“. მსგავსება აქ ვლინდება მხოლოდ შესავალ ნაწილში, სადაც ძმებისთვის ერთადერთი დის გაჩენის ამბავია გადმოცემული.

გარდა ამისა, ქართულ ზღაპრებში ნაკლებად ჩანს მოქმედ პირთა სახელები, ისინი ძირითადად ზოგადი სახელებით მოიხსენიება: ბიჭი, დედინაცვალი, კუდიანი დედაბერი, ხელმწიფე („წიქარა“), ბიჭი („ნატვრისთვალი“) და ა.შ. სპარსულში კი, პირიქით, ხშირად ფიქსირდება მოქმედ გმირთა სახელები: ბაჰრამი, ქიამარი („მეწვრილმანე“), გიორგი, როუმანაქი („ნიშა“) და ა.შ. ამასთან, სპარსული ზღაპრის დასასრულს ხშირად ვხვდებით ლექსს:

„მაღლა ავედი მაწონი იყო,  
ქვემოთ ჩამოველ - დუდი,  
ჩვენი ზღაპარიც სიცრუე იყო  
და ტყუილების ბული“

მაშინ, როცა ქართული ხალხური ზღაპრის ტრადიციული დასასრული შემდეგია:

„ჭირი - იქა, ლხინი - აქა.  
ქატო - იქა, ფქვილი - აქა“.

ანუ, სპარსული ზღაპრის მხოლოდ დასაწყისი კი არ გვაფრთხილებს „იყო და არა იყო რაო“, არამედ დასასრულიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყველაფერი, რაც ითქვა, ტყუილი იყო.

ბუნებრივია, აქაც იგრძნობა მთარგმნელის ერთგვარი ტენდენციურობა, როგორმე გასაგები და ახლობელი გახადოს სპარსული ზღაპარი სხვადასხვა ასაკის მოზარდი მკითხველისათვის.

ამდენად, სპარსული და ქართული ჯადოსნური ზღაპრების შედარებამ გვიჩვენა, რომ მსგავსი სიუჟეტისანი ზღაპარი შეიძლება აღმოცენებულიყო ტერიტორიულად და ეკონომიკურ-

კულტურულად ისეთ დაშორებულ ქვეყნებში, როგორებიცაა ირანი და საქართველო, თუმცა ადვილი შესაძლებელია საუკუნოვანი მტრული, დამპყრობლური თუ კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში მომხდარიყო ერთი სიუჟეტის გადატანა მეორეში სახეცვლილებით, რის კლასიკურ ნიმუშადაც ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს „წიქარა“/„ნიშა“, „ცეროდენა“/„ცეროდენა“, „ნატვრისთვალი“/„მეწვრილმანე“.

აღნიშნული საკითხები მოითხოვს სიღრმისეულ კვლევას, რაც წინამდებარე სტატიის ფარგლებში შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ შემოვიფარგლეთ მხოლოდ ფოლკლორისტთა მიერ შეუსწავლელი რამდენიმე ზღაპრის შედარებითი ანალიზით.

#### **ლიტერატურა:**

1. გვახარია ა., „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან: დასთანები“, 1973;
2. კობიძე დ., „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, 1969;
3. კობიძე დ., „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“, 1959;
4. თოდუა მ., „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, 1971;
5. „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“, I ტომი, 1995;
6. „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“, II ტომი, 2001;
7. ომიადე დ., „ქალთა სახეები სპარსულ ხალხურ ზღაპრებში“, 1984;
8. ომიადე დ., „ხალხური ჯადოსნური ზღაპრის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი“, 2014;
9. პროპი ვ., „ზღაპრის მორფოლოგია“, თბ., 1984;
10. რჩეული ქართული ზღაპრები, ტომი 1, თბ., 2012;
11. „სპარსული ზღაპრები“, მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, თბ., 2003;
12. „სპარსული ზღაპრები“, თბ., 2006;
13. ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 2015.
14. ჩიქოვანი მ. „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, I, თბ., 1975.

### **FOR THE TYPOLOGICAL STUDY OF THE PERSIAN-GEORGIAN FOLK (FAIRY) TALES** **Ketevan Barbakadze, Gori State Teaching University, Associate Professor** **RESUME**

While doing comparative and typological analysis of the Persian - Georgian folk (fairy) tales, we found out several plot similarities between Georgian fairy-tales (“Tserodena” – “Tiny”, “Tsikara”, “Natvrivtvali” – “Wishing Stone”) and Persian fairy-tales (“Tserodena” – “Tiny”, “Nisha” - “Niche”, “Metsvrilmane” - “Petty”).

The fairy-tale of the similar plot could have originated territorially, economically and culturally in such distant countries, as Iran and Georgia. It is easily possible that in the conditions of age-old hostile, invasive or neighborly relations the plot of one fairy-tale moved into another one with some modifications.

#### **გრამატიკის თანამედროვე გააზრება**

**მერაბ ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი**  
**მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,**  
**ასოცირებული პროფესორი**

თანამედროვე ავტორთა შეხედულებით განმარტებები გრამატიკის შესახებ შეიძლება დაიყოს პირობითად რამდენიმე ნაწილად. პირველი თვალსაზრისით, გრამატიკა არის გრამატიკული სტრუქტურა - სიტყვა აფიქსები - სიტყვათა კავშირი-ტექსტი, რომელიც არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად და ემყარება ლინგვისტურ წესებს. ამ შემთხვევაში იგი გულისხმობს სალიტერატურო ენის გრამატიკას.

„ტრადიციული თვალსაზრისის თანახმად, გრამატიკა შედგება ორი დარგისაგან - მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან. საკუთრივ მორფოლოგია შეისწავლის სიტყვაში მორფემებს შორის კავშირებსა და



მორფემულ მიმდევრობათა - სიტყვათა - პარადიგმულ კლასებს. გამოხატულებისა და შინაარსის თვალსაზრისით სიტყვებს შორის მიმართებები, სიტყვებისაგან უფრო რთული კონსტრუქციების - ფრაზებისა და წინადადებების - აგების წესები სინტაქსის შესწავლის საგანია (გამყრელიძე, 2008:207).

საინტერესოა, როგორ განმარტავენ რუსი მეცნიერები გრამატიკას და როგორ იცვლება გრამატიკის შესწავლის ობიექტი რუსული საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით. ამჯერად ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ გრამატიკის გააზრებაზე სწორედ რუსული საენათმეცნიერო აზრის მიხედვით.

მეცხრამეტე საუკუნის ეფრონის ენციკლოპედიის მიხედვით, გრამატიკა როგორც ენათმეცნიერების დარგი მოიაზრებდა ფონეტიკასა და ლექსიკას. უკვე 1929 წელს ვ. მ. ფრიჩესა და ა. ვ. ლუნაჩარსკის რედაქტორობით გამოცემულ ლიტერატურულ ენციკლოპედიაში (ლიტერატურული ენციკლოპედია, 1929: 23) გრამატიკის განმარტებაში ენის ბგერითი მხარის შესწავლა მოიაზრება როგორც სიტყვა გრამატიკის „თავდაპირველი გაგება“, რომელიც შეფასებულია არცთუ უსაფუძვლოდ და მცდარად: „ეს ჩართულობა (გრამატიკის გაგებაში ენის ბგერითი მხარის გააზრება - ხაზი ჩვენია) ნაკლებ მცდარია, ვიდრე ზოგადად მიღებულია, ვიფიქროთ იმდენად, რამდენადაც კოლექტივის ენობრივ ურთიერთობაში ქლერადობის ელემენტი იქცევა მნიშვნელობის განმასხვავებელ ნიშნად ე.ი. გარკვეულ დონემდე გრამატიკულ მოვლენად“.

ენციკლოპედიაში ხაზგასმულია, რომ ტერმინის ამგვარი გაგება ჩვეულებრივია არა მარტო მისი შემქმნელი ანტიკური ხანის გრამატიკოსებისთვის, ასევე მათი შემკვიდრე შუასაუკუნეებისა და აღორძინების ეპოქების გრამატიკული აზროვნებისთვის, არამედ არაბი და ებრაელი გრამატიკოსებისთვისაც, რომლებიც ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი ანტიკურ ტრადიციებზე. როგორც გამოხატის, სახელდება ძველი ინდური გრამატიკა, სადაც თავიდანვე მკაფიოდ უპირისპირდებოდა სიტყვათა ფორმების - გრამატიკის სწავლება ბგერების სწავლებას - ფონეტიკას.

ენციკლოპედიაში წარმოდგენილი მსჯელობა, კარგად წარმოაჩენს, რომ ტერმინ „გრამატიკის“ ფართო გაგებას ხელი არ შეუშლია რაციონალიზმის ფილოსოფიური გაგებისთვის XVI-XVIII სს. ენის გრამატიკული კატეგორიები დაეკავშირებინათ ლოგიკურთან, ან შედარებითი გრამატიკის მიმდევრებს XIX ს დაესახათ მიზნად თავდაპირველად თითოეული ენის „ინდივიდუალიზმის“ უფრო მკაფიო გამოვლენა, ხოლო შემდგომ ენის ნატურალისტური კონცეფციის გავლენით უძველესი, უკვე „მკვდარი“ ფორმების აღდგენა. ასეთივე გაგების საფუძველზე ისტორიულმა გრამატიკამ შეისწავლა „დროში ენობრივი ჩვევების ცვლილებები“ და ამით გრამატიკიდან განდევნა ნორმატიულობის ელემენტი, რომელიც მას ჰქონდა თავიდანვე ფილოლოგიასა და სტილისტიკასთან გენეტიკური კავშირის წყალობით.

ენციკლოპედიაში ახსნილია ტერმინის მნიშვნელობის დავიწროების მიზეზიც: „ფონეტიკის გრამატიკიდან გამოყოფა, რომელიც მოხდა XIX საუკუნეში, უკავშირდება არა იმდენად გრამატიკული პრობლემის გაღრმავებას, რამდენადაც პირველი დისციპლინის განვითარებას, რომელმაც (ენობრივი ნიშნის სოციალური კონცეფციის არარსებობის წყალობით) შეიძინა საბუნებისმეტყველო სამეცნიერო დისციპლინის ხასიათი“. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისში ტერმინი ფართო მნიშვნელობით მაინც გვხვდება არა მხოლოდ პედაგოგიურ და მეთოდურ ლიტერატურაში, არამედ, ჩვეულებრივ, ლინგვისტიკაშიც კონკრეტული ენებისა თუ ენათა ჯგუფების აღწერისას.

XX საუკუნის დასაწყისიდან რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვიდრდება და შემდგომში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ტერმინი გრამატიკა ვიწრო მნიშვნელობით - ლინგვისტიკის დარგის აღსანიშნავად, რომელიც შეისწავლის მთლიანი გამონათქვამის ელემენტებს (სიტყვათშეთანხმებები, ცალკეული სიტყვები, სიტყვის ნაწილები) შორის იმ აზრობრივი კავშირების გამოხატვას, რომლებიც აღიქმებიან ამ ელემენტების ძირითადი რეალური მნიშვნელობის სახესხვაობად და გამონათქვამის ბგერითი მხარის შესაბამისი ცვლილებების მუდმივობის წყალობით გამოირჩევიან გრამატიკული ფორმების სისტემაში. ამ მნიშვნელობით გრამატიკა უპირისპირდება, ერთი მხრივ, ფონეტიკას - სწავლებას ენის ბგერითი სისტემის შესახებ, მეორე მხრივ, სემასოლოგიას - სწავლებას სიტყვათა რეალური მნიშვნელობის შესახებ.

ამის შემდეგ როგორც არაგრამატიკული დისციპლინები გამოიყოფა ეტიმოლოგია, ლექსიკოლოგია, რომლებიც სიტყვათა „ფესვების“ შესწავლასთან ერთად შეისწავლის ახალი სიტყვების წარმოქმნის ფორმებს. ენციკლოპედიის მიხედვით, საკუთრივ გრამატიკის ფარგლებში გამოყოფილი მორფოლოგია და სინტაქსი ორგვარი განმარტებით გამოიყენება (ხაზგასმულია, რომ ორივე თანაბრად გავრცელებულია). მორფოლოგია, ერთ შემთხვევაში არის „სწავლება ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც დამოკიდებულია მათ შედგენილობაზე და, შესაბამისად, სიტყვის ნაწილების მნიშვნელობაზე“, მეორე შემთხვევაში - „სწავლება ცალკეული სიტყვის ფორმების შესახებ“. რაც შეეხება სინტაქსს, ერთ შემთხვევაში „სწავლება სიტყვათა შეერთების მნიშვნელობის შესახებ“, მეორე შემთხვევაში სწავლება „სიტყვათშეთანხმებებში ამ ფორმათა ფუნქციის, სიტყვათშეთანხმებების ფორმებისა და

ფუნქციების შესახებ. როგორც ვხედავთ, განმარტებები ერთმანეთს არ გამორიცხავს“. ენციკლოპედიაში გრამატიკული დისციპლინების ამგვარი გამოყოფა პირობითად არის მიჩნეული, კიდევ უფრო მეტად პირობითად - გრამატიკული ფორმების კლასიფიკაცია ([http://www.lib.tpu.ru/fulltext/m/2011/IvanovaLS\\_VasilyevaSL/Index/2/grammar.html](http://www.lib.tpu.ru/fulltext/m/2011/IvanovaLS_VasilyevaSL/Index/2/grammar.html)).

გრამატიკის, როგორც მეცნიერების განვითარების პროცესში იცვლებოდა მისი მოცულობის გაგება. როგორც არ უნდა ყოფილიყო გრამატიკული აზროვნების განვითარების მიმართულება - მიმართავდა ის საყრდენად ლოგიკის თეორიებს, თუ ამა თუ იმ ფსიქოლოგიურ თეორიას, ზუსტ მეცნიერებებს, მაგალითად, მათემატიკას ან აცხადებდა თავის სრულ დამოუკიდებლობას ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ცოდნისგან - ამ ყველაფრის მიუხედავად გრამატიკული აზრის ისტორია აჩვენებს განსხვავებულ გაგებას ენის გრამატიკული წყობის მეცნიერების განსხვავებული საზღვრებს, ენის სხვა სფეროებისადმი.

შეინიშნება ტალღისებური მოძრაობა გრამატიკის შესწავლის ობიექტის ვიწრო გაგებიდან (მხოლოდ ფორმები, მხოლოდ ენის ფორმალური გარსი) მისი საზღვრების იმგვარ გაგებამდე, როცა გამოყვანა და ფორმულირება გრამატიკული კანონებისა არ გაიაზრება ენის სიტყვიერი ფონდის გარეშე (ლიტერატურა და ენა, 2006: 89). როგორც რუსულ, ისე უცხოურ გრამატიკულ ტრადიციაში არსებობს მკაცრად ფორმალური, ვიწრო გაგება გრამატიკული მეცნიერების ობიექტისა (ფორტუნატოვი, პეტერსონი, გენერატიული გრამატიკა) ასევე ფართო გაგება ამგვარი ობიექტისა, როცა ენის გრამატიკული წყობის შესწავლა შემოიფარგლება, ერთი მხრივ, სიტყვის შესწავლით (ვოსტოლოვი, პოტენია, შახმატოვი, ვინოგრადოვი), მეორე მხრივ, მეტყველების ფუნქციონირების ყველა სფეროს შესწავლით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ გრამატიკული აზრის მიხედვით ტერმინი გრამატიკას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა ენათმეცნიერებაში:

ა) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის ენობრივი ერთეულების ფუნქციონირებას, მათ საშუალებებსა და ურთიერთკავშირებს.

ბ) შესწავლის ობიექტი, ენის გრამატიკული წყობა, გრამატიკული მნიშვნელობების ინვენტარი და მათი ფორმალური გამოხატვის საშუალებებს

გ) წესები, რომელთა მიხედვითაც იგება სიტყვა, სიტყვათა ფორმები, სიტყვათშეთანხმებები.

წინადადებები, რომლებიც გარკვეული აზრს გადმოსცემენ. გრამატიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი მოიცავს ორ ქვენაწილს: მორფოლოგიასა და სინტაქსს.

ჩვენი აზრით, მოცემული განმარტების ა და ბ ნაწილი შესაძლოა გავაერთიანოთ ზემოთ მოყვანილ კლასიფიკაციაში. სხვა განმარტებით გრამატიკა არის:

1) ენის წყობა ე.ი. მორფოლოგიური კატეგორიებისა და ფორმების, სინტაქსური კატეგორიებისა და კონსტრუქციების, სიტყვათწარმოქმნის საშუალებების სისტემა. სამივე ერთად განაპირობებს ენის სრულად ორგანიზაციას (აგებას) - მის ბგერით, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურის საკუთრივ ფორმალური სისტემებისაგან - ეს არის კატეგორიები და ენის ყველა ფორმალური, საკუთრივ ენობრივი წყობის დონის მოვლენა.

გრამატიკა ეწოდება ყველა არასაკუთრივ ენობრივ და არალექსიკურ ორგანიზებას ენისას, წარმოდგენილი მის გრამატიკულ კატეგორიებში, გრამატიკულ ერთეულებსა და გრამატიკულ ფორმებში. გრამატიკა ამ მნიშვნელობით წარმოადგენს ენობრივი წყობის საფუძველს, რომლის გარეშეც არ შეიძლება იქნენ წარმოქმნილი სიტყვები (ყველა ფორმით), მათი შეწყობა, შენაწევრება, წინადადება (ფართოდ გამონათქვამი და მათი შეწყობა, შენაწევრება).

2) ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის ამგვარ წყობას, მის ორგანიზებას, მის კატეგორიებსა და მათ ურთიერთმიმართებას.

3) ტერმინ გრამატიკას ზოგჯერ გამოიყენებენ ცალკეული გრამატიკული კატეგორიის ან ლექსიკურ-გრამატიკული სიმრავლის ფუნქციათა აღსანიშნავადაც. მაგალითად, საუბრობენ მეტყველების ამა თუ იმ ნაწილის გრამატიკაზე (მაგ.: სახელის გრამატიკაზე, ზმნის გრამატიკაზე) ან ამ თუ იმ ბრუნვის, ინფინიტივის, ცალკეული წინდებულის გრამატიკაზე.

გრამატიკას საქმე აქვს აბსტრაქციებთან, განზოგადებასთან. ამ განზოგადებათა ხასიათი სხვადასხვაგვარია. ეს შესაძლოა იყოს მაგალითად განზოგადება სიტყვათა სახელდების საშუალებების (სიტყვათწარმოქმნაში) განზოგადება მრავალფეროვანი დამოკიდებულებებისა (ბრუნვათა მნიშვნელობებში, სიტყვებისა და სიტყვათა ფორმების შეერთებებისა, წინადადების აგებების), ენაში განზოგადებულად გამოხატული სიტუაციების (მაგალითად, როგორც არის სუბიექტსა და მის მოქმედებას შორის ან მდგომარეობას შორის და მოქმედებასა და მის ობიექტს გრამატიკა (ენის გრამატიკული წყობა, როგორც აბსტრაქტული კატეგორიების სისტემა, რომელიც წარმოადგენს განყენებული გრამატიკული მნიშვნელობებისა და ფორმალური გამონათქვამების ერთობას არის ის საფუძველი, რომლის გარეშეც ენა არ არსებობს და არ ფუნქციონირებს. გრამატიკული კატეგორიები

ერთმანეთთან რთულ და მჭიდრო ურთიერთობებში არიან, აქვთ სისტემის ნიშნები (ლელ, 1990: 154-168). გრამატიკული კატეგორიები დაპირისპირებულია ერთმანეთთან, როგორც ერთი მხრივ, კატეგორიები, რომლებიც მიეკუთვნება სიტყვას და, რომლებიც მიეკუთვნება წინადადებას. ამდენად, ენის გრამატიკა, როგორც ენობრივი წყობა წარმოადგენს რთულ ორგანიზმს, რომელშიც შერწყმულია სიტყვათქმნადობა (წარმოქმნა), მორფოლოგია და სინტაქსი. ამ ქვესისტემებს, განსაკუთრებით მორფოლოგიასა და სინტაქსს შორის განსაკუთრებით მჭიდროა ურთიერთზემოქმედება და ურთიერთგადაჯაჭვულობა, ასე, რომ ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის მიკუთვნება მორფოლოგიისა თუ სინტაქსისთვის ხშირად პირობითია (მაგალითად ბრუნვის კატეგორია). საკითხი „უმაღლესი სინტაქსის“ მიკუთვნებისა გრამატიკისადმი რთული, ანუ რთული, ვრცელი ტექსტური მთლიანობის აგების კანონზომიერებებისა, მეცნიერებაში ჯერ არ გადაწყვეტილია. თუმცა ექვგარეშეა, რომ ამ კანონზომიერებებს აქვთ თვისებრივად განსხვავებული ხასიათი, ვიდრე ენის გრამატიკულ კანონებს.

უფრო კონსტრუქციული გრამატიკული ობიექტის შეცნობაში აღმოჩნდა ისეთი მიდგომები, (ხშირად მეთოდოლოგიურად ძალიან განსხვავებული), რომლებიც არ ზღუდავს გრამატიკული კანონებისა და წესების შესწავლას დაწყებული მათი მუდმივი და რთული ურთიერთქმედებიდან ენის ბგერობრივი და ლექსიკური ორგანიზების კანონებთან და წესებთან.

#### **ლიტერატურა:**

1. ლელ, 1990 - ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, მთავარი რედაქტორი ვ. ნ. იარცევა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მეცნიერების აკადემიის გამომცემლობა, 1990 წელი.
2. გამყრელიძე... 2008 - გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2008.
3. ლიტერატურული ენციკლოპედია, 1929 – Литературная энциклопедия, 11 т.; М.: издательство Коммунистической академии, Советская энциклопедия, Художественная литература. Под редакцией В. М. Фриче, А. В. Луначарского. 1929—1939)
4. ლიტერატურა და ენა, 2006 - Литература и язык. Современная иллюстрированная энциклопедия. – М.: Росмэн. Под редакцией проф. Горкина А.П. 2006.
5. [http://www.lib.tpu.ru/fulltext/m/2011/IvanovaLS\\_VasilyevaSL/Index/2/grammar.html](http://www.lib.tpu.ru/fulltext/m/2011/IvanovaLS_VasilyevaSL/Index/2/grammar.html)

### **MODERN CONSIDERATION OF GRAMMAR**

**Merab Beridze, Samtskhe-Javakheti State University, Professor**

**Maka Kachkachishvili-Beridze, Samtskhe-Javakheti State University, Associate Professor**

#### **RESUME**

According to modern authors, explanations about grammar conditionally may be divided into several parts. From the first point of view, grammar is a very complex structure - word affixes – word combinations – texts which exist separately from us and it is based on linguistic rules. In such cases it means the grammar of a literary language. The understanding of the volume of grammar was changing in the course of its development. In the paper the attention is drawn to grammar consideration according to Russian linguistic idea. Three basic meanings of the word are highlighted. More constructively, in understanding of a grammar object, such approaches are considered which do not limit studying grammar laws and rules, starting with their complex interaction to laws and rules of lexical organization.

### **დავიდ ჰერბერტ ლორენსის ნოველა „ცთომილი წუთისოფელი“ და მისი მხატვრული თავისებურებანი დედანსა და ქართულ თარგმანში**

**მაია ბოლაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი;  
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი

დ. ჰ. ლორენსის „ინგლისი, ჩემი ინგლისი და სხვა მოთხრობები“ [1922] დიდი მწერლის, როგორც ნოველისტის, ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი მონაპოვარია და კვლავაც განხილვისა და მსჯელობის საგნად რჩება. ამ კრებულში ძირითადად პირველი მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი ნოველებია გაერთიანებული, თუმცა ზოგიერთ მათგანს ომთან სულაც არაფერი აქვთ საერთო, როგორც პირდაპირი, ასევე ქვეტექსტური თვალსაზრისითაც. ლორენსმაც ჰემინგუეის მსგავსად აშკარად დაინახა,

რომ ადამიანთა ურთიერთობის თანამდევნი რისკები შესაძლოა ისეთივე საშიში და პოტენციურად ტრავმული აღმოჩნდეს, როგორც ეს ომისთვისაა დამახასიათებელი.

აღნიშნული კრებული ლორენსის მოთხრობების ისეთ რამდენიმე ბრწყინვალე შედეგს აერთიანებს, როგორებიცაა „ინგლისი, ჩემი ინგლისი“, „ბილეთები, გეთაყვა“, „ჩალვადარის ქალიშვილი“ და „უსინათლო კაცი“, რომელთა შესახებაც უამრავი სტატია თუ გამოკვლევა გამოქვეყნდა და განსჯის თემადაც მრავალჯერ იქცა. რაც შეეხება დანარჩენ სამ ნაწარმოებს – „მაიმუნის კაკლები“, „ცთომილი წუთისოფელი“ და „ფენი და ენი“, - ნაკლებად არიან ცნობილი და აღიარებული და მათი კვლევითაც დიდად არავინ დაინტერესებულა.

„ცთომილი წუთისოფელი“ [“Primrose Path”] როგორც ჩვენ მას ქართულ თარგმანში ვუწოდებთ, ღრმად ფსიქოლოგიური ჟანრის ნაწარმოებია, სადაც მოქმედ პირებს განვლილი ომის კვალი დღემდე ატყვიათ და მისგან დანგრეული ფსიქიკის მსხვერპლნი არიან.

როგორც დ. ჰ. ლორენსის შემოქმედების ერთერთი გამოჩენილი ინგლისელი მკვლევარი ე. ჰ. თედლოკი აღნიშნავს, „ცთომილი წუთისოფელი“ საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შუძლია ნიჭიერ მწერალს კალმის ერთი მოსმით, სულ რამდენიმე სიტყვით, თუმცა გენიალურად გადმოსცეს ადამიანის ომის შემდგომი ემოციური დამბლა“. [E.H. Tedlock, “About D.H. Lawrence,” 111].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოთხრობის ორ მთავარ პერსონაჟს ერთი და იგივე სახელი,-დანიელი ჰქვია [ბიძასა და ძმისწულს, რომელსაც ეს სახელი ბიძის საპატივსაცემოდ უწოდეს,- მ.ბ.]. სახელებისა და გარეგნობის მიუხედავად, მათ ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებული შინაგანი სამყარო და ხასიათი გააჩნიათ. ნაწარმოები სავსეა ფსიქოლოგიური გარყვნილებით, სადაც ფრთხილი, თვითდაჯერებული და კრიტიკულად მოაზროვნე დანიელ ბერი, თავისი ბიძის, დანიელ სატონის, ბინძური ცხოვრების სტილით მცხოვრები ადამიანის საქციელს აკვირდება და გულდასმით სწავლობს. მათი საუბარი თითქმის მხოლოდ ახალგაზრდა ბერის შეკითხვებისგან შედგება, რომელიც ძალიან პირადულია და ამით ცდილობს ხანშიშესულ ბიძას საკუთარ ცხოვრებაზე იქნებ რაიმე წამოაცდინოს. მეორე მხრივ, ბიძის შეკითხვაზე, “And how ‘re you going on, lad?” ანუ „რას შვები, ყმაწვილო?“ [თარგმანი ჩვენია, - მ.ბ.], ახალგაზრდა ბერი ასევე შეკითხვით პასუხობს: “Who are you living with in town?” – „ქალქში ვისთან ერთად ცხოვრობთ?“ [მ.ბ.].

უფროსი დანიელი ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირია, თუმცა არაპერსპექტიული გმირი და თხრობის პროცესში მკითხველი მისი ცხოვრების შესახებ იგებს.

საერთოდ, მთლიანად ნაწარმოების ქსოვილი ნარატიულია, რაც დ. ჰ. ლორენსის შემოქმედებისთვის უცხო სულაც არ არის, თუმცა დიალოგებსაც ვხვდებით, სადაც ძალზე ხშირად მოქმედი პირი, - ამ შემთხვევაში ბიძა სატონი, - იორკშიარული ან ნოტინჰემური დიალექტით მეტყველებს და სწორედაც ეს იწვევს სირთულეს ქართულად თარგმნის პროცესში. ჩვენ ვეთანხმებით თარგმანის მრავალი თეორეტიკოსის და, მათ შორის, ქართველი მეცნიერების აზრსაც [დ. კოკაია-ფანჯიკიძე, ნ. საყვარელიძე, გ. წიბახაშვილი], დიალექტის, „როგორც მკაფიო ნაციონალური სპეციფიკით აღბეჭდილი მხატვრული ხერხის მკაცრად შეზღუდვის“ [დ. ფანჯიკიძე, 73], შესახებ, თუმცა აქვე დავსძენთ, რომ კარგ თარგმანში განსხვავებულად მეტყველება ანუ დიალექტი რაღაცნაირად მაინც უნდა იგრძნობოდეს და აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი საუბრობს. თუ დიალექტს თარგმანში მთლიანად მოვხსნით, იშლება პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი. აქ მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: დიალექტით გამოწვეული სტილისტური ეფექტი უნდა აღდგეს იმ ზოგადი დიალექტიკური ნიშნების მინიმალური გამოყენებით, რომლებიც დიალექტზე მიგვანიშნებენ, მაგრამ ფაქტიურად არცერთი ქართული კუთხის ასოციაციას არ იწვევდეს ანუ რაღაცა შუალედური უნდა მოიძებნოს. მაგალითისთვის მოვიხმობთ ჩვენს მიერ თარგმნილ რამდენიმე ფრაზას დანიელ სატონის საუბრიდან: “Well, strike me lucky!” Said the taxi driver at last, out of breath. “She wor th’ best o’th’ bunch of ‘em. I see nowt nor hear nowt from any of ‘em-they’re not worth it, I’ll be damned if they are. [D. H. Lawrence, 126].

ქართული თარგმანი: „ეჰ, ჩემს იღბალს რა ვუთხარი!“ - თქვა ბოლოს სუნთქვაშემკრულმა ტაქსის მძღოლმა. „ველას ჯობდა ისა. ახლა ვეღარც ერთს ვხედავ და მათგან ვერც ვერაფერს ვიგებ-ნამდვილად არ იყვნენ ამის ღირსნი, წყეულიმც ვიყო, თუ მართალს არ ვამბობდე“ [მ.ბ.].

აქ ყველაზე საინტერესოა “strike me luck”, რომელიც დღევანდელი ინგლისური ენის მიღებული სტანდარტით ასე უნდა ჟღერდეს “Luck struck me” ანუ სიტყვასიტყვით „იღბალმა დამარტყა“, თუმცა ნოტინჰემური დიალექტისთვის აბსოლუტურად დამახასიათებელია წინადადების მთავარ და დამხმარე წევრთა გადაადგილება, გრამატიკული დროების აღრევა, სიტყვათა დანაწევრება, პირის ნაცვალსახელთა მაგივრად განსაზღვრული the არტიკლის გამოყენება, მეორე პირის ნაცვალსახელის, you-ს ნაცვლად მისი არქაული ფორმის thy -ს ხმარება და სხვ.

რადგან მთავარი მოქმედი გმირი ამ ეპიზოდში საკუთარ ბედზე მოთქვამს და მისით უკმაყოფილოა და არა პირიქით, როგორც ეს ტექსტშია მოცემული და კონტექსტიდან ირკვევა, რომ საკუთარი ცხოვრება არ მოსწონს, ამიტომაც ჩავთვალეთ მისადებად მისი ქართული იდიომით ჩანაცვლება: „ჩემს იღბალს რა ვუთხარი“, რომელმაც ვფიქრობთ, რომ, შესაძლოა, მთლიანად თუ არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნა დიალექტის ელფერი და სრულიად არ გაქართულდა.

საერთოდ, დ. ჰ. ლორენსის ნაწარმოებებისთვის და კერძოდ ჩვენი საანალიზო ნოველისთვისაც, ძალზე ნიშანდობლივია იდიომატური და ხატოვანი სიტყვა-თქმების ჭარბი გამოყენება და ბიბლიური თუ სახარებისეული ალუზიები.

მოგეხსენებათ, რომ დ.ჰ. ლორენსი ბიბლიაზე აღიზარდა. ის დედას პროტესტანტულ ეკლესიაში ხშირად დაყავდა და წირვა-ლოცვებსაც რეგულარულად ესწრებოდა და ამიტომაც სრულებითაც არ არის გასაკვირი მის ნაწარმოებებზე ბიბლიისა თუ უფალთან და ქრისტიანულ რწმენასთან დაკავშირებული სხვა რეალიებიც. მთლიანად მის მრავალფეროვან შემოქმედებას, იქნება ეს დიდტანიანი რომანი, ნოველა, პოეტური ტექსტი თუ ფერწერული ნამუშევარი, ერთგვარ რეფრენად გასდევს უფლის ღრმა რწმენა და შიში. მოქმედი გმირების მუდმივი გაორება - ჭიდილი უზენაესის კანონიკასა და საკუთარ ზნეობას შორის.

ჩვენს შემთხვევაში ამ მოვლენას ნოველის სათაურშივე ვხვდებით, მის დედნიველ სახელწოდებას „The Primrose Path“, ანუ ბწკარედულად „ფერისულების ბილიკს“, ხანგრძლივი წარმოშობის ისტორია გააჩნია.

დავიწყოთ იქიდან, რომ ეს მცენარე ადრეული აპრილიდან მაისის ბოლომდე ყვავილობს ინგლისსა და შოტლანდიაში და მისი მრავალი სახეობა არსებობს. ის ძალიან პოზიტიური ყვავილია და სამკურნალო, დამაწყნარებელი თვისებები გააჩნია. მისი სახელწოდება შუა საუკუნეების ლათინურიდან მომდინარეობს, რაც „პირველ ვარდს“ ნიშნავს ანუ ყვავილთა დედოფალ ვარდზე უფრო აღმატებულად მოიაზრება. საუკუნეების მანძილზე ამ სახელწოდებამ ტრანსფორმაცია განიცადა და ფიგურული მნიშვნელობა შეიძინა. მის ფესვებს ჯერ კიდევ „ძველი აღთქმის“ „იგავების წიგნის“ მეხუთე თავში ვხვდებით. საილუსტრაციოდ გთავაზობთ ამონარიდებს თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებზე შექმნილი ბიბლიიდან:

“She’s dancing down the primrose path to Death” [proverbs 5,475].

„მისი ფეხები შავეთში სიკვდილში ჩადიან,

შავეთს არიან ჩაჭიდულნი მისი ნაბიჯები“ [იგავები 5,612].

როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში „ფერისულების ბილიკი“ მთლიანად დაკარგულია და მისი ხსენებაც კი არ არის. ვფიქრობთ, რომ ეს გამოწვეულია იმით, რომ ინგლისურ ენაზე ბიბლია ძველი არამეული ენიდანაა ნათარგმნი, ხოლო ქართულ თარგმანს ამ დიდი წიგნის ვულგატა ანუ ბერძნული დედანი უდევს საფუძვლად. მარიამ ვებსტერის ინგლისური ენის დიდ განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: “Self –indulgence and the satisfaction of easy pleasures as a way of life that seems pleasant but leads to unhappiness or (spiritual) destruction” [465] ანუ „საკუთარი თავის განებივრება იოლი სიამოვნებებით, უდარდელი ცხოვრების წესი, რომელიც საბოლოოდ უბედურების მომტანია ან (სულიერი) განადგურებისკენ მიდის“. ასე, რომ ერთი შეხედვით თითქოსდა მინდვრის უბრალო, უწყინარი ყვავილი, რომელსაც ესთეტიზმისა და დადებითი თვისებების გარდა არაფერი გააჩნია, არც თუ ისე სასიამოვნო ოკაზიას ქმნის.თუმცა, რატომ მაინცდამაინც ფერისულა? - ამ შეკითხვაზე პასუხი ჯერჯერობით გაუცემელია და სამომავლო კვლევის ობიექტად მიგვაჩნია.

ამ გამოთქმამ წლების მანძილზე ფიგურალური მნიშვნელობა შეიძინა და იდიომატურ ფრაზად დაფიქსირდა სხვადასხვა ლექსიკონებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირველად ის უილიამ შექსპირმა გამოიყენა თავისი გენიალური პიესების „ჰამლეტისა“ და „ლედი მაკბეტის“ ტექსტებში. თუმცა მოგვიანებით, უკვე „ლედი მაკბეტში“ (1606 წ) აღნიშნული იდიომა იმ მნიშვნელობით აღარაა გამოყენებული, როგორითაც უფრო ადრეულ წლებში შექმნილ „ჰამლეტში“ (1603 წ). გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ პიესების ორიგინალიდან და ივანე მაჩაბლისეული თარგმანებიდან:

შდრ: “...some of all professions that go the primrose way  
to the everlasting bonfire” [“Hamlet” I, 3, 112]

„მზგავსად თავგასულ გარყვნილების, ბეჯითად სტკეპუნ

გულმავიწყობით ყვავილოვანს ცოდვის ბილიკსა“ [„ჰამლეტ, დანიის პრინცი“, მოქ. I, სურ. 3, 344]

როგორც ვხედავთ, ივანე მაჩაბელი სწორად მიმხვდარა როგორც ცალკე აღებული იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობას, ასევე ღრმად ჩასწვდომია მთლიანად პიესის კონტექსტსაც და ქართულადაც ზუსტად მოუძებნა შესატყვისი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის არც ერთ ლექსიკონში ამ იდიომის შესატყვისი ექვივალენტი არ იძებნება, მაგრამ აქ ყვავილი და ცოდვა იმდენად კარგადაა შერჩეული, რომ დედნის ტექსტთან შედარებისას წამსვე ნათელი ხდება, თუ რისი თქმა სურდა გენიალურ

ინგლისელ მწერალს. აქ ბრწყინვალედ შესრულებულ თარგმანთან გვაქვს საქმე, სადაც ნაწარმოები როგორც ინგლისური, ასევე ქართულიცაა და არანაირ კითხვას არ ბადებს.

შდრ: "It was odd how Harold who had never since his marriage taken a step along the primrose path"... ["Lady Macbeth", II, 3, 422].

„ის მინდოდა მხოლოდ სხვა ჯურის ხალხი მიმედო,

რომელნიც ყვავილებით მოფენილ გზაზე ჭიაკოკონების სანახავად მოდიან“ [„ლედი მაკბეტი“, II, 3, 221]

აქ სულ სხვა შემთხვევაა. იდიომა სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი და არანაირი ქვეტექსტობრივი დატვირთვა ამ ფრაზას არ გააჩნია. არადა, ზუსტადაც კონტექსტიდან გამომდინარე, მეკარე იმ ადამიანებს ელოდება და იმათ მიღებას ესწრაფვის, რომლებიც ცოდვიანი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ისმის კითხვა - თუ ივანე მაჩაბელისთვის პირველ შემთხვევაში ნაცნობი იყო ამ ფრაზის იდიომატური მნიშვნელობა და ისევ შესატყვისი იდიომით არის თარგმნილი და თანაც ქრონოლოგიურად სამი წლით ადრე, მაშ აქ რაღა დაემართა? არადა ორივე პიესის კონტექსტი ამ შემთხვევაში თითქმის ერთია, - „ჰამლეტში“ ოფელია საკუთარ ძმას, ლაერტს, აფრთხილებს, რომ არ აჰყვეს იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ფარისევლობენ და ცოდვიანი ცხოვრებით ცხოვრობენ, ხოლო „ლედი მაკბეტი“ კი მეკარეს აინტერესებს იმ ადამიანების სტუმრობა, რომლებიც თვით კმაყოფილი ცხოვრებით ნებიერად გრძნობენ თავს. შეიძლება თუ არა, რომ მაჩაბლისეული ეს თარგმანი პირვანდელთან შედარებით გაცილებით ზერელედ ჩაითვალოს? ამ შეკითხვაზე ჯერჯერობით ისევ არ გაგვაჩნია პასუხი.

რაც შეეხება ჩვენს საანალიზო მოთხრობის სათაურის ქართულ თარგმანს, აქ ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, თუ რა იქნებოდა დედანთან და თვით იდიომატურ გამოთქმასთან მიახლოებული. თარგმანის თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი მკაცრად ითხოვს დედანში არსებული ხატოვანი სიტყვა-თქმების შესაფერისი ექვივალენტით თარგმანში გადმოტანას, მაგრამ როგორც ზემოთ ავღნიშნეთ არსებული იდიომის ზუსტი შესატყვისი ქართულში არ არსებობს. „ყვავილებით მოფენილი ბილიკი“ რომ დაგვერქმია, კონტექსტთან სრულ შეუსაბამობაში მოვიდოდა და იდიომაც არ გამოჩნდებოდა. ამიტომაც, რადგან კონტექსტის და ქვეტექსტის საშუალებით ცნობილი ხდება, რომ ნოველის მთავარ მოქმედ პირს, ბიძა დანიელს, უდარდელი, ნებიერი ცხოვრების მეტი არაფერი უკეთებია და ნაწარმოების დასასრულიდან ვიგებთ, მიუხედავად იმისა, რომ ქალის გარეშე არ უცხოვრია, საბოლოოდ მაინც აბსოლუტურად ეულად რჩება, ყველასგან მიტოვებული: მშობლები, დები გარდაეცვალნენ, პირველი ცოლი სიკვდილის პირზეა, მეორემ უღალატა და მოწამლა კიდეც, ხოლო ამჟამინდელი მის მიტოვებას ცდილობს. გარდა ამისა, მოთხრობაში უხვადაა აღწერილი მისი ცხოვრების ბინძური, ფეხებზე მკიდია, უზრუნველი ყოფის ამსახველი ეპიზოდები. ნათლად ჩანს მის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომები საკუთარი თავისა თუ ახლობელი ადამიანების წინაშე, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ „ბილიკი“ „წუთისოფლით“ შეგვეცვალა, ხოლო „ფერისულები“, „ცთომილით“, რადგან ვფიქრობთ, რომ ჩვენი არჩევანი უფრო ზუსტად გამოხატავს როგორც იდიომატური გამოთქმის, ასევე თავად ნოველის სრულ კონცეპტუალურ-მინაარსობრივ მნიშვნელობასაც.

დ. ჰ. ლორენსის უმდიდრეს მემკვიდრეობასა და, კერძოდ, აქ წარმოდგენილ ნოველაშიც კიდეც უამრავი საინტერესო მხატვრულ-სტილისტური ხერხია, რომელთა ქართული შესატყვისების მოძებნა ხანგრძლივ შრომასა და მონდომებაზეა დამოკიდებული. ერთს დავსძენთ მხოლოდ, რომ დიდი მწერლის შემოქმედებით დაინტერესება აშკარად შეინიშნება ჩვენს ქვეყანაში, მისი მცირე პროზის თარგმნა კვლავაც ინტენსიურად გრძელდება და ქართველი მკითხველი სულ მალე მიიღებს „ინგლისი, ჩემი ინგლისი და სხვა მოთხრობების“ ახალ ქართულ თარგმანს.

### ლიტერატურა:

1. D.H. Lawrence, "England, My England and Other Stories", London, 1997; p.126-134
2. Holy Bible, New International Version, International Bible Society, East Brunswick, New Jersey, 1984; p.475
3. W. Shakespeare, "Selected Plays", Penguin Books, 1983, p.422-523;
4. A. P. Cowie, R. Mackin & I.R. McCaig, Oxford Dictionary of Current Idiomatic English" Oxford University Press, 1984, p. 238
5. დ. ფანჯიკიძე, „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, „განათლება“, თბილისი, 1988, გვ. 73;
6. გ. წიბახაშვილი, „თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“ დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2000. გვ. 57;
7. უ. შექსპირი, „ტრაგედიები“, ტ. I-II, „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 221-324;
8. ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, თბილისი, 2001, გვ. 612;

**D. H. LAWRENCE'S SHORT STORY "THE PRIMROSE PATH" AND ITS FICTIONAL PECULIARITIES IN THE ORIGINAL TEXT AND THE GEORGIAN TRANSLATION**  
**Maia Bolashvili**, Gori State Teaching University, Specialist by Contract, St Andrew the First Called Georgian University, Doctoral Student  
**RESUME**

The present study deals with one of the less familiar short story by the prominent English writer D. H. Lawrence "The Primrose Path", - full of lots of interesting stylistic devices and contextual meanings which are worthy researching in the original text and its Georgian translation as well. The main focus is on the title as the idiomatic expression and the ways of its precise translation. The aim of this paper is to make Georgian reading society interested in such important writer's world as D. H. Lawrence and continue the great tradition of Georgian translators' famous school.

**პოლისემიის საკითხისათვის**

**თამარ გითოლენდია**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმცროსი მეცნიერი  
თანამშრომელი, მოწვეული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

პოლისემიის წარმოქმნის ენობრივი და ექსტრალინგვისტური ფაქტორები მეტად მრავალფეროვანია. ყოველ მათგანს თავისებური ნიუანსები აქვს. **სიტყვის სრულყოფილი, ამომწურავი სემანტიკური დახასიათებისათვის საჭიროა მისი მიმართების გარკვევა ენის სხვადასხვა ქვესისტემებთან.** კერძოდ:

ა) უნდა განისაზღვროს სიტყვის ადგილი საერთოეროვნულ ლექსიკაში;

ბ) სიტყვის სემანტიკური დახასიათება უნდა მოხდეს მისი მიმართების გარკვევით ისტორიულ მონაცემებთან, სხვადასხვა ენობრივ კოდებთან/ენობრივ სისტემებთან (დიალექტური ლექსიკა, პროფესიული ენები, ტაბუ, რიტუალური არგო, ჟარგონი...), მეტაფორიკასთან, ენის გენდერულ ასპექტებთან, ბავშვის ენასთან, იუმორთან, ირონიასთან, ინტერტექსტუალობასთან, კონოტაციასა და ენის დანარჩენ ქვესისტემებთან, მნიშვნელოვანია აგრეთვე ეტიმოლოგიის გათვალისწინებაც.

ამგვარი კომპლექსური მიდგომა წარმოაჩენს: ა) სიტყვის შინაარსობრივ პოტენციას, ბ) მეორეული მნიშვნელობების ფუნქციონირების სფეროებს, გ) სემანტიკათა განაწილებას ენის ქვესისტემებში/ლექსიკურ სექციებში.

სიტყვის სემანტიკურ დახასიათებაში ასევე დაგვეხმარება:

- ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინება;
- ქრონოლოგიური და სივრცული მონაცემების გათვალისწინება;
- კულტურულ-ისტორიული გარემოს გათვალისწინება;
- ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინება;
- მითოლოგიური და წარმართული კულტურული არეალიდან ახალ კულტურულ არეალში გადასვლის დროს მომხდარ ცვლილებებზე დაკვირვება;
- ისტორიის განმავლობაში მომხდარი კულტურული, პოლიტიკური და სოციალური გარდატეხების გათვალისწინება და სხვ.

ყოველივე ეს წარმოდგენას შეგვიქმნის ლექსიკურ ფონდთან ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულების, აზროვნების ისტორიის, ზოგადად ლექსემათა სემანტიკურ ცვლილებებზე ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენისა და პოლისემიის წყაროების/პოლისემიის წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ.

კონკრეტული ლექსიკური ერთეულის პოლისემანტიკურ სიტყვად გარდაქმნის ისტორიის კვლევა მოითხოვს დიდძალი ენობრივი მასალის (სხვადასხვა ეპოქის წერილობით წყაროთა და დიალექტების მონაცემთა) საფუძვლიან შესწავლას, სიტყვის ანალიზს სხვადასხვა კონტექსტში, მოცემული სიტყვის მორფემული სტრუქტურის დადგენას, ძირ(ებ)ისა და სხვა მორფოლოგიური ინვენტარის გამოყოფას, ახლომონათესავე ენათა მონაცემების გათვალისწინებით სიტყვის ფორმობრივი ისტორიის გარკვევასა და ამოსავალი სემანტიკის დადგენას.

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია პოლისემიის, როგორც სისტემის, ჩვენება, თუ როგორ ყალიბდება ენაში პოლისემია, აქვს თუ არა პოლისემიას სისტემა და რა ქმნის ამ სისტემას.

უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, სისტემა არის:

1. გარკვეული წესრიგი, რაც დაფუძნებულია რისამე ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე.

2. ერთობლიობა პრინციპებისა, რომლებიც რაიმე მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს.

3. დაჯგუფება, კლასიფიკაცია. მაგ., ლინეს ბოტანიკური სისტემა.

4. სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისაგან. მაგ., მზის სისტემა. ნერვული სისტემა.

5. საზოგადოებრივი წყობილების ფორმა. მაგ., სოციალისტური სისტემა. კაპიტალისტური სისტემა. სახელმწიფოებრივი სისტემა.

6. რისამე მოწყობის, ორგანიზაციის ფორმა, წესი. მაგ., საარჩევნო სისტემა.

7. ორგანიზაციულად გაერთიანებულ წარმოებათა, დაწესებულებათა ერთობლიობა.

ამ შვიდი პუნქტიდან ჩვენი ნაშრომის მიზანს უკავშირდება პირველი და მეოთხე პუნქტები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. მიგვაჩნია, რომ ენობრივი სისტემა, ერთი მხრივ, არის გარკვეული წესრიგი, რაც დაფუძნებულია ენობრივი ერთეულების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე. მეორე მხრივ, ენობრივი სისტემა წარმოადგენს სტრუქტურას, მთლიანობას, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისაგან.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ფსიქოლოგისა და პუბლიცისტის, ოლეგ ბოკაჩოვის დებულება, რომლის თანახმადაც, სისტემის შექმნა გვეხმარება არსის გამოვლენაში, სისტემა – ეს მხოლოდ მართვის ინსტრუმენტია. სისტემა მეორადია, ის ადამიანის გარეშე არ იქმნება (183). ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ სისტემა ადამიანის გარეშეც არსებობს და თვით ადამიანსაც შეუძლია შექმნას ხელოვნური სისტემა: მაგალითად, მზის სისტემა, ქიმიური ელემენტების სისტემა, მცენარეთა და ცხოველთა ოჯახები და სახეობები, ცოცხალ არსებათა ანატომიური და ფიზიოლოგიური სისტემები და მრავალი სხვა ადამიანის გაჩენამდეც არსებობდა, მაგრამ საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანმა შეძლო არა მარტო ამ სისტემების აღმოჩენა/გამოვლენა, შეცნობა და სისტემის სახით დანახვა, არამედ ხელოვნური სისტემებიც შექმნა: მართვის სისტემა, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემები...

ერთი მხრივ, ენაში არსებობს სისტემები ადამიანის შეგნებული ჩარევის გარეშე: ფონემატური სისტემა, გრამატიკული სისტემა, სინტაქსური სისტემა. ეს სისტემები, თავის მხრივ, ქვესისტემებისაგან შედგება. მაგალითად, ნებისმიერი ენის ფონემატურ სისტემაში ქვესისტემებს ქმნიან ხმოვნები და თანხმოვნები (ზოგან ნახევარხმოვნებიც); ხმოვნები იყოფა ღიაობისა და აწეულობის ქვესისტემების მიხედვით; თანხმოვნები ქმნიან ხშულთა, აფრიკატთა, სპირანტთა და სონანტთა ქვესისტემებს; სახელები, ჩვეულებრივ, ფორმას იცვლიან რიცხვის, ბრუნვის, სქესისა და სხვა ქვესისტემების მიხედვით; ზმნას აქვს პირის, რიცხვის, დროის, კილოს და სხვა ქვესისტემები და ა. შ.

ენის რიგითი მომხმარებლები, ჩვეულებრივ, არ ფიქრობენ ენობრივი სისტემებისა და ქვესისტემების რაობის შესახებ, მათ მხოლოდ ენის პრაგმატიკული ასპექტები აინტერესებთ, მაგრამ მეცნიერისთვის ენობრივი სისტემებისა და ქვესისტემების გამოვლენა, კლასიფიცირება და ფუნქციონირების თავისებურების ახსნა მთავარი ამოცანაა.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში სისტემები ყველაზე ნაკლებად ლექსიკაშია გამოვლენილი, კლასიფიცირებული და ახსნილი. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ლექსიკის ანალიზი უპირატესად სემანტიკის კვლევას გულისხმობს, სემანტიკა კი ძნელად მოსახელთებელი ენობრივი ფაქტია. ამიტომ ყველაზე ხშირად სემანტიკურ სისტემებს თვით ლინგვისტები აგებენ ხოლმე და ცდილობენ, ამ სისტემებს მოარგონ ენობრივი ფაქტები, ანუ სემასიოლოგიური კვლევის შედეგებს ხშირად განსაზღვრავს მეცნიერის თვალთახედვა, პოზიცია, მის მიერ აგებული სისტემა. ამრიგად, გამოდის, რომ ლინგვისტი „მართავს“ ლექსიკურ სისტემებს, ახდენს ენობრივი ფაქტების კოორდინირებას/ორგანიზებას საკუთარი ყალიბის მიხედვით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლინგვისტმა უნდა შეძლოს ის, რომ მის მიერ აგებული სისტემა იყოს მაქსიმალურად ობიექტური, სტაბილური და დამაჯერებლად არგუმენტირებული.

პოლისემიის სისტემურობის დასადგენად მუშაობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პოლისემიას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი: კულტურა, რელიგია, პოლიტიკა, სოციალური ასპექტები... აქამდე პოლისემიის საკითხი განიხილებოდა ძირითადად მხოლოდ სემანტიკისა და სემანტიკური ველის კონტექსტში – ასოციაციურობის, ზოგადი თვისების, გარეგნული მახასიათებლის... მიხედვით. ჩვენ ამგვარ ხედვაზე უარს არ ვაცხადებთ და ეს შეუძლებელიცაა, მაგრამ ვამჯობინეთ საკითხის კომპლექსური კვლევა.



ჩვენი აზრით, პოლისემიის წარმოქმნაში უმთავრესია სოციალური და პრაგმატიკული ფაქტორები. ამდენად, პოლისემიას განვიხილავთ სოციალური დიალექტოლოგიის, ადამიანის სახეობრივ-ხატოვანი აზროვნების, მეტაფორიზაციის, პრაგმატიკისა და სხვა გარეენობრივი ფაქტორების პოზიციებიდან. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების ის ჯგუფი, რომელიც სოციოლექტებში არ გადანაწილდება, ახალ მნიშვნელობებს იძენს მეტაფორიკის – პრაგმატული ასპექტის საფუძველზე.



ქართული ენის მასალის ანალიზისას მიღებული დასკვნები ტიპოლოგიური ხასიათისაა და შეიძლება განზოგადდეს მრავალი სხვა, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენისთვის.

**ლიტერატურა:**

1. თ. გითოლენდია – პოლისემია და ომონიმია ქართულში აფხაზური პარალელუბითურთ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის გამოცემა. თბ., 2014.
2. Бокачев О., Система - [http://1-veda.info/\\_vedic/oleg.html](http://1-veda.info/_vedic/oleg.html) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 8.10.2015.

**AN ABOUT POLYSEMY**

**Tamar Gitolendia**, Sokhumi State University, Senior Scientific Worker, Invited Professor,  
 Doctor of Philology  
**RESUME**

Research history of converting of a lexical entry into a polysemantic word requires the comprehensive studying of large amount of language material, analyzing of a word in different context, determining of a morphemic structure of a given word, defining the word’s form history and initial semantics considering the data of kindred languages.

discusses the issue **how polysemy is formed in a language, whether it has a system or not and what creates this system.**

It is being determined that polysemy is conditioned by many factors: culture, religion, policy, social aspects, etc. Until now an issue of polysemy was defined in the context of semantics – according to association, general and visual features of an object. I don’t deny such standpoint but I prefer to study the issue comprehensively.

I believe that **social and pragmatic factors are the most important ones in origination of polysemy.** Due to it, polysemy is discussed considering social **dialectology, human’s figurative thinking, metaphorization and other external language factors.** The group of multi-semantic words that cannot be distributed in sociolects, gains new meaning on the ground of metaphor – **pragmatic aspect.**

The results of the analysing the data of the Georgian language is of typological character which can be generalized for not only relatively closed languages but also non relative ones as well.

## ოსკარ უაილდის „სალომეს“ ორი ქართული თარგმანის ისტორიისათვის

თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

XX საუკუნის დასაწყისიდან ძლიერდება ქართველ მწერალთა, განსაკუთრებით მოდერნისტთა, ინტერესი უცხოური ლიტერატურისადმი. როგორც გრიგოლ რობაქიძე წერდა, „ის ახალგაზრდები, რომლებმაც თავისი ახალი სიმღერით დაარღვიეს ქუთაისის ქუჩების უდარდელი სიჩუმე, იყვნენ ახლად გამოსული მგოსნები: პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე, ცხოვრების განცდათა მოდერნისტული სტილი, სამხატვრო სიტყვის მწყობრ განსახიერებაში - აი, რა იყო იმათი ალტჰიმის ახალი ხაზი და ქუთაისის დუქნები უცბად გადაიქცა პარიზის სალიტერატურო კაფეებად, სადაც არღვის ხმასთან და უცილობელ „მრავალკამიერთან“ ერთად გაისმის საყვარელი სახელებიც: ედგარ პო და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ხოზე მარია ერედია და ემილ ვერჰარნი, კონსტანტინე ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრე ბელი და ვიჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ანნესკი და ალექსანდრე ბლოკი და სხვ.“ (რობაქიძე 1996:457-458)\*

რატომ ოსკარ უაილდი? რა იზიდავს ქართველ სიმბოლისტებთან, მოდერნისტებთან მის პიროვნებასა და შემოქმედებას? ამაზე პასუხი თავად უაილდის ესთეტიკურ მრწამსშია.

ოსკარ უაილდი (1856-1900). ჩემსა და ჩემს ხელოვნებასა თუ ჩემი ეპოქის კულტურას შორის იყო სიმბოლური კავშირი, - ასე წარმოადგინა საკუთარი პორტრეტი სიცოცხლის ბოლო პერიოდში საპრობილის აღსარებაში თავად შემოქმედმა.

სწრაფვა სილამაზისაკენ და, ამავდროულად, რეალური ცხოვრების საშინელებებისაკენ. „უაილდის ესთეტიკას სუბიექტური იდეალიზმის სარჩული გამოუჩნდა ცნობილი ტრაქტატში. „დაკნინება სიცრუისა, სიცრუე ამ შემთხვევაში მხატვრულ გამონაგონს ნიშნავდა და უაილდი მას აყენებდა სინამდვილეზე მაღლა“ - წერდა გივი გაჩეჩილაძე მისი ზღაპრების წინასიტყვაობაში (უაილდი 1991:4). დიახ, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ახალი რენესანსი მისაღები და ძალზე ახლობელი აღმოჩნდა ქართველი სიმბოლისტებისათვის. ამიტომ მათ შემოქმედებასა თუ თარგმანებში არაიშვიათად იკვეთება ო. უაილდის პროფილი. განსაკუთრებით, ვამბობთ, რამდენადაც XX საუკუნის 20-იან წლებში ქართული თეატრის განახლებისაკენ სწრაფვაში სწორედ ახალი რენესანსი გამოიკვეთა, რასაც თვით გრიგოლ რობაქიძეც აღნიშნავდა, როდესაც „ახალი რენესანსისაკენ“ მისწრაფვოდა. გარდა ამისა ესაა პერიოდი, როდესაც, ვასილ კიკნაძის აზრით, „დაიწყო მოდერნიზაცია მთელი ქართული კულტურისა... ეს ახალი მიმართულებები, მართალია, ხარკს უხდიდნენ მოდურ ევროპულ „იზმებს“, მაგრამ მტკიცედ იდგნენ ქართულ მიწაზე“ (რობაქიძე 1996:458). გარდაქმნა შეეხო მთარგმნელობით საქმიანობასაც, რაზედაც თავად სიმბოლისტ შემოქმედთ არაერთი წერილი მიუძღვნიათ უცხოურიდან თარგმნის პრინციპების სახით. ამაზე თვით პაოლო იაშვილიც აღნიშნავდა წერილში „თარგმნილი ლიტერატურა“ (1923 წ.): „დგება უდიდესი საკითხი თარგმნილ ლიტერატურისა ქართულად. ეს არის მოვალეობა, რომელიც ერის წინაშე უნდა შეასრულოს ქართულმა მწერლობამ“ (იაშვილი 1975:288).

გრიგოლ რობაქიძეც ერთი იმათგანია, რომელიც ეძებს უცხოურ ლიტერატურაში მძაფრ, ვნებებით აღსავსე, ქართული სულისათვის შესატყვის ნაწარმოებებს და, ამ მხრივ, ოსკარ უაილდის „სალომე“ იქცევა სწორედ მის ყურადღებას.

ამერიკიდან დაბრუნებული ოსკარ უაილდი ხელს ჰკიდებს შესანიშნავი შედეგების შექმნას, როგორცაა „დორიან გრეის პორტრეტი“ (1891 წ.), კრიტიკული ეტიუდები „ფიქრები“, ზღაპრები და პიესებიც, დაწყებული ფრანგულად დაწერილი, რამდენადმე სტილიზებული დრამით „სალომე“ (1893 წ.), დამთავრებული „იდეალური ქმარი“ და სხვ. უაილდის პიესები იდგმება. მას რეცენზენტიც ჰყავს თვით ბერნარდ შოუს სახით. უაილდი მოდამი შემოდის ევროპასა თუ ამერიკაში.

„სალომე“ საოპერო სპექტაკლის სახითაც დაუდგამთ. იგი გერმანულ ენაზე უთარგმნია პედაგოგ ლაჰმანს 1905 წელს.

პიესა „სალომე“ ემყარება სახარებისეულ ისტორიას (მათეს სახარებიდან - თ.14). 3. რამეთუ ამან ჰეროდე შეიპყრა იოვანე და შებორკილა იგი და საპრობილესა შეაყენა ჰეროდისათვის, ცოლისა ფილიპეს, მმისა თქვისა. 4. რამეთუ ეტყოდა მას იოვანე; ვითარმედ: არა ჯერ - არს შენდა, ვითარმცა გესუა იგი ცოლად. 5. და უნდა ღათუ მისი მოკლვაჲ, არამედ ეშინოდის ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინასაწარმეტყუელი ეპყრა მათ იგი. 6. და ვითარცა შობილ დღენი იყვნეს ჰეროდისანი, როკვიდა ასული

\*ციტირება მოყვანილია ამავე კრებულში მოთავსებული ვასილ კიკნაძის წერილიდან „გრიგოლ რობაქიძის თეატრალური სამყარო“ (თ.გ.)

ჰეროდიახის შორის, და სთნდა ჰეროდის როკვაჲ იგი მისი. 7. რომლისათჳს ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რაჲცა ითხოვოს. 8. ხოლო იგი წინასწარ ბირებულ იყო დედისაგან თჳსისა და ჰრქუა: მომეც მე აჲა ლანჯნითა თავის იოვანესი, ნათელისმცემელისაჲ 9. და შე-ღათუწუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთჳს და მის თანა მეინაჲკეთა ბრძანა მიცემად იგი. 10. და მიავლინა და მოჰკუეთა თავი იოვანესი საპყრობილისა შინა. 11. და მოართუეს თავი მისი ლანჯნითა და მისცეს ქალსა მას, და მან მართუა დედასა თჳსსა. 12. და მოვიდეს მოწაფენი მისნი და წარიღეს გუამი მისი და დაჰფლის იგი და მოვიდეს და უთხრეს იესუს“ (ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი 2005:38)

ო. უაილდის პიესაში კი მთელი სიმძიმე იოვანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთისა გადადის ჰეროდისას ასულზე, რომელსაც ვნება აღეძრა უბიწო იოვანეს მიმართ. ჰეროდე კი შედარებით ნაკლებად სისხლისმოყვარულ ადამიანს განასახიერებს, თავადაც სზარავს სალომეს განწყობა, ამიტომ ბრძანებს შემდგომ მის მოკვლას.

გრიგოლ რობაქიძისათვის ამ დროს ოსკარ უაილდის დრამა „სალომეა“ (ქართულ ენაზე თარგმანში მას „სალომე“ ეწოდება), იპყრობს ყურადღებას არა როგორც თარგმანის მიწოდება ქართველი მკითხველისათვის, არამედ როგორც მომავალი თეატრის მაყურებლისათვის. ამიტომ 1919 წელს შესრულებული თარგმანი „სალომესი“ მოსამზადებელი ეტაპია ახალი ქართული თეატრისა, რომელშიც ერთგვარად იქნება „კენტავრი ვეფხვების საერთაშორისო კარნავალი“ და რომელიც შეეფერება „ქართულ რასასა და ტემპერამენტს“. პიესა იბეჭდება ძმები კაკაბაძეების ჟურნალში „შვიდი მნათობი“. როგორც მკვლევარი სოსო სიგუა შენიშნავს, „შვიდი მნათობი“ ჩაფიქრებული იყო როგორც ფართო პროფილის ჟურნალი, რომელშიც მთავარი იქნებოდა კულტურა, იგი ყოველთვიური გამოცემა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არსებულ სიტუაციაში ეს შეუძლებელი გახდა. დაიბეჭდა მხოლოდ ორი ნომერი. პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის აპრილში (316 გვ.), მეორე ნომერი - იმავე წლის ოქტომბერში (472 გვ.)“, (სიგუა 2014: გვ. 115).

ჟურნალში თანამშრომლობდნენ გრიგოლ რობაქიძე, პ. იაშვილი, ლ. ქიაჩელი, ი. გრიშაშვილი და სხვა. სწორედ ამ ჟურნალის ბოლო, უკანასკნელ, №2 ქვეყნდება გრ. რობაქიძის „სალომეს“ თარგმანი. სხვათა შორის, ამავე ჟურნალშია იაკობ ნიკოლაძის მარმარილოს ქმნილება „სალომე“ (გვ. 115)

1920 წელს სატირულ ჟურნალ „ემშაკის მათრახში“ (№8) ქვეყნდება თავუნას (შალვა შარაშიძის ფსევდონიმი) თხზულება „საპყრობილეში“, რომელშიც სასტიკადაა გაკრიტიკებული როგორც თარგმანი, ისე მთარგმნელი გრ. რობაქიძე. ეს უეჭველია ერთგვარი გამოძახილია იმ უთანხმოებისა, რომელიც გრ. რობაქიძისა და ი. გრიშაშვილის შორის დაიწყო ჯერ კიდევ 1918 წელს. 1920 წელს კვლავ გამწვავდა პოლემიკა. მოგვყავს ისევ ციტატა ს. სიგუას „მოდერნიზმიდან“: „საკმარისია გრიშაშვილის წერილების სათაურთა დასახელება, რათა ცხადი გახდეს გესლიანი ტონი - „ენას აღვირი“, „ნაწამები სალომე“, „სალომე - რობაქიძის გარშემო“ (სიგუა 2014:140). „გრიგოლმა გაამართლა თავისი თარგმანი, რომ სიტყვას სძენს ლირიზმს ბიბლიის პათეტიკა, ძველქართული ინტონაცია. მან პრინციპულად უარყო პროვინციალიზმი. მაგრამ საჭიროდ მიიჩნია კუთხური სიტყვების ათვისება, მათ შორის - მეგრულისა“ (სიგუა 2014:140). გრიშაშვილის წერილი მ.შ. ფსევდონიმით დაიბეჭდა „ლომისში“ 1923 წლის №26-ში.

აღნიშნული საკითხები შესწავლილია ლიტერატურათმცოდნეობაში, ჩვენ კი გვინდა მხოლოდ გავამახვილოთ ყურადღება „ემშაკის მათრახში“ გამოქვეყნებულ სატირულ წერილზე, რომელიც „თავუნას“ ეკუთვნის. წერილი აგებულია ერთგვარი ზმანების სახით, რაც დაესიზმრა ავტორს, რომელიც აპირებდა სხვა წერილის დაწერას, როდესაც წარმოუდგა საიქიოდან მოსული ოსკარ უაილდი. გაცხარებული ინგლისელი მწერალი გულისტკივილსა და აღშფოთებას გამოთქვამს, ქართულ ენაზე მისი „სალომეს“ ცუდი თარგმანის გამო მისი თანამოკალმენი დასცინიან თურმე ავტორს. ოსკარ უაილდი ეკითხება წერილის ავტორს:

„ - მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა კაცია გრ. რობაქიძე?

- როგორ გითხრათ - ვუპასუხე მე. - თქვენი დიდი თაყვანის მცემელი გახლავთ... ამასთანავე ის ჩვენში „მშვენიერების მსაჯულად“ ითვლება. ნამდვილი არისტოკრატია -გემოვნებითაც და სულითაც!...“ (თავუნა, „ემშაკის მათრახი“ 1920 წ. №8:2)

ოსკარ უაილდი თავისი გულისწყრომის ამოფრქვევის შემდეგ გადაჭრით აცხადებს, რომ აქედან მიდის მეტეხის ციხეში, სანამ გვერდით არ მოუსვამენ მთარგმნელს (გრ. რობაქიძეს). აშკარაა თავუნასა (შარაშიძის ფსევდონიმი) და მარუთა შუამდინარელის (ი. გრიშაშვილის ფსევდონიმი) წერილები გადაჭრით უარყოფს მთარგმნელის ენასა და ებრძვის მის შემდგომ დამკვიდრებას. მაგრამ მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა, „სალომეს“ დადგმას ხელს ჰკიდებს ქართული თეატრი 1922-1923 წლებში. ეს ის პერიოდია თეატრში, როდესაც იქ 1922 წლის სექტემბერში მოდის კოტე მარჯანიშვილი. ნელ-ნელა იძაბება ურთიერთობა ორ შესანიშნავ რეჟისორს - კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო ახმეტელს - შორის. ამას კარგად გრძნობს ორივე. მაგრამ დისციპლინის მოშლა უარყოფითად მოქმედებს ორი პიროვნების ღირსებაზე. როგორც ვასილ კიკნაძე დოკუმენტურ წიგნში „ცხოვრება სანდრო ახმეტელისა“ წერს:

„პროცესები, რომლებიც ქართულ თეატრში ხდებოდა, მეტად ღრმა იყო. კონფლიქტებში ჩართული იყვნენ არა მხოლოდ თეატრის მოღვაწენი, არამედ მწერლებიც, მხატვრებიც, საზოგადოების ფართო ფენა. ის, რაც თეატრში ხდებოდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების თავისებური გამოძახილი იყო, თეატრი იმ საჯარო დაწესებულებად იქცა, სადაც უფრო მკაფიოდ გამოვლინდა სხვადასხვა შეხედულება. კოტე მარჯანიშვილმა იგრძნო, სპექტაკლზე („სალომეა“) თავდასხმა მარტო ახმეტელის წინააღმდეგ ბრძოლით არ იყო გამოწვეული. თეატრის ცვლილებებს ადვილად ვერ ეწყობოდნენ. ბრძოლა გაშლილი იყო ათას ფრონტზე - შინ და გარეთ“. (კიკნაძე 1986:90).

ვერ აეწყო პიესაზე „სალომეა“ (პიესის სათაური სპექტაკლში იყო „სალომეა“), მსახიობები უპასუხისმგებლობას იჩენდნენ, აცდენდნენ რეპეტიციებს, რაც ხშირად მეორე სპექტაკლზე („ოტელი“) რეპეტიციების თანხვედრით იყო გამოწვეული. ერთხელ გამწარებულმა სანდრო ახმეტელმა თეატრიდან წასვლაც გადაწყვიტა, ოღონდ ვერ უღალატა „სალომეას“ და სანდრო შანშიაშვილის „როდამს“ (ორივე სპექტაკლის დადგმაზე მუშაობდა ს. ახმეტელი). არ გაუშვეს თეატრიდან სანდრო ახმეტელი. მსახიობები დააჯარიმეს გაცდენებისა და დაგვიანებებისათვის, ბოდიშიც მოუხადეს რეჟისორს. „სალომეა“ მაინც არ დატოვა ს. ახმეტელმა. და აი, სწორედ ამ წარმოდგენაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მსახიობები: ა. ვასაძე, ვ. ანჯაფარიძე, მ. ლორთქიფანიძე. როგორც ვ. კიკნაძე აღნიშნავს, „სპექტაკლმა სანდრო უფრო დაახლოვა კოტესთან“.

„სალომეა“ „ბერდო ზმანასაგან“ დიდად შორს არ იდგა. არა შინაარსობრივი თვალსაზრისით, არამედ სპექტაკლის აგების პრინციპით, სინთეზური მსახიობის ძიების სურვილით, პლასტიკით, რიტმით, მეტროპოლი, ბუნტარული სულისკვეთებით.

ახმეტელისათვის „სალომეა“ საინტერესო იყო არა მხოლოდ სტილური ძიების თვალსაზრისით, არამედ თვით პრობლემაში მისთვის საინტერესო მოტივების გამოვლენითაც. ერთ-ერთ რეცენზიაში ვკითხულობთ: „პიესაში უმთავრესად ზოლგავლებულია ორი ნებისყოფა (იოქანან) და მიწის (სალომეა). ამ ორ ინდივიდუალზე იშლება მთელი პროცესი“. (კიკნაძე 1986:98). აშკარაა, აქ მარტო ს. ახმეტელისა და ვ. მარჯანიშვილის საკითხი არ იყო მთავარი, აქ პიესის თარგმანის ავტორიც ფიგურირებდა. მოგვიანებით, 1996 წელს, ვასილ კიკნაძე გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილ წერილში „გრიგოლ რობაქიძეს თეატრალური სამყარო“, შენიშნავს: „აი ასე ერწყმის ურთიერთს პოეტისა და რეჟისორის თეატრალური იდეები. ისინი ერთმანეთის მსგავსია ესთეტიკური შემახილებითაც. თითქოს ერთად ისმის მარჯანიშვილის, ახმეტელისა და რობაქიძის სიტყვები თეატრალურ სამყაროში“ (რობაქიძე 1996:451).

გრ. რობაქიძე იცავდა ქართული თეატრის სრულ მოდერნიზაციას, მისი სიღრმისეული ფესვების ძიების იდეას. ყოველივე ეს მუდამ იწვევდა აზრთა შეხლა-შემოხლას, მწვავე დისკუსიებს. მაშინ ქართული მწერლობა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული თეატრთან და რობაქიძე ამ ტრადიციის ერთგული დარჩა ბოლომდე“ (რობაქიძე 1996:449).

მაგრამ მარტო ეს არაა მთავარი, გრ. რობაქიძის საქართველოდან წასვლის შემდეგ „ლამარას“ ჩამოაშორეს მისი სახელი (ვ. კიკნაძე), ასევეა შალვა დემეტრაძის შენიშვნებშიც: „სალომე“ 1923 წ. დაიდგა რუსთაველის თეატრში, დადგმა განახორციელა სანდრო ახმეტელმა“ (ხელნაწერი დაცულია თეატრის მუზეუმში ორ ცალად №78, №118). წინამდებარე წიგნში შეტანილი თარგმანი დედანს შეადარა გივი გაჩეჩილაძემ“ (იაშვილი 1975:605). კი, მაგრამ ვის თარგმანზეა აღნიშნულ შენიშვნებში საუბარი? პიესა დაიდგა გრ. რობაქიძის თარგმანით, მაგრამ რაზე საუბრობს შ. დემეტრაძე? პაოლო იაშვილისა თუ გრ. რობაქიძის თარგმანზე?

შ. დემეტრაძის მიერ გამოცემულ პ. იაშვილის თხზულებათა („პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები“) კრებულში შესულია თარგმანი „სალომე“, რომელიც ეკუთვნის პ. იაშვილს. ბუნებრივია, გრ. რობაქიძის არქივის სრულყოფილ შესწავლამდე ძნელია ისაუბრო იმაზე, თუ ვისია ეს მეორე თარგმანი, რომელიც 1923 წელს უნდა იყოს შესრულებული პ. იაშვილის მიერ (შ. დემეტრაძის მტკიცებით). ჩვენ ვცადეთ მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი შეგვედარებინა 1919 წელს ჟურნალ „შვიდ მნათობში“(№2) გამოქვეყნებული გრ. რობაქიძის თარგმანისათვის პ. იაშვილისად მიჩნეული თარგმანის შესაბამისი ადგილები:

**გრ. რობაქიძე „სალომე“ (ნაწყვეტი)**

**„სალომე“:** (დაიჩოქებს მუხლებზე). მე მინდა ახლავ მომიტანონ მე ვერცხლის თასზე...

**ჰეროდე:** (იციინს) ვერცხლის თასზე? ჰო, რასაკვირველია, ვერცხლის თასზე. იგი მომაჯადოებელია არა. რა გინდათ თქვენ, რომ მოგართვან თქვენ ვერცხლის თასზე, ძვირფასო და მშვენიერო სალომე, აი შენ, რაიც ულამაზესი ხართ ყველა ქალწულებზე იუდეისა? მაშ რა გნებავთ თქვენ, რომ მოგართვან ვერცხლის თასზე? მითხარით მე! რაც უნდა იყოს იგი, თქვენ მოგცემენ მას. ჩემი საუზრჯენი გეკუთვნიან თქვენ. რა არის ის, სალომე?

**სალომე:** (დგება) თავი იოქანანის.

**ჰეროდია:** ა! ეს კარგად თქმულია, ასულო ჩემო.

**ჰეროდე:** არა, არა“ (რობაქიძე „შვიდი მნათობი“ 1919:60)

**პ. იაშვილი, „სალომე“ (ნაწყვეტი)**

**„სალომე“:** (იჩოქებს) მე მსურს, რომ ამ წუთშივე შემომიტანონ ვერცხლის ლანგრიტო...

**ჰეროდე:** (სიცილით) ვერცხლის ლანგრიტო? ჰო, რა თქმა უნდა, ვერცხლის ლანგრიტო. მართლაც მომხიბლავია, არა? რა გსურს, რომ მოგართვან ვერცხლის ლანგრიტო, ძვირფასო და მშვენიერო სალომე, ულამაზესო იუდეუს ქალწულთა შორის? რა გსურს მოგართვან ვერცხლის ლანგრიტო? მითხარი, რაც უნდა იყოს, მოგართმევინ მაინც. ჩემი საგანძური შენი საკუთრებაა. დაარქვი სახელი, სალომე.

**სალომე:** (დგება) თავი იოქანანისა.

**ჰეროდე:** ა! ეგ კარგად თქვი, ჩემო ასულო.

**ჰეროდე:** - არა, არა“ (იაშვილი 1975: 586-587).

ამჟამად, განსხვავება ერთმანეთისაგან, მაგრამ რომელი ხელნაწერიდან აქვეყნებს თარგმანი შ. დემეტრაძე №76 თუ №118-დან, ან რატომაა გრ. რობაქიძის განსჯილი, მაგრამ სცენაზე დადგმული? ბუნებრივია, ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად კვლევის გაგრძელება საჭირო. ერთი კი ცხადია, რომ პაოლოს იგი უნდა ეთარგმნოს სწორედ ფრანგული ორიგინალიდან, გრ. რობაქიძისა კი ჩვენთვის უცნობია, სავარაუდოდ იქნებ გერმანული თარგმანიდან?

მთავარი ერთია: გრ. რობაქიძესა და პ. იაშვილს შორის მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა ბოლომდე გაგრძელდა. ჯერ-ჯერობით კი იმის თქმას დავჯერდეთ, რომ გრ. რობაქიძის თარგმნის ისტორია კვლავ შესასწავლია, ბუნებრივია, ორიგინალთან შეჯერების გარეშე.

ვასილ კიკნაძის სიტყვებით, „ოცდაათი წლის მანძილზე საქართველოში ისე ბოზოქრობდა შემოქმედის სული, იმდენად დიდ როლს ასრულებდა ახალი ქართული ლიტერატურისა და თეატრის განახლებაში, რომ მან იმთავითვე მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ადგილი“ (რობაქიძე 1996:469).

ჩვენ კი შევნიშნავდით, რომ ქართველ მოდერნისტთა აქტიური საქმიანობა ქართული კულტურის განვითარების გზაზე სადღეისოდაც კვლავაც მნიშვნელოვანია და ყურადსაღები.

### **ლიტერატურა:**

- ახალი აღთქუმად უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი 2005: „ახალი აღთქუმად...“, თბილისი, 2005;  
რობაქიძე 1996: რობაქიძე გრ. „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია...“, შპს „ჯეკ-სერვისი“, თბილისი, 1996;  
უაილდი 1968: უაილდი ო. „დორიან გრეის პორტრეტი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1968;  
გაჩეჩილაძე 1966: გაჩეჩილაძე გ. „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“, „განათლება“, თბილისი, 1966;  
უაილდი 1991: უაილდი ო. „ბროწეულის სახლი“, „განათლება“, თბილისი, 1991;  
სიგუა 2014: სიგუა ს. „მოდერნიზმი“, თბილისი, 2014;  
კიკნაძე 1986: კიკნაძე ვ. „ცხოვრება სანდრო ახმეტელისა“, „ხელოვნება“, თბილისი, 1986;  
იაშვილი 1975: იაშვილი პ. „პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები“, „ნაკადული“, თბილისი, 1975;  
რობაქიძე გრ. „სალომე“ ჟ. „შვიდი მნათობი“, 1919 წ. №2;  
„თაგუნა „საპრობილემი“, ჟ. „ეშმაკის მათრახი“, 1920, №8.

## **FOR THE HISTORY OF TWO TRANSLATIONS OF “SALOME” BY OSCAR WILD**

**Tamar Gogoladze, Gori State Teaching University, Professor**

### **RESUME**

From the early XX century the interest of Georgian modernist writers towards the creative art and esthetic beliefs of an English writer Oscar Wild is becoming stronger and stronger. The play “Salome”, appeared to be the sphere of interest of the modernist writers. The first translation of this play belongs to Grigol Robakidze (The magazine “The Seven Luminaries”, #2, 1919)

In 1920 in a satire magazine “the Deville’s Whip” (#8) a newspaper satire “In Jail” is published under the pen-name “a mouse” where the translator himself, Grigol Robakidze, and his translation are made under grotesque by a newspaper satirist resembling Oscar Wild, called from sepulchral world.

Despite this, in 1923 the translation made by Grogol Robakidze arose interest of a stage director Aleksandre Akhmeteli. He started working on staging it in Sh. Rustaveli State Theatre. Working on this play was going in the

period of strained relations between A. Akhmeteli and K. Marjanishvili. Notwithstanding the procrastination of the rehearsals the play was staged. A critical review about the performance and the translation itself was published in the newspaper “Lomisi” (#26, 1923) under the pen-name of “M.SH”

In 1923 the play by Oscar Wild was translated into Georgian again, this time by Paolo Iashvili. Shalva Demetradze delivered the handwritten translation to Givi Gachechiladze, the translation expert for comparing the translation with the original and only after that it was published in the complete works of Paolo Iashvili.

The information about the translations and critical reviews prove the growing interest of the Georgian cultural society of the 20s of the XX century, to the creative work of Oscar Wild and to his play created on Biblical theme as well.

## პრადის სკოლა თემის შესახებ ნარატივში

მაია დარასელია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

პრადის ლინგვისტური წრე ჩემ მეცნიერებთან ერთად შექმნეს რუსეთიდან ემიგრირებულმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციასთან დაპირისპირებულმა თეთრგვარდიელმა ინტელექტუალებმა. მართალია, ისინი ენათმეცნიერულმა ინტერესებმა გააერთიანა, მაგრამ რუსეთიდან ემიგრირებულ ინტელექტუალებს უფრო დიდი გეგმები ჰქონდათ – ახალი ევრაზიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც დაეყრდნობოდა მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის იმპერიის ტერიტორიას, მაგრამ უპასუხებდა ახალი საუკუნის მოთხოვნებს. ეს იმპერიული მიზანი ნაკვები იყო რომანულ-გერმანიკული ხალხების სიძულვილით, რაც კარგად გამოჩნდა ნიკოლოზ რუბეცკოის საპროგრამო წერილში „ბაბილონის გოდოლი და ენათა აღრევა“ (სეროი, 2015).

თანამედროვე პერიოდში დისკურსის თემაზე მუშაობისას თემის (topic) შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს პრადის სკოლის მკვლევრები წარმოადგენენ (დანეში 1974; ფირბასი 1964; 1974). მათი წინამორბედი – ჰენრი უეილი ყურადღებას იმსახურებს ტრაქტატის გამო სიტყვათა წყობის შესწავლის შესახებ, რომელშიც მან ლათინურ და ძველ ბერძნულ ენებში არსებული სიტყვათა თავისუფალი წყობა მიაწერა პრაგმატულ მოსაზრებას, რომელსაც ის „იდეათა მარშად“ (the march of ideas) უწოდებდა (უეილი, 1887). უეილი მიიჩნევს, რომ მოლაპარაკისათვის მნიშვნელოვანია მსმენელი იმავე მოსაზრებაზე დააყენოს, როგორც თვითონ აქვს და ამის გაკეთება შეიძლება თავდაპირველ მნიშვნელობათა გაცნობისა და წარდგენის გზით, რაც წინ უსწრებს მათ შესახებ მოსაზრების გამოთქმას. მოლაპარაკებებს ამ შემთხვევაში შეუძლიათ დაეყრდნონ რაღაც უკვე ცნობილს, რათა ჩასწვდნენ უცნობს. უეილი თავის „იდეათა მარშის“ ცენტრალურ დებულებას იმ წერტილად მიიჩნევს, სადაც ხდება ორი ინტელექტის შეხვედრა ერთმანეთთან.

მათეზიუსისათვის (მათეზიუსი 1929; 1939; 1975) თემა ნათქვამის საწყის წერტილს წარმოადგენს. ეს არის ინფორმაცია, რომელიც ცნობილია როგორც მოლაპარაკის, ასევე მსმენელისათვის და რომელიც ასევე საწყისი წერტილია მთელი წინადადებისათვის. მის შემდგომ ფორმულირებებშიც თემა (ანუ საფუძველი) არის ის, რაზეც საუბარია წინადადებაში.

ეს ძირითადი შეხედულება თემის შესახებ ასევე განვითარებულია პრადის სკოლის მკვლევართა ზოგიერთ სხვა ნაშრომშიც. ფირბასის მიხედვით, მაგალითად, ტრავნიჩეკი განსაზღვრავს თემას, როგორც წინადადების ელემენტს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ნააზრევის ობიექტს, გამომდინარეობს მისგან და ხსნის წინადადებას. ტრავნიჩეკი უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ თემა უნდა იყოს ცნობილი ან მოცემული ინფორმაცია. ბენეში განასხვავებს წინადადების საფუძველს თემისაგან. საფუძველი არის წინადადების გამხსნელი ელემენტი, რომელიც უკავშირდება გამონათქვამს მოცემულ კონტექსტსა და სიტუაციაში, და სხვადასხვა შესაძლო კავშირებიდან ამოარჩევს იმას, რომელიც საწყის წერტილად იქცევა, საიდანაც შემდგომი ნათქვამი აიხსნება. ფირბასის აზრით, თემა ის ელემენტი, რომელსაც კომუნიკაციური დინამიზმის ყველაზე დაბალი ხარისხი გაჩნია.

მეტად საინტერესო შეხედულებას მოცემული ამავე ავტორის ბევრ ნაშრომში (იან ფირბასი 1964ა; 1964ბ; 1974; 1987ა; 1987ბ; 1992). მაშინ როდესაც, პრადის სკოლის სხვა წარმომადგენლები იზიარებდნენ წინადადებისადმი ორნაწილიან (theme and rheme; topic and comment) მიდგომას. ფირბასი მიიჩნევდა, რომ ნათქვამში გადმოცემული ინფორმაცია მუდმივ ზეგავლენას ახდენს მის განვითარებაზე. მან ჩამოაყალიბა წინადადების ფორმირების საფეხურებრივი იდეა, რომელსაც იგი კომუნიკაციური

დინამიზმს (communicative dynamism, CD) უწოდებდა. ნათქვამში გადმოცემული ინფორმაცია თავსდება სიახლის სკალაზე, რომელიც იწყება მინიმალური კომუნიკაციური დინამიზმის მქონე ელემენტებით. თემატურ ელემენტებს მინიმალური კომუნიკაციური დინამიზმი აქვთ (ტიუნ, ვან დეიკი 1997, 86).

ფოკუსის მენეჯმენტში კი მთავარია იმის გათვალისწინება, რომ ზოგიერთი კონცეპტი და ნაგულისხმევი მნიშვნელობა შესაძლოა მსმენელისათვის უფრო ახალი და მოულოდნელი აღმოჩნდეს. ფაქტობრივად, ახალი კონცეპტები და მნიშვნელობები წარმოადგენს მოლაპარაკის ნათქვამის მიზანს, ანუ იმას, თუ რისი დამატება სურს მოლაპარაკეს მსმენელის მენტალური რეპრეზენტაციისათვის.

გამონათქვამის ამა თუ იმ ნაწილში გადმოცემული ინფორმაციის სიახლე ერთ-ერთ გასათვალისწინებელ პრობლემას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ყოველი წინადადება შეიცავს ერთ ისეთ ელემენტს, რომელიც ახალ ინფორმაციას გვაწვდის. სწორედ ეს ერის ფოკუსი. ფოკუსი დაკავშირებულია განსხვავების კოგნიტიურ წარმოდგენასთან. ფოკუსი არის ინფორმაცია, რომელიც სხვა ინფორმაციისაგან გამოირჩევა და ერთგვარად ცალკე დგას. ლონგვერის სიტყვებით, რომ ვთქვათ, დისკურსი ასეთი რომ არ ყოფილიყო, „შედეგი დაახლოებით ისეთივე იქნებოდა, როგორც მაშინ, თუ გვაჩვენებდნენ შავ ქალაქს და გვეტყოდნენ: „ეს არის შავი აქლემების სურათი, რომლებიც მიდიან შავ ქვიშაზე შუალამისას“ (ლონგვერი 1976ბ: 10). გარკვეული ელემენტის ამგვარი განსაკუთრებულობა აუცილებელია ადამიანის ცნობიერებისათვის: საგანს თუ მოვლენას მხოლოდ მაშინ აღვიქვამთ, როდესაც ის გარემოდან გამოირჩევა.

ტერმინი „ფოკუსი“ ლონგვერის მიერ გამოიყენება მოლაპარაკისათვის ხელმისაწვდომი რესურსების აღსანიშნავად, რათა მსმენელმა გამოარჩიოს ზოგიერთი ინფორმაცია. თემატური მენეჯმენტი შეეხება იმას, თუ როგორ ამცნობს მოლაპარაკე მსმენელს, თუ რა ინფორმაციაა მოცემული დისკურსში ძირითადად, მაშინ როდესაც ფოკუსისი მენეჯმენტი ეხება იმას, თუ როგორ აგებინებს მოლაპარაკე მსმენელს, რას უნდა მიაქციოს მან ყურადღება ცენტრალურ ელემენტში.

წინადადების ელემენტების მნიშვნელობათა შორის არსებული ეს განსხვავებები პირველად აღწერა უეილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთი წინადადების „ფოკუსი“ დაკავშირებულია შემდგომში წინადადების თემასთან (უეილი, 1887). ამას მოჰყვა პრადის სკოლის იმ მკვლევართა ნაშრომები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ წინადადების ელემენტთა კომუნიკაციური დინამიზმის საკითხით (ფირბასი, 1974; ვაჩევი, 1966). ელემენტის კომუნიკაციური დინამიზმი იმ ხარისხად მოიაზრება, რომლითაც იგი წინადადების სწევს წინ.

ჰელიდეი დეტალურად იკვლევდა პრადის სკოლის ნაშრომებს, კერძოდ კი, ე.წ. ინფორმაციის (information structure). ჰელიდეის აზრით ფოკუსი არის ახალი ინფორმაცია, რომელიც განსაკუთრებულობით გამოირჩევა, ხოლო თემა არის წინადადებაში პირველ ადგილზე ასახული ელემენტი (ჰელიდეი, 1967ა).

ჰელიდეის და შემდეგ კი ხომსკის შრომების შედეგად, თემისა და ფოკუსის მნიშვნელობა წინადადების შინაარსის განსაზღვრაში (ანუ სემანტიკურ რეპრეზენტაციაში) აღიარებულ იქნა ლინგვისტთა უმრავლესობის მიერ. ხშირად მიიჩნევენ, რომ ბევრ ევროპულ ენაში ფოკუსი ძირითადად ბოლო პოზიციაზე მოდის. ამ პოზიციაში მას ხაზგასმა არც კი სჭირდება (ხომსკი 1970).

როდესაც ფოკუსირებული ელემენტი სხვა პოზიციაში იმყოფება, ის იღებს ინტონაციურ მახვილის სხვა ენაში ფოკუსირებული ინფორმაცია წინადადების დასაწყისშია მოცემული და ის ზოგჯერ წინადადების ბოლოსაც მეორდება, რათა მსმენელს ყურადღებიდან არ გამოორჩეს (პეინი, 1992).

ფოკუსის შესახებ მოძღვრებაში მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩეიფის ნაშრომი რეფერენტთა სტატუსის შესახებ, ანუ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სახელები წინადადებაში. ერთ-ერთი სტატუსი ასახავს „მოლაპარაკის“ მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია ადრესატს მისთვის მიწოდებული ინფორმაციის აღქმა განსაზღვრული კონტექსტის ფონზე“ (ჩეიფი, 1976 გვ. 27). ამ შემთხვევაში ფოკუსი დაკავშირებულია უფრო იმასთან, თუ როგორი სახით მოეწოდება ინფორმაცია, ვიდრე თვით ინფორმაციის შინაარსთან. მოლაპარაკის მიერ ინფორმაციის მოწოდება დამოკიდებულია მსმენელის გონებრივი მდგომარეობის შეფასებაზე, ანუ იმაზე, თუ რაზე ფიქრობს ის ამ მომენტში. ამასთან, მოლაპარაკე ითვალისწინებს იმას, თუ რა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ხაზგასმული, რა იყო ნათქვამი წინა დისკურსში და რა იცის მსმენელმა უკვე.

როგორც ვნახეთ, მოლაპარაკე ცდილობს ესა თუ ის ინფორმაცია უფრო მნიშვნელოვანი გახადოს მსმენელისათვის. სხვადასხვა ენა ინფორმაციის ფოკუსირების მრავალი სხვადასხვა ხერხით აღწევს.

ამგვარად, ძალიან ძნელი აღმოჩნდა ისეთ განსაზღვრებათა ჩამოყალიბება ინფორმაციის მენეჯმენტის ტერმინებისათვის (თემა, მოცემული/ახალი, ფოკუსი და ა.შ.), რომლებიც ერთდროულად თეორიული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი და ემპირიულად გამოსაყენებელი იქნებოდა. ამიტომ ზოგმა მკვლევარმა მიმართა ისეთ სტრატეგიას, რომლითაც დისკურსის ცნებები გარდაქმნილ იქნა კოგნიტიურ ტერმინებად ან ტრადიციული შეხედულებები კოგნიტიური ალტერნატივებით იქნა

ჩანაცვლებული. რეფერენტულ მენეჯმენტში დიდი ინტერესს იწვევდა ტრადიციული ტერმინების – მოცემულისა და ახლის – კოგნიტიური ტერმინებით ჩამოყალიბება. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა მეხსიერებისა და მეხსიერებითი აქტივობის ტერმინებს. ამგვარი მიდგომა შემოთავაზებული იყო ჩეიფის მიერ, თუმცა ის მის თეორიას არ აკავშირებდა კოგნიტიურ ლიტერატურასთან. ჩეიფის მცდელობებზე დაყრდნობით, სხვებმა (იხ. კოუანი 1988) მეხსიერების შესწავლისას აღებული იდეები განახორციელეს რეფერენტული მენეჯმენტის მოდელში ეპიზოდურ სტრუქტურასა და მეხსიერებით აქტივობაზე ექსპერიმენტულ მანიპულაციებზე დაყრდნობით (ტომლინი, პუ 1991).

თემატურ მენეჯმენტში, რაც ზემოთ უკვე იყო განხილული, დიდ ინტერესს იწვევდა თემასა და ყურადღებას შორის არსებული კავშირის დემონსტრირება. ამ საკითხზე მრავალი ბრწყინვალე ნაშრომი არსებობს (ქოუანი 1988; პოსნერი, რეიჩლი 1994; ტომლინი, ვილა 1994). ტომლინისა და მისი მოსწავლეების ბოლო წლების ნაშრომებში გატარებულია აზრი, რომ თემის შინაარსი შესაძლოა დაყვანილ იქნას კოგნიტიურ ტერმინებზე, კერძოდ კი, ნათქვამის ფორმულირების მომენტში ყურადღების გამახვილების აღმოჩენაზე (ფორესტი 1992; ტომლინი 1992; ტომლინი 1995; ვილა 1994) ყურადღების გამახვილების კოგნიტიური პროცესები ამ თვალსაზრისით არის არა მხოლოდ ლინგვისტური თემის კოგნიტიური რეფლექსები – არამედ თემის ცნება, როგორც არტეფაქტი, რომელიც წარმოიშობა ყურადღების მიქცევისაგან კონცეპტუალური რეპრეზენტაციისას დისკურსის ფორმირების დროს.

ფოკუსის მენეჯმენტში ინტერესს იწვევს ფოკუსის კოგნიტური საფუძვლის განვითარება. ფოკუსის თემაზე მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი არსებობს, რომელთა შორის აღსანიშნავია ლამბრეხტის (1994) და ვალდუვის (1992) შრომები. სხვები ფოკუსს განიხილავენ როგორც ყურადღების მომცველ მოვლენას (ერთეუკ-შირი 1986; ლეველტი 1989). ამ თვალსაზრისით, ფოკუსი არის მსმენელის ყურადღების მიმართვის შედეგი რეფერენტისადმი დისკურსის ფორმირებისა და გაგების პროცესში.

#### ლიტერატურა:

1. პატრიკ სერიო. სტრუქტურა და მთლიანობა. სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: 1920-30-იანი წლები; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.
2. Danes F. "Functional Sentence Perspective and the Organization of the Text", in F.Danes (ed.), Papers on Functional Sentence Perspective. The Hague: Mouton, 1974.
3. Firbas J. "On Defining the Theme in Functional Sentence Analysis" Travaux Linguistiques de Prague, 1, 1964.
4. Firbas J. Functional Sentence Perspective in Written and Spoken Communication. Cambridge: Cambridge University Press, 1992.
5. Longacre R.E. An Anatomy of Speech Notions. Lisse: Peter de Ridder Press. 1976b.
6. Lambrecht K. Information Structure and Sentence Form. Cambridge: Cambridge University Press, 1994.
7. Teun A. van Dijk. Critical Discourse Analysis. Blackwell. Oxford UK & Cambridge, 1994.
8. Mathesius V. "On the Information-Bearing Structure of the Sentence", in Kuno (ed.), Harvard Studies in Syntax and Semantics. Cambridge, MA: Harvard University Press, 1975.
9. Weil H. The Order of Words in the Ancient Languages Compared with that of the Modern Languages. (trans. C. Super), 3<sup>rd</sup> edn. Boston: Ginn, 1987.

### THE PRAGUE SCHOOL ON TOPIC IN NARRATIVE Maya Daraselia, Gori State Teaching University, Professor RESUME

The Prague School of Linguistics, inspects the semantic relationships between sentence topics and the overall discourse topic by investigating the repetitions, shifts, and reoccurrences of topic. Following van Dijk (1977: 93), coherence is taken to be a semantic property of discourse formed through the interpretation of each individual sentence relative to the interpretation of other sentences.<sup>1</sup> Interpretation implies interaction between the text and the reader, and it is within this theoretical perspective, as opposed to focusing solely on the text.

The Prague School linguists laid the foundation for topical structure analysis by first distinguishing *theme* from *enunciation*. According to Vilem Mathesius (1975) used the term *theme* to identify "what the sentence is about" and the term *enunciation* to refer to "what is said about" the theme. In a point relevant to my later discussion of the theoretical basis for topical structure analysis, Mathesius maintained that "the *theme* of a sentence announces 'what is known or at least obvious' in a given situation and from which the speaker proceeds in his discourse," while *enunciation* adds new or unknown information to the discourse,"<sup>3</sup> a distinction that has also been cast in terms of given and new information.



Over time the term *enunciation* gave way to *theme*, and *rheme* to *comment*. The term *theme*, meantime, changed to *topic*, following the usage of Charles Hockett. I will use the term *topic* to refer only to sentence topic, which is distinct from discourse topic. The concept of discourse topic also emerged from the theoretical framework of the Prague School linguists. In particular, as Frantisek Danes (1974) showed that topics of successive sentences can be identified in relation to what Danes called a "hypertheme," in effect a discourse topic, which may or may not be explicitly stated in the text. The discourse topic is what the text, taken as a whole, is about.

## 1877-78 რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ილია ჭყონიას პუბლიცისტიკაში

ლუკა დვალისძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ილია ჭყონიას ქართული ლიტერატურის ისტორიაში მოკრძალებული ადგილი უჭირავს. მწერლის ფრიად საინტერესო შემოქმედებითი მოღვაწეობა სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და ადგილმჩინილი. უაღრესად საყურადღებოა მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელშიც მთელი სიმძლავრით წარმოჩინდა პატრიოტი შემოქმედის წუხილი და გულისტკივილი გამოწვეული ქვეყნის ეროვნული და პოლიტიკური ჩაგვრის გამო.

მწერლის არქივში დაცულია გამოუქვეყნებელი დოკუმენტური წერილები, რომლებიც საშუალებას იძლევა ახლებურად იქნას გააზრებული ბოზოქარი ეპოქის ბევრი მტკივნეული საკითხი. ილ. ჭყონიას დიდი და საინტერესო პუბლიცისტური მემკვიდრეობა დარჩა. მწერალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ერისა და ქვეყნისათვის მტკივნეულ ყველა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო პრობლემას შეეხო. ფიქრი საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ილ. ჭყონიას პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური შემოქმედების მთავარი მკვებავი წყაროა. სრულიად ჭაბუკი მწერალი დიდი სიხარულით მიესალმა აჭარის დაბრუნებას დედა სამშობლოს შემადგენლობაში და ამ სასიხარულო ფაქტს ვრცელი წერილები მიუძღვნა. ამ მხრივ საინტერესოა „ივერიის“ 1879 წლის N4-ში გამოქვეყნებული კორესპონდენცია – „ხმა ბათუმიდან.“ – „ბრძოლა-მთა-ბარში, წინ და უკან, ოთხივე კუთხივ. ბრძოლა შეუწყვეტელი, პირისპირ უთვალავი მტრებისა სამშობლოს თავისუფლების დასაცავად“. ასეთი პირქუში, ნატურალისტური სურათით წარმოადგინა მწერალმა საქართველოს რეალური ისტორია, ქვეყნის მთელი, ხანგრძლივი არსებობის პერიოდში. პუბლიცისტის თქმით საქართველო ხანმოკლე მშვიდობიანობის პერიოდში ახერხებდა ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონისათვის მიეღწია და ამიტომაც ქვეყანა მოფენილია „ხუროთმოძღვრების მშვენიერი ნაშთებით“. წერილის ავტორი ღრმად უფიქრდება თავისი დროის საქართველოს მძიმე ყოფას. აკეთებს საგულისხმო დასკვნებს. „ჩვენი ეხლა ამ რიგ მდგომარეობაში ყოფის მიზეზი გახლავთ სამნაირი... პირველი ისე ცხადია, მისი მოხსენება ბეჭდვით საჭირო არ მგონია, მეორის თქმა გულით მინდა, მაგრამ არ შემძლია... მესამე გახლავთ ჩვენგან მტრის მეგობრად მიღება... ამ „გონების“ წყალობით შეგვემთხვა იგი, რაც სწორედ არის გამოთქმული ანდაზით: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“. წერილის ავტორის ქარაგმა იოლად ამოსაცნობია. მოყვრისა და მეგობრის ნიღბით მოსული მტრის მითოლოგემა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ყველაზე ადვილად გასაშიფრი სიმბოლოა. მწერალი გადმოცემული ამბების თვითმხილველია. იგი წინდახედული, შორსმჭვრეტელი მამულიშვილის თვალთახედვით აფასებს რეალურ ვითარებას და არ უკვირს აჭარის ქართველების სურვილი, რომ თურქთა უღლის მოშორების შემდეგ მათ არ სურთ რუსეთის იმპერიის უღელი და მოითხოვენ ინგლის-საფრანგეთის მფარველობას. „მოინდომეს სრული თავისუფლების შოვნა... არ გეგონოთ, რომ ეს იყო მათგან ჩვენი უსიყვარულობისაგან და ძმური თანაგრძნობის უქონლობისაგან, არა, მიზეზი სულ სხვაა... უღელი იმ რიგის რამაა, რომ ძმური სიყვარულიც ვერ მოგიზიდავს მასთან“. წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორმა კარგად იცის არა მარტო საქართველოს, არამედ იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ისტორიაც. მას მაგალითისათვის მოჰყავს გერმანიის მიერ ელზას-ლოტარინგიის დაპყრობა და დასძენს: მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხის ხალხი ძირითადად გერმანულენოვანი იყო, გერმანელები მაინც დიდი სიფრთხილით მოქმედებდნენ და საუკეთესო და რჩეული მოხელეები გააგზავნეს ამ მხარეში. მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ახლადშემოერთებული აჭარის შემთხვევაში პირუკუ მოხდაო. აქ ჩინოვნიკებად მოგვევლინენ: „ძველად სამოქალაქო სამსახურიდან „კაიკაცობისთვის“ გამოგდებული „ჩინოვნიკი“, „კაიკაცობისთვის“

გაკრეჭილი მღვდელი. აფიცერი, რომლის ენა ისეა გაწაფული ერთ-რიგის ლოცვა-კურთხევაში, რომლის უმისოდ მისი მობრუნება არ შეუძლია... აქტიორი, ამხანაგობიდან გაპარული, ვაჭარი და სხვა“. ასეთი „პატრონების“ „კაიკაცობით“ აჭარაში ხშირად ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას, რომლითაც მოხერხებულად სარგებლობდა ოსმალთა ემისრები და მოსახლეობას აჭარიდან აყრასა და თურქეთში გადასახლებას ურჩევდა. ენობრივი ბარიერი, ჩინოვნიკური აპარატის ქალაქდომანია და ბიუროკრატიული ყოყლოჩინობა კიდევ უფრო ზრდიდა მოსახლეობის ანტიპათიას. მწერალი სიფრთხილესა და გონიერებას მოითხოვს. იგი პირდაპირია და უშიშარი ქვეყნის უკეთესობის ძიების საქმეში. „სასურველია, რომ აგრეთვე გადაყვანილი იქნებოდეს აქედან აქაური მომრიგებელი მსაჯული, რომელსაც იჩნივ კი არ ესმის“. მწერალი მომავალს მაინც იმედიანად უყურებს, რადგან „ბედად, ბათომის მაზრის უფროსად არის კაცი, რომელსაც მთელი ბათომის ოლქის ქართველი თავის მფარველ ანგელოზსავით შესცქერის და რომლის ერთს სიტყვას მასზე, სხვის მთელ მოძღვრების წაკითხვაზე უფროსი გავლენა აქვს. ეს კაცი გახლავთ თ. გრ. დ. გურიელი“. ი. ჭყონიას მსოფლმხედველობის დასადგენად, როგორც ვხედავთ დიდი მნიშვნელობა აქვს მის პუბლიცისტურ წერილებსა და რეცენზიებს, რომლებიც ერთიან კავშირშია მწერლის მხატვრულ ქმნილებებთან, მკითხველის წინაშე წარმოჩნდება შემოქმედის პირადი თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ჰარმონიული პორტრეტი, საქმე კაცისა, რომელიც პრაქტიკული საქმიანობითა და თეორიული ნაზრევით ქვეყნის უკეთესობის მიღწევის საქმეს მსახურებდა.

მწერლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის ნიშანდობლივ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ლირიკულობა (რა თქმა უნდა პრობლემის მეცნიერულ ცოდნასთან ერთად, ლ. დ.). აქ ძირითადად იგულისხმება ფაქტებისა და მოვლენებისადმი ლირიკული მიდგომა. მოვლენის აღქმისა და შეფასების ლირიკული პათოსი, რომელიც ზომიერია და მოკლებულია გადამეტებულ სიტყვა-კაზმულობასა და კოსმეტიკურ ეფექტს.

აჭარისა და ბათუმის ამბები მწერლის ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ 1877 წელს მოექცა, როცა ახალი დაწყებული იყო რუსეთ-თურქეთის ომი. ბრძოლების შედეგად საქართველოს ყველა კუთხე დაზარალდა და განსაკუთრებით საზღვრისპირა გურია. „დადგა ეს ომი თავის ჭექა-ქუხილითა და მოსთხოვა გურიას მსხვერპლი კაცითა და ნივთიერებითა“ (იხ. „ივერია“, 1877 წ. N25, გვ. 4). სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოშიც ბევრს ჰგონია, რომ რუსეთმა „ლანგრიტ“ მოართვა საქართველოს ოსმალთა მიერ დაპყრობილი ახალციხე და აჭარა. ამ წერილიდანაც დასტურდება, რომ მარტო გურიიდან რუსეთის მხარეზე 5000 მებრძოლი იბრძოდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდანაც „ცოტ-ცოტას“ თუ მივუმატებთ, ფრიად შთამბეჭდავი მათემატიკა გამოგვივა. წერილის ავტორი შეწუხებულია იმითაც, რომ არა მარტო ომმა და გვაღვებმა გააჩანაგა ქვეყნის ეკონომიკა, არამედ ქართველთა მიერ ომის შედეგად მომრავლებულ მიცვალებულთა დასაფლავების წესმა... \_ლამისაა ქვეყანა დაამშოოს.

„მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ... გლეხი... ვალდებულია სადილი გამართოს, რომელიც 30-40 მანეთზე ნაკლები, არასდროს ჯდება... ამგვარად, მშობლები იღუპებიან ერთობ დიდის ხარჯით და ნათესავნი გლოვის გამო უმუშევრობით“.

საერო და განსაკუთრებით გადაგვარებული სასულიერო პირების ერთი ნაწილის უზნეო ყოფა წარმოაჩინა მწერალმა წერილში „ბათუმისაკენ“ (იხ. „ივერია“ 1878 წ. N44, გვ. 4). „ერთი ხუცესი გვყავს. ლაზარე ოდიშარია ჰქვია და სულ გათათრებულია. რამდენი ბავშვი მოუნათლავად, რამდენი კაცი უზიარებლად მოკლა, იმას ვინ დათვლის, ქრთამებს იღებს და იმისთანა სიმთვრალე იცის, რომ როგორც მოწონებულმა ლოთმა“. დარბაისელი მეგრელი მგზავრის ეს სიტყვები მთელი სიმძაფრით წარმოაჩენს ქართული საზოგადოების ერთი არც თუ უმნიშვნელო ნაწილის მატერიალურ გადატაცებას, რომელსაც პარალელურად მიჰყვება, ხოლო ზოგჯერ წინაც უსწრებს ზნეობრივი დაცემა და გახრწნილობა.

ი. ჭყონიას ლექსებში, მოთხრობებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში იგრძნობა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული. მწერალი შეწუხებულია მამულის აწმყო მდგომარეობით და ცდილობს გამოსავლის პოვნას... საოცარი გულისხმიერებითა და სითბოთია მის პუბლიცისტურ წერილებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეები და მათი მცხოვრებნი დახატული. (ჩვენ ეს გურიისა და აჭარის მაგალითზეც დავინახეთ). ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის სხვა სტატიებიც.

ილია ჭყონია ივერიის N242-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „თემობისათვის“ წერს. ჩვენი ქვეყნის უბედურების მთავარი მიზეზი ის არის, რომ „საბელი ჩვენი ყელისა სხვის ხელთ არის და ის სხვა ნებას არ იძლევა ჯერჯერობით ჩვენს საერთო გაჭირვებაზედ გინდ ეკონომიკურზედაც გარემოებისდაგვარად ვიზრუნოთ“. ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი დაქვეითების მიზეზი, როგორც მწერალი შენიშნავს კიდევ არის „...რომ განათლება საზოგადოდ სუსტადაა გავრცელებული ჩვენში, მიზეზი კიდევ ის არის, რომ საზოგადოებრივ თაოსნობას ჩვენში მხარფეხი გაყინული აქვს და ასპარეზი მოსპობილი“.

ერი და ეროვნული პოლიტიკა, ჭეშმარიტად განათლებული საზოგადოება მამულის სიყვარულის ლიბოთი შედუღაბებული. „გონივრული დაწესებულებანი და ხალხის ღვიძლი შვილები მამულის ისტორიულ ნიადაგზე ეროვნული სულით აღზრდილნი მმართველებად და გამგებლად“ („დროება“, 1881 წ. N 215) შეიქმნებიან მწერლის აზრით იმ ძალად, რომლებიც ივერიას ძველ დიდებას დაუბრუნებენ.

ილია ჭყონიამ იცის, რომ მსოფლიოს ისტორია ესაა ძალმომრეობის მუდმივმოძრავი ესკალატორი, რომელსაც გონივრული პოლიტიკითა და განათლებით უნდა დაუპირისპირდე. „საზოგადოდ კაცობრიობის ცხოვრება, ყოველი ერისა, კერძოდ, სხვათა შორის არის ბრძოლა არსებობისათვის, ერთი ძლიერი იარაღთაგანი ამ ბრძოლისა გახლავთ პოლიტიკა, რომლის მეოხებით უკანონობა ხშირად სჯობნის სამართლიანობას და ვერაგობა ხშირად ქედს ახრევენებს სათნობას. პოლიტიკა უარყოფს სულგრძელობას, ყოველგვარ შებრალებას, მასთან არ გადის ხათრი და თავაზი; გულწრფელობა და კეთილი გული მის წინაშე ყოველთვის დამღუპველი ყოფილა და ახლაც არის. უაღრესი ძალა ამ შემთხვევაში არის განათლება და სახალხო განათლება უპირატესად“ („დროება“, 1881 წ. №216). ამიტომაცაა, რომ გულმხურვალე მამულიშვილი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით არის გამსჭვალული იმ უცხოელების მიმართ, რომლებიც საქართველოს მიიჩნევენ უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის კერად. ყოველნაირად ცდილობენ ხელახლა „აღმოუჩინონ“ იგი მსოფლიოს. უყვართ საქართველო და ქართველები. ასეთები მე-19 საუკუნეში არც თუ ცოტა იყვნენ, მათგან გამორჩეულნი ერთი ფრანგი, ერთი ინგლისელი და ერთი გერმანელი: მარი ბროსე, მარჯორი უორდროპი და არტურ ლაისტი. მწერალს ახალი ურთიერთობა ჰქონდა ბოლო ორთან, ხოლო არასოდეს იგიწყებდა მარი ბროსეს ღვაწლს. „ჩვენთვის დაუვიწყარ განსვენებულ მარი ბროსეს შეუდგენია და ხელნაწერად დარჩენია „საქართველოს ისტორია მის დასაბამითგან უახლოეს დღემდე... მაშ, საქართველოს ისტორია იმისთანა ავტორიტეტული მეცნიერისაგან დაწერილი მალე გვეღირსება... მაგრამ მარტო ამით ნუ დავეკმაყოფილდებით, რაც არ უნდა გენიოსისაგან იყოს დაწერილი ისტორია, ის ისეთი რთული და მრავალმხროვანი საგანია, რომ მისი სრულად დამლევა ერთი კაცისათვის ყოვლად შეუძლებელია“ (იხ. „დროება“, 1881 წ. N15). წერილის ავტორი მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მ. ბროსეს სახელობის პრემიის დაარსებაში, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა მეცნიერთა იმ გუნდს, რომლებიც იკვლევენ ისტორიას... „მეტადრე იმისთანა დახლართულ ისტორიას, როგორც ჩვენი... ამ ღვაწლს უნდა დაჯილდოება, რათა მშრომელი სულითა და გულით მიეცეს მას“. მ. ბროსეს პრემიის დაარსებას საქართველოში თითქოს მოწინააღმდეგე არ უნდა ჰყოლოდა, მაგრამ აქ თავი იჩინა ქართველთა ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელმა „უჩემოთ ვით იმღერთა“ პოლიტიკამ. თვით აკაკის მჭევრმეტყველურმა, ხატოვანმა სიტყვამ ვერ გადაწყვიტა ეს ხელოვნური პრობლემა დადებითად – „კაცი რომ ჭიქით ღვინოს დაღვეს და წინაპრებს ახსენებს, ჭიქაც მას რჩება და პრემიაცო. ასევე ბროსეს პრემია ჩვენ დაგვრჩება, ოღონდ ამ ამაგდარ კაცს მოვიხსენიებთო – ბრძანებდა სულმნათი აკაკი. იხ. „დროება“, 1881 წ. N89).

პატრიოტი მწერალი შეძრწუნებული შეჰყურებდა თავის თანამედროვე ქართულ საზოგადოებას, რომელიც ეკონომიკურად ლატაკი, ინტელექტუალურად არასაკმაოდ მომწიფებული, პარტიებად და დასებად დაყოფილი წვრილმანი პარტიკულარისტული აზრებით ნამდვილად ხელს უშლიდა საზოგადო საქმის წინსვლას.

ილ. ჭყონიამ წინასწარმეტყველურად გამოიცნო ქართული მოუმწიფებელი პარტიებისა და დასების როლი სამომავლო საქვეყნო საქმეში. ასეთი მისიის შესრულება მათ არ შეეძლოთ. „სიტყვა“ „პარტია“ და „პარტიობა“ ჩვენს მხარეში გადაქცეულია „შურისა“ და „შურისძიების“ სინონიმად. რატომაო? – იკითხავთ. მიტომ, რომ ჩემო ბატონო, ყოველ საზოგადო საქმეში, რომელსაც განაგებს ზოგადი კრება, პარტიები, ე. ი. მამინ შეადგენს უცილობელსა და კეთილნაყოფიერ მოვლენასა, როცა თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი პროგრამა და დედააზრი, მტკიცედ გამჯდარი დასის წევრთა მვალ-რბილში, რომლითაც ადვილად შეიძლება მოწინააღმდეგე დასს ვერ ეთანხმებოდეს, მაგრამ ზოგად საგანში კი მიზანი დანარჩენებთან ერთი უნდა ჰქონდეს („დროება“, 1881 წ. N89).

მწერლის წინათგრძნობა პარტიებს შორის პირადული უსაფუძვლო კინკლაობის გაძლიერებისა და ამით საზოგადო საქმისათვის ზიანის მიყენებისა ახდა. არადა, როგორც თვითონ წერილის ავტორი მიუთითებს ქართულ პარტიებს ბევრი რამ კარგი თვისება ჰქონდათ: „ენამჭევრობა, ხერხი, გაბედულება და სიმხნე“. მაგრამ ყოველივე ამან უფრო მეტი ზიანი მოიტანა, რადგან მამულიშვილური საქმის კეთების ნაცვლად ზემოხსენებული თვისებები ერთმანეთისადმი წვრილმან ქიშპობაში დაიშრიტა.

ილია ჭყონია ფხიზლად დარაჯობდა ქართველი ერის ღირსებისა და თავმოყვარეობის საქმეს.

ილია ჭყონიას ეროვნული მრწამსისა და მსოფლმხედველობის მარადიული დევიზია - „თქვენნი მამულის სარგებლობისათვის მოღვაწეობით, მთელ კაცობრიობას უწევთ სამსახურს“ - სწორედ ესაა დუღაბი, რომელიც აერთიანებს მწერლის მხატვრულ ქმნილებებს, მის ლიტერატურულ პუბლიცისტურ წერილებს და გამოკვლევებს, შემოქმედის პრაქტიკულ საქმიანობასა და თეორიულ ნააზრევს.

# RUSSO-TURKISH WAR 1877-78 AND THE ISSUE OF POLITICAL ORIENTATION OF GEORGIA IN ILIA TCHKONIA'S PUBLICISM

Luka Dvalishvili, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

## RESUME

Ilia Tchkonia welcomed the fact of reunion of Adjara with motherland and dedicated extensive letters to this great event. On this issue we should take into consideration the correspondence "Voice from Batumi" published in "Iveria" (1879, №4). The writer described the real history of Georgia with gloomy and natural way throughout its existence. According to the writer, Georgia in its short and peaceful period managed to reach high level of its literary and scientific development and therefore Georgia is known for its "wonderful architectural remains". The author worries about the hardship of his contemporary Georgia and comes to relevant conclusions. He assesses the real situation with cautious, watchful and patriotic vision and is not surprised by the fact that Adjarian Georgians do not want to be ruled by Russia and demand England-French patronage and "whole independence". It is obvious from his works that the writer is familiar with the history of Georgia and the world's leading countries. Consequently, the reunion of Adjara with motherland is considered to be one of the significant historical events.

## შოთა ნიშნიანიძის პოეზია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში

ლელა ზაქრამე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელი

XX საუკუნის 50-იან წლებში ქართველ მწერალთა ოჯახს ერთბაშად რამდენიმე იმედის მომცემი ახალგაზრდა შეემატა. მათ გამოჩენას მკითხველის ყურადღება და ლიტერატურულ მამათა გულთბილი ღიმილი შეეგება. მალე ამ თაობის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი „ცისკრის“ გარშემო გაერთიანდა. შ. ნიშნიანიძეც ამ თაობას მოჰყვა მხარდამხარ. მერე ჩვენი კრიტიკა ლაპარაკობდა „ცისკრელთა“ სახიფათო მსგავსებაზე, მაგრამ ამ თაობაშივე იყო პოეტი, რომელიც პირველი ლექსებიდანვე გამოირჩა, რომელმაც უარი თქვა საეჭვო ექსპერიმენტებზე და ქართული პოეზიის ტრადიციული თემატიკის ერთგული დარჩა.

პოეტის სამწერლო დებიუტი 1946 წელს შედგა. მას შემდეგ გარდაცვალებამდე შ. ნიშნიანიძე უაღრესად ნაყოფიერ და მნიშვნელოვან შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა და დიდი წვლილი შეჰქონდა თანამედროვე ქართული პოეზიის წინსვლასა და განვითარებაში. მისი ლექსები, პოემები, ლიტერატურული წერილები თუ უმძაფრესი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული პუბლიცისტური წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. პოეტისადმი ინტერესი თანდათან იზრდებოდა და ამის კვალობაზე ლიტერატურული კრიტიკაც მას მეტ ადგილს უთმობდა, თუმცა ე. მაღრაძე 1986 წელს წერს: „დღეს ბევრს ლაპარაკობენ შ. ნიშნიანიძის პოეზიაზე, სალიტერატურო კრიტიკა კი შედარებით იშვიათად და როგორც ცალკეად ეხმიანება მას, იქნებ ამ სიახლისა და სირთულის გამოც. თუმცა, ბოლო ხანებში გამოითქვა არაერთი საყურადღებო თვალსაზრისი, თუ სად არის საძიებელი შ. ნიშნიანიძის პოეზიის მაღალღირებულება“ [1].

საინტერესოა თვით პოეტის დამოკიდებულება და აზრი თანამედროვე კრიტიკაზე. 1981 წელს გამოქვეყნებულ დიალოგში ის დაუფარავად აცხადებს: „კრიტიკოსის პროფესია საერთოდ რთული პროფესიაა, მეტადრე ჩვენს პირობებში, როცა მწერლები ერთმანეთის მეზობლები ან მეგობრები არიან. ნამდვილად გვყავს ნიჭიერი და განათლებული კრიტიკოსები, მაგრამ კრიტიკას სიმართლის თქმა უჭირს. კრიტიკოსები (და მათთან ერთად) ჩვენც ვერ ვახერხებთ ვიყოთ ობიექტურნი მეგობრების ან მეზობლების მიმართ, ვერ ვხედავთ კრიტიკული სიმართლე ვთქვათ ტიტულოვან და თანამდებობის მქონე მწერლებზე. კრიტიკის მიერ შემოთავაზებულ კონკრეტულ შეფასებებს მე პირადად ნახევარზე მეტს ვერ ვიზიარებ. როგორც ჩანს, მხატვრული ნაწარმოების აღქმა მეტად სუბიექტურია“ [2].

მიუხედავად ზემოთ თქმული არაორაზროვანი დამოკიდებულებისა, სალიტერატურო კრიტიკა მნიშვნელოვანწილად ეხმიანება შ. ნიშნიანიძის პოეზიას და მისი ლექსების გამოქვეყნებისთანავე იწერება ბევრი საინტერესო კრიტიკული ნააზრევი.

ჩვენ შევეცადეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოგვეჩინა ისინი. შ. ნიშნიანიძის შემოქმედების უკეთ წარმოჩენის მიზნით, მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე

გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების საფუძველზე, შევძელით გამოგვეკვლია თუ რა კუთხით არის შესწავლილი შ. ნიშნიანიძის პოეზია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

1963 წელს გაზეთ „ქუთაისის“ ფურცლებზე ქვეყნდება ს. არველაძის წერილი, სადაც კრიტიკოსი პოეტს „იდუმალი ხილვისა და თრთოლვის“ პოეტად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ იგი არ ირჩევს „ზოგადი ამბებების გზას“ [3]. ჯ. ღვინჯილიას აზრით, შ. ნიშნიანიძე პოეზიის ქართულ ტრადიციულ ფორმასთან ყველაზე უფრო ახლოს მდგომი შემოქმედია, უპირველესად თავისუფლად ფლობს ლექსის ხმას, კრიტიკოსი ასევე ყურადღებას ამახვილებს პოეზიის ლექსიკის სინედლეზე, მისი აზრით, პოეტს მხოლოდ იქ უვლდება კალამი, სადაც წყდება მისი ბუნებისეული მხატვრობა და იწყება მშრალი მსჯელობა [4].

1971 წელს ქართულ პერიოდიკაში ქვეყნდება რამდენიმე ყურადსაღები წერილი. დ. ახობაძეს მიაჩნია, რომ პოეტი სიყვარულის გამოხატვაში აზრობრივ სიახლეებს ვერ აღწევს და ძალაუვნებურად მკითხველს უკმაყოფილოს ტოვებს [5]. იპ. ვართაგავას მოსაზრებით, ქართულ პოეზიას ჰყავს ორიგინალური ხმის პოეტი, რომლის შემოქმედება დღითიდღე იზრდება და მისი აზრით, მთელ მის შემოქმედებას საერთო სათაურად შეიძლება ვუწოდოთ „მეტაფორა“ [6].

გ. ხუხაშვილის წერილში განხილულია პოეტის პატრიოტიზმი, ის ეხება აგრეთვე რიტმს, ინტონაციურ ფორმებს, მიაჩნია, რომ ზოგ ლექსში იგი ინერციის ტყვეა, რადგან პოეტს სხარტი სახეების, მეტაფორული მონაცემებისა თუ სენტენციების გვერდით ამკარად „ყრუ სტრიქონები“ თუ პროზაული ფრაზები წასცდება [7]. პატრიოტიზმს ეხება ვ. ჯიბუტი წერილში „შ. ნიშნიანიძის პოეზია“ და აღნიშნავს, რომ პოეტი მთლიანად „იძირება“ ისტორიულ წარსულში და მთელი სულისკვეთებით უერთდება ხალხის გარდასულ გამირულ ყოფას [8].

რ. მიშველაძე წიგნში „ეპოქის გზებით“ განიხილავს შ. ნიშნიანიძის პოეზიას და დასძენს: „შ. ნიშნიანიძე ეკუთვნის იმ მცირერიცხოვან პოეტთა ელიტას, რომელიც „აქ ამ დარბაზში ლომის ნიღბით როდი სეირნობს, აუდიტორიის გასართობად და სასეირნოდ“ [9].

„შ. ნიშნიანიძის ლექსები არაა ყალბი აქტუალობით დადგამული, ტრაფარეტული და შაბლონური სითამამით დაწერილი სტრიქონები“ - ამ სიტყვებით იწყებს საუბარს ა. ნიკოლეიშვილი შ. ნიშნიანიძის შესახებ საუბრისას. კრიტიკოსის მოსაზრებით, პოეტი არ იმეორებს სამოქალაქო ლირიკის იმ ტრადიციებს, რომელიც ათეული წლების მანძილზე შექმნა ქართულმა პოეზიამ. კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს გამოვლენილ რევოლუციურ რომანტიკაზე, ისტორიის თავისებურ გააზრებაზე, წარსულისა და თანამედროვეობის ორგანულ სინთეზზე, რომლებიც ძირითადად გამოვლინდა შ. ნიშნიანიძის შემოქმედებაში [10]. მ. გვეტაძის წიგნში „თანამედროვე ქართული პოეზიის საკითხები“ განხილულია შ. ნიშნიანიძის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი თემები: სამშობლოს თემა, ფოლკლორული ტონალობა, საქართველოს წარსულის ფრაგმენტების გაცოცხლება, მიტოვებული სოფლის საკითხი, მიძღვნილი ხასიათის ლექსები, სამამულო ომის თემა, ბუნების განცდა, ისტორიული თემატიკა და სხვა მრავალი [11].

ვ. ალფენიძის მოსაზრებით, შ. ნიშნიანიძეს ისეთი ლექსებიც აქვს, რომლებიც თითქოს მხოლოდ ლექსის წერის ტექნიკითაა შესრულებული, თითქოს შინაგანი წვა და მღელვარება, ძიება აკლია... „ზოგი ლექსი დედიშობილა გამოშვებული კარში, მარტო ნიჭის პერანგის ამარა, არადა ნიჭიერი პოეტის ოფლი ლექსისათვის მირონია“ [12]. გ. ციციშვილი წერილში „ქემმარტი პოეზიის მაღლი“ საგანგებოდ განიხილავს შ. ნიშნიანიძის მებრძოლ პოეტურ პუბლიცისტიკას. მისი აზრით, შ. ნიშნიანიძემ ქართულ პოეტურ პუბლიცისტიკას არაერთი მგზნებარე ნიმუში შესძინა, პუბლიცისტური ნაკადი კი არ აკნინებს მისი პოეზიის მხატვრულ მხარეს, არ ამცირებს ფორმირებულ ღირსებებს, არამედ პირიქით, მაღალ პოეტურ ნიმუშებში პუბლიცისტური ელემენტების გააზრებული შეტანა ლექსს სუნთქვას უძლიერებს, ღონეს მატებს [13].

„შ. ნიშნიანიძე ლირიკოსია, მაგრამ მისი ლირიკისათვის ნიშანდობლივია მიდრეკილება ეპიური საწყისებისაკენ... შ. ნიშნიანიძე, შინაგანად, მითოლოგიური პოეტია, „დროთა კავშირის რღვევის“ სიმპტომები მისთვის მეორადი, ცხოვრებისა და ისტორიის დროებითი და წარმავალი შტრიხი უფროა, ვიდრე შინაგანი თავისებურება“ - წერს 1984 წელს გ. გაჩეჩილაძე [14]. აპ. ჟორდანias წერილი ქვეყნდება 1984 წელს, სადაც ნათქვამია, რომ შ. ნიშნიანიძის შემოქმედებისა და მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია მოქალაქეობრივი პოზიციების სიმტკიცე. იგი აყენებს თანამედროვეობის მწვავე პრობლემებს და აქტიურად უჭერს მხარს უცხო და მავნე მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას [15]. რ. ჩხარტიშვილი თავის წერილში ყურადღებას ამახვილებს შ. ნიშნიანიძის მოქალაქეობრივ ლირიკაზე. მისი აზრით, სწორედ ამ თემაზე დაწერილი ლექსებით მიიზიდა შ. ნიშნიანიძემ საზოგადოების ფართო ფენებისა და სალიტერატურო კრიტიკის ცხოველი ინტერესი. წერილში ნათქვამია, რომ შ. ნიშნიანიძის, როგორც პოეტისა და მოქალაქის ყოველდღიური საფიქრალი ქვეყნად ზნეობრივი ნორმებისა და მაღალი იდეალების დამკვიდრებაა. ამ წერილში შესაბამისად გაანალიზებულია კრიტიკულ-პოლემიკური

პათოსით გაჯერებული ლექსები, რომლითაც პოეტი ილაშქრებდა ადამიანურ მანკიერებათა წინააღმდეგ [16].

1989 წელს ქვეყნდება მთელი რიგი კრიტიკული წერილებისა: ს. ჭილაიას, გ. გაჩეჩილაძის, რ. მიშველაძის, ი. ფეიქრიშვილის, სადაც კრიტიკოსები განიხილავენ პოეტურ ხელწერას, პუბლიცისტურ-ლირიკულ ლექსებს და სხვადასხვა თემატიკას, რომელიც დამახასიათებელია შ. ნიშნიანიძის პოეზიისთვის. ს. ჭილაია: „შ. ნიშნიანიძის ორიგინალური, თვითმყოფადი პოეტური ხელწერა არც ავანგარდისტული უარყოფაა პოეტური ტრადიციების, მაგრამ არც „მონობა“ კონსერვატიზმის“. კრიტიკოსის მოსაზრებით, დიდი ეროვნული და სამოქალაქო ტკივილებით დამუხტულმა „ძველმა თემებმა“ - ეროვნულმა, ზოგადკაცობრიულმა, სატრფიალომ თუ სამოქალაქო ლირიკამ სრულიად ახლებური ჟღერა შეიძინეს მის პოეზიაში [17].

მთლიანად სამოქალაქო ლირიკას ეხება ი. ფეიქრიშვილის წერილი, სადაც ის აღნიშნავს, რომ შ. ნიშნიანიძის შემოქმედებაში გაბედული, მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპულობითა და მხატვრული შემოქმედებით არის მხილებული და დაგმობილი ანტისაზოგადოებრივი დანაშაულებები [18]. გ. პაპუაშვილი განიხილავს თუ რა კუთხით აისახა 90-ინი წლების მოვლენები შ. ნიშნიანიძის შემოქმედებაში. კერძოდ, 1989 წლის 9 აპრილი, ჩვენი ისტორიის შემზარავი ფურცელი - სამოქალაქო ომი, ე.წ. აფხაზეთის თემა. კრიტიკოსის აზრით, პოეტი მტკიცედ თანაუგრძნობს საქართველოს მთლიანობისთვის მებრძოლებს [19]. ფ. ბაღჩინიანი ერთგვარ პარალელს ავლებს შ. ნიშნიანიძეს და ტიუტჩევს შორის: „მისი ლირიკა ზომიერია და ღრმა... სხვა არცერთი პოეტი არ მაგონებს მრისხანე, ტრაგიკულ, და ამავედროულად, ჰეროიკულ, ნათელ ტალანტს ტიუტჩევისას, როგორც შ. ნიშნიანიძის პოეზია“ [20].

რ. მიშველაძე წიგნში „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“ განიხილავს შ. ნიშნიანიძის პოეზიას და მასში უპირველესად მიაჩნია მაღალპატრიოტული განწყობა, კრიტიციზმი და პოლემიკური პათოსი, ინტერნაციონალური მოტივები, სატრფიალო ლირიკა [21]. აპ. ცანავას მოსაზრებით, თანამედროვე ქართულ პოეზიაში მითოსური ასპექტების გამოყენებაში შ. ნიშნიანიძე ძალზე გამორჩეულია და სანიმუშო ადგილიც უკავია. ამ თვალსაზრისით მის უახლოეს წინაპრად ვაჟა-ფშაველა შეიძლება მივიჩნიოთ [22].

ა. ნიკოლეიშვილი წიგნში „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა“ წერს: „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში იგი პოეტური ხატწერით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შემოქმედია“. კრიტიკოსი ეხება პოეტის პუბლიცისტურ-მოქალაქეობრივ პათოსს და აღნიშნავს, რომ მისი მწერლური სამყაროს დახასიათების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ეპოქალურ მოვლენათა მოქალაქეობრივ-პუბლიცისტური თვალთახედვით აღქმა-წარმოსახვის ტენდენცია [23].

შ. ნიშნიანიძის შემოქმედებაზე ბევრი დაწერილა და დაიწერება კიდევ... მელნისა და რიტორიკის ტალღებში ცდილობენ და ეცდებიან პოეტის „გამიშვლებული სულის“ კონცეპტუალური საზრისის მოძებნას.

როგორც ვხედავთ შ. ნიშნიანიძის შემოქმედება არაერთი ქართველი ლიტერატორისა და კრიტიკოსის კვლევის საგნად ქცეულა. ეს ის პოეტია, რომელსაც ჩვენმა საზოგადოებამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ ღირსეული პატივი მიაგო. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ შ. ნიშნიანიძე პოეტური ხატწერით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შემოქმედია. მათ პოეტის შემოქმედებაში უპირველესად მიაჩნიათ ეროვნულ-პატრიოტული, სამოქალაქო-პუბლიცისტური, სატრფიალო ლირიკა, ინტერნაციონალური მოტივები და პოლემიკური პათოსი.

### ლიტერატურა:

1. მადრაძე ე., საკურთხეველთან, თბ., 1986, გვ. 736-756
2. დიალოგი პოეტთან, კომუნისტი, 1981, 28 მარტი, გვ. 4
3. არველაძე ს., ხმა, რომელიც არ ჰგავს სხვისას, ქუთაისი, 1962, 8 მაისი, გვ. 2
4. ღვინჯილია ჯ., შ. ნიშნიანიძის პოეზია, ლიტერატურული საქართველო, 1970, გვ. 3
5. ახოზაძე დ., მართალი პოეზია, ქუთაისი, 1971, 2 ივნისი, გვ. 4
6. ვართაგავა იპ., თანამედროვე ქართველი მწერლები, თბ., 1971, გვ. 45
7. ხუბუაშვილი გ., დრო და პოეტი, ცისკარი, 1971, №6, გვ. 119-123
8. ჯიბუტი ვ., შ. ნიშნიანიძის პოეზია, მნათობი, 1971, №12, გვ. 188-192
9. მიშველაძე რ., ეპოქის გზებით, თბ., 1976, გვ. 114-129
10. ნიკოლეიშვილი ა., მოთვინიერებული ცეცხლი, განთიადი, 1977, №4, გვ. 126-131
11. გვეტაძე მ., თანამედროვე ქართული პოეზიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 115
12. ალფინძე ვ., შტრიხები შ. ნიშნიანიძის პორტრეტისათვის, ცისკარი, 1982, № 9, გვ. 131-139

13. ციციშვილი გ., ჭეშმარიტი პოეზიის მადლი, კომუნისტი, 1983, 18 დეკემბერი, გვ.6
14. გაჩეჩილაძე გ., გზა სინთეტიზმისაკენ, ცისკარი, 1984, № 8, გვ. 119-129
15. ჟორდანიას აკ., მძაფრი მოქალაქეობრივი პათოსი, სოფლის ცხოვრება, 1984, 6 ნოემბერი, გვ.4
16. ჩხარტიშვილი რ. სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი, ლიტერატურული საქართველო, 1985, 22 მარტი, გვ. 3
17. ჭილაია ს., ჰეი ვინ მოდის მანდ მომავლიდან, კომუნისტი, 1989, 1 აპრილი, გვ. 3
18. ფეიქრიშვილი ი., მღელვარე ემოციით, მოქალაქეობრივი პათოსით; მნათობი, 1989, №4, გვ. 121-231
19. პაპუაშვილი გ., ბედაური სიტყვის ოსტატი, ლიტერატურული საქართველო, 1993, 29 მარტი, გვ. 5
20. ბაღჩინიანი ფ., შ. ნიშნიანიძის პოეტური სამყარო, ლიტერატურული საქართველო, 1994, 7 იანვარი, გვ. 5
21. მიშველაძე რ., უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1998, გვ. 215
22. ცანავა აკ., მე ვარ მისანი ხარი წიქარა, საქართველოს რესპუბლიკა, 1999, 1-2 ნოემბერი, გვ. 5
23. ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული მწერლობა, 2002, გვ. 546-552

## SHOTA NISHNIANIDZE'S POETRY IN THE GEORGIAN LITERARY CRITICISM

Lela Zakradze, Akaki Tsereteli State University, Teacher

### RESUME

The paper discusses Shota Nishnianidze's poetry presented in the Georgian literary criticism through the critical epistles published since 1950s up to the present day.

Critics perceive national-patriotic, civic-publicist, love lyrics, international motives and polemic pathos as a milestone of Nishnianidze's literary works.

Nishnianidze's verse is distinguished for its refined form, intention, musicality and true poetry.

## სიტყვის სემანტიკური კომპონენტების ცვლილების კულტურულ-ისტორიული ფაქტორები

თამილა ზვიადაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ყოველი ახალი ენა მუდმივად ვითარდება, მუდმივ მოძრაობაშია. საზოგადოებრივ ყოფაში წარმოქმნილ ინფორმაციას მოსდევს ლექსიკური ცვლილებები ენაში. მოლაპარაკისა და მსმენელის განკარგულებაში არის არა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, არამედ ცვლადი ენობრივი სისტემა. ლექსიკური მნიშვნელობა იცვლება კულტურულ – ისტორიული, ფსიქოლოგიური, შიდასისტემური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ლექსიკური მნიშვნელობების სახეცვლას განაპირობებს ამ უკანასკნელთა არამკაფიო საზღვრები და აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის მოძრავი კავშირი (თ. გამყრელიძე, 2008, 356); ლექსიკური სემანტიკის ცვალებადობის კვლევისას ფასეულია თითოეული ლექსიკური ერთეულის როგორც დენოტაციური, ისე კონოტაციური მნიშვნელობა. ლექსემა უნდა დახასიათდეს კონტექსტში რეალიზებული ფორმით. თუ გარკვეულ კონტექსტებში სიტყვის მნიშვნელობაში მომხდარი ცვლილებები დამკვიდრებულია ენაში, საქმე გვაქვს ლექსიკური მნიშვნელობის ცვლასთან, გარდაქმნასთან. ასეთი გარდაქმნის დროს ლექსემამ შეიძლება დაკარგოს ზოგიერთი სემანტიკური კომპონენტი და ახალი შეიძინოს. „მნიშვნელობათა დასადგენად საჭირო ხდება ამ ენაზე მოლაპარაკეთა კოლექტიური ცნობიერების ანალიზი – ანუ როგორი მნიშვნელობით იყენებენ ამ სიტყვას, როგორი ასოციაციებია დაკავშირებული ამ სიტყვით გამოხატულ ცნებასთან, როგორი იყო მისი არქეტიპული მნიშვნელობა, როგორ გამოიხატება მყარ სიტყვათშეხამებსა და ფრაზეოლოგიზმებში, აგრეთვე ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში“ (ც. ბარბაქაძე, 2009, 88). გასათვალისწინებელია სიტყვის ყველა შესაძლო ტრანსფორმაცია, რომელიც ერთი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობისგან არის განვითარებული.

ლექსიკის სემანტიკური ცვალებადობის პროცესზე თვალის გადევნება და სემანტიკური ასოციაციების თანამიმდევრული ხატის აღდგენა ხდება ლიტერატურული და საისტორიო წყაროების საშუალებით. სიტყვის კონცეპტუალური ველის კვლევის თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა ეპიგრაფიკულ ძეგლებზე დაკვირვებაც. ლაპიდარულ წარწერებში დადასტურებული ზოგიერთი სიტყვა თუ გამოთქმა განსხვავებული სემანტიკის მატარებელია. ან სრულად არის შეცვლილი, ან ნიუანსობრივად მაინც. ამოსავალი, რა თქმა უნდა, კონტექსტია, „მეტყველების აზრობრივად დასრულებული მონაკვეთი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მასში შემავალი სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობას, ან რომელიმე ლინგვისტური ფორმის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი მოხმარებით“ (ბ. ფოჩუა, 1974, 247).

ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის დროს ყურადღება ექცევა როგორც არქეოლოგიურ მონაცემებს, ასო-ნიშანთა მაჩვენებელ პალეოგრაფიულ ნიშნებს, ასევე ენობრივ თავისებურებებს. ამჯერად შევეხებით ნეკრესის წარწერას, რომელიც საინტერესოა ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისითაც.

ნეკრესის წარწერების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მეტად საინტერესო მოსაზრებები (ვგულისხმობთ ლ. ჭილაშვილის, ო. კახაძის, ზ. ჭუმბურიძის, ე. ფეიქრიშვილისა და სხვათა ნაშრომებს). მიჩნეულია, რომ ნეკრესის ნაქალაქარში ნაპოვნი ლაპიდარული წარწერები ერთ-ერთი ყველაზე ძველია აქამდე აღმოჩენილ წერილობით ძეგლებს შორის.

ნეკრესის ნაქალაქარი კახეთში, ყვარლის რაიონში მდებარეობს. მისი დაფუძნება უკავშირდება მეფე ფარნაჯომის სახელს (ძვ.წ. II ს). ლეონტი მროველის ცნობით: „ამან, ფარნაჯომ–მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება და ამართა ზადენსა და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი.“

ნეკრესი წარმოადგენდა ისტორიული ჰერეთისა და შემდგომ კახეთის ერთ-ერთ საყურადღებო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცენტრს. ნაქალაქარზე დადასტურებული წარწერები თავსდება საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოში – ძვ. წ. IV- ახ. წ. VI ს. სულ აღმოჩენილია ათი წარწერა, რომელთაგან ერთი ამოკაწრულია ქვევრის პირზე. იგი შედარებით გვიანდელია და თარიღდება ახ. წ. VI საუკუნით, დანარჩენი ფიქალ ქვებზეა, რომელთაც სტელების ფორმა აქვთ. სტელები წარწერებით, როგორც ლ. ჭილაშვილი აღნიშნავს, საფლავის ქვების დანიშნულებით გამოიყენებოდა.

წარწერა ქვევრის პირზე ასე იკითხება: „მ-ბ ესე ჭური მე... დავრგე“.

ყურადღებას იქცევს გამოთქმა „ჭურის დარგვა“, რაც თანამედროვე ქართულისათვის უცხოა. ამასთან სიტყვა „ჭური“ აღმოსავლეთ საქართველოში საღვინე ჭურჭლის აღსანიშნავად არ გამოიყენება. ჭური იგივეა, რაც ქვევრი (მიწაში დაფლული საღვინე ჭურჭელი). დღეს ისინი სინონიმებია. „ჭური“ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, „ქვევრი“ – აღმოსავლეთში, კერძოდ, კახეთში.

რა ვითარება გვექონდა ძველ ქართულში?

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით:

ზოგადი სახელი ყოველთა არს ჭურჭელი, ხოლო ესე ჭურჭელი განიყოფებან: იარაღად, გვარდაკად, ლანკანად, ჯამად, **საღვინედ**, წედად, სარწყულად, ზარდახზად, საწყავად, **ჭურად** ...საღვინე არს: სურა, საწდე, დასტი და მისთანანი, **ჭურნიცა** და წედანიცა **საღვინედ** ითქმის (ს. ს. ორბელიანი, 1993, 409);

ჭურს, როგორც საღვინე ჭურჭელს – ქვევრს – ასახელებს პროფ. ილია აბულაძე: ჭური – იარაღი, ჭურჭელი, **ქვევრი**, მოკაზმულობა (ი. აბულაძე, 1973, 120); სიტყვა გვხვდება ძველ სალიტერატურო ძეგლებში:

„ჩასუა **ჭურსა** შინა დიდსა“ („მამათა ცხოვრება“);

„ზოგჯერ **ტყბილისა ჭურისაებრ** გული აუღულდებოდა“ („ვისრამიანი“);

ამასვე ადასტურებს ურბნისის ნაქალაქარის გათხრებისას აღმოჩენილი წარწერა ქვევრის პირზე (VI ს.) აქ სამი ქართული ასოა გამოსახული: „ქ ჭ ე“. სავარაუდო წაკითხვაა: „ქრისტეს **ჭური** ესე.“ (ლ. ჭილაშვილი, 1964, 115);

სემანტიკურად თავსებადი ლექსემების მნიშვნელობებში საზიარო სემების არსებობის საფუძველზე გამოიყოფა ლექსემათა სინტაგმატური ჯგუფები. მნიშვნელობათა დაკონკრეტებაში დიდ როლს ასრულებენ სინტაგმატური ფაქტორები. ჭური, როგორც საღვინე ჭურჭელი, გულისხმობს ლექსემებს: დიდი, მოზრდილი, ღრმა, პატარა, მომცრო... ეს სემანტიკა სალექსიკონო მნიშვნელობებითაც გადმოიცემა. იმავე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, **ჭური** ეწოდების **ტყბილის საცავსა**, ხოლო ესე **ჭური**, **საცავი ტყბილისა**, განიყოფებან, რამეთუ დიდთა ეწოდების **ქვევრი** და მის შედეგსა – **ყვიბარი** და მისსა უმცროსსა – **ქოცო**, არამედ **ყოველივე ჭური არს** (ს. ს. ორბელიანი, 1993, 408); საბაზე დაყრდნობით განმარტავს სიტყვას პროფ. ნ. ჩუბინაშვილიც: „ჭური საკუთრივ ეწოდების ღვინის ჩასახმელს, რომელ არიან: ქვევრი, ქოცო, ხალანი, დერგი, ლაგვანი, ლაგვინარი და თხიერიცა“ (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 460);



ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც ღვინის შესანახ დიდი ზომის თიხის ჭურჭელს ჭური ჰქვია. ქვევრი კი უფრო მცირე მოცულობისაა, რომელიც შიგ ჩაუსვლელად, ზევიდან ირეცხება სარცხით (ქ. მოწინიძე, 1974, 403); ჭური დიდი ქვევრია, ორმოც ფუთზე მეტი ტევადობის. მისი გარეცხვა შიგ ჩაუსვლელად არ ხერხდება, ამიტომ ძველად ჭურს „ჩასავალსაც“ უწოდებდნენ (ც. კაკაბაძე, 1982, 63); ჭური რომ მოცულობით ყველაზე დიდია ამას ადასტურებს ფრაზეოლოგიური გამონათქვამი: „ჭურში ზის“ – არაფერი ესმის, არაფერი გაეგება.

მამასადამე, ძველი ქართულისათვის ჭური და ქვევრი სინონიმები არ არის. ჭური ზოგადი სახელია საღვინე ჭურჭლისა, ხოლო ქვევრი, ქოცო, ყვიბარი, ლაგვანი, ხალანი, დერგი... ტევადობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ნეკრესის წარწერა ადასტურებს, რომ ძველად სწორედ სიტყვა „ჭური“ იხმარებოდა მიწაში დაფლული საღვინე ჭურჭლის აღსანიშნავად როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში და მხოლოდ შემდეგ მოხდა სემანტიკური კომპონენტის ცვლილება. აღმოსავლეთ საქართველოში რომ გავრცელებული იყო ეს სიტყვა, ამას ადასტურებს მცენარის სახელწოდებაც – „ჭურა“, რომელიც კახეთში დასტურდება. სახელდების მოტივაცია ემყარება მსგავსებას: მცენარის ფორმა ჭურს წააგავს.

წარწერაში დადასტურებული მეორე სიტყვა – „**დარგვა**“ მოქმედების აღმნიშვნელია და თანამედროვე ქართულში უკავშირდება მცენარის (ჩვეულებრივ ფესვებიანი ძირით) **მიწაში ჩაფვლას**, ჩაყრას (ქეგლ, 1953, 629);

ძველი ქართული ენის ლექსიკონებშიც „დარგვა“, „რგვა“ მხოლოდ მცენარესთან იხმარება: დარგვა – დანერგვა: „ხმ ზედადს ზედა აღმოფხურა დარგვითა ძირთა ვერ განიგებს“ (მ. ცხ. 202);

დარგვა – დარგული: „მოქმედება მათდა არს არა დარგვად ხისაჲ, არამედ აღმოფხურაჲ კეთილად დარგულისაჲ“ (პავლეს ეპისტოლეთა თარგმანები);

რაც შეეხება დიალექტის მონაცემებს, დასავლურ კილოებში, კერძოდ, იმერულში „დარგვა“ შეიძლება სხვა კონტექსტშიც შეგვხვდეს (ძირითადად გადატანითი მიშვნელობით, როცა უკავშირდება მიცვალებულის მიწაში ჩაფვლას, დასაფლავებას, დამარხვას). სავარაუდებელია, რომ ძველ ქართულში დარგვა – დაფლა – დამარხვა სინონიმები უნდა ყოფილიყო. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ქართველური ენების (სვანური, ზანური) მონაცემები. სვანურში მცენარის მიწაში ჩაფვლას დამარხვას უწოდებენ: „ქართოფილ–ქართუეფილ ლელიუნთდ ხოშას სკოდი ფათგისგა ოშულ“: **კარტოფილი** საზამთროდ ღრმა ორმოში **დაგმარხე**;

სვანურში ჭურს კეცს უწოდებენ, ზანურში – ლაგვანს. ლაგვანი, საბას მიხედვით არის „პატარა ჭური, პირფართო ჭურჭელი, დიდი ქილა; ლექსიკონში დამოწმებულია მარკოზის სახარების ერთ–ერთი თავი, სადაც იკითხება: „ლაგვანითა წყალი ზე ედგა (მარკ. 14, 13); სიტყვა არაერთხელ გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებშიც: „დავდგი ლაგვნები, სავსეი ღვინითა (იერემია, 35, 5 ჟ); „ლაგვანი, სავსეი ზედაშითა (სინ–11,318რ)ეს სიტყვა მცირე ფონეტიკური ცვლილებებით (ლაგინა) დღემდე დაცულია გურულ დიალექტში (ქ. ნიკოლაიშვილი, 1998, 204) – აღნიშნავს პატარა დოქს.

სამეგრელოსა და სვანეთში არ ამბობენ „ლაგვანი (ჭური, ქვევრი) ჩავდგი (ჩავაგდე), როგორც ეს თანამედროვე ქართული ენისა და მისი დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი, მათთვის ჭურის ჩადგმა დამარხვაა, დაფლა, დარგვა: „ლაგვანი დივთხორით“// „კეც ოშდულ“;

როგორც ჩანს, „დარგვა“ ძველ ქართულში ზოგადად რისამე მიწაში დაფვლას ნიშნავდა და არ იყო დაკავშირებული მხოლოდ მცენარესთან, როგორც ეს გვაქვს დღეს. დაფლა, დამარხვა, დარგვა კი მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებად, სინონიმებად მოიაზრებოდა.

ლექსიკურ ერთეულთა მრავალფეროვნების მიზეზი თვით ქართველურ ტომთა მსოფლმხედველობა და წარმოდგენებია. „ენა ვერ ეგუება შტამპს... მნიშვნელობა არასოდეს არ ქმნის ჩაკეტილ სისტემას, რამდენადაც ნიშანთა სამყარო კომუნიკაციის პროცესში მუდმივ მოძრაობაშია“ (ც. ბარბაქაძე, 2009, 88) ამ გზით ენა ინარჩუნებს მოქნილობას და იმის შესაძლებლობას, რომ მიაღწიოს მაქსიმალურ გამომხატველობას.

#### **ლიტერატურა:**

1. თ. გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2008;
2. ც. ბარბაქაძე, პოეზიის სემიოტიკა, თბ., 2009;
3. ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974;
4. ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004;
5. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1984;
6. ო. კახაძე, ნეკრესის წარწერა – მხოლოდ თავსატეხი თუ?: გაზეთი „განათლება“, №7, 1995, V;
7. ზ. ჭუმბურიძე, ნეკრესის წარწერების გამო, „მწიგნობარი“, თბ., 2001;

8. ჟ. ფეიქრიშვილი, ნეკრესის წარწერის მნიშვნელობა ქართულ წერილობით ტრადიციაში, ეტიმოლოგიური ძიებანი, ქუთაისი, 2005;
9. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II, 1993;
10. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ტ. მე-2, თბ., 1961;
11. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973;
12. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974;
13. ც. კაკაბაძე, შროშული კერამიკა, თბ., 1982;
14. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1953;
15. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი თბ., 1995;
16. ე. ნიკოლაიშვილი, არქაული ლექსიკის კვალი გურულში: ქართველური მემკვიდრეობა, 2, ქუთაისი, 1998.

**CULTURAL- HISTORIKAL FACTORST OF WORD S SEMANTIC-COMPOSITION CHANGE**  
**Tamila Zviadadze, Sokhumi State University, Associate Professor**  
**RESUME**

The archaeological excavations of 1986-2003 in Nekresi exposed three strata of different functions and character. The oldest stratum is the third one which belongs to the 4-6th centuries and represents a small wine cellar and ruined graves. It was the wery place where the stones with inscriptions were found. In all there were discovered ten inscriptions one of which is carved on a wine-jar. It is comparatively late and dates A.D.6ch century. This Nekresi inscription is interesting from the scientific point of view. The inscription reads as follows: „M-B I have planted this churi (= this wine jar)”.The phrase „I have planted this churi” is worthy of attention because it is not typical of Modern Georgian. The article gives a Lexico- semantic analysis of the words constituting the phrase. In Modern Georgian the words „quevri” and „churi” are synonyms. „Quevri” is used in Kakheti, Eastern Georgia , whereas „churi” preferable in Western Georgia. The actional verb „to plant” is used in reference to plants meaning „to bury with the roots in the ground”. According to the materials of Old Georgian, fhe Kartvelian languages and the dialects „churi” and „quevri” are not absolute synonyms. „Churi” is of a larger volume than „quevri”, and „to plant” has the same meaning as „to bury”, „to inter“ or „to sink“. Thus, the phrase used in the inscription is quite normal for the Old Georgian Language.

**ვენახის (ვაზის) ქრისტიანულ-მითოლოგიური სახისმეტყველება**

**მირანდა თოდუა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**  
**ნონა ქეცაია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი**

**ვენახი** საერთოქართველური ლექსიკური ერთეულია. აღდგენილია არქეტიპიც- \***უენაჟ**. ქართულ **ვენაჟ**- ძირს შეესატყვისება მეგრული **ბინეხ**- და ლაზური **ბინეხ** (საერთოზანური \***ბინაჟ**-). \***უენახ**- ქართულ-ზანურ დონეზე ინდოევროპულიდან ჩანს ნასესხები.<sup>1</sup>

საქართველოში ვენახის მოვლის უძველესი ტრადიცია არსებობს, რასაც მდიდარი არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. ვენახსა და ვენახის სამუშაოებს ქართველი კაცისთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სოფლის მეურნეობის სხვა ნებისმიერ საქმიანობას. მევენახეობაში ყველაზე დიდ დღესასწაულად რთველი ითვლებოდა. წარმატებული რთველი ოჯახის კეთილდღეობისა და ბარაქიანობის განმსაზღვრელად ითვლებოდა, ამიტომ ოჯახი ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. რთველის დამთავრების დროს ვენახში ლამაზსა და ჯანსაღ ქალს გადააგორებდნენ ბარაქიანი წლის დაბედებისთვის. ამ პროცესს ენაცვლებოდა დიდი საზეიმო სუფრა თანმხლები შრომის სიმღერებით.

არსებობს უძველესი დროიდან დღემდე შემონახული შეხედულება, რომ ზოგიერთი ჯიშის ყურძენზე „დანა არ მიიტანება“, მაგალითად, საფერავი საზიარებელი ყურძენია, მისგან დაწურული

<sup>1</sup> ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 198

ღვინო ქრისტიანულ ლიტურგიაში გამოიყენება, ამიტომ იგი საკრალურად იყო მიჩნეული და მისი დანით შეხება იკრძალებოდა.

ვაზსა და მასთან დაკავშირებულ ტერმინებს საკმაოდ ბევრი სარიტუალო ქმედება უკავშირდებოდა. იტალიელი კათოლიკე მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის, ცნობით, დასავლეთ საქართველოში არცთუ იშვიათად იმართებოდა ქორწილი მარანში, ხოლო ფრანგი მოგზაური შარდენი მარანში ბავშვთა ნათლობის წესსაც ადასტურებს. გურიის სოფლებში დღემდე შემორჩა რიტუალური დღესასწაული კალანდობა, რომელიც მარანში სრულდებოდა. რიტუალური იყო ვენახისთვის ახალი წლის მილოცვა, დიდ ხუთშაბათს ასკილისა და თელის ტოტებით ვენახის მორთვა. საინტერესოა ღვინის ზედამის შეწირვის ფაქტიც. ესაა წარმართული უძველესი წესი, რომელშიც აშკარადაა გამოხატული ღვინის კულტი, ზედაშე ანუ საეკლესიო ღვინო ეკლესიასა და ხატს ეწირებოდა ავადმყოფობისაგან თავის დახსნის, მფარველობის გამრავლებისა და ბარაქიანობის მონიჭების მიზნით.<sup>1</sup>

ღვინოს ვაზის სისხლს უწოდებენ ხალხში. ის ერთსა და იმავე დროს მსხვერპლიცაა და ნაყოფიც. არც ერთი კულტურული მცენარე, რომელიც კი ადამიანს „მოუშინაურებია“, ისეთ პატივს, სიყვარულსა და მოკრძალებას არ იმსახურებს, როგორც ვაზი. ბიბლიაში ის ნაყოფიერ ცოლთან არის შედარებული. ის სიუხვის განსახიერებაა, დოვლათით ავსებს სახლს, მაგრამ ქართველი მევენახისთვის ის უფრო შვილია, რომელზეც დიდი ამაგი აქვს გაწეული. „ვაზო, შვილივით ნაზარდოო, - ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი“<sup>2</sup>.

ვაზსა და ღვინოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ მითოლოგიაში. აი, რას გვეუბნება ერთი ხალხური საწესჩვეულებო ლექსი:

„წმინდა გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულიყო,  
წვერში დაუსხამ ყურძენი, საჭმელად შემოსულიყო,  
მისი უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულიყო.“

ქართული მითოლოგიური წარმოდგენით, ალვის ხე სამოთხეში დარგული სიცოცხლის ხეა. ხალხური ლექსის თანახმად, იგი წვერში ისხამს ყურძენს, რომელიც ყოველგვარი უბედურებისგან იცავს ადამიანს. აქ მითოლოგიურად არის გადმოცემული ქრისტიანული რელიგიის მთავარი საიდუმლო - ზიარება. წმინდა გიორგის კარი ეკლესიაა, ალვად ამოსული ხე - საღვთო ლიტურგია, ყურძენი - ქრისტეს სისხლი, მისი უჭმელი ანუ უზიარებელი ქალ-ვაჟი - ევა და ადამი.<sup>3</sup>

საქართველოში ღვინისა და ვაზის კულტი ყოველთვის ერთიანობაში მოიაზრებოდა. მითოლოგიური წარმოდგენით, როცა ჩვენში უმთავრესი ღმერთი მზე გახდა, მცენარეთაგან მას ყველაზე ახლობლად ვაზი მიუჩნევია, რადგან ვაზი ყველაზე მეტად შეიწოვდა მზის ძალას. რომელიც შემდგომ ღვინოში გადადიოდა და ათრობდა ადამიანს. ეს იყო მზისგან მონიჭებული სიყვარულის ძალა, რომელსაც მტევანიცა და ვაზის ტანიც ქალური სიყვარულით განიცდიდნენ. ამ ძალით იყო დაგრებილი ვაზი და ამავე ძალით ეტმასნებოდა ჭიგოს, რაშიც მზიური სილამაზე აღიქმებოდა. ამიტომაც დაამსგავსეს ვაზის მიმოხრას ქართული ჩუქურთმა, ჩუქურთმაში ვაზის სილამაზე ჩააწნეს, ვაზი, ღვინო და ქართული ჩუქურთმა მზის ძალითაა გამსჭვალული.

ქართული ჩუქურთმის მთავარი ხაზი ვაზის მიმოხრას გვაგონებს, ვაზისეული ხაზებია გამოკვეთილი უძველეს ქართულ ასოებში, ქართულ ორნამენტებში ვაზის ფოთლები და მტევნებია გამოსახული, ვაზის ჯვრით შემოვიდა წმინდა ნინო საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად, მას უნდა სცოდნოდა, რომ ვაზს ქართველები ოდითგანვე აღმერთებდნენ, ისინი არ იცნობდნენ ქრისტიანობას, მაგრამ ცნობდნენ ვაზის ძალას, ვაზის კულტს, ამიტომ ქართველები ვაზის კულტს უფრო ირწმუნებდნენ.<sup>4</sup>

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ვაზი ნაყოფიერების სიმბოლოა. საყოველთაოდ ცნობილია ვაზისა და ღვინის მნიშვნელობა დიონისეს მისტერიებში. იმ ქვეყნებში კი, რომელთა მოსახლეობამ შექმნა მეღვინეობის კულტურა, სიუხვისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ ყანწია მიღებული.<sup>5</sup> შეუცვლელია ღვინის მნიშვნელობა იუდეველთა რიტუალებში, რომლებიც ეფუძნება სიმბოლურ კავშირს ვენახსა და რჩეული ერის ღვთიურ კურთხევასთან.

ქრისტიანული სიმბოლოზში უფრო სპეციფიკურია. ვენახის მოტივი ფართოდ გამოიყენებოდა ქრისტიანულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში. ყურძნის წნული სიმბოლოა ხსნისა, დაკრძალვით რიტუალებში, კრავი კუნელისა და ვენახის გარემოცვაში ქრისტეს ასახავს. ასევე ის იყო ტრადიციული

<sup>1</sup> ელდარ ნადირაძე, ეთნოგრაფიული მიმოხილვა, თბილისი, ვაზი-სიცოცხლის ხე, კრებული, 2010, გვ. 35

<sup>2</sup> ზურაბ კიკნაძე, ვაზი და ღვინი ხალხურ სიტყვიერებაში, ვაზი - სიცოცხლის ხე. კრებული, თბ., 2010, გვ. 47

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> რევაზ სირაძე, ვაზი და ღვინო ქართულ მწერლობაში, ვაზი-სიცოცხლის ხე, კრებული, თბ., 2010, გვ. 61

<sup>5</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 62

ემბლემა სტუმართმოყვარეობისა, ახალგაზრდობისა, ოქროს ხანისა, შემოდგომის გულუხვობისა. ქრისტიანულ სამყაროში ვენახი იქცა სულიერ სიმბოლოდ განახლებისა, ხოლო ღვთისმსახურებაში ღვინო ქრისტეს სისხლად მოიაზრება.

სასულიერო მწერლობაში ვენახის სიმბოლო ბიბლიიდან შემოდის. ძველ აღთქმაში ის სიმბოლოა მიწის ნაყოფიერებისა, რომელიც სიცოცხლის ხეს უტოლდება. „დაბადების“ მიხედვით, ვაზი იყო პირველი მცენარე, რომელიც წარღვნის შემდეგ ნოემ დარგო: „დაიწყო მიწის მუშაკობა და გააშენა ვენახი“ (დაბ. 9,20). ასევე ის გვევლინება პირველ ნიშნად იმისა, რომ ებრაელებმა მიაღწიეს აღთქმულ მიწას. უფლის ბრძანებით, მოსემ რამდენიმე კაცი გააგზავნა იმ ქვეყნის დასაზვერად, რომელიც მათ ღმერთმა აღუთქვა, მათაც ნიშნად იმ მიწის ნაყოფი უნდა მოეტანათ. სწორედ ის დრო იყო, როცა ყურძენი მწიფდა. მზვერავებმა მოჭრეს ვაზი თავისი მტევნებითურთ და კეტით წამოიღეს, ხოლო იმ ადგილს უწოდეს ეშქოლის (მტევნის ხე), იმ მტევნის გამო, რომელიც იქ მოჭრეს. ხშირად ვენახის სიმბოლოს ალეგორიული მნიშვნელობით ვხვდებით, როგორც მაგ., შესაქმის წიგნში მწდეთუხუცესის წინასწარმეტყველურ სიზმარში (დაბ., 40,10).

სასულიერო მწერლობაში ვენახი არის სიმბოლო ღვთისა, ღვთისმშობლისა და წმინდა მამათა. ჰიმნოგრაფიაში ვენახის ქრისტეს სიმბოლოდ გამოყენება პირდაპირი გამოძახილია მაცხოვრის სიტყვებისა: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამა ჩემი მოქმედ არს“ (იოანე 15,1).

ჰიმნოგრაფიაში ვენახს ქრისტეს სახელდებად სხვადასხვა ვარიაციით ვხვდებით. იესო არის ვენახი, რომელიც „ჯვარზე იწინა“, როგორც იოანე მტბევარი გალობს, „რამეთუ სასუმელი ვენახისა მის, რომელი იწინა ჯუარსა ზედა“.<sup>1</sup> (იოანე მტბევარი, გვ. 121). მაცხოვარი ცხოვრების ვენახადაც მოიაზრება. აღსანიშნავია, რომ ქართველი კაცი უძველეს ხანაში, წარმართობის პერიოდში ვენახს „სიცოცხლის ხედ“ ნათლავდა, ღვთისმეტყველებაში კი „ხე ცხოვრებისა“ ღვთის სიმბოლოდ მოიაზრებოდა.<sup>2</sup>

„ჰურიათა ერმან უვარ-გყვეს შენ, შემოქმედი თვისი,  
ხოლო წარმართთა ერმან ღმრთად აღვიარეთ  
და მათ ვენახი ცხოვრებისაი ჯუარს გაცუეს“ (იოანე მინჩხი, გვ. 273).

ქრისტეს სახელად ტევანსაც ვხვდებით. ის არის ტევანი ჭეშმარიტი, ტევანი სამეუფო ვენახისა, ტევანი ტკბილი... „აჰა, ესერა ქუეყანისგან მისგან სიწმინდისა აღმოსცენდა დაუთესველად საზრდელი სულიერი და სამეუფო ვენახისგან მოვისთულეთ ტევანი, მომწყდართა განმაცხოვრებელი“ (იოვანე მტბევარი, გვ. 98).

ვენახი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ღვთისმშობლის სიმბოლოცაა. დედა-ქალწული იწოდება ვენახად სამეუფოდ, ვენახად გონიერად.

„ღვთისმშობელსა ვადიდებდეთ -  
მშობელსა და ქალწულსა,  
დედასა მეუფისასა,  
ვენახსა გონიერსა“ (იოანე მინჩხი, გვ. 160).

ვენახი ღვთისმშობლის სიმბოლოდ იოანე დამასკელისა და ანდრია კრიტელის ღვთისმშობლის საკითხავებშიც გვხვდება, ასევე დასტურდება ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობაში“:

„ვეელმოანსა შინა ვენახად წმიდად,  
სოდომონისა სიბრძნისა გამომღებლად,  
რომლის ნაყოფი არს ათასისა ვერცლის“.<sup>3</sup>

ღვთისმშობლის ვენახად მოხსენიებას ზოგადად საერთო ქრისტიანული ტრადიცია უდევს საფუძვლად და არა მხოლოდ ქართული, რასაც ადასტურებს ძლისპირთა კრებულები და პარაკლტონები, რომლებიც ბერძნულიდანაა თარგმნილი.

აქვე შეუძლებელია არ გავიხსენოთ დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახი“, სადაც მარგალიტებივით ერთ ძაფზეა ასხმული ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოები და იძლევა მელოდიურობისა და ჰარმონიულობის საოცარ შეგრძნებას. მეფე-პოეტი ღვთისმშობელს წარმოგვიდგენს ახლად აყვავებულ ვენახად, რომელიც ედემშია დანერგილი.

სასულიერო პოეზიაში ვენახი ქრისტიანობის, მორწმუნეთა სიმბოლოდაც გვხვდება: „მოჰხედე, მხსნელო, ვენახსა ამას შენსა“ (იოანე მინჩხი, გვ. 304). ვაზი, ვენახი წმინდა მამათა სიმბოლოცაა. „ვითარცა

<sup>1</sup> X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა პოეზიიდან ნიმუშები მოგვაქვს - პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტფ., 1913. ხოლო იოანე მინჩხისა - იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ, თბ., 1987. ქვემოთ ტექსტშივე მივუთითებთ მხოლოდ ავტორებსა და გვერდებს.

<sup>2</sup> ტ. მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995, გვ. 36.

<sup>3</sup> ანტონ ბაგრატიონი, „წყობილსიტყვაობა“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980, გვ. 155.

შუენიერმან ვაზმან, შესწირენ ღმრთისა ტევანნი სულიერნი, კრებულნი მოწამეთა, ქრისტეს მკედართა და აღმოგვიცენე მღვდელმოდღარი კლიმი“ (იოვანე მტბევარი, გვ. 121). წმინდა მამათა სიმბოლოდ ვხვდებით ქრისტეს ვენახში აღმოცენებულ ვაზს, ვენახის რტოს, ხოლო მოწამეთა გუნდისა რქამშვენიერი ვაზის ტევანს. „რტოდ ვენაჯისა საღმრთოსა გამოშჩნდი შენ ბასილი, სათნოვებისა ტევანნი გამოიხუენ მამაო და ღვინოჲ გულისხმისყოფისაჲ ასუ სამწყსოთა ქრისტესა ყოვლად ნეტარი“ (იოვანე მტბევარი, გვ.101).

სასულიერო მწერლობისთვის უცხო არ არის მოწამეთა თუ წმინდა მამათა დასახვა ქრისტეს ვენახის მუშაკად. ერთ-ერთ საგალობელში ექვთიმე ათონელი შედარებულია ვენახის მუშაკთან, რომელმაც მთელი დღის სიმძიმე იტვირთა: „მონაო სახიერო და სარწმუნოო მუშაკო ქრისტეს ვენაჯისაო, რამეთუ შენ სიმძიმე დღისაჲ იტვირთე, ღირსო“ (იოვანე მტბევარი, გვ. 119).

ქართველი ჰაგიოგრაფები წმინდა მამებსა და მოწამეებს ქრისტეს ვენახის მუშაკებად წარმოგვიდგენდნენ, ხანაც „მეთერთმეტე ჟამის მუშაკებად“ მოიხსენებენ, რაც სათავეს ბიბლიიდან იღებს (მათე 20,1-16). ასე მაგალითად, გარდაცვალების წინ შუშანიკ დედოფალი ეპისკოპოს აფოცს „შეჰვედრებდა ნემტთა მათ ძულთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაჲცა იგი პირველად გამოათრიეს და ეტყოდა: „უკუეთუ ღირს რაიმე ვარ უკანასკნელი ესე მეთერთმეტე მოქმედი ვენაჯისაჲ, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა“.<sup>1</sup>

„აბოს წამებაში“ ვკითხულობთ: „გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ უკანასკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისა მეთერთმეტისა ჟამისა მდღევართა მათ თანა აღმსოობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი“.<sup>2</sup>

ბასილი ზარზმელი სერაპიონ ზარზმელსა და მის თანამოაზრეებს ქრისტეს ვენახის საღმრთო მუშაკებს უწოდებს: „კეთილად მოხვედით, საღმრთონო მუშაკნო ქრისტეს ვენაჯისაო, რამეთუ ბრძანებულ არს, რათა ადგილსა ამათ თქუენ მიერ აღემენოს მონასტერი“.<sup>3</sup>

გიორგი მცირეც გიორგი მთაწმინდელს ქართული საქრისტიანო ლიტერატურისთვის გაწეული ფასდაუდებელი ამაგის გამო ქრისტეს ვენახში მომუშავე მუშაკს უწოდებს: „ჰე, ჭემმარიტად დაიძინა ზიარმან მამამან ჩუენმან, რომელსა იგი ფრად უყვარდით ჩუენ და გვწყალობდა, ვითარცა შვილთა ჭემმარიტა, ვითარცა მოქმედთა ქრისტეს ვენახისათა, ვითარცა ძეთა მორჩილებისათა“.<sup>4</sup>

გიორგი მერჩულე ხანძთის ახალბედა მშენებლების ღირსებას ასე წარმოაჩენს: „რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეთერთმეტისა ჟამისნი მოქმედად ჭემმარიტსა მას ვენახსა და თანაზიარ იქნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილეთ წმიდათა მოწამეთა“.<sup>5</sup>

ვენახის სიმბოლიკას უკავშირდება „რქისა“ და „რტოს“ მეტაფორის საკითხიც. ბიბლიის მიხედვით, რქა სიძლიერის ნიშანია: „და აღმიდგინა ჩუენ რქა ცხოვრებისა შორის სახლსა მას დავითის“ (ლუკა 1,69). ამავე მნიშვნელობით ვხვდებით ჰიმნებშიც: „ღმერთმან მხოლომან აღამალა რქაჲ შენი, ღირსო თევდოსი“ (იოანე მინჩხი, გვ. 311). სასულიერო პოეზიაში „რქა“ მაცხოვრის სიმბოლოა: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან აღმოგვიცენა ჩუენ რქაჲ ცხოვრებისაჲ“ (მიქაელ მოდრეკილი, გვ. 194). „ქრისტეს ვენახში აღმოცენებულნი“ წმინდა მამები „რქაშუენიერ ვაზად“ მოიხსენიებიან: „ჭემმარიტი ვაზი რქაშუენიერი, ქრისტეს ვენაჯსა აღმოსცენდი კლიმი“ (იოანე მტბევარი, გვ. 127). ასევე იწოდებიან ვენახის რტოებად: „რტოდ ვენაჯისა საღმრთოსა გამოშჩნდი შენ ბასილი“ (იოანე მტბევარი, გვ. 101), ჰიმნოგრაფები წმინდა მამათა ღვაწლს ნაყოფიერ რტოდ წარმოგვიდგენენ: „გამოიხუენ შენ რტონი ყოვლად ნაყოფიერნი და ღმრთისა შესწირენ“ (იოანე მტბევარი, გვ. 117).

ჯვარცმული მაცხოვრის სისხლი ღვინოსთან ასოცირდება, რაც დასაბამს საიდუმლო სერობიდან იღებს, სადაც იესო პურსა და ღვინოს საკუთარ ხორცთან და სისხლთან აიგივებს: „და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოილო იესო პური, და ჰმადლობდა და განტეხა, და მისცა მოწაფეთა თჯსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჯორცი ჩემი, და მოილო სასუმელი, და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათჯს დათხეული მისატევებლად ცოდვათა“ (მათე 26, 26-28). ღვინოდ სარწმუნოებასთან ზიარებაც და წმინდა მამათა ქადაგებაც მოიაზრება. „ღვინოჲ გულისხმისყოფისაჲ ასუ სამწყსოთა ქრისტესაჲ ყოვლად ნეტარო“ (იოანე მტბევარი, გვ. 101), მაცხოვრის სისხლი უკვდავების სასმელია: „განჰბანე უბრწენილთ გუერდით შენით წყაროითა მით განმაცხოველებელითა სისხლისა და წყლისაჲთა, რომლითაც ადავსე სულთა ჩუენთა წყურვილი სახიერებით და მოგუანაიჭე, მკსნელო სასუმელი უკუდავებისაჲ“ (იოანე მტბევარი, გვ. 149). სასმელში

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978, გვ. 37

<sup>2</sup> იქვე, გვ. 82

<sup>3</sup> იქვე, გვ. 113

<sup>4</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 336

<sup>5</sup> იქვე, გვ. 289

იგულისხმება ქრისტეს ხვედრიც, მისი ვნება, ტანჯვა-წამება კაცთა ხსნისთვის. მათეს სახარებაში იესოს ლოცვას ვეცნობით: „მამაო ჩემო, უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანა-წარსვლად ჩემდა, რათამცა არა შევსვ იგი, იყავნ ნება შენი“ (მათე 26, 42). ჰიმნოგრაფი მოგვიწოდებს ქრისტესთან ერთად ვეცვათ ჯვარს, ჯვარზე გავაკრათ ხორციელი უკეთურობანი:

„ჯუარს-ვეცუნეთ მის თანა  
და მოვილოთ სასუმელი იგი,  
რომელი მიიღო ჩუენთს  
მესნელმან ჯუარსა ზედა“ (იოანე მინჩხი, გვ. 152).

როგორც ვხედავთ, ვენახის სიმბოლიკა უძველესია. ქრისტიანულ მწერლობაში მას ბიბლიური წიგნები ესაძირკვლება. ქართულ სასულიერო მწერლობაში ეს სიმბოლო დასტურდება არა მხოლოდ მოგვიანო ხანის ძეგლებში, არამედ ჩვენამდე მოღწეულ პირველივე თხზულებაში, იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამებაში“. ჰიმნოგრაფიაში და საერთოდ, ქართულ კულტურაში ვენახის სიმბოლიკის პოპულარობა უდავოდ განსაკუთრებულია. რაც შეეხება სასულიერო პოეზიას, ვენახი თანაბრად მიემართება როგორც ქრისტეს, ასევე ღვთისმშობელსა და წმინდა მამებს.

#### ლიტერატურა:

1. ანტონ ბაგრატიონი, „წყობილსიტყვაობა“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1980;
2. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტფ., 1913;
3. იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ, თბ., 1987;
4. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1978;
5. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971;
6. ზურაბ კვიციანი, ვაზი და ღვინო ხალხურ სიტყვიერებაში, ვაზი - სიცოცხლის ხე. კრებული, თბ., 2010;
7. ტ. მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995;
8. ელდარ ნადირაძე, ეთნოგრაფიული მიმოხილვა, თბილისი, ვაზი - სიცოცხლის ხე, კრებული, თბ., 2010;
9. რევაზ სირაძე, ვაზი და ღვინო ქართულ მწერლობაში, ვაზი - სიცოცხლის ხე, კრებული, თბ., 2010;
10. ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

## CHRISTIAN-MYTHOLOGICAL TOPOLOGY OF THE “VINEYARD” AND THE “VINE”

**Minarda Todua**, Sokhumi State University, Associate Professor

**Nona Ketsbaia**, Sokhumi State University, Assistant Professor

### RESUME

Wine and Vine was always worshiped as a whole in Georgia. A mythological image is when the Sun became the superior God, the closest from all the plants to it was considered the Vine. The main line of Georgian ornament reminds us of a Vine bent manner, Vine-like lines are expressed in ancient Georgian letters, in Georgian ornaments are displayed the leaves and brunches of a grape. Saint Nino entered Georgia with a crucifix made of a Vine branch in her hand.

Christian Symbolism is more specific. Vineyard motive was widely used in Christian art and architecture. The grape plexus is a symbol of deliverance in the funeral rituals, a lamb surrounded by the whitethorn and the vine expresses Christ.

The ancient symbolic of a Vine in Christian literature rise from Biblical Books. In Georgian Church literature this symbol is confirmed not only in the later period monuments, but also in the very first novels survived to our day. As for the hagiography the Vine equally heads as to express as the Christ also the Virgin and Holy Fathers.

## ნერსე ერისთავის სახე ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში

ანა იმნაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

VII –VIII საუკუნეები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი ხანაა, ქართველი და სომეხი ისტორიკოსები გვაწვდიან ინფორმაციას არაბი დამპყრობლების მიერ ამ რეგიონის მოხრების და ქვეყნის მართვა-გამგეობაში შეტანილი ცვლილებების შესახებ

ჩვენი ინტერესი მიიქცია ამ პერიოდის ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა და ამავე დროს ნაკლებად შესწავლილმა ისტორიულმა ფიგურამ, ნერსე ერისთავმა. ისტორიკოსები დიდ ადგილს არ უთმობენ ნერსე ერისთავის ღვაწლს და ბრძოლას, ძირითადი ინფორმაცია კი ლიტერატურული ტექსტიდან გვაქვს, ესაა იოანე საბანისძის „წამბაი წმისდისა ჰაბოისი“. და ასევე გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაი“. რატომღაც ისტორიკოსები ძალზე მწირ ინფორმაციას გვაწვდიან ნერსე ერისთავის შესახებ. მაგრამ ის ფაქტი, რომ VIII-X საუკუნეების ორი ლიტერატურული ძეგლი არაერთმნიშვნელოვნად ტრიალებს ნერსე ერისთავის გარშემო გვაფიქრებინებს, რომ სწორედ ეს ფიგურაა, განსაკუთრებით იოანე საბანისძის, თხზულების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეორე ტომი, რომელშიც ფართოდაა განხილული არაბთა შემოსევები და შედეგები, რამდენჯერმე იხსენიება ნერსე ერისთავი. როგორც ისტორიული პირი, **ნერსე II**, ქართლის ერისმთავარი VIII საუკუნის II ნახევარში (781-მდე) ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრის ძე. 772 ნერსე II ხალიფა მანსურმა ანტიარაბული საქმიანობისათვის ბაღდადში გაიწვია და საპრობილეში ჩასვა.

ხალიფა მაჰდიმ (775-785) გამეფებისთანავე გაათავისუფლა ნერსე II და იმავე პატივით ქართლში გამოისტუმრა. 5 წლის შემდეგ ნერსე II კვლავ შეებრძოლა არაბებს, შემდეგ თავისი მხლებლებით ხაზარებთან გაიქცა (დარიალის გზით), რადგან მათი დახმარების იმედი ჰქონდა. ხაზართა ხაკანმა ნერსე II პატივისცემით მიიღო, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე, ჩანს, უარი უთხრა. ნერსე II დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) გადავიდა, სადაც წინასწარ ჰყავდა ცოლ-შვილი გახიზნული. აქ მან შეიტყო, რომ ხალიფას ქართლის ერისმთავრად მისი დისწული სტეფანოზ გურგენის ძე დაენიშნა. ნერსე II-მ ამირასაგან ქართლში დაბრუნების ნებართვა და უშიშროების გარანტია ითხოვა. ხაზარებისაგან მიტოვებული ნერსე II არაბებისათვის საშიში აღარ იყო და, როგორც კერძო პირი, ქართლში დაბრუნდა.

რაც შეეხებათ არაბებს, ახალ სახელმწიფოსა და რელიგიას, როგორც ვიცით, მეშვიდე საუკუნის პირველ მესამედში არაბეთის ნახევარკუნძულზე საფუძველი ჩაეყარა არაბულ სახელმწიფოს, რომლის მეთაური იყო მაჰდი, ანუ მაჰმადი. მის სახელს უკავშირდება არაბებში ახალი სარწმუნოების გავრცელებაც, რომელსაც „ისლამი“ ეწოდება. ხალიფების დროს არაბების სახელმწიფო ანუ ხალიფატი არაჩვეულებრივად სწრაფად გაიზარდა. მათი პირველი დაპყრობითი ომები ძირითად მიზნად ისახავდა არა ურწმუნოთა მოქცევას ისლამის სარწმუნოებაზე, არამედ სახალიფოს გაფართოებას, ხარკსა და ნადავლს. 640 წლიდან არაბები უკვე კავკასიაშიც გამოჩნდნენ, კერძოდ სომხეთში და დედაქალაქი დვინი დაიპყრეს. შემდეგ ქართლი, მაგრამ მარბიელი ლაშქარი ქართულმა ჯარმა ადვილად მოიგერია, თუმცა 50-იან წლებში არაბებმა ქართლში უკვე მკვიდრად მოიკიდეს ფეხი.

ქართლის ერისთავმა შეაფასა რა შექმნილი ვითარება, ქვეყნის აოხრებისაგან დასაცავად არაბებს საჩუქრები და ელჩი დაახვედრა და ზავი შესთავაზა, ეს ფაქტი დააფასეს არაბებმა და შედეგა ცნობილი დოკუმენტი „დაცვის სიგელი“, რომლის მიხედვითაც ქართველები აღიარებენ არაბების მორჩილებას და იხდიან ჯიზიას, ასევე ვალდებულები არიან არაბებს დაეხმარონ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, არაბები კი ვალდებულები არიან ქართველებს დაეხმარონ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, ის მოქალაქეები, რომლებიც მიიღებენ ისლამს არაბთა თანამომე ხდება და ყველა მუსლიმისთვის საერთო უფლებით სარგებლობს.

გარკვეული პერიოდის შემდეგ სომხები და ქართველები იწყებენ არაბებისგან განზე გადგომას და ხარკის მიცემაზე უარს თქმას. აქ ჩნდება სომეხი ისტორიკოსის ცნობები ნერსე ერისთავის შესახებ „ქართველთა მთავარმა ნერსემ განდევნა ბარაბა, სომხეთში მდგარი არაბთა ჯარის სარდალი, სასტიკი განადგურებით გაჰფანტა მისი ჯარი და გააქცია იგი“. ხალხი ვერ ასწრებდა ერთი მტრის მოგერიებას, რომ მეორეს პირისპირ დგებოდა, ეს იყო ხაზარეთი და ბიზანტია. ამ უთანასწორო, მაგრამ თავგანწირულ ბრძოლას, რომელსაც ს. ჯანაშია „სამი მხრით ხმლის ქნევას უწოდებს“ საბოლოოდ მაინც არ მოუტანია თავისუფლება. საბოლოოდ, დამპყრობთა შორის უპირატესობა კავკასიაში მაინც არაბებს დარჩათ.

ქართლის საბოლოო დაპყრობის შემდეგ, არაბებმა ქვეყნის სათავეში თავისი მოხელე ჩააყენეს, ამირა. მისის მუდმივი ადგილსამყოფელი თბილისი იყო. ერისმთავრობა მაშინ არაბებს არ მოუსპიათ, მხოლოდ ერისმთავარი ამირაზე დაქვემდებარებულ მოხელედ აქციეს.

VIII ს 70-იან წლებში კახეთში დაიწყო დიდი აჯანყება არაბების წინააღმდეგ. საფიქრებელია, რომ აჯანყებულ კახეთთან ქართლსაც აქვს კავშირი. ამ ვარაუდის უფლებას იძლევა იოანე საბანისძის მიერ მოთხრობილი ამბავი ქართლის ერისმთავრის, ნერსეს შესახებ. 772 წელს ხალიფა ალ-მანსორმა თავისთან დაიბარა ნერსე ერისმთავარი, „რომელიცა შესმენითა ბოროტთა კაცთაითა“ საპყრობილეში ჩასვა. ნერსემ 3 წელი დაჰყო საპყრობილეში და 775 წელს ტახტზე ასულმა ახალმა ხალიფამ, მაჰდიმ, ნერსე გაათავისუფლა და ისევ ქართლის ერისმთავრად დააბრუნა. მაგრამ კეთილგანწყობილებამ ქართლის ერისმთავარსა და სახილიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის დიდხანს ვერ გასტანა და 780-781 წწ ხალიფა მაჰდიმ ისევ დაიბარა ნერსე, მაგრამ ამჯერად ნერსე გაიხიზნა. ოჯახი დასავლეთ საქართველოში გაისტუმრა, თვითონ კი ხაზარების გავლით ჩავიდა დასავლეთ საქართველოში. საგულისხმოა სწორედ ეს ფაქტი, არაბების წინააღმდეგ მტრული ხაზარებისგან, სავარაუდოდ ნერსე ელოდა დახმარებას, მაგრამ უარის შემდეგ ისიც დასავლეთში გადავიდა. შესაძლებელია, რომ ნერსეს კავშირი აქვს იმ დიდ აჯანყებასთან, რომელიც იმ დროს კახეთში მიმდინარეობდა, ამას გვაფიქრებინებს სომეხი ისტორიკოსის ცნობა, რომელიც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ნერსე ეხმარებოდა სომეხებს არაბების წინააღმდეგ და სავარაუდოდ არც კახეთის აჯანყება ჩაივლიდა ნერსეს უშუალო დახმარების და მოკავშირეობის გარეშე. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ დროს არაბების წინააღმდეგ აჯანყება სომხეთში ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი. ს. ჯანაშიას ვარაუდით, ოსეთსა და ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია VIII საუკუნის 80-იან წლებში უნდა მომხდარიყო, კერძოდ მაშინ, როცა არაბებისგან დევნილი ნერსე ერისმთავარი აფხაზეთში წავიდა ხაზარეთის სამეფოს შემოვლით, რისთვისაც „განვლო კარი იგი ოვსეთისა“ და ისე გადავიდა ხაზარეთში. თუ ოსებისთვის ცნობილი იყო ნერსეს მგზავრობის საბოლოო მიზანი, მაშინ, საეჭვოა ოსებს მტრულად განწყობილ ქვეყანაში მიმავალი ნერსე ერისმთავრისთვის გზა მიეცათ, თუმცა, შეიძლება, ოსთა ასეთ დამოკიდებულებას ნერსესადმი მათი საერთო მტრის, არაბების წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესი განსაზღვრავდა, ასკვნის მკვლევარი.

ესაა ის მცირე ინფორმაცია, რაც მოვიძიეთ ისტორიულ წყაროებში ნერსე ერისმთავრის შესახებ, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იოანე საბანისძის თხზულებაში, საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნერსე ერისმთავრის ფიგურას და გარკვეულ წილად, თუ ყურადღებით ჩავუყვირდებით ტექსტს, ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, რომელიც, თითქოს სულაც არაა ქვედა შრეებით დატვირთული და ავტორი ცხადად გვეუბნება სათქმელს, მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამოელ კათალიკოსის თხოვნის შემდეგ, ავტორმა აბოს ღვაწლის წარმოჩენისათან ერთად, აღწერა ნერსეს წვლილი არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში. შესავალ წერილში, სამოელ კათალიკოსი შეახსენებს იოანე საბანისძეს, რომ ჰაბოს ღვაწლი უნდა გაიგოს და გაიცნოს მოსახლეობამ, ეს წიგნი დაიდება ტაძარში და წაეკითხება მრევლს. ამ პერიოდში, ავტორისთვის საკუთარი სათქმელის მოსახლეობამდე მიტანის უკეთესი და უფრო ხელმისაწვდომი გზა არ არსებობდა, და გონიერმა ავტორმა ქართულ საზოგადოებას დაანახა ქრისტესთვის წამებული უცხოტომელი აბო და შეაყვარა ის, ასევე ფერები და ინფორმაცია არ დაიშურა მტრის წინააღმდეგ მებრძოლი ნერსე ერისმთავრის ბრძოლის ამბების გადმოსაცემად.

როგორც ვიცით, ნერსე ერისმთავარი 772 წელს ხალიფა ალ-მანსორმა თავისთან დაიბარა, რომელიც 3 წლის შემდეგ 775 წელს გამოუშვა ხალიფა მაჰდიმ. მას თან გამოყვა აბო „და ესე იყო ყრმა, ჭაბუკ, ვითარ ათთვრამეტის წლის, გინა უკნიხის - აჩვიდმეტის წლის“... „წარმოვიდა აქა ნერსეს თანა მგზავრ ქრისტეს სიყვარულისთვის. და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხომდებოდა იგი ნერსე ერისთავისა თანა და თვისითა სათნოებითა და იქმნ იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართლისა მწიგნობრებისა და ზრახვისა ხსნილად. და მაშინ იწყო ზედმიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა სჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას“... [1; 61]. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, 775 წელს 17-18 წლის ჰაბო, არაბი, მაჰმადიანი, წარჩინებული ოჯახის შვილი, მენელსაცხებლე ტოვებს თავის სამშობლოს და მოჰყვება ნერსე ერისმთავარს ქართლში, ცხოვრობს მის სასახლეში და იწყებს ქართული ენისა და ღვთისმეტყველების შესწავლას.

ვნახოთ, როგორ აღწერს ამავე პერიოდს მეორე უდიდესი ქართველი ჰაგიოგრაფი გიორგი მერჩულე, რომელმაც გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ ჰაგიოგრაფიის, უკვე განსხვავებული ჟანრი გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის შესახებ. კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელი დაიბადა 759 წელს [1; 102]. ე.ი 775 წელს, როდესაც ნერსე დაბრუნდა ქართლში და თან ჩამოიყვანა 17-18 წლის აბო, გრიგოლი ამ დროს დაახლოებით 15-16 წლის იყო. როგორც გიორგი მერჩულეს ტესტიდან ვიცით „ესე იყო შვილი წარჩინებულთა, დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა-დედათაი, და სახლსა შინა სამეფოსა დიდისა ნერსე ერისთავისისა აღზრდილ იყო ხელითა კეთილადმსახურისა დედოფლისა ნერსეის ცოლისაითა, რომელსაც ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“ [1; 100]. კვლევის კომპარატივისტული მეთოდის გამოყენება გვამლევს იმის საშუალებას, რომ გავაკეთოთ პირველი დასკვნა: 775 წელს 15-16 წლის გრიგოლი და 17-18 წლის აბო ერთდროულად იმყოფებოდნენ ნერსე ერისთავის ოჯახში. თუ იმავე მეთოდს გამოვიყენებთ, ვნახავთ, როგორ გავს ამ ორი



პერსონაჟის დახასიათება სხვადასხვა ეპოქის ავტორის თხზულებაში. ერთის მხრივ, აბო „და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენ წმიდათა სახარებათა და საკითხავთა მათ წინაისწარმეტყუელოთა და მოციქულთა და მრავალთაგან შჯული-მეცნიერთა იკითხავზნ. ხოლო რომელთამე რეცა-თუ ცილობით წინაღუდგებინ, არამედ მიზეზ სწავლის ექმნებთან მას, და ესრეთ სრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტეის მიერ“ [1; 61].

და მეორე მხრივ, გრიგოლი: „გულისხმიერებაი სწავლისაი განსაკვირვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითნი და ხმითა სასწავლელი სწავლაი საეკლესიოი, სამოძღუროი ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაცა ისწავლა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწვართნა“ [1; 100]. ეს ორი ახალგაზრდა ერთ საერისმთავრო კარზე იზრდებოდა და ყალიბდებოდა. გიორგი მერჩულე როდესაც საუბრობს იმ ფაქტის შესახებ, რომ ნერსე ერისმთავრის მეუღლემ იშვილა თავისი ძმისშვილი, რომელიც დაბადებამდე უკვე უფლისთვის იყო შეწირული, არ ჩანს მიზეზი, რატომ გააკეთა ეს. არც არსად იხსენიება გრიგოლის მამა, მაგრამ კარგად ჩანს ნერსე ერისმთავრის როლი, გრიგოლის მღვდლად კურთხევის საქმეში „მაშინ ხელმწიფეთა მათ აღმზრდელთა მისთა და სანატრელმან დედამან მისმან და ერისა სიმრავლემან ინებეს ხუცად კურთხევაი ამის ნეტარისა“ [1; 101]. მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლი ბავშვობიდანვე იზრდებოდა როგორც მომავალი სასულიერო პირი, ის მაინც შეშინდა მოსალოდნელი კურთხევის წინ, რადგან ფაქტია, რომ ნერსე ერისმთავარი მიზეზთა გამო ჩქარობს გრიგოლის კურთხევას, თუმცა გრიგოლი დაჰყვა აღმზრდელის ნებას. მოგვიანებით კი მიდის სახლიდან. როგორც ვიცით, ამავე პერიოდში, იწყება ნერსეს ახალი უთანხმოება არაბებთან და ის იძულებულია ოჯახი აფხაზეთში, თავად კი 300 კაციანი ამალით ხაზარეთს გაემგზავროს. გიორგი მერჩულე, არსად იხსენიებს გრიგოლის აფხაზეთში ან ხაზარეთში გახიზვნას, ფაქტია, გრიგოლი არ ახლდა ნერსეს, რადგან ის უკვე აღარ იყო თბილისში. სწორედ ამიტომ ჩქარობდა ნერსე ერისმთავარი გრიგოლის კურთხევას და თბილისიდან გასვლას, მას დიდი მისია ჰქონდა დაკისრებული, რაც მალევე გამოჩნდა მისი ტაო-კლარჯეთში ნერსეს ნათესავ აშოტ კურაპალატთან შეხვედრის და მათი შემდგომი ერთობლივი ბრძოლით, სიტყვით და ხმლით, არაბების წინააღმდეგ და ქვეყნის გასაერთიანებლად.

მაგრამ თბილისში, ნერსესთან, რჩება ქრისტესმოყვარე აბო, რომელიც ხაზარეთში იღებს ქრისტიანობას, ინათლება და ამის შემდეგ იწყება მისი, უკვე ქრისტიანის, ღვაწლი. იოანე საბანისძე ტექსტის დასაწყისშივე აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისა და ქრისტიანებისთვის აბოს, არაბი და სჯულით ყოფილი სარკინოზის, გაქრისტიანებას, შემდეგ კი მოწამებრივ აღსასრულს. სწორედ ეს მისია ჰქონდა შესასრულებელი, რაშიც ნერსეს, პირდაპირი თუ არა, ირობი ღვაწლი მაინც მიუძღვის. პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, რომ ნერსეს „კარი სამეუფო“ გარს იკრებდა იმდროინდელ ქართულ განათლებულ წრეებს, რათა ეს ახალგაზრდები განსწავლულიყვნენ და მომზადებულიყვნენ მომავალი ღვაწლისთვის.

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავ მწირი ისტორიული ცნობებისა, ლიტერატურამ შემოგვინახა ქართლის ერისმთავარ ნერსე II-ის სახე, როგორც უდიდესი პატრიოტის, გონიერი მმართველის და მტერთან სხვადასხვა გზით მებრძოლი ადამიანისა, რომლის სამეუფო კარზე ორი წმინდანი - მოწამე ჰაბო და მოღვაწე გრიგოლი გაიზარდა.

#### ლიტერატურა:

1. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I ტომი, თბ., 1946.
2. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია., თბ., 1969.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II ტომი, თბ., 1973.
4. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
5. ქართლის ცხოვრება., თბ., 2008.
6. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1946.

### IMAGE OF NERSE ERISTAVI IN HAGIOGRAPHIC TEXTS Ana Imnadze, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor RESUME

Despite the lack of historical information, literature preserved the ruler of Kartli Nerses II-'s face as a great patriot, a wise ruler and enemy fighter humans in different ways, the royal court of the two saints - martyrs and working Abo Gregory grew up.

## ივანე ათაბაგის ისტორიული და ლიტერატურული სახე

ვახტანგ ინაური, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ივანე ათაბაგი, თამარ მეფის სამეფო კარის ყველაზე მაღლა მდგომი პოლიტიკური ფიგურაა, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მის სახელს უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების დაცემა. ცნობილია ისტორიაში ფაქტები, რომლებიც გვამცნობენ, თუ როგორ დააქცია ერთმა პიროვნებამ თავისი ქვეყანა. მაგალითად, აცტეკების სამეფო მონტესუმას უნდილობამ დალუპა, ბაბილონი – ღალატმა, საქართველო კი ივანე ათაბაგის ვერაგობამ.

XII-XIII საუკუნის უძლიერესი ქართული სახელმწიფო, მისი უძლეველი ჯარი, იოლად არ დაიშლებოდა თუ არა ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ძალების ხანგრძლივი კონსპირატიული მუშაობა თვით სამეფო კარზე. არ არის აუცილებელი რთული ისტორიული პროცესების მატერიალისტური პოზიციებიდან გაშუქება. სახელმწიფო, როგორც ცოცხალი არსება, იშვება, იზრდება, ჩერდება და კვდება. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო არც დაბერებულია და არც მომკვდარა. იგი გაზრდილი, ძლიერების საფეხურზე ღალატით და ვერაგობით დასცეს, მაგრამ ვერ მოკლეს.

თუ კი თვალს გადავავლებთ ამ პერიოდის ისტორიას, ნათლად დავინახავთ, რომ პრობლემები სამეფო კარზე ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის შვილის, დემეტრე I, დროს იჩენს თავს, შემდეგ დემეტრეს ვაჟის დავითის დროს, რასაც მისი სიკვდილი მოჰყვა. მემატთანე მრავალმნიშვნელოვნად ახსენებს „კაენის ცოდვას...“

გიორგი მესამეს მეფობის პერიოდში უფრო და უფრო ძლიერდება ანტიქართული ძალა. ამ დროს ნათლად ჩანს, რომ ჯარის სარდლობა ძირითადად არაეროვნული, არაპატრიოტული სულისკვეთებისაა, რომლისთვისაც სულ ერთია თავის ხალხს გამარცხავს თუ მტერს, ასევე ბუნდოვანი და დაუჯერებელია მეფე გიორგი III ბრძანება ქართული ქალაქებისა და რეგიონების დარბევა-გამარცხის შესახებ. როგორც ჩანს, დიდებულების უმეტესობა არაქართული წარმოშობის არიან, რომელთაც მიწათმოქმედებით ცხოვრება და მამულის მოვლა არ მიაჩნიათ თავის საქმედ და ცდილობენ ლაშქრობით იცხოვრონ. ე.ი. მათ არა აქვთ ათვისებული ქართული ტრადიციული ცხოვრების ეკონომიკური წესები და მეფეს სთხოვენ, ჰკადრებენ „არა არის დონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობასა და რბევისა (ქ.ტ. ტ. II. გვ. 15), ე.ი. ბრძოლის გარეშე თავს ვერ ირჩენენ. ქართველი მეფე კი გაუგონარ ბრძანებას იძლევა და ლაშქარს უნაწილებს სარბევად და სამარცხად ქართულ ქალაქებს. ტაოელებს, კლარჯებსა და შავშებს ბანასა და ოლთისს აძლევს, მესხებსა და თორელებს – კარსა და შაორს, ამირსპარსალარს, ზაქარია მხარგრძელს – მტკვარს იქით განძამდე, ლიხთ-იმერთა და ქართველთა – განძის დაყოლებით მტკვრის პირებს იმიერ ხუთამდის, ჰერელთა და კახთა - ალაზნის სათავემდე (იქვე. გვ. 15).

ეს არის არა მეფური, არამედ ყაჩაღური გადაწყვეტილება და დაუჯერებელია, რომ ეს ქართველ მეფეს ებრძანებინა. მემატთანე გაოცებულია გიორგი III ასეთი მოქმედებით: „რა ენამან, ანუ რა გონებამან ხელყო მოთხრობად, საწყენ საქმე იქმნას აღწერილი“ (იქვე, გვ. 15).

შეუძლებელია მეფეს ნორმალურ ვითარებაში თავის საწინააღმდეგო ბრძანება გაეცა, მას, რა თქმა უნდა, კარგად ეგოდინებოდა საკუთარ ხალხთან დაპირისპირება საბედისწერო შედეგს გამოიღებდა მისთვის და ბუმერანგივით დაუბრუნდებოდა უკან. ამდენად, მიგვაჩნია, რომ თუ ასეთი ბრძანება მართლაც გასცა მეფემ, ის აიძულეს ქვეყნისა და სამეფო კარისადმი, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილგანწყობილმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა, რომელთა შორის დიდი ნაწილი ყივჩაღები და სომხები იყვნენ. ამ დროს ამირსპარსალარია ზაქარია მხარგრძელი, მე ამირსპარსალარ სარგის მხარგრძელისა, რომლის სიკვდილის შემდეგ ზაქარია იკავებს მამის ადგილს. ვფიქრობ, მხარგრძელების ნაფიქრალი და ნაკარნახევია მეფის ასეთი სავალალო გადაწყვეტილება. ამაზე მიგვანიშნებს მემატთანის სიტყვები: „ამას ესვითარისა სისრულესა და სოფლისა მონაგებთა და დადემულთასა აჰა, მოიწია ჟამი ევას წყევისისა და ადამის ცთომათაგან დანასაჯი ზაქარისასა და მმისა მისისა იოანესადმის“ (გ.ც. ტ. II. გვ. 23).

ზაქარია და იოანეს „აზმანისა და შარავანდედინის“ ავტორი ადარებს კაენს, როგორც ძმათა მკვლელებს.

უდაოა, რომ სამეფო ჯარის მიერ ჩვენი მოსახლეობის დარბევა-გამარცხა ერს მეფის საპირისპიროდ განაწყობდა და კანონიერი მეფის, დავითის ძეს, დემეტრეს, ჩააგონებდნენ გიორგი III წინააღმდეგ გამოსვლას, რაც უკვე შიდა ომია. ამ ბრძოლაში სპასალარი ყუბასარი (ყივჩაღი) და

ზაქარია მხარგრძელი (სომეხი) დაუნდობლად იბრძვიან ქართველი უფლისწულისა და მისი მომხრე ქართველი დიდებულების წინააღმდეგ. ამავე დროს ნიშანდობლივია მეფე გიორგის სიკვდილი, რომელიც დემეტრეს ამბოხის შემდეგ არის აღწერილი.

გამოვლინდა, რომ მხარგრძელთა და სხვათა თხოვნა მეფისადმი შიდა ლაშქრობის შესახებ და ამაზე მეფის დასტური გახდა შიდა აშლილობის, ამბოხის მიზეზი, რაც მტრის მიერ შორს გათვლილ ფარულ მიზანზე მიგვანიშნებს, რაც უფრო აშკარავდება მხარგრძელთა სამხედრო ხელისუფლებაში მოსვლისა და სამეფო კარზე აღზევების შემდეგ.

გამრეკელის სიკვდილის შემდეგ სარგის მხარგრძელის ამირსპარსალარად დანიშვნა იმის დასტურია, რომ პატრიოტი მესხი სარდლის გამრეკელის ნაცვლად ჯარის სათავეში მოვიდა არაეროვნული და არამართლმადიდებლური აღმსარებლობის პიროვნება, რაც ნიშნავს ანტიქართული ძალების გაძლიერებას საქართველოს მეფის კარზე. მხარგრძელს დაწინაურებაში ეხმარება სამხედრო ნიჭი და საბრძოლო გამოცდილება. „და განაჩინა ამირსპარსალარი სარგის მხარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და კაშკაშობათა, და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხეთსა შინა წყალობა ძესაცა ზაქარიას, დალოცვითა, და ითაყვანა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე“ (ქ. ც. ტ. III, გვ. 33). რა თქმა უნდა, გიორგი მესამე ისე მოკვდა, რომ აზრადაც არ მოსვლია მხარგრძელთა ასეთ აღზევებას რა შედეგი მოჰყვა საქართველოს ისტორიაში. ამასთან, მთელი ოჯახი, მამა და მისი ორივე შვილი, სამეფო კარზე უპირველესი და მეფესთან ყველაზე დაახლოებული პირები გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოჯახის წევრები არც ეროვნებით და არც რელიგიით ქართველები არ არიან.

„ესე ზაქარია და ივანე მხარგრძელის ძენი დაღაცა თუ მეფეთათვის ერთგულნი იყვნეს და დიდად გამოცდილნი ლაშქრობათა შინა, კაცნი სახელოვანნი, არამედ სჯულითა სომეხნი იყვნეს (ქ. ც. ტ. II, გვ. 33).

სომხური რწმენის ზაქარია და ივანე წარმომავლობით სომხებში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათი ზეობის პერიოდში ისინი აღარც ქართველი მენტალიტეტის მატარებლები არიან და აღარც სომხურის, არც ქართველი პატრიოტებია და არც სომხეთის, მათ ეროვნული ცნობიერება აღარ გააჩნიათ, ისინი ერთნაირად მარცავენ, როგორც ქართულ, ისე სომხურ რეგიონებს, აწიოკებენ და არბევენ, როგორც ქართველ, ისე სომეხ მოსახლეობას, ამ საკითხზე მემატთანე კომენტარებისა და გაოცების გარეშე საუბრობს: „და კუალად ლორით დაღმა წარვიდეს ორნი ძმანი, სარგისის ძენი, ზაქარია ამირსპარსალარი და მსახურთუხუცესი ივანე, მორშევიად რასისა პირისა, და მუნით წამოსულ იყვნეს ლაშქარნი დვინელნი, ბაჯნელნი და ამბერდელნი. მეკობრობად და მზერად ქარავნისა“ (იგივე, გვ. 60).

ამ სტრიქონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამირსპარსალარი ზაქარია და მსახურთუხუცესი ივანე არ ჰგვანან ცივილიზებული ქვეყნის ხელისუფალთ, ისინი ყაჩაღურად მოქმედებენ, როდესაც სომხებსა და ქარავნებს მარცვავენ. მათ როგორც სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირებს, გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ მეკობრეობა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და ამისთვის სახელმწიფო აგებს პასუხს. გარდა ამისა ისინი მიდიან არაქსის პირის მოსახლეობის დასარბევად. ასე ცივისხლიანები აოხრებენ ძირძველი სომხური მიწების დასახლებულ პუნქტებს. ეს ფაქტი კიდევ ერთი არგუმენტია, იმის დასადგენად თუ ვინ მოსთხოვა გიორგი III საქართველოს რეგიონების რბევა და გაძარცვა. არაქსზე ლაშქრობის შემდეგ ძნელია ვიფიქროთ, რომ მხარგრძელებს სომხების მიმართ მშობლიური გრძნობა გააჩნიათ. მათში აღზევებამ და გადიდვაცებამ ბოროტება, ეგოიზმი, სიხარბე გააღვივა და დაკარგეს ეროვნული და ადამიანური სახე.

განსაკუთრებით აგრესიულია ქართული რელიგიისადმი ზაქარია მხარგრძელი, ქვეყნის ამირსპარსალი. „და დარბაზს მასერებელი ზაქარია ამირსპარსალარი რასმე სიტყუასა ჰყოფდა ურწმუნოსა, რამეთუ სიტყვით გამობდა სარწმუნოებასა ჩვენსა“ (ქ. ც. ტ. II, გვ. 82). თავისი რწმენის გამო დარბაზის დალოცვის შემდეგ ზაქარიას არ მისცეს მღვდლებმა ნაკურთხი თაფლაკვერა.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ სამეფო კარი პიროვნების რელიგიურ მრწამს გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს, პატრიარქი საკადრო საკითხებში ვერ ერევა აქტიურად და მხოლოდ საეკლესიო რიტუალების დროს იცავს სიმკაცრეს სხვა რწმენის ადამიანებისადმი და არ ერიდება ამირსპარსალსაც კი. რა თქმა უნდა პატრიარქი სამართლიანია და მართლმადიდებლური პრინციპებით მოქმედებს. ზაქარია არა მარტო ანტიმართლმადიდებელია, იგი ანტიქართული განწყობის კაცია – „მე არა შევერთვი ქართველთა“ (ქ. ც. ტ. II, გვ. 90). – აცხადებს იგი ღიად და გაშლილად. რაც იმის მანიშნებელია, რომ ქვეგამხედველობა და ანტიპათია ქართველებისადმი მხარგრძელთა სახლს არ უნელდება. მიუხედავად მათი ქართველთა სამეფო კარზე ასეთი აღზევებისა, ეს კი გვაფიქრებინებს, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი გაიმეტებენ საქართველოს

და თავიანთ კეთილდღეობას და სიცოცხლეს არ შესწირავენ ჩვენ ქვეყანას.

ზაქარიაზე უფრო ჭკვიანი და ვერაგი აღმოჩნდა ივანე მხარგრძელი, მან კარგად განჭვრიტა, რომ სომხური სარწმუნოებით ველარ შეინარჩუნებდა პატივსა და დადებას და ამიტომაც ეუბნება ზაქარიას შეიცვალონ რწმენა, მაგრამ ზაქარია უარზეა, ივანე კი მოინათლა მართლმადიდებლად და არა მარტო შეინარჩუნა სამეფო კარზე მაღალი თანამდებობა, არამედ თამარის დროს ათაბაგი გახდა, ათაბაგობა ბევრად აღმატებოდა ვეზირის, უხუცესის და სპარსალარის თანამდებობებს. სულთნის კარზე მიღებული ეს ტიტული მეფის მამასა და გამზრდელს შეესატყვისებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ათაბაგს მეფეზე დიდი ზეგავლენა ექნება და მეფემ უნდა გაითვალისწინოს მისი შეხედულებები და შეასრულოს მისი რჩევა.

ამ პატივის მიღებისას ივანე მხარგრძელი კვლავ გონივრულად და თავმდაბლობით, მაგრამ შორს მჭვრეტელურად იქცევა. თამარი, ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ ამირსპასალარად ივანეს, მის ძმას ნიშნავს. ეს ლოგიკურია, იგი მემკვიდრეობით პრინციპს იცავს უმაღლესი მთავარსარდლის შერჩევისას. ივანეს კი უფრო მეტი პატივი უნდა და ვერაგული მოკრძალებით ეუბნება მეფეს. „პატივი ესე, რომელთა პატივ-გიცემეს ჩემდა, დიდად დიდი არს და მე უღირს ვარ. ესრეთ შემეწიე, რათა ძმისა ჩემისა სახელსა ზედა არა ახსენებდნენ, რათა არა მრცხუენეს ნაცვლად იმისა დგომად, არამედ ათაბაგობითა პატივმეც, საქართველოსა არა არს წესად და ამით განადიდე წყალობა შენი ჩემზედა. რომელი მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების (ქ. ც. ტ. II. გვ. 110).

ბრწყინვალე მლიქვნელური სვლაა ათაბაგის ეს თხოვნა. ერთი მხრივ, უხერხულობს ძმის თანამდებობა დაიკავოს და მეორე მხრივ, მეფესთან პირმოთნეობს მის მამად იწოდებოდეს. ამ გზით იგი ერთდროულად თამარს ერთგულებას უმტკიცებს და მეორე მხრივ უმაღლესი ხელისუფლების მოპოვებას ცდილობს. მეფის გულის მოწყალების მეშვეობით ივანე გახდა ათაბაგი. რაც საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მეფის „მამად“ მიიღეს კაცი, რომელსაც ქართველების წინააღმდეგ უფრო მეტად უჭრიდა ხმალი, ვიდრე მტერთან ბრძოლაში.

ივანე მხარგრძელმა ათაბაგად დადგენის შემდეგ პირველი „გმირობა“ ფხოველთა აოხრებისა და ხოცვა-ჟლეტის დროს გამოიჩინა. ძნელია იმის გარკვევა როგორ მოხდა, რომ ჭართლელნი, ხადოელნი, ერწოთიანელნი არ განუდგნენ მეფეს და უფრო ქვემოთ, ბარისკენ მოსახლე ფხოველები გაუორგულდნენ. ან როგორ შეიძლება დიდო, ძურძუკი და ფშაველი ერთნაირად მივიჩნიოთ ქვეყნის მტრად. ფაქტია, რომ ივანე ათაბაგმა მთელი თავისი სამხედრო სტრატეგია გამოიყენა საქართველოს ამ ლამაზი მხარის ასაოხრებლად. „ივანე გონიერად ყო: ავიდა მთასა ხადოსასა და წარვლო წვერი მთისა და წარდგა მთისა ფხოველთასა და დიდოთასა... და იწყეს ზევიდალმან ბრძოლად და რბევად, და კვლად, და ტყუეობად და დაწუად: მოაწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდოი და ფხოვი. და დაყენეს სამნი თვენი, (ქ. ც. ტ. II. გვ. 111).

ქრისტიანი ფხოველები თუკი მართლა ვინმეს არბევდნენ დიდოელებსა და ძურძუკებს დაარბევდნენ, ცნობილი ფაქტია ხევსურთა და ქისტთა ურთიერთობის ისტორიიდან, რომ ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. მესაქონლეობით განთქმულ ხევსურებს საქონელს ჰპარავდნენ ქისტები და დიდოელები. რაც აიძულებდა მათ საპასუხო ლაშქრობა მოეწყოთ მძარცველების წინააღმდეგ და დაელაშქრათ დიდოეთი და ქისტები, დაებრუნებინათ წართმეული საქონელი და ქონება, საზღაურით. შეუძლებელია ივანე ათაბაგს ეს არ სცოდნოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისთვის დიდო და ფხოველი სულ ერთია ის არბევს და ხოცავს ორივე ერის მოსახლეობას, არ ითვალისწინებს ეროვნებას და სარწმუნოებს, არ ასხვავებს ვინ საქართველოს მაცხოვრებელია და ვინ გარეშე მტერი. ეს ფაქტიც მის ანტიქართულ განწყობილებაზე მეტყველებს. ფხოველთა აოხრებით იგი ზურგს უსუსტებს ქართულ სახელმწიფოს ჩრდილოეთიდან და გზას უხსნის იმიერკავკასიის ქართველთადმი მტრულად განწყობილ ურჯულო მთიელებს. საგულისხმოა, რომ ამ ბრძოლაში ქართველთა წინააღმდეგ ათაბაგი ძურძუკებს იყენებს, რომლებიც დამორჩილდნენ და გვერდში დაუდგნენ მას. თუ ძურძუკეთი დანებდა, რჩება ქართული მხარე - ფხოვი და დიდოეთი, რომელიც რამდენიმე აულით შემოიფარგლება, მათ აოხრებას ერთი დღე არ დასჭირდებოდა. ე.ი. მთელი სამი თვე ათაბაგი ფხოვს აოხრებდა. ეს ფაქტი შემოინახა ფშავ-ხევსურეთის ზეპირსიტყვიერებამ, რაც მხატვრულად ასახა მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ თავის რომანში „ლაშარელა“, რა გმირობაა თამარ მეფის ლაშქრის სარდლისათვის ფხოვის ან დიდოეთის დალაშქრა! დარწმუნებული ვარ ფხოველნი თავიანთი მეფის ჯარს არ შებმოდნენ, მით უმეტეს ივანემ მთაზე აიყვანა ჯარი და იქიდან ებრძოდნენ, ცხადია უშენდნენ ლოდებსა და ქვებს. ესეც ივანეს აგრესიულობაზე მიგვანიშნებს. ის გამარჯვებაში დარწმუნებული მიდის მთაში საომრად იმ ლაშქრით, რომელსაც წინ ვერ უდგება ვერც სპარსეთის და ვერც ოსმალეთის ჯარი, რა სალაპარაკო მასთან ორი მთის, დიდეთისა და ფხოვის, მოსახლეობის დაპირისპირება. ბუნებრივია, ისინი

ძალიან უთანასწორო ბრძოლაში არ ჩაებმებოდნენ. ივანე კი მაინც არბევს და ხოცავს მათ.

კიდევ ერთი „გმირობა“ ათაბაგმა უბედური რუსის მომხრე ქართველთა მიმართ გამოიჩინა, მაგრამ მონღოლთა წინააღმდეგ მას არც სამხედრო სტრატეგია აღმოაჩნდა, არც მთავარსარდლის უნარი და არც სიმამაცე. არც ბრძოლის ადგილი შეარჩია ქართველთათვის სასურველი და არც მტრის საბრძოლო ტაქტიკა და აღჭურვილობა გაითვალისწინა, ლაშა-გიორგის ამ ბრძოლის შედეგს ნუ გადავზარალებთ. თითქმის ბავშვით ეპყრობა მას მეფის „მამა“. ასე იყო განძაზე ლაშქრობისას, მიუხედავად იმისა, რომ ლაშამ მოიგო ომი განძასთან, ივანე მაინც მედიდურად თითქმის „ყურს უწევს“ მეფეს. მონღოლებთან ომში კი პირველი გარბის ბრძოლის ველიდან და ტოვებს დაჭრილ მეფეს „სადა იგი დიდდგა ივანე ათაბაგი, სამეფოს სპასალარი ძლით ცოცხალი განერა“ (ქ. ც. ტ. III. გვ. 165).

ივანე ათაბაგმა თავისი მოღალატური მოღვაწეობა, დაასრულა გარნისის ომში, სადაც სამუდამოდ დაასამარა საქართველოს სამხედრო ძლევამოსილება. მემატთანე ჩვენსავით მკვეთრად არ წერს ღალატსა და გამომცემლობაზე, მას ალბათ, ვერ გაუაზრებია ივანეს შორსგამიზნული ვერაგული მოქმედება და ახალციხელებისადმი შურით ხსნის მის უმოქმედობას, მაგრამ შური აქ არ არის მთავარი, ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება შურიც იყოს, მაგრამ ეს არ არის პიროვნებისადმი შური და მტრობა, ეს არის იმ სამხედრო ხელმძღვანელისადმი ქიშპი, რომელზეც ემყარებოდა ქართველი ჯარის სიძლიერე. ომში წინამბრძოლნი წყვეტდნენ გამარჯვების ბედს, პირველი შეტევა მესხებისა ახალციხელთა მეთაურობით ყოველთვის წარმატებული იყო და ძირითადი ჯარის ჩაბმა ომში ამთავრებდა ომს, მაგრამ გარნისის ომში, როდესაც შალვა და ივანე ახალციხელები 4000 მესხით იწყებენ ომს ორასი ათასზე მეტ ჯალალედინის ურდოს წინააღმდეგ ათაბაგი ადგილიდან არ იძვრის. „აქა დაიპყრა ფერხი ივანე ათაბაგმან. იტყვიან, ვითარმედ შურით აყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა“ (ქ. ც. ტ. II. გვ. 170). სპარსელი მემატთანე ჯუჯეინი წერს, რომ ქართული ლაშქარი მთვრალი იყო და სახეში ქარი და წვიმა სცემდაო, ამ ფაქტს გრ. აბაშიძეც აღწერს, რომანში „დიდი ღამე“, მაგრამ ჟამთააღმწერელი არაფერს ამბობს არც ჯარის სიმთვრალეზე, არც ქარსა და წვიმაზე. თუმცა ჯარი ნასვამი იყო თუ ფხიზელი, ათაბაგის მხრიდან ორივე შემთხვევაში ღალატია.

ორგზის და სამგზის ახალციხელთა მიერ გაგზავნილი მაცნე სთხოვს ივანე ათაბაგს, ჩაებას ომში მეფის ჯარით. ის კი არც უკან დახევას უბრძანებს, არც ეხმარება. მთავარი ჯარის ომში ჩაბმით საბრძოლო სურათი მთლიანად შეიცვლებოდა, ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ოთხი ათასმა მესხმა იმდენი ზარალი მიაყენა მტერს, რომ მან ახალციხელთა დაცემის შემდეგ ბრძოლა აღარ გააგრძელა. ცხადია, მთლიანი ჯარის ბრძოლაში ჩაბმით ჯალალედინის გეგმები ჩაიშლებოდა, უპირატესობას ვერ მიაღწევდა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გარნისში ქართული ჯარის ბრძოლაში ჩაბმა არ შეიძლებოდა, ვფიქრობ, მართებული არ არის ასეთი დასკვნა, რადგან გარნისის ციხე მაღლობზე დგას. „ჯალალედინი კი – როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს – დაბლობში დაბანაკდა, სიმაღლეები საქართველოს ჯარისაგან დაკავებული დახვდა (ივ. ტ. III. გვ. 19). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულ ჯარს სტრატეგიული უპირატესობა ჰქონდა და მისი დამარცხება, მხოლოდ ღალატით თუ შეიძლებოდა. არა რიგითი მეზრძოლის, არამედ მთავარსარდლის ღალატით. რაც ივანე ათაბაგმა მაღალ კონსპირაციულ დონეზე შეასრულა, მოწინავე ჯარისადმი ვერაგობით. წინამბრძოლი სპის ძლიერ დარტყმას ქაოსი და დაბნეულობა შეჰქონდა მტრის რიგებში და დროულად ბრძოლაში ჩართული ძირითადი ლაშქარი იოლად გადათელავდა და ანადგურებდა მას. ათაბაგმა კარგად იცოდა ახალციხელთა ჯარის განწირვისა და დაღუპვის შემდეგ მეფის ჯარი ომს ვეღარ გაბედავდა, წინამბრძოლის გარეშე ლაშქარი დათრგუნულია. ამიტომ ვამტკიცებთ, რომ ათაბაგის ღალატი ახალციხელებისადმი მხოლოდ შურით არ იყო, შურით რომ ყოფილიყო მისი ინერტულობა გამოწვეული, ახალციხელთა დაცემის შემდეგ იგი შეეცდებოდა ომის მოგებას და სახელის მოხვეჭას, ანუ მას შეეძლო დაეჩრდილა ახალციხელთა სახელი, მაგრამ ეს არ ქნა, „ათაბაგი უკუ იქცა ბიჯნისად, და სულტანი მიიქცია ადარბადაგანს და ნახჯევანს“ (ქ. ც. ტ. II. გვ. 171). თითქოს შეთანხმებული ყოფილიყვნენ, ახალციხელთა ჯარი ამოწყდა და ამით ათაბაგი და ჯალალედინი კმაყოფილები გაშორდნენ ერთმანეთს.

სულთანი არბევს და „ტყვეპყოფდეს და სრულიად უწყალოდ ხოცდეს, და არავინ იყო ნუგეშინის მცემელი მათი“ (იქვე). განა ეს ღალატი არ არის? მთელი ჯარი 4000 მესხის გამოკლებით თან ახლავს და ხელს არ ანძრევს ქვეყნის დასაცავად.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, ივანე ახალციხელის, შალვას ძმის დაღუპვა, რომელიც „მოიკლა ზემოდან ნასროლი ქვით, ზემოთ კი მხარგრძელის ჯარი იდგა. ეს უკვე ღალატზე მეტია, ეს მტრის მხარეს ბრძოლას უთანაბრდება. ცხადია, ვერც ის გაამართლებს ათაბაგს, რომ ვითომ ფარულად „მონაზონ-ქმნილიყო“. თორნიკეც ბერად იყო აღკვეცილი თორმეტათასიანი ჯარით 100 ათასიან

სკლიაროსის არმიას მუსრი რომ გაავლო.

ივანე ათაბაგის ყოველი მოქმედების უკან მეტნაკლებად გამოვლენილი ღალატის ფაქტებია. იგი იმ დიდებულებს მეთაურობს, რომლებიც, სამეფო კარზე აღზევებულნი, მეფეზე დიდ გავლენას ახდენენ. ლაშა-გიორგის დროს კი მეფეს ულტიმატუმებით ელაპარაკებიან, როგორც განძის, ისე მონგოლთა წინააღმდეგ ომში, რაც ააშკარავებს მათ ოპოზიციურ განწყობას, ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ძალები მძლავრობენ მეფის სასახლესა და დარბაზში, რომელსაც ივანე ათაბაგი მეთაურობს და შემდეგ მონგოლთა პერიოდში მისი შვილი ავგ მხარგრძელი აგრძელებს ივანესავით კონსპირაციულად და მზაკვრულად.

#### ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959.
2. უჩა ბლუაშვილი, „მესხეთის სახელოვანი შვილები“, 2008.
3. გრიგოლ აბაშიძე, „ლაშარელა“, 1990.
4. გრიგოლ აბაშიძე, „დიდი ღამე“, 1990.
5. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, 1978.

### HISTORICAL AND LITERARY IMAGE OF IVANE ATABAGI Vakhtang Inauri, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor RESUME

Ivane Atabagi, who was one of the most outstanding and famous statemen in the XII-XIII centuries. His life is described in the novels “Lasharela” and “The Big Night” by Gr. Abashidze.

The author, who tries to give the personal presentation of the main character is based on “The Khartli Life” (Khartlis Tskhovreba) which gives us opportunity to show treacherous action of Ivane Mkhargrdzeli. As a result we got our country’s military defeat and political decay.

### განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართველურში I. მიმართვა, ჩართული

**მარინე კაკაჩია**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**ქეთევან მარგიანი**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
**მარინა ჯღარკავა**, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მეცნიერი თანამშრომელი

განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ფართოდ გავრცელებულ სინტაქსურ კონსტრუქციას წარმოადგენს. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გრამატიკული ბუნების სწორად გაგება, წინადადებაში მათი როლისა და ფუნქციის დადგენა მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა სინტაქსის დამუშავებისათვის, რამდენადაც მასთან დაკავშირებულია სტილისტიკისა და ლექსიკის არაერთი საკითხი.

„განკერძოებული წევრი არ ქმნის სიტყვათა შეკავშირებას იმ წევრთან, რომელსაც ის ახლავს, და ახასიათებს უფრო მეტი აზრობრივი დამოუკიდებლობა და გამომსახველობითი ძალა, ვიდრე იმავე სახელწოდების განუკერძოებელ წევრს“ (კვაჭაძე, 1996: 301)

წინადადების ან რთული სინტაქსური ერთეულის ინტონაციურად განკერძოებული და გრამატიკულად დამოუკიდებელი კომპონენტია მიმართვა, რომელიც აღნიშნავს წარმოთქმულის ადრესატს - პირს ან საგანს. მიმართვა არაა წინადადების წევრი, არ ითვლება სინტაქსური წყობის შემადგენლებში და არც დამოკიდებულებში.

მეტყველებაში მიმართვას, ჩვეულებრივ, გააჩნია ორი ფუნქცია:

1. აპელაციური (მოწოდების) ფუნქცია;
2. ექსპრესიული (შემფასებლური) ფუნქცია.

მიმართვის აპელაციური ფუნქცია დამოუკიდებლად ურთიერთობის ოფიციალური სფეროებისთვისაა დამახასიათებელი (ლოზუნგები, მოწოდებები, განკარგულებები და სხვ.).

ორივე ფუნქციის შეთავსებისას მიმართვა გამოიყენება ჩვეულებრივ ყოფით სფეროში ან მხატვრული მეტყველებისას, როცა გამოხატავს არა მარტო მოწოდებას, არამედ მთქმელის დამოკიდებულებასაც ადრესატისადმი. აღსანიშნავია მიმართვის, როგორც პოეტური სინტაქსის, სტილისტური როლი.

იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაა მოსაუბრესა და თანამოსაუბრეს შორის, ასევე სიტუაციიდან გამომდინარე, მიმართვის სახით შეიძლება გამოყენებული იყოს:

1. მოსაუბრის ოჯახური სტატუსი (დედა, მამა, ბებია...);
2. მოქალაქეობრივი, სოციალური, პოლიტიკური ან პროფესიული სტატუსი ან წოდება შესაძლებელი კომბინაციებით (მეგობარო, ბატონო, ქალბატონო, სერ, მასწავლებლო, რიგითო, ამხანაგო მაიორო);
3. გენდერული კუთვნილება (გოგო, ბიჭო, ქალო...);
4. ფამილარული და სხვა სახის (ძმაო, ბიჭო, ჩემო კარგო...).

მიმართვა, რომელიც მეგობრულ ურთიერთობებთანაა დაკავშირებული, წარმოადგენს სახელების გამარტივებულ ან ე.წ. სტილიზებული მუტაციის ფორმას (მიშა, მიშიკო, მიხო, მიკა, მიკაკო...); მეგობრულ საუბარში შეხუმრებისას ხშირია იუმორისტული ვარიანტი (ბარკალაია - ბარკულიკ, შუბლაძე- შუბლიკა, თავგასა, წრუწუნ...).

საბჭოთა პერიოდიდან მომდინარეობს მამის სახელით მიმართვის რუსული ვარიანტი (დავიდოვნა, ვილიპოვნა, პავლოვიჩ...).

ფამილარული მიმართვის ფორმები (ძვირფასო, ჩემო კარგო, საყვარელო...) უმცროსის მიერ უფროსის მისამართით წარმოთქმული არაკორექტულად ჟღერს.

იბერიულ-კავკასიური ენებიდან ქართულში, ძველ ინდოევროპულ ენებში \_ ძველბერძნულში, ლათინურში, ძველ სლავურში, თანამედროვე სლავურიდან უკრაინულსა და ჩეხურში მიმართვას გამოხატვის საკუთარი მორფოლოგიური ფორმა გააჩნია - წოდებითი ბრუნვა. ბულგარულში წოდებითის ფორმა წარმოადგენს ძველი წოდებითის ფორმის ნაშთს. სხვა ენებში მიმართვა არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა, მაგ., რუსულში, თუმცა აქ ზეპირმეტყველებაში ყალიბდება წოდებითის ახალი ფორმა, რომელიც სახელობითის შეკვეცითაა მიღებული (мам, бабуль, Коль, Надь) (Лингвистический энциклопедический словарь. Гл. ред. В. Н. Ярцева. — М.: Советская энциклопедия, 1990. — С. 340—341).

ქართულისაგან განსხვავებული ვითარებაა ამ მხრივ სვანურსა და მეგრულ-ლაზურში. ცნობილია, რომ „ლაზურ-მეგრულში დღეს წოდებითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არავის უცდია წოდებითი ბრუნვის შემოტანა მეგრულ-ლაზურის ბრუნების სისტემაში. მართალია, რელაქტის სახით, მაგრამ მეგრულ გლოსოლოგიაში წოდებითი ბრუნვის ნიშნად ფიქსირდება -უ ბოლოსართი ქართული-ო-ს შესატყვისად. მაგ.: დიდო-უ/დიდ-უ > იმერ.-გურ. დიდუ/ტიტუ: დიდო-უ ნანა; ქართ. ვაი, მეგრ.-ლაზ.: ვოი: სიმღერაში გვაქვს: ვოუ. ამავე რიგისა ჩანს მეგრული დოუ, დოუ (ნანა). ქართულ-სვანური დალის შესატყვისი მეგრულში შემორჩენილია სიმღერებში გლოსოლოგიის სახით, სახელდობრ, წოდებითი ბრუნვის ფორმით. თუ სახელობითი იქნებოდა დო, სიმღერებში წოდებითის სახით მას ვხედავთ დოუ ფორმით, სადაც, ისევე როგორც წინა შემთხვევებში, გამოიყოფა -უ მარკერი, რომელიც ყველა ზემოთ აღწერილ შემთხვევაში ფუძეს არის შეხორცებული“ (ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 1. მორფოლოგია, 2015: 59).

მეგრულში მიმართვის გასაგრძელებლად შეიძლება დასმული იყოს სი (=შენ) და თქვა (=თქვენ) ნაცვალსახელები, ან სი (=შენ) ნაცვალსახელი და ვო შორისდებული ერთად: სი ხინაფილი, სი დედიბი... (ნაჭყებია, 2009:139). მიმართვასთან ადრესატის დასაკონკრეტებლად და ექსპრესიის გასამდიერებლად ნაცვალსახელისა და შორისდებულის ერთობლივი გამოყენება ასევე ჩვეულებრივი მოვლენა, ბუნებრივი ფორმებია სვანურსა და ლაზურშიც.

#### მეგრული:

1. გვარიანი, პატონი, ხოლო ჭიჭეთ ყურძენი დომიჭვეს დიოდე ჩხურუქუ დო უკული სინჩხე(ი). „გვარიანი, ბატონო, ოღონდ ცოტათი ყურძენი დაგვიწვა ჯერ სიცივემ და შემდეგ სიცხემ“ (ყიფშიძე, 1994: 205).
2. მუშენი იშქიდანქ, სქანი ჭირი! „რატომ კადრულობთ, თქვენი ჭირიმი!“ (ყიფშიძე, 1994: 206)
3. ღორონს ოვერდუდეს: „ჩქინი სქუალეფქე, ღორონთი, მუთუნი სინდიდრემა მიშელასე ნი.“ „ღმერთს ევედრებოდნენ: „ჩვენი შვილები, ღმერთო, რაღაც სიმდიდრეში შეიყვანეო (გამდიდრეო).“ (ყიფშიძე, 1994: 207)
4. მუნერო მორთი, სქუა, აქია? „როგორ მოხვედი, შვილო, აქაო.“ (ყიფშიძე, 1994: 272).

5. გამარჯობა სქანი, **ჯგირი კოჩი!**- უწუუ გერქე. „გამარჯობა შენი, კარგო კაცო!- უთხრა მგელმა (ციფშიძე, 1994: 273).

6. მუშა მორთ, **ბოშია?** -კითხვ ცირაქე ბოშისგ. „რისთვის მოდიო, ბიჭო? -ჰკითხა გოგომ ბიჭს (ციფშიძე, 1994: 279).

7. ჩქიმი ქონებას ართო უგურთულო გიტენტ დო აბა, **სქუაღეფი**, თქვა გირქენა... „ჩემს ქონებას ერთად გაუყოფლად გიტოვებთ და აბა, შვილებო, თქვენ იცით...“ (ციფშიძე, 1994: 283).

8. ა, **ჯიმა**, ათენა რე ეთი წყარი. „ა, ძმაო, ეს არის ის წყალი“ (ციფშიძე, 1994: 291).

9. ათენა ქეგეგონგ ხრისტაგანქე ნი, - „შვიდობითია, **დიდა!**“ - უწუუ დედიბისგ. „ეს გაიგონა ხრისტაგანმა თუ არა, - „მშვიდობით, დედაო!“ - უთხრა დედაბერს (ციფშიძე, 1994: 284).

10. აშე გაგმისეგელი, **დედგბი**, დო ქომიწი, სოლე იდესგ ჩქიმი ჯიმაღეფქი... „აქეთ გამოეთრე, დედაბერო, და მითხარი საით წავიდნენ ჩემო ძმები...“ (ციფშიძე, 1994: 263).

11. მინილგ ოზეშა „**ეი მენძელია**“ დიიძახგ ართიშა, მაჟიაშა, მასუმაშა, მარა სქანი დუდქე ვა დომიღურუ იში მეტი, მითინი ხორციელქ მანგიორი პასუხი ვე მეჩგ. „შევიდა ეზოში „ეი მასპინძელო“ დაიძახა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ, შენი თავი არ მომიკვდეს იმის მეტი, არავინ ხორციელმა სამაგიერო პასუხი არ მისცა“ (ციფშიძე, 1994: 284)

#### ლაზური:

1. **ბაბა**, სი ფადიშაჰი რე, ჯოხო სქან ირ დერის გნაფერი რენ. „**მამა**, შენ ფადიშაჰი ხარ, შენი სახელი ყველა მხარეში ცნობილი არის“ (დიუმეზ., 2009: 18).

2. **ე, ბერე!**-მა, უწუ, სი ჰამ გზაღეფეს სოლე დოლი? „**ე, ვაჟო**, – უთხრა –, შენ ამ გზაზე საიდან დავარდი (მოხვდი)?“ (დიუმეზ., 2009: 18).

3. **ე, უღნოსე!** მა, მა არ ხე ნცას გემიკლიმუნ, დოქსე ოხოზუშქა-ნა წკარის გეღამტი. „ჰე, უჭკუოო! ერთი ხელი ცაზე მიკიდა, თორემ მე რომ გავუშვა, წყალში ჩაეფლობი“ (დიუმეზ., 2009: 34).

4. **დიდ ნანა**, მა ჰამ გზაშე სო მალასენ? „**დიდედა**, მე ამ გზით სად წამესვლება?“ (დიუმეზ., 2009: 21).

5. **დელიკანლი**-მა, – მიწუ, – ჰაქ მოთ გელახერ? „**ახალგაზრდაო**, – მითხრა, – აქ რატომ ზიხარ?“ (დიუმეზ., 2009: 24).

6. **მსქა მსქაფერი-ჩქიმი-მა**, სოლე ხე-ჩქიმის დოლი? „ჩემო ლამაზო ირემო, საიდან მოხვდი ჩემს ხელში?“ (დიუმეზ., 2009: 42).

7. **სქირი-ჩქიმი**, მა (არ) ჩქა ტახთის ვარ გელემახუნენ. „შვილო ჩემო, მე უკვა ტახტზე ვერ დავჯდები“ (დიუმეზ., 2009: 42)

8. **კიკილიკი მამული**, სო მეშახერ? „**ყიყიყო, მამალო**, სად ზიხარ?“ (დიუმეზ., 2009: 92).

9. **დადი-ჩქიმი, დადი-ჩქიმი!** მა-თი მინონ ჩეზმე მქითა! „**დეიდაჩემო, დეიდაჩემო**, მეც კი მინდა წითელი ჩექმა!“ (დიუმეზ., 2009: 92).

10. **ნთხა-ჩქიმი, ნთხა**, გონიწკი დო ნგადაეფე ქოღობლი... „თხაო ჩემო, თხაო, გაიხსენი და საჭმელები გადმოარე“ (დიუმეზ., 2009: 162).

11. **წიპუტინა**, კაპულას მოთ მემიწიპოლამ!-მა. „წიპუტინა, ზურგზე რატომ მჩხვლეტო!“ (დიუმეზ., 2009: 148).

12. **ოხოჯა, სო რე?** კაპინედ ქომოხთი, მა სი ჟა ქჩუმე. „**ქალო**, სად ხარ? ჩქარა მოდი, მე შენ ვერ დაგელოდები!“ (დიუმეზ., 2009: 150).

13. გოწოხთი, **წიწილა**, ბიშქიდე, ნჯას ეფთარე-მა. „მომცილდი, **გველო**, ვიხრჩობი, ხეზე უნდა ავიდეო“ (დიუმეზ., 2009: 160)

14. „**ხოჯა**, დუნა ნაკკუ მეთრე ონუ?“ – დედი ჰითხედ. „**ხოჯა**, ქვეყანა რამდენი მეტრი იქნება?“ – მათ ჰკითხეს“ (დიუმეზ., 2009: 164).

#### სვანური:

1. **ღერბეთ!** სი ლამეშდ, ლახდერეყ მიშგუ გეზღორ, ლახეშდ მიშგუ ნაბარწყს; “ღმერთო, შენ მიშველე, დაიფარე ჩემი შვილები, შეეწიე ჩემს შთამომავლობას:

2. **ეი, შუკუარე მტყცწანი!** ეჩხაჟ აყერ, ეჯ ტყუეფთე წუა სბენდივ: “ეი, მოხეტიალევ, (ანუ უშედგოდ მოსიარულევ), იქითკენ აიღე გეზი, იმ მხარეს მოიპოვება სპონდიო (ერთგვარი მჩატე და ფაშარი ქვა)”.  
3. **ო, ღერბეთ!** ხოჩემი სტეტუ გარ ლახო ალ მეზგა ი ნაბდნიერიჟ ხაჰონახ; “ო, ღმერთო, მხოლოდდამხოლოდ კარგი სვე-ბედი მიეცი ამ აჯახს და ბედნიერება მიანიჭე (“შემოახვიე”).

4. **ღერბეთ!** სი ლამეშდ, ლახდერეყ მიშგუ გეზღორ ი ახენტხილ მიშგუ ნაბარწყს; “ღმერთო! შენ მიშველე, დაიფარე ჩემი შვილები და დაიცავი ჩემი შთამომავლობა”.



5. ლაყსგრს ჩჷი ჯგლგყს სგტებინ ხოჷოდდა მიშგუ მეზტბელი მახე ნანჷყაჷ თუხარიკ ჩჷჷ, მუხბე, ეჯ თუხარიკ ისგუ იჷ მარ. “ილაღებზედ ცხენების რემას წინ მიუძღოდა ჩემი მეზობლის ახლად გახედნილი თოხარიკი ცხენი, ძმაო, ის თოხარიკი შენთვის მინდა/ შენთვისლა მემეტება”.

6. **დინა!** ისგუ ეშხი-მეშხი, ისუ მალატჷ გჷღლდ მეშხი. „გოგო! მკლავს შენი მომხიზვლელობა და ეშხიანობა, შენი სიყვარულით მეწვის გული“.

მიმართვის გარდა წინადადების წევრებად არ ითვლება ჩართული სიტყვებიცა და სიტყვათშენაერთებიც. მათი საშუალებით მოლაპარაკე გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წარმოთქმულისადმი (უყოყმანობას, დარწმუნებულობას, ყოყმანს, ეჭვს, ემოციურ რეაქციას და სხვ.): სამწუხაროდ, მას მგზავრობის ფული არ აღმოაჩნდა.

იმავე ფუნქციას ასრულებს ჩართული წინადადებაც. მაგ., თამამად შემოდლია განვაცხადო, მე თქვენს აზრს არ ვეთანხმები.

ჩართულით შეიძლება გამოიხატოს:

1. დარწმუნებულობა, სანდობა (რა თქმა უნდა, უდავოა, ჭემმარიტად, თავისთავად...);  
2. ყოყმანი, დაურწმუნებლობა, ვარაუდი, მთქმელის შეფასება მართებულობის თვალსაზრისით (ალბათ, ვფიქრობ, მგონია, შესაძლებელია, დავუშვათ, თუ გსურთ, ასე თუ ისე...)

3. სიხარული, მოწონება (საბედნიეროდ, სასიხარულოდ, რაც კარგია, ამას რა სჯობს...)

4. სინანული, დაუთანხმებლობა (საუბედუროდ, სამწუხაროდ, სამარცხვინოდ, მით უარესი...)

5. გაკვირვება, შემფოთება (საკვირველია, ჩვენდა გასაკვირად, გასაოცარია...)

6. შიში, სიფრთხილე (დმერთმა გვაშოროს, ვშიშობ...)

7. გამონათქვამის საერთო ექსპრესიული ხასიათი (დამერწმუნეთ, სიმართლე რომ ვთქვათ, რა თქმა უნდა, ხუმრობის გარეშე...)

8. შეტყობინების წყარო (ავტორის აზრით, ვფიქრობ, როგორც ამბობენ, მწერლის თვალსაზრისით...)

9. აზრის თანმიმდევრობა და კავშირი (პირველი, მეორე, მესამე; ჯერ ერთი, მერე...; აქედან გამომდინარე, ამრიგად...)

10. ნათქვამის სტილის, გამოთქმის, მეტყველების მანერის, აზრის გაფორმების საშუალებების შეფასება (ერთი სიტყვით, მოკლედ, სხვანაირად რომ ვთქვათ, უფრო სწორად, ასე ვთქვათ...)

11. ნათქვამის ზომიერების, ხარისხის შეფასება; მოყვანილი ფაქტების ჩვეულებრივობა (ჩვეულებრივ, როგორც მიღებულია, როგორც ხდება, როგორც ყოველთვის, ბოლოს და ბოლოს, ბუნებრივია...)

12. თანამოსაუბრის ყურადღების მიპყრობა შეტყობინებისადმი, აქცენტირება, ხაზგასმა (თუ იცი, თუ გახსოვს, დამერწმუნე, წარმოგიდგენია? დამიჯერე, ხაზს ვუსვამ, რაც მთავარია...) (Балашова Л. В. Дементьев В.В., Вводные слова, словосочетания и предложения, Лицей, www. licey. net)

ჩართულია აგრეთვე საალერსო სიტყვა-გამოთქმები და ზოგიერთი ფიცილის ფორმულა, რომელსაც შორისდებულის მნიშვნელობა აქვს: გენაცვალე, გეთაყვა, შენი ჭირიმე, თქვენმა მზემ, დმერთმანი და ა.შ.

სალიტერატურო ქართულში ჩართული წინადადების შემადგენლობაში შედის უკავშიროდ, ან საკავშირებელი სიტყვის საშუალებით, მაგრამ ორივე შემთხვევაში წინადადებისგან გამოყოფილია ინტონაციურად და განკერძოებით დგას (კვაჭაძე, 1996: 342). ჩართული სიტყვა-გამოთქმები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი სრულად ამოწურვა შეუძლებელიც კია.

**მეგრულში:**

1. მინილე ოზეშა „ეი მენძელია“ დიიძახე ართიშა, მაჷიაშა, მასუმაშა, მარა სქანი დუდეჷ ვა დომიღურუ იში მეტი, მითინი ხორციელჷ მანგიორი პასუხი ვე მეჩჷ. „შევიდა ეზოში „ეი მასპინძელო“ დაიძახა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ, შენი თავი არ მომიკვდეს იმის მეტი, არავინ ხორციელმა სამაგიერო პასუხი არ მისცა“ (ყიფშიძე, 1994: 284).

2. **მუგაშინუაფუ,** მუჭომს ახიოლუდეს ნი ეში ძირაფა. „მოგეხსენება, როგორ გაუხარდებოდათ ამისი ნახვა“ (ყიფშიძე, 1994: 233).

3. **მუ რაგადი ოკო,** ხათე ქემაზადე ე როკაპიქე... „რა თქმა უნდა, მაშინვე შემოეგება ეს როკაპი...“ (ყიფშიძე, 1994: 236).

4. მარა გერიაჷ უწუუ: „მითინიშა ვა მოშქურუნია“ დო, - **აქითი მუოთ გავაგირძალა:** იშენი დიდიე არიკი დო დუუბადე მარჩქილეს... „მაგრამ გერიამ უთხრა: „არავისი არ მეშინიაო“ და -აქით რალა გავაგრძელო: მაინც დიღია არაკი და ეყოფა მსმენელს...“ (ყიფშიძე, 1994: 237).

5. იში ცვილუა, **მუჭოთი რაგადი დე ნი,** მითინც ვე შულებუდუ. „იმისი მოკვლა, როგორც ამბობდნენ, არავის არ შეეძლო“ (ყიფშიძე, 1994: 263).

**ლაზურში:**

1. **მა სი გოხვეწაფ,** დომიამბავი! „გეხვეწები, შემატყობინე!“ (ვანილ., თანდ. 169)

2. მაშქურინუ: „**ჰაწ ჩქიმიშენ**: მუთ მეხირუშე მოხთუ-და დო ომჭოფანორენ“-მა. „შემემინდა: „**ვაი ჩემზე** (ვაი, ჩემთვის), რაღაცის მოსაპარად მოვიდაო და დამიჭერენ-მეთქი“ (დიუმეზ., 2009: 28).

3. **მუ პარე?** დომილუმჯუ-დონ, ამსერ ოხორიშა ვარ მალასენ-და. „**რა ვქნა?** დამილამდა, ამ საღამოს სახლში არ შემიძლია წასვლა“ (დიუმეზ., 2009: 30).

4. **მუ პა**-და, თის ჰა-თ მემიჭარუტუ-დორენ-და. „**რა ვქნაო**, თავზე ეს მეწერაო“ (დიუმეზ., 2009:32).

5. **პეა**, სო იდუ? „**ნეტავ**, სად წავიდა?“ (დიუმეზ., 2009: 40).

6. **ჩქიმი ფიქრითენ**, ამ ჟურ ადეთი ემაცხუნუ. „**ჩქიმი აზრით**, ეს ორი ადათი ავირჩიე (ყიფშ. 8, 21).

7. **ალლა რაზი ოლსუნ!** კაი ქაგამაიძლი! „მადლობა ღმერთს, კარგად გამოვძეხი“ (თანდილავა, 19).

#### **სვანურში:**

1. **ნაზდნიეროშტ**, ბარბალაშ მევარ ლუვზერე ზურალ ლასტ ი ქორ ი ჰაზტ-აგამ სარკდ ლგენე ხადდა მეჰად; „საზდნიეროდ, ბარბალე ბეჯითი ქალი იყო და სახლი და ეზო-კარი მუდამ სარკესავით დაწვრიალეებული ჰქონდა“.

2. ეჯ მეთხუაშ კოჯს ერსკანს დემე, **მგრეს**, ხნტრე ი დეცს – ფირვენს. – “ის მონადირე კლდეში ერკემალს და არჩვს, ალბათ, არ ტოვებს არსად და არც ცაში ფრინველს”.

3. **ტვიც ჰემა ჯაქტა**, ბექმერზას ქორ ჩი ლადან ნათხუარენი ლალტუ გვეში ხარ; “სიმართლე გითხრა, ბექმერზას სახლი ყოველდღე ნანადირევის ხორციტ აქვს სავსე”.

4. ნათნალტ ეჯა მნიდშუ ხტკაფურალდ, **ამ ღერბათშუ**, დისნალდ ტაბანტეჟა ანჯიდ მახე მგჯაბ ლედტ ი ქუთუარ. “ნაუდეღტეხილარები შიმშილისგან წაქცევაზე ვიყავით, ღმერთით, დიასახლისმა სუფრაზე გამოიტანა ახლად მოხარშული ხორცი და ხაჭაპურები”.

5. **ტჟოიხ**, ალ დონას მერზაყანი მალატ ესერ გუისგა ხუდტა, მარე იჰუმი – “ამბობენ, ამ გოგოს მურზაყანის სიყვარული აქვსო გულში, მაგრამ მალავსო”.

6. **აჯად ეზარ**, მართად ჩის გუნ ლახლატუნე თხტიმ მიჩა ხოჩა ლიზურალშუ, ლგხლობშუ... – “კიდევ კარგი, მართამ თავისი კარგი ქალობით, ყოვლისმცოდნეობით ყველას ძალიან შეაყვარა თავი...”

7. **ნაქტისგ ლი**, ალ მურყუამ ლემარ ლწყერილ მურყუამ ი თხუმ ზანგლაგ ხარკენა; “ნათქვამია, ეს კომპი ყოფილა საგულმაგო კომპი და სათავეში ზარიც (ჰკიდებია) ყოფილა ჩამოკიდებული”.

8. მანკტი ჯგერაგი კათხს გორახ, ეჩქანლო სწყანს ი ამჟინ იზნოლდა ლითრე-ლილხნე, **ჰამდალ**, ხეროლხ ხოჩა ლარდა; “პირველად წმ. გიორგის კათხას შესვამდნენ, მერე საგანგებო სასმისს და ასე იწყებოდა დაღევა და მოლხენა, რაღა თქმა უნდა, კარგ დროს გაატარებდნენ”.

9. **ჩიქი**, მანბილან ლიმხედუაჟ ი ნალმარგი ლაჰრავდ ლი ჩუ მესდე ი სი ხოხრამ გარ ზეჯდას; “ჯერ ერთი, მანბილას ვაჟკაცობა და სიკარგე (=ვარგისიანობა) საარაკოდაა დარჩენილი და შენ უარყოფით კონტექსტში ნაკლები ილაპარაკე მასზე”.

ამრიგად, ქართველური ენები სალიტერატურო ქართულთან მიმართებით განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. განსაკუთრებით ითქმის ეს ჩართულის შესახებ, რადგანაც ჩართული, ძირითადად, ოფიციალური და მხატვრული სტილისათვისაა დამახასიათებელი. ქართველურ ენებში მას უმეტესად სალიტერატურო ქართულის გავლენისა და კალკირების იერიც კი დაჰკრავს.

#### **ლიტერატურა:**

1. **ასათიანი**, 2012 - ირინე ასათიანი, ლაზური ლექსიკონი, 2012.
2. **დიუმეზილი**, 2009 - ჟორჟ დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები (ქართული ვერსია და ლექსიკონი შეადგინა მ. ბუკიამ), 2009.
3. **თანდილავა**, 2013 - ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, 2013.
4. **თოფურია** –2002 ვ. თოფურია, სვანური სინტაქსი, შრომები, ტ. II, თბ., 2002.
5. **კარტოზია**, 2005 – გ. კარტოზია. ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.
6. **კვაჭაძე** 1996 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996.
7. **კიზირია**, 1982 – ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.
8. **ლაზურ-მეგრული გრამატიკა**, 2015 - ჭაბუკი ქირია, ლალი ეზუგბაია, ომარ მემიშვი, მერაბ ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 1. მორფოლოგია, მერიდიანი, თბ., 2015.
9. **ნაჭყებია**, 2009 - მ. ნაჭყებია, ვოკალური ფორმის გამოხატვა ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ I, თბ., 2009.
10. **ონიანი** 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.
11. **ყიფშიძე 1994** – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

12. ჩართოლანი 2003 – ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა, თბ., 2003.
13. ქრესტომათია, 1978 – სვანური ენის ქრესტომათია. ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით. თბ., 1978.
14. ჯანჯღავა, 2001 - ჯანჯღავა ც., მიმართვის ფორმისათვის მეგრულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, 2001.
15. ჯანჯღავა, 2012 - ჯანჯღავა ც., ზმნური მიმართვის შესახებ მეგრულში, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXXII., თბ., 2012.
16. Лингвистический энциклопедический словарь. Гл. ред. В. Н. Ярцева. — М.: Советская энциклопедия, 1990.
17. Балашова Л. В. , Дементьев В.В., Вводные слова, словосочетания и предложения, Лицей, www. licey. net

## ISOLATED WORDS AND EXPRESSIONS IN KARTVELIAN LANGUAGES

### I. ADDRESSING WORDS; INTRODUCTORY WORDS

**Marine Kakachia**, Sokhumi State University, Associate Professor

**Ketevan Margiani**, Sokhumi State University, Associate Professor

**Marina Jgarkava**, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Scientific Worker

### RESUME

Isolated words and expressions are widely spread syntactic constructions in modern Georgian literary Language. To understand the grammatical nature of such words and expressions properly and to establish their role and function in the sentence are of vital importance for examining the syntax of Kartvelian languages, as quite a few issues are related to it.

In the given article two types of isolated words and expressions are discussed: addressing words and introductory words in Kartvelian languages (in Svan and Megrelian-Lazi) and compared with Georgian literary language. The characteristic peculiarities of kartvelian languages are marked out, related material for analysis is suggested and relevant conclusions are made in the presented work.

## წყალთან დაკავშირებული ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართულურში

მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ტოპონიმები ქართული ენის ლექსიკური ფონდის ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელშიც ასახულია ენასა და დიალექტებში მიმდინარე პროცესები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკვლევართა შორის წყალთან დაკავშირებული ტოპონიმები. „წყალ“ ლექსიკური ერთეულის შესახებ ქართველურ ენათმეცნიერებაში არსებული საყურადღებო კვლევები მიუთითებს ამ საკითხის აქტუალობასა და თანადროულობასთან მიმართებაში მასთან დაკავშირებული ტერმინების დაზუსტების აუცილებლობაზე.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „წყალი ეწოდების ზღვასა, ტბასა მდინარესა, წყაროსა, ფშასა. ჯურღმულთა, წვიმათა და თოვლისა ნადნობთა და ამათ მიერ იქმნებიან (იქმნების A) ნათლის-ღება, ხოლო ვარდის-წყალთა (ვარდის-წყლითა A) და სხვათა მიერ ნოტიოთა (ნოტიოთა მიერ A ) არა იქმნებიან“ (საბა, 1993: 391). მსგავს განმარტებას ვხვდებით ქართული ენის სხვა ლექსიკონებში (ნ. ჩუბინაშვილი, 1961: 455; დ. ჩუბინაშვილი, 1984: 1696; ი. აბულაძე, 1973: 553; ქეგლი, VIII). ეს მიუთითებს იმაზე, რომ „წყლის განმარტებაში სხვადასხვა ლექსიკონებს შორის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში განმარტებათა მოცულობასა და საილუსტრაციო მასალის რაოდენობას, არსებითი ხასიათის განსხვავებები არა გვაქვს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე წყლის ძირითადი სემანტიკა უცვლელი დარჩა“ (ლ. გიგლემიანი, 2006:6). საზოგადო გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკასთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „საქართველო ბარის, მთისა და წყლის ერთგვარ შეერთებას, ერთიანობას წარმოადგენს. თავის მხრივ, ბარიც, მთაცა და წყალიც ნაირგვარია. ბარია მიწაც, ვაკეც, ველიცა და მინდორიც. მთა არის

კლდეცა და გორაკიც (თავისი ნაირსახეობებით). წყალია ზღვაც, მდინარეცა და ტბაც, წყარო თუ ღელე“ (მ. ლაპარტყავა, 2006: 3).

ფრონეს ხეობის ქართლურში წყალთან დაკავშირებული ტოპონიმები მრავალფეროვანია როგორც შინაარსის, ისე წარმოების მხრივ. ხშირია შემთხვევა, რომ ესა თუ ის ტოპონიმი სხვადასხვა სოფელსა და უბანში უცვლელი სახელწოდებით მეორდება. ერთი და იმავე მიკროტოპონიმის ერთდროულად რამდენიმე დასახლებულ პუნქტში გავრცელება დამახასიათებელი მოვლენაა ქართული ტოპონიმებისათვის (შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, 1980: 222).

ფრონეს ხეობის ქართლურში წყალთან დაკავშირებული ტოპონიმების შემდეგი ჯგუფები გამოვყავით: 1. „წყალ“ ფუძის შემცველი ტოპონიმები; 2. „წყარო“ ფუძის შემცველი ტოპონიმები; 3. „ტბა“ ფუძის შემცველი ტოპონიმები; 4. „ღელე“ ფუძის შემცველი ტოპონიმები; 5. „ჭალა“ ფუძის შემცველი ტოპონიმები; 6. „ხევ“ ფუძის შემცველი ტოპონიმები; 7. „ჭაობ“ ფუძის შემცველი ტოპონიმები; 8. „მორეც“ ფუძის შემცველი ტოპონიმები. ასევე ყურადღება გავამახვილეთ ისეთ ტოპონიმებზეც, რომლებიც ნაწარმოებია მხოლოდ ოდენ სუფიქსით და წყალს უკავშირდება. ასეთ სუფიქსებად დასტურდება: -ულ// -ულა, -ეთ, -ორ; მრავლობითის -ებ სუფიქსი და სხვა.

„წყალ“ ფუძის შემცველი ტოპონიმებიდან აღსანიშნავია: **ალისწყალი** – მდინარე სოფელ ალში. მას ასახელებს ვახუშტი (1941: 80). ხალხში ეს მდინარე ცნობილია **ალის ფრონის, ალურას** სახელწოდებით. **დვანისწყალი** – მდინარე ფრონის თავდაპირველი სახელი. ვახუშტი **დვანის, დირბისა და ბრეთის ფრონეს „დვანის – წყალს“** ეძახის (1941: 79). **ფცისწყალი – ფცის ფრონე, ფციულა**. ვახუშტი წერს: „დვანის-წყლის დასავლეთით არის ფცის-წყალი და დის ლოხოისა-პერანგას მთათაგან, მოდის სამგრით და მიერთვის მტკვარს“ (იქვე). იოანე ბატონიშვილის „ქართლ-ვახეთის აღწერაში“ უცვლელად მეორდება იგივე სახელწოდებები: **დვანის წყალი, ფცის წყალი, ალის წყალი** (ი. ბაგრატიონი, 1980: 368). **ღღეს ფცისწყალს უწოდებენ** მდინარე ფრონეს სოფელ ფცაში, ამავე დროს ადგილსაც აღნიშნავს მოხისში.

ვახუშტი ბატონიშვილს ფრონეების ხეობაში დასახელებული აქვს ექვსი მდინარე: „ფაწა, ოთხი ფრონენი და შოლა“ (1941: 78). ა. ლლონტის მოსაზრებით, მათში იგულისხმება: „ფაცის (ფცის) წყალი (ახლანდელი ალურა, ალისფრონე, ფციულა) და ოთხი ფრონე: დვანისწყალი (ახლანდელი ფრონე, დვანის ფრონე), ალისწყალი (ახლანდელი ალურა, ალისფრონე), სურამისწყალი (ახლანდელი სურამულა, სურამისფრონე), ბრედისწყალი (ახლანდელი ბრედულა, ბრედისფრონე). ამ მდინარესთანაა დაკავშირებული ლოფინისწყალი, იგივე წადვლურა, „წადვლის ფრონე“ და შოლა“ (ალ. ლლონტი, 1988: 5).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დასტურდება „ფრე წყარო ჭისაო“ (1993: 198). იგივე სიტყვა ნ. ჩუბინაშვილთან განმარტებულია ასე: „ფრე წყარო წყლისა“ (1961: 396). ანტონ ბაგრატიონი „ფრეს“ ასეთ კონტექსტში ახსენებს: „ჯურღმულ ფიცისა და ფრე არადმოქმნილ, ხოლო ირისედ ჩუენდა ნიშად მშკდობის იქმნა ქალწული“ (1980: 152). ა. ლლონტი ფრეს უკავშირებს ფრონეს. ამის საფუძველს აძლევს მას მდინარის ადიდების გამო ხალხში გავრცელებული გამოთქმები: „წამოვიდა ფრონე“, „იმდენი იწვიმა ფრონე დადგა“, „ამოდენა ფრონეს ვინ გატოპავს“ და ა. შ. (1988:25). თავდაპირველად თვით ვახუშტის დროსაც, ფრონე ყოფილა არა საკუთარი, არამედ დენოტანტი, საზოგადო სახელი. საგულისხმოა, რომ ვახუშტი ლაპარაკობს ოთხ ფრონეზე (1941: 78). ალ. ლლონტი მიუთითებს იმერულში დადასტურებულ მსგავს სიტყვაზე: „ქორეთში (საჩხერეს რ.), მაგალითად არის მცირე ღელე, რომელსაც ფრონა ჰქვია“ (ქ. ძოწენიძე, 1974: 589), „მაგრამ ყოველივე მერმინდელი გააზრება უნდა იყოს. პირველად ფრონე სწორედ დენოტატი უნდა ყოფილიყო, საკუთარი სახელის (ჰიდრონიმის) ფუნქცია მას გვიან დაჰკისრებია. ამით შეიძლება აიხსნას ის საგულისხმო ფაქტიც, რომ ვახუშტის ნაშრომში ეს სიტყვა მოხსენებულია მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმებით (ფრონენი, ფრონეთა)“ (ალ. ლლონტი, 1988: 25). ვფიქრობთ, ალ. ლლონტის ეს მოსაზრება გასათვალისწინებელია ფრონესთან დაკავშირებით, საგულისხმოა „ფრესთან“ მისი დაკავშირებაც. „ფრონე უნდა იყოს შედგენილი სიტყვა, რომლის არქეტიპი ჩანს ფრ ან ამისი სტრუქტურული ვარიანტი (\* ფარ, \*ფონ, \*ფურ, \*ფორ), დაცული ქართულ ლექსიკაში ფრეს სახით (ჭის, ჭისწყლის მნიშვნელობით)“ (ალ. ლლონტი, 1988: 23).

„წყალ“ ფუძის შემცველი ტოპონიმის პირველ ნაწილად გვხვდება სოფლის სახელწოდება. მაგ.: **აწყურისწყალი** – პირველ რბონაში. ტოპონიმებში „წყალ“ და „ფრონე“ ფუძე საზღვრულად ერთმანეთის პარალელურად დასტურდება: **ბრედისფრონე, ბრედულა** (ბრედ-ულ-ა), **ბრედისწყალი** (ვახუშტი, 1941: 79) – მდინარე ბრეძაში. **რუსთავისწყალი** – პატარა მდინარე, რომელიც ფრონეს უერთდება ბეყმართან. რუსთავი სოფელს ჰქვია სამაჩაბლოში. **წორბისისფრონე // წორბისისწყალი** – მდინარე სოფელ **წორბისთან**. **ლისისწყალი** (ლისა –სოფელი ზნაურის რაიონში) – მდინარე, რომელიც უერთდება მუხაურისწყალს **ძალინასთან**. **წყალგამყოფი** – ეწოდება ახალშენისგორას, მხლითისერს, კობერაანთგორას, ოქონისგორას.

„წყალ“ ფუძის შემცველ ტოპონიმებში მსაზღვრელად გვხვდება **გვარი. მაგ.: ზაიდაურისწყალი** – წყრომში; **თედეშვილებისწყალი** – დიდ ხალებში; **ბიჭიკაანთწყალი** – კრისხევში. **ადამიანის სახელი:**

**სისოსწყალი** – მდინარე, ადგილი ჩორჩანაში; **თამარისწყალი** – თავუთში. **ცხოველი, ფრინველის სახელი: დათვისწყალი** ადგილს ჰქვია სოფელ ლოპანში; **შაშვისწყალი** – წყალი ჩორჩანაში; **ჯადორეთისწყალი** – წყალი თერეგვანში. **ჯადორეთი დასტურდება** სათესი ადგილის სახელწოდებად თერეგვანში. შესაძლებელია, ეს სიტყვა უკავშირდებოდეს „ძალს“: ჭან. ჯოდ-ორ-ი// ჯოდ-ო-ი „ძალი“, მეგრ. ჯოდ-ორ-ი, ქართ. ძალ-ლ-ი. „ქართულში ძირეულია ძალ-; -ლ- დეტერმინანტი სუფიქსია; ძალ-ს კანონზომიერად შეესატყვისება ჯოდ-ჭანურსა და მეგრულში. სვან. ჟელ-ის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, ოღონდ თავკიდური ჟ-, თუ ის მეორეული არაა (ჟ-ჯ-) გვაფიქრებინებს, რომ ქართულში უნდა ყოფილიყო ზად-, მას შეეფერებოდა ჟოდ-ჭან-მეგრულში და ჟელ-სვანურში“ (არნ. ჩიქობავა, 2008: 97).

მსაზღვრელად გვხვდება: **ზედსართავი სახელი: ლაშისწყალი** – დირბში ; **მლაშეწყალი** – ზემო აძვისში; **მხიარულისწყალი** – ჩუმათელეთში; **ურწყავი ადგილი** – სათესი ბრემაში. **რიცხვითი სახელი: ორწყალა** – ადგილი ქემფერში, სადაც ერთმანეთს უერთდება ორი ტილიანა. „წყალ“ ფუძესთან მონაცვლეობს „ტილიანა“ (-მ-ტილ+იან-ი): ტილიანას უწოდებენ მდინარეებს დვანში, ზემოაძვისში, ცვედანში, სატივეში, ცოცხნარაში..... მდინარის შენაკადებსაც ტილიანს უწოდებს მოსახლეობა. დვანის ფრონეს აქვს სამი ტილიანა: **დვანის, ავნევისა და ყორნისისა**, ადრე უნდა ყოფილიყო **მტილიანა (ალ. ლლონტი, 1988 :70). შდრ. მტილი -ზოსტანი (საბა, 1991: 524; ნ. ჩუბინაშვილი, 1961: 300; ვახუშტი, 1941: 29).**

ტოპონიმების გამოჩენა ზოგჯერ უცვლელია, ზოგჯერ დუბლეტურ გამოჩენასაც აქვს ადგილი. მაგ.: **პატარა ტილიანა** – მდინარე ერთვის ფრონეს ავნევიში.

„წყალ“ ფუძე მსაზღვრელად ახლავს ზოგჯერ მდინარის სახელწოდებაც, მაგ.: **ლიათისწყალი (-ლიახვისწყალი) – დირბში.** მსაზღვრელად გამოყენებულია მცენარე: **მუხისწყალი** – ადგილი, წყალი წალვში.

ხშირად „წყალს“ უკავშირდება მსაზღვრელად გამოყენებულია სხვადასხვა შინაარსის მქონე სახელი. მაგ.: საზოგადო სახელი: **სისხლისწყარო** – ალიბარში, ზნაურის რაიონში; **ბატონისწყარო** – ადგილი სატივეში; **ბებერისწყარო** – წყალი ტამისკარში; **ბეგისწყარო** – ქვემო შაქმაქეთში. **ბერისწყარო** – დუმაცხოვში; **გველაქვისწყარო** – ქვაშვეთში; **დედოფლისწყარო** – ბიანთხევიში, ფცაში; **გუგულისწყარო** – ახალშენში.

ხშირია ადამიანის სახელის გამოყენება მსაზღვრელად, რაც კუთვნილებაზე მიგვანიშნებს: **არსენასწყარო** – წყალი ზემოაძვისში, სატივეში; **ალექსანდრესწყარო** – ხალეში; ღართაში, თხინალაში; **ზაქარიასწყარო** – წრომში; **ბერდალასწყარო** – ახალშენში; **ბადრიანთწყარო** – ავლევიში. **ბარბაქაძეებისწყარო** – წყალი რბონაში. **ბესიასწყარო** – ქაშვეთში; **ბექოსწყარო** – მოხისში. **ბიტასწყარო** – კრისხევიში.; **ბუკიასწყარო** – წყალი კოდისწყაროში; **გიგოლასწყარო** – ქემფერში. **გიგოსწყარო** – ბიანთხევიში, ქვიშხეთში. **გიორგისწყარო** – ქვემობროლოსანში. **გიოსწყარო** – მონასტერში; **დიმიტრისწყარო** – წყალი სურამში; **ეგნატესწყარო** – იტრიაში. **ედიშერასწყარო** – თამარაშენში. **ერასტისწყარო** – კრისხევიში; **თანდილასწყარო** – თერეგვანში; **ლადოსწყარო** – ბულაურში; **კიკოსწყარო** – ოძისში; **ხანოს წყარო** – მოხისში. **ჯინასწყარო** – თერეგვანში; **ზაქარიასწყარო** – წრომში; **ლადოსწყარო** – ბულაურში; **ტატოსწყარო** – ბრეთში....

კუთვნილებას გამოხატავს მსაზღვრელად გამოყენებული გვარები: **გიგიტაშვილებისწყარო** – ქვიშხეთში. **გოგოლაურისწყარო** – ქინძათში; **კიკამისწყარო** – ბიანთხევიში; **ლუქუნძიანთწყარო** – მოხისში. **მაისურაძეებისწყარო** – დუმაცხოვში. **მაცხონაშვილებისწყარო** – დუმაცხოვში, **მინაძეებისწყარო** – ბერძენაულში...

მსაზღვრელად გამოყენებული გვარი ხშირად წარმოდგენილია კუთვნილების მიმანიშნებელ -იან სუფიქსით, რომელსაც ახლავს მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსიც. მაგ.: **დურგლიშვილიანთწყარო** (დურგლიშვილებისწყარო) – დირბში. **ელიანთწყარო** (-ელიაშვილების) – მოხისში; **მაჭარაანთწყარო** (-მაჭარაშვილების) – ზემო შაქმაქეთში; **განჯელაანთწყარო** (-განჯელაშვილების) – სატივეში; **პეტრიანთწყარო** (-პეტრიაშვილების) – ნულში. **ჟამერაანთწყარო** (-ჟამერაშვილების) – ცერონისში; **მეტევიანთწყარო** (-მეტევიშვილების). **-იან-თ** სუფიქსი მაწარმოებლად გვხვდება ზედმეტსახელებშიც. მაგალითად, **თაფლანთწყარო** (-თაფლა)-კნოლევიში; **ციქუბაანთწყარო** (-ციქუბა) – კნოლევიში. ტოპონიმთა ასეთი წარმოება უცხო არ არის ქართლურისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისათვის (მ. კობერიძე, 2009: 280-281). **ლუაანთწყარო** – თერეგვანში. **ლუაანთწყეს** უწოდებენ ადგილს კრისხევიში. ასეთ შემთხვევაში ლუა ზედმეტი სახელი უნდა იყოს.

„წყაროს“ მსაზღვრელად გამოყენებული ლექსიკა ზოგჯერ ნიადაგის შემადგენლობაზე მიუთითებს: **კაპნარისწყარო** – უწლევიში. ფრონის ხეობაში კაპნარს უწოდებენ დაუმუშაველ, ქვიან და ბუჩქნარიან ადგილს. **კლდისწყარო** – ბრილში. **კოხიჭალებისწყარო** – მოხისში. საბა: „კოხი ქვა, რომელი ცეცხლში არ დასქდება“ (1991: 387). ზემოაჭარულში კოხს უწოდებენ გამოფიტულ, ნაკლებად ნაყოფიერ მიწას (მ. კობერიძე, 2011: 69). ფრონის ხეობაში ქვიან ადგილს უწოდებენ „კოხიანს“. **კოხიჭალა** – ადგილს ჰქვია ქვენატკოცაში; **კლდისწყარო** – ბრილში; **ლუგელაწყარო** – წრომში. ალ. ლლონტის აზრით,

სახელწოდება უნდა უკავირდებოდეს სიტყვას გუბელა (ალ. ღლონტი, 1988: 55). ვფიქრობთ, რომ სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს დუბელადან, რაც ნიშნავს მოთბო წყალს (შდრ. „დუბელა-წყალი მოთბო და მოწვდილი“ (საბა, 1991: 227). **მადნისწყარო** – კაკალათხევეში. **ქვანათხარისწყარო**,

**ქვაშავისწყარო** – ჩორჩანაში; **ქვანათხარისწყარო** – ავლევეში. აქ მსაზღვრელად გამოყენებულია კომპოზიტი. აქვე გვხვდება ადგილი **ქვანათხარი**; **მენამთისწყარო** (-მენასმთისწყარო) – დირბში; **დუბისწყარო** – ბიჯნისში, **დვანში**; **დუბე** – **დაბალი ადგილი** (საბა, 1991: 276); ვფიქრობთ, წყაროს სახელწოდება ადგილის სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს; ქვემოაჭარულში დასტურდება ამ მნიშვნელობით დვიბე, დუბე (დაბლობი ადგილის საყანე მიწა) (მ. კობერიძე, 2011: 68); **დარამთისწყარო** – ახალშენში. ეს სახელწოდება დარე - მდარედან უნდა მომდინარეობდეს (შდრ. დარე, მდარე (საბა, 1991:199), რომლის საფუძველი უნდა იყოს დარი („დარი-კეთილი ტაროსი, ხოლო ცუდსა ტაროსსა ეწოდების ავდარი“ (ნ. ჩუბინაშვილი, 1961: 195).

მსაზღვრელად გამოყენებულია: ზედსართავი სახელი: **დამპალწყარო** – ადგილი ხცისში; **დიდიწყარო** – წყალი წაღვლში. **სოფლის სახელი: წაღვლისწყარო** – აბისში; **ატოცისწყარო** – ბრეძაში; **კოდისწყარო** – დვანში, ქემფერში; **კოდისწყაროსგზა** – ქვემობროლოსანში; **ნედლათისწყარო** – ახალშენში; **სომანეთისწყარო** – წყალი მოხისში; **ტკოცი(ს)წყარო** – ადგილი, წყარო ახალშენში. მსაზღვრელად გამოყენებულია რიცხვითი სახელი: **სამწყარო** – ავნევეში. გვხვდება სახელწოდებები: **ქვემოსამწყარო**, **შუასამწყარო** – აქ უერთდება სამი ხევის წყალი და სახელწოდებაც აქედან არის ნაწარმოები.

მსაზღვრელად გამოყენებულია მდინარის სახელი „ტილიანა“: **ტილიანასწყარო** – ადგილი დვანში.

„ტბა“ ფუძის შემცველ ტოპონიმებს მსაზღვრელად ახლავს **გვარი: ამილახერისტბა** – გუბე ტაშისკარში. **ბლიაძისტბა** – პატარა ხალებში. ამ ადგილის აღმნიშვნელად გვხვდება ტოპონიმი: „ნატბევარი“. **მესხიანტბები (-მესხიშვილების ტბა)** – ადგილი სათესი ახალშენში. **ფეხშველაანტბა** – ადგილი, სათესი, ნაჭობარი ახალშენში, თერეგვანში. **ადამიანის სახელი მსაზღვრელად: გიოსტბა** – ყელეთში. **დასკალიასტბა** ადგილი, გუბე, ტბა წრომში. **დასკალია** – ანთროპონიმი. **კვირია(ს) ტბა** – ბულბულისციხეში. **სოლოსტბა** – ადგილი, ტბა დიდყელეთში.

მსაზღვრელად გამოყენებულია ზედსართავი სახელი: **მერალტბა** (-მერალი ტბა) – ადგილი, ტბა თავუეთში (მ. კობერიძე, 2012:42). **ოქროსოფლისტბა** – ადგილი ტბა დიდყელეთში; **კობტობა** – ადგილი ნულში. ეს სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ტბას, შდრ მეგრ.ტობ-ტობ-ა//ტობ-ო „ღრმა წყალი“; სი-ტობ-ა „სიღრმე“; ლაზ. ტობ-//ტიბ- ტობ-//ტიბ-ა „ტბა: მორევი; ღრმა (წყალი) (არნ. ჩიქობავა, 2008: 191; 3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990: 291). „ტობა კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. ტაბ-ა-ს, რომელიც საფუძველად უდევს ტბა-ს და შენახულია ადგილის სახელში ტაბა-ხმელა. მნიშვნელობის მიხედვით ამ სიტყვას მეგრულში ორი რისამე გადმოცემა უხდება; ესაა „ტბა“ და „ღრმა“ (არნ. ჩიქობავა, 2008: 191). ტობ- (ზანიზმი) დასტურდება იმერეთისა და გურიის ტოპონიმიში (ტობანიერი, ტობახჩა და მისთ.). გურული ტომბოყო და აჭარული ტომბოყო//ტომბოყო („წყლიანი ორმო; დამდგარი წყალი; წუმპე“) მეგრულ - ლაზურებიდან ნასესხებ ტომბო ფუძეს გამოავლენენ (3. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990: 291).

„ტბა“ ფუძესთან მსაზღვრელად გვხვდება საზოგადო სახელი: **სულისტბა** – ადგილი ტბა დიდყელეთში. **სოფლის სახელი მსაზღვრელად: ყელეთისტბა** – ადგილი, ტბა დიდყელეთში.

პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებია: **ნატბევი (- ნა-ტბ-ევი)** -ადგილი ბრეძაში. **ნატბეური (- ნა-ტბ-ე -ურ-ი ←ნა-ტბ-ევი-ურ-ი)** -ადგილი ვაკაში; **ნატბევარი (-ნა- ტბ-ევი-არ-ი)** - ცივწყაროში, ცოხნარის საბჭოში, სარტყელაში. **სოფელ მონასტერში ტყეს ჰქვია ნატბობი.** ეს უნდა მომდინარეობდეს **ნატბორ-**იდან, რაც დამდგარ წყალს აღნიშნავს ფრონის ხეობაში. მრავლობითი რიცხვის -ეზ სუფიქსითაა ნაწარმოებია სათესი ადგილის სახელწოდება ავნევეში, არკნეთში, ძვილეთში - **ტბები**.

„ღელე“ ფუძე ტოპონიმებში ძირითადად დასტურდება საზღვრულად. ტოპონიმის შედგენის პრინციპი აქაც განსხვავებული არ არის. მსაზღვრელად გამოყენებულია სოფლის სახელი: **ბეკმისღელე** – ყიფიანთუბანში ქვიშხეთში; **ბობოკინისღელე** – ადგილი, ღელე, მცხეთისჯვარში. **ბობოკინა** – ადგილი, ნასოფლარი წაღვლთან. სახელი: **ბაბანაღელე** – ადგილი ღელე ქინძათში. **ბაკანაღელე** – ადგილი ქინძათში. **ბითას ღელე** – პატარა ხალებში. ზედსართავი: **ბნელეთისღელე** – ულუმბაში; **ბრუმადღელე/ზრმაღელე** ადგილი ტყე, ღელე იტრიაში.

**საზოგადო სახელი: ბოგირები** – ადგილი, ღელე ბულაურში, კლდისწყაროში. **ბოგირიღელე** – ადგილი, სათესი ბულბულისციხეში; **ზედსართავი სახელი: ყრალიღელე** – ღელე ჩორჩანაში, მერალი ღელე. **შრალღელე/შშრალღელე** – ადგილი სათესი ცედანში. **ჩეჩქი(ს) ღელე** – ადგილი, ღელე დიდ და პატარა ყელეთში. **ცაცხვისღელე** – ადგილი, ღელე მონასტერში, ჩორჩანაში. **წყლიპურა ღელე** – მცირე მდინარე ცივწყაროში. **დიაკვნისღელე** – ადგილი, ტყე ოძისში; **დათვისღელე** უწლევეში. **ქვაბთისღელე** – ჩორჩანაში. **დართისღელე** – ურთხვაში. **ემშაკისღელე** – ადგილი ჩორჩანაში. **ზარებისღელე** – ადგილი პირველ რბონაში. **თებროსღელე** – ადგილი ზემობროლოსანში. **თხილნარისღელე** – ადგილი, ღელე რბონაში, ვაკეპანტაში. **კაპნარი (ს) ღელე** – თავუეთში. **იფნისღელე** – ტაშისკარში; **კამეჩისღელე** – პატარა

ხალეში. **მურყანებისდელე** – უწლევში. **ნათლისმცემლისდელე** – დამპალაში. **სათივისდელე** –ზაკოტაში. მსაზღვრელად გამოყენებულია გვარი: **კალმახანთდელე** (-კალმახელიძეების დელე) – დვანში. **ტატანთდელე** – ადგილი სათესი ;

„**ქალ**“ ფუძის შემცველია ტოპონიმები: **ბალთისქალა** ადგილი სათესი ქალეთში. **რგვალი ქალა** – ადგილი, ბაღი დვანში. **ქალეზი** – ადგილი, სათესი ოძისში, აბისში, ახალსოფელში, ოსიაურში, სათივეში, დირბში, ღვარიაწყალში, ხცისში, ქემფერში, თაგუეთში, ბაყანთში; წყლისპირი ტახტისძირში.

„**ქაობ**“ ფუძის შემცველია ტოპონიმები: **ჭელელიძიანთქაობი** – ადგილი, სათესი თამარაშენში; **დიდქაობი** – მოხისში. **ქატანთქაობი** – ადგილი, სათესი თერეგვანში.

„**ხევ**“ ფუძის შემცველი ტოპონიმები: **ბებერასხევი** – ადგილი, სამოვარი ქვიშხეთში. **ზისხევი** – ბალთაში ზნაურის რაიონში. **ბლიაურისხევი** – მშრალი ხევი სუნისში, ზნაურის რაიონში. **ზოსლეთისხევი//ზოსლევხევი** – ადგილი, ხევი წრომში. **ბრმახევი** – ადგილი ახალშენში, ალიბარაში ზნაურის რაიონში. **საკვირიკის ხევი** – მდინარე ფრონის მარჯვენა შენაკადი დვანთან. **ურმისხევი** – ადგილი, ხევი ბრეძაში. **ქარაზმა** – ადგილი, ხევი, წყალი დვანში. **ქარაზმისხევი** – მდინარე, მარცხენა შენაკადი მდინარე ფრონისა. **ქერათხევი** – წყალი, ადგილი, ჩორჩანაში. **ღვიაგინისხევი** – მდინარე, ხევი, მარჯვენა შენაკადი მდინარე ფრონისა სოფელ ქვემო წორბისთან. **ყრუხევი** – ადგილი, ქედი, სალოცავი, ტყე ხცისში. **შაქასხევი** – ადგილი, ხევი ავნევში. **ძაღლისხევი** – პატარა მდინარე, ხევი, მდინარე ფრონის მარჯვენა შენაკადი დირბთან. **ჭიშკრი(ს) დელე** – ჩორჩანაში. **ჭურიხევი** – სათიბი მეტეხში, ნასოფლარი, ბალთაში. **ხახმისხევი** – ადგილი, წყალი ალიბარაში, ზნაურის რაიონში. **ხტანისხევი** იგივეა, რაც ვახტანგის ხევი. ვახუშტი: ხატანისკევი (1941: 375). **ხცისხევი** – ადგილი, ხევი ხცისში. ვახუშტი უწოდებს ჯციცისკევს (1941: 345).

„**მორეც**“ ფუძის შემცველი ტოპონიმები: **ბუთუასმორევი** – ადგილი მტკვარზე ცხრამუხასთან. **გიასმორევი** – ადგილი მდ. ფრონეზე, დირბში. **ქათარაშენისმორევი** – წყალი, ადგილი მდინარე ფრონეზე დირბში; **ლაღეტას მორევი** – ტახტისძირში.

მდინარეს უკავშირდება -ულა სუფიქსით ნაწარმოები სახელწოდებები: მდინარე **დამჩხრეულა** (-დამჩხრ-ე-ულ-ა)- მდინარე ერთვის მტკვარს. **რუისულა** (-რუის-ულ-ა)- ადგილი ბრეთში. **სურამულა** (-სურამ-ულ-ა) – მდინარე გამოდის ორხევიდან ერთვის მტკვარს ხაშურთან, შესართავთან ფრონესაც ემახიან. **ტკოცულა** (-ტკოც-ულ-ა) – მდინარე ტკოცაში, ერთვის ფრონეს აბისთან. ხალხი უწოდებს **ტკოცისფრონეს**. **ფლეულა** (-ფლე-ულა) – მდინარე ფლევეში, ნაცარგორაში, ერთვის მდინარე ფციულას, ემახიან ფრონესაც. **ფციულა** (-ფცი-ულ-ა)- მდინარე ფცაში, იგივეა, რაც ფცისწყალი, აბისულასა და ცერონისულას ნაერთი, უერთდება მტკვარს აგარასთან, ემახიან ფცის ფრონესაც. **ლოღურა** (-ლოღ-ურ-ა) – მდინარე ფცაში. ამ მდინარის სახელწოდება ლოღეთს უკავშირდება. მოსახლეობა **ლოღურას** ემახიან ფრონესაც. ვახუშტი ახსენებს ლოღეთის-კევს (1941: 375).

წყალს უკავშირდება -ეთ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი: **ქვაბლეთი** – ადგილი, დელე ჩორჩანაში. -ებ სუფიქსითაა წარმოდგენილი ტოპონიმები: **ჭინჭილები** – ადგილი, დელე ჩორჩანაში. -ორ- ა სუფიქსი გვხვდება ტოპონიმში „ჭომორა“ – მდინარე, ნასოფლარი ალში, ძაღინაში.

ამრიგად, გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ წყალთან დაკავშირებული ტოპონიმები შინაარსისა და წარმოების მიხედვით მრავალფეროვანია. წარმოება ქართულია, არ შეგვხვედრია ნასესხები ტერმინები. ხმარების სიხშირით გამოირჩევა „წყალ“ და „წყარ“ ფუძის შემცველი ტოპონიმები. ტოპონიმების უმეტესობა რთული სიტყვაა. ასეთი ტიპის ტოპონიმებთან მსაზღვრელად დასტურდება , როგორც საზოგადო ისე საკუთარი სახელი. წარმოება ოდენსუფიქსიანია. შეინიშნება ტოპონიმად გამოყენებული დიალექტური ლექსიკის ტერიტორიული ლოკალიზაცია.

#### ლიტერატურა:

- ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმები: ტოპონიმოკა, II, თბ., 1980.
- ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა: ტოპონიმოკა, II, თბ., 1980.
- ა. ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1980.
- ლ. გიგლემიანი, ჰიდროლექსიკა ქართულში (დისერტაცია), თბ., 2006.
- მ. ლაპარტყავა, საზოგადო გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკა ქართულში (დისერტაცია), თბ., 2006.
- ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
- მ. კობერიძე, ტოპონიმების წარმოებისათვის ფრონეს ხეობის ქართულურში, გორი, 2009.
- მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 2011.

- მ. კობერიძე, ზედსართავსახელიანი ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართლურში: XXXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ქუთაისი 2012 წლის 16-17 ნოემბერი, თბ., 2012.
- ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.
- ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.
- ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, თბ., 1964
- არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი: შრომები, III, თბ., 2008.
- ალ. ლლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმია, თბ., 1988.
- ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
- დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
- ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, თბ., 1974.

**TOPONYMS RELATED TO WATER IN KARTLIAN OF PRONE GORGE**  
**Mariam Koberidze, Gori State Teaching University, Professor**  
**RESUME**

The work covers the following groups of water related toponyms in Kartlian of Prone Valley, such as: “Tskal” (water), “Tskharo” (spring), “Tba” (lake), “Ghele” (Stream), “chala” (bottom-land), “khev” (ravine), “chaob” (swamp). The water related toponyms formed by the suffixes are also discussed in this work. Such suffixes are the following: -ul/-ula, et, -or; plural suffix-eb and etc.

The analysed material is multifarious due to its content. There are no borrowed terms, but all are Georgian formation. The toponyms of “Tskal” and “Tskhar” basis are used more frequently. The majority of toponyms are complex words. Common nouns as well as proper nouns can be the qualifiers of such types of toponyms.

**დავით კლდიაშვილის პროზის რეფლექსია ქართულ კრიტიკაში**

**ნანა კუცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი**  
**მარინე ტურავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი**

„ქრონოლოგიურად და ღირსეუბითაც“ ნიკო ლორთქიფანიძის გვერდით დგას იმერეთის („სრულიად საქართველოს გადასახედის“) მითის შემქმნელი – დავით კლდიაშვილი.

ეროვნული პრობლემატიკა კლდიაშვილთან ისე გამჭვირვალედ როდია წარმოჩენილი, როგორც ვასილ ბარნოვის, ან ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებში, მაგრამ სტრიქონსა და სტრიქონს შორის გამოსჭვივის უღრმესი ტკივილი.

უდიდესი ეროვნული სატკივარია თემა, კ. აბაშიძემ რომ გამოკვეთა კლდიაშვილის პროზაში: „დავით კლდიაშვილი პოეტია, სოფლის დაცარიელების სევდით აღმწერი, ქალაქის გაბატონების გულგრილად აღმნიშნავი.“

ბეჟან ბარდაველიძისეული შეფასებით, „დავით კლდიაშვილმა შეძლო, თავისებურად გარდაექმნა ქართული პროზის მხატვრული ასახვის სისტემა, სოციალური მოთხრობების გვერდით შექმნა მაღალმხატვრული ფსიქოლოგიური მოთხრობა. ისტორიული წარსულის რომანტიკულ იდეალიზაციას დაუპირისპირა რაციონალისტური მიდგომის მეთოდი, შეძლო პროზაში ტრაგიკულ-დრამატულისა და კომიკურის თანაზომიერი შეზავება, დაკუმშა ავტორისეული აღწერილობითი ელემენტი და განდევნა პროზიდან ტრადიციული ლირიზმი, რაც გამოიხატებოდა მთხრობლის მოჭარბებული ჩარევით ნაწარმოების სიუჟეტში, მინიმუმამდე დაიყვანა დამკვიდრებული პოეტური ფიგურები: პეიზაჟი, პორტრეტი, შედარება-მეტაფორები“ [ბარდაველიძე, 18].

აკაკი გაწერელიას აზრითაც, „დავით კლდიაშვილმა იშვიათი სიძლიერით დაგვიხატა ბინდნაკრავი ქვეყანა, ქამუშაძის რძალივით დაინახა საკუთარი ქვეყნის ღარიბი ეზოების, პატარა ადამიანების უნუგემო მდგომარეობისა და გაჭირვებათა ერთფეროვნება“ [გაწერელია, 172].



აღწერს რა კლდიაშვილის პროზის ფონს, ახასიათებს პერსონაჟებს, მკვლევარი ასე ხატავს აღქმულ-განცდილს: „ნაღვლიანი ეზო და იქ მოფუსფუსე გმირები თავიანთი ბედითა და უბედობით ჰგვანან შემოდგომის ნაშუადღევს ანაზღაურულად მოვარდნილი ქარისაგან მალა ატაცებული ფოთლების ორომტრიალისა და ამავე ფოთლების უხმაურო ცვენას ისევ მიწაზე“ („დავით კლდიაშვილი“).

ლეო ქიაჩელი დავით კლდიაშვილს „დამოუკიდებელ, უშუალო, უცხოური ლიტერატურული გავლენებისაგან თავისუფალ მხატვრად მიიჩნევს, ხოლო მწერლის სტილთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „კლდიაშვილის პროზას, მხატვრულ მეტყველებას გარეგნული ბრწყინვალეობა არ ახასიათებს.“ ქიაჩელის აზრით, „კლდიაშვილი საყვარელი მწერალია, მაგრამ ამავდროულად, ის სასტიკიც არის და უღმობელი. ნეტარ ღიმილს სახეზე უაღრესი მწუხარებით შევიცვლით, თუ ცხოვრების სიმართლემ ეს მოითხოვა. ყველა დიდი და საყვარელი მხატვარი სასტიკია და უღმობელი, როგორც თვით ცხოვრება“ [ქიაჩელი, 269].

სიმართლის განუხრელი მსახურების პრინციპს (თავისი პროზის უპირველეს მახასიათებელს) ერთგულებდა მწერალი და საგანგებოდ აღნიშნავდა მეტყუარების („ჩემი ცხოვრების გზაზე“) შესავალში: „მონაგონებში არაფერი შეფერადებული არ იქნება, მხოლოდ სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“ [კლდიაშვილი, 377].

„თავისებური კოლორიტის“ მქონედ ახასიათებდა კლდიაშვილის პროზას გალაკტიონ ტაბიძე, იმოწმებდა ტიცინას: „და გადაიქცა ეს იმერეთი არაბულ ზღაპრის დაბოლოებად“ [ტაბიძე გ., 267].

მიმოიხილავს რა კლდიაშვილის პროზის ისტორიულ ფონს (რომელიც ნაწარმოებებში იგულისხმება, მაგრამ არ კონკრეტდება), ტიცინ ტაბიძე აღნიშნავს: „სამოციანი წლების მოღვაწეთა ბოხოქარი ეპოქა უკვე დამცხრალი იყო. მათი ეპიგონები ხალხოსნურ მიმართულებაში ეძებდნენ გამოსავალს... [გ. წერეთლის] „მამიდა ასმათში“ მოცემულია წვრილ აზნაურთა ბუდეების დანგრევა. ის, რაც აღნიშნა გ. წერეთელმა, დაათავეს და თავის ნაწერებში ამოწურეს ეგნატე ნინოშვილმა და დავით კლდიაშვილმა. აქ, თითქოს, უმნიშვნელო დეტალები და პატარა ანეკდოტებია აღებული თემად, მაგრამ იმლება უზარმაზარი ფონი წოდებათა გადაგვარების, ქალაქის სოფელში შემოჭრის უღმობლობა და მწერალი ხშირად ისეთ სურათებს იძლევა, როგორსაც ემილ ვერჰარნი თავის, ჰალუცინაციით შეპყრობილ, ფლანდრიის სოფლებში. დავით კლდიაშვილი წვრილმანთაგან შედევრებს ქმნის. ეს არის მოზაიკა, რაღაც ბიზანტიური ოსტატობა, რომ კენჭებისაგან კომპი აიგოს“ [ტაბიძე ტ., 607].

„კომპი“ წარმავალი საქართველოს ხატებაა. ჟამთაგვის თემა დომინირებს საუკუნის დასაწყისის ქართველ პროზაიკოსთა შემოქმედებაში. გავიხსენოთ ნაწარმოებების სათაურები: ნიკოლორთქიფანიძის „დანგრეული ბუდეები“, ლეო ქიაჩელის „ბედი წარმავალთა“... ტიცინ ტაბიძე წერს: „სიკვდილის ჟრუანტელი, აგონია აღწერილი აქვს დავით კლდიაშვილს. აქ თითქოს თვითონ ისტორია წერს კლდიაშვილის ხელით.“ თემიდან გამომდინარე, მწერლის სათქმელი გამორიცხავს „დოგმატიკის კორსეტს“ (ტ. ტაბიძე). ტიცინი კლდიაშვილის პროზის სტილსა და თემატიკას ივან ბუნინისეულს ადარებს.

საინტერესოა, რომ თავდაპირველად პლატონის სიზმარი ცალკე მოთხრობად ჰქონდა ჩაფიქრებული დავით კლდიაშვილს, გადაუწყვეტია, ასეც გაეგზავნა „მოამბეში“, მაგრამ კ. მხეიძეს ურჩევია, თემა განევრცო. ასე დაბადებულია „სამანიშვილის დედინაცვალი“ („პატარა სამყაროს დიდი მწერალი“) [გვერდწითელი, 14] – გავიმეორებთ ტიცინ ტაბიძის სიტყვებს კლდიაშვილის პროზასთან დაკავშირებით: „ანეკდოტით იქმნება ეპოსი.“

ბ. ბარდაველიძეც მიიჩნევს, რომ „კლდიაშვილის თითოეულ მოთხრობას საფუძვლად უდევს არაკი, თვით მწერლის სიტყვებით, „უცხოური ამბავი“, მოვლენა ან შემთხვევა. მცირეფორმიან მოთხრობებში არაკი კონცენტრირებულ-შეკრულია, რომანულ მოთხრობებში მრავალ ეპიზოდებად დაშლილი და რამდენიმე პარალელურ, შიდა სიუჟეტს ქმნის“ [ბარდაველიძე, 108].

კლდიაშვილის „ეპოსი“, გერონტი ქიქოძის აზრით, განსხვავდება ძველქართული ეპოსისაგან, „აღწერის რეალიზმი“ აქ უმაღლეს ხარისხშია აყვანილი. მკვლევარი პროზაიკოსს „სინამდვილის ფანატიკოსს“ უწოდებს. დ. კლდიაშვილი „უპირისპირდება ფეოდალური ეპოქის მწერლებს, რომელთა შემოქმედებაშიც, კრიტიკოსის თვალსაზრისით, ადგილი აღარ რჩება ტონებისა და ნახევარტონებისათვის, გარდამავალი ფერებისა და ნახევარჩრდილებისათვის, სულიერი განცდის ნიუანსებისათვის. ფეოდალური ეპოქის ლიტერატურის ეს თავისებურება, უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანული აზროვნების გავლენით აიხსნება, რომლისთვისაც ემპირიული ქვეყანა მხოლოდ შესავალია, პრელუდიაა ნამდვილი არსებობისა, რომელიც სიკვდილის შემდეგ იწყება. ქართული ფეოდალური საზოგადოება ნაკლებ დიფერენცირებულია, ვიდრე საზოგადოება XIX საუკუნისა. ამიტომ მისი ინდივიდუალობა ნათლად არა ჩანს ხელოვნებაში“ [ქიქოძე, 401].

ჯ. ღვინჯილია, პირიქით, ხაზს უსვამს კლდიაშვილის პროზის უმჭიდროეს კავშირს ძველქართულ პროზასთან და, საუბრობს რა მწერლის ენისა და სტილის თავისებურებებზე, აღნიშნავს: „დავით კლდიაშვილმა ყოველმხრივ დახვეწილი ბელეტრისტული კანონებით, სტილითა და თვისებებით საბოლოოდ დააკანონა ქართული პროზის მაგისტრალური გზა, ახალი ორიენტირები მოუნიშნა ქართულ მწერლობას [ღვინჯილია, 102].

მკვლევრის აზრით, არ იქნებოდა მართებული კლდიაშვილის პერსონაჟთა ტრაგედიის დაყვანა ერთი კონკრეტული ეპოქის ტრაგედიამდე. „მთავარი მარტო ის კი არაა, როგორ გამოიყურება თავადაზნაურობის კლასი დეგრადირების გზაზე, შეჭირვების ჟამს. უფრო მთავარია, როგორ გამოიყურება ადამიანი საერთოდ ეკონომიკური თუ სულიერი შეჭირვების დროს, როგორ ინგრევა ადამიანის ფსიქიკა თავისი ისტორიული მისიის ამოწურვისა და ადგილის დაკარგვის შემდეგ. „კუჭის გახმობის“ ჟამს ქართველი კაცი იბრძოდა განწირული სულისკვეთების გადასარჩენად, რადგან საშინელმა სიდუხჭირემ სულმოკლეობა დაბადა, ამოზიდა მაღლა და სულგრძელობას დაუპირისპირა. კლდიაშვილი ფხიზელი ჭირისუფლის უფლებით გვეუბნება, რომ გაფრთხილება უნდა ქართველი კაცის ბუნებას, მის ხასიათსა და ზნეს. იგი შესაძლოა რაინდულის ტახტიდან მოწუწუნე ბეჩავის ჭაობში ჩაეშვას“ [იქვე].

კლდიაშვილის პროზა ერთგვარ გალერეას ქმნის. თითქოს ფონი, პერსონაჟიც კი ყველგან ერთი და იგივეა, მაგრამ, როგორც გურამ გვერდწითელი აღნიშნავს, დიდი მწერალი „არსად იმეორებს ერთხელ უკვე ნათქვამს და შეუზღუდულ გარემოში ახერხებს, შექმნას გმირების მრავალფეროვანი გალერეა. დავით კლდიაშვილი დამწუხრებულ რეალისტად გვევლინება.“

თამაზ ჭილაძის აზრით, „დავით კლდიაშვილის მოთხრობათა მოყოლა არ შეიძლება ისევე, როგორც ყველა ნამდვილი მწერლის მოთხრობებისა. ჯერ ბოლომდის არ განგვიცდია მისი შემოქმედების ქვეტექსტის პოეზია“ [ჭილაძე, 132].

„უხამსობის ზღვაში პატიოსანი სულის სანთელივით ტარება“ მიაჩნია მკვლევარ მაკა ჯოხაძეს კლდიაშვილის პერსონაჟთა უპირველეს თვისებად, მათი ნიღბები – მათსავე თავშესაფრად: „ნიღაბი მათი მალამოა, რომელიც დროებით აყუჩებს ტკივილებს, მაგრამ მის მიღმა მაინც მიმდინარეობს სულიერი გამოფიტვის პროცესი.“ საგანგებოდაა აღნიშნული ისიც, რომ „დავით კლდიაშვილის თხრობა გამორიცხავს ფოლკლორულ ან მითოლოგიურ პლანს. კლდიაშვილი სადა, ემპირიული, წმინდად ერთპლანიანი მთხრობელია, მაგრამ ქართულ ლიტერატურაში იშვიათია მისი გმირების მსგავსი ორპლანიანი ცხოვრების მქონე ადამიანები“ [ჯოხაძე, 84].

მკვლევარი საოცარი სიღრმით სწვდება კლდიაშვილის გმირთა ფსიქოლოგიას: „ისინი ატყუებენ ერთმანეთს, მაგრამ პერსონაჟთა შორის ისეთი ინტიმი, რითაც მათი ურთიერთობა გამოირჩევა, იშვიათია. კლდიაშვილს, როგორც შესანიშნავ ფსიქოლოგს, კარგად ესმოდა ამ, პათოლოგიამდე მისული, ტყუილების წინაპირობა: მხოლოდ ერთნაირ და საერთოჭირგამოვლილ ადამიანებს ძალუძთ, ამ ტყუილსა და აფიორაზე ააგონ კონტაქტი – უშუალო, ბუნებრივი, ძალდაუტანებელი“, თანაც „ვინ არის მტაცებელი? ვინ – მსხვერპლი? – კლდიაშვილთან ამის გარკვევა ძნელია“ [ჯოხაძე, 225].

„შერისხვაში“ მსხვერპლი – კაცია – მაინც არ აღიქმება „ბოლომდის“ მსხვერპლად, რადგან, თუმც სოფელი აშკარად მტაცებლის როლში გამოდის, საპასუხო რეაქცია კაცისა გაცილებით უფრო დიდ დანაშაულს ბადებს, ვიდრე თემის ქმედება „თავის თემობის წესითა“ (ანალოგიურ სიტუაციაში ალუდა აფრთხილებს ოჯახს, „თემს ნუ სწყევთო“). კლდიაშვილი ხატავს პიროვნებას, რომელიც „თავის თავზე მაღალ ინსტანციას არ ცნობს. ქრისტიანული ცნობიერება ამოპირქვავებული და დარღვეულია. ეს ცნობიერება წარმოუდგენელია მორჩილების გარეშე. კაცია კი, პირიქით, ღმრთისაგან მოითხოვს მორჩილებას, თავისი სიმართლის დამოწმებას და თავის მტერზე შურისგებას. შურისგების წყურვილს და მტრის დასჯის გაავებულ, ჯიუტ მოთხოვნას ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს. ხატზე გადაცემა შენიღბული წარმართული მაგიაა“ [ვასაძე, 56].

მკვლევრის აზრით, „შერისხვა“ გვიმხელს საუკუნეების მიჯნაზე ქართველი ადამიანის ტრადიციული რელიგიურ-ზნეობრივი ცნობიერების დაშლის გადრმავებას და „თვითნებობის გადრმავებასაც, გამძლავრებას“, რაც გრიგოლ რობაქიძეს ქართველთათვის უმთავრეს საფრთხედ მიაჩნდა.

აზრობრივად „შერისხვასთან“ დაკავშირებულად მიიჩნევს თამაზ ვასაძე „მიქელასაც“, რომლის პერსონაჟიც დაუშვებელს ჩაიდენს – მას „ღმერთისთვის ზურგს შეაქცევინებს თვითშენარჩუნების აწრიალებული ინსტინქტი. მისი ქმედება წარმართულ მსხვერპლშეწირვასა ჰგავს. ჯანსაღი შვილიშვილი მისთვის უტილიტარისტულადაა ძვირფასი“ (ბუნებრივია, მწერალი არც მიქელას სულში მიმდინარე შინაგან ბრძოლას ფარავს). საგანგებოდაა ხაზგასმული მკვლევრის მიერ, რომ,

გამომდინარე კლდიაშვილის სტილისა და მსოფლგანცდისაგან, მწერალი არც აქ გვევლინება მორალურ მსჯავრმდებლად, მაგრამ „თავისი გმირების საცოდაობის განცდა ხელს არ უშლის, ერთმანეთისაგან გაარჩიოს ცოდვა და მადლი. დავით კლდიაშვილის ზნეობრივი კრიტერიუმები მუდამ მკვეთრი და ზუსტი რჩება, სიბრალული უზნეობის გამართლებების ტოლფარდი არ არის.“ ამ პატარა მოთხრობაში იგივე ვნებები მძვინვარებს, რაც ფოლკნერის მონუმენტურ ტილოში „აბესალომ! აბესალომ!“

ნოველა („პატარა მოთხრობა“, როგორც აკაკიმ უწოდა) „მრევლში“ აკაკიმ თავისი კრებულის (1898, №8) უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად მიიჩნია.

მღვდელი ზოსიმე, „გულდაჩაგრული, გულაჩვილებული უნუგეშო სურათებით, რომელნიც ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ ეშლებოდა, დაღონებული ამდენი ტანჯვა-გაჭირვების მზერით, მხურვალედ ევედრებოდა ზეცას შველას. მოწიწებით ითხოვდა იმედს, სიხარულს, რათა მას მიეღო მსხვერპლად მისი შემუსვრილი სული, გული შეწუხებული და დამდაბლებული“ [კლდიაშვილი, 187].

შემრწუნებულთა ზოსიმე მიხეილა ხუცესის („თვალეზგამოპრაწული მოძღვრის“) პერსონით: „ნუთუ ეს მიხეილა ხუცესი მისი მომავლის გამოხატულება?“

„დიდი ტრაგედია, დატრიალებული ანუასიას ოჯახში, უნდა ეხილა მამა ზოსიმეს, რომ საბოლოოდ განმტკიცებულიყო“ [ავალიანი, 132].

დავით კლდიაშვილის პროზის სტრუქტურის მიმოხილვისას ბეჟან ბარდაველიძე აღნიშნავს: „მცირეფორმიან მოთხრობებში არაკი კონცენტრირებულია, შეკრული. სიუჟეტის ამ სპეციფიკის გამო „სოლომან მორბელაძე“, „წრფელი გული“, „თავადი პეტრე“, „როსტომ მანველიძე“, „ბაკულას ღორები“ თავებად არაა დაყოფილი; დამახასიათებელია მოულოდნელი ფინალი. ამდენად, ეს თხზულებები ნოველისტური სახის მოთხრობებად უნდა მივიჩნიოთ. მცირეფორმიან მოთხრობებში არაკი სხარტია, ანეკდოტური შინაარსისა. იმერეთის გადატაკებულ აზნაურთა ყოფა, მათი ზნე და ხასიათი უამრავ მასალას იძლეოდა საამისოდ. ნოველებში სიტუაცია ყოველთვის ერთია [დასახელებულ ნაწარმოებებს] ანეკდოტური შინაარსი, ერთთემიანობა, პერსონაჟთა მინიმალური რაოდენობა და, რაც მთავარია, ახირებული შინაარსი, მოულოდნელი დასასრული – ნოველის სახეს აძლევს“ [ბარდაველიძე, 109].

ბ. ბარდაველიძე ნოველად მიიჩნევს „თავად პეტრესაც“, რომელსაც თავად ავტორი „XIX საუკუნის ლიტერატორის მოკრძალებით „ესკიზს“ არქმევს“ [ბარდაველიძე, 203]. და მაინც – ეს ყველაფერი „ნატეხებია მთელის...“

„თავად პეტრეში“ აღწერილია „შემზარავი შურისძიების ამბავი, რომლის მსგავსიც მრავლადაა იტალიურ თუ ფრანგულ ქრონიკებში, ჩვენშიც. მაგალითად, კასტელი მოგვითხრობს, რომ XVII საუკუნეში ლევან დადიანს პირველი ცოლისათვის, აფხაზეთის მთავრის ასულისათვის, ცხვირი მოუჭრია“ [ბარდაველიძე, 205].

ეპოქამ პერსონაჟის სახე შეცვალა. სოლომან მორბელაძის პიროვნებასთან დაკავშირებით მაკა ჯოხაძე წერს, რომ თუ „ილიას ლუარსაბი, ან ნიკო ლორთქიფანიძის პერსონაჟები თავიანთი ფიზიკური ცხოვრების წესით ემთხვევიან საკუთარ სულიერ სამყაროს, კლდიაშვილის გმირებმა მოძებნეს ერთადერთი და მტკიცე გზა თავის გადასარჩენად – ესაა ფანტაზიით შექმნილი სამყარო-გამონაგონი, ჯადოწრე. ჯადოწრიდან გაქცევის ფიზიკური სურათია ჯორზე ამხედრებული მაჭანკალი და, თუმც ამ გზით ის ოჯახს ვერ აპურებს, გზაში ყოფნა და მოძრაობა ქმედების ილუზიას უქმნის...“ [ჯოხაძე, 80].

„სულისშემძვრელია სოლომანის ტირადა – ქვეყანა სულიერად დეგრადირდება – სიტყვა გაუფასურებულია: „ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება დავიწყოთ“ [კლდიაშვილი, 93].

პერსონაჟის სახესთან დაკავშირებით ბეჟან ბარდაველიძე აღნიშნავს: „ქართულ მწერლობას ჰქონდა მდიდარი ტრადიცია გაიმკვრა, ენამოქარგული მაჭანკლის სახის შექმნისა სუტ-კნენინა („კაცია-ადამიანი?!“), თიმსალ-მაკო („ბაში-აჩუკი“). მკვლევრის მოსაზრებით, „მკითხველს მოთხრობის წაკითხვის შემდეგაც სჯერა, რომ, მიუხედავად თავგადასავლის სამწუხარო ფინალისა, ხვალ ისევ დაიწყებს სოლომანი სიცილს, ისევ შეჯდება ჯორზე და ივლის სამაჭანკლოდ“ [ბარდაველიძე, 153].

სოლომანისგან აბსოლუტურად განსხვავებულ სახედ მოიაზრებს აკაკი გაწერელია როსტომ მანველიძის პიროვნებას. მკვლევარი როსტომს შემოდგომის აზნაურთა კოჰორტის უკანასკნელ ნიღბად წარმოიდგენს, პერსონაჟი სევდიანი ფიქრებისათვის განაწყობს და კრიტიკული სტატია ლირიკულ ტონს იძენს: „ნაღვლიანი ეზო და იქ მოფუსფუსე გმირები თავიანთი ბედითა და უბედობით ჰგვანან შემოდგომის ნაშუადღევს ანაზღაურულად მოვარდნილი ქარის მიერ ველიდან მალა ატაცებული ფოთლების ორომტრიალს და ამავე ფოთლების უხმაურო ცვენას ისევ მიწაზე.“

ერთადერთი ყვითელი ფოთოლი, რომელიც კიდევ დიდხანს ფარფატებს ჰაერში და გვიან ეცემა მიწაზე, ან სადმე ვენახის მესერს დადლილი რომ მიეფინება ხოლმე, მაგონებს როსტომ მანველიძეს. როსტომიც დიდხანს უმკლავდებოდა ბედისწერას, მაგრამ ქარმა იმძლავრა და ნაღვლიანი ქვეყნის ეს უკანასკნელი მგზავრიც წაიყვანა“ (აკაკი გაწერელია). მკვლევარი განაგრძობს: „ჩვენ უკვე ვეღარ ვცნობთ მასში მოხარხარე სოლომან მორბელაძეს, რომელიც მხოლოდ წამიერად ჩაუფიქრდებოდა ხოლმე თავის ხვედრს. ეს უკვე უნებისყოფო ადამიანია. მისთვის სიცოცხლე სიცოცხლეშივე შეჩერებულია. მოთხრობის დასასრული ისმის, როგორც მწერლის მიერ მთლიანი წიგნის მთავარ გმირზე წაკითხული რექვიემი“ [გაწერელია, 157].

„ოჯახის გაცივება“ სხვაგვარ გუნებაზე ვერც დააყენებდა ოდნავ მაინც ფიქრიან კაცს. შაშას („ბაკულას ღორები“) ხომ ვერ დაემსგავსებოდა როსტომი, მასავით სახეგაბადრული ხომ ვერ იტყოდა, „ევირიეთ ღორებშიო.“

შაშას სიტყვები, ერთდროულად, ტრაგიკულიც არის და კომიკურიც. „დავით კლდიაშვილთან სასაცილო ცრემლის ტბით არის დალტობილი, რადგან სასაცილოს ყოველ მუხლში ტრაგედიის ნერვი ფეთქავს“ [ღვინჯილია, 43].

კლდიაშვილის გმირთა ყოფის ტრაგიზმს ქვეყნის ტრაგიზმი ესაძირკვლება (წლების შემდგომ ტარიელ ჭანტურია შეევედრება „ღორებში არეულ“ თანამემამულეებს: „იცხოვრეთ კარგად, მაგრამ ნუ იცხოვრებთ სამშობლოზე უკეთ“).

ქვეყნისა და ოჯახის კეთილდღეობისა მხოლოდ ეკვირინეს სჯერა.

ბუტაფორიულობა საცნაურია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს „დასაცინი რომანტიკა“, პირიქით, აქ უფრო ტრაგიკულის ჩრდილი წვება, და პერსონაჟებთან უფრო ისეთი დამოკიდებულებაა, ალბათ, გამართლებული, როგორსაც ჯანსუღ ღვინჯილია გამოხატავს დავით კლდიაშვილის თხზულებათა გმირებთან მიმართებით: „რასაც წოდებრივ კუდაბზიკობას ვეძახით, ხშირად სრულად ვერ გამოხატავს საქმის ნამდვილ არსს. დიახაც გვიჩვენებს მწერალი ამ წოდებრივი კუდაბზიკობის შესანიშნავ ნიუანსებს, მაგრამ მის გვერდით დავით კლდიაშვილის გმირთა ბუნებაში ცოცხლობს ჭეშმარიტად რაინდული თვისებები, არისტოკრატიული თავაზი და მაღალი არტისტიზმი. ისინი ქვეშეცნეულად, ინსტინქტის შეუვალლობით მქლავნდებიან ხოლმე ქცევასა და მეტყველებაში, ფიქრსა და მოქმედებაში... გმირთ სურთ, დარჩნენ სტუმართმოყვარეებად, არ ეთმობათ მამაკაპური, ძვალსა და რბილში გამჯდარი ჩვეულება. ყოველ ღონეს ხმარობენ, გაუმჭვირვალე ფარდა ჩამოაფარონ თავის საშინელ სიღარიბეს და სტუმარს შეუძლებლობის კი არა, შეძლებულობის ილუზია შეუქმნან. ცხოვრება სტუმართმოყვარეობის გენს ებრძვის თითქოს, ეს გენი კი ქართველ კაცს არ ეთმობა. არაფერ შუაში არ გახლავთ იმერული პატიჟი, საქართველოს ყოველი კუთხის შვილი, იქნებ, განსხვავებული ფორმით, მაგრამ უსათუოდ რაღაც ფორმით გამოხატავდა ამ პროცესს, ამ ტკივილს და ებრძოდა ცხოვრებას, რაც მის საუკუნოვან თვისებებს უპირისპირდებოდა“ [ღვინჯილია, 98].

რომანტიკა დასაცინი არასოდესაა. მხოლოდ იმ კონტექსტში, მურმან ლებანიძე რომ წერს: „რა უფლება გაქვს, ალაღებდე ხორცს, ხოლო ბეჩავს

კისერში წყალი ჩასდიოდეს სამშობლოს შენსას?!..

ძველებს უყვარდათ, პაპებს შენსას, ლექსი, მაჯამა,

შენ შეგიყვარდა კაი სუფრა, კაი სმა-ჭამა“ [ლებანიძე, 1989].

კლდიაშვილი ტრაგიკული ირონიით აღწერს, როგორ „ჩასდის კისერში წყალი“ მის უბედურ სამშობლოს.

### ლიტერატურა:

1. ავალიანი – ავალიანი ლ., ხალხის მსახურის მძიმე ტვირთი, „მნათობი“, №1, 1985;
2. ბარდაველიძე – ბარდაველიძე ბ., დავით კლდიაშვილი, თბ., 1986;
3. გამსახურდია – გამსახურდია კ., თხზულებანი 20 ტომად, I, თბ., 1992;
4. გაწერელია – გაწერელია ა., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1948;
5. გვერდწითელი (I) – გვერდწითელი გ., შორეულნი და ახლობელნი, თბ., 1984;
6. გვერდწითელი (II) – გვერდწითელი გ., წინასიტყვაობა ლეო ქიაჩელის ოთხტომეულისათვის, I, თბ., 1984;
7. ვასაძე – ვასაძე თ., ფარული ადამიანი, „კრიტიკა“, №1, 1990;
8. კლდიაშვილი – კლდიაშვილი დ., თხზულებები, ქართული პროზა, ტ. XVI, თბ., 1988;
9. ლებანიძე – ლებანიძე მ., კრებული – 1989, თბ., 1989;
10. ტაბიძე გ., – ტაბიძე გ., თხზ. ორ ტომად, II, თბ., 1988;
11. ტაბიძე ტ., – ტაბიძე ტ., რჩეული (ლექსები, პოემები, პროზა, თარგმანები), თბ., 1985;
12. ქიაჩელი – ქიაჩელი ლ., თხზულებანი ოთხ ტომად, თბ., 1984;

13. ქიქოძე – ქიქოძე გ., წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985;
14. ღვინჯილია (I) – ღვინჯილია ჯ., ხასიათი, ალმანახი „ზეკარი“, თბ., 1979;
15. ღვინჯილია (II) – ღვინჯილია ჯ., წერილები კლასიკურ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1990;
16. ჯოხაძე – ჯოხაძე მ., მზერის გადანაცვლება (ლიტერატურული წერილები), თბ., 1988;
17. ჭილაძე – ჭილაძე თ., წერილები, თბ., 1979.

## REFLECTION OF DAVIT KLDIASHVILI PROSE IN GEORGIAN LITERARY CRITICISM

**Nana Kutsia**, Sokhumi State University, Invited Professor  
**Marine Turava**, Sokhumi State University, Invited Professor  
**RESUME**

Davit Kldiashvili proze reflects the life of Georgian nation on the edge of epochs and formations - feudalism and capitalism and spiritual changes caused by these political cataclysms.

The article analyses the reflection of Davit Kldiashvili proze in Georgian literary criticism by the works of well-known Georgian writers and critics: G. Tabidze, T. Tabidze, L. Qiacheli, T. Chiladze, G. Qiqodze, A. Gatsrelia, B. Bardavelidsze, M. Jokhadze, T. Vasadze etc.

### „სვანეთის ისტორიის ფურცლები“ ენათმეცნიერული კუთხით

ქეთევან მარგანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ვ. სილოგავას რედაქტორობით გამოცემული სვანეთის წერილობითი ძეგლები ქრონოლოგიურად მოიცავს X-XVIII საუკუნეებს; „მატიანე სუანეთისა კრებისა“ XIII საუკუნის მეორე ნახევრის მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლია როგორც სვანეთის, ისე სრულიად საქართველოს ისტორიისათვის. დემეტრე ღოდელაიანის ხელით დაწერილ, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით უაღრესად ფასეულ ამ ძეგლს ზუსტი ანალოგი, გარდა ტბეთის სულთა მატიანისა, საქართველოს სხვა კუთხეებში არც კი ეძებნება, როგორც ამას ისტორიკოსები და შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული მკვლევრები აღნიშნავენ.

ძეგლი პირველად 1941 წელს „მატიანე სუანეთისა კრებისა“ სახელწოდებით გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ და XIII საუკუნის მეორე ნახევრით დაათარიდა. ექვთიმე თაყაიშვილმა კი მას „სვანეთის სულთა მატიანე“ უწოდა და იქვე მისი ზუსტი, მოკლე და ამომწურავი დახასიათებაც მოგვცა: „ამ სათაურით ჩვენ ვგულისხმობთ დიდ ტყავის გრაგნილს, რომელზედაც ნუსხა-ხუცურით დაწერილია განჩინებანი სვანეთის ხევთა წარმომადგენლებისა, სასულიეროსი და საეროსი, ამა თუ იმ პირთა აღაპების შესახებ, რომელთაც გაუღიათ შესაწირავი ეკლესიებისათვის. მატიანეში აღნიშნულია სოფლების სახელები, სადაც კრებები გაუმართავთ, და შემდეგ სახელი და გვარი მათი, ვისაც ცოდვა შეუწინებია და სული შეუვედრებია ღვთისათვის“ (სწმ. I 1986: 249).

„მატიანე სუანეთისა კრებისა“ (მე-13 საუკუნის მეორე ნახევრისა) საკმაოდ მდიდარი ონომასტიკური მასალის შემცველი ძეგლია; აქ წარმოდგენილი მდიდარი ანთროპონიმია და ტოპონიმია სრულ წარმოდგენას იძლევა შუა საუკუნეების სვანეთში უკვე არსებული გეოგრაფიული ნომენკლატურისა და, ზოგადად, სახელდების პროცესების შესახებ. ძეგლი დაწერილია მდივან-მწიგნობართა მიერ; მკვლევარნი მიუთითებენ, რომ გამომდინარე სვანურის სრულყოფილად ასახვის სირთულიდან, შესაძლოა, გარკვეული კორექტივების შეტანის აუცილებლობაზე საუბარი მართებულად კი იყოს, თუმცა, ალბათ, ის თვალსაზრისიც მისაღებია, რომ სულთა მატიანეში სწორედ XVIII საუკუნის რეალობა, ენობრივი ნორმები და სპეციფიკა იყოს წარმოჩენილი. ძეგლში, მამასადაძე, ჩამოთვლილია ყველა ის დასახლებული პუნქტი თუ სოფელი, სადაც კრებები გაუმართავთ და სული შეუვედრებიათ ღმრთისათვის.

ძეგლში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ონომასტიკური მასალიდან განსაკუთრებით საინტერესოა არქაული ანთროპონიმული ფორმები... აქ გვხვდება დღეს, სამწუხაროდ, უკვე

გამქრალი და გადაშენებული შემდეგი გვარსახელები: ჰირეკიანი, ფოხელიანი, აბუგაიანი, ამნასარიანი, ითანოზიანი, მანაშიანი, ბობჩიანი, ფალგარიანი, გაჭანიანი, კიკედიანი, ტბელიანი, მსავიანი, ჭუშულიანი, ჯაჩილიანი, რუბაგაიანი... ჩხუმიფხე, გომუანიფხე, ბეუთმანიფხე...

„ვინცა ლალავერს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: ხალინა გურსაფხესა, შახმახ მსავიანისა... რკინისა – საღირისა – დუდასა – ტურსიკასა, თამნ ამნასარიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:117–122).

„ვინცა ეცერს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: ინაჲ თეტენიანისა, მარიამ ჩხუფუშელიანისა... მართა წარეკელიანისა... ირინე კვირკელიანისა, მიქაელ ჩავდელიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:130–145).

„ვინცა ღეშტერით ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: სუკვაჲ ბეუთმანიფხესა, მამქან ათარიფხესა... ივანე მსავიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:121–122).

„ვინცა ლალავერს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: გიცარაჲსა გიცარიანისა... საღირ ჰირეკიანისა... ფურთუხ ლჩდინიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:117–118).

ანთროპონიმკასთან შედარებით ტოპონიმკური მასალა ძეგლისა მწირია; „სულთა მატიანე“-ში გვხვდება: ლალავერი, კიჩხლდაში, ლახამლი, ღეშტერი, მაჲ, ლჰა, ეცერი, კალაში, ცხმარი, ებუდი, დოლი, ბეჩუ; ბალსზემო სვანეთის ტოპონიმთაგან წარმოდგენილია - ლატალი, ლენჯერი, სეტია, მულახი, წურემი, ზეგენა, კალა, უშქული, უდაშდი, ჩეში, უსგური... საინტერესოა ეტიმოლოგია და დისლოკაციის ადგილი ტოპონიმისა – უდაშდი, ძეგლის მიხედვით ის უშგულის სიახლოვეს უნდა მდებარეობდეს.

სულთა მატიანეების და, ზოგადად, X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლების ანთროპონიმია და თანამედროვე სვანურ გვარსახელთა სისტემა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ძეგლებში გამოიყოფა ყოველგვარი მარკირების გარეშე ანთროპონიმებად ქცეული ქართული და სვანური აპელატივების ჯგუფები: მამა, აღმართი, აზნაური, ჭიქა, ქარი, რკინა, გედი, ჯაგშანი, თოვლაი, თვარე/მთვარეი, თეთვრაი, მახარობელ, ოდიშ-ელ-იან, საღირ-ელ-იან... სვანური: სარაგ „წყარო“ ნელარ „კასრი“ ნინ „ენა“ ბერეჟ „რკინა“, შიხ „ნახშირი“ ხუნ „საპირკველი“ ბაჟინ „მაცნე, შიკრიკი“, მანგურ...

სვანეთის წერილობით ძეგლებში გვხვდება ზანური სემანტიკის ანთროპონიმებიც: უჯგუში, ჯიჯი, კობირა, ქვარ/ქუვარა, ხოჯი, კოჩა, ჭკომი... გვარსახელები: კოჩიანი, უხოჯელიანი... გამოიყოფა აგრეთვე ჯგუფი კნინობით-მოფერებითობის - ა სუფიქსით მარკირებული ანთროპონიმებად ქცეული აპელატივებისა: ნაკვეთა, ლხინა, ნადდა, მაღალა, ერთგულა, ახალა, ნადველა... საინტერესოა, რომ საზოგადო არსებით სახელებთან ერთად ანთროპონიმებად გამოყენებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: ზედსართავი, ნაცვალსახელი, მასდარი და ზმნის პირიანი ფორმებიც კი: ქველი, ბრმა, მწარე, შვენიერი, დიდი, პატარა, ნათება, ცხორება, ეს, შენ... სვან. ეჯა „ის“, მაკუ „მინდა“ იგია, არმინდი, არველოდი...

„ვინცა მამს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: ბერეჟი ღოღელიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:126).

„ვინცა ლალავერს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: ხალინა გურსაფხესა, შახმახ მსავიანისა... რკინისა – საღირისა – დუდასა – ტურსიკასა, თამნ ამნასარიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:117–118).

„ვინცა ლახამლს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: ხუცისა ქელბაგაიანისა... ჯგვაბაჲსა... უჯგუშისა... ჯიჯისა... თვალშავისა... ოდიშელისა, თოულაჲსა, დუდაჲ ქარჩიანისა... ჯიჯი ცხვიმიანისა... ბახსანელასა... ცხაგა ფალგარიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:120).

„ვინცა მითგნ ეცერს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: რუსუდან ასიბერიანისა, სანთელაჲსა, ალაჲა თეტენიანისა... მამა ამეხიანისა... კოჩიანისა და მეულ – ჯუგუდისა... არდაშელისა... იაკობ ხუცისა... იწე სანთელანისა... უჩინარიფხესა სუკუაჲსა... ჯანგვა კოჩიანისა... მიქელაჲ სანიგაიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:130–133).

დღეს თანხმოვანფუმიანი საზოგადო სახელები – ხუნ <სვან. ხუნ „საპირკველი“, კოჯ „კლდე“, ბერეჟ „რკინა“, ხვერგ.. მე-13 საუკუნის მატიანეში ხმოვანფუმიანებია: ხუნა, კოჯა, ბერეჟი, ხვერაგო/ხვერაგუ... რაც გვავარაუდებინებს, რომ ბოლოკიდურ ხმოვანთა მოკვეცა სვანურში ახალი ფონეტიკური პროცესია, ქრონოლოგიურად მე-13 საუკუნის შემდგომდროინდელი. აუსლაუტის

საკითხთან მიმართებით აღნიშნული დაკვირვება ზოგადად სვანურისათვის, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

ყოველგვარი ანთროპოფორმანტის დართვის გარეშე ძეგლებში პირის, ძირითადად მამაკაცთა სახელებად გვხვდება ტოპონიმები: **ბაღდადი, იორდანე, ყირიმი, ხახული...** ეთნონიმები: **ფრანგი, ჯიქი, თათარი...**

„ვინცა **დოღს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: მართა შენკობილიანისა – იწაჲ ხიჭიანისა შვილისა მისისა **ფრანგისა...** ჩიხაჲ გაზანიანისა მეუღლესა მისა **ნაღდაჲსა...** (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941: 150).

„ვინცა მითგნ **ეცერს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: რუსუდან ასიბერიანისა, სანთელაჲსა, იაკობ ხუცისა... მიქელაჲ **სანიგანისა...** (სვან. საისტ. ძეგ. 1941: 130–133).

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ფაქტი, რომ სულთა მატრიანების ანთროპონიმის ლექსიკურ–სემანტიკური მხარე თანამედროვე სვანურთან შედარებით ბევრად უფრო მკაფიო და გამჭვირვალეა:

„ვინცა **დოღს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **ასიბერისა... მუშტილასა...** იწე **ასიბერიანისა – ბაღდადისა – მრძისა – იაჲსა – თვალშავისა** და მისა მისისა აბესალამს... **თვალმინდი ხვერგუანისა...** (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941: 149).

„ვინცა **დოღს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: მართა **შენკობილიანისა – იწაჲ ხიჭიანისა შვილისა მისისა ფრანგისა...** ჩიხაჲ გაზანიანისა მეუღლესა მისა **ნაღდაჲსა...** (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941: 150).

„ვინცა **მაჲს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **ნათელ** რატიანისა... **დუღაილასა...** გიორგი **დაბიერელისა...** ნინოსა... გიორგი **ტბელიანისა –** მეღლესა მისა **თოვლაჲსა...** (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:124–126).

„ვინცა (**ფარს**) /**მაჲს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: ფურთუხ **ტბელიანისა... გულქან** ათარიანისა... იწე **ჯახჩონიანისა, ნაკვეთაჲ ჩარამიანისა... თოულაჲსა... ლხინაჲ** ლღელიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:124–126).

„ვინცა **ლახამღს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **ხუცისა** ქელბაგიანისა... **თვალშავისა... ოდიშელისა, თოულაჲსა, ჯიჯი ცხვიმიანისა... ზახსანელასა...** ცხაგა **ფალგარიანისა...** (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:120).

„ვინცა **ლალავერს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **სინათლე** აბუგიანისა... **ნათელ** დევდარიანისა... გუარანდუხ **მარცხიანისა...** (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:117–118).

თანამედროვე სვანურისაგან განსხვავებით X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობით ძეგლებში ქართველურ –იან/–ან გვარდაბოლოების გვერდით გვხვდება ძველი ქართული –**იან** და დასავლურ ქართულ არეალში გავრცელებული –**ფხე** სუფიქსები:

„ვინცა **ღმეტერთ** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: სუკვაჲ **ბეთმანიფხესა...** მამქან **ათარიფხესა...** მარიამ **გოგორელიფხესა...** საღირელას... ვეშაგ ლღელიანისა... (სვანეთ. საისტ.ძეგ. 1941:121–122).

„ვინცა **ლალავერს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: ხალინა **გურსაფხესა,** შახმახ მსავიანისა... რვინისა – საღირისა – დუღაჲსა – ტურსიკაჲსა, თამნ ამნასარიანისა... (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941:117–122).

„ვინცა მითგნ **ეცერს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: რუსუდან ასიბერიანისა, სანთელაჲსა, ალაფა თეტენიანისა... მამა აშეხიანისა... კორიანისა და მეუღ –ჯუგუდისა... არდაშელისა... იაკობ ხუცისა... **იწე სანთელანისა... უჩინარიფხესა სუკუაჲსა...** ჯანგვა კორიანისა... მიქელაჲ **სანიგანისა...** (სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941: 130–133).

ჩვენი ყურადღება ასევე მიიქცია სულთა მატრიანებში ირაციონალური გ **ხმოვნის შემცველი ანთროპონიმების არარსებობამ**. შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით საინტერესოდ მივიჩნიეთ ის ფაქტიც, რომ სულთა მატრიანეთაგან განსხვავებით, სვანურ პროზაულ ტექსტებში, საეკლესიო ჩანაწერებსა და ცოცხალ მეტყველებაში დავადასტურეთ ინლაუტსა და აუსლაუტში ანაპტიქსური გ ხმოვნის შემცველი სახელების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი: **ბეჯა, ახემ, ქენჯა, ბათგრ, ხარემ, ხერგფს, მქქგ, ბიმგ, ჯგჯგ, ჯამგრხან, ყგლგრ, დორჯგ...**

ციტატი სვანური ენის ქრესტომათიიდან: ჯვინალდ ერ ლიდმახვალ ლემპრ, ეჩქა გივნგმა გვეგნგ ი მიჩა აფხნგვარ შმჩედელიხ ელითე ლამმახვალდ (სვან. ენ. ქრესტ. 1978: 86) „ძველად მტრობა რომ ყოფილა, მაშინ ელიში სამტროდ წასულან გივნგ-ანთ გვეგნგ და მისი ამხანაგები“.

ადრეული პერიოდის ძეგლებში გ ფონემის შემცველი ანთროპონიმების არარსებობა პრაქტიკული მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული; მდივან-მწიგნობარნი ზოგადად და „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“-ს შემთხვევაში დემეტრე ლოღელიანი ირაციონალურ ხმოვანს გადმოსცემენ ხან უ-თი, ხან ე-თი, ხანაც ნულით. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, გ მეტნაკლებად გვხვდება სვანურის ყველა კილოსა და კილოვაში, როგორც ძირითად ხმოვანთა რედუქციის შედეგი და როგორც თანხმოვანთგასაყარი ბგერა ძირითადად მ-ნ-რ-ლ სონანტებთან მეზობლობაში (ქალდანი, 1969:130). სპეციალურ ლიტერატურაში გ ფონემას, ჩვეულებრივ, ირაციონალურ, ანაკტიქსურ ან ნეიტრალურ ხმოვანს უწოდებენ. ის, როგორც წესი, მეორეული წარმოებისაა (ლომთათიძე, 1976: 45).

ცნობილი თვალსაზრისია, რომ ონომასტიკა არის მეცნიერების ის უბანი, სადაც ერთიანდება ინტერესები ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა... გამომდინარე, ზოგადად, საკუთარ სახელთა სრულიად სხვადასხვა ასპექტით (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ქრონოლოგიური, სოციალური, სტილისტიკურ-ესთეტიკური, ექსტრალინგვისტური...) კვლევა-ძიების შესაძლებლობებიდან. შესაბამისად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლების, „სვანეთის სულთა მათიანეების“... – სვანეთის ისტორიის ფურცლების – ენათმეცნიერული კუთხით შესწავლა იძლევა არაერთი საინტერესო დაკვირვებისა და დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

#### **ლიტერატურა:**

**გაბლიანი 1925** – ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925.

**გასვიანი 1991** – გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991.

**თაყაიშვილი 1991**– ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, **დაბრუნება**, თბ., 1991.

**ლომთათიძე 1976** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბ., 1976.

**კოკოვი 1973** – დ. კოკოვი, ადიღური (ჩერქეზული) ანთროპონიმების საკითხები, ნალჩიკი, 1973.

**ნიჟარაძე 1962** – ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1962.

**სვანეთ. საისტ. ძეგ. 1941** – სვანეთის საისტორიო ძეგლები, „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“ – გამომცემელი პ. ინგოროყვა, თბ., 1941.

**სწმ – სვანეთის წერილობითი ძეგლები**, ტ. I თბ., 1986, ტ. II, თბ., 1988.

**სვან. ენ. ქრესტ.** – სვანური ენის ქრესტომათია, თბ., 1978.

**სვანეთის ისტორიის ფურცლები**, თბ., 2011.

**ქალდანი 1969** – მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, თბ., 1969.

**ჯიქია 1973** – მ. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, თბ., 1973.

**Лавров Л. И.**, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ, Ч. М. – Л., 1950.

**Робакидзе А.**, Сванети, Тбилиси, 1984.

## **‘HISTORICAL PAGES OF SVANETI’ IN RESPECT OF LINGUISTICS**

**Ketevan Margiani, Sokhumi State University, Associate Professor**

### **RESUME**

„Annals of Souls of Suaneti“ dated the second half of XIII century is multilaterally interesting and important written treasure not only just for Svaneti but for the history of whole Georgia.

This valuable monument handwritten by Demetre Ghogheliანი which is priceless from the linguoculturological point of view and which has no exact analogue in any other region of Georgia, Ekvtime Takaishvili designated as „Annals of Souls of Suaneti“ and Pavle Ingorokva – „Annals of Suaneti Gathering“.

The monument contains luxuriant onomastic material, archaic anthroponomical forms presented in it are especially interesting, surnames that have subsequently become extinct nowadays (Hirekiani, Pokheliანი, Abugiani, Amnasariani, Itanoziani, Manashiani, Bobchiani, Palgariani, Gajaniani, Kikediani, Tbeliani, Msaviani, Chishiliani, Khachiliani, Robagiani... Chkhumipkhe, Goshuanipkhe, Beutmanipkhe...)

In comparison with antroponomic toponymy of this monument is very scanty, „Annals of Souls of Suaneti“ includes the following Geographical names: Lalaveri, Kichkhldashi, Lakhamli Leshteri, Mai, Latali, Lenjeri, Setia, Mulakhi, Tsuremi, Zegenა, Kala, Ushkuli, Cheshi - (Khe, Khala), Usguri (Sgurish).

The monument though does not always exactly and elaborately expresses specifics of pronunciation and difficulties related to transcription of Svanian language.



# სემანტიკური გაუმჭვირვალობის საკითხი სინქრონიულ დონეზე არასეგმენტირებად გაბუნდოვნებულ რთულ სიტყვებში

ლელა მახვილაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
E-mail: lelamakhviladze@gmail.com

თანამედროვე გერმანულ ენაში ფუნქციონირებს მრავალი ისეთი სიტყვა, რომელმაც - ისტორიულად (ეტიმოლოგიურად) რთულმა სიტყვამ - ენობრივი განვითარების პროცესში სხვადასხვა მიზეზით დაკარგა თავისი ეტიმოლოგიური გამჭვირვალობა<sup>1</sup>. შედეგად ოდესღაც გასაგები, მოტივაციურად გამჭვირვალე არაერთი რთული სიტყვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ ნაწილობრივ მოტივირებული (ნაწილობრივ გამჭვირვალე) ან სრულად დემოტივირებული (გაუმჭვირვალე) გახდა<sup>2</sup>. და თუ სახელდების მოტივი სტრუქტურებში დღეს აღარ ჩანს და გაუგებარია, მაშინ ლაპარაკობენ, რომ ასეთი სიტყვა ეტიმოლოგიურად არის მოტივირებული, და შესაბამისი ეტიმონი მხოლოდ ისტორიული კვლევით შეიძლება დადგინდეს (იხ. Schippan 2002, 41). დემოტივაცია დიაქრონიული პროცესია. დემოტივირებულ სიტყვებთან დაკავშირებით ი. ბარცი მიუთითებს:

დემოტივირებული სიტყვაწარმონაქმნები დიაქრონიული განხილვის საგანია, მათ ისტორიული სიტყვაწარმოება აღწერს. სინქრონიულ კვლევაზე ორიენტირებული სიტყვაწარმოება შეისწავლის სრულად მოტივირებულ და ნაწილობრივ მოტივირებულ სიტყვაწარმონაქმნებს და მიმართავს ისტორიულ ასპექტს უპირველეს ყოვლისა თანამედროვე მოვლენების ასახსნელად [...]. (Barz 2009, 638)

აქედან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ სიტყვაწარმოებაში არსებული დინამიკა მის სინქრონიულ ჭრილში შესწავლის დროსაც კი გულისხმობს ისტორიული განვითარების პროცესების გათვალისწინებას (შდრ., ასევე: Fleischer 1976, 24-25; Erben 2006, 133; Stepanowa/Fleischer 1985, 168; Schippan 2002, 118-119; Olsen 1986, 14-15).

ისტორიული რთული სიტყვების სემანტიკური გამჭვირვალობის (მოტივაციის) დაკარგვა და - როგორც ჰენცენი მიუთითებს - „რთულ სიტყვებში თავდაპირველი კავშირების / მიმართებების გაბუნდოვნება“ შესაძლებელია გამოიწვიოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში რთული სიტყვის ერთ-ერთი წევრის, როგორც მარტივი სიტყვის, ენიდან გაქრობამ (შდრ., Brombeere < ძვ.ზ. brāmo, საშ.ზ. brāme), ან მნიშვნელობის იზოლირებამ (Bedeutungsisolierung), რაც დაკავშირებულია ბგერით ცვლილებებთან, თანხმოვანთა ასიმილაციამ (შდრ., Bamberg, Homberg < Baben-, Hohenberg), ასევე უმახვილობით გამოწვეულმა მნიშვნელოვანმა ბგერითმა ცვლილებებმა, რის შედეგადაც მოხდა რთული სიტყვის კომპონენტის ფორმის შეცვლა, შდრ., Nachbar (< nāchgebür), Schulze (< schultheize), Schuster (< schuohsūtære), neben (< in eben) (Henzen 1965, 45-46, 74)<sup>3</sup>. ამასთან ჰენცენი თვლის, რომ თავდაპირველი ფორმების „შინაარსობრივმა ან ბგერითმა ცვლილებამ / არამყარობამ“ შესაძლებელია ასეთი სტრუქტურები ნაწარმოები სიტყვების პერიფერიულ ფორმებამდე, ან უფრო შორს - მარტივ სიტყვებამდე მიიყვანოს, როგორც, მაგალითად, დღეს გერმანულ ენაში სიტყვები: Schuster, Adler, drittel ნაწარმოებ სტრუქტურებად, ხოლო სიტყვები: Welt (< საშ.ზ. werlde < wer-alt), heute (< ძვ.ზ. hiu tagu), heuer (< ძვ.ზ. hiu jāru)<sup>4</sup> მარტივ სიტყვებად აღიქმება (იქვე, 46, 109)<sup>5</sup>. ისტორიული სიტყვაწარმოება ასეთ შემთხვევებს განიხილავს როგორც „გაბუნდოვნებულ რთულ სიტყვებს“ „verdunkelte Zusammensetzungen“ (იხ. Hirt 1921, 352; Kluge 1925, 70-71; Henzen 1965, 74; Schmidt 2008, 106-108; Fleischer 1976, 61; Fleischer/Barz 2012, 129; Götze/Hess-Lüttich 1993, 294f./ 2005, 349; და სხვ.). მკვლევრები ასეთ სიტყვებში განასხვავებენ სემანტიკური გაბუნდოვნების სხვადასხვა შესაძლებლობებს: გაბუნდოვნება პირველი ან მეორე წევრის, ან ორივე წევრის, ასევე მნიშვნელობის შეცვლა (იხ. Henzen 1965, 74; Hirt, იქვე; Schmidt, იქვე; Simmler 2002).

<sup>1</sup> „როგორც წესი, რთული სიტყვისათვის დამახასიათებელი თვისებაა მისი შემადგენელი კომპონენტების ეტიმოლოგიური გამჭვირვალობის შენარჩუნება, ე.ი. გარკვეული ცოდნა ან ჩვენი ენობრივი ალლო მაინც, რომ ერთი მთლიანი ერთეული შედგენილია ორი ან რამდენიმე სიტყვისაგან“ - აღნიშნავს ჰენცენი (იხ. Henzen 1965, 109). აქ და შემდგომში თარგმანი ჩვენია - ლ. მ.

<sup>2</sup> იხ. ვრცლად მახვილაძე 2001, 75 და შემდ.

<sup>3</sup> რთული სიტყვების ეტიმოლოგიური გამჭვირვალობის დაკარგვის გამომწვევი მიზეზების შესახებ იხ. ასევე: Hirt 1921, 351; Schmidt 2008, 106-108; Fleischer 1976, 61; Olsen, 1986, 15; Степанова 1953, 133.

<sup>4</sup> მაგალითები წიგნიდანაა (იხ. მითითებული ლიტერატურა).

<sup>5</sup> ვ. შმიდტი გაბუნდოვნებულ რთულ სიტყვებს, მაგ., Adler, Grum(me)t, Jungfer, heuer, heute, Messer, Schulze, Schuster, Sperber და მისთ. განიხილავს როგორც ნაწარმოებ სიტყვებს (შდრ., Schmidt 2008, 106f).

ნაშრომი ეძღვნება ისეთ გაბუნდოვნებულ რთულ სიტყვებს (“verdunkelte Zusammensetzungen”), რომელთა ორივე ისტორიულმა კომპონენტმა ენობრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე დაკარგა სემანტიკური (მოტივაციური) გამჭვირვალობა. კვლევის მიზანია, საანალიზო ფაქტორივ მასალაზე დაყრდნობით დიაქრონიული და სინქრონიული ანალიზის საფუძველზე წარმოადგინოს ისტორიული რთული სიტყვების სემანტიკური, სტრუქტურული და მორფოლოგიური ცვლილებები (დინამიკა), შესაბამისად სიტყვის „შიდა ფორმის“ (მნიშვნელობის ელემენტების) დარღვევა და ცვლილება, ისევე როგორც კომპოზიტიდან სიმპლექსისაკენ გადაწევის პროცესები და აღწეროს დემოტივაციის გამომწვევი ისტორიული მიზეზები.

როგორც აღინიშნა, გაბუნდოვნებული რთული სიტყვების გაჩენა უკავშირდება ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან ლექსემების გაქრობას (ან მათ ცვლილებას), რომელთა შესატყვისები, როგორც კომპონენტები, შემოინახნენ კომპლექსურ სიტყვებში; ასევე ისეთ კანონზომიერ ზგერით ცვლილებებს, რომლებმაც, არცთუ იშვიათად, გამოიწვია კომპონენტების - უფრო ხშირად მეორე (ზოგიერთ შემთხვევაში კი ორივე) კომპონენტის - ცვლილებები, ან მორფმათა შერწყმის მოვლენა (შდრ., ასევე: Stepanowa/Fleischer 1985, 90). ჩვენ ვთვლით, რომ დასახელებულ მიზეზებთან ერთად ენობრივი ელემენტების ლექსიკური მნიშვნელობის, ასევე მოტივაციის დაკარგვამ გამოიწვია ენაში სემანტიკურად გაბუნდოვნებული ელემენტების ე.წ. „ფსევდომორფემების“ გაჩენა (იხ. მახვილაძე 2001, 59-60). უნიკალური ერთეულებით შედგენილი სტრუქტურები სინქრონიული თვალთახედვით დემოტივირებული სიტყვებია (შდრ. Günther, წიგნში: Glück 1993, 363-364 „Lexikalisierung“; Barz 2009, 652). ასეთი სიტყვები მხოლოდ ერთი უშუალო შემადგენლით, ე.ი. ნაწილობრივ არის მოტივირებული. მაგალითად, ისტორიული რთული სიტყვა Samstag ‘შაბათი’ თანამედროვე გერმანულ ენაში მოტივირებულია მხოლოდ მეორე უშუალო შემადგენლის (tag ‘დღე’) მიხედვით. მეთოდურად სინქრონიულ დონეზე, როგორც ფლაიშერი გვთავაზობს, სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტის გამოწვევება გაბუნდოვნებულ სიტყვაში, შესაძლებელია სტრუქტურული ანალიზით, ძირეული ან სიტყვამაწარმოებელი მორფემის გამოყოფით და მოტივირებულ სტრუქტურებთან დაკავშირებით, შდრ., Lindwurm - Regenwurm (Fleischer 1976, 39). აქედან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილია ასეთი სიტყვები სინქრონიულ პლანში განვიხილოთ როგორც უნიკალური მორფემით შედგენილი კომბინაციები (კომპლექსური სიტყვები, სტრუქტურები) (იხ. Fleischer, იქვე; Barz/Schröder/Hämmer/Poethe 2007, 13; Fleischer/Barz 2012, 65).

ეტიმოლოგიურმა ანალიზმა გამოავლინა ისეთი გაბუნდოვნებული რთული სიტყვებიც, რომლებშიც ენობრივი განვითარების პროცესში სიტყვის ორივე ისტორიულმა კომპონენტმა განიცადა სემანტიკური გაბუნდოვნება, მაგალითად: Amboss, Ameise, Adler, Grummet, Messer, Sperber, König, Schuster, Schulze, Welt, Wimper, Wurzel, Hexe, heute და სხვ. (იხ. ვრცლად მახვილაძე 2001, 32, 106-117; მახვილაძე 2008, 151-152). საუბარია კომპლექსური სიტყვების სრული დემოტივაციის შემთხვევებზე. ფლაიშერი და ბარცი მიუთითებენ, რომ „გადაწევა კომპოზიტიდან სიმპლექსისაკენ“ მიიღება ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმახვილო ან სუსტმახვილიანი კომპონენტების შემოკლების ან შემცირების გზით, შდრ., მაგ., Nachbar (საშ.ზგ. nächgebüre), Grum(me)t (საშ.ზგ. gruumnät ‘zweite Mahd des Grases’ ‘ზალახის მეორე მოთიბვა’, Welt, ძვ.ზგ. weralt ‘Zeit-, Mannesalter) (იხ. Fleischer 1976, 61; Fleischer/Barz 1995, 92-93/ 2012, 129). თანამედროვე ენის სინქრონიული აღწერით ასეთი ლექსემები შეიძლება განვიხილოთ როგორც სიმპლექსები / ერთმორფემიანი სიტყვები (Simplex - Smplicia) (Fleischer, იქვე; Fleischer/Barz, იქვე).

ამ პლანში მათი ელემენტებად სეგმენტაცია შეუძლებელია, რადგან ასეთ გაბუნდოვნებულ წარმონაქმნებში სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტებს შორის გაქრა საზღვარი და მისი დადგენა მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით არის შესაძლებელი. როგორც გ. აუგსტი აღნიშნავს, გადაწყვეტი წინაპირობა სიტყვის სეგმენტაციისა არის მისი გამჭვირვალობა. სხვა სიტყვებით, ენის მატარებელი სიტყვაში უნდა ხედავდეს ერთ ან რამდენიმე სიტყვას, რომელიც სეგმენტირებადი სიტყვის საფუძველს შეადგენს, ან შეადგენენ (იხ. Augst 1975, 26).

ცხადი ხდება, რომ ასეთ სიტყვებში ადგილი აქვს მორფემების გადაწევის (შერწყმის) მოვლენას (Morphemverschmelzung) ან დამოუკიდებელი ლექსემების სხვაგვარ ცვლილებებს (შდრ., Stepanowa/Fleischer 1985, 90). გაბუნდოვნებული რთული სიტყვების ისტორიული კომპონენტების მორფოსემანტიკური მოტივაციის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზით.

მაგალითად, არსებითი სახელი Ameise ‘ჭიანჭველა’ (საშ.ზგ. âmeize, Lexer 1992, 4), ძვ.ზგ. âmeiza, საშ.ქვ.გ. ēmete) შედგება საშუალო ზემოგერმანული და ძველი ზემოგერმანული ნომინალური პრეფიქსის ā- ‘შორს, იქით, განზე; დაკლება (აკლია)’, და ახალ ზემოგერმანულ პერიოდში ენიდან დაკარგული გერმანიკული ზმნის ფუძისაგან: საშ.ზგ. meizen (Lexer 137), ძვ.ზგ. meizan, გუთ. maitan ‘მოჭრა, მოჩეხვა,

მოკვეთა' (Duden 2007, 32, 519). ელემენტი *meiß-* დღეს გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში *Meißel* (საშ.ზგ. *meißel*, ძვ.ზგ. *meißil* - Duden, 519) როგორც უნიკალური ფსევდომორფემა. ხოლო სიტყვის პირველი ისტორიული კომპონენტი *ā-* ძველი ზემოგერმანული დროიდან უკვე აღარ არის პროდუქტიული. თანამედროვე გერმანულ ენაში ის გვხვდება შეცვლილი ფორმით სიტყვაში *Ohnmacht* (შდრ., *Ohnmacht* < საშ.ზგ. *āmaht* < ადრ.ახ.გ. *onmacht*, Duden, 569). სიტყვაში *Ameise* სინქრონიულ დონეზე უშუალო შემადგენლები აღარ გამოიყოფა. თანამედროვე გერმანულში მას განვიხილავთ როგორც მარტივ სიტყვას.

არასეგმენტირებად ისტორიულ რთულ სიტყვებს წარმოვადგენთ იმ პრინციპით, აიხსნება თუ არა სიტყვა ეტიმოლოგიურად. ერთ ჯგუფში განვიხილავთ სიტყვებს, რომელთა ეტიმოლოგია ცნობილია, მეორე ჯგუფში კი - ისეთ სიტყვებს, რომლების ისტორიული კომპონენტები თუმცა ეტიმოლოგიურად დადგენილია, მაგრამ მათი წარმოშობა არ არის ცნობილი.

წარმოვადგენთ სიტყვების პირველ ჯგუფს. ამასთან, გაბუნდოვნებული რთული სიტყვების სემანტიკური (შესაბამისად მოტივაციური) გამჭვირვალობის დაკარგვის გამომწვევი მიზეზებიდან გამომდინარე, ნაშრომში განვიხილავთ ორი ენობრივი მოვლენის შედეგებს: სიტყვებს, რომელთა ისტორიული კომპონენტები ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან დაიკარგა (მაგ., *Ameise*, *Amboss*, *Sperber*, *Messer* და მისთ.) და ისეთ სიტყვებს, რომლებშიც ისტორიულმა კომპონენტებმა გარკვეული ფონეტიკური ზემოქმედებით განიცადა რედუცირება (მაგ.: *Adler*, *Kiefer* (*die*), *Schuster*, *Grummet* / *Grumt*, *heute*, *heuer* და მისთ.). ზოგ შემთხვევაში გამოიკვეთა ორივე მოვლენა (*Welt*). სრული დემოტივაციის შედეგად სიტყვის ისტორიულ კომპონენტებს (სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტებს) შორის არსებული ზღვარი წაიშალა და მისი დადგენა მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით არის შესაძლებელი. როგორც ითქვა, შედეგად მივიღეთ მარტივი სიტყვა, რომელსაც აქვს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა.

არსებითი სახელის *Sperber* 'მიმინო' თავდაპირველი ფორმები: საშ.ზგ. *sperwære*, *sparwære* *sperbære*, -*er* 'შევარდენი ან მიმინო, რომელიც ბელურებით ან სხვა პატარა ჩიტებით იკვებება' (Lexer 1992, 204), საშ.ზგ. *sperwære*, ძვ.ზგ. *sparwāri* (Duden 2007, 786) მოდის *Sperling* -ისა და *Aar* -ის შესაბამისი ფორმების კომპოზიციიდან (შდრ., *spar*, *spare*, *sparwe*, *sperwe* 'Sperling' 'ბელურა' (Lexer, 203-204); საშ.ზგ. *ar*, *arn* 'Adler' 'არწივი' (Lexer, 7), ძვ.ზგ. *arn*, *aro* 'Adler' (Schützeichel 2006, 40). ისტორიული რთული სიტყვის ორივე კომპონენტი დღეს სემანტიკურად გაუმჭვირვალეა. შესაბამისად ამ პლანში მათი სეგმენტაცია შეუძლებელია, რადგან მათ შორის საზღვარი წაშლილია. სიტყვის პირველი კომპონენტის შესატყვისი თავისუფალი მორფემა დღეს ენიდან არის დაკარგული, ხოლო *Aar* -ის შესაბამისი ფორმა (საშ.ზგ. *ar*, ძვ.ზგ. *aro*) - ძველი ინდოგერმანიკული სახელწოდება ფრინველისა - გერმანულ ენაში შემოვიდა სიტყვა *Adler*-ის (საშ.ზგ. *adelar[e]*) საშუალებით როგორც რთული სიტყვის კომპონენტი. მე-18 საუკუნიდან *Aar* კვლავ იხმარება დამოუკიდებლად, მაგრამ მხოლოდ პოეტურ სტილში (Duden, 15). *Sperber* -ს თანამედროვე გერმანულ ენაში განვიხილავთ როგორც მარტივ სიტყვას.

გაბუნდოვნებული რთული არსებითი სახელის *Amboss* 'გრდემლი' თავდაპირველი ფორმებია: საშ.ზგ. *ane-*, *an-bōz*, 'Amboss' (Lexer 1992, 5), ძვ.ზგ. *anabōz*; იგი აღნიშნავს 'მას, რაზედაც სცემენ, ურტყამენ' (Duden 2007, 32). სიტყვა შედგება თანამედროვე *an* -ის შესატყვისი წინდებულის (პრეპოზიტივი), შდრ.: საშ.ზგ. *ane*, *an* 'an, auf, in, gegen' (Lexer, 5), ძვ.ზგ. *an(a)*, *ane*, *anæ*, *ahn*, *ann* 'auf, in, an' (Schützeichel 2006, 33) და ახალ, თანამედროვე გერმანულში ენიდან დაკარგული ზმნის ფუძისაგან, შდრ., საშ.ზგ. *bōzen*, ძვ.ზგ. *bōzan* 'ცემა, დარტყმა, კაკუნი' (Duden, იქვე; Lexer, 25). როგორც დავინახეთ, სიტყვის ორივე ისტორიული კომპონენტი დღეს სემანტიკურად გაუმჭვირვალეა.

არსებითი სახელი *Kiefer* (*die*) 'ფიჭვი' დღეს გაბუნდოვნებული რთული სიტყვაა; იგი დაფიქსირებულია მე-16 საუკუნიდან. ეტიმოლოგიური ანალიზით დგინდება, რომ სიტყვა შედგება *Kien-* ისა (საშ.ზგ. *kien stm.* - Lexer 1992, 107) 'ფისოვანი (ფიჭვის) ხე; ფიჭვის კვარი' და *Föhre*-საგან 'ფიჭვი' (Duden, 404). სიტყვა მოდის ძვ.ზგ. *kienforha* -დან 'ფიჭვი' (Duden, იქვე). ისტორიული რთული სიტყვის ორივე კომპონენტმა განიცადა რედუცირება.

ისტორიული რთული სიტყვის *Schuster* 'მეწაღე' ძველი ფორმებია: საშ.ზგ. *schuoch-sūtære*, -*er* 'ფეხსაცმლის მკერავი' (შეკუმშული ფორმები: *schuochster*, *schuoster*, *sūster*, Lexer 1992, 188), ძვ.ზგ. *sūtāri*, საშ.ზგ. *süter*, რომელიც მოდის ლათინური *sutor*-იდან 'მკერავი, შემკეთებელი' (Duden 2007, 743). სიტყვის პირველი კომპონენტი შეესატყვისება საშ.ზგ. *schuoch*, *schuo* -ს 'ფეხსაცმელი', მეორე - საშ.ზგ. *süter* -ს, რომელიც, როგორც ვთქვით, ლათინური წარმომავლობისაა. ანალიზიდან ჩანს, რომ ისტორიული რთული სიტყვის ორივე კომპონენტი თანამედროვე გერმანულ ენაში შეკუმშულია (რედუცირებული). ისტორიულ კომპონენტებს შორის საზღვარი აქაც წაშლილია. გაანალიზებულ წარმონაქმნებს სინქრონიულ დონეზე განვიხილავთ როგორც მარტივ სიტყვებს.

არსებითი სახელი *Adler* 'არწივი' მოდის საშუალო ზემოგერმანული *adel-ar[e]*-დან 'Edelaar' 'კეთილშობილი არწივი' (Duden 2007, 22). ისტორიული რთული სიტყვის პირველ კომპონენტს

შესაბამება ძველი ზემოგერმანული ზედსართავი სახელი *adel* 'კეთილშობილი' (Schützeichel 2006, 26), მეორე კომპონენტს - საშუალო ზემოგერმანული *ar*, ძველი ზემოგერმანული *aro* 'Adler' (Duden, 15). სიტყვის ორივე ისტორიულმა კომპონენტმა განიცადა რედუცირება.

ძველი გერმანიკული სიტყვა *König* 'მეფე, ბელადი, წინამძღოლი; ჭადრ. მეფე' აღნიშნავს 'კეთილშობილი წარმომავლობის კაცს' ('aus vornehmem Geschlecht stammender Mann'). სიტყვის ძველი ფორმებია: *საშ.ზგ. künic, künece, შუაგ. kunic, kunig, kuninc, konig* (Lexer 1992, 118), *ძვ.ზგ. kuni(n)g, cuni(n)g, cunning, cuninc* (Schützeichel 2006, 197), *ნიდერ. koning, ინგლ. king* (Duden 2007, 435), მოდის გერმანიკული *kuninga*-დან, რომელიც წარმოშობისა და კუთვნილების გამომხატველი *-ing/-ung* სუფიქსით არის ნაწარმოები გერმანიკული *kunja*-დან 'კეთილშობილური წარმოშობა, ჩამომავლობა' (შდრ., *ძვ.ზგ. kunni, საშ.ზგ. künne* 'Geschlecht', რაც ენათესავება ლათ. *genus* 'Geschlecht', Duden, იქვე). ჩვენი აზრით, ამ სიტყვაში ვერ გამოვანერგებთ *ig* ელემენტს. ასეთი მაწარმოებელი სუფიქსი არსებით სახელებთან არ გვაქვს. სიტყვის ეტიმოლოგიიდან ვიგებთ, რომ აღნიშნული ელემენტი არის ძველი *-ing* სუფიქსის რედუცირებული ფორმა. ცნობილია, რომ სუფიქსი *-ling* განვითარდა *-ing* სუფიქსიანი დერივატებიდან, რომელთა ფუძე მთავრდებოდა *-i* თანხმოვანზე. მას შემდეგ, რაც წარმოშობისა და კუთვნილების გამომხატველი ძველი ზემოგერმანული სუფიქსი *-ing / -ung* (შდრ., *arming* 'ღარიბი, საწყალი ადამიანი', *edeling* 'დიდგვაროვანი', *herting* 'გმირი') არაპროდუქტიული გახდა, თანდათან მოხდა მისი გავრცობა *-ling* სუფიქსად (შდრ., Kluge 1925, 32; Fleischer 1976, 155; Fleischer/Barz 1995, 192). სიტყვის პირველი ისტორიული კომპონენტიც დღეს სემანტიკურად გაბუნდოვნებული ელემენტია. აქედან გამომდინარე, ამ სიტყვაში სინქრონიულ დონეზე უშუალო შემადგენლებს ვერ გამოვყოფთ (შდრ., Augst 1975, 26-27). *König* თანამედროვე გერმანულ ენაში შეიძლება განვიხილოთ როგორც მარტივი სიტყვა.

გაბუნდოვნებული რთული სიტყვა *Grummet, Grunt* 'ხმელი ბალახის მეორე მოთიბვა' (*საშ.ზგ. gruo[n]māt*): სიტყვის პირველი ისტორიული კომპონენტი შესაბამება ზმნის ფუძეს: *საშ.ზგ. grüejen, ძვ.ზგ. gruoen* 'ზრდა, ამოსვლა, ამწვანება', მეორე კომპონენტი *Mahd* -ის 'თიბვა, სათიბი' შესაბამისი ფორმაა (Duden 2007, 304). სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზიდან ჩანს, რომ ორივე ისტორიულმა კომპონენტმა განიცადა რედუცირება.

დასავლეთგერმანიკული სიტყვა *Hexe* 'ჯადოქარი, კუდიანი დედაბერი' (*საშ.ზგ. hecse, hesse, ძვ.ზგ. hagzissa, hag[al]zus[sa]*) გაბუნდოვნებული (ისტორიული) რთული სიტყვაა. სიტყვის ორივე ისტორიულმა კომპონენტმა განიცადა სემანტიკური გაბუნდოვნება. პირველი უშუალო შემადგენელი სავარაუდოა იყოს *Hag* -ით 'ღობე, ზღუდე, გალავანი' წარმოდგენილი არსებითი სახელი, მეორე უშუალო შემადგენელი ასევე სავარაუდოა, რომ მიეკუთვნება ნორვეგიულ დიალექტს *tsysja* -ს 'ელფი, ალი, მახინჯი ქალი' (Duden 2007, 337).

ძველი გერმანიკული არსებითი სახელი *Welt* (*საშ.ზგ. we[r]lt, ძვ.ზგ. weralt* 'სამყარო; მსოფლიო, ქვეყანა, ქვეყნიერება; წუთისოფელი; კაცობრიობა, ადამიანის მოდგმა') გაბუნდოვნებული რთული სიტყვაა; შესატყვისება სხვა გერმანიკული ფორმები: *ნიდერ. wereld, ინგლ. world, შვედ. värld* 'Welt' (Duden 2007, 922). სიტყვა შედგება *Werwolf* -სა და *Wergeld* -ში შემონახული გერმანიკული სიტყვისაგან *wer* მნიშვნელობით 'კაცი, ადამიანი' (შდრ., *საშ.ზგ. wër-gëlt; wër-wolf, Lexer 1992, 314-315; ძვ.ზგ. wera-, werigelt, Schützeichel 2006, 406*) და გერმანიკული არსებითი სახელისაგან, რომელიც მიეკუთვნება *alt* -ად განვითარებულ ინდოევროპულ ძირს (გუთ. *alds* 'Menschenalter, Zeit', Duden, იქვე). თანამედროვე გერმანულ ენაში *Welt* მარტივი სიტყვაა.

მეორე ჯგუფში წარმოდგენილ სიტყვებში ეტიმოლოგიურად შესაძლებელია ისტორიული კომპონენტების გამოვლენა, თუმცა მათი წარმოშობა არ არის ცნობილი. მაგალითად, მცენარის სახელწოდება *Flieder* 'იასამანი' ზემოგერმანული ფორმით ცნობილია მე-16/17 საუკუნეებიდან. სიტყვის შესაბამისი ძველი ფორმებია: *საშ.ქვგ. vlēder, ძვ.საქს. fliodar, ნიდერ. vlier*. მისი წარმოშობა უცნობია. ეტიმოლოგიიდან ვიგებთ, რომ სიტყვა ნაწარმოებია *-d̥r[a]* გერმანიკული სუფიქსით (Duden 2007, 223). ასევე არსებითი სახელი *Rüster* 'თელა' ნაწარმოებია იმავე *-d̥r[a]* სუფიქსით. სიტყვის პირველ ისტორიულ კომპონენტს შესატყვისება *rust* 'თელა, თელამუში', მაგრამ მისი წარმოშობაც უცნობია (იქვე, 690).

როგორც უკვე ითქვა, გაბუნდოვნებულ რთულ სიტყვაში სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტის სემენტაცია შესაძლებელია მხოლოდ სრულფასოვანი მორფემის გამოყოფით. ნაშრომში განხილულ დემოტივირებულ სიტყვებში კი, როგორც დავინახეთ, ფსევდომორფემებზე, როგორც სემენტებზე საერთოდ ვერ ვილაპარაკებთ, რადგან ასეთი სიტყვის ორივე ისტორიულმა კომპონენტმა (წევრმა) განიცადა დემოტივაცია. ეს ნიშნავს, რომ ასეთი გაბუნდოვნებული რთული სიტყვები სინქრონიულ დონეზე არასემანტიკურებადა.

მოვიყვანთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ დეფინიციას (იხ. მახვილაძე 2001, 61), რომელიც გულისხმობს როგორც ფსევდომორფემიან სტრუქტურებს, ისე არასემანტიკურებად გაბუნდოვნებულ რთულ სიტყვებს. იგი ეფუძნება წიგნში: Götte L./Hess-Lüttich E.W.B.: "Grammatik der deutschen Sprache" (1993, 294-295 / 2005,

349) წარმოდგენილ დეფინიციას. ერთი მხრივ, გაბუნდოვნებული რთული სიტყვების ეტიმოლოგიური გამჭვირვალობის დაკარგვის მიზეზებისა და, მეორე მხრივ, სიტყვის მორფოლოგიური გამჭვირვალობის ხარისხის გათვალისწინებით, ჩვენ შევეცადეთ დეფინიციის დაზუსტება შემდეგი სახით:

გაბუნდოვნებული სიტყვაწარმონაქმნები (ასევე: ისტორიული რთული სიტყვები)<sup>1</sup> ისეთი სიტყვებია, რომლებიც ხშირად აღარ ასოცირდება რთულ სიტყვებად. მიზეზი ისაა, რომ ისტორიული რთული სიტყვის ერთი ან ორივე წევრი დღეს როგორც დამოუკიდებელი სიტყვა ენაში აღარ ფუნქციონირებს, ან გვხვდება შეცვლილი ფორმით, ამასთან ასეთმა ელემენტებმა დაკარგა თავისი ლექსიკური მნიშვნელობა. მეორე მხრივ, უმახვილობის ან სუსტი მახვილის გამო, ასევე ბგერითი ცვლილებების შედეგად, ისტორიული რთული სიტყვის ერთი (უმეტესად მეორე) ან ორივე წევრი დასუსტდა და ეს ისტორიული კომპონენტი (კომპონენტები) დღეს სიტყვაში წარმოდგენილია რედუცირებული ფორმით. შესაბამისად მათი ლექსიკური მნიშვნელობაც გაბუნდოვნებულია. ორივე ისტორიული წევრის დამოუკიდებელი ხმარებიდან დაკარგვის ან რედუცირების შემთხვევაში ისინი უშუალო შემადგენლებად აღარ გამოწვევდება; ელემენტები შეერწყნენ ერთმანეთს (მახვილაძე 2001, 61; მახვილაძე 2008, 153, მცირე ცვლილებებით).

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ ისეთი გაბუნდოვნებული რთული სიტყვების ტიპი, რომელთა ორივე ისტორიულმა კომპონენტმა / წევრმა ენის განვითარების პროცესში დაკარგა თავისი სემანტიკური (მოტივაციური) გამჭვირვალობა. აღინიშნა, რომ ასეთი ისტორიული რთული სიტყვების სემანტიკა სინქრონიულ დონეზე შეუძლებელია, რადგან ისტორიულ კომპონენტებს შორის გაქრა საზღვარი და ელემენტები შეერწყნენ ერთმანეთს (მორფემების შერწყმის მოვლენა). მათი დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით. ასეთი ლექსემები თანამედროვე გერმანულ ენაში განიხილება როგორც მარტივი სიტყვები. საანალიზო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით წარმოვადგინეთ ისტორიული რთული სიტყვების სემანტიკური და მორფოლოგიური ცვლილებები (დინამიკა), შესაბამისად კომპოზიტიდან სიმპლექსისაკენ გადაწევის პროცესები.

#### შემოკლებათა განმარტებანი:

ადრ.ახ.გ. - ადრეული ახალი გერმანული

გუთ. - გუთური

ლათ. - ლათინური

ნიდერ. - ნიდერლანდური

საშ.ზგ. - საშუალი ზემოგერმანული

საშ.ქვ.გ. - საშუალი ქვემოგერმანული

შვედ. - შვედური

შუაგ. - შუაგერმანული

ძვ.ზგ. - ძველი ზემოგერმანული

ძვ.საქს. - ძველი საქსონური

#### ლიტერატურა:

Augst, G. (1975): Einleitung. In: *Lexikon zur Wortbildung. Morpheminventar*. Bd.1 (=IDS 24.1). U. Engel / I. Vogel (Hrsg.). Gunter Narr: Tübingen, S. 3-93.

Barz, I. (2009): Die Wortbildung. In: *Duden. Die Grammatik. Unentbehrlich für richtiges Deutsch*. 8. überarb. Aufl. Bd. 4, Duden: Mannheim, Zürich, S. 634-762.

Barz, I. / Schröder, M. / Hämmer, K. / Poethe, H. (2007): *Wortbildung – praktisch und integrativ. Ein Arbeitsbuch* (4., überarb. Aufl.). Peter Lang: Frankfurt a. M.

Duden (2007): *Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache* (4., neu bearb. Aufl.). Bd.7. Duden: Mannheim, Zürich.

Erben, J. (2006): *Einführung in die deutsche Wortbildungslehre*. Erich Schmidt: Berlin.

Fleischer, W. (1976): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache* (4., durchges. Aufl.). Bibliographisches Institut: Leipzig.

Fleischer W. / Barz I. (1995): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. Unter Mitarbeit von M.Schröder. 2., durchges. und erg. Aufl. Max Niemeyer: Tübingen.

Fleischer, W. / Barz, I. (2012): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4. Aufl., völlig neu bearb. v. I. Barz unter Mitarbeit v. M. Schröder. Walter de Gruyter: Berlin/Boston.

Glück, H. (Hrsg.) (1993): *Metzler Lexikon Sprache*. Metzler: Stuttgart, Weimar.

Götze L./ Hess-Lüttich E.W.B. (1993): *Grammatik der deutschen Sprache*. Bertelsmann Lexikon: München.

Götze, L. / Hess-Lüttich, E. W. B. (2005): *Grammatik der deutschen Sprache. Sprachsystem und Sprachgebrauch* (3., vollst. neu bearb. und akt. Aufl.). Bertelsmann Lexikon: Gütersloh/München.

<sup>1</sup> ვფიქრობთ, რომ ტერმინები „გაბუნდოვნებული სიტყვაწარმონაქმნები“ ან „ისტორიული რთული სიტყვები“ უფრო მეტად შეესატყვისება როგორც ფსევდომორფემით შედგენილ ნაწილობრივ მოტივირებულ სტრუქტურებს, ისე არასემანტიკურებად გაბუნდოვნებულ რთულ სიტყვებს.

- Henzen, W. (1965): *Deutsche Wortbildung* (3., durchges. u. erg. Aufl.). Max Niemeyer: Tübingen.
- Hirt H. (1921): *Etymologie der neuhochdeutschen Sprache. Darstellung des deutschen Wortschatzes in seiner geschichtlichen Entwicklung*, 2., verbess. u. verm. Auflage. Oskar Beck: München.
- Kluge, Fr. (1925): *Abriss der deutschen Wortbildungslehre* (2. Aufl.). Max Niemeyer: Halle (Saale).
- Lexner, M. (1992): *Mittelhochdeutsches Taschenwörterbuch*. Mit den Nachträgen von Ulrich Pretzel. 38., unveränd. Aufl. S. Hirzel: Stuttgart.
- მახვილაძე, ლ. (2001): *სემანტიკურად გაბუნდოვებული ელემენტები გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში*. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- მახვილაძე, ლ. (2008): დემოტივირებული ლექსემების ჩამოყალიბების პროცესი გერმანულ ენაში. დემოტივაცია, ხალხური ეტიმოლოგია, იდიომატიზაცია. *საენათმეცნიერო ძიებანი*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ტ. XXVII, აკადემიის გამომცემლობა: თბილისი, გვ. 148-159.
- Olsen, S. (1986): *Wortbildung im Deutschen. Eine Einführung in die Theorie der Wortstruktur*. Kröner: Stuttgart.
- Schippan, Th. (2002): *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. 2., Aufl., Max Niemeyer: Tübingen.
- Schmidt, W. (2008): *Deutsche Sprachkunde*. 8., bearb. Aufl. IFB: Paderborn.
- Schützeichel, R. (2006). *Althochdeutsches Wörterbuch*. 6., überarb. Aufl. Max Niemeyer: Tübingen.
- Simmler, F. (2002): Pseudomorpheme. Ermittlungsmethoden, Typologie und Sprachgeschichte. In: Habermann, M./Müller, P.O./Munske, H.H. (Hgg.): *Historische Wortbildung des Deutschen*. Niemeyer Verlag: Tübingen, S. 75-103.
- Stepanowa, M.D./Fleischer, W. (1985): *Grundzüge der deutschen Wortbildung*. Bibliographisches Institut: Leipzig.
- Степанова М.Д. (1953): *Словообразование современного немецкого языка*. Литература на иностр. яз.: Москва

## A QUESTION OF SEMANTIC OPACITY IN SYNCHRONICALLY NON-SEGMENTED OPAQUE COMPLEX WORDS

Lela Makhviladze, Gori State Teaching University, Professor

### RESUME

This article deals with the opaque (historical) complex words existing in the modern German which both historical components have lost their semantic transparency over time in the language development process (for example: *Adler, Ameise, Sperber, Amboss, König, Schuster, Schulze, Welt*). Historical research of word formation defines such words as “verdunkelte Zusammensetzungen” (“opaque compound words”). According to the synchronic description of the modern Language these words are discussed as clear cases of simplicia (morphologically simple / monomorphemic words). At this level segmentation of the historical complex words is not possible because the margins between such historical components (semantically opaque forms) have disappeared and the elements merged each other, cf. *Ameise* ‘ant’ (MHG. *āmeze*, OHG. *āmeiza*), contains MHG., OHG. nominal prefix *ā* ‘far, away, aside, missing’, which has not been productive since Old High German period, and from the stem of today lost Germanic verb MHG. *meizen*, OHG. *meizan* ‘cut [off]’. The reasons which caused losing semantic transparency (accordingly, motivation) of historical components and accompanying phenomenon are discussed in the article. The semantical and morphological changes (dynamics) of these words as well as historical process of moving from the composite to the simplex are shown according to the analyzed material.

## პიკარესკული რომანის აღმოცენებისა და მისი გავლენის ზოგიერთი საკითხი

მაია მელანაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი  
E-mail: melanashvili.maia@gmail.com

აღორძინების ეპოქის ესპანური ლიტერატურის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანრი თაღლითური (პიკარესკული, ანუ გაიძვერული) რომანი (ესპ. novela picaresca, ინგლ. picaresque novel, ფრ. roman picaresque, გერმ. Schelmenroman) ფორმირდება ესპანეთში XV ს., აყვავებას განიცდის XVI ს-ის შუა პერიოდში, XVII-XVIII სს. კი დიდი სისწრაფით ვრცელდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურაში და დღემდე ახდენს გავლენას მსოფლიო მწერლობაზე. სატირული პროზის ეს მიმართულება, რომლის ცენტრში დგას მატყუარა მაწანწალა, თაღლითი და ავანტიურისტი, ცხოვრების

მანკიერ მხარეებს რეალისტური და, ხშირ შემთხვევაში, იუმორისტული დეტალის გათვალისწინებით წარმოადგენს.

თალითურმა რომანმა საკმაოდ გრძელი გზა განვლო მის სრულ ჩამოყალიბებამდე. მან გამოიყენა ბევრი ელემენტი, რომელიც შემუშავებული იქნა წინა პერიოდში: ანტიკურ ლიტერატურაში, შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში.

შუა საუკუნეების ევროპული ლიტერატურა გვთავაზობს რეალისტური ცინიზმისა და სოციალური კლასების სატირის მრავალ მოდელს. საინტერესოა ფაბლიოებისა და ფარსების პერსონაჟები. შთამბეჭდავადია წარმოდგენილი სატირული ელემენტები და ფრანგი სატირიკოსის რიუტბეფის (Rutebeuf, 1230-1285). შემოქმედებაში. მწერლის ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა ე.წ. თქმების ნიმუშებში: „უნივერსიტეტზე“, „სიცრუეზე“, „პირმოთნეობაზე“, რაც შეეხება მეორე ფრანგ პოეტს ვილონს (Villon, 1431-1503;), მისმა ლირიკამ დააგვირგვინა შუა საუკუნეების მწერლობა.

იტალიაში წინათალითური თემატიკა წარმოდგენილი იყო პოეტ ლუიჯი პულჩის (Pulci, 1432-1484) ეპიკურ პოემაში „დიდი მორგანტე“ (Morgante maggiore, 1482). მასში ერთმანეთს ერწყმის რელიგიური და საერო, სერიოზული და სახუმარო. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი მარგუტე (Margutte) ჰყვება თვისი ცხოვრების ეპიზოდს, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც „პიკარესკული რომანი მინიატურაში“. საქვეყნო აღიარება მოიპოვა იტალიელი მოქანდაკის ბენვენუტო ჩელინის (Gellini, 1500-1571) ავტობიოგრაფიულმა ნაწარმოებმა „ბენვენუტო ჩელინის ცხოვრება“.

ძალზედ მნიშვნელოვანია გერმანელი მწერლისა და ჰუმანისტის სებასტიან ბრანტის (Sebastian Brant, 1458-1521) გალექსილი სატირულ-ეპიკური, დიდაქტიკური ნაწარმოები „სულელების გემი“ (Narrenschiff, 1494). მასში მხილებულია რაინდების ძალადობა, სამღვდელოების მომხვეჭელობა, დაგმობილია „ადამიანური სისულელის“ ნაირგვარი გამოვლენა: ეგოიზმი, ანგარება, ლოთობა, გაიმძვრობა, მრუმობა. თხზულება ითარგმნა მრავალ ენაზე. მან ხელი შეუწყო სატირული ლიტერატურის, კერძოდ, გრობიანიზმის ნაკადის განვითარებას. მკვლევარ ფ. ვ. შანდლერის მიხედვით ლათინურ ენაზე დაწერილი „Liber vagatorum“ არის „გერმანული თალითური რეალიზმის“ პირველი ნიმუში (ნაწარმოები ითარგმნა 1528 წ. მარტინ ლუთერის მიერ), რომელმაც ევროპაში შეიტანა დიდი დაინტერესება კრიმინალების მიმართ. „ტილ ეულენშპიგელი“ 1483 წ. (Till Eulenspiegel დაწერილი ქვედა გერმანულ დიალექტზე) მიჩნეულია მსოფლიოში პირველ მკაფიო პიკარესკულ რომანად.

ფრანგულ ლიტერატურაში თალითური რომანის გმირებთან ყველაზე ახლოს დგას ფრანსუა რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ პანურგი და გერმანული „ეროვნული წიგნების“ ზოგიერთი პროტაგონისტი. ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი პერსონაჟი ჯერ კიდევ არ არის პიკარო, რადგანაც მათში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა თალითური რომანის ცენტრალური მოტივი - გმირის მარტოსულობა მტრულად განწყობილ საზოგადოებაში. პიკარესკული რომანის საბოლოო ფორმა მხოლოდ ესპანურ ლიტერატურაში ყალიბდება. XVI-XVII სს-ის ესპანური რეალისტური პროზის ეს ყველაზე დამახასიათებელი ფორმა - პიკარესკული რომანი ანუ რომანის თალითობაზე, ისევე როგორც სარაინდო და პასტორალური რომანი, საერთაშორისო ჟანრია. მაგრამ „ესპანეთმა, პირდაპირი მნიშვნელობით დაიწყო ის (ჟანრი), მისცა მას ფორმა და ჩამოაყალიბა მისი ჟანრული მოდელი“. რაც გამოწვეული იყო თავად აუცილებლობით.

პიკარესკული თემა ფართოდ იყო გავრცელებული ესპანურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, სადაც შეიქმნა მდიდარი ფოლკლორული ტრადიციები. პედრო დე ურდემალასის (Pedro de Urdemalas) სახელის მოხსენიება „ოქროს საუკუნის“ (Siglo de Oro) ანუ XVII საუკუნის ლიტერატურაში ძალზედ ხშირო იყო. მან მოახდინა დიდი გავლენა არა მარტო თანამედროვეებზე, არამედ შემდგომი ხანის მწერლებზე. პედრო დე ურდემალასის მოხეტიალე და ბოჰემური ამბებით სავსე ცხოვრება გამოიყენა მოგვიანებით მიგელ დე სერვანტეს საავედრამ ამავე სახელწოდების პიესაში.

საუკუნეების განმავლობაში ესპანეთმა შექმნა ძლიერი ეროვნული და ამავე დროს რეალისტური ტრადიციები, საზოგადოებრივი კლასების სატირა და თალითური ტიპები. ხუან რუისის თალითების ფართო გაღვრებაში პიკაროს ტიპთან ყველაზე ახლოს დგას ლაქია ფურონი (Furon), რომლის დახასიათებისას პოეტი ეპიტეთთა სიმრავლეს მიმართავს. ფურონი, ისევე როგორც ნებისმიერი თალითი, იყო „მატყუარა, მსმელი, ქურდი, მოჩხუბარი, მოთამაშე, ბინძური და სინდისგარეცხილი“. იგივე საჭირბოროტო საკითხს ეხება პედრო ლოპეს დე აიალას (Pedro Lopez de Ayala, 1332-1407) „პოემები სასახლის ხოვრებაში“ (Rimado de Palacio, 1385-1403) და ალფონსო მარტინეს ტოლედოელის (Rimado de Polacio, 1385-1403) და ალფონსო მარტინეს ტოლედოელის (Alfonso Martinez de Toledo, 1398-1470) „ჭირი, ანუ მიწიერი სიყვარულის გაკილვაში“ (Cordacho o Reprobacion del amor mundado).

გარდა ამისა, ესპანურ თალითურ რომანზე შესამდებელია გავლენა მოეხდინა აღმოსავლურ ტრადიციებს. მაგალითად, აკაკი გაწერელია „ლასარილიო ტორმესელის ცხოვრების“ წყაროდ აღმოსავლური ფოლკლორის ნიმუშებს მიიჩნევს და წიგნის შესავალში წერს:

„მთლიანობის მისაღწევად მოთხოვნაში გამოყენებულია კომპოზიციური ხერხები, რომელთაც საერთო აქვთ აღმოსავლური ეპოსის ზოგიერთ თხზულებასთან, ჩვენი მოსაზრებისათვის საფუძველს იძლევა ამ ნაწარმოებთა სტილიური ხერხების ერთმანეთთან შედარება. რასაკვირველია, პიკარულ მოთხრობას ჰქონდა თავისებური ევოლუცია, რომელიც ყველაფერში იმეორებდა აღმოსავლური არაკების კანონებს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეპიზოდების გაერთიანების ხერხის სათავე აღმოსავლურ არაკებში უნდა ვეძიოთ. ...თვითონ „ლასარილიო ტორმასელის“ ავტორიც აცხადებს, რომ გაცნობილი უნდა ყოფილიყო ფოლკლორსა და აღმოსავლურ არაკებს და არ არის შემთხვევითი, რომ „ლასარილიოს“ მკვლევარ-ესპანისტა შორის ამჟამად ყველაზე უფრო ის შეხედულებაა გაზიარებული, რომელიც პირველი პიკარესკული მოთხრობის „ლასარილიოს“ ავტორად აცხადებს ხალხური ანდაზებისა და არაკების ერთ-ერთ „შემგროვებელს“ (3:XIV-XVI).

მამასადამე, ვეროპის სხვადასხვა ქვეყნების, ესპანური მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების ლიტერატურული ნიმუშების საფუძველზე მოხდა მდიდარი და მრავალფეროვანი თაღლითური რომანის ჩამოყალიბება. ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი არცერთი ნაწარმოები არ შეიძლება პიკარესკული ანუ თაღლითური რომანის ნიმუშად ჩაითვალოს. მათ „უბრალოდ ჩამოაყალიბეს ფორმულა პიკარესკული რომანისათვის და საფუძველი ჩაუყარეს უფრო ვიწრო და დამახასიათებელი ფორმის შექმნას“ (5:176).

ესპანური ლიტერატურის ისტორიაში რამოდენიმე ვერსია არსებობს თაღლითური რომანების განვითარების ეტაპებისა და რაოდენობის შესახებ, რაზეც ყველა მკვლევარს დამოუკიდებელი, თავისებური ახსნა აქვს. დღემდე წარმოუდგენელია პირველი თაღლითური რომანის საკითხი. თაღლითური მწერლობის პირველ ნიმუშად მიჩნეულია ბაკალავრ ფერნანდო დე როხასის (Fernando de Rojas, დიალოგის ფორმით დაწერილი დრამა-რომანი „კალისტოსა და მელიბრას ტრაგიკომედია“ (Tragicomrdia de Calisto y Melibra, 1499), რომელიც უფრო ცნობილია „სელესტინას“ (Celestina) სახელით. თავისებური კომპოზიციური აგებულების გამო რიგი მკვლევარებისა (ფ. რიკო, კ. გულიენი) საერთოდ გამორიცხავენ ამ ნაწარმოებს თაღლითური ჟანრიდან. უმრავლესობა (აიზენბერგი დ, დოროთი შერმან სევერინი, სტივენ გილმანი) კი ამ ტრაგიკომედიას თაღლითურ ჟანრს აკუთვნებენ. უფრო მეტიც, ამ ნაწარმოებს „მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიის“ ავტორები ჟანრის საწყისად მიიჩნევენ. თუნდაც ის, რომ მკვლევარმა ნ. ტომაშევსკიმ „სელესტინა“ თავის კრებულში „თაღლითური რომანი“ შეიყვანა, უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ „სელესტინა“ საინტერესო ფენომენს წარმოადგენს თაღლითური რომანის კვლევისათვის. ის, რითაც აოცებდა „სელესტინა“ ესპანეთში XV ს-მდე, არისტოკრატიული თეატრი არ არსებულა და „სელესტინა“ მისი მთლი შინაგანი დრამატიზმით აშკარად არ არის დრამა ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. თუმცა ეს რომანიც არ არის, მიუხედავად სიუჟეტებისა და კომპოზიციებში არსებული თხრობითი ხერხებისა. ეს არც დიდაქტიკური ნაწარმოებია, თუმცა თანამედროვენი, ცხადია ყველაზე მეტად აფასებენ „სელესტინას“ სენტენციებსა და აფორიზმებს. „სელესტინა“ ჭეშმარიტად აჯამებს გარდამავალ პერიოდს. ის საკუთარ თავში აერთიანებს შუა საუკუნეების ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრებს და ამასთან ერთად სინკრეტული ფორმით აერთიანებს „ოქროს საუკუნის“ ძირითადი ლიტერატურული ჟანრებს - რომანსა და დრამას. „სელესტინას“ ესპანურ ლიტერატურაში იგივე ადგილი უჭირავს, რაც ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებს“ ინგლისურ ლიტერატურაში და დანტეს უკვდავ პოემას იტალიურ მწერლობაში. „სელესტინათი“ მთავრდება შუა საუკუნეების პერიოდი და იწყება ესპანური რენესანსი და ახალი დროის ლიტერატურა. მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ესპანურ ლიტერატურაში, როგორც ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებს“ ინგლისურ და დანტეს დიად პოემას იტალიურ ლიტერატურაში. მამასადამე, „სელესტინა“ „ბევრ რამეში უფრო მაღლა დგას თაღლითურ რომანზე“ (6:262). რამეთუ, მისით დაიწყო ნაციონალური ესპანური დრამა.

მაშ, რა არის ამ რომან-დრამაში ისეთი, რაც მკვლევარებს აძლევს საშუალებას ის თაღლითურ ჟანრს მიაკუთვნონ?

„სელესტინაში“ აღწერილია ესპანეთში ძველი პატრიარქალური წყობის შეცვლა ახლით, პატრიარქალური წყობის დაშლა და პიროვნების გათავისუფლება. ყოველივე ეს მწერლის ხელში წარმოადგენს იარაღს უჩვენოს მკითხველს ესპანური საზოგადოების მანკიერი მხარეები. საყურადღებოა მისი მთავარი პერსონაჟი სელესტინა, რომლის სახეში ერთიანდება ესპანელი თაღლითის ძირითადი ნიშან-თვისებანი. ის არის როხასის ფუნდამენტალური ქმნილება.

სხვა მკვლევარების მიხედვით, „თაღლითური რომანებიდან პირველი“ (5:176) იყო „ანდალუსიელი ლოსანას „პორტრეტი“ (Retrato de la Locana Andaluza), შესრულებული ვენეციაში 1528 წ. სამშობლოდან გაძევებული და გაიტალიელებული მღვდლის ფრანსისკო დელიკადოს (Francisco Delicado) მიერ. ის დაიწერა „სელესტინას“ მსგავსად დიალოგის ფორმით. ნაწარმოები არის „პერიპეტიალური, მოკლებულია სიუჟეტურ სტრუქტურას. მთავარი პერსონაჟია და ანტი-გმირი (anti-heroína) და



ასოცდახუთი შემთხვევითი პერსონაჟი ნაწარმოებმა მცირე გავლენა მოახდინა იმდროინდელ მწერლებზე, მასში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული თაღლითური რომანისთვის დამახასიათებელი თვისება.

ასევე პირველ პიკარესკულ რომანად ზოგ წყაროებში მოხსენიებულია მატეო ალუმანის „გუსმან დე ალფარაჩე“. დღესდღეობით ლიტერატურის კრიტიკაში თაღლითური რომანების განვითარებასთან დაკავშირებით ყველაზე მეტად მიღებულია და ავტორიტეტულია ესპანელი მკვლევარის ფრანსისკო რიკოს აზრი, რომელიც ესპანეთში თაღლითური რომანის საწყისად 1599 წ. ასახელებს ანუ ეს არის ესპანელი მწერლის მატეო ალემან დე ენეროს ცნობილი რომანის „გუსმან დე ალფარაჩეს“ პირველი ნაწილის გამოქვეყნების თარიღი.

პიკარესკული რომანის ძალზედ განსაკუთრებულ თვისებურებად ითვლება ის ფაქტი, რომ ამ ჟანრის განვითარების ძალზედ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში [დაახლოებით 150 წლის განმავლობაში, თუ ამ ჟანრის პირველ ნიმუშად მივიჩნევთ ფერნანდო დე როხასის „კალისტოსა და მელიბეას ტრაგიკომედიას“ ანუ „სელესტინას“, (1499 წ.), ხოლო ჟანრის უკანასკნელ ნიმუშად ერთხმად ითვლება ფრანსისკო სანტოსის ნაკლებად ცნობილი რომანი (1668 წ.)] საოცრად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა შეიქმნა.

აზრთა სხვადასხვაობაა თაღლითური რომანების რაოდენობასთან დაკავშირებით ანხელ ვალბუენა პრატს თავის კრებულში მოჰყავს მხოლოდ 24 თაღლითური ნაწარმოები. „ენციკლოპედია ბრიტანიკა“ თაღლითურ რომანებად 22 ავტორს 33 ნაწარმოებებს მიიჩნევს ფრანსისკო რიკო კიდევ უფრო ამცირებს თაღლითური რომანების რაოდენობას ამ კრებულებით მოგვიანებით ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა მკვლევარები (ლასარო კარეტერი და ა. ა. პარკერი). ეს უკანასკნელი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ თაღლითური რომანის განვითარების დასაწყისში ანუ 1605 წ. არსებობდა თაღლითურ რომანთა „დიდი ოდენობა“ (*quite a large number*). სამწუხაროდ, ის თავს იკავებს მათი ჩამოთვლისაგან და ასახელებს მხოლოდ რამოდენიმეს.

ზემოთ მოცემულ ვარაუდებზე, თუ რომელია პიკარესკული რომანის ნიმუში და რომელი არა, მრავალი აზრი გაჩნდა მკვლევრებს შორის. ისინი ამ საკითხშიც ვერ აღმოჩნდნენ ერთსულოვანნი. მაგალითად, აიხენბერგი თვლის, რომ ვალბუენა პრატს თავის ნაშრომში მრავალი უზუსტობანი აქვს, რამეთუ ვალბუენა მიაკუთვნებს „კოჭლ ეშმაკს“ თაღლითური რომანების ტიპს, შემდეგ კი აცხადებს: „კოჭლი ეშმაკი“ უფრო მიეკუთვნება სატირულ-სოციალურ ჟანრს, ვიდრე პიკარესკულსო“ (*pertenece... a un genero satiricosocial, mas bien que picaresco*). ასეთი ლაფსუსები კიდევ უფრო რთულს ხდის თაღლითურ რომანზე მუშაობას და არ გვეხმარება განვსაზღვროთ თაღლითური რომანის არსი.

უცნაურ შეფასებას აძლევს ვალბუენა პრატი ფრანსისკო სანტოსის „periquillo, el de las gallineras“: ის არის „მგზნებარე, ხოლო თაღლითური ტექნიკა წარმოდგენილია თაღლითების გარეშე“. ის უფრო თაღლითური რომანის აზრდილია, ვიდრე თავად ნაწარმოები“. პროფესორი პარკერი გამორიცხავს „periquillo“-ს თაღლითური რომანის სიიდან, რადგან მისი თქმით „ეს არ არის პირდაპირ რომ ვთქვათ, თაღლითური რომანის ნიმუში, რადგანაც მას ჰყავს წმინდანი გმირი“.

რაც შეეხება ვისენტე ესპინელის „მარკოს დე ობრეგონს“, ის „თავგადასავალთა რომანია, ვიდრე თავად თაღლითური“, მოგვიანებით კი აცხადებს „ის უფრო მოგონებათა წიგნის, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობით თაღლითური“. ხერონიმო დე ალკალა იანესის „Alonso, mozo de muchos amos“ ვალბუენა პრატი ადარებს „ღვთიურს“ და აცხადებს, რომ ავტორი ბაძავდა ფრეი ლუის დე ლეონის „De los nombres de Cristo“. მისი თაღლითურთან კავშირი კი რთული შესამჩნევია.

საინტერესოა ასევე გაირკვეს პიკარესკული რომანის შექმნის ძირითადი ფაქტორები. გამოთქმულია სხვადასხვა აზრი, მაგრამ არსებობს ის ორი ძირითადი მიზეზები, რომელმაც განაპირობა პიკარესკული რომანის ჩასახვა და შემდგომში განვითარება სწორედ ესპანეთში. ეს ფაქტორები კი შემდეგში მდგომარეობს:

1. XV-XVII სს. ესპანეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება;

2. ესპანეთში არსებული კულტურული ფონი ანუ პერიოდი როცა მიმდინარეობს დრომოჭმული სარაინდო და პასტორალური ლიტერატურის მწვავე კრიტიკა. ეს უკანასკნელი, როგორც შემდეგ ვნახავთ, გამოძახილია ისევ და ისევ პოლიტიკური ვითარებისა.

მკვლევარების უმრავლესობა პიკარესკული რომანის ისტორიის გარკვევისას ამახვილებს ყურადღებას იმ დროის ესპანური ცხოვრების თავისებურებებზე. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად ამ ჟანრის შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო თავად ესპანური ცხოვრების სინამდვილით, რადგანაც ესპანური პიკარესკული რომანი პროდუქტია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური პირობებისა. აქ მომწიფდა ისეთი სოციალური და პოლიტიკური პირობები, რამაც ხელი შეუწყო პიკაროს ფენის წარმოქმნას და, აქედან გამომდინარე, პიკარესკული ჟანრის ჩამოყალიბებას. ამ მოსაზრებას იზიარებს თაღლითური რომანის მრავალი მკვლევარი. მათ შორის, ნ. ტომაშევიკი, ბ. ა. კრჟევიკი, ა. ა. შტაინი, კლაუდოი გულიენი და ფრანსისკო რიკო.

ცნობილია, რომ XV ს. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი XVI ს., პირენეის ნახევარკუნძულის ორი სახელმწიფო - ესპანეთი და პორტუგალია, წარმოადგენდა ევროპის პოლიტიკურად წამყვან სახელმწიფოებს.

XV ს. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი XVI ს. იმპერატორ კარლოსის მმართველობის პერიოდში (1516-1556 წწ.), ესპანეთში შეიქმნა პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების ეპოქა.

ესპანურ ბაზრობებს ჰქონდათ საერთაშორისო მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, იგივე ბაზრობები ემსახურებოდა შიდა, ეროვნულ ბაზარს და დიდი წარმატებითაც. წყალუხვმა მდინარეებმა, რომლებიც საზღვაო ხომალდებისათვის გამოსადეგი იყო, ხელი შეუწყვეს შიდა ალებ-მიცემობის გამოცოცხლებას. ამას დაემატა ზოგიერთი რაინდის სიმდიდრე და მათი ეკონომიკური მომგებიანობა, რომელიც ეხმარებოდა ალებ-მიცემობის განვითარებას.

ეს იყო ესპანეთის მწერლობის განვითარების მხოლოდ გარეგნული მხარე. ის ცხადად აჩვენებდა ქვეყნის აყვავებას, თუმცა ეს აყვავება არ იყო ხანგრძლივი. საქმე იმაშია, რომ მას (გარეგნულ განვითარებას) მეორე მხარეც ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ჯერ კიდევ ძლიერი და ფესვგადგმული იყო დრომოჭმული ტრადიციები: სასულიერო და საერო არისტოკრატები უზარმაზარ ტერიტორიებს ფლობდნენ.

XVI ს. ბოლოს გამოჩნდა ესპანური სახელმწიფოს გარდაუვალი რღვევა. ფილიპე II (1556-1598 წწ.) ვერ მიიღო იმპერატორის გვირგვინი და დაკარგა ევროპის დიდი ტერიტორია. სწორედ მისი მეფობის დროს გამოჩნდა სახელმწიფოს რღვევის პირველი სიმპტომები. ომებმა კიდევ უფრო დაასუსტეს ქვეყანა. 1588 წ. ინგლისის ნაპირებთან განადგურდა მთელი ესპანური ფლოტი, სახელად „უძლეველი არმადა“. რელიგიური ომების დროს, ესპანეთი იძულებული გახდა დაეთმო საფრანგეთი, ხოლო 1609 წ., ფილიპე III (1598-1621 წწ.) მეფობის დროს დამოუკიდებლობა მიიღო ნიდერლანდებმა, ფილიპე IV მმართველობისას (1621-1665 წწ.), 1640 წ. ესპანეთმა დაკარგა პორტუგალია. ამრიგად, ესპანეთი აღარ წარმოადგენდა დიდ ევროპულ სახელმწიფოს.

ესპანეთს თავს დაატყდა კიდევ ერთი უბედურება: მას შემდეგ, რაც ქრისტიანული კოლუმბმა აღმოაჩინა ახალი კონტინენტი, დაიწყო ამერიკის მარცვა და ესპანეთისკენ გაუთავებელი ოქროს დინება. ამას არ მოჰყოლია ესპანეთის ეკონომიკურად გაძლიერება, პირიქით, საფუძველი შეიქმნა მისი შემდგომი გაჩანაგებისთვის. იმისათვის, რომ ოქროს ქვეყანა გაემდიდრებინა, საჭირო იყო შესაბამისი ნიადაგი. ასეთი საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერი ქალაქები, მაგრამ მათ ძალა გამოცლილი ჰქონდათ.

ოქროს, ვერცხლის, ძვირფასი ქვების შემოტანამ ქვეყანა მიიყვანა „ფასების რევოლუციამდე“. გაიფხვრა სასოფლო-სამეურნეო საქონელი. ადგილობრივი წარმოება უფრო და უფრო ეცემოდა.

„შეიქმნა პარადოქსალური ვითარება - ოქრო თავს დაატყდა ესპანეთს, დაანგრია პატრიარქალური წყობა, მაგრამ წინ არ წასწია ქვეყნის ეკონომიკა“. ესპანელები კარგად ხედავდნენ თავიანთი ქვეყნის განადგურების მთავარ მიზეზს. მაგალითად, მწერალმა სანჩო დე მონკადამ თავის ერთ ნაწარმოებს უწოდა „ესპანეთის სიღატაკე - ამერიკის აღმოჩენის შედეგია“. მონკადას მიხედვით, ესპანეთი გაანადგურა ოქრომ, რომელიც შემოდიოდა ახალი სამყაროდან. მართლაც, ესპანეთი ღატაკდებოდა, ჭკნებოდა, იცვლებოდა. XVI ს. მისი წილი ოქრო მსოფლიო შემოსავლის 60% შეადგენდა, ხოლო ვერცხლის - 90 %, თუმცა ეს ციფრები ცარიელ ციფრებად რჩებოდა ქვეყანაში შექმნილი შიდა მდგომარეობის გამო.

ასევე განსაკუთრებით ცუდად იმოქმედა ქვეყნის მეურნეობაზე ესპანეთის მეფეთა - ჰაბსბურგების აღვირახსნილმა საიმპერატორო პოლიტიკამ. ცნობილი მკვლევარი გარსია მერკადალი თავის ცნობილ მონოგრაფიაში იყენებს ერთ ეპიზოდს, როცა ერთ-ერთი საეკლესიო მსახური მმართველს ჰაბსბურგებს: „ოი, ბატონებო, ვინ დაგაბრმავათ და შთაგაგონათ ის აზრი, თითქოს შეიძლება გამდიდრდეთ ომების ხარჯზე, რამეთუ გავიწყდებათ, რომ მხოლოდ მშვიდობის მეშვეობით შესაძლებელია დარჩეთ მდიდარნი!“. სახელმწიფოს ვალი კატასტროფულად იზრდებოდა, რასაც მომატებულმა გადასახადებმაც კი ვერ უშველა. გრანდიოზული სასახლეების შენახვაზე დახარჯული წარმოუდგენლად დიდი თანხა, მონეტების გაყალბება აკოტრებდა სამეფო ხაზინას. ისინი (ჰაბსბურგები) ხელოვნურად ზრდიდნენ ფასებს, მაგრამ მოსამსახურეთა ხელფასი უცვლელი რჩებოდა. მდიდრდებოდა მხოლოდ არისტოკრატია. ეს კლასი თავისუფალი იყო გადასახადებისაგან, ფლობდა გიგანტურ ტერიტორიებს. ხელთ ეყრა მმართველობის სადავეები. ვებერთელა სათავადოები ინგრეოდნენ, რადგან ფაქტობრივად არავინ დარჩა ვისაც შრომა შეეძლო. დაეცა სოფლის მეურნეობა. ათასობით გლეხი გამოდევნეს საცხოვრებელი ადგილებიდან. მასები საოცარ სიღარიბეში აღმოჩნდნენ. ბევრმა მათგანმა თავისი სურვილით დატოვა გაჩანაგებული სოფლები და ქალაქს მიაშურა. სოციალური მდგომარეობის გამწვავებას მოჰყვა გლეხთა აჯანყებანი. მაგ, 1640 ქ. კატალონიის სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც სხვა გამოსვლების მსგავსად მარცხით დასრულდა.

„სიღარიბემ, საზოგადოებრივმა იმედგაცრუებამ, უიმედობამ, მორალურმა ხრწნამ შვა პიკარო. პიკაროს ფენას ეკუთვნოდა უსაქმური სტუდენტების ერთი ნაწილი, წვრილი უმუშევარი ჩინოვნიკები, ყოფილი ჯარისკაცები, ბანქოს მოთამაშეები, მეძავეები, ქურდები. მათ ჰქონდათ თავიანთი ჟარგონი, იერარქია, ორგანიზაცია და საკუთარი კანონებიც კი“ (6:260).

პიკარესკული რომანები მაქსიმალური ძალისხმევით ცდილობდნენ ასახონ ესპანური ცხოვრების მკაცრი სინამდვილე, თუმცა პიკარესკული რომანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ეპოქის ასახვა. ესპანური პიკარესკული რომანის განსაკუთრებულობა მდგომარეობს ცხოვრების განსაკუთრებულ ხედვაში და ესპანელთა ქცევაში, სადაც პიკარესკული თემა იძენს განსაკუთრებულ რეზონანსებს და თანაც ბევრად უფრო ღრმას, ვიდრე ეს ევროპის სხვა ნაწილშია, რამეთუ პიკარესკული თემა ესპანეთის გარეთ მიიჩნევა მხოლოდ ლიტერატურის ქვეპროდუქტად. თანამედროვე ესპანელი მკვლევარი ხოსე გარსია ლოპესი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „რეალისტური ორიენტაცია ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი თვისებაა პიკაროს რომანისა“

ესპანური პიკარესკული რომანების წაკითხვისას ვგრძნობთ ესპანური საზოგადოების მაჯისცემას, აღწერილი მომენტები კი იმდენად მძაფრია და რეალისტური მომენტები იმდენად ცოცხალი, რომ თითოეული პერსონაჟი თვალის ერთ დახამხამებაში გაიელვებს ჩვენს წინაშე. ესპანური ლიტერატურის დიდი მოამაგე მარსელ ბატაიონი თავის ნაშრომში, „ლასარილიო ტორმესელი“, აღნიშნავს: „ერთი შეხედვით გეჩვენებათ, რომ ამ ნაწარმოებში ასახულია თავად ესპანეთი. ლასარო, ბრმა, მაკედელი ბერი, მშიერი თავადი, პაპის ბულების გამყიდველი, სხვა ეპიზოდური პერსონაჟები პირდაპირ ცხოვრებიდან წიგნში გადატანილს ჰგვანან“. „ნაციონალურ ცხოვრებაში პიკარო ესპანეთის დაცემის პროდუქტად მოგვევლინა, ხოლო ლიტერატურაში ის გახდა პროტესტის გამოხატვის უდიდესი ფორმა“ .

ნოველის წაკითხვის პირველივე ფურცლებიდან ვხედავთ საოცარ სასოწარკვეთას და სიღარიბეს. უქონელი და ღატაკი ლასარილიოს დედა იძულებულია შვილი თავიდან მოიშოროს და ბრმას ჩააბაროს აღსაზრდელად. ამას აიძულებს უკიდურესი სიღარიბე. განშორების სცენა გულისამაჩუყებელია:

„წასვლის წინ დედასთან გამოსათხოვარად მივირბინე. ორივემ ვიტყვი. დედამ დამლოცა და მითხრა:

„შვილო, გული მეუბნება, რომ ვეღარ გნახავ, ეცადე, კარგი კაცი გამოხვიდე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. გაგზარდე, კარგ ბატონად დაგაბინავე. ახლა შენ თავს შენვე უნდა მოუარო“ (2:33).

რაც შეეხება პიკარესკული ჟანრის შექმნის მეორე მიზეზს, მისი ანალიზის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ XVI-XVII სს. ესპანური ლიტერატურის განვითარების თავისებურებანი, ცნობილია, რომ სწორედ ესპანეთში რომანის ჟანრი აღწევს განსაკუთრებულ პოპულარობას, რასაც თან ერთვის ჟანრების ცვლა.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ბაროკოს ლიტერატურაში ფართო გამოძახილი ჰპოვა რომანმა. არცერთი ევროპული ქვეყნის ლიტერატურას არ განუცდია XVI-XVII სს. ისეთი აყვავება, როგორც განიცადა რომანმა ესპანურ ლიტერატურაში.

რომანი ფორმირდება, ყალიბდება ესპანეთში აღორძინების ეპოქაში. იყო მისი რამოდენიმე ნაირსახეობა.

ერთ-ერთი მათგანი - პასტორალური რომანი - შორს დგას პიკარესკული რომანის წარმოდგენებიდან. მასში გადმოცემულია მწყემსების ცხოვრება ბუნების ფონზე. პასტორალურმა რომანებმა საბოლოოდ დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა XVI ს. დასასრულსა და XVII ს. დასაწყისში გამოჩნდა ე.წ. მავრიტანული რომანები. მასში არაბები დახატულია როგორც გალანტური რაინდები, რომლებიც ემსახურებიან თავიანთ ქალბატონებს და იბრძვიან ორთაბრძოლაში. ამ ნაწარმოებმა ესპანურ ლიტერატურაში მხოლოდ მოკლე პერიოდი შექმნეს.

XVI ს. პირველ ნახევარში განვითარდა სარაინდო რომანი, რომლის მთავარი გმირი-რაინდი სჩადის გმირობებს თავისი რაინდული ღირსების გამო და ასევე იმისათვის, რათა საყვარელი ქალბატონის სახელს დიდება შესძინოს. გმირი-რაინდი ხვდება სხვა რაინდებს, ებრძვის ფანტასტიკურ საოცრებებს, ჯადოქრებსა და გრძნეულებს. „თავისი „დონ კიხოტით“ სერვანტესმა ასეთი ტიპის ნაწარმოებებს დამანგრეველი დარტყმა მიაყენა“ (4:119). სამივე მათგანი - პასტორალური, მავრიტანული თუ სარაინდო რომანები - დრომოჭმული მწერლობის ნიმუშებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ ახალგაზრდა თაობის მოთხოვნებს. ახალი მსოფლმხედველობის მქონე საზოგადოებას ისეთი ჟანრის ლიტერატურა ესაჭიროებოდა, რომელიც უკეთესად გამოხატავდა თანამედროვეთა მისწრაფებებს. ასეთი როლი შეეძლო ეტვირთა თაღლითურ, გაიძვერულ ანუ პიკარესკულ რომანს.

ასეთივე ტენდენციები შეინიშნება ქართულ მწერლობაშიც, რომელიც ჩვენი შემდგომი განხილვის თემა იქნება.

### ლიტერატურა:

1. უმიკაშვილი პ., წინასიტყვაობა წიგნში „ლაზარული ტორმესელი“ დიეგო ხურტადო მენდოზა, ტფილისი, 1899.
2. ჩხეიძე პ. და რ., „ესეები“, „მერანი“, თბილისი, 1989;
3. გაწერელია აკ., წინასიტყვაობა წიგნში „ლაზარული ტორმესელის ცხოვრება“, „ფედერაცია“, ტფილისი, 1933;
4. Штейн А.А. Литература Испанского Барокко, Наука, Москва, 1983;
5. Northup, G. T., An introduction To Spanish Literature, The University of Chicago Press, 1960;
6. Томашевский. Р. Б., Традиция и Иовизия, Худ. Литература, 1981.

## SEVERAL ISSUES OF ORIGIN AND INFLUENCE OF THE PICARESQUE NOVEL

Maia Melanashvili, Gori State Teaching University, Specialist by contract

### RESUME

One of the leading subgenres of the Spanish Literature of the Renaissance period is a picaresque novel (in Spanish: novella picaresca, in French: roman picaresque and in German: Schelmenroman) was formed in Spain in the XV century. In the XVII-XVIII centuries it was spreading rapidly in the literature of different European countries and it still continues to influence the world literature. On the basis of the Spanish literature and folklore samples of different European countries, one of the directions of the satirical prose, particularly, rich and versatile novels were formed, which, in its turn, greatly depend on the main factors of their origin.

### საკურთხეველთან გამლილი წიგნით (გენო კალანდიას „საგალობლები უფლისთვის“)

ციალა მესხია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

2013 წლის 23 ნოემბერს „ჩვენი მწერლობის“ 24-ე ნომერში დაიბეჭდა გენო კალანდიას ლექსების ციკლი „საგალობლები უფლისთვის“. წინათქმაში ვკითხულობთ: „ყველა პოეტი, როგორც ქმნადობის სუბიექტი, სადაც გულისგულში, თავს ღმერთის დუბლიორად მიიჩნევს, მაგრამ ერთხელაც დგება მომენტი, როდესაც უნდა აღიაროს ჭეშმარიტება, რადგან თავის თავში გამოკეტვა არანაირად არ იძლევა ხსნის გარანტიას... პოეტმა იგრძნო პირველსაწყისი და იცნო თავისი პოეტური სუვერენიტეტი. კაცმა რომ თქვას, მთლიანობაც ეს არის, პიროვნული შემოქმედებითი მთლიანობა“.

გენო კალანდიას „საგალობლები უფლისთვის“ მასშტაბური აზროვნების ჭეშმარიტი ნიმუშია. როცა მათ კითხულობ აშკარად იკვეთება უმთავრესი, რომ ღმერთი შენშია, შენ კიდევ მასში. ღამე, სიცოცხლე, მთელი სამყარო მშვიდი და უმანკოა, ძველი ღვინოსავით დამატორობელი. ყველაფერს, ყველა საგანსა და მოვლენას, რომელიც გვაღელვებს თავისი საიდუმლო და გრძნეულება აქვს. ვფიქრობ, თვით უფლისადმი რწმენამ და ერთგულებამ, სამშობლოსადმი უნაპირო სიყვარულმა უკარნახა პოეტს საგალობლების შინაგანი სტრუქტურა და აზრი, ვინაიდან სამყარო, სიცოცხლე საერთოდ, უფრო საინტერესო და ყოვლისმომცველია, უფრო მდიდარი და ვრცელი, ვიდრე წარმოსახვის ძალა და მაინც, ყველა აღმაფრენის, ყველა ბედისწერის წარმმართველი უფალია. პოეტი გვარწმუნებს, რომ მისი განსაკუთრებულობისა და გამორჩეულობის ინტერესია „ფრთები. შორეთი. შუქი. კამარა. ბაღი. გრანიტი და უკვდავება“ („ბაღი, გრანიტი და უკვდავება“).

უფლისადმი მიძღვნილმა საგალობლებმა თავისებურად გაანატიფა, ახალი ინტონაციებით გაამდიდრა და ამაღლებული ესთეტიკით გამოაჩინა მისი სევდანარევი პოეტური სამყარო...

პოეტი მონუსხული და მოჯადოებულა კოსმიური სამყაროს უსასრულობით. ჩვეულებრივი, მოკვდავისათვის ხელით მოუხელთებელ სამყაროს გამაოგნებელი ხილვებით მიგვაახლოებს, მთელი არსებით სწყურია, შორეთი, შუქი, ახალი ნაპირი, „ახალი ქვეყანა“. მიელტვის იმ საიდუმლოს ამოხსნას, რაც ხილული სამყაროს მიღმაა. მუდმივად მისი გულისთქმა „ცის იქით ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება“ (ნ. ბარათაშვილი).

საგალობლების თავისებურებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პოეტური ხატები, რომლებიც ორიგინალურად წარმოგვიდგინა...

გენო კალანდიას საგალობლებს მივყავართ ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან, მეფეებთან, დიდებულებთან. გავიხსენოთ დავით აღმაშენებელმა „გალობანი სინანულისანი“ რომ გამოიგლოვა კაცობრიობის ცოდვები. დავით გურამიშვილი, მუდმივად ამქვეყნიური ჯურღმულიდან რომ ივედრებოდა გადარჩენას...

გენო კალანდიასათვის უძვირფასესი განძია რწმენა, ქრისტიანული ფასეულობები, სამშობლო... და მაინც „პოეზიაში მთავარია არა ის, რაც ახალია, არამედ ის, რაც ამავე დროს მარადიულია, ანუ სამუდამოდ რჩება“.

„საგალობლები უფლისთვის“ პოეზიაცაა და ფილოსოფიაც. უფრო მეტიც, ესაა უფალთან მიახლოების ჭეშმარიტი განცდა, ემოციის საბურველში გახვეული სათქმელი რაღაც უჩვეულო ჩანახატებით და სახეებითაა გადმოცემული. და ყველაფერი, პოეტის ფიქრი, ოცნება, მიწიერი მოვლენა, ფაქტი თუ ღირებულებები კრისტალურ განზოგადებამდე მალდება. უსასრულო მრავალფეროვნებით, აღმაფრენითა და აღტკინებით კოსმიურ სივრცეში იღვრება სიტყვები. აქ ირეკლება პოეტის მთელი ცხოვრება. მისი ლირიკული გმირი მიწიერი ქაოსის ბინადარია. რომელსაც აწვალეს ფიქრი, რომელია უკეთესი – აქაურობა, ყოფიერება თუ ის, სადღაც არსებული, ჯერ კიდევ ამოუხსნელი, მარადიული საუფლო სულისა და დაემებს პოეტი უფალს. „უფალო, ცაში გემებდი დიდხანს, – თურმე შიგ გულში გქონია ბინა“, – ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ჩვენს წარმოდგენაში იკვეთება პორტრეტი კაცისა, რომლისთვისაც რწმენა, როგორც ეთიკური კატეგორია, რელიგიურ ცნებააა ქცეული.

• პოეტის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა გვარწმუნებს, რომ ადამიანსა და სამყაროს შემოქმედს შორის ჩნდება რაღაც უჩვეულო ერთობა, რაღაც ჰარმონია და ყველგან უფლის მაღალი ნებით გვაზიარებს ბუნების ყოვლისშემძლეობას, რათა მივიღოთ ის თავისი დასაწყისით და დასასრულით... საგალობლების ძირითადი არსი სიყვარულია. ღრმა და ღვთიური, ზნეფაქიზი სიყვარული და ეს სიყვარული მშობლიური ფესვებიდან იწყება და როგორც საყვარელ ადამიანს ის აძლევს მიწასა და ენერგიას, ზრუნვას, გულის სითბოს და მისგანაც იგივეს ღებულობს ახალი ძალების, სიყვარულის, შთაგონების სახით: „მე თქვენ რაღაცას მოგიყვებით. ეს არასოდეს მომიყოლია, იმიტომ, რომ ჩემთან მხოლოდ ჩემი, რომ არასოდეს დავფიქრებულვარ რას ნიშნავს ეს... ბავშვობაში ჩემს თავს ბუნებასთან გაერთიანებულს ვგრძნობდი, ვფიქრობდი, რომ გარემოში ყველა საგანი, სულიერია, ველაპარაკებოდი და მიყვარდა ისინი... ქარით ათრთოლებული ფოთლების შრიალი მუსიკად მეჩვენებოდა.

მე მიყვარს მიწა. ყველა ჩემი გრძნობის ფესვი მიწაშია. ჩემი ბავშვობის ყველაზე ადრეულ მოგონებებს მიწის გემო აქვთ. მიწა, მინდორი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. მიწის ბინადართ, მცენარეებს, ცხოველებს, გლეხებს მე უფრო მძაფრად ვგრძნობდი, ვიდრე ბევრი სხვა ვინმე. ჩემში დღესაც ცოცხლობს ის ბავშვური, მიწისადმი ამ სიყვარულმა გააღვიძა ჩემში ხელოვანი... ამ სიყვარულის გარეშე ვერ დავწერდი სისხლიან ქორწილს, ვერასოდეს შევქმნიდი ჩემს უკანასკნელ ტრაგედიას“ ... (გარსია ლორკა).

შემოქმედის სულში ფორმათა, ფერთა, გრძნობათა მთელი სამყარო ბობოქრობს. ცხოვრების ტალღებს ერთიანი, განუწყვეტელი ხმაური ჩვენამდე აღწევს, ჩვენც ვიწოვთ ხარბად ყველაფერს, რასაც აღვიქვამთ: „გარეთ ვარდივით შრიალებს დაფნა, თითქო მაცხოვრის ღულუნებს მტრედი, ავდგები, გავშლი ოდიშის ოთხთავს და აღსარებას თავიდან ვიტყვი“ ...

მაცხოვრის მტრედით, ვარდივით მოშრიალე დაფნითა და ოდიშის ოთხთავით მიგვანიშნებს პოეტი ჩვენს ეროვნულ-სარწმუნოებრივ მისიაზე... უფალი პოეტისათვის ცაცაა და მიწაც „ქველის, მონარქის, წმინდანის მაღლით“, ამიტომაც, ადამიანს მისებრ სრულქმნილს და რჩეულს „სახე დადაფნულს ციური ალით“ ისე შეჰყურებს, როგორც სულიერ მამას და „მწუხრის სანთელს, – ვით ლერწმის კალამს ცრემლში ვაწებებ მაისის ღამით“. ჰოდა, რა არის ის, რაც ღვთაებრივს მიელტვის დამიწებულ ადამიანში, გამუდმებით რომ შეაგნებინებს, სადღაც სხვაგან რომაა კაცის მარადი სამშობლო?! – ასეთივე მაღალი ტკივილითა და ფიქრებითაა გაუღენთილი გენო კალანდიას საგალობლები.

რწმენით, მართალი გულით, სუფთა სინდისით მოაბიჯებს პოეტი წუთისოფლის მზიან-ჩრდილიან გზაზე... და მაინც, „ორი ნიაღვარი, სიკვდილი და სიცოცხლე, სხვადასხვა მხრიდან აწყდება სამყაროს. სიცოცხლეს მოაქვს უმაღლესი კეთილდღეობა, ყველა სიკეთეთა ერთობლიობა, უწმინდესი არსი ადამიანისა, სიკვდილი გვართმევს უძვირფასეს საგანს – სიცოცხლეს“ (ფოირბახი). „იფხიზლეთ და ყური უგდეთ... მომავლით იძვრიან ქარნი ფრთების იდუმალი შრიალით და მახვილ ყურთ აღწევს კეთილი უწყება“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ნიცშე, ასე იტყობა ზარატუსტრა, ფილოსოფიური ბიბლიოთეკა, თბ. 1993, გვ. 63.

„გემოი რაი ნათლისაი იხილონ და უმეტესად სუროდინ“.

„რამდენი ხმებია, რამდენი მუსიკა, რა უცნაური, გავჩუმდეთ, გავჩუმდეთ და ფეხქვეშ შეწყდება ფოთლების ხმაური და ყური დავუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას ცისა და მიწის, ქვეყანას რომ თავზე ევლება“ (ანა კალანდაძე, „ზედაზნის ტყეებზე“).

„სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს მოგონებებში ვიჭერ თანაბრად“ (გალაკტიონი, „ვერხვები“).

„იწყება სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც, ხედავთ, სალამურობს მოჭრილი ლერწამი“ (შოთა ნიშნიანიძე).

გენო კალანდიას ჩვენამდე მოაქვს ცის და მიწის მუსიკა, მთელი არსებით უფლისკენ მზერამიპყრობილი პოეტი, რაღაც განუმეორებელი პოეტური ხატებით ძერწავს მისტერიებს: „უფალო, ძველი იგავის დარად დავკარგე ძველი ხიბლი და ხვითო... და მაინც გულში ვიხუტებ ფრთხილად ყველა წმინდანის ჯვარსა და ქიტონს“ ... პოეტის ფიქრებში უკვდავებაზე შეთავსებულია სევდისა და სიხარულის, ღელვისა და სიმშვიდის წინააღმდეგობანი, მას როგორც პოეტს არ შეუძლია სევდის გარეშე გაიფიქროს, თუ როგორ მოუხდა მას განშორება „ზოიფის მარჯვენა ტოტთან“, რომელიც პოეტის ხსოვნაში დღეს მარგალიტით ბრწყინდება. „ზღვა იყო, როგორც დედოფლის ძოწი, აბრეშუმში და წითელი ფარჩა“. პოეტისათვის სიცოცხლე უძვირფასესი განძია. სიცოცხლე მზეა, რამეთუ ღმერთს მის გულში აქვს ბინა, და უფლის წყალობით „იების ბლონდით და მზის ბლონდებით იღვიძებს დიდი შაბათის დილა, ირგვლივ ბაღია თეთრი შრიშნების და მონასტერში მეუფე წირავს“.

მზე, იები, ბაღი, შრომანი, ზეთისხილისა და ალუბლის ტოტი, ბროლი, წყარო, მრევლი, ობოლი კრავი, წმინდა ქალწული, მამლის ფრთხიალი, შავი შაშვები, ოდიშის ოთხთავი, – ასეთი ბიბლიური პარადიგმებით იქსოვება გენო კალანდიას პოეტური გობელენი – გოიას, გოგენისა და რუბენსის ტილოებივით ოქროსფრად დაფერილი და პოეტიც ლამაზი სევდით გვიყვება სიცოცხლის დასასრულზე და აქვე გაკრთება სიკვდილის გარდუვალობაც. რწმენა იმისა, რომ „ნათესავი წარვალს და ნათესავი მომავალს და ქუეყანა ჰგიეს უკუნისამდე, აღმოხდების მზე და დახდების მზე და ადგილისადვე თვისდა მოზიდავს“ (ეკლესიასტე), მაგრამ ბობოქრობს, ბორგავს, მორაკრაკებს სიკეთის, თანაგრძნობის, სიყვარულის მარადიული ნაკადი. წმინდა და ნაკურთხი მიედინება უსასრულობისაკენ დიადი ერის სიცოცხლე, შემართებული ძალა და ენერგია, დიადი საიდუმლო – შენი სიცოცხლე და სწორედ ამ საიდუმლოში ქრება და უჩინარდება პიროვნების ეგოისტური ლტოლვა ბედნიერებისაკენ. მამულის, ადგილის დედის სიყვარულით ფრთაშესხმული, უფლისგან ნაკარნახევი „ცხოვრების დიადი წიგნით“ ცდილობს „ოქროს ქნარის სიმების ჟღერას მიაკვლიოს“.

„მე ოქროს ქნარის სიმების ჟღერა ჰაერში მესმის გაურკვეველი, მაგრამ ვერ მივწვდი, ვერა და ვერა, ვერ გავხდი მისი მომაკვლეველი. (გიორგი ლეონიძე).

ზეციურ სიბრძნესთან წილნაყარი პოეტის სულში გამუდმებით თოვს: „ათოვს სიყვარულს და თოვლის კარავს, ათოვს მშობლიურ გზებს და ლელიანს, თითქო დილიდან ვარდებში წვანან დანიის პრინცი და ოფელია“ ... და თოვს პოეტის სულში. თოვლიანი მშობლიური გზებით, თოვლიანი სიყვარულით გვაგრძნობინებს თავის ტკივილებს.

დრო-ჟამის საბედისწერო გზაჯვარედინი აფიქრებს. რომ დღეს გასხვისებულ საქართველოში ცხოვრობს და ადგილის დედის, მშობლიური აფხაზეთის გარეშე „სიკვდილმისჯილი კაცია“, ოღონდ იღბლიანი, ამიტომაც ადავლენს ვედრებას უფლის წინაშე: „უფალო, ვფიქრობ სიკვდილის დღეზე, ექიმი ხშირად მისინჯავს მაჯას... ვიგონებ ზოიფის ფიჭვისფერ კედელს და კარაბადინს, ვით მამის ბარჯას, ცხოვრებამ უკვე დაკარგა აზრი, განელდა გულის სითბო და ცეცხლი... საღამო, როგორც შტრაუსის ვალსი, მემშვიდობება მეუღლის ცრემლით“.

მამულის სიყვარულით გათანგული პოეტი წარსულიდან გამოიხმობს დიდ მწერალს ლევან გოთუას – „მრავალტანჯულ დიდ ბავშვს“ (გ. კალანდია). „იგი თავის ძალასა და ღონეს, შემართებასა და მხატვრულ ნიჭს ქვეყნის სამსახურს ახმარდა და „დაუხარჯავი ძალების ცეცხლით მშობელი ხალხის სამსახურში იწვოდა“<sup>1</sup> – „უფალო, ვზივარ არმაზის კართან უხმლო, უხამლო, სახეწაშლილი... ვეფხვივით ბრტყელი ბეჭები ჰქონდა, მკერდი უგავდა პიტალო კედელს, ისიც ჩემსავით იტანჯებოდა, როცა ფიქრობდა სამშობლოს ბედზე“.

პოეტი ქვეყნის სწორუპოვარი ქომაგი და მოსარჩლეა, მთელი საგალობლები (უფლისადმი) ზვარაკად მიტანილი და სასოებით შეწირული, მისი საკუთარი სხეულის ნაწილია, მოკრძალებით დადებული მამულის, სამშობლოს საკურთხეველზე.

<sup>1</sup> გურამ ასათიანი, სრბოლა ცხოვრებისა, წიგნში „საკურთხეველთან“, თბ., 1980. გვ. 669

გენო კალანდიასათვის უმაღლესი განძია უფლისადმი რწმენა და კიდევაც მუდმივად განადიდებს თავისი პოეტური ხმით: „უფალო, ჩემი ეკვდერის სარკმელს ერთი ლამაზი ფრინველი ეტრფის, ფეტვივით კენკავს ალუბლის კანკელს ჰიმნის, გალობის პირველი მეტრი. პორტალზე დგება, ვით ესმერალდა, ვით ბალერინა გედების ტბაში, ის არის ჩემი სენაკის სევდა და ჩემი ბოლო კამარა ცაში.“

პოეტი მთელი ძალებით შეისუნთქავს და განიცდის სამყაროს და გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ „ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქმნელია ავისა, ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა, საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა... მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“ (ვაჟა-ფშაველა) და მიგვანიშნებს სისხლხორცეულ კავშირს მშობლიურ წიაღთან, საიდანაც როგორც შემოქმედი ისრუტავს მაცოცხლებელ წყალს და მადლს სწირავს უფალს უნაპირო სიკეთისათვის. როცა მზე – „უფლის ფარი“ ამოდის დილით, მაშინ პოეტის ებოში „ფარვანასავით მიფრინავს ჩრდილი მაცვლის ბუჩქიდან ალუბლის შტოზე, ხასხასებს, ზინავს ფორთოხლის ბაღი, ვით ირმის წყარო და ოქროს ქვიშა, თითქო ჩიტები მართავენ აღლუმს, სალოსად ჩემი შედგომის ნიშნად“.

გენო კალანდიას საგალობლებში „ვარდის ბაღი ჰგავს ქალწულის სიზმარს, ძიძის კეთილი ხელით მოქსოვილს. ხე და ჩიტები გალობენ ერთად და აღვიძებენ მძინარე სოფელს, აქ რომ ბელურა დაფრინავს მინდვრად ჰგავს შავი ფრაკით ფრედერიკ შოპენს“

უფლის წყალობით ოქროსფერ მარცვლიდან რძე და მირონი მოჟონავს, „ჭალას – ოქსინოს მთრთოლვარე კამის მზე და გიშერი ანათებს ერთად“. გენო კალანდიას სული ეწეწება, როცა ხედავს როგორ ეხვევა მუმილი მუხას, მაცხოვრის სურათიდან წყალმა დაიწყო დენა, და სურს გაექცეს მომაბეზრებელ ყოფას, ამიტომაც ესწრაფვის უფალთან განმარტობას. ეს მისტერია კი მარადიულია და არის ამ საგალობლებში მხოლოდ მისეული, მისი გულიდან ამოღებული და მისი რაინდული კაცობის ბეჭდით დადასტურებული. უმთავრესი მაინც სიყვარულია, რომლითაც ყველაზე ძლიერია პოეტი. ვფიქრობ, უფლისადმი რწმენამ და სიყვარულის დიადმა ძალამ შექმნა გენო კალანდიას აბრისი. რომელსაც სამარადისოდ დაამშვენებს ეს დიდებული სტრიქონები! ... „ხელმოცარული კაცივით ვდგავარ მეტეხის კართან თუ ალაყაფთან.. და მისთვის ვაგროვებ ქარვას, ფუტკრის გოლეულს და პურის თავთავს“, – ამ სიტყვებს თქმა ძალუმს მხოლოდ ისეთ პიროვნებას, რომელიც ღვთიური სულისაა და ცდილობს გაიაროს ბეწვის ხიდზე, რათა იყოს შუამავალი ადამიანსა და უფალს შორის. „შუა კაცი ვარ უბრალო, არც მიწისა ვარ, არც ცისა“ (აკაკი). „ფიქრის ჯვარზე გაკრული პოეტი“ (პოლ ვალერი) ცდილობს გაექცეს დარდს, ტკივილს და ყოველი დილა მისთვის ღოცვით, „საკურთხეველთან გაშლილი წიგნით“ იწყება. უფალზე, მამულზე და ადამიანის სიყვარულით, სისხლიანი ცრემლებითაა ნასაზრდოები, ზღვიდან ამოსული „სისხლიანი ყვავილის“ სურნელით გამორჩეული მისი ლექსები გვარწმუნებს ახალი ნაპირის არსებობაში. პოეტი მდიდარია მოწითა და ვარდით, ვერცხლით, მარჯნითა და ბროლით – ეს ძვირფასი ქვები ბიბლიიდან გადმოსული პარადიგმებია.

განძს, ძვირფას თვლებს სიტყვას უკავშირებს ვაჟა-ფშაველა: „სიტყვამ – წვერს მარგალიტი მოისხა, ტანი ზურმუხტით იფარა“ („სიტყვა ეული“ (4.288).

გალაკტიონისთვის „ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ჰფარავს შეუცვლელი, რას იშვიათად თუ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი“ (გალაკტიონი).

„ბაჯაღლოსავით გაიწვრიალებს გული, სული აიკრეფს თვალ-მარგალიტებს მძივებს, თუ გაიხსნება ცა-სასწაულით სასვე, ააღევირებს მისთვის დანთებულ იმედს! (ანა კალანდაძე, „ბაჯაღლოსავით გაიწვრიალებს“).

უხილავის, უზენაესის მადლნაწყალობევი პოეტი, ღვთის მარადიული ბრწყინვალეებითაა მონუსხული და საოცარი ფერწერული სურათის მოწმეს გვხდის: „უფალო წვიმას აპირებს ისევ, თებრონეს წყალზე გაუტყდა კოკა, გავარდა მეხი... განათდა მყისვე და ელვამ ღრუბელს დაუწყო კოცნა. ლალით, აღმასით გაივსო ტბორი, ღელე, მდინარე და სოფლის ერდო, ამდენი ვერცხლი, მარჯანი, ბროლი, მე არ მინახავს აღარსად ღმერთო!!!“ ... ამ ძვირფასი ქვებითაა მოფენილი მთელი სამყარო, მთავარია შეგეძლოს შემჩნევა, მთავარია ყური მიუგდო ზეციდან მზის ჩქერალივით ჩამოღვრილ მუსიკას, ეს ის ხმაა, რომელიც სულ სხვა თვალთ დაგანახებს ყველაფერს, დაინახავ, თუ როგორ მოადგა გემი – „ზღვების მუზა“ ნაპირს, „მეზღვაურები ფორთოხლებს ჰგვანან გავარვარებულ ზაფხულის ბინდში“.

პოეტს ურყევად სწამს და სჯერა სიცოცხლის მარადისობის, სჯერა უფლის და ამიტომაც, მთელი არსებით მზადაა თავი გაწიროს ადამიანთა ბედნიერებისათვის. „ჩვენს თვალეზში მზის ნათელი თუ არ ღვივის, რანაირად შეიძლებდნენ შუქის ხილვას? თუ არ არის ჩვენში ძალა ღვთაებრივის, ყველაფერი ღვთაებრივი რატომ გვხიბლავს?“<sup>1</sup>

<sup>1</sup> გოეთე, რჩეული ლირიკა, თარგმანი ა.გელოვანისა, თბ., 1972, გვ. 292

გენო კალანდიას მზერა მუდმივად ზეცისკენაა მიპყრობილი და მუდმივად ახსოვს „დედაოს ცრემლი“, გაჩენის დღიდან ქართული ზეცის ვარსკვლავთმრიცხველად გაზარდა მშობელმა მამამ, რომლის მხრებზე თავს მოლალურად გრძნობდა. „... მას შემდეგ ვფიქრობ ქართველთა ბედზე, შემრწუნებული სამშობლოს ბედით“.

საგალობლებში თითქოს რაღაც ახალი კი არ ცხადდება, დავიწყებული ჩნდება ხსოვნაში. „მშვენიერი ლექსის კითხვისას ისეთი შერგონება გვაქვს, თითქოს თვითონაც შეგვეძლო ამის დაწერა, რომ ეს ლექსი ჩვენში ადრეც არსებობდა, ეს მეხსიერებიდან ამოატივტივებს პოეზიას პლატონისეულ განსაზღვრებას: მსუბუქი, ფრთიანი, წმინდა.<sup>1</sup>

„ყური მომიხვილე, ყველა სულიერია? მამ მიწა რათ სტირის? არ გინახია მიწის ტირილი დილაადრიან? ბალახი რომ წამს გაუშვებს ის მიწის ტირილია, რა ატირებს – ჩვენი ცოდვა? თუ მზის ამოსვლა უხარია? შენ იცი, რომ ხემ და ქვამაც იცის დარდი? სიცილიც იცის დედამიწამ, – თეთრად რომ იცინის ყვავილი გაზაფხულზე. ყვავილით იცინის დედამიწა, ცა ვარსკვლავებით იცინის“ (გ. ლეონიძე „ნატურის ხე“).

გენო კალანდიას ამ ლექსებს ცის და მიწის ამგვარი განცდა და სურნელი მოაქვს ჩვენამდე. ისინიც მონატრება და მოფერება ყველაფრისა, იმ სილამაზისა და ბედნიერებისა, რაც ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ხსოვნას შემორჩა... „უფალო, ზღვიდან ბრუნდება მამა, ქარივით უკან მოჰყვება ზვირთი, გახედავს ცარგვალს – კარსმომდგარ ზამთარს და გვთხოვს წყალობას ოჯახზე ფიქრით. ვარსკვლავებით ამოყრის თევზებს ზღვის ღრუბელივით სახვე ბადედან, დგას დედაჩემი – პირბადრი მთვარე და გაფურჩქნილი განთიადივით“. – აქ და ყველგან, ყოველ სტრიქონში მზიური სულის გამონაშუქია, ოჯახზე მოფიქრალი მამა, მის მიერ ზღვის ღრუბელივით სახვე ბადიდან ვარსკვლავებით ამოყრილი თევზები, რაღაც უკეთილშობილესი სინაზის გამოხატულებაა. სათუთი მგრძნობიარობით და სულის სიფაქიზითაა დახატული დედის ხატი – „დგას დედაჩემი – პირბადრი მთვარე და გაფურჩქნილი განთიადივით“ ...

პოეტი ფიქრით, ლამაზი ოცნებით მიემართება უფლის ბადისკენ, ქრისტეს ტამარს მონატრებს, ნუგეზად „მე ღვთისას“ იგულვებს: ... ხასხასებს, როგორც წვიმაში ვარდი, მალე მე ღვთისა, – ლალი და მშვიდი, – მიეახლება წიგნით და სანთლით და განათდება ცა ოთხი კიდიტ“.

თითოეულ საგალობელში მოთქმა-გოდებაა დაკარგული მშობლიური სანახებისა; რეალურისა თუ ზეციურისაც, ზეციური წარმომავლობის სახეები მისი შთაგონების წყაროა, რაც მშობლიურის სადიდებლად აღაფრთოვანებს. მხოლოდ გენო კალანდიას, პოეტის კვართით დაბადებულს ძალუმს პასუხისმგებლობით ამოთქვას: „უფალო, ცაში გემებდი დიდხანს, თურმე შიგ გულში გქონია ბინა, მე გზას ვეძებდი და თავს გიხრიდი ვით პაპისპაპა დიდი ხნის წინათ“ ... აქ ადამიანისა და ღმერთის უჩვეულო კავშირია, რომ უფალი მუდამ შენშია, შენთანაა...

გენო კალანდიას ლექსები ციკლი („საგალობლები უფლისთვის“) ლამაზად მიემართება მკითხველის გულისაკენ. პოეტური სული ბეწვის ხიდზე გადის და ემებს კოსმიურ ერთობას. მან ეს შთამბეჭდავად მოახერხა, მოახერხა სიყვარულით. იგი მთელ კოსმიურ სამყაროს თავისი გულით დაატარებს და შეძლო რეალურის მიღმა არსებული უნივერსალურის გამომხეურება. მისი სული მუდმივად უფალს უხმობს, უფალს ევედრება გახლეჩილი მამულის გამრთელებას, დაკარგული რიწის, ყულანურხვას თუ გაგრის დაბრუნებას. აშკარად იკვეთება ჩვენი შერგონების იქით, პოეტური სულის მიერ ნაგრძნობი სამყაროს უმშვენიერესი სურათები, სადაც სიცოცხლე მუდმივად ფეთქავს, სუნთქავს და ტკივილისაგან გულიც ეწურება და ისიც უფალს, ფანტაზიას მინდობილი, ქმნის ახალ სამყაროს, ახალ სიცოცხლეს და თითქოს იქმნება მეწამული ნათებით მოსილი, ბოდღერისეული სამყარო...

ამ ლექსებში რელიგიური სახე-სიმბოლოები ორმაგადაა კოდირებული და მაშინ, როცა პოეტის სულს სასწაულად მოენატრება აფხაზეთი, მოენატრება კოლხეთი, ბავშვობის ზღაპრული სამყაროდან გამომწვეული პერსონაჟები მის ხელში სიმბოლოდ გარდაიქმნებიან და ხალხური ტრადიციული სახეები უნატიფესი ორიგინალობით ექსოვება... ეროვნულ ყოფასა და ხასიათს, სიყმაწვილის გაჩეხილი ჭალა, „ზღვა – ცოცხალი საგა“, „მზე – ბეკეტის გოდო“ და სხვა „ტკბილი ზმანებანი, ახლა „გამხმარ ნაფოტებად“ გაჩრილა პოეტის სულში და ცრემლებად ჩაიღვრება სტრიქონებში: „უფალო, ვაშლის, ალუბლის ფერით იღვიძებს ძველი მარტვილის დილა, კისკისებს... მღერის ტეხური ჩქერი, ვით მზეჩაწნული მეგრელი ცირა. ტობავარჩხილიც აქ არის, აქვე, არყის ჯაჭვივით ცოცხალი ჭავლით, ცა არის როგორც სამოთხის ქარვა ოქრომრავალი არყის ჭალით.“ ან კიდევ: „უფალო, გახსოვს ის ძველი ცაცხვი, – წმინდა ქალწულთა სავანე დიდი, ცა – შეფეთილი იით და ცარცით, მზე – გაწონილი სასირყვას მშვილდით.“...

გენო კალანდიას ლირიკულ გმირს სწყურია ახალი სიცოცხლე, ახალი სამყარო, არ ასვენებს ფიქრი, წუხს და განიცდის იმას, რაც საბედისწერო დრო-ჟამმა აღგავა პირისაგან მიწისა. არადა რა ბედნიერი იყო

<sup>1</sup> ხორხე ლუის ბორხესი, მეშვიდე საღამო პოეზია, „ჩვენი მწერლობა“, 1 ოქტომბერი, 2010



პოეტი, იყო რომანტიკა, ბუნებრიობა, გულწრფელობა, სისადავე, იყო სიხარული, მაგრამ იყო ტკივილიც. იყო სიძულვილი, მაგრამ იყო სიყვარული, ტკივილიანი სიყვარული და იქმნება საგალობლები, იქმნება შთამბეჭდავი პოეტური სახეები, რომლებიც მუდამ გაგვაოცებენ...

მართებულად წერს ჟ. პომპიდუ: „არის პოეზია მზისა თუ ნისლის, პოეზია აღმოჩენისა და პოეზია ჩვეულებრივი იმედებისა თუ სინანულის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ბედნიერებისა და უბედურებისა, ნაკლები მნიშვნელობა აქვს სად გამოიხატება ლექსში თუ პროზაში, ქვაში თუ ნახატში... კოლიზეუმი პოეტურია, რადგანაც სანახევროდ დანგრეულია და საბერძნეთისა თუ სიცილიის ცის ქვეშ ულად დარჩენილი კოლონის ტანი მიტოვებულობის პოეზიით მეტ სილამაზეს იძენს, ვიდრე სასწაულებრივად გადარჩენილი და შემონახული „კვადრატული სახლი“.<sup>1</sup>

გენო კალანდიას პოეტური სული ზეცაში, „წმინდა ნათელს“ მიაკვლევს, უფლის გაკვალული გზა ეიმედება, რადგან მხოლოდ ამ გზაზეა შესაძლებელი ბედნიერების მოპოვება და როცა გულში ასეთი დიდი სიყვარულია და თანაც პოეტური „წმინდა სულია“ მაშინ ო, მაშინ, ყველაფერი სხვაგვარად ბრწყინდება. ღამით მოსული თოვლიც ათასი კვარით ციმციმებს: „უფალო, თოვლი მოსულა ღამით, რა სიმშვიდეა, რა სილამაზე! თითქო ათასი ციმციმებს კვარი, – შენგან, ო, შენგან გაკვალულ გზაზე. ისეთი მზე და გარემო სუფევს, ისეთი მნათი ანათებს საყდარს, თითქო იები მოგართვეს წუხელ წმინდა მამებმა სიონის კართან.“

მის ლექსებში ხშირია სრულიად ახალი ფორმები, მღერადი მეტაფორები, უჩვეულო ფერთა გამა, თითქოს „ცისა დასთა დასის“ შარავანდედი ადგას ყოველივეს. პოეტი მაღალი სიბრძნის, საღვთო წმინდა სიბრძნის ერთგულია. მისთვის ბიბლია მარადიული და უწმინდესი წიგნია. საგალობლები მისი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი ერთგულების ჭეშმარიტი დადასტურებაა. მარადიული გადასახედიდანაა განჭვრეტელი ღვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანის ცოდვა-მადლი, ფილოსოფიური თუ პატრიოტული იდეები გააზრებულია საღვთო ჭრილში, რაც მის მხატვრულ სამყაროს საოცარი ნათლით მოსავს.

„ქვეყნიერების გვირგვინი და მისი მშვენება ადამიანია, ღმერთმა რომ თავისი შემოქმედება ადამიანის შექმნით დაამთავრა, ამაშიც დიდი აზრია. ღმერთმა შემოქმედება შეწყვიტა, როცა შექმნა შემოქმედი. ამიერიდან შემოქმედება ადამიანმა უნდა განაგრძოს, ამით კი ადამიანის ყველაზე მაღალ მოწოდებად შემოქმედება ცხადდება. ასე უახლოვდება ბიბლიური მითოსი ესთეტიკას“.<sup>2</sup>

პოეტისათვის ქაოსით მოცულ ყოფაში ერთადერთი ნუგეში უფალია, ის ანიჭებს სასიცოცხლო ძალებს რომ მწარე სინამდვილეს გაუმკლავდეს. ლექსების მთელი ციკლი კრავს პოეტის მთავარ სათქმელს, ისინი ირეკლავენ არა მარტო თვით შემოქმედის ცხოვრებას, არამედ მთელი კოსმიური სამყაროს ორომტრიალს და მაინც „საოცრების უბეა“ მისი თვალთ დახახული ჩვენი სინამდვილე, სადაც „ცაა შეფეთქილი იით და ცარციით“, მზე – გაწონილი სასირყვას მშვილდით“, სადაც „იმ ძველი ცაცხვის ხეს „დღეს ურცხვად ეხვევა მუმლი, ზვავით ავად გუგუნებს მიწა, ხოლო თავად პოეტი ყოველდღე დარდით, ნაღველით ზმანებებში იძირება, ხსოვნაში კი მარგალიტებივით ბრწყინდება „ერკემლები და კაჭიჭის ჩხები“ ... აფხაზეთის ომის კომმარული სურათები პოეტის სულში ირეკლება. მუდმივად ახსოვს ბზიფი და რიწა და „ღამღამობით, ბალღივით ტირის“ ...

შთამბეჭდავად ახერხებს შეგავგრძნობინოს რომ ნაცრადქცეული ფესვები ერის მღელვარე სულია, გონების თვალთ რომ მიჰყვება ლურჯი იაიებისა და მწველი მზის ქვეშ, ერცახუს მთების კალთებზე ტალღების ხმაურში, სოხუმის, გაგრის, ბზიფის, რიწის, ილორის, წაჩხურის, ბაგრატის ტაძრების ჩამომლილ კედლებში, კოლხეთის აბიბინებულ ზვრებსა და ყანებში, ენგურჰესის მოკაშკაშე ნათურებში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მამულიშვილთა საფლავების სიმყუდროვესა და დუმშილი პოულობს სიტყვის ოსტატი იმ სასიცოცხლო ძალებს, რათა შეგვახსენოს, რომ ამაოდ არ იღვრება დედამიწაზე დიადი მზის სხივებით განზანილი ციდან სიხარული და სითბო, სინათლე და სიცოცხლე და ამიტომაც მისთვის, როგორც უმაღლეს ღირებულებების ერთგული მსახურისათვის ყოველი დღე ლოცვით იწყება: „უფალო, დილა იწყება ლოცვით, საკურთხეველთან გაშლილი წიგნით, მკერდზე ამბიონით და ხელზე კოცნით, შენზე, მამულზე, ძეკაცზე ფიქრით“ ...

პოეტის მაღალი სული, ამაღელვებელი მედიტაციური წიაღსვლებით, შინაგანად განათებული მშვენიერების ჭეშმარიტი სიყვარულით გამაოგნებელ სილამაზეს იწვევს თითოეულ ჩვენგანში. არჩევს უსასრულო სფეროში, იმ ყველაფერს, რაც მასში იწვევს ღამაზ განცდებს, ზოგჯერ კიდევაც „ღალატობს თავისთავს“ (ჟ. პომპიდუს ტერმინი), რადგან აშკარად გვაზიარებს იმ საიდუმლოს გამოსახვას. „რას ბჭობენ უენო არსნი“ (ბოდლერი).

<sup>1</sup> ჟორჟ პომპიდუ ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაობა, „ჩვენი მწერლობა“, 19 მარტი, 2010, გვ. 2

<sup>2</sup> ციალა მესხია, ფერთამეტყველების ესთეტიკა, თბ., „გლობალ-პრინტი“, 2012, გვ. 26

თუკი გენო კალანდიას ლექსების ქრონოლოგიას მივედევნებით, შევამჩნევთ, რომ მის პოეზიაში სხვა ფაქტორებთან ერთად განსაკუთრებული როლი უკავია ლექსების ციკლს „საგალობლები უფლისთვის“, რომელიც იქცა ტრამპლინად მისი შემოქმედების ახალ ეტაპზე გასასვლელად. მართებულად ბრძანებს თემურ შავლაძე: საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ორსტროფიანი ან ათმარცვლიანი (ამგვარი) ლექსეშური ფორმით გამოხატა სათქმელი ავტორმა. იქნებ, სწორედ ამგვარი ლექსეშური-ვერსიფიკაციული და ფერწერულ-მუსიკალური გამა-ტონალობა შეესაბამება საგალობელთა შინაარსს, განწყობილებას, სივრცობრიობას, რომ აქ მართლაც ოქროს შუალედია... ამ საგალობელთა ციკლით იგი წარმოჩინდა (მართლაც!) მაღალი ნიშნულის პოეტად, თუმცა ეს არც ადრე აკლდა, მაგრამ მაინც სულ სხვაა სიმაღლით ახალი სიმაღლის წარმოჩენა“.

თითოეული ლექსი გალობაა მზიური შუქით გალიცილიცებული. პოეტი, რომელსაც ღვთის ტამარში ოდიშის ოთხთავი გადაუშლია, აღსარებას თავიდან ამბობს. ზეცად უხმობენ ქერუბიმები ფრთების შრიალით, ცას, ღვთის საუფლოს მიეახლება „წიგნით და სანთლით“ და ეიმედება „განათდება ცა ოთხი კიდიტ“.

პოეტის გამჭოლი მზერა ნაღდი „ქართულია, სივრცის დაუნჯებით“, ქართული ფერების სამოსელში გამოხვეული ჯავარიანი სიტყვებით იქსოვება მისი უკეთილშობილესი სულის ტილო და გვაოცებს: თრიმელის ფერი, შავი ვარდისფერი პერანგი, ფირუზისფერი სევდა. „პურის ოქროსფერი მარცვალი“. მინანქარვით მოციმციმე ბაღი... „და ჩანჩქერით იფრქვევა ცისქვეშ თეთრი, ქაფქაფა და ფიფქისდარი“, – ამბობს პოეტი და ნათლად ხედავს, თუ როგორ ციმციმებს ათასი კვარი თოვლზე, როგორ იფრქვევა მზე და სითბო, ხედავ იმასაც, თუ როგორ ცვივა ხეს ფოთლები და „კვლავ ჟრუნისფრად თენდება დილა“, მაგრამ გულს ენუგეშება, სულს ესალბუნება „იების თოვლითა და მზის ბლონდებით“ გაღვიძებული დილა, „ირგვლივ ბაღია თეთრი შროშნების და მონასტერში მეუფე წირავს“ ...

გენო კალანდია ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ჯავარიჩია, წილნაყარი ძველი ქართული კულტურის კერებთან. ქართული და ევროპული კულტურის ძეგლების ცოდნამ კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა მისი პოეტური სამყარო.

პოეტი აფიქსირებს, რომ მისი სულიერი საზრდოა ბიბლია და მამათა თეოლოგიური ტრაქტატები, ჩვენი მდიდარი ქართული სასულიერო პოეზია და ფილოსოფოსთა ნააზრევი.

გენო კალანდიას საგალობლები სრულიად თავისებური, უნიკალური მოვლენაა ჩვენი სინამდვილისა, ესაა ერთი ულამაზესი თაიგული, რუდუნებით შერჩეული გამოცდილებათა საგანძური, მისი ღვთიური ნიჭისა და სიბრძნის ნაყოფი – უჩვეულოდ ვრცელია ამ წიგნის ლირიკული გმირის ჰორიზონტი, რადგან იგი მოიცავს როგორც სადა, უბრალო, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ყოფაცხოვრებით სურათებს, ასევე დიად მასშტაბურ ისტორიულ ძვრებსა და კატაკლიზმებს, როგორც ზოგადსაკაცობრიო მარადიულ პრობლემებს, ასევე ეროვნულ-პატრიოტულ პრობლემატიკას, მისწრაფებებს მაღალი იდეალებისაკენ.

გენო კალანდიას ესმის დიდი წინაპრების ხმა. არაერთხელ აედევნება დიდი ვაჟას აჩრდილი, ვინ იცის, მერამდენედ კითხულობს „ვაჟას უკვდავ წიგნს“, მუდმივად ჩაესმის ხმლების წკრიალი და: „ომს და მოსისხლეს ებრძოდა თემი, სიტყვას ამბობდა ცეცხლივით ცინცხალს, გათეთრებოდა ხევისბერს თმები და საფიხვნოზე მთელი დღე ცრიდა“ ...

ფშავის ვარსკვლავიანი ცის მომწუსხველი სილამაზე და იქაური პეიზაჟების დიდებულება რაღაც უჩვეულოდ განმაცდევინა ამ სტრიქონებმა. რა ექსპრესიულადაა შემოწერილი ხევისბერის ხატი.

საოცრად ლამაზი და ამავე დროს გამოგნებელია ერთ-ერთ ლექსში გადახსნილი სივრცეების უსაზღვროება: „უფალო, – ცათა და ხმელთა ღმერთო, აქ განისვენებს მოხუცი დედა, მოვედი შენთან, რომ შეგავედრო, უფალო, ცათა, – დიდება შენდა!“ – მისტიკური ხილვებითა განათებული განცდები მზის სხივებით გვეფინება. გარეგნული ეფექტების გარეშე გამოთქმული დედისადმი უნაპირო სიყვარულის განცდათა დიდი სევდა, რომელსაც დედის გარდაცვალება იწვევს. კითხულობ ამ სტრიქონებს და არ შეიძლება არ გაგახსენდეს: ... „მამაკაცის წარმოდგენა ქალზე დედის საშუალებით ყალიბდება. დედა იდეალური ქალია – ალერსიანი, უანგარო, თავგამეტებული, სითბოთი და ზრუნვით სავსე. უშიშარი სანთლად რომ შემოევლება თავს, ყველაფერს გაიღებს და არაფერს მოგთხოვს. მერე ცხოვრება ამ იდეალს თანდათან ანგრევს, დედის მიერ შექმნილი იდეალი აღარსად გვხვდება. სული კი დაემებს მას და ამო ძებნაში იხარჯება ცხოვრება“.<sup>1</sup>

უსაზღვრო სევდა და სილამაზე ირეკლება ციკლის ერთ-ერთ უმშვენიერეს ლექსში: „უფალო, ბერი მოადგა სენაკს, შვიდი წმინდანის ხსენების კვირას, გაშალა წიგნი და, როგორც ძეწნას, ჩამოეშალა თმები და წირვას შეუდგა მათი სახელის ნიშნად, მათი უკვდავი ცხოვრების გამო, საკურთხეველთან ვიდექი მშვიდად და ვლოცულობდი მეც მთელი ღამე.“ – აქაა შემოქმედის ყოვლისშემძლე მარჯვენით შექმნილი,

<sup>1</sup> აკაკი ბაქრაძე, დედა, „კვირის პალიტრა“, 2006, თბ., 29 მარტი.

ზეციურ წმინდანებთან მიახლოების ნეტარი განცდა და რწმენაც თვალისმომჭრელად დაფერილი სამზეოს მარადისობისა... მრავალი ლექსის მონიშვნა შეიძლება, რომლებიც მძაფრი პოეტური განცდებითა და მედიტაციური წიაღსვლებით გვაოცებენ...

გენო კალანდია მეტაფორული აზროვნების დიდოსტატია. მეტაფორებით იქსოვება უჩვეულო პოეტური გობელენები. მეტაფორების ოქროსფერი შუქითაა დაფერილი შემდეგი ლექსიც: „უფალო, მზეში, ნათელში მნახე შენი ძის დიდი დღეობა იყო... სამოთხის უცხო ყვავილებს ჰგავდნენ ანგელოზები და შაშვის რიყე. ასი ათასი წმინდანის სახელს თეთრი ვარდით ფურცლავდა ბაგით... და მწუხრის ზარი – მკვეთრი და მჭახე მტკვარს ჩამოჰქონდა მეტეხის ბალით“ ...

პოეტის ფიქრი ფიქრს ერთვის, აზრი სიბრძნის მარცვლებად, მეტაფორებით იკინძება. ღვთიურ სინათლისკენ მიმსწრაფი პოეტი მიწაზე ტერენტი გრანელივით „ზეცის ხატებას“ მოინატრებს...

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ სამრეკლოს ჩრდილში მოღუღუნე მტრედს დალანდავს. მტრედი ანგელოზის უმანკო სულია და პოეტის წარმოსახვა გასაოცარ ხატ-სახეებით მიგვანიშნებს: „ტამრიდან ნელა გამოდის მრევლი კაბების ალით და შარიშურით“ ... აქვე მინდა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გენო კალანდიას მეტაფორულ აზროვნებასთან ერთად შესაშური უნარი აქვს მიგვიპატიჟოს მხატვრული შედარების, გაპიროვნებისა და ეპითეტების უჩვეულო ფიერვერკზე. რაც ვფიქრობ, ერთ-ერთი ურთულესი საკითხია და ცალკე კვლევის საგანია.

გენო კალანდიას ვაჟა-ფშაველასავით ყველა კუთხიდან მტრიანი საქართველო უდგას თვალწინ. დროთა კავშირის რღვევა აშფოთებს, ვერ აუტანია გახლეჩილი, დამიძგნილი და გათითოკაცებული საქართველო და მაინც დღენიადაგ „ტანჯული გულის ნაცრემლი“ სიტყვები ვარსკვლავებივით ენთებიან და სულიერების მაღალი ტვიფარით აღბეჭდავენ სილამაზეს, მშვენიერებას, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიას. გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველა. „ათასჯერა წვიმს, სეტყვაა, მთებზე ნისლეები ჰკიდა, ბევრი რამ ხდება ქვეყნადა, შიგ ცოდო-მადლი კიდა, ბუნება წარბსაც არ იხრის მაინც მშვიდია, მშვიდია“ ...

გენო კალანდია ფსალმუნების ტოლფარდი ინტონაციებითა და გულმხურვალე ლოცვებით მიგვანიშნებს ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირზე. მისი მრავალფეროვანი პალიტრა მდიდარი ლექსიკური მარაგით, მეტყველი კამკაშა მეტაფორებითა და ფერებითაა გაჯერებული. სწორედ აქაა „ძალდაუტანებელი ოსტატობა“ (გ. ქიქოძე) პროფესიონალი პოეტის მიერ გააზრებული და საკუთარი თავიდან გასვლის გზის კონტურებიც.

პოეტი გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ „ბუნება, გარემო გვიცავს და შემოგვხვევია და ჩვენ არ შეგვწევს ძალა, გამოვეყოთ მას, არ შეგვწევს უნარი უფრო ღრმად შევადწიოთ მასში, ჩვენ ჩავურთივართ მას თავის უსასრულო ცეკვის წრებრუნვაში და ჩვენსაირად ტრიალებს, ვიდრე ძალა არ გამოგველევა და მკლავებიდან არ ჩამოუცურდებით...“

როცა ადამიანი მასშია და ის ყველაში, ის არარად ამოაფრქვევს თავის ქმნილებას და არ ეუბნება, საიდან მოდის და საით მიდის. მას მხოლოდ სირბილი მართებს, ამძიმებს და მუდამ აჯანჯლარებს, რომ გამოაფხიზლოს. მას არა აქვს არც ენა, არც მეტყველება, მაგრამ იგი ქმნის ენას და გულებს, რომელთა წყალობითაც გრძნობს და მეტყველებს. მის ყველა ქმნილებას საკუთარი არსი აქვს და მაინც, ყველაფერი ერთიანობას ქმნის, მისი გვირგვინი სიყვარულია, მას მხოლოდ სიყვარულით თუ მიუახლოვდებიან<sup>1</sup>.

თუკი გენო კალანდიას ლექსებს გარკვეული პერსპექტივიდან შევხედავთ, მაშინ მთელი საგალობლები ერთ მხატვრულ ტილოდ წარმოგვიდგება. ტილოს მთელი სინათლე მის შუაგულში აღმართულ ტაძარს შარავანდედად ადგას. ტაძარს მკვეთრად წარმოაჩენს და მეწამული შუქითაც ანათებს „იების თოვლი“, „მზის ბლონდები“, „თეთრი შროშნების ბალი“, და „ცა ზაფხულის საგას წააგავს“, მაგრამ რატომღაც „ვარდი მოუსხამს ჭინჭარს, დილიდან ურცხვად უცვლია ფერი, როგორც ნიშანზე გაწოლილ ისარს, ღრუბელზე უდევს კიპარისის წვერი“ ... აქაა დეტალების, ფრაგმენტების ერთობლიობის არტისტიზმი, ტაძრისკენ მიმავალ გზას მიაწინებს მათ, ვისაც დაუვიწყრია სამშობლო, მამული, ხალხი...

პოეტი სიკეთის ჭეშმარიტი მსახურია, რამეთუ უმაღლესი სულიერი ღირებულებები და ფასეულობები მხოლოდ სიყვარულითა და ერთგულებით, მისდამი უანგარო მსახურებითა და პასუხისმგებლობით თუ მკვიდრდება. ამიტომაც მის სულში მზესავით ანათებს მამულისადმი უანგარო სიყვარული: „ბაღში კალია გადადის ყირას, ცრემლში იხრჩობა მისის ია, სოფელში მამლის ფრთხილს და ყივილს, ჩემი მამულის სიცოცხლე ჰქვია“. – ერთი შეხედვით, თითქოს უჩვეულო არაფერია ამ სტრიქონებში, მაგრამ აქაა ფეთქვა სიცოცხლის, რიტმი სამშობლოსადმი უნაპირო სიყვარულისა და ჭეშმარიტად ჰარმონიული ღრმა და ვრცელი სამყარო...

გენო კალანდია გვახსენებს, რომ სიცოცხლე ყველაზე მოსაფრთხილებელია და შესანარჩუნებელი, ამიტომაც ქრისტიანული სარწმუნოების თვალსაწიერიდან იტყვის: „უფალო, ორი ხუცესის საფლავს,

<sup>1</sup> გოეთე, საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვანისა, „აჭარა“, 1998.

დილიდან სტუმრობს მვირფასი მრევლი, ალალი იყოს იმათი სევდა, ალალი იყოს იმათი ცრემლი! შვენოდათ ოქროს ჯვარი და ფრთები, ისედაც მდიდართ სულით და ხორციტ... ჩამოდიოდნენ მიწაზე ფეხით და ადიოდნენ ზეცაში ლოცვით“.

გულს უნათებს უფალი „ნათლისმფრქვეველი დიადი წიგნით“ ტაძრიდან გამოსული მრევლის კაბების ალი და შარი-შური, სამრეკლოს ჩრდილში მოღულუნე მტრედი, შაშვის გალობა, „ლოყაწითელი მაისის ვაშლი“, „გუგულის – გუ-გუ“, ქვაშიხორს მოჭახჭახე შაშვი, მზით განათებული წმინდანის ქიტონი...

პოეტი ღვთის რწმენის, წმინდა წერილის მაღლით მონიჭებულ სიხარულზე იტყვის: „უფალო, წმინდა წერილის მაღლით, – ძისა და კაცის ნათელში ვსახლობ, ვლოცულობ დღისით, ვლოცულობ ღამით შაშვების ტყეში, – შუამთის ახლოს.“ გამუდმებით ესმის ზეციდან ჩამოღვრილი გრძნეული ხმა, სასობით მლოცველი და ზეცისკენ მზერა მიპყრობილი „შაშვების ტყეში, – შუამთას ახლოს“ წმინდა საბას დალანდავს და კოცნის ქართულ სიტყვას და ანბანს, – „ქართული მიწის ღვთაებრივ ვენახს“.

„გათა მაღალთა მაღლი შუქმოწკრიალე სიმით გარდამოხდება მიწად, გარდამოაფენს იმედს, ითანათებს იგი შურთა ფარულთა მიღმა, რომ ზეცისა და მიწის კვლავ სიყვარული იხმოს“. (ანა კალანდაძე).

გენო კალანდიას საგალობლებში ვარსკვლავები მუდმივად ანათებენ. პოეტი გრძნობს ღვთის ნათებას, მაცხოვრის მაღლს, ერთგულებისა და წყალობის ნიშნად პოეტის მიზანია ზეციურ საუფლოში დამკვიდრება, ბრძოლა მაღალი სულიერების დასამკვიდრებლად. სულიწმინდის მაღლით განათებულია მისი სიტყვა. იგი მდიდარია ძოწით და ვარდით, მის პოეტურ ბაღში მუდმივად შრიალებს დილის ფსალმუნი, მზითაა განათებული წმინდანის ქიტონი, მეფის სკარცხული და მწყემსის კარავი...

პოეტისათვის უმთავრესია რწმენა, ამიტომაც დაიდო მის გულში უფალმა ბინა: „უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს, თურმე შიგ გულში გქონია ბინა“.

პოეტი დავით წინასწარმეტყველივით ევედრება უფალს საქართველოს ბედნიერებისა და ნათელი მომავლისათვის: „უფალო, თეთრი გიორგის სამწყსოს, მიეცი შენი ღვთიური ძალა, უკვდავყავ მისი ბროლი და წყარო, მისი ტან-წელი და ღრუბლის ფარა. მხოლოდ შენ ძალგიმს აღანთო იგი მარადიული ცხოვრების ჟინით, შენი ბანიდან დახედე კარგად, მიეცი რწმენა და თვალისჩინი.“ ... მას ძალას მატებს, სიხარულით ავსებს და აცისკროვნებს უფლის სახლში დამკვიდრება და ღრმად სწამს, რომ ყოველგვარ უზნეობასა და ბოროტებას მისი დიდებით დაამარცხებს.

„საგალობლები უფლისთვის“ უფლის მუდმივი ხსოვნის მიმანიშნებელია და სულს მუდმივად ახსოვს სამშობლო – ადგილის დედა სამოთხე, რომელსაც „გრიგალდაკრული ბებერი გული ანდამატივით უბეში უდევს... რაც უნდა ტანჯონ, რაც უნდა გვემონ, სულ ქართულია იმისი ფუძე“. „უფლის საგალობლები“ ფართო ერუდიციის, აზროვნების მასშტაბურობისა და პრობლემათა სირთულის გამოვლენით ქართული სინამდვილის ესთეტიკური აზრის წარმოჩენაა. ჩურჩულით, მაგრამ ლაღი ფერებით, ღრმა განცდებისათვის დამახასიათებელი სიმძაფრითა და შარავანდედმოსილი სიდიადით რომ ბრწყინდება კოსმიური სევდა...

„პოეტი – მწირი ქადაგი, ბარდი“ ნუგეშად მზის, სინათლის მისტერიას იგულებს; უკვდავს დროის გარეშე, სივრცეში სახეებად, ხატებად ქცეულს, ბროლის მარადისობა უხმობს. ცის სიმადლიდან, მზის სხივებით აელვარებული გადმოხედავს ქვეყანას: მზე იწვის, „ცა ზაფხულის საგაა“, ირგვლივ ვარდი და შრომანი ანთია და სულ ახლოსაა ახალი საქართველოც: „ჩვენი ძისა და წინაპრის დარად ვოცნებობ ახალ საქართველოზე“ ...

### ლიტერატურა:

1. ნიცშე, ასე იტყოდა ზარატუსტრა, ფილოსოფიური ბიბლიოთეკა, თბ. 1993, გვ. 63.
2. გურამ ასათიანი, სრბოლა ცხოვრებისა, წიგნში „საკურთხეველთან“, თბ., 1980. გვ. 669
3. გოეთე, რჩეული ლირიკა, თარგმანი ა. გელოვანისა, თბ., 1972, გვ. 292
4. ხორხე ლუის ბორხესი, მეშვიდე საღამო პოეზია, „ჩვენი მწერლობა“, 1 ოქტომბერი, 2010
5. ჟორჟ პომპიდუ ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის წინასიტყვაობა, „ჩვენი მწერლობა“, 19 მარტი, 2010, გვ. 2
6. ციალა მესხია, ფერთამეტყველების ესთეტიკა, თბ., „გლობალ-პრინტი“, 2012, გვ. 26
7. ციალა მესხია, გენო კალანდიას პარადიგმების სამყარო, გამომცემლობა „სვეტი“ თბ., 2014 .
8. აკაკი ბაქრაძე, დედა, „კვირის პალიტრა“, 2006, თბ., 29 მარტი.
9. გოეთე, საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვანისა, „აჭარა“, 1998.
10. გენო კალანდია, საგალობლები უფლისთვის, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2012.

## BOOK AT ALTAR (GENO KALANDIA'S "PSALMS FOR THE LORD GOD")

Tsiala Meskhia, Sokhumi State University, Associate Professor

### RESUME

"Hymns for The Lord God" by Geno Kalandia, published by the publishing-house "Intellect" in 2014, is the book of hymns, hymnbook and prayer book inspired by the Bible. Composed by the author over a long period of time, these hymns and prayers transformed into triolets were collected and this collection is included in the whole literary heritage of the well-known Georgian author.

These religious poems are of many kinds-there are hymns of praise and worship of God, prayers for help, protection and salvation, please for forgiveness, songs of thanksgiving for God's blessings and petitions for the punishment of the Evil. These prayers are both-personal and national, some portray the most intimate feelings of one person, which others represent the needs and feelings of all the people of God.

The biblical Psalms were used by Jesus, quoted by the writers of the New Testament and became the treasured book of worship of the Christian Church from its beginning.

"Hymns for The Lord God" by Geno Kalandia, was inspired by Psalms' by David.

## ქართული რომანტიზმის სათავეებთან - მარიამ ბატონიშვილი

მურად მთვარელიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

ქარელის ხარების ტაძარში არის ერთი მოკრძალებული დაფა, რომელიც გვამცნობს, რომ „აქ განისვენებს საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასული მარიამი, მეუღლე დავით ციციშვილისა. 1755-1835“.

ამ ერთი შეხედვით უბრალო წარწერის მიღმა დგას სევდიანი ისტორია საქართველოს სამეფო ოჯახის ერთი ღირსეული ასულისა, რომელსაც განგებამ დიდ ნიჭიერებასთან ერთად უბოძა უდიდესი ტკივილი - საკუთარი თვალით ეხილა სამშობლო ქვეყნისა და ბაგრატიონთა სამეფო სახლის ტრაგიკული დასასრული, რამაც მას, როგორც ბატონიშვილსა და მოაზროვნე მამულიშვილს, უდიდესი დაღი დაასვა..

მარიამ ბატონიშვილს გვირგვინოსანი მამის ოჯახში იმ დროისათვის შესაფერისი განათლება მიუღია. როგორც მისი თანამედროვენი შენიშნავენ, ის თავის ნიჭიერ და-ძმას შორისაც კი გამორჩეული იყო დიდი შინაგანი კულტურით და მხატვრული გემოვნებით. პროფ. ლევან ასათიანის სამართლიანი შენიშვნით „მწიგნობრობა, მწერლობა, პოეტური შემოქმედება, რაც საერთოდ ახასიათებდა ძველი საქართველოს სამეფო ოჯახებს და ზოგიერთ ფეოდალურ ბუდეებს, განსაკუთრებით საგრძნობი იყო მეფე ერეკლეს კარზე. როგორც ვიცით, საქართველოს უკანასკნელ ბატონიშვილთა წრიდან გამოვიდა მრავალი მოღვაწე: მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი და მწიგნობარი“.<sup>1</sup>

მარიამ ბატონიშვილის ფაქიზი სულიერი სამყაროსათვის შეუმჩნეველი და გულსგარეთგასატარებელი არაფერი რჩებოდა. ის იყო ფაქიზი სულის ადამიანი, რომელსაც სულით ხორცამდე აწუხებდა ყველაფერი ის, რაც მის ოჯახთან, ახლობლებთან და სამშობლოსთან იყო დაკავშირებული.

სამეფო ოჯახის გადაწყვეტილებით მარიამი ცოლად მისცეს დიდგვაროვან დავით ციციშვილს, რომელიც ლ. ასათიანის დაკვირვებით, თბილისის მოურავად ჩანს ჯერ კიდევ 1772 წლიდან.

ცნობილ მკვლევარ თამარ პაპავას წიგნში „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ – ეხება რა მარიამ ბაგრატიონს, მოაქვს ს. კაკაბაძის მიერ თავის დროზე მიკვლეული „ჩანაწერები ბარბარე ქობულაშვილის მიერ ზოგიერთ ისტორიულ პირებზე“.

ბარბარე ქობულაშვილი, რომელიც თავის მხრივ იყო მემკვიდრე ომან ხერხეულიძის ასული და პოეტ ოთარ ქობულაშვილის მეუღლე, მარიამ ბატონიშვილის შესახებ წერს: „ეს მარიამი იყო დიდი ნიჭიერი, დიდად დახელოვნებული საღმრთოს წერილში, ისეთი მოლექსე, რომ ასე ამბობდნენ - დიდი მეფის თეიმურაზის ნიჭი გამოყვავა ამ ქალსაო. იყო დიდად მუზიკის მოყვარე და თანაც იცოდა ქართული მუზიკები. იყო სევდიანი, ვითარცა ბაგრატიონი... ოთხი ვაჟი ჰყვანდა და ოთხივე იცოდნენ ქართული

<sup>1</sup> ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, I, თბ. 1958, გვ. 39

საკრავები და ამხიარულებდნენ დედასა და როდესაც სამშობლო რუსეთში გადაუსახლდა, ყოველივე მხიარულება დაივიწყა, წავიდა თავის სოფელს ქარელში, სწერდა სამგლოვიარო ლექსებსა, რომელიც ბევრს აქვს საქართველოში და იყო ლოცვაში და ღვთის ვედრებაში, რომელიც ძმა მოუკვდებოდა, ანუ ძმისწული რუსეთში, ვერავინ ეტყოდა და ისე გარდაიცვალა“.<sup>1</sup>

ლევან ასათიანი დასაშვებად მიიჩნევს, რომ მარიამისათვის ცნობილი და ახლობელი იქნებოდა თავისი ეპოქის ორი დიდი პოეტის – ბესარიონ გაბაშვილისა და საიათნოვას შემოქმედება, რაც გარკვეულ კვალს დააჩნევდა მის პოეტურ გემოვნებას.

მარიამი შუა ხანს უახლოვდებოდა, როცა საკუთარი თვალთ იხილა ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის განადგურება და ქვეყნის დამოუკიდებლობის დასამარება. ამ ამბავმა, უპირველესად სწორედ სამეფო ოჯახის წევრების სულიერ სამყაროზე ჰპოვა ასახვა. მეფე ერეკლეს შვილებისა და შვილიშვილებისათვის ცხადი შეიქმნა, თუ რა რეალობის წინაშე აღმოჩნდა მათი სამშობლო. უფლისწულების უმრავლესობამ იარაღი აიღო ხელში, მაგრამ უთანასწორო ჭიდილში ბედმა ისინი სხვადასხვა მხარეს გასტყორცნა, ქალები კი, რომელთაგან რამდენიმემ გადასახლების სიმწარეც იგემა, აქ დამხვდურ დებთან ერთად ნაღველს მიეცნენ. მათგან სამმა – ქეთევანმა, თეკლამ და მარიამმა შეძლეს, თავისი გულისწუხილი ქალაქისთვის გაენდოთ.

მარიამი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც სულიერად, ისე მატერიალურად. არაერთი დოკუმენტი შემორჩენილი, რომელთა მეშვეობითაც ცხადი ხდება მარიამის შეჭირვებული მდგომარეობა.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მარიამის, როგორც შემოქმედისა და მამულიშვილის შესახებ. თამარ პაპავას მართებული დაკვირვებით, „ირაკლის ქალებში სასახლის ნამდვილი პოეტი სწორედ მარიამი უნდა ყოფილიყო, რომელიც ალბათ ამ მრავალ შესანიშნავ ეპიზოდებით სავსე და ისტორიულ მნიშვნელობათა ცოცხალ მატთანეს - ირაკლის სახლს - ბევრნაირად შეამკობდა და შეასხმდა“.

აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მარიამ ბატონიშვილს, ა. ხახანაშვილის ცნობით, „ეხერხებოდა სატირული ლექსების წერაც სხვადასხვა პირებზე. კერძოდ - დეკანოზ სოლ. ალექსიძისადმი მიწერილი სატირა - შესახებ ღვთის მგომბელი“.<sup>2</sup>

მარიამის შემოქმედებიდან ჩვენამდე მხოლოდ ხუთმა ლექსმა მოაღწია. არადა ქობულაშვილის გადმოცემით, მისი ლექსები „ბევრს ჰქონდა“ ე. ი. ბევრ ოჯახში ინახებოდა მარიამ ბატონიშვილის შემოქმედება. მისივე ცნობით, მარიამი ლექსებს ადრიდანვე წერდა. ბატონიშვილის ახალგაზრდობისდროინდელი ლექსებიდან ცნობილია ორი პოეტური ნაწარმოები, რომელიც ეძღვნება ალექსანდრე ბატონიშვილის დანიშნულის, ნინოს გარდაცვალებას. ჩვენ ამჯერად ამ ლექსებს არ შევეხებით, მხოლოდ ყურადღებას გავამახვილებთ პოეტი ქალის სამ ლექსზე, რომლებიც ამკარად რომანტიზმის ტიპოლოგიურ ნიშნებს ატარებს.

ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიულ რომანში „მზის რაინდი“ მწერალი როსტომ ჩხეიძე იტყვის: „პოეზიის სიყვარული სხვა დებსაც მომადლებოდათ, ქეთევანსაც, თეკლასაც, მაგრამ მარიამს ორივესთვის წაეჭარბებინა, ნამდვილ პოეტად წარმომდგარიყო და მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ მის მრავალფეროვან პოეტურ მიდრეკილებათაგან მცირე მემკვიდრეობადა შემოგვრჩენია“.<sup>3</sup>

ბატონიშვილთა სევდა, როგორც ვთქვით, უკიდევანო აღმოჩნდა. ცრემლისღვრა და სასოწარკვეთა სამეფო ოჯახში გაზრდილი ქალებისათვის ჩვეულებრივ ამბად იქცა. უფლისწულები კი ხმლით ხელში იბრძოდნენ ქვეყნის თვითმყოფადობის აღსადგენად.

ჯერ 1804, შემდეგ 1812 წლის აჯანყებები, 1832 წლის შეთქმულება - ყველა ეს ცდა მარცხით დამთავრდა და ქართველი ერის ცნობიერებაც ნელ-ნელა შეეგუა ახალ რეალობას, თუმცა ბატონიშვილთა გული ვერ მოინადირა ვერავითარმა დაპირებამ, ისინი ქვეყნის ჭირისუფლად დარჩნენ და სიცოცხლის ბოლომდე ჭმუნავდნენ დაკარგული თვითმყოფადობის გამო.

ეს განწყობილებანი მთელი სიმწვავეთ აისახა მარიამ ბატონიშვილის პოეტურ ნააზრევში. ვერსიფიკაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვან, ახალი პოეტური საზომითა და განწყობილებებით მდიდარ უსათაურო ლექსში, ისევე როგორც სხვა ლექსებში, მარიამ ბატონიშვილი რომანტიკული განწყობილებებით გამოხატავს თავის სადარდელს ჩამორთმეული დამოუკიდებლობის გამო.

შეიძლება გაბედულად ვთქვათ, რომ მარიამ ბატონიშვილის ლექსებში პირველად იჩინა თავი რომანტიზმმა მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით და საკმაოდ მაღალი პოეტური ოსტატობით:

გრიგალმან, ქარმან მქოლველმან,

<sup>1</sup> თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ. 1990, გვ. 39

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41

<sup>3</sup> რ. ჩხეიძე, მზის რაინდი, თბ. 2011, გვ. 102-103

ჩემდა საკვდავად მსრბოლელმან,  
იწყო ქროლვა მსწრაფლ მშფოთველმან  
ეჰა, ვაი, სიცოცხლევ! აწ გეწყალოდე, მზეო!

ბატონიშვილი მარიამი წუხს, რომ ცაზე შვიდი მნათობიც აღარ ანათებს, ადრე რომ მას და მის ქვეყანას ბედნიერების შუქს ჰვენდა. ის ბედნიერი წლები მწარე რეალობამ შეცვალა, დაიკარგა დიდებული წარსული და დადგა ბნელი აწმყო, რომელიც წუხილის საბუდარად იქცა:

შვიდნი ცთომილნი, ბრწყინავნი,  
ტრფიალთ გულთ გასაგმინავნი,  
არღარა სადა მცინავნი...  
ეჰა, ვაი, სიცოცხლევ! აწ გეწყალოდე, მზეო!  
გამწარდეს დღენი წინანი  
მომმაგდა სულთა სირანი,  
დავკარგე ნათელ მფინანი,  
ეჰა, ვაი, სიცოცხლევ! აწ გეწყალოდე, მზეო!

ლექსი ნათლად ირეკლავს გადასახლებული და სხვადასხვა ქვეყანაში ლტოლვილი ძმების სიმორით გამოწვეულ ნაღველსა და წუხილს. ამასთანავე, ლექსის შემდგომ სტრიქონებში ავტორის პიროვნებაში თითქოს ნივთდება ქვეყნის ბედი, მისი იმჟამინდელი მდგომარეობა.

ისტორიის გრიგალმა სიცოცხლის წყურვილი წარსტაცა ავტორს და მასთან ერთად მის ქვეყანას, ის ტყვედქმნილია, სასუდარედაა გამზადებული. თავის სამყოფსაა მოშორებული და სხვა რეალობაში მყოფი თავს სასიკვდილოდ გამზადებულ პატიმრად წარმოიდგენს:

მოგშორდი, მნათობთ დარეო,  
დავაგდე სამყოფთ არეო,  
ამად მაქვს დღენი მწარეო,  
ეჰა, ვაი, სიცოცხლევ! აწ გეწყალოდე, მზეო!  
გვედრი მონისა მთვარეო,  
ტყვედქმნილსა მომეხმარეო,  
აწ ვიქმენ სასუდარეო,  
ეჰა, ვაი, სიცოცხლევ! აწ გეწყალოდე, მზეო!

თავის დროზე პროფ. ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „თითქოს სიმბოლურია ის გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა ქალებმა დაიწყეს - ერეკლე მეფის სამმა ასულმა: მარიამ, თეკლე და ქეთევან. ვაჟკაცებს არ ეცალათ, ქალები კი ნაზი ცრემლებით დასტიროდნენ „ედემის ბაღს“ - საქართველოს:

ოი, დამწარდეს დროთა ტკბილობა,  
უწყალო ეტლმან რა ქმნა ცილობა,  
აღფხვრა წალკოტსა ვარდთა შლილობა,  
დასთრგუნა ჩემი დღე კეთილობა,  
ბნელ ყო ქართლოსის ძვირფას მტილობა,  
მესისხლე მარინს აქვს ხმალ-წვლილობა.

ასეთი მძიმე ტონით და მელანქოლით დაიწყო მარიამ ბატონიშვილმა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის დასაბამი<sup>1</sup>.

მარიამ ბაგრატიონი პირდაპირ მიუთითებს თავისი ვაების მიზეზს - მისი სათაყვანო მამული განწირულია და რაკი ეს რეალობაა, მამულთან ერთად, ის მოითხოვს, მასაც იგლოვდეს ყველა კეთილისმყოფელი, რადგან ისიც, მამულის დარად, სამარის კარად არის მისული:

ვაი, კიდევანთა მამულთა, სამყოფთა განაწირებსა!  
მიგლოვდეთ, მეცა, მოყვასნო, სოფლისა განაწირებსა,  
აწვე შთასრულსა საფლავად, მეცნთაგან დასატირებსა

მარიამი პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე წუხს, რომ ქართველებს ცა რისხვით მოუქუხდათ, რომ ჩრდილოეთიდან წამოსულმა ღრუბელმა დაფარა და დაშრიტა ყველა ის მნათობი, რომელიც საქართველოს ცაზე ბრწყინავდა.

საგულისხმოა, რომ ამ ლექსშიც მარიამ ბატონიშვილი საკუთარ თავს წარმოსახავს, როგორც იდენტურს თავის სამშობლოსთან. პოეტი ქალი უბედურია, რადგან მისი სამშობლო პატივხდილი და განწირულია:

იგრგვინა ცამან ჩვენზედა რისხვითა საშინელითა,

<sup>1</sup> ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1959, გვ. 43-44

დაფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა,  
წარხდეს წალკოტნი მაღალნი რას საცთურითა მნელითა,  
ვა, დიდებულნი პალატნი იქმნა მტერთ საცინელითა!  
აწ განწირული მარადის ვიწვი ცეცხლით არ ნელითა.

ლექსი, როგორც ითქვა, საყურადღებოა არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ ვერსიფიკაციული თვალსაზრისითაც. ესაა გარკვეულად ახალ ფორმას მორგებული დიდი სატკივარი, რომელიც მარიამ ბატონიშვილს წარმოაჩენს, როგორც სიტყვის ნამდვილ ოსტატს და დიდ მამულიშვილს, რომელიც მშობლიური ტახტის დამხობამ უბედურ ადამიანად აქცია და ისიც, სასიკვდილოდ განწირული, დასტირის თავისი ქვეყნის უბედურებას. სისხლის ცრემლებით სტირის, რადგან აზიის ცა ჩრდილოეთის ცივმა ქარიშხალმა დაფარა, რადგან საქართველოში ვარდი აღარ იშლება, მზე და მნათობნი კი სადღაც გადაიკარგნენ:

დახდა მზე იგი აზიით, ვაი ჩრდილოთ მოეფინება!  
მიგვიხვენეს მსწრაფლად მთიებნი, ვით უძლოს გულმან თმინება?!  
არ დასცხრა ჩვენზედ ფერადნი სოფლის საცთურთა შინება,  
ჰოი, უბედოსა რა სოფლით მომეცა ესდენ წყინება.  
ვა მე მას აქეთ ცოცხალსა არღარა მომელხინება.

ვ. კოტეტიშვილის ხატოვანი თქმით – „ამ სტრიქონებიდან განწირულის ხმა ისმის და ქალის ხმა, რადგან განსაკუთრებული მგრძობელობა და დაწმენდილი სინაზე არის ყოველ სიტყვაში მოქცეული. იგი წმინდა ქალური გულჩვილობით იგონებს თავის „მთიებს“, თავის „წალკოტს“... იგი სასოწარკვეთილია, გამტყდარი ჭკუაა, რომელიც ერთსღა ახერხებს, რომ საუკუნის დასაწყისიდან ბოლომდის მიაწვდინოს პროტესტის ხმა“.<sup>1</sup>

ერთი მხრივ, ერეკლე მეორის ასულების – მარიამის, ქეთევანისა და თეკლეს, ხოლო მეორე მხრივ, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების ანალიზი ადვილად გამოკვეთს იმ ცნობილ ინტონაციებს და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ თუ აზრობრივ მსგავსებას, რაც მათ შორის არსებობს. მაგალითისთვის მოვიხმობთ ამონარიდს ქეთევან ბატონიშვილის ლექსიდან „ძმათა თვისთათვის“. ყველა მონაცემის მიხედვით ლექსი მე-19 საუკუნის პირველ წლებშია დაწერილი:

გუშაგნი მრავლად ჩემთვის მცველობენ,  
სხვადასხვა აზრით გველებრ ჭრელობენ,  
არ მცემენ ნუგეშს, მსწრაფლად მწყრალობენ,  
მათნი მახვილნი გულსა მჭრელობენ  
კვლავ სხვანი მოვლენ, სადგურს ცვლილობენ.

ვფიქრობ, მსგავსება დიდია ალ. ჭავჭავაძის ლექსის „ვისაც გსურთ“ ამ მონაკვეთთან:

გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად  
გვყვანან ნების წარმტაცველად,  
ხვალ სხვანი მოვლენ მათს გამომცვლელად,  
გველივე რჩება გველად.

ალ. ჭავჭავაძის ამ ლექსს ალ. ჭავჭავაძე უკავშირებდა „ყაზარმობის პერიოდს“, თუმცა იოსებ გრიშაშვილმა ნაწარმოები 1804 წლით დაათარიღა. მსგავსი პარალელების მოტანა კიდევ შეიძლება.

მარიამ ბატონიშვილის სევდა – ეს ალექსანდრე ბატონიშვილის სევდაა, ფარნაოხისა და მირიანის, იულონის სევდაა. თავის სახელოვან და მსასოებელ ძმებთან განშორება და ქვეყნის დაცემა-განადგურება მარიამისათვის სიკვდილის ტოლფასია. ამ განწყობილებითაა დაწერილი 1803 წლით დათარიღებული ლექსი „აჰა დამეცნეს რისხვით ცანია“

ჰოი, რად შევესწარ ამად არესა მნელსახილველსა, შესაზარესა,  
სალავათის მტილს მოფხვრულს არესა, მნელსახილველსა, შესაზარესა,  
ვა ვერ ვჭვრეტ დიდთა მნათობთ გვარესა, მათგან მივეცი დღესა მწარესა,  
რადგან დღე ჩვენი ჩრდილოთ ჰვარესა, აწ დამქოლვიდეთ არსახმარესა“.

„მართალია, წინადაც ხშირად უნახავს საქართველოს ბნელი დღეები, - წერს თ. პაპავა, - მაგრამ მაშინდელი მტერი ახლა შემოჭრილს არ ჰგავდა. მართალია, ის ქვეყანას დაარბევდა, გადასწვავდა, იავარად ჰქმნიდა, მაგრამ ქართველი ხალხის დაუმრეტელი პოტენცია, მისი უაღრესი სიყვარული ერისა და სამშობლო ქვეყნისადმი, მას ისევ აძლევდა უღვეველ ძალას მამულის ხელახლა გასამენებლად და აღსადგენად...“

<sup>1</sup> ვ. კოტეტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 44



ეხლა კი სულ სხვა რამეს ხედავს მგოსანი ქალი. იცის რუსეთი საქართველოს მომავალშიაც გადაგვარების მეტს ვერაფერს არგუნებს და ამის გამო მისი ვაება ეხლა მართლაც უძიროა და სევდით გრაგნილი“.<sup>1</sup>

იგივე განწყობილებები მეორდება ლექსში „მუხამბაზი“. როგორც ეს შენიშნულიცაა, „სათაურის მიუხედავად, სტროფიკითა და რითმების წყობით მუსადასია და არა მუხამბაზი. მისი სემანტიკის საკვანძო ელემენტებია ქართლოსის მტილი და სიმბოლური ჩრდილოს ქარი“<sup>2</sup>

შესიტყვებამ „ჩრდილოს ქარი“, რომელიც მარიამ ბატონიშვილის პოეზიაში დამპყრობლის სახე-სიმბოლოდ არის შერჩეული, შემდგომი გამოყენება ჰპოვა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. ეს სახე-სიმბოლო მარიამ ბატონიშვილის თითქმის ყველა პატრიოტულ-რომანტიკულ ლექსში მეორდება გარკვეული სემანტიკური ნაირსახეობით და ერთი შინაარსით. ხშირად მას ენაცვლება „გრიგალი ქარი“ („გრიგალმან ქარმან მქროლველმან, ჩემდა საკვდავად მსრბოლელმან“), „ჩრდილოთ ღრუბელნი“ („იგრგვინა ცამან ჩვენზედა რისხვითა საშინელითა, დაფარნა ჩრდილოს ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა“, „ჩრდილოს კერძომან საბავთოს ქარმან, მძვინვარედ მქროლმან და დაუწყნარმან, ჩემი მთიები ჰყო გამოსგარმან, მიმოაბნია შავ ბედის ღვარმან“.)

მარიამ ბატონიშვილი წუხს, რომ ქართულ ცაზე ერთ დროს ლაღად მბრწყინავი მზე დაბნელდა, ის ახლა ჩრდილოეთის ღრუბლებმა დაფარეს. პოეტი ქალი დაშორდა მნათობებს (ამ მნათობებში საკუთრივ სიმბოლური გაგებით მნათობებთან ერთად უნდა იგულისხმებოდნენ მისგან შორს მყოფი ბატონიშვილი ძმები). ირგვლივ სიბნელეა და დიდებული პალატებიც ნანგრევებად ქცეულა („დაფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა,...ვა, დიდებულნი პალატნი იქმნა მტერთ საცინელითა“). ამ სტრიქონების ერთგვარ გამოძახილად უნდა ჩაითვალოს ალ. ჭავჭავაძის ცნობილი სტრიქონები: „აჰა, პალატა ჩინებულთა ხვედრი უცილო“.

როგორც ირკვევა, მარიამ ბატონიშვილმა და მისმა მეუღლემ სიკვდილამდე ზიდეს ეს ნაღველი. ცნობილია, რომ ბევრმა მოღვაწემ გარკვეული გარემოებების გამო შეიცვალა თავისი აზრი საქართველოში რუსეთის გაბატონებასთან დაკავშირებით. მარიამისათვის მიუღებელი იყო ყველა ის ადამიანი, ვინც ბოლომდე არ იცავდა და არ იბრძოდა ქვეყნის თავისუფლების აღსადგენად. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი დეტალი: ცნობილი მოღვაწე და დიდად განათლებული პიროვნება დავით რექტორი მარიამ ბატონიშვილის სატირის საგნად იქცა და ამას ჰქონდა თავისი მიზეზი. ჯერ კიდევ 1801 წელს, პლატონ იოსელიანის თანახმად, დავითს ხელი მოუწერია მოწოდებისათვის, რომლითაც აჯანყებულებს წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ. ის არ მონაწილეობდა 1801, 1804, 1812, 1819 წლის შეთქმულებებში, რადგან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, „ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსეთთან საქართველოს დაკავშირება ისტორიული აუცილებლობა იყო. ეს კი მარიამისათვის ყოველად მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომაც იქცა დავით რექტორი მარიამის სატირის ობიექტად“.<sup>3</sup>

გიორგი ნაკაშიძე წერილში „ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“ ხატოვნად შენიშნავდა: „ისე როგორც ბატონიშვილებმა პირველად ააფრიალეს აჯანყების დროშა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ფრონტი გაუმართეს ვერაგ მტერს, სწორედ ისე პოეზიის ფრონტზე მათი დები მარიამ, თეკლე და ქეთევანი იყვნენ პირველნი, რომელთაც უსაზღვრო ზიზღი და სიძულვილი რუსეთისადმი ჩააქსოვეს თავისი აღმფოთებული სულით და მწვავე ნაღველით აღსავსე ლექსებში“.<sup>4</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ: ალბათ, დადგა დრო, დაბეჯითებით ითქვას, რომ რომ მარიამ ბატონიშვილის შემოქმედებიდან გადარჩენილი ის ხუთი ლექსიც სრულ წარმოდგენას ქმნის მისი, როგორც შემოქმედისა და მამულიშვილის შესახებ, რომლის გულისტკივილი, ეროვნული სატკივარი, მისი დამოკიდებულება დიდი ეროვნული უბედურებისადმი უფლებას გვაძლევს, მარიამი თავის დებთან – ქეთევანთან და თეკლესთან ერთად ქართული რომანტიზმის სათავეებთან დავაყენოთ.

<sup>1</sup> თ. შაპავა, დასახ. წიგნი, გვ. 37

<sup>2</sup> ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825), შეადგინა, ბოლოთქმა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. კენჭოშვილმა, თბ. 2014, გვ. 378

<sup>3</sup> გ. ლეონიძე, ქართული თეატრის ქრონიკები, ჟურნალი „დროშა“, 1925, N26, გვ. 22

<sup>4</sup> ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, გ. შარაძის რედაქციით, II, გვ. 446

**AT THE ORIGIN OF GEORGIAN ROMANTISM – MARIAM BATONISHVILI**  
**Murad Mtvarelidze, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor**  
**RESUME**

The Georgian Romanticism starter is still considered an outstanding poet-Alexander Chavchavadze.

In fact, the first romantic poems are written by the daughters of King Irakli (Erekle). They are Mariami, Ketevani and Tekle Bagrationi.

Survived their poetry patterns allow us to conclude that Mariam Bagrationi begins Georgian Romanticism with her sisters.

**ქალის პარადიგმის დეფინიციისთვის**

**ნინო მინდიაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველოს დავით აღმაშენებლის  
სახელობის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**

**ნანა არახამია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი**

სიყვარული იმ ფენომენტაგანია, რომელსაც, როგორც გრძნობითი სამყაროს უმაღლეს გამოვლინებას, წამყვანი ადგილი უჭირავს ხელოვნებაში. მიუხედავად ჰუმანიტარული აზროვნების კორიფეთა მრავალი მცდელობისა, სიყვარულის საზოგადოდ მიღებული განმარტება, ისევე როგორც მრავალი ფილოსოფიურ-ესთეტიკური კატეგორიისა, არ არსებობს. ტომას სტირნს ელიოტი ფიქრობს, რომ სიყვარული იქ კი არ არის, როცა ორი ერთმანეთს უყურებს, არამედ როცა ორი მესამეს უყურებსო, მესამეში ღმერთი იგულისხმება. მსგავს პოზიციას იზიარებს ნოდარ დუმბაძეც: „სიყვარული თავად არს ღმერთი და თუ სიყვარული ჩვენთან არს, ჩვენთან არს ღმერთი“. სიყვარული ძლიერი ერთგულების და პიროვნული მიმაგრებულობის ემოციაა. ფილოსოფიურ კონტექსტში სიყვარული არის სათნოება, რომელიც სიკეთეს, თანაგრძნობასა და ერთგულებას გულისხმობს.

ქალის, როგორც ცალკე აღებული სტერეოტიპის, თემა, ანუ გენდერული სტერეოტიპის განხილვა, ძალზედ მასშტაბურია. მისი ფუნქციები ამოუწურავია. მოცემულ სტატიაში მიზნად დავისახეთ წარმოგვეჩინა ქალი- დედის კონტექსტში. დედაშვილური სიყვარული ყველა ფორმისგან გამორჩეული, შეუცნობელი, დამაფიქრებელია. ეს ფენომენი არაერთხელ გამხდარა ესთეტიკოსთა მსჯელობის საგანი. ბუნებრივია, არც ქართული მწერლობა დარჩენილა გულგრილი ამ საკითხისადმი. ამ რაკურსში, პირველ ყოვლისა, „ოთარაანთ ქვრივსა“ და „თავსაფრიანი დედაკაცს“ შევხებით.

ერთგული დედისა და მიმტევებელი ცოლის სახე გვხვდება ინგლისელი მწერლის სომერსეტ მოემის „მთვარე და ექსპენსიანში“, საინტერესოა რუსი დედის სახე, რომელსაც ლევ ტოლსტოის „ანა კარენინაში“ ვხვდებით. [1] ამ პერსონაჟებსაც აქვთ საერთო ჩვენ მიერ საანალიზო პერსონაჟებთან, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში ქალის როლის მნიშვნელობა მის დედობაში ყველაზე მკვეთრად ვლინდება, იგი ერთგული და მზრუნველი დედაა, რასაც ილია ჭავჭავაძე და ნიკო ლორთქიფანიძე განსაკუთრებით უსვამენ ხაზს.

რა საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები შეიმჩნევა ოთარაანთ ქვრივისა და თავსაფრიანი დედაკაცის შედარებისას? რით სულდგმულობენ ეს პერსონაჟები? ავტორებმა ისინი შექმნეს კონკრეტულ სახე-ტიპთა გალერიისათვის თუ მათში მოიაზრება დედის, როგორც ფენომენის სახე - სიმბოლო? აი, კითხვათა წყება, რომლებიც აქტუალობას არ კარგავს არც ერთ ეპოქაში, რადგან საუკუნეები თავის მოთხოვნებს აყენებს ქალის, როგორც იდეალის წინაშე.

ამ პერსონაჟებს უამრავი რამ აახლოებს ერთმანეთთან. ისინი არიან ადამიანები, რომლებიც არც ცოდნით, არც დიდი იდეებით, არც დიდი მასშტაბით არ გამოირჩევიან, ასევე ორივე მწერალი გვიჩვენებს ჩვეულებრივი ადამიანის სულში ჩაბუდებულ დიდ გრძნობებს. ორივე მწერლის მიზანია ცხადყოს, რომ უბრალო ადამიანებიც არიან საინტერესოები, რომ ყოველი „ადამიანი მიკროსამყაროა და თითოეულ მათგანს თავისი ყოფნა-არყოფნის პრობლემა აწვალვებს“. [2] ორივე მწერალმა შესანიშნავად მოახერხა შექმნა, ზოგადად, ქართველი დედის ტრაგედია, საერთოდ უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ავტორები არ გვიმხელენ მათ სახელებს.

აღსანიშნავია პროფ. ლ. მინაშვილის თვალსაზრისი, რომ „ოთარაანთ ქვრივში“ ილია ფაქიზად ანალიზებს არა მარტო ჩვენი ქვეყნის თვალსაზრისით, არამედ საზოგადოდ ნებისმიერი ქვეყნის თვალსაზრისით ერთობ მტკივნეულ პრობლემებს და მისი გადაწყვეტის პერსპექტივასაც ძალიან ფრთხილად, პოეტურ-ფიგურული სურათის სახით წარმოგვიჩენს“ [3]. აღნიშნული, ბუნებრივია, ვრცელდება ოთარაანთ ქვრივზეც, რომელიც „ოცდახუთი წლისა ძლივს იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთი წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ის დღე, ჩაიცვა ლურჯი შალის პერანგი, შავი კაბა, თავზედ შავი მანდილი მოიხვია და აი, ეს ოცი წელიწადია, მხიარული ფერი არ მიჰკარებია ტანზედ. თუმცა, ბევრი მთხოვნელიცა ჰყავდა... უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს მანამ მამინაცვალს დაუსვამს პატარა გიორგის“. სწორედ, რომ ასეთი თავგანწირვის შედეგად გაზრდილი გიორგი შეიქმნა „პატიოსანი, გულწრფელი ადამიანი, რომელიც ყოველთვის სიმართლის და ნამუსის საზომით მიდის. უსამართლობას ვერ ურიგდება და ყველგან ებრძვის მას.“ [4]

ნ. ლორთქიფანიძის პერსონაჟიც ხომ ასეთი იყო „... თავსაფრიდან წულეზამდის.. წინდაც კი შავი... ბევრი ეარშიყებოდა... შორიდან მაჭანკლებიც გაუგზავნეს როგორ ვუმტყუნებო ობლებს“. [5]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ „ორმოცი-ორმოცდაათი წლის ოთარაანთ ქვრივი სქესჩამქრალი და ამიტომაც, ნაადრევად დაბერებული ადამიანია... ქვრივი ცხოვრებისგან დაბეჩავებული, ქალობაგამოცლილი, ტრაგიკული ადამიანია“, უფრო მეტიც, „მას ქალურობის არეალი გაუქრა და ამიტომაც იძულებულია, „მამაკაცად იქცეს“ [6]

ეპოქათა ცვალებადობა ბუნებრივად იწვევს გარკვეულ ზნეობრივ თუ მორალურ ფასეულობათა გადაფასებას, თანამედროვეობის წიაღში ზოგიერთი მოვლენა თუ ფაქტი განსხვავებული რაკურსით აღიქმება, თუმცა, როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს მწერლის, როგორც შემოქმედის, კრედი და მისი მორალურ-ესთეტიკურ სახეთა სისტემა. ვფქრობთ, მეტი სიფაქიზე, ფაქტების სიუხვე და არგუმენტირებულობაა საჭირო, როდესაც ისეთ სათუთ საკითხს ვეხებით, როგორც დედაშვილური სიყვარულის თემა.

„ოთარაანთ ქვრივში“ ილიას მიერ წამოჭრილ უამრავ საკითხს, კრიტიკოსმა ვ. აბაშიძემ მიაქცია ყურადღება. მკვლევარი მრავალმხრივ ანალიზებს ნაწარმოებში წამოჭრილ პრობლემებს და შენიშნავს, რომ ნაწარმოებში ხაზგასასმელია ადამიანთა გაუცხოებისა და „მარტოობის ასპექტი, რაც სოსია მეწისქვილის ტრაგედიის სახითაც იჩენს თავს, თუ ოთარაანთ ქვრივის, ვითარცა დედის, ტრაგედიის სახითაც.“ [7] ამ მეტად მტკივნეულ თემებს პროფ. ავ. ბაქრაძე ახალი ესთეტიკური საზომებით უდგება და უდაოდ საყურადღებო დასკვნებსაც გვთავაზობს; „ოთარაანთ ქვრივში“ დღევანდელი ტერმინებით, რომ ვთქვათ, უკონტაქტობისა და გაუცხოების პრობლემა... დედა-შვილის გამთიშავ ძალად ფსიქო-ბიოლოგიური ფაქტორი გვევლინება... გაუცხოებას თურმე მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად. ზოგჯერ ეს საფუძველი კლასობრივი სხვაობაა, ზოგჯერ ადამიანური თვისება, ზოგჯერ სიყვარული და ზოგჯერ კიდევ, ვინ იცის რა გამოდის, რომ გაუცხოება ადამიანის არსებობის თვისება ყოფილა“. [8]

ოთარაანთ ქვრივის, როგორც დედის და აღმზრდელის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ არც სხვამ და არც თვით გიორგიმ არ იცის, რომ ქვრივი მზად იყო მტლად დასდებოდა თავის პირმშოს „შენი ვარ შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასო“. იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდან მომავალს დაინახავდა. უცნაურობანი, რაც ახასიათებდა ქვრივს, მადლისა და გულმორწყალების დამალვა, ძალზედ საინტერესოდ აქვს გაანალიზებული მ. ნინიძეს, მისი აზრით, „ოთარაანთ ქვრივი უფლის მცნებისაებრ, შეგნებულად მალავს თავის მადლს, გულმორწყალებას და მლოცველობას“ [9] მსოფლიო მწერლობას არ მოეპოვება დედის შვილისადმი სიყვარულის, თავგანწირვის, ღრმა მწუხარების გამოხატვის ფაქტი, სადაც დედა საკუთარ სიცოცხლეს ასე ტრაგიკულად ასრულებს შვილის საფლავთან... „გიორგის დაბადების დღეს ოცდახუთ დეკემბერს, სასაფლაოზე იპოვეს ოთარაანთ ქვრივი, რომელიც შვილის საფლავზე გარდი-გარდმო გადაწოლილიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქოს სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაიკრასო.“ [10]

ოთარაანთ ქვრივის ერთადერთი შვილის, გიორგისადმი, დღემდე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში „დაივიწყა თავისი მოვალეობა“, „ვერ გაიგო დედის“, ჰქონდა „ამპარტავნული“ და სხვათა განკითხვის მოყვარული ბუნება, იყო „დაბეჩავებული“ და .ა.შ [11]

ამ ბრალდებათა რეაბილიტაციად შეიძლება მივიჩნიოთ მ. ნინიძის ნაშრომი, სადაც ავტორი არგუმენტირებულად ასაბუთებს აღნიშნულ მოსაზრებათა სიმცდარეს. დეტალურადაა განხილული თითოეული ეპიზოდი ტექსტიდან, რაც ავტორს საშუალებას აძლევს მკვეთრად წარმოაჩინოს თუ რაოდენ დიდ პატივს სცემს გიორგი დედას და მათ დედაშვილურ ურთიერთობაში არ არსებობს რაიმე ჩრდილიც კი. გიორგისთვის ოთარაანთ ქვრივი არა მხოლოდ დედაა, არამედ „ის ბურჯია, რომელიც აძლევს მას

მალას, მუდამ წინ იხედებოდეს“ [12] სიმბოლოურ-ალეგორიულ ჭრილში მიმოიხილავს ნაწარმოებიდან ფაქტებს ავტორი და თვლის, რომ წმინდა გიორგის მოღვაწეობისა და ცხოვრების მომენტებითაა გაჯერებული ნაწარმოები. სამართლიანად მიგვაჩნია მკვლევრის დასკვნაც: ილი ჭავჭავაძე „პირველ ყოვლისა გვიხატავს დედის სახეს, რომელიც მიაწვდის ყრმას „თავის ძუძუს მადლით ცხებულსა“ და საზრდოდ იხმარს „ქრისტეს მცნებას“. იმისთვის კი, რომ შვილმა ივარგოს, ჯერ მშობელებმა უნდა აღასრულონ თავიანთი ვალი. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო „ოთარაანთ ქერივში“ ყურადღების ცენტრმა ქერივის სახეზე გადაინაცვლა, ეს აირეკლა სათაურშიც. მიუხედავად ამისა, გიორგის მნიშვნელობა ოდნავაც არ შემცირებულა. იგი წარმოჩინდა არაჩვეულებრივ პიროვნებად, რომელსაც ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება სულისა“. ეს ახალგაზრდა ჭაბუკი არის არამარტო საკუთარი თავის, არამედ თავისი დედ-მამის ცხოვრების გამართლებაც ოთარაშვილების ოჯახის გულსავსე ნაყოფი და ნათელი გვირგვინი. [13]

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერივის“ შემდეგ თითქოსდა წარმოუდგენელი იყო ქართველი მკითხველის ყურადღების მიპყრობა დედის სახისადმი. მაგრამ გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ მოთხრობაში „თავსაფრიანი დედაკაცი“ შეძლო სულ რამდენიმე გვერდზე საოცარი სიცხადით გადმოეცა თავისი გმირის ცხოვრება.

სამეცნიერო ლიტერატურაში „თავსაფრიანი დედაკაცის“ შესახებ არაერთაგვაროვანი შეხედულებები არსებობს, თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილი ავითარებს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ეს პერსონაჟი თავმდაბალია, გაზარდა შვილები, ასწავლა, დააოჯახა. ცხოვრებისგან დაცლილმა, უკვე მოხუცებულმა, მაგრამ სულით ამაყმა ქალმა თვით შვილებისგანაც ვერ მოითმინა დამამცირებელი სიტყვა და წავიდა. დიდი სულიერი ტკივილით მიატოვა ოჯახი, რომელსაც შეაღია მთელი თავისი ცხოვრება. ადამიანის ფსიქოლოგიის შესანიშნავმა მცოდნემ, ნ. ლორთქიფანიძემ, თავსაფრიანის ტრაგიკული ცხოვრების დახატვით გვიჩვენა ზნეობისა და უზნეობის დაპირისპირების შესანიშნავი ნიმუში, რითაც უფრო თვალსაჩინო გახადა უზნეობის ჭაობში ჩაფლული ადამიანის სახე.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი კი თავსაფრიან დედაკაცს „განუხორციელებელ, ... არასრულყოფილ“ ქალად მიიჩნევენ და მისი მსგავსი ადამიანები დღევანდელ სულიერ სივრცეში სრულიად ზედმეტად მიაჩნიათ. თავსაფრიანის თავზე დატეხილი ტრაგედია კი „შვილების ბრალი კი არა, დედის ბრალია“... მათი აზრით,“ ამიტომაც არ ცდილობს თავსაფრიანი დედაკაცი შვილების დამოდღვრას, მორალის წაკითხვას, ამიტომ უგზავნის ნამათხოვარი ფულით დეპეშას და საბოლოოდ უცოდველი ტყუილით ემშვიდობება მათ“ კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ საჭიროა შვილი გაზარდო პიროვნებად, მეგობრად... მეგობრები კი ერთმანეთს არასოდეს ტოვებენ მარტოობაში...

ერთი შეხედვით, ამ მოსაზრებებში არის რაღაც სიმართლის მარცვალი, რაც დაგვაფიქრებს? მისაღებია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თავსაფრიანმა დედაკაცმა ვერ გაზარდა შვილები? რომ მის მიერ არჩეული აღზრდის მეთოდი არ იყო სწორი? ალბათ, ყველაზე მართებული იქნებოდა შეგვეხსენებინა ამ ავტორისთვის რომ, „მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“, ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ კლასიკოსის ზემოთ მოტანილი სიტყვები მიგვაჩნია პასუხად იმ უამრავ ურთიერთგამომრიცხავ თვალსაზრისებზე, რასაც ვხვდებით სტატიაში.

ნაწარმოების ავტორს, ნ. ლორთქიფანიძეს, თავსაფრიანი დედაკაცი დიდებულ ადამიანად მიაჩნია და იქვე დასძენს, რომ „დიდებული ადამიანები უმეგლოდ არ იკარგებიან“.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დროთა მდინარეზე გარკვეულ შეხედულებათა გადაფასებასა და სტერეოტიპთა მსხვერველსაც იწვევს. თანამედროვე ეპოქა ახალი გამოწვევების პირისპირ აყენებს ადამიანს, გაუცხოების თემა კი სულ უფრო აქტუალური ხდება საზოგადოებისთვის, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ პერსონაჟებს დრომ ვერაფერი დააკლო, ასევე ვფიქრობთ, რომ ყველა დროისა და ეპოქის ადამიანთათვის საინტერესო, აქტუალური თემები წარმოგვიჩინეს ილია ჭავჭავაძემ და ნიკო ლორთქიფანიძემ, დაგვაფიქრეს უამრავ ტკივილიან საკითხებზე და განსაკუთრებით დედაშვილური სიყვარულის რთულ, მრავალწახნაგოვან, საპასუხისმგებლო და სათუთ ბუნებაზე.

#### ლიტერატურა:

- 1) ქ. სვანიძე, მ. ბოლქვაძე, ჟ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, 2003, №9. გვ 10-15
- 2) თ. ვერულავა, „სიყვარულის ფილოსოფია“ – [www.burusi.wordpress.com](http://www.burusi.wordpress.com)
- 3) ლ. მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1995, გვ. 357
- 4) შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, წიგნი №1, 1952, გვ. 314
- 5) ნიკო ლორთქიფანიძე, „თავსაფრიანი დედაკაცი“ – [www.lib.ge](http://www.lib.ge)
- 6) ლ. კოდალაშვილი, „ლიტერატურული ფარისევლობანი“ – [demo.ge](http://demo.ge)
- 7) ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. №2, თბ., 2005, გვ. 107
- 8) ა. ბაქრაძე, „ილია ჭავჭავაძე“ – ქრესტომათიული კრიტიკა მე-19 საუკუნე, ნაწ.2, თბ., 2004, გვ. 154

- 9) მ. ნინიძე, „გული და ესთეტიკა“ - ლიტერატურული ძიებაზანი - 2005, №26 (ნაწ. 1), [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
- 10) ი. ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“ - [www.lib.ge](http://www.lib.ge)
- 11) ნ. კვანტალიანი, „ფიქრები ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივზე“, ჟ. „ბურჯი ეროვნებისა“ 1999, გვ. 16-19.
- 12) მ. ნინიძე, „გული და ესთეტიკა“ - ლიტერატურული ძიებაზანი - 2005, №26 (ნაწ. 1) [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
- 13) მ. ნინიძე, „რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა... გიორგი...“ ლიტერატურული ძიებაზანი, 2002. №22, [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)

## FOR THE DEFINITION OF WOMAN PARADIGM

**Nino Mindiashvili**, Sokhumi State University/David Aghmashenebeli University of Georgia,  
Associate Professor

**Nana Arakhamia**, Sokhumi State University, Assistant Professor

### RESUME

In this article we tried to perform woman in mothers context. This phenomenon has become the subject of discussion for Aesthetics. Naturally, neither Georgian writing remains indifferent to this issue. Accordingly, in this paper we discussed works of Iliia Chavchavadze – “Otarant widow” - and Niko Lortkipanidze – “Woman With kerchief”. The article cites the literary criticism of the diverse, sometimes conflicting opinions about the topic analyzed. There is displayed dynamic of discussion. The fact is that, over the times flaw the view about the issue transformed and it fractured the stereotypes. Modern era faces human to new challenges. Nevertheless, we believe that time did not harm the characters.

## ევროპა და ევროპელები პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში

მარიამ მირესაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

როგორც ცნობილია, ნაციონალური/ეთნიკური სტერეოტიპები, წარმოადგენენ კრებსით სახეებს, რომლებიც წარმოაჩენენ ამა თუ იმ ერის ეთნიკურ და კულტურულ თავისებურებებს, ნაციონალური ფსიქოლოგიის სპეციფიკასა და ორივე ერის ტრადიციას - ერთი მხრივ, იმისა, ვინც სტერეოტიპული შეფასების ობიექტს წარმოადგენს და, მეორე მხრივ კი იმისა, ვინც ეს სტერეოტიპი შექმნა და დაამკვიდრა. დისკურსული ბუნებიდან გამომდინარე, ნაციონალური სტერეოტიპი დამკვიდრებისა და გავრცელებისთვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგს მხატვრულ ლიტერატურაში პოულობს, რომელშიც ფიქსირდება ამა თუ იმ ერის იმაგოლოგიური შეხედულებები, მისი ნაციონალური შეგნებისთვის დამახასიათებელი ეთნოსტერეოტიპები, ანუ, შემფასებლური ხასიათის წარმოდგენები სხვა ხალხებსა და კულტურებზე. ეთნოსტერეოტიპი მოიცავს შეფასებათა ვრცელ შკალას - პოზიტიურიდან და უკიდურესად ნეგატიურამდე - და დამოკიდებულია აღმქმელი ერის ისტორიულ მესხიერებაზე, ხალხებსა და ქვეყნებს შორის არსებულ პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე (Stereotypes and Nations, 1995, 15-54). წინამდებარე სტატიის მიზანია რამდენიმე მოდალური კონსტრუქტის წარმოჩენა ზოგადად, *ევროპელების/უცხოს* ნაციონალური სტერეოტიპისა ქართულ ლიტერატურაში. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ შევარჩიეთ ნუგზარ შატაიძისა და ლაშა ბუღაძის ნაწარმოებები, რომლებიც პოსტკოლონიურ პერიოდს მიემართება. მხატვრული ტექსტების შერჩევისას ვიხელმძღვანელებთ ერთადერთი პრინციპით - მასში პერსონაჟის სახით ევროპელის/უცხოს ეთნოტიპისა და მასთან მიმართებით არსებული ცხოვრებისეული/ყოფითი სიტუაციების, შედარებების, ანალოგიებისა და ანტითეზის („ქართველი-ევროპელი“, „ქართველი-სხვა“), ასევე, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული ნებისმიერი რემინისცენციისა და მოტივის არსებობა. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ შერჩეული მასალის ყოვლისმომცველობასთან მიმართებით არანაირი პრეტენზია არ გავგაჩნია.

ზემოაღნიშნული მწერლების მოთხრობები, პირობითად, *სამოგზაურო ჟანრის* ლიტერატურას მიემათება. შევნიშნავთ, რომ მხატვრული იმაგოლოგიის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა განმანათლებლობის ეპოქამ, რომელმაც ხელი შეუწყო სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურის

პოპულარიზაციას. არსებითად, ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნით ადრე, ერთი განიხილებოდა როგორც კულტურული, ეთნიკური და ანთროპოლოგიური მოცემულობა, რომელსაც თვითმყოფადი ნაციონალური ხასიათი და ქცევის კულტურა გააჩნდა. ქართულ სინამდვილეში სამოგზაურო ჟანრის პირველ ნაწარმოებად მიჩნეულია სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“. იმ დროიდან მოყოლებული დაკარგული ევროპული იდენტობის დაბრუნებისა და ევროპული ღირებულებების გათავისების საკითხი პერიოდულად იჩენდა თავს ქართულ ლიტერატურაში; განსაკუთრებით აქტუალური იგი საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ გახდა. როგორია ქართველი მწერლების თვალთ დახახული ევროპული ღირებულებები პოსტსოლონიურ ქართულ ლიტერატურაში? ცხადია, სსრკ-ს დაშლის შემდგომ, 1990-იანი წლებიდან ევროპასა და ევროპელებთან ქართველების კონტაქტი უფრო ინტენსიური გახდა, რაც შესაბამისად, აისახა სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურაში, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ტურისტული მიზნით მოგზაურობას, არამედ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ისეთ პოპულარულ „საქმიან“ ვიზიტებსაც, როგორცაა, მაგალითად, გერმანიიდან ნახმარი ავტომანქანების ჩამოყვანა. ცნობილი ბელეტრისტის, *ნუგზარ შატაიძის* ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში - *„კაპიკი გაკაპიკებულა, ანუ, მოგზაურობა ევროპაში“* (2004წ.) - სწორედ ამგვარი მოგზაურობის პერიპეტეხებია აღწერილი; თუ როგორ „წაშავჭირდა“ ერთ პაპანაქება აგვისტოში ოჯახისგან შეგულიანებული მწერალი ევროპაში - „წადი, თვალს წყალი დააღვივინე, სამოცი წლისა ხდები, ეგეთი შემთხვევა როდისღა მოგეცემაო...“ - (შატაიძე 2004, 1) და როგორ იმოგზაურა დიუსელდორფიდან საქართველომდე მეგობრებთან - კოტე ჯანდიერსა და ელგუჯა ბერიშვილთან ერთად, ამ უკანასკნელის მიერ გერმანიაში შემენილი შინდისფერი BMW-თი. მოთხრობა თვითირონიითა და იუმორით არის გაჯერებული; ალბათ, ეს გრძნობა ეხმარებოდა ქართველ მოგზაურებს, ერთად გამოეცლოთ მთელი გერმანია, მთიანი ავსტრიის ნაწილი, ჩრდილო იტალია, საბერძნეთი და თურქეთი - სულ, 6000 კილომეტრამდე. სწორედ ამ მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებსა და რემინისცენციებზეა აგებული ნუგზარ შატაიძის აღნიშნული მოთხრობა.

მწერლის პირველი შთაბეჭდილება თვითმფრინავის ილუმინატორიდან დანახულ ევროპას უკავშირდება; წყვილიდან ჩაფლული საქართველოსა და უკრაინის გახრიოკებული ტრამალების შემდეგ „...ისეთი მოვლილ-დაწვრილებული ქვეყანა გამოჩნდა“, რომ ავტორმა სიხარულისგან ტაშიც შემოჰკრა. მწერლის მომდევნო შთაბეჭდილებებიც ევროპელთა მოწესრიგებულობას, სისუფთავეს, თავაზიანობასა და მაღალ მოქალაქეობრივ თვითშეგნებას უკავშირდება, რაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე მუდგანდება - დაწყებული აეროპორტიდან ვიდრე ბენზინგასამართ სადგურებზე არსებული მოსასვენებელი-სავაჭრო ობიექტების ჩათვლით (ამ უკანასკნელს ავტორმა „ფუნდუკები“ შეარქვა). ადამიანური სითბოთი და „თეთრი შურით“ არის გაჯერებული მწერლის შეხვედრები ინსბრუკის გზაზე სოფლის მაცხოვრებლებთან; ავსტრიელთა ხაზგასმული თავაზიანობა, უცნობების დანახვისთანავე დასმული შეკითხვა, ხომ არაფერი უჭირთ, მასპინძლობის შეთავაზება - დადებითი ემოციებით აღავსებს ავტორს, მით უფრო, როდესაც საკუთარ მოუწესრიგებელ, მოუვლელ, სამოქალაქო ომებისგან გაპარტახებულ ქვეყანასთან ავლებს პარალელს.

ავტორის იტალიური შთაბეჭდილებები, ძირითადად, ვერონასა და ვენეციას უკავშირდება. ვერონაში ქართველ მოგზაურებს აღიზიანებთ „ხალხით გამეძგილი“ ვია პალაცო; სწორედ აქ მდებარეობს კაპულეტების აივნისანი სასახლე, რომლის ეზოში ჯულიეტას ბრინჯაოს ქანდაკებაა განთავსებული. ტურისტებს ლამის, წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნიათ ჯულიეტას აივანზე სურათის გადაღება (ძირითადად, ქალებს); ხოლო რაც შეეხებათ კაცებს, „...კაცსაც ხომ უნდა სამახსოვრო ფოტო, ამისათვის თურმე ჯულიეტას ქანდაკებას მარჯვნიდან უნდა ამოუდგეს, ხელი მარჯვენა ძუძუზე წაავლოს და იმ ფოტოგრაფის სამფეხაზე შემდგარი აპარატიდანაც მაშინვე „ჩიტი გამოფრინდება“... ზიზღმორეულებმა დავტოვეთ ის ეზო, რომელიც თავიდან სიყვარულის მექა გვეგონა“ (შატაიძე 2004, 11). იმავე საღამოს, ტეკილას ლიტრიანი ბოთლის დაცლის შემდეგ, ქართველი მოგზაურების მიერ ვერონას მიმართ გამოტანილი განაჩენი საკმაოდ მკაცრად ჟღერს: ვერონა უნდა დაინგრეს!

მწერალი არ მალავს, რომ ქართველი მოგზაურები, მატერიალური თვალსაზრისით, საკმაოდ შეჭირვებულები არიან: მანქანაში კონდიციონერი არ არის დამონტაჟებული, ამდენად, მთელი დღის განმავლობაში სიცხისგან გათანგულებს უწევთ ყოფნა; ემბენ იაფფასიან სასტუმროებს ან კემპინგში, კარავში სძინავთ; თითქმის მთელი გზის მანძილზე ინსბრუკიდან წამოღებული სურსათით იკვებებიან, რადგან რესტორნებში და კაფეებში კვება ძვირი უჯდებათ... ვფიქრობ, ამგვარ პირობებში მოგზაურობისას აღქმული უცხო გარემო და მიღებული შთაბეჭდილებები, ძალზედ სუბიექტური, მარგინალიზებულიც კი არის. სწორედ ეს აზრი, იჩენს თავს, როდესაც შატაიძის თვალთ დანახულ ვენეციას ეცნობი: „...ვენეციაში გებულობ, რომ სიკვდილს შმორის სუნი ჰქონია. სწორედ ეს სუნი უდის ერთი შეხედვით მიტოვებულ, დანესტიანებულ სახლებს, თანამედროვე რესტორნებსა და სასტუმროებს. ამ სუნით არის აქოთებული მისი ქუჩები, მოედნები და დამპალი წყლით სავსე არხები. ვენეცია ქალაქი არ არი. ის

მომაკვდავი დინოზავრია, რომელსაც ოდნავდა უცემს გული და მისი გამომშალი ფილტვებიდან სუსტი სტვენა და ხიხინი ისმის“ (შატაიძე 2004, 14). არა მგონია, საჭირო იყოს იმ ათეულობით მწერლის ჩამოთვლა (საკმაოდ შთამბეჭდავი სია გამოვა!), რომელთათვის სხვადასხვა დროს ვენეცია აღფრთოვანებისა და შთაგონების წყარო გამხდარა. ალბათ, მოთხრობის გმირებიც უფრო კეთილგანწყობით აღიქვამდნენ ვერონისა და ვენეციის არქიტექტურულ ანსამბლებსა თუ სხვა ღირსშესანიშნაობებს, სიცხეს რომ არ შეეწუხებინა მგზავრობისას, ლუდზე და ყავაზე დახარჯული კაპიკები რომ არ ეთვალათ და ღამდამობით კომფორტულად მოესვენათ სასტუმროებში. ვფიქრობ, მათ არც „მარკეტინგული ხრიკები“ გააღიზიანებდათ, რომელიც სწორედ ტურისტებზეა გათვლილი და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს (მაგ., მინიმუმ ასევეროიანი ბილეთები ფრანკო ძეფირელის მიერ დადგმულ ვერდის „აიდაზე“, ევროპული ღვინოების ფასი, წმინდა მარკოზის მოედანზე გასაყიდად გამოტანილი მტრედების დასაპურებელი საკენკი და სხვ.).

ქართველი მოგზაურების შემდგომი შთაბეჭდილებები ტრიესტედან პატრამდე ზორნით მოგზაურობას უკავშირდება, რომლის დროს მწერლის თვალთახედვის არეალში ბერძნები მოექცევიან. მოთხრობის ერთ-ერთ ეპიზოდში, ქართველები (კერძოდ, კოტე ჯანდიერი) დროის მოკვლის მიზნით, ბერძნებს ნარდის თამაშს სთავაზობენ: „...ჯანდიერი მონარდეებმა პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს, ისე ამაყად და ამპარტავნულად ახედ-დახედეს, თითქოს ჩვეულებრივი ბერძნები კი არა, ოლიმპოს ღმერთები ყოფილიყვნენ... მონარდეები თამაშს აგრძელებდნენ და თან ძალიან კმაყოფილი სახით გვიყურებდნენ, ამკარად ტკებოდნენ, რომ გემზე ერთადერთი ნარდი იყო და ისიც თვითონ ჩაეგდოთ ხელში“. სალონიკში ჩასული ავტორი ყოფითი სცენის აღწერისას (ქუჩაში მიმავალი ცოლ-ქმარი) კვლავ იმეორებს, რომ „...სიამაყე და ამპარტავნობა ზოგადბერძნული თვისება ყოფილა...ბერძნის კაცი... ცხოვრების ამაობისაგან გაბეზრებული ადამიანის იერთი მოაბიჯებს, და ისეთი სახე აქვს, მთელი ელინური კულტურა მისი შექმნილი გეგონება“ (შატაიძე 2004, 18). ქვევის კულტურის განსხვავებული ნორმების („ჩემი/სხვა“) ხაზგასასმელად ავტორი რიტორიკულ შეკითხვას სვამს: „ქართველი ამას როგორ იზამდა - თამაში გნებავს? მოზრძანდი, ჩემო ბატონო, აგერ დაბრძანდი და გააგორე!“; თუმცა აქვე შენიშნავს, რომ ქართველები ამ თვისებამ ბევრჯერაც დაგვაზარალა. ზოგადად, საბერძნეთის მოვლილი საკურორტო ქალაქების (სალონიკის, ალექსანდრეპოლის) ხილვისას ქართველ მოგზაურებს სევდა ეძალევათ, რადგან უნებლიეთ, პარალელს ავლებენ გურიისა და აჭარის დანაგვიანებულ სანაპიროებსა და გამარცვულ-გაპარტახებულ დასასვენებელ სახლებთან.

როგორც ცნობილია, მოგზაურობისას, უცხო კულტურასთან, ადამიანებთან შეხვედრისას ყალიბდება მათდამი დამოკიდებულების თავისებურებანი. ცნებები - „უცხო“, „სხვა“, „არა ჩვენი“ - უკავშირდება გარკვეული კულტურის მატარებლებს, რომლებთანაც კონტაქტი ღირებულია (ან არ არის ღირებული) რეციპიენტისთვის. საყურადღებოა ნუგზარ შატაიძის დამოკიდებულება სხვა ტრადიციის, რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანებისადმი. დასამახსოვრებელია სტამბოლში, სულთან აჰმედის მეჩეთში აღწერილი ნამაზის სცენა, რომელსაც მამა-შვილი ასრულებენ. ნამაზის დასრულების შემდეგ მამა ბიჭს ნებას აძლევს, მეჩეთი დატოვოს, თვითონ კი რჩება და გულმხურვალედ ლოცულობს; „...ვუყურებდა და მის მიმართ გულწრფელი პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობით ვიმსჯვალეობდი - ამ კაცს მხურვალედ სწამდა ღმერთი, უნდოდა, საკუთარი ვაჟიც პატიოსან, ღვთისმომშიმ ადამიანად გაეზარდა და რა ჩემი საქმე იყო, რომელ აღმსარებლობას ეკუთვნოდა, რელიგიის რომელ მიმდინარეობას აღიარებდა“ (შატაიძე 2004, 21). დასასრულს, საქართველოსკენ მომავალ გზაზე, მწერლის თვალს არც ის გამოპარვია, რომ „...ამკარა იყო, თურქეთს ფართოდ გაეღო კარი ევროპული კულტურისა და შრომის თანამედროვე ტექნოლოგიებისათვის, აყვავების გზაზე დამდგარიყო და თანდათანობით ცივილიზებულ ქვეყანას ემსგავსებოდა“ (შატაიძე 2004, 25). ეს სიტყვები მკითხველს რემინისცენციულად ილიასთან გადაამისამართებს: „მამულო, საყვარელო, შენ როსდა აყვავდები?!“

ასე გამოიყურება ევროპა და ევროპული ღირებულებები ნუგზარ შატაიძის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერალს მოგზაურობამ სამოქალაქო ომისშემდგომ წლებში მოუწია, ამდენად ქვეყნის ჯერ კიდევ მოუშუშებელი იარები (ჩაბნელებული საქართველო, გადამწვარი თბილისი, გაპარტახებული გზები, გაუბედურებული და გაღიზიანებული ხალხი, ჩოლოქის საბაჟოს ოფიციალური რეკეტი...) საოცარ კონტრასტშია „საათივით აწყობილ“ ევროპულ ქვეყნებთან (სისუფთავე, მოწესრიგებული გზები, კომფორტული კემპინგები, ევროპელთა კეთილმოსურნეობა, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება...). მწერალი ერთგან აღნიშნავს: „სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ ტრაგიკული და გულუბრყვილო წიგნია, რომელიც დატაკი ქვეყნის ევროპული ფუფუნებით მოხიბლულ ელჩს დაუწერია“ (შატაიძე 2004,15). ორიგინალური არ ვიქნები, თუ იმავეს გავიმეორებ: მოთხრობაში წარმოდგენილია დატაკი, გაპარტახებული ქვეყნის მოგზაურების თვალთ დანახული ევროპა (აღარ გავმეორდებით ქართველი ტურისტების მწირ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან და დისკომფორტის შემქმნელ სხვა ფაქტორებთან დაკავშირებით). შევნიშნავთ, ეს მოგზაურობა ათიოდე

წლის შემდეგ რომ შემდგარიყო, ალბათ, ასეთი კონტრასტული სურათები ნაკლებად დაფიქსირდებოდა. ცხადია, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოსა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებს შორის სხვაობა აღარ არსებობს; რა თქმა უნდა, კონტრასტი დღესაც დიდია, თუმცა, დღევანდელი გადასახედიდანაც კი, მწერლის ემოციების სიმძაფრე ზოგჯერ გადამეტებულად შეიძლება მოეჩვენოს ახალგაზრდებს, რომელთაც 1990-იანი წლები არ უნახავთ ან არ ახსოვთ.

**ლაშა ბულაძე** არაერთი ესეს, მოთხრობის, რომანისა თუ პიესის ავტორია. ჩვენ შევჩერდებით რომანზე „**ლიტერატურული ექსპრესი**“ (2009 წ.), რომელიც, ასევე სამოგზაურო ჟანრს მიემართება. სიუჟეტის თანახმად, Literatur-express - ექსპერიმენტული მატარებელია, რომელშიც თავი მოუყრია სხვადასხვა ქვეყნის ას მწერალს. პროექტის მონაწილეებმა ერთი თვის განმავლობაში უნდა იმოგზაურონ ევროპის შვიდ ქვეყანაში; მოგზაურობა იწყება ლისაბონიდან და სრულდება ბერლინში. პროექტის ორგანიზატორების ჩანაფიქრით, ლიტერატურული ექსპრესით მოგზაურობისას ევროპის სხვადასხვა ქალაქების ნახვა, ახალი შთაბეჭდილებები და კონტაქტები კოლეგებთან, მწერლებისთვის შემოქმედებითი შთაგონების წყაროდ უნდა იქცეს. მართლაც, ერთთვიანი მოგზაურობა ზოგს ახალი ნაწარმოების შექმნის იმპულსს აძლევს, ზოგს - უკვე დაწერილი ნაწარმოებების პოპულარიზაციის საშუალებას. რაც შეეხება რომანის მთავარ გმირს, მისთვის ეს პერიოდი ორი ნიშნით წარიმართა: ერთი მხრივ, სასიყვარულო გატაცებით მოგზაურობისას გაცნობილი ბერძენი ქალის, ჰელენას მიმართ და, მეორე მხრივ, თავისი წარსული ცხოვრების გადაფასებით (მშობლებთან ურთიერთობა, ლიტერატურული საქმიანობა, 2008 წლის აგვისტოს ომი, ყოფილ ცოლთან, - რომელიც ბედის ირონიით ელენეა, განშორება და ა.შ.).

რომანში ნარატორად მთავარი გმირი, ოცდარვა წლის პროზაიკოსი ზაზა გვევლინება; მისი ჩანაწერებით ვეცნობით ექსტრავაგანტური ლიტერატურული ექსპრესის მოგზაურობის თანამდევ პერიპეტეებს. ერთ-ერთ ინტერვიუში ლაშა ბულაძე აღნიშნავს: “მე თვითონ ვიყავი აკა მორჩილაძესთან და ლაშა ბაქრაძესთან ერთად ასეთი ტიპის სემინარზე. ისიც მოძრავი სემინარი იყო, და ჩვენც, ისევე, როგორც ჩემი წიგნის პერსონაჟებმა, მატარებლით შემოვიარეთ ნახევარი ევროპა, თუმცა, ცხადია, ეს რომანი ჩვენზე არ არის, არამედ უბრალოდ ფაბულად გამოვიყენე” (ხარბედია 2015) რომანში ე.წ. „ჩარჩოს“ ხერხია გამოყენებული; ანუ, ძირითად ფაბულურ თხრობაში ჩართულია ლიტერატურული სემინარის მონაწილეთა პირადი წერილები, დღიურების ჩანაწერები ან, სულაც, ჩანახატები, რომლებიც მათ მშობლიურ ენებზე - ფრანგულად, გერმანულად, ლიტვურად, ბერძნულად, ჩეხურად, რუსულად.... - არის დაწერილი (რომანის ამ ჩანართებს ახლავს ქართული თარგმანიც). აღნიშნულ ჩანართებში ლიტერატურული ექსპრესის მონაწილენი უკიდურესად გულწრფელები არიან და სწორედ ამ პასაჟებში ჩანს არა *განსხვავებულობა*, არამედ *საერთო*, რაც სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს აერთიანებთ: ეს არის მწერლური პრეტენზია და ამბიცია, რომელიც შემოქმედთა საერთო „ავადმყოფობას“ - ლიტერატურულ ვირუსს უკავშირდება. ნარატორის დაკვირვებით, სწორედ ეს არის *საერთო*, რაც, სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს აერთიანებთ.

რაც შეეხება *განსხვავებებს*, როგორც ცნობილია, ინდივიდთა ჯგუფის წარმოდგენის ფორმირება ზოგადად, ადამიანზე, ხდება საკუთარ ეთნოსზე არსებული შეხედულებების საფუძველზე; ანუ, საკუთარი ეთნოსისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები მიჩნეულია *ნორმად*, ხოლო სხვა ეთნოსისთვის დამახასიათებელი - აქმულია, როგორც სტანდარტიდან გადახვევა. აღნიშნული სიტუაცია ვრცელდება როგორც ქვეყნის, ისე *მეტყველების თავისებურებებზეც*. ავტორის პირველი ევროპული შთაბეჭდილებაც სწორედ იმ მომენტს უკავშირდება, როდესაც ლისაბონში ჩასულმა ქართველებმა - ზაზამ და ზვიადმა - აეროპორტში ნახევარსაათიანი ძებნის შემდეგ გააცნობიერეს, რომ მათ ის ყმაწვილი ხვდებოდა, რომელსაც წარწერა ეკავა: „Mr. Xaxa, Mr. Jviadh, Welcome to Lisboa!“ („მისტერ ქსაქსა, მისტერ ჟვიად, მოგესალმებით ლისაბონში!“) სწორედ ამან აფიქრებინა ქართველებს, რომ პორტუგალიელებს ანბანში ასო „ზ“ არ ჰქონდათ. თუმცა, შემდგომში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ზაზას აღარც ის უკვირდა, რომ „მისტერ ცაცათი“ მიმართავდნენ. ასევე, პირველსავე დღეებში აფიქსირებს ავტორი ლიტ-ექსპრესის მოდერატორის, გერმანელი ირმელის „ბრაზიან ინგლისურს“ („ყეფა-ყეფით მოგვყარა ინფორმაცია“); რუსების „საშინელ აქცენტს“ და ა.შ. სხვა მხრივ, ქართველის თვალთ დასახული ევროპა - ეს არის არაჩვეულებრივად მოწესრიგებული მაგისტრალები (პორტუგალიის „...პრიალა გზატკეცილი, რომელსაც ჩვენი ეთნოკონფლიქტური ავტობუსის ფანჯრებიდან ვხედავდით“); ახალგაზრდების ზედმეტად თავისუფალი ქცევა („მადრიდი... მოედნების და მოკოცნავე წყვილების ქალაქი... საითაც არ გაიხედავდი, ყველგან დიდი ვნებით კოცნაობდნენ“); დახვეწილი არქიტექტურა (პარიზის არქიტექტურა, პერლამუზის სასაფლაოს დახვეწილობა); გერმანელების დისციპლინარულობა და მოწესრიგებულობა და ა.შ. თუმცა, ევროპაში შეიძლება აღმოაჩინო ისიც, რაც არც ერთ ტურისტულ გზამკვლევაში არ არის მითითებული; მაგალითად, ბრიუსელში აღმოჩენილი აღმოსავლური მულტიკულტურული სამყარო; როგორც ავტორი



აღნიშნავს, „...თავი ბრიუსელში კი არა, დამასკოში მეგონა... ადმინისტრატორსაც ცხონებული ისირ არაფატივით ეგვა, ქუჩაზე მხოლოდ ჩადრიანი ქალები მიდი-მოდოდინენ“ (ბულაძე 2009, 128).

და მაინც, ავტორისეული კონცეფციით, სხვადასხვა ქვეყნის მწერლებთან *Literatur-express*-ში გატარებულ ერთ თვეს უქმად არ ჩაუვლია. ყველაზე მთავარი, რაც რომანის გმირმა აღმოაჩინა, არის ის, რომ სხვადასხვა ეროვნების ას მწერალს, *განსხვავებაზე უფრო მეტი, საერთო* აქვთ: უპირველეს ყოვლისა ის, რომ გმირის დასავლელ კოლეგებსაც (გერმანულ ჰაინცსა და რუდის, პორტუგალიელ პაულოს, პოლონელ მაცეკს, ხორვატ დანუტას, ტყავისმარვლიან ესტონელ პოეტს...) იგივე კომპლექსი აწუხებთ, რაც ქართველ მწერლებს. ყველა ავტორს ემინია, რომ მის მიერ დაწერილი წიგნი დაბადებისთანავე სასიკვდილოდ არის განწირული; რომ მის მიერ მოყოლილი ამბები ვერ გასცდება ლოკალურ წრეს, გარკვეულ საზღვრებს; რომ მისი პრობლემები, განცდები, ფიქრები არ დააინტერესებს უცხოელ მკითხველს, ვერ პოვებს მის სულში გამოძახილს; და საერთოდ, რა უნდა მოითხოვო მკითხველისგან, თუკი შენივე კოლეგების, მწერლების მხრიდანაც საკმაოდ ხშირად გრძნობ არაგულწრფელ დამოკიდებულებას, გულგრილობას, სიყალბეს?! ამის დამადასტურებელი კი, თავად ლიტერატურული ექსპრესია - პროექტი პროექტისთვის. რომანის გმირის აზრით, „...ასეთი ტიპის სემინარები მხოლოდ იმისთვის ტარდება, რომ მხოლოდ ჩატარდეს... იმიტომ, რომ ასეთ შეხვედრებზე, ძირითადად, თავს იყრიან მწერლები ... რომლებიც ეძებენ მკითხველს და მკითხველს ვერ პოულობენ, იმიტომ, რომ პოულობენ თავიანთ ტყუპისცალს, რადგან ამ მატარებელში ჰიპოტეტური მკითხველიც კი, მწერალია ... და ეს აბსურდი ზღვარს აღწევს სიტუაციაში, როცა მწერლები მშობლიურ ენაზე უკითხავენ ერთმანეთს ტექსტებს... თითქოსდა, მოდით მოვისმინოთ ამა თუ იმ მწერლის მშობლიური ენა. ეს აბსურდია, რადგან ცხადია, არაფერი არ გესმის... ამ დროს ჩვენ რაღაც რიტუალს ვასრულებთ, ეს არის საკმაოდ დამღლეო რიტუალი და საკმაოდ დამთრგუნველიც, თავისი აბსურდულობიდან გამომდინარე“ (ბულაძე 2009, 264).

რომანში გამოყოფილი რუსი მწერლების - პუშკოვისა და ვარლამოვის - მხატვრულ სახეებს. სიუჟეტის თანახმად, 2008 წლის აგვისტოს ომის გამო, პროექტში ჩართულ ქართველ მწერლებს (ზაზა, ზვიადი, ილიკო) არ აძლევენ მოსკოვში ჩასვლის უფლებას; ამდენად, ისინი იძულებულნი არიან, დარჩნენ მალბორკში და იქ დაელოდონ კოლეგებს, რათა მათთან ერთად დაასრულონ მოგზაურობა ბერლინში. აღნიშნულ ფაქტს რუსი მწერლები აპროტესტებენ; პუშკოვი თავის ევროპელ (და არაევროპელ) კოლეგებს განცხადებას გააცნობს: „რუსეთმა ვიზები არ მისცა ჩვენთან მყოფ ლიტერატორებს... ამ მწერლებს მხოლოდ იმაში მიუძღვით ბრალი, რომ უბრალოდ, ქართველებად დაიბადნენ! ასე ფიქრობს რუსეთის ხელისუფლება. ასე სჯის რუსეთის ხელისუფლება ქართველებს! სინამდვილეში კი ჩვენ ვისჯებით, აპოლიტიკური და ნორმალური რუსები, რუსი ინტელიგენტები, რომელნიც ვგმობთ რუსეთის ხელისუფლების ამგვარ საქციელს, ვგმობთ ომს, ვგმობთ ქართველებზე ვიზების არგაციის პოლიტიკას...“ (ბულაძე 2009, 186).

ზემოთ მოყვანილი პასაჟით მწერალი „ორი რუსეთის“ თემას ააქტიურებს (ერთი ცუდი და ტოტალიტარული, ხოლო მეორე - კარგი და დემოკრატიული), რომელიც ქართულ საზოგადოებაშიც დროდადრო სიმწვავეს იძენს. აღნიშნულთან დაკავშირებით სავსებით გასაზიარებელია პროფ. გიგა ზედანიას მოსაზრება, რომ ეს პრობლემა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ლიტერატურიდან იღებს სათავეს და მის გამოძახილს ვპოულობთ თომას მანის „ჯადოსნურ მთაში“; „...როგორც რომანის მკითხველს ახსოვს, რუსი პერსონაჟები სანატორიუმში ორ სხვადასხვა მაგიდას არიან მიმსხდარნი, „კარგ რუსულ მაგიდას“ და „ცუდ რუსულ მაგიდას“ (ფაიჯესი 2002, 7). ამდენად, „ორი რუსეთი“ კლიშეა, რომელიც, სულ ცოტა, ერთ საუკუნეს ითვლის; თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ იგი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ლ. ბულაძის რომანში რუსი კოლეგის (ანუ პუშკოვის, რომელიც „კარგ რუსეთს“ განასახიერებს) საქციელით მოხიბლული ერთ-ერთი ქართველი მწერალი, ზვიადი „...მზად იყო, იმ წუთას ყველა რუსული ცოდვა დაევიწყებინა... ქართულ ბინებში შემოფრენილი და კარადებში გაჩხერილი ვეშაპისხელა „ისკანდერებით“ დაწყებული და რუსული ტანკების მოლოდინში მყოფი, ათი აგვისტოს ისტერიული თბილისით დამთავრებული“ (ბულაძე 2009, 187). თუმცა, ეიფორიაში მყოფი ქართველი მწერლები მალევე დაუბრუნდნენ რეალობას, როდესაც მათი სამადლობელოებით შეგულიანებულმა მეორე რუსმა კოლეგამ, ვარლამოვმა, „...ჯერ ქართველების უფროსებს აგინა, მერე კი კრემლის პროპაგანდისტული ზღაპრები შეგვახსება: -გიჟები არიან! გიჟები და ნამირლები. ორი ათასი ოსი მოკლეს... ქალები და მოხუცები კი ეკლესიაში შეყარეს და ცოცხლად დაწვეს“ (როგორც ვხედავთ, ვარლამოვი „ცუდ რუსეთს“ განასახიერებს). ქართველების საბოლოო დასკვნას ილიკო ახმოვანებს: „ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, მაგათი ინტელიგენცია კიდევ უფრო მეტად მძულს! ბოლოები ეგენი გირტყამენ დანას!“ (ბულაძე 2009, 188). ზემოთ მოყვანილი პასაჟი ერთგვარ გამოწვევის წარმოადგენს რომანში, რადგან არც ერთი სხვა ეთნიკური წარმომადგენლის მიმართ პროტაგონისტი (და მისი ქართველი კოლეგებიც) თავის უარყოფით დამოკიდებულებას არ აფიქსირებს. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ ქართველი მწერლები „ხბოს აღტაცებით“ აღიქვამენ ევროპასა და ევროპელებს და ყველაფრით მოხიბლულები არიან.

ცხადია, მხატვრულ ლიტერატურაში უცხოელი პერსონაჟის სახის შემქმნელი ავტორია, რომელსაც საკუთარი კონცეფცია, მსოფლმხედველობა გააჩნია. მწერლის მიერ ამა თუ იმ ერის ეთნოსტერეოტიპის შეფასებისას მისი პირადი აზრი დომინირებს, რაც შესაძლოა, გადმოიცეს ნარატორის, უცხოელი პერსონაჟების ან სხვა პერსონაჟების მიერ გამოთქმული მოსაზრებების სახით. ზოგადად, პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში თვალშისაცემია *გაუცხოების პრობლემა*; თუმცა, იგი განსხვავებული ასპექტით იჩენს თავს: ნუგზარ შატაიძის მოთხრობაში ევროპელებთან მენტალურ შეუთავსებლობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმდროინდელი საქართველოს სოციალური რეალობა განსაზღვრავს; რაც შეეხება ლაშა ბულაძეს, ქართველი ავტორი (და მისი პერსონაჟებიც) არ გრძნობენ თავს გაუცხოებულად ევროპულ სინამდვილეში; პრაქტიკულად, „ლიტერატურული ექსპრესში“ წარმოჩენილია ის პრობლემები, რომელიც საერთოა ყველა კოლეგა-მწერლისთვის, ეროვნული ნიშნის მიუხედავად; ამდენად, მთავარი გმირის გაუცხოების პრობლემა პიროვნული „მე“-დან მომდინარეობს და არა განსხვავებული ეროვნული კუთვნილებიდან; იგი მის სულიერ კრიზისს, ძიების პროცესს უკავშირდება და არა ევროპელებთან მენტალურ შეუთავსებლობას.

#### ლიტერატურა:

1. ბულაძე ლ., ლიტერატურული ექსპრესი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბ., 2009.
  2. ფაიჯესი ო., ნატაშას ცეკვა. რუსეთის კულტურული ისტორია. წინასიტყვაობა გ. ზედანიასი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2002.
  3. შატაიძე ნ., კაპიკი გაკაპიკებულა, ანუ, მოგზაურობა ევროპაში. ჟ. „არილი“, №9-10[204-205]. თბ., 2004.
  4. ხარბედია მ., ლაშა ბულაძის „ლიტერატურული ექსპრესი“. რადიო „თავისუფლება“. ბიბლიოთეკა. 06.10. 2015.
- ელ. მისამართი: <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2036664.html>
5. Stereotypes and Nations / Ed. By Teresa Walas. Cracow: International Cultural Centre, 1995,15-54.

## EUROPE AND EUROPEANS IN THE POSTCOLONIAL GEORGIAN LITERATURE

Mariam Miresashvili, Sokhumi State Teaching University, Professor

### RESUME

During the last decades the formulations “national peculiarities” and “national character” have been replaced by “national identity” and “national stereotype”. During the fixation of scientific data of different nations the earlier formulations had pretensions of being “totally” objective, while new formulations have considered “subjective factor” i.e. the desire of a single individual, a group of individuals (“we”) or a larger union (“nation”) to fix its difference in relation to the “other”. On the basis of its discursive nature, a national stereotype finds “the richest soil” of establishment in the literature. The literature depicts imagological view-points of different nations. It’s worth mentioning, that the people usually tend to attribute particular characteristic features to different ethnic groups. This fact creates the basis of the formation of an ethno-cultural stereotype, which comprises an expanded scale of assessment - extremely positive or negative. For the better illustration of the above mentioned, we chose the works of modern Georgian authors (N. Shataidze, L. Bugadze), which arbitrarily belong to *the genre of travelling*. Making such choice was stipulated by the fact, that the relations towards people are formed during travelling and contacting. The concepts “foreign”, “other” and “not our” are related to the people of a particular culture. The contacts with them are intensive or especially valuable for the culture of a recipient. We will make an attempt to highlight contemporary Georgian writers’ comprehension of Europe and Europeans.

## გენდერული თავისებურებანი ქართული ენის მეხსიერებაში

„თუმცა ქალია...“

**მერაბ ნაჭყებია**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**მანანა ტაბიძე**, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი

თანამედროვე ჰუმანიტარული დარგები ქალსა და მამაკაცს შორის არსებული სოციალურ-როლური სხვაობის ენობრივ ასპექტს დიდ ყურადღებას უთმობს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ოდესღაც სქესთა შორის განსხვავების კვლევა გრამატიკის გარდა არც არავის აინტერესებდა. გრამატიკა კი გრამატიკული სქესის საკითხებით იფარგლებოდა. ლინგვისტურ გენდეროლოგიას ასპარეზი მხოლოდ მეოცე საუკუნიდან მიეცა, როდესაც ქალთა ემანსიპაციის პრობლემატიკისა და ფემინისტური მოძრაობის სოციალურ-პოლიტიკურმა ასპექტებმა ადრე არსებული კულტუროლოგიური შეხედულებების ამ კუთხით გადასინჯვა მოითხოვა.

**ყოველ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული წესები და ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობებს მის წევრებს შორის. „სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი შემქმნელი ელემენტია სტატუსი – ადამიანის სოციალური მდგომარეობა. ნებისმიერი სტატუსი ჩვენი სოციალური იდენტურობის შემადგენელი ნაწილია და ის განსაზღვრავს ჩვენს ურთიერთობებს სხვასთან“.**

ჩვენს სინამდვილეში გენდერული პრობლემატიკის ენობრივი ასპექტების კვლევა საინტერესო და მრავალფეროვან კვლევით პერსპექტივას შეიცავს. ქართულ ენობრივ მასალაზე დაკვირვება რამდენიმე მიმართულებითაა შესაძლებელი:

1. როგორ მოიხსენიებიან ქართულ ენაში ქალები და მამაკაცები; რა ქვეჯგუფების გამოყოფა შეიძლება ქალთა და მამაკაცთა აღმნიშვნელ ლექსიკაში:

ა) საკუთრივ ქალთა მარკერები (დედაკაცი, ქალი, გოგო, მდედრი, დიაცი, ძღაბი, ქალაშავა, ცირა და ა.შ.); საკუთრივ მამაკაცთა აღმნიშვნელები (მამაკაცი, კაცი, კოჩი, ვაჟი, ყმა, მოყმე, ბიჭი, ჯეელი და სხვ.); თუმცა ამ ქვეჯგუფშიც შეიძლება გამოვყოთ ჯგუფები, კუთხური კუთვნილების, ასაკობრივი ან ფიზიკური მონაცემების მიხედვით მარკირების თვალსაზრისით;

2. როგორ მიეთითება ქალისა და მამაკაცის სოციალური კუთვნილება თუ სოციალური როლი, მაგალითად: მანდილოსანი, ქალბატონი, დედოფალი (დედაუფალი), დედა, ასული, ცოლი, სასძლო, მეუღლე; ვაჟბატონი, დარბაისელი კაცი; ბატონკაცურობა, სიძე, ქმარი, მეუღლე და სხვ.;

3. როგორია ქალთა და მამაკაცთა შორის ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა; მამაკაცის ხაზით სანათესაო წრე ნაკლებად დეტალიზებულია (მამა, ბიძა, მაზლი, ქვისლი, მამამთილი, სიმამრი), ქალების ნათესაობა კი უფრო გამოწვლილვითაა აღნიშნული, (დედა, დეიდა, მამიდა, ბიცოლა, დიდედა, სიდედრი, დედამთილი და სხვ.)

4. როგორ გამოიხატება გენდერულად განპირობებული თვისებები და ღირსებები: ვაჟკაცი, კაი ყმა, მამაცი („რა უარეა მამაცსა სულ დიდსა, წასვლა–გვიანსა...“), ბრძენკაცი...; ქალღმერთი (ღმერთქალი, ღმერთივით ქალი), ქალწული, პირმშვენიერი ქალი... კრიტერიუმები, რომელთაც ქალის ან მამაკაცის დასახასიათებლად მიმართავენ, დროდადრო საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა მიმართაც გამოიყენება; აქ საინტერესო ისაა, რომ ქალისთვის მამაკაცის თვისებებთან შედარება უმეტესწილად ქებაა: ვაჟკაცური ქალია, კაცის ჭკუა აქვს, კაცივით მიხედა ოჯახს (შდრ. „ოჯახს უკაცობა არ აგრძნობინა“) და პირიქით, ქალის თვისებების მისადაგება მამაკაცისათვის, მხოლოდ უარყოფითი სემანტიკის მომასწავებელია: ქალივით ენაჭარტალაა, ქალივით ინაზება, ქალის ხასიათი აქვს (ანუ ჭირვეულია) და სხვ. მაგრამ „არაკაცი“ ქალიც შეიძლება იყოს და კაციც.

5. როგორ მეტყველებენ გენდერულად განსხვავებული ჯგუფები; აქ საგანგებოდაა შესასწავლი დალოცვის, ალერსის, წყევლისა და ლანძღვა–გინების ფორმულები ქალთა და მამაკაცთა მეტყველებაში...

**თუკი ენა ასახავს კულტურას, მაშინ ბუნებრივია, რომ ის ირეკლავს მასზე მოლაპარაკე საზოგადოებასაც. შეუძლებელია ენა იზოლირებულ, მისგან გათიშულ და მშრალ სიმბოლოთა სისტემად დარჩეს. ამიტომაც ნებისმიერი სოციალური მოვლენა აუცილებლად დატოვებს თავის „ანაბეჭდებს“ ენაში. ასეა გენდერის შემთხვევაშიც.**

სწორედ ამ ფონზე დაწყებულმა მუშაობამ ცხადი გახადა:

1. ენის (ნებისმიერი ენის) მიერ გენდერულ მიმართებათა ასახვისა და დამახსოვრების უნარი;

2. ცალკეულ კულტურაში გენდერული მიმართებების განსხვავებულობის ენობრივი ფაქტების არსებობა;

3. ენისა და გენდერის მიმართების ლინგვოკულტუროლოგიური ხასიათი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპი ანალოგიურად აღიბეჭდება ენაში. მაგალითად: ძველი თემური წყობილების დროს ქალები საქმლის ძირითადი მომმარაგებლები იყვნენ – შემგროვებლობა ხომ საკვების მოპოვების უფრო სანდო გზა იყო, ვიდრე ნადირობა, რომელსაც ძირითადად მამაკაცები ეწეოდნენ. ამიტომ ქალს იმ პერიოდში საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო დიდი როლი ენიჭებოდა, ვიდრე მამაკაცს; შესაბამისად, მისი სტატუსიც უფრო მაღალი იყო. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გარემოებას, მაშინ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ქართულ შესიტყვებებში, როგორცაა „დედ-მამა“, „და-ძმა“, „ცოლ-ქმარი“, „გოგო-ბიჭი“, დედამთილ-მამამთილი და სხვ., პირველი ელემენტი ქალს აღნიშნავს, მეორე კი მამაკაცს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ შესიტყვებებში თითოეული შემავალი ერთეული ძირეული ქართული სიტყვაა, რაც საფუძვლიანად მიგვანიშნებს საქართველოში ოდესღაც არსებულ მატრიარქალურ წყობილებაზე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართული ქრისტიანობა საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად განიხილავს და ქართველთა გაქრისტიანებას ქალს – წმინდა ნინოს უკავშირებს. ქართველ წმინდა მოწამეთა შორისაც ბევრია ქალი.

აღიარება იმისა, რომ სქესი კულტურულად განპირობებულია, და რომ მას ახასიათებს ინსტიტუციონალურობა და რიტუალიზებულობა, გვაიძულებს რომ ვაღიაროთ მისი კონვენციურობა<sup>1</sup>, რომელიც სხვადასხვა კულტურულ და ენობრივ ერთობებში განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არაერთგვაროვნად ვლინდება. ეს შესაძლებლობას იძლევა ისეთ ფენომენს, როგორცაა მამაკაცურობა ან ქალურობა, მივუდგეთ არა როგორც უცვლელ ბუნებრივ მოცემულობას, არამედ როგორც დინამიკურ, ადამიანური საზოგადოების განვითარების ცვლად პროდუქტს, რომელიც ექვემდებარება სოციალურ მანიპულირებასა და მოდელირებას. ენა, ამრიგად, განიხილება როგორც ორიენტირებული ქცევის სისტემა, სადაც კონოტაცია ასრულებს გადამწყვეტ როლს. მოლაპარაკის ინდივიდუალური პარამეტრების მნიშვნელობა ამასთან დაკავშირებით არსებითად იზრდება. ადამიანის სქესი მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომელიც ბევრი თვალსაზრისით განსაზღვრავს პიროვნების სოციალურ, კულტურულ და კოგნიტიურ ორიენტაციას, მათ შორის ენის მეშვეობითაც.

თუმცა გენდერული კონცეფცია გარკვეული ხარისხით მომზადდა ფაქტების ადრინდელი დაგროვებითა და გააზრებით, იგი დამოუკიდებელ სამეცნიერო მიმართულებად მხოლოდ პოსტმოდერნიზმის პერიოდში გაფორმდა. ეს შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ უარი ეთქვა იმ პოსტულატს, რომლითაც არსებობს რაღაც გარე, ადამიანის შემეცნების მიღმური ქეშმარიტება. შესაბამისად გენდერი შეიძლება განხილულ იქნას როგორც განზომილება, როგორც კვლევის პარამეტრი მრავალ საზოგადოებრივ მეცნიერებაში, მათ შორის, ლინგვისტიკაშიც. ჩამოყალიბდა კიდევ საგანგებო სოციოლინგვისტური დისციპლინა – გენდერული ლინგვისტიკა, რომელიც სწავლობს ენობრივ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ენის მტარებელთა სქესის მიხედვით განსხვავებასთან. სხვათა შორის ახალი გამოკვლევების შუქზე ადრინდელი დაჟინებით აღარ ამტკიცებენ, რომ სამეტყველო თავისებურებები დამოკიდებულია ენის მტარებელთა სქესის მიხედვით განსხვავებაზე: ასეთი დამოკიდებულება არსებობს და ვლინდება მრავალგვარად. დღეს საუბარია არა იმაზე, თუ როგორ მოქმედებს სქესი კომუნიკაციურ ქცევაზე, არამედ იმაზე, თუ როგორი საშუალებები აქვს ენას გენდერული იდენტობის კონსტრუირებისათვის. როგორ კომუნიკაციურ სიტუაციებსა და დისკურსის ტიპებში და როგორი ინტენსიურობით ხდება კონსტრუირება, როგორი ექსტრა- და ინტრალინგვისტური ფაქტორები ზემოქმედებენ ამ პროცესზე.<sup>2</sup>

ვფიქრობთ, გენდერისა და ენის მიმართების საკითხებიდან ქართულში კიდევ რამდენიმე მიმართულებით ღირს მუშაობა:

<sup>1</sup>კონვენციურობა (ლათ. Conventio შეთანხმება) ტერმინი, რომელიც გამოიყენება კულტუროლოგიასა და სოციოლოგიაში და აღნიშნავს კულტურის ობიექტის თვისებას, რომელიც ამგვარად მონაწილეთა შეთანხმებითაა აღიარებული. ენობრივი ნიშნის კონვენციულობა ამა თუ იმ სოციუმის მიერ მისი გამოყენების ტრადიციულობაზე მიუთითებს.

<sup>2</sup>ლინგვისტიკაში ჩამოყალიბებულმა უახლესმა კონცეფციებმა, რომლებშიც გაცხადებულია ფსიქოლოგიის, ბიოლოგიის, კულტუროლოგიის, ფილოსოფიისა და რიგი სხვა ანთროპოორიენტირებული მეცნიერებების მონაცემები, შეცვალეს აზრი ტრადიციულ კოგნიტიურ მიდგომაზე, რომლითაც შემეცნება – ესაა ახალი მენტალური რეპრეზენტაციების ფორმირება, რომლებიც ასახავს რეალობას. 3. მატურანის, ჯ. ლაკოფის შრომების მიხედვით და ე. ჰუსერლისა და მ. ჰაიდგერის იდეათა ახლებური გააზრების საფუძველზე ენის მთავარ ფუნქციად მიიჩნევა არა იმდენად მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემა და მისგან დამოუკიდებელი რეალობისადმი რეფერენციის განხორციელება, რამდენადაც პიროვნების ორიენტაცია მის საკუთარ კოგნიტიურ სფეროში (Кирилина А. В. 2002)

1. ქართულ ენაში „ძე“ და „ასული“ დიდი ხანია შვილის სქესის განმსაზღვრელ ლექსემებს წარმოადგენს; თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ასე იყო ოდითგანვე. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ძე“ მშობლის სოციალური სტატუსის საფუძველზე აღნიშნავს შვილის გენდერულ კუთვნილებას:

ნარინ დავითის 1266-1268 წწ. სიგელებში ასე იკითხება: „სახელითა ღმრთისაჲ თა. დავითისგან ბაგრატუნისა, **რუსუდანის ძისა**, ნებითა ღმრთისაჲ თა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა საქართველოჲსა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრობელისა” და სხვ., **თამარის ძე იყო ლაშა გიორგი, დარეჯანის ძე იყო ამირანი** („ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“), **როსტევანის ძეა თინათინი** (მდრ. „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწყუნელია“) და სხვ.

გენდერული სოლიდარულობა ქართულში დასტურდება მიმართვის ეტიკეტში<sup>1</sup>, სადაც ოდითგანვე თავაზიანობის გამომხატველი სიტყვა იყო **ბატონი**, როცა ის ქალის აღმნიშვნელი სახელის განსაზღვრებად გამოიყენებოდა: ბატონი დედაჩემი, მარიამ ბატონი, ასეთი მიმართვები ხშირად გვხვდებოდა მე-19 საუკუნის ქართველი მწერლების ნაწარმოებებსა და ქართველი ინტელიგენციის მიმოწერაშიც. ეს კი მოწმობს, რომ სიტყვა „ბატონი“ კარგა ხანია დაცლილია სოციალური შინაარსისაგან და მის უპირველეს დანიშნულებას თავაზიანობის გამომხატვა წარმოადგენს.<sup>2</sup> დღესაც „ბატონო“ ოფიციალურ დოკუმენტაციაში მიმართვის მთავარი ფორმულაა, გამოყენების თვალსაზრისით, **ბატონოს** გვერდით დგას **ქალბატონო** და ისიც წარმატებით ასრულებს თავაზიანობის ფუნქციას. მაგ., ბატონებს ჩვენში ეტყვიან ქალებსაც და კაცებსაც; კი, ბატონო, წამოვალ, ნურას უკაცრავად, ჩემო ბატონო, მენ ხარ ჩემი ბატონი და ა.შ.

ის, რომ ქართულ სინამდვილეში ქალის როლის, ავტორიტეტის დამცირება არა მარტო არ ყოფილა მიზანი, არამედ სწორედ საქართველოში გამოითქვა სქესთა თანასწორობის უნივერსალური ფორმულა: „ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს თუნდა ხვადია“, კარგად ხსნის, მთელ რიგ ეთნოგრაფიულ ინფორმაციას, სადაც ზოგჯერ ქალის როლი შეიძლება შეზღუდული ჩანს, მაგრამ ასაკოვანი ქალის, ქალი-დედის, დიდი დედის როლი მუდმივად მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალისა და მამაკაცის მეტაფორიზებული აღმნიშვნელებად ბევრ ენაშია – მზე და მთვარე, მაგრამ ქართულში სხვა ბევრი ენისგან (მაგ. ინგლისური) განსხვავებით, **მზე ქალია, მთვარე კი – მამაკაცი**; ამ მხრივ უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება ქართული ფოლკლორიდან („მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი“...), ქართული კლასიკური ლიტერატურიდან („თინათინ მზესა სწყუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“, ცალკეულ შემთხვევაში მამაკაციც შეიძლება „მზის ორბიტაში“ მოხვდეს, მაგრამ ქალი მუდმივად მზესთანაა... მაგ., საკუთარი სახელები: მზისა, მზევინარი, მზია, იათამზე, მზექალა და სხვ (ამ ფონზე, ცხადია, სახელი „მთვარისა“ ამდენ მზეს მეტოქეობას ვერ გაუწევს).

საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი; ესაა ქორწინების, ცოლად შერთვის რიტუალური შინაარსის ლექსიკა. ცოლად შერთვა და ცოლად გაყოლა აქტორთა როლურ სხვაობაზე მიგვანიშნებს. ამ შემთხვევებში აქტორი მამაკაცია, ქალი სხვაგან მიდის, სხვისი უპირატესობით ნიშანდებულ გარემოში მკვიდრდება. ინგლისურს ადრე ჰქონდა ფორმა to wife, რომელიც სწორედ ცოლის მოყვანას, ცოლზე გავლენას აღნიშნავდა, მოგვიანებით დემოკრატიისაკენ მისწრაფებულმა ინგლისმა ეს ფორმა უარყო და თანამედროვე marry სიტყვით შეცვალა (ქორწინება), რომელიც დემოკრატიულია და დღევანდელ სულისკვეთებას უფრო შეეფერება.

ჩვეულებრივ, მიიჩნევენ, რომ ქართულში, ისევე, როგორც ენათა უმრავლესობაში ქალი დისკრიმინირებული იყო სწორედ ქალობის გამო, და რომ ეს ენობრივადაც და არაერთი

<sup>1</sup> **ბატონო და ქალბატონო** იმთავითვე თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები იყო და სხვაგვარად ვერ ავხსნით, თუ რატომ მიმართავდა მეფე გიორგი XI სულხან-საბა ორბელიანს და მის ძმას ბატონობით: „..... მრავალი მოკითხვა მომიხსენებია, ... ბატონო სულხან... (კალაძე, 1984, 323).

<sup>2</sup> მაგალითად ინგლისში ტიუდორების მმართველობის ხანაში მონარქია ატარებს ცენტრალიზებულ, აბსოლუტურ ხასიათს. ამ პერიოდში მოხდა მონარქისა და ოჯახის უფროსის, სახელმწიფოსა და ოჯახის გაიგივება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოჯახში მამისა და ქმრის მდგომარეობის განმტკიცებას; მამაკაცის სოციალური როლის ზრდის მეორე მიზეზი თვით ახალდაარსებულ ანგლიკანურ ეკლესიაში უნდა ვეძიოთ: ოჯახის სულიერი კეთილდღეობის მიზნით მის უფროსს დაეკისრა სულიერი მამის ზოგიერთი მოვალეობა; კიდევ ერთი, არანაკლები მნიშვნელობის მქონე ფაქტორი, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა მამაკაცის სტატუსის გამყარებაში. ამ პერიოდში სულ უფრო და უფრო სუსტდება შორეული ნათესაური კავშირები. ოჯახი ემსგავსება ძირითად ბირთვს, რომელსაც დედა, მამა და შვილები შეადგენენ. მათ შორის არსებული კავშირები გამოირჩევა სულიერი და მორალური სიღრმითა და სიმძლავრით, ეს კი, თავის მხრივ, ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის რომელიმე ერთი წევრის, კერძოდ, მამაკაცის უპირატესობის აღიარებისათვის. ღმერთს, მეფესა და ქმარს ერთი და იმავე სიტყვით მიმართავდნენ – “Lord”. ამ სიტყვის წარმოქმნით ქალი აღიარებდა თავისი მეუღლის უზენაესობას. ეტიკეტის ამ ნორმამ ინგლისში ლამის მეოცე საუკუნის დასაწყისამდე „იმუშავა“ (ნინო ჟვანია, 2003).

საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო მაგალითითაც დასტურდებოდა (ქალს არ შეეძლო მამაკაცებთან ერთად სუფრას მისჯდომოდა, ქალს არ შეეძლო თავდაუზღვრავად სადმე წასვლა და სხვ. იყო კი ეს წესები დისკრიმინაციით ნაკარნახევი თუ ამას სხვა ახსნა მოეძებნებოდა? ვფიქრობთ, ეს საინტერესო საკითხებია და ამ მიმართულებით კვლევები უნდა გაგრძელდეს.

ჯერ ერთი სხვადასხვა ხალხსა და სხვადასხვა კულტურას ამ საკითხისადმი სპეციფიკური მიდგომა აქვს.

ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში უკვე მე-17 საუკუნეში აღნიშნავდნენ სხვაობას ქალისა და მამაკაცის მეტყველებათა შორის. ედვარდ სეპირს თავის ნაშრომში „იანის ენა კალიფორნიაში“ 1929 წელს აქვს აღნიშნული, რომ მამაკაცები უფრო გრძელ სიტყვებს წარმოთქვამენ ჩვეულებრივ საკომუნიკაციო ურთიერთობაში, ვიდრე ქალები; მისი აზრით, ამას ქალის დაბალი სოციალური სტატუსი განაპირობებს, რადგან ქალს ბევრი ლაპარაკის უფლება არ ჰქონდაო. ქალები უფრო ხშირად სვამენ შეკითხვებს, რადგან ამით ცდილობენ, რომ საუბარი გააბან – ეს მათი ერთგვარი სტრატეგიაა.. მამაკაცები უფრო ხშირად ირგებენ ექსპერტის როლს და უფრო ხშირად ამტკიცებენ, კონსტატაციას უკეთებენ რაიმეს, მოითხოვენ, გადაწყავთ საუბარი სხვა თემაზე. მამაკაცები ნახტომისებური საუბრებით ხასიათდებიან. ქალის საუბარი უფრო „სამკურნალო ხასიათისაა“ ამზივდებს, თანაუგრძობს. მამაკაცი ჩხუბობს, იგინება, ილანძღება, ვერბალური აგრესია ახასიათებს. სიტყვას აწყვეტინებს თანამოსაუბრეს (John J. Macionis, 2001).

აკადემიურ სივრცეში ქალები ნაკლებად კრიტიკულნი არიან, მეტად თვითკრიტიკულნი, უფრო იშვიათად იღებენ სიტყვას, კომპლიმენტს არ მოაყოლებენ ხოლმე მწვავე კრიტიკას, მამაკაცი ქალს ქათინაურებს ეუბნება და მერე ძალიან მკაცრად აკრიტიკებს, რაც უფრო დიდია კომპლიმენტი, მით უფრო დიდია კრიტიკაც.

თუმცა მიიჩნევა, რომ ქალები ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ გამოკვლევების მიხედვით, საზოგადოებრივ კომუნიკაციებში მამაკაცებს უფრო მეტი დრო მიაქვთ ლაპარაკისას.

დებორა ტანენის წიგნში „შენ, უბრალოდ, ჩემი არ გესმის“: ქალები და კაცები დიალოგში“ (1990) არის სწორედ ეს აზრები. მამაკაცები დიდ დროს ანდომებენ „თვითპრეზენტაციასო“; მიიჩნევა, რომ ქალების ლოგიკა სხვაა და მამაკაცებისა სხვა. ერთ-ერთი მათემატიკოსი პროფესორი ირონიულად წერს მამაკაცების ლოგიკა 2500 წლის წინ ჩამოყალიბდა, ქალების ლოგიკა კი ჯერაც თავის არისტოტელეს ელოდებო.

კამათის დროს ქალი ყურადღებას აქცევს არა იმას, თუ რას ეუბნებიან, არამედ როგორ ეუბნებიან, მამაკაცი კი მხოლოდ შინაარსს ისმენს.

მაგ იაპონურ ენაში დიდია სხვაობა ქალისა და მამაკაცის ენობრივ ვარიანტებს შორის:

ა) სხვაობაა ამა თუ იმ ელემენტის (ავიქსის, ლექსმის...) მიხედვით;

ბ) სხვაობაა ამა თუ იმ ერთეულის (ან ელემენტის) გამოყენების სიხშირის მიხედვით;

გ) სხვაობაა მნიშვნელობათა მიხედვით.

ამ მიზნით სწავლობენ ესეებს, პირად წერილებს, მიმოწერას, სადაც კაცები ინფორმაციის გადმოცემას უფრო ცდილობენ, ქალები კი – ემოციებისას.

ანუ ქალი სხვა რამეს ხედავს სიტუაციაში, მამაკაცი – სხვას.

დღეს ერთეული “wife” არსებითი სახელია, მაგრამ ძველ ინგლისურში მას ასევე ჰქონდა ზმნის ფორმა – “to wife”, რომელიც ცოლის შერთვას, ცოლის მოყვანას ნიშნავდა, და რომლის აღმოცენებაც და შემდგომ ხმარებიდან ამოღება გარკვეულ სოციალურ ფონს უკავშირდება.

ინგლისში და მთელს ბრიტანეთში ისევე, როგორც საქართველოში (და, ალბათ, მთელ დასავლურ სამყაროში), ქალი თავყვანისცემის ობიექტად ითვლებოდა. სწორედ ამაზე იყო დამყარებული რაინდობის ინსტიტუტი – ქალის სახელით იბრძოდნენ, მას უძღვნიდნენ გამარჯვებას, მის გამო თავს საფრთხეში იგდებდნენ. მაგრამ მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, მიიჩნეოდა, და ამაში ეკლესიასაც მიუძღოდა გარკვეული წვლილი, რომ ქალი ვერაგი და დაუნდობელია. ამიტომაც მას არ აძლევდნენ საშუალებას, გადაეწყვიტა ოდნავად მნიშვნელობის მქონე საკითხიც კი. თვით მისი პირადი ცხოვრება ოჯახის მამაკაცების ხელში იყო და თხოვდებოდა მხოლოდ და მხოლოდ მათი სურვილისამებრ.

ეს ფაქტი ასახულია კიდევ ენაში. სიტყვა “to wife”-ის, ისევე, როგორც ქართული ფრაზების „ცოლის მოყვანის“, „ცოლის შერთვის“ არსში ჩაწვდომისას აშკარა ხდება, რომ არჩევანის უფლება და ოჯახის შექმნისაკენ ნაბიჯის გადადგმის უპირატესობა მამაკაცს ეკუთვნოდა, და არა ქალს.

ქართულ ენაში, ინგლისურისაგან განსხვავებით, ეს ფაქტი უფრო თვალნათლივ არის წარმოდგენილი. აქ ქორწინებასთან მიმართებაში ხშირად გამოიყენება ისეთი ფრაზები, რომლებიც უკავშირდება ან მხოლოდ ქალს, ან მხოლოდ მამაკაცს და რომლებიც ასევე გამოხატავენ შესაბამის გენდერულ დამოკიდებულებას. განვიხილოთ ზოგიერთი ნიუანსი:

მამაკაცს ცოლი „მოჰყავს“ („ცოლის მოყვანა“) იმიტომ, რომ ქალი გარეშე პირია, რომელიც უნდა შევიდეს სხვა ოჯახში და გახდეს მისი წევრი. შესაბამისად, ქალი მამაკაცს ცოლად „მიყვება“ („ცოლად

გაყოლა“). მამაკაცი ცოლს „ირთავს“ („ცოლის შერთვა“) იმიტომ, რომ ის საკუთარი ოჯახის შექმნაში გარკვეული მიზნის მიღწევას ხედავს, და მას დამხმარე სჭირდება, რათა შეერთებული, ერთიანი ძალებით მიაღწიონ საწადელს. ამ მსჯელობის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: შესიტყვებებში „ცოლის შერთვა“, „ცოლის მოყვანა“ და ა. შ. რომლებიც ითქმის მხოლოდ მამაკაცთან მიმართებაში, გამოიხატება მოქმედება, მაშინ როდესაც საპირისპირო წყვილებში „ცოლად გაყოლა“, „ცოლად დაჯდომა“ და ა. შ. წინა პლანზე წამოწეულია მოქმედების განცდა. ეს კი სავარაუდოდ მიუთითებს იმაზე, რომ ოჯახის შექმნის ინიციატორად და ამოსავალ ფიგურად სახელდება მამაკაცი, ხოლო ქალისთვის პასიური როლია განკუთვნილი. მაგრამ, როგორც ეს არა ერთი მაგალითით მტკიცდება, ქართული ენა არ განეკუთვნება გენდერულად ორიენტირებულ ენათა ჯგუფს. აქვე უნდა მოვიყვანოთ შემდეგი ციტატა:

„ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე...“

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყვანილი ეს ნაწყვეტი წარმოადგენს გენდერული როლების გადაწვევის მაგალითს, სადაც ქალი ასრულებს მამაკაცისთვის დაკისრებულ ფუნქციას, კერძოდ, კი ოჯახის შექმნის ინიციატივას. ასე რომ, ქართული საზოგადოებისთვის გენდერული როლების ზემოაღნიშნული დაყოფა სულაც არ არის უნივერსალური და უპირობო.

შერეული გენდერის ფენომენი კარგად არის ნაჩვენები სიტყვა „დედის“ სემანტიკაშიც.

„ქართველისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს – „დედა-ქალაქს“, მკვიდრსა და დიდბომს – „დედა-ბომს“, უდიდეს და უმტკიცეს ბურჯს – „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც – „გუთნის დედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, და თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით...“

„ფილოსოფოსთა სიტყვა მან მამლად ითქმის, ხოლო მანა დედლად; მასი მამაკაცისათვის და მასაი დედა კაცისათვის.

ამისთვის რამეთუ ესრეთ ჯერ არს თქმად სიტყუათა, რათა ბოლოსა მარცულათა მიერ ვიცნათ მამაკაცთა და დედაკაცთა...“

აგრევე მოციქული და მოციქულა და მოწამე და მოწამა, მონაზონი და მონაზონა.

ხოლო უკეთუ ვთქვათ მოვიდა ვიტყვით მამაკაცისასა და უკეთუ ვთქვათ, მოვიდაი დედაკაცისათვის, აგრევე ყოველი საზოგადო სათქმელი განიყოფებიან.“

სავარაუდოა, რომ ქართულმა ენამ ვერ შეინარჩუნა სქესზე მიმანიშნებელი მარკერი, ვინაიდან ქართული საზოგადოებისთვის ასეთ დიფერენციაციას არ გააჩნდა საკმარისი სოციალური საფუძველი. ყოველ შემთხვევაში ქართულში არსად დასტურდება ისეთი დისკრიმინაციული მიდგომა ქალისადმი, როგორც შექსპირის „ჭირვეულის მორჯულებამი“ გამოძღვანდა, მაგალითად პეტრუჩიოს სიტყვები კატარინასადმი:

...მე მსურს ჩემი საკუთრების მფლობელი ვიყო:

შენ ახლა ჩემი ქონება ხარ, ჩემი ავეჯი,  
ჩემი მინდვრები, მამული, ყანა, ბეღელი,  
ჩემი ჭურჭელი, ჩემი ხარი, ცხენი და ვირი,  
ყველაფერი ხარ.....)

ქართული ენა საკმაოდ საინტერესო ფენომენს წარმოადგენს ამ თვალსაზრისით. ის არ არის ისე მკაცრად განსაზღვრული, როგორც ინგლისური ენა, რომელიც ერთპიროვნულად არის, ან ყოველ შემთხვევაში იყო ორიენტირებული მამაკაცზე. ამის მიზეზი უთუოდ დაკავშირებულია სოციალურ სინამდვილესთან, სადაც თავს იჩენს გენდერული როლების გადაწვევა – ერთი სქესისთვის დამახასიათებელი ფუნქციებისა და თვისებების გადატანა მეორე სქესის წარმომადგენელზე – რის შედეგადაც მიიღება შერეული გენდერი.

ასეთი არაფიქსირებული, მერყევი გენდერის წარმოშობისა და დამკვიდრების პირობად შეიძლება დასახელდეს სოციალური წყობილების – მატრიარქატისა და პატრიარქატის – ურთიერთ შენაცვლება. ქართული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე, კერძოდ კი მაშინ, როცა ახალმა ტექნიკურმა გამოგონებებმა (გუთანი, ბორბალი და ა. შ.) უზრუნველყვეს შემგროვებელთა და მონადირეთა საზოგადოებიდან აგრარულ საზოგადოებაზე გადასვლა, პატრიარქატმა შეცვალა მატრიარქატი. დღესაც, თანამედროვე დასავლურ სამყაროში მიმდინარეობენ სოციალური გარდაქმნები, მაგრამ მათი მიზანია არა რომელიმე წევრის – მამაკაცის ან ქალის – უპირატესობის აღიარება, არამედ მათი გათანაბრება. ამ შემთხვევაში სოციალური ნეიტრალიტეტის ტენდენციამ შეცვალა გენდერისადმი მიდგომა და წარმოშვა ნეიტრალური გენდერისკენ მისწრაფება.

ქართულ საზოგადოებაში მომხდარმა ცვლილებამ განაპირობა თვით შერეული გენდერის ხასიათი – მამაკაცის კრიტერიუმების მისადაგება ქალთან. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი გენდერული მაგალითები უხვად მოეპოვება ქართულ ლიტერატურაში.

ცხადია, ჩვენი მსჯელობა უნდა შემოწმდეს უფრო მრავალრიცხოვანი ნიმუშებით. მაგრამ დასახელებული მაგალითები არცერთ შემთხვევაში არ დაკარგავს მნიშვნელობას. უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ქალისა და მამაკაცის ქცევის ნორმების სხვადასხვაობას ეთნოგრაფიულ მონაცემებში, სადაც ყოველი ცალკეული შემთხვევა ცალკე ანალიზს მოითხოვს, რადგან ამა თუ იმ წეს-ჩვეულებას თავდაპირველად თავისი მოტივაცია ჰქონდა, რომელიც დროთა განმავლობაში წაიშალა და ყოველ ახალ ეპოქაში ახლებურად აიხსნებოდა (ამ რიგისაა ის წესები, რომელთა მიხედვით ქალს მამამთილისა და მამლისათვის არ უნდა მიემართა, ქმრისთვის „ბატონო“ ეწოდებინა და ა.შ.

#### ლიტერატურა:

1. ნინო ჟვანია, სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „ქალის სტატუსისა და გენდერული დამოკიდებულების ასახვა ინგლისურ და ქართულ ენაში“ (ლიტერატურული ნაწარმოებების საფუძველზე), ხელმძღვანელი: პროფ. მანანა ტაბიძე. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და ლიტერატურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003.
2. უილიამ შექსპირი: ჭირვეულის მორჯულება; ხელოვნება, 1983.
3. რუსთაველი, შოთა: ვეფხისტყაოსანი; ლაშარი 1991. გვ: 11, 12, 85, 136, 217, 315.
4. ილია ჭავჭავაძე: სხარტულა; ლიტერატურული გაზეთის გამოცემა, თბილისი, 1962.
5. John J. Macionis: *Sociology* 8<sup>th</sup> ed. Prentice Hall, 2001. P: 64, 140, 325, 345, 348.
6. Margaret Mead: *Sex and Temperament in Three Primitive Societies*; New York, Willim Morrow, 1963; orig 1935.
7. Кирилина А. В., ВОЗМОЖНОСТИ ГЕНДЕРНОГО ПОДХОДА В АНТРОПООРИЕНТИРОВАННОМ ИЗУЧЕНИИ ЯЗЫКА И КОММУНИКАЦИИ, Впервые опубликовано в: Возможности гендерного подхода в антропоориентированном изучении языка и коммуникации. Кавказоведение. Caucasiology.- М., 2002.- №2.- С.134-141. <http://www.gender-cent.ryazan.ru/kirilinal.htm>

## GENDER PECULIARITIES IN THE GEORGIAN LANGUAGE

**Merab Nachkebia**, Sokhumi State University, Professor

**Manana Tabidze**, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Professor  
**RESUME**

In our present-day reality the investigation of the language aspects of the gender problems embraces interesting and diverse research perspectives. The study of the Georgian language material is possible in several directions:

1. The ways women and men are referred to in the Georgian language. The subgroups which can be singled out in the women and men denoting vocabulary: women markers proper and words denoting men; though within these subgroups there can also be distinguished circles according to the place of residence, age and physical data from the marking viewpoint.

2. The means used to signify women's and men's social status and social role;

3. The lexemes signifying the familiar / intimate/ relationship between women and men; the kindred circle concerning men has not been given a detailed study yet;

4. The ways conveying gender-conditioned characteristics and virtues:

The criteria used to characterize women and men are sometimes applied to the representatives of the opposite sex; it is worthy of note that for women to be compared to the virtues of men is tantamount to a praise, whereas women characteristics applied to men are significant of negative evaluation;

5. The speech peculiarities of different gender groups; the formulas of blessings, affections, curses, abuses and swearings in female and male speeches should become the subject of special analysis.



## მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერ დოკუმენტთა ზოგიერთი ენობრივი თავისებურება

ნიკოლოზ ოთინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

ქართულ საისტორიო და იურიდიულ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ენის, ისე დიალექტოლოგიური კვლევისათვის. თვალს თუ გადავავლებთ ზემო ქართლის შესახებ არსებულ დოკუმენტებს, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნის რეალობას ასახავს ენობრივი თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ არის ნაირგვარობა ენობრივი ფორმებისა. აქ ვხვდებით, როგორც ძველი ქართულის, ასევე ახალი ქართული ენისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს.

მეთვრამეტე საუკუნეს უკავშირდება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მეორე პერიოდი, რომელსაც მკვლევარები მეთორმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებზე დაყრდნობით საშუალო ქართლს რომ უწოდებენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთ დაყოფას არ იზიარებს ზოგიერთი მკვლევარი და მათ შორის ცნობილი მეცნიერი არნოლდ ჩიქობავა. მეცნიერი სათანადო მასალებზე დაყრდნობით თვლის, რომ ქართული ენის განვითარებაში არის მხოლოდ ორი საფეხური ძველი და ახალი. ძველი ქართული მოიცავს პერიოდს მეხუთე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნის გასულამდის. ახალი ქართული სალიტერატურო ენა კი იწყება მეთორმეტე საუკუნიდან. ამ პერიოდიდან ენა უკვე აღარაა ძველი ქართული, სახელთა ბრუნებაში, ზმნის უღვლილებაში უკვე ახალი ქართულის მოვლენები გვხვდება [6: 1].

აკ. შანიძის აზრით კი ენის განვითარებაში სამი საფეხური გამოიყოფა: ძველი, საშუალო და ახალი. ძველი მოიცავს პერიოდს მეხუთე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე, საშუალო - XII-XVIII საუკუნეებს, ხოლო ახალი მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე [1: 10].

ჩვენი დაკვირვებით საშუალო ქართული სალიტერატურო ენა განსხვავებულია, როგორც ძველი ისე ახალი ქართული სალიტერატურო ენისგან. დოკუმენტები, რომლებიც ზემო ქართლის ცოცხალ მეტყველებას ასახავენ შეიცავენ გარდამავალ ფორმებს, რომლებიც საშუალო ქართულს უნდა მივაკუთვნოთ, მაგრამ ნათლად იგრძნობა ძველი ქართულის გავლენა. დოკუმენტებში გრაფიკულ-ორთოგრაფიული მოვლენებიდან თითქმის აღარ გვხვდება ოჰ(ჰ) და ნაწილობრივ იოტაც (ე). ალბათ მიზეზი არის ის, რომ მეთვრამეტე საუკუნის ორთოგრაფია ახლოა ახალ ქართულთან, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ტრადიციის გავლენით ძველი ასოები მაინც რელიეფურადაა წარმოდგენილი.

დოკუმენტები ძირითადად მოძიებული გვაქვს ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოცემული ნაშრომიდან „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს). ამ ვრცელ ნაშრომში მოთავსებულია ძვირფასი მასალა არა მარტო ზემო ქართლის ისტორიის, სოციალური საკითხების, ომისა თუ მშვიდობიანი პერიოდების შესახებ. აქ არის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნები, გარიგების, პირობის, გარდაწყვეტილების, მამულის გირავნობის, სისხლის ანაზღაურების წიგნები. ასევე თავდახსნილობისა თუ თავნასყიდობის დოკუმენტაცია.

ყოველივე ამისი დამამტკიცებლები არიან მეფეები, უფლისწულები, თავადები. მეფე ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე, ერეკლე მეორე, თავადები ფალავანდიშვილები, ამილახვრები, ციციშვილები, მაჩაბლები, ხერხეულიძეები და სულაც უზრალო ქართველი გლეხობა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1720 წელი სვეტიცხოველისა და კათალიკოზის ყმების ნუსხა ვახტანგ მეექვსის ოქმით. „რამიც ამაში კომლი სწერია სულ ყველამ თოფი უნდა იშოვოს, ბოგანომ ფარკმალი, ორი თვის ნუზლის ფიქრი ქნან, ამ რიგად ქალაქ შემოგვეყარნენ“... [2: 174-175].

1725 წელი ივლისის შვიდი. ნასყიდობის წიგნი მოცემული ლევან მაჩაბლის მიერ გივი ამილახორისადმი. ქ. ესე უთუო და უთუმცო დრო-დაუდებელი, მიზეზ-შემოუღებელი, ყოვლის ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ მაჩაბელმა ალხაზის-შვილმან ლევან და ძმამან ჩვენმან დავით... დაგვეჭირა და სათათროს სათხოვარისაგან ძალი დაგვადგა მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა თავისის წილის მამულითა და ალაგითა“... [2: 201]

1728 წელი ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი ქაიხოსრო გედევანიშვილის მიერ თვისი ბიძის გედევან გედევანიშვილისადმი.

- „ასე რომ დამეჭირა და მოგყიდე სათიკარს (სათიხარი) ლომაური ნადირაშვილები ნიკოლოა და სეხნია თავისის ძმებითა, მთით, ბართა და ვენაკითა, საკნავითა, უკნავითა“... [2: 243].

1736 წელი. მამულის წყალობისწიგნი მეფე ალექსანდრეს მიერ ბორტი მაჩაბლისადმი.

„ჩუენ ქართლისა და კახეთის მკყრობელმან მეფე ალექსანდრემ წყალობის წიგნი გიბოძეთ მაჩაბელს ზაადურის შვილს ბორტის გიბოძეთ მთის ალაგები გუფთა და ჯავის ხეობა, კოდა და კოშკის ჭალა, ზემთხვისს რაზმაძეები“. [2: 260]

#### ამტკიცებს ბატონი თეიმურაზ II

დოკუმენტებში ვლინდება გრაფიკულ-ორთოგრაფიული თავისებურებანი. დასტურდება შემოკლებული სიტყვები, რომლებსაც თავზე დასმული აქვთ ნიშანი (~), რასაც ქარაგმა ანუ პატივი ეწოდება. ქარაგმა შეიძლება იყოს თვით შემოკლებული სიტყვაც. ძირითადად დაქარაგმება ხდება ბიბლიური სიტყვებისა, მაგალითად სიტყვის შესამოკლებლად გვხვდება დასაწყისი: ღ~თნ - ღვთინ. ღ~მან - ღმერთმან. ღ~თ მიმადლე - ღვთით მიმადლე. გიბედნიეროს ღ~მა - გიბედნიეროს ღმერთმა. კ~ზ - კათალიკოზი. პატრიარქისაგან შეჩვენებული კ~ზი - კათალიკოზი. ღ~სგან - ღვთისგან წყალობა მონიჭებულმა [2: 329-331].

დასაწყისი და ბოლო: ა~დ - არამედ. ა~ნ - ამენ. ვ~ა - ვითარცა და სხვები.

სიგელებში არეულია კ-ხარისა და ხ-ს ხმარების გამოყენება. კ-არი: კემწიფეს თეიმურაზს აეხელით. კემწიფის ჭირი მოსცეს. კემწიფის შემცოდე ვიყო. სხვას კელი არა აქვს [2: 220]. ხ-ხარაბა სოფელი მაქვს. მოხსენება თქვენი შეგწიყალეთ [2: 255]. ხანთა გასათავებელი წიგნი გიბოძე [2: 264]. დოკუმენტში, სადაც კ/ხ-ს შეენაცვლება აისახება, ცნობილი მეცნიერის ზ. სარჯველაძის აზრით უპირატესად ქართლურ მეტყველებას ემყარება [3: 180].

აღნიშნული ძეგლები ყველა მხედრულით არის შესრულებული, სადაც ძირითადად მარცვალისანი უ არის გამოყენებული სიტყვებში. უმარცვლო უ რამდენიმე შემთხვევაში დასტურდება, რომელიც გვესმის, როგორც -ვი: თქვენ წინ მომიკუდა. ღუთით ღმერთია მოწამე.

კელი არა გვაქუს. ისევ ზ. სარჯველაძის აზრით - მას შემდეგ რაც ვ და უ გრაფემათა ხმარების თავდაპირველი წესი მოიშალა ზოგ საბუთში თავს იჩენს უ იქ სადაც ვ იწერებოდა. ასე ჩვენს მაგალითებშიც.

#### ბგერათდაკარგვა

იკარგვის, როგორც ხმოვნები ისე თანხმოვნები:

იკარგვის ე: ესე > ეს წიგნი მოგეცით შენ მილახორს  
ესე > ეს თავდახსნილობის წიგნი მომეც  
რომე > რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ

იკარგვის ა:

რომა > რომ ბატონ ავთანდილთან ვილაპარაკეთ  
არა > არ: ხელ და საქმე არ ჰქონდეს

იკარგვის ლ:

ხელმწიფის კარის წინამძვარს ნათელისძეს დამიწერია  
ეს მირიანიძე იასე ხელმწიფის ბრძანებით ავყარეთ  
ხემწიფის მეფეთ-მეფე თეიმურაზის შემცოდე ვიყოთ

იკარგვის ვ:

ხელი აღარავის აქს, აზატი მიქნია  
მეტათეზისის მაგალითები: ღმერთი → ღმრთის → ღრმთის  
ხმალი → ხმლით → ხმლის

დოკუმენტებში მრავლობითი რიცხვის გამოხატვა ძირითადად ებიანია, რომელიც უფრო ნათელი წარმოებაა, რამაც ხელი შეუწყო მის გავრცელებას. ჩანს, რომ ებიანის გაბატონება განაპირობა ქართული ენის აგლუტინაციურმა ბუნებამ.

ასევე წარმოდგენილია ნართანისანი მრავლობითი ოღონდ შეზღუდულად. მას ძველ ქართულში არა ჰქონდა ყველა ბრუნვა. სამ ბრუნვაში სახელი ერთი ფორმით (-თ სუფიქსით) იყო წარმოდგენილი. რამდენიმე მაგალითი:

ორნი ძმანი იყვენ.  
განჯას მომიკუდა ოთხნი ძმანი.  
რისხვას ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი.  
ყოველ მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი.

ამ ორ მრავლობითს შორის არის არა მარტო მორფოლოგიური არამედ სინტაქსური განსხვავებაც. თანისანი მრავლობითის დროს ხდება სახელთა შეთანხმება რიცხვში.

მოთხრობითი ბრუნვის წარმოება ახალი ქართულისებურია და გამარტივებულია, მაგრამ გვხვდება არქაული ფორმითაც, მაგალითად:

1725 წლის ივლისი, ნასყიდობის წიგნი მოცემული ლევან მაჩაბლის მიერ გივი ამილახორისადმი.

„ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ მაჩაბელმან ალხაზიშვილმან ლევან და ძმამან ჩემმან დავით და შვილმან ალხაზ“).

„წიგნი მოგართვით ფალავანდიშვილმან გიორგიმ და შვილმან ჩვენმან შიომ სხვამან შვილმან სახლისაგან ჩვენისამან“.

„ეს წიგნი მოგეცით ციმანკურიძე გოგია და კაცია“.  
დოკუმენტებში ხშირია სავრცობი ა.

წყალობის წიგნი მოცემული ვახტანგ მეექვსის მიერ 1720 წელი.

„საუკუნით საური ვაპატივეთ კარისა ჩვენისა“  
წიგნი ქაიხოსრო გედევანიშვილის მიერ 1728 წელი.

„ნასყიდობა მოგართვი ბიძაჩემს გედევანსა შვილსა შენსა ოთარს და პეტრესა“

1750 წელი. სიგელი დაგიწერე ბედიანშვილმა პაპუნამა ზუბიაშვილსა სეხნიასა, შვილსა შენსა ბერსა ასე და ამა პირსა ზედა ქართული ზმნა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სირთულით, ამ შემთხვევაში დოკუმენტებში მრავლობითი რიცხვი აღინიშნება -ნენ სუფიქსით, მაგრამ გამოყენებულია ძველი -ენ სუფიქსიც: დატყვეობას უპირებდენ.

მოვიდენ სამართალში და ილაპარაკენ.

შერისხენ შენ ძლიერო ღმერთო.

მოვიდენ თათრები, შინ ჩამოგიდგენ.

ზმნისწინი ძირითადად ახალი ქართულისებურია, მაგრამ გვხვდება ძველი სახითაც. ახალი: წიგნი მოგართვით მაჩაბელმა ზაალ, დაგვეჭირა და შემოგეხვეწენით, მზითვი სიხარულში მოგახმაროს.

ამა პირსა ზედა რომე დიდის კოკით კულუხს გართმევდენ.

არქაული: ეს ვალები ყველა თქვენ გარდამიხადეთ.

ზოგი იმერეთს გარდაცვივდა ზოგი კახეთში და ჯავახეთს.

დოკუმენტებში სიტყვათწარმოება ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც სრულყოფს ენის ლექსიკურ მარაგს. სიტყვათწარმოება რამდენიმე ტიპისა შეიძლება იყოს, ერთ-ერთია ფუძეთა შეერთება, ანუ კომპოზიცია, კომპოზიტების წარმოქმნა.

კომპოზიტი რთული სიტყვაა და შეიძლება რამდენიმე ფუძისაგან შედგებოდეს. ზემოხსენებულ დოკუმენტებში კომპოზიტები საკმაოდ ფართოდ არის გამოყენებული. წარმოებაში მონაწილეობენ მთელი რიგი მეტყველების ნაწილები.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

კომპოზიტის პირველი წერი არის არა //არ ნაწილაკი, მეორე ზმნა ასევე არსებითი სახელი: არა გეთხოვებოდესთ სახელმწიფო ბაჟი, არა სადედოფლო, არა სამოურაო, არა საამილახორო, არა ქრცხინვალის ბაჟი, არა ალის ბაჟი, არა ულაყი, არა ტიკი“...

არა დარჩომილა რა ერთი იოტის ფასი.

კომპოზიტის პირველი ნაწილი არის ვერ - ვერც ნაწილაკი მეორე კი ზმნა ან არსებითი სახელი:

ვერც შვილმა და ვერც ნათსავმა ეგ ნასყიდობა ვერ მოგეშალოს.

ვერ ვეწყვე იქაობას და მოველ.

ფავნელიშვილებმა ვერ იშოეს.

დოკუმენტებში გეოგრაფიული სახელები მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. ისინი სხვადასხვა ბრუნვაში არიან და ყველა ბრუნვაში დაირთავენ ნიშანს, წოდებითში უნიშნოდ არის წარმოდგენილი. ამასთან რამდენიმე გეოგრაფიული სახელი მივიწყებულია ჟამთა ვითარების გამო და მათი აღდგენა-ლოკალიზაცია მხოლოდ ზემოხსენებულ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება, რაც სამომავლოდ უნდა განხორციელდეს.

1720 წელს არის შედგენილი სვეტიცხოველის საკათალიკოზოს ყმების ნუსხა, ვახტანგ მეექვსის ოქმით. გეოგრაფიული სახელები მოცემულია მიცემითი ბრუნვის ფორმით, გამოხატავს ადგილის გარემოებას და გაუვრცობელია:

ზემო ქართლს ცხინვალს ბოგანო ორი

ერედეს სამი

ქვაბთას სამი

მელვრეკს თორმეტი

ქორდს თექვსმეტი

ნიქოზს შვილი და სხვა.

ზემოხსენებული დოკუმენტები არის ჩვენი კულტურის უქცნობი ფურცლები, რომელთა კვლევა სამომავლოდ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტის საფუძველი გახდება და გააძლიერებს ენის ისტორიას.

### ლიტერატურა:

1. შანიძე აკ. (ალ. ბარამიძე, ი. აბულაძე) ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფ., 1934.
2. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.
3. სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
4. სალინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.
5. შანიძე აკ., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბ., 1973.
6. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1968.

## SOME LANGUAGE PECULIARITIES OF DOCUMENTS OF 18<sup>TH</sup> CENTURY GEORGIA Nikoloz Otinashvili, Gori State Teaching University, Associate Professor RESUME

The historic and juridical documents have great significance for researching the language problems. The 18<sup>th</sup> century documents which describe the language reality are distinguish by variety of forms. Here we can see the language events characteristic in old Georgian as well as in new Georgian language.

The documents are mainly from the work „Documents from the history of Georgian Social Relations” edited by Niko Berdzenishvili (XV-XVIII centuries). There are given a big rich material from history not only in Zemo Kartli, its social problems, the periods of war and peace but there are also various documents of purchase of estates, betting, promise, mort age.

From the language data we can pay attention to the formation of plural where there are used mainly eb endings as well as the old Georgian nar forms.

In the document we can often meet d form, in the verb we often see en and nen forms in the third person.

Adverbs are often used in the Old and New forms. So can be seen the Geographical names in dative cases.

It is necessary to research the above mentioned documents in order to enrich our language history.

### გრანელი ბრალდებათა ქარბორბალაში

ზეინაზ სარია, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
სამეცნიერო განყოფილების უფროსი

შეინიშნება, რომ იმ ადამიანთა ნაწილი, რომელსაც უსმენს ლიტერატურული საზოგადოება, ძალიან იოლად საუბრობს ისეთ გამორჩეულ პოეტზე, როგორცაა ტერენტი გრანელი. ამან განაპირობა ამ ტექსტის წარმოშობა, როგორც ერთგვარი შეპასუხებისა. ვწუხვარ, რომ ამ ორიოდ განმარტების დაწერა მიწევს. ასევე დავერდი სათანადო შეხმიანებას გალაკტიონის, ლეონიძის, პაოლო იაშვილის ან ტიციან ტაბიძის შესახებ, რომ დამჭირვებოდა. ამ სათქმელის ადრესატი ერთი ან ორი ადამიანიც რომ იყოს მხოლოდ, ამგვარი რამ მაინც უნდა ითქვას.

თურმე არსებობს ფილოლოგი, რომელსაც ისე უკვირს გრანელის სევდა და ისე ხელაღებით უწოდებს მას ნეკროფილს, თითქოს ამ პიროვნებას გამოეგონებინოს ნაღველი მხოლოდ და მხოლოდ სიხარულით სავსე დედამიწაზე; თითქოს ანტიკური ხანიდან არ შექმნილიყოს ელეგია, როგორც სევდის კამერტონი; თითქოს ნაღველი არ შეამხანაგებოდეს პოეტურ ხელოვნებაში ელეგიას (ჰორაციუსი 1981: 32); თითქოს კაცობრიობას ათასწლეულებში არ მოჰყვებოდეს ეკლესიასტეს გმინვა; თითქოს რენესანსის ეპოქიდან ევროპულ პოეზიაში ელეგიას არაერთგზის განახლება არ განეცადოს; თითქოს 1674 წელს დაბეჭდილ „პოეტურ ხელოვნებაში“ (ნიკოლა ბუალო) ძალზე ხელშესახებად არ ხასიათდებოდეს ამ ჟანრის არსი:

„მწუხარე ელეგიამ გლოვის გრძელ სამოსელში  
იცის კვნესა, აგრეთვე თმაგაშლილმა კუბოზე.“

(ბუალო 1998: 51);

თითქოს გერმანელ გოეთეს არ დაეწეროს „რომაული ელეგიები“ და „მარინზადის ელეგიები“; თითქოს ინგლისელ პერსი ბიში შელის კალამს არ გამოეხატოს ელეგიური ტონალობები, რაინერ მარია რილკეს არ შეექმნას „დუინური ელეგიები“, თითქოს ეს ჟანრი უცხო იყოს ა. პუშკინისა და მ. ლერმონტოვისთვის, თითქოს ქართველ მკითხველს ვახტანგ VI-ის გულისმომკვლელი მოთქმა არ წაეკითხოს, ქართველ რომანტიკოსთა სევდით არ დაბინდვოდეს გული. აღარაფერს ვამბობ მე-20 საუკუნის ქართველ პოეტთა ცალკეულ ნაწარმოებებზე, ოღონდ მე-19 ასწლეულიდან განსაკუთრებით ვაჟა კი გამახსენდება 1986 წელს დაწერილი ლექსით „სიმღერა“:

„მე რო ტირილი მეწადოს,  
თქვენ ვის რა გინდათ, ნეტარა?  
ერთი იცინის, სხვა სტირის,  
ესეთი არი ქვეყანა.  
ვისაც არ მოგწონსთ ტირილი,  
ის ნუ დასჯდებათ ჩემთანა;  
მტირალი სტირის პატრონი  
ფეხს როგორ გავსწვდი თქვენთანა?!  
მაგრამ გავიგებთ ერთხელაც  
ვინ ახლო ვსგდევართ ღმერთთანა.“

(ვაჟა 1979: 34)

გრანელის სევდას ნეკროფილია კი არა, სიცოცხლის საფრთხეში ყოფნის ტკივილი ასაზრდოებს. სასიცოცხლო გზების ძიება ერთ-ერთი გამოკვეთილი მოტივია მისი პოეზიისა:

„ვეძებ ვიღაცას და უფრო წმინდას,  
არ ვფიქრობ, ვინმე რომ დამეწიოს.  
უარვეყოფ სიკვდილს, ხელახლა მინდა  
ისევ სიცოცხლის გზები ვეძიო.“

(„სიცოცხლე“, გრანელი, 1991: 13)

ვისაც არა სჯერა, რომ გრანელს სიკვდილი არ ხიბლავს და ამ იდეაში დასარწმუნებლად მისივე ტექსტებიდან პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვები უნდა ამოუწერო, გავახსენებ: „ღმერთო, რა ძნელი რამ არის სიკვდილის შინაარსის დახასიათება მთელი თავისი მახინჯი მნიშვნელობით“ (გრანელი, 1991: 263). ეს არის ნაწყვეტი მელიტონ ნარიშვილთან გამოსათხოვარი სიტყვიდან.

„არაფერია არ არის ისეთი საიდუმლო, მიუწვდომელი ადამიანის გონებისათვის, როგორც ეს წყეული სიკვდილის რაობა. აქ არის უმაღლესი ტრაგიზმის ბნელი ცეცხლები დანთებული, რომელიც მთელ მსოფლიოს დაფარფატებს თავზე, როგორც საშინელების შავი აჩრდილი“ (გრანელი, 1991: 264). ეს არის ამონარიდი გრიშა ჯიქიასთან გამოსათხოვარი სიტყვიდან.

როგორც ვნახეთ, სიკვდილი გრანელისათვის „საშინელების შავი აჩრდილია“. აი გასაღები სიტყვისა „საშინელება“, რაც რამდენიმეგან გვხვდება კიდევ მის ლექსებში, როგორც სწორედ სიკვდილის მეტაფორა, მაგანმა კი ფროიდისტული ჟინით წაიკითხა, როგორც დასთან შეცოდების სიმბოლო. ეს არის დღემდე გაუგონარი, წარმოუდგენელი და მიუღებელი ინტერპრეტაცია. ამის დასტურად გამოგვადგება ძმური კდემამოსილებით დაწერილი ბარათი „ჩემო ძვირფასო დაო ზოზია“ (გრანელი, 1991: 265).

დედ-მამით ობოლსა და უმეგობროს ვინ უნდა გახსენებოდა გასაჭირში, თუ არა ღვიძლი და? ვის შეიძლება ეს გაუკვირდეს? ძალზე ბუნებრივია სიტყვები:

„არ მშორდება მე უძილო ღამე,  
დამეხსენი, ლაჟვარდების ცაო!  
მალე მოდი და მიშველე რამე,  
მალე მოდი, ვილუპები, დაო!“

(„მიმართვა დისადმი“, გრანელი, 1991: 155)

ოჯახურ სიტბოსა და საკუთარ ჭერს მოკლებულ გრანელს აბა ვინ ჰყავდა დების მეტი, მშობლიური გრძნობით რომ მიაღერებოდა? საზღვრით სიტუაციებში დის მოფერება რომ მონატრებოდა, რა არის ამაში მიუღებელი და ცოდვად ჩასათვლელი? ადამიანი, რომელიც ლექსში „მიმართვა ხისადმი“ წერს: „ძვირფასო ხეო, შენ მიგეყრდნობი/ ძვირფასო ხეო, რამე მირჩიე./ მე გეუბნები მწუხარე გრძნობით./ ეს ტკივილები შენ მომირჩინე“, ასევე უშუალოდ რატომ ვერ დაწერდა:

„იდგა შუადღე, ვამბობდი: დაო!  
მინდა ალერსი.

ჩანდა საყდარი და სასაფლაო  
პეტრე-პავლესი.“

(„სასაფლაოსაკენ“, გრანელი, 1991: 137)

ასეთივე ძმური განცდითაა ნაკვები შემდეგი ლექსი:

„ოთახში ვზივარ, გარეთ მიდიან  
და ცაზე ისევ მიფრინავს წერო.  
მე დავიღალე, არ შემეძლია  
და მინდა, დები რომ მომეფერონ.  
აქ სიცივია და დგანან მთები  
და სულში თეთრი ანგელოზია.  
სად არის ჩემი ძვირფასი დები,  
სად არის მაშო ანდა ზოზია?!“

არსად არაფერი ამღვრევს დაძმობის სიანკარეს. ორივე დას გრანელი მაღალი მოწიწებით იხსენებს ყოველთვის, ხოლო ზოზიას ბუნებრივად ერთიმება „ავგაროზია“, „ანგელოზია“. ასე რომ, ყოვლად უადგილოა გრანელის დაწყვილება ბაირონთან ინცესტის ბრალდებით.

ნეკროფილია და ინცესტი ყურით მოთრეული რაობებია გრანელთან.

ღმერთო მაღალო, თურმე შესაძლებელი ყოფილა სხვა ბრალდებაც: გალაკტიონის ეპიგონობა!

თუ გრანელი პოპულარულია, ტრაგიკული ბიოგრაფიის, მისი პოეზიის თემატიკისა და გალაკტიონის ეპიგონობის გამოო!!!

თემატიკა გარედან ძალად მიწებებული იარლიყი ხომ არ არის, შემოქმედის შინაგანი აუცილებლობით ამოთქმული რაობაა. ყოველ შემოქმედს თავისი სათქმელი მოაქვს. ეს ხომ მისი ბუნების გამოვლენაა და არა ვინმეს მიერ ხელოვნურად თავსმოხვეული რამ? ბიოგრაფია ხომ ადამიანის პიროვნული იდენტობის უშინაგანესი მახასიათებელია? სწორედ ბიოგრაფიით არიან ღრმად ინდივიდუალურები თუნდაც მსგავსი ტრაგიკული ბედის შემოქმედები: ფიროსმანი და გრანელი. ბიოგრაფია პიროვნების ყველაზე მყარი „მეა“, ყველაზე მართალი მოცემულობა და განუმეორებლობა. ბრალდების ეგ ორი კომპონენტი – თემატიკა და ბიოგრაფია – შემოქმედის ინდივიდუალობით არის განპირობებული, მისი ბუნებით, თვალთახედვით, მიდრეკილებით. თუ ყოველივე ამან ავტორის, ხელოვანის პოპულარობაში წვლილი შეიტანა, ასეც უნდა მომხდარიყო. საკუთარ წამებულ ბიოგრაფიასა და მის მხერაში მოქცეულ საგლოვ პრობლემებს ვაყვედრით ტერენტი გრანელს?..

რაც შეეხება ეპიგონობას, ამას ხომ ბევრად უფრო საფუძვლიანი მიზეზი უნდა ჰქონდეს, ვიდრე გალაკტიონისეული სიტყვა „ფერვალის“ გამოყენებაა ლექსში:

„ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება,  
წირვებით წამიღებს წამების მწვერვალი,  
ვარდისფერ სარკეში სურვილი ბერდება,  
მთვარესთან ჩამოწვა უვნებო ფერვალი.“

გრანელი საკუთარი მელოდიის შემოქმედია, ალაგ ყრუ და ალაგ მკვეთრი წუხილის კამერტონის გამხმინებელი; მელანქოლიური პოეზიის ავტორი, რომელიც ორსიტყვიანი ფორმულით ასე მოგვმართავს: „მემენტო მორი!“ სევდა-ნაღველს რა ტონალობებიცა აქვს, ყველა გვასმინა; მისტიკის კარები შეგვიღო და შეგვახედა; არც ერთი სიტყვით ხელისუფლებას გუნდრუკი არ უკმა; როდესაც ტროპთა ფერადების ფეიერვერკი იდგა, ყურის დამატკობელი სიტყვების ტრიუკებით ყირას გადადიოდნენ, მან სასწაულებრივი სისადავე აირჩია და ამით გამოირჩა ცისფერყანწელთაგანაც, გალაკტიონისაგანაც, ფუტურისტებისაგანაც და სხვა დაჯგუფების შემოქმედთაგანაც. არც ერთი სიტყვა არ წამოცდენია ყალბი ეფექტებისთვის. როდესაც სხვანი გამოთქმის პათოსით შეფუთვაზე ზრუნავდნენ, ჩუქურთმებიან სახეებს მიაწყობდნენ ლექსებში, ის თითქმის უკიდურესად შიშველ სათქმელს ამზობდა, მაგრამ ამას ისე ახერხებდა, მკითხველზე საოცარ ზემოქმედებას ახდენდა.

სხვა ვინ იყო, მთელი სამყარო რომ ეცვა შიშველ სხეულზე, პოეტურ იმპულსებს ღია ციდან იღებდა და ლექსსაც ბოლოს ასე აწერდა: „თბილისი, 10 აგვისტო, ღამე, განთიადი. ქუჩა“.

ხოლო მისი სავიზიტო ტაეპები თუ გნებავთ, აი ისიც:

„არა სიცოცხლე.

არა სიკვდილი.

არამედ რაღაცა სხვა.“

ერთადერთი მხოლოდ ეს ნაწარმოები რომ დაეწერა, მაინც შეაღებდა უკვდავების კარებს.

ხომ შეიძლება, ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე მოზეზრდეს ადამიანს არტისტიზმის ეფექტებსა და ტროპის მინანქარში ამოვლებული სათქმელი და მოენატროს გრანელის სადა ლექსი?..

ვისთან შეიძლება ამ პოეტის მიმსგავსება? პარალელები უთვალავი შეიძლება გვქონდეს ქართველებთანაც და უცხოელებთანაც, მაგრამ გრანელი თავის მთავარ ხაზებში სწორედ რომ არავის არა ჰგავს. საზღვარგარეთ რომ ეარსება ამგვარ პოეტს, ახლა ათასგვარი გამოცემით, ათასგვარი გამოკვლევით წარედგინებოდა იგი მსოფლიოს. ჩვენ, ქართველები, ნაცვლად იმისა, რომ ვაფასებდეთ, მაღალი გონით

ვიკვლევდეთ, უცხოელ მკითხველებსაც შესაფერისად წარვუდგენდეთ, გალაკტიონის ჩრდილში ვამყოფებთ. არც ერთ სხვა პოეტს არაფერი აკლდება გრანელის სიდიადით, მით უფრო – დიდებულ გალაკტიონს. ყველა ნამდვილ პოეტს საკუთარი იდუმალეობა, ელფერი და პულსაცია აქვს, საკუთარი სისხლის შეხეფები დაუდის ლექსებში /თუ როგორ, ამაზე ვრცელი გამოკვლევის დაწერა შეიძლება და წერენ კიდევაც/.

ზოგადქართულ სივრცეში კოლხურ წყურგილესავით ამოდინდა მისი პოეზია.

ნურავის შეეშინდება გრანელის შრიალა ლექსის აღიარებისა. ის სხვას არ აკნინებს, თვითონ მალდება.

#### ლიტერატურა:

ბუალო ნ. დ., პოეტური ხელოვნება, თბ., „ლომისი“, 1998;

გრანელი ტერენტი, ორტომეულის ტ. პირველი, თბ., გამომც. „ქართული თეატრი“, კოოპერატივი „აიეტი“, 1991;

ვაჟა, თხზულებანი ორ ტომად, ტ. პირველი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1979;

ჰორაციუსი კვინტუს ფლავუსი, პოეტური ხელოვნებისათვის, თსუ გამომც., თბ., 1981.

### GRANELI IN THE STORM OF ACCUSATIONS

**Zeinab Saria**, Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi, Head of Science Department

#### RESUME

It is observed that the part of the people who are listened by the literary community, very easy talk about such distinguished poets such as Terenti Graneli. This led to the creating of my text, as a sort of response.

The list of accusations is diverse: necrophilia, incest with his sister, copying of Galaktion, popularity due only to the tragic biography and topics... As though word of Graneli can not touch a reader's heart.

All the charges are approved contrary.

Who could this poet be similar with? Parallels can be countless as well as with Georgians, also with foreigners too, but Graneli does not look like any other in its main lines. If poet like this would live abroad, various publications, studies would be present him to the world. We, Georgians, make him to be in the shadow of Galaktion instead of respecting, researching with high mind, providing him appropriately to foreign readers. None of the other poets lose anything because of the greatness of Graneli, especially - the great Galaktion. Every true poet has own mystery, color and pulsation, its own blood spray flows in the verses /It can be written, and is in process of writing as well, an extensive research about how it can be/.

### ჰავაელი ემმას კვალდაკვალ (გალაკტიონ ტაბიძის „პირველი ვარდი“)

ნათია სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

გალაკტიონის 1915 წლით დათარიღებული ლექსი - „პირველი ვარდი“ ასე იწყება:

„პირველი ვარდი...

მოვიდა პირმშვენიერი მათი,

რად დაგვაფიწყდა

ძველ ნანგრევებზე ძველი ნავარდი,

კუნძული ჰავაის

და ჰავაელი პატარა ქალი

სახელად ემმა...“ (ტაბიძე 1966: 293)

ამ სტრიქონების წაკითხვისას, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ვინ არის ჰავაელი ემმა? გალაკტიონის შემოქმედებაში ნახსენებ პიროვნებათა ვინაობა, ჩვეულებრივ, პოეტის აკადემიური

გამოცემისათვის დართულ შენიშვნებშია განმარტებული. ემმა, გარდა „პირველი ვარდისა“, გალაკტიონის ორი სხვა ნაწარმოების პერსონაჟიც არის, მაგრამ ქალის ვინაობის შესახებ ინფორმაცია არცერთი მათგანის კომენტარში არ მოიპოვება.

გალაკტიონოლოგიურ ლიტერატურაში „პირველი ვარდზე“ ბევრი არაფერია ნათქვამი. მაგალითად, ერთგან ამგვარ ზოგად ფრაზას ვკითხულობთ: სიტყვები „ჰავაელი პატარა ქალი“ ლექსს ეგზოტიკური სურნელებით ავსებს და ტროპიკული მთვარისა და წყნარი იალქნების ჩვენება შემოაქვს (ჭილაძე 1973: 147). შედარებით ზუსტ ცნობას გვაწვდის ნოდარ ტაბიძე: წიგნში „სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი“ მკვლევარი აღნიშნავს, რომ ემმა ამერიკელი ბელეტრისტის – ელიზა ფრენსის ბიპორნეტის მოთხრობის პერსონაჟია (ტაბიძე ნ. 2008: 130).

ძიება თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ინფორმაციის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ მწერალ ელიზა ფრენსის ბიპორნეტს არამხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაც კი არ იცნობს.

როგორც ცნობილია, გალაკტიონი ევროპულ ენებს არ ფლობდა. ამის გათვალისწინებით, „პირველი ვარდის“ შთაგონების წყაროს პოვნის ერთადერთი გზა რჩებოდა – უნდა მოგვეძიებინა გალაკტიონის ლექსის დაწერამდე ქართულ და რუსულ ენებზე ნათარგმნი ნაწარმოებების ჩამონათვალი იმ იმედით, რომ რომელიმე მათგანის სახელწოდებაში იქნებოდა მინიშნება ჰავაელ ემმაზე. ამ მცდელობამ სასურველი შედეგი გამოიღო. გაირკვა, რომ 1905 წელს, ქუთაისში, ცალკე წიგნად გამოუციათ თომა მთავრიშვილის მიერ ნათარგმნი ელი ბერტის მოთხრობა – „ემმა - ჰავაელი პატარა ქალი“. სახელწოდებიდანვე ჩანდა, რომ გალაკტიონის ლექსი სწორედ ამ ნაწარმოებთან იყო დაკავშირებული.

ელი ბერტი ჰავაელი გოგონას – ემმას თავგადასავალს მოგვითხრობს. უმდიდრესი გვარის წარმომადგენელთა ერთადერთი მემკვიდრე, ემმა, ხუთი წლის იყო, როდესაც მისი მშობლები მიწისძვრამ იმსხვერპლა. მეურვეებმა გოგონა პანსიონში მიაბარეს. იქ ბავშვმა დედასავით შეიყვარა თავისი აღმზრდელი – მის ლამერტი. გარკვეული დროის შემდეგ ემმას აღმზრდელი დაქორწინდა და პანსიონიდან წავიდა. გოგონამ მასთან განშორება ძალიან განიცადა. გავიდა რამდენიმე წელი. მიწისძვრამ ჰავაის ზოგიერთი ოლქი ნანგრევებად აქცია. უამრავი ადამიანი დაიღუპა. სტიქიური უბედურების დროს სხვებთან ერთად დაიკარგა ემმას აღმზრდელიც. გოგონამ მასწავლებლის მოსაძებნად წასვლა გადაწყვიტა. არაერთი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, რაც მოთხრობაში დეტალურადაა აღწერილი, ემმამ მიზანს მიაღწია – სიკვდილისაგან იხსნა აღმზრდელი და მისი ორი მცირეწლოვანი ბავშვი. „მე და ჩემი მასწავლებელი ხშირათ მოვიგონებთ ხოლმე იმ საზარელს გავლილ დროის ამბებს, რომელიც ახლანდელ ჩვენს ბედნიერებას სრულიად არა გავს“ (ბერტი 1905: 80), – ემმას ამ სიტყვებით მთავრდება ელი ბერტის მოთხრობა.

გალაკტიონის „პირველი ვარდი“ იმ ადამიანისადმი მიმართავს წარმოადგენს, ვისთან ერთადაც ლირიკული გმირი ბავშვობაში ემმას თავგადასავალს კითხულობდა. აქ საინტერესო ის არის, რომ ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი, რომელიც ლირიკული გმირის სატრფოს ახასიათებს, ამავე დროს მიგვანიშნებს ჰავაელ ემმაზე.

„ბავშვობიდანვე იყავი მარტო  
ჯვარზე გაკრული,  
შენ სული გქონდა მეტად ფაქიზი  
და დაჩაგრული...“ (ტაბიძე 1966: 294)

– მიმართავს ლირიკული გმირი უცნობ ქალს, თუმცა ეს სტრიქონები ემმას ბავშვობასაც გვახსენებს. ასეა სხვა შემთხვევაშიც:

„თუ წაიყვანა სიყმაწვილე  
უცნობმა გემმა,  
და დაიკარგა სადმე ყვაილი,  
მიუგნებელი მხარეები თუ აიგულე...“ (ტაბიძე 1966: 294)

აქ სატრფოს ბედის გაურკვეველობით გამოწვეული წუხილია გამოხატული, მაგრამ, გარდა ამისა, ეს სიტყვები ემმას ზღვაზე მოგზაურობასა და მიუგნებელ, მიუვალ მხარეებში ხეტიალზეც მიგვანიშნებს.

როგორც ჩანს, თავდაპირველად პოეტი ემმას მთავარ პერსონაჟად მოიაზრებდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ლექსის ერთ-ერთი ვარიანტის სათაურია არა „პირველი ვარდი“, არამედ – „ემმა“.

ემმა გალაკტიონის 1916 წლით დათარიღებული ლექსის – „მოსვლას აპირებს წვიმა“ – პერსონაჟიც არის. „პირველი ვარდისაგან“ განსხვავებით, იგი აქ ლირიკული გმირის შორეული სატრფოა, რომლის სახელის გახსენებასაც თან გარკვეული ემოცია ახლავს:



„მოსვლას აპირებს წვიმა,  
იგრძნო ღრუბლების გემმა,  
გაიწვრიალა სიმმა,  
შენი სახელი - ემმა“... (ტაბიძე 1966: 338)

ემმა ნახსენებია 1911 წელს გამოქვეყნებული პოემის – „მწყემსის“ ავტოგრაფშიც:  
„მორევს წარსულის გადამწირველად გაჰკვივლა გემმა,  
ზღვას გავსცქეროდით, ისიც პირველად... პირველად ემმა“.  
(ტაბიძე 1970: 227)

ასე გადმოინაცვლა ელი ბერტის ნაწარმოების მთავარმა პერსონაჟმა – ჰავაელმა ემმამ გალაკტიონის შემოქმედებაში.

\* \* \*

გალაკტიონ ტაბიძის ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას მეოცე საუკუნის ქართული პერიოდიკა ხელახლა გადაისინჯა. გალაკტიონის შესახებ გამოქვეყნებული, დღეისათვის მივიწყებული მასალის დამუშავებისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია ქუთაისში, ჟურნალ „განთიადში“ (1988 წელი, №3) დაბეჭდილმა პეტრე ვაჭრიძის პუბლიკაციამ – სათაურით „გალაკტიონის „პირველი ვარდი“.

ამ წერილის მიხედვით, „პირველი ვარდის“ ლიტერატურულ წყაროს ამერიკელი მწერლის ელიზა ფრენსის ბიორნეტის ერთი პატარა მოთხრობა - „ემმა - ჰავაელი პატარა ქალი“ - წარმოადგენს.

მცირე პუბლიკაციაში პ. ვაჭრიძე გადმოგვცემს უცხოელი ავტორის ნაწარმოების შინაარსს, მიუთებს მთარგმნელის ვინაობაზე, წიგნის გამოცემის ადგილსა და დროზე. ეს ყოველივე ზუსტად ემთხვევა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული წიგნის - „ემმა - ჰავაელი პატარა ქალი“ - მონაცემებს, მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით - იმ ნაწარმოების ავტორი, რომლის შესახებაც ვსაუბრობდით, ელი ბერტი გახლავთ და არა ელიზა ფრენსის ბიორნეტი (სწორი ფორმაა - ბერნეტი. ნ.ს.).

პეტრე ვაჭრიძის წერილის გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, გაჩნდა ეჭვი, რომ ელი ბერტი ცნობილი ამერიკელი მწერლის ელიზა ფრენსის ჰოდსონ ბერნეტის (1849-1924) ფსევდონიმი იყო. თუმცა, ხანგრძლივი ძიების მიუხედავად, ამ ვარაუდის დამადასტურებელი ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

პარალელურად, საკითხის გარკვევის მიზნით, პეტრე ვაჭრიძის სხვა პუბლიკაციები მოვიძიეთ.

1979 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „როტაციონის ბრუნავს მანქანა. (ქუთაისში წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან 1800-1921 წწ.)“ პ. ვაჭრიძე „საყმაწვილო წიგნების გამომცემელი წრის“ მიერ გამოქვეყნებულ სხვა წიგნებთან ერთად უცხოელი მწერლის მოთხრობასაც („ემმა - ჰავაელი პატარა ქალი“) ასახელებს, თუმცა, ამჯერად ავტორად მითითებულია არა ელიზა ფრენსის ბერნეტი (როგორც ეს ამავე ავტორის წერილშია), არამედ - ელი ბერტი!

რა მიზეზით უნდა ჩაენაცვლებინა პ. ვაჭრიძეს ცხრა წლის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილში ელი ბერტი ელიზა ფრენსის ბერნეტით? იქნებ სანდო წყაროსაგან (რომელსაც რატომღაც არ მიუთითებს) იცოდა, რომ ნაწარმოების ამერიკელი მწერალი ქალის სახელმა ქართულად გადმოტანისას ამგვარი ტრანსფორმაცია (ელიზა ბერნეტი - ელი ბერტი) განიცადა?!

ჰავაელი ემმა ელიზა ფრენსის ბერნეტის არცერთი ნაწარმოების სათაურში არ არის ნახსენები, მიუხედავად ამისა, ჩვენ ამერიკელი მწერალი ქალის ყველა ნაწარმოების შინაარსს გავეცანით - იმ ვარაუდით, რომ ემმას თავგადასავალი რომელიმე ვრცელი ტექსტის ჩანართს წარმოადგენდა. ეს მცდელობაც ამაო გამოდგა.

სამაგიეროდ, სრულიად მოულოდნელი შედეგის მომტანი აღმოჩნდა სპეციალურ ცნობარებში ხანგრძლივი ძიება: ჩვენი ყურადღება მიიქცია მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე ერთი ფრანგი მწერლის სახელმა: ეს გახლდათ ბერტრან ელი ბერტე (Bertrand Ulie Berthet) (1815- 1891) არაერთი სენსაციური ნაწარმოების ავტორი, რომლის შემოქმედებაც ჟანრული მრავალფეროვნებითა და თემატური სიახლეებით გამოირჩევა. როგორც მიუთითებენ, 1835-1840 წლებში ბერტე საფრანგეთში უფრო პოპულარული იყო ვიდრე ალექსანდრე დიუმა (მამა), ხოლო მისი ერთ-ერთი ნაწარმოები („Les Houilleurs de Polignies“) ემილ ზოლას „ჟერმინალის“ შთაგონების წყაროდ ითვლება. ბერტეს ნაწარმოებები მწერლის სიცოცხლეშივე არაერთ ენაზე ითარგმნა.

ავტორთა გვარ-სახელების მსგავსების (ელი ბერტი/ ბერტრან ელი ბერტე) გამო წამოწყებულმა ძიებამ საბოლოოდ სასურველ შედეგამდე მიგვიყვანა.

გაირკვა, რომ ფრანგი მწერლის ელი ბერტეს მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა შორის მოთხრობათა ორი ამგვარი კრებულია: „პატარა სკოლის მოწაფე გოგონები მსოფლიოს ხუთი ნაწილიდან“ (1880) და „პატარა სკოლის მოწაფე ბიჭები მსოფლიოს ხუთი ნაწილიდან“ (1887). პირველი მათგანში, რომელიც რუსულად 1898 წელს ითარგმნა (მთარგმნელი - მ. გრანსტრემი), ექვს სხვა გოგონას თავგადასავალთან ერთად შეტანილია ჰავაელი ემმას ამბავიც.

სავარაუდოდ, თ. მთავრიშვილი სწორედ ზემოთ დასახელებულ გამოცემას უნდა გასცნობოდა. ქართველმა მთარგმნელმა ბერტეს ამ კრებულში დაბეჭდილი შვიდი მოთხრობიდან მხოლოდ ერთი - „ემმა - ჰავაელი პატარა ქალი“ თარგმნა. ეს ნაწარმოები, როგორც ჩანს, ქართველ მოსწავლეთა შორის პოპულარული იყო. ამაზე ნიკა აგიაშვილის მოგონებაც მეტყველებს, რომელშიც იგი იხსენებს, თუ რა წიგნებს კითხულობდნენ ის და მისი თანატოლები მოწაფეობისას და სხვა ცნობილ ავტორებთან ერთად ასახელებს ბერტეს ნაწარმოებსაც. იქვე, ასოციაციით, ნ. აგიაშვილი გალაკტიონის სტრიქონსაც („და ჰავაელი პატარა ქალი / სახელად ემმა“) იხსენებს.

პეტრე ვაჭრიძემ, რომელმაც ვერ გარკვია 1905 წელს გამოქვეყნებულ წიგნზე - „ემმა - ჰავაელი პატარა ქალი“ - მითითებული ავტორის - ელი ბერტის ვინაობა, იგი მისთვის ნაცნობ მწერალ ქალთან - ელიზა ფრენსის ბერნეტთან გააიგივა. ნოდარ ტაბიძემ კი უკრიტიკოდ გაიმეორა პ. ვაჭრიძის წერილში მოცემული მცდარი ინფორმაცია და გალაკტიონის ლექსის უცხოელი ავტორის ნაწარმოებთან მიმართებაზე ისე ისაუბრა, რომ 1905 წელს გამოცემული „ემმა ჰავაელი პატარა ქალი“ არც კი უნახავს... ეს წიგნი რომ ენახა, ბუნებრივია, ავტორად ელიზა ფრენსის ბიპორნეტს არ მიუთითებდა! (ეს ბიპორნეტი, აშკარაა, ბიორნეტია, ოღონდ, კორექტურით დამახინჯებული).

ვფიქრობთ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონის „პირველი ვარდის“ ინტერტექსტია მოთხრობა „ემმა - ჰავაელი პატარა ქალი“, რომლის ავტორია არა პოპულარული ამერიკელი მწერალი ქალი ელიზა ფრენსის ბერნეტი, არამედ - ცნობილი ფრანგი მწერალი კაცი ბერტრან ელი ბერტე.

#### **ლიტერატურა:**

**აგიაშვილი 1982:** აგიაშვილი ნიკა. გახსენება „დედაენისა“. გაზ. „ლიტერატურული საქართველი“, 1982, №7.

**ბერტი 1905:** ბერტი ელი. ემმა – ჰავაელი პატარა ქალი. ქუთაისი, 1905.

**ვაჭრიძე 1988:** ვაჭრიძე პეტრე. გალაკტიონის „პირველი ვარდი“. ჟურნ. „განთიადი“, 1988 წელი, №3.

**ვაჭრიძე 1979:** ვაჭრიძე პეტრე. როტაციონის ბრუნავს მანქანა (ქუთაისში წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან 1800-1921 წწ.), „საბჭოთა საქართველო“ (ქუთაისის ფილიალი), 1979.

**ტაბიძე 1966:** ტაბიძე გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი I, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966.

**ტაბიძე 1970:** ტაბიძე გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VIII, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970.

**ტაბიძე ნ. 2008:** ტაბიძე ნოდარ. სული ლაჟვარდზე უსპეტაკესი. თბილისი, 2008.

**ჭილაძე 1973:** ჭილაძე თამაზ. გალაკტიონი და ზღვა. კრებულში „სადღეგრძელო იყოს მისი“, „განათლება“, თბილისი, 1973.

## **FOLLOWING HAWAIIAN EMMA STEP BY STEP (GALAKTION TABIDZE’S VERSE „THE FIRST ROSE”)**

**Natia Sikharulidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli  
Institute of Georgian Literature, Senior Scientific Worker**

### **RESUME**

The article analyses Galaktion Tabidze’s verse „The First Rose” dated 1915.

It was considered that the work of famous American writer Eliza Francaize Burnett was the literary source of „The First Rose”.

Having studied the translations of foreign literature in Georgian it was demonstrated that Galaktion’s verse is created as a result of creative impulse of the work of well-known French writer Bertrand Ulie Berthet - „Emma. The Little Hawaiian”.

## გრიგოლ რობაქიძე ხელოვნების რელიგიურობის შესახებ

ლუარა სორდია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ქართული ეროვნული გონი განსაკუთრებული ძალით გაცხადდა რელიგიურ-ფილოსოფიური, ეროვნული, მითოლოგიური, ესთეტიკური ასპექტებით და გაუნელელებელი ინტერესის საგნად იქცა როგორც მშობლიური, ისე უცხოური სამყაროსთვის.

დიდი კლასიკოსის ესთეტიკის საფუძველია მწერლის ფილოსოფიურ-რელიგიური და ეროვნულ-ისტორიული თვალსაზრისი, მისი შემოქმედების ღერძია შესაქმისეული სიბრძნე, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ნააზრევი.

„მე მწამს, რომ მსოფლიო ღვთის ქმნილია და ხელოვანი მისი თანაშემოქმედი“, – მისწერა გრიგოლ რობაქიძემ ვალერიან გაფრინდაშვილს (1,38).

მწერალი ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის რელიგიურობას: „მე მწამს ღმერთი და მის წიაღში არა იკარგება რა“ (2,20).

შემოქმედებით ნიჭს ყოველთვის რწმენას უკავშირებდა: „ქვეყნად ყოველივე ღვთის წარმოსახვით შეიქმნა. შემოქმედების ეს უნარია სწორედ რწმენის სათავე“ (3,113).

ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნის სტიმულად რწმენა ესახებოდა: „რწმენა რჯულზე მეტია, მორწმუნე ახალ სინამდვილეს ქმნის თავისი რწმენით“ (3,45).

„ხელოვანი სამყაროს ხელდასხმულია, მიწით და ზეცით ხელდასხმული“ (3,87).

მწერლის ორეულს, ლევან ორბელს ხიბლავდა მაისტერ ეკჰარტის სიტყვები: „მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი სრულიად სხვაა, ის ჩემს საკუთარ თავზე უფრო ახლოა ჩემთან“ (3,38).

მწერლობას თეურგიის ერთ დარგად, მწერალს ქურუმად წარმოიდგენდა: „მწერლობა თეურგიის ერთი დარგი უნდა იყოს. სიცოცხლის გარდაქმნა ესთეტიურად მუდამ თვალწინ უდგას მას. მწერალი ამ მხრივ ქურუმად უნდა იქცეს. პოეტი მეტყველი უნდა იყოს მსოფლიო ცნაურებათა. ამისთვის საჭიროა მისტიური გაღრმავება პოეტის ბუნების“ (ფრაგმენტები) (4,167).

კულტურაში კოსმიურ აზრს ეძებდა: „კულტურა წარმოადგენს ფასეულობათა შემოქმედებას, რომელიც სავსეა კოსმიური აზრით... კულტურა სულის თვითშემოქმედება“ (ომი და კულტურა) (1,44).

ჭეშმარიტ კულტურაში აუცილებლად უნდა გამოვლინდეს რელიგიურობა, სულიერება, კოსმიურობა, ინტერესი როგორც ქრისტიანული, ისე წარმართული ეპოქებისადმი: „კულტურა... სავსეა კოსმიური აზრით. კულტურა სულის თვითშემოქმედებაა. კულტურის ზრდა ემთხვევა სულიერების ზრდას (ვუნდტის ტერმინია). კულტურას ეკუთვნის რელიგიური გზნება, რომელიც გრძნობს ღმერთს თავის გულის ფეთქვაში და ჭკრეტს მას ზეცაში... კულტურაში, როგორც პანთეონში, ყველა ღმერთისთვის არის ადგილი... კულტურაში გვერდიგვერდ ცხოვრობს წარმართული ვენერაც და ქრისტიანული ღვთისმშობელიც“... (1,44).

გრიგოლ რობაქიძე ხელოვნების რელიგიურობაზე მუდმივად აკეთებდა აქცენტს და იმოწმებდა ავტორიტეტებს: „მართალია შელინგი, რომელიც ამტკიცებს, რომ „ხელოვნებას მიჰყავს ადამიანი ცოდნისკენ უზენაესისა“. მართალია ჰეგელიც... რომ „ხელოვნება გრძნებითი გამოსახვაა აბსოლუტისა“. მართალია შოპენჰაუერიც... რომ „ყოველი საგანი ლამაზია იმდენად, რამდენადაც იგი გამოსახულება იდეისა“ (4,509).

არც ინდოელი მგოსნების მაგალითს ივიწყებდა: „ინდოელი მგოსნისთვის მგოსნობა ღმერთმსახურებაა და შაირი – მსხვერპლშეწირვა. მხოლოდ მსხვერპლი, აი მთავარი ნაქნარი მგოსნისა“.

ასევე, იხსენებდა ჰაიზენშტაინის ნათქვამს: „ხელოვნება – ეს დაჭერაა საგნებზე ღვთის კვალისა“ (ექსპრესიონიზმი) (2, 344).

გრიგოლ რობაქიძე ხელოვანსა და ხელოსანს რწმენის მიხედვით განასხვავებდა: „შესაძლოა დამტკიცდეს, რომ ხელოვნება ღმერთმსახურების გაგრძელებაა. მოგვი პირველში მგოსანიც იყო: იდუმალი სიტყვა და წმინდა სახელი განა იგივე ლექსის სულ არ არის? დიახ: ხელოვანი მოგვია ნამდვილი და ვის სულშიც ცეცხლი არ იწვის ღვთიური, იგი ხელოსანია მხოლოდ“ („ოქროს ვერძს“) (4, 495).

ქართულ ლიტერატურაში მოგვის სახელით აკაკის და ვაჟას მოიხსენებდა და წერდა, რომ „მათი პოეზია უფრო მოგვობას უახლოვდებოდა“ (ფრაგმენტები) (4, 164).

„გველის პერანგის“ ავტორისთვის „ხელოვნება... ერთ-ერთი სახე“ იყო „რელიგიის კავშირის“ (4,528). სწამდა, რომ „ადამიანი ზესთაურის მხილველია“ („საუბარი კარდუსთან“) (5, 18).

მწერალი ეძებდა მარადიული სულის, „მარადჟამული ცეცხლის“ მსახურს: „ვისაც უკვდავება არ სწამს, იგი არ არის მგოსანი: მარადჟამული ცეცხლის მაგიერ იგი მხოლოდ მტვერს ემსახურება და მოსძებნეთ ჩვენში მგოსანი, რომელიც ღვთიურის ცეცხლის ალით იწვოდეს“ („ოქროს ვერძს“) (4, 495).

გრიგოლ რობაქიძის იდეალი იყო „შემოქმედი-ცეცხლეული წინასწარმეტყველი“, მზესთან, ცეცხლთან წილნაყარი, „ახალი აღთქმის ფიცართა“ მფლობელი: „...ველით შემოქმედს, იგი წინასწარმეტყველია თვითონ ცეცხლეულის. ცეცხლის სიყვარულით ქმნის იგი ახალ სიცოცხლეს, ახალ სინამდვილეს. იგი სწვევტავს მზეთ და ალის ენით სწვავს და სჭრის მათში ახალი აღთქმის ფიცართა“ (6, 517).

ცეცხლი და მზე საღვთო სახელებია (7, 121).

ლექსში ეძებდა ბრინჯაოს სიმტკიცეს, სულის ლოცვა-მუსიკას, პოეტის გმირულ შემართებას, მსხვერპლშეწირვისთვის მზადყოფნას სახავდა გამარჯვების გარანტიად: „ლექსი ბრინჯაონაკვეთი უნდა იყოს ლოცვისა, სულის მუსიკისა, აფრთოვანების ალისა“ (5, 383).

ლოცვის, გალობის ინტონაციებით გამოირჩევა ლევან ორბელის პოეზია რომანში „მცველნი გრაალისა“. ლოცვა-ვედრების, საგალობლების აღვლენის ნიჭი კი მხოლოდ რწმენისთვის სისხლის გამღებთ, ქრისტიანული რწმენის ერთგულთ ხელეწიფებათ.

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში თეთრად შემოსილნი გვევლინებიან რწმენისთვის შეწირულნი და გალობენ ისეთ სულსშემძვრელ საგალობელს, რომლის შესწავლა მხოლოდ ერთეულთა, იდეალისთვის მსხვერპლის გამღებთა ხვედრია (იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, თ. 5,9, თ. 6,11, თ. 14, 2, 31) (8, 497, 198, 499, 508)

გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა, რომ მხოლოდ რწმენის ერთგულია ინტუიციით მომადლებული, რომელიც წვდება „სახე-იდებს“ და ნამდვილ სახეში ქმნის სასურველ სახეს“ (ხელოვნება და სინამდვილე) (6, 502).

„ინტუიციური ანუ სულიერი სიბრძნე არის წყარო შთაგონებისა, რომელიც არის ხმა უმაღლესი მესი“ (რამაჩარაკა) (9, 137).

ქართველ მწერალს იტაცებდა „სიტყვა ქვეფარული“, „ჰიერატიული სიტყვა“ (6, 511), ანუ ქვეტექსტებით გამჟღავნება სათქმელისა, საიდუმლო სიტყვა, ინტელექტუალთათვის, ელიტისთვის გამიზნული.

თავის რელიგიურობას ასე გვაგრძნობინებდა „ჩაკლული სულის“ ავტორი: „მე ყოველთვის ალისფერი მოსასხამი მესხა“ (იოსებ გრიშაშვილისადმი) (5, 384).

სხვაგან გვეცხადებოდა, როგორც „ცეცხლის რაშის“ მხედარი, „ლეგენდა ალისფერი“ (10, 37-38)

„ლეგენდა ალისფერი“, „ალისფერი მოსასხამი“ ღმერთშემოსილობას ნიშნავს.

„სამართლიანად ითქვა, რომ „რობაქიძე დიდი ადამიანი და გენიოსია. ქედს იხრის მარტო პანტოკრატორის წინაშე. ებრძვის მერყევს და წარმავალს“ (გ. ჯიბლაძე) (2, 421). აღნიშნულია, რომ „გრიგოლ რობაქიძის მეტაფიზიკა მეტაფიზიკაში კი არ არსებობს, მიწის სიღრმეებშია ფესვგამდგარი“ (გიორგი ჯიბლაძე, მოგონება-მემორიალი) (2, 394).

ყველა დიდი მწერალი რელიგიურობით იქცევიდა ყურადღებას, რადგან, ბიბლიის მიხედვით, მხოლოდ რწმენის ერთგულთ მიემადლებათ სიბრძნე, ნათელხილვისა და ნათელსმენის ნიჭი, რომელთა გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი შემოქმედება.

ცოდნა ორგვარია: მიწიური და ზეციური. „მიწიური ცოდნა წუთისოფლის მაცდური, ეშმაკეული სიბრძნეა“, რომელსაც უპირისპირდება „მაღლიდან გარდმომავალი სიბრძნე. მშვიდობიანი, ღმობიერი, წესიერი, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე“ (იაკობი, 4, 15, 17) 8, 298).

მარქსიზმის, ათეიზმის, სისხლიანი რევოლუციის ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო საკითხის ასე დასმა, რადგან ოფიციალური იდეოლოგია უარს ამბობდა წარსულის კულტურაზე, რწმენაზე, ახალ ადამიანს ქმნიდა, ურწმუნოს, უზნეოს.

ბუნებრივად გაჩნდა პოზიტიური მოწოდება: „უნაყოფო, კულტურის საწინააღმდეგო ნიჰილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიბრუნოთ შემოქმედი, კულტურის მქნელი რელიგიური ჰუმანიზმისკენ“ (სემიონ ფრანკი, ნიჰილიზმის ესთეტიკა) (11, 66).

უეჭველია, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია. არარელიგიური კულტურა ფსევდოკულტურაა. კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალური და ამდენად, საკაცობრიო. ცივილიზაცია არარელიგიურია, ინტერნაციონალური“ (აკაკი მინდიაშვილი, ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ) (12, 117).

ყველა დიდი კლასიკოსი რელიგიასთან, საღვთო სიბრძნესთან იყო ნაზიარები.

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „ვერც ერთი თაობა, ვერც ერთი ეპოქა, ვერც ერთი ერი მაღლისა და მშვენიერის შემოქმედი ვერ იქნება, თუ იგი ღვთაების უხვი კალთიდან აღარ იღებს სულიერ საზრდოს“ (13, 425).

მწერლის მიზანი იყო სატანური ბოლშევიზმისგან განდგომა „დისტანციის თეორიის“ საშუალებით, ეროვნული, ნაციონალური რელიგიის შექმნა, ხელოვნების რელიგიად წარმოდგენა (სოსო სიგუა) (14, 630).

პოეზიის, ხელოვნების რელიგიურობას ორგანულად უკავშირდება ეროვნული იდეალები: „მგონის სულში ერი ცოცხალ არსად უნდა ფეთქავდეს, უამისოდ შეუძლებელია მზიურ-ხალისიანი შემოქმედება. მართალია, ჩვენს განცდაში საქართველო, როგორც მთელი არ არსებობს, მაგრამ ჩვენს ოცნებაში ხომ არსებობს მისი სახელი, სახე? და ტანჯვაა საჭირო, ღრმა ტანჯვა, რომ ოცნების ჩონჩხმა ჩვენს წარმოდგენაში ხელშესახები სხეული შეისხას და განა ბევრი იტანჯვის ჩვენში?“ („ოქროს ვერძ“) (4, 491).

დიდ ლიტერატურაში კლასიკოსი მწერალი ეძებდა „ხმალს სულიერს, სიტყვას წინასწარმეტყველურს, სიმბოლოს ეროვნული რენესანსისა“ (არჩილ ჯორჯაძეს) (1, 285).

უზენაესთან წილნაყარ შემოქმედს ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენები მიემადლება. მას დაებედა „მინაგანი სმენით წარსულის ხმების მოსმენა“ (3, 411), მოვლენების განათება „ელვისებული ინტუიციითა“, მოსახდენის წინასწარი განჭვრეტა, იდუმალი წიალიდან წამოსული სახეების ჭვრეტა (3, 109) „მდუმარე სიტყვის დანახვა“ (3, 11), „დუმლით სულში ჩახედვა“ (3, 157) „ყოველი არსის ფარული სახის შეცნობა“, „კოსმოსის მაჯისცემის შეგრძნობა (3, 112), „უძირო მარადისობის“ წვდომა (3, 11)

რწმენის დაკარგვა მიწის, – „ამ მარადიული დედის“ „წაბილწვას“ უკავშირდება (3,116).

სამყაროს, კოსმოსის საიდუმლოებითა მამიებელი სული გარდუვალისა და მარადიულის სივრცეში ტრიალებს (3,22), მისთვის მთავარია „წმინდა წამი და არა წარმავალი“. „დიადი წუთებით“ მცხოვრებ სულს ხელეწიფება „ერთ წამში მოიხელთოს უსასრულობა სივრცის“ (3,220), წვდეს „უძირო მარადისობას“ (3, 11).

მხოლოდ ამგვარი „დიადი წამით“ ხდება შემოქმედის სული „სამყაროს ხელდასხმული (3, 155).

„ყოველი ადამიანი სამყაროსთან კოსმიურ კავშირშია ჩაბმული“ (3, 149).

მიწისა და ზეცის საგალობლების ავტორი მიმართავდა უზენაესს: „უფალო, ო, მშვიდო, ლალო, მალალო, წყნარო, ჩაემვი ჩემი სულის თასში, ვით გრილი წყარო ... ვეწაფვი ფიცხი შენი სულის მათრობელ ალსა“ (სონეტი ლოცვის) (გრიგოლ რობაქიძე, 13 სონეტი, თბ. 2004, გვ. 3)).

საღვთო ცეცხლთან, უზენაეს „ალთან“ წილნაყარი მწერალი უმაღლეს ექსტაზს განიცდიდა: „...ღვთის სიახლოვით მეწამულნი: ვიწვით, ვითვრებით“ (დიდი შუადღე) (იქვე).

მწერალი „მინაგანი გზებით“ ჭვრეტდა გარდასული დროის სალოცავებს, შეიგრძნობდა „ღვთაების ძალას და მადლს“, „უძველეს საუკუნეთა ქროლვას“ (3, 37-38).

„ზესთაურის მხილველი“ მწერალი ამბობს: „ჩემი ინსტინქტი მეტად გამახვილებულია და ძალიან საძნელაა მისი შეცდომა“ (5, 284).

გრიგოლ რობაქიძე ხაზს უსვამდა, რომ მისი ნიჭი ღვთისგან იყო მომადლებული: „ის, რაც მოხვდა თანამემამულეთა გულს, არსად მისწავლია, მომადლებული მაქვს“ (გიორგი გამყრელიძეს) (5,630).

აქ მწერლის აზრი სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქულის მოსაზრებას ემთხვევა, რომელიც ნიჭის მბოძებლად სამების მესამე წევრს – სულიწმინდას სახავდა და სიბრძნის სიტყვას, ცოდნის სიტყვას, რწმენას, განკურნებათა ნიჭს, სასწაულმოქმედების, წინასწარმეტყველების, სულების გარჩევის, სხვადასხვა ენების და ენების განმარტების უნარს სულიწმინდის მადლად მიიჩნევდა (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12, 7, 8, 9, 10, 11) (8, 374).

გრიგოლ რობაქიძისთვის მიუღებელი იყო ნიჭით ამპარტავნობა: „ნებისმიერი მწერალი უნდა ერიდოს საკუთარ ზესთამჩენობას, რადგან ჭეშმარიტი ხელოვნება პიროვნებიდან არ მოდის, ზეპიროვნულია“ (კორნელიუს ბერგმანისადმი) (5, 472).

გრიგოლ რობაქიძეს ესმოდა „ქაოსის სუნთქვა“, ევლინებოდა ხილვები, რომლებიც წინასწარ მიაინშნებდნენ მოსახდენ მოვლენებზე.

ბერძენი მწერალი ნიკოლას კაზანძაკი წერდა ქართველ კლასიკოსზე: „...ნათელმხილველი, რომლის თანამედროვენი ჯერ არ შობილან“ (5, 528).

გრიგოლ რობაქიძის სულში „მისტიური ნაპერწკალი“ ენთო, მისი „მისტიურ განზომილებაში გადასული სული“ უხილავის ხილვით, შეუცნობის შეცნობით იყო გატაცებული.

მთავარი მიზანი იყო „მდაბალი სამყაროდან მასზე უფრო მაღალში მისტიკური ზეაღსვლა“ (3, 87).

„მისტიკური ჭეშმარიტების“ წვდომის უნარს მხოლოდ ზეცასთან, უზენაესთან წილნაყართა პრეროგატივად მიიჩნევდა დანტე: „ნუ გაცოდები, რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ ჭეშმარიტების მისტიურის ეგრე ჩაწვდენა, ეს მან შეიცნო, ვინც იხილა ცათა საუფლო“ (15, 392).

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელის“ პერსონაჟს სჭირდებოდა „ამ მდაბალი სამყაროდან მასზე უფრო მაღალში მისტიკური ზეაღსვლის წინამძღოლი“ (16, 228).

გრიგოლ რობაქიძის სამყარო ერთნაირად არის „ზეცით და მიწით“ ხელდასხმული, მისთვის ლოგოსი იყო „ცოცხალი თაური ციურისა და მიწიერისა, რომელიც განსაკუთრებული ძალით ვლინდება ქართულ ენაში.

მწერლის აზრით, „სული შემოქმედად მას შემდეგ იქცევა, რაც მიწით განიმსჭვალება: ამას გვასწავლის ვაზის ჯვარი. თვით ღვთიური ვნებაც კი სიცოცხლისაგან ნაბოძები სიხარულით შეიცნობა...“ (3, 64-65).

მიწის, ზეცის, სისხლის, სულის და რწმენის ერთიანობაში ხილვა გრიგოლ რობაქიძის განსაკუთრებული მსოფლალქმის დასტურია: „ჩვენთვის მიწა სისხლი და ხორცია. იგი .. ზესივრცული არსით იმოსება, რაც მეტაფიზიკურ სფეროში გარკვეულ სულიერ სინამდვილეს შეესაბამება.

„ჩვენს სულს ესაჭიროება მიწის პლაზმა, ის სიმწიფესა და სიმყარეს გვანიჭებს“ (3, 147).

გრიგოლ რობაქიძე თავისი შემოქმედების უპირველეს წყაროდ, წარმატებების გარანტიად მშობლიურ სამყაროს ასახელებდა: „თუ რამ კარგი გამოდის ჩემგან, ეს მაღლი არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მიწისა, მისი ქმედითი-ცოცხალი ხსოვნა (ანამნიზისი), აქაა საქართველოს არსი“ (5, 414).

მწერალი ქართული ენის სიტყვებს უწოდებდა „ქმედით სტიქიებს“, რომლებშიც შესაქმისეული სიბრძნე ხმინებს, მსოფლიო სიბრძნე ირეკლება (3, 58).

ქართულ მატანეებში, ხელნაწერებში სულის თვალთ ეძებდა „მსოფლიო საიდუმლოს“ ამოსახსნელ გასაღებს, აღმოსავლური სიბრძნის მრავალ მარგალიტს ჭვრეტდა ეროვნულ მითებში, თქმულებებში, რელიგიურ ადათებსა თუ ეპოსის ნამსხვრევებში.

ხაზს უსვამდა ვაჟა-ფშაველას მინდიას არსებაში დაუნჯებულ „ბუნების შემოქმედებით გენიას, რელიგიურ უნივერსალიზმს, რელიგიურ გარდამქმნელ საწყისს“ (ვაჟა-ფშაველა) (5, 288-289).

ცნობილია გოეთეს აზრი რევოლუციის შესახებ: „...თავს ვერ ჩავთვლი რევოლუციური ბრბოს მეგობრად, სულ რომ ძარცვა-გლეჯაზე, მკვლელობაზე და ხანძარზე ფიქრობს, მხოლოდ საკუთარი ეგოისტური მიზნებისთვის იღწვის. არა, ასეთ სისცხლისმღვრელთა მეგობარი არ ვარ! მე მძაგს ყოველგვარი სისხლიანი გადატრიალება, რომელიც იმდენსავე ანგრევს, რამდენსაც ქმნის. მე მძაგს ისინიც, ვინც ძალმომრეობით აღიმერიან და ისინიც, ვინც ამის მიზეზს იძლევიან... ყოველგვარი ძალადობა, ყოველი ნახტომი ჩემს სულს აღაშფოთებს, რადგან ის ბუნებას ეწინააღმდეგება“ (17, 81).

გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში“ რევოლუცია აღიქმება, როგორც ძალმომრეობა, შურისძიება ჩაგრულებისა მჩაგვრელთა მიმართ, რაც არ ამკვიდრებს თანასწორობას, პირქით, ერთი ჯგუფის მჩაგვრელები მეორეთი იცვლებიან.

„რევოლუცია საფრთხეა, მაგრამ კაცობრიობამ უნდა გაიაროს ეს საფრთხე. უღმერთო კულტურა რევოლუციით მთავრდება.

„რევოლუცია აქეზებს უღმერთობას, უღმერთო ადამიანი ერთბაშად იგრძნობს სიცარიელეს და აღმაფრენით მოინატრებს დაკარგულს“ (ჩაკლული სული) (18, 21).

„სამყაროს განდმერთებას“ შინაგანი სამყაროს განადგურების ტოლფასად მიიჩნევდა მწერალი, მაგრამ რევოლუციით დაკანონებული უღმერთობის მიღმა ისევ რწმენისკენ მიბრუნების სჯეროდა, რაც ახდა კიდევ.

საბჭოეთში მწერალი არა დემოკრატიას, არამედ დემონოკრატიას, შიშს, უნდობლობას, გაცემას ხედავდა (მიმართვა ქართველი ახალგაზრდობისადმი) (18, 7).

აღაშფოთებდა ბოლშევიკების „დემონური ყოვლისშემძლეობა, მარქსისტული იდეის დემონურობა“ (დემონი და მითოსი) (19, 73, 81).

დემონებს, ლუციფერებს, არიმანულ ძალებს უწოდებდა ლენინს, სტალინს, ტროცკის (19, 93).

რომანი „ჩაკლული სული“ იყო წინასწარჭვრეტა საბჭოთა ეპოქის რეპრესიებისა, რაზედაც მიუთითა კიდევ მწერალმა კ. სალიასთან ინტერვიუში (18, 229-241).

ცნობილია, რომ „სოციალისტურმა ტოტალიტარიზმმა კირკესეული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასა, მაგრამ მან ვერ შეძლო ერთგულ, გამორჩეულ პიროვნებათა ამგვარი ტრანსფორმაცია“ (20, 61- 62).

საზოგადოებაში ორ მთავარ ჯგუფს – გამორჩეულ, მაღალი იდეების მსახურ უმცირესობას და მასებისა, ბრბოს თავმოყრას ხედავენ, უმრავლესობის ნება მხოლოდ ინსტინქტებზეა დამყარებული (21, 8).

გრიგოლ რობაქიძე რელიგიურ, მარადიული ჭეშმარიტებების ერთგულ უმცირესობაზე აკეთებდა აქცენტს, მას გარჩეული აქვს „ხალხი შემოქმედი“ და „ხალხი მასალა“ (არჩილ ჯორჯაძეს) (1, 277).

მწერლის აზრით, „ადამიანი მცირე კოსმოსია, ქართველთა მითიური წინაპარი კი ქართლოსი .... გარდაცვლილნიც და მოსულნიც ერთნი არიან. მამა შვილში არის, შვილი მამას აგრძელებს“ (3, 157).

ცნობილი მოსაზრების მიხედვით, „ერი არის მისტიური ორგანიზმი, ... ერი არ არის მხოლოდ ცოცხალთა თაობა, არ არის თაობათა ჯამი. მასში არანაკლებად ცოცხლობენ და მყოფობენ წარსული თაობები, ვიდრე თანამედროვენი“ (ნიკოლოზ ბერდიაევი, ერი და კაცობრიობა) (11, 15).

გრიგოლ რობაქიძე ეძებდა რჩეულ, ერის მომავლის, პროგრესისთვის მებრძოლ ადამიანებს, ამხელდა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიებს: „დავჩლუნვდით, დავბეჩავდით, ღირსნი აღარ ვართ ღვთისშვილებად ვიწოდებოდეთ. ხორცად ქცეული სიტყვა-ეს საიდუმლო მყიფე მეტაფორადღა შემოგვრჩა, არადა, ეს ხომ მიწაზე მიგვითითებს, როგორც ლოგოსის დამბადებელ საშოზე. თუკი მიწის

საშოს მკვდარ მატერიალ მიიჩნევს, ადამიანი იმწამსვე დაიცლება ლოგოსური ძალებისაგან, სული დაკარგავს თავის ნაყოფიერ სისავსეს და მყოფე რაციომდე დაეცემა, ხოლო რაციოს არ შესწევს ძალა, რწმენის შემოქმედებითი აქტი განახორცილოს“ (3, 117).

გრიგოლ რობაქიძეს არ მოსწონდა ბოლშევიზმი, ათეისტური სოციალიზმი, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, სოციალისტური რეალიზმის მეთოდი: „ბოლშევიზმი და ხელოვნება ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან. მთელს საბჭოეთში მე არ მეგულება არცერთი ნაწარმოები, რომელიც არსებითად ბოლშევიკური იყოს და იმავე დროს ხელოვნური. თუ რამ თვალსაჩინო შეიქმნა საბჭოეთში, ამ მხრივ მხოლოდ და მხოლოდ ოსტატური გვერდის ავლით ბოლშევიზმისა“, (5, 109).

„ორი ასტროლოგიური ნიშანი მართავს აწმყოს: მერკური და მარსი. მერკური – ევროპა-ამერიკის რაციო, მარსი-ძალა ბოლშევიკური გაქანებისა“ – გულისტკივილით წერდა მწერალი.

დასავლური ჭკრეტა „მშრალ, ცარიელ ცოდნად“ ესახებოდა: „ლოგოსი-ენგადი, როგორც ყოფის, ისე აზრის, დასავლეთში ძლივს ახელს თვალს“ (გულნადები) (18, 323).

1931 წელს მიხეილ ჯავახიშვილს მისწერა: „აქ დიდი კრიზისია. ამერიკანიზმი სპობს ნამდვილ ლიტერატურას... ნურავინ იფიქრებს, ევროპის სარბიელზე გასვლა (ამჟამად) მწერლისთვის სახარბიელო იყოს. მშობელი მიწა და მისი წიაღი ყველაფერია. ჩვენში მიწას ჯერ კიდევ აქვს ჯიქანი. ჩვენში წიაღი უშრეტია“ (1, 68).

მიწიური და ზეციური ერთდროულად ესახებოდა რენესანსის ხერხემლად, არ მოსწონდა რენესანსის წარმომადგენელთა გულგრილობა რწმენისადმი, თავისი თანამედროვე ეპოქის ათეიზმი, თავის უმთავრეს მისიად მიაჩნდა რწმენის მსახურება, ხალხის მოქცევა ქრისტიანობისკენ, ზრუნვა ადამიანის სულის ზრდისთვის. ეს იყო მისი პოეზიის, პროზის, დრამების, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების, პუბლიცისტიკის, ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა.

#### ლიტერატურა:

1. აკაკი ბაქრაძე, კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბ. 2003;
2. გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბ. 1996;
3. გრიგოლ რობაქიძე, მცველნი გრაალისა, თბ. 2012;
4. გრიგოლ რობაქიძე, ხუთტომეული, წ. III, თბ. 2012;
5. გრიგოლ რობაქიძე, ხუთტომეული, წ. IV, თბ. 2012;
6. გრიგოლ რობაქიძე, ხუთტომეული, წ. II, თბ. 2012;
7. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995;
8. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992;
9. Рамачарака. Основы мирозозрения индийских Йоогов, Петербург, 1913;
10. გრიგოლ რობაქიძე, ხუთტომეული, წ. V, თბ. 2012;
11. რუსი ფილოსოფოსები დემოკრატისასა და რევოლუციასზე, თარგმანი ზ. კიკნაძის, თბ. 1994
12. ჟ. „ცისკარი“, 1999, №3;
13. კონსტანტინე გამსახურდია, ტ. VII, თბ. 1985;
14. სოსო სიგუა, მარტვილი და ალაშდარი, I, თბ. 1991;
15. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941;
16. უმბერტო ეკო, ვარდის სახელი, თარგმანი ხათუნა ცხადაძის, თბ. 2011;
17. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები ა. გელოვანის, ბათუმი, 1988;
18. შერისხულნი, ტ. II, თბ. 1994;
19. გრიგოლ რობაქიძე, დემონი და მითოსი, გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ, თბ. 2012;
20. ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, თბ. 1995;
21. ხოსე ორტეგო ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ. 1993.

## GRIGOL ROBAKIDZE ABOUT OF RELIGIOUS ART

Luara Sordia, Sokhumi State University, Professor

### RESUME

Grigol Robakidze considered creative talent gift of the Holly Spirit. For him it was yardstick of artistic expression, the true greatness of the culture was primarily religious, the ministry of divine wisdom and eternal ideals.

Writer rejected atheistic Marxism, bloody revolution, the principle of party literature, servants of psevdoculture.

## **ОШИБКИ И ТРАГЕДИИ ИСТОРИИ (ПО РОМАНУ ФРАНЦА ВЕРФЕЛЯ «40 ДНЕЙ МУСА-ДАГА»)**

**Ольга Кавтария**, Сухумский государственный университет, Приглашенный педагог,  
Доктор филологии

Франц Верфель – одна из значительных фигур немецкого экспрессионизма и мировой литературы XX в. Величие писателю придает его индивидуальность и глобальность. Как художник Верфель прошел очень сложный и трагичный путь. Его беспокоили «живые» проблемы современности, затрагивающие сферу философии, культуры, религии, этики и эстетики. Верфель всю жизнь искал пути для разрешения проблем и преодоления трудностей. Прозаическое наследие писателя с полным правом можно причислить к интеллектуальной литературе.

Франц Верфель один из лидеров экспрессионистического искусства, для которого характерно обостренное восприятие противоречий времени. Экспрессионисты, в том числе и Верфель, не скрывали своих политических взглядов и позиций. В мире происходила переоценка духовных ценностей: ценности потеряли свою значимость, а все то, что считалось ранее недостойным внимания искусства, выступило на первый план. Экспрессионисты правильно уловили дух времени и старались разрешить его главные вопросы. «Героизм» экспрессионизма проявился в его дерзновении восстать против войны и насилия в целом, против подавления личностной свободы. Художники слова протестовали против действительности и ужасались царившим в ней хаосом. Они предчувствовали надвигающуюся на человеческую цивилизацию катастрофу.

Одной из глобальных проблем XX в. для Франца Верфеля была проблема фашизма и истоков его зарождения. Писатель считал ее «своей» проблемой. За свободолюбивые высказывания против милитаризма и пророчества касательно фашизма Верфель был изгнан из родины и умер на чужой земле. Писатель предчувствовал, что господство фашизма может привести человечество к глобальной катастрофе и, быть может, гибели цивилизации в целом. Художник не ошибся в своих предсказаниях. Не случайно обеспокоенность судьбой человечества приняла у Верфеля вселенские масштабы. Как истинный писатель-экспрессионист Верфель обратился к недалекому прошлому, чтобы на его примере решить проблемы современности. Свой выбор писатель остановил на трагедии армянского народа, населяющего территорию Турции. Рассказывая о геноциде армян, Верфель видел, что может постигнуть Европу в ближайшее время, если не препятствовать развитию националистического движения в Германии.

Грандиозным памятником борьбы с фашизмом является роман писателя «40 дней Муса-дага», посвященный героизму, самоотверженной борьбе народа за свободу и самопожертвование во имя других. «Страстное влечение к духовности, которым одержима армянская нация – тайна всех древних народов, выживших наперекор времени» [1, с. 51]. У Верфеля герои не пассивные жертвы геноцида армян в Турции, а герои, противостоящие жестокости человеческих деяний. Армянский народ, приговоренный к уничтожению, прошедший через страшные испытания судьбы, лишенный прав и свободы, лишенный права на хранение оружия для самозащиты, нашел в себе силы восстать против врага и выжить ради будущего.

Роман был написан в 1933 году, в эпоху господства фашизма в Европе. Замысел же создать подобное полотно зародился у Верфеля в 1929 году во время путешествия по Сирии, Палестине и Египту. Во время поездки писатель встретился лицом к лицу с жертвами катастрофы, развернувшейся в Турции. «Идея написать об армянах возникла у меня во время первой мировой войны, когда, читая европейские газеты, я познакомился с трагедией армянского народа. Я настолько был потрясен..., что решил представить все это человечеству историческим романом. В Сирии я увидел армянских детей, юношей, несчастные осколки гонимого народа, в глазах которых отпечатались слава и ужасы прошлого» [2]. Исторические события, описанные в романе, разворачиваются в 1915 году. Автор смело проводит параллель с происходящими в Европе событиями в 30-е годы. 1915 год знаменует собой начало «деятельности» фашизма и первого «цивилизованного» геноцида в XX в.

Верфель, как истинный экспрессионист, создал в романе «40 дней Муса-дага» новый образ человека, взбунтовавшегося против насилия и принуждения человека к бесчеловечности. Писатель выразил новые мироощущения нового героя, пробудившегося ото сна, возродившегося и способного на решительные действия. В своем творчестве он рассмотрел проблему нравственного очищения человека. Верфель отказался от героя-созерцателя и создал героя-активиста, лидера общества, участвующего в его переустройстве.

Герой романа – Габриэл Багратян, отпрыск родовитой семьи, по происхождению турецкий армянин. Габриэл вырос в полном благополучии, жил в Париже, вел созерцательный божественный образ жизни, получил образование, обзавелся семьей. Габриэл вел жизнь ученого и эстета, занимался археологией, историей искусства, философией, получал ежегодную ренту, которая позволяла ему быть независимым человеком. Он мыслитель, для которого духовность превыше всего. Габриэл превратился во француза, а армянином остался лишь теоретически, даже подумывал принять французское гражданство. Багратян давно порвал связь со своим народом, с государством, с массовой организацией, превратился в «абстрактного» человека, всецело занятого своей внутренней жизнью. Политика его совершенно не интересовала.



Вместе с женой и сыном Багратян возвратился на родину. Причиной возвращения в Турцию было наследственное поместье, оставленное от старшего брата Аветиса Багратяна, который в свое время был главой семьи, невидимым и недосягаемым благодетелем. Габриэл - интеллигентный, образованный, всеми уважаемый человек, с определенным положением в обществе. Он мужественный, энергичный, находчивый, офицер резерва турецкой армии, сделал карьеру, получил награды за храбрость при участии в Балканской войне. Стабильность жизни по политическим причинам рушится в один миг. Из рафинированного, цивилизованного «европейца» он превращается в лидера армянского народа, проживающего в окрестностях горы Муса-даг, неподчинившегося турецким властям. Багратян становится во главе непокорившихся и самоотверженно ведет борьбу за спасение своих соплеменников. Это был час испытания для Габриэла. Он – сын своего народа, сын «древней крови, в нем живет древний народ...». Им руководила «некая властная сила, что вела его ... долгими окольными путями столетий и короткой, но тоже окольной дорогой его жизни» [1, с. 178]. По мнению Верфеля человек должен бороться за свою жизнь и свободу, не падать духом и не отступать, а в определенной ситуации принимать верные решения, - таков его герой.

Турецкие власти решили «очистить» территорию Турции от неверных и изгнать их в Месопотамскую пустыню на верную гибель, где они просто исчезли бы с лица земли. Турецкое правительство обвинило армянское население в тайном сговоре с Россией, в измене, заговоре, шпионаже и дезертирстве. Народ расплачивался за деяния отдельных людей. Турецкий национализм, как эпидемия чумы охватил всю страну, и население оказалось не в состоянии противостоять властям под страхом смерти и террора. Национализм показан у Верфеля как болезнь эпохи, отрицательно действующая на человечество, и приближающая его к неминуемой гибели. Описывая историю Турции, Верфель завуалировано рисовал мрачную судьбу Германии. Турцию в 20-е годы, а Германию в 30-е окутал дурман национализма. Задумкой турецкого правительства было основание новой империи, «но под фундаментом ее будет лежать труп армянского народа» [1, с. 119]. Исполнителем этого плана является Энвер-паша – военный министр - представленный в романе как Марс, бог войны, но по понятиям турков он – посланник бога, народ преклоняется перед ним и почитает его. Здесь также проведена параллель с Гитлером и его политикой. «... мы древняя героическая раса, призванная основать великое государство и властвовать в нем. А через препятствия мы просто перешагнем» [1, с. 119] – слова Энвера-паши – ну чем не высказывания фашистов о совершенстве и могуществе германской расы. Высказывание Эрнеста Хемингуэя – человека можно убить, но невозможно уничтожить - вполне подходит и к роману Верфеля. Хемингуэй говорит об отдельном человеке, но когда дело касается уничтожения миллионов людей, - это уже хаос и «путь к бездне», выбраться из которых вряд ли удастся, а если и удастся, то на «возвращение» понадобятся десятилетия, может века.

Не случаен в романе образ председателя Германского общества по изучению Ближнего Востока – Иоганна Лепсиуса. Лепсиус реальное лицо, исторический персонаж, издатель сборника рассказов и сообщений очевидцев трагедии – «Крестный путь армянского народа». Посланный богом ангел-хранитель армянского народа всеми усилиями старался изменить положение вещей и предотвратить надвигающуюся катастрофу. Большим смыслом наполнена глава романа – «Божественная интермедия», в которой запечатлена беседа Лепсиуса с Энвером-пашой. Диалог передан с исторической достоверностью. Лепсиус взывал к благоразумию, к человечности, а натолкнулся на равнодушие, на страшный невинный примитивизм и безбожие. «Меч Энвера ... поразил самого Аллаха» [1, стр. 564]. Лепсиус бился головой в глухую стену и потерпел поражение. Не было никакого намека на то, что восторжествует разум и «мир образумится». Высказывания и позиции Лепсиуса полностью совпадали с мировоззрением самого Верфеля, и именно Лепсиус оказался «рупором» идей писателя.

Символом Свободы в романе показана гора Муса-даг, Моисеева гора. Гора-спасительница представлена как живой герой, как покровительница непокорных армян, она дышит, сопереживает и живет вместе с людьми, укрывшимися на ней. Сорок дней гора захлебывается в крови невинных людей, но не сдаётся и не выдает беженцев.

Создавая свое полотно, Верфель избрал жанр исторического романа. В основе сюжетной линии романа лежит показ исторического процесса борьбы за свободу. Для Верфеля не столь важны были сами герои и их судьбы, сколько исторические факты. Автор опирался на современные документальные материалы, на газетные хроники и публикации, освещавшие кровопролитные события в Турции. Заинтересованность внутренней политикой Турции навела Верфеля на мысль изучить тысячелетнюю историю Армении и найти истоки происходящей катастрофы. Писатель с ужасом осознал, что в скором времени подобное может произойти и в Европе, если во время не остановить фашистские злодеяния. Верфель создал роман-хронику 1915 года и сам посмел быть летописцем истории. Писатель, описывая события прошлого, опережал реальное время. Мастерство писателя проявилось в способности одновременно описывать исторические события, хотя и недалекого, но прошлого, и, в то же время обратиться к будущим поколениям с призывом не повторять ошибок истории в будущем.

#### **ЛИТЕРАТУРА:**

1. Ф. Верфель. Сорок дней Муса-дага. Ереван, 1988. – 720 с.
2. Журнал «Лаббер» США, Фрезно. 1965, № 36.

**ERRORS AND TRAGEDY OF HISTORY**  
**(NOVEL BY FRANZ WERFEL "40 DAYS OF MUSA-DAGH")**  
**Olgha Kavtaria, Sokhumi State University, Invited Lecturer, Doctor of Philology**  
**RESUME**

Franz Werfel - one of the great figures of the German Expressionist and world literature of the twentieth century. Writer bothered "real" issues of the day affecting the scope of philosophy, culture, religion, ethics and aesthetics. Werfel whole life looking for a way to solve problems and overcome challenges. A prose writer's legacy can be rightly counted among the intellectual literature.

Franz Werfel is one of the leaders of expressionist art, which is characterized by a heightened perception of the contradictions of time. Expressionists, including Werfel, did not hide his political views and positions. One of the global challenges of the twentieth century. for Franz Werfel was the problem of fascism and the origins of his birth. Concern about the fate of humanity hosted Werfel universal scale. As a true writer expressionist Werfel turned back, one to his example to solve the problems of the present. His choice writer stopped by the tragedy of the Armenian people, inhabiting the territory of Turkey. Grandiose monument to the struggle against fascism is a novel writer's "40 Days of Musa Dagh", dedicated to the heroism and selfless struggle of the people for freedom and self-sacrifice for the sake of others. We Werfel heroes are not passive victims of the Armenian Genocide in Turkey, and the heroes who oppose cruelty of human actions. The Armenian people condemned to destruction passed through terrible trials of fate, found the strength to rise up against the enemy and survive for the future.

Symbol of freedom in the novel shows the mountain of Musa Dagh, Moses Mountain. Gore-savior is presented as a living hero, as the patroness of the rebellious Armenians; mountain forty days chokes the blood of innocent people, but do not give up and does not extradite refugees.

**მოთხრობა როგორც ნაციონალურ-კულტურული მოდელი  
(დენიელ ალარკონის „კლოუნთა ქალაქი“)**

**თამარ ყალიჩავა, ოთარ ჩხეიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,  
ფილოლოგიის დოქტორი**

თანამედროვე ამერიკელი მწერლის, ჟურნალისტისა და რედაქტორის, დენიელ ალარკონის, შემოქმედება უკვე არაერთ ენაზეა ხელმისაწვდომი. პირველი მოთხრობა 1997 წელს დაწერა და მალევე მოექცა ლიტერატურით დაინტერესებული საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მისი მოთხრობები ბრწყინვალედ აირეკლავენ XXI საუკუნის მხატვრულ ტენდენციებს, გვითვალსაჩინოებს თანამედროვე ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ხელოვნებისა და კომერციის სინთეზურობას. მწერალი გამოირჩევა თემათა და მოტივთა სიმრავლით, ავტორი იკვლევს, ინტერესდება თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური, კულტურული, სოციოლოგიური პრობლემებით. მოთხრობაში ვხვდებით: სამოქალაქო ომის, უხეში კლასობრივი დაყოფის, რასიზმის, ნეოკლასიციზმისა და სხვა პრობლემებს.

დენიელ ალარკონის პირველი რომანი 2007 წელს გამოქვეყნდა.

მწერალი დაჯილდოვებულია არაერთი პრიზით. პირველმა წიგნმა, რომელიც 2006 წელს გამოიცა, ჰემინგუის სახელობის პრემია მიიღო. 2008 წელს გუგენჰაიმის პრემია მიანიჭეს, დასახელებულია 40 წლამდე ასაკის საუკეთესო რომანისტა შორის...

2003 წლის 16 ივნისის ნომერში ჟურნალმა „ნიუ იორკერმა“ მისი მოთხრობა „კლოუნების ქალაქი“ გამოაქვეყნა, რომელშიც მწერალი პერუელი ჟურნალისტის, ოსკარ (ჩინო) ურიბეს წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებაზე გვიყვება. მამის გარდაცვალების შემდეგ, ოსკარი ცდილობს გადააფასოს მამის დანაშაულებრივი წარსული და საკუთარი ცხოვრება ზნეობრივი ნორმების გათვალისწინებით წარმართოს.

„კლოუნთა ქალაქში“ მოქმედება ვითარდება პერუს მთავრობის დამხობის ფონზე, ამ ინფორმაციაზე მოთხრობელს, ოსკარს, როგორც ჟურნალისტს, ხელი მოსახლეობაზე ადრე მიუწვდება. ამ ისედაც მძიმე ვითარებისას ის იგებს, რომ მამამისი, რომელთანაც გაუცხოებული იყო, გარდაიცვალა. იგი მამას მრავალი მიზეზის გამო ჩამოშორდა, უმთავრესი კი ის იყო, რომ ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა - სხვა ცოლი და შვილები ჰყავდა.

მოთხრობა იწყება იმით, რომ ოსკარსიტო მიდის საავადმყოფოში, რადგანაც შეატყობინებენ, რომ წინა ღამეს მამამისი გარდაიცვალა. პოულობს დედას, რომელიც იატაკს წმენდს, რადგანაც მამის საავადმყოფოში მკურნალობისას გაწეული ხარჯია გადასახდელი, დედამისი მას აცნობს კარმელას, ქალს, ვის გამოც მამამ ოჯახი მიატოვა. კარმელაც დედასთან ერთად წმენდს იატაკს. ოსკარი დაბნეულია და გაბრაზებული. მისი ნახევარძმებიც საავადმყოფოში არიან. მას ისინი ადრე არასოდეს ენახა, არჩევდა თავი შორს დაეჭირა მამამისის სხვა ცხოვრებისაგან. მაგრამ, როცა მათ შეხვდა, გააცნობიერა, რომ ისინი მისი ნათესავები იყვნენ. მართალია, ოსკარი უფროსი შვილია, მაგრამ ის ფიქრობს, რომ მისი ნახევარძმები უდავოდ გამორჩეულები იყვნენ, რადგანაც მამამ მათთან ყოფნა არჩია.

ამის შემდეგ, დენიელ ალარკონი ოსკარსიტოს მამის ცხოვრებას გვაცნობს. იგი კერო დე პასკოში დაბადებულია და, ოჯახის შექმნის შემდეგ, საცხოვრებლად ლიმამში გადასულა. ვხედავთ, რომ პროტაგონისტის მამა, რომლის სახელიც მოთხრობაში არაა ნახსენები, ბევრს მუშაობდა და ოჯახი ქალაქში გადაიყვანა. მამის ოსკარი 8 წლის ყოფილა და დედაქალაქში გადასვლა მოსწონებია. მამამისის ამბის მოგონებებთან ერთად, ჩვენ ვიგებთ, რომ ახლა ოსკარ ურიბე ადგილობრივი გაზეთის რეპორტიორია და მას უკვეთავენ დაწეროს კლოუნებზე, რომლებიც ლიმას ქუჩებში მომრავლებულან. ოსკარი ავტობუსშია, როდესაც მას კლოუნი მიუახლოვდება. კლოუნს წყლით სავსე ბუმბუს ესვრიან, მაგრამ მაინც ახერხებს აცოცდეს ავტობუსში და გაყიდოს საქონელი, - ამ საქციელისთვის მას აჯილდოვებენ ხურდა ფულით. ოსკარს მათზე სიუჟეტის მომზადება მოსაწყენი ეჩვენება და ამ საქმეს გადადებს.

ოსკარი დედას სახლში მიაკითხავს და მეზობლისგან შეიტყობს, რომ იგი კარმელასთან ერთად ცხოვრობს მას მერე, რაც მამა ავად გამხდარა. ამის გამო დედა თავს უხერხულად გრძნობს და სთხოვს, რომ ამაზე არაფერი უთხრას. დედამისი დამლაგებლად მუშაობდა მას მერე, რაც ისინი ლიმამში გადმოვიდნენ. ასკარტესები, ადგილობრივი მდიდარი ოჯახი, ქალს კარგად ეპყრობოდნენ და ოსკარზე კი ისე ზრუნავდნენ, როგორც საკუთარ ვაჟზე.

მოთხრობაში ჩართული მოგონებიდან შევიტყობთ, რომ ოსკარი მამას ეხმარებოდა მშენებლობაზე მუშაობაში, ისინი ბევრს მუშაობდნენ და სახლებს აფართოებდნენ, საქმეს კარგად ართმევდნენ თავს, მაგრამ შემდეგ იმავე სახლებს ძარცვავდნენ, რომელსაც არემონტებდნენ ხოლმე. ოსკარი კარგ სკოლაში მიაბარეს, სადაც ის მიღებული იყო იქამდე, ვიდრე ამხანაგები შეიტყობდნენ, რომ იგი ბანდიტების უბნიდან იყო. ბანდები ყველას ყველაფერს ართმევდნენ და მათ „პირანიებსაც“ კი უწოდებდნენ. ეს ოსკარის მეტსახელი გახდა და მალე დაცინვის ობიექტად იქცა, განსაკუთრებით ერთი ბიჭი აბეზრებდა თავს. ამიტომაც, როცა შეიტყო, რომ მამამისი მათ ოჯახში მუშაობდა, ოსკარმა ბიჭს სწორედ ის პიჯაკი მოჰპარა, რომლითაც სკოლაში დადიოდა. ოსკარმა მოპარული პიჯაკი თავისი პირველი, ნამდვილი სამსახურის გასაუბრებაზე მოირგო და დასაქმდა კიდევაც.

მამის სიკვდილი განსაკუთრებულად როდი შეძრავს ოსკარს, რადგანაც მამა დიდი ხანია, მისი ცხოვრების ნაწილი აღარაა. მაშ რა იწვევს მასში გარდატეხას? საფრთხე იკვეთება მოთხრობის დასასრულს - როდესაც იგი უპირისპირდება დედას, დამთრგუნველ სინამდვილეს, უზნეო საზოგადოებას და ცდილობს თავი გაართვას თავის ახალ საქმიანობას - კლოუნობას.

გაზეთიდან მას ავალებენ, ინტერვიუ მოამზადოს ქუჩის მსახიობებთან. ბოლოსდაბოლოს, დიდი ხნის დაყოვნების შემდეგ, ოსკარ ურიბე იწყებს ქრონიკების წერას კლოუნებზე, რომლებიც ბუნებრივად ერწყმიან ძალადობითა და კორუფციით დაღდასმულ ლიმას ქუჩებს. კლოუნი მოუთხრობს თუ როგორ დაიწყო საქმიანობა და სთხოვს, გაჰყვეს იმ ადგილას, სადაც მუშაობს. ოსკარი გაჰყვება და მიხვდება, რომ კლოუნს თავის საქმიანობაში ანონიმურობა იზიდავს.

სწორედ მაშინ იგრძნობს და განიცდის პროტაგონისტი კათარზისს: ოსკარი აკვირდება მარტოსულ კლოუნს, რომელიც ტროტუარზე ზის და იხსენებს მისი ოჯახის ლიმამში გადასვლის წლებს, როდესაც თავდაპირველად არაერთხელ იგემა ბავშვებისგან თავდასხმა, წყლით სავსე ბუმბუსებს რომ უშენდნენ. ამ სიუჟეტზე მუშაობისას მან გააცნობიერა, რომ რეალურ კლოუნებთან მუშაობისას იგი საიდუმლო აგენტითაა და ამ კლოუნის ნიღაბს ამოფარებულს, საშუალება ეძლევა, ახლებურად დააკვირდეს ქალაქს. შედეგი გასაოცარია: მას ვერავენ ცნობს, საკუთარი იდენტობაც კი ავიწყდება - ზვერავს ქალაქსა და საკუთარ ცხოვრებასაც კი: "Exactly zero (people) recognized me. I was forgetting myself too, patrolling the city, spying on my own life "[ალარნოკი, 2003].

საინტერესოაა წარმოდგენილი ქრონოტოპი დენიელ ალარკონის მოთხრობებში. მწერალი, წერის რთული ტექნიკის გამოყენებით, გვიჩვენებს, როგორ ვითარდება პროტაგონისტი წლების განმავლობაში. თხრობას იწყებს პროტაგონისტის ცხოვრების უმთავრესი მოვლენის აღწერით, რაც საშუალებას გვაძლევს კარგად გავიცნოთ მისი პიროვნება. მოთხრობის პირველი მონაკვეთის ბოლოს, იგი მკითხველს აწვდის ინფორმაციას მის ადრინდელ ცხოვრებაზე. მისი მენტალობის აღწერის შემდეგ, მოგვითხრობს პროტაგონისტის ბავშვობაზეც.

„კლოუნთა ქალაქში“ სწორედ ეს ტექნიკაა გამოყენებული. მთხრობელი იგონებს წარსულს და გადადის აწმყოში, პროტაგონისტის ამჟამინდელი ცხოვრების აღწერისას, წარმოაჩენს მას ჟურნალისტად, ვინც საბოლოოდ ქუჩის კლოუნად გვევლინება. მერე ისევ გადადის ოსკარის ბავშვობაში, მოგვითხრობს იმ პერიოდზე, როდესაც პროტაგონისტი მამას საკუთარი კლიენტების ოჯახებიდან ძვირფასი ნივთების მოპარვაში ეხმარებოდა. ეს მკვეთრი კონტრასტი გვიხატავს საინტერესო პორტრეტს პროტაგონისტისა და გვეხმარება ამოვიცნოთ მისი მოტივები. ოსკარი ამბობს, რომ თვითონაც, მამამისივით შრომისმოყვარე იყო და არასოდეს უარობდა მუშაობას. თუმცა ორი სხვადასხვა მიმართულება იკვეთება, ოსკარი თავს ირჩენს პატიოსანი მუშაობით, მამამისი კი მხოლოდ ნაწილობრივ მუშაობდა იმისთვის, რასაც შოულობდა: ის აშენებდა და აახლებდა სახლებს, მაგრამ შემდეგ მარცვავდა მათ. ოსკარის ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები მკვეთრად უპირისპირდება მამამისისას, მას სძულს მამამისის კრიმინალური ცხოვრების წესი და ირჩევს პატიოსნად ცხოვრებას. მწერალი თხრობისას ერთმანეთს უნაცვლებს პროტაგონისტის მოზარდობისა და ზრდასრულობის ცხოვრების ეპიზოდებს - გვიჩვენებს, რომ ზრდასრული გმირი პატიოსნად ცხოვრობს, რაც უპირისპირდება ბავშვობისას, მამის გავლენით გავლილ კრიმინალური ცხოვრების გზას. ალარკონი წარმოაჩენს ისეთი კაცის პორტრეტს, რომელიც წლებთან ერთად იცვლება და არ აძლევს მამამისის ცხოვრების წესს გავლენა მოახდინოს მისი ზნეობრივ-მორალური პრინციპების ჩამოყალიბებაზე.

„კლოუნთა ქალაქში“ მხატვრულად იმდენად ძლიერად და ხელშესახებადაა კრიმინალური ატმოსფერო დახატული, რომ გრძნობ - რეალური, ცხოვრების წიაღში აღმოცენებული და ცხოვრების გზაზე შეხვედრილი მტკივნეული, ამაზრზენი მოვლენები არასოდეს დარჩება მისი მნახველისათვის მხოლოდ შთაბეჭდილებებად. ავტორი თვითონ ცხოვრობს პერსონაჟთა გვერდით, თვითონაა პროტაგონისტის ტკივილთა მონაწილე და მოზიარე. ცხოვრებასთან, ყოველდღიურობასთან შეხების ყოველი მომენტი თუ წამი მძაფრ შემოქმედებით ტკივილად იქცევა და ეს ტკივილი ერთ-ერთ იმპულსურ ბიძგად კი არ რჩება, მძლავრ შემოქმედებით ტალღად შთაინთქმება მხატვრული სინამდვილის ოკეანეში. დენიელ ალარკონის საოცრად ემოციური მოთხრობები განსაკუთრებულად აღიქმება დღეს, XXI საუკუნეში, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებში, გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესებისას, როცა მსოფლიოს ახალი წესრიგის პირობებში კაცობრიობას ერთ თარგზე ასაჭრელად ამზადებენ, ეს ორიგინალური მოთხრობები ახერხებენ, მკითხველზე გავლენა მოახდინონ, უმთავრესი კი მაინც ისაა, რომ დაფიქრების საშუალებას აძლევენ. დენიელ ალარკონის მოთხრობების თემაა მეტწილად ომია - როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი, შინაგანი ბრძოლა...

დენიელ ალარკონი თავის მოთხრობებს მკითხველს უახლოებს. ყოველი მოთხრობა თვითმყოფად სამყაროს გვიხატავს, ორიგინალური სტილითა და ტონით, მისი მოთხრობები ერთმანეთს ემსგავსებიან, თითქოს ერთ სამყაროს ასახავდნენ. მისი მოთხრობების კითხვისას, გვგონია, რომ პერუ სწორედ ისეთია, როგორცადაც მწერალი წარმოგვიდგენს. სხვა მოთხრობების მსგავსად, „კლოუნთა ქალაქსაც“ ღია ფინალი გამოარჩევს, აგრეთვე მუქ ტონებში ხატვის მანერა, რომელიც აიძულებს მკითხველს, ყველაზე უარესი კი ირწმუნოს მოთხრობის პერსონაჟებზე. თუმცა, ამასთანავე, მწერალი მკითხველს აძლევს საშუალებას, რომ მომავლის იმედი და ოპტიმიზმი შეინარჩუნოს. მწერლის ტექნიკა, უმთავრესად, კონტრასტს შექმნასა და მშობლიური პერუს სურათების ზუსტად გადმოცემას ისახავს მიზნად. იგი ნიუ-იორკისა და ლიმას შეპირისპირებით მკითხველს უზუსტეს სურათს უხატავს პერუს ამჟამინდელი ყოფისა. ეს ორი ქალაქი დრამატულად განსხვავებულია. დეკორირების საშუალებით, ალარკონი შეახსენებს მკითხველს, რომ მისი პერსონაჟები არ არიან თეთრკანიანი ამერიკელები, საშუალო კლასის ადამიანები ან ჩვენი კარის მეზობლები.

როდესაც საქართველოში პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრიობის განცდა ახალი განხეთქილების მიზეზად უნდა ქცეულიყო, მწერალი ესმა ონიანი ღვთისა და სამშობლოს სიყვარულის იგივეობას გენიალური სისადავით უსვამდა ხაზს 1991 წელს დაწერილ ესეიში „ღმერთი და სამშობლო“: „ვინც კარგავს სულიერ საწყისს, სიმაღლეს, ის კარგავს აქაური სამშობლოს განცდასაც. დიახ, სამშობლოს განცდა არსებობს; ვისშია მწვავე პირველი „ამომართვის“ ტკილი სიყვარული, ის სხვაშია იგივეს გულისხმობს და პატივს სცემს და უფრთხილდება სხვის პატრიოტულ გრძნობასაც. ამიტომაც სულიერება, პატრიოტიზმი და ზოგადად ადამიანური ჰუმანურობა თანხვდება ერთმანეთს, თანხვდება და ისე, რომ მათი გაყოფაც არ შეიძლება“ [ონიანი 2000, 333].

და, რაკი XXI საუკუნის ადამიანთა უმეტესობამ აღარ იცის არც პატრიოტიზმის ფასი, არც რწმენის ფასი, არც ლოდინის ფასი, არც სიხარული, არც სევდა და კაემანი და, რაც მთავარია, ყველას და ყველაფრის გადამრჩენი ოცნება, ჩვენთვის, ქართველებისთვის, შორეული სამხრეთ-ამერიკიდან გამოღწეული სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტული განცდის ყოველი ლანდი გულის ამაჩქოვლებლად მოქმედებს, გვიზიდავენ სრულიად უცხო და მაინც უცნაურად ჩვენთან ადამიანები, რომლებიც იბრძვიან და გადარჩენის იმედიცა აქვთ.

„კლოუნთა ქალაქის“ ავტორი თითქოს ჩვენს ტკივილებსაც ახმინებს: ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა არაა სამყაროში ბედნიერი, ყველა არ ცხოვრობს კარგი ცხოვრებით და არსებობს მისი უდიდებულესობა სევდა. დენიელ ალარკონი სევდიან მოთხრობებს წერს, მაგრამ იგი იმედიანი მწერალია. შესაძლოა, „კლოუნთა ქალაქს“ არ აქვს კლასიკური „ჰეფი ენდი“, მაგრამ მკითხველს აიძულებს, თვითონ მივიდეს ბედნიერებასთან, დამოუკიდებლად აირჩიოს უკომპრომისო, ზნეობრივი ცხოვრების წესი და შექმნას ბედნიერი დასასრული. ოსკარ ურიბე ეხმარება მკითხველს ოპტიმიზმის იმ პატარა მარცვლის არსებობა აღიაროს, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, თითოეულ ჩვენგანში ღვივის.

#### ლიტერატურა:

ალარკონი დენიელ, კლოუნთა ქალაქი, ნიუ-იორკერი, 16 ივნისი, 2003 წელი.  
<http://www.newyorker.com/magazine/2003/06/16/city-of-clowns>  
ონიანი ესმა, ლექსები, ესეები, წერილები, თბილისი, 2000

### A SHORT STORY AS A NATIONAL-CULTURAL MODEL (CITY OF CLOWNS BY DANIEL ALARCÓN)

Tamar Kalichava, Otar Chkheidze Centre of Scientific Research, PhD  
RESUME

The works of the contemporary American writer, journalist and editor, Daniel Alarcon is already available in various Languages. His first story was written in 1997 and before long he became the focus of the public interested in literature. His stories perfectly reflect the XXI century artistic trends, demonstrate the synthetic character of modern literature and commerce. The author stands out by abundance of issues and motifs. The author studies and researches political, cultural, sociological problems of the modern world. In the story we encounter the problems of civil war, harsh class division, racism neoclassicism and etc.

Daniel Alarcon`s first novel was published in 2007.

He has been awarded a number of prizes. The first book which was published in 2006 received the Hemingway Foundation Pen Award. In 2008 he was awarded the Guggenheim Fellowship grant and is nominated among the best novelists bellow the age of 40...

In November of 2003, the journal New Yorker released his short story- City of Clowns, in which the writer retells the life story of a Peruvian journalist, Oscar (Chino) Uribe, full of contradictions. After the death of his father, Oscar is trying to reassess his father's criminal past and his own life to lead moral norms.

### „ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორიის“ შესწავლის ზოგიერთი თანამედროვე პერიპეტია

მარინე ცერცვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

„ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორიის“ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ყველაფერი იმის ლიტერატურული ფესვი, რაც დღესაც ხდება ლიტერატურაში, ძველქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში დევს, რომელთან „ცოცხალი კავშირის შენარჩუნებაც ქმნის იდეოლოგიურ საყრდენს საქართველოს სახელმწიფოებრივი აზროვნებისათვის“ [5 გვ. 5].

ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა-სისტემატიზაციის ურთულესი პროცესი მეოცე საუკუნის დასაწყისში ძირითადად დაკავშირებულია ორი დიდი ქართველი მეცნიერის - კორნელი კეკელიძის და ალექსანდრე ბარამიძის სახელებთან. მათ სისტემაში მოიყვანეს ეს საგანი, შეადგინეს სახელმძღვანელოები, რომლებიც დღესაც დიდ დახმარებას უწევენ ამ დარგით დაინტერესებულ სტუდენტებს, მასწავლებლებს, მეცნიერებს და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს.

კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ორტომეულის პირველ ტომში, განიხილავს ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას, თუმცა თვითონ მეცნიერს მიაჩნია, რომ ლაპარაკი ცალკე სასულიერო და ცალკე საერო მწერლობაზე, პირობითია, რადგან ეს

განპირობებულია იმ ფაქტით, რომ „პირველი შვიდი საუკუნის მანძილზე საერო ხასიათის არცერთი ლიტერატურული ძეგლი არ შენახულა, ხოლო მომდევნო საუკუნეებში საერო მწერლობასთან ერთად სასულიერო საკმაოდ ძლიერ ნაკადს წარმოადგენს“. სანამ უშუალოდ საკითხების განხილვაზე გადავალთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გულისტკივილი, რაც აწუხებს კორნელი კეკელიძესაც და რეზო სირამესაც. კ. კეკელიძე, საუბრობს რა ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის მნიშვნელობაზე, გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ კულტურის ისტორიკოსები, რომლებიც შეისწავლიან სასულიერო მწერლობის ისტორიას, თავიანთ ძალისხმევას მიმართავენ იმ კუთხით, რომ დაწვრილებით განიხილავენ სასულიერო მწერლობის დასავლურ (საბერძნეთ-რომის) საქრისტიანო მწერლობას და „შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქრისტიანული ხის აღმოსავლურ შტოს, რომელსაც ქართული ქრისტიანობა და სასულიერო მწერლობა ეკუთვნის“ [1 გვ. 11].

რევაზ სირამეს კი მიაჩნია, რომ საქართველოს ისტორიის კულტურის და მწერლობის არაერთ თავისებურებას ისიც განაპირობებდა, რომ ეს ქვეყანა ორი განსხვავებული ქვეყნიერების - აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე, მათს შესაყართან მდებარეობდა. სწორედ ამის გამო „საქართველომ შეისისხლხოცა ამ ორი რეგიონის კულტურათა მონაპოვარი... და საკუთარი ეროვნული კულტურის ნიადაგზე მათი სინთეზი მოახდინა“ [6 გვ. 35].

კორნელი კეკელიძეც და რეზო სირამეც აღნიშნავენ - სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ქართული სასულიერო მწერლობა *terra incognita* -ს წარმოადგენს მაშინ, როცა ქართველმა ერმა მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ისე შეითვისა ქრისტიანული სამყაროს მონაპოვარი, რომ „საკუთარი კულტურის თვითმყოფადობა არ შეუღალავს. პირუკუ, ქრისტიანობამ მანამდე არნახულ სიმაღლეებს აზიარა ქართული კულტურა“ [6 გვ. 36], რაც კარგად ჩანს იმ ნაწარმოებებში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, რადგან სხვა „ვინ იცის, იქნებ შეიქმნა კიდეც, მაგრამ აღარ შემორჩა, ჩვენში მობოზოქრე ავბედიტმა ქარბორბალამ იმსხვერპლა“ [6 გვ. 36].

როდესაც კორნელი კეკელიძის ღვაწლზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ვახტანგ ჭელიძის სტატია „ოსტატი და შეგირდი“, რომელშიც ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ, მაშინ, როცა არსებობს „ქართველ ენათმეცნიერთა შესანიშნავი სკოლა“ (ა. ჩიქობავა), „ჭეშმარიტად მამულიშვილური სულით ქართული კლასიკური ფილოლოგიის შესანიშნავი სკოლა“ (ს. ყაუხჩიშვილი), „ქართველ ფსიქოლოგთა განთქმული სკოლა“ (დ. უზნაძე) [9 გვ. 448], „ქართველ მათემატიკოსთა დიდებული სკოლა“ [9 გვ. 448], სადაც სხვადასხვა თაობის ღირსეული წარმომადგენლები შესანიშნავად თანამშრომლობენ, ცალმხრივი მოღვაწეობის ფაქტად მიიჩნევენ ფილოლოგიური მეცნიერების დარგში მოღვაწე ერთ დიდ ოსტატს, რომელსაც „მართლაც რომ დაუფასებელი განძი შეუქმნია, ეროვნული მეცნიერება დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაუმდიდრებია, მაგრამ ამ ღვაწლის შესაფერისი სკოლა ვეღარ მოუმზადებია. თავისი ღირსეული ცვლა ვეღარ შეურჩევია და დაუტოვებია“ [9 გვ. 458]. ვახტანგ ჭელიძე არ აზუსტებს რომელ ოსტატზეა საუბარი. ამას როსტომ ჩხეიძე დააკონკრეტებს თავის ერთ-ერთ წერილში, სადაც ეჭვსაც გამოთქვამს - იქნებ „გულანთებული ყმაწვილები არ შემოიკრიბნენ გამორჩეული მეცნიერის გარშემო?“ [7 გვ. 4], მაგრამ თვითონვე განმარტავს, რომ ეს არის ცდა „როგორმე გამართლდეს მკვლევარის ცალმხრივი მოღვაწეობა“, რადგან „ყველაფერი მეცნიერზე, წინამძღოლზე ჰკიდია“ [7 გვ. 4].

საბედნიეროდ, დღეს ამ დარგის შესწავლას სათანადო ნიშა უკავია ქართული ფილოლოგიური მეცნიერების კვლევა-შესწავლაში. შრომაში შევცდებით კორნელი კეკელიძის უდიდესი ღვაწლის აღნიშვნასთან ერთად განვიხილოთ თანამედროვე მეცნიერების ღვაწლი ძველი ქართული მწერლობის შესწავლა-აღიარებაში. ნაშრომის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას ფართოდ განვიხილოთ ძველი ქართული მწერლობის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხები და ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერები. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევხებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელგუჯა ხინთიბიძე, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის აღიარებული მკვლევარია. მისი შრომების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და არც სტატიის ფორმატში ჯდება. მხოლოდ აღვნიშნავთ რამდენიმე ფაქტს მისი წარმატებული სამეცნიერო მოღვაწეობიდან. ე. ხინთიბიძემ გამოავლინა ჩვენი მეცნიერებისთვის უცნობი უნიკალური ფაქტი... კერძოდ, XI ს-ის აგიოგრაფიული თხზულების „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ დიდი მონაკვეთი, რომელიც XIII ს-ში თარგმნილია ბერძნულ და ლათინურ ენებზე და შეტანილია XIII ს-ის დიდ თეოლოგიურ კრებულში „რწმენის საუნჯე“.

ე. ხინთიბიძემ, 1998 წელს ათონის მთაზე მოგზაურობისას, ივირონის მონასტერში მიაგნო ქართული წიგნების, ხელნაწერების და ფრაგმენტების მანამდე უცნობ კოლექციას.

ე. ხინთიბიძემ ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში XVI ს. ბერძნულ ხელნაწერში აღმოაჩინა ორი ქართული დღეისათვის დაკარგული ხელნაწერის ფრაგმენტი. აღარ გავაგრძელებთ.....

უნდა აღინიშნოს, რომ „ე. ხინთიბიძის კვლევის შედეგებს იყენებენ და ეყრდნობიან უცხოელი მკვლევარები. მისი კვლევის მეთოდები და დასკვნები პარალელურს პოვებენ ევროპულ მეცნიერთა ახალ შრომებთან“ და მისი ავტორიტეტი „მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო არენაზე აღიარებას“ [8 გვ. 72] და თუ გადავხედავთ იმ ქალაქების ჩამონათვალს, სადაც გამოქვეყნებულია ე. ხინთიბიძის შრომები (პარიზში, იენაში, მადრიდში, ვაშინგტონში, ჰელსინკში - ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ ენებზე), შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძველი ქართული ლიტერატურის კვლევა აღარ იქნება Tera inkognita მსოფლიოს სხვადასხვა კვლევანაში მოღვაწე მეცნიერთათვის.

დავუბრუნდეთ კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ორტომეულს. მეცნიერი, პირველ ტომში, განიხილავს პერიოდებს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და დაყოფს რა ოთხ პერიოდად, მათ ასე ასათაურებს:

პირველი პერიოდი - ადრინდელი ფეოდალიზმის ხანა;

მეორე პერიოდი - პატრონჟმური ფეოდალიზმის ხანა;

მესამე პერიოდი - დაცემის ხანა;

მეოთხე პერიოდი - ბატონჟმური ფეოდალიზმის ხანა.

ასეთი ფორმულირებით ისწავლება ეს საკითხი უმაღლეს სასწავლებლებში წლების მანძილზე.

თავის შეხედულებას აფიქსირებს მეცნიერი ლაურა გრიგოლაშვილი სტატიაში - „კვლავ ძველი ქართული მწერლობის პერიოდებისა და მიჯნებისათვის“.

ლაურა გრიგოლაშვილი გვეკითხება: „რამდენად მართებულია V-XVIII საუკუნეების ლიტერატურის მთლიანად ძველ ქართულ მწერლობად მიჩნევა, ან მისი გამიჯვნა ახალი და უახლესი მწერლობისაგან? მიზანშეწონილია თუ არა ძველ მწერლობაში სასულიერო და საერო ხასიათის ნაკადთა ერთმანეთისგან გამოყოფა? ხომ არ უნდა დავუბრუნოთ სასულიერო მწერლობას მისი ფუნქციური დატვირთვის გამოხატველი ტერმინი - საეკლესიო/სამღვდელო?“ [4 გვ. 127], და ყველაფერი ეს იმის გამო, რომ „მეტი კატეგორიულობით დაისმის ქართული მწერლობის პერიოდებისათვის ევროპული კულტუროლოგიული პარადიგმების (რენესანსი, მანერიზმი, ბაროკო) გამოყენების საკითხი“ [4 გვ. 127]. ეს საკითხებია მეცნიერს განსჯისაკენ რომ უბიძგებს და განიხილავს რა ყველაფერს ამას, დაასკვნის - კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ ძველი და ახალი//უახლესი მწერლობის ერთმანეთისგან გამიჯვნა არ ეწინააღმდეგება მხატვრული საზოგადოებრივი პროცესების განვითარების ლოგიკას. მას არ მიაჩნია მიზანშეწონილად სასულიერო მწერლობას აღვუდგინოთ ეს ტერმინები (საეკლესიო, სამღვდელო) რადგანაც ამით „შეიძლება შეიქმნას საშიშროება მისი მოწყვეტისა ქართული ლიტერატურის განვითარების ერთიანი სტრუქტურისგან“ [4 გვ. 131]. ამიტომ საჭიროა სიფრთხილე, რამეთუ ეს პროცესი „ტოლფასი იქნება, ვთქვათ, ისეთი ვითარებისა, ქართული ხელოვნება რომ დავტოვოთ ყინვისის ანგელოზის, გელათის ღვთისმშობლის, ან უბისის ფრესკების გარეშე“ [4 გვ. 131]. საკითხის ნათელსაყოფად ავტორი ყურადღებას ამახვილებს შუასაუკუნეობრივი მწერლობის რამდენიმე ასპექტზე.

რაც შეეხება კლასიფიკაციას ძველი ქართული მწერლობისა, ლაურა გრიგოლაშვილს მიაჩნია, რომ ქართული მწერლობის კორნელი კეკელიძისეული კლასიფიკაცია და დაყოფა ოთხ პერიოდად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ძველი მწერლობა „მისი წარმოქმნიდან დასასრულამდე სრულიადაც არ არის ერთგვაროვანი“ [4 გვ. 131].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართული მწერლობის პერიოდიზაცია, რომელსაც გვთავაზობს მეცნიერი ნაშრომის ბოლოს:

„ქართული მედიევალური მწერლობა იყოფა ოთხ პერიოდად:

I - საკრალური მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების პერიოდი (V-XI ს.ს.). ამ მწერლობისთვის დამახასიათებელია ეიკონური (ხატისებრი) განსახოვნების ესთეტიკა.

II - მედიევალური მწერლობის კლასიკური პერიოდი (XII-XIII ს.ს.)

III - მედიევალური მწერლობის სტაგნაციის პერიოდი (XIV-XV ს.ს.). მისთვის სახისმეტყველებითი სიახლენი არაა დამახასიათებელი.

IV - (მედიევალური მწერლობის დამაგვირგვინებელი პერიოდი (XVI-XVIII ს.ს.). შეინიშნება მანერიზმის, ბაროკოს, კლასიციზმის ნიშნები. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია სახისმეტყველებითი ტენდენციების სიმბიოზი.

„გარდამავალი ხანის“ შესახებ კი, რომელიც მოიცავს XVIII ს.-ის ბოლო და XIX ს.-ის დასაწყისი, ლ. გრიგოლაშვილი მთლიანად იზიარებს რეზო სირაძის თვალსაზრისს „იგი უნდა განვაკუთვნოთ ახალ ქართულ მწერლობას, რადგან იქითკენ წარიმართება მისი „გარდამავლობა“.

ამ საკითხებზე მსჯელობას ნაშრომში ავტორი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „უნდა გვახსოვდეს, რომ ლიტერატურული პროცესების ჩარჩოებში მოქცევა სრულებითაც არ არის უნივერსალური ხასიათისა. ჩვენ მრავალი გამონაკლისის დაშვება და აღიარება გვმართებს“ [4 გვ. 134].

ეს საკითხები უნდა იქნეს განხილული მაგისტრატურაში „ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორიის“ კურსის შესწავლისას, რადგან კორნელი კეკელიძისეული პერიოდიზაცია ძველი ქართული მწერლობისა ისწავლება ჯერ კიდევ ბაკალავრიატის პირველ კურსზე და არც კურსის შესწავლა იქნება შესაძლებელი, თუ არ დავაზუსტებთ ჩარჩოები ძველი ქართული მწერლობისა და არც სწავლება იქნება სრული თანამედროვე მეცნიერთა ავტორიტეტული აზრის გათვალისწინების გარეშე ამ მეტად საჭირობოტო და აქტუალურ საკითხზე.

ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ შევვებით მხოლოდ რამდენიმე საკითხს ძველი ქართული მწერლობის კვლევისა და შესწავლისა, თუმცა ეს თემა საკმაოდ ტევადია და იმ მწერალთა თუ მეცნიერთა ჩამოთვლა, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ საპატიო საქმეში, შორს წაგვიყვანს. საგნის პროგრამა ითვალისწინებს თითოეული მათგანის წვლილის აღნიშვნას, ჩვენ მხოლოდ შევეცდებით ახალი სახელები შევმატოთ სწავლის პროცესს, რათა სახელმძღვანელოსთან ერთად საგანი გავამდიდროთ კვლევითი ელემენტებით.

### ლიტერატურა:

1. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თსუ გამომცემლობა, 1951.
2. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., „მეცნიერება“, 1981.
3. ალ. ბარამიძე, ძველი ქართული მწერლობის პრობლემები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980.
4. სჯანი - ლიტერატურულ-თეორიული ჟურნალი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, №9, 2008.
5. „ჩვენი მწერლობა“, 11 იანვარი, №1, 2013.
6. „ჩვენი მწერლობა“, 8 თებერვალი, №3, 2013.
7. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., „ნაკადული“, 1985.
8. ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია, ელგუჯა ხინთიბიძის რედაქციით, თბ., 2011.
9. ვ. ჭელიძე, ძვირფასი სილუეტები, თბ., „მერანი“, 1989.

## SOME MODERN PERIPETIES OF STUDYING ‘HISTORY OF STUDYING ANCIENT GEORGIAN LITERATURE’

Marine Tsertsvadze, Gori State Teaching University, Professor

### RESUME

“The Studying of Old Georgian Literature” is the subject which plays a crucial role in teaching process. All those roots we see in modern literature sit in the traditions of Georgian bibliography. Only several questions were mentioned from the research of Georgian writing. However, this theme is full of famous writers and scientists and their enumeration will take us far away. The program of the subject foresees to point out the role of each person. In such a respectable work. We will attempt to add some new names to the studying process and in addition with the text book we will try to enrich the subject with the scientific elements.



## სტილისტიკური ხარვეზები და მათი გამოსწორების გზები

ჯულიეტა ძაძუა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

სინტაქსი სიტყვათა და წინადადებათა შეკავშირების წესებს სწავლობს, ხოლო სტილისტიკა შესიტყვებისა და შეკავშირების ფუნქციებს არკვევს. „იგი განსაზღვრავს იმ მიზანს, რომელიც შესიტყვებას, როგორც გადმოცემს საშუალებას, უნდა ჰქონდეს“ (არნ. ჩიქობავა).

აზრი სიტყვების საშუალებით გადმოიცემა. სიტყვები წინადადების წევრებს წარმოადგენს. წინადადების წევრთა მრავალნაირი ფორმების არსებობა განაპირობებს სტილის მრავალფეროვნებას.

შედგენილი შემასმენლის ზმნური და სახელადი ნაწილი, უბრალო დამატება მიცემითა და ნათესაობით ბრუნვაში (თანდებულიანი და უთანდებულო ფორმით), განსაზღვრება, მიზეზისა და მიზნის გარემოებანი, მათი ადგილი წინადადებაში და განსხვავებული ფორმები, ქმნის სტილისტიკურ ნიუანსებს. ენაში არსებულ ფორმათა მონაცვლეობა, მათი გეგმაზომიერად გამოყენება წინადადებაში, სიტყვისათვის საჭირო ადგილის მიჩენა ნიშანდობლივია გამართული სტილისათვის.

სტილის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად სიტყვიერი ფორმა და მისი ფუნქცია გვევლინება. აქედან გამომდინარე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიტყვიერი მასალის შერჩევისა და განლაგების დროს მოქმედებს სუბიექტური ფაქტორი, ინდივიდი. „სტილი, რომელიც ასახავს ადამიანის საზოგადოებრივ-კლასობრივ ფიზიონომიას და მის მიზანდასახულობას ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ყალიბდება ენობრივ შესაძლებლობათა მიხედვით და ცალკეული ადამიანის მიერ ამ შესაძლებლობათა გამოყენების შესაბამისად.<sup>1</sup>

წინადადების წევრთა წყობაზე აზრთა სხვადასხვაობაა.<sup>2</sup> მიუხედავად ამისა, უმეტესობისათვის მაინც ამოსავალ დებულებად ისახება შემდეგი: წინადადების წევრთა ადგილს განაპირობებს ლოგიკური მახვილი, ე. ი. წინა პლანზე იმ სიტყვის წამოწევა, რომელზეც განსაკუთრებით მახვილდება ყურადღება.

სიტყვათა მყარი ადგილი განსაკუთრებით დამახასიათებელია ინგლისურისა და ფრანგულისათვის, სადაც ბრუნების მარტივი სისტემის გამო სიტყვათა ურთიერთობა დამხმარე სიტყვებით ან სიტყვათა წყობით გამოიხატება.

ქართულში წინადადების წევრთა გადაადგილება გვადლევს განსხვავებულ ნიუანსს. მაგალითად, „შენ კი არ მიშლი ხელს მე“ (იგულისხმება შენ კი არ მიშლი, არამედ ვიღაც სხვა).

შენ ხელს მე არ მიშლი (აქ ხაზი გაესმის სიტყვას შენ). შენ ხელს მე არ მიშლი, მაგრამ შეიძლება სხვას უშლიდე).

სტილისტიკურად ყურადღებას იქცევს შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის „არის“ და მისი შემოკლებული სახის „ა“-ს ხმარების საკითხი. ორივე ფორმა - მიწა და მიწა არის - იხმარება სალიტერატურო ქართულში, მაგრამ ამ ფორმების მოხმარების არე შეიძლება განსხვავებული იყოს. თუ ერთ შემთხვევაში საჭიროა „არის“, იმავე სიტყვასთან სხვა კონტექსტში „ა“ გამოდგება. ეს, ერთგვარად, სტილის საკითხია. „ა“ უფრო ლაკონურს ხდის მეტყველებას, მაგრამ „არის“ უფრო მკვეთად უსვამს ხაზს რამის არსებობას თუ ყოფნას. მიუხედავად აღნიშნულისა, რაიმე კანონზომიერების ჩამოყალიბება ამ ფორმის არსებობის თვალსაზრისით ძნელია. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს „ა“-ს ხმარება ხმოვანფუძიან სახელებთან კანონიერ და აუცილებელ ფორმად ჩათვალოს.

ცუდადაა, ძალიანა და მსგავსი ფორმები ახალი ქართულისათვის ჩვეულებრივია.

სიტყვებში „ცუდადაა“, „ძალიანა“ ბოლოდან მეორე „ა“ მავრცობია, ემფატიკურია, რაც ახალი ქართულისათვის დამახასიათებელია. ძველ ქართულში მიცემით, ნათესაობითა და მოქმედებით ბრუნვებში წარმოდგენილ ზმნისართებს ემფატიკური ხმოვანი ჩვეულებრივ არ ახლავს. ასევე ითქმის ვითარებით ბრუნვაზედაც. როგორც იმნაიშვილი მიუთითებს: „ახალ ქართულში ვითარებით ბრუნვაში ხშირად გვხვდება გავრცობილი ბრუნვის ნიშანი. განსაკუთრებით ეს ითქმის პოეზიის შესახებ. ლექსებში ერთობ ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მოსაზრებით (ხან მეტრის გამო, რომ ყოველ სტრიქონში მარცვალთა თანაბარი რაოდენობა მიიღონ, ხანაც რითმის საჭიროებით) ვითარებითში დასმულ სახელს სავრცობ ა-ს ურთავენ“<sup>3</sup>.

პროზაშიც და პოეზიაში გვხვდება ემფატიკური ა-დართული ფორმები:

<sup>1</sup> გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 32

<sup>2</sup> ჯ. ძაძუა, მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები წინადადების წევრთა განლაგებასთან დაკავშირებით, პსეი, შრომათა კრებული „საზრისი“, №20, გვ. 182.

<sup>3</sup> ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 37.

„მდინარე მაინც არ ტყდება, თუმც ცდა მიუდის ცუდადა, მაინც კლდეს ეაღერსება, გადიქვა კატის კნუტადა, კლდე შუბლს არ იხსნის მალიდან, მდინარე დასცქერს მრუდადა“ (ვაჟა).

სრულიად ჩვეულებრივია, რომ ფორმებს: „ავადა“, „ცუდადა“, „კნუტადა“, „მრუდადა“ დარეთოს ზმნური ნაწილი „ა“ და მივიღოთ ავადაა“, „ცუდადაა“, „კნუტადაა“, „მრუდადაა“. „როგორიცაა“ და „ისაა“ სიტყვებში კი სხვა ფორმების ანალოგიით მივიღეთ ორი ა. მაშასადამე, ორი ა-ს არსებობა კანონზომიერად ჩაითვლება.

რა მდგომარეობა გვაქვს ორი ა-ს ხმარების თვალსაზრისით ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებთან?

„ა“ და „არის“ ფორმები ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებთან პარალელურად იხმარება, მაგალითად: „ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს“ (ილია); „დედამიწის სარკე ზეცა არის“ (ილია); „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა, თვალთმაქცობაა“ (ილია).

ძალიან ხშირია ა-ს ხმარება თანხმოვანფუძიან სახელებთან: „ჩემი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კი გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩემი ოფლია“ (ილია).

„შენისთანა ოსტატი შევირდის სიხარულია“ (ილია).

„ა“ და „არის“ ერთდროულად: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის“ (ილია).

ვკითხულობთ ამ წინადადებებს და შედგენილი შემასმენლის ზმნურ ფორმებად „ა“-სა და „არის“ ფორმების ხმარება სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობთ.

შედგენილი შემასმენლის ზმნური ფორმების ხმარებისას შეიმჩნევა სტილისტური გადახრა, რაც გამოიხატება შემდეგში: შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის ა სულ სხვა სახელთან უადგილოდ არის შერწყმული: მაგ.: რომელი ქიმიური ელემენტების სახელწოდებანი გამოჩენილი მეცნიერების გვარების მსგავსია? უნდა იყოს: რომელი ქიმიური ელემენტების სახელწოდებანია გამოჩენილი მეცნიერების გვარების მსგავსი?

წინადადებაში როცა ერთგვარი წევრები და კავშირით ერთდება, მაშინ ზმნური ნაწილის ხმარება მხოლოდ ერთ სახელად ნაწილთან არის მიზანშეწონილი და არა ორივესთან (ყველასთან), მაგ.: „მისი პოეზია მეტად მდიდარია და მრავალფეროვანია“. უნდა იყოს: „მისი პოეზია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია“.

მსაზღვრელი როცა სათანადო ადგილას არ არის დასმული, იქმნება ორაზროვნება:

თამარს ყველა თავისი კლასელი ერთნაირად უყვარს, უნდა იყოს: თამარს თავისი ყველა კლასელი ერთნაირად უყვარს“.

„იგი მიდის დილაადრიან სხვა სკოლის მოსწავლეებთან ერთად“ უნდა იყოს: იგი მიდის დილაადრიან სკოლის სხვა მოსწავლეებთან ერთად“.

სტილისტიკური მინიმუმის დარღვევად ითვლება, როცა მნიშვნელობის მიხედვით წინადადებაში ნახმარი სიტყვები ერთმანეთს არ შეეფერება.. არის თუ არა ეს საკითხი წინადადების წევრებისათვის სპეციფიკური? - რასაკვირველია, არის.

ჩვენთვის ცნობილია, რომ წინადადება შეიძლება გრამატიკულად სწორი იყოს, მაგრამ გაუგებარი. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ენათმეცნიერთა უმრავლესობა. მათ შორის საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმულ ცნობილ შვეიცარიელ მკვლევარს შ. ბალის და რუს ენათმეცნიერს ა. გვოზდევს.

XIX საუკუნის II ნახევარში დაიბეჭდა რუსი ენათმეცნიერის გ. მუჩნიკის საინტერესო სტატია, რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული წინადადების წევრებს შორის აზრობრივი მიმართების საკითხი. ავტორის აზრით, „სტილისტიკური შეცდომების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს არა გრამატიკული კონსტრუქციების მიხედვით, არამედ აზრობრივი ოპერაციების შესაბამისად“. <sup>1</sup>

ბ. მუჩნიკს ექსპერიმენტულად აქვს დასაბუთებული, რომ სტილისტიკურ შეცდომათა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია სიტყვებს შორის მცდარი აზრობრივი კავშირი.<sup>2</sup> ამდენად, წინადადებაში ნახმარი სიტყვების ერთმანეთთან შეუფერებლობა წინადადების წევრებისათვის სპეციფიკურ სტილისტიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

სტილისტიკური მინიმუმის დარღვევის ნიმუშები:

„დაიდგა მემორიალური დაფა... იმ შენობაზე, სადაც სამედიცინო დაწესებულება გაიხსნა და წლების განმავლობაში თვითონვე მოღვაწეობდა...“

<sup>1</sup> ბ. მუჩნიკი, სტილისტიკური შეცდომების აცილების ხერხები, „რუსული ენა სკოლაში“, მოსკოვი, 1995, №2 (რუსულ ენაზე), გვ. 65

<sup>2</sup> იქვე, გვ. 66

შენობაზე დაწესებულების გახსნა უცნაურია. უნდა იყოს: „მემორიალური დაფა გაუკეთდა იმ შენობას, სადაც მან სამედიცინო დაწესებულება გახსნა და წლების განმავლობაში იმუშავა.“

„დიდი მნიშვნელობა აქვს ძროხის სუქებაზე გადაყვანას“. „სუქებაზე გადაყვანა“ არასასურველი გამოთქმაა (მაგალითები აღებულია 2011 წლის გაზეთებიდან).

სახელი ნათესაობით ბრუნვაში დაირთავს თანდებულებს „თვის“ ან „გულისთვის“. საწყისს ნათესაობითში შეიძლება დაერთოს „მიზნით“. ეს ფორმები ერთიმეორის ბადალია, მაგრამ მათ ხმარებაშიც კანონზომიერება შეიმჩნევა, რაც სტილისთვის მნიშვნელოვანია. „გულისთვის“ იხმარება უფრო მეტად პიროვნების აღნიშვნის დროს, „თვის“ უსულო საგნებისადმი ურთიერთობის დამყარებისას, ხოლო როცა ისინი ნაცვალსახელებს ერთვიან, პარალელურად გვხვდება.

სულიერ სახელებთან: „ცოლის გულისთვის სულ ძმები დავილიენით“ (ზღ). შდრ.: „შენი ცოლისთვის სულ ძმები დავილიენით. აქ „ცოლისთვის“ უხეიროდ ისმის.

„იმ ღვთის გულისათვის, რომელსაც შენ წედან ვევედრებოდი, მომენდე მე (ილია), რომ იყოს: „იმ ღვთისათვის, რომელსაც შენ წედან ვევედრებოდი, მომენდე მე“- აზრი გაუგებარი იქნება (მით უმეტეს, „ღვთის გულისათვის“ მყარი ფრაზეოლოგიური გამოთქმა).

უსულო საგნის გამომხატველ რა ჯგუფის სახელებთან:

„მე შენი სიკეთისათვის ვარ აქ მოსული“(ილია) და არა:

„მე შენი სიკეთის გულისათვის ვარ აქ მოსული“.

აღსანიშნავია, რომ „გულისათვის“ ფორმამ თანდათან მტკიცედ მოიკიდა ფეხი, მისი ხმარების არე ფართოა. ერთ-ერთ გაზეთში კვითხულობით სახელდებით წინადადებას: რეკლამის გულისათვის, უნდა იყოს: „რეკლამისათვის“.

ნაცვალსახელებთან პარალელურად იხმარება: „მე მაინც ჩემს თავს შენთვის არ დავზოგავ“ (ილია), „ტყუილად ჩემი გულისათვის ხელახლად თავს ნუ გაიფუჭებ (ილია) და ა. შ.

სტილისტიკური ვარჯიშობა მოსწავლეთა დახვეწილი მეტყველების საწინდარია. ვარჯიშობისას უნდა გავითვალისწინოთ:

1. წინადადების რომელ წევრთა სწავლებისას ვავარჯიშოთ მოსწავლეები.
2. მოსალოდნელი სტილისტიკური შეცდომები წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ.
3. სავარჯიშო უნდა იყოს კონკრეტული, მასალა - პირდაპირ მინიშნებული.

თანმიმდევრულად შესაბამის მასალასთან კავშირში ხდება მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება. კარგი და ცუდი შედეგების შედარება-შეპირისპირება მოსწავლეებს უვითარებს თვითმიების უნარს. ბ. მუჩნიკი სამართლიანად მიუთითებს, „რომ კარგი სტილისტიკური გასწორება მიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა, გავაუმჯობესოთ აზრისა და გრძნობათა გამოთქმა, გადმოვცეთ ისინი უფრო სწორად და ღრმად, სიტყვის სიზუსტისა და გამომსახველობის თვალსაზრისით.“<sup>1</sup>

სტილისტიკურ უზუსტობაზე ვარჯიშობა ტარდება მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით.

შეცდომათა კლასიფიკაცია ასეთია:

ა) გამოთქმაში ნახმარი სიტყვები მნიშვნელობით ერთმანეთს არ შეეფარდება: „განცვიფრებას გამოთქვამენ „ქალთა ბედნიერების“ გამყიდველები“. უნდა: განცვიფრებას გამოხატავენ“.

ბ) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის არაზუსტად ხმარება: დღეს ქართველი ხალხი ბედნიერია და თავისუფალია“.

გ) განსაზღვრების უადგილოდ ხმარება:

დალიმ დაინახა თუ არა გემის დიდი ღუზა, განცვიფრდა (უნდა ეთქვა: დიდი გემის ღუზა). იმისათვის, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს სიტყვის სათანადო ადგილას გამოყენების ჩვევა, ვაძლევთ სხვადასხვა სახის სავარჯიშოს. სტილისტიკურად გამოირჩევა წინადადების წევრები, რომლებიც სინონიმურ წყვილებს ქმნიან. სინონიმური წყვილებით შესაძლებელი ხდება მივალწიოთ აზრის მეტ ემოციურობას, სისხარტეს. მოსწავლეებს უნდა წავუკითხოთ ნიმუშები, მათ კი მსგავსი მაგალითები უნდა მოძებნონ ლიტერატურული ტექსტიდან.

სინონიმებად მარტივი შემასმენლებია: „ოთარაანთ ქვრივმა ის კარგად იცოდა და ბევრს არას ჰნადვლობდა, რომ ასე ეკრძალებიან, ერიდებიან და უფრთხიან ყველანი“ (ილია).

„რა მოერია, რამ სძლია, რამ დაუღონა შვილი, დედას ვერ გაეგო“ (ილია); „როგორც ტყვიანაკრავი ვაჟკაცი, ისე გაუძალიანდა, გაუკერპდა, გაუჯიქდა ტკივილსა და წვა-დაგვას“(ილია).

შედგენილი შემასმენლები: „ჭირი უფრო ვლინდება, ვიდრე ლხინი“, როცა საყვარლის ტკივილი გამოცანაა, დამალულია, მიუგნებელია“ (ილია).

<sup>1</sup> ბ. მუჩნიკი, სტილისტიკური შეცდომების აცილების ხერხები, „რუსული ენა სკოლაში“, მოსკოვი, 1995, №2 (რუსულ ენაზე), გვ. 67

ვითარების გარემოებანი: „როცა ამას შეუდგებოდა, გეგონებოდათ ჰლოცულობსო“, ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუწყებდა ხოლმე წმენდასა“ (ილია) და სხვ.

აღებულია ტექსტი, რომელშიც გამოტოვებულია ადგილები ვითარების გარემოებათა ჩასამატებლად. ვითარების გარემოებათა ნიმუშები მოსწავლეებს წინასწარ ეძლევათ, მაგ.: „ლამაზი სანახავია განთიადი. ცაზე სინათლის გამო ვარსკვლავები ქრებიან. აქა-იქ მოზნეული ღრუბლები... ილუპებებიან, ცამდე აზიდული უზარმაზარი მთები... და... მოჩანან.

რა ლამაზია ტყე განთიადისას. უბერავს დილის გრილი და... სასიამოვნო ნიავი... ბრწყინავს ცვრით დანამული ბალახი. იღვიძებს მიძინებული ბუნება,.. მორაკრაკებს ნაკადული. ნიავისაგან ხის ფოთლები შრიალებენ. აქა-იქ ისმის ჩიტების ჭიკჭიკი“.

ვითარების გარემოებათა - ვარდისფრად, შავად, პირქუშად, მეტად, ვერცხლისფრად, საამურად - ჩამატების შემდეგ ტექსტს მეტი ემოციური იერი დაჰკრავს:

„ლამაზი სანახავია განთიადი. ცაზე სინათლის გამო ვარსკვლავები ქრებიან. აქა-იქ მოზნეული ღრუბლები ვარდისფრად იღებებიან. ცამდე აზიდული უზარმაზარი მთები შავად და პირქუშად მოჩანან.

რა ლამაზია ტყე განთიადისას. უბერავს დილის გრილი და სასიამოვნო ნიავი. ვერცხლისფრად ბრწყინავს ცვრით დანამული ბალახი, იღვიძებს ღამის განმავლობაში მიძინებული ბუნება, საამურად მორაკრაკებს ნაკადული, ნიავისაგან ხის ფოთლები შრიალებენ. აქა-იქ ისმის ჩიტების ჭიკჭიკი.

შეიძლება ასეთი სავარჯიშოც მივცეთ: დასახელებული ვითარების გარემოებათა გამოყენებით შეადგინონ წინადადებები; მაგ.: ეძლევათ სიტყვები: ბრწყინვალედ, მომხიზვლელად, კოხტად, შეუპოვრად, გამირულად, მრისხანედ, წითლად, დაბნეულად, თავგანწირვით.

ორი სიტყვისაგან (წარმატებით, ბრწყინვალედ) მოცემული წინადადებისათვის უნდა შეირჩეს ერთ-ერთი და არჩეული სიტყვის უპირატესობა კონტექსტში აიხსნას, მაგ.:

გამირმა ხალხმა მტერზე გაიმარჯვა. აქ უმჯობესია ვიხმაროთ სიტყვა „ბრწყინვალედ“.

შევადაროთ ერთმანეთს წინადადებები:

„ნინომ გამოცდა წარმატებით ჩააბარა“ და „ნინომ გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა.“

აქ კი ორივე სიტყვის ხმარება უქველად შეიძლება, ოღონდ სტილისტიკური სხვაობა მკაფიოდ ჩანს, რადგან ბრწყინვალედ უფრო მეტად მიგვითითებს გამოცდის ჩაბარების მაღალხარისხოვნებაზე.

„წერით ვარჯიშობას უნდა ენაცვლებოდეს ზეპირი ვარჯიშიც.“<sup>1</sup> კლასს მივმართავთ: უკეთ როგორ იტყვი: უნდა კლასში დარჩენილიყო უსადილოდ“, „უნდა ზღვა გამეგლო“.

ან კიდევ: რა აკლია წინადადებას: „მართლაც მშვენიერი ყოფილა ამ დროს მთაში...“ მართლაც მშვენიერი ყოფილა ამ დროს მთაში ყოფნა (სეირნობა, ნადირობა...).

მიზეზისა და მიზნის გარემოებათა სწავლებისას ვარჯიშობა უნდა ჩატარდეს მეტყველებისათვის აუცილებელ და საჭირო ფორმებზე, ე. ი. რომელი ფორმა უფრო მორგებულია წინადადებისათვის.<sup>2</sup>

ვამღვეთ მიზეზის გარემოების შემცველ წინადადებას, რომელშიც მიზეზის გარემოება სხვა ფორმით უნდა გადმოსცენ: მაგ.: „ნუ დაგვკარგავ, შენ გენაცვალე, ამ ჩვენი გაჭირვებულობისათვის“ (კლდაშვილი), „ირაკლი ბავშვივით მოდიმარ მირზას ესაყვედურებოდა დავიწყებისათვის“ (გვეტ.). წინადადებებში მიზეზის გარემოებებზე უმჯობესია: „გაჭირვებულობის გამო“, „დავიწყების გამო“.

მსგავსი ვარჯიშობა ჩატარდება მიზნის გარემოებებზე. თანდებულისაგან ნაცვლად უმეტეს შემთხვევაში უთანდებულო ფორმებია აუცილებელი., მაგ. „ის იბრძოდა ქართველ ხალხთან ერთად მშობლიური მიწის დაცვისათვის.“ (უმჯობესია „დასაცავად“). მსგავს ფორმებს მოსწავლეები მოიფიქრებენ ნასწავლი ლიტერატურული ტექსტიდან.

გარემოებათა სწავლებისას განსაკუთრებულად უნდა ვავარჯიშოთ მოსწავლეები თანდებულთა მართებულად ხმარებაზე. ბოლო დროს პრესაშიც კი შეიმჩნევა თანდებულთა უმართებულად გამოყენების შემთხვევები, რაც ქართული ენის თავისებურებების უგულვებელყოფით აიხსნება.

თანდებულისაგან ფორმებზე ვარჯიში ასე ჩატარდება: დაფაზე დაიწერება წინადადებები. თანდებულისაგან ფორმებს გაესმის ხაზი. მოსწავლეებმა ხაზგასმული სიტყვები უნდა შეცვალონ სწორი ფორმით და წინადადებები ჩაიწერონ რვეულებში.

ნიმუშები ასეთი იქნება: ჩემი ცხოვრება დღიდან დღეზე უფრო ცარიელი ხდება.“ „მამის სიკვდილზე პირველში ბევრი ინაღვლა“, „ხალხი არ უმხელს გოჩას ონისეს შესახებ“. განსაკუთრებით შეიმჩნევა „შესახებ“ სიტყვის მოჭარბება, რომლის აღმოფხვრაზე უნდა ვავარჯიშოთ მოსწავლეები.

<sup>1</sup>ლ. კვაჭამე, რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა, თბ., 1950. გვ.165.

<sup>2</sup>ასეთი სახის ვარჯიშობას თითქმის ყველა მასწავლებელი ატარებს, მაგრამ მათ აქცენტი გადააქვთ არა სტილისტიკურ იერზე, არამედ იმაზე, რომ ჩამოთვლილი სიტყვები ვითარების გარემოებანია. აქედან გამომდინარე, ცოდნა სტილისტიკური თვალსაზრისით პრაქტიკულად გამოყენებული რჩება.

ჩამოთვლილი სტილისტიკური სავარჯიშოები ხვეწს მოსწავლეთა მეტყველებას. აქედან გამომდინარე, გადმოსაცემი აზრის მკაფიოდ გამოხატვა, სათქმელისათვის შესაფერისი სიტყვიერი მასალის დაძებნა აუცილებელი პირობაა სტილისტიკის საკითხთა წარმატებით სწავლებისათვის.

#### ლიტერატურა:

1. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, 1957.
2. ჯ. ძაძუა, მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები წინადადების წევრთა განლაგებასთან დაკავშირებით, სამეცნიერო შრომათა კრებული „საზრისი“, №20
3. ლ. კვაჭაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1950.
4. ბ. მუჩნიკი, სტილისტიკური შეცდომების აცილების ხერხები, „რუსული ენა სკოლაში“, მოსკოვი, 1995, №2 (რუსულ ენაზე).

## STYLISTIC DEFECTS AND THE WAYS OF CORRECTING THEM

Juleta Dzadzua, Sokhumi State University, Assistant Professor

### RESUME

Meaning convey through words. The words are members of the sentence. Variety of forms of members of the proposal determines the variety of styles.

In our opinion, It is not necessary to have the trainings in stylistic at school. Stylistic issues are not teaching isolation from other subjects. Such training should be linked to the teaching of grammar (practical issues). Grammatical rules and laws have to get further deepen in the practical exercises. It is necessary to pay particular attention to teaching of grammatical categories while studying syntax to make students get used to express their thoughts to acquire appropriate words, phrases and sentences to use the right grammatical forms independently. That means that both theoretical and practical issues of language must be linked with the stylistic issues.

During trainings it is necessary to note that correction of errors must be taken place consistently with relevant material. Exercising the comparison-confrontation of good and bad results develops searcher skill sin students. Muchnik and other well-known scientists rightly pointed that right stylistic correction is not the purpose of the teaching, but it is also a way to improve the expression of senses and thoughts, to express them correctly and deeply, for accuracy and expression.

We have to give a variety of exercises to students for developing in students the habit of using the word in the proper place. There are members of the proposal distinguished stylistically, which make synonymous rows. It is possible to achieve by the synonymous rows of more emotion, agility, expression of thought. We have to read to students the samples, and they must find the similar examples in the literary text. Training at the stylistic problems is conducting with the active participation of students. Stylistic exercises refine students' speech.

## ღვთიური მადლის მაძიებელ გმირთა ხვედრი ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში (განდევილი და მინდია)

ნელი ჭამპურიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

E-mail: nelichampuridze@gmail.com

„ჩვენ ემოციურად გვზიზავს მინდიას პიროვნება, გვაჯადოებს იგი, მაგრამ მისი გაგება, მისი წვდომა ჩვენთვის მიუღწეველია, როგორც მზიასთვის. ამიტომ ნაირნაირი ვარაუდების იქით ვერ მივდივართ. მართალია, როცა დაგვჭირდება, წამდაუწუმ ვახსენებთ მინდიას, როცა მოგვეხალისება, ყველა მეყვავილესა და მწყემსს მინდიას ვეძახით, მაგრამ გველის-მჭამელის პიროვნების არსი ვერ ამოგვიცნია“ [1, 236].

საინტერესოა, სწორად დავინახეთ თუ არა განდევილობის არსი და დანიშნულება ილიას „განდევილში“? რწმენის, ნებისყოფისა და სულიერი მადლის ძიების ილიასეულმა ხედვამ დაგვანახვა თუ არა ქვეყნის ხსენისათვის მებრძოლ გმირთა მთავარი მიზანი?

ტრაგიზმით იყო სავსე მე-19 საუკუნე. ამ საუკუნემ შვა ვაჟას მინდია და ილიას განდეგილი. „მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქართულ აზროვნებაში ორი ნაკადი ებრძოდა ერთმანეთს – იმედი და ნიჰილიზმი“, - ამბობდა აკაკი ბაქრაძე. „ყველაზე უფრო მტკივნეული ის იყო, რომ ნიჰილისტები არ ყოფილან ქართველი ხალხის მტრები. მათ უყვარდათ საქართველო, მაგრამ არ სწამდათ მისი ეროვნული ენერჯია... მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ მაინც ვერ სძლია და დაამარცხა საბოლოოდ სასო და იმედწარკვეთილობა. ალბათ, ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ყოველი ზნეობრივად ამაღლებული და სპეტაკი პროტაგონისტი იღუპება.[აკაკი ბაქრაძე]

ბეთლემს შეხიზნულმა ბერმა ცდუნებას ვერ გაუძლო და შეიშალა („განდეგილი“).

ზებუნებრივი ნიჭი დაკარგა და გველისმჭამელმა მინდიამ თავი მოიკლა („გველისმჭამელი“).

ქართული მე-19 საუკუნე ზმანებებისა და ხილვების საუკუნეც იყო - აკაკი ბაქრაძე [2, 48] ასეთი იყო ეპოქა, როცა იქმნებოდა მინდია და განდეგილი.

ჩვენ შევეცადეთ, ამ ორი გმირის მაგალითზე გვეჩვენებინა ქართველი ერის სწრაფვა სულიერი სრულყოფილებისაკენ, რათა კვლავ გახდეს ერი „ღვთის ღირსი“, სულიერების მწვერვალის დაბრუნებითა და დაცარიელებული „ბეთლემის“ გამოცოცხლებით.

როგორია სულიერი მადლის მაძიებელ გმირთა ხვედრი ტრაგიზმით სავსე საუკუნეში?

ვაჟა-ფშაველამ პოემა „გველის-მჭამელი“ საკუთარ „სულის ქურაში“ გაატარა და ისე გააგრძელა მითიური გმირის მხატვრული სახის სრულყოფა. გველის-მჭამელი მინდია მითიური გმირია, რომელიც ხალხურ პოეზიაში „ხოგაის მინდიად“ მოიხსენიება. ხალხურ თქმულებებში მინდიას აღსასრულის მრავალი ვერსია არსებობს და არსად მინდია თვითმკვლელობით არ ასრულებს სიცოცხლეს. ვაჟა-ფშაველამ, როგორც ვხედავთ, თავისებურად გადაამუშავა. უპირველესად, მინდია ბუნების საიდუმლოს სწვდება, ხოლო ადამიანებს შორის გაუცხოებას განიცდის, ვერ ახერხებს ოჯახთან ჰარმონიულ თანაარსებობას. საზოგადოება გულით გრძნობს, მაგრამ გონების თვალის დახშულია. ვაჟას მინდიაც იღუპება-თავს იკლავს. რატომ მიუსაჯა ვაჟამ თავის საყვარელ გმირს ასეთი სასტიკი განაჩენი? გონებრივად ზემადღებელი გმირი ღვთის მოშიშცაა. მაგრამ მინდია კარგავს გონისა და რწმენის ერთიანობას. მას არ შესწევს უნარი თანხვედრი გახადოს რწმენა და ცოდნა (შემენილი გონიერება). მინდიას ესმის ბუნების ენა „გამეცნიერდა“, მაგრამ არ იცის, როგორ მოაგვაროს ოჯახური პრობლემები, როგორ იცხოვროს ამ წუთისოფელში, როგორც ადამიანმა, რომელსაც ღმერთმა ღვთის სიტყვა - „რჯულის მცნება“ მისცა სულის საცხოვნებლად. რთულია მინდიას ტრაგედიის ახსნა, მისი პიროვნების წვდომა, ავტორიც არ გვიტოვებს არჩევანს მინდიასა და მზიას შორის, თუ ვის მხარეზეა სიმართლე. მრავალმა მკვლევარმა სცადა ამოეხსნა ვაჟას არჩევანი.

ილიას თავის პოემაში გამოყენებული აქვს ცოდვით დაცემის კლასიკური სიუჟეტი, მაგრამ ამჯერად დაცემა გამოწვეულია რწმენის ღალატით, ამდენად „განდეგილი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის ღალატი კი შედეგია ადამიანის გაორებისა და ნებისყოფის სისუსტისა, - განმარტავს აკაკი ბაქრაძე. „განდეგილში“ ერის სულიერი დაცემის სურათი უნდა იყოს წარმოდგენილი. ოდესღაც „რწმენის ნათლით ამაღლებული“, ღმერთთან მიახლოებული საქართველო საწუთროს ხიბლმა აცდუნა, ხორციელმა ვნებამ დაამხო და უიმედობამ დასაღუპად გასწირა, [2, 10]

ემიგრაციაში მყოფ ჩვენს თანამემამულეს, ივანე ზურაბიშვილს მიაჩნდა: „პოემის ძირითადი აზრი ის არის, რომ იდეალისათვის გადახვევა, რამაც უნდა გამოიხატებოდეს ის... უკარგავს ზეციურ მადლს“ (იხ. „ილია ემიგრანტთა თვალთ“, ტ. 1996 წ. გვ. 246), პოემაში ასეთ საგნად დასახელებულია სულის ცხოვნება - წერს იგი. იდეალისათვის გადახვევასთან დაკავშირებით ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხსენებული მოსაზრება სწორად მიგვაჩნია, მაგრამ აქ რომ ნებისმიერი იდეალი იგულისხმებოდეს არა გვეჩინა. პოემის თემად ბერის ცხოვრება იმიტომ არის აღებული, რომ „სულის ცხოვნება“ მარტო ბერისთვის არ არის ცხოვრების მიზანი და საზრუნავი. ეს არის სწრაფვა არა მარტო სასულიერო პირთა, არამედ მთელი მართლმორწმუნე ერისა, რა კონკრეტული საქმიანობითაც არ უნდა იყოს იგი დაკავებული. ზეციურ მადლს დაკარგავს ის, ვინც უფლისაკენ მიმავალი გზიდან გადაუხვევს, ერი იქნება თუ - ბერი [მაია ნინიძე, „დაცარიელებული ბეთლემი“]. „ბეთლემი“ - ერის სულიერი ზესწრაფვის და ზნეობრიობის მწვერვალი დაცარიელებულია იმიტომ, რომ ერმა ერობა ვერ შეძლო და ბერმა - ბერობა. ღმერთთან სიახლოვეს, სულიერების მწვერვალზე დამკვიდრებას „თუ არ ღვთის ღირსი“, სხვა ვერ შეძლებს, თუ არ „მცნების ნათლით ზეაღზიდულ-ამაღლებული“, ვერავინ შესწვდება. ამიტომ „განდეგილში“ არც მარტო ერთი ბერის პრობლემა არის წამოჭრილი და არც მარტო ბერობისა. საერომაც და სასულიერომაც - მთელმა ერმა მისთვის წილხვდომილი ჯვარი უნდა იტვირთოს და ზიდოს იმ მწვერვალისაკენ, თუ უნდა, რომ კვლავ „ღვთის ღირსი“ გახდეს, სულიერების მწვერვალი დაიბრუნოს და დაცარიელებული „ბეთლემი“ გამოაცოცხლოს. ბერი მართალია განერიდა წუთისოფლის სიტკბოებასა და საცდურს, მოსცილდა ცოდვილ ადამიანებს, მან იმ მოტივით დატოვა საწუთრო, რომ ის არის „ბოროტების სამეფო“, სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა, სად ცოდვა კაცსა დღედაღამ

სდევნის, ვითა მპარავი და მტაცებელი, სად „რყვნა, წაწყმედა და დალატია, სადაც მმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა“... მაგრამ მასაც, როგორც ადამიანს, თან ახლდა თავისი მიძინებული ვნებები და წუთიერი მოდუნება სიფხიზლისა საკმარისი აღმოჩნდა, რომ კვლავ იმ ბორკილების ტყვეობაში აღმოჩენილიყო, მან ვერ შეძლო ამ ბორკილებისგან გათავისუფლება და მისთვის თავის დაღწევა, რომელთა გამოც მიტოვებული ჰქონდა წუთისოფელი. უდავოდ მძიმეა განდევილის მდგომარეობა იმ მომენტში, როდესაც იგი უყურებს მძინარე ქალს. მისი სილამაზით მოხიბლული მეუღლადნოე თანდათან წონასწორობას კარგავს. მან, როგორც განდევილმა, რომელსაც წლების მანძილზე სულისათვის ხორცი უწამებია, იცის თავისი მოვალეობა, იცის, რომ „რაცა სწყურდა აქამდე მის სულს, იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს“, მაგრამ ამავე დროს მას მეორე გრძნობაც ვერ დაუმორჩილებია. ეს არის განდევილის მიერ წლობით შენაკავები, მაგრამ აწ უკვე გამოღვიძებული ბუნებრივი ადამიანური გრძნობა - „ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი“. რომელი დასძლევს რომელს, გრძნობა თუ მოვალეობა?

პოემის ამ ნაწილში მწერალი მდგომარეობას ისე ხატავს, რომ განდევილი აქაც უნდა დამარცხდეს. ბერმა ერთი მარცხი უკვე განიცადა მწყემს ქალთან იდეურ კამათში. პაექრობაში დამარცხების შემდეგ მეუღლადნოე ახლა უკვე ფიზიკური დალუპვისკენ მიემართება მისი სულისკვეთება ისეთია, რომ მისთვის სხვა გზა, გარდა დალუპვისა არ არსებობს.

რამ შთააგონა პოეტს ამ პოემის დაწერა?

ილია ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა, იცნობდა ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ და ამ ნაშრომში მოწოდებულ ცნობებს ბეთლემის („მცინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ ბეთლემს. გარნა საჭიროდ ასავალი არ, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გარდმოკიდებული ქვაბიდან და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ, და აბრაამის კარავსა, მდგომსა უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთცა“); მაგრამ უთუოდ საფიქრალია, რომ ილიას, რომელიც არაერთხელ ყოფილა ხევში და რომელიც მუდამ რუდუნებით ჰკრებდა ქართული ზეპირსიტყვიერების მასალებს, უშუალოდაც მოესმინა მოხევეთა მონათხრობი მცინვარწვერის ჭიუხებში რეალურად არსებული გამოქვაბულის შესახებ და ამ „წმინდანთ სადგურთან“ დაკავშირებული ლეგენდა ბეთლემში ოდესღაც დაყუდებულ მეუღლადნოეზე. სწორედ ეს ლეგენდა დაედო საფუძვლად ილიას პოემას „განდევილი“, რომელიც ავტორმა მიუძღვნა თავის მეუღლესა და მეგობარს \_ოღლა თადეოზის ასულ გურამიშვილ-ჭავჭავაძისას. „უწინდელ დროში აქ ყოფილა განდევილ ძმათა კრებული, მაგრამ დროთა განმავლობაში, როდესაც წმინდა მამანი ამ ქვეყნიდან გასულან ღვთის ტაძარი გაუქმებულა... მას შემდეგ ამ წმინდა ადგილს ერთი მეუღლადნოე ბერი შეჰკვდილებია,“.

ვაჟა-ფშაველამ და გრიგოლ რობაქიძემ თავიანთ ნაწარმოებებს („გველის-მჭამელი“; „ლამარა“) მინდიას მითი დაუდეს საფუძვლად. ვაჟას მინდია თავს იკლავს, რობაქიძის მინდია - არა. რობაქიძეს ერთი რამ აეჭვებდა და წერდა: „გველის მჭამელში“ მინდია თავს იკლავს, „ლამარაში“ კი თავს სწირავს. თავისკვლა ბოლოსდაბოლოს ტრაგედიაც არაა. ესაა უბედურება. თავშეწირვა კი მისტერიის სტილია. მწამდა და მწამს უღრმესად, რომ ისეთი არსი, როგორიცაა მინდია, თავს არ მოიკლავს, უკეთ: ვერ მოიკლავს.

წერილში „ჩემი პოემების შესახებ“ ვაჟა-ფშაველა წერს: „ამ პოემისთვის ხალხის თქმულებამ მომცა მხოლოდ შემდეგი მასალა: მინდია ქაჯეთს იყო ტყვედ; დამტყვევებელთ მოუხარშეს გველი და აჭამეს, რომ მოეწამლათ. მაგრამ საწამლაგმა, ქაჯების მიერ შემზადებულმა, ზიანის მაგივრად, არგო მინდიას: ხევსური შეიქმნა ბრძენი, იმას ესმოდა ყველა მცენარეთა - ყვავილების ენა. ამის წყალობით იმან შეისწავლა ექიმობა და პირველი ჯანაოზი დადგა; ყველა მცენარე შესძახოდა, მე ამა და ამ სნეულების წამალი ვარ, ამგვარად სახმარო, და ისიც ამ ყვავილებს აგროვებდა და ყოველგვარ სნეულს არჩენდა. ამის მეტს ხალხური თქმულება მინდიაზე არაფერს არ გვეუბნება“ [3, ვაჟა-ფშაველა - Litklubi.ge]

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მინდიამ ვერ შეძლო კერძოსა და უნივერსალურის, ადამიანურისა და ღვთაებრივის მორიგება, ორ საწყისს შორის მშვიდობიანი კონტაქტის დამყარება. მერყევმა გაორება, „რწმინდა რჯულის“ გაყიდვამ, რწმენის დალატმა დალუპა გველის-მჭამელი. საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა უმეტესობა მინდიას ტრაგედიას განიხილავს, როგორც კარგი ყმის გონებრივ მარტოობას თანამომძეთა შორის, მის მსოფლმხედველობრივ კრიზისს. გველისმჭამელის სულიერი დრამის მიზეზი მისივე გაორებულ არსებაშია. რაც შეეხება მინდიას გამეცნიერებას, არც თავისი შინაარსით და არც თავისი საფუძვლით ჭეშმარიტი ცოდნა არაა. (აკაკი გაწერელია, ამირან არაბული, გრიგოლ კიკნაძე). უფრო მეტიც, მკვლევართა ერთი ნაწილი მინდიას ტრაგედიას ზოგადეროვნულ ჭრილში განიხილავს. მინდია, როგორც ერის მკვლელი, ხოლო მისი თავგადასავალი ისტორია ერისა „გზას, რომელსაც მინდია გადის, ესაა გზა ქართველი ერისაც. გზა თავნებობით ცდუნებისა, ცოდვისა, მონანიებისა და საკრალური თვითმკვლელობისა“ (ჯანრი კაშია, 1990 წ. პარიზი) ამასთანავე, ვაჟა თვითონ ხსნის სამყაროსთან ჰარმონიული თანაარსებობის გასაღებს. პასუხი მომავალს ეკუთვნის „მინდია ორიენტირია, რომლისკენაც მიდის საზოგადოება. მართალია, ნელა და ტაატით, მაგრამ მაინც იქით

ისწრაფვის. მიდის ამაღლებული და მშვენიერი პიროვნების ზნეობრივი სრულყოფისა და თავისუფლების გზით“ [1, 236]. აკაკი ბაქრაძის ეს სიტყვები მინიშნებაა მინდიას სულიერი განცდების ამოსაცნობად. ზნეობრივი გმირის სახე სულიერი სრულყოფილებით მიიღწევა - „ხორცი რას მიშველს მარტოკათუ სულით არა ვგალობდე.\ სულო, აჰყვავდი, ამაღლდი,\ დაე ლეშითა ვწვლობდე!“ („ხორცი, დაჰზნელდი“) [2, 214]. პოემაში მინდიას გველის ხორცის ჭამის შემდეგ ეხილება გონების თვალი - „გამეცნიერდა გლეხია“. გველის სიმბოლოში შეცდომილი ძე - ბიბლიური სიმბოლიკა ისახება. გველი ადამიანებს ღვთაებრივ განაწესს არღვევინებს, აკრძალულ ცოდნას გადასცემს და ღმერთის წინააღმდეგ განაწყობს. მინდიას ცოდნა ღვთიურობასთან, რწმენასთან კავშირს არღვევს და ამას ვერც აცნობიერებს. თითქოს მკითხველსაც უჭირს ჩასწვდეს ტრაგედიის მთავარ მიზეზს, რადგანაც მინდია „ლაპარაკობს ღმერთთანა“. მაგრამ ვნახოთ იგი ამ წუთისოფელში, განსაცდელში. და მართლაც, სად იწყება მინდიას დაცემა? „თქვენგან დაკვარვე გონება,\ წმინდა გავყიდე რჯულია...“ [3, 183] მინდიამ ვერ დასთმო წუთისოფლის „სიამენი“. რწმენის გარეშე, მხოლოდ გონების თვალთ ყურება არღვევს ჰარმონიულობას. მინდიამ ვერ გაუძლო ცხოვრებისეულ საცდუნებელს. ქრისტიანული ოჯახი - ეს არის მცირე ეკლესია, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ღვთისადმი და შემდეგ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემაზე, ხოლო, თუ მათ ეს საფუძველი გამოეცალათ, თავს იჩენს ტირანია, რაც ხშირად კონფლიქტის საფუძველი ხდება. განსაცდელში მინდია ღვთის მადლს კარგავს, რომელიც ჯილდოდ აქვს მიღებული ღმერთისგან, როგორც წყალობა. მაშინ, როცა მინდია ტყვეობაში თვითმკვლელობას გადაწყვეტს „და ამ დროს მოწყალეს თვალთ\ტყვევს გადმოხედა ზევამა“. [3, 174] მინდიას ტრაგედია არა მარტო გონებრივ მარტოობაშია, არამედ გონების „გონების ძალთა სიბრძნისა“ და რწმენას შორის კავშირის რღვევაში. მინდიას ტრაგიზმი ადასტურებს მის სწრაფვას სრულყოფილებისაკენ. მინდიას შეურიგებლობა ზნეობრივ მანკიერებებთან. მისი ტრაგიზმი დასაწყისია ღვთის გზისკენ, სრულყოფილებისაკენ სწრაფვისა. პოეტი ხშირად მიმართავს ღმერთს მადლისა და სიწმინდის შესანარჩუნებლად: „ღმერთო მიიღე ვედრება\ეს ჩემი სათხოვარია:\არ დამეკარგოს გულიდამ\მე შენი სახსოვარია!\ცხვარავე მამყოფე ისევა,\ ოღონდ ამშორდეს მგელობა;\არ წამიხდინო. მეუფევე,\ ეს ჩემი წმინდა ხელობა!“ [1, 138] - ასეთია ვაჟას მრწამსი, გზა მუდმივი განახლებისა, მაღლიერებითა და სინანულით ამაღლებულებისაკენ სწრაფვა, მუდმივი შიში და სიფრთხილე სინდისის შესანარჩუნებლად. „რისთვის შევამკე\ მთელი ბუნება,\ თუ მას დაჰლუპავს\კაცთა ცთუნება“ [3, 374]; პოემაში „სინდისი“ ღმერთის მიერ ბოძებული სინდისის არსისა და დანიშნულების გააზრება პოეტის მიერ, რწმენის შენარჩუნებისკენ მოწოდებაა, საზოგადოების გამოღვიძებისაკენ გადადგმული ნაბიჯია. „აღარ მაქვს, ღმერთო,\ კაცთ შორის ბინა“ [3, 367] - ამბობს სინდისი. მიუხედავად ამისა, სინდისი კვლავ ინარჩუნებს გარკვეულ ძალას კაცობრიობის ცხოვრებაში. ამქვეყნიური ცხოვრების არსი პავლე მოციქულს ვრცლად აქვს ჩამოყალიბებული სწავლება „გონების განახლებაზე“ (რომ. 12, 2), რომელიც თავისუფლებს „წუთისოფლის“ მიდრეკილებებისაგან და ჩვენი „ფერისცვალების“ დასაწყისს წარმოადგენს. პავლე მოციქულის მიხედვით, ქრისტიანებს მართებთ „რათამცა აქუნდა ღმერთი, მეცნიერებით“ (რომ. 1, 28) სწორედ პავლე მოციქული მოუწოდებდა „გონების განახლებისაკენ“. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა თავდაპირველად ლოგოსის რელიგია იყო. „შობამ შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფლისა ნათელი მეცნიერებისა“ [5: 42-43] - ვკითხულობთ შობის ტროპარში. ქრისტიანული ფილოსოფია რწმენასა და ცოდნას ერთიანობაში განიხილავს: ” რწმენისა და ცოდნის ერთიანობა ჩვენ მოცემული კი არა, არამედ - დასახული გვაქვს. სულის ეს ორივე სტიქია თავისუფალია, შეიძლება ზოგჯერ დასცილდნენ კიდეც ერთმანეთს და ხშირად სულიერი ძალდატანება გახდეს საჭირო ამ ერთობის აღსადგენად. ამიტომაც გონების, როგორც შემეცნებითი ძალის, ბუნება არ შეიცავს თავის თავში რწმენისა და ცოდნის ერთიანობის მიღწევის არავითარ სირთულეს.“ [6, 33.] სამყაროსა და ადამიანის შემეცნება ერთიანდება შემოქმედებით პროცესში, რომელიც, რა თქმა უნდა, ალბეჭდილია ქრისტესმიერი ნათელით. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში გამორჩეული ადგილი უკავია დიდაქტიკური ხასიათის რჩევებს „თუ მარტო გონებას, მეხსიერებას გაამდიდრებთ, ხოლო გულის თვისებას, ხასიათს არ გაიკეთებთ, სწავლულნი შეიქმნებით, და სიმართლეს და წმინდა, ქრისტიანულ ზნეობას არ შეიძენთ, მაშინ თქვენ გამოხვალთ უბედურნი და ქვეყნისათვის მავნებელნი, და არა სასარგებლონი... განა ყველაზე უმჯობესი და უმშვენიერესი ის არის, თუ კაცი გონებითაც განათლებულია და საქმენიც, ყოფა-ქცევაც განათებული, კეთილი აქვს. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი თვისნი... ზეგარდმო სიბრძნე პირველად სიწმინდე არს და მერმე მშვიდობა, სახიერება, მორჩილება, საესე წყალობითა და ნაყოფითა საქმითა, კეთილთათა. (იაკობ 3, 13, და 17) [7, 12]. პოეტი მწუხარედ შენიშნავს საუკუნის კატასტროფას-რწმენის რღვევას. მინდიამ ვერ შესძლო „სოფლის თმობა“. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია შეეძლო თუ არა მინდიას ცოდნის შენარჩუნება და ჩავწვდომოდით მისი ტრაგედიის მთავარ მიზეზებს. „უფრო ტანჯვაა გლოვისა,\ ვიდრე გულ-დაწყნარებული\წყალობის გამოთხოვისა.“ [3, 190] ჭეშმარიტი ცოდნით განათებული გონებით უნდა აღივსოს მინდიას გონება, რომ



შენარჩუნოს სიბრძნე, რომელიც მის ქვეყანას სიმშვიდესა და კეთილდღეობას მოუტანს. ღვთიური მადლის დაკარგვის გამო მინდია სინანულს გამოთქვამს, მაგრამ არ ეძებს გზას ცოდნის შესანარჩუნებლად. მისი სინანული მხოლოდ ვედრებაა ღვთიური ცოდნის შესანარჩუნებლად და არა ჯვარცმა თავგანწირულისა. ილიას განდევნილი კარგავს ღვთის მადლს და განემორება მას. „მადლი, როგორც კი ნახავს, რომ ადამიანის გონებაში ექვი ჩნდება და იგი თავს აღიმაღლებს, მაშინვე უშვებს, რომ მის წინააღმდეგ გაძლიერდეს და განმტკიცდეს განსაცდელეები, ვიდრე არ შეიცნობს იგი თავის უძლურებას და სიმდაბლით არ მიექცევა უფალს“. (წმინდა ისააკ ასური) [ჟურნ. „მადლი“] ახალ აღთქმაში და განსაკუთრებით, წმინდა პავლესთან მადლი აღნიშნავს ღვთის მიერ ადამიანისათვის საკუთარი სიცოცხლის უანგარო მიძღვნას ქრისტეს მსხვერპლშეწირვით, რის შედეგადაც ქრისტიანები ნათლისღებისა და სულიწმინდის ნიჭის მეშვეობით „ღმრთის შვილად“ იქცევიან (რომ. 6:3, შმდ; 8:14, შმდ.) სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მადლი“ არის სამსახური, უანგარო დახმარება, რომელსაც ღმერთი გვიწევს, რათა მის მოხმობას ვუპასუხოთ: ვიქცეთ ღმრთის შვილებად, აყვანილ შვილებად, გავხდეთ ღვთაებრივი ბუნების, მარადიული ბუნების თანამონაწილენი“ (CCC., 1996) წმიდის მიერ აღბეჭდილები, რომელთაც მისგან მიღებული მადლი მოყვასის სამსახურისათვის გამოიყენეს, გაიგონებენ: „კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო, მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ“ (მათე 25,21), ხოლო ვინც მინიჭებული წყალობა მოძმეთ არ გაუნაწილა და ამ გზით არ გაამრავლა, მას ისიც წაერთმევა, რაც მიიღო და სხვას მიეცემა. როგორც მოციქული ამბობს, ამგვარნი სრულიად განიკვეთებიან (ლუკა 12,46). განკვეთა - სული წმიდისაგან ადამიანის საბოლოო გაუცხოებას გულისხმობს. სული განიკვეთება, რადგან შეითვისა ცოდვილი სიბრძნე და სხეულს თანამოზიარედ ექმნა ბოროტების ჩადენისას. იმიტომაც არ არის „სიკუდილსა შინა მოხსენიება და ჯოჯოხეთსა შინა აღიარება“ (ფსალ. 6,5) მადლი ღვთისმეტყველურად განიხილება, როგორც ძალა, რომლითაც ღმერთი ეცხადება კაცობრიობას, მოქმედებს ადამიანზე და ეს უკანასკნელი მისი მეოხებით გადალახავს რა საკუთარ ქმნილებლივ შეზღუდულობას, დასძლევს რა საკუთარ ცოდვილობას, აღწევს „განფრთობას“ [გაშლა ფრთებისა (ეზეკ. 16, 8)].

ილიას და ვაჟას შემოქმედებაში მადლი ღვთისა მიჩნეულია პიროვნებისა და ერის მხსნელ წყალობად. ქვეყნის ხსნა ვერ განხორციელდება თვინიერ პიროვნების ხსნისა. როცა პიროვნების სრულყოფის პროცესი დამთავრდება, მერე იწყება ერის ხსნა. ყოველმა კაცმა ხორცი უნდა მისცეს სულისთვის, მაშინ გახდება შესაძლებელი ერის გათავისუფლება. განდევილსაც და მინდიასაც ეს გზა უნდა გაეცლოთ. ჯერ საკუთარი სულის ხსნისთვის უნდა ებრძოლათ და შემდეგ მიეცემოდით საშუალება მამულზეც ეზრუნათ, მაგრამ პიროვნების სულის ხსნა იოლი საქმე არ არის. ამისათვის ჯვარცმულის რწმენა, ნებისყოფა და ენერგია უნდა ჰქონდეს კაცს. მისი სულის სიმტკიცისა და ძალის პატრონი უნდა იყოს, სხვანაირად არაფერი გამოვა. რაკი განდევილსა და მინდიას ეს თვისებები არ აღმოაჩნდათ, ისინი დაიღუპნენ კიდევ.

#### ლიტერატურა:

1. „აკაკი ბაქრაძე სკოლას“, თბ., 2004.
2. მათა ნინიძე, დაცარიელებული ბეთლემი, თბ., 2005.
3. კაკი ბაქრაძე, „მეცხრამეტე საუკუნე“, თბ., 1991.
4. ვაჟა-ფშაველა - Litklubi.ge
5. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1992.
6. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1993.
7. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა ტ. V, თბ., 1964.
8. [ჟურნალი] ალიბეგაშვილი გ. მალაფერიძე ვ. ჰაგიოგრაფიული თხრობა, „ქართული სიტყვა“, 2, თბ., 2008.
9. [ჟურნალი] ზენკოვსკი ვ., თბ., 4/2000-2001, ქრისტიანული ფილოსოფიის იდეა, მთარგმნ: გოგილაშვილი მ., „ცოდნა და რწმენა“.
10. ეპისკოპოსი გაბრიელი, ქადაგებანი, ტ. I, გამოც. მეოთხე, თბ., 1989.

# FATE OF HEROES SEEKING DIVINE GRACE IN GEORGIAN CLASSIC WORKS (‘HERMIT’ AND ‘MINDIA’)

Neli Champuridze, Gori State Teaching University, Professor  
RESUME

Christian morality in Iliia and Vazha's work is considered as a saving doctrine of individuals and the nation. Salvation of the country can not be realized unless a person experiences an internal freedom. First the process of a person's perfection ends and then a salvation of a nation starts. When every man gives a flesh for the soul there is a possibility of the country's release. Recluse and Mindia had to take this path. They should have fought for salvation of their souls first and then they would have had an opportunity to take care of their country but rescuing a soul is not an easy task. For realizing this a person should have a crucified's belief, willpower and energy. He should have the same soul, strength and power, otherwise nothing will be achieved. As the Recluse and Mindia did not have these characteristics, they ruined their lives.

## მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ზოგი ფრაზეოლოგიზმი დღეს

ლუიზა ხაჭაპურიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების შესწავლამ გვიჩვენა, რომ უშუალოდ ბიბლიიდან მომდინარე შესიტყვებების გვერდით ათეულობით გვხვდება საეკლესიო რიტუალებიდან და წეს-ჩვეულებიდან მომდინარე ფრაზები, ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ჯგუფზე, რომელთა სემანტიკური ცვლა ირონიულმა დატვირთვამ განაპირობა.

მარკ ტვენი ერთგან აღნიშნავდა: „იუმორის, სატირისა თუ ანეკდოტის პირობა არა კეთილდღეობა, არამედ პრობლემებია“. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავახსენდეს მწერალ აზიზ ნესინის სიტყვები: „იუმორი განსხვავდება ეროვნულ აღქმაში. მასში აისახება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მისი სოციალური და კულტურული დონე, ეროვნული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და ისტორია“ („ფიქრები იუმორის თაობაზე“, გვ. „ჩვენი მწერლობა“, 2004, №4, გვ.11).

ათეისტური მმართველობის დროს ადამიანთა გულებში აღბეჭდილ ბიბლიურ ხატებს ისე ფხეკდნენ, როგორც ტაძრების კედლებს შემორჩენილ ფრესკებს. იყო ნგრევა... იცვლებოდა ცნობიერება, შესაბამისად მეტყველებაც...

აღნიშნულ საკითხს ცალკეული გამოკვლევები მიუძღვნეს მეცნიერებმა: აკ. ბაქრაძემ შეისწავლა პოეზიაში სიტყვა „ღმერთის“ დატვირთვა და გაოგნებული დარჩა, რადგან მას მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა სრულად დაჰკარგვოდა და უბრალოდ, სიტყვის მასალად ქვეულიყო („სულის ზრდა“, 1990).

მოხდა ცნებათა ჩანაცვლება: „ცრუმორწმუნე“ ამიერიდან „მორწმუნეს“ ნიშნავდა, „უღმერთო“ (რომელიც წარსულში „უზნეოდ“, „დაუნდობლად“ მოიაზრებოდა) ახლა „სწორად მოაზროვნეს“ (ათეისტს) გამოხატავდა (მ. ტაბიძე, რ. ჭანტურია, 2001, გვ. 216).

ჩვენი მასალების მიხედვით მოცემული ფრაზები ირონიამ უბრალოდ სიტყვის მასალად აქცია, მათში გამოთქმულმა აზრმა თუ ლექსიკურმა ერთეულებმა (რომლებიც საეკლესიო სიწმინდეებსა თუ ტრადიციებს გამოხატავდნენ) დაკარგეს თავდაპირველი კრძალულება და პატივისცემა. ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ზოგი გვხვდება თ. სახოკიას ლექსიკონში „ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი“, თუმცა დღეს მათი სემანტიკა შეცვლილია, ზოგიც ჩვენ მიერაა მოპოვებული ექსპედიციებისას:

**ალილოზე სიარული** – პირდაპირი გაგებით კარდაკარ სიარული, უსაქმო, უმიზნო სიარული, (მსგავსად მომღერალი მეალილოებისა, რომლებიც კარდაკარ დადიან და „ალილოს“ მღერიან) „ამან დღეს ბარე სამჯერ ჩამოიარა ალილოზე, ეტყობა საქმე არა აქვს“ (დსკი, ფონდი E).

**გუნდრუკის კმევა** (გუნდრუკი – სპარს. – სურნელოვანი ფისი; საეკლესიო რიტუალისათვის დამახასიათებელი ქმედება. ძველ აღთქმაში იგი უფლისადმი ქება-დიდების აღსანიშნავ ერთ-ერთ

დიდ ძღვენად გამოიყენებოდა; ასევე ახალი აღთქმის მიხედვითაც. ახალდაბადებულ მაცხოვარს მოგვებმა, დიდი პატივისცემის ნიშნად, მიართვეს: ოქრო, მური და გუნდრუკი.) – **პირფერობა, მლიქვნელობა:** „ისეთი ცხოვრებაა, საქმე რომ გააკეთო, ძალსა და მამამაღლს გუნდრუკი უნდა უკმო“ (დსკი, ფონდი E).

**დიაკვანივით კითხვა // მღვდელივით ბუტბუტი // მედავითნესავით კითხვა** (დიაკვანი – ბერძ. διακονος – მსახური, მღვდლის თანაშემწე, ღვთისმსახურების შესრულებისას კითხულობს საეკლესიო წიგნებს; მღვდელი – ქრისტიანული სარწმუნოების მსახური; მედავითნე – დავითნის ანუ ფსალმუნთა წიგნის წამკითხავი ეკლესიაში) – ძალზე ჩქარა, გაუგებრად, გაურკვეველად კითხვა რისიმე: „რა ჩვენი მედავითნესავით კითხულობ, გამაგებინე, რა წერია“, (დსკი, ფონდი E).

**შენიშვნა:** დღეს ძირითადად გამოიყენება შესიტყვება: „მედავითნესავით კითხვა“.

**ლოცვა-კურთხევის აღება (მიცემა, გატნევა)** (საეკლესიო რიტუალი, მღვდლისაგან დალოცვის გამოთხოვა) – **ნებართვა;** ზოგ შემთხვევაში დღეს გვხვდება **ლანძღვა-გინების** მნიშვნელობით: „მამამ ლოცვა-კურთხევა მომცა, ავადმყოფობის გამო მარხვის დღეებში რძის ნაწარმი მივიღო“, „გარეთ ფეხი ვერ გამიდგამს ჩემმა ქმარმა კარგი ლოცვა-კურთხევა რომ არ გამომატანოს“, „ჩემი მეუღლე, ეკლესიაშიც რომ მოვდივარ, მაშინაც კაი ლოცვა-კურთხევას მატნევს, ისეთი უხვირო კაცია“ (ქუთაისი 2001-2002).

**მამაო ჩვენოსავით გაზეპირებული** („მამაო ჩვენო“ საუფლო ლოცვა, რომელიც სახარების მიხედვით თავად მაცხოვარმა ასწავლა ადამიანებს. ღვთისმსახურებაში დასაწყისი ლოცვების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი) – უშეცდომოდ, კარგად ნასწავლი; გაუნობიერებლად გაზეპირებული რამ: „მამაო ჩვენოსავით ჩაარაკრაკა ბავშვმა ლექსი“, „რა მამაო ჩვენოსავით ყვები, სიტყვების მნიშვნელობა არ გესმის?“ (დსკი, ფონდი E).

**სახარების წაკითხვა** (ბერძ. ευαγγελιον – ხარება, სასიკეთო ცნობა; სახარება – ბიბლიის შემადგენელი ნაწილი, ახალი აღთქმა, შედგება ოთხი მოციქულის, ქრისტეს მოწაფეების – მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს წერილებიდან ქრისტეს მიწიერი ცხოვრების, მისი იგავებისა და ქადაგების შესახებ. სახარების წიგნიდან ამა თუ იმ თავებს კითხულობენ საღვთო ლიტურგიისას) – დარიგება, ვინმეს ჭკუის სწავლება სამაგიეროს გადახდის მიზნით. ფრაზა დღეს გვხვდება ძირითადად ირონიული გაგებით: „შენგან სახარების კითხვა არ მჭირდება, თავი დამანებე“, „ამ მთავრობის რა უნდა ვიწამო, ჩვენი ნაშრომ-ნაწვალეები შეჭამეს და აქეთ გვიკითხავენ სახარებას“ (დსკი, ფონდი E).

ფართო საზოგადოებაში აღნიშნული მნიშვნელობით გვხვდება გამოთქმა: **„ვარადნიკის (რუს. воронник - საყელო) გასწორება“, „ულვაშების გაპარსვა“,** რომელსაც სხვა ნიუანსიც ემატება. ესაა ჭკუის სწავლება სამაგიეროს გადახდით: „დაანებე თავი ქადაგებას, თორე დადგება დრო და მეც გაგისწორებ ვარადნიქს“, „მალე ამ მთავრობასაც გაპარსავენ ულვაშებს“ (დსკი, ფონდი E).

**წითელი კვერცხი** (სისხლით გამოსყიდული სიცოცხლის, დედამიწის სიმბოლო ქრისტიანობაში. კვერცხი იღებება ვნების კვირაში წითელ პარასკევს, ნიშნად მაცხოვრის ჯვარცმისა და სისხლის დათხევისა. წითელი კვერცხით ერთმანეთისთვის ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის ხარება უკავშირდება წმიდა მარიამ მაგდალინელის სახელს. როცა ნეტარმა წმიდანმა აღდგომილი მაცხოვარი იხილა, მან ეს უდიდესი ბედნიერება ყველას აუწყა, მათ შორის იმპერატორსაც. ამ უკანასკნელმა მაგიდიდან კვერცხი აიღო და უთხრა: როგორც ეს კვერცხი არ გაწითლდება, ისე დამარხული კაცი ვერ აღსდგებოდაო. სწორედ ამ დროს კვერცხი წითლად შეიფერა) – **საალერსო, მოსაფერებელი; გამორჩეული, განსაკუთრებული.** თუ ადრე გამოთქმა I მნიშვნელობით გვხვდებოდა, დღეს მხოლოდ მეორე სემანტიკით გამოიყენება ანუ ირონიული გაგებით: „ეგ რა წითელი კვერცხია?“ „მე ვუთხარი: ამხანაგებს რომ არ მოგვყვები, წითელი კვერცხი ხარ? ან ჩვენთან ერთად იქნები ან წახვალ საერთოდ აქედან-თქვა“ (ქუთაისი 2001). **სვანური** მასალების მიხედვით გვაქვს შესიტყვება: „ჯგრაგო ხან მამ ხი?“ – „წმიდა გიორგის სახელზე შეწირული ხარი კი არ ხარ? (წმიდანების სახელზე გაზრდილ საქონლებს შეწირვამდე ყველაფრის უფლება აქვთ. მათ ნათესში გადასვლასაც პატიობენ (დსკი, ფონდი B). მსგავსი დატვირთვა აქვს ხევსურულში შესიტყვებას: „კოპალაის ხარი ხომ არა ხარ?“ – მასალა მოგვაწოდა პროფ. ალ. ჭინჭარაულმა).

**წითელი კვერცხის გორება** (აღდგომის მეორე დღეს მიცვალებულთა საფლავზე კვერცხს გადააგორებენ, ნიშნად იმისა, რომ მაცხოვარმა ჯოჯოხეთიდან გამოიხსნა სულები და ზეცას დაუბრუნა. ქრისტეს აღდგომამ საფუძველი ჩაუყარა მიცვალებულთა მომავალ აღდგომას) – მოფერება, დათმობა. გამოთქმა გვხვდება ძირითადად ირონიული გაგებით: „უგორე ახლა ამას წითელი კვერცხი“, „შინ და გარეთ რავა ყველას წითელი კვერცხი უნდა უგორო“ (დსკი, ფონდი E).

**წირვის გამოსვლა // წირვის გამოყვანა** (წირვა – საეკლესიო წმიდა ლიტურგია (ბერძ. λειτουργια – მსახურება), უსისხლო მსხვერპლშეწირვა. ფეშხუმზე დასვენებული სეფისკვერის ნაწილი სიმბოლოა ქრისტესი, რომელიც „ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგვარა“. უსისხლო მსხვერპლშეწირვას საფუძველი დაუდო მაცხოვარმა საიდუმლო სერობისას „ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი... ესე არს სისხლი ჩემი თქვენ მრავალათავის დათხეული მისატეველად ცოდვათა“; მათე 26,28) – **დასრულება, დაბოლოება; სიკვდილი**: „ამ უსაჭამადობისას ლობიოს კი გამოუყვანეთ წირვა“ (დსკი, ფონდი C); „როდის გამოუვა მაგის სიცოცხლეს წირვა, როდის ამოვისუნთქავთ?“ (ბათუმი, 1998).

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ საეკლესიო წეს-ჩვეულებებიდან მომდინარე ფრაზეოლოგიზმთა ნაწილს სემანტიკა დღეს შექმნილმა ირონიულმა დატვირთვამ შეუცვალა, რაც ვფიქრობთ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაა გაპირობებული, „იუმორში აისახება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მისი სოციალური და კულტურული დონე, ეროვნული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და ისტორია“ (ა. ნესინი, 2004).

#### **ლიტერატურა:**

1. დსკი – ქსუ, დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალები, 1993-2005;
2. განმარტებითი ბიბლია, 1987 – Талковая библия (в 3-х томах), С-ПБ., 1911-1913, второе издание, Стокгольм, 1987;
3. ა. ვაისმანი, 1991 – А. Ваисман, Греческо-русский церковный словарь, М., 1991;
4. ა. ნესინი, 2004 – ა. ნესინი, „ფიქრები იუმორის თაობაზე“, გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2004, №4, გვ. 11;
5. ს.ს. ორბელიანი, 1991-1993 – სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, II, თბ., 1991, 1993;
6. თ. სახოკია, 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979;
7. ფსალმუნნი, 1989 – ფსალმუნნი მეფის დავითისა, თბ., 1989;
8. ძველი აღთქმა, 1989 – წიგნი ძველისა აღთქმისანი, თბ., 1989

## **SOME PHRASEOLOGICAL EXPRESSIONS RELATED TO ORTHODOX CUSTOMS**

**Luiza Khachapuridze, Akaki Tsereteli State University, Assistant Professor**

### **RESUME**

Studying of Bible phraseology showed that directly according to the Bible next to stock phrases there can be found tens of phrases based on Church rituals, customs and traditions, which semantic change was determined by the ironic value.

During the period of Atheistic government, the irony has changed given phrases into common material of speech. The idea or lexical units expressed in these phrases have lost their original meaning.

## **«ТЕОРИЯ» ЗЕРКАЛЬНОГО ОТРАЖЕНИЯ КОНЦЕПТА СМЕРТИ В ПОЭЗИИ СЕРГЕЯ ЕСЕНИНА**

**Елене Хирсели, Горийский государственный учебный университет, приглашенный специалист**  
E-mail: elene-xirseli@mail.ru

Поэзии Сергея Есенина посвящено огромное количество исследований. Изучением творчества известного во всём мире поэта занимались многие исследователи (Ю.Л. Прокушев, А.Н. Захаров, О.Е. Воронова, Т.К. Савченко, Н.И. Шубникова- Гусева, Мария Павловски (США), Гордон Маквей (Англия), Мишель Никё (Франция), Ежи Шокальски (Польша) и др.), но в тантологическом аспекте его поэзия мало изучена. Поэтому можно сказать, что наследие трудов, рассматривающих его поэзию с этой точки зрения, довольно скудное. В этом плане, особо можно выделить исследование Владимира Хазана «Заметки к теме «Смерть в художественном мире С. Есенина», работы В. Красильникова и др.

Новизна и актуальность нашего исследования заключается в том, что тему смерти в поэзии Есенина мы раскрываем в совершенно новом ракурсе. Предлагаем оригинальную «теорию» зеркального отражения концепта смерти, заключающуюся в тезисе: в любой смерти мы видим отражение собственной смерти.

Тантологическая тема всегда была одной из центральных тем многих наук: медицины, философии, психологии, биологии, литературы...

На долгом пути развития человечества с первобытного разума до высших технологий, отношение к извечному вопросу, - вопросу неминуемого конца-теме смерти, фактически не менялось. Простой смертный всегда испытывал дикий ужас и страх перед лицом этого неизбежного и неизведанного таинства. Перед ней трепетали великие мира сего. Пытались разгадать, раскрыть её суть. Одни видели в ней только конец всего, небытие, другие – начало, начало чего-то другого или продолжение.

Такое двойное, позитивно- негативное отношение к теме отразилось и в литературе, что проявилось в двух основных направлениях: в первом, где смерть есть зло и абсурд и во втором, где смерть- избавление от бренности и бессмыслицы, следовательно-добро. Образ смерти в литературе многолик. Несомненно в позитивном свете раскрыт этот образ у Сергея Есенина. Есенин не приемлет антитезы жизнь - смерть, в противовес тем художникам, которые рассматривают жизнь и смерть в качестве антагонистов, объявляющим смерть добром тогда, когда жизнь невыносима и бессмысленна, и наоборот, смерть - злом тогда, когда жизнь прекрасна и желанна. Смерть для Есенина-это вовсе не избавление от тягот и бренности жизни, смерть ценна для него не с этой точки зрения. Смерть не может быть для поэта «избавителем», потому что сама жизнь является для него ценной. Жизнь и смерть для поэта равноценны. Есенин рассматривает эти казалось бы контрастные и полярные понятия в одном контексте, в одной призме, на одном нравственном и эстетическом уровне. Они имеют не антонимическое, а скорее синонимическое значение, так как, насколько красива и прекрасна для поэта жизнь, настолько красива и прекрасна смерть. И первое и второе - олицетворение прекрасного и в этом их синонимичность. Жизнь прекрасна в своей неповторимости, недолговечности, непрочности, а смерть в своей таинственности, торжественности и грандиозности. Жизнь прекрасна сама по себе и смерть прекрасна сама по себе, не зависимо друг от друга .

В литературе сама по себе не нова эстетизация тантологии. В этом отношении особо нужно отметить творчество символистов. У Есенина, как у поэта самобытного и неповторимого, этот извечный образ раскрывается нисчем и нискем несравнимой есенинской индивидуальностью.

Есенинский образ смерти-это не конкретный, законченный образ, а образ, не имеющий очертаний и контуров. Конечно же этот образ не персонифицированный. Он расплывчатый, прозрачный, лёгкий. Он везде. Каждая частица, каждый атом его поэзии пропитан ею, но он не давит, не нагнетает, а завораживает, очаровывает, успокаивает. Она колыбельная, навевающая грёзы. Это образ переплетающийся, переломляющийся во все образы и темы его поэзии.

Смерть в поэзии Есенина не бывает «чужой». Даже тогда, когда она приходит к кому-то конкретному, к кому-то одному, она приходит ко всем. Она не имеет единственного числа, и значит когда поэт вспоминает давно умершего или грустит красивой грустью о недавней смерти,- это обязательно наводит нас на мысль о собственной смерти, которая обязательно придёт. Таким образом, смерть определённого человека, друга, любимого-это не конкретная смерть, не только его смерть, а смерть вообще, и в первую очередь собственная. И какая разница, если кто-то уже умер, а я- пока ещё нет, ведь все мы всё равно скоро умрём. Когда поэт пишет о смерти, время теряет свою протяжённость, перестаёт ощущаться. Здесь ирреальное становится реальным-такое ощущение, что то, что скоро должно случиться, -уже случилось. Категория времени потеряла отчётливость и стала расплывчатым, туманным. «Вчера», «сегодня», «завтра»- всё слилось воедино, смешалось, перестаёшь воспринимать их в отдельности.

Ещё совсем юный, шестнадцатилетний Есенин, в стихотворении «К покойнику», описывая смерть и погребение, олицетворяет конкретный случай, со смертью вообще, то есть, частное метаморфируется в общее.:

Уж крышку туго закрывают, 1  
Чтоб ты не мог навеки встать,  
Землёй холодной зарывают,  
Где лишь бесчувственные спят.

Мысль раскрывается и в названии, в котором слово «покойник», выражает собирательный образ смертника вообще, то есть тех, кто уже покинул этот мир и всех нас, ожидающих своей очереди:

Покойся с миром, друг наш милый,  
И ожидай ты нас к себе.  
Мы перетерпим горе с силой,  
Быть может скоро и придём к тебе.

(«К покойнику» 1911-1912)

В отличии от стихотворения «К покойнику», где на первый план выступает безымянный собирательный образ, в стихотворении «Памяти Брюсова»- представлена смерть конкретного, определённого человека, друга- Брюсова. Но и здесь, смерть реального, знакомого человека- это конечно же напоминание остальным, в первую очередь себе.

Мы умираем,  
Сходим в тишь и грусть,

.....  
Вот умер Брюсов,  
Но помрём и мы,-  
Не выпросить нам дней  
Из нищенской сумы. 2

(«Памяти Брюсова» 1924)

Вот также, как ушёл Брюсов, и нам суждено уйти, и ничего мы не сможем изменить, ничто не сможет помешать этой закономерности. Таким образом, смерть одного, подготавливает, мирит остальных с мыслью о своей скорой кончине.

Если в стихотворении «К Брюсову», лирический герой «сходит в тишь и грусть» вслед своему другу Брюсову, в стихотворении «Мы теперь уходим понемногу...», лирический герой сам ведёт нас «в ту страну». В 1924 году, находящийся на краю своей жизненной тропы, действительно «уходящий» поэт, прощаясь с неописуемыми красотами жизни, наблюдает свой «уход» спокойно, тихо, размеренно, он счастлив тем, что «дышал и жил»:

Мы теперь уходим понемногу  
В ту страну, где тишь и благодать. 3  
(«Мы теперь уходим понемногу...» 1924)

В стихотворении «Закружилась пряжа снежистого льна...» о смерти поэт пишет в первом лице множественного числа. Смерть здесь не может быть только *его* или только *их*, она какая-то своя, родственная, кровная-она *наша*:

*Нам* за гробом грусти не слышать вовек  
Как *помрём* без пенья под ветряный звон,  
Понесут *нас* в церковь на мирской канон. 4.  
(«Закружилась пряжа снежистого льна...» 1916)

О чём бы не шла речь, мысли поэта всегда витают над главной тайной бытия, он понимает, что каждый прожитый миг приближает его к конечной точке пути:

День ушёл, убавилась черта,  
Я опять подвинулся к уходу.  
Лёгким взмахом белого перста  
Тайны лет я разрезаю воду. 5  
(«День ушёл, убавилась черта...» 1916)

В стихотворении «Синий туман. Снеговое раздолье...» (1925) у лирического героя Есенина, возвращаясь в «край родной», всплывают в памяти давно ушедшие предки:

Вспомнил я дедушку, вспомнил я бабуку,  
Вспомнил кладбищенский рыхлый снег.

Кладбищенский рыхлый снег-это не только снег на могиле его деда и бабушки, это и лежащий на нашем кладбище снег, и хотим мы этого или нет, скоро также крепко будем спать под таким же рыхлым снегом.

Все успокоились, все там будем,  
Как в этой жизни радей не радей

Смерть другого –это как зеркало, в котором видишь отражение собственной смерти. Поэтому в могилах деда и бабушки он видит свою собственную могилу. У поэта возникает ощущение, неясное предчувствие скорой встречи с усопшими предками.

Эту избу на крыльце с собакой  
Словно я вижу в последний раз. 6  
(«Синий туман. Снеговое раздолье...» 1925)

Для поэта существует два мира: мир ушедших и мир уходящих. Эти казалось бы полярные мира на самом деле настолько близки и грань разделяющая их такая шаткая, тонкая, хрупкая, что кажется ничего не стоит прорвать её.

Таким образом, приходим к выводу, что в поэзии Есенина смерть не может быть единичной, она всегда масштабна. Когда поэт пишет о конкретной смерти-она переосмысливается в более широкое понятие. Смерть кого-то –это напоминание, предупреждение, сигнал остальным. Смерть в поэзии Есенина не воспринимается как индивидуальное явление. Смерть одного человека –не только *его* смерть, -это обязательно и *наша* смерть. Мы не можем воспринять смерть другого в не себя, чужая смерть всегда проходит через призму собственной смерти. Любая смерть-это зеркало, в котором видим своё отражение. Смерть для Есенина-это таинственный, прекрасный образ, обрамлённый тенью своего «я».

#### ЛИТЕРАТУРА:

1. Сергей Есенин. Собрание сочинений. Издательство «Художественная литература». М. 1967; том I, стр. 328;
2. Сергей Есенин. Собрание сочинений, Издательство «Художественная литература». М. 1967; том III, стр.42;

3. Там же, том III, стр. 11;
4. Там же, том I, стр. 201;
5. Там же, том I, стр. 229;
6. Там же, том III, стр.19

## MIRROR REFLECTION 'THEORY' OF DEATH CONCEPT IN SERGEY YESENIN'S POETRY

Elene Khirseli, Gori State Teaching University, Specialist by contract

### RESUME

Here is presented the searching which at first discusses the death in Serge Esenin's work, as estetic category. It's different from other scientists opinion. We mark his positive-emotional parts and come to the point that the poet sees beauty just in minor, and the death is it's end, highest step of beauty, the highest estetic category.

## ადამიანური განცდები ომისა და ოკუპაციის პირობებში, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთიან კონტექსტში გააზრებით

გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე თვალის ერთი გადავლევაც კი ნათელს ჰყენს ომისა და ომის შემდგომი პერიოდის სიტუაციური ანარეკლის მომძლავრებას მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში. ცნობილია, რომ ეპოქებს ყოველთვის მოჰქონდა და მოაქვს საკუთარი იმპულსი მწერლის სამყაროში, ვინაიდან დიდი თუ მცირე ომი, მიუხედავად მისი ქრონოლოგიური თუ გეოგრაფიული მასშტაბებისა, ყოველთვის უდიდეს ადამიანურ ტრაგედიას წარმოადგენდა. ტრაგედიას, რომელსაც მოაქვს ტანჯვა-წამება, უბედურება, სიკვდილი და, ამავდროულად, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ზოგჯერ პიროვნული ტრანსფორმაცია-სუბლიმაცია და სულიერი ამაღლება; ერთი შეხედვით, მსჯელობა უდავოდ შეიცავს პარადოქსულ ნიშნებს, თუმცა, ფაქტია, რომ, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ ფენომენს უნდა „უმაღლოდეს“ ნებისმიერი ერი, რომელსაც ომში რიგითი მოკვდავი, უკვდავ გმირად გადაექცა. მსგავსი რეალობა უდავოდ აღძრავს რამდენიმე საინტერესო შეკითხვას: საიდან მოდის გმირული სული? როდის ჩნდება იგი ადამიანში? და რატომ არ შეგვინიშნავს ფაქტის დადგომამდე? როგორც ჩანს, სწორედ გარემო ფაქტორებისა და ადამიანის ტრანსფორმირებულ სულიერ სამყაროს ურთიერთდამთხვევას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პიროვნება ხედავს, განიცდის, გრძნობს და მოქმედებს; ზოგჯერ ეს მოქმედება თვითგადარჩენაა, ზოგჯერ თავგანწირვა, ვინაიდან, როგორც წესი, ადამიანის შინაგან სამყაროში, ყოველგვარი ანგარებისგან გათავისუფლებული, სუფთა ემოციური ნაწილი სტიმულირდება უკიდურესად მძიმე კონკრეტულ სიტუაციებში. თუმცა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ ღირსებათა სტიმულირება იმ პიროვნების სულიერი სამყაროს ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს, ვისაც ასეთი ღირებულებები გააჩნია. მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მსჯელობისა, ჩვენი მიზანი არ არის უშუალოდ გმირობის, როგორც ფენომენის, წარმომავლობისა თუ გამომწვევი ფაქტორების ძიება, რადგან აღნიშნული საკითხის კვლევა, ვფიქრობთ, სცილდება ერთი ნაშრომის ფარგლებს, გარდა ამისა, იგი უფრო ინდივიდუალური ფენომენია და მისი კომპლექსური კვლევა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამიტომ, ჩვენი კვლევის საგნად (ჩვენი აზრით, იგივე მიმართულების შედარებით მასშტაბური და, შესაბამისად, კომპლექსური კვლევისთვის უფრო შესაბამისი მოვლენა) შევარჩიეთ - როგორ ტრანსფორმირდება ადამიანის შინაგანი სამყარო არაორდინალურ პირობებში და როგორ აისახება ამ ტრანსფორმაციის პროცესი ლიტერატურაში. კონკრეტულად, ამ შემთხვევაში, ომისა და ომისშემდგომ პერიოდებს მიმოვიხილავთ და რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოების მაგალითზე დავაკვირდებით აღნიშნული პერიოდების აღწერის კვალდაკვალ, როგორ განავითარებენ მწერლები პერსონაჟთა განცდებს, მათი შინაგანი სამყაროს ტრანსფორმაციის პროცესს.

საკითხით დაინტერესება, ბუნებრივია, რომ ქართული ლიტერატურის მაგალითით დავიწყეთ და საინტერესო დასკვნების გაკეთების შემდგომ შევუდექით ანალოგიების ძებნას მსოფლიო

ლიტერატურაშიც. ამკარაა, რომ, ხშირ შემთხვევაში, მოვლენათა და გარემოებათა უამრავი და მკვეთრი განსხვავებების მიუხედავად, ის, რაც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენდა, ანუ ომისა და ოკუპაციის პირობებში მოხვედრილი ადამიანების განცდები, მნიშვნელოვნად წააგავს ერთმანეთს და გვაძლევს შესაძლებლობას კვლევა წარვმართოთ ერთიან კონტექსტში.

მიმოვიხილავთ ორი ქართველი მწერლის - გიორგი სოსიაშვილისა და თამარი ფხაკაძის მოთხრობებს, ასევე, საკითხის მასშტაბურ ჭრილში აღსაქმელად, ქართველი მწერლების მოთხრობების პარალელურად, განვიხილავთ ორი მწერლის - ფრანგი ალფონს დოდესა და პოლონელი იაროსლავ ივანკევიჩის ნაწარმოებებს.

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება ხშირად ასახავს ქართულ-რუსული კონფლიქტით გამოწვეულ სიტუაციებისა თუ ამ სიტუაციებში მონაწილე ადამიანთა შინაგან განცდებს. მწერლის აქცენტები ამ მიმართულებით სრულიად გასაგებია; პირველ ყოვლისა, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში განვითარებული ტენდენციიდან გამომდინარე, რაც ქართულ რეალობაში აღნიშნული კონფლიქტის პრობლემათა აქტუალურობიდან გამომდინარეობს და იმის გათვალისწინებითაც, რომ თავად ავტორი, პრაქტიკულად, საკუთარ პერსონაჟთა წიაღში ცხოვრობს, რუსული მავთულხლართის მომიჯნავე სოფელში. შესაბამისად, როგორც აღვნიშნეთ, მის შემოქმედებაში, არცთუ იშვიათად არის მკითხველთა სამსჯავროზე გამოტანილი ქართულ-რუსული კონფლიქტების სხვადასხვა კონტექსტები, თუმცა, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, ჩვენი მხრიდან, აქცენტი გადატანილი იქნება მის ერთ მოთხრობაზე - „ორმოცი წამი“.

გიორგი სოსიაშვილის ყველა მოთხრობა, მიუხედავად ძირითადი თემატიკისა, ადამიანურ განცდებზეა ფოკუსირებული და მწერლის გამორჩეული ნიჭი, რაც ადამიანის სულიერი სამყაროს ღრმა წვდომას გულისხმობს, ყოველთვის არის მის შემოქმედებაში განსაკუთრებულად თვალშისაცემი, თუმცა, დასახელებული მოთხრობის შემთხვევაში, თუ დაკვირვებით წავიკითხავთ, მთავარი მოქმედ პერსონაჟთა განცდები არ არის, აქ მთავარი ის განცდაა, რომელიც დევნილობაში გარდაცვლილ ადამიანს სიცოცხლეში ტანჯავდა; ეს მშობლიური სოფლის, მამაპაპეული კარმიდამოს მონატრების განცდაა. საინტერესო კი ის არის, რომ ავტორი საკუთარი მაღალი ოსტატობის ხარჯზე, ამ განცდის ირგვლივ ისე ახდენს მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას, რომ ტექსტის ძირითადი ნაწილი რეალურად სულაც არ არის დევნილი კაცის მონატრებაზე, არც გარდაცვლილი პერსონაჟის სიცოცხლისდროინდელ ამბებზეა საუბარი, მაგრამ სხვა რამდენიმე პერსონაჟის ინდივიდუალურ ქმედებათა ერთობლიობას მკითხველი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ მკვეთრად შეიცნოს, რა განცდებით ცხოვრობდა უკვე გარდაცვლილი პერსონაჟი. სიუჟეტი გარდაცვლილი ახალგაზრდა კაცის ორი მეგობრის თავგანწირული და ერთობ უცნაური მოქმედების ფონზე ვითარდება. ისინი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩუმად, ქურდულად არიან შეპარული, რათა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მშობლიური სოფლის რამდენიმე მუჭა მიწა მოიპარონ გარდაცვლილი მეგობრის უკანასკნელი ნატვრის ასასრულებლად. კახა და ვანო იმ მიწას იპარავენ, რომელიც მათი სოფლის სრულიად ჩვეულებრივი მიწა იყო ერთ დროს. იქნებ სწორედ ამ ადგილზე, ნაწვიმარზე გავლისას ტალახად ქცეული სანატრელი მიწისთვის ფეხიც აურიდებიათ უწინ, ახლა? ახლა, მზად არიან გულში ჩახუტებული ატარონ გარდაცვლილი მეგობრის მკერდზე მიმობნევათ. ეს კი მის დაკრძალვამდე უნდა მოასწრონ და რადგან აგვიანდებათ, რისკია საჭირო; ან გადარჩებიან, ან არა. შეეძლოთ თუ არა ასეთი თავგანწირვა, ასეთი მეგობრობა დღემდე, თავადაც არ უწყიან, მხოლოდ ის იციან, რომ გარდაცვლილს უკანასკნელ სურვილს უსრულებენ, რომ უკვე ასე უნდა იმეგობრონ - თავგანწირვამდე. ჩანს მწერლის ხელით ჩაბნეული კიდევ ერთი მოტივიც ამ თავგანწირვაში - ეს თავად მათი ტკივილიანი მონატრებაცაა. მათთვის იმდენად პირადული და ბუნებრივია გარდაცვლილი მეგობრის ბოლო სურვილი, რომ არსებითად ვერც ასხვავებენ - მეგობრის ნატვრას ასრულებენ, თუ საკუთარი ოცნების რეალიზებას ახდენენ მეგობრის სურვილის შესრულებით. თავგანწირვის მთავარი მოტივიც სწორედ ამაშია, იმიტომაცაა, რომ ბოლდამოწოლილები „გადაბუფულ სოფლებს ცრემლმომდგარი თვალებით მისჩერებოდნენ“. [5,12]. დიდხანს და იქნებ ასეც ემზირათ დაღამებამდე გასვენებაზე დაგვიანების შიშს, რომ არ გამოეფხიზლებინა „მშობლიური მიწის ქურდები“. გულის სიღრმეში მაინც არ სჯერათ - ნუთუ „მკვდარი კაცისთვის მიწას დაამადლიან?“ - სვამენ კითხვას და თავადვე ხვდებიან, რომ კითხვა უადგილოა, პასუხი - მოკლე და დადებითი. ამიტომ ემშვიდობება მშობლიურ სოფელს ვანო ასე: „ერთხანს როგორღაც იკავებდა თვალზე მოწოლილ კურცხალს, მერე უკვე ვეღარ შეძლო და ქალივით აქვითინდა, ხელის გულები ედო ნესტიან მიწაზე და ისე ტიროდა...“ [5,13]. სწორედ ნესტიან მიწაზე ხელისგულების შეხებით ქვითინია ტრანსფორმაციის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოვლინება, რომელიც ვანოს სულიერ სამყაროშია განვითარებული. ასე ძვირფასი, ხელისგულებით ტირილამდე მოსაფერებელი თუ იყო მისი სოფლის მიწა, სიკვდილის წინ ყველაზე მიუწვდომელ ოცნებად თუ ექცეოდა მის მეგობარს, რა თქმა უნდა, დაუჯერებელი და აბსურდული იქნებოდა, რომ არა ესოდენ მკაცრი, სასტიკი და დაუნდობელი რეალობა. ადრე იქნებ ერთი გოჯის, ბალის განაპირა სანტიმეტრების გამო ერთმანეთს



მტრებად იკიდებდნენ, ახლა ერთმანეთისთვის თავსაც სწირავენ; ადრე იქნებ ყველაფერი მეტი ჰქონდათ, მაგრამ, უფრო მეტი უნდოდათ, ახლა? ახლა, ყველაფერი ბევრად ნაკლები აქვთ, ან სულაც არაფერი აქვთ, მაგრამ იმ რამდენიმე მუჭა მიწის სიყვარულს, საკუთარ სოფელში რომ მოპარეს ოკუპანტებს, ერთმანეთს უზიარებენ, და ისე აბნევენ გარდაცვლილ მეგობარს მკერდზე, როგორც ახდენილ ოცნებასა და მომავლის იმედს.

მოთხრობის დასკვნით ნაწილში კიდევ უფრო საინტერესოდ იკვეთება აღნიშნული აქცენტი. მწერალს მოვლენების განვითარება მეტაფიზიკურ განზომილებაში გადააქვს და მოთხრობას იმ ბედნიერების განცდის სამზეოზე გამოტანით ამთავრებს, რომელიც გარდაცვლილი დევნილის სულს ეუფლება, რადგან, იმ წარმოდგენის გათვალისწინებით, რომელიც ქართული და ქრისტიანული რწმენის შესაბამისია - გარდაცვლილი ადამიანის სული ორმოცდღიან გარდამავალ ეტაპზე, ამქვეყნიური ცხოვრებიდან იმქვეყნიურში გადასახლებაამდე, ჯერ კიდევ საკუთარი სახლის წიაღში იმყოფება. ამიტომ ოკუპაცია აღარ არის ბარიერი გარდაცვლილის სულისთვის, გარდაცვლილი პერსონაჟი კი, რომლის სახელიც კი არ ხდება საცნაური მოთხრობიდან, სწორედ სანატრელ მამაკაპისეულ კარ-მიდამოში განიცდის ნეტარებას: „ყველაფერი მიყვარს, ერთი პაწაწკინტელა კენჭიც რო გდია, ისიც კი მიყვარს, ორმოცი დღე-წამი გაკძღები ყველაფრის ცქერით“ [5, 15]. - ეს სულის მონოლოგია; სწორედ ამ მონოლოგით მიგვანიშნებს მწერალი, რომ სამშობლოს სიყვარული, არა წუთიერი, არა წამიერი, არამედ მარადიული ფენომენია.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში განვიხილავთ, კიდევ ერთი თანამედროვე ქართველი მწერლის, თამრი ფხაკაძის მოთხრობას - „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“. საინტერესოა, რომ თამრი ფხაკაძის მიერ დახატული სიუჟეტი, პერსონაჟთა სამეტყველო ენა, თუ მოვლენათა განვითარების არეალი, ზედმიწევნით, უაღრესად ბუნებრივად გამოხატავს შიდა ქართლის რეგიონის იმ ნაწილის რეალურ სურათს, რომელიც მოთხრობაშია დახატული. ნიჭიერი მწერალი შესანიშნავად ახერხებს სიტუაციის ზუსტ ასახვას და იმდენად, რამდენადაც ჩვენთვის ნაცნობია კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლების გარემო, სახელის დაუსახლებლად ჩნდება გარკვეული ასოციაციები და, ჩვენი ვარაუდით, აღწერილი სურათი გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის ფარგლებში უნდა იგულისხმებოდეს. სიუჟეტი ვითარდება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ფონზე. მთავარი გმირი ქალაქში დროებით გადასახლებული, უფრო სწორად, განათლების მისაღებად წასული ახალგაზრდა კაცია, რომელსაც, მასთან შეუთანხმებლად, საკუთარი მმა სოფელში სახლს გაუყიდის და მოულოდნელად რჩება საკუთარ სოფელში მამა-პაპეული სახლ-კარის გარეშე. სოფელი კონფლიქტის ზონის მომიჯნავეა, საფრთხე ამ სოფლის დაკარგვისა კი, სრულიად რეალური. აღნიშნულის გათვალისწინებით, აცნობიერებს რა არსებულ საშიშროებას, იწყება მოთხრობის გმირის სულიერი და ემოციური გარდასახვა; სახლ-კარის ნაცვლად იგი ბოსტანს აშენებს უბადრუკი ქოხით, რათა ქონდეს რაღაც, რასაც ნიშანდობლივად დაიცავს და უპატრონებს. გმირისთვის ბოსტანი სამშობლოს ერთგვარი ადაფტია, ბოსტანი მას აძლევს მორალურ ძალას - იყვეს ზომაზე მეტად გაბედული და წარმოუდგენელი თავგანწირვის უნარით აღვსილი. სიუჟეტი იმდაგვარად ვითარდება, რომ იმთავითვე სავარაუდო იყოს პერსონაჟის მზადება თავგანწირვისთვის; ბოსტანის გაშენება კი, თითქოს მაგანთა თვალში, „თავის გასამართლებელი“ საბუთია, ვინაიდან მთავარმა გმირმა ძალიან კარგად უწყის, რომ მისი შესაძლებლობები სრულიად აცილებულია მისვე თავგანწირვის პრაქტიკულად დასაშვებ შედეგებს. მისი ემოციური განცდები ორიენტირებულია მარტოოდენ თავგანწირვაზე და არაერთი კეთილმოსურნე თანასოფელელის რჩევის მიუხედავად, დროებით მაინც გაეცალოს მტრის ტყვიებით დასეტყვილ სოფელს, მას უკვე ჩვეულებრივი, ადამიანურ ენაზე გასაგები არგუმენტი აქვს - იგი საკუთარ ბოსტანს იცავს. სინამდვილეში კი ბოსტნის დანიშნულება მხოლოდ ეს არის და არა მასში მოწყული მოსავალი. მთავარი გმირის სულიერი სამყარო განუსაზღვრელად მაღლდება მატერიალურ ფასეულობებზე და ეწირება კიდევ, ვითომდა, იმ ბოსტნის დაცვას, რომელიც რამდენიმე თვის წინ ყოვლად გამოუსადეგარი, ქვა-ლორღიანი, ყველასგან მივიწყებული ადგილი გახლდათ.

აღფონს დოდეს მოთხრობაში „უკანასკნელი გაკვეთილი“, მთავარი გმირი, მასწავლებელი - ბატონი ამელი, უკანასკნელ გაკვეთილს ატარებს. რადგან იგი ელზასში - საფრანგეთის უკიდურეს აღმოსავლეთ რეგიონში მოღვაწეობს, რომელიც გერმანიას ესაზღვრება. ხოლო, ვინაიდან, აღნიშნული რეგიონი ხანგრძლივად წარმოადგენდა დავის ობიექტს გერმანიასა და საფრანგეთს შორის, ნაწარმოებში აღწერილი სიუჟეტი მოიცავს გერმანიის მიერ, რეგიონის ოკუპაციის პერიოდს. აღნიშნულიდან გამომდინარე ბატონ ამელს და მის თანამოქალაქეებს ხელოვნური ბარიერი აღუმართეს და მშობლიურ ენაზე საუბარი აუკრძალეს; შესაბამისად, იგი მომდევნო დღიდან, ფრანგულ ენაზე გაკვეთილს ვეღარ წარმართავს. ამ რეალობის გაცნობიერება ბევრ რამეზე დააფიქრებს მასაც და მის ირგვლივ მყოფთაც. ეს ტრაგიკული იძულება ხდება ბიძგი მათი უცვარი სულიერი გარდატეხისა და ამაღლებისა. ის, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო დღემდე - უბრალო ყოველდღიურობა, მოულოდნელად, მიუწვდომელი და საოცნებო გახდა, ამიტომ, ყველამ ერთბაშად გააცნობიერა, რომ მშობლიური ენა ძვირფასი საუნჯეა, რომელსაც

დაკარგვის საფრთხე ემუქრება, ამ საფრთხესთან შედარებით კი ყველა ყოფითი პრობლემა წვრილმანია. სწორედ ამ რეალობის აღქმა სულიერი კათარზისის სტიმულატორი. ბატონი ამელის მონოლოგში კი თითქოს ამ ბარიერით დაზარალებული ყველა ადამიანის ტკივილია თავმოყრილი. ყველასათვის გასაოცრად ადვილად გასაგებია ბოლო გაკვეთილი. ბატონი ამელი ერთ გაკვეთილში ტევს ყველა მის მდგომარეობაში მყოფის ტკივილს, მშობლიური ენის სიყვარულს და პიროვნულ აღსარებას, თითქოს მისი სულიერი განცდები მკითხველის თვალსაწიერზე ცოცხლდებიან და ვითარდებიან: „თვითონ მე განა სასაყვედურო არაფერი მაქვს? - ამბობს იგი - განა ხშირად ჩემს ბაღს თქვენ არ გარწყვევინებდით იმის მაგივრად, რომ გემეცადინათ? და როდესაც კალმახზე სათევზაოდ წასვლა მსურდა, განა ვერიდებოდი იმას, რომ თქვენ შინ გამეშვით?...“ [3, 192] ბატონი ამელი ცდილობს ყველაფრის სწავლება მოასწროს ერთ გაკვეთილში, ყველაფრის რაც იცოდა და რაც თავადაც უეცარმა ელდამ ახლახანს ასწავლა. მას სურს ისე შთამბეჭდავად ჩანერგოს მოსწავლეებში მშობლიური ენის სიყვარული, რომ მათ არასოდეს დაივიწყონ: „თუ მონობაში ჩავარდნილი ხალხი დედაენას მტკიცედ ინახავს, ეს იმას ნიშნავს, თავისი საპატიმროს გასაღები ხელთ აქვს“ [3, 192].

თუ ქართველი მწერლების ნაწარმოებებში დევნილი ადამიანები ფიგურირებენ, ალფონს დოდესთან ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილია საზღვარს მიღმა დარჩენილი; საკუთარ სახლში, მაგრამ ეროვნულ ენასა და იდენტობას მოწყვეტილი. ქართველი ავტორების შემთხვევაში, ზედმიწევნით იდენტურ სიტუაციებზე აქცენტი არ გაგვიკეთებია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თემა, რომელსაც „უკანასკნელი გაკვეთილი“ ასახავს, ქართული რეალობისთვის, ისევე როგორც ქართული ლიტერატურისთვის, ნაცნობი და მტკივნეული პრობლემაა. ამიტომ, რომ ადგილისა და გარემოებათა ნიუანსობრივი განსხვავებების მიუხედავად, სულიერი ტრანსფორმაციისა თუ ტკივილიანი განცდების ერთნაირობა ყველა განხილულ მოთხრობაში დასტურდება.

ასევე საინტერესოდ მივიჩნით პოლონელი მწერლის, იაროსლავ ივამკევიჩის, მოთხრობა „იკაროსი“. ნაწარმოებში ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებული ვარშავა დახატული; აქ არანაირი გამყოფი საზღვარი არ ჩანს თვალსაწიერზე, უფრო მეტიც, მთელი ქვეყნის საზღვარი მოშლილია, ერთადერთი საზღვარი ორმხრივი დაყოფის გამუდმებულ განცდას ოკუპანტებსა და ოკუპირებულებს შორის და ერთი საინტერესო ნიშანი, ჩვენი აზრით, სწორედ საზღვრის სიმბოლოდ გამოყენებული - ეს წითელნოლიანი ტრამვაია, რომელიც ცარიელი დაიარება ქალაქში მაშინ, როდესაც სხვა ყველა ტრამვაი ხალხითაა გადაჭედული. წითელნოლიანში მხოლოდ გერმანელებს აქვთ ასვლის ნება და ეს ტრამვაია ერთგვარი პირობით-სიმბოლური საზღვარი, რომელიც მთელს ქალაქში გამუდმებით ტრიალებს და შესაბამისად ქალაქური ყველგანჩასაფრებელი საზღვრის შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. აქ ავტორის აქცენტი ბოროტების პირობებში სულის შეძვრამდე გასიგრძეგანებული თანაგრძნობის განცდაზე მოდის. მოთხრობის გმირი ხედავს ყოვლად უმიზეზოდ და უსამართლოდ გაწირული ბიჭის ამბავს, რომელსაც მხოლოდ იმიტომ სჯიან გესტაპოელები, რომ წიგნის კითხვამ ჩაითრია და გესტაპოელთა მანქანას წინ გადაუარა. თვითმხილველი იმდენად ხდება თანაზიარი უცხო ადამიანების ტკივილისა, რომ მისი დამოკიდებულების აღქმა მკითხველსაც აიძულებს თანაგრძნობით განიმსჭვალოს: „წარმოვიდგინე ამ ახალგაზრდის სახლი, მამა მის დაბრუნებას ელოდა, დედა ვახშამს უშვადებდა და ვერაფრით ვერ შევეგუე აზრს, რომ ისინი ვერასოდეს ვერ გაიგებდნენ, როგორ დაიღუპა მათი ვაჟი. ... ამ ჭაბუკის გატაცების უაზრო სიმკაცრემ თავზარი დამცა და დღემდე სულსა და გულს მიშფოთებს.“ [4, 277]. ამბობს მთავარი გმირი და ხედები, რომ წარმოუდგენელია მან ოდესმე ბოროტება ისურვოს.

ამკარაა, რომ განხილული ნოველები არ არის ომის მოვლენების ასახვაზე აქცენტირებული, თითოეული მათგანი აღწერა მიჯნის ორ მხარეს დარჩენილი საზოგადოების ყველაზე ჯანსაღი ნაწილის სულიერი მდგომარეობისა. ომი თავისი შედეგებით ეხება არა მხოლოდ ქვეყნებსა და გეოპოლიტიკურ პროცესებს, არამედ იმ პერსონებსაც, რომლებიც მათდა უნებურად არიან ჩათრეულნი ამ პროცესების განვითარების არეალში და ქვეულან ბრმა იარაღად, თუ მსხვერპლად. ბუნებრივია, ნიჭიერმა მწერალმა კარგად უწყის ომის საშინელებათა გლობალური შედეგები, გეოპოლიტიკური ნიუანსები, თუ მსოფლიო მამტაბის პრობლემები, რომელსაც ნებისმიერი ომი იწვევს, ცოტად თუ ბევრად. მწერალი არც პოლიტიკოსია და არც მსაჯული, იგი ცდილობს პიროვნული ტრაგედიები, ადამიანური განცდები განჭვრიტოს და მათი გამომწვეურების ფონზე დახატოს მასშტაბური გეოპოლიტიკური კატაკლიზმებისა და ომების საშინელებათა სურათები. რა თქმა უნდა, მწერლის ეს პოზიცია სწორია და სრულიად გასაგები, ვინაიდან, არც ერთი ომი ადამიანების უგუნური გადაწყვეტილებების გარეშე არ ხდება, შესაბამისად, ლიტერატურული ნაწარმოები მკითხველს და, იქნებ უგუნური გადაწყვეტილების ზღვარზე მყოფ მკითხველსაც, სიკეთის გზას ასწავლის, ბოროტების გზის მანკიერების ჩვენების კვალდაკვალ. ასეთია განხილული მწერლების მრწამსიცა და იმედიც, ასეთია ჭეშმარიტი მწერლის პოზიცია და შეუძლებელია არ დაეთანხმო, შეუძლებელია ამ კეთილგონიერმა დამოკიდებულებამ გავლენის ქვეშ არ მოგაქციოს. ამ ღრმად ფილოსოფიურ და ამავდროულად მარტივ ადამიანურ დამოკიდებულებას ალტერნატივა არ

გააჩნია, მიუხედავად იმისა, მიჯნის რომელი მხრიდან ცდილობ პრობლემის დანახვას; ოდესღაც მჩაგვრელიც ხდება ჩაგრული და, მით უკეთესი, თუ საკუთარ თავზე ასახვამდე შეძლებს ადამიანი პრობლემის გააზრებას. ეს კი, ყველაზე უკეთ, ვფიქრობთ, ლიტერატურას შეუძლია მიიტანოს მკითხველამდე. წინამდებარე ნაშრომში ერთიან კონტექსტში განვიხილეთ ადამიანთა ჯგუფების გადამტერების, ომის ამაზრზენი შედეგების, ხელოვნური უადგილო საზღვრების შედეგად გამოწვეული პიროვნულ-ადამიანური ტრაგედიებისა და სულიერი გარდასახვის იდენტური მახასიათებლები განსხვავებულ გარემოებებში და გამოიკვეთა, რომ გეოპოლიტიკა და გეოპოლიტიკის კონფლიქტური პროცესების მხოლოდ მასშტაბურ ჭრილში აღქმა ყოველთვის იყო და არის უდიდესი შეცდომა, რომელსაც ლიტერატურა დაუფარავად ამხელს ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში. სალიტერატურო პროცესში ამ პრობლემის გააზრება განუზომლად მნიშვნელოვანია, რადგან მკითხველთა ერთობლიობა წარმოადგენს ყველა სახელმწიფოს აწმყოსა და მომავალს. შესაბამისად, მეტი ანალიზი მეტი პრევენციაა, ომის საფუძვლიანი პრევენცია კი ერთადერთი გზა საყოველთაო მშვიდობისაკენ.

#### **ლიტერატურა:**

1. ფანჯიკიძე გურამ, რჩეული თხზულებანი 3 ტომად, რაციონალიზმი, რიტმი, ფსიქოლოგიზმი, ტ. II, თბ.; 1986, 604 გვ.
2. სიგუა სოსო, მოდერნიზმი, თბილისი, 2014, 612 გვ.
3. დოდე ალფონს, „უკანასკნელი გაკვეთილი“, მოთხრობები, თბ., 2011, 276 გვ.
4. ივაშკევიჩი იაროსლავ, „იკაროსი“; პოლონური პოეზია და პროზა, თბ., 1959, 324 გვ.
5. სოსიაშვილი გიორგი, „2008 წლის შევებულება“, თბ., 2009, 204 გვ.
6. ფხაკაძე თამარი, „სამნი მზის ქვეშ“, (რჩეული მოთხრობები), თბ., 2011, 312 გვ.

## **HUMAN EXPERIENCES IN THE TERMS OF WAR AND OCCUPATION, ANALYZING GEORGIAN AND WORLD LITERATURE IN THE SAME CONTEXT**

**Giorgi Khorbaladze, Gori State Teaching University, Associate Professor**

### **RESUME**

The subject of the research of this paper is fiction selected on the topic of war and post-war period, to be more precise, the research is focused on certain specifications, such as transformation of human's internal world in the unconventional terms of a war and how the transformation is reflected on literature. We will review war and post-war periods and observe how authors develop characters' feelings and transformation process of the internal world of the mentioned period.

It is concluded that writing is not a reflection focusing on of the events of the war, but description of a state of mind of forward-thinking society remaining on different sides of the boundary. The war with its consequences refers not only to countries and geopolitical processes but also to people who are involuntarily involved in these processes and are turned into blind weapons or victims. Normally, talented writers are aware of global consequences of war, geopolitical details and worldwide problems more of less caused by wars. Writers are neither politicians, nor judges; they try to anticipate personal tragedies, human feelings and show terrifying illustration of large scale geopolitical cataclysms and wars on the background of their revelation. Undoubtedly, writers' such position is absolutely understandable, as no war occurs without people's unreasonable decisions; consequently, they teach the act of kindness to all types of readers, and maybe including readers being on the edge of unreasonable decisions, through showing dark side of evil deeds.

## ესმა ონიანის მხატვრული ენის ზოგიერთი თავისებურება

ელენე ხოჯევანიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

„ეს ჩვენ მოვსულვართ ფრინველებად,  
ეს ჩიტები ჩვენი ტირილის, აქაურობის  
ჩვენი ნატვრის ნამცეცებია“.  
ესმა ონიანი

ყოველი ჭეშმარიტი პოეტი შემოქმედებითი მიზანდასახულობით უდგება სიტყვას. ამიტომ არ გვხვდება მაღალმხატვრულ ლიტერატურულ ტექსტში შემთხვევითი სიტყვათშეთანხმება ან სიტყვათწარმოება. სწორედ ამაშია პოეტური სტილისტიკის სპეციფიკა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი პოეტური სემანტიკაა, (პოეტურ ლექსიკასთან, პოეტურ ფონეტიკასა და პოეტურ სინტაქსთან ერთად) [4:172] ხოლო პოეტური სემანტიკის მთავარი ელემენტი მეტაფორაა.

ჯერ კიდევ არისტოტელე (რომელმაც დაამკვიდრა ტერმინი მეტაფორა) ამბობდა: ნამდვილი პოეტი ის არის, ვისაც მეტაფორის შექმნა შეუძლიაო. მართლაც, პოეტური სამყაროს ესთეტიკურ ველს მეტაფორები, შედარებები, სიმბოლოები, ხატები თუ სურათები ქმნიან. პოეტური სახეებით აზროვნების ასპარეზს ესმა ონიანს სწორედ მეტაფორა უშლის, როგორც ენობრივ-მხატვრული წარმოსახვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება. მაგრამ ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი პოეზიის სტილისტურ თავისებურებას მეტაფორათა მხოლოდ სიმრავლე კი არა, (მისი ზოგიერთი ლექსის ყველა ტაეპი მეტაფორულია) იშვიათი ფიგურალური გამომსახველობის მქონე ფორმათა გამოყენება განსაზღვრავს. ლექსს სიტყვიერ ქსოვილში გარდასახული პოეტის სული, ნაგრძნობ-ნაფიქრი გამოაქვს საამკარაოზე. ქართული ენის, ქართული სიმღერის, „მდეღვარე ქართული სიტყვის“ ტრფიალება იგრძნობა მეტაფორად გარდასახული ესმა ონიანის ლექსის სტრიქონებიდან:

„მოგისმენიათ? ქართულ სუფრასთან სიყვარულის იღვრის სიმღერა,  
ზეადმავალი, ყელთა თბილი ჩაბუნაგებით,  
თვალდაორთქლილ ქალთა ხატებით, თვალთა სიბნელით მოფარდაგული  
უკიდევანო ვნების დამტევი,  
შიგ ჩაფერფლილი ტკბილი ქართულით“ . [6:70]

აღბათ, ძნელად თუ კიდევ სადმე მოინახება ქართულ სიმღერაზე შექმნილი ასეთი მრავლისმთქმელი პოეტური ნააზრევი.

მეტაფორის მოხდენილად გამოყენებითაა შექმნილი ინტიმური განწყობის გამომხატველი თბილისის დაუვიწყარი ფერწერული ტილო, რომელშიც მისდამი პოეტის გულწრფელი სიყვარული იკითხება:

„სად ეკლესიის თბილი უბის უკანა ეზო, მიყუჟული ქვის კიბეები,  
აკაციის ტკბილ სურნელში თეთრ ფთილებით დალაქული საფეხურები  
გადმოხედვისას თბილისის სახლებს სახეები განათებით,  
თბილი კედლებით მიყუჟვიან საკუთარ ხეებს,  
ამოიბნევა ალაგ-ალაგ მტრედების პეშვი,  
თეთრი ციმციმით ეშვება სადღაც“ ... [6:159]

როგორც კრიტიკოსი რეზი თვარაძე წერს, „ესმა თბილისის პოეტია“, [6:8] მაგრამ არასოდეს ავიწყდება მის მიერ განვლილი ცხოვრება, უყვარს ვენახები, „მაცვლიანი ბუჩქის სუნი“, „მზიან-კაკუნა ბილიკები“, „გამხმარი ბალახის ჩხვლეტა“ და ყველაფერი, რაც დედუღეთს აგონებს. „ესამკაულება“ თავისი გვარი... ახსოვს მამის „თეთრი ღიმილი, ხმელი ლოყების ორი ნაკეცი [6:160], და „გაჩერებულ ვერცხლისფერ თმებით მოსაზღვრული შუბლი“ [6:82] „იმერეთში, ბებიას გაშლილ მკერდზე, ლურჯ კაბაში ქინძსთავების ვერცხლის ქინძები“; [6:43]

ხშირად იხსენებს ბაბუას და მის სიტყვებს „ხსოვნის დღემდე მოქმედ ნაჭდევად, ხსოვნის ცხოველ მარგალიტად, ყოველჯერზე გასახარელ საჩუქრად ამოინთებს“. [6:79]

„დედის დედა! მზე მიმდგარი სახე,  
შავი ჩრდილებით ჩამოტორილი.  
კისერთან თეთრი თმის ნახვევს სინათლე გასრუტავს,  
ნესტოთა ნაპობი ფრთაგაშლილ ქორივით“ . [6:140]  
ეს ყველაფერი პოეტურ ხატად ტრანსფორმირდება და მეტაფორულად გაიაზრება.

ვერავინ იტყვის, რომ ეს თემები მომველდა, რადგან სათქმელს ავტორმა ახლებური ფორმა მოუძებნა და დამაჯერებლად მიიტანა მკითხველამდე.

ვერლიბრის ფორმის ტაეპებს შორის იდუმალებით სავსე სიმბოლოები, მინიშნებები, ალუზიები იკითხება, რაც მკითხველს მათი ამოხსნის სურვილს უჩენს:

„შემოდგომულს ხრიოკებზე მტრედივით ტაძრებს  
ერთგან ცა აწევს, იძირება ბინდბუნდივში ნამწვად,  
„წითელი ნარმა“ ჩნდება აქა-იქ,  
რუხში მრგვალდება დაირების ბრინჯისფრად ბრაწვა.  
ატმისფერ სახეს შავად ატყვია წარბები ფართო,  
შავ-შინდისფერი იჩხება ჩოხის კალთა ხანჯლის ჯვარებით“. [6:36]

„მამადავითის თეთრი ლებანი“, [6:23] ვანის ქვაბთა „სვეტნათელი პალატები, თაღის მალა გართხმა.“ [6:135] დავით გარეჯის გამოქვაბულების მწუხარებით აღბეჭდილი, „შავგულა, აბედისფერ ყვავილებად,“ „სენაკებად გადაშლილი“ [6:148] პეიზაჟები შორეულ წარსულთან გვაახლოებს.

პოეტის სათქმელი ხშირად ვერ ეტევა სიტყვათა ჩვეულ შეთანხმებებში და ენის შინაგანი კანონების და პოტენციის საფუძველზე სიტყვათშეთანხმებათა განსხვავებული ფორმების გამოყენებით მათი გამოხატვის შესაძლებლობებს აფართოვებს.

„თავისუფლების მკაცრი საკანი“ - ასე ჰქვია ესმა ონიანის ერთ ლექსს. წაკითხვისთანავე აღძრავს პარადოქსის შემცველი ეს სათაური ინტერესსა და ცნობის წადილს, თუმცა პოეტის სათქმელი ღრმა ქვეტექსტითაა დატვირთული. ამასთან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „მეტაფორა თავისებური გამოცანაა“, [1:194] და იგი გაურბის განმარტებებსა და დასაბუთებას, მისი „საიდუმლოებების“ ამოხსნის მცდელობისას კატეგორიულები ვერ ვიქნებით, თუმცა ნამდვილი მხატვრული ტექსტის ღირსებაც ხომ ისაა, რომ ჩააფიქროს მკითხველი, თავისებურად დაანახოს და მისთვის საჭირო და საინტერესო აპოვნინოს.

„ენის ბაღნარში ფშოდნენ უკვე ფარშევანგები,  
აღარ ჰქონდა შეუკვეცავს საყრდენი მყარი - სიტყვებად ინთქა  
და დანის პირზე ბასრად აინთო ნამდვილი სიტყვა,  
და ტყვიასავით დაიტენა სისხლის მზეთა გამოსასხმელად“. [6:18]

თანამედროვე პოეზია წარმოუდგენელია ფილოსოფიის, განსჯის, რეფლექსიის გარეშე. წუთისოფლის წარმავლობასა და სიცოცხლის საზრისზე ლიტერატურული რეფლექსიაა გამოხატული სტრიქონებში, რომელიც ძლიერი ემოციური დატვირთვის გამო გულგრილს არავის ტოვებს:

„ეს ის საბეა! - მარგალიტა ბუნნიკაშვილი აქედან იყო,  
ახლა აქ სადღაც, ამ შავ-მწვანე გორაკებში ამობორცვილა...  
ტკივილთა პირში ჩაგდებული საბელი მარგო.  
საბეს კარებთან, სიჩუმეში, ძლიერ ბინდში ახლა აქ არი“. [6:53]

ესმა ონიანისთვის „სიკვდილი ცრემლით არ იბურება“. [6:84] „სიკვდილი არის სიმსუბუქე, გაქრობა და გასინათლება, ის უსასრულო სიჩქარეა - ერთბაშ-ყოველი“, [6:79] თუმცა მაინც იდუმალებითაა მოცული და ამიტომ კითხულობს პოეტი:

„თუ იკვირტება ნეტავ იქაც რაიმე ნდომა,  
სად არაფერი ულმობელი შუქით გურგურებს“. [6:80]

მტკივნეულად განიცდის მამის გარდაცვალებას და ამით გამოწვეულ მძიმე სულიერ განწყობას მეტაფორაში გარდასახვით გადმოგვცემს:

„შენი გონების უხრწნელი დენა ბოლომდე ენთო  
დამშვიდობების აღმურიან თვალთა სევდაში“. [6:82]  
„ადამიანად ყოფნის ბოლო მტკივან წუთებში  
სულთმობრძავი თეთრი ზეწრის სიმძიმეთა გიგანტურ ფენით  
აგონიაში მოძიგბიგე ხელის უცაბედ აფარფატებით  
გაზვიადებულ სიუხეშეთა ამორებას ტანჯვით ლამობდი“. [6:83]

ეს სტრიქონები, ალბათ, ერთნაირი ძალით აღიქმება სხვადასხვა დონისა თუ ემოციის მქონე მკითხველის მიერ.

ესმა ონიანის მიერ მეტაფორად ქცეული პორტრეტები ფერწერულ ტილოებს ჰგვანან და საოცარი სიცხადით წარმოგვიდგენენ სხვადასხვა სურათს. თვალხილულად წარმოგვიდგება დღისა და ღამის გაყრის ექსპრესიული სცენა სტრიქონით:

„მთვარე განივსო, გაქრა ღამე, მოგწყდა საყურე,  
ჩამოცვნილი ზმანებებით დილის ზეცა მიწას დაჰყურებს“. [6:102]  
ეს კი საღამოს ჟამის მოახლოების მაუწყებელი ულამაზესი ფრაზაა:

„ნარინჯისფერი მოატივტივეს გორგორა თავებს ეკლესიათა“. [6:33]

მეტაფორათა მოშველიებითაა შექმნილი არა ერთი შთამბეჭდავი სურათი, ხოლო ფერწერული დეტალების ჩართვით მათი ექსპრესიულობა კიდევ უფრო მატულობს:

„ანთებულია ხურმის მადნით ხეების ჯგუფი“. [6:37] ან

„შემოდგომის ცა ყვითლად ღუის ნათელ გადმოღვრით“. [6:46]

„შავი ნათდება ვერცხლისფერი კალმახების ცინცხალ ლაღობით“. [6:36]

„თავზე დაგვდგომია მთა-პირამიდები, ქვებში ალჩამდგარი“ [6:144]

ფერწერული შესრულების სრულყოფილებით გამოირჩევა უპოვარი ქალის, ეფემიას პორტრეტი:

„თეთრი ფრქვევა აფცქვნილი

ეფემიას კალთებს მიეთოვა...

ზის ეფემია მზის დაფლეთილ კალთაში,

თითებს კაბაზე აფათურებს“. [6:140]

მზე ესმა ონიანის ერთ-ერთი საყვარელი, ხშირადსახმარი სიტყვაა და არა ერთი შესანიშნავი მეტაფორული სტრიქონია მისი მეშვეობით შექმნილი:

„თვალთა ბორცვებზე მზიანმა ქუთუთომ ინათა“ [6:109]

„თამბილას თვალები

მზისგან დაბერილი გვალვებით დასიცხავს [6:110]

„გამოდნა მზისგან ღრმული ტამრისა,

შიგ ეშვებოდა ღონიერი შტო მისი - მზისა!“ [6:186]

„თვალებს გამიფატრავს სხივი რისხვისა, მბრწყინავი ეშვი“. [6:124] „მტევნის ნაყარი ქვირითობს ირგვლივ“. [6:36] „სახლთან დავდგამთ მაღალ კოშკებს, თითქოს ხილულ, ცოცხალ ლოცვებს“. [6:99] „საფარზე ქობა აინთო, მოჩითულ ყვითელ ალუბლის კრუნჩხვად“. [6:137] „დრო დარდის ფულუროს ხრავს“. [6:139] „ლურჯი ღრმულიდან მოიფრქვევა სცენის სიგრილე“... [6:157] ეს ესმა ონიანის სხვადასხვა ლექსებში გაბნეული საუკეთესო სტრიქონებია. ყოველივე ამის დანახვას და აღქმას განსაკუთრებული პოეტურობით მხედველი თვალი სჭირდება, თუმცა ამ მეტაფორებით ისეთი თვალსაჩინო ხდება ყოველივე, რომ გიკვირს, ამას ესმა ონიანის სტრიქონებამდე რომ ვერ ამჩნევდი. მაგრამ სიტყვის ხელოვანთან სწორედ მაშინ გვაქვს საქმე, როცა იგი სხვისი თვალისთვის შეუმჩნეველ საგანსა თუ მოვლენას დაგანახებს. ასეთი ფრაზების შექმნით პოეტი ადამიანთა ასერიგად გაღარიბებულ სულიერ ყოფასა და ენის დაკნინების პროცესს უპირისპირდება, რომლის მომსწრენიც თითოეული ჩვენგანი ვართ.

ესმა ონიანის პოეზიისთვის ნიშანდობლივია ის, რომ სიტყვათა მთავარი ფუნქცია - საკომუნიკაციო დანიშნულება - ზოგჯერ უკან გადაინაცვლებს, პოეტს თითქოს ეცოტავება სიტყვათა ტრადიციული გაგება და სიტყვათშეთანხმებათა ახალ ფორმებს გვთავაზობს, რის გამოც ფრაზა განსხვავებული ემოციური შინაარსით იტვირთება, რაც მას მეტაფორად აქცევს. მეტაფორები კი იმაზე მეტს გვეუბნებიან, ვიდრე მათი შემადგენელი სიტყვები:

„და გახარების ნაზი ალერსი

და მოლოდინის მტრედული გმინვა

როს დღენიადაგ ჩქოლოვით ჩაგესმის“. [6:41]

„ჩემს მოქანცულ სიამაყეს მიერეკება

ქარი ხორკლიანი“. [6:125]

პოეტის მიერ დაწყვილებულ სიტყვათა საზღვარზე მათი ახალი მნიშვნელობები იბადება:

„განვიცადე შაოსანი ფულუროება,

აჩუყებული ვიფლობოდი კაშკაშა ლაფში“. [6:32]

„წამოიჩიტა ცრუ კვირტები ზიარმოსხმულ ღიმილზე“ [6:17]

მოულოდნელი მიგნებებით აღბეჭდილ ფრაზებს ტრადიციული ცვლის და სწორედ ეს ნაზავი ქმნის ესმა ონიანის ლექსებს გამორჩეულს და საინტერესოს.

უაღრესად საინტერესოა მეტაფორის კერძო სახეების, გაპიროვნების, კონკრეტულად კი ანთროპომორფიზაციის შემთხვევები ესმა ონიანის ლექსებში:

„შავი გვირგვინები მოედგათ აწლებს დარდით“. [6:115]

„ხეები ეფლობიან მიწაში ფოთლიან თავებით.

ფესვებს აფართხალებენ სიმწრით“ [6:117]

„შენი თამბაქოს სუნი გაბადრვით მკოცნის“ [6:21]

„ცა ყვითლად ცურავს ქუჩის აივნის შავ გრეხილებში“ [6:31]

ინტერპრეტაციები შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ასეთი განხილვის დროს ერთგვარად ზიანდება პოეტური სიტყვის მთლიანობა. ამის შესახებ თავადაც წერდა პოეტი: „ერთიანობის შეუმჩნეველად, რაც მთელს გასჭოლავს, ორგანულად მთლად კრავს, მას (ლექსს ე.ხ.) ბევრი აკლდება,

აკლდება კი არა უფასურდება“. [6:39] მაგრამ რაკი ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები უპირველეს ყოვლისა ენობრივი მოვლენაა, სწორედ ენობრივ-სტილისტურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს მხატვრული ნაწარმოების ენის თავისებურებანი, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ისე, როგორც ორკესტრის მთლიანობას ქმნის ცალკეულ ინსტრუმენტთა ჟღერადობა, პოეტური სიტყვის მთლიანობაც მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ-ენობრივ საშუალებათა - მეტაფორების, შედარებების, ეპითეტების და სხვათა ერთობლიობაში ვლინდება, მათ შორის კი მეტაფორა არის ტექსტის მხატვრულობის დონის ერთ-ერთი ძირითადი საზომი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ესმა ონიანის მეტაფორული აზროვნება წარმოსახვის ორიგინალურობით, ხედვითა და განცდათა სიღრმის თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართულ პოეზიაში. იგი წერდა: „ჩემი შემოქმედებით... მინდა შევახსენებდე ადამიანებს... რაღაც მივიწყებულს, ძირეულს, ძალიან ნაცნობ-ჩვეულებრივს; არ ვაძლევდე მის სულს პირველადის, ბედნიერის, კეთილის დავიწყების საშუალებას“. [2:35]

აქაც გაბედულად შეიძლება ვთქვათ, რომ მისი პოეზია ასრულებს თავის ძირითად დანიშნულებას, რადგან ბევრ ისეთ მნიშვნელოვანს ტოვებს მკითხველში, რასაც შეუძლია უკეთესობისკენ შეცვალოს ადამიანი.

#### ლიტერატურა:

1. არისტოტელე, პოეტიკა თბ., 1979.
2. „ზეკარი“, თბ., 1979.
3. კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები. თბ., 1957.
4. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, თბ., 2012.
5. ლომიძე თ., მეტაფორა და მეტონომია. სემიოტიკა, №2, 2010.
6. ონიანი ესმა, 100 ლექსი, თბ., 2010.
7. სირამე რ., ქართული კულტურის საფუძვლები. თბ., 2000.
8. ჭილაია რ., ლიტერატურისმცოდნეობა. ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 2003.
9. Энциклопедия символов, знаков, эмблем., М., 2000.
10. The New Princeton Encyclopedia of Poetry and Poetics, Alex Preminger and T.V. Brogan, New Jersey, Princeton University Press, 1993.

## SOME PECULIARITIES OF ESMA ONIANI ARTISTIC LANGUAGE

Elene Khojvanishvili, Gori State Teaching University, Professor

### RESUME

Every literary work is a language phenomenon first of all, that's why language peculiarities of the literary work are revealed through language and stylistic analysis. The aesthetic field of the poetic world is created by metaphors, similes, symbols, icons or pictures, and among them, a metaphor is one of the main unit of measuring the artistry of the work. For the poet Esma Oniani, it is exactly the metaphor, which is one of the main means of language and stylistic imagination, and it is the metaphor that opens the arena of thinking by means of poetical images. From the point of view of the imagination's originality, viewpoint and sensitivity, her metaphoric thinking occupies a prominent place in the Georgian poetry.

## აკაკი წერეთლის პოეზიის პოლიტიკური ასპექტები (ლექსის „ეხლანდელი პოლიტიკა“ მაგალითზე)

მამუკა ჯოღბორდი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება XIX საუკუნის II ნახევრიდან ქართულ მწერლობაში კიდევ უფრო გამძაფრდა. თერგდალეულები უკომპრომისოდ ამხელდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და მის სავალალო შედეგებს ქართველი ერის ცნობიერების რღვევაში. ქართველი სამოციანელებისათვის „როგორც სახელმწიფოებამომხილი და კოლონიური ქვეყნის შვილებისათვის წინა პლანზე ეროვნული თავისუფლების საკითხი იდგა“ [1; 104].

ქართველთა ეროვნული თვითმეგნების შენარჩუნებაში, მისი პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებაში გამორჩეული ადგილი უკავია აკაკი წერეთლის მხატვრულ-პუბლიცისტურ

მემკვიდრეობას. როგორც იგი თავის თანამებრძოლებზე ამბობდა, ეს „ნათლის მჭირველი“ ახალგაზრდები, „მამულის მსახურებისათვის“ იყვნენ მოწოდებულნი [1; 100]. აკაკი წერეთელი თავის პოეზიაში არ ერიდებოდა რუსული საოკუპაციო რეჟიმისა და მისი ყურმოჭრილი მოხელეების მხილებას, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა ქართველთა ეროვნული და პიროვნული ღირსების შელახვას ისახავდა მიზნად.

როგორც სწორად შენიშნავს ც. კილანავა, „თუ ილიამ მხატვრულ შემოქმედებაში ქართველთა ნაციონალური ჰაბიტუსი გამოკვეთა, აკაკიმ თავის პროზაულ და პოეტურ ტექსტებში მტრის მხატვრული სახის გამოვლენას მიაქცია ყურადღება... ეს არჩევანი განაპირობა მისმა პრინციპულმა პოზიციამ – არ შესულიყო საჯარო სამსახურში. აკაკის ერთი ნათესავის თქმით, „ეგ დალოცვილი მესტვირეობას გამოუდგა და ლანძვით ქვეყანა გადაიკიდა“, ქვეყნის ინტერესების დასაცავად „ხელჯობიანობაზე“ („ჩინოვნიკობაზე“) უარი თქვა [2; 79].

აკაკის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, მისი დამოკიდებულება საქართველოს კოლონიური მდგომარეობის მიმართ მკაფიოდ იკვეთება იგავ-არაკ „კუდაბზიკეთში“, ანუ „ზღაპრულ მოთხრობაში“ (ასე უწოდებდა ავტორი), ლექსებში: „მოზარე“, „აღმართ-აღმართ“, „მუხამბაზი“, „სურვილი“, „ნავი“, „ობოლი“, „პატრიოტი“, „ჰეო, მეო“, „ნაძალადებ საქმროს“, „ჩემს მწყალობელს“, „ნათელას სიმღერა“, „ჩემს მეგობარს“, „დაკარგული ქრისტიანობა“, „ჭაღარა“, „საღამო“, „სატრფოს“, „გამოთხოვება“, „სახალხო შაირი“, „ყიზილბაშური“, „ერისთავის ასულს საპასუხოდ“, „ჩაფიქრება“, „ჩემი ჭმუნვა“, პიესაში „კუდურ-ხანუმი“ და სხვ.

ამ ლექსებში აკაკი წერეთელი საქართველოს წარმოგვიდგენს ავადმყოფის, დატყვევებულ/გარდაცვლილი სატრფოს სახით, ხოლო რუსეთს კი დედინაცვალს/მამინაცვალს ადარებს და სკვითის/სკვითების სახელით მოიხსენიებს.

აკაკი თავის პოეზიაში ემოციის გასამძაფრებლად არ ერიდებოდა პოლიტიკურ სატირას, რომელიც მიმართული იყო ქართველი ხალხის როგორც შიდა (მესამედასელები, რომლებსაც პოეტი „გუგულა მამულიშვილებს“ ეძახდა – „ჩვენთან რომ კაკანებენ და სხვასთან კვერცხს დებენ“), ისე გარე მტრების – ცარიზმის მოხელეების წინააღმდეგ.

ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ლექსი „ეხლანდელი პოლიტიკა“, რომელიც 1886 წელს შეიქმნა და რეაქციის წლებში ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებული რუსი მოხელეების კრიტიკაა [3; 149].\*

აღშფოთებული პოეტი წერს (მოგვყავს სრული ტექსტი):

„მოლამ, ყადმა და ახუნდმა შეჰკერეს კავშირი ძლიერი,  
რომ გადიევიანონ ყირაზე საბრალო ქართველი ერი.  
წვერებზე მოისვა ხელი მოლამ, სთქვა, ბასმირ ჰალლაო!..  
ამ ხალხის გასათათრებლად უნდა ვიხმარო ძალაო...  
„ავკრძალავ წირვა-ლოცვის დროს მათ ენას მამა-პაპურსო  
და მივსცემ სამაგიეროდ ჩვენს მეტყველებას დათვურსო“.  
ყადმა მიუგო ღიმილით: „ჰა, ქეშეშ, ბარაქალაო!  
სიმართლეს ჯანი გავარდეს, ხალხიც მას ენაცვალაო!  
თვითონ მე გავასამართლებ ჩემგანვე გარყვნილ ერსაო!  
გინდა სტყუოდეს, გინდა არა, გავწირავ როგორც მტერსაო...  
ნელ-ნელა გადავასახლებ... იმათ დაუდგეს თვალიო!..  
და მაშინ სულ ჩვენ დაგვრჩება მათი მიწა და წყალიო!“  
ახუნდმა უთხრა: „იახში! მეც ვეთანხმები მაგათო!  
და სკოლებს გადავაკეთებ ხალხისთვის ვირის ბაგადო,  
რომ სხვისი ვერა ისწავლონ, თავისიც დაავიწყდესთო,  
და მათი ტკბილი განზრახვა უდროოდ დაუმიწდესთო!“  
ერთხმად დასწერეს: „ილ ალლაჰ!“  
ჩაყლაპვას გვემუქრებიან,

\* თუმცა 1859 წელს პეტერბურგში ყოფნისას მან დაწერა ლექსი „ქართლის საღამო“, რომელშიც რუსეთი საქართველოს განმანათლებლად გამოაცხადა. ასევე პოეტი დადებითად ახასიათებდა მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს. მის ლექსებში „ბეზიას ნამზობი“, „ქართველი ძეგლის წინ“, „ვარანცოვის ძეგლი“, პოემაში „ვორონცოვი“ – იგი საქართველოს დიდ მოტრფიალედ და კეთილის მოსურნედ არის წარმოჩენილი, რომელსაც „უნდოდა საქართველო უკეთესს და უბრწყინვალესს თვლად ჩაექსოვა რუსეთის გვირგვინში“ (იხ. ო. ჯანელიძე, მეფისნაცვალ ვორონცოვი ქართველთა მეხსიერებაში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2015, გვ. 695-696).



როგორც ნოდარ გრიგალაშვილი წერს, აი, ამ სამმა „რაინდმა“ იმპერატორის ჩამოსვლის წინ, უფრო გულმოდგინე აღმასრულებლად რომ წარმოჩენილიყვნენ, დაიწყეს მობილიზება ყველა ანტიქართველისა გაზეთ „კავკაზიდან“ და თბილისში გამომავალი ფრანგულენოვანი გაზეთიდან ვიღაც მურიეს პირით გამოგვიცხადეს, რომ ქართველები ქართველები არ ვართ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სწორადაა აღნიშნული, იგულისხმებიან საქართველოს ეგზარქოსი პავლე ლებედევი („მოლა“), კავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი („ყადი“, 1882-1890) და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი („ახუნდი“)\*.

სად არის მართალი აკაკი წერეთელი?

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული ქართული საზოგადოების მიერ და ამას თავისი საფუძველი ჰქონდა. როგორც სწორად შენიშნავს აკაკი ბაქრაძე, მაჰმადიანური სამყაროსაგან შევიწროებული საქართველო რამდენიმე საუკუნე ეძებდა მფარველს. ქართველი პოლიტიკოსები ევროპაშიც სინჯავდნენ ნიადაგს, მაგრამ ჯიუტი მზერა მაინც რუსეთისაკენ იყო მიპყრობილი... ერის პატიოსან და ერთგულ შვილებს შორის კი დაიწყო კამათი: რა მოხდა? ქართული სამეფო კარი მოტყუვდა თუ ღალატი ჩაიდინა? რუსეთის დამკვიდრება საქართველოში კეთილს მოიტანს თუ საბედისწერო გახდება? ეს დავა მთელი მეცხრამეტე საუკუნე მიმდინარეობდა ღიად და ფარულად“ [5; 235].\*\*

#### ლიტერატურა:

1. ჯანელიძე ო., ლიბერალური შეხედულებანი თერგდალეულთა ნაზრევში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომები, #5, 2015, გვ. 100; 104.
2. კილანავა ც., ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2013, გვ. 79.
3. აბზიანიძე გ., აკაკი წერეთელი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, თბ., 1974, გვ. 149.
4. გრიგალაშვილი ნ., თანამდევნი სული, 02 აპრილი, 2010, „24 საათი“.
5. ბაქრაძე ა., აკაკი წერეთელი, თბ., 2015, გვ. 235.

### POLITICAL ASPECTS OF AKAKI TSERETELI POETRY (ON THE EXAMPLE OF A POEM ‘CURRENT POLITICS’) Mamuka Jolbordi, Gori State Teaching University, Professor RESUME

The article deals with the poem "Current Politics" written by Akaki Tsereteli, that represents the uncompromising criticism of Russian officials dishonestly acting against the people of Georgia. The poet exposes the hidden intentions of the violent neighbor and in this way demonstrates a clear example of courage to other countrymen.

\* ამ ლექსის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული კრიტიკოს ხომლელს, რომლის თანახმადაც, ლექსი ისეთი პოპულარობით სარგებლობდა მოწინავე საზოგადოებაში, რომ გამოსვლიდან მოკლე ხანში პოლონურად თარგმნეს და როიალზე ამღერებდნენ, ქართველ პოეტს კი ადამ მიცკევიჩს ადარებდნენ (ქართ. ლიტ. ისტ., ტ. IV, გვ. 465).

\*\* ამიტომაც ათქმევინებს დ. ყიფიანს პოემაში „ვორონცოვი“ შემდეგ სიტყვებს: „რომ ეროვნული შეგვრჩეს ელფერი და რუსი ვიყოთ პოლიტიკურად, აი, რა გვინდა... სხვა არაფერი!“...

კავკასიელ ხალხთა დეპორტაციის პოლიტიკურ-ეკონომიკური და რელიგიური  
ასპექტები XIX ს-ის 60-იან - XX ს-ის 40-იანი წლებში

იოსებ ალიმბარაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

1864 წელს რუსეთმა კავკასიის პოლიტიკური დაპყრობა დაასრულა და ქვეყანაში ახალი რეალობა შეიქმნა, რაც ახალ წესრიგსა და ფორმებს მოითხოვდა.

რუსულმა ხელისუფლებამ მისთვის მიუღებელი და დაუმორჩილებელი ჩრდილოკავკასიელი მოსახლეობის დეპორტაციის საკითხი ჯერ კიდევ XIX ს-ის 30-იან წლებში დაამუშავა. ცნობილი რუსი მოღვაწე, დეკაბრისტთა ერთ-ერთი ლიდერი - პ. პესტელი კავკასიელ ხალხებს ჰყოფდა მშფოთვარე, დაუმორჩილებელ და მშვიდ, დამყოლ ტომებად. მისი აზრით, აუცილებელი იყო პირველის გადასახლება იმპერიის შიდა გუბერნიებში, ხოლო მეორის თანდათანობითი ასიმილაცია და სრული გათქვეფვა კავკასიაში ჩასახლებულ რუს მოსახლეობაში. მოგვიანებით ცარიზმი სწორედ ასე მოიქცა. უკვე 1863 წელს, ამავე საკითხთან დაკავშირებით, ჩრდილო კავკასიაში მოჰაჯირობის ერთ-ერთი განმახორციელებელი გენერალი ევდოკიმოვი წერდა: „უპირველეს ყოვლისა, უნდა გავამეფოთ ამ (ჩრდილო დასავლეთ კავკასიის) ტერიტორიებიდან ურჩები, მშვიდობიანებს ჯერჯერობით ხელს არ ვახლებთ, რათა საერთო უკმაყოფილება არ გავამძაფროთ, მაგათი რიგი მოგვიანებით დადგებაო“<sup>1</sup>.

რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ჩრდილო კავკასიელი ხალხების დეპორტაცია ისტორიაში „მოჰაჯირობის“ სახელით დამკვიდრდა. იგი არაბული სიტყვაა და „გადასახლებულს“, „ემიგრანტს“ ნიშნავს. თავდაპირველად მუჰაჯირებს უწოდებდნენ მექადან მედინაში მუჰამედთან ერთად გაქცეულ არაბებს, მოგვიანებით უწოდეს კავკასიის იმ მოსახლეობას, რომელთაც რუსეთის მიერ ამ რეგიონის დაპყრობის შემდეგ (1864 წ.), სამშობლოში დარჩენა აღარ ისურვეს და ოსმალეთში გადასახლდნენ.

„მოჰაჯირობის“ დაწყებას კავკასიაში რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა: 1) პოლიტიკური – რომლის მიზეზებს ზემოთ შევხებით; 2) სოციალ-ეკონომიკური – 1861 წელს რუსეთის იმპერიაში დაიწყო საგლეხო რეფორმის გატარება, რომელმაც არანაკლები რყევები გამოიწვია. ყოფილი არისტოკრატია და ზედა ფენა, ყმა გლეხების, მცირემიწიან კავკასიაში კი მიწების გარეშეც დარჩა, ამიტომ რეგიონი „ზედმეტი“ მოსახლეობისაგან უნდა გათავისუფლებულიყო. ხელისუფლება ჩამოსახლებულებს პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებდა, შედარებით ნაყოფიერ და დიდი რაოდენობით მიწებს აძლევდა, ვიდრე ადგილობრივებს, რათა ეიძულებინა ისინი, დეპორტაცია საკუთარი სურვილით და „ზედმეტი ხმაურის“ გარეშე განეხორციელებინათ; 3) რელიგიური – აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის 60-70-იან წლებში დეპორტაციას დაქვემდებარებული ხალხების უდიდესი უმრავლესობა მაჰმადიანური სარწმუნოების იყო. რუსული ხელისუფლება მიმართავდა უხეშ და ცინიკურ მეთოდებს მათი იძულებით გაქრისტიანების მიზნით. რელიგიური თვალსაზრისით დიდი როლი ითამაშა ოსმალეთმაც, რომელსაც დეპორტაციისას საკუთარი ინტერესები (აუთვისებელი მიწების დამუშავება, სამხედრო სტრუქტურებში ჩაბმა, გადამხდელუნარიანი მოსახლეობის გამრავლება და სხვ.) ამოძრავებდა და მოსახლეობაში ავტორიტეტის მქონე და გავლენიან ადგილობრივ ზედა ფენას იყენებდა „გიაური“ რუსების წინააღმდეგ.

1944 წელს დეპორტირებულთა დიდი ნაწილიც მაჰმადიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ათეისტი საბჭოთა ხელისუფლება რელიგიას (როგორც ქრისტიანულს, ასევე მაჰმადიანურს) სასტიკი მეთოდებით ებრძოდა, გადასახლებისას აქტიურად იყენებდა ადგილობრივ უხუცესებს, მოლებს და სხვა რელიგიურ მსახურებს მოსახლეობის გადასახლებაში დარწმუნების მიზნით.

<sup>1</sup> Мурат Темиров. „Просо и порох: черкесские мухаджiry“ [www.aheku.org/news/society/5819](http://www.aheku.org/news/society/5819).

როგორც აღინიშნა, პირველ მუჰაჯირებს უწოდებდნენ იმ მუსლიმებს, რომლებიც 622 წელს ჰიჯრის დროს მუჰამედთან ერთად გადასახლდნენ მექადან მედინაში. მათ დამსახურებაში ეთვლებოდათ ის, რომ, როგორც რწმენის ერთგულებმა დატოვეს სახლ-კარი და ქონება მექაში, გაწყვიტეს ახლობლებთან კავშირი და გაყვნენ მუჰამედს, ამიტომ მათი მდგომარეობა განსაკუთრებული იყო და სხვაზე მეტ წილს იღებდნენ სამხედრო ნადავლიდან<sup>1</sup>. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, ადგილობრივი სასულიერო პირები მორწმუნე მოსახლეობას მუდმივად შეახსენებდნენ მუჰამედის ერთგული მუჰაჯირების ამბავს და მსგავსი ქმედების შემთხვევაში იმქვეყნიურ სასუფეველს ჰპირდებოდნენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „მუჰაჯირობის“ ინიციატორები იყვნენ: ა) რუსეთი, რომელსაც სურდა მუჰაჯირებისაგან დაცლილ ტერიტორიებზე დონელი კაზაკები და იმპერიის ერთგული ელემენტები ჩამოესახლებინა და მხარის კოლონიზაცია განეხორციელებინა; ბ) ოსმალეთი, რომელიც ახალმოსულთა ხარჯზე ცდილობდა დაუსახლებელი ადგილების ათვისებას, მუჰაჯირთაგან სამხედრო რეფორმის განხორციელებას, მათგან 12 ათასიანი სამხედრო კორპუსის შექმნას და რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომებში გამოყენებას<sup>2</sup> და გ) ადგილობრივი ზედა ფენა და რელიგიური მსახურები, რომლებმაც რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ მიწა და პრივილეგიები დაკარგეს.

როგორც ერთ-ერთი ცნობილი მუჰაჯირი - ინალ კანუკოვი წერს, შამილის ტყვედ აყვანის შემდეგ (1859 წ.), კავკასიელმა მთიელებმა სამშობლოში თავი „მჭიდროდ“ იგრძნეს<sup>3</sup>. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც ხმა გავრცელდა, თითქოს რუსული ხელისუფლება ადგილობრივთა შვილებს „საღდათში“ გაწვევას უპირებდა. ეს ფაქტი ძალზე შეურაცხყოფელი აღმოჩნდა იმ ოჯახებისათვის, ვინც სულ ცოტა ხნის წინ უყოყმანოდ ღვრიდა სისხლს სამშობლოს თავისუფლებისათვის: „რას ვეტყვით სამსჯავროს წინაშე წარდგომისას რუსებთან ბრძოლებში დაღუპულ ახლობლების სულებს, რატომ დავრჩით გიაურ რუსებთან და შევეთვისეთ მათ“?<sup>4</sup> მოუწოდებდნენ მერყევებს გადასახლების მომხრეები. მართლაც, უკვე 1860 წელს, მიუხედავად იმისა, რომ შამილს მაინცდამაინც დიდად არ თანაუგრძობდნენ და რუსებთან დაპირისპირება არ ჰქონდათ, მუსლიმანი ოსების დიდი პარტიები ოსმალეთისაკენ დაიძრნენ. პროვოკატორები შეგნებულად ავრცელებდნენ ხმებს, რომ ახალ ქვეყანაში მათ უკეთესი ცხოვრება ელოდათ, თუმცა, მშობლიური ადგილების დატოვება უმრავლესობაში იწვევდა უდიდეს ნაღველს, სევდასა და ტკივილს, ნოსტალგიას. ამ პროცესის უშუალო მონაწილე ინალ კანუკოვი აღწერს, თუ როგორ იმალებოდა რამდენიმე დღე მისი უმცროსი ძმა, რათა საკუთარი კერა არ დაეტოვებინა. როგორ თვალცრემლიანი ემშვიდობება მშობლიურ ადგილებს დედამისი, მაგრამ იძულებულია საკუთარი მეუღლის ნებას დამორჩილდეს<sup>5</sup> და სხვ.

1859-1860 წლებში საიმპერატორო კარზე შემუშავდა გეგმა, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო კავკასიის შიდა რაიონებიდან რეჟიმს დაუმორჩილებელი ურჩი მთიელების აყრა-გადასახლებისა და ამ ადგილებში რუსი კაზაკების ჩასახლების შესახებ. ამ პროექტის განხორციელება კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთის გენერალს - ნ. ევდოკიმოვს დაევალა, რომელმაც ადგილობრივები არჩევანის წინაშე დააყენა: დაეტოვებინათ მშობლიური ადგილები და, ან გადასახლებულიყვნენ ყუბანისპირეთში, ან - ოსმალეთში.

ადგილობრივი ხალხების დეპორტაციის პარალელურად, ხელისუფლება აქტიურად მიმართავდა რეგიონის კოლონიზაციას. მაგ., 1840 წლიდან 1849 წლამდე თერგის, სუნჯას, ლაბასა და ზელენჩუკის ხეობებში ხელისუფლების ინიციატივით ჩამოსახლებულ კაზაკთა რიცხვი 162421 კაციდან 241794-მდე გაიზარდა<sup>6</sup>. რუსული ხელისუფლება ადგილობრივების წინააღმდეგ ასევე იყენებდა სხვა კავკასიელ მოსახლეობასაც (ქართველებს, სომხებს და სხვ.), რომელთაც წინა

<sup>1</sup> „ისლამი“, ენციკლოპედიური ცნობარი, გრ. ბერამის რედ., თბ., 1999, გვ. 149.

<sup>2</sup> **Валерий Дзизоев.** История и судьба кавказских переселенцев в Турцию (50-е-70-е годы XIX в.), <http://iratta.com/materials/novaya/2980-istorija-i-sudba-kavkazskikh-pereselencev-v.html>-ელ. ვერსია.

<sup>3</sup> **Инал Кануков.** Горцы переселенцы, კრებულში: „Сборник сведений о Кавказских горцах“, вып. IX, Тифл., 1876, გვ. 84.

<sup>4</sup> **Инал Кануков.** Горцы переселенцы, გვ. 84.

<sup>5</sup> **Инал Кануков.** Горцы переселенцы, გვ. 86-88.

<sup>6</sup> **В. Д. Дзизоев.** Колониальная политика царской России на Северном Кавказе и её последствия, часть II, [http://iratta.com/2007/04/06/kolonialnaja-politika\\_carskoj\\_rossii\\_na\\_severnom\\_kavkaze\\_i\\_ee\\_posledstvija\\_chast\\_1.html](http://iratta.com/2007/04/06/kolonialnaja-politika_carskoj_rossii_na_severnom_kavkaze_i_ee_posledstvija_chast_1.html) ელ. ვერსია.

საუკუნეებში ჩრდილო კავკასიელთა მხრიდან გამუდმებული თარეშის პირობებში არაერთი ახლობელი ჰყავდათ დაკარგული<sup>1</sup>.

გადასახლების პროცესის დაწყებამდე, 1860 წლის გაზაფხულზე მეფისნაცვალ ა. ბარიატინსკის დავალებით გენერალ-ფელდმარშალი მ. ლორის-მელიქოვი სტამბოლს გაემგზავრა, რათა „პორტას“ უმაღლეს კართან გადასახლების პირობები შეეთანხმებინა. ლორის-მელიქოვმა ხელმძღვანელობას უკან „კარგი“ ამბავი ჩამოუტანა: ოსმალეთი მზად იყო 3000 ოჯახი მიეღო და მათთვის ის ვილაიეთები გამოეყო, რომლებიც შორს იყო რუსეთის საზღვრებისაგან<sup>2</sup>.

იმავე 1860 წლისათვის მექაში წასვლის ნებართვას დაღესტნელთა 3000 ოჯახიც ითხოვდა. ბარიატინსკიმ 1860 წლის 23 მარტს რვა მუხლისაგან შემდგარი ბრძანება გამოსცა, სადაც გაწერილი იყო ის წესები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო მუჰაჯირთა შეუფერხებელი გადაადგილება. ბრძანების მიხედვით, მუჰაჯირები უნდა წასულიყვნენ მცირე პარტიებად (არაუმეტეს 100 ოჯახისა) კავკასიისა და შავი ზღვის გავლით, შეეძლოთ თან წაეღოთ იარაღი, ოღონდ, ისინი ურმებზე უნდა ყოფილიყო განთავსებული ბარგთან ერთად, თითო პარტიას უფლება ეძლეოდა საკვებად წაეყვანა 60 ხარი, ხოლო თითოეულ ოჯახს მხოლოდ ორი ურემის წაყვანის ნება დაერთო<sup>3</sup> და სხვ. გადასახლებული მოსახლეობის დასახლება ოსმალეთის ტერიტორიაზე ხდებოდა „პორტას“ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ანატოლიის რეგიონში, ტოკატის, სივასისა და კაისერის ახლოს.

გადასახლება ხდებოდა შავი ზღვით და ხმელეთით. ჩრდილო კავკასიისა და აფხაზეთიდან მუჰაჯირები მიემგზავრებოდნენ ნოვოროსიისკის, ტამანის, ანაპას, ტუაპსეს, სოხუმის საზღვაო პორტებით. ზღვის სანაპირო ზოლამდე ისინი ჩამოდიოდნენ ურმებით, ან ცხენებით, უგზოობის, უხიდობის და სხვა უამრავი სიძნელის გამო, სახლში ტოვებდნენ შინაურ პირუტყვსა და სურსათის მარაგს. რამდენადაც გადასახლების მსურველი ძალზე დიდი იყო, ხოლო რუსეთისა და ოსმალეთის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტი - მცირე რაოდენობით, მთიელებს ხანგრძლივად უხდებოდათ ღია ცის ქვეშ, ზღვის პირას ლოდინი ყოველგვარი სურსათის გარეშე, ხოლო ზამთარში ამას სიცივეც ემატებოდა. ამის შედეგად უამრავი ადამიანი ავადდებოდა და იღუპებოდა. შავი ზღვის სანაპირო ზოლი მოფენილი იყო უამრავი გვამით და საზარლად გამოიყურებოდა<sup>4</sup>.

ხმელეთით ქუთაისზე გავლით ჩადიოდნენ ბათუმში. იქიდან ნაწილი სტამბოლისაკენ გზას გემით აგრძელებდა, ხოლო ქვეითნი ურმებითა და ცხენებით – ყარსისაკენ.

„მუჰაჯირობას“ მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. ასეთები იყვნენ ნატუხაელი კონსტანტინ-ეფენდი (კუშტანოვი), აბაძეხი - კარაბატირ-ბეი (ჰაჯი ბათირ-ბეი) და სხვები, თუმცა, თავდაპირველად ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

გადასახლების პროცესი ერთჯერადი არ ყოფილა. იგი დაიწყო XIX ს-ის 50-იანი წლებიდან (ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) დროიდან) და გაგრძელდა 1920-იან წლებამდე<sup>5</sup>.

პირველი დიდი ტალღა ოსმალეთისაკენ ჯერ კიდევ 1859 წელს, რუსების მიერ შამილის დატყვევებისთანავე დაიწყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის დაკარგვამ თავისუფლებისმოყვარე ჩრდილოკავკასიელებში დიდი იმედგაცრუება გამოიწვია. პირველად ოსმალეთში ჩეჩნები, დაღესტნელები და ოსები დაიძრნენ, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან აფხაზეთამდე მათ შეუერთდნენ ჯიქები, უბიხები, შაჰსულები, ნატუხაელები, აბაზები, ბესლენელები, ბჟედუხელები, ყუბანისპირა ნოღაელები<sup>6</sup> და სხვები.

ოსების გადასახლება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა და თითოეულს რამდენიმე გავლენიანი გვარი ხელმძღვანელობდა. პირველი ოსი მუჰაჯირები გზას გაუდგნენ 1859 წელს აბისალოვების, ტუგანოვების, კუბატიელების ხელმძღვანელობით. მეორე 1860 წელს და ტუგანოვები და ცალიკოვები უდგნენ სათავეში, ხოლო მესამე, ყველაზე მასშტაბური იყო და 5 ათასამდე ოჯახი დაიძრა სტამბოლისაკენ მუსა ფაშა კუნდუხოვის მეთაურობით<sup>7</sup>.

<sup>1</sup> **ოსებ (სოსო). აღიმზარაშვილი.** საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (უძვ. დროიდან – XIX ს. 60-იან წლებამდე), თბ., 2014, გვ. 229.

<sup>2</sup> **Валерий Дзизоев.** История и судьба кавказских переселенцев в Турцию (50-е-70-е годы XIX в.).

<sup>3</sup> **შია ტყავაშვილი.** დაღესტნელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 60-იან წლებში, [www.expertclub.ge/portal/cnid...ca](http://www.expertclub.ge/portal/cnid...ca)

<sup>4</sup> **Я. Абрамов.** Кавказские горцы, Материалы для истории черкесского народа, Северо-Кавказский филиал традиционной культуры М.Ц.Т.К. „Возрождение“, 1990, ელ. ვერსია.

<sup>5</sup> **ბეჟან ხორავა.** აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004, გვ. 5.

<sup>6</sup> **П. Берже.** Выселенные горцев съ Кавказа в 1858-1865 гг. „Русская старина“, т. XXXIII, СПб 1882, февраль, вып. I-III, გვ. 163-164.

<sup>7</sup> **Валерий Дзизоев.** История и судьба кавказских переселенцев в Турцию (50-е-70-е годы XIX в.).

გადასახლებამდე მუსა კუნდუხოვი ბევრს ფიქრობდა რა სიმწელები და გაჭირვება ელოდა მის ხალხს, მაგრამ იგი საკითხს სვამდა მარტივად: ან თურქეთში გადასახლება და ჭირისა და ლხინის ერთად გაზიარება, ან მტრის მიერ დაპყრობილ სამშობლოში დარჩენა და სირცხვილისა და დამცირების ატანა. მან არჩევანი პირველზე გააკეთა და ასე გახდა რუსული არმიის გენერალ-მაიორი თურქი მირ-ლივა, ანუ ბრიგადის გენერალი. „დამერწმუნეთ“, მიმართავდა იგი გადასახლების წინ თანამემამულეებს, „ჩვენ ვწუხვართ და ვშიშობთ საკუთარ თავზე კი არა, არამედ ჩვენს შთამომავლობაზე. ისინი არასოდეს დაგვდებენ ბრალს იმაში, რომ თითქმის ასწლოვანმა კავკასიურმა ომმა ჩვენ ნაციონალობა მოგვისპო, მაგრამ მუდმივად შეგვახსენებენ, თუკი სამშობლოში ყოფნის საბაბით (რომელიც მათ უკვე აღარ ეკუთვნით) აქ დავტოვებთ მამულის გარეშე მუდმივი დამცირებისა და შეურაცხყოფის პირობებშიო“<sup>1</sup>.

„კამათის გარეშე უნდა ვაღიაროთ ის ჭეშმარიტება, რომ რუსებმა თავისი უზარმაზარი სამხედრო ძალითა და შესაძლებლობებით, როგორც იქნა, დაიმორჩილეს კავკასია. რუსულ მხედრობას შეუძლია იამაყოს თავისი გამირული სამხედრო მოქმედებებით, მაგრამ, ამის საპირისპიროდ, მათ ხელისუფლებას უნდა რცხვენოდეს, როგორც კავკასიელი, ასევე საკუთარი ხალხის წინაშე საკუთარი ქმედებების გამო და იგი მკაცრ სამსჯავროს ვერ გაექცევაო“, წერდა იგი სხვაგან<sup>2</sup>.

XIX საუკუნის 60-იან წლებში კავკასიელების ემიგრაციამ თურქეთში 1-1/2 მილიონს მიაღწია, მათი ლიდერები შამილის ვაჟი ყაზი-მუჰამედი და მუსა-ფაშა კუნდუხოვი იყვნენ. რუსეთი ოსმალეთთან ომის დასაწყებად ემზადებოდა (1877-1878 წწ.) და ცარიზმი ამ ფაქტისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა, ამიტომ ომის დაწყებამდე სამი წლით ადრე სტამბოლში მიავირნა გენერალი ფადეევი სპეციალური დავალებით: შეხვედროდა ყაზი-მუჰამედსა და კუნდუხოვს და შეეთავაზებინა მათთვის გადასახლებული და დარჩენილი კავკასიური მოსახლეობისაგან იმპერიის სახსრებით ავღანეთის საზღვარზე შეექმნათ „ახალი კავკასიის“ დამოუკიდებელი სახელმწიფო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ<sup>3</sup>.

რა თქმა უნდა, ეს ცინიკური ავანტიურა ყაზი-მუჰამედისა და კუნდუხოვის მიერ უარყოფილი იქნა და ორივე მათგანი ომის დაწყებისთანავე დაუყოვნებლივ ჩადგა სულთნის მებრძოლთა რიგებში<sup>4</sup>. ამ ომში ოსმალეთი დამარცხდა და მუსა-ფაშას ოცნებები საბოლოოდ დაიმსხვრა. მან სამსახურსა და ჩინზე უარი თქვა და ცხოვრების დარჩენილი დღეები გაატარა ერზრუმში, სადაც გარდაიცვალა 1889 წელს და დაკრძალეს მეჩეთ ნორმანლ-ჯამეში, თავისი ძმის - ხაზბულატ-ბეის გვერდით.

თუმცა, კუნდუხოვის ტრაგედია ამით არ დასრულებულა. პირველი მსოფლიო ომის დროს რუსულმა მხედრობის მიერ არზრუმის დაკავების შემდეგ, მეჩეთი და მუსა-ფაშას საფლავი, როგორც იმპერიის მოღალატის, რუსმა ჯარისკაცებმა დაანგრიეს<sup>5</sup>. ასეთია ცხოვრება ამ საინტერესო და ტრაგიკული პიროვნებისა.

ყირიმის ომის დასრულების შემდეგ, ცარიზმს აფხაზეთის დაპყრობა თითქმის თავიდან მოუხდა. რუსეთის ჯარის სარდალი აფხაზეთში გენერალი მ. ლორის-მელიქოვი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს - გ. ერისთავს 1858 წლის 12 აგვისტოს აუწყებდა, რომ „ჩვენ დავიკავეთ სოხუმი 1810 წელს. ამის შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი გავლენა აფხაზეთში ოდნავადაც არ გაზრდილა... ჩვენ კი არ ვფლობთ, არამედ გვიკავია იგიო“<sup>6</sup>.

1866 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ თანხმობა განაცხადა აფხაზეთისა და წებელდის მუსლიმი მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლებაზე. მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა ამ საქმის ორგანიზება გენერალ კარცოვს დაავალა, რომელიც, თავის მხრივ, ამ საკითხზე „ბრწყინვალე პორტას“ უმაღლეს პირებს შეუთანხმდა. მოლაპარაკების მიხედვით, ოსმალებს აფხაზი „მუჰაჯირები“ რუსეთის საზღვრისპირა ადგილებში არ უნდა დაესახლებინათ<sup>7</sup>.

<sup>1</sup> Кантемир А., Мемуары ген. Муса-Паши Кундухова, Кавказ (Le Caucase) Париж. 1936, глава VIII, гл. 26. ელ. ვერსია

<sup>2</sup> Кантемир А., Мемуары ген. Муса-Паши Кундухова, глава IX, гл. 32.

<sup>3</sup> Кантемир А., Мемуары ген. Муса-Паши Кундухова, глава IX, гл. 17.

<sup>4</sup> იოსებ (სოსო) ალიმზარაშვილი. „თურქი გენერალი ქართველი ემიგრანტის თვალით“, (ჩრდილო კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან XIX საუკუნეში), გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია, თბ., 2014, გვ. 7-11.

<sup>5</sup> იოსებ (სოსო) ალიმზარაშვილი. „თურქი გენერალი ქართველი ემიგრანტის თვალით“, გვ. 11.

<sup>6</sup> Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. XII, Тифл., 1875. დოკ. 662, გვ. 792.

<sup>7</sup> ბეჟან ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 47.

მიუხედავად ხელისუფლებისა და ადგილობრივი სასულიერო წოდების აქტიურობისა, „მუჰაჯირობა“ აფხაზეთის მოსახლეობამ საკმაოდ მიმედ გადაიტანა, რადგან სამშობლოდან განშორების წუხილი ძალზე ძლიერი იყო. აფხაზეთის იმდროინდელ ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძესთან გადასახლების წინ მისულა ერთ-ერთი მაჰმადიანი აფხაზი, რომელსაც მღვდელმთავართან მიუყვანია 12 წლის ერთადერთი შვილი უთქვამს: „შენთან მოვედი კეთილ მწყემსო, მე ოსმალეთში მივდივარ, სამშობლოს სამუდამოდ ვეთხოვები და ჩემი ვაჟი მინდა დაგიტოვო. ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე. არ ვიცი რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვტოვებ სამშობლოს. არ მინდა ჩემი უბედურება ჩემს ერთადერთ შვილს გავუზიარო და შენთან მოვიყვანე. ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და ბედნიერი იქნებაო“. ქართველმა მღვდელმთავარმა აფხაზის დანაბარები მართლაც ღირსეულად შეასრულა დამ ის შვილს შესანიშნავი აღზრდა-განათლება მიაღებინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთში გადასახლებული აფხაზები თავდაპირველად კომპაქტურად დასახლდნენ და დასახლებებს ის ტოპონიმები შეუნარჩუნეს, საიდანაც ისინი იყვნენ წარმომობით, რაც „ბრწყინვალე პორტას“ მრავალ პრობლემას უჩენდა და მუჰაჯირთა გათურქების პროცესს ხელს უშლიდა. ამიტომ, მუჰაჯირთა შემდგომი ჯგუფების დასახლება უკვე სხვადასხვა ადგილებში ხდებოდა დაფანტულად<sup>1</sup>.

მუჰაჯირობის პროცესში რუსული ხელისუფლება მასიურად მიმართავდა ადგილობრივი ზედაფენისა და გავლენიანი წრეების მოსყიდვის პოლიტიკას. მაგ., აფხაზმა მიხეილ მარშანმა და მისმა ძმამ შეძლეს დალევი მოსახლეობის დარწმუნება გადასახლების აუცილებლობაში, იმ პირობით, რომ თვითონაც მოსახლეობასთან ერთად გადასახლდებოდნენ. აღნიშნულის სანაცვლოდ, მარშანებმა ხელისუფლებისაგან მიიღეს 400 მანეთი, უცხოეთის პასპორტები, რათა უკან დაბრუნება შეძლებოდათ, სანაცვლო ნაკვეთი სოფ. ჯგერდაში, სამხედრო ჩინი და დაენიშნათ პენსია<sup>2</sup>. მუსაფაშა კუნდუხოვმა, რომელმაც ჩეჩნების ოსმალეთში მასიური გადასახლება განახორციელა, რუსებისაგან 2800 ჰექტარი მიწა ოსეთში და 45 ათასი ვერცხლის რუბლი მიიღო. ამის გამო, ზოგიერთი ჩეჩენი ავტორი მას რუსების „ტროას ცხენს“ უწოდებდა<sup>3</sup>.

სტატისტიკური მონაცემებით, მუჰაჯირობის დაწყებამდე აფხაზეთში, მხოლოდ წებელდასა და დალიში 15 ათასამდე მაცხოვრებელი ცხოვრობდა. 1868 წლისთვის წებელდაში სულ 13 ოჯახი იყო დარჩენილი, ხოლო დალიში – არც ერთი<sup>4</sup>.

1877 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე აფხაზეთში მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. ოსმალებმა ამ ფაქტით ისარგებლეს და 29 აპრილს გუდაუთასთან დესანტი გადმოსხეს, რომლის უმრავლესობას აფხაზი მუჰაჯირები შეადგენდნენ. აჯანყებული აფხაზები ოსმალეთის დესანტს შეუერთდნენ. იმავდროულად აჯანყება დაიწყო ჩეჩნეთსა და დაღესტანში, მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ შეძლო წინააღმდეგობის ჩახშობა. აფხაზებმა გათავისუფლების იმედი კიდევ ერთხელ დაჰკარგეს და უკანდახევისას ოსმალებს მათი ნაწილიც თან გაჰყვა. თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან აფხაზეთის სანაპირო ზოლი. ეს ადგილები მოგვიანებით ხელისუფლებამ რუს და გერმანელ კოლონისტებს დაურიგა, მაგრამ ისინი ადგილობრივ ჰავას და ჭაობიან სანაპირო ზოლს ვერ შეეგუვნენ და უმრავლესობა უკან გაბრუნდა. სამაგიეროდ, აფხაზეთისკენ ხალისით დაიძრა იმერეთისა და სამეგრელოს გლეხობა, რაც რუსული ხელისუფლების ინტერესში არ შედიოდა<sup>5</sup>.

მეფის მთავრობა აქტიურად შეუდგა მხარის კოლონიზაციას და ოსმალეთში გაძევებულ აფხაზთა ნასახლარებზე რუსების ჩასახლებას. განცხადებები „კავკასიის რივიერად“ წოდებულ აფხაზეთის მიწების გაყიდვის შესახებ ქვეყნდებოდა იმპერიის ყველაზე პრესტიჟულ და მასობრივ გაზეთებში<sup>6</sup>.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ჯანაშია (სიმონ ჯანაშიას მამა) აფხაზეთში მიწების გასხვისების შესახებ პრესაში წერდა: „გასული (იგულისხმება XIX ს. – ი. ა.) საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საზოგადოდ სოხუმის ოლქი, კერძოდ მისი საუკეთესო, თვალწარმტაცი ნაწილი მდინარე კოდორიდან ღლეე გაგრიფშამდის მიზანში ამოიღო რუსეთის ბურჟუაზიამ და საუკეთესო ადგილები შეიძინა. ეს ბუნებით უხვად დაჯილდოვებული ნაწილი აფხაზეთისა მოსკოველ და

<sup>1</sup> ბეჟან ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 180, შენიშვნა №34.

<sup>2</sup> ბეჟან ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 49.

<sup>3</sup> Айдамирров Абузар. Долгие ночи, გვ. 24-26; 112-114; 124, <http://Zhaima.com/history/> Сетева я версия.

<sup>4</sup> ბეჟან ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 51.

<sup>5</sup> ბეჟან ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 60.

<sup>6</sup> ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 17.

პეტერბურგელ ჯიბესქელთა ხელშია უკვე. მიდიხარ და მისდევ ამ ნაპირს: აქ ბაღია სახელად „ოტრადნოე“, იქ „სჩასტიე“, ფხს მოინაცვლებ, „ლიუბოვს“ ანდა „დრუჟბას“ მიადგები. მათი უწინდელი პატრონები აფხაზები კი ხელგარიელნი დარჩნენ“<sup>1</sup>.

„მუჰაჯირობა“ არანაკლებ შეეხო აფხაზების ჩრდილო მეზობლებსაც. ჯერ კიდევ 1864 წლის აპრილში კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა ჯიქებს, უბიხებსა და სხვა კავკასიელ მთიელებს ულტიმატუმი წაუყენა, ან ყუბანზე გადასახლებულიყვნენ, ან ოსმალეთში წასულიყვნენ და ერთი თვე მისცა მოსაფიქრებლად. 19 აპრილს მთებში მისულ რუსებს უბიხები ადგილზე აღარ დახვედრიან. ისინი ერთიანად დაძრულიყვნენ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ. ამ დროისათვის შავი ზღვის სანაპირო ზოლი ტამანის ნახევარკუნძულიდან - ადლერამდე საგვე ყოფილა კავკასიელი მთიელებით, რომლებიც გემებს ელოდნენ ოსმალეთში გადასახლების მიზნით<sup>2</sup>.

იმდროინდელი ოფიციალური მონაცემებით, სულ 1858-1865 წლებში კავკასიიდან გაასახლეს 493,194 სული, რომელიც მთელი მოსახლეობის 1/11 ნაწილს შეადგენდა<sup>3</sup>. აქედან, შავსულები 165,626, უბიხები – 74,567, აბაძეები – 27337, ნატუხაელები 45023<sup>4</sup> და სხვ. გადასახლებამდე მათი ძირითადი საცხოვრებელი იყო: ტამანი, ანაპა, ტუაპსე, ნოვოროსიისკი, სოჩი, ხოსტა, ადლერი, კსხუ, გუდაუთა. ასევე, დიდი და პატარა ჩეჩნეთი<sup>5</sup> და ა. შ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ხელისუფლება გადასახლებულთა რეალურ რიცხვს მალავდა, რადგან, კავკასიელ მთიელთა მასობრივ გადასახლებას ოსმალეთში ევროპაში დიდი პროტესტი და ხმაური მოჰყვა. რუსები თავს იმით იმართლებდნენ, რომ გადასახლება საკუთარი სურვილით ხდებოდა, სამაგიეროდ, ამავე ხანებში, დაცლილ ტერიტორიებზე 85 ათასი რუსი და უკრაინელი, ასევე, ოსმალეთიდან გადმოსახლებული ბერძენი და სომეხი ჩაასახლეს<sup>6</sup>.

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ადგილზე დარჩენილები. ჩამოსახლებული კაზაკები იტაცებდნენ მათ ქონებას, პატივს არ სცემდნენ ადგილობრივ ტრადიციებს, ქედმაღლურად ექცეოდნენ მათ და სხვ., რასაც ხელისუფლებაც ხელს უწყობდა და მათი ქმედებები ზოგჯერ აბსურდამდე მიდიოდა, მაგ. 1891 წელს თერგის ოლქის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვით, ვლადიკავკაზის ადგილობრივ მოსახლეობას (ოსებს, ქართველებს და სხვ.), მზის ჩასვლის შემდეგ სახლიდან გამოსვლა ეკრძალებოდათ<sup>7</sup>.

რუსების მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა ჩრდილო კავკასიაში ეთნიკური კუთხით ის რეალობა შექმნა, რომ დღეისათვის ბევრგან სლავები აბორიგენ მოსახლეობას სჭარბობენ, მაგ., ჩეჩნეთში სლავები მოსახლეობის 53,8%-ს შეადგენენ, ადიღეში აბორიგენები 22%-ია, სლავები კი 67%<sup>8</sup>. 2010 წლის მონაცემებით ყაბარდო-ბალყარეთში ბალყარელები მოსახლეობის 12,7%-ია, ხოლო რუსები – 22,5%, ყარაჩაი-ჩერქეზეთში ჩერქეზები მთელი მოსახლეობის მხოლოდ 11,9%-ს აღწევენ, რუსები კი 31,6%<sup>9</sup>.

მუჰაჯირობა მხოლოდ ჩრდილო კავკასიასა და აფხაზეთს არ შეხებია. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტანის ტერიტორიები შემოიერთა, ცარიზმმა მკვიდრ მოსახლეობას აქაც ულტიმატუმი წაუყენა და სამი წლის ვადა მისცა, თავისი ქონება წაეღოთ და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან ქვემო გურიისა და ქვემო აჭარის მხარეები. გადასახლებულთა საერთო რაოდენობამ 150 ათასს მიაღწია. მოწინავე ქართულმა საზოგადოებამ ამ პროცესის წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვა. პირველი ილია ჭავჭავაძე იყო, რომელმაც ხმა აიმაღლა: „საკვირველი რამ იქმნება, თუ შენც იტყვი, მკითხველო! ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში მერე როგორ? თავისს მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, — სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!.. საკვირველი ამბავია!.. ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე

<sup>1</sup> ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 17.

<sup>2</sup> ბეჟან ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 42.

<sup>3</sup> П. Берже. Выселенные горцев сь Кавказа в 1858-1865 гг., გვ. 163.

<sup>4</sup> П. Берже. Выселенные горцев сь Кавказа в 1858-1865 гг., გვ. 165.

<sup>5</sup> П. Берже. Выселенные горцев сь Кавказа в 1858-1865 гг., გვ. 166.

<sup>6</sup> ბეჟან ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 44.

<sup>7</sup> В. Д. Дзизоев. Колониальная политика царской России на Северном Кавказе и её последствия, часть I, [http://iratta.com/2007/04/06/kolonialnaja\\_politika\\_carskojj\\_rossii\\_na\\_severnom\\_kavkaze\\_i\\_ee\\_posledstvija\\_chast\\_1.html](http://iratta.com/2007/04/06/kolonialnaja_politika_carskojj_rossii_na_severnom_kavkaze_i_ee_posledstvija_chast_1.html) ელ. ვერსია.

<sup>8</sup> ალექსანდრე ახატენი. კავკასიონთა ეთნოგენეზი, თბ., 2013, გვ. 7.

<sup>9</sup> Как изменяется национальный состав на Кавказе, 2013,08.07, [www.voprosir.net](http://www.voprosir.net). ელ. ვერსია.

ოსმალეთის ხელში? ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, სტოვებს — ვიმეორებთ — მამულს, დედულს, სახლკარს, ადგილს, საცა დაიზადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა, — და მიდის სად? ოსმალეთში? რაო, რა ამბავია? მოჩვენებაა შემინებულის გონებისა, თუ მართლა მართალი ამბავია! რათ მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ — სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავის დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღიდანვე, რისთვისაც იღვწის და ამ წუთისოფლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტრფის, რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობს, — დიად სტოვებს და მიდის სად? ოსმალეთში!<sup>1</sup> აჭარაში ვიზიტით იმყოფებოდნენ გ. წერეთელი, ს. მესხი, გ. გურიელი და სხვები, რომლებიც მოუწოდებდნენ ადგილობრივებს, შეეწყვიტათ გადასახლება. მათმა მოღვაწეობამ შედეგი გამოიღო და წამსვლელთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. მოგვიანებით გადასახლებულთა ნაწილმაც უკან დაბრუნების სურვილი გამოთქვა, მაგრამ ხელისუფლებამ ამის ნება აღარ დართო.

მსგავსი ვითარება შეიქმნა აფხაზთა მუჰაჯირობისას, როდესაც ხელისუფლებამ მთელი აფხაზობა „დამნაშავედ“ გამოაცხადა, ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, გიორგი წერეთელმა, სერგი მესხმა და სხვებმა მტკიცედ გაილაშქრეს აფხაზთა ოსმალეთში გადასახლების წინააღმდეგ. ცნობილია ამ მხრივ ბზიფის ოკრუგის უფროსის - მაიორ დ. ჭავჭავაძის საქმიანობა. ბზიფელი აფხაზები 1868 წელს შედგენილ განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ თურქეთში გადასახლებაზე მათ უარი დ. ჭავჭავაძის რჩევით გადაწყვიტეს<sup>2</sup>.

გადასახლება ოსმალეთში მიმდინარეობდა უმძიმეს პირობებში. სიღარიბის, ეპიდემიებისა და შიმშილის გამო, არაერთი მათგანი იძულებული გახდა ცოლები და შვილები გაეყიდა. მხოლოდ 1863-1864 წლებში ოსმალეთში მონად გაიყიდა დაახლოებით 100 ათასი ჩრდილო კავკასიელი. პირველი ემიგრაციისას, 1864 წლის ზამთარში თითქმის 12 ათასი ადამიანი დაიღუპა. გადარჩენილებმა ოსმალეთში ჩაიტანეს ტიფი, ჭირი და სხვა ეპიდემიები, რითაც შემინებულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა დეპორტირებულთა ადგილებზე სანაპირო ჯარები ჩაეყენებინათ, რომლებიც გადასახლებულებს საშუალებას არ აძლევდნენ დასახლებულ პუნქტებს მიახლოებოდნენ. გადასახლებულთათვის იქმნებოდა სპეციალური ბანაკები, რომლებიც ფაქტობრივად სიკვდილის ბანაკებს წარმოადგენდნენ. ასეთი ბანაკი იყო მაგალითად აჩ-კალე ტრაპიზონთან ახლოს.

სტატისტიკური მონაცემებით, 1863 წლის ნოემბრიდან - 1864 წლის სექტემბრამდე ტრაპიზონში 247 ათასი გადასახლებული ჩერქეზიდან 19 ათასი დაიღუპა, ხოლო გადასახლების დაწყებიდან - 30 ათასი. 220 ათასი გადასახლებულიდან 100 ათასამდე გარდაიცვალა შიმშილისა და ავადმყოფობისაგან. დარჩენილი 63 290 ჩერქეზიდან ტრაპიზონსა და მის შემოგარენში დღეში იღუპებოდა 180-დან - 250 კაცამდე, სამსუნში - 200 კაცამდე, ვარნასა (დღ. ბულგარეთში) და მის შემოგარენში 20 კაცამდე. ბათუმში ჩასული 6 ათასი ჩერქეზიდან დღეში საშუალოდ - 7. 1865-1869 წლებში შიმშილისა და დაავადებებისაგან იღუპებოდა ყოველი მესამე გადასახლებული ჩერქენი. 1871 წლისათვის ოსმალეთში ჩასული 40 ათასი ჩერქენიდან ცოცხალი მხოლოდ 10 ათასი კაციღა იყო დარჩენილი<sup>3</sup>.

„მუჰაჯირთა“ ნაწილმა (ოსებმა, ყაზარდოელებმა, ჩეჩნებმა, ნოღაელებმა) 1872 წელს მოახერხა საკუთარ კერაზე უკან დაბრუნება, მაგრამ არც „პორტა“ და არც საიმპერატორო კარი დაინტერესებულნი არ იყვნენ ამ საკითხით. როდესაც უკან დაბრუნების შესახებ მუჰაჯირთა თხოვნა შეუტანიათ, ალექსანდრე II-ს მასზე რეზოლუცია წაუწერია: „აღარ განიხილება“. ამის გამო, მუჰაჯირთა ნაწილმა მხოლოდ პირადი ინიციატივით, მცირე ჯგუფებად და სიცოცხლის რისკის ფასად მოახერხა უკან დაბრუნება. გარდა ამისა, ადგილობრივმა მოსახლეობამ ისინი მიიღო, არა როგორც ძირძველი ნათესავები, არამედ როგორც უცხო პირები<sup>4</sup> და თავიდან მოუხდათ ცხოვრების დაწყება, ხოლო დიდი უმრავლესობისათვის სამშობლოში დაბრუნება აუხდენელ ოცნებად დარჩა.

დეპორტირებულებისაგან დაცლილ ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ მოახალშენეებს ხელისუფლება არაერთ შეღავათს უწესებდა. თითოეული ოჯახი იღებდა 30 დესეტინა მიწას, ერთდროულ ფულად დახმარებას (50 მანეთის ოდენობით), 15 წლით გადასახადებიდან

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა II, 1879 წლის თებერვალი, გვ. 2.

<sup>2</sup> ზურაბ პაპასკირი. ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 11. 05. 1990 წ.

<sup>3</sup> Я. Абрамов. Кавказские горцы, Материалы для истории черкесского народа; Цветелина Харалампиева. Горцы-переселенцы - взгляд одного осетинца на мухаджирство, „Вестник Мариупольского Государственного университета“, Серия - История-политология, 2013, вып. 7-8, с. 92-100.

<sup>4</sup> Инал Кануков. Горцы переселенцы, გვ. 102.



ათავისუფლებდა<sup>1</sup> და ა. შ. 1856-1867 წლებში მოსახლეობის ზრდამ ჩრდილო კავკასიაში 642 ათასი სული შეადგინა, ხოლო 1867-1876 წლებში – 390 ათასი<sup>2</sup>. ეს ხდებოდა, ძირითადად, ცენტრალურ გუბერნიებში მცხოვრები რუსი გლეხი კოლონისტების ხარჯზე, რომლებიც საგლეხო რეფორმისას მიწის გარეშე დარჩნენ. 1861-1865 წლებში ჩერქეზებიდან გაწმენდილ მიწა-წყალზე მოეწყო 90 სტანიცა და 16 ათასი კომლი კაზაკით შეივსო<sup>3</sup>. ამგვარი კოლონიზაციის შედეგად, XIX საუკუნის ბოლოსათვის რუსები თერგის ოლქში უკვე მოსახლეობის 33,7%-ს შეადგენდნენ, ხოლო ყუბანის ოლქში არაადგილობრივი მოსახლეობის 90%-ს. სამაგიეროდ, ამავე დროისათვის, თერგის ოლქში ადგილობრივი მოსახლეობა (ე. წ. ტუხემცები) მთელი ოლქის მოსახლეობის მხოლოდ 50%-ს შეადგენდა, ყუბანის ოლქში კი 1/4-ზე ნაკლები იყო დარჩენილი<sup>4</sup>.

აფხაზ მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი კვლავ გააქტიურდა 1917-20 წლებში, რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღგენის წლებში. 1920 წლის 1 თებერვალს თურქეთში საქართველოს მისიის მეთაურს – გრიგოლ რცხილამეს აფხაზ მუჰაჯირთა წარმომადგენლებმა მარშანამ და მარღანამ მიულოცეს 1920 წლის იანვარში ანტანტის სახელმწიფოების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, განუცხადეს, რომ აფხაზი მუჰაჯირები მომხრენი არიან საქართველოს ერთიანობისა და თხოვნით მიმართეს გაეთვალისწინებინათ 150 ათასი აფხაზი მუჰაჯირის ბედი.

რცხილამემ ამ საკითხთან დაკავშირებით შეატყობინა პარიზში კონფერენციაზე მყოფ ნიკოლოზ ჩხეიძეს. ჩხეიძემ მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს 1920 წლის 7 აპრილს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ძალიან ბევრი მუსულმანი საქართველოდან და აფხაზეთიდან გამოსული, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ სამშობლო სხვადასხვა ეპოქებში, დასახლდნენ ოტომანთა იმპერიის ოლქებში ...მუსულმანი ქართველები და აფხაზები, რომლებიც „მუჰაჯირებად“ იწოდებიან მათი გადასახლების რელიგიური ხასიათისათვის, ხშირად გამოთქვამენ თავიანთ კერაზე დაბრუნების სურვილს, მაგრამ მათი დაბრუნება მშობლიურ ქვეყანაში შეუძლებელი იყო რუსთა ბატონობის დროს“. მუჰაჯირთა მშობლიურ ადგილებზე შეუფერხებელი დაბრუნების მიზნით, ჩხეიძე სთხოვდა თავმჯდომარეს, რომ თურქეთთან მომავალი ხელშეკრულების პირობებში შეეტანა მუხლი, რომელიც გაითვალისწინებდა „საქართველოს ოლქებში ყველა იმათს თავისუფალ დაბრუნებას, რომლებმაც მიატოვეს იგი პოლიტიკური თუ რელიგიური მოსაზრებით და უკან დაბრუნების სურვილი ჰქონდათ“<sup>5</sup>.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს (1941-1945 წწ.), ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ზოგიერთი ხალხების დეპორტაციის საკითხი კვლავ აქტუალური გახდა.

ომის მიწურულს საბჭოთა ხელისუფლებამ ყარაჩაელებს, ყაბარდოელებს, ბალყარელებს, ჩეჩნებსა და ინგუშებს ბრალი დასდო გერმანულ ფაშისტებთან თანამშრომლობასა და სამშობლოს დალატში. 1944 წლის 12 ოქტომბერს ხელისუფლებამ გამოსცა დოკუმენტი, რომლის მიხედვით, ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდა, ხოლო ყარაჩაელები, ბალყარელებთან ერთად შუა აზიაში გადაასახლეს. ყარაჩაის სამხრეთ ნაწილი, კერძოდ, მდ. თებერდასა და ყუბანის ზემო წელში მდებარე ტერიტორიები (დღ. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ნაწილი), მდინარეების – არღუნსა და ასას ზემოწელში არსებული მიწები (დღ. ინგუშეთის ნაწილი) და ითუმ-ყალეს რაიონი (დღ. ჩეჩნეთის ნაწილი) გადაეცა საქართველოს სს რესპუბლიკას, ცენტრის ქალაქს – მიქოიან-შახარს სახელი შეუცვალეს და ქლუხორი უწოდეს. ახლად შექმნილ რაიონში 5 ათასზე მეტი ქართველი გადაასახლეს<sup>6</sup>, ძირითადად, სვანეთიდან და რაჭიდან.

ასევე მოხდა ჩეჩენ-ინგუშეთშიც. 1944 წლის 7 მარტის დადგენილებით ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა გაუქმდა, ხოლო ტერიტორია გადაანაწილეს ჩრდილო ოსეთს, დაღესტანსა და საქართველოს შორის.

<sup>1</sup> ბეჟან ხორავა. აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 52.

<sup>2</sup> ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, II, ზ. ანჩაბაძის რედ., თბ., 1978, გვ. 150.

<sup>3</sup> სარგის კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, თბ., 2003, გვ. 140.

<sup>4</sup> ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 152.

<sup>5</sup> ჯემალ გამახარია. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 81-82.

<sup>6</sup> როდესაც მოგვიანებით ყარაჩაელებისა და ბალყარელების რეაბილიტაცია და მშობლიურ ადგილებში დაბრუნება განხორციელდა, რუსებისა და ოსებისაგან განსხვავებით, ქართველებმა მათ დიდსულოვნად დაუთმეს თავიანთი სახლ-კარი და ცხოვრების მოსაწყობად ხელიც გაუმართეს, ქართველები 15 წლის განმავლობაში პატივს სცემდნენ და გადასახლებულთა წინაპრების საფლავებს, რასაც ადგილობრივები დღემდე დიდი მადლიერებით იხსენებენ. მდ. ბაქსანის ხეობაში ბალყარელთა თხოვნით 20-მდე ქართული ოჯახი დარჩა ჩრდ. კავკასიაში საცხოვრებლად.

1944 წლის თებერვალში 100 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და 20 ათასი ოფიცერი ჩრდილოეთის ფრონტის ხაზიდან მოხსნეს და ჩეჩნეთისა და ინგუშეთის სოფლებში ოჯახებში განალაგეს. ოფიციალურ მიზეზად მათთვის მიცემული შვებულების გატარება დასახელდა. ადგილობრივ კომუნისტებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა დაავალეს, რამაც პარტიული ჩეჩნების ნაწილი შოკში ჩააგდო, მაგრამ ბერიას დავალებით, ისლამური რელიგიური ლიდერების შეგროვების ბრძანება გასცეს და ანგარიშსწორებით დაემუქრნენ, რათა მოსახლეობა ბრძანებას დამორჩილებოდა და წინააღმდეგობა არ გაეწია.

23 თებერვალს, საბჭოთა არმიის დღეს, ჯარისკაცები მოულოდნელად სახლებში შევიდნენ და ადგილობრივთა მასიური დაპატიმრებები დაიწყეს. ჩეჩნებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ ამაოდ. მათ, ოჯახებთან ერთად, 2 საათიანი ვადა მისცეს, რათა 3 დღის სურსათი აეღოთ და გადასახლებისათვის მომზადებულიყვნენ. ზამთრის სუსხისა და დიდი თოვლის გამო, გადასახლებულთა გადაყვანა ჭირდა, ამიტომ ბევრი მათგანი ადგილზევე გაანადგურეს, მაგ., გალანტიოჟის ტბაში 6000 ადამიანი დაადრჩვეს<sup>1</sup>. ხაიბახის აულის მოსახლეობა საჯინიბოში შერეკეს და 700 კაცი ცოცხლად გამოწვეს<sup>2</sup>.

352647 ადამიანი 86 სატვირთო მატარებელში ჩასხეს და შორეულ ყაზახეთისა და ციმბირის ტრამალებსა და დაუსახლებელ ადგილებს გაუყენეს.

დეპორტაციის დასაწყისშივე სამი ათასი ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო გზაში შიმშილით, სიცივითა და ავადმყოფობით ათი ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ადგილზე ჩასვლის შემდეგ მათ დაემატა ათი ათასობით ადამიანი, რადგან ხელისუფლება საცხოვრებელსა და საკვებს არ აძლევდა.

გადასახლება მიმდინარეობდა ეთნიკური ნიშნით და მთლიანობაში 3 მილიონამდე ადამიანს შეეხო, არა მარტო უბრალო მოსახლეობას, არამედ სასულიერო პირებსა და საბჭოთა მოხელეებსაც.

მიტოვებულ ადგილებში ასახლებდნენ რუსებს, უკრაინელ და ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ლტოლვილებს, სოფლებსა და ქუჩებს უცვლიდნენ სახელებს და სხვ.

ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების შედეგად საქართველოს შემოუერთდა ითუმ-ყალეს რაიონი, შაროს რაიონის დასავლეთი და გალანჯიკის, გალანჯიკისა და პრიგოროდნის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. შემოერთებული ტერიტორიების დიდი ნაწილი დააფუძნეს ახალხევის რაიონის სახელით, რომელიც 50-იანი წლების დასაწყისში გააუქმეს და სამხრეთი ნაწილი დუშეთის რაიონს, ხოლო ჩრდილო ოსეთის გიზელდონის რაიონისა და ჩეჩენ-ინგუშეთის პრიგოროდნის რაიონი, ყაზბეგის რაიონს მიუერთეს. ჩრდილოეთი ტერიტორიების საქართველოსათვის შემოერთების იდეა ლავრენტი ბერიას ეკუთვნოდა, რომელიც ფიქრობდა თავდაცვითი ზონა შეექმნა საქართველოსათვის კავკასიის ქედს იქით<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, ახალი გადანაწილებით საქართველოს გადაეცა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გიზელდონის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილიც. უფრო ზუსტად, კი არ გადაეცა, არამედ დაუბრუნდა. საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ 1925 წელს ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე საქართველოს იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ ჩეჩნეთს გადასცა თიანეთის მაზრაში, მდ. არღუნის ხეობაში ქისტებით დასახლებული სოფლები: ჯარეგო, თერეთეგო, ცეკარო, სახანო დას ხვ. იგივე განმეორდა 1928 წელს, როდესაც საქართველოს ხელისუფლება კვლავ დათმობაზე წავიდა და ჩეჩენი ჯარეგოელების თხოვნა დააკმაყოფილა მათთვის დამატებით სათიბების გადაცემის თაობაზე. შატილელები თავიანთი სათიბ-სამოვრების დაკარგვას არ შეუურიგდნენ და საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდეც მივიდა. დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მიღებული გადაწყვეტილება გადაესინჯა ცენტრალური ხელისუფლებისათვის მიემართა, მაგრამ მალე ომი დაიწყო და ამ საკითხმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.

სულ ყარაჩაი-ჩერქეზებისა და ჩეჩენ-ინგუშების 1944 წელს განხორციელებული დეპორტაციის შედეგად საქართველოს ტერიტორია 74,4 ათასი კვ. კმ-ით, ხოლო მოსახლეობა 26 ათასით გაიზარდა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> მერაბ ჩუხუა. კავკასიის ქედს მიღმა. [www.diaspora.gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=124&info\\_id=1657](http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=124&info_id=1657).

<sup>2</sup> Иорг Баберовский. Преступление века: Рождение чеченской войны из духа Сталинского террора“, [www.archipelag.ru](http://www.archipelag.ru).

<sup>3</sup> სიმონ კილაძე. საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში, ქლუხორისა და ახალხევის რაიონები, გვ. 8., [xpertclub.ge/portal/cnid...ka.../default.aspx](http://xpertclub.ge/portal/cnid...ka.../default.aspx).

<sup>4</sup> მერაბ ნაჭყებია. ქართული ტოპონიმები ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე (1944-1957 წწ.), ჟურნ. „სპეკალი“, 2011, №5.

ბუნებრივია, ტერიტორიების გადმოცემისას ხელისუფლება ქართველ ხალხსა და მის მომავალზე სულაც არ ზრუნავდა. ყველა გრძნობდა, რომ ეს ნაბიჯი დროებითი იყო. მართლაც, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ჩეჩენ-ინგუშებისა და ყარაჩაი-ჩერქეზების რეაბილიტაცია განხორციელდა და ისინი მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ. 1955 წელს ქლუხორის რაიონის ტერიტორია რუსეთის ფედერაციას გადაეცა. 1957 წლის 9 იანვარს აღდგა ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკაც და საქართველო-რუსეთის საზღვარი 1944 წლის 7 მარტამდე არსებულ ვითარებას დაუბრუნდა.

აღსანიშნავია ერთი მომენტიც. ჩეჩნებისა და ინგუშთა ავტონომიების აღდგენასთან დაკავშირებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია ცნობილი პოლიტიკური ლიდერების: მიქოიანის, ვოროშილოვის, მალენკოვისა და სხვათა შემადგენლობით. კომისიაში ასევე შევიდნენ საქართველოს, დაღესტნის, ჩრდილო ოსეთის, ანუ იმ კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლები, რომლებზეც გადანაწილდა გადასახლებულთა მიწები. საქართველოსა და დაღესტნელთა წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს ჩეჩენ-ინგუშებისათვის კუთვნილი მიწის დაბრუნების შესახებ. სამაგიეროდ, ჩრდილო ოსეთმა განაცხადა უარი ჯეირახის ხეობის დასავლეთი ნაწილის დაბრუნებაზე<sup>1</sup>, რამაც 80-იანი წლების ბოლოს სისხლისმღვრელი კონფლიქტი წარმოშვა ოსებსა და ინგუშებს შორის.

სტალინის გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე (1956 წელს), საბჭოთა კავშირის ახალმა ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიიდან (ე. წ. „თურქი მესხები“) დეპორტირებული რვა ხალხიდან, მხოლოდ ხუთს მისცა რეპატრიაციის უფლება<sup>2</sup>, მათგანაც, დიდი ნაწილი უკვე დაღუპულ-გარდაცვალებული იყო.

### ლიტერატურა:

1. **ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო)**. საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან – XIX ს. 60-იან წლებამდე), თბ., 2014.
2. **ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო)**. „თურქი გენერალი ქართველი ემიგრანტის თვალთ“, (ჩრდილო კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან XIX საუკუნეში), გორის სს უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია, თბ., 2014.
3. **ახატნელი ალექსანდრე**. კავკასიონთა ეთნოგენეზი, თბ., 2013.
4. **გამახარია ჯემალ**. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991.
5. **კაკაბაძე სარგის**. ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, თბ., 2003.
6. **კილაძე სიმონ**. საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში, ქლუხორისა და ახალხევის რაიონები.
7. „ისლამი“, ენციკლოპედიური ცნობარი, გრ. ბერაძის რედ., თბ., 1999.
8. **ნაჭყებია მერაბ**. ქართული ტოპონიმები ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე (1944-1957 წწ.), ჟურნ. „სპეკალი“, 2011, №5.
9. **პაპასკირი ზურაბ**. ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 11. 05. 1990 წ.
10. **ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორეს კოლიმნიკი**. „მესხები: გზა შინისაკენ...“, გამოცემული უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის კავკასიის ოფისის (EMCI) მიერ 2011.
11. **ტყავაშვილი მზია**. დაღესტნელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 60-იან წლებში.
12. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, II, ზ. ანჩაბაძის რედ., თბ., 1978.
13. **ჩუხუა მერაბ**. კავკასიის ქედს მიღმა.
14. **ჭავჭავაძე ილია**. შინაური მიმოხილვა II, 1879 წლის თებერვალი.
15. **ხორავა ბეჟან**. აფხაზეთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004
16. **Абрамов Я.** Кавказские горцы, Материалы для истории черкесского народа. Северо-Кавказский филиал традиционной культуры М.Ц.Т.К. „Возрождение“, 1990.
17. Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. XII, Тифл., 1875.
18. **Айдамиров Абузар**. Долгие ночи.
19. **Баберовский Йорг**. Преступление века: Рождение чеченской войны из духа Сталинского террора.
20. **Берже П.** Выселенные горцев съ Кавказа в 1858-1865 гг. „Русская старина“, т. XXXIII, СПб 1882, февраль, вып. I-III.
21. **Дзизоев Валерий**. История и судьба кавказских переселенцев в Турцию (50-е-70-е годы XIX в.).
22. **Дзизоев В. Д.** Колониальная политика царской России на Северном Кавказе и её последствия, часть I, II.

<sup>1</sup> **სიმონ კილაძე**. საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში, გვ. 20.

<sup>2</sup> **ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორეს კოლიმნიკი**. „მესხები: გზა შინისაკენ...“, გამოცემული უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის კავკასიის ოფისის (EMCI) მიერ 2011, გვ. 21-22; 26.

23. Как изменяется национальный состав на Кавказе, 2013,08.07, [www.voprosik.net](http://www.voprosik.net).
24. **Кануков Инал.** Горцы переселенцы, в сб.: „Сборник сведений о Кавказских горцах”, вып. IX, Тифл., 1876.
25. **Кантемир А.** Мемуары ген. Муса-Паши Кундухова, Кавказ (Le Caucase) Париж. 1936, глава VIII, IX.
26. **Темиров Мурат.** Просо и порох: черкесские мухаджеры, [www. aheku.org/news/society/5819](http://www.aheku.org/news/society/5819).
27. **Харлампиева Цветелина.** Горцы-переселенцы - взгляд одного осетинца на мухаджирство, „Вестник Мариупольского Государственного университета”, Серия - История-политология, 2013, вып. 7-8. [www.doc4net.ru/doc/3524372640539/](http://www.doc4net.ru/doc/3524372640539/)

#### **ქვ. რესურსები**

<http://iratta.com/materials/novaya/2980-istorija-i-sudba-kavkazskikh-pereselencev-v.html>

<http://Zhaima.com/history/>

[http://iratta.com/2007/04/06/kolonialnaja\\_politika\\_carskojj\\_rossii\\_na\\_severnom\\_kavkaze\\_i\\_ee\\_posledstvija\\_chast\\_1.html](http://iratta.com/2007/04/06/kolonialnaja_politika_carskojj_rossii_na_severnom_kavkaze_i_ee_posledstvija_chast_1.html)

[http://iratta.com/2007/04/06/kolonialnaja\\_politika\\_carskojj\\_rossii\\_na\\_severnom\\_kavkaze\\_i\\_ee\\_posledstvija\\_chast\\_II.html](http://iratta.com/2007/04/06/kolonialnaja_politika_carskojj_rossii_na_severnom_kavkaze_i_ee_posledstvija_chast_II.html)

[xpertclub.ge/portal/cnid...ka.../default.aspx](http://xpertclub.ge/portal/cnid...ka.../default.aspx)

[www.diaspora.gov.ge.index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=124&info\\_id=1657](http://www.diaspora.gov.ge.index.php?lang_id=geo&sec_id=124&info_id=1657).

[www. aheku.org/news/society/5819](http://www.aheku.org/news/society/5819).

[www.archipelag.ru](http://www.archipelag.ru).

[www.expertclub.ge/portal/cnid...ca](http://www.expertclub.ge/portal/cnid...ca)

## **POLITICAL, ECONOMIC AND RELIGIOUS ASPECTS OF DEPORTATION OF CAUCASIAN PEOPLES IN 60-IES OF 19<sup>TH</sup> AND 40-IES OF 20<sup>TH</sup> CENTURIES**

**Ioseb Alimbarashvili, Gori State Teaching University, Associate Professor**

### **RESUME**

Based on the archival, documentary and narrative sources, the article represents one of the most tragic periods in the history of the North Caucasian peoples and their neighboring Abkhazians, in particular, their deportation to the Ottoman Empire, Middle Asia and Bulgaria from the 60s of the 19<sup>th</sup> century till the 40s of the 20<sup>th</sup> century.

The deportation of the North Caucasian peoples was caused by the following political, social, economic and religious factors:

- 1) Political – in the 1864 Russia completed its political conquest of the Caucasus and new reality was created in the country, which required new orders and regulations from the government.
  - I) The North Caucasian people deportation issue was developed still in the 30s of the 19<sup>th</sup> century by Russia.
  - II) The North Caucasians were regarded to be unacceptable and disobedient people to Tsarism, so that their deportation issue was developed earlier, still in the 30s of the 19<sup>th</sup> century. Under the rule of Tsarism the local population was divided into turbulent, disobedient and compliant tribes. According to the plan, it was unavoidable to exile the people in other provinces as well as in the Ottoman Empire, and the complete assimilation into the Russian population settled in Caucasus.
- 2) Social-Economic – in the 1861 the Russian Empire began a peasant reform, which later caused significant fluctuations. As the former aristocracy was left without peasants and lands, the region should have been released from the excessive unnecessary population. Besides, the government gave the resettled Russian aristocracy an opportunity to live in more privileged circumstances by giving them a larger number of fertile lands rather than to the local people; such attitude had the purpose of forcing the local residents to flee with their own will avoiding any unnecessary noise.
- 3) Religious – it should be noted that the vast majority of the people deported in the 60-70s of the 19<sup>th</sup> century were Muslims. The Russian authorities used brutal and cynical methods to force them to convert to Christianity. The Ottoman Empire also played a significant role in this respect; the Empire pursued its own interests (cultivation of lands, engagement in military structures, multiplication of the people with paying ability, etc.) and it used the influential upper layer of the local population against the “giauri” Russians. In 1944, most of the deported people were Muslims; though the atheist Soviet authorities fought against religion with cruel methods, they actively used local elders, mullahs and other religious figures to convince people of exiling.

## სოფელ ახლოურთკარის ეკონომიკური ყოფის ისტორიიდან (მეცხოველეობა)

დავით ახლოური, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი  
E-mail: datoakhlouri@gmail.com

ახალგორის რაიონის მაღალმთიანი სოფლის ახლოურთკარის მოსახლეობა, ბუნებრივი პირობებისა და ადგილმდებარეობის გამო, ძირითადად, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდა, განსაკუთრებით განვითარებული იყო მეცხვარეობა. ახლოურებს ქსნის ხეობაში საუკეთესო სარქლებად და ცხვრის მცნობელებად მიიჩნევდნენ (დ. ახლოური, I, გვ. 1).

XX საუკუნის 60-70-იან წლებამდე ახლოურთკარის ტერიტორიის დიდი ნაწილი იხვნებოდა, ეს იმდენად შრომატევადი და რთული საქმე იყო სოფლის მოსახლეობისათვის, რომ ხშირად, მეზობელი სოფლებიდან დამხმარე ძალის მოშველიება ხდებოდა საჭირო. 60-იანი წლებიდან სახნავი მიწები თანდათან გაასამოვრეს და მიწათმოქმედების ნაცვლად სასაქონლო მეურნეობა განვითარდა. თუმცა, მესაქონლეობას ქსნის ხეობის მთიან ზოლში ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი. ოდითგანვე ყველა ოჯახს ჰყავდა ცხვარი, თხა, მსხვილფეხა საქონელი. გავიხსენოთ თუნდაც სტრაბონის სიტყვები „იბერიის მთიან მოსახლეობას მუზარადები ცხოველთა ტყავოსა აქვს (სტრაბონი, გვ. 5). ქსნის ხეობაში აღმოჩენილ სამაროვან და ყორღანულ სამარხებში ინტენსიურადაა ფიქსირებული რქოსანი საქონლისა და ცხვრის კულტი. „უძველეს სამოსახლოებზე: უკანუბანი, ყველდაბა (სოფელ ახლოურთკარის სიახლოვეს - დ.ა.) მახიარეთი, პავლიანი, ხოზიეთი - მიკვლეულია ვერძისა და ხარის ქვის ქანდაკებები, რაც ტაძრის ალყაფზე თუ დედაბომზე საქონლის კულტის სიმბოლოს განასახიერებდა“ (ალ. პავლიაშვილი, გვ. 3). მესაქონლეობას რომ ქსნის ხეობაში წამყვანი ადგილი ეკავა ამას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარიც ადასტურებს (იხ. ქართლი სამართლის ძეგლები, III, გვ. 12). დიდი რაოდენობით საქონლის ნახირი, ცხვრის ფარა და ცხენის ჯოგი ჰყოლიათ ქსნის ერისთავებს მთაში (საქართველოს სიძველენი, III, გვ. 501).

მთიულეთში მეცხვარეობის აღმავლობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი XIX საუკუნის II ნახევრიდან ჩრდილო კავკასიის სამოვრების ათვისებამ. მთიულეებს ქართლის სხვადასხვა რაიონშიც მიუდიოდათ ცხვარი გამოსაზამთრებლად. ამას მხოლოდ ის ოჯახები ახერხებდნენ, ვისაც 100-ზე მეტი ცხვარი ჰყავდა, ასეთების რიცხვი მცირე იყო, უმრავლესობას ორიოდე ათეული ცხვარი ბაგურ კვებაზე უნდა ჰყოლოდა, რაც მთის პირობებში რთული იყო, ამიტომ, ერჩიათ მსხვილფეხა საქონელი ჰყოლოდათ. მათი გამოკვება მთაში, ცხვართან შედარებით უფრო მოსახერხებელია, სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ „ოჯახების ერთი ნაწილის ეკონომიკაში თავისი ხვედრითი წილით მეცხვარეობას უთანაბრდებოდა ან აჭარბებდა მსხვილფეხა მესაქონლეობა“ (ვ. ითონიშვილი, გვ. 26).

XIX საუკუნის II ნახევრიდან ქსნის ხეობის ეკონომიკურ ყოფაში მეცხვარეობა რომ გაბატონებულ ადგილს იკავებს, ამაზე გაზეთი „ივერიაც“ მიგვანიშნებდა (1890 წ., №197): ქსნის ხეობის მცხოვრებნი ხვნა-თესვას და მესაქონლეობას მისდევენ, უმთავრესად მეცხვარეობას.

XX საუკუნის დასაწყისში ახლოურთკარში ყველაზე ცნობილ და შეძლებულ მეცხვარედ გიგო ახლოური ითვლებოდა, მას ათასამდე ცხვარი, ხუთასი თხა, რამდენიმე ათეული მსხვილფეხა საქონელი და ცხენები ჰყოლია. ასეთი დიდი მეცხვარეები არცთუ ბევრნი იყვნენ ქსნის ხეობაში.

ბევრი ცხვრის პატრონები სამოვრებად „დიდ მთებს“ ლიახვის ხეობის სათავეებს იყენებდნენ, სარგებლობდნენ აგრეთვე შიდა ქართლის ბარის სოფლებით, განსაკუთრებით გამორჩეული ყოფილა ალაიანის მინდორი, რომლის შესახებ ვახუშტი წერს: „სამხრით არს მტკვრამდე და კასპამდე ქსნიდან მინდორი, ალაიანისა, უწყლო, უნაყოფო, გარნა ბალახიანი და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოგთა“ (ვახუშტი, გვ. 63). თვითონ ბარის მოსახლეობა მინდვრის ხალხად იწოდებოდა და მემინდვრეობას მისდევდა, თხას და ცხვარს არ აშენებდნენ. აქ ცხვრის ჯოგი, როგორც ჩანს, მთიდან ჩამოჰყავდათ. გიგო ახლოურსაც ქართლის ბარში მოჰყავდა ცხვრისა და თხის ფარები, ძირითადად, სოფელ ოკამში და მის მიმდებარე ლამისყანის, თეზისა და ვახუშტის მიერ ნაქმბ ალაიანის ველებზე. მას სოფელ ოკამში სახლიც შეუქმნია, სადაც ცხოვრობენ მისი შვილების სანდროს და გიორგის მემკვიდრეები. გიგო რომ დიდი მეცხვარე იყო ამაზე საუბარია ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ბალაანის საშუალო სკოლის ღვაწლმოსილი დირექტორის ნასყიდა ბერიანიძის მოგონებების წიგნში „შრომა, სიმართლე, სინდისი“. ავტორი იხსენებს, თუ როგორ ეწვია დედასთან ერთად 7-8 წლის ბავშვი დედის ბიძას სოფელ ახლოურთში, რომელიც ბერიანიძეების სოფლიდან 6-7 კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა. „გიგო პაპა შეძლებულად ცხოვრობდა შედარებით და აი, მას მივადევით ცოტაოდენი ფქვილის სათხოვნელადო...“

გიგოს გულთან მიუტანია დიშვილის ოჯახის შექირვებული ყოფა და მეუღლისთვის უთხოვია, სტუმრები სახლში წაყვანა, დაეპურებინა და რამდენსაც მოერეოდნენ ფქვილი და გამომცხვარი პური გაეტანებინა ყველთან ერთად (ნ. ბერიანიძე, გვ. 12).

კოლექტივიზაციის დროს გიგოს ოჯახი გააკულაკეს და დიდი შრომის ფასად მოპოვებული ქონება მთლიანად ჩამოართვეს, რის შემდეგაც დიდხანს აღარ უცოცხლია.

ქსნის ხეობაში განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ ცნობილი მეცხვარისა და მოღვაწის თედო სოსეს ძე ახლოურის მიმართ (1884-1949), რომელიც ერთხანს ყველდაბისა და მარტიანის გაერთიანებულ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა. თედოს სახელი ყველა ქსნისხეობელისათვის იყო ცნობილი და როგორც მეცხვარის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, ისე, ჩვეულებრივ, ოჯახში პურობისას სხვა ოთხ-ხუთ დიდ მეცხვარესთან ერთად ყოველთვის მოიხსენიებდნენ. გავიხსენოთ თუნდაც 1982 წლის 17 ივლისს გაზეთ „ლენინელში“ გამოქვეყნებული წერილი „მუხლმაგარი და მადლიანი კაცის საგალობელი“, რომლის ავტორიც ახალგორის რაიონის მაშინდელი თავკაცი არჩილ თინიკაშვილი გახლდათ: „ცნობილია, რომ მეცხვარეობის დღევანდელ კარგ ტრადიციებს უფრო შორეულ წარსულში აქვს გადგმული ფესვი. დღევანდელ დღეს მინდა შეგახსენოთ ჩვენი ქსნის ხეობის თავის დროზე აღიარებული სარქლები: თედო ახლოური, გიორგი პავლიაშვილი, ვასო რუსიტაშვილი, შიო თეხელაშვილი, ვანკა ჩიტოშვილი, გიორგი ბაშარული, დიანოზ ძეგისოვი, როზიკო თეგეტაევი, გრიგოლ ხინჩაგოვა, იასონ ჩოჩელი და სხვები. ეს ის ადამიანებია, ვინც საძირკველი ჩაუყარა პირველ საზოგადოებრივ არტელებს, გააკვლია გრძელი გზა და სიცოცხლე დაამკვიდრა ყიზლარის ველ-მინდვრებში“ (ა. თინიკაშვილი, გვ. 1). როგორც ვხედავთ, თედო ახლოური პირველად შორის პირველია მოხსენიებული იმ აღიარებული სარქლების გვერდით, ვისაც ლომის წვლილი მიუძღვის კასპისპირეთის ველ-მინდვრების ათვისებაში. თავმდაბალი კაცი ყოფილა თედო, უანგაროდ აკეთებდა საქვეყნო საქმეს. მეორე მსოფლიო ომის დროს მას 100000 მანეთი გადაურიცხია გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლთათვის (იხ. გაზეთი „ლენინელი“, 1980 წლის 9 მაისი, №571). მოგვიანებით მას მიბაძა გიორგი ბაშარულმა, რომელიც თედოს თურმე ოპოზიციაში ედგა. ბაშარულის გადარიცხული თანხა უფრო გამოჩნდა: ხელისუფლების მადლობაც დაიმსახურა, საქვეყნო აღიარებაც, რესპუბლიკურ თუ საკავშირო პრესაში აქებდნენ, ცხადია, დამსახურებულადაც, თედოს კი პოპულარობაზე და თავის გამოჩენაზე არ უფიქრია.

მწყემსებს შორის განსაკუთრებულად ფასობს ცხვრის მცნობელი მეცხვარე „თითოეულ ფარას თავისი ნიშანი „სერი“ აზისო - წერდა მთიულეებზე საუბრისას ს. მაკალათია - ამ ნიშანს ცხვარს ყურზე უკეთებდნენ და სხვადასხვანაირია: ყურის გახვრეტა, ირიბად და გრძლად ჩაჭრა, წვერის მოჭრა და სხვა“ (ს. მაკალათია, გვ. 62). შევნიშნავდით, რომ მხოლოდ თითოეულ ფარას კი არა, რომელიც საშუალოდ 1000-1200 სულისგან შედგებოდა, თითოეულ ცხვარს თავისი ნიშანი ჰქონდა, დასერილი იყო ყურზე და ზურგზე კუპრს ან საღებავს უსვამდნენ. ყველა ოჯახს თავისი სერი ჰქონდა, ზოგს მამა-პაპისეული, ზოგს - ახლად მოფიქრებული. გამორჩეული ნიშნით იცნობოდა კოლმეურნეობის ცხვარი, რომელიც ყურის ქვეშ ტუშით იყო დანომრილი. გამოცდილ მეცხვარეს 500 სული ცხვარიც რომ ჰყოლოდა და რომელიმე დაეკარგა, თვალის ერთი შევლებით მოიკითხავდა. ასეთები ითვლებოდნენ კარგ მცნობელებად და ცხვრის დადოლებისას (როცა დედა ცხვარი ნახატს იძლევა) მათი ღვაწლი ფასდაუდებელი იყო. ისინი ახალდაბადებულ ბატკნებს, რომლებსაც ჯერ არ ჰქონდათ „სერი“, ათასობით ცხვარში უშეცდომოდ მიუყვანდნენ დედებს. მთიულეთში ცხვრის კარგ მცნობელად ითვლებოდა გორა ახლოური (გარდაიცვალა 1988 წ.) მის შესახებ საუბარია წიგნში „სოფლის ცნობილი ადამიანები“. „ჩვენს მეცხვარეებს პირზე აკერიათ გორა ახლოურის სახელი - აღნიშნავს ცნობილი სარქალი ნიკო ბერიანიძე - მისი მუშაობის მეთოდის გაცნობა დიდად დამეხმარა პროფესიის დაუფლებასა და ზოგიერთი ნაკლის დამღვევაში (ვ. ცოტნიაშვილი, გვ. 32).

დოლი ყველაზე რთული, პასუხსაგები და ამასთან საინტერესო პერიოდია მეცხვარის ცხოვრებაში, იგი თებერვალში იწყებოდა. ცივ ზამთარში უფრო საფრთხილო და შრომატევადი იყო ცხვრის დადოლების პროცესი. გორა ახლოურის დარ პროფესიონალებზე იყო დამოკიდებული, როგორც დედა ცხვრის გადარჩენა, ისე ნამატის მიღება და შენარჩუნება.

ლეგენდად დადის ქსანზე გორა ახლოურის მეცხვარეობის დროინდელი ერთი ეპიზოდი: გამოცდილ მეცხვარეს შვიდი წლის წინანდელი დაკარგული ცხვარი უპოვია და თავისი ნამატით გამოურჩევია უცხო ფარიდან.

როგორც გორას შთამომავლებისაგან ვიცი, დიდი საოჯახო რელიქვია ინახებოდა მათ ოჯახში, ნაწილი კომუნისტებს წაუღიათ ღვაწლმოსილი მეცხვარის გაკულაკების შემდეგ, ნაწილი მთიდან ბარში (გადასახლდა სოფელ ლამისყანაში) წამოსვლის დროს დაკარგულა, ნაწილი ადგილზე დარჩა და დროთა ვითარებაში განადგურდა. თუმცა, გორას ოჯახისათვის (ყავდა 11 შვილი) ყველაზე დიდი რელიქვია ხალხის ხსოვნაში შემორჩენილი წინაპრის სახელია.

ქსნის ხეობაში ცხვრის საუკეთესო მცნობელად ითვლებოდა გიორგი გიგოს ძე ახლოური. იგი ყოველთვის თან ახლდა ცხვარს ყიზლარში, ყოველ შემთხვევაში დოღში აუცილებლად უნდა ყოფილიყო. თუ სხვა მეცხვარეები დადოლებისას ბატკანს ნიშს ადებდნენ ადვილად ამოსაცნობად, გიორგის რაიმე მინიშნება არ სჭირდებოდა, ფარაში ყველა დედა ცხვარსა და ყველა ბატკანს „იერი“ ცნობდა. ერთხელ დადიანეთის კოლმეურნეობის ფერმის გამგეს ვანო ბერიანიძეს გამოცდა მოუწყვია გიორგისთვის: ცხრაასი ბატკნიდან, რომლებიც უნიშნოები იყვნენ, ერთი ამოუყვანია და ასევე უნიშნო ბატკნების ფარაში გაურევია. ყველასგან მოულოდნელად გიორგიმ იცნო თავისი ბატკანი.

შრომაში მიღწეული წარმატებისთვის საკავშირო თუ რესპუბლიკური ორდენებით ბევრჯერ დაუჯილდოვებიათ ცნობილი სარქალი, დადიანეთის კოლმეურნეობის ფერმის გამგე, სოციალისტური შრომის გმირი ლექსო გიგოს ძე ახლოური.

ძველი მეცხვარეებიდან ცხოვრების დიდი ნაწილი ცხვარს მიუძღვნეს აგრეთვე ვარდო და არსენა შაშოს ძე ახლოურებმა. ვარდო წლების მანძილზე ყოჩის ფარის თავჩობანი იყო. თავჩობანი უფროსი მწყემსია, ცხვრის ფარაში უნდა ყოფილიყო, ერთი ხელმძღვანელი, იგივე სარქალი, რომელიც წინ მიუძღოდა ცხვარს და პასუხისმგებელი იყო ცხვარზეც და მწყემსებზეც. წინამძღოლად კი ყოველთვის გამოცდილ და ნაქებ მეცხვარეს ირჩევდნენ, „თავჩობანი ზედიზედ რამდენიმე ღამეს არ დაიძინებს, თვითონ გაიჭირვებს, ყველაზე ავზნიან ღამეში მარტოდმარტო შერჩება იმოდენა მთებს, ლურჯად შესქელებულ ნისლს, კასპისპირეთის ქარიან ღამეს და საყვედურის სიტყვა არ დასცდება“ (მ. ჩიტიშვილი, გვ. 5). ახლოურებიდან თავჩობანის საპატიო საქმე წლების მანძილზე მინდობილი ჰქონდათ: თედო, ლექსო, ვარდო, გიორგი, დათიკო, არსენა, თენგიზ, თამაზ, თემურ ახლოურებს, ესენი დიდ მეცხვარეებად ითვლებოდნენ, თუმცა სხვა ახლოურებსაც არაერთი ღამე გაუთენებიათ ცხვართან, მათ შორის გურამ, დემიკო, ნასყიდა, მურაზ, ვარდენ... ახლოურებს.

გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ყველაზე მეტი ცხვარი გიორგი და არსენ შაშოს ძე ახლოურებს ჰყავდათ: 150-150 სული. ეს სოლიდური რაოდენობა იყო იმ დროისათვის, რადგან კოლმეურნეობა ამდენის ყოლის უფლებას არ რთავდა და ბევრი ცხვრის პატრონები იძულებულები ხდებოდნენ ნათესავებზე მიეწერათ თავიანთი ცხვრები. პრობლემა იყო ყიზლარში ცხვრის გაყოლება. ის, ვინც თვითონ მიდიოდა ცხვარში, შეძლებდა კოლექტივის ცხვართან ერთად გაეყოლებინა არაუმეტეს 40 სული, სხვებს კი 10 სულზე მეტის გაყოლების უფლება არ ჰქონდათ. მწყემსები იძულებულები ხდებოდნენ, საკუთარი ცხვარი გზაში დაეწიათ ფარისთვის და ხელისუფლებისაგან მალულად გაეყოლებინათ. როგორც მთიდან ჩამოყვანილ, ისე, ნოღაეთის ველებიდან დაბრუნებულ ცხვარს აუცილებლად სჭირდებოდა ვეტერინარული ზედამხედველობა. კასპისპირეთიდან დაბრუნებულ ფარებს განსაკუთრებულად უვლიდნენ, რომ ნაბარევი არ გასჩენოდათ. ბარში დიდხანს მყოფი ცხვარი მთის ჰავას ადვილად ვეღარ ეგუებოდა, ამიტომ სამშობლოში დაბრუნება არ უნდა დაგვიანებოდათ. ყოფილა შემთხვევა, როცა ბევრი ცხვრის პატრონებს ყიზლარიდან დაბრუნების შემდეგ მთლიანად ამოსწყვეტიათ ნაბარევი დაავადებული ცხვარი. არსენა და გიორგი ახლოურებსაც ერთ წელს ხელახლა მოუწიათ ცხვრის მომრავლება. კასპისპირეთში ცხვარი სექტემბრის ბოლოსთვის მიუდიოდათ. 7-8 ოქტომბრისთვის თითქმის დასრულებული იყო ყველა ფარის გამგზავრება, გზას ერთი თვე ანდომებდნენ, ძოვებით გადაჰყავდათ ერთი ნაბინავრიდან მეორეზე, ყიზლარში კუთვნილ ადგილს „ინახავდნენ“. ყველა ფარის შემადგენელი ნაწილი იყო 3-4 მწყემსი, თითო კაცზე განპირობებული იყო 300 სული კოლექტივის ცხვარი (ცხადია, ემატებოდა რამდენიმე ასეული კერძო ცხვარიც), ერთი ცხენი, ერთი ვირი და რამდენიმე ძაღლი. მთის პირობებთან შედარებით, ყიზლარში მწყემსები უკეთ ცხოვრობდნენ, ჰქონდათ ბინები, ყველა ბინაში დაქირავებული ჰყავდათ ადგილობრივი მომვლელი ქალბატონი, რომელიც ასუფთავებდა ოთახს, უკერავდა და ურეცხავდა მეცხვარეებს, ამზადებდა კერძს. ღუმელის დასანთებად შემის მაგივრად იყენებდნენ პირუტყვის გამხმარ ნაკელს - წივას ანუ ქურთს. მთაში მეცხვარეების ბინას წარმოადგენდა მურყნის კაპიანი ხე (იქ მურყანი ხარობდა და სხვა არჩევანი არც ჰქონდათ), რომელზეც ჰკიდებდნენ ჭურჭელს, ხორცს, საჭმელს, ნაბდებს და რაც გააჩნდათ. ჭამდნენ, ძირითადად, ხორცს და ამზადებდნენ „ხამპალას“ (ხორცის წვენში მოხარშული ცომის ნაჭერი). მთიდან ხშირად ვერ უწყევდათ ჩამოსვლა, ამიტომ პურს ახმობდნენ და აშრობდნენ, რომ არ დაობებულიყო. მთის ბალახებისაგან ამზადებდნენ ჩაის, ღამეს კი ღია ცის ქვეშ ნაბადში ათენებდნენ...

წესად ჰქონდათ დოღში დაბადებული პირველი მამალი ბატკანი (დედალი არ შეიძლებოდა) ლომისის წმინდა გიორგის სალოცავისთვის უნდა დაეჩემებინათ და დღეობისას შეეწირათ, კოლექტივისაც და კერძოც. კერძო ცხვრის პატრონი მეორე მამალ ბატკანს მშობლიური სოფლის წმინდა გიორგის სალოცავს აჩემებდა.

ყიზლარიდან ცხვარი მაისის ბოლოს მოჰყავდათ, ორი კვირა სოფელში ჩერდებოდა და ამის შემდეგ მიუდიოდათ მთაში. მაგალითად ქარჩოხელები იყენებდნენ ქარჩოხის იალაღებს და მეზობელი ხეობების ალპურ სამოვრებს: დიდი და პატარა გალადური, სანგალი, ქნუხი, ბაგინი და სხვა (დ. ახლოური,

მიდელაანი, გვ. 34). ახლოურებს ბატკანი და ყოჩი მიჰყავდათ სანგალში, ქნუხში, მშრალი ცხვარი დეკანში (ლიახვის ხეობის სათავეებთან). მთა ისე უნდა ყოფილიყო შერჩეული, რომ „საგორავი“ არ ჰქონოდა, ქვა არ დაგორებულიყო და ცხვრისთვის ევნო. შედარებით მაღალმთიან ადგილზე - სერზე ბატკანი უნდა ჰყოლოდათ, სადაც ქოსა ბალახი იზრდებოდა. შუა ადგილზე მშრალი ცხვარი, ქვემოთ კი - ყოჩი, რომელიც ვაკიან და ნართით დაფარულ ადგილს ადვილად ეგუებოდა. მთაში, სადაც ცხვარი ეყენათ, აუცილებლად უნდა ყოფილიყო წყალი, ცხვარს დღეში ერთხელ მაინც სჭირდებოდა წყლის დაღევა. მეწველი ცხვარი სოფელში რჩებოდა. თავდაპირველად, როცა კოლმეურნეობები ჩამოყალიბდა, მარტიანისა და ყველდაბის ცხვარი ახლოურთ მთებში იწველებოდა. შემდეგ რამდენიმე კოლმეურნეობა გაერთიანდა დადიანეთის კოლმეურნეობაში და ცხვარს თოხთის მთებში წველიდნენ. სოფელში ჩამოყვანილი მეწველი ცხვარი სპეციალურად მომზადებულ ხის ბაკში ჰყავდათ, მოსაწველად ბერაში შეჰყავდათ. მთაში კი მეწველი ცხვარი ბაკის გარეშე თეოზე იდგა და მოსაწველად ქვის ბერას აგებდნენ. მთაში წველის დროს აგებდნენ საერთო ქოხებს, სადაც ინახავდნენ ხისგან დამზადებულ რძის კასრებს, ყველის ამოსაყვან ქვაბს და სხვა საჭირო საერთო ჭურჭელს. ცხვარს ნაბინავარს ყოველწლიურად უცვლიდნენ, მეორე წელს ნაბინავარს ხნავდნენ, გაპატივებული მიწა საუკეთესო მოსავალს იძლეოდა. გამშრალი ცხვარი ქნუხისა და სანგალის საგაზაფხულო იალაღებზე მიჰყავდათ.

ახალშექმნილ კოლმეურნეობას 3 მანქანა ემსახურებოდა, რომელთა მძღოლებიც იყვნენ: ვალიკო და გაგა ახლოურები, გოგლა მარტიანელი. კოლმეურნეობების შექმნის პირველ წლებში, როგორც ხორბალს, თაფლს, ისე ცხვრის ნაპარსს და ყველს, შრომა-დღეების მიხედვით ხალხს უნაწილებდნენ.

რაც შეეხება ცხვრის პარსვას, პარსავდნენ წელიწადში ორჯერ, გაზაფხულით კასპისპირეთში და შემოდგომით, ყიზლარში გამგზავრების წინ. საუკეთესოდ ითვლებოდა ბატკნის მატყლი, რომელიც საშუალოდ ერთ სულზე 2,600 კგ იწონდა. რაც უფრო უკეთესად იკვებებოდა ცხვარი, მეტ და უკეთესი ხარისხის მატყლს იძლეოდა (დ. ჯაფარიძე, მ. ცოტაძე, გვ. 10). შემოდგომის მატყლს იყენებდნენ წინდებისთვის და ტანსაცმლისთვის, გაზაფხულისას საბნებისა და ლეიბების შესაკერად, რადგან შედარებით გათელილი იყო და ლოგინიდან არ გამოდიოდა... „გაიპარსა თავჩობან დავით ახლოურის 1097 სულიანი ფარა, მიღებულია 1192 კილოგრამი მატყლი“ - ვკითხულობთ XX საუკუნის 70-იანი წლების ერთ ქართულ გაზეთში, რომელიც შემოდგომით დედა ცხვრის პარსვის ერთ ეპიზოდს ასახავს (ალ. პავლიაშვილი, გვ. 2). გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო თუშური ჯიშის ცხვრის მომრავლება. „ჩვენი ფარები მომავალში მთლიანად თუშური ჯიშის ცხვრით შეიცვლება. იგი ამტანიცაა, მატყლიც მეტი აქვს და ხორციცა, 2000 სული უკვე შეცვლის გზაზე. ეს გზა უტყუარი გზაა. შედეგი სახეზეა - წელს ერთი ყოჩის ნაპარსმა 3,500 კილოგრამი შეადგინა - აღნიშნავდა ჟურნალისტ გივი თედევეთან საუბრისას ქარჩოხის ხეობის თავკაცი გურამ ლოთიშვილი (გ. თედევე, გვ. 4): უნდა ითქვას, რომ თუშური ცხვარი ითვლებოდა მთელს მსოფლიოში საუკეთესოდ ხორცის გემოს მხრივ კარაჩაის ცხვართან ერთად. ოსმალეთის, ერაყის, სირიისა და სხვა ქვეყნების მაზრებზე თუშური ცხვრის ხორცი განსაკუთრებული მოთხოვნილებით სარგებლობდა, აზერბაიჯანული ე.წ. „ჯუშის ნოხები“ თუშური ცხვრის მატყლისაგან იქსოვებოდა (ვ. ქუმისიშვილი, გვ. 3). საქართველოში თუშური ცხვრის პოპულაციით ახალგორის რაიონი იყო გამორჩეული. ცნობილი სარქლის არსენ ქენქაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხვრისთანა პირუტყვი არ გაჩენილა დედამიწაზე, უწყინარი თვალებით რომ შემოგხედავს, მზად ხარ თავს შემოევილო, თუ ერთი წელი დაჰყავი მასთან, მერე ვეღარ მოსცილდები. ამაგის დაფასებაც იცის, ხორციც, მატყლიც. მიხედე და მოგხედავს“ (გ. თედევე, გვ. 4).

მთიულეთში ცხვრის მწყემსვას ბავშვები ადრეული ასაკიდან ეჩვეოდნენ. 12-13 წლის მოზარდს უკვე შეეძლო რამდენიმე ათეული ცხვრის საძოვარზე დამოუკიდებლად გაყვანა. სკოლის დამთავრების შემდეგ კი გამოცდილი მეცხვარეები, მეცხვარეთა დღესასწაულზე, ახალგაზრდებს მწყემსებად აკურთხებდნენ და გზას დაულოცავდნენ. დამწყები მეცხვარე გამოცდილისთვის უნდა ჩაებარებინათ, რომ მისგან ბევრი რამ ესწავლა. საშუალო სკოლებში ისწავლებოდა საწარმოო სწავლების სრული კურსი მეცხოველეობის სპეციალობით. მაგალითად, 1966 წელს თენგიზ ახლოურს დაუმთავრებია აღნიშნული კურსი და მიუნიჭებიათ მეცხოველის კვალიფიკაცია.

ახლოურთში თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა 20-30 სული ცხვარი, ჰყავდათ თხებიც, რომელთა გამოკვება მთის პირობებში უფრო ადვილი იყო.

რაც შეეხება მესაქონლეობას, შეიძლება ითქვას, რომ მეცხვარეობასთან შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული. თუმცა 2-3 მეწველი ძროხა ყველა ოჯახს ყავდა. არც კოლექტივიზაციის მკაცრი კანონები იძლეოდა კერძო საქონლის მომრავლების საშუალებას. ცხვრის, თხის, მსხვილფეხა საქონლის, ფრინველის ყოლისთვის გარკვეული გადასახადები უნდა გაეღოთ. ახლოურებს მსხვილფეხა საქონელი ზამთარშიც და ზაფხულშიც სახლში ყავდათ. დილით იქვე მთებში გააბრუნებდნენ და საღამოს ნახირი თვითონვე ბრუნდებოდა შინ. დედალ საქონელს სამი წლის ასაკში დეკეულს უწოდებდნენ, ოთხი წლის იგებდა ხბოს, რომელიც აუცილებლად უნდა შეეწირათ ლომისის სალოცავისთვის.



ახლოურები ზამთარში საქონლის გამოსაკვებად თიბავდნენ შანშიურებს (ყველდაბაში), წულიათი ქედს. ფიწილეთის, ქოძიეთის, ცოდინ და გიგოს მთებს, ყველაზე კარგი თივა ფიწილეთში „იცოდა“, მას ხბორებისა და ბატკნებისთვის იყენებდნენ. სათიბში მამაკაცებს ნაბდები მიჰქონდათ და რამდენიმე დღე რჩებოდნენ. რთული იყო მთებიდან თივის მთაში გადატანის პროცესი. დამრეცი გზის გამო მარხილს ვერ გამოიყენებდნენ, გადაუბრუნდებოდათ, ამიტომ სახელდახელოდ ამზადებდნენ ლაჩქიმს, ხის ფიცარს, შუაში გაყრილი ლატნებით, მასზე დებდნენ თივას და მოჰქონდათ ხარების საშუალებით. ახლოურები მეზობელი სოფლების მთებში 100-ზე მეტ თივას თიბავდნენ საქონლის გამოსაკვებად. საქონლის ზამთრის სადგომი ბოსელი იყო, რომელიც საცხოვრებელი სახლის კომპლექსში შედიოდა, სახლის პირველ სართულს წარმოადგენდა ან გვერდით იყო აგებული. ზოგ შემთხვევაში პირველი სართული ბოსელს ეკავა, მეორე - დახურულ კალოს, სადაც თივას ინახავდნენ.

მეცხვარეობის, მეთხეობის, მესაქონლეობის გარდა ახლოურთკარში მეტ-ნაკლებად, მეცხოველეობის სხვა დარგებიც იყო განვითარებული. სატრანსპორტო საშუალებად იყენებდნენ ცხენს, რადგან მთის ზოლში ტრანსპორტით გადაადგილება შეუძლებელი იყო. ზამთრისთვის ზრდიდნენ ღორს, ფრინველებიდან ჰყავდათ ქათამი, ინდაური, ბატი და იხვი. მეფუტკრეობას მისდევდა ვალიკო ახლოურის ოჯახი, რომელსაც სოფელში 10-15 სკა ფუტკარი ჰყავდა. ვალიკო კარგი მონადირეც იყო, ხოცავდა ტყის ქათამებს, კურდღლებს, მტრედებს და ხშირად იწვევდა ნანადირევზე თანასოფლელებს. ქალები ზამთრისთვის ქსოვდნენ წინდებს, ქუდებს, შარვლებს, ჯემპრებს და სხვა. თაფლო ქისიევი შეღებილი მატყლისგან ქსოვდა ფერად ფარდაგებს ახლობლებისთვის. ლადო ახლოური თანასოფლელების ცხენებისთვის ამზადებდა უნაგირებს... ახლოურები რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ცნობილი მეცხვარეები იყვნენ. ამაზე მეტყველებს ქართული ფილმი „თეთრი ქარავანი“.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში ახლოურთკარიდან მოსახლეობის მიგრაციის შემდეგ, ქსნის ხეობის შედარებით ბარის ზოლში ჩამოსახლებული და ქართლის სოფლებში დამკვიდრებული ახლოურები კვლავ აგრძელებდნენ მამა-პაპისეულ ტრადიციას, ათეულობით მსხვილფეხა საქონელი და ასეულობით ცხვარი ჰყავდათ ლექსო, დავით, არსენა, თენგიზ ახლოურებს (ახალგორის რაიონი), გიორგი და თემურ ახლოურებს (კასპის რაიონი).

რუსეთის მიერ ახალგორის ოკუპაციის შემდეგ, ახლოურები იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ მშობლიური ხეობა და საქართველოს სხვადასხვა მხარეს გადასახლებულიყვნენ. ცხადია, მათ ცხვრისა და საქონლის გაყიდვა და ახალი ცხოვრების დაწყება მოუწიათ.

ღარიბი იყო ქსნის ხეობა - წერს მ. ჩოხელი, - მოსულა ცხვარი და ლომისაზე, ცხრამითის მთაზე, სამებასა და ზებეყურაზე თავისი ნაწველ-ნაპარს-ნამატი, თავისი ტყავი და ხორცი, თავისი ნაგრამი ჩამოურიგებია, გამრავლებულა და ქსნის ხეობელ კაცსაც სიმძიმელი გადაჰყრია იმ დღით გულიდან“ (მ. ჩოხელი, გვ. 4)... დღეს ისევ ღარიბია ქსნის ხეობა, მოსახლეობისაგან და ცხვარ-მეცხვარისგან დაცლილი, დღეს უფრო მეტი სიმძიმელი აწევთ გულზე წინაპრისეულ კერას და საქმეს მოწყვეტილ მთიელებს. „ცარიელი მთა მარტო ლამაზია, მაგრამ ცხვრით ღონიერიც არის და მდიდარიც“ - უთქვამს დადიანელ მეცხვარეს სიმონ ბერიანიძეს (მ. დადიანი, გვ. 4).

დღეს, სოფელ ახლოურთკარში ახლოურების საფლავებზე გამოსახული ცხვრის ფარები და მეცხვარის კომბალიდა თუ გვაუწყებს, რომ იქ, ოდესღაც სიცოცხლე ჩქეფდა.

### ლიტერატურა:

1. ახლოური დ., მიწათმოქმედება და მასთან დაკავშირებული შრომითი ორგანიზაციის ფორმები სოფელ ახლოურთკარში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 2015.
2. ახლოური დ., სოფელი მიდელაანი, თბ., 2006.
3. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, 1973.
4. ბერიანიძე ნ., შრომა, სიმართლე, სინდისი. თბ., 2014.
5. დადიანი მ., გზა ხსნილო, ფარა მრავალო, „ლენინელი“, №851 (4206), 17 ივლისი, 1982.
6. თედევი გ., ფეხადგმული განძი, „საბჭოთა ოსეთი“, №210 (11725), 26 ოქტომბერი, 1977.
7. თინიკაშვილი ა., მუხლმაგარი და მადლიანი კაცის საგალობელი, „ლენინელი“, №85, 1982.
8. „ივერია“, №197, 1890.
9. ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრება, თბ., 1974.
10. „ლენინელი“, №57, 9 მაისი, 1980.
11. მაკალათია მ., მეცხოველეობა, წიგნში ქსნის ხეობა, თბ., 1975.
12. მაკალათია ს., მთიულეთი, თბ., 1930.
13. პავლიაშვილი ალ., მეცხოველეობა ქსნის ხეობაში, 1978.
14. პავლიაშვილი ალ., დადიანელთა თეთრი რთველი, „საბჭოთა ოსეთი“, №192, 1978.

15. საქართველოს სიმკვლენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. III, 1910.
16. სტრაბონის „გეოგრაფია“ (ცნობები საქართველოს შესახებ), 1957.
17. ქათამაძე დ., ცოტაძე მ., მეცხვარის ცნობარი, 1974.
18. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970.
19. ქუმსიშვილი ვ., მატყლმცოდნეობა, თბ., 1961.
20. ჩიტიშვილი მ., თავჩოხანი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 17 თებერვალი, 1978.
21. ჩოხელი მ., სამწყსოს სიმრავლით, „ლენინელი“, №85 (4206), 1982.
22. ცოტნიაშვილი ვ., სტუმრად მეცხვარეებთან, წიგნში „სოფლის ცნობილი ადამიანები“, 1972.

## FROM THE HISTORY (ANIMAL BREEDING) OF ECONOMIC LIFE OF THE VILLAGE

AKHLOURTKARI

Davit Akhlouri, Gori State Teaching University, Associate Professor

### RESUME


The scientific work describes economic life's leading field of animal breeding of the population in the mountainous rural Akhlourtvari. Animal breeding and cattle is compared to the ratio of the different historical periods. Analyzed the role of livestock for the mountain population life. We are talking about the famous shepherd, their successes, achievements, charity and social activities. Showing the life of a shepherd in the winter on the Noghaeti valleys, as well as on the Ksani and Liakhvi summer meadows. Characterized all sectors of livestock in Akhlourtvari: cattle breeding, shepherding, poultry farming, pig breeding, horse breeding and beekeeping. Finally the focus of Russia's occupation of the Akhgori district, which resulted in the Ksani ravine living population became refugees in different parts and forced to cede their ancestral activity and start a new life...

## გვიანელინისტური ხანის კოლხი მეომრების გამოსახულება

**ნოდარ ბერულავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**

ონის რ-ნის სოფ. გომში ნაპოვნი ვერცხლის სასმისი, რომელიც, მკვლევართა აზრით, გვიანელინისტური და გვიანანტიკური ხანების მიჯნაზეა შექმნილი (ანუ, სავარაუდოდ, ძვ. წ. I საუკუნეს მიეკუთვნება), დღეს ინახება ქ. ქუთაისის სახ. მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში<sup>1</sup>.

სასმისზე გამოსახულია საბრძოლო სცენა აშკარად ელიტარული, აბჯარასხმული მებრძოლების მონაწილეობით. ამ გამოსახულებაზე დაყრდნობით შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება ხსენებული პერიოდის კოლხეთის საომარ ელიტაზე, მის შეიარაღებასა და ნაწილობრივად – ბრძოლის წესებზეც კი. მასზე გამოსახულია ორი მებრძოლი წყვილი. ორივე შემთხვევაში მარცხენა მხარეზე მდგარი, სრული დამცავი აღჭურვილობით (ჯავშანი, მუზარადი, ფარი) მყოფი მებრძოლები (ანუ, მარცხნიდან პირველი და მესამე ფიგურა) უპირისპირდებიან შესაბამისად, მშვილდოსანსა და ფარის არმქონე, თუმცა აბჯარასხმულ შუბოსანს. ფარით აღჭურვილი ორი ფიგურა ძალიან ჰგავს ერთმანეთს და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ ერთი პიროვნების ორი ორთაბრძოლაა გამოსახული. თუმცა მათ შორის გარკვეული განსხვავებაც არსებობს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.



საინტერესოა, რომ მარჯვნიდან პირველი მებრძოლი არამარტო ფარის გარეშე, მარტო შუბით გამოსვლას ბედავს ფარ-მახვილით აღჭურვილი მეტოქის წინააღმდეგ, არამედ ამ შუბით საკმაოდ რთული საფარიკაო ილეთის ჩატარებასაც ცდილობს. როგორც ჩანს, ის ატრიალებს

<sup>1</sup> გ. გამყრელიძე. ვერსია ბრძოლის სიუჟეტური ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ. გომთან, აკვ-ს მიეხიანი, #10. თბ., 2002, გვ.39-40

მას, რაზეც შუბის არასტანდარტული დაჭერა მეტყველებს. შუბით ფარიკაობა (და არამარტო ჩხვლეტა) - სერიოზული საბრძოლო ხელოვნებაა, რომელიც ყველა საბრძოლო კულტურაში როდი გვხვდება! ამ დროს მარცხნიდან პირველი (ფარ-შუბით აღჭურვილი ფიგურა) უფრო „კლასიკურ“ პოზაში დგას – ფართო იცავს თავს, ხოლო მარჯვენა ხელით აღმართული აქვს შუბი, რომელსაც ქვემოდან იჭერს. იმის გათვალისწინებით, რომ მისი მოწინააღმდეგე მშვილდით, ანუ შორიდან მოქმედი იარაღითაა აღჭურვილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ შუბს ამ შემთხვევაში იგი სატყორცნად იყენებს.

მისი მსგავსი, მარცხნიდან მესამე ფიგურა კი შეიარაღებულია ანალოგიური ფორმის ფართითა და სატევრით (თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არა სატევარია, არამედ მოკლე მახვილი). ანტიკურ ხანაში მახვილით ბრძოლის რამდენიმე ძირითადი სტილი არსებობდა, რომლებსაც შეესაბამებოდა ამ იარაღის გარკვეული ფორმები. მათგან ერთ-ერთი (და უძველესი) ჩვეულებრივ რომაელებთან ასოცირდება ხოლმე, რომლებმაც, მართალია, მისი შემქმნელები არ იყვნენ, მაგრამ სრულ დახვეწამდე მიიყვანეს იგი. მას ძირითადად ზუსტი, შეძლებისდაგვარად მოკლე და სწრაფი მხვლეტავი მოძრაობები ახასიათებდა, ხოლო მჩხვავი დარტყმები თამაშობდა მხოლოდ მეორეხარისხოვან, დამატებით როლს. მტრის საპასუხო დარტყმების მოგერიების მთავარ საშუალებას კი ამ დროს ფართო ფარი წარმოადგენდა, რომლის დიდი მნიშვნელობა ამდაგვარი ფარიკაობის დროს იმითაც იყო განპირობებული, რომ მოწინააღმდეგე უშუალოდ დარტყმამდე ვერ ხედავდა მახვილით შეიარაღებულ ხელს და შესაბამისად, დარტყმის მიმართულების განსაზღვრაც უჭირდა. ბუნებრივია, ამ სტილს პირველ რიგში სკვითური „აკინაკის“, ან რომაული „გლადიუსის“ მსგავსი, წაწვეტებულპირიანი მახვილები და სატევრები შეესაბამებოდა (თუმცა ბერძნები, მაგალითად, მაკედონელი ჰიპასპისტები, ამ მიზნისთვის ზოგჯერ მორკალულ, ცალპირა მახვილებსაც იყენებდნენ), რომლებიც კოლხეთში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება აღნიშნული ბრძოლის სტილის კარგ ილუსტრაციას გომის სასმისზე გამოსახული, მარჯვნიდან მეორე ფიგურაც წარმოადგენს, რომელიც სწორედ ასეთი ფორმის მოკლე მახვილით, ან სატევრითაა შეიარაღებული. მართალია, ასეთი ფარიკაობის დროს, როგორც წესი, უფრო დიდ ფარს იყენებდნენ, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ აქ გამოსახული ნივთების რეალურ ზომებზე მსჯელობა სარისკოა, გამოსახულების ხარისხიდან გამომდინარე. ორთაბრძოლის დროს, თუკი ამისთვის საკმაოდ ფართო ასპარეზი არსებობდა და მოწინააღმდეგეებს თავისუფალი მანევრირების საშუალება ჰქონდათ, ფარიკაობის ეს სტილი ხშირად საკმაოდ საინტერესო სანახაობაში გადადიოდა: მებრძოლები „ცეკვავდნენ“ ერთმანეთის ირგვლივ და ცდილობდნენ თავიანთი, როგორც წესი, არცთუ გრძელი მახვილებით დიდი ფართი დაცული მტრის მიწვდომას (როგორც ეს საკმაოდ ზუსტად ნაჩვენებია, მაგალითად, ყველასთვის ცნობილ ფილმში „ტროა“). თუმცა ასეთი ტაქტიკა ხსენებული საფარიკაო სტილისათვის ერთადერთი დამახასიათებელი როდი იყო. კერძოდ, მწყობრად ბრძოლის დროს, როცა ინდივიდუალური მანევრირების საშუალება არ არსებობდა, ან სიტუაცია სიფრთხილეს მოითხოვდა (მაგალითად, მტერი იყო უფრო სწრაფი, ან უკეთ შეიარაღებული), მაშინ უფრო მიზანშეწონილი იყო იმ ტაქტიკის არჩევა, რომელსაც, როგორც ჩანს, აქ გამოსახული მარჯვნიდან მეორე მეომარი იყენებს, რომელიც დგას კლასიკურ რომაულ პოზაში – მარჯვენა ფეხს ეყრდნობა, ხოლო მეორე ფეხი და მარცხენა ხელით დაჭერილი ფარი წინ მიმართული აქვს. ის, როგორც ჩანს, ზედმეტი მოძრაობებისგან თავს იკავებს, ერთ ადგილზე დგას, გაცილებით გრძელი იარაღით აღჭურვილ მოწინააღმდეგეს უკვირდება და ელოდება გადამწყვეტი დარტყმის განხორციელებისთვის ხელსაყრელ მომენტს. მისი მეტოქე, შუბით შეიარაღებული მებრძოლი კი ასევე ეძებს მომენტს დარტყმისთვის და ტრიალებს მის ირგვლივ.

ასევე, აღნიშნულ სასმისზე გამოსახულია ორიგინალური კოლხური ჩაფხუტები, რომელთა პირდაპირი ანალოგიები დღეს უცნობია. თავისი ფორმით ისინი გარკვეულ მსგავსებას ავლენენ უძველეს ე. წ. „ყუბანის ტიპის“ მუზარადებთან, რომლებიც ადრეანტიკური ხანიდან გავრცელებული იყო როგორც კოლხეთისაგან ჩრდილოეთით, ასევე სამხრეთითაც – აქემენიდურ სპარსეთში<sup>1</sup>

შესაბამისად, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ფორმები კოლხეთისათვის უცხო დარჩა. სასმისზე გამოსახული მუზარადების გუმბათებსაც ნახევარსფერული ფორმა აქვს, რაც ასევე „ყუბანის“ ჩაფხუტებს ახასიათებს. სამკუთხა სალოყეები ვიწროვდება უკანა მიმართულებით და შესაძლოა, დაბალ კეფასარიდში გადადიოდეს, თუმცა არაა გამორიცხული, რომ კეფაზე ყუბანური ჩაფხუტებისათვის დამახასიათებელი სწორკუთხა ამონაჭერი იყოს. განსხვავებულია მხოლოდ ერთი ფიგურის (მშვილდოსნის) ჩაფხუტი, რომელსაც არც კეფისა და არც ლოყის საფარები არ გააჩნია, თუმცა ისიც, როგორც ჩანს, ამავე ტიპის ჩაფხუტების შემსუბუქებულ მოდიფიკაციას წარმოადგენს.

ამავე დროს, აქ გამოსახული ჩაფხუტები მნიშვნელოვნად განსხვავდება კლასიკური ყუბანური ნამუშევრებისაგან. მათ სპეციფიკას, კერძოდ, ირიბი შტრიხებით თითქმის მთლიანად დაფარული

<sup>1</sup> Ю.Воронов Вооружение древнеабхазских племен в VI-Ивв. до н. э.//Скифский мир. Киев, 1975, с. 218

ზედაპირი წარმოადგენს (მაშინ როცა ყუბანურ ჩაფხუტებს ლითონის ერთი ნაჭრისაგან ჭედდნენ ხოლმე). ძნელი სათქმელია, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს. ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს არაერთი მითითების თანახმად, ქართველურ ტომებში მაშინ საკმაოდ გავრცელებული იყო ტყავის ქამრებისგან (ან, შესაძლებელია, ტყავისა და დრეკადი ლითონის ზოლებისგან) დაწნული მცირეაზიული („პათლაგონური“) ჩაფხუტები<sup>1</sup>. შესაძლოა, აქაც მსგავსი ტიპის ჩაფხუტის გამოსახულებასთან გვეკონტაქტავს, თუმცა კლასიკური პათლაგონური ჩაფხუტი უფრო მაღალი, წაწვეტილი ფორმის იყო. ამავე დროს, სასმისზე გამოსახული მუზარადები მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ლითონისგანაა გაკეთებული. კერძოდ, აშკარად ლითონის დეტალს შუბის სალტეები წარმოადგენს, რომლებიც ჩაფხუტის გუმბათებსა და სალოყებს ჰყოფს. ამ ჩაფხუტების სპეციფიკას, ასევე, ცხვირსარიდები წარმოადგენს. ერთ შემთხვევაში (მარჯვენა ფიგურაზე) ეს ცხვირსარიდი რუდიმენტულია, როგორც „ყუბანურ“ ჩაფხუტებზეც იყო, თუმცა დანარჩენ სამ ფიგურაზე ის დიდი და მთლიანად იცავს ცხვირს. აღნიშნულ შემთხვევაში საქმე უდავოდ კოლხური სპეციფიკური ჩაფხუტების გამოსახულებასთან გვაქვს, თუმცა მათი ზუსტი კლასიფიკაციასა და ტიპოლოგიზაციისათვის სხვა, უკეთესი ხარისხის გამოსახულებები, ან ნივთიერი აღმოჩენებია საჭირო. გომის სასმისზე კოლხური ფარების ორიგინალური ფორმაცაა გამოსახული. ფაქტობრივად იდენტური ფორმის ორი ფარი, როგორც ჩანს, ვერტიკალურად დაყენებული ხის წნელებისგან, ან, უფრო სავარაუდოდ - საკმაოდ მასიური ფიცრებისგანაა შედგენილი და გამაგრებულია მის ზედაპირზე მიჭედებული რკინის ზოლებით.

ამრიგად, ეს საკმაოდ მძიმე ფარები უნდა ყოფილიყო. მაგრამ ყველაზე საინტერესოა მათი ფორმა: ისინი სწორკუთხა, ან, შესაძლოა - კლასიკური რომაული ფარის მსგავსი ნახევრადცილინდრული ფორმისაა, თუმცა მთავარ ინტერესს მათ ზედა, მარჯვენა კუთხეში არსებული რკალისებური ამონაჭერი იწვევს. მსგავსი ამონაჭერები ფეოდალური ეპოქის რაინდულ ფარებში შუბებისთვის კეთდებოდა, თუმცა ანტიკურ ხანაში, უზანგის გაჩენამდე ბევრად ადრე, კავალერიულ ბრძოლაში შუბის გამოყენება იმის მსგავსად, როგორც ამას შუა საუკუნეების რაინდები აკეთებდნენ, ნაკლებსავარაუდოა. უფრო რეალურია ვივარაუდოთ, რომ ეს ამონაჭერი მტერზე უკეთესი დაკვირვებისთვის გამოიყენებოდა, როცა მეზობელი იცავდა ამ ფარით სახის არეს. ასევე შესაძლებელია, რომ ამონაჭერი ქვეით ბრძოლაში მძიმე შუბით მოქმედებისთვისაა განკუთვნილი, მათ შორის მჭიდრო მწყობრის პირობებშიც (ჰოპლიტური~ წესით). ანუ, ჩვენ წინაშეა ჰოპლიტური ფარის კოლხური შესატყვისი, თუმცა ბერძნული დიდი ფარისგან განსხვავებით, რომელიც მჭიდრო საქვეითო მწყობრში ნაწილობრივ გვერდზე მდგომი თანამებრძოლის დასაცავადც გათვალისწინებული იყო, კოლხური ფარი მხოლოდ ინდივიდუალურ დამცავ საშუალებას წარმოადგენდა. ადრე და შუაანტიკური კოლხეთის არქეოლოგიურ მასალებში ფიქსირებულია რამდენიმე ჯავშნის აღმოჩენა და ყველა ისინი ერთ და იგივე ტიპს - კერეჭასხოვან, ანუ „ქერცლიან“ ჯავშანს მიეკუთვნება, რომელზეც ლითონის ან ძვლის ფირფიტები (კერეჭები), თევზის ქერცლის მსგავსად, ნაწილობრივ ფარავდა ერთმანეთს ზემოდან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - ერთ-ერთი მხრიდანაც. გომის სასმისზე გამოსახული სცენა ამ ასპექტშიც განსხვავებულ, დაკვირვებისთვის საკმაოდ საინტერესო მასალას გვაძლევს. აქ გამოსახული ოთხი ფიგურიდან სამი აშკარად აბჯარასხმულია. მიუხედავად იმისა, რომ ამ აბჯრების კლასიფიკაცია, გამოსახულების ხარისხიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს სწორედ ჯავშნებია, და არა უბრალო ტანისამოსი. სამივე აბჯარი ერთი და იმავე ტიპისაა, მთელ სიგრძეზე დაფარული გასწრივი, ხოლო სახელოებზე - განივი პარალელური ზოლებით. ზემოთ უკვე ითქვა გომის სასმისზე გამოსახული მარცხნიდან პირველი და მესამე ფიგურების მსგავსებაზე. თუმცა სრული იდენტურობა მათ შორის არ არის: პირველ ფიგურას (გარდა იმისა, რომ მას განსხვავებული, მთლიანად თეთრი შარვალი აცვია), დამატებითი სამკერდე გააჩნია. სავარაუდოდ, ეს ლითონის მთლიანი კირასა უნდა იყოს, რომელზეც რაღაც გამოსახულება, ან ჩუქურთმებია ამოკვერილი.

ტიპოლოგიურად მსგავსი სპილენძის კირასები ანტიკურ საბერძნეთში იყო გავრცელებული, ხოლო გვიანანტიკურ ეპოქაში მოვერცხლილი სპილენძის მთლიანი ფურცლისგან ნაჭედი საზეიმო სამკერდეები რომაელი სარდლების კუთვნილებას წარმოადგენდა.

გომის სასმისზე გამოსახული აბჯრების ყველაზე მოულოდნელ დეტალს გრძელი სახელოები წარმოადგენს, რაც ანტიკური ხანის აბჯრებისთვის არ იყო დამახასიათებელი, სანამ ელინისტური და გვიანანტიკური ხანის მიჯნაზე (ანუ, დაახლოებით ამ სასმისის შექმნის ეპოქაში) კატაფრაქტარიების კავალერია არ გაჩნდა. გომის სასმისზე გამოსახული მეომრები, მამასადამე, სამხედრო ელიტას მიეკუთვნებიან. ისინი ან ჰოპლიტების ადგილობრივ ანალოგს წარმოადგენენ, ანდა მძიმე მხედრები - უნივერსალური პროფესიონალები არიან, რომლებსაც ქვეითადაც ბრძოლა ეხერხებოდათ. მეორე ვერსიის

<sup>1</sup> М. Горелик. Защитное вооружение персов и мидян ахеменидского времени. Вестник Древней Истории, 1982, №3

სასარგებლოდ მათი მეტად მძიმე ჯავშნები მეტყველებს, ხოლო პირველის - მოკლე მახვილი და მსუბუქი შუბები.

მეოთხე ფიგურასაც, (მშვილდოსანს) ასევე, როგორც ჩანს, ჩაფხუტთან ერთად, რბილი მასალებისგან გაკეთებული აბჯარი გააჩნია, რის გამოც ის, თავისი მწირი შეიარაღების მიუხედავად, არა მსუბუქ, არამედ „საშუალო“ ქვეითად უნდა მივიჩნიოთ, რადგან „საშუალო ქვეითებად“ მკვლევარები, ანტიკურ ხანასთან მიმართებაში სწორედ რბილი აბჯრით დაცულ მეომრებს მიიჩნევენ<sup>1</sup>. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მეზრძოლიც, თუმცა ჯარის ნაკლებპრესტიჟულ სახეობას (მშვილდოსნებს) მიეკუთვნება, უბრალო მელაშქრე არ უნდა იყოს. ანუ, კოლხეთში მეთრეფა გარკვეულ კონტინგენტებს პროფესიონალ მეომართა რაზმებიც შეიცავდა.

ხელ-ფეხის დამცავი აღჭურვილობა საკმაოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენდა ანტიკურ სამყაროში. ეს პირველ რიგში ხელის დამცავ მოწყობილობებს ეხება. თუმცა ძვ. წ. V ს-დან სპარსეთის მძიმე მხედრობაში, რომელიც ფარებს ფაქტობრივად არ ხმარობდა, მარცხენა ხელის დასაცავი სპეციალური აღჭურვილობა ჩნდება. შემდეგ ის ელინისტურ არმიებშიც ვრცელდება. მკვლევართა აზრით, ის ერთმანეთს მიბმული (ნაწილობრივ, შესაძლოა - ერთმანეთში შეტენილი) ლითონის, ან მტკიცე ტყავის სალტეებისაგან შედგენილ დრეკად მიღს წარმოადგენდა<sup>2</sup>. მსგავსი აგებულება გომის სასამისზე გამოსახული აბჯრების მკლავებსაც შეიძლება ჰქონდეს, თუმცა აშკარად ჩანს, რომ ისინი აბჯრის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, და არა მის მხარს მიბმულ დამატებით დეტალს. გარეგნულად მსგავსი სახელოები, ასევე, ახ. წ. პირველ საუკუნეებში ზოგჯერ პართიელ კატაფრაქტარიებსა და რომის მძიმე აღჭურვილ გლადიატორებს - „მირმილონებს“ ჰქონდათ. ეს უკანასკნელები ამით სწორედ თავის მარჯვენა ხელს იცავდნენ, რომელშიც მახვილი ეჭირათ<sup>3</sup>. აქედან გამომდინარე, მსგავსი ტიპის ხელის ჯავშანი საკმაოდ მოხერხებული უნდა ყოფილიყო და ფარვაობას ხელს არ უშლიდა. როგორც ჩანს, სალტეები, რომლებისგანაც ის შედგებოდა, მთლიანი არ იყო, არამედ ხელის შიდა მხარეზე მათ ამონაჭრები ჰქონდათ.

გაცილებით ხშირია ანტიკურ წერილობით და სახვით წყაროებში ფეხის აბჯრების, ანუ ბერძნულად - „კნემიდების“ ხსენება. კოლხეთში დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე ბერძნული (ან ბერძნულის იდენტური) ანატომიური აგებულების სპილენძის „კნემიდა“ ნაპოვნია. გომის სასამისზე გამოსახულ მეომრებს, მათი კარგი აღჭურვილობის მიუხედავად, ფეხები დაუცველი აქვთ. თუმცა მარჯვნიდან მეორე ფიგურის (ფართია და მახვილით, ან სატევრით აღჭურვილი მეზრძოლის) ფეხებზე ირიბი ხაზებია გამოსახული, თითქოსდა დახვეულია რაღაც ნაჭრები. ძნელი სათქმელია, თუ რა არის ეს - დამცავი საშუალება, თუ ჩვეულებრივი ტანისამოსის დეტალი. იქედან გამომდინარე, რომ აქ გამოსახულ მეზრძოლებს საკმაოდ მოკლე ფარები აქვთ, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მათ რაღაც ფორმით ფეხის დაცვაზეც უნდა ეზრუნათ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გვიანელინისტური ხანის კოლხთა ჯარში მაშინდელ მეომართა სამივე ძირითადი სახეობა არსებობდა: მძიმედშეიარაღებული, საშუალო, და, როგორც ნებისმიერ მაშინდელ ჯარში - მსუბუქი (უაბჯრო) მელაშქრეები. ასევე აღსანიშნავია, რომ გომის სასამისზე გამოსახული დამცავი აღჭურვილობა მეტად სპეციფიკური ჩანს. ის მნიშვნელოვნად განსხვავდება კოლხეთში დღემდე ნაპოვნი არტეფაქტებისაგან და საერთოდ, პირდაპირ ანალოგიებს არსად პოულობს.

### ლიტერატურა:

1. გ. გამყრელიძე, მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, თბ., 2005.
2. Ю. Воронов, Вооружение древнеабхазских племен в VI-I вв. до н. э. // Скифский мир. Киев, 1975, с. 218-234.
3. Геродот. История. «Историки античности». т. 1, (Древняя Греция). М., 1989.
4. М. Горелик. Защитное вооружение персов и мидян ахеменидского времени. Вестник Древней Истории, 1982, №3.
5. Ксенофонт. Анабасис. «Историки Греции». М., 1976.

<sup>1</sup> Геродот. История. «Историки античности». т. 1, (Древняя Греция). М., 1989, გვ.147; Ксенофонт. Анабасис. «Историки Греции». М., 1976, გვ. 322, 325

<sup>2</sup> М. Горелик. Защитное вооружение... , გვ. 104

<sup>3</sup> იბ. გ. გამყრელიძე, მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი. ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. თბ., 2005, გვ. 185, სურ. 2

# IMAGES OF KOLKHETIAN WARRIORS IN THE LATE HELLENISTIC AGE

Nodar Berulava, Sokhumi State University, Associate Professor

## RESUME

The bowl that was found near Gomi, supposedly belongs to the I century B.C. There are figured two war scenes. Hardly equipped two warriors fight with each other. According to this figured we can infer about Antique warriors of Kolchida.

### სინდისგომის უცნობი ეკლესია არტანში (ტაო-კლარჯეთი) (წინასწარი მონაცემები)

ანა გელაშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, ხელოვნებათმცოდნე

#### ძეგლის მიკვლევის ისტორია

2014 წელს ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, თანამედროვე არდაჰანის რაიონში (Ardahan Merkez İlçe), ისტორიულ არტანში, სოფელ იალნისზამთან (Yalnızçam), რომელსაც ისტორიულ წყაროებში სინდიგომი ეწოდება, აღმოჩნდა აქამდე უცნობი დიდი ეკლესია, რომელსაც სახელწოდებაც სოფლის სახელიდან გამომდინარე ეწოდა.

ძეგლი მიკვლეულ იქნა არტანის რეგიონში მიმდინარე ექსპედიციისას 2014 წლის აგვისტოში.<sup>1</sup> აღნიშნული ექსპედიციები მიმდინარეობს პროექტის - **თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების ტაო-კლარჯეთისა და კოლა არტანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგის** ფარგლებში, რომელსაც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი აფინანსებს. პროექტი სამწლიანია და მიზნად ისახავს ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლების სრულად შესწავლას, რის შემდეგაც იგეგმება სამტომეული ბეჭდური და ელექტრონული კატალოგის გამოცემა 2017 წელს. პროექტი მიმდინარეობს **კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მონაწილეობით.

2014 წლის დასაწყისიდან საექსპედიციო სამუშაოებისათვის შესწავლილ იქნა ქართული და უცხოური წერილობითი, კარტოგრაფიული და სხვა წყაროები, მათ შორის ინტერნეტმასალა, რომლებიც ეხებოდა თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ ქართულ მხარეებს - არტანს, ერუშეთს, კოლას, პალაკაციოს, ფოსოს, ჯავახეთისა და სამცხის ნაწილს. ეს მხარეები ამჟამად არდაჰანისა და ყარსის პროვინციებში მდებარეობს.

2014 წელს განხორციელებული ცხრა ექსპედიციის შედეგად შესწავლილ იქნა ამ პროვინციებში მდებარე 314 სოფელი, ნასოფლარი და მათი მიდამოები, ასევე 190-მდე კარტოგრაფიული (ბეჭდვითი და ელექტრონული) მონაცემი, სადაც მინიშნებული იყო ნანგრევები (разв.; P.II.; P.Kp.). დაზუსტდა იმ ძეგლების თანამედროვე მდგომარეობა, რომლებიც ცნობილი იყო წერილობითი წყაროებიდან. გადამოწმდა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მითითებული ცალკეული ძეგლები, რომლებიც არ იყო მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.<sup>2</sup>

საექსპედიციო ჯგუფის წევრები არიან: თეიმურაზ ხუციშვილი (ხელმძღვანელი), ლევან წიქარიშვილი, ანა გელაშვილი, ბებურ გოზალიშვილი, შალვა კოლუაშვილი, ანა იმედაშვილი, დავით გაჩეჩილაძე.

საკვლევი სამუშაოს კონსულტანტები არიან: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **დიმიტრი თუმანიშვილი**; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კახა შენგელია**; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ ჯოჯუა**; გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დავით მაისურაძე**;

<sup>1</sup> ძეგლის შესახებ პირველადი მონაცემები გამოქვეყნდა გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (იხ, ბმული: <http://www.kvirispalitra.ge/public/22847-unikaluri-aghmochena.html>)

<sup>2</sup> აღნიშნული 9 ექსპედიციის ანგარიშები გამოიცა - „ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშების“ სახით. (ა.გ.)

## მეგლის აღწერა

სინდისგომის ტაძარი. სოფელ სინდისგომიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2.5 კმ-ზე მდებარე ბორცვზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირთან, საგანგებოდ მოსწორებულ ბაქანზე, დგას ნახევრად დაზიანებული ეკლესია (41°5'3.21"N; 42°31'3.25"E.). ესაა დიდი, ნახევრად დანგრეული ნაგებობა (18×20მ), რომელსაც მიწისქვეშა სართულიც აქვს. ტაძრის ჩამონგრეული მასა მის შიდა არეს ავსებს. მოზრდილ, მთავარ, აფსიდიან სადგომს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან თითო მომცრო, ასევე აფსიდიანი სადგომი ახლავს, რომელთა გამოგრძელებაზე სამხრეთი გარშემოსავლეელია მოწყობილი. აფსიდის გვერდებზე, კედლის სისქეში პაწია სწორკუთხა ოთახები არის გამართული. საკურთხევლის აფსიდი ღრმა ნახევარწრეს წარმოადგენს, რომლის ჩრდილოეთი კედელი სამხრეთთან შედარებით უკეთაა შემორჩენილი, თუმცა შემოცლილი აქვს მოპირკეთების ქვები, მხოლოდ კედლის ქვედა მხარეს, მიწის დონეზე მიუყვება ერთი რიგი და ისიც ადგილ-ადგილ დაზიანებული. გვერდითა სადგომების აფსიდები ნახევრად დანგრეულია, კედლები დარჩენილია მიწის დონიდან დაახლოებით 0,5 მ-ზე, ორივე სადგომის საკურთხევლის მხარეს კედლებში მცირე ნიშებია. გარშემოსავლელის გარეთა კედელი დანგრეულია. ტაძრის კედლები აღმოსავლეთით უფრო დანგრეულია, ვიდრე დასავლეთით. ტაძრის მთავარი სივრცე გარშემოსავლელს უკავშირდებოდა სამი კართი. გვერდითა ოთახების ქვეშ მოწყობილია კამაროვანი ოთახები (სამხრეთი ოთახის გადახურვა ჩაქცეულია, ხოლო ჩრდილოეთისა კარგადაა შენარჩუნებული, ზომებია 5,0×2,5 მ). ორივე შესასვლელი კარი ნახევრად დაფარულია მიწის მასით, ეს მცირე სადგომები ალბათ სამვალეს წარმოადგენდა (სიგრძე 2.5 მ).

ტაძარს გარს ორსაფეხუროვანი ცოკოლი შემოუვლიდა; დღეს ნახევრად დანგრეული, იგი ადგილ-ადგილ ჩანს. ტაძრის მოპირკეთების ქვები – ზომიერი, მონაცრისფრო თლილი კვადრები – შიდა პირზეც არის დარჩენილი და გარეთაზეც. ტაძრის კვარცხლბეკი და ცოკოლი უფრო უხეშად დამუშავებული ქვების და არაწესიერი წყობითაა ნაგები.

საინტერესოა მისი თავდაპირველი სახე, თუ როგორ სრულდებოდა იგი, რადგანაც მისი დღევანდელი მდგომარეობა არ გვაძლევს გადაწყვეტით რაიმეს თქმის საშუალებას. სავარაუდოდ, იგი სამნავიანი გადახურვის ვერ იქნებოდა, რადგანაც მცირეა ადგილები ნავთა საყრდენი თაღებისათვის, საფიქრებელია, რომ იგი ორფერდა გადახურვის იყო.

რაც შეეხება ტაძრის საამშენებლო პერიოდს, პირველადი მონაცემებით იგი IX-X საუკუნეთა მიჯნას უნდა მივაკუთვნოთ. არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების შემდგომ კი, შესაძლოა, სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

## ტიპონიმიკისათვის

ისტორიულ არტანში მდებარე სოფელი იალნისზჩამი (Yalnızçam) გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის რუკაზე დატანილია სინდისგომის სახელწოდებით (გურჯისტანის ვდდ., 1958; გურჯისტანის ვრ., 1953). სინდისგომი XVI საუკუნისათვის „დიდი არტანის ლივის, ჩილდირის ნაჰიდე“-ში შედიოდა და საკმაოდ დიდ სოფელს წარმოადგენდა. აქ ამ პერიოდისათვის 57 კომლს უცხოვრია და 123 აჩხი გადასახადი ჰქონიათ დაკისრებული. სოფელი XIX-XX საუკუნის რუსულ ტოპოგრაფიულ და ხუთვერსიან რუკებზე Ялнизгам-ის სახელწოდებითაა დატანილი (Подробная карта Кавказского... 1869-1914 гг.). 1913-1918 წლებში კოლა-არტანის სოფლებში იმოგზაურა კონსტანტინე ოდიშარია-მარტვილელმა (მარტვილელი 1917). დღიურებში ავტორი დეტალურად აღწერს მარშრუტს, სოფლების თანმიმდევრობას და ამ დროისათვის არსებულ კულტურის მეგლებს. ასევე აქვს ეთნოგრაფიული და ეთნოლოგიური მასალებიც. დღეისათვის ოდიშარია-მარტვილელის მიერ დასახელებული სოფლების უმრავლესობის გაიგივება მოხერხდა გურჯისტანის ვილაიეთის სოფლებთან და დადგინდა მათი თანამედროვე თურქული სახელწოდებები, მათ შორის სინდისგომისაც. აღსანიშნავია, რომ სოფლების ძველი სახელწოდებები ახსოვს ადგილობრივ მოსახლეობასაც.

სინდისგომის ტაძრის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის რუკაზე მონიშნულია სოფლები - **ახალშენი** და **ბებერეკი**, რომლებიც იმხანად „დიდი არტანის ლივის, ჩილდირისა და მზავრის ნაჰიდეებში“ შედიოდნენ. ბებერეკი ამჟამინდელ სოფელ ჩტინსუს (Çetinsu) შეესაბამება, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. სოფელში შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები და ბერძნულწარწერიანი მოგვიანო პერიოდის საფლავის ქვები. ასევე სოფელთან, დასავლეთით ფერდზე შემორჩენილია ეკლესია. სოფელი ახალშენი კი მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირთან ლოკალიზდება. ამჟამად ნასოფლარადაა ქცეული.

აღნიშნული სოფლების ტერიტორია კარგად ჩანს სინდისგომის ტაძრის ტერიტორიიდან, ხოლო თვით სოფლები მდინარე მტკვართან ერთმანეთის მოპირდაპირედ მდებარეობდა.

ისტორიული წყაროებიდან მნიშვნელოვანია ყვარყვარე ათაბაგის შთამომავალთა შეწირულობა. აღსანიშნავია XVI ს-ის ხელნაწერი, რომელიც ამ რეგიონზე შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ხელნაწერი ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. ორი მინიატურული ოთხთავი, რომელთა შექმნაც სამცხის ათაბაგ **ყვარყვარე II** დიდის შთამომავლებთანაა დაკავშირებული (კ-375; კ. კეკელიძის მიერ შედგენილი გელათის კატალოგი, 29). ხელნაწერს დართული აქვს ანდერძი 1502 წლით დათარიღებული, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1492 წელს ყვარყვარე II-ს და მის ძეებს, ქაიხოსროსა და მზეჭაბუკს, საათაბაგოში ჩასული ბერების თხოვნით, პორტაიტას ღვთისმშობლისათვის შეუვალად შეუწირავთ არტანში მდებარე ორი სოფელი – **ბებერანი** და **ახალშენი** (კლდიაშვილი 2010). **ნაგ-ყვარყვარე III** -ს აღნიშვნით: „დიდსა და სახელიანსა კელმწიფესა პაპასა ჩემსა, ყუარყუარეს და პატრონსა მამასა ჩუენსა და დიდისა და ღმრთის მოყვარისა კელმწიფობით მპყრობელსა, პატრონისა ბიძისა ჩემისა, პატრონისა მზეჭაბუკისაგან არტანს სოფელი **ბებერანი** შეეწირნეს მთაწმინდისათვის და ეგრეთვე სოფელი **ახალშენი**, მათისა სულისა სადიდებლად ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლისათვის და მასშიგან დამკვიდრებულთა წმიდათა და ნეტართა მამათათვის“ (კეკელიძე 1955: 78; ხუციშვილი 2001: 34-35).

ისტორიიდან ცნობილია, რომ ბერძენი სასულიერო პირები, მათ შორის მაღალი იერარქები, სამხრეთ საქართველოში ხშირად ჩამოდიან და ითხოვენ დახმარებას. როგორც ჩანს, ბერების ეს ვიზიტები ერთ-ერთი ამათგანია. ხოლო რაც შეეხება საათაბაგოში ბერძენთა დამკვიდრებას, ეს გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით:

ერთი – ტრაპზონის თურქებისგან ალების შემდეგ ქრისტიანი მოსახლეობა ტოვებდა ამ ტერიტორიებს და გადმოდოდა საათაბაგოში: „... ბერძნული პანეგირიკიდან ცხადი ხდება, რომ ყვარყვარეს შთამომავლების მმართველობის დროს საგრძნობლად გაიზარდა საათაბაგოში დამკვიდრების მოსურნე უცხოელები, განსაკუთრებით თურქთა მიერ ტრაპზონის ალების შემდგომ გადმოსული ბერძნების („რომეების“) რაოდენობა. ასევე ვიგებთ, რომ ყვარყვარე II-ის ძეების მმართველობისას რომეები დაუბრკოლებრივ სახლდებოდნენ საათაბაგოში. რასაც განაპირობებდა ყვარყვარე II-ის, განსაკუთრებით კი ქაიხოსროს და მზეჭაბუკის მიერ გამოჩენილი მფარველობა და ხელშეწყობაც“... (კლდიაშვილი 2010).

საყურადღებოა, რომ ქართული წერილობითი წყაროები სინდისგომის ეკლესიის შესახებ არაფერს ამბობს, არადა ეკლესიის საამშენებლო პერიოდი X საუკუნეს ვერ გადმოსცდება. ამდენად, XVI საუკუნეში აქ შესუსტებული („არტანის ქართველობა ამოწყვიტეს“<sup>1</sup>) ქართული მოსახლეობა და დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე დამკვიდრებული ბერძნული მოსახლეობა უკვე არსებულ ქართულ სამლოცველოში აღავლენს მსახურებას. სინდისგომი ბერძნულად გამოითქმის – „სინტისკომ“ – **Ηκοίμησις της Θεοτόκου**, იგი ითარგმნება, როგორც – „ღვთისმშობლის ამაღლება“ (იგივეა, რაც ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული).

საფიქრებელია, რომ თავის დროზე სინდისგომის ტაძარი სწორედაც რომ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის იყო, სხვა შემთხვევაში გაუგებარია, ქრისტიანულ თემს რატომ უნდა შეეცვალა მისი სახელწოდება (თუმცა არც ეს ფაქტი უნდა გამოირიცხოს).

დღეისათვის ამ ტერიტორიაზე (Yalnizcam) ბერძენი მოსახლეობა აღარ ცხოვრობს. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ბოლო დრომდე შემორჩათ ტაძრის დღესასწაულის ტრადიცია, რაზედაც ინტერნეტ სივრცეში მოძიებული თანამედროვე ფოტოსურათი და მასზე არსებული წარწერა მიგვითითებს, რომელზედაც აღბეჭდილია სინდისგომის ეკლესიასთან რამდენიმე მლოცველი. ფოტოს ახლავს წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ὁτιαπέμεινεαπότηεκκ λησία Κοίμησις Θεοτόκουστο Σιντισκόμ (Yalnizcam). Κοίμησις Θεοτόκου – ღვთისმშობლის ამაღლების ეკლესიის ნანგრევები“.

არტანში აღმოჩენილი სინდისგომის უცნობი ტაძარი, თავისი მოგვიანო ბერძნული სახელწოდებით გარკვეულწილად ასახავს იმ პოლიტიკურ ვითარებას, რაც შეიქმნა იმ დროის სამხრეთ საქართველოს პროვინციებსა და კერძოდ, არტანის მხარეში.

#### ლიტერატურა:

1. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი... გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, წიგნი III, თბ., 1958.
2. გურჯისტანის ვილაიეთის რუკა, შედგენილი ალ. ასლანიკაშვილი მიერ ს. ჯიქიას რედაქტორობით, 1953.
3. კეკელიძე კ., მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა და ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-მე-17 საუკუნეებში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955.

<sup>1</sup> ჭიჭინაძე ზ. 1902.




4. კლდიაშვილი დ., ტაო-კლარჯეთის საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2010.
5. საქართველოს ისტორიული რუკა, შედგენილი ევ. ბარამიძის მიერ ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით, 1923.
6. საქართველოს რესპუბლიკის საზოგადო რუკა, შედგენილი ალ. ჯავახიშვილის მიერ, 1931-1932.
7. სიხარულიძე ფ., მასალები სამხარეთმცოდნეო ექსპედიციათა ისტორიისათვის (კონსტანტინე ოდიშარია (მარტვილელი) სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის ჩანაწერები), ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები II, ბათუმი, 1998.
8. ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევო ექსპედიციების ანგარიშები, თბ 2014.
9. ხუციშვილი ნ., ათონის ქართველთა მონასტრისა და სამცხე-საათაბაგოს ურთიერთობის ისტორიიდან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, I, ისტორიის სერია, 2001.
10. ჭიჭინაძე ზ. [გამოქვეყნებულია ფსევდონიმით „ზ. ჭ.“], ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა, კლარჯეთისა, „მოგზაური“, 1902, №4, №6, №7-8, 1903, №6 განყ. II.
11. Главное управление геодезии и картографии при Совете Министров СССР (ГУГК СССР), 1967-1991. К-37-1.
12. Подробная карта Кавказского края с прилегающими частями Турции и Персии в масштабе 5 верст в дюйме. – 1:210 000; 2,1 км в 1 см. – Факсимильное издание 1869-1914 гг.
13. გაზეთ „კვირის პალიტრა“ ობ. ბმული: <http://www.kvirispalitra.ge/public/22847-unikaluri-aghmochena.html>

**SINDISGOMI UNKNOWN TEMPLE IN ARDAHAN (TAO-KLARJETI)  
(PRELIMINARY DATA)**

**Ana Gelashvili, Caucasus University, Art Critic  
RESUME**

The Shota Rustaveli National Science Foundation has been funding the study of the Tao-Klarjeti Georgian cultural monuments. In the scope of the project The Catalogue of the Tao-Klarjeti and Cola Ardahan Georgian Cultural Monuments of the Georgian Historical Regions, Situated in Turkey, numerous monuments have been discovered, among of which the most important is, in the Ardahan region (Ardahan Merkez İlçe), in the historical Artan, one big unknown temple, near the modern village of Yalnızçam. In historical sources this village is called Sindisgomi. In the annals, the hitherto unknown temple has been given the name according to the village. According to the initial data the temple should have belonged to turn of the IX-X centuries.

The Artaani historic village of Yalnızçam was marked on the map of the Gurjistani Vilayetas Sindisgomi. Sindisgomi was included in the XVI century "Great Ardahan Livia, Childimahioe" and was quite a big village. During the study, the majority of the villages have been identified with the villages of the Gurjistani Vilayet and their modern Turkish names have been established, among them is Sindisgomi. It should be noted that the old names are remembered in the local population of the villages.



სინდისგომის ეკლესიის გეგმა



სინდისგომის ეკლესია - სამხრეთ-დასავლეთი



ეკლესიის ზედ ხედი, დასავლეთის მხრიდან



პირველი სართული, ჩრდილოეთი სადგომი



ინტერიერი



სამხრეთი ნაწილი, საკურთხეველის გვერდითა ოთახი და პირველი სართულის ჩაქცეული გადახურვა



გენერალური ხედი



ბერძნები სინდისგომის ეკლესიასთან (ფოტო google-დან)

## გურკლელთა ვინაობის საკითხისათვის

რომან გოგოლაური, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

საქართველოში მემკვიდრეობით გვარ-სახელს მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ქართული ფეოდალური გვარების თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ; ო. სოსელიას, დ. გვრიტიშვილის, ნ. შოშიაშვილის, გ. ჯამბურის, გ. აკოფაშვილის, ი. მაისურაძის, ი. ახუაშვილის, გ. ხორნაულის, რ. თოფჩიშვილის და სხვათა ნაშრომები. ამჯერად ჩვენს ინტერესს იწვევს „ელ“ სუფიქსით ნაწარმოები ფეოდალური გვარ-სახელი, რომელიც ნ. ბერძენიშვილის განმარტებით იმის მაჩვენებელია, რომ „ინდივიდის გვარ-სახელი კოლექტივთან ურთიერთობით კი აღარ ხასიათდება, არამედ აზნაურთა მიერ, იმ პუნქტების მფლობელობას უკავშირდება, რომლებიც თავიანთი მხრით შესაბამის ქვეყნებს განასახიერებენ“ (ბერძენიშვილი, 1964).

მიუხედავად იმისა, რომ სათაურში გამოტანილი საკითხის ისტორიოგრაფია რეაქსლოვან ისტორიას ითვლის, იგი იმდენადვე წინააღმდეგობებითაა აღსავსე, რამდენადაც თავად ეპოქა. ამდენად ბუნებრივია თუ დაგვებადა აზრი, დავაზუსტოთ, ავხსნათ საკითხის ირგვლივ არსებული სადავო დებულებანი თუ მოსაზრებები.

წინამდებარე სტატია გურკლელთა ფეოდალური გვარის ისტორიის შესწავლის ერთგვარ ცდას წარმოადგენს.

გვარი გურკლელი წარმოდგება გეოგრაფიული სახელწოდებიდან გურკელი, რომელიც ახალციხის მუნიციპალიტეტის აგარის თემს მიეკუთვნება. გაშენებულია მესხეთის (ფერსათის) ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. წინუბნისწყლის (მტკვრის მარცხენა შენაკადი), მარცხენა ნაპირას, ზღვის დონიდან 1020 მეტრზე. ახალციხიდან 24 კმ-ზე.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით „სოფელი გურკელი - სოფელ წინუბანთან“, აწყურის ნაპივში 39-ე ნომრად არის შეტანილი (ჯიქია, 1941: 105).

სოფლის სახელი მცენარის სახელწოდებისაგან უნდა მომდინარეობდეს. ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით „გურკული“, საგაზაფხულო, რბილი, უფხო ხორბალია (მაყაშვილი, 1961: 26). სულხან საბა ორბელიანი კი „გურკას“ ხილის კაკალს უწოდებს (ორბელიანი. 1991;...).

ქართულ საისტორიო წყაროებში მხოლოდ მონღოლთა ხანის დროინდელი მემატთანე - ჟამთააღმწერელი იცნობს რამდენიმე ისტორიულ პიროვნებას, რომლებიც ამ გეოგრაფიულ პუნქტთან არის დაკავშირებული.

პირველად, 1213 წელს ლაშა-გიორგის მიერ განძის გარემოცვის ეპიზოდის გადმოცემისას მემატთანე ახსენებს ბიბილა (შიბილა) გურკელს: „...თვით მეფე ლაშა წინა მიეტევა მკნედ და ძლიერად, თვთ გოლიათი მკლავითა სკანითა და ხელითა გოლიათითა, რომლის თანა წინამბრძოლობდეს ძლიერად ყუარყუარე (ჯაყელისა შვილი პირმშო, ბიბილა გურკელი, ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა, რამეთუ ესენი წინა-განეწესნეს...“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 525). მკვლევარები მოტანილ ციტატას სხვადასხვანაირად განმარტავენ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მეორედ, ჟამთააღმწერლის ცნობით 1242-1243 წწ ყარაყორუმს გამგზავრებისას „... წარვიდა ნარინ დავით და თანა-წარატანა მეფემან რუსუდან მცირედ თანაზრდილნი მისინი, ქართლის ერისთავის სურამელის გრიგოლის შვილი, ბეგა, გურკლელი მახუნჯაგის ძე, ამირეჯიბი ბეშქენ...“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 560). მკვლევართა შეფასებები არც ამ ზემოჩამოთვლილ პირთა მიმართ არის ერთსულოვანი.

მესამედ, მემატთანეს გურკლელი მოხსენიებული ჰყავს, როცა ლაპარაკია ყაენის კარიდან დავით რუსუდანის-ძის გამომგზავრებაზე: „...და ვითარ მოიწივნეს ნახჭევანს, მიერ წარვიდა აფხაზეთს დავით რუსუდანის ძე სამითა ოდენ კაცითა, რომელი იყო გურკლელი და ამირეჯიბი და სურამელი ბეგაი...“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 575).

მეოთხედ, 1260 წელს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულ დავით ულუს თანამებრძოლად არის მოხსენიებული გურკლელი. ჟამთააღმწერლის ცნობით: „ცოდვათა ჩვენთა სიმრავლისათვის განწირნა ღმერთმა და მისცა ხელთა წარმართთასა...“ დიდ ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილნი მრავლად დაატყვევეს მონღოლებმა მათ შორის გურკლელი. „...და მრავალნი სახელოვანი მოსრნეს თათართა, რომელ მცირედნილა ძლით განერნეს და სდევნეს ახალდაბას კიდამდე, გინა უმეტესცა, ხოლო ზოგნი ტყუედ წარყვანებულ იქნეს, გურკლელი მურვან და სხუანი მრავალნი“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 585).

მეხუთედ, იგივე გურკლელ მურვან მახუნჯაგისძეს მემატთანე ახსენებს იმ დროს (XIII ს. 60-იანი წლები), როცა ოქროს ურდოს წარმომადგენელი ალა-თემური ებრძვის ილხან ჰულაგუ ყაენს კოლა-

არტანუში: „...და ესრეთ მოიწივნეს ქუენა არტანს, სოფელსა, რომელსა, ჰქვან გლინავი (ნიგალი-რ.გ.) და მუნ დახუდა მურვან გურკლელი მახუნჯაგის ძე, წინა-შემდებნა ნადირობას მიმავალი, რომელი შეიპყრეს თათართა და კნინდა მოაკუდინეს“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 594). გურკლელმა მათ აღუთქვა, რომ ლიხთ-იმერეთში გადაიყვანდა ბერქა ყაენთან. მონღოლებიც მიენდვნენ მას. მან კი „...წარმოიყვანა და მოასხნა სამცხეს, მოასხნა გურკლისჭალას და ესრეთ განსცნა...“ (ქართლის ცხოვრება, 2008:594). ამის შემდეგ მან ამცნო სარგის ჯაყელს, სარგის თმოგველს, შალვა ბოცოსძეს და ყოველთა მესხთა, რათა შეეპყროთ ალა-თემური და ჰულაგისათვის გადაეცათ. ალათემურმა რა სცნა ყოველივე ამის შესახებ, აიყარა გურკლის ჭალებიდან, განვლო მტკვარი და მიმართა ჯავახეთს. ოშორის ქვემოთ მოეწია მათ გურკლელი თავისი ჯარით. მის დასახმარებლად აღარ მოვიდნენ არც ბოცოსძესა და სარგისის ლაშქარი და არცთმოგველნი. ამ უკანასკნელმა იხილა, რა ალათემურის ლაშქარი მაშინვე გაეცალა იქაურობას, და „...შეიბნეს ძლიერად, სძლეს თათართა და მრავალი ტამრეული აზნაური მოკლეს, და ილტვოდეს გურკლელი“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 595).

როგორც ვხედავთ გურკლელთა ფეოდალური გვარის, როგორც წარმოშობა, აღზევება ასევე დაცემა XIIIს. განეკუთვნება. ამის შემდეგ გურკლელთა გვარი წყაროებში აღარ იხსენიება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სამცხის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს არ უცდიათ გურკლელთა გვარის წარმომავლობის შესწავლა. ისინი საკითხს მხოლოდ გაკვრით ეხებიან და ისტორიოგრაფიაში მიღებული შეხედულებებით კმაყოფილდებიან. მკვლევარ იური სიხარულიძის აზრით „გურკლელთა არა ჯაყელურ ჩამომავლობაზე მიუთითებს ამ საგვარეულოს საკუთარი სახელები ბიბილა (თუ შიბილა), მახუნჯაგი და სხვ. (სიხარულიძე, 1975:32). მისივე აზრით, თითქოს „არ დასტურდება, რომ ჯაყის თემი ამ დროს მიეღოს ციხისჯვრის ჯაყელებს (იგი კვლავ ბოცოსძეთა შტოს მფლობელობაშია) (სიხარულიძე, 1975:32). ავტორის ასეთი დასკვნა ჩვენთვის მიუღებელია, რაზედაც უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩვენი აზრით გურკლელთა ფეოდალური გვარის წარმომავლობის შესწავლაში მთავარ დაბრკოლებას, თვით გურკლისწყლის, იგივე წინუბნისწყლის, აბანოსხევის პირვანდელ და შემდგომდროინდელ მეპატრონეთა ვინაობის შეუსწავლელია წარმოადგენს.

ვიდრე აბანოსხევის მეპატრონეთა ვინაობას გავარკვევდეთ, ჯერ განვიხილოთ თუ სად მდებარეობს ციხისჯვრის ციხესიმაგრე, რომლის მფლობელებსაც ჩვენი აზრით საფუძველი უნდა ჩაეყარა გურკლელთა ფეოდალური გვარისათვის.

ვახუშტი ბატონიშვილი ციხისჯვრის ლოკალიზებას ასე განმარტავს: „...ერთვის მტკვარს წნისის ხევი, გამომდინარე ფერსათის მთის... ამ კევის სათავეს, მთასა შინა არს ჭვინთის დასავლეთად ჯუარის ციხე (ციხისჯვარი - რ. გ.) მაგარი და დიდშენი“ (ვახუშტი, 1973: 663). აქ ერთ უზუსტობას უნდა გაესვას ხაზი. ეს გახლავთ ის, რომ ციხისჯვარი (ჯუარის ციხე) მდებარეობს არა ჭვინთის დასავლეთით, არამედ ჭვინთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ართულებს გურკლელთა ვინაობის გარკვევას არის ის ფაქტი, რომ ძალიან ბევრი მკვლევარი მაშინაც და ახლაც ციხისჯვრელებში თორის ციხისჯვარის მფლობელებს გულისხმობს.

პირველი ცნობები ციხისჯვრის შესახებ დაცული აქვს „მატიანე ქართლისა“-ს უცნობ ავტორს, რომელიც 888 წლის ახლო ხანებს განეკუთვნება. მასში კერძოდ ნათქვამია, რომ „...და გამოიყვანა ბაგრატ მეფემან ნასრა ცოლის ძმად მისი, საბერძნეთით და მისცა ლაშქარი მისი. ხოლო ნასრა შეიპყრა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრგე, ჯუარისციხე (ციხისჯვარი- რ. გ.) და ლომსიანთა გუარამისავე აშენებული“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 259). ე.ი. ციხისჯვარი აშენებული ყოფილა IX საუკუნეში, აშოტ კურაპალატის ძის გუარამ მამფალის მიერ სამცხის და აფხაზეთის საზღვარზე, ფერსათის მთის სამხრეთ კალთაზე აბანოსხევის (გურკლის წყლის) სათავეში. იმავე „მატიანე ქართლისა“-ს მიხედვით ციხისჯვრის პატრონად XI საუკუნის შუახანებში დასახლებულია აბუსერიძე ... და გამოიტყუვნა (ლიპარიტ ბაღვაში რ. გ.) ანისი დედოფლისაგან აბუსერ, ერისთავი არტანუჯისაი, და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი, და შეიპყრა იგინი ანისის კარსა ....“ (ქართლის ცხოვრება 2008:284). ამის შემდეგ ციხისჯვრის პატრონია აბუსერის ვაჟი გრიგოლ აბუსერიძე, რომელიც სულა კალმახელთან და სხვა მესხ აზნაურებთან ერთად ბაგრატ IV-ს ეხმარებიან ლიპარიტ ბაღვაშის წინააღმდეგ ბრძოლაში.

XI ს-ის 50-ანი წლების მეორე ნახევარში მესხმა დიდებულებმა სულა კალმახელის მეთაურობით შეიპყრეს ლიპარიტ ბაღვაში, მისი ძე ივანე და ორივე დატყვევებული სულამ, ჯავახეთში მისულ მეფეს მიჰგვარა. „... და ამის მსახურებისა ნაცვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრხე ბოდოკლდითა და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღვდელმოდღუარნი, და რაიცა უნდა“ (ქართლის ცხოვრება, 2008: 287-288). ვფიქრობთ, რომ „სამღვდელმოდღუარნი“-ში „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი აწყურის საკათედრო ტაძარს უნდა გულისხმობდეს.

1191 წელს გიორგი რუსის ამბოხებას მთელი მესხი დიდებულები შეუერთდნენ, ბოცო სამცხის სპასალართან ერთად, გარდა ივანე ციხისჯვრელისა, რომელმაც ბოლომდე უერთგულა მეფეს „ვითარ

გუარ-ეყოდაცა მომგონებელსა სულასა ერთგულობასასა, რომელ ბაღუაშს ზედა უერთგულა ბაგრატს“ (ქართლის ცხოვრება, 2008:284).

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ფოცხოვის ხეობის ჯაყელთა სახლი ემცრობა და წინაურდება ციხისჯვარელთა ფეოდალური საგვარეულო. ამასთანავე ციხისჯვარელთა საგვარეულო სამცხის სპასალარის ხელთან ერთად იღებს „ჯაყელთა“ საგვარეულო წოდებასაც. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს შეწყალების შემდეგ ჯაყელთა მეორე შტო ბოცოსძეები შეიწყალეს, დაუტოვეს მამული ფოცხოვში და მხარის მონაპირე ერისთავის უფლება (კლდიაშვილი, 1986: 94).

როგორც დავინახეთ, XII საუკუნის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში აბანოსხევი (გურკელის წყალი) ციხისჯვარელებს უკავიათ. ჩვენთვის საინტერესო ფეოდალური გვარი-გურკლელი კი ჩნდება XIII ს-ში. კერძოდ 1213 წლის განძის ლაშქრობის დროს: „თუთ მეფე ლაშა წინა მიეტევა მხნედ“... „რომლისა თანა წინამბრძოლობდეს ძლიერად ყვარყვარე ჯაყელისა შვილი პირმშო, ბიბილა გურკელი, ბოცო ბოცოს ძე მემნას ძმა, რამეთუ ესენი წინა განეწყნეს...“ (ქართლის ცხოვრება: 2008: 525). რაც შეეხება ტოპონიმ „გურკელი“-ს, სადაურობის აღმნიშვნელ ტერმინად, რომ იქცეს, მას უნდა დაემატოს მაწარმოებელი (ელ) და მივიღებდით „გურკელს“. როგორც ჩანს ჟამთააღმწერელის თხზულების ტექსტმა გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების წყალობით დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე. აკად. ივ. ჯავახიშვილსაც მხედველობიდან გამორჩენია ზემოაღნიშნული გარემოება და სადაურობის აღმნიშვნელად ყველგან „გურკელს“ ხმარობს (ჯავახიშვილი, 1949:282).

ჟამთააღმწერლის ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ადგილების დაზუსტების ცდა მოგვცა მამისა ბერძენიშვილმა, ვინაიდან ბიბილა გურკლელის ხსენება ტექსტში ერთგვარ გაურკვეველობას იწვევდა. ბიბილა სხვა პიროვნებად იყო მოხსენიებული, გურკელი კი სხვადა. ამიტომ გასწორების შედეგად ბიბილა გურკლელი აღმოჩნდა დამოუკიდებელი პიროვნება, ხოლო ყვარყვარეს პირმშო კი სახელის გარეშე მოხსენიებული (ბერძენიშვილი, 1976:155), „ასწლოვანი მატანის“ ცალკე გამოცემა, გამოკვლივით, შენიშვნებით და ლექსიკონით კი რ. კიკნაძეს ეკუთვნის (კიკნაძე, 1987).


ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გურკელთა ფეოდალური გვარი ყალიბდება ციხიჯვრელთა მამულში. ჩნდება კითხვა: რა იყო მიზეზი ახალი ფეოდალური სახლის გაჩენისა? ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო: ა) მეფის ხელისუფლების მიმართ დალატი, ბ) სამშობლოს დალატი, გ) გვარის დამცრობა, გადაგვარება, დ) მამულიდან გამევეება. არც ერთ ჩამოთვლილ მიზეზს ამ შემთხვევაში ადგილი არ ეძებნება რადგანაც ციხიჯვარელები მეფის ხელისუფლების ერთგულნი არიან, რის გამოც საგრძნობლად გაიფართოვეს სამფლობელოები, მიიღეს სამცხის სპასალარის თანამდებობა და „ჯაყელთა“ საგვარეულო წოდება და მამულები.

ჩვენი აზრით გურკლელთა ფეოდალური გვარი წარმოშობილი უნდა იყოს ციხიჯვრელთა გვარისაგან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბიბილა გურკლელი შვილიც კი იყო ივანე-ყვარყვარე ციხიჯვარელ-ჯაყელისა. ამის ერთგვარ მინიშნებას გვაძლევს ბიბილა გურკლელთან კონტექსტში ნახსენები ყვარყვარეს შვილი პირმშო. ბუნებრივია, რომ ერთი ვაჟის შემთხვევაში აზრს დაკარგავდა ვინმეს „პირმშობით“ მოხსენიება. შესაძლებელია ზემოაღნიშნულ ციტატაში მოხსენიებული უსახელო პირმშო იყოს ბექა, რომელიც 1220 წელს მდ. საგიმზე მონღოლებთან ბრძოლაში დაიღუპა. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში ივანე ციხისჯვრელ-ჯაყელის მემკვიდრის (ბექას) პირმშობით მოხსენიება, ბიბილა გურკლელის (არაფერს ვამბობთ ბოცო ბოცოს ძს შესახებ) გვერდით, ამ უკანასკნელის განსაკუთრებულობაზე უნდა მიანიშნებდეს. ჩვენი აზრით, მას შემდეგ, რაც ივანე ციხისჯვრელი სამცხის სპასალარის ხელთან ერთად იღებს ჯაყელთა ერთი შტოს საგვარეულო მამულსაც, ადგილი უნდა ჰქონდეს ციხისჯვრელთა გვარში გვერდით შტოს - გურკლელთა სახლის გაჩენას იმავე გურკლის წყლის ხეობაში. ამ პროცესს საფუძველი უნდა ჩაჰყროდა ჯერ კიდევ თამარის მეფობის ხანაში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელობას საფუძველზე იქმნება იერარქიული ანუ დანაწევრებული საკუთრება მიწაზე. როცა რომელიმე პირს „ელ“ სუფიქსით ნაწარმოები სახელი უჩნდება მისი მფლობელობის უთავრესი პუნქტიდან და შემდეგ მისი მემკვიდრეებიც ამ სახელით იხსენიებიან, -ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამიერიდან უკვე მთავარია ინდივიდის არა გვართან მიმართება, არამედ ამა თუ იმ ქვეყნისა და მისი პოლიტიკური ცენტრის მფლობელი წინაპრისაგან ჩამომავლობა. (ბოგვერაძე, 1979:140). ამდენად ბიბილა გურკლელის მემკვიდრეებიც სწორედ ამ სახელით იხსენიებიან.

კვლავ ვუბრუნდებით მკვლევარ ი. სიხარულიძის მოსაზრებას: „გურკლელთა არა ჯაყელურ ჩამომავლობაზე მიუთითებს ამ საგვარეულოს საკუთარი სახელები ბიბილა (თუ შიბილა) მახუნჯაგი და სხვა. (სიხარულიძე, 1975:32), რომელსაც არ ვიზიარებთ. (რაც შეეხება ციხისჯვრელ-ჯაყელთა წარმომავლობას ამაზე ჩვენ აქ აღარ ვისაუბრებთ. უფრო დაწვრილებით იხილეთ ჩვენი სტატია „ციხისჯვრელ-ჯაყელთა ვინაობის საკითხისათვის“, გულანი, 18 სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“ - ახალციხე 2015).

რაც შეეხება ე.წ. საგვარეულო სახელებს, ამ თეორიას ბევრი ქართველი მკვლევარი უჭერს მხარს. მათ შორის ლ. მუსხელიშვილი, ნ. შოსიაშვილი, ი. სიხარულიძე და სხვა. ამ ვერსიის თანახმად ჯაყელებში გავრცელებული სახელები: სარგისი, ბიბილა, მახუნჯანგი, აღბულა, შაშია, ჰაფნუტი და სხვა ტორელთა საგვარეულოში მიღებული სახელი ივანე გავრცელებული იყო ასევე ბაღვაშებში, ვარდანძეებში, ციხისჯვარელებში, სულასძეებში, აბაზასძეებში, აბულეთისძეებში (გოგოლაური, 2015)

ჟამთააღმწერლის თხზულებაში არსებულ ცნობებზე დაყრდნობით გურკელელთა სახლის გენეალოგია შემდეგი სქემით შეიძლება წარმოვადგინოთ:



ბეშქენ გურკლელის შვილად მიიჩნევა მურვან გურკლელს ნ. შოშიაშვილიც, რომლის შემდეგაც გურკლელთა გვარი წყაროებში აღარ იხსენიება (შოშიაშვილი, 1978:315). შესაძლოა მურვანი, როგორც დავით ულუს თანამებრძოლი მის ამაღლებაში დარჩა ბოლომდე, ხოლო სამცხის ყაენისაგან „ხას-ინჯუდ“ შეწყალების შემდეგ ეს მხარე ჩამოსცილდა საქართველოს. გურკლელთა მამული სოფ. გურკლელთან ერთად კი გაძლიერებულმა ჯაყელთა სახლმა შეიერთა.

ამრიგად არაპირდაპირი წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გურკლელთა გვარი წარმოშობილი უნდა იყოს ციხისჯვრელთა გვარისაგან, ხოლო ბიბილა გურკლელი, შვილი ივანე ყვარყვარე ციხისჯვრელი-ჯაყელისა. ამის ერთგვარ მინიშნებას ბიბილა გურკლელთან კონტექსტში ნახსენები ყვარყვარეს შვილი პირმშო გვაძლევს, რომლის შვილმა სარგისმა შემდგომში მემკვიდრეობით მიიღო სამცხის სპასალარობა და მთავრობა. ხოლო ბიბილა გურკლელს მემკვიდრეობით ერგო „საუფლისწულოდ“ აბანოს ხევი სოფ. გურკლელთან ერთად. პირდაპირი წყაროების უქონლობის გამო, საბოლოო ჭეშმარიტების დასადგენად, აშკარად იგრძნობა ახალი წყაროებისა და არგუმენტაციის მოპოვების საჭიროება.

### ლიტერატურა:

ბერძენიშვილი, 1964 – ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1964.  
 ბერძენიშვილი, 1976 – ბერძენიშვილი მ. ჟამთააღმწერლის ტექსტის ერთი ადგილის დაზუსტებისათვის, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.  
 ბერძენიშვილი, 1967 – ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1967.  
 ბოგვერაძე, 1979 – ბოგვერაძე ა. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979.  
 გოგოლაური, 2015 - გოგოლაური, რ. ციხისჯვრელ-ჯაყელთა ვინაობის საკითხისათვის, გულანი 18, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“, ახალციხე 2015.  
 თოფჩიშვილი, 2011 – თოფჩიშვილი რ. საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011.  
 კიკნაძე, 1987 – კიკნაძე რ. ჟამთააღმწერელი ასწლოვანი მატიაზე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.  
 კლდიაშვილი, 1986 – კლდიაშვილი დ. ჯაყელ-ბოცოსძეთა საგვარეულო ისტორიისათვის (XI-XII სს.), საქ. მეცნ. ალად. „მოამბე“, ტომი 94, თბ., 1986.  
 მაყაშვილი, 1961 – მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.  
 ორბელიანი, 1991 – ორბელიანი ს. ს. ლექსიკონი ქართული I, თბ., 1991.  
 ვახუშტი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.  
 სიხარულიძე, 1975 – სიხარულიძე ი. სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან XIII-XV სს. კრებ. სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხები VIII, ბათ., 1975.  
 ჯავახიშვილი, 1949 – ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1949  
 ჯიქია, 1941 – ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, თბ., 1941.  
 ქართლის ცხოვრება, 2008 - ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 2008 წ.  
 ქსე, 1978 – ქსე, ტ III თბ., 1978.

**GURKLER QUESTION OF IDENTIFY**  
**Roman Gogolauri, Samtskhe-Javakheti State University, Professor**  
**RESUME**

Hereditary names in Georgia have a long history. There are lot of positions and ideas about Georgian feudal names in scientific literature and O.Soselia's, O. Gvritshvili's, N. Shoshiashvili's, G. Jamburia's G. Akopashvili's, I. Maisuradze's, G Khornauli's, R. Chopikashvili/s scientific works are among them.

Although, above-mentioned historiography has eight-hundreds of history. It is as full of resistance as the epoch itself. So, it's so natural to identify, specify and explain the controversial Tsikhisjvari. Above-mentioned article represents so-called attempting about analyzing and learning Gorkler feudal names.

In Georgian historical Sources only Mongol chronicle knows some historical figures connected with this feudal name.

In my opinion the main obstrical about learning the origin of Gorkler feudal name. is the „ Gorkler is Tskali “ itself is yet unstudied.

Over the second half of the XI century Abanotkhevi, Tsikhisjvari, Ordzke, Atskuri went into Sula Kalmakhelidze's possession and it was called Tsikhisjvari.

After the suppress on of the uprising in 1911 the Tsikhisjvari. feudal family was promoted. At the same time, the Tsikhisjvari. Family got the “Jakheli“ ancestral title. Nevertheless, it seems, the Jakhelis second branch was pardoned and they were given lands and rights in the territory of the Potskhovi.

Our attention is drawn to the fact, that the Gorkler feudal family was formatting in Tsikhisjvari land. There is a Tsikhisjvari: „what was the reason of formatting the new feudal family?

Thus, according the historical sources we think, that the Gorkler name is of Tsikhisjvari origin. We think that Bibila Gorkler was the son of Ivane-Kvarkvare Tsikhisjvari – Jakheli because above-mentioned Bibila Gorkler's inherited with the village Gorkleri. Because the lack of direct sources, to determine the final truth. It's obviously to obtain the new sources and arguments.

## **ბისმარკი, რუსეთი და ალვენსლებენის კონვენცია**

**ნოდარ დარსანია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი**

ოტო ფონ ბისმარკი პრაგმატული გონებითა და პოლიტიკური გამჭრიახობით იმთავითვე ჩასწვდა იმ უდავო აშკარა რეალობას, თუ რა უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთი სახელმწიფო საერთაშორისო პოლიტიკაში. მან, როგორც გაწაფულმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა, რომელმაც გრანდიოზული სამომავლო გეგმები დაისახა მიზნად საკუთარი ქვეყნის ძლიერებისათვის, ასევე კარგად იცოდა და განსაზღვრა, რომ პრუსია ვერასდროს შეძლებდა გერმანიის გაერთიანებას, შესაბამისად, ვერ გახდებოდა მსხვილი, დიდი, ძლიერი ევროპული სახელმწიფო, თუ ვერ მოახერხებდა რუსეთთან თბილი დამოკიდებულებისა და კეთილგანწყობის მოპოვებას.

რუსეთის იმპერიის უდიდეს როლზე საერთაშორისო არენაზე და მასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების აუცილებლობაზე, ბისმარკს სრული წარმოდგენა შეექმნა ჯერ კიდევ გერმანიის გამთლიანების გზებზე საკუთარ შეხედულებათა ჩამოყალიბების პერიოდიდან - მაშინ, როცა მიმდინარეობდა ყირიმის ომი (1853-1856 წწ.), ომი ინგლისის, საფრანგეთის, ოსმალეთისა და სარდინიის კოალიციასა და რუსეთს შორის, ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის. მოკავშირეები მიისწრაფოდნენ კოალიციაში ჩაერთოთ ავსტრიაც, რადგან ამის შესაძლებლობები მაშინ ნამდვილად არსებობდა. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ კიდევ 1849 წელს, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა ავსტრიის იმპერიას, უნგრეთის რევოლუციის ჩახშობით, იხსნა ჰაბსბურგთა მონარქია დამხობისა და იმპერია დაშლისაგან უანგაროდ, ისე, რომ ტერიტორიული კომპენსაცია არ მოუთხოვია. ავსტრიის კანცლერის, შვანცენბერგის, ცნობილი სიტყვები, რომელიც უმადურობისა და უგულვებელყოფის გამოვლენის ყველაზე თავხედურ მაგალითს წარმოადგენდა, იყო ნათქვამი პასუხად იმ გარკვეული შიშის გამო, რასაც განიცდიდნენ ავსტრო- უნგრეთის სამეფოებზე, იძულებული ხომ არ იქნებოდა ავსტრია რომ გამხდარიყო რუსეთის იმპერიის ვასალი. ახლა ყირიმის ომის დროს მას მიეცა საშუალება თავისი უკმაყოფილების დემონსტრირებისა. როგორც კი სამიზნედ ამოიღო დუნაისპირეთის სამთავროები (მოლდავეთი და ვალახეთი), რომლებიც მაშინ დაკავებული

ჰქონდა რუსეთს, ის იმთავითვე მზად იყო მიმხრობოდა ანტირუსულ კოალიციას. ყველაფერი ეს ყოვლად „არაკეთილშობილურად“, უმსგავსოებად გამოიყურებოდა იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ყოველთვის სარგებლობდა რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობით. ტყუილუბრალოდ კი არ უკითხავს ერთხელ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს ავსტრიის ელჩისათვის, თუ ვინ იყვნენ პოლონეთის ყველაზე სულელი მეფეები და, როცა შეუნიშნავს მის სახეზე გარკვეული გაცემა, უთქვამს: „სობესკი და მეო“. ასეთ ვითარებაში, თუ რა პოზიციას დაიკავებდა პრუსია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ოლმიუცის შეთანხმების შემდეგ პრუსია ასე თუ ისე დამშვიდდა და ყოველგვარი პოლიტიკური ავანტურისადმი მისწრაფება დაკარგა. ის თავს დასუსტებულად და დამცირებულად გრძნობდა, მითუმეტეს, შვარცენბერგის ცნობილი სიტყვების შემდეგ, რომელმაც თქვა: პრუსია ჯერ უნდა დაამცირო, შემდეგ კი გაანადგურო“<sup>1</sup>, მაგრამ შვარცენბერგი 1852 წლის აპრილში გარდაიცვალა, ხოლო მომდევნო წელს იფეთქა ყირიმის ომმა, რომელმაც ავსტრიის ყურადღება სულ სხვა მიმართულებით წარმართა და, პირიქით, გამოიწვია ის, რომ თვითონ მას დასჭიდა პრუსიის მხარდაჭერის მოპოვება. პრუსია ახლა კმაყოფილი იყო იმით, რომ მისი ორივე მოწინააღმდეგე ოლმიუცისა გაება სამხედრო კონფლიქტში და აღმოჩნდნენ საპირისპირო ბანაკებში. მისთვის დადგა დრო, როცა ორივე მოწინააღმდეგე იძულებული იყო ანგარიში გაეწია იმ პოზიციისათვის, რომელსაც პრუსია დაიკავებდა<sup>2</sup>.

პრუსიისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა ინგლისის მხრიდან, რომელიც ადგილობრივი ბურჟუაზიული ინტერესებისა და სამეფო კარის დაჯგუფებაზე (მას პრუსიის პრინცესა მეთაურობდა) დაყრდნობით ცდილობდა, თავის მხარეზე გადაებრებინა, მიემხრო პრუსია. ამისათვის ნიადაგი პრუსიაში მომწიფებული იყო, რადგან უდიდესი იყო რუსეთისადმი გაბრაზება, ოლმიუცის გამო, იმ მფარველობისათვის, რაც რუსეთმა გაუწია ავსტრიას. ინგლისი კი პრუსიას კომპენსაციის სახით სთავაზობდა ბალტიისპირეთისა და პოლონეთის მიწა-წყალს<sup>3</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში ბლოკადით ემუქრებოდა. ბოლოს და ბოლოს, პრუსია დათანხმდა ხელი მოეწერა ავსტრიასთან კონვენციაზე, რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. მან აიღო ვალდებულება თავის აღმოსავლეთ საზღვარზე განელაგებინა იმდროისათვის არმიის საკმაოდ დიდი რაოდენობა. მიუხედავად ამისა, ომი ავსტრიასა და რუსეთს შორის არ ამტყდარა, რადგან რუსეთმა გამოიყვანა თავისი ჯარის ნაწილები მოლდავეთსა და ვალახეთიდან<sup>4</sup>.

საბოლოო ჯამში პრუსიამ ვერ ისარგებლა შექმნილი ვითარებით. პირიქით, უსუსური აღმოჩნდა და ისეთი უზადრუკი როლი ითამაშა, რომ ორივე ბანაკში ფასი დაკარგა. 1856 წელს, პარიზის კონგრესზე, რომელმაც დაავიკრგინა მოკავშირეთა გამარჯვება ყირიმის ომში, პრუსია ფორუმზე არც კი დაუშვეს და მხოლოდ დიდი მუდარისა და ხვეწნის შემდეგ დაფიქსირდა იმ მუხლის ქვეშ, რომელიც ეხებოდა შავი ზღვის ნეიტრალიზაციის საკითხს.

ასეთ ვითარებაში, საინტერესოდ მიგვაჩნია ოტო ბისმარკის პოზიცია. ოლმიუცის შეთანხმებას ბისმარკი შეემლო განწყობა რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ის მაინც არ ემხრობოდა პრუსიის საგარეო პოლიტიკის დასავლურ კურსს. პირიქით, ეწინააღმდეგებოდა ინგლისის გეგმებს მიმართულს რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ და, საერთოდ, მის განხორციელებას პრუსიის მონაწილეობით. აქ გამოვლინდა ბისმარკის ხასიათი, რომელიც გამოჩნდა მის შემდგომ მოღვაწეობაში. პრაგმატული პოლიტიკური გათვლა, პრუსიის ინტერესების უსათულო გათვალისწინებით, ისე როგორც ამას თვითონ აღიქვამდა: „ყველაზე საშიში დიპლომატიისათვის, ამბობდა ის მოგვიანებით - ესაა იმყოფებოდე ილუზიების ტყვეობაში“<sup>5</sup>. ამაში იგულისხმებოდა ის, რომ ბისმარკი იბრძოდა მამინ გავრცელებული იმ ილუზიების წინააღმდეგ, თითქოსდა პრუსიას გააჩნდა შესაძლებლობები მიეღწია დიდი სახელმწიფოს სტატუსამდე ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრო-უნგრეთის მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვებისა და მათთან რუსეთის წინააღმდეგ შეთანხმებით.

ოტო ბისმარკი თვლიდა, რომ ტერიტორიული კომპენსაციები რუსეთის სამფლობელოების ხარჯზე, როგორი ვრცელი და მაცდუნებელიც არ უნდა ყოფილიყო, პრუსიას არ სჭირდებოდა. ის ამტკიცებდა, რომ პრუსიას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ეომა რუსეთთან და თუნდაც ძლევამოსილი ომი რუსეთის წინააღმდეგ საბოლოო ჯამში მას მიაყენებდა უდიდეს პოლიტიკურ ზიანს: ამ შემთხვევაში პრუსია თავის აღმოსავლეთ საზღვარზე მუდამ მიიღებდა ზეწოლას უზარმაზარი სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც

<sup>1</sup> Ф. А. Ротштей, из истории Пруско-Германской империи, М-Л; 1948, стр.59

<sup>2</sup> Там-же, стр.4

<sup>3</sup> პოლონეთის ტერიტორიის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ავსტრიის, პრუსიის, და რუსეთის სახელმწიფოს მიერ, 1772, 1793, 1795წწ. პოლონეთის სამეფოს დანაწილების შედეგად.

<sup>4</sup> Ерусалимский А.С. Дипломатия и милитаризи, М., 1968, стр.40

<sup>5</sup> Ерусалимский А.С. Бисмарк как дипломат, М., 1940, стр.19-20



ყოველთვის მზად იქნებოდა რევანშისათვის<sup>1</sup>. ამავე დროს რუსეთის იმპერიაში შემავალი პოლონური ტერიტორიები დაასუსტებდნენ პრუსიას. ბისმარკი აფრთხილებდა, რომ უდიდესი პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა არაფრად ჩაგდება სამოცმილიონიანი ველიკორუსი ხალხისა, ... შეცდომა იქნებოდა, არ ჰქონოდათ შიში იმისა, რომ ის გახდეს ერთგული მოკავშირე პრუსიის ნებისმიერი მომავალი მტრისა<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ომამდე საქმე არ მივიდა რუსეთის სახელმწიფოსთან, ბისმარკი მაინც ვერ მალავდა აღშფოთებას იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში ხელიდან იქნა გაშვებული შესაძლებლობა მილიტარისტული პრუსიის პოზიციების განმტკიცებისა ცენტრალურ ევროპაში. ავსტრიასთან შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც პრუსია ვალდებული იყო გამოეყვანა რუსეთის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი არმია, ბისმარკი თვლიდა, უდიდეს პოლიტიკურ შეცდომად. ის ამბობდა, რომ შესაძლებელი იყო პრუსიას ეს არმია გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. საჭირო იყო მხოლოდ 200 ათასიანი არმიის განლაგება სილეზიაში რუსეთისა და ავსტრიის საზღვრების პირდაპირ. ავსტრიას არ შეეძლო ამაზე პროტესტი განეცხადებინა, რადგან ფორმალურად საქმე მხოლოდ პრუსიის მიერ თავისი ვალდებულების ლოიალურ შესრულებამდე იქნებოდა დაყვანილი. შემდგომ კი პრუსიას ეს არმია უნდა წარემართა არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რუსეთთან პირის შეკვრით, ავსტრიის წინააღმდეგ. ეს უნდა მომხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ ავსტრია უარს იტყოდა პრუსიის ჰეგემონობაზე ჩრდილოეთ გერმანიაში<sup>3</sup>.

თუმცა ანგარიშგასაწევი იყო ისიც, რომ ავსტრიას მხარს დაუჭერდნენ ინგლის-საფრანგეთის კოალიცია, რომელიც ისედაც იმუქრებოდა პრუსიის ბლოკადით. ბისმარკი თვლიდა, რომ რუსეთის სახელმწიფოსა და მის მთავრობასთან კარგი, კეთილი ურთიერთობის პირობებში ინგლის-საფრანგეთის ბლოკადა პრუსიისათვის საშიში არ იქნებოდა, რადგან ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ შავ ზღვაზე რუსეთის წინააღმდეგ ომში, ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდნენ პრუსიაზე. ამდენად, რუსეთთან ერთად პრუსია შეძლებდა ბევრი რამის მიღწევას თავის სასარგებლოდ<sup>4</sup>.

ოტო ბისმარკის გეგმა ნათლად მოწმობს იმას, რომ მისი ავტორი უდავოდ დაჯილდოებული იყო მტკიცე ხასიათითა და გამოირჩეოდა გონების უზადლო გამჭირაობით. მიუხედავად ამისა, ეს გეგმა უარყოფილ იქნა, რადგან დიდი იყო ავსტრიისა და დასავლეთის სახელმწიფოების შიში. მოგვიანებით, ხელისუფლებაში, ალბათ გადაწყვიტეს, უფრო ღრმად გაცნობოდნენ ბისმარკის საგარეო პოლიტიკურ პროგრამას. ამ პროგრამის დედააზრი, როგორც ჩანს, მოკლედ შემდეგში მდგომარეობდა: გადამწყვეტი, შეუპოვარი ბრძოლა ჰამსბურგთა ავსტრიის წინააღმდეგ, ურთიერთობის განმტკიცება მეფის რუსეთთან. ბისმარკის მიერ მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილმა ამ პროგრამამ იმ დროს ვერ ჰპოვა მხარდაჭერა. მაგრამ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ძველმა მილიტარისტულმა პოლიტიკამ და დიპლომატიამ, რომელმაც კლასიკური ხორცმესხმა ჯერ კიდევ ფრიდრიხ მეორის დროს პოვა, განაახლა თავისი საქმიანობა და დაადგა ახალი დიდი ამოცანების განხორციელების გზას, რომელიც ჯერ პრუსიაში, ხოლო შემდეგ მთელი გერმანიის მასშტაბით, კაპიტალიზმის დამკვიდრებისა და განვითარების ეპოქის მიერ იყო ნაკარნახევი.

ბისმარკი აშკარად მიილტვოდა იმისკენ, რომ პრუსიის მართვის სადავეები ყოფილიყო არა საპარლამენტო მთავრობის ხელში<sup>5</sup>, არამედ თავად დაპატრონებოდა მას. შეძლებდა კი ის ამ ხელისუფლების შენარჩუნებას? ამაზე ბისმარკი ასე წერდა ა. გორჩაკოვს: „მხოლოდ ერთადერთმა უფალმა იცის, მაგრამ ვინ იცის“, როგორც ამას ამბობენ თქვენთან რუსეთში<sup>6</sup>. მიუხედავად ამისა, ბისმარკი აქედან მოყოლებული ხანგრძლივი დროის მანძილზე უცვლელად ედგა სათავეში პრუსიის, შემდეგ კი მთელი გერმანიის პოლიტიკურ მართვა-გამგეობას.

აქედან გამომდინარე, ჩვენი დაინტერესების საგანს წარმოადგენს, არა ბისმარკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, არამედ მისი უშუალო პოლიტიკა რუსეთის სახელმწიფოს მიმართ. გააცნობიერა რა რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობა, მან გადაწყვიტა, ამისათვის მოეხელთებინა ხელსაყრელი შემთხვევა. დაიწყო კიდევ ჩანაფიქრის განსახორციელებლად გზების ძიება. გერმანიის ბურჟუაზიის მნიშვნელოვან ნაწილში უკიდურესად არაპოპულარული გახლდათ რუსეთთან დაახლოება. მიუხედავად ამისა, ოტო ბისმარკი, რომელიც მზად იყო დაეკმაყოფილებინა ბურჟუაზიის მოთხოვნები,

<sup>1</sup> Ото Фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М-С-П; 2004, стр.108

<sup>2</sup> Ото Фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М-С-П; 2004, стр.105-106

<sup>3</sup> Ото Фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М-С-П; 2004, стр.93-94. Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968, стр.41

<sup>4</sup> Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968, стр.41

<sup>5</sup> «Красный архив», 1933, т.6, стр.12-13. Бисмарк Горчакову, 19 ноября 1862г. См. Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968, стр.47

ამას ცდილობდა თავისებურად, იუნკრულად, წინააღმდეგ მათი ნებისა. ასევე რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში ნაკლებად უწევდა ანგარიშს ბურჟუაზიის დასავლურ განწყობილებას<sup>1</sup>.

პრუსიისა და რუსეთის დაახლოების საფუძვლად ბისმარკმა წამოაყენა ორივე სახელმწიფოს დინასტიური ინტერესების ერთიანობის იდეა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცეული პოლონეთის ტერიტორიაზე, როდესაც იფეთქა დიდი ხნის წინ მომწიფებულმა შეიარაღებულმა აჯანყებამ. 1863 წელს და ინგლის-საფრანგეთის პრესის მხარდაჭერით გამოცხადდა დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენის ლოზუნგი, საზღვრებში ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ბისმარკმა იმთავითვე გააცნობიერა, რომ ის ახლოს იყო თავის მიზანთან.

პოლონეთის მოვლენებმა ევროპის წამყვან სახელმწიფოთა ყურადღება უმაღლვე მიიქცია. ბისმარკი ხედავდა, რომ საერთაშორისო მანევრირებისა და ძალის მოკრებამდე აჯანყებულთა დასარტყმელად, პრუსიის მთავრობამ სწრაფი და ენერგიული მოქმედება გადაწყვიტა. მას არ გამოპარვია საერთაშორისო მოვლენების სწრაფი განვითარება და ელოდა, პრუსიისათვის რაიმე სარგებლის დადგომას ახლო მომავალში. ამისთვის თავად ბევრს იღვწოდა. პირველი ნაბიჯი, რომელიც დიპლომატმა ამ მიმართულებით გადადგა იყო რუსეთის მთავრობისათვის წინადადების შეთავაზება სამხედრო კონვენციის დადებაზე. კონვენცია ითვალისწინებდა რუსული და პრუსიული ჯარების ერთობლივი მოქმედებით პოლონეთის აჯანყების ჩაქრობას.

1863 წლის თებერვლის დასაწყისში ბისმარკმა პეტერბურგში გაგზავნა გენერალი გუსტავ ფონ ალვენსლუბენი, რომელსაც ევალეზობდა რუსეთ-პრუსიის კონვენციისათვის ხელმოწერა. ა. ვ. გორჩაკოვი და ზოგიერთი სხვა მოხელე კონვენციას არა მარტო უსარგებლოდ, არამედ სახიფათოდაც კი მიიჩნევდნენ, რამდენადაც ის აფერხებდა რუსეთის საქმიანობას საერთაშორისო არენაზე. მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერატორი და მისი ახლო გარემოცვა იმთავითვე ჩაეჭიდა პრუსიის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას. ისინი ამაში ხედავდნენ ძლიერ იარაღს, რომელიც მიმართული იქნებოდა არა მარტო პოლონეთის აჯანყების წინააღმდეგ, არამედ მისი გამოყენება სურდათ დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ ყირიმის კოალიციის რეანიმაციის საფრთხის აღსაკვეთად<sup>2</sup>. ბისმარკმა ასე დაახასიათა კონვენციის მიერ დასახული ამოცანა: „რუსეთი და პრუსია ისე სოლიდარულად გამოდიან საერთო საფრთხის წინააღმდეგ, თითქოსდა ისინი წარმოადგენენ ერთ ქვეყანას“<sup>3</sup>. მიუხედავად ამისა, ვითარება საერთაშორისო არენაზე სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. რუსეთის მეფესთან სოლიდარობის ამ აქტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია პრუსიისა და გერმანიის ლიბერალურ და დემოკრატიულ წრეებში, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებში ინგლისმა და საფრანგეთმა და მათი გავლენით ავსტრიამაც დიპლომატიური დემარში წამოიწყო პეტერბურგის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა, არა იმდენად პოლონელების ინტერესების დაცვას, რამდენადაც რუსეთის პოზიციების შერყევას. რუსეთის მეფის დიპლომატიის თვალწინ გაიელვა ყირიმის კოალიციის აჩრდილმა. ასეთ ვითარებაში პრუსიასა და რუსეთს შორის დადებული კონვენცია წარმოადგენდა იმის დემონსტრაციას, რომ პრუსია ამჯერად არ მიჰყვებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ერთობლივ პოლიტიკურ კურსს, რომ ის ეწეოდა დამოუკიდებელ პოლიტიკას და დგებოდა რუსეთის გვერდით.

რასაკვირველია, საერთაშორისო სარბიელზე თავისი პირველი დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის დაფიქსირებით, პრუსიის მთავრობა ნათლად გამოხატავდა, რომ ის იღვწოდა საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. მოგვიანებით თავის პოლიტიკურ ანდერძში ოტო ბისმარკი აღნიშნავდა: ნებისმიერი მთავრობა თავისი პოლიტიკით უნდა გამოდიოდეს საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან, თუმცა უნდა შეეძლოს მათი შენიღბვა სხვადასხვა სახის სენტიმენტალური მოსაზრებებითა და არგუმენტებით. ბისმარკი იმიტომ წავიდა რუსეთის მთავრობასთან კონვენციის ხელმოწერაზე, რომ ემინოდა აჯანყებისა სილეზიასა და პოზანაში. ემინოდა, რომ დამოუკიდებელი სილეზია დაასუსტებდა პრუსიის სახელმწიფოს. რუსეთთან კონვენციაზე ხელის მოწერის მიზანი ისიც იყო, ეჩვენებინა ავსტრიისათვის, რომ პრუსია ყოველთვის როდი იქნებოდა ავსტრიის კუდს უკან მხოხავი მაჩანჩალა<sup>4</sup>.

შემდგომში, მრავალი წლის შემდეგ, ოტო ბისმარკმა გაამჟღავნა კიდევ ერთი ფარული მიზანი, რისთვისაც ის რუსეთთან ფარული ხელშეკრულების დადებისას იღვწოდა: კონვენციამ საბოლოოდ

<sup>1</sup> Ерусалимский А.С. Бисмарк как дипломат, М., 1940, стр.23

<sup>2</sup> Л.И. Нарочницкая, Россия и войны Пруссии в 60-х годах XIXв. За объединение Германии и сверху. М., 1960, стр.16-17, 23. А.С. Ерусалимский, Бисмарк: дипломатия и милитаризм, М. 1968, стр.56

<sup>3</sup> «Красный архив», 1933, т.6, стр.13. Бисмарк Горчакову, 19 ноября 1863г. См. Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968, стр.57

<sup>4</sup> Ото Фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М-С-П; 2004, стр.282, 288, 289.

ჩამალა რუსეთ-საფრანგეთს შორის მოსალოდნელი შეთანხმება<sup>1</sup>, მიუხედავად იმისა, რომ საქმე კონვენციის შესრულებამდე არ მივიდა. გამომდინარე იქიდან, რომ ის არ შეეფუბოდა რუსეთის მიერ დაკავებულ პოზიციას, თუ არ მოახდენდა კონვენციის დენონსირებას. შესაბამისად, ნაპოლეონ მესამის მხრიდან ზემოქმედება კიდევ უფრო ენერგიული იყო. ბისმარკი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, მაგრამ დაძაბულობა მას შემდეგ განიმუხტა, როცა რუსეთის მთავრობამ პრუსიის სამხედრო ძალების დახმარებით შეძლო პოლონეთის აჯანყების ჩაქრობა და თავად განაცხადა კონვენცია ანულირებულიად. ბისმარკმა შვებით ამოისუნთქა. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოსვლებიც შეჩერდა. ისინი გარკვეული ხმაურისა და აურზაურის შემდეგ გაჩუმდნენ, როგორც კი გორჩაკოვმა მათ საკადრისი პასუხი გასცა. ამან ბისმარკს საშუალება მისცა წარმდგარიყო რუსეთის სახელმწიფოს წინაშე, როგორც მისი ერთადერთი მეგობარი, რომელსაც შეეძლო გვერდში დადგომა და მართლაც დადგა მეხამრიდად რუსეთსა და მის მტრებს შორის. ამის შემდეგ კეთილგანწყობა და დანდობა პრუსიისადმი რუსეთის სამეფო კარისა, თითქმის უსაზღვრო გახდა. ოტო ბისმარკის მისწრაფებას დაახლოებოდა რუსეთის მთავრობას, შორს მიმავალი მიზნები გააჩნდა. ჯერ ერთი, რუსეთთან მჭიდრო კავშირი მას სჭირდებოდა ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად, პრუსიის დანიასთან ომის დროს ჰოლშტეინისა და შლეზვიგის საჰერცოგოების შემოსაერთებლად. ასევე 1864-1866 წლებში ბისმარკი რუსეთთან დაახლოებას ცდილობდა არა მარტო პოლონეთში მიმდინარე მოვლენების საწინააღმდეგოდ, არამედ რუსეთის მხარდაჭერით, ავსტრიასთან მომავალი ომის დროს, გერმანიაში ჰეგემონიისათვის<sup>2</sup>. ყველაზე ძნელი ჩანდა საფრანგეთთან ნეიტრალიტეტის მიღწევა. მაგრამ, როგორც შემდგომში აღმოჩნდება, ბისმარკის დიპლომატია ამასაც მოახერხებს, იქიდან გამომდინარე, რომ მაშინ ამის მისაღწევად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა - მაშინ საფრანგეთი რთულ საგარეო ვითარებაში იმყოფებოდა. მართალია, საფრანგეთის მთავრობას სურდა, შლეზვიგ-ჰოლშტეინის პრობლემიდან მისთვის სასურველი სარგებლის მიღება, მაგრამ იმის გამო, რომ დაკავებული იყო სამხედრო ექსპედიციით მექსიკაში, 1874 წლის თებერვალში იფეთქა აჯანყებამ ალჟირში, აქედან გამომდინარე, ნაპოლეონ მესამე იძულებული შეიქმნა დალოდებოდა შემდგომ მოვლენების განვითარებას იმ სასურველი იმედით, რომ რუსეთი და ინგლისი პრუსიას დაეჯახებოდა. პრუსიის დასუსტება ავსტრიას მისცემდა საშუალებას რეინის გარკვეული ტერიტორია ჩაეგდო ხელში<sup>3</sup>. ამის განხორციელებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ინგლისის მმართველ წრეებში არ იყო ერთიანი პოზიცია საგარეო საკითხებში და ერთმანეთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. პრინციპში მათ სურდათ სტატუს-ქვოს შენარჩუნება ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვაზე და განსაკუთრებით შიშობდნენ, რომ არ მომხდარიყო დანიის მონარქიის სრული დაშლა. გამომდინარე იქიდან, რომ შლეზვიგ-ჰოლშტეინის საქმე სულ უფრო მწვევადებოდა, ინგლისში გაძლიერდა იმაზე შიში, რომ ამ მოვლენებში არ ჩარეულიყო საფრანგეთი რეინზე და ბელგიაში ტერიტორიების მიტაცებისა და პრუსიასთან დაახლოების მიზნით<sup>4</sup>.

ამ პირობებში ავსტრია, რომელსაც ეშინოდა არ დაეკარგა თავისი პოზიციები გერმანულ სახელმწიფოებს შორის, იძულებული იყო, თავის მეტოქე პრუსიასთან ერთად, გამოსულიყო დანიის წინააღმდეგ. პრუსიისა და დანიის ავსტრიასთან ომის დროს ნეიტრალიტეტის პოზიციის დაკავებამ კიდევ უფრო დაარწმუნა ბისმარკი იმ ჭეშმარიტებაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პრუსიისათვის რუსეთთან ნეიტრალიტეტის მიღწევა, მისი ავსტრიის წინააღმდეგ ომის დროს გერმანიაში ჰეგემონიისათვის<sup>5</sup>. რასაკვირველია, ბისმარკი მოქმედებდა იქიდან გამომდინარე, რომ დიპლომატიური მხრიდანაც უზრუნველყო გენერალური შტაბის სტრატეგიული გეგმები, რომელიც გამალებული ემზადებოდა ავსტრიის წინააღმდეგ ომისათვის. პრუსიის მმართველ წრეებში უდიდეს შემოფოთებას იწვევდა საფრანგეთის პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტმა ნაპოლეონ მესამეს აღუთქვა გარკვეული ტერიტორიული კომპენსაციები საფრანგეთის ნეიტრალიტეტისათვის. მან შესთავაზა ნაპოლეონ მესამეს რეინის ბავარიისა და რეინის ჰესენის მიწები. ასევე მოლაპარაკება შეეხებოდა ბელგიასა და ლუქსემბურგს<sup>6</sup>. ძნელი სათქმელია, რამდენად იყო დარწმუნებული საფრანგეთის იმპერატორი ამ დაპირების სიწრფელეში: როგორც ჩანს არა. ნაპოლეონი და ბისმარკი იმედოვნებდნენ ერთმანეთის ეშმაკური ხერხებით გაცურებასა და მოტყუებას. რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტი წინასწარვე იყო შეთანხმებული და ისიც ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. რადგან ოტო ბისმარკმა იცოდა, რომ რუსეთის მთავრობას, რომელსაც გააჩნდა ძველი ანგარიშები და ჰქონდა ძველი

<sup>1</sup> Там-же, стр.282, 285

<sup>2</sup> Л.И. Нарочницкая, Россия и войны Пруссии в 60-х годах XIXв. За объединение Германии и сверху. М., 1960, стр.17

<sup>3</sup> Там-же, стр.41-42

<sup>4</sup> Там-же, стр.42-43

<sup>5</sup> Л.И. Нарочницкая, Россия и войны Пруссии в 60-х годах XIXв. За объединение Германии и сверху. М., 1960, стр.74

<sup>6</sup> Там-же, стр.88. Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968, стр.63

პოლიტიკური დავა ავსტრიასთან, არ დამრავდა არმიას მის დასაცავად. რაც შეეხება ინგლისს, მისი ურთიერთობის გამწვავება საფრანგეთთან, ერთი მხრივ, და აშშ-თან, მეორე მხრივ, ისევე აიძულებდა მას თავი შეეკავებინა იმ პერიოდში ევროპულ პოლიტიკაში თავის ჩაყოფისაგან.

ამგვარად, იმდროისათვის შექმნილი ვითარება საერთაშორისო არენაზე ხელს აძლევდა ბისმარკს გადასულიყო საერთაშორისო მოქმედებებზე. პრუსიის მინისტრები და გენერლები იმედოვნებდნენ მოულოდნელი და სწრაფი სამხედრო ოპერაციით, დაემთავრებინათ ავსტრიასთან ომი, რაც მათ 1866 წელს სისრულეში მოიყვანეს.

რუსეთის ხელისუფლების მიერ დაკავებულმა პოზიციამ პრუსია-ავსტრიის ომის დროს მნიშვნელოვნად განაპირობა პრუსიის სამხედრო გამარჯვება ავსტრიაზე, რაც ასევე წარმოადგენდა ერთ-ერთ არსებით ფაქტორს, რომელმაც განსაზღვრა ბისმარკის მიერ ნაციონალური პროგრამის მეორე ეტაპის წარმატებით დაგვირგვინება გერმანიის შემდგომი განვითარების გზაზე.

აღსანიშნავია, რომ პრუსიის წარმატება განაპირობა და არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის საფრანგეთისა და ინგლისის ნეიტრალიტეტსაც.

პრუსია-ავსტრიის ომის დროს რუსეთის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ბისმარკი მნიშვნელოვნად აფასებდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ რუსეთის პოზიცია მისთვის ხელსაყრელი იყო, ამის გამო შემდგომ უფრო მეტად ცდილობდა მასთან დაახლოებას. ამ იმპერიასთან თბილი ურთიერთობა საჭიროდ მიაჩნდა, იქიდან გამომდინარე, რომ გერმანიის გაერთიანების მესამე დასკვნით ეტაპზე, საფრანგეთის წინააღმდეგ ომში, არ უნდოდა დაემუქა თავის აღმოსავლეთ საზღვართან ძლიერი გაერთიანებული გერმანიის შექმნა. პრუსიას სჭირდებოდა ისევე ნეიტრალური პოზიცია რუსეთის მხრიდან, რადგან რუსეთის პოზიციას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ პრუსიას საშიშროება არ დამუქრებოდა აღმოსავლეთი საზღვრიდან. ამ შემთხვევაშიც, როგორც პოლონეთის მოვლენების დროს, ის ცდილობდა დაყრდნობოდა რუსეთის ხელისუფლების იმ წრეებს, რომლებიც აუცილებლობად მიიჩნევდნენ პრუსიასთან კავშირს.

ავსტრიის დამარცხების შემდეგ ნაპოლეონ მესამე პრუსიისაგან ელოდებოდა ტერიტორიული კომპენსაციების მიღებას, მაგრამ ბისმარკი არ ჩქარობდა. დროის გაწელვის მიზნით, მან განაახლა დიპლომატიური ვაჭრობა საფრანგეთის იმპერატორთან, რომელიც ასევე, დროის მოგების მიზნით საფრანგეთის არმიის გასაძლიერებლად, იძულებული გახდა მოლაპარაკებები დაეწყო ბისმარკთან.

ამდენად, ორივე მხრიდან გარკვეული მზადების შემდეგ ომი გარდაუვალი აღმოჩნდა. პრუსიის არმიამ გენერალ მალტკეს სარდლობით მოულოდნელად და სწრაფად გაანადგურა ბონაპარტისტული საფრანგეთის არმია. ნაპოლეონ მესამე, თავის მხრივ, ემზადებოდა პრუსიასთან ომისათვის, რადგან მასში ხედავდა საფრანგეთის გაკოტრებული პოლიტიკური რეჟიმის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას. მიუხედავად ამისა, ის სასტიკად დამარცხდა.

საფრანგეთის განადგურებამ სრულიად ახალი სიტუაცია შექმნა ევროპის პოლიტიკაში. ყირიმის კოალიციის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე მწყობრიდან გამოვიდა. სისტემას, რომელზეც იყო დამყარებული 1856 წლის პარიზის ტრაქტატის პირობები, ბზარი გაუჩნდა. რუსეთის დიპლომატიამ იმთავითვე გააცნობიერა, რომ დადგა დრო, გაუქმებულიყო ყველაზე დამამცირებელი მუხლები პარიზის ზავისა, საკუთრივ ის მუხლები, რომლის მიხედვით, რუსეთს არ ჰქონდა უფლება ჰყოლოდა სამხედრო ფლოტი შავ ზღვაზე. ა. მ. გორჩაკოვმა გადასცა ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებს ცირკულარი იმის თაობაზე, რომ რუსეთს არ შეუძლია ამდენი ხნის განმავლობაში მოკლებული იყოს უფლებას დაიცვას თავისი შავიზღვისპირა საზღვრები<sup>1</sup>. ამ აქტმა ინგლისში განგამი გამოიწვია. ინგლისის პრესა აღშფოთებული მოითხოვდა ახსნა-განმარტებებს. ინგლისის მთავრობამ ამ ახსნა-განმარტებებისათვის გაგზავნა ლორდ ოდო როსსელი, მაგრამ არა პეტერბურგში, არამედ ბერლინში ოტო ბისმარკთან. ლონდონში ეს საქმე სხვანაირად გაიგეს: რუსული აქტი შავი ზღვის ნეიტრალიზაციის გაუქმების შესახებ, თითქოს ბისმარკის მიერ „გაწეული სამსახური“ ყოფილიყო, სამსახური რუსეთისადმი მისი ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გამო. ბისმარკმა განაცხადა, რომ მისთვის „არაფერი არაა ცნობილი“<sup>2</sup>. ერთადერთი ის, რაც მან შესთავაზა ინგლისელებს რეკომენდაციის სახით, ესაა ევროპული კონფერენციის მოწვევა. გლადსტონის ინგლისის მთავრობას მხოლოდ ისღა დარჩენოდა მიეღო ეს წინადადება. არადა, რეალურად ინგლისის მთავრობა რუსეთის არმიას ვერაფერს დაუპირისპირებდა. საფრანგეთის არმია განადგურებული იყო, პრუსიის არმია პარიზის მისადგომებთან იდგა და არავითარი სურვილი ან საფუძველი არ გააჩნდა გეზი აეღო პეტერბურგისაკენ შავ ზღვაზე ინგლისის ინტერესების დასაცავად. ინგლისმა თავისი გაღიზიანება იმით დაიკმაყოფილა, რომ ლონდონის კონფერენციაზე 1871 წელს რუსეთის წარმომადგენელს ბრუინოვს ნოტაცია წაუკითხა ხელშეკრულებათა დაცულობასა და მათ დაურღვევლობაზე. ამაზე მეტის გაკეთება მას არაფრით არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, ბრუინოვზე

<sup>1</sup> Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968, стр. 78

<sup>2</sup> Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968, стр. 78

ინგლისელების ნოტაციას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, თუნდაც იმიტომ, რომ ის ბებერი იყო და არაფერი ესმოდა“<sup>1</sup>.

თავის მემუარებში ოტო ბისმარკი ხაზს უსვამს მის დამოკიდებულებას რუსეთის დიპლომატიის აქტისადმი, რამაც შესაძლებლობა მისცა რუსეთს დაებრუნებინა საკუთარი უფლებები, დაეცვა თავისი შავიზღვისპირა საზღვრები. ბისმარკი თავის თავს მიაწერს ინიციატივას ამ აქტთან დაკავშირებით. „წარმოუდგენელია ასმილიონიან ხალხს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, - წერს ის, ხელი შეუშალო სუვერენული სახელმწიფოს კუთვნილ ზღვისპირეთზე საკუთარი უფლებების განხორციელებაში. ასეთი სახის ხანგრძლივი სერვიტუტი<sup>2</sup>, როგორც მიეცათ უცხო ქვეყნებს რუსეთის ტერიტორიაზე, ამ დიდი სახელმწიფოს დამცირებას უტოლდებოდა. ჩვენთვის კი- ასკვნის ბისმარკი, წარმოადგენდა კარგ საბაზს რუსეთთან ურთიერთობის განვითარებისათვის“<sup>3</sup>. უდავოა, გერმანიის იმპერიის ჩამოყალიბების პერიოდში, ოტო ბისმარკი გამალებით ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებას. ხოლო შიში, რომელმაც ის შეიპყრო პარიზის კომუნასთან დაკავშირებით, გახდა ის დამატებითი სტიმული იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაემყარებინა დინასტიური და პოლიტიკური კავშირები რუსეთის სახელმწიფოსთან.

აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია ოტო ბისმარკის დამაფიქრებელი შენიშვნა რუსეთის ძლიერების თაობაზე. „რუსეთი ყოველთვის იმაზე ძლიერი ან უფრო სუსტი გვეჩვენება, ვიდრე ის არის სინამდვილეში“<sup>4</sup>, რადგან საერთოდ მოწინააღმდეგის ძლიერება, ისევე როგორც საკუთარი ძლიერება შეიძლება სათანადოდ ვერ შეაფასო, ან გადაჭარბებულად შეაფასო. რამდენადაც პოლიტიკოსები გადაწყვეტილებებს იღებენ საკუთარ და სხვათა (დაზვერვა, სამხედროები და სხვ.) მონაცემებზე, უფრო სწორად, მათ აღქმაზე დაყრდნობით. საერთოდ აღქმაზე აგებულ მონაცემებს ზოგჯერ შეცდომები მოჰყვებათ და იქმნება რთული და მწვავე პრობლემები. ასევე უადრესად საყურადღებოა ბისმარკის შეგონება რუსეთთან დაკავშირებით „არასოდეს არაფერი დაგეგმოთ რუსეთის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ყოველ თქვენს ეშმაკობაზე იგი გიპასუხებთ გაუთვალისწინებელი სისულელით“<sup>5</sup>. ოტო ბისმარკის მემკვიდრეებმა გერმანიის პოლიტიკური განვითარების მეტად რთული, ტრაგიზმითა და დრამატიზმით აღსავსე, მაგრამ ამავე დროს საინტერესო შთაბეჭდავი ისტორიული მოვლენებით გაჯერებულ გზაზე არ გაითვალისწინეს, უფრო სწორად, არ გაიზიარეს მისი ანდერძი, რომ არ შეიძლებოდა ორ ფრონტზე ომი, მით უმეტეს, რუსეთის წინააღმდეგ.

#### ლიტერატურა:

1. Ротштейн Ф.А., из истории Пруско-Германской империи, М-Л., 1948.
2. Ерусалимский А.С. Дипломатия и милитаризм, М., 1968.
3. Ерусалимский А.С. Бисмарк как дипломат, М., 1940.
4. Ото Фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М-С-П; 2004.
5. Ото Фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М-С-П; 2004.
6. «Красный архив», 1933, т.6, стр.12-13. Бисмарк Горчакову, 19 ноября 1862г. См. Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968.
7. Л.И. Нарочницкая, Россия и войны Пруссии в 60-х годах XIXв. За объединение Германии и сверху. М., 1960,
8. А.С. Ерусалимский, Бисмарк: дипломатия и милитаризм, М. 1968,<sup>11</sup> «Красный архив», 1933, т.6, стр.13. Бисмарк Горчакову, 19 ноября 1863г. См. Ерусалимский А.С. Бисмарк: дипломатия и милитаризм, М., 1968.

### **BISMARCK, RUSSIA AND ALVENS LEBEN CONVENTION** **Nodar Darsania, Sokhumi State University, Associate Professor** **RESUME**

Otto Fon Bismarck, with his pragmatic intelligence and political wisdom understood the role of Russia in the international arena long ago. As a politician and diplomat, setting a definite goal, he also realized that Prussia would never be able to solve the problem of the reunification of Germany, would not be able to become a major European power, if It would not achieve a favorable attitude with Its great eastern neighbor.

<sup>1</sup> Ерусалимский А.С. Бисмарк как дипломат, М., 1940, стр. 27

<sup>2</sup> სერვიტუტი - ერთი ქვეყნის ტერიტორიული სუვერენიტეტისშეზღუდვა სხვა ქვეყნის ან ქვეყნების სასარგებლოდ.

<sup>3</sup> Ото Фон Бисмарк, Мемуары железного канцлера, М-С-П; 2004, стр. 440-441

<sup>4</sup> იქვე

<sup>5</sup> იქვე

It should be noted that the Danish war in 1864 for the conversion of the Duchy of Holstein and Slesvig into independent states as part of the German Confederation. The position of Russia is largely decided the success of Prussia.

Good relations with Russia were needed for the next phase of the reunification of Germany - namely, to conduct the war against Austria, because of the actual question of who should be the predominant force in Germany. Bismarck made sure that Russia has taken a position of neutrality in the war. The position of Russia was one of the essential factors determine the success of Prussia.

Bismarck persistently was attaining benevolent attitude of Russia to the third and final act of the path to the reunification of Germany. Bismarck needed the neutrality of Russia in the upcoming war with France. Russia's position was crucial here. The Prussian army suddenly and quickly defeated Bonaparte France.

Bismarck argued that Prussia had no reason to fight with Russia and the victorious war against Russia eventually would bring Prussia huge political damage in the future: in this case Prussia on its eastern border would always feel a strong pressure from the great powers, ready to revenge.

## საქართველოს „ისტორია“ ინსტიტუტი XII საუკუნეში (დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახური)

ოთარ დოლიძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ოდითგანვე იყო როგორც მეზობელი, ისე არამეზობელი ქვეყნების დაინტერესების სფერო. ყოველივე ეს ისტორიაში ასახულია ხშირი ომებითა და საქართველოს ტერიტორიების დატაცებით. აღსანიშნავია, რომ მსგავსად დღევანდელი დღისა, ამას ხელს უწყობდა იმდროინდელი ქართველი „მედროვეების“ მიერ ქვეყნის ღალატი და ორგულობა, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა დავითის ისტორიკოსი: „ვინაიდან ნათესავი ქართველთაი ორგულ-ბუნება არს პირველითგან თვისთა უფალთა; რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და მშვიდობაი პონ და განსუენებაი, იწყონ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძუელი მატთანე ქართლისაი და საქმენი აწ ხილულნი.“<sup>1</sup> როგორც ჩანს ორგულობა ოდითგანვე ყოფილა ჩვენი ერის განუკურნებელი სენი.

თვალი გადავავლოთ მე-11-ე საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს: 1080 წელს იყო დიდი თურქობა: „ასისფორი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარაი, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა; მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი...“<sup>2</sup> ხელისუფლების ზეგავლენა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იგრძნობოდა, თბილისი მაჰმადიან ამირას ემორჩილებოდა, კახეთ-ჰერეთი ურჩობდა და დამოუკიდებლობას აცხადებდა, ხოლო ქართლი და სამხრეთ საქართველო თურქ-სელჯუკებისაგან იყო წალეკილი: „...მოოხრებულ იყო ქართლი; და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო სოფელსა შინა კაცი, არცარა შენებულუბაი...“<sup>3</sup> ეკლესია-მონასტრები იყო დაცარიელებული და მღვდელ-მომღვრებზე გაჩაღებული იყო ნადირობა: „...წმიდანნი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა მათთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი-ადგილად არაწმიდებისა მათისა. და მღდელნი რომელნიმე თვით შეწირვასავე შინა საღმრთოსა მსხუერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი აღრივნეს თვისნი მეუფისათა თანა;...“<sup>4</sup> ასევე 1088 წელს საქართველოში ადგილი ჰქონდა დიდ მიწისძვრას, რომელიც თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა: „...და შეიძრა საფუძველითურთ ესეოდენ სასტიკებითა, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტურისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, სახლნი დაინთქნეს და დაზულეს და იქმნეს საფლავ მას შინა მკვიდრთა;...“<sup>5</sup>; და ყოველივე ამას დაერთო ცივი ზამთარი და გაუსაძლისი პირობები „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვაი და მკაი; მოოხრდა ქუეყანაი და ტყედ გარდაიქცა; ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა; ...ხოლო თუ ვინმე მთიულეთს

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, პირველი გამოცემა, ISBN 978-9941-15-581-9, თბილისი, 2012, ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 290-291.

<sup>2</sup> იგივე, გვ. 256.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 256, 260.

<sup>4</sup> იგივე, გვ. 257.

<sup>5</sup> იგივე, გვ. 260.

ანუ სიმაგრეთა სადალა ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხლითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგეცა მოისრა.<sup>1</sup>

და ამ დროს, სამეფო ტახტზე ადის 16 წლის ჭაბუკი, დავით IV, რომელიც უფალმა გაჭირვების ჟამს მოუვლინა საქართველოს: „...თვით მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონაი თვისი, და საცხებელი მისი წმიდაი სცხო, რამეთუ ხელი მისი შეეწია, და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი;...“<sup>2</sup> ქართველი ხალხი მას იხსენიებს, როგორც: „განსწავლული, ბრძანადმეტყველი, ღვთისმოშიში, დავრდომილთა ხელის მპყრობელი, ქვრივ-ობოლთა განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, დაუმარცხებელი მეომარი, მახვილი მესისა.“<sup>3</sup>

ასეთ ურთულეს პირობებში შეუძლებელი იყო რაიმე მარტივი საქმის წამოწყებაც კი, რომ არაფერი ვთქვათ საგარეო პოლიტიკის მოგვარებაზე. მაგრამ ისტორიიდან ჩვენთვის ცნობილია, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული მთელი რიგი რეფორმები, რომელთა საფუძველზეც მან მოახერხა მცირე დროში საქართველოს გაერთიანება და მისი ერთ-ერთ უძლეველ სახელმწიფოდ გარდაქმნა. ასეთი ახალგაზრდა ჭაბუკისგან მსგავსი პოლიტიკის გატარება შეუძლებელია, მაგრამ მან გამეფებისთანავე, პირველ რიგში, შემოიკრიბა ერთგული პატრიოტები, რომლებსაც სათავეში ედგა მეფის ვაზირი, მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი, რომელსაც დავითის მემატთანე შემდეგნაირად იხსენიებს: „...კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთათა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვანი და ფრთხილი, თანა-აღზრდილი, აღმზრდელი პატრონისაი და თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა მისთაი.“<sup>4</sup> თუ ამას დავამატებთ ქართველი ისტორიკოსების მოსაზრებას, რომ „მმართველობის ცენტრალიზაციის მიზნით დავით აღმაშენებელმა ძირითადი უწყებები (საშინაო, ფინანსთა, სამხედრო) გამოყო სხვა დარგებისგან და ისინი უშუალოდ მეფის ვაზირს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუქვემდებარა...“<sup>5</sup> მაშინ ბუნებრივია, რომ სწორი პოლიტიკის შერჩევასა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაში დიდი წვლილი მიუძღვის გიორგი ჭყონდიდელს.

დავითის დროინდელი მსტოვართა ინსტიტუტი, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, იდგა უმაღლეს საფეხურზე და უმეტეს შემთხვევაში თამაშობდა გადაწყვეტ როლს, როგორც ქვეყნის საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში.

პირველ რიგში განვმარტოთ ტერმინები:

„მსტოვარი - მომხილველი ქვეყანასა, გინა მტერთა ლაშქართა და ეგევითარცა უცნაურად...“

...მზირი - ყაზახი, გინა მსტოვარი. ...გინა ჯაშუში...“

...ჯაშუში სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და აემაგი ჰქვიან.“<sup>6</sup>

იმ ჟამისთვის მსტოვართა ინსტიტუტი ერქვა სისტემას, რომელიც თავის მხრივ აერთიანებდა როგორც დაზვერვის, ასევე კონტრდაზვერვის სფეროებს. მნიშვნელოვანია ის, რომ ისტორიულ წყაროებში არსად არ არის დაფიქსირებული აღნიშნული ინსტიტუტის ცალკეულ, დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბების შესახებ. მაგრამ თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე აუცილებლად იქნებოდა, თუნდაც რომელიმე ძალოვან სტრუქტურაში, ცალკე გამოყოფილი სისტემა მთელი რიგი სამსახურებით, სადაც მუშაკობდნენ მსტოვრები და აემაგები. ასევე უეჭველია, რომ დავითმა, სხვა მნიშვნელოვან უწყებებთან ერთად, ეს სფეროც მეფის ვაზირს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუქვემდებარა. რაც ერთიან, ცენტრალიზებულ მართვისა და კონტროლის სისტემას კიდევ უფრო ამყარებდა და ერთი პიროვნების ხელში აქცევდა.

მსტოვართა ინსტიტუტის განვითარება ქვეყნის შიდა სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტი იყო. დავით მეფეს კარგად ესმოდა, რომ სანამ არ მოაგვარებდა ქვეყნის შიდა საკითხებს, მანამდე გარეშე მტრებთან ურთიერთობების დალაგება უშედეგო იქნებოდა. ამიტომ ერთგული და პატრიოტი ხალხის შემოკრების შემდეგ, მან ისინი ცოდნისა და სპეციალობების მიხედვით გადაახარისხა, ხოლო შემდეგი მისი ნაბიჯი მართვის სისტემების რეორგანიზაცია და ერთგული ძალოვანი სტრუქტურების ჩამოყალიბება იყო. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ყველაზე უფრო სათუთი და უაღრესად კრიტიკული მნიშვნელობის სფერო-ინფორმაციის მართვის სისტემა, რომლის გამართვა და ეფექტური ფუნქციონირება, იმ დროის საქართველოსთვის ჰაერივით აუცილებლობას წარმოადგენდა, რომელსაც უნდა მოეცვა როგორც მთლიანი საქართველოს ტერიტორია, ასევე საქართველოს ტერიტორიის მიღმა

<sup>1</sup> იგივე, გვ. 256-257.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი I. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. პირველი გამოცემა, ISBN 978-9941-15-581-9, თბილისი, 2012, ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 260.

<sup>3</sup> [http://orthodox.ge/index.php?id=cmindanta\\_cxovreba/docs/doc2.php](http://orthodox.ge/index.php?id=cmindanta_cxovreba/docs/doc2.php). წმინდანთა ცხოვრება. წმიდა მეფე დავითი.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, პირველი გამოცემა. ISBN 978-9941-15-581-9, თბილისი, 2012, ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 270.

<sup>5</sup> ალადაშვილი ბესიკ, მსტოვრობის ისტორია საქართველოში, ტომი I, ISBN 978-9941-0-1334-8, თბილისი, 2009, გვ. 24.

<sup>6</sup> იგივე, გვ. 9.

არსებული დაინტერესების სივრცე და ნებისმიერი სფერო; მას უნდა აეთვისებინა როგორც ძალოვანი, ისე სამოქალაქო სექტორი, მოსახლეობის ნებისმიერი ფენა, მეცნიერებისა და ხელოვნების ნებისმიერი დარგი; ასევე გასათვალისწინებელია ისეთი კრიტიკული სფეროები, როგორებიცაა: რელიგია, განათლება, ტურიზმი და ვაჭრობა.

როგორც ისტორიიდან ჩანს, მსტოვართა ინსტიტუტის უპირველესი და ყველაზე პრიორიტეტული მიზანი დიდგვაროვანი ფეოდალებისა და ურჩი წარჩინებულების მორჯულება უნდა ყოფილიყო, რომელთაგან ყველაზე მეტად კლდეკარის ბაღუაშთა დინასტიის მეთაური, ლიპარიტ IV გამოირჩეოდა. ბუნებრივია, რომ დავით მეფეს თავისი მსტოვრები ეყოლებოდა ლიპარიტის გარშემო და კონტროლზე ეყოლებოდა იგი აყვანილი. როდესაც მეფემ შეატყო მას ორგულობა, იმჟამინდელი მემატიანის სიტყვებით: „...ინება განწურთაი მისი; ამისთვისცა პყრობილ-ყო იგი ჟამ რაოდენმე...“<sup>1</sup> რამოდენიმე წლით დილეგში ჩაგდებისა და ჭკუის სწავლების შემდეგ მეფემ შეიწყალა ლიპარიტ ბაღუაში, ისე რომ თანამდებობაც კი არ ჩამოართვა მას. მიუხედავად ლიპარიტის დიდი სიფრთხილისა, მეფეს არც მეორე შემთხვევა გამოპარვია მხედველობიდან. დავითმა მეორე ჯერზე ორი წლით კვლავ ჩასვა დილეგში ლიპარიტი და როცა დარწმუნდა მის გამოუსწორებლობაში: „...კუდი ძაღლისაი არა განემარტების, არცა კირჩხიბი მართლიად ვაღს...“<sup>2</sup> იგი საბერძნეთში გადასახლა და კლდეკარის საერისთავო გააუქმა (1103 წ). ეს შემთხვევა მიუთითებს, რომ ამ დროისთვის მეფეს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა მსტოვართა ჯგუფები, რომლებიც აკვირდებოდნენ დიდგვაროვნების საეჭვო მოქმედებებს.

მსტოვართა ინსტიტუტის წარმატებული საქმიანობით მეფემ „იმავე წელს დაამარცხა სამეფო კარის მოწინააღმდეგე ფეოდალები - ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეები.“<sup>3</sup> მეფემ უღირსი პირები დაკავებული თანამდებობებიდან გადააყენა. ხოლო ურჩი დიდგვაროვნები ზოგი „გაწურთნა“, ზოგიც კი ქვეყნიდან გააძევა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეფორმების გატარებამდე მსტოვართა ინსტიტუტის მიერ მათზე წარმოებდა თვალყურის დევნება და დაუღალავად მიმდინარეობდა მათი მოქმედებების დაწვრილებით შესწავლა.

დავით მეფის შემდეგი მიზანი მთებსა და ტყეებში გახიზნული მოსახლეობის თავიანთ კარმიდამოში დაბრუნება იყო. აქედან გამომდინარე, მსტოვართა ინსტიტუტის დასახული მიზანი იქნებოდა: მოსახლეობაში შიშის და უიმედობის გაქარწყლება: „თურქების მიერ შემინებული, ტერორიზებული, მთებს, გამოქვაბულებსა და ციხეებს შეხიზნული მოსახლეობის დაშოშმინება...“<sup>4</sup> ხელისუფლებისადმი ნდობის მოპოვება და მათთვის უსაფრთხო პირობების შექმნა.

ისტორიიდან ცნობილია, რომ დავითმა თურქ-სელჩუკებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა (1097 წ). რასაც წინ უსწრებდა ისეთი მოვლენების ფრთხილი ანალიზი, როგორიცაა: მალიქ-შაჰის გარდაცვალება (1092 წ); მისი პირველი ვეზირის ნაზიმ-ალ მუქის მკვლელობა; „...შემდეგ თურქ სელჩუკთა სახელმწიფოში დიდი და სისხლისმღვრელი დაპირისპირება...“<sup>5</sup> ასევე პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატებები. დავითმა თურქებს ხარკის შეწყვეტა ისეთ დროს შეურჩია, რომ მათი „ურთიერთ ბრძოლაში გართული პოლიტიკური ერთეულები საქართველოსთვის ძველებურად ვეღარ იცლიდნენ.“<sup>6</sup> ყოველივე ეს ინფორმაციების დროულად მიღებისა და ზუსტი ანალიზის შედეგად იქნა მიღწეული, რაც ერთგული და გამოცდილი მსტოვრების არსებობაზე მეტყველებს. ასევე ურჩი დიდგვაროვნების მორჯულების, თურქ-სელჩუკებზე ხარკის შეწყვეტისა და მსტოვრების მიერ უწყვეტი აგიტაციისა და პროპაგანდის შედეგად საქართველოს მოსახლეობაში თურქების უძლეველობის სახელი თანდათან ირყეოდა. შედეგად დაიმედებული მოსახლეობა თანდათანობით უბრუნდებოდა თავიანთ მიწა-წყალს, ხოლო „გლეხობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა თავის მამაპაპეულ კარ-მიდამოს, ისე იწყებოდა ხვნა-თესვა.“<sup>7</sup>

დავითის მიერ უღირსი თანამდებობის პირების გადაყენება საკმარისი არ იყო. მისი შემდეგი საკითხი, ყველაზე ურთულესი და საჭირობო სატკივარის მოგვარება, „ეკლესიის განწმენდა“ უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, დავითისა და მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგე დიდგვაროვნები მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე ისხდნენ; მეორე კი, დავითის გამოძევებული ურჩი და უღირსი დიდგვაროვნებიც ეკლესია-მონასტრებს აფარებდნენ თავს. აღსანიშნავია, რომ „ეკლესია შუა საუკუნეებში დიდმნიშვნელოვან ძალასა და მსხვილფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა.“<sup>8</sup> ასევე მაღალი

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, პირველი გამოცემა, ISBN 978-9941-15-581-9, თბილისი, 2012, ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 261.

<sup>2</sup> იგივე, გვ. 261-262.

<sup>3</sup> [http://ka.wikipedia.org/wiki/დავით\\_IV\\_აღმაშენებელი](http://ka.wikipedia.org/wiki/დავით_IV_აღმაშენებელი). „დავით IV აღმაშენებელი“.

<sup>4</sup> მესხია შოთა, საისტორიო ძიებანი, ტომი III, „მეცნიერება“, თბილისი, 1983, გვ. 27.

<sup>5</sup> ალადაშვილი ბესიკ, მსტოვრობის ისტორია საქართველოში, ტომი I, ISBN978-9941-0-1334-8, თბილისი. 2009, გვ. 15.

<sup>6</sup> მესხია შოთა, საისტორიო ძიებანი, ტომი III, „მეცნიერება“, თბილისი, 1983, გვ. 27.

<sup>7</sup> იგივე, გვ. 27.

<sup>8</sup> იგივე, გვ. 30.



საეკლესიო თანამდებობები, დავითის მემკვიდრის თქმით, უღირს პირებს ეკავათ: „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს; და უღირსთა და უწესთა მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს, უფროსნი საეპისკოპოსონი, ...ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა პყრობისა, უსჯულოებათა აწურთიდეს მათქუეშეთა. და თვით სახლით უფლისაით და მღვდელთაგან გამოვიდოდა უსჯულოებაი და ცოდვაი...“<sup>1</sup> ეს მაღალი თანამდებობის საეკლესიო პირები სხვადასხვა მეთოდებით ხელს უშლიდნენ მეფის ხელისუფლების გაძლიერებასა და საქართველოს გამთლიანებას: „...საერთო სახელმწიფო საქმეებისგან განზე იდგა, ...ზოგჯერ უპირისპირდებოდა კიდეც.“<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, დავითმა საჭიროდ მიიჩნია რეფორმა ამ სფეროშიც გაეტარებინა, რაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე განახორციელა (1103წ). გასათვალისწინებელია, რომ მეფემ ძირფესვიანად გამოიკვლია და შეისწავლა ყოველი დეტალი „...და მრავალ დღე გამოწულივითა ფრიადითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომილი განჰმართეს და კეთილწესიერებაი სათნოი ღმრთისაი ყოვლითურთ დაამტკიცეს;...“<sup>3</sup> როგორც ჩანს, მეფემ ამ საქმეს დიდი შრომა და წლები შეაღწია. უეჭველია, რომ უღირს საეკლესიო პირებზე სამხილების შესაგროვებლად და მოწმეების მოსამიებლად, ასევე ჩასანაცვლებელი სათანადო კადრების შესარჩევად მეფე მსტოვართა ინსტიტუტს იყენებდა.

დავითის მეფობის პირველი 10-12 წელი შეიძლება ჩაითვალოს მსტოვართა ინსტიტუტის ჩამოყალიბების და გაძლიერების ეპოქად. ხოლო მომდევნო წლებში კი, მათ კონტროლზე აყვანილი ჰყავდათ მთლიანი საქართველო, საზღვრის მიღმა წარმატებულად მოქმედებდნენ ჩანერგილი აემაგები. აღსანიშნავია, რომ „მოენების“ შიშით ვერავინ ბედავდა მეფის ხელისუფლებაზე ცუდის თქმას, ვერც ღალატსა და ორგულობას. როგორც დავითის მემკვიდრე წერს: „არარაი შორეული, არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, საქმე ქმნილი, - კეთილი გინა ბოროტი, - სიტყუაი თქმული, არარაი დაეფარვოდა ყოვლადვე; არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ ეთქვის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტყუანიცა და მოგონებანი ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომლითა ზარგანხდილყვნის; და მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მათთა ქმნილნი ღუაწლნი და სათნობანი უწყოდნის ცხადად, ...ორგულებასა და ზაკუვასა და ღალატსა რასაცა ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქუმად ვისდა: არცა თუ ცხედრეულსა თვისსა თანა, ანუ მოყვასსა თვისსა, გინა ყრმათა თვისთა;...“<sup>4</sup> ეს ყოვლის მომცველი სიტყვები დასტურია იმისა, თუ რაოდენ უმაღლეს დონეზე იდგა მსტოვართა ინსტიტუტი და როგორ მკაცრ კონტროლზე იყო მათ მიერ აყვანილი სახელმწიფო. აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ასე ნაბიჯ-ნაბიჯ საშინაო საკითხების წარმატებით მოგვარებამ, რომელშიც უდიდესი წვლილი მსტოვართა ინსტიტუტს მიუძღვის, გამოიღო შედეგი: ქვეყნის შიგნით დამყარდა წესრიგი და დაისადგურა მშვიდობამ.

ბრძოლებში მსტოვართა ინსტიტუტის ეფექტურობა გამარჯვების საწინდარი იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია კახეთ-ჰერეთის შემოერთება. მეფემ ამ საკითხის გადაჭრა უსისხლოდ გადაწყვიტა. ამისთვის მან მსტოვართა ინსტიტუტი აამოქმედა, რომელსაც ერთგული აზნაურობა დაახმარა. მათ მოახერხეს ადგილობრივი დიდგვაროვნების საქართველოს საკეთილდღეოდ გადმობირება და მოხდა ის, რომ „...აღსართან, კახთა მეფედ ხსენებული, შეიპყრეს ჰერეთა დიდებულთა, და მოსცეს მეფესა. და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი...“<sup>5</sup> აქ აღსანიშნავია, რომ მსტოვართა მაღალი ოსტატობისა და დიდი დიდი ძალისხმევის შედეგად თითქმის უბრძოლველად ჩაბარდა საქართველოს კრიტიკული მნიშვნელობის მხარე კახეთ-ჰერეთი: „ესრეთ რაი თვითმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი...“<sup>6</sup>

დავითის ეპოქის ბრძოლებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა დეზინფორმაციის გავრცელება და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა. ამის კარგი მაგალითია „სამშვილდისა და რუსთავის მოპარვა“. ისტორიული წყაროების სიმცირის გამო უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ ობიექტური ანალიზის დასკვნებს. როგორც ვიცით, მტრების მსტოვრებიც თავის მხრივ მრავლად იყვნენ განფენილნი საქართველოში, რომლებიც ასევე აკვირდებოდნენ მეფისა და მისი ამალის მარშრუტებს. როგორც კი მეფე დასავლეთით გადავიდოდა, აღმოსავლეთ საქართველოს ციხეებში გამოკეტილი და გამაგრებული თურქები ყურადღებას ადუნებდნენ და შვებას გრძნობდნენ. სამშვილდის ციხის აღება მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანით დაიწყო. მეფე დასავლეთით გაემგზავრა. ეს ინფორმაცია თურქებს თავისივე

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, პირველი გამოცემა, ISBN 978-9941-15-581-9, თბილისი, 2012, ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 262-263.

<sup>2</sup> მესხია შოთა, საისტორიო ძიებანი, ტომი III, „მეცნიერება“, თბილისი, 1983, გვ. 30.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, პირველი გამოცემა, ISBN 978-9941-15-581-9, თბილისი, 2012, ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 263.

<sup>4</sup> იგივე, გვერდი 287.

<sup>5</sup> იგივე, გვერდი 263-264.

<sup>6</sup> იგივე, გვერდი 264.

მსტოვრების საშუალებით შეაპარეს. რამაც გამოიწვია თურქების ყურადღების მოდუნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ჭყონდიდელს უკვე მომზადებული ჰქონდა ციხის აღების გეგმა, რომელიც მსტოვრების წარმატებაზე იყო დამოკიდებული. გეგმა ორ ვარაუდს ეყრდნობა: მსტოვართა ინსტიტუტს უკვე გადმოზირებული ჰყავდა მეციხოვნეები, ან მსტოვარ-ჯაშუშების ჯგუფმა შეძლო ციხის შიგნით შეღწევა და ციხის კარიბჭის შიგნიდან გაღება. დავითის მემატთან აღნიშნავს: „...და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე.“<sup>1</sup> ამ ისტორიულ მოვლენას უდიდესი ფსიქოლოგიური ეფექტი ჰქონდა, რადგან სხვა ციხეებში გამაგრებულმა თურქებმა სამშვილდის ციხის დაცემის შეტყობისთანავე მიატოვეს ციხეები და „...ღამე მეოტ იქმნეს, ხოლო ჩუენ თანა მოითუაღნეს იგინი“<sup>2</sup>

ამგვარი მეთოდით წაართვა დავით მეფემ თურქებს რუსთავიც (1115წ): „წარილო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფისა მუხნარს ყოფასა;...“<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ქართველები ამ დროისთვის უკვე ისე იყვნენ დაწაფულნი ამგვარ ოპერაციებში, რომ თურქებს მნიშვნელოვან პრობლემებსა და თავსატეხებს უქმნიდნენ. ამგვარ ოპერაციებში მსტოვართა ინსტიტუტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. დავითის მემატთანის სიტყვებით: „რამეთუ მოიმსტურნის მეფემან, რომელთა მოსრვაი ეგებოდის და უგრძნულად დაესხის და მოსწყვიდნის. და ესე არა ერთ, გინა ორ ანუ სამ, არამედ მრავალ გზის...“<sup>4</sup> ანუ მსტოვრების დაზვერვის შემდეგ, მეფის მიერ შერჩეულ მიზნებზე ადგილი ჰქონდა მოულოდნელი თავდასხმით მტრის განადგურებას; და მსტოვართა ჯგუფები ისე იყვნენ დახელოვნებულნი, რომ თითქოს ეს ჩვეული მოვლენა ხდებოდა არა ერთგზის, არამედ ბევრჯერ და თანაც წარმატებით.

თბილისის არაბი დამპყრობლებისგან განთავისუფლება ქართველი მეფეებისთვის აქილევსის ქუსლი იყო, რადგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა თბილისის მოსახლეობის გავლენიანი ფენა: „...ქალაქის ძირითად ხელოსნურ-ვაჭრულ გავლენიან ფენას ჯერ კიდევ მაჰმადიანები შეადგენდნენ, რომელნიც აქ საუკუნეების განმავლობაში იყვნენ დამკვიდრებულნი; მათ ხელში იყო იმდროინდელი თბილისის ეკონომიკა;“<sup>5</sup> სავსებით ლოგიკურია, რომ დავითს, თბილისის აღებამდე, კარგად ექნებოდა შესწავლილი ადგილობრივი მოსახლეობა და კრიტიკული მნიშვნელობის სხვადასხვა სფეროში ეყოლებოდა „ჩანერგილი“ თავისი მსტოვრები. აღების შემდეგაც მსტოვრობის „რბილი თუ მკაცრი მეთოდებით“ დავითმა, ბრწყინვალედ მოახერხა თბილისში არაბი ამირების ძალაუფლების თანდათან შესუსტებით თავისი ხელისუფლების განმტკიცება.

დავითის მიერ წარმოებულ ბრძოლებში ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სტრატეგია. იგი მაქსიმალურად თავს არიდებდა სისხლისმღვრელ ომებს და მტრის დამარცხებას ცდილობდა უსისხლოდ, უფრო მარჯვე ხერხებით. ეს თავის მხრივ მოითხოვდა მსტოვართა ინსტიტუტის მთელი რიგი მექანიზმების მაქსიმალურ ჩართულობას: მტრის, ადგილმდებარეობისა და მოსახლეობის შესწავლას; მტრის საკვანძო პირების გადმოზირებას, ჯაშუშობასა და დივერსიებს. ყოველივე ამის შედეგად მიიღწეოდა: ძალების ეკონომია, პირადი შემადგენლობის მოფრთხილება, მოულოდნელობა, ძალების წინასწარ გამიზნულ ადგილზე კონცენტრირება, მტრის რიგებში არეულობა და პანიკა.

მსტოვართა ინსტიტუტის განვითარების მაღალი დონე წარმატებული საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედაა. ამის იდეალური მაგალითია საგარეო პოლიტიკის დალაგება ბიზანტიასთან. ბიზანტიის ხელისუფლება უკვე მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული, რაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა დავითმა და სამუდამოდ უარი თქვა ბიზანტიის ვასალობაზე, მაგრამ დავითმა ჭეშმარიტად გათვალა, რომ თურქთა წინააღმდეგ საომრად საქართველოს ბიზანტიასთან დადებითი ურთიერთობის განმტკიცება სჭირდებოდა. სწორედ ამისთვის დავითმა გადაწყვიტა მისი ერთ-ერთი ქალიშვილის, კატას მითხოვება ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, ბერძენთა იმპერატორ ალექსი კომნინოსის ყველაზე უმცროს ვაჟზე, ისააკზე. საინტერესოა, რომ „ქართველი მხედრობა, რომელიც თან ახლდა საქართველოს მეფის ასულს, დედაქალაქში სწორედ იმ დღეებში აღმოჩნდა, როცა უნდა გადაწყვეტილიყო ბიზანტიის ტახტის მემკვიდრის საკითხი;...“<sup>6</sup> ასევე ისტორიიდან ცნობილია, რომ კატა და მისი მხედრობა არა მარტო მხარს უჭერდა იმ პარტიას რომელსაც ისააკი ხელმძღვანელობდა, „...არამედ აქტიურადაც კი მონაწილეობდნენ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობის საკითხის გადაწყვეტაში.“<sup>7</sup> უეჭველია, რომ ამ მხედრობას გიორგი ჭყონდიდელის ბრძანებით, ხელმძღვანელობდა საუკეთესო მსტოვართა ჯგუფი,

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, პირველი გამოცემა, ISBN 978-9941-15-581-9, თბილისი, 2012, ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 266.

<sup>2</sup> იგივე, გვ. 267.

<sup>3</sup> იგივე, გვ. 268.

<sup>4</sup> იგივე, გვ. 268.

<sup>5</sup> მესხია შოთა, საისტორიო ძიებანი, ტომი II, „მეცნიერება“, თბილისი, 1983, გვ. 96.

<sup>6</sup> მესხია შოთა, საისტორიო ძიებანი, ტომი III, „მეცნიერება“, თბილისი, 1983, გვ. 52.

<sup>7</sup> იგივე, გვ. 52.

რომლებიც სათანადოდ იყვნენ გაწაფულნი საგარეო პოლიტიკაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მათი წარმატების საფუძველზე მოხდა დავითის „...სიძის, ისაკის ძმის იოანეს ტახტზე აყვანა.“<sup>1</sup>

ასევე აღსანიშნავია, მსტოვრების როლი საქართველოს იმჟამინდელ საგარეო ურთიერთობაში ჩრდილოელ მეზობლებთან. დავითმა იცოდა, რომ თურქებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მეზობელ ყივჩაღებს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეეძლოთ. ამასთანავე ყივჩაღებს თავის მხრივ დიდი პრობლემები ჰქონდათ ოსებთან და კიევის რუსეთთან. დავითმა გიორგი ჭყონდიდელის მეშვეობით ოსებსა და ყივჩაღებს შორის მშვიდობა დაამყარა: „ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა, ვითარცა ძმათა.“<sup>2</sup> მან ასევე ხელთ იგდო ჩრდილოეთისკენ არსებული ყველა გასასვლელი, რომლებიც საქართველოს აკავშირებდა კიევის რუსეთთან და ჩრდილოეთით მდებარე ყველა ქვეყნებთან. სწორედ ამ გზით მოახერხა დავითმა 40 000 ყივჩაღის ჩამოსახლება. ამით, მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს უძლეველი მუდმივი არმიის ჩამოყალიბებას. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ურთიერთობების მოგვარებას წინ უნდა უძღოდეს მსტოვართა ინსტიტუტის მიერ წლობით განხორციელებული წარმატებული ქმედებები. აქვე აღსანიშნავია, რომ ყივჩაღების ჩამოსახლებას წინ უძღოდა როგორც ყივჩაღებთან, ასევე პარალელურად კიევის ხელისუფალთან წარმოებული მოლაპარაკებები. რაც მოგვიანებით თავის ცნობებში აღნიშნა ანტიოქიის პატრიარქის შვილმა პავლე ალეპოელმა (XVII ს): „...მეფე დავითი რუსეთში მოვიდა, თაყვანისცემით დახმარება ითხოვა და მისცეს რა დიდი ძალა, წავიდა და უწმინდურნი თავის სამფლობელოდან განდევნა და გაათავისუფლა მისგან.“<sup>3</sup> საინტერესოა, რომ ყივჩაღების განდევნას ვლადიმერ მონომახს მიაწერენ, მაგრამ რეალობაში დავითის გარეშე იგი ამას ვერ შეძლებდა. რაც მთავარია „კიევის მთავრისა და დავითის „სარწმუნო კაცთა“ მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე შეუძლებელი იყო.“<sup>4</sup> ეს სარწმუნო კაცები აუცილებლად საგარეო პოლიტიკაში საუკეთესოდ განსწავლული და გაწვრთნილი მსტოვრები უნდა ყოფილიყვნენ.

ამგვარად, დავითის დროინდელი მსტოვართა ინსტიტუტი, როგორც უაღრესად კრიტიკული სფერო, იდგა უმაღლეს დონეზე და ქვეყნის საჭიროებებში მეტწილად გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე, დავით აღმაშენებლის დროს მსტოვართა ინსტიტუტი იყო დახვეწილი და ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მართვის სისტემა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, რომელიც მანამდე მართვის სისტემის ერთ-ერთ სუსტ რგოლს წარმოადგენდა: „...დავით IV-ის მეფობის მთელ პერიოდში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და მიღწეულ წარმატებას მსტოვართაგან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და რეალიზაცია ედო საფუძველად.“<sup>5</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამპყრობელთა ხშირი ომების, იმდროინდელი ქვეყნის ღალატისა და ორგულობის, აგრეთვე ურჩი დიდგვაროვნების მიერ მეფის ხელისუფლების გაძლიერებასა და საქართველოს გამთლიანებაში ხელის შეშლის მიუხედავად, დავით მეფემ გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით შექმნა ისეთი მსტოვართა ინსტიტუტი, რომლის საშუალებით მან შეძლო დანაწევრებული და გაპარტახებული საქართველოსგან მძლავრი და გაბრწყინებული სახელმწიფოს შექმნა. მისი ეპოქა ოქროს ხანად არის აღიარებული.

ასევე აღსანიშნავია, რომ იმჟამინდელ მსტოვრობასთან დაკავშირებული ფაქტები ძალიან მწირია, რაც უმეტეს წილად გამომდინარეობს აღნიშნული საკითხის სპეციფიკურობიდან. მიუხედავად ამისა, მაინც აღტაცებას იწვევს მსტოვართა იმდროინდელი საქმიანობების ასეთ დონეზე გასაიდუმლოება და შენახვა. როგორც ჩანს, დავითის დროს, მსტოვრების მეთოდებისა და ხერხების გამჟღავნება მკაცრად იყო დაცული, რაც ინფორმაციის უსაფრთხოების მაღალ დონეზე მეტყველებს. რაც კიდევ ცალკე კვლევის საკითხად შეიძლება ჩაითვალოს.

### ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტომი I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, პირველი გამოცემა, ISBN 978-9941-15-581-9. თბილისი, 2012, ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი;
2. ალადაშვილი ბესიკ, მსტოვრობის ისტორია საქართველოში, ტომი I, ISBN 978-9941-0-1334-8. თბილისი, 2009;
3. მესხია შოთა, საისტორიო ძიებანი, ტომი II, „მეცნიერება“, თბილისი, 1983.
4. მესხია შოთა, საისტორიო ძიებანი, ტომი III, „მეცნიერება“, თბილისი, 1983.

<sup>1</sup> იგივე, გვ. 52.

<sup>2</sup> იგივე, გვ. 54.

<sup>3</sup> მესხია შოთა, საისტორიო ძიებანი, ტომი III, „მეცნიერება“, თბილისი, 1983, გვ. 56.

<sup>4</sup> იგივე, გვ. 57.

<sup>5</sup> ალადაშვილი ბესიკ, მსტოვრობის ისტორია საქართველოში, ტომი I, ISBN 978-9941-0-1334-8, თბილისი, 2009, გვ. 18.

წყაროები:

[http://orthodox.ge/index.php?id=cmindanta\\_cxovreba/docs/doc2.php](http://orthodox.ge/index.php?id=cmindanta_cxovreba/docs/doc2.php). წმინდანთა ცხოვრება. წმიდა მეფე დავითი.  
[http://ka.wikipedia.org/wiki/დავით\\_IV\\_აღმაშენებელი](http://ka.wikipedia.org/wiki/დავით_IV_აღმაშენებელი). „დავით IV აღმაშენებელი“.

**„THE INSTITUTE OF MSTOVARI“ OF GEORGIA IN THE XII CENTURY  
(DAVID THE BUILDER'S INTELLIGENCE AGENCY)  
Otar Dolidze, Sokhumi State University, PhD Student  
RESUME**

The era of David the Builder and his activities, on the basis of the geopolitical situation and the national interests of Georgia, often has been point of studying and judgment.

According to the historical records, the most difficult epoch preceded David's ascend to the throne - "the Great Turkish Invasion", the migration of destroyed and devastated local population to the mountains and forests, the long earthquakes, collapsed economy and unruly feudal foray...

Despite such a difficult political, economic and social situation, the reforms, chosen by King David played a great role in shaping of the invincible and resurgent state of Georgia. From those reforms should be emphasized, „The Institute of Mstovari“ – the most essential field, which plays a decisive and crucial role in both, internal and foreign policies.

It combined both intelligence and counter-intelligence fields. Its successful implementation ensured the establishment of the country's internal stability and security. Victories were achieved by obtaining necessary information and conducting successful deception operations in the decisive battles. It has also ensured a foreign policy success.

High level and quality of work of „The Institute of Mstovari“ was the keystone to strengthening, unification and the rise of Georgia, by which, in the shortest time, king David, could establish developed and invincible state of Georgia beyond the Caucasus and in the Middle East.

**საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისა და რუს გადმოსახლებულთა  
მიწათსარგებლობის წესის შედარებითი ანალიზისათვის  
(რუსული კოლონიზაციის პერიოდი)**

**ლელა თოგოშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

XIX ს-ის შუა ხანებში რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა კრიზისმა, რამაც განაპირობა ბატონყმობის გაუქმება და ბურჟუაზიული რეფორმების მთელი სერია. საგადასახლებო პროცესი დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო რუსეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში. საგადასახლებო პოლიტიკის წარმატებით რეალიზაციისათვის მთავრობის მიერ შემუშავებული პროექტი კოლონიზაციისათვის მრავალი შეღავათის მინიჭებას ითვალისწინებდა. ყოველივე ეს მათ ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ახალ გარემოსთან შეგუებასა და მხარის სამეურნეო ათვისების საქმეში (ეს შეღავათები იყო: უპროცენტო კრედიტები, გათავისუფლება ბეგარისა და გადასახადებისაგან, სურსათის მიწოდება, პირველადი მოწყობისათვის სამშენებლო მასალებით დახმარება, მიწა უფასოდ, გარკვეული დროის განმავლობაში კვებით უზრუნველყოფა და სხვ.).

1864-1871 წლებში საქართველოში გატარდა საგლეხო რეფორმა, თუმცა, ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც ქართველი გლეხები მემამულეზე დამოკიდებულნი რჩებოდნენ. მიწის გამოსყიდვამ საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. ამ გარემოებამ განაპირობა თავად-აზნაურთა მიწათმფლობელობის შემცირება და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება. რუსეთში განვითარდა სამიწათმოქმედო კაპიტალიზმი, რასაც მოჰყვა გლეხთა მცირემიწიანობა და მათი ფენებად დაშლა. საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ ქართველი თავად-აზნაურები აღარ იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები, თუმცა მათ შეძლეს მიწის დიდი ნაწილის შენარჩუნება. XX ს-ის დასაწყისში

მემამულეთა და გლეხთა მიწების თანაფარდობა ასე გამოიყურებოდა: ქუთაისის გუბერნიაში გლეხთა მიწის ფართობი - 210 770 დეს., მემამულეთა - 815 321; თბილისის გუბერნიაში გლეხთა მიწა - 134 796, მემამულეთა - 961 502 (ავალიანი... გვ. 3-4). როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ქუთაისის გუბერნიაში მემამულეთა მიწის ფართობი 4-ჯერ აღემატებოდა გლეხთა მიწის ფართობს, თბილისის გუბერნიაში კი - 7-ჯერ.

საქართველოს ყველა რეგიონში შეინიშნება გლეხთა მცირემიწიანობა. ამაზე მეტყველებს ი. ანთელავას, ა. პარვიცკის გამოკვლევების სტატისტიკური მონაცემები ამიერკავკასიისა და საქართველოს სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფის, სამიწო მდგომარეობის შესახებ (ანთელავა..... გვ. 302; პარვიცკი.....გვ. 525). გამონაკლისს შეადგენდნენ ქუთაისის გუბერნიის შეძლებული გლეხები, რომლებიც მიწის ნაკლებობას არ განიცდიდნენ. რაც შეეხება საშუალო და ღარიბ გლეხობას, მათი მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო: 398 კომლს საერთოდ არ ჰქონდა მიწა; 2142 კომლს ჰქონდა ერთი დესეტინა; ერთიდან ორ დესეტინამდე - 4427 კომლს. ფაქტიურად 6967 კომლი ითვლებოდა უმიწოდ. ამრიგად, ქუთაისის გუბერნიის 20997 კომლიდან გლეხთა 33,1% ან საერთოდ არ ფლობდა მიწას, ან ფლობდნენ ისეთი ზომის ნაკვეთებს, რაც მათ მცირემიწიანობაზე მეტყველებს. რიგი ავტორების გამოკვლევებით, ქუთაისის გუბერნიაში, სხვა გუბერნიებთან შედარებით, ბევრად მწვავედ იდგა გლეხთა მცირემიწიანობის საკითხი. მცირემიწიან გლეხთა რაოდენობა აქ 13953 სულს აღწევდა, ანუ 66,4 %-ს. ამასთან, რაჭის მაზრაში - 73,7%-ს, სენაკის მაზრაში - 78,5%-ს, ოზურგეთის მაზრაში - 80%-ს (ანთელავა.... გვ. 178). გ. გასვიანის გამოკვლევებით, სვანეთში თითოეულ გლეხურ კომლზე სახნავი მიწის ფართობი 1,6 – 2 დესეტინას არ აღემატებოდა (გასვიანი..... გვ. 22). ლ. ძიძიგური თავის ნაშრომში (ძიძიგური..... გვ. 154) ემყარება შემდეგ სტატისტიკურ მონაცემებს:

№	მაზრების დასახელება	მიწის ნაკვეთების სიდიდე დესეტინობით					ნაკვეთების რაოდენობა	მთელი ფართობი დესეტინობით	გადახდილი ფულის ჯამი	მიწის ნაკვეთის საშ. სიდიდე	ერთი დესეტინა მიწის საშ. ფასი	მყიდველთა რაოდენობა
		0-1-მდე	1-5მდე	6-10მდე	11-20მდე	20-ზე მეტი						
1	ქუთაისის	1,192	747	57	26	10	2,029	346	550,486	1,75	157,52	2595
2	შორაპნის	1,188	352	18	6	5	1,569	1,772	328,555	1,15	185,21	1595
3	რაჭის	928	45	1	-	2	976	2,633	120,523	2,75	45,79	705
4	ლეჩხუმის	179	27	1	-	3	210	245	15,825	1,2	62,06	133
5	ზუგდიდის	33	76	4	4	1	123	460	26,235	3,9	57,25	265
6	სენაკის	187	96	3	-	-	286	264	52,180	0,9	197,35	235
7	ოზურგეთის	111	102	9	1	1	225	478	41,126	2,15	86,48	235
8	სოხუმის	-	-	2	3	3	8	696	7,700	0,87	11,08	22
	სულ	3,823	1445	95	38	25	6,426	10,029	1,141735	1,75	133,49	5685

ამ ცხრილიდან ირკვევა, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში 1879 – 1888 წწ., ე. ი. 10 წლის განმავლობაში 5, 685 კაცს ნადელის ზევით შეუძენია 10,029 დესეტინა მიწა. მართალია, მყიდველთა შორის ნაწილი ეკუთვნოდა სასულიერო წოდებასა და ვაჭრებს, მაგრამ უმრავლესობას უსათუოდ გლეხობა შეადგენდა. სოხუმის ოლქში (აფხაზეთში) ამავე პერიოდში 22 კაცს უყიდა 696 დესეტინა მიწა. გამოდის, რომ საშუალოდ თითო შეუძენია 32 დესეტინა მიწა. ვინ შეიძლება ვიგულისხმოდ ამ შემთხვევაში მყიდველებად? საშუალო და ღარიბ გლეხობას ამის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ, სავარაუდოა, მყიდველები იყვნენ შეძლებული გლეხები (მიძიგური..... გვ. 155).

აფხაზეთის გლეხობის დიფერენციაციაზე და მათი წრიდან, ერთის მხრივ, ღარიბებისა და, მეორეს მხრივ, შეძლებულთა ფენების გამოყოფაზე მიუთითებს აგრეთვე რიბინსკი: „მიწის განაწილება თემის წევრთა შორის სრულ ქაოსურ მდგომარეობაშია; ვინც უფრო ძლიერია, ის ფლობს დიდსა და უკეთეს ნაკვეთს. ყოველივე ეს ბევრი მათგანის უკიდურეს სიღატაკეს იწვევს“ (რიბინსკი..... გვ. 17).

XX ს-ის დასაწყისისათვის გუმისთის მაზრის (დღ. სოხუმის რაიონი) 6 სოფელში ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით გლეხობის დიფერენციაციის შემდეგი სურათი გვაქვს (მიძიგური..... გვ. 155):

კომლთა ჯგუფები	კომლთა რიცხვი	პროცენტული შეფარდება კომლთა საერთო რაოდენობასთან	სულ მიწა	პროცენტული შეფარდება დესეტინა მიწის საერთო რიცხვთან
უმიწო	92	11,76	–	–
5 დესეტინამდე	411	52,81	977,14	31,78
5-დან 10-მდე	238	30,44	1539,85	50,07
10-დან 25-მდე	34	4,35	401,25	13,06
25-დან 50-მდე	5	0,64	157,5	5,1

ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის მცირემიწიანობის პრობლემის მოგვარებას აფერხებდა მიწაზე უფლებების უქონლობა. საქართველოს აგრარულ წყობას მთელი რიგი ფაქტორები ართულებდა. რუსეთის ხელისუფლების მიზანი იყო საქართველოს აგრარული ურთიერთობანი მაქსიმალურად დაეახლოვებინა რუსეთის აგრარულ ურთიერთობებთან.

XIX ს-ის 90-იანი წლების მიწათმფლობელობის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პ. გუგუშვილი. როგორც ირკვევა, ხაზინის და კერძო მფლობელთა ხელში თავმოყრილი იყო მთელი მიწის 70,8%; დანარჩენი 29,2% კი დროებითვაღდებულ, ხიზანთა და სათავადაზნაურო გლეხების მფლობელობაში აღმოჩნდა (გუგუშვილი..... გვ. 168).

მიწათმფლობელობის წესი საქართველოში შესაბამის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს განაპირობებდა. სოფლის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მიწა იჯარით ჰქონდა აღებული. ეს საქართველოში მიწათმფლობელობის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო. მეორე ფორმა იყო მოწილეობა (როდესაც გლეხი მოსავლის დიდ ნაწილს მემამულეს აძლევდა). ამიერკავკასიის გლეხთა სანადელო მიწა ასე ნაწილდება: თბილისის გუბერნიაში 1 კომლზე 7,10 დეს., 1 სულ მამრ. სქესზე - 1,09, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1 კომლზე - 5 დეს., 1 სულ მამრ. სქესზე - 1,45 დეს. (ისმაილ-ზადე..... გვ. 168). სახნავ-სარწყავი და საბაღე მიწები ყველაზე ნაკლები იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. უფრო მეტი იყო სამოვრები და არასავარგული მიწები (გარდა ქუთაისის გუბერნიისა). ქუთაისის გუბერნიაში ბევრი იყო სატყეო მიწა (24, 8% მთელი სატყეო მიწისა), საბაღე მიწა (10, 1% მთელი საბაღე მიწისა), საკარმიდამო (6, 3% მთელი საკარმიდამო მიწისა), სათიბი 0, 7% (მთელი სათიბი მიწისა), სამოვრები და არასავარგული მიწა 4, 1% (მთელი ამ მიწისა) (ანთელავა..... გვ. 302).

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებამ XX ს-ის დასაწყისში, საქართველოში კაპიტალისტური წარმოებისა და ურთიერთობების ჩასახვამ და განვითარებამ, აგრარულმა კრიზისმა, რომელმაც მთელი რუსეთის იმპერია და, მათ შორის, საქართველო მოიცვა, დღის წესრიგში დააყენა ძველი მიწათმფლობელობის შეცვლა და ისეთი აგრარული რეფორმების გატარება, რაც გლეხთა მიწათმფლობელობას გააფორმებდა საკანონმდებლო ნორმებით და ხელს შეუწყობდა კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებას (პრივილეგირებული კლასისათვის ზარალის მიუყენებლად). ამით რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა მოახლოებული რევოლუციური მოძრაობის თავიდან აცილებას. ამასთანავე, გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქებით, მიზნად ისახავდა საკუთარი ინტერესების დაცვასა და მეფის ხელისუფლების განმტკიცებას.

რაც შეეხება რუს კოლონისტებს, მათი მოწყობა, მიწით უზრუნველყოფა, სამეურნეო საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნა ევალეობდა იმპერიის არაერთ სამინისტროსა და უწყებას ასევე მეფის ადგილობრივ ადმინისტრაციას. მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მკვიდრ

მოსახლეობას ართმევდნენ მიწებს და რუს კოლონისტებს ურიგებდნენ. თავისუფალი მიწების ფართობის შესახებ ფაქტების დამახინჯებით მეფის ადმინისტრაცია საქართველოს მჭიდრო კოლონიზაციის განხორციელებას ცდილობდა. გადმოსახლებულებს მიწის საკმაოდ დიდ ნაკვეთებს ურიგებდნენ. მართალია, ამ მიწებს „თავისუფალი“ მიწები ეწოდებოდა, მაგრამ ეს ასე არ იყო. მართალია, ის მაშინ არავის ეკავა, მაგრამ ისედაც მცირემიწიანი ადგილობრივი მოსახლეობისათვის ის ზედმეტი არ იყო. ქართველ გლეხთა სავალალო მდგომარეობაზე მიუთითებდა თვით მეფისნაცვალ ბარიატინსკი, თუმცა კოლონიზაციას ძალზე საჭიროდ და სასარგებლოდ მიიჩნევდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. V, თბ., გვ. 124). დასახლებამდე კოლონისტები, შესაფერისი მიწების შესარჩევად, თავის წარმომადგენლებს გზავნიდნენ. საგადასახლებო ორგანიზაციები მათ ნაყოფიერ მიწებზე ასახლებდნენ; ყველანაირად არღვევდნენ სამიწო უფლებებს. კოლონისტებისათვის გამოყოფილი ნაკვეთები ადგილობრივ გლეხობას, რომელთაც ფულად კომპენსაციას აძლევდნენ, მოკლე დროში უნდა დაეტოვებინათ. გლეხები ტოვებდნენ მიწის ნაკვეთებს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით, ბაღებით, სარწყავი მოწყობილობებით. საგადასახლებო ორგანიზაციები ყველანაირად ცდილობდნენ ადგილობრივი გლეხობის შეცდომამში შეყვანას, ზოგ რამეს შეუფასებელს ტოვებდნენ, ან არაობიექტურად აფასებდნენ. ამ საქმეში სრული უკანონობა სუფევდა. მთავრობა მკვიდრი მოსახლეობის შეზღუდვის ხარჯზე, იცავდა გადმოსახლებულთა ინტერესებს, რაც ერთგვარ ანტაგონიზმს განაპირობებდა მათ შორის მიწათსარგებლობის უფლებაზე.

1849 წლის 21 დეკემბერს მიღებული დადგენილებით დაკანონდა მიწის ნორმა: ოჯახზე 30-დან 60 დესეტინამდე (ადმინისტრაცია მკაცრად იცავდა ამ კანონს). თუ ნაკვეთი მცირე ზომის იყო, მის მოკულობას ზრდიდნენ. მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის დროს ყურადღება ექცეოდა ნაკვეთების გაზრდის პროცესს, რათა მომატება მკვიდრი მოსახლეობისათვის საზიანო არ ყოფილიყო (კაკა..... გვ. 128). როცა გადმოსახლებულთა რაოდენობა არ იყო დიდი, შესაძლებელი იყო მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდა. მაგრამ XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა და, შესაბამისად, შეიცვალა მთავრობის აგრარული პოლიტიკა. 1862 წლის დადგენილებით დაწესდა მიწის ნორმა, რომლის მიხედვით მთიან რაიონში ოჯახი ღებულობდა 35 დესეტინას, ხოლო დაბლობში - 10 დესეტინას (კაკა.....გვ. 33).

რაც შეეხება გადმოსახლებულთა სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, აქ აშკარად შეინიშნება ქონებრივი დიფერენციაცია: მიწების დიდი ნაწილი თავმოყრილია გავლენიანი და მდიდარი გლეხების ხელში, ბევრია მცირემიწიანი გლეხი, სოფლად ჩნდებიან მოჯამაგირეები. სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა განსაკუთრებით ვლინდება სამოვრების ექსპლუატაციის დროს (სამოვრები თემის მფლობელობაში იყო და განსაკუთრებით მცირე რაოდენობით იყო დასავლეთ საქართველოში). ნ. აბელოვის მონაცემებით, რუს სექტანტთა სოფლებში საზოგადოებრივი სამოვრები მდიდარი მეჯოგეების განკარგულებაში იყო (ისინი მხოლოდ თავის ჯოგს ამოვებდნენ და ღარიბებს აღარაფერს უტოვებდნენ) (აბელოვი..... გვ. 116). ასე რომ, საერთო რელიგიური წარმოდგენებით გაერთიანება ხელს არ უშლიდა სექტანტთა განკერძოებულობას (კლიბანოვი..... გვ. 92). ამრიგად, რუს გადმოსახლებულთა სოფლებშიც, ისევე როგორც ადგილობრივებს შორის, ჩნდება კერძომესაკუთრული ინტერესები და სოციალური დაპირისპირების ტენდენცია შეინიშნება. ასე რომ, გარეგნულად სოციალური ჰარმონიის ილუზია რუსულ კოლონიურ სოფელში რეალურად ვერ ფარავდა მის შინაგან სოციალურ წინააღმდეგობებს.

რუსულ სასოფლო თემებში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში შენარჩუნებული იყო სათემო მიწათმფლობელობა. მემკვიდრეობით სარგებლობაში იყო საკარმიდამო ნაკვეთები. სამოვრების გარდა, ყველა დანარჩენი მიწა პერიოდულ გადანაწილებას განიცდიდა. ეს განპირობებული იყო მიწების ხარისხით. გადანაწილების სიხშირე დამოკიდებული იყო ადგილის ბუნებრივ პირობებზე. ნაწილდებოდა სახნავი და სათიბი მიწები. მიწების გადანაწილება წარმოებდა 5-6 წელიწადში ან, უფრო ხშირად, 2-3 წელიწადში ერთხელ (იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო მოსავლიანობა). ხშირი გადანაწილებები ხდებოდა თემის სურვილით, რათა თითოეული მოსახლე კარგი ხარისხის მიწის ნაკვეთით ყოფილიყო უზრუნველყოფილი. კენჭისყრა თვით თემის წევრებს შორის წარმოებდა (სეგალი..... გვ. 32). მიწების გადანაწილების ასეთი სისტემა (ორივე სქესის სულთა რაოდენობისა და ახალდაბადებულთა ჩათვლით) შემდგომში ადგილობრივმა მოსახლეობამაც გადაიღო. თუმცა ზოგიერთ სოფელში მიწის გადანაწილებას საფუძვლად ედო საკომლო სისტემა.

რუსულმა კოლონიზაციამ საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია განაპირობებდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდას, რაც მათი დასაქმების აუცილებლობას იწვევდა. კოლონისტებს გარკვეული სიძნელეების გადალახვა მოუხდათ აქაური რელიეფის თავისებურების გამო. რაც შეეხება მკვიდრ მოსახლეობას, იგი ყოველმხრივ შევიწროვებას განიცდიდა მეფის ადმინისტრაციისა და საკუთარი მებატონეებისაგან. ამის მიუხედავად, იგი შევიდა გადმოსახლებულთან სამეურნეო

ურთიერთობებში. კოლონისტებმა დაამყარეს სამეურნეო კონტაქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან და აქტიურად ჩაებნენ მხარის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ორივე მხარემ განიცადა ურთიერთზეგავლენა სამეურნეო და ყოფით სფეროში. თუმცა, გამარჯვებული გამოვიდა თვითმყოფადი კულტურის მატარებელი, მაღალი ეროვნული თვითშეგნების მქონე ქართველი ხალხის მიერ შემუშავებული წარმოების წესი.

#### ლიტერატურა:

- 1) ი. ანთელავა, საგლეხო რეფორმა საქართველოში და მისი მნიშვნელობა, თბ., 1966;
- 2) გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979;
- 3) ლ. ძიძიგური, საგლეხო რეფორმა აფხაზეთში, სოხუმი, 1960;
- 4) საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970;
- 5) კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეგროვილი აქტები, ტ. 10. დოკ. 98, თბ., 1900;
- 6) Абелов Н.А., Экономический быт государственных крестьян Елисаветпольского уезда Елисаветпольской губернии - в кн: (СМИЭБГКЗК), т. VII, Тифлис, 1887;
- 7) Авалиани С.А., Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, Тифлис, 1920;
- 8) Антелава И.Г., Государственные крестьяне Грузии в XIX в., т. I, II, Тбилиси, 1962;
- 9) Гугушвили П.В., Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье в XIX-XX вв., т. I, Тбилиси, 1968;
- 10) Исмаил-Заде Д.И., Русское крестьянство в Закавказье (30-ые годы XIX-нач. XX в.), Москва, 1982;
- 11) Парвицкий А.В., Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. 2, Тифлис, 1887;
- 12) Рыбинский Г.А., Абхазия в сельско-хозяйственном и бытовом отношениях, Тифлис, 1894;
- 13) Сегаль М.А., Крестьянское землевладение в Закавказье, Тифлис, 1914;
- 14) Клибанов А.И., История религиозного сектантства в России, Москва, 1965.

## FOR THE COMPARATIVE LAND-TENURE RULES ANALYSES OF RUSSIAN IMMIGRANTS AND INDIGENOUS POPULATION OF GEORGIA (PERIOD OF RUSSIAN COLONIZATION )

Lela Togoshvili, Gori State Teaching University, Associate Professor

### RESUME

Peasant reform was the reason of landless of peasants in Russia and Georgia. The number of Georgian agrarian system factors made hard to solve this problem. The rule of landownership stipulated socio-economic relations in Georgia.

On the eve of 19<sup>th</sup>, 20<sup>th</sup> centuries, development of capitalism , crisis of agrarian were embraced in Georgia and whole Russian Empire. It was necessary to carry out the agrarian reform, which would promote to register landownership with legislative provisions and development of the capitalist agriculture.

## დიდი ჰუმანისტი და მსოფლიო მოქალაქე

გურამ კუტალია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

„მე მინდა ვიყო მთელი მსოფლიოს მოქალაქე“ – ასეთი სურვილი ამოძრავებდა გამოჩენილ გერმანელ ჰუმანისტსა და თეოლოგს, მწერალსა და ფილოსოფოსს ერაზმ როტერდამელს, რომელსაც მიმდინარე (2016) წელს დაბადების 550 წელი უსრულდება. ამ თარიღს მთელი პროგრესული კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავს, გამოწაკლისი არც საქართველოა, გამოსაცემად გადაცემულია მისი რამდენიმე თხზულების ჩვენული თარგმანი, შესავლითა და კომენტარებით.

წარმოშობით ჰოლანდიელი ერაზმი თავდაპირველად თავის თავს არც ერთ ხალხს არ მიაკუთვნებდა და იდგა კოსმოპოლიტურ პოზიციაზე. „მე მინდა ვიყო მთელი მსოფლიოს მოქალაქე,



რომელიც განეკუთვნება ყველას, ან, უფრო მოგზაურობს ყველგან“ (11, 15, 62) - წერდა იგი ცვინგლისადმი წერილში. მაგრამ 1520 წლის შემდეგ, განსაკუთრებით თავისი ცხოვრების ბოლოს, მასში უკვე იღვიძებს თავისი ეროვნებისა და სამშობლოს წარმოჩენის სურვილი. ერთგან მას უწერია: „მე არ შემძლია უარყო, რომ ჰოლანდიელი ვარ“ (21, I, 499). სხვაგან კი შენიშნავს: „ჩემს გერმანიას მე, ჩემდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, გვიან გავეცანიო (7, 3ა).

სამშობლოს ასეთი დაკონკრეტების მიუხედავად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მისი როგორც მოაზროვნის ფორმირება რამდენიმე ქვეყანაში წარიმართა: როგორც ჰუმანისტი, ის უფრო მეტად პარიზში ჩამოყალიბდა; ინგლისში ისახება მისი ეთიკურ-თეოლოგიური სისტემა, რომელსაც ერაზმი „ქრისტეს ფილოსოფიას“ (Philosophia Christi) უწოდებდა. თავისი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები მან გერმანიაში (ბაზელსა და ფრეიზურგში) გაატარა, ამ ქვეყნის კულტურულ წინსვლაში შეიტანა დიდი წვლილი, აქ მოიპოვა სახელი და დიდება, ამიტომაც იყო, რომ თანამედროვეები და განსაკუთრებით ჰუმანისტები მას „გერმანელ ჰუმანისტად“ მოიხსენიებდნენ, როიხლინთან ერთად „გერმანიის სამკაულსა“ და „ორ თვალს“ უწოდებდნენ, ევროპის „ორაკულადაც“ მოიხსენიებდნენ, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ.

პატივისცემისა და სიყვარულის კონკრეტული გამოვლინების მაგალითად გამოგვადგებოდა ესპანეთი, სადაც „მშვიდობის ჩივილსა“ და „სისულელის ქებას“ გატაცებით კითხულობდნენ, აქ ასეთი მთარული გამოთქმაც კი იყო: „ვინც ერაზმზე ცუდს იტყვის, ის ბერი უნდა იყოს ან ვირიო“. ერაზმს მაღალი შეფასება არც მომდევნო საუკუნეებში მოჰკლებია. ასე, მაგალითად, XIX საუკუნის გერმანელი მეცნიერი ვილჰელმ დილტეი ერაზმს „XVI საუკუნის ვოლტერად“ (8, II, 42) მოიხსენიებს და ის მართალიცაა, რამეთუ ერაზმი იყო მრავალმხრივ განვითარებული და განათლებული ადამიანი, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა თანამედროვეებზე, დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა.

ერაზმი დაიბადა 1466 წლის 27 ოქტომბერს ქალაქ როტერდამში, ბიურგერის ოჯახში. იგი უიღბლო სიყვარულის ნაყოფია – ავთიაქარის ვაჟზე გერარდზე უსაზღვროდ შეყვარებულმა მარგარიტამ პატარა ერაზმი იმ დროს მოუვლინა ქვეყანას, როცა მშობლებზე განაწყენებული გერარდი იტალიაში იყო გაქცეული - მას ორსულ ქალიშვილზე დაქორწინების უფლება არ მისცეს. ასე გაჩნდა „უკანონო“ შვილი – ერაზმი. ჰოლანდიაში მამინ გვარები არ არსებობდა. ახალდაბადებულს გვარს ან მამის სახელის ან იმ ქალაქის სახელწოდების მიხედვით აძლევდნენ, სადაც დაიბადა. ასე წარმოიშვა ერაზმის გვარიც – როტერდამელი.

ფენომენალური მეხსიერების ერაზმმა ჯერ კიდევ პატარაობიდანვე მიიქცია ყურადღება. ოთხი წლისა იყო, როცა ჯერ მიაბარეს გაუდის სკოლაში, შემდეგ კი დევენტერის სასწავლებელში, სადაც ეუფლებოდა „შვიდ თავისუფალ ხელოვნებას“, აქვე შეისწავლა ლათინური და ბერძნული ენები. მას შესანიშნავი სმენა და ხმაც აღმოაჩნდა და მონაწილეობდა გალობაში უტრეხტის კათედრალურ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს. იგი ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებულ გულმოდგინეობას იჩენდა ძველი წიგნების მიმართ. შემთხვევითი არ იყო, რომ ბიძამისმა ვინკელნმა, როცა ერაზმი მიიწვია სტეინის მონასტერში, უპირველესად იმით დააინტერესა, რომ მონასტერს გააჩნდა მდიდარი ბიბლიოთეკა. ამ მონასტერში მან ხუთი წელი დაჰყო და წაუკითხავი არ დარჩენია არც ერთი წიგნი. 1492 წლიდან კი ერაზმს ჯერ პარიზის ერთ-ერთ კოლეჯში ვხედავთ, ხოლო ცოტა მოგვიანებით პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტიც ხდება, სწავლობს ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე. აქ მან 1499 წლის გაზაფხულამდე დაჰყო და იმავე წლის მაისში ლონდონში გაემგზავრა, სადაც დაუმეგობრდა ინგლისური ჰუმანიზმის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ ტომას მორი და ჯონ კოლექტი. მორს ერაზმი ბერძნულ ენასაც კი ასწავლიდა.

ინტენსიური მოგზაურობის ხანა ერაზმს 1500 წლიდან დაუდგა. ამ დროიდან მას, პარიზისა და ლონდონის გარდა, ვხედავთ ბაზელში, ლუვენში, ბრიუსელში, ანტვერპენში, ბრიუგეში, გენტსა და მაინცში. 1505 წელს ერაზმი გადადის ბოლონიაში, სადაც დაესწრო პაპი იულიუს II-ის (1503-1513) საზეიმო ცერემონიალს: პაპმა, რომელიც დამნაშავე უკეთესად ფლობდა, ვიდრე საღვთისმეტყველო წიგნებს, აპენინის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი დაიმორჩილა, ბოლონია საეკლესიო სახელმწიფოს შეუერთა და გამართა კიდევ სამხედრო დიდების სანახაობა, რომელმაც შემრა ერაზმი.

ჰუმანისტი ვერ შეურიგდა სულიერი მოძღვრისათვის შეუფერებელ ამ საქციელს და დაწერა პირველად პაპის საწინააღმდეგო პამფლეტი - „იულიუსი, რომელიც არ დაუშვებს ზევამი“, რომელშიც მხილებულია პაპის მილიტარისტული ზრახვანი, მისი მონაწილეობა ომებში. პაპების ეს მისწრაფება ერაზმს მხილებული აქვს „სისულელის ქებაშიც“, მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ჰუმანისტის ასეთ საქციელს უკვალოდ არ ჩაუვლია – დღითი დღე იზრდება მისი ავტორიტეტი. ამიტომაც იყო, რომ იულიუსის მომდევნო

პაპი ლეო X (1513-1521) ერაზმის შემორიგებას შეეცადა – შესთავაზა მას კანოსის გრაფის ტიტული (7, 3ბ, 159), მაგრამ პაპს გაწბილება ელოდა. ერაზმმა უარი თქვა ამ მომზიდველ წინადადებაზე, თუმცა თავისი კრიტიკული გამოსვლები პაპის წინააღმდეგ არც შემდეგში შეუწყვეტია.

როგორც ვთქვით, ერაზმი ბევრს მოგზაურობდა, მაგრამ ეს არ იყო უბრალო ტურისტული გასეირნება- მას შემეცნებითი მნიშვნელობაც ჰქონდა, იგი ეცნობოდა ამა თუ იმ ქალაქის ისტორიასა და კულტურას. ამასთან ქალაქში, სადაც ჩადიოდა, სულ მცირე თავისუფალ დროსაც კი ერაზმი უქმად არ კარგავდა, ლიტერატურულ, მთარგმნელობით საქმიანობას ეწოდა. მან ბერძნულიდან ლათინურ ენაზე თარგმნა და გამოსცა ევრიპიდეს ტრაგედიები და ლუკიანეს დიალოგები, დემოსთენეს, არისტოტელეს, ციცერონის, სენეკას და სხვა „წარმართ“ ავტორთა თხზულებები. მკითხველისათვის მან უფრო საცნაური გახადა იერონიმეს, ავგუსტინეს, ამბროსიუსის, ვასილ დიდის და სხვა საეკლესიო მამათა მოძღვრების არსი, მათი თხზულებები გამოსცა კომენტარებით. მანვე გამოსცა სახარების ბერძნულიდან ლათინურ ენაზე შესრულებული ახალი თარგმანი, რომელსაც თავისი ცხოვრების მთავარ შრომად თვლიდა. ამ თარგმანებში და განსაკუთრებით კომენტარებში, ტექსტებს ერაზმი ჰუმანისტური თვალსაზრისით უდგებოდა, ასწორებდა დამახინჯებისაგან და აყალიბებდა თავის ეთიკურ-თეოლოგიურ სისტემას, რომელსაც, როგორც ვთქვით, „ქრისტეს ფილოსოფიას“ უწოდებდა.

ერაზმს სხვა სერიოზული შემოქმედებითი წარმატებებიც ჰქონდა. მის კალამს ეკუთვნის „აფორიზმების კრებული“, „სისულელის ქება“, „მშვიდობის ჩივილი“, „ქრისტიანი მხედრის მახვილი“, „ქრისტიანი ხელმწიფე“, „შინაურული საუბრები“, და სხვა არაერთი თხზულება. ერაზმის თხზულების 10 ტომი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში გამოსცეს. ბევრი მისი თხზულება მსოფლიოს სხვადასხვა ენებზეა თარგმნილი. გამონაკლისი არც ქართული ენაა. ქართულ ენაზეა თარგმნილი „სისულელის ქება“ და „მშვიდობის ჩივილი“.

ამ თხზულებებიდან ყველაზე პოპულარული მაინც „სისულელის ქებაა“, რომელიც მან 1511 წელს, ლუვენში ყოფნის დროს, გამოსცა და მიუძღვნა ტომას მორს. ესაა სატირული ხასიათის ნაწარმოები, რომელშიც მოქმედ პირად გამოყვანილია ქალბატონი სისულელე. სისულელის პირით ერაზმს საამკარაოზე გამოაქვს მისი თანამედროვე ევროპის პოლიტიკურ, კულტურულ და საეკლესიო ყოფაცხოვრებაში არსებული ყველა უხამსობა, ფორმალიზმი, უაზრო დოგმატიკა და ა.შ. ნაკლოვანებანი. მას გულს ურევს თავადაზნაურთა საქციელი, რომლებიც უსაქმურად ცხოვრობენ, ნადირობენ და დროს ატარებენ; ტრაბახობენ თავიანთი კეთილშობილური წარმომობით, მიუხედავად იმისა, რომ არაფრით არ განსხვავდებიან უკანასკნელი არამზადებისაგან. ისინი ემორჩილებიან სისულელეს და გაურბიან სიმართლეს. თვით ხელმწიფეებიც კი, რომელთა მოღვაწეობა წარმოუდგენელია „ანტიკური თავისუფლების ტრადიციაზე აღზრდის გარეშე“, ახლანდელ დროში გაურბიან სიმართლეს. – „დიახ, მეფის ყურები ვერ იტანს სიმართლეს“, - ამბობს ერაზმი „სისულელის“ პირით და იქვე განმარტავს: მათ ურჩევნიათ გარს ეხვიოთ სულელები და მასხარები, ვიდრე ჭკვიანები. ისინი ხალხის მსახურები კი არ არიან, არამედ ტირანები, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უდევს არა სიყვარული, არამედ სიძულვილით გაჯერებული შიში. დიახ, სისულელე რომ არა, „ხალხი ვერ შეძლებდა თვით მეფის დიდხანს ტარებას, ყმა – თავისი ბატონისას, შინამოსამსახურე – თავისი ქალბატონისას“.

ერაზმის განსაკუთრებულ გულისწყრომას მაინც ეკლესიის მსახურთა საქმიანობა იწვევდა. სისულელეს, რომელიც კათედრაზე სიტყვით გამოდის, იგი ათქმევინებს: ეკლესიის მსახურები, ნიღაბს ამოფარებულები წარმართავენ რელიგიის საქმეს და ჩადიან ათასგვარ სისულელეს. თვით მათ მიერ შექმნილი ღვთისმეტყველებაც, რომელსაც უნივერსიტეტებში კითხულობენ, სისულელითაა გაჯერებული და ამიტომაც, - არწმუნებს ერაზმი ადამიანებს, - „უკეთესია, არ შეეხო ამ აყროლებულ ჭაობს, არ მიეკარო ამ შხამიან მცენარეს“. ერაზმის თქმით, სისულელე მძლავრობს გერმანელ ეპისკოპოსთა ყოველდღიურ საქმიანობაშიც: მათი წყალობითაა, რომ გერმანია იცლება დოვლათისაგან, ისინი არა თუ კრძალავენ ქვეყნიდან ყოველგვარი სიმდიდრის გატანას, არამედ, პირიქით, უნამუსოდ იმას ცდილობენ, რომ ხელი შეუწყონ ძარცვას, რითაც ახერხებენ არამართო საკუთარ ხალხზე ბატონობის დამკვიდრებას და თავიანთთვის საამური ცხოვრების შექმნას, არამედ ზრდიან პაპების ავლადიდებას და სიმდიდრეს, ფუფუნებაში აცხოვრებენ მათ. ჩემი ასეთი დახმარება რომ არა, აცხადებს „სისულელე“, „არ ვიცი, ვინ იქნებოდა ბერზე უფრო უბედური, ან კიდევ, მისი თქმით, პაპებმა, რომლებმაც „ქრისტეს ალაგი დაიჭირეს, უფალს კი არ ბაძავენ თავიანთი ცხოვრებით, ღვაწლით, ამქვეყნიერების უგულებელყოფით. ისინი „ბოჭავენ და ზღუდავენ მას (ქრისტეს მოძღვრებას) უკუღმართი კანონებით, რყვნიან თვითნებური განმარტებებითა და დადგენილებებით, აშთობენ არაჯანსაღი ცხოვრებით“ (5, 156). მაშასადამე, განაგრძობს ერაზმი, პაპები გვერდს უვლიან თავიანთ მთავარ მოვალეობას და ეს არცაა გასაკვირი; იმას თუ დავუშვებთ, მათ

მოუხდებოდათ ფიქრი და აღსრულება მოვალეობებისა, მაშინ ამ ქვეყნად არ იარსებებდა მათზე უფრო ტანჯული არსებანი. მაშინ არც ასეთი დიდი მონდომებით, ყველა ღონით, ნებისმიერი საშუალებით – მახვილითა და შხამით – შეეცდებოდნენ მოეპოვებინათ და შეენარჩუნებინათ პაპის ტახტი [5, 153) ანდა, რაოდენი სარფა მოაკლდებოდა პაპის ტახტს, ერთხელაც მასზე სიბრძნე რომ ასულიყო“; დიახ, - სიბრძნის უქონლობა იმის მიზეზი, რომ ისინი უარს ამბობენ ქრისტიანული ცხოვრების ყველა ნორმაზე, ძველი დროის რწმენისათვის დამახასიათებელ უბრალოებაზე, ზომიერებაზე, თვითდისციპლინაზე, ყველაფერ იმაზე, რაც ასე საჭიროა ადამიანის შინაგანი თავისუფლებისა და სულის ხსნისათვის.

ამ ბრალდებებთან ერთად ერაზმს იმის თქმაც არ ავიწყდება, რომ პაპები არ თმობენ მახვილს, რომელსაც, როგორც ვთქვით, უკეთ ფლობენ, ვიდრე ღვთისმეტყველებას. 1511 წელს, როცა „სისულელის ქება“ გამოქვეყნდა, ვატიკანის ტახტზე ჯერ კიდევ იჯდა ხანდაზმული პაპი – იულიუს II. ყველას და თვით პაპსაც ადვილად შეეძლო ამოეცნო თავისი თავი თხზულების ერთ პასაჟში, სადაც გაბედულად ნათქვამია: „გაიხედავ და დაინახავ მიხრწნილ მოხუცებს, ჭაბუკური ცეცხლით აღზნებულებს“, რომლებიც მახვილით ხელში მიუძღვებიან ჯარს და დაუნდობლად „ღვრიან ქრისტიანთა სისხლს“, ისინი არა მარტო უმოწყალოდ ყვლევენ თავიანთ ქვეშევრდომებს, არამედ ფულის გულისათვის მზად არიან ძმა-ძმას გადაჰკიდონ, სახელმწიფო სახელმწიფოს. თანაც ირწმუნებიან, რომ ამით „მოციქულებრივ აღთქმას აღასრულებენ, იცავენ ეკლესიას“ (5,156). სინამდვილეში მათი უპირველესი საზრუნავი თავისი სამფლობელოების გაფართოებაა. „ან კი ვისგან იცავენ ეკლესიას, თუ მას არ ჰყავს პაპზე უფრო მაობრებელი მტერი?!“ ხელისხლიანი და ხმაღაშიშვლებულნი, ძველი ტრიუმფატორივით, ბრუნდებიან ისინი რომში. მათ ვერ შეუგნიათ, რომ ომი ტლანქია და უგუნურთა საქმეა (5, 157).

მამასადამე, ერაზმის აზრით, ეკლესიის ავტორიტეტს სხვა არავინ სცემს იმაზე მეტად, ვიდრე „უწმინდესი რომის პაპები და მისი მომხრეები, რომლებიც თავიანთი საზიზღრული ცხოვრებითა და მოქმედებით ქრისტეს მეორედ აცვამენ ჯვარს“.

ამგვარად, ერაზმის ადრინდელი მოღვაწეობის გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი საკმაოდ რადიკალურია – კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა მანკიერების მხილებაში ტოლს არავის უდებს, თავს ესხმის მთელს ორთოდოქსალურ თეოლოგიას, ყურადღებას ამახვილებს ბევრ ისეთ საკითხზე, რომელიც შემდეგში ლუთერის მოძღვრების ქვაკუთხედი გახდა, ამბობს, რომ რწმენის ერთადერთი წყარო საღვთო წერილია და არა საეკლესიო დადგენილებანი; მან ერთიანად დაგმო საკულტო წეს-ჩვეულებანი, წმინდანებისადმი წარმართული თაყვანისცემა, სარიტუალო ფორმალიზმი და ყველაფერი ის, რაც შეადგენდა კათოლიკური ეკლესიის ძლიერების საფუძველს. მას კათოლიკური ეკლესიის შინაგანი გარდაქმნა, განახლება, გადახალისება, პაპიზმის სულიერი და მატერიალური დიქტატურის ნაცვლად ცოცხალი რწმენის დამკვიდრება, დოგმების რწმენით გაცოცხლება და არა მათი ახსნა, პირველი ქრისტიანული ათასწლეულის იდეალების აღდგენა და ამ იდეალების სამსახური სურდა. აქედან გამოდიოდნენ კელნის თეოლოგები, როცა ამბობდნენ: „ერაზმმა დადო კვერცხი, ლუთერმა კი გამოჩეკაო“. მართლაც, ერაზმმა თავისი კრიტიკული გამონათქვამებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეფორმაციის შემზადების საქმეში.

არანაკლები კრიტიკის მატარებელია ერაზმის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის შემცველი ისეთი თხზულება, როგორცაა „ქრისტიანი ხელმწიფე“, რომელმაც დღის სინათლე 1516 წელს იხილა. სხვათაშორის, ამავე წელს გამოცა ტომას მორის „უტოპია“, ხოლო ორი წლის შემდეგ გამოჩნდა ნიკოლო მაკიაველის „ხელმწიფეც“. ამგვარად, ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური აზრის შემცველი ეს სამი ძირითადი ძეგლი თითქმის ერთდროულად გამოჩნდა ევროპაში, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ერაზმის ტრაქტატის მთელი სული ყველაფერში ემსგავსებოდა მაკიაველის კონცეფციას, ბევრ რამეში ეწინააღმდეგებოდა მას. ერაზმი თავისი ხელმწიფისაგან მოითხოვდა, რომ მან თავისი ქვეყანა მართოს არა როგორც თავნება ბატონმა, არამედ როგორც ხალხის მსახურმა, რომელიც თავის მოქმედებაში დაეყრდნობოდა არა შიშს, არამედ სიყვარულს, რადგან დასჯის წინაშე შიში არ ამცირებს დანაშაულს. არც მონარქის ნებაა საკმარისი, რათა კანონი იქცეს კანონად. ერთი სიტყვით, ერაზმის ეს თხზულება გაჟღენთილია ზიზღით ყოველგვარი ტირანიისადმი, და ამ ზიზღში ადვილად შეიგნობა ანტიკური თავისუფლების ტრადიციაზე აღზრდილი ადამიანის სულის ამოძახილი. იგივე ითქმის ერაზმის „მშვიდობის ჩივილზეც“ (1517), რომელიც არა მარტო პოლიტიკური შინაარსის მატარებელია, არამედ ანტისამხედრო თხზულებაც არის. მართალია, მასში არ გვხვდება რაიმე პოლიტიკური თეორია ან სოციალური გარდაქმნის პროექტი, არაფერია ნათქვამი სახელმწიფოს არსზე, ამის მიუხედავად იგი პოლიტიკური თხზულებაცაა, რადგან ეხება სხვადასხვა საზოგადოებრივ პრობლემას, გაკრიტიკებულია როგორც ეკლესია, ისე სამოქალაქო დაწესებულებანი. თანაც, როგორც „სისულელის ქებაში“, „ქრისტიან ხელმწიფეში“, ისე „მშვიდობის ჩივილში“;

ჰუმანისტი გმობს მშვიდობის მოძულეებსა და ომების გამჩაღებლებს – მონარქებს, წარჩინებულებს, უმაღლესი სამღვდლოების წარმომადგენლებს, რომლებიც სულ უმნიშვნელო მიზეზის გამო მხეცურად ანადგურებენ ერთმანეთს. უფრო მკაცრია ერაზმ როტერდამელი, როცა ომის გამჩაღებლებს ასე ახასიათებს: „ომს ეწვეიან მუქთახორები, ქურდები, მკვლელები, ხეპრები, ვალგაუსტუმრებელი და მათივე მსგავსი ნაძირალები, მაგრამ არამც და არამც სინდისიერი და განათლებული ფილოსოფოსები“. ბუნებრივია, მისი ამდაგვარი გამონათქვამები და თხზულებანი ადამიანებს აფხიზლებდა და იმისათვის განაწყობდა, რომ ბოლო მოეღოთ საზოგადოებრივ მანკიერებათა ყოველგვარი გამოვლინებისათვის, ეკლესიის მსახურთა თვითნებობისათვის, ომების გამჩაღებლებისა და ტირანებისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ „მშვიდობის ჩივილი“ თავის დროზე აკრძალული იყო სორბონაში.

მოსალოდნელი იყო და იფეთქა კიდევ რეფორმაციულმა მოძრაობამ, რომლის შემზადებაში, როგორც ვთქვით, ერაზმსაც მიუძღვის დიდი წვლილი. 1517 წლის 31 ოქტომბერს ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე გამოაკრა თავისი „95 თეზისი“, რომელიც მიმართული იყო კათოლიკური დოგმებისა და ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. სწორედ ამ თეზისების გამოქვეყნებით დაიწყო რეფორმაციული მოძრაობა გერმანიაში, რომელმაც თავის ორბიტაში ფართო მასები ჩაითრია, დაფრთხა ერაზმი, დაეძაბა ურთიერთობა ლუთერთან და მის მომხრეებთან, რაც აისახა კიდევ მის გამონათქვამებში. მართალია, იმთავითვე მას არ უარუყვია თავისი წვლილი რეფორმაციული მოძრაობის შემზადებაში, მაგრამ ჩაქრა მისი „მეამბოხე სული“. აი, რას ამბობდა იგი ცვინგლისადმი მიწერილ წერილში: „მე მგონია, თითქმის ყველაფერ იმას ვასწავლიდი, რასაც ლუთერი, მაგრამ არა ისე გაცხარებით“. სხვაგან მას უწერია: „დიახ, მე დავდე კვერცხი, მაგრამ თქვენმა ლუთერმა ამ კვერცხიდან სულ სხვა ჩიტი გამოჩეკაო“. პირველი, რაც ერაზმს არ მოსწონდა ლუთერში, ეს იყო ბრძოლის მისეული მეთოდი, რასაც დაუფარავადაც ამბობდა კიდევ: „ვფიქრობ ზომიერებითა და თავშეკავებით მეტის გაკეთება შეიძლება, ვიდრე სიფიცხითა და წინდაუხედაობით; სიფიცხითა და წინდაუხედაობით ქრისტე როდი დაეუფლა ქვეყანას; ან კიდევ: ლუთერისათვის „ადამიანური საქმეები უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ღვთაებრივი“ (10, I, 90), რომ ბრძოლა მას პაპების ხელისუფლების წინააღმდეგ არ უნდა დაეწყო, ეს საქმე მთავრებისათვის უნდა დაეთმო (7, III, 409), ვინაიდან ზემოდან გატარებული ღონისძიებებით და ზომიერების დაცვით უფრო მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე შფოთით. (7, III, 605)

ამგვარად, შფოთი და აჯანყება რომელიც თან ახლდა რეფორმაციას, ერაზმისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მან გვერდზე გადგომა და ნეიტრალურ მდგომარეობაში ყოფნა ამჯობინა რელიგიურ დავაში მონაწილეობას, რომელსაც ლუთერი აწარმოებდა. „მე არ ჩავერევი ამ ტრაგედიაში, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ თუ გავილაშქრებ ლუთერის წინააღმდეგ – „ჩემთვის გამზადებულია საეპისკოპოსო“ (11, IV, 339) – წერდა პოეტ გერარდ ნოვიობაგს 1520 წლის 9 სექტემბრის წერილში.

რელიგიურ დავაში არ ჩავერევიო რომ ამბობს, ამით მას იმის თქმაც სურს, რომ ხელს იღებს თავის ადრინდელ მოსაზრებებსა და პრინციპებზეც, თვით რომაული ეკლესიის დამცველად გვევლინება იგი. მკითხველსაც იმაში არწმუნებს, რომ პაპის ტახტისაგან განდგომის სურვილი მას არასოდეს არ ჰქონია, რადგან პაპში ხედავს ქრისტეს მოძღვრების ერთგულ დამცველს. „კათოლიკურ ეკლესიას მე არასოდეს ჩამოვმორებივარ, მე არ განვუდგები რომაულ ტახტს, ვიდრე ეს ტახტი იქნება დამცველი ქრისტეს მოძღვრებისა“, - აცხადებს იგი. ამასთან ვერ ეგუება რა ნაციონალურ-რელიგიურ ვნებებს, ერაზმი მზად არის უარი თქვას თვით სახარებიდან გამომდინარე ჭეშმარიტებასა და სიმართლეზეც კი, თუ ეს სიმართლე საფრთხეს შეუქმნის მისთვის სასურველ რელიგიურ ერთიანობასა და ერთიან მსოფლიო წესრიგს. ნიკოლოზ კუზანელის მსგავსად, საქრისტიანოს ერთიანობა მას ვერ წარმოუდგენია პაპის ავტორიტეტის გარეშე და მზად არის დაიცვას კიდევ პაპის ავტორიტეტი და საეკლესიო კრების დადგენილებანი. ქრისტიანთა ვალია „მორჩილად მივსდიოთ საეკლესიო კრებების მითითებებს“, - აცხადებდა იგი.

ბევრი თავისი გამონათქვამის უგულვებელყოფისა და სახარების პრინციპებიდან გადახვევის მიუხედავად, ლუთერი და მისი მომხრეები მაინც იტოვებდნენ იმედს, რომ ერაზმი „საეპისკოპოზე“ არ გაცვლიდა რეფორმაციის ინტერესებს. ესეც რომ არა, ერაზმისაგან ერთიანად ჩამოშორება, მათ გაუმართლებლად მიაჩნდათ, ფიქრობდნენ, რომ მისი ევროპული მასშტაბის ავტორიტეტი დიდად წაადგებოდა რეფორმაციას. „ჩვენი იმედი და ჩვენი ღირსება“, - ასე მოიხსენიებდნენ ერაზმს 1519 წელს, თუმცა ბოლომდე როდი სჯეროდათ მისი. ამაზე მიუთითებს ლუთერის ეს სიტყვებიც: „როდესაც კითხულობ ერაზმის თხზულებებს კათოლიკური ეკლესიის წამხდარობის შესახებ, არ შეიძლება არ იცინო, პირიქით კი უნდა იყოს – უნდა გვეტირებოდეს“. მისი თქმით, განა სატირალი არ არის ის, რომ პაპი და მისი კურია მთელი თავიანთი არსებობის მანძილზე იმის მტკიცებაში

არიან, რომ პაპი არა მარტო ქრისტეს მოადგილეა დედამიწაზე, არამედ მისი მონაცვლეცაა, შუამავალია მორწმუნეებსა და ღმერთს შორის. სინამდვილეში, ლუთერის თქმით, მორწმუნის სულსა და ღმერთს შორის არ შეიძლება იყოს სხვა შუამავალი, გარდა იესო ქრისტესი. პაპები შუამავლები კი არ არიან, არამედ უზურპატორები, რომლებმაც უგულვებლყვეს რა სახარების პრინციპები – მართონ ქრისტიანების მხოლოდ სულიერება, თვითნებურად მიიტაცეს მათი მატერიალური მხარის მართვის უფლებაც, ე.ი. საერო ხელისუფლების სფეროშიც შეიჭრნენ, რითაც დასცეს ეკლესიის ავტორიტეტი, წაბილწეს მთელი საქრისტიანო. თვით რომიც კი, რომელიც მათი თქმით, „საქრისტიანოს ცენტრია“, სინამდვილეში მათივე წყალობით „უზნეობის ცენტრი“ გამხდარა, საიდანაც იღებს სათავეს „სიცრუე და მოტყუება, მარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა, ფუფუნებით ტრაზახი, ქალთა და მამაკაცთა გარყვნილება და ღვთის ყოველგვარი უგულვებლყოფა“.

ფაქტობრივად გერმანიაში ორი პარტია დაუპირისპირდა ერთმანეთს. ერთ მხარეს იდგნენ პაპი, ინგლისის მეფე ჰენრი VIII, იმპერატორი კარლ V, ჰერცოგი გეორგ საქსონელი, პოლონეთის მეფე სიგიზმუნდი და ერაზმის ლონდონელი მეგობრები, მეორე მხარეს – საქსონიის კურფიურსტი ფრიდრიხ ბრძენი და ლუთერის სხვა მომხრეები, მელანქტონი და ჰუტენი. 1520 წლის 15 ივნისს გამოქვეყნდა პაპის ბულა, რომელშიც ჩამოთვლილი იყო 41 „ცთომილება“, რომლებზეც უარი უნდა ეთქვა ლუთერს სამოც დღეში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკლესიიდან განკვეთა ელოდებოდა. მაგრამ ლუთერი ამას არ შეუშინდა და იმავე წლის 10 დეკემბერს ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების წინაშე ეკის თხზულებებთან ერთად ცეცხლს მისცა პაპის ბულა. ლუთერის მემბოხე სულმა ვორმისის რაიხსტაგშიც (1521წ. აპრილი) იჩინა თავი. აქ მან გაბედულად დაიცვა თავისი თხზულებები და იქ განვითარებული აზრები. თქვა, რომ ეკლესიისა და მისი მეთაურის როლის უზომო ზრდით ირღვევა ჭეშმარიტება. „მე არ შემძლია დავემორჩილო ჩემი რწმენა არც პაპს, არც საეკლესიო კრებას, რადგან დღესავით ნათელია, რომ ისინი ხშირად ცდებიან და თვით ერთმანეთსაც ეწინააღმდეგებიან. თუ მე არ დამარწმუნებენ საღვთო წერილის დამოწმებით, ან ნათელი, გონივრული მოსაზრებებით და თუ ღვთის სიტყვით არ შებოჭავენ ჩემს სინდისს, მაშინ მე არ შემძლია და არც მსურს, უარი ვთქვა არაფერზე, რადგან ქრისტიანს არ შეშვენის გამოვიდეს სინდისის წინააღმდეგ. მე ამაზე ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

ეს სიტყვები არა მარტო რომის თამამი გამოწვევა იყო, არამედ სინდისის, აზრის თავისუფლების პრინციპის საქვეყნოდ გამოცხადებაც, რომლის მსგავსი მანამდე იშვიათად მომხდარა.

მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ მაინც ერაზმ როტერდამელი ლუთერის მხარეს დადგებოდა, მით უფრო იმიტომაც, რომ ლუთერის „მოტაცებამ“ მთელი გერმანია სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ყველას ეგონა, რომ ამ მდგომარეობიდან ლუთერის დახსნა მხოლოდ ერაზმს შეეძლო. მაშინდელი გერმანელების ამ გრძნობებს ნათლად ასახავს დიდი გერმანელი მხატვარი და ლუთერის მეგობარი – ალბრეხტ დიურერი, როცა წერს: „ო ერაზმ როტერდამელო, სადა ხარ შენ? დაინახე, რას შვრება უსამართლო ტირანია საერო ძალმომრეობისა და ბნელი ძალებისა? შეისმინე შენ, ქრისტეს რაინდო, გამოდი წინ ქრისტე ღმერთთან ერთად, დაიცავი სიმართლე, დაიმსახურე მოწამეობრივი შარავანდედი (16, I, 152).

ერაზმის დახმარების ხელი კი არსაიდან ჩანდა, არც დაპირისპირებას წყვეტდა იგი. დაპირისპირებულებს შორის ერთგვარი დაზავება მაინც მოხდა 1524 წლის აპრილში. ინიციატორი ლუთერი იყო. მან ერაზმს აღუთქვა, რომ არ აწყენინებდა მას, თუ ის შეწყვეტდა მასთან დავას და იქნებოდა მხოლოდ „მაყურებელი“ (11, IV, 445).

თითქოს გამოინახა საერთო ენა, ერთხანს ერაზმიც დუმდა, თავს არიდებდა კამათს, თუმცა, როგორც დავინახავთ, მას ფიქრი რეფორმატორთან დისპუტის გამართვაზე არ შეუწყვეტია. ამჯერად გენერალური ბრძოლა ერაზმსა და ლუთერს შორის გაიმართა არა რომაული ეკლესიისა და პაპის ავტორიტეტის ირგვლივ, არამედ ნების თავისუფლების პრობლემაზე, რომელსაც მიუძღვნა ერაზმმა თხზულება – „დიატრიხა“, ანუ „მსჯელობა თავისუფალი ნების შესახებ“, რომელიც გამოიცა 1524 წლის 1 სექტემბერს. ეს გამოცემა შედგა ბაზელში, ფრობენის გამომცემლობაში. ჯერ ლათინურად გამოიცა, შემდეგ კი გერმანულად.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ნების თავისუფლების პრობლემას ერაზმი ადრე არ შეხებია. ჯერ კიდევ 1516 წელს საქსონის კურფიურსტის მდივანი გეორგ სპალატინი ერაზმს აცნობებდა, რომ არის ვინმე ავგუსტინელი ბერი, რომელიც ამბობს, რომ ერაზმი უმნიშვნელო როლს ანიჭებს პირველ ცოდვას, რომ მას წაკითხული არა აქვს ავგუსტინეს შემოქმედება და მისი შეხედულებანი ნების თავისუფლების შესახებ (11, II, 416). ეს ბერი მარტინ ლუთერი იყო. თუმცა ერაზმს ამ დროს სულაც არ გაეგონა ლუთერის სახელი. იგი მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ „95 თეზისის“ გამოქვეყნების შემდეგ, აკი 1518 წელს ერაზმი ახსენებს ლუთერის თეზისებს და ამბობს,

რომ ლუთერი არ უნდა დაპირისპირებოდა პაპის ხელისუფლებას. ეს საქმე მას მთავრებისათვის უნდა დაეთმო (11, III, 409). რაც შეეხება ლუთერის ბრალდებას, რომ ერაზმს წაკითხული არა აქვს ავგუსტინეს შემოქმედება, მისი გამონათქვამები პირველ ცოდვაზე, ან ნების თავისუფლებაზე, ნაკლებ სარწმუნო ჩანს. როგორც ვთქვით, არ დარჩენილა ძველი წიგნი სტეინის ბიბლიოთეკაში, რომელიც ერაზმს არ წაეკითხოს, გამონაკლისი არც ავგუსტინეს წიგნებია. ლუთერის ბრალდებამ გარკვეულად მაინც დადებითი როლი შეასრულა. ერაზმი უფრო ჩაუღრმავდა ავგუსტინეს პირველი ცოდვისა და ნების თავისუფლების საკითხებს; მისთვის ცხადი შეიქმნა, IV-V სს ეს საეკლესიო მოღვაწე ბევრად უფრო შორს მიდიოდა ნების თავისუფლების საკითხში, ვიდრე ანტიკური ფილოსოფოსები (დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე, ეპიკურე და სხვა ბერძენი და რომაელი სტოიკოსები), რომლებიც მთავარ მნიშვნელობას ადამიანურ გონებას ანიჭებდნენ; ავგუსტინეს კი სიმძიმის ცენტრი ნების სფეროში გადაჰქონდა, ადამიანური ნების აბსოლუტიზირებას ახდენდა. ამბობდა, რომ ადამიანი მორალური არსებაა, რომელიც განასხვავებს მათ ცხოველების სამყაროსაგან, რომ მისი მოქმედება შეუძლებელია ნების თავისუფლების გარეშე, თუმცა იქვე იმასაც დასძენდა, რომ ეს ნება მას ღმერთისაგან ენიჭება. სწორედ ეს გახდა ერაზმის მოწონების საგანი.

ერაზმმა, რა თქმა უნდა, გვერდი ვერ აუარა პირველი ცოდვის საკითხსაც, ის თქვა, რომ ავგუსტინესთან „პირველი ცოდვის მნიშვნელობა გაზვიადებულია“, რომ პირველმა ცოდვამ ერთიანად როდი წაშალა ადამიანის გონება და მისი ნება (5, 167). ახლა იგი საეკლესიო დადგენილებებსა და მითითებებს, რომლებიც ადამიანური ნებიდან მომდინარეობენ, სახარებაზე წინ აყენებს და მიუღებლად აცხადებს ადამიანის აქტივობის შემბოჭველ ყოვლისშემძლე ღვთაებრივი წინასწარგანსაზღვრულობის მოძღვრებას (11, V, 225-226), რომელსაც ლუთერი ქადაგებდა. ლუთერისეული ეს მოძღვრება, მისი თქმით, მას მოაგონებს ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟებს, ზღვის ურჩხულებს – სცილასა და ქარიბდას. აქედან პირველს იგი ადამიანის მოქმედებებში მტკიცე თვითდაჯერებულობის გამომხატველად მიიჩნევს და კატეგორიულად აცხადებს, რომ ეს პოზიცია „რელიგიისათვის შავი ჭირია“, ხოლო მეორე – „ქარიბდა“ კიდევ უფრო საშიშელი ბოროტებაა; რადგან იგი გამოხატავს პრინციპს – „დაე უნდა იყოს ის, რაც ღმერთმა ერთხელ დაადგინა“ (11, V, 226);

სიტყვებში, - „ის, რაც ღმერთმა ერთხელ დაადგინა“, ერაზმი სხვა არაფერს გულისხმობს, თუ არა სახარებასა და მის პრინციპებს. სწორედ ამ პრინციპებს გადაუხვია ერაზმმა, რასაც ლუთერი და მისი მომხრეები ვერ შეურიგდნენ. პირველი, ვინც ხმა აღიმალა ლუთერის დასაცავად, ულრიხ ფონ ჰუტენი იყო. მან ჯერ კიდევ 1523 წლის 11 ივლისის წერილში, რომელიც გაუგზავნა თავის მეგობარს – ეობან ჰესს, პირდაპირ განაცხადა: „ერაზმი სამარცხვინოდ ჩამოშორდა სახარების პრინციპებს“, სახარებაზე წინ მან ახლა საეკლესიო დადგენილებანი დააყენა (9, II, 252). კიდევ: თუ ადრე ერაზმი „წყვდიადიდან აბრუნებდა სახარებას, აღადგენდა რწმენას და რელიგიას, ახლა მზად არის დაანგრის, განდევნოს და დაღუპოს ისინი“ (9, II, 216) . მასვე ეკუთვნის ეს სიტყვები: „შენ, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ ამხელდი რომის კურთხის შეცდომებსა და შავნელ საქმიანობას; შენ, რომელიც აღსდექი ფორმალური ცერემონიალებისა და ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ; შენ, რომელიც იყავი აშკარა მტერი ყოველგვარი მოჩვენებითობისა და სიყალბისა, იყავი მღალაღებელი სახარებისეული ჭეშმარიტებისა, ახლა შეგიცვლია პოზიცია და იმას გაიძახი, რომ სიმართლის თქმა ყოველთვის საჭირო არ არის, ეს ხომ სახარებიდან გადახვევა და უარის თქმაა საკუთარ თავზე (7, V, 217).

ამგვარად ჰუტენმა ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე ლუთერი ჩაებმებოდა დისპუტში, დაიცვა ლუთერი და თავისი თავი; მან ერაზმიც დაიცვა თვით ერაზმისაგან, რამეთუ მან ლაპარაკი იწყო „სხვაგვარად“, განუდგა თავის ადრინდელ მოსაზრებებს. გამოსავალს იგი „სახარებისა და თავისუფლების“ ერთგულებაში ხედავს (7, II, 189). იმას მოითხოვს, რომ „ადრინდელმა ერაზმმა სძლიოს ახლანდელ ერაზმს“, რომ ჩვენთან ერთად იბრძოლონ მისმა წიგნებმაც“ (7, II, 225). მაგრამ ეს იყო მხოლოდ სურვილი, რომლის აღსრულების მოლოდინში ყველასაგან მივიწყებული ჰუტენი (თვით ერაზმისაგანაც უარი მიიღო მან მიღებაზე) 1523 წლის 29 აგვისტოს ციურხში გარდაიცვალა. ერაზმი არ ცდილა, ეზრუნა ერთიანობისათვის, რისკენაც ჰუტენი მოუწოდებდა, პირიქით, მან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა ლუთერს „დიატრიბაში“, რომელიც, როგორც ვთქვით, 1524 წლის 1 სექტემბერს გამოსცა, ლუთერისა და ჰუტენის საპირისპიროდ იგი კვლავაც იმ აზრს ავითარებს, რომ ადამიანისათვის საუკუნო ხსნა მოაქვს არა თავისუფალ ნებასა და სახარებას, არამედ საეკლესიო დადგენილებებსა და მათ მიერ დამკვიდრებული „კეთილი საქმეების“ (ლოცვების, მარხვების, მოწყალების გაცემის, მომლოცველობის და ა.შ.). სურვილისამებრ არჩევას და აღსრულებას. თავისუფალი ნების ძალა, ამბობდა იგი, იმდენად დიდია, რომ სახარებისა და თვით ღვთაებრივი მადლის გარეშეც შეუძლია ადამიანს ხსნის მოპოვება. ამით ერაზმი, ფაქტობრივად

უფლებელყოფდა სახარების ქრისტიანულ გაგებას და პაპისა და საეკლესიო კრებების ინტერესების დაცვას ემსახურებოდა. ღვთაებრივი განგება არ გამოირიცხავს ადამიანის ნების თავისუფლებას მის რწმენასა და საქმიანობაში. ღმერთის წინასწარგანჩინება არ აბრკოლებს ადამიანის ნების თავისუფლებას. არჩევანი სწორედ ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული. ნება თავისუფალი რომ არ იყოს, მაშინ ადამიანში აღარ იარსებებდა თავისუფლება. თავისუფალ ნებასა და მადლ-წყალობას შორის არსებობს არა დაპირისპირება, არამედ თანხმობა.

პაპის ინტერესებიდან ამოდიოდა ერაზმი მაშინაც, როდესაც სახარებისეული ჭეშმარიტების განმარტებას იძლეოდა. იგი, როგორც ვთქვით, იმას ამტკიცებდა, რომ სახარებისეული ჭეშმარიტება ყოველთვის როდია საქადაგებელი და სასარგებლო: თუ სიმართლის თქმას საზოგადოებრივი „სიმშვიდისა და მშვიდობის“ დარღვევა მოაქვს, ეს სიმართლე არც უნდა ვთქვათ; მშვიდობის შესანარჩუნებლად ზოგჯერ ღვთის სიტყვის „მიჩუმდით“ საჭირო, მას ზოგჯერ „ბორკილები უნდა დავადოთ“ და უნდა მივსდიოთ საეკლესიო დადგენილებებსა და კანონებს, რამეთუ მხოლოდ მათ შეუძლიათ „გამძვინვარებული ბრბოს“ მოთოკვა და სიმშვიდის შენარჩუნება. ცხადად ჩანს, რომ ჯერ რეფორმაციამ და შემდეგ გლეხთა ომის დაწყებამ (ეს ომი 1524 წელს დაიწყო) ერაზმი ისე დააშინა, რომ ისევე რომის პაპთან და მის კურიასთან მორიგება ამჯობინა, კონფლიქტს მოერიდა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც გერმანელი ისტორიკოსი ლეოპოლდ ფონ რანკე ამბობს, „ამ პატარა ტანის ადამიანისათვის ქარის სუსტი დაქროლვაც კმაროდა, რომ წაექცია, მას სიტყვა „სიკვდილის“ ხსენებაც კი აკრთობდა (12, I, 189).

თუ როგორ მოეკიდა ლუთერი ერაზმის „დიატრიბას“ და იქ განვითარებულ აზრებს, ამაზე ჩვენ დაწვრილებით ვსაუბრობთ წიგნში – „მარტინ ლუთერი, დადგა ჟამი ჭეშმარიტების ღაღადისა და დიდი ცვლილებებისა“ (თბ., 2012) და ამიტომ აქ მასზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ რეფორმაციისა და ლუთერისაგან განდგომამ ერაზმის სახელს რამდენადმე ჩრდილი მიაყენა, მაგრამ იგი მაინც დარჩა დიდ ჰუმანისტად, ბევრი მის მიერ გამოთქმული იდეა დღესაც მოწონებით სარგებლობს.

ერაზმზე საუბრის დასასრულს, ვფიქრობთ ინტერესმოკლებულთ არ იქნება, თუ ორიოდ სიტყვით მის პიროვნულ თვისებებსაც შევეხებით.

თანამედროვენი, როცა ერაზმს აგვიწერენ, უპირველესად მის გარეგნობაზე ჩერდებიან. ამბობენ, რომ ის იყო პატარა ტანის, მაგრამ კარგი აღნაგობის ადამიანი. მის თეთრ სახეს მოწითალო თმები და ლურჯი თვალები ამშვენებდა. იგი უდიდესი მგრძნობელობით გამოირჩეოდა. იყო ზედმეტად მფრთხალი და უნდობი, ადვილად აღზნებადი. მუდმივად უკმაყოფილო იყო თავისი თავით, განსაკუთრებით გარეგნობით, თავისი ნაწერებიც არ მოსწონდა. „ვეკვობ, ჩემი მოღვაწეობის ნაყოფმა ჩემზე ბევრად მეტ ხანს იცოცხლოს, მათ უკვდავებაზე კი ვერც ვიოცნებებო“, – ამბობდა იგი. შურით ლაპარაკობდა ბედის ნებიერებზე, რომელთაც თან სდევდა წარმატებანი თანდაყოლილი მომხიბვლელობის გამო. მას მუდმივი მხარდაჭერა, გამართლება, შექება სჭირდებოდა, თუმცა ვერც თვითკმაყოფილებას იტანდა, უმადურობა სასტიკად ეზიზღებოდა. ჰქონდა ძლიერი მიდრეკილება თანხმობისა და მეგობრობისადმი. მართალია, ეს ბოლომდე ვერ გამოავლინა მან ლუთერთან დამოკიდებულებაში, მაგრამ როცა 1535 წელს მისი მეგობარი ტომას მორი სიკვდილით დასაჯეს, ამან ძლიერ იმოქმედა მასზე. ჩათვალა, რომ ცხოვრება დამთავრდა, ამის შემდეგ მას ბევრიც არ უცოცხლია, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს ადამიანებისა და მეგობრების სიყვარული, დარჩა ჭეშმარიტ ჰუმანისტად. ამაზე მიუთითებს ანდერძიც, რომელიც მან 1536 წლის 12 თებერვალს გამოსცა, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე. ანდერძის მიხედვით, იგი თავის ბიბლიოთეკას უტოვებდა თავის მოწაფესა და მეგობარს, პოლონელ იოჰან ლასკის. რაც შეეხება ფულად თანხას (7000 დუკატს), ერაზმი სამ ნაწილად ყოფდა: ერთ ნაწილს იგი უტოვებდა ბაზელის ღარიბ მოხუცებსა და ავადმყოფებს, მეორე ნაწილს – ბაზელის ღარიბ ქალიშვილებს, როგორც მზითევს, რათა მალე გათხოვილიყვნენ. მესამე ნაწილი ეძლეოდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც ეუფლებოდნენ მეცნიერებას.

ერაზმი გარდაიცვალა 1536 წლის 12 ივლისს. დასაფლავებულია ბაზელის კათედრალურ ტაძარში.

#### ლიტერატურა:

1. კუტალია გ., ბერი, რომელიც აუჯანყდა რომს, თბ., 2009.
2. კუტალია გ., ერაზმ როტერდამელი - „ჩვენი უნივერსიტეტი“, №18, გორი, 2013.
3. ლუთერი მ., დადგა ჟამი ჭეშმარიტების ღაღადისა და დიდი ცვლილებებისა, თარგ. გ. კუტალიასი და ნ. კალანდიასი, თბ., 2012.
4. როტერდამელი ე., მშვიდობის ჩივილი, თარგ. გ. კუტალიასი, თბ., 1993.

5. როტერდამელი ე., სისულელის ქება, თარგ. ლ. კოჭლამაზაშვილისა, თბ., 2002.
6. Дюрер А. Дневники, письма, трактаты. Л. - М., 1957, ТI.
7. Desiderii Erasmi Roterdami Opera Omnia. I., 1962, T.3a
8. Diltei W., Gesammelte Schriften. Stuttgart, 1957, Bd.2
9. Hutten. Opera, 1859. Vol II.
10. M. Martin Luthers Werke: Briefwechsel. Weimar, 1930, Bd. I.
11. Opus epistolarum des Erasmi Roterodami. Ed P.S. Allen et H.M. Allen. Oxonil, 1906, T. I.
12. Ranke L. Von. Deutsche Geschichte im Zeitalter der Reformation. Bd. I, Wien, 1960.

## GREAT HUMANIST AND THE WORLD CITIZEN

**Guram Kutalia**, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor

### RESUME

“I should like to be the citizen of the whole world” – this was the desire of German Humanist and Theologian, Writer and Philosopher Erasmus Roterdamus (1466-1536). In future 2016 there will be celebrated 550 years from his birth anniversary. This date is being widely celebrated by all progressive mankind. Georgians are not exceptions. We transferred to publication several translations of his works with their introduction and commentaries as well, prepared by us.

## საქართველო-რომის ურთიერთობის ზოგადი დახასიათება (IV-XVIII სს.)

ელდარ მამისთვალიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

საქართველო-რომის ურთიერთობის *პირველი პერიოდი* მოიცავს საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიულ მონაკვეთს საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან (IV ს. 20-იანი წლების შუა ხანები) საეკლესიო განხეთქილებამდე (1054 წ.). ამ საინტერესო პერიოდის ამსახველი საისტორიო წყაროები უაღრესად მცირეა, მაგრამ ისინი მაინც გვაძლევენ საშუალებას ვთქვათ, რომ ქართულ-რომაულ ეკლესიებს შორის ურთიერთობის რაიმე განსაკუთრებულ ნიშანი არ ჩანს. ქართული ეკლესია იბრძვის თვითდამკვიდრებისათვის, ცდილობს წარმოაჩინოს და დაიცვას თავისი ერთგულება და სიწმინდე ქრისტიანული იდეალებისა და საეკლესიო რიტუალისადმი, იყვეს ობიექტური შეფასებელი აღმოსავლეთის ეკლესიებში არსებული ვითარებისა და წარმოაჩინოს თავისი უპირატესობა ბიზანტიის იმპერიაში არსებული სხვა ეკლესიების მიმართ. არ ჩანს აღმოსავლური მართლმადიდებლობისაგან განდგომის სურვილი; არ ჩანს, რომ ქართული ეკლესია აღიარებდა რომის ეკლესიაში დამკვიდრებულ *Filioque*-ს, რომის პაპის ღვთის მოადგილეობას დედამიწაზე და მის უცოდველობას, ან იმას, რომ ქართული ეკლესია რომის ეკლესიას მორჩილებს. ქართული ეკლესია მხოლოდ ხაზს უსვამდა თავის დამოუკიდებლობას, რასაც პირველ რიგში რომისა და ბიზანტიის ეკლესიების პაექრობისა და დაპირისპირების დროს ორივე ეკლესიაში არსებული ვითარების ობიექტური შეფასებით გამოხატავდა.

*მეორე პერიოდი* (XII-XIV სს) \_ ეს არის ქართული სახელმწიფოს (XIII ს. მეორე ნახევარი \_ XIV ა. პირველი ნახევარი \_ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოები) შედარებითი სტაბილურობისა და სამხედრო ძლიერების ხანა, როდესაც დასავლეთი, უპირატესად პაპის კურია, საქართველოს მიიჩნევს, როგორც პოტენციურ მოკავშირეს ისლამის ქვეყნებთან თავისი პრობლემების მოგვარების საქმეში. ქართული სახელმწიფო XI საუკუნის დასასრულიდან ყოველთვის მზადყოფნას აცხადებდა დასავლეთის კათოლიკურ სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობა მიეღო საერთო ქრისტიანული საკითხების გადაწყვეტაში. ქართველები და ჯვაროსანი რაინდები, სრულიად განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, ობიექტურად ერთმანეთის მოკავშირენი იყვნენ. ორივენი მუსლიმანებს ებრძოდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე დაუჯერებელია, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობების სულის ჩამდგმელი, რომის პაპი ლაშქრობების დასაწყისში თუ არა, პირველი ლაშქრობის დასრულების შემდეგ მაინც არ დაკავშირებოდა საქართველოს მეფეს და ქრისტიანული სამყაროსათვის უდიდესი მნიშვნელობის ამ



ღონისძიებაში თავისი წვლილის შეტანა არ ეთხოვა, მით უმეტეს მას შემდეგ, როდესაც ცნობილი გახდა მუსლიმანთა წინააღმდეგ ქართველთა სასტიკი ბრძოლების შესახებ.

საინტერესოა ისიც, რომ დავით აღმაშენებლის მთელი რიგი სამხედრო ღონისძიებები „საეჭვოდ“ ემთხვეოდა, დროის თვალსაზრისით, სელჩუკთა სამხედრო კამპანიებს ჯვაროსანთა სამეფოს ან სამთავროების წინააღმდეგ, რაც მაფიქრებინებს ქართველებსა და ევროპელ რაინდებს შორის კოორდინაციის არსებობას.

იერუსალიმში ქართველთა გავლენა და ამ ქალაქთან დაკავშირებული ევროპის ქვეყნებისათვის საქართველოს სამხედრო ძალის მნიშვნელობა რელიეფურად გამოჩნდა მხოლოდ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. ამის შემდეგ სახეზეა პაპი ინოკენტი III-ის, ჰონორიუს III-ის, გრეგორიუს IX-ის, ინოკენტი IV-ის, ნიკოლოზ IV-ის, იოანე XXII-ის, კლიმენტი V-ის კონტაქტები საქართველოს მეფეებთან. პაპის სახელმწიფოს ყურადღების და მუდმივი კავშირის შენარჩუნების სურვილით უნდა აიხსნას 1233 წელს ფრანცისკანელების და 1240 წელს დომინიკანელთა მისიონების დაარსება საქართველოში.

საქართველო-რომის ურთიერთობის მეორე პერიოდის დამახასიათებელია საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფალთა მიერ რომის პაპისადმი, როგორც კათოლიკური სამყაროს სულიერი ლიდერისადმი პატივისცემა და მოკრძალება, ამით გამოხატონ თავიანთი პატივისცემა დასავლური ფასეულობებისადმი. კათოლიკურ დასავლეთს ისინი მიიჩნევენ პოტენციურ მოკავშირედ თავიანთი აგრესიული მუსლიმანი მეზობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ პაპები ცდილობენ ქართველებს დაუმტკიცონ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის უპირატესობა და პაპის, როგორც ამქვეყნად უფლის მოადგილის აღიარებისაკენ მოუწოდებენ, ქართველები თავს არიდებენ რომის ეკლესიის კრიტიკას და ცდილობენ დელიკატურად აირიდონ ამ საკითხზე მსჯელობა.

**მესამე პერიოდი.** ამ პერიოდში ნათლად გამოჩნდა საქართველო-რომის ინტერესთა სხვადასხვაობა. საქართველო სამეფო კარს რომის საშუალებით სურდა დასავლეთში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე შეეძინა, მაგრამ ამ მიზნის განხორციელებისას ქართველი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების უმთავრესი საზრუნავი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის ხელუხლებლად შენარჩუნება იყო. რომში ესმოდათ ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების საგარეო-პოლიტიკური კურსი და ამიტომაც სამხედრო-პოლიტიკური დახმარების წინა პირობად სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიისაგან კათოლიკობისა და პაპის უხუცაესობის აღიარებას მოითხოვდნენ.

ქართული ეკლესიისა და რომის უთანხმოება რელიეფურად გამოჩნდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე. საქართველოს წარმომადგენელმა პაპთან აუდიენციის დროს სცადა მისთვის დაემტკიცებინა ქართული ეკლესიის ერთგულება იესო ქრისტეს მცნებებისა და მოციქულთა ტრადიციებისადმი, განსხვავებით რომის ეკლესიისაგან, რომელმაც თავისი რელიგიური ნოვაციებით ყოველგვარი ზომიერება დაარღვია. ისევ პაპზეა დამოკიდებული მოხდება თუ არა ეკლესიების დაახლოება და თვით პაპის ავტორიტეტის აღიარება. ქართველი დელეგატის პასუხი, ფაქტიურად, ასახავდა, მართლმადიდებელთა უმრავლესობის შეხედულებას რომის ეკლესიის შესახებ, რაც მათ ახდილად ვერ განაცხადეს და საქართველოს წარმომადგენლისაგან განსხვავებით მაინც ხელი მოაწერეს უნიის აქტს.

პაპები არ კარგავდნენ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაზე რომის გავლენის გავრცელების იმედს. ამ პოლიტიკის განხორციელების ხელსაყრელი პირობები გამოჩნდა XV ს. 50-70-იან წლებში ანტიოსმალური კოალიციაში საქართველოს სამეფო-სამთავროების შეყვანით. ამ საქმეში მთავარი როლი ცნობილ დიპლომატს ლუდოვიკო ბოლონიელს უნდა ეთამაშა, მაგრამ ამ წამოწყებამ მარცხი განიცადა.

მთელი XVI საუკუნის განმავლობაში სუსტი იყო საქართველოს ურთიერთობა რომთან. ამის მიზეზი გახდა გართულებული საერთაშორისო და საქართველოში არსებული არასტაბილური ვითარება. ამჯერადაც სახეზეა მხოლოდ რომის სურვილი საქართველო მოექცეს რომის ორბიტაში.

**მეოთხე პერიოდი.** უაღრესად რთული და საბედისწეროა XVII-XVIII საუკუნეები ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ დროს განსაკუთრებული სიმწვავეთ დადგა რწმენის საკითხი – გადარჩენა მამა-პაპათა მიერ თავგანწირული ბრძოლით მოტანილი ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, რომლის კონკურენტებად თვით საქართველოში გამოდიოდა რომის კათოლიკობა, ბერძნული მართლმადიდებლობა, სომხური გრიგორიანობა და ისლამი. თითოეულ მათგანს ზურგს უმაგრებდა გარკვეული ძალა. მათთან დასაპირისპირებლად საჭირო იყო მთელი ერის სულიერი და ინტელექტუალური ენერჯის მობილიზება და დიდი დიპლომატიური ნიჭი. მხოლოდ ამ სულისკვეთებიდან გამომდინარე და არა წმინდა სულიერი მოთხოვნით, გვიან შუა საუკუნეებში „კათოლიკობაზე გადავიდნენ“ ცნობილი ქართველი მოღვაწენი. მათ ხომ დასახული პოლიტიკური მიზნების მიუღწევლობის შემდეგ უარყვეს კათოლიციზმი.

ამ პერიოდში ხდება კათოლიკური პროპაგანდის გაძლიერება საქართველოში, თითქმის განუწყვეტლივ მოდიან რომის წარმომადგენლები \_ კათოლიკე მისიონერები. საქართველოში სხვადასხვა

დროს სხვადასხვა კათოლიკური ორდენის წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ. მისიონერები მოდიოდნენ მაშინ, როდესაც საქართველო დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებისაგან თითქმის სრულიად იზოლირებული იყო. ისინი ემსახურებოდნენ ერთ უმთავრეს მიზანს – კათოლიციზმის გავრცელებას, ისინი საკმაოდ მომზადებული მოდიოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მოხერხებულად სარგებლობდნენ მოსახლეობის გაჭირვებით და ცდილობდნენ მათი კეთილგანწყობის მოპოვებას, რასაც მათი აზრით კათოლიკობის ზეიმი უნდა მოჰყოლოდა.

დოკუმენტური და ნარატიული წყაროებით თუ ვიზუალურებით, ქართველი მართლმადიდებლები კათოლიკე მისიონერების საქმიანობისადმი შემეწყნარებლობას ამჟღავნებდნენ იმდენად, რამდენადაც მასპინძელს შეეფერებოდა სტუმრის მიმართ. მოწინავე ადამიანებს, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსებს, კარგად ესმოდათ, რომ კათოლიკე მისიონერების ზურგს უკან იდგა დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური გავლენის მქონე რომის პაპი, რომლის სიტყვას მნიშვნელობა ჰქონდა იმ ქვეყნების აღმოსავლურ პოლიტიკაში, რომელთაგან სამხედრო, პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებაზე საქართველოში ოცნებობდნენ. ქართველთა ასეთი განწყობილება და მათი კათოლიკური რიტუალისა და ეკლესიის მოწყობისადმი ბუნებრივი ინტერესი, პატრებს თითქოსდა ქვეყნის ყველა საზოგადოებრივი ფენისა და თვით საეკლესიო პირების კათოლიციზმზე მოქცევის ილუზიას უქმნიდა. პატრების ასეთი სულისკვეთებითაა განმსჭვალული რომში გაგზავნილი რელაციები, რომლებშიც ხან გულწრფელი რწმენით, ხან კი თვალშისაცემი შეგნებული გაზვიადებით გაცხადებულია, თითქოს სულ მალე და ადვილად კათოლიციზმს აღიარებდა მეფე და მისი კარი, თავადაზნაურობა და მათი მსახურნი, გლეხები და მოქალაქენი. მაგრამ, როდესაც ამ იმედების გამართლება არ ხდებოდა, ზოგიერთი ცალკეული შემთხვევის გარდა, ისინი მიზეზს თავიანთ შეცდომებში ეძებდნენ, თითქოს თვითონ აკლებდნენ მცდელობას, რომიდან არ იყო ჯეროვანი დახმარება და სხვ.

მისიონერების მიერ რომში არასწორი ინფორმაციის გაგზავნა განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით: 1) მისიონერებს უნდა გაემართლებინათ საქართველოში, რომიდან საკმაოდ შორს მდებარე ქვეყანაში, თავიანთი ხანგრძლივი ყოფნა და მიღწევათა გაზვიადებით ეჩვენებინათ გაწეული ხარჯების აზრიანობა. 2) საქართველოში წარმატებული საქმიანობა მათთვის, ზოგჯერ, კარიერის მაღალ საფეხურზე გადაადგილების საშუალება იყო. 3) სავარაუდოა, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფალთა ზეგავლენა მისიონერებზე. მათ თავიანთ წერილებსა და მოხსენებებში ისეთი სურათი უნდა დაეხატათ, რომელშიც მეფე, დიდებულები და მოსახლეობის ძირითადი მასა გამოყვანილი იქნებოდნენ კათოლიციზმისადმი კეთილგანწყობილად. 4) სამაგიეროდ, ქართველები პაპთან და რომის მაღალ სასულიერო პირებთან გაგზავნილ წერილებში მისიონერებს ყოველთვის დადებითად ახასიათებდნენ. 5) მისიონერთა საქმიანობისადმი მოსახლეობის ფართო მასა შემეწყნარებლობას ამჟღავნებდა მანამდე, ვიდრე მართლმადიდებლობას რაიმე სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ კი სამეფო ხელისუფლება, მართლმადიდებლური ეკლესია და მოსახლეობა დაუყოვნებლივ ამჟღავნებდა თავის ნამდვილ დამოკიდებულებას უცხო კონფესიისადმი. ასეთი მაგალითები საკმაოდ არის XVII-XVIII საუკუნეებიდან.

კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროში უაღრესად მყიფე იყო. მათი კეთილდღეობა ან პირიქით, ყოველთვის მეფის, მთავრის ან რომელიმე დიდებულის განწყობილებაზე იყო დამოკიდებული. ამის მაჩვენებელია მისიონერთა საქართველოში მოღვაწეობის ამსახველი წერილობითი ცნობები. მართლმადიდებელი ქართველების კათოლიკეთა მიმართ დამოკიდებულება, ზოგჯერ, ბერძნებისა და სომხების ინტერესებისათვის ანგარიშის გაწვევითაც იყო განპირობებული.

XVII საუკუნეში ქართველებისა და ლათინების წინააღმდეგობის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც არსებობდა: იერუსალიმში ქართველებს თავიანთი მრავალი ეკლესია-მონასტრის, განსაკუთრებით კი გოლგოთის შენარჩუნებისათვის, ბრძოლა უხდებოდათ ფრანკებთან ანუ ლათინებთან.

სერიოზული ანტიკათოლიკური განწყობილების მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ I კათალიკოსისადმი მოპყრობა ქართლის სამეფოში XVIII ს. პირველ ნახევარში.

რწმენის საკითხში ორგვარი სტანდარტი საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის, განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობაში. ისინი, ქვეყნის შიგნით მართლმადიდებლობის თავგამოდებული დამცველნი, დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის დროს თავს აჩვენებდნენ კათოლიკობისადმი ლოიალურად განწყობილად ან მის მიმდევრებად.

განხილული მასალები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართველი პოლიტიკოსების რომთან ურთიერთობას პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავდა. ქართული მხარე მზად იყო ეღიარებინა რომის პაპის ტრადიციული, სქიზმამდელი ავტორიტეტი (საქართველოში ასევე პატივს მიაგებდნენ სხვა საპატრიარქოების მეთაურებს), ეს მისთვის სადაო არ იყო. „მაგრამ ერთია ტრადიციით მიმდინარე აღიარება რომის ეპისკოპოსისა, როგორც პირველისა თანასწორთა შორის და სხვა არის მისდამი დაქვემდებარება. ისტორიულად და ტრადიციულად, ავტოკეფალური პრინციპებიდან გამომდინარე, საქ-

ართველოს ეკლესია ბიზანტიის იმპერიის ძლიერების ხანაში არც იმპერიის ცენტრს \_ კონსტანტინოპოლის ეკლესიას და, არც სხვა რომელიმე საპატრიარქოს არ დაქვემდებარებია, მით უმეტეს რომს.

საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროში ხელისუფლების, ფეოდალური არისტოკრატის და-მოკიდებულება კათოლიკეთა, მათ შორის მისიონერთა მიმართაც, იყო პრაგმატული, განპირობებული პოლიტიკური მიზნებითა და ვითარებით, აგრეთვე თვით მისიონერების პირადი თვისებებითა და ხელობით. ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორო: რელაციებისა და ოფიციალური წერილების ცნობები არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას.

დასასრულ, აუცილებლად უნდა ითქვას: საქართველოში მისიონერების მოღვაწეობა და, საერთოდ, რომთან ურთიერთობა, ამ უკანასკნელის მცდელობა საქართველოში გაეგრძელებინა კათოლიციზმი, ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილია როგორც სასურველი, პროგრესული პროცესი და, თითქოს ეს იყო ქვეყნის გადარჩენის უმნიშვნელოვანესი პირობა. ასეთ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება ცნობილი წერილობითი წყაროები, როგორც დოკუმენტური, ისე ნარატიული, თუკი მათ კრიტიკულად გავაანალიზებთ. და თუ ჩვენ ასე მოვიქცევით, მაშინ ნათელი გახდება, რომ, მართალია ქართველობა ყოველთვის მიილტვოდა რომისაკენ და მისი სახით განათლებული და განვითარებული ევროპისაკენ, მაგრამ იმ პირობით, რომ მას უნდა შეენარჩუნებინა თვითმყოფადობა. ეს იყო ქართული დიპლომატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი მრავალი საუკუნის მანძილზე.

საქართველოს სამეფო-სამთავროების ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის, თუნდაც დიპლომატიურ დონეზე, დამყარების ცდები, თავიდანვე წარუმატებლობისათვის იყო განწირული მთელი რიგი მიზეზების გამო: 1. კონტაქტების დამყარებისათვის საჭირო იყო დიდი დრო, ზოგჯერ რამდენიმე წელი. ამ დროის განმავლობაში კი ბევრი რამ იცვლებოდა საერთაშორისო ურთიერთობებში და მიღწეულ შეთანხმებას მნიშვნელობა ეკარგებოდა; 2. შეფერხებები ქვეყნებს შორის დამაკავშირებელ გზებზე; 3. პოლიტიკური სიტუაციის ხშირი ცვლა, როგორც საქართველოში, ისე ევროპის სახელმწიფოებში; 4. დაპირისპირება და სამხედრო კონფლიქტები მეზობლებთან, რაც ხშირად იწვევდა საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებას; 5. ევროპის სახელმწიფოების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება (უპირატესად ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე) საქართველოს მეზობელი სპარსეთისა და ოსმალეთისადმი, რომელთა მიერ შექმნილი საშიშროებისაგან თავდაცვის აუცილებლობა განაპირობებდა ქართველი პოლიტიკოსების მიერ მოკავშირის ძიებას დასავლეთ ევროპასა და რუსეთში.

## **GENERAL DESCRIPTION OF GEORGIAN-ROMAN RELATIONS (4<sup>TH</sup> – 18<sup>TH</sup> CENTURIES)**

**Eldar Mamistvalishvili, Gori State Teaching University, Professor  
RESUME**

Georgian-Roman relations mainly included religious and political issues and it may be divided into four periods:

1. from mid-20s of the 4<sup>th</sup> century up to ecclesiastic gap (1054) there was nothing significant between Roman-Georgian relations;

2. second half of the 13<sup>th</sup> century to 14<sup>th</sup> century, Western Europe, mainly Pope curia considers Georgia as potential ally during confrontation with Islamic countries;

3. 15<sup>th</sup> – 16<sup>th</sup> centuries – differences of interest between Roman and Georgia become obvious. Georgian Royal court wanted to gain military and political ally through Rome. Romans acknowledged the importance of foreign policy of Georgian public figures and they demanded recognition of Catholicism and supremacy of Pope from Georgians as a precondition of their assistance;

4. 16<sup>th</sup> – 18<sup>th</sup> centuries – Catholicism propaganda is becoming more intensive in Georgia. Roman representatives – Catholic missionaries - arrive nearly continuously. At the same time double standards are demonstrated towards Catholicism, i.e. a) oppression within the country and b) striving to Catholicism and supporting missionaries' activities in diplomatic relations with Western European countries.

## საციციანოს მართვა-გამგეობის საკითხისათვის (XV-XVIII სს.)

მანანა მიჩიტაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
ასოცირებული პროფესორი

XV ს. 60-იანი წლებიდან საციციანოს მეთაურს სათავადოს საზღვრებში ჰქონდა ადმინისტრაციული, საფინანსო და სასამართლო ფუნქცია. დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება ურიგდებოდა სამოხელეო თანამდებობათა სამემკვიდრეოდ მითვისების ტენდენციას. რაც შეეხება თავადის სამფლობელოს საკუთრების ხასიათს, ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ იგი იყო „სამკვიდრო“ და „ჯელშეუვალი“ მამული, „ერთგულად მსახურების პირობით“. [1:130] ციციშვილებმა ნაწყალობევი მამულები სწორედ „სამკვიდრო“ და „ჯელშეუვალ“ საკუთრებად აქციეს. 1467 წლის დოკუმენტით მეფე კონსტანტინე მეორე საციციანოს მეთაურს, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს უკანონებს მამულს მუდმივ მფლობელობაში, მისი გასხვისების უფლებით და იმავდროულად ანიჭებს დიდ პოლიტიკურ უფლებებს, სრული შეუვალობის იმუნიტეტს: „...როგორც თქვენსა მკვიდრსა მამულსა მართებს, აგრე ჯელგეწიფების გასყიდად, გაზითვებად, შეწირვად, თანაშეტანად და რაცა ფერად გინდა...კიდევა გვითარხნებია ყოვლის სათხოვარისაგან და გამოსაღებისაგან ...თქვენი მოასილი ამა თქვენთა მამულთა შიგა ვერსად შევიდეს და ვერცავინ რა საქმე დაიდოს“. ყველაზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ჯელგეწიფების“, „თქვენი მოასილი...ვერსად შევიდეს და ვერცავინ რა საქმე დაიდოს“, ამით მეფე თვითონ უკანონებს სრულ შეუვალობას ანუ იმუნიტეტს. ხაზგასმით მიუთითებს, რომ მეფის მოხელემ ვერ გახედოს შესვლა და ჩარევა საგადასახადო, სასამართლო, სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებში. ამდენად, ამ პერიოდის სათავადოს უფროსს, მეფის სადროშოს სარდალს, სათავადოს მართვა-გამგეობის განუსაზღვრელ უფლებებს, სრულ შეუვალობას აძლევს, არ გააჩნდა მხოლოდ საკანონმდებლო ფუნქცია და არ შეეძლო ფულის მოჭრა.

ნიშანდობლივია, რომ XV-XVI სს. ციციშვილთა წყალობის წიგნებში საგანგებოდ აღინიშნებოდა მათთვის მამულისა და სახელის „სამკვიდროდ“ გაცემა, მხოლოდ ერთი უმთავრესი - ერთგულად მსახურის პირობით. დასუსტებული სამეფო ხელისუფლება უფლებას იტოვებდა მხოლოდ ღალატის შემთხვევაში ჩამოერთმია მისთვის მამული და სახელო, რადგან „დაუნაშავებლად წართმა... აროდეს ყოფილიყო“. [1: 130] მოღალატე ზაქარია ციციშვილს (ერეკლემ მის შთამომავლებს მამულები ჩამოართვა) ასევე შეეძლო გამოეყენებინა მეფისაგან წყალობის განახლების და ბეითალმანი მამულის მეფის საკუთრებაში გადასვლის უფლება. თუმცა ეს ორივე უფლება საციციანოში ხშირად ირღვეოდა, რაზეც ციციშვილთა აზნაურები ხშირად მიუთითებდნენ დოკუმენტურ მასალებში. [13:304]

ციციშვილთა შეუვალობის უფლებების აღსაკვეთად და საციციანოს დასამორჩილებლად ყველაზე რადიკალური ზომები გამოიყენა მეფე ვახტანგ VI-მ. სხვა შემთხვევებში, XVIII ს. მეორე ნახევრამდე ამ უფლების ნომინალური ხასიათი აშკარა ჩანს საციციანოს მასალებიდან.

საციციანოს ფეოდალური სახლის გამდიერება აშკარა დამოუკიდებლობის ზრდას განაპირობებდა და მეფის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის საშიშროებასაც ქმნიდა. თუმცა სათავადოს სოციალური სტრუქტურა, სამეფო კარის მონაწილეობა საციციანოს სახლისკაცთა გაყრაში, რომელიც ემყარებოდა უფროს-უმცროსობის პრინციპს, ხშირად იწვევდა სათავადო სახლის წევრთა შორის ბრძოლას, რაც საციციანოს ხანგრძლივი არსებობის მანძილზე თან სდევდა და სწორედ ეს აძლევდა ხელსაყრელ მომენტს სამეფო კარს სათავადოს მართვის საქმეებში აქტიურად ჩარეულიყო, მოეპოვებინა მხარდაჭერა შევიწროვებულ სახლისკაცთა შორის და ეს შტო გამოეყენებინა სათავადოს „დამცრობა“-დამორჩილებისათვის.

XVII-XVIII სს. ციციშვილების საგვარეულო სახლი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება და მრავალ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ განშტოებებს ქმნის ზემო და ქვემო საციციანოში. დოკუმენტებზე მუშაობამ საფუძველი მოგვცა აღვნიშნოთ, რომ საციციანო პირობითად ჩანს ორად გაყოფილი. არ არის საზღვრები ციციშვილთა შტოებს შორის გაყოფილი. ზემო და ქვემო საციციანო არ ითვლება ცალკე საგვარეულო შტოს საკუთრებად. სახლიკაცებს მამულები აქვთ, როგორც ზემო, ისე ქვემო საციციანოში. [გ. 1450 დავთ. 51 ს. №96, №101] ზემო და ქვემო საციციანოს საერთო-სახასო და საუფლისწულო ქონება აქვთ და გარიგების საფუძველზე, იყო იშვიათი შემთხვევები, როცა ერთმანეთის მამულებსაც კი პატრონობდნენ. [10: 418]

სათავადოს საგვარეულო სახლის უფროსი სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობას წარმართავდა სამეფო კართან, სხვა სათავადოებთან, ხელმძღვანელობდა სათავადოდან ლაშქრის გამოყვანას და ძირითადად იგი სარდლობდა მეფის სადროშოს, სარგებლობდა საგადასახადო

შეუვალობით, თავისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოხელეებით აწესრიგებდა სახელმწიფო გადასახადების გადახდის საქმეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა თავად განაგებდა სასამართლო საქმეებს, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სათავადოს საზღვრის დაცვაზე და მასზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების უსაფრთხოებაზე, სათავადოში კონფლიქტების მოგვარებაზე, არეგულირებდა თავადაზნაურთა ურთიერთობას. თავად სათავადოს უფროსს მეფე ნიშნავდა, თუმცა სახლისკაცთა ნება-სურვილსაც ანგარიშს უწევდა.

სათავადოს უფროსის თანამონაწილეობით იხილებოდა სათავადოში გაყრის საკითხები, მას ერთგვარი წესრიგი შეჰქონდა სათავადო სახლის წევრებსა და მათს მფლობელობაში მყოფ ყმათა დამოკიდებულებაში, საერთო მამულიდან სახლისკაცებს თავიანთი კუთვნილ წილს სამართლიანად უნაწილებდა, სარგებლობდა შემოსავლიანი სარგოთი, ხელმძღვანელობდა სათავადოს საერთო მამულების დამუშავებას, მათ მოვლა-პატრონობას და ემორჩილებოდა მეფეს.

ვითარება იცვლება XVIII ს. მეორე ნახევრიდან, სახელმწიფო გადასახადების აკრეფის მოვალეობას საციციანოს მეთაური, მეფის სადროშოს სარდალი აღარ ასრულებს. იგი მეფის საგანგებოდ დანიშნული მოხელეების პრეროგატივა გახდა. ამან განდიდების მანტია ჩამოაშორა, გავლენა და შემოსავალი დაუკარგა სათავადოს წინამძღოლს, თავად სათავადოს - შეუვალობის იმუნიტეტი.

ამდენად, საგვარეულო სახლის უფროსი, უფლებრივი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით მაღლა იდგა თავადიშვილებზე. განაგებდა სათავადოს უძრავ და მოძრავ ქონებას. ერთგვარი წესრიგი შეჰქონდა საგვარეულო სახლის წევრებსა და მათს მფლობელობაში მყოფ აზნაურთა და ყმა-გლეხთა დამოკიდებულებაში, სათავადოს უფროსის მიერ დანიშნული ადმინისტრაციული აპარატის ორგანიზაცია დიდად არ განსხვავდებოდა ქართლის სამეფო კარისაგან. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით თუ სახლის უფროსი პირველი ხარისხის თავადი იყო, თავადიშვილი მეორე ხარისხის თავადად ითვლებოდა. სამართლის წიგნში ხაზგასმით აღინიშნებოდა თუ ვინ ითვლებოდა დიდებულ თავადად: „დიდებული თავადი ეს არის: „როსცა გაუყრელი ყოფილა, - ციციშვილი ამათთან... ამათ გარდაისად ამათსავ სახლის კაცებს ამათთან სისხლი არა სდის...“ [7: 188-189] ო. სოსელიას განმარტებით დიდებული თავადის წოდება მემკვიდრეობით არ გადადიოდა. სათავადოს გაყრის შემთხვევაში მისი მოთავე „დიდებულებას“ კარგავდა. [9: 44] საციციანოს წყაროებში ციციშვილებს მართლაც, დაკარგული აქვთ დიდებული თავადის ხარისხი.

მრავალშტოებად დაყოფილ ციციშვილთა ფეოდალურ სახლში გახშირდა წინააღმდეგობანი, რასაც ძირითადად ჩვენამდე მოღწეული XVII-XVIII სს. მასალები ასახავენ. ამის მიზეზი ხშირად მტრის გამანადგურებელი შემოსევები, ქვეყნის შიგნით დინასტიური ბრძოლები, მეფის ხელისუფლების და სათავადოს უფროსის სისუსტე იყო. ყოველივე ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა სახლისკაცთა შორის სამტრო-სასიცოცხლო ბრძოლას. სათავადოში დაპირისპირება უკიდურეს წერტილს აღწევდა, რაც მათ ერთად ცხოვრებას შეუძლებელს ხდიდა. ამდენად „გაყრა“ საციციანოში ისევე ცნობილი და გახშირებული მოვლენა იყო, როგორც სხვა სათავადოებში. გაყრის დროს ყმა-მამული სახლისკაცთა რიგის მიხედვით ნაწილდებოდა სათავადოს წინამძღოლისაგან. ხშირად გაყრის შედეგად ახლადწარმოქმნილ ოჯახთა შორის ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. „გაყრა-გაყოფა“, ბუნებრივია სათავადოს „საერთო ქონების“, მათ შორის „საუფლისწულო“ მამულის დანაწილების და შესაბამისად საერთო მამულების რაოდენობის შემცირების ხარჯზე ხდებოდა. ეს ყოველივე სახლისკაცთა შორის დაპირისპირებისა და მტრობის გაღრმავების მიზეზი ხდებოდა, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე გრძელდებოდა. ამიტომაც აღნიშნავდა ვახუშტი „გვარის გაუყრელობის“ დიდი მნიშვნელობის შესახებ. ამ მდგომარეობას და მის სავალალო შედეგებს თვალნათლივ მოწმობს როსტომ მეფის 1640 წ. განჩინება. [10: 76-81] დოკუმენტი ნათელს ჰფენს თუ რა სიმწვავეთ მიმდინარეობდა სახლისკაცებს შორის ბრძოლა. იმდენად შორს წასულა სახლისკაცებს შორის დაპირისპირება, რომ ერთმანეთს მოსაკლავად არ ინდობდნენ. მძლავრობით შეშინებულნი იძულებულნი ხდებიან მიატოვონ სამკვიდრო მამულები. ცოცხლად გადარჩენილთა ოჯახის წევრებიანად გახიზვნა საკუთარი ქვეყნის სხვადასხვა მხარეშიც კი საშიში გამხდარა. დაცულობისა და შურისძიების მიზნით იძულებულნი არიან თავი ყოზილბაშებს შეაფარონ. როგორც ჩანს არც ამით მთავრდებოდა საგვარეულოს სისხლისღვრა, ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ქვეყნის მტრებით მხარდაჭერილები სამაგიეროს გადახდას იწყებდნენ. საინტერესოა განაჩენში საგანგებოდ ხაზგასმული, მეფის მაღალი სარგო, განაჩენის დარღვევის შემთხვევაში: „ვინც ამ პქობასა და სამართალს გარდავა, თვითო კარგი სოფელი ჰელმწიფეს დაუდონ.“ [10: 76-81] ე.ი. მეფე როსტომის პოზიციებს განმტკიცების გარანტირებული შესაძლებლობა ეძლეოდა.

ციციშვილთა ფეოდალურ სახლში, სხვა სათავადოების მსგავსად, ქართული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით სამი სახის ფეოდალური საკუთრება ჩანს: „სახასო“, ანუ საერთო, „საუფლისწულო“ და „სათავისთავო“. საკუთრების თითოეული ამ სახეობის წყარო სხვადასხვა იყო:

საკუთრივ საბატონო მამული, ნაწყალობევი, მეფისაგან ერთგულად სამსახურის საფუძველზე მიღებული, „სამამულოდ“ და „სამკვიდროდ“ მიღებული, ნასისხლ-მონაგები, ნასყიდი, ნამზითვი და სხვ.

**„სახასო“**, ანუ **სათავადოს საერთო მამული** ისეთი ქონებაა, რომელიც ციციშვილთა საგვარეულო ქონებას წარმოადგენდა, რომელიც ძირითადად მეფეთაგან ნაბოძებისგან შედგებოდა და ფეოდალური სახლის საერთო მფლობელობაში იყო დატოვებული. საერთო მამული შედგებოდა თითოეული სახლის კაცის „კერძო მამულისაგან“, [2: 149] რომელიც „სახლის“ გაყრის შემთხვევაში „ბარათში ნარგებად“ და „გამოყოლილად“ ითვლებოდა. [11: 243] სახასო საკუთრებაში შედიოდა-სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ტყეები, ბაღ-ვენახები, ყმა-გლეხები, მსახურები, აზნაურები, სამღებროები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, სამცხლე-სასაფლაო, და სხვ. საერთო მამულიდან „სახელმწიფო ხარჯს“ აძლევდნენ მეფეს. დანარჩენს კი საგვარეულო ოჯახებს შორის ყოფდნენ. საციციანოს ყმა-მამულის დიდი ნაწილი სახასო საკუთრებაში იყო. სახლის მეთაური იღებდა ორ წილს, ამ ქონების მითვისების უფლება ვახტანგის სამართლით არავის ჰქონდა. დროთა განმავლობაში, ხშირი გაყრის შედეგად თანდათან მცირდებოდა სათავადოს საერთო ქონება, შესაბამისად ეს აისახებოდა თავადებისა და თავადიშვილების მდგომარეობაზე, რაც ბუნებრივია იწვევდა უკმაყოფილებას.

სათავადოთა სისტემა წარმოადგენდა რა სამეფოს პოლიტიკურ საფუძველს, ამიტომ მეფის ხელისუფლება სახელმწიფო ფეოდალური სამართლით ყოველმხრივ იცავდა სათავადოს საერთო ქონებას კერძო პირთა და სხვა სახლისკაცთა მიტაცება-მითვისებისაგან. ამის საილუსტრაციო დოკუმენტია 1679 წ. გიორგი XI-ის განჩინება “ ერთმანეთს მამულისას და ზოგ-ზოგს წანართმევს უჩივოდნენ; ვითაც ამას წინათ ერთმანერთისათვის საფიცარი მიეცათ, იმის გულისთვის ზოგ-ზოგი ერთმანერთში წანართმევი ერთმანერთს შეუფარდეთ.” [Ad-1218] ციციშვილთა ფეოდალური სახლის გაყრის პროცესი ზოგჯერ განსაკუთრებული სისასტიკით და ინტენსივობით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა მოცემულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში ამით სათავადოს დაშლა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. სახლისკაცების ერთობლივი სურვილის შემთხვევაში ინიშნებოდა გაყრის საპასუხისმგებლო პროცესი, გაყრის სარგოთა გამოყოფა ხდებოდა სახლის საერთო ქონებიდან. [Hd-2142; ფ. 1448, ს. №4486] სათავადოს „სახასო“- საერთო ქონება საგვარეულო სახლის სიძლიერის საფუძველი იყო. ფეოდალური სახლის აღზევება სათავადოს საერთო მამულის მომატებაზე იყო დამოკიდებული, დამცრობა-მამულების მოკლებაზე. [2: 148]

**„საუფლისწულო“** ციციშვილთა ფეოდალური „სახლის“ თავადიშვილთა საკუთრება იყო. ხშირად საუფლისწულოში რამოდენიმე უფლისწულთა ოჯახები ცხოვრობდა. საუფლისწულოს მართვა-გამგეობა, სახელმწიფო გამოსაღების აკრეფა და დანიშნულებისამებრ ჩაბარება, სამართლის წარმოება უფლისწულის განკარგულებაში შედიოდა. „რაც საუფლისწულოებს სახელმწიფო ხარჯი აწერია, ყველას თავ-თავისი პატრონები მისცემდნენ ხოლმე, სხვას იასაულს ამათს საუფლისწულოში ხელი არა ქონდეს“ - ბრძანებდა თეიმურაზ მეორე 1744 წლის გარიგების წიგნში. [8: 257] სამაგიეროდ სახასო კაცის მიღება-შეფარვის უფლება არ ჰქონდათ საუფლისწულოებს. ჩვენამდე მოღწეულ „სახლისკაცობის რიგის“ დოკუმენტებში ხაზგასმით მიუთითებენ, რომ „საუფლისწულოში სახასო კაცი ნუ დადგება. თუ სადმე იყოს, ავყაროთ და თავის ალაგს დავაყენოთ-ო“. [12: 702] მიუხედავად ამ უფლებებისა დოკუმენტებიდან აშკარად შეინიშნება თავადების მხრიდან საუფლისწულოების საქმეებში ჩარევის შემთხვევებიც. სახელმწიფო გამოსაღებიდან დარჩენილი წილი უფლისწულთა საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ რაც მთავარია საუფლისწულოდან სახლის წევრს ყმა-მამულის არც გაყიდვა შეეძლო და არც გათარხნება სათავადოს უფროსის დაუკითხავად, რადგან საუფლისწულო იყო საგვარეულო სახლის საერთო ქონება. უფლისწულებს სათავადოს საერთო ქონებიდან მიწისა და ყმა-გლეხის განსაზღვრული ნაწილი მხოლოდ დროებით მფლობელობაში ჰქონდათ გადაცემული „სარჩოდ და საცხოვრებლად“. საგვარეულო სახლის ხშირი გაყრისას საერთო და საუფლისწულო ქონება იყოფოდა და შესაბამისად თანდათან მცირდებოდა სარგო. ზაალ ციციშვილი ლეკების ტყვეობიდან თავდახსნის მიზნით იძულებული გამხდარა სამწევნელი მკვიდრი ყმა მიჰყიდოს, თავის აზნაურ კლიმიაშვილებს ისიც მხოლოდ სათავადოს უფროსის ნებართვით, საკუთარ ბიძაშვილებთან გაყრის შემთხვევაში მის მიერ გაყიდული ყმის სანაცვლოდ, სთავაზობს სამაგიერო ყმა აიყვანონ საერთოდან. [ფ. 1450 დავთ. 38, ს. №70]

ქვეყნის შიგნით არსებული დინასტიური დაპირისპირება ისეთივე საშიშროების მომტანი და დამანგრეველი იყო საციციანოსა და ქვეყნისათვის, როგორც ყიზილბაში და ოსმალთა დამპყრობლების შემოსევები. XVII ს. მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით „ორიანობის“ პერიოდში ერეკლე I-სა და გიორგი XI მომხრე ციციშვილთა შორის გაიზარდა სისხლიანი დაპირისპირება. ქვეყანაში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების შესაბამისად მათი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთობა იცვლებოდა. სახლისკაცები ცალკე-ცალკე ჯგუფდებოდნენ თითოეულ პოლიტიკურ ძალასთან, იმ იმედით ვისგან მეტ წყალობას, მფარველობას და იმავდროულად შეუვალობას მიიღებდნენ. ამ მომენტით, მხარდაჭერის სანაცვლოდ მარჯვედ სარგებლობდნენ თავადიშვილებიც და „საუფლისწულო“ ქონების

„სათავისთავოდ“ გადაქცევას ცდილობდნენ, ამას ემატებოდა პრინციპული მოთხოვნა საციციანოში სათავადო სახლის გაყრისას, ჩვეულებისამებრ სარჩოთა გამოყოფის დროს სათავალავში არ ჩავარდნილიყო „სახასო“ ქონებასთან ერთად მათი საუფლისწულო ყმა-მამული. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ გაყრის სარგოთა აღება მათი საუფლისწულოდან არ მომხდარიყო, რაც დაპირისპირების აშკარა საფუძველი ხდებოდა. უფროს-უმცროსობაზე მრავალწლიანი დავის ასეთი სისხლიანი დაპირისპირების ამსახველი დოკუმენტები გაყრის თაობაზე მრავალადაა ჩვენამდე მოღწეული. [10:194-195; 200; 201, 271-272] ამ დაპირისპირებას თავის მხრივ, კარგად იყენებდნენ ქართლის მეფეები. განაწყენებულ უფლისწულებს უპირისპირებდა მეფის მოწინააღმდეგე სახლისკაცებს. მეფე სანაცვლოდ მფარველობას და წყალობას აძლევდა სახლისკაცთა მეორე შტოს და თან სასურველი ძლიერების დემონსტრირებასაც ახდენდა. მათი „დაცვის“ მიზნით აქტიურად ერეოდა სათავადოს სადავო საკითხებში. რათა დაესუსტებინა და საბოლოოდ დაემორჩილებინა მოწინააღმდეგენი. გიორგი ბატონიშვილის მიერ მეფის სადროშოს სარდლის, ზაზა ციციშვილის მკვლელობას მოჰყვა ქვემო საციციანოს აწიოკება და სახლისკაცთა განადგურება, რომელთა ქონება ზემო ციციშვილების ხელში აღმოჩენილა. ერეკლე I-ის ტახტზე ასვლა ხელსაყრელ მომენტად ჩათვალეს მისმა მომხრე ციციშვილებმა და მოითხოვეს სახლისკაცებისაგან მითვისებული ყმა-მამულის დაბრუნება [10:206-207]

ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალების სიმცირე, სამწუხაროდ არ იძლევა შესაძლებლობას ციციშვილთა მრავალრიცხოვანი საუფლისწულო შტოთა რაოდენობის დადგენისა. თუმცა დოკუმენტებიდან ცნობილი ხდება, რომ მათ მრავალრიცხოვნებას, სამეფო კარის მხარდაჭერას და მუდმივ გამძაფრებულ დაპირისპირებულობას დადებითი შედეგი გამოუღია. 1756 წელს საუფლისწულო ქონება, სახლისკაცებთან შეთანხმებით „სათავისთავოდ“ უცილობელ ქონებად მიუღიათ და მიუღწევიათ საუფლისწულო ორი სოფელი არც ერთ „ბარათში“ აღარ ჩავარდნილიყო. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული Hd ფონდის №2141 საბუთი საყურადღებოა, იმ მხრივაც, რომ ამ სოფლების „ფარდი“ სახლისკაცებს სათავისთავოდ ქონებად ადრევე ჰქონიათ უკვე მიღებული;... დავანებეთ საუფლისწულოთ ორჭოშანი და ავაზანი მისის მიწა-წყლითა და სამძღვრითა... დაგვინებებია საუკუნოთ, რომ ამით ფარდი ყველას სახლისკაცებს უჭირავს. თუ... გაყრა მოგვკდეს ეს საუფლისწულოები არც ერთ ბარათში აღარ უნდა ჩავარდეს...ამათი მაგიერი საუფროსო და საჭირნახულო სხვაგნინამ უნდა აიღონ...“

**„სათავისთავოდ“ ანუ საკუთარი ქონება** - სათავადოში თავადთა პირად საკუთრებას შეადგენდა. იგი პატრონის შრომითა და გარჯით შექმნილი ქონება (ნასყიდი, მეფის ნაწყალობევი, ნაჯილდოები, ნამზითვი და სხვ.) იყო. სათავადო სახლის გაყრის შემთხვევაში სათავისთავოდ ქონება სათავალავში არ ვარდებოდა, ვინაიდან ის არ შედიოდა ციციშვილთა საგვარეულო სახლის საერთო ქონებაში. საუფლისწულოდან ყმა-მამულის გაყიდვა სახლის სხვა წევრების ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ, რადგან იგი სახლის საერთო ქონების ნაწილი იყო, სათავისთავოს გაყიდვა და გაჩუქება კი მისგან განსხვავებით სახლისკაცს თავისი სურვილისამებრ შეეძლო, რადგან იგი მის მყარ, ინდივიდუალურ საკუთრებას შეადგენდა. „სათავისთავოდ“ ხელშეუხებელი საკუთრება იყო. მხოლოდ საჭირო იყო მფლობელობის უფლებათა სათანადო იურიდიული დოკუმენტით გაფორმება, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა სახლის საერთო საკუთრებად გამოცხადებულიყო. ვახტანგის სამართალით:“ ზოგს ძმაში სათავისთავოდ ნასყიდობა იციან... თუ სასახლოსა და მამულის გამოსაღებით არ არის ნასყიდი და წიგნში და სყიდვაში არას გარეულა, არას ემართლებიან; თუ არადა, საერთოდ უყიდნიათ და ერთი იქნების.“ სახასოს სათავისოდ მითვისება დაუშვებელი იყო;...თუ ერთს მეორეზედ უფროსი სათავისოდ დაუხარჯავს, იმისი პასუხი უნდა გასცეს. [7: 214-215]

ამ მხრივ, ვითარება როგორც აღვნიშნეთ მკვეთრად შეცვლილია მეფე თეიმურაზ II-ის მეფობისას. სათავისთავოდ ყოველ თავადს და თავადიშვილს შეეძლო ჰქონოდა. სათავისთავოდ ქონების გაჩენა მიუთითებდა ერთის მხრივ, ციციშვილთა საგვარეულო სახლის ერთიანობის რღვევაზე, განცალკევებისა და ქონებრივი გამოყოფის ტენდენციაზე სახლისკაცებს შორის, მეორის მხრივ, მშვიდობიანობის პირობებში ხელს უწყობდა პროგრესული ინდივიდუალური მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას. XVII ს. მეორე ნახევრის და XVIII ს. დამდეგის საციციანოს დოკუმენტური წყაროები ციციშვილების „სათავისთავოდ“, ინდივიდუალური საკუთრებისაკენ დაუოკებელ სწრაფვაზე მიუთითებენ. საარქივო მასალების სიმრავლით გამოირჩევა სარდალ ზაზას მემკვიდრის, უთრუთ ციციშვილის ინდივიდუალური, ინტენსიური მეურნეობის რაციონალურად მოწყობა წავისსა და ნიჩბისში. [გ. 1450 დავთ. 51, ს.12<sup>ა</sup> 14 -14<sup>ბ</sup>,15<sup>ა</sup>,16<sup>ა</sup>, 23, 24, 25] იგი აფართოებდა და ზრდიდა მეურნეობას ამ სოფლებში ზემო ციციშვილებისგან შესყიდული მამულებით და სახლისკაცებისაგან ნასყიდი, სამკვიდრო და ბარათში გამოყოლილი ყმებით:“გლენხნი ყოვლის მათის მიწა-წყლითა, სახლ-კართა ქვევრ-მარნითა სახნავითა და უხნავითა, სატეხითა და უტეხითა წისქვილითა, ბოსტნითა, ბაღითა... ჩვენზედ მოსყიდული ამათი ხოდაბუნები წყალი, საწყლისპირო...“ [გ. 1450 დავთ. 51, ს. 8<sup>ა</sup> 3, 91, 95, 96,101] ამას ემატებოდა მამულების გაცვლა [გ. 1450 დავთ. 51, ს. 20, 22-22<sup>ა</sup>, 26] წიქვილების ყიდვა, პარალელურად ახალქალაქში აქტიურად

ეწევა გლეხთა მიწების შესყიდვას. [გ. 1450 დავთ. 51, ს. 4-6, ს. 21] სახეზე გვაქვს „სათავისთავო“ საკუთრების, ამ პროგრესული ფორმის გაფართოება. ხშირად საგვარეულო საერთო ქონების ხარჯზე ხდებოდა, რაც სახლისკაცთა აშკარა დაპირისპირებით და გაყრით მთავრდებოდა. მკვლევარები ო. სოსელია, ვ. გაბაშვილი, მ. ქიქოძე, გ. აკოფაშვილი, დ. გვრიტიშვილი „სათავისთავოში“ ხედავდნენ სათავადოების დაშლის ხელის შემწყობ პირობას. გ. ჯამბურიას სათავადოს რღვევის ერთ-ერთ მიზეზად საერთო მამული მიაჩნდა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და ფეოდალური შინაომების პირობებში ვერ იძლეოდა ინტენსიური მეურნეობის განვითარების საშუალებას. [16: 23] ეს მიზეზები ერთმანეთს არ გამოირიცხავს, სწორედ საერთო მამულის შემცირების ხარჯზე იზრდებოდა სათავისთავო საკუთრება, ამას ემატებოდა გაყრის სარგოთა უთანასწორობის პრინციპი, რომელიც სათავადოს რღვევას ხელს უწყობდა.

საციციანოს, ისევე, როგორც ყველა სათავადოს თავისი „სახლის რიგი“ ჰქონდა. რომელსაც მეფის მოხელენი ათანხმებდნენ სათავადოს უფროსთან, საგვარეულოს სახლისკაცებთან, რომელსაც საბოლოოდ მეფე ამტკიცებდა. ამას მოწმობს ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის მიერ 1720 წ. შედგენილი სამუხრანოს „სახლისკაცობის რიგი.“ [12: 689] ოსმალობის და ყიზილბაშობის მძიმე ჟამს მოშლილი „სახლისკაცობის რიგის და წესის“ აღდგენა კი მეფე თეიმურაზის სახელს უკავშირდება. 1744-1749 წწ. ორბელიშვილებისთვის განწესებული სახლისკაცობის რიგის განწესებაში ამ მხრივ საინტერესო ცნობაა დაცული: „სამეფონი ჩვენნი ძველსავე წესსა ზედან დავადგინეთ... და ვიხილეთ ორბელიანთ განთვისებით განკერძოებანი და მათთა მამა-პაპათა განწესებათა შეცვალებანი. და ესე არა ვინებეთ... გამოვიძივეთ, ვითა ძველათგანვე მათი სახლის რიგი ყოფილიყო, ჩვენც მასსვე წესსა ზედან დავამტკიცეთ.“ ამ კონტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა მას მეფე აღდგენდა და ამტკიცებდა კიდევ. ამ დოკუმენტებთან შინაარსობლივ თანხვედრაშია 1780 წლის მეფე ერეკლესაგან ნაბომები „ციციშვილების სახლისკაცობის რიგი“, სადაც ჩამოყალიბებულია სახლის უფროსისა და სახლისკაცთა უფლება-მოვალეობანი, ყმა-მამულის მოვლის წესი, შემოსავლის განაწილების რიგი, ლაშქარ-ნადირობაში მსახურ-აზნაურიშვილთა თანხლების წესი, „საუფლისწულოების“ უფლება-მოვალეობანის, საუფლისწულო მამულებიდან სახელმწიფო ხარჯის აღების და სხვ. სამეფო კარი თვალყურს ადევნებდა და იმავდროულად აკონტროლებდა კიდევ საციციანოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს. ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის 1780 წლის განჩინების შესავალი მიანიშნებს, რომ მეფე ერეკლეს მოხელეები ციციშვილებთან ათანხმებენ „სახლის რიგს“. [გ. 1448, ს. №874] განუხილავთ და დაურეგულირებიათ სახლისკაცებს შორის ურთიერთობის თითქმის ყველა ნიუანსი. საუფლისწულო საკუთრება სათავისთავო საკუთრებად მოიაზრება და არა საერთო საკუთრებად. მათ საქმეებში თავადთა ჩაურევლობა კიდევ ერთხელ მიზანმიმართულადაა ხაზგასმული - „სათავადოს უფროსი საუფლისწულო კაცს სახლის უფროსი ნურასა სთხოვს და ნურც სამსახურს უბრძანებს.“ უფროს სახლისკაცთათვის საგანგებოდ აღინიშნა „სახლისკაცობაზე უფროს-უმცროსულათ, როგორც განაჩენში უწერიათ, ისე მორჩილნი ყოფილიყვნენ“. „სახლისკაცთა რიგის და წესის“ მიხედვით განიხილეს და დაადგინეს აზნაურთა თანხლების, მსახურთა და ბეითალმანი მამულის საკითხი. ასევე საინტერესოა, რომ ციციშვილთა შორის საგირავნო სესხი საკმაოდ ფართოდ ფუნქციონირებს, რასაც ამ პერიოდის სხვა წყაროების სიმრავლეც ადასტურებს. [Hd -13700; 6: 103, 115, 133]. ციციშვილთა საგვარეულო სახლის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საციციანოს ოდესღაც ძლიერი იის ციხე, ავკეთი ათთუმანახევრად დაუგირავებიათ ჯავახიშვილებთან. მაშინ როცა მეფე თეიმურაზის 1749 წლის „სახლისკაცთა რიგის“ დოკუმენტებში საგანგებოდ აღინიშნებოდა, „რაც საერთოს მამულში ციხე იყოს, უფროსის ხელდებული იყოს. თუ რამ შემოსავალი შემოვა რამე ამ ციხეებიდამ, ისიც სამძო იქნება... რადგან უფროსი სახლის ბატონი არის, ციხეები უფროსს უნდა ებაროს-ო.“ [12: 704, 705]

რაც შეეხება საკითხს რამდენად იყო შესაძლებელი საციციანოში საკუთარი ნებით, ან პოლიტიკური ვითარების გამო, ქვეყნიდან დევნილი, აყრილ-გადახვეწილის, ან ტყვედ ნამყოფი თავადიშვილის სახლისკაცობის რიგში აღდგენა, ვახტანგის სამართლის მიხედვით ლეკებიდან დაბრუნებული სახლისკაცის შეყვანას ცალკე მუხლი არეგულირებდა. [7: 141] მიუხედავად ამისა, საციციანოს დოკუმენტური მასალების მიხედვით დავის გადაწყვეტა სახლისკაცებს შორის დაპირისპირებას კიდევ უფრო ზრდიდა. [11: 236-237]

სათავადო სახლის გაყრის წესისა და რიგის მიხედვით სარგოს ხუთი სახეობა არსებობდა. ამ საკითხს ვახტანგ მეექვსის სამართლის ცალკე კარი, „გაყრისა და ერთმანეთის დაშორებაზე, თუ ვით უნდა“ - არეგულირებდა. მასში ვკითხულობთ: „გაყრაში ეს ოთხი არის: საუფროსო, გასამყრელო, საუმცროსო და საშუალო.“ პირველ რიგში უნდა გამოყოფილიყო სახლის უფროსისათვის განკუთვნილი სარგო „საუფროსო“, რომლის მიხედვით სახლის უფროსს თავის სურვილისამებრ შეემლო ამოერჩია ყოველი მეოცე კომლი: „რამდენიც კომლი დადგეს, ოცს კომლზე ერთს უკეთესს, რომელიც უნდა,



უფროსი გამოირჩევს და ერთს უარესს- სხვა ძმები, რომელიც იმათ უნდა, იმას მისცემენ. და რამდენიც ოცი კომლი ეყოლებს, ყველაზე ასრე იქმონენ“ [7: 211, 212]

მეორე სახის სარგო დგებოდა მეფისათვის, რომელსაც გასამყრელო ეწოდებოდა და რომელიც მეფეს ერგებოდა სათავადო სახლის გაყრის გამო. კომლთა რიცხოვრივი რაოდენობით იგი „საუფროსოს“ უთანაბრდებოდა: „გასამყრელო ჯელმწიფისა არის. რა რომ უფროსი საუფროსოს გაათავებს, მერმე ოცისთავს, როგორც ჯელმწიფეს ეპრიანების, იმისთანას გლესს აიღებს, თუ უნდა ერთს ალაგს, თუ უნდა, დაფანტვით; იქნების, დიდს თავადზედ სოფელიც აიღოს. მაგრამ ეს გასამყრელო ასრე ჯელმწიფისა არის, რომე როგორც თავისი სახასო, ისრე ეს არის. ეპრიანების, თვითონ დაიჭერს; იქნების სხვას უბოძოს; იქნების იმათივე ერთს და ერთს უბოძოს, იქნების, ორთავ ერთად აქრთამებინოს, ისი სჯობს. აზნაურშვილზედაც აიღებს გასამყრელოსა, და თუ ეპრიანება, არ აიღებს“. [7: 212] ეს პუნქტი სათავადოს შეუვალობაში მეფის აქტიური ჩარევის, სამეფო აზნაურების გამრავლების, თავადიშვილთა გადაბირების და მეფესთან დაპირისპირებული, ურჩ სახლისკაცთა შტოს წინააღმდეგობის დაძლევის, დამორჩილების, ან სახლისკაცთა შორის ახალი დაპირისპირებისას მეფის მხარდამჭერთა გაძლიერების მოხერხებული, ინსპირირებული ჩარევის საშუალება იყო. შემდეგი სახის სარგოს „საშუალო“ წარმოადგენდა, რომელიც შუათანა ძმას უნდა რგებოდა: „თუ სამი და ოთხი შუათანა ძმები არიან, ამ გლეხების ოცისთავი იანგარიშონ, რამდენიც კომლი დადგეს, ის შუათანას ძმებს გაუყონ ერთი მეორეზედ, რომელიც უფრო მოჭირნახულე იყოს, ისრე გაუყონ. [7: 212] საუფროსოსა და გასამყრელოს აღების შემდეგ ყოველ ოც კომლზე აარჩევდნენ ერთ კომლს და მისცემდნენ შუათანა ძმას. უმცროსი ძმა კი იღებდა „საუმცროსოს“, რომელიც შედგებოდა სასახლისა ან სასახლედ განკუთვნილი ტერიტორიისაგან. [7: 213]

ამდენად, გაყრა ქონების საუფროსო-საუმცროსოდ დანაწილების პრინციპით ფორმდებოდა და სამეფო კარის დარბაისელთაგან შემდგარი სასამართლო განიხილავდა. ვახტანგ მეექვსის სამართალში გათვალისწინებულია ისიც, თუ „გლეხი ოცი არ ჰყვანდესთ, ან მეტი ან ნაკლები იყოს, და იმისი საუფროსოს მიცემა ან გასამყრელოს აღება, ან საშუალოს აღება გაჭირდების ამას კარგად გასინჯვა და მოსამართლისაგან გარკვევა უნდა, ჩათვლა და ანგარიში უნდა. იქნების, ამდენი გლეხი იყოს გამორჩეული, საუფროსო ერგოს და საუარესო აღარ მისცენ; იქნების არც გამორჩეული მიეცეს და არც უარესი, შუათანა გლეხი მიეცეს, ან არა -ორი: ერთი, რომელიც კაი გლეხია, დააგდონ და ისრე სხვაში აარჩევინონ. ამას კარგი გასინჯვა უნდა.“ [7: 213-214] სამართლის მიხედვით სარგოს ასეთი ფორმულირება უთანასწორობის პრინციპს ემყარებოდა და საგვარეულო ოჯახში მუდმივი უკმაყოფილების და დაპირისპირების მიზეზს აჩენდა. ვფიქრობთ სწორედ ეს იყო ერთი და არა ერთადერთი შესაძლებლობა მეფის ხელში, რომელ ძალასაც ადვილად გაიერთგულებდა და გამოიყენებდა სათავადოს შეუვალობის დასაძლევად. იქვე ხაზგასმით არის საინტერესო მინაწერი მხოლოდ ციციშვილთათვის: „ციციშვილების მეტში ზვრისა და ხოდაბუნის საუფროსო არვისაში არ არის. იმათაც ძველობით, ფიცით გაუტანიათ და მისთვის დარჩომილა“. ზვრისა და ხოდაბუნის გარდა იყოფოდა ყველაფერი. [7: 214]

ჩნდება ინტერესი თუ რატომ იქნა მხოლოდ საციციანოში დატოვილი ვახტანგ VI-ის მიერ „საუფროსო“ ზვრებსა და ხოდაბუნებზე და არ შეიცვალა მეფე ვახტანგის სამართალში „ძველობით და ფიცით“ გატანილი ზვრისა და ხოდაბუნის საუფროსო? - პასუხის გასაცემად დავინტერესდით რამდენად იყვნენ ჩართულნი ვახტანგ მეექვსის საკანონმდებლო საქმიანობაში ციციშვილები და რამდენად შეეძლოთ „ფიცით“ გაეტანათ. რადგან სამართლის წიგნის შესავალში მეფე ვახტანგი აცხადებდა “ნურვინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ თავით თვისით რასამე ვყოფდეთ-ო.“ “თანაყოლითა და დამოწმებითა“ საკანონმდებლო კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედიოდნენ კათალიკოსი დომენტი, სამეფო საბჭოს, დარბაზის წევრები: „არაგვის ერისთვის შვილი მთავარებისკოპოზი გრიგოლი, სხვა მიტროპოლიტ-ეპისკოპოზი წინამძღვარნი და საღმართოგანნი, მუხრანის ბატონი ერეკლე, სახლის უხუცესი პაპუა, არაგვის ერისთავი გიორგი, ქსნის ერისთავი დავითი, ორბელიძე სარდარი ლუარსაბ, ამილახორი ავთანდილ, მდივანბეგი ერასტი, სხვა დარბაზის ერნი, ჭკუთა მყოფელი და მოხუცებულნი კაცნი“. [7: 175] ამ საკანონმდებლო, საპატო საქმიანობაში ციციშვილთა მონაწილეობას არ ადასტურებს არც ერთი დოკუმენტი და ნარატიული წყარო. უფრო მეტი, ჯერ კიდევ მეფე ვახტანგის ჯანიშინობიდან ციციშვილები არც ერთ მაღალ თანამდებობებზე არ ჩანან, მათ შორის კარგავენ მეფის სადროშოს სარდლის სახელოსაც. ირანიდან დაბრუნების შემდეგ კი აუქმებს ქვემო საციციანოს. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს აღვნიშნოთ, რომ ამ სარგოს წესის ხელუხლებლად დატოვება მეფის ინტერესებში შედიოდა. ყოველი გაყრის შემდგომ უკმაყოფილო უფლისწულებთან გამძაფრებული დაპირისპირება სახლისკაცთა შორის გარდაუვალი იყო. ვალის გადაუხდელობის სანაცვლოდ სწორედ ხოდაბუნის საუფროსოში ითხოვდნენ წილს უმცროსი ძმები და ბიძაშვილები. [6: 46]

ბუნებრივია ისმის კითხვა რამდენად აძლევდა ხელს აღნიშნული სარგოს დატოვება სამეფო კარს. მეფისა და ციციშვილების დაპირისპირებიდან გამომდინარე, მეფეს ხელსაყრელ შესაძლებლობას აძლევდა, რათა: 1. გაეტარებინა მკაცრი ღონისძიებანი შეუვალობით და სიძლიერით გამორჩეული

საციციანოს დასამორჩილებლად. 2. აქტიურად ჩარეულიყო სათავადოს მართვა-გამგეობაში „დამცრობილ“ თავადიშვილთა, არა მარტო უფლებების, არამედ მათი ყმა-მამულის „დასაცავად“ და ამით შესაბამისად განემტკიცებინა პოზიციები საციციანოში. 3. დაპირისპირების გამო ციციშვილთა საგვარეულოს ხშირი გაყრა კი მეფეს დამატებით სახასო სამფლობელოებს მისცემდა სათავადოში. მისი სამართლის მიხედვით შეეძლო გაყრის სარგოდ სტრატეგიულ გზაჯვარედინზე არსებული საციციანოს სოფლები ხელში ჩაეგდო.

ამდენად, დაშლილ-დასუსტებული სათავადოს მართვა-გამგეობაში სამეფო კარის აქტიურად ჩარევა დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა.

სარგოს მეხუთე სახეობას წარმოადგენდა - „საჭირნახულო“. იგი ოჯახის გაყრისას ნაამაგარი პირისათვის მეტი შრომისა და გარჯის ასანაზღაურებლად განკუთვნილი განსაკუთრებული წილი იყო გასაყოფ ქონებაში. მ. ქიქოძის აზრით „საჭირნახულო“ ერგებოდა სათავადო სახლის დეაწლმოსილ პირს.“ [14: 107] ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ სარგოს იღებდნენ არა მარტო დეაწლმოსილი პირები, არამედ მათი შთამომავალნი უფროსი შვილობისათვის [ფ. 1448, ს. №2860] ასევე გავლენიანი, მაღალი თანამდებობის მქონენი და სამეფო კართან დაახლოებული ციციშვილებიც. [12: 610-612]

საჭირნახულოდ საგვარეულო ოჯახიდან გაყრაზე მდგარ პირს შეეძლო მოეთხოვა ეს ქონება, ან სხვა სახის ანაზღაურება მიეღო (ყმა, მიწა, საგვარეულო ნივთი), გარდა გაყრისა, საჭირნახულოს მიცემის საკითხს სასამართლოც წყვეტდა სადავო ქონებაზე გაწეული შრომისათვის (მიწაზე დავისას-ბალ-ვენახის გაშენებისათვის, ყმაზე ან ნაგებობაზე გაწეული ხარჯებისათვის, ციხის მშენებლობისათვის, სათავადოს დაკარგული, ან ძალმომრეობით წართმეული სოფლების დაბრუნებისათვის და სხვა). გაწეული შრომისა თუ ხარჯის შეფასებისა და საჭირნახულოს ოდენობის განსაზღვრისათვის საქმის მცოდნე პირებს მოწმეთა სახით იწვევდნენ.

საუფროსოს დამტკიცების 1784 წ. დოკუმენტში საუფროსოსთან ერთად საჭირნახულოსაც აძლევენ ფარემთუხუცესს, გივი ციციშვილს. [ფ. 1450 დავთ. 51, ს. №1]

მრავალწლიანი დაპირისპირება საციციანოში, ზოგჯერ მთავრდებოდა, ძმობისა და ერთობის ფიცის და შეყრილობის წიგნების დადებით, სადაც „გაუყრელობის“, „მტერზე მტრისა და მოყვარეზე მოყვარის“ პირობას სდებდნენ. გაყრილი და დაშლილი ციციშვილთა საგვარეულო კვლავ ერთდებოდა, ხშირად მამულებსაც აერთიანებდა, ერთად უძღვებოდნენ მეურნეობას. XVII –XVIII სს. საციციანოს შეყრილობის წიგნების სიმრავლე, სწორედ ქვეყნისა და სათავადოს მიმღე ეკონომიკური მდგომარეობით აიხსნება. დოკუმენტში, „ძმობისა და სახლისკაცობის წიგნი და პირი“ მისცა ბაგრატ ციციშვილმა და მისმა ძმებმა თავის ბიძაშვილს ნოდარს. [Sd-256] დოკუმენტი 1731 წლით არის დათარიღებული, თუმცა ვფიქრობთ, აღნიშნული დოკუმენტი მოგვიანებით, ყიზილბაშობის პერიოდში უნდა იყოს შედგენილი. ოსმალებთან თანამშრომლობით დაწინაურებული ბაგრატი საციციანოს ნაპიეს თავად განაგებდა და დაუჯერებელია მის მიერ ბიძაშვილებისაგან წართმეულ ქონებაზე თავისი ნება-სურვილით უარი ეთქვა. სავარაუდოდ მხოლოდ ყიზილბაშთაგან, ბეგლარბეგ იბრეიმ-ხანის, ან ქართლ-კახეთის ვალის ალექსანდრე ალი-მირზას (1735 წ.) შევიწროებულ ბაგრატს დასჭირდებოდა „ძმობისა და სახლისკაცობის წიგნი და პირი“ მიეცა და დაებრუნებინა მათთვის წართმეული ყმა-მამული, რათა ასეთი „ერთობით“, „ოსმალობისას“ დაგროვილი სიმდიდრის ნაწილი მაინც შეენარჩუნებინა.

„ძმობა-ერთობის“ პირობა დადეს 1800 წელს სარდლის ალექსანდრეს შვილმა გიორგი მინბაშმა და სარდალ-მოურავმა გიორგიმ. [Hd-2612] მსგავსი თანხმობისა და ფიცის წიგნი მიუცია ფარსადან ციციშვილს ქაიხოსრო ციციშვილისათვის. [Ad -1080]

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული გვიანფეოდალური ხანის ციციშვილთა „ძმობისა და სახლისკაცობის შეყრილობის წიგნები“ ნათელ წარმოადგენას გვიქმნის გვიანფეოდალური ხანის საციციანოს მართვა-გამგეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასეთი „ერთობის“ წიგნებით მშვიდობიანობა დროებით ისადგურებდა. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ცვლილებასთან ერთად კი რადიკალურად იცვლებოდა ციციშვილთა საგვარეულო სახლის წევრთა ურთიერთობაც. ასეთი ფიცისა და პირობის წიგნების მიუხედავად ფიცი ხშირად ირღვეოდა და იწყებოდა სახლიკაცთა შორის გაუთავებელი ქიშპობა. არ ერიდებოდნენ ყალბი საბუთებისა და ყალბი ბეჭდების გამოყენებით მიეტაცებინათ საგვარეულო სახლის საერთო, ან საუფლისწულო ქონება. ხშირად ამის მიზეზი საგვარეულო საერთო მამულიდან საუმცროსო სარგოთი უკმაყოფილო უფლისწულთა შტოები იყო, რომლებიც თავს პრივილეგირებულ საუფროსოს გვერდით, თავს ყოველთვის დამცირებულად მიიჩნევდნენ და მზად იყვნენ გაერთიანებულიყვნენ და საკუთარი ყმა-მამულისა და შელახული ღირსების დასაცავად ებრძოლად ყოველგვარი მეთოდებით. ყალბი დოკუმენტებით შეეცადა ციციშვილი ზაქარია, ნოდარისშვილებისაგან სათავისთავო საკუთრებად გადაქცეული მძოვრეთის ციხის ხელში ჩაგდებას 1783 წელს. [11: 209-213] განხილული დოკუმენტებიდან ნათელი ხდება, რომ XVIII საუკუნის

დამდეგიდან აშკარად ჩანს ცვლილებები საციციანოს მართვა-გამგეობაში, იწყება ციციშვილთა საგვარეულო სახლის ერთიანობის რღვევა. იკარგება სათავადოს პოლიტიკური ფუნქციები. სახეზეა სათავადოს მეთაურის და იმავდროულად სარდლის ფუნქციების მოშლა. XVIII ს. 70-იანი წლების არზებიდან და სასამართლო განჩინებებიდან აშკარად ჩანს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების მიმღებნი, მეფე ერეკლე და მისი ხელდასმული მდივანბეგთა სასამართლო გახდა, რაც საციციანოს საგადასახადო იმუნიტეტის გარდა, სასამართლო იმუნიტეტის დაკარგვაზეც მიგვანიშნებს.

ამრიგად, საციციანო, ისევე, როგორც სხვა სათავადოები, ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად თანდათან კარგავდა თავის შეუვალობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

#### **ლიტერატურა:**

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1968;
2. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება IXVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958;
3. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლის სათავადოები, თბ., 1955;
4. დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970
5. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს) ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940;
6. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955;
7. სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981;
8. საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1925;
9. სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, სათავადოები, წიგნი II, თბ., 1981;
10. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972;
11. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1974;
12. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVIII-XIX სს.) ტ. VI, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977;
13. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 8, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985;
14. ქიქოძე მ., ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV-XVIII სს. (საამილახვრო), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 35, თბ., 1963;
15. შენგელია ნ., XVI-XVIII სს. ოსმალური დოკუმენტური წყაროები, წ. I, 1987;
16. ჯამბურია გ., სათავადოების საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1970;
17. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, აღწერა I, ს. №64;
18. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, ს. №4486; ფ. 1448, ს. №874. 20; ფ. 1448, ს. №2860;
19. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1450 დავთ. 38 საქმე №70.
20. საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1450 დავთ. 51, ს. №1; №3; №4-6, 8<sup>ა</sup>, № 12<sup>ა</sup>, №14-14<sup>ა</sup>, №15<sup>ა</sup>, №16<sup>ა</sup>, №20, №21, №22-22<sup>ა</sup>, №23, №24, №25; №26. №91, №95, №96, №101;
21. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad - 1218; Ad -1347; Ad -1080.
22. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd -2142; Hd -3700; Hd -2612.
23. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Sd -647; Sd-256.

## THE ISSUES ON GOVERNANCE OF SATSITSIANO (THE 15<sup>TH</sup> -18<sup>TH</sup> CENTURIES)

Manana Michitashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

### RESUME

Ownership in Satsitsiano. Furthermore, the paper highlights the liabilities of head of Satsitsiano and a strive of the princes to increase their authority. It also covers the issues related to the benefits of seniors and juniors in Satsitsiano as well as the regulations on its governance.

The critical analysis of the historical documents gives a deep insight that in the beginning of the 18<sup>th</sup> century there were clear changes in the governance of Satsitsiano. The unity of the Tsitsishvili family starts collapse, losing the political functions.

From the second half of the 18<sup>th</sup> century Satsitsiano, alike the other estates, alongside with the political unification and strengthening of the central governance, gradually loses its immunity in the political life.

### როსტომ რაზმაძე

ბადრი რაზმაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი

როსტომ რაზმაძე, იგივე რუსტამ ან რუსტან რაზა დაიბადა 1782 წელს თბილისში, ან მის შემოგარენში. როსტომი 1845 წლის 7 დეკემბერს, სამოცდაოთხი წლის ასაკში ავადმყოფობით გარდაიცვალა და დაკრძალულია საფრანგეთის ქალაქ დურდანში.

როსტომს ჰყავდა ფრანგი მეუღლე ალექსანდრინი დუვილი და ორი შვილი: ვაჟი - აშილი, რომელიც ახალგაზრდობაში გარდაიცვალა და შთამომავლობა არ დარჩენია, ხოლო ქალიშვილი გათხოვილი ყოფილა ვინმე არმან ბონარზე, შესძენია ვაჟი, რომლის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

რუსტამი მონებით მოვაჭრეებმა მოიტაცეს, ერთი ვერსიით 7-8 წლის, ხოლო მეორეთი 13 წლის ასაკში. ბავშვი ჯერ დადესტანში, შემდეგ კი სტამბოლში გაუყვიათ და ბოლოს ეგვიპტეში აღმოჩენილა, სადაც იგი ქართული წარმოშობის მამლუქს უყვია. განათლების მიღებისა და სამხედრო წვრთნის შემდეგ, რუსტამი ორი წლის განმავლობაში მსახურობდა ეგვიპტეში, არაბეთსა და სირიაში. 1798 წელს ეგვიპტეში ნაპოლეონ ბონაპარტე შეიჭრა თავისი ჯარით, დაამარცხა მამლუქები და ქვეყანა დაიკავა. რუსტამი ნაპოლეონს აჩუქეს და მის სამსახურში აღმოჩნდა. როსტომი იმპერატორს თექვსმეტი წელიწადი ერთგულად ემსახურებოდა.

ვინაიდან როსტომი (რუსტამი) სულ თან ახლდა ნაპოლეონ ბონაპარტეს ყველა სამხედრო ოპერაციაში, ან საზეიმო ვითარებაში ის ასახულია იმ ფერწერულ ტილოებზე, რომლებიც ნაპოლეონს თანამედროვე მხატვრებმა მიუძღვნეს და, ამასთანავე, უცხოელმა ისტორიკოსებმა დატოვეს თავისი შთაბეჭდილებები ნაპოლეონის მსახურზე - რუსტამ რაზმაძეზე.

ორიოდე სიტყვით მიმოვიხილავ იმ ნახატებსა და ისტორიკოსების ჩანაწერებს, რომლებიც დღემდე შემონახული. ნახატებზე განსხვავებული პიროვნებები არიან წარმოდგენილი. თუ ერთ ნახატში ის წარმოგვიდგება, როგორც სქელტანიანი და პირმრგვალი მამლუქი, მრგვალი ნიკაპითა და სახის ნაზი ნაკვებით, სხვა ჩანახატებში ვხედავთ რუსტამს მკაფიო სახის ნაკვებით, ძლიერი ნიკაპით, გადაწყვილი ულვაშებით და გამჭრიახი მხერით. ერთ-ერთ ნახატში კი ნაპოლეონის ტახტთან მდგომ როსტომ-რუსტამს დიდი ცხვირი და გრძელი ულვაშები უმშვენებს სახეს.

წიგნში „ნაპოლეონის მამლუქი“ სულ ათი ნახატია, სადაც რუსტამი არის აღბეჭდილი. დიდი ყურადღებით დავათვალიერე თითოეული მათგანი და რაზმაძის მამაკაცებისათვის დამახასიათებელ ორ თავისებურებას მივაქციე ყურადღება. პირველ რიგში, ნახატების უმრავლესობაში რუსტამი პირმრგვალია და, თუ დედის გენმა არ აჯობა, ყველა რაზმაძე პირმრგვალია. აგრეთვე, რუსტამს აქვს რაზმაძეების ნიკაპი, რომელიც აუცილებლად შუა ადგილას ერთგვარი ჩაღრმავებით არის აღნიშნული, ან ჩაკენჭილია. ვინც ერკვევა რაზმაძეების აღნაგობაში და ტიპაჟში, ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ რუსტამ რაზა ნამდვილი რაზმაძეა და ქართველი.

უცხოელი ისტორიკოსები, სამხედრო პირები, დედოფალ ჟოზეფინასთან დაახლოებული არისტოკრატი მანდილოსნები და ნაპოლეონის პირადი მოსამსახურე ლუი კონსტანტ ვარი (კონსტანტი) სხვადასხვანაირად ახასიათებენ რუსტამ რაზას. კონსტანტი წერს, რომ თექვსმეტი წლის მანძილზე ბრძოლის ველზე, საზეიმო შეხვედრასა თუ ნადიმზე რუსტამი მუდამ ნაპოლეონის გვერდით

იმყოფებოდაო. თავად რუსტამი კი შენიშნავს: „სახალხო აღლუმებისათვის არაბული ბედაური მყავდა, ოქროთი მორთული ალკაზმულობითა და თურქული უნაგირით. ჩვეულებრივი მგზავრობისა და სეირნობის დროს კი ფრანგულ ცხენებზე ვიჯექი და ჰუსართა მოოქროვილ უნაგირს ვიყენებდი“. იგივე კონსტანტის თქმით: „იმპერატორის ყოველი საჯარო გამოჩენის დროს, რუსტამი მისი შეუცვლელი თანამგზავრი იყო. იგი ყველა მგზავრობის, ცერემონიისა თუ ბრძოლის დროს თან ახლდა მას. თავის მდიდრულ აღმოსავლურ ტანსაცმელში გამოწყობილი რუსტამი ყველაზე თვალწარმტაცი ფიგურა იყო იმპერატორის ისედაც ბრწყინვალე გარემოცვაში. მისი გამოჩენა საოცარ ზეგავლენას ახდენდა განსაკუთრებით უბრალო ხალხზე და პროვინციებში“. ერთ-ერთი თანამედროვეს აღწერით კი: „თავის მდიდრულ ტანისამოსში გამოწყობილი, მკერდზე საპატიო ლეგიონის ოფიცრის ორდენით და ათასი სხვა სიკეთით დაჯილდოებული რუსტამი თავისი მფარველისადმი უზომო ერთგულებას იჩენდა“.

ნაპოლეონის თბილი დამოკიდებულება რუსტამისადმი მრავალი ფაქტითაა დადასტურებული და მაგალითისათვის ისიც საკმარისია, რომ, როდესაც რუსტამმა გადაწყვიტა ცოლად შეერთო ალექსანდრინე-მარი-მარგარიტა დუვილი, რომლის მამა ალექსანდრე-ნიკოლა დუვილი ჟოზეფინას პირადი მოსამსახურე იყო, ნაპოლეონმა ქორწინების ყველა ხარჯი თავის თავზე აიღო.

როდესაც რუსტამი ქალაქ დურდანში დასახლდა და იქაურ ხალხთან შევიდა ურთიერთობაში ადგილობრივ მკვიდრთა თქმით, რუსტამი იყო თავაზიანი, ძალზე კეთილი ადამიანი... იგი ჰერკულესივით ძლიერი აღნაგობის იყო და ა.შ. საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ რუსტამი თავის წერილებს, რომლებსაც წერდა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს აწერდა: „იმპერატორ ნაპოლეონის ყოფილი პირველი მამლუქი“. უცნობი ავტორი წერს, რომ: რუსტამს „ლამაზი სახე და სასიამოვნო გამომეტყველება ჰქონდა... იგი არც ისე შავგვრემანი, მაგრამ დიდი და ტლანქი აღნაგობისა იყო“.

მიუხედავად იმისა, რომ რუსტამს ოფიციალური განათლება არ ჰქონდა, ის ბუნებით დიდად საზრიანი პიროვნება ყოფილა და რამდენიმე ენას ფლობდა. რა თქმა უნდა, ბავშვობაში მან ქართული იცოდა. რუსტამი წერს, რომ ეგვიპტეში ჩასვლისას მისმა პატრონმა, ქართული წარმოშობის მამლუქმა სალა ბეიმ რამდენიმე კითხვა დაუსვა ქართულად. მაგრამ რადგან ადრეული ასაკიდან იყო წამოსული საქართველოდან, იგი ქართულად ცუდად საუბრობდა. მან ეგვიპტეში ყოფნისას შეისწავლა არაბული, საფრანგეთში - ფრანგული. რუსტამს კარგად ესმოდა ბერძნულიც.

ზემოთაც ვთქვი, რომ რუსტამი ჰერკულესივით ძლიერი იყო და რომ ეს სინამდვილეა ამაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს. აი, ერთი ეპიზოდი: კაიროდან გამომგზავრებულ ნაპოლეონს მოულოდნელად არაბთა დიდი რაზმი შეეჩხა. რუსტამმა იმპერატორის დაცვის ესკორტთან ერთად არაბებთან იომა. როდესაც არაბები მოიგერიეს ბონაპარტმა შეტევის ხელმძღვანელს ჰკითხა რუსტამის ბრძოლის ამბები. მან უპასუხა: „რუსტამი ძალიან მამაცი მეომარია. მან ორი არაბი დაჭრა“. ნაპოლეონმა ამის გამო რუსტამი საპატიო ხანჯლით დააჯილდოვა (გვ. 52).

ისტორიული რეალობაა, რომ როსტომ რაზმამე თექვსმეტი წლის განმავლობაში ნაპოლეონ ბონაპარტეს ყველა მის მიერ წარმოებულ ომში ცხენდაცხენ მიჰყვებოდა, გვერდში ედგა და კრიტიკულ მომენტებში იმპერატორს აშკარა დალუპვისაგან იხსნიდა ხოლმე თავისი დევგმირული შემართებითა და მარჯვედ მოქნეული ხმლით.

რაღა თქმა უნდა, ნაპოლეონი მის სამსახურსა და ერთგულებას დიდად აფასებდა, უხვად ასაჩუქრებდა თავის ფანტასტიკურ მცველს.

ნაპოლეონის დიდ ნდობას რუსტამისადმი მკვლევარები იმით ხსნიან, რომ ერთხელ რუსტამმა მტრის მოქნეული ხმალი ააცდინა ნაპოლეონს და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა.

ნაპოლეონის შინაგან საქმეთა მინისტრის ფუშეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარის ლუი მადლენის მოწმობით, ყოფილა მომენტი, როცა ნაპოლეონს ფუშეს ადგილას უნდოდა რუსტამი დაენიშნა.

რუსტამ რაზას სიცოცხლის ბოლო წლებში მემუარები დაუწერია. მისი მემუარები საფრანგეთში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოცემულა. რუსტამის გარდაცვალების შემდეგ, მისმა სიმემ მემუარების ხელნაწერი ფერმწერ პიერ ბოფოს გადასცა, რომელმაც თავის მხრივ, იგი ცნობილ მკვლევარს - პოლ კოტენს მიაწოდა. კოტენმა ხელნაწერი თავდაპირველად 1888 წელს ყოველგვარი რედაქტირების გარეშე ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა. მომდევნო ოცდასამი წლის განმავლობაში მან მემუარების ოთხი რედაქცია კიდევ გამოსცა, რომლებშიც თანდათან შეასწორა ხელნაწერის ორთოგრაფია, სინტაქსი და ა.შ. ამ გამოცემის ყველაზე სრული და სანდო ვერსია 1911 წლის რედაქცია.

რუსტამის მემუარების უკანასკნელი ფრანგული ტექსტი 2010 წელს გამოვიდა. ამჟამად მზადდება მისი ინგლისურენოვანი თარგმანიც.

ქართველი საზოგადოებისათვის რუსტამის სახელი კარგად არის ცნობილი, თუმცა 2012 წლამდე მისი მემუარების სრული თარგმანი არ მოგვეპოვებოდა. 2012 წელს რუსტამ რაზას მემუარები ფრანგულიდან თარგმნეს ალექსანდრე მიქაბერიძემ და ნიკა ხოფერიამ, წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „არტანუჯში“.

1997 წელს სომეხმა მკვლევარებმა გრიგოლ ჯანიკიანმა და ირინა კარუმიანმა გამოსცეს პირველი სომხური და რუსული თარგმანები. რა თქმა უნდა, სომეხი მკვლევარები ყველა ღონეს ხმარობენ, როგორც ეს მათ სჩვევიათ, რომ როსტომ რაზმაძე მკითხველს წარუდგინონ როგორც სომეხი. სამწუხაროდ, ალექსანდრე მიქაბერიძე და ნიკა ხოფერია სომეხების თარგმანს ეყრდნობიან, თუმცა კი წერენ, რომ ქართული თარგმანი რუსტამის მემუარებისა 1911 წლის გამოცემას ეყრდნობაო. მე არ ვიცი, რატომ გახდნენ ქართველი ავტორები როსტომ რაზმაძის ქართველობის უარყოფელი და შევეცდები მკითხველს გავუფანტო ეჭვი როსტომ რაზმაძის სომხური წარმომავლობის შესახებ. რადგანაც ჩვენ შევძელით და ჩვენს ძმებს სომეხებს ვერ დავასაბუთებინეთ ქართული ანბანის მესტროფ მამტოცის მიერ შექმნისა და რუსთაველის სომხური წარმომავლობა, ამ შემთხვევაშიც ჩვენს საამაყო შვილს, ბედკრულ მამელუქს სომეხებს ვერა და ვერ დავუთმოთ.

მაპატიონ ქართველმა მთარგმნელებმა მიქაბერიძემ და ხოფერიამ, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ მათ სათარგმნად წარუდგინეს მემუარების უკვე კლასიკურად „გასომხებული“ ტექსტი, ან ტექსტები.

მემუარებთან დაკავშირებით ბევრი რამ ბურუსითაა მოცული. მისი ზოგიერთი მთარგმნელი ამბობს, რომ რუსტამ რაზას თავისი მემუარების მხოლოდ შესავალი ნაწილი დაუწერია, ძირითადი ნაწილი კი მის მიერ ნაკარნახევიაო, მეორენი წერენ, რომ ვითომ მან მთელი მემუარები თავად დაწერა, ამასთანავე რუსტამი მემუარებს რატომღაც მესამე პირში წერს, რაც არაბუნებრივია. არიან მთარგმნელები, რომელთა აზრითაც მხოლოდ დასკვნითი ნაწილია ნაკარნახევი და ა.შ.

რთული დასადგენია ამ წყარომ, რუსტამ რაზას მემუარებმა რამდენჯერ განიცადა ფორმაცვალება და ვინ რა მიზნით შეიტანა იქ ესა თუ ის ცვლილება. საოცარია, ასეთი რა მოგონებები, დღიურები, თუ მემუარები დაწერა რუსტამმა სულ სხვადასხვაგვარ წაკითხვას რომ იტანს კარგი იქნებოდა სპეციალისტებს ერთმანეთისთვის შეედარებინათ 1883 წელს ჟურნალ „რევიუ რეტროსპექტივას“ მიერ გამოქვეყნებული მემუარები, პოლ კოტენის მიერ გამოქვეყნებულ მემუარების ტექსტისათვის. პოლ კოტენმა კი, როგორც ზემოთ ითქვა, ხუთჯერ გამოსცა მემუარები 1888 წლიდან მოყოლებული 1911 წლამდე.

სულ ორიოდე მაგალითს მოვიყვან იმის საილუსტრაციოდ, რომ იქ, სადაც კი როსტომის სომხობაზეა ლაპარაკი, მიქაბერიძისა და ხოფერიას თარგმანში ფრაზები მოგვიანებითაა ჩამატებული და ეს შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ჩანს.

ა. მიქაბერიძისა და ნ. ხოფერიას მიერ თარგმნილი მემუარების 83-ე გვერდზე წერია: „რამდენიმე დღის შემდეგ პარიზში დავბრუნდით. იმპერატორმა ცოლის შერთვის ნება დამართო, მაგრამ იუსტიციის მინისტრს და პარიზის არქივისკოპოსს არ სურდათ ამის გაკეთება, რადგან კათოლიკე ქრისტიანი არ ვიყავი. მე ვარწმუნებდი მათ „მე ქართველი ვარ, ხოლო ქართველები ქრისტიანები არიან მეთქი...“ მემუარების ზემოთხსენებული მთარგმნელები სქოლიოში წერენ, რომ „მე ქართველი ვარ“ უნდა მაინც და მაინც გავიგოთ როგორც „მე საქართველოში დავიბადე“ - საიდან სად?

საინტერესოა, აგრეთვე, ეპიზოდი, რომელიც 1807 წლის ტილზიტის ზავს ეხება, სადაც აღწერილია რუსეთის იმპერატორის ალექსანდრეს და პრუსიის მეფე-დედოფლის იმპერატორთან სადილი. რუსტამი წერს: „...ნაპოლეონმა ალექსანდრეს უთხრა:

- სირ, იცით თუ არა, რომ რუსტამი თქვენი ქვეშევრდომი იყო!

მეფეს გაუკვირდა:

- ეს როგორ?

- დიახ, ვინაიდან ის საქართველოდან არის, საქართველო კი თქვენს სამფლობელოში შევიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსტამი თქვენი ქვეშევრდომია...“

1967 წლის 11 აგვისტოს გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა წერილი „რუსტამ მამლუქის თავგადასავალი“, რომლის ავტორი მ. ვადბოლსკი ტილიზიტის ზავთან დაკავშირებით წერს: „მეორე დღეს იმპერატორი ალექსანდრე, პრუსიის მეფე, დედოფალი და დიდი თავადი კონსტანტინე ნაპოლეონთან სადილობდნენ. მე ნაპოლეონის გვერდით ვიყავი. ალექსანდრე და დედოფალი ხშირად მიყურებდნენ და ერთმანეთს რაღაცას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე, ნაპოლეონმა ღიმილით უთხრა ალექსანდრეს:

- ხელმწიფე, რუსტამი ხომ თქვენი ხელქვეითი იყო?

- როგორ? - ის ხომ ქართველი, საქართველო კი თქვენი იმპერიის ნაწილია“ (მ. ვადბოლსკის უსარგებლია პ. კოტენის გამოცემით).

სომეხი ავტორები უფრო შორს მიდიან და ნაპოლეონს ათქმევინებდნენ „...რუსტამი ტფილისიდან არისო ე.ი. ტფილისელი სომეხიაო“.

ხელოვნურობა იგრძნობა ასეთ თარგმნშიც: „...ბევრი ფიქრობდა, რომ მხოლოდ ქართველებს და მეგრელებს (ქართველურ ტომებს) შეუძლიათ გახდნენ კარგი მამლუქები, არ ვიცი, რა განაპირობებს ამ დამოკიდებულებას, არადა, სომეხები სხვა ერებზე ბევრად მამაცები არიან“.

აქ თვალშისაცემია შემდეგი რამ: ჯერ ერთი რუსტამი სიტყვის „მეგრელი“ განმარტებისათვის ვერ იხმარდა ტერმინს - ქართველური ტომი და მეორეც, რაში უნდა დასჭირვებოდა იმის თქმა, რომ სომხები სხვა ერებზე ბევრად მამაცები არიანო (გვ. 38).

ფრიად მნიშვნელოვანია რუსტამის სომხური წარმომავლობის გასაქარწყლებლად 1986 წლის 12 ივნისის გაზეთ „თბილისში“ პროფესორ ილია ტაბაღუას მიერ სტატიის გამოქვეყნება სათაურით „რუსტამის მოუსვენარი ახალგაზრდობა, ანუ როგორ გახდა იგი ნაპოლეონის მამლუქი“. ამ პუბლიკაციის ავტორია ფრანგი ისტორიკოსი მორის დირებერე. მ. დირებერე, სხვათაშორის, წერს: „ჩვენთვის ცნობილია, როგორ წამოიყვანა ეგვიპტიდან ნაპოლეონმა ჭაბუკი ქართველი რუსტამი და შემდეგ (1801 წელს) როგორც შექმნა მამლუქთა კორპუსი, ე.ი. ფრანგი ისტორიკოსი თვლის, რომ რუსტამი ქართველია“.

რაც შეეხება რუსტამის დღიურებს, მ. დერიბერე აღნიშნავს, რომ ჟურნალმა „რევიუ რეტროსპექტივმა“ 1883 წლის იანვარ-ივნისის ნომერში გამოაქვეყნა რუსტამის მემუარები - იმპერატორის მამლუქის მემუარები. ბატონ რ. რუსტამის პირადი ცხოვრება 1814 წლამდე.

დერიბერე აღწერს, თუ როგორ გაყიდეს მეოთხედ რუსტამი: „...ცხენებზე ორ-ორი შეგვსვეს. კარგი მანძილი რომ გავიარეთ, ჩვენ ქარავანს თათრები დაესხნენ, ბრძოლა გახურდა. შემდეგ მექარავნებმა მომხდურთაგან ზავი ითხოვეს. შეთანხმდნენ: სომეხი ბავშვები თათრების ხელში გადავლენ, ხოლო ქართველები თავის პატრონებთან. რუსტამი ქართველია, მამასადამე, თავის სამაგელ და ყაჩად მამობილთან რჩება“. აქ ნათელზე ნათელია, რომ რუსტამი ქართველია.

საფრანგეთში გამოცემულია ნაპოლეონის მემუარების 25 ტომი, სადაც რუსტამზე გარკვევით წერია თვით ნაპოლეონის შემდეგი სიტყვები: - „მე გარშემორტყმული ვარ ფრანგებით, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების გამო გვეხმარებიან. ეს კაცი კი, ქართველი, შორეული საქართველოდან გულწრფელად არის ჩემზე მონდობილი და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს“. ნუთუ ისეთმა დიდმა პიროვნებამ, როგორც ნაპოლეონ ბონაპარტე იყო ველარ გაარჩია ქართველი სომხისგან?

1827 წელს ერთ-ერთ სასამართლოში მოწმედ ყოფნისას, რუსტანი დაკითხვის დროს აცხადებს, რომ იგი წარმოშობით ქართველია, დაიბადა თბილისში, საქართველოში და ა.შ.

დიმიტრი ჯანელიძის ცნობით, რუსტამს ქართველად იხსენიებს ფრანგი პიერ ლარუსის ცნობილი „დიდი მსოფლიო ენციკლოპედია“, რომელიც პარიზში 1931 წელს არის გამოცემული. დ. ჯანელიძეს, აგრეთვე, ანგარიშგასაწევ ფაქტად მრავალი ევროპელი ავტორის მიერ რუსტამის ქართველად მოხსენიება მიაჩნია.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის მე-8 ტომში გვ. 515 წერია: „რუსტამი ნაპოლეონის მამლუქად წოდებული დაიბადა დაახლოებით 1780 წელს, თბილისში, გარდაიცვალა 1845 წელს, დურდანში, ჩრდილოეთ საფრანგეთში, იყო ქართველი როსტომ რაზმამე...“ ამ ინფორმაციის ავტორია პროფესორი გ. ჟორდანიას, რომელიც ასეთ კატეგორიულ დასკვნას უსაფუძვლოდ არ გააკეთებდა.

გამომცემლობა „მერანმა“ 1986 წელს გამოსცა ირაკლი უგულავას რომანი „დურდანში არის საფლავი“. რომანში რუსტამ რაზა ფიგურირებს როგორც ქართველი როსტომ რაზმამე.

ირაკლი უგულავა წერს, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში დაინტერესდა მამლუქი რუსტამის ბედით, როდესაც წაიკითხა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიონისეს ღიმილი“ და შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, სადაც მ. ჯავახიშვილი წერს „როსტომი კუმისის ტბის რაიონში დაიბადა, ე.ი. მარაბდის მიდამოებში. ცნობები ამოკრეფილია ფრანგული ლექსიკონიდან „გრანდ ლა რუსიდან“ და რუსტამის ავტობიოგრაფიიდან“.

კონსტანტინე გამსახურდია კი წერს: „...აქ განისვენებს მონა ხვთისა როსტომი, დიდი იმპერატორის ერთგული მეგობარი, ქართველი საქართველოდან“.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე მკითხველმა თავად გააკეთოს ლოგიკური დასკვნა როსტომის ვინაობის შესახებ. ნუთუ ჩვენ ბრმად უნდა ვირწმუნოთ სომეხი ავტორების მცდელობა, რომ რუსტამი სომხად მონათლონ მსოფლიოს თვალში, ან ქართველი ავტორები მიქაბერიძე და ხოფერია, რომლებიც სომხებს ამოუდგნენ მხარში და არ ვირწმუნოთ ისეთი ავტორიტეტების და ფუნდამენტალური გამოცემების მტკიცებულება როსტომის წარმომავლობისა, როგორცაა: თავად ნაპოლეონის გამონათქვამები როსტომის ქართველობის შესახებ, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, გ. ჟორდანიას, ი. ტაბაღუას და კიდევ რამდენი ავტორიტეტის აზრი და ფრანგული და ქართული ენციკლოპედიები. და ბოლოს, რუსტამ რაზა რომ ნამდვილად ქართველი როსტომ რაზმამე იყო და, ამასთანავე, ის არსენა ოძელაშვილის დედის ძმა, ორი აზრი არ არსებობს. ამას ადასტურებენ ფრანგულის შესანიშნავად მცოდნე ის ქართველები, რომლებიც ბევრად უფრო ახლოს იყვნენ როსტომ რაზმამის ეპოქასთან და გარდა კოტენის მემუარების კითხვისა, მათ (მხედველობაში მყვანან მ. ჯავახიშვილი და კ. გამსახურდია და აგრეთვე, ი. ტაბაღუა) მრავალი ზეპირგადმოცემაც იცოდნენ ამ ლეგენდარული პიროვნების შესახებ.

დასასრულს მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ როსტომ რაზმადის სახელი შესულია საფრანგეთის ისტორიაში, ფრანგულ ენციკლოპედიაში, საფრანგეთის ტურისტულ მარშრუტში შეტანილია ქალაქ დურდანის პანთეონი, სადაც თავის მეუღლესთან ერთად დაკრძალულია როსტომ რაზმაძე.

#### ლიტერატურა:

1. ნაპოლეონის მამლუქი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2012.
2. ირაკლი უგულავა, „დურდანში არის საფლავი“, თბილისი, „მარანი“, 1986.
3. გაზეთი „თბილისი“, როსტომის მოუსვენარი ახალგაზრდობა, ანუ როგორ გახდა იგი ნაპოლეონის მამლუქი, ი. ტაბაღუა, 1986, 12 ივნისი.

## ROSTOM RAZMADZE

**Badri Razmadze**, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor  
**RESUME**

Rostom Razmadze was born in 1782 year in Tbilisi and died in 1845 year in Dourdan, the city of France.

Rostom was a small boy, when slave-traders abducted him and sold in Istanbul. From Istanbul he was hitted in Egypt to Georgian Mamluks, where he got education and went through the military training.

In 1798 year Napoleon Bonaparte invasioned in Egypt defeated Mamluks. There in Egypt presented Rostom to Napoleon and served the emperor sixteen years.

Rostom knew several languages: Arabian, French and Greek.

Rostom Razmadze had written the memoirs, which were published in France in 19-th century. The last French memoir of Rustam was published in 2010 year.

In 2012 Rostom's memoirs were translated by Aleksandre Mikaberidze and Nika Khoveria.

In 1997 year Armenian researchers Grigor Janikyan and Irina Karumian published the first Armenian and Russian translations. Armenian researches endeavor, to baptize Rostom Razmadze as the Armenian.

It is pity, that Georgian translators, for some reason translated text of memoirs which was classically re-armenisationed.

Outstanding people as were Mikheil Javakhishvili, Konstantine Gamsakhurdia, Ilia Tabagua, Giorgi Zhordania and others confirm that Rostom Razmadze was Georgian.

## რუსეთის პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის I მეოთხედში ინგლისელი მოგზაურის რობერტ კერ პორტერის ცნობების მიხედვით

**გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

XIX საუკუნის I ნახევარში საქართველოში არაერთმა უცხოელმა იმოგზაურა. მათ ჩანაწერებში ძალზე საინტერესო ინფორმაციაა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ ცხოვრების ირგვლივ. მოგზაურთა დღიურები საყურადღებო ცნობებს შეიცავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ბრიტანელი დიპლომატი, მოგზაური, მხატვარი და მწერალი რობერტ კერ პორტერი (ფსევდონიმი რეინოლდ სტიენკირკი). იგი დაიბადა 1777 წლის 26 აპრილს, დურამში, უილიამ პორტერის ხუთშვილიან, ტრადიციულ, ბრიტანულ ოჯახში. რობერტის მამა – უილიამი 23 წელი ქირურგად მუშაობდა დრაგუნთა მე-6 ბატალიონში. იგი გარდაიცვალა 1779 წელს და დაკრძალულ იქნა წმ. ოსვალდში, დურამში.<sup>1</sup> მომავალი მხატვრის წინაპრები იყვნენ აგინკურტის ბრძოლის მონაწილე – უილიამ პორტერი და როიალისტი ენდემიონ პორტერი. რობერტის დედა გახლდათ ჯეინ პორტერი (1745-1831), დურამის მკვიდრის – რობერტ ბლენკინსონის ქალიშვილი. ჯეინ პორტერი გარდაიცვალა ემერში, სურეის საგრაფოში 86 წლის ასაკში. რობერტის უფროსი ძმები იყვნენ: უილიამ ოგილვიე პორტერი. იგი ფლოტში ქირურგად მუშაობის შემდეგ, 40 წლის განმავლობაში ბრისტოლში ექიმის პროფესიას

<sup>1</sup> <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>; W. M. Armstrong, The many-sided world of Sir Robert Ker Porter, *The Historian*, # 25, Washington, 1962, p. 36-58.



ემსახურებოდა. უილიამ ოგილვიე გარდაიცვალა 1850 წლის 15 აგვისტოს, 67 წლის ასაკში. რობერტის მეორე ძმა იყო პოლკოვნიკი ჯონ პორტერი, რომელიც მანის კუნძულზე 1810 წელს 38 წლის ასაკში აღესრულა. რობერტს ორი დაც ჰყავდა, ჯეინ (გარდ. 1850 წელს) და ანა მარია (გარდ. 1832 წელს) პორტერები. ორივე მათგანი მწერალი იყო. რობერტმა სიყრმის წლები ედინბურგში გაატარა, სადაც დედამისი შვილებთან ერთად საცხოვრებლად 1780 წელს გადავიდა. 1790 წელს დედამ მომავალი შემოქმედი გამოჩენილ ბრიტანელ მხატვართან, ლონდონის სამეფო სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტთან – ბენჯამინ უესტთან წაიყვანა, რომელიც იმდენად აღფრთოვანდა რობერტის ნამუშევრებით, რომ რეკომენდაცია გაუწია მას სამეფო აკადემიის სომერსეტის სკოლაში. რობერტი, 13 წლის ასაკში სამეფო აკადემიის სტუდენტი გახდა.<sup>1</sup>

პორტერის განსაკუთრებული ნიჭიერება მხატვრობაში მალე კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა. 1792 წელს მან მხატვართა საზოგადოებისაგან ბიბლიური პერსონაჟის – „ენდორის ჯადოქრის“ შესრულებისათვის ვერცხლის პალიტრა მიიღო. რობერტ კერ პორტერის ნამუშევრები იმ დროისათვის ცნობილი იყო მისი ფსევდონიმით – რეინოლდ სტეინკირკის სახელით. თექვსმეტი წლის ასაკში მან შოდერიჩის ეკლესიის საკურთხეველი მოხატა. 1794 წელს კი რომის კათოლიკური ეკლესიის სამლოცველოსთვის ქალაქ პორტსმუტში იესო ქრისტეს მიერ ქარიშხლის დაცხრომის სცენა შეასრულა. 1799 წელს პორტერმა კემბრიჯში, წმინდა იოანეს კოლეჯში, შექმნა ნახატი „უდაბნოში მლოცველი წმინდა იოანე“. 1799 წელს რობერტ კერ პორტერი დებთან – ჯეინთან და ანა მარიასთან ერთად ლონდონში ცხოვრობდა. რობერტი მხატვართა კლუბის წევრი გახდა. ამ დროისათვის ის უკვე აღიარებული შემოქმედი იყო. ნიჭიერ ხელოვანს ასეთი წარმატება სამხედრო ისტორიისადმი მიძღვნილმა ბატალურმა კომპოზიციებმა მოუტანა. 1800 წლის 17 აპრილიდან 1801 წლის 10 იანვრამდე „ლისეუმში“ გამოფენილმა რობერტ კერ პორტერის პირველმა პანორამამ „იერიში სერინგპატამაზე“ საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. 1792-1832 წლებში, პორტერმა არაერთი ნახატი შეასრულა, მათ შორის: „ლოდის ბრძოლა“ (1803), „1799 სუვოროვის მიერ ფრანგების დამარცხება ეშმაკის ხიდთან“ (1805), „აგინკურტის ბრძოლა“, „ალექსანდრიის ბრძოლა“ და სხვ.<sup>2</sup>

პორტერმა 1803 წელს რამდენიმე ნახატი შეასრულა თომას მურის ”ანაკრეონისათვის”. ეს ნახატები ჯონ ვენარამინიმ ნაპოლეონის საწინააღმდეგოდ მიმართული გრავიურების სერიისათვის გამოიყენა. 1793-1798 წლების ისტორიული მოვლენების ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდები – მასობრივი მკვლელობები იაფესა და ტულონში საფუძვლად დაედო პორტერის 4 ნახატს.\*

ამ დროისათვის პორტერის, როგორც მხატვრის სახელი პოპულარული იყო არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1805 წელს პორტერმა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I მიწვევა მიიღო. საიმპერატორო კარის შეკვეთით მას უნდა შეესრულებინა ისტორიული ნახატები სანკტ პეტერბურგში არსებული საადმირალო უწყების დარბაზისათვის. როგორც ჩანს, საიმპერატორო კარისათვის ცნობილი იყო მისი ბატალური

<sup>1</sup> S. C. Hutchison, *The Royal Academy Schools, 1768–1830, Walpole Society*, #38, 1960–62; პორტერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ: Seccombe T. Robert Ker Porter // *Dictionary of National Biography*, London, 1896, XLVI. P. 190-192; Armstrong W.M. *The Many-sided World of Robert Ker Porter, The Historian*, 25. Pt. 1. Washington, 1962. P. 36-58; Dupouy W. *Sir Robert Ker Porter's Caracas Diary. 1825—1842, Caracas, 1969; Barnett R.D. Sir Robert Ker Porter — Regency Artist and Traveller Iran, 1972. Vol. 10; Anketil M.D.I. The Silver Palette // Lantern, 1978. July, P.72-70;*

Ренне Е.П. Роберт КерПортер в России, *Труды Государственного Эрмитажа* 25, 1985. С.105-109; Васильева Н.Е. Альбом Р. Кер Портера с рисунками древнейших памятников скульптуры и архитектуры // *Эрмитажные чтения 1986—1994 гг. памяти В.Г.Лукониной*. СПб., 1995. С. 246-247; Vasileva N.E. *About The History of Sir Robert Ker Porter's Album with his sketches of Achaemenid and Sassanian monuments // Achaeologische Mitteilungen aus Iran*. Berlin, 1994. Bd 27. S. 339-348; Renne E. *British artists in Russia in the first half of the nineteenth century // British art treasures from Russian Imperial collections in the Hermitage / Ed. by V.Allen and L.Dukelskaya. New Haven & London, 1996. P. 104-115;* Ренне Е.П. Британские художники в России в первой половине XIX века // *С берегов Темзы — на берега Невы. Шедевры из собрания британского искусства в Эрмитаже / Под ред. Б.Аллена и Л. Дукельской*. СПб., 1997. С.104-115; Губер К.П. Три картины для Главного Адмиралтейства // *Россия — Англия. Страницы диалога. Краткое содержание докладов V Царскосельской научной конференции*. СПб., 1999. С. 113-116;

<sup>2</sup> Ренне Е., *Художник сэр Роберт Кер Портер в России*, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

R. Lister, *British Romantic art*, 1973, #8-9; B. Comment, *The panorama*, 1999.

\* გამოთქმულია მოსაზრება, რომ პორტერის ნახატების მიხედვით შექმნილ გრავიურებს შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ გოიას გრავიურულ სერიალზე: „ომის საშინელებანი.“ მოსაზრება პორტერის შემოქმედების მკვლევარს პროფ. ჰომბრიჩს ეკუთვნის. Ренне Е., *Художник сэр Роберт Кер Портер в России*, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

პორტერის მიერ შესრულებული ნახატების უდიდესი ნაწილი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, რომლებიც საჩუქრად პორტერის დამ, ჯეინმა გადასცა R. D. Barnett, *Sir Robert Ker Porter, British Museum Society Bulletin*, 7, June, 1971.

პანორამები, სადაც სუვოროვისა და ბაგრატიონის ხელმძღვანელობით რუსული არმიის სიმამაცე და გმირობა იყო გამოსახული. მხატვარი ალექსანდრე I მიწვევას დათანხმდა და ის დიდ ბრიტანეთში მყოფი რუსეთის ელჩის – ს. რ. ვორონცოვის რეკომენდაციით პეტერბურგში გაემგზავრა. პორტერი რუსეთიდან სამშობლოში წერილებს გზავნიდა. ერთ-ერთ წერილში იგი აღნიშნავდა: „იმპერატორმა დამდო პატივი და მოიწონა ჩემი ნახატები, რომლებიც ახლად მშენებარე საადმირალო უწყების შენობას დაამშვენებენ. რა წუთს ამ დიდებული დარბაზის რეკონსტრუქცია დამთავრდება, ისინი დიდი საბჭოს დარბაზში განთავსდებიან, მისი პროექტი ჩინებულია, და რადგან კედლებზე უნდა აისახოს ჩემი შრომის შედეგები, მე შევეცდები შეგიქმნათ გარკვეული წარმოდგენა იმის თაობაზე, რის წარმოჩენასაც ემსახურებიან ჩემი ნამუშევრები.“<sup>1</sup>

სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას მან რუსი დიდგვაროვნის თეოდორ შერბატოვის ქალიშვილის – მარიას (1780-1827) კეთილგანწყობა დაიმსახურა. მალე მათ შორის რომანი გაიბა, თუმცა წყვილის ურთიერთობას იმ დროის პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუშალა. პორტერს სასწრაფოდ მოუწია რუსეთის დატოვება. რუსეთის მეფემ ნაპოლეონ ბონაპარტთან 1807 წელს, ხელი მოაწერა ტილზიტის ხელშეკრულებას, რამაც რუსეთი დიდი ბრიტანეთის მოწინააღმდეგე საფრანგეთთან დააკავშირა. რობერტ კერ პორტერმა 1807 წელს ფინეთის გავლით, რუსეთი დატოვა და შვედეთში გადავიდა. იგი ვარაუდობდა, რომ შვედეთში გარკვეული დროით შეყოვნდებოდა და შემდეგ ისევ რუსეთში დაბრუნდებოდა. ბრიტანელმა მხატვარმა ლოდინში ოთხი წელი დაჰყო. მან საკუთარ თავზე გადაიტანა ომის საშინელება. 1808 წელს რობერტ კერ პორტერი ჯონ მურთან ერთად ესპანეთში გაემგზავრა. იგი პირინეის ნახევარკუნძულზე იბრძოდა. მხატვარმა მოგზაურობისას არაერთი ჩანახატი შეასრულა. ნაპოლეონის ფლოტის წინააღმდეგ გამოჩენილი მამაცობისათვის, კორუნის და ვილმერიის გამირს 1806 წელს, შვედეთის მეფემ გუსტავ IV რაინდის წოდება უბოძა. პორტერი გუსტავ IV გაწეული სამსახურისათვის შვედეთისა და წმინდა იოაკიმ ვურტემბერგელის ორდენებითაც დაჯილდოვდა. 1809 წელს პორტერმა ოთხ ტომად გამოსცა „მოგზაურობისას შესრულებული ნამუშევრები რუსეთში და შვედეთში 1805-1808 წლებში“, *Travelling sketches in Russia and Sweden, During the years 1805, 1806, 1807, 1808, Philadelphia : Published by Hopkins and Earle, 1809.*

1810 წელს მან გამოაქვეყნა: „წერილები პორტუგალიიდან და ესპანეთიდან.“ *Letters from Portugal and Spain, written during the march of the British troops under Sir John Moore... By an officer, London, Longman, Hurst, Rees, and Orme, 1809.* 1811 წელს რუსეთის იმპერატორის მიწვევით პორტერი კვლავ რუსეთში ჩავიდა. 1812 წლის 7 თებერვალს იგი დაქორწინდა თეოდორ შერბატოვის ქალიშვილზე. ქორწინების შემდეგ მისი მეუღლე მარია შერბატოვი ლედი პორტერად იწერებოდა.<sup>2</sup>

რუსეთში ნაპოლეონის არმიის შეჭრამ ხელი შეუშალა ახლად დაქორწინებულთა ინგლისში გამგზავრებას. მხოლოდ 1813-1814 წლებში მოახერხა ლედი პორტერმა მეუღლის სამშობლოს მონახულება. რობერტ პორტერს ბრიტანეთის მთავრობამ რუსეთში მცხოვრები თანამემამულეების სიცოცხლისა და უსაფრთხოების მეურვის რწმუნება უბოძა. ამან საშუალება მისცა მხატვარს 1812 წლის ისეთი ისტორიული მოვლენების მოწმე გამხდარიყო, როგორცაა: ნაპოლეონის არმიის რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრა, ბოროდინოს ბრძოლა, მოსკოვის გადაწვა და შემდეგ ნაპოლეონის განდევნა მოსკოვიდან. ამ მოვლენების შესახებ პორტერმა შექმნა წიგნი: „მოთხრობა 1812 წელს რუსეთში ჩატარებული კამპანიის შესახებ“ წიგნს თან ერთვოდა კუტუზოვის გრავირებული პორტრეტი და ორი რუკა. აღნიშნული წიგნი ფრანგულ და გერმანულ ენებზეც ითარგმნა და რამდენჯერმე გამოიცა. რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება ამ წიგნის ინგლისური ვარიანტის ერთი ეგზემპლარი, რომელიც ოქროთი მოვარაყებულ ყდაშია ჩასმული. ეს წიგნი იმპერატორ ალექსანდრე I ავტორმა გადასცა. 1813 წელს იმპერატორი და მისი მეუღლე მარია ფეოდორის ასული პორტერის ქალიშვილის-მარიას ნათლიები გახდნენ. ამის აღსანიშნავად იმპერატორმა პატარა პორტერს ბრილიანტის ყელსაბამი აჩუქა.\*

1813 წელს რობერტ კერ პორტერს ინგლისის მეფემ გეორგ IV თავის რეზიდენციაში-კარლტონ-ჰაუსში, რაინდის წოდება უბოძა. რუსულ არისტოკრატიულ ოჯახთან დანათესავების შემდეგ პორტერი მიღებულ იქნა რუსეთის უმაღლეს სამხედრო და დიპლომატიურ წრეებში. მხატვარი და დიპლომატი კარგად ერკვეოდა 1812-1813 წლების სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებში, რამაც ასახვა ჰპოვა მისი შთაბეჭდილებების კრებულში: *A narrative of the campaign in Russia, during the year 1812, By Sir Robert Ker Porter, Baltimore, E. J. Coale, 1814; ob. აგრეთვე A narrative of the campaign in Russia, during the year*

<sup>1</sup> Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

<sup>2</sup> Архив кн. Воронцова. М., 1882, Т.23, С.91, №41.

\* გადმოცემის თანახმად ა. ს. პუშკინმა მარია რობერტის ასულს უძღვნა თავისი ლექსი: „ვსვამ მერის სადღეგრძელოს“. მარია მეგობრობდა პუშკინთან დაახლოებულ დებთან – მ. თ. და ნ. ო. სმირნოვებთან. Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

1812, By Sir Robert Ker Porter. To which is added, A narrative of the events which is added, A narrative of the events which followed Buonaparte's campaign in Russia, to the period of his dethronement, By William Dunlap, Hartford, Andrus and Starr, 1815. 1813 წელს, პორტერი სამშობლოდან რუსეთში გაემგზავრა. 1817 წელს მან დაგეგმა მოგზაურობა სანკტ-პეტერბურგიდან თეირანისაკენ. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ 1815 წელს ბრიტანეთის კონსული სპარსეთში სერ გორ უოზლი თეირანიდან ლონდონში ბრუნდებოდა, ინგლისელმა დიპლომატმა გავლით მოინახულა სანკტ-პეტერბურგი. იგი შეხვდა ა. ოლენინს – საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს და სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს. სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას ბრიტანელმა კონსულმა რობერტ კერ პორტერიც მოინახულა. კონსულმა ინგლისელ მხატვარს მეტად საინტერესო ცნობები მიაწოდა სპარსეთის შესახებ, რამაც პორტერს ირანში მოგზაურობის სურვილი კიდევ უფრო გაუმძაფრა. გარდა ამისა, მათ იმსჯელეს სპარსეთში პორტერის დიპლომატიურ სამსახურში მოწყობის შესახებ, თუმცა პორტერმა სპარსეთში დიპლომატიური თანამდებობა ვერ მიიღო. პორტერის რუსეთში მოღვაწეობის მკვლევარი ე. რენნე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პორტერს სპარსეთის მონახულების იდეა შესაძლოა გასჩენოდა 1815-1816 წლებში პეტერბურგში სპარსეთის დელეგაციის ყოფნის დროს. 1815 წელს საიმპერატორო კარზე ჩასულ სპარსულ დელეგაციას მირზა აბდულ ჰასან-ხანი ხელმძღვანელობდა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლებასთან სასაზღვრო საკითხები უნდა გაერკვია.\* ამ მოსაზრებასთან ერთად ე. რენნე აღნიშნავს: „ვინ იცის იქნებ ის (რობერტ კერ პორტერი – გ.ს) ბრიტანული მთავრობის დავალებით მოქმედებდა, მთავრობისა, რომელსაც გააჩნდა მუდმივი ინტერესი სპარსეთისა და ინდოეთის მისადგომებთან მდებარე ოლქებში არსებული ვითარების გარკვევისა.“<sup>1</sup>

ჩვენი აზრით, პორტერმა ბრიტანეთის მთავრობის საიდუმლო დავალებით იმოგზაურა სპარსეთში. თუ რა დავალება ჰქონდა, ამაზე ქვემოთ შევჩერდებით. სპარსეთის დელეგაციის ხელმძღვანელთან პორტერმა მოლაპარაკება გამართა. აბდულა ჰასან-ხანმა მისი მოგზაურობის შესახებ ირანში წერილებიც გაგზავნა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ როდესაც თავრიზში პორტერი სპარსეთის შაჰის მემკვიდრეს შეხვდა, აბას მირზა მის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული. ამასთან დაკავშირებით პორტერი წერდა: „მიმილო (აბას მირზამ – გ.ს) როგორც ძველი მეგობარი, რადგან იგი კარგად მიცნობდა მისთვის მიწოდებული მოხსენებითა და პატაკებით.“<sup>2</sup> პორტერის ექსპედიციის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი ალექსი ნიკოლოზის ძე ოლენინმა (1764-1843).<sup>3</sup>

ირანში ჩასულ პორტერს მასპინძლობას უწევდა აბდულა ჰასან-ხანი. მოგზაური წერდა: „ჩემი ძველი ნაცნობი აბდულ ჰასან-ხანი, რომელიც მისი ელჩობის დროს პეტერბურგში გავიცანი, თავაზიან მასპინძლობას მიწევდა მისი მბრძანებლის დედაქალაქში.“<sup>4</sup>

ირანში განხორციელებული მოგზაურობის ამსახველი დღიურები პორტერმა ორ ნაწილად გამოსცა. მოგზაურობის დროს მან 200-ზე მეტი ნახატი შეასრულა. მისი 87 ნახატის მიხედვით ი. კარკმა გრავიურები შექმნა, რაც პორტერის წიგნს დაერთო. სპარსეთში მოგზაურობის დროს შესრულებული ნახატების დიდი ნაწილი პორტერის გარდაცვალების შემდეგ მისმა დამ – ჯეინმა ბრიტანეთის მუზეუმს გადასცა. საისტორიო მეცნიერებისათვის განსაკუთრებით ფასეულია ის ნამუშევრები, რომლებზეც აღბეჭდილია უძველესი ძეგლები და არქეოლოგიური ნაშთები. დაგეგმილი ერთი წლის ნაცვლად, სპარსეთში პორტერმა სამი წელი დაჰყო. თეირანში, 1819 წელს, პორტერს აუდიენცია ჰქონდა ირანის შაჰთან – ფათალისთან. ინგლისელმა მხატვარმა შაჰის პორტრეტი შეასრულა და ირანის ხელისუფლისგან ჯილდოდ ლომისა და მზის ორდენი მიიღო.\* რა იყო ბრიტანელი მოგზაურის, მხატვრის და დიპლომატის სპარსეთში მოგზაურის ნამდვილი მიზანი? ერთი შეხედვით უძველესი ცივილიზაციის და კულტურის მქონე ქვეყანაში მოგზაურობით მხატვრის დაინტერესებაში უჩვეულო არაფერია, თუმცა, როგორც მისი ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა,\*\* იგი სპარსეთში ბრიტანეთის მთავრობის საიდუმლო დავალებას ასრულებდა.

<sup>1</sup> Ренне Е., Художник сэра Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

<sup>2</sup> Ренне Е., Художник сэра Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

<sup>3</sup> Васильева Н.Е., Роль А.Н. Оленина в определении научной цели экспедиции Р. Кер Портера в Иран.// Центральная Азия от Ахеменидов до Тимуридов: археология, история, этнология, культура. СПб., 2005, с.с 400.

<sup>4</sup> Ренне Е., Художник сэра Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

\* აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ თავრიზში ბრიტანელი მოგზაური ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II ვაჟს, ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა, რომლის შესახებაც მან თავის თხზულებაში გარკვეული ჩანაწერი გააკეთა, იხ. სოსიაშვილი გ., რობერტ კერ პორტერის ცნობები ალექსანდრე ბატონიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, კრებ. ქუთაისური საუბრები, ქუთაისი, 2013, გვ. 45.

\*\* აღნიშნულ წერილს, 1994 წელს, ოქსფორდში - ბოდლეანის ბიბლიოთეკაში მიაკვლიეს. წერილის ადრესატი უცნობია, თუმცა შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ინგლისის უმაღლესი პოლიტიკური წრის ერთ-ერთი

XVIII საუკუნის ბოლოს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ საერთაშორისო პოლიტიკაში. აღნიშნულ რეგიონში ევროპის სახელმწიფოები თავიანთი გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ და მათ, ცხადია, აღმოსავლურ პოლიტიკაში დასაყრდენი ესაჭიროებოდათ. ამ მხრივ, ირანს განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ის ინდოეთს, ასევე შუა აზიის და კავკასიის ქვეყნებს ემეზობლებოდა და ამიტომაც ევროპული სახელმწიფოების, კერძოდ, ინგლისის ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს განსაკუთრებით რუსეთ-ირანის დაპირისპირების შემდეგ გახდა თვალში საცემი.\* სწორედ ეს პერიოდი შეარჩია რობერტ კერ პორტერმა სპარსეთში სამოგზაუროდ. მხატვრის და მოგზაურის სახით შენიღბულ დიპლომატს ინგლისის უმაღლესი პოლიტიკური წრეებისათვის ირანში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ საიდუმლო ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა და დიდი ბრიტანეთის მესვეურთათვის შემდგომი მოქმედებებისათვის გარკვეული რეკომენდაციებიც მიეცა. პორტერის საიდუმლო მისიის შესახებ ძალზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მხატვრის მიერ უცნობი ადრესატისადმი გაგზავნილი ზემოთ ნახსენები წერილი. წერილში პორტერი საუბრობს ირანში და, ზოგადად, აზიის ქვეყნებში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მისი გადმოცემით რუსეთის გააქტიურება კასპიისპირეთში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ბრიტანეთის ინტერესებს. ინგლისის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებს პორტერი გადამწყვეტი მოქმედებისკენ მოუწოდებდა: „იმის გამო რომ მე გარკვეულწილად გამაჩნია არაჩვეულებრივი კავშირ-ურთიერთობები მეზობელ, დიდ ჩრდილო იმპერიასთან, მეძლეოდა განსაკუთრებული უპირატესობა მრავალი დიპლომატიური აგენტის წინაშე. ამ უპირატესობის წყალობით, მომეცა შესაძლებლობა მსოფლიოს ამ ნაწილში რუსეთის იმპერიის შეხედულებების შესახებ სათანადო ინფორმაციის მოპოვებისა. ზუსტად ეს ვითარება მაიძულებს გითხრათ შემდეგი: ჩემი შეტყობინება უნდა განიხილებოდეს, როგორც უმკაცრესი საიდუმლო, თუნდაც იმ წყაროების პატივსაცემად, საიდანაც ის მომდინარეობს. მოკლედ რომ ვთქვათ, სპარსეთში ჩემი ყოფნისას მე ყოველდღიურად, თუ უფრო ხშირად არა, ვიყავი მოწმე იმისა, თუ როგორი გავლენით სარგებლობს რუსეთი სპარსეთის სახელმწიფოზე, თუ როგორ არის ის გაბატონებული აქ, მის საზღვრებზე. უეჭველია, რომ ამჟამად ამ მდგომარეობით სარგებლობა, რუსეთს დაუყოვნებლივ აძლევს ყველა წინააღმდეგობის იოლად გადალახვის შესაძლებლობას და მას შეუძლია მცირე სისხლის, ან საერთოდ სისხლის დაღვრის გარეშე გახდეს სპარსეთის მდიდარი, ჩრდილო პროვინციების ბატონ-პატრონი. ერთი ესეთი მიზეზი (რომლისთვისაც თუ ეს აუცილებელი იქნება საბაზი ყოველთვის მოინახება) და დასრულდება ჩვენი გავლენა სპარსეთში... მაგრამ როდესაც ჩვენ განვიხილავთ არსებით მდგომარეობას სპარსეთში და მის საზღვრებზე სიტუაციის განმკარგულებელი დიდი იმპერიის ბუნებრივ ზრახვებს, წარმოუდგენლად არ მიგვაჩნია, რომ შეიძლება სულ მალე ყოფილი მძლავრი ქვეყანა ამჟამინდელის (რუსეთის - გ. ს) სრულ განკარგულებაში აღმოჩნდეს. მაშინ (ეს ჩემი პირადი აზრია) შეიძლება იყოს და ალბათ ასე იქნება კიდევ ჩვენი აღმოსავლური იმპერიის შერყევის მცდელობა. ამჟამინდელი შაჰის სიკვდილის შემთხვევაში ქართულ არმიას სავესებით შესწევს უნარი სპარსეთის ტახტზე აიყვანოს ნებისმიერი ის, ვისზეც ზემოდან (რუსეთის საიმპერატორო კარზე საუბარი - გ. ს) მიუთითებენ.“<sup>1</sup>

პორტერი ძალზე საინტერესო ანალიზს აკეთებდა რუსეთის მიერ აზიურ სახელმწიფოებში განხორციელებული პოლიტიკის შესახებ. ბრიტანელი დიპლომატის ინფორმაციით კავკასიის ქვეყნებს, კერძოდ, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ პორტერი დამაჯერებლად აყალიბებს თავის შეხედულებებს, იგი გარკვეული სიფრთხილით წერს: „მე არ ვიღებ ჩემს თავზე სპარსეთში ჩვენი ოფიციალური წრეების წარმომადგენლების უფლებების დაჩემებას, მე ვხელმძღვანელობ მხოლოდ ჩემი პირადი დაკვირვებებით, რომელთა მიხედვით კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა შემდეგს – მიუხედავად იმისა, რომ შაჰს და მის შვილს არ გააჩნიათ უშუალო კავშირი ინგლისის ინტერესებთან, ჩვენმა სახელმწიფომ ამჟამად არ უნდა უფულებელყოს შაჰი და მისი შვილი, როგორც პოლიტიკური ძალა, არ უნდა დაკარგოს ისინი პოლიტიკური ხედვის არეალიდან, რამეთუ არიან სხვები, ვინც დაინტერესებულნი არიან საწინააღმდეგო პოლიტიკის განხორციელებაში.“<sup>2</sup>

წარმომადგენლის სახელზეა დაწერილი. Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>; Notes by Sir Robert Ker Porter. Bodlean Library. Modern papers Library, Ms. Eng. Hist. C. 409. P. 32-34.

\* ეს დაპირისპირება რუსეთ-ირანის 1804-13 და 1826-28 წწ. ომებში გადაიზარდა ცნობილია ის ფაქტიც, რომ 1829 წელს თეირანში რუსეთის დიპლომატიური მისიაც დაარბიეს, რასაც ა. ს. გრიბოედოვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

<sup>1</sup> Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

<sup>2</sup> იქვე.

წერილის შინაარსის გარდა, პორტერის საიდუმლო აგენტობას ადასტურებს მხატვრის მიერ სამშობლოში გაგზავნილი ტექსტის ბოლო წინადადება, იგი თხოვნით მიმართავს ადრესატს, რათა მან არ გაამხილოს წერილის ავტორის ვინაობა: „თუ ეს ინფორმაცია იქნება თქვენთვის სასარგებლო, მე კვლავ და კვლავ გაფიცვით – თქვენს გულის სიღრმეში შეინახოთ ჩემი, როგორც თქვენი ინფორმატორის ვინაობა“.<sup>1</sup>

პეტერბურგში დაბრუნებულმა პორტერმა იმპერატორ ალექსანდრე I საჩუქრად გადასცა აღმოსავლეთში შეგროვილი რამდენიმე ნივთი, ასევე თავისი წიგნის ფრანგულენოვანი გამოცემა. საჯარო ბიბლიოთეკას მოგზაურმა ალბომი უსახსოვრა, სადაც ძველი სპარსული ძეგლების ჩანახატები იყო. როგორც აღვნიშნეთ პორტერის ექსპედიციამ ოლენინისაგან ძალზე მაღალი შეფასება მიიღო. პორტერი იმდენად შენიღბულად მოქმედებდა, რომ ალექსანდრე პირველს მის საქმიანობაში არანაირი ეჭვი არ შეუტანია. რუსეთის ხელისუფალმა ბრიტანელ მხატვარს 2. 5 ათასი მანეთის ღირებულების ოქროს ბეჭედი აჩუქა, რომელზეც მისი ინიციალები იყო ამოტვიფრული.<sup>2</sup>

პორტერი ერთხანს ბრიტანეთში გაემგზავრა და მოკლენიანი ვიზიტის შემდეგ კვლავ რუსეთში დაბრუნდა. თუმცა, აქაც მცირე ხანი დაჰყო. 1825 წელს მხატვარი ვენესუელაში დიდი ბრიტანეთის კონსულად დაინიშნა. სამხრეთ ამერიკაში იგი ოჯახის გარეშე წავიდა.<sup>3</sup> ლედი პორტერმა მეუღლესთან ერთად წასვლა ვერ მოახერხა, იგი შვილის აღზრდით იყო დაკავებული. ვენესუელადან პორტერი თავის ოჯახის წევრებს წერილებს უგზავნიდა და რუსეთში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა.<sup>4</sup>

ლედი პორტერის სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ჩასვლას მისმა ავადმყოფობამაც შეუშალა ხელი. იგი მუცლის ტიფით იყო დაავადებული, რაც 1826 წლის 27 სექტემბერს მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა. პორტერის შვილის აღზრდა მისმა ნათესავებმა და მეგობრებმა იტვირთეს.

პორტერი დიდ ბრიტანეთში 1841 წელს დაბრუნდა. მხატვრის ქალიშვილი რუსეთის დედაქალაქში ცხოვრობდა. იგი 1837 წელს გათხოვდა პიერ დე კიკინზე, რომელიც საიმპერატორო გვარდიის კაპიტანი იყო. ძმასთან – დოქტორ უილიამ ოგილვიე პორტერთან, ბრისტოლში მცირეხანიანი ვიზიტის შემდეგ, რობერტ პორტერი დასთან – ჯეინთან ერთად სანკტ-პეტერბურგში თავისი ქალიშვილის და სიძის მოსანახულებლად გაემგზავრა. აქ მათ გარკვეული პერიოდი დაჰყვეს. 1842 წლის 3 მაისს, მან თავის ძმას სანკტ-პეტერბურგიდან წერილი გაუგზავნა. წერილის მიხედვით მხატვარი ინგლისში გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ ნიკოლოზ I გამოსამშვიდობებელი საღამოს შემდეგ, ეტლში მან გონება დაკარგა და მეორე დღეს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. რობერტ კერ პორტერი დაკრძალულია სანკტ-პეტერბურგში, უცხოელებისთვის განკუთვნილ სასაფლაოზე. მის სამშობლოში, ბრისტოლის მონასტერში პორტერების ოჯახის უკვდავსაყოფად განთავსებულია მარმარილოს დაფა, სადაც მხატვრისა და მოგზაურის სახელიც არის ამოტვიფრული. როგორც აღვნიშნეთ, რობერტ პორტერმა 1817–1820 წ.წ. კავკასიაზე გავლით აზიის ქვეყნებში იმოგზაურა.<sup>5</sup> პორტერმა ექსპედიციაში სამი წელი დაჰყო და მოგზაურობისას გაკეთებული ჩანაწერები ორ წიგნად გამოსცა.<sup>6</sup> ეს არის მოგზაურის და მხატვრის უზარმაზარი ნაშრომი, რომელშიც დაცულია ძალზე საინტერესო ინფორმაცია აზიის უძველესი ქვეყნების, აქ მცხოვრები ხალხების ისტორიული და თანამედროვე ყოფის შესახებ. მოგზაური დაწვრილებით გადმოგვცემს კავკასიასა და აზიაში მცხოვრები მოსახლეობის ისტორიას, მათ წეს-ჩვეულებებს. ჩანაწერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ავტორი აღწერილი მოვლენების და ფაქტების თვითმხილველია. პორტერი ეყრდნობა მისი წინამორბედი მოგზაურების, ასევე თანამედროვე და წინა საუკუნეების ცნობილი ისტორიკოსების და გეოგრაფების თხზულებებს, ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს. რობერტ კერ პორტერმა ირანში საქართველოზე გავლით იმოგზაურა.<sup>7</sup> ინგლისელი მხატვრის ცნობები საქართველოს შესახებ თხზულების პირველ ტომშია. ბრიტანელი მოგზაურის ნაშრომში ძალზე

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Марина М. В старом, радушном дворянском гнезде на Арбате // Русская старина, 1909, Т. CXL. С. 608.

<sup>4</sup> Ренне Е., Художник сэр Роберт Кер Портер в России, <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/6412.php>.

<sup>5</sup> R.D. Barnett, Sir Robert Ker Porter - Regency artist and traveller, *Iran-2* (1972), pp. 19-24, plates 1-12; N. E. Vasileva, About the history of Sir Robert Ker Porter's album with his sketches of Achaemenid and Sassanian monuments, *Archaeologische Mitteilungen* 4(1994), pp. 339-48, plates 104-11.

<sup>6</sup> TRAVELS GEORGIA, PERSIA, ARMENIA, ANCIENT BABYLONIE, During the 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker porter, Vol. I, London, 1821; TRAVELS GEORGIA, PERSIA, ARMENIA, ANCIENT BABYLONIE, During the 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker porter, Vol. II, London, 1822;

<sup>7</sup> გ. სოსიაშვილი, დიპლომატი, მხატვარი და მოგზაური რობერტ კერ პორტერი საქართველოში, ქართული დიპლომატია, „წელიწდეული“, №17, 2015, გვ. 346-364.

საინტერესო ცნობებია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. კავკასიაში ჩამოსული მოგზაური რუსეთის ევროპული და აზიური ნაწილის საზღვრად მდ. თერგს მიიჩნევდა: „მდინარე თერგი რუსეთის ევროპულ ნაწილს ჰყოფს აზიური ნაწილისგან. ეს მდინარე კავკასიონის მთებიდან მოედინება. მისი სათავე კობის ახლოსაა.“<sup>1</sup> პორტერის მიერ რუსეთის აზიური ნაწილის ხსენება შემთხვევითი არ არის. XIX საუკუნეში საქართველოში ნამყოფი სხვა მოგზაურებიც იყენებენ ტერმინს „აზიური რუსეთი“. ამ მხრივ, შეგვიძლია დავასახელოთ ავსტრიელი მოგზაური ქალბატონი იდა პფაიფერი. იგი კავკასიაში არსებულ ქვეყნებს (სომხეთი, საქართველო) აზიურ რუსეთში მოიაზრებს.<sup>2</sup> მოგზაურის ცნობით, თერგის ხეობა ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენდა, სწორედ ამ ჭიშკრით ურთიერთობდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან: „ველი, რომელზეც თერგი მიედინება ძველად ცნობილი იყო „პორტა კაუკაზია“-ს სახელით, რადგან ის დიდ ჭიშკარს წარმოადგენდა მთაში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთობებისთვის. ეკატერინე II იყო პირველი ევროპელი მმართველი, რომლის ჯარმა ჩრდილოეთიდან შეძლო იქ შეღწევა. რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით სწორედ აქედან შევიდა საქართველოში და დააგო გზა, რომელმაც შემდეგ განსაზღვრა ეკატერინე დედოფლის სურვილი ამ ადგილიდან გაეყვანა გზა თბილისამდე. პროექტი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანი იყო თავისი სამომავლო შედეგით, ვერ განხორციელდა. დედოფლის ეს ჩანაფიქრი დაასრულა მისმა შვილიშვილმა, მისმა ეხლანდელმა უბრწყინვალებამ. მან გააგზავნა გენერალი ციციანოვი 1804 წელს, რათა წამოწყებული საქმე დასრულებულიყო. გზის გაყვანაზე მომუშავე მუშების დაუღალავი და ყურადღებიანი, გულმოდგინე შრომის წყალობით, გზის გაყვანა დასრულდა. ეს გზა ერთ-ერთ საოცრებად მიმაჩნია. ყველა მეგზური, რომელმაც ამ უსაფრთხო გზით იმოგზაურა ამ გზის დამგები ხალხის მადლიერი უნდა იყოს.“<sup>3</sup> რობერტ პორტერი საქართველოში დარიალის ხეობით შემოვიდა და მცირე ხნით ყაზბეგში შეყოვნდა. მისი გადმოცემით ადგილობრივ წარჩინებულს რუსეთის ჯარში ერთგული სამსახურისთვის გენერალ-მაიორის წოდება ჰქონდა მიღებული. მას გვარიც კი რუსებისათვის ერთგულების დამტკიცების მიზნით შეუცვლია. „აქ მაცხოვრებელ ხალხში მიღებული არ იყო გვარების ქონა. ამიტომ გარდაცვლილმა, რათა შეწყობოდა თავის ახალ პატრონებს რუსებს, აიღო გვარი ყაზბეგი, იმ უძველესი მთის სახელი, რომლის ჩრდილშიც ის და მისი წინაპრები დაიბადნენ და ცხოვრობდნენ. სოფელმაც ამ პიროვნებისგან მიიღო ეს სახელწოდება - ყაზბეგი.“<sup>4</sup> ჩრდილოეთ კავკასიის საქართველოსთან დამაკავშირებელი გზების კეთილმოწყობას პორტერი რუსების დამსახურებად მიიჩნევს. მისი გადმოცემით, რუსებმა სამომავლო გზები მოაწესრიგეს და სამხედრო სადგურებიც ააშენეს. „რუსებმა დააგეს გზები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა ეტლებით და ცხენებით მოძრაობა. მათ აგრეთვე ააშენეს სამხედრო სადგურები, რომლებიც განლაგებულნი არიან მოსახერხებელ ადგილებსა და მანძილზე. ფოსტის შენობები და კარგად შეიარაღებული ესკორტებიც მათი დამსახურებაა. ეტლებზე გადასატანი ტვირთისთვის რუსებმა დააწესეს გადასახადი, რომელიც ვლადიკავკაზში იკრიფება (ვლადიკავკაზი ითარგმნება, როგორც კავკასიის გასაღები). ვაჭრებიც იხდიან გარკვეულ თანხას – 20 დან 25 რუბლამდე. ამ თანხაში შედის პირადი პასპორტის თანხაც, სხვა მოგზაურები უფასოდ მგზავრობენ, ისევე როგორც მე.“<sup>5</sup> რუსული ხელისუფლება გზების მოწესრიგებასთან ერთად მძარცველი მთიელებისაგან

<sup>1</sup> გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2015, გვ. 39.

<sup>2</sup> იხ. იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 21; გ. სოსიაშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XIX საუკუნის I ნახევარში ავსტრიელი მოგზაურის იდა პფაიფერის ცნობების მიხედვით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, კონფერენციის მასალები, 2015, გვ. 672.

<sup>3</sup> გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე, გვ. 42.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 49.

\* გარდაცვლილ ყაზბეგში მოგზაური უნდა გულისხმობდეს გაბრიელ ყაზბეგს. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნეში გაბრიელის მამა ყაზიბეგი სტეფანწმინდის მოურავი იყო, გაბრიელმა თავისი მამის სახელი გვარად დაამტკიცა და სწორედ სწორედ აქედან იწყება ყაზბეგთა საგვარეულო. გაბრიელ ყაზბეგი ძალზე იყო დაახლოებული ერეკლე II-სთან. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაბრიელი რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩადა. გაწეული ღვაწლისათვის მას გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება ჰქონდა ბოძებული. გაბრიელის შვილებიდან ცნობილი არიან მიხეილი(ალექსანდრე ყაზბეგის მამა) და ნიკოლოზი (მამა გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგისა). იხ. გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 183-184.

<sup>5</sup> გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52; გენერალ ერმოლოვს, იმ მიზეზით, რომ საქართველოს სამხედრო გზა ზამთრის პერიოდში ზვავებით ხშირად იხერგებოდა, ალტერნატიული გზის გაყვანა სურდა თბილისიდან გორის, ცხინვალის და ონის გავლით კავკასიონის თხემზე. მაგრამ ამ იდეის განხორციელებას ჩეჩნეთის

თავდაცვის მიზნით სამხედრო სადგურებს აგებდა. გზის იმ მონაკვეთზე, საიდანაც რობერტ კერ პორტერი მოძრაობდა, ყაჩაღობით გამოირჩეოდნენ ოსები. ისინი მიმავალ მგზავრებს უსაფრთხოებოდნენ და ძარცვავდნენ.<sup>1</sup> რობერტ კერ პორტერი თავის თხზულებაში საუბრობს იმდროინდელი საქართველოს ჩამორჩენის და პოლიტიკური დაქსაქსულობის მიზეზებზე. მისი აზრით ქვეყანა მძიმე მდგომარეობამდე არამარტო გამუდმებულმა შემოსევებმა, არამედ გაუთავებელმა შიდა არეულობამ და შფოთმა მიიყვანა. „ოდესღაც დამოუკიდებელი, განვითარებული სამეფო დღეს ჩამოქვეითებული და დამცირებული პროვინციაა. გამუდმებულმა ომებმა და მტრული მეზობელი ქვეყნების მრავალგზის შემოსევებმა შეამცირა ამ პატარა სამეფოს გულადი მოსახლეობის რაოდენობა. ოდესღაც აყვავებული ქვეყანა დღეს დამონებული და დაჩაგრულია. უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი მომაკვდინებელი დარტყმა ქვეყანას მიაყენეს იმათ, ვინც ამბიციით იყო აღსავსე. სხვა ქვეყნების მსგავსად, რომლებმაც იგივე ეროვნული თვითმკვლელობა ჩაიდინეს, იბერიელებსაც მოუხდათ ყოველგვარი სურვილის გარეშე ამ მდგომარეობაში ყოფნა. ლეკებს თვითონ ასწავლეს თავისი ქვეყნის გასასვლელი. ქვეყანაში არსებული არეულობების დროს იბერიის მმართველი პირების შუღლმა ხელი შეუწყო მეომარ ბარბაროსებს, მოეწყოთ ბრძოლები. ამ პროვინციის დღევანდელი მესაკუთრეების აზრით აქ მაცხოვრებელ ხალხს წლები დასჭირდება პოლიტიკური ცხოვრებისა და სოციალური ყოფის ახლებურად მოწყობის თვალსაზრისით.“<sup>2</sup> საქართველოს სამხედრო გზაზე მომავალი რობერტ კერ პორტერი მცირე ხანს დუშეთში გაჩერდა. აქ მას საქართველოს მეფის ძველი სასახლე უნახავს, სადაც რუსული ხელისუფლების გადაწყვეტილებით სამხედრო შტაბი უნდა გახსნილიყო. „როგორც მითხრეს ამ ყოფილი სასახლის სამხედრო შტაბად გადაქცევა განზრახული, ეზო კი ბარაკებისა და საჯინბოებისთვის გამოიყენება, რადგან საქართველოს ამ მნიშვნელოვან ადგილზე ახალი ბატალიონი ჩამოდის.“<sup>3</sup> მოგზაურის ცნობიდან ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა „ერთმორწმუნე“ რუსეთს მეზობელი, სახელმწიფოებრიობაგაუქმებული ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მიმართ. სამხედრო შტაბის ხსენება მოგზაურის მიერ შემთხვევითი არ არის. კავკასიაში მოქმედი პოლკების შტაბბინების გახსნა მთავარმართველ ერმოლოვის იდეა იყო. კავკასიის უმაღლესი ხელისუფლის ინიციატივით, შტაბები სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში უნდა განლაგებულიყო, რომლებიც საიმედო სიმაგრეებით იქნებოდა დაცული. შტაბების დაცვა სპეციალურ სამხედრო ნაწილებს ევალებოდათ.\* მცხეთიდან რობერტ კერ პორტერმა გზა თბილისისაკენ გააგრძელა, ქალაქის შესასვლელთან ეპიდემიების თავიდან აცილების მიზნით რუსულ ხელისუფლებას სპეციალური საკონტროლო პუნქტი ჰქონდა მოწყობილი. მოგზაურმა და მისმა მხლებლებმა კარანტინი გაიარეს, ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარადგინეს და მათ მხოლოდ ამის შემდეგ დართეს ნება, რომ ქალაქში შესულიყვნენ.<sup>4</sup> ეპიდემიების პრევენციის მიზნით ხელისუფლების მიერ სპეციალური კონტროლის დაწესებას პორტერის გარდა სხვა მოგზაურებიც ადასტურებენ. ავსტრიელი მოგზაურის იდა ფვაიფერის ცნობით რუსეთის „საზღვარზე“ გადასვლის დროს, იმ შემთხვევაში, თუ ქოლერა, ან შავი ჭირი იყო

აჯანყებამ შეუშალა ხელი. იხ. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 236.

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 157-158.

<sup>2</sup> გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 64.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 63.

\* ჯონ ფ. ბედლი რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა, თბ., 2012, გვ. 163. აღსანიშნავია, რომ ერმოლოვმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამხედრო კოლონიების შექმნას. მისი ინიციატივით რუსეთის ხელისუფლება ჯარისკაცებს მეუღლეებთან ერთად გზავნიდა. ამას ადასტურებს გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი: „საქართველოს მთავარმართველმა ერმოლოვმა, უკვე რამდენიმე წელია წარუდგინა ქალაქი უმაღლეს ინსტანციებს სტ. პეტერბურგში და სცადა გამოეთხოვა ბრძანება, რომ ამიერიდან მხოლოდ დაოჯახებული რეკრუტები გამოეგზავნათ აქეთ, რათა ისინი „ცოლებს შეეკავებინათ გაქცევისაგან“ ამ ღონისძიებამ გასჭრა; გადამრბენთა რიცხვი შესამჩნევად შემცირდა და, ალბათ, თანდათან მთლიანად შეწყდება, თუკი ყოველ პოლკს ქალების საკმაო რაოდენობა ეყოლება“. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 151. ერმოლოვის მმართველობის დროს სამხედრო კოლონიების შექმნას ადასტურებს ასევე XIX საუკუნის I მეოთხედში საქართველოში ნამყოფი ფრანგი დიპლომატი ჟაკ ფრანსუა გამბაე: „ერმოლოვმა დაიყოლია რუსეთის მთავრობა და ამიერკავკასიის პროვინციებში განლაგებულ ჯარში ახლახანს გაიგზავნა კიდევ დაოჯახებულ ჯარისკაცთა ცოლები, ამ გზით რუსეთის მთავრობამ ასე ვთქვათ მუდმივი კოლონიები შექმნა, რომელთა მკვიდრნი ადვილად ეგუებიან სამსახურის ადგილებს, რაკი იზოლირებულნი აღარ არიან და ერთგული მზრუნველებიც ჰყავთ“. ჟაკ ფრანსუა გამბაე, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I თბ., 1987.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 63.

გავრცელებული კარანტინს აწესებდნენ.<sup>1</sup> გერმანელი მოგზაურის ედუარდ აიხვალდის ინფორმაციით, საქართველოს ორი მხრიდან ემუქრებოდა შავი ჭირის გავრცელების სამიშროება, კავკასიონის მხრიდან და აზიის მხრიდან. აიხვალდის ცნობით, მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში ქვეყანაში რამდენიმე ადგილზე იყო შექმნილი კარანტინი, მათ შორის: ანანურთან, ბაღდადთან, სურამში, ასევე ქარელთან ახლოს. თბილისის შემოგარენში სამი კარანტინი ყოფილა.<sup>2</sup> თბილისში ჩამოსულმა პორტერმა ჯერ ადგილობრივ სომეხს, ვინმე არატუნს (სახელი შესაძლებელია დამახინჯებით უწერია, სავარაუდოდ უნდა იყოს არუთინი – გ.ს) მიაკითხა. მან მასპინძლისგან გაიგო, რომ მთავარმართებელი ერმოლოვი თავისი დიპლომატიური მისიიდან გამომდინარე სპარსეთიდან თბილისში დაბრუნდა.\* როგორც პორტერი წერს, იგი მთავარმართებელს მეორე დღეს შეხვდა და წერილები გადასცა.<sup>3</sup> იგი ამ წერილების შესახებ დაწვრილებით არ საუბრობს. სავარაუდოდ მას საიმპერატორო კარისაგან გამოტანებული წერილები უნდა გადაეცა. რაკი ამ წერილების შესახებ იგი არ მოგვითხრობს, არ არის გამორიცხული, რომ ერმოლოვს მან საიდუმლო წერილები გადასცა. ბრიტანელ მოგზაურს რუსეთის ხელისუფლების წინაშე დიდი ნდობა ჰქონდა მოპოვებული და აღნიშნული წერილები მას სწორედ ამ ნდობიდან გამომდინარე გაატანეს. პორტერმა ახლოს გაიცნო კავკასიის მთავარმართებელი. ერმოლოვს ბრიტანელ მხატვარზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია. რუსი მოხელის შესახებ მოგზაური წერს: „ადამიანმა შეიძლება განიცადოს ეს მაშინ, როდესაც ის შორსაა მისი ნამდვილი მეგობრებისგან, როდესაც დახმარების ხელს გიწვდიან არა ფორმალურად, ცივად, არამედ ღია გულით, როგორც გვხვდებიან არა როგორც უცხო ადამიანს, არამედ როგორც თანამემამულესა და ამხანაგს. ასეთი იყო გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც ჩვენ ახლახანს დავემშვიდობეთ. თავისი ლიბერალური შეხედულებების წყალობით, მასზე უკეთესად ვერავინ შეძლებდა უცხო გარემოში ადაპტირებასა და იმ მაღალი თანამდებობის დაკავებას, რომელიც მას უკავია ქვეყანაში. გენერალ-გუბერნატორის თავაზიანობა და სულგრძელობა მას საიმედოდ იცავენ. ყველა ეროვნების წარმომადგენელი, რომლის მიმართაც ის გულისხმიერებას იჩენს, გამსჭვალულია მისადმი მაღლიერებით და ნდობით. მას გააჩნია იმის უნარი და ნიჭი, რომ მოიგოს ხალხის გულები. უხეში, ძუნწი და უმაღური ადამიანი, რომელიც დიდი იმპერიის წარმომადგენელი იქნება საზღვარგარეთ, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მტრად იქნება მიჩნეული. ასეთი მანკიერი თვისებების მქონე ადამიანი შეაფერხებს იმ მიზნების განხორციელებას, რისთვისაც ის გამოაგზავნეს. ასეთი ადამიანი სრულიად განსხვავებულია იმ მინისტრისგან, რომლის უპირველესი მიზანი უნდა იყოს ხალხის სამსახური და იმ ქვეყნის გავლენის და ავტორიტეტის გაძლიერება, რომელმაც ის სამუშაოდ მოავლინა. გენერალ-გუბერნატორი ერმოლოვი ამ მხრივ, სწორედ ისეთი ადამიანია, როგორც უნდა იყოს უცხო ქვეყნის წარმომადგენელი. მას ანდეს კავკასიის მართვა, რადგან მას კარგად ესმის ხალხის, კარგად იცის მათი ხასიათი და სრულიად საწინააღმდეგო ადათ-წესები, რომლებიც მათ შექმნილი აქვთ საუკუნეების განმავლობაში. გენერალი ერმოლოვი ღმობიერებითა და გულკეთილობით ახერხებს თავისი მიზნების განხორციელებას. მან შეძლო ამაყი, პირქუში, შეუდრეკელი და მტკიცე ხასიათის მქონე ქართველების შეხედულებების შეცვლა. ისინი უფრო შეგნებულები გახდნენ, მიხვდნენ რა ახალი კანონების უპირატესობას, რომლებითაც ისინი უცხო ხელის მეშვეობით, სარგებლობენ. სავსებით ბუნებრივია, რომ საღი გონების მქონე ადამიანები არ უნდა ეჭიდებოდნენ ძველ ასოციაციებს, ისინი უნდა გამოეთხოვონ წარსულში არსებულ ისეთ დაუვიწყარ

<sup>1</sup> იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, გვ. 23.

<sup>2</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 91.

\* როგორც ცნობილია, ერმოლოვი ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობას აწარმოებდა. იგი წერდა: „მიმაჩნია, რომ ჩემი ვალია ვიზრუნო საკუთარი ხელმწიფისა და რუსეთის ღირსების დასაცავად. თუ შაჰი ცუდად მიმიღებს, ან მოლაპარაკებების მიმდინარეობისას დავინახავ, რომ მას იმ მშვიდობის დარღვევა სურს, რომელიც დღეს სუფევს, მე თვითონ გამოვუცხადებ ომს და ეს ომი არ დამთავრდება მანამ, სანამ ჩვენი საზღვარი არასზე არ გაივლის.“ ჯონ ფ. ბედლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 140; Акты, Т. VI, стр. 179. საბოლოოდ, ერმოლოვმა ირანის შაჰის-ფეთ-ალის კეთილგანწყობა დაიმსახურა და სამხრეთ კავკასიაში დაპრობილ ტერიტორიებზე კონტროლი შეინარჩუნა, თუმცა ერმოლოვს ურთიერთობა დაემბა შაჰის მემკვიდრესთან-აბას-მირზასთან, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ბატონიშვილის ალექსანდრეს ერეკლეს მის მოკავშირე იყო. ე. ორჯონიკიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 1997, გვ. 76. საბოლოოდ აბას მირზამაც დათმო პოზიციები, 1828 წლის თურქმანჩაის ზავით რუსეთმა თავისი უპირატესობა შეინარჩუნა. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. I, თბ., 1949, გვ. 180.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 74.



ეროვნულ გრძნობებს, რომელიც მხოლოდ სახელი იყო და სხვა არაფერი“.<sup>1</sup> აქ შეუძლებელია ექვი არ შეიტანო ბრიტანელი მოგზაურის ობიექტურობაში. გენერალი ერმოლოვი, რომელიც 1816 წელს კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა განსაკუთრებული სისასტიკით იყო ცნობილი. სწორედ მას ეკუთვნის სიტყვები: “შემწყნარებლობა აზიატების თვალში სისუსტის ნიშანია, ამიტომ, ჰუმანურობიდან გამომდინარე, ჩემი სისასტიკე შეუვალია. ერთი ადამიანის სიკვდილით დასჯა ასობით რუსის სიცოცხლეს გადაარჩენს, ხოლო ათასობით მუსლიმანს ღალატის ჩადენისაგან დაიცავს.”<sup>2</sup> სწორედ ერმოლოვის მმართველობის პერიოდს უკავშირდება 1819–1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში. როგორც ცნობილია დასავლეთ საქართველოში ანტირუსული ამბოხება ერმოლოვის შტაბის უფროსმა, გენერალმა ველიამინოვმა სასტიკად ჩაახშო.<sup>3</sup> ჩვენი აზრით, ბრიტანელი აგენტის მახვილ თვალს შეუძლებელია გამორჩენოდა ერმოლოვის მიერ კავკასიაში ჩატარებული სისხლიანი ექსპედიციები, ამიტომ მთავარმართებლის პორტერისეული შეფასება მისი სამომავლო დიპლომატიით და თავისი პოლიტიკური საქმიანობის შენიღბვით იყო ნაკარნახევი. პორტერი აღწერს მთავარმართებელ ერმოლოვის საცხოვრებელს: “რუსმა გუბერნატორმა თავისი რეზიდენციის ადგილსამყოფელად აირჩია მთა, საიდანაც დიდებული კავკასიონი კარგად მოჩანს. ეს ქალაქის ცენტრიდან მოშორებული ადგილია. რეზიდენციის შეკეთება როდესაც დასრულდება, ის გამორჩეული იქნება დიდი შუშაბანდით, რომლის ფასადს ქვის ორნამენტის ფიგურები დაამშვენებენ.”<sup>4</sup> რობერტ კერ პორტერის ცნობით თბილისი ამ დროს საშინლად გამოიყურებოდა, ქალაქი ძალზე მოუვლელი იყო. ერმოლოვის ბრძანებით საქართველოს დედაქალაქში ქუჩების მოწესრიგება უკვე მიმდინარეობდა: „თბილისის ყველა ქუჩა ვიწროა, მოძველებული ტროტუარები საშინლად ჭუჭყიანია, სველ ამინდში, ისე მტვრიანი, მშრალი ამინდის დროსაც. მისმა აღმატებულებამ გუბერნატორმა ბრძანა ქუჩებში ქვების დაგება და ეს სამუშაოები უკვე დაწყებულია. მას განზრახული აქვს დანგრევის პირას მისული სახლების აღება და მათ ადგილზე თანამედროვე დაგეგმარებით ახალი შენობების აგება. გუბერნატორის სპარსეთში ყოფნის დროს დაიწყო ბაზრის გადაკეთებაც. შენობა მთლიანად გადაიხურა, ადგილი დატოვებულია მხოლოდ ჰაერისთვის და სინათლისთვის.”<sup>5</sup> რობერტ კერ პორტერი კავკასიის მთავარმართებლის – ერმოლოვის სახელს მიაწერს თბილისის გარეგნული იერ-სახის შეცვლას.\* მისი აზრით, ერმოლოვმა განახორციელა საჯარო შენობების რეკონსტრუქცია, რამაც ქალაქის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები შეიტანა. „განხორციელებული ცვლილებების შედეგად ქართული დედაქალაქი უფრო მიმზიდველი გახდა, ვიდრე ის თორმეტი წლის წინ იყო.“<sup>6</sup> თბილისის მოსახლეობა ბრიტანელი მოგზაურის ცნობით თანდათან ევროპულ წეს-ჩვეულებებზე გადადიოდა, რაც მათ ყოფა-ცხოვრებაშიც შეიმჩნეოდა. „ბოლო 20 წლის განმავლობაში თბილისის მოსახლეობის ზედა ფენამ მიატოვა ბევრი აზიური მანერა. ცვლილებების მიზეზი ევროპული ქვეყნების სამოქალაქო და სამხედრო პირებთან ურთიერთობის შედეგია. რაც შეეხება დედაქალაქის დაბალ ფენებს, ნაწილობრივი ცვლილებები იქაც შეინიშნება. სახლის პატრონები, რომლებთანაც დროდადრო რუსი ჯარისკაცები ჩერდებოდნენ, უკვე ნებას რთავდნენ ცოლებს, რომ დანახვებოდნენ უცხო სტუმრებს. როდესაც ქართველი ქალი გარეთ გადის, იგი ტრადიციულად თავიდან ფეხებამდე შეხვეულია აზიურ სამოსში, სახეზე პირბადე აქვს აფარებული, რომელსაც „ჩადრი“ ჰქვია. თუ რომელიმე ქალბატონი საკუთარი სახლის კარებთან ჩადრის გარეშე დგას, ის სასწრაფოდ სახლში შედის და იმალება, რომ თავისი სახე არ გამოაჩინოს.”<sup>7</sup>

<sup>1</sup> გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98–99.

<sup>2</sup> ჯონ ფ. ბედლი, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა, გვ. 134.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. თბ., 1973, გვ. 935–936.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 75; გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერის ცნობები თბილისის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ისტორიის სერია, # 1, 2016, გვ. 131–150.

\* XIX საუკუნის I მეოთხედში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი რუსეთის ხელისუფლებას თბილისში აღმშენებლობითი სამუშაოების დაწყებას პორტერის მსგავსად რუსულ ხელისუფლებას მიაწერს. როგორც აიხვალდი წერს „ტფილისის მოსახლეობა თანდათან გამხნვედა რუსეთის მძლავრი მფარველობით და დაიწყო დანგრეული ქალაქის ხელახლა გაშენება“ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 31. აიხვალდის ცნობით ხელისუფლებას სურდა თბილისი დიდი მნიშვნელობის სავაჭრო ქალაქად ქცეულიყო. იქვე, გვ. 46 თბილისის განვითარებას ერმოლოვის სახელს უკავშირებს აღნიშნული პერიოდის შოტლანდიელი მოგზაური რობერტ ლაიელი. *Travels in Russia, the Crimea, the Caucasus, and Georgia by Robert Lyall*, vol. I, London, 1825, p. 67; გ. გელაშვილი, რობერტ ლაიელის ცნობები თბილისის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №2 (15), 2014, გვ. 326.

<sup>6</sup> გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 94.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 79.

რობერტ კერ პორტერი რუსეთთან შეერთებამდე საქართველო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს განპირობებული იყო, ერთი მხრივ, საგარეო ფაქტორებით, ხოლო, მეორე მხრივ კი, შიდა აშლილობით. ქვეყანა მოგზაურის აზრით აღმშენებლობის გზას სწორედ რუსეთის დახმარებით დაადგა: „ქართველ თავადებს შორის არსებულმა გამუდმებულმა შუღლმა ქვეყანაში კანონისა და სამართლის არ არსებობამ, ლეკების სისტემატურმა შემოსევებმა, თურქებისა და ირანელების სისხლიანმა ომებმა საქართველოს მოსახლეობა სიზარმაცემდე, უვიცობამდე, სიღარიბემდე და სასო-წარკვეთილ მდგომარეობამდე მიიყვანა... სამწუხაროდ ასეთი იყო სიტუაცია საქართველოში დროთა თანმიმდევრული ცვალებადობის დროს. მაგრამ დაახლოებით 20 წლის წინ საქართველო გახდა რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებაში იმედის ბედნიერი ნაპერწკალი გაღვივდა. ახალი მთავრობის დროს ის თავს იმედიანად და უსაფრთხოდ გრძნობს.“<sup>1</sup> პორტერის ცნობით ქართული არისტოკრატის წარმომადგენლები რუსეთის სამსახურში ჩადგნენ. მთავარმართებელმა ერმოლოვმა არაერთ ქართველ თავადს სამხედრო წოდებები და ჩინები უბოძა: „ამჟამად საქართველო დაცულია ლეკების შემოსევისაგან, ისევე როგორც თურქებისა და ირანელების თავდასხმისგან. საქართველოს მაღალი წრის წარმომადგენლებს კვლავ მაღალი თანამდებობები უკავიათ. მისმა უდიდებულესობამ, რუსეთის გულუხვმა მონარქმა ბევრ ქართველ თავადს უბოძა საპატიო საერო და სამხედრო წოდებები, რითაც გამოხატა თავისი დიდი პატივისცემა მამაცი და სან-დო ქართველების მიმართ. მოკლედ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მიეცა ქვეყნის აღდგენისა და განვითარების საშუალება.“<sup>2</sup> როგორც ბრიტანელი მოგზაურის ცნობიდან ჩანს, ერმოლოვს საქართველოში მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკა ჰქონდა, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში. ის ქართველ დიდგვაროვანთა გადმობირებით და წახალისებით ახერხებდა დაპყრობილ ქვეყანაში სიტუაციის მართვას. რობერტ კერ პორტერი ქართველების დიდ დამსახურებად მიიჩნევს მათ მონაწილეობას რუსეთის მიერ წარმოებულ ბრძოლებში: „ქართველები რომ კვლავ გულადი ერია, გამოჩნდა ამ ბოლო 12-14 წლის მანძილზე. ამ პერიოდში ისინი რუსული დროშის ქვეშ იბრძოდნენ რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში.\* ქართველი მეთაურები ისე თავგანწირულად იბრძოდნენ, რომ სამართლიანად დაიმსახურეს გენერლის წოდებები. ქართველები ახლაც ერთგულად მსახურობენ რუსეთის ჯარში და სწორედ მათ მოაგებინეს რუსეთს მრავალი ბრძოლა. ქართველები კვლავ აგრძელებენ მამაცურად მოქცევას და ახალ ჯილდოებს იღებენ. ქართველების ახალმა მთავრობამ ადვილად მოახერხა იბერიელებისა და ალბანელების მებრძოლი სულის გაღვიძება, მეტად ადვილია სიმამაცის სულის აღძვრა იბერიელებისა და ალბანელების შთამომავალ ქართველებში, ვიდრე მათ შთააგონო ვაჭრობა, ან სოფლის მეურნეობის საქმე. დროა საჭირო ყველაფრის მისაღწევად. ქართველების მეზობლებმა სომხებმა აჩვენეს ვაჭრობის განვითარების მაგალითი, რაც მათ მიერ გაწეული დიდი ძალისხმევის შედეგია. მის აღმატებულებას გენერალ ერმოლოვს როგორც სამხედრო პირს კარგი რეპუტაცია აქვს. გარდა ამისა მისი მთავრობა კარგად ეწყობა ხალხის დამოუკიდებელ აზროვნებას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მიწას იყო მიჯაჭვული.“<sup>3</sup> რუსეთთან შეერთებამ, როგორც პორტერ აღნიშნავს ქვეყანას სიმშვიდე მოუტანა და ქართველ ხალხს მომავალი კეთილდღეობის პერსპექტივა შეუქმნა: „ქართველები სანამ შეუერთდებოდნენ რუსეთს, საუკუნეების მანძილზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელის შენარჩუნების მიზნით, ბევრ ტანჯვას უძლებდნენ დამპყრობლების მხრიდან. იმ დროს ქვეყანა იტან-ჯებოდა ადგილობრივი მეფეების უძლური, უსუსური მმართველობითა და გამუდმებული, საშინელი, დამანგრეველი თავდასხმებისგან, რომელსაც დაუცველი ქვეყანა განიცდიდა მუსულმანური სახელმწიფოებისა და კავკასიის მთიელი ხალხის ბარბაროსული შემოსევებისგან. გახდა რა საქართველო რუსეთის ნაწილი, ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ კარი ჩაიკეტა და გამუდმებული რისკის ქვეშ მცხოვრებმა ხალხმა მალე გააცნობიერა კეთილდღეობით და მშვიდობიანად ცხოვრების უპირატესობა დიდი იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის სახელით, ვიდრე ამაო დიდების მქონე სამეფოში ყოფნა, როდესაც ძველი სიდიადის, ტახტზე მჯდომი მეფეების სახით, მხოლოდ აჩრდილი არსებობდა და არა პიროვნება.“<sup>4</sup> რობერტ კერ პორტერი მთავარმართებელმა ერმოლოვმა წვეულებაზე

<sup>1</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 86–87.

\* მოხსენიებულ ომებს პორტერი არ აკონკრეტებს, თუმცა ხაზს უსვამს ქართველების მონაწილეობას რუსეთის მხარეზე. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის საიმპერატორო კარის სამსახურში არაერთი ქართველი იდგა. 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში 72 ქართველი მონაწილეობდა, მათ შორის ცნობილი გენერლები: პეტრე და რომან ბაგრატიონები, ლევან და ვლადიმერ იაშვილები და სხვ. იხ. Н. Джавахишвили, Грузины под российским флагом, Тб., 2003, стр. 10.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 99.

დაპატიჟა, როგორც ბრიტანელი მოგზაური აღნიშნავს ერმოლოვის გასართობ წვეულებაზე ქართველებთან ერთად მაღალი წრის წარმომადგენელი სხვა კავკასიელებიც ესწრებოდნენ: „ერთ საღამოს მისმა ადმატებულებამ, მმართველმა გენერალმა მიმიწვია გასართობ წვეულებაზე, რომელზეც მე შესაძლებლობა მომეცა მენახა და გამეცნო არა მარტო ადგილობრივი ქართული მაღალი წრის წარმომადგენელი მამაკაცები და ქალბატონები, არამედ სხვა კავკასიელებიც“.<sup>1</sup> ამ ცნობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავისი სისასტიკით ცნობილი ერმოლოვი ამ ტაქტიკით არისტოკრატიულ წრეებში პოპულარობის მოპოვებას და გავლენის გაზრდას ცდილობდა. თბილისში რობერტ კერ პორტერი რამდენიმე დღე დარჩა.<sup>2</sup> ხოლო შემდეგ თავრიზისაკენ გაემართა. საქართველოს დედაქალაქიდან დაახლოებით 5 ვერსის მანძილზე მოგზაური და მისი ამაღა თავად ერმოლოვმა გააცილა. სპარსეთისკენ მიმავალ ჯგუფს უსაფრთხოების მიზნით მთავარმართებლის დავალებით ოფიცრების ესკორტი გაჰყვა. სოღანლულში ერმოლოვის მითითებით სტუმრებს ღამის გასათევად გაშლილი კარვები და ვახშამი დაახვედრეს. აქედან მოგზაური შულავერის გავლით ირანის გზას დაადგა.

ამრიგად, ინგლისელი დიპლომატის, მოგზაურის და მხატვრის ჩანაწერები საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის XIX საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, პორტერი აღწერილი ფაქტების და მოვლენების თვითმხილველია, ეს მის დღიურებს უფრო ღირებულს ხდის, თუმცა როგორც ზემოთ წარმოდგენილმა ზოგიერთმა ცნობამ გვიჩვენა, პორტერი ზოგჯერ არაობიექტურად აშუქებს მოვლენებს, მისი სუბიექტურობა ვლინდება რუსული ხელისუფლების წარმომადგენელთა (მაგ.: ალ. ერმოლოვის) დახასიათების დროს. ჩვენი აზრით, ბრიტანელი დიპლომატი და მხატვარი კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ შესანიშნავად იყო ინფორმირებული. ის ბრიტანეთის აგენტი იყო და კავკასიელ ხალხთა, მათ შორის ქართველების მდგომარეობა რუსული ხელისუფლების პირობებში ზედმიწევნით იცოდა, თუმცა ჩანაწერებში, რომელიც შემდეგ ბრიტანეთში წიგნად გამოიცა, პორტერი მოერიდა ფაქტების შეულამაზებლად გადმოცემას. რას წერდა სინამდვილეში იგი ბრიტანეთის ხელისუფლებას კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ, ან რას ფიქრობდა მოგზაური რუსეთის დამოკიდებულებაზე ჩვენი ქვეყნის მიმართ, ალბათ, მის საიდუმლო წერილებში იქნებოდა ცნობილი, რომელიც არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ ნახსენებ მისი ერთ-ერთი მოხსენების მსგავსად მკვლევრებისათვის მომავალში ხელმისაწვდომი გახდეს.

## RUSSIA'S POLICY IN GEORGIA IN THE 1<sup>ST</sup> QUARTER OF THE 19<sup>TH</sup> CENTURY AFTER REFERENCES OF ROBERT KER PORTER, AN ENGLISH TRAVELLER

Giorgi Sosiashvili, Gori State Teaching University, Professor

### RESUME

In the 1<sup>st</sup> half of the 19<sup>th</sup> century a number of travellers visited Georgia. Their writings include extremely interesting information about political, social, economical and cultural life of Georgia. Travellers' diaries contain very significant information about relations between Russia and Georgia. In this regard, Robert Ker Porter, - a British diplomat, traveller, artist and writer, - provides us with interesting information. He was invited to Saint Petersburg by an Emperor of Russia. He planned his travelling to Iran there. British artist published impressions of journey in two volumes. Accounts on Georgia are collected in the first part. Porter provides us with interesting information about relations between Russia and Georgia. Porter sometimes provides biased coverage of events, his subjectivity is manifested by characterising Russian government officials (e.g. Al. Yermolov).

In our opinion, British diplomat and artist was well informed about political situation in the Caucasus. He was an agent of Britain and had detailed information about the Caucasus peoples, including Georgians, in conditions of Russian authorities. However, in his accounts, which he published in two volumes in Britain, he avoided to present facts without embellishment. Porter's work was a kind of mask for himself. His writings to British authorities about situation in the Caucasus, or his thoughts about attitude of Russia towards our country, may be kept in his secret letters, and they may become accessible to researchers in the future.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 88.

<sup>2</sup> ჭოლოშვილი ნ., გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2006, გვ. 45.

# თანამედროვე სოფლის ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები (ტრადიციული სამეურნეო ცოდნის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

დავით შავიანიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ქუთაისის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ეთნოლოგიური კვლევის ერთ-ერთი პრიორიტეტი აწმყოში თანამედროვე სოფლის კულტურულ-სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის, იმის შესწავლაა, რამდენად მოახდინა გავლენა ტრადიციულ და ახალ სამეურნეო-ყოფით ურთიერთობებზე ქვეყნის გლობალიზაციის ფონზე განვითარებამ.

**ჩვენი მიზანი:** დავასაბუთოთ თაობებისთვის გადაცემული, სამეურნეო ცოდნა-გამოცდილების, როგორც ეთნიკურ-კულტურული მემკვიდრეობის შენახვის აუცილებლობა და ამ ფონზე ავსახოთ ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირის საფუძვლის, ბედის ანაზარად მიტოვებულ თანამედროვე სოფელში ტრადიციული მეურნეობის დარგების და სამეურნეო ცოდნის შენარჩუნება-განვითარებაში ნებით და უნებლიეთ შექმნილი, შემაფერხებელი სოციალურ-სამართლებრივი (საქართველოში ყველა ფასეულობისადმი და მათ შორის მეურნეობის ტრადიციული დარგებისადმი ადგილობრივი, ჩვეულებითი სამართლით რეგულირებული ნორმების და სწორი მიდგომის უგულვებელყოფა - დ. შავიანიძე) პრობლემები, რათა მომავალში, ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას, საქმიანობის კორექტირებისას გათვალისწინებული იქნას ეთნოგრაფიული ცოდნა კვლევით დადასტურებული სინამდვილე.

**ეთნოგრაფიული მასალა და ქართველთა სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული სინამდვილე:** ისტორიულ წარსულში ქართველები იყენებდნენ სამეურნეო საქმიანობაში დღეს ნაკლებად ყურადღებაშიქცეულ თავის დროზე უხვი მოსავლის გარანტი სისტემის, გზებსა და საშუალებებს: თოხნა-მარგვლა, ნიადაგის განოყიერება, მავნებელთაგან დაცვა, მიწის გადაბრუნება, მიწის დასვენება, ყოველწლიურად ან ორწელგამომშვებით სათეს მიწაზე სხვა მარცვლეულის თესვა, შერეული თესვა, შემოდგომაზე დახვნა... ჰქონდა რა ქართველ კაცს ტრადიციული მეურნეობის მართვის ცოდნა და ითვისებდა რა მას, ცნობდა ბუნებას, მისდევდა გარემო პირობების შესაბამისი დარგების განვითარებას, მოჰყავდათ მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურები; გავრცელებული იყო თითქმის ყველანაირი ჯიშის ხილი, მათ შორის ტროპიკული და ციტრუსოვანიც<sup>1</sup>; მიწათმოქმედ-მესაქონლეთა შემონახული კომპლექსები ადასტურებს იმას, რომ მესაქონლეობა საქართველოში ყოველთვის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამისი იყო. ბუნებრივ-კლიმატური პირობებით შეპირობებული იყო ორი ფორმა: „ბარული“ და „გადარეკვითი“. მაგალითად, მეგრელი მწყემსები საქონელს ერეკებოდნენ და აძოვებდნენ გურია-იმერეთის მოსაზღვრე, მაღალმთიანი და სვანეთის სოფლების სამოვრებზე (იხ: დ. შავიანიძე, 2015; 2007), სვანებს ჰქონდათ საზაფხულო სამოვრები, აჭარლები მიდიოდნენ „იაილებზე“ და აქ ატარებდნენ საქონელთან ერთად, მოჰყავდათ სხვადასხვა პროდუქტი შემოდგომის დასაწყისამდე (სვანეთის 2013 და 2015; 2009 წლის დიდაჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „ტბელობა“, 2009). გავრცელებული იყო კალენდარული დღესასწაულები<sup>2</sup>. მაგალითად, ჭირნახულის აღება-დაბინავების შემდეგ სამეგრელოში სრულდება „შქვითული“. მთიან სამეგრელოში ადგილის ღმერთის სახელზე ოქტომბერში ტარდება რაჭული „კოლოკრობის“ მსგავსი „გიმათუა“<sup>3</sup> (დ.

<sup>1</sup> ჟან-შარდენის ცნობით, XVII საუკუნის საქართველოში მოჰყავდათ ყველა სახის მარცვლეული და ბოსტნეული, უხვად იყო ხილის მოსავალი. მსგავს ცნობებს გვინახავენ წყაროები საქართველოს შესახებ შაჰ-აბასისაგან საქართველოს აოხრების შემდეგ; იგივე ინფორმაციაა მებაღეობა-მეზოსტნეობის განვითარების შესახებ XVII საუკუნის ბოლოსაც; დასავლეთ საქართველოში ვახუშტის მიხედვით: „წალკოტნი არ არიან, არამედ ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი“ ჰქონიათ; სტოლნიკი ტოლოჩანოვის და დიაკი იველევის მიხედვით იმერეთში ბალი, ბოსტანი და ვენახი საკარმი-დამოში ჰქონიათ გამართული; მეგრელებს ჰქონიათ კარგად დამუშავებული, თუმცა პატარა ბაღები, ხოლო მებატონი-საგან კეთილგანწყობილი გლეხები „მშვენიერ ბაღებსაც“ აშენებდნენ \_ წერს არქანჯელო ლამბერტი.

<sup>2</sup> ირკვევა, რომ ყოველი დღესასწაულის, რიტუალის მთავარი ატრიბუტი იყო ღვინო და მამალი, ცხვარი და მოზვერი. **ეთნოგრაფიული მასალა:** „ღვინო ქრისტეს სისხლია და ამიტომ იგი ქართველებს სიცოცხლისა და ბედნიერების ნიშნად და გარანტიად მიაჩნდათ. მამალი კი მზეს უკავშირდებო ამბობენ. ქრისტეს შექმნილი ადამიანი კი მზის გარეშე ვერ იარსებებს“; „ღმერთს, ყველაფრის და, რა თქმა უნდა, ბუნებრივ ძალთა გამგებელს უნდა დაენახა ადამიანის მადლიერება და შესაბამისი ბუნებრივი პირობების უზრუნველყოფით მიეცა ხალხისთვის უხვი მოსავალი“.

<sup>3</sup> პ. ჭარაიას და ი. ყიფშიძის განმარტებით, გიმათუთა/გუმათუთა/გ მათუთა ოქტომბერია, მკათათუთა. გიმათუთა<-გი-მუა თუთა<-გიმუაში თუთა მკის, ტეხის თვე. ამ თვეში ტეხდნენ, მკიდნენ ღმოს. სადარაჯოს გეურეთ გიმათუთაში ნა-

შავიანიძე, 2015); საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას აღნიშნავდნენ იმერეთში; მთიან აჭარაში „იაილებზე“ ყოფნის პირველი პერიოდის გასვლის შემდეგ იხდიდნენ „შუამთობას“. „აღდგომის წინა კვირას ჩვენთან არის ჩანჩლობა, ესე იგი როცა დავხნავთ და დავთესავთ ყანაში წმინდა, საკულტო არყის ხისგან გაკეთებულ ტოტებს არჭობენ ერთი თვის შემდეგ. ეს უკვე დათესილს მფრველობს“ (ცისანა ხორგუანი, ბეჩო, 2015). სვანეთში კვირია აგრარულ ღვთაებად ითვლებოდა. განაგებდა ტაროსს, მიწის ნაყოფიერებას, ადამიანთა და ცხოველთა გამრავლებას, ზეიმობენ „კვირიკობას“; „ბარბრაშ ბარბარობაა. ეკლესიაში მივდიოდით ღამის თევაზე. ლობიანებს აკეთებდნენ. იქ უნდა მოეზილათ ქვებზე კვერებისთვის ცომი მთის ანკარა წყლისგან<sup>1</sup>, ბებია მოხელდა, სეფისკვერებს/ლემზირებს გამოაცხობდა და ვლოცულობდით ადამიანის და მისი მარჩენალი სულიერის სიმრავლეზე. საერთოდ ძველი კაცი ახალი მოსავლის, „მონაგრის“ (ფრინველი, საქონელი, მარცვლეული) გემოს ისე არ იხილავდა, რომ მისთვის ცალკე ტაბაკი, სუფრა არ დაედგა, არ დაელოცა<sup>2</sup>. ღვთის სახელზე დადგმული სუფრა უხვი მოსავლის და მისი ბედნიერი მოხმარების საწინდარი იყო“ (ცისანა ხორგუანი, 68 წლის, ბეჩო გალაში, 2015 წლის ივლისი). „მეურნეობას ჰქონდა განვითარების ეროვნულ-ტრადიციული ფორმა, დაკვირვება-გამოცდილებიდან გამომდინარე, იცოდნენ სად რა კულტურა გაიხარებდა, მისდევდნენ მეურნეობის შესაბამისი დარგის განვითარებას...“ (მთხრობელები: ჯანიკო ძნელაძე, ლეჩხუმი, სოფ. საჩხეური, 1991; დავით ჭოხონელიძე, რაჭა, სოფ. თხმორი, 1994; თენგიზ ჯაში, ტყიბული, სოფ. ორპირი, 1995). სამეურნეო საქმიანობაში წარმატების მიღწევის გავრცელებულ ტრადიციებზე საუბრისას საქართველოს მთიან რეგიონებში გიყვებიან ჩვეულებითი სამართლით რეგულირებულ წესებზე, რომ მეურნეობის განვითარებისთვის ზრუნვა სოფლის თითოეული მკვიდრის „სურვილიანი ვალდებულება იყო“, მისი დარღვევა და რწმენის უარყოფა „სამართლით დასჯას და რწმენის არქონის გამო მარცხს, ანუ არასასურველ ყოფით მდგომარეობას იწვევდა“ (ა. წიკლაური, ხევსურეთი, უკანახო, 2001). **შდრ, ოკრიბული მასალა:** „რწმენა იყო მატერიალური კეთილდღეობის წყაროც. ჭირნახულის უხვად მოყვანის უზრუნველსაყოფად, დასაცავად ხალხი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა, რწმენით თავს გადაირჩენდა“ (მთხრობელი არიანა ფორჩხიძე-გაბადაძე, ორპირი, 1993წ). საქართველოს ყველა კუთხეში მოძიებული მასალით: „სჯულში რწმენა იგულისხმება, ჩვეულებაში კი თემში მიღებული წესის, ნორმის დაცვა“ (მთხრობელები: დავით ლიქოკელი, სოფ. ლიქოკი, 2001. დავით ჭოხონელიძე, რაჭა, სოფ. თხმორი, 1994. რევაზ ხორგუანი, ბეჩო, 2015).

**კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგი და რეალობა:** ტრადიციული სამეურნეო ცოდნის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების შესწავლით ირკვევა, რომ დღეს სოფელი დაცლილია, არა აქვთ ეკონომიკური საშუალება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები აწარმოონ ახალი, თანამედროვე ტექნიკით, ბაზრის არქონის გამო აღარაა სურვილი სასოფლო-სამეურნეო

---

შიბუს დარაჯად უდგებართ ოქტომბრის მონაპოვარს (ო. ქაჯაია, 2001). შდრ.: გიმუა/გ მუა `ლომის თავთავის მოტეხა, მოწვევტა (მოჭრა)" (ო. ქაჯაია, 2001)

<sup>1</sup> წყალი ყველა რიტუალის მთავარი თანმხლებია. რიტუალის შემსრულებელი ძირითადად „უცოდველთათვის“ საზრდოს გადარჩენას ითხოვენ. ვვიქრობთ, რომ სასურველი ამინდის გამოწვევის პროვოცირების რიტუალის შესრულების დროს გარანტირებულობას განაპირობებდა წყლის განმანახლებელი ძალა. „დიდი გვალვის დროს ქალები სამეგრელოში აკეთებდნენ ქალის წყალში დახრჩობის იმიტაციას. გააკეთებდნენ მიძავას. ჯოხს ძველებს ჩააცმევდნენ და ბავშვებთან ერთად კვილით გაიქცეოდნენ ინგირისკენ. მიძავას ენგურში გადაუშვებდნენ და კიოდნენ, სწამდათ, რომ ზღვაში კაცი დაიხრჩო და ვიდრე არ გამორიყავს, მანამ იწვიმებსო“ (მთხრობელი იზო უბილავა, წალენჯიხა, სოფ. ჭალე, 2012); „გვალვის დროს ბაყაყს მოკლავდნენ და მუცელზე გადააბრუნებდნენ. ამით ცას განარისხებდნენ და წვიმას იწვევდნენ“; ოკრიბაში წვიმის გამოსაწვევად ხატს გაბანდნენ (მთხრობელი იზოლდა მერკვილაძე, ორპირი, 2001წ); „მოსავლის სიმრავლე დარზეც იყო დღესასწაულები. შეიკრიბებოდნენ უფროსები და ევედრებოდნენ უფალს და ცისა და ქვეყნის შემქმნელს რომ გაავდრებულიყო ან პირიქით. ეცერში ახლაც ისეთ რაღაცებს ატარებენ. უფალზე ილოცებდნენ (ტარიელ ადამის ძე კვიციანი, ბეჩო, დოლასვიფი, 2015 წლის ივლისი)“.

შეისწავლიან რა მეცნიერები ამინდის გამოსაწვევ მაგიური ქმედებების სირთულეს, მონაწილე კომპონენტთა ისტორიულ წარმომავლობას, შესრულების კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ წესს, პირობითად აერთიანებენ მაგიურ ქმედებათა ჯგუფად, ვინაიდან ისინი არ გამოხატავენ ვედრებას რომელიმე ღვთაებრივი ძალისადმი. აღნიშნავენ ღვთაებათა სამ ფუნქციას: სოციალური მნიშვნელობა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურისთვის შესაბამისობა; ღვთაების ფიზიკური ძალა ბუნების ძალების განმგებლობის სახით გამოხატული მისი სამხედრო ძლიერება და ნაყოფიერება ადამიანთა კოლექტივის გამრავლება, მატერიალური უზრუნველყოფა და მისი ქონების დაცვა (ი. სურგულაძე, 2003, გვ. 226, 246).

<sup>2</sup> მკვლევართა მიერ დაბაზული ტიპის სახლების კვევის დროს გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით: დარბაზოვანის ბოსელში არა კონკრეტული ფორმით, არამედ ზოგადი პრინციპებით, სვანური მაჩვიბის მსგავსი გარემო იქმნებოდა, სადაც ძველად ერთად ეძინათ ადამიანს და საქონელს. ბოსელი სარიტუალო სივრცე ყოფილა, სადაც ქორწილები და ნათლობები იმართებოდა. ბავა ხომ, თავის მხრივ, დიდი სიწმინდეა, მაცხოვრის შობის ალაგი (თეიმურაზ ჩიქოვანი, სამსონ ლეჟავა, გურამ ყიფიანი, ლონგინოზ სუმბაძე, პაატა ბუხრაშვილი, ვერა ბარდაველიძე).

პროდუქტების მოყვანის... სოფლის აღნიშნული დღევანდელი მდგომარეობა გამოწვეულია სამეურნეო-ყოფითი ურთიერთობების, სოფლის ტრადიციული მეურნეობის განახლება-აღდგენისთვის ხალხის და ხელისუფლების ერთობლივად არდგომით, სამეურნეო, სოციალური და სამართლებრივი საკითხების არასწორი მართვით, ტრადიციულის გაუთვალისწინებლობით, გარე ფაქტორების გავლენის შედეგად კულტურულ-სოციალური ცვალებადობით, სახელმწიფოსგან გაუთვლელი, არასწორი (არატრადიციული დარგების დანერგვა, ე.წ. „ინდუსტრიალიზაციის“ დროს სოფლის მიზანმიმართული დაცლა, სოფლის განვითარებისთვის ვარგისი ტექნოლოგიების სოფლამდე არმიტანა...) ჩარევით.

**ჩვენი მოსაზრება:** მეურნეობის დარგებში არსებული ცოდნის არგათვალისწინებით, სპეციალიზაციისთვის ნაკლები ყურადღების მიქცევით მივედით სოფლის დასუსტება-დაშლამდე. თანამედროვე სოფლის ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემების კვლევით მიღებული შედეგების გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოთ შედარებით მოწესრიგებული, „წელგამართული“ ცხოვრება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს, ხელი უნდა შეეწყოს სოფელში, ადრე სოციალ-სამართლებრივი თვალსაზრისით მოწესრიგებულ ტრადიციული მეურნეობის განვითარებას, შევინახოთ და ტრადიციულისადმი არასწორი მიდგომებით თაობებს არ მოვუსპოთ დღეს უკვე მივიწყებული, სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-რიტუალების ცოდნის სურვილი.

**მეურნეობის ტრადიციულობის და თანამედროვე სოფლის განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემების შესწავლის შედეგად მიღებული ჩვენი, ეთნოლოგის დასკვნა:** 1. საჭიროა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარება, სანერგე და სათესლე ჯიშთა სელექცია-განახლების „შინაური მეთოდების“ შენარჩუნება, მეცნიერული მიღწევების დანერგვა. **მთხრობელთა თქმით:** „მიუღებელი იყო რუსულ-კომუნისტური მმართველობის დროს ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობისთვის გატარებული სოფლის დაცლის ავშედეგიანი ქმედებები, მოკარნახე მეგობრების მიერ შემოთავაზებული ეროვნულ-ტრადიციულისთვის შეუსაბამო მანქანების ურევიზიოდ მიღება“; „ხარი, უღელი, ურემი, ბარი, თოხი, კუსტარული საღეწი და ასე შემდეგ ვეღარ გვაწყობინებს ფეხს საბაზრო ეკონომიკისთვის. სასოფლო პროდუქციის რეალიზაციისთვის ხელის არშეწყობამ შედეგად მოგვცა საბაზრო სახის მქონე პროდუქციის გავრცელება. ვანში ჰოლანდიური ჯიშის ნესვი, აჯამეთში ამერიკული ჯიშის საზამთრო, სვანეთში არასვანური ჯიშის კარტოფილი ითესება“; „მიდგომის შეცვლაცაა საჭირო. სვანეთში პური ჩაგვანაცვლებინეს უფრო მარტივით, სამეგრელოში უფრო იოლად მოსაყვანი, უხვმოსავლიანი და გამძლე სიმინდის ვაზის ნაცვლად დანერგვის უფლება მივეცით; ფუტკარს რომ მოვუარო იმის საშუალება არაა. ხომ მენანება გადაშენება, მაგრამ, ვაწვალებ და მეცოდება; მაგალითად, ადრე კანაფი მოგვყავდა სვანეთში, ვახშობდით, საკვებად, საკვებში ვიყენებდით. შინამრეწველობაზეც შეიძლება ისაუბრო, კანაფის თოკებს ვწნავდით. დღეს აკრძალულია იმიტომ, რომ სვანმაც ალბათ ავი დანიშნულებით დაიწყო მისი გამოყენება“ (მთხრობელები: რეზო კბილაძე, თლული, 2003წ; ასლან ხოზრევანიძე, დიდაჭარა, 2007; ზაურ გაბელაია, აბაშა, ნოღოხაში, 2002; რეზო რომანაძე, აჭყვისთავი, 2007; რაია გადრანი, ბეზო, 2015; დავით ონიანი, ჟახუნდერი 2013); 2. ტრადიციული დარგების აღდგენასთან ერთად უნდა მოხდეს სავარგული ფართობების მაქსიმალური („სვანები სახლების ასაშენებლად სავარგულ მიწებს არ აცდენდნენ“; „დღეს მზად ვართ სხვისი ინტერესის შესრულებას შევუწყოთ ხელი და მიზერულ ფასად გავყიდოთ მიწა. ვიდრე არ შეიკრიბა თემი და არ აკრძალა მსგავსი ქმედება, ენგურში კალმახზე სათევზაოდ საფასურის საზღაურად სვანებს მოჰყავდათ ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან“ [ციოყ წერედიანი, ლატალი, 2015; დავით ღვაჭლიანი, უშგული, 2005 წელი]) ათვისება; 3. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში გეტყვიან, რომ თემის ცხოვრების წესი არეგულირებდა მიწასთან ურთიერთობის, ტრადიციული მეურნეობისთვის ზრუნის შესახებ საკითხებს და ეს იმ დონეზე იყო თითოეულ ქართველში, რომ „არ სჭირდებოდა შეხსენება ხალხური სამართლისგან დადგენილ ნორმას“. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის განვითარებისთვის მეურნეობის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით ხელი უნდა შევუწყოთ მიწასთან დამოკიდებულების, აგრო-ეკოლოგიური წარმოების ტრადიციული წესების აღმდგენი საოჯახო მეურნეობების, სპეციფიური მიმართულების მეურნეობათმოდელის შექმნას და მათში საქონელმწარმოებელთა ნებით გაერთიანებას, სოციალური პრობლემების („სოფელში საცხოვრებელი პირობების შექმნით შენარჩუნდება სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები, მისი განვითარებისადმი ეროვნულ-ტრადიციული მიდგომა, ადათ-წესები, რომელიც ადამიანს ამზადებდა იმისთვის, რომ შრომა გაუმართლებდა“ [მთხრობელი მიშა ქათამაძე, ნაბოსლევი, 1999]) სამართლებრივი კუთხით მოწესრიგებას. დროა ტრადიციით გათვალისწინებული ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემების მოწესრიგების ნორმები აისახოს ფორმალურ კანონში, ჩამოყალიბდეს საჭიროების მიხედვით, საზოგადოდ აღიარებული და სავალდებულო ჩვეულების გათვალისწინებით.

**შდრ.:** ილია ჭავჭავაძე: „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს, რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიური და იურიდიული ურთიერთობის შესახებ. ეს სფერო ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავს და კარგს, იმის შეხედულებას სიმართლეზედ, ურთიერთდამოკიდებულებაზედ და სხვა... სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი. მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, მისი წადილი და საჭიროება“ (ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 192)... ერთი უდიდესი წყარო სიმდიდრისა, უფრო მტკიცე და საიმედო ხვნა-თესვაა, მიწათმოქმედებაა ყოველგვარი, იმიტომ რომ ამ მრეწველობის ნაამაგარი შეადგენს უპირველეს საჭიროებას ადამიანის ცხოვრებისას... ჩვენი ძალღონე, ჩვენი ცხოვრებისა და ვინაობის, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე – მიწა და გუთანია. ... მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით – მზად იყოს, ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მანც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება“  
(<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=4403>).

### ლიტერატურა და წყაროები:

- აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, 1997.  
Абакелия Н, Миф и ритуал в Западной Грузии, 1987.  
ანთელავა ნ., აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები, 2006.  
ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1941.  
ბარდაველიძე ვ., ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, „მომომხილველი“ I, 1949.  
А. И. Робакидзе, Поселение, как источник изучения общественного быта, 1964.  
ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, 1999.  
სურგულაძე, მითოსის, კულტი, რიტუალი საქართველოში, 2003.  
ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, 2001, 2002.  
ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შე-სახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.  
პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, 1997.  
ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, III, IV, 1946, 1962  
<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=4403>

## MODERN VILLAGE ECONOMIC, LEGAL AND SOCIAL PROBLEMS (ACCORDING TO THE ETHNOGRAPHIC MATERIALS REFLECTING TRADITIONAL AGRICULTURAL KNOWLEDGE)

**Davit Shavianidze**, Akaki Tsereteli State University/Kutaisi University, Associate Professor  
**RESUME**

One of the priorities of Ethnological science research is to study Modern village cultural and social, economic condition, how much influenced the traditional and new agricultural-household relationships the country development on the background of globalization.

**Results obtained by using the method of complex-intensive research:** A). Study of ethnographic materials reflecting traditional agricultural knowledge shows modern agricultural economic, legal and social issues human rights and responsibilities defining the keeping of general compulsory rules, personal relationships and work approach, about guarantee of maintaining the Kartvelian (Georgian) directions in rules of life, traditional and state impact of joint actions. 2). although a lot has been said and written about the development of agriculture, projects are implemented, we believe that the reason of development of agricultural economics, legal and social problems is the study of the works resulting from the written sources about economic fields reality reached according to oral tradition, labor skills generated among the Georgian people, agricultural knowledge transmitted from generation to generation, the ground of traditional industries, nature ethnographic materials confirmed color, structure, fertility-harvest, by human, ethnographic knowledge of acceptable land crops according of Hydrographic and topographic features (confirmed in all corners of Georgia)"**The agriculture development had the national economic ,traditional form. Based on the, observation-experience, where to grow several kind of culture and accordingly were developing the agriculture. The farmer had faith, Conducted services of gratitude and asking for the prayers to God, performed season-**

graduation rituals which were directed toward the improving the economic life for receiving the plentiful and healthy harvest) Geography of the land due to the diversity of agricultural tools is not taken into account notice, knowledge.

**Farming traditions and modern Agriculture development in the economic, legal and social problems received as a result study of our ethnologist's conclusion** 1. Various kinds of invaders could not subdue the Georgia one of the reasons was that they could not destroy the economy. Under Russian communism and the steps taken to promote industrialization, while taking steps for promoting the industrialization, proposed by "Prompter friends" by adopting without any revision the National-traditional unmatched vehicles, by the less attention given to the specialization, we came to the weakening and disintegration of agriculture ; 2. The necessary the development of the traditional fields of agriculture, "Domestic methods of maintaining, updating and selection of Sapling and seed varieties. Scientific achievements ("**Bull, yoke, cart, a spade, a makeshift threshing and so on can no longer accompany with market economy. Obstructing the realization of agricultural production has resulted** the market products the Dutch species of melons in Vani, American species of watermelon in Ajameti Swans sow varieties of potatoes in the region that are not sown] Sowing, planting "; It is needed "to change the approach. Before we hemp in the region, dried and used in food were knitting hemp ropes. Today it is prohibited because was probably using with malicious purposes" [Narrator: Rezo Kbiladze, Tlugh, 2003; Aslan Khozrevanidze, Didachara, 2007; Ryan Gadrani, Becho, 2015; David Oniani, Zhakhunderi 2013]) Introduce modern equipment to farmers; 3. In addition to restoring of the traditional fields should be a maximum of lands. ["**Svan were not wasted village land for the construction of the hose "; "Today we are ready to fulfill and promote someone else's interest and the to sell the land in meager price "; until gathered the community and prohibited such action since the trout fishing fees brought paying the region of Lechkhoumi, Samegrelo, Imereti "** (Tsiq Tserediani, Latali, 2015; David Ghvachliani, Ushguli, 2004)] assimilate; 4. The priority of the development of the economy is to support land addiction, agro-ecological production, traditional rules, restoring family farms, specific models of the economy will unite producers, social problems. ("**In the living conditions will be maintained agriculture traditional sectors, the national-traditional approach to the development. Customs, which prepared the farmer to be lucky in work"** [Narrator Misha Katamadze, naboslevi, 1999]) In terms of legal regulation.

## იტალია პირველი მსოფლიო ომის წინ (1911-1912)

ვაჟა ჩოჩია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

იტალიას დიდი ხნის მანძილზე აწუხებდა იმპერიული ამბიციები და ცდილობდა ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე დამკვიდრებას. პირველი მსოფლიო ომის წინ მან თვალი მიაპყრო თურქეთის კოლონიურ ტერიტორიებს - ტრიპოლიტანიასა და კორენაიკას. რომში გადაწყვიტეს მათი დაპყრობა, მაგრამ დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერის გარეშე ეს ფუჭი ილუზიები იყო. თავის დროზე, იტალია პრეტენზიას აცხადებდა ტუნისზეც, მაგრამ ის საფრანგეთმა, გერმანიის კანცლერის ბისმარკის ფარული თანხმობით, დაიპყრო 1881 წელს, რამაც დააჩქარა იტალიის გაერთიანება სამთა კავშირში.

ალჟირის მეზობლობა, ტუნისის კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა საფრანგეთისთვის და პარიზში გადაწყვიტეს მისი ხელში ჩაგდება. „1881 წ. 12 მაისს ტუნისის ბეიმ ხელი მოაწერა ბარდოსის შეთანხმებას და აღიარა საფრანგეთის პროტექტორატი. ეს იყო დიდი დარტყმა იტალიის მისწრაფებისადმი, რომელიც აგრეთვე ცდილობდა ტუნისის დაპყრობას და იმპერიის შექმნას“ (2: 306). ამ ფაქტმა, დაარწმუნა იტალია, რომ უნდა ეძებნა მხარდაჭერა დიდი სახელმწიფოების მხრიდან, თუ სურდა ბრძოლა თავისი ინტერესებისათვის. „თვითონ იტალიის მეფე უმბერტო I თვლიდა, რომ მონარქიულ სახელმწიფოებთან კავშირი მის მდგომარეობას განამტკიცებდა“ (2: 307). ამას დაემატა ბისმარკის მხარდაჭერა და 1882 წ. 20 მაისს შეიქმნა სამთა კავშირი გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის შემადგენლობით (10: 50).

1909 წლის ოქტომბერში იტალიაში, რაკონიჯში, შედგა რუსეთისა და იტალიის მონარქების ნიკოლოზ II და ვიტორიო ემანუილ III შეხვედრა. მათ ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები იზვოლსკი და ტიტონი, რომელთაც პოლიტიკური მოლაპარაკებები უნდა გაემართათ მნიშვნელოვან საკითხებზე. „ამასთანავე, შეიძლება რუსეთის მხრივ იტალიის მერყევი პოზიციის (სამთა კავშირში - ვ. ჩოჩია) გამოყენება და მისი სამთა კავშირისგან უფრო მეტად ჩამოცილება“ (1: 124). 1909 წლის 24 ოქტომბერს იზვოლსკი და ტიტონი შეთანხმდნენ, რომ იტალია ვალდებულია იღებდა გაეთვალისწინებინა რუსეთის ინტერესები შავი ზღვის სრუტეების საკითხში; ასეთივე ვალდებულებას იღებდა რუსეთი იტალიის ინტერესების მიმართ კორენაიკასა და ტრიპოლიტანიაში (1: 125).



XIX ს. ბოლოს - XX ს. დასაწყისში გამოჩნდა, რომ სამთა კავშირი არ იყო მონოლითური გაერთიანება. იტალია მის ფორმალურ წევრად ითვლებოდა. ამას დაემატა ურთიერთობების გამწვავება ვენასა და რომს შორის ბალკანეთის საკითხზე, სადაც ვენა ბერლინის აქტიური მხარდაჭერით, ექსპანსიურ პოლიტიკას ეწეოდა. 1907 წელს ავსტრია-უნგრეთის გენერალური შტაბის უფროსმა ჰეტცენდორფმა იმპერატორ ფრანც იოსებს განუცხადა: „ჩვენი მომავალი ბალკანეთზეა, იტალია კი ხელს გვიშლის. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია იტალიის ჩამოშორება“ (5: 221). ასეთი სიტუაცია უზიძვებდა იტალიას საფრანგეთის მხარდაჭერა ეძებნა. საფრანგეთი, თავის მხრივ, ცდილობდა გაეფართოვებინა თავისი ჩრდილო-აფრიკული კოლონიური იმპერია და განემტკიცებინა თავისი პოზიციები ევროპაში. აქედან გამომდინარე, საფრანგეთი არ იყო წინააღმდეგი დაახლოებოდა იტალიას, მით უმეტეს, რომ უკვე გააჩნდა მასთან 1902 წლის შეთანხმება, რომლის თანახმადაც, არ იყო წინააღმდეგი იტალიას დაეპყრო ტრიპოლი, იმ პირობით, რომ იტალია ცნობდა მომავალში საფრანგეთის პროტექტორატს მაროკოზე. ლონდონი მხარს უჭერდა პარიზს რომთან დაახლოებაში, რომ ამით გაემწვავებინა ურთიერთობა ვენასა და რომს შორის და უთანხმოება შეეტანა სამთა კავშირის წევრებს შორის (9: 238).

XX ს. დასაწყისში, მსოფლიო ბატონობის გზაზე, გერმანიის მთავარი მეტოქე ხდება ინგლისი. ამან განაპირობა ლონდონის პოზიცია, რის შედეგადაც შესუსტდა ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი კოლონიურ არენაზე და გამოიკვეთა მათი დაახლოების ტენდენცია, რაც 1904 წელს დასრულდა „გულითადი შეთანხმების“ დადებით. ამით გაძლიერდა ბრძოლა სამთა კავშირის გათიშვისა და იტალიის გადმობირებისათვის.

1911 წ. 1 ივლისს მთელმა მსოფლიომ გაიგო მაროკოს ახალი კრიზისის შესახებ, რომელშიც ჩართული აღმოჩნდნენ საფრანგეთი და გერმანია. შექმნილი სიტუაცია ხელს უწყობდა იტალიის მმართველ წრეებს, ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის მიმართ თავისი დამპყრობლური მიზნები სისრულეში მოეყვანათ (12: 113). იტალია მშვიდად იყო თავისი მოკავშირეების შესაძლო პოზიციასთან დაკავშირებით, რადგან რომში დარწმუნებული იყვნენ, რომ მისი პარტნიორები სამთა კავშირის ხაზით, წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ. ამის საფუძველს ხედავდნენ შეთანხმებაში სამთა კავშირის შესახებ, რომლის თანახმადაც გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა ვალდებულება აიღეს მხარი დაეჭირათ იტალიის მოქმედებისათვის ტრიპოლიტანიაში (3: 45).

დიდი სახელმწიფოებიდან რჩებოდა ინგლისი, რომლის პოზიციაზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იტალიის ბრძოლა ტრიპოლისთვის. ანტანტის მხარეზე იტალიის გადაბირება მნიშვნელოვანი საკითხი იყო ლონდონისთვის და შექმნილ სიტუაციაში შეეძლოთ გამოეყენებინათ თავისი ინტერესებისათვის იტალიის მისწრაფება. ცხადია, ინგლისი წინააღმდეგი რომ ყოფილიყო, იტალია ვერ გახედავდა ომის დაწყებას თურქეთთან ტრიპოლის გამო, რადგან ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ესკადრა, რომელსაც ბაზა კუნძულ მალტაზე ჰქონდა, იტალიის ფლოტს ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებთან უბრალოდ არ დაუშვებდა. შექმნილ სიტუაციაში, გერმანიასთან დაპირისპირების პირობებში, ლონდონი ცდილობდა იტალიის დაპირისპირება თურქეთთან თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა (11: 120). 1911 წლის 16 აგვისტოს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედ. გრემი განაცხადა, რომ მხარდაჭერას აღმოუჩენდა იტალიას, რამაც დიდი იმედები ჩაუსახა რომს.

რუსეთმა, თავის მხრივ, ა. ნერატოვის მეშვეობით დაარწმუნა იტალიის ელჩი პეტერბურგში, რომ მხარს დაუჭერდა იტალიას ტრიპოლის საკითხში თურქეთის წინააღმდეგ, თუ სტატუს-კვო ბალკანეთზე არ დაირღვეოდა (7: ყ. 1, №360). რომმა დაუყოვნებლივ დაუდასტურა პეტერბურგს ეს მოთხოვნა და შეახსენა კიდევ, რომ „არასოდეს არ დაივიწყებდა თავის შეთანხმებას რუსეთთან“ (7: ყ. 1, №425).

შექმნილმა სიტუაციამ გერმანია რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. ერთ მხარეს იყო მოკავშირე იტალია, მეორე მხარეს თურქეთი, სადაც გერმანიას განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები გააჩნდა. აქედან გამომდინარე, ბერლინი თავიდანვე შეეცადა მშვიდობიანად მოგვარებულიყო კონფლიქტი იტალიასა და თურქეთს შორის (7: ყ. 2, №469). ბერლინის მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა, რადგან იტალიას არ სურდა უარის თქმა ტრიპოლზე.

დიდი სახელმწიფოების პოზიციიდან გამომდინარე, იტალიამ დაიწყო ომისათვის მზადება თურქეთის წინააღმდეგ, მისი ჩრდილო-აფრიკული პროვინციის ტრიპოლის დაპყრობის მიზნით. აგვისტოს ბოლოს, იტალიის სამხედრო სამინისტრომ გამოყო კორპუსი, რომელსაც უნდა ეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ტრიპოლში (7: ყ. 1, №425). სექტემბრის დასაწყისისთვის იტალიის სამხედრო-სახლგაო ფლოტი სრულ მზადყოფნაში მოიყვანეს.

თურქეთმა მიმართა ინგლისის ელჩს, ლოუტერს, დახმარების შესახებ, მაგრამ ლონდონის ინსტრუქციების თანახმად, ელჩმა დიდ ვეზირს ურჩია დახმარებისათვის მიემართა თავისი მეგობრებისათვის ბერლინსა და ვენაში. თურქეთის მთავრობამ, ამ სიტუაციაში, ლონდონში თავისი ელჩის ტევფიკ-ფაშას მეშვეობით, ინგლისის მთავრობას სთხოვა რჩევა მიეცათ რომისთვის, რომ თავი შეეკავებინა ომისგან. ლონდონმა ეს თხოვნა უარყო, რადგან ვერ ხედავდა ამის მიზეზებს (7: ყ. 2, №463).

საგარეო საქმეთა მინისტრი ედ. გრეი რუსეთის ელჩ ბენკენდორფთან საუბარში აშკარად გამოხატავდა იტალიის მხარდაჭერის სურვილს (7: ყ. 2, №464).

26 სექტემბერს იტალიის ნოტის პასუხად, თურქეთი შეეცადა მშვიდობიანად მოეგვარებინა კონფლიქტური სიტუაცია, მაგრამ იტალიას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ომის დაწყება და თურქეთის ეს ნაბიჯი უნაყოფო გამოდგა. 27 სექტემბერს ტრიპოლიში ჩავიდა თურქეთის ტრანსპორტი - გემი „დერნა“ სამხედრო ტვირთით. რომში ეს ცნობილი გახდა და საბაზად გამოიყენეს ომის დასაწყებად. 28 სექტემბერს, იტალიის რწმუნებულმა მარტინომ დიდ ვეზირს გადასცა იტალიის მთავრობის ულტიმატუმი და გამოთქვა იმედი, რომ თურქეთი ხელს არ შეუშლიდა ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის ოკუპაციაში (7: ყ.2, №478). პორტამ უარყო რომის ულტიმატუმი, რასაც მოჰყვა ომის დაწყება 29 სექტემბერს. ოქტომბრის დასაწყისში, თურქეთის ელჩს ლონდონში ტევფიქ-ფაშას დაევალა ეთხოვა ინგლისის მთავრობისათვის ჩარეულიყო კონფლიქტში და შუამავლობა გაეწია, მაგრამ ლონდონმა უარი თქვა (7: ყ. 2, №472).

იტალია-თურქეთის ომმა ბერლინი არჩევანის წინაშე დააყენა. დასაწყისში თითქოს ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს და განაცხადეს კიდევ, რომ არ სჯეროდათ, თუ იტალიის მთავრობა რაიმე მტრული ღონისძიებების გატარებას აპირებდა თურქეთის წინააღმდეგ (7: ყ. 2, №643). მეორე მხრივ, დიპლომატიურ წრეებში ვრცელდებოდა მოსაზრება, რომ შექმნილი სიტუაცია შეიძლებოდა სასარგებლოც ყოფილიყო ბერლინისთვის, რადგან ომი დაასუსტებდა თურქეთს და ეს შესაძლებლობას მისცემდა გერმანიას მთელი თურქეთის ხელში ჩაგდებისათვის ებრძოლა (8: 74).

ომი ტრიპოლიტანიაში გაჭიანურდა და იტალიამ ვერ შეძლო ქვეყნის შუაგულში შეღწევა, ამიტომ გადაწყვიტა თურქეთის ევროპულ ტერიტორიაზეც შეჭრილიყო და ომი აფრიკიდან დოდეკანეზის კუნძულებსაც მოედო (4: 188). იტალიის ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით ამწვავებდა სტატუს-კვოს საკითხს ბალკანეთზე, რომლის შესახებაც იტალიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის სპეციალური შეთანხმება არსებობდა (3: 45). აქედან გამომდინარე, გენერალური შტაბის უფროსი ჰეტცენდორფი პრევენტიულ ომს მოითხოვდა იტალიის წინააღმდეგ, მაგრამ ვენამ უარი თქვა მასზე. პროტესტის ნიშნად ჰეტცენდორფი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. ბერლინი და ვენა იძულებული იყვნენ დათმობაზე წასულიყვნენ და მოკავშირისთვის დაეჭირათ მხარი, თუმცა იტალიის ორჭოფული ქცევა, რომელზეც ბერლინი მიუთითებდა რაკონიჯის შეხვედრის შემდეგ, სულ უფრო საეჭვო ხდებოდა (11: 206; 3: 47). საინტერესოა, რომ შეთანხმება სამთა კავშირის შესახებ 1912 წელს განახლდა, მაგრამ იტალიის ყოფნა მასში სულ უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამის მიუხედავად, ბერლინი ფრთხილად იყო და მაინც მოკავშირეს დაუჭირა მხარი.

იტალია-თურქეთის ომში, თურქეთის წარუმატებლობამ ბიძგი მისცა ბალკანეთის სახელმწიფოებს დაახლოებოდნენ ერთმანეთს თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ პროცესში აქტიურ როლს თამაშობდა რუსეთი და მისი ძალისხმევით 1912 წ. 13 მარტს სერბიამ და ბულგარეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კავშირის შექმნის შესახებ (6: 738-740). თურქეთი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ორ ფრონტზე ბრძოლა მას აშკარად არ შეეძლო, ამიტომ გადაწყვიტა იტალიასთან ზავი სწრაფად დაედო. 1912 წ. 15 ოქტომბერს შვეიცარიაში ხელი მოაწერეს პრელიმინარულ საზავო ხელშეკრულებას იტალიასა და თურქეთს შორის. ტრიპოლიტანია და კირენაიკა იტალიას დარჩა, ხოლო ეგეოსის ზღვაში მის მიერ დაკავებული დოდეკანეზის კუნძულები თურქეთს უბრუნდებოდა.

### ლიტერატურა:

1. ჩოჩია ვ., გერმანია. 1904-1914, თბ., 2008.
2. ჩოჩია ვ., ბისმარკი და გერმანიის პრობლემა. 1862-1882, თბ., 2011.
3. Бетман-Гольвег Т. Мысли о войне. М. – Л., 1925.
4. Бриггс Э., Клэвин П. Европа нового и новейшего времени. М., 2006.
5. Готлиб В. В. Тайная дипломатия во время первой мировой войны. М., 1960.
6. История дипломатии, т. II. М., 1963.
7. Международные отношения в эпоху империализма. Документы из архивов царского и временного правительств. 1878-1917 гг. Сер. 2, т. 18-20; серия 3, т. 1-6. М., 1931-1940. – Сер. 2, т. 18.
8. Оруджев М.Г. Из истории проникновения германского империализма в Турцию. Баку, 1961.
9. Полетика Н. П. возникновение мировой войны. М. – Л., 1935.
10. Тарле Е. В. Европа в эпоху империализма. 1871-1919 гг. Соч., т. 5. М., 1958.
11. Fischer F. Krieg der Illusionen. Die Deutsche Politik von 1911 bis 1914. Düsseldorf, 1968.
12. Stieve F. Deutschland und Europa. 1890-1914. Berlin, 1926.

## ITALY BEFORE THE FIRST WORLD WAR (1911-1912)

Vazha Chochia, Gori State Teaching University, Professor

### RESUME

For a long time Italy trying to build a Mediterranean Sea Empire. Therefore, he sought a foothold in North Africa, on The colonial territory of Turkey-Tripolitan and Kirenaik. Turkey was opposed to Italy, but Italy has been able to meet these objectives in support of the great powers. It was not difficult by its partners-Germany and Austria-Hungary, who wanted to preserve the Three Union and keep Italy in it. Entente Powers-Britain, France and Russia, on the contrary, tried three union decomposition and Italy sided with his party on. Rome had the situation well, that did not prevent the War with Turkey.

It was important to Britain's position, which controlled the Mediterranean Sea and it was dependent on the success of Italy. England actually assessed the situation and decided to support Italy and thus, in conjunction with three union of Italy's attitude change. London refused to support Turkey and not involved in the conflict. On 29 September 1911, Italy-Turkish war began, but Italy has not penetrated deep into Tripolitania and decided to shift the War on the Turkey's European territory, in particular, on the Dodekanez Islands in the Aegean Sea. Turkey's defeat in the War with Italy, encouraged the Balkan states to the Union signing and fighting against Turkey. The union was signed on March 13, 1912 and Turkey has turned out to be a big threat. In such circumstances, Turkey signed a Preliminary truce with Italy on October 15, 1912 in Switzerland. Tripolitan and Kirenaik stayed in Italy, however Dodekanez Islands returned to Turkey.

### ებრაული თემა „ქართლის ცხოვრებაში“

დავით ჩოჩიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

„ქართლის ცხოვრება“ ქართული საისტორიო მწერლობის ბრწყინვალე ძეგლია, რომელშიც უწყვეტადაა გადმოცემული საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან. იგი სხვადასხვა ავტორთა მიერ აღწერილი ისტორიული ამბების კრებულია, რომელშიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი პასაჟია გადმოცემული.

ქართველების ისტორიის არეალში ებრაელები ჯერ კიდევ მანამდე მოხვდნენ, სანამ მათ ბრწყინვალე შემოქმედებას, ბიბლიურ წიგნებს გაეცნობოდნენ. „ამას მოწმობს არა მარტო ისტორიული ქრონიკები, არამედ თვით ებრაულენოვანი თუ ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი“ [6. 260].

ებრაელთა პირველი მოხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ უკავშირდება ებრაელთა ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენას: მათ გამოსვლას ეგვიპტიდან. ქართველმა ისტორიკოსმა ბუნებრივად ჩართო ეს მოვლენა „ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“-ში, ანუ ქართველთა უძველესი წინაპრების ჩამოთვლისას. მას შემდეგ, რაც სპარსელებმა რევანში აიღეს და ქართლისიანები კვლავ დახარკეს, სწორედ ამ დროს მოვიდა ქართლში ამბავი, რომ: „...მოსე განვლო ზღვია ისრაელთაი და იზრდებიან იგინი უდაბნოსა მანანაითა. განკვირდეს ყოველნი და მათ ყოველთა წარმართთა აქეს ღმერთი ისრაელთაი“ [1. 35.10].

ებრაელთა მორიგი მოხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ მათ საქართველოში საცხოვრებლად მოსვლას უკავშირდება. „...ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუევნა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი, და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის“ [1. 15. 23-27].

მოვსეს ხორენაცი მოგვითხრობს, რომ „...დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ, ისინი შთამომავლები იყვნენ დარეჰის ნაჰარარის მიჰრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას“ [5. 106-107]. ე. მამისთვალისიშვილი ვარაუდობს, რომ: „მას (მოვსეს ხორენაცს -დ. ჩ) რაღაც სხვა წყარო გააჩნდა ან მან ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედქმნილი ებრაელების ქართლში მოსვლა და დასახლება მიიჩნია მთელი ქართლის მოსახლეობის იმავე ებრაულ წარმოშობისად .... შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სომხური წყარო დაედო საფუძვლად, მაგრამ გასწორებული სახით, „მოქცევაი ქართლისაის“ და ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ [8. 63].

ებრაელების მოსვლის შესახებ მრავალმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება (გ. მელიქიშვილი, ი. დავიდი, ე. მამისთვალიშვილი, კ. წერეთელი, მ. ქურდიანი და სხვები). მათგან ნაწილი (გ. მელიქიშვილი, ი. დავიდი) თვლის, რომ ებრაელები ვერ მოვიდოდნენ ქართლში ძვ. წ. აღ-ის მეხუთე საუკუნეზე ადრე და რომ ებრაული თემით ქართველი მემკვიდრეების დაინტერესება გამოწვეულია იმით, რომ ბაგრატიონების აღზევებას მოჰყვა მათი წინაპრების უძველეს ქართულ მატრიანეებში მოხსენიება [16. 230].

ე. მამისთვალიშვილი თავის ნაშრომში იზიარებს ტრადიციულ შეხედულებას საქართველოში ებრაელთა შემოსვლის თარიღზე და გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას ებრაელთა უფრო ძველი ნაკადის საქართველოს ტერიტორიაზე მოსვლის შესახებ, კერძოდ, ძვ. წ. მე-8 საუკუნეში. მან ყურადღება მიაქცია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას ებრაელთა ქართლში „კუალად“ მოსვლის შესახებ და ივარაუდა, რომ: „ვახუშტისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო ძვ. წ. მე-8 საუკუნეში (722 წ. ძვ. წ.) ისრაელის სამეფოს კატასტროფა და იმ დროს იუდეიდან ტყვეობაში წაყვანილთა თუ გაქცეულთა ერთი ნაწილის საქართველოში გადმოხვეწის შესახებ“ [8. 17]. ჩვენ შეგვიძლია ვახუშტის მიერ ნახსენები „კუალად“ შემდეგნაირად ავხსნათ: როგორც ცნობილია, ძვ. წ. მე-6 საუკუნეში ნაბუქოდონოსორმა ორჯერ დალაშქრა იერუსალიმი. ძვ. წ. 596 წ. ახალბაბილონის მეფის რისხვა იერუსალიმის წარჩინებულ ფენას დაატყდა თავს. ადვილი შესაძლებელია, მათგან რაღაც ნაწილი შემოვიდა ქართლში და შეიძინა ქვეყანა „ხარკით“. მეორე ნაკადი შეიძლება შემოსულიყო მომდევნო მასობრივი აოხრების დროს, ანუ ძვ. წ. 586 წელს. შეუძლებლად არ გვეჩვენება, რომ იერუსალიმში დარჩენილთათვის ცნობილი იყო ის რეგიონები, სადაც მოსახლეობის მასობრივი გაფანტვა მოხდა. ამ მხრივ ქართლის პოლიტიკური წყობა შესაფერისი იყო ლტოლვილი იუდეველების მისაღებად. ამდენად, თერთმეტი წლის შემდეგ იერუსალიმიდან დარბეული თანატომელები თამამად მოემართებიან მცხეთისაკენ. ალათ, ისინი იყვნენ „კუალად“ მოსულნი და „იგინცა“ დაასახლეს ადრე მოსულთა შორის.

ქართველი მემკვიდრეებისთვის რომ ებრაული თემატიკა აქტუალურია უძველესი ხანიდან ეს შემდეგი განხილვიდანაც ჩანს.

ებრაელთა მოსვლას ქართლში წინ თურქების შემოსვლა უძღოდა [1. 15. 9-17]. ლეონტი მროველი მათ შემოსვლას განიხილავს და დასძენს, რომ „ყოველთა ქართველთა“ გადაწყვიტეს მათი მიღება, ვინაიდან „ქართლოსიანთა აქუნდათ შიში სპარსთა“ და თურქებმა (დ. ჩ.) აღუთქვეს „შეწვენა სპარსთა ზედა“. ამის გამო „ინებეს დამეგობრება მათ თურქთა... და შემწეობისთვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“ [იქვე].

ოთ. ლორთქიფანიძე, შეეხო რა „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ქართლში ებრაელთა და თურქთა შემოსვლის შესახებ, აღნიშნავს, რომ ტექსტში უნდა იყოს „ყოველსა ქალაქსა შინა“ და რომ თითქოს საუბარია თურქთა ერთ ქალაქში დასახლებაზე [17. 803]. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ თურქთა ერთი ნაწილი მცხეთის მამასახლისმა დაასახლა „...ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა...მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“ [1. 15. 15-17]. ოთ. ლორთქიფანიძე პარალელს ავლენს თურქთა და ებრაელთა მოსვლას შორის და ამბობს, რომ თურქთა 28 ოჯახის მიღებისას „...საქმე ეხებოდა უცხოთა თემის წევრად, ე. ი. მოქალაქედ მიღებას სამხედრო დახმარების აღმოჩენის პირობით. ასეთი უფლებამოსილება კი შეეძლო მხოლოდ თემს - სრულუფლებიან მოქალაქეთა კრებას“ [17. 803]. ხოლო ებრაელები და „უმრავლესნი თურქნი“ (მკვლევარი მათ სხვა დროს მოსულებად თვლის - დ. ჩ.) თემის წევრთა დაუკითხავად „დასხნა“ მიწაზე. ამ მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „სადაცა ვინ მოვიდის.. საბერძნეთით, გინა ასურით, გინა ხაზარეთით“, მცხეთელ მამასახლისს შეეძლო ერთპიროვნულად მიეცა მათთვის მიწა. „ქართლის ცხოვრებიდან“ კი ნათლად ჩანს, რომ მამასახლისმა ერთპიროვნულად მხოლოდ და მხოლოდ ებრაელთათვის მიწის გამოყოფის საკითხი გადაწყვიტა.

ამ საკითხს შეეხო შ. მესხიაც [18], რომელიც ამტკიცებს, რომ თურქები, უფრო სწორედ მათი ერთი ნაწილი (28 ოჯახი), სხვადასხვა ქალაქებში დაასახლეს ქართველებმა, რაც ჩვენც მართებულად მიგვაჩნია. ლეონტი მროველი ხომ ასე კონკრეტულად გადმოგვცემს: ებრაელთა შემთხვევაში „მისცა“ და „დასხნა“, ხოლო თურქთა უფრო მეტობრივი ნაწილი გაფანტეს სხვადასხვა ქალაქებში, ხოლო „უმრავლესნი“ მათ მიერ არჩეულ ადგილას - სარკინეში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ხიზანის შემთხვევაში ხაზგასმულია მათი შესაძლო გამოყენება სპარსელებთან მოსალოდნელ ბრძოლებში. ეს დაინტერესება არ ჩანს მხოლოდ ებრაელების შემთხვევაში. აქედან კიდევ ერთხელ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ ებრაული თემა და ზოგადად ებრაელი მოსახლეობა გარკვეული პრივილეგიით, ან შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული მიდგომით გამოირჩეოდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქართველ მემკვიდრეებს. (აღნიშნული საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა აქვს მ. სანაძეს [14. 23-53]. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ებრაელთა შემოსვლა ქართველმა მემკვიდრეებმა „აურია“ „მიდიის მეფის ყიალსარისა და ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორ მეორის მიერ გამოძევებული სკვითების ქართლში მოსვლის სამ ვარიაციას“ შორის (?).

მკვლევართა ნაწილი (პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე...) თვლის, რომ ებრაული თემა ქართული ისტორიოგრაფიისათვის მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც მე-9 საუკუნეში ხდება ბაგრატიონთა გვარის ამალეობა და მათ თავიანთი წარმომავლობა დაუკავშირეს ბიბლიურ დავითს. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ გადმოგვცემს ქართველი ხალხის სამხრეთიდან, „არიან-ქართლიდან“ გადმოსახლების საკითხს და თქმულება ბაგრატიონთა გვარის წარმოშობაზე მე-9 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა და მიზნად ისახავდა ქართული სამეფოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის იდეის განმტკიცებას [13. 77-84]. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაჩვენებს, ებრაული თემისადმი ინტერესი ქართულ ისტორიოგრაფიას გაცილებით ადრე გასჩენია, ვინაიდან მსოფლიო მოვლენების საქმის კურსში იყვნენ. ამის დასტურად გამოდგება მოვსეს ხორენაცის წინასიტყვაობაც, რომელიც მან თავის „სომხეთის ისტორიას“ დაურთო: „...ამჟამად შენ გხედავთ ასეთს (ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულს - დ. ჩ.) ...შენ ყველა წინამორბედზე უდიდებულესად და უმაღლესად... ხოტბის ღირსად უნდა მიგიჩნიოთ... ამის გამო ხალისით ვიწრომებ... რათა ამით უკვდავყო შენც და შენი შთამომავლობა, რამეთუ ხარ გვარით ძირძველი და მამაცი...“ [5. 56]. მეხუთე საუკუნის მოღვაწე საჰაკ ბაგრატიუნის უძღვის თავის საისტორიო ნაშრომს. ამით კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ბაგრატიონებისა და ზოგადად ებრაული თემით დაინტერესებას ქართველებისთვისაც გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე მე-9 საუკუნეა.

ე. მამისთვალისიშვილი აღნიშნავს, რომ: „...გასარკვევია, გვარის აღზევებამ გამოიწვია ლეგენდების შექმნა თუ ლეგენდებმა გარკვეული როლი ითამაშა გვარის დაწინაურების საქმეში. ერთი რამ კი უეჭველია: თქმულება ბაგრატიონ-ბაგრატიუნების ებრაულ წარმოშობაზე უკვე არსებობდა მოვსეს ხორენაცამდე (მე-5 საუკუნემდე) კარგა ხნით ადრე, მანამდე, ვიდრე ბაგრატიონები ქართლში მოიპოვებდნენ სერიოზულ პოლიტიკურ ავტორიტეტს“ [8. 196]. ბაგრატიონების ებრაული წარმომავლობის შესახებ ლეგენდა მრავალ ავტორს აქვს განხილული [ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე და სხვ.].

როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ქართლში შემოსულ ალექსანდრე მაკედონელს დახვდა ქალაქები, რომელთაგან დიდ ქალაქ მცხეთაში რამდენიმე უბანი არსებობდა: სარკინე, ციხედიდი, ზანავი, უბანი ჰურიათა. მამასადამე ძვ. წ. მე-6 საუკუნეში ქართლში ლტოლვილებად შემოსული ებრაელების ნაწილი ორი საუკუნის შემდეგ უკვე ქართლის დედაქალაქის პრესტიჟული უბნის მცხოვრებლები გამხდარან.

„ქართლის ცხოვრებაში“ ებრაული თემის ყველაზე დიდი ჩანართი ქართლში ქრისტიანობის შემოსვლას უკავშირდება. მესიანისტური იდეები, რომლებიც ქართლში სწორედ ებრაელების მიერ ვრცელდებოდა იუდაური თემების საშუალებით, თანდათან ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც ნაცნობი ხდებოდა. პირველი ცნობა, რომელიც პირველ საუკუნეში მცხეთის ებრაელებს მოუვიდათ, ქრისტეს დაბადება იყო. მემატთანე ქრონოლოგიურად მიჰყვება ამბავს და ოცდაათი წლის შემდგომ, როდესაც ქრისტემ ქადაგება დაიწყო, კვლავ მოვიდა ცნობა მცხეთაში; მცხეთელ ებრაელებს, როგორც მსოფლიო ებრაული დიასპორის წარმომადგენლებს, ქრისტეს, როგორც მოსეს სჯულის შეურაცხმყოფელის გასასამართლებლად იწვევდნენ იერუსალიმში.

„მოქცევაი ქართლისაის“ ქართლის გაქრისტიანების ამბავი, წმ. ნინოს მოღვაწეობა და მეფე მირიანის მიერ ქრისტიანობის გამოცხადება ქვეყნის მთავარ აღმსარებლობად, „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელოვანი ჩანართია. ქართლის გაქრისტიანების ეს პასაჟი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ლეონტი მროველმა ის მთლიანად შეიტანა თავის თხზულებაში. იმდენად, რამდენადაც ქრისტეს ამქვეყნიური მოვლინება, ცხოვრება, ქადაგება და აღსასრული მთლიანად უკავშირდება ებრაულ სამყაროს, ქართლის ცხოვრების მემატთანე ცდილობს დამაჯერებლად წარმოგვიდგინოს ქრისტიანული სიწმინდის - ქრისტეს კვართის ქართლში შემოტანისა და ქრისტესთან ქართველი მეფეებისა და ერის ნათესაობის ისტორია. ჩვენ შევეცადეთ ქართლის ცხოვრებაში ჩართული ქართლის გაქრისტიანების ამბავი განგვეხილა, ვინაიდან ეს თხზულება ქართველი ერის დასაბამიდან ერთ გაბმულ ისტორიას მოგვითხრობს, და ქრისტიანობის მიღების წინაპირობები, სამეფო დონეზე მისი აღიარება და ქვეყნის გაქრისტიანება უმნიშვნელოვანესი, მაგრამ ერის ისტორიის ერთ-ერთი მონაკვეთია. ლეონტი მროველი, იმეორებს რა „მოქცევაის“ ძირითად შინაარსს, თვითონაც გვიდასტურებს ებრაული თემისადმი დიდი ინტერესსა და სიმპათიას, ყოველთვის ხაზგასმითაა აღნიშნული იმ ებრაელების ეთნიკური კუთვნილება (ჰურია, ჰურიანი, ჰურიათა...), რომლებიც წმინდა ნინოს მოღვაწეობის პერიოდში ხელს უწყობდნენ, ინფორმაციას აძლევდნენ, თვითონაც ქრისტიანობის თავდადებულ პროპაგანდას ეწეოდნენ. ამით, მემატთანე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სწორედ იუდაურ წიაღში აღმოცენებულ ქრისტიანობას ყველაზე უკეთ ის ადამიანები შეიმეცნებდნენ, ვისთვისაც ქრისტიანობის ერთ-ერთი აპოსტაზი-მამაღმერთი უკვე ნაცნობი იყო.

ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ქართლში მირიან მეფის მეფობის დროს ისრაელში ებრაელ ერს გამოუჩნდა „კეთილისმყოფელი“-ღმერთი მოკვდავი ადამიანის სახით, რომელიც მიცვალებულებს აცოცხლებდა, სწეულთ კურნავდა... [1. 77. 15-16]. ლეონტი მროველმა ისე ოსტატურად ჩასვა ეს მონაკვეთი თავის თხზულებაში, თითქოს ამის აღნიშვნა ტექსტის უწყვეტობის აუცილებლობით იყო განპირობებული. ამის შემდეგ იწყება წმინდა ნინოს ქართლში მოსვლისა და ქრისტიანობის ქადაგების თავგადასავალი. „მოქცევაი ქართლისაი“ უფრო ვრცლად გადმოგვცემს აღნიშნულ ამბებს. ქართლის გაქრისტიანების საქმეში ებრაელთა დიდი როლი აღნიშნულია „მოქცევაი ქართლისაიში“ და, ბუნებრივია, იმეორებს „ქართლის ცხოვრებას“.

წმინდა ნინო, რომელიც სომხეთიდან შემოდის ქართლში, ებრაელებს პირველად ქალაქ ურბნისში ხვდება, სადაც ერთ-ერთი დიდი ებრაული დიასპორა ცხოვრობდა. მათ საკუთარი სინაგოგა ჰქონდათ, სადაც ნინომ ებრაულ ენაზე გამოიკითხა შესაძლო მარშრუტი და ერთი თვის განმავლობაში დარჩა. ურბნისიდან ნინო მცხეთისკენ გამოემართა. მემატანე გვიხატავს წარმართული ურბნისისა და მცხეთის წარმართი მოსახლეობის ყოველდღიურობას, რომლითაც ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა; „...უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახური, რამეთუ ცეცხლსა, ქვათა და ძელთა ღმერთად თაყუანის ცემდეს... და ხედვიდა წმიდა ნინო ცეცხლის მსახურთა მათ ერთა მოგუებასა და ცდომასა“ [1. 87-88. 17-25]. მემატანე არსად გამოთქვამს აღშფოთებას იმის გამო, რომ თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში არსებობს სინაგოგა, მაშინ როდესაც არმაზის კერპის აღწერისას მას საშინლად წარმოაჩენს. იგივე პათოსია შენარჩუნებული „ცეცხლისმგზებელთა“ ღვთისმსახურებასთან დაკავშირებითაც. მცხეთაში მაცხოვრებელი ებრაელები ნინოს ინფორმატორები არიან. ისინი ხდებიან მისი პირველი მოწაფეები და მიმდევრები, მოგვიანებით კი ქრისტიანობის დავდადებული მქადაგებლები. ამით ლეონტი მროველი დადებითად განაწყობს ქრისტიან მკითხველს ქართველი იუდეველების მიმართ, ვინაიდან მათ გამოისყიდეს წინაპართა დანაშაული და იწამეს ქრისტე. ქართლში პირველად სწორედ იუდაურ-ქრისტიანული თემები ჩნდება [8. 143-144]. ებრაული თემის ის წევრები, რომლებიც ქრისტიანობას იზიარებდნენ, ბუნებრივია, „გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ თანატომელთა მხრიდან. ისინი შეეცდებოდნენ, მოეძებნათ თანამოაზრეები წარმართ ქართველებში. ასე თანდათან, გარკვეული წინააღმდეგობის გადალახვით ქრისტიანობა იჭრებოდა ქართველთა შორისაც“ [იქვე].

ებრაელთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენის - რომაელთაგან იუდეის სამეფოს დამხობისა და ფლავიუსების მიერ იერუსალიმის განადგურების ამბავს ქართველი მემატანე მთელი ტრაგიზმით გვიხატავს: „...ვესპასიანოს, ჰრომთა კეისარმან, წარმოსტყუენა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელადვე მოსრულთა ჰურიათა თანა, რომელთა თანა ერთნეს შვილნი ბარაბაისნი“ [57.6]. ებრაელთა ამ ნაკადის შესახებ ჩვენ მთელი საბუთიანობით შეგვიძლია ვისაუბროთ და ქართლის ცხოვრების ეს ჩანართი სწორედ იქაა მოთავსებული, სადაც ბარტამ და ქართამ ქართლის მეფეთა მმართველობაზეა საუბარი [44. 1-4]. ამ მოვლენისა და, ზოგადად ებრაელთა ასეთი ძველი ნაკადების შემოსვლის შესახებ, ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი აქვს გამოთქმული (მ. სანაძე, ზ. ჯინჯიხაშვილი...). მ. სანაძე აღნიშნავს, რომ ებრაელთა მოსვლა მცხეთაში ქართველი მემატანის შეცდომაა და იგი არეულია სკვითების ქართლში მოსვლასთან. მისი აზრით, ებრაელთა საცხოვრისები ქართლში არ შეიძლებოდა გაჩენილიყო ჩვ. წ. აღ-მდე პირველ საუკუნეებზე ადრე. ამას ხსნის იმით, რომ არქეოლოგიური მასალით ებრაული სასაფლაო მცხეთაში პირველი საუკუნეებით თარიღდება. მ. სანაძე წერს: „ჩვენი ქრონოლოგიით ებრაელთა ქართლში მოსვლა... უნდა მომხდარიყო ძვ. წ. 50-იან წლების დასაწყისში... ჩვენს თვალსაზრისს ეხმიანება არქეოლოგიური მონაცემებიც, რომელთა მიხედვით ქართლში ნაპოვნი ებრაელთა პირველი სამარხები განისაზღვრება ახ. წ. პირველი საუკუნის დასაწყისით... საფიქრებელია, ... ქართლში გადმოსახლებული ებრაული თემების შემადგენლობა ასაკობრივი თვალსაზრისით შედარებით ახალგაზრდული იქნებოდა. შესაბამისად, პირველი მასიური სამარხები ებრაელებისა ქართლში სწორედ ძველი და ახალი ერების მიჯნაზე გაჩნდებოდა“ [14. 34].

რაც შეეხება რ. ჯინჯიხაშვილს, იგი ფიქრობს, რომ მე-6 საუკუნისთვის ქართლის ტერიტორიაზე მსხვილი საქალაქო დასახლება არც კი არსებობდა [11. 22-23] და რომ ებრაელები არა ქართლში, არამედ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კოლხეთში მოვიდნენ [11. 27-28]. როგორც ერთი, ისე მეორე მკვლევარის მოსაზრებიდან გამომდინარე ქართულ წერილობით წყაროებში ებრაული თემა შემთხვევითია და ის აუცილებლად გვიანდელი ჩანართები უნდა იყოს, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ. ჯერ ერთი, მთელი საბუთიანობით შეგვიძლია ვისაუბროთ ებრაელების კავკასიაში და ზოგადად ქართლში მოსვლის უფრო ადრეულ პერიოდზე, ვიდრე ძვ. წ. აღ-ის 50-იანი წლებია. ამის დასადასტურებლად გამოდგება მთელი რიგი მკვლევართა ნაშრომები (გ. მელიქიშვილი, ს. ჯანაშია, ე. მამისთვალიშვილი, ოთ. ლორთქიფანიძე და სხვები). უნდა შევნიშნოთ, რომ არა მხოლოდ თანამედროვე გამოკვლევები, ქართულ და სომხურ ნარატიულ წყაროებში ერთმნიშვნელოვნადაა მითითებული ებრაელთა კავკასიაში შემოსვლის ჩვ. წ. აღ-მდე მე-6 საუკუნით დათარიღება [5. 86-114].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრება“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ებრაელების დიდ ღვაწლს ქართლის გაქრისტიანების საქმეში. იმის გამო, რომ ქართლის ებრაელებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქრისტიანობის ცენტრ - ისტორიულ სამშობლო იერუსალიმთან, ბუნებრივია, ისინი განუწყვეტლივ საქმის კურსში იყვნენ იქ მიმდინარე მოვლენებისა. „სწორედ ებრაელები იყვნენ გზის გამკვალავნი საქართველო-პალესტინის ურთიერთობისა, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული ქრისტიანული კულტურის შემდგომ განვითარებაზე.“ [8. 137]. ეს ყველაფერი კი ლეონტი მროველს აძლევდა საშუალებას, ესაუბრა ებრაელებზე, როგორც ღვთის რჩეულ ერზე, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართლში ჯერ მესიანისტური იდეების გავრცელებაში, საქართველოში ქრისტიანული სიწმინდეების (ელია წინასწარმეტყველის ხალენი და ქრისტეს კვართი) ჩამოტანაში, ქრისტიანობის ქადაგებასა და გავრცელებაში (აბიათარი, სიდონია...). აშკარაა ის კეთილგანწყობა, რომლითაც მემატანე წერს ქართველ ებრაელებზე (აბიათარ ურიაყოფილი, სიდონია...). სიმბოლურია ისიც, რომ ნინოს პირველი მოწაფენი სწორედ ებრაელები იყვნენ: „და პოვა ერთი მღვდელი, სახელით აბიათარ, და უქადაგა მას და ასულმა მისსა სიდონიას სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი... ხოლო მათ რწმენა დაემოწაფეს, იგინი და ექუსნი დედანი სხუანი ჰურიანი“ [1. 95. 5-8]. წყაროების ცნობით, ქართლში იმდენად გავრცელებული იყო მესიანისტური იდეები, რომ ქრისტეს ჯვარზე გაკვრის ტკივილმა ისე ძალუმაღლად მოაღწია მცხეთის ებრაელობამდე, რომ ელიოზის დედამ „იკრჩხიალნა და თქუა: „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო“ და გარდაიცვალა. ასეთი მგრძობიარე პასაჟების ჩართვით მემატანენი ებრაელების მიმართ დადებით განწყობას ქმნიდნენ. ყოველ შემთხვევაში, ქართული ნარატიული წყაროები ადასტურებენ, რომ „ჰურიათა ქართველთა“ მძაფრად განიცადეს მესიის არცნობა. ეს გახდა ყველაფრის უბედურების მიზეზი: „ცის-კიდეთა განზნევა, მეფობისაგან დაცემა, ტაძრისა მის წმიდისა მიღება, ერისა უცხოთა წოდება და დიდება მათი მათდა მიცემაღ“ [1. 101. 15-16]. ქართველი ებრაელების ნაწილისთვის ქრისტეს ჯვარცმა იქცა „ურიათა სირცხვილად“ [იქვე]. ცალკეულ ეპიზოდებში მემატანე ცდილობს პერსონიფიცირება მოახდინოს, რათა კიდევ უფრო მძლავრად წარმოაჩინოს ამა თუ იმ ადამიანის როლი ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ხშირად ახალი რელიგიის მქადაგებლების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. აბიათარი, რომელიც ქრისტეს მოძღვრებისადმი ერთგულებითა და ღვაწლით გამოირჩეოდა და მატანე მოიხსენებს „როგორც მეორე პავლე“, თანამომძიებმა კინაღამ ჩაქოლეს მამა-პაპათა რელიგიის უარყოფის გამო. თუმცა აბიათარი და მისი ქალიშვილი, ასევე ქრისტეს სხვა მიმდევრები ტრადიციის მიერ ელიოზის და მასთან ერთად იერუსალიმში წასულ „ჰურიათა ქართველთა“ რიგებში ჩადგნენ, ამით ისინი შეუერთდნენ „მართალთა“ რიგებს.

ებრაელების მიერ ქრისტიანობის აღიარება მალე მასობრივი გახდა და დაიწყო იუდაურ-ქრისტიანული თემების ჩამოყალიბება. ბუნებრივია, ამ პროცესმა შეარყია მცხეთის მძლავრი ებრაული თემი და დაიწყო მისი გაფანტვა: „და იწყეს სადაითვე წარსვლად თვინიერ“. მემატანესთვის ესენი არ არიან „მართალთა“ რიგის წევრები, ესენი მათი სულიერი მოძმენი არიან, ვინც ჯვარს აცვა ქრისტე.

აბიათარის მიმდევრები მცხეთაში სხვებიც აღმოჩნდნენ. ესენი იყვნენ ბარაბას (ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც ქრისტეს ნაცვლად გაათავისუფლეს - დ. ჩ.) შთამომავლები: „ნათელ ილო ორმოცდაათმან სახლმან და იქმნეს ქრისტიანე ჭეშმარიტ“. გაქრისტიანებულნი მეფე მირიანის მხრიდან დიდ პატივში იყვნენ აყვანილნი და მათ უბოძეს დაბა ციხე-დიდი. კავკასიის მთიულებმა არ მიიღეს ქრისტე და როდესაც მემატანე მათ საქციელს ადრის გაქრისტიანებული ებრაელების საქციელს, მეტი სიმძაფრისთვის უწოდებს მათ „ბნელსა შინა“ მყოფებს.

სამეფო კარის მხრიდან პროზელიტი ებრაელების ასეთი ფორმით დაჯილდოება იმასაც გვაფიქრებინებს, რომ აბიათარის განმანათლებლური საქმიანობა ხელისუფლების მხრიდან გარკვეულ მხარდაჭერას ჰპოვებდა. ეს მხარდაჭერა გაქრისტიანებულ ებრაელებს გამოუცხადა ქართულმა ისტორიოგრაფიამაც, რომელიც ღირსეულად გააგრძელა ლეონტი მროველმა.

ე. მამისთვალისთვის ებრაელებსა და ქართველებს შორის ანტაგონიზმის არარსებობისა და ქართული მემატინეების მიერ ებრაული თემის წინ წამოწევის შესახებ თავისი მოსაზრება აქვს. მკვლევრის აზრით: „...ებრაელები საქართველოში იმ პერიოდში მოვიდნენ, როდესაც ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა, მათ თან მოიტანეს ვაჭრობისა და ხელოსნობის მოწინავე ფორმები, რითაც მაშინდელი ქართული საზოგადოების პატივისცემას მოიპოვებდნენ“ [8. 152]. ქართველებისთვის შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო მოწესრიგებული, წიგნიერი რელიგია, რომელსაც ებრაელები აღიარებდნენ. გვერდიგვერდ მცხოვრები ხალხი ერთმანეთზე დაკვირვების საუკეთესო საშუალება იყო. ქართველები უთუოდ აჩნევდნენ ებრაელების კონსოლიდაციას, ურთიერთპატივისცემასა და გატანას, რომელსაც რელიგია განაპირობებდა. „ებრაელების მიმართ მტრული დამოკიდებულების არარსებობას ხელს უწყობდა ისიც, რომ ისინი ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ კი არ მოვიდნენ საქართველოში, არამედ თვითონ მიიღეს უშუალო მონაწილეობა ამ რელიგიის დანერგვაში. ქართველი ებრაელები მიჩნეული იყვნენ ებრაელების იმ

ნაწილად, რომლებსაც ბრალად არ ედებოდათ მაცხოვრის ჯვარცმა: [იქვე]. ებრაელებს არ ჰქონდათ გაწყვეტილი კავშირი თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან. ეს ურთიერთობები საქართველოსთვის სასარგებლო იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქცა, ქართველებისთვის „ჰურიანი ქართველი“ წმინდა მიწასთან დაკავშირების საუკეთესო საშუალებად იქცნენ. ამას ემატებოდა ისიც, რომ „ქრისტიანული ლიტერატურა ებრაელების მონაწილეობით იქმნებოდა და, ამდენად, მასში ვერ აისახებოდა წინააღმდეგობა“ [იქვე].

ამდენად „ქართლის ცხოვრებაში“ ებრაული თემატიკით მემატიანეს დაინტერესება შეიძლება ორი მიმართულებით განვიხილოთ: პირველი, ქრისტიანობა იუდაიზმის წიაღში ჩაისახა და განვითარების პირველი ნაბიჯებიც აქ გადადგა. მომდევნო პერიოდში მასთან დაპირისპირებამდე იუდაურ-ქრისტიანული თემი ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების მთავარი ადგილი იყო. ეს მხოლოდ საქართველოში არ იყო ასე. მეორე, როგორც ვიცით, საქართველოსა და სომხეთის სამეფო ტახტის მფლობელმა საგვარეულომ - ბაგრატიონებმა თავი დიდი წინასწარმეტყველის დავითის შთამომავლებად გამოაცხადეს. ამდენად მემატიანეებმა კიდევ უფრო ცხოველი ინტერესი გამოავლინეს ებრაელების ადრეული ისტორიისა და საქართველოსა და ზოგადად კავკასიასთან მათი ინტენსიური ურთიერთობის შესახებ. სწორედ ეს აისახა ქართულ ნარატიულ წყაროებში, როდესაც მემატიანე არ მალავს თავის ებრაელოფილობას. ებრაული თემა იმდენად მყარად დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ მომდევნო საუკუნეებშიც შეინარჩუნა აქტუალობა.

### ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
2. ქართლის ცხოვრება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2008.
3. ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.
5. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ., აბდალაძემ, თბ., 1984.
6. წერეთელი კ., სემიტოლოგიური და ქართველოლოგიური შტუდიები, „ლოგოსი“, თბ., 2001.
7. წერეთელი კ., მცხეთის არამეული ამულეტი, „მცხეთა“, თ. 8, თბ., 1996.
8. მამისთვალისიშვილი ე., ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995.
9. წერეთელი კ., სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, თბ., 2000.
10. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ., 1950.
11. ჯინჯიხაშვილი ზ., ებრაელები და საქართველო-დიასპორა თუ..., თელ-ავივი, 2012.
12. მამისთვალისიშვილი ე., ქრისტეს კვართის ისტორია, 2003.
13. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, ნაწ. 1, თბ., 1954.
14. სანაძე მ., „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ., 2001.
15. ლორთქიფანიძე მ., ლევენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1968.
16. დავიდი ი., ნაწერები 1, ტელ-ავივი, 1976.
17. ლორთქიფანიძე ოთ., მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისთვის, ლეონტი მროველიც ცნობები მცხეთის მამასახლისის შესახებ, ს. მ. ა. მ. ტ. XXIX, 16, 6, 1962.
18. მესხია შ., ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

## **JEWISH THEME IN “KARTLY CHRONICLES”** **Davit Chochishvili, Gori State Teaching University, Associate Professor** **RESUME**

In Ancient Georgian historical narrative monuments in connection with World or Georgian history Jewish themes are often found; It might be ancient historical passages of kingdom of Israel or specific share of the Jewish Diaspora, established in Kartli, in the social hierarchy of Kartli, in the economic, political and cultural life of the country's. Part of the researchers believe, (P. Ingorokva, M. Lortkipanidze...) that Jewish theme, for Georgian



historiography, became actual after in the 9th century, there was a raise in Bagrationi family and they linked their origin to the biblical David. However, the facts discussed by us demonstrates, that the Jewish theme for Georgian chroniclers became actual and interesting much earlier. The appearance of Bagrationi in the arena of the history the theme became more actual. We suppose, that for Georgian chroniclers the Jewish themes were important due to the existence of the oldest Jewish diaspora in Kartli, which was the active part in the life of the Country.

## ანტიოსმალური კოალიცია და სიმონ პირველი

**ვლადიმერ წვერავა**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
**ელდარ თავბერიძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

1453 წელს ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღება დიდი დარტყმა იყო ქრისტიანული სამყაროსათვის, განსაკუთრებით კი საქართველოსათვის. დასავლეთ ევროპაში ოსმალური საფრთხე ყველაზე უკეთ აღიქვა რომის პაპმა, მან გადაწყვიტა ოსმალთა წინააღმდეგ მოეწყო ჯვაროსნული ლაშქრობა ანუ შექმნა ანტიოსმალური კოალიცია („ლიგა“). პაპის მოწოდებას გაერთიანებულიყვნენ ამ კოალიციაში ქმედითი ღონისძიებების გატარება არ მოჰყოლია ევროპის სახელმწიფოს მეთაურთაგან.

XVI საუკუნეში ევროპის არაერთი ქრისტიანული სამეფო დაიმორჩილა ოსმალეთმა. ევროპას დიდი საფრთხე შეექმნა. ხოლო მას შემდეგ როცა ოსმალეთმა 1578 წელს დაამარცხა ირანი („ყიზილბაშები“) და მას შეეძლო თავისი ძალები მიემართა ევროპისაკენ, მაშინ ევროპის მესვეურებს გაახსენდათ ძველი „ანტიოსმალური“ პროექტები და შეუდგნენ მის განხორციელებას. ამ საქმეში კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კათოლიკური ეკლესიის ცენტრი – ვატიკანი, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა კათოლიციზმის გავრცელება – დამკვიდრება აღმოსავლეთში, კერძოდ ირანში და მისი მეშვეობით ევროპის ქვეყნების საერთო მტრის – თურქეთის (ოსმალეთის) დამარცხება. ევროპის ქვეყნების ხელისუფალნი კი ორი მაჰმადიანური სახელმწიფოს მეტოქეობის გამოყენებას ცდილობდნენ და ანტიოსმალურ ბლოკში ირანის ჩათრევის პოლიტიკას აწარმოებდნენ.

ახალი ანტიოსმალური კოალიციის („ლიგის“) შექმნის ინიციატორებად გამოდიოდნენ რომის პაპი კლემენტ VIII და გერმანიის იმპერატორი რუდოლფი. ეს კარგად ჩანს ევროპულ წყაროებში. რომის პაპი ანტიოსმალური გეგმის განხორციელებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა აღმოსავლეთის ქვეყნებს, განსაკუთრებით კი ქართველებსა და სპარსელებს. (ქ. პავლიაშვილი; 1994, გვ. 31)

რომის პაპი ქართველებსა და ირანელებს ოსმალეთის წინააღმდეგ აქეზებდა და სამაგიეროდ დასავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარებას პირდებოდა. ოსმალეთს დამარცხებას ქრისტიანთა განთავისუფლება და საქრისტიანოს გამოხსნა, საქართველოს აღდგომა უნდა მოჰყოლოდა. (ვ. გაბაშვილი, 1954, გვ. 97)

როდესაც ირანის მზრძანებელი შაჰ-აბას I ამიერკავკასიაში მისთვის სასურველ ანტიოსმალურ კოალიციას რაზმავდა, მას სხვა მიზანიც გააჩნდა. იგი ქართველი მეფეების ქრისტიანობის გამოყენებას აპირებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ქრისტიან მესვეურებთან ურთიერთობის დამყარებისათვის. შაჰმა ისიც კარგად უწყოდა, რომ ქართველთა თავდადებული ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის ცნობილი იყო, თან ევროპაში „ქრისტიან ქართველებს, ირანელთა მეგობრად და მოკავშირეებად სთვლიდნენ. (ე. მამისთვალისძილი, დას. ნაშრომი, გვ 301)

მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო იერთებს ასტრახანისა და ყაზანის სახანოებს, იგი ეუფლება სავაჭრო მაგისტრალს კასპიის ზღვასა და მდ. ვოლგაზე რუსეთის სახელმწიფო ირანთან ააქტიურებს დიპლომატიურ ურთიერთობებს და ცდილობს ირანი გამოიყენოს ოსმალეთთან საპირწინედ.

დას. ევროპაში შიშით ადევნებდნენ თვალყურს მოვლენების განვითარებას მახლობელ აღმოსავლეთში ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობას, ირანის წარუმატებლობას ამ ომში, თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთ ევროპაზე ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავმა. რუსეთმა კი ამ ზავით თავისი უკმაყოფილება იმით გამოხატა, რომ დემონსტრაციულად შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ირანთან. სწორედ ამ დროს ასეთ ვითარებაში დას. ევროპის ბევრ ქვეყანაში შემუშავდა არა ერთი ანტიოსმალური კოალიციის პროექტი. ამ პროექტებში ოსმალეთის ეფექტურ მოწინააღმდეგედ აღმოსავლეთში ირანთან ერთად საქართველოც იყო ნაგულისხმევი და ნავარაუდევი. ამით აიხსნება, რომ იმდროინდელ დიპლომატიურ დოკუმენტებში, პოლიტიკური აგენტების ჩვენებებში, მახლობელი

აღმოსავლეთის სხვადასხვა ქალაქებში მყოფი ევროპელი რეზიდენტების წერილებში საკმაოდ უხვი ცნობები მოიპოვება საქართველოსა და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების შესახებ. კერძოდ, ევროპულ წყაროებში ვრცლადაა დახასიათებული, როგორც დიპლომატი და მხედარი, ქართლის მეფე სიმონ პირველი – (ტომაზო მინადოი, ვეკიეტი...), რომელიც ირანის მოკავშირედ გამოდიოდა ირან-ოსმალეთის მეორე ომში და მის შემდეგაც ევროპელი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ქართველი ხალხის დაუცხრომელ ბრძოლას ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ საზოგადო მნიშვნელობა ენიჭებოდა. მთელს იტალიაში და დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში მოუთმენლად მოელოდნენ თუ რა დაემართებოდა ქართველების მიერ გარემოცულ ოსმალთა ჯარს თბილისის ციხეში. საამისო ცნობებს გვაწვდის ამ ამბების თანადადმხდური ტომაზი მინადოი. (ვ. გაბაშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 78).

რომის პაპი, ქრისტიანობის დაცვის არგუმენტით ცდილობდა ანტიოსმალური კოალიციის შედგენას მოსკოვის მონაწილეობით. პაპი მოსკოვის მეფეს აშინებდა იმპერატორის დამარცხების პერსპექტივით. თუ ოსმალები გაანადგურებენ ავსტრიას, უნგრეთსა და პოლონეთს, უნდა გადაეცა პაპის მოციქულს მოსკოვის მეფისათვის, მაშინ ოსმალთა მფლობელობაში აღმოჩნდება ლიტვაც, რის გამოც მის მახლობლად მდებარე სხვა ქვეყნებიც ოსმალთა მხრივ თავისებურად გარშემორტყმული აღმოჩნდება, რამდენადაც ირანელთა და ქართველთა დამარცხების შემდეგ (რომის პაპს მხედველობაში ჰქონდა 1578-1590 წწ, ირან-ოსმალეთის ომის შედეგები), ოსმალები ერთი მხრიდან უკვე მიუახლოვდნენ მოსკოვის სამფლობელოებს. რომის პაპი წინადადებას აძლევდა მოსკოვის მეფეს, წაეჭეზებინა საქართველო და ირანი ომი ხელახლა დაეწყოთ ოსმალეთის წინააღმდეგ და ფული მიეცა ავსტრიის იმპერატორისათვის, რათა მას ეწარმოებინა ომი ევროპაში ოსმალთა წინააღმდეგ, ხოლო რუსთა ჯარი გასულიყო შავი ზღვის სანაპიროზე და დაეკავებინა კონსტანტინეპოლი. ამ წინადადებით პაპი ანტიოსმალურ კოალიციაში, რუსეთს ბელადობას სთავაზობდა, მაგრამ მოსკოვში ფრთხილად შეხვდნენ ამ წინადადებას, რადგან ანტიოსმალურ კოალიციაში რუსეთი იმჟამად აქტიურ მოქმედებას აღარ გეგმავდა.

როგორც დავინახეთ პაპის ანტიოსმალურმა წინადადებამ, რუსეთში წარმატებას ვერ მიაღწია, სამაგიეროდ საქართველოში და ირანში გამოეხმაურნენ.

1595 წელს სიმონ ქართლის მეფე ალექსანდრე კახთა მეფე და ირანის შაჰი -აბას I შეთანხმდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობის თაობაზე. ამას შეთანხმების მონაწილენი რომის პაპისა და იმპერატორის მოწოდების მხარის დასაჭერად რეალურად გადადგმულ ნაბიჯად აცხადებდნენ, ოსმალეთთან ომს აღიქვამდნენ და თავიანთი შეთანხმება-გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცყობინებდნენ რომის პაპს, იმპერატორს, ესპანეთის კაროლს (მეფეს).

ამ შეთანხმების შესახებ, გარდა იმისა, რაც ცნობილია აკად. N. ბერძენიშვილის გამოკვლევებიდან, დამატებით ცნობებს გვაწვდის ესპანეთის არქივში აღმოჩენილი სიმონ I-ის წერილები.

სიმონ I-ის წერილები ესპანეთში (სიმონკას გენერალურ არქივში) აღმოაჩინა ცნობილმა არმენისტმა მაკლერმა, მანვე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა ორიგინალების სომხური და ბერძნული ტექსტები (ფრანგული თარგმანითურთ), აგრეთვე XVI ს-ის დამდეგს შესრულებული სიმონ I-ის წერილების ესპანური თარგმანები, მათი შინაარსი მაკლერს, როგორც ჩანს, უპირატესად ფილოლოგიური თვალსაზრისით აინტერესებდა ისტორიული ხასიათის კვლევა-ძიებაზე. მას ნაკლებ აქვს ყურადღება გამახვილებული და საქართველოს ისტორიის ფაქტებს, მოკლედ და ზოგადად, მ. ბროსეს და მ. თამარაშვილის მიხედვით აღნიშნავს (ვ. გაბაშვილი, გვ. 93).

ასევე ქალაქ სიმონკაში დაცული დოკუმენტების ნაწილი დაამუშავა ქუთაისში მოღვაწე ახალგაზრდა მკვლევარმა ო. ნიკოლეიშვილმა (ო. ნიკოლეიშვილი, ქუთ. 2005 გვ. 5-20).

სიმონ I ესპანეთის მეფე ფილიპე II (ფილიპე I) აცნობებდა, რომ მისი ქვეყანა დიდი ხანი ოსმალთა მხრივ ძალადობას განიცდის. ჩვენო, დასძენს სიმონ მეფე დიდი ხანია ვუცდით იმ მომენტს, როცა ქრისტიანული სახელმწიფოები აღსდგებიან და ამომრავდებიან დიდი საქმის განხორციელებისთვის, სიმონ მეფე საგანგებოდ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „მე, სიმონი, გურჯისტანის ხანი, ალექსანდრე, ლევანტის ხანი, შაჰ-აბას სპარსელი, ჩვენ სამთავე გავერთიანდით და შევკავშირდით და მოვილაპარაკეთ, გადავწყვიტეთ და აღვიქვით, რათა ავმხედრდეთ ოსმალეთზე და გავათავისუფლოთ წმინდა იერუსალიმი და ვისხნათ ქრისტიანები ოსმალთა ხელთაგან“. ამასთან ერთად სიმონ მეფე სთხოვს ესპანეთის მეფეს, რომ „გვიშუამდგომლოთ კეისრის წინაშე (იგულისხმება რუდოლფ II - ვ.წ.) რათა მან არ დასდოს ზავი ოსმალეთთან, რადგან ამან არ შეიძლება არ შეგვიქმნას დაბრკოლებები. ჩვენ. შეთანხმების მონაწილეებმა მტკიცე აღთქმა დავსდეთ უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლოთ, რათა უკვე ჩვენს დროში იერუსალიმი და ქრისტეს წმინდა საფლავი ქრისტიან ხელმწიფეთა ხელთ ვიხილოთ (ვ. გაბაშვილი, გვ. 94).

სიმონ მეფე მეორე წერილში აღნიშნავდა, აგერ 14 წელია, რაც ოსმალებს ვეომები და მათ დიდი სიძნელეებიც შევუქმენი და რომ ის ალექსანდრე კახთა მეფესა და ირანის შაჰთან ერთად გაერთიანდა. იგი სთხოვს ესპანეთის მეფეს დაუკავშირდით იმპერატორს, ჩვენ თქვენს მანდედან შემოუტით საერთო

მტერს და ბოლო მოვუღოთო. ამასთან ერთად სიმონ I აღნიშნავს; რომ ასეთი შინაარსის წერილები გაუგზავნა იმპერატორს და რომის პაპს. ამასთან ერთად სიმონ I სთხოვს ესპანეთის და გერმანიის მესვეურთ გამოუგზავნონ პასუხები თანხმობის შემთხვევაში, რადგან ტრანსილვანიის ხელმძღვანელის აზრი ჩვენ უკვე ვიცითო (იგულისხმება ზიგმუნდ ბატორი).

სიმონ პირველმა ესპანეთის მეფეს ოთხი წერილი გაუგზავნა (ჯერ-ჯერობით მეტი არაა ცნობილი), რომლებშიც აცნობებდა, რომ აღმოსავლეთში შექმნილია ანტითურქული ლიგა, რომლის წევრიც ის იყო და სთხოვდა ესპანეთის მეფეს ისიც შეერთებოდა გერმანიის იმპერატორს და ერთად დაესახათ საერთო გეგმები თურქების დასამარცხებლად. სიმონი სთხოვდა ადრესატს სპარსეთის მბრძანებელს გააგებინეთ ყველაფერი, რათა ერთმანეთს შორის ყოველივე შეთანხმებულად იყოსო.

ესპანეთის მეფე ფილიპე II უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა სიმონ I-ის ცნობას ქართველებისა და სპარსელების მიერ ანტითურქული კოალიციის შექმნის შესახებ. აი რას წერს ამასთან დაკავშირებით იგი. სიმონისადმი 1598 წელს გაგზავნილ წერილში: „აღფრთოვანებული ვარ თქვენი გადაწყვეტილებით იბრძოლოთ წმინდა კათოლიკური სარწმუნოების დასაცავად... თხოვნა ძალიან ღირსეულია... საქმე, რომლის შესახებ თქვენ ითხოვთ სპარსეთის შაჰის შესახებ, უკვე გაკეთებულია“ (ო. ნიკოლეიშვილი, გვ. 18-190).

იმავე წლის 25 ივლისს სიმონ მეფისადმი გაგზავნილ წერილში კი ზემოთქმული თვალსაზრისი ამგვარადაა დაკონკრეტებული: „შენი სურვილი ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრჯერ შეეასრულე და სპარსეთის მეფე არაერთგზის შევაგულიანე თუ კიდევ გახდება საჭირო, კიდევ ვიკისრებ ამ მოვალეობას“ (იქვე).

მიუხედავად დიდი მცდელობებისა სიმონ I მხრიდან ანტითურქული კოალიცია იმჟამად და ვერც შემდგომ ჩამოყალიბდა, რასაც გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები ჰქონდა. სიმონ პირველი ერთგული რჩება თავისი სიტყვისა და იგი თურქებს ებრძვის თავგამოდებით, რადგან ჩვენს ქვეყანას გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა. სიმონ I ფარცხისთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა და თურქებმა იგი ტყვედ ჩაიგდეს. თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს თურქ-ოსმალთა ხელისუფალნი სიმონთან ბრძოლას სჩანს იქედან, რომ სიმონის ტყვედ აყვანა აღნიშნეს მთელს იმპერიაში ზვიმით აღნიშნეს.

ევროპის სახელმწიფოების ერთმანეთთან შეკავშირება, მათი ერთობლივი გამოსვლა ოსმალეთის წინააღმდეგ მაშინ შეუძლებელი იყო. ჯერ ერთი, თვით ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებობდა დამაბული ურთიერთობა. ესპანეთი ხან იარაღით და ხან დიპლომატიური საშუალებებით ებრძოდა ინგლისსა და საფრანგეთს, გერმანიის პროტესტანტ მთავრებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საბოლოოდ დასრულებული მისი ბრძოლა ნიდერლანდების ბურჟუაზიულ რესპუბლიკასთან უადრესად დრამატული იყო იტალიის რესპუბლიკების და სამთავროების ურთიერთობა, არ იყო თანხმობა აღმოსავლეთ ევროპაში. ჰაბსბურგებს მუდმივი ტერიტორიული დავა ჰქონდათ თავის აღმოსავლეთ მეზობლებთან. (ე. მამისთვალიშვილი, გვ. 299).

დიდი წინააღმდეგობა არსებობდა ევროპის სახელმწიფოებს შორის ოსმალეთთან დამოკიდებულების საკითხის გამო, რაც უმთავრესად ოსმალეთის სამფლობელოებთან ვაჭრობითა და მის ტერიტორიებზე გამავალი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზებით სარგებლობის გამო იყო გამოწვეული. სარგებლობდა რა სულთნისაგან მიღებული სავაჭრო პრივილეგიებით (კაპიტულაციები) საფრანგეთი ყოველთვის თავს იკავებდა ანტიოსმალური პოლიტიკის გატარებისაგან. მის ასეთ პოზიციას დიდად აფასებდა ოსმალეთი.

აღმოსავლეთის ანტიოსმალური კოალიციის წევრებისათვის გასაგები გახდა, რომ ევროპის ქვეყნებიდან რაიმე რეალური დახმარების იმედით ყოფნა არ შეიძლებოდა. შაჰ-აბასი აქტიურ მოქმედებებზე გადავიდა. ასევე გადავიდა სიმონ I, რომელმაც ოსმალელები ქართული ციხე-სიმაგრეებიდან განდევნა და საბოლოოდ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყვედ ჩავარდა.

სიმონ მეფის პოლიტიკური და სამხედრო ასპარეზიდან წასვლამ მნიშვნელოვნად შეასუსტა საქართველოს ანტიოსმალური ძალა, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა ქართული სამეფო-სამთავროების შემდგომ ბედზე.

### ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. მიჯნაზე, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. 1, თბ., 1944.
2. გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 31, თბ., 1954.
3. მამისთვალიშვილი ელ., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1981.

4. პავლიაშვილი ქ., კათოლიკური ეკლესია და საქართველო, თბ., 1994.
5. პავლიაშვილი ქ., ინგლისელი ძმები ენტონი და რობერტ შერლები ვატიკან-ირანის დიპლომატიურ ასპარეზზე, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, თბ., 1997, №4.
6. ნიკოლეიშვილი ო., ნარკვევები მსოფლიოს ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ქუთ., 2005.

**ANTI-OTTOMANS COALITION AND KING SIMON I**  
**Vladimer Tsverava**, Akaki Tsereteli State University, Professor  
**Eldar Tavberidze**, Akaki Tsereteli State University, Associate Professor  
**RESUME**

In the sixteenth century many christian kingdoms were in the ownership of Ottomans. Since Turkey had defeated the Kizilbash tribes in the Childiris battle-field in 1578, they were able to apply all their forces toward the Europe, wherewith the Europe was in danger, because their rulers remembered the projects created by the old Anti-Ottomans coalition and started thinking for its realization.

Now, the initiators who created the old Anti-Ottomans coalition are the Pope, the emperor of German and the king of Spain. They thought that Shah Abas I and the king of Kartli Simon I were the main opponents against Turkey in the East.

The Europe leaders sent their ambassadors with their plans in the East. The ambassadors met the king of Russia, it is true that Russia was interested in weaking of Turkey, but it had the other plans and couldn't become the leader of the old Anti-Ottomans. Shah Abas I tried to pretend as the defender of Christians in his kingdom for the European leaders.

The king of Kartli Simon I actively replied the letters of the European kings and the Pope to become the member of this "Coalition". He reported them that because of this reason, he conciliated the king of Kakheti Aleksandre and he was going to take the field against Turkey with Shah Abas I. He told them that he would always fight against Turkey. And you took the offensive from here to see the Christians Saint places free. He asked for the king of Spain and the Pope to tell the emperor of German not to conciliate to Turkey. But as a rule, the Europe did nothing except of talking. Meanwhile Simon I was fighting against the enemy, he was arrested by Turkish and they celebrated it. The letters written by King Simon I to the Pope and the king of Spain are kept in the library of Vatikan and also in the National Archives of Spain Simanka.